

სოლომონ თეზელიშვილი

იურიდიული ენციკლოპედია

ფართო სპექტრის მქონე ძირითად ტერმინთა (5000), ქვეტერმინთა (20 000) და სხვადასხვა განმარტება-მცნებათა (30 000) რაოდენობა

პოლიტიკური და ეკონომიკური ტერმინები მოცემულია სამართლებრივ ასპექტში





გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი 2008

UDC(უაკ) 34(031)
თ – 414

ყველა ლექსიკონი უნდა იძლეოდეს თავისსავე და მონათესავე დარგებთან სხვადასხვა ფორმულირებების შექმნისა და ჩამოყალიბების უეჭველ შესაძლებლობას

თუ, ჩვენ ამ შრომაში მოძიებულ-აკინძული წიგნის მასალას მოზრდილ შენობას შევადარებთ, მაშინ წარმოიდგინეთ, რომ იგი აშენებულია ზღვის კენჭებისგან, ნაბიჯ-ნაბიჯ და ხანგრძლივი დროის მანძილზე გამუდმებული შრომით, ამიტომ, ამჟამად, საბოლოო სრულყოფის დროს გვიხდებოდა, აქ მოტანილი შეხედულებების გაახალგაზრდავება და გათანამედროვეობა. ყოველივე ამან გამოიწვია ერთი და იგივე ტერმინის ორგვარი მიდგომით გაშუქება და ვთქვით, რომ ორიოდეს აქვს არსებობის უფლება, მაგ. ინკასო, ბირჟა, დელიქტი, დაუდევრობა და ა.შ. სხვადასხვა მოსაზრებით (ლაკონურობით, სისრულით, ამომწურავადობით და ა.შ.)

მთელი მუშაობის მანძილზე დღენიადაგ ვფიქრობდი, რომ შრომა ყოფილიყო, რაც შეიძლება პრაქტიკულად გამოსაყენებელი და არა მშრალი და ჩვენ შეეძელით და მივაღწიეთ, რომ მთელი რიგი ეკონომიკური ტერმინებისთვის მიგვეცა იურიდიული მოსმსაზურების შინაარსი, რაც ერთგვარი სიახლეა ამგვარი პროფილის წიგნისთვის და საერთოდ ამ ტერმინების უკეთ გამოყენებისათვის საჭიროა გავეცნოთ წიგნის საწყის ეტაპზე მოცემულ წერილებს. (შესავალი, თეზისები და სხვა წერილებს.)

რაც შეეხება, მასალის თემატიკას, შეგეიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ხელთ არსებული იურიდიული ჰასალის აზროვნებითი მატერიალი არის ქართულ იურიდიულ ლექსიკოგრაფიულ ტერმინოლოგიაში ყველაზე ფართო და მრავალმხრივი. ამ შემთხვევაში თითქმის ყველა იურიდიული ტერმინი ჰაშუქდა, რომლებიც კი მკვიდრი და ტრადიციულია მეცნიერების ამ დარგისთვის, მაგრამ ასევე ჰცენტი გაკეთდა ისეთ მხარეებზე ჩვენი სამართლებრივი ცხოვრებისა, როგორიცაა ადამიანის უფლებები, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყველაზე თანამედროვე მიდგომები, ეთიკა, ბირჟა, იზნესი, რეფორმის მეთოდები და საშუალებები, წამების და ძალდატანებით მიღწეული იძულების აკითხები და ზოგ შემთხვევაში (მაგ. პატიმართა და ეჭვმიტანილთა მკურნალობა) იმდენად სკრუულოზურ დეტალებში აღინუსხა, რომ ერთი შეხედვით იურიდიული ტერმინებისთვის თითქოსდა რატრადიციულია. მაგრამ ვიხელმძღვანელეთ პრინციპით, რომ ის რაც აკმაყოფილებდა 20 წლის ინანდელ მსოფლიოს ამ დარგიდან, დღეს მისთვის უკმარია, რაც გამოწვეულია ჩვენი ეპოქის წრაფი, ცვალებადი და მზარდი მოთხოვნებით სამართლებრივი ცხოვრების მხრიდან.

მთავარი რედაქტორი თამაზ ბარაბაძე

რედაქტორები ირმა შულაია,
თამუნა აბსანძე,
ომარ კელაპტრიშვილი

ტექნიკური რედაქტორები ვალერი და დათო უტიაშვილები

კორექტორები ინგა ჭუმბურიძე, ნათელა თეზელიშვილი, რიტა ქაფიაშვილი,
ნანა კერესელიძე, მარინა მჟავანაძე, მაია კვირტია

© სოლომონ თეზელიშვილი, 2008
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2008

ISBN 978-99941-10-018-5

„ერთმან ძველმან ფილოსოფოსმან თქვა: უკუეთუ გენებოს სამართალი, ნურავის მიეუერებიო და ნუცა გარდაამრუდებო. არამედ სამართლით საჯეო“



შესავალი

მსოფლიო სამართლებრივი განვითარების ამინდი უტყუარად იძლევა იმის ნიშანს, რომ სამართლებრივი ხედვები, მიდგომები და თვით ყველა ქვეყნის ნორმები უცილოდ დაუახლოვდებიან ერთმანეთს. ამ პროცესში რუსული სამართლებრივი სისტემა, ევროპის სამართალმცოდნეთა შეფასებით უცილოდ დაიკავებს წამყვან როლს, ამიტომ ჩვენ განვიზრახავთ ეს შრომა ძირითადად ავაგოთ რუსული სამართლებრივი აზროვნების პოსტულატებზე.

არცერთი ლექსიკონი და ენციკლოპედია არ იძლევა იმის უფლებას, რომ ისინი გაზიარებული და მიღებული იქნენ კანონის ვალდებულების სახით, რადგან მათში მუდმივად მოცემულია ავტორთა ინდივიდუალური შეხედულებები სამართლის სხვადასხვა დარგებზე. ენციკლოპედიებში და ლექსიკონებში ასახული უნდა იყოს ყველაზე არსებითი, დემოკრატიული და დროიდან გამომდინარე თანამედროვე მოსაზრებები, სხვა მისთვის მკვიდრ და აუცილებელ მახასიათებელ ნიშნებთან ერთად.

თუ, შუა საუკუნეების მსოფლიოს სახელმწიფოებრივი მოწყობა მთლიანად დავალებული იყო თეოკრატიული დოგმებიდან და სათემო ტრადიციებიდან გამომდინარე ნიშნისშემცველი შინაარსებით, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო მარშირებული სვლა ურბანისტული, ანუ ქალაქთმშენებლობის გაძლიერებისაკენ, რამაც გამოიწვია ბუნებრივად რთული, საერო საზოგადოების შექმნის მომძლავრება, რაც ხდება იმის საფუძველი, რომ სამართლის ნორმები რამდენადმე დასცილდა თეოკრატიული დოგმების ნიშნებს და მიმდინარეობას, რომელიც ხელს ნაკლებად უწყობს ხშირ და რთულ საერო ურთიერთობის მოგვარებას, რაც ასე უხვადაა დამახასიათებელი ურბანისტული საზოგადოების მოწყობისათვის. აქედან გამომდინარე, ყოველივე ეს იწვევდა ქალაქის მოსახლეობის ზრდას და სოფლის მოსახლეობის შემცირებას, სამართლის ნორმა კი, ხდებოდა უფრო მეტად ფუნქციური და მრავალნაწილიანი, რათა ის ყოფილიყო უფრო სისხლსავსე და მგრძნობიარე სხვადასხვა სოციალურ სამართალდარღვევათა, თუ კრიმინალური ნიადაგის მიმართ.

სამართალი ძირითადად ორი მიმართულებით უნდა იცავდეს მსოფლიო წესრიგს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ადამიანის უფლებებს, საკუთრებას და ის, შემდეგ ბუნებრივად დაიცავს კაცობრიობის დანიშნულებას და საზრისს დედამიწაზე. სამართალი ხელისუფლების ფორმაა, რომლის შინაარსს ისინი ამკვიდრებენ სამართლის ნორმაში ასახული ზომიერი და დემოკრატიული ძალის აღმნიშვნელი ნიშნების გამოყენებით. სამართალი არის მოვალეობათა შედეგი და ეს შედეგი არის ჩვენი და სხვათა უფლება ერთმანეთზე და მასში უნდა ჩანდეს სამართლიანობის და თანასწორობის წადილი.

ყველა სამართალი საბოლოო იდეაში უნდა იყოს სულისთვის უფრო მეტი თავისუფლების

მოპოვება, ვიდრე ის, იყო აქამდე და სამართლის ნორმების განმმარტებლები ასე განმარტავენ სამართლის ბუნებას – სამართალი ყველაზე მაღალი თამასაა ადამიანური ფანტაზიისა და არც ერთი პოეტი ისე გასაგებად და თავისუფლად არ განმარტავს ბუნებას, როგორც იურისტი სინამდვილეს.

სამართლიანობის უდიდესი სათნოებაა, თუ მასში ძევს დამნაშავის აღზრდის და კეთილისკენ შემობრუნების პრინციპი, სადაც არც თუ იშვიათად შეიძლება არ იქნეს გამოყენებული საზოგად ხალხთა უმრავლესობის პრივილეგია, რაც არის საბოლოო ჯამში სამართლებრივი შემოქმედება, ამიტომ ყველა სამართლის ერთ სიბრტყეზე განსჯა ხშირად მიუღებელია.

საკუთრივ სამართლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამართლიანია ის ყველაფერი, რაც აბალანსებს და ასტაბილურებს ცხოერების ყველა მხარეს, ადამიანთა უფლებებს და თავისუფლებას დედამიწაზე.

სამართლის და სამართლიანობის ყველაზე დიდი მტერია პრივილეგია, კორუფცია, სუბიექტივიზმი და სხვა მსგავსი გამოვლინებები.

ყველა მმართველობის მიზანი უნდა იყოს სამართლიანობა და ზომიერება, თავისუფლების და სიცოცხლის დამკვიდრება დედამიწაზე და მარად უნდა გვახსოვდეს ერთი მეტად მნიშვნელოვანი თეზისი – „ძალზედ იოლია იყო კეთილი, მაგრამ ძნელია იყო სამართლიანი", ამიტომ დიდ საქმეთა კეთებათა მხნედ მოწოდებულთ უნდა ახსოვდეთ ამ თეზისის უზენაესობა – სამართლიანობა, თავისუფლება და ადამიანის უფლებები საკუთრების უფლებებთან ერთად. ხშირად მიფიქრია, რომ სამყაროს ამ თეზისის ტრიადის კომბინაციის დაცვა განაგებს, რომლის დედაბოძად მაინც რელიგია გამოდგება, ბუნებრივია საერო ურთიერთობებთან ერთად, რათა არ დაირღვეს სრული ჰარმონია რელიგიასა და საერო საზოგადოებას შორის. მიუხედავად დღევანდელი სამოქალაქო ინსტიტუტების განვითარებისა, მწამს, რომ რელიგიური კანონიერება და დოგმები მაინც უფრო მომძლავრდებიან, ვიდრე ისინი არიან დღეს, თუმცა თეოლოგიური ნორმების ძველი ზეგავლენა, უახლოეს მომავალში ძველი შინაარსით ალბათ არ აღსდგება. რელიგიით გაიჟღინთება ის, სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ უმეტესად ჩვენს სოციალურ ყოფას და სხვა მის მონათესავე სამართლებრივ დარგებს ნაწილობრივ.

აზროვნების არც ერთ სფეროში არ აისახება საზოგადოების მდგომარეობა ყველა პარამეტრით ისე ადეკვატურად, როგორც საკანონმდებლო ბაზაში და კანონმდებლობა უკუპროპორციულია საზოგადოების თავისუფალი თუ ძალდატანებითი განვითარების. სახელმწიფოებრივ აზროვნებაში მიღებულია, რომ, როდესაც სისხლის სამართლის ან სხვა დარგობრივი კანონმდებლობა ისე მძიმდება, როგორც ჩვენ, ან თქვენს მიერ აღნუსხულ ზოგიერთ ქვეყნებშია მოცემული, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამოქალაქო, ადმინისტრაციულმა და სხვა სამართლებრიემა ბაზამ ამოწურა თავის შესაძლებლობები და ხალხის მართვა მას აღარ ძალუძს და აქ იწყება სისხლის და სხვა სამართლის ძალმომრე და მუქარით სავსე მუშაობა.

აშკარაა, რომ მმართველობის ინსტიტუტების საკანონმდებლო ბაზას უჭირთ და ამ დროს „ამ ძალას" დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია. სანიმუშოდ შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იწყება მონარქიული ინსტიტუტების სერიული გაუქმება. შედარებით ჭკვიანი მონარქები კონსტიტუციურ მონარქიაზე თანხმდებოდნენ და ნებით თმობდნენ პოზიციებს. ამგვარად მეფე თუ ჩვეულებრივი მმართველი უნდა გრძნობდეს აზრის და იდეის მომწიფებას და თუ ეს პროცესი არ დასრულდა ან არ შეიცვალა, ამ დროს, ხალხს ვერავითარი სახრჩობელათი ვეღარ შეაშინებ.

აი ყველაფერ, ამ პროცესებზეა ამ წიგნში არსებული მასალა მოცემული, სადაც განხილული იქნება იურიდიული ტერმინების ძველი და ახალი გაშუქება, შედარება, ინსტიტუციონალური მიდგომები და ა.შ.

კაცობრიობას გააჩნია როგორც ამამაღლებელი, ისე დამთრგუნავი სენტენციები კანონის შესახებ: „კანონი ეს მე ვარ!", „კანონი ობობას ქსელია, სადაც ძლიერი ბუზები გაგლეჯენ და გაიელიან, სუსტნი გაებმებიან", ჩვენი კბილებით უნდა შევებრძოლოთ ამ მეტად მავნე წარმოდგენებს და შეხედულებებს პრაქტიკულ საქმიანობაში და მარად უნდა გვახსოვდეს, რომ,

სულ რაღაც 150 წლის წინ ამერიკაში ჯერ კიდევ მძვინვარებდა მონების შრომა, 200 წლის წინ დანიას კიდევ ჰყავდა ვიკინგები, (მე შეგნებულად ვიღებს ერთ – სუპერსახელმწიფოს და მეორეს – თანამედროვე დემოკრატიის ნიმუშს სადაც ყველაზე ნაკლებია ბიუჯეტის დანაკარგები), აქედან გამომდინარე უდაოდ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ კარგი საგადასახადო, სასამართლო სისტემით და პრაქტიკით შეიძლება მიაღწიოს იმას ქვეყანამ, რაც ამ ორმა და სხვა თანამედროვე ქვეყნებმა მიაღწიეს, რადგან კანონი და სამართალი არის სულის წესრიგი, რომლის ზეგავლენით ყალიბდება ეკონომიკის და პოლიტიკის ის დინამიკა, რაც ჩვენს უახლეს ისტორიაში წარმატების უტყუარ ქვაკუთხედად გვევლინება. უნდა ვიჩქაროთ, ძალიან ცოტა დრო დაგვრჩა ფეხის ასაწყობად, ჩვენთვის არ კმარა ვაჟა, რუსთაველი და გალაქტიონი, სადაც პოეზიის ფრთებით მხოლოდ ოცნების საკვებს შეიძენ. ამ შემთხვევაში, სამართალთან ფრთხილი და ცივი გონების საშუალებით უნდა ვიმოქმედოთ, თორემ მსოფლიოს არცერთი პარლამენტი არ იღებს კანონებს ფერწერასა და არქიტექტურაზე, რადგან ისინი თავისუფალი აზროვნების პროდუქტებია, სამართალს კი, კალაპოტი სჭირდება და სახელმწიფოსთვის ყველაზე არსებითია სასამართლო, საგადასახადო და სხვა მისი ღვიძლი სისტემები, გავაკეთებთ და ვიმოქმედებთ ისე, როგორც თანადროულობა თხოულობს!? გადავრჩებით! არა და ისე გაქრებით, როგორც სხვა, ჩვენზე ძლიერი, პოპულარული და მაღალი კულტუროსანი.

ეს წიგნიც ამ წერილში დასმული პრობლემების გადაწყვეტას ეხმიანება!.. და მარად გახსოვდეთ თვით ცუდი კანონი და მასთან მორჩილება ბევრად მომგებიანია ქვეყნისთვის, ვიდრე კარგი კანონი და ცუდი მორჩილება.

თავისუფლება და სამართალი

„მსოფლიოს ისტორია თანდათანობითი განვითარებაა თავისუფლების შეგნების“ (ჰეგელი)

„როდის ვიქნებით თავისუფალი? – როდესაც თავისუფლებისთვის სიკვდილს არად ჩავაგდებთ!“ – პლუტარქე

არაფერი არ ხსნის თავისუფლების არსს ისე სრულად და ამომწურავად, როგორც მისი მოკლე და სხარტი მაქსიმები, სადაც გარკვევით ამბობს ობიექტური იდეალიზმის მამა, რომ ადამიანის გონებას და მისგან გამომდინარე მსოფლიო ისტორია ბიძგს იღებს თავისუფლების შეგნებისგან. ეს არის თამამი და ლაღი „ამბიცია“ რომლის გარეშე კაცობრიობა „საწყალ და ბეჩავ“ არსებად წარმოჩინდებოდა. ამის შემდეგ კი, უნდა გვახსოვდეს ძველხევსურთა სენტენცია „იყავ თამამი, იყავ თამამი და ნუ იქნები ძალიან თამამი“. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ყველაფრის, თვით სიკეთის, თავისუფლების, ფულის და, რა თქმა უნდა, დემოკრატიის მიწოდებას წინასწარ უნდა გაუმზადოთ გარემო, რადგან მის გარეშე ისინი შეიძლება შეიქნენ მათთვის მომაკვდინებელი. აფრიკის ველურ გარემოში მცხოვრებ ტომებს, რომ პირის საპარსად სამართებელი მივაწოდოთ, ისინი აუცილებლად დაიჭრიან ხელებს და სახეს, ამ ცივილიზაციის ერთგვარი პირმშოთი – სამართებლით.

მსოფლიო ისტორიის პროგრესს, რეფრენ-აკომპანიმენტად მიჰყვება, რომ კაცობრიობის გონება ღიად და ქვეშეცნეულად ანვითარებს თავისუფლების უმაღლეს შეგრძნებას და ზღვარი, რომ არასოდეს გამოჩნდება ამაში დღეს აღარავის არ ეპარება ეჭვი. თავისუფლების ქადაგებად იყვნენ დავარდნილი ყველა დიდი და პატარა მეცნიერე, პოეტი და სწავლული და ყოველივე ილუზია თუ არ არის, გამოხატავ კაცობრიობის ყველაზე მოწინავე და უფაქიზეს მოთხოვნებს. მაშინ ჩვენი შინაგანი მოთხოვნები უნდა დაუმორჩილოთ მხოლოდ ყველაზე თანამედროვე და კულტურის უკანასკნელი მიღწევებით გაფილტრულ გონებას, რომლის საბოლოო სადგური უნდა იყოს მაღალი სამათლებრივი დისციპლინები. და თუ გვინდა, რომ ეს მელოდია თავისუფლებაზე არ დასრულდეს, მათმა გონებამ მუდმივად უნდა ატარონ შეგრძნება, რომ უზენაესს თავისუფლებას ყოველთვის ცოტა აკლია. რაც უნდა საბოლოო ჯამში იყოს ისეთი ძალაუფლების მოპოვების, რომლითაც ვიბატონებთ ჩვენს ვნებებსა და სურვილებზე.

როგორი სამართლებრივი ინსტიტუტებიც არის ქვეყანაში იმ კულტურის სიმაღლის მატარებელია იქ მცხოვრები ხალხი. სამართალი ხელისუფლების ფორმაა და იგი ისევე ზღუდავს ხელისუფლებას, როგორც ფორმა თავის შინაარსს. სამართლის მეშვეობით ვითარდება ჩვენში

მოვალეობათა კვირტები, ანუ უფლებები და ეს უკანასკნელი უნდა გახდეს შემდეგ სხვათა ზიარი და ურთიერთობის საშუალებები.

მმართველობის და ადამიანთა ურთიერთობის მიზანი მუდმივად უნდა იყოს დაუოკებელი სწრაფვა სამართლიანობისკენ და სამართლიანობას მუდმივად უნდა ედგნენ კვალში, მაშინ ხორციელდება უფლის ნება და არა ძვირადღირებული მსხვერპლშეწირვებით.

სამართლიანობა მუდმივად უნდა ქორწინდებოდეს სათნოებასა და სიბრძნეზე, მაგრამ ყველას გონება სხვადასხვა სიმაღლით უყურებს ამ კატეგორიებს, მაშინ ის მაინც უნდა გაითვალისწინოთ, რომ, რაც სიცოცხლის შუალედში არსებული შეცდომებია, არის ჩვენი არა სრულყოფილების რეზულტატი და თუ გინდათ მას დააღწიოთ თავი, მუდმივად იცხოვრეთ ამ სქემით თქვენს გონებაში: ღვთის სიყვარული – გონება (ანალიზი) – თავისუფლება – სამართალი=მსოფლიოს განვითარების პროგრესი. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ მომავალ'ში ისე, რომ სამართალი ცოტათი წინ უნდა უსწრებდეს მომავალში მომხდარ მოვლენებს. ამ გზაზე ბევრია მშვენიერებაც და გასაჭირიც, რაც უნდა იყოს მარადი ბიძგის მიმცემი ჩვენი განვითარებისა და ყოველი წინაღობის დაძლევა სულის ტრიუმფია ხორცზე, რაც არის კიდევაც სულის გაკაჟების მარადიული ფორმულა.

ჩვენი ცხოვრების არც ერთი მხარის განხორციელებისას არ სჭირდება ადამიანს იმდენი სიმამაცე, რამდენის სამართლიანობის დამკვიდრებისას, სიმართლისა და სამართლის საშუალებით ადამიანი თავისუფლდება ყოველგვარი ბიწისგან და მისი დამამკვიდრებელი პირდაპირი მსახურია ღმერთის. ხშირად უთქვამთ, ბევრად იოლია იყო კეთილი და ალერსიანი, მაგრამ სამართლიანი და ზომიერი, ძნელი. ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე სამართლიანობა და ზომიერება არის საზოგადოებისა და ქვეყნის ყველა დიდი კულტუროსნობის სიმბოლო.

ყველა დროში, ყველათა ცხოვრება დაფენილია უამრავი უხილავი წყალქვეშა მეჩეჩებით და მხოლოდ სამართლიანობის დამკვიდრებით ხდება გაელა ამ ცოდვილი ადგილების. ყველა გენიალურობა ფუჭია, თუ ის მუდმივად არ ატარებს სიკეთისა და სამართლიანობის უძლეველ ბეჭედს. ამიტომ ყოველი ახალი სიტყვა, დარგი, რომელიც ცხოვრების ასპარეზზე შემოდის, უპირველესად უნდა იყოს სამართლის ნელსაცხებლით გაჟღენთილი, ანუ მას უნდა გააჩნდეს ახსნა და გამართლება საზოგადოებაში უცილო არსებობისა. ყოველგვარი ბიწი, რაც კი მოედინება ჩვენი ცხოვრების შენაკადებში, სამართლის დისციპლინების ფილტრით იწმინდება. ყველა ლექსიკონის და შრომის გამოქვეყნების დანიშნულებაც ის არის, რომ საზოგადოება და ქვეყანა გახდეს უფრო კეთილი, სამართლიანი და ზომიერი თავის მარტივ თუ ძნელად სავალ ურთიერთობებში.

იურისპრუდენცია რთული და მკაცრი მეცნიერებაა. მას უყვარს სიზუსტე, ფაქტების რეალური ხედვა, არგუმენტაცია, ანალიზი და რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის გვირგვინი – ობიექტური შეფასება და სწორი თანადროული მიდგომები, ვერ იტანს სუბიექტივიზმს, ტენდენციას, ანგარებას, ვოლუნტარიზმს და სხვა მონათესავე გრძნობათა მცნებებს. იურისპრუდენცია ასევე ვერ ეგუება უვიცთა ხელის ფათურს. ამიტომ წარმოუდგენელია დღეისთვის ესოდენ საჭირო სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა დიდი ცოდნის, მაღალი ჰუმანური ინსტიტუტების და განათლების გარეშე.

ძველად, შუა საუკუნეებში უმდიდრესი ქვეყნები ისინი იყვნენ, ვისი ბუნებაც ყველაზე უხვი იყო, ახლა კი უმდიდრესია ის ქვეყნები, სადაც ადამიანები უფრო ზნეობრივი და ქმედითია. რას ვიზამთ ასეთია დროიდან გამომდინარე აუცილებლობის კანონი. ოპტიმისტები აუმჯობებენ თვითმფრინავებს, პესიმისტები პარაშუტებს, ჩვენ უფრო მეტი თვითმფრინავზე უნდა ვიზრუნოთ. სიტყვა საქმის მხოლოდ ჩრდილია და ჩვენი „ფირმის" სავაჭრო ნიშნად „სინდისი" უნდა ვაქციოთ.

კარგი გადასახადები არ არსებობენ, არსებობენ შედარებით მისაღები და ნაკლებად მისაღები გადასახადები.

კანონები, ხელშეკრულებები და ეკონომიკური რაციონალურობა აუცილებელია, მაგრამ არა-

საკმარისი ბაზისია კეთილდღეობისა და სტაბილურობის მოსაპოვებლად. ისინი უნდა შევავსოთ ორმხრივი თანამშრომლობით, საკუთრივ არსებული ლოიალური კოდექსით, საზოგადოების წინაშე მოვალეობის გრძნობით, მოქალაქეების ურთიერთნდობით და ა.შ. — ეს ის თვისებებია, რომლებიც უფრო ეროვნულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს ეფუძნება, ვიდრე რაციონალურ გათელებს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი ანაქრონიზმად მიჩნევა თანამედროვე საზოგადოებაში.

ის მცირე დრო და მარად უკმარი მიწიერი მოკვდავება სიახლეთა წედომას და გამუდმებულ შრომას უნდა უძღვნათ, უნდა ვიღვაწოთ გზნებით და გამალებით, რათა გაჩენილი ვართ რომ ვიყოთ კეთილშობილი და ეს უკანასკნელი დღენიადაგ შევავსოთ ღირსებით და ცოდნით.

კანონის მნიშვნელობის ზოგიერთი ელემენტი

კანტი: ორი რამ მაოცებს ამ ქვეყანაზე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ადამიანური მორალი.

არისტოტელე: ის, ვინც მოითხოვს კანონი ბატონობდეს, მოითხოვს, რომ ბატონობდეს ღმერთი და გონი, ხოლო ის, ვინც მოითხოვს, რომ ბატონობდეს ადამიანი, წინ სწევს ცხოველურ საწყისს, კანონი არის გაწონასწორებული გონი.

პლატონი: სჯობს უსამართლოდ დაისაჯო, ვიდრე უსამართლობა ჩაიდინო. ბოროტება მტრის მიმართაც არ უნდა ჩაიდინო.

„არ არსებობს არაფერი გარდა ღმერთისა და სამყაროსი. ღმერთის არსებობის დამტკიცება მხოლოდ იმ ქვეყნის არსებობით შეიძლება. როგორ? — იკითხა სპინოზამ და პასუხი თვითონვე გასცა: — თუ სამყარო შექმნილია — ღმერთი არსებობს, მაგრამ თუ სამყარო მარადიულია, ღმერთი არ არსებობს". აი, ასეთი დიალოგით წარსდგა ებრაელი თემის სამსჯავროზე ბარუხ სპინოზა 1656 წლის 25 იელისს. იშვიათად შეგხვდება ადამიანს აზროვნების ისეთი დიდი ძალმოსილება ლოგიკური მტკიცებისა, როგორც აქ იყო. ასეთი შესავლით იმიტომ დავიწყეთ, რომ წინამდებარე წერილის თემას აუცილებლად სჭირდება ღმერთის არსებობა არა თეოლოგიური მტკიცებით, არამედ ლოგიკური აზროვნების სიზუსტით. ახლა კი სპინოზას ეპოქა ერთი საუკუნით უნდა მოხუცდეს და იმანუილ კანტის სენტენცია მოვიშეელიოთ: „ორი რამ მაოცებს ამ ქვეყანაზე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ადამიანური მორალი". არ არის ძნელი ავხსნათ რა იგულისხმება ამ სიტყვებში, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა – ეს არის ასტროლოგიური და კოსმოსური სამყაროს წესრიგი – გრავიტაციული მოვლენები; ადამიანური მორალი – ყველა ადამიანური განცდა, წესრიგი და საერთოდ მთელი კულტურა ამ მოვლენებში. თეოლოგიურ მეცნიერებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ უზენაესის ერთ-ერთი გამოცხადება წინასწარმეტყველ მოსეს წინაშე დაკავშირებულია 10 მცნებასთან; ამ შემთხვევაში კანონთან გვაქვს საქმე და ქრისტეს 10 მცნებასთან, რომელიც თითქმის არ განსხვავდება წინა 10 მცნებისაგან ,რომელიც დაკავშირებულია სამყაროს წესრიგთან, ადამიანურ მორალთან და რა თქმა უნდა კანონთან. მაშასადამე, ადამიანმა გადმოაბიჯა, თუ არა ედემს (ბუნებრივია მისტერიულ ასპექტში) და ცხოვრება დაიწყო მიწიერ სამყაროში, პირველი, რაც ხელში შეაჩეჩეს, იყო კანონი ღვთის შიშზე, მორჩილებაზე, ურთიერთსიყვარულსა და იმ წესრიგზე, რომლის შესრულების შემდეგ, თუ მისი სული სხეულს დატოვებდა, სამოთხეში ელოდა განსასვენებელი. ამგვარი მსჯელობით შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ დღევანდელი მატერიალიზებული კანონის საფუძველთა საფუძველი, მისი სუბსტანციურ — საკრალური სამართალია. ისევე როგორც ყველა საგანს და მოვლენას, საკრალური სამართლის ნორმებსაც ჰქონდათ თავისი ბედი. შედარებით ბრძოლისუნარიანი და სიცოცხლით სავსენი გადარჩნენ და დღესაც ცოცხლობენ, ხოლო სუსტებმა, ან ცოტა ხანს იარსებეს, ან გარკვეული შესაძლებლობების ამოწურვის შემდეგ მოკვდნენ, მნიშვნელობა დაკარგეს. ასევე ანგარიშგასაწევია ისიც, რომ საკრალური სამართალი ხშირად გადადიოდა ადათობრივ სამართალში ან შემდეგ ქრებოდა სიცოცხლის ასპარეზიდან.

განვიხილოთ არისტოტელეს გამოთქმული აზრი სახელმწიფოზე სამართლის პრიმატის

აუცილებლობის შესახებ: „ის, ვინც მოითხოვს, კანონი ბატონობდეს, მოითხოვს რომ ბატონობდეს ღმერთი და გონი, ხოლო ის, ვინც მოითხოვს, რომ ბატონობდეს ადამიანი, წინ სწევს ცხოველურ საწყისს. კანონი არის გაწონასწორებული გონი". ჩვენ, ჩვენის მხრივ დავსძენთ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, არისტოტელეს განმარტებით, კანონი არის ღმერთისა და ადამიანის ერთსახედ წარმოდგენა. შესაძლოა, საკითხის გადაწყვეტის სენტენციური მეთოდი ცოტა გვეჩოთიროს, მაგრამ როცა ვირწმუნებთ, რომ ყველა ამ გამონათქვამს მარადიული საკაცობრიო ღირებულება გააჩნია, უკან არ უნდა დავიხიოთ.

ახლა კი ჩავხედოთ პლატონის მოძღვრებას სულისა და სათნოების შესახებ. სულის შესახებ, პლატონი კოსმოლოგიას სათნოების თეორიასთან აკავშირებს. მისი აზრით, ადამიანის სულიც შედგება სამი ნაწილისაგან: გონების, ნებისა და სურვილისგან (როგორც მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ რელიგიაში: მამაღმერთი, ძეღმერთი და სულიწმინდა). შემდეგ პლატონი ასეთ განმარტებას იძლევა: სული გონებით მსოფლიო სულის მსგავსია, თვითმოძრავი და მარადიული. მისი ნება თავისუფალია არჩევანისას, რომლის შესაბამისად სხვადასხვა სხეულში ჩასახლდება.

თავდაპირველად იგი იდეებში არსებობდა, მაგრამ ვერ დაოფასა იქაური სიდიადე და სასჯელად სხეულში, როგორც საფლავში მოექცა. სულის ბედი აზროვნების ძალაზეა დამოკიდებული. პლატონი სულს ფრთიან ეტლს ადარებს, რომლის მეეტლე გონებაა, ხოლო ურჩი ცხენები ნება და სურვილია. სწორი შემეცნება სიკეთისკენ მიმართულებაა, მაგრამ თვითმკელელობა აკრძალულია. სიკეთე სულისა და სხეულის გათიშვაა. განსხვავებით სხეულისგან, სული მარტივია, ამიტომ იგი უკვდავია. სიმარტივე, იდეალურ ატომურობას ნიშნავს და არა მრავალფეროვანი შინაარსის უარყოფას. სწორი შემეცნება საკუთარ თავზე გამარჯვების პროცესია და ზნეობრივ მოქმედებაში ვლინდება. ძვირფასო მკითხველო ნუ იფიქრებთ, რომ სიტყვა გაგვექცა ან საკითხს გადავუხვიეთ, არამედ კანონის ამ მცნების მთელი სისავსით წარმოდგენისათვის გვჭირდება ყოველივე ზემოთ აღწერილი. ახლა კვლავ პლატონის აზრი ვიხილოთ, სათნოების თეორიის ირგვლივ. – ზნეობრივი მოქმედება არ არსებობს მისი ცოდნის გარეშე. სათნოება ზოგადად 4 სახედ იყოფა: სიბრძნე, სიმამაცე, ზომიერება, სამართლიანობა, პირველი გონების სათნოებაა, მეორე ნებისა, მესამე სურვილის, მეოთხე – სამართლიანობა მათ აერთიანებს გონების ხელმძღვანელობით. პლატონი იცავს სათნო მოქმედების თავისთავად ღირებულებას. მიიჩნევს, რომ სჯობს უსამართლოდ დაისაჯო, ვიდრე უსამართლობა ჩაიდინო. ბოროტება მტკრის მიმართაც არ უნდა ჩაიდინო. ყოველივე ზემოთ მოთხრობილი ღრმად იდეალისტური და ფრთხილად აწონილი თეორიებია, საიდანაც გვესმის ასეთი აზრები: „სული დაისაჯა და სხეულში მოექცა". სათნოების თეორიაში სამართლიანობა მეოთხე პოსტულატია, რომელიც გონების საშუალებით აერთიანებს მათ. მოკლედ ჩვენ შეგვიძლია დავსძინოთ, იდეალისტიკაში, ისევე, როგორც მატერიაში ყველაფერი ეშორჩილება მკაცრ იერარქიას, წესრიგს, კანონებს. ძვ. რომის გამოჩენილი მოღვაწე ციცერონი ამბობდა, რომ „თუ გინდა იყო თავისუფალი და ბედნიერი, მკაცრი მორჩილება უნდა გამოუცხადო კანონებს!" ისინი რაც უფრო ბევრია, მით უფრო კარგია, თუ ისინი შეესაბამებიან ადამიანის სათნოებას, არსებულ სინამდვილეს". ამ წერილით გვსურს, რომ სამართლის სუბსტანციად წარმოვადგინო ღვთაებრივის პრიმატი ადამიანის გონში და წარმოვაჩინოთ კანონის დატვირთვა კაცობრიობის წინაშე. კანონი არის ღვთაებრივი მოვლენა, რომელიც დგას ადამიანსა და ღმერთს შორის, ზეციურსა და მიწიერს შორის და სამართლებრივი სახელმწიფოს ამგვარი ფილოსოფიური დასაბუთება მოცემულია კანტთან. მისი აზრით, სახელმწიფოს კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად ემორჩილება იმ სამართლებრივ პრინციპებს, რომლებიც ემყარება გონის კატეგორიულ იმპერატივს. კატეგორიული იმპერატივის გამოვლინება სახელმწიფოს სამართლებრივ ორგანიზაციაშია. აი, ნელ-ნელა მივჩოჩდით იქ, საითაც მიისწრაფვის სამართლის საზრისი. სახელმწიფოს სამართლებრივი ორგანიზაცია, ეს არის სახელმწიფოებრივი მოწყობის ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად. სამივე ხელისუფლება, ისე უნდა ზღუდავდეს ერთმანეთს, რომ არც ერთის ხელში არ ხდებოდეს ხელისუფლების

კონცენტრაცია, მაშასადამე, მისი „დიქტატის“ განურცობა კანონის უზენაესი თვისება ყოფილა და მისგან გამომდინარე სიკეთის დამკვიდრება. აი, ეს არის ყველაზე არსებითი კანონის საზრისში. ყველაზე მეტად ამ თვისებით უახლოვდება იგი ღმერთს. ამგვარად, სამართალმცოდნეობა არის შემეცნება ღვთაებრივი და ადამიანური საქმეებისა, ცოდნა სამართლიანობისა და უსამართლობისა. ამგვარად, კანონის ბუნების სუბსტანცია არის ღვთის მოშიშობა და მისგან გამომდინარე წესრიგის აუცილებლობა მოკვდავთათვის.

ახლა ვთქვათ, როგორი უნდა იყოს კანონი. იგი უნდა იყოს მარტივი, იოლად აღსაქმელი, მაგრამ რომელ სოციალურ მოვლენასაც ემსახურება – უნდა წურაედეს მას. მაგ. ტრანსპორტის სფერო, ნარკომანია, ან სხვა რომელიმე კანონის მხრიდან უნდა იყოს სრულიად მართვადი, არ უნდა რჩებოდეს სოციალურ მოვლენაში ადგილი, სადაც კანონი მას ვერ წვდება. თავის ბუნებით სამართალი უნდა შეესაბამებოდეს ადამიანთა ტემპერამენტს, მათ ემოციებს, ბუნებრივ არსებობის პირობებს, კანონი დასჯაზე მეტად უნდა იყოს აღმზრდელობითი ხასიათის. ძველ რომში ამბობდნენ, უმკაცრესი კანონი, უმკაცრესი უსამართლობაა – ალბათ იმიტომ, რომ დასჯის მიზანი, დასჯა არ უნდა იყოს თვითმიზნურად, არამედ ამ სოციალური ნაკლის ან ადამიანის ხასიათის ხარვეზის ლიკვიდაცია, მისი მოსპობა და ბოლოს ამ ჭეშმარიტად ლამაზ სენტენციას, რომელიც 2000 წელზე მეტი ხნისაა და რომელსაც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. ხან რომაელებს მიაწერენ, ხან ბერძნებს, ხან შუა საუკუნეების ფრანგ განმანათლებლებს. ისე კი, ჩვენ გვგონია ეს ბრძანა საბერძნეთის დიდმა სკეითმა ფილოსოფოსმა ანაქარსისმა. „კანონი ობობას ქსელსა ჰგავს, ძლიერი ბუზები გაგლეჯენ და გაფრინდებიან,სუსტნი კი დაისჯებიან“. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს პიროვნების არსებობას კანონის ზევით. ეს რომ არ ხდებოდეს აქ გვესაჭიროება ხელისუფლების დაყოფის პრინციპები დაცული იქნას ისე, რომ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება მართვადი იყოს ხალხისგან და არჩევნები იწყებოდეს „ქვევიდან“ და არა „ზევიდან“, როგორც ტარდება ნაკლებად დემოკრატიულ ქვეყნებში.

კარგი იქნება, თუ ჩვენი საზოგადოება კანონის შესახებ შეიქმნის იმ წარმოდგენებს, რაც ამ წერილშია გამიზნული. იგი ხელს შეუწყობს – სამართლის აღქმას ღვთაებრივ განზომილებაში, მათი მსოფლმხედველობის სულიერ და ფიზიკურ სამყაროში სიბოროტე იკლებს, ხოლო ღმერთი მეტ ადგილს იკავებს, რასაც მოჰყვება სწრაფვა კანონისა და წესრიგისკენ, რისგანაც ბუნებრივად გაბატონდება სიკეთე, სათნოება, სიქველე.

ლექსიკონის გამოყენების დროს თეზისების სახით მოცემული რჩევები, მიდგომები და აუცილებელი პირობების გათავისების ფსიქოლოგიური გარემო:

1. როგორც დასაწყისში ვახსენეთ, არასდროს არც ერთი ლექსიკონური და ენციკლოპედიური გამოცემა – გაცნობა არ უნდა მიეიჩნიოთ კანონის იმპერატიული ფუნქციის მატარებლად, ისინი ემსახურებიან მხოლოდ განათლებას და ცოდნას;

2. საგამოძიებო და სასამართლო ფუნქციის განმარტებისას, ვაღები და სხვა კონკრეტული პირობები ამ საკითხებში, ზოგიერთ შემთხვევაში აღებულია საერთაშორისო გამოცდილების პრაქტიკიდან;

3. პროფესიონალ-პრაქტიკოსთა შორის მიღებულია აზრი, რომ, ერთ დღეს რამდენჯერაც არ უნდა გამოიყენოთ ერთი და იგივე სამართლის ნორმა ხელახლა, ყოველ გამოყენებაზე უნდა ჩახედოთ მას (სამართლის ნორმას).

4. სამართლებრივი მიდგომები და შეფასებები, რომლებიც ხშირად წარმოადგენენ გადაწყვეტილებებს, აღებული და წარმოდგენილია მსოფლიოს დემოკრატიული ინსტიტუციონალისტური მცნებებით, განმარტებებით, მეთოდებით და ხერხებით;

5. ყოველგვარი კანონი და სამართლებრივი შეხედულება უნდა იყოს თანაბრად და ზომიერად მორგებული საზოგადოების ყველა ფენაზე და განიცდებოდეს უახლესი დემოკრატიის ჩარჩოში.

6. კანონი და სამართალი თავის წიაღში, შიდა გულში უნდა გრძნობდეს თავის ერის თვისებებს, ხასიათს, თვით ქვეყნის რელიეფსა და კლიმატსაც კი;

7. კანონი თაყვის მოცემულობით და განმარტებით უნდა იყოს მოკლე, ტევადი აზრის გადმოცემისას, ცხადი, საკითხის ამომწურავი და მის ქვეშ დაცულად უნდა გრძნობდე თავს.

8. კანონის წაკითხვა-გამოყენებისას ეძებე მასში, მანამდე უხილავი ძალის პოვნა და ამოქმედება, ის მიგიყვანთ იქამდე, რომ ყოველგვარ შემთხვევაში არსებობს გამოსავალი და ამ მოვლენას დაარქვით, „ალმოჩენის ეფექტი“, უმეტეს შემთხვევაში თქვენ მიაგნებთ ამ ახალ მშველელ ძალას;

9. იყავით ცნობისმოყვარე კანონის და იმ საგნის მიმართ, რაც თქვენთვის თანდაყოლილი ბუნებრივი მიდრეკილებაა, — ეს თვისებაა სამყაროს განვითარების მამოძრავებელი ძალა, ყველაფერი ეს ერთად აღებული ცოდნაა, რომელიც გეწვრთნის და გეიბიძგებს ბედნიერი მოგავლისკენ.

10. სამართლიანობა, სხვისი საკუთრების პატივისცემა და მიცემული პირობის ერთგულება უნდა იყოს ყოველთათვის აუცილებელი და იძენდეს კანონის ძალას.

11. რომელი ქვეყნების ბაზაზეა შრომა აგებული? — რუსეთი 40%, საქართველო — 40%, სხვა ევროპის სხვა ქვეყნები 20%.

12. ერთი და იგივე ტერმინები, ზოგ შემთხვევაში მოცემულია სხვადასხვა რაკურსით, რა თქმა უნდა, ძირითადი განსაზღვრება მათ აქვთ მკვიდრი და მათთვის კონკრეტულად მიკუთვნებული, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ტერმინი განხილულია უპირატესი იურიდიული, ეკონომიური, ფსიქოლოგიური ან სხვა აქცენტირებით. წიგნის საწყის ფურცლებზე გრაფიკული სქემებით მოწოდებულია ტერმინთა კლოტა და რაოდენობა ქვეყნების და დარგების მიხედვით. ამიტომ ტერმინთა წაკითხვისას აშკარად იგრძნობა მიდგომები ტერმინთან, რომლებიც განსაზღვრულია რუსეთის, საქართველოს თუ ევროპის რომელიმე ქვეყნის კანონმდებელთა შეხედულებებით. თითქმის ყველა ეკონომიკური ტერმინები (საგადასახადო ხელშეკრულებები და ა.შ), ასევე განხილულია სამართლებრივ შინაარსში, კანონის ჩარჩოებში და ბუნებრივია, მათთვის დაწესებული ძირეული არსით.

13. ზოგიერთ შემთხვევაში ორი განსაზღვრება ერთი და იგივე ტერმინის განაპირობა სხვადასხვა ფაქტორმა: ლაკონურობამ, ტექსტის მიერ ცნების ამოწურვამ, ტექსტში სათანადო მახვილი კუთხით დასმამ ან გაშუქებამ და ა.შ.

ამგვარად, არაფერი არ გაგიკვირდეთ ყველაფერი (ტერმინები, მცნებები) შემდეგ გამოცემებში და საერთო-სახალხო განხილვის შემდეგ დაიწყებს სვლას სრულყოფისაკენ.

14. მასალაში ჩართულია საკმაო განხილვები და მუხლები საქართველოს საპროცესო კანონმდებლობიდან, რათა ერთმანეთთან შეუღერებული იქნეს საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო საკანონმდებლო ბაზასთან შეპირისპირებით მასალაში არსებული ტერმინები.

ცხადია, მკითხველს დააინტერესებს საკითხები, თუ რომელი ქვეყნების სამართლებრივ ბაზაზე გაკეთდა წინამდებარე შრომაში აღწერილი ტერმინები. პასუხი ამგვარია: ძირითადად რუსეთი და რუსული კანონმდებლობის სამართლებრივი მიდგომები, ხოლო დანარჩენი საქართველო და ევროპის ქვეყნები თანაბრად. შრომაში შევიდა გაეროს წესდება, საქართველოს და აჭარის კონსტიტუცია, კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი), რათა მკითხველს რომელიმე ტერმინში საკითხის განსჯისას იქვე ჰქონოდა ტერმინში არსებული საკითხის განსჯის ერთგვარი ბაზა. რამდენიმე ათეული ტერმინი გაანალიზდა და შეიქმნა მრავალი წლების მანძილზე, ამიტომ ჩვენ გვიწევდა მათი „გაახალგაზრდავება“, და გათანამედროვეობა.

არჩევნების პოლიტიკური კულტურა

(ამომრჩევლის ბიულეტენი ტყვიაზე მძიმეა)

ისტორია ჰგავს სპექტაკლს, სადაც იცვლებიან კოსტიუმები, დეკორაციები და მსახიობები, ხოლო იდეები სახეცვლილი შინაარსით განაგრძობენ ცხოვრებას მის წიაღში. ადამიანთა ისტორია ერთ-ერთი ძირითადი ხაზით არის იდეების ისტორია. ისინი ვითარცა მცენარე, ყვავილობდნენ ან ჭკნებოდნენ მაშინ, როდესაც ირწყვებოდნენ ოფლით, სისხლით ან ცრემლით. მათ შორის იყვნენ მოჩვენებითი კეთილდღეობის მქონე იდეების შემოქმედნი და ჭეშმარიტნიც. ამ

უკანასკნელთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ძველი სპარტის მეფის შვილი, დიდი რეფორმატორი, კანონმდებელი, კაცობრიობის დიდი მოქალაქე ლიკურგე, რომელსაც გარკვეული წყაროები მეფე-იფიტესთან ერთად ძველ საბერძნეთში ოლიმპიადების ფუძემდებლებად იხსენიებენ. ლიკურგემდე სახელმწიფოებრივი მმართველობა ძლიერი ცენტრალიზაციით ხდებოდა. მაშინდელი მწირი მოცულობის სტრუქტურები მხოლოდ ვერტიკალურ ხაზზე იყო განლაგებული, სადაც იერარქიის უმაღლეს საფეხურზე იდგა მეფე, ფარაონი, სულთანი და სხვა. ეგვიპტის პირამიდები სიმბოლურად, მაშინდელ სახელმწიფო მმართველობასთან არის შედარებული ამგვარი მიდგომით და გაგებით: სიმძიმის ცენტრი ისეა განთავსებული, რომ პირამიდის კონუსის წვეტში მოთავსებული ლოდის სიმძიმე თანაბრად ნაწილდება პირამიდაში შემავალ ყველა ლოდზე.

ლიკურგე პირველი იყო, ვინც სახელმწიფოს მოხსნა ან მოუშვა მმართველობის ვერტიკალური არტახები და მოძებნა სასუნთქი გზები ღია, თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების შექმნისა. ეს იყო იმ დროში ისეთი მაღალი ჰუმანური ნაბიჯი, რაც ღმერთის კარნახის გარეშე არ ხდებოდა. ყველამ კარგად იცის, რა ბრძოლის ფასად ჯდებოდა ასეთი რეფორმები. ამიტომაც, მას, ერთხელ თვალი გამოთხარეს, მან კი სახიჩარმა მაშინვე ჩაატარა სახელდახელო მიტინგი, რათა მოძალადეზე რაიმე ფიზიკური ზემოქმედება არ მოეხდინათ. ლიკურგეს გარდაცვლილი ძმის ფეხმძიმე ცოლმა, ნაყოფის მოკვლა, მასთან შეუღლება და სპარტაში გამეფება შესთავაზა იმ მოსალოდნელი შიშით, რომ რძალყოფილს ნაყოფი არ მოეკლა, თვითონ შესთავაზა მისთვის მიეცათ ბავშვი, როცა ის, ამ ქვეყანას მოევლინებოდა, ხოლო შემდეგ ახალშობილი სპარტის დიდებულებს პირდაპირ სუფრაზე გადააწოდა და უთხრა, — ამიერიდან ეს იქნება სპარტის მეფე. სამყაროს შესთავაზა ისეთი მმართველობის მოდელი, როგორიცაა სენატი-უზუცესთა საბჭო. დიდი რეფორმატორი გონისმიერი ჭვრეტით მიხვდა, რომ არამარტო მეფეთა ხელში ხდებოდა ხელისუფლების უზურპაცია, არამედ ხალხიც აჭარბებდა თავის უფლებამოსილებას, როდესაც მასა თვისობრივად ბრბოს ფსიქოზში გადაიზრდებოდა. ამ პერიოდში დროის კონიუქტურისათვის უძნელესი ფაქტორი იყო ადამიანთა შეგნებას გადაელახა ძალაუფლების დისბალანსი სახელმწიფოსა და ხალხის მასას შორის. ამისთვის ლიკურგემ არჩევითობის პრინციპიდან გამომდინარე შექმნა 28 კაცისაგან შემდგარი უხუცესთა საბჭო (სენატი). 28 რიცხვი პლუტარქეს ასე აქვს განმარტებული, ერთის მხრივ, ეს არის საკრალური ციფრი, პითაგორას რიცხვთა თეორიის თანახმად და მეორეს მხრივ, სენატორები თავდაპირველად იყვნენ 30, მაგრამ ორმა უღალატა და 28 დარჩა. სენატი იყო ნღობით და უფლებით აღჭურვილი ორგანო, რომლის ვერდიქტებს ემორჩილებოდა მეფეც და ხალხიც, რითაც ხდებოდა შერწყმა ხალხის მმართველობის დემოკრატიული ფორმისა, ღვთით მირონცხებული მეფის მმართველობასთან. ანტიკური მოაზროვნეები დემოკრატიაში გულისხმობდნენ ხალხის მმართველობის ჰორიზონტალურ კავშირებს დემოკრატიულთან ერთად. ლიკურგეს შემდგომი მოაზროვნეები, პლატონი და განსაკუთრებით არისტოტელე შეეცადნენ შეექმნათ პოლიტიკაზე სისტემური თეორია და შესაბამისად დემოკრატიაზეც, მაგრამ ძველი ბერძნები სულ სხვა კუთხით აფასებდნენ ადამიანთა თანასწორობას, რადგან მოქალაქეობრივი უფლებები (არჩევნები, პოლიტიკა) ჩამორთმეული ჰქონდათ ქალებს, მონებს და უცხოელებს.

ბერძნული პოლიტიკური კულტურის შემდეგ, ასპარეზზე შემოდის რომის პოლიტიკური კულტურა, რომლის მაცოცხლებელი წყარო იყო ბერძნული აზროვნების ძირები. შეიძლება ითქვას, — რომი ყველაზე ახლოს მივიდა ძველ მსოფლიოში მმართველობის თანამედროვე ფორმასთან და შექმნა ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომლის ღირსებები დღესაც მნიშვნელოვანია.

საერთოდ კი, თანასწორობის იდეა იყო ის, ძირითადი ფესვი, რამაც შეარყია შუა საუკუნეების ფეოდალური წყობა, თანასწორობის იდეის მეორე ძირითადი მიზანი იყო ხალხის პოლიტიკური აქტივობის გაზრდა, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა არჩევნების ფორმის მაქსიმალურ გამოყენებას.

მე-17-18 საუკუნეებში ევროპაში ჩნდება სხვადასხვა მანუფაქტურები, რამაც გამოიწვია მუშათა კლასის გაზრდა იმ სახელმწიფოებში, რომლებიც პოლიტიკურად უფრო აქტიურები აღმოჩნდნენ, ვიდრე გლეხთა კლასი და მათზე დაყრდნობით ხდება სახელმწიფოებრივი ფორმის

ჩამოყალიბება ოლივერ კრომველის ხელმძღვანელობით, მაგრამ ამ უკანასკნელის სიკვდილთან ერთად მოხდა ახლის დამხობა და ძველის რესტავრაცია.

მე-18 საუკუნის საფრანგეთი კვლავ მიიტანს იერიშს მონარქის ციტადელზე და ქვეყანას იდეების ტყვეში მოაქცევენ, მაგრამ რესპუბლიკის მომხრე, ტირანი — ლიდერი რობერსპიერი თავის შეცდომებს გილიოტინაზე დაასრულებს. ხოლო მე-20 საუკუნის რუსეთი ლენინის ხელმძღვანელობით ახერხებს ხალხის გადარწმუნებას და დაყოლიებას, რათა მათ მეფე დაამხონ, მაგრამ საბედნიეროდ სამივე ლიდერის მოღვაწეობა ისტორიის მრავალწლიან ეპოქებთან შედარებით უდღეური აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ ისტორიის მკვლევარები, სამივე ამ ლიდერში უამრავ ანალოგს ხედავენ, სამივეს ძლიერ გაექცა ხელი ხელისუფლების უზურპაციისკენ და საბოლოოდ სახეზე მიიღეს ძლიერი იმპერიის ნიშნები.

დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმის ჩამოყალიბებისათვის კი, აუცილებელია მეტი არჩევითობა და აქტივობა ხალხის მხრიდან. არჩევნების რამდენიმე სახე არსებობს, რომლის მეშვეობით ხორციელდება დემოკრატიის ფორმა. რეფერენდუმით, ამ დროს ამომრჩეველთა საერთო ნაწილი გამოხატავს თავის ნება-სურვილს არსებული კანონმდებლობისადმი და სახელმწიფო მმართველობისადმი. რეფერენდუმი შეიძლება იყოს სავალდებულო და არასავალდებულო ე.წ. ფაკულტატური. აშშ-ში უმეტესი დამატებები და შესწორებები სავალდებულო რეფერენდუმით არის მიღებული. რეფერენდუმები იყოფიან ორ სახედ: კონსტიტუციურ და საკანონმდებლოდ. აშშ-ის სავალდებულო რეფერენდუმი კონსტიტუციურია, მაშინ, როცა არაა სავალდებულო აბსოლუტური უმრავლესობის საკანონმდებლო ხასიათის რეფერენდუმი.

არჩევნების ერთ-ერთ წინაპირობაა ზოგ შემთხვევაში პლებისციტი, სიტყვა პლებისციტი ძველ რომში, პლებეური ფენის სახალხო კრებაზე გადაწყვეტილების მიღებას ნიშნავდა, ხოლო შემდეგ საერთო-სავალდებულო და მაღალ სახელმწიფოებრივ დოკუმენტად გარდაიქმნა. პლებისციტის შინაარსის ქმედებითი ბერკეტია არაძალადობა. ეს მაჰატმა განდისეული პრინციპია. ასეთი მეთოდებით ბრძოლა მიზნად ისახავს მოწინააღმდეგისათვის არა მატერიალური ზიანის მიყენებას, არამედ მეტოქის დარწმუნებას.

არჩევნების ყველაზე პოპულარული სახეებია მაჟორიტარული და პროპორციული ფორმა. პრინციპული ნიშნით არჩევნების ჩატარება ნიშნავს, რომ ამ დროს არჩევნებში მონაწილე პარტიები საარჩევნო ოლქების მიხედვით თავიანთი დეპუტატობის კანდიდატს ხელისუფლების ორგანოებში გაიყვანენ მოპოვებული ხმების რაოდენობის შესაბამისად. იმის პროპორციულად, რამდენი ხმაც მოაგროვა თვითეულმა პარტიამ.

მაჟორიტარული სისტემის შესაბამისად, საარჩევნო ოლქში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც დააგროვა ხმების წინასწარგანზრახული დაახლოებითი რაოდენობა. განასხვავებენ მაჟორიტარული სისტემის ორ ძირითად სახეს — აბსოლუტურს და ფარდობითს.

შეფარდებითი უმრავლესობის ხმების შეგროვება არ მოითხოვს ამა თუ იმ პარტიის მიერ საარჩევნო ოლქში ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტი ხმების მოპოვებას, არამედ სხვა პარტიებთან შედარებით უმრავლესობის ხმების შეგროვებას.

აბსოლუტური უმრავლესობით ხმების შეგროვება კი, მოითხოვს საარჩევნო ოლქში ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარს, პლიუს ერთი ხმა.

არჩევნების დროს აუცილებლობას წარმოადგენს ასაკობრივი ცენზის დაცვა. მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე ბევრ წამყვან ქვეყანაში მოქმედებდა მაღალი ასაკობრივი ცენზი, 21-25 წელი. 1969 წელს ბრიტანეთში ასაკობრივი ცენზი 21-დან 18 წლამდე შემცირდა. ანალოგიური ცვლილებები მოხდა გფრ-ში 1970 წელს, აშშ-ში 1971 წელს და საფრანგეთში 1976 წ.

ამჟამად ყველაზე მაღალი ასაკობრივი ცენზი მოქმედებდა ანდორაში (25 წელი) და ყველაზე დაბალი ფილიპინებში (15 წელი), ასევე პარლამენტის ქვედა პალატის წევრებისათვის განკუთვნილია 23-25 წელი, ზედა პალატისათვის 30-40 წელი. ეს სტატისტიკა ვრცელდება ზოგადად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაზე.

ბინადრობის ცენზის მიხედვით საარჩევნო უფლება ენიჭებათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც განკუთვნილ ადგილზე განსაზღვრული დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ. აშშ-ში განსაზ-

ღერული ვადა ერთი თვის ვადით შემოიფარგლება. გერმანიაში სამი, საფრანგეთში ექვსი და კანადაში ერთი.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაწესებული იყო სქესიდან გამომდინარე ცენზი, რის შედეგადაც ქალები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იყვნენ. პირველად ეს უფლებები გაწონასწორდა ამერიკაში 1869 წელს. ოღონდ ეს მოხდა ერთ-ერთი შტატის დონეზე. ამის შემდეგ, პირველი ვინც გაათანაბრა სქესისმიერი განსხვავება არჩევნებში – იყო ახალი ზელანდია (1893 წ), დიდი ბრიტანეთი (1918 წ), საფრანგეთი (1944 წ), შვეიცარია (1917 წ). აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს დამტკიცებული საარჩევნო კანონის თანახმად, პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) არჩევნებში მონაწილეობის უფლება ორივე სქესის ადამიანებს ჰქონდა.

საქართველოს დემოკრატიული არჩევნების გზით რესპუბლიკის ფორმის სახელმწიფოს შექმნა ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში შეიმჩნევა, სადაც დარბაზის და კარავის სახით არსებობდა სახალხო მმართველობის ფორმა. ეს გრძელდება ლაშა გიორგის ხანაშიც, მაგრამ შემდეგ პოლიტიკური აჟანსცენიდან იგი მთლიანად ქრება.

რა მდგომარეობაა დემოკრატიულობის თვალსაზრისით დღევანდელ საქართველოში?... რა თქმა უნდა, სამოცდაათწლიანი უფლებაშეზღუდული არჩევნების შემდეგ ადამიანთა სულს სწყურია სრული თავისუფალი არჩევნები, რაც სრულყოფის პარამეტრებთან ჯერ კიდევ შორს დგას, მაგრამ რაც ყველაზე სამწუხაროა, არის დროის შეგრძნების დაკარგვა წარსულთან მიმართებაში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სოციოლოგთა კვლევით უეცარი დემოკრატია ადამიანთა შეგნებას ანგრევს, მას მომწიფება უნდა ადამიანთა გონებაში, მაშინ ეფექტი გაცილებით მეტია. ყველა არჩევნებში ჩვენ უნდა ვეცადოთ დავამკვიდროთ პოლიტიკური კულტურა პოლიტიკურ ტრადიციად, მოკლედ, უნდა ვიცოდეთ, რა გაგვაჩნდა ამ მხრივ და რა გვაქვს დღეს. დღევანდელი მსოფლიოსათვის ყველაზე წონადი ინტეგრირებული პოლიტიკა აშშ-ს გააჩნია, რომლის კულტურა ტრადიციაშია გადასული და მის შექმნაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით მაშინდელ მამა-დამფუძნებლებს. მათგან გამოსაყოფია, ვირჯინიელი ფერმერის შვილი, აშშ-ის მესამე პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი, რომლის პოლემიკა ალ. ჰამილტონთან (აშშ-ს პირველი ფინანსთა მინისტრი) ბრწყინვალე ნიმუშია პოლიტიკური კამათის კულტურის შექმნისა.

ჯეფერსონი მომხრე იყო სტრუქტურების ლიბერალიზაციის, შტატების ავტონომიურობის და ცენტრალიზაციის ხელისუფლებით იმ მმართველობის განხორციელების, რაც არ დაარღვევდა შტატების ავტონომიურობას, ჰამილტონი კი მიისწრაფოდა ძლიერი აღმასრულებელი ცენტრალიზებული ხელისუფლებისაკენ, რათა არ დარღვეულიყო სახელმწიფოებრივი მასშტაბურობა და ვერტიკალური მმართველობა, როდესაც მათი იდეები ქმედითად განხორციელდა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მმართველობა იმდენად შეიჯრა ერთმანეთის სიერცეში, რომ დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის, რა არის ამერიკის ყველა წარმატების ქვაკუთხედი! ეს მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკაა, რომლის თანაბარზომიერება თანამედროვე პოლიტიკური აზროვნების უდიდესი მონაპოვარია, სადაც ყველაზე იდეალურად არის დაბალანსებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

ჯეფერსონს სწამდა, რომ სამყაროს რაციონალური საწყისი განაგებს და განათლებულ საზოგადოებას ძალუძს ძლიერი თვითმმართველობის განხორციელება და უფრო მეტი აქტიურობას წარმოაჩენს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაც ორივე დაპირისპირებული მხარე თვლიდა, რომ რესპუბლიკა მოქალაქეობრივ სიქველეს უნდა ეფუძნებოდეს, ხოლო მოქალაქეობრივი სიქველე გაგებული უნდა იქნეს, როგორც სურვილი და შესაძლებლობა საერთო ინტერესების პირად ინტერესებზე მაღლა დაყენებისა. ამაზე დაყრდნობით ამერიკის ხელისუფლების უმთავრეს მიზნად ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა და მსახურება იქცა. ხოლო საარჩევნო სისტემის მეშვეობით მმართველები გახდნენ იმათგან მართულნი, ვისაც მართავდნენ. პოლიტიკის ისტორიკოსები თვლიან რომ ჰამილტონის იდეები უფრო მისაღები და უპირატესი იყო სახელმწიფოებრივი მშენებლობის დაწყებით ეტაპზე. მაგრამ ჯეფერსონის იდეები უფრო წონადი აღმოჩნდა დროის პერსპექტივაში. საყურადღებოა, რომ როდესაც ჯეფერსონი (1801-1809 წლებში) აშშ მესამე

პრეზიდენტი გახდა, მან თავის მარადიულ ოპონენტს ხაზინის მდივნობა შესთავაზა, რაც ამ უკანასკნელმა მიიღო კიდეც, ხოლო ჰამილტონის სიკვდილის შემდეგ ჯეფერსონმა საკუთარი პროექტით აშენებულ რანჩოში ორი ბიუსტი დადგა ერთმანეთის პირისპირ: თვითონ და ჰამილტონი. ეს გახლდათ სიმბოლო მარადიული პოლემიკისა და მეგობრობისა. ამგვარად, მათი დაპირისპირება იქცა პოლიტიკურ კულტურად, ეს უკანასკნელი კი პოლიტიკურ ტრადიციად.

სახელმწიფოების მიერ შექმნილ ამ ტრადიციაზე იზრდება ხალხის სიბრძნე და სიმამაცე, რომლის ფოკუსში უნდა მოექცეს ყველა ახალი დროის კეთილი ნება.

იშვიათია ჩვენს უახლოეს ისტორიაში პოლიტიკის სივრცეში იმდენი ახალი სიტყვა, რაც გააჩნდა ჭეშმარიტ განმანათლებელს თომას ჯეფერსონს. მის საყოველთაოდ აღიარებულ დეკლარაციაში პირველად გაისმა ღმერთის როლზე საუბარი, რაც პოლიტიკური დოკუმენტებისათვის სრულიად უცხო ხილი იყო. იგი ამბობდა, რომ ღმერთი ადამიანის სიცოცხლის მიმნიჭებელია და მისი ჩარევის გარეშე არ უნდა ხდებოდეს სიცოცხლის წართმევა. რომ, ადამიანს უნდა გააჩნდეს უფლებები ისეთი ფასეულობებისა, როგორიცაა, სიკეთე, საკუთრება და თავისუფლება. მას ერთს, შეეძლო იმდროინდელ მსოფლიოში განეჭვრიტა მომავალი დროის ყველაზე შორი წერტილი და თავის გენიალურ დეკლარაციაში ამბობდა: „მთავრობები ფუძნდებიან, რათა უზრუნველყონ ადამიანის ხელშეუხებელი უფლებები – სიცოცხლე, თავისუფლება და სწრაფვა ბედნიერებისაკენ. ხელისუფლების სათავე ხალხის ნებაა, მაგრამ როდესაც მოცემული ფორმა დამღუპველი ხდება მიზნების მისაღწევად, აუცილებელია მისი შეცვლა, თვით მთავრობისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის, ვინაიდან ყველა პიროვნება კანონისა და ღმერთის წინაშე თანასწორია.'

ეს შეხედულებები ჯეფერსონთან ერთად იმ დროის აზროვნებით სამყაროში იჭედებოდა და ჯეფერსონთან ერთად შეიქმნა პოლიტიკური აზროვნების ახალი ნათელი ნაკადი, რომლის ძირითადი მიზანი იყო შექმნილიყო თავისუფალი, გამჭვირვალე და წყალგაუმტარი საარჩევნო სისტემა, სადაც შეიქმნება ისეთი კანონები, რომელზეც ველარ იტყვის ვერც საბერძნეთის უდიდესი სკვითი ანაქარსისი და ვერც ფრანგი განმანათლებელი მოტესკიე, „კანონი ობობას ქსელია, ძლიერი ბუზები გაგლეჯენ და გაივლიან, სუსტები გაეხვევიან“. და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ძლიერი კანონი ეს ყველაზე დიდი თავისუფლებაა, ვიდრე ნებისმიერი რამ თავისუფლების სამყაროში.

ამომრჩეველის ბიულეტენი ტყვიაზე ძლიერია, – ამბობდა აბრაამ ლინკოლნი. არჩევნების გზით გაცილებით მეტი კორექტივის შეტანა შეიძლება ცხოვრებაში, ვიდრე ბარიკადებით. ბედი შემთხვევითია, საგნობრიობა არჩევითი, პირველს მუდმივად ელიან, მეორეს გონისმიერი ბრძოლით იპოვებენ.

ა

აბდიკაცია [ლათ. abdicatio] ტახტიდან გადადგომა; ძალაუფლებაზე, თანამდებობაზე ან წოდებაზე უარის თქმა.

აბიურაცია [ლათ. abjuratio] ფიცით უარყოფა, საკუთარი სარწმუნოების ან შეხედულების საჯაროდ უარყოფა.

აბოლაცია სამართლებრივი აქტის ან თანამდებობის გაუქმება ძველ რომში. ზოგიერთ თანამედროვე ქვეყანაში, ამ ტერმინს ხმარობენ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტისას ხელისუფლების ორგანოების მითითებით.

აბოლიციონიზმი [ინგლ. abolitionism < ლათ. abolitio გაუქმება, მოსპობა] საზოგადოებრივი მოძრაობა რ-მე კანონის გასაუქმებლად; XVIII ს-ის 1-ელ ნახევარში მოძრაობა აშშ-ში ზანგების მონობის გასაუქმებლად; დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და რიგ სხვა ქვეყნებში მოძრაობა კოლონიებში მონობის გასაუქმებლად.

აბოლიცია [ლათ. abolitio გაუქმება, მოსპობა] 1) კანონის, გადაწყვეტილების გაუქმება; 2) საქმის შეწყვეტა შეწყალების გამოტანის გამო.

აბორტი – იხ. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა.

აბრაბი დღევანდელი ყაჩალი, ავაზაკი, ქართულ ენაში სიტყვა აბრაგი ჩრდილო-კავკასიიდან არის შემოსული და სარმატულ-ალანური წარმომაელობისა უნდა იყოს. აბრაგობა, როგორც სოციალური მოვლენა წარმოიშვა გვაროვნული საზოგადოების რღვევის პროცესში და ასე უწოდებდნენ გვარიდან განდევნილს. სამეგრელოსა და აფხაზეთში აბრაგი ტყეში გავარდნილ კაცს, ყაჩაღს ერქვა. ბატონყმური ურთიერთობის ჩამოყალიბების პერიოდში აბრაგობა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხთა პროტესტს გამოხატავდა და ხშირად იყო მებატონისგან გაქცეული ყმა, რომელიც იარაღით იბრძოდა თავისი უფლებებისათვის. კავკასიის ომების დროს სიტყვა – აბრაგმა (რუს. ...) ახალი მნიშვნელობა მიიღო და მათ ეძახდნენ პარტიზანულად შებრძოლ მთიელებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ დამპყრობლებს. აბრაგებზე არსებობს მრავალი ხალხური თქმულება.

აბრეკი [< ოს. აბირაეგ, აბრეგ] 1) წარსულში ჩრ. კავკასიის მცხოვრებლები უწოდებდნენ გვარიდან განდევნილს, რომელიც მოხეტიალე ცხოვრებას ან ყაჩაღობას ეწეოდა; 2) ადამიანი, რომელიც მარტო ებრძოდა ცარისტულ რეჟიმს.

აბსენდიზმი 1) ამომრჩეველთა მიერ უარის თქმა არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობაზე; 2) მიწათმფლობელობის ფორმა, რომლის დროს მიწის მესაკუთრე წარმოების პროცესში არ მონაწილეობს, მაგრამ ღებულობს ფულად შემოსავალს რენტისა ან სხვა მოგების სახით.

აბსოლუტიზმი სახელმწიფო რეჟიმი, რომელიც არაა შეზღუდული არანაირი საკანონმდებლო აქტებით და გამოდის მმართველობის ისეთი ფორმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის სახით, როგორიცაა აბსოლუტური მონარქია.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აბსოლუტური მონარქიის გაფურჩქნა იწყება XVII-XVIII სს.-ში. რუსეთში აბსოლუტიზმი არსებობდა XVIII-XX სს. დასაწყისში. აბსოლუტიზმისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს წარმოადგენს: სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის უმაღლესი ხარისხი, მონარქისადმი უმაღლესი ხელისუფლების განუყოფელი კუთვნილება, ერთი ხაზით განშტოებული, უმეტესწილად ბიუროკრატიზირებული და მხოლოდ მონარქისადმი დაქვემდებარებული სახელმწიფო აპარატის არსებობა.

აბსოლუცია [ლათ. absolutio განთავისუფლება] 1)სასამართლოს დადგენილება, რომელიც ბრალდებულს ათავისუფლებს სასჯელისაგან; 2) კათოლიციზმში ცოდვების მიტევება.

აბსტრაქტული გარიგება სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში აბსტრაქციულს უწოდებენ ისეთ გარიგებას, რომლის ნამდვილობა დამოკიდებული არ არის მის საფუძველზე, ანუ გარიგების მიზანზე.

აგენტი [ლათ. agens (agentis) მოქმედი] 1) ნდობით აღჭურვილი პირი; პირი, რომელიც ე-მეს მითითებით მოქმედებს; სხვა, დავალებათა შემსრულებელი,, ორგანიზაციის ან კერძო პირის წარმომადგენელი; 2) დაზვერვის, კონტრდაზვერვის, სამძებრო ან ფისკალური სამსახურის თანამშრომელი; ჯაშუში; 3) პირი, ჯგუფი ან საზოგადოება, რომელიც სხვის ინტერესებს ემსახურება, სხვის იდეებს ატარებს; 4) მიზეზი, ორგანიზმში ან ბუნებაში ამა თუ იმ მოვლენის გამოწვევისა.

აგენტი (agent) – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს სხვა პირის (პრინციპალის) დავალებით და დებს გარიგებებს პრინციპალის სასარგებლოდ მესამე პირებთან, თუმცა ამავე დროს არ იმყოფება პრინციპალის დაქვემდებარებაში. საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობა იცნობს სავაჭრო წარმომადგენლის და კომისიონერის ცნებებს. სავაჭრო წარმომადგენელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს ან დებს გარიგებებს სხვა საწარმოს სახელით და ხარჯით ისე, რომ თვითონ არ არის დასაქმებული ამ საწარმოში. გარკვეულ შემთხვევებში სავაჭრო წარმომადგენელი შეიძლება იყოს აგრეთვე დამოუკიდებელი მოვაჭრე, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელითა და ხარჯით, ხოლო კომისიონერი საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, ოღონდ სხვისი ხარჯებით. სავაჭრო წარმომადგენლის უფლებამოსილება წარმოიქმნება მინდობილობის საფუძველზე. მინდობილობის შინაარსი განსაზღვრავს წარმომადგენლის უფლებამოსილებათა ფარგლებს იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას. აგენტისათვის დამახასიათებელია ის, რომ მისი საქმიანობა ატარებს უფრო მეტად სახელშეკრულებო ხასიათს, განსხვავებით მაკლერისაგან, რომელიც სხვა პირთათვის შუამავლობს მუდმივი სახელშეკრულებო დავალების გარეშე და არ გააჩნია მინდობილობაზე დამყარებული

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

იგულისხმება, რომ პრინციპალი, გადასცემს რა აგენტს გარკვეულ უფლებამოსილებას, იმავდროულად აძლევს მას უფლებას დადოს გარიგებები, რომლებიც დასაშვებია ამ უფლებამოსილებათა ფარგლებში, მაგალითად, აგენტის უფლება მიიღოს პრინციპალის მაგიერად და მისი სახელით ფულადი თანხები, პირდაპირ უნდა იყოს მითითებული საagენტო ხელშეკრულებაში (მინდობილობაში) ანუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს. დასაშვებია აგენტის მიერ თავისი უფლებამოსილების გადაჭარბება, თუ ესსტრემალური გარემოებები მოითხოვენ აგენტისაგან დაუყოვნებლივი და განსაკუთრებული ზომების მიღებას პრინციპალის ინტერესების დასაცავად. თუ მინდობილობა რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, იგი წარმოადგენს გენერალურ სავაჭრო მინდობილობას (პროკურა). პროკურის მქონე სავაჭრო წარმომადგენელს (პროკურისტი) ეძლევა საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა სახის საქმიანობისა და სამართლებრივი მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება სასამართლოში თუ სხვა სახის ურთიერთობებში. პროკურისტს არ გააჩნია მხოლოდ მიწის ნაკვეთების გასხვისების ან ვალდებულებებით მათი დატვირთვის უფლებამოსილება, თუ იგი სპეციალურად არ არის აღნიშნული პროკურაში. პროკურისტი და სავაჭრო წარმომადგენელი ხელმოწერისას საფირმო სახელწოდებას დაურთავენ თავის სახელსა და გვარს, აგრეთვე პროკურორის ან სავაჭრო მინდობილობის აღმნიშნველ დამატებას. სავაჭრო წარმომადგენელი ანგარიშვალდებულია პრინციპალის წინაშე. ხელშეკრულებით ან კანონით დადგენილი პერიოდულობით (ყოველი კვარტლის ბოლოს ათი დღის ვადაში) სავაჭრო წარმომადგენელი ვალდებულია პრინციპალს წარუდგინოს წერილობითი ცნობები ყოველი შესრულებული საქმის შესახებ და მოიშახურების საზღაურის (პროვიზიის) ანგარიში. პროვიზიის გადახდა წარმოებს ყოველთვიურად. საწარმოს სავაჭრო წარმომადგენელი ანგარიშსწორებისას უფლებამოსილია საწარმოს მოსთხოვოს ყველა იმ გარიგების საბუღალტრო ამონაწერი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პროვიზია. წარმომადგენლობით ურთიერთობებზე, როგორც წესი, მოქმედებს კონკურენციის აკრძალვა, ანუ აგენტს უფლება არა აქვს მიიღოს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა რომელიმე კონკურენტ საწარმოში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება წმინდა ფინანსურ მონაწილეობას არა უმეტეს 5%-სა, ან სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარებისას პრინციპალისთვის ცნობილი იყო ამ მონაწილეობის ფაქტი. ხელშეკრულება სავაჭრო წარმომადგენელთან იდება ერთი წლის ვადით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე ერთ-ერთმა მხარემ არ განაცხადა ხელშეკრულების მოშლის შესახებ, მაშინ ხელშეკრულება გრძელდება კიდევ ერთი წლით. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას დასაშვებია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში სავაჭრო წარმომადგენელს შეუძლია საწარმოს მოსთხოვოს შესაბამისი კომპენსაცია, თუ საწარმოს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს იმ ახალ კლიენტებთან საქმიან კავშირში, რომლებიც მოიზიდა სავაჭრო წარმომადგენელმა და სახელშეკრულებო ურთიერთობათა შეწყვეტის გამო წარმომადგენელი კარგავს იმ პროვიზიის მოთხოვნის უფლებას, რომლიც ექნებოდა მის მიერ მოზიდულ კლიენტებთან უკვე დადებული ან მომავალში გასაფორმებელი გარიგებების გაგრძელებისას.

გარიგებებში აგენტი შეიძლება გამოვიდეს პრინციპალის ან თავისი საკუთარი სახელით (იმის მიხედვით, თუ როგორ არის მითითებული ხელშეკრულებაში). საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, თუ აგენტი განუცხადებს მესამე პირებს თავისი პრინციპალის ვინაობას, (ან თუნდაც პრინციპალის არსებობის ფაქტს) იგი პასუხს არ აგებს საკონტრაქტო ვალდებულებებზე. ზოგჯერ ხელსაყრელი კონტრაქტის დადების მიზნით პრინციპალი ამჯობინებს არ გამოჩნდეს, განსაკუთრებით როცა კონტრაქტით დაუშვებელია აგენტის საშუალებით მოქმედება. არსებობს მესამე პირების მიმართ აგენტის მოქმედების სამი ვარიანტი: ა) აგენტი ამჟღავნებს პრინციპალის არსებობის ფაქტს და ამჟღავნებს პრინციპალის ვინაობას. ბ) აგენტი ამჟღავნებს პრინციპალის არსებობის ფაქტს, მაგრამ არ ამჟღავნებს ვინაობას. გ) აგენტი არ ამჟღავნებს პრინციპალის არსებობის ფაქტს და დებს კონტრაქტს თავისი სახელით. პირველ და მეორე შემთხვევაში მესამე მხარეს შეუძლია მოთხოვნები წაუყენოს მხოლოდ პრინციპალს, მესამე შემთხვევაში – თავისი შეხედულებისამებრ აგენტის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით (განაკვეთის თანხები მერყეობს გარიგების საერთო თანხის 2-დან 10%-მდე).

საერთაშორისო პრაქტიკა იცნობს აგენტობის შრავალ ფორმას. განვიხილოთ აგენტების ძირითადი ტიპები:

1. დაზღვევის აგენტი – თანამდებობის პირი, რომელიც სადაზღვეო ორგანიზაციის სახელით ასრულებს კლიენტებთან ქონებრივ და პირად სადაზღვევო ხელშეკრულებების დადებას, ამ ხელშეკრულებების მიხედვით ანაზღაურების მიღებას, აგრეთვე ქონების საევალდებულო დაზღვევის ოპერაციებს. დაზღვევისას პროვიზია გამოითვლება დაზღვეული თანხიდან. თუ ასეთი თანხა არ არსებობს, მაშინ პროვიზია გამოითვლება სადაზღვევო შესატანიდან;

2. აგენტი დელკრედერე (იტალ. del credere) – აძლევს პრინციპალს მისი საქონლის რეალიზაციის დამატებით გარანტიას, რადგანაც ვალდებულია აუნაზღაუროს პრინციპალს ზარალი თავისი პირადი სახსრებიდან მყიდველის გადახდისუუნარობის შემთხვევაში. დელკრედერე აგენტი არ აგებს პასუხს თუ მყიდველის უარი საფასურის გადახდაზე გამოწვეულია პრინციპალის მიერ საკონტრაქტო ვალდებულებათა თავისი ნაწილის არასათანადო შესრულებით. დელკრედერე აგენტის ანაზღაურება დამატებითი გარანტიების გამო, როგორც წესი, უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი აგენტისა. საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობა არეგულირებს ანალოგიურ ურთიერთობებს სავაჭრო წარმომადგენლის ან კომისიონერის მონაწილეობით, რომლებიც წერილობითი ვალდებულების საფუძველზე თავდებად დგებიან გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის. ამ დამატებითი მომსახურებისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ გასამრჯელოს სათავადო პროვიზია ეწოდება. ამგვარი ვალდებულება შეიძლება

ალებულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული გარიგებისათვის. სათავდებო პროვიზიის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა გარიგების დადებისთანავე.

3. ლოიდის აგენტი – ლოდის სადაზღვეო კორპორაციის წარმომადგენელი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ პორტში არსებობს. ავარიის შედეგად გემის ან ტვირთის დაზიანებისას გემის კაპიტანი, გემის მფლობელი ან ტვირთის მიმღები მიმართავენ ლლოიდის აგენტს, რომელიც გარკვეული ანაზღაურების საფუძველზე ადგენს საავარიო სერთიფიკატს.

4. ფაქტორი – ბრიტანეთის სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით აგენტი, რომელსაც ეკალება საქონლის რეალიზაცია. ბროკერისგან განსხვავებით წარმოადგენს გასაყიდი საქონლის მფლობელს, საქონელს ყიდის თავისი სახელით და შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ დაადგინოს გაყიდვის პირობები. სხვა კატეგორიების აგენტებისგან განსხვავებით ფაქტორს გააჩნია ყველაზე ფართო უფლებამოსილება.

5. კონსიგნატორი – აგენტი, რომელიც ყიდის პრინციპალის (კომიტენტის) დაკალებით საქონელს, როგორც წესი საზღვარგარეთ, რომელიც ჩაბარებული აქვს კონსიგნაციაზე (კონოსამენტის მიხედვით საქონლის საზღვარგარეთ გაგზავნა საუკეთესო საბაზრო ფასად რეალიზაციის მიზნით).

6. დისტრიბუტორი – ფირმა, რომელიც ახორციელებს მსხვილი ფირმა მწარმოებლების პროდუქციის საბითუმო შესყიდვას და შემდგომ რეალიზაციას. როგორც წესი აქვს თავისი საწყობები, დებს ხანგრძლივ კონტრაქტებს მწარმოებლებთან და წარმოადგენს მათ ადგილობრივ ბაზარზე. ზოგჯერ, მაგალითად, პროგრამული პროდუქტის რეალიზაციისას, უზრუნველყოფს ტექნიკურ მომსახურებას თავისი სპეციალისტების ძალებით.

7. კომივოიაჟერი – სავაჭრო ფირმის აგენტი, რომელიც გადაადგილდება გარკვეული ბაზრის ფარგლებში და მყიდველს სთავაზობს საქონელს მის ხელთ არსებული ნიმუშების, კატალოგების და ა.შ. მიხედვით.

აგენტის ფუნქციები შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს, რაც ნათლად ჩანს საზღვაო აგენტის მაგალითზე. გემის მფლობელის დავალებით, იგი უზრუნველყოფს საბაჟო,სანიტარულ, საკარანტინო და გემის პორტში შესვლასა და სატვირთო საშუალების ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვა ფორმალობების განხორციელებას, უზრუნველყოფს გემის გამცილებელი ლოცმანის, საბუქსირო გემების დაქირავებას; ხელს უწყობს გემის ჩატვირთვა-ჩამოტვირთას; უზრუნველყოფს სათბობით, მასალებით, პროდუქტებით მომარაგებას, ადგენს და აფორმებს სატრანსპორტო დოკუმენტაციას (კონოსამენტები, მანიფესტები, თაიმშიტები); ინფორმაციას აწვდის გემთმფლობელს გემების განრიგის, წესჩვეულებების, გადასახალების და სხვა მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ, აგრეთვე ასრულებს გემთმფლობელის ან გემის კაპიტნის სხვა დაკალებებს. გემთმფლობელი უნაზღაურებს საზღვაო აგენტს საპორტო გადასახადების, მომსახურების, მომარაგების ხარჯებს. სააგენტო ანაზღაურება წარმოებს ცალკე ტარიფების საფუძველზე, რომლებიც დამოკიდებულია ხომალდის ტონაჟზე და პორტში ყოფნის ხანგრძლივობაზე.

აგენტირების ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (აგენტი) ვალდებულია ანაზღაურების სანაცელოდ მეორე მხარის (პრინციპალი) დაკალებით განახორციელოს იურიდიული და სხვაგვარი ქმედებები საკუთარი სახელით, მაგრამ პრინციპალის ხარჯზე ან პრინციპალის სახელითა და ხარჯზე. აგენტირების ხელშეკრულება განეკუთვნება მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებათა ჯგუფს. ხელშეკრულებებისგან დაკალებისა და კომისიების შესახებ ის გამოირჩევა აგენტის, როგორც საკუთარი სახელით, ასევე პრინციპალის სახელით მოქმედების შესაძლებლობით.

ბუნებით და შინაარსით ხელშეკრულება კონსენსუალური, ანაზღაურებადი და ორმხრივია. მხარეებს წარმოადგენს აგენტი და პრინციპალი, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც გააჩნია ქმედუნარიანობა. ხელშეკრულების საგანია მომსახურების გაწევა, რომელიც მდგომარეობს იურიდიული (მათ შორის, გარიგება) ან ფიზიკური ქმედებების განხორციელებაში. ყველა შემთხვევაში, აგენტი მოქმედებს პრინციპალის ხარჯზე. ვაკა არ წარმოადგენს არსებით პირობას და ის შეიძლება არ იყოს მითითებული ხელშეკრულებაში. როგორც წესი, აგენტირების ხელშეკრულება იდება ხანგრძლივი ვადით.

აგენტის ვალდებულებას განკუთვნება: ა) პრინციპალის დაკალების შესრულება, მათ შორის, სუბაგენტების ჩართვით, თუ ეს აკრძალული არაა აგენტირების ხელშეკრულებით; ბ) პრინციპალისთვის ფინანსური და სხვა ანგარიშების წარდგენა დაკალებათა შესრულების შესახებ. პრინციპალი ვალდებულია გადაიხადოს გასამრჯელო ანგარიშის მიღების მომენტიდან ერთი კვირის მანძილზე, თუ სხვა ვადა არაა დადგენილი.

აგიტატორი [ლათ. agitator წარმართვა] პირი, რომელიც აგიტაციას ეწევა.

აგიტაცია [ლათ. agitatio რ-მე მოწოდება, აღძერა] 1) იდეათა გავრცელება ცნობიერებაზე, განწყობაზე, მასათა საზოგადოებრივ აქტიურობაზე გაელენის მოსახდენად ზეპირ გამოსელათა დახმარებით; იხ. აგრ. პროპაგანდა; 2) მოქმედება, რომელიც მიმართულია ე-მეს რ-ში დასარწმუნებლად.

აგონია [ძე.-ბერძ. α'γωνια ბრძოლა] მდგომარეობა, რომელიც წინ უძღვის კლინიკურ სიკვდილს; ა-ს დროს წარმოქმნილი ცელილებები რიგ შემთხვევებში გამოსწორებადია, რაზეც არის დაფუძნებული რეანიმაცია.

აგრარული უფლება – 1) სამეცნიერო სპეციალობა, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერ-თანამშრომლების სპეციალობათა ნომენკლატურით 12.00.06 სპეციალობების ჯგუფის შემადგენლობაში – „ბუნებრივი რესურსების უფლება; აგრარული უფლება, ეკოლოგიური უფლება“; 2) სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ისწავლება უახლესი პროფესიული განათლების სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით, სპეციალობაზე 021100 – „იურისპრუდენცია“, ეროვნულ-რეგიონალური (სასწავლებლის) კომპონენტის ან იმ დისციპლინების ჩარჩოებში, რომელთაც ადგენს სასწავლებელი სტუდენტის არჩევით; 3) სამართლებრივი ნორმებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების სისტემა, რომლებიც წარმოქმნის სამართლის კომპლექსურ დარგს, რომლის საგანსაც წარმოადგენს

სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში წარმოქმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობები (შესაძლებელია არ წარმოადგენდეს საყოველთაოდ აღიარებულს). (რუსული წყარო).

აგრემანი – საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს დოკუმენტურად გაფორმებული თანხმობა დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის სახით მიიღოს პირი, რომელიც წარმოდგენილია აკრედიტირებად სახელმწიფოს მიერ. აგრემანის მიღების გარეშე დიპლომატიური წარმომადგენლების მეთაურის გაგზავნა არ შეიძლება, რამდენადაც ის არ იქნება მიღებული იმ სახელმწიფოს მიერ, რომელშიც ისაა დანიშნული. აგრემანი ჩვეულებრივ მოითხოვება აკრედიტირებადი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის მუშაობით, რომელიც ტოვებს თავის პოსტს მიცემულ ქვეყანაში, ან ამ სახელმწიფოს საელჩოს ვერბალური ნოტის გაგზავნის გზით. აგრემანის მოთხოვნის დროს წარმოდგენილია მოკლე ცნობა, რაც მოიცავს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის პოსტზე წარდგენილი კანდიდატის ბიოგრაფიულ ცნობებს და მოკლე მონაცემებს მისი წინამორბედი სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ.

აგრემანი მოითხოვება კონფიდენციალურად, რათა ზიანი არ მიადგეს აკრედიტირებადი სახელმწიფოს პრესტიჟს და არ მოხდეს დიპლომატიური წარმომადგენლის მეთაურის პოსტზე კანდიდატის კომპრომეტირება უარის შემთხვევაში. იმავე მიზეზებით აგრემანის მიღებამდე მიღებული არაა ამ პოსტზე კანდიდატის დანიშვნის შესახებ შეტყობინება. საერთაშორისო დიპლომატია გულისხმობს, რომ პასუხი აგრემანის მოთხოვნაზე უნდა იქნეს მიცემული მოკლე ვადაში. პასუხი შეიძლება მიცემულ იქნეს, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. მიმღები სახელმწიფო არაა ვალდებული მოახდინოს აგრემანზე უარის მოტივირება. ჩვეულებრივ, ის პირდაპირ არ ამბობს უარს აგრემანზე, მაგრამ აჭიანურებს რა პასუხს მიანიშნებს იმაზე, რომ აკრედიტირებადმა სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს სხვა კანდიდატურა. აგრემანის მიცემის მოთხოვნა, წარმოდგენილი პირის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის სახით მიღების პოზიციაზე ყოფნა არაა მიღებული და რეკომენდირებული.

აგრესია – სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობისა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან სხვა სახით, რაც შეუთავსებელია გაერო-ს წესდებასთან.

აგრესიის ეს ზოგადი ცნება განმტკიცებულია საყოველთაოდ მიღებულ განსაზღვრაში, რომელიც მიღებულია გაერო-ს მიერ 14.12.1974 წ. ამასთან, საქმე ეხება მხოლოდ შეიარაღებული აგრესიის განსაზღვრას. სხვა სახის აგრესიის (ეკონომიკური, იდეოლოგიური და ა.შ.) დეფინიციის მიცემის მცდელობაზე თავშეკავება გადაწყდება ბანგრძლივი დისკუსიების შემდეგ.

ამ დოკუმენტში ასევე არის იმ ქმედებების სამაგალითო ჩამონათვალი, რომელთა კვალიფიცირებაც შესაძლებელია აგრესიის სახით: ა) შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ნებისმიერი ოკუპაცია ან ანექსია, რომელიც ხორციელდება ძალის გამოყენებით; ბ) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ დაბომბვა ან სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ჩვეულებრივი იარაღის გამოყენება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის წინააღმდეგ; გ) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს პორტების ან სანაპიროების ბლოკადა; დ) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა სხვა სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ფლოტზე; ე) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება, რომელიც იმყოფება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მასთან შეთანხმებით მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთანხმებაში გათვალისწინებული პირობების დარღვევით ან მათი ვადის გაგრძელება ასეთ ტერიტორიაზე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ; ვ) სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ მის ტერიტორიაზე, რომელიც მან შესთავაზა სხვა სახელმწიფოს გამოიყენოს ის მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის აქტის შესრულებისთვის; ზ) სახელმწიფოს მიერ, ან სახელმწიფოს სახელით შეიარაღებული ბანდების, ირეგულარული ძალების ან დაქირავებულთა ჯგუფების გაგზავნა, რომლებიც ახორციელებენ შეიარაღებული ძალების გამოყენების აქტებს სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც ატარებს ესოდენ სერიოზულ ხასიათს, რომ ეს უდრის ზემოთაღნიშნულ აქტებს ან მისი მნიშვნელოვანი მონაწილეობა მათში.

პირველ 6 პუნქტში საუბარია პირდაპირ აგრესიაზე, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს რეგულარული შეიარაღებული ძალებით, ხოლო მე-7-ში – ირიბ აგრესიაზე, რომლისთვისაც გამოიყენება შეიარაღებული ჯგუფები, ბანდები ან დაქირავებულები, რომლებიც არ შედიან რეგულარული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში.

გარდა ამისა, მე-6 პუნქტში საქმე ეხება აგრესიის ხელშეწყობებს – სახელმწიფოებს, რომლებიც ნებას რთავენ რომელიმე სხვა სახელმწიფოს გამოიყენონ მათი ტერიტორია პლაცდარმის სახით აგრესიის განსახორციელებლად.

მოყვანილი ჩამონათვალი არ წარმოადგენს ამომწურავს და გაეროს უს (უშიშროების საბჭოს), რომელიც უფლებამოსილია დაადგინოს აგრესიის აქტის ჩადენის ფაქტები, შეუძლია განსაზღვროს, რომ აგრესიას წარმოადგენს სხვა რაიმე მოქმედებაც.

ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველობის პრინციპს ე.ი. სახელმწიფოს მიერ პირველად ამა თუ იმ ქმედების განხორციელებას, რომელიც შეადგენს აგრესიას. თუ შეიარაღება ძალა გამოიყენება ერთ-ერთი ასეთი ქმედების საპასუხოდ, ეს განიხილება, როგორც აგრესიისგან თავდაცვა. თუმცა, უს (უშიშროების საბჭოს) ყველა გარემოების გათვალისწინებით შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ესა თუ ის ქმედება, თუნდაც თუ ის ხორციელდება სახელმწიფოს მიერ პირველად, არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც აგრესიის აქტი.

1974 წ. აგრესიის განსაზღვრებაში ხაზგასმულია, რომ ნებისმიერი სახის – პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ან სხვა მოსაზრება არ შეიძლება იყოს მისი გამართლება. აგრესია წარმოადგენს დანაშაულს საერთაშორისო სამყაროს წინააღმდეგ და მოიცავს სახელმწიფო-აგრესორის საერთაშორისო პასუხისმგებლობას. ასეთი სახელმწიფოს ხელმძღვანელები ექვემდებარებიან

პირად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აგრესიის გამო. აგრესიის შედეგად მიღებული არანაირი ტერიტორიული მონაპოვარი ან სხვა სარგებელი არ წარმოადგენს კანონიერს.

ადროქიმიური მომსახურების საქმიანობის ლიცენზირება – 1) მართვის ფუნქცია მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში; 2) ლიცენზირების სახე მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში. რაც მდგომარეობს შემდეგი სახის საქმიანობის განხორციელებაზე ნების დამრთველი ლიცენზიების გაცემაში, გაგრძელებაში, შეჩერებასა და ანულირებაში დადგენილ შემთხვევებში: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაყოფიერების მონიტორინგის და სანიადაგო, აგროქიმიური კვლევების ჩატარება; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფიტოსანიტარული და ეკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური კვლევების ჩატარება; აგროტექნიკური, აგროქიმიური, ფიტოსანიტარული, სამელიორაციო და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაყოფიერების აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა უზრუნველყოფა მცენარეთა დაცვის საშუალებებითა და მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და აგროქიმიკატების გამოყენების ტექნოლოგიებით; მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთათვის, მეიჯარეების, მფლობელებისა და გამომყენებლებისთვის ტექნიკის შეთავაზება აგროტექნიკური, აგროქიმიური, ფიტოსანიტარული, სამელიორაციო და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა უზრუნველყოფა ტორფითა და მისი გადამუშავების პროდუქტებით, თაბაშირით, კირქვიანი და ორგანული სასუქებით.

ადათი [არ. წეს-ჩვეულება] დაუწერელი კანონი, ჩვეულებრივი სამართალი ზოგიერთ მუსულმან ხალხთან; ა-ს თანახმად, სასამართლო ხელისუფლება მოქცეულია უხუცესთა ხელში; ხშირად ა. თავისი წინააპარო კულტითა და უხუცესთა პატივისცემით ეწინააღმდეგება შარიათის ან სხვ სამართლის ნორმებს, თუმცა მის დამატებად ითვლება.

ადამიანებით ვაჭრობა – საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, რომელთანაც ბრძოლის აუცილებლობას მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობა; ადამიანის ყიდვა-გაყიდვა ან მისი დაქირავება, გადაყვანა, დამალვა, გადაცემა ან მიღება მისი ექსპლუატაციის მიზნით.

ადამიანებით ვაჭრობითა და მესამე პირების მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციის ცნების შინაარსი გადმოცემულია ადამიანებით ვაჭრობასთან და მესამე პირების მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ვაჭრობის შესახებ – 1949 წ. კონვენციის მუხ. 1,2. კერძოდ, მათში საუბარია იმაზე, რომ ამ აქტის ქვეშ იგულისხმება მოქმედებები, როცა ვინმე: ა) აიძულებს, აქეზებს სხვა პირს პროსტიტუციის მიზნით, ამ პირის თანხმობის გარეშეც კი; ბ) ახდენს სხვა პირის ექსპლუატაციას პროსტიტუციასთან დაკავშირებით, ამ პირის თანხმობის გარეშეც კი; გ) ინახავს საროსკოპოს ან მართავს მას, შეგნებულად აფინანსებს ან მონაწილეობას ღებულობს საროსკოპოს დაფინანსებაში; დ) აქირაებს ან ქირაობს შენობას ან სხვა ადგილს ან ასეთის ნაწილს, იცის რა, რომ ისინი გამოყენებულ იქნება მესამე პირების მიერ პროსტიტუციის მიზნით.

ადამიანის ყიდვა-გაყიდვის ქვეშ იგულისხმება ერთი პირის მიერ სხვა პირის საკუთრებაში შეძენა ან საყიდლიანი გასხვისება. ადამიანის ყიდვა-გაყიდვას უტოლდება ამ უკანასკნელის დაქირავება, გადაცემა, გადაყვანა, დამალვა ან მიღება.

დაქირავების ქვეშ განიხილება ცალკეული პირების ან ჯგუფების მოქმედებების, ხერხების და ჩართვის საშუალებების ერთობლიობა მათი შემდგომი ექსპლუატაციისგან. დაქირავების ქვეშ შედის მრავალი მოქმედება. კერძოდ: საუბრების წარმართვა პოტენციურ „საქონელთან“ ან მის გამყიდველთან, აგიტაციის ჩატარება, გამყიდველთან კონტრაქტის დადება, ადამიანის გაყიდვის იძულება და ა.შ.

გადაცემა მოიცავს მოქმედებების კომპლექსს, რაც უკავშირდება პირის მყიდველისთვის გადაცემას, ასევე მოქალაქის გადაცემა მისი ექსპლუატაციის ადგილას გადასაყვანად. მოქალაქის გადაცემის სუბიექტი შეიძლება იყოს, როგორც მისი გამყიდველი, ასევე სხვა პირი, რომელიც ახორციელებს შუამავლის ფუნქციას.

გადაყვანა ნიშნავს გაყიდული პირის გადაადგილებას მისი ექსპლუატაციის ადგილისკენ სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით. გადაყვანა შეიძლება განხორციელდეს, როგორც „საქონლის“ გამყიდველთან (მყიდველთან) ერთად, ასევე მის გარეშეც, რაც ქმედების კვალიფიკაციაზე არ ახდენს რაიმე არსებით გავლენას.

დამალვა მდგომარეობს მოქალაქის განზრახ გადამალვაში მისი პოტენციური კლიენტისთვის შემდგომი გადაცემის მიზნით.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია პოლიტიკური მანიფესტი, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასწყისში (1789 წ. 26 აგვისტო) მიიღო დამფუძნებელმა კრებამ. მისი იდეური წყაროა ფრანგ განმანათლებელთა ფილოსოფია. შედგებოდა მოკლე შესაულისა და 17 პუნქტისაგან. დეკლარაციამ გამოაცხადა, რომ ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფალნი და თანასწორუფლებიანნი. აღიარა სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი და ადამიანისა და მოქალაქის ბუნებრივ, ხელშეუვალ უფლებად გამოცხადდა თავისუფლების, საკუთრების, ჩაგვრისადმი წინააღმდეგობისა და უსაფრთხოების უფლებები. წმიდად და ხელშეუხებლად გამოაცხადა კერძო საკუთრება. დეკლარაციაში, ასევე გამოხატული იყო, რომ ყველა მოქალაქეს აქვს უფლება პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მის გამოცემაში მონაწილეობა, რადგან კანონი საყოველთაო ნების გამოხატულებაა. დეკლარაციის ძირითადი დებულებები შესაულის სახით შევიდა 1791 წლის კონსტიტუციაში.

პოლიტიკურ–სამართლებრივი აქტი. მასში პირველად ჩამოყალიბდა პიროვნების სამართლებრივი და სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელი დებულებები: ადამიანთა თანასწორობა, სახალხო სუვერენიტეტი, კანონის უზენაესობა, უდანაშაულობის პრეზუმპცია და ა. შ. შემდგომში ამ პრინციპებმა უდიდესი ზეგავლენა იქონიეს სამოქალაქო და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე და კაცობრიობის ზოგად განვითარებაზე.

ადამიანისა და სხვა ობიექტების (საზოგადოების, სახელმწიფოს) ეკოლოგიური უსაფრთხოება

მოქალაქეთა სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცულობის მდგომარეობა; საზოგადოებისა და სახელმწიფოს მატერიალური, კულტურული და სხვა ფასეულობების დაცულობის მდგომარეობა; საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მეწარმეების ეკონომიკური და სხვა ინტერესების მავნე ზემოქმედებებისგან, ასევე ეკოლოგიური ავარიებისა და კატასტროფების შედეგებისგან დაცულობის მდგომარეობა.

ადამიანისა და სხვა ობიექტების (საზოგადოების, სახელმწიფოს) ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა – 1) ეკოლოგიური საშიშიანობის ერთ-ერთი ფორმა (იხ. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ბუნებრივი გარემოს დაცვა), რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს ისეთი ხარისხის მიღწევასა და მხარდაჭერას, რომლის დროსაც მისი ფაქტორების ზემოქმედება უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობას და მის ნაყოფიერ ცხოველქმედებას ბუნებასთან ჰარმონიაში; 2) პრაქტიკული თვალსაზრისით – ბუნებრივი გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების მავნე ზემოქმედების ან ეკოლოგიური ავარიებისა და კატასტროფების რაც შეიძლება მცირე ალბათობამდე დაყვანა (შემცირება) ეკონომიკური, პოლიტიკური, სოორგანიზაციო, სამართლებრივი და სხვა სახის ადეკვატური ზომების სისტემის მეშვეობით.

ადამიანის გარემო

– იხ. ადამიანის სამყოფელი გარემო, ბუნებრივი გარემო, გარემო.

ადამიანის გატაცება

– ღიად, ფარულად ან მოტყუების მეშვეობით პირის გატაცება, რომელიც გამტაცებელთა სურვილის მიხედვით თავსდება მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებულ ადგილას, სადაც მას ამყოფებენ ძალისმიერი დაკავების გზით.

ადამიანის ორგანოების ან ქსოვილების ტრანსპლანტაციისთვის ამოღების იძულება

– დანაშაული ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ქმედების განხორციელებას ფიზიკური ძალადობის გამოყენებით ან მისი გამოყენების მუქარით.

ადამიანის სამკვიდრებელი გარემო

– გარემომცველი (ბუნებრივი და ხელოვნური) გარემოს ობიექტების, მოვლენებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ცხოველქმედების პირობებს. იხ. ასევე გარემომცველი ბუნებრივი გარემო.

ადამიანის უფლებათა დარღვევების კლასიფიკაცია

ა.უ.დ.-ის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, მათ შორის მნიშვნელოვანია: 1. რამდენად სერიოზულია დარღვევა (მაგალითად, რომელი უფლება დაირღვა – განათლების უფლება თუ უფრო მნიშვნელოვანი – სიცოცხლის უფლება); 2. დარღვევათა სიხშირე; 3. დარღვევათა მასშტაბი (რამდენი ადამიანის მიმართ ირღვევა მათი უფლებები).

ადამიანის უფლებათა დოკუმენტების ნუსხა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1988 წელს გამოცემული ადამიანის უფლებათა დოკუმენტების კრებული კონვენციების და სხვა დოკუმენტების 67 ტექსტს შეიცავს. ეს დოკუმენტები შეიძლება დაყოთ სამ კატეგორიად: I – ზოგადი და სპეციალური დოკუმენტები; II – გლობალური და რეგიონული დოკუმენტები; III – დოკუმენტები, რომელთაც საკანონმდებლო იურიდიული ძალა აქვთ (მაგ. ხელშეკრულებები) და სხვა დოკუმენტები. სპეციალური დოკუმენტების მოცულობისა და შინაარსის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამ მიზანს: 1. დისკრიმინაციის ლიკვიდირება; 2. მოწყვლადი პირების და ჯგუფების დაცვა; 3. ძალადობის ფართომასშტაბიანი პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა. სპეციალური დოკუმენტების კლასიფიცირება შეიძლება მოხდეს შემდეგი კატეგორიების მიხედვით: 1. თვითგამორკვევის უფლება; 2. დისკრიმინაციის თავიდან აცილება; 3. სამხედრო დანაშაული და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ; 4. მონობა, იძულებითი შრომა და სხვა ამგვარი ინსტიტუტები და მათთან ბრძოლის ტაქტიკა; 5. ადამიანის უფლებები მართლმსაჯულების აღსრულებისას – დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა დაცვა; 6. მოქალაქეობა და მოქალაქეობის არმქონე პირის მდგომარეობა, თავშესაფრის უფლება და ლტოლვილები; 7. ინფორმაციის თავისუფლება; 8. შეკრების თავისუფლება; 9. დასაქმების პოლიტიკა; 10. ქალთა პოლიტიკური უფლებანი; 11. ქორწინება და ოჯახი, ბავშვობა და ყრმობა; 12. სოციალური დაცვა, პროგრესი და განვითარება; 13. კულტურით სარგებლობის უფლება; საერთაშორისო კულტურული განვითარება და თანამშრომლობა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

აქტი, რომელიც მიღებულია 10.12.1948 წელს, როგორც გაერო-ს გა (გენერალური ასამბლეა) რეზოლუცია. ეს თარიღი ყოველწლიურად აღინიშნება მთელს მსოფლიოში, როგორც ადამიანის უფლებათა დღე. პრეამბულასა და 30-ე მუხლში აღიარებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (ჩამონათვალი არაა ამომწურავი), ფართოდ გამოიყენება მრავალი ქვეყნის კონსტიტუციის შედგენისას. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საფუძველზე დაიდო მრავალი უნივერსალური და რეგიონალური საერთაშორისო ხელშეკრულებები. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შედგენისას მას არ მიეცა იურიდიულად სავალდებულო ფორმა, თუმცა სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ ის განიხილება, როგორც ჩვეულებრივი ნორმების კრებული ადამიანის უფლებათა დარგში, ხოლო 1968 წ. ადამიანის უფლებათა თეირანის კონფერენციის მონაწილეებმა ის. ოფიციალურად გამოაცხადეს სავალდებულოდ, რასთან დაკავშირებითაც აქეზებენ 1966 წ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტში და 1966 წ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტში, რომ მონაწილეობის არამიმღებ სახელმწიფოებმა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ტექსტით მოსახლეობასთან მოპყრობის სტანდარტის სახით.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი

ზოგადი ტერმინია და გაეროს ეგიდით მიღებული ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი ოთხი ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების მიმართ იყენებენ: 1. ადამიანის უფლებათა დეკლარაცია; 2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ; 3. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ; 4. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის თანდართული ფაკულტატური პროტოკოლები.

ადამიანის ცხოველქმედების ხელსაყრელი პირობები

– საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობა, რომლის დროსაც არ არსებობს ადამიანზე მისი ფაქტორების მავნე ზეგავლენა (უნებელი პირობები) და არსებობს შესაძლებლობები ადამიანის ორგანიზმის დარღვეული ფუნქციების აღსადგენად.

ადგილზე დათვალიერება

სამოქალაქო პროცესში იმ ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულების ადგილზე დათვალიერება და გამოკვლევა, რომელთა წარდგენა სასამართლოში სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელია. ადგილზე დათვალიერების თაობაზე სასამართლოს მხარეთა მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გამოაქვს განჩინება, რომელშიც მოცემულია დათვალიერების და შესწავლის საგანი, დრო, ადგილი და სხვა. ადგილზე დათვალიერებას აწარმოებს საქმის განმხილველი მოსამართლე ან სასამართლოს ერთ-ერთი წევრი. ამ დროს მხარეთა გამოუცხადებლობა დათვალიერების ჩატარებას ვერ დააბრკოლებს. აუცილებლობის შემთხვევაში მონაწილეობის მისაღებად შეუძლიათ მოიწვიონ სპეციალისტები, მოწმეები და სხვა. ყოველივე ამის შესახებ დგება სათანადო ოქმი. ადგილზე დათვალიერება რეგულირდება სამ. საპ. კოდექსის 120 – 125 მუხლებით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ (ტერმინები) (საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ)

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შემოსულობების, მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახადების ძირითადი საფინანსო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების შეფასება – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობისა და ბიუჯეტის შესრულებიდან გამომდინარე მიღებული სოციალური შედეგების და ხარჯების ეფექტიანობის შეფასება;

გ) გამოთანაბრებითი ტრანსფერი – ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ კანონით განსაზღვრული ფორმულით, ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, ექსკლუზიური, დელეგირებული და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებები – შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში მოცემულ განმარტებებს;

ე) მიზნობრივი ტრანსფერი – დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები; (29.12.2006 N 4239).

ვ) საბიუჯეტო განაცხადი, საბიუჯეტო პროცესი, ბიუჯეტის ყოვლისმომცველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა და უნიერსალობა – შეესაბამება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონში მოცემულ განმარტებებს;

ზ) სარეზერვო ფონდი – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განსაზღვრული საბიუჯეტო სახსრები;

თ) სპეციალური ტრანსფერი – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის ეკოლოგიურად და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციოდ, აგრეთვე კონკრეტული კაპიტალური და სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები. (29.12,2006 N 4239).

ადგილობრივი თვითმმართველობა (ტერმინები)

(საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ)

მუხლი 1. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობა – საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად;

ბ) თვითმმართველი ერთეული – დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები,

აქვს საკუთარი ქონება, შემოსაულები, ბიუჯეტი და აღმინისტრაციული ცენტრი და დამოუკიდებელი იურიდიული პირია;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნით, ამ კანონით დადგენილი წესით შექმნილი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა/მერია) ორგანოები;

დ) დასახლება – მოსახლეობის განსახლების პირველადი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჰყავს მუდმივი მცხოვრებლები, აქვს ფუნქციონალური ინფრასტრუქტურა და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასახლება შედის თვითმმართველი ერთეულის შემადგენლობაში ან თვითმმართველი ერთეულია. დასახლების კატეგორიებია:

დ.ა) – სოფელი – დასახლება, რომლის საზღვრებშიც მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გათვალისწინებული მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები ან/და რომლის ინფრასტრუქტურა ძირითადად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

დ.ბ) დაბა – არანაკლებ 3000 მოსახლისაგან შემდგარი დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც არსებობს სამრეწველო საწარმოები, კომუნალური მეურნეობა, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დანიშნულებათა ქსელი, რითაც იგი ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს, ამასთანავე, არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საკმარისი მიწის საკარმიდამო. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 3000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი;

დ.გ) ქალაქი – არანაკლებ 5000 მოსახლისაგან შემდგარი მსხვილი დასახლება, რომელსაც აქვს საქალაქო მეურნეობა და ეკონომიკურ-კულტურული ცენტრია. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 5000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი ან აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის უახლესი პერსპექტივა. ქალაქებს, მათთვის დაკისრებული სპეციფიკური ფუნქციებიდან და სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება მიენიჭოს სპეციალური სტატუსი;

ე) მუნიციპალიტეტი – დასახლებათა ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი;

ვ) თვითმმართველი ქალაქი – ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი;

ზ) ადმინისტრაციული ერთეული – თვითმმართველი ერთეულის ნაწილი, სადაც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანო. ადმინისტრაციული ერთეულებია:

ზ.ა) დასახლება (სოფელი, დაბა, ქალაქი);

ზ.ბ) დასახლებათა გაერთიანება (თემი);

ზ.გ) დასახლების ნაწილი (უბანი);

თ) ექსკლუზიური უფლებამოსილება – თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, რომელსაც იგი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით;

ი) დელეგირებული უფლებამოსილება – სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით, კანონის თანახმად ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებლად გადაეცემა თვითმმართველ ერთეულს;

კ) ნებაყოფლობითი უფლებამოსილება – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად არ განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისთვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – მოსახლეობის მიერ უშუალოდ არჩეული და (ან) მუნიციპალური წარმონაქმნის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ წარმოქმნილი ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

ადვოკატი – იურისტი, რომელიც სამართლებრივ დახმარებას უწევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს კონსულტაციის, სასამართლოში წარმომადგენლობის მეშვეობით და ა.შ. ის ასევე წარმოადგენს ბრალდებულის დამცველს. ადვოკატი არის პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, რომელიც მიღებულია სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი პროფესიული განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან აქვს სამეცნიერო ხარისხი იურიდიული სპეციალობით, რომელიც მიღებულია ადვოკატთა კოლეგიის წევრად. დასაშვებია ადვოკატთა კოლეგიაში იმ პირთა მიღება, რომელთაც არა აქვთ სტაჟი იურიდიული პროფესიით, მაგრამ სტაჟირების ვადის პირობით 6 თვიდან 1 წლამდე ან კანონით განსაზღვრული სხვა ვადით.

ადვოკატი არის პირი, რომელმაც მიიღო ადვოკატის სტატუსი და უფლება განახორციელოს ადვოკატის საქმიანობა. ის წარმოადგენს დამოუკიდებელ მრჩეველს სამართლებრივ საკითხებში. მას არა აქვს უფლება დაკავდეს სხვა ანაზღაურებადი საქმიანობით, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სხვა შემოქმედებითი საქმიანობისა.

ადვოკატს აქვს უფლება გასწიოს სხვა იურიდიული დახმარებაც, რაც არაა აკრძალული კანონით – ფკ. (ფედერალური კანონი – რუსული წყარო)

ადვოკატი – თაი 3

კანონი №976-IIს – საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ

მუხლი №10 – მოთხოვნები ადვოკატისადმი

1. ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც:

ა) აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) გაელილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ამ კანონით დადგენილი წესით (გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა);

გ) აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

2. ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

მუხლი №18 – საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

1. ადვოკატს უფლება აქვს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო (ოფისი, კანტორა, იურიდიული ფირმა და ა.შ.) ამხანაგობის ან იმ სამეწარმეო იურიდიული პირის სახით, რომელშიც არანაკლებ 1 პარტნიორის პასუხისმგებლობა არ არის შეზღუდული.

2. საადვოკატო ბიუროს შექმნის შესახებ ინფორმაცია მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში უნდა წარედგინოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს. ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს საადვოკატო ბიუროს მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ბიუროში გაერთიანებული ადვოკატის (ადვოკატების) ვინაობა და სამართლის ის დარგი, რომელშიც ადვოკატი (ადვოკატები) ახორციელებს (ახორციელებენ) საადვოკატო საქმიანობას.

3. საადვოკატო ბიუროს ორგანიზებისა და მუშაობის წესს და სტრუქტურას განსაზღვრავს ბიურო.

მუხლი №19 – საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველი

1. ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე.

2. მოკლევიანი და წინასწარი გამოძიების ორგანოებში ან სამის სასამართლოში განსილვისას. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი-მინდობილობა ან ორდერი.

2[1]. იმ შემთხვევაში, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი საწესდებო მიზნების მისაღწევად ახორციელებს უფასო იურიდიული დახმარების საგრანტო ან სახელმწიფო პროგრამას, მას უფლება აქვს ადვოკატთან ხელშეკრულების საფუძველზე გასცეს ორდერი.

3. ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

კანონი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი

კარი №2 – სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი

თავი №11 – ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი

მუხლი №82 – დამცველის დაშვება სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის

სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარუდგენს ადვოკატთა კოლეგიის, ფირმის, ბიუროს ორდერსა და თავის მოწმობას.

ადვოკატი – ადვოკატის საქმიანობა იყოფა შემდეგ სფეროებად:

ა) დაცვის ხელოვნება – წინასწარ და სამსჯავრო გამოძიების დროს დამსჯელ შეკითხვებში, ცალკეულ შუამდგომლობებში, დაცვით სიტყვაში და ყველა შედგენილ დოკუმენტში საჭირო შინაარსის არგუმენტირებულად და მიმზიდველად გადმოცემა.

ბ) დაცვის ტექნიკა – უმოკლეს ვადაში საქმის მასალების ღრმად და ყოველმხრივ გაცნობა. შერჩეული მასალების დაკომპლექტება და დამუშავება განსაზღვრული დაცვითი დებულებების შესაბამისად, საჭირო საკანონმდებლო მასალის იურიდიული ლიტერატურისა და სხვა დისციპლინების მონაცემთა მონახვა. მტკიცებითი ძალის მქონე მასალების სასამართლოში დემონსტრირება და დაცვითი სიტყვის დაპროექტება;

გ) დაცვის ტაქტიკა – მტკიცე დაცვითი პოზიციისათვის ბრძოლის წარმატების უზრუნველმყოფელი, კონკრეტულ ვითარებასთან შესაფერისი პროცესუალური საშუალებების გამოყენება შუამდგომლობის აღძერის, შეკითხვების დასმის, მტკიცებათა წარდგენის, ზომიერი შესიტყვებისა და პაექრობის სახით.

დ) დაცვის ზნეობრივი – ქცევის ზნეობრივი წესების შესრულებით ურთიერთობა კლიენტთან. სამეში მონაწილე ორივე მხარესთან, მოწმეებთან, ექსპერტთან, აუდიტორიასთან, კოლეგებთან, სახელმწიფო ბრალმდებელთან, სასამართლოსთან. ზნეობის მაღალ ნიშუშს წარმოადგენს პიპოკრატეს ფიცი (ექიმთათვის), რომელიც შეიძლება მშვიდად გადმოვიტანოთ დამცველის ხელოვნებაში.

პიპოკრატეს ფიცი: „ულრმესი მადლიერებით ელებულობ მეცნიერებისგან ჩემდამი ბოძებული ექიმის (ადვოკატის) უფლებას და ეწედები რა ამ სახელდებით ჩემზე დაკისრებულ მოვალეობათა სრულ მნიშნელობას, მე ვიძლევი პირობას, მთელი ჩემი სიცოცხლის განმალლობაში არაფრით არ შევებღალო ღირსება იმ წოდებისა, რომელშიაც ამჟამად შევდივარ, ვიძლევი პირობას, ჩემი საუკეთესო გაგებით, ყოველთვის გაუწიო დახმარება ყველა იმ ტანჯულს, ვინც მოისურვებს შომმართოს შემწეობისათვის, წმინდად დავიცვა ჩემდამი გამოჩენილი მისი ნდობა. ვიძლევი პირობას, განვაგრძო საექიმო (ჩვენ შემთხვევაში საადვოკატო) მეცნიერების შესწავლა, მთელი ჩემი ძალღონით ხელი შევუწყო მის აყვაეებას და ვამცნო სწავლულ საზოგადოებას ყოველივე ის, რასაც აღმოვაჩენ. ვიძლევი პირობას არ ვაწარმოო საიდუმლო თანამოსაქმეებისადმი – ექიმებისადმი და არ შეურაცხვყო მათი პიროვნება, მაგრამ უკეთუ ამას მოითხოვს აეადმყოფის სარგებლობა, ვთქვა სიმართლე პირდაპირ და პირმოთნეობის გარეშე; ვიძლევი პირობას, რთულ შემთხვევებში მივმართო ჩემზე უფრო გამოცდილ და განსწავლულ ექიმთა რჩევას, სოლო როდესაც მე თვით ვიქნები მიწეეული სათათბიროდ, სინდისიერად შევაფასო მათი დამსახურება და მუყაითობა“. თითქმის იგივე პოსტულატები შეიძლება გადმოვიტანოთ იურისპრუდენციაში და კერძოდ საადვოკატო საქმიანობაში

ყველა ეთიარებაში ხაზი უნდა გაესვას ისეთი ნორმების არსებობას მართლმსაჯულებაში, როგორიც

ზნეობრივია და მას სამართლის ნორმების შესაბამისად და ეთიკის კოდექსის თანახმად უნდა ვცეთ პატივი;

სამართლის ნორმა მოითხოვს ინდივიდუალური ნებისყოფის დაქვემდებარებას – იძულებას გამოყენების მუქარით, ზნეობრივი ნორმის შესრულების მოთხოვნა კი უნდა ხდებოდეს არა გარეშე ძალის ზემოქმედებით, არამედ ინდივიდუალური ნებისყოფის შინაგანი მოთხოვნილების საფუძველზე.

ამდენად ადვოკატურა, ყველა სხვა დარგის საქმიანობასთან შედარებით, უფრო მეტად საჭიროებს თავისი პროფესიული ეთიკის ჩამოყალიბებას.

ადვოკატისა და სამართალში მიცემულის ურთიერთობის მრავალი კითხვიდან ერთ-ერთი უმთავრესია: აქვს თუ არა უფლება ადვოკატს მიიღოს ე.წ. „უმართლო საქმეები". ეს ხდება მაშინ, როდესაც ბრალდებული მხილებულია დანაშაულში საქმის დამამტკიცებელი საბუთებით, აღიარებს დანაშაულის ჩადენას და ადვოკატს წინაშე, მაგრამ ჯიუტად უარყოფს იგივე შეასრულოს სასამართლოს წინაშე. პროფ.ნ.ნ. პოლიანსკი ასეთ შემთხვევაში გვაძლევს შემდეგ განმარტებას: უკეთუ ბრალდებული აღიარა დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ფიქრობს ის აღიარება არ შეასრულოს სასამართლოში ადვოკატმა არ უნდა მიიღოს საქმე. ხოლო თუ ასეთი საქმე მიღებული აქვს, მან უნდა გამოიყენოს უარყოფითი ანუ კრიტიკული მეთოდი. ამტკიცოს უკარგისობა ბრალდების მტკიცებისა". ამასთანავე, ადვოკატს არა აქვს უფლება გამჟღავნოს მასზე განდობილი ცნობები, მაგრამ არაა ვალდებული გაიწუმდეს იმ დანაშაულთა შესახებ, რაც მისთვის ცნობილი გახდება პროფესიული მოღვაწეობის შესრულების დროს, მაგრამ ყველა ვითარებაში ადვოკატი ვალდებულია სულ მცირე, შეამსუბუქოს მაინც ბრალდებულის მდგომარეობა და ყოველად შეუთავსებელია ადვოკატის მოღვაწეობასთან კლიენტის სურვილისამებრ შეცნობილად უსწორო პოზიციაზე დაყრდნობა და ცალკეულ საქმეებზე ეთიკურად გამართლებული პოზიციებს უნდა დაეყრდნოს.

გასაჩივრების შემთხვევაში დამცველი შესაძლებელია ვერ პოულობდეს საფუძველს გასაჩივრებისათვის, თუკი სამართალში მიცემული განაჩენს უსწოროდ თვლის და თან მოითხოვს დამცველისგან მოტივირებული საჩივრის შედგენას, ადვოკატს არ შეუძლია უარი უთხრას თავის დაცვის ქვეშ მყოფს ამ იურიდიული დახმარების გაწევაზე.

შეიძლება თუ არა ადვოკატი განუდგეს თავისი კლიენტის პოზიციას? ამ შემთხვევაში დამცველი ეხება პროცესუალურ დამოუკიდებლობას, რომელიც შეიცავს ორ მხარეს: საქმის მასალების მიხედვით დაცვის ჩატარებაზე საკუთარი შეხედულების გამომუშავებას და ამ შეხედულებისამებრ ბრალდებულის დაცვის განხორციელება.

მხოლოდიოს ბევრი კანონმდებლობით დამცველის მიერ კლიენტის ბრალეულად ცნობა, ამ უკანასკნელის ნებასურვილის გარეშე აკრძალულია.

ნ.ჯ. კონის მიხედვით – „ადვოკატი არაა ვალდებული მოახსენოს სასამართლოს თავის შეხედულება. სასამართლო ადვოკატისგან ელის დამაჯერებელ დებულებებს საქმართალში მიცემულის დასაცავად. სასამართლოსთვის აუცილებელია არა ადვოკატის შეხედულება საქმართალში მიცემულის ბრალეულობის ან არაბრალეულობის შესახებ, არამედ დაცვის მტკიცებების კეთილსინდისიერი წარდგენა და ანალიზი. ე.ჰ. ზაიცევი დამცველისგან მოითხოვს ორი სიტყვის წარმოთქმას – ერთს კლიენტის სახელით მის დასაცავად, ხოლო მეორე თავის სახელით კლიენტის საბრალმდებლოდ". ე.დ. სინაისკის აზრით კი, „ადვოკატს შეუძლია დასცილდეს სამართალში მიცემულს კვალიფიკაციის საკითხში და აგრეთვე დაიცვას საშუალებისა და მეთოდების საკითხში" ამავე საკითხზე ნ.ჯ. კონი აცხადებს, რომ „ადვოკატი არაა შემოსაზღვრული თავისი კლიენტის პოზიციით, არც კვალიფიკაციის საკითხში. მას უფლება აქვს დაიკაეთს დამოუკიდებელი პოზიცია სხვადასხვა სახის შუამდგომლობით აღძვრისას, უკეთუ ეს შეეფარდება ბრალდებულის დაცვის ინტერესებს" დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება ადვოკატის უფლება სიცრუეზე, რადგან, თუ ეს უფლება მან განახორციელა, იგი ღალატობს ან სასამართლოს ან სამართალში მიცემულს. ჩვენის აზრით უმთავრესი პატივი ყველა ვითარებაში უნდა მიეგოს სასამართლოს! ისე, რომ არ დაზიანდეს ბრალდებულის ინტერესები და აღიარებითი ჩვენება შეღავათს უნდა ითვალისწინებდეს. ასევე რთულ პოზიციად რჩება დამცველის მიერ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალდების გადატანა რაიმე მოვლენაზე ან გადატანა სხვაზე. ამ შემთხვევაშიც ზიანდება უზენაესი მისია – სამართლიანობა. ამიტომ, რომ არ დაზიანდეს სამართლიანობის სიკეთე მოვიშველიებთ ჭელი რომის გენიალურ ორატორს (ციცერონს): „კანონი წარმოადგენს დასაყრდენს იმ მაღალი მდგომარეობისა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ სახელმწიფოში, ის არის საფუძველი თავისუფლებისა და წყარო მართლმსაჯულებისა. სახელმწიფოს აზრი, სული, სიბრძნე და მნიშვნელობა თავმოყრილია კანონში". აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა ვითარებაში პირველობა კანონს და მართლმსაჯულების ობიექტურობას ეკუთვნის.

საინტერესო მოსაზრებები არსებობს ადვოკატის პროფესიულ ენთუზიაზმზე. ნ. ჩეტკუნოი თავის წერილში მოხდენილად ამბობს, ადვოკატმა უნდა განიცადოს სხვისი მწუხარება, როგორც საკუთარი, ისე როგორც ნამდვილი ქირურგი განიცდის მეასიათასჯერ ჩატარებული ოპერაციის წარმატებას თუ წარუმატებლობას" და ამასთანავე იშველიებს სახელმოხვეჭილი ბელგიელი ადვოკატის ედმონ პიკარის სიტყვებს: „სხვისი საქმის, სხვისი ინტერესებისა და სხვისი უბედურების განცდის უნარის გარეშე, ადვოკატი აღარაა სიტყვის რაინდი. ამ თვისებათა გარეშე, ის მხოლოდ საქმოსანია".

საკმაოდ მძიმე მდგომარეობა აქვს ადვოკატს დაცვის ქვეშ მყოფისგან განთავისუფლების შემდეგ, რადგან, ისინი ენიც, მძიმე მდგომარეობაში ყოფნისას მიმართავენ ადვოკატს, მასთან იმაზე მეტ ზნეობრივ გულახდილობას იჩენენ, ვიდრე, ეს აუცილებელია. შემდეგში კი განსაკუთრებით მაშინ, ვინც მათი დამცირებისა და უბლურების მძიმე დროთა ცოცხალი მატიანე და მოწმეა, კეთროვანივით გაურბიან მათ მხსნელ-ადვოკატს. თუმცა ეს მოსაზრება ყველაზე არ ვრცელდება და იშვიათ შემთხვევაში მეგობრდებიან კიდეც. აღსანიშნავია, რომ ციცერონი არ დაინდო მისმა ყოფილმა კლიენტმა ლენასმა, რომელსაც ერთ დროს მისთვის ჩვენი აზროვნებითი აზარტით იცავდა მნიშვნელოვან ბრალდების საქმეზე. ციცერონის თავის მოკვეთის ფაქტს კი ასე გადმოგვცემენ „თავის მდევნელ ბრბოს მეთაურად ციცერონს ლენასი შეუნიშნავს მაგრამ მის სახეს არ ეშინოდა, არც მაღლიერების და არც თანაგრძნობის ნიშანწყალი, ამ

დროს ზოგიერთმა სხვა მდევნელმა სიბრალულის გამო თვალები დახუჭა, ოღეს იხლა გაწეწილი ჭაღარა თმა და გალეული სახე დიდი რომალისა (მაშინ მას 64 წლამდე ერთი თვე უკლდა).

როგორი უნდა იყოს ადვოკატი? – გერმანელი ავტორის ბუკერის აზრით, „ადვოკატი უნდა ჰგავდეს ქალწულს, რომელიც ეძებს საქმროებს, მაგრამ ნებას რთავს, რომ, თვით ეძებდნენ მას, მისი სიმართლისა და სიწმინდის გამო.

აქ კლავე გვინდა დაეუბრუნდეთ ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობის საკითხს, სადაც უნდა მოეიშველიოთ პოლიანსკის სიტყვები: „უკეთუ კლიენტმა დამცველს ნდობა გამოუცხადა იმ პირობით, რომ არ იქნება გამოყენებული დაცვის ესა თუ ის საშუალება (ბრალდებულისთვის არასასურველი), ადვოკატი ვალდებულია ისე მიმართოს დაცვის ამ საშუალებას, რომ თავიდან არ მიიღოს დაცვის ფუნქცია ამ პირობით“.

ძალზედ მხედველობაშია მისაღები ადვოკატის ჯანმრთელობა მუშაობის პროცესში, ენერგიის ხარჯვა და ინტენსიურობა. ამასთან დაკავშირებით სანტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ე. გოკიელს გამოჩენილ ადვოკატ ლ.ნ. ადრონიკაშვილზე: ამ უკანასკნელს მასზე დიდი მთაბეჭდილება მოუხდენია პირველი შეხვედრის დროს 1921 წელს, როდესაც ანდრონიკაშვილი 48 წლისა იქნებოდა – „არ ეცდები – ამბობს ავტორი – თუ ვიტყვი, რომ ბ-ნი ლუარსაბი თავის წლოვანებაზე უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. დაძაბულმა გონებრივმა შრომამ, ნაფიცი ვექილის მღელვარებით აღსავსე პროფესიამ, მის გარეგნობისთვის მძიმე დალი დაემჩნია. ის გამოიყურებოდა ბევრად ხანდაზმულად და ჯოხზე დაბჯენილი დადიოდა. იგი უმეტესად პოლიტპატიმრების დაცვაში იყო დახელოვნებული“.

საადვოკატო მოღვაწეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რწმენას, რომელიც ადვოკატსა და სამართალში მიცემულს შორის მყარდება, ეჭვგარეშეა, რომ რწმენა საიდუმლოების სიწმინდეში წარმოადგენს ადვოკატურის ერთ-ერთ არსებით საფუძველს... კანონი და სახელმწიფო ადასტურებენ ადვოკატთა მაღალ დანიშნულებას, მაგრამ იმისთვის, რომ ეს დანიშნულება ღირსეულად იქნეს შესრულებული, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია კლიენტის ნდობა. ამას კი არ ეძებს ადგილი იქ, სადაც არაა საიდუმლოების დაცვის იმედი.

ბრალის აღიარება დაცვის დროს

პროფ. მ.ს. სტროგოვიჩი სრული კატეგორიულობით აღნიშნავს, რომ „როდესაც პროცესში მონაწილეობს რამდენიმე დამცველი, რომლებიც სხვადასხვა სამართალში მიცემულებს იცავენ, სავსებით შესაძლებელია საქმის გარემოებათა გაშუქების მხრივ დამცველთა სიტყვებში ადგილი ექნეს აზრთა სხვადასხვაობას. მაგრამ ეს სხვადასხვაა არ შეიძლება და არ უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ერთი სამართალში მიცემულის დამცველმა საბრალდებო სიტყვა წარმოთქვას, მეორე სამართალში მიცემულის მიმართ და აწარმოოს მისი მხილება, დამცველის ასეთი პოზიცია უტაქტო და უპრინციპოა. სამართალში მიცემულებს შეუძლიათ ერთმანეთის გათქმა, მაგრამ სამართალში მიცემულთა ბრძოლამ არ უნდა გამოიწვიოს ასეთივე ბრძოლა, მათ დამცველთა შორის“.

საადვოკატო ეთიკის თვალსაზრისით დაუიწყარია საურანგეთის ადვოკატურის დიდი წარმომადგენლები ერულ ფაური, რომელიც ამბობს, რომ „როგორც ცეცხლს და სიკვდილს, ისე უნდა გაეკრიდოთ პირად წარმატებას მოწინააღმდეგის ღირსების დამცირების გზით. აღფრთოვანებით უნდა შეეხედეთ მოპირდაპირის მაღალნიჭიერებას. ხოლო მეორე დიდი ფრანგი შე დესტ ანი გვაუწყებს, რომ „მართლაც რა სახეს მიიღებდა ყოველგვარი მღელვარებით აღსავსილი ამხანაგური ცხოერება და გაშმაგებულ პაექრობათა მუდმივი დაუდგრომლობა, უკეთუ გულმოდგინებას შეეცილიდა მრისხანება, საქმის დამამტკიცებელ საბუთებს დაერთოდა პირადი ხასიათის თავდასხმები და დროებით წინააღმდეგობაში ყოფნის ნაცვლად აუცილებელი იქნებოდა მტრობა“?

მაღალი ეთიკური კულტურის ბრწყინვალე ნიმუშია ის, როდესაც ახალგაზრდა ციცერონი გამოდიოდა სიცილიის პრეტორის გაიუს კორნელიუს ვერესის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედებოდა მძიმე თანამდებობრივ დანაშაულში. ამ უკანასკნელს კი იცავდა უკვე სახელმოხვეჭილი ორატორი ქვინტუს ჰორტენზიუსი. ციცერონმა მკაცრად და მეთოდურად ამხილა ვერესი ამ დანაშაულში და შემდგომ რომის ადვოკატურის მეთაური შეიქნა. თუმცა ეს ფაქტი არ გამხდარა ციცერონსა და ჰორტენზიუსს შორის მტრობის საბაბი.

ამის შესახებ ლუკას კოლინზი გვამცნობს, რომ „ჰორტენზიუსმა დამშვიდებით დასთმო თავის მეუფება სასამართლოში მისი ახალგაზრდა მეტოქის აღშფოთებების წინაშე. ხოლო შემდგომში ციცერონმა სათანადოდ მიუძღვნა ღირსეულ მეტოქეს აწ დაკარგული ტრაქტატი „დიდებისათვის“.

ადვოკატის საიდუმლოება – პროფესიული საიდუმლოების ნაირსახეობა, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატის კონფიდენციალური ურთიერთობის შესაძლებლობას კლიენტთან. ადვოკატი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმის სახით იმ გარემოებების გამო, რაც მისთვის გახდა ცნობილი მისი მოვალეობის – დამცველის ან წარმომადგენლის შესრულებასთან დაკავშირებით. ადვოკატის საგნის შემადგენელი ცნობები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულების სახით სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის პროცესებში. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო ქმედებების ჩატარება ადვოკატის მიმართ, მათ შორის, საცხოვრებელ და სამსახურებრივ შენობებში, რომლებიც მის მიერ გამოიყენება საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისთვის, დასაშვებია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა თუ საგამოძიებო ქმედებების დროს, მათ შორის, ადვოკატის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემდეგ მოპოვებული ცნობები, საგნები და დოკუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრალდების მტკიცებულების სახით მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ისინი არ შეეხან ადვოკატის წარმოებაში მისი მარწმუნებლების საქმეებზე.

ადიდგინება სახელმწიფო ტერიტორიის შექმნა საერთაშორისო არბიტრაჟის თუ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ადიულტერი [ფრ. adultere < ლათ. adulterare გაუპატიურება] ცოლ-ქმრული ღალატი.

ადმინისტრაცია – 1) სახელმწიფო მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების

ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ გარკვეულ აღმასრულებელ-განმკარგულებელ ფუნქციებს; 2) პრეზიდენტის ადმინისტრაცია – ორგანო, რომელიც წარმოიქმნება პრეზიდენტის მიერ პრეზიდენტის საქმიანობის უზრუნველსაყოფად; 3) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მართვის ორგანო, რომელიც თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შესაბამისი იურიდიული პირის შესახებ დებულების, წესდების შესაბამისად.

ადმინისტრაციის მეთაური

1) ისეთი სუბიექტის უმაღლესი თანამდებობის პირი, როგორიცაა მხარე, ოლქი, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქი, ავტონომიური მხარე, ავტონომიური ოლქი, რომლისაც ცალკეულ რეგიონებში ეწოდება გუბერნატორი, მერი და რომელიც ხელმძღვანელობს შესაბამისი სუბიექტის აღმასრულებელ ხელისუფლებას; 2) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი.

ადმინისტრაციული [< ადმინისტრაცია]

მართვასთან, ადმინისტრაციასთან დაკავშირებული; ა. პასუხისმგებლობა – იურიდიული პასუხისმგებლობა ა. დანაშაულისთვის; ა. სამართალი – სამართლის დარგი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო მართვის სფეროში; ა. დანაშაული – არასამართლებრივი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებას; მმართველობის დამყარებულ წყობას მოსდევს ა. პასუხისგება; ა. პროცესი – სახელმწიფო ორგანოების მოღვაწეობა სახელმწიფოს მართვის სფეროში კონკრეტულ ა. საქმეთა გასარჩევად; ა. იურისდიქცია – სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების მოღვაწეობა ინდივიდუალური ა. საქმიანობის გასარჩევად და ა. წესით შესაბამისი ა. სანქციების გამოსაყენებლად; ა. იუსტიცია – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კამათის განსაკუთრებული გადაჭრა, რომლის დროსაც სასამართლო ან სახელმწიფოს მმართველობის სხვ. ორგანოები განიხილავენ საჩივრებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოღვაწეობაზე; ადმინისტრაციული აქტი–ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს (ადმ. კოდ. მუხლი 2).

ადმინისტრაციული აქტი

სახელმწიფო მმართველობის ორგანოს სამართლებრივი აქტი. ნორმატიული აქტისაგან განსხვავებით, რომელიც ზოგად წესებს შეიცავს, ადმინისტრაციული აქტი ინდივიდუალურია და უშუალოდ მიმართულია კონკრეტული მართალურთიერთობის დამყარების, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ სამართლის მიხედვით, ადმინისტრაციული აქტი უფლებას აძლევს ან ავალებს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებაორგანიზაციას, საწარმოს ანდა ცალკეულ მოქალაქეს შეასრულონ განსაზღვრული მოქმედება ან თავი შეიკავონ რაიმე მოქმედებისაგან. ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოიცეს დადგენილების, განკარგულების, გადაწყვეტილებისა და ბრძანების ფორმით (მაგ., ადმინისტრაციული კომისიის დადგენილება ჯარიმის შესახებ, კომისიის განკარგულება ლიმიტების, ფონდების და გრანტების გამოყოფაზე, დირექტორის ბრძანება თანამდებობაზე ვინმეს დანიშვნის შესახებ და ა.შ.). ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოსცეს საამისოდ უფლებამოსილმა ორგანომ. შინაარსით იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს ან სხვა ნორმატიულ აქტს და კანონით განსაზღვრული ფორმა, უნდა ჰქონდეს. ერთ-ერთი ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი ძალას კარგავს.

ადმინისტრაციული გადაცდომა

მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედება (ან უმოქმედობა), რომელიც არღვევს სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ საყოველთაოდ სავალდებულო წესებს და იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ადმინისტრაციული გადაცდომა ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავს, ვიდრე დანაშაული. ადმინისტრაციული გადაცდომაა, მაგ., თუ მოქალაქე ჩაუწერაია ბინაში, სათანადო შემთხვევებში, ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის მაგივრად შეიძლება გამოიყენონ ზემოქმედების ზომა.

ადმინისტრაციული დაკავება

ფიზიკური პირის თავისუფლების ხანმოკლე შეზღუდვა, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის სწორი და დროული განხილვის უზრუნველსაყოფად და საქმეზე დადგენილების შესასრულებლად. ადმინისტრაციული დაკავება გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობის) აღკვეთის მიზნით, როცა ამოწურულია ადმინისტრაციული ზემოქმედების სხვა ზომები და ასევე დამრღვევი პირის დასადგენად და ოქმის შესადგენად, თუ ამ ქმედებების განხორციელება შეუძლებელია სამართალდარღვევის ადგილას.

ადმინისტრაციული დაკავება შეუძლია განახორციელონ: ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოთა თანამდებობის პირებმა – ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენისას, რომელთა საქმეების განხილვაც განეკუთვნება ამ ორგანოების საქმიანობას და ასევე პირებმა, რომელთაც შეუძლიათ ოქმის შედგენა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებთან არსებული უწყების ან არასაუწყებო დაცვის უფროსმა – თანამდებობის პირმა, დასაცავი ობიექტის განლაგების ადგილას, შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეებმა – დაცულ ობიექტზე ხელყოფისა და დაცულ ზონაში შეღწევის დროს; გ) სამხედრო საავტომობილო ინსპექციის თანამდებობის პირებმა – შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისას; დ) სასაზღვრო სამსახურის ჯარებისა და ორგანოების სამხედრო მოსამსახურეებმა შესაბამისი სამართალდარღვევების გამოვლენისას; ე) სპბაჟო ორგანოების თანამდებობის პირებმა; ვ) სისხლის სამართლისა და აღმასრულებელი სისტემის თანამდებობის პირებმა და სამხედრო მოსამსახურეებმა.

ადმინისტრაციულ დაკავებაზე დგინდება ოქმი. დაკავებულ პირს განემარტება მისი უფლებები და

ვალდებულებები, რის შესახებაც შესაბამისი ჩანაწერი კეთდება ოქმში. ადმინისტრაციული დაკავების ზოგადი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 სთ. გამონაკლისის სახით დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება 48 სთ-მდე შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როცა ხდება საქმის წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს ათავსებენ ამ ორგანოების სპეციალურად განკუთვნილ შენობებში, რომელთა თანამდებობის პირებსაც უფლება აქვთ განახორციელონ ადმინისტრაციული დაკავება ან სპეციალურ დაწესებულებებში, რომელიც იქმნება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ. ეს შენობები უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს და უნდა გამოირიცხოს თვითნებური დატოვების შესაძლებლობა. არასრულწლოვნები თავსდებიან უფროსი პირებისგან განცალკევებით. არასრულწლოვნების ადმინისტრაციული დაკავება სავალდებულო წესით უნდა ეცნობოს მის მშობლებს ან პირებს, რომლებიც მათ ცვლიან.

ადმინისტრაციული დაპატიმრება

– ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, რომელიც მდგომარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში დამნაშავე ფიზიკური პირის საზოგადოებისგან იზოლაციის პირობების არსებობა-ყოფნაში. ადმინისტრაციული დაპატიმრება მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. ადმინისტრაციულ დაპატიმრებაში ყოფნა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული ზედამხედველობა

– 1) დაკვირვებისა და კონტროლის სპეციალური ზომა პირთა გარკვეული კატეგორიის მიერ მათთვის დადგენილი ქცევის წესების დაცვაზე. ასე მაგალითად, პოლიციას აკისრია ეალდებულება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობა მიიღონ მსჯავრდებულთა ქცევის კონტროლში, რომელთაც სასჯელის სახით მისჯილი არა აქვთ თავისუფლების აღკვეთა ან მისჯილი აქვთ პირობითი სასჯელი; 2) ადმინისტრაციული ზედამხედველობის სახით შეიძლება ასევე განეხილოთ მოქალაქეებისა და თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა სარეგისტრაციო აღრიცხვის წესების დაცვა საცხოვრებელი ადგილისა და ადგილსამყოფელის მიხედვით, ასევე უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ მათთვის დადგენილი შემოსვლის, გასვლის, ყოფნისა და ქვეყნის ტერიტორიის ტრანზიტულად გავლის წესების დაცვა.

ადმინისტრაციული იურისდიქცია

– 1) კანონის მიერ რეგულირებული უფლებამოსილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, თანამდებობის პირის საქმიანობა ინდივიდუალური, ადმინისტრაციული საქმეების (დავების) გადაწყვეტის თაობაზე, რაც უკავშირდება მოქალაქის ან არასახელმწიფო ორგანიზაციის სახელმწიფო ორგანოსთან (მის თანამდებობის პირთან) ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებს ამ ორგანოს მიერ საჯარო ხელისუფლების, როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების დროს; 2) კანონით რეგულირებული უფლებამოსილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, თანამდებობის პირის საქმიანობა ფიზიკური და იურიდიული პირების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ღონისძიების – ადმინისტრაციული დასჯის გამოყენების მხრივ.

ადმინისტრაციული იუსტიცია

სპეციალური სასამართლოს ან კვაზისასამართლო ორგანოების, ზოგადი იურისდიქციის. საარბიტრაჟო სასამართლოების კანონით რეგულირებული საქმიანობა, რომლის ძირითად ამოცანასაც წარმოადგენს ადმინისტრაციის (აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, მოქალაქეების ან ორგანიზაციების სარჩელებისა და საჩივრების განხილვისას, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევასთან დაკავშირებით. კანონმდებლობის მიერ დგინდება საჯარო ხელისუფლების სფეროში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავის განხილვის გარკვეული საპროცესო წესი.

ადმინისტრაციული იუსტიცია ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XIX ს-ში, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი ელემენტი, რომლის პრინციპების რიცხვში აღიარებული იყო მოქალაქეთა უფლებათა და თავისუფლებათა გარანტირებულობა საჯარო, უპირველეს ყოვლისა კი, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა არამართლზომიერი ქმედებებისგან კონკრეტული სოციალური, პოლიტიკური პირობებისა და სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით. ზოგიერთ სახელმწიფოში არსებობს დამოუკიდებელი, ზოგადი იურისდიქციის სასამართლოებზე არდამოკიდებული ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა, ზოგიერთში კი, ადმინისტრაციული სასამართლოები მოქმედებენ თავდაპირველი ინსტანციის სახით, რომელიც წყვეტს ადმინისტრაციულ დავას, რომლის გადაწყვეტილებებიც შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ზოგად იურისდიქციის სასამართლოში.

ადმინისტრაციული იძულება

– ფიზიკური და იურიდიული პირების (მოქალაქეებისა და ორგანიზაციების) სათანადო ქცევის იძულებითი უზრუნველყოფის მეთოდი აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში, საზოგადოების ცხოველქმედების კონკრეტულ დარგებში საყოველთაო ნორმებისა და წესების შესრულების მიზნით (გარემოს დაცვა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, სანიტარული, სახანძრო უსაფრთხოება და ა.შ). ადმინისტრაციული იძულება ხორციელდება კანონით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ ადმინისტრაციული წესით (არასასამართლო წესით) და ის, მიზნად ისახავს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ოპერატიულ რეაგირებას კანონიერების, ასევე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე.

ადმინისტრაციული სამართლის თეორიაში ადმინისტრაციული იძულების ზომები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: ადმინისტრაციულ-გამაფრთხილებელი; ადმინისტრაციულ-აღკვეთის; ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები. იძულებითი ხასიათის ადმინისტრაციულ-გამაფრთხილებელი ზომები ვამიყენება სახელმწიფო მართვის სფეროში შესაძლო სამართალდარღვევების თავიდან აცილების, პიროვნების,

საზოგადოების, სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის მაღე გამოვლინებების აღმოფხვრის მიზნით. როგორც წესი, ეს ზომები გამოიხატება ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებაში, ასევე გარკვეული შეზღუდვებისა და აკრძალვების ღონისძიებათა სახით სტიქიური უბედურებების, დიდი ავარიებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების პირობებში. ადმინისტრაციულ-გამაფრთხილებელ ზომებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი: პირადი შემოწმება და ნივთების, საგნების, სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება, მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება; გარკვეულ ტერიტორიაზე კარანტინის შემოღება (ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების დროს); ტრანსპორტისა და ქვეითად მავალთა მოძრაობის დროებითი შეწყვეტა; თანამშრომლების საევალდებულო სამედიცინო შემოწმება წარმოების ცალკეულ დარგებში (მაგალითად, ატომურ ენერგეტიკაში, ჯაჭრობაში, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებში, საბავშვო დაწესებულებებში და ა.შ.); სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთების დახურვა ფიზიკური პირების და ტვირთის გადაკვეთისთვის.

ადმინისტრაციულ-აღმკვეთი ზომები მიმართულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შეწყვეტისა და მათი მაღე შედეგების თავიდან აცილებაზე. მათ რიცხვს განეკუთვნება: მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შეწყვეტის მოთხოვნა (პოლიციას უფლება აქვს მოქალაქეს მოსთხოვოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და ისეთი მოქმედების შეწყვეტა, რომელიც ხელს უშლიან პოლიციელის უფლებამოსილებების განხორციელებას); უშუალო ფიზიკური ზემოქმედება (ხელების შეკვრა, ხელბორკილების დადება, ხელკეტების, გაზის ბარაბების გამოყენება), ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაც; იმ პირთა იძულებითი მკურნალობა, რომლებიც იტანჯებიან გადამდები და განსაკუთრებით საშიში დაავადებებით; გარკვეულ ორგანიზაციებში მუშაობისგან ინფექციური აგადმყოფების დროებითი ჩამოშორება; სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის აკრძალვა, რომელთა ტექნიკური მდგომარეობაც არ პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს; სამშენებლო სამუშაოების, დანადგარებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის აკრძალვა ცალკეულ საწარმოებში, თუ ეს საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; საკაჭრო საწარმოს დახურვა სანიტარული ნორმებისა და წესების უხეში დარღვევის შედეგად; სასურსათო და სამრეწველო საქონლის ამოღება და განადგურება, რომლის ხარისხიც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლეს და ა.შ. იძულებითი ხასიათის აღმკვეთ ზომებს, ასევე შეიძლება განეკუთვნოთ გარკვეული სახის საქმიანობაზე გაცემული ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება. ადმინისტრაციული იძულების დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები. იხ. ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ადმინისტრაციული კოდექსი

– საკანონმდებლო აქტი, რომელშიც ადმინისტრაციული სამართლის ნორმები დალაგებულია განსაზღვრული სისტემით – ამ დარგის საერთო პრინციპებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების მიხედვით. მასში თავმოყრილია ნორმები, რომლებიც ეხება ადმინისტრაციულ აქტებს, ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებებს, ადმინისტრაციულ ორგანოთა მოქმედებაზე საჩივრების შეტანასა და ა.შ. საფრანგეთში ადმინისტრაციული კოდექსი ეწოდება სახელმწიფო მმართველობის სფეროში სხვადასხვა დროს მიღებული ნორმატიული აქტების კრებულს, რომელიც შედგენილია კერძო გამომცემლობის მიერ. შედარებით ხშირია ადმინისტრაციული პროცესის ნორმების კოდიფიკაცია (მაგ., ავსტრიაში – 1925 წ. აშშ-ში – 1946 წ. და სხვა).

ადმინისტრაციული კოდექსი (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი)

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს; (2.03.2001 N 772).

ბ) დაინტერესებული მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გაელენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები; (24.06.2005.N 1801).

ე) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;

ვ) აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს;

ზ) ადმინისტრაციული ხელშეკრულება – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ

პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება; (24.06.2005 N 1801).

თ) განცხადება – უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა; (24.06.2005. N 1801).

ი) ადმინისტრაციული საჩივარი – დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას; (24.06.2005. N 1801).

კ) ადმინისტრაციული წარმოება – ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და ასრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. (24.06.2005. N 1801).

ლ) დისკრეციული უფლებამოსილება – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება;

მ) საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია; (2.03.2001 N 772).

ნ) საიდუმლო ინფორმაცია – საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. (2.03.2001. N 772).

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ ტერმინებს სხვა სამართლებრივი აქტით არ შეიძლება მიეცეს სხვა მნიშვნელობა.

ადმინისტრაციული კომისიები

ადმინისტრაციული იურისდიქციის კოლეგიალური ორგანოები, რომლებიც წარმოიქმნებიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქმეების განსახილველად. ადმინისტრაციული კომისიები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ ფიზიკურ პირთა (მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა) მიმართ საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმების საფუძველზე და შეიძლება გამოიყენონ ადმინისტრაციული ღონისძიება გაფრთხილებისა და ადმინისტრაციული ჯარიმის სახით. ადმინისტრაციული კომისიები განიხილავენ საქმეებს ღია სხდომებზე დაშრევების და სხვა მონაწილე პირთა (მოწმე, დაზარალებული და ა.შ.) გამოძახებით. ადმინისტრაციულ კომისიას უფლება აქვს განიხილოს საქმე მისი შემადგენლობის არანაკლებ ნახევრის შემადგენლობით. ადმინისტრაციული კომისიის დადგენილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით და მას ხელს აწერს სხდომაზე მყოფი კომისიის თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი. ადმინისტრაციული კომისიის მიერ მიღებული დადგენილება შეიძლება უშუალოდ გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში, ასევე გაპროტესტებულ იქნეს პროკურორის მიერ.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

ადმინისტრაციული და იურიდიული პირების იურიდიული პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი სახე, რაც დადგენილია საკანონმდებლო აქტებით ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების, ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, ბუნებრიები რესურსების, ყველა ფორმის საკუთრების, უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების წესის დაცვის მიზნით. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაზე. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისთვის სპეციფიკური რიგი ადმინისტრაციული დასჯა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული წესით ე.ი. სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე. ადგილი აქვს ადმინისტრაციული იურისდიქციის სუბიექტების სიმრავლეს: მოსამართლეებს, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს (მათი თანამდებობის პირებს), არასრულწლოვანთა საქმეებისა და მათი უფლებების დაცვის კომისიას. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განსხვავებით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ვრცელდება იურიდიულ პირებზე.

პირი, რომელმაც ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ექცევა პასუხისმგებლობის ქვეშ კონკრეტული სამართალდარღვევის ადგილას და დროს, მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის, პროცესუალური) საფუძველზე. კანონს, რომელიც ამსუბუქებს ან აუქმებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ან სხვა სახით აუმჯობესებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მდგომარეობას გაანჩია უკუძალა. კანონს, რომელიც ადგენს ან აძლიერებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას უკუძალა არ გააჩნია.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებმაც გადაცდომის ჩადენის მომენტისთვის მიაღწიეს 16 წლის ასაკს. არასრულწლოვანთა უფლებების გარანტიის მიზნით დადგენილია ზოგადი წესი: 16-დან 18 წლამდე ასაკის პირების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოიყენება სასჯელის სპეციფიკური, უფრო პუმანური ზომები მაგალითად, საჯაროდ ბოდიშის მოხდის ვალდებულება, საყვედურის გამოცხადება; ჯარიმა შეიძლება დაკისრებულ იქნეს, თუ მოზარდს აქვს საკუთარი ხელფასი. არასრულწლოვნების მიმართ აკრძალულია ადმინისტრაციული დაპატიმრების გამოყენება.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სპეციალურ

სუბიექტს წარმოადგენენ თანამდებობის პირები, რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ დარღვევებზე, რომლებიც უკავშირდებიან მოსახლეობის ჯანმრთელობის, ბუნების დაცვის დადგენილი და ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა წესების შეუსრულებლობას, რომელთა შესრულების უზრუნველყოფა შედის მათ სამსახურებრივ ვალდებულებებში.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სხვა სპეციალურ სუბიექტს წარმოადგენენ სამხედრო მოსამსახურეები. ზოგადი წესის თანახმად, ამ პირებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება დისციპლინარული წესით. გამონაკლისს შეადგენს პასუხისმგებლობა სამართალდარღვევებზე, რომლებიც უკავშირდებიან არჩევნებისა და რეფერენდუმების შესახებ კანონმდებლობის, მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის დარგში, საგზაო მოძრაობის წესების, სამსახურსგარეთ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების, ბუნებრივი გარემოს დაცვის, სახელმწიფო საზღვრის, სასაზღვრო რეჟიმის, სბაჟო და სხვა ზოგიერთი წესის დარღვევებს. აღნიშნულ დარღვევებზე სამხედრო მოსამსახურეებს ეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ზოგად საფუძვლებზე, თუმცა იზღუდება გარკვეული სახის სასჯელის, კერძოდ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. ანალოგიური დებულებები ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, სისხლის სამართლის – აღმასრულებელი სისტემის და სბაჟო ორგანოების თანამშრომლებს, რომელთა მსახურების წესი რეგულირდება შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით.

ადმინისტრაციული პროცედურა

1) სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს (უპირატესად, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ) კონკრეტული ინდივიდუალური საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის წესი, რომლებიც უკავშირდებიან შესაბამის ორგანოში მოქალაქეთა და ორგანიზაციათა (იურიდიული პირების) მიმართვას თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის მიზნით. ადმინისტრაციული პროცედურა რეგულირდება კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით; 2) უფრო ფართო გაგებით, ესაა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ მისთვის დადგენილი უფლებამოსილების განხორციელების წესი (იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტის გაფორმების, სამართლებრივი აქტის შემუშავების, განხილვისა და მიღების წესი; სახელმწიფო სამსახურში პირის მიღების, ატესტაციის გავლისა და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმების წესი; მოსამსახურეთა წახალისების, დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მსჯელების განხილვის წესი; საკონტროლო-საზედამხედველო საქმიანობის გაფორმების წესი და ა.შ.).

ადმინისტრაციული პროცესი – ად-

მინისტრაციული სამართლის ნორმებით დარეგულირებული სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების სამართალგამოყენებითი საქმიანობის წესი შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილებათა რეალიზაციის თაობაზე. ადმინისტრაციული პროცესი წარმოადგენს: ა) აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღების და ასევე ამ ორგანოების მიერ მოქალაქეთა დაორგანიზაციების მიმართვის განხილვის წესს თავიანთი კომპეტენციის სფეროში ე.ი. ადმინისტრაციულ პროცედურას; ბ) სასამართლოებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების შესახებ საქმეების განხილვის წესს ე.ი. ადმინისტრაციულ იურისდიქციას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში; გ) ერთის მხრივ, საჯარო ხელისუფლების ორგანოებსა და მეორეს მხრივ, მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს (იურიდიულ პირებს) შორის საჯარო-სამართლებრივ (ადმინისტრაციულ) დავებზე მართლმსაჯულების განხორციელების წესს ე.ი. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას ადმინისტრაციული იუსტიციის სფეროში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა – ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის სახე, რომელიც გამოიხატება განზრახ ან გაუფრთხილებელ ქმედებებში (უმოქმედობაში), რომელთა შედეგადაც ირღვევა კანონით ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით დადგენილი შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნები და ქცევის ნორმები მოქალაქეთა უფლებების დაცვის, პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობაში შედის შემდეგი ელემენტები: ა) სამართალდარღვევის ობიექტი (საზოგადოებრივი ურთიერთობები მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა, საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგის, გარემოს სფეროში და ა.შ.); ბ) ობიექტური მხარე ე.ი. პირის კონკრეტული მოქმედებები (უმოქმედობა), რომელიც გამოიხატება დადგენილი წესების დარღვევაში (თანამდებობის პირის მიერ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების მიუღებლობა, წერილმანი ხულიგნობა, სხვისი ქონების წერილმანი დატაცება და ა.შ.); გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტი – ფიზიკური პირი (მოქალაქე, რომელმაც მიაღწია კანონით განსაზღვრულ ასაკს, უცხოელი მოქალაქე, თანამდებობის პირი, სამხედრო მოსამსახურე, ინდივიდუალური მეწარმე); იურიდიული პირი – ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს მისი დებულებების, წესდების ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტის შედეგად; დ) სუბიექტური მხარე: ე) ფიზიკურ პირებთან მიმართებაში გაგებულია, როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილ სამართალდარღვევასთან მიმართებაში; ვ) იურიდიულ პირებთან მიმართებაში წარმოადგენს იურიდიული პირის კოლექტივის (თანამდებობის პირთა) განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებების რთულ შემადგენლობას, რომელმაც გამოიწვია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა იმ პირობებში, როცა ცხადი იყო ასეთი მოქმედებების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შემადგენლობის ელემენტების, განსაკუთრებით სამართალდარღვევის ობიექტის მიხედვით მრავალი საერთო ნიშნის მქონეა სისხლის სამართლის დანაშაულთან. ამ

ქმედებების გამოკვლევა შესაძლებელია საზოგადოებრივი საშიშროების არსებობისა თუ არარსებობის, მათი სიმძიმისა და მავნებლობის (ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშროება, დიდი ოდენობით დატაცება, გარემოს ბუნებრივი გარემოსთვის არსებითი ზიანის მიყენება და ა.შ.) ნიშნების მიხედვით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქმეების წარმოება – უფლებამოსილი სასამართლოების, ორგანოების, თანამდებობის პირების მიერ იურიდიული მოქმედებების განხორციელების კანონმდებლობით დადგენილი წესი და ფორმები, რომლებიც უკავშირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების შესახებ საქმეების განხილვას და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირების მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის ზომების გამოყენებას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქმეების წარმოებაში გამოიყოფა შემდეგი სტადიები, რომლებიც ერთიანებენ საპროცესო მოქმედებების განცალკევებულ ჯგუფებს: ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის აღძრა; ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვა და დადგენილების გამოტანა საქმის არსზე; გ) საქმის გადახედვა და მისი შედეგების მიხედვით გადაწყვეტილების გამოტანა; დ) საქმეზე დადგენილების აღსრულება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმეების წარმოების ამოცანებს წარმოადგენს: თითოეული საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული, ობიექტური და დროული გამოკვლევა; მისი გადაწყვეტა კანონის შესაბამისად; გამოტანილი დადგენილების შესრულების უზრუნველყოფა და ასევე იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი არ შეიძლება მოექცეს ადმინისტრაციული სასჯელისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომების ქვეშ კანონით დადგენილი წესისა და საფუძვლების გარეშე. ზემოთაღნიშნული სასჯელისა და წარმოების უზრუნველყოფის ზომების გამოყენება ამაზე უფლებამოსილი ორგანოსა და თანამდებობის პირის მიერ უნდა მოხდეს მათი კომპეტენციის ფარგლებში კანონის შესაბამისად. ადმინისტრაციული იძულების ზომების გამოყენებისას დაუშვებელია ადამიანის ღირსების შემლახავი გადაწყვეტილებები და მოქმედებები (უმოქმედობა).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საგნის ანაზღაურებადი ამოღება – ადმინისტრაციული სასჯელის სახეობა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ეს ზომა მდგომარეობს ადმინისტრაციული სამართადარღვევის საგნის ან მისი ჩადენის იარაღის იძულებით ამოღებასა და საგნის შემდგომ რეალიზაციაში ყოფილი მესაკუთრისათვის ამონაგები თანხის გადაცემით, ამოღებული საგნის რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. ზოგადი წესის მიხედვით, ანაზღაურებადი ამოღება გამოიყენება იარაღის, საბრძოლო მასალების, მარაგის, ნაღირობის ან თევზჭერის ნებადართული იარაღების მიმართ, რომელიც მესაკუთრის მფლობელობაშია კანონიერ საფუძვლებზე, ასეთი ობიექტების გამოყენების დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევებში (სროლა დასახლებულ პუნქტებში, ნაღირობა ან თევზჭერა აკრძალულ ტერიტორიაზე და ა.შ.).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმეზე დადგენილების შესრულება – ადმინისტრაციული იურისდიქციის ორგანოს მიერ დანიშნული ადმინისტრაციული სასჯელის რეალიზაცია ან საქმის გარემოებების შეწყვეტა კანონით გათვალისწინებული გარემოებების მიხედვით, არამართლზომიერად გადახდეინებული ჯარიმის ოდენობის დაბრუნება და ა.შ. შესაძლებელია გამოიყოს საქმეზე დადგენილების შესრულების 2 ეტაპი: ა) დადგენილების შესასრულებლად მიმართვა; ბ) დადგენილების შესრულება. დადგენილების შესასრულებლად მიმართვა ნიშნავს მოსამართლის, ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ, რომელმაც გამოიტანა დადგენილება მოქმედებების განხორციელებაზე დადგენილების გაგზავნის თაობაზე იმ ორგანოსთვის (უფლებამოსილი ორგანოსთვის), რომელშაც უნდა მოიყვანოს სისრულეში დადგენილება. დადგენილების სისრულეში მოყვანა ხორციელდება ამაზე უფლებამოსილი პირების მიერ, რომლებიც ვალდებულნი არიან უშუალოდ შეასრულონ დადგენილების მითითებები (დაწესებულების, საწარმოს ადმინისტრაცია, ბანკი ან საკრედიტო დაწესებულება, სააპარო ორგანო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვ.).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის გადახედვა – სასამართლოს ან ზემდგომი ორგანოს, ადმინისტრაციული იურისდიქციის თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის, დაზარალებულის საჩივარის, პროკურორის პროტესტის მიხედვით ან საუწყებო კონტროლის წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმეზე დადგენილების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება განხილვის შედეგების მიხედვით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების შესახებ საჩივრის ან პროტესტის განხილვის შედეგების მიხედვით შეიძლება გამოტანილ იქნეს ერთ-ერთი გადაწყვეტილება: ა) დადგენილების უცვლელად, ხოლო საჩივრის დაკმაყოფილების გარეშე დატოვების შესახებ; ბ) დადგენილების შეცვლის შესახებ, თუ არ უარესდება პასუხისგებაში მიცემული პირის მდგომარეობა; გ) დადგენილების გაუქმებისა და საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ გარემოებების არსებობისას, რომლებიც გამორიცხავენ საქმეზე წარმოებას; დ) დადგენილების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ, თუ არსებობს სპარაცესო ნორმების არსებითი დარღვევა; ე) დადგენილების გაუქმებისა და საქმის საქვეუწყებო განსახილველად გაგზავნის შესახებ, თუ დადგენილება მიღებულ იქნა არაუფლებამოსილი მოსამართლის, ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ.

ადმინისტრაციული სამართალი – 1) ევროპის ქვეყნებში შესაბამისი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტალური დარგი; საჯარო სამართლის დარგი, რომლის ნორმები არეგუ-

ლირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო მართვის სფეროში. ადმინისტრაციული სამართლის საგანს წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პროცესში ჩამოყალიბებული ურთიერთობები, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სისტემის ორგანიზაციასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციულ სამართალს უწოდებენ მმართველობითს, რამდენადაც ის არეგულირებს მრავალფეროვან ურთიერთობებს საჯარო ხელისუფლების განხორციელების სფეროში – სახელმწიფო ორგანოების აღმასრულებელ და გამკარგულებელ საქმიანობას.

ადმინისტრაციული სამართლის ნორმები მარეგულირებელ ზეგაელენას ახდენენ მრავალფეროვანი სუბიექტების: სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების, მათ შორის, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და რელიგიური ორგანიზაციების, შესაბამისი ორგანოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირების, სახელმწიფო მოსამსახურეების, მოქალაქეების საქმიანობაზე. ადმინისტრაციული სამართლის ნორმები ეხება ეკონომიკის, სოციალურ-კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროებს, რამდენადაც ყველა აღნიშნულ სფეროში ხორციელდება სახელმწიფო მართვის ორგანოების საქმიანობა ამა თუ იმ მიმართულებით, გარკვეული მეთოდებითა და ფორმებით. აღმასრულებელი ხელისუფლება ფუნქციონირებს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო.

ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკური შტრიხები ვლინდება საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების კონკრეტულ ფორმებსა და მეთოდებში. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ორგანო (თანამდებობის პირი), რომელსაც გააჩნია სახელმწიფო-სახელისუფლებო უფლებამოსილებები (საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილებები). ასეთი ურთიერთობების მხარეებს შორის დავები წყდება, როგორც ადმინისტრაციული (არასასამართლო), ასევე სასამართლო წესით. ადმინისტრაციული სასამართლოს სისტემაში შედის სამართლებრივი ინსტიტუტები, რომელთა ნორმებიც არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რაც დამახასიათებელია სახელმწიფო მართვის ყველა სფეროსა და დარგისთვის (მოქალაქეთა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსი, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანთა სისტემა, სტრუქტურა და უფლებამოსილებები, სახელმწიფო სამსახური, სახელმწიფო მართვის აქტები, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული იუსტიცია, ადმინისტრაციული პროცედურები). ამასთან ერთად, ადმინისტრაციული სამართალი მოიცავს სამართლებრივ ინსტიტუტებს, რომელთა ნორმებიც არეგულირებენ სამართლებრივ ურთიერთობებს ეკონომიკის, სოციალურ-კულტურული ცხოვრების, საზოგადოებრივი და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის, თავდაცვის, საგარეო ურთიერთობების, იუსტიციის სფეროში. ადმინისტრაციული სამართალი ეყრდნობა საკონსტიტუციო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს, რომლებიც ამოწმებენ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის, აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციისა და დაცვის სამართლებრივ ბაზას. ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის ნორმები ხშირად ურთიერთქმედებენ ქონებრივი, საკუთრების, სხვა სამოქალაქო ურთიერთობების რეგულირების პროცესში, როცა ერთობლივად მოქმედებენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის მითითებები (იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრაციის, ცალკეული სახის სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის წესები და სხვ.) და სამოქალაქო სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ქონებრივ ურთიერთობებს, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებებსა და ვალდებულებებს და ა.შ. სამართლის ისეთი დარგების ნორმებით რეგულირებული ურთიერთობები, როგორიცაა ფინანსური, მიწის, ეკოლოგიური ხშირად დაცულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და მეთოდების მეშვეობით. ადმინისტრაციული იძულების ღონისძიებების გამოყენების, მათ შორის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გზით. ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც არეგულირებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, მჭიდროდ ეხებიან სისხლის სამართალს, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულის შემადგენლობები ხშირად ემთხვევა მსგავსი ელემენტები (მაგალითად, წერილმანი ხულიგნობა და ხულიგნობა). როგორც წესი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დეკრიმინალიზაცია ხდება შესაბამის სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგენის გზით; 2) ადმინისტრაციული სამართლის, როგორც მეცნიერების საგანია: მოქმედი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებისა და მათი მარეგულირებელი საზოგადოებრივი ურთიერთობების შესწავლა, სისტემური, ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი; ამ ნორმების გამოყენების პრაქტიკის შესწავლა; სამართლებრივ-ადმინისტრაციული რეგულირების, მათ შორის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მექანიზმის სრულყოფის ვარაუდების შემუშავება აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში.

ადმინისტრაციული სამართალწარმოება – იურიდიული პირებისა და მათი გაერთიანებების კანონით დაცული ინტერესების, უფლებათა და თავისუფლებათა სასამართლო დაცვის წესი. აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების არამართლზომიერი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებებისგან (უმოქმედობისგან), მის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ადმინისტრაციული საქმეების სწორი და დროული განხილვა და გადაწყვეტა კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად.

საჩივრის განმცხადებელს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მიმართოს საჩივრით სასამართლოს საქმის განსჯადობის შესაბამისად იმ შემთხვევებში, როცა ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილებით ან მოქმედებით (უმოქმედობით): ა) დაირღვა განმცხადებლის უფლებები, თავისუფლებები და კანონით დაცული ინტერესები და/ან შეიქმნა მათი დარღვევის საფრთხე; ბ) შეიქმნა დაბრკოლებები განმცხადებლის მიერ მისი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების განსახორციელებლად; გ) არაა უზრუნველყოფილი აუცილებელი პირობები განმცხადე-

ბლის უფლება-თავისუფლებათა და კანონით დაცული ინტერესების რეალიზაციისთვის; დ) გამცხადებელს არაკანონიერად დაეკისრა რაიმე ვალდებულება.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოება არ შეიძლება განხორციელდეს, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარება უშუალოდ საკონსტიტუციო კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოში ან თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მოქმედება (უმოქმედობა) წარმოადგენს სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სამართალწარმოების საგანს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპები გამომდინარეობს კონსტიტუციის ნორმებიდან და ასახავს ნებისმიერი სახის სამართალწარმოებისადმი წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს: მოსამართლეთა დამოუკიდებლობას; ყველას თანასწორობას კანონისა და სასამართლოს წინაშე; მართლმსაჯულების განხორციელებას მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე; სასამართლო განხილვის საჯაროობას; სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულობას; საქმეში მონაწილე პირის უფლება, რომელიც არ ფლობს სამართალწარმოების ენას, ისარგებლოს მშობლიური ენით ან ურთიერთობისთვის თავისუფლად არჩეული ენით.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დამოკიდებულება – ადმინისტრაციული სამართლის ნორმით დარეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი საქმიანობის სფეროში, უპირატესად აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების და ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აღმასრულებელი საქმიანობის სფეროში, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ხელისუფლების ფუნქციებს. სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებისგან განსხვავებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დამოკიდებულებაში ერთ-ერთ მხარეს ყოველთვის წარმოადგენს ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო-სახელისუფლებო უფლებამოსილებებს მეორე მხარესთან მიმართებაში. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დამოკიდებულებებს წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო მოსამსახურეები, საკუთრების სხვადასხვა ფორმის კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები, მათ შორის, საზოგადოებრივი გაერთიანებები და რელიგიური ორგანიზაციები, თანამდებობის პირები, მოქალაქეები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დამოკიდებულებები ჩნდება, ეითარდება და წყდება:

ა) მოქალაქეების მიერ მათი კონსტიტუციური უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაციისას აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ე.ი. საჯარო ხელისუფლების სფეროში; ბ) საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ სახელმწიფო მმართველობის სფეროში კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციებისა და კომპეტენციის რეალიზაციის დროს; გ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა, კანონით დაცული ორგანიზაციების ინტერესების დარღვევასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული დავების წარმოქმნისას; დ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევის დროს, რასაც მოსდევს ადმინისტრაციული იძულების ზომების გამოყენება, მათ შორის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომებისაც.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დამოკიდებულების მხარეებს წარმოადგენს სუბიექტები (პირები), რომელთაც გააჩნიათ ადმინისტრაციული სამართალუნარიანობა და ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დამოკიდებულებისთვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს კონკრეტულ სამართალდამოკიდებულებაში წარმოქმნილი დავის ადმინისტრაციული (არასასამართლო) და სასამართლო წესით გადაჭრის შესაძლებლობა.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმა – სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესი სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) სახით საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების მიზნით, სახელმწიფო მმართველობის სფეროში, რაც უკავშირდება აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ მათი საჯარო-სახელისუფლებო უფლებამოსილებების რეალიზებას და მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, ასევე ითვალისწინებს მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებისა და ვალდებულების განხორციელებას აღნიშნულ სფეროში. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმის დარღვევას მოსდევს იურიდიული პასუხისმგებლობა და წარმოადგენს საფუძველს ადმინისტრაციული იძულების ზომების გამოყენებისათვის ან სასამართლო განხილვის საგანს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმა შინაარსის მიხედვით წარმოადგენს მატერიალურს, მათ შორის, ორგანოებისა და მოქალაქეების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის დამდგენი და საპროცესო ნორმები – არეგულირებენ მართვის აქტების მიღების პროცედურას, კონკრეტული ინდივიდუალური საქმეების გადაწყვეტის წესს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოებას და ა.შ.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტრუქტურა არის ნებისმიერი სამართლებრივი ნორმის სტრუქტურის ანალოგიური (ჰიპოთეზა, დისპოზიცია, სანქცია). ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად ნორმის სანქცია მდგომარეობს სხვა კანონში ან ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში, ხოლო ჰიპოთეზა შეიძლება გამოიყოს მხოლოდ ლოგიკური ანალიზის გზით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო მართვის ცალკეულ სფეროებსა და დარგებში ერთიანდებიან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ინსტიტუტებში (სახელმწიფო სამსახური, მოქალაქეთა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული პროცესი, სახელმწიფო რეგულირება და მართვა ეკონომიკის სფეროში და ა.შ.).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსი – მოქალაქის, ორგანოს, იურიდიული პირის ზოგადი სამართლებრივი სტატუსის ნაწილი, რომელიც განისაზღვრება კონსტიტუციით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ მოქალაქეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ასევე

კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების უფლებებს, ვალდებულებებსა და საქმიანობის წესს სახელმწიფო მართვის სფეროში. მოქალაქის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსი ხასიათდება მისი ადმინისტრაციული სამართალუზარანობითა და ადმინისტრაციული ქმედუნარიანობით. მოქალაქეთა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის მოცულობა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების (სამხედრო მოსამსახურეები და მათთან გათანაბრებულები, იძულებით გადაადგილებულნი, ინვალიდები, უპატრონო ბავშვები და ა.შ.) მდგომარეობის სპეციფიკის მიხედვით, თუმცა ყველა მოქალაქეს გააჩნია თანაბარი უფლება მათ უფლებათა, თავისუფლებათა და კანონით დაცული ინტერესების ადმინისტრაციულ და სასამართლო დაცვაზე.

სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსი დამოკიდებულია მათი შექმნის მიზნებზე, ფუნქციებსა და ამოცანებზე, რომლებიც განმტკიცებულია კანონით ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტით. სახელმწიფო ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს მისი საორგანიზაციო სტრუქტურა, საქმიანობის წესი, კომპეტენცია, პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული სანქცია – ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, რომელიც გამოიყენება ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე. ადმინისტრაციული სანქციები დიფერენცირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კონკრეტულ შემადგენლობებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული სასჯელის სახეები განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კოდექსით.

სახელმწიფო ზემოქმედების ზომების სახის მიხედვით სანქციები იყოფა საჯარიმოდ (დამსჯელი) და სამართალაღდგენითად. დამსჯელი სანქციების არსი მდგომარეობს სამართალდამრღვევისთვის გარკვეული კეთილდღეობის ჩამორთმევაში, მის დასჯაში თავისუფლების აღკვეთის, გაძევების, იძულებით სამუშაოების შესრულების მისჯის გზით და ა.შ. დამახასიათებელი სანქციები ვლინდება ასევე დამშავე პირზე განსაკუთრებული ვალდებულებების დაკისრებაში, მაგალითად, საურავის, ჯარიმის გადახდის სახით.

სამართალაღდგენითი სანქციების არსი მდგომარეობს დარღვეული უფლების აღდგენაში, შეუსრულებელი ვალდებულების შესრულების იძულებაში, ან პირსა თუ ორგანიზაციაზე უკანონოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებაში.

სანქციები ასევე განსხვავდება გარკვეულობის ხარისხით. ამ ნიშნით ისინი იყოფა აბსოლუტურ-გარკვეულად, ფარდობით-გარკვეულად, ალტერნატიულად და რთულად (კუმულაციური). აბსოლუტურ-გარკვეული სანქციები გამოირჩევა სახელმწიფო ზემოქმედების ფიქსირებული, მკაცრად განსაზღვრული ზომით (მაგალითად, ჯარიმა გარკვეული ოდენობით). ფარდობით-გარკვეული სანქციები გამოიყოფა ამ ზომების დაშვებადობის საზღვრებზე მითითებით.

ალტერნატიული სანქციები ხასიათდება იმით, რომ ის, სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს შესაძლებლობას აძლევს სამართალგამოყენებითი საქმიანობის პროცესში არჩეულ იქნეს კანონში მითითებული იძულების ერთ-ერთი ზომა; თითოეულ შემთხვევაში ამა თუ იმ ზომის არჩევა განპირობებულია მოცემულ საქმესთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებით. რთული (კუმულაციური) სანქციები გამოირჩევა იმით, რომ უშვებენ ერთსა და იმავე მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე სახელმწიფო ზემოქმედების რამდენიმე ზომის (ძირითადი და დამატებითი) ერთდროული გამოყენების შესაძლებლობას.

ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი – საკანონმდებლო აქტი, რომელიც შეიცავს ადმინისტრაციულ-საპროცესო ნორმებს, რომლებიც სისტემატიზირებულ და კოდიფიცირებულნი არიან მკაცრად განსაზღვრული საპროცესო წესით გამოსაყენებელი მატერიალურ-ადმინისტრაციული ნორმების თავისებურებების მიმართ და ასევე საქმეთა განხილვის პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი სტატუსის მიხედვით. პოლონეთის ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი დეტალურად ახდენს ადმინისტრაციის ორგანოების მიერ მოქალაქეთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების მიღების წესის, მათ შორის, ასეთი აქტების გასაჩივრების წესის რეგლამენტირებას.

აშშ-ში მოქმედებს კოდიფიცირებული კანონი ზოგადი ადმინისტრაციული პროცედურის შესახებ, რომელშიც არის ადმინისტრაციული საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის მარეგულირებელი წესი, დებულებები, ადმინისტრაციული ნორმათშემოქმედებისა და შესაბამისი დაწესებულებების კვაზისასამართლო საქმიანობის წესი. აშშ-ში მრავალ შტატს გააჩნია თავისი კანონები ადმინისტრაციული პროცედურის შესახებ. გერმანიაში მოქმედებს კანონი ადმინისტრაციული პროცედურის შესახებ, რომელიც ახდენს ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების გამოცემის რეგლამენტირებას. ამ კანონის თანახმად „ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს განკარგულება, გადაწყვეტილება ან სხვა ცალმხრივ-სახელისუფლებო მოქმედება, რომელთაც ახორციელებენ კომპეტენტური დაწესებულებები ინდივიდუალური დამოკიდებულებების რეგულირების მიზნით საჯარო სამართლის სფეროში და რომლებიც მიმართულნი არიან გარეთ". კანონი ასევე განსაზღვრავს გამოცემული აქტების გამოქვეყნებისა და მათი მოქმედების უზრუნველყოფის ხერხებს, მათი ნამდვილობის პირობებს, ადმინისტრაციული წარმოების შეცდომების გამოსწორების ხერხებს, დაშვებული შეცდომებით ადმინისტრაციული აქტის ამოღებისა და გასწორებული აქტის ამოქმედების წესს.

ადმინისტრაციული სასჯელი – ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა, სანქცია, რომელიც გამოიყენება საზოგადოების ცხოველქმედების კონკრეტულ სფეროში ყველასთვის სავალდებულო წესების (მიწათსარგებლობის, ნაგირობის, თევზჭერის, ბუნებრივი რესურსების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო, ვეტერინარული, სპაპო, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის, შრომის, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, საწარმოო ობიექტების ექსპლუატაციის წესები და ა.შ.) დარღვევაზე. ადმინისტრაციული სასჯელის, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირების ადმინ-

ისტრაციული პასუხისმგებლობის კონკრეტული სახის გამოყენებისთვის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა – მართლსაწინააღმდეგო, დანაშაულებრივი (განზრახ ან გაუფრთხილებელი) ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომებით დაცულ წესებსა და ნორმებს. ადმინისტრაციული დასჯის სახით შეიძლება დადგინდეს: გაფრთხილება, ადმინისტრაციული ჯარიმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საგნის ან ჩაღენის იარაღის ნაცვალგებითი ამოღება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საგნის ან ჩადენის იარაღის კონფისკაცია; ფიზიკური პირისთვის მინიჭებული სპეციალური უფლების ჩამორთმევა; ადმინისტრაციული დაპატიმრება; უცხოელი მოქალაქის ან მოქალაქის მოქალაქეობის გარეშე საზღვრებს გარეთ ადმინისტრაციული გაძევება; დისკვალიფიკაცია. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საგნების ან ჩადენის იარაღების ნაცვალგებითი ამოღება და კონფისკაცია, ადმინისტრაციული გაძევება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახითაც; სხვა სახის ადმინისტრაციული სასჯელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ძირითადის სახით.

კანონმდებელმა, განსაზღვრა რა ადმინისტრაციული სასჯელის მისჯის ზოგადი წესები, დაადგინა შემდეგი ძირითადი მოთხოვნები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მოსამართლეებმა, ორგანოებმა, თანამდებობის პირებმა, რომლებიც ახორციელებენ ადმინისტრაციულ იურისდიქციას: ა) სასჯელის მისჯა ხდება კანონით დადგენილ ფარგლებში; ბ) სასჯელის მისჯა უნდა მოხდეს კანონის ნორმების შესაბამისად; გ) ფიზიკური პირისთვის სასჯელის მისჯისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამნაშავის პიროვნება, მისი ქონებრივი მდგომარეობა, გარემოებები, რომლებიც ამძიმებენ ან ამსუბუქებენ პასუხისმგებლობას. იურიდიული პირისთვის სასჯელის მისჯისას უნდა იქნეს გათვალისწინებული მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახე, მისი ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა, გარემოებები, რომლებიც ამძიმებენ ან ამსუბუქებენ პასუხისმგებლობას. მოსამართლეების, ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება ხდება მათი კომპეტენციის ფარგლებში, კანონის ზუსტ შესაბამისობაში, რომელიც მოქმედებს ადმინისტრაციული გადაცდომის ადგილას და დროს. ადმინისტრაციული სასჯელი მიზნად არ უნდა ისახავდეს იმ ფიზიკური პირის ადამიანური ღირსებების შელახვას, რომელმაც ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ან მისთვის ფიზიკური ტანჯვის მიყენებას, ასევე იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციისთვის ზიანის მიყენებას. არავინ არ იღებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ორჯერ ერთსა და იმავე სამართალდარღვევაზე. ერთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი ძირითადი ან ერთი ძირითადი და ერთი დამატებითი სასჯელი.

მოქალაქეთა უფლებების გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით შემოღებულია გარკვეული შეზღუდვები სასჯელის კონკრეტული სახეების დადგენისას და მათი გამოყენებისას. სპეციალური უფლების ჩამორთმევა, ადმინისტრაციული დაპატიმრება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ან საგნის კონფისკაცია, ამოღება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ადმინისტრაციული სასჯელის დაკისრების შესახებ დადგენილების შესრულების ვადები – ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსით დადგენილი ვადები.

ადმინისტრაციული სასჯელის დაკისრების შესახებ დადგენილება ძალაში შედის: ა) მისი გასაჩივრებისა თუ გაპროტესტებისთვის დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ ასეთი ქმედებები არ იქნა განხორციელებული; ბ) საჩივრის, პროტესტის მიხედვით გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ ის არ იქნა გასაჩივრებული, ან გაპროტესტებული იმ შემთხვევების გარდა, თუ გადაწყვეტილებით უქმდება გამოტანილი დადგენილება; გ) საჩივრის, პროტესტის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, თუ ასეთი გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას იმ შემთხვევების გარდა, თუ გადაწყვეტილებით უქმდება გამოტანილი დადგენილება. სასჯელის დაკისრების შესახებ დადგენილება კანონიერ ძალაში შესულის მომენტიდან სავალდებულო შესრულებას ექვემდებარება სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების, იურიდიული პირების მიერ. თუ დადგენილება არ იქნა გასაჩივრებული ან გაპროტესტებული დადგენილ ვადებში, ის იგზავნება ორგანოში, თანამდებობის პირთან, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს ის, კანონიერ ძალაში შესელის დღიდან 3 დღის განმავლობაში.

ადმინისტრაციულ სასჯელთა კონკრეტული სახეების შესრულების წესი და ვადები დადგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კოდექსით. საკითხები დადგენილების შესრულების გადავადების, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ განიხილება დადგენილების გამომტანი მოსამართლის, ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ. ადმინისტრაციული სასჯელის დანიშვნის შესახებ დადგენილება არ ექვემდებარება შესრულებას, თუ ის სისრულეში არ იქნა მოყვანილი კანონიერ ძალაში შესელიდან კანონით განსაზღვრული ვადის განმავლობაში. ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა წყდება, თუ პირი თავს არიდებს დანიშნული სასჯელის შესრულებას. სპეციალური უფლების ჩამორთმევის ვადის მიმდინარეობა იწყება შესაბამისი დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, პირის მიერ შესაბამისი მოწმობის (სპეციალური ნებართვის) ან სხვა დოკუმენტების ჩაბარების ან ჩამორთმევის დღიდან. ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ მოსამართლის დადგენილება სრულდება ასეთი დადგენილების გამოტანისთანავე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ. ადმინისტრაციული დაკავების ვადა ითვლება ადმინისტრაციული დაპატიმრების ვადად.

ადმინისტრაციულ–საპროცესო სამართალი ისეთ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო მმართველობასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობას. აღმინ-

ისტრაციული საპროცესო სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგია. მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს ადმინისტრაციული სამართლის ნორმების, აგრეთვე სამოქალაქო, შრომის, საფინანსო, მიწის და საოჯახო სამართლის და სხვა სამართლის ნორმების განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო მმართველობასთან და საჭიროებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საპროცესო მოქმედებას. ადმინისტრაციული სარჩელის სამართალი ადგენს პროცესის ზოგად პრინციპებს, მმართველ ორგანოებში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების შეღებისა და განხილვის წესს, ადმინისტრაციული სამართლებრივი დავის გადაწყვეტის წესს, განსაზღვრავს ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს.

ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებით დადგენილი და სახელმწიფოს მიერ დაცული მოქალაქის, ორგანიზაციის (იურიდიული პირის) შესაძლებლობა შევიდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში, მოიპოვოს შესაბამისი უფლებები და ასრულოს ვალდებულებები. ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა, როგორც ზოგადი უფლებაუნარიანობის სახე ჩნდება მოქალაქის დაბადებისთანავე და წყდება მისი სიკვდილისთანავე. ორგანიზაციის ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა ჩნდება მისი დაფუძნების მომენტიდან (იურიდიული პირისთვის – მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან) დადგენილი საკანონმდებლო წესით და წყდება ლიკვიდაციის მომენტისთანავე.

ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა იცვლება კონკრეტული ფიზიკური ან იურიდიული პირის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით. მოქალაქის ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა დამოკიდებულია ასაკზე, განათლების დონეზე, პროფესიულ საქმიანობასა და რიგ სხვა ფაქტორებზე; ის არ შეიძლება გასხვისებულ იქნეს ან გადაიცეს. ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობის მოცულობა შეიძლება შეიცვალოს კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით ადამიანისა და მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებათა პრიორიტეტის კონსტიტუციური პრინციპების, სქესის, რასის, ენის, წარმომავლობის, ეროვნულობის, ქონებრივი მდგომარეობის, რელიგიისადმი დამოკიდებულების და სხვა გარემოებების მიუხედავად უფლებათა და თავისუფლებათა თანასწორობის პრინციპების დაცვის პირობების დროს.

ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა წარმოადგენს მოქალაქეთა ადმინისტრაციული ქმედუნარიანობის საფუძველს, ხოლო ორგანიზაციებისთვის ის ემთხვევა მათ ადმინისტრაციულ ქმედუნარიანობას. მოქალაქეები და ორგანიზაციები შედიან მრავალფეროვან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელთაგან ერთ-ერთ მხარეს ყოველთვის წარმოადგენს საჯარო ადმინისტრაციის ორგანო. ასეთ ურთიერთობებში მხარეებს შორის დავა წყდება, როგორც სასამართლო, ასევე ადმინისტრაციული წესით.

ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა – ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით გათვალისწინებული ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული სამართლის ინდივიდუალური ან კოლექტიური სუბიექტის უნარი საკუთარი ქმედებებით მოიპოვოს და განახორციელოს შესაბამისი უფლებები და ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აიღოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე. ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა, ისევე როგორც სამოქალაქო ქმედუნარიანობა დგება მოქალაქისთვის სრული მოცულობით 18 წლის ასაკიდან. თუ მოქალაქე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ, ასეთი შეზღუდვა ვრცელდება ადმინისტრაციულ ქმედუნარიანობაზეც.

სახელმწიფო ან არასახელმწიფო ორგანიზაციის ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა ჩნდება მისი დაფუძნების დროიდან, მასზე შესაბამისი დებულების ან წესდების დამტკიცების, ხოლო იურიდიული პირებისთვის მათი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან. იურიდიული პირები ადმინისტრაციულ ქმედუნარიანობას ახორციელებენ თავიანთი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც მოქმედებენ საკანონმდებლო და დამფუძნებელი დოკუმენტების შესაბამისად.

ადმინისტრაციული შეთანხმება – ადმინისტრაციული სამართლის სუბიექტების ურთიერთქმედებისა და ურთიერთდამოკიდებულებების სამართლებრივი ფორმა საჯარო ხასიათის მმართველობით ფუნქციების რეალიზაციის თაობაზე. როგორც წესი, ადმინისტრაციული შეთანხმება ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შორის. სამოქალაქო-სამართლებრივი შეთანხმებისგან განსხვავებით ადმინისტრაციულ შეთანხმებაში მხარეებს წარმოადგენს საჯარო-სახელისუფლებო უფლებამოსილებების განმხორციელებელი ორგანოები.

ადრე გადახდილი გადასახადის (გადასახადის ნაწილის) დაბრუნება – გადასახადის გადახდისგან განთავისუფლების ნაირსახეობა, რომელსაც ასევე ეწოდება საგადასახადო ამნისტია (ტერმინი „საგადასახადო ამნისტია“ ასევე გამოიყენება გადასახადის გადამხდელის ფინანსური სანქციებისგან განთავისუფლებასთან დაკავშირებით).

ადრე გადახდილი გადასახადის ჩათვლა – გადასახადის გადახდისგან განთავისუფლების ნაირსახეობა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ორმაგი გადასახადით დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით (კრედიტი უცხოური გადასახადებისთვის). ჩათვლით თანხის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მოგებაზე გადასახადის ოდენობას, რომელიც ექვემდებარება გადახდას საზღვარგარეთ მიღებულ მოგებაზე.

ავადმყოფისთვის დახმარების გაუწევლობა – საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც გამოხატულია სამედიცინო დახმარების არაკეთილსინდისიერ ან არადროულ გაწევაში, ისევე, როგორც მათი შესრულებისგან თავის არიდება იმ პირის მიერ საპატიო მიზეზების გარეშე, რომელიც ვალდებულია ეს შეასრულოს კანონის ან სპეციალური წესის შესაბამისად, თუ ამან გამოიწვია გაუფრთხილებლობით ავადმყოფის ჯანმრთელობისთვის საშუალო სიმძიმის მიყენება.

ავადმყოფობის ფურცელი – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს თანამშრომლის დროებით შრომისუუნარობას. ზოგიერთ შემთხვევაში (შეებულებას ავადმყოფის მოვლისთვის, კარანტინის გამო, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისთვის მიცემისას) ავადმყოფობის ფურცელი ეძლევათ შრომისუნარიან მუშაკებსაც. შემწეობები დროებითი უმუშევრობის, ორსულობისა და მშობიარობის თაობაზე ინიშნება მხოლოდ ავადმყოფობის ფურცლის წარდგენისას.

ავალი – სამოქალაქო სამართალში ჩეკით ან თამასუქით გადახდის უზრუნველყოფის საშუალება. გადახდის გარანტია შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. ავალი შეიძლება მიცემულ იქნეს ნებისმიერი მესამე პირის მიერ თამასუქით, ან ჩეკით ნებისმიერ პასუხისმგებელ პირზე (თამასუქის მიმცემზე ან ჩეკის მიმცემზე), თამასუქით გადამხდელზე ან ინდოსანტზე). ავალისტზე, რომელმაც გადაიხადა ჩეკი ან თამასუქი გადალის ჩეკიდან ან თამასუქიდან გამომდინარე უფლებები იმის წინააღმდეგ, ვისზეც მან გარანტია გასცა და ასევე იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ვალდებულნი არიან ამ უკანასკნელის წინაშე. ავალი უნდა ჩაისვას ჩეკის ან თამასუქის პირის მხარეზე ან დამატებით ფურცელზე (ალონჟი). ის გამოიხატება სიტყვებით „ჩათვალოს ავალად" და მოიცავს მითითებას, თუ ვის მიერ და ვისთვისაა ის გაცემული. მითითების არარსებობისას, თუ ვისთვისაა ავალი მიცემული ითვლება, რომ ის, მიცემულია ჩეკის მიმცემზე ან თამასუქის მიმცემზე. როგორც ძირითად მოვალეებზე. თაედებობას ხელი ეწერება საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული პირისთვის – მისი ადგილსამყოფელის) და ხელმოწერის თარიღის მითითებით. თაედების ვალდებულება ითელება ძალის მქონედ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის მიერ გარანტირებული ვალდებულება იქნება ძალადაკარგული რაიმე საფუძვლით, ვიდრე ესაა ფორმის დაუცველობა. ავალისტის პასუხისმგებლობა ატარებს სოლიდარულ ხასიათს იმ პირთან, ვისი თაედებობაც მან მიიღო.

ავანსი – გადახდა ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც წინ უსწრებს საქონლის, სამუშაოს, მომსახურების მიწოდებას. როგორც წესი, ავანსით ნაწილობრივ ხდება სახელშეკრულებო ფასის ნაწილი, მაგრამ შესაძლებელია წინასწარი სრული გადახდაც. ავანსი, წინასწარი გადახდა, ისევე როგორც გადახდის ვადის გაგრძელება (ნაწილ-ნაწილ გადახდა) წარმოადგენს კომერციული კრედიტის ნაირსახეობას, რომელიც გაცემულია ერთი მხარის მიერ მეორესთვის.

საკრედიტო რეფორმის ჩატარებისას 1930 წელს სსრკ-ში ავანსი ნებადართული იყო, როგორც ერთი ორგანიზაციის მიერ მეორესთვის კრედიტის გაცემა.

სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგებით, რომელიც წარმოიქმნება მხარეებისთვის, ავანსი უნდა განვასხვაოთ ბეს მიცემის პირობისგან. ავანსისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი გამოდის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად. ბეს მომთხოვნი მხარის მიზანი მდგომარეობს არა კომერციული კრედიტის მიღებაში, არამედ კონტრაგენტის დამატებით დაინტერესებულობის შექმნაში შეასრულოს ვალდებულებები, მიიღოს გარანტირებული გასაღება. ამიტომ, როგორც წესი, ბე უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, ხოლო ავანსი ბრუნდება უკან, თუ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ის გადახდილია, არ შესრულდა. გადასახადით დაბეგრის მიზნებისთვის ავანსი (წინასწარ გადახდა), ისევე როგორც ბე, შედის საგადასახადო ბაზაში, როგორც მიწოდებული საქონელი (სამუშაოები, მომსახურებები) ავანსის თანხაზე. მაგალითად, ავანსის მიღება მოიცავს საქონლის გამყიდველის ვალდებულებას გადაიხადოს ბიუჯეტში გადასახადი დამატებით ღირებულებაზე ავანსის თანხიდან. თუ საქონელი არაა მიწოდებული და მხარეები უარს იტყვიან გარიგებაზე ავანსი დაუბრუნდება მყიდველს, ხოლო ზედმეტად გადახდილი გადასახადი ექვემდებარება ბიუჯეტიდან დაბრუნებას.

ავანტიურა [ფრ. aventure თავგადასავალი] 1) თავგადასავალი; 2) სარისკო წამოწყება; წამოწყება, რომელიც შეუძლებლად გვეჩვენება და შემთხვევით წარმატებაზეა დამოკიდებული; საქმე, წამოწყებული რეალური შესაძლებლობებისა და პირობების გაუთვალისწინებლად.

ავარია – (შემთხვევა-ფაქტები „საშიში საწარმოო ობიექტების სამრეწველო უსაფრთხოების შესახებ" მიზნების მიმართ) – საშიშ საწარმოო ობიექტზე გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობებისა და/ან ნაგებობების დანგრევა, არაკონტროლირებადი აფეთქება და/ან საშიში ნივთიერებების გამოყოფა.

ავარია (კერძო ავარია) – საზღვაო გადაზიდვაში ზარალი, რომელიც მიადგა საზღვაო საქმიანობის მონაწილეებს, რომლებიც არ ექცევიან საერთო ავარიის ნიშნების ქვეშ. ამგვარი ზარალი არ ექვემდებარება განაწილებას გადაზიდვის მონაწილეებს შორის და მას იღებს ის, ვინც ის მიიღო ან ის, ვინც პასუხისმგებელია მათ მიყენებაზე. გარდა ამისა, კერძო ავარიას განეკუთვნება: ბორტიდან გადაყარდნილი ტვირთის ღირებულება, რომელიც ხომალდით გადაქონდათ სავაჭრო ზღვაოსნობის წესების დარღვევით; ხომალდზე კეპლის ან გახურების ზემოქმედების შედეგად გაჩენილი ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებით მიყენებული ზარალი; ზარალი ან დანაკარგები, რომელიც მიიღო ხომალდმა ან ტვირთმა რეისის ხანგრძლივიობის გაზრდის შედეგად და ა.შ. იხ. ასევე ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება.

ავარია (საერთო ავარია) – საზღვაო გადაზიდვაში ზარალი, რომელიც მიყენებულ იქნა განზრახ და გონივრულად გაწეული განსაკუთრებული ხარჯის ან შემოწირულობების შედეგად, საერთო საზღვაო წამოწყებაში მონაწილე ქონების – ხომალდის და ფრახტის მიერ გადასატანი ტვირთის საშიშროებისგან დაცვის მიზნით. საერთო ავარია ნაწილდება გადაზიდვის ყველა მონაწილეს შორის ხომალდის, ტვირთისა და ფრახტის ღირებულების თანაბარზომიერად საერთო საზღვაო წამოწყების დროს და მისი დასრულებისას. ზარალის ანაზღაურების უფლება საერთო ავარიის განაწილების წესის მიხედვით ნარჩუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ საშიშროება, რომელმაც გამოიწვია ზედმეტი ხარჯები ან შეწირულობა, წარმოიქმნა ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ. თუმცა, ასეთი განაწილება საერთო ავარიის მონაწილეებს არ ართმევს პასუხისმგებელი პირისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლე-

ბას. საერთო ავარიას განეკუთვნება შემდეგი ხარჯები: უბედური შემთხვევის შედეგად პორტში ხომალდის შესვლის; ხომალდის ბორტზე გადაადგილების; ტვირთის, საწვავის ან მომარაგების საგნების გადმოტვირთვის ან უკუდატვირთვის; ხომალდის დროებითი რემონტის, ხომალდის ეკიპაჟის ხელფასისა და მომარაგების, რაც გამოწვეულია ხომალდის შეფერხებით პორტში უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული დაზიანებების აღმოსაფხვრელად; ხომალდის ბორტიდან ტვირთის გადავარდნით მიყენებული ზარალის; ხომალდის ან ტვირთისთვის მიყენებული ზარალის ხარჯები ხომალდზე ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებით და მათ შორის ამ მიზნით ნაპირზე ხომალდის გამორიყვის ან ალმოკიდებული ხომალდის ჩაბორეისგან მიყენებული ზარალის ხარჯები. იხ. ასევე, კერძო ავარია, ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება.

ავთენიკური განმარტება სასამართლოს ნორმის განმარტება იმ სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელმაც მიიღო ეს ნორმა. ასეთი განმარტება არის ოფიციალური და სავალდებულო ყველასათვის, ვინც ამ ნორმას იყენებს.

ავიზო – შეტყობინება ურთიერთანგარიშსწორების მდგომარეობაში ცვლილებების შესახებ, რომელიც როგორც წესი, გამოიყენება ბანკებს შორის. მაგალითად, უნაღდო ანგარიშსწორების ბანკი-გადამხდელი ავიზოს უგზავნის ბანკ-მიმღებს (დოკუმენტის ფიზიკური გადაცემის გზით ან კავშირის ელექტრონული სისტემის მეშვეობით), ატყობინებს რა მას იმის შესახებ, რომ ბანკ-მიმღების ანგარიშზე ბანკ-გადამხდელში გადარიცხულია ფულადი სახსრები. შესაბამისად, ბანკი-მიმღები იღებს შესაძლებლობას დებეტში შეიტანოს ბანკ-გადამხდელის მასთან გახსნილი ანგარიში იმავე თანხაზე, გადაურიცხავს რა სახსრებს კლიენტს.

რამდენადაც საწარმო-კლიენტების უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში ავიზოები ასრულებენ, არა მხოლოდ შეტყობინებების, არამედ რომ ბანკი-მიმღებისადმი დავალების ფუნქციების გადახდა აწარმოონ კლიენტის სასარგებლოდ, არსებობს ფიქტიური (ყალბი) ავიზოებით სახსრების მიღების რისკი, რომელიც თითოს იგზავნება ბანკი-გადამხდელისგან. მოცემული რისკის მინიმალიზაცია ხორციელდება ბანკთაშორისი ელექტრონული შეტყობინებების კოდირებული გადაცემის სპეციალური სისტემების გამოყენებით.

დსთ წევრი-ქვეყნების სამეურნეო ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების გაუმჯობესების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ შეთანხმებით (ტაშკენტი.. 15.05.1992 წ.) გათვალისწინებულია წესი იმის შესახებ, რომ რუბლის ზონაში შემავალი სახელმწიფოების ცენტრალური (ეროვნული) ბანკები აწარმოებენ სახსრების გადარიცხვას ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე მხოლოდ ავიზოთი, რაც დამოწმებულია ცენტრალური (ეროვნული) ბანკის დაწესებულების გერბიანი ბეჭდით.

ავტობიოგრაფია – ავტობიოგრაფია არის საბუთი, რომელშიც ავტორი თანმიმდევრულად იძლევა პირად ცნობებს თავისი ცხოვრების შესახებ.

ავტობიოგრაფიაში ნაჩვენები უნდა იყოს:

1. გვარი, სახელი და მამის სახელი.
2. დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი).
3. დაბადების ადგილი (სოფელი, დაბა, დასახლება, აული, სადგური, ქალაქი, რაიონი, მხარე, ოლქი, რესპუბლიკა).
4. სად, როდის და რომელი სკოლა დაამთავრა (დამთავრებული სასწავლებლის სრული დასახელება).
5. პარტიულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შესვლის დრო.
6. რომელ ორგანიზაციაში, რა თანამდებობაზე და რა დროის განმავლობაში მუშაობდა ამ ავტობიოგრაფიის შედგენის მოშენტამდე, სამუშაოდან წასვლის მიზეზი.
7. მოკლე ცნობები ოჯახის შესახებ.
8. ავტობიოგრაფიის შედგენის თარიღი და შემდგენლის ხელმოწერა.

ავტობრაფი [ავტო... + გრაფი] 1) საკუთარი ხელით გაკეთებული, ჩვეულებრივ, სამახსოვრო წარწერა; 2) საკუთრივ ავტორისეული ხელნაწერი ტექსტი; 3) მოძ. განსაკუთრებული „ავტოგრაფული" ქაღალდის გამოყენებით ლითოგრაფიული საბეჭდი ფორმის მომზადების ხერხი

ავტოკრატია [ავტო... + ძე.-ბერძ. κρα'τος ძლაუფლება, ძლიერება] თვითმპყრობელობა, ერთი პირის შეუზღუდავი უკონტროლო მმართველობის ფორმა.

ავტომობილის ან სხვა სატრანსპორტო საშუალების არამართლზომიერი დაუფლება ქურდობის მიზნის გარეშე (გატაცება) – სატრანსპორტო საშუალების დაუფლება მისი ქურდობის მიზნის გარეშე, ამაზე შესაბამისი კანონიერი საფუძვლების არარსებობისას.

ავტომობილის ან სხვა სატრანსპორტო საშუალების დაუფლება (გატაცება) გამოიხატება მისი ადგილიდან (სადგომიდან) ღია ან ფარულ წაყვანაში. სატრანსპორტო საშუალება შეიძლება იმყოფებოდეს ნებისმიერ ადგილას, რომელსაც ადგენს მისი მფლობელი ან უფლებამოსილი პირი: ავტოფარეხში, ავტოპარკში, ქუჩაში, საწარმოს ტერიტორიაზე და ა.შ. სადგომი შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი.

კანონი გატაცებას განსაზღვრავს, როგორც ქურდობის მიზნის გარეშე ჩადენილ ქმედებას. სატრანსპორტო საშუალების ქურდობის დადგენილი განზრახვის დროს დამნაშავის ქმედებების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დაუფლების ხერხის მიხედვით.

ბევრი კანონმდებლობით სატრანსპორტო საშუალების არამართლზომიერ დაუფლებად ითვლება პირის მოქმედებები, რომელმაც ის გამოიყენა თვითნებურად, თუ ეს პირი არის ამ სატრანსპორტო საშუალების შტატიანი მფლობელი.

სატრანსპორტო საშუალების დაუფლება არ წარმოქმნის დანაშაულს, თუ ის მოხდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, დამნაშავის დაკავებისას, მძიმედ დაჭრილი ადამიანისთვის დახმარების გასაწევად და ა.შ.

ავტონომია [ძე.ბერძ. αυ'τονομια < αυ'το'ς თვით + νο'μος კანონი] 1) სახელმწიფოს შემადგენლობაში ტერიტორიის მოსახლეობის უფლება სახელმწიფო ძალაუფლების გატარებისა საზღვრებში, რომლებსაც უშვებს ამ სახელმწიფოს კონსტიტუცია; 2) სამეცნიერო ან სასწავლო დაწესებულების

დამოუკიდებლობა, მაგ. საუნივერსიტეტო ავტონომია; 3)ეთიკაში საკუთარი კანონზომიერება, რმე მოვლენის ახსნა საკუთარი განსაზღვრული კანონებით, მაგ. პიროვნების შესაძლებლობა დამოუკიდებელი სასახუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღებისა, საკუთარი შიშებისა და გარემო ზეწოლის (ემეს ავტორიტეტის, წარმაეალი გარემოებების, ხელისუფლების თვითნებობის) მიუხედავად; საპირის3. – პეტერონომია.

ავტონომიური [<ძ.ბერძ αυ'το'νομος] 1)თვითმმართველი, ის, ვინც ავტონომიით სარგებლობს; 2) უზრუნველყოფილი დამოუკიდებელი არსებობობისთვის, გარე ენერგეტიკული კეების გარეშე–ა. ფრენა, ა. ცურვა და ა.შ.; 3)დამოუკიდებელი, გარე პირობებისაგან დამოუკიდებლად განხორციელებადი, მაგ. ა, ტარიფი– საბაჟო ტარიფი, რომელიც სახელმწიფომ დააკანონა ცალმხრივად, სხვა სახელმწიფოსთან მოლაპარაკების გარეშე.

ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაცია – არაკომერციული ორგანიზაციის ფორმა, რომელიც დაფუძნებულია ნებაყოფლობითი ქონებრივი შენატანების საფუძველზე და რომლის მიზანიცაა მომსახურებათა გაწევა ყველა დაინტერესებული პირისთვის. არაკომერციული პარტნიორებისგან განსხვავებით ამ ორგანიზაციებს არ გააჩნიათ წევრობა, ხოლო მათ მონაწილეებს არა აქვთ არანაირი უფლება ქონებაზე, რომელიც გადაცემულია ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციის საკუთრებაში. ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციის დამფუძნებელ დოკუმენტს წარმოადგენს წესდება, ამასთან დამფუძნებლებს შეუძლიათ დაფუძნების ხელშეკრულების დადებაც. ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციის მართვის სქემა განისაზღვრება დამოუკიდებელი ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციის დამფუძნებლების მიერ და ის შეიძლება გადაიცეს საზოგადოებრივ ან ნებისმიერ სხვა ორგანიზაციად, მათ შორის, რელიგიურადაც (გაერთიანება) ან ფონდად.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები – ავტორთა უფლებები, რომელიც წარმოიქმნება ნაწარმოების შექმნის ძალით. ასეთ უფლებებს განეკუთვნება: ა) ავტორობის უფლება – ნაწარმოების ავტორად (შემქმნელად) აღიარების შესაძლებლობა. მოცემული უფლება განაპირობებს ავტორის მიერ თავისი ინტერესების (პლაგიატისგან და ა.შ.) დაცვის შესაძლებლობას. ავტორობის უფლების გადაცემასა თუ გადასვლაზე მიმართული ნებისმიერი გარიგება არის არარა გარიგება. ავტორის სახელის მითითების უფლება ნაწარმოების (ნამდვილი თუ გამოგონილი) გამოყენებისას ან სახელის აღნიშვნაზე უარის თქმა. მოცემული უფლება არ უნდა გავაიგივოთ სამოქალაქო გაგებით სახელის უფლებასთან. მეჩქიდრეს, იცავს რა სახელის უფლებას, არა აქვს უფლება შეცვალოს ავტორის სახელის მითითების საშუალება; გ) გამოქვეყნების უფლება – ავტორის უფლებაა ნაწარმოები მისაწვდომი გახადოს ნებისმიერი მესამე პირისთვის (იხ. ნაწარმოების გამოქვეყნება). გამოქვეყნების უფლება გადადის ავტორის მემკვიდრეებზე სრული მოცულობით; დ) გამოწვევის უფლება – ავტორის მიერ ნაწარმოების გამოქვეყნების შესახებ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაზე უარის თქმის უფლება. ეს უფლება არ ვრცელდება სამსახურებრივი ნაწარმოებების ავტორებზე. მოცემული გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს ნებისმიერ დროს. თუ ნაწარმოები უკვე იყო გამოქვეყნებული, გამოწვევა ხორციელდება საჯარო განაცხადების გზით. ყველა შემთხვევაში ავტორი ვალდებულია ზარალი აუნაზღაუროს თავის კონტრაგენტებს და მესამე პირებს. ავტორის სიკვდილთან ერთად წყდება გამოწვევის უფლებაც; ე) ავტორის რეპუტაციის დაცვის უფლება – ნაწარმოების ცვლილების (დამახინჯების) ქმედებების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება, რომლებიც ზიანს აყენებენ ავტორის ღირსებასა და პატივისებას. მოცემული უფლება მოქმედებს, როცა ნაწარმოები ავტორის თანხმობის გარეშე განიცდის ცვლილებებს ან გადამუშავებას, იესება ილუსტრაციებით, შენიშვნებით, წინასიტყვაობებით და ა.შ. რომლებიც ამახინჯებენ ავტორის ჩანაფიქრს. ნაწარმოების გადამუშავების უფლება ეკუთვნის მხოლოდ ავტორს (იხ. ავტორის ქონებრივი უფლებები); ვ) წვდომის უფლება (იხ. წვდომის უფლება).

ავტორის ქონებრივი უფლებები – ავტორის ან სხვა უფლებამფლობელების განსაკუთრებული უფლებები კანონის ან ნაწარმოების გამოყენებაზე ხელშეკრულების ძალით, რომელსაც იცავს საავტორო უფლება. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული საავტორო უფლება გულისხმობს შემდეგი უფლებამოსილებების არსებობას, რაც განპირობებულია ასეთი გამოყენების კონკრეტული ფორმით: ა) ალდგენის უფლება ე.ი. ნაწარმოების ან მისი ნაწილის ერთი ან მეტი ეგზემპლარის დამზადება ნებისმიერი მატერიალური ფორმით, მათ შორის, ხმისა – და ეიდეოჩანაწერის ფორმით, ორგანზომილებიანი ნაწარმოების ერთი ან მეტი ეგზემპლარის 3 განზომილებაში და სამგანზომილებიანი ნაწარმოების ერთი ან მეტი ეგზემპლარის 2 განზომილებაში დამზადება; ნაწარმოების ჩაწერა ЭВМ-ში (ელექტრო გამომთველი მანქანა), მეხსიერებაში ასევე წარმოადგენს ალდგენას; ბ) გაერცელების უფლება ე.ი. ნაწარმოების ეგზემპლარების შეძოღება სამოქალაქო ბრუნვაში (გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, უფასო გაერცელება, გაცვლა-გამოცვლა, გაქირავება და ა.შ.). მას შემდეგ, რაც ნაწარმოების ეგზემპლარები მართლზომიერად იქნა შეძოღებული სამოქალაქო ბრუნვაში მათი გაყიდვის მეშვეობით ეგზემპლარების შემდეგი გაერცელების (გაქირავების გარდა) მიზნით, შეიძლება განხორციელდეს ავტორის თანხმობის და მისთვის ავტორის გასამრჯელოს გადახდის გარეშეც (უფლებების ამოწურვის პრინციპი). უფლებების ამოწურეის პრინციპი გამოიყენება მხოლოდ გამოქვეყნებული ნაწარმოებების მიმართ. ეგზემპლარების გაქირავების უფლება გამოიყოფა ცალკე და ის შეიძლება გადაიცეს მხოლოდ განსაკუთრებული შეთანხმებით; გ) ნაწარმოების ეგზემპლარების იმპორტის უფლება; დ) საჯარო ჩვენების უფლება. გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ საჯარო ჩვენების უფლება ეხება მხოლოდ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს ან ის შეშოიფარგლება კომერციული (ანაზღაურებადი) საჯარო ჩვენების შემთხვევებით ე.ი. წარმოადგენს უფლებას, რომელიც არის გაქირავების უფლების ანალოგიური; ე) საჯარო შესრულების უფლება; ვ) ეთერით გადაცემის უფლება; ზ) კაბელით საყოველთაო ცნობისთვის გადაცემის უფლება; თ) თარგმნის უფლება (უფრო ზუსტად – ნაწარმოების

თარგმანში გამოყენება) ეი. ლიტერატურული ნაწარმოების სხვა ენაზე გადმოცემა; ი) გადამუშავების ეი. ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ცვლილების უფლება თავდაპირველი ნაწარმოების გარკვეული ელემენტების შენარჩუნებისას. ქონებრივი უფლებები შეიძლება გადაიცეს მხოლოდ საავტორო ხელშეკრულებით. კანონი ითვალისწინებს ავტორის ცალკული ქონებრივი უფლებების შეზღუდვას. იხ. ასევე ნაწარმოების გამოქვეყნება, ნაწარმოების გადამუშავება. საავტორო ხელშეკრულება, შეკვეთის საავტორო ხელშეკრულება.

ავტორის ქონებრივი უფლება – უფლება, რომელიც უკავშირდება ავტორის შესაძლებლობებს მისი ნაწარმოების გამოყენებასთან მიმართებაში. ავტორს გააჩნია ნაწარმოების გამოყენების ყველა უფლება, მათ შორის, ის საშუალებებიც, რომლებიც შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: ა) ნაწარმოებისთვის ობიექტური ფორმის განმეორებითი მინიჭების უფლება, რაც უშვებს მის აღქმას მესამე პირების მიერ. სახეითი ხელოვნების ნაწარმოებების ავტორთა მოცემულ უფლებას მჭიდროდ უკავშირდება წყდომის უფლება, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ სახეითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს ნაწარმოების მესაკუთრისგან მოითხოვოს მის მიერ საკუთარი ნაწარმოების კვლავწარმოების უფლების განხორციელების შესაძლებლობა; ბ) ნაწარმოების ეგზემპლარების გაერცელების უფლება ნებისმიერი ხერხით, კერძოდ, ნაწარმოების ეგზემპლარების გაყიდვისა და მათი გაქირავების უფლება. გაყიდვა ნიშნავს ნაწარმოების ასლების რეალიზაციას გასამრჯელოს სანაცვლოდ. გაქირავება – ესაა ნაწარმოების ეგზემპლარის დროებით გამოყენებაში გადაცემა პირდაპირი ან ირიბი სარგებლის მიღების მიზნით; გ) ავტორის უფლება მოახდინოს ნაწარმოების ეგზემპლარის იმპორტი გაერცელების მიზნით, მათ შორის, განსაკუთრებული საავტორო უფლებების (იმპორტის უფლება) მფლობელის ნებართვით დამზადებული ეგზემპლარები; დ) საჯარო წვენებისა და საჯარო შესრულების უფლება. ნაწარმოების წვენების ქვეშ იგულისხმება ნაწარმოების ორიგინალის ან ეგზემპლარის დემონსტრაცია უშუალოდ ან ტექნიკური საშუალებების მეშვეობით. ნაწარმოების შესრულებად ითვლება მისი წარმოდგენა თამაშის, დეკლამაციის, სიმღერის მეშვეობით და ა.შ.; ე) ავტორის უფლება გადაცეს ეთერით ნაწარმოები და ნაწარმოების კაბელით საყოველთაო ცნობის უფლება; ვ) ავტორის უფლება ითარგმნოს ავტორის შესაძლებლობა, თავად თარგმნოს და გამოიყენოს საკუთარი ნაწარმოების თარგმანი, ასევე მისი უფლება ნება დართოს სხვა პირებს თარგმნონ და გამოიყენონ თარგმანი; ზ) ავტორის უფლება გადაკეთოს, მოახდინოს არანჟირება ან სხვა სახით გადაამუშავოს ნაწარმოები; თ) ავტორის უფლება პრაქტიკაში მოახდინოს შესაბამისი პროექტების რეალიზაცია; ი) საკუთარი პროექტის რეალიზაციაში მონაწილეობის შესაძლებლობაზე დოკუმენტაციის შემუშავების; კ) ნაწარმოების გამოყენებაზე ანაზღაურების მიღების უფლება.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘ [ლათ. < auctoritas ძალაუფლება] ძალაუფლების სისტემა, დამახასიათებელია ანტიდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმებისთვის და, ჩვეულებრივ, შეთავსებულია პირად დიქტატურასთან: აზიატური დესპოტიები, არქაული, შუასაუკუნოვანი და ახალი დროის ტირანული და აბსოლუტური მმართველობის ფორმები, სამხედრო, პოლიციური და ფაშისტური რეჟიმები, ტოტალიტარიზმის სხვადასხვა ვარიანტი.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ [<ფრ. autoritaire ძალაუფლების მქონე < ლათ. auctoritas გაელენა, ძალაუფლება] 1) დიქტატორული, უსიტყვო მორჩილებაზე, ძალაუფლებისადმი ბრმა მორჩილებაზე აგებული; 2) ძალაუფლების მოყვარული, თავისი ავტორიტეტის დამამკვიდრებელი.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ – სახელმწიფო, რომელშიც ბატონობს ანტიდემოკრატიული რეჟიმი. ავტორიტარული რეჟიმი ხასიათდება მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ლიკვიდაციით, ოპოზიციური პარტიებისა და სხვა ორგანიზაციების აკრძალვით, არჩეითი სახელმწიფო ორგანოების როლის შეზღუდვითა და აღმასრულებელგანმკარგულებელი ორგანოების როლის გაძლიერებით, უდიდესი სახელისუფლო უფლებამოსილებების თავმოყრით სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის ხელში, პარლამენტისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების როლის მხოლოდ ფორმალური ინსტიტუტების მდგომარეობამდე დაყვანით.

ᲐᲕᲨᲐᲠᲘ [ფრ. avoir ქონება, ქონა] 1) ცალკეული პიროვნებისა და დაწესებულების ანაბარი ბანკებში; 2) ბანკის საკალუტო სახსრები საზღვარგარეთის ბანკების ანგარიშებზე; 3) ფულადი სახსრები, ჩეკები, თამასუქები, აკრედიტივები და სხვა აქტივები, რომლებითაც ხდება გადახდა და ელდებულებათა განაღდება.

ᲐᲕᲣᲙᲣᲚᲐᲢᲘ [< ლათ. avunkulus ბიძა, დედის ძმა] ბევრი ადათი დედის ძმისა და ძმისწულის განსაკუთრებით მჭიდრო კავშირისა, ბიძა მოუკლე იყო ეზრუნა ძმისწულზე უფრო მეტად ვიდრე საკუთარ შვილზე – გაეწია მისთვის დახმარება, დაეცვა, დაეტოვებინა მემკვიდრედ და ა.შ.; ა. მატრიარქატის გადმონაშთია (როდესაც ძმა ქალისთვის უფრო ახლობელი იყო, ვიდრე შვილი) და ეხმარებოდა ბავშვს პატრიარქატის ეპოქაში დედის გვართან სიახლოვის შენარჩუნებაში; ცნობილია როგორც გადმონაშთი ზოგიერთ თანამედროვე ხალხში.

ᲐᲬᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ სამოქალაქო სამართალში შეთანხმება, რომლის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს ვინმეს მიერ ქონებრივი სარგებლის (მოგების) შეძენის შესაძლებლობა, მოგის ხარჯზე შემთხვევითი პირობების გარკვეული წესების დადგომისას. იმის მიხედვით, მონაწილეობენ თუ არა მოთამაშეები გამარჯვებულის განსაზღვრის პროცესში, აზარტული თამაშები იყოფა სანაძლეოდ და საკუთრივ აზარტულ თამაშად (სიტყვის ეიწრო მნიშვნელობით). სანაძლეო – ესაა შეთანხმება, რომლის საფუძველზედ ერთ-ერთი მონაწილე ამტკიცებს გარკვეული გარემოების არსებობას (წარსულში ან მომავალში), ხოლო მეორე უარყოფს მას. მოგებას იღებს ის მოდაე, რომლის პროგნოზიც სწორი აღმოჩნდა. სანაძლეოს დადების შემდეგ გამარჯვებული მხარე განისაზღვრება ავტომატურად: იმის მიხედვით, დადგა თუ არა სადაო მოვლენა. თუ გამარჯვებულის გამოსავლენად საჭიროა დამატებითი პროცედურის ჩატარება-გათამაშება ე.ი. წესებით განსაზღვრული მოქმედებების თანამიმდევრობა (მაგ. ბანქოს სელის),

ეს სანაძლეო არაა, არამედ საკუთრივ აზარტული თამაშია, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. სანაძლეო მოგების ოდენობის განსაზღვრის ხერხის მიხედვით იყოფა 2 სახეობად – საბუკმეკერო სანაძლეოდ და ტოტალიზატორად. საბუკმეკერო სანაძლეო (ე.წ. „რულეტკა“ ან ფულად-სავნობრივი ლატარეა) – მოგების სიდიდე მკაფიოდაა ფიქსირებული და დამოკიდებული არაა მოთამაშეთა რაოდენობაზე, გაკეთებული ფსონის ოდენობაზე ან მოგების რაოდენობაზე. პირიქით, მოგება ტოტალიზატორში (დოღზე და ა.შ.) იქნება მით უფრო მეტი, რაც უფრო დიდია საპრიზო ფონდი, რაც უფრო მეტია მოგების ფსონის ოდენობა და ნაკლებია მოგების ალბათობა.

ათონის აქტები ათონის მთაზე არსებული მონასტრებისადმი გაცემული სიგელ–გუჯრების, სასამართლო დადგენილებებისა და სხვა საბუთების სახელწოდება. საქართველოს ისტორიის კვლევისას ათონის აქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ათონის ივერთა მონასტრის აქტები, ქართული თარგმანითა და გამოკვლევითურთ, გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა „გეორგიკას“ VIII ტომში – 1970 წელს.

ათორნეი-გენერალი [ინგლ. Attorney General] 1) დიდ ბრიტანეთში გენერალური ათორნეი – ხელისუფლების მთავარი იურისკონსულტანტი, რომელიც აგრ. ზედამხედველი პროკურორის ფუნქციებს, გვირგვინის ფინანსური ინტერესების სამართალდაცვას ახორციელებს; 2) აშშ-ში სამხარეო პროკურორი; 3) აშშ-ში იუსტიციის მინისტრი, რომელიც აგრ. ფედერაციული მთავრობის იურისკონსულტანტი და უმაღლესი სასამართლოს წარმომადგენელია.

აიათოლა (არაბ. ახ. აიათი) 1. ირანში: შიიტური სექტის უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული; მუფთი. 2. შიიტ მუსულმანთა ცნობილი მოღვაწე, რომელსაც უფლება აქვს დამოუკიდებლად განმარტოს ისლამის მოძღვრება და შარიათი, ღრმად ფლობს შიიტთა დოგმატიკას, ღვთისმეტყველებას. ირანში ათასამდე აიათოლას ითვლიან, რომელთა შორის ყველაზე ავტორიტეტული იყო ანტიშაჰური რევოლუციის მოღვაწე აიათოლა სეიდ რუჰოლა ხომეინი. გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, 1989 წელს.

აინ ფოლკ, აინ რაიხ, აინ ფიურერ! [გერმ. Ein Volk, ein Reich, ein Fuhrer!] ერთი ხალხი, ერთი სახელმწიფო, ერთი ბელადი (ლოზუნგი, რომლის ქვეშაც 1933 წ-ს ხელისუფლებაში ფაშისტები მოვიდნენ პიტლერის მეთაურობით).

აკვატორია წყლის სივრცე, რომელიც შეზღუდულია ბუნებრივი, ხელოვნური ან პირობითი საზღვრებით.

აკლამაცია [ლათ. acclamatio ყვირილი, შეძახილი] 1) კრების მიერ რ-მე გადაწყვეტილების მიღება ან არმიღება კენჭისყრის გარეშე მონაწილეთა რეაქციის მიხედვით, რომელიც შეიძლება გამოიხატოს რეპლიკებში, სტვენაში, აპლოდისმენტებში, ფეხების ბაკუნში და ა.შ.; 2) აკლიმატიზაციის კერძო შემთხვევა – ორგანოების შეგუება ხელოვნურად შექმნილ გარემო პირობებთან.

აკორდული [გერმ. Akkord შეთანხმება, პირობა < იტ. accordo თანხმობა] შეთანხმებული; სრულდება შეთანხმების თანახმად; ა. ხელფასი – გარკვეული მოცულობის სამუშაოს საფასური მიუხედავად მისი შესრულების დროისა.

აკრედიტივი (letter of credit) – დაკალება საკრედიტო ორგანიზაციის მიმართ, საერთაშორისო ურთიერთობებში იმპორტიორის დაკალება ბანკის მიმართ განახორციელოს სპეციალურად დაკაკშნული თანხიდან გადახდა სატრანსპორტო-სასაქონლო საბუთების მიხედვით ჩამოტვირთული საქონლისათვის ან გასცეს აკრედიტივის წარმომდგენზე ანუ რემიტენტზე (საგარეო ვაჭრობაში ექსპორტიორზე) განსაზღვრული ფულადი თანხა, აგრეთვე გაანადღოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი. ბანკს ან საკრედიტო ორგანიზაციას შეუძლია დაკალოს სხვა ბანკს ან საკრედიტო ორგანიზაციას ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები.

აკრედიტივი შეიძლება იყოს მრავალნაირი ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ტიპის აკრედიტივი:

1. სასაქონლო (დოკუმენტალური) – რომლის ძალითაც ბანკი კისრულობს მყიდველის მითითებით გადაუხადოს გარკვეული თანხა გამყიდველს, თუ ეს უკანასკნელი წარადგენს ჩამოტვირთვის საბუთებს;

2. ბლანკეტური – მასში არ არის მითითებული თანხა.

3. გაყოფადი – მასზე დაყრდნობით შეიძლება გაიხსნას რამდენიმე აკრედიტივი მითითებული თანხის ფარგლებში.

4. სახელობითი – აკრედიტივი, რომელშიც დასახელებულია ბენეფიციარი, – ფიზიკური ან იურიდიული პირი.

5. ტრანზიტული აკრედიტივი ემიტირებულია ერთ ქვეყანაში, ავიზირებული და დამტკიცებული მეორეში, ხოლო გადახდილი მესამეში.

6. გამოუხმობი – აკრედიტივი იხსნება გარკვეული ვადით, ამ ვადის გასვლამდე მისი ანულირების აკრძალვის პირობით, და სხვ.

საკრედიტივო ოპერაციების განხორციელებისათვის ბანკები იღებენ კომისიას.

აკრედიტივი – ანგარიშსწორების ფორმა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გადამხდელის დაკალების მოქმედი ბანკი აკრედიტივის გახსნის თაობაზე და მისი მითითების შესაბამისად (ბანკ-ემიტენტი) ვალდებულია მიმღებს გადაუხადოს ფულადი საშუალებები ან გაანადღოს, მოახდინოს აქცეპტირება ან აღრიცხონ გადასაგზავნი თამასუქი ან სხვა ბანკს (შემსრულებელ ბანკს) მისცეს უფლებამოსილება მოახდინოს მიმღებისთვის სახსრების გაცემა ან გაანადღოს თამასუქი, მოახდინოს მისი აქცეპტირება ან აღრიცხონ გადასაგზავნი თამასუქი.

აკრედიტივი ხასიათდება: ა) აბსტრაქტულობით (დამოუკიდებლობა ხელშეკრულების პირობებისგან, რომელიც ითვალისწინებს ანგარიშსწორების აკრედიტიულ ფორმას); ბ) ფორმალური ხასიათი (ბანკი ვალდებულია შეასრულოს დავალება მისი პირობების მკაცრი დაცვით); გადახდის განხორციელების შესაძლებლობით ბანკის ან კლიენტის სახსრების ხარჯზე. როგორც წესი, გამოიყენება დოკუმენტალური აკრედიტივები, ანუ როცა ბანკი

ეალდებულია ანგარიშსწორება აწარმოოს მხოლოდ კრედიტორის მიერ საქონლის გაგზავნის, სამუშაოების შესრულების დამამტკიცებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ და ა.შ. (ანგარიშები, სატრანსპორტო დოკუმენტები).

აკრედიტებული ოპერაციის მონაწილეებს წარმოადგენს: ა) გადამხდელი (ბრძანების გამცემი); ბ) გადამხდელის ბანკი (ბანკ-ემიტენტი); გ) მიმღების ბანკი (შემსრულებელი ბანკი); დ) აკრედიტივის შესრულების გარანტიის მიმცემი ბანკები (დამადასტურებელი ბანკი); ე) მიმღები (ბენეფიციარი). მოცემული ფორმის ანგარიშსწორებათა მექანიზმი მდგომარეობს შემდეგში: ა) გადამხდელ ემიტენტს აძლევს დაკალების გადახდების განხორციელების შესახებ; ბ) ემიტენტი უფლებამოსილებებს გადასცემს შემსრულებელ ბანკს; გ) შემსრულებელი ბანკი ბენეფიციარისგან ღებულობს დოკუმენტებს, რომლებიც ამტკიცებენ საქონლის გაგზავნას და ახორციელებს გადახდას.

გადამხდელის მიერ დაკალების შეწყვეტის შესაძლებლობის მიხედვით, მიმღებისთვის შეტყობინების გარეშე გამოყოფენ უკუგებით აკრედიტივს, რომელიც უშვებს გაუქმებას და არაუკუგებით აკრედიტივს; შემსრულებელი ან მესამე ბანკის მხრიდან გადახდის დამატებითი გარანტიის არსებობის მიხედვით გამოყოფენ დამტკიცებულ და დაუმტკიცებელ აკრედიტივს; დაფარვის მიხედვით გამოყოფენ დაფარულ აკრედიტივს, რომელიც ემიტენტს აკალდებულებს აკრედიტივის თანხა გადარიცხოს დეპოზიტზე ბენეფიციარისგან დოკუმენტების მიღების მომენტამდე და დაუფარავი აკრედიტივი, რომელიც არ ითკალისწინებს დაფარვის გადარიცხვებს, არამედ შემსრულებელ ბანკს უფლებას აძლევს ემიტენტის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩამოწეროს საჭირო თანხა; დ) დამეშვებობისა და უფლებათა გადაცემის მიხედვით გამოყოფენ გადასაგზავნ (ტრანსფერაბელურ) აკრედიტივს, რომელიც ბენეფიციარს აძლევს უფლებას სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს აკრედიტივზე ყველა უფლება.

აკრედიტივის პირობების დარღვევაზე პასუხისმგებლობა გადამხდელის წინაშე გააჩნია ბანკ-ემიტენტს, ბანკ-უმიტენტის წინაშე – შემსრულებელ ბანკს. ბანკის მიერ ფულადი საშუალებების არასწორი გადახდის შემთხვევაში დეპონირებულ აკრედიტივით, გადამხდელის წინაშე პირდაპირი პასუხისმგებლობა გააჩნია შემსრულებელ ბანკს.

აკრედიტირება [<ლათ. accredere ნდობა, accreditivus რწმუნებული] 1) უცხო სახელმწიფოს ან საერთა-შორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობისთვის უფლება-მოსილების მინიჭება; 2) ჟურნალისტებისთვის მოვლენების გაშუქების უფლების მინიჭება; 3) უცხოური ფირმებისთვის მოცემულ ქვეყნებში მოღვაწეობის უფლებამოსილების მინიჭება; 4) ე-მესხეთის თანხის აღებისა და საეაჭრო ოპერაციის შესრულების უფლებამოსილების მინიჭება; 5) იგივეა, რაც აკრედიტაცია.

აკრძალული საშუალებები და ომის წარმოების მეთოდები – საშუალებები, რომელთა გამოყენებაც წარმოადგენს დაუშვებელს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და განიხილება, როგორც სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, რასაც მოსდევს ურიდიული პასუხისმგებლობა. ის დადგენილია 1949 წ. ჟენევის კონვენციებით ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ. მათ განეკუთვნება: მტრის ჯარებში მყოფი პირების მუხანათური კვლელობა ან დაჭრა; წამება; მოწინააღმდეგის შესახებ ცნობების მიღების მიზნით: ეროვნული და საერთაშორისო ეშმლემების, სიგნალებისა და დროშების უკანონო გამოყენება; პარლამენტარისა და მისი თანმხლები პირების (მესაყვირის, მებუკის, მედოლის) კვლელობა; მუხანათობა, სანიტარულ ობიექტებზე, მწყობრიდან გამოსულ, ტყვედ ჩაბარებულ, კატასტროფაში მოყოლილ თვითმფრინავიდან ან სხვა საფრენო აპარატიდან გადმოსულ პირებზე (დესანტების გარდა) თავდასხმა; გენოციდი, აპართეიდი, ტერორი სამოქალაქო მოსახლეობასთან მიმართებაში; ბრძანების გაცემა არავინ დატოვონ ცოცხალი; სამხედრო ტყვეების ან მოწინააღმდეგე მხარის სხვა პირთა იძულება იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში და მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებებში საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ, კულტურული ფასეულობების განადგურება და სხვ.

1949 წ. ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციებისადმი 1977 წ. 1 დამატებითი ოქმის მუხლი 35-ში საუბარია, რომ ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კონფლიქტში მყოფ მხარეებს უფლება აქვთ აირჩიონ ომის წარმოების საშუალებები და მეთოდები. აკრძალულია ისეთი იარაღის, ნივთიერებებისა და საომარი მოქმედებების წარმოების მეთოდების გამოყენება, რომელთაც შეუძლიათ ზედმეტი ტანჯვისა და დაზიანების მიყენება, ასევე საომარი მოქმედებების წარმოების ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმოადგენდეს, რაც შეიძლება სერიოზული ზიანის მიყენება ბუნებრივი გარემოსთვის.

ალანია [< ალანები] 1) ალანების სახელმწიფო ჩრ. კავკასიის ცენტრ. ნაწილში, რომელიც IX ს-ის ბოლოს გამოეყო ხაზართა კაგანატს; დაიშალა XIII ს-ის დასაწყისში მონღოლ-თათართა შემოსევების შედეგად; 2) თანამედროვე ჩრდილო ოსეთის სახელწოდება, რომელიც დაახ. შუა საუკუნეების ა-ს ტერიტორიაზე მდებარეობდა.

ალასტანელი ქართველ უფლისწულთა ზედწოდება XIII-XIV სს-ში. წარმოშობილია საუფლისწულოს ცენტრის ალასტანის (ჯავახეთი) სახელწოდებიდან. ალასტანელად წოდებული უფლისწულები ფლობდნენ ჯავახეთსა და მის მოსაზღვრე ზოგიერთ რაიონს.

ალეა იაქტა ესტ [ლათ. alea jacta est]არჩევანი გაკეთებულია წილი ნაყარია (სავარაუდოდ კეისარის მიერ წარმოთქმული სიტყვები რუბიკონზე გადასვლის დროს ჩვ. წ.-ად.-მდე 49წ.).

ალეატორული (სარისკო) ვალდებულებები – ვალდებულებები, რომლებშიც ამა თუ იმ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოქმნა, ცვლილება ან შეწყვეტა დამოკიდებულია თავად მხარეებისთვის ობიექტურად შემთხვევითი გარემოებების (მოვლენების) დადგომაზე. ასეთი ვალდებულებები ჩნდება დაზღვევის ხელშეკრულებიდან (დამზღვევის

ვალდებულება განახორციელოს გადახდა რეალიზებული არაა დაუყოვნებლივ და არა დაზღვევის ყველა ხელშეკრულებაში, არამედ მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევების დადგომისა) და თამაშების ჩატარებისა და სანაძლეოს დადების, რენტის ხელშეკრულებიდან, ვადიანი საბირჟო გარიგებიდან და სხვ.

ალიანსი [ფრ. alliance] კაეშირი, გაერთიანება (ჩვე-ულებრივ სახელმწიფოების ან ორგანიზაციების და არა ცალკული პირების).

ალიბი – 1) ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ყოფნა სხვა ადგილას დანაშაულის ჩადენის მომენტში. ალიბი წარმოადგენს დანაშაულის ჩადენაში პირის არმონაწილეობის ერთ-ერთ მტკიცებულებას. ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) მითითება ალიბიზე – მისი უფლებაა და არა ვალდებულება; 2) კრიმინალისტიკაში – ეჭვეის უარსაყოფად არსებითი მტკიცებულება, რომელიც ამტკიცებს, რომ ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა სხვა ადგილას და არა დანაშაულის ადგილას. კრიმინალისტიკა გამოყოფს პრეალიბს (ალიბი, რომელიც უზრუნველყოფილია დანაშაულამდე) და შემდგომ ალიბს ე.ი. ალიბს, რომლის შესახებაც დანაშაულმ იზრუნა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

ალიმენტი (ლათ. alimentum – კვება, რჩენა, კმაყოფა) – რჩენის სახსრები. სალიმენტო ვალდებულების საფუძველს წარმოადგენს საოჯახო ურთიერთობები – ქორწინება, შვილად აყვანა და სხვა. ალიმენტის მიღების უფლება აქვთ პირველ რიგში არასრულწლოვან ბავშვებს, რიგ შემთხვევებში კი ოჯახის მოზრდილი, შრომისუუნარო წევრებსაც. ბავშვებზე ალიმენტს იხდიან პირველ რიგში მშობლები (მშვილებლები), ხოლო მათი სიკვდილის შემთხვევაში ოჯახის სხვა წევრები (პაპა, ბებია, მოზრდილი და-ძმები და ა.შ. – ე.წ. ფაქტიური აღმზრდელები).

არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტების ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით. თუ მშობლებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალური მატერიალური მდგომარეობა.

სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებიც ავრეთვე მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მშობელს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება, ან სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას.

ალო საქართველოში ერთი დღის სახნავი მიწა, რომელიც რიგრიგობით უნდა მოეხნა მარტივ კოოპერაციულ ამხანაგობას გუთნეულში მონაწილე გუთნისდებისა და მეხრეთა შრომის, გამწევი ძალისა და ინვენტარის საფასურად.

ალოდი [გერ. Allod < ფრანკ. alodis < al საკუ + da სამფლობელო] დას. ევროპის ადრეფეოდალურ სახელმწიფოებში გერმანულ ტომებში თავისუფლად განვითარდა ინდივიდუალურ-ოჯახური მიწის მფლობელობისაგან; დროთა განმავლობაში წერილი ალოდების დიდი ნაწილი გადაიქცა დამოკიდებულ საგლეხო სამფლობელოებად, ხოლო მსხვილი და საშუალო მიწათმფლობელების – ბენეფიციებად და ფეოდებად.

ალონჟი – დამატებითი ფურცელი, რომელიც თან ერთვის თამასუქს, თუ ადგილი ინდოსამენტის ან აკალის გასწორებისთვის არასაკმარისია. ამ შემთხვევაში ინდოსამენტი იწყება თავად თამასუქზე და სრულდება ალონჟზე. იხ. ასევე ფასიანი ქაღალდი, უბრალო თამასუქი, გადასაყვანი თამასუქი, თამასუქის რეკვიზიტები, თამასუქის ინდოსამენტი, თამასუქის აკალი.

ალტერნატი [ფრ. alternat < ლათ. alternatus მონაცვლე] საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის თანმიმდევრობა მისი მონაწილეების მიერ.

ალტერნატივა [ფრ. alternative < ლათ. alter ორიდან ერთი] 1) ყოველი ერთმანეთის გამომრიცხავი შესაძლებლობებთაგანი; 2) ორი ან რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო შესაძლებლობიდან ერთის არჩევა; 3)ლოგიკაში მიმართება, რომელიც დგინდება დიზუნქციური მსჯელობით (იხ. დიზუნქცია).

ალტერნატიული ვალდებულება – ვალდებულება, რომლის შინაარსსაც შეადგენს არა მოვალის ერთი რომელიმე კონკრეტული მოქმედება, არამედ ორი ან მეტი განსაზღვრული მოქმედება, რომელთაგანაც ერთ-ერთის შესრულება წარმოადგენს ვალდებულების შესრულებას. მაგალითად, ზიანის მიმყენებელი კრედიტორის თანხმობით ვალდებულებას ასრულებს ან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით ან ფულადი კომპენსაციით.

ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური – შრომითი საქმიანობის განსაკუთრებული სახე საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებში, რომელიც ხორციელდება მოქალაქეების მიერ სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. მოქალაქეს უფლება აქვს გაწვევით სამხედრო სამსახური შეცვალოს ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურით, თუ: სამხედრო სამსახური ეწინააღმდეგება მის მრწამსს ან აღმსარებლობას; ის განეკუთვნება ძირძველ მცირერიცხოვან ხალხს, გააჩნია ტრადიციული ცხოვრების წესი, ახორციელებს ტრადიციული მეურნეობის მართვას და ეწევა ტრადიციულ რეწვას.

ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურში იგზავნებიან კანონით განსაზღვრული ასაკის მქონე მოქალაქენი, რომლებიც არ არიან თადარიგში და რომელთაც აქვთ უფლება სამხედრო სამსახური შეცვალონ ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურით, შეიტანოს პირადად განცხადება სამხედრო კომისარიატში სამხედრო სამსახურის ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურით შეცვლის შესახებ და რომელთა მიმართაც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება.

მოქალაქეები ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურს გადიან ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფების ან ფორმირებების შემადგენლობაში, ორგანიზაციებში, რომლებიც ექვემდებარებიან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, შეიარაღებულ ძალებს და ა.შ. სამოქალაქო პერსონალის სახით.

სამუშაოს სახის, პროფესიის, თანამდებობის განსაზღვრისას, შეიძლება დაიკაროს მოქალაქემ, რომელიც იგზავნება ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურში და გათვალისწინებულია მოქალაქის განათლება, სპეციალობა, კვალიფიკაცია, წინამორბედი სამუშაო ადგილი, ჯანმრთელობის, ოჯახური მდგომარეობა და ასევე ორგანიზაციების მხრიდან შრომის რესურსების საჭიროება.

ამაწურასბუ [აფხაზ. გულის მსახური] ყმა გლეხების მცირერიცხოვანი ზედაფენა გეოადლიდ ფეოდალურ აფხაზეთში.

ამბულატორული იძულებითი დაკვირვება და მკურნალობა ფსიქიატრთან – სამედიცინო ხასიათის დამოუკიდებელი ღონისძიება, რომელიც ინიშნება შემდეგი ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას იმ პირობის დროს, რომ პირი თავისი ფსიქიკური მდგომარეობით არ საჭიროებს ფსიქიატრიული სტაციონარის შენობაში მოთავსებას: ჩადენილია სსკ მუხლით გათვალისწინებული ქმედებები; დანაშაულის ჩადენის შემდეგ დადგა ფსიქიკური აშლილობა, რაც შეუძლებელს ხდის სასჯელის მისჯას ან აღსრულებას; დანაშაულის ჩადენა პირის მიერ, რომელიც იტანჯება ფსიქიკური აშლილობით, რაც არ გამორიცხავს შერაცხადობას.

ამბულატორული იძულებითი დაკვირვება და მკურნალობა ფსიქიატრთან ინიშნება სასამართლოს გადაწყვეტილებით სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. ექსპერტ-ფსიქიატრების დასკვნა ექვემდებარება სათანადო შეფასებას სასამართლოს მიერ საქმის ყველა მასალასთან ერთად. ექსპერტ-ფსიქიატრთა რეკომენდაციები არაა სავალდებულო სასამართლოსთვის, თუმცა მათი გათვალისწინება ხდება საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ამბულატორული იძულებითი დაკვირვება და ფსიქიატრთან მკურნალობა გულისხმობს პირის ფსიქიკურ მდგომარეობაზე დაკვირვებას ექიმ-ფსიქიატრის მიერ რეგულარული გასინჯვისა და ამ პირისთვის საჭირო სამედიცინო და სოციალური დახმარების გაწევისთვის. გასინჯვის სიხშირე დამოკიდებულია პირის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, მისი ფსიქიკური აშლილობის დინამიკასა და ფსიქიატრიული დახმარების მოთხოვნაზე.

დისპანსერული დაკვირვება მოიცავს ასევე ფსიქოფარმაკოლოგიურ და სხვა სახის მკურნალობას, მათ შორის, ფსიქოთერაპიას, ასევე სოციალურ-სარეაბილიტაციო ღონისძიებებს. ამბულატორული იძულებითი დაკვირვებისა და ფსიქიატრთან მკურნალობის არსებით კომპონენტს წარმოადგენს სოციალურ-ყოფითი დახმარების აღმოჩენა პირისთვის, რამდენადაც პრაქტიკა მოწმობს, რომ ყოფითი პრობლემები, მაგალითად, პენსიის ან სამუშაოს არქონა აღრმავებს ფსიქიკური ავადმყოფის სოციალურ დეზადაპტაციას და ზრდის მის მიერ საზოგადოებისთვის საშიში ქმედების ხელახლა ჩადენის რისკს.

ამილახორი, ამირახორი [არაბ. ამირ ახურ – საჯინიბეს ამირა] – ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სამხედრო უწყების მოხელე – ამირსპასალარის თანაშემწე, ასევე საჯაზიროს წევრი, სათაბირო ხმის უფლებით. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის (XVIს.) შემდეგ ამილახორი ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და, როგორც წესი, გორის მოურავიც იყო. ამ თანამდებობიდან წარმოდგა თავადთა გვარი ამილახვარი.

ამირა [არაბ. მბრძანებელი, მეთაური, მმართველი] მთავრის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებში. საქართველოში ამირა, არაბთა ხელისუფლების წარმომადგენლის ტერმინი იყო და გაჩნდა VIII ს-დან. თბილისის ამირას ნიშნავდა ხალიფა. XI ს-ში თბილისის გარდა ამირები ისხდნენ რუსთავსა და დმანისში. ამავე საუკუნეში იხსენიება პირველი ქართველი მოხელე რუსთავის მფლობელი ლიპარიტ ამირაც. 1122 წლიდან XII ს-ის ბოლომდე, ამირა ერქვა ქალაქის განმგებლად დანიშნულ ქართველ დიდებულს. ამირას თანამდებობიდან განეთარდა ამირთამირას თანამდებობა.

ამირბარი, ამილბარი [არაბ. ამირალბარ – ზღვათა ამირა] ქართულ წყაროებში–აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის – ინდოეთის, სპარსეთისა და სხვა ქვეყნების საზღვაო ფლოტის უფროსი. ეს ტერმინი ამ ფუნქციით შემოვიდა აღმოსავლეთის მუსულმანური ქვეყნებიდან.

ამირეჯიბი [არაბ. ამირ ჰაჯიბ – კარისკაცი, ამირა] ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ხარატის მოხელე – მანდატურთუხუცესის თანაშემწე და ეჯიბთა უფროსი – განაგებდა დარბაზობისა და პურობის ცერემონიალს. ამირეჯიბის თანამდებობისაგან წარმოდგა გვარი ამირეჯიბი.

ამირსპასალარი [არაბ.-სპარს. ამირთუფროსი, სპარს. სეფაპსალარ სარდალი] ფეოდალური საქართველოს ეეზირი, მთავარსარდალი. ამირსპასალარი პირველად გიორგი III-ის დროის წიგნებში იხსენიება, მანამდე ცნობილი იყო სპასალარი, რომელიც ადგილობრივ სამხედრო საქმეებს განაგებდა. ამ თანამდებობას უფრო ეარაუდობენ დაეით აღმაშენებლის სახელმწიფო წესწყობილების რეფორმების და შუდმივი ჯარის შექმნის შედეგს. საქართველოს პოლიტიკური დაშლადანაწილების შედეგად ამირსპასალარის თანამდებობა მოისპო.

ამირჩქარი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ამირსპასალარის უწყების მოხელე, მალემსრბოლთა უფროსი.

ამნისტია – დანაშაულის ჩამდენი პირების სრული, ან ნაწილობრივი განთავისუფლება სასჯელისაგან, ანდა სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა. ასევე შეიძლება მოიცავდეს ნასამართლობის მოხსნას იმ პირებისათვის, რომლებმაც ადრე მოიხადეს სასჯელი. ამნისტია შეიძლება იყოს საყოველთაო, როდესაც ის ეხება ყველა პირს, რომელთაც ჩადინეს სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული (ამნისტიის აქტის სხვა პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში) და ნაწილობრივი, როდესაც ის ცალკეულ პირებს ეხება და შეწყალების ფორმით ხორციელდება.

ზოგადი წესის თანახმად, ამნისტიის მიღება ხდება

რაიმე საზეიმო შემთხვევასთან ან მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით. ამნისტიის აქტი წარმოადგენს რა დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ გამოვლენილ პუმანიზმს, ამასთან არ აუქმებს, არც სასამართლოს განაჩენის, არც სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამა თუ იმ დანაშაულზე.

ამომრჩეველი – მოქალაქე, რომელსაც გააჩნია აქტიური საარჩევნო უფლება.

ამონაწერის გაფორმება – ზოგჯერ აუცილებელია დედნის მხოლოდ გარკვეული ნაწილის გადმოღება. ასეთ გადმოღებულ ნაწილს ეწოდება ამონაწერი. იგი იწყება სიტყვით ამონაწერი და შემდეგ მოტანილია იმ დოკუმენტის დასახელება, რომლიდანაც ამონაწერი კეთდება (ამონაწერი ბრძანებიდან, ამონაწერი ოქმიდან და ა.შ.). ამონაწერი მოწმდება მდივნის ან კანცელარიის მუშაკის ხელმოწერით, სიტყვებით: ამონაწერია სწორია და აუცილებელ შემთხვევებში დასტურდება ბეჭდით.

ამორტიზაცია (amortization, depreciation) – 1. რეალური აქტივის ღირებულების ყოველწლიური ჩამოწერა, წარმოების საშუალებათა ცვეთის გამო მათი ღირებულების გადატანა მზა პროდუქციაზე. ამ ღირებულების გამოყენება საამორტიზაციო ანარიცხების სახით კაპიტალის ჩვეულებრივი და გაფართოებული კვლაწარმოებისათვის.

2. კრედიტის ეტაპობრივი დაფარვა განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით. წარმოების საშუალებათა ფიზიკური და მორალური ცვეთის გამო მათი ღირებულების, ამავე საშუალებათა მიერ წარმოებულ პროდუქტზე თანდათანობითი გადატანის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ინგლისური სიტყვა „depreciation~ ნიშნავს არა მარტო ამორტიზაციას ზემოაღნიშნული მნიშვნელობით, არამედ ცვეთას (ფიზიკურად და მორალურად მოძველებას) და აგრეთვე საამორტიზაციო ანარიცხებს. ამასთანავე არასწორი იქნებოდა., როგორც ეს რიგ ლექსიკონებშია მოცემული ამორტიზაცია ვთარგმნოთ როგორც „wear & tear", რადგანაც ამ შემთხვევაში საუბარია ცვეთაზე, როგორც ტექნიკურ კატეგორიაზე და არა ეკონომიკურ კატეგორიაზე (ამ უკანასკნელს უფრო მიესადაგება „depreciaton"). რაც შეეხება ინგლისურ სიტყვას „amortization", იგი ეკონომიკის სფეროში გამოიყენება. უმთავრესად, „ვალების განვადებით დაფარვის" მნიშვნელობით. საამორტიზაციო ფონდი ინგლისურ წყაროებში ინიშნება, როგორც ფულადი თანხები განკუთვნილი ძირითადი ფონდების უბრალო და გაფართოებული კვლაწარმოებისათვის. გააჩნია ორმაგი ეკონომიკური შინაარსი, ანუ ერთდროულად ემსახურება ძირითადი ფონდების ცვეთის აღდგენის პროცესს და მეორე მხრივ გაფართოებული კვლაწარმოების პროცესს.

განსაკუთრებული გავრცელება ამორტიზაციის კონცეპციამ ჰპოვა ლიზინგის სფეროში, როცა ძირითადი კაპიტალის ობიექტს იღებენ იჯარით ხანგრძლივი ვადით. იგულისხმება, რომ იჯარის ვადის გასვლისას ობიექტს არავითარი ღირებულება არ გააჩნია.

პრაქტიკაში, ყველაზე ხშირად, საიჯარო კაპიტალის ღირებულება იყოფა საიჯარო წლების რაოდენობაზე. მიღებული სიდიდე წარმოადგენს თანხას, რომელიც ყოველწლიურად აკლდება საიჯარო კაპიტალის ღირებულებას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული მეთოდი ყველაზე სწორად არ ასახავს ძირითადი კაპიტალის ობიექტის ღირებულების დროის მოცემული მომენტისათვის, მთლიანობაში იგი იძლევა საწყისი ღირებულების პერიოდებად თანაბარი განაწილების საშუალებას. მეორე მეთოდი – ამორტიზაციის დარიცხვა აქტივის შემცირებადი საბალანსო ღირებულებიდან (reducing balance depreciation) გულისხმობს თავდაპირველად მისი შეძენის ღირებულების შემცირებას განსაზღვრული მუდმივი პროცენტით, ხოლო შემდგომში უკვე წინა საამორტიზაციო დარიცხვებით შემცირებული აქტივის შემცირებას იგივე პროცენტით და ა.შ. მაგალითად, თავდაპირველი ღირებულება შეადგენს 200 პირობით ერთეულს, ხოლო ამორტიზაცია 10 პროცენტს, ანუ 20 ერთეულს. შემდეგ წელს 10 პროცენტი გამოითვლება არა თავდაპირველი ღირებულებიდან, არამედ დარჩენილიდან – 200-10%=200-20=180. 180-ის 10 პროცენტი შეადგენს 18 პირობით ერთეულს. მოცემული მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ამორტიზაციის თანხები მცირდება. ეს მეთოდი იძლევა საშუალებას უფრო ზუსტად გამოვითვალოთ აქტივის რეალური ღირებულება, რადგან აქტივების მრავალი სახეობის ცვეთა უფრო ინტენსიურია ექსპლუატაციის საწყის პერიოდში და უფრო ნელი შემდგომ პერიოდებში.

ამოსაცნობად წარდგენა მოკვლევა-გამოძიების მიზნით ჩატარებული მოქმედება პირის ან ნივთის დადგენისა და ამოცნობის მიზნით. ამომცნობს პირი ან ნივთი უნდა წარედგინოს რამდენიმე სხვა მის მსგავსთან ერთად, რომელთა რაოდენობა სამზე ნაკლები არ შეიძლება იყოს. ჩატარებული მოქმედება უნდა აისახოს ოქმში, რომელიც შედგება კანონით დადგენილი რეკვიზიტების დაცვით (სსსკ, მუხლი 347 – 349).

ამოღება მოკვლევა-გამოძიების მიზნით ჩატარებული მოქმედება, რის შედეგად ხდება საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების ან საგნის მოპოვება-ამოღება. ამოღება ხდება მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით), რომელიც გაიცემა მომკვლევის, გამომძიებლის ან პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. ამოღება ტარდება დამსწრეებისა და იმ პირის ან მისი ოჯახის წევრის დასწრებით, ვის მიმართაც ტარდება ეს საგამოძიებო მოქმედება. თუ ამოღება ტარდება ორგანიზაციაში, მას უნდა ესწრებოდეს ამ დაწესებულების ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი. ამოღების ჩატარების შესახებ დგება ოქმი, კანონით დადგენილი წესების დაცვით (სსსკ, მუხლი 315–326).

ამოღება – საგამოძიებო მოქმედება, რომელიც გულისხმობს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების ამოღებას. ამოღების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ საგამოძიებო ორგანოსთვის ზუსტადაა ცნობილი ამოსაღები საგნის ადგილმდებარეობა.

ამოღება ხორციელდება გამომძიებლის ან უფლებამოსილის ორგანოს დადგენილების საფუძველზე. ამოღების დაწყებამდე გამომძიებელი წარმოადგენს დადგენილებას მისი წარმოების შესახებ და აყენებს ცნობადებას ნებაყოფლობით წარმოადგინოს ამოსაღები საგნები, დოკუმენტები და ფასეულობები, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეთ სისხლის სამართლის საქმისთ-

ეის. თუ ისინი ნებაყოფლობითაა წარმოდგენილი და არ არსებობს მათი დამალვის საშიშროების საფუძვლები, გამომძიებელს უფლება არა აქვს აწარმოოს ამოღება. ამასთან, დაუშვებელი უნდა იყოს ქონების დაზიანება, რომელიც გამოწვეული არაა აუცილებლობით.

გამომძიებელი იღებს ზომებს, რათა ამოღების დროს გახმაურებული არ იქნეს პირის კერძო ცხოვრების გარემოებები, რომლის შეწბობაშიც მოხდა ამოღება, მისი პირადი ან ოჯახური საიდუმლოება, ასევე სხვა პირთა პირადი ცხოვრების გარემოებები.

გამომძიებელს უფლება აქვს ამოღების წარმოების ადგილას მყოფ პირებს აუკრძალონ მისი დატოვება, ასევე ურთიერთობა ჰქონდეთ ერთმანეთთან ან სხვა პირებთან ამოღების დასრულებამდე.

ამოღებული საგნები, დოკუმენტები და ფასეულობები გადაეცემა დამსწრეს და სხვა პირებს, რომლებიც ადგილზეა ამოღებისას და საჭიროებისას იფუთება და ილუქება ამოღების ადგილას, რაც დასტურდება აღნიშნული პირების ხელმოწერით.

ამოღების დროს ხდება ოქმის შედგენა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს: თუ რა ადგილას და რა გარემოებების დროს აღმოაჩინეს საგნები, დოკუმენტები ან ფასეულობები, მათი ამოღება მოხდა ნებაყოფლობით თუ ძალდატანებით. ყველა ამოღებული საგანი, დოკუმენტი და ფასეულობა უნდა ჩამოითვალოს მათი რაოდენობის, წონის, ზომის, ინდივიდუალური ნიშნების ზუსტი მითითებით და შეძლებისდაგვარად ღირებულებისაც.

თუ ამოღების დროს ნაცადი იქნა ამოსაღები საგნების, დოკუმენტების ან ფასეულობების განადგურება ან დამალვა, ამის შესახებ ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი და მითითებულია მიღებული ზომები. საგნების ან დოკუმენტების ამოღება, რომლებიც შეიცავენ სახელმწიფო ან სხვა კანონით დაცულ საიდუმლოებას ხდება გამომძიებლის მიერ პროკურორის ან სასამართლოს სანქციით. ბანკებსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში მოქალაქეთა ანაბრებისა და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების ამოღება ხდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამოღებისა და ჩხრეკის მიზანი

– მუხლი №315 – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №7 – საგამომძიებო მოქმედება

თავი №38 – ამოღება და ჩხრეკა

1. ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ დანაშაულის იარაღი, საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი და ფასეულობა, სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლებიც საჭიროა საქმის გარემოებათა აღმოსაჩენად.

2. ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე ძებნილი პირისა და გვამის აღმოსაჩენად.

მუხლი №316 – ამოღების საფუძველი

გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს ამოიღოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი და დოკუმენტი, თუ შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ისინი ინახება გარკვეულ ადგილას, გარკვეულ პირთან და მათი ძებნა საჭირო არ არის.

მუხლი №317 – ჩხრეკის საფუძველი

გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვს ჩაატარონ ჩხრეკა, თუ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ გარკვეულ საცხოვრებელ, სამსახურებრივ, საწარმოო სათავსში, ამა თუ იმ ადგილას ან ამა თუ იმ პირთან ინახება ამ კოდექსის 315-ე მუხლში აღნიშნული საგანი, დოკუმენტი, და არსებობს მონაცემები, რომ მათ ნებაყოფლობით არ გასცემენ.

მუხლი №321 – დამსწრის და სხვა პირთა მონაწილეობა ამოღების ან ჩხრეკის დროს

1. ამოღების ან ჩხრეკის დროს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეიძლება მოწვეულ იქნეს დამსწრე (არა უმეტეს ორისა).

2. ამოღების ან ჩხრეკის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ პირის ან მისი ოჯახის თუნდაც ერთი სრულწლოვანი წევრის დასწრება, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა. თუ მათი დასწრების უზრუნველყოფა შეუძლებელია, უნდა მოიწვიონ სახლის მფლობელი ან/და ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი.

3. ამოღება ან ჩხრეკა საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის შენობაში უნდა ჩატარდეს მისი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის დასწრებით.

4. პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, აგრეთვე დამსწრეს, სპეციალისტს, საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან (წარმომადგენელს) უფლება აქვს დაესწროს გამომძიებლის, პროკურორის ყველა მოქმედებას, გააკეთოს განცხადება, რაც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.

მუხლი №322 – ამოღებისა და ჩხრეკის ადგილი

1. პირს, რომელმაც შეიტყო მისთვის გამოგზავნილი ან მის მიერ გაგზავნილი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაყადაღების, დათვალიერებისა და ამოღების შესახებ, უფლება აქვს ამ მოქმედების უკანონობის ან უსაფუძვლობის გამო საჩივრით მიმართოს შესაბამისად უფლებამოსილ ორგანოს.

3. მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) გარეშე პირადი ჩხრეკა ან ამოღება შეიძლება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ 142-ე მუხლის შესაბამისად, ეჭვმიტანილის შეპყრობისას არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მას თან აქვს იარაღი ან ცდილობს თავიდან მოიშოროს მტკიცებულება, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში;

ბ) ამ კოდექსის 145-ე მუხლის მიხედვით პოლიციამ ეჭვმიტანილის მიყვანის შემდეგ დაკავების ოქმის შედგენისას;

გ) ბრალდებულის დაპატიმრებისას, თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ მას თან აქვს იარაღი, საგანი, რომლის შენახვაც კანონით იკრძალება, ანდა საგანი ან დოკუმენტი, რომელსაც საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს;

დ) თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების ადგილას მყოფი პირი მალავს ამოსაღებ საგანს ან დოკუმენტს.

4. პირადი ჩხრეკა და პირისაგან საგნის, ნივთისა თუ დოკუმენტის ამოღება, რასაც თან სდევს გაშიშვლება, უნდა ჩაატაროს იმავე სქესის თანამდებობის პირმა, ასევე იმავე სქესის სპეციალისტმა, თუ ის მოწვეულია.

მუხლი №326 – ამოღებისა და ჩხრეკის ოქმი

1. ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების შესახებ გამომძიებელი, პროკურორი, აგრეთვე ამ კოდექსის 145-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული პირები ადგენენ ოქმს ამ კოდექსის 287-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ ამოღების ან ჩხრეკის ჩამტარებელი თანამდებობის პირი, დამსწრე, სპეციალისტი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ჩატარდა ჩხრეკა ან ამოღება, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – ამ კოდექსის 321-ე მუხლში აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთი.

2. ოქმში მითითებული უნდა იყოს, რა ადგილას და რა ვითარებაშია აღმოჩენილი საგანი ან დოკუმენტი, ნებაყოფლობითაა ის გადაცემული, თუ – იძულებით ჩამორთმეული. ყველა ჩამორთმეული საგანი და დოკუმენტი ოქმში უნდა აღინიშნოს მათი რაოდენობის, წონის, ღირებულების (თუ ეს შესაძლებელია), ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნების მითითებით.

3. თუ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას იყო მცდელობა, გაუნადგურებინათ და გადაემალათ მოსაძებნი საგანი ან დოკუმენტი, ანდა თუ გასაჩხრეკმა ან სხვა პირმა წინააღმდეგობა გასწია, ეს უნდა აღინიშნოს ოქმში. ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს გამომძიებლის, პროკურორის, აგრეთვე ამ კოდექსის 145-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული პირების მიერ განხორციელებული ღონისძიებანი.

მუხლი №327 – ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლის გადაცემა

1. ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლი ხელმოწერით გადაეცემა პირს, რომელთანაც ჩატარდა ამოღება ან ჩხრეკა, ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – სახლის პატრონს ანდა ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს იმ წარმომადგენელს, რომელიც ჩხრეკას ესწრებოდა.

2. თუ ამოღება ან ჩხრეკა ტარდებოდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, ოქმის ასლი ხელმოწერით გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციას ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, აგრეთვე საოლქო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიას, სადაც მის საჩივარს ერთპიროვნულად განიხილავს მოსამართლე მომჩივნის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობით. თუ საჩივარი საფუძვლიანად ცნეს, მომჩივანს წერილობით უნდა მოუხადოს ბოდიში ბრძანების გამცემმა მოსამართლემ. მომჩივანს აგრეთვე უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურება და დამნაშავე პირის დასჯა.

2. გასაჩხრეკად ერთად ბინაში მცხოვრები სხვა პირის ნივთის ამოღება ან ჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმაო საფუძველი ეარაუდისათვის, რომ ამ პირმა დამალა მოსაძებნი საგანი ან დოკუმენტი.

3. თუ ამოღების ან ჩხრეკის დროს წარმოიშვა იმ შენობისა თუ ადგილის შემოწმების აუცილებლობა, რომელიც არ არის მითითებული მოსამართლის ბრძანებაში ან სასამართლო განჩინებაში (დადგენილებაში), საჭიროა დამატებითი ბრძანების ან განჩინების (დადგენილების) მიღება ძებნის სფეროს გაფართოების თაობაზე. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღება ან ჩხრეკა შეიძლება მოსამართლის ბრძანების გარეშეც, მაგრამ შემდგომ მოსამართლეს უნდა ეცნობოს ამის შესახებ 290-ე მუხლის მე-2-3 ნაწილებით დადგენილი წესით.

მუხლი №323 – ამოღებისა და ჩხრეკის წესი

1. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) საფუძველზე გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვთ ბინაში შეიდნენ (ან სხვა მფლობელობაში) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნისა და დოკუმენტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ბინაში (ან სხვა მფლობელობაში) შესვლა ხდება იძულების წესით.

2. ამოღების ან ჩხრეკის დაწყებისას გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია ხელმოწერით გააცნოს სასამართლო ბრძანება ან განჩინება (დადგენილება) პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, ხოლო მისი არყოფნისას – 321-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ ერთ-ერთ პირს.

3. გამომძიებელი და პროკურორი ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები, რათა არ გახმაურდეს ამოღების ან ჩხრეკის, აგრეთვე ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოვლენილი პირადი ცხოვრების გარემოებანი.

4. გამომძიებელს და პროკურორს უფლება აქვთ ამოღების ან ჩხრეკის ადგილზე მყოფ ან იქ მისულ პირს აუკრძალონ წასვლა, ერთმანეთთან ან სხვა პირთან ურთიერთობა ამოღებისა თუ ჩხრეკის დამთავრებამდე.

5. ამოღებისას მოსამართლის ბრძანების ან სასამართლო განჩინების (დადგენილების) წარდგენის შემდეგ გამომძიებელი ან პროკურორი წინადადებას იძლევა ნებაყოფლობით გადასცეს ჩამოსართმევი საგანი ან დოკუმენტი. უარის შემთხვევაში ამოღება ხდება იძულებით. თუ ამოსაღები საგანი ან დოკუმენტი არ აღმოჩნდა იმ ადგილას, რომელიც მითითებულია ბრძანებაში ან განჩინებაში (დადგენილებაში), ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმავე სადგომში ამ კოდექსით დადგენილი წესით.

6. ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი ან პროკურორი წინადადებას იძლევა ნებაყოფლობით გადასცენ ჩამოსართმევი საგანი ან დოკუმენტი, გადაცემის შემთხვევაში უნდა შეწყდეს ამოღების ოქმი, ხოლო თუ არ გადასცემენ ან არასრულად გადასცემენ, უნდა ჩატარდეს ჩხრეკა.

7. ჩხრეკისას იძებნება და ამოიღება ის საგანი თუ დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულია მოსამართლის ბრძანებაში ან სასამართლო განჩინებაში (დადგენილებაში). ამოღებულ უნდა იქნეს აგრეთვე სხვა საგანი, დოკუმენტი ან ნივთი, რომელსაც მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს ამ საქმისათვის, ან აშკარად მიუთითებს სხვა დანაშაულის ჩადენაზე, აგრეთვე ნივთი, რომლის შენახვაც აკრძალულია კანონით. ჩხრეკის ოქმში გამომძიებელმა ან პროკურორმა უნდა აღნიშნონ, რატომ ამოიღეს აღნიშნული საგანი ან დოკუმენტი.

8. ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოჩენილი ყველა საგანი ან დოკუმენტი, მათ ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს და დაწერილებით აღიწეროს ოქმში, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. შეფუთულ

ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, ვინც მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო მოქმედებაში.

9. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვთ გააღონ დაკეტილი სათავსო და საცავი, თუ გასაჩხრეკი უარს ამბობს ნებაყოფლობით გააღოს ისინი. ამასთან, შეძლებისდაგვარად უნდა მოერიდონ საკეტის, კარის, სხვა საგნის დაზიანებას და ბინაში ან სხვა გასაჩხრეკ სადგომში წესრიგის დარღვევას.

მუხლი №325 – პირადი ჩხრეკა და ამოღება

1. ამ კოდექსის 316-ე–317-ე მუხლებში აღნიშნული საფუძვლების არსებობისას გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს ამოიღოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი ან დოკუმენტი, რომელიც აღმოჩენილია პირის ტანსაცმელზე, მის ხელთ არსებულ ნივთებში ან სხეულზე.

2. პირადი ჩხრეკა ან ამოღება ტარდება 321-324-ე და 326-327-ე მუხლებში აღნიშნული წესებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამოცნობა – საგამოძიებო მოქმედება, რომელიც მდგომარეობს ამომცნობისთვის რომელიმე პირის ან საგნის წარდგენაში, მის მიერ ადრე დაკვირვებულ პირთან ან საგანთან იგივეობის დასადგენად. ამოსაცნობად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ბრალდებული (ეჭვმიტანილი), დაზარალებული, მოწმე.

ამოცნობას წინ უსწრებს წინასწარი დაკითხვა იმ გარემოებების შესახებ, რომელთა დროსაც ისინი ხედავდნენ ამოსაცნობ პირს ან საგანს, ასევე იმ თავისებურებებისა და ნიშნების თაობაზე, რომელთა მიხედვითაც მათ შეუძლიათ მისი ამოცნობა. თუ დაკითხული პირი აცხადებს, რომ ვერ იხსენებს იმ პირს ან საგანს, რომლის ამოცნობასაც სთავაზობს მას გამომძიებელი, მოცემული საგამოძიებო მოქმედება არ ხორციელდება.

ამოსაცნობად წარმოდგენილი პირები უნდა იყვნენ მსგავსი გარეგნული ნიშნებით, სხეულის აგებულებით, ასაკით, სიმაღლით, სახის ფორმითა და თმის, თვალების ფერით, ეარცხნილობით, ტანსაცმლის ფერითა და ფასონით. ამოსაცნობად წარმოდგენილ პირებს გარეგნული მსგავსების შესახებ კანონის მოთხოვნები ერცელდება ფოტოსურათით ამოცნობის დროსაც.

საგნების ამოცნობისას კი ამოსაცნობად წარმოდგენილი ხდება ერთგვაროვანი საგნების ჯგუფი. ერთგვაროვანია საგნები, რომელთაც გააჩნიათ ერთნაირი დასახელება და დანიშნულება, მსგავსი ზომა, ფორმა, მოდელი, მარკა, ფერი. ამასთან, წარმოდგენილი ობიექტების (3-ზე მეტი) რაოდენობის ზედმეტად ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ამომცნობის ყურადღების გაფანტვა და ის საბოლოო ჯამში ამცირებს საგამომძიებო მოქმედების ეფექტურობას.

ამოცნობის დროს აუცილებელია ამომცნობი პირის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამოცნობის იმ პირობებში ჩატარების გზით, რომელიც გამორიცხავს ამომცნობის ამოსაცნობის მიერ დაკვირვებას. ამოცნობის დროს შენობაში უნდა იყვნენ დამსწრეებიც, რაც არ გამორიცხავს ამოსაცნობის ყოფნასაც, რაზეც კეთდება აღნიშვნა შესაბამის ოქმში.

ამსრულებლის ექსცესი დანაშაულის ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა (სსკ. მუხლი 26).

ამქარი [სპარს. ჰამქარ – თანამოსაქმე] ერთი ან მონათესავე ხელობის ოსტატთა გაერთიანება შუა საუკუნეების ქალაქებში. ამიერკავკასიაში ამქრის შესატყვისი ტერმინი XVII – XVIII სს. იყო ასნაფი, ესნაფი. უფრო ადრე ხელოსანთა გაერთიანებას საქართველოში ეწოდებოდა თაბუნი. სიტყვა ამქარი საქართველოში დამკვიდრდა XIX ს-დან.

ამხანაგობა რწმენაზე (კომანდიტური ამხანაგობა) – სამეურნეო ამხანაგობა, ამხანაგობის სახელით საქმეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ მონაწილეებთან ერთად და რომლებიც პასუხს აგებენ ამხანაგობის ვალდებულებებზე თავიანთი ქონებით (სრული ამხანაგობა), არსებობს ერთი ან რამდენიმე მონაწილე – მეანაბრე (კომანდიტური), რომლებიც სწევენ ზარალის რისკს, რაც უკავშირდება ამხანაგობის საქმიანობას, მათ მიერ შეტანილი ანაბრების ოდენობის ფარგლებში და არ იღებენ მონაწილეობას ამხანაგობის მიერ საქმეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში. რწმენაზე დაფუძნებული ამხანაგობის (კომანდიტური ამხანაგობის) საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს ყველა სრული ამონაგების სახელებს (სახელწოდებებს) და სიტყვას „ამხანაგობა რწმენაზე" ან „კომანდიტური ამხანაგობა" ან ერთი სრული ამხანაგობა სიტყვის დამატებით („... და კომპანია). პირი შეიძლება იყოს სრული ამხანაგი მხოლოდ ერთ ამხანაგობაში რწმენაზე (კომანდიტური ამხანაგობა). სრული ამხანაგი რწმენაზე დაფუძნებულ ამხანაგობაში (კომანდიტური ამხანაგობა) არ შეიძლება იყოს სრული ამხანაგობის მონაწილე (იხ. სრული ამხანაგობა).

ამხანაგობა რწმენაზე (კომანდიტური ამხანაგობა) იქმნება და მოქმედებს დამფუძნებელი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს ყველა სრული ამხანაგი. კომანდიტური ამხანაგობის საქმიანობის მართვა ხორციელდება სრული ამხანაგების მიერ. მეანაბრეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ რწმენაზე ამხანაგობის საქმეების მართვასა და წარმოებაში, გამოიძიონ მისი სახელით რწმუნების გარეშე. სრული ამხანაგის უფლებებისგან კომანდიტისტის უფლებების განმასხვავებელი თავისებურება მდგომარეობს ამხანაგობის ქონებაზე მათი უფლებების თავისებურებებშიც. ასე მაგალითად, საწარმოდან გასვლისას კომანდიტისტს უფლება აქვს ჰკრნდეს პრეტენზია მხოლოდ თავისი ანაბრის დაბრუნებაზე და არა შესაბამისი წილის მიღებაზე ფირმის ქონებაში. ამხანაგობა რწმენაზე (კომანდიტური ამხანაგობა) ლიკვიდირებული ხდება მასში მონაწილე ყველა მეანაბრის ამოვარდნისას და სრული ამხანაგობის ლიკვიდაციის საფუძვლებით. თუმცა, ამხანაგობა რწმენაზე (კომანდიტური ამხანაგობა) ნარჩუნდება, თუ მასში რჩება თუნდაც ერთი სრული ამხანაგი და ერთი მეანაბრე.

ანაბარი (საბანკო ანაბარი) – ფულადი თანხა, რომელიც შეტანილია ერთი მხარის, ფიზიკური პირის (მეანაბრის) მიერ მეორე მხარეს-საკრედიტო ორგანიზაციისთვის, ბანკისთვის შემოსავლის შენახვისა და მიღების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრის

სახით გამოდის იურიდიული პირი, ანაბარი იწოდება საბანკო დეპოზიტად.

საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც იღებს ფიზიკურ პირთა ანაბარს, ამით ახდენს მოსახლეობის თაეისუფალი საშუალებების აკუმულირებას და ამ სახსრებს ანთაესებს საკუთარი სახელით დაბრუნების, გადახდისა და ვადიანობის პირობებით, მაგალითად, საწარმოსა და სავაჭრო ორგანიზაციებისთეის კრედიტების გაცემის გზით.

ანაბრებში სახსრების ჩადება ფორმდება საბანკო ანაბრის (დეპოზიტი) ხელშეკრულებით, რომელიც განიხილება როგორც სასესხო ხელშეკრულების ნარსახეობა (იხ. სასესხო ხელშეკრულება). ხელშეკრულება იდება უბრალო წერილობითი ფორმით, მისი დადება შეიძლება დადასტურდეს შემნახველი წიგნაკით, შემნახველი სერტიფიკატით, სადეპოზიტო სერტიფიკატით. საბანკო ანაბრის ხელშეკრულება რეალურია, ის დადებულად ითლება ანაბრის თანხის შეტანის მომენტიდან.

ანაბარი არ გულისხმობს ბანკის ეალდებულებას შეინახოს ყველა მოზიდული თანხა, მაგრამ ბანკი ეალდებულია ანაბრის თანხა დააბრუნოს მეანაბრის მოთხოენით. კლიენტის (მეანაბრის) ბანკისადმი მოთხოენების უფლების გათეალისწინებისთეის ხდება საბანკო ანგარიშის წარმოება (სადეპოზიტო ანგარიში). ფიზიკურ პირს უფლება აქეს არა მხოლოდ მოითხოეოს სახსრების დაბრუნება, არამედ მისცეს ბანკს განკარგულება, ანაბარზე არსებული თანხა გადაურიცხოს მესამე პირებს. პირიქით, იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ სადეპოზიტო ანგარიშები მესამე პირებთან ანგარიშსწორებისთეის.

შემოსაელები ანაბარზე პროცენტების სახით ექეემდებარება გადასახადებით დაბეგრას, როგორც ფიზიკურ, ასეე იურიდიულ პირ-მეანაბრეებში.

ანაბარი – ფულადი სახსრები ეროენულ ან უცხოურ ეალუტაში, რომელსაც ფიზიკური პირები განათაესებენ ბანკებში მოგების მიღების მიზნით. მოგება ანაბრის მიხედით გაიცემა ფულადი სახით. ანაბრების მიღება შეუძლიათ მხოლოდ ბანკებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ლიცენზია. ფულადი სახსრების ანაბარზე მიღება ფორმდება წერილობითი ხელშეკრულებით. ანაბრების ცალკეულ ფორმებს შორის განსხვავება ძირითადად დამოკიდებულია ანაბრის ბანკიდან გამოტანის შესაძლებლობაზე მეანაბრის მოთხოენისთანაეე. ამ ნიშნით განასხვავებენ შემდეგი სახის ანაბრებს:

ანაბარი პირველ მოთხოვნამდე – როდესაც საბანკო დეპოზიტი უბრუნდება მეანაბრეს მისი პირეელიეე მოთხოენის შემთხვეევაში (sight deposit, current account balancem checking account);

ვადიანი ანაბარი – რომელიც მიიღება არანაკლებ ერთი წლის ვადით;

უვადო ანაბარი – შენახვის ვადა წინასწარ არ არის დადგენილი. მეანაბრე იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს მოითხოვოს ასეთი ანაბარი ან მისი ნაწილი;

გრძელვადიანი ანაბარი ინახება საბანკო დაწესებულებებში დროის დიდი პერიოდის მანძილზე. ანაბრის გამოტანა დაიშეება მხოლოდ ამ ვადის გასელის შემდეგ (წელიწადი და მეტი). ასეთი ანაბრები ხშირად ითწლეულობით ინახება ანგარიშზე და შეიძლება ატარებდეს მიზნობრივ ხასიათს (მაგ. პირის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე).

სამუდამო ანაბარი – წარმოადგენს სახელმწიფო კრედიტის ფორმას, პირობითი ანაბრის სახესხვაობას. ფულადი თანხები გადაეცემა ბანკს საკუთრებაში, ხოლო მეანაბრეს მხოლოდ პროცენტების მიღების უფლება აქეს.

ზემოალნიშნულის გარდა არსებობს ანაბრის სხვა ფორმებიც.

საპრიზო ანაბარი – ანაბარი, რომელზედაც ირიცხება შეტანილი თანხის პროცენტი, შემდგომ რამოდენიმე მეანაბრეთაგან ერთ-ერთი ხდება ყოელთეიური ლატარიის გამარჯეებული, რის შედეგადაც მისი ანაბარი იზრდება. მოგებული თანხა მეანაბრეს შეუძლია მიიღოს ნაღდი ფულის სახით ან მიუმატოს ანაბარს, ამასთან პროცენტები ერიცხება მთელ თანხას, მოგებულის ჩათელით. დადგენილია აგრეთე ანაბრის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი.

მიზნობრივი ანაბარი – ფულადი თანხა, შეტანილი საკრედიტო დაწესებულებაში რაიმე განსაზღერული მიზნით (სახლის ყიდვა და ა.შ.).

პირობითი ანაბარი – თანხა, შეტანილი სხვა პირის მიერ მეანაბრის სახელზე. ამ უკანასკნელს შეუძლია თანხის განკარგვა მხოლოდ გარკეეული პირობების შესრულების ან გარკეეული გარემოებების დადგომის შემთხვეევაში, რომლებიც მითითებულია ანგარიშის გახსნისას.

სახელობითი ანაბარი – ფულადი თანხა, შეტანილი საბანკო დაწესებულებაში გარკეეული მეანაბრის სახელზე.

საწარმდგენლო ანაბარი – როდესაც შემნახველ წიგნაკში არ არის მითითებული ანაბრის შემტანის ვინაობა.

„ცრუ" ანაბარი – ბანკის საკრედიტო ჩანაწერი კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე, რომელსაც თან არ ახლაეს ფულადი სახსრების რეალური შენატანი. არის კერძო პირების და ფირმების დაკრედიტების ხერხი. კლიენტი სარგებლობს ცრუ ანაბრით ისეე, როგორც რეალურით: მას შეუძლია გამოწეროს ჩეკი, გამოიტანოს ნაღდი ფული მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული თანხის ფარგლებში. ბანკის შესაძლებლობას გახსნას ცრუ ანაბარი განსაზღრაეს მის მიერ რეალურად მოზიდული ფულადი თანხების ოდენობა, ხოლო ბანკის თანხმობა აღნიშნული ოპერაციის ჩატარებაზე დამოკიდებულია მხოლოდ კლიენტის მიმართ ნდობის ფაქტორზე.

ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედეითაც შემსრულებელი ეალდებულია დამკეეთის დაეალებით გასწიოს მომსახურება (განახორციელოს გარკეული მოქმედებები ან გარკეული საქმიანობა), ხოლო დამკეეთი ეალდებულია ანაზღაუროს ეს მომსახურებები. კერძოდ, ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებას განეკუთენება კაეშირგაბმულობის, სამედიცინო, ეეტერინარული, სააუდიტორო, საკონსულტაციო, საინფორმაციო, სწაელების, ტურისტული მომსახურების გაწევის ხელშეკრულებები და სხე. ფართო გაგებით, მომსახურების გაწევის ეალდებულებებს განეკუთენება არა მხოლოდ ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის ხელშეკრულება, არამედ სამეცნიერო-კლეევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულების, გადაზიდვის, სატრანსპორტო

ექსპლიციის, საბანკო ანაბარის, საბანკო ანგარიშების, ანგარიშსწორების, შენახვის, დაკალების, კომისიის, ჯონების მინდობილობით მართვის განხორციელების ხელშეკრულებები. თუმცა ამ ხელშეკრულებებისთვის გათვალისწინებულია სპეციალური რეჟიმი.

ბუნებით ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსენსუალურს, ორმხრივს, ანაზღაურებადს. ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის ხელშეკრულება მოქალაქეთა მონაწილეობით განკუთვნება საჯაროს კატეგორიას. მრავალ შემთხვევაში ის იდება დამკვეთის ხელშეკრულებასთან მიერთების გზით, რომლის პირობებიც განსაზღვრულია შემსრულებლის მიერ. ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის ხელშეკრულების სუბიექტებს წარმოადგენს შემსრულებელი (მომსახურების გამწევი) და დამკვეთი (მომსახურების მიმღები).

ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის საგანს წარმოადგენს მოქმედებების განხორციელება დამკვეთის დაკალებით (მომსახურება). როგორც წესი, ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში არ არსებობს მოქმედების მატერიალური შედეგი, ჩაბარებისა და მიღების სტადიები. ფასი და ვადა არსებით პირობას არ წარმოადგენს, არამედ განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მომსახურების ანაზღაურება ხდება ხელშეკრულებაში დადგენილ ვადებში (იხ. სანარდო ხელშეკრულება). სანარდო ხელშეკრულებისგან განსხვავებით, მოცემულ ხელშეკრულებაში შემსრულებელს არ ეკისრება დაკალების შემთხვევითი შეუსრულებლობის რისკი, რამდენადაც ის პასუხს აგებს ზოგადი საფუძვლების მიხედვით. გამოითქვა აზრი, რომ მომსახურების შედეგი არ შეიძლება იქნეს გარანტირებული და საერთოდ გამოირიცხა მიღების საგნიდან. თუ შეუსრულებლობის შეუძლებლობა წარმოიქმნა იმ გარემოებებიდან, რომლებზეც პასუხს არცერთი მხარე არ აგებს, შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს ფაქტიურად გაწეული ხარჯის ანაზღაურება, თუ სხვა რამ დადგენილი არაა ხელშეკრულებაში. თუ შეუძლებლობა წარმოიშვა შემსრულებლის მიზეზით, ის კარგავს გასამრჯელოს მიღების უფლებას და ბარუნებს ავანსს.

მომსახურება უნდა იქნეს გაწეული შემსრულებლის მიერ პირადად, თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არაა სხვა რამ. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივი წესით უარი თქვან ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულებაზე უარისმთქმელი დამკვეთი ვალდებული არაა აუნაზღაუროს შემსრულებელს გასამრჯელოს ნაწილი, არამედ მან უნდა მოახდინოს მხოლოდ მის მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯის ანაზღაურება. შემსრულებელი, რომელმაც უარი განაცხადა ხელშეკრულების შესრულებაზე, ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი სრული მოცულობით.

ანაკტი (ბერძ.) ასე უწოდებდნენ წინათ მეფეებს, რომლებიც თავიანთი სიბრძნით თანაშერაცხულნი იყვნენ ღმერთებთან.

ანალოგია – (კანონის ანალოგია) ნიშნავს რაიმე კონკრეტული ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის არარსებობისას სხვა, აზრობრივად უახლოესი ნორმის გამოყენებას. გამოიყენება სიტუაციაში, როდესაც ურთიერთობები, რომელთა გამო წარმოიშვა დავა, არ არის რეგულირებული, არც სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით, არც მხარეთა შეთანხმებით (ხელშეკრულებით) და არსებობს საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობებს და ამიტომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სადაო შემთხვევაში. კანონის ანალოგიის გამოყენება ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართალში ან განვითარებული დემოკრატიულ ქვეყნებში სასტიკად აკრძალულია.

(სამართლის ანალოგია) ზოგჯერ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, რადგან კანონი არც პირდაპირ და არც ირიბად არ ითვალისწინებს რაიმე ურთიერთობის მოწესრიგებას, სასამართლოს კი არა აქვს უფლება ამ მოტივით უარი თქვას საქმის განხილვაზე. ამ შემთხვევაში სასამართლო ფაქტიურად კანონმდებლის როლს იღებს და საქმეს წყვეტს „სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, ამასთანავე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად“, ანუ სხვა სიტყვებით რომ ეთქვათ, თაეისი სუბიექტური შინაგანი მრწამსის საფუძველზე.

სამართლის ანალოგია გამოიყენება ძალზე იშვიათად და სისხლის სამართლში მისი გამოყენება ასეე დაუშვებელია.

ანალოგია – სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა სახის სამართლებრივი დაცის და კოლიზიების გადაწყვეტას შესაბამისი იურიდიული ნორმების არარსებობისას სამართლის ზოგადი საწყისებისა და პრინციპების საფუძველზე ან იმ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ შინაარსით მსგავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ლიტერატურასა და ცალკეულ ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში გამოყოფენ სამართლისა და კანონის ანალოგიას. ეს უკანასკნელი ნიშნავს კონკრეტულ ნორმაში არა დარეგულირებული დამოკიდებულებისადმი კანონის ნორმის გამოყენებას, რომელიც ახდენს მსგავსი ურთიერთობების რეგლამენტირებას. მოცემული ხერხის გამოყენების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილებას იურიდიულ საქმეზე აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი.

სამართლის ანალოგია – ესაა კონკრეტულ ნორმაში არარეგულირებული სადაო დამოკიდებულებისადმი, მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმის არარსებობისას, კანონმდებლობის ზოგადი საწყისებისა და არსის გამოყენება.

ანარქია [ბე.-ბერძ. α'ναρχια უხელმძღვანელობა, უხელისუფლებობა] 1) უხელმძღვანელობა, უხელისუფლებობა, ანარქიზმის ბატონობა; 2) აღვირახსნილობა, უწესრიგობა, ქაოსი; სტიქიურობა, არაორგანიზებულობა.

ანარქიზმი [< ბე.-ბერძ. α'ναρχια უხელმძღვანელობა, უხელისუფლებობა] 1) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს პოლიტიკურ ბრძოლას, მაგრამ ამასთანავე მოითხოვს ყოველგვარი სახელმწიფო ხელისუფლების მოსპობას და წვრილ მეწარმეთა ავტონომიური ასოციაციების ფედერაციის შექმნას მასების სტიქიური აჯანყების დროს; 2)ავტორიტეტის, წესრიგის, დისციპლინის არაღიარება; თვითნებობა.

ანარქიული [< ბე.-ბერძ. α'ναρχια უხელმძღვანელობა, უხელისუფლებობა] უწესრიგო,

აბდაუბდა, თვითნებური, არადისციპლინირებული; ქაოტური, ანარქიისადმი მიდრეკილი.

ანარქო-სინდიკალიზმი [ანარქიზმი + სინდიკალიზმი] XX ს-ის დასაწყისში გაერცელებული მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში, რომლიც ანარქიზმის გაელენის ქვეშ იმყოფებოდა; მშრომელთა ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად გამოცხადდა პროფკავშირები (ფრანგულად – სინდიკატები), რომელთაც უნდა გადაეცეთ წარმოების სახსრები; მოუწოდებდნენ ბოიკოტისაკენ, საბოტაჟისაკენ, ეკონომიკური გაფიცებისაკენ და, როგორც ბრძოლის უმაღლეს ფორმას, საერთო ეკონომიკურ გაფიცისაკენ.

ანატები [საშ.-ლათ. annata <ლათ. annus წელი] ერთდროული შეგროვება რომის პაპის საჭურჭლისთვის პირებისგან, რომლებიც ღებულობდნენ ეკლიტურ საეკლესიო ბენეფიცს; არსებობდა ევროპაში XIII ს-დან XIX ს-ის დასაწყისამდე.

ანგარიში – ანგარიში წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც უნდა წარდგინოს დაწესებულებას ან წარმოებას შესრულებული სამუშაოსათვის ფულის მისაღებად.

მისი სტრუქტურა შემდეგნაირია:

1. ვის ეძლევა ანგარიში (დაწესებულების დასახელება და მისამართი).

2. ვინ იძლევა ანგარიშს (დაწესებულების დასახელება მისი მისამართის აღნიშვნით. აქვე უნდა აღინიშნოს ბანკში მიმდინარე ანგარიში ან კერძო პირის ბინის მისამართი, პასპორტის სერია და ნომერი).

3. დოკუმენტის დასახელება ნომრის აღნიშვნით (თუ ანგარიშს აქვს ნომერი).

4. იმ დოკუმენტის ან განკარგულების აღნიშვნა, რომლის საფუძველზე იქნა გაცემული ანგარიში.

5. აღნიშნება იმისა, თუ რისთვის უნდა იქნეს მიღებული განკუთვნილი თანხა: მატერიალურ ფასეულობათა, მოწყობილობათა და შესრულებული სამუშაოს დასახელება რაოდენობისა და ღირებულების აღნიშვნით (ციფრები) სპეციალურ გრაფებში. ყოველი ახალი დასახელება ახალი სტრიქონიდან იწერება, ზუსტად უნდა აღინიშნოს, რა თანხა უნდა იქნეს მიღებული ყოველ საგანში, მასალაში, ცალკეულ სამუშაოში.

6. ჯამი ფულისა, რომელიც გაიცემა ამ ანგარიშით.

7. დაწესებულების ბეჭედი.

8. თარიღი და ამ ანგარიშზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.

ანგარიშსწორება ნაღდი – ოპერაციები ნაღდი ფულის გამოყენებით, რომლებსაც ატარებენ ფიზიკური და იურიდიული პირები, თავისი მოცულობით ნაღდი ანგარიშსწორება, როგორც წესი, უფრო მცირეა, უნაღდო ანგარიშსწორებასთან შედარებით. მისი ოდენობა დადგენილია საკანონმდებლო წესით. ნაღდ ანგარიშსწორებას მიეკუთვნება თანხები, რომლებსაც საწარმო-დაწესებულებები და ორგანიზაციები უხდიან მოსახლეობას ხელფასის, სტიპენდიების, პენსიების სახით,

ანგარიშსწორება უნაღდო – იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის ანგარიშსწორების, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ძირითადი სარკე. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე გადამხდელის ანგარიშიდან ფულადი თანხების ჩამოწერის და მიმღების (მიმწოდებელი, კრედიტორი) ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. საანგარიშსწორებო ცენტრს წარმოადგენს ბანკი. უნაღდო ანგარიშსწორების გამოყენება ამცირებს ფულის მიმოქცეასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ნაღდ ფულზე მოთხოვნილებას, ხელს უწყობს ბანკში თაისუფალი ფულადი თანხების კონცენტრაციას და უზრუნველყოფს მათ შენახვას. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა დამოკიდებულია გადამხდელსა და მიმღებს შორის ურთიერთობების ხასიათზე.

ანდერძი წარმოადგენს მამკვიდრებლის განკარგულებას თავისი სიკვდილის შემთხვევისათვის, რომელიც შედგენილია კანონით დადგენილი წესით. ანდერძი ეწოდება აგრეთვე თავად დოკუმენტს, რომლითაც ეს განკარგულება ფორმდება. ანდერძთან დაკავშირებული საკითხები განხილულია დაწერილებით სამოქალაქო კოდექსის შესაბამის თავებში.

ანდერძი – მოქალაქის განკარგულება საკუთარი ქონების შესახებ სიკვდილის შემთხვევაში მემკვიდრეთა დანიშვნით. ჩვეულებრივ, ანდერძი სრულდება კანონით დადგენილი ფორმით და დასტურდება კანონში მითითებული პირების მიერ. ანდერძი ეწოდება როგორც თავად დოკუმენტს, რომელშიც გამოხატეას პოულობს მოანდერძის ნება, ასევე მისი ნების გამოხატვის აქტს, ე.ი. ცალმხრივ გარიგებას, რომელიც პირადულ ხასიათს ატარებს და არ მოიცავს სხვა პირის რაიმე შემხვედრ ნების გამოხატვას. ანდერძი წარმოადგენს ერთპირონულ გარიგებას. ის არ შეიძლება განხორციელდეს წარმოდგენლის მეშვეობით, რომელიც მოქმედებს მინდობილობის მიხედით ან კანონის საფუძველზე. ანდერძის დატოვების უფლება გააჩნია მხოლოდ ქმედუნარიან მოქალაქეებს. ქმედუნარიანობის შემთხვევაში შედის იმ პირთა ვალდებულებაში, რომელთაც უფლება აქვთ დაადასტურონ ანდერძი.

მოქალაქეს შეუძლია ანდერძით გადასცეს მთელი ქონება ან მისი ნაწილი ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც კანონის მიხედით მემკვიდრეების წრეში შემავალს, ასევე ასეთ წრეში არშემავალს, ასევე სახელმწიფოს ან ცალკეულ ორგანიზაციებს. მოანდერძეს ასევე უფლება აქვს ანდერძში ანდერძით მიღების უფლება ჩამოართვას კანონით ერთ, რამდენიმე მემკვიდრეს ან ყველა მათგანს. ქონების შემადგენლობა განისაზღვრება მემკვიდრეობის მიმცემის სიკვდილის მომენტისთვის და არა ანდერძის შედგენის დროისთვის. შესაძლებელია ანდერძის შედგენა, რომლის მიხედვითაც მოანდერძე არ ნიშნავს რა მემკვიდრეებს, მემკვიდრეობას არმთეს თავის ყველა კანონიერ მემკვიდრეს. ამ შემთხვევაში მემკვიდრეობითი ქონება გადადის სახელმწიფოს შეწირულობაში.

ანდერძის აღსრულება – იურიდიული და ფაქტიური მოქმედებების კომპლექსი ანდერძში დანიშნული მემკვიდრეების მიერ განხორციელებული მემკვიდრეობითი სამართალმემკვიდრეობის უზრუნველყოფის მხრივ. გარდა ამისა, მოანდერძეს შეუძლია ანდერძის აღსრულება დააკისროს პირს, რომელიც არ წარმოადგენს მემკვიდრეს (ნების აღმსრულებელს). ამ შემთხვევაში საჭიროა ნების აღმსრულებლის თანხმობა,

რაც გამოხატულია მის მიერ სპეციალური წარწერით ანდერძზე ან ანდერძზე თანდართულ სპეციალურ განცხადებაში.

ანდერძის აღმსრულებელი არ იღებს ანაზღაურებას თავის ქმედებებზე, მაგრამ მას უფლება აქვს ანაზღაუროს მემკვიდრეობითი ქონების დაცვასა და მართვასთან დაკავშირებული ხარჯები მემკვიდრეობის ხარჯზე. ანდერძის აღსრულებისას მემკვიდრეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ანგარიში მისი აღსრულების შესახებ. მოანდერძის ნების აღმსრულებლის უფლებები და ვალდებულებები უნდა განისაზღვროს ანდერძის შინაარსით. ანდერძის დამოწმებისას, როცა ინიშნება მოანდერძის ნების აღმსრულებელი საჭიროა, რომ ნოტარიუსმა ან სხვა თანამდებობის პირმა, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება დაამოწმოს ანდერძი, დაწვრილებით გააცნოს მოანდერძის სურვილები, მის მიერ აღმსრულებელზე დაკისრებული უფლებებისა და ვალდებულებების წრე.

ანდერძის გაუქმება – ანდერძისთვის იურიდიული ძალის ჩამორთმევა მოანდერძის ნებით, პირდაპირი გაუქმების ან ახალი ანდერძის შედგენის გზით. ანდერძის გაუქმება შეიძლება ნებისმიერ დროს. მოგვიანებით შედგენილი ანდერძი აუქმებს ადრე შედგენილს სრულად ან იმ ნაწილში, რომელშიც ის ეწინააღმდეგება მოგვიანებით შედგენილ ანდერძს. ახალი ანდერძის შედგენისას მოანდერძეს შეუძლია არ მიუთითოს პირველ ანდერძში შეტანილი ცვლილებები. საკმარისია ისიც, რომ ახალ ანდერძში არის განკარგულება, რაც არა მხოლოდ ავსებს წინამორბედებს, არამედ ეწინააღმდეგება კიდეც თავდაპირველ ანდერძს. მოანდერძეს, ასევე შეუძლია ანდერძის გაუქმება იმ სანოტარო კანტორაში მისი გაუქმების შესახებ განცხადების შეტანის გზით, რომელმაც დაამოწმა პირველი ანდერძი.

ანდერძის ფორმა – დოკუმენტი, რომელიც შედგენილია წერილობით მისი შედგენის დროისა და ადგილის მითითებით, რომელსაც პირადად აწერს ხელს მოანდერძე და არის ნოტარიულად დამტკიცებული. დაუშვებელია ზეპირი ანდერძის შედგენა (მოწმეთა თანდასწრებით საგანგებო გარემოებებში შედგენილი ანდერძის გარდა) და ასევე სასამართლო წესით ანდერძის ფაქტის დამტკიცება. ანდერძი შეიძლება დამოწმებულ იქნეს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ნოტარიუსების, გარკვეული თანამდებობის პირების (მაგალითად, საავადმყოფოების მთავარი ექიმების) მიერ. ის, ნოტარიუსს (თანამდებობის პირს) წარედგინება ორ ეგზემპლარად და პირადად ხელი მოეწერება მისი თანდასწრებით. ნოტარიუსი, ამოწმებს რა ანდერძს, არაა ვალდებული შეამოწმოს არსებობს თუ არა ის ქონება, რომელიც მასშია მითითებული.

თუ მოანდერძეს ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით არა აქვს შესაძლებლობა პირადად მოაწეროს ხელი ანდერძს, ის შეიძლება ხელმოწერილ იქნეს სხვა პირის მიერ მოანდერძის თხოვნით, თანამდებობის პირის თანდასწრებით იმ მიზეზების მითითებით, რომელთა გამოც მოანდერძეს არ შეეძლო ანდერძისთვის ხელის მოწერა. პირს, რომელმაც მოანდერძის თხოვნით ხელი მოაწერა ანდერძს, უფლება აქვს გაეცნოს მის შინაარსს. დასაშვებია დახურული ანდერძების შედგენა, რომელთა შინაარსიც არ ეცნობება ნოტარიუსს. დახურული ანდერძი პირადად უნდა იქნეს დაწერილი და ხელმოწერილი მოანდერძის მიერ და დახურულ კონვერტში გადაცემული ნოტარიუსისთვის ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც ვალდებულნი არიან კონვერტზე დატოვონ თავიანთი ხელმოწერა. მოწმეების მიერ ხელმოწერილი კონვერტი მათი თანდასწრებით ნოტარიუსის მიერ თავსდება სხვა კონვერტში, რომელზეც წარწერას აკეთებს ნოტარიუსი მოანდერძის შესახებ, რომლის სახელითაც ნოტარიუსის მიერ მიღებულია დახურული ანდერძი, მისი მიღების ადგილისა და თარიღის, თითოეული მოწმის გვარის, სახელის, მამის სახელისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად.

ანკლავი – სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც არ გააჩნია ზღვის სანაპირო, მთლიანად შემოსაზღვრულია სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოების სახმელეთო ტერიტორიით. ანკლავი შეადგენს იმ სახელმწიფოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს, რომელსაც განეკუთვნება ის. მაგალითად, შვეიცარიის ტერიტორიაზე განლაგებულია გერმანიის ანკლავი ბიუზინგენი და იტალიის ანკლავი კამპიონე დ'იტალია. 1995 წელს გადაწყდა სადაო ანკლავის ბარლე-ნასაუ და ბარლე-ხორტის ბედი ნიდერლანდების ტერიტორიაზე (წარმოიქმნა 1843 წელს ბელგიასა და ნიდერლანდებს შორის დროებითი საზღვრების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შედეგად), ის გადაეცა ბელგიას. საქონლისა და ტვირთის მიწოდება ანკლავის მცხოვრებთა ურთიერთობა თავისი ქვეყნის მოსახლეობასთან, კომუნიკაციის პრობლემები და სხვ. უმნიშვნელოვანესი პრობლემებია ანკლავის შემადგენელ ტერიტორიების არსებობისთვის და წყდება საერთაშორისო ხელშეკრულებებში ანკლავის სუვერენულ სახელმწიფოსა და ანკლავის გარემომცველ სახელმწიფოებს შორის.

ანტაგონიზმი [ძვ.-ბერძ. α'νταγωνι'σμα კამათი, ბრძოლა] შეურიგებელი დაპირისპირება, რომელიც გამოირჩევა საპირისპირო ძალების, ტენდენციების მკვეთრი ბრძოლით.

ანტითეზა [ფრ. antithese < ძვ.-ბერძ. α'ντι'θεσις დაპირისპირება] საპირისპირო კონტრასტული აზრების, ცნებების, ხატების დაპირისპირება ან შედარება შთაბეჭდილების გასაძლიერებლად.

ანტითეზისი [ძვ.-ბერძ. α'ντι'θεσις დაპირისპირება] 1) დებულება ან მსჯელობა, რომელიც უპირისპირდება თეზისს; პირობითი დებულების უარყოფა მისი გაანზრების პროცესში; 2) გეორგ ჰეგელის (1770–1831) ფილოსოფიაში დიალექტიკურ განვითარებაში უარყოფის მომენტი – მეორე საფეხური ტრიადის სამ საფეხურს შორის, პირველ (თეზისთან) და მესამე (სინთეზთან) ერთად.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომელიც იცავს მომხმარებელს მწარმოებლის მონოპოლიისაგან. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ადგენს ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ისეთი ხასიათის შეზღუდვებსა და წამახალისებელ ღონისძიებებს, რაც მომხმარებლის ინტერესებსაც იცავს და წარმოების განვითარებასაც

უწყობს ხელს. ანტიმონოპოლიური საქმიანობისა და სამსახურის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონით მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ.

ᲐᲜᲣᲘᲢᲔᲢᲘ [გერ. Annuit t < სშ.-ლათ. annuitas ყოველწლიური გადასახადი] 1) XVII-XIX სს-ში ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გაერცელებული სახელმწიფო სესხის სახეობა, რომლის მიხედვითაც კრედიტორი ღებულობდა შემოსავალს (რენტას), რომელიც შეიცავდა ვალისდაფარულ ნაწილს და მის პროცენტულ გადასახადს; 2) ამგვარი ანაბრის ყოველწლიური გადასახადი.

ᲐᲞᲐᲜᲐᲟᲘ [ფრ. apanage] სამეფო დომენის ნაწილი ან ფულადი რჩენა, რომელიც საფრანგეთში (1832 წ-მდე) და ევროპის სხვა მონარქიებში ერცელდებოდა უმცროს არაგვირგვინოსან ვაჟებზე, ძმებზე (ჩვეულებრივ მთელი ცხოვრების მანძილზე).

ᲐᲞᲐᲠᲗᲔᲘᲓᲘ [აფრიკანსი *apartheid* ცალ-ცალკე ცხოვრება] რასობრივი დისკრიმინაციის უკიდურესი ფორმა, რომელიც გამოიხატება მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, მათი რასობრივი წარმომავლობის მიხედვით პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სამოქალაქო უფლებების წართმევაში, ტერიტორიულ იზოლაციაში და ა.შ.; ა-ს ზოგიერთი ფაქტი შეიძლება გენოციდს შეადგენდეს.

ᲐᲞᲐᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ძველი ინდური სამართლის ძეგლი, შედგენილი ბრაჰმანთა ერთ-ერთი სკოლის, სახელდობრ, აპასტამბას სკოლის მიერ დაახლ. ძვ. წ. IV ს-ში. ჩვეულებითი სამართლის ნორმებთან ერთად შეიცავს ზნეობრივი, სარწმუნოებრივი და საყოფაცხოვრებო ხასიათის რჩევა-დარიგებებს. ვრცლად ასახავს ძველი ინდოეთის საზოგადოებრივ წესწყობილებას – ვარნების (კასტების) სოციალურ სისტემას, მათ უფლებრივ მდგომარეობას. ამასთანავე აყალიბებს სამოქალაქო სამართლის ცალკეულ ნორმებს (საოჯახო, მემკვიდრეობითი და სხვა).

ᲐᲞᲔᲚᲐᲜᲢᲘ [< აპელაცია] აპელაციასთან დაკავშირებული, მასთან მიმართებაში მყოფი; ა. სასამართლო – ზემდგომი სასამართლო, რომელსაც აქვს საქმის ძირეულად შესწავლის უფლება; ა. სასამართლო ხელახლა იკვლევს საქმეში არსებულ და ახლადშემოსულ მტკიცებულებებს და ან ამტკიცებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, ან ახალი გამოაქვს; იხ აგრ. კასაცია.

ᲐᲞᲔᲚᲐᲪᲘᲐ – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – კანონი

განაჩენისა და სხვა გადაწყვეტილებების გასაჩივრება – კარი №10

აპელაცია – თავი №56

მუხლი №517 – პირის უფლება, საქმე განიხილონ ორ სასამართლო ინსტანციაში

მსჯავრდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვთ მოითხოვონ საქმის განხილვა არანაკლებ ორ სასამართლო ინსტანციაში.

მუხლი №518 – სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტი

1. სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ სახელმწიფო ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, დაზარალებულს, მსჯავრდებულს, დამცველს, მსჯავრდებულისა და დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, და მის წარმომადგენელს.

2. სააპელაციო წარმოება ტარდება შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე.

3. სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათს წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ განაჩენი მხოლოდ სარჩელის საფუძვლისა და თანხის ნაწილში.

4. დამცველსა და წარმომადგენელს უფლება აქვთ შეიტანონ სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მსჯავრდებულის, დაზარალებულისა და მარწმუნებლის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებული, მსჯავრდებული ან მარწმუნებელი არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი.

მუხლი №519 – სააპელაციო გასაჩივრების საგანი

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება, რომელიც, აპელანტის აზრით, დაუსაბუთებელია, განაჩენის, სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობაში იგულისხმება ის, რომ არ არის დამტკიცებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს და იგი უნდა განიხილოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, თუ სადავო ხდება განაჩენის დასაბუთებულობა ან/და კანონიერება.

მუხლი №520 – სააპელაციო საჩივრის განხილვის სავალდებულოობა

1. სააპელაციო საჩივრის შეტანა სავალდებულო წესით იწვევს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას და ახალი სასამართლო გამოძიების ჩატარებას. დაუშვებელია სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმა.

2. ნაწილი ამოღებულია.

მუხლი 521 – სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენსა თუ სხვა გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარს სააპელაციო წესით განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

2. სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის საფუძველზე საქმეს განიხილავს 3 მოსამართლის შემადგენლობით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განმხილველ მოსამართლეთა შემადგენლობის თავმჯდომარედ ინიშნება ამ შემადგენლობის ერთ-ერთი მოსამართლე.

მუხლი 522 – სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველი

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენისა თუ სხვა გადაწყვეტილების როგორც დასაბუთებულობის, ისე კანონიერების თაობაზე შეტანილი საჩივარი.

მუხლი 523 – სააპელაციო გასაჩივრების ეადები

1. მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში.

2. საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება დადგენილებით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა.

3. სააპელაციო საჩივრის ფოსტითა და კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებებით გაგზავნისას საჩივარი შეტანილად ითვლება იმ დღიდან, როცა იგი გადაეცა ფოსტას ან კავშირგაბმულობის სხვა ორგანოს.

4. მსჯავრდებულ თანამდებობის პირს, რეკეტირს ან ქურდული სამყაროს წევრს, რომლის მიმართ სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მის დაუსწრებლად, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს განაჩენი დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან 14 დღის ვადაში, თუ განაჩენი ამ კანონით დადგენილი წესით არ ყოფილა გასაჩივრებული მისი დამცველის ან წარმომადგენლის მიერ.

მუხლი 524 – სააპელაციო საჩივრის შეტანა

1. განაჩენის გამომტან სასამართლოში შეაქვთ სააპელაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი ამ სასამართლომ გადასცეს პროცესის ყველ მონაწილეს, რომელსაც მხარის საპროცესო მდგომარეობა უკავია.

2. ზემდგომ სასამართლოში საქმის გაგზავნისას მას უნდა დაერთოს განაჩენის იმდენი ეგზემპლარი, რამდენი პირის მიმართაც იქნა განაჩენი დადგენილი.

მუხლი №529 – სააპელაციო საჩივარი

1. სააპელაციო საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში აღინიშნება:

ა) სასამართლოს სახელწოდება, სადაც იგზავნება საჩივარი;

ბ) საჩივრის შემტანი პირის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპროცესო მდგომარეობა;

გ) გასაჩივრებული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, მისი გამოტანის თარიღი;

დ) განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებული დებულებანი;

ე) გასაჩივრებულ დებულებათა მცდარობა და, კერძოდ, რაში გამოიხატება მათი მცდარობა;

ვ) მომჩივანის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი;

ზ) მტკიცებულება, მათ შორის, ახლად აღმოჩენილი, რომელიც უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ;

თ) დამატებით წარმოდგენილი მასალები.

2. სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს იმ პირთა სია, რომელთა გამოძახებასაც აპელანტი მოითხოვს.

3. თუ საჩივარი არ შეესაბამება ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე აპელანტს აძლევს დროს 5 დღის ვადით საჩივრის ხარვეზის შესავსებლად, ან ამავე მიზნით ნიშნავს დამცველს. თუ აპელანტი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, სააპელაციო საჩივარი არ განიხილება, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი და სხვა სასამართლო გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და მიექცევა აღსასრულებლად ამ კოდექსით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. აპელანტს უფლება აქვს სათათბირო ოთახში შემავალებელი გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე უკან გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საჩივრის განმეორებითი შეტანა არ დაიშვება, ხოლო სასამართლოს მიერ ამ საკითხზე გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება.

5. მომჩივანი სახელმწიფო ბაჟს არ იხდის.

6. სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საჩივრის მიღებიდან 2 კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე. ზეპირი მოსმენის გარეშე მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია დანიშნული სასჯელი შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით.

მუხლი №537 – სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი:

1. სააპელაციო წესით განაჩენის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) არასრული ან ცალმხრივი წინასწარი გამოძიება, ანდა სასამართლო განხილვა, რაც ვერ შეიცვება სააპელაციო წესით საქმის განხილვისას;

ბ) განაჩენში ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, თუ შეუძლებელია დამატებითი მტკიცებულებების შეგროვება სააპელაციო წესით საქმის განხილვისას;

გ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა.

2. განაჩენის შეცვლა ხდება ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ საფუძველზე, თუ იგი ეხება ზოგიერთ ბრალდებას ან ბრალდებათა ეპიზოდებს.

ᲐᲞᲔᲚᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ

– სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებათა გადახედვა, რომლებიც არ არიან შესულნი კანონიერ ძალაში; საარბიტრაჟო სამართალწარმოების სტადია. სააპელაციო საჩივრებს სააპელაციო წარმოების წესით განიხილავს სააპელაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლო. სააპელაციო გასაჩივრების უფლება აქვთ საქმეში მონაწილე პირებს. სააპელაციო საჩივარი შედის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში პირველ ინსტანციაში გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მეშვეობით. სააპელაციო საჩივარში არ შეიძლება განცხადდეს ახალი მოთხოვნები, რომლებიც არ იყო განხილვის საგანი პირველი ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოში.

საარბიტრაჟო პროცესში აპელაციის მიზანს წარმოადგენს სასამართლო დადგენილებების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება. სააპელაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოში არ გამოიყენება წესები რამდენიმე მოთხოვნის გაერთიანებისა და განცალკევების, სარჩელის საფუძვლის ან საგნის

ცელილების, შემხვედრი სარჩელის წამოყენების, არასათანადო მოპასუხის შეცვლის, საქმეში მესამე პირთა ჩართვის შესახებ. სააპელაციო წარმოების წესით საქმის განსახილველად არ ხდება საარბიტრაჟო მსაჯულების მოწვევა.

სააპელაციო წარმოების წესით საარბიტრაჟო სასამართლო განხილავს განმეორებით საქმეს საქმეში არსებული და დამატებით წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით. სააპელაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დამატებითი მტკიცებულებები მიღება, თუ საქმეში მონაწილე პირმა დაასაბუთა მათი წარმოდგენის შეუძლებლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და თუ სასამართლო ამ მიზეზებს ჩათვლის საპატიოდ. საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვთ განაცხადონ შუამდგომლობა ახალი მოწმეების გამოძახების, ექსპერტიზის ჩატარების, საქმეზე წერილობითი ან ნივთმტკიცებების დართვის ან მათი გამოთხოვის შესახებ, რომელთა გამოკვლეეაც ან გამოთხოვაც არ იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

სააპელაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს უფლება აქვს: ა) უცილებლად დატოვოს პირველი ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო სააპელაციო საჩივარი – დაკმაყოფილების გარეშე; ბ) გააუქმოს ან შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ და საქმეზე მიიღოს ახალი სასამართლო აქტი; გ) გააუქმოს გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ და შეწყვიტოს საქმეზე წარმოება ან სასარჩელო განცხადება დატოვოს განხილვის გარეშე. პირველი ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცვლილების ან გაუქმების საფუძვლებს წარმოადგენს: ა) გარემოებების არასრული გამოკვლევა, რომელთაც საქმისთვის გააჩნიათ მნიშვნელობა; ბ) საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დაუმტკიცებლობა, რომელთაც სასამართლო თვლიდა დადგენილად; გ) გადაწყვეტილებაში გადმოცემული დასკვნების შეუსაბამობა საქმის გარემოებებთან; დ) მატერიალური სამართლის ან საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა ან არასწორი გამოყენება. სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგების მიხედვით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო იღებს სასამართლო აქტს, რომელსაც ეწოდება დადგენილება.

აპელაცია სამოქალაქო პროცესში

– კანონიერ ძალაში არშესული მომრიგებელი მოსამართლეების გადაწყვეტილებათა და განჩინებათა გასაჩივრების წესი; სამოქალაქო სამართალწარმოების სტადია. სააპელაციო გასაჩივრების უფლება აქვს საქმეში მონაწილე მხარეებსა და სხვა პირებს. საქმეში მონაწილე პროკურორს შეუძლია სააპელაციო წარდგინების შეტანა მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილებაზე, ხოლო განჩინებაზე – კერძო საჩივრის შეტანა.

სამოქალაქო პროცესში აპელაციის მიზანს წარმოადგენს საქმის მთლიანად ან ნაწილობრივ არსებითად განმეორებით განხილვა საჩივრის შინაარსის მიხედვით. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ხელახლა იკვლევს საქმის ფაქტიურ და სამართლებრივ მხარეებს. სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები და გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს: ა) დატოვოს ცვლილების გარეშე მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილება, საჩივარი, წარდგინება დაკმაყოფილების გარეშე; ბ) შეცვალოს მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილება ან გააუქმოს ის და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება; გ) გააუქმოს მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ და შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმის წარმოება ან განცხადება დატოვოს განხილვის გარეშე.

საფუძვლებს მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილების გაუქმების ან ცვლილებისთვის წარმოადგენს: ა) საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების არასწორი განსაზღვრა; ბ) პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების დაუმტკიცებლობა; გ) პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნების შეუსაბამობა საქმის გარემოებებთან; დ) მატერიალური სამართლის ან საპროცესო სამართლის ნორმების არასწორი გამოყენება ან დარღვევა. მომრიგებელი მოსამართლის არსებითად სწორი გადაწყვეტილება არ შეიძლება იქნეს გაუქმებული მხოლოდ ფორმალური მოსაზრებების გამო.

აპელაცია სისხლის სამართლის პროცესში

– მოქალაქის მიმართვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოსთვის მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მომრიგებელი მოსამართლის განაჩენით ან სხვა დადგენილებით, დარღვევის თაობაზე.

აპელაცია გადის იმ სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი ან გამოიტანა სხვა განსახილველი სასამართლო გადაწყვეტილება. აპელაცია შეაქვთ რაიონულ სასამართლოში.

აპელაცია უნდა შეიცავდეს: ა) იმ სააპელაციო ინსტანციის სახელწოდებას, რომელშიც ხდება აპელაციის შეტანა; ბ) აპელაციის შემტანი პირის მონაცემებს, მისი საპროცესო მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილისა და ადგილსამყოფელის მითითებით; გ) მითითებას განაჩენსა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაზე და ასევე მისი გამომტანი სასამართლოს სახელწოდებაზე; დ) აპელაციის წარმომდგენი პირის მოსაზრებებსა და მტკიცებულებებს, რომლებმაც დაასაბუთეს მისი მოთხოვნები; ე) აპელაციაზე დართულ მასალების ჩამონათვალს; ვ) აპელაციის შემტანი პირის ხელმოწერას.

თუ მონაცემები არ შეესაბამება მოთხოვნებს, რაც ხელს უშლის სისხლის სამართლის განხილვას, აპელაცია უბრუნდება მოსამართლეს, რომელიც ნიშნავს ვადას მისი ხელახლა შედგენისთვის. თუ არ იქნა შესრულებული მოსამართლის მოთხოვნები და აპელაცია ან წარდგინება დადგენილ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი, რის შესახებაც ხდება შესაბამისი დადგენილების გამოტანა, ისინი წარმოუდგენლად ითვლება. ამ შემთხვევაში წყდება საქმეზე სააპელაციო წარმოება და განაჩენი ითვლება კანონიერ ძალაში შესულად.

აპრე ნუ ლიო დელუჟ

[ფრ. apre's nous le de'uge] ჩვენს შემდეგ თუნდაც წარღვნა იყოს (სიტყვები, რომლებიც მიეწერება მეფე ლუდოვიკო XV-ს ან მის ფავორიტს მარკიზა დე პომპადურს).

აპრიორი

[ლათ. a priori თავდაპირველად; ადრეთქმულიდან] I) ცდისგან დამოუკიდებლად,

გამოცდილების შეძენამდე; საპირისპ.–აპოსტერიორი; 2) შეცნობის თეორიაში ცოდნა, რომელიც წინ უსწრებს გამოცდილებას და მისგან დამოუკიდებელია; 3) წინასწარ (მტკიცება, უარყოფა, დათანხმება).

აპრიორული [< ა.პრიორი] გამოცდილებისაგან დამოუკიდებელი, მანამდე არსებული, წინასწარ დადგენილი, წინასწარგანჭვრეტილი; საპირისპ. – აპოსტერიორული.

არაბირთვული ზონა ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ტერიტორია. განსაზღვრება „ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონა" მოცემულია გაერო-ს გენერალური ასამბლეის №3478 (XXX) რეზოლუციაში 1975 წ. არაბირთვული ზონის შექმნის ინიციატივა უნდა ამოდიოდეს შესაბამისი რეგიონის სახელმწიფოებიდან; არაბირთვული ზონის საფუძველში უნდა იდოს საერთაშორისო ხელშეკრულება; არაბირთვულ ზონაში შემავალი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან არ შეიმუშაონ, არ აწარმოონ, არ შეიძინონ, არ ჰქონდეთ და არ განახორციელონ კონტროლი ბირთვულ იარაღზე და სხვა ბირთვულ ასაფეთქებელ მოწყობილობებზე, აკრძალონ თავიანთ ტერიტორიაზე ასეთი მოწყობილობების განთავსება და გამოცდა, არ დაუშვან რადიოაქტიური ნივთიერებების (ნარჩენების) დამარხვა. როგორც წესი, არაბირთვული ზონის სტატუსი არ ეხება შშეიდობიან ბირთვულ ცდებს. არაბირთვული ზონის წევრი-სახელმწიფოები ვალდებულნი არიან არ გამოიყენონ ბირთვული იარაღი და არ დართონ ნება ამგვარი მოქმედება განახორციელონ თავიანთი ტერიტორიიდან, რასთან დაკავშირებითაც მათ ეძლევათ სახელშეკრულებო საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიები ბირთვულ სახელმწიფოების მხრიდან დაიცვან არაბირთვული ზონის რეჟიმი და არ გამოიყენონ მათ წინააღმდეგ ბირთვული იარაღი. არაბირთვული ზონის შექმნის შესახებ ხელშეკრულებათა პირობების მიხედვით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფოთა სხვა სპეციალური უფლებები და ვალდებულებები.

არაბირთვული ზონის რეჟიმი, რომელიც უნდა დაიცვას ყველა სახელმწიფომ ზონის დამდგენ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიუხედავად, ანტარქტიდაში განისაზღვრა 1959 წ. ანტარქტიდის შესახებ ხელშეკრულებით; მთავარისა და სხვა ციური სხეულებისთვის – 1967 წელს კოსმოსური სივრცის, მათ შორის, მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევისა და გამოყენების თაობაზე სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ ხელშეკრულებით; ზღვის ფსკერის – ზღვებსა და ოკეანეებში და მათ ფსკერზე ბირთვული და სხვა მასობრივი განადგურების იარაღის განთავსების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულებით 1971 წელს დადებულია რიგი რეგიონალური ხელშეკრულება არაბირთვული ზონის შესახებ: ხელშეკრულება ბირთვული იარაღის ლათინურ ამერიკაში აკრძალვის შესახებ (ტლატელკოს ხელშეკრულება) 1969 წ., 1990 წ. ის გავრცელდა კარიბის აუზის ქვეყნებზე, მის საფუძველზე დაფუძნდა ლათინურ ამერიკასა და კარიბის რეგიონში ბირთვული იარაღის აკრძალვის სააგენტო (ОПАНАЛ); 1986 წ. ხელშეკრულება არაბირთვული ზონის შესახებ წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში (რარატონგის ხელშეკრულება), 1-3 ოქმებით ბირთვული სახელმწიფოების ვალდებულებების შესახებ; 1995 წ. ხელშკრულება არაბირთვული ზონის შექმნის შესახებ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ბანკოკის ხელშეკრულება), 1996 წ. ხელშეკრულება აფრიკაში ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონის შესახებ (პელინდაბის ხელშეკრულება) (ძალაში არ იყო შესული 2003 წლის დასაწყისისთვის).

არაბირთვულ ზონადაა გამოცხადებული და აღიარებული გაერო-ს გა (გენერალური ასამბლეას) მიერ, მონღოლეთის მთელი ტერიტორია, ფარერის კუნძულები, გრენლანდია. 2001 წ. 29 ნოემბრის გა 56/21 რეზოლუციით გადაწყდა შეიქმნას არაბირთვული ზონა ახლო აღმოსავლეთში.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია – სამეწარმეო საქმიანობაში სამეურნეო ობიექტების საქმიანობა, რომელიც მიმართულია უპირატესობების შეძენაზე და ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს, კეთილსინდისიერების, სამართლიანობის პრინციპებს და რომელთაც შეუძლიათ ზიანის მიყენება კონკურენტებისთვის ან მათი საქმიანი რეპუტაციისთვის.

დაუშვებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, მათ შორის: ცრუ, არაზუსტი ან დამახინჯებული ცნობების გავრცელება, რომელთაც შეუძლიათ ზიანის მიყენება სამეურნეო სუბიექტისთვის ან მისი საქმიანი რეპუტაციისთვის; მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანა საქონლის დამზადების სახის, საშუალებისა და ადგილის, სამომხმარებლო თვისებების, რაოდენობის ან მისი დამამზადებლების შესახებ; სამეურნეო სუბიექტის მიერ მისი წარმოებული ან რეალიზებული საქონლის სხვა სამეურნეო სუბიექტების საქონელთან არაკორექტული შედარება; ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების უკანონო გამოყენებითი საქონლის ბრუნვაში შემოღება, გაყიდვა, გაცვლა, ასევე მათთან გათანაბრებული სამუშაოების, შესრულების, მომსახურების, პროდუქციის, იურიდიული პირის ინდივიდუალიზაციის საშუალებების გაყიდვა, გაცვლა; კომერციული, სამსახურებრივი და კანონით დაცული საიდუმლოების შემადგენელი ინფორმაციის მიღება, გამოყენება, გამჟღავნება.

არაკეთილსინდისიერი მფლობელობა – ნივთის უკანონო ფლობა, თუ მფლობელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა თავისი მფლობელობის უკანონობის შესახებ. სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების მონაწილეთა კეთილსინდისიერების ზოგადი პრეზუმფციის შესაბამისად უნდა ამოვიდეთ მფლობელის კეთილსინდისიერების შესახებ ვარაუდიდან. უკანონო მფლობელების დაყოფას კეთილსინდისიერებად და არაკეთილსინდისიერებად მნიშვნელობა აქვს მესაკუთრესა და მფლობელს შორის შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშების დროს, როცა მესაკუთრე მოითხოვს თავის ნივთს ვინდიკაციური სარჩელის მეშვეობით, ასევე საკითხის გადაწყვეტისას შეუძლია თუ არა მფლობელს საკუთრების უფლების მოპოვება ფლობის ხანდაზმულობის მიხედვით.

არაკომერციული ამხანაგობა – ერთად მოქმედი ამხანაგების გაერთიანება მიზნების მისაღწევად, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კანონს. ასეთი ამხანაგობის მონაწილე შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი. არსებობს მხოლოდ ერთი შეზღუდვა მონაწილეობაზე, რომელიც განპირობებულია ამხანა-

გის სპეციალური უფლებაუნარიანობით. სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე პირს (მაგალითად, არაკომერციულ ორგანიზაციას) არ შეუძლია მონაწილეობის მიღება ნებისმიერ არაკომერციულ ამხანაგობაში, მაგრამ ამ ამხანაგობის ჩარჩოებში მას უფლება აქვს განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც შეესაბამება მისი უფლებაუნარიანობის შინაარსს. იგივე შეიძლება ითქვას სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე მეწარმეებზე (ინდივიდუალური მეწარმეები და უნიტარული საწარმოები). ამხანაგობის პასუხისმგებლობა მათთვის საერთო ვალდებულებებზე მესამე პირების წინაშე ჩეულებრივ წარმოადგენს სოლიდარულს. სოლიდარული პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე დადგენილია კანონით არაკომერციული ამხანაგობის მონაწილეებისთვის. არაკომერციული ამხანაგობის მონაწილეების მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობა ატარებს წილობრივ ხასიათს დადებული და შესასრულებელი ხელშეკრულებების მიხედვით, ამხანაგობის შეწყვეტის მომენტამდე.

არაკომერციული პარტნიორობა – არაკომერციული ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ეფუძნება წევრობას და დაფუძნებულია მოქალაქეების და/ან იურიდიული პირების მიერ მისი წევრებისთვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებაში ხელშეწყობის მიზნით. არაკომერციული პარტნიორობა შეიძლება შეიქმნას სოციალური, საქველმოქმედო, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო მიზნებისთვის, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დასაცავად, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის, სულიერი და სხვა არამატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, დავებისა და კონფლიქტების მოსაგვარებლად, იურიდიული დახმარების გასაწევად, ასევე საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევაზე მიმართული სხვა მიზნებისთვისაც.

არაკომერციული პარტნიორობისთვის მისი წევრების მიერ გადაცემული ქონება წარმოადგენს პარტნიორობის საკუთრებას. არაკომერციული პარტნიორობის წევრები პასუხს არ აგებენ მის ვალდებულებებზე, ხოლო არაკომერციული პარტნიორობა, თავის მხრივ, პასუხისმგებელი არაა მისი წევრების ვალდებულებებზე. არაკომერციულ პარტნიორობას უფლება აქვს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა იმ მიზნების შესაბამისად, რომელთა მისაღწევადაც ის შეიქმნა. არაკომერციული პარტნიორობის წევრები ინარჩუნებენ უფლებას მის ქონებაზე, კერძოდ, პარტნიორობიდან გამოსვლას, გარიცხვის ან მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს ქონების ის ნაწილი, რომელიც წევრების მიერ ადრე გადაცემულ იქნა არაკომერციული პარტნიორობის საკუთრებაში (თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული მისი წესდებით). არაკომერციული პარტნიორობის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს წევრების საერთო კრება. იურიდიულ პირებს ამ საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმის ტიპიურ წარმომადგენლებს წარმოადგენს მებაღეობის, მებოსტნეობისა და საგარაკო არაკომერციული პარტნიორები, ასევე საფონდო ბირჟები.

არამართლზომიერი ქმედებები გაკოტრების დროს – ქონების ან ქონებრივი ვალდებულებების, ქონების, მისი ოდენობის, ქონების ადგილსამყოფელის შესახებ ცნობების დამალვა, ქონების გადაცემა სხვა სახის ფლობაში, ქონების გასხვისება ან განადგურება; ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო და სხვა საარიცხვო დოკუმენტების დამალვა, განადგურება, ფალსიფიკაცია, თუ ეს ქმედებები ჩაიდინა ორგანიზაცია-მოვალეს ხელმძღვანელმა ან მესაკუთრემ ან ინდივიდუალურმა მეწარმემ გაკოტრების დროს ან გაკოტრების განჭვრეტისას და ამან გამოიწვია დიდი ზიანის მიყენება; ცალკეული კრედიტორების ქონებრივი მოთხოვნების არამართლზომიერი დაკმაყოფილება ორგანიზაცია-მოვალეს ხელმძღვანელსა თუ მესაკუთრეს ან ინდივიდუალურ მეწარმეს მიერ, რომელმაც იცის თავისი ფაქტიური გაკოტრების შესახებ და ახორციელებს ამას სხვა კრედიტორების საზიანოდ.

არამატერიალური კეთილდღეობები – სამოქალაქო სამართლის ობიექტების განსაკუთრებული კატეგორია. არამატერიალურ კეთილდღეობებს განეკუთვნება ეკონომიკური შინაარსის არმქონე და მათი მატარებელთა პიროვნებისგან გამოუყოფი კეთილდღეობები და თავისუფლებები, რომლებიც ალიარებული და დაცულია მოქმედი კანონმდებლობით. მოქალაქეების (იურიდიული პირების) მიერ შეძენილ არამატერიალურ კეთილდღეობებს დაბადების (შექმნის) ძალით განეკუთვნება სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პიროვნების ღირსება, პირადი ხელშეუხებლობა, კარგი სახელი, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირადი და ოჯახური საიდუმლოება; კანონით შეძენილ არამატერიალურ კეთილდღეობებს განეკუთვნება თავისუფალი გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩეის, სახელის და სხვა პირადი არაქონებრივი უფლებები.

არასათანადო მხარე სამოქალაქო პროცესში მოსარჩელე ან მოპასუხე, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილება. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია, მოსარჩელის თანხმობით, საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე ან მოპასუხე სათანადო მოსარჩელითა თუ მოპასუხით.

არანშირება – მუსიკალური ნაწარმოების გადატანა სხვა ინსტრუმენტზე (ინსტრუმენტებზე ან ვოკალზე) შესასრულებლად.

არასათანადო რეკლამა არაკეთილსინდისიერი, მცდარი, არაეთიკური და სხვა სახის რეკლამა, რომელშიც დაშვებულია მისი შინაარსის, დროის, ადგილისა და გაურკვევლობის ხერხისადმი მოთხოვნების დარღვევები.

არასახელმწიფო საპენსიო ფონდი – სოციალური უზრუნველყოფის არაკომერციული ორგანიზაციის განსაკუთრებული საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმა, რომლის განსაკუთრებულ სახეებსაც წარმოადგენს: ფონდის მონაწილეთა არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობა არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ხელშეკრულებების შესაბამისად; მზღვეველის სახით საქმიანობა საკვლდებულო საპენსიო დაზღვევასთან დაკავშირებით; საქმიანობა პროფესიული საპენსიო სისტემების შექმნის შესახებ ხელშეკრულებების შესაბამისად.

ფონდის საქმიანობა საალდებულო საპენსიო დაზღვეიდან გამომდინარე ფონდის მონაწილეთა არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხორციელდება ნებაყოფლობით საწყისებზე და მოიცავს საპენსიო შენატანების აკუმულირებას, საპენსიო რეზერვის განთავსების ორგანიზებას, ფონდის წევრებისთვის არასახელმწიფო პენსიების დანიშნასა და გაცემას. მზღვეველის სახით ფონდის საქმიანობა მოიცავს საპენსიო თანხების აკუმულაციას, საპენსიო დაგროვების სახსრების ინვესტორების ორგანიზებას, მათ აღრიცხვას, დაზღვეული პირებისთვის შრომის პენსიის დანიშნასა და გაცემას. ფონდის საქმიანობა პროფესიული საპენსიო დაზღვევის მზღვეველის სახით მოიცავს საპენსიო სახსრების აკუმულაციას, საპენსიო დაგროვების სახსრების ინვესტორებას, მათ აღრიცხვას, დაზღვეული პირებისთვის პროფესიული პენსიების დანიშნასა და გადახდას.

არასრული სამუშაო დრო – დრო, რომელიც შეიძლება დადგინდეს მუშაკსა და სამუშაოს მიმცემს შორის შეთანხმებით, როგორც სამუშაოზე მიღებისას, ასევე შემდგომშიც. არასრული სამუშაო დროის შემთხვევაში მუშაკი მოცემულ საწარმოში განრიგით ან გრაფიკით დადგენილზე ნაკლებ დროს მუშაობს (მაგალითად, 8 სთ-ის ნაცვლად 4 სთ.). არასრული სამუშაო დრო შეიძლება იყოს: ა) არასრული სამუშაო დღის ფორმით ე.ი. მცირდება ყოველდღიური სამუშაოს ხანგრძლივობა გარკვეული რაოდენობის საათით დადგენილთან შედარებით; ბ) არასრული სამუშაო კვირის ფორმით ე.ი. სამუშაო დღის ნორმალური ხანგრძლივობის შენარჩუნებისას მცირდება კვირაში სამუშაო დღეების რაოდენობა; გ) არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის შეთავსების ფორმით (მაგალითად, კვირაში 3 სამუშაო დღე მუშაობის ხანგრძლივობით დღეში 4 სთ.). შემცირებული სამუშაო დღისგან განსხვავებით, რომელიც წარმოადგენს შრომის ხანგრძლივობის სრულ საზომს, რაც დადგენილია კანონით შრომის გარკვეული პირობების ან მუშაკების კატეგორიისთვის და არ ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების შემცირებას, არასრული სამუშაო დრო მხოლოდ ამ საზომის ნაწილია, ამიტომ შრომის ანაზღაურება არასრულ სამუშაო დროს ხდება გამომუშავებული დროის პროპორციულად, ხოლო შრომის გარიგებითი ანაზღაურებისას გამომუშავების მიხედვით.

არასრული სამუშაო დრო შეიძლება დადგინდეს ნებისმიერი მუშაკის თხოვნით და სამუშაოს მიმცემის თანხმობით, როგორც გარკვეული ვადით, ასევე ვადის მითითების გარეშე. სამუშაოს მიმცემმა არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა უნდა დაადგინოს ორსული ქალის, ერთ-ერთი მშობლის (მეურვის, მზრუნველის) თხოვნით, რომელსაც ჰყავს ბავშვი 14 წლამდე (ინვალიდი ბავშვი 18 წლამდე), ასევე იმ პირთან მომარაგებაში, რომელიც უელის ოჯახის ავადმყოფ წევრს სამედიცინო დასკვნის შესაბამისად. არასრული სამუშაო დროს პირობით მომუშავე მუშაკებს გააჩნიათ იგივე შრომითი უფლებები, როგორც პირებს, რომლებიც მუშაობენ სრულ სამუშაო დროს. არასრულ სამუშაო დროს მომუშავე პირებს ერგებათ სრული ყოველწლიური და სასწაელო შვებულება; მუშაობის დრო შედის სამუშაო სტაჟში, როგორც სრული სამუშაო დრო; გამოსასვლელი დღეები და დღესასწაულები ერგებათ შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. არასრულ სამუშაო დროს პირობით მუშაობის შემთხვევაში მუშაკს არ ეძლევა დამატებითი შვებულება. არასრული სამუშაო დროის შემოღება შეიძლება მოხდეს როგორც მუშაკის, ასევე სამუშაოს მიმცემის ინიციატივითაც. მისი შემოღება შესაძლებელია წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში ცვლილებებთან, ორგანიზაციის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ობიექტური მიზეზებით გაუარესებასთან, წარმოების მოცულობის ხანმოკლე შემცირებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში არასრულ სამუშაო დროზე გადასვლა მუშაკისთვის წარმოადგენს შრომის ძირითადი პირობების ცვლილებას და ამიტომ ის უნდა მოხდეს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

არასრულწლოვანებით ვაჭრობა – არასრულწლოვანის ყიდვა-გაყიდვა ან სხვა გარიგება არასრულწლოვანთან დაკავშირებით, მისი გადაცემის ან დაუფლების ფორმით. პასუხისმგებლობა დგება ვაჭრობაზე ან გასხვისებაზე, შეძენაზე მხოლოდ მაშინ, როცა გარიგების ობიექტს წარმოადგენს არასრულწლოვანი პირი.

არასრულწლოვანთა (და მათი უფლებების დაცვის) საქმეების კომისიები – მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ წარმოქმნილი უწყებათშორისი მაკოორდინირებელი ორგანოები, ერთიანი პოლიტიკის გატარების მიზნით. არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებისა და უმეთვალყურეობის პროფილაქტიკის, ამ მიმართულებით ყველა დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრიეი გაერთიანებების მუშაობის კოორდინაციის დარგში. ასეთი კომისიების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ზოგადსახელმწიფოებრიეი და რეგიონალური ღონისძიებების შემუშავება, ობოლი და მოუსაფარი ბავშვებისთვის ნორმალური სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მათთვის დახმარების გაწევა განათლების მიღებაში, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

არასრულწლოვანთა (და მათი უფლებების დაცვის) საქმეების კომისიის ამოცანებში შედის: ა) არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისა და აღდგენის თაობაზე, არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის, მიუსაფარობის, სამართალდარღვევებისა და ანტისაზოგადოებრივი მოქმედებების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის ღონისძიებების განხორციელება; ბ) არასრულწლოვანთა აღზრდის, სწავლების, შენახვის პირობების კონტროლის ორგანიზება; გ) არასრულწლოვანთა პროფილაქტიკისა და უმეთვალყურეობის სისტემის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია; დ) მასალების მომზადება სასამართლოსთვის დაზურული ტიპის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანთა შენახვასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ე) საგანმანათლებლო დაწესებულებების წარდგინების განხილეა ამ დაწესებულებებიდან ძირითადი ზოგადი განათლების არმქონე არასრულწლოვანთა გარიცხვის შესახებ; ვ) დახმარების გაწევა იმ არასრულწლოვანთა შრომით და

საყოფაცხოვრებო მოწყობაში, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან და სოციალურ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა – კანონით დადგენილი წესით მიღებული და განსაზღვრულ ასაკს მიღწეული პირი. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ამ ასაკს განსაზღვრავენ 18 წლით. მანამდე არასრულწლოვანი პასუხს აგებს მნიშვნელოვნად შემცირებული პასუხისმგებლობით ან არასრულწლოვანთა კომისიებზე. უმეტესად არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა თავისუფლების აღკვეთით დგებოდა ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა მკვლელობა, გაუპატიურება, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ყაჩაღობა, გაძარცვა, ქურდობა, ბოროტი ხულიგნობა და სხვა ისეთი სახის დანაშაულის მცდელობა ან მომზადება, რითაც შეეძლო დიდი ოდენობით ზარალის მიყენება პიროვნებაზე ან სახელმწიფოზე.

არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაული დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, თუ მისი ჩამდენის გამოსწორება დაუსჯელადაც შეიძლება და მას შეუძლია დაუნიშნოს აღმზრდელობით-იძულებითი ღონისძიება.

ძველი ქართული სამართლის მიხედვით არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა 10 წლის ასაკიდან იწყებოდა („სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა", მუხლი 187).

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა – არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა იგება ზოგად საწყისებზე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენების გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით. არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის თავისებურება მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე წარმოადგენს მისი რეალიზაციის შესაძლებლობა სხვადასხვა ფორმით: ა) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებისა და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ზომების გამოყენების ფორმით; ბ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ფორმით, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სახით: განთავისუფლება სასჯელისგან აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ზომების გამოყენებით; განთავისუფლება სასჯელისაგან და დანაშაულის მოთავსება არასრულწლოვანთა სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში.

სასჯელი გამოიყენება მხოლოდ დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობილი არასრულწლოვანების მიმართ. არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელის სახეებია: ა) ჯარიმა; ბ) გარკვეული საქმიანობის დაკავების უფლების ჩამორთმევა; გ) საჯაროდ ბოლო სამუშაოები; დ) გამოსასწორებელი სამუშაოები; ე) დაპატიმრება; ვ) თავისუფლების აღკვეთა გარკვეული ვადით.

არასრულწლოვანთა შრომა – მოქალაქეთა შრომა, რომელთაც არ მიუღწევიათ 18 წლისთვის. თუმცა კი სამუშაოზე ხდება 16 წლის ასაკის მოქალაქეების აყვანა, განსაკუთრებულ შემთხვევებში შრომის ხელშეკრულება შეიძლება დადონ 15 წლის პირებმაც (თუ მათ მიიღეს ძირითადად ზოგადი განათლება ან დატოვეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება კანონის შესაბამისად) ან 14 წლის მოსწავლეებმა ერთ-ერთი მშობლის (მეურვის, მზრუნველის) ან მეურვეობისა და ზრუნვის ორგანოს თანხმობით სწავლისგან თავისუფალ დროს მსუბუქი შრომის შესრულებით, რაც ზიანს არ აყენებს მათ ჯანმრთელობას და არ არღვევს სწავლის პროცესს. შრომის კანონმდებლობა ამ მხრივ გამოყოფს კინემატოგრაფიის ორგანიზაციებს, თეატრებს, თეატრალურ და საკონცერტო ორგანიზაციებს, ცირკს, სადაც დაშვებულია შრომის ხელშეკრულების დადება 14 წლამდე ასაკის პირებთანაც, 2 პირობის შესრულებისას: ერთ-ერთი მშობლის (მეურვის, მზრუნველის) და ზრუნვისა და მეურვეობის ორგანოს თანხმობის არსებობა და მონაწილეობა ნაწარმოებების შექმნასა და/ან შესრულებაში, რომლებმაც ზიანი არ უნდა მიაყენონ არასრულწლოვანთა ჯანმრთელობასა და ზნეობრივ განვითარებას.

არასრულწლოვანთა სამუშაოზე აყვანა ხდება მხოლოდ წინასწარი სამედიცინო შემოწმების შემდეგ და შემდგომ, კანონით განსაზღვრული (18 წლის) ასაკის მიღწევამდე, ექვემდებარება საჯალდებულო სამედიცინო შემოწმებას სამუშაოს მიმცემის ხარჯზე, არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით აკრძალულია: ა) არასრულწლოვანთა შრომის გამოყენება მაუნე და/ან საშიში პირობების, მიწისქვეშა სამუშაოებზე; ბ) სიმძიმეების გადატანა და გადაადგილება, რაც აღემატება არასრულწლოვანთათვის დადგენილ ნორმებს. არ შეიძლება არასრულწლოვანთა დასაქმება ღამის, ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, არასრულწლოვანთა ყოველწლიური შეებულება მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში შეადგენს 31 კალენდარულ დღეს მათთვის ხელსაყრელ დროს.

არასრულწლოვანთა განთავისუფლება სამუშაოს მიმცემის ინიციატიით დასაშვებია, განთავისუფლების ზოგადი წესის დაცვის გარდა მხოლოდ შრომის შესაბამისი სახელმწიფო ინსპექციისა და არასრულწლოვანთა საქმეებისა და მათი უფლებების დაცვის კომისიის თანხმობით. გამონაკლისის შეადგენს მხოლოდ განთავისუფლება ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში. მსოფლიოს კანონმდებლობის სტანდარტებით 18 წლამდე ასაკის მუშაკები სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებენ მხოლოდ ზიანის განზრახ მიყენებაზე, ზიანის მიყენებაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური თრობის მდგომარეობაში ან ადმინისტრაციული გადაცდომის შედეგად. 16 წლამდე ასაკის მუშაკების სამუშაო დრო შეადგენს 24 სთ. კვირაში, 16-დან 18 წლამდე – 36 სთ კვირაში, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისათვის ის არ უნდა აღემატებოდეს ზემოთაღნიშნული ნორმის ნახევარს. ამასთან, ყოველდღიური მუშაობის (ცვლის) ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 სთ-ს 15-დან 16 წლამდე ასაკის მუშაკებისთვის, ხოლო 7 სთ. 16-დან 18 წლამდე ასაკისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაწყებითი და საშუალო პროფესიული განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის, რომლებიც სწავლას და შრომას უთავსებენ ერთმანეთს, 14-დან 16 წლამდე ასაკის მუშაკებისთვის 2,5 სთ, 16-დან 18 წლამდე ასაკის მუშაკებისთვის – 3,5 სთ. შრომის დროითი ანაზღაურებისას 18 წლამდე ასაკის მუშაკებისთვის ხელ-

ფასი გაიცემა სამუშაოს შემცირებული ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სანარდო მუშაობისას – დადგენილი სანარდო ფასდების შესაბამისად, ხოლო სწავლისგან თავისუფალ დროს მომუშავეებზე ხელფასი გაიცემა გამომუშავებული დროის მიხედვით. გამომუშავების ნორმები დგინდება გამომუშავების ზოგადი ნორმებიდან გამომდინარე.

არასრულწლოვანი – პირი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია სრული ქმედუნარიანობის ასაკისათვის და განსაზღვრულია კანონით დადგენილი წესით სამართლის ნორმაში. არასრულწლოვანი მოკლებულია მთელ რიგ უფლებებს რომელთა შორის უმთავრესია დადოს გარიგებები და განახორციელოს კანონით განსაზღვრული და სრულწლოვანისთვის განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი. ამ დროს გარიგებას დებს და სამართლებრივ უფლებამოსილებებს ანხორციელებს კანონით დადგენილი მეურვე, მშობელი, მშვილებელი, მზრუნველი და სხვა უფლებამოსილი პირი, მაგრამ თუ საკმარ საფუძველი არსებობს და მზრუნველი უფლებამოსილი პირი მასზე დაკისრებულ მოვალეობას შესაბამისად ვერ ახორციელებს, მას შეიძლება ჩამოერთვას მისთვის მინიჭებული რწმუნებები, ან იმ შემთხვევაში თუ დამტკიცდება, რომ მზრუნველის მიერ მიყენებული ზიანი განზრახ ქმედებით ან სერიოზული ზარალის შემცველია. არასრულწლოვანის ზღვრები მსოფლიოს ბევრ ქვეყნებში 14-დან 18 წლამდე განისაზღვრება.

არასრულწლოვანის აღზრდის ვალდებულების შეუსრულებლობა – მშობლებზე ან მათ შემცველ პირებზე, პედაგოგსა თუ საგანმანათლებლო, აღმზრდელობით ან არასრულწლოვანების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი დაწესებულების სხვა მუშაკებზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან გულგრილი შესრულება, რაც გამოიხატება მის ცემაში, ბუნებრივ ადგილებში, ადამიანური ღირსების შელახვაში, საკვების არმიცემაში, მოძრაობის თავისუფლების შეზღუდვაში და ა.შ.

არასრულწლოვანისთვის სასჯელის შეფარდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გარემოებების გარდა გათვალისწინებულია მისი სიცოცხლისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, პიროვნების სხვა თავისებურებები, ასევე მასზე უფროსი პირების გავლენა.

არასრულწლოვანი ასაკი, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება გათვალისწინებულია სხვა შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებთან ერთობლიობაში.

არასრულწლოვანის შრომა – არასრულწლოვანის შრომა განისაზღვრება კანონით და სრულწლოვანებამდე ხდება იმ მდგომარეობების და მიდგომების ჩამოთვლა, რომლითაც შეიძლება არასრულწლოვანის შრომის გამოყენება. თითქმის ყველა კანონმდებლობით აკრძალულია მისი ზეგანაკეთური, ღამის და ჯანმრთელობის დამაზიანებელ სამსახურში მათი შრომის გამოყენება. პირიქით, არასრულწლოვანის შრომა გათანაბრებულია ან სარგებლობს უპირატესობით სრულწლოვანის შრომასთან მიმართებაში.

უმრავლეს ქვეყნებში არასრულწლოვანის შრომად ითვლება 16-დან 18 წლის ასაკს შორის მყოფი პირი.

არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივი ქმედებების ჩადენაში – დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვანთა წინააღმდეგ, რომელიც მდგომარეობს არასრულწლოვანის დაყოლიებაში სისტემატურად გამოიყენოს სპირტიანი სასმელები, გამბარუებელი ნივთიერებები, ხელი მიპყოს პროსტიტუციას, მაწანწალობასა თუ მათხოვრობას.

თანამედროვე შეხედულებებით პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის მიერ სპირტიანი სასმელების ან გამბარუებელი ნივთიერებების გამოყენებაში ჩაბმაზე დგება იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ეს ქმედება ჩადენია 2-ზე მეტჯერ, რაც ამტკიცებს მათ სისტემატურ ხასიათს. არასრულწლოვანის ლოთობასა და დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმაზე პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ამ განზრახვისა და მისი რეალიზაციის დამამტკიცებელი ქმედებების ჩადენის დადასტურების დროს. მოცემული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს პირი, რომელმაც მიაღწია 18 წელს.

გამბარუებელი ნივთიერებები – კლოფელინი (ალკოპოლური ნარევი ნებისმიერი პროცენტით), დიმედროლის ნარევი ალკოპოლთან, ბარბიტურატულ-ალკოპოლური ნარევი, ქლოროფორმი, ეთერი, ტოლუოლი, ქლორეთილი, აზოტის ქვეჟანგი, მცენარეთა სპირტის ექსტრაქტები, რომლებიც შეიცავენ ტროპანის ჯგუფის ალკალოიდებს, ქსენონი, და სხვა ტერმინებს ხმარობენ აღნიშნული ნივთიერების აღსანიშნავად სხვა ტერმინებისა და სინონიმების გამოყენების მიუხედავად.

პროსტიტუცია – საქმიანობის სახე, რომელიც გამოიხატება ქალებისა და კაცების სისტემატური უწესრიგო არა ტრადიციული სქესობრივი კავშირი მატერიალური ხასიათის საზღაურის სანაცვლოდ. საზღაური – ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანი, ზოგიერთ ქვეყანაში თუ ის არ არსებობს, არაა კიდეც პროსტიტუცია, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში – არასრულწლოვანის დაყოლიება ჩადინოს ნებისმიერი დანაშაული დაპირების, მოტყუების, მუქარის ან სხვა საშუალებით, რომელიც ხორციელდება კანონით განსაზღვრულ ასაკს (18 წელს) მიღწეული პირის მიერ. არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში გულისხმობს უფროსების აქტიურ მოქმედებებს, რაც უკავშირდება არასრულწლოვანზე ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებას. მხოლოდ უფროსების არასრულწლოვანთან ერთად დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ფაქტი არ წარმოქმნის ამ დანაშაულის შემადგენლობას.

თავისთავად არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში არ ნიშნავს არასრულწლოვანის მიერ ამ დანაშაულის ჩადენას. ჩაბმა ითვლება დასრულებულად იმ მომენტიდან, რაც ის შედგა ე.ი. როცა მოზარდმა განაცხადა თანხმობა დანაშაულის ჩადენაზე. ამის გათვალისწინებით ჩაბმა შეიძლება იყოს განხორციელებული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები – ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით, მეტეოროლოგიური პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების დაგროვებას ატმოსფერული ჰაერის მიწასთან მიახლოებულ შრეში.

არბიტრაჟი (ფრანგ. arbitrage) დავის გადაწყვეტის ორგანო, მხარეთა შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებული წესით დანიშნული შუამავლის (არბიტრის) მიერ; აგრეთვე სპეციალური ორგანო, რომელიც დავას წყვეტს არბიტრაჟის წესით. ბევრ ქვეყანაში არბიტრაჟის წესით აგვარებენ უთანხმოებას მეწარმეთა შორის, აგრეთვე შრომით კონფლიქტებს მეწარმეებსა და მუშებს შორის. ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს იძულებითი არბიტრაჟი — შრომითი კონფლიქტების საჯაღდებულო გადაწყვეტა საგანგებოდ შექმნილ სახელმწიფო ორგანოებში (საარბიტრაჟო ტრიბუნალები, საომრიგებლო საკნები და სხვა). საგარეო ვაჭრობის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო მსოფლიოს ქვეყნებში აღსანიშნავია არბიტრაჟის ამერიკული ასოციაცია (შეიქმნა ნიუ-იორკში 1926 წელს) და ლონდონის არბიტრაჟი ლონდონში, რომელიც იხილავს ზღვაზე გემების შეჯახებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისა და დახმარებისათვის საზღაურის დაგდების გამო წამოჭრილ დავას.

1) კამათის გადაწყვეტის საშუალება, როდესაც ორივე მხარე მიმართავს არბიტრს, რომელიც მხარეების მიერაა არჩეული ან დანიშნულია მათი შეთანხმების ან კანონით დადგენილი წესის საფუძველზე; 2) სამართალი, რომელშიც კამათის გადაწყვეტა ხდება შუამავალი მოსამართლის (არბიტრის) მიერ; 3) საერთაშორისო ა. სასამართლო, რომელიც არსებობს სახელმწიფოებს შორის დავის გადასაწყვეტად; 4) მსაჯობა სპორტულ შეჯიბრში; 5) სავალუტო ა. — უცხოური ვალუტების ან ფასიანი ქაღალდების შესყიდვა სავალუტო ბაზარზე სხვა ბაზარზე მათი იმავდროული გაყიდვით, რაც მოგების მიღების მიზნით კეთდება, რომელიც ყიდვისა და გაყიდვის კურსის განსხვავებულობით არის განპირობებული.

არბიტრაჟი საერთაშორისო სამართალში საერთაშორისო დავის გადაწყვეტა მოდავე სახელმწიფოთა შეთანხმებით შექმნილი სამედიატორო სასამართლოს მიერ. გაეროს წესდება ითვალისწინებს არბიტრაჟს, როგორც საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებას. არსებობს საერთაშორისო არბიტრაჟის ორი ფორმა: იზოლირებული, როცა სამედიატორო სასამართლო იქმნება ცალკეული დავის გადასაწყვეტად მოდავე სახელმწიფოთა სპეციალური შეთანხმებით (კომპრომისით) და საჯაღდებულო (ინსტიტუციური), როცა საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისას სახელმწიფოებს მასში შეაქვთ სპეციალური მუხლი (კომპრომისული კლაუზულა), რომლის თანახმად მომავალში ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არბიტრაჟით უნდა გადაწყდეს, ან როცა სახელმწიფოები საერთოდ შეთანხმდებიან, რომ ყველა დავა არბიტრაჟის წესით გადაწყვიტონ. ამასთანავე შეთანხმებაში განსაზღვრულია დავის საგანი და სასამართლოს შემადგენლობა (მოდავე მხარეების მიერ თანაბარი რაოდენობით დანიშნული არბიტრები და სუპერარბიტრი მესამე სახელმწიფოს მოქალაქეთაგან). სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება მოდავე მხარეებისათვის საჯაღდებულოა.

არბიტრაჟი ჩაისახა მონათმფლობელურ სახელმწიფოთა პრაქტიკაში. I ს-ში მას უკვე ფართოდ იყენებდნენ. ჰააგის 1899 წლის კონვენციით (საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ) დაარსდა სამედიატორო სასამართლოს მუდმივი პალატა.

არბიტრი [ფრ. arbitre < ლათ. arbiter] 1) შუამავალი, მოსამართლე, რომელსაც მოკამათე მხარეები ირჩევენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან დანიშნული კანონით მიღებული წესის თანახმად; არბიტრაჟის წევრი; 2) ზოგიერთ ქვეყანაში თანამდებობის პირი, რომელიც სამეურნეო ობიექტებს შორის არსებულ დავას განიხილავს; 3)მსაჯი სპორტულ შეჯიბრში (მაგ., ჭადრაკის მსაჯი—არბიტრი).

არგინოსანი სახელმწიფო მოხელე გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. ასრულებდა საპოლიციო ხასიათის ფუნქციებს. არგანი (საბჯენი ჯოხი) მისი სამოხელეო ნიშანი იყო.

არგუმენტი [ლათ. argumentum] 1) ლოგიკური საბუთი, რომელიც მტკიცებულების ან მისი ნაწილის საფუძველს წარმოადგენს; 2) მსჯელობა ან მსჯელობების ერთობლიობა, რომელიც მოყვანილია სხვა მსჯელობის (კონცეპციის, თეორიის) ჭეშმარიტების დასასაბუთებლად; 3) მათემატიკაში ცვლადი დამოუკიდებელი ოდენობა, რომლის ცვლაზეა დამოკიდებული სხვა ოდენობა, რომელსაც ფუნქცია ეწოდება, ცვალებადობა.

არგუმენტაცია [ლათ. argumentatio] არგუმენტების მოყვანა; არგუმენტების ერთობლიობა რაიმეს დასამტკიცებლად.

არგუმენტირება [ლათ. argumentari] დასაბუთება, დამტკიცება, საბუთის, არგუმენტის მოყვანა.

არენდა [პოლ. arende < arrendare < საშ.-ლათ. ლათ. arbiter გაქირაება] იჯარა; 1) სასწრაფო და ანაზღაურებადი სარგებლობა საკუთრებით (მიწით, ბუნებრივი რესურსებით, სახლებით, ნაგებობებით და სხვ.); იხ. ავრ. ლიზინგი, რენტინგი; 2) ამ საკუთრებით სარგებლობის სარენდო გადასახადი.

არენდატორი [< არენდა] საარენდო მოლაპარაკების მწარმოებელი მხარე (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელიც ანაზღაურებად სამეურნეო სარგებლობაში იღებს არენდას — გამცემის ქონებას.

არეოპაგი [< ძვ.-ბერძ. Ἄρειος πάγος არესის ბორცვი] 1) ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ძვ. ათენში, რომელიც ახორციელებდა სახელმწიფო კონტროლის, სასამართლოს და სხვ. ფუნქციებს; შედგებოდა არისტოკრატიული წარმოშობის მქონე წევრებისგან (რომლებსაც მთელი ცხოვრებით ირჩევდნენ); 2) ავტორიტეტული პირების შეკრება რ-მე საკითხის გადასაწყვეტად.

არისტოკრატია [ძვ.-ბერძ. ἀριστοκρατία < ἄριστος საუკეთესო + κράτος ძალაუფლება, ძლევამოსილება] 1) საზოგადოების უმაღლესი, პრივილეგირებული ფენა, მდიდარი ან წარჩინებული დიდკაცობა; 2) სახელმწიფო მართვის ფორმა, რომლის დროსაც ძალაუფლება დიდგვაროვანი ფენის წარმომადგენლებს ეკუთვნის; 3) უმაღლესი, პრივილეგირებული საზოგადოებრივი წოდება.

არისტოკრატიზმი [< არისტოკრატია] არისტოკრატებისთვის დამახასიათებელი დახვეწილი ქცევის მანერა.

არს ლონგა, ვიტა ბრევის [ლათ. ars longa, vita brevis] ხელოვნება უკვდავია, ხოლო სიცოცხლე ხანმოკლე.

არქიპელაგის წყლები – (სახელმწიფო არქიპელაგების წყლები) – საზღვაო სიერცის კატეგორია, რომელიც შემოღებულია საერთაშორისო საზღვაო სამართალში 1982 წელს გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციით. არქიპელაგის წყლები გამოიყნულია მხოლოდ ოკეანის სხვა ნაწილებისგან არქიპელაგის სახელმწიფოს ირგვლივ არქიპელაგის საწყისი ხაზებით, რომლებიც აერთიანებენ ზღვაში დაშორებული კუნძულებისა და არქიპელაგის რიფების ყველაზე გამოჩენილ წერტილებს (თუ მათზე აღმართულია ქანქარები ან ამგვარი ნაგებობები, რომლებიც ყოველთვის ზღვის დონეზეა ან თუ დაშორებული აღმართულობა ნაწილობრივ ან სრულად არის მანძილზე, რომელიც არ აღემატება ტერიტორიული ზღვის სიგანეს უახლოესი კუნძულისგან). ასეთი საწყისი ხაზების საზღვრებში უნდა იყოს ჩართული ძირითადი კუნძულები და რაიონი, რომელშიც თანაფარდობა წყლის ფართობსა და ხმელეთის ფართობს შორის შეადგენს 1:1-დან 9:1-მდე. მხოლოდ იმ კუნძულებისგან შემდგარი სახელმწიფოები, რომლებიც შეესაბამებიან ამ კრიტერიუმებს, შეიძლება ჰქონდეთ არქიპელაგის წყლები. საწყისი ხაზების არქიპელაგის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 100 საზღვაო მილს და მხოლოდ მათი საერთო რაოდენობის 3%-მდე შეიძლება აღემატებოდეს ამ სიგრძეს მაქსიმალურ 125 მილის სიგრძემდე. მათი გატარებისას დაშვებული არაა რაიმე შესამჩნევი გადახრა არქიპელაგის ზოგადი კონფიგურაციიდან ასევე მათი გატარებით არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვა მოწყდეს ღია ზღვას ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას. არქიპელაგის წყლების განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი მდგომარეობს სახელმწიფო არქიპელაგის სუვერენიტეტის გავრცელებაში მათ შემავალ სისქეზე, საჰაერო სივრცეზე, ასევე მათ ფსკერსა და წიაღისეულზე, ისევე როგორც მათ რესურსებზე, რომელთა სახელმწიფო-არქიპელაგის მიერ საზღვაო და საჰაერო დერეფნებზე არქიპელაგის განსაზღვრის რეჟიმის აღიარების დროს ხდება და მიმდინარეობს მხოლოდ საერთაშორისო ნაოსნობისა და საერთაშორისო ფრენების მიზნით. არქიპელაგის წყლების გადამკვეთი საზღვაო დერეფნები (მოიცავს ყველა ჩვეულებრივ გზებს არქიპელაგის წყლებში, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ნაოსნობისთვის იმ პირობით, რომ საჭირო არაა ერთნაირი ხელსაყრელი გზების დუბლირება შესასვლელისა და გასასვლელის ერთსა და იმავე პუნქტებს შორის) და მათზე განლაგებული საჰაერო დერეფნები უნდა იყოს მისაღები არქიპელაგის წყლებითა და მიმდებარე ტერიტორიით ყველა უცხოური ხომალდის უწყვეტი და სწრაფი გასელისთვის და მათზე ყველა საფრენი აპარატის გატარებისთვის, ღია ზღვის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ერთი ნაწილიდან ღია ზღვის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის მეორე ნაწილში სწრაფი და დაუბრკოლებელი ტრანზიტის მიზნით. თუ სახელმწიფო-არქიპელაგი არ ადგენს საზღვაო ან საჰაერო დერეფნებს, არქიპელაგის გავლა შეიძლება მოხდეს ჩვეულებრივ საერთაშორისო ნაოსნობისთვის გამოყენებული გზებით. ზღვისა და საჰაერო დერეფნები განისაზღვრება უწყვეტი ღერძული ხაზების სერიით გასასვლელი გზის დასაწყისი წერტილებიდან ბოლომდე. ხომალდები და საფრენი აპარატები საზღვაო დერეფნების გაელისას არ უნდა გადაიხარონ ასეთი ღერძული ხაზებიდან ნებისმიერ მხარეს 25 საზღვაო მილზე უფრო მეტად, იმ პირობით, რომ ასეთი ხომალდები და საფრენი აპარატები ან მიუახლოვდებიან ნაპირებს იმ მანძილის 10%-ზე უფრო ახლოს, საზღვაო დერეფანთან მოსაზღვრე კუნძულებზე უახლოეს წერტილებს შორის. ხომალდების უსაფრთხო გატარებისთვის საზღვაო დერეფნის ეიწრო ფარგლებში შეიძლება დაყენებულ იქნეს მოძრაობის გამყოფი სქემები, შესაძლებელია ასევე შეიცვალოს გამყოფი სქემები და საზღვაო დერეფნებიც კი, თუმცა ეს საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო წესებს და დამტკიცდეს კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (ამ სახით გამოდის საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია), მაგრამ არავითარ შემთხვევაში არაა დაშვებული არქიპელაგის გასასელელის შეჩერება.

სახელმწიფო-არქიპელაგი იცავს არსებულ შეთანხმებებს სხვა სახელმწიფოებთან და აღიარებს ტრადიციულ უფლებებს თევზჭერაზე და გარკვეულ სხვა სახის საქმიანობაზე უშუალოდ მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან გარკვეულ რაიონებში არქიპელაგის წყლების ფარგლებში; ზიანი არ მიაყენოს არსებულ წყალქვეშა კაბელებს, რომლებიც სხვა სახელმწიფოების მიერაა გაყვანილი და გადის არქიპელაგის წყლების ნაპირამდე არმოსული.

არასაზღვაო დერეფნების გარეთ არქიპელაგის წყლებში ყველა სახელმწიფოს ხომალდი სარგებლობს მშვიდობიანი გავლის უფლებით, რომელიც შეიძლება დროებით შეჩერდეს არქიპელაგის წყლების გარკვეულ რაიონებში სათანადო გამოცხადების შემდეგ, თუ ეს არსებითად მნიშვნელოვანია სახელმწიფო-არქიპელაგის უსაფრთხოების დასაცავად.

არჩევითი თანამდებობები – თანამდებობები სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებში, რომელთა დაკავებაც ხდება კანონით, წესდებით, სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით ღია თუ ფარული კენჭისყრის გზით. კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებში, მათ შორის, საზოგადოებრივ გაერთიანებებში, პროფკავშირულ ორგანიზაციებში, პოლიტიკურ პარტიებში, სამეცნიერო ორგანიზაციებში (მეცნიერებათა აკადემიაში და სხვ.) არჩევითი თანამდებობები გათვალისწინებულია კანონმდებლობითა და შესაბამისი ორგანიზაციების წესდებით, რომლებიც ასევე ადგენენ არჩევნების ჩატარების წესს.

არჩევნების ჩატარების წესი და მნიშვნელობა – საპარლამენტო თუ ადგილობრივი და სხვა არჩევნების დემოკრატიულ საფუძველზე ჩატარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნების ჩატარების წესს. მსოფლიო საარჩევნო პრაქტიკისათვის ძირითადად დამახასიათებელია

მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების ფუნქციონირება.

მაჟორიტარული (ფრანგ. majorite – უმრავლესობა) სისტემა – მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ცენტრალური და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, პრეზიდენტის და რიგი სხვა უმაღლესი თანამდებობის პირის არჩევისას კენჭის ყრის შედეგების დადგენის არსებული სისტემა.

მაჟორიტარული სისტემის მიხედვით, პარტია ან პარტიათა ბლოკი, რომელიც საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტურ ან ფარდობით უმრავლესობას შეაგროვებს, უფლებას იძენს წარმომადგენლობით ორგანოში დაიკავოს მოცემული საარჩევნო ოლქისათვის განკუთვნილი ყველა სადეპუტატო ადგილი ან ადგილების უდიდესი უმრავლესობა. მოცემულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ითვლება კანდიდატი (ან კანდიდატთა სია), რომელიც შეაგროვებს კანონით დადგენილ ხმების უმრავლესობას.

გამოიყენება ამ სისტემის სახე და აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემაა, როდესაც არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მოაგროვა საარჩევნო ოლქში მოცემული და ნამდვილად ცნობილი ხმების აბსოლუტური (ან ჩვეულებრივი) უმრავლესობა (ე. ი. ხმების ნახევარზე მეტი – 50 % პლიუს ერთი ხმა), რადგანაც ამგვარი სისტემის დროს ხმების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება ყოველთვის როდი ხერხდება, კენჭისყრა, როგორც წესი, ტარდება ორ ტურად, მეორე ტურში რჩება ის ორი კანდიდატი, რომლებმაც დააგროვეს სხვებზე მეტი ხმა. ამასთან, მეორე ტურში დათვლა ხდება სხვა სისტემით (მაგალითად, საფრანგეთში ეროვნული კრების დეპუტატთა არჩევისას პირველ ტურში საჭიროა ხმათა აბსოლუტური, ხოლო მეორე ტურში – ფარდობითი უმრავლესობის მოპოვება). აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემისას გამოიყენებენ აგრეთვე პრეფერენციალური (პატივსაცემი, უპირატესი) კენჭისყრის მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნებისას შედეგიანობას და გამორიცხავს მეორე ტურის ჩატარების საჭიროებას. პრეფერენციალური კენჭისყრის დროს, ამომრჩეველი შეიტანს ბიულეტენში თავის პრეფერენციებს და ციფრებით 1, 2, 3 და ა. შ. უთითებს თუ ვინ ხურს იყოს არჩეული პირველ რიგში, ვინ მეორეში და ასე შემდეგ. კენჭისყრის შედეგების დადგენისას, უპირველეს ყოვლისა ითვლიან კანდიდატების მიერ მიღებულ ხმებს პირველი პრეფერენციის შედეგად.

უკეთუ, ხმების აბსოლუტური უმრავლესობას ვერცერთი ვერ მოიპოვებს, ნაკლებად წარჩინებული კანდიდატის ხმებს უმატებენ სხვა კანდიდატების ხმების რაოდენობას, ხოლო თვით ეს კანდიდატიც ირიცხება შემდეგი ხმების დათვლიდან. ეს პროცედურა გაგრძელდება მანამ, სანამ რომელიმე კანდიდატი არ მოიპოვებს ხმათა საჭირო უმრავლესობას.

ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის დროს, გამარჯვებულმა უნდა მოაგროვოს თითოეულ მის კონკურენტზე უფრო მეტი ხმა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი უპირატესობით სარგებლობენ მსხვილი პარტიები (პარტიათა ბლოკები). შესაძლებელია შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც ამომრჩეველთა ხმების ფარდობითი უმრავლესობის მომპოვებელი პარტია, პარლამენტში ან მუნიციპალიტეტში ადგილების აბსოლუტურ უმრავლესობას მოიპოვებს.

კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემისას გამარჯვებულმა უნდა მიაღწიოს წინასწარ დადგენილ ხმების უმრავლესობას, რომელიც აღემატება ხმების ნახევარს – 3/4, 2/3, 4/5 და ა. შ. მაჟორიტარული სისტემის ეს სახე ძალზე იშვიათად გამოიყენება (მაგალითად, იტალიაში სენატის არჩევისას).

თითოეულ საარჩევნო ოლქში ასარჩევ დეპუტატთა რიცხვის მიხედვით განასხვავებენ უნინომინალურ ანუ ერთმანდატიან (ერთი დეპუტატის ოლქიდან) და პლინომინალურ ანუ მრავალმანდატიან (რამდენიმე დეპუტატს ოლქიდან) მაჟორიტარულ სისტემას. პლინომინალური მაჟორიტარული სისტემის მიხედვით აირჩევა, მაგალითად, ამომრჩეველთა კოლეგია აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად.

აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს არჩევნების პერსონიფიკაციას და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფების წარმომადგენლობას პარლამენტში. ამასთანავე, პოლიტიკური პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მრავალპარტიულობის პირობებში მაჟორიტარული სისტემის გამოყენება ხშირად იწვევს ამომრჩეველთა ნების გაყრუებას. ასეთი სისტემის მიხედვით შექმნილი პარლამენტი ხშირად არ ასახავს პოლიტიკურ ძალთა ნამდვილ თანაფარდობას და ამა თუ იმ პარტიის როლს. მაჟორიტარული სისტემა ყოველთვის მსხვილი პარტიებისთვისაა მომგებიანი, მაშინ როდესაც მცირე პარტიებისათვის მიცემული ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება. ამიტომ დემოკრატიული მოძრაობა წარმომადგენლობის პროპორციული სისტემისთვის არის შემოღებული.

წარმომადგენლობას პროპორციული სისტემის არჩევნებში მონაწილე პარტიებს შორის წარმომადგენლობის ორგანოებში დეპუტატთა ადგილების განაწილება ხდება თითოეული პარტიის მიერ მიღებული ხმების შესაბამისად – პროპორციულად.

ასეთი სისტემის დროს იქმნება დიდი საარჩევნო ოლქები, თითოეული ოლქიდან აირჩევა რამდენიმე დეპუტატი (რაც უფრო დიდი ოლქია, მით უფრო მკვეთრად ვლინდება წარმომადგენლობის პროპორციული სისტემის უპირატესობა მაჟორიტარულ სისტემასთან შედარებით).

წარმომადგენლობის პროპორციული სისტემის მიხედვით არჩევნების ჩატარებისას, წარმომადგენლობით ორგანოში კანდიდატების წამოყენება ხდება მხოლოდ პოლიტიკური პარტიების მიხედვით (თითოეული მათგანი წარადგენს კანდიდატთა საკუთარ სიას), ხოლო ამომრჩეველი ხმას აძლევს ამა თუ იმ პარტიის სიას.

ამა თუ იმ პარტიის მანდატთა რაოდენობის დადგენისათვის განისაზღვრება ე. წ. საამომრჩეველო კვოტა – ერთი დეპუტატის ასარჩევად საჭირო ხმების მინიმალური რიცხვი. საამომრჩეველო კვოტა – შეიძლება განისაზღვროს, როგორც თითოეული საარჩევნო ოლქისათვის ცალ-ცალკე, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის. პარტიების მიერ მიღებული ადგილების განაწილება ხდება პარტიულ სიაში კანდიდატთა განლაგების რიგითობის მიხედვით, პარტიული სიის იმ კანდიდატის დასადგენად, რომლებმაც მიიღეს მანდატზე უფლება. ზოგჯერ გამოიყენება პრეფერენციალური კენჭისყრა (იტალია), რომელიც ამ შემთხვევაში პროპორციული სისტემის დანამატად გვევლინება.

წარმომადგენლობის პროპორციული სისტემა თავისი არსით, შეიძლება იყოს მხოლოდ მრავალსაზოვანი, მრავალმანდატიანი (პოლინომინალური), რადგანაც რამდენიმე პარტიას შორის ერთი მანდატის გაყოფა შეუძლებელია.

წარმომადგენლობის პროპორციულმა სისტემამ საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა. იგი გამოიყენება ფინეთში, ნორვეგიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, ბელგიაში, ისრაელში. ავსტრალიაში, ლატინური ამერიკის ქვეყნებში და ა. შ. რიგ ქვეყნებში წარმომადგენლობის პროპორციული სისტემა მოქმედებს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის სხვადასხვა სახეობებთან ერთად. მაგალითად, გერმანიის პარლამენტის (ბუნდესტაგის) დეპუტატთა სისტემის მიხედვით, პარტიები, რომლებიც ხმების 5%-ზე ნაკლებს მოაგროვებს რჩება უმანდატოდ.

არჩევნების ეს რთული სისტემა ხელს უწყობს არსებული პოლიტიკური სისტემის მხარდამჭერი პარტიების ბატონობას პარლამენტში. იტალიაში პარლამენტის ქვედა პალატა – დეპუტატთა პალატა, აირჩევა წარმომადგენლობითი პროპორციული სისტემის მიხედვით, ხოლო ზედა პალატა – სენატი – კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით.

მაჟორიტარულ სისტემებთან შედარებით, წარმომადგენლობის პროპორციულ სისტემას ორი ძირითადი უპირატესობა გააჩნია: 1. იგი საშუალებას იძლევა შეიქმნას იმაზი ცენტრალური და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, რომელთა შემადგენლობაც შეესაბამება ქვეყანაში პარტიული ძალების ფაქტიურ თანაფარდობას. გარდა ამისა წარმომადგენლობის პროპორციული სისტემა, უკეთუ იგი არაა გამრუდებული, რაიმე დამატებით „წესებით“, უზრუნველყოფს წეერთა რაოდენობის მისხედვით მცირე პარტიების წარმომადგენლობას.

ასაკი – ასაკი, რომლიდანაც დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა პირი, რომელმაც მიაღწია 16 წლის დანაშაულის ჩადენის დროისთვის. პირები, რომლთაც შეუსრულდათ 14 წელი დანაშაულის ჩადენის დროისთვის ექცევიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ქვეშ მკვლელობაზე, ჯანმრთელობისთვის მძიმე ზიანის განზრახ მიყენებაზე, ადამიანის გატაცებაზე, გაუპატიურებაზე, სქესუალური ხასიათის ძალადობრივ მოქმედებებზე, ქურდობაზე, ძარცვაზე, ცეშაზე, გამძაფვაზე, ავტომობილის ან სხვა სატრანსპორტო საშუალების არასამართლებრივ ფლობაზე გატაცების მიზნის გარეშე, ქონების განზრახ განადგურებასა თუ დაზიანებაზე დამამძიმებელი გარემოებების დროს, ტერორიზმზე, მძევლის აყვანაზე, ტერორიზმის აქტზე ცრუ შეტყობინებაზე, ხულიგნობაზე დამამძიმებელი გარემოებების დროს, ვანდალიზმზე, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობის ქურდობასა თუ გამოძალვაზე, ნარკოტიკული საშუალებებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების მიტაცებასა თუ გამოძალვაზე, სატრანსპორტო საშუალებებისა თუ მიმოსვლის გზების გაფუჭებაზე.

თუ არასრულწლოვანმა მიაღწია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს, მაგრამ ფსიქიკურ განვითარებაში ჩამორჩენის შედეგად, რომელიც არ უკავშირდება ფსიქიკურ აშლილობას, საზოგადოებისთვის საშიში ქმედების ჩადენის დროს მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა საკუთარი ქმედებების ფაქტიური ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება ან ემართა ისინი, ის არ ექცევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ქვეშ

ასამბლეა [ფრ. assemblee კრება] 1) კრება; 2) ზოგიერთ ქვეყანაში პარლამენტის ან მისი ერთ-ერთი პალატის სახელწოდება; 3) ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო; გენერალური ა. – გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანოთაგანი, რომელიც შედგება მის შემადგენლობაში შემავალი ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლისგან; დაფუძნდა 1945 წ-ს.

ასაფეთქებელი მოწყობილობები – სამრეწველო ან თვითნაკეთი ნაკეთობები, რომლებიც ფუნქციურად აერთიანებენ ასაფეთქებელ ნივთიერებასა და მოწყობილობას აფეთქების ინიცირებისთვის (ამწვები, ამფეთქი, დეტონატორი და ა.შ.). იმიტაციურ-პიროტექნიკური და სანათი საშუალებები არ განეკუთვნებიან ასაფეთქებელ ნივთიერებებსა და მოწყობილობებს.

ასაფეთქებელი ნივთიერებები – ნივთიერებები, რომლებსაც გარკვეული სახის გარეშე ზემოქმედებისას შეუძლიათ ძალიან სწრაფად თვითგავრცელებადი ქიმიური გარდაქმნა სითბოს გამოყოფითა და აირების წარმოქმნით. ასაფეთქებელი ნივთიერებების ქვეშ უნდა ეიგულისხმოთ ნივთიერება ქიმიური ნაერთებით ან მექანიკური ნარევებით, რომელთაც შეუძლიათ სწრაფი თვითგავრცელებადი ქიმიური გარდაქმნა, აფეთქება ჟანგბადის წვდომის გარეშე. მათ განეკუთვნება ტროტილი, ამონიტები, პლასტიტები, ელასტიტები, დენთი, მყარი სარაკეტო საწვავი და ა.შ.

ასიგნატები [ფრ. assignats <ლათ. assignare დანიშვნა] ქაღალდის ფული, რომელიც გამოუშვა დამფუძნებელმა კრებამ საფრანგეთის რევოლუციის დროს; ბრუნავდა 1789-1797 წწ-ში.

ასიგნირება [<ლათ. assignare დანიშვნა, გამოყოფა] 1) გარკვეული თანხის გამოყოფა გარკვეული მიზნისთვის; 2) (მოძ.) დოკუმენტი, ბრძანება, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თანამდებობის პირებისთვის ან დაწესებულებებისთვის გახსნილი კრედიტის ხარჯება ან გარკვეული თანხის გაცემა.

ასისტენტი [ლათ. assistens (assictentis) დამსწრე, დამხმარე] 1) სპეციალისტის თანაშემწე; პირი, რომელიც პროფესორს ეხმარება ლექციების წაკითხვის დროს, პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობის ჩატარებისას უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში; ექიმის თანაშემწე, აკეირდება ავადმყოფობის მსელელობას; გამომცდელის თანაშემწე საშუალო სკოლაში და ა.შ.; 2) უმცროსი მასწავლების თანამდებობა და სამეცნიერო წოდება რიგი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში; 3) საბრძოლო დროშის დაცვის შემადგენლობის ერთერთი პირი.

ასლის გაფორმება – დოკუმენტის თავდაპირველი ნიშუში, რომელსაც პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, შტამპი და ბეჭედი აქვს, ეწოდება დედანი. ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია დედნის გადაღება, ზუსტად გადაღებულ დედანს ასლი ეწოდება.

ასლის გაფორმებისათვის დედანს იწერენ (ან

ბეჭდავენ მანქანაზე) ყოველგვარი ცვლილებების გარეშე. შემდეგ მარჯვენა ზედა კუთხეში წერენ სიტყვას – ასლი, ან ასლის ასლი; ასეთი დასტურდება სიტყვებით დედანთან სწორია ან ასლი სწორია, რომლებიც იწერება შესამოწმებელი დოკუმენტის ტექსტის ბოლოს, დედანში არსებული ხელმოწერების ქვემოთ და დასტურდება მდივნის ან კანცელარიის მუშაკის ხელმოწერით, ზოგ შემთხვევაში ასლი მოწმდება მხოლოდ ნოტარიუსის მიერ.

ასორტიმენტი – ერთნაირი საქონლის გაერთიანება (დაჯგუფება), რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავდება სახეებით, ზომებით, მოდელებით, ფერებითა და სხვა მაჩვენებლებით. ასორტიმენტის შესახებ პირობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში, ასორტიმენტის შესახებ პირობა შეიძლება პირდაპირ იყოს გათვალისწინებული ხელშეკრულებით ან გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან. თუ ასორტიმენტი განსაზღვრული არაა ხელშეკრულებაში, მაშინ ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს საქონლის ასორტიმენტის მიწოდების აუცილებლობა, გამყიდველმა შეიძლება დამოუკიდებლად განსაზღვროს ასორტიმენტი ან უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე; გამყიდველის მიერ ასორტიმენტის შესახებ პირობის დარღვევის შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება და ზარალის ანაზღაურება. თუ გადაცემული საქონლის ასორტიმენტის შეუსაბამობა ხელშეკრულებასთან წარმოადგენს ნაწილობრივს, მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ყველა საქონელზე, მიიღოს შესაბამისი ასორტიმენტის საქონელი, მაგრამ უარი განაცხადოს დანარჩენ საქონელზე, რომელიც არ შეესაბამება ასორტიმენტს. ამასთან, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მისთვის ხელშეკრულების არასათანადო შესრულებით მიღებული ზარალის ანაზღაურება.

ასოციაცია – ასოციაცია ანუ კავშირი წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმას. ფართო გაგებით ნიშნავს ფიზიკური და/ან იურიდიული პირების ნებაყოფლობით გაერთიანებას. კავშირის წევრების რაოდენობა ხუთზე ნაკლები არ უნდა იყოს და მათ უნდა გააჩნდეთ საერთო მიზანი. კავშირის არსებობა არ არის დაკავშირებული მისი შემადგენლობის ცვლილებებზე.

ასოცირება [< ლათ. associatio შეერთება] წარმოდგენათა აზრობრივი შეერთება, შერწყმა მათი მსგავსების, დროში თანხვედრის, მეზობლობის, კონტრასტის მიხედვით; ასოციაციის (3) დამყარება.

ატაშე [ფრ. attach მიმაგრებული] 1) უმცროსი დიპლომატიური რანგი საგარეო საქმეთა უწყებაში; 2) დიპლომატიური წარმომადგენლობის მუშაკი, რომელიც იმავდროულად რ-მე დარგის სპეციალისტია, მაგ. სამხედრო.

ატესტაცია [ლათ. attestatio საბუთი] 1) მუშაკის კვალიფიკაციის, პროდუქტის ხარისხის, სამუშაო ადგილების, აღჭურვის, საწარმოს საერთო დონის, მოსწავლეთა დონის განსაზღვრა, შეფასება; 2) დახასიათება; ე-მეს უნარების, საქმიანი თვისებების დახასიათება.

ატესტაცია – მუშაკის ან მოსწავლის საქმიანი კვალიფიკაციის განსაზღვრა, მისი პირადი უნარების, პროფესიონალიზმის, ღირსებებისა და ნაკლოვანებების, ცოდნისა და ჩვევების სიღრმის შეფასება, მუშაკის აღიარება თანამდებობისთვის, სამუშაოსთვის შესაბამისად ან შეუსაბამოდ და ასევე დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ასეთ დახასიათებას, ხოლო მოსწავლისთვის – დოკუმენტი მის მიერ მიღებული ცოდნის შესახებ. ატესტაცია ეწოდება სპეციალური კანონმდებლობის (დებულებების) მიხედვით მუშაკთა კვალიფიკაციისა და საქმიანი თვისებების სისტემატურ შემოწმებას.

ატმოსფერულ-საჰაერო საზოგადოებრივი ურთიერთობები – იხ. ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და გამოყენების საზოგადოებრივი ურთიერთობები.

ატმოსფერულ-საჰაერო სამართალი – 1) სამართლებრივი ნორმებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების (სუბინსტიტუტების) სისტემა, რომლებიც შეადგენენ ეკოლოგიური (ბუნების დაცვის) სამართლის ქვედარგს, რომლის რეგულირების საგანსაც წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობები ატმოსფეროს ჰაერის დაცვის თაობაზე; 2) სამართლის ჩამოყალიბებადი დამოუკიდებელი დარგი, რომლის რეგულირების საგანსაც წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და გამოყენების საზოგადოებრივი ურთიერთობები (არ წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულს).

ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედებისა და მათი წყაროების სახელმწიფო აღრიცხვა – 1) სახელმწიფო ეკოლოგიური აღრიცხვის სახე (იხ. ასევე რადიოაქტიური ნივთიერებებისა და რადიოაქტიური ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა, პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების სახელმწიფო აღრიცხვა, ტყის ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სახელმწიფო აღრიცხვა, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო აღრიცხვა; 2) მართვის ფუნქცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში, რომელიც წარმოადგენს: ა) სახელმწიფო აღრიცხვისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების რეგისტრაციის; ბ) სახელმწიფო აღრიცხვისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების გამოყოფის რაოდენობისა და შემადგენლობის მონაცემთა ბანკის წარმოებას; გ) ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების პირველადი აღრიცხვის წარმოების სისწორეზე კონტროლის საქმიანობას.

ატმოსფერული ჰაერი – 1) ბუნებრივი ობიექტი, რომელსაც გააჩნია უდიდესი ეკოლოგიური მნიშვნელობა და დაცულია ბუნების შემადგენელი ნაწილის სახით; 2) ბუნებრივი რესურსი, რომელიც გამოიყენება და დაცულია, როგორც შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის საქმიანობისა და სიცოცხლის პირობა; 3) ამ ორ თვისებაში გამოყენების უფლების ობიექტს გააჩნია უდიდესი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა; 4) ატმოსფერული ჰაერის დაცვის საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობების დაცვის ობიექტი.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება – ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების შეღწევა ან წარმოქმნა იმ კონცენტრაციით, რომელიც აღემატება სახელმწიფოს მიერ დადგენილ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ჰიგიენურ და ეკოლოგიურ ნორმატივებს.

ატმოსფერული ჰაერის დაცვა – 1) ბუნებრივი გარემოს დაცვის შემადგენელი ნაწილი. 2) სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ღონისძიებების სისტემა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და ადამიანსა და გარემოზე მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა – იხ. ეკოლოგიური სამართალდარღვევა.

ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი – იხ. ატმოსფერული ჰაერის სახელმწიფო მონიტორინგი.

ატმოსფერული ჰაერის სახელმწიფო მონიტორინგი – 1) გარემომცველი ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის შემადგენელი ნაწილი (იხ. ასევე წყლის ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო კადასტრი, წიაღის მდგომარეობის სახელმწიფო კადასტრი, წყლის ბიოლოგიური რესურსების მონიტორინგი, მიწის მონიტორინგი, ტყეების მონიტორინგი); 2) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე რეგულარული დაკვირვებების სისტემა, მისი მდგომარეობის კომპლექსური შეფასება და პროგნოზი, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის უზრუნველყოფა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ მიმდინარე და საგანგებო ინფორმაციით; ატმოსფერული ჰაერის სახელმწიფო მონიტორინგი ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების მიერ პიდრომეტეოროლოგიის (და მასთან მომიჯნავე) შემდეგ დარგებში: ატმოსფერული ჰაერის დაცვა; ბუნებრივი გარემოს დაცვა; სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა, მათი ტერიტორიული ორგანოების მიერ.

ატმოსფერული ჰაერის ტრანსასაზღვრო დაბინძურება – ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების გადატანის შედეგად, რომელთა წყაროც განთავსებულია უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხი – ატმოსფერული ჰაერის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების ერთობლიობა, რომლებიც ასახავენ ატმოსფერული ჰაერის თვისების ჰიგიენურ და ეკოლოგიურ ნორმატივებთან მისი შესაბამისობის ხარისხს.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმირება – სახელმწიფო მართვის ფუნქცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში, რომელიც მდგომარეობს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ჰიგიენური და ეკოლოგიური ნორმატივების და მასზე ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები დონეების დადგენაში (იხ. ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების გამონაბოლქვისა და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივები); ის ხორციელდება ადამიანებზე, მცენარეებსა და ცხოველებზე, განსაკუთრებულად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებსა და ობიექტებზე ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების უსაფრთხოებისა და/ან უვნებლობის კრიტერიუმების განსაზღვრისთვის.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ეკოლოგიური ნორმატივი – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კრიტერიუმი, რომელიც ასახავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების უკიდურესად დასაშვებ მაქსიმალურ შემადგენლობას და რომლის დროსაც არ არსებობს მავნე ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების გამონაბოლქვისა და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივები – ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმირების ინსტრუმენტი. ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების გამონაბოლქვის და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივები დგინდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების გაწყობის სახელმწიფო რეგულირების მიზნით. ზემოთაღნიშნული ნორმატივების, მათი განსაზღვრის მეთოდების გადახედვა და სრულყოფა ხდება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიხედვით, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. გამოყოფენ შემდეგ ნორმატივებს: მავნე ფიზიკურ ზემოქმედების ატმოსფერულ ჰაერზე და ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების გამოყოფაზე, ამ უკანასკნელთა რიცხვშია გამონაბოლქვის ტექნიკური ნორმატივები, ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვი, დროებით შეთანხმებული გამონაბოლქვი.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვი – ნორმატივი, რომელიც დგინდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროსთვის ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურებისა და გამონაბოლქვის ტექნიკური ნორმატივების გათვალისწინებით, მოცემული წყაროს მიერ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ჰიგიენური და ეკოლოგიური ნორმატივების გადაუჭარბებლობის დროს, ეკოლოგიურ სისტემებზე უკიდურესად დასაშვები (კრიტიკული) დატვირთვის პირობისას (იხ. ასევე ატმოსფერულ ჰაერში დროებით შეთანხმებული გამონაბოლქვი. ზღვრულად დასაშვები (კრიტიკული) დატვირთვა, გამონაბოლქვის ტექნიკური ნორმატივი).

აუდიოვიზუალური ნაწარმოები – ნაწარმოები, რომელიც შედგება დაფიქსირებული სერიისა და ერთმანეთთან დაკავშირებული კადრებისგან (მათი ხმოვანი თანხლებით ან მის გარეშე), რომელიც გათვალისწინებულია მხედველობითი და სმენითი (ხმოვანი თანხლების შემთხვევაში) აღქმისთვის შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობების მეშვეობით. აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს ძირითადად განეკუთვნება კინო-ტელე- და ვიდეონაწარმოები, დიაფილმები, სლაიდფილმები და ა.შ. აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორებს წარმოადგენენ შემოქმედებითი მუშაკები: დამდგმელი რეჟისორი, სცენარისტი (სცენარის შექმნის დროის მიუხედავად) და ასევე კომპოზიტორი, თუ მუსიკა მის მიერ სპეციალურადაა დაწერილი ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის.

აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები ხელშეკრულების საფუძველზე თავიანთ ქონებრივ უფლებებს გადასცემენ აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს. ხელშეკრულებაში სხვა მითითების არარსებობისას აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორსა და ამ უკანასკნელის დამამზადებელს შორის, ეს უკანასკნელი იღებს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ აუდიოვიზუალური ნაწარმოები სარგებლობს საავტორო-სამართლებრივი დაცვით. აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენება ხორციელდება უფლების მფლობელის ნება-სურვილისამებრ და არ მოითხოვს სპეციალურ შეთანხმებას რეჟისორთან, სცენარისტთან, კომპოზიტორთან. აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადის დასრულება განისაზღვრება აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორის სიკვდილის მომენტით (ან ბოლო ცოცხალი თანაავტორის გარდაცვალების მომენტით).

აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამზადებს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს თავის ხარჯზე და საკუთარი რისკის ფასად. აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლად ცნობილი ხდება პირი, რომლის სახელიც (დასახელებაც) აღნიშნულია ამ ნაწარმოებზე, თუ სხვა რამ არაა დამტკიცებული. აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი დებს ხელშეკრულებას დამდგმელ რეჟისორთან, სცენარისტთან, ორიგინალური მუსიკის ავტორთან. აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელზე გადადის ყველა განსაკუთრებული უფლება (იხ. საავტორო უფლება) აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენებაზე, გადამუშავების უფლების გარდა, თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არაა სხვა რამ. ხელშეკრულების მიხედვით, აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს უფლება აქვს მიუთითოს თავისი სახელი ან დასახელება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე (მოცემული უფლება არ განეკუთვნება საავტორო უფლებას).

აუდირება [ლათ. audire მოსმენა] საწარმოო სუბიექტის მოღვაწეობის დამოუკიდებელი ფინანსური შემოწმება; წარმოებს ექსპერტების (აუდიტორების) მიერ ამ სუბიექტთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე და სახელმწიფო ორგანიზაციის სპეციალური ნებართვით; შეისწავლის საფინანსო სამეწარმეო საქმიანობას; ა. აგრ. აფასებს საგარაუდო ოპერაციებს მათი რისკის, ხარისხის, ეფექტურობის და სხვ. მიხედვით; ქვეყანათა უმეტესობაში ანგარიშგება, რომელიც მოწმდება აუდიტორების მიერ, ექვემდებარება აუცილებელ პუბლიკაციას.

აუდიტორი [ლათ. auditor მსმენელი] 1) მოსწავლე სასულიერო და ზოგიერთ სამოქალაქო სასწავლო დაწესებულებებში,სპეციალური დიდი ოთახი ლექციების წასაკითხად მოწაფეების მოსასმენად და მათი პასუხების გასასწორებლად; 2) ზოგიერთ ქვეყანაში ნაფიცი მსაჯული ან განსაკუთრებული თანამდებობის პირი სასამართლოში; 3) პირი ან სპეციალური კომპანია, რომელსაც სპეციალურმა საფინანსო ორგანომ დააკისრა საწარმოს, ფირმის ანგარიშების შემოწმება; შემთხვევები, რომლებიც მოითხოვენ აუდიტორების სპეციალურ დასკვნას, მოხსენიებულია კანონმდებლობაში.

აუდიტორია [ლათ. auditorium მოსამენი ადგილი] 1) ადგილი, სადაც იკითხება ლექციები. მოხსენებები, ტარდება სემინარები, კრებები და ა.შ.; 2) ლექციის ან მოხსენების, კონცერტის, ფილმის, რადიო ან ტელეგადაცემის, მაყურებლების ან მსმენელების ერთობლიობა.

აუთენტიკური [მე.-ბერძ. αὐθεντικός ნამდვილი] ნამდვილის შესაბამისი, სწორი, პირველწყაროზე დაფუძნებული; დიპლომატიური დოკუმენტის ა. ტექსტი – მისი ნამდვილი ტექსტი, რომელიც ხელმოწერილია უფლებამოსილი პირების მიერ და ადევს შესაბამისი სახელმწიფოს ბეჭედი; ოფიციალურად აღიარებულია სხვა ტექსტის ტოლმნიშვნელოვნად, რომელიც, როგორც წესი, სხვა ენაზეა შედგენილი და გააჩნია იგივე იურიდიული ძალა; კანონის ა. განმარტება–განმარტება, რომელსაც ამ კანონის გამომცემი მმართველობითი ორგანო იძლევა.

აუტოდაფე [ესპ., პორტ. auto def რწმენის აქტი] 1) თავდაპირველად ინკვიზიციის განაჩენის საზეიმო გამოცხადება; 2) მოგვიანებით განაჩენის გამოტანა და მისი სისრულეში მოყვანა, ძირითადად დამნაშავის კოცონზე დაწვა; ფართოდ გამოიყენებოდა ესპანეთსა და პორტუგალიაში XIII ს-დან 1816 წ-მდე.

აუქსანომეტრი [მე.-ბერძ. αὐξάνω ვიზრდები, ვიდიდებ + ...მეტრი] მცენარეების წანაზარდების სიგრძის საზომი ხელსაწყო.

აუქციონი (auctioNmarket) – ცალკეული ნივთების ან პარტიების საჯაროდ გაყიდვა წინასწარ დათქმულ ადგილსა და დროს, ფასიანი ქაღალდებით ბირჟაზე ვაჭრობა ბროკერების საშუალებით; უფრო მეტად საგარეო ვაჭრობაში გავრცელებული საქონლის ლოტებად ან ცალკეულ ნივთებად გასაღების ხერხი, როდესაც საქონელი ან ნიმუშები გამოფენილია დათვალიერებლად პოტენციური მყიდველებისათვის. გარიგება, რომელიც მიმართულია პირის აუქციონში მონაწილეობაზე თავის შეკავებისკენ უკანონოა.

აუქციონი შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და იძულებითი. იძულებითი აუქციონი წარმოადგენს ქონების გაყიდვის ფორმას ვალების დაფარვის მიზნით. აუქციონზე იძულებითი წესით გაყიდვას სასამართლოს გადაწყვეტილებით ექვემდებარება გადახდისუუნარო მოვალეების ქონება, აგრეთვე უპატრონო, ლომბარდიდან

გამოუსყიდველი, ან საბაჟოზე კონფისკაციის შედეგად ჩამორთმეული ქონება.

აუქციონის ზოგად პირობებს განსაზღვრავს გამყიდველი.ვაჭრობა იწყება ლოტის ან ნივთის ნომრის და საწყისი ფასის გამოცხადებით. საწყისი ფასი მინიმალურია და აუქციონის მსვლელობისას მაღლა იწევს. ფასის ზრდა ხდება წინასწარ განსაზღვრული ინტერვალით, რომელსაც აუქციონის ბიჯი ეწოდება, მაგ. 50 ლარი, 300 ლარი ან 2000 ლარი, როდესაც ფასის მრიგ ამაღლებას მყიდველთაგან არავინ სთავაზობს აუქციონისტის მიერ ჩაქუჩის სამჯერადი დარტყმის შემდეგ ნივთი გაყიდულად ცხადდება. თუ საწყის ფასზე მაღალ ფასს არავინ სთავაზობს, აუქციონისტი ხსნის ნივთს აუქციონიდან. აუქციონისტი უმრავლეს შემთხვევაში არის გამყიდველის აგენტი და საკომისიო ანაზღაურებას ღებულობს. მყიდველად ითვლება პირი, რომელმაც შესთავაზა მაქსიმალური ფასი (ინგლისური აუქციონი). ზოგიერთი აუქციონის წესით მყიდველს აქვს უფლება შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე აუქციონის ადმინისტრაციას დაავალოს საქონლის მიტანა განსაზღვრულ ადგილას. სააუქციონერო ვაჭრობისას, როგორც წესი არ არსებობს გამყიდველის პასუხისმგებლობა გაყიდული საქონლის ხარისხზე.

ზოგჯერ ვაჭრობა იწყება ფასის მაქსიმალური, აშკარად გადაჭარბებული მნიშვნელობიდან და აუქციონის მსვლელობაში კლებულობს, სანამ არ აღმოჩნდება ნივთის ყიდვის მსურველი (ჰოლანდიური აუქციონი). ნივთს დაეპატრონება ის ვინც პირველი გამოთქვამს თანხმობას. ზოგიერთი ჰოლანდიური აუქციონი ავტომატიზირებულია. ფასის ცვლილებაზე მიუთითებს ციფერბლატზე მოძრავი ისარი. ლოტს ყიდულობს ის, ვინც პირველი დააჭერს თითს ღილაკს. აუქციონის ჰოლანდიური ფორმა გამოიყენება მალფუჭებადი საქონლის რეალიზაციისას (მარწყვი, თევზეული).

აუქციონი შეიძლება ჩატარდეს „მუნჯური" ფორმით. ეს ნიშნავს, რომ გამყიდველი აცხადებს ხმამაღლა საწყის ფასს, ხოლო მყიდველები მონაწილეობენ მხოლოდ ჟესტებით ან პირობითი ნიშნებით, მაგალითად, მაღლა სწევენ თავიანთ ნომერს ან ბილეთს. ეს ნიშნავს ფასის მომატებაზე თანხმობას. ასეთი მეთოდი ხელს უწყობს მყიდველს კონკურენტისგან თავისი განზრახვის დაფარვაში.

არსებობს „ბრმა" აუქციონიც, როდესაც ყველა მყიდველი ერთდროულად წარადგენს თავის ფასს და საქონელს დაეპატრონება ის, ვისი ფასიც მაქსიმალური გამოდგება.

აუქციონები ტარდება საქონლის ცალკეულ სახეობებზე მაგალითად, მე-19 ს-ის 70-იანი წლებიდან იწყება ოქრის აუქციონების ისტორია. ლონდონის სიტიში, მინსინგ ლეინზე „საპლანტაციო სახლში" ტარდება ტრადიციული ჩაის აუქციონი, რომელზედაც იყიდება ინდური და ცეილონის ჩაის პარტიები. ცნობილია აგრეთვე ბეწვეულის აუქციონი სანკტ-პეტერბურგში და ჯიშიანი ცხენების აუქციონი მოსკოვში.

ჯგუფური აუქციონი ეწოდება ბირჟაზე ვაჭრობის ფორმას, როდესაც შეკვეთები გროვდება, ხოლო შემდეგ დღეში ერთხელ ან ორჯერ გამოიტანება სავაჭრო დარბაზში და იყიდება უფლებამოსილი ბროკერის ან ბირჟის თანამშრომლის მეთვალყურეობის ქვეშ.

და ბოლოს, აუქციონი არის პრივატიზაციის საშუალება. სააუქციონო პრივატიზაციისას მოქალაქეებს ან იურიდიულ პირებს საშუალება ეძლევათ სახელმწიფოსგან ან მუნიციპალიტეტისგან ყიდონ საკუთრებაში შეიძინონ აუქციონზე წარმოდგენილი ნებისმიერი ობიექტი, მაგალითად, საწარმოები, საამქროები, უბნები, მოწყობილობა, ნაგებობები, შენობები, ლიცენზიები, პატენტები, დაუსრულებელი მშენებლობის ობიექტები, საქციო საზოგადოებების წილები, აქციები.

ასეთ აუქციონზე დაიშვებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც დროულად შეიტანეს განაცხადი და სხვა საჭირო საბუთები აუქციონში მონაწილეობისთვის და შეიტანეს გარკვეული თანხა – საწყისი თანხის რაიმე პროცენტული წილი (დესპოზიტი), ქონების საერთო ღირებულება განისაზღვრება ქონების სრული ინვენტარიზაციის საფუძველზე. ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული აუქციონის ჩატარებისას გამოიყენება ორი ფორმა: ღია და დახურული აუქციონი. ღია გამოიყენება, როგორც წესი ლიკვიდირებული საწარმოს გაყიდვისას, მცირე სამეურნეო ორგანიზაციების (200 კაცამდე რიცხვით), აგრეთვე საქციო საზოგადოების აქციების გაყიდვისას. დახურული აუქციონი (ტენდერი) გამოიყენება, როგორც წესი, მსხვილი საწარმოების, საქციო საზოგადოებების აქციების პაკეტების, სამშენებლო კონტრაქტების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისას.

აუქციონი – კონკურსთან ერთად საჯარო ვაჭრობის ფორმა, რომელიც ხორციელდება ხელშეკრულების დადების მიზნით (მაგალითად, სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის, გარკვეული საქონლის გაყიდვის დროს). ხელშეკრულება იდება იმ პირთან, რომელმაც მოიგო ვაჭრობა ე.ი. იმან, ვინც აუქციონის მსვლელობისას ყველაზე დიდი ფასი დაასახელა. ამგვარად, შესაძლებელია დადებულ იქნეს ხელშეკრულება, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს მისი არსიდან. აუქციონის ორგანიზატორის სახით შეიძლება გამოვიდეს ნივთის მესაკუთრე ან ქონებრივი უფლების მფლობელი ან სპეციალიზირებული ორგანიზაცია, თუ სხვა რამ კანონით არაა გათვალისწინებული. აუქციონში არ უნდა მონაწილეობდეს 2-ზე ნაკლები ადამიანი. აუქციონი შეიძლება იყოს დახურული, როცა მასში მონაწილეობს მხოლოდ სპეციალურად მოწვეული პირები და ღია, რომლებშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მყიდველს. აუქციონზე ვაჭრობის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება ან ხელშეკრულების დადების უფლება (მაგალითად, საცხოვრებელი სახლის იჯარის ხელშეკრულების დადების უფლება). აუქციონის ორგანიზატორები ვალდებულნი არიან წინასწარ განაცხადონ ვაჭრობის ჩატარების დროის, ადგილის, საგნისა და წესის, ბეს მიცემის ვადისა და ოდენობის შესახებ. აუქციონის ჩატარების შედეგად აუქციონის გამარჯვებულსა და ორგანიზატორს შორის წარმოიქმნება შესაბამისი ხელშეკრულების დადების ვალდებულებები.

აუცილებელი თავდაცვა – ზიანის მიყენება ხელმყოფელი პირისთვის, რაც არ წარმოადგენს დანაშაულს პიროვნების და თავდამცველის უფლებების, სახელმწიფოს ან საზოგადოების კანონით დაცული ინტერესების საშიში ხელყოფისგან დაცვისას, თუ ამ ხელყოფას თან ახლდა ძალადობა, თავდამცველის

ან სხვა პირის სიცოცხლისთვის საშიში ქმედება ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. აუცილებელი თავდაცვის ფარგლების გადაჭარბებას არ წარმოადგენს თავდამცველი პირის მოქმედებები, თუ ამ პირს ხელყოფის მოულოდნელობის შედეგად არ შეეძლო ობიექტურად შეეფასებინა თავდასხმის საშიშროების ხარისხი და სახე. აუცილებელი თავდაცვის უფლება თანაბრად გააჩნია ყველა პირს მათი პროფესიული ან სხვა სახის სპეციალური მომზადებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის მიუხედავად. ეს უფლება გააჩნია პირს საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის თავიდან აცილებისა თუ სხვა პირების ან ხელისუფლების ორგანოებისთვის დასახმარებლად მიმართვის შესაძლებლობის მიუხედავად.

აუცილებელი მოგერიება მოქალაქის უფლება თავისი ან სხვისი ინტერესების დაცვისას ზიანი მიაყენოს თავდამსხმელს. ამ უფლების არსებობა ხელს უწყობს დანაშაულთან ბრძოლას, ამიტომ აუცილებელი მოგერიების დროს თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენება არათუ არ იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებად ითვლება. აუცილებელი მოგერიება გულისხმობს როგორც მოქალაქის, ასევე სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას. მოქალაქეს აუცილებელი მოგერიების უფლება აქვს იმ შემთხვევაშიც, როცა თავს ესხმიან არა მას, არამედ სხვა პირს. აუცილებელი მოგერიება მართლზომიერია, როცა თავდასხმა, რომელსაც მოქალაქე იგერიებს, საზოგადოებრივად საშიში, რეალური და იმწუთიერია (მაგ., ყაჩაღური თავდასხმისას დამნაშავის დაშვება იმ მომენტში, როცა იგი ხელყოფს პიროვნებას და მის ქონებას). მომგერიებელმა არ უნდა გადაამეტოს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებად ჩაითვლება თავდამსხმელისათვის ისეთი ზიანის მიყენება, რომელიც აშკარად არ იყო საჭირო თავდასხმის მოსაგერიებლად. ასეთ დროს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადმეტება ისჯება შედარებით მსუბუქი სასჯელით.

აუცილებელი მოგერიება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებაა. სსკ თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩადენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დაუზიანებს ხელმყოფს, თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, თუ, ამასთან, გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლები, რაც ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარად შეუსაბამობას თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას. ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ან სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტს იცნობდა ეახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, „მიმხდომის კაცის სიკუდილის სისხლის არ არის, რომ დამხდურმან მოკლაე" (მუხლი 42). ამავე დროს აუცილებელი მოგერიების ფარგლები იზღუდებოდა, თუ თავდამსხმელი ფეოდალური იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე მომგერიებელი.

აუცილებელი თავდაცვის საზღვრების გადაჭეტებისას ჩადენილი მკვლელობა – დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ. მოცემული დანაშაული ხასიათდება: 1) მკვლელობის დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნით; 2) ქმედების ჩადენით საზოგადოებისთვის საშიში ხელყოფისგან დაცვისას (აუცილებელი თავდაცვის ყველა ნიშნის არსებობისას); 3) აუცილებელი თავდაცვის საზღვრების გადამეტება ე.ი. დაცვის სახის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხთან.

აუცილებელი თავდაცვის ფარგლების გადაჭეტება იხ. აუცილებელი თავდაცვა.

აფექტი[1] [ლათ. affectus] სულიერი ღელვა, ძლიერი ვნება; მდგომარეობა, რომელიც აქვეითებს ადამიანის მიერ საკუთარი მოქმედების გაგებისა და მართვის უნარს; ჩნდება, როგორც წესი, ძლიერი გაღიზიანების დროს, როგორიცაა ნერვულ-ფსიქიკური აღგზნებადობა, სანმოკლე მგზნებარე ემოცია (მაგ. ბრაზი, შიში) ნებისმიერი კონტროლის დაკარგვით, თავის ტვინის ქერქი, მოქმედების დროებითი ამოვარდნა, დაშუხრუჭება; თან სდევს მკვეთრი მოძრაობები, ყვირილი, ტირილი და ა.შ.; სისხლის სამართალში ა., რომელიც გამოწვეულია დაზარალებულის მართებული საქციელით, ითვლება პასუხისგების შემარბილებელ გარემოებად.

აფექტი[2]– სულიერი ღელვა (ვნება) – ხანმოკლე, ძლიერი, სწრაფად წარმოქმნადი და მძაფრად მიმდინარე ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ძლიერი და ღრმა განცდებით, მკვეთრი გარეგანი გამოვლენით, ცნობიერების დაბინდვითა და თვითკონტროლის შემცირებით. სამედიცინო ლიტერატურაში გამოიყოფა ორი სახის აფექტი – ფიზიოლოგიური და პათოლოგიური.

ფიზიოლოგიური აფექტი, თუმცა კი, ხასიათდება ძლიერი ზეგაელენით ფსიქიკაზე, მაგრამ ამ დროს ადამიანი არ არჩევს შესაძლებლობას გააცნობიეროს და გააკონტროლოს საკუთარი ქცევა, იყოს მასზე პასუხისმგებელი. ფიზიოლოგიური აფექტის დროს დანაშაულის ჩადენისას გამორიცხული არაა პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ გარკვეულ პირობებში ის შეიძლება იქნეს შემსუბუქებული. პათოლოგიური აფექტი იწვევს ცნობიერების ღრმა დაბინდვას და ავტომატურ უაზრო ან საშიშ ქმედებებს (თავდასხმას). თუ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის მიერ დამტკიცებულია, რომ საზოგადოებრივად საშიში ქმედება ჩადენილია პირის მიერ პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, ეს პირი ცნობილი ხდება შეურაცხადად.

აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა – უცბად წარმოქმნილი ძლიერი სულიერი მღელვარების (აფექტის) მდგომარეობაში

ჩადენილი მკვლელობა, რაც გამოწვეულია ძალადობით, ძუნად აგდებით ან მძიმე შეურაცხყოფით დაზარალებულის მხრიდან, ასევე დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედებებით (უმოქმედობით), ხანგრძლივი ფსიქოტრავმირებელი სიტუაციით, რაც წარმოიქმნა დაზარალებულის სისტემატური მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით.

შემამსუბუქებელი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ უცბად წარმოქმნილ ძლიერ სულიერ მღელვარებას, რაც განსაზღვრავს მკვლელობის მოულოდნელად წარმოქმნილ განზრახვას და ამ განზრახვის დაუყოვნებლივ რეალიზაციას.

ძლიერი სულიერი მღელვარების (აფექტის) მიზეზი უნდა იყოს დაზარალებულის გარკვეული მოქმედებები. მათ კანონი განაკუთვნებს: ა) ძალადობას; ბ) აბუჩად აგდებას; გ) მძიმე შეურაცხყოფას; დ) სხვა მართლსაწინააღმდეგო ან ამორალურ მოქმედებებს (უმოქმედობას) დაზარალებულის მხრიდან.

აფილირებული პირები – იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც იმყოფებიან ერთმანეთზე ამა თუ იმ სახის დამოკიდებულებაში, როცა ერთ-ერთ მათგანს შეუძლია განსაზღვროს მეორის სამეურნეო საქმიანობის წარმართვის პირობები. ტერმინი აფილირებული პირები ალებულია ინგლისურ-ამერიკული სამართლიდან. ევროპის ქვეყნებში აფილირებული პირები – ესაა კომპანიები, რომელნიც დამოკიდებულნი არიან სხვებზე.

აქტები მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსის უფლების შესახებ – იხ. მიწის უფლებისა და მიწასთან დაკავშირებული გარიგების სახელმწიფო რეგისტრაცია, სახელმწიფო აქტები მიწის საკუთრების უფლებაზე, სამუდამოდ მემკვიდრეობით მიღებულ სამფლობელოზე, მიწის უვადო (მუდმივ) გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა.

აქტი – აქტი არის საბუთი, შედგენილი რამდენიმე პირის მიერ გარკვეული ფაქტების ან მოვლენების დასადასტურებლად, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ცალკეულ მოქალაქეთა ცხოვრებასა და საქმიანობასთან; მაგალითად, ხელშეკრულების შედეგად შესრულებული სამუშაოს მიღება, ახალი მანქანის გამოცდა, არასტანდარტული პროდუქციის აღმოჩენა, წარმოების საქმიანობის რეჟიმის შედეგები, უბედური შემთხვევები წარმოებაში და ა.შ.

აქტის შედგენა ეყრდნობა იმ ფაქტისა და მოქმედების ყოველმხრივ შესწავლას და საფუძვლიან შემოწმებას, რომლებიც უნდა დაკადასტუროთ. ყოველი ჩაწერილი ფაქტი დასაბუთებული უნდა იყოს უდავო მტკიცებით და სხვა აქტებით, რომლებიც პირადადა დადგენილი იმ პირთა მიერ, ვინც იღებდა მონაწილეობას აქტის შედგენაში.

აქტის შედგენაში მონაწილეობას იღებენ ის ორგანიზაციები და ცალკეული პირები, რომლებსაც მოცემული ფაქტები და მოქმედებები ეხება. ცალკეულ შემთხვევებში აქტი შეიძლება შედგეს გარეშე ორგანიზაციის ან საგანგებოდ რწმუნებულ პირთა მონაწილეობით.

აქტს ხელს აწერს ყველა, ვინც მონაწილეობას იღებს ფაქტების შემოწმებაში. თუ ვინმე არ ეთანხმება აქტში ფიქსირებულ დასკვნებს, მას უფლება აქვს წარმოადგინოს აქტში თავისი აზრი და ამის შემდეგ მოაწეროს ხელი.

აქტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. საბუთის დასახელება.

2. შედგენის ადგილი და თარიღი.

3. აქტის შემდგენელ პირთა გვარი, სახელი და მამის სახელი.

4. აქტის შედგენის საფუძველი.

5. აქტის შინაარსი (ფაქტების ან მოვლენების აღწერა).

6. დანართების ნუსხა (თუ არის).

7. აქტის შემდგენელთა და იმ პირთა სია, რომლებიც გაეცნენ აქტის შინაარსს.

აქტი [ლათ. actus მოქმედება, actum დოკუმენტი] 1)ოფიციალური დოკუმენტი, ჩანაწერი, ოქმი; ნორმატიული ა.–იურიდიულად ნამდვილი კანონი, ბრძანებულება, დადგენილება და ა.შ., რომელიც ადგენს სამართლებრივ ნორმას; 2) საქციელი, მოქმედება; 3) სქესობრივი ა. – სქესობრივი კავშირის დამყარება; 4) მოქმედება, დრამატული ნაწარმოების თეატრალური წარმოდგენის დასრულებული ნაწილი; 5) არისტოტელეს ფილოსოფიური კატეგორია, აღქმული ტომიზმით: სინამდვილე, ენერგია, რ-მეს ქმედითი განხორციელება პოტენციის გარდა – ძალა, რომელიც ასეთი განხორციელების შემძლეა.

აქტივი [ლათ. activus ქმედითი, ნამდვილი] 1)კოლექტივის, ორგანიზაციის ყველაზე ქმედითი პირები; 2)საბუღალტრო ბალანსის ნაწილი (ერთ-ერთი მხარეთაგანი), რომელიც ერთ თარიღზე ასახავს სრულ შემადგენლობას, სახსრების განთავსებასა და გამოყენებას, რომლებიც ჯგუფდება მკურნალობაში მათი ფუნქციონირების ნიშნით; 3)საზღვარგარეთიდან შეშოსული შემოსავლის აღმატება მის საზღვარგარეთულ ხარჯებზე; 4)ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების უფლებათა ერთობლიობა; 5)მოქმედებითი გვარი (გრამატიკაში); 6)ე-შეს უპირატესობები, მღწევები, წარმატებები; 7) (ფარგ.) პომოსექსუალისტი, რომელიც მამაკაცის როლში გამოდის; შეად. პასივი.

აქტივი – 1. კომპანიის ნებისმიერი საკუთრება: მანქანები და მოწყობილობა, შენობები, მარაგი, საბანკო ანაბრები და ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში, პატენტები (განვითარებული ქვეყნის პრაქტიკაში, აგრეთვე, საქმიანი რეპუტაცია).

2. შემოსავლების გადაჭარბება ხარჯებზე ბალანსის ზოგიერთ სახეობაში (გადასახდელის ბალანსი და ა.შ.).

3. საბუღალტრო ბალანსის ნაწილი, რომელიც ასახავს საწარმოს მატერიალურ და არამატერიალურ ფასეულობებს მათი შემადგენლობის და განლაგების თვალსაზრისით. იგი შედგება ძირითადი კაპიტალისა და ბრუნვადი საშუალებებისგან. ძირითად კაპიტალს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, მანქანები, დანადგარები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, საწარმოო და სამსახურებრივი ინვენტარი, დაუმთავრებელი კაპიტალდაბანდებები, კონცესიები, ინტელექტუალური საკუთრება, ლიცენზიები, ფირმის ღირებულება (გუდვილი), მონაწილეობა სხვა საზოგადოებებში, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული სესხები, მათ შორის, უზრუნველყოფილი მიწის გირაოებით, სხვა

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები. საბრუნავ საშუალებებს მიეკუთვნება: საწარმოო მარაგები, ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება. მზა პროდუქცია, საქონელი, მომწოდებლებსა და მოიჯარეებზე გაცემული ავანსები, მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები, მიღებული თამასუქები, ჩეკები, ნაღდი ფული სალაროში, ფულადი საშუალებები საბანკო ანგარიშებზე, მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები, მოთხოვნები მეკავშირე (შვილობილი და სხვ.) საწარმოების მიმართ, საწარმოს ხელმძღვანელობასა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრებზე გაცემული კრედიტებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები, საწარმოს პარტნიორებზე გაცემული კრედიტებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები, სხვა საბრუნავი საშუალებები და აქტივები.

აქტიური ფასიანი ქაღალდები — ქაღალდები, რომლებიც წარმოადგენს მასობრივი ყიდვა-გაყიდვის ობიექტს, მათი ფასები სშირად ქვეყნდება პრესაში.

აქცეპტი – 1) სამოქალაქო სამართალში სრული და უდავო თანხმობა წინადადებაზე (ოფერტზე), ხელშეკრულება დაიდოს მეორე მხარის მიერ წამოყენებულ პირობებზე, რომელიც ოფერენტის მიერ მიღებულია ამ წინადადებაში მითითებული ვადის განმავლობაში; თუ ოფერტში ვადა არაა მითითებული, მაშინ დაუყოვნებლივ, თუ წერილობითი ფორმით, მაშინ კანონით ან სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში; თუ ასეთი ვადა დადგენილი არაა – ამისთვის ნორმალურად საჭირო დროის მანძილზე. ნორმალურად საჭირო დროდ ითვლება დრო, რომელიც საკმარისია მოცემული სახის კორესპონდენციის ორივე ბოლოში გატარებისთვის, გაკეთებული წინადადების შინაარსის გასაცნობად და მასზე პასუხის შესადგენად. რაიმე დამატებითი პირობის შემცველი აქცეპტი ითვლება ახალ ოფერტად. აქცეპტი შეიძლება გამოიხატოს ზეპირად, წერილობით, მოქმედების განხორციელების გზით, რომელთაგან გამომდინარეობს მხარის თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე (ე.წ. კონკლუდენტური მოქმედებები). ამ უკანასკნელს განეკუთვნება აქცეპტანტის (მოვალის) ვალდებულებების შინაარსის შემადგენელი მოქმედებები. მაგალითად, აქცეპტზე პასუხის ნაცვლად აქცეპტანტი იწყებს სამუშაოების შესრულებას, ტვირთის გაგზავნას და ა.შ. დუმილი აქცეპტად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, ხელშეკრულების წესებითა და მხარეთა უწინდელი ხელშეკრულებითი ურთიერთობებით. აქცეპტი ავალდებულებს აქცეპტანტს იმ მომენტიდან, როცა ის მიიღებს ოფერტს. ოფერტზე პასუხად აქცეპტის მიღებისთანავე ხელშეკრულება ითვლება დადებულად; 2) გადამხდელის თანხმობა აანაზღაუროს წამოყენებული საგადასახადო მოთხოვნა, ბანკის მეშვეობით ანგარიშსწორებისას. გაფორმების წესის მიხედვით გამოყოფენ დადებით და უარყოფით აქცეპტს. დადებითი აქცეპტის დროს საგადასახადო მოთხოვნის ანაზღაურება ხდება მხოლოდ ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერაზე გადამხდელის თანხმობის პირდაპირი გამოხატვის დროს. უარყოფითი აქცეპტის დროს საგადასახადო მოთხოვნა ითვლება აქცეპტირებულად, თუ დადგენილი ვადის მანძილზე გადამხდელისგან არ ხდება აქცეპტზე უარის თქმა. განცხადების დროის მიხედვით აქცეპტი შეიძლება იყოს წინასწარი ან შემდგომი. წინასწარი აქცეპტის დროს გადახდის ვადა დგინდება აქცეპტის ვადის ამოწურვის შემდეგ, ხოლო შემდგომი აქცეპტის დროს გადახდა ხდება მყიდველის ბანკში საგადასახადო დავალების შემოსვლის შემდეგ; ამასთან, აქცეპტის ვადის მანძილზე მყიდველმა შეიძლება უარიც კი განაცხადოს. აქცეპტზე შემდგომი უარის შემთხვევაში ბანკის მიერ მიღებული თანხა დაუყოვნებლივ ჯდება გადამხდელის ანგარიშზე. ამჟამად აქცეპტის ეს სახე არ გამოიყენება.

აქცესორული (accessorial – დამატებითი, დამხმარე) – 1. აქცესორული სამართალურთიერთობა – სამართალურთიერთობა, რომელიც წარმოგვიდგება, როგორც დამატებითი მთავარი ურთიერთობისთვის, რომლის გაუქმებისას აქცესორული სამართალურთიერთობა კარგავს თავის აზრს და მნიშვნელობას (მაგალითად, ურთიერთობები წარმოშობილი პირგასამტეხლოდან, ბედთან, გირაოდან).

2. აქცესორული ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომელიც არსებობს მხოლოდ სხვა (მთავარ) ხელშეკრულებასთან კავშირში.

აქცეპტანტი – 1. პირი, რომელმაც განაცხადა თანხმობა გარიგების დადების შემოთავაზებულ წინადადებაზე.

2. პირი, რომელმაც აიღო ვალდებულება წარდგენილი ანგარიშის, თამასუქის გადახდაზე.

აქცეპტური კანტორა – საფინანსო ინსტიტუტი (დაწესებულება), რომელიც გასცემს სესხს თამასუქზე. აქცეპტური კანტორები ისტორიულად შეიქმნა იმ დიდი კომერციული ფირმებისგან, რომლებიც საგარეო ვაჭრობას ეწეოდნენ, რადგან მსხვილი ფირმების მიერ აქცეპტირებულ ტრატებს ბანკები სიამოვნებით ღებულობენ ანგარიშზე, ამიტომ ამ ფირმებმა შეწყვიტეს ვაჭრობა და გადაერთვნენ გარკვეულ გასამრჯელოზე საკუთარ ოპერაციების შესრულებაზე. აქცეპტური კანტორა იცნობს რა ბაზრის კონიუნქტურას და კლიენტურას, მხარში უდგას მხოლოდ გადახდისუნარიან ფირმებს. აქცეპტური კანტორა არის შუამავალი თამასუქის მფლობელსა და დეპოზიტურ ბანკებს შორის.

აქცეპტური კრედიტი – საბანკო კრედიტი, რომელსაც ეწსპორტიორი ან იმპორტიორი ღებულობს ბანკისთვის თამასუქების გაცემით. ასეთი თამასუქები შეიძლება ადვილად გაიყიდოს, რამდენადაც საბანკო აქცეპტი თამასუქის მყიდველს უფლებას აძლევს ბანკში ამ თამასუქზე მოახდინოს ანგარიშსწორება.

აქცია – ემისიური ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას მიიღოს საკუთრი საზოგადოების (სს) მოგების ნაწილი დივიდენდის სახით, მონაწილეობა მიიღოს საკუთრი საზოგადოების საქმეების მართვაში და ქონების ნაწილზე, რომელიც დარჩა მისი ლიკვიდაციის შემდეგ (ხალიკვიდაციო ნაშთი). აქციების გამოშვება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საკუთრი საზოგადოებების მიერ, რომლებიც ამგვარად აყალიბებენ თავიანთ საწესდებო კაპიტალს. უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ხერხის მიხედვით გამოიყოფა სახელობითი (კონკრეტული პირის მითითე-

ბით, რომელსაც განეკუთვნება აქციით დადასტურებული უფლებები) აქციები და აქციები წარმომდგენზე. ამჟამად საქციო საზოგადოებები უშვებენ მხოლოდ სახელობით აქციებს. აქციები შეიძლება იყოს თავისუფლად მიმოქცეადი (შეზღუდული პასუხისმგებლობის საქციო საზოგადოება – შპს ს.) ან ბრუნვის შეზღუდული წრით (დახურული საქციო საზოგადება – დსს ა.), აქციები იყოფა ჩვეულებრივად (უბრალო) და პრივილეგირებულად. ჩვეულებრივი (უბრალო) სახელობითი აქცია – ესაა ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მასში დასახელებული პირის უფლებებს მონაწილეობა მიიღოს სს (საქციო საზოგადება) საერთო კრებაში გადამწყვეტი ხმის უფლებით, მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ, დივიდენდები, სალიკვიდაციო ნაშთი და სხვა უფლებები, რომლებიც წარმოდგენილია კანონმდებლობითა და საზოგადოების წესდებით. პრივილეგირებული აქციების მფლობელებისთვის გარანტირებულია ფიქსირებული დივიდენდის გადახდა და ჩვეულებრივი აქციების მფლობელებთან შედარებით ქონების ნაწილის მიღების უფლება, რომელიც დარჩა საზოგადების ლიკვიდაციის შემდეგ. თუმცა, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა სს-ის წესდებაში, პრივილეგირებული აქციების მფლობელებს ხმის უფლება არა აქვთ საქციო საზოგადებაში ე.ი. არ მონაწილეობენ საზოგადოების საქმეების მართვაში. მხოლოდ საერთო კრების მიერ გადასწყვეტ და მათ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ამ აქციების მფლობელებს აქვთ ხმის უფლება. კონკრეტული სს დამფუძნებელი დოკუმენტებით პრივილეგირებულ აქციებს შეიძლება ჰქონდეს კუმულაციურობისა და კონვერტირებადობის თვისება. კუმულაციური პრივილეგირებული აქციები – ესაა ისეთი აქციები, რომელთა მიხედვითაც გადაუხდელი ან დროში არასრულად გადახდილი დივიდენდები გროვდება და გაცემა ხდება შემდგომ, კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები – ესაა აქციები, რომლებიც იცვლება საზოგადოების ჩვეულებრივ ე.ი. ხმის მქონე აქციებად. აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს დოკუმენტური (ქაღალდზე) და არადოკუმენტური ფორმით (სპეციალურ რეესტრში მისი მფლობელის უფლებების შესახებ ჩაწერის გზით).

აქცია (ჰოლ. aktie, გერმ. aktie, actio – განკარგულება, ნებართვა, პრეტენზია) — აქციები ეწოდება საქციო საზოგადოების მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს, რომელთა მფლობელებს ეძლევათ აქციებთან დაკავშირებული ყველა ქონებრივი და პირადი უფლება. აქცია უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: საქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდებას და მის იურიდიულ მისამართს, ფასიანი ქაღალდის სახელწოდებას „აქცია", მის რიგით ნომერს, გამოშვების თარიღს, აქციის სახეობას (ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული), ნომინალურ ღირებულებას, მფლობელის ვინაობას (სახელობითი აქციის შემთხვევაში), საქციო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ხელმოწერას. აქციის ნომინალური ღირებულება ეს არის თანხა ალნიშნული აქციის ბარათზე. ფასს, რომლითაც ხდება აქციების ყიდვა-გაყიდვა, ეწოდება სახელშეკრულებო ფასი, ანუ აქციის კურსი. სხვაობას აქციის კურსსა და ნომინალურ ღირებულებას შორის ეწოდება საგმისო შემოსავალი. თუ აქციის საბირჟო კურსი გაუთანაბრდა მის ნომინალურ ღირებულებას, ასეთ მდგომარეობას ეწოდება ალპარი (იტალ. alpari, alla pari – თანაბრად). საქციო საზოგადოებას, რომელიც უშვებს აქციებს და კისრულობს ვალდებულებებს ამ აქციების მფლობელთა წინაშე ეწოდება ემიტენტი, ხოლო ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც თავისი სახელითა და ხარჯით ყიდულობს აქციას, ეწოდება ინვესტორი, ემიტენტსა და ინვესტორებს შორის შეიძლება იყვნენ შუამავლები – საფინანსო ბროკერები (მაკლერები). ადგილს (ბაზარს), რომელზედაც ხდება აქციების ყიდვა-გაყიდვა, ეწოდება საფონდო ბირჟა. მასზე განისაზღვრება აქციების ყოველდღიური საბაზრო ფასი (კურსი), რომელიც ასახავს მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთმიმართებას.

აქციონერებს ეძლევათ შემდეგი სახის უფლებები: ა) დივიდენდების მიღების უფლება, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია საზოგადოების მოგების ოდენობაზე. ბ) საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება, რომელიც ხორციელდება საზოგადოების აქციონერთა კრებებზე, – ხმის უფლებით საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე კენჭისყრის დროს (დირექტორების საბჭოს არჩევა და ა.შ.) გ) საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მის აქტივებში მონაწილეობა ქონების წილის მიღების უფლების სახით. აქციების მფლობელის უფლებების რეალიზაცია მის ხელთ არსებული აქციების ოდენობის პროპორციულია. ზემოალნიშნული უფლებების განმარტება ძალიან ზოგადია და დამახასიათებელია ჩვეულებრივი აქციებისათვის. მათ მფლობელებს არა აქვთ დივიდენდების მიღების მყარი გარანტია, აგრეთვე საზოგადოების ლიკვიდაციისას მის აქტივებში მონაწილეობა ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის ატარებს მხოლოდ ხასიათს, ანუ ქონებიდან წილი მათ ერგებათ მხოლოდ საზოგადოების ვალების გასტუმრების და პრივილეგირებული აქციების მფლობელებისათვის მათი წილის გაცემის შემდეგ. პრივილეგირებული აქციები შეიძლება იყოს მხოლოდ საწარმოგენლო. როგორც დასახელებიდან გამომდინარეობს პრივილეგირებული აქციების მფლობელებს გააჩნიათ უპირატესობები ჩვეულებრივი აქციის მფლობელებთან შედარებით. პრივილეგიები შეიძლება მდგომარეობეს შემდეგში: ფიქსირებული, გარანტირებული ოდენობის დივიდენდების მიღება, ხშირად, დადგენილი დივიდენდების გარდა, დამატებით მოგებაში მონაწილეობა; საზოგადოების ქონებაში უპირატესი წილის უფლება; ემიტენტის მოვალეობა გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ შეისყიდოს აქციები მფლობელისაგან შეღავათიანი პირობებით და ა.შ. პრივილეგირებულ აქციებ ერთი შეზღუდვა გააჩნიათ – ისინი, როგორც წესი, არ აძლევენ მათ მფლობელებს ხმას და ამგვარად, ამ ფორმით მოკლებულია საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებას. ხმის უფლების თვალსაზრისით აქციები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

ერთხმიანი აქციები – მათ მფლობელს ასეთი აქცია ერთი ხმის უფლებას აძლევს საზოგადოების საერთო კრებაზე.

შეზღუდული აქციები უზრუნველყოფენ დივიდენდების მიღებას, მაგრამ არ აძლევენ ან ძლიერ ზღუდავენ ხმის უფლებას.

პლურალური აქციები აძლევენ აქციონერს რამოდენიმე ხმის უფლებას აქციონერთა კრებაზე.

აქციათა გარკვეული რაოდენობის მფლობელობის დამადასტურებელ მოწმობას ეწოდება აქციების

სერთიფიკატი. აქციების 51% მფლობელობა ნიშნავს აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელობას, რაც აძლევს შესაძლებლობას მფლობელს უკანონოს თავისი ნება მთელ საქციო საზოგადოებას. პრაქტიკულად საკმარისია აქციების 20% საქციო საზოგადოებაში გადამწყვეტი გავლენის მოსაპოვებლად.

ქვემოთ მოყვანილია აქციების ნაირსახეობების აღმნიშნელი ცნებები, რომლებიც მიღებულია საქმიან სამყაროში.

სახელობითი აქციის მფლობელი მითითებულია აქციაზე (სერთიფიკატზე) და მფლობელის სახელი შეტანილია საქციო საზოგადოების რეესტრში. სახელობით აქციაზე უფლებების დათმობა ხდება აქციის (სერთიფიკატის) ახალ მფლობელზე გაცემის, ან აქციაზე ინდოსამენტის (გადამცემი წარწერის) გაკეთების გზით. ახალი მფლობელი შეიტანება საქციო საზოგადოების რეესტრში.

საწარმოგენერო აქციებზე არ არის მითითებული მათი მფლობელის ვინაობა, ისინი გამოიშვებიან უფრო წერილ კუპიურებში სახელობით აქციებთან შედარებით, მოსახლეობის ფართო წრეების მოზიდვის მიზნით. ამგვარი აქციები ადვილად გადადის ხელიდან ხელში.

ვინკულირებული აქციები წარმოადგენენ სახელობითი აქციების ნაირსახეობას. მათი გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ ემიტენტის ნებართვით. ამგვარი აქციების გამოშვების მიზანია აქციონერთა ვინაობის გაგება და საჭიროების შემთხვევაში გარკვეული კატეგორიის პირების გამორიცხვა პოტენციალურ აქციონერთა რიგებიდან.

სწრაფად მზარდი აქციები წარმოადგენენ ჩვეულებრივ აქციებს, რომელთა ღირებულება სწრაფად მატულობს. ამგვარ აქციებზე გაიცემა ძალიან მცირე დივიდენდები (ან საერთოდ არ გაიცემა), რადგან მოგება მიდის კომპანიის განვითარებაზე.

გაორებული აქციები წარმოადგენენ ჩვეულებრივ აქციებს ორი კომპანიისა, რომლებიც იმართებიან ერთი და იმავე საინვესტიციო კომპანიით და იყიდებიან შერწყმულად.

კონვერტირებადი აქციები შეიძლება გადაცვლილ იქნეს პრივილეგირებულ ან ჩვეულებრივ აქციებზე ფიქსირებული თანხის ფარგლებში და განსაზღვრულ ვადებში. კონვერსიის პირობები, პრივილეგიები და მოქმედების ვადა აღნიშნულია პროსპექტში. თუ კონვერსიის ვადა ამოიწურა, ასეთი აქციები აღარ გადაცვლება.

კუმულაციური აქციები წარმოადგენენ პრივილეგირებულ აქციებს, რომელთა მფლობელებს შეიძლება გადაეხადოს თანხები წლების მანძილზე დაგროვილ დავალიანებებზე, როდესაც საზოგადოება მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ იხდიდა დივიდენდებს.

დაცული აქციები წარმოადგენენ სტაბილური შემოსავლის წყაროს, მათი გამოშვება ხდება ეკონომიკის იმ დარგებში, რომლებიც ნაკლებად განიცდიან ციკლურ ცვლილებებს. ასეთი აქციების ღირებულების ზრდა ზომიერ ხასიათს ატარებს.

ციკლური აქციები – ნებისმიერი აქციები, მაგალითად, საბინაო მშენებლობასთან დაკავშირებული აქციები, რომელთა კურსს ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში გააჩნია სწრაფი ზრდის, ხოლო ეკონომიკური ჩავარდნის პერიოდში სწრაფი გაუფასურების ტენდენცია.

აქციზი [ფრ. accise] არაპირდაპირი გადასახადის სახეობა, უპირატესად მასობრივი მოთხოვნის საგნებზე (ნავთობპროდუქტებზე, თამბაქოზე ალკოჰოლურ ნაწარმზე და ა.შ.), აგრ. მომსახურებაზე; შედის საქონლის ან მომსახურების ფასში; წარმოადგენს სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს, ჩამორჩენილი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

აქციონერი [ფრ. actionaire] ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს მოცემული საქციო საზოგადოების აქციებს.

აქციონერული [< აქციაI] აქციებზე დამყარებული, მათთან დაკავშირებული; ა. კაპიტალი, რომლის ზონაც განპირობებულია მისი წესდებით; ყალიბდება აქციათა გამოშვებისა და გაყიდვის ხარჯზე; ა. კომანდიტი – ამხანაგობის სახეობა, რომელიც აერთიანებს ა. საზოგადოებების და კომანდიტური ამხანაგობების ელემენტებს; მონა-წილეთა (მეანაბრეთა) ნაწილი პასუხისმგებელია აღებულ ვალდებულებებზე მის მფლობელობაში მყოფი საკუთრების ფარგლებში; ყველა აქციონერის პასუხისმგებლობა შემოფარგლულია მისი აქციების ღირებულებით; დახურული ტიპის ა. საზოგადოებები აყალიბებენ საწესდებო ფონდს მხოლოდ დამფუძნებელთა შენატანების (აქციების) ხარჯზე; ღია სახის ა. საზოგადოება აქციებს ბაზარზე ყიდის ღია ხელმოწერის ფორმით.

ალთქმა, დაპირება, პირობა, სიტყვის მიცემა. – რელიგიური ალთქმა გულისხმობს: 1. ღვთისა ან „წმინდანისადმი" (ღვთისმშობელი, მთავარანგელოზი, წმინდა გიორგი და ა.შ.) პირობის მიცემას ნაკისრი საღვთო ვალდებულების (ლოცვა, მსხვერპლის შეწირვა, სანთელ-საკმეველის შირთმევა და მისთანა). 2. „ღვთის სიტყვას" ადამიანთადმი, მის დარიგებას და პირობას, რომელიც მონოთეისტების აზრით, უნაკლოდ და სრულად არის გადმოცემული „წმ. წიგნებში" (ძველი ალთქმა, ახალი ალთქმა, ყურანი, ბუდისტური წიგნები და სხვა). 3. სამართალში პირობის ან სიტყვის მიცემას იყენებდნენ ხშირად იმ ფორმით და შინაარსით, რომ სასამართლოში მოცემული დამნაშავე ან სასჯელმოხდილი ან სხვა უამრავ შემთხვევაში პოტენციური დამნაშავე პირობას დებდაზუსტი ჩვენების მიცემაზე ან დანაშაულის არჩადენაზე.

ალიარება სამოქალაქო პროცესში ერთი მხარის მიერ გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. სასამართლოს შეუძლია ასეთი ალიარება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას.

ალიარებითი სარჩელი სამოქალაქო სარჩელში უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის ალიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ აღძრული სარჩელი. თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი ალიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს (სამ. საპ. კოდექსი, მუხლი 180).

ალკვეთის ღონისძიებანი – თავი 20 კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №4 – სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულება

მუხლი №151 – აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და საფუძველი

1. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა. ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს არ შეიძლება შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა ან აღკვეთის სხვა ღონისძიება, თუ უფრო ნაკლებად შემზღუდავი აღკვეთის ღონისძიება უზრუნველყოფს ამ ნაწილით გათვალისწინებულ მიზნებს.

2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოზე, დაანადგურებს მტკიცებულებებს, დაემუქრება პროცესის მონაწილეებს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

3. აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახის მიზანშეწონილობა და უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენების შეუძლებლობა, ხოლო წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შუამდგომლობის წარდგენისას – მოთხოვნილი ვადის აუცილებლობა.

4. სასამართლო უფლებამოსილია აღკვეთის ღონისძიების სახით პირს შეუფარდოს პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

აღკვეთის ღონისძიება გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიება, რომელსაც სასამართლო იყენებს განსასჯელის (ბრალდებულის) მიმართ, რათა იგი არ დაემალოს გამოძიებასა და სასამართლოს, ხელი არ შეუშალოს ჭეშმარიტების დადგენას, არ განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა, თავი არ აარიდოს სასჯელის მოხდას. განსაკუთრებულ შემთხვევებში აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება ეჭვმიტანილის მიმართაც.

აღკვეთი ღონისძიების სახეებია: წაუსვლელობის (ფეხმოუცველობის) ხელწერილი, პირადი თავდებობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავდებობა, პატიმრობა. საგამოძიებო-სასამართლო ორგანოს მიერ ბრალდებულისათვის წაუსვლელობის (ფეხმოუცლელობის) ხელწერილის ჩამორთმევა გულისხმობს სათანადო ნებართვის გარეშე მისთვის საცხოვრებელი ადგილიდან წახვლის აკრძალვას. თუ ბრალდებულმა დარღვია ეს ვალდებულება, ამას თან სდევს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება. თავისუფლების აღკვეთის სახეებია: ბრალდებულის დაპატიმრება, შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, გირაო. ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, აგრეთვე, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა. პირადი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავდებობა გულისხმობს ორი ან მეტი სანდო პირის ანდა საზოგადებრივი ორგანიზაციის წერილობით ვალდებულებას, უზრუნველყონ ბრალდებულის სათანადო ქცევა, მისი გამოცხადება საგამოძიებო ან სასამართლო ორგანოში. ბრალდებულის გამოუცხადებლობისათვის პირად თავდებს ეკისრება ფულადი ჯარიმა. აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას მხედველობაში იღებენ ბრალდების სიმძიმეს, ბრალდებულის პიროვნებას, ასაკს, პროფესიას, ჯანმრთელობას, ოჯახურ მდგომარეობას და სხვა გარემოებებს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ხდება სასამართლოს განაჩენით, განჩინებით ან მომკელევის, გამომძიებლის და პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე.

აღმასრულებელი წარმოება – სასამართლოს და სხვა იურისდიქციული ორგანოების აქტების კანონით დადგენილი იძულებითი რეალიზაციის წესი, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს დარღვეული ან სადავო სუბიექტური მატერიალური უფლებებისა თუ კანონით დაცული ინტერესების რეალური დაცის უზრუნველყოფა. შესასრულებელ აქტებს განეკუთვნება: ა) ზოგადი იურისდიქციის სასამართლოების გადაწყვეტილებები, განჩინებები და დადგენილებები სამოქალაქო საქმეებზე, ასევე სასამართლო ბრძანებები; ბ) ზოგადი იურისდიქციის სასამართლოების გადაწყვეტილებები, განჩინებები და დადგენილებები სისხლის სამართლის საქმეებზე ქონებრივი საზღაურის ნაწილში; გ) ზოგადი იურისდიქციის სასამართლოს ან მოსამართლის დადგენილებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმეებზე ქონებრივი საზღაურის ნაწილში; დ) სასამართლოს მიერ დამტკიცებული მომრიგებლური შეთანხმებები; ე) ნოტარიულად დადასტურებული შეთანხმებები ალიმენტის გადახდის შესახებ; ვ) საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებები, განჩინებები, დადგენილებები; ზ) საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის და სხვა სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებები; თ) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დამცველი სახელმწიფოთაშორისო ორგანოების გადაწყვეტილებები; ი) შრომითი დაევის კომისიის გადაწყვეტილებები; კ) დადგენილი წესით გაფორმებული იმ ორგანოების მოთხოვნები, რომლებიც ახორციელებენ საკონტროლო ფუნქციებს, ფულადი საშუალებების გადახდევინების შესახებ ბანკის ან საკრედიტო ორგანიზაციის ანდაშენით, გადახდის სრული ან ნაწილობრივი განხორციელებით მოვალეს ანგარიშზე მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არასაკმარისი თანხის არსებობის გამო; ლ) იმ ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთა დადგენილებები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ საქმეები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; მ) უცხოეთის სასამართლოებისა და არბიტრაჟების გადაწყვეტილებები.

სასამართლოს ან სხვა ორგანოს აქტის საფუძველზე ხდება აღმასრულებელი დოკუმენტის გაცემა. აღმასრულებელ დოკუმენტებს წარმოადგენს: ა) სასამართლოების მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლები, მათ მიერ მიღებული სასამართლო აქტების, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟისა და სხვა სამედიატორო სასამართლოების, უცხოეთის სასამართლოებისა და არბიტრაჟების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოთაშორისო

ორგანოების გადაწყვეტილებები; ბ) სასამართლო ბრძანებები; გ) ალიმენტების გადახდის შესახებ ნოტარიულად დამოწმებული შეთანხმებები; დ) შრომითი დაეების კომისიის მოწმობები, რომლებიც გაიცემა მისი გადაწყვეტილებების საფუძველზე; ე) დადგენილი წესით გაფორმებული იმ ორგანოების მოთხოვნები, რომლებიც ახორციელებენ საკონტროლო ფუნქციებს ფულადი საშუალებების გადახდევინების შესახებ ბანკის ან საკრედიტო ორგანიზაციის აღნიშვნით, გადახდის სრული ან ნაწილობრივი განხორციელებით მოვალეს ანგარიშზე მომთხოვნის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არასაკმარისი თანხის არსებობის გამო; ვ) იმ ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთა დადგენილებები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ საქმეები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; ზ) სხვა ორგანოების დადგენილებები კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

აღმასრულებელ დოკუმენტში უნდა იყოს მითითებული აღმასრულებელი დოკუმენტის გამცემი სასამართლოს ან სხვა ორგანოს დასახელება, საქმე ან მასალები, რომელთა მიხედვითაც გაცემულია აღმასრულებელი დოკუმენტი და მათი ნომრები, სასამართლოს ან სხვა ორგანოს აქტის მიღების თარიღი; მომთხოვნი-ორგანიზაციისა და მოვალე-ორგანიზაციის დასახელებები, მათი მისამართები; მომთხოვნი-მოქალაქისა და მოვალე-მოქალაქის გვარი, სახელი, მამის სახელი, მათი საცხოვრებელი ადგილი, მოვალე-მოქალაქის დაბადების თარიღი და ადგილი და მისი სამუშაო ადგილი; სასამართლოს ან სხვა ორგანოს აქტის სარეზოლუციო ნაწილი; აღმასრულებელი დოკუმენტის გაცემის თარიღი და მისი შესასრულებლად წარდგენის ვადა.

აღმასრულებელი წარმოების მონაწილეები შეიძლება დაიყოს 4 ჯგუფად: ა) იძულებითი შესრულების ორგანოები; ბ) სასამართლო (მოსამართლე); გ) მხარეები; დ) სხვა მონაწილეები.

სასამართლოს და ასევე სხვა იურისდიქციული ორგანოების აქტების შესრულება, რომლებიც ექვემდებარებიან იძულებით აღსრულებას, ეკისრება სასამართლო ზედამხედველობის სამსახურს.

სასამართლოს (მოსამართლეს) გააჩნია რიგი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებებისა. ეს უფლებამოსილებები დაკავშირებულია: ა) აღმასრულებელი დოკუმენტების გაცემასთან; ბ) აღმასრულებელი წარმოების მოძრაობასთან (აღმასრულებელი მოქმედებების გადადება, აღმასრულებელი წარმოების შეჩერება და შეწყვეტა); გ) აღსრულების დროს გამოვლენილი სასამართლოს გადაწყვეტილების ნაკლოვანებების გამოსწორებასთან (გადაწყვეტილების განმარტება, აღსრულების ხერხისა და წესის ცვლილება, აშკარა არითმეტიკული შეცდომებისა და კალმის შეცდომების გამოსწორება); დ) სასამართლო ზედამხედველი-აღმსრულებლის საქმიანობაზე კონტროლთან.

აღმასრულებელი წარმოებისას მხარეები მომთხოვნი და მოვალეა. მომთხოვნი-მოქალაქე ან ორგანიზაცია, რომელთა ინტერესებითაც ან სასარგებლოდაც გაცემულია აღმასრულებელი დოკუმენტი. მოვალე-მოქალაქე ან ორგანიზაცია, რომელიც ვალდებულია შეასრულოს გარკვეული ქმედებები (გადასცეს ფულადი საშუალებები ან სხვა ქონება, შეასრულოს სხვა ვალდებულებები ან აკრძალვები) აღმასრულებელი დოკუმენტის მიხედვით ან თავი შეიკავოს მათი შესრულებისგან. აღმასრულებელ წარმოების მონაწილეებს განეკუთვნება თარჯიმნები, მოწმეები, სპეციალისტები.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო

– აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემის განკერძოებული ნაწილი, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი სტრუქტურა და კომპეტენცია. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს სტრუქტურას და სისტემას ადგენს კონსტიტუცია და კანონები. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს სტატუსი, ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებები განპირობებულია მისი წარმოქმნის მიზნებით სახელმწიფო მართვის განხორციელებისთვის კონკრეტულ დარგში ან საზოგადოების ცხოვრების სფეროში: ეკონომიკაში. სოციალურ-კულტურულ, ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ სფეროებში. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მეთოდები დამოკიდებულია იმ ობიექტების სპეციფიკაზე, რომელთა მიმართებაშიც ხდება მოცემული ორგანოსთვის შეთავაზებული უფლებამოსილებების რეალიზაცია: რეგულირება, ხელმძღვანელობა, საპროგრამო-მიზნობრივი დაგეგმვა, პროტექციონიზმი, ლიცენზირება, ბრძოლა მონოპოლიზმთან და სხვა მეთოდები – ეკონომიკაში; პირდაპირი საბიუჯეტო დაბანდებები და კონტროლი მათ გამოყენებაზე – განათლების სფეროში, მეცნიერების განვითარების ყველაზე პერსპექტიული მიმართულებების მხარდაჭერა და ა.შ. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო თავის საქმიანობას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს სისტემის ჩარჩოებში, ექვემდებარება რა აღმასრულებელი ხელისუფლების ზემდგომ ორგანოს ან ასრულებს მის მითითებებს და ურთიერთქმედებს რა აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოებთან, პოზიციის შეთანხმებით მომიჯნავე საკითხების ერთობლიე გადაწყვეტაში და ა.შ.

გამოყოფენ აღმასრულებელი ხელისუფლების კოლეგიალურ ორგანოებს და ორგანოებს, რომლებიც მოქმედებენ ერთმმართველობის პრინციპზე, ასევე ზოგადი, დარგობრივი და დარგთაშორისი კომპეტენციის ორგანოებს.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტები

– აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივი აქტები, რომლებიც განისაზღვრება კანონმდებლობით. ესაა ოფიციალური წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ქცევის გარკვეულ წესებს (ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს) ან წარმოადგენენ კანონთა ნორმების გამოყენების აქტებს და კანონქვეშდებარე ნორმატიულ აქტებს (ინდივიდუალურ აქტებს). ყველა ეს აქტი წარმოადგენს კანონქვემდებარე აქტს ე.ი. უნდა იყოს მიღებული კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად; ისინი ექვემდებარებიან სასამართლო კონტროლს და შესაძლებელია მათი სადავოდ გახდომა; უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფო მართვის აქტები წარმოადგენენ საპროკურორო ზედამხედველობის საგნებს.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემა

– სახელმწიფო აპარატის (სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა) შემადგენელი,

დამოუკიდებლად მოქმედი ნაწილი, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს აღმასრულებელი ხელისუფლება, მოახდინოს მისი ამოცანებისა და ფუნქციების რეალიზება. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში სახელმწიფო მართვის უზრუნველსაყოფად აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემას გააჩნია აღმასრულებელ-განკარგულებითი უფლებამოსილებები. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობა ეფუძნება კანონიერების, დემოკრატიზმის, ღიაობის პრინციპებს და ხორციელდება მრავალი ფორმით, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გამოცემის გზით კანონების საფუძველზე და კანონების შესასრულებლად.

ᲐᲚᲛᲨᲠᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ

– არასრულწლოვანის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი.

აღმშრდელობითი ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი იძულებითი ზომაა გაფრთხილება. ის გამოიყენება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისას იმ შემთხვევაში, თუ მოზარდმა სრულად გააცნობიერა ჩადენილი, მოინანია, მის მიერ ჩადენილი დანაშაულით მიყენებული ზიანი მინიმალურად და ა.შ. არასრულწლოვანისთვის მიყენებული ზიანისა და განმეორებითი დანაშაულის შედეგების განმარტება ხდება ზეპირი ფორმით. ამის შემდეგ მიზანშეწონილია მოზარდს ჩამოვართვათ წერილობითი ვალდებულება, სადაც მითითებულია, რომ მისთვის გასაგებია გაფრთხილების არსი. ვალდებულებას ხელი უნდა მოაწეროს მოზარდმა და მისმა ჩამომრომემა პირმა. არასრულწლოვანის მშობლების ან მათი შემცველი პირების ზედამხედველობის ქვეშ გადაცემისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ აღნიშნულ პირებს გააჩნიათ დადებითი გავლენა მოზარდზე, სწორად შეაფასოს მის მიერ ჩადენილი ქმედება, უზრუნველყოს ყოველდღიური კონტროლი არასრულწლოვანზე.

მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სპეციფიკური აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ზომაა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა თითოეულ მოზარდთან მიმართებაში. თუ ის უკავშირდება მატერიალურ დანახარჯებსა და ფიზიკურ ძალისმევას, ამ ზომის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ მოზარდთან მიმართებებში, რომელსაც აქვს საკუთარი ხელფასი ან სტიპენდია ან შრომითი ჩვევები ე.ი. შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს ქონების, ტექნიკური ხელსაწყოების, აუტომანქანის რემონტი, სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოები და ა.შ.

ᲐᲚᲛᲨᲠᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

გამოსასწორებელი ღონისძიება, რომელსაც სისხლისსამართლებრივი სანქციის ნაცვლად იყენებენ არასრულწლოვანი დანაშაულის მიმართ, ანდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი მცირეწლოვანის მიმართ, თუკი მან საზოგადოებრივად საშიში ქმედება ჩაიდინა. გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის აღმზრდელობით-იძულებითი ღონისძიებები: დაზარალებულის წინაშე საჯაროდ ან სხვა ფორმით ბოდიშის მოხდა, საყვედურის ან სასტიკი საყვედურის გამოცხადება, გაფრთხილება, ბაგშეთა და მოზარდთა სპეციალური სამკურნალო-აღმზრდელობით ან აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება და სხვა; აღმზრდელობით-იძულებითი ღონისძიება არ არის სისხლის სამართლებრივი სასჯელი და არ ქმნის ნასამართლობას. სასამართლოს შეუძლია დანიშნოს იგი იმ შემთხვევაში. როცა არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაული არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და დამნაშავე შეიძლება გამოსწორდეს სისხლის სამართლის სასჯელის გამოუყენებლად. აღმზრდელობით-იძულებითი ღონისძიება გამოიყენება არასრულწლოვანთა მიმართაც სპეციალურად შექმნილი კომისიებით.

არასრულწლოვანი დამნაშავისათვის დანიშნული იძულებითი ღონისძიება. სსკ 90-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლის სამართლებრივი პასუხისგებლობისაგან, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილია აღმზრდელობითი ხასიათის ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით. ასეთი ღონისძიებებია: გაფრთხილება, ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა, ზიანის ანაზღაურების დაკისრება, საქმიანობის შეზღუდვა.

ᲐᲚᲛᲐᲧᲔᲤᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

– მოკლეული მწარმოებელ პირს, გამომძიებელს, პროკურორს, ასევე სასამართლოს მათი უფლებამოსილებების ფარგლებში უფლება აქვთ პირდაპირ ან ერთ-ერთი ალმაყეფი ღონისძიება ბრალდებულთან, ეჭვმიტანილთან მიმართებაში საკმარისი საფუძვლების არსებობისას, რომ ბრალდებული, ეჭვმიტანილი: ა) დაემალება მოკლეულს, წინასწარ გამოძიებას ან სასამართლოს; ბ) შეუძლია გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა; გ) შეიძლება დაშინაკროს მოწმეს, სისხლის სამართლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს, გაანადგუროს მტკიცებულებები ან სხვა გზით აღუდგეს წინ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას. ალმაყეთი ღონისძიება შეიძლება ასევე შერჩეულ იქნეს განაჩენის აღსრულების უზრუნველსაყოფად.

ეჭვმიტანილთან ან ბრალდებულთან მიმართებაში ალმაყეთი ღონისძიების შეფარდებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული დანაშაულის სიმძიმე, ცნობები ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის პიროვნების შესახებ – მისი ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობის სახე და სხვა გარემოებები. ალმაყეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ მოკლეულის მწარმოებელ პირს, გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება. დადგენილების ან განჩინების ასლი გადაეცემა იმ პირს, რომელთან მიმართებაშიც ისაა გამოტანილი, ასევე მის დამცველს ან კანონიერ წარმომადგენელს მათი თხოვნით. ამასთან, ალმაყეთი ღონისძიება შეფარდებულ პირს განემარტება და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

ალმაყეთი ღონისძიება უქმდება თუ არაა მისი საჭიროება ან იცვლება უფრო მკაცრზე ან მსუბუქზე, როცა იცვლება საფუძვლები მისი შეფარდებისთვის. ალმაყეთი ღონისძიების გაუქმება ან ცვლილება ხდება მოკლეულის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით.

პროკურორის, ასევე გამომძიებლის, მოკლეულის, მწარმოებელი პირის მიერ სასამართლომდელი წარ-

მოების დროს შეუარდებული აღმკვეთი ღონისძიება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მხოლოდ პროკურორის თანხმობით.

აღმკვეთი ღონისძიების სახეებია: ა) ხელწერილი გაუსვლელობის შესახებ; ბ) პირადი თავდებობა; გ) სამხედრო ნაწილის ან სხვა ორგანოს მეთაურობის მეთვალყურეობა; დ) თვალ-ყურის დევნება არასრულწლოვან ბრალდებულზე; ე) გირაო; ვ) შიდასატიმრობა; ზ) დასატიმრება. აღმკვეთი ღონისძიებების ჩამონათვალი ამომწურაია.

აღმკვეთი ღონისძიებები ერთმანეთთან დაკავშირებულია. შეუარდებული აღმკვეთი ღონისძიების დაუცველობას მოსდევს უფრო მკაცრი აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება.

დაუშვებელია ერთდროულად ორი აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება. თუ შეუარდებული აღმკვეთი ღონისძიება არ უზრუნველყოფს სათანადოდ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ან სასამართლო განხილვას, ის საფუძვლების არსებობისას იცვლება სხვა უფრო მკაცრი აღმკვეთი ღონისძიებით.

აღმოჩენა მატერიალური სამყაროს ობიექტურად არსებული, მაგრამ აქამდე უცნობი კანონზომიერების, თვისების თუ მოვლენის დადგენა. მოქმედი სპატენტო კანონმდებლობით, აღმოჩენა სამართლებრივი დაცვის დამოუკიდებელ ობიექტს არ წარმოადგენს და მისი ავტორის უფლებების დაცვა ხორციელდება საავტორო სამართლებრივი უფლებების დაცვის სფეროში.

აღნაგობა მიწის ნაკვეთის სხვა პირისათვის გადაცემა ეადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ქქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის, აგრეთვე, ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვებისა და გაქირავების უფლება. აღნაგობის უფლების ეადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონით განსაზღვრულ ვადას და წელს. აღნაგობის უფლება მესაკუთრის მხრიდან ცალმხრივად შეიძლება შეწყდეს მხოლოდ ორი წლის გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში.

აღსარება – 1. რომელიმე სარწმუნოების ან რელიგიური მოძღვრების აღიარება. 2. ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლო, რომელსაც ცოდვების მიზნით ასრულებს მორწმუნე. იგი დაუფარავად და ღრმა გულწრფელი განცდით აღიარებს ჩადენილ ცოდვებს სათანადო სასულიერო პირის წინაშე ცოდვების მისატევებლად, რისთვისაც მას სთხოვს ღმერთთან შუამდგომლობას. აღსარების მოსმენის შემდგომ სასულიერო პირი მორწმუნეს ცოდვებისაგან ათავისუფლებს და მიუტევებს მას ეკლესიისა და იესო ქრისტეს სახელით. აღსარების შემდეგ მორწმუნე ცოდვებისაგან განწმენდილად ითვლება, რის გარეშეც ეკლესიის მტკიცებით მორწმუნეს საუკუნო სასჯელი მოელის საიქიოს. აღსარების საშუალებით ეკლესია მაღალ მორალურ გაკეთილს და აღზრდას ახდენდა მორწმუნეზე. 3. სამართლებრივი საქმიანობის სფეროში ბრალდებული ან სასჯელის ქვეშ მყოფი პირი, მოწმე ასევე სხვა სასამართლო და საგამოძიებო პროცესის მონაწილეს უფლება ქქონდა მოეხდინა საერთო-სახალხო ან სამართლის მწარმოებელი სუბიექტის წინაშე აღსარება. აღსარების წარმოთქმა განსაკუთრებით ხშირი იყო სიკვდილით დასასჯელი პირის მხრიდან, რომელსაც ეს უკანასკნელი ახდენდა უმრავლეს შემთხვევაში მღვდლის ან სამოქალაქო პირის წინაშე.

ყველა ზემოთ აღწერილ შემთხვევაში აღსარება არის უდიდესი ემოციური მუხტის მატარებელი, რითაც ხდებოდა ადამიანის სულის გაწმენდა ბიწის სიმძიმისაგან და მას გააჩნდა ამამაღლებელი განცდა სულიერების და სამოქალაქო მდგომარეობის საფეხურზე.

აღსრულება – სამოქალაქო პროცესის დასკვნითი სტადია, რომელშიც ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული უფლებების იძულებითი განხორციელება, სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას მათი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, გარდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების შემთხვევებისა, ახდენენ სასამართლოს აღმასრულებლები საღსრულებო ფურცლის ან სხვა საღსრულებო საბუთის საფუძველზე.

სასამართლოს გადაწყვეტილების სწორ და დროულ შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს მოსამართლე. სასამართლოს აღმასრულებელი საქმის აღსრულების დაწყებისთანავე უგზავნის მოვალეს წერილობით წინადადებას გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ დადგენილ ვადაში. საჭირო შემთხვევებში წინადადების ჩაბარებასთან ერთად სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლია ყადაღა დადოს მოვალის ქონებას. სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება იწყება ნებაყოფლობითი აღსრულების ვადის გასვლისთანავე. სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლია მიიღოს იძულებითი აღსრულების შემდეგი ზომები: 1) იძულებითი გადახდევინების მიქცევა მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების და გაყიდვის გზით. 2) გადახდევინების მიქცევა მოვალის ხელფასზე, პენსიაზე, სტიპენდიაზე და სხვა სახის შემოსავლებზე. 3) გადახდევინების მიქცევა მოვალის კუთვნილ, მაგრამ სხვა პირებთან მყოფ ქონებაზე და ფულად თანხებზე. 4) მოვალის მფლობელობიდან სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული ნივთების ამოღება და გადამხდევინებლისთვის გადაცემა. 5) სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული სხვა ზომები. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შემაფერხებელი გარემოებების არსებობისას, სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლია გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი აღსრულების გადავადების ან განვადების, აგრეთვე აღსრულების ხერხისა და წესის შეცვლის შესახებ. საღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში საღსრულებო ფურცელი შესაბამისი აღნიშნით ეგზავნება სასამართლოს ან სხვა ორგანოს, რომელმაც გასცა ეს საბუთი. სასამართლოს აღმასრულებლის მიერ მიღებული ყველა ზომა უქმდება. შეწყვეტილი აღსრულება არ შეიძლება ქლავ განახლდეს.

აღწერა – საინვენტარო აღწერა გამოიხატება მეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციის ქონების დეტალურ აღწერილობაში საგნების რაოდენობის, ხარისხის და ღირებულების აღნიშვნით. ტარდება ქონების ინვენტარიზაციის დროს.

ქონების აღწერა – ოქმი, რომელსაც ადგენს სასამართლო აღმასრულებელი ან ქონებაზე ყადაღის

დადების უფლების მქონე სხვა პირი სააღსრულებო ბაბუთების საფუძველზე ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევის უზრუნველსაყოფად. ქონება შეიტანება ოქმში იმ რაოდენობით, რაც საკმარისია გადახდევინების და მასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად. ოქმში (აღწერაში) უნდა აღინიშნოს დასაყადაღებელი ქონების ზუსტი დასახელება, რაოდენობა, ზომა. წონა, ცვეთის ხარისხი, სხვა ინდივიდუალური ნიშნები და ღირებულება; მიეთითოს, თუ რა ქონებაა ჩამორთმეული და რა დარჩა შესანახად. ეკუთვნის თუ არა ეს ქონება ან მისი ნაწილი სხვა პირებს. აღწერას არ ექვემდებარება ქონება, რომლიდანაც კანონით არ დაიშვება გადახდევინების მიქცევა, მაგალითად, საოჯახო მეურნეობისთვის აუცილებელ ნივთებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს.

ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ – სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის ზოგიერთი მონაწილის ჩამოშორება ან თვითჩამოშორება საქმის წარმოებისგან, თუ რაიმე გარემოების გამო მათი პირუთვნელობა და ობიექტური დამოკიდებულება ეჭვს იწვევს (სსსკ მუხ. 105-107. სამ. სამ. კოდ. მუხ. 31-35).

ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ – მთარგმნელის მიერ დასაკითხი პირების ჩვენებების, საკლესიო დოკუმენტების, ექსპერტთა დასკვნების და ა.შ. შინაარსის დამახინჯება.

ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲐᲜ ᲒᲐᲡᲐᲪᲚᲔᲑᲐ – დამნაშავის მიერ ასეთი ქონების ნებისმიერი ფორმით ანაზღაურებადი ან არაანაზღაურებადი მიღება ან გასხვისება.

აშკარად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა წარმოადგენს ანაზღაურებად ან არაანაზღაურებად მოქმედებების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ქონების, როგორც საკუთრების განკარგვის შესაძლებლობას ანდა ფლობდეს მას, გაასხვისოს ან პირადად გამოიყენოს ის, ამასთან, იურიდიულად ქონების შეძენაზე საკუთრების უფლება არავისზე არ გადადის. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების გასაღება წარმოადგენს ქონების მესამე პირისთვის ერთჯერადი ან მრავალჯერადი გადაცემის მოქმედებას, რის შედეგადაც მას შეუძლია განკარგოს ქონება, როგორც საკუთარი, ამასთან, ეს ქმედებები თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს ბათილ გარიგებას.

ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ – თანამდებობრივი უფლებამოსილებების გადამეტების ერთ-ერთი ფორმა. ის გამოიხატება პროკურორის, გამომძიებლის ან მოკვლევის მწარმოებელი პირის მიერ მოტივირებული დადგენილების გამოტანაში პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მისთვის ჩამოყალიბებული ბრალდების წაყენებაში, ბრალდებულისთვის საპროცესო უფლებებისა და ვალდებულებების განმარტებით, საქმის მასალებში მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობისას ან საქმეში იმავე პირის უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობისას.

ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲪᲠᲣ ᲓᲐᲡᲛᲔᲜᲐ – განზრახ შეტყობინება ჩადენილი ან მომზადებული დანაშაულის შესახებ. ცრუ ცნობა ჩადენილი დანაშაულის შესახებ შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი, პირადი ან ანონიმური. მოცემული დანაშაული ითვლება დასრულებულად იმ მომენტიდან, როცა აშკარა ცრუ დასმენა ჩადენილი დანაშაულის შესახებ ცნობილი გახდა პროკურორისთვის, მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოებისთვის. ცრუ დასმენა დანაშაულის ჩადენის შესახებ ცილისწამებისგან გამოირჩევა იმით, რომ შეტყობინება თითქოსდა ადგილის მქონე სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების დროს და ამის შესახებ ეგზავნება ზემოთაღნიშნულ სახელმწიფო ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძრის მიზნით, მაშინ როცა ცილისწამების დროს აშკარა ცრუ ცნობები, რაც ლახავს სხვა პირის ღირსებასა და პატივისცემას ან ჩრდილს აყენებს მის რეპუტაციას, ვრცელდება გარშემომყოფებს შორის და შეიძლება არ პქონდეს მიზნად სისხლის სამართლის საქმის აღძრა. აშკარა ცრუ დასმენის მაკვალიფიცირებელი ნიშნებია: პირის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ან დასმენის გაერთიანება ბრალდების მტკიცებულებათა ხელოვნურ შექმნასთან.

ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲪᲠᲣ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ – რეკლამა, რომლის მემფერებიაც რეკლამის მიმცემს (რეკლამის მწარმოებელი, რეკლამის გამავრცელებელი) განზრახ შეპყავს შეცდომაში რეკლამის მომხმარებელი.

ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲪᲠᲣ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტიური მონაცემების განზრახ დამახინჯება ან უარყოფა.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ – პირი, რომელმაც დაამთავრა სწავლების სრული კურსი, დაიცვა სადიპლომო პროექტი (ნაშრომი), ჩაბარა სახელმწიფო გამოცდები.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ შრომის კანონმდებლობით დადგენილი შეღავათები ახალგაზრდობის შრომის სფეროში. 18 წელს მიუღწეველი ახალგაზრდები შრომით ურთიერთობებში უფლებრივად გათანაბრებული არიან სრულწლოვანებთან, ხოლო შრომის დაცვის, სამუშაო დროის, შეებულებისა და შრომის ზოგიერთ სხვა პირობის მხრივ სარგებლობენ გარკვეული შეღავათებით. აკრძალულია, მაგალითად, მათი შრომის გამოყენება მძიმე, მიწისქვეშა, ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, მათი დასაქმება უქმე დღეებში და ა. შ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ – სასჯელის მიზანი, რომელიც მიიღწევა ერთობლიობაში ზოგადი და სპეციალური პრევენციის მეშვეობით.

ზოგადი პრევენცია მდგომარეობს მოქალაქეების მხრიდან დანაშაულების ჩადენის თავიდან აცილებაში სასჯელის საფრთხის ქვეშ. ზოგადი გაფრთხილების ეფექტურობა უზრუნველყოფილია ჩადენილ დანაშაულებზე სასჯელის გარდაუვალობით; საშიშ დანაშაულებზე სასჯელის გამკაცრებით.

სპეციალური პრევენცია მდგომარეობს მსჯავრდებულის მხრიდან ახალი დანაშაულების თავიდან აც-

ილებაში. მიზანი მიიღწეუა იმ პირობების შექმნით, რაც გამორიცხავს მსყიდველობუნების მიერ ახალი დანაშაულის ჩადენას, როგორც სასჯელის მოხდისას, ასევე განთავისუფლების შემდეგაც. სპეციალური თავიდან აცილება შეიძლება გამოიხატოს დამნაშავის საზოგადოებისგან იზოლაციაში, მისი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასა თუ ჩამორთმეუაში.

ახლობელი პირები – პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ ახლო ნათესაუებს, დაზარალებულის, მოწმეების ახლობლები და ასევე პირები, რომელთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონილდღეობა ძეირფასია დაზარალებულისთვის, მოწმისთვის ჩამოყალიბებული პირადი ურთიერთობების გამო.

ან როდესაც, ახლობელ პირებთან პირს აკავშირებს მჭიდრო პირადი ურთიერთობები, რომლებიც ჩამოყალიბდა გარკეუული გარემოებების შედეგად. ამასთან, მნიშნელოვანი არაა იმ დროის ხანგრძლიეობა, რომლის მანძილზეც ჩამოყალიბდა პირადი ურთიერთობები. ეს შეიძლება იყოს როგორც წელიწადი, ასევე კეირაც. ახლობლობაში მყოფებად ითელებიან შემდეგი პირები: ცოლისდები, სიძეები, მეუღლის ძმა ან და და სხუ.

ახლო ნათესაუები – მეუღლე, შშობლები, ბავშეები, შეილად ამყუანები, ნაშეილები პირები, ღვიძლი ძმები და დები, ბაბუა, ბებია, შეილიშეილები.

აჯა – (არაბ. – ჰაჯათ) შუა საუკუნეების ძეელ საქართველოში ხელისუფლებისადმი მიმართული თხოვნა-ვედრება სამართლის ან რამე წყალობის მისაღებად.

ბ

ბაგრატ კურაპალატის სამართალი ეახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ნუსხებში შეტანილი, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს დართული კანონები. ავტორის ვინაობა უცნობია. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის დანართში 99-170-ე მუხლები შედის. დანართი ივ. ჯაუახიშეილმა გამოაელინა და პირეელმა გა-მოთქვა აზრი, რომ მისი ნაწილი (99-103 მუხლები) ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყეტია. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, დანართის 99-160 მუხლები ბაგრატ კურაპალატს უნდა ეკუთენოდეს (ი. დოლიძე). იეანე ჯაეახიშეილის მიხედით, ამ წიგნის რამდენიმე მუხლი სამართლის სხვა წიგნს უნ-და ეკუთვნოდეს, კერძოდ, ბაგრატ III კურაპალატის (975 – 1014) პერიოდს. მკეცეართა ვარაუდით, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი 61 მუხლს მოიცაეს, რომლე-ბიც სისხლის სამართალს და სამართალწარმოების საკით-ხებს ეხება.

ამ კანონების შემდგენელი ბაგრატი (დანართში იგი „კურაპალატად" და „მეფედ-მეფედ" იწოდება), სხვადასხეა მკელეართა აზრით, უნდა იყოს ბაგრატ I კურაპალატი ან ბაგრატ III (975-1014 წწ. ივ ჯაეახიშეილი), ალექსანდრე I დიდის (1412-1442) ძმა ბაგრატი (ს. კაკაბაძე), ბაგრატ III ან ბაგრატ IV (1027-1072) ი. სურგულაძე), ბაგრატ IV (ი. დოლიძე) ან ბაგრატ I (ა. კიკეიძე).

ბაგრატ კურაპალატის სამართალი საქართველოს გაერთიანების ხანის სჯულდებაა. მასში ასახულია განეითარებული ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობები. განმტკიცებულია სამღდელოების წამყუანი მდგომარეობა ქეეყანაში. ძეგლი უმთავრესად სისხლის სამართლის ნორმებს შეიცაეს. დანაშაულთა სახეებიდან აღსანიშნავია მკელელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, გაძარცეა, ქურდობა; სასჯელთა სახეებიდან–სიკედილით დასჯა, დასაზიჩრება („თუალთა დაწუა"), დატუსაღება („ხელთა შეპყრობა"), დამნაშაეის გადაცემა დაზარალებულისათეის („ხელთა მიცემა"); აგრეთეე ქონებრივი სასჯელი („სისხლი" ან ჭრილობის საზღაური – გერში). დანართის კანონების ბეერი მუხლი სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილების საკითხებს ეხება. მტკიცებულებათაგან აღსანიშნაეია, რომ სამართლის ძეგლი წარმოადგენს ბატონყმური და სასულიერო ურთიერთობის სინთეზს. ძეგლს დიდი ზემოქმედება მოუხდენია შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე.

. ბაზარი – სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა გაცელის სფეროში, რომლის საშუალებითაც ხორციელდება საეაჭრო საქონლის რეალიზაცია. აგრეთეე ნებისმიერი ინსტიტუტი ან მექანიზმი, რომელიც ახვედრებს კონკრეტული საქონლის ან მომსახურების სფეროს გამყიდველებს და მყიდველებს. ზოგადად, საქონლის ბაზარი წარმოადგენს პროდუქტების განსაზღერული სახეობების ბრუნეის სფეროს, ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობას მათი ფუნქციონალური დანიშნულების შესაბამისად.საყოელთაოდ მიღებულია საქონლის ბაზრის გაყოფა წარმოების საშუალებათა და საბოლოო მოხმარების საგნების ბაზრებად. წარმოების საშუალებით სასაქონლო ნომენკლატურა მოიცაეს შენობა-ნაგებობებს, მოწყობილობას, ნედლეულს, მასალას, მაკომპლექტებელ ნაწილებს და სხე. წარმოების საშუალებათა ბაზრის ძირითადი სუბიექტები არიან საწარმოები, ორგანიზაციები და კერძო პირები, რომლებიც ყიდულობენ საქონელს წარმოების პროცესში მისი შემდგომი გამოყენების ან მათი შემდგომი გადაყიდეის მიზნით. საბოლოო მოხმარების საქონლის ბაზარი მოიცაეს საქონლის სახეობათა ფართო სპექტრს, რომლებიც განკუთენილია პირადი, საოჯახო ან საშინაო მოხმარებისათეის.

ორიენტაცია მეცნიერებატეად წარმოებათა განეითარებისკენ ცელის მატერიალური წარმოების შესახებ წარმოდგენებს. დამოუკიდებელ მნიშნელობას იძენენ ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ინფორმაცია, პროგრამული პროდუქტი, „ნოუ-ჰაუ". ჩნდება ტექნოლოგიების ბაზარი, როგორც მსოფლიო ბაზრის მნიშნელოვანი ნაწილი. ტექნოლოგიების გაცელის სხვადასხეა ფორმების განეითარება იწეეს ჩეეულებრივი კომერციული ეაჭრობის წილის შემცირებას იმ საქონელბრუნეასთან შედარებით, რომელიც ემსახურება მდგრად საწარმოო-ტექნოლოგიურ ნიშნით ან ბაზრის დინამიკის მახასიათებლის

ნიშნით. განეიხილოთ ზოგიერთი სპეციალიზირებული ბაზარი.

ოქროს ბაზარი წარმოადგენს განსაკუთრებულ ცენტრს, სადაც ხდება ოქროს რეგულარული გაყიდვა. წარმოდგენილია ბანკების გაერთიანებებითა და ოქროთი მოვაჭრე, ოქროს გაშენებული და ზოდების დამამზადებელი სპეციალიზირებული ფირმებით მთავარი საერთაშორისო ოქროს ბაზრები – ლონდონი და ციურიხი. ოქროს ფასი ამ ბაზრებზე გეკვლინება, როგორც მსოფლიო ფასი.

აქციების ბაზარი არის აქციების მყიდველთა და გამყიდველთა შორის ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა. აქციებით ვაჭრობა ხდება საფონდო ბირჟებზე, მაგრამ ბაზარი უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს ავრეთვე არასაბირჟო ვაჭრობასაც.

საკალუტო ბაზარი წარმოადგენს ოფიციალურ ცენტრს, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ვალუტის ყიდვა-გაყიდვა მიწოდებისა და მოთხოვნილების საფუძველზე.

საფრახტო ბაზარი არის სატრანსპორტო მომსახურების მიმოქცევის სფერო სავაჭრო ნაოსნობის დარგში. მსოფლიოს საფრახტო ბაზარი მოიცავს ყველა საოკეანო და მასთან დაკავშირებულ საზღვაო ბასეინებს. იგი იყოფა სექციებად, რომელთაგან თითოეული ატრიბუტის განსაზღვრული საქონლის მასიური ჩამოტვირთვის გეოგრაფიულ რაიონს.

საფინანსო ბაზარი წარმოადგენს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი კრედიტების, ინვესტიციების, ფასიანი ქაღალდების ბაზარს.

ნედლეულის ბაზარი განიხილება, როგორც სატრანზიტო-ტექნოლოგიური, სამრეწველო, სოფლის სამეურნეო, ბუნებრივი საქონლის ბაზრების ერთობლიობა.

ბაზართან დაკავშირებით პრაქტიკაში მიღებული – საინტერესო ტერმინული ფორმები:

„შიტოვებული“ ბაზარი – საბირჟო ტარგონი, ბაზრის მდგომარეობა, რომლის დროსაც ადგილი აქვს გარიგებების დადების მიმართ ინტერესის სრულ დაკარგვას.

„მოდუნებული“ ბაზარი – ბაზარი, რომელზედაც იდება გარიგებების შედარებით მცირე რაოდენობა და ფასები თითქმის არ იცვლება.

„ზარმაცი“ ბაზარი – სიტუაცია ბაზარზე, როდესაც ვაჭრობა პრაქტიკულად არ მიმდინარეობს.

„მკვდარი“ ბაზარი – ბაზარი რომელზედაც გაბატონებულია კურსების დაცემის ტენდენციები და ფასიანი ქაღალდების გამყიდველი ინვესტორები დიდ ზარალს განიცდიან, იმ დროს, როცა პოტენციური ინვესტორი-მყიდველები არ გამოდიან ბაზარზე იმის მოლოდინში, რომ სიტუაცია ბაზარზე გაუმჯობესდება.

„ბაზარი-ბასაფლაო“ – სიტუაცია, როცა ბაზრის მონაწილეებს არ შეუძლიათ ბაზრის დატოვება (გარიგებებიდან გამოსვლა), ხოლო სხვა მებირჟეებს და ბანკებს არ სურთ ბაზარზე შესვლა (გარიგებების დადება).

„ნაცრისფერი“ ბაზარი – ა) ახალი ობლიგაციების ბაზარი; ბ) არარეგულირებადი ფულადი ბაზარი.

„შავი“ ბაზარი – ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა საქონლისა და მომსახურების გამყიდველებსა და მყიდველებს შორის, რომელიც ფალიდება მოქმედი კანონმდებლობის დარღვევებით. „შავი“ ბაზარი წარმოადგენს ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთ ატრიბუტს და წარმოიქმნება, როგორც წესი, იმ სფეროებში, სადაც ადგილი აქვს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური საქმიანობის მკაცრ ადმინისტრაციულ რეგულირებას.

ბათილამა, ბათილამის წიგნი (არაბ.-სპარს. ბათილნამე – გაუქმების წიგნი, ხელწერილი). ვალდებულების რაიმე გზით განაღდების საბუთი. კრედიტორი ან ცალკე, საგანგებო ხელწერილად გასცემდა ბათილობას ან ვალდებულების საბუთსავე წაწერდა. ტერმინი ფართოდ იყო გავრცელებული XVIII ს. საქართველოში.

ბათილი გარიგება – ბათილს წარმოადგენს ნებისმიერი გარიგება, რომელიც არ შეესაბამება კანონის ან სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს. ბათილი გარიგება იყოფა გარიგებად სუბიექტური შემადგენლობის, ფორმისა და შინაარსის ნაკლოვანებებით.

გარიგება სუბიექტში ნაკლოვანებით უნდა დაიყოს 2 ჯგუფად. პირველი ჯგუფი უკავშირდება მოქალაქეთა ქმედუუნარობას, მეორე – იურიდიული პირების სპეციალურ უფლებაუნარიანობას, ან მათი ორგანოების სტატუსს. კანონით ჩამოყალიბებულია ბათილი გარიგების შემდეგი შემადგენლობა, რომლის მონაწილეებსაც წარმოადგენენ მოქალაქეები: ა) ქმედუუნაროდ ცნობილი მოქალაქის მიერ განხორციელებული გარიგება; ბ) გარიგება სასამართლოს მიერ ქმედუნარიანობაში შეზღუდული მოქალაქის მიერ; გ) 14 წლამდე არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებული გარიგება; დ) 14 წლის ზემოთ არასრულწლოვანის მიერ განხორციელებული გარიგება. კანონით გათვალისწინებულია იურიდიული პირების ბათილი გარიგების ორი შემადგენლობა: გარიგება, რომელიც სცდება იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებს და გარიგება, რომელიც განხორციელდა იურიდიული პირის ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილებების გადამეტებით.

გარიგება ნებელობის ნაკლოვანებით შეიძლება დაიყოს გარიგებად, რომელიც განხორციელდა გარიგებაზე შინაგანი ნების გარეშე (მაგ. გარიგება ძალის გამოყენების, მუქარის ქვეშ) და გარიგებად, როცა შინაგანი ნება ჩამოყალიბდა არასწორად, მოტყუების, შეცდომაში შეყვანის გაელენით განხორციელებული, კაბალური გარიგება ბასიათდება გარეგნულად გამოხატული ნების არსებობით, თუმცა ის ჩამოყალიბებულია პირის ნამდვილი ნების დამახინჯებელი გარემოებების ზეგავლენით.

გარიგების ფორმის ნაკლოვანების შედეგად გარიგების ბათილობა დამოკიდებულია იმაზე, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით რა ფორმაა დადგენილი ამა თუ იმ სახის გარიგებისთვის.

გარიგება შინაარსის ნაკლოვანებით ბათილად ცხადდება გარიგების პირობების კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შედეგად.

ბათილი გარიგებების სახეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, საჭიროა თუ არა მისი ბათილად ცნობისთვის სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ ის ასეთს წარმოადგენს ასეთი გადაწყვეტილების გარეშე. პირველი სახის გარიგებას ეწოდება სადავო, მეორეს – ძალაბოკლებული.

ბანდა ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც შედგება ორი ან მეტი პირისგან, რომლებიც წინასწარ გაერთიანდნენ მოქალაქეებზე ან ორგანიზაციებზე თავდასხმის განხორციელებისთვის.

ბანდა შეიძლება შეიქმნას ერთი, სათანადო მომზადების საჭიროების არმქონე თავდასხმის განხორციელებისთვისაც.

დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტად გამოდის საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების საფუძვლები, დამატებითი ობიექტების სახით შეიძლება დასახელებულ იქნეს მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, საკუთრების ურთიერთობები, ხელისუფლების ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირება და ა.შ.

მოქალაქეებსა თუ ორგანიზაციებზე თავდასხმის მიზნით გაერთიანებულ პირთა ჯგუფის ბანდად აღიარებისთვის საჭიროა სამი ნიშანი: ორგანიზებულობა, მდგრადობა, შეიარაღებულობა.

ბანდის მდგრადობის დამადასტურებელია მისი შემადგენლობის სტაბილურობა, მჭიდრო კავშირი მის წევრებს შორის, მათი ქმედებების შეთანხმებულობა, დანაშაულებრივი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების მუდმივობა, მისი განხორციელების ხანგრძლივობა და ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა.

ბანდის ძირითად სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს შეიარაღებულობა, რაც გულისხმობს ბანდის წევრებში ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის არსებობას, რომლებიც დამზადებულია ქარხნულად ან დამოუკიდებლად, ახალფუძებული მოწყობილობების, გაზისა და ანეშებული იარაღის ჩონას.

ბალანსები ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის სფეროში

– იხ. სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ბალანსები; წყალსამეურნეო ბალანსები.

ბალანსი [ფრ. balabce სასწორი] 1) წონასწორობა, გაწონასწორება; 2) მაჩვენებელთა სისტემა ,რომელიც ახასიათებს რაიმე მოვლენას ან პროცესს მისი ცალკეული მხარეების შეთავსების და დაპირისპირების გზით; რაიმე საქმიანობის მხარეებს შორის მიმართების რაოდენობრივი გამოხატულება, რომლებმაც ერთმანეთი უნდა გაანონასწორონ (მაგ., შემოსავალი და გასავალი); სახალხო მეურნეობის ბ. – ყველაზე ზოგად ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს ეკონომიკის განვითარების დონეს, ტემპებს, პროპორციებს და გაფართოებული კვლავწარმოების მასშტაბებს; შრომის რესურსების ბ. – სახალხო მეურნეობის ბ-ს შემადგენელი ნაწილი, რომელიც ახასიათებს მუშა ძალის აღწარმოებას; ასახავს შრომის რესურსთა რაოდენობას და მათ ხარისხობრივ შემადგენლობას სქესის, ასაკის, სოციალური ჯგუფების, დასაქმების სახეობის, სახალხო მეურნეობის დარგების და პროფესიების მიხედვით; მატერიალური ბალანსები – ბალანსთა ერთობლიობა, რომელთა მაჩვენებლიც ახასიათებს საწარმოო და ბამბის პროდუქციის კონკრეტული სახეობების წარმოებას და განაწილებას; ღირებულებითი ბალანსები – ბალანსთა ერთობლიობა, რომელშიც ყველა მაჩვენებელი გამოხატულია ფულადი ფორმით; აუცილებელია წარმოების შეთანხმებებისთვის, შემოსავალთა გამოყენებასა და განაწილებისთვის; საბუღალტრო ბ. – კრებსით უწყებაში დაჯგუფებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ფულად გამოხატულებაში ასახავს საწარმოო სახსრების შემადგენლობას, განლაგებას, წყაროსა და დანიშნულებას ანგარიშის თარიღისათვის; შედგება მარცხენა ნაწილისაგან (აქტივი) და მარჯვენა (პასივი), ამასთანავე, მათი შედეგები თანაბარი უნდა იყოს; საეჭვო ბ. – ქვეყანაში საქონლის შემოტანისა და გატანის შეფასება; როდესაც გატანა აღემატება შემოტანას, ბ-ს აქტიური ეწოდება, უკუშეტანის დროს – პასიური, ექსპორტ-იმპორტის ტოლობის დროს ლაპარაკობენ ნეტო-ბალანსზე; საგადასახადო ბ.–საზღვარგარეთიდან ქვეყანაში შემოსული გადასახადების შეფასება სხვა ქვეყნებისთვის გარკვეულ პერიოდში; შემოსული გადასახადების ჯამის გასულ გადასახადებზე მეტობის დროს ბ-ს აქტიური ეწოდება, უკუშეფარდების დროს – პასიური; ანგარიშსწორების ბ. – შეფარდება ქვეყნის ფულად მოთხოვნებსა და მოვალეობებს შორის, რომელიც წარმოიშვება გარკვეულ პერიოდში (ან გარკვეული თარიღით) სხვა ქვეყნებთან საეჭვო ან სხვა სახის ურთიერთობების დროს; შეიცავს საეჭვო ბ-ს, ოქროს შეტანა-გატანას, მომსახურებათა ბ-ს, ტურისტთა დანახარჯს და შემოსავალს უცხოური ტურიზმიდან, შემოსავლებს საზღვარგარეთული ინვესტორებისგან და მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და სხვ.; საგადასახადო ბ-სგან განსხვავებით შეიცავს არა მარტო საწარმოო გადასახადებსა და გასაღებს, არამედ შეუსრულებელ მოთხოვნებსა და მოვალეობებს, რომელთა ვადაც ჯერ არ ამოწურულა; სითბური ბ. – არსებული სითბოსა და მისი დანახარჯის რაოდენობათა შეფარდება ძრავში, ღუმელში, ქვაბში და სხვ. სითბურ აპარატებში; გარდა მისი სითბური ბ-სა უწოდებენ ატმოსფეროში სითბოს შემოსავალ-გასავალს; რადიაციული ბ. – სხივური ენერგიის შემოსავალ-გასავალი ატმოსფეროში, დედამიწის ზედაპირზე; წყლის ბ.–წყლის შემოსავალ-გასავალი ნალექების, აორთქლების და წყლის ჩადინების შედეგი; 3)სხვაგვარად – ბალანსის მერქანი ანუ ბალანსები; მრგვალი ან გაპობილი ხე-ტყე სიგრძით 1-3 მ და დიამეტრით 8-24 სმ ცელულოზისა და მერქანის მასის საწარმოებლად ქაღალდის მრეწველობაში; 4) რგოლი ტიხრით საათის მექანიზმში, რომელიც ქანქარასაით ქანაობს; სელის რეგულატორია.

ბალანსირება [< ბალანი I] ავტომობილის ბორბლების, როტორების, მუხლა ლილვის და მანქანის სხვ. მოძრავი ნაწილების განონასწორება (დებალანსის აღმოფხვრა); განასხვავებენ დინამიკურ და სტატიკურ დებალანს.

ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი

ბანკების მიერ ურთიერთდაკრედიტების ფორმა, ტარდება კეირაში ორჯერ. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჭარბი საკრედიტო რესურსების მქონე ბანკი (ეს შეიძლება იყოს, როგორც ეროვნული ბანკი, ისე კომერციული) სთავაზობს სხვა ბანკებს კრედიტს გარკვეული თანხის სახით და გარკვეული პროცენტის პირობით. თუ რომელიმე ბანკს აწყობს ეს პირობები, დაიდება შესაბამისი გარიგება. ამგვარ აუქციონზე მყიდველების და გამყიდველების როლში ბანკები გამოდიან. აუქციონის ობიექტია ჭარბი საკრედიტო რესურსების მქონე ბანკის მიერ შემოთავაზებული კრედიტი. განსხვავებით სხვა აუქციონებისაგან აქ კრედიტის შემძენი მაშინვე ფულად საფასურს კი არ იხდის, არამედ ვალდებულებას კისრულობს გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ დაფაროს სესხი და გადაიხადოს სესხისათვის გარკვეული პროცენტი, რომელიც არსებითად აუქციონის

ობიექტის ფასს წარმოადგენს. ტრადიციულ საუქციონო პროცედურასთან მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ კრედიტი მიეცემა იმ ბანკს, რომელიც უფრო მაღალ პროცენტს შესთავაზებს სესხისათვის. თუ კრედიტის პირობები არც ერთი ბანკისათვის ხელსაყრელი არ გამოდგა, გარიგება არ შედგება.

ბანკი-გარანტი

ბანკი, რომელიც თავდებად უდგება გარანტად თავის კლიენტს., გარანტიებს გასცემს კლიენტის დაუალებით და მის ხარჯზე, აგრეთვე, კორესპონდენტი – ბანკების ხარჯზე, ყველაზე უფრო გავრცელებულია საგადამხდელო გარანტიები: ბანკ-გარანტი იღებს ვალდებულებას კრედიტორის (ექსპორტიორის) წინაშე პასუხი აგოს მოვალის (იმპორტიორის) ფულად ვალდებულებებზე, რაც კონტრაქტითაა გათვალისწინებული. ბანკ-გარანტი უზრუნველყოფს აგრეთვე სხვა სახელშეკრულებო ფულადი ფორმის ვალდებულებების შესრულებას – მაგალითად, ავანსის დაბრუნება.

საბანკო გარანტია წარმოადგენს შეთანხმების ფორმას, რომლის ძალით ბანკი (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას, გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე ბანკმა ამის შესახებ უნდა აცნობოს პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლები ყველა თანმხლები საბუთით. გარანტმა უნდა განიხილოს ბენეფიციარის მოთხოვნა გონიერულ ვადებში და დაადგინოს მოთხოვნის შესაბამისობა გარანტიის პირობებთან. თუ დადგენილია შეუსაბამობა, ბანკი აცნობებს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებლობის შესახებ. თუ გარანტისთვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება უკვე მოლიანად ან ნაწილობრივ შესრულებულია, ან შეწყდა სხვა საფუძვლებით, მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ ბენეფიციარს და პრინციპალს. საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარის და პრინციპალს. საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას. საბანკო გარანტის მიცემისათვის პრინციპალი უხდის გარანტს შეთანხმებულ საზღაურს. გადახდებათ სახელმწიფოსთან ან ერთმანეთთან სპეციფიკურ ურთიერთობებში შესულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს (მაგალითად, იჯარის ხელშეკრულების დადება, ფასიანი ქაღალდების გადაცემა და ა.შ.) და ბაჟი დაწესებულია სხვადასხვა სფეროებში.

ბანკი – საკრედიტო ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია სამი სახის საბანკო ოპერაციის ერთობლიობად განხორციელების განსაკუთრებული უფლება: ა) სახსრების ანაბრებში მოზიდვა; ბ) საკუთარი სახელით სხვის ანგარიშზე სახსრების განთავსება; გ) იურიდიული და ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშების გახსნა და წარმართვა.

ეკონომიკური თვალსაზრისით ბანკი წარმოადგენს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინსტიტუტებს, რომლებიც ახორციელებენ ფულადი საშუალებების აუმუშავაციას, კრედიტის შეთავაზებას, ფულადი ანგარიშსწორების განხორციელებას, საკრედიტო თანხისა და ფასიანი ქაღალდების ემისიას.

საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ამოცანას წარმოადგენს ბანკისა და საბანკო საქმიანობის მდგრადობის უზრუნველყოფა. ამისათვის ნორმატიულად განისაზღვრება: ა) ბანკის საწესდებო კაპიტალის მინიმალური სიდიდე; ბ) შესაძლო ზარალის დაფარვისთვის რეზერვის (ფონდების) მინიმალური ოდენობა; გ) სავალდებულო ნორმატივები; დ) სავალდებულო რეზერვის ნორმატივი ბანკის მიერ მოზიდული თანხის მოცულობიდან გამომდინარე.

საბანკო საიდუმლოება არ წარმოადგენს აბსოლუტურს თითქმის არც ერთ თანამედროვე სახელმწიფოში. დასაელეთ ევროპაში გამონაკლისს შეადგენს შეიცარიის კონფედერაცია, რომელმაც ყველაზე მეტი მოცულობით შეინარჩუნა წესები საბანკო საიდუმლოების დაცვის შესახებ (საბანკო საიდუმლოების დაცვაში შედის ცნობების გაუხმაურებლობა ოპერაციების, ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ).

ბანკები იყოფა: ა) უნივერსალურად (საბანკო ოპერაციების ფართო წრის განმახორციელებელი); ბ) სპეციალიზირებულად (საბანკო ოპერაციების საქმიანობის გარკვეულ სფეროებში განმხორციელებელი – შემნახველი ბანკი, იპოთეკური, საინვესტიციო და ა.შ.).

განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკს – სახელმწიფო ბანკს, რომელიც აერთიანებს საკრედიტო ორგანიზაციისა და აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანოს ნიშნებს. თუ ჩვეულებრივი ბანკისთვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოგების მიღება საბანკო ოპერაციების განხორციელებისგან, ცენტრალურმა (ეროვნულმა) ბანკმა პირველ რიგში უნდა დაარეგულიროს ქვეყნის საბანკო სისტემა.

ბაჟი საველდებულო შენატანი, რომელსაც იღებენ საბაჟო ორგანოები საქონლის ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანისას ან ამ ტერიტორიიდან გატანისას და რაც წარმოადგენს ასეთი შეტანის ან გატანის განუყოფელ ნაწილს.

ბაჟი წარმოადგენს სამომხმარებლო გადასახადს, რომელიც გადახდებათ სახელმწიფოსთან ან ერთმანეთთან სპეციალურ ურთიერთობებში შესულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, (მაგალითად, იჯარის ხელშეკრულების დადება, ფასიანი ქაღალდების გადაცემა და ა.შ.). ბაჟი დაწესებულია სხვადასხვა სფეროებში:

სახელმწიფო ბაჟი – ფულადი თანხები, რომელთა გადახდევინებას ახორციელებენ სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოები (სასამართლო, პოლიცია, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები და ა.შ.) ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესებში გარკვეული მოქმედებების ჩატარებისათვის და აგრეთვე იურიდიული მნიშვნელობის საბუთების გაცემისათვის.

სასამართლო ბაჟი წარმოადგენს საზღაურს, რომელსაც სასამართლო იღებს ფიზიკური და იურიდიული პირების სასარჩელო განცხადებების, უდავო წარმოების საქმეთა განცხადებების, სააპელაციო, საკასაციო და კერძო საჩივრების განხილვისათვის, აგრეთვე საბუთების ასლების გაცემისათვის. სასამართლო ბაჟის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და მერყეობს 3-დან 8 პროცენტამდე ფარგლებში.

საგზაო ბაჟი წარმოადგენს შიდა გადასახადის სახე-

ობას გზებით, ხიდებით, გეირაბებით სარგებლობისთვის (ტეირთის გადაზიდვა, ნახირის გადარეკვა და ა.შ.).

საპორტო ბაჟი – გადასახადი ზოგიერთ პორტის და ნავსადგურის დოკში გემის შეყვანისთვის.

საბაჟო გადასახდელები შედგება გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რომლებიც გადაიხდეინება საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლიდან მოხსნისას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში. საბაჟო მოსაკრებლების შემდეგი სახეობები არსებობს: ა) საბაჟო პროცედურებისათვის; ბ) ლიცენზიების გაცემისათვის, ხოლო გადასახადებია: ა) საბაჟო, ბ) დამატებითი ღირებულების); გ) აქციზი. საბაჟო გადასახადები დაწესებულია ქვეყანაში უცხოური საქონლის შემოტანაზე (ბაჟი იმპორტზე), ეროვნული საქონლის საზღვარგარეთ გატანისთვის (ბაჟი ექსპორტზე) ან საქონლის ტრანზიტული გაელისთვის (ბაჟი ტრანზიტზე). საერთაშორისო პრაქტიკაში თანამედროვე საბაჟო ტარიფებით დადგენილია ბაჟის ორი სახეობა: ადვალორული (ბაჟი საქონლის ღირებულებაზე) და სპეციფიკური (ბაჟი საქონლის რაოდენობაზე). არსებობს ადვალორული ბაჟების მნიშვნელობის ზრდის ტენდენცია.

ბარბაროსი [ძე.-ბერძ. βάρβαροι] 1) ძე. ბერძნებთან და რომაელებთან ყოველი უცხოელი, რომელიც ლაპარაკობდა მათთვის გაუგებარ ენაზე და უცხო იყო მათი კულტურისთვის, – გერმანელი, გალი, იუდეველი, ბერბერი და სხვ.; 2) უმეცარი, უბირი, სასტიკი, უხეში, დაუნდობელი ადამიანი.

ბარბაროსობა [< ძე.-ბერძ. βάρβαροι] 1) კულტურულ–ისტორიულ პერიოდიზაციაში მიღებული იყო (XVIII–XIX სს), კაცობრიობის სამი ეპოქიდან საშუალო, რომელიც მოყვა ველურობას და წინ უსწრებს ცივილიზაციას; ბ-ს დასაწყისის სათავე დაუდო სამეთუნეო წრის გამოგონებამ, დასასრული – დამწერლობის გაჩენამ (პირველყოფილი ისტორიის თანამედროვე პერიოდიზაცია ჯერ დამუშავებული არა არის); 2) უკიდურესი სისასტიკე და უხეშობა, უსაშველო ჩამორჩენილობა, უმეცრება, არაადამიანურობა.

ბარბაროსები (ბერძ. barbaroi, ლათ. barbari)–1)ასე უწოდებდნენ ძველი ბერძნები და რომაელები მათთვის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე და სხვა კულტურის მქონე ყველა უცხოელს. ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს ამ სახელწოდებას უმეტესად გერმანელების მიმართ გამოიყენებდნენ და გერმანული და სხვა ტომების იმდროინდელ შემოსევებს ეწოდა ბარბაროსთა დაპყრობები, რომის იმპერიის ტერიტორიაზე მათ მიერ დაარსებულ სამეფოებს – ბარბაროსთა სამეფოები; გერმანელ ტომთა ჩვეულებითი სჯულის ჩანაწერებს – ბარბაროსთა სამართლის წიგნები. ბარბაროსთა დაპყრობებმა დიდი როლი შეასრულა რომის იმპერიაში მონათმფლობელური წყობილების მოსპობასა და ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში; 2) გადატანითი მნიშვნელობით ბარბაროსები არიან ბრიყვი, უხეში, სასტიკი ადამიანები, ყველანაირ კულტურულ ფასეულობათა მბრუველნი.

ბარბაროსთა სამართლის წიგნები (ლათ. Leges barbarorum, სიტყვასიტყვით – ბარბაროსთა კანონები) – გერმანელ ბარბაროსთა ტომების ჩვეულებითი სამართლის წიგნები, შედგენილი ძვ.წ. V-I სს-ში: სალიკური სამართალი (Lex Salica, შედგენილია VI ს. დამდეგს მეფე ხლოდვიგის დროს); რიპუართა სამართალი (Lex Ripuaria, VIს.); ბურგუნდთა სამართალი (Lex Burgundionum, შედგენილია გუნდობადის მეფობის წლებში 475-516 წწ.); ვესტგოთების სამართალი (Leges Wisigothorum ,ხოლო ერიქსონის მეფე რეკესვინდის დროინდელ 653-672 წლების რედაქციით); ალემანთა სამართალი (Leges Alamannorum, I ნაწ. შედგენილია VI ს. ბოლოს, მე-2 ნაწ. VIII ს. დამდეგს); ლანგობარდთა სამართალი (Leges Baiuwariorum, VIII ს. 40-იანი წწ); საქსების სამართალი (Lex Saxonum, შედგენილია კარლოს დიდის დროს VIII-Iხს. მიჯნაზე); ფრიზთა სამართალი (Lex Frisionum); თიურინგთა სამართალი (Lex Thuringorum) და ფრანკსამართა სამართალი (Lex Francorum-Chamavorum, I ს. დამდეგს); ანგლოსაქსთა სამართალი (601-925, დაწერილია ძველ ინგლისურ ენაზე).

ბარბაროსთა სამართლის წიგნები ეულგარულ ლათინურ ენაზეა ჩაწერილი.. თითქმის ყველას ატყვია რომის სამართლის მეტ-ნაკლები გავლენა (განსაკუთრებით კი ბურგუნდთა და ვესტგუთების სამართლის წიგნებს). უმეტესად კანონები გადმოცემულია კაზუსების სახით და სამართალი საერთო ნორმებს თითქმის არ შეიცავს. ისინი ჩაწერილია სამეფო ან საეკლესიო ხელისუფალთა ბრძანებითა და ინიციატივით და შეიცავს სხვადასხვა პერიოდის კანონმდებლობას, ამიტომ ნორმები ნორმების წინააღმდეგობრივია; ბევრი ნორმა გაუქმებულია შემდგომი პერიოდის კაპიტულარებით, რომლებიც შეტანილია სამართლის წიგნებში.

ბარბაროსთა სამართლის წიგნები შედგენილია სხვადასხვა საფეხურზე მდგომი გერმანელი ტომებისათვის და დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ისინი ასახავენ პირველყოფილთემურ, მონათმფლობელურ და ფეოდალურ ურთიერთობებს; გვაროვნული წყობილებიდან ფეოდალურზე გადასელის პროცესს; შეიცავს (განსაკუთრებით სალიკური სამართალი) ძველრუს ცნობებს ძველი გერმანელების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, მოსახლეობის კატეგორიათა უფლებრივი მდგომარეობის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის, სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილების შესახებ. მთავარი ადგილი წიგნებში უჭირავს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის საკითხებს. სამართალწარმოებაში ბატონობს ბრალდებითი პროცესი, რომელიც მხარეთა ინიციატივაზეა დაფუძნებული. დანაშაულთა საზღაურია კომპოზიცია (მკვლელობის საზღაურს ვერგელი ეწოდება). საზოგადოების ზედაფენაა საგვარეულო და მსახურეული დიდკაცობა, ქვედაფენა – ნახევართავისუფალნი, გაბატონებულნი და მონები. მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენს თავისუფალი გლეხკაცობა. საადგილმამულო საურთიერთო ფორმებიდან სათემო საკუთრებასთან ერთად აღსანიშნავია ალოდი და ბენეფიციუმი.

ბარტერული გარიგება – საქონელგაცვლითი გარიგება, როცა საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა ხდება ფულის გადახდის გარეშე (ნატურალური გაცვლა).

ბე – ბე წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას. ეს არის ფულადი თანხა,

რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორეს ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში ხელშეკრულების დადების ფაქტის დასტურად., ზოგიერთ სამოქალაქო კოდექსში არ არის მითითებული წერილობითი ფორმის საჭიროებლობა. ეჭვის არსებობისას იმის თაობაზე წინასწარ გადახდილი თანხა არის თუ არა ბე. იგი ითვლება ავანსად, თუ არ იქნება დამტკიცებული საწინააღმდეგო.

ვალდებულების შეწყვეტისას მისი შესრულების დაწყებამდე. ბე დაბრუნებას ექვემდებარება, თუ ვალდებულებას ბრალეულად დაარღვევს ბეს მიმღები, ბე რჩება მიმღებთან, ხოლო ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელია მიმღები, მან უნდა დააბრუნოს ბე ორმაგად., ამის გარდა ორივე შემთხვევაში ბრალეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზიანი ბეს თანხის ჩათვლით.

ბე – ფულადი თანხა, რომელიც გაიცემა შეთანხმებული მხარეებიდან ერთ-ერთის მიერ მეორე მხარის ანგარიშზე ხელშეკრულების დადების დამადასტურებლად და მისი შესრულების უზრუნველსაყოფად. ბე გაიცემა ძირითადი ვალდებულების მიხედვით გადასახდელი თანხის ანგარიშში, ამით წარმოადგენს რა ძირითადი ვალდებულების სრული ან ნაწილობრივი შესრულების საშუალებას. ასრულებს რა ბეს მიცემით სრულად ან ნაწილობრივ ძირითად ვალდებულებას, მოუალე ადასტურებს მის არსებობას. ამას უკავშირდება ბეს დამადასტურებელი ფუნქცია. ბეს სახით გადაცემული თანხა ახდენს იმის გარანტიას, რომ უზრუნველყოფილი იქნება მისი შესრულება (უზრუნველყოფილი ფუნქცია). ბეს შეუძლია შეასრულოს კომპენსაციის ფუნქციაც, რამდენადაც ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი ბეს თანხის ჩათვლით. გარდა ამისა, თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელია ბეს მიმცემი მხარე, ის რჩება მეორე მხარეს. თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელია ბეს მიმღები მხარე, ის ვალდებულია მეორე მხარეს გადაუხადოს ბეს ორმაგი თანხა. ვალდებულების შეწყვეტასთან ერთად მისი შესრულების დაწყებამდე, მხარეთა შეთანხმებით ან მისი შესრულების შეუძლებლობის შედეგად, ბე უნდა იქნეს დაბრუნებული.

ბეგარა 1) სამატონო, კაპიტალიზმამდელი მიწის რენტის ერთ-ერთი ფორმა (შრომამიგებითი რენტა). ბეგარა ფეოდალურ საქართველოში აღნიშნავდა მკვიდრ საკმლო გლეხის მიერ მიწის ფლობასთან დაკავშირებულ გამოსაღებს (ნატურალურს და ფულადს). მისი ძირითადი სახეობა იყო თაი ბეგარა, რასაც თაობიდან თაობამდე იხდიდა კომლი. თაის მხრივ თაი ბეგარა იყო ორი სახის, ნატურალური და შრომითი; 2) სამხედრო ბეგარა, სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის მოხდის კანონით დადგენილი მოვალეობა; 3) შრომითი ბეგარა, გადაუდებელი საზოგადოებრივი-აუცილებელი სამუშაოს შესრულების მოვალეობა, რაც ეკისრებათ მოქალაქეებს კანონით გათალისწინებულ შემთხვევებში.

ბელგა ნიშან-სამკაული ან ფული (ჩვეულებრივ ოქროსი ან ვერცხლისა), რომელიც უნდა მიეტანა ვაჭს თაყისი საცოლისათვის. გავრცელებული იყო ქართლსა და მთიულეთში. ბელგის მიცემა, ანუ დაბელგვა (დაწინდვა) მოყვრობაზე შეთანხმების მთავარი წინაპირობა იყო, რომლის შემდეგ ნიშნობა და ქორწილი იმართებოდა.

ბენეფისი [ფრ. b n fice მოგება, სარგებელი] 1)(მოძ.) სექტაკლი, რომელიდანაც სარგებელი ერთ ან რამდენიმე მსახიობს ერგო, აგრ. თეატრის სხვ. თანამშრომლებს; 2)სექტაკლი ან კონცერტი, რომელიც ერთ-ერთ მონაწილეს ეძღვნება–ბენეფიციადა.

ბენეფიციარი (beneficiary, appointee) ფართო გაგებით – რაიმე სარგებელის მიმღები (beneficit – სარგებელი), პირი, რომლის სასარგებლოდ ხდება გადახდა; სამანკო გარანტიის დროს პრინციპალის კრედიტორი; პირი რომელსაც წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ბანკი-გარანტი უხდის ფულად თანხას; აკრედიტივით ფულის მიმღები; სადაზღვევო პოლისის მიმღები პირი, რომელიც ღებულობს სარგებელს მინდობილი საკუთრებიდან (trust) ან პირი ვის სასარგებლოდაც იგი დაარსებულია. trust-ის ბენეფიციარი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, როგორც არსებული, ისე ის, რომელიც მომავალში იარსებებს.

ბენეფიციუმი [ფრ. beneficium წყალობა, საქეთე] 1) ძე. რომში შეღავათი, მაგ., მევალის; იმპერიის ეპოქაში ასე უწოდებდნენ საგადასახადო შეღავათსაც და იმპერატორის წყალობასაც; 2) ადრეულ შუა საუკუნეებში მონათმფლობელობა გლეხებიდან ბეგარის აღების უფლებით, მაგრამ მეშკიდურეობის უფლების გარეშე, ეძლეოდა მსხვილი ფეოდალის მიერ თავის ვასალს გარკვეული სამსახურის (უპირატესად სამხედრო) ფასად; 3) კათოლიციზმში შემოსავლიანი საეკლესიო წოდება ან მიწის ნაკვეთი, რომელსაც სასულიერო პირი ღებულობდა მადლიერების ნიშნად.

ბენილუქსი – (Benelux Economic Union) – ბელგიის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის ეკონომიკური კავშირი. ხელშეკრულებას ბენილუქსის ეკონომიკური კავშირის წარმოქმნის შესახებ ხელი მოეწერა 1958 წელს (ძალაში შევიდა 1960 წელს, დაიდო 50 წლით, 10 წლიან პერიოდებად გახანგრძლივების შესაძლებლობით) და მან მოახდინა ადრე დადებული სავალუტო ხელშეკრულების (1943 წ.), სბაჟო კონვენციის (1944 წ.), სბაჟო კავშირის შესახებ ხელშეკრულების (1947 წ.) კოდიფიცირება და ა.შ. ბენილუქსი შექმნილია მისი მონაწილეების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის საშუალო ძალის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფის, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციისა და ერთიანი საგარეო პოლიტიკის ჩატარების გზით მესამე ქვეყნებთან ურთიერთობაში. 1958 წ. 1 იანვრიდან ბენილუქსი შევიდა ეკ (ევროპის კავშირი) შემადგენლობაში და მან მოახდინა ამ ინტეგრაციაზე გაერთიანების ჩარჩოებში აღნიშნული ეკონომიკური თავისუფლება, მაგრამ სახელმწიფოთა მთავრობები აგრძელებენ თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირებას ეკ (ევროპის კავშირის) ჩარჩოებსა და საგარეო ეკონომიკური კავშირების იმ სფეროებში, რომლებიც ჯერაც არაა მოცული ეკ (ევროპის კავშირის) საქმიანობით.

ბენილუქსის ხელმძღვანელი ორგანოები – მინისტრთა კომიტეტი, საპარლამენტთაშორისო საკონსულტაციო საბჭო (შედგება ბელგიის პარლამენტის 21, ნიდერლანდების 21 და ლუქსემბურგი 7 დეპუტატისგან), ეკონომიკური კაუშირის საბჭო, რიგი ზოგადი და სპეციალიზირებული კომიტეტი, საარბიტრაჟო კოლეგია, სასამართლო პალატა, ეკონომიკური და სოციალური საკითხების საკონსულტაციო საბჭო. გენერალური სამდივნოს სათავეში დგას გენერალურ მდივანთა კოლეგია, რომელიც შედგება გენერალური სამდივნოს (ნიდერლანდების მოქალაქის) და მისი ორი მოადგილისგან.

ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ბრიუსელი. ოფიციალური ენებია ფრანგული და ჰოლანდიური.

ბერბოუტ-ჩარტერი (ეკიპაჟის გარეშე ხომალდის დაქირავების ხელშეკრულება) – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ხომალდის მფლობელი ვალდებულია განაპირობებულ თანხაზე (ფრახტზე) გამქირაველს გარკვეული ვადით გამოყენებისთვის და მფლობელობაში გადასცეს ეკიპაჟით დაუკომპლექტებელი და არაადეკვატური ხომალდი ტვირთის გადასატანად, მგზავრების გადასაყვანად ან საეჭრო ნაოსნობის სხვა მიზნებისთვის. ხელშეკრულება წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების იჯარის ნაირსახეობას მართვისა და ტექნიკური ექსპლუატაციის მომსახურების გარეშე. თავისი ბუნებით ხელშეკრულება წარმოადგენს რეალურს, ორმხრივს, ანაზღაურებადს. ბერბოუტ-ჩარტერი უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების საგანია საზღვაო სატრანსპორტო საშუალება, რომლის ინდივიდუალიზირებაც ხდება ხელშეკრულებაში ხომალდის სახელწოდების, მისი კლასის, დროშის, ტექნიკური და საექსპლუატაციო მონაცემების (ტონაჟმწეობა, ტვირთტევადობა, სიჩქარე და სხვა), მის მიერ გახარჯვადი საწვავის რაოდენობის, ცურვის რაიონის მითითებით. ხელშეკრულების არსებით პირობებს წარმოადგენს დაქირაველის მიზანი, საგანი, ხომალდის გადაცემისა და დაბრუნების ადგილი, ჭირის განაკვეთი, ბერბოუტ- ჩარტერის მოქმედების ვადა. ხომალდის მფლობელის (მეიჯარის) ვალდებულებებს განეკუთვნება: 1) ხომალდის მოყვანა სანაოსნო მდგომარეობაში მისი დამქირაველისთვის გადაცემის მომენტისთვის ე.ი. ხომალდის გამოსადეგობის (მისი კორპუსის, ძრავისა და მოწყობილობის) უზრუნველყოფა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჭირის მიზნებისთვის; 2) ხომალდის ფარული ნაკლოვანებების აღმოუხერა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. დამქირაველის ვალდებულებებს განეკუთვნება: ა) ხომალდის შენარჩუნება სანაოსნო მდგომარეობაში; ბ) ხომალდის ექსპლუატაცია ბერბოუტ-ჩარტერის. შესაბამისად; გ) ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის, მათ შორის, ხომალდის ეკიპაჟის წევრთა შენახვის, ხომალდის დაზღვევისა და პასუხისმგებლობის ხარჯების გაწევა და ასევე ხომალდისგან აღებული მოსარგებლის გადახდა; დ) ფრახტის (იჯარის გადასახადის) გადახდა; ე) ხომალდის გადარჩენით, დაღუპვით ან დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, თუ დამფრახტკელი (დამქირაველი) არ დამტკიცებს, რომ ზარალი არაა მიყენებული მისი ბრალით; ვ) ბერბოუტ-ჩარტერის მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე ხომალდის დაბრუნება მფლობელისთვის იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნა მიღებული ხომალდის ნორმალური გაცვეთის გათვალისწინებით.

დამფრახტკელი დამოუკიდებლად აკომპლექტებს ხომალდს ეკიპაჟით და მას უფლება აქვს დაკომპლექტოს ხომალდის ეკიპაჟი იმ პირებით, რომლებიც ადრე არ წარმოადგენდნენ მოცემული ხომალდის ეკიპაჟის წევრებს („კონ-ნიუ"), ან პირებით, რომლებიც ადრე წარმოადგენდნენ მოცემული ეკიპაჟის წევრებს. ეკიპაჟის დაკომპლექტების ხერხის მიუხედავად, ხომალდის კაპიტანი და ეკიპაჟის სხვა წევრები ექვემდებარებიან დამქირაველის ყველა ურთიერთობაში – კომერციული და ტექნიკური – გარკვეული მიმართულებით. დამქირაველი იღებს პასუხისმგებლობას მესამე პირების წინაშე მათ ნებისმიერ მოთხოვნათან დაკავშირებით, რომლიც წარმოიქმნება ხომალდის ექსპლუატაციის გამო, ხომალდებიდან ნავთობით დაბინძურებისგან მიყენებული და საშიში და მავნე ნივთიერებების საზღვაო გადაზიდვასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების გარდა. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ხომალდის დამქირაველის მიერ გამოსყიდვის შესაძლებლობას ბერბოუტ-ჩარტერის მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე. იხ. ასევე ეკიპაჟის გარეშე სატრანსპორტო საშუალების იჯარის ხელშეკრულება.

ბიზნესი რეტროს სტილში (საბროკერო ნიშნები) უმრავლესობისათვის უცნობი, ეს ნიშნები, ამერიკელმა ვაჭრებმა გამოიგონეს მარცელეულით ვაჭრობის უკეთ ორგანიზებისათვის.

მარცელეულის ყოდვა-გაყიდვის მოსაწესრიგებლად 1848 წელს, ჩიკაგოში, 82 ვაჭარმა დაარსა საეჭრო ბირჟა. იმდროისათვის ჩიკაგო ვაჭრობის უმსხვილეს ცენტრს წარმოადგენდა მთელ ქვეყანაში. აქ იყრიდა თავს ახლომდებარე ფერმებში დამზადებული მარცელეული. ბირჟას განსაკუთრებულობას ანიჭებდა და შეიძლება ითქვას, მისი შშვენება იყო უზარმაზარი გონგი, რომლის უკანასკნელი დაგუგუნების შემდეგ, ბირჟის არც ერთ წევრს, არ ჰქონდა უფლება რაიმე ხელშეკრულების დადებისა.

ყველა საეჭრო ოპერაცია წარმოებდა რვაწახნაგოვანი პლატფორმის ირგვლივ, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა მონაწილისათვის თანაბარ საეჭრო ცვლილებებს. პლატფორმის რვაწახნაგოვანი ფორმა შემთხვევითი არ გახლდათ. მას გააჩნდა სპეციალური დანიშნულება: პირისპირ, თანაბარ პირობებში მსხდარიყვნენ მყიდველები და გამყიდველები და თითოეულ მათგანს ჰქონოდა საშუალება გასაუბრებოდა დანარჩენებს.

ვაჭრობის მონაწილენი შენაცლებით ისხდნენ, ვინაიდან ნებისმიერ დროს მყიდველი შეიძლებოდა ქცეულიყო გამყიდველად და პირიქით.

ბირჟის ყველა წევრი ცდილობდა მეზობელზე ხმამაღლა ელაპარაკა, ლაპარაკში აქტიურად ხმარობდნენ ხელებს, ხშირად ერთმანეთს არც უსმენდნენ...

მაშინ გამჭრიახ ბროკერებს თავში ერთი უბრალო აზრი მოუვიდათ: გამოეყენებინათ ჟესტები, ხელის ნიშნებით, რათა უფრო იოლად „გასაუბრებოდნენ" ერთმანეთს, ენიშნებინათ ყიდიან თუ ყიდულობენ, თუ ჰყიდიან რამდენად და ასე შემდეგ...

იხ. ნახაზი გვ. 86.

ერთი
1/8
1/4
3/8
ნახევარი
5/8
3/4
7/8
მთელი
ერთი
ორი
სამი
ოთხი
ხუთი
ექვსი
შვიდი
რვა
ცხრა
ათი

ბილი [ინგლ. bill < საშ.-ლათ. bulla ბეჭედი, ბეჭდიანი საბუთი] მრავალ ინგლისურენოვან ქვეყანაში 1) კანონპროექტი, რომელიც პარლამენტის განხილვადაა გამოტანილი; 2) ცალკეული კანონის დასათაურება, მაგ. „ბ. უფლებების შესახებ“ – ასე უწოდებენ აშშ-ში კონსტიტუციის 10 პირველ შესწორებას 1787 წ-ის კონსტიტუციაში, რომელიც 1789 წელს მიიღეს (გამოაცხადა სიტყვის, ბეჭდვის, შეკრების, რელიგიური აღმსარებლობის, ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის, პიროვნების ხელშეუხებლობის და სხვ. თავისუფლება).

ბიოლოგიური იარაღი – მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც ისეთის ან ფანტავს ბიოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ცოცხალი ორგანიზმების დაზიანებისთვის. მოქმედების პრინციპი ეფუძნება საბრძოლო ბიოლოგიური საშუალებების ავადმყოფობის წარმომქმნელ თვისებების გამოყენებას. მისი ეფექტურობა განისაზღვრება მცირე ინფიცირებადი ღოზით, მნიშვნელოვან ტერიტორიაზე ფარული გამოყენების შესაძლებლობით, აღმოჩენის სირთულითა და მოქმედების არჩევითობით მხოლოდ ადამიანზე, ცხოველებზე და სხვა ცოცხალ არსებებზე, ასევე ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედებით მოწინააღმდეგეზე და ჯარების, მოსახლეობის დაცვისა და შეღეგების ლიკვიდაციის გაძნელებულობით.

ბიოლოგიურად ცნობილია იარაღი, მოწყობილობა ან მოწოდების საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტებისა თუ ტოქსინების გამოყენებისთვის, როგორიც არ უნდა იყოს მათი წარმოშობა და წარმოების მეთოდი ისეთი სახეებითა და რაოდენობით, რომელთაც არა აქვთ დანიშნულება პროფილაქტიკური, დაცვითი ან სხვა მშვიდობიანი მიზნებისთვის, მტრული მიზნით ან შეიარაღებულ კონფლიქტებში (10.04.1972 წ. ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მათი განადგურების შესახებ კონვენციის მ.1).

მიკრობიოლოგიურ, სხვა ბიოლოგიურ აგენტებსა თუ ტოქსინებს განეკუთვნება ცოცხალი ორგანიზმები, მიკროორგანიზმები, ვირუსები, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ორგანიზმის დაღუპვა, დაავადება ან სხვა დარღვევა, ასევე გარემოს, წყლის, სურსათისა და სხვა ობიექტების დასნებულება, რომლებიც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

კერძოდ, ასეთებადაა მიჩნეული ქოლერის, ჭირის, ენცეფალიტის, ციმბირის წყლულის, ჰემორული ციებცხელების, ოსპის გამომწვევები და სხვ.

მიკრობიოლოგიური, სხვა ბიოლოგიური აგენტებისა და ტოქსინების მიწოდების საშუალებად შეიძლება ცნობილ იქნეს სპეციალური აღჭურვილი მოწყობილობები (აეროზოლების გენერატორები, ჩამომსხმელი საავიაციო მოწყობილობები და ა.შ.), ტაქტიკური დანიშნულების რაკეტები, სარტილერიო ჭურვები, ნაღმები, სხვა ტექნიკური ნაგებობები, ასევე დაავადების გამომწვევთა ბუნებრივი გადამტანები (ვირთხები, კოლტები, თაგვები, ზაზუნები, ტკიპები და ა.შ.).

ბიოლოგიური მრავალფეროვნება – ცოცხალი ორგანიზმების ვარიაბელობა ყველა წყაროდან, მათ შორის, მიწისზედა, საზღვაო და წყლის სხვა ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომელთა ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ; ის მოიცავს მრავალფეროვნებას სახეობათა ჩარჩოებში, სახეობებს შორის და ეკოსისტემათა მრავალფეროვნებას.

ბიოლოგიური რესურსები – გენეტიკური რესურსები, ორგანიზმები ან მათი ნაწილები, ეკოსისტემათა პოპულაციები ან სხვა ნებისმიერი ბიოლოგიური კომპონენტი, რომელთაც გააჩნიათ ფაქტიური ან პოტენციური სარგებლობა ან ფასეულობა კაცობრიობისთვის.

ბიოლოგიური (ან სამედიცინო) მეურაცხადობის კრიტერიუმი – საზოგადოებისთვის საშიში ქმედების ჩადენის მომენტში პირის ფსიქიკური დაავადების და ფსიქიკის სხვა ავადმყოფური აშლილობის არსებობა. სამედიცინო კრიტერიუმი წარმოადგენს ფსიქიკური დარღვევების 4 განზოგადებულ ჯგუფს: ქრონიკულ-ფსიქიკურ დარღვევას; დროებით ფსიქიკურ დარღვევას; ჭკუასუსტობას; ფსიქიკის სხვა ავადმყოფურ მდგომარეობას.

ქრონიკულ-ფსიქიკური დარღვევა აერთიანებს დაავადებებს, რომლებიც ხასიათდებიან მიმდინარეობის ხანგრძლივობითა და პროგრესირების ტენდენციით (ავადმყოფური პროცესის თანდათანობით ზრდა და გართულება, ავადმყოფობით გამოწვეული ფსიქიკის დარღვევების დამძიმება).

ქრონიკულ-ფსიქიკურ დარღვევებს განეკუთვნება: ეპილეფსია, შიზოფრენია, პროგრესული დამბლა, ტინის სიფილისი, მოხუცებულობითი ფსიქოზები და ზოგიერთი სხვა ძნელად განკურნებადი ან უკურნებელი დაავადებები.

დროებითი ფსიქიკური დარღვევა შეურაცხადობის ფორმით მოიცავს ავადმყოფობის სხვადასხვა ხანგრძლივობის პროცესებს, რომლებიც სრულდება გამოჯანმრთელებით. მათი ხანგრძლივობა ვარირებს ძალიან ვრცელ საზღვრებში – რამდენიმე საათიდან და წუთიდანაც კი (ე.ი. განსაკუთრებული მდგომარეობების დროს) რამდენიმე კვირამდე, თვემდე, ზოგჯერ წლამდეც. ასე რომ დროებითი ფსიქიკური დარღვევის ძირითადი ნიშანია არა მისი ხანგრძლივობა, არამედ სრული გამოჯანმრთელების პრინციპული შესაძლებლობა, რომელიც პრაქტიკულად არ არსებობს ქრონიკულ-ფსიქიკური დაავადებების დროს. დროებითი ფსიქიკური დარღვევა – ხანმოკლე ან თავისთავად გარდამავალი დაავადება. მას განეკუთვნება „არაცნობიერი მდგომარეობები“ ე.ი. მდგომარეობები, როცა ცნობიერება სახეზე არაა, ასევე პათოლოგიური აფექტი, პათოლოგიური თრობა, მწვავე ფსიქიკური დარღვევების ზოგიერთი სახე (მაგალითად, ალკოჰოლური დელირიუმი), სომატომატური ფსიქოზები და სხვ.

დაავადებების შესამე ჯგუფი – ჭკუასუსტობა აერთიანებს შემეცნებითი საქმიანობის მდგრად, შეუქცევად დარღვევებს ფსიქიკის, ინტელექტის, შეხსიერების, კრიტიკული უნარების დაზიანებით, პიროვნების დარღვევებით.

ჭკუასუსტობა, როგორც ფსიქიკის ნაკლოვანება დასაბუთებულადაა შესული სამედიცინო კრიტერიუმის ნიშნების რიცხვში, რამდენადაც გონებრივი განუვითარებლობის ხარისხის ან მისი ჭკუასუსტობის შემცირების მიხედვით შეიძლება ეისაუბროთ შეურაცხადობის

თაობაზე. განასხვავებენ თანდაყოლილ (ოლიგოფრენია) და შეძენილ (ათეროსკლეროზული, მოხუცებულობითი დემენციაა და სხვ.) ჭკუასუსტობას.

ფსიქიკის სხვაგვარი ავადმყოფური მდგომარეობის კატეგორიას განეკუთვნება ისეთი ფსიქიკური დარღვევები, რომლებიც არ შესულან სამიდან არც ერთ ჯგუფში. მაგრამ რომელთაც შეუძლიათ შერაცხადობის გამორიცხვა. სხვაგვარი ავადმყოფური მდგომარეობა – ფსიქიკური დარღვევა, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც ქრონიკული, ასევე დროებითი. აქ შედის ფსიქოპათიები (პიროვნების აშლილობები), ინფანტილიზმი, ფსიქიკური დარღვევები, რაც გამოწვეულია ინფექციური დაავადებებით და ავადმყოფური მდგომარეობის ზოგიერთი სხვა სახე.

ბიოსფერული ნაკრძალები – იხ. სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალები.

ბიოსფერული პოლიგონები – იხ. სახელმწიფო ბუნებრივი ბიოსფერული ნაკრძალები.

ბიოციდი – საერთაშორისო დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. ეკოციდისგან განსხვავებით, ის მიმართულია მხოლოდ ადამიანისა და სხვა ცოცხალი არსების წინააღმდეგ და ნიშნავს ადამიანებისა და ცოცხალი ბუნების წინასწარ განზრახულ და მასობრივ განადგურებას მასობრივი განადგურების იარაღის მეშვეობით მოწინააღმდეგეზე სამხედრო უპირატესობის მიღწევისა და შეიარაღებულ კონფლიქტში გამარჯვების მიღწევის მიზნით. ამიტომ მის სათავეებს წარმოადგენს აგრესიული ომები. ბიოციდის განმასხვავებელი ნიშანია ნეიტრონული, ბაქტერიოლოგიური, ბიოლოგიური, ტოქსიკური და ქიმიური იარაღის მიზანმიმართული გამოყენება, რომელიც გათვალისწინებულია მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობის მწყობრიდან გამოსაყვანად და სამხედრო ტექნიკის, იარაღის, სამხედრო მარაგის და სხვა მატერიალური ფასეულობების შესანარჩუნებლად.

ბირთვულ მასალებთან ან რადიოაქტიურ ნივთიერებებთან უკანონო მოპყრობა – საზოგადოებისთვის საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ბირთვული მასალებისა თუ რადიოაქტიური ნივთიერებების შეძენის, შენახვის, გამოყენების, გადაცემისა თუ დაშლის დადგენილ წესებს, რამდენადაც ის წარმოადგენს ადამიანის სიკვდილის და სხვა მძიმე შედეგების დადგომის რეალურ საფრთხეს.

ბირჟა (გერმ. borse, ფრანგ.bourse – ბირჟა, ლათინურისგან bursa – საფულე)

რეგულარულად ფუნქციონირებადი საბითუმო ბაზრის ძირითადი ფორმა; საქციო ორგანიზაცია ან სახელმწიფო დაწესებულება იურიდიული პირის უფლებებით, რომელშიც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების (საფონდო ბირჟა), ვალუტის (საკალუტო ბირჟა) ან საქონლის (სასაქონლო ბირჟა) ყიდვა-გაყიდვა. ბირჟაზე ხორციელდება, აგრეთვე სადაზღვევო, საფრახტო, ქირაუნობის, შრომითი მოწყობის და სხვა ოპერაციები, ბირჟა თამაშობს შუამავლის როლს ჰორიზონტალური სამეურნეო კავშირების ორგანიზაციის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ რეალური მიწოდების მოცულობა ბირჟაზე, როგორც წესი, არ აღემატება შესაბამისი საქონლით მსოფლიო ვაჭრობის 5-10%-ს, ბირჟის გაცვლა მსოფლიო ფასებზე და კონკრეტულ გარიგებებზე განსაკუთრებით დიდია.

ბირჟის ძირითად სამუშაო ადგილას, სადაც ხდება ყიდვა-გაყიდვა, წარმოადგენს საოპერაციო დარბაზი, როგორც წესი, ეს არის მოხერხებული, ტექნიკით და გარიგებების ჩატარებისათვის კეთილმოწყობილი შენობა. მაგალითად, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟას უკავია ფეხბურთის მოედნისოდენა ფართობი. ბოლო დროს ადგილი აქვს მცდელობებს საბირეო ვაჭრობის გადატანას კომპიუტერულ ქსელებში, ბირჟის სპეციალური შენობის გარეშე. უკვე 1984 წელს კომპიუტერული ბირჟა იყო ორგანიზებული ბერმუდის კუნძულებზე. საბირეო რკალი ანუ ორმო შეცვალა მძლავრმა ელექტრო-გამომთვლელმა მანქანამ, რომელიც სატერმინალო მოწყობილობებით იყო დაკავშირებული ბროკერებთან სხვადასხვა ქვეყნებში. 1990 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილეს ბირჟებზე შემოღებულ იქნა კომპიუტერული ბირჟა ღამის საათებში.

მრავალ ბირჟაზე შექმნილია კომიტეტები – ბირჟის მართვის ორგანოები, ან მმართველთა (დირექტორთა) საბჭოები. ისინი აირჩევიან ბირჟის წევრთა საერთო კრებაზე გარკვეული ვადით. მათ ფუნქციებში შედის: ზედამხედველობა ბირჟის წესდების, წესების და პროცედურების შესრულებაზე; მეთვალყურეობა ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების (საქონლის) დაშვებაზე; ბიულეტენების გამოშვება; საბირეო მაკლერების (ბროკერების) დანიშვნა, ვაჭრობის მონაწილეთა შორის კონფლიქტების დარეგულირება და სხვა. ბირჟის წევრები შეიძლება იყვნენ ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც აყალიბებენ მის საწესდებო კაპიტალს ან იხდიან საწევრო ან მიზნობრივ შენატანებს. ისინი მონაწილეობენ საბირეო ვაჭრობაში, ღებულობენ დივიდენდებს. ამასთან, სხვა კომერციული სტრუქტურებისგან განსხვავებით ბირჟები, როგორც წესი, არ მოქმედებენ გამორჩენის, მოგების მიღების მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დაეფრთხობდა ბირჟის კლიენტებს, რომლებიც დაიწყებდნენ უფრო იაფი ადგილების ძებნას თავიანთი ოპერაციების განსახორციელებლად. ბირჟის საფინანსო რესურსებს წარმოადგენენ: დადგენილი ანარიცხები შუამავლების მიერ მიღებული ანაზღაურებიდან (კომისიიდან) მოსაკრებლები, ტარიფები და ბირჟის წევრების და მოვაჭრეების სხვა გადასახდელები, ბირჟის სასარგებლოდ; აგრეთვე ჯარიმები წესდების, და სხვა ნორმების დარღვევისათვის; შემოსაელები შემოფარგლება ბირჟის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და განვითარებისათვის აუცილებელი თანხებით.

ბირჟის საქმიანობა განისაზღვრება წესდებით. ყიდვა-გაყიდვა წარმოებს წინასწარ დათქმულ ადგილას და დროს, მკაცრად განსაზღვრული წესებისა და პროცედურის დაცვით. მაგალითად, საბირეო კრება (ვაჭრობა), ესაა სამუშაო აქტი, (სეანსი), რომლის დროსაც იღება ხელშეკრულებები, საქონლის, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შეთანხმებები, ტარდება განსაზღვრულ დღეებში და საათებში. უცხო პირებს შეუძლიათ მხოლოდ თვალი ადევნონ ოპერაციებს სპეციალური გალერეიდან. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისინი სამუშაო დარბაზში არ დაშვებიან. პრესისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეუძლიათ შესვლა მხოლოდ ბირჟის დირექციის

ნებართვით. ვაჭრობის მონაწილეები არიან ბირჟის წევრები, აგრეთვე მუდმივი და ერთჯერადი მომსჯელები, რომელთაც აქვთ ოპერაციების შესრულების უფლება. ოპერაციები ხორციელდება ან უშუალოდ ბირჟის წევრებს შორის, ან საბირჟო შუამავლების – ბროკერების და დილერების მეშვეობით. მათ წრეში შედიან მხოლოდ პროფესიონალები, რომლებმაც ზედმიწევნით იციან საბირჟო თამაშების ნიუანსები. შუამავლები არ მონაწილეობენ ბირჟის საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში და ბირჟის მმართველობის ორგანოებში. უცხოური იურიდიული პირები და ბირჟის არაწევრი ფიზიკური პირები ვაჭრობებში მონაწილეობენ მხოლოდ და მხოლოდ შუამავლების მეშვეობით.

ბირჟის მონაწილეთა საქმიანობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საბირჟო სპეკულაცია. ეს ბუნებრივი პროცესია, რომელიც განპირობებულია ბირჟის ეკონომიკური არსით. შუამავლები, რომლებიც სპეციალიზირდებიან ფასების აწევაზე ცნობილი არიან „ხარების" სახელით, ხოლო ფასების დაგდებაზე თამაშობენ ე.წ. „დათვები". ხელოვნური ატმოსფეროს შექმნის, ფასიან ქაღალდებზე ან გარკვეულ საქონელზე მოთხოვნილების გამოწვევით გაზრდის ან დაგდების მიზნით, ხშირად გამოიყენება ცრუ რეკლამა, ფალსიფიცირებული ცნობების გავრცელება. იღება ფიქტიური ხელშეკრულებები. ამასთან, საბირჟო თამაშებში მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც მოგების მომტანი, ისე გამაკოტრებელი და კრახის გამომწვევიც, თუ არ გამართლდა საბირჟო ბროკერების ან ბირჟის მყიდველების და გამყიდველების პროგნოზები.

ბირჟას გააჩნია ფართო უფლებამოსილებები: მონაწილეთა მოთხოვნით მას შეუძლია მოაწყოს სარეალიზაციო საქონლის ექსპერტიზა; ბირჟა უზრუნველყოფს კლიენტების საანგარიშსწორებო მომსახურებას, ბანკებთან შესაბამისი კონტრაქტების დადების გზით; ხელს უწყობს ფორვარდული, ფიუჩერსული და საოფციო გარიგებების დაკრედიტებას და დაზღვევას; ქმნის პირობებს ამ ოპერაციების გარანტირებისათვის და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის; ღებულობს ფასთწარმოქმნის პროცესის მაკონტროლებელ ზომებს, ფასების ხელოვნური აწევის ან დაგდების, ფიქტიური გარიგებების, უსაფუძვლო ჭორების აღკვეთის გზით. ამასთან, დადგენილია გარკვეული შეზღუდვები. ბირჟას ეკრძალება საქონლის ღირებულების ფარგლების კარნახი. ვაჭრობის მონაწილეებისთვის გარანტირებულია თავისუფალი ფასთწარმოქმნა. თაეისი კომპეტენციის ფარგლებში ბირჟას შეუძლია შუამავლებსა და მათი კლიენტების ურთიერთობების რეგლამენტირება, ვაჭრობის წესების დამრღვევეთა მიმართ სანქციების გამოყენება. რაც გამოიხატება დაჯარიმებით. უხეში დარღვეებისთვის ზოგჯერ გამოიყენება ბირჟის წევრობიდან გარიცხვა.

ბირჟა გამოსცემს ბიულეტენს. ესაა პერიოდული ორგანო, რომელშიც ქვეყნდება ფასიანი ქაღალდების კურსები (საფონდო ბირჟებზე), საქონლის ღირებულება (სასაქონლო ბირჟებზე) და დადებულ გარიგებათა შესახებ ცნობები. მიეთითება აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ნუსხა, დღის განმავლობაში გაყიდულთა რაოდენობა, მათი უმაღლესი, უდაბლესი და საბოლოო კურსები და სხვა ინფორმაცია.

დანიშნულების მიხედვით ბირჟები იყოფა სპეციალიზირებულ და უნიეერსალურ ბირჟებად. სპეციალიზირებულებია სასაქონლო, საფონდო, სავალუტო, სადაზღვევო და საფრახტო ოპერაციების, აგრეთვე შრომის ბირჟები. უნიეერსალური ეწოდება შერეულ სასაქონლო-საფონდო ბირჟებს.

სასაქონლო ბირჟა წარმოადგენს წინასწარ დადგენილი წესებით მდგრადი და მკაფიო ხარისხობრივი პარამეტრების მქონე მასობრივი ხასიათის საქონლის ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციის ფორმას. სასაქონლო ბირჟას ახასიათებს ვაჭრობის რეგულარულობა და მისი დაკავშირებულობა მკაცრად განსაზღვრულ ადგილთან, საქონლის ხარისხის, მიწოდების პირობებისა და ეადების მიმართ ძირითად მოთხოვნათა უნიფიკაცია, ვაჭრობის ეანხორციელება მყიდველთა და გამყიდველთა შემხვედრი წინადადებების საფუძველზე. გარიგებების დადება საქონლის მიწოდებით, როგორც ადგილზე, საწყობიდან, ისე მომავალში. სასაქონლო ბირჟების ორი ძირითადი ფორმა არსებობს: რეალური საქონლის ბირჟა და ფიუჩერსული ბირჟა, რომელიც სასაქონლო ბირჟის უფრო თანამედროვე ფორმას წარმოადგენს.

რეალური საქონლის ბირჟაზე გარიგებები იღება საქონლის ნაღდ, სახეზე არსებულ პარტიებზე. საბირჟო ვაჭრობა ამყარებს კავშირს მწარმოებელსა და მომხმარებელს ან ექსპორტიორს შორის; ამჟამად ასეთი ბირჟები არსებობს მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში და აქვთ უმნიშვნელო მოცულობის ბრუნვა. ისინი წარმოადგენენ, როგორც წესი, ადგილობრივი მნიშვნელობის საქონლის საბითუმო ვაჭრობის ფორმას ან იქმნებიან განეითარებად ქვეყნებში ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, ამ ქვეყნებისათვის უმნიშვნელოვანესი სახეობის საქონლის ექსპორტის დროს. აქტიურად მოქმედი რეალური საქონლის ბირჟები შემორჩა ძირითადად ინდოეთში, ინდონეზიაში, მალაიზიაში. განეითარებულ ქვეყნებში რეალური საქონლის ბირჟები დაკავებული არიან ძირითადად საინფორმაციო საქმიანობით და ტიპობრივი კონტრაქტების შემუშავებით მაგრამ ცალკეულ პერიოდებში, ბაზრის ორგანიზაციის სხვა ფორმების არარსებობისას რეალური საქონლის ბირჟებს შეუძლიათ ითამაშონ შესამჩნევი როლი. მაგალითად, დიდი მოცულობის ბრუნვები იყო 70-იანი წლების შუა პერიოდსა და 80-იანი წლების დასაწყისში ლონდონის ნავთობის ბირჟაზე. ფიუჩერსული ბირჟა წარმოადგენს სასაქონლო ბირჟის თანამედროვე ფორმას. მასზე ვაჭრობა ხორციელდება ფიუჩერსული, ანუ საქონლის მომავალში მიწოდების კონტრაქტების საშუალებით (future – მომავალი). ფიუჩერსულ ბირჟაზე ვაჭრობას რეალური საქონლის ბირჟისაგან განასხვავებს უპირატესად გარიგებათა ფიქტიური ხასიათი (გარიგებათა მხოლოდ 1-2% სრულდება საქონლის მიწოდებით, დანარჩენი – ფასთა სხვაობის გადახდით); კონტრაქტების პირობების უნიფიკაცია; გარიგებების გაუპირობებლობა და მათი კონტრაქტების ადეილად ურთიერთშანაცვლებადობა. გარიგებები ფიუჩერსულ ბირჟებზე იღება როგორც საქონელზე, ასევე ვალუტაზე, აქციების ინდექსებზე, საპროცენტო განაკეთებზე და ა.შ. საქონლის ძირითად სახეობებს ფიუჩერსულ ბირჟებზე შეადგენენ ხორბლეული, ზეთისხილი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბეირფასი და ფერადი ლითონები, ბამბა, შაქარი, ყავა, კაკაო, და სხვა.

სასაქონლო ბირჟის ნარისხეობაა საკომპენსაციო სასაქონლო ბირჟა. ასეთ ბირჟაზე იღება ურთიერთგაცვლის გარიგებები ყველა იმ სახეობის ჭარბი პროდუქციის,

უმრავი ქონებისა და მომსახურების, რომლის რეალიზაცია გასაღების ჩვეულებრივი არხებით არ ხერხდება. მეორადი რესურსების სასაქონლო ბირჟა ახორციელებს მეორადი რესურსების ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციას. მისი საქმიანობის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს წარმოების ნარჩენების მზარდი მოცულობები და მათი შედარებითი სიიაფე. სასაქონლო ბირჟის მიზანია არა იმდენად შემოსაელის მიღება, რამდენადაც ეაჭრობის გაადვილება და გაიაფება.

საკუთარ ბირჟა ახორციელებს საბაზრო ფასებს უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის რეგულარული და ორგანიზებული ფორმით.

საფონდო ბირჟა წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც ქმნის ხელსაყრელ პირობებს და არეგულირებს ფასიანი ქაღალდების (აქციები, ობლიგაციები, თამასუქები და სხვ.) ყიდვა-გაყიდვის განხორციელებას. სასაქონლო და საკალუტო ბირეებზე შეიძლება შეიქმნას საფონდო განყოფილებები განცალკევებული ბალანსის მქონე დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფების სახით. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საბირჟო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შესაბამისი ლიცენზიის არსებობა. საფონდო ბირჟის მეშვეობით ხდება ეკონომიკაში გრძელვადიანი ინვესტიციების და სახელმწიფო პროგრამების ფინანსირების მობილიზაცია საკუთრების საზოგადოების ფორმით და მოქმედი საფონდო ბირეების აქციონერები შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკები, საწარმოები. ყოველი საფონდო ბირჟა შეიმუშავებს წესდებას, რომელიც განსაზღვრავს მმართველობის წესს, წევრთა შემადგენლობას, მათი მიღების პირობებს, ხელმძღვანელი განყოფილებების შექმნისა და ფუნქციონირების წესს. საფონდო ბირჟის წევრები არიან მხოლოდ მისი აქციონერები. ესენია საინვესტიციო ინსტიტუტები, აგრეთვე სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოები, რომელთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება. გარიგებებს აწარმოებენ მხოლოდ ბირჭის წევრები. ბირჭის ბაზრის მონაწილეები არიან ფასიანი ქაღალდების ემიტენტები, ინვესტორები და საინვესტიციო ინსტიტუტები. ემიტენტი არის იურიდიული პირი, სახელმწიფო ორგანო ან ადგილობრივი აღმინისტრაცია, რომელიც უშვებს მომოქცევაში ფასიან ქაღალდებს და თავისი სახელით ვალდებულებებს კისრულობს ამ ფასიანი ქაღალდების მყიდველების წინაშე. ინვესტორი ეწოდება ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც თავისი სახელითა და ხარჯით შეიძენს ფასიან ქაღალდს, საინვესტიციო ინსტიტუტი არის კანონით დაშვებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილი იურიდიული პირი. საფონდო ბაზარზე საინვესტიციო ინსტიტუტების როლში გამოდიან აგრეთვე ბანკები. გარდა აქციების და ფასიანი ქაღალდების გამოშვების და ყიდვა-გაყიდვისა, საინვესტიციო ინსტიტუტი ახორციელებს თავის საქმიანობას შუამავლის (საფინანსო ბროკერის) ან კონსულტანტის როლში. საფონდო ბირჟას ეკრძალება საინვესტიციო ინსტიტუტის ფუნქციების შესრულება, კერძოდ, ფასიანი ქაღალდების გამოშვება (საკუთარი აქციების გარდა). საფონდო ბირჭის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ფასიანი ქაღალდების კოტირება, ანუ ყიდვა-გაყიდვის პროცესში ხდება ბრუნვაში მყოფი ფასიანი ქაღალდების კურსის დადგენა, რომელიც დამოკიდებულია ფასიანი ქაღალდის შემოსაელიანობაზე (პროცენტის ან დივიდენდის სახით), სასესხო პროცენტის ოდენობაზე და მიმდინარე მიწოდებისა (მინიმალური ფასი, რომელზედაც თანახმაა გამყიდველი) და მოთხოვნის (მაქსიმალური თანხა, რომლის გადახდაზეც თანახმაა მყიდველი) შეფარდებაზე. საფონდო ბირჭაზე გავრცელებულია ფასიანი ქაღალდების მსხვილი პარტიების გაყიდვა, რომლებიც 10.000-ზე მეტ აქციას შეიცავენ. კლასიკურ საფონდო ბირჟებზე ეაჭრობა მიდის საუკეთესო ფორმით – თრეიდერების (მოეაჭრეების) შორის ზეპირი ინსტრუქციების გადაცემის მეშვეობით. ყველაზე მსხვილი კლასიკური ბირჭაა ნიუ-იორკის საფონდო ბირჭა. სულ მსოფლიოს 60 სახელმწიფოში 200 ასეთი ბირჭაა. დასაელეთის საფონდო ბირჟების ბრუნვა შეადგენს ტრილიონობით დოლარს. მსოფლიოს უმსხვილეს საფონდო ბირჭათა რიცხვს მიეკუთვნებიან ნიუ-იორკის, ლონდონის, ტოკიოს, ფრანკფურტის, პარიზის ბირეები. საფონდო ბირეებს აქეთ საკუთრ საზოგადოებების (აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი) ან სახელმწიფო ინსტიტუტების (გერმანია, საფრანგეთი) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

საფრახტო ბირჭა წარმოადგენს დასაქირავებელი გემების მუდმივმოქმედ ბაზარს; გაყიდვის ობიექტია საფრახტო კონტრაქტები, ფრახტი (ინგლ. freight) წარმოადგენს ტვირთების საზღვაო გადაზიდვის, მგზაერთა გადაყვანის ან გემებით გარკეული პერიოდის მანძილზე სარგებლობის გადასახადის ერთ-ერთი ფორმას. ფრახტის დადგენა ხდება მხარეთა შეთანხმებით ყოველ კონკრეტულ ხელშეკრულებაზე საფრახტო განაკეთის სახით. საფრახტო ბირჭის ორგანიზება ხდება რეგიონალური, საერთაშორისო, სასაქონლო ან სხეა ნიშნით. ასეთ ბირეებზე კონცენტრირდება მთელი ინფორმაცია ტონაჟზე მოთხოვნის და მისი მიწოდების, საფრახტო განაკეთების ოდენობის, ფრახტის ხელშეკრულებების პირობების შესახებ. ყველაზე დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას ინარჩუნებს ლონდონის საფრახტო ცენტრი. მსხვილი საფრახტო ბირეებია ჰამბურგში, გენუაში, ტოკიოში, ჰონკონგში, ნიუ-იორკში. რეგიონალურივ, საფრახტო ბირეები მოქმედებენ შეზღუდულ პასუხისმგებლობის კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

შრომის ბირჭა წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურას, შუალედურ რგოლს დაქირავებული მუშა ძალასა და სამუშაოს მიმცემს შორის. შრომის ბირჭის მეშვეობით სახელმწიფო გაელენას ახდენს შრომით ბაზარზე, არეგულირებს შრომითი მოწყობის პრობლემებს, მათ შორის არა მარტო უმუშევრების, არამედ იმ პირების, რომლებსაც უნდათ პროფესიის გამოცელა.

ბირჭების კლასიფიკაცია შეიძლება სხვა ნიშნებითაც, მაგალითად, ღია და დახურული ტიპის ბირეები, კერძო და საჯარო ბირეები და სხვ. 1) ღია ტიპის ბირჭა წარმოადგენს მწარმოებელთა და მომხმარებელთა უშუალო კონტაქტების ბირეას; მასზე მოქმედებს კლიენტების და დამკვეთ-მყიდველების საბირეო რკალში თავისუფალი შეღწევის პრინციპი. გამყიდველი განასახიერებს მიწოდებას, ხოლო მყიდველი მოთხოვნილებას. დახურული ტიპის ბირჭაზე ყველა ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ საბროკერო კანტორების მეშვეობით; მოქმედებს აკრძალვა მყიდველების და გამყიდველების საბირეო რკალში შესელაზე; აუცილებელია ბირეის

მთავარი შენობის ფარგლებს გარეთ მოქმედი შეკეთების შეგროვების და ბირჟამდელი დამუშავების სპეციალიზირებული სისტემა. ასეთი ბირჟა ითვალისწინებს საერიფერიო სამსახურების ორგანოთა არსებობას, აგრეთვე ყიდვა-გაყიდვის პროცესის მომსახურებას პროფესიონალი შუამავლების მიერ. 2) საჯარო ბირჟაზე შესვლა თავისუფალია საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების ყველა მსურველისთვის. კერძო ბირჟა მოქმედებს, როგორც წესი, სააქციო კომპანიის ან დახურული კორპორაციის სახით. მასზე გარიგებების დადება შეუძლიათ მხოლოდ ბირჟის წევრ – აქციონერებს. კერძო ბირჟის წევრებს, ჩვეულებრივ არ ეძლევათ დივიდენდები დამატებულ კაპიტალზე. მათი მოგება ყალიბდება კლიენტებისგან დადებული გარიგებებისთვის მიღებული ანაზღაურებიდან, ამგვარად, ბირჟის წევრები გამოდიან ბროკერების როლში. 3) ნაციონალური ბირჟა ძირითადად ემსახურება შიდა ბაზრის მოთხოვნილებებს, ან ადგილმდებარეობის ქვეყნის ექსპორტიორებს ან იმპორტიორებს. საუალუტო,საგადასახადო და საეჭრო რეჟიმები აბრკოლებენ საარბიტრაჟო გარიგებების (ერთი და იგივე ან მსგავსი ტიპის ფასიანი ქაღალდების ერთდროული ყიდვა და გაყიდვა სხვადასხვა ბირჟებზე. სხვადასხვა კურსით კურსებს შორის სხვაობის მოგების მიზნით) დადებას და საბირეო ვაჭრობაში ბირჟის ადგილმდებარეობის ქვეყნის არარეზიდენტი პირებისა და ფირმების მონაწილეობას. საერთაშორისო ბირჟები ემსახურებიან შესაბამისი საქონლის მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებებს, ხოლო დადგენილი საუალუტო, საგადასახადო და საეჭრო რეჟიმები არ აბრკოლებენ სხვა ქვეყნების ბირჟებთან და საარბიტრაჟო გარიგებების დადებას, საბირეო ვაჭრობაში ბირჟის ადგილმდებარეობის ქვეყნის არარეზიდენტი პირებისა და ფირმების მონაწილეობას, აგრეთვე საბირეო ოპერაციების შედეგად მიღებული მოგების თავისუფალ გადარიცხებებს. მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო ბირჟებია: ლონდონის საერთაშორისო საფინანსო ფიუჩერსული ბირჟა – მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საფონდო ბირჟა, რომელიც სპეციალიზირდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, საუალუტო, აქციების ინდექსირების ოპერაციებზე; ლონდონის ლითონების ბირჟა – ერთერთი მსოფლიოს ათი წამყვანი სპეციალიზირებული სასაქონლო ბირჟების რიცხვიდან, სადაც მიმდინარეობს ვაჭრობა სპილენძით, ალუმინით, ტყვიით, ცინკით, ნიკელით, ვერცხლით. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, შექმნილი 1792 წელს, რომელიც ამჟამად აერთიანებს 1500-ზე მეტ წევრს; ყოველ 30 წუთში ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა გამოითელის აქციების საერთო ინდექსს, რომელიც აქციების ბაზრის გაკონტროლების საშუალებას იძლევა.

ბირჟა – ორგანიზაცია იურიდიული პირის უფლებებით, რომელიც აყალიბებს საბითუმო ბაზარს სტანდარტებითა და ნიმუშებით საქონლის (სასაქონლო ბირჟა), ფასიანი ქაღალდების (საფონდო ბირჟა) და უცხოური ვალუტის (საუალუტო ბირჟა) და ასევე სამუშაო ძალის (შრომის ბირჟა) ორგანიზებისა და რეგულირების გზით. სასაქონლო ბირჟა საბითუმო ბრუნვას თავს უყრის მასობრივი, ძირითადად, ნედლეულ და საეჭრო საქონელზე (ფერადი ლითონები, ხორბალი, ბამბა, შაქარი და სხვ.). ანსხვავებენ უნივერსალურ და სპეციალიზირებულ (ცალკეული საქონლის ან მათი ჯგუფების მიხედვით) სასაქონლო ბირჟებს. ოფიციალურ საფონდო ბირჟებზე დაშვებულია ოპერაციები მხოლოდ დიდი კომპანიების აქციებით; მრავალ ქვეყანაში არსებობს არაოფიციალური საფონდო ბირჟები, სადაც მიმოქცევაშია ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი. ბირჟის წევრები იყოფიან ბროკერებად და დილერებად. ბირჟა ადგენს სტანდარტებს ბირჟის საქონელზე, ფასების დონეს (კოტირება) საქონელსა და ფასიან ქაღალდზე, ანალიზებს მოთხოვნისა და მიწოდების კონიუქტურას, აერცელებს საქმიან ინფორმაციას, ამუშავებს კონიუქტურის ცვლილებებისადმი ადაპტაციის მექანიზმებს (ოპციონები და სხვ.).

ბიულეტენი [ფრ. bulletin < იტ. bulletino ფურცელი, წერილი] 1) მოკლე საინფორმაციო შეტყობინება მნიშვნელოვანი მოვლენის, საკითხის შესახებ, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა გააჩნია (სამარი მოვლენების მსვლელობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.); 2) პერიოდული ან გაგრძელებული გამოცემა, რომელიც ინფორმაციას იძლევა რ-მე საკითხთა წრის გარშემო; ოფიციალური აქტების, განკარგულებების და ა.შ. კრებული; 3) საარჩევნო ბ. – ფურცელი (დოკუმენტი) ხმის მისაცემად, რომელზეც მოცემულია კანდიდატების სია რ-მე პოსტზე რ-მე ორგანოში; 4) (სასაუბრო) საავადმყოფოს ფურცელი (არაკმედითუნარიანობის ფურცელი).

ბიურო [ფრ. bureau] 1) კოლეგიალური ორგანო, რომელიც აირჩევა განსაზღვრული ძირითადად განმკარგულებელი, ხელმძღვანელობით მუშაობის საწარმოებლად ორგანიზაციაში, საზოგადოებაში, დაწესებულებაში; 2),განცელარია, კანტორა, რ-მე დაწესებულების განმკარგულებელი ორგანო; 3) დაწესებულებები ან მათი განყოფილებები, რომლებიც მოსახლეობის მომსახურების ფუნქციას ასრულებს, მაგ. ცნობათა ბიურო; 4) საწერი მაგიდა, ჩვეულებრივი უკრებით და სხვა განყოფილებებით და სახურავით.

ბიუროკრატი [ფრ. bureaucrate < bureau ბიურო + ძე.-ბერძ. κρα'τος ძალაუფლება, ძლევამოსილება] 1) პირი, რომელიც მიეკუთვნება ჩინოვნიკობის ან მმართველობით წოდებას – ბიუროკრატიას; 2) ფორმალისტი, გამჭიანურებელი.

ბიუროკრატია [ფრ. bureaucratie კანცელარიის ბატონობა < ფრ. bureau ბიურო, კანცელარია + ძე.-ბერძ. κρα'τος ძალაუფლება, ძლევამოსილება] 1) თაედაპირველად უმაღლესი ხელმძღვანელების ან ჩინოვნიკების ძალაუფლება; 2) მართვის აუცილებელი ელემენტი – მსხვილ ორგანიზაციებში მომსახურეთა ფენა, მათ შორის სახელმწიფო აპარატის თანამშრომლები; ბ-ს ახასიათებს პრივილეგირებულ ფენად გადაქცევის ტენდენციები, რომელიც დამოუკიდებელია ორგანიზაციის უმეტესი წევრებისგან (საზოგადოებისგან), რასაც სდევს ფორმალიზმისა და თვითნებობის, აეტორიტარიზმისა და კონფორმიზმის ზრდა, ორგანიზაციის მოღვაწეობის წესებისა და ამოცანების, მისი გაძლიერებისა და დაცვის ამოცანებისთვის დაქვემდებარება; უკიდურეს გამოხატულებას ეს პოულობს აეტორიტარულ სისტემებში და დემოკრატიული საზოგადოება ცდილობს გამოიმუშაოს კონტროლისა და მართვის ფორმები, რომელიც მიმართული იქნება ბ-ს

უარყოფითი თვისებების გადასალახავად ან შესაზღუდავად; 3) უაზრო გაჭიანურება, ფორმალობა; ჩინოვნიკის მიერ ახუმად აგდება საჭირო დოკუმენტის არქონის შემთხვევაში; სხვადასხვა დოკუმენტის შედგენისა და წარმოდგენის სურვილი.

ბიუჯეტი – ფულადი საშუალებების ფონდის წარმოქმნისა და ხარჯვის ფორმა, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმართველობის ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფისათვის. ამ განსაზღვრის შესაბამისად ბიუჯეტის ტერმინს გააჩნია რამდენიმე მნიშვნელობა და გამოიყენება სხვადასხვა გაგებით: 1) მატერიალური თვალსაზრისით ბიუჯეტი განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო ან მუნიციპალური ცენტრალიზებული ფულადი ფონდით, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანებისა და ფუნქციების დაფინანსებისთვის; 2) ეკონომიკური გაგებით ბიუჯეტი განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნებიან სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანებისა და ფუნქციების დაფინანსებისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო და მუნიციპალური ცენტრალიზებული ფულადი ფონდის ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების პროცესში; 3) ფინანსურ-საორგანიზაციო გაგებით ბიუჯეტი გაგებულია, როგორც ფინანსური გეგმა ან სახელმწიფო და მუნიციპალური ან ბიუჯეტში სხვა სახის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა, დაფინანსებულია ცენტრალიზებული ფულადი ფონდის ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფისთვის; 4) სამართლებრივი გაგებით – ესაა საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკანონმდებლო) ორგანოს გადაწყვეტილება, რომლითაც მტკიცდება ბიუჯეტის ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების ფინანსური გეგმა, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო და მუნიციპალური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ამოცანებისა და ფუნქციების დაფინანსებისთვის.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ბიუჯეტი – ესაა სახელმწიფო და მუნიციპალური წარმონაქმნების ფულადი რესურსების აკუმულირებისა და განაწილების საშუალება, მათ წინაშე მდგარი ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფისთვის. ბიუჯეტი მტკიცდება კანონის ფორმით (წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება) 1 საფინანსო წელიწადზე, რომელიც შეესაბამება კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდები განისაზღვრებიან, როგორც ფულადი საშუალებების სპეციალური ფონდები, რომლებიც წარმოიქმნებიან სახელმწიფო ბიუჯეტის ბიზმა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციის ფინანსური უზრუნველყოფისთვის მიილონ საპენსიო უზრუნველყოფა (საპენსიო ფონდი), სოციალური დაზღვევა (სოციალური დაზღვევის ფონდი), სოციალური უზრუნველყოფა უმუშევრობის დროს (მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო ფონდი), ჯანმრთელობის დაცვა და სამედიცინო დახმარება (სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდი).

ფინანსური კონტროლი ბიუჯეტის სათანადო შესრულების უზრუნველყოფაზე ეკისრება საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოებს, აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებს. საკანონმდებლო ორგანოები ახორციელებენ ფინანსურ კონტროლს ბიუჯეტის შესახებ კანონ-პროექტების (გადაწყვეტილებათა) განხილვისა და დამტკიცების, ცალკეული საკითხების განხილვის დროს, რომლებიც ჩნდებიან ბიუჯეტის შესრულებისას. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ საგადასახადო და სხვა შემოსავლების ბიუჯეტში შეტანას; ახორციელებენ ფინანსურ კონტროლს საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის, განაწილების, მიღების, მიზნობრივი გამოყენების პირობების დაცვაზე, ასევე უყუნებით საფუძველზე მიღებული საბიუჯეტო სახსრების დროულ დაბრუნებასა და გადასახადის გადახდაზე ანაზღაურების საფუძველზე მიღებული საბიუჯეტო სახსრების გამოყენებისთვის.

ბლანკეტური ინდოსამენტი (blank endorsenent) – blank – ცარიელი, შეუვსებელი ინდოსამენტი, რომელშიც არ არის მითითებული ინდოსატი, ანუ გადახდა წარმობს ინდოსამენტის წარმომდგენზე.

ბლანკეტური [< გერმ. Blankket ბლანკი] ბ. ნორმა – სამართლებრივი ფორმა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს აძლევს საზოგადოებრივ ადგილებში წესებისა და აკრძალვების დაკანონების უფლებას.

ბლანკი [ფრ. blanc სუფთა, თეთრი] ბლანკთან კავშირში მყოფი; ბ. წარწერა – თამასუქის მესაკუთრეზე გადასაცემი წარწერა თამასუქის მეორე მხარეს მიმდების ვინაობის მითითების გარეშე; ნებისმიერ პირს (თამასუქის წარმომდგენს) ანიჭებს უფლებას მოსთხოვოს თამასუქის გამცემს თამასუქზე მითითებული თანხა; ბ. თამასუქი – თამასუქი, რომელზეც მხოლოდ თამასუქის გამცემის ხელმოწერაა, ხოლო ტექსტი შევსებული არ არის; ბ. კრედიტი – კრედიტი მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე, რომელიც მხოლოდ პირად ნდობას ეფუძნება. ქაღალდის ფურცელი ზედ დაბეჭდილი დაწესებულების სახელწოდებით ან ნაწილობრივ დაბეჭდილი ტექსტით, რომელიც განკუთვნილია დოკუმენტის გარკვეული ფორმით შედგენისთვის.

ბოიკოტი [ინგლ. boycott < Boycott] 1) პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის საშუალება, რომელიც მდგომარეობს რ-მე ღონისძიებაზე უარის თქმაში, ცალკეულ პირთან ან ორგანიზაციასთან ურთიერთობის სრულ ან ნაწილობრივ გაწყვეტაში (უარი მათთან (მასთან) მუშაობაზე, მათი პროდუქციის შეძენაზე და ა.შ.); სახელწოდება მოდის ინგლისელი საქმეთა მწარმოებლისგან ჩარლზ ბოიკოტისაგან, რომელთან მიმართებაშიც პირველად მიიღეს ეს ღონისძიება ირლანდიელმა არენდატორებმა 1880 წ-ს; გაეროს წესდების მიხედვით, ბ. – ერთ-ერთი იძულებითი ზომათაგანია (შეიარაღებული ძალების გამოყენების გარეშე) მშვიდობის დასაცავად, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფოს უარში რომელიმე

სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოთა ჯგუფთან ურთიერთობების გაგრძელებაზე; 3) ე-მესთან ურთიერთობის გაწყვეტა რ-მეს პროტესტის ნიშნად.

ბოიფრენდი [ინგლ. boy-friend < boy ბიჭი + friend მეგობარი] შეყვარებული, მეგობარი ბიჭი; მამაკაცი, რომელსაც ქალი ხვდება (შეად. გელფრენდი) ჩვეულებრივ ოჯახის დაგეგმვის გარეშე.

ბონი – 1. დროებითი ქაღალდის ფულის ნიშანი; 2. დასაელეთის ქვეყნებში სახელმწიფო ბაზონის, მუნიციპალური ორგანოების ან კერძო ფირმების მიერ გამოშვებული მოკლევადიანი საკალო ვალდებულება; 3. გადახდისუნარდაკარგული, ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული, რომელსაც მხოლოდ საკოლექციო მნიშვნელობა აქვს.

ბონი – საკრედიტო დოკუმენტი, რომლითაც მის მფლობელს შეუძლია მიიღოს განსაზღვრული ვადით ფულადი თანხა ან სხვა ფასეულობა ქაღალდის ფულის სუროგატი.

ბონიტეტი — სიტყვიდან bonus – დიეიდენდი. ზოგადად გადახდისუნარიანობა; კრედიტის დაფარვის შესაძლებლობის შეფასება, გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია საკრედიტო რეიტინგი.

ბონიფიკაცია – საქონლის საფასურის გადახდის სისტემა, რომელშიც გამოყენებულია საქონლის მომრაობაში ყველა მონაწილის პრემირების სხვადასხვა სახეობა. მაგალითად, მიმწოდებელს – საქონლის ხარისხისა და დროული მიწოდებისათვის, ეაჭრის მუშაკებს – გაყიდული საქონლის რაოდენობისათვის, მყიდველებს – შეძენილი საქონლის რაოდენობისათვის, წახალისების (ბონური) ზომა ჩვეულებრივ საქონლის ბრუნვის საერთო ჯამის ან სხვა ჯერ არცნობილი და მოულებელი მაჩვენებლის პროცენტის სახით. ბონიფიკაცია ფართოდ გამოიყენება საზღვარგარეთ მოთხოვნის ფორმირებისა და გასაღების სტიმულირებისათვის.

ბოქაული [თურქ-მონღ. ბუქაულ-მნე] 1) სასალიციო-ადმინისტრაციული აპარატის დაბალი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. სახელწოდება შემოვიდა XVI ს-დან. უფრო ადრე ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები იასაული და მანდატური. ბოქაულსა და იასაულს ხელჯოხიანები ეწოდებოდათ, ისევე როგორც მეფის ამალის წევრს არგონასს. ბოქაულს ეკალებოდა სამეფო ხელისუფლების სხვადასხვა ხასიათის ბრძანებისა და განკარგულების შესრულება, განაჩენის აღსრულება, წესრიგის დაცვა და სხვა. მსგავს საქმიანობას ეწეოდა ბოქაულთუხუცესიც; 2) მეფის რუსეთში პოლიციის ბოქაული–მცირე ადმინისტრაციული ერთეულის–მაზრისა და ქალაქის უბნის (უბნის პოლიციის ბოქაული), პატარა ქალაქის და დაბის (ქალაქის პოლიციის ბოქაული)–პოლი-ციის უფროსი. სასამართლოს ბოქაული–მოხელე, რომელიც სასამართლო აღმასრულებლის ფუნქციებს ასრულებდა.

ბოროტად გამოყენება ფასიანი ქაღალდების გამოშვების (ემისიის) დროს – ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტში წინასწარ არასანდო ინფორმაციის შეტანა, მისი ან ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგების შესახებ არასანდო ინფორმაციის შემცველი ანგარიშის დამტკიცება, ისევე როგორც საემისიო ფასიანი ქაღალდების განთავსება, რომელთა გამოშვებასაც არ გაუცია სახელმწიფო რეგისტრაცია, თუ ამ ქმედებებმა დიდი ზიანი მიაყენა მოქალაქეებს, ორგანიზაციებს ან სახელმწიფოს

ბრაკონიერობა [< ფრ. bracinnier ძაღლებით მონადირე] 1) თავდაპირველად ძაღლებით ნადირობა; 2) მოგვიანებით უკანონო ნადირობა – ველური ცხოველების შესაბამისი ნებართვის გარეშე მონადირება ან განადგურება, აკრძალულ ადგილებში, აკრძალულ ეადებში ან აკრძალული იარაღითა და ხერხებით; ჩვეულებრივ ქცენება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

ბრალდება კანონის წესით დადგენილი უფლებამოსილება ორგანოს ან კერძო პირის პროცესუალურ–სპრალ-დებო ფუნქცია. ბრალდების მიზანია დანაშაულის ჩადენაში ამხილოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული პირი. სისხლის სამართლის პროცესი განასხვავებს ბრალდების სამ ფორმას–საჯაროს, კერძოს და კერძო-საჯაროს. წინასწარი გამოძიების ეტაპზე აქვს გამოსაძიებ და ზოგჯერ მომცველ ორგანოს. სასამართლო პროცესზე ბრალდებას მხარს უჭერს პროკურორი, რომლის მიერ არის ჩამოყალიბებული სპრალდებო დასკვნაში ბრალდების არსი და დანაშაულის იურიდიული კვალიფიკაცია. კერძო ბრალდების საქმე (შეურაცხყოფის, ცემის და სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაულის გამო) აღიძერება მხოლოდ დაზარალებულის საჩიერით და შეიძლება შეწყდეს პროცესის ყოველ სტადიაზე დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო. კერძო ბრალდების საქმეზე, ბრალდებას მხარს უჭერს დაზარალებული და მონაწილეობს სასამართლო კამათშიც, სადაც მონაწილეობს პროკურორი, თუკი ამას საჯარო ინტერესები მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში კერძო ბრალდება საჯარო ან კერძო–საჯარო ბრალდებად იქცევა. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ., გაუპატიურება) არ შეიძლება შეწყდეს მხარეთა შერიგებით.

ბრალდებითი პროცესი სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი სახე. საზოგადოების პოლიტიკურ–ეკონომიკურ ფორმაციაში ხასიათდება სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ჰქონდა საერთო ნიშნები–სპრალდებო და სასამართლო ფუნქციების განცალკევება, მხარეთა თანასწორუფლებიანობა, პროცესის შეჯიბრობითობის ნიშანი და სასამართლოს მიერ შემფასებლის ფუნქციის აღება მხარეთა კამათიდან გამომდინარე.

ძველ ათენში და რომში ბრალდების პროცესი სასამართლოს პრიორიტეტული ფორმა იყო. სამართალწარმოება იწყებოდა დაზარალებულის საჩიერით, მაგრამ ყველას შეეძლო გამოესულიყო ბრალმდებლად საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. საქმე განიხილებოდა საქვეყნოდ, ზეპირი პაექრობით. მოსამართლე შეზღუდული იყო ბრალმდებლის მითხოვნით, მას უფლება არ ჰქონდა ახალი მტკიცებულებანი გამოეთხოვა თავისი ინიციატივით.

ადრეულ ფეოდალურ პერიოდში ბრალდების პროცესი მიმდინარეობდა, როგორც თანასწორთა სასამართლო, სადაც თავმჯდომარედ სიუზერენი გამოდიოდა,

მოსამართლეებად მისი ვასალები, რომლებიც რანგით მოდაქე ფეოდალების თანასწორნი იყვნენ. თანასწორთა სასამართლოში ფიცი, ორდალიები და სასამართლო ორთაბრძოლა მტკიცებულებებს წარმოადგენდა, ასევე თუ ბრალდებული ბრალს აღიარებდა, მოსამართლეს დაუყოვნებლივ გამოაქვონდა განაჩენი. ფეოდალურ სამართალწარმოება ყოველთვის შეიცავდა სამკვრო პროცესის ელემენტებს.

ბრალდებული კანონით გათვალისწინებული წესით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული პირი, რომლის სამართალში მიცემა საკმარის მაძხილებელ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს. ბრალდებული სისხლის სამართლის სუბიექტია, რომლის უფლება-მოვალეობანი უზრუნველყოფილია სათანადოდ კანონით დადგენილი წესით და გარანტიებით. ბრალდებულს უფლება აქვს იცოდეს რაში ედება ბრალი, გამოიყენოს დუმილის უფლება, დაიცვას თავი პირადად და დამცველის მეშვეობით, მაგრამ ვალდებული არ არის ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. შეუძლია აღძრას შუამდგომლობა, დაკითხონ მოწმეები, დაზარალებული ან სხვა ბრალდებული, გამოითხოვონ მისთვის საჭირო ჭეშმარიტების დამდგენი საბუთები, მოითხოვოს ექსპერტიზის დანიშვნა, დათვალიერება, ჩხრეკის ჩატარება და სხვა პროცესუალური მოქმედების შესრულება. გამოძიების დამთავრების შემდეგ ბრალდებული ეცნობა საქმის მთელ მასალას დამოუკიდებლად ან დამცველთან ერთად თუ მან ეს ენა არ იცის, უფლებამოსილია მოითხოვოს თარჯიმანი, მისცეს ახლების ბრალდების პროცესის მონაწილეებს, ამასთანავე, წინასწარი გამოძიების პერიოდში სათანადო წესით გაასაჩივროს საგამოძიებო ორგანოების მოქმედება. ბრალდებული ვალდებულია დროულად გამოცხადდეს მომკლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ორგანოები უფლებამოსილია მიიყვანონ იგი იძულებით ან გამოიყენონ მის მიმართ სათანადო თავისუფლების აღკვეთის ღონისძიება.

ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება

სისხლის სამართლის პროცესში არსებობს იძულების ღონისძიება, რომლის მიხედვით ხდება ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ ბრალდებული ამ სამუშაოზე დარჩენით ხელს შეუშლის სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და თუ მოსალოდნელია მისგან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელება. ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება ხდება მოსამართლის ბრძანებით, რომელიც გაიცემა მომკლევის, გამომძიებლის ან პროკურორის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე. ბრალდებული შეიძლება, აგრეთვე გადაყენებული იქნას თანამდებობიდან პირველი ინსტანციის დასაბუთებული განჩინებით. ზოგ შემთხვევაში საჭიროა ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა (სსსკ, მუხლი 183 – 187).

ბრალმდებელი პირი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს. სახელმწიფო ბრალმდებლად გამოდის პროკურორი, მისი მოადგილე ან თანამოწმე. ბრალმდებელი შეიძლება თვით დაზარალებულიც იყოს, ე.წ. კერძო ბრალდების საქმეზე. ბრალდების ფუნქციას ასრულებს აგრეთვე საზოგადოებრივი ბრალმდებელი. სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარის დაჭერა კანონიერების დაცვაზე საპროკურორო ზედამხედველობის ერთ-ერთი ფორმაა. სახელმწიფო ბრალმდებელი ობიექტური უნდა იყოს. იგი ვალდებულია დაამტკიცოს ბრალდების საფუძვლიანობა, მაგრამ თუ სასამართლო გამოძიების დროს მივა იმ დასკვნამდე, რომ განსასჯელის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისი მტკიცებულება არ არსებობს, ბრალმდებელი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე, თუმცა ამ საფუძვლით საქმის შეწყვეტა არ შეიძლება. სასამართლოს, ასეთ შემთხვევაში, გამოაქვს განაჩენი. სახელმწიფო ბრალმდებელს უფლება აქვს გაასაჩივრებინოს სასამართლოს განჩინება და განაჩენი ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

ბრალდება – სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი, რომ დაზარალებული წარმოადგენს ბრალდების მხარეს. კერძო ბრალდების საქმეებზე ის გამოდის კერძო ბრალმდებლის სახით. ამ უკანასკნელს წარმოადგენს პირი, რომელმაც სასამართლოში შეიტანა კერძო ბრალდება სისხლის სამართლის საქმეზე და ამ ბრალდებას იცავს სასამართლოში. კერძო ბრალმდებელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ დევნაში. მას შეუძლია მონაწილეობა არ მიიღოს ამაში, მოცემული უფლებამოსილებას გაახორციელებს რა თავის კანონიერ წარმომადგენელს (მშობლებს, შვილად ამყვანებს, მეურვეებს ან მზრუნველებს არასრულწლოვანი დაზარალებულის შემთხვევაში) ან წარმომადგენელს (იმ ორგანიზაციის ან დაწესებულების წარმომადგენელს, რომლის მზრუნველობის ქვეშაცაა არასრულწლოვანი დაზარალებული). უნდა აღინიშნოს სასამართლო სხდომაზე პროკურორის როლი, რომელიც გამოდის სახელმწიფო ბრალმდებლის სახით, ახორციელებს რა სასამართლოში სისხლისსამართლებრივ დევნას. პროკურორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს განცხადებით ან საქმეში ჩაერთოს პროცესის ნებისმიერ სტადიაში, თუ ამას მოითხოვს მოქალაქეების უფლებებისა და საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს კანონით დაცული ინტერესების დაცვა.

ბრალდებული – სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილე. ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ ან საბრალდებო აქტი.

შესაბამისი დადგენილების ან აქტის გამოტანა არის იურიდიული აქტი, რომელსაც მოსდევს სამართალდამოკიდებულების წარმოქმნა ახალი სუბიექტის – ბრალდებულის მონაწილეობით. მას გააჩნია უფლებების კომპლექსი, რაც მას საშუალებას აძლევს გამოხატოს და დაიცვას საკუთარი ინტერესები სისხლის სამართლის პროცესში. მას ასევე გააჩნია ვალდებულებებიც. ამასთან, ვალდებულებები ბრალდებულთან მიმართებაში გააჩნია სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებსაც, რომლებმაც კანონით უნდა უზრუნველყონ ბრალდებულის შესაძლებლობა მოახდინონ მისი უფლებების რეალიზაცია და საჭიროებისას დახმარება გაუწიონ ამაში.

ბრალდებულს, რომლის სასამართლო საქმეზეც ინიშნება სასამართლო განხილვა ეწოდება განსასჯელი.

ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ეწოდება მსჯავრდებული. ბრალდებულს ეწოდება გამართლებული, თუ მის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი.

ბრალდებულს უფლება აქვს: ა) იცოდეს, რაში ედება მას ბრალი; ბ) მიიღოს მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის, მის მიმართ აღძრული ღონისძიების გამოყენების შესახებ დადგენილებათა, საბრალდებო დასკვნის ან საბრალდებო აქტის ასლები; გ) გამოთქვას ბრალდების საპირისპირო აზრი, მისცეს ჩვენებები მისთვის წაყენებულ ბრალდებაზე ან უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. ბრალდებულის თანხმობისას მისცეს ჩვენები, ის გაფრთხილებული უნდა იყოს იმის თაობაზე, რომ მისი ჩვენები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სახით, მათ შორის მაშინაც, თუ ის შემდგომ უარს განაცხადებს ამ ჩვენებებზე; დ) წარმოადგინოს მტკიცებულებები; ე) მისცეს ჩვენები და განმარტებები შობილიარ ან იმ ენაზე, რომელსაც ის ფლობს; ვ) ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით უფასოდ; ზ) ისარგებლოს დამცველის დახმარებით, მათ შორის, უფასოდაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში; თ) ჰქონდეს პაემანი დამცველთან პირდაპირ და კონფიდენციალურად; ი) გამომძიებლის ნებართვით მონაწილეობა მიიღოს მისი დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით წარმოებულ საგამოძიებო მოქმედებებში, გაეცნოს ამ მოქმედებების ოქმებს და გააკეთოს მათზე შენიშვნები; კ) გაეცნოს დადგენილებას სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, დაუსვას კითხვები ექსპერტს და გაეცნოს მის დასკვნას; ლ) წინასწარ გამოძიების დასრულების შემდეგ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალას და ამოიწეროს იქიდან ნებისმიერი ცნობა და ნებისმიერი მოცულობით; მ) გადაიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, მათ შორის, ტექნიკური საშუალებების მეშვეობით; ნ) შეიტანოს საჩივრები მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მოქმედებებსა (უმოქმედობასა) და გადაწყვეტილებებზე და მონაწილეობა მიიღოს მათ სასამართლოს მიერ განხილვაში; ო) გამოთქვას აზრი სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის წინააღმდეგ; პ) მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის სასამართლო განხილვაში პირველი, მეორე და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოებში, ასევე სასამართლოს მიერ მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შესახებ საკითხის განხილვაში; ჟ) გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გააკეთოს შენიშვნები; რ) გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი, დადგენილება, განჩინება და მიიღოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ასლები; ს) მიიღოს სისხლის სამართლის საქმეზე შეტანილი საჩივრებისა და წარდგინებების ასლები; ტ) მონაწილეობა მიიღოს განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში; უ) თავი დაიცვას სხვა საშუალებებითა და ხერხებით, რომლებიც აკრძალული არაა სისხლის სამართლის კოდექსით.

ბრალდებულის უფლებები – მუხლი 76 (ამონარიდი)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №2 – სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი

თავი №11 – ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი

1. ბრალდებულს უფლება აქვს ყველა კანონიერი საშუალებითა და მეთოდით დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან, ჰქონდეს საკმარო დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დაცვისათვის.

2. ბრალდებულს აქვს ეჭვმიტანილის ყველა საპროცესო უფლება (სსსკ 73-ე მუხლი). ბრალდების წაყენებისას ბრალდებულს გადაეცემა მის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ ენაზე თარგმნილი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების ასლი. ბრალდებულს უფლება აქვს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე გაეცნოს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას და საკუთარი ხარჯით გადაიღოს საქმის მასალის ასლები (გარდა იმ მასალისა, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან);

ბრალდებულის ჩვენებები – მტკიცებულება დაცვის მხრიდან. დაცვის ერთი მხარე ვალდებული არაა დაამტკიცოს ბრალდებულის უდანაშაულობა. ამიტომ ბრალდებულს უფლება აქვს, როგორც მისცეს ჩვენებები, ასევე უარი თქვას ჩვენებების მიცემაზე. ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ ან საბრალდებო აქტი.

ბრალდებულის ჩვენებებს გააჩნია ორმაგი საპროცესო ბუნება (ერთის მხრივ, ესაა ცნობები ფაქტების, გარემოებების შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ – თავიანთი ინტერესების დაცვის ხერხი), ამიტომ ფაქტური მონაცემების გარდა, ის ასევე შეიძლება შეიცავდეს აზრებს, ვარაუდებს. რამდენადაც ბრალდებულის ჩვენებები გამომდინარეობს საქმის დასრულებით დაინტერესებული არსისგან, მათმა სიმართლემ შეიძლება გამოიწვიოს ეჭვი. სანდოობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მათი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასების შედეგად. ბრალდებული პასუხს არ აგებს ჩვენების მიცემაზე ან არმიცემაზე. ჩვენების მიცემა უფლებაა და არა ვალდებულება.

ბრალდებულის ჩვენება, რომელიც ადასტურებს მის მიმართ წაყენებული ბრალდების სისწორეს, არის აღიარება. ის შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. ბრალდებულის ჩვენებებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა პირებთან მიმართებაშიც. ასეთი ჩვენებები ყოველთვის მიმართულია სხვა პირის ბრალდებაზე, ამასთან ბრალდება მცდარია წინასწარვე. სხვა შემთხვევებში ისინი უნდა მივიჩნიოთ ბრალდებულის ჩვენებებად სხვა პირებთან მიმართებაში.

ბრალი სამართალში, პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და ამით გამოწვეული მავნე შედეგისადმი, ანუ ადამიანის უნარი იხელმძღვანელოს სამართლებრივი ან ზნეობრივი ნორმების მოთხოვნით და აირჩიოს ესა თუ ის ქცევა. ბრალის ძირითადი ფსიქიკური ნიშნებია, ჩადენილი ქმედების გაცნობიერების შესაძლებლობა, ნებისყოფის წარმართვის უნარი, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამ

ნიშანთა თანაფარდობა, ბრალის ორ ფორმას (განზრახვა და გაუფრთხილებლობა) შორის.

სამართალში ბრალი იურიდიული პასუხისმგებლობის სუბიექტური საფუძველია. ბრალის ფორმასა და ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ბრალში ელინდება დამნაშავის განწყობა სოციალური ღირებულებებისადმი და მთლიანად ჩვენი კულტურისადმი, აქედან გამომდინარე, ბრალის არსებობა ამართლებს მის გაკიცხვას და დასჯას, როგორც სამართლებრივი, ისე ზნეობრივი თვალსაზრისით.

ბრალის პრინციპი მოქმედებს სამოქალაქო სამართალშიც. მატერიალური პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან სხვა გზით მიყენებული ზიანისათვის პირს მხოლოდ მაშინ შეიძლება დაეკისროს, თუ იგი მოქმედებდა ბრალეულად განზრახ ან გაუფრთხილებლობით. სამოქალაქო სამართალში გვხვდება პასუხისმგებლობა ბრალის გარეშეც, როცა ზიანი მიყენებულია ავტომანქანით, რომელიც მომტეხებული საფრთხის წყაროდ ითვლება და ამ დროს ზიანის მიმყენებელი ვალდებულია შემთხვევით (არაბრალეულად) გამოწვეული ქონებრივი ზიანი ანაზღაუროს. სამოქალაქო სამართალში ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა ჩვეულებრივ არაა დამოკიდებული ბრალის ფორმასა და ხარისხზე. პასუხისმგებლობა განისაზღვრება მიყენებული ზიანის ოდენობის შესაბამისად.

საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურზე პასუხისმგებლობა არ უკავშირდება ბრალს, საკმარისი იყო ზიანის მიყენების ფაქტი. ბრალის პრინციპის დანერგვა სხვადასხვა ხალხში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა. იგი დამოკიდებული იყო სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ წესწყობილებაზე, რელიგიურ, სამართლებრივ და ზნეობრივ შეხედულებაზე. ძველ ქართულ სამართალში სიტყვა „ბრალი" დანაშაულის ნიშნით იხმარებოდა. გამოხატავდა დამნაშაულის სულიერ განწყობილებას და პასუხისმგებლობის დაღვენისას ყურადღება ექცეოდა დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. სუბიექტური ნიშნები იყო დანაშაულებრივი ქმედების კლასიფიკაციის ერთ-ერთი საფუძველი. ექვთიმე მთაწმინდელი განასხვავებდა „ნებსით" და „უნებლიედ" ჩადენილ დანაშაულს. ქართული საკანონმდებლო ძეგლებიდან დანაშაულის სუბიექტური ნიშნები კარგად არის გამოკვეთილი ეახტანგ VI-ის სამართალში. ამ დროს მოსამართლეს უნდა გამოერკვია, როგორ მოხდა დანაშაული „ნებით... თუ უნდომლად", „განზრახვით" და „ფათერაკად", განსხვავებული იყო „შეულღით სიკუდილი" და „მტერობის სიკუდილი". სხვა ქართულ სამართლის ძეგლებში გვხვდება ასევე პასუხისმგებლობა მცდელობისათვის, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ სუბიექტურ მომენტს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მცდელობის პასუხისმგებლობა განზრახვის გარეშე შეუძლებელია.

ბრალი (დანაშაული) – სისხლის სამართლში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და შედეგებისადმი, დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ძირითადი ნიშანი. ბრალის შინაარსი წარმოადგენს პირის ცნობიერებაში ფაქტიური ნიშნების ასახვას, რომლებიც ახასიათებენ ობიექტსა და ქმედების ობიექტურ მხარეს. ბრალის არსი ხსნის მის სოციალურ ბუნებას, რაც ვლინდება სუბიექტის მიერ იმ დაცული საზოგადოებრივი ფასეულობების უარყოფით შეფასებაში, რომელთაც მიადგათ ზიანი. ბრალი – ორელემენტიანი კატეგორიაა, მის შემადგენლობაში უნდა გამოიყოს ინტელექტუალური და ნებელობითი მომენტები. ინტელექტუალური მომენტი მოიცავს პირის მიერ საზოგადოებრივად საშიში სახის ჩადენილი ქმედების გაცნობიერებას ე.ი. საკუთარი ქცევის, გარემოებების ფაქტიურ მხარეს, რომელთა დროსაც მოხდა მისი ჩადენა, მათ სოციალურ არსსა და მნიშვნელობას.

ნებელობითი მომენტი დაიყვანება ფსიქოლოგიური გამოვლინებების დახასიათებამდე, რომლებიც გამოდიან ადამიანის ქცევის კონკრეტულ კალაპოტში მიმართველის როლში და არეგულირებენ გადაწყვეტილების არჩევას: ჩაიდინოს ესა თუ ის ქმედება თუ თავი შეიკავოს ამისგან. ნებელობითი ელემენტი ვლინდება მოქმედების გაცნობიერებულ მიმართვაში დასახული მიზნების მიღწევაზე, გაუფრთხილებლობაში, პირის მიერ გამოვლენილ ქცევაში, რაც წინ უსწრებს მაუნე შედეგების დადგომას.

ცდილებები ცნობიერებისა და ნებელობის თანაფარდობაში წარმოქმნის ბრალის ფორმებს, რაც შეიძლება იყოს განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. მხოლოდ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება ითვლება დანაშაულად იმ შემთხვევაში, როცა ეს გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის შესაბამისი მუხლით.

ბრალი სამოქალაქო სამართალში პირის ფსიქიკური დამოკიდებულება საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქცევის მიმართ, რომელშიც ვლინდება საზოგადოებისა თუ ცალკეული პირების ინტერესთა უგულებელყოფა. ბრალი წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტურ პირობას. პირი, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან შეასრულა ის, არასათანადოდ პასუხს აგებს ბრალის არსებობისას (განზრახ თუ გაუფრთხილებლობის დროს) იმ შემთხვევების გარდა, როცა კანონითა თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის სხვა საფუძვლები. სამოქალაქო კანონმდებლობაში მოქმედებს სამართალდამრღვევის უდანაშაულობის პრეზუმფცია, კერძოდ კი: პირი, რომელმაც დაარღვია ვალდებულება, ითვლება უდანაშაულოდ იმ დრომდე, სანამ მას არ დაუმტკიცდება თავის დანაშაული, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. პირი ითვლება დამნაშავედ, თუ ზრუნვისა და წინდახედულობის იმ ხარისხს შორის, რაც მისგან იყო საჭირო ვალდებულების სახისა და ბრუნვის პირობების მიხედვით, მან მიიღო ყველა ზომა ვალდებულების სათანადო შესრულებისთვის. სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით ბრალი შეიძლება გამოვიდეს განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. თავის მხრივ, გაუფრთხილებლობა შეიძლება გამოვლინდეს უბრალო ან უხეში გაუფრთხილებლობის ფორმით. ბრალს განზრახვის ფორმით ადგილი აქვს მაშინ, როცა პირის ქცევიდან ჩანს, რომ ის გაცნობიერებულადაა მიმართული სამართალდარღვევაზე. ბრალი გაუფრთხილებლობის ფორმებისათვის ხასიათდება იმით, რომ ადამიანის ქცევა ცნობიერადაა მიმართული სამართალდარღვევაზე, მაგრამ ამავე დროს, მის ქცევაში არაა სათანადო ყურადღება და წინდახედულობა. პირის ქცევაში უხეში გაუფრთხილებლობისას არაა არანაირი

ყურადღება და წინდახედულება. უბრალო გაუფრთხილებლობა ხასიათდება იმით, რომ პირი აკლებს გარკვეულ წინდახედულობასა და ყურადღებას, თუმცა იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს სამართალდარღვევა. კანონით ან ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში ბრალს შეუძლია გაკვლების მოხდენა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომაზე.

ბრეჰონთა კანონები კელტური ჩეეულებითი სამართალი შედგენილია ირლანდიაში V-X სს-ში. სახელი ეწოდა ძველი ირლანდიელი მოსამართლეების — ბრეჰონების მიხედვით. ამ კანონთა მნიშვნელოვანი ნაწილია „სენხუს მორი" — ძველ კანონთა დიდი წიგნი, რომელიც მისიონერებს ჩაუწერიათ 432-441. იგი მოიცავს ძველი ირლანდიური სამოქალაქო და საოჯახო სამართლის, აგრეთვე სამართალწარმოების თითქმის ყველა მხარეს; ასახავს თემურ—გვაროვნულ ურთიერთობათა დაშლის, ფეოდალიზაციის დაწყებისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესს. მოქმედებდა 1605 წლამდე და შეიცავდა ინგლისური კანონმდებლობით.

ბროკერი — შუამავალი გარიგებათა დადების დროს, რომელიც მოქმედებს კლიენტების დავალებით და იღებს მათგან ანაზღაურებას.

ბროკერი – 1) შუამავალი. ბროკერის მოქმედებები ხელს უწყობს მხარეებს შორის ხელშეკრულების დადებას, თუმცა იურიდიულად მხარეებს არ ავალდებულებს ამას. ბროკერი ეძებს პოტენციურ პარტნიორებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს თითოეულ მათგანთან გარიგების შესახებ, ამასთან, ნებას გარიგების თაობაზე გამოხატავენ თავად მისი მომავალი მონაწილეები; 2) ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილე, რომელიც დასაქმებულია ფასიანი ქაღალდების გარიგების განხორციელებით რწმუნებულის ან კომისიონერის სახით (დავალების ხელშეკრულების ან კომისიის საფუძველზე), ასევე ასეთი გარიგების განხორციელებაზე რწმუნების საფუძველზე, რწმუნებულის ან კომისიონერის უფლებამოსილებაზე მითითების არარსებობისას ხელშეკრულებაში.

ბრძანება მმართველობის აქტი, რომელსაც გამოსცემს მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი (მინისტრი, სამმართველოს უფროსი, განყოფილების გამგე, დირექტორი და სხვა). გამოიცემა მოქმედი კანონების, ბრძანებულებების, დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. იურიდიული მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება იყოს ნორმატიული და ინდივიდუალური, მაგ., პირის თანამდებობაზე დანიშვნა და ა.შ. ბრძანებას უნდა აწერდეს ხელს უწყების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე. მისი გაუქმება შეუძლია მმართველობის ზემდგომ ორგანოს.

ბრძანებად იწოდება აგრეთვე სამხედრო მეთაურის წერილობითი ან სიტყვიერი განკარგულება ხელქვეითთა მიმართ, რომელიც მათთვის კანონად ითვლება.

ს.ს. ორბელიანის ლექსიკონით ბრძანება არის „თქმა უალრესის მიერ" უმცროსისადმი. ქართულ სიგელთმოძღვრობაში ბრძანებას ეწოდება ხელქვეითი მოხელისა და დაწესებულებებისადმი განკარგულების შემცველ საბუთს. მოხელეთა ბრძანებათაგან გასარჩევად მეფის განკარგულებას ეწოდება „სამეფო ბრძანება". ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა VII- VIII სს-ში „ბატონის წიგნში".

ბრძანება — კანონქვემდებარე ნორმატიული ან ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ და ახორციელებს შესაბამისი ხელმძღვანელების უფლებამოსილებების რეალიზაციას.

ხშირად ბრძანებით მტკიცდება ისეთი ნორმატიული აქტები, როგორიცაა დებულებები, წესები, ინსტრუქციები და ა.შ. ბრძანება შეიძლება გამოცემულ იქნეს ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება გასაჩივრებულ ორგანოს კომპეტენციას. ის შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების ზემდგომ ორგანოში და მის მიერ გაუქმებულ, შეჩვენებულ იქნეს სასამართლოს წესით. ბრძანება შეიძლება გაპროტესტებულ იქნეს პროკურორის მიერ ზოგადი ზედამხედველობის წესით იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტი ეწინააღმდეგება კანონს ან კანონზე დაფუძნებულ სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს.

ბრძანება (დოკუმენტის ნიმუში) — ბრძანება წარმოადგენს დოკუმენტს ერთიანი ხელმძღვანელობისა, რომელიც წარმართავს დაწესებულების ან საწარმოს მუშაობას. შინაარსის მიხედვით ბრძანებები იყოფა ორ ჯგუფად: ბრძანებები პირადი შემადგენლობის მიმართ და ბრძანებები საერთო საკითხებზე.

პირადი შემადგენლობის მიმართ გაცემული ბრძანება ეხება სამუშაოზე დანიშვნას, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანას, მოხსნას, მიელინებებს, შვებულებებს, მადლობებს, საყვედურებს და ა.შ.

ბრძანებები საერთო საკითხების შესახებ ასახავენ ხელმძღვანელის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება საწარმოს შრომის ორგანიზაციას, წარმოების პროცესს, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ეკონომიკის რეჟიმს, საკუთრების დაცვასა და გაფრთხილებას, შრომის დისციპლინის ამაღლებას და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ბრძანების ტექსტის შეცვლა ან შეცდომით გაცემული ბრძანების მოხსნა, უნდა გაიცეს ახალი ბრძანება.

ბრძანების მთავარი ნაწილებია:

1. სათაური.

2. იმ თანამდებობის პირის დასახელება, რომელიც ბრძანებას გასცემს (ან იმ დაწესებულებისა და საწარმოს სრული სახელწოდება, რომელსაც ეხება ბრძანება).

3. ბრძანების გაცემის ადგილი.

4. ბრძანების ხელმოწერის თარიღი.

5. ბრძანების ნომერი.

6. ბრძანების მოკლე შინაარსი (რა საკითხს ეხება).

7. ბრძანების ტექსტი პარაგრაფებში.

8. ბრძანების საფუძველი.

9. დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელის ხელმოწერა.

ბრძანებაში საერთო საკითხებზე ბრძანების შინაარსი ოდნავ განსხვავებულად უნდა იქნეს მოცემული: პირველი (კონსტატაციური) ნაწილი უნდა ეხებოდეს იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც წარმოადგენენ ბრძანების საფუძველსა და მიზეზს.

მეორე ნაწილში, რომელიც დაიწყება სიტყვით

ებრძანებ, კატეგორიულ ფორმაში, პარაგრაფების მიხედვით უნდა იყოს მოცემული ბრძანების ტექსტი, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს დანესებულების ან ცალკეული მუშაკის მიერ.

ბრძანების ან განკარგულების შესრულება – გარემოება, რომელიც დანაშაულის ჩამდენ პირს ანთავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონით დაცული ინტერესებისთვის ზიანის მიყენებაზე გააჩნია პირს, რომელმაც გასცა უკანონო ბრძანება ან განკარგულება. პირი, რომელმაც ჩაიდინა განზრახ დანაშაული წინასწარეე უკანონო ბრძანების ან განკარგულების შესრულებაზე, პასუხს აგებს ზოგად საფუძვლებზე. წინასწარეე უკანონო ბრძანების ან განკარგულების შეუსრულებლობა გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ბრძანებულება სახელმწიფო მეთაურის (მონარქის, პრეზიდენტის და სხვა) მიერ გამოცემული აქტი. შინაარსის მიხედვით ბრძანებულება შეიძლება იყოს ნორმატიული და არანორმატიული, ინდივიდუალური, მაგ., პირის ორდენით დაჯილდოების შესახებ. ასევე მმართველობის უმაღლესი ორგანოს კომპეტენციაში შემავალი საკითხის თაობაზე გამოცემული ბრძანებულება.

ბულა [საბ.ლათ. bulla ბეჭედი < ლათ. bulla ლითონის ბურთულა] 1) ძვ. რომში ბურთულისა და დისკოს ფორმის ამულეტი, რომელსაც კისერზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ ბავშვები სრულწლოვანების მიღწევამდე; 2) მრგვალი ლითონის ბეჭედი, რომელიც ჩვეულებრივ დაესმებოდა პაპის, იმპერატორის და სამეფო აქტს, სიგელს, დაგენილებას ან განკარგულებას შუა საუკუნეებში; 3) თვით ასეთი აქტი, რომელიც ბეჭდითაა დამოწმებული; თანამედროვე ბ – რომის პაპის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტია.

ბუნაგის ორგანიზება ან შენახვა ნარკოტიკული საშუალებების (ფსიქოტროპული ნივთიერებების) გამოყენებისთვის შესაბამისი შენობის ფუნქციონირების შექმნისა და უზრუნველყოფის საქმიანობა (შენობის შეძენა, გამოყოფა, დაქირავება, მისი რემონტის დაფინანსება, მისი მრავალჯერ და მრავალი პირის მიერ გამოყენება, ნარკოტიკული საშუალებებით ან ფსიქოტროპული ნივთიერებებით უზრუნველყოფა და ა.შ.) ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარებისთვის ამ შენობის მართვა.

ბუნაგის შენახვა – შენობის ფლობა, რომელიც განკუთვნილია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებისთვის, ამ შენობის მართვა ეკ. ბუნაგის ორგანიზების შემდეგ მის არსებობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების საქმიანობა (მაგალითად, საოჯახო საფასურის გადახდა მის გამოყენებაზე, დასწრების რეგულირება, დაცვა).

ბუნება – ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების არსებობის ბუნებრივი პირობების ერთობლიობა.

ბუნებათსარგებლობა მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა იურიდიულად განპირობებული საქმიანობა ბუნების ობიექტების გამოყენების თაობაზე, რომელიც, როგორც წესი, ხორციელდება შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე. გამოიყოფა ზოგადი და სპეციალური ბუნებათსარგებლობა. კანონმდებლობა გამოყოფს წყლის ობიექტებით სარგებლობას, ცხოველთა სამყაროთი სარგებლობას, ტყეების სარგებლობას, წიაღით სარგებლობას.

ბუნებითი სამართალი სამართლის ერთ-ერთი თეორია, რომლის მიხედვითაც სამართალს განაპირობებს ადამიანის ბუნება. მისი გონება და ის დამოუკიდებელია კონკრეტული სოციალური პირობებისა და სახელმწიფოსაგან. ბუნებითი სამართალი ყოველთვის შეფასებითი კატეგორია იყო საზოგადოებაში მოქმედი სამართლის სისტემის მიმართ. ამ კონცეფციების მიხედვით მოქმედი სამართალი ცხადდებოდა ბუნებითი სამართლისა და ბუნებითი სამართლიანობის შესაბამისად, რომლებიც მოითხოვდნენ სოციალურ გარდაქმნებს და სამართალი ცხადდებოდა ბუნებითი სამართლიდან წარმოშობილად.

ბუნებითი სამართლის იდეები უძველეს ხანაში ჩაისახა. ციცერონის აზრით, სახელმწიფო კანონი, თუ ის ბუნებით სამართალს ეწინააღმდეგებოდა, არ შეიძლებოდა კანონად ჩათვლილიყო. შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი რელიგიური მოძღვრების შეშდგენელ ნაწილს შეადგენდა და მისმა იდეებმა VII- VIII სს-ში გარკვეულწილად დადებითი როლი შეასრულა.

ბუნებითი სამართალი ფეოდალურ საქართველოში „ბუნებითი სჯულის" სახით აისახა, რომელიც რამდენადმე უპირისპირდებოდა „დაწერილი სჯულის" კანონებს. ბუნებითი და დაწერილი სჯული ნახსენებია რუისურბნისის ძეგლისწერაში. ბუნებით სამართალს ვხვდებით აგრეთვე დავით ბატონიშვილისა და იაგორ ჭილაშვილის ნაწერებში. ამ ნაწერების მიხედვით, ბუნების კანონები ქმნიან წესრიგს, რომელშიც უნდა აღსრულდეს ყველა ადამიანური მოქმედება და განცდა და ამ კანონების ერთობლიობას ჰქვია ბუნებითი სამართალი.

ბუნების მსოფლიო ქარტია – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ბუნების დაცვის საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო პრინციპებს: „1. აუცილებელია ბუნების პატივისცემა და არ უნდა იქნეს დარღვეული მისი ძირითადი პროცესები; 2. დედამიწაზე სიცოცხლის გენეტიკურ საფუძველს არ უნდა დაეშავოს საშიშროება; სიცოცხლის თითოეული ფორმის, ველურისა და მოშინაურებულის პოპულაცია უნდა შენარჩუნდეს თუნდაც იმ დონეზე, რომელიც საკმარისია მისი გადარჩენის უზრუნველსაყოფად; ამისათვის საჭირო გარემო უნდა იქნეს დაცული. 3. ბუნების შენარჩუნების ეს პრინციპები გამოიყენება მიწის ზედაპირის ყველა ნაწილის, ხმელეთისა თუ ზღვის მიმართ; განსაკუთრებული დაცვა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი უნიკალურ რაიონებთან – ეკოსისტემათა ყველა სახის ტიპიური წარმომადგენლების, იშვიათი და გადაგვარებადი სახეობების სამყოფელის მიმართ; 4. ადამიანის მიერ გამოყენებული ეკოსისტემები და ორგანიზმები, ასევე ხმელეთის, ზღვისა და ატმოსფეროს რესურსები უნდა იყოს იმგვარად მართული, რომ უზრუნველყოფილ და შენარჩუნებულ იქნეს მათი

ოპტიმალური და მუდმივი მწარმოებლურობა, მაგრამ იმ ეკოსისტემათა თუ სახეობების მთლიანობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რომლებთანაც ისინი თანაარსებობენ. 5. ბუნება დაცულ უნდა იქნეს გაძარცვისგან, ომისა თუ სხვა საომარი მოქმედებების შედეგად". ბუნების მსოფლიო ქარტია მიღებულია 28.10.1982 წელს 37/7 რეზოლუციით – გაერო გა (გენერალური ასამბლეა) 37-ე სესიის 48-ე პლენარულ სხდომაზე.

ბუნების ძეგლები – 1) განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების კატეგორია; 2) უნიკალური, აუნაზღაურებელი, ფასეული ბუნებრივი კომპლექსები ეკოლოგიური, სამეცნიერო, კულტურული და ესთეტიკური მიმართულებით, ასევე ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის ობიექტები. იმ ტერიტორიაზე, სადაც განლაგებულია ბუნების ძეგლები და ასევე მათი დაცვის ზონების საზღვრებში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რასაც მოსდევს ბუნების ძეგლების დაცულობის დარღვევა.

ბუნებრივი გარემო – 1) ადამიანის, ცხოველთა, მცენარეული და სხვა ორგანიზმების ბუნებრივი გარემოცვა; 2) ადამიანის სამყოფელი გარემოს ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი; 3) ბუნებრივი და ბუნებრივ-ანთროპოგენური (მაგალითად, ხელოვნური ხე-ტყის ნარგავები) მოვლენების, პროცესებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანთა ან ადამიანთა საზოგადოების მიმართ გარეგანს, ადამიანის ცხოველქმედების განმსაზღვრელი პირობებისა და ნივთიერებების ბრუნვის მეშვეობით ურთიერთმოქმედს. იხ. ბუნება, გარემო.

ბუნებრივი გარემოს დაცვა – ეკოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა (იხ. ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება), რომელიც მდგომარეობს მისი ისეთი ხარისხის მიღწევასა და დაცვაში, რომლის დროსაც შესაძლებელია: ა) მიწის ეკოსისტემის ჯანსაღი მდგომარეობისა და მთლიანობის შენარჩუნება, დაცვა და აღდგენა; ბ) ბიოლოგიური მრავალფეროვნების უზრუნველყოფა საზოგადოების ინტერესებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ბუნებრივი კომპლექსები – სამეურნეო გამოყენებიდან ამოღებული ტერიტორიები, რომლებიც მოიცავენ მიწას, წიაღს, წყალს, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს (იხ. სახელმწიფო ბუნებრივი ბიოსფერული ნაკრძალები, სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალები).

ბუნებრივი პარკები – 1) განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების კატეგორია; 2) შესაბამისი ბუნების დაცვის რეკრეაციული დანიშნულებები; 3) ტერიტორიები (აკვატორიები), რომლებშიც შედის ბუნებრივი კომპლექსები და ობიექტები, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ეკოლოგიური და ესთეტიკური ფასეულობა და გათვალისწინებულია გამოყენებისთვის ბუნების დაცვის, საგანმანათლებლო და რეკრეაციული მიზნით. ბუნებრივი პარკების ტერიტორიები თავსდება მიწაზე, რომელიც გამოყოფილია მათთვის უკვალო (მუდმივ) სარგებლობაში, ცალკეულ შემთხვევებში – სხვა გამომყენებელთა, ასევე მესაკუთრეთა მიწებზე. ბუნერივ პარკებს ეკისრება შემდეგი ამოცანები: ა) ბუნებრივი გარემოს, ბუნებრივი ლანდშაფტის შენარჩუნება; ბ) პირობების შექმნა დასვენებისთვის (მათ შორის, მასიური დასვენებისთვის) და რეკრეაციული რესურსების შენარჩუნება; გ) ბუნების დაცვის ეფექტური მეთოდების შემუშავება და დანერგვა და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება ბუნებრივი პარკების ტერიტორიების რეკრეაციული გამოყენების პირობებში. ბუნებრივი პარკების ტერიტორიაზე აკრძალულია ისეთი საქმიანობა, რასაც მოსდევს ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი ლანდშაფტის ცვლილება, ბუნებრივი პარკების ეკოლოგიური, ესთეტიკური და რეკრეაციული თვისებების შემცირება ან განადგურება, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა შემადგენლობის რეჟიმის დარღვევა.

ბუნებრივი რადიაციული ფონი – გამოსხივების დოზა, რომელიც იქმნება კოსმოსური და ბუნებრივი რადიონუკლეიდების გამოსხივებით, რაც ბუნებრივადაა განაწილებული მიწაში, წყალში, პაერში, ბიოსფეროს სხვა ელემენტებში, კვების პროდუქტებსა და ადამიანის ორგანიზმში.

ბუნებრივი რესურსები – 1) მიწაში, მიწაზე, წიაღში, წყალში და სხვა ბუნებრივ ობიექტებზე არსებული ცოცხალი და არაცოცხალი რესურსები. გამოიყოფა მიწის, წყლის, ტყის, წიაღის (მინერალური), მცენარეული, ცხოველთა სამყაროს, ბუნებრივი სამკურნალო, ლანდშაფტის რესურსების და სხვ.; 2) ბუნების (ბუნებრივი ობიექტების) კომპონენტები (ელემენტები, ნაწილები), რომლებიც გამოიყენება ან განკუთვნილია ადამიანისა და საზოგადოების მიერ გამოყენებისთვის, თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის; 3) გამოყენებული და/ან სამეურნეო და სხვაგვარი გამოყენებისთვის გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსები, მიწების, წყლების, ტყეების, ცხოველთა სამყაროსა და სხვა ბუნებრივი ობიექტების მონაკვეთები.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა – იხ. ბუნებით სარგებლობა.

ბუნებრივი რესურსების გამოყენება – ბუნებრივი ობიექტებისგან სხვადასხვა ხერხით სარგებლის მიღება, საზოგადოებისა და ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებლად; კანონმდებლობაში არის ტერმინების განსაზღვრა: წყლის ობიექტების გამოყენება, ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენება, ნარჩენების გამოყენება (იხ. ასევე ბუნებით სარგებლობა).

ბუნებრივი რესურსების კადასტრები – იხ. სახელმწიფო ბუნებრივი რესურსების კადასტრები.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება – ეკოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მდგომარეობს, ერთის მხრივ, ბუნებრივი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების ისეთი ხარისხის შენარჩუნებაში და მეორეს მხრივ, წარმოებისა და მოხმარების ისეთი ეროვნული მოდელებისა და ისეთი საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის მიღწევაში, რომელთა დროსაც ბუნებრივი რესურსების დამუშავება უზრუნველყოფს საზოგადოების მყარ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. იხ.

ასევე ადამიანისა და სხვა ობიექტების (საზოგადოების, სახელმწიფოს) ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვა, ბუნებით სარგებლობა.

ბუნებრივი რესურსის კანონმდებლობა – 1) ნორმატიული სამართლებრივი აქტების მასივი, რომლებშიც შედის სამართლის ნორმები და რომლებიც არეგულირებენ ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. 2) გვარობითი ტერმინი კანონმდებლობის დარგების აღნიშვნისათვის, რომელთა რეგულირების საგანს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის საზოგადოებრივი ურთიერთობები (იხ. მიწის კანონმდებლობა, წყლის კანონმდებლობა, კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს შესახებ, ატყეო კანონმდებლობა, კანონმდებლობა წიაღის შესახებ).

ბუნებრივი რესურსების სამართალი – 1) სამეცნიერო სპეციალობა, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერ-მუშაკების სპეციალობების ნომენკლატურით, რომელშიც შედის „ბუნებრივი რესურსის სამართალი; აგრარული სამართალი; ეკოლოგიური სამართალი"; 2) სასწავლო დისციპლინა, რომელიც ისწავლება უმაღლეს იურიდიულ სასწავლო დაწესებულებებში; 3) გვარეობითი ტერმინი სამართლის დარგების აღსანიშნავად, რომელთა რეგულირების საგანსაც წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის საზოგადოებრივი ურთიერთობები (ატმოსფერულ-საჰაერო სამართალი, მიწის სამართალი, წყლის სამართალი, სამთო სამართალი, ატყეო სამართალი, ფაუნის სამართალი).

ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კადასტრები – იხ. წყლის სახელმწიფო კადასტრი, სახელმწიფო მიწის კადასტრი, სასარგებლო წიაღისეულების საბადოებისა და გამოვლინებების სახელმწიფო კადასტრი, განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახელმწიფო კადასტრი, ტყის სახელმწიფო კადასტრი, ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრი.

ბუნებრივი რესურსების ფონდები – იხ. წყლის ფონდი, წიაღის სახელმწიფო ფონდი, მიწის ფონდი, ბუნებრივი ნაკრძალის ფონდი, ცხოველთა სამყაროს ობიექტების ფონდი.

ბუნებრივი სამკურნალო რესურსები – 1) ბუნებრივი რესურსები, რომლებიც გამოიყენება დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის და დასვენების ორგანიზებისთვის; 2) კანონმდებლობაში განისაზღვრება, როგორც მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო კლიმატი, სხვა ბუნებრივი ობიექტები და პირობები, რომლებიც გამოიყენება დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის და დასვენების ორგანიზებისთვის; ბუნებრივი ობიექტების სამკურნალო თვისებები დგინდება სამეცნიერო კვლევების, მრავალწლიანი პრაქტიკის საფუძველზე და მტკიცდება შესაბამისი ორგანოს მიერ.

ბუნებრივი სამკურნალო რესურსების შემუშავებისა და გამოყენების ტექნოლოგიური სქემა – საპროექტო დოკუმენტი, რომელიც ადგენს ბუნებრივი სამკურნალო რესურსების მოპოვებისა და გამოყენების ტექნიკურ მეთოდებსა და მიცულობას, დანაკარგების ნორმები და აღნიშნული რესურსების სამკურნალო თვისებების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ხერხები ექსპლუატაციის დროს.

ბუნებრივ-ნაკრძალის ფონდი – 1) ბუნებრივი რესურსების ფონდთა სახე (იხ. წყლის ფონდი, წიაღის სახელმწიფო ფონდი, მიწის ფონდი, ტყის ფონდი, ცხოველთა სამყაროს ობიექტების ფონდი); 2) განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების კატეგორიებისა და ობიექტების ერთობლიობა, რომლებიც შედიან ან ექვემდებარებიან შესვლას განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახელმწიფო კადასტრში.

ბუნებრივ-სამართლებრივი თეორია – სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის თეორიაში იწოდება შეთანხმების თეორიად ანუ სახელმწიფოსა და სამართლის შეთანხმებითი წარმოშობის თეორიად. ბუნებრივ-სამართლებრივი თეორია სახელმწიფოს განხილავს, როგორც ნებაყოფლობით საფუძველზე ადამიანების გაერთიანებას. ცალკეული დებულებები ვითარდებოდა ჩ.წ. აღ-მდე V-IV სს. ძველი საბერძნეთის სოფისტების მიერ. „აქ შეკრებილ ხალხო! – მიმართავდა თანამოსაუბრეებს ერთ-ერთი მათგანი – ჰიპიუსი (ჩ.წ.აღ-მდე 460-400) ამბობს– მე ვფიქრობ, რომ თქვენ ყველა აქ ნათესავები, მოყვრები და თანამოქალაქენი ხართ – ბუნებით და არა კანონით: ბუნებით მსგავსი მსგავსს ენათესავება, კანონი კი, ბატონობს რა ადამიანებზე, გვაიძულებს ბევრი რამისკენ, რაც ბუნებით საპირისპიროა". ადამიანის აზრის განვითარებასთან ერთად მოხდა მოცემული თეორიის სრულყოფაც. XVII-XVIII სს-ში ის აქტიურად გამოიყენებოდა ბატონყმობასთან და ფეოდალურ მონარქიასთან ბრძოლაში. ამ პერიოდში იდეები მხარდაჭერილი და განვითარებული იყო მრავალი მოაზროვნისა და განმანათლებლის მიერ. ჰოლანდიაში ესაა გ. გროცი და ბ. სპინოზა, ინგლისში – თ. ჰობსი და ჯ. ლოკი, საფრანგეთში – ჟ.ჟ. რუსო, პ. გოლბახი, რუსეთში – ა. რადიშჩევი და სხვ.

შეთანხმებითი თეორიის მომხრეები, უპირველეს ყოვლისა, გამოდიოდნენ სახელმწიფოსა და სამართლის ღვთიური წარმოშობის იდეის წინააღმდეგ. მათ წარმოდგენაში მონარქის ძალაუფლება მოდის არა ღვთიური განგებიდან, არამედ თავად ადამიანებისგან. მოცემული თეზისი ყველაზე მკაფიოდ და ქმედითად იყო განეითარებული პ. გოლბახის (1723-1789) მიერ ნაშრომში „წმინდა სენი. ქრისტიანობის მხილება". ატარებდნენ რა მკვეთრი კრიტიკის ქვეშ ხელისუფლების, სახელმწიფოსა და სამართლის ღვთიური წარმოშობის იდეას, რაც იწვევდა დამღუპველ სოციალურ შედეგებს, გოლბახი და მასთან ერთად ბუნებრივ-სამართლებრივი თეორიის სხვა მომხრეები აპელირებდნენ ღვთის ნების ნაცვლად ხალხის, ნაციების, ადამიანის ნებაზე.

საკუთარ თვალში თაეიანთ უფლებებში ესოდენ დამცირებულ ნაციებს, ამბობდა ამასთან დაკავშირებით გოლბახი, რომ შეეძლოთ გონების მოხმობა, ისინი რასაკვირველია ნახავდნენ, რომ მხოლოდ მათ ნებას შეეძლოს ვინმესთვის უმაღლესი ხელისუფლების

მიეცემა. „ისინი ნახავდნენ, რომ ის მიწიერი ღმერთები, რომელთა წინაშეც ისინი მუხლს იყრიან, უბრალო ადამიანები არიან, რომელთაც ხალხებმა ჩააბარეს მათი ბედნიერებამდე მიყვანა, ამასთან ეს ადამიანები იქცნენ ბანდიტებად, მტრებად და უზურპატორებად, ბოროტად გამოიყენეს ძალაუფლება იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც მათ გადასცა ძალაუფლება".

ბუნებრივ-სამართლებრივ თეორიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი შეთანხმების პრობლემებს. საკითხები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საზოგადებრივი შეთანხმება, როგორი უნდა იყოს მისი შინაარსი და დანიშნულება, ისევე როგორც მრავალი მათი ანალოგიური საკითხები აისახა ჟ. ჟ. რუსოს (1712-1778) რიგ ტრაქტატში, განსაკუთრებით კი მის ცნობილ შრომაში „საზოგადოებრივი შეთანხმების შესახებ". რუსოს აზრით, ძირითადი ამოცანა, რომელიც უნდა გადაწყვიტოს საზოგადოებრივმა შეთანხმებამ მდგომარეობს იმაში, რომ ნაპოვნი იქნეს ასოციაციის ისეთი ფორმა, რომელიც იცავს და მთელი საერთო ძალით შეიმოქმედებს ასოციაციის თითოეული წევრის პიროვნებასა და ქონებას, რომლის წყალობითაც თითოეული უერთდება რა ყველას, ეშორჩილება მხოლოდ საკუთარ თავს და რჩება ისეთივე თავისუფალი, როგორც უწინ.

სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი შეთანხმების პროდუქტის, ხალხის გონიერული ნების წარმოშობის, უფრო ზუსტად კი, როგორც ადამიანური ყოფითი წესების და ქცევის დაფუძნების ან გამოგონების განხილვისას რუსო ამოდიოდა იქიდან, რომ თითოეული ადამიანი საერთო მონაპოვარში გადასცემს და საერთო ნების უმაღლესი ხელმძღვანელობის ქვეშ აყენებს თავის პიროვნებას და ძალებს. ეს კოლექტიური მთელი, რუსოს აზრით, არის სხვა პრაფერი, თუ არა იურიდიული პირი. ადრე მას ეწოდებოდა „სამოქალაქო თემი". მოგვიანებით, „რესპუბლიკა ან პოლიტიკური ორგანიზმი". ამ პოლიტიკური ორგანიზმის წევრები მას უწოდებენ „სახელმწიფოს, როცა ის პასიურია, სუვერენს, როცა ის აქტიურია, ზესახელმწიფოს – მისი სხვა მის მსგავსებთან შედარებისას".

რუსოს აზრით, სახელმწიფო „პირობითი პიროვნებაა, რომლის სიცოცხლეც მდგომარეობს მისი წევრების კავშირში. მის მთავარ საზრუნავს თვითშენარჩუნებასთან ერთად წარმოადგენს ზრუნვა საერთო კეთილდღეობის, მთელი საზოგადოებისა და ხალხის კეთილდღეობის შესახებ. ამასთან, უდიდეს როლს თამაშობენ გამოცემული კანონები, სამართალი. რუსო აყენებს ეს ანტითარებს ხალხის პირდაპირი მართვის იდეას. რამეთუ, საზოგადოებრივი შეთანხმების თანახმად, მხოლოდ საერთო ნებას შეუძლია სახელმწიფოს ძალების მართვა საერთო კეთილდღეობის მიღწევის მიზნის შესაბამისად. ხალხმა, – მსჯელობდა მოაზროვნე, – არ შეიძლება საკუთარ თავს ჩამოაშოროს გაუსხვისებელი უფლება, გამოსცეს კანონები, თუნდაც ამის სურვილი ჰქონოდა მას. კანონები ყოველთვის საერთო ნების აქტებია და არავინ, თუნდაც ხელმწიფეც კი არ შეიძლება იყოს მათზე მაღლა. კანონებს წარმოადგენს მხოლოდ იხეთი აქტები, რომლებიც უშუალოდ მიიღება ან მტკიცდება თავად ხალხის მიერ, რეფერენდუმის ჩატარების გზით.

კანონების მიღების განსაკუთრებულ უფლებასთან ერთად ხალხს გააჩნია გაუსხვისებელი უფლება წინააღმდეგობა გაუწიოს ტირანებს. „მეფეებს ყოველთვის სურთ იყვნენ შეუზღუდავები" – წერდა ამის თაობაზე რუსო. თუმცა კი მათ ყოველთვის უმტკიცებდნენ, რომ საუკეთესო საშუალებაა გახდე და მიაღწიო ასეთი ხალხის ქვეშევრდომთა სიყვარულის მოპოვება, თუმცა ეს წესი სასახლეში ყოველთვის იწვევდა და გამოწვევს მხოლოდ დაცინვას. ქვეშევრდომთა სიყვარულიდან წარმოქმნილი ძალაუფლებაა უეჭველად ყველაზე მეტი. თუმცა, ის მყარი არაა და პირობითია. ამიტომ „ამით არასდროს კმაყოფილდებიან ხელმწიფეები". ნებისმიერი მბრძანებლის პირადი ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ ხალხი იყოს სუსტი, ღარიბი და წინააღმდეგობის გაწევის უნარის არმქონე. რასაკვირველია, შენიშნავს პიაზროვნე, თუ ვივარაუდებთ, რომ ქვეშევრდომები ყოველთვის დარჩებიან სრულიად მორჩილნი, ხელმწიფე დაინტერესებული იქნებოდა იმით, რომ ხალხი იყოს ძლიერი, რადა ეს სიძლიერე არის რა მისი საკუთარი, ხელმწიფეს გახდიდა მრისხანეს მეზობლებისთვის. რამდენადაც ხალხის ინტერესს გააჩნია მხოლოდ მეორეხარისხოვანი და დაქვემდებარებული მნიშვნელობა და რამდენადაც ორივე წინადადება შეუთავსებელია, ბუნებრივია, რომ ხელმწიფეები უპირატესობას ანიჭებენ იმ წესების დაცვას, რომლებიც მათთვის ყველაზე ხელსაყრელია.

სახელმწიფოსა და სამართლის ბუნებრივ-სამართლებრივი თეორიიდან წარმოშობის მომხრეები თანამიმდევრულად იცავდნენ თეზისს იმის შესახებ, რომ ხალხს გააჩნია ბუნებრივი გაუსხვისებელი უფლება არა მხოლოდ შექმნას სახელმწიფო საზოგადოებრივი შეთანხმების საფუძველზე, არამედ წინააღმდეგობა გაუწიოო ტირანებს, და ასე დაიცვას ის.

ბუქსირით წაყვანის ხელშეკრულება

ბუქსირით წაყვანის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ერთი მხარე (ბუქსირით წამყვანი) ვალდებულია დადგენილ საფასურად მოახდინოს ტიეის, ხომალდის ან სხვა მცურავი ობიექტის ბუქსირით წაყვანა გარკვეულ პუნქტამდე ან გარკვეული დროის მანძილზე ან გარკვეული მანეურის შესასრულებლად, ხოლო მეორე მხარე (საბუქსირო ობიექტის მფლობელი) – ანაზღაუროს განპირობებული გასამრჯელო.

ბუქსირით წაყვანის ხელშეკრულება წარმოადგენს სატრანსპორტო ვალდებულებების ნაირსახეობას. ეს ხელშეკრულება ორმხრივი, ანაზღაურებადი, რეალური ან კონსენსუალურია. საზღვაო ბუქსირზიდის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, საზღვაო საპორტო ბუქსირზიდის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმით. ამასთან, შეთანხმება ბუქსირზიდის მართვის ვალდებულებების მობუქსირე ხომალდის კაპიტანზე დაკისრების შესახებ უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ამ ხელშეკრულებით თითოეული მხარე ვალდებულია დროულად მოიყვანოს თავისი ხომალდი ან სხვა მცურავი ობიექტი მდგომარეობაში, რომელიც გამოსადეგია ბუქსირზიდვისთვის. ბუქსირზიდვა უნდა განხორციელდეს ოსტატობით, რასაც მოითხოვს ვალდებულებები შეფერხებისა და შესვენების გარეშე, საჭირო შემთხვევების გარდა. ხომალდი ან სხვა მცურავი ობიექტი, რომლებიც იმყოფებიან სხვა ხომალდის ან სხვა მცურავი ობიექტის კაპიტნის მართვის ქვეშ უნდა ზრუნავდეს საბუქსირო ქარავნის უსაფრთხო ნაოსნობა-

ზე. საზღვარ ბუქსირზიდვის ბუქსირებადი ხომალდის ან სხვა მცურავი ობიექტის ან მათზე მყოფი ადამიანებისა თუ ტვირთისთვის მიყენებული ზარალზე პასუხისმგებლობა ეკისრება საბუქსირო ხომალდის მფლობელს, თუ ის არ დაამტკიცებს, რომ ზარალი მიყენებული არაა მისი მიზეზით.

ბუღალტერია (გერმ. Buch – წიგნი, halten – დაჭერა).

1. საბუღალტრო აღრიცხვის განხორციელება. საბუღალტრო აღრიცხვა წარმოადგენს ორგანიზაციის ქონების, ვალდებულებების და მათი მოძრაობის შესახებ ფულადი ფორმით გამოხატული ინფორმაციის შეგროვების, რეგისტრირების და განზოგადების მწყობრ სისტემას, რაც ხორციელდება ყველა სამეურნეო ოპერაციის უწყვეტი და დოკუმენტალური აღრიცხვის გზით. საბუღალტრო აღრიცხვის საგანს წარმოადგენენ ორგანიზაციის სამეურნეო სახსრები გამოხატული ფულადი ფორმით, მათი წყაროები და სამეურნეო პროცესები. საბუღალტრო აღრიცხვა ახორციელებს სამეურნეო საქმიანობის ანალიზის, მართვის და კონტროლის ფუნქციებს. მისი ელემენტებია: დოკუმენტაცია – წერილობითი მოწმობები სამეურნეო ოპერაციის დასრულების შესახებ; ინვენტარიზაცია – მატერიალურ ფასეულობათა (ძირითადი სახსრები, ფულადი თანხები, სპარუნაი საშუალებები) არსებობის დამადასტურებელი შემოწმება, რაც იძლევა მათი ფაქტიური მდგომარეობის დადგენის და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის უწყისებთან შედარების საშუალებას; კალკულაცია (გეგმიური და ფაქტიური); საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშები; ორმაგი ჩანაწერი; ბალანსი; ამ ელემენტთაგან თითოეულის გამოყენება რეგლამენტირებულია კანონმდებლობით.

2. საწარმოთა და ორგანიზაციათა სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ახორციელებს საბუღალტრო აღრიცხვას.

ბჭე ძველ ქართულ სამართალში – სადავო საქმის გამრჩევი, მოსამართლე. ბჭეებს ჩვეულებრივ მოდავე მხარეები ირჩევდნენ. ისინი შეიძლებოდა მეფეს ან ადგილობრივ მოხელესაც დაენიშნა. ბჭეთა რაოდენობა მოდავეების სურვილზე იყო დამოკიდებული. ისინი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ბჭეებს ან ცალ-ცალკე დასახელებდნენ, ანდა ერთობლიად ამორჩევდნენ. ბჭეები უმთავრესად სამოქალაქო საქმეებს არჩევდნენ, მათში კი მძიმე სისხლის საქმეებსაც და საქმის გარჩევისას ისინი ჩვეულებითი სამართლით ხელმძღვანელობდნენ. სასამართლო პროცესი საჯაროდ მიმდინარეობდა, გადაწყვეტილებათა უმრავლესობა წერილობით არ ფორმდებოდა რაკი ბჭეები მოდაედთა სურვილით იყვნენ არჩეული, მათი გადაწყვეტილება მხარეებს უყოყმანოდ უნდა აღესრულებინათ. სადავო საქმის ამ წესით გარჩევას ზოგჯერ „ყახულობით სამართალს" უწოდებდნენ; გადაწყვეტილება ჩვეულებრივ საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. VII-VIII სს-ში ტრმინები „მსაჯული", „ბჭე" და „მოსამართლე" ერთნაირი შინაარსით იხმარებოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ვინ არჩევდა საქმეს – მოდავეთა ამორჩეული პირი თუ მოხელე-მოსამართლე. VIII ს-დან კი ქართლ-კახეთში „ბჭე", მხოლოდ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მხარეთა მიერ ამორჩეული მოსამართლის აღმნიშვნელი ტერმინია. ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით, იმერეთის სამეფოში „ბჭე" ეწოდებოდა საქმის გამრჩევ ყოველ პირს, მხარეთა სურვილით ამორჩეულს თუ მოსამართლეობის ფუნქციის მქონე სპეციალურ მოხელეს და თვით მეფესაც კი. ბჭეების ინსტიტუტი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სადაც ისინი მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებსაც განიხილავდნენ.

გ

გაანგარიშებითი ტყესაკაფი – ხეტყის დამუშავების ნებადართული მოცულობის ერთეული მთავარი სარგებლობის ჭრისას. ხე-ტყის დამზადება მთავარი სარგებლობის ჭრისას, გაანგარიშებითი ტყესაკაფის მეტი ოდენობით არის დაუშვებელი. გაანგარიშებითი ტყესაკაფის განსაზღვრა ხდება ტყეთა ჯგუფების ფარგლებში ტყის ფონდის რაციონალური, უწყვეტი და არაგამოლევადი სარგებლობის პრინციპებიდან გამომდინარე. გაანგარიშებითი ტყე საკაფი მტკიცდება სატყეო მეურნეობის მართვის ორგანოს მიერ.

გაგზავნის განწესი – მიწოდების ხელშეკრულებაში მიმწოდებლისთვის საჭიროებული მყიდველის წერილობითი განკარგულება საქონლის გაგზავნის შესახებ გარკვეული მიმღებებისთვის. გაგზავნის განწესის შინაარსი და მისი მიმწოდებლის მიერ მყიდველისთვის გაგზავნის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებით. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არაა გაგზავნის განწესის ვადა, ის უნდა გაეგზავნოს მიმწოდებელს კანონის საერთაშორისო გამოცდილებით არაუგვიანეს 30 დღისა (იმ ქვეყნის ან ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესის მიხედვით) მიწოდების პერიოდის დადგომამდე. მყიდველის მიერ გაგზავნის განწესის დადგენილ ვადაში მიმწოდებლისთვის მიუწოდებლობა მიმწოდებელს აძლევს უფლებას უარი თქვას მიწოდების ხელშეკრულების შესრულებაზე ან მყიდველისგან მოითხოვოს საჭიროების ანაზღაურება. გარდა ამისა, მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაგზავნის განწესის მიუწოდებლობასთან დაკავშირებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

გადაზიდვა ადგილობრივი მიმოსვლით – ერთი სატრანსპორტო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული გადაზიდვა მისი საქმიანობის ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში. სატრანსპორტო ორგანიზაციების რაოდენობის მიხედვით, ადგილობრივის გარდა გამოიყოფა გადაზიდვა პირდაპირი მიმოსვლით და პირდაპირი შერეული მიმოსვლით. იხ. ასევე ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება.

გადაზიდვა პირდაპირი მიმოსვლით – გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება ერთი სახის ტრანსპორტის სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტით (მაგ-

ალითად, სხვადასხვა რკინიგზით. იხ. ასევე ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება, პირდაპირი შერეული მიმოსვლა).

გადაზიდვების ვალდებულებათა ორგანიზება – ვალდებულებები, რომლებიც მოწოდებული არიან მოახდინონ ტრანსპორტის მუშაობის რაციონალიზაცია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რკინიგზაზე, სადაც კონკურენცია შეზღუდულია და შესაძლებელია გადატვირთვა და ხარეზები. გადაზიდვების ვალდებულებათა ორგანიზების განვითარების ტენდენცია მდგომარეობს ადმინისტრაციული მეთოდების სამოქალაქო-სამართლებრივ შეცვლაში. გამოიყოფა გადაზიდვების ვალდებულებათა ორგანიზების შემდეგი ფორმები: 1) საორგანიზაციო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელს განეკუთვნება: ა) გრძელვადიანი ხელშეკრულებები რკინიგზაზე გადაზიდვების ორგანიზების შესახებ; ბ) წლიური ხელშეკრულებები საავტომობილო ტრანსპორტზე; გ) სანავიგაციო ხელშეკრულებები შიდა წყლის ტრანსპორტზე; 2) რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვების დაგეგმვის სისტემა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან: ა) ტვირთის გამგზავნი აკეთებს რკინიგზის სამმართველოში განაცხადს ტვირთის გადაზიდვაზე გადაზიდვების დაწყებამდე არანაკლებ ათი დღით ადრე (საერთაშორისო პრაქტიკა); ბ) რკინიგზის სამმართველომ უნდა განიხილოს განცხადება სამი დღის განმავლობაში პირდაპირი კავშირით გადაზიდვისას, ხოლო შერეული მიმოსვლის გზით ტვირთის გადაზიდვისას კი ათი დღის მანძილზე (საერთაშორისო პრაქტიკა); გ) გამგზავნი სადგურის უფროსი გამგზავნთან ერთად აზუსტებს საჭირო ვაგონების რაოდენობას ტვირთის სახის, დღეებისა და რკინიგზის გათვალისწინებით. მონაცემების შეტანა ხდება სააღრიცხვო ბარათში, რომელსაც ხელს აწერს სადგურის უფროსი და ტვირთის გამგზავნი. გადაზიდვების ვალდებულებათა ორგანიზება სრულდება ერთი მხარის მიერ სატრანსპორტო საშუალების, ხოლო მეორე მხარის მიერ ტვირთის წარმოდგენით ე.ი. ტვირთის გადაზიდვა სცდება მოცემული ვალდებულების ჩარჩოებს.

სატრანსპორტო ორგანიზაციის ვალდებულებებს წარმოადგენს (რკინიგზის მაგალითზე): ა) შეტყობინება დასატვირთად ვაგონების მიწოდების დროს შესახებ; ბ) სატრანსპორტო საშუალებების მიწოდება დადგენილი რაოდენობით; გ) სატრანსპორტო საშუალებების მიწოდება დადგენილი წესით; დ) სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ვარგისიანობის უზრუნველყოფა ე.ი. გამართული, სუფთა ვაგონების მიწოდება; ე) ვაგონების გამოსაყენებლის განსაზღვრა კომერციული თვალსაზრისით (გამოსაყენებლ კონკრეტული ტვირთების გადასაზიდად).

ტვირთის გამგზავნის ვალდებულებებს (რკინიგზის მაგალითზე) განეკუთვნება: ა) ტვირთის გადასაზიდად მომზადება (მოთხოვნები ტარასა და საფუთაოს მიმართ გათვალისწინებულია სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით); ბ) გადასაზიდი ტვირთის უსაფრთხოების განცხადება და მოსაკრებლის გადახდა განცხადებულ უსაფრთხოებაზე; გ) ვაგონების კომერციული გამოსაყენებლობის განსაზღვრა, თუ დატვირთვას ახორციელებს ტვირთის გამგზავნი, ხოლო კონტეინერებთან მიმართებაში – ყველა შემთხვევაში.

გადამზიდავის პასუხისმგებლობა ჯარიმის გადახდის სახით დგება მიღებული განცხადების შეუსრულებლობისას, გამგზავნის პასუხისმგებლობა კი ტვირთის მიუწოდებლობის ან აჯარიული სიტუაციის შექმნის შემთხვევაში. გადამზიდავი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან შემდეგი საფუძვლებით (რკინიგზის მაგალითზე): ა) დაუძლეველი ძალა, საომარი მოქმედებები; ბ) ტვირთების დატვირთვის შეწყვეტა ან შეზღუდვა სახელმწიფო ორგანოების მითითებით; გ) ტვირთის გამგზავნის მიერ შესაბამისი გადასახადების გადაუხდელობა; დ) ტვირთის გამგზავნის მიერ ვაგონების შეფერხება მათ დატვირთვასთან, ჩამოტვირთვასთან, დასუფთავებასა და გარეცხვასთან დაკავშირებით. გამგზავნი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან შემდეგი საფუძვლებით (რკინიგზის მაგალითზე): ა) დაუძლეველი ძალა, საომარი მოქმედებები; ბ) ტვირთის დატვირთვის შეწყვეტა ან შეზღუდვა სახელმწიფო ორგანოების მითითებით; გ) ტვირთის გამგზავნის ავარია, რომლის შედეგადაც შეწყდა მისი ძირითადი საწარმოო საქმიანობის განხორციელება; დ) განცხადებულზე მეტი ვაგონების გამოუყენებლობა ტვირთის გამგზავნის წინასწარი თანხმობის გარეშე.

გადაზიდვის ხელშეკრულება ხელშეკრულება, რომლის მიხედვით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის ფასად გადაიტანოს ტვირთი და გადაიყვანოს მეზაერი დანიშნულებისამებრ, სათანადო პირობების დაცვით. გადამზიდავი და გადამყვანი არასათანადო პირობების შექმნისათვის პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი არასათანადო პირობების წარმოქმნა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, ანდა თვით მგზავრის მიერ და პირადად ის მიაყენებს საკუთარ თავს ზიანს. ამასთანავე, არ შეიძლება შეიზღუდოს ან გამორიცხოს გადამზიდავის პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით. გამგზავნი პასუხს აგებს იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რაც დადგა კანონით დადგენილი რეკვიზიტებისა და მონაცემების არასწორად ან არასრულყოფილად წარდგენისათვის (სკ, მუხლი 668, 669, 675).

გადაწყვეტა სამოქალაქო სამართალში სამეწარმეო რისკის დაზღვევის ხელშეკრულების ნაირსახეობა, რაც გულისხმობს ერთი მზღვეველის (გადამზღვეველის) მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით დამზღვევის წინაშე ყველა ვალდებულების ან ვალდებულებათა ნაწილის შესრულების რისკის სხვა მზღვეველთან დაზღვევას. მზღვეველი, რომელმაც გადამზღვეველთან დადო ხელშეკრულება გადაზღვევის შესახებ რჩება პასუხისმგებელი დამზღვევის წინაშე სრული მოცულობით დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად.

გადაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს გადამზღვეველის ვალდებულებას გადასცეს რისკის განპირობებული წილი სხვა კონკრეტულ მზღვეველს (გადამზღვეველს) და შესაბამისად ამ უკანასკნელის ვალდებულებადაც მიიღოს ის (ე.წ. ობლიგატორული გადაზღვევა).

გადანდობა – მინდობილობითი ვალდებულებების გადაცემა პირის მიერ, რომელზეც გაცემულია მინდობილობა სხვა პირისთვის. გადანდობა დაშვებულია, თუ ეს პირდაპირ ნებადართულია მინდობილობით ან თუ პირი, რომელზეც გაცემულია მინდობილობა

იძულებულია განახორციელოს ეს მინდობილობის გადამცემი პირის ინტერესების დასაცავად. გადანდობის წესით გაცემული მინდობილობის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს მინდობილობის მოქმედების ვადას, რომლის საფუძველზეც ისაა გაცემული. უფლებამოსილების სხვა პირისთვის გადამცემმა პირმა ამის შესახებ უნდა აცნობოს პირს, რომელმაც გადასცა მას მინდობილობა და შეატყობინოს მას ცნობები პირის შესახებ, რომელზეც გადაცემულია უფლებამოსილებები. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გადამცემს აკისრებს პასუხისმგებლობას იმ პირის ქმედებებზე, რომელსაც მან გადასცა უფლებამოსილებები. გადანდობის წესით გაცემული მინდობილობა უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული ხელფასის მიღების და შრომის ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვა გადასახადების, აუტორებისა და გამოგონებათა ანაზღაურების, პენსიების, შემწეობებისა და სტიპენდიების, ბანკებში მოქალაქეთა ანაბრების და კორესპონდენციის მიღების მინდობილობის გარდა. მათი დამოწმება შეუძლიათ ორგანიზაციას, რომელშიც მუშაობს ან სწავლობს მრწმუნებელი, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და სტაციონარული-სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, რომელშიც ის იმყოფება სამკურნალოდ.

გადასაყვანი თამასუქის აქცეპტი

– თამასუქიდან გადახდის ვალდებულება. აქცეპტისთვის თამასუქის წარმოდგენა არ წარმოადგენს სავალდებულო პირობას და შეიძლება განხორციელებულ იქნეს ნებისმიერ დროს, მისი გაცემის დღიდან გადახდის ვადის მომენტის ჩათვლით. აქცეპტისთვის თამასუქის წარმოდგენა და მისი აქცეპტირება შეიძლება გადახდის ვადის შემდეგაც და ტრასატი მას პასუხობს ისე, როგორც ის წარმოდგენილი ყოფილიყოს ვადამდე. აქცეპტისთვის თამასუქის წარმოდგენა ხდება ბანკების მიერ გადამხდელის მისამართზე, როგორც წესი, რომელიც ემთხვევა საცხოვრებელ ადგილს. ტრასატს უფლება აქვს მოსთხოვოს მას თამასუქის ხელმეორედ წარმოდგენა პირველი წარმოდგენიდან ერთი დღის შემდეგ. თუ ამ ვადის შემდეგ არ ხდება მიღება, თამასუქი ითვლება შეუფასებლად. ტრასატს არ გააჩნია უფლება მოითხოვოს თავისთან თამასუქის დატოვება აქცეპტისთვის. გადასაყვანი თამასუქის აქცეპტი აღინიშნება თამასუქის პირის მხარის მარცხენა ნაწილში და გამოიხატება სიტყვებით „აქცეპტირებულია, მიღებულია, გადავიხდი“ და ა.შ. გადამხდელის ხელმოწერის საკალდებულო დატოვებით. თამასუქის პირის მხარეზე უბრალო ხელმოწერა ასევე ნიშნავს თამასუქის მიღებას. აქცეპტში დაუშვებელია მითითება ან განსაკუთრებული პირობები.

აქცეპტის თარიღის დასმა აუცილებელია, თუ თამასუქი ექვემდებარება გადაღების გარკვეულ ვადებში წარმოდგენიდან ან თუ თამასუქი უნდა იყოს წარმოდგენილი გარკვეულ ვადებში განსაკუთრებული პირობის ბაღალი, იმ პირობის არსებობისას, რომ თამასუქის მფლობელი არ მოითხოვს, რომ აქცეპტი იქნეს დათარიღებული წარმოდგენის დღით. იხ. ასევე ფასიანი ქაღალდი, გადასაყვანი თამასუქი, თამასუქის რეკვიზიტები, თამასუქის ინდოსამენტი, თამასუქის ავალი.

გადასაყვანი თამასუქი (ტრატა)

– ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს თამასუქის მფლობელის ბრძანებას გადამხდელისადმი გადაიხადოს გარკვეული თანხა გარკვეულ დროს და გარკვეულ ადგილას მიმღების ან მისი ბრძანების მიხედვით. გადასაყვანი თამასუქის განსხვავება უბრალო თამასუქისგან მდგომარეობს იმაში, რომ ის გათვალისწინებულია ფასეულობების ერთი პირის გამგებლობიდან მეორეს განკარგვაში. გადაცემისთვის. გადასაყვან თამასუქში მონაწილეობს სამი პირი: თამასუქის მფლობელი(ტრასანტი), თამასუქის გამცემი, პირველი შემძენი (ან თამასუქის მფლობელი), რომელიც თამასუქთან ერთად იღებს უფლებას მოითხოვოს მის მიხედვით გადახდა და გადამხდელი (ტრასატი), რომლის მიხედვითაც თამასუქის მფლობელი გეთავაზობს გადახდის განხორციელებას (თამასუქში ეს აღინიშნება სიტყვით „გადაიხადეთ“). ტრასანტის ვალდებულება წარმოადგენს პირობითს, რამდენადაც ის ვალდებულია გადაიხადოს თამასუქის თანხა, თუ გადამხდელი (ტრასატი) არ გადაიხდის მას. ასეთი ვალდებულების ტრასანტის მიერ შესრულების აუცილებლობა ჩნდება იმ შემთხვევაში, როცა ტრასატმა არ მოახდინა აქცეპტირება და არ გადაიხადა თამასუქით ან მოახდინა აქცეპტირება და არ გადაიხადა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ტრასატი უტოლდება უბრალო თამასუქის მფლობელს და მის წინააღმდეგ გამოიხატება პრეტენზია გადაუხდელობის გამო. უბრალო თამასუქის მფლობელმა უნდა წარმოადგინოს ეს უკანასკნელი მისაღებად (აქცეპტისთვის) და გადახდისთვის, რამდენადაც ამ პირობების შეუსრულებლობა შეიძლება განეკუთვნოს მის საკუთარ დანაშაულს. გადასაყვანი თამასუქის მიხედვით ასეთი ტრასატი ხდება მოვალე მხოლოდ გადასაყვანი თამასუქის აქცეპტის მომენტიდან.

გადასახადებისა და მოსაკრებლების ამკრეფი

– პირი, რომელიც ახორციელებს სახსრების მიღებას გადასახადების გადამხდელისგან და მათ რიცხვს ბიუჯეტში. გადასახადებისა და მოსაკრებლების ამკრეფის ფუნქციონებს არა მხოლოდ გადასახადებსა და მოსაკრებლების აკრეფა, არამედ მათ გადახდაზე კონტროლი. ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებს არ შეუძლიათ შეასრულონ გადასახადების ამკრეფთა ფუნქციები. გადასახადებისა და მოსაკრებლების ამკრეფის მთავარი განსხვავება საგადასახადო ურთიერთობების სხვა მონაწილეებისგან მდგომარეობს იმაში, რომ ამკრეფები აწარმოებენ გადასახადების მიღებას ან აკრეფას თანხის თავის ანგარიშზე ან სალაროში გადარიცხვის გზით. საგადასახადო ორგანოები გადასახადებისა და მოსაკრებლების ამკრეფებისგან განსხვავებით არ კრეფენ გადასახადს, არამედ მხოლოდ აკონტროლებენ მათი გადარიცხვის სისწორეს, სისრულეს, გადახდის დროულობას. საგადასახადო აგენტები არ აკონტროლებენ გადასახადის გადამხდელთა მოქმედებების მართლზომიერებას, არამედ თავად ასრულებენ გადასახადების გაანგარიშების, დაკავებისა და გადარიცხვის ვალდებულებებს. ბანკები, როგორც საანგარიშსწორებო სალაროს ცენტრები ასევე არ აკონტროლებენ გადასახადების გადამხდელების მიერ მათი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას, არამედ ასრულებენ გადასახადების გადამხდელთა საგადასახადო და საგადასახადო ორგანოების ინკასოს დავალებებს.

ის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც აკონტროლებენ გადასახადებისა და მოსაკრებლების გაან-

გარიშების სისწორესა და გადახდის სისრულეს, მაგრამ არ გააჩნიათ უფლებამოსილება მიიღონ და აკრიფონ გადასახადები, არ განეკუთვნებიან ასევე ამკრეფებს. მაგალითად, ზოგადი იურისდიქციისა და საარბიტრაჟო სასამართლოები სასარჩელო განცხადებებისა და საჩივრების მიღებისას ამოწმებენ სახელმწიფო ბაჟის. გაანგარიშების სისწორეს და მისი გადახდის სისრულეს. თუმცა, ისინი არ გამოდიან ბაჟის ამკრეფებად, რამდენადაც ის გადამხდელის მიერ უშუალოდ ირიცხება ბიუჯეტში და არა სასამართლო ორგანოს ანგარიშზე.

ზოგიერთ ქვეყანაში დადგენილია, რომ გადასახადის შეგროვებისა და მისი ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება ეკისრება სარეკლამო სააგენტოებს. სააგენტო სთავაზობს რა მომსახურებას, ზრდის ანგარიშს რეკლამაზე გადასახადის ოდენობით. ამ გადასახადის მხრივ სარეკლამო სააგენტოები ასრულებენ გადასახადებისა და მოსაკრებლების ამკრეფის ფუნქციებს.

ზოგიერთი ფისკალური გადასახადი შეიძლება აკრეფილ იქნეს მხოლოდ ამკრეფთა შეშვეობით. ასე, მაგალითად ავტოსატრანსპორტო საშუალების დაყენებაზე მოსაკრებელი გულისხმობს გაჩერების ხანგრძლივობას. დროის აღრიცხვა და გადასახადის აკრეფა შეუძლიათ მხოლოდ ამკრეფებს, რადგანაც საგადასახადო ურთიერთობების სხვა მონაწილეებს არ გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილებები.

გადასახადების სისტემა – ცალკეული გადასახადების ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური ერთიანობა, გადასახადების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ერთიანობა გამოიხატება ცენტრალიზებული წესით გადასახადების სახეებისა და მათი იურიდიული შემადგენლობის ძირითადი ელემენტების დადგენაში. ის განპირობებულია ნებისმიერი გადასახდელთვის საერთო გადასახადით დაბეგვრის კონსტიტუციური პრინციპებით. სისტემურობა საშუალებას იძლევა გადასახადები დაჯგუფდეს სამართლებრივი თვალსაზრისით არსებითი ნიშნების მიხედვით. ცნება „გადასახადების სისტემა" არ უნდა აურიოთ ცნებასთან „საგადასახადო სისტემა", რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოში არსებული გადასახადით დაბეგვრის არსებითი პირობების ერთობლიობას. საგადასახადო სისტემისთვის დამახასიათებელ პირობებს წარმოადგენს: გადასახადით დაბეგვრის პრინციპები, გადასახადების დადგენისა და შეწოლების წესი, გადასახადების სისტემა, საგადასახადო შემოსაელების განაწილების წესი სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის, საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებები, საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები, საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეთა პასუხისმგებლობა, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის ხერხები. ცნება „საგადასახადო სისტემა ახასიათებს მთლიანად საგადასახადო მართწესრიგს, გადასახადების სისტემა მხოლოდ საგადასახადო სისტემის ელემენტია.

მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყოფა გადასახადების სისტემის ოთხი ბაზისური მოდელი, სხვადასხვა სახის გადასახადების როლის მიხედვით. ინგლისურ-საქსონური მოდელი ორიენტირებულია ფიზიკური პირებიდან პირდაპირ გადასახადებზე, ირიბი გადასახადების წილი უმნიშვნელოა. მაგალითად, აშშ-ში მოსახლეობიდან საშემოსაელო გადასახადი აყალიბებს ბიუჯეტის შემოსაელების 44%. მოსახლეობის გადასახადები აღემატება საწარმოებიდან აღებულ გადასახადებს. ეს მოდელი ასევე გამოიყენება ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში და სხვა ქვეყნებში. ევროკონტინენტური მოდელი გამოირჩევა სოციალურ დაზღვევაზე გადარიცხვების მაღალი წილით, ასევე ირიბი გადასახადების მნიშვნელოვანი წილით; შემოსაელები პირდაპირი გადასახადებიდან რამდენიმეჯერ ნაკლებია ირიბი გადასახადებისგან შემოსულ შემოსაელზე. მაგალითად, გერმანიაში სოციალურ დაზღვევაზე შემოსაელების წილი შეადგენს ბიუჯეტის შემოსაელების 45%, ირიბი გადასახადებისგან – 22%, პირდაპირი გადასახადებისგან – სულ 17%. ანალოგიურია სხვა ქვეყნების მაჩვენებლებიც, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ამ მოდელზე – ნიდერლანდები, საფრანგეთი, ავსტრია, ბელგია. ლათინოამერიკული მოდელი გათვალისწინებულია გადასახადების შეგროვებაზე ინფლაციური ეკონომიკის პირობებში. ირიბი გადასახადები ყველაზე ფაქიზად რეაგირებენ ფასების ცვლილებაზე, უკეთ იცავენ ბიუჯეტს ინფლაციისგან, ამიტომ ისინი შეადგენენ გადასახადების სისტემის საფუძველს.. აკრეფისა და კონტროლის მექანიზმის მიხედვით ირიბი გადასახადები უფრო მარტივია, ვიდრე პირდაპირი. ისინი არ მოითხოვენ საგადასახადო სამსახურების განვითარებულ აპარატსა და გაანგარიშების დახვეწილ სისტემას. ამიტომ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ირიბი გადასახადების წილი მაღალია. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში მოსახლეობის შემოსაელები უფრო დაბალია, ვიდრე წარმატებულ ქვეყნებში, რაც ასევე განაპირობებს პირდაპირი გადასახადების უმნიშვნელო დონეს. ირიბი გადასახადების წილი ჩილეს, ბოლივიის, პერუს ბიუჯეტების შემოსაელში შეადგენს შესაბამისად 46, 42 და 49%. შერეული მოდელი გამოიყენება მრაელ ქვეყანაში. სახელმწიფოები ირჩევენ მას იმისთვის, რომ დიეერსიფიცირებული იქნეს შემოსაელების სტრუქტურა, თაეიდან იქნეს აცილებული ბიუჯეტის დამოკიდებულება გადასახადების ცალკეულ სახეებსა თუ ჯგუფებზე.

რუსეთში გამოიყენება გადასახადების სისტემის შერეული მოდელი. მის თაისებურებას წარმოადგენს ორგანიზაციებიდან პირდაპირი გადასახადების წილის არსებითი გადაწონა ფიზიკური პირებიდან პირდაპირი გადასახადების წილზე. პირდაპირი გადასახადების სტრუქტურა დამოკიდებულია საკუთრების და მის შესაბამის განაწილებით ურთიერთობებზე. რამდენადაც სსრკ-ში (საბჭოთა კაეშირი) საკუთრების ძირითადი მასა იყო სახელმწიფოს ხელში, ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი მასა ჩამოყალიბდა ამ საკუთრებიდან მიღებული შემოსაელების ე.ი. სახელმწიფო საწარმოების გადახდების ხარჯზე. მოსახლეობის შემოსაელებზე გადასახადები იყო უმნიშვნელო – 8-9%. ამ მიზეზით სსრკ-ში (საბჭოთა კაეშირი) არ არსებობდა ქონებრივი გადასახადები: თუ თითქმის ყველაფერი, რაც შეიძლება ჩაითაელოს საჭარბედ იყო სახელმწიფოს ხელში, გადასახადით დაბეგვრა კარგაედა აზრს. სოციალური დაზღვევის სფეროს განუეითარებლობით აიხსნებოდა ამ სახის დაზღვევიდან შენატანების მცირე წილი. გადასახადების სისტემის ეკონომიკური ერთიანობა არის მაკროეკონომიკური მასშტაბით დასაბუთებულობის პრინციპის რეალიზაციის უცელელი პირობა. გადასახადების სისტემის შემუშაებისას საჭიროა

გაეითვალისწინოთ გადასახადით დაბეგვრის გავლენა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ გავლენის განზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო სიმძიმე). საგადასახადო ტვირთი გვიჩვენებს, თუ საზოგადოების მიერ წარმოებული პროდუქტის რომელი ნაწილი ნაწილდება საბიუჯეტო მექანიზმების მეშვეობით. საგადასახადო სიმძიმე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მერყეობს 54,2%-დან (შვედეთში) 28,6%-მდე (იაპონიაში). მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ გადასახადის გადამხდელს ახდევინებდნენ შემოსავლების 40-50%-ზე მეტს, გადასახადის სისტემის ეფექტუროობა მცირდება მეწარმეობისადმი სტიმულის შერყევის, საგადასახადო ბაზის შევიწროვების, გადასახადით დაბეგვრისგან თავის არიდების პრაქტიკის გაფართოების გამო. რეალური საგადასახადო ზეწოლა კონკრეტული გადასახადის გადამხდელზე შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს. რეალური საგადასახადო ზეწოლა საწარმოებზე გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

გადასახადის გაანგარიშება

საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდში გადასახდელი თანხის გაანგარიშების პროცედურა და მეთოდი. გადასახადის ოდენობის გაანგარიშების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს გადასახადის გადამხდელს, გადასახადო ორგანოს ან მესამე პირს (საგადასახადო აგენტს). გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის დამოუკიდებელი გაანგარიშების მაგალითს წარმოადგენს საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებაზე გადასახადი. გადასახადის ოდენობა განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის მიერ დამოუკიდებლად საბუღალტრო აღრიცხვისა და საფინანსო ანგარიშგების საფუძველზე. ფიზიკური პირების ქონებაზე გადასახადის ოდენობა იანგარიშება საგადასახადო ორგანოების მიერ. საგადასახადო ორგანოები ვალდებულნი არიან შეაგროვონ და დაამუშავონ გადასახადით დაბეგვრისათვის საჭირო ცნობები, შეადგინონ და კანონით დადგენილ ვადაში მოქალაქეებს წარუდგინონ გადასახადის გადახდის შეტყობინება. გადასახადის გადამხდელის როლი მოცემული გადასახადის გაანგარიშების ხერხის დროს პასიურია, ამიტომ კანონმა უნდა ჩააყენოს ის უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში გადასახადების გადამხდელებთან შედარებით, რომელთა გამოთვლაც ხდება სხვა ხერხებით. მაგალითად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეიძლება გაიზარდოს ბიუჯეტისადმი გადასახადის გადამხდელის მოთხოვნებით და შემცირდეს გადასახადის გადამხდელისადმი ბიუჯეტის მოთხოვნით.

გადასახადის გაანგარიშების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომელიც უნდა გამოვიდეს საგადასახადო აგენტის სახით. მაგალითად, ასეთი ვალდებულება შესაძლოა დაეკისროს სამუშაოს მიმცემებს, რომლებიც ახორციელებენ გადახდებს ფიზიკური პირების მიმართ. საგადასახადო აგენტებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სწორ და დროულ გაანგარიშებაზე, გადასახადის დაკავებასა და ბიუჯეტში გადარიცხვაზე. გადასახადების გადამხდელთა მიერ დამოუკიდებლად გაანგარიშებული გადასახადების გადახდის სამართლებრივი დამოკიდებულებები (ზოგჯერ ასეთ გადასახადებს ეწოდება არასაგანაკვეთო) წნდება იმ პირობების დადგომისას, რომელთაც კანონი უკავშირებს გადასახადის გადახდის ვალდებულებებს: დაბეგვრის ობიექტის არსებობა, დეკლარაციის წარმოდგენისა და გადასახადის გადახდის ვადების დადგომა.

საგადასახადო ორგანოების მიერ გაანგარიშებულ საგანაკვეთო გადასახადებში გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოქმნის პირველ ორ პირობას ემატება მესამე: საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო განაკვეთის ოდენობის დამდგენი დოკუმენტის გამოცემა და ჩაბარება.

საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ასეთი დოკუმენტის გამოცემა წარმოადგენს მხოლოდ საპროცედურო მომენტს და ის არაა საწყისი წერტილი გადასახადის გადამხდელის ვალდებულებების განსაზღვრაში. მხოლოდ სამი პირობის ერთობლიობა წარმოქმნის შესაბამის ვალდებულებას. ამასთან, არაერთგვაროვანია საგადასახადო ვალდებულებების წარმოქმნის აღნიშნული პირობების როლი. გადასახადის გადახდის ვადის დადგომამდე გადასახადით დაბეგვრის ობიექტის არარსებობისას საგადასახადო ორგანოს შეტყობინება არ ექვემდებარება შესრულებას. თუმცა, შეტყობინების არარსებობისას და პირველი ორი პირობის არსებობისას გადასახადის გადამხდელის ვალდებულება გადაიხდოს გადასახადი ნარჩუნდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში. საჯალდებულო არაა სამივე პირობა ერთდროულად წარმოიქმნას.

გადასახადის გაანგარიშების მეთოდები სხვადასხვაგვარია. ყველაზე მარტივი სქემა ითვალისწინებს საგადასახადო ბაზის დაბეგვრის ნაწილების მიხედვით. მაგალითად, საწარმოს თითოეული გადახდა ფიზიკური პირის სასარგებლოდ შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ცალკე, ადრე მიღებული შემოსავლების გათვალისწინების გარეშე. ესაა – გადასახადის გაანგარიშების არასაკუმულაციო მეთოდი. ის არ მოითხოვს გადასახადის გადამხდელის შემოსავლების რთული აღრიცხვის წარმოებას და სუბიექტებისთვის – გადახდების წყაროების მიერ მისთვის მიკუთვნებულ შეღავათებს, მაგრამ ქმნის გადასახადის გადამხდელისთვის მნიშვნელოვან უხერხულობას, რამდენადაც წლის შედეგების მიხედვით ის მოითხოვს შემოსავლების რთულ გადაანგარიშებას, რის შედეგადაც შესაძლოა გაჩნდეს გადასახადის დიდი ოდენობის ბოლომდე გადახდის აუცილებლობა. ეს მეთოდი არ უზრუნველყოფს ბიუჯეტში სახსრების შესვლის სათანადო თანაბარზომიერებას.

ფართო გამოყენება ჰპოვა კუმულაციის – მზარდი შედეგით გადასახადის გაანგარიშების მეთოდმა. ამ მეთოდის ამოცანაა განისაზღვროს წლის კონკრეტული თარიღისთვის მიღებული შემოსავლის ოდენობა, ასევე შეღავათების საერთო ოდენობა, რომლის უფლებაც გააჩნია გადასახადის გადამხდელს ამ ვადისთვის. საწარმოს ბუღალტერია – შემოსავლის თითოეული გადახდის მომენტისთვის გაცემის წყარო – განსაზღვრავს კონკრეტული გადასახადის გადამხდელისთვის გადახდის საერთო ოდენობას წლის დასაწყისიდან. შემოსავლის საერთო ოდენობიდან, შეღავათების ოდენობის გათვალისწინებით, რომლებიც ასევე გაანგარიშებულია მზარდი შედეგით, ხდება გადასახადის გაანგარიშება. გადახდისას გაანგარიშებითი გადასახადის ოდენობას ამცირებენ ადრე ამ შემოსავლიდან დაკავებული გადასახადის ოდენობით. აქედან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელი, რომელიც შემოსავალს იღებს მხოლოდ ერთი

წყაროდან, წლის დასასრულისთვის განთავისუფლებულია შემოსავლის გადაანგარიშებისა და გადასახადის დამატებითი გადახდის ვალდებულებისგან. თუმცა, ეს წესი მოითხოვს სუბიექტის – შემოსავლების გაცემის წყაროს მიერ მუშაკებისა და დაკავებული გადასახადების ზუსტ აღრიცხვას.

გადასახადის გადამხდელები – პირი ან ორგანიზაცია, რომელთაც აკისრიათ იურიდიული ვალდებულება გადაიხადონ გადასახადი საკუთარი სახსრების ხარჯზე; ანუ ესაა გადამხდელების ზოგადი დაყოფა ჯგუფებად – გადასახადის გადამხდელ-ფიზიკურ პირებად და გადასახადის გადამხდელ-ორგანიზაციებად.

გადასახადის გადამხდელ-ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების საერთო წრიდან სხვადასხვა საფუძვლით გამოიყოფა ცალკეული კატეგორიები. ეს გამოყოფა, როგორც წესი, ხორციელდება საგადასახადო შეღავათების შეთავაზების და ასევე გადასახადით დაბეგვრის სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის დადგენის მიზნით. გადასახადის გადამხდელთა კატეგორიების გამოყოფის კრიტერიუმები არაა თვითნებური. მათი შერჩევა ხდება თანაბარი საგადასახადო ტვირთის, გადასახადით დაბეგვრის საყოველთაობის პრინციპის გათვალისწინებით. გადასახადები და მოსაკრებლები არ შეიძლება ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს და დაუშვებელია მათი გამოყენება სოციალური, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური და მსგავსი კრიტერიუმებიდან გამომდინარე. არ შეიძლება გადასახადებისა და მოსაკრებლების დიფერენციალური განაკვეთის, საგადასახადო შეღავათების დადგენა საკუთრების ფორმის, ფიზიკური პირების, მოქალაქეობის ან კაპიტალის წარმოშობის ადგილის მიხედვით.

აღნიშნული ფაქტორები არ შეიძლება ჩაიდოს გადასახადის გადამხდელთა კატეგორიების გამოყოფის საფუძველში. კრიტერიუმებად გამოდგება მხოლოდ ეკონომიკური საფუძვლები, მისი განვითარების პერსპექტივები, ბიზნესის წარმოების თავისებურებები და სხვ. გადასახადის გადამხდელ-ფიზიკურ პირებთან მიმართებაში ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს პირების დაყოფა მეწარმის სტატუსის მქონენებად და პირებად, რომელთაც არ გააჩნიათ ასეთი სტატუსი. კანონმდებლობა ადგენს ამ გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვის, მათ მიერ საქმიანობის შედეგების ანგარიშის წარმოების, საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშსწორების, ანგარიშგების შედგენისა და წარმოდგენის განსხვავებულ წესს. გადასახადის გადამხდელ-ორგანიზაციებს შორის უნდა გამოიყოს ადგილობრივი და უცხოური ორგანიზაციების კატეგორიები. კანონმდებლობა, უცხოური ორგანიზაციების ბიზნესის ინტერნაციონალური ხასიათის, საგადასახადო კონტროლის შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ადგენს მათი მოგებისა და შემოსავლების გაანგარიშების განსაკუთრებულ წესს, გადასახადის ბიუჯეტში გადარიცხვის სპეციფიკურ მეთოდებს და სხვ. გადასახადით დაბეგვრის ფორმებისა და მეთოდების არჩევაზე ასევე გავლენას ახდენს გადასახადის გადამხდელთა საქმიანობის სახეები. იურიდიული პირის საქმიანობის სახეები განსაზღვრავენ ამ პირის მიერ გადახდილი გადასახადების სახეებს. ასე, მაგალითად სათამაშო ბიზნესის საწარმოები იხდიან გადასახადს სათამაშო ბიზნესზე; ნედლეულის დარგების საწარმოები იხდიან მათთვის სპეციფიკურ გადასახადებს წიაღის გამოყენებაზე, მინერალურ-ნედლეულის ბაზის აღდგენაზე, ნახშირორჟანგის ჰაერებისგან დამატებით შემოსავალზე; ექსპორტიორები და იმპორტიორები იხდიან ბაჟსა და მოსაკრებლებს. ცალკეული დარგის საწარმოებმა შეიძლება შექმნან გადასახადის გადამხდელთა დამოუკიდებელი კატეგორია იმ შემთხვევებში, როცა არსებობს საფუძველი ვისაუბროთ გადასახადით დაბეგვრის მეთოდებისა და ფორმების არსებითი განსხვავებების შესახებ. მაგალითად, ნედლეულის დარგის საწარმოებში შემოსავლების მნიშვნელოვანი წილის მიღება ხდება სარენტო გადასახადების სახით, რომლებიც ითვალისწინებენ მეურნეობის ობიექტურ ფაქტორებს და დამოკიდებულები არ არიან თავად გადასახადის გადამხდელზე: უფრო მდიდარი სამადნო, მოსაპოვებელი ობიექტის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და ა.შ.

კანონებით დადგენილი გადასახადის გადამხდელთა უფლებების მიზანია უფლებებისა და ინტერესების ბალანსის შენარჩუნება საგადასახადო ორგანოებთან მათ ურთიერთდამოკიდებულებაში. ძირითადი უფლებები და ვალდებულებები საერთოა ყველა გადასახადის გადამხდელისთვის, მათი ჯგუფების, კატეგორიების მიუხედავად და ა.შ. კონკრეტული გადასახადების შესახებ კანონმდებლობით ხდება ამ უფლებებისა და ვალდებულებების კონკრეტიზაცია, ხოლო მათი შინაარსი ზუსტდება გადასახადის გადამხდელთა ცალკეულ ჯგუფებთან და კატეგორიებთან მიმართებაში.

გადასახადის გადახდა – ბიუჯეტში ან არასაბიუჯეტო ფონდში გადასახადის თანხის გადარიცხვის პროცედურა. არსებობს გადასახადის გადახდის სამი ძირითადი ხერხი: ა) დეკლარაციის მიხედვით; ბ) შემოსავლის წყაროსგან; გ) საკადასტრო ხერხი.

დეკლარაციის მიხედვით გადასახადის გადახდა გულისხმობს, რომ გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დადგენილ ვადაში, საგადასახადო ორგანოში წარადგინოს ოფიციალური განცხადება თავისი საგადასახადო ვალდებულებების შესახებ. დეკლარაციაში მითითებულია ცნობები მიღებული შემოსავლებისა და წარმოებული ხარჯების, შემოსავლების წყაროების, საგადასახადო შეღავათებისა და გადასახადის გაანგარიშებული ოდენობის შესახებ, ასევე გადასახადის გაანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები. დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო ორგანო ანგარიშობს გადასახადს და გადასახადის გადამხდელს გადასცემს ცნობას გადასახადის გადახდის შესახებ. ასეთ როლს ასრულებს დეკლარაცია, მაგალითად, ფიზიკური პირებიდან საშემოსავლო გადასახადის გადახდისას. თუმცა, დეკლარაციის წარმოდგენა უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს საანგარიშგებო მოქმედებას, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ დაფიქსირებულ იქნეს გადამხდელის მიერ დამოუკიდებლად გაანგარიშებული გადახდის ოდენობით. შემდგომში, საგადასახადო შემოწმებების ჩატარებისას მოცემული დეკლარაციები შედარებული ხდება საკონტროლო ციფრებთან. ამ მონაცემების განსხვავება წარმოადგენს საფუძველს ზედმეტად გადახდილი თანხის დასაბრუნებლად ან დანაკლისის სრულად გადახდისთვის და ა.შ. გადასახადის გადახდის მომენტთან შემოსავლის მიღების მომენტის მიახლოებისთვის დგინდება გადასახადის შუალედური (საავანსო) შენატანების გადახდის ვალდებულება. როგორც წესი,

საავანსო გადახდის ოდენობა იანგარიშება წინამორბედ პერიოდში გადახდილი გადასახადის ოდენობიდან.

საავანსო გადახდების ოდენობა შეიძლება განისაზღვროს გადასახადის გადამხდელის მიერ ნაკარაუდევი გადასახადის ოდენობის საფუძველზე, ანუ იანგარიშება სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირის საშემოსავლო გადასახადის ოდენობა, ხოლო საწარმო-გადამხდელებთან მიმართებაში მოგებაზე გადასახადის ოდენობა: კვარტლის განმავლობაში გადამხდელებს შეაქვთ გადასახადის საავანსო შენატანები მოგების სავარაუდო ოდენობიდან. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ხდება გადასახადის ფაქტიური ოდენობის გაანგარიშება. საავანსო გადახდები ირიცხება ამ თანხის გადახდის ანგარიშზე, ზედმეტად გადახდილი თანხა ბრუნდება უკან, ხოლო დანაკლისი კი ივსება. გადასახადის გადამხდელისთვის ყოველთვის ხელსაყრელია ივარაუდოს ნაკლები შემოსავალი იმასთან შედარებით, ვიდრე მან უნდა მიიღოს სინამდვილეში. ამით ის ინარჩუნებს ფულს ბრუნვაში და იღებს დამატებით შემოსავალს. ინფლაციის პირობებში სარგებელი ასევე ჩნდება იმის შედეგად, რომ უფრო შორეულ ვადებში გადასახადი უკვე გადახდილი ხდება „შემსუბუქებული" ფულით. ამის თაობაზე ასაცილებლად დგინდება გარკვეული წესები: მაგალითად, სხვაობა ბიუჯეტში შესატან თანხასა და გადასახადის საავანსო შენატანებს შორის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მოკლევადიანი კრედიტი, რომელიც მიღებულია გადამხდელის მიერ ბიუჯეტიდან. ამ კრედიტით სარგებლობაზე გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს პროცენტი დადგენილი განაკვეთით. მოგების გადასახადზე საავანსო გადახდების ზედმეტად გადახდის შემთხვევაში თანხა უკან ბრუნდება ან ის შეიძლება იქნეს ინდექსირებული.

გადასახადის გადახდა შემოსავლის წყაროსგან – დეკლარაციის მიხედვით

გადასახადის გადახდისგან განსხვავებით, სადაც გადასახადის გადახდის მომენტს წინ უსწრებს შემოსავლის მიღების მომენტი, გადასახადის გადახდისას შემოსავლის წყაროსგან იცვლება გადასახადის აკრეფის თანამიმდევრობა. გადასახადის გადამხდელი იღებს შემოსავლის ნაწილს იმ გადასახადის გამოქვითვით, რომელიც გათვლილი და დაკავებულია გადახდის მწარმოებელი მეწარმის ან საწარმოს ბუღალტერიის მიერ. გადასახადის გადამხდელისთვის გადასახადის გადახდის ეს ხერხი წარმოდგენილია, როგორც ავტომატური დაქვითვა, უნაღდო ხერხი. ასეთი ხერხით დაქვითულ გადასახადებს ეწოდება ასევე საავანსო გადასახადები, რამდენადაც გადასახადის გადამხდელი ახდენს ავანსირებას და სახელმწიფოსთვის იხდის უფრო ადრე გადასახადს, ვიდრე იღებს შემოსავალს.

გადასახადის გადახდის საკადასტრო ხერხი

– კადასტრი ესაა რეესტრი, რომელიც ადგენს გარკვეული ნიშნებით კლასიფიცირებული ტიპიური ობიექტების (მიწების, შემოსავლების და ა.შ.) ჩამონათვალს და განსაზღვრავს დაბეგვრის ობიექტის საშუალო შემოსავლიანობას. კადასტრის აგების საფუძველში შეიძლება ჩაიდოს შესაბამისი ობიექტის რაიმე მახასიათებელი. მაგალითად, მიწის კადასტრის შექმნისას – მიწის სახე (საძოვრები, ტყეები, სახნავ-სათესები და სხვ.) ასეთ კადასტრს ეწოდება პარცელარული. მეორე ვარიანტი – როცა კლასიფიკაციის საფუძველში დევს რაიმე იურიდიული საფუძველი, მაგალითად, პირის საკუთრება გარკვეულ ქონებაზე. ასეთ კადასტრს ეწოდება რეალური. ასე მაგალითად, რეალური მიწის კადასტრი ასახავს გადასახადის გადამხდელისთვის კუთვნილი მიწის შემოსავლიანობას მთლიანად და არა მისი ცალკეული ნაწილებისას. კადასტრების დაყოფა ასევე ხდება გადასახადით დაბეგვრის ობიექტების მიხედვით. გამოიყოფა მიწის, სარეწი კადასტრი და ა.შ. ქონების ფიზიკური მდგომარეობისა და მისი ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებით ხდება კადასტრის პერიოდული დაზუსტება (აქტუალიზაცია), საკადასტრო ხერხით გადასახადის გადახდის თაvisებურება მდგომარეობს იმაში, რომ რამდენადაც ქონება იბეგრება მისი სავარაუდო შემოსავლიანობის გარეშე ნიშნების საფუძველზე, გადასახადის გადახდის მომენტი არანაირად არ უკავშირდება შემოსავლის მიღების მომენტს. ამიტომ, ასეთი გადასახადების გადახდისთვის დგინდება მათი შეტანის ფიქსირებული ვადები. გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს გარკვეულ ვადებში, რომლებიც დგინდება კანონის მიერ თითოეულ გადასახადთან და მოსაკრებელთან მიმართებაში. გადასახადის გადახდის ვადა შეიძლება განისაზღვროს კალენდარული თარიღით. მაგალითად, ორგანიზაციებმა შეიძლება მოგებაზე გადასახადის გადახდის ვადად განსაზღვრონ თვის არაგვიანეს 20 რიცხვისა (საერთაშორისო გამოცდილებით). ასეთი ხერხით განისაზღვრება რეგულარული გადასახადების გადახდის ვადები. ერთჯერადი გადასახადების გადახდის ვადები განისაზღვრება დროის ამოწურვით მოელენის დღიდან, რომელიც განაპირობებს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. ეს პერიოდი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს წლებით, კვარტლებით, თვეებით, კვირებით, დღეებით.

ეს ხერხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგულარული გადასახადების გადახდის ვადების დასადგენადაც. მაგალითად, დვინის-არაყის მრეწველობის საწარმოები აქციზს იხდიან ალკოჰოლური პროდუქციის რეალიზაციის თარიღიდან არაუგვიანეს სამი დღისა (საერთაშორისო გამოცდილებით). დასასრულს, გადასახადის გადახდა შეიძლება დაკავშირებული იყოს რაიმე მოვლენასთან ან მოქმედებასთან. მაგალითად, სახელმწიფო ბაჟის გადახდა ხდება სასამართლოში სასარჩელო განცხადების შეტანამდე. გადასახადის გადამხდელმა დამოუკიდებლად უნდა გადაიხადოს გადასახადი დროულად, მაგრამ მას აქვს უფლება ვადაზე ადრე შეასრულოს გადასახადის გადახდის ვალდებულება. გადასახადის გადაუხდელობისას ან არასრული გადახდისას დადგენილ ვადებში, შეტანილი თანხა ითვლება ბოლომდე გადაუხდელად, რომელიც ექვემდებარება გადახდას.

გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს გარკვეული წესით. გადასახადის გადახდის წესი

– გადასახადის გადამხდელისა და ფისკალური აგენტის მიერ შესაბამის ბიუჯეტში (ფონდში) გადასახადის ოდენობის შეტანის ტექნიკური ხერხები. გადასახადის იურიდიული შემადგენლობის მოცემული ელემენტი გულისხმობს შემდეგი საკითხების განსაზღვრას: ა) გადასახადის მიმართვა ბიუჯეტში ან არასაბიუჯეტო ფონდში, რომელშიც ხდება გადასახადის გადახდა; ბ) გადასახადის გადახდის საშუ-

ალებები. როგორც წესი, გადასახადის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში; გ) გადახდის მექანიზმი. როგორც წესი, გადახდის მექანიზმის საკითხი წყდება კანონში, რომელიც განსაზღვრავს გადასახადით დაბეგვრის ზოგად პირობებს. თუმცა, ზოგიერთი გადასახადის გადახდისას, მაგალითად, ბაჟის გადახდისას შეიძლება დადგინდეს გადახდის განსაკუთრებული მექანიზმი. გადახდის მექანიზმის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს აქციზური მოსაკრებლის მარკების შეძენა. ზოგიერთ ქვეყანაში წიაღით სარგებლობის უფლებაზე გადახდა შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ ფულადი, არამედ ნატურალური ფორმით. გადახდად შეიძლება ჩაითვალოს მოპოვებული მინერალური ნედლეულის მოცულობა. გარდა ამისა, გადასახადი შეიძლება შეტანილ იქნეს სახელმწიფოსთვის გარკვეული წილის გამოყოფით შექმნილი სამთო საწარმოს საწესდებო ფონდში; დ) გადასახადის გადახდაზე კონტროლის თავისებურებები. თუმცა კი, საგადასახადო კონტროლის საკითხები საგადასახადო სამსახურის შესახებ სპეციალური კანონების საგანია, მაგრამ რიგ შემთხვევებში კონტროლის სპეციფიკური საკითხები შეიძლება განხილულ იქნეს კონკრეტული გადასახადების შესახებ კანონებში. მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია, ხელახლა რეგისტრაცია ან ტექნიკური დათვალიერება კვიტანციის ანუ სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთაგან გადასახადის გადახდის შესახებ საგადასახადო დავალების წარმოდგენის გარეშე არ ხდება ანუ საგზაო-საპატრულო სამსახურის ორგანოებს ეკრძალებათ შეამოწმონ გადასახადის გადახდის ფაქტი.

გადასახადი – იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრების განსვისების ერთადერთი კანონიერი ფორმა უსასყიდლებულების, ინდივიდუალური არანაზღაურებადობის, დაუბრუნებლობის საწყისებზე, რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით, მაგრამ რომელიც არ ატარებს დასჯის ან კონტრიბუციის სახეს. კანონმდებლობაში გადასახადის განსაზღვრა საშუალებას იძლევა მითითებულ იქნეს: ა) გადახდის თვისებები: საჯარო ხელისუფლების სუბიექტების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის და ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების შესაძლებლობის გამოკვლის მიზნით – დამოუკიდებლად დაადგინონ ფულადი გადასახადი. გადამხდელს წარმოადგენს მესაკუთრე და არა მოქალაქე.

გადასახადის გადახდა – სოციალური ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს კერძო საკუთრების უფლებიდან. გადასახადის გადახდის მეშვეობით კერძო საკუთრება ემსახურება საზოგადოების ინტერესებს. გადასახადის აკრეფის მიზანს წარმოადგენს არა რაიმე კონკრეტული ხარჯის, არამედ მთლიანად სახელმწიფო ხარჯების უზრუნველყოფა. ხარჯების დანარჩენი მუხლები არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ამა თუ იმ წყაროზე. საგადასახადო კანონმდებლობის ამოცანა – ფულადი სახსრების მოძიება საერთო ხარჯების დაფარვაზე და აუცილებელი საგადასახადო ვალდებულების სამართლიანი განაწილება. გადასახადი უნდა გაიმიჯნოს მოსაკრებლისა და ბაჟისგან. მოსაკრებლის ან ბაჟის გადახდისას ყოველთვის არსებობს სპეციალური მიზანი (თუ კონკრეტულად რაზე ხდება ბაჟის გადახდა) და სპეციალური ინტერესები (გადამხდელი ამა თუ იმ სახით უშუალოდ გრძნობს გადახდის ანაზღაურებადობას). თუმცა კი გადასახადსაც შეიძლება ჰქონდეს სპეციალური მიზანი (მიზნობრივი გადასახადები), ისინი არასდროს არაა ინდივიდუალურად (უშუალოდ) ანაზღაურებადი.

გადასახადის აკრეფა ხდება დაუბრუნებლობის პირობით. გადასახადის უკან დაბრუნება შესაძლებელია მისი ხელახლა გადახდისას ან შეღავათის სახით, რაც არ ეწინააღმდეგება დაუბრუნებლობის პრინციპს, რამდენადაც ყველა ეს შემთხვევა განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ ცალმხრივი წესით და გაელენას არ ახდენს მთლიანად გადახდის სახეზე. რამდენადაც გადასახადი წარმოადგენს სახსრების ცალმხრივად მოძრაობას და მისი პრინციპები პირდაპირ ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებს, გადასახადით დაბეგვრის ამმოქმედებელი მექანიზმი შეიძლება იყოს მხოლოდ იძულება. გამოიყოფა საშემოსავლო-ქონებრივი (პირდაპირი) და მოხმარებაზე გადასახადები (ირიბი). პირველის აკრეფა ხდება. მატერიალური კეთილდღეობის შეძენისა და დაგროვების პროცესში, მეორისა – მათი დახარჯვის პროცესში. საშემოსავლო გადასახადს იხდიან შემოსავლის მიღებისას, ხოლო ქონებაზე გადასახადს იხდიან გარკვეული სახის ქონების (დანაზოგის) შესაკუთრეები. ესაა პირდაპირი გადასახადების მაგალითი. აქციზები, გადასახადი დამატების ღირებულებაზე, ბაჟი, თუმცა კი სხვადასხვაგვარად ხედება ბიუჯეტში, მაგრამ მათი გადახდა ხდება საბოლოო ჯამში საქონლის მომხმარებლის მიერ, რომლის ღირებულებაშიც შედის ეს გადასახადები. ესაა ირიბი გადასახადების მაგალითები. საშემოსავლო-ქონებრივი გადასახადი, თავის მხრივ, იყოფა პირადად და რეალურად. პირადი გადასახადების გადახდა ხდება გადასახადის გადამხდელის მიერ ნამდვილად მიღებული შემოსავლიდან (მოგებიდან). ასე, მაგალითად საწარმოები იხდიან გადასახადს მოგებაზე მოგების თანხიდან, რომელიც გაანგარიშებულია მიღებული ამონაგებისა და გაწეული ხარჯების საფუძველზე. ეს გადასახადები ითვალისწინებენ გადასახადის გადამხდელის ფაქტიურ გადახდისუუნარობას. რეალური გადასახადებით იბეგრება არა ნამდვილი, არამედ გადასახადის გადამხდელის სავარაუდო საშუალო შემოსავალი, რომელიც მიიღება მოცემულ ეკონომიკურ პირობებში გადასახადით დაბეგვრის ამა თუ იმ საგნიდან და პირველ რიგში, ქონებიდან (უძრავი საკუთრებიდან, ფულადი კაპიტალიდან და ა.შ.). მრავალ შემთხვევაში შეუძლებელია განისაზღვროს შემოსავალი, რომელიც მიღებულია ქონებისგან ან საქმიანობის სახისგან ან გადასახადის გადამხდელის მიერ გამოცხადებული შემოსავლის სისწორის გაკონტროლება.

გადასახადის განაკვეთი – გადასახადის ოდენობა გადასახადით დაბეგვრის ერთეულზე. საგადასახადო კოდექსი გადასახადის განაკვეთს განსაზღვრავს, როგორც საგადასახადო დანარიცხების სიდიდეს საგადასახადო ბაზის გაზომვის ერთეულზე. განაკვეთების სახეებისა და ოდენობის ერთობლიობა იმართება განაკვეთების ტარიფით. დადგენის მეთოდის მიხედვით გამოიყოფა მყარი და საპროცენტო განაკვეთები (კვოტები). მყარი განაკვეთების მეთოდის დროს გადასახადით დაბეგვრის თითოეულ ერთეულზე განსაზღვრულია გადასახადის ფიქსირებული ოდენობა. საპროცენტო განაკვეთები დამახასიათებელია მოგებისა

და შემოსავლის გადასახადით დაბეგვრისათვის და დგინდება პროცენტებში გადასახადის დაბეგვრის ერთეულისგან (მაგალითად, 12% გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის თითოეულ ლარზე). გამოიყოფა გადასახადის მარგინალური, ფაქტიური და ეკონომიკური განაკვეთი. მხოლოდ, მარგინალური განაკვეთების შეკვრების საფუძველზე სხვადასხვა კანონის შედარება ერთსა და იმავე გადასახადის შესახებ არ იძლევა შესაძლებლობას მოხდეს გადასახადით დაბეგვრის სხვა არსებითი პირობების შედარება კანონით დაშვებული შეღავათების გათვალისწინებით და ა.შ. ამიტომ, ეკონომიკური ანალიზის მიზნით ხდება არა მარგინალური, არამედ ფაქტიური და ეკონომიკური განაკვეთების შედარება. გადასახადის ფაქტიური განაკვეთი განისაზღვრება, როგორც გადახდილი გადასახადის თანაფარდობა საგადასახადო ბაზასთან. გადასახადის ეკონომიკური განაკვეთი განისაზღვრება, როგორც გადახდილი გადასახადის თანაფარდობა ყველა მიღებულ შემოსავალთან. გადასახადის ეკონომიკური განაკვეთების შედარება ყველაზე რელიეფურად ახასიათებს გადასახადით დაბეგვრის შედეგებს. გადასახადის განაკვეთის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს გადასახადით დაბეგვრის არჩეული მეთოდის შესაბამისად. გადასახადით დაბეგვრის მეთოდი ესაა გადასახადის განაკვეთის შეცვლის წესი საგადასახადო ბაზის ზრდის მიხედვით. გამოიყოფა გადასახადით დაბეგვრის ოთხი ძირითადი მეთოდი: თანაბარი, პროპორციული, პროგრესული და რეგრესული.

თანაბარი ეწოდება გადასახადით დაბეგვრის მეთოდს, როცა თითოეული გადასახადის გადამხდელისთვის დგინდება გადასახადის თანაბარი ოდენობა. ესაა გადასახადით დაბეგვრის ყველაზე ძველი და მარტივი სახე. გადასახადით დაბეგვრის ეს მეთოდი არ ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის ქონებრივ მდგომარეობას და ამიტომ გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. მაგალითს წარმოადგენს ზოგიერთი მიზნობრივი გადასახადი. პროპორციული გადასახადით დაბეგვრისას თითოეული გადასახადის გადამხდელისთვის თანაბარია გადასახადის განაკვეთი (და არა ოდენობა). გადასახადის განაკვეთი არაა დამოკიდებული გადასახადით დაბეგვრის ბაზაზე. ბაზის ზრდის პროპორციულად იზრდება გადასახადი. პროპორციული გადასახადით დაბეგვრის მაგალითად გამოდგება გადასახადი საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებაზე. პროგრესული გადასახადით დაბეგვრისას საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად იზრდება გადასახადის განაკვეთი. ამჟამად პროგრესული გადასახადით დაბეგვრა უმეტესწილად ეფუძნება დისკრეციული შემოსავლის ცნებას ე.ი. შემოსავალს, რომელიც გამოიყენება საკუთარი სურვილისამებრ. თეორიულად დისკრეციული შემოსავალი წარმოადგენს სხვაობას მთლიან შემოსაეალსა და შემოსაეალ შორის, რომელიც იხარჯება პირველი რიგის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სწორედ დისკრეციული და არა ერთობლივი შემოსავალი განსაზღვრავს პირის ნამდვილ გადახდისუნარიანობას.

ბუნებრივია, რომ შემოსავლების ზრდასთან ერთად მცირდება ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის ხარჯების (კვების პროდუქტებზე, ტანსაცმლის ყიდვაზე, ტრანსპორტზე და ა.შ.) წილი და იზრდება დისკრეციული შემოსავლების წილი. ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ მთლიანი შემოსაელის პროპორციული დაბეგვრისას ნაკლებად შეძლებულ გადამხდელს აწევა უფრო მძიმე საგადასახადო ტვირთი, ვიდრე უფრო შეძლებულს, რამდენადაც მას ნაკლები თაეისუფალი შემოსაელის წილი აქვს, ხოლო ამ თაეისუფალი შემოსავლის ხარჯზე გადახდილი გადასახადი მეტია. ამიტომ საჭიროა გადასახადის გრადაცია ადამიანის მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ზოგადად არსებობს პროგრესიის რამდენიმე სახე.

გადასახადის დაბეგვრის ერთეული – გადასახადით დაბეგვრის მასშტაბის ერთეული, რომელიც გამოიყენება საგადასახადო ბაზის რაოდენობრივი გამოხატვისთვის. ასე, მაგალითად გადასახადის მასშტაბს აეტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებისგან წარმოადგენს აეტომობილის ძრავის სიმძლავრე. სიმძლავრე შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა ერთეულში – ცხენის ძალასა თუ კილოეატში. გადასახადით დაბეგვრის მიზნით სიმძლავრის გაზომვის არჩეული ერთეული წარმოადგენს გადასახადის დაბეგვრის ერთეულს. ამა თუ იმ გადასახადით დაბეგვრის ერთეულის არჩევა რიგი შესაძლებლისგან ნაკარნახეეია მოხერხებულობის მოსაზრებებითა და ტრადიციებით. მაგალითად, მიწის დაბეგვრისას გამოიყენება ქვეყანაში მიღებული საზომი ერთეულები (აკრი, ჰექტარი, შესაეული, კვადრატული მეტრი და სხვ.). ბენზინზე აქციზების დადგენისას გადასახადით დაბეგვრისას ერთეულის სახით შეიძლება ფიგურირებდეს ლიტრი, გალონი, ბარელი და ა.შ. მოგებისა და შემოსავლების გადასახადით დაბეგვრისას გადასახადით დაბეგვრის ერთეულად გამოდის ეროვნული ფულის ერთეული.

გადასახადის დაბეგვრის ობიექტი – იურიდიული ფაქტები (მოქმედებები, მოვლენები, მდგომარეობები), რომლებიც განაპირობებენ სუბიექტის ვალდებულებას გადაიხადონ გადასახადი (ბრუნვის განხორციელება საქონლის (საშუალების, მომსახურების) რეალიზაციის თაობაზე); საქონლის შემოტანა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ქონების ფლობა; ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის გარიგება; მემკვიდრეობის მიღება; შემოსავლების მიღება და ა.შ. კანონში მითითებულია, თუ რა გარემოებების არსებობისას ჩნდება გადახდის ვალდებულება. გადასახადის აკრეფის ასეთ საფუძველს (ფაქტიურ გარემოებას) შეიძლება წარმოადგენდეს გარკვეული შემოსავლის, მოგების მიღება, შენობის ფლობა, საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის ოპერაციები და ა.შ. არ შეიძლება დაეეთანხმოთ აზრს, რომ გადასახადის გადახდის ვალდებულება ჩნდება რეალიზებული საქონლის ღირებულების არსებობასთან დაკავშირებით. ასეთი ვალდებულება წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციის შემთხვევაში, ხოლო მათი ღირებულება წარმოადგენს საფუძველს საგადასახადო ბაზის აღრიცხვისთვის. სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ვალდებულებები წარმოიქმნება კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული იურიდიული ფაქტების (მოვლენების, მოქმედებების, მდგომარეობების) ძალით. თაეისთავად, საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ღირებულებამ არ შეიძლება გამოიწეიოს ვალდებულების წარმოქმნა. გადასახადით დაბეგვრის ობიექტი წარმოადგენს ეკონომიკური ხასიათის ფაქტიურ საფუძველს, რომელსაც კანონმდებლობა უკავშირებს ვალდებულების წარმოქმნას გადასახადით გადახდის თაობაზე.

ტერმინი „საგადასახადო დაბეგვრის საგანი“ ნიშნავს ფაქტიური (არაიურიდიული) ხასიათის ნიშნებს, რომლებიც ასაბუთებენ შესაბამისი გადასახადის აკრეფას. მაგალითად, მიწაზე გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და არა უშუალოდ მიწის ნაკვეთი (ის გადასახადით დაბეგვრის საგანია). თავისთავად, მიწის ნაკვეთი – მატერიალური სამყაროს საგანი – არ წარმოქმნის არანაირ საგადასახადო შედეგებს. ეს შედეგები დგება სუბიექტის გარკვეული მდგომარეობის შედეგად გადასახადით დაბეგვრის საგნის მიმართ, მოცემულ შემთხვევაში – საკუთრების მეშვეობით – „გადასახადით დაბეგვრის ობიექტისა“ და „გადასახადით დაბეგვრის საგნის“ ცნებების მკაფიო გამიჯვნის აუცილებლობა გამოწვეულია ასევე იმით, რომ არსებობს მატერიალური სამყაროს მსგავს საგნებს შორის სწორედ იმის გამოყოფის მოთხოვნილება, რომელსაც კანონმდებელი უკავშირებს საგადასახადო შედეგებს.

გადასახადით დაბეგვრის ობიექტი უნდა განვასხვაოთ გადასახადის წყაროსგან ე.ი. გადასახადის გადახდისთვის გამოყენებული რეზერვისგან. ეკონომიკური თვალსაზრისით, არსებობს ორი წყარო, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება გადასახადის გადახდა – გადასახადის გადამხდელის შემოსავალი და კაპიტალი. მაგალითად, მიწის გადასახადის ობიექტს წარმოადგენს მიწის საკუთრება, ხოლო საგანს – მიწის კონკრეტული მონაკვეთი. ამ გადასახადის წყარო შეიძლება იყოს ან ამ ნაკვეთის გამოყენებისგან მიღებული შემოსავალი ან გადასახადის გადამხდელის სხვაგვარი შემოსავალი, ასევე ამ მიწის ნაკვეთის (მისი ნაწილის) ან სხვა ქონების გაყიდვისგან ამონაგები სახსრები. გადასახადი შეიძლება გადახდილ იქნეს სასესხო სახსრებიდან, თუმცა, სესხიც იფარება შემოსავლის ან ქონების რეალიზაციისგან ამონაგები თანხის ხარჯზე. თუ გადასახადი მუდმივად დაიფარება კაპიტალის ხარჯზე, საბოლოოდ კაპიტალი ამოიწურება და გაჩერება გადასახადის გადახდის შესაძლებლობა. ამიტომ, გადასახადი უნდა იქნეს გადახდილი გადასახადის გადამხდელის შემოსავლებიდან, კაპიტალის ხელშეუხებლად. მხოლოდ ექსტრაორდინარულ სიტუაციებშია დასაბუთებული კაპიტალის გამოყენება გადასახადის მიზნით. ასე, მაგალითად სტიქიური უბედურების ან ომის დროს შემოსავლის მომტანი ქონების ნაწილის შენარჩუნებისთვის შეიძლება ამოღებულ იქნეს ამ ქონების სხვა ნაწილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, განადგურების საფრთხე ემუქრება მთელს კაპიტალს. გადასახადის გადამხდელის შემოსავლების ფორმები მრავალგვარია, მათ შორისაა: ხელფასი, მოგება, რენტა, პროცენტები კაპიტალიდან. გადასახადით დაბეგვრისათვის შემოსავლის ფორმას კი არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. მაკროეკონომიკურ დონეზე მოსახლეობის შემოსავლების სხვადასხვა ფორმის ერთობლიობა წარმოქმნის ეროვნულ შემოსავალს, რომელიც წარმოადგენს კრებულ გადასახადების წყაროს.

გადასახადის იურიდიული შემადგენლობა – კანონში თითოეული გადასახადის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ნაკრების არსებობა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა კონკრეტულად დაგეგმასტურებინა ვალდებული პირი, საგადასახადო ვალდებულების ოდენობა და მისი შესრულების წესი; სახელმწიფოს მოთხოვნების საზღვრები გადასახადის გადამხდელის ქონებასთან მიმართებაში. გადასახადის შესახებ კანონის ბუნდოვანება, ორაზროვნება ან არასრულობამ შეიძლება გამოიწვიოს კანონიერ საფუძვლებზე გადასახადის გადახდისგან თავის არიდების შესაძლებლობა (საგადასახადო ხაფრომები); ბოროტად გამოყენება საგადასახადო ორგანოების მხრიდან, რაც გამოიხატება კანონის დებულებათა ფართო განმარტებაში და სხვ.

მხოლოდ გადასახადის იურიდიული შემადგენლობის ელემენტების ერთობლიობა ადგენს გადამხდელის ვალდებულებას გადასახადის გადახდის თაობაზე. თუ კანონმდებელმა რაიმე მიზეზით არ დაადგინა დ/ან არ განსაზღვრა თუნდაც ერთ-ერთი მათგანი, გადასახადის გადამხდელის ვალდებულება არ შეიძლება ჩაითვალოს დადგენილად, გადასახადის იურიდიული შემადგენლობის ელემენტებს, რომელთა გარეშეც გადასახადო ვალდებულება და მისი შესრულების წესი არ შეიძლება ჩაითვალოს განსაზღვრულად შეიძლება ვუწოდოთ გადასახადის იურიდიული შემადგენლობის არსებითი ელემენტები. მათ განეკუთვნება გადასახადის გადამხდელი (გადასახადის სუბიექტი); გადასახადის ობიექტი; საგადასახადო საგანი; გადასახადის მასშტაბი; საგადასახადო ბაზის აღრიცხვის მეთოდი; საგადასახადო პერიოდი; გადასახადით დაბეგვრის ერთეული; განაკვეთების ტარიფი – საგადასახადო განაკვეთი (გადასახადით დაბეგვრის ნორმა) და გადასახადით დაბეგვრის მეთოდი; გადასახადის გაანგარიშების წესი; საანგარიშებო პერიოდი; გადასახადის გადახდის ვადები; გადასახადის გადახდის ხერხები და წესი.

კანონის აღნიშნული ელემენტების გარდა არსებობს ფაკულტატიური ელემენტებიც, რომელთა არარსებობაც, თუმცა კი არ ახდენს გაელენას საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრულობის ხარისხზე, მაგრამ არსებითად ამცირებს ამ ვალდებულების სათანადო შესრულების გარანტიებს: ესაა გადასახადის დაკავებისა და არასწორად დაკავებული თანხების დაბრუნების წესი და პასუხისმგებლობა საგადასახადო სამართალდარღვევებზე. ფაკულტატური ელემენტები სავალდებულო არაა არსებობდნენ გადასახადის შესახებ თითოეულ კანონში. ფაკულტატიურ ელემენტებს უნდა განვაკუთვნოთ ასევე საგადასახადო შეღავათები.

გადასახადის შესახებ კანონის ელემენტის დადგენა ნიშნავს რაიმეს მიღების (დამტკიცების, დაკანონების) საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნის ერთ-ერთ საფუძველს ან მისი შესრულების ხერხის სახით. გადასახადის შესახებ კანონის ელემენტის განსაზღვრა ნიშნავს ელემენტის ფაქტიური მხარის აღწერას, მის გამოყოფას სხვა მსგავსი მოვლენებიდან (საგნებიდან, გარემოებებიდან) რაიმე ნიშნების, მონაცემების საფუძველზე.

გადასახადის სუბიექტი პირი, რომელსაც ეკისრება იურიდიული ვალდებულება გადასახადის გადასახადი საკუთარი სახსრებით. ცნება „გადასახადის სუბიექტი გამოიყენება გადასახადის იურიდიული შემადგენლობის განსაზღვრისას. პირის, როგორც საგადასახადო ურთიერთობების მონაწილის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის იყენებენ ცნებას „გადასახადის გადამხდელი“. ცნებასთან „გადასახადით დაბეგვრის სუბიექტი“ ახლოსაა ცნება „გადასახადის მატარებელი“. ეს ცნება უკავშირდება

გადასახადის სიმბიმის გადასახადით დაბეგვრის სუბიექტიდან ეი. ბიუჯეტში გადასახადის გადამხდელიდან სხვა პირზე გადატანის ეკონომიკურ შესაძლებლობას. გადასახადის მატარებელი ესაა პირი, რომელიც ატარებს გადასახადით დაბეგვრის სიმბიმეს საბოლოო ჯამში ეი. გადასახადის გადატანის პროცესის დასრულების შემდეგ.

მაგალითად, აქციზის (ირიბი გადასახადი საქონლის ფასზე დანამატის სახით) სუბიექტებს წარმოადგენენ იურიდიული პირები, რომლებიც აწარმოებენ და რეალიზაციას უკეთებენ აქციზურ საქონელს. ეს პირები ვალდებულნი არიან აქციზის თანხა გადაიხადონ ბიუჯეტში. ხოლო ასეთი საქონლის მყიდველი საქონლის ფასის შემადგენლობაში იხდის აქციზსაც. თუ ეს მყიდველი არ ახდენს საქონლის გადაყიდვას, არამედ მოიხმარს მას, მას არ შეუძლია ანაზღაუროს აქციზზე გადახდილი თანხა. საბოლოოდ მომხმარებელი წარმოადგენს კიდეც აქციზის მატარებელს.

საკანონმდებლო აქტები ადგენენ გადასახადის სუბიექტს და არა გადასახადის მატარებელს. არ არსებობს უნიერსალური გადასახადის სუბიექტი. თითოეულ გადასახადთან ან მოსაკრებელთან მიმართებაში არსებობს კონკრეტულ პირთა წრე, რომლებმაც უნდა გადაიხადონ ის. გადასახადის გადახდა ხდება გადასახადით დაბეგვრის სუბიექტის საკუთარი სახსრების ხარჯზე ანუ გადასახადმა უნდა შეამციროს გადასახადის გადამხდელის შემოსაელები. „გადასახადებზე არ ხდება მორიგება“ – ესაა გადასახადით დაბეგვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი (გამონაკლისს შეადგენს საბაჟო ორგანოების მიერ აკრეფილი გადასახადები). საკუთარი სახსრების ხარჯზე გადასახადის გადახდა როდი ნიშნავს იმას, რომ გადასახადის გადამხდელმა გადასახადი უშუალოდ გადაიხადოს. გადასახადის გადამხდელის სახელით გადასახადი შეიძლება გადახდილ იქნეს სხვა პირის (წარმომადგენლის) მიერაც, თუ ამასთან დაცულია შეზღუდვა საგადასახადო მორიგებასთან მიმართებაში. გადასახადების გადამხდელებთან არ უნდა გავაგივით პირები, რომელთაც კანონის შესაბამისად ევალებათ გადასახადის გაანგარიშება, დაკავება და ბიუჯეტში გადარიცხვა იმ შემოსავლიდან, რომელსაც ეს პირები უხდიან გადასახადების გადამხდელებს (მაგალითად, საწარმოები, რომლებიც ხელფასს უხდიან მუშაკებს). ასეთ პირებს საგადასახადო აგენტებს უწოდებენ.

საჯარო-სამართლებრივი ციკლის სხვა დარგებისგან განსხვავებით, სადაც განმსაზღვრელს წარმოადგენს პირისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები, საგადასახადო სამართალი, პირველ რიგში, ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ კავშირებს სახელმწიფოსთან.

გადასახადის გადამხდელისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ურთიერთობები განისაზღვრება მუდმივი ადგილმდებარეობის (რეზიდენტობის) პრინციპის მეშვეობით, რომლის თანახმადაც გადასახადის გადამხდელები იყოფა პირებად: ა) რომელთაც გააჩნიათ მუდმივი ადგილსამყოფელი გარკვეულ სახელმწიფოში (რეზიდენტები); ბ) რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი ადგილსამყოფელი (არარეზიდენტები). გადასახადის გადამხდელთა ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება იმაშია, რომ რეზიდენტებთან იბეგრება როგორც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავალი (სრული საგადასახადო ვალდებულება), ხოლო არარეზიდენტებთან – მხოლოდ მოცემულ სახელმწიფოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავალი (შეზღუდული საგადასახადო ვალდებულება). შემოსავლების წყაროს ქვეშ იგულისხმება საქმიანობა ან აქტივები, რომელთაც მოაქვთ შემოსავალი (სამეწარმეო საქმიანობისგან, საავტორო უფლებებისგან მიღებული შემოსავალი და ა.შ.). ცნება „შემოსავლის წყარო“ არ უნდა აგვერიოს ცნებასთან „გადახდის წყარო“ ე.ი. პირთან, რომელიც ფაქტიურად უხდის თანხას სხვა პირს. რეზიდენტობის განსაზღვრის წესები განსხვავებულია გადასახადის გადამხდელების – ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ.

გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები

– მოკლევადის მწარმოებელი ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედებები სისხლის სამართლის საქმის აღძრის შემდეგ, რომლის მიხედვითაც საჭიროებაა წინასწარი გამოძიების წარმოება დანაშაულის კვალის, ასევე მტკიცებულებების აღმოჩენისა და ფიქსაციის მიზნით, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ განმტკიცებას, ამოღებასა და კვლევას. დანაშაულის ნიშნების არსებობისას, რომელთა მიხედვითაც აუცილებელია წინასწარი გამოძიების წარმოება, მოკლევადის მწარმოებელი ორგანო აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და აწარმოებს გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს.

გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს აწარმოებენ: ა) მოკლევადის მწარმოებელი ორგანოები ყველა სისხლის სამართლის საქმეზე; ბ) საბაჟო ორგანოები; გ) უშიშროების სამსახურის ორგანოები; დ) სამხედრო ნაწილების მეთაურები, სამხედრო დაწესებულებების და გარნიზონების ხელმძღვანელები, სამხედრო მოსამსახურეების, სამხედრო პერსონალის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე; ე) სისხლის სამართლის აღმასრულებელი სისტემის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები შესაბამისი ორგანოებისა და დაწესებულებების თანამშრომელთა, მსახურების დადგენილი წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ; ვ) სხვა თანამდებობის პირების მიერ, რომელთაც გააჩნიათ მოკლევადის ორგანოს უფლებამოსილებები.

გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების წარმოების შემდეგ მოკლევადის ორგანო სისხლის სამართლის საქმეს უგზავნის პროკურორს, რის შემდეგაც მასზე საგამოძიებო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ხორციელდება მხოლოდ გამომძიებლის დავალებით. თუ პროკურორს გაეგზავნა სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც აღმოჩენილი არაა დანაშაულის ჩამდენი პირი, მოკლევადის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია მიიღოს სამძებრო და ოპერატიულ-სამძებრო ზომები დანაშაულის ჩამდენი პირის დასადგენად, აცნობებს რა გამომძიებელს მათ შედეგებს.

გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების წარმოება

– წესების სისტემა, რომლებიც განსაზღვრავენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა საქმიანობას საქმეზე, რომელზეც წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა. როგორც სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტი, მოცემული საქმის წარმოება შედგება: ა). სისხლის

სამართლის საქმის აღძერისგან; ბ) გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების წარმოებისგან; გ) სისხლის სამართლის საქმის პროკურორისთვის გაგზავნისგან; დ) სისხლის სამართლის საქმის პროკურორისთვის გაგზავნის შემდეგ საქმიანობისგან. გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს აწარმოებს მოკლეული ორგანოები, საბაჟო ორგანოები, სამხედრო ნაწილების მეთაურები, სხვა თანამდებობის პირები, რომელთაც გააჩნიათ მოკლეული მწარმოებელ ორგანოთა უფლებამოსილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. მოკლეული წარმოებას ახორციელებს ასევე ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ბრუნვის კონტროლის ორგანოთა მოკლეული მწარმოებელი პირები (გამომძიებლები).

გადაუდებელი მოქმედებების შესრულების შემდეგ საქმე იგზავნება პროკურორთან. მოცემული ღონისძიება ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დადგენილ ვადაში. პროკურორი თავის მხრივ საქმეს აგზავნის გამომძიებისთვის ანუ იმ გამომძიებელთან, რომელიც უფლებამოსილია გამოიძიოს საქმე.

გადაცემა ზედამხედველობის ქვეშ

– მშობლებს თუ მათ შემცველ პირებზე ან სპეციალიზირებულ სახელმწიფო ორგანოზე – არასრულწლოვანზე აღმზრდელობითი ზეგავლენის და მის ქცევაზე კონტროლის ვალდებულების დაკისრება.

გადახდისუუნარობა

პირობები, რომელთა დროსაც ფიზიკური ან იურიდიული პირის კრედიტორებისადმი ვალდებულებები აღემატება გადამხდელი პირის ან სამართალსუბიექტის აქტივებს.

გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გადახდისუუნარობა – მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა;

ბ) მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი მოვალე – მოვალე, რომელიც სათანადო ზომების მიუღებლობის შემთხვევაში უახლოეს მომავალში გახდება ან შესაძლებელია გახდეს გადახდისუუნარო;

გ) მოთხოვნა – ნებისმიერი ვალი ან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, რომლის შესრულების მოვალეობა ან შესრულებისთვის პასუხისმგებლობა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის ეკისრება მოვალეს და რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დაუზუსტებელ მოთხოვნებს, პირობით მოთხოვნებს, ვადამოუსელელ მოთხოვნებსა და ჯარიმებს;

დ) დაუზუსტებელი მოთხოვნა – მოთხოვნა, რომელიც ჯერ არ არის დაზუსტებული და მოიცავს მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან, ხელშეკრულების დარღვევასთან ან შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ან სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილ სხვა მოთხოვნებს;

ე) პირობითი მოთხოვნა – მოთხოვნა, რომლის წარმოშობა დამოკიდებულია მომავალ და უცნობ მოვლენაზე და რომელიც, ამასთანავე, მოიცავს გარანტიასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებიც დამოკიდებულია მოვალის მიერ თავისი ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე;

ვ) ვადამოუსელელი მოთხოვნა – მოთხოვნა, რომლის გადახდის ვადა არ დამდგარა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის;

ზ) მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მიღებული ქონება – იპოთეკით ან გირავნობით დატვირთული ან სასამართლოს მიერ დაყადაღებული ქონება, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფით მოლებული ქონება;

თ) რეგისტრაცია დაუზუსტებელი მახასიათებლებით – უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაცია საკადასტრო აზომვითი ნახაზის მოთხოვნის გარეშე, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში წარმოდგენილი უძრავი ნივთის ტექნიკური მახასიათებლების საფუძველზე, რომელიც დასტურდება ამ უფლების დადგენის შესახებ დოკუმენტით;

ი) კრედიტორი – პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა (მათ შორის, ვადამოუსელელი მოთხოვნა);

კ) ახალი კრედიტორი – სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ წარმოშობილი კრედიტორი;

ლ) უზრუნველყოფილი კრედიტორი – კრედტორი ან ახალი კრედიტორი, რომლის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით, გირავნობით ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებით;

მ) კრედიტორთა გადაწყვეტილება – კრედიტორთა კრების ან კრედიტორთა კომიტეტის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) გადაწყვეტილება;

ნ) მონაწილე – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, სააქციო საზოგადოების აქციონერი, კოოპერატივის წევრი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამხანაგობის მონაწილე, არარეგისტრირებული კავშირის წევრი;

ო) დაკავშირებული პირი:

ო.ა) ფიზიკურ პირთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირი, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხება;

ო.ბ) საწარმო, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე;

ო.გ) იმ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე;

ოდ) იურიდიული პირის მმართველი ორგანოს წევრი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;

ოე) იურიდიული პირის პარტნიორი ან დამფუძნებელი, რომელსაც პრაქტიკული საშუალება აქვს, ზეგავლენა მოახდინოს ამ პირის გადაწყვეტილებებზე;

პ) ნათესავი – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირი;

ჟ) უცხოელი კრედიტორი – ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 182 დღეზე მეტ ხანს ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში, ან იურიდიული პირი, რომლის იურიდიული მისამართი საქართველოს ფარგლებს გარეთაა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არარეზიდენტ იურიდიულ პირს ფილიალი (წარმომადგენლობა, სააგენტო) საქართველოს ტერიტორიაზე აქვს;

რ) სამეურვეო ქონება – ქონება, რომელიც მოვალეს ეკუთვნის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის, ასევე ამ მომენტიდან შეძენილი ან/და წარმოებული (შექმნილი) ქონება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, იმ ნივთებისა და მოთხოვნების გამოკლებით. რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) – უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის უზრუნველყოფისთვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა დარგებში. ასეთი ორგანიზაციის შექმნის იდეა გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის დროს და ის განხილული იყო მოსკოვის, იალტისა და ანტიჰიტლერული კოალიციის ზესახ ელშეწოების სხვა კონფერენციებზე. გაეროს წესდება მიღებულ იქნა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 26.06.1945 წ. და ის ძალაში შევიდა 24.10.1945 წ. 24 ოქტომბერი მთელს მსოფლიოში აღინიშნება, როგორც გაეროს დღე.

გაეროს წესდებაში გადმოცემულ მთავარ მიზნებს წარმოადგენს შემდეგი: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერა და განმტკიცება, ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარება; თანამშრომლობის განხორციელება ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში თანამშრომლობის განხორციელება და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებისადმი პატივისცემის წახალისება და განვითარება; სწრაფად იყოს ცენტრი ერების მოქმედებების შეთანხმებისთვის ამ საერთო მიზნების მიღწევაში. გაერო მოწოდებულია განახორციელოს ეფექტური კოლექტიური ღონისძიებები მშვიდობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად და აგრესიის აქტების დასათრგუნად და მიიღოს ზომები საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ან სიტუაციების მოსაგვარებლად, რომელთაც შეუძლიათ მშვიდობის მოშლა.

გაეროს წესდების მე-2 მუხლში გადმოცემულია პრინციპები, რომლებზედაც დაფუძნებულია ამ ორგანიზაციის საქმიანობა: გაეროს ყველა წევრის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება მისი წესდების მიხედვით, საერთაშორისო დავების გადაწყვეტა საშვიდობო საშუალებებით, ჩაურევლობა სახელმწიფოების შიდა საქმეებში. გაეროს წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს მის წესდებაში მყოფ ვალდებულებებს. ამასთან, შეუძლია და სურს მათი შესრულება. გაეროს არსებობის მანძილზე მისი წევრების რაოდენობა გაიზარდა 51-დან 190-მდე (01.09.2001 წ. მონაცემებით).

გაეროს სტრუქტურა მოიცავს მთავარ და დამხმარე ორგანოებს. მის მთავარ ორგანოებს წარმოადგენს: გენერალური ასამბლეა (გა), უშიშროების საბჭო (უს), ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ეკოსოს), მეურვეობის საბჭო (მს), საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო. დამხმარე ორგანოებს წარმოადგენს: განიარაღების, ადამიანის უფლებათა, საერთაშორისო სამართლის კომისიები და სხვ. გაეროს მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში, რიგი დაეხმა და კონფლიქტების მოგვარებაში, განახორციელა წარმატებული ოპერაციები მშვიდობის მხარდასაჭერად (კამბოჯაში, მოზამბიკში, სალვადორში და სხვა ქვეყნებში). 1960 წელს გაეროს გა-ამ გამოაცხადა ისტორიული დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის შეთავაზების შესახებ. გაერო ხელს უწყობს სახელმწიფოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ თანამშრომლობას, გლობალური საკითხების გადაწყვეტას, ტერორიზმთან ბრძოლას, ნარკოტიკების უკანონო გავრცელების აღკვეთას, შიდსთან და სხვა საშიშ დაავადებებთან ბრძოლას, უწევს დახმარებას ღარიბებს, მშიერებს და ა.შ.

გაერომ დადებითი შედეგების მიღწევა მოახერხა ჰუმანიტარულ სფეროში: მის ორგანოში შემუშავებულ იქნა და სახელმწიფოების მიერ მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.), საერთაშორისო პაქტები ადამიანის უფლებების შესახებ (1966 წ.) და ა.შ. გაეროს მეშვეობით ჰუმანიტარული დახმარება ეწევა შეიარაღებული კონფლიქტების ან სტიქიური უბედურებებისგან დაზარალებულ მოსახლეობას, დეცნილებს, მიგრანტებს, ეროვნულ უმცირესობებს და მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს. გაეროს მიზნები და ამოცანები მიმდინარე პერიოდისთვის განისაზღვრა 2000 წ. სექტემბერში ათასწლეულის სამიტზე, რაც ითვალისწინებს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს ზემოთჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებაში (მშვიდობის მხარდაჭერა და უზრუნველყოფა, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისთვის ხელშეწყობა, გაეროს უფრო ეფექტური დაცვა, ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულებთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან, სიშიში დაავადების გავრცელებასთან, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევასთან ბრძოლა).

გაერო-ს გენერალური ასამბლეა (გა) – გაერო-ს ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობის მიღების უფლება გააჩნია ამ ორგანიზაციის ყველა წევრს. გაერო-ს გა-ას ფუნქციები გაერო-ს წესდების თანახმად მდგომარეობს იმაში, რომ განიხილოს გაეროს კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი საკითხი ან საქმე იმ საკითხების გარდა, რომლებიც მოცემულ მომენტში არის უშიშროების საბჭოს (უს)

განხილვაზე, მისცეს მასზე რეკომენდაციები გაერო-ს ან უს-ს წევრებს; განიხილოს თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერის საქმეში, მათ შორის, განიარაღების პრობლემები, ამასთან დაკავშირებით რეკომენდაციები მისცეს გაერო-ს ან უს-ს წევრებს; განიხილოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც ეხება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას, რაც მის წინაშე დაყენებულია ნებისმიერი სახელმწიფოს ან უშიშროების საბჭოს (უს) მიერ და მასზე შესაბამისი რეკომენდაციები გასცეს. თუმცა, ნებისმიერი საკითხი, რომელზეც უნდა მოხდეს გარკვეული მოქმედების განხორციელება, გადაეცემა გაერო-ს გა-ას (გენერალური ასამბლეა), უს-ს განხილვამდე ან მას შემდეგ, გაერო-ს გა ასევე უფლებამოსილია ყურადღება მიაქციოს სიტუაციებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას; მოახდინოს კვლევების ორგანიზება და რეკომენდაციები მისცეს საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, ასევე საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და მისი მოდიფიკაციის დარგში; მოახდინოს ნებისმიერი იმ სიტუაციის მშვიდობიანი მოგვარების ღონისძიებების რეკომენდაცია, რომელსაც შეიძლო საერთაშორისო მშვიდობის დარღვევა (გაერო-ს წესდების მე-10-13 მუხლები).

გაერო-ს გა უს-ს რეკომენდაციით ახორციელებს ახალი წევრების მიღებას გაერო-ში და ნიშნავს გაერო-ს გენერალურ მდივანს, ის ირჩევს უს-ს არამუდმივ და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს, ასევე უს-სთან ერთად – საერთაშორისო სასამართლოს წევრებს. გაერო-ს გა განიხილავს უს-ს და ყველა ორგანოების ყოველწლიურ მოხსენებებს, განიხილავს და ამტკიცებს გაერო-ს ბიუჯეტს და განსაზღვრავს თითოეული სახელმწიფოს შენატანის ოდენობას მის ბიუჯეტში. გაერო-ს გა იკრიბება რიგით (ყოველწლიურ), სპეციალურ და საგანგებო სესიებზე. გადაწყვეტილებათა მიღებისას თითოეულ დელეგაციას გააჩნია ერთი ხმა. გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან საკითხებზე მიიღება ხმათა 2/3 უმრავლესობით, ხოლო საპროცედურო საკითხებზე – გაერო-ს წევრების ხმის მიცემაში მონაწილე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. გაერო-ს გა-ას რეზოლუციებს გაერო-ს საქმიანობის არსის საკითხებზე – საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერა, სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარება და ა.შ. – გააჩნია რეკომენდაციების ხასიათი, ხოლო მისი გადაწყვეტილება შედა საკითხებზე – თანამდებობის პირთა არჩევნები, ბიუჯეტის დამტკიცება და ა.შ. წარმოადგენს სავალდებულოს.

გაერო-ს გენერალური მდივანი – ამ ორგანიზაციის მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი. გაერო-ს გენერალური მდივანი მეთაურობს გაერო-ს სამდივნოს, ის ინიშნება გენერალური ასამბლეის მიერ უშიშროების საბჭოს (უს) რეკომენდაციით ხუთი წლის ვადით და შეიძლება დანიშნულ იქნეს ახალი ვადით. გაერო-ს გენერალური მდივანი ამ სახით გამოდის გაეროს ორგანოთა სესიებზე და ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომელთაც მას აკისრებს ეს ორგანოები. გაერო-ს გენერალურ მდივანს უფლება აქვს უს-ს ყურადღება მიაქციოს ნებისმიერ საკითხზე, რაც, მისი აზრით, შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

გაერო-ს გენერალური მდივანი ამზადებს გენერალური ასამბლეის სესიების დღის წესრიგს, სთავაზობს მას ყოველგვარ მოხსენებებს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, ბიუჯეტის პროექტს და გაერო-ს სამდივნის მიერ მომზადებულ სხვა დოკუმენტებს. გაერო-ს გენერალური მდივანი წარმოადგენს მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულების დეპოზიტარს. სახელმწიფოთა თხოვნით მას შეუძლია მათთვის სხვადასხვა მომსახურების გაწევა ან იყოს შუამავალი საერთაშორისო დავის მშვიდობიან გადაწყვეტისას. გაერო-ს არსებობის მანძილზე გაეროს გენერალური მდივნის პოსტი ეკავა: ტრიგვე ლის (ნორვეგია), დაგ ჰამარშელდს (შვედეთი), უ თანს (ბირმა, ამჟამად – მიანმა), კურტ ვალდჰაიმს (ავსტრია), ხავიერ პერეს დე კუელიარს (პერუ), ბუტროს-ბუტროს გალს (ეგვიპტე) კოფი ანანი (განა). ამჟამად გაერო-ს გენერალურ მდივანს წარმოადგენს პან კი – მუნი 2007-2011 (სამხრეთ კორეა).

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ეკოსოს) – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ექვსიდან ერთ-ერთი მთავარი ორგანო. ის ახდენს საქმიანობის კოორდინაციას ეკონომიკურ და სოციალურ დარგებში, ხელს უწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას, მოსახლეობის სრულ დასაქმებას და პირობების შექმნას ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და განვითარებისთვის და ა.შ. ეკოსოსი შედგება ორმოცდათოთხმეტი წევრისგან, რომელთაც ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა სამი წლის ვადით. ეკოსოსი ყოველწლიურად ატარებს ორ სესიას: 1 სორგანიზაციის ნიუ-იორკში და 1 ძირითად ხუთკვირიან სამუშაო კვირას, მონაცვლეობით ნიუ-იორკსა და ჟენევაში. ეკოსოს-ის თითოეულ წევრს კენჭისყრისას გააჩნია ერთი ხმა, გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ეკოსოსის ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება: საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების განხილვა და ამ პრობლემებზე რეკომენდაციების შემუშავება; კვლევების მცდელობა მისი გამგებლობის ქვეშ მყოფ საკითხებზე; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და პატივისცემის წახალისება; საერთაშორისო კონფერენციების მოწვევა და კონვენციათა პროექტების შედგენა მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე; მოლაპარაკებების წარმოება სპეციალიზირებულ დაწესებულებებთან მათი გაეროსთან ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელ შეთანხმების თაობაზე; სპეციალიზირებული დაწესებულებების საქმიანობის შეთანხმება; კონსულტაციის გამართვა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ეკოსოსის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ.

ეკოსოსი საქმიანობას ახორციელებს რვეი დამხმარე ორგანოების მეშვეობით. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: ხუთი რეგიონალური ეკონომიკური კომისია. ევროპისთვის, აფრიკისთვის, აზიისა და წყნარი ოკეანისთვის, დასავლეთ აზიისთვის, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზისთვის; ცხრა ფუნქციონალური კომისია: სტატიკური, მოსახლეობისა და განვითარების, სოციალური განვითარების, განვითარების მიზნით მეცნიერებისა და ტექნიკის, მყარი განვითარების, ადამიანის უფლე-

ბების, ქალების მდგომარეობის, ნარკოტიკული საშუალებების, დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თაობაზე; 4 – მუდმივი კომიტეტი: პროგრამისა და კოორდინაციის, არასამთავრობო ორგანიზაციების, დასახლებული პუნქტების, სამთავრობათშორის დაწესებულებებთან მოლაპარაკებების თაობაზე. ეკოსოსში საკონსულტაციო სტატუსი გაანია 1500-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას. ეკოსოსთან განსაკუთრებული შეთანხმებები აკავშირებთ გაეროს სპეციალიზირებულ დაწესებულებებს: იუნესკოს, ჯმო-ს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია), შსო-ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია) და სხვ.

გაეროს სამდივნო – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ექსი მთავარი ორგანოდან ერთ-ერთი. გაერო შედგება გაეროს გენერალური მდივნისგან, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის მთავარ თანამდებობის პირს და საჭირო პერსონალისგან. მის ამოცანებში შედის გაეროს სხვა ორგანოების საქმიანობის მომზადება და მომსახურება, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება, საჭირო დოკუმენტებისა და მასალების მომზადება, მათი თარგმნისა და გავრცელების უზრუნველყოფა, ასევე მისი საორგანიზაციო-ადმინისტრაციული ფუნქციების რეალიზაცია. გაეროს პერსონალი ინიშნება გენერალური მდივნის მიერ, რომელიც ამასთან უნდა ხელმძღვანელობდეს აუცილებლობით – უზრუნველყოს პერსონალის უმაღლესი კვალიფიკაცია და გაეროს სამდივნოში პოსტების სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპი (გაეროს წესდების მუხ. 101).

თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას გენერალური მდივანი და გაეროს სამდივნოს პერსონალი, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო თანამდებობის პირებს, პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ გაეროს წინაშე. თავის მხრივ, გაერო-ს წევრი-ქვეყნები ვალდებულნი არიან მხოლოდ გაეროს წინაშე. თავის მხრივ, გაერო-ს წევრი-ქვეყნები ასევე ვალდებულნი არიან პატივი სცენ მათი ვალდებულებების საერთაშორისო ხასიათს და არ შეეცადონ მათზე გავლენის მოხდენას.

გაეროს სამდივნოში მუშაობენ ეკონომისტები, იურისტები, თარჯიმნები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები და სხვა მრავალი პროფესიის პირები. ისინი იყოფიან კატეგორიებად. უმაღლეს კატეგორიას განეკუთვნება გენერალური მდივანი ან გენერალური დირექტორი, მათი მოადგილეები და დამხმარეები. ძირითად კატეგორიას შეადგენენ სპეციალისტები, რომელთაც გაანიათ შესაბამისი კლასი ან რანგი, რომელიც აღინიშნება ასოებით (შესაბამისად ინგ. direction – ხელმძღვანელი შემადგენლობა, proffesional – სპეციალისტები და general – ზოგადი) და ციფრებით: დირექტორები (D-2), მთავარი თანამშრომლები (D-1), უფროსი თანამშრომლები (D-5), პირველი კლასის თანამშრომლები (P-4), მეორე კლასის თანამშრომლები (P-3), უმცროსი თანამშრომლები (P-2) და თანამშრომლის დამხმარეები (P-1).

ზოგადი მომსახურების თანამშრომლები იყოფა მთავარი (G-5), უფროსი (G-4), საშუალო (G-3), უმცროსი თანამშრომლების (G-2) კლასებად და კურიერებად (G-1). სპეცე სამსახურის თანამშრომლებს გაანიათ რანგი FS-1-დან FS-7-მდე (ინგ. – field service – სპეცე სამსახური), უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს გაანიათ რანგი S-1-დან S-5-მდე (ინგ. security – უსაფრთხოება) და ა.შ.

უმაღლესი კატეგორიის და ასევე D-1, D-2, ხოლო ზოგიერთ ორგანიზაციაში P-5 რანგის მქონე თანამშრომლებს გაანიათ დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი სრული მოცულობით. სამდივნოს დანარჩენი თანამშრომლები, რომელთაც გაანიათ P-4 – P-1 რანგი სარგებლობენ მხოლოდ უფრო ვიწრო „ფუნქციური" იმუნიტეტით, რომლის შეზღუდული ხასიათი ელინდება იმაში, რომ მათზე არ ვრცელდება პირონების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, ისინი არ ექვემდებარებიან მხოლოდ სასამართლო პასუხისმგებლობას მათ მიერ თქმულსა თუ დაწერილზე ან ჩადენილ ქმედებებზე სამსახურებრივი ეალდებულებების შესრულებისას. ზოგადი მომსახურების თანამშრომლებს არ გაანიათ პრივილეგიები და იმუნიტეტი.

გაეროს სამდივნო განთავსებულია ნიუ-იორკში, შედგება დეპარტამენტებისგან, ცენტრებისგან, ბიუროსგან, განყოფილებებისგან, გაანია განყოფილებები ჟენევაში, ვენაში და გაეროს ორგანოების განლაგების სხვა ადგილებში.

გაერო (სამეურვეო საბჭო) – გაეროს ერთ-ერთი უმთავრესი ორგანო, რომელიც გათვალისწინებულია გაეროს საერთაშორისო მეურვეობის სისტემაში შემავალი ტერიტორიების მართვაზე ზედამხედველობისთვის. მეურვეობის სისტემაში ჩართეს დაექვემდებარნენ: ერთა ლიგის ყოფილი მანდატქვეშა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მტრის ხელისგან დახსნილი, ნებაყოფლობით მეურვეობის სისტემაში ჩართული ტერიტორიები (გაეროს წესდება მუხ. 77). თუმცა, კოლონიურმა ზესახელმწიფოებმა არცერთი კოლონია არ გადასცეს სამეურვეო სისტემას. სამეურვეო სისტემაში შევიდა თერთმეტი ტერიტორია: ტანგანიკა, ტოგოსა და კამერუნის ნაწილები, რომელთაც მართავდა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთის მართვის ქვეშ მყოფი ტოგოსა და კამერუნის ნაწილები, რუანდა-ურუნდა ბელგიის მმართველობის ქვეშ, ავსტრალიის მმართველობის ქვეშ ახალი გვინეა, დასავლეთ სამოა – ახალი ზელანდიის მმართველობის ქვეშ, კუნძული ნაურუ – დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ერთობლივი მმართველობის ქვეშ (ფაქტიურად ამ ტერიტორიის მართავდა ავსტრალია), იტალიის სომალი, ასევე სტრატეგიულ რაიონად გამოცხადებული წყნარი ოკეანის კუნძულების ტერიტორია (მარშალოვის, მარიანისა და კაროლინის კუნძულები) – აშშ მმართველობის ქვეშ.

გაეროს წესდების მუხ. 76-ის თანახმად მეურვეობის სისტემის ამოცანები მდგომარეობდა იმაში, რომ განმტკიცებულიყო საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება, ხელი შეეწყოთ ამ ტერიტორიების მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისთვის, წაეხალისებინათ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, უზრუნველეყოთ თანასწორი დამოკიდებულება გაეროს წევრი-ქვეყნებისადმი და მათი მოქალაქეებისადმი სოციალურ, ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროებში.

სამეურვეო ტერიტორიების მართვა ხორციელდებოდა შეთანხმებების საფუძველზე, რომელთაც ამტკიცებდა გენერალური ასამბლეა (გა), ხოლო სტრატეგიულ ტერიტორიებთან მიმართებაში – უშიშროების

საბჭო (უს). ამდენად, არასტრატეგიულ ტერიტორიებზე გაეროს ყველა ფუნქციას ასრულებდა გა (გენერალური ასამბლეა), ხოლო სტრატეგიულზე – უს (უშიშროების საბჭო).

გაეროს წესდების შესაბამისად სამეურვეო საბჭო უნდა შედგებოდეს სახელმწიფოების სამი ჯგუფისგან: 1) სახელმწიფოები, რომლებიც მართავენ სამეურვეო ტერიტორიებს, 2) უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები, რომელთაც არ გააჩნიათ ტერიტორიები მეურვეობის ქვეშ; 3) სამეურვეო საბჭოს არჩევითი წევრები, რომელთა არჩევაც ხდებოდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ სამი წლის ვადით ისეთი რაოდენობით, რომ სამეურვეო საბჭოში თანაბრად ყოფილიყო სახელმწიფოები, რომლებიც მართავდნენ ტერიტორიებს მეურვეობის ქვეშ და ასეთი ტერიტორიების არმქონენი. თუმცა, 1994 წლის ყველა სამეურვეო ტერიტორიამ მიიღო დამოუკიდებლობა ან შევიდა სხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში. ამიტომ სამეურვეო საბჭო დარჩა თავისი საქმიანობის სგნის გარეშე. ამჟამად ის არ შეიძლება ჩამოყალიბდეს გაეროს წესდების შესაბამისად, რამდენადაც სახელმწიფო-მეურვეების არარსებობის გამო სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მათი რაოდენობა სამეურვეო ტერიტორიების არმქონე სახელმწიფოების რაოდენობასთან გახდა შეუძლებელი და შეუთავსებელი. სამეურვეო საბჭო არ გაუქმებულა, არამედ ეს ორგანო თავის სხდომებს ჩაატარებს მხოლოდ მაშინ და იქ, სადაც ამას მოითხოვს გარემოებები, უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის შემადგენლობით.

გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებები – უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც იქმნება სახელმწიფოებს შორის ეკონომიკის, სოციალური, კულტურული და სხვა სფეროებში თანამშრომლობის განვითარების მიზნით. გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებების ძირითად ნიშნებს წარმოადგენს: დამფუძნებელი აქტების სამთავრობთშორისო ხასიათი, საერთაშორისო პასუხისმგებლობა მათი კომპეტენციის ფარგლებში, საქმიანობის განხორციელება სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის სპეციალურ დარგებში, გაეროსთან კავშირი რომელსაც ამტკიცებს გენერალური ასამბლეა (გა).

გაეროსთან სპეციალიზირებული დაწესებულებების კავშირი ასახვას პოულობს მათ საქმიანობაში, რომლის ფორმებსაც წარმოადგენს ორმხრივი წარმომადგენლობა, ინფორმაციის, დოკუმენტების გაცვლა, კონსულტაციების ჩატარება და ა.შ. სპეციალიზირებული დაწესებულებები ეკოსოს-ში წარმოადგენენ რეგულარულ მოხსენებებს ეკოსოს-ს (ეკონომიკური და სოციალური საბჭო) და გა-ს (გენერალური ასამბლეა) მიერ გაკეთებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე მიღებული ზომების შესახებ. ეკოსოს შეუძლია გამოატყოს შენიშვნები ამ მოხსენებებზე, სპეციალიზირებული დაწესებულებები გენერალურ ასამბლეას წარუდგენენ ბიუჯეტს და მას შეუძლია რეკომენდაციების მიცემა. გაეროსთან სპეციალიზირებული დაწესებულებების ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად შეიქმნა კოორდინაციის ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელიც შეადგენს გაეროს გენერალური მდივნის, სპეციალიზირებული დაწესებულებებისა და მაგატეს (МАГАТЭ – რუსული კალკა) მეთაურებისგან.

ამჟამად არსებობს გაეროს 17 სპეციალიზირებული დაწესებულება: მსოფლიო საფოსტო კავშირი (მსკ), ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირი (ესკ), სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (სასო), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (სსო), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე (იუნესკო), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯმო), ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო), მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (მმო), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სამრეწველო განვითარების თაობაზე (იუნიდო), რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (სფკ), განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (გსა), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), საინვესტიციო გარანტიების მრავალეროვნული სააგენტო (სგმს), სასურსათო და სასოფლო სამეურნეო ორგანიზაცია (ФАО – აბრევიატურა რუსული კალკით) და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (ИФАД – აბრევიატურა რუსული კალკით).

გაეროს უშიშროების საბჭო – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ექსი უმნიშვნელოვანესი მუდმივად მოქმედი ორგანოდან ერთ-ერთი, რომელსაც ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. უშიშროების საბჭო წარმოადგენს გაეროს ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ამისთვის აუცილებელი გადაწყვეტილებები და განახორციელოს შესაბამისი ზომები. უშიშროების საბჭო შედგება 15 წევრისგან. მათგან 5 – რუსეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი – წარმოადგენს მუდმივს, ხოლო 10 – არამუდმივს, რომელთა არჩევაც ხდება ორი წლის ვადით გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ.

გაეროს უშიშროების საბჭოს ძირითადი ფუნქციები მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება. გამოიძიოს ნებისმიერი დავა ან სიტუაცია, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო მშვიდობას და მისცეს მათი მშვიდობიანი რეგულირების ზომების რეკომენდაცია; განსაზღვროს მშვიდობის საფრთხის, ასევე, აგრესიის აქტის არსებობა და მისცეს რეკომენდაციები ან გადაწყვიტოს, თუ რა ზომები უნდა განხორციელდეს მშვიდობის შესანარჩუნებლად ან აღსადგენად; მიიღოს იძულების ზომები აგრესორის ან მშვიდობის დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ; მისცეს რეკომენდაციები გაეროს ახალი წევრების მიღების, გენერალური მდივნის დანიშვნის შესახებ, გაეროს გენერალურ ასამბლეასთან ერთად აირჩიოს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს წევრები და ა.შ.

გაეროს უშიშროების საბჭოს მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე განსაზღვრავს მისი გადაწყვეტილებების იურიდიულ ძალას. ამ საკითხებზე უშიშროების საბჭოს მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა გაეროს წევრი-სახელმწიფოებისთვის, რომლებიც უნდა დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი (გაეროს წესდების მუხ. 25).

გაეროს წესდების (მუხ. 41-ის) თანახმად, შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან კავშირის არმქონე

იძულების ზომებს შეიძლება განეკუთნებოდეს ეკონომიკური ურთიერთობების სრული ან ნაწილობრივი, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა სახის კავშირის გაწყვეტა აგრესორ სახელმწიფოსთან, ასევე დიპლომატური კავშირის გაწყვეტა მასთან. თუ ზემოქმედების ეს ზომები არასაკმარისია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულების ზომები შეიარაღებული ძალების გამოყენებით, წესდების 42-ე მუხლის თანახმად.

გაეროს უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებების მიღებისას იცავს შემდეგ წესებს: საპროცედურო საკითხებზე საკმარისია, რომ მიღებულ გადაწყვეტილებებზე მიცემულ იქნეს უშიშროების საბჭოს ნებისმიერი წევრის ცხრა ხმა, ხოლო საერთაშორისო სასამართლოს წევრების არჩევისთვის საკმარისია რვა ხმა. მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ცხრა ხმაში უმრავლესობა, მათ შორის, უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის ხმა. თუ უშიშროების საბჭოს ერთი მუდმივი წევრი მაინცაა წინააღმდეგი, გადაწყვეტილება არ ხდება მიღებული. ესაა უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების – დიდი ზესახელმწიფოების ერთსულოვნების პრინციპი, რომელსაც ასევე უწოდებენ „ვეტოს უფლებას".

უშიშროების საბჭოში ხმის მიცემის მე-3 პროცედურა გამოიყენება მხოლოდ მის მიერ საერთაშორისო დაცვის მშვიდობიანი გადაწყვეტის ხერხების რეკომენდაციისას. ამ შემთხვევაში გადაწყვეტის მისაღებად ასევე საჭიროა ცხრა ხმა, მათ შორის, უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ხმები, თუმცა დავაში მონაწილე სახელმწიფო, თუ ის შედის უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში ვალდებულია თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. თუ ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, მისი თავის შეკავება ხელს არ უშლის გადაწყვეტილების მიღებას. უშიშროების საბჭოს საქმიანობაში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს გაეროს შეიარაღებული ძალების შექმნისა და გამოყენების წესი. იმ შემთხვევებში, როცა გაეროს შეიარაღებული ძალები გამოიყენებოდა გაეროს წესდების მოთხოვნების შესაბამისად, მათი გამოყენება იყო სასარგებლო, თუ ეს იყო ისეთ, როგორც 1956 წელს ახლო აღმოსავლეთში ან 1960 წ. კონგოში და წესდების დებულებები ირღვეოდა, ეს იწვევდა არა მხოლოდ იმას, რომ მათი გამოყენების მიზნები არ იყო მიღწეული, არამედ იწვევდა სერიოზულ საერთაშორისო გართულებებს.

1965 წლიდან გაეროს შეიარაღებული ძალების შექმნის, გამოყენებისა და დაფინანსების საკითხები განიხილება 34 სახელმწიფოს კომიტეტში, რომელიც ამ მიზნითაა შექმნილი, თუმცა, ყველა საკითხმა როდი ჰპოვა მასში დადებითი გადაწყვეტა. ასევე უნდა დაზუსტდეს ოპერაციების ჩატარების წესი და სამართლებრივი საფუძვლები მშვიდობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტის მიზნით.

გაერო (წესდება) – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას ხელი მოეწერა 1945 წლის 26 ივნისს ქ. სან-ფრანცისკოში გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციის შემაჯამებელ სხდომაზე და ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. წესდების შემადგენელი ნაწილია საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი.

წესდების 23-ე, 27-ე და 61-ე მუხლების შესწორებები გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1963 წლის 17 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1965 წლის 31 აგვისტოს. გენერალური ასამბლეის მიერ 1965 წლის 20 დეკემბერს მიღებული 109-ე მუხლის შესწორება ძალაში შევიდა 1968 წლის 12 ივნისს.

წესდების 23-ე მუხლის შესწორება უშიშროების საბჭოს წევრთა რიცხვს თერთმეტიდან თხუთმეტამდე ზრდის.

შესწორებული 27-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი საპროცედურო საკითხებზე მიღებულად მიიჩნევა, როდესაც მათ ხმას მისცემს ცხრა (აღრე – შვიდი) წევრი. უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის თანხვდომი ხმების ჩათვლით.

61-ე მუხლის შესწორება ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრთა რიცხვს ზრდის თერთმეტიდან ოცდაშვიდამდე. ამ მუხლის შემდგომი შესწორება, რომელიც ძალაში შევიდა 1973 წლის 24 სექტემბერს, საბჭოს წევრების რიცხვს ზრდიან ოცდაშვიდიდან ორმოცდათოხმეტამდე.

109-ე მუხლის პირველი პუნქტის შესწორება ითვალისწინებს, რომ წესდების გადასინჯვის მიზნით წევრი-სახელმწიფოების გენერალური კონფერენციის ჩატარების დრო და ადგილი დგინდება გენერალური ასამბლეის წევრთა ხმების ორი მესამედით და უშიშროების საბჭოს ნებისმიერი ცხრა (აღრე – შვიდი) წევრის ხმებით.

109-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს წესდების გადასასინჯად კონფერენციის მოწვევის შესაძლებლობას, გენერალურმა ასამბლეამ და უშიშროების საბჭომ განიხილეს გენერალური ასამბლეის მორიგ მეათე სესიაზე 1955 წელს და დატოვეს მისი თავდაპირველი ფორმულირება: „უშიშროების საბჭოს ნებისმიერი შვიდი წევრის ხმებით".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება
პრეამბულა

ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხებმა, გადაწყვიტეთ თავიდან ავაცილოთ მომავალ თაობებს უბედურებანი ომისა, რომელმაც ჩვენს ცხოვრებაში ორჯერ მოუტანა კაცობრიობას ენით გამოუთქმელი მწუხარება, და კვლავ დავამკვიდროთ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისა, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ფასეულობისა, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობისა და დიდი და პატარა ერების თანასწორობისა, და

შეექმნათ პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან სამართლიანად და პატივისცემით მოვეკიდოთ საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებებიდან და სხვა წყაროებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, და

ხელი შეეწყოთ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უფრო მეტი თავისუფლების პირობებში,

და ამ მიზნით

გამოვიჩინოთ შემწყნარებლობა და ერთად ვიცხოვროთ მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად, და გავაერთიანოთ ჩვენი ძალები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად, და პრინციპების მიღებითა და მეთოდების დადგენით უზრუნველვყოფთ, რომ შეიარა-

ღებული ძალები მხოლოდ საერთო ინტერესებისათვის მიემართოთ, და

საერთაშორისო აპარატი გამოიყენოთ ყველა ხალხის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის შესაწევნად, და

გადაწყვიტეთ გავაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა ამ მიზნების მისაღწევად.

თანახმად ამისა, ჩვენი შესაბამისი მთავრობები სან-ფრანცისკოში შეკრებილი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა მიერ წარმოდგენილი რწმუნებანი სათანადო ფორმისადაა მიჩნეული, შეთანხმდნენ მიეღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინამდებარე წესდება და ამით აფუძნებენ საერთაშორისო ორგანიზაციას „გაერთიანებული ერების" სახელწოდებით.

თავი I

მიზნები და პრინციპები

მუხლი 1

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიზნად ისახავს:

1. დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება და ამ მიზნით ეფექტური კოლექტიური ზომები მიიღოს მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აგრესიის აქტების ან მშვიდობის სხვა დარღვევების აღსაკვეთად, და სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად მშვიდობიანი საშუალებებით მოაგვაროს ანდა გადაწყვიტოს საერთაშორისო დავები, ან ისეთი სიტუაციები, რომლებსაც შესაძლოა მშვიდობის დარღვევა მოჰყვეს;

2. განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერებს შორის ხალხების თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე, აგრეთვე მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად;

3. განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების მოსაგვარებლად და ადამიანის უფლებებისა და საყოველთაო ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის წახალისებისა და განვითარებისათვის რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად, და

4. იყოს ერების მოქმედებათა შესათანხმებელი ცენტრი საერთო მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2

1 მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად ორგანიზაცია და მისი წევრები მოქმედებენ შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

1. ორგანიზაცია დაარსებულია მისი ყველა წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპით.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი კეთილსინდისიერად ასრულებს წინამდებარე წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს, რათა ყველასთვის ერთობლივ უზრუნველყოს ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე უფლებანი და უპირატესობანი;

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო დავებს აგვარებს მშვიდობიანი საშუალებებით, ისე, რომ არ შეუქმნას საფრთხე საერთაშორისო მშვიდობის, უშიშროებას და სამართლიანობას;

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავს არიდებს ძალით მუქარას ან ძალის გამოყენებას როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით;

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ყოველმხრივ დახმარებას უწევს ორგანიზაციას წინამდებარე წესდების შესაბამისად განხორციელებულ ყველა ქმედებაში და თავს იკავებს დაეხმაროს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახორციელებს პრევენტიული ან იძულებითი ხასიათის ქმედებებს;

6. ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რათა სახელმწიფოები, რომლებიც არ წარმოადგენენ მის წევრებს, მოქმედებდნენ ამ პრინციპების შესაბამისად, ვინაიდან ეს შესაძლოა აუცილებელი გახდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასამყარებლად;

7. წინამდებარე წესდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ ანიჭებს არანაირ უფლებას, ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად რომელიმე სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციას განეკუთვნება, და არ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებისაგან, რომ ამგვარი საქმეები წარმოადგინონ წინამდებარე წესდების წესით მოსაგვარებლად, თუმცა ეს პრინციპები ეშეკედეშ არ აყენებს იძულებითი ზომების მიღებას VII თავის საფუძველზე.

თავი II

ორგანიზაციის უფლებები

მუხლი 3

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავდაპირველი წევრები არიან სახელმწიფოები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი სან-ფრანცისკოს კონფერენციაში, ანდა ადრე მოაწერეს ხელი 1942 წლის 1 იანვრის გაერთიანებული ერების დეკლარაციას, და ამის შემდგომ ხელი მოაწერეს წინამდებარე წესდებას და მოახდინეს მისი რატიფიცირება 110-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 4

1. ორგანიზაციის წევრობა თავისუფლად შეუძლია ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, რომელიც კი იკისრებს ამ წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, და მას, ორგანიზაციის აზრით, შეუძლია და სურს ამ ვალდებულებების შესრულება.

2. ნებისმიერი ასეთი სახელმწიფოს ორგანიზაციის წევრად მიღებას გადაწყვეტს გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.

მუხლი 5

თუკი ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიმართ უშიშროების საბჭოს მიერ განხორციელდა პრევენტიული ან იძულებითი ხასიათის ქმედებანი, გენერალურ ასამბლეას უფლება აქვს, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით, შეაჩეროს მისთვის, როგორც ორგანიზაციის წევრისათვის, მიკუთვნებული უფლებებისა და პრივილეგიების განხორციელება. ამ უფლებათა და პრივილეგიათა განხორციელების აღდგენა შეუძლია უშიშროების საბჭოს.

მუხლი 6

ორგანიზაციის წევრი, რომელიც სისტემატურად

არღვევს წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ პრინციპებს, შეიძლება გაირიცხოს ორგანიზაციიდან გენერალური ასამბლეის მიერ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.

თავი III

ორგანოები

მუხლი 7

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ორგანოებად ფუძნდებიან: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო.

2. დამხმარე ორგანოები, რომლებიც აუცილებელი იქნებიან, შეიძლება დაფუძნდნენ წინამდებარე წესდების შესაბამისად.

მუხლი 8

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ აწესებს არავითარ შეზღუდვებს მის მთავარ და დამხმარე ორგანიზაციებში მამაკაცთა და ქალთა ნებისმიერი სახის და თანაბარი პირობებით მონაწილეობის უფლების მიმართ.

თავი IV

გენერალური ასამბლეა

შემადგენლობა

მუხლი 9

1. გენერალური ასამბლეა შედგება ორგანიზაციის ყველა წევრისაგან.

2. ორგანიზაციის ყოველ წევრს ჰყავს არა უმეტეს ხუთი წარმომადგენელი გენერალურ ასამბლეაში.

ფუნქციები და უფლებამოსილებანი

მუხლი 10

გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია განიხილოს ნებისმიერი საკითხები ან საქმეები წინამდებარე წესდების ფარგლებში, ანდა ის საკითხები და საქმეები, რომლებიც ამავე წესდებით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანოს უფლებამოსილებასა და ფუნქციებში შედის, და, მე-12 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, შესთავაზოს რეკომენდაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს ან უშიშროების საბჭოს, ანდა ორგანიზაციის წევრებსაც და უშიშროების საბჭოსაც, ნებისმიერი ასეთი საკითხის ან საქმის გამო.

მუხლი 11

1. გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია განიხილოს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ზოგადი პრინციპები, მათ შორის განიარაღებისა და შეიარაღების რეგულირების განმსაზღვრელი პრინციპები, და ამ პრინციპების მიმართ რეკომენდაციები შესთავაზოს ორგანიზაციის წევრებს ან უშიშროების საბჭოს, ანდა ორგანიზაციის წევრებსაც და უშიშროების საბჭოსაც.

2. გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია განიხილოს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ნებისმიერი საკითხი, რომელსაც მის წინაშე დააყენებს ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი, ან უშიშროების საბჭო, ანდა ის ქვეყანა, რომელიც არ წარმოადგენს ორგანიზაციის წევრს (35-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად) და, მე-12 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, ნებისმიერი ასეთი საკითხის მიმართ რეკომენდაციები შესთავაზოს დაინტერესებულ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, ანდა უშიშროების საბჭოსაც და დაინტერესებულ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს. ნებისმიერ ასეთ საკითხს, რომელიც მოითხოვს ქმედების განხორციელებას, გენერალური ასამბლეა გადასცემს უშიშროების საბჭოს საკითხის განხილვამდე, ან განხილვის შემდეგ.

3. გენერალურ ასამბლეას შეუძლია უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაქციოს ისეთ სიტუაციებს, რომლებიც შესაძლოა დაემუქრონ საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

4. გენერალური ასამბლეის წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი უფლებამოსილებანი არ უნდა ზღუდავდნენ მე-10 მუხლის საერთო მნიშვნელობას.

მუხლი 12

1. როდესაც უშიშროების საბჭო ასრულებს მისთვის წინამდებარე წესდებით დაკისრებულ ფუნქციებს რაიმე დავის ან სიტუაციის მიმართ, გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია ამ დავის ან სიტუაციის შესახებ რაიმე რეკომენდაციების გაკეთება, თუკი უშიშროების საბჭო არ მოსთხოვს ამას.

2. გენერალური მდივანი უშიშროების საბჭოს თანხმობით გააცნობს გენერალურ ასამბლეას მის ყოველ სესიაზე ყველა იმ საკითხს, რომლებიც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას ეხება და უშიშროების საბჭოში განიხილება და ამგვარადვე აუწყებს გენერალურ ასამბლეას; მაგრამ თუკი გენერალური ასამბლეის სხდომები არ მიმდინარეობს, მაშინ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს, დაუყოვნებლივ, როგორც კი უშიშროების საბჭო შეწყვეტს ასეთი საკითხების განხილვას.

მუხლი 13

1. გენერალური ასამბლეა აწარმოებს გამოკვლევებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს იმ მიზნით, რათა:

ა) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას პოლიტიკურ სფეროში და წაახალისოს საერთაშორისო სამართლის განვითარება და მისი კოდიფიკაცია;

ბ) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ეკონომიკის, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის სფეროში და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელებას ყველასათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩეველად.

2. გენერალური ასამბლეის შემდგომი მოვალეობანი, ფუნქციები და უფლებამოსილებანი ზემოთ, 1 ბ პუნქტში აღნიშნული საკითხების მიმართ გადმოცემულია IX და X თავებში.

მუხლი 14

მე-12 მუხლის დებულებათა დაცვით, გენერალური ასამბლეა უფლებამოსილი ხდება, რეკომენდაცია მისცეს იმ ნებისმიერი სიტუაციის მშვიდობიანი მოგვარების ღონისძიებებს, დამოუკიდებლად მისი წარმოშობისა, რომელსაც, ასამბლეის აზრით, შეიძლებოდა დაერღვია საერთო კეთილდღეობა ან ერების შორის მეგობრული ურთიერთობანი, ისეთი სიტუაციების ჩათვლით, რომლებიც წარმოიქმნება წინამდებარე წესდების იმ დებულებათა დარღვევის შემდეგ, სადაც გაერთიანებული ერების მიზნები და პრინციპებია ჩამოყალიბებული.

მუხლი 15

1. გენერალური ასამბლეა იღებს და განიხილავს

უშიშროების საბჭოს ყოველწლიურ და სპეციალურ მოხსენებებს: ეს მოხსენებები უნდა მოიცავდეს ანგარიშს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების იმ დამცავი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარა, ან რომელთა გატარებაც გადაწყვიტა უშიშროების საბჭომ.

2. გენერალური ასამბლეა ილებს და განიხილავს ორგანიზაციის სხვა ორგანოების მოხსენებებსაც.

მუხლი 16

გენერალური ასამბლეა მეურვეობის საერთაშორისო სისტემის მიმართ ასრულებს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც მას დაკისრებული აქვს XII და XIII თავების საფუძველზე, მათ შორის სამეურვეო შეთანხმებათა დამტკიცებას ისეთი ტერიტორიებისათვის, რომლებიც სტრატეგიულთა რიცხვს არ განეკუთვნება.

მუხლი 17

1. გენერალური ასამბლეა განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის ბიუჯეტს.

2. ორგანიზაციის ხარჯები მის წევრებს აკისრიათ გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი განაწილების მიხედვით.

3. გენერალური ასამბლეა განიხილავს და ამტკიცებს ნებისმიერ საფინანსო და საბიუჯეტო შეთანხმებებს 57-ე მუხლში ნახსენებ სპეციალიზებულ დაწესებულებებთან და ამოწმებს ასეთი სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაციულ ბიუჯეტებს იმ მიზნით, რათა რეკომენდაციები შესთავაზოს დაინტერესებულ დაწესებულებებს.

კენჭისყრა

მუხლი 18

1. გენერალური ასამბლეის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა.

2. გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებანი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მიიღება ასამბლეაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. ამ საკითხებში შედის: რეკომენდაციები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის; უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევა; ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრების არჩევა; სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევა 86-ე მუხლის 1 გ პუნქტის შესაბამისად; ახალი წევრების მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; ორგანიზაციიდან მისი წევრების გარიცხვა; მეურვეობის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები და საბიუჯეტო საკითხები.

3. გადაწყვეტილებანი სხვა საკითხების შესახებ, მათ შორის იმ საკითხების დამატებითი კატეგორიების განსაზღვრა, რომლებიც ორი მესამედის უმრავლესობით გადაწყვეტას ექვემდებარება, მიიღება დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 19

ორგანიზაციის წევრი, რომელსაც აქვს ორგანიზაციის ფულადი ანარიცხების დავალიანება, კარგავს ხმის უფლებას გენერალურ ასამბლეაში, თუკი მისი დავალიანების თანხა ულრის ან აღემატება შესატანი წინა ორი სრული წლის ანარიცხების ჯამს. თუმცა, გენერალურ ასამბლეას შეუძლია ორგანიზაციის ასეთ წევრებს დაერთოს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, თუკი მიიჩნევს, რომ შენატანების დაგვიანება წევრისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა.

პროცედურა

მუხლი 20

გენერალური ასამბლეა იკრიბება მორიგ ყოველწლიურ სესიებზე და ისეთ სპეციალურ სესიებზე, რომელთა მოწვეაც შეიძლება გარემოებამ მოითხოვოს. სპეციალურ სესიებს იწვევს გენერალური მდივანი უშიშროების საბჭოს ან ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.

მუხლი 21

გენერალური ასამბლეა ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს. იგი არჩევს თავის თავმჯდომარეს ყოველი სესიისათვის.

მუხლი 22

გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია დააფუძნოს ისეთი დამატებითი ორგანოები, რომლებიც მას აუცილებლად მიაჩნია თავისი ფუნქციების განსახორციელებლად.

თავი V

უშიშროების საბჭო

შემადგენლობა

მუხლი 23

1. უშიშროების საბჭო შედგება ორგანიზაციის თხუთმეტი წევრისაგან. ჩინეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ-ის სამართალმემკვიდრე გაეროში დღეს რუსეთია. რედ.), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან. გენერალური ასამბლეა ირჩევს ორგანიზაციის ათ სხვა წევრს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრებად, ამასთან ყურადღებას აქცევს, პირველ ყოვლისა, ორგანიზაციის წევრების მონაწილეობის ხარისხს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვასა და ორგანიზაციის სხვა მიზნების მიღწევაში, აგრეთვე სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას.

2. უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრებს ირჩევენ ორი წლის ვადით. არამუდმივი წევრების პირველი არჩევნებისას უშიშროების საბჭოს წევრთა რიცხვის თერთმეტიდან თხუთმეტამდე გაზრდის შემდეგ ოთხი არამუდმივი წევრიდან ორი აირჩევა ერთი წლის ვადით. უშიშროების საბჭოდან გასული წევრი არ ექვემდებარება დაუყოვნებლივ გადარჩევას.

3. უშიშროების საბჭოს ყოველ წევრს ერთი წარმომადგენელი ჰყავს.

ფუნქციები და უფლებამოსილებანი

მუხლი 24

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწრაფ და ეფექტურ ქმედებათა უზრუნველსაყოფად მისი წევრები უშიშროების საბჭოს აკისრებენ ძირითად პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობის და უშიშროების დასაცავად და უთანხმდებიან, რომ ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისას უშიშროების საბჭო მოქმედებს ორგანიზაციის წევრების სახელით.

2. ამ ვალდებულებათა შესრულებისას უშიშროების საბჭო მოქმედებს გაერთიანებული ერების მიზნებისა

და პრინციპების შესაბამისად. ამ ვალდებულებათა შესასრულებლად უშიშროების საბჭოსთვის მინიჭებული გარკვეული უფლებამოსილებანი ჩამოთვლილია VI, VII, VIII და XII თავებში.

3. უშიშროების საბჭო გენერალურ ასამბლეას განსახილველად წარუდგენს ყოველწლიურ მოხსენებებს და, საჭიროებისდა მიხედვით, სპეციალურ მოხსენებებსაც.

მუხლი 25

ორგანიზაციის წევრები თანხმდებიან, წინამდებარე წესდების შესაბამისად, დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი.

მუხლი 26

იმისათვის, რათა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასამყარებლად და დასაცავად შეიარაღების საქმისთვის მსოფლიოს ადამიანური და ეკონომიკური რესურსების უმცირესი წილის გამოყოფა გახდეს საქმარისი, უშიშროების საბჭო პასუხს აგებს 47-ე მუხლში მითითებული სამხედრო-საშტაბო კომიტეტის დახმარებით შეიარაღებათა რეგულირების სისტემის შექმნის იმ გეგმების ფორმულირებაზე, რომლებიც ორგანიზაციის წევრებს უნდა წარედგინოს.

კენჭისყრა

მუხლი 27

1. უშიშროების საბჭოს ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა.

2. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი პროცედურის საკითხებზე მიღებულად ითვლება, როდესაც მათ ხმას მისცემს საბჭოს ცხრა წევრი.

3. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი ყველა სხვა საკითხზე მიღებულად ითვლება, თუკი მათ ხმას მისცემს საბჭოს ცხრა წევრი, საბჭოს ყველა მუდმივი წევრის თანხმობით ხმების ჩათვლით, ამასთან დაუაში მონაწილე მხარემ თავი უნდა შეიკავოს გადაწყვეტილების მიღებისას ხმის მიცემისაგან VI თავისა და 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.

პროცედურა

მუხლი 28

1. უშიშროების საბჭო იმგვარად ყალიბდება, რომ განუწყვეტლად ფუნქციონირება შეეძლოს. ამ მიზნით უშიშროების საბჭოს ყოველი წევრი ნიადაგ უნდა იყოს წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადგილსამყოფელში.

2. უშიშროების საბჭო იკრიბება პერიოდულ სხდომებზე, რომლებზეც მის ყოველ წევრს თავისი სურვილისამებრ შეუძლია წარმოდგენილი იყოს მთავრობის წევრის ან სხვა რომელიმე საგანგებოდ დანიშნული წარმომადგენლის სახით.

3. უშიშროების საბჭოს სხდომები შეიძლება ჩატარდეს არა მარტო ორგანიზაციის ადგილსამყოფელში, არამედ ნებისმიერ სხვა ადგილას, რომელიც, საბჭოს აზრით, უკეთ შეუწყობს ხელს მის მუშაობას.

მუხლი 29

უშიშროების საბჭოს შეუძლია ისეთ დამხმარე ორგანოების დაფუძნება, რომლებსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

მუხლი 30

უშიშროების საბჭო ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს, თავისი თავმჯდომარის არჩევის წესის ჩათვლით.

მუხლი 31

ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელიც არ არის უშიშროების საბჭოს წევრი, შეუძლია მონაწილეობის მიღება, ხმის უფლების გარეშე, უშიშროების საბჭოში შეტანილი ნებისმიერი საკითხის განხილვაში, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც უშიშროების საბჭო მიიჩნევს, რომ საკითხი სპეციალურად ეხება ორგანიზაციის ამ წევრის ინტერესებს.

მუხლი 32

ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი, რომელიც არაა უშიშროების საბჭოს წევრი, ანდა ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არაა ორგანიზაციის წევრი, თუკი ისინი უშიშროების საბჭოში განსახილველი დაეის მხარეებს წარმოადგენენ, მიწვეულ იქნებიან მონაწილეობის მისაღებად, ხმის უფლების გარეშე, ამ დაეასთან დაკავშირებულ განხილვაში. უშიშროების საბჭო იმ სახელმწიფოს მონაწილეობის მიმართ, რომელიც არაა ორგანიზაციის წევრი, ისეთ პირობას აყენებს, როგორიც სამართლიანად მიაჩნია.

თავი VI

დაეის მშვიდობიანი მოგვარება

მუხლი 33

1. მხარეები, რომლებიც მონაწილეობენ ნებისმიერ დაეაში, რომლის გაგრძელებაც შეიძლებოდა დამუქრებოდა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას, პირველ ყოვლისა უნდა ცდილობდნენ დაეის მოგვარებას მოლაპარაკებების, გამოკვლევის, შუამავლობის, შერიგების, არბიტრაჟის, სასამართლო განხილვის რეგიონული ორგანოებისადმი ან შეთანხმებისადმი მიმართვის, ან ნებისმიერი სხვა საშუალებების გზით, საკუთარი არჩევანის მიხედვით.

2. თუ მიაჩნია, რომ ეს აუცილებელია, უშიშროების საბჭო მხარეებისაგან მოითხოვს, თავიანთი დავა ამგვარი საშუალებებით გადაწყვიტონ.

მუხლი 34

უშიშროების საბჭო უფლებამოსილია გამოიძიოს ნებისმიერი დავა ან სიტუაცია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს საერთაშორისო დაპირისპირება ან დავა; გამოძიების მიზანია, გაარკვიოს, ხომ არ დაემუქრება ამ დაეის ან სიტუაციის გაგრძელება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას.

მუხლი 35

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია 34-ე მუხლში მითითებული ხასიათის ნებისმიერი დაეის ან სიტუაციის შესახებ აცნობოს უშიშროების საბჭოს, ან გენერალურ ასამბლეას.

2. სახელმწიფომ, რომელიც არაა ორგანიზაციის წევრი, უშიშროების საბჭოს ან გენერალურ ასამბლეას შეუძლია აცნობოს ნებისმიერი დაეის შესახებ, რომელშიც იგი მხარეს წარმოადგენს, თუკი წინასწარ იკისრებს ამ დაეის მიმართ წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებას დავების მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე.

3. გენერალური ასამბლეა აგვარებს იმ საქმეებს, რომლთა შესახებ მას ეცნობა წინამდებარე მუხლის საფუძველზე, მე-11 და მე-12 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 36

1. უშიშროების საბჭო უფლებამოსილია 33-ე მუხლში მითითებული ხასიათის დავის ან ასეთივე ხასიათის სიტუაციის ნებისმიერ სტადიაზე რეკომენდაცია გაუწიოს მოწესრიგების სათანადო პროცედურას ან მეთოდებს.

2. უშიშროების საბჭო ამ დავის მოსაგვარებლად მხედველობაში იღებს ნებისმიერ პროცედურას, რომელსაც უკვე მიმართეს მხარეებმა.

3. წინამდებარე მუხლის შესაბამისად რეკომენდაციების გაწევისას უშიშროების საბჭო მხედველობაში იღებს აგრეთვე, რომ იურიდიული ხასიათის დავები, როგორც წესი, მხარეების მიერ უნდა გადაეცემოდეს საერთაშორისო სასამართლოს, თანახმად სასამართლოს სტატუტის დებულებებისა.

მუხლი 37

1. თუკი 33-ე მუხლში მითითებული ხასიათის დავას მხარეები ვერ მოაგვარებენ ამ მუხლში მითითებული საშუალებების დახმარებით, ისინი დავას უშიშროების საბჭოს გადასცემენ.

2. თუკი უშიშროების საბჭო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გაგრძელება მართლაც შეიძლებოდა დამუქრებოდა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, საბჭო გადაწყვეტს, 36-ე მუხლის შესაბამისად იმოქმედოს თუ რეკომენდაცია გაუწიოს დავის მოგვარების ისეთ პირობას, როგორსაც შესაფერისად ცნობს.

მუხლი 38

33-37-ე მუხლების დებულებათა შეულახავად უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, თუკი ამას ითხოვს ნებისმიერი დავის ყველა მონაწილე მხარე, შესთავაზოს მხარეებს რეკომენდაციები ამ დავის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით.

თავი VII

ქმედებანი მშვიდობისადმი მუქარის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ

მუხლი 39

უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისადმი ნებისმიერ მუქარას, მშვიდობის ნებისმიერ დარღვევას, ანდა აგრესიის აქტს და იძლევა რეკომენდაციებს, ანდა გადაწყვეტს, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული 41-ე და 42-ე მუხლების შესაბამისად საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად.

მუხლი 40

სიტუაციის გართულების თავიდან ასაცილებლად უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, რეკომენდაციების მიცემამდე, ან 39-ე მუხლით გათვალისწინებული ზომების მიღებამდე, მოსთხოვოს დაინტერესებულ მხარეებს იმ დროებითი ზომების შესრულება, რომლებსაც ის აუცილებლად და სასურველად მიიჩნევს. ასეთმა დროებითმა ზომებმა არ უნდა შელახონ დაინტერესებული მხარეების უფლებები, მათი მოთხოვნები ან მდგომარეობა. უშიშროების საბჭომ სათანადოდ უნდა დააფიქსიროს ასეთი დროებითი ზომების შეუსრულებლობის შემთხვევები.

მუხლი 41

უშიშროების საბჭო უფლებამოსილია მოიფიქროს, თაკის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რა ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომლებიც არ უკავშირდებიან შეიარაღებული ძალების გამოყენებას; უშიშროების საბჭოს შეუძლია მოსთხოვოს ორგანიზაციის წევრებს ამ ზომების შესრულება. ეს ზომები შეიძლება მოიცავდნენ ეკონომიკურ ურთიერთობათა, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო მიმოსვლის, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო- ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა სრულ ან ნაწილობრივ შეწყვეტას, აგრეთვე დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტასაც.

მუხლი 42

თუკი უშიშროების საბჭო მიიჩნევს, რომ 41-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები არ იქნება საკმარისი, ანდა უკვე არასაკმარისი აღმოჩნდა, იგი უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ქმედებანი საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ძალებით, რომლებიც აუცილებელი იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად ან აღსადგენად. ასეთი ქმედებანი შეიძლება მოიცავდნენ დემონსტრაციებს, ბლოკადას, ან ორგანიზაციის წევრების საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ძალების სხვა ოპერაციებს.

მუხლი 43

1. ორგანიზაციის ყველა წევრი იმისათვის, რათა თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში, კისრულობს უშიშროების საბჭოს განკარგულებაში მისი მოთხოვნის, ან საგანგებო შეთანხმების თუ შეთანხმებების თანახმად, გადასცეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად აუცილებელი შეიარაღებული ძალები, დახმარება და მომსახურების სათანადო საშუალებები, ტერიტორიაზე გატარების უფლების ჩათვლით.

2. ასეთი შეთანხმება ან შეთანხმებები განსაზღვრავენ ჯარების რიცხოვნობას და სახეობას, მათი მზაობის ხარისხსა და მათს საერთო განლაგებას და მომსახურებისა და დახმარების წარმოდგენილ საშუალებათა ხასიათს.

3. მოლაპარაკებები შეთანხმების ან შეთანხმებების დადების შესახებ ტარდება რაც შეიძლება მოკლე დროში უშიშროების საბჭოს ინიციატივით. შეთანხმებები დაიდება უშიშროების საბჭოსა და ორგანიზაციის წევრებს შორის, ანდა უშიშროების საბჭოსა და ორგანიზაციის წევრების ჯგუფებს შორის, და ექვემდებარება რატიფიკაციას მათი ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ, მათივე სათანადო საკონსტიტუციო პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 44

როდესაც უშიშროების საბჭო გადაწყვეტს ძალის გამოყენებას, ვიდრე იგი მოსთხოვდეს ორგანიზაციის იმ წევრს, რომელიც არ არის წარმოდგენილი საბჭოში, შეიარაღებული ძალების გადმოცემას 43-ე მუხლის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, უშიშროების საბჭო მოიწვევს ორგანიზაციის ამ წევრს, თუკი ეს უკანასკნელი მოისურვებს, მონაწილეობა მიიღოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებში ორგანიზაციის მოცემული წევრის შეიარაღებული ძალების კონტინგენტების გამოყენების შესახებ.

მუხლი 45

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის სასწრაფო სამხედრო ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციის წევრებს დაუყოვნებლივი მზადყოფნის მდგომარეობაში უნდა ჰყავდეთ ეროვნული სამხედრო-საჰაერო ძალების კონტინგენტები ერთობლივი საერთაშორისო იძულებითი ქმედებებისათვის. ამ კონტინგენტების რაოდენობას და

მზადყოფნის ხარისხს და მათი ერთობლივი ქმედებების გეგმებს განსაზღვრავს უშიშროების საბჭო სამხედრო-საშტაბო კომიტეტის დახმარებით, 43-ე მუხლში მოხსენიებული საგანგებო შეთანხმების ან შეთანხმებების ფარგლებში.

მუხლი 46

შეიარაღებული ძალების გამოყენების გეგმებს ადგენს უშიშროების საბჭო სამხედრო-საშტაბო კომიტეტის დახმარებით.

მუხლი 47

1. სამხედრო-საშტაბო კომიტეტი იმისათვის იქმნება, რათა რჩევები მისცეს და დახმარება გაუწიოს უშიშროების საბჭოს ყველა იმ საკითხის გარშემო, რომლებიც განეკუთვნებიან უშიშროების საბჭოს სამხედრო მოთხოვნილებებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად, მის განკარგულებაში გადაცემული ჯარების გამოყენებასა და სარდლობას, აგრეთვე შეიარაღებათა რეგულირებასა და შესაძლო განიარაღებასაც.

2. სამხედრო-საშტაბო კომიტეტი შედგება უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების შტაბების მეთაურებისა და მათი წარმომადგენლებისაგან. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელიც არ არის მუდმივად წარმოდგენილი კომიტეტში, კომიტეტი მიიწვევს თანამშრომლობისათვის, თუკი კომიტეტის მოვალეობათა ეფექტურ განხორციელებას სჭირდება ორგანიზაციის ამ წევრის მონაწილეობა კომიტეტის მუშაობაში.

3. უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო-საშტაბო კომიტეტი პასუხს აგებს უშიშროების საბჭოს განკარგულებაში გადაცემული ნებისმიერი შეიარაღებული ძალების სტრატეგიული ხელმძღვანელობისათვის. საკითხები, რომლებიც განეკუთვნებიან ასეთი ძალების სარდლობას, მოგვიანებით უნდა იქნეს შეშუშავებული.

4. სამხედრო-საშტაბო კომიტეტს, უშიშროების საბჭოს ნებართვით და სათანადო რეგიონულ ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია თავისი რეგიონული ქვეკომიტეტების დაფუძნება.

მუხლი 48

1. ქმედებანი, რომლებიც საჭიროა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მიზნით უშიშროების საბჭოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ხორციელდება ორგანიზაციის ყველა წევრის ან ზოგიერთი მათგანის მიერ, იმის მიხედვით, თუ როგორ განსაზღვრავს ამას უშიშროების საბჭო.

2. ასეთი გადაწყვეტილებანი სრულდება უშუალოდ ორგანიზაციის წევრების მიერ, აგრეთვე მათი ქმედებების გზით იმ შესაბამის საერთაშორისო დაწესებულებებში, რომელთა წევრებიც ისინი არიან.

მუხლი 49

ორგანიზაციის წევრები უნდა გაერთიანდნენ ურთიერთდახმარების აღმოსაჩენად იმ ღონისძიებათა გატარებისას, რომელთა შესახებაც მიღებულია გადაწყვეტილება უშიშროების საბჭოს მიერ.

მუხლი 50

თუკი უშიშროების საბჭო იღებს პრევენტიულ ან იძულებით ზომებს ამა თუ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რომლის წინაშეც დგება ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად წარმოქმნილი სპეციალური ეკონომიკური პრობლემები იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ის ორგანიზაციის წევრი, უფლება აქვს მიიღოს კონსულტაცია უშიშროების საბჭოსაგან ამგვარი პრობლემების გადაჭრის შესახებ.

მუხლი 51

წინამდებარე წესდება, თუკი მოხდება შეიარაღებული თავდასხმა ორგანიზაციის წევრზე, არაფერით შეზღუდავს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას მანამდე, ვიდრე უშიშროების საბჭო არ მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად აუცილებელ ზომებს. ორგანიზაციის წევრების მიერ თავდაცვის ამ უფლების განხორციელებისას მიღებული ზომების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს და ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხელყოფდნენ უშიშროების საბჭოს წინამდებარე წესდების შესაბამის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას, ნებისმიერ დროს განახორციელოს ისეთი ქმედებანი, როგორსაც იგი მიიჩნევს საჭიროდ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად ან აღსადგენად.

თავი VIII

რეგიონული შეთანხმებანი

მუხლი 52

1. წინამდებარე წესდება არანაირად არ ეწინააღმდეგება რეგიონული შეთანხმების ან ორგანოების არსებობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების სფეროს ისეთი საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც შეეფერებიან რეგიონულ ქმედებებს, იმ პირობით, რომ ასეთი შეთანხმებები ან ორგანოები და მათი საქმიანობა უთავსდება ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

2. ორგანიზაციის წევრებმა, რომლებმაც ასეთი შეთანხმებები დადეს, ან ასეთ ორგანოებს შეადგენენ, ყოველი ღონე უნდა იხმარონ ადგილობრივი დავების მშვიდობიანი მოგვარების მისაღწევად ამგვარი რეგიონული შეთანხმებების ან ამგვარი რეგიონული ორგანოების დახმარებით – ამ დავების უშიშროების საბჭოსთვის გადაცემამდე.

3. უშიშროების საბჭომ უნდა წაახალისოს ადგილობრივი დავების მშვიდობიანი მოგვარების გზების განვითარება ამგვარი რეგიონული შეთანხმებების ან ამგვარი რეგიონული ორგანოების დახმარებით, დაინტერესებულ სახელმწიფოთა ინიციატივით, ანდა თავისი საკუთარი ინიციატივის გამოჩენით.

4. წინამდებარე მუხლი არანაირად არ ეხება 34-ე და 35-ე მუხლების გამოყენებას.

მუხლი 53

1. უშიშროების საბჭო იყენებს, სადაც კი ეს მართებულია, ასეთ რეგიონულ შეთანხმებებს ან ორგანოებს თავისი ხელმძღვანელობით გატარებული იძულებითი ქმედებებისათვის. მაგრამ არავითარი იძულებითი ქმედებები არ ხორციელდება ასეთი რეგიონული შეთანხმებების ძალით, ან რეგიონული ორგანოების მიერ უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებათა გარეშე, გარდა 107-ე მუხლით გათვალისწინებული ზომებისა წინააღმდეგ ნებისმიერი მტრული სახელმწიფოსი (როგორც მას განსაზღვრავს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტი), ანდა იმ რეგიონული შეთანხმებებით გათვალისწინებული ზომებისა, რომლებიც მიმართული არიან აგრესიული პოლიტიკის განახლების წინააღმდეგ ნებისმიერი ასეთი

სახელმწიფოს მხრიდან, იმ დრომდე, როდესაც ორგანიზაციას, დაინტერესებული მთავრობების თხოვნით, შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა შემდგომი აგრესიის აღსაკვეთად ასეთი სახელმწიფოს მხრიდან.

2. ტერმინი „მტრული სახელმწიფო", როგორც ის ნახმარია წინამდებარე მუხლის I პუნქტში, შეეხება ნებისმიერი სახელმწიფოს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში წარმოადგენდა მტერს ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც ხელი მოაწერა წინამდებარე წესდებას.

მუხლი 54

უშიშროების საბჭო ყოველთვის სრულად უნდა იყოს ინფორმირებული იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც განხორციელებულია, ან დასახულია რეგიონული შეთანხმებების ძალით, ანდა – რეგიონული ორგანოების მიერ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად.

თავი IX

საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობა

მუხლი 55

იმ მიზნით, რათა ერებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემაზე დამყარებული მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობებისათვის შეიქმნას აუცილებელი სტაბილურობისა და კეთილდღეობის პირობები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობს:

ა) ცხოვრების დონის ამაღლებას, მოსახლეობის სრულ დასაქმებას, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და განვითარების პირობებს;

ბ) საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას ეკონომიკურ, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში და სხვა მსგავსი პრობლემების გადაწყვეტას; საერთაშორისო თანამშრომლობას კულტურისა და განათლების სფეროში;

გ) ადამიანის საყოველთაო პატივისცემისა და მისი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას ყველასათვის – რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად.

მუხლი 56

ორგანიზაციის ყველა წევრი იღებს ვალდებულებას, ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ერთობლივად და დამოუკიდებლად იმოქმედოს 55-ე მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 57

1. მთავრობათაშორისი შეთანხმებებით შექმნილი და მათი დამფუძნებელი აქტების თანახმად ეკონომიკურ, სოციალურ, განათლების, ჯანდაცვისა და მსგავს სფეროებში ფართო საერთაშორისო პასუხისმგებლობით აღჭურვილი სხვადასხვა სპეციალიზებული დაწესებულებები ორგანიზაციასთან დაკავშირებით იქნებიან 63-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.

2. ასეთი დაწესებულებები, რომლებსაც აღნიშნული სახით დაკავშირებენ ორგანიზაციასთან, შემდგომ მუხლებში იწოდებიან „სპეციალიზებულ დაწესებულებებად".

მუხლი 58

ორგანიზაცია შეიმუშავებს რეკომენდაციებს სპეციალიზებულ დაწესებულებათა პოლიტიკისა და საქმიანობის შესათანხმებლად.

მუხლი 59

ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში იწონს ინიციატივას, რათა დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა დაიწყონ მოლაპარაკება ნებისმიერი სხვა სპეციალიზებული დაწესებულებების შექმნის შესახებ, რომლებიც საჭირო გახდებიან 55-ე მუხლში მითითებული მიზნების შესასრულებლად.

მუხლი 60

ორგანიზაციის წინამდებარე თავში აღნიშნული ფუნქციების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება გენერალური ასამბლეას და, გენერალური ასამბლეის ხელმძღვანელობით, ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს, რომელსაც ამ მიზნით ენიჭება X თავში აღნიშნული უფლებამოსილებანი.

თავი X

ეკონომიკური და სოციალური საბჭო

შემადგენლობა

მუხლი 61

1. ეკონომიკური და სოციალური საბჭო შედგება ორგანიზაციის ორმოცდათოთხმეტი წევრისაგან, რომლებსაც ირჩევს გენერალური ასამბლეა.

2. მე-3 პუნქტში მოცემული დებულებების დაცვით, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს თვრამეტ წევრს ირჩევენ ყოველწლიურად სამი წლის ვადით. საბჭოდან გამოკლებული წევრი შეიძლება დაუყოვნებლივ იქნეს გადარჩეული.

3. პირველი არჩევნებისას ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრების რიცხვის ოცდაშვიდიდან ორმოცდათოთხმეტამდე გაზრდის შემდეგ, დამატებით წევრებისა, რომლებიც არჩეულნი არიან იმ ცხრა წევრის ნაცვლად, რომელთა რწმუნების ვადა იწურება მოცემული წლის ბოლოს, აირჩევა ოცდაშვიდი დამატებითი წევრი. ამგვარად არჩეული ოცდაშვიდი დამატებითი წევრიდან ცხრა წევრის უფლებამოსილების ვადა იწურება ერთი წლის შემდეგ, სხვა ცხრა წევრის უფლებამოსილების ვადა კი – ორი წლის შემდეგ, გენერალური ასამბლეის დადგენილების შესაბამისად.

4. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ყოველ წევრს ჰყავს ერთი წარმომადგენელი.

ფუნქციები და უფლებამოსილებანი

მუხლი 62

1. ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, აწარმოოს გამოკვლევები და შეადგინოს მოხსენებები ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის სფეროებში და მსგავს საკითხებზე, ან წაადგინოს სხვები ამისათვის, აგრეთვე შესთავაზოს რეკომენდაციები ნებისმიერ ამ საკითხზე გენერალურ ასამბლეას, ორგანიზაციის წევრებს და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს.

2. საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს რეკომენდაციები ადამიანის უფლებათა და საყოველთაო ძირითად თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვის წახალისების მიზნით.

3. საბჭო უფლებამოსილია, მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მოამზადოს კონვენციების პროექტები გენერალურ ასამბლეაში წარსადგენად.

4. საბჭო უფლებამოსილია, ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, მოიწვიოს საერთა-

შორისო კონფერენციები მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

მუხლი 63

1. ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, 57-ე მუხლში მითითებულ ნებისმიერ დაწესებულებასთან დადოს იმ პირობების განმსაზღვრელი შეთანხმებები, რომლებთანაც შესაბამისი დაწესებულებები დამყარებენ კავშირს ორგანიზაციასთან. ასეთი შეთანხმებები უნდა დამტკიცოს გენერალურმა ასამბლეამ.

2. საბჭო უფლებამოსილია, შეათანხმოს სპეციალიზებული დაწესებულებების საქმიანობა მათთან კონსულტაციებისა და ასეთი დაწესებულებებისათვის რეკომენდაციების მეშვეობით, აგრეთვე გენერალური ასამბლეისა და ორგანიზაციის წევრებისათვის რეკომენდაციების შემოშავების გზით.

მუხლი 64

1. ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს სათანადო ზომები სპეციალიზებული დაწესებულებებისაგან რეგულარული მოხსენებების მისაღებად. საბჭო უფლებამოსილია, დადოს შეთანხმებები გაეროს წევრებთან და სპეციალიზებულ დაწესებულებებთან, რათა მათგან მიიღოს მოხსენებები მათ მიერ საკუთრივ საბჭოს რეკომენდაციებისა და გენერალური ასამბლეის რეკომენდაციების შესასრულებლად მიღებული ზომების შესახებ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნებიან.

2. საბჭო უფლებამოსილია, შეატყობინოს გენერალურ ასამბლეას თავისი შენიშვნები ამ მოხსენებების შესახებ.

მუხლი 65

ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, წარუდგინოს უშიშროების საბჭოს ინფორმაცია და, უშიშროების საბჭოს წინადადებით, ვალდებულია დაეხმაროს მას.

მუხლი 66

1. ეკონომიკური და სოციალური საბჭო ახორციელებს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც შედის მის კომპეტენციაში, გენერალური ასამბლეის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

2. საბჭო, გენერალური ასამბლეის მხარდაჭერით, უფლებამოსილია შეასრულოს სამუშაოები ორგანიზაციის წევრებისა და სპეციალიზებული დაწესებულებების თხოვნით.

3. საბჭომ უნდა შეასრულოს სხვა ისეთი ფუნქციებიც, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე წესდების სხვა ნაწილში, ანდა – რომლებიც შეიძლება დაკისროს საბჭოს გენერალურმა ასამბლეამ.

კენჭისყრა

მუხლი 67

1. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა.

2. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება საბჭოს იმ წევრების ხმათა უმრავლესობით, რომლებიც ესწრებიან და მონაწილეობენ კენჭისყრაში.

პროცედურა

მუხლი 68

ეკონომიკური და სოციალური საბჭო ქმნის კომისიებს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში და ადამიანის უფლებათა მხარდასაჭერად, აგრეთვე სხვა ისეთ კომისიებს, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდნენ მისი ფუნქციების შესასრულებლად.

მუხლი 69

ეკონომიკური და სოციალური საბჭო იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ხმის უფლების გარეშე მონაწილეობის მისაღებად საბჭოს მიერ ნებისმიერი ისეთი საკითხის განხილვაში, რომელიც განსაკუთრებული ინტერესის საგანია ორგანიზაციის მოცემული წევრისათვის.

მუხლი 70

ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, გაატაროს ღონისძიებები, რათა სპეციალიზებული დაწესებულებების წარმომადგენლებმა (ხმის უფლების გარეშე) მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში საბჭოში ან მის მიერ შექმნილ კომისიებში, ხოლო საბჭოს წარმომადგენლებმა – სპეციალიზებულ დაწესებულებებში საკითხების განხილვაში.

მუხლი 71

ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, გაატაროს სათანადო ღონისძიებანი მის კომპეტენციაში შემავალი საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ასეთი ღონისძიებები შეიძლება შეუთანხმდეს საერთაშორისო ორგანიზაციებს, საჭიროების შემთხვევაში კი – ეროვნულ ორგანიზაციებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაინტერესებულ წევრთან კონსულტაციის შემდეგ.

მუხლი 72

1. ეკონომიკური და სოციალური საბჭო ადგენს პროცედურის თავის საკუთარ წესებს, თავისი თავმჯდომარის არჩევის წესის ჩათვლით.

2. ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს იწვევენ, საჭიროებისდა მიხედვით, შესაბამისად თავისივე წესებისა, რომლებიც უნდა შეიცავდნენ დებულებებს სხდომების მოწვევის შესახებ საბჭოს წევრების უმრავლესობის მოთხოვნით.

თავი XI

დეკლარაცია არათვითმართველი ტერიტორიების მიმართ

მუხლი 73

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები, რომლებიც პასუხს აგებენ, ან თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას იმ ტერიტორიების მართვისათვის, რომელთა ხალხებსაც ჯერ კიდევ არ მოუღწევიათ სრული თვითმმართველობისათვის, აღიარებენ იმ პრინციპს, რომ ამ ტერიტორიების მოსახლეობის ინტერესები უმნიშვნელოვანესია და, როგორც წმიდათაწმიდა მოვალეობას, კისრულობენ ვალდებულებას, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ამ ტერიტორიების მოსახლეობის კეთილდღეობას წინამდებარე წესდებით დადგენილი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების სისტემის ფარგლებში, და ამ მიზნით:

ა) უზრუნველყონ, აღნიშნული ხალხების კულტურის მიმართ სათანადო პატივისცემის დაცვით, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესი, პროგრესი განათლების სფეროში, სამართლიანი მოპყრობა მათდამი და მათი დაცვა ძალადობისაგან;

ბ) განავითარონ თვითმმართველობა, სათანადოდ

გათვალისწინონ ამ ხალხების პოლიტიკური მისწრაფებანი და დაეხმარონ მათ თავისუფალი პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარებაში თითოეული ტერიტორიისა და მისი ხალხებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებებისა და ამ ხალხების განვითარების განსხვავებული საფეხურების შესაბამისად;

გ) განამტკიცონ საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება;

დ) ხელი შეუწყონ აღმშენებლობითი ღონისძიებების განვითარებას, წაახალისონ გამოკვლევები და ითანამშრომლონ ერთმანეთთან და, სადაც და როდესაც ეს გამართლებულია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, წინამდებარე მუხლში აღნიშნული სოციალური, ეკონომიკური და სამეცნიერო მიზნების პრაქტიკულად მისაღწევად, და

ე) გადასცენ რეგულარულად გენერალურ მდივანს ინფორმაციისათვის, ისეთი შეზღუდვებით, როგორიც შეიძლება საჭირო გახდეს უშიშროებისა და კონსტიტუციური წესრიგის დაცვის მოსაზრებით, სტატისტიკური და სხვა სპეციალური ხასიათის ინფორმაცია, რომელიც შეეხება ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, აგრეთვე განათლების პირობებს იმ ტერიტორიებზე, რომლებისთვისაც ისინი შესაბამისად აგებენ პასუხს, გარდა იმ ტერიტორიებისა, რომელთა მიმართაც ვრცელდება XII და XIII თავების მოქმედება.

მუხლი 74

ორგანიზაციის წევრები თანხმდებიან აგრეთვე, რომ მათი პოლიტიკა იმ ტერიტორიების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება წინამდებარე თავის მოქმედება, უნდა ეფუძნებოდეს, არა ნაკლებ, ვიდრე მათი მეტროპოლიების მიმართ, კეთილმეზობლობის ზოგად პრინციპს, სოციალურ, ეკონომიკურ და ვაჭრობის საქმეებში დანარჩენი მსოფლიოს ინტერესებისა და კეთილდღეობის სათანადო გათვალისწინებით.

თავი XII

მეურვეობის საერთაშორისო სისტემა

მუხლი 75

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი ხელმძღვანელობით ქმნის მეურვეობის საერთაშორისო სისტემას იმ ტერიტორიების სამართავად და სამეთვალყურეოდ, რომლებიც შეიძლება გაერთიანდნენ მეურვეობაში შემდგომი ინდივიდუალური შეთანხმებით. ეს ტერიტორიები შემდეგ იწოდება „მეურვეობაში მყოფ ტერიტორიებად".

მუხლი 76

მეურვეობის სისტემის ძირითადი ამოცანები, წინამდებარე წესდების I მუხლში წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, შემდეგია:

ა) ხელი შეუწყოს მეურვეობაში მყოფი ტერიტორიების მოსახლეობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს, მის პროგრესს განათლების სფეროში და ამ მოსახლეობის პროგრესულ განვითარებას თვითმმართველობის ან დამოუკიდებლობის გზით, როგორადაც ეს შესაფერისი აღმოჩნდება ყოველი ტერიტორიისა და მისი ხალხების სპეციფიკური პირობებისთვის, და ამაღე დროს ყურად იღოს ამ ხალხების თავისუფლად გამოხატული სურვილი და ისიც, თუ როგორ იქნება ეს გათვალისწინებული მეურვეობის შესახებ ყოველი შეთანხმების პირობით;

ბ) წაახალისოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა ყველასათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩეველად, და ხელი შეუწყოს მსოფლიოს ხალხთა ურთიერთდამოკიდებულების აღიარებას;

გ) უზრუნველყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრის და მათი მოქალაქეების მიმართ თანაბარი მიდგომა სოციალურ, ეკონომიკურ და საჯარო სფეროში, აგრეთვე ასეთივე დამოკიდებულება მათ მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებისას, ისე, რომ არ დაბრკოლდეს ზემოაღნიშნული ამოცანების მიღწევა და დაცული იქნეს მე-80-ე მუხლის დებულებების პირობა.

მუხლი 77

1. მეურვეობის სისტემა ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების ისეთ ტერიტორიებზე, რომლებიც შეიძლება ჩართული იქნეს ამ სისტემაში მეურვეობის შესახებ შეთანხმების თანახმად:

ა) ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად სამანდატონი არიან;

ბ) ტერიტორიები, რომლებიც შეიძლება ჩამოშორდნენ მტრულ სახელმწიფოებს მეორე მსოფლიო ომის შედეგად; და

გ) ტერიტორიები, რომლებიც ნებაყოფლობით არიან ჩართული მეურვეობის სისტემაში იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც პასუხს აგებენ მათ მმართველობაზე.

2. საკითხი იმის შესახებ, ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებიდან რომელი ტერიტორიები უნდა იქნეს ჩართული მეურვეობის სისტემაში და რა პირობებით, შემდგომი შეთანხმების საგანი უნდა გახდეს.

მუხლი 78

მეურვეობის სისტემა არ ვრცელდება იმ ქვეყნებზე, რომლებიც ორგანიზაციის წევრები გახდნენ და რომელთა შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს სუვერენული თანასწორობის პრინციპის პატივისცემას.

მუხლი 79

მეურვეობის პირობები, აგრეთვე მათი ნებისმიერი ცვლილება ან შესწორება, ყველა იმ ტერიტორიისათვის, რომლებიც მეურვეობის სისტემაში ჩართვას ექვემდებარება, უნდა შეთანხმებულ იქნეს უშუალოდ დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ქვეყანა-მანდატარიების ჩათვლით (იმ შემთხვევაში, თუკი ტერიტორიები გაერთიანებული ერების წევრის მანდატის ქვეშ იმყოფებიან), და ეს პირობები უნდა დამტკიცდეს, როგორც ეს გათვალისწინებულია 83-ე და 85-ე მუხლებით.

მუხლი 80

1. გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებსაც შეიძლება ეხებოდეს 77-ე, 79-ე და 81-ე მუხლების შესაბამისად დადებული ინდივიდუალური სამეურვეო შეთანხმებები, რომლებიც ყოველ ტერიტორიას მეურვეობის სისტემაში რთავენ, — და აგრეთვე მომავალში ამგვარი შეთანხმებების დადებამდე, — ამ თავში არაფერი არ უნდა იქნეს გაგებული როგორც რაიმენაირად შეცვლა ნებისმიერი სახელმწიფოს ან ნებისმიერი ხალხების რაიმე უფლებისა, ან იმ არსებული საერთაშორისო შეთანხმებების პირობისა, რომელთა მონაწილენიც შესაბამისად შეიძლება ორგანიზაციის წევრები იყვნენ.

2. წინამდებარე მუხლის 1 პუნქტი არ უნდა იქნეს გაგებული რაღაც საფუძვლად იმისათვის, რომ სამან-

დატო ან სხვა ტერიტორიების მეურვეობის სისტემაში 77-ე მუხლით გათვალისწინებული ჩართვის შესახებ მოლაპარაკებები ან შეთანხმების დადება შეჩერდეს ან გადავადდეს.

მუხლი 81

შეთანხმება მეურვეობის შესახებ თითოეულ შემთხვევაში უნდა შეიცავდეს პირობებს, რომელთა თანახმადაც იწარმოებს მეურვეობაში მყოფი ტერიტორიის მართვა, და ეს შეთანხმება აგრეთვე უნდა განსაზღვრავდეს იმ ხელისუფლას, რომელიც განახორციელებს მეურვეობაში მყოფი ტერიტორიის მმართველობას. ასეთი ხელისუფლება, რომელიც შემდგომ იწოდება „მმართველ ხელისუფლებად", შეიძლება წარმოადგენდეს ერთ ან მეტ სახელმწიფოს, ანდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, როგორც ასეთს.

მუხლი 82

ნებისმიერ სამეურვეო შეთანხმებაში შეიძლება განისაზღვროს სტრატეგიული რაიონი ან რაიონები, რომლებიც შეიძლება მოიცავდნენ მეურვეობაში მყოფი ტერიტორიის ნაწილს, ან მთლიანად ტერიტორიას, რომელზეც ვრცელდება ეს შეთანხმება, 43-ე მუხლის საფუძველზე დადებული ნებისმიერი საგანგებო შეთანხმების თუ შეთანხმებების შეულახავად.

მუხლი 83

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ფუნქციას, რომლებიც სტრატეგიულ რაიონებს ეხება, მათ შორის მეურვეობის შესახებ შეთანხმების პირობებისა და მათი შეცვლის ან შესწორების დამტკიცებას, ახორციელებს უშიშროების საბჭო.

2. ძირითადი მიზნები, რომლებიც 76-ე მუხლშია ჩამოთვლილი, ეხება ყოველი სტრატეგიული რაიონის ხალხს.

3. უშიშროების საბჭო, მეურვეობის შესახებ შეთანხმებების პირობების დაცვით და უშიშროების მოთხოვნების შეულახავად, სარგებლობს სამეურვეო საბჭოს დახმარებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ ფუნქციების შესასრულებლად, მეურვეობის სისტემის შესაბამისად, რომლებიც ეხებიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს და აგრეთვე განათლების სფეროს საკითხებს სტრატეგიულ რაიონებში.

მუხლი 84

მმართველი ხელისუფლების მოვალეობაა იმის უზრუნველყოფა, რათა მეურვეობაში მყოფმა ტერიტორიამ შეასრულოს თავისი როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვაში. ამ მიზნით მმართველი ხელისუფლება უფლებამოსილია გამოიყენოს მეურვეობაში მყოფი ტერიტორიის ნებაყოფლობითი შეიარაღებული ძალები, მოშსახურების საშუალებანი და დახმარება ამ მიმართულებით უშიშროების საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და ამდენადვე ადგილობრივი თავდაცვისთვისაც და მეურვეობაში მყოფი ტერიტორიის ფარგლებში კანონისა და წესრიგის დასამყარებლადაც...

მუხლი 85

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფუნქციებს სამეურვეო შეთანხმებათა მიმართ ყველა იმ რაიონისათვის, რომლებიც არ განეკუთვნებიან სტრატეგიულთა რიცხვს, მათ შორის მეურვეობის შესახებ შეთანხმების პირობის დამტკიცებას, აგრეთვე მათში ცვლილებების ან შესწორებების შეტანას, ახორციელებს გენერალური ასამბლეა.

2. სამეურვეო საბჭო, რომელიც გენერალური ასამბლეის ხელმძღვანელობით მოქმედებს, ეხმარება გენერალურ ასამბლეას ამ ფუნქციის შესრულებაში.

თავი XIII

სამეურვეო საბჭო

შემადგენლობა

მუხლი 86

1. სამეურვეო საბჭოს შეადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდეგი წევრები:

ა) ორგანიზაციის ის წევრები, რომლებიც მართავენ მეურვეობაში მყოფ ტერიტორიებს;

ბ) 23-ე მუხლში დასახელებული ორგანიზაციის ის წევრები, რომლებიც არ მართავენ მეურვეობაში მყოფ ტერიტორიებს;

გ) გენერალური ასამბლეის მიერ სამი წლის ვადით არჩეული ორგანიზაციის წევრების ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება აუცილებლად აღმოჩნდეს იმისათვის, რათა სამეურვეო საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა თანაბრად განაწილდეს ორგანიზაციის იმ წევრებს შორის, რომლებიც მართავენ, და რომლებიც არ მართავენ მეურვეობაში მყოფ ტერიტორიებს.

2. სამეურვეო საბჭოს ყოველი წევრი ნიშნავს ერთ განსაკუთრებულ კვალიფიციურ პირს, რომელიც მისი წარმომადგენელი იქნება სამეურვეო საბჭოში.

ფუნქციები და უფლებამოსილებანი

მუხლი 87

გენერალური ასამბლეა და მის ხელმძღვანელობაში მყოფი სამეურვეო საბჭო თავიანთი ფუნქციების შესრულებისას უფლებამოსილნი არიან:

ა) განიხილონ მმართველი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები;

ბ) მიიღონ პეტიციები და განიხილონ ისინი მმართველ ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ;

გ) მოაწყონ მეურვეობაში მყოფი შესაბამისი ტერიტორიების პერიოდული დათვალიერება მმართველ ხელისუფლებასთან შეთანხმებულ ვადებში; და

დ) განახორციელონ აღნიშნული და სხვა ქმედებანი მეურვეობის შესახებ შეთანხმებათა შესაბამისად.

მუხლი 88

სამეურვეო საბჭო შეიმუშავებს ანკეტას მეურვეობაში მყოფი ყოველი ტერიტორიის მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის შესახებ, აგრეთვე მოსახლეობის პროგრესის შესახებ განათლების სფეროში, ხოლო გენერალური ასამბლეის კომპეტენციაში შემავალ მეურვეობაში მყოფი ყოველი ტერიტორიის მმართველი ხელისუფლება წარუდგენს გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურ მოხსენებებს ამ ანკეტის საფუძველზე.

კენჭისყრა

მუხლი 89

1. სამეურვეო საბჭოს ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა.

2. სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაზე დამსწრე და მონაწილე საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით.

პროცედურა

მუხლი 90

1. სამეურვეო საბჭო იღებს პროცედურის თავის საკუთარ წესებს, თავისი თავმჯდომარის არჩევის წესის ჩათვლით.

2. სამეურვეო საბჭოს სხდომებს იწვევენ საჭიროებისამებრ მისი პროცედურის წესების შესაბამისად, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს სხდომათა მოწვევას საბჭოს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.

მუხლი 91

სამეურვეო საბჭო სათანადო შემთხვევებში სარგებლობს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს და სპეციალიზებული დაწესებულებების დახმარებით იმ საკითხების მიმართ, რომლებითაც ისინი შესაბამისად არიან დაინტერესებული.

თავი XIV

საერთაშორისო სასამართლო

მუხლი 92

საერთაშორისო სასამართლო წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ სასამართლო ორგანოს. იგი მოქმედებს თანდართული სტატუტის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის სტატუტს და ქმნის წინამდებარე წესდების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 93

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ipso facto (თვით ფაქტით — ლათ.) წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილეს.

2. სახელმწიფო, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი, შეიძლება გახდეს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილე იმ პირობებით, რომლებსაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.

მუხლი 94

1. ორგანიზაციის ყოველი წევრი კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ საქმის გამო, რომელშიც იგი მხარეს წარმოადგენს.

2. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მხარე არ შეასრულებს მასზე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ მოვალეობას, მეორე მხარეს შეუძლია მიმართოს უშიშროების საბჭოს, რომელმაც, თუკი ამას აუცილებლად მიიჩნევს, შეიძლება შეიმუშაოს რეკომენდაციები, ანდა გადაწყვიტოს ზომების მიღება გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

მუხლი 95

წინამდებარე წესდება არანაირად არ დაუშლის ორგანიზაციის წევრებს, თავიანთი უთანხმოების მოგვარება დაავალონ სხვა სასამართლოებს უკვე არსებული, ანდა ისეთი შეთანხმებების ძალით, რომლებიც შეიძლება მომავალში დაიდოს.

მუხლი 96

1. გენერალურ ასამბლეას ან უშიშროების საბჭოს შეუძლიათ მოსთხოვონ საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს, ანდა სპეციალიზებულ დაწესებულებებს, რომლებსაც გენერალურმა ასამბლეამ ნებისმიერ დროს შეიძლება მისცეს ამაზე თანხმობა, აგრეთვე შეუძლიათ მოითხოვონ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები მათი მოღვაწეობის ფრის ფარგლებში წამოჭრილ იურიდიულ საკითხებზე.

თავი XV

სამდივნო

მუხლი 97

სამდივნო შედგება გენერალური მდივნისა და ისეთი პერსონალისაგან, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს ორგანიზაციისათვის. გენერალურ მდივანს ნიშნავს გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით. გენერალური მდივანი წარმოადგენს ორგანიზაციის მთავარ ადმინისტრაციულ თანამდებობრივ პირს.

მუხლი 98

გენერალური მდივანი ამ სტატუსით მოქმედებს გენერალური ასამბლეის უშიშროების საბჭოს, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ყველა სხდომაზე და ასრულებს ისეთ სხვა ფუნქციებს, რომლებსაც ეს ორგანოები აკისრებენ. გენერალური მდივანი წარუდგენს გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურ ანგარიშს ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

მუხლი 99

გენერალურ მდივანს უფლება აქვს, შეატყობინოს უშიშროების საბჭოს ნებისმიერი ისეთი საკითხის შესახებ, რომლებიც, მისი აზრით, შეიძლება ემუქრებოდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას.

მუხლი 100

1. თავის მოვალეობათა შესრულებისას გენერალური მდივანი და სამდივნოს პერსონალი არ უნდა ითხოვდნენ, ან იღებდნენ მითითებებს სხვა რომელიმე ისეთი მთავრობისა ან ხელისუფლებისაგან, რომელიც უცხოა ორგანიზაციისათვის. ისინი თავს უნდა იკავებდნენ ნებისმიერი ისეთი ქმედებისაგან, რომელიც შეიძლებოდა ასახულიყო მათი — მხოლოდ ორგანიზაციის წინაშე პასუხისმგებელი, საერთაშორისო თანამდებობრივი პირების მდგომარეობაზე.

2. ორგანიზაციის ყოველი წევრი კისრულობს პატივი სცეს გენერალური მდივნისა და სამდივნოს პერსონალის მოვალეობათა მკვეთრად გამოხატულ საერთაშორისო ხასიათს და არ სცადოს მათზე ზეგავლენის მოხდენა თავიანთი მოვალეობების აღსრულებისას.

მუხლი 101

1. სამდივნოს პერსონალს ნიშნავს გენერალური მდივანი გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესების თანახმად.

2. სათანადო პერსონალი გამოიყოფა მუდმივად მუშაობისათვის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში, სამეურვეო საბჭოში და, საჭიროებისამებრ, ორგანიზაციის სხვა ორგანოებში. ეს პერსონალი შეადგენს სამდივნოს ნაწილს.

3. სამუშაოზე მიღებისას და მუშაობის პირობების განსაზღვრისას, უმთავრესად, ამოსავალი უნდა იყოს მაღალი დონის შრომისუნარიანობის, კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის აუცილებლობა. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს პერსონალის შერჩევის დიდ მნიშვნელობას რაც შეიძლება ფართო გეოგრაფიულ საფუძველზე.

თავი XVI
სხვადასხვა დებულებანი
მუხლი 102

1. ყოველგვარი ხელშეკრულება და ყოველგვარი საერთაშორისო შეთანხმება, დადებული ორგანიზაციის ნებისმიერი წევრის მიერ წინამდებარე წესდების ძალაში შესვლის შემდეგ, პირველივე შესაძლებლობისთანავე უნდა იქნეს რეგისტრირებული სამდივნოში და სამდივნოსაც უნდა გამოაქვეყნოს.

2. ვერც ერთი მხარე ნებისმიერი ასეთი ხელშეკრულებისა, ან საერთაშორისო შეთანხმებისა, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ვერ დაიმოწმებს ასეთ ხელშეკრულებას ან შეთანხმებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვერც ერთ ორგანოში.

მუხლი 103

იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციის წევრების ვალდებულებანი, წინამდებარე წესდების მიხედვით, წინააღმდეგობაში აღმოჩნდებიან სხვა რომელიმე საერთაშორისო შეთანხმებით ნაკისრ მათსავე ვალდებულებებთან, უპირატესი ძალა აქვს წინამდებარე წესდებაში აღნიშნულ ვალდებულებებს.

მუხლი 104

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი ყოველი წევრის ტერიტორიაზე სარგებლობს ისეთი იურიდიული უფლებამოსილებით, რომელიც შეიძლება აუცილებელი იყოს ორგანიზაციის ფუნქციების შესასრულებლად და მისი მიზნების მისაღწევად.

მუხლი 105

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი ყოველი წევრის ტერიტორიაზე სარგებლობს ისეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად.

2. ორგანიზაციის წევრების წარმომადგენლები და მისი თანამდებობრივი პირები ავრეთვე სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც აუცილებელია ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული მათი ფუნქციების დამოუკიდებლად შესრულებისათვის.

3. გენერალურ ასამბლეას შეუძლია შეიმუშაოს რეკომენდაციები წინამდებარე 1 და მე-2 პუნქტების გამოყენების დეტალების განსაზღვრისათვის, ავრეთვე – შესთავაზოს ორგანიზაციის წევრებს კონვენციები ამ მიზნისათვის.

თავი XVII
უშიშროების დროისძიებანი გარდამავალ პერიოდში

მუხლი 106

ამ ქარტიიდან 43-ე მუხლში აღნიშნული ისეთი საგანგებო შეთანხმების ძალაში შესვლამდე, რომლებიც, უშიშროების საბჭოს აზრით, აძლევენ მას თავისი მოვალეობების განხორციელების დაწყების საშუალებას, 42-ე მუხლის თანახმად, მოსკოვში 1943 წლის 30 ოქტომბერს ხელმოწერილი ოთხი ზესახელმწიფოს დეკლარაციის მონაწილენი და საფრანგეთი, ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტის დებულებათა შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაციის სხვა წევრებსაც – ორგანიზაციის სახელით ისეთი ერთობლივი ქმედებების დასაგეგმავად, რომლებიც შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად.

მუხლი 107

წინამდებარე წესდება არავითარ შემთხვევაში არ უკარგავს იურიდიულ ძალას ქმედებებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად გატარდა, ან სანქციონირებული იყო ამგვარი ქმედებებისათვის პასუხისმგებელი მთავრობების მიერ ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში წარმოადგენდა მტერს ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც ხელი მოაწერა წინამდებარე წესდებას; წესდება აგრეთვე არ ეწინააღმდეგება ამგვარ ქმედებებს.

თავი XVIII
შესწორებები
მუხლი 108

წინამდებარე წესდების შესწორებები ორგანიზაციის ყველა წევრისათვის ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ისინი მიღებულ იქნებიან გენერალური ასამბლეის წევრთა ხმების ორი მესამედით და – რატიფიცირებული მათი სათანადო საკონსტიტუციო პროცედურის დაცით – ორგანიზაციის წევრთა ორი მესამედის მიერ, უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრის ჩათვლით.

მუხლი 109

1. წინამდებარე წესდების გადასინჯვის მიზნით შეიძლება მოწვეულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა გენერალური კონფერენცია იმ ვადებში და იმ ადგილას, რომლებიც განისაზღვრება გენერალური ასამბლეის წევრთა ხმების ორი მესამედის მიერ (უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრის ჩათვლით) რატიფიკაციის შემდეგ, მათი სათანადო საკონსტიტუციო პროცედურის შესაბამისად.

3. თუკი ასეთი კონფერენცია არ ჩატარდება გენერალური ასამბლეის მეათე ყოველწლიურ სესიამდე წინამდებარე წესდების ძალაში შესვლის შემდეგ, ასეთი კონფერენციის მოწვევის წინადადება შედის გენერალური ასამბლეის ამ სესიის დღის წესრიგში და კონფერენცია მოიწვევა, თუ ეს გადაწყდება გენერალური ასამბლეის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით და უშიშროების საბჭოს ნებისმიერი შვიდი წევრის ხმებით.

თავი XIX
რატიფიკაცია და ხელის მოწერა
მუხლი 110

1. წინამდებარე წესდება ექვემდებარება რატიფიკაციას მისი ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ, მათი სათანადო საკონსტიტუციო პროცედურის შესაბამისად.

2. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად უნდა ჩაბარდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომელიც ყოველი სიგელის შესახებ ჩაბარებას აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს წესდებას, და ასევე ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, როდესაც ის დაინიშნება.

3. წინამდებარე წესდება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც სარატიფიკაციო სიგელებს შესანახად ჩააბარებენ ჩინეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (ამჟამად მისი უფლებამონაცვლეა რუსეთი), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები და იმ სხვა სახელმწიფოთა

უმრაველესობას, რომლებმაც ხელი მოაწერეს წესდებას, ამის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შეადგენს ოქმს სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩაბარების შესახებ, რომლის ასლები დაეგზავნება ყველა სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს წესდებას.

4. სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს წინამდებარე წესდებას, და რომლებიც მოახდენენ მის რატიფიცირებას მას შემდეგ, რაც იგი ძალაში შევიდა, გახდებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავდაპირველი წევრები თავიანთი შესაბამისი სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩაბარების დღიდან.

მუხლი 111

წინამდებარე წესდება, რომლის ჩინური, ფრანგული. რუსული, ინგლისური და ესპანური ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, დაცული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის არქივში. ეს მთავრობა გადაუგზავნის წესდების სათანადოდ დამოწმებულ ასლებს მისი ხელმომწერი ყველა სხვა სახელმწიფოს მთავრობებს.

რის დასადასტურებლადაც გაერთიანებული ერების სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე წესდებას.

შედგენილია ქალაქ სან-ფრანცისკოში, ათას ცხრაას ორმოცდაექვსი იენისის დღეს.

საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი

მუხლი 1

საერთაშორისო სასამართლო, რომელიც გაერთიანებული ერების წესდებით დაფუძნებულია როგორც გაერთიანებული ერების მთავარი სასამართლო ორგანო, იქმნება და მოქმედებს წინამდებარე სტატუტის ქვემოთ მოტანილ დებულებათა შესაბამისად.

თავი I

სასამართლოს ორგანიზაცია

მუხლი 2

სასამართლო შედგება დამოუკიდებელი მოსამართლეების კოლეგიისაგან; ისინი არჩეული არიან, მათი მოქალაქეობის მიუხედავად, მაღალი მორალური თვისებების მქონე პირთა რიცხვიდან, და აკმაყოფილებენ მათ ქვეყნებში უმაღლეს სასამართლო თანამდებობებზე დასანიშნად წაყენებულ მოთხოვნებს, ანდა არიან საერთაშორისო სამართლის სფეროში აღიარებული ავტორიტეტის მქონე იურისტები.

მუხლი 3

1. სასამართლო შედგება თხუთმეტი წევრისაგან, ამასთან მის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე სახელმწიფოს ორი მოქალაქე.

2. პირი, რომელიც სასამართლოს შემადგენლობასთან მიმართებაში შეიძლება განიხილებოდეს როგორც ერთზე მეტი სახელმწიფოს მოქალაქე, მიიჩნევა იმ სახელმწიფოს მოქალაქედ, რომელშიც ის ჩვეულებრივ სარგებლობს თავისი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით.

მუხლი 4

1. სასამართლოს წევრები აირჩევიან გენერალური ასამბლეის და უშიშროების საბჭოს მიერ იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც შეტანილი არიან სიაში სამედიატორო სასამართლოს მუდმივი პალატის ეროვნული ჯგუფების წინადადებით, ქვემოთ მოტანილი დებულებების თანახმად.

2. რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი სამედიატორო სასამართლოს მუდმივ პალატაში, მათ კანდიდატებს წამოაყენებენ ამ მიზნისათვის მათი მთავრობების მიერ დანიშნული ეროვნული ჯგუფები, სამედიატორო სასამართლოს მუდმივი პალატის წევრებისათვის დადგენილი პირობების დაცვის, 1907 წლის ჰააგის კონვენციის 44-ე მუხლის შესაბამისად – საერთაშორისო შეტაკებათა მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

3. პირობები, რომლითაც წინამდებარე სტატუტის მონაწილე ის ქვეყანაა, რომელიც არ შედის გაერთიანებული ერების შემადგენლობაში, შეიძლება მონაწილეობდეს სასამართლოს წევრების არჩევაში, განისაზღვრება, განსაკუთრებული შეთანხმების არსებობისას, გენერალური ასამბლეის მიერ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.

მუხლი 5

1. არჩევნების დღემდე არა უგვიანეს სამი თვით ადრე გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი მიმართავს სამედიატორო სასამართლოს მუდმივი პალატის წევრებს, რომლებიც მიეკუთვნებიან წინამდებარე სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს, და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დანიშნული ეროვნული ჯგუფების წევრებს წერილობითი წინადადებით, რათა ყოველმა ეროვნულმა ჯგუფმა განსაზღვრული ვადის განმავლობაში მიუთითოს კანდიდატები, რომლებსაც შეეძლებათ იკისრონ სასამართლოს წევრთა მოვალეობანი.

2. არც ერთ ჯგუფს არ შეუძლია ოთხზე მეტი კანდიდატის წამოყენება, ამასთან არ შეიძლება ორზე მეტი კანდიდატი იყოს იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც ჯგუფი ეკუთვნის. ჯგუფის მიერ წამოყენებული კანდიდატების რიცხვი არაეითარ შემთხვევაში არ შეიძლება ორჯერ მეტად აღემატებოდეს შესავსები ადგილების რიცხვს.

მუხლი 6

რეკომენდებულია, რათა თითოეულმა ჯგუფმა კანდიდატების წამოყენებამდე გამოითხოვოს აზრი თავისი ქვეყნის უმაღლესი სასამართლო დაწესებულებებისა, იურიდიული ფაკულტეტებისა, სამართლებრივი უმაღლესი სასწავლებლებისა და აკადემიებისა, აგრეთვე სამართლის შემსწავლელი საერთაშორისო აკადემიების ეროვნული განყოფილებებისა.

მუხლი 7

1. გენერალური მდივანი ანბანური რიგის მიხედვით ადგენს ყველა იმ პირის სიას, რომელთა კანდიდატურებიც არიან წარმოდგენილი. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, არჩეული შეიძლება იქნენ მხოლოდ ამ სიაში შეტანილი პირები.

2. გენერალური მდივანი ამ სიას წარუდგენს გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს.

მუხლი 8

გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო სასამართლოს წევრების არჩევნებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იწყებენ.

მუხლი 9

არჩევნებას ამომრჩევლებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ არა მარტო ყოველი ცალკე არჩეული უნდა აკმაყოფილებდეს ყველა წაყენებულ მოთხოვნას, არამედ

მოსამართლეთა მთელმა შემადგენლობამ მთლიანად უნდა უზრუნველყოს ცივილიზაციის უმთავრესი ფორმებისა და მსოფლიოს ძირითადი სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

მუხლი 10

1. არჩეულებად ითვლებიან კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა გენერალურ ასამბლეაშიც და უშიშროების საბჭოშიც.

2. ნებისმიერი კენჭისყრა უშიშროების საბჭოში როგორც მოსამართლეთა არჩევისას, ისე მე-12 მუხლით გათვალისწინებული შემთანხმებელი კომისიის წევრთა დანიშვნისას, წარმოებს უშიშროების საბჭოს მუდმივ და არამუდმივ წევრებს შორის ყოველგვარი განსხვავების გარეშე.

3. იმ შემთხვევაში, თუკი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა როგორც გენერალურ ასამბლეაში, ისე უშიშროების საბჭოში ერთი და იმავე ქვეყნის ერთზე მეტი მოქალაქისათვის იქნება მიცემული, არჩეულად ითვლება მხოლოდ ასაკით უფროსი.

მუხლი 11

თუკი არჩევნებისათვის მოწვეული პირველი სხდომის შემდეგ ერთი ან რამდენიმე ადგილი შეუვსებელი აღმოჩნდება, შედგება მეორე, საჭიროების შემთხვევაში კი მესამე სხდომაც.

მუხლი 12

1. თუკი მესამე სხდომის შემდეგ ერთი ან რამდენიმე ადგილი შეუვსებელი აღმოჩნდება, მაშინ ნებისმიერ დროს, გენერალური ასამბლეის ან უშიშროების საბჭოს მოთხოვნით შეიძლება მოწვეულ იქნეს შემთანხმებელი კომისია ექვსი წევრის შემადგენლობით: სამი – გენერალური ასამბლეის მიერ დანიშნული, სამი კი – უშიშროების საბჭოს მიერ, რათა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით არჩეულ იქნეს ყველა კილე თავისუფალ ყოველ ადგილზე ერთი პირი და მისი კანდიდატურა განსახილველად წარედგინოს გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს.

2. თუ შემთანხმებელი კომისია ერთხმად შეჩერდება რომელიმე პირის კანდიდატურაზე, რომელიც აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, მისი სახელი შეიძლება შეტანილ იქნეს სიაში, მაშინაც კი, თუ იგი არ იყო შეტანილი მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კანდიდატთა სიებში.

3. თუკი შემთანხმებელი კომისია გადაწყვეტს, რომ არჩევნები არ შეიძლება ჩატარდეს, მაშინ სასამართლოს უკვე არჩეული წევრები უშიშროების საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში იწყებენ თავისუფალი ადგილების შევსებას სასამართლოს წევრების არჩევის გზით იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომლებსაც ხმა მიეცათ ან გენერალურ ასამბლეაში, ან უშიშროების საბჭოში.

4. მოსამართლეთა თანაბარი ხმების შემთხვევაში გადაწყნის ასაკით უფროსის ხმა.

მუხლი 13

1. სასამართლოს წევრებს ირჩევენ ცხრა წლის ვადით, და ისინი შეიძლება გადარჩეულიც იქნენ, თუმცა პირველი შემადგენლობის ხუთი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა იწურება სამი წლის შემდეგ, ხოლო კიდევ ხუთი მოსამართლის უფლებამოსილება – ექვსი წლის შემდეგ.

2. გენერალური მდივანი დაუყოვნებლივ, პირველი არჩევნების შემდეგ, კენჭისყრით განსაზღვრავს, თუ რომელი მოსამართლე ითვლება არჩეულად ზემოთ აღნიშნული თავდაპირველი ვადებით – სამი წლითა და ექვსი წლით.

3. სასამართლოს წევრები განაგრძობენ თავიანთი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას მომაყალში მათი ადგილების შენაცვლებამდე. შენაცვლების შემდეგაც ისინი ვალდებული არიან, დაასრულონ დაწყებული საქმეები.

4. სასამართლოს წევრს განცხადება გადადგომის თაობაზე შეაქვს სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე გენერალური მდივნისთვის გადასაცემად. უკანასკნელის მიერ განცხადების მიღების შემდეგ ადგილი მიჩნეულია ვაკანტურად.

მუხლი 14

განხსნილი ვაკანსიები ივსება იმავე წესით, რომელიც დადგენილია პირველი არჩევნებისათვის ქვემოთ აღნიშნული წესის დაცვით: ვაკანსიის განხსნის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში გენერალური მდივანი იწყებს მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოწვევების დაგზავნას, არჩევნების დღეს კი უშიშროების საბჭო ადგენს.

მუხლი 15

სასამართლოს წევრი, რომელიც არჩეულია იმ წევრის ნაცვლად, რომლის უფლებამოსილების ვადა ჯერ არ გასულა, რჩება თანამდებობაზე თავისი წინამორბედის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი 16

1. სასამართლოს წევრებს არ შეუძლიათ არავითარი პოლიტიკური ან ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება და ისინი არ შეიძლება პროფესიული ხასიათის რაიმე სხვა საქმიანობით იყვნენ დაკავებული.

2. ეჭვები აღნიშნული საკითხის ირგვლივ გადაწყდება სასამართლოს განჩინებით.

მუხლი 17

1. სასამართლოს წევრთაგან არავის, არავითარ საქმეში არ შეუძლია შეასრულოს წარმომადგენლის, რწმუნებულის ან ადვოკატის მოვალეობანი.

2. სასამართლოს წევრთაგან არავის არ შეუძლია მონაწილეობის მიღება რაიმე საქმის გადაწყვეტაში, რომელშიც ის ადრე მონაწილეობდა როგორც ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი, რწმუნებული ან ადვოკატი, ანდა ეროვნული ან საერთაშორისო სასამართლოს, საგამოძიებო კომისიის წევრი, ან რაიმე სხვა სახით.

3. ეჭვები აღნიშნული საკითხის გამო გადაწყდება სასამართლოს განჩინებით.

მუხლი 18

1. სასამართლოს წევრი არ შეიძლება განთავისუფლდეს თანამდებობიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დანარჩენ წევრთა ერთსულოვანი აზრით, იგი ვეღარ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.

2. ამის შესახებ გენერალურ მდივანს ოფიციალურად ატყობინებს სასამართლოს მდივანი.

3. ამ შეტყობინების მიღების შემდეგ ადგილი მიჩნეულია ვაკანტურად.

მუხლი 19

სასამართლოს წევრები სასამართლო მოვალეობების შესრულებისას სარგებლობენ დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით.

მუხლი 20

სასამართლოს ყოველი წევრი ვალდებულია თანამდებობის დაკავებამდე სასამართლოს ღია სხდომაზე

გააკეთოს საზეიმო განცხადება იმის შესახებ, რომ იგი აღასრულებს თავის თანამდებობრივ მოვალეობას პირუთვნელად და კეთილსინდისიერად.

მუხლი 21

1. სასამართლო ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს სამი წლით. ისინი შეიძლება გადარჩეულ იქნენ.

2. სასამართლო ნიშნავს თავის მდივანს და შეუძლია გადადგას ნაბიჯები სხვა ისეთი თანამდებობრივი პირების დასანიშნად, რომლებიც შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდნენ.

მუხლი 22

1. სასამართლოს ადგილსამყოფელია ჰააგა. თუმცა ეს ხელს არ უშლის სასამართლოს, ჩატაროს სხდომები და შეასრულოს თავისი ფუნქციები სხვა ადგილებშიც, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ამას სასურველად მიიჩნევს.

2. სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანი სასამართლოს ადგილსამყოფელში უნდა ცხოვრობდნენ.

მუხლი 23

1. სასამართლოს სხდომები ტარდება მუდმივად, გარდა სასამართლო არდადეგებისა, რომელთა ვადებსა და ხანგრძლივობას ადგენს სასამართლო.

2. სასამართლოს წევრებს აქვთ პერიოდული შებებულების უფლება, რომლის დროსა და ხანგრძლივობას განსაზღვრავს სასამართლო, ამასთან მხედველობაში მიიღება მანძილი ჰააგადან თითოეული მოსამართლის საცხოვრებელ ადგილამდე მის საშობლოში.

3. სასამართლოს წევრები ვალდებული არიან, ნიადაგ იმყოფებოდნენ სასამართლოს განკარგულებაში, გარდა შებებულებაში ყოფნის დროისა და დაუსწრებლობისა ავადმყოფობის მიზეზით, ან სხვა რაიმე სერიოზულ გარემოებათა გამო, რომლებიც სათანადოდ უნდა განემარტოს თავმჯდომარეს.

მუხლი 24

1. თუკი რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გამო სასამართლოს წევრს მიაჩნია, რომ არ უნდა მონაწილეობდეს განსაზღვრული საქმის გადაწყვეტაში, იგი ამის შესახებ აცნობებს თავმჯდომარეს.

2. თუ თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ სასამართლოს რომელიმე წევრი რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გამო არ უნდა მონაწილეობდეს განსაზღვრული საქმის განსახილველ სხდომაში, იგი აფრთხილებს წევრს ამის შესახებ.

3. თუკი ამასთან წამოიჭრება აზრთა სხვადასხვაობა სასამართლოს წევრსა და თავმჯდომარეს შორის, საკითხი გადაწყდება სასამართლოს განჩინებით.

მუხლი 25

1. იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც სპეციალურად არის გათვალისწინებული წინამდებარე სტატუტით, სასამართლოს სხდომებში მონაწილეობს მისი სრული შემადგენლობა.

2. იმ პირობით, თუ მოსამართლეთა რიცხვი, რომლებიც სახეზე არიან სასამართლოს შესადგენად, ოცდათმეტზე ნაკლები არაა, სასამართლოს რეგლამენტმა შეიძლება გაითვალისწინოს, რომ ერთი ან რამდენიმე მოსამართლე, გარემოებათა შესაბამისად, შეიძლება დროებით განთავისუფლდნენ სხდომებში მონაწილეობისაგან.

3. ცხრა მოსამართლის კვორუმი საკმარისია სასამართლოს შესადგენად.

მუხლი 26

1. სასამართლოს შეუძლია, საჭიროებისამებრ, შეადგინოს ერთი ან რამდენიმე პალატა, სამი ან მეტი მოსამართლის შემადგენლობით, გარკვეული კატეგორიის საქმეთა, მაგალითად, შრომითი საქმეების, ტრანზიტსა და კაშორგაბმულობასთან დაკავშირებული საქმეების გასარჩევად.

2. სასამართლოს შეუძლია ნებისმიერ დროს შეადგინოს პალატა ცალკეული საქმის გასარჩევად. ასეთი პალატის შემადგენელი მოსამართლეების რიცხვს მხარეთა თანხმობით განსაზღვრავს სასამართლო.

3. ამ მუხლით ნაგულისხმევი პალატები საქმეებს მაშინ მოისმენენ და გადაწყვეტენ, თუკი ამას მხარეები ითხოვენ.

მუხლი 27

26-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე პალატის გადაწყვეტილება თვით სასამართლოს მიერ გამოტანილად ითვლება.

მუხლი 28

26-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებულ პალატებს, მხარეთა თანხმობით, სხდომების ჩატარება და თავიანთი ფუნქციების შესრულება ჰააგის გარდა სხვა ადგილებშიც შეუძლიათ.

მუხლი 29

საქმეთა გადაწყვეტის დაჩქარების მიზნით სასამართლო ყოველწლიურად ადგენს პალატას ხუთი მოსამართლის შემადგენლობით. ამ პალატას, მხარეთა მოთხოვნით, შეუძლია საქმეთა განხილვა და გადაწყვეტა გამარტივებული სამართალწარმოების წესით. იმ მოსამართლეების შესაცვლელად, რომლებიც თავისთვის შეუძლებლად მიიჩნევენ სხდომებში მონაწილეობის მიღებას, დამატებით გამოიყოფა ორი მოსამართლე.

მუხლი 30

1. სასამართლო დაადგენს პარლამენტს, რომელიც განსაზღვრავს მისიე ფუნქციების შესრულების წესს და რიგს. სასამართლო, კერძოდ, ადგენს სამართალწარმოების წესებს.

2. სასამართლოს რეგლამენტში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს ან მისი პალატების სხდომებში ექსპერტ-კონსულტანტების მონაწილეობა გადამწყვეტი ხმის უფლების გარეშე.

მუხლი 31

1. მოსამართლეები, რომლებიც წარმოდგენილი მხარეების მოქალაქეობაში იმყოფებიან, ინარჩუნებენ მონაწილეობის უფლებას სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვაში.

2. თუკი სასამართლოს შემადგენლობაში იმყოფება მოსამართლე, რომელიც ერთი მხარის მოქალაქეა, ნებისმიერ მეორე მხარეს შეუძლია სასამართლოში მონაწილეობის მისაღებად მოსამართლედ აირჩიოს პირი თავისი შეხედულებისამებრ. ეს პირი აირჩევა უპირატესად იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც წამოყენებულ იყვნენ კანდიდატებად მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

3. თუკი სასამართლოს შემადგენლობაში არ არის მხარეთა მოქალაქეობაში მყოფი არც ერთი მოქალაქე, მაშინ თითოეულ მხარეს შეუძლია მოსამართლის არჩევა წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

4. წინამდებარე მუხლის დადგენილებები გამოიყენება 26-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევების მიმართ. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარე სთხოვს სასამართლოს პალატის შემადგენლობიდან ერთ ან, თუ საჭიროა, ორ მოსამართლეს, დაუთმონ თავისი ადგილი დაინტერესებული მხარეების მოქალაქეობაში მყოფ სასამართლოს წევრებს, ანდა, თუ ასეთები არ არიან, ან მათი დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში – მხარეების მიერ სპეციალურად არჩეულ მოსამართლეებს.

5. თუ რამდენიმე მხარეს აქვს საერთო საკითხი, მაშინ ეს მხარეები, რამდენადაც ეს ეხება წინა დებულებების გამოყენებას, განიხილებიან როგორც ერთი მხარე. ამ საკითხის გარშემო აღძრული ეჭვები სასამართლოს განჩინებით გადაწყდება.

6. მოსამართლეები, რომლებიც არჩეული არიან წინამდებარე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, უნდა აკმაყოფილებდნენ წინამდებარე სტატუტის მე-2 მუხლით, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-20 და 24-ე მუხლებით განსაზღვრულ პირობებს; ეს მოსამართლეები გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობენ მათი კოლეგების თანაბარი უფლებებით.

მუხლი 32

1. სასამართლოს წევრები იღებენ წლიურ ხელფასს.

2. თავმჯდომარე იღებს განსაკუთრებულ წლიურ დანამატს.

3. თავმჯდომარის მოადგილე იღებს განსაკუთრებულ დანამატს ყოველი დღისათვის, როდესაც იგი თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს.

4. 31-ე მუხლის წესით არჩეული მოსამართლეები, რომლებიც არ არიან სასამართლოს წევრები, კომპენსაციას იღებენ თაიანთი ფუნქციების შესრულების ყოველი დღისათვის.

5. ამ ხელფასებს, დანამატებსა და კომპენსაციებს ადგენს გენერალური ასამბლეა. მათი შემცირება არ შეიძლება სამსახურის ვადის განმავლობაში.

6. სასამართლოს მდივნის ხელფასს ადგენს გენერალური ასამბლეა სასამართლოს წარდგინებით.

7. გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესები განსაზღვრავენ პირობას, რომლითაც სასამართლოს წევრებს და სასამართლოს მდივანს ენიშნებათ პენსიები მათი გადადგომის შემდეგ; ასევე დგინდება სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს მდივნისთვის სამგზავრო ხარჯების ანაზღაურების პირობაც.

8. ზემოთ აღნიშნული ხელფასები, დანამატები და კომპენსაციები თავისუფლდება ყოველგვარი დაბეგრისაგან.

მუხლი 33

გაერთიანებულ ერებს აკისრია სასამართლოს ხარჯები გენერალური ასამბლეის მიერ განსაზღვრული წესით.

თავი II

სასამართლოს კომპეტენცია

მუხლი 34

1. მხოლოდ სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა მხარეები.

2. თავისი რეგლამენტის პირობით და მის შესაბამისად სასასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან ინფორმაცია, რომელიც მის განსახილველ საქმეებს ეხება, აგრეთვე მიიღოს აღნიშნული ორგანიზაციების მიერ საკუთარი ინიციატივით წარმოდგენილი ამგვარი ინფორმაცია.

3. როდესაც სასამართლოს განსახილველი საქმის გამო ეცალება რომელიმე საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციის დამფუძნებელი დოკუმენტის, ან ამ დოკუმენტის ძალით დადებული საერთაშორისო კონვენციის განმარტება, სასამართლოს მდივანი ატყობინებს მოცემულ საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციას და გადაუგზავნის მთელი წერილობითი წარმოების ასლებს.

მუხლი 35

1. სასამართლო ღიაა წინამდებარე სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებისათვის.

2. პირობა, რომლის ძალითაც სასამართლო ღიაა სხვა სახელმწიფოებისათვის, განისაზღვრება უშიშროების საბჭოს მიერ, მოქმედ ხელშეკრულებაში შესული განსაკუთრებული დებულებების დაცვით; ამ პირობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ჩაყენოს მხარეები სასამართლოს წინაშე უთანასწორო მდგომარეობაში.

3. როდესაც სახელმწიფო, რომელიც არ არის გაერთიანებული ერების წევრი, წარმოადგენს საქმის მხარეს, სასამართლო განსაზღვრავს თანხას, რაც ამ მხარემ უნდა შეიტანოს სასამართლოს ხარჯების დასაფარავად. ეს დებულება არ მოქმედებს, თუ მოცემული სახელმწიფო უკვე მონაწილეობს სასამართლოს ხარჯებში.

მუხლი 36

1. სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნება ყველა საქმე, რომელიც გადაეცემა მხარეების მიერ, აგრეთვე გაერთიანებული ერების წესდებით, ან მოქმედი ხელშეკრულებებითა და კონვენციებით სპეციალურად გათვალისწინებული ყველა საკითხი.

2. წინამდებარე სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ განაცხადონ, რომ ისინი ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ასეთივე ვალდებულება იკისრა, სავალდებულოდ აღიარებენ ისო ფაქტო-ს, განსაკუთრებული შეთანხმების გარეშე, სასამართლოს იურისდიქციას ყველა სამართლებრივ დავებში, რომლებიც ეხება:

ა) ხელშეკრულების განმარტებას;

ბ) საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ საკითხს;

გ) იმ ფაქტის არსებობას, რომელიც, თუკი ის დადგინდება, მიიჩნევა საერთაშორისო ვალდებულების დარღვევად;

დ) საერთაშორისო ვალდებულების დარღვევისათვის გადასახდელი ანაზღაურების ხასიათსა და ზომებს.

3. ზემოაღნიშნული განცხადებები შეიძლება უპირობო იყოს, ან მოქმედებდეს ამა თუ იმ სახელმწიფოთა მხრივ ნაცვალგების საფუძველზე, ანდა განსაზღვრული ვადით.

4. ასეთი განცხადებები შესანახად გადაეცემა გენერალურ მდივანს, რომელიც გადაუგზავნის მათ ასლებს წინამდებარე სტატუტის მონაწილეებს და სასამართლოს მდივანს.

5. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის სტატუტის 36-ე მუხლის საფუძველზე გაკეთებული განცხადებანი, რომლებიც ისევ ძალაშია,

წინამდებარე სტატუტის მონაწილეთა ურთიერთობისთვის მიჩნეულია მათ მიერ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის სავალდებულოდ აღიარებად ამ განცხადებათა მოქმედების ვადის გასვლამდე, მათში გადმოცემული პირობის შესაბამისად.

6. საქმის სასამართლო განსჯადობის შესახებ დავის წამოჭრის შემთხვევაში საკითხი გადაწყდება სასამართლოს განჩინებით.

მუხლი 37

ყველა შემთხვევაში, როდესაც მოქმედი ხელშეკრულება ან კონვენცია ითვალისწინებს საქმის გადაცემას სასამართლოსათვის, რომელიც ერთა ლიგის მიერ უნდა ყოფილიყო დაფუძნებული, ანდა საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატისათვის, საქმე წინამდებარე სტატუტის მონაწილე მხარეებს შორის უნდა გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს.

მუხლი 38

1. სასამართლო, რომელიც მოვალეა გადაწყვიტოს მისთვის გადაცემული დავები საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, იყენებს:

ა) საერთაშორისო კონვენციებს, როგორც ზოგადს, ისე სპეციალურს, რომლებიც ადგენენ მოდავე სახელმწიფოების მიერ გარკვეით აღიარებულ წესებს;

ბ) საერთაშორისო წეს-ჩვეულებას, როგორც სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურებას;

გ) ცივილიზებული ერების მიერ აღიარებულ სამართლის ზოგად პრინციპებს;

დ) 59-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, სხვადასხვა ერის საერთაშორისო სამართლის დარგის ყველაზე უფრო კვალიფიციური სპეციალისტების სასამართლო გადაწყვეტილებებსა და doქტრინებს, როგორც სამართლებრივი ნორმების დადგენის დამხმარე საშუალებას.

2. ეს დებულება არ ზღუდავს სასამართლოს უფლებას გადაწყვიტოს საქმე ex aequo et bono (თანაბრობისა და სიკეთის საფუძველზე — ლათ.). თუკი მხარეები ამას ეთანხმებიან.

თავი III
სამართალწარმოება

მუხლი 39

1. სასამართლოს ოფიციალური ენებია ფრანგული და ინგლისური. თუ მხარეები თანახმა არიან, რომ საქმის წარმოება მიმდინარეობდეს ფრანგულ ენაზე, გადაწყვეტილება გამოტანილ იქნება ფრანგულ ენაზე. თუკი მხარეები თანახმა არიან, საქმის წარმოება მიმდინარეობდეს ინგლისურ ენაზე, გადაწყვეტილება ინგლისურ ენაზე იქნება გამოტანილი.

2. თუკი არ არსებობს შეთანხმება, რომელი ენა იქნეს გამოყენებული, თითოეულ მხარეს შეუძლია სასამართლო სხდა-პაექრობაში ისარგებლოს იმ ენით, რომელსაც იგი ანიჭებს უპირატესობას; სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ამ შემთხვევაში სასამართლო იმავდროულად განსაზღვრავს, თუ ორი ტექსტიდან რომელი მიიჩნევა ავთენტიკურად.

3. სასამართლო ვალდებულია, ნებისმიერ მხარეს მოთხოვნისამებრ მიანიჭოს სხვა ენით სარგებლობის უფლებაც, ფრანგულისა და ინგლისურის გარდა.

მუხლი 40

1. სასამართლოში საქმე აღიძვრება გარემოებათა შესაბამისად — ან სპეციალური შეთანხმების ნოტიფიკაციით, ანდა წერილობითი განცხადებით მდივნის სახელზე. ორივე შემთხვევაში მითითებული უნდა იქნეს დავის საგანი და მხარეები.

2. მდივანი დაუყოვნებლივ გააცნობს განცხადებას ყველა დაინტერესებულ პირს.

3. იგი ავრეთვე აცნობებს გაერთიანებული ერების წევრებს, გენერალური მდივნის მეშვეობით, და ასევე სხვა სახელმწიფოებსაც, რომლებიც დაიშვებიან სასამართლოში.

მუხლი 41

1. სასამართლოს უფლება აქვს მიუთითოს, თუკი მისი აზრით ამას ითხოვს გარემოება, ნებისმიერი დროებითი ზომებიც, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს თითოეული მხარის უფლებათა უზრუნველსაყოფად.

2. საბოლოო გადაწყვეტილებამდე, შემოთავაზებული ზომების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებათ მხარეებს და უშიშროების საბჭოს.

მუხლი 42

1. მხარეები გამოდიან წარმომადგენელთა საშუალებით.

1. მათ შეუძლიათ სასამართლოში დაიხმარონ რწმუნებულები ან ადვოკატები.

3. წარმომადგენლები, რწმუნებულები და ადვოკატები, რომლებიც სასამართლოში მხარეებს წარმოადგენენ, სარგებლობენ იმ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც აუცილებელია მათი მოვალეობების დამოუკიდებლად შესრულებისათვის.

მუხლი 43

1. სამართალწარმოება შედგება ორი ნაწილისაგან: წერილობითი და ზეპირი სამართალწარმოებისაგან.

2. წერილობითი სამართალწარმოება მოიცავს სასამართლოსა და მხარეებისათვის მემორანდუმების, კონტრმემორანდუმებისა და, საჭიროებისდა მიხედვით, მათზე პასუხების, აგრეთვე ყველა დამხმარე საბუთისა და დოკუმენტის მიწოდებას.

3. ეს შეტყობინება ხდება მდივნის მეშვეობით. სასამართლოს მიერ დადგენილი წესითა და ვადებით.

4. ერთ-ერთი მხარისათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა გადაეცეს მეორე მხარეს დამოწმებული ასლის სახით.

5. ზეპირი სამართალწარმოება შედგება სასამართლოს მიერ მოწვეების, ექსპერტების, წარმომადგენლების, რწმუნებულებისა და ადვოკატების მოსმენისაგან.

მუხლი 44

1. სხვა პირებისათვის ყველა ცნობის გადასაცემად, წარმომადგენლების, რწმუნებულებისა და ადვოკატების გარდა, სასამართლო მიმართავს უშუალოდ იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომლის ტერიტორიაზეც უნდა ჩაბარდეს ცნობა.

2. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც აუცილებელია ზომების მიღება დამამტკიცებელი საბუთების ადგილზე მისაღებად.

მუხლი 45

საქმის მოსმენა მიმდინარეობს თავმჯდომარის, ან, თუ მას არ შეუძლია თავმჯდომარეობა, თავმჯდომარის მოადგილის ხელმძღვანელობით. თუ არც ერთს და არც მეორეს არ შეუძლია ხელმძღვანელობა, თავმჯდო-

მარეობს დამსწრე მოსამართლეთაგან უხუცესი.

მუხლი 46

საქმის მოსმენა სასამართლოში ტარდება საჯაროდ, თუკი არ არსებობს სასამართლოს სხვაგვარი გადაწყვეტილება, ან თუკი მხარეები არ მოითხოვენ, რომ საზოგადოება არ იყოს დაშვებული.

მუხლი 47

1. ყოველი სასამართლო სხდომის მიხედვით დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი.

2. მხოლოდ ასეთი ოქმია ავთენტიკური.

მუხლი 48

სასამართლო განაწესებს საქმის მიმართულებას, განსაზღვრავს ფორმებსა და ვადებს, რომლებითაც თითოეულმა მხარემ საბოლოოდ უნდა წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი, და იღებს ყველა ზომას, დამმტკიცებელი საბუთების შესაგროვებლად.

მუხლი 49

სასამართლოს შეუძლია, საქმის მოსმენის დაწყებამდე, მოსთხოვოს წარმომადგენლებს ნებისმიერი დოკუმენტის ან ახსნა-განმარტების წარმოდგენა. უარის შემთხვევაში იგი ადგენს აქტს.

მუხლი 50

საქმის მოსმენისას ნებისმიერ დროს თავისიივე არჩევნის მიხედვით დაავალოს გამომიების ან ექსპერტიზის წარმოება ნებისმიერ პირს, კოლეგიას, ბიუროს, კომისიას, ან სხვა ორგანიზაციას.

მუხლი 51

საქმის მოსმენისას საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხი წარედგინება მოწმეებს და ექსპერტებს 30-ე მუხლში მოხსენიებულ რეგლამენტში სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირობის დაცვის.

მუხლი 52

დადგენილ ვადებში დამამტკიცებელი საბუთების მიღების შემდეგ სასამართლოს შეუძლია უარი განაცხადოს ყველა შემდგომი ზეპირი ან წერილობითი დამამტკიცებელი საბუთის მიღებაზე, რომელთა წარმოდგენასაც მოისურვებდა ერთ-ერთი მხარე მეორის თანხმობის გარეშე.

მუხლი 53

1. თუკი ერთ-ერთი მხარე არ გამოცხადდება სასამართლოში, ანდა არ წარმოადგენს თავის მოსაზრებებს, მეორე მხარეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს საქმის გადაწყვეტა თავის სასარგებლოდ.

2. სასამართლო ვალდებულია, ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებამდე, დარწმუნდეს არა მარტო საქმის განსჯადობაში – 36-ე და 37-ე მუხლების თანახმად, არამედ აგრეთვე იმაშიც, აქვს თუ არა ამ პრეტენზიას საკმარისი ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება.

მუხლი 54

1. როდესაც წარმომადგენლები, ადვოკატები და რწმუნებულები სასამართლოს ხელმძღვანელობით დაამთავრებენ საქმესთან დაკავშირებით თავიანთი განმარტებების მიცემას, თავმჯდომარე მოსმენას დამთავრებულად აცხადებს.

2. სასამართლო გადის გადაწყვეტილების შესახებ მოსათათბირებლად.

3. სასამართლოს თათბირები ტარდება დახურულ სხდომებზე და საიდუმლოდ ინახება.

მუხლი 55

1. ყველა საკითხი წყდება დამსწრე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით.

2. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწონის თავმჯდომარის ან მისი შემცვლელი მოსამართლის ხმა.

მუხლი 56

1. გადაწყვეტილებაში მოყვანილი უნდა იყოს მოსაზრებები, რომლებსაც იგი ეფუძნება.

2. გადაწყვეტილება შეიცავს იმ მოსამართლეთა სახელებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მის მიღებაში.

მუხლი 57

თუ გადაწყვეტილება, მთლიანად ან ნაწილობრივ, არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, მაშინ ყოველ მოსამართლეს უფლება აქვს წარმოადგინოს თავისი განსაკუთრებული აზრი.

მუხლი 58

გადაწყვეტილებას ხელს აწერენ სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანი, და აცხადებენ სასამართლოს ღია სხდომაზე მხარეთა წარმომადგენლებისათვის მისი სათანადო შეტყობინების შემდეგ.

მუხლი 59

სასამართლოს გადაწყვეტილება საჯაროდებულია მხოლოდ საქმეში მონაწილე მხარეებისათვის და მხოლოდ მოცემული საქმის მიმართ.

მუხლი 60

გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მისი შინაარსის ან მოცულობის შესახებ დავის წამოჭრის შემთხვევაში, ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, გადაწყვეტილების განმარტება სასამართლოს ეკუთვნის.

მუხლი 61

1. თხოვნა გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შეიძლება წამოყენებულ იქნეს მხოლოდ ისეთი ახლადგამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, რომლებმაც თავიანთი ხასიათით შეიძლება გადაწყვეტი გაელენა იქონიონ საქმის შედეგზე და ისინი გადაწყვეტილების გამოტანისას არ იყვნენ ცნობილი არც სასამართლოსათვის და არც საქმის გადასინჯვის მომთხოვნი მხარისათვის. იმ უსათუო პირობით, რომ ასეთი არცოდნა დაუდეგრობის შედეგი არ ყოფილა.

2. გადასინჯვის გამო წარმოება იწყება სასამართლოს განჩინებით, რომელშიც გარკვეითაა დადგენილი ახალი გარემოების არსებობა და აღიარებულია, რომ მისი ხასიათი იძლევა საქმის გადასინჯვის საფუძველს, და ამის გამო გადასინჯვის თხოვნა მიღებულად ცხადდება.

3. სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს, რათა გადაწყვეტილების პირობები მანამ შესრულდეს, ვიდრე სასამართლო დაიწყებდეს საქმის გადასინჯვის წარმოებას.

4. თხოვნა გადასინჯვის შესახებ უნდა შეტანილ იქნეს ექვსთვიანი ვადის გასვლამდე ახალი გარემოებების გახსნის შემდეგ.

5. გადასინჯვის შესახებ არავითარი თხოვნა არ შეიძლება გაკეთდეს, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან ათი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 62

1. თუკი რომელიმე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ საქმის გამო გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს მის

რომელიმე უფლებრივი ხასიათის ინტერესს, ამ სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თხოვნით, რათა მიიღოს საქმეში ჩართვის ნებართვა.

2. გადაწყვეტილება ამ თხოვნის გამო გამოაქვს სასამართლოს.

მუხლი 63

1. იმ შემთხვევაში, თუკი წამოიჭრა საკითხი კონვენციის განმარტების შესახებ, რომელშიც, საქმით დაინტერესებული მხარეების გარდა, სხვა სახელმწიფოებიც მონაწილეობენ, სასამართლოს მდივანი დაუყოვნებლივ ატყობინებს ამ სახელმწიფოებს.

2. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც ასეთი შეტყობინება მიიღო, უფლება აქვს ჩაერთოს საქმეში, და, თუკი ამ უფლებით ისარგებლებს, განმარტება, რომელსაც გადაწყვეტილება შეიცავს, მისთვისაც თანაბრად სავალდებულოა.

მუხლი 64

სასამართლოს სხვა განჩინების არარსებობისას ყოველ მხარეს აკისრია თავისი საკუთარი სასამართლო ხარჯები.

თავი IV
საკონსულტაციო დასკვნები

მუხლი 65

1. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს საკონსულტაციო დასკვნები ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე, ნებისმიერი ისეთი დაწესებულების მოთხოვნით, რომელიც უფლებამოსილია წამოაყენოს ასეთი მოთხოვნები თვით გაერთიანებული ერების წესდებით, ან ამ წესდების თანახმად.

2. საკითხები, რომელთა მიმართაც გამოითხოვება სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა, წარედგინება სასამართლოს წერილობითი განცხადებით, სადაც ზუსტადაა გადმოცემული იმ საკითხის შინაარსი, რომლებზეც ითხოვენ დასკვნას: განცხადებას ერთვის ყველა დოკუმენტი, რომელიც შეიძლება დაეხმაროს საკითხის გარკვევას.

მუხლი 66

1. სასამართლოს მდივანი დაუყოვნებლივ აცნობებს იმ განცხადების შესახებ, რომელიც შეიცავს საკონსულტაციო დასკვნის გამოტანის თხოვნას, ყველა სახელმწიფოს, რომლებიც დაიშვებიან სასამართლოში.

2. სასამართლოს მდივანი, გარდა ამისა, საგანგებო და უშუალო შეტყობინებით აცნობებს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც უფლებამოსილია წარხდგეს სასამართლოზე, აგრეთვე ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც სასამართლოს (ან მისი თავმჯდომარის, თუკი არ მიმდინარეობს სასამართლოს სხდომა) აზრით, შეუძლია ცნობების მოწოდება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რომ სასამართლო მზადაა მიიღოს, თავმჯდომარის მიერ დადგენილ ვადაში, საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მოხსენებები ანდა მოისმინოს ასეთივე ზეპირი მოხსენებები ამ მიზნით დანიშნულ ღია სხდომაზე.

3. თუკი ასეთი სახელმწიფო, რომელსაც აქვს სასამართლოზე წარდგენის უფლება, არ მიიღებს წინამდებარე შუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ საგანგებო შეტყობინებას, მას შეუძლია გამოთქვას სურვილი, წარმოადგინოს წერილობითი მოხსენება, ანდა მოისმინოს იქნეს; სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საკითხზე იღებს.

4. სახელმწიფოები და ორგანიზაციები, რომლებმაც წარმოადგინეს წერილობითი ან ზეპირი მოხსენებები, ან ერთიცა და მეორეც, დაიშვებიან სხვა სახელმწიფოების ან ორგანიზაციების მიერ გაკეთებული მოხსენებების განხილვაზე ისეთი ფორმით, იმ ფარგლებში და ვადებში, რომლებსაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ადგენს სასამართლო, ან – თუკი მისი სხდომები არ ტარდება – სასამართლოს თავმჯდომარე. ამ მიზნით სასამართლოს მდივანი აცნობს სათანადო დროს ყველა ასეთ წერილობით მოხსენებას სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც თვითონაც წარმოადგინეს ამგვარი მოხსენებები.

მუხლი 67

სასამართლოს თავისი საკონსულტაციო დასკვნები გამოაქვს ღია სხდომაზე, რის შესახებაც ფორთხლებენ გენერალურ მდივანს და გაერთიანებული ერების უშუალოდ დაინტერესებული წევრების, სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

მუხლი 68

თავისი საკონსულტაციო ფუნქციების შესრულებისას სასამართლო, აღნიშნულის გარდა, ხელმძღვანელობს წინამდებარე სტატუტის დებულებებით, რომლებიც იმდენად მისაღებებიან სადავო საქმეებს, რამდენადაც ამას სასამართლო ცნობს.

თავი V
შესწორებები

მუხლი 69

წინამდებარე სტატუტში შესწორებები შეაქვთ იმავე წესით, როგორც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების წესდებით ამავე წესდების შესწორებისათვის, მაგრამ ყველა იმ წესის დაცვით, რომლებიც შეიძლება გენერალურმა ასამბლეამ დაადგინოს უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით იმ სახელმწიფოების მონაწილეობის შესახებ, რომლებიც გაერთიანებული ერების წევრები არ არიან, მაგრამ სტატუტის მონაწილეებს კი წარმოადგენენ.

მუხლი 70

სასამართლოს უფლება აქვს წამოაყენოს წინამდებარე სტატუტის შესწორებანი, რომლებსაც ის აუცილებლად მიიჩნევს, და წერილობით გააცნობს ისინი გენერალურ მდივანს შემდგომი განხილვისათვის 69-ე მუხლში გადმოცემული წესების შესაბამისად.

√ბათქაშა ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის ჩვენება, სადაც შეცდომით ან განზრახ ხდება უდანაშაულო პირისათვის ხელის დადება, ცრუ დასმენა, დანაშაულის გადაბრალება.

გაკოტრება, ბანკროტობა ყველა სამართლის მიხედვით, სასამართლოს მიერ იმის დადგენა, რომ მოვალეს (უმეტესად სავაჭრო-სამრეწველო საწარმო, ფირმა, სააქციო საზოგადოება) სახსრების უქონლობის გამო არ შეუძლია გადაიხადოს ვალი. კრედიტორთა მოთხოვნით სასამართლო მოვალეს ართმევს თავისი ქონების განკარგვის უფლებას. ქონება გადაეცემა საგანგებოდ დანიშნულ პირს, რომელიც არკვევს მოვალის ნაღდი ქონების მოცულობას, მის ვალს და კანონის თანახმად შეიძუშავებს კრედიტორთა პრეტენზიების დაკმაყოფილების წესს. კრიზისის პერიოდში,

როცა არა მხოლოდ წერილი და საშუალო, არამედ მსხვილი კაპიტალისტური საწარმოებიც კოტრდებიან და ბანკროტობა მასობრივ ხასიათს იღებს. გაკოტრების შემდეგ დარჩენილი ქონება, ხშირად გადაეცემა მოვალეს, ან ხდება მისი სრული გაფლანგვა აუქციონით, კონკურსით და სხვა ფორმით, კანონით დადგენილი წესით.

გაკოტრება – ვალაუვალობა, მეწარმის უარი თავისი ვალების გასტუმრებაზე სახსრების უქონლობის გამო. ვალაუვალობა ნიშნავს საწარმოს უუნარობას დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები საქონლის ან მომსახურების საფასურის გადახდის თაობაზე, აგრეთვე უუნარობა უზრუნველყოს აუცილებელი გადასახადები ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში, იმის გამო, რომ საწარმოს ვალდებულებები აღემატება მის ქონებას, ან მისი ბალანსის სტრუქტურა არადამაკმაყოფილებელია. საწარმო ფორმალურად გაკოტრებულად ითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც გამოიტანება ან საწარმოს თხოვნით (ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია) ან მისი კრედიტორების მოთხოვნით (იძულებითი ლიკვიდაცია). საწარმოს ვალაუვალად ცნობისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი; საკუთარი საბრუნავი საშუალებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი; გადახდისუნარიანობის აღდგენის (დაკარგვის) კოეფიციენტი.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი ასახავს საბრუნავი საშუალებით საწარმოს საერთო უზრუნველყოფილობას სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად და მოკლევადიანი დავალიანებების დასაფარავად. განისაზღვრება, როგორც სახეზე არსებული საწარმოს კუთვნილი საბრუნავი საშუალებების (წარმოების მარაგი, მზა პროდუქცია, ფულადი სახსრები,სებიტორო დავალიანებები და სხვა საბრუნავი აქტივები) ფაქტიური ღირებულების შეფარდება საწარმოს ყველაზე უფრო სასწრაფო, მოკლევადიან დავალიანებებთან (მაგალითად, მოკლევადიანი საბანკო კრედიტები).

საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფილობის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც სხვაობა საწარმოს კუთვნილი ძირითადი საშუალებების და სხვა არასაბრუნავი აქტივების ფაქტიურ ღირებულებასა და, მეორეს მხრივ, საწარმოს საბრუნავ საშუალებებს შორის, წარმოების მარაგის, მზა პროდუქციის, ფულადი სახსრების, სადებიტორო დავალიანებების და სხვა საბრუნავი აქტივების სახით.

გადახდიუნარიანობის აღდგენის (დაკარგვის) კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც მიმდინარე ლიკვიდურობის საანგარიშო კოეფიციენტის მიმართება მის დადგენილ ზნიშენელობასთან.

ბალანსის სტრუქტურის არადამაკმაყოფილებლად, ხოლო საწარმოს გადახდისუუნაროდ ცნობის საფუძველს წარმოადგენენ ჩამოთვლილი კოეფიციენტების ზღვრულ მინიმალურ ზნიშენელობაზე ნაკლები მაჩვენებლები, ამასთან განიხილება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა, ანუ გადახდისუუნარობა არ ნიშნავს ცალსახად გაკოტრებას. გაკოტრების ფაქტს აღგენს მხოლოდ სასამართლო, როგორც უკიდურეს ზომას საწარმოს ეკონომიკის საორგანიზაციო საშუალებებით (სანაცია, გარეშე მართვა და სხვ.) გაჯანსაღების ჯაჭვში. თუკი საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენის ღონისძიებებმა არ მიაღწიეს სასურველ ეფექტს, იწყება ე.წ. საკონკურსო წარმოება, ინიშნება მმართველი (ლიკვიდატორი), რომელიც მართავს ხალიკვიდაციო პროცესს, ზოგიერთი ქვეყნის სამართალი გაკოტრების დასადგენად გადაუხდელობის ფაქტისა და ხანგრძლივობის გარდა აწესებს მინიმალური დაუალიანების ოდენობას. მაგალითად, ინგლისის კანონმდებლობა აწესებს ასეთ ზღვარს 750 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. საფრანგეთის კანონმდებლობისთვის კი, საკმარისია გაკოტრების ფორმალური ნიშანი – გადახდების შეწყვეტის ფაქტი.

ბოროტ გაკოტრებას აქვს ადგილი, როდესაც ხდება აღწერისთვის განკუთვნილი ქონების თაღლითური გადაცემა და გადამალვა, კრედიტორების და მოვალეების მიერ ყალბი პრეტენზიების განცხადება, აგრეთვე კრედიტების მიღება ვალების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით.

ფიქტიური გაკოტრება წარმოადგენს კრედიტორების შეცდომაში შეყვანას საწარმოს მიერ შეგნებულად ცრუ გაკოტრების გამოცხადების გზით, კრედიტორებისაგან ვალდებულების გადაუდების ან შემცირების მიღების მიზნით.

განზრახ გაკოტრების შემთხვევაში საწარმოს მმართველი ან მესაკუთრე შეგნებულად ქმნის ან აღრმავებს გადახდისუუნარობას, განზრახ ზიანს აყენებს საწარმოს პირადი ინტერესების, აგრეთვე მესამე პირთა ინტერესების გამო; შეგნებულად არაკომპეტენტურად მოყავს საწარმოს საქმიანობა.

სახელმწიფო გაკოტრება – ცნება, რომლითაც აღინიშნება სახელმწიფოს სრული ან ნაწილობრივი უარი საგარეო და საშინაო ვალების გადახდაზე მიუთითებს სახელმწიფოს საფინანსო სისტემის აშკარა კრიზისზე.

ნებაყოფლობითი გაკოტრება დიდ ბრიტანეთში წარმოადგენს იურიდიულ პროცედურას, რომელიც მოსდევს ვალაუვალი მოვალის მიერ სპეციალურ სასამართლოში შესაბამისი განცხადების შეტანას. გაკოტრებულის ქონება გადაეცემა სასამართლოს მიერ დანიშნულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს კრედიტორების მოთხოვნებს. ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს, სამშენებლო ასოციაციებს, რკინიგზებს და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციებს არა აქვთ ნებაყოფლობითი გაკოტრების უფლება.

ისტორია იცნობს პერიოდებს, როდესაც კანონით დაშვებოდა გადახდისუუნარო მოვალის სიკვდილით დასჯა, გაკოტრებული უთანაბრდებოდა ქურდს, მას ჯაჭვით აბამდნენ სამარცხვინო ბოძთან, აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონი გადახდისუუნარო მოვალეს ადარებდა კაპიტანს, რომელმაც მიატოვა გემი, ხოლო გადახდისუუნარობის ფაქტი მიაჩნდა დანაშაულად. XII ტაბულის კანონი, კრედიტორს ამლევდა ვალს გადახდისუუნარო მოვალის სხეულიდან, რაც საბოლოოდ საბედნიეროდ, მის ქონებაზე იქნა გადატანილი.

გალახა [ძვ.-ბერძ.] იუდაიზმში საკანონმდებლო აქტთა და დანაწესთა ჩამონათვალი, რომელიც შექმნილია თალმუდის დებულებათა და მსჯელობათა საფუძველზე; მაგ., გ-ს თანახმად, ებრაელად ითვლება მხოლოდ ებრაელი დედისგან შობილი შვილი ან იუდაიზმის მიმღები (ვინც გაიარა გიური).

გამარტივებული წარმოება სასარბიტრაჟო პროცესში – გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს მოთხოვნები ატარებს უდავო ხასიათს, ცნობილია მოპასუხედ ან სარჩელი განსახილველია უმნიშვნელო თანხაზე. საქმე განიხილება გამარტივებული წარმოებით მოსარჩელეს შუამდგომლობისას, მოპასუხეს წინააღმდეგობის არარსებობისას ან საარბიტრაჟო სასამართლოს წინადადებით მხარეთა თანხმობისას. გამარტივებული წარმოების წესით შეიძლება განხილულ იქნეს საქმეები: ა) დოკუმენტებზე დაფუძნებული ქონებრივი მოთხოვნების შესახებ, რომლებიც ადასტურებენ დაკალიანებას მოხმარებულ ელექტროენერგიაზე, გაზზე, წყალზე და ა.შ.; ბ) მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაფუძნებული სარჩელების თაობაზე, რომლებიც ამტკიცებენ მოპასუხის ქონებრივ ვალდებულებებს, რომელთაც ცნობს მოპასუხე, მაგრამ არ ასრულებს. გამარტივებული წარმოების საქმეები მოსამართლის მიერ განიხილება ერთპიროვნულად სასარგებლო წარმოების ზოგადი საფუძვლების მიხედვით.

გამარტივებული წარმოება სამოქალაქო პროცესში დაკალიანების შესახებ საქმის სასამართლო განხილვის გამარტივებული წესი. გამარტივებული წარმოების დროს სასამართლო, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, საქმის არსებითად განუხილველად გასცემს ბრძანებას დაკალიანების გადახდევინების შესახებ.

გამასწორებელი სამუშაოები სასჯელი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. ინიშნება თავისუფლების ალუკვეთად, ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნას მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე. ამასთანავე, მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა სასამართლოს განაჩენით დადგენილი ოდენობით ხუთიდან ოც პროცენტამდე. თუ მსჯავრდებული დაკარგულეს კანონს, შესაძლებელია, არსებული სასჯელი შეიცვალოს უფრო მძიმე სასჯელით – თავისუფლების აღკვეთით, ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვით.

გამალითი (ბერძნ. ...) 1. ღვთის ქომაგი; 2. მამაკაცის სახელი.

გამაფხილებელი სასჯელი დამნაშავის სასჯელად შემარცხვენელი დასჯითი ღონისძიება. ასეთი სასჯელის ძირითადი მიზანია დამნაშავის ზნეობრივი დამცირება, მისი პატივისა და ღირსების შებღალვა, ამ დროს ფიზიკურ ტანჯვას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ფართოდ იყო გავრცელებული ძველ დროსა და შუა საუკუნეებში გამაზნილებული სასჯელის ყველაზე ცნობილი სახეები: სამარცხვინო ბოძთან დაყენება, ყელზე გამობმული საბლით ქუჩა-ქუჩა ტარება, გაპარსვა, საჯაროდ ვირზე შესმა ან სილის გარტყმა, მამაკაცის ქალის სამოსში გამოწყობა (სადედოთა შთაცუმა). ფეოდალურ საქართველოში მძიმე საუპატიო სასჯელად ითვლებოდა სამხედრო და რაინდობის უფლების ჩამორთმევა – ლაშქართაგან შიგან არშეშება. ქართველ მეფეებს ამ სახის ასეთი სასჯელი ჰქონდათ მოღალატის მიმართ: თავზე ნაცრის დაყრა და საჯაროდ უნდა ეთქვა „ესეშცა არს მისაგებელი ორგულთა მეფეთასა". ამ სასჯელს ხმარობდნენ როგორც ძირითადად ისევე დამატებით სასჯელად ან ფულით ცვლიდნენ.

გამოგონება – სამატენტო უფლების დაცვის ობიექტი, რომელიც წარმოადგენს ტექნიკურ გადაწყვეტილებას, გააჩნია ახალი გამოგონების დონე და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეურნეო საქმიანობის რომელიმე დარგში. გამოგონებას განეკუთვნება: მოწყობილობა (კონსტრუქციები და ნაკეთობები), ხერხი (მატერიალურ ობიექტზე მოქმედებების შესრულების პროცესები), ნივთიერება (ქიმიური ნაერთები, ბირთვული რეაქციების პროდუქტები, შემადგენლების უკრძედთა კულტურები, მიკროორგანიზმების კონსორციუმები), მცენარეთა და ცხოველთა უკრძედების კულტურები და ასევე ადრე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის ან მეთოდის ნივთიერების, შტამის (ერთი სახეობის მიკროორგანიზმები) გამოყენება ახალი დანიშნულებით. გამოგონების თვისებებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია მისი ასეთად ცნობისთვის ეწოდება გამოგონების პატენტუნარიანობა. ასეთ თვისებებს განეკუთვნება: ა) ხიახლე. გამოგონება ითვლება ახალ გამოგონებად, თუ ცნობილი არაა ტექნიკური გადაწყვეტა. ამასთან, ტექნიკის დონე მოიცავს მსოფლიოში საყოველთაოდ მისაწვდომ ნებისმიერ ცნობას განაკუთვნის პრიორიტეტის თარიღამდე. ტექნიკის დონის განსაზღვრისას საყოველთაოდ მისაწვდომად ითვლება ინფორმაციის წყარო შემცველი ცნობები, რომელთაც შეიძლება გაეცნოს ნებისმიერი პირი დამოუკიდებლად ან მას შეიძლება ეცნობოს კანონიერი გზით (მსოფლიოში გამოქვეყნებული გამოგონების აღწერები, ბეჭდვით გამოცემებში არსებული ან დეპონირებული სტატიები და ა.შ., ანგარიშები სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების შესახებ, კონკურსზე მიღებული ნაშრომები, ზეპირი მოხსენებები, ლექციები და ა.შ.). ტექნიკის დონეში ასევე ჩართულია დაპატენტებული გამოგონებები და სასარგებლო მოდელები, ასევე სხვა პირების მიერ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელებზე შეტანილი განცხადებები უკან გამოხმობილთა გარდა, მათი უფრო ადრეული პრიორიტეტის პირობისას, მათ შორის, გამოუქვეყნებელი გამოგონებები სამატენტო კანონის თანახმად, წინადადებას ეწოდება ახალი იმ შემთხვევაშიც, როცა ინფორმაცია მის შესახებ გახდა საყოველთაოდ მისაწვდომი ავტორის, განმცხადებლის მოქმედებების შედეგად ან მათი თანხმობით, იმ პირობით, რომ განცხადება შეტანილია სამატენტო უწყებაში ინფორმაციის გამქვეყნების თარიღიდან არა უგვიანეს კანონით განსაზღვრული ვადისა; ბ) გამოგონების დონე. გამოგონებას გააჩნია გამოგონების დონე, თუ ის სპეციალისტისთვის არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან, თუ გამოვლენილი არაა გადაწყვეტილებები, რომელთაც გააჩნიათ მის განმასხვავებელ ნიშნებთან თანხვედრადი ნიშნები ან გამოვლენილია ასეთი გადაწყვეტილებები, მაგრამ დამტკიცებული არაა განმასხვავებელი ნიშნების გავლენა განმცხადებლის მიერ მითითებულ ტექნიკურ შედეგზე. ტერმინი „სპეციალისტი" კანონის მიერ არაა განმარტებული. ჩვეულებრივ მხედველობაშია საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია საყოველთაოდ ცნობილი ცნობები ტექნიკის დარგში. ცხადს წარმოადგენს ის წინადადებები, რომლებიც ეგულისხმება და არ მოითხოვენ შემოქმედებით შრომას. გამოგონების დონის შემოწმებისას მხედველობაში არ მიიღება გამოგონების პრიორიტეტის თარიღამდე საყოველთაოდ მისაწვდომი ცნობები, მათ შორის, უფრო

ადრეული განცხადებებიც, რომელთა შესახებ ცნობებიც არ გამოქვეყნებულა ზემოთაღნიშნულ თარიღამდე. გამოგონების დონის კვლევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საშუალოსთო ექვსთვიანი ვადა ავტორის, განმცხადებლის ან სხვა პირის მიერ, მაგიე თანხმობით, გამოგონების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისთვის; გ) სამრეწველო გამოყენებადობა. გამოგონება წარმოადგენს სამრეწველო სახით გამოყენებადს, თუ ის შეიძლება იქნეს გამოყენებული მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში და საქმიანობის სხვა სფეროებში. ამის შედეგად განცხადებაში უნდა აღიწეროს ის საშუალებები და მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია გამოგონების განხორციელება. საპატენტო კანონის პირდაპირი მითითების ძალით პატენტუნარიანად არ ითვლება შემდეგი წინადადებები: სამეცნიერო თეორიები და მათემატიკური მეთოდები; მეურნეობის ორგანიზებისა და მართვის მეთოდები; პირობითი აღნიშნები, განრიგები, წესები; გონებრივი ოპერაციის შესრულების მეთოდები; ალგორითმები და პროგრამები გამთვლითი მანქანებისთვის; ნაგებობების, შენობების, ტერიტორიების დაგეგმვის სქემები და პროექტები; სამრეწველო ნიმუშები; ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიები; მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები; საზოგადოებრივი ინტერესების, ჰუმანურობისა და მორალის საპირისპირო გადაწყვეტილებები.

გამოგონება – სამოქალაქო სამართალში გამოგონებად ჩაითვლება ეკონომიკის, სოციალური განვითარების, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის, თავდაცვის ნებისმიერი დარგის ამოცანის ახალი და არსებითი განსხვავებების მქონე ტექნიკური გადაწყვეტა, საგამომგონებლო იდეა მიგნებულია ბუნებაში არსებული მოვლენების, კანონზომიერებების, კანონების, თვისებების გამოყენების საფუძველზე, რომელსაც რაიმე ობიექტში მრავალჯერადად გამოსახვის უნარი გააჩნია და დადებითი ეფექტის მომცემი იქნება. გამოგონება წარმოადგენს სამრეწველო საკუთრების ერთ-ერთ ობიექტს და დაცულია საპატენტო კანონით. გამოგონებას ეძლევა სამართლებრივი დაცვა თუ იგი არის ახალი, გააჩნია საგამომგონებლო დონე და მრეწველობაში გამოყენებადია.

გამოგონება არის ახალი, თუ იგი არ არის ცნობილი ტექნიკის დონიდან. გამოგონებას გააჩნია საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისთვის აშკარად არ გამომდინარეობს არსებული ტექნიკური დონიდან. ტექნიკის დონე გულისხმობს ყველა მონაცემს და ინფორმაციას, რომელიც მსოფლიოში საყოველთაოდ მისაწვდომი გახდა გამოგონების პრიორიტეტულ ვადამდე. გამოგონების სიახლის დადგენისას ტექნიკის დონეში ჩათვლება სხვა პირების მიერ გაკეთებული განაცხადები გამოგონებებზე და სასარგებლო მოდელებზე (გამოსხმობილთა გარდა) მათი უფრო ადრინდელი პრიორიტეტის პირობით, აგრეთვე დაპატენტებული გამოგონებები და სასარგებლო მოდელები. გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა გულისხმობს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში ან სხვა დარგში მისი გამოყენების შესაძლებლობას ეკონომიკური ან სხვა დადებითი ეფექტის მიღებით.

გამოგონების ობიექტი შეიძლება იყოს: მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება, მცენარეთა ზოგიერთი მეთოდი, ფორმა და ცხოველთა უჯრედების კულტურა, მიკროორგანიზმის შტამი, აგრეთვე უკვე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, მიკროორგანიზმის შტამის ახალი დანიშნულებით გამოყენება. პატენტუნარიან გამოგონებებად არ ჩაითვლებიან: მეცნიერული თეორიები და მათემატიკური მეთოდები;. მეურნეობის ორგანიზების და მართვის მეთოდები; აღნიშვნის პირობები, განრიგები, წესები; გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები, ალგორითმები და კომპიუტერული პროგრამები, ნაგებობის და ტერიტორიების დაგეგმარებისა და მშენებლობის პროექტები, სქემები, გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ნაკეთობათა მხოლოდ გარეგნულ მხარეს, მიმართული ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგია, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები (მიეკუთვნება სასელექციო მიღწევებს), გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ინტერესებს, ჰუმანიზმისა და ზნეობის პრინციპებს.

გამომუშავების ნორმები – პროდუქციის ერთეულის რაოდენობა, რომელიც უნდა გამომუშავოს მუშაკმა (მუშაკთა ჯგუფმა) დროის ერთეულში (სამუშაო ცვლაში, სამუშაო საათში და ა.შ.) ნორმალურ საწარმოო პირობებში.

გამომძიებელი – თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე. გამომძიებელი შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული განათლება, აუცილებელი პროფესიული და მორალური თვისებები, ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ვალდებულებები. პირი არ შეიძლება აყვანილ იქნეს სამსახურში პროკურატურის დაწესებულებებსა და ორგანოებში, თუ: ა) მას გააჩნია უცხო ქვეყნის მოქალაქეობა; ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდულად ქმედუნარიანად; გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეული აქვს უფლება დაიკავოს სახელმწიფო სამსახურის სახელმწიფო თანამდებობები გარკვეული დროის მანძილზე; დ) არის ნასამართლევი; ე) გააჩნია დაავადება, რომელიც სამედიცინო დასკვნის თანახმად ხელს უშლის მის მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებას; ვ) ახლო ნათესაური კავშირშია (მშობლები, მეუღლეები, ძმები, დები, შვილები, ასევე მეუღლეთა მშობლები, ძმები, დები ან შვილები) პროკურატურის ორგანოს ან დაწესებულების მუშაკთან, თუ მათ სამსახური უკავშირდება ერთ-ერთი მათგანის უშუალო დაქვემდებარებას ან კონტროლის ქვეშ ყოფნას; ზ) უარს აბობს სახელმწიფო საიდუმლოების შემადგენელ ცნობებთან წვდომის გაფორმების პროცედურის გავლაზე, თუ მის მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულება უკავშირდება ასეთი ცნობების გამოყენებას.

გამომძიებელი უფლებამოსილია: ა) აღძრას სისხლის სამართლის საქმე; ბ) მიიღოს სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში ან ის გადასცეს პროკურორს გამოძიების მიხედვით გაგზავნისთვის; გ) დამოუკიდებლად მისცეს მიმართულება გამოძიებას, მიიღოს გადაწყვეტილებები საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების წარმოების შესახებ იმ შემთხვევების გარდა,

როცა საჭიროა სასამართლო გადაწყვეტილების და/ან პროკურორის სანქციის მიღება; დ) მისცეს მოკლეების ორგანოს შესასრულებლად სავალდებულო წერილობითი დავალებები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების, ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებები წარმოების, დაკავების, იძულებით მიყვანის, დაპატიმრების შესახებ დადგენილებების შესრულების, სხვა საპროცესო მოქმედებების წარმოების თაობაზე, ასევე ხელი შეუწყონ მათ განხორციელებას; ე) განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები.

გამომძიებელი თანამდებობის პირი, რომლის ძირითადი მოვალეობაა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოება. წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების კომიტეტის გამომძიებლები; უფროსი გამომძიებელი, მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი. წინასწარი გამოძიებისას გამომძიებელი დამოუკიდებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით გათვალისწინებულია მოსამართლის ბრძანება ან პროკურორის თანხმობა. კანონით დადგენილი წესით გამომძიებლის დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველასათვის და მისი შეუსრულებლობა იწვევს კანონით დაწესებულ პასუხისმგებლობას. ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონის მოთხოვნით და თავისი შინაგანი რწმენით. იგი ვალდებულია გამოიკლიოს ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები. ცალკეულ შემთხვევებში (დაპატიმრება, ჩხრეკა და სხვა) გამომძიებლის დადგენილება კანონის შესაბამისად უნდა იყოს პროკურორის მიერ სანქციონირებული. თუ გამომძიებელი პროკურორის მითითებას არ ეთანხმება, მას უფლება აქვს ზემდგომ პროკურორთან გაასაჩიროს ეს მითითება. გამომძიებელს ეკრძალება აგრეთვე გამოავლინოს დანაშაულის ჩადენის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები და საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე დასაბუთებული ღონისძიებანი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. გამომძიებლის მიერ კანონის შესაბამისად გამოტანილ დადგენილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ.

გამომძიებელთა ჯგუფი გამომძიებელთა მუდმივი ან გარკვეული ვადით შექმნილი სპეციალური ჯგუფი, რომელსაც პროკურორის ან საგამოძიებო ორგანოს უფროსის დადგენილებით დავალებული აქვს განსაკუთრებით რთული ან საგანგებოდ მნიშვნელოვანი საქმის გამოძიება. ასეთ ვითარებაში საქმეს თავის წარმოებაში იღებს საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხს აგებს წინასწარი გამოძიების საერთო მიმართულებასა და საბოლოო შედეგებზე, აგრეთვე, ყველა საგამოძიებო მოქმედებისა და გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე.

გამომძიებლისა და მოკლეების მწარმოებელი პირის აცილება – სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისგან გამომძიებელსა და მოკლეების მწარმოებელი პირის ჩამოცილება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძვლებით, კერძო, თუ გამომძიებელი ან მოკლეების მწარმოებელი პირი წარმოადგენენ: ა) დაზარალებულს; ბ) სამოქალაქო მოსარჩელეს; გ) მოწმეს მოცემული სისხლის სამართლის საქმეზე.

დადგენილია ასევე, რომ გამომძიებელს არ შეუძლია მონაწილეობის მიღება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში: ნაფიცი მსაჯულის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის, დამსწრის, სასამართლო სხდომის მდივნის, დამცველის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენლის, დაზარალებულის წარმომადგენლის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის სახით.

გამომძიებლის ან მოკლეების მწარმოებელი პირის აცილების საფუძველს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ადრე ისინი აწარმოებდნენ გამოძიებას მოცემულ საქმეზე.

გამონაბოლქვის ტექნიკური ნორმატივი – ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობაში ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერების გამონაბოლქვის ნორმატივი, რომელიც დგინდება გამონაბოლქვების მოძრავი და სტაციონარული წყაროებისთვის, ტექნოლოგიური პროცესებისთვის, მოწყობილობისთვის და ასახავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერების გამონაბოლქვის მაქსიმალურად დასაშვებ მასას პროდუქციის ერთეულზე, სიმბლავრეზე, სატრანსპორტო ან სხვა მოძრავ საშუალებასა და სხვ. მაჩვენებლებზე გაანგარიშებით. იხ. ასევე დროებით შეთანხმებული გამონაბოლქვი ატმოსფერულ ჰაერში, ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვი ატმოსფერულ ჰაერში.

გამოსასვლელი დღის დახმარება – ფულადი თანხა, რომელსაც უხდიან მუშაკებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას. შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტისას ორგანიზაციის ლიკვიდაციასთან ან ორგანიზაციის თანამშრომლების რაოდენობისა თუ შტატის შემცირებისას, მუშაკს უხდიან გამოსასვლელი დღის დახმარებას საშუალო თვიური ხელფასის ოდენობით და ასევე მას უნარჩუნდება საშუალო თვიური ხელფასი სამუშაოზე მოწყობის პერიოდზე, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა განთავისუფლების დღიდან, ან სხვა კანონით გათვალისწინებული ნორმებით.

გამოსასვლელი დღის დახმარება ორკეციანი საშუალო ხელფასის ოდენობით გაიცემა მუშაკებისთვის შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტისას: ა) მუშაკის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან ან შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მდგომარეობის შედეგად, რომელიც ხელს უშლის მოცემული სამუშაოს გაგრძელებას; ბ) მუშაკის სამხედრო სამსახურში გამოძახებასთან ან მის შემცვლელ ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურში გაგზავნასთან დაკავშირებით; გ) სამუშაოზე იმ მუშაკის აღდგენასთან დაკავშირებით, რომელიც ადრე ასრულებდა ამ სამუშაოს; დ) მუშაკის მიერ სხვა ადგილას გადაყვანაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, სამუშაოს მიმცემის სხვა ადგილას გადაადგილების გამო. შრომითი ან კოლექტიური ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გამოსასვლელი დღის დახმარების გაცემის სხვა შემთხვევებიც.

გამოსასვლელი დღის დახმარების ოდენობა სამუშაოს მიმცემ ფიზიკურ პირებთან მომუშავეებისთვის

და ასევე რელიგიური ორგანიზაციების მუშაკებისთვის განსაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. (ცალები და პარამეტრები აღებულია საერთაშორისო გამოცდილებიდან).

გამოსასწორებელი დაწესებულებები – გამოსასწორებელი კოლონიები, აღმზრდელობითი კოლონიები, ციხეები, სამკურნალო გამოსასწორებელი დაწესებულებები. საგამოძიებო იზოლატორები ასრულებენ გამოსასწორებელი დაწესებულებების ფუნქციებს იმ მსჯავრდებულებთან მიმართებაში, რომლებიც დატოვებულნი არიან სამეურნეო მომსახურების სამუშაოების შესასრულებლად.

გამოსასწორებელი კოლონიები (ზოგადი, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმების) – სრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილები. ისინი იყოფიან კოლონიად-დასახლებებად, ზოგადი, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის გამოსასწორებელ კოლონიებად. ამ კოლონიებში სასჯელის მოხდა ხდება კანონით გათვალისწინებული შემთხვევების მიხედვით.

გამოსასწორებელი სამუშაოები – ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სასჯელის სახე. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გამოსასწორებელი სამუშაოები წარმოადგენს ზემოქმედების ეფექტურ ღონისძიებას. მოცემული სასჯელის სახის არსი დაიყვანება იქამდე, რომ ძირითადი სამუშაო ადგილის არჩქონე მსჯავრდებული იძულებით ხდება ჩართული მუშაობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილებში, სასამართლოს განაჩენში მითითებული ვადით, მისი ხელფასის ნაწილის სახელმწიფოს შემოსავალში დაკავებით.

გამოსასწორებელი სამუშაოების მოხდისგან ბოროტად თავის არიდება – განსასჯელის მიერ სასჯელის მოხდის წესისა და პირობების განმეორებითი დარღვევა მისთვის წერილობითი ფორმით გაფრთხილების შემდეგ და ასევე განსასჯელის მიერ საცხოვრებელი ადგილის დატოვება, რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია. საცხოვრებელი ადგილიდან მიმალული განსასჯელი, რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია ცხადდება ძებნაში და შეიძლება დაკავებულ იქნეს სასურველ შემთხვევაში ფაქტის აღნიშვნის მომენტიდან. მოცემული ვადა შეიძლება გაგრძელდეს სასამართლოს მიერ კანონით განსაზღვრული წესით. გამოსასწორებელი სამუშაოების მოხდისგან ბოროტად თავის ამრიდებელი მსჯავრდებულების მიმართ, სისხლის სამართლის აღმასრულებელი ინსპექცია სასამართლოში აგზავნის წარდგინებას გამოსასწორებელი სამუშაოების სასჯელის სხვა სახით შეცვლის შესახებ.

გამოსყიდვა – ქონების ჩამორთმევა საჯარო ვაჭრობით მისი გაყიდვის შეშვეობით. გამოსყიდვა წარმოადგენს საკუთრების უფლების შეძენის ერთ-ერთ ხერხს, ამასთან ქონების მესაკუთრისთვის გამოსყიდვა წარმოადგენს საკუთრების უფლების შეწყვეტის ერთერთ საფუძველს. სამოქალაქო კანონმდებლობა კი, კერძოდ, ითვალისწინებს უძრავი ქონების გამოსყიდვას იმ მონაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით, რომელზეც ის იმყოფება; უყაირათოდ არსებული საცხოვრებელი შენობების, კულტურული ფასეულობების გამოსყიდვა; შინაური ცხოველების გამოსყიდვა მათთან არასათანადო მოპყრობისას.

იმ შემთხვევებში, როცა მიწის მონაკვეთის ჩამორთმევა სახელმწიფო ან მუნიციპალური საჭიროებისთვის ან მიწის არასათანადო გამოყენების გათვალისწინებით შეუძლებელია იმ უძრავი ქონების საკუთრების უფლების შეწყვეტის გარეშე, რომელიც იმყოფება მონაკვეთზე, ის შეიძლება ჩამოერთვას მესაკუთრეს სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის ან საჯარო ვაჭრობით გაყიდვის გზით. თუ საცხოვრებელი შენობის ან კულტურული ფასეულობების მესაკუთრე, რომლებიც კანონის მიხედვით განეკუთვნებიან სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებულად ფასეულსა და დაცულს, მათ ინახავს უყაირათოდ საცხოვრებელი შენობები ან ასეთი ფასეულობები სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას მესაკუთრეს სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის ან საჯარო ვაჭრობით გაყიდვის გზით. შესაძლებელია შინაური ცხოველების გამოსყიდვა, თუ მესაკუთრე მათ ეპყრობა სამართლის ნორმებისა და ცხოველებთან პუმანური დამოკიდებულების საზოგადოებაში მიღებული ნორმების საპირისპიროდ.

გამოსყიდვა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამყიდველის უფლება გამოისყიდოს გაყიდული ნივთი. კანონით დადგენილი წესით გამოსყიდვის მაქსიმალური ვადა განისაზღვრა კანონით, მაგრამ პირადი შეთანხმების ან ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება იყოს უფრო ნაკლები სხვადასხვა ვადის. გამოსყიდვა ხდება თავდაპირველი ფასით. ამასთანავე, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ის თანხაც, რომლითაც გაიზარდა საქონლის ღირებულება გამოსყიდვის მომენტამდე სასარგებლო დანახარჯების შედეგად, ხოლო გამომყიდველს შეუძლია მოითხოვოს იმ თანხის გამოკლება, რომლითაც შემცირდა საქონლის ღირებულება მის გამოსყიდვამდე. თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე ნაყიდი ნივთი გააფუჭა, დაზიანა ან შეცვალა, მან უნდა ანაზღაუროს გამოწვეული ზიანი, ხოლო თუ გაასხვისა ნაყიდი ნივთი, ასეთი გასხვისება ბათილია

ასევე სახელმწიფო, პირადი საკუთრების ხელყოფა, მორალური ღირსების დამცირება პირზე ფსიქიური ან ზეკარის საშუალებით, რომელიც ფლობს ამ ქონებას ან ღირსებას. გამომძალველი მოითხოვს გადასცენ მას ეს ქონება (ან ქონებაზე უფლება), ან განახორციელოს ეს დამცირება ვინმეზე და ფსიქიკური იძულების საშუალებით იყენებს დაზარალებულზე, თუ მის ახლობელზე ძალადობას, ან მათი ქონების საყოველთაოდ საშიში განადგურების (ცეცხლის წაკიდება, აფეთქება, რაიმე ფაქტების გახმაურება და სხვა), ან მათზე რაიმე სხვა იძულების და შუქარის მეშვეობით. დამნაშაეე ეუბნება ვინმეს ან უკვე დაზარალებულს, რომ მიმართავს ძალადობას მომაეალში, თუკი დაზარალებული არ შეასრულებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნას.

გამოძალვა სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების, ან მათი ნივთის განადგურების, ან დაზიანების, ანდა სახელის გატეხვის ინფორმაციის გახმაურება, ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები. არსებობს ამ დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები: ჯგუფური, არაერთგზის, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით და ა. შ. (სსკ, მუხლი 181).

გამოძალვა – სხვისი ქონების ან ქონების უფლების გადაცემისა თუ ქონებრივი ხასიათის სხვა მოქმედებების განხორციელების მოთხოვნა ძალადობის გამოყენების ან სხვისი ქონების განადგურებისა თუ დაზიანების, ასევე დაზარალებულის ან მისი ახლობლების შეურაცხმყოფელი თუ სხვა ცნობების გავრცელების მუქარით, რომელებმაც შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენონ დაზარალებულს ან მისი ახლობლების უფლებებსა თუ კანონიერ ინტერესებს.

გამომძიების ორგანოები სახელმწიფო ორგანოები, რომელთა გამომძიებლები აწარმოებენ სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიებას. საქართველოში ასეთი ორგანოებია: პროკურატურა, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების შესაბამისი სამსახურები. სამხედრო გამომძიებლები არიან პროკურატურის გამომძიებლები. ყველა გამომძიებელს, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, აქვს თანაბარი უფლება-მოვალეობები და განისაზღვრება კანონის წესის საფუძველზე. ასევე, უწყებრივი და პერსონალური საგამოძიებო ქვემდებარეობა განსაზღვრულია კანონით.

გამოძიების ფედერალური ბიურო (Federal Bureau Investigation) – აშშ-ში იუსტიციის ბიური (სამინისტრო), საიდუმლო სამძებრო. დაარსდა 1908 წელს ქვეყნის უშიშროების მიზნით: მას ეკისრება ფედერალური კანონების დარღვევების გამოძიება. ახლებს საპოლიციო მუშაობის კოორდინაციას. შემუშავებული აქვს პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტების აღრიცხვის მეთოდი და ამოცნობის ფართო სისტემა. ბიურო მუშაობაში ფართოდ იყენებს ისეთ მეთოდებს, რომელიც უფლებას აძლევს აკონტროლოს ერთ-ერთი ყველაზე ფართო აგენტურული ქსელის მუშაობა მთელ მსოფლიოში, რომელიც მოიცავს როგორც ტერიტორიულად, ასევე რაოდენობით დიდ კოორდინირებულ მუშაობას.

გამოსხივების დოზების დასაშვები საზღვრები იონიზირებადი გამოსხივების გამოყენების შედეგად – იხ. რადიაციული უსაფრთხოების პიგიენის ნორმატივები.

გამოცდა სამუშაოზე მიღებისას – შრომის სამართლის მიხედვით, მუშაკის შესაბამისობის შემოწმება მისთვის დაკავებულ სამუშაოსთან. ის შესაძლოა განპირობებულ იქნეს მხარეთა შეთანხმებით შრომით ხელშეკრულების დადებისას.

სამუშაოზე მიღებისას გამოცდის შესახებ პირობა უნდა იყოს მითითებული შრომით ხელშეკრულებაში. შრომით ხელშეკრულებაში ასეთი პირობის არარსებობა ნიშნავს, რომ მუშაკი მიღებულია გამოცდის გარეშე. სამუშაოზე მიღებისას გამოცდის პერიოდში მუშაკზე ვრცელდება კანონების, სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების, ლოკალური ნორმატიული აქტების დებულებები, რომლებშიც შედის შრომის სამართლის, კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმების ნორმები.

გამოცდის ვადა სამუშაოზე მიღებისას არ შეიძლება აღემატებოდეს 3 თვეს (უმრავლეს ქვეყნებში), ხოლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისთვის და მათი მოადგილეებისთვის, მთავარი ბუღალტრებისა და მათი მოადგილეებისთვის, ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა განკერძოებული სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისთვის კანონით განსაზღვრული ვადა. სამუშაოზე მიღებისას გამოცდის ვადაში არ ითვლება მუშაკის დროებითი შრომისუუნარობის და სხვა პერიოდები, რაც ის ფაქტიურად არ იყო სამუშაოზე სპატიო მიზეზებით. სამუშაოზე მიღებისას გამოცდის არადამაკმაყოფილებელი შედეგის დროს სამუშაოს მიმცემს გააჩნია უფლება გამოცდის ვადის ამოწურვამდე გაფრთხილოს შრომითი ხელშეკრულება მუშაკთან, აცნობებს რა მას ამის შესახებ წერილობითი ფორმით არაუგვიანეს 3 დღით ადრე (ან კანონით განსაზღვრული ვადისა) იმ მიზეზების მითითებით, რომლებიც გახდა საფუძველი ამ მუშაკის სამუშაოსთვის შეუსაბამოდ ცნობისთვის. სამუშაოს მიმცემის გადაწყვეტილება მუშაკს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლო წესით.

სამუშაოზე მიღებისას გამოცდის არადაკმაყოფილებელი შედეგის დროს შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტა ხდება საწარმოს ადმინისტრაციის მიერ შესაბამისი პროფკავშირის ორგანოს აზრის გათვალისწინებისა და გამოსასვლელი დღის დახმარების გაცემის გარეშე. თუ ამოწურულია სამუშაოზე მიღებისას გამოცდის ვადა, ხოლო მუშაკი აგრძელებს მუშაობას, ის ითვლება სამუშაოზე მიღებისას გამოცდის დამხმარეელად და შრომითი ხელშეკრულების შემდგომი გაწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ზოგად საფუძველზე.

თუ სამუშაოზე მიღებისას გამოცდის პერიოდში მუშაკი მიეა დასკვნამდე, რომ შემოთავაზებული სამუშაო არ წარმოადგენს მისთვის შესაბამისს, მას უფლება აქვს გაწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება საკუთარი სურვილით, აცნობებს რა ამის შესახებ სამუშაოს მიმცემს წერილობითი ფორმით 3 დღის (ან კანონით გათვალისწინებული ვადისა) განმავლობაში.

გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდეგ შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტა მუშაკთან დასაშვებია მხოლოდ ზოგად საფუძვლებზე.

სამუშაოზე მიღებისას გამოცდა არ წესდება: კონკურსის საფუძველზე შესაბამის თანამდებობაზე დანიშნული პირებისთვის, ორსული ქალებისთვის, 18 წლამდე ასაკის პირებისთვის, პირებისთვის, რომლებმაც დაამთავრეს დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებები და პირველად მიიღეს სამუშაო მიღებული სპეციალობის მიხედვით, არჩევით თანამდებობაზე არჩეული (შერჩეული) პირებისთვის, სამუშაოზე მიწვეული პირებისთვის სხვა სამუშაოს მიმცემისგან გადაყვანის გზით, სამუშაოს მიმცემთა შორის შეთანხმებით და ა.შ. რაც გათვალისწინებულია კანონითა და კოლექტიური შეთანხმებით.

გამოცხადება დანაშაულის ალიბით – დანაშაულის ჩამდენი პირის ნებაყოფლო-

ბით გამოცხადება მოკლეული ორგანოში, გამოძიების ორგანოში, პროკურატურაში, სასამართლოში მართლმსაჯულებისთვის ჩაბარების მიზნით. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში გამოცხადება დანაშაულის აღიარებით – სისხლის სამართლის საქმის აღძრის ერთ-ერთი საფუძველია.

განცხადება დანაშაულის აღიარების შესახებ შეიძლება გაკეთდეს, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით. დანაშაულის აღიარებით გამოცხადებისას დგინდება გამოცხადებულის პიროვნება და ხდება ოქმის შედგენა, რომელშიც დაწერილებით გადმოიცემა დანაშაულის გარემოებები. მოცემულ განცხადებაში უნდა აღინიშნოს თუ სად, როდის და რა გარემოებების დროს მოხდა დანაშაულის ჩადენა, რა მონაცემებით მტკიცდება ის მოტივები, რამაც პირი აიძულა გამოცხადებულიყო და სხვ. ოქმს ხელს აწერს გამოცხადებული პირი, მოკლეულის მწარმოებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი ან ოქმის შემდგენი მოსამართლე.

ნებაყოფლობით გამოცხადებულმა პირმა შეიძლება მისცეს სწორი ჩვენებები არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებაც, შეუძლია დახმარების გაწევა ნივთმტკიცებების პოვნაში, აცნობოს ფასეულობების ადგილსამყოფელის შესახებ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის და ა.შ. დანაშაულის აღიარებით გამოცხადებას შეიძლება თან ახლდეს გულწრფელი მონანიება, ბრალის აღიარება, საკუთარი ქცევის განსჯა. ამასთან, არსებობს მოთხოვნა ქმედითი მონანიების შესახებ და არა უბრალოდ საკუთარი ბრალის აღიარება და დანაშაულებრივი ქმედების განსჯა, თუმცა, ეს გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის დანიშვნისას.

გამოძიება – სისხლის სამართლის პროცესის სტადია, რომლის დროსაც მოკლეულია და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებული მოქმედებები და მიიღება გადაწყვეტილებები მტკიცებულებათა შეგროვებისა და შემოწმების, დანაშაულების სწორი და სრული გახსნის, ბრალდებულთა სახით მათი ჩამდენი პირების პასუხისგებაში მიცემის მიზნით. მიიღება დანაშაულთა თავიდან აცილებისა და აღკვეთის, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენისა და აღმოფხვრის, ასევე დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ზომები. გამოძიების დროს ელინდება და გამოკვლეული ხდება ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან მისი პასუხისმგებლობისგან გამანთავისუფლებელი გარემოებები. გამოძიების მასალები პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის დამტკიცების შემდეგ იგზავნება სასამართლოში.

განაჩენთა ერთობლიობა – განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას, სასამართლოს ბოლო განაჩენით გამოტანილ სასჯელს სრულად ან ნაწილობრივ ემატება სასამართლოს წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელის ნაწილი, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელი ინიშნება სასჯელთა სრული ან ნაწილობრივი შეკრების პრინციპით. თავდაპირველად განისაზღვრება სასჯელი ბოლო დანაშაულის მიხედვით, შემდეგ ამ სასჯელს (სრულად ან ნაწილობრივ) უერთდება წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელის ნაწილი. განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელი, თუ ის ნაკლებად მკაცრია, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა, არ შეიძლება აღემატებოდეს მოცემული სახის სასჯელისთვის გათვალისწინებულ ზომას ან მაქსიმალურ ვადას.

განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის შეფარდება – სპეციალური წესი, რომლის თანახმადაც ხდება სასჯელის შეფარდება განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელს რომელიც შეფარდებულია სასამართლოს ბოლო განაჩენით ნაწილობრივ ან სრულად უერთდება სასამართლოს მოცემული განაჩენის მიხედვით სასჯელის მოუხდელი ნაწილი. საერთო ჯამში, განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელი არ შეიძლება აღემატებოდეს 30 წელს (ან კანონით განსაზღერული სხვა ვადა), განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელი უნდა იყოს გამოტანილი კლასვ ჩადენილ დანაშაულზე (მისჯილ სასჯელზე), ასევე სასამართლოს წინა განაჩენის მიხედვით სასჯელის მოუხდელ ნაწილზე მეტი.

განაჩენი სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოს გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშაეობის და მისთვის სასჯელის შეფარდების ანდა მისი უდანაშაულობის და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. განაჩენს დიდი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მნიშვნელობა აქვს. სასამართლოს იგი გამოაქვს სახელმწიფოს სახელით. განაჩენი ორი სახისაა: გამამტყუნებელი და გამამართლებელი. გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვთ ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში, გამამართლებელი განაჩენი კი მაშინ, თუ დადგენილი არ არის დანაშაულის ჩადენის ფაქტი, თუ განსასჯელის შემადგენლობაში არ არის დანაშაულის ნიშნების შემადგენლობა ან არ არის დამტკიცებული განსასჯელის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. კანონით დაწესებულია განაჩენის დადგენისა და გამოქვეყნების სპეციალური პროცედურა. განაჩენი გამოაქვთ სათათბირო ოთახში საქმის განმხილველ მოსამართლეებს. საკითხები წყდება ხმის უმრავლესობით. განაჩენს ხელს აწერს ყველა მოსამართლე, მათ შორის ისიც, რომელსაც განსაკუთრებული აზრი აქვს. ხელმოწერის შემდეგ განაჩენი საჯაროდ ქვეყნდება და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ უნდა აღსრულდეს (გამოცხადებისთანავე აღსრულდება გამამართლებელი და სასჯელისაგან გამთავისუფლებელი განაჩენი).

განაჩენის დამდგენი სასამართლო განაჩენის ასლს უგზავნის იმ ორგანოებს, რომელთაც კანონით ეკისრებათ მისი სისრულეში მოყვანა.

თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული განსაზღერული პირობები (მაგ., თუ მსჯავრდებული მძიმე ავადმყოფია), განაჩენის აღსრულების შეძლების პროცესში აღმოცენებული საკითხები – მსჯავრდებულის ვადამდე განთავისუფლება, ერთი სახის სასჯელის მეორეთი შეცვლა და სხვა ამგვარი სასამართლო სხდომაზე წყდება.

რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ განაჩენი ეწოდება. ამიტომ არის განაჩენი ორგვარი – გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნა-

შაუედ ცნობის შესახებ. ასეთი განაჩენი არ შეიძლება ვარაუდს ემყარებოდეს. იგი დადგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე. გამამტყუნებელი განაჩენი დგინდება სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით, სასჯელის დაუნიშნავად. გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს განსასჯელის სრულ უდანაშაულობას მისთვის წაყენებულ ბრალდებაში. იგი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის სახელის გამტყ ფორმულირებებს. განაჩენი შედგება შესაყავის, აღწერილობით—სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილისაგან. განაჩენი იწერება სათათბირო ოთახში და დაუყოვნებლივ ცხადდება სასამართლო სხდომის დარბაზში.

განაჩენის აღსრულება სასამართლოს და კანონით უფლებამოსილი სხვა ორგანოების საქმიანობა, კანონიერი, ძალაში შესული განაჩენის პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველყოფაა. გამამტყუნებელი განაჩენი აღსასრულებლად მიიქცევა კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა. ამ ვადაში განაჩენის გამომტანი სასამართლოს თავმჯდომარე განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას, განაჩენის ასლთან ერთად, უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც მისი აღსრულება ევალება. განაჩენის აღმსრულებელი ორგანო ვალდებულია აღსრულების შესახებ აცნობოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს. სააპტიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია აცნობოს სასამართლოს სასჯელის მოხდის ადგილი. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (მსჯავრდებულის ავადმყოფობა, ჯარიმის გადახდის შეუძლებლობა და სხვა ამგვარი) სასამართლოს შეუძლია გადაავადოს განაჩენის აღსრულება. გამამართლებელი განაჩენის აღსრულება ხდება დაუყოვნებლივ,—მისი გამოცხადებისთანავე. განაჩენის აღსრულებისას მასში გამოვლენილ ბუნდოვანება-უზუსტობას განმარტავს განაჩენის გამომტანი სასამართლო.

განაჩენი გადაწყვეტილება განსასჯელის უდანაშაულობისა თუ ბრალეულობის და მისთვის სასჯელის გამოტანის ან განთავისუფლების შესახებ, რომელიც გამოტანილია პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის მისი სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის ამოწურვისთანავე, განაჩენის უცვლელად დატოვების ან მასში ამა თუ იმ ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების ან განჩინების გამოტანის შესახებ. განაჩენის გამოტანა სასამართლოს მიერ ხდება სათათბირო ოთახში განსასჯელის ბოლო სიტყვის მოსმენის შემდეგ. განაჩენის გამოტანისას სასამართლო წყვეტს შემდეგ საკითხებს: ა) ჰქონდა თუ არა ადგილი ქმედებას, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება განსასჯელს; ბ) დამტკიცებულია თუ არა ის, რომ ქმედება ჩაიდინა განსასჯელმა; გ) არის თუ არა ეს ქმედება დანაშაული; დ) დამნაშავეა თუ არა განსასჯელი; ე) ექვემდებარება თუ არა განსასჯელი დაცვას; ვ) არსებობს თუ არა დამამძიმებელი ან შემსუბუქებელი გარემოებები; ზ) რა სასჯელი უნდა იქნეს გამოტანილი; თ) არსებობს თუ არა საფუძვლები განაჩენის გამოსატანად სასჯელის გამოტანის გარეშე ან სასჯელისაგან განთავისუფლებისათვის; ი) რა სახის გამოსასწორებელი დაწესებულება და რეჟიმი უნდა განისაზღვროს განსასჯელისთვის თავისუფლების აღკვეთისას; კ) რა უნდა მოხდეს ნივთმტკიცებებთან დაკავშირებით; ლ) ეის, რა ოდენობით უნდა დაეკისროს საპროცესო დანახარჯები; მ) შეიძლება თუ არა გამოყენებულ იქნეს აღშრდელობითი ან სამედიცინო ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებები; ნ) უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს თუ არა აღმკვეთი ღონისძიება განსასჯელთან მიმართებაში.

გამოტანილ განაჩენზე განსაკუთრებული აზრის მქონე მოსამართლეს უფლება აქვს გადმოსცეს ის, სათათბირო ოთახში. განსაკუთრებული აზრი თან ერთვის განაჩენს და არ ექვემდებარება გახმოვანებას სასამართლო სხდომაზე.

განაჩენის შედგენა ხდება იმ ენაზე, რომელზეც წარმოებდა სასამართლო განხილვა და მას ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლე. თუ განსასჯელი ვერ ფლობს ენას, რომელზეც წარმოებს სამართალწარმოება, მას სთავაზობენ თარგმნის დახმარებას.

განაჩენის ხელმოწერის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს მას და სხდომათა დარბაზში მყოფი პირები განაჩენს ფეხზე დამდგარი ისმენენ.

სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი.

გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ხდება იმ შემთხვევებში, თუ: ა) დადგენილი არაა დანაშაულის მოვლენა; ბ) განსასჯელს კავშირი არა აქვს დანაშაულის ჩადენასთან; გ) განსასჯელის ქმედებაში არაა დანაშაულის შემადგენლობა; დ) განსასჯელთან მიმართებაში ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის მიერ გამოტანილია გამართლებელი ვერდიქტი.

გამართლება ნიშნავს განსასჯელის ცნობას უდანაშაულოდ და რასაც მოსდევს მისი რეაბილიტაცია.

გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება დაეფუძნოს ვარაუდებს და მისი გამოტანა ხდება იმ პირობით, რომ სასამართლო განხილვის დროს განსასჯელის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში მტკიცდება სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობით.

საბრალდებო განაჩენის გამოტანა ხდება: ა) სასჯელის შეფარდებით, რაც უნდა დაექვემდებაროს მსჯავრდებულის მიერ მოხდას; ბ) სასჯელის შეფარდებით და მისი მოხდისგან განთავისუფლებით, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისთვის გამოცემულია აქტი ამნისტიის შესახებ, რაც მსჯავრდებულს ანთავისუფლებს სასჯელის მოხდისგან; ბ) სასჯელის მისჯის გარეშე.

განაჩენი არაა სისხლის სამართლის საქმის ფაქტიურ გარემოებებთან შესაბამისი, რომელიც დადგენილია პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ, თუ: ა) სასამართლოს დასკვნები არ მტკიცდება სასამართლო სხდომაზე განხილული მტკიცებულებებით; ბ) სასამართლომ არ გაითვალისწინა გარემოებები, რომელთაც შეეძლოთ არსებითი გავლენის მოხდენა სასამართლოს დასკვნებზე; გ) საპირისპირო მტკიცებულებების არსებობისას, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ სასამართლოს დასკვნებისთვის, განაჩენში მითითებული არაა, თუ რა საფუძვლებით მიიღო სასამართლომ ერთ-ერთი ეს მტკიცებულება და უარყო მეორე; დ) განაჩენში გადმოცემული სასამართლოს დასკვნები შეიცავს არსებით წინააღმდეგობებს, რომლებმაც გაელენა მოახდინეს ან შეეძლოთ გავ-

ლენა მოეხდინათ მსჯავრდებულის ან გამართლებულის უდანაშაულობისა თუ ბრალეულობის შესახებ საკითხის გადაწყვეტაზე, სისხლის სამართლის კანონის გამოყენების სისწორეზე ან აღმკვეთი ღონისძიების განსაზღვრაზე.

არასამართლიანს წარმოადგენს განაჩენი, რომლის მიხედვითაც გამოტანილ იქნა დანაშაულის სიმძიმესთან, განსასჯელის პიროვნებასთან შეუსაბამო სასჯელი. განაჩენი შეიძლება გაუქმდეს უფრო მკაცრი სასჯელის გამოტანის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომელიც გამოტანილ იქნა პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ, როცა არსებობს პროკურორის წარდგინება ან კერძო ბრალმდებლის, დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის განცხადება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის სააპელაციო ან საკასაციო წესით მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ ის არ იქნა გასაჩივრებული მხარეების მიერ. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განაჩენი კანონიერ ძალაში შედის საკასაციო წესით მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვისთანავე, თუ ის არ იქნა გასაჩივრებული მხარეების მიერ.

საკასაციო წესით განაჩენის საჩივრის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში, თუ ის არაა გაუქმებული საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ, კანონიერ ძალაში შედის საკასაციო განჩინების გამოტანის დღეს.

განაჩენი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №9 – წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

თავი №55 – განაჩენის დადგენა

მუხლი №495 – განაჩენის დადგენა საქართველოს სახელით

განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით.

მუხლი №496 – განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა

1. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

2. სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს.

3. სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ეფუძნება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

4. განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

მუხლი №497 – მოსამართლეთა თათბირის საიდუმლობა

1. სასამართლოს მიერ საქმის კოლეგიურად განხილვის შემდეგ განაჩენი დგინდება სათათბირო ოთახში, სადაც შეიძლება იყვნენ მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლენი და ტექნიკური თანაშრომელი, რომელიც აკეთებს ჩანაწერს.

2. საქმის ერთპიროვნულად განხილვისას მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ და დაცულ ოთახში.

3. განაჩენის დადგენისას სასამართლოს ან მოსამართლეს შეუძლია შესვენება, აგრეთვე დასვენება უქმე დღეებში.

4. განაჩენის დადგენის დროს დაუშვებელია საქმესთან დაკავშირებით სხვა პირებთან რაიმე ურთიერთობა აგრეთვე ტელეფონით ან სხვა გზით თათბირი განაჩენში გადასაწყვეტ საკითხებზე.

5. მოსამართლესა და ტექნიკურ თანაშრომელს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მოსამართლეთა თათბირის დროს გამოთქმული მოსაზრებანი.

მუხლი №498 – განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები

1. განაჩენის დადგენისას სასამართლო თანამიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) ჩაიდინა თუ არა განსასჯელმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) არის თუ არა განსასჯელის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;

გ) შეერაცხება თუ არა განსასჯელს ბრალად ჩადენილი ქმედება;

დ) უნდა დაისაჯოს თუ არა განსასჯელი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;

ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს განსასჯელს და რა ზომით;

ვ) უნდა მოიხადოს თუ არა განსასჯელმა დანიშნული სასჯელი;

ზ) ქვეპუნქტი ამოღებულია;

თ) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი, ვის სასარგებლოდ და რა ოდენობით;

ი) გასაუქმებელია თუ არა სამოქალაქო სარჩელის ან/და ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;

კ) სამოქალაქო სარჩელის ან/და ქონების ჩამორთმევის საკითხს;

ლ) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი;

მ) საჭიროა თუ არა გაუქმდეს, შეიცვალოს ან შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება;

ნ) ვის უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები და რა ოდენობით;

ო) დამნაშავედ მიჩნეული პირის მიმართ უნდა გამოიყენონ თუ არა იძულებითი მკურნალობა;

2. გამამართლებელი განაჩენის დადგენისას სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გამართლებულისათვის გამოძიების ორგანოების, პროკურატურისა თუ სასამართლოს უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

3. რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში პირის მსჯავრდებისას სასამართლო წყვეტს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებს თითოეული დანაშაულის მიხედვით ცალ-ცალკე და მთლიანად.

4. დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე განსასჯელის მსჯავრდებისას ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველი განსასჯელის მიმართ ცალ-ცალკე.

მუხლი №499 – განსასჯელის შეურაცხადობის საკითხის განხილვა

1. თუ წინასწარი გამოძიების ან სასამართლო განხილვის დროს წამოიჭრა საკითხი ბრალდებულის შერაცხადობის ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ მისი ფსიქიკურად დაავადების შესახებ, რის გამოც დაინიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, სასამართლო ვალდებულია განაჩენის დადგენისას კიდევ ერთხელ განიხილოს ეს საკითხი.

2. თუ დადგინდა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას განსასჯელი შეურაცხად მდგომარეობაში იყო ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა ფსიქიკურად, სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით იძულებითი მკურნალობის გამოყენების შესახებ.

მუხლი №500 – მოსამართლეთა თათბირისა და საქმის ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. საქმის კოლეგიურად განხილვისას განაჩენის დადგენას წინ უძღვის მოსამართლეთა თათბირი.

2. თავმჯდომარე მოსამართლეთა გადასაწყვეტ საკითხებს სეამს 498-ე მუხლში მითითებული თანამიმდევრობით. იმავე თანამიმდევრობით წყვეტს ამ საკითხებს მოსამართლე, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს.

3. ყოველ საკითხზე თითოეულმა მოსამართლემ უნდა გასცეს დადებითი ან უარყოფითი პასუხი. არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს.

4. საკითხები წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უკიდურესობის აღკვეთის დანიშვნის შესახებ მოსამართლეებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ ერთხმად.

5. 498-ე მუხლში აღნიშნულ თითოეულ საკითხზე პირველად კენჭს უყრიან მოსამართლის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ყველაზე სასიკეთოა განსასჯელისათვის. თუ დანაშაულის ჩადენაში განსასჯელის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს ამ დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უერთდება იმ მოსამართლის ხმას, რომლის გადაწყვეტილებაც განსასჯელისათვის ყველაზე სასიკეთოა.

6. მოსამართლეს (მოსამართლეებს), რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს, უფლება აქვს იგი წერილობით ჩამოაყალიბოს განაჩენის გამოცხადების მომენტიდან 7 დღე-ღამის განმავლობაში. განსხვავებულ აზრს წარუდგენენ თავმჯდომარეს და ურთავენ საქმეს.

7. მხარეებს უნდა მივცეთ საშუალება გაეცნონ განსხვავებულ აზრს.

მუხლი №501 – სისხლის სამართლის საქმის გაგზავნა დამატებითი გამოძიებისათვის

თუ პროკურორი შუამდგომლობს განსასჯელისათვის უფრო მძიმე ბრალდების წარდგენას, მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გაგზავნის თაობაზე და საქმეს უბრუნებს პროკურორს.

განაჩენის სახეები მუხლი – №502

სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი.

განაჩენი შეიძლება იყოს ზოგი ბრალდების მიმართ გამამტყუნებელი, ხოლო სხვა ბრალდების მიმართ – გამამართლებელი.

მუხლი №503 – გამამტყუნებელი განაჩენი

1. გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ.

2. გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე.

3. გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოიტანონ:

ა) მოსახდელი სასჯელის დანიშვნით;

ბ) სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით;

გ) სასჯელის დაუნიშნავად.

4. მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს სასჯელის სახე, ზომა და სასჯელის მოხდის ვადის დაწყება. პირის დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.

5. სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოცემულია აქტი ამნისტიის შესახებ, რომელიც ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

6. სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ მისი გამოტანის მომენტისათვის:

ა) ამოიწურა ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;

ბ) განსასჯელი გარდაიცვალა.

მუხლი № 504 – გამამართლებელი განაჩენი

1. გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს განსასჯელის სრულ უდანაშაულობას მისთვის წაყენებულ ბრალდებაში.

2. გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის სახელის გამტეხ ფორმულირებებს.

3. გამამართლებელი განაჩენის საფუძველია:

ა) განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) განსასჯელის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

მუხლი № 505 – სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა განაჩენის დადგენისას

1. განაჩენის დადგენისას სასამართლო აკმაყოფილებს წარდგენილ სარჩელს მთლიანად ან ნაწილობრივ, ან უარყოფს მას, ანდა საერთოდ არ განიხილავს.

2. სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლოს უფლება აქვს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე მიიღოს ზომები სარჩელის უზრუნველსაყოფად, თუ ისინი მანამდე მიღებული არ ყოფილა.

მუხლი № 506 – განაჩენის შედგენა

1. განაჩენი იწერება სამართალწარმოების ენაზე ცხადი და გასაგები ფრაზებით.

2. განაჩენი უნდა დაიწეროს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მას ხელი უნდა მოაწეროს ყველა მოსამართლემ, განსხვავებული აზრის მქონეთა გარდა.

3. განაჩენში შეტანილი შესწორება განაჩენის გამოცხადებამდე წინასწარ უნდა შეათანხმოს და ხელმოწერით დაადასტუროს ყველა მოსამართლემ.

მუხლი №507 – განაჩენის შესავალი ნაწილი

განაჩენის შესავალ ნაწილში აღინიშნება:

ა) განაჩენი დადგენილია საქართველოს სახელით;

ბ) განაჩენის დადგენის დრო და ადგილი;

გ) განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, ბრალმდებელი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, დამცველი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები;

დ) განსასჯელის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, განათლება, საჭიროების შემთხვევაში მქონე სხვა ცნობები;

ე) სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც განსასჯელი მისცეს სამართალში.

მუხლი №508 – გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

1. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დამტკიცებულად ცნო. ამასთან, მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. განაჩენში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო სხვა. აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებანი, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული, ან დანაშაულს არასწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული, – ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები.

2. სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს აგრეთვე სასჯელის სახე და ზომა, პირობითი მსჯავრის გამოყენება, ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ უდაბლეს ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლა, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება ან უარყოფა აგრეთვე სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების გამოყენება.

მუხლი №509 – გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი

1. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

ა) განსასჯელის სახელი და გვარი;

ბ) გადაწყვეტილება ჩადენილ დანაშაულში განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ;

გ) სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის მიხედვითაც განსასჯელი მიჩნეულია დამნაშავედ

დ) იმ სასჯელის სახე და ზომა, რომელიც განსასჯელს დაენიშნა ყოველი დანაშაულისათვის, მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა;

ე) გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა, თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი;

ვ) გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, დაპატიმრების, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დროის ჩათვლის შესახებ.

ზ) გადაწყვეტილება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ;

თ) მსჯავრდებულისათვის განაჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობები;

ი) სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა;

კ) ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტა;

ლ) გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ;

მ) განაჩენის გასაჩივრების უფლება;

ნ) სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა;

ო) ქონების ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტა.

2. თუ განსასჯელს წაყენებული აქვნდა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, რომელ ბრალდებაში გაამართლეს განსასჯელი და რომელში დასდეს მსჯავრი.

3. სასჯელის მოხდისაგან განსასჯელის განთავისუფლების შემთხვევაში ეს უნდა აღინიშნოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.

4. ყველა შემთხვევაში განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ განაჩენის აღსრულებისას არ წარმოიშვას რაიმე ეჭვი სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

მუხლი №510 – გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება: ბრალდების არსი, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს; სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სასამართლოს დასკვნას განსასჯელის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულებას, რომელსაც ემყარებოდა განსასჯელის მიმართ წაყენებული ბრალდება, ანდა რატომ მიიჩნევს სასამართლო, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა, ან რომ განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული; სამოქალაქო სარჩელის მიმართ გადაწყვეტილების მოტივები.

მუხლი №511 – გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი

გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

ა) განსასჯელის სახელი და გვარი;

ბ) გადაწყვეტილება განსასჯელის უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ;

გ) გადაწყვეტილება განსასჯელისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ხოლო

თუ იგი პატიმარია, – გადაწყვეტილება სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ;

დ) გადაწყვეტილება წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ სარჩელი არ დაკმაყოფილებულა;

ე) გადაწყვეტილება ქონების ჩამორთმევის შესახებ, თუ არის ამის აუცილებლობა ამ კოდექსის შესაბამისად;

ვ) გადაწყვეტილება ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ ასეთი ღონისძიებები განხორციელდა;

ზ) გამართლებულის უფლება, აუნაზღაურდეს მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანი ამ კოდექსის 219-ე-228-ე მუხლებით დადგენილი წესით;

თ) განაჩენის გასაჩივრების უფლება;

ი) რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს განაჩენი.

მუხლი №512 – განაჩენის გამოცხადება

1. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) ბრუნდება სასამართლო სხდომის დარბაზში და თავმჯდომარე ან რომელიმე მოსამართლე აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს.

2. სასამართლო სხდომის დარბაზში ყველა დამსწრე, მათ შორის, სასამართლოს შემადგენლობა, განაჩენს უსმენს ფეხზე მდგარი.

3. თუ განაჩენი დაწერილია იმ ენაზე, რომელიც განსასჯელმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის, განაჩენის გამოცხადებისთანავე ან სინქრონულად ის უნდა წაიკითხოს თარჯიმანმა განსასჯელის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.

4. თავმჯდომარე განსასჯელსა და პროცესის სხვა მონაწილეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესსა და ვადებს. განსასჯელს განუმარტავენ აგრეთვე შეწყალების შესახებ შუამდგომლობის უფლებას.

მუხლი №513 – განსასჯელის პატიმრობიდან განთავისუფლება

პატიმრობაში მყოფი განსასჯელი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, თუ:

ა) განსასჯელი გაამართლეს;

ბ) დაადგინეს გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ განსასჯელს არ დაუნიშნეს სასჯელი;

გ) გაათავისუფლეს სასჯელისაგან;

დ) პირობითად დასდეს მსჯავრი;

ე) გადაუვადეს განაჩენის აღსრულება;

ვ) დაუნიშნეს სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან;

ზ) სასჯელად დაუნიშნეს თავისუფლების აღკვეთა ისეთი ვადით, რომელიც არ აღემატება წინასწარ პატიმრობაში მსჯავრდებულის ფაქტობრივ ყოფნას.

მუხლი №514 – სახელმწიფო ბრალმდებლისათვის და მსჯავრდებულისათვის ან გამართლებულისათვის განაჩენის ასლის გადაცემა

განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა განაჩენის ასლი უნდა გადაეცეს სახელმწიფო ბრალმდებელს და მსჯავრდეულს ან გამართლებულს, პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით გადაეცეს იმავე ვადაში.

მუხლი №515 – სხვა საკითხები, რომლებსაც სასამართლო წყვეტს განაჩენის დადგენისთანავე

1. თუ მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა, ჰყავს არასრულწლოვანი შვილები, ხანდაზმული მშობლები, ქმაყოფაზე მყოფი სხვა პირი, რომელიც მეთვალყურეობისა და დახმარების გარეშე რჩება, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთანავე გამოაქვს განჩინება იმის შესახებ, რომ მათზე მზრუნველობა ან მეურვეობა დაეკისროს ნათესავს, სხვა პირს მათი თანხმობით, ან სათანადო დაწესებულებას, ხოლო თუ მსჯავრდებულს აქვს ქონება ან ბინა, რომელიც უმეთვალყურეოდ რჩება, – განჩინება იმის შესახებ, რომ მისი დაცვა ეკალება სათანადო ორგანოს.

2. თუ ამ საქმეში დამცველად ან წარმომადგენლად მონაწილეობდა 81-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული ადვოკატი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მას გადაუხადონ თანხა იმ ოდენობით, რაც დადგენილია კანონმდებლობით.

3. შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად სასამართლოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება) ან კერძო განჩინება, თუ არსებობს სამისო საფუძველი.

4. სასამართლო სხდომის დარბაზში განაჩენის გამოცხადებისთანავე ამ მუხლში აღნიშნული ყველა საპროცესო გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა იქნეს წაკითხული.

განაწილებითი და რაოდენობრივი გადასახადები

– გადასახადების სახეები, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა გადასახადთა დაბეგვრის განვითარების ადრეულ სტადიაზე. მათი ოდენობა განისაზღვრებოდა კონკრეტული ხარჯის გაწევის მოთხოვნილებიდან. ხარჯების ოდენობა ნაწილდებოდა გადასახადების გადამხდელებს შორის – თითოეულ გადამხდელზე მოდიოდა გადასახადის გარკვეული ოდენობა. ამჟამად, განაწილებითი გადასახადები გამოიყენება იშვიათად, ძირითადად, ადგილობრივი გადასახადთა დაბეგვრაში. მაგალითად, ადგილობრივი მიზნობრივი მოსაკრებლის ოდენობა პოლიციის შესანახად, ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, განათლების საჭიროებებზე და სხვა მიზნებზე შეიძლება განისაზღვროს განაწილების სისტემით, მცხოვრებთა რაოდენობისა და კონკრეტული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. რაოდენობრივი გადასახადების (წილობრივი, კვოტური) დადგენისას ამოდიან არა ხარჯის დაფარვის მოთხოვნილებიდან, არამედ გადასახადის გადამხდელის შესაძლებლობიდან გადაიხადოს გადასახადი. ეს გადასახადები უშუალოდ ან ირიბად ითვალისწინებენ გადასახადის გადამხდელის ქონებრივ მდგომარეობას (შემოსაელიანობას).

„განგება დარბაზობისა“

ქართული სამართლებრივი ძეგლი. შეიცავდა საქართველოში საკუთარი მირონის კურთხევისა და დარბაზობის წესების აღწერას. მიეწერება მიქაელ კათალიკოსს (V ს.). თეით ძეგლში დაცული ცნობების მიხედვით, XV ს-ზე ადრე არ უნდა იყოს შედგენილი. ძეგლში განსაზღვრულია სამღვდელოების წარმომადგენელთა ადგილ–პატივი მეფედ კურთხევასთან დაკავშირებით გამართული დარბაზობის დროს.

გაგრძობადი დანაშაული დანაშაული, რომელიც წარმოადგენს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ დანაშაულს. გაგრძობადი დანაშაული დამთავრებულად ითვლება უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან.

გაწყვეტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება – ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს პირობას იმის შესახებ, რომ საქონლის ანაზღაურება ხდება ნაწილ-ნაწილ, გარკვეული დროის მანძილზე, მისი მყიდველისთვის გადაცემის მემდეგ. მოცემულ ხელშეკრულებაში არსებითს წარმოადგენს პირობები საგნის, საქონლის, ფასის, გადახდის წესის, ვადისა და ოდენობის შესახებ. მნიშვნელოვანი არის საკრედიტო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ანალოგიური. თუ მყიდველი ამ დადგენილ დროში არ ახორციელებს გადახდას, გამყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე და მოითხოვოს გაყიდული საქონლის დაბრუნება. ეს უფლება ძალას კარგავს, თუ მყიდველის მიერ გადახდილი თანხა აღემატება საქონლის ფასის ნახევარს.

განზრახ დანაშაულის ჩადენის სტადიები – კანონში განსაზღვრული დანაშაულის მომზადებისა და განხორციელების ეტაპები. ისინი გამოირჩევიან მოქმედებებისა და შედეგების სახითა და დანაშაულებრივი განზრახვის რეალიზაციის ხარისხით.

განზრახვა (სამართ) – ბრალის ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც სუბიექტი ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით ზიანს აყენებს სამართლით დაცულ ინტერესებს და შეგნებული აქვს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. სისხლის სამართლის კანონმდებლობა განასხვავებს პირდაპირ და ევენტუალურ (არაპირდაპირ) განზრახვას. პირდაპირი განზრახვის დროს პირი არა მარტო ითვალისწინებს დანაშაულებრივ შედეგს, არამედ სურს კიდეც ეს შედეგი. ასევე ამ შედეგის მიღწევაა მისი უშუალო დანაშაულებრივი შედეგი. ამ შედეგის მიღწევაა მისი უშუალო დანაშაულებრივი მიზანი (მაგ., შურისძიებით სახლის დაწვა) ანდა რაიმე სხვა მიზნის მიღწევის საშუალება (მაგ., მკვლელობა ალიმენტის გადახდისათვის თავის არიდების მიზნით). ევენტუალური განზრახვის დროს დანაშაულებრივი შედეგი, მხოლოდ თან სდევს დანაშაულის მოქმედებას; დამნაშავეს არ სურს ეს შედეგი, თუმცა ითვალისწინებს და უშვებს მისი დადგომის შესაძლებლობას (მაგ., საკუთარი სამეურნეო საჭიროებისათვის ზეინკალი ლიანდაგს ჭანჭიკებს მოხსნის, და თუმცა შეგნებული აქვს, რომ ამას შეიძლება მატარებლის მარცხი მოჰყვეს, გულგრილად ეკიდება ამ შედეგის შესაძლებლობას). განზრახი დანაშაული უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე გაუფრთხილებლობით ჩადენილი იგივე დანაშაული.

განზრახვის ცნება ცნობილია ჯერ კიდევ უძველესი სამართლის წყაროებიდან (ჰამურაბის კანონები, მოსეს სამართალი და სხვა). იგი იხმარებოდა ძველ ქართულ სამართალშიც. მცირე სჯულის კანონში სიტყვა განზრახვა „ნებ-სითი" დანაშაული კი „უნებელ" დანაშაულს უპირისპირდება. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, „განზრახი" დანაშაული, „უნდომლად" ჩადენილისაგან განსხვავებით, „ნდომით მომ-ხდარ" დანაშაულს ნიშნავს.

განზრახვა – ბრალის ფორმა, რომლის დროსაც პირი დანაშაულს ჩადის განზრახ. განზრახვა ორი სახისაა: პირდაპირი და ირიბი. დანაშაული პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირი აცნობიერებდა თავისი ქმედებების (უმოქმედობის) საზოგადოებრივ საშიშროებას, განჭვრეტდა საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას ან გარდაუვალობას და სურდა მათი დადგომა. დანაშაული ირიბი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირი აცნობიერებდა საკუთარი ქმედებების (უმოქმედობის) საზოგადოებრივ საშიშროებას, განჭვრეტდა საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ამ შედეგებს ან მათ უდგებოდა გულგრილად. საზოგადოებრიობისთვის საშიში შედეგების განჭვრეტის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ პირის აზრობრივი წარმოდგენა იმ ზიანის შესახებ, რომელსაც მიაყენებს მისი ქმედება საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთაც იცავს სისხლის სამართლის კანონი. პირდაპირი განზრახვის დროს განჭვრეტა მოიცავს წარმოდგენას ხელყოფის ობიექტში საკარადო ცვლილებების შესახებ; მათი საშიშროების, საზოგადოებისთვის მავნებლობის გაგებას; ქმედებასა და საზოგადოებისთვის საშიშ შედეგებს შორის დამოკიდებულების, როგორც მიზეზისა და შედეგის გაცნობიერებას.

კანონში პირდაპირი განზრახვის ნებელობითი ელემენტი განისაზღვრება, როგორც საზოგადოებისთვის საშიში შედეგების დადგომის სურვილი. ირიბი განზრახვა პირდაპირისგან განსხვავდება იმით, რომ პირი შეგნებულად უშვებს საზოგადოებისთვის საშიშ ქმედებებს და თუმცა კი არ მოისწრაფვის ასეთი შედეგების გამოწვევისკენ, მაგრამ დადებითად უდგება მათ.

განზრახვის სახის დადგენა ძალიან მნიშვნელოვანია დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისთვის.

განთავისუფლება – 1) მუშაკების დასაქმების შეჩერება ან შეწყვეტა იმასთან დაკავშირებით, რომ მათთვის არაა სამუშაო; 2) მოცემულ ორგანიზაციაში მუშაკის დაქირავების ვადის დასრულება, რომელიც ხდება ან სამსახურებრივი ვალდებულებების არადამაკმაყოფილებელი შესრულების ან დაქირავებით მუშაობის შესახებ კონტრაქტის დარღვევის გამო; 3) რომელიმე ორგანიზაციაში მუშაკის დაქირავების ვადის დასრულება, რომელიც დადგა ორგანიზაციის მიერ წარმოებულ მომსახურებასა და საქონელზე მოთხოვნის შემცირების შედეგად.

სამუშაოს მიმცემის მიერ მუშაკის განთავისუფლება დაუშვებელია (ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან სამუშაოს მიმცემის – ფიზიკური პირის საქმიანობის შეწყვეტის გარდა) მისი დროებითი შრომისუუნარობისა და შვებულებაში ყოფნის პერიოდში.

ორგანიზაციის ფილიალის, წარმომადგენლობის ან სხვა განცალკევებული სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, ამ სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაკებთან შრომითი ხელშეკრულებების გაწყვეტა ხდება ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევებისთვის გათვალისწინებული წესებით.

მუშაკს უფლება აქვს გაწყვიტოს შრომის ხელშეკრულება აცნობებს რა ამის შესახებ სამუშაოს მიმცემს

წერილობითი ფორმით ორი კვირით ადრე. შრომის ხელშეკრულების გაწყვეტა შეიძლება მოხდეს მუშაკსა და სამუშაოს მიმცემს შორის შეთანხმებით განთავისუფლების შესახებ გაფრთხილების ვადის ამოწურვამდე.

იმ შემთხვევებში, როცა მუშაკის განცხადება განთავისუფლების შესახებ მისი ინიციატივით განპირობებულია მის მიერ სამუშაოს გაგრძელების შეუძლებლობით, ასევე სამუშაოს მიმცემის მიერ შრომის სამართლის ნორმების შემცველი კანონებისა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების, კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმების ან შრომის ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევებში, სამუშაოს მიმცემი ვალდებულია გაწყვიტოს შრომის ხელშეკრულება მუშაკის განცხადებაში მითითებულ ვადაში.

განთავისუფლების შესახებ გაფრთხილების ვადის ამოწურვამდე მუშაკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაიტანოს უკან თავისი განცხადება. ამ შემთხვევაში განთავისუფლება არ ხდება, თუ მის ადგილას წერილობითი ფორმით არაა მიწვეული სხვა მუშაკი, რომელსაც შრომის კანონმდებლობისა და სხვა კანონების მიხედვით არ შეიძლება უარი ეთქვას შრომის ხელშეკრულების დადებაზე.

განათლება ძველ საქართველოში საეკლესიო სკოლის ან სამონასტრო წესდებულების დამრღვევი სასულიერო თუ საერო პირის დასჯა საეკლესიო—სამონასტრო ხელისუფლების მიერ. დანაშაულისდა მიხედვით არსებობდა სხვადასხვაგვარი სასჯელი—შეგონება, მონანიება, ხარისხპატივის აყრა, ეკლესია—მონასტრისაგან განკვეთა-გაძევება, აგრეთვე ზოგი სხეულებრივი და ქონებრივი სასჯელი და სხვა, ასეთ სასჯელს, კერძოდ ქონებრივს, საკანონო ეწოდებოდა. ზოგი ამ სასჯელთაგანი საერო სასჯელს ემატებოდა.

განკარგვა – ნივთის მესაკუთრის უფლებამოსილება, რათა ჩართოს იგი ეკონომიკურ ბრუნვაში ისეთი განმკარგულებელი გარიგებების დადებით, როგორიცაა ნასყიდობის, მიწოდების, ჩუქების და სხვა ხელშეკრულებები. ქონების განკარგვის აქტების შედეგად ხდება მისი გასხვისება, აგრეთვე სხვა პირისათვის დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში გადაცემა, დაგირავება, შესანახად გადაცემა და ა.შ. განკარგვით წყდება ნივთის იურიდიული ბედი, ე.ი. წყდება ან შენარჩუნება საკუთრების უფლება. ამ ნივთზე ქმედუნარო პირების კუთვნილი ქონების განკარგვას მათი სახელით ახორციელებენ კანონიერი წარმომადგენლები კანონის მიერ გათვალისწინებული გარკვეული შეზღუდვებით (მაგალითად, მეურვეს არ შეუძლია მეურვეობაში მყოფი პირის ქონება გააჩუქოს).

განკარგვა – საკუთრების უფლების შემადგენელი სამი უფლებამოსილებიდან (ფლობა, სარგებლობა, განკარგვა) ერთ-ერთი. განკარგვა ნიშნავს ნივთთან მიმართებაში ისეთი აქტების განხორციელებას, რომლებიც განსაზღვრავენ მის ბედს (განადგურებამდეც კი).

განკარგულება (საჯარო სამსახურში) – თუ დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელი თავის გადაწყვეტილებას აფორმებს ბრძანებით, მისი ხელქვეითი პირების (საწარმოო განყოფილებებისა და უბნების უფროსების) გადაწყვეტილებები ფორმდება განკარგულების სახით.

წერილობითი განკარგულებები გაიცემა ამა თუ იმ თანამდებობის პირის მიერ აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიული ხასიათის სხვადასხვა საკითხის ირგელივე სპეციალური ინსტრუქციების საფუძველზე ან დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანების შესასრულებლად.

განკარგულების შემადგენელი ნაწილებია:

1. სათაური.
2. განკარგულების ნომერი.
3. იმ თანამდებობის პირის დასახელება, რომელიც განკარგულებას იძლევა.
4. განკარგულების გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი იწერება გვერდის მარცხენა მხარეს).
5. გაცემის ადგილი (იწერება მარჯვენა მხარეს).
6. განკარგულების ტექსტი.
7. თანამდებობის პირის ხელმოწერა.

განკერძოებული წყლის ობიექტი – არაგამდინარე ხელოვნური წყალსატევი, რომელსაც არა აქვს პიდრავლიკური კავშირი სხვა ზედაპირული წყლის ობიექტებთან. იხ. ასევე წყლის ობიექტი.

განკვეთა საეკლესიო ქრისტიანულ, იუდაისტურ და ზოგიერთ სხვა რელიგიაში საეკლესიო სასჯელი – რელიგიური თემიდან გარიცხვა, ზოგჯერ კი სიკვდილით დასჯა. რელიგიური წარმოდგენით, ეკლესიიდან განკვეთილი ადამიანი სიკვდილის შემდეგ აუცილებლად ჯოჯოხეთში მოხვდებოდა. შუა საუკუნეებში ეკლესიიდან განკვეთეს ვალდენსები (1184), მსოფლიო საეკლესიო კრებამ – იან ჰუსი (1412), იუდაისტმა რაბინებმა – უ. აკოსტა (1618), ბ. სპინოზა (1656) და სხვა. თითქმის ანალოგიური მნიშვნელობის არის ტერმინები: ინტერდიქტი, ანათემა.

„განკითხვის დღე“ რელიგიური წარმოდგენით ღვთის სამსჯაერო—ქვეყნის აღსასრულისას“, როცა ღმერთი განსჯის ყველას, ცოცხალსა თუ მკვდარს და ამის შემდეგ „ცოდვილნი“ ჯოჯოხეთში მოხვდებიან მუდმივ სატანჯველად. „უცოდველნი“ კი—სამოთხეში ნეტარებისათვის. დოგმატს „განკითხვის დღის“ შესახებ იზიარებს მრავალი რელიგია, მათ შორის იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი და სხვა.

განმარტება სამართლის ნორმისა სამართლის ნორმის ზუსტი აზრის გარკვევისას მიმართავენ სხვადასხვა ხერხს: ფილოლოგიური (ტექსტობრივი)–განმარტება არის ნორმის შინაარსის გარკვევა ტექსტის შემადგენელ სიტყვათა, ტერმინთა, წინადადებათა აზრისა და მათ შორის სინტაქსური კავშირის დადგენის გზით. ლოგიკური განმარტების დროს ნორმის ნამდვილ აზრს, რომელიც ტექსტობრივად არ ასახულა ნორმაში, ლოგიკის კანონების მომარჯვებით ადგენენ; სისტემატური განმარტებისას ნორმის შინაარსს ადგენენ მოცემულ ნორმატიულ აქტში ან სამართლის მთელ სისტემაში მისი ადგილის მიხედვით და სხვა ისეთ ნორმებთან შეპირისპირებით, რომლებიც იმავე ან მონათესავე ურთიერთობებს აწესრიგებენ; ისტორიულ-პოლიტიკური განმარტება ხდება იმ სოციალ—ეკონომიკურ და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რომელმაც განაპირობა ამ ნორმის მიღება. სამართლის ნორმების შინარსი საერთოდ წესისამებრ, ზუსტად არის ასახული მის ტექსტში. ამიტომ უპირატესად გაერცელებულია ნორმის ტექსტობრივი განმარტება,

მაგრამ თუ განმარტების მოხსენიებული ხერხების გამოყენების შედეგად აღმოჩნდება, რომ ნორმის შინაარსი არ ემთხვევა მის ტექსტს, მაშინ უპირატესობა ეძლევა ნორმის ნამდვილ აზრს. ამიტომ მიხედვით, თუ ნორმის შინაარსი უფრო ვიწროა, ვიდრე მისი ტექსტი, მიმართავენ განვრცობით განმარტებას, და პირიქით, თუ ნორმის შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე მისი ტექსტი, გამოიყენება შეზღუდვითი განმარტება.

სამართლის ნორმის განმარტების იურიდიული შედეგების მიხედვით განასხვავებენ განმარტების ორ სახეს: ოფიციალურს და არაოფიციალურს. ოფიციალურ განმარტებას იძლევა სამისოდ უფლებამოსილი ორგანო და მას სავალდებულო მნიშვნელობა აქვს. თუ ოფიციალურ განმარტებას თვით ნორმის დამდგენი ორგანო იძლევა, მას ავთენტიკური განმარტება ეწოდება. კანონთა ოფიციალური განმარტების უფლება აქვს საკანონმდებლო ორგანოებს. ნორმის არაოფიციალური განმარტება შეუძლია რომელიმე ორგანიზაციას ან ცალკეულ პირს, მაგრამ განმარტებას სავალდებულო ძალა არა აქვს. თუ ეს პირი მეცნიერი იურისტია, მაშინ განმარტებას დოქტრინულს უწოდებენ. დოქტრინული განმარტება, თუნდაც ძალზე ავტორიტეტულიც რომ იყოს, იურიდიულად სავალდებულო ძალა არა აქვს.

განმარტებითი ბარათი (საქმიანი ქაღალდის შედგენა) – განმარტებითი ბარათი ის დოკუმენტია, რომელშიც დაწესებულების მუშაკი იძლევა ახსნა-განმარტებას რომელიმე განკარგულების, ბრძანების, ინსტრუქციის, ზემოთ მითითებიხ შეუსრულებლობისა და აგრეთვე წესების დარღვევის მიზეზების შესახებ.

განასხვავებენ აგრეთვე განმარტებით ბარათს, რომელიც მისი სახელწოდების შესაბამისად, თან ერთვის ზოგიერთ დოკუმენტს, მაგალითად, ანგარიშებს, აქტებს, ხარჯთაღრიცხვებს. მათი დანიშნულებაა ამ შემთხვევაში – განმარტონ ფაქტები დასახელებულ დოკუმენტებში.

განმარტებით ბარათში უნდა იყოს აღნიშნული შემდეგი:

1. თანამდებობა, სახელი და მამის სახელი ხელმძღვანელისა, რომელსაც ეგზავნება განმარტებითი ბარათი.

2. თანამდებობა, სახელი და მამის სახელი იმ პირისა, რომელიც ადგენს განმარტებით ბარათს.

3. სათაური.

4. ტექსტი.

5. განმარტებითი ბარათის შედგენის თარიღი.

6. განმარტებითი ბარათის შემდგენლის ხელმოწერა.

განმგებელი, გამგებელი (სამართ. ისტორია) – ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელე ფეოდალურ საქართველოში. მოხსენიებულია გიორგი ბრწყინვალის სამართალში (IVს.). ტერმინი იხმარება აგრეთვე ცენტრალური ადმინისტრაციის უმაღლესი განმკარგულებელი და სამონასტრო ხელისუფლების ფუნქციათა განსამარტებად (მაგ., ხელისუფალნი და განმგებელნი საქმისანი). VII- VIII სს-ში განმგებლად იწოდებოდა ქართლის მმართველი, რომელსაც სპარსეთის შაჰი მეფის ნაცვლად – ჯანიშნად ნიშნავდა (მაგ., ვახტანგ VI განმგებელი იყო 1703-14 წლებში). დღეისათვის საქართველოში განმგებელი არის რაიონის უმაღლესი მოხელე, პირველი პირი, რომელიც განაგებს რაიონის მმართველობით ფუნქციებს.

განმტკიცებული და მარეგულირებელი გადასახადები – განმტკიცებულ გადასახადებად ითვლება ისინი, რომლებიც ხანგრძლივი დროით სრულად ან ნაწილობრივ არიან განმტკიცებულნი, როგორც კონკრეტული ბიუჯეტის შემოსავლის წყარო. ბიუჯეტის მარეგულირებელი გადასახადები – ესაა ფედერალური და რეგიონალური გადასახადები და სხვა, რომელთა მიხედვითაც დგინდება ადგილობრივ ან ფედერალურ ბიუჯეტში გადარიცხვების ნორმატივები (პროცენტებში) მორიგ ფინანსურ წელიწადზე. გადარიცხვათა ნორმატივები შეიძლება დადგინდეს გრძელვადიან საფუძველზე. ფედერაციის სუბიექტები ღებულობენ რა კანონებს თავიანთი ბიუჯეტის შესახებ, განსაზღვრავენ, თუ რა სახის რეგიონალური გადასახადების შემოსაცალი და რა პროცენტით გადასარიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

განმწესრიგებელი ლიცენზია – სპეციალური ნებართვა, დადგენილი წესით, წყლის ობიექტებით სარგებლობის უფლებების განკარგვაზე. იხ. ასევე წყლით სარგებლობის ლიცენზია.

განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიები და ბუნებრივი ობიექტები – მიწის, წყლის ზედაპირისა და მასზე საჰაერო სივრცის მონაკვეთები, სადაც თავსდება ბუნებრივი კომპლექსები და ობიექტები, რომლებიც განსაკუთრებული ბუნების დაცვის, სამეცნიერო, კულტურული, ესთეტიკური, რეკრეაციული და გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა (იხ. სახელმწიფო ბუნებრივი ბიოსფერული ნაკრძალები, სახელმწიფო ნაკრძალები, სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალები).

განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიებისა და ობიექტების კატეგორიები – განსაკუთრებით დაცული ტერიტორიებისა და ობიექტების (ბუნებრივი ნაკრძალის ფონდის) კლასიფიკაციის ერთეული მათი რეჟიმის თავისებურებებისა და მათზე მყოფი ბუნების დაცვის დაწესებულებების სტატუსის მიხედვით. გამოყოფენ განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიებისა და ობიექტების შემდეგ კატეგორიებს: სახელმწიფო ბუნებრივ ნაკრძალებს, მათ შორის, ბიოსფერულს, ეროვნულ პარკებს, ბუნებრივ პარკებს, ბუნების ძეგლებს, დენდროლოგიური პარკები და ბოტანიკური ბაღები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილები და კურორტები.

განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახელმწიფო კადასტრი – 1) ბუნებრივ-რესურსული კადასტრების სახე (იხ. ასევე წყლის სახელმწიფო კადასტრი, მიწის სახელმწიფო კადასტრი, სასარგებლო წიაღისეულების საბადოებისა და გამოვლინებების სახელმწიფო კადასტრი, ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრი, ტყის სახელმწიფო კადასტრი); 2) დოკუმენტირებული ცნობების სისტემატიზირებული კრებული ამ ტერიტორიების სტატუსის, მათი გეოგრაფიული მდგომარეობისა და საზღვრების, ამ ტერიტორიების

განსაკუთრებული დაცვის რეჟიმის, ბუნების გამომყენებელთა, ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ეკონომიკური, ისტორიული და კულტურული ფასეულობის შესახებ; განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახელმწიფო კადასტრის წარმოება ხორციელდება ბუნებრივი ნაკრძალის ფონდის მდგომარეობის შეფასების, მოცემული ტერიტორიების ქსელის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის, შესაბამისი რეჟიმის დაცვის სახელმწიფო კონტროლის ეფექტურობის ზრდის და ასევე მოცემული ტერიტორიების აღრიცხვის მიზნით რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისას.

განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების მიწები

– 1) მიწის ერთ-ერთი კატეგორია; 2) მიწები, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული ბუნების დაცვის, სამეცნიერო, ისტორიულ-კულტურული, ესთეტიკური, რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი და სხვაგვარი ფასეული მნიშვნელობა და ასევე სამეურნეო გამოყენებისა და სამოქალაქო ბრუნვიდან სრულად ან ნაწილობრივ ამოღებული მიწები და რომელთათვისაც დადგენილია განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი; განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების მიწის შემადგენლობაში შედის განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების, მათ შორის, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილებისა და კურორტების მიწები; ბუნების დაცვის დანიშნულების მიწები; რეკრეაციული დანიშნულების მიწები; ისტორიულ-კულტურული დანიშნულების მიწები, სხვა, განსაკუთრებით ფასეული მიწები კანონის შესაბამისად.

განსაკუთრებით ფასეული და განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების მიწების შენარჩუნების პრიორიტეტი

– 1) კანონში დადგენილი დასახელებული მიწების უპირატესობა, რომლის თანაბმადაც, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სატყეო ფონდის, განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიებისა და ობიექტების, სხვა ფასეული მიწების ჩამორთმევა იზღუდება ან იკრძალება კანონით დადგენილი წესით; 2) მიწის კანონმდებლობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი; მოცემული პრინციპის დადგენა არ უნდა განიმარტოს, როგორც მიწების სხვა კატეგორიების უარყოფა ან მათი მნიშვნელობის შემცირება.

განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა გათვალისწინებაც ხდება სასჯელის გამოტანისას

– გარემოებები, რომლებიც უკავშირდებიან დანაშაულის მიზნებსა და მოტივებს, დამნაშავის როლს, მის ქცევას დანაშაულის ჩადენის დროს ან მას შემდეგ და სხვ., რაც არსებითად ამცირებს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, რომელთა დროსაც სასამართლოს შეუძლია უფრო მსუბუქი სასჯელის გამოტანა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით. ასევე ამ სახის გარემოებებში შედის: ა) მცირე სიმძიმის დანაშაულის პირველად ჩადენა გარემოებების შემთხვევითი დამთხვევის შედეგად; ბ) ბრალდებულის არასრულწლოვნება; გ) ორსულობა; დ) მცირეწლოვანი ბავშვების ყოლა; ე) მძიმე ცხოვრებისეული გარემოებების დამთხვევის ან ტანჯვის მოტივის ძალით დანაშაულის ჩადენა; ვ) დანაშაულის ჩადენა ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების შედეგად ან მატერიალური, სამსახურებრივი თუ სხვა სახის დამოკიდებულების ძალით; ზ) დანაშაულის ჩადენა საჭირო თავდაცვის მართლზომიერების, დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავების, ბრძანების ან განკარგულების შესრულების პირობების დარღვევისას; თ) დაზარალებულის ქცევის არამართლზომიერება ან ამორალურობა, რაც გახდა დანაშაულის მიზეზი; ი) ნებაყოფლობით გამოცხადება დანაშაულის აღიარებით დანაშაულის გახსნისთვის აქტიური ხელშეწყობა, დანაშაულის სხვა თანამონაწილეების მხილება და ქონების ძიებისთვის ხელშეწყობა, რომელიც მოპოვებულია დანაშაულის შედეგად; კ) დაზარალებულისთვის სამედიცინო და სხვა სახის დახმარების გაწევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ქონებრივი ზარალისა და მორალური ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება, რომელთა მიყენებაც მოხდა დანაშაულის შედეგად და სხვა ქმედებები. მიმართული დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის არაცოცხალი რესურსები

– ზღვის ფსკერის დამფარავი წყლის მინერალური რესურსები, მათ შორის, ზღვის წყალში არსებული ქიმიური ელემენტები და მათი ნაერთები, დინების, მოქცევის, ქარის ენერგია, არაცოცხალი რესურსების სხვა შესაძლო სახეები. იხ. ასევე განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ცოცხალი რესურსები.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა

– ღია ზღვის ნაწილი (დაწყებული ტერიტორიული ზღვის გარე საზღვრიდან 200 მილამდე საწყისი საზებიდან. მათგან იზომება ტერიტორიული ზღვის სიგანე), რომლის მიხედვით 1982 წ. გაერო-ს საზღვაო სამართლის კონვენციით დადგენილია ზღვისპირა სახელმწიფოს ფუნქციური იურისდიქცია ცოცხალი და არაცოცხალი რესურსების ძიების, დამუშავების (რეწვის) და დაცვის მიმართ წყლის სილრმეში და ასევე ეკონომიკური საქმიანობის სხვა მართლზომიერ სახეებთან დაკავშირებით (მაგალითად, ენერგიის წარმოება წყლის, დინებებისა და ქარის გამოყენების გზით) უცხოელი მეთევზეების უფლებათა აღიარების ნორმები და პირობები, მათ შორის, იმ სახელმწიფოების, რომელთაც არ გააჩნიათ ზღვაში გასასვლელი და იმყოფებიან არახელსაყრელ გეოგრაფიულ მდგომარეობაში. ზღვისპირა სახელმწიფო განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში სარგებლობს საზღვაო სამეცნიერო კვლევების წარმოების განსაკუთრებული უფლებით და ასევე უფლებით ნება დართოს და არეგულიროს ხელოვნური კუნძულებისა და ნაგებობების შექმნა, ექსპლუატაცია და გამოყენება, განახორციელოს საზღვაო გარემოს დაცვისა და შენარჩუნების ვალდებულებები.

განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ყველა სახელმწიფო სარგებლობს ნაოსნობის, ფრენების, წყალქვეშა კაბელებისა და მილსადენების თავისუფლებითა და ზღვის გამოყენების სხვა, მართლზომიერი სახეებით, რომლებიც განეკუთვნებიან ამ თავისუფლებას და უკავშირდებიან ხომალდების, საფრენი აპარატებისა და წყალქვეშა კაბელებისა თუ მილსადენების ექსპლუატაციას.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ბუნებრივი რესურსები – ზღვის ფსკერის დამფარავ წყალში, ზღვის ფსკერზე და მის წიაღში მყოფი ცოცხალი და არაცოცხალი რესურსები.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ცოცხალი რესურსები – თევზობის, ზღვის ძუძუმწოვრების, მოლუსკების, კიბოსებრთა ყველა სახეობა, ასევე წყლის სხვა ბიოლოგიური რესურსები, ზღვის ფსკერის „მჯდომარე სახეობის" ცოცხალი ორგანიზმებისა და მისი წიაღის გარდა, რომელთა გამოყენებაც რეგულირდება კანონით. იხ. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის არაცოცხალი რესურსები.

განსაკუთრებული წარმოება – სამოქალაქო სამართალწარმოების სახე. განსაკუთრებული წარმოების წესით განიხილება სამოქალაქო საქმეები, რომლებშიც არაა დავა უფლების შესახებ და მოდაეე მხარეების საპირისპირო ინტერესებით. ზოგადი იურისდიქციის სასამართლო განსაკუთრებული წარმოების სახით განიხილავს საქმეებს: 1) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ, კერძოდ, თუ ეს ეხება: ა) ნათესაურ ურთიერთობებს; ბ) ქმაყოფაზე ყოფნას; გ) დაბადების, შეილად აყვანის, ქორწინების, განქორწინების, სიკვდილის რეგისტრაციას; დ) მამობის აღიარებას; ე) უფლების დამდგენი დოკუმენტების მკუთნებას (სამხედრო დოკუმენტების, პასპორტების ან მმართ ორგანოების მიერ გაცემული მოწმობების გარდა) პირისთვის, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რომელიც დოკუმენტშია აღნიშნული არ ემთხვევა პასპორტში ან დაბადების მოწმობაში მითითებული ამ პირის სახელს, გვარს ან მამის სახელს; ვ) უძრავი ქონების ფლობასა და გამოყენებას; ზ) უბედურ შემთხვევას; თ) გარკვეულ დროს და გარკვეულ გარემოებებში სიკვდილს; ი) მემკვიდრეობის მიღებას და მემკვიდრეობის გახსნის ადგილს; კ) იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტებს; 2) ბავშვის შეილად აყვანის შესახებ; 3) მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ; 4) მოქალაქის ქმედუნარიანობის შეზღუდვის, მოქალაქის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ; 5) არასრულწლოვანის სრულად ქმედუნარიანად გამოცხადების (ემანსიპაციის) შესახებ; 6) მოძრავი ნივთის უპატრონოდ და მუნიციპალურ საკუთრებაში ყოფნის ცნობის შესახებ; 7) დაკარგულ ფასიან ქაღალდებზე უფლებების აღდგენის შესახებ; 8) იძულებითი ფსიქიატრული შემოწმებისა და ფსიქიატრიულ სტაციონარში მოქალაქის ჰოსპიტალიზაციის შესახებ; 9) სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ; 10) ჩადენილი ნოტარიული მოქმედებების ან მათ განხორციელებაზე უარის შესახებ; 11) დაკარგული სასამართლო წარმოების აღდგენის განცხადების შესახებ.

საქმეებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განიხილავს საარბიტრაჟო სასამართლოც. საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს საქმეებს ფაქტების დადგენის შესახებ, როგორიცაა: ა) იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის მიერ უძრავი ქონების, როგორც საკუთრების ფლობა და გამოყენება; ბ) იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის სახელმწიფო რეგისტრაცია გარკვეულ დროს და გარკვეულ ადგილას; გ) უფლების დამდგენი იმ დოკუმენტის მიკუთვნება იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმისთვის, რომელიც მოქმედებს საქმეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, თუ დოკუმენტში აღნიშნული იურიდიული პირის დასახელება, ინდივიდუალური მეწარმის სახელი, გვარი ან მამის სახელი არ ემთხვევა დამფუძნებელი დოკუმენტის მიხედვით არსებული იურიდიული პირის დასახელებას, ინდივიდუალური მეწარმის სახელს, გვარს ან მამის სახელს; დ) სხვა ფაქტები, რომლებიც წარმოქმნიან იურიდიულ შედეგებს სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.

განსასჯელის ბოლო სიტყვა – განსასჯელის უფლებაა და არა ვალდებულება. ამ სიტყვაში განსასჯელს განაჩენის გამოტანამდე ბოლოჯერზე ეძლევა შესაძლებლობა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სასამართლოს მიერ განხილულ ბრალდებაზე და შეაფასოს, როგორც საკუთარი ქმედებები, ასევე განხილვის შედეგები. ბრალდებულს შეუძლია უარი თქვას მის წარმოთქმაზე მიზეზების განმარტების გარეშე. განსასჯელის ბოლო სიტყვის დროს დაუშვებელია კითხვების დასმა. განსასჯელს უფლება აქვს ისაუბროს ყოველივე, რასაც ჩათვლის საჭიროდ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით: მოინანიოს ან უარყოს დანაშაული, თხოვოს სასამართლოს პირობით განსჯის ან სასჯელის შემსუბუქების შესახებ და ა.შ. თავმჯდომარეს უფლება აქვს შეაწყვეტინოს სიტყვა განსასჯელს, როცა ის საუბრობს გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს ან შეიცავს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს მოსამართლეთა ან სასამართლო განხილვის მონაწილეთა მისამართით. განსასჯელის ბოლო სიტყვის მოსმენის შემდეგ სასამართლო უნდა გაიდეს სათათბიროდ განაჩენის გამოტანის თაობაზე, რასაც თავმჯდომარე აცნობებს სასამართლო სხდომის დარბაზში დამსწრეებს.

განსასჯელის საბოლოო სიტყვა განსასჯელის უფლებაა, რომ როდესაც დამთავრდება კამათი, სიტყვით მიმართოს სასამართლოს, უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ ბრალდება, ახსნას ჩადენილი ქმედების მოტივები, გამოთქვას აზრი განაჩენში გადასაწყვეტ ყველა საკითხზე. ამ დროს განსასჯელისთვის კითხვის დასმა დაუშვებელია, არ შეიძლება შეიზღუდოს. გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის არ ეხება საქმეს არსებითად. თუ ის წარმოადგენს საქმისადმი ახალ გარემოებებს და ეფუძნება სანდო წყაროებს, მოსამართლეს აქვს უფლება საქმე დაბრუნოს ხელახალ წარმოებაში. განსასჯელის საბოლოო სიტყვის მოსმენისა და მსჯავრა მიერ წარმოდგენილი ფორმულირების საქმეზე დართვის შემდეგ, სასამართლო (მოსამართლე) გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად (სსსკ, მუხლი 492 – 494).

განსხვავებული აზრი იურიდიულ აზროვნებაში ამ ტერმინს დაეკისრა მნიშვნელოვანი აზრის შემცველი ტეკსტობა და ნიშნავს სასამართლო კოლეგიის ერთ-ერთი წევრის აზრს, რომელიც განსხვავდება კოლეგიალურად მიღებული გადაწყვეტილებისაგან. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მაგრამ მისი შინაარსი სასამართლოს სხდომის დარბაზში არ ცხადდება (სსსკ, მუხლი 500; სამ. საპ. კოდექსი, 243).

განსჯადობა სასამართლოებს შორის პირველი ინსტანციით განსახილველი საქმეების განაწილება, ე. ი. იმ სასამართლო წარმოებაზე განსახილველი საქმის მიკუთვნება, რომლის ქვემდებარეობითაც უნდა მოხდეს საქმის განსჯა. განასხვავებენ გვარობით (საგნობრივ) და ტერიტორიულ განსჯადობას. გვარობითი განსჯადობა ნიშნავს დანაშაულის სახისა თუ სამოქალაქო დავის ხასიათის მიხედვით საქმის განხილვის უფლებამოსილების მინიჭებას სასამართლო სისტემის ამა თუ იმ რგოლისათვის. ტერიტორიული განსჯადობით კი გამიჯნულია ერთგვაროვანი, სასამართლო სისტემის ერთ საფეხურზე მდგომი სასამართლოების კომპეტენცია. ორივე ნიშნით განსჯადობა განსაზღვრულია საპროცესო კანონმდებლობით.

განსჯადობა – მუხლი 48 (ამონარიდი)

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №2 – სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები

თავი №6 – სასამართლო

1. არავის არ შეიძლება აღეკვეთოს უფლება მისი საქმე განიხილოს იმ სასამართლომ ან იმ მოსამართლემ, რომლის განსჯადობასაც იგი კანონით განეკუთვნება. განსჯადობის კანონით დადგენილი წესის შეცვლა დაუშვებელია.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადია საქმეები მის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩადენილ ყველა კატეგორიის დანაშაულზე, კერძო ბრალდების საქმეები, შუამდგომლობები მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან და საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარების და მათი ვადის გაგრძელების შესახებ, ასევე საჩივრები გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებებზე და უარყოფილ შუამდგომლობებზე. მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან და საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლო ბრძანების გაცემა, გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებების გამო ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი საჩივრების გადაწყვეტა, გამომიების ორგანოებისა და პროკურორის მიერ უარყოფილი შუამდგომლობების განხილვა იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება წინასწარი გამოძიება, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

6. სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოში დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით, ხოლო თუ არსებობს დანაშაულთა ან ერთი დანაშაულის ეპიზოდთა ერთობლიობა, – ყველაზე მძიმე დანაშაულის ან დანაშაულის ეპიზოდის ჩადენის ადგილის მიხედვით.

9. თუ სასამართლო ან მოსამართლე დაადგენს, რომ შემოსული საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მისი განჩინებით (დადგენილებით) საქმე გადაეცემა განსჯადობის მიხედვით.

განუცხადებლობა დანაშაულისა სახელმწიფო ორგანოებისათვის დანაშაულის შეუტყობინებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია დანაშაული. განუცხადებლობა ხელყოფს მართლმსაჯულების ინტერესებს, გამოიხატება უმოქმედობით და ამით განსხვავდება დანაშაულის დაფარვისაგან, რომელიც ყოველთვის აქტიურ მოქმედებას გულისხმობს. განუცხადებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს. მოქმედი კანონმდებლობით ისჯება ზოგიერთი ისეთი სახელმწიფო და სხვა მძიმე დანაშაულის განუცხადებლობა, როგორიც არის სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, ტერორისტული აქტი, დივერსია, მავნებლობა, განზრახ მკვლელობა, ძარცვა და ა.შ.

განქორწინება მეუღლეთა სიცოცხლეში ქორწინების შეწყვეტა კანონით დადგენილი წესით, ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე. კანონმდებლობის მიხედვით, განქორწინების მოთხოვნის უფლება მეუღლეთა პირადი უფლებაა და არ არის შეზღუდული რაიმე ვადით. ქალის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან კანონით განსაზღვრულ ვადამდე ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინების თაობაზე. კანონის თანახმად განქორწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ცოლ-ქმრის შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. ეს ავალებს სასამართლოს გამოიკვლიოს განქორწინების ნამდვილი მიტივები, ასევე დაადგინოს ხომ არა აქვს ცოლ–ქმრის უთანხმობას დროებითი ხასიათი და მიიღოს ზომები მათ შესარიგებლად. სასამართლოს უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა და დაუნიშნოს ცოლ-ქმარს შერიგების ვადა კანონით განსაზღვრული წესით. მიუხედავად ვადისა თუ ცოლ-ქმარი მაინც ვერ შეთანხმდნენ შერიგებაზე, საქმის განხილვისას, სასამართლო დაადგენს ალიმენტის გადახდის პროცენტის ოდენობას, ქონების გაყოფის საკითხს და ზოგ შემთხვევაში მეუღლეთა გვარის ტარების საკითხსაც. სასამართლო განსაზღვრავს ბაჟის ოდენობას, რომელიც განქორწინების მოწმობის გაცემასთან უნდა გადახდეს ერთ-ერთი ან ორივე მეუღლეს. კანონიერ ძალაში გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ აღსრულდება მხოლოდ მმარს ორგანოში რეგისტრაციის საშუალებით ორივე, ან ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით. განქორწინება გამარტივებულია და სწრაფად ხდება თუ მეუღლები დიდი ხანია უკვე არ ცხოვრობენ ერთმანეთთან, ჰყავთ სრულწლოვანი შვილები, რომელიმე მხარე გამოცხადებულია ქმედუუნაროდ, ჭკუსუსტად, გამოცხადებულია დაკარგულად, მისჯილი აქვს სასჯელი და ა.შ. ტერმინი განქორწინება ძველ საქართველოში გათხოვებას ნიშნავდა, ცოლ-ქმრის გაყრის მნიშვნელობა მას ახალ ქართულ ლიტერატურულ ენაში მიეცა. ქართულ ფეოდალურ სამართალში ცოლ-ქმრის გაყრა გამონაკლისის შემთხვევაში იყო დასაშვები. განქორწინების საკმარისს საფუძვლად ითვლებოდა ცოლის მრუშობა, ქორწინებამდელი სიგიჟე და ბნედიანობა, ქმრის ცვედანობა (სქესობრივი უძლურება) და სხვა.

განჩინება სისხლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვისას წამოჭრილ ცალკეულ საკითხებზე სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელითაც საქმე არსებითად არ წყდება, ეწოდება განჩინება. განჩინება

დგინდება სათათბირო ოთახში და ცხადდება მიღებისთანავე. ზოგიერთ მარტივ საკითხზე, სასამართლოს შეუძლია გამონაკლისის სახით დადგინოს ადგილზე მოთათბირებით, რაც სხდომის ოქმში აისახება. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს კერძო განჩინება (დადგენილება), რომლითაც სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, პოლიტიკური გაერთიანების ან თანამდებობის პირის ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილი კანონის დარღვევის ფაქტზე, დანაშაულის ჩადენის მიზეზებსა და ხელისშემწყობ ფაქტორებზე, რომლებიც საჭიროებენ სათანადო ზომების მიღებას. კერძო განჩინების (დადგენილების) გამოტანა შეიძლება აგრეთვე მოკლულის, გამოძიების და ქვემდგომი სასამართლოების დაშვებულ დარღვევებზე. კერძო განჩინების (დადგენილების) შემდეგ, არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში მიღებული უნდა იქნას საჭირო ზომები და ეცნობოს სასამართლოს.

„განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“ ადგილობრივი დანიშნულების ქართული ფეოდალური სხულისსდება–არაგვის საუფლისწულოს მოსახლეობისათვის განკუთვნილი კანონები. მასში გაერთიანებულია საუფლისწულოს მთისა და ბარისათვის გათვალისწინებული ორი ატარა თავისთავადი კანონმდებლობა –„განჩინება“. თავდაპირველად არსებობდა „მთები დაბადებული განჩინება“, რომელიც არაგვის საუფლისწულოს განმგებლად ყოფნისას (1776-81) წარადგინა ერეკლე II-ის ძემ ლევან ბატონიშვილმა. 1782 წელს იგი განაახლა და შეაესო ლევანის ძმამ, საუფლისწულოს შემდგომმა განმგებელმა ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილმა, რომელმაც ამასთანავე შეადგინა და მთის კანონებს დაუმატა „განჩინება ბარისა“.

ძველი აწესრიგებს სისხლის, სამოქალაქო და საოჯახო სამართლის, სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების ცალკეულ საკითხებს: კრძალავს სისხლის აღებას, დენის ჯეარდაუწერლად ცოლ-ქმრობას და ნიშნობის თავისებურ ჩვეულებას ქვრივის დაძახებას, განსაზღვრავს მამულის ყიდვა-გაყიდვის წესებს და სხვა. გათვალისწინებულია აგრეთვე, გარეშე მტრებისაგან ქვეყნის დაცვის, ქურდობა-ყაჩაღობასა და ტყეების მოტაცებასთან ბრძოლის ღონისძიებებს.

„მთიურთა ადგილთა განჩინება“ ასახავს ბრძოლის ფორმებს და მიზეზებს იმ დროის საზოგადოებაში, რომლებიც ეწინააღმდეგება ფეოდალთა მიერ მოტაცებასთან და ბრძოლის ღონისძიებას ეხება.

„მთიურთა ადგილთა განჩინება“ ასახავს ბრძოლის ფორმებს და მიზეზებს იმ დროის საზოგადოებაში, რომლებიც ეწინააღმდეგება ფეოდალთა ინტერესებს. ამასთანავე კანონებს თეშურგეთაროული წესწყობილებიდან გამომდინარე, სახეშეცვლილ, ფეოდალიზმთან შეხამებულ ჩვეულებას (დამნაშავის გაძევება, სასისხლო დაკის მორიგება საუფლისწულოს განმგებელი ბატონიშვილის დასტურით ამორჩეული ბჭეების მეშვეობით და სხვა). კანონთა შედგენისას ხშირად გამოყენებულია თემის წევრთა ურთიერთ სოლიდარობის პრინციპიც.

განჩინება – პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება განაჩენის გარდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, ასევე ზემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საკასაციო ან საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს გარდა, შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვის დროს. განჩინების ძირითადი განსხვავება განაჩენისა და გადაწყვეტილებისაგან, რომელიც საქმეზეა გამოტანილი წარმოადგენს ის, რომ მოცემული საქმის განხილვა განჩინების გამოტანის შემდეგ არ წყდება. განჩინების გამოტანა ხდება სასამართლოს მიერ მიმდინარე, საქმის განხილვის დროს წარმოქმნილი საკითხების გადასაწყვეტად. თავის მხრივ, სასამართლოს დასაბეჭდებული განაჩენი და გადაწყვეტილება წარმოადგენს საქმის განხილვის შედეგს.

განცხადება – მოქალაქის ან ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისთვის მიმართვის სახე უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების რეალიზაციასთან დაკავშირებით. რიგ სახელმწიფოებში მიღებულია კანონები მოქალაქეთა მიმართვების შესახებ, რომელთაგან თითოეულში კონკრეტიზირებულია მოქალაქეთა განცხადებების განხილვის წესი, რომელიც ძირითადად შეესაბამება კანონის ნორმებს.

განცხადება უნდა იქნეს განხილული შესაბამისი ორგანოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში შემოსვლიდან 1 თვემდე ვადაში, ხოლო განცხადება, რომელიც არ საჭიროებს დამატებით შესწავლას – დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 15 დღისა (ვადები აღებულია საერთაშორისო გამოცდილების პრაქტიკიდან). იმ შემთხვევაში, როცა განცხადების მიხედვით საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი შემოწმება, დოკუმენტების მოთხოვნა და ა.შ. განცხადების განხილვა გამონაკლისის შემთხვევაში შეიძლება გაგრძელდეს შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის მიერ, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვისა ამის შესახებ განმცხადებლის შეტყობინებით განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან უშუალოდ სასამართლოში ადმინისტრაციული წესით.

განცხადება (საქმიანი ქალაქდის შედგენა) – განცხადება ყველაზე უფრო გავრცელებული საქმიანი ქაღალდია. იგი წარმოადგენს ცალკეულ პირთა წერილობით სამსახურებრივ ან პირად ხასიათის მიმართვას დაწესებულების, წარმოების ან ორგანიზაციისადმი (მაგ., უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, სამუშაოზე მიღების შესახებ, შვებულების მიცემის შესახებ, პენსიის დანიშვნის, მიელინების აუანსის გაცემის შესახებ და ა.შ.).

განცხადება შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან:

1. დაწესებულების ან თანამდებობის პირის დასახელება, რომელსაც მიმართავენ თხოვნით (იწერება მთელ სტრიქონზე).

2. განცხადების დამწერის მთლიანი დასახელება, თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი, ბინის მისამართი (იწერება სვეტად მარჯვნივ 1/3 სტრიქონზე).

3. შუაში იწერება წარწერა: განცხადება.

4. დაბლა აბზაცით უნდა იყოს მოთავსებული განცხადების ტექსტი, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული თხოვნის შინაარსი.

5. თუ განცხადებას ერთეულ საბუთები, მათი ნუსხა ფურცლების რაოდენობის აღნიშვნით მოტანილი უნდა იყოს სიტყვა დანართი 1...“ შემდეგ, რომელიც იწერება ახალ სტრიქონზე, მარცხენა მხარეს.

6. განცხადების ბოლო მარცხენა მხარეს აღნიშნება შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე და წელი), მარჯვენა მხარეს კი განცხადების დამწერის პირადი ხელმოწერა.

იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადება შეიცავს თხოვნას შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების შესახებ, მის მეორე ნაწილში დამატებით უნდა იყოს მოცემული განცხადების დამწერის პასპორტის ნომერი (მისი გაცემის დროისა და ადგილის აღნიშვნით), დაბადების წელი, ცნობები გადასახადების შეღავათის შესახებ. ამას გარდა, განცხადებაზე უნდა იყოს თანამდებობის პირის აღნიშნა შესრულებული სამუშაოს მიღების შესახებ.

განცხადება (ფორმა – საჯარო სამსახურში) – წერილობითი უწყება იმის შესახებ, რასაც განცხადების დამწერისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს (მაგ., საცხოვრებელი ფართის გაცვლის, სამუშაოზე აყვანის, შენობის გაყიდვის, მოსალოდნელი კრების, თეიმშემოქმედებითი საღამოს, დისერტაციის დაცვის, დოკუმენტების დაკარგვის და ა.შ. შესახებ).

განცხადებები წინასწარ უნდა გაიკრას თვალსაჩინო ადგილას (ან გამოცხადდეს გაზეთში), რომ ყველას ჰქონდეს მათი გაცნობის საშუალება.

განცხადების ფორმა მის შინაარსზეა დამოკიდებული. მაგ., განცხადება კრების მოწვევის შესახებ შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1. სათაური.

2. კრების მოწვევის თარიღი (აღინიშნება წელი, თვე, რიცხვი და საათი).

3. კრების ადგილი.

4. კრების ხასიათი (ანგარიშგება-არჩევნები, დახურული, საერთო და ა.შ.).

5. იმ ორგანიზაციის დასახელება, რომლის წევრებიც მიწვეული იქნებიან კრებაზე.

6. დღის წესრიგი.

ა) მოხსენებათა დასახელება.

ბ) მომხსენებელთა და თანამომხსენებელთა გვარები და ინიციალები.

7. იმ ორგანიზაციის დასახელება, რომელიც იწვევს კრებას (პროფკომიტეტი, ადგილკომიტეტი, ორგკომიტეტი და ა.შ.).

განცხადება (ნიმუში – ამანათის შეგზავნა) პატიმართან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა №დაწესებულების დირექტორს

ბატონ/ქალბატონ

განმცხადებლის გვარი, სახელი

დაბადების წელი

პირადობის მოწმობის ან პასპორტის სერია და ნომერი

ვის მიერ არის გაცემული პირადობის მოწმობა ან პასპორტი

საცხოვრებელი ადგილის ზუსტი მისამართი

განცხადება

მოგახსენებთ, რომ თქვენდამი რწმუნებულ დაწესებულებაში განთავსებულია პატიმარი (მსჯავრდებული)...,

რომელიც არის ჩემი...,

გთხოვთ, მიიღოთ ამანათი /გზავნილი/ ბანდეროლი ზემოთაღნიშნულ პატიმარზე (მსჯავრდებულზე) გადასაცემად. მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული ამანათის /გზავნილის/ ბანდეროლის შეფუთვა ჩემს მიერ ან/და ჩემი თანდასწრებით (მიუთითეთ შემფუთველის სახელი და გვარი) არის განხორციელებული (ხაზი გაუსვით).

ჩემთვის ცნობილია ყველა ის ნივთი და საკვები პროდუქტები, რომელსაც შეიცავს ეს ამანათი /გზავნილი/ ბანდეროლი და ვადასტურებ, გავეცანი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის №358. 365, 366, 367 ბრძანებების (ხაზი გაუსვით) №1 და №2 დანართების ჩამონათვალს და ვადასტურებ, რომ მათში აღნიშნული აკრძალული ნივთები, ნაკეთობები, ნივთიერებები, საკვები პროდუქტები და დოკუმენტები (მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება, ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ან ძლიერ მოქმედი ნივთიერება და სხვა) არც ამანათში /გზავნილში/ ბანდეროლში დევს და არც პირადად გამაჩნია.

გაფრთხილებული ვარ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირებისათვის აკრძალული საგნების გადაცემისათვის.

განმცხადებლის ხელმოწერა

„ „ 200 წ.

გთხოვთ მიიღოთ ამანათი, მასში მოთავსებული საგნებით, პროდუქციით და საყოფაცხოვრებო მოშსახურების სხვა ნივთებით:

1.

2. და ა.შ.

გავეცანი განცხადების სრულ ტექსტს. იგი შეუსებულია ჩემს მიერ, რაზედაც ხელს ვაწერ.

განცხადება ჩავაბარე

(პატიმარი, მსჯავრდებული, გვარი, სახელი)

„ „ 200 წ.

განცხადება (ნიმუში – პაემანი პატიმართან)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №დაწესებულების დირექტორს

ბატონ/ქალბატონ

მოქალაქე (სახელი, მამის სახელი, გვარი)

მცხოვრები (მისამართი)

განცხადება

გთხოვთ, მომცეთ მოკლევადიანი პაემანი ჩემს (უჩვენეთ ნათესაური კავშირი, მსჯავრდებულის სახელი, მამის სახელი და გვარი)

ჩემი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (სერია, ნომერი)

ჩემთან ერთად პაემანზე შემოდის მსჯავრდებულის:

1. (ნათესაური კავშირი, სახელი, მამის სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის მოწმობის სერია და ნომერი)

2. -“- -“- -“-

3. -“- -“- -“-

4. -"- -"- -"-

„" 200 წ.

(განმცხადებლის ხელმოწერა)

განცხადება (ნიშანი – პაემანი პატიმართან)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს

მოქ:

მცხოვრები:

განცხადება

მოგახსენებთ, რომ თქვენს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე განსასჯელ მიმართ, გთხოვთ დაშვებით ნება ვინახულო თქვენზედ რიცხული პატიმარი

დედამ

მამამ

ძმამ

შვილებმა

მეუღლემ

თანდართული საბუთები:

1.

2.

3.

4.

განმცხადებელი

თარიღი

განცხადება, შეტანილი სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებში მატერიალურ და სხვა დანაკლისზე, თავისი ფორმით რამდენადმე განსხვავდება პირადი ხასიათის განცხადებებისაგან. ეს განცხადება შეიცავს თხოვნას ცალკეული ან რამდენიმე პირის სისხლის სამართლისა და მატერიალურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც დამნაშავენი არიან ფულადი თანხის გატაცებაში ან დანაკლისში, მატერიალური ან სხვა სახის ქონების გატაცებაში, რაც წარმოების ან დაწესებულების საკუთრებას შეადგენს. ასეთი განცხადება დგება ინვენტარიზაციის მასალების საფუძველზე. მისი ძირითადი ნაწილებია:

1. მაღლა მარცხენა კუთხეში ისმება დაწესებულების ან წარმოების კუთხის შტამპი, რომელიც შეიცავს შემდეგ ცნობებს: განმცხადებელი ორგანიზაციის დასახელებას და მისამართს, განცხადების ნომერს და თარიღს.

2. მარჯვენივ ნაჩვენები უნდა იყოს იმ ორგანოს დასახელება და მისამართი, ვისაც მიმართაენ განცხადებით.

3. ქვემოთ თავსდება განცხადების ტექსტი, რომელიც გადმოსცემს დანაშაულის შინაარსს, უჩვენებს დანაკლისს ან გატაცებულ თანხას, შეიცავს თხოვნას დაშნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მათ მიმართ სამოქალაქო სარჩელის წარდგენას და აგრეთვე სრულ ცნობებს პასუხისგებაში მისაცემი პირის შესახებ (გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, თანამდებობა, აღნიშნულ დაწესებულებაში მუშაობის ვადა, მისამართი და პასპორტის ნომერი).

4. დანართი: რევიზიის აქტი ან შეჯერებითი უწყისი, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ახსნა-განმარტება, მთავარი (უფროსი) ბუღალტრის დასკვნა და სხვა საბუთები, დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემისა და მის მიმართ სამოქალაქო სარჩელის წარდგენის საფუძველი (აღნიშნული უნდა იყოს ფურცლების რაოდენობა).

5. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის, იურისკონსულტის ან მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერა.

განძი (სამართ) – მიწაში ჩაფლული ან სხვაგვარად დამალული ფული, ძვირფასეულობა, ან ისტორიული ღირებულების შემცველი ნივთები, რომლის მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია, ანდა რომლის მესაკუთრესაც კანონის ძალით დაკარგული აქვს მასზე უფლება. კანონმდებლობის მიხედვით განძი სახელმწიფოს საკუთრებად ითვლება და აღმომჩენი ვალდებულია ჩაბაროს იგი საფინანსო ორგანოებს. უმეტეს სახელმწიფოთა მიერ გამოცემული კანონებით, განძის მითვისება დანაშაულად ითვლება და ისჯება.

ტერმინი განძი ქართულში ძველთაგანვე იხმარებოდა საუნჯის, ქონების, სიმდიდრის აღსანიშნავად. ძველ სამართლის ძეგლებში მოწესრიგებულია განძის პოვნასთან დაკავშირებული საკითხები. თუ ვინმე განძს თაიის ადგილ-მამულში იპოვნიდა, ნაპოვნი მთლიანად მას ეკუთვნოდა. სხვაგან ნაპოვნი განძი მპოვნელსა და „ალაგის პატრონს" შორის ნაწილდებოდა. ნაპოვნი განძის მითვისებული ქარგავდა წილის მიღების უფლებას („სამართალი ბერძნული", მუხლები 254, 255; შედარებულია მხითარ გოშის სამართლის წიგნის ქართული ვერსია).

განძი იურიდიული მნიშვნელობით, მიწაში დაფლული ან სხვა სახით გადანახული ღირებულებაა, რომლის მესკუთრის დადგენა შეუძლებელია. მიეკუთვნება სახელმწიფოს, თუ ის მიწა, სადაც აღმოჩენილი იქნა განძი, ვინმეს საკუთრებაში არ არის. ძველი სკ 192-ე მუხლის თანახმად, განძზე საკუთრება სანახევროდ გადადის აღმომჩენზე და იმ მესაკუთრეზე, რომლის ქონებაშიც (მიწა, შენობა, ან სხვა რამ) განძი იქნა ნაპოვნი.

განძი – მიწაში ჩამარხული ან სხვა ხერხით დამალული ფული ან ფასეული საგნები, რომელთა მესაკუთრეც არ შეიძლება დადგენილ იქნეს ან რომელმაც კანონის ძალით მათზე უფლება დაკარგა. განძი იმ პირის საკუთრებაშია, ვისაც ეკუთვნის ქონება (მიწის ნაკვეთი, შენობა და ა.შ.), სადაც დაფარული იყო განძი და ასევე იმ პირის საკუთრებაში, რომელმაც ის აღმოაჩინა, თუ სხვა რამ დადგენილი არაა მათ შორის შეთანხმებით. თუ განძი აღმოაჩინა პირმა, რომელიც გათხრებს ან ფასეულობათა ძიებას აწარმოებდა ამაზე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს თანხმობის გარეშე, სადაც მოხდა განძის დამალვა, განძი ექვემდებარება იმ მიწის ნაკვეთის ან სხვა ქონების მესაკუთრისთვის გადაცემას, სადაც აღმოჩენილ იქნა ის.

ისტორიის ან კულტურის ძეგლებისადმი მიკუთვნებული განძის შემთხვევაში, ისინი ექვემდებარებიან სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას. ამასთან, იმ მიწის ნაკვეთის ან სხვა ქონების მესაკუთრეს, სადაც იყო დამალული განძი და განძის აღმომჩენ პირს (იმ პირთა გარდა, რომლებიც გათხრას ან ფასეულობათა ძიებას ახორციელებდნენ ქონების მესაკუთრის თანხმობის გარეშე, სადაც განძი იყო დამალული ან რომელთა ვალდებულებაშიც შედიოდა გათხრების წარმოება და

განძის აღმოჩენაზე მიმართული ძიება) აქეთ უფლება მიიღონ ანაზღაურება განძის ღირებულების 50% ან კანონით განსაზღვრული ოდენობით. ანაზღაურება ნაწილდება ამ პირებს შორის თანაბრად, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული ან კანონით დადგენილი წესით მიღებული.

განწესება ძველ ქართულ სამართალში კანონების და წესების შემოღება, საერო ან საეკლესიო ხელისუფლების ნორმატიული აქტი- წესდება, დებულება.

გაპარსვა, გაპრეჭვა ფეოდალურ საქართველოში გამაწბილებელი სასჯელის ერთ-ერთი სახე – თავის გადაპარსვა, წვერულეშის ან საფეთქლების მოპარსვა; ქალისათვის ნაწნავის შეჭრა. კანონდებლობაში ჩვეულებითი სამართლიდანაა შესული. იხსენიება გიორგი ბრწყინვალის სამართალში. ხელმწიფის კარის გარიგებასა (§ 10) და ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის „ბერძნულ სამართალში“.

გარანტი – თაედები: სახელმწიფო, საკრედიტო ორგანიზაცია, სადაზღვევო ორგანიზაცია, დაწესებულება ან პირი, რომელიც რაიმეს გარანტიას იძლევა. საგარანტიო ობლიგაციები (guranteed bonds), რომელთა მიხედვით ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია არა ემიტენტის მიერ, არამედ სხვა კომპანიების მიერ. უფრო ხშირად საგარანტიო ობლიგაციებს იყენებენ სატრანსპორტო კომპანიები, აგრეთვე მსხვილი ფირმების შვილობილი კომპანიები.

გარანტია. (guarantee) – მოვალის გარანტია წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას. იგი ფორმდება წერილობით და გამოიხატება იმაში, რომ მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს.

ზოგადად გარანტია ნიშნავს თაედებობას რომელიმე პირის მიერ ფულადი ან სხვა ვალდებულების შესრულებაზე. ვალდებულების შეუსრულებლობისას გარანტი მატერიალურად პასუხისმგებელია.

საბანკო გარანტია წარმოადგენს შეთანხმების ფორმას, რომლის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას – გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე – აგრეთვე პირობა, რომელსაც იძლევა მესამე პირი (გარანტი), რომელიც თავად არ არის გარიგების მონაწილე. მაგრამ აცხადებს თავისი პასუხისმგებლობის შესახებ, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

გარანტია ნიშნავს აგრეთვე გამყიდველის ვალდებულებას პასუხისმგებელი იყოს საქონლის მატერიალურ ნაკლოვანებებზე, აგრეთვე იმაზე, რომ საქონელი თავისუფალია ვალებისგან და არ წარმოადგენს მესამე პირების საკუთრებას. თუკი ადგილი აქვს არასათანადო საქონლის მიწოდებას მყიდველს შეუძლია მთელი რიგი მოთხოვნების წაყენება: ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაუქმება (როგორც წესი, გამოიყენება სერიოზული ალმოუფსრელი დეფექტების აღმოჩენისას); გასაყიდი ფასის შემცირება (გამოიყენება ნაკლებად სერიოზული და გამოსწორებადი ნაკლოვანებების არსებობისას); დეფექტური საქონლის შეცვლა; დაუკომპლექტებელი საქონლის შევსება. აღსანიშნავია, რომ მყიდველი ვალდებულია დადგენილ ვადებში განაცხადოს თავისი პრეტენზიების შესახებ. ხანდაზმულობის პერიოდის გასვლის შემდეგ საქონელი მიღებულად ითვლება და ეს იწვევს ყველა გარანტიის გაუქმებას. მაგალითად, ავსტრიაში მოძრავ ქონებაზე საგარანტიო პრეტენზიები მიიღება გაყიდვის მომენტიდან 6 თვის განმავლობაში, შეიცარიაში კი 1 წლის განმავლობაში. გარანტია არ მოქმედებს თუკი საუბარია აშკარა დეფექტებზე, რომლებიც უკვე სახეზე იყო ხელშეკრულების დადების მომენტში.

გარანტია – სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ერთერთი ხერხი, რომლის ძალითაც კრედიტის სუბიექტი, მუნიციპალური წარმონაქმნი იძლევიან წერილობით ვალდებულებას პასუხი აგოს იმ პირის მიერ შესამე პირების წინაშე ნაწილობრივ ან სრულად ვალდებულებების შესრულებაზე, რომელსაც გაანია სახელმწიფო ან მუნიციპალური გარანტია. გარანტია, როგორც წესი იძლევა საკონკურსო ან კანონით გათვალისწინებული წესის საფუძველზე. გარანტი, რომელმაც შეასრულა გარანტიის მიმღების ვალდებულება, უფლების მქონეა მოითხოვოს ამ უკანასკნელისგან მესამე პირისთვის გადახდილი თანხის ანაზღაურება სრული მოცულობით სახელმწიფო ან მუნიციპალური გარანტიის მიხედვით.

სამართლის სხვა სუბიექტების მიერ გარანტიების მიცემის შემთხვევაში – იხ. თაედებობა.

გარანტია – ვალდებულებათა შესრულების პირობა ორგანიზაციებს შორის ურთიერთობაში, რომელსაც უმეტესად საკრედიტო ურთიერთობისას მიმართავენ. ნიშნავს თავდებობას კლიენტის ან პირის მიერ ფულის გადახდის ან სხვა ვალდებულების შესრულებისათვის. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტი კისრულობს პასუხისმგებლობას მის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის შესაბამისად.

გარდამავლობა ზოგადად, ფეოდალურ საქართველოში სამართალდამრღვევის აღმნიშნველი ტერმინი. ძველი ქართული მწერლობის მიხედვით (ნორმის „გარდასვლა“, „გარდახდომა“, „დათრგუნვა“).

გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულება კანონმდებლობის მიხედვით ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე ასაკის ან ჯანმრთელობის გამო შრომისუნარდაკარგული პირი (გამსხვისებელი), მეორე მხარეს (შემძენს) საკუთრებად გადასცემს სახლს (ან სახლის ნაწილს), შემძენი კი სამაგიეროდ კისრულობს გამსხვისებლის მატერიალურ უზრუნველყოფას ბინით, კვებით, მოვლითა და აუცილებელი დახმარებით მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე. გამსხვისებლის სიცოცხლეში შემძენს არ შეუძლია სახლის გასხვისება ან დაგირავება. ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს და სახლი გამსხვისებელს დაუბრუნდეს ან გამსხვისებლის მოთხოვნით (თუ შემძენი ნაკისრ მოვალეობას ჯეროვნად არ ასრულებს), ან შემძენის მოთხოვნით (თუ მისგან დამოუკიდებელ

გარემოებათა გამო მას იმდენად შეეცვალა მატერიალური მდგომარეობა, რომ აღარ შეუძლია გამსჯოსებელს დათმული სარჩო აძლიოს).

გარდაცვლილად გამოცხადება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოქალაქის გარდაცვლილად აღიარება, თუ კანონით დადგენილ ვადებში მის შუდშივ საცხოვრებელ ადგილზე არავითარი ცნობები არ მოიპოვება მის შესახებ. გარდაცვლილად გამოცხადება შეიძლება თუ მისი ადგილსამყოფლის შესახებ არ მოიპოვება კანონით განსაზღვრულ ვადაში, თუ პირი უკანასკნელ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ან თუ საკარუდო იყო მისი დალუპა რაიმე უბედური შემთხვევის გამო; სამხედრო მოსამსახურის ან სომარ მოქმედებასთან დაკავშირებით უკანასკნელ დაკარგული სხვა პირის გარდაცვლილად გამოცხადება კი შეიძლება სომარი მოქმედების დამთავრებიდან, კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. გარდაცვლილად გამოცხადება იურიდიულად გათანაბრებულია სიკვდილთან და იწვევს იმავე შედეგებს (მემკვიდრეობის გახსნა, ქორწინების შეწყვეტა და ა.შ.). გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის დაბრუნებისას ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას გარდაცვალებასთან დაკავშირებით და უფლებამოსილია აღიდგინოს მისი ქონებრივი უფლებები.

ზოგადად, გარდაცვლილად გამოცხადება ის სასამართლო გადაწყვეტილებაა, რომლითაც მოქალაქე გარდაცვლილად ცხადდება და წარმადგენს საფუძველს, რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ შეიტანოს ჩანაწერი ამ მოქალაქის გარდაცვალების შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის წიგნში.

გარდაცვლილთა სხეულების შეურაცხყოფა – უზნეო, ცინიკური მოქმედებების განხორციელება დამარხულ ან დროებით დაუმარხავი ადამიანის გვამის მიმართ (საფლავიდან ამოღება, დაზიანების მიყენება, გვამის დანაწევრება, ტანსაცმლის გახდა, ტანსაცმლის, ფასეული საკაუღების, კბილის გვირგვინების მოპარეა, სხეულის ნაწილების არასანქცირებული ხელახლა დამარხვა და ა.შ.), რაც არღვევს გარდაცვლილის დამარხვის წესებს, ტრადიციებს და დადგენილ წესს.

გარემო – 1) მოცემულ ორგანიზმთან, პოპულაციასთან ან ორგანიზმების ჯგუფთან მიმართებაში გარე ობიექტების, მოვლენების, პროცესებისა და ფაქტორების ერთობლიობა; 2) ბუნებრივი, ბუნებრივ-ანთროპოგენური და ანთროპოგენური ობიექტების, მოვლენების, პროცესებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც წარმადგენენ გარეგანს ადამიანთან და/ან ადამიანთა საზოგადოებასთან მიმართებაში და რომლებიც მათთან ურთიერთქმედებენ ადამიანის ცხოველქმედების პირობების განმსაზღვრელ ნიშიერებების ბრუნვის მეშვეობით (იხ. ასევე ბუნებრივი გარემო, ადამიანის გარემო).

გარემოზე დასახული სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის ზემოქმედების შეფასება (გზშ) – 1) ეკოლოგიური მართვის ფუნქცია; 2) დასახული სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის რეალიზაციის შესახებ ეკოლოგიურად ორიენტირებული მართვითი გადაწყვეტილებების მიღების სტადია შესაძლო არახელსაყრელი ზემოქმედების განსაზღვრის, ეკოლოგიური შედეგების შეფასების, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების. ზემოქმედებათა შემცირებისა და თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავების მეშვეობით. გზშ-ის (გარემოზე ზემოქმედების შეფასების) მიზანია დასახელებული საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილება ან შემსუბუქება. გზშ-ის შედეგს წარმოადგენს ინფორმაცია გარემოზე დასახული საქმიანობის ზემოქმედების სახისა და მასშტაბების, მისი რეალიზაციის ალტერნატივების, ამ ზემოქმედების ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური შეფასების, ზემოქმედებათა მინიმალიზაციის შესაძლებლობის შესახებ; საზოგადოებრივი უსიარტესობების გამოვლენა და გათვალისწინება დასახულ საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დამკვეთის მიერ მიღებისას; დამკვეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დასახული საქმიანობის რეალიზაციის ალტერნატიული ვარიანტების განსაზღვრის (მათ შორის, ობიექტის განთავსების ადგილის, ტექნოლოგიების არჩევის შესახებ და სხვ.) ან მათზე უარის თქმის შესახებ გზშ-ის შედეგების გათვალისწინებით.

გარემოს დაცვა ადმინისტრაციული, სამეურნეო, ტექნოლოგიური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს და დაბალანსოს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნება, აღდგენა და ამ რეზერვების რაციონალურად ხარჯვა-გამოყენება.

გარემოს დაცვისა და მყარი განვითარების უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგია – 1) ეკოლოგიური დაგეგმვის დოკუმენტი; 2) გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მოქმედებების სისტემას ბუნებრივი გარემოს დაცვისა და მყარი განვითარების, მოქალაქეთა ხელსაყრელი ბუნებრივი გარემოს კონსტიტუციური, მომავალი თაობების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების უფლებების უზრუნველყოფის, ასევე მოცემულ სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით.

სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია: ა) ეკოლოგიურად უსაფრთხო მყარი განვითარების უზრუნველყოფა საბაზრო ურთიერთობების პირობებში (საწარმოო ძალების ეკოლოგიურად დასაბუთებული განთავსება; მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კომუნალური მეურნეობის ეკოლოგიურად უსაფრთხო განვითარება; სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად უსაფრთხო განვითარება; განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენება; განახლებადი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; მეორადი რესურსების გაფართოებული გამოყენება, ნარჩენების უტილიზაცია, განიარაღება და დამარხვა; მართვის სრულყოფა ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნების გამოყენების, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სფეროში); ბ) ადამიანის სამყოფელი გარემოს დაცვა (ადამიანებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა ქალაქისა და სოფლის დასახლებებში; რეკრეაციული და საკურორტო-გამაჯანსაღებელი დან-

იშნულების ბუნებრივი კომპლექსების სისტემის განეთარება; კეების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება; მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი სასმელი წყლით; ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ობიექტების დაბინძურების თავიდან აცილება; მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ბუნებრივი მოელენების, ტექნოგენური ავარიებისა და კატასტროფების თავიდან აცილება და საშიში ზემოქმედების შემცირება; მოსახლეობის ეკოლოგიური აღზრდა და განათლება); გ) დარღეული ეკოსისტემების გაჯანსაღება (აღდგენა) ეკოლოგიურად არახელსაყრელ რეგიონებში (ქრიზისული ეკოლოგიური სიტუაციიდან რიგი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გამოყვანა; ტერიტორიების რადიოაქტიური დაბინძურების შედეგების დაძლევა და ა.შ.); დ) ბიოლოგიური ნაირსახეობის შენარჩუნების გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა; ოზონის შრის დაცვა; კლიმატის ანთროპოგენური ცვლილების თავიდან აცილება, ტყეების დაცვა და მათი აღდგენა; განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სისტემის განვითარება და სრულყოფა; ქიმიური და ბირთვული იარაღის უსაფრთხო განადგურების უზრუნველყოფა; სახელმწიფოთშორისი ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა; მსოფლიო ოკეანის პრობლემების გადაწყვეტა. იხ. ასევე სახელმწიფო ეკოლოგიური დოკტრინა.

გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები – სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობოთშორისი ორგანიზაციები, რომლებიც მათი წესდებების შესაბამისად ახორციელებენ საქმიანობას გარემოს დაცვის დარგში, ბუნებრივი რესურსების მყარი გამოყენების უზრუნველყოფის სფეროში; გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ყველაზე ცნობილია: მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) მეცნიერების, კულტურისა და განათლების საკითხებზე, გაერო-ს გარემოს პროგრამა, გაერო-ს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია.

გარემოს დაცვის საერთაშორისო პრინციპები – გარემოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი ამოსავალი დებულებები; მათი ფორმულირება, როგორც წესი, ხდება გარემოს დაცვის საერთაშორისო კონფერენციების მომზადებისა და ჩატარების შედეგების მიხედვით.

გარემოს დაცვის წესების დარღვევა სამუშაოების წარმოების დროს – ეკოლოგიური დანაშაული, რომელიც წარმოადგენს გარემოს დაცვის წესების დარღვევას სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო და სხვა ობიექტების დაპროექტების, განთავსების, მშენებლობის, ექსპლუატაციაში შეყვანის და ექსპლუატაციის დროს, ამ წესების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ, თუ ამან გამოიწვია რადიოაქტიური ფონის არსებითი ცვლილება, ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება, ცხოველთა მასობრივი დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგები.

გარიგება ფიზიკური და იურიდიული პირის ცალ-მხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების განხორციელება, რომელიც ბუნებრივად მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ორმხრივ და მრავალმხრივ გარიგებას ხელშეკრულება ეწოდება. გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის კანონით დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. ზოგი გარიგებისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა, ზოგი კი სანოტარო წესითაც უნდა იყოს დამოწმებული (სკ, მუხლი 50, 68 0 69).

„გარიგება ხელმწიფის კარის გარიგებისა" ძველი ქართული სამართლის ძეგლი, მეფის ხელისუფლებისა და სამეფო კარის წესჩვეულება. შედგენილია XIV ს-ში. ჩვენამდე მოაღწია XVII ს. ერთადერთმა ხელნაწერმა, რომელიც ძალზე დაზიანებულია.

გარიგებები სამოქალაქო სამართალში მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მოქმედებები, რომლებიც მიმართული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დადგენაზე, ცვლილებაზე ან შეწყვეტაზე. გარიგებებს ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1) ნებელობითი აქტები ე.ი. ადამიანთა მოქმედებები; 2) მართლზომიერი მოქმედებები; 3) ისინი სპეციალურადაა მიმართული სამოქალაქო სამართალდამკიდებულებების წარმოქმნაზე, შეწყვეტაზე ან ცვლილებაზე; 4) გარიგებები წარმოქმნიან სამოქალაქო დამოკიდებულებებს, რამდენადაც სწორედ სამოქალაქო კანონით განისაზღვრება სამოქალაქო შედეგები, რომლებიც დგება გარიგების შედეგად. გარიგებებში მონაწილე მხარეების რაოდენობის მიხედვით, ისინი შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი. ცალმხრივ წარმოადგენს გარიგება, რომლის განხორციელებისთვის საკმარისია ერთი მხარის ნების გამოხატვა (მაგალითად, ანდერძის შედგენაზე, მემკვიდრეობის მიღებაზე). გარიგებები, რომელთათვისაც საჭიროა ორი ან მეტი პირის ნების შეთანხმება, წარმოადგენს ორ ან მრავალმხრივს და ეწოდება ხელშეკრულებები.

მომენტის მიხედვით, რომელსაც უკავშირდება გარიგებების წარმოქმნა, ისინი არის კონსენსუალური და რეალური. კონსენსუალურია ყველა გარიგება, რომლის დადებისთვის საკმარისია შეთანხმების მიღწევა გარიგების შესახებ (მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება). რეალურ გარიგებად ითვლება ისინი, რომლებიც იდებიან ნივთის ერთ-ერთ მონაწილის მიერ გადაცემის პირობისას (რენტა, გირაო, შენახვა). გარიგებები არის უვადო და ვადიანი. უვადო გარიგებებში არ განისაზღვრება არც მისი ამოქმედების, არც მისი შეწყვეტის მომენტი. ასეთი გარიგებები დაუყოვნებლივ შედის ძალაში თუ გარიგებებში განსაზღვრულია ამოქმედების ან შეწყვეტის მომენტი ან ორივე მომენტი ერთად, მათ ეწოდებათ ვადიანი გარიგებები.

გარიგება ხდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით (მარტივი ან ნოტარიული). თუ გარიგება ზეპირი ფორმით ხდება, ის დადებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა პირის ქცევიდან გამომდინარეობს მისი ნება, მიღწეულ იქნეს გარიგება. მიწასთან და სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგებები ექვემდე-

ბარება სახელმწიფო რეგისტრაციას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

გარიგების, ან მასზე უარის თქმის იძულება – დანაშაული ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, რაც ითვალისწინებს გარიგების ან მასზე უარის განცხადების იძულებას ძალადობის გამოყენების, სხვისი ქონების განადგურების ან დაზიანების, ასევე ისეთი ცნობების გავრცელების მეშვეობით, რომელთაც შეუძლიათ არსებითი ზიანის მიყენება დაზარალებულის ან მისი ახლობლების უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისთვის, გამოძალვის ნიშნების არარსებობისას.

გარყვნილი მოქმედებები – სექსუალური ხასიათის ქმედები, რაც არ უკავშირდება სქესობრივი ურთიერთობის დამყარებას, თუმცა შეუძლიათ სქესობრივი აღგზნების გამოწვევა, არაჯანსაღი სექსუალური ინტერესის აღძრა და ამით ბავშვისა თუ მოზარდის მორალური განვითარების დარღვევა.

გარყვნილი მოქმედები შეიძლება იყოს ფიზიკური (მცირეწლოვანის სასქესო ორგანოების გაშიშვლება, მათთან შესვა, დამწაშაეის სასქესო ორგანოების გაშიშვლება).

გარყვნილი მოქმედები შეიძლება იყოს ინტელექტუალური ხასიათის (პორნოგრაფიული საგნების დემონსტრაცია, სექსუალურ თემებზე ცინიკური საუბრების წარმართვა, პორნოგრაფიული ფილმებისა და ამაეე სახის სამაგნიტოფონო ჩანაწერების დემონსტრაცია).

გარყვნილი ქმედება ეს ტერმინი ზოგადად მოიცავს ადამიანის კულტურის დაბალ ხარისხს. იურიდიული თვალსაზრისით გარყვნილი ქმედება სექსუალური ხასიათის დამნაშაეისათვის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მოქმედებაა, რომელსაც ამ უკანასკნელს, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიყვანენ ამ ხასიათის მოქმედებაში.

გასაჩივრების უფლება სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეთა კანონიერი უფლებების კონსტიტუციური დაცვის ფორმა, საპროცესო უფლება, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მოკლევის მწარმოებელი ორგანოს, მოკლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მოქმედები (უმოქმედობა) და გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს დადგენილი წესით, სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეების და ასევე სხვა პირების მიერ, იმ ნაწილში, რომლებშიც წარმოებული საპროცესო მოქმედებები და მიღებული საპროცესო გადაწყვეტილებები ეხება მათ ინტერესებს. განსახილველი უფლების რეალიზაცია ხდება საპროცესო დოკუმენტის – საჩივრის შედგენის გზით. არსებობს დარღვეული უფლების დაცვის ორი ხერხი: ა) დაცვა სასამართლოში; ბ) სამართალდარღვევასთან მიმართებაში ზემდგომი ორგანოსთვის მიმართვა. თუ საჩივარი შეტანილია აღნიშნულ ორგანოში, მოქალაქისთვის არახელსაყრელი შედეგის დროს მას არ ერთმევა საჩივრით სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობა.

მოკლევის ორგანოს, მოკლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მოქმედებებსა და გადაწყვეტილებების გასაჩივრება კანონით განისაზღვრება არა მხოლოდ, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საშუალება, არამედ როგორც სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში დაშვებული დარღვევებისა და შეცდომების აღმოჩენისა და აღმოფხვრის ხერხი. გასაჩივრების უფლება უნდა იქნეს განმარტებული სამართალდამცავი ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს თანამდებობის პირების მიერ, რომელთაც დაკისრებული აქვთ საჩივრების ყოველმხრივი, სრული, დროული და ობიექტური განხილვის საპროცესო ვალდებულება იმ პირებთან პირველი კონტაქტის დროს, რომლის ინტერესები შეხებულია წარმოებული საპროცესო მოქმედებით თუ მიღებული საპროცესო გადაწყვეტილებით. ასეთი თანამდებობის პირებს წარმოადგენს მოკლევის მწარმოებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის სამართალწარმოებას კონკრეტულ საქმეზე. კანონი მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებასა და სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში ჩართული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვეეათა აღმოფხვრას. სასამართლოს მოქმედებების გასაჩივრება ხდება ზემდგომ სასამართლოში, პროკურორის მოქმედებები, ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების ნაცვლად შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში. იკრძალება საჩივრის გადაგზავნა იმ ორგანოში ან თანამდებობის პირთან, რომელთა გადაწყვეტილებები ან მოქმედებები არის გასაჩივრებული. გასაჩივრების უფლება გააჩნიათ, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ირღვევა მათი კანონიერი ინტერესები სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენების სფეროში. საჩივრები შეიძლება მოდიოდეს ეჭვმიტანილიდან, ბრალდებულიდან, მისი დამცველიდან და კანონიერი წარმომადგენლიდან, დაზარალებულიდან და მისი დამცველიდან, სამოქალაქო მოსარჩელიდან, სამოქალაქო მოპასუხიდან და მათი წარმომადგენლებიდან, ასევე ექსპერტიდან, სპეციალისტიდან, თარჯიმნიდან, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე ან არამონაწილე მოქალაქეებიდან, ნებისმიერი დაინტერესებული საწარმოდან, დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან. საჩივრები შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი. ზეპირი საჩივრები ფიქსირდება შესაბამის ცალკეულ საპროცესო დოკუმენტებში იმ სახით, რითაც საჩივარი იყო შეტანილი, მაგრამ იმ ფორმით, რომ აშკარად, კონკრეტულად იყოს მითითებული დაინტერესებული პირის მიერ გასაჩივრებული მოქმედებები თუ გადაწყვეტილებები. საპროცესო დოკუმენტს სულ აწერს განმცხადებელი და საჩივრის მიმღები პირი. საპროცესო დოკუმენტებში, რომლებშიც შეტანილი ხდება ზეპირი საჩივრები, მითითებული უნდა იყოს: ა) შედგენის დრო; ბ) პირი, რომლის მიერაც შედგენილია საპროცესო დოკუმენტი; გ) საჩივრის შინაარსი; დ) ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ.

მიზანშეწონილია განმცხადებელმა წერილობითი საჩივარი შეიტანოს ორ ეგზემპლარად, რეგისტრირებულ ასლს დაიტოვებს რა თვითონ. საგამოძიებო მოქმედების წარმოებისას (ჩხრეკა, დათვალიერება, ამოღება და ა.შ.) შეტანილი საჩივარი შედის საგამოძიებო მოქმედების ოქმში. თუ ასეთი საჩივარი ზეპირადაა განცხადებული, ხდება საპროცესო დოკუმენტის შედგენა, ზეპირი საჩივრის საგამოძიებო მოქმედების ოქმში შეტანის

გარდა. შესული საჩივარი საგამოძიებო მოქმედების მწარმოებელი პირის მიერ დაუყოვნებლივ იგზავნება პროკურორთან, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს მოცემული საქმის გამოძიებაზე. საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული მოქმედების ან გადაწყვეტილების აღსრულებას, თუ ამას საჭიროდ არ ჩათვლის მოკლეულის ორგანო, მოკლეულის მწარმოებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე.

გასხვისება იურიდიული თვალსაზრისით არის მესაკუთრის მიერ მისი კუთვნილი ქონების გადაცემა სხვა პირის საკუთრებაში. გასხვისება ძირითადად ხდება მესაკუთრის ნებით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გასხვისება შეიძლება მოხდეს იძულებით, მესაკუთრის ნების გარეშეც (კონფისკაცია, რეკვიზიცია და ა. შ.).

გაუპატიურება იურიდიული თვალსაზრისით, მსოფლიოს ყველა კანონმდებლობა გაუპატიურებად მიიჩნევს სქესობრივ კავშირს ძალადობით, იძულებით, ანგარებითი ფორმის გამოყენებით, მუქარით, დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით და სხვა ამგვარი ფორმით. არის გაუპატიურების ჩადენის დამამძიმებელი გარემოებები: არაერთგზის, ჯგუფური, ორსული ქალის, არასრულწლოვანის და ა. შ.

გაუფრთხილებლობა – დაუდევრობით ან ქარაფშუტობით ჩადენილი ქმედება. დანაშაულებრივი ქარაფშუტობით ჩადენილი მოქმედება პირის ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულებაა, რომლის დროსაც ის აცნობიერებს საკუთარი ქმედების საზოგადოებისთვის საშიშ ხასიათს, განჭვრეტს საზოგადოებისთვის საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ამისთვის საკმარისი საფუძვლის გარეშე დარწმუნებით ფიქრობს ამ შედეგების თავიდან აცილებაზე. ზიანის მიყენება გაუფრთხილებლობით ქარაფშუტობის ფორმით, უნდა განვასხვაოთ ირიბი განზრახვისაგან.

გაფიცვა – მუშაკთა დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის მიზნით. გაფიცვა წარმოადგენს კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის კანონით დადგენილ ერთ-ერთ საშუალებას. გაფიცვაში მონაწილეობა წარმოადგენს ნებაყოფლობითს. არავინ არ უნდა იყოს იძულებული მონაწილეობა მიიღოს გაფიცვაში ან უარი თქვას მასში მონაწილეობაზე. იმ პირების მიმართ, რომლებიც აიძულებენ მუშაკებს მონაწილეობა მიიღონ გაფიცვაში ან უარი თქვან მასში მონაწილეობაზე, ამ შემთხვევაში დგება დისციპლინარული, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გაფიცვის ჩატარება მოიცავს რამდენიმე ეტაპს: ა) გადაწყვეტილების მიღებას გაფიცვის ჩატარების შესახებ და ორგანოს ფორმირებას, რომელიც ხელმძღვანელობს გაფიცვას; ბ) გაფიცვის გამოცხადებას; გ) მუშაობის შეწყვეტის და მოთხოვნების პროცედურების ჩატარებას; დ) გაფიცვის შეჩერებას საჭიროების შემთხვევაში; ე) შეთანხმებების მიღწევას (გაფიცვის უკანონოდ ცნობას), გაფიცვის შეწყვეტას.

მუშაკებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ შეუდგნენ გაფიცვის ორგანიზებას, თუ მორიგების პროცესებმა არ გამოიწვიეს კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტა ან სამუშაოს მიმცემი თავს არიდებს მორიგების პროცედურებს, რაც მიღწეულია კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის დროს.

გადაწყვეტილებას გაფიცვის გამოცხადების შესახებ იღებს ორგანიზაციის (ფილიალის, წარმომადგენლების, სხვა განცალკევებული სტრუქტურული ქვედანაყოფის) თანამშრომელთა კრება (კონფერენცია) მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოს წინადადებით, რომელიც ადრე უფლებამოსილი იყო კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტაზე. პროფკავშირის მიერ მიღებული გაფიცვის განცხადების შესახებ გადაწყვეტილება მტკიცდება ითითოეული ორგანიზაციისთვის მოცემული ორგანიზაციის მუშაკთა კრებით (კონფერენციით). მუშაკთა კრება (კონფერენცია) ითვლება უფლებაუნარიანად, თუ მას ესწრება მუშაკთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3. გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად, თუ მას მხარი დაუჭირა კრების (კონფერენციის) დამსწრე მუშაკთა არანაკლებ ნახევარმა.

მოსალოდნელი გაფიცვის დაწყების შესახებ სამუშაოს მიმცემი უნდა იყოს გაფრთხილებული წერილობითი ფორმით არაუგვიანეს ათი კალენდარული დღით ადრე. სამუშაოს მიმცემის საკალდებულო გაფრთხილების (და ამ გაფრთხილების ვადის) პირობა წარმოადგენს გაფიცვის გამოცხადების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს. კოლექტიური შრომითი დავების გადაწყვეტის დროს განსაკუთრებულ აქციას წარმოადგენს ერთსაათიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა, რომელიც შეიძლება განცხადებულ იქნეს შემრიგებელი კომისიის მუშაობის ხუთი კალენდარული დღის შემდეგ და რომელსაც სამუშაოს მიმცემს აცნობებენ წერილობითი ფორმით არაუგვიანეს 3 დღით ადრე.

გაფიცვის ჩატარების დროს მუშაკთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას წარმოადგენს აუცილებელი სამუშაოების (მომსახურებათა) მინიმუმის უზრუნველყოფა. ამ ვალდებულების შესრულება საჭიროა გაფიცვის უფლების რეალიზაციისთვის სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის გარეშე ე.ი. კონსტიტუციური მოთხოვნების დასაცავად.

საჭირო სამუშაოების (მომსახურებათა) მინიმუმის არაუზრუნველყოფისას გაფიცვა შეიძლება ჩაითვალოს უკანონოდ.

გაფიცვის, ისევე როგორც ნებისმიერი კონსტიტუციური უფლება შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევებში, როცა ეს საჭიროა ქვეყნის კონსტიტუციური წყობის საფუძვლების, სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

უმეტესი ქვეყნების კონსტიტუციის შესაბამისად გაფიცვები უკანონოს წარმოადგენს და არ დაიშვება: ა) სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის ან სხვა განსაკუთრებული ღონისძიებების შემოღების პერიოდში; შეიარაღებული ძალების ორგანოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც განაგებენ სახელმწიფოს უსაფრთხოების, ავარიულ-სამაშველო, სამებრძოლო-სამაშველო, ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოების, სტიქიური უბედურებებისა და საგანგებო სიტუაციების გაფრთხილებისა და ლიკვიდაციის საკითხებს; სამართალდამცავ ორგანოებში; სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების სადგურებში; ბ)

ორგანიზაციებში, რომლებიც უკავშირდებიან მოსახლეობის ცხოველქმედების უზრუნველყოფას (ენერგოუზრუნველყოფა, გათბობა და თბომომარაგება, წყალმომარაგება, გაზმომარაგება, საავიაციო, სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საავადმყოფოები) იმ შემთხვევაში, თუ გაფიცვის ჩატარება საფრთხეს უქმნის ქვეყნის თავდაცვასა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

გადაწყვეტილებას გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ იღებს რესპუბლიკის უზენაესი, საოლქო, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური შტატის და ოლქების სასამართლოები სამუშაოს მიმცემისა და პროკურორის განცხადებით. სასამართლოს გადაწყვეტილება ეცნობება მუშაკებს გაფიცვის ხელმძღვანელი ორგანოს მეშვეობით, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს გაფიცვის მონაწილეებს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ, რომელიც შედიო ძალაში, ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. მუშაკები ვალდებულნი არიან შეწყვიტონ გაფიცვა და შეუდგნენ მუშაობას სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების ასლის გაფიცვის ხელმძღვანელი ორგანოსთვის ჩაბარების დღიდან არაუგვიანეს ერთი დღისა, ან კანონით დადგენილ ვადაში, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უშუალო საფრთხის შექმნის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს მოსალოდნელი გაფიცვა გადადოს 30 დღის ვადით ან დაწყებული გაფიცვა შეაჩეროს იმავე ვადით.

გაფლანგვა – ფულის ან საკუთრების უკანონო გამოყენება პირის მიერ, რომელიც ფლობს მათ კანონიერ საფუძველზე.

გაფრთხილება 1) ადმინისტრაციული სასჯელის ზომა, რომელიც გამოიხატება ფიზიკური ან იურიდიული პირის ოფიციალურ გაკიცხვაში მის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო. გაფრთხილება წარმოადგენს ადმინისტრაციული სასჯელის უმაღლეს ზომას, მისი გამოტანა ხდება წერილობითი ფორმით, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმეზე დადგენილების დასკვნითი ნაწილი; 2) არასრულწლოვანისთვის მის მიერ მიყენებული ზიანისა და დანაშაულების განმეორებითი ჩადენის შედეგების განმარტება.

გაქცევა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან – თავისუფლების აღკვეთის ადგილის თვითნებური დატოვება პირის მიერ, რომელიც იხდის სასჯელს.

გაძრა ძველ ქართულ სამართალში, გაყრა-გაყოფა, არის თანამესაკუთრეების ერთმანეთისაგან დაშორება და საზიარო ქონების დანაწილება. ფეოდალურ საქართველოში საოჯახო ქონება დაახლოებით თანაბრად ნაწილდებოდა და ყურადღება არ ექცეოდა მათი შეილების ან სხვა რაიმე უპირატეს რაოდენობას. გიორგი XI-ემ შეათანა ძმებისათის დაანწია საშუალო სარგო – გასაყოფი გლეხების ოცისათვი, ანუ მეოცედი. „ნაბიჭვარს“ მამულში წილი არ ერგებოდა. განსაკუთრებულ შემთხვევაში გაყრა მეფის ზედამხედველობით ხდებოდა, რისთვისაც მეფეს გასაყრელად ერგებოდა გასაყრელ მემამულეთა გლეხების ოცისათვი.

გაშენების რეგულირების ხაზები – გაშენების საზღვრები შენობების განთავსებისას წითელი ხაზებიდან ან მიწის ნაკვეთის საზღვრებიდან დაშორებით.

გაშენების წესები – (მიწათსარგებლობისა და ქალაქისა და სოფლის დასახლებების, სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების გაშენების წესები) – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ნორმატიული სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ უძრავი ქონების ობიექტების გამოყენებასა და ცელილებას ქალაქთმშენებლობის რეგლამენტის შემოღების მეშვეობით.

გაცდენა – შრომის სამართალში სამუშაოზე არასაპატიო მიზეზით მთელი დღე არყოფნა, ასევე არასაპატიო მიზეზით სამუშაოს 4 სთ-ით გაცდენა. გაცდენა წარმოადგენს საფუძველს შრომის ხელშეკრულების გაწყვეტისთვის სამუშაოს მიმცემის ინიციატივით. გაცდენად ითვლება მუშაკის იმ სამუშაოზე გამოუცხადებლობა, რომელზეც ის იქნა გადაყვანილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ მუშაკი უარს ამბობს ასეთი სამუშაოს შესრულებაზე სასამართლომ უნდა შეაჩერშოს თავად გადაყვანის კანონიერება. თუ დადგინდება, რომ გადაცდომა, რომელიც გახდა განთავისუფლების შესახებ ბრძანების გაცემის საფუძველი გამოიხატა სამუშაოზე უარის თქმაში, შრომის არსებითი პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, სასამართლოს უფლება აქვს შეცვალოს განთავისუფლების მიზეზის ფორმულირება.

გაცდენად არ შეიძლება ჩაითვალოს მუშაკის უარი სამუშაოს შესრულებაზე, რომელზეც ის გადაყვანილ იქნა კანონის დარღვევით. სამუშაოს მიმცემს უფლება აქვს მუშაკი გაანთავისუფლოს გაცდენაზე, თუ ის არ გამოდის სამუშაოზე, თუ ის ყოველდღე გამოდის ორგანიზაციაში, სამუშაოს შესრულებაზე უარის განცხადება არ შეიძლება იყოს საფუძველი გაცდენაზე განთავისუფლებისთვის. მუშაკი გაცდენაზე არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს, რომელიც სამუშაოს მიმცემმა არ დაუშვა ვალდებულებების შესასრულებლად სამუშაოზე არაფხიზელ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკური თრობის მდგომარეობაში გამოცხადებასთან დაკავშირებით. ასევე გაცდენად დათხოვნისთვის საფუძველს არ წარმოადგენს მუშაკის დაპატიმრება წვრილმან ხულიგნობაზე.

გაცდენაზე განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენს მუშაკის სამუშაოზე გამოუცხადებლობა გამოსასვლელ დღეს ან დღესასწაულზე, თუ ბრძანება გაცემული იყო ადმინისტრაციის მიერ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. სამუშაოს მიმცემის (ადმინისტრაციის) ყველაზე გავრცელებულ შეცდომას წარმოადგენს მუშაკის დათხოვნა, რომელიც გაცდენას ხსნის თავისი ავადმყოფობით ან ოჯახის წევრის ავადმყოფობით, რაც არაა გამყარებული ავადმყოფობის ფურცლით. სამუშაოზე გამოუცხადებლობის ყველა მიზეზი ყოველმხრივ უნდა იყოს შემოწმებული. გაცდენა ზოგადად წარმოადგენს შრომის დისციპლინის უხეშ დარღვევას და შრომის ხელშეკრულების გაწყვეტას სამუშაოს მიმცემის (ადმინისტრაციის) ინიციატივით რაც მოსდევს ერთჯერად გაცდენას.

შრომის ხელშეკრულებები გამცდენ მუშაკთან წყდება დღიდან, რომელიც მითითებულია ბრძანებაში

განთავისუფლების შესახებ. თუმცა, თუ გაცდენაზე განთავისუფლებული პირის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დაეის გადაწყვეტისას ირკვევა, რომ სამუშაოზე არყოფნა გამოწვეულია არასატპიო მიზეზით, მაგრამ სამუშაოს მიმცემმა დაარღვია განთავისუფლების წესი, სასამართლომ კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისას უნდა გაითვალისწინოს ის, რომ აღდგენილ მუშაკს ასეთ შემთხვევაში ხელფასი უნდა აუნაზღაურდეს არა სამუშაზე მოსვლის პირველი, არამედ განთავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემის დღიდან, რამდენადაც ამ დღიდან წარმოადგენს გაცდენა იძულებითს.

გაცვლის ხელშეკრულება – სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს საკუთრებაში გადასცეს ერთი საქონელი მეორის სანაცვლოდ. ბუნებით, გაცვლის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსენსუალურს, ანაზღაურებადს, ორმხრივს. მხარეებს შეიძლება წარმოადგენდნენ ნებისმიერი სუბიექტები სახელმწიფოს გარდა. ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ქონებრივი უფლებები და ნივთები. გაცვლის ხელშეკრულების ფასი წარმოადგენს თითოეული გასაცვლელი საქონლის ღირებულებას. გაცვლის ხელშეკრულების ფორმა რეგულირდება ზოგადი წესებით. საკუთრების უფლების გადაცემა გაცვლის ხელშეკრულებაში ხდება ორივე მხარის მიერ ეალდებულებების გადაცემის შესრულების მომენტში, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა ხელშეკრულებაში. რისკების გადაცემა გაცვლის ხელშეკრულებაში ხდება უკვე ერთ-ერთი მხარის მიერ საქონლის გადაცემის ეალდებულების შესრულების მომენტში.

გაცვლის ხელშეკრულება ხელშეკრულება, რომლის ძალით მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემა. გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითელება იმ ქონების გამყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს. თუ გასაცვლელი ქონება არატოლფასოვანია, მხარეთა შეთანხმებით, ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით (სკ, მუხლი 521–522).

გაძევება სისხლის სამართლებრივი სასჯელის სახე ფეოდალურ საქართველოში. გაძევებით სჯიდნენ მკვლელებს, გამოუსწორებელ პოლიტიკურ დამნაშავეებს, და ამ სასჯელს ექსორიაც ეწოდებოდა. თამარ მეფემ ხუთი მამა კახაბერისძენი, რომლებმაც ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმა მოკლეს, ჯერ ციხეში დაამწყვდია, ხოლო შემდეგ „მაკედონიასა საბერძნეთისასა" გაასეკა. ჩვეულებითი სამართლის თანახმად, მძიმე დანაშაულისათვის გამოიყენებოდა გაძევება თემის ფარგლებიდან.

გახეიბრება, დასახიჩრება ერთ-ერთი გავრცელებული სასჯელი მონათმფლობელურსა და ფეოდალურ საზოგადოებაში. ფეოდალურ საქართველოში გამახეიბრებელი სასჯელებიდან იყენებდნენ დასაჭურისებას, ასოთა (ხელის, ფეხის თითების) მოკვეთას, ენის ამოკვეთას და დაბრმავებას. მონასტრებში იყენებდნენ მტკივნეულ სხეულებრივ სასჯელებს ასოთა მოკვეთამდე.

გენდერული სტატისტიკა მოსახლეობის სტატისტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ამა თუ იმ ქვეყნის, ან ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის რიცხოვნებას, შემადგენლობას, განსახლებასა და მოძრაობას სქესობრივი ნიშნის მიხედვით (სქესთა სტატისტიკა).

გენერალური სანარდო სისტემა – სუბიექტური კაუშირების ორგანიზაცია სანარდო ხელშეკრულებაში, რომელიც უშებს გენერალური მენარდის მიერ სუბმენარდეების მოზიდვას სამუშაოების გარკვეული ნაწილის შესასრულებლად. ზოგადი წესის მიხედვით, მენარდეს უფლება აქვს თავისი ვალდებულებების შესასრულებლად მოიხმოს სხვა პირები – სუბმენარდეები. ხელშეკრულება შეიძლება კრძალავდეს სუბმენარდეთა მოზიდვას, დადგენს რა მენარდის ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სამუშაო პირადად.

სუბმენარდეთა მონაწილეობას არ მოსდევს მრავალ პირთა გამოჩენა ვალდებულებაში, რამდენადაც არ ჩნდება ურთიერთობები სუბმენარდესა და დამკვეთებს შორის. გენერალური მენარდე არის პასუხისმგებელი დამკვეთის წინაშე სუბმენარდის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასა თუ არასათანადო შესრულებაზე, ხოლო სუბმენარდის წინაშე – სანარდო ხელშეკრულებით დამკვეთის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასა თუ არასათანადო შესრულებაზე. თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა კანონით ან ხელშეკრულებით. დამკვეთსა და სუბმენარდეს უფლება არა აქვთ ერთმანეთს წაუყენონ ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელიც თითოეული მათგანის მიერ დადებულია გენერალურ მენარდესთან.

დამკვეთს უფლება აქვს დაღოს ხელშეკრულებები სხვა პირებთან ცალკეული სამუშაოების შესრულებაზე მხოლოდ გენერალური მენარდის თანხმობით. ამასთან, აღნიშნული პირები არიან პასუხისმგებელნი უშუალოდ დამკვეთის წინაშე სამუშაოს შეუსრულებლობასა თუ არასათანადო შესრულებაზე. იხ. სანარდო ხელშეკრულება.

გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის (გშტვ) შესახებ – მრავალმხრივი მთავრობათშორისი შეთანხმება, რომელიც მიღებულ იქნა 30.00.1947 წლის ჟენევაში 25 სახელმწიფოს მიერ, როგორც დროებითი (საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წესდების მიღებამდე). როგორც მუდმივი დამოუკიდებელი ხელშეკრულება (გშტვ) არსებობდა 1949 წლის შუა პერიოდიდან 1993 წლის ბოლომდე. ამ საერთაშორისო წარმონაქმნის სისტემაში შეიქმნა ოპერატიული ხელმძღვანელი ორგანო – წარმომადგენლების საბჭო, რომელიც ჩამოყალიბდა გშტვ სახელმწიფო-მონაწილეების წარმომადგენლებისგან და სამდივნო. გშტვ-ის დებულებების მოქნილობა აძლევდა თვითგანვითარების შესაძლებლობას სამართლებრივ სისტემას ამ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. გშტვ-ის ჩარჩოებში ტარდებოდა ამ საერთაშორისო შეთანხმების მონაწილეთა პერიოდული შეხვედრები და მათ ეწოდებათ სატარიფო კონფერენციები/მოლაპარაკებათა სავაჭრო რაუნდები, რომელთა დროსაც ხორციელდებოდა კონსულტაციები საბაჟო ტარიფების შემცირებასა და არასატარიფო შეზღუდვებისა და სხვა დაბრკოლებების აღმოფხვრის თაობაზე ვაჭრობაში 1947 წ. ჟენევის რაუნდი, 1949 წ. ანესის რაუნდი (საფრ-

ანგეთი), 1950-1951 წწ. ტორკის რაუნდი (დიდი ბრიტანეთი), 1955/1956 წწ. ჟენევის რაუნდი, 1960/1962 წწ. დილონის რაუნდი (ჟენევა), 1963/1967 წწ. კენედის რაუნდი (ჟენევა), 1973-1979 წწ. ტოკიოს რაუნდი (ჟენევა), 1986-1993 წწ. ურუგვაის რაუნდი (ჟენევა), რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გშტ-ს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად (მსო) გადაქცევის შესახებ. ამრიგად გშტ ტექსტი 1994 წ. რედაქციით შედის მსო დაფუძნების შესახებ შეთანხმების დანართში ა; მას გააჩნია ერთ-ერთი ძირითადი დებულების სტატუსი და შეადგენს სააზო შეთანხმების განუყოფელ ნაწილს ე.ი. ესაა მსო დამფუძნებელი დოკუმენტების შემადგენელი ნაწილი. გშტ-ის მონაწილეებს წარმოადგენს მსო ყველა წევრი. მსო წევრი-სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობა სრულად უნდა შეესაბამებოდეს გშტ-ის მოქმედ რედაქციას. გშტ არ დაიშალა მსო-ში, არამედ მან შეინარჩუნა ამ ხელშეკრულების შემადგენელი დებულებები, რომლებიც არაერთხელ შეიცვალა ავტონომიური არსებობის პერიოდში. ამას ასევე დაემატა დაგროვილი შეთანხმებები გშტ რიგი მუხლის განმარტების შესახებ და პრეცედენტები, რომლებიც ახლენენ ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმების სხვადასხვა მუხლის დებულების ინტერპრეტაციას, მაგალითად, შეთანხმება 1994 წ. გშტე მუხ. II, პ. 1(ვ) განმარტების შესახებ; შეთანხმებები 1994 წ. გშტე დებულებების შესახებ, რომლებიც ეხებიან საგადასახადო ბალანსს; შეთანხმება 1994 წ. გშტე XXIV მუხ. განმარტების შესახებ; შეთანხმება 1994 წ. გშტე XXVII მუხ. განმარტების შესახებ; 1994 წ. გშტე მარაკეშის ოქმი; შეთანხმება 1994 წ. გშტე VI მუხლ. გამოყენების შესახებ (ანტიდემპინგური კოდექსი). მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის სტრუქტურაში გშტე დაცავა და რეალიზაციაზე პასუხს აგებს მსო სამდივნოს საქონლის ვაჭრობის საბჭო.

გენეტიკური მასალა – მცენარეული, ცხოველური, მიკრობული ან სხვა წარმოების ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიცავს მემკვიდრეობის ფუნქციურ ერთეულებს.

გენეტიკური პასპორტი – გენეტიკური პასპორტი არის იმგვარი საშუალება, რომლის მიხედვით ადამიანები დაბადებიდანვე მიაქცევენ იმას ყურადღებას, თუ რა გენეტიკური დაავადებებისკენ ექნებათ ადამიანებს სიცოცხლეში მიდრეკილება. ამისათვის დადგინდება ადამიანის გენომის სტრუქტურა. დღეისათვის ცნობილია, რომ ადამიანს აქვს 50-დან 100 ათასამდე გენი და 3 მილიონამდე ე.წ. დნმ-ს მონომერული რგოლი, რომელთა თანმიმდევრობის 10% ცნობილია. დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა ანუ დნმ წარმოადგენს მთელი მემკვიდრეობით ინფორმაციის მატარებელ ორმაგ სპირალს. ეს უზარმაზარი პოლიმერი აგებულია ოთხი ტიპის მონაცვლე რგოლებისაგან. მათი საერთო რაოდენობა 3 მილიარდამდეა, ხოლო ათასობით ვარიანტში მათი მონაცვლეობა წარმოადგენს შთამომაქლობით კოდს, რაც ჩვენი მთელი არსის გამომხატველია. დაახლოებით 10 000 რგოლი შეადგენს ერთ გენს, რომელიც განსაზღვრული ინფორმაციის მატარებელია. დადგენენ სხვადასხვა გენების (სიმსუქნე, მათემატიკური აზროვნება, გენიოსობა, შიზოფრენია, სწრაფი სიბერე და სხვა) მიდრეკილებებს და თვისებებს.

სამმილიარდიანი რგოლის ვარიაციული თანმიმდევრობით ადამიანები თითქოს ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ რამდენიმე მილიონი კომბინაციური დინამიკით მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან. სწორედ ამ განსხვავების ბაზაზე უნდა დადგინდეს გენების მიდრეკილება და თვისებები. ამ განსხვავებითაც ადგენენ, რომ თვით კლონირებითაც არ შეიძლება გაკეთდეს ადამიანის აბსოლუტური ასლი. ცნობილი ბატკანი დოლიც არასრული კლონი აღმოჩნდა და გამოდის, რომ ბუნება კრძალავს აბსოლუტური ზუსტი ასლის გადაღებას.

ჩვენი ორგანიზმის ყველა უჯრედს — ნერვული იქნება, ღვიძლის, კუნთის, თუ გულის, სპეციფიკა, თავის ზომა და ფორმა აქვს, სხვადასხვა გენი და ცილები. მათ შორის ხდება ინფორმაციათა მიმოცვლა სოგნალების გაგზავნის მეშვეობით, ეს მაურებიან ერთმანეთს მუშაობაში, რაც მთელი ორგანიზმის ცალკეული ნაწილების შეთანხმებითი მუშაობისთვისაა აუცილებელი.

ყოველივე ზემოთაღწერილის მეშვეობით შესაძლებელი იქნება ყოველი ადამიანისათვის, ე.წ. გენეტიკური პასპორტის შედგენა, სადაც დაწერილებით აღწერილი იქნება, თუ რა დაავადებებს შეიძლება დაექვემდებაროს ადამიანის ორგანიზმი და მას წინასწარ მოუწევს „პრევენციული" ზომების მიღება.

გენოციდი – ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის სრულ ან ნაწილობრივ განადგურებაზე მიმართული მოქმედებები, ამ ჯგუფის წევრების მკვლელობის, მათი ჯანმრთელობისათვის მძიმე ზიანის მიყენების, შობადობისთვის ძალადობრივი ხელის შეშლის, ბავშვების იძულებითი გადაცემის, იძულებითი გადასახლების ან ამ ჯგუფის წევრების ფიზიკურ განადგურებაზე გათვლილი ცხოვრებისეული პირობების შექმნის გზით, რაც შეადგენს მოცემული დანაშაულის ობიექტურ მხარეს.

გენოციდი განეკუთვნება ყველაზე გაურკვეველ საერთაშორისო დანაშაულებს; მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში, ასევე მშვიდობიან დროს.

დანაშაულის საერთაშორისო ხასიათის გათვალისწინებით, მისი შემადგენლობის დახასიათებისა და ანალიზისთვის საჭიროა მივმართოთ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომელიც იძლევა გენოციდის განსაზღვრას და აგვნებს პასუხისმგებლობას მის ჩადენაზე: 09.12.1948 წ. კონვენცია გენოციდის თავიდან აცილებისა და მასზე დასჯის შესახებ (ძალაში შევიდა 12.01.1951 წ., საბჭოთა კავშირის მიერ კი, ის, რატიფიცირებულ იქნა 18.03.1954 წ.); 26.11.1968 წ. კონვენცია სამხედრო დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მიმართ ხანგრძლივობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ; 21.10.1994 წ. კონვენცია ეროვნული უმცირესობის პირთა უფლებების უზრუნველყოფის შესახებ და სხვ.

გეოლოგიური და ეკოლოგიური მასალების სახელმწიფო ექსპერტიზა, რომლებიც ასაბუთებენ წიაღის გამოყენებელთა გადასახადებისგან განთავისუფლების აუცილებლობას – 1) დადგენილ მოთხოვნებთან სასარგებლო წიაღისეულების შემუშავებაში აღგილმდებარეობის მარაგის

გაანგარიშების დამახასიათებელი მასალების შესაბამისობისა და/ან შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (მათ შორის, ნავთობისა და აირის კონდენსატის მიღების კოეფიციენტებისა და კონდიციების – ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. დ) შეფასება; 2) წიაღის სახელმწიფო ფონდის მართვისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ წიაღის გამოშვებულთა გადასახადებისგან სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი პირობა წარმოადგენს წიაღის გამოყენებისა და მათთვის შეღავათების შეთავაზება წიაღის გამოლეკისთვის.

გეოლოგიური კონტროლი იხ. სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლი.

გეოლოგიური მიკუთვნება – წიაღის მონაკვეთი, რომელიც ლიცენზიის შესაბამისად წარმოდგენილია გეოლოგიური შესწავლისათვის წიაღის მოლიანობის არსებითი დარღვევის გარეშე (მძიმე სამთო სამუშაოების ჩატარებისა და მადანის ბურღეის გარეშე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა თუ მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისთვის, რაც არ უკავშირდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას). გეოლოგიური მიკუთვნების სტატუსი ენიჭება წიაღის მონაკვეთს სახელმწიფო წიაღის მართვის ან მისი ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილებით. გეოლოგიური მიკუთვნების საზღვრებში შეიძლება ერთდროულად ჩატარდეს წიაღის რამდენიმე მომხმარებლის სამუშაოები; წიაღის მონაკვეთის სარგებლობაში გადაცემისას პროდუქციის გაყოფის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მინერალური ნედლეულის ძიებისა და მოპოვების დროს გეოლოგიური მიკუთვნება ფორმდება მოცემული შეთანხმებით განსაზღვრულ საზღვრებში.

გეოსტაციონარული ორბიტა (გსო) – კოსმოსური სივრცის ნაწილი, რომელიც დედამიწის ზედაპირიდან მის ეკვატორულ ნაწილში დაშორებულია დაახლოებით 36 კმ-ით. ასეთ სიმაღლეზე გამოყვანილი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი არტყამს რა წრეს დედამიწის ირგვლივ კუთხოვანი სიჩქარით, რომელიც უდრის დედამიწის ბრუნვის კუთხოვან სიჩქარეს თავისი ღერძის გარშემო, რჩება უცვლელი გარკვეულ წერტილთან მიმართებაში დედამიწის ეკვატორზე, ფაქტიურად მასზეა „ჩამოკიდებული", რაც ქმნის ოპტიმალურ პირობებს გსო-ზე კავშირის თანამგზავრების, კერძოდ, უშუალოდ სატელევიზიო მაუწყებლობის თანამგზავრული სისტემების განთავსებისთვის (ასეთი თანამგზავრიდან სიგნალი არ საჭიროებს თვალის მადევნებელ მიმღებ ანტენას დედამიწაზე და შეიძლება მიღებულ იქნეს სტაციონარულ ანტენაზე, მათ შორის, საყოფაცხოვრებოზეც). გსო შეიძლება გამოყენებულ იქნეს რიგი კვლევების საწარმოებლად. ეს ორბიტა წარმოადგენს შეზღუდულ ბუნებრივ რესურსს, მასზე შეიძლება განთავსდეს თანამგზავრთა შეზღუდული რაოდენობა, რამდენადაც ერთმანეთთან ახლოს ყოფნისას მათი ანტარატურა შეიქმნის ორმხრივ დაბრკოლებებს. რიგმა სახელმწიფოებმა, რომლის ტერიტორიაზეც გადის დედამიწის ეკვატორი (კოლუმბია, კონგო, ეკვადორი, ინდონეზია, კენია, უგანდა, ზაირი) პრეტენზია განაცხადა გსო სეგმენტებზე, რომლებიც შეესაბამებიან მათ ტერიტორიებს – ეკვატორზე იმ საფუძვლით, რომ თითქოს ისინი წარმოადგენენ ამ სახელმწიფოების ბუნებრივ რესურსებს. ეს მოსაზრებები უარყოფილ იქნა, როგორც კოსმოსური სივრცის ნებისმიერი ნაწილის მიკუთვნების პრინციპის საპირისპირო, რომელიც განმტკიცებულია 1967 წ. ხელშეკრულებით სახელმწიფოების მხრიდან კოსმოსური სივრცის, მათ შორის, მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევისა და გამოყენების მხრივ საქმიანობის პრინციპების შესახებ და საერთაშორისო სამართლებრივი წესით. გსო მაექსპლუატირებელი სახელმწიფოები ითვალისწინებენ ელექტრომაგნიტის საერთაშორისო კავშირის (ესკ) რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს, რომელმაც მოუწოდა მათ, უზრუნველყონ სახელმწიფოთა სამართლიანი წვდომა განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული მოთხოვნილებებისა და თითოეული მათგანის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. კერძოდ, განიხილებოდა კვოტის გამოყოფის ვარიანტი ეკვატორული ქვეყნების თანამგზავრთა გასაშვებად.

გაჩნდა განცხადებები რიგი ქვეყნიდან – ესკ-ის წევრებიდან გსო ორბიტულ პოზიციებზე არა საკუთარი თანამგზავრების გაშვის, არამედ სხვა თანამგზავრული ოპერატორებისთვის მათი შემდგომი ხელახლა გაყიდვის მიზნით. ესკ-ში მუშაობდა საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც არ უშვებენ „ქაღალდის თანამგზავრების" გამოჩენას. მსე (ელექტრომაგნიტის საერთაშორისო კავშირი – ესკ) მიერ გსო-ზე თანამგზავრების განთავსების მიღებული პროცედურა ექცევა კრიტიკის ქვეშ რიგი განვითარებადი ქვეყნის მხრიდან იმის გამო, რომ კოსმოსის ეს უნიკალური რაიონი ფაქტიურად გაყოფილი აღმოჩნდება წამყვან კოსმოსურ სახელმწიფოებს შორის განვითარებადი ქვეყნების საზიანოდ, მათ სურთ გსო-ს მიკუთვნონ sui generis (განსაკუთრებული სახის) რეჟიმი. გსო შესაბამის სეგმენტებზე სუვერენიტეტის განმტკიცების იდეიდან კენია, კოლუმბია, ინდონეზია და ეკვადორი გადავიდნენ მოთხოვნაზე მიიღონ გარკვეული პრეფერენციალური უფლებები, რაც ჰგავს იმას, რომელთაც სთავაზობენ სანაპირო სახელმწიფოებს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში. საკითხი გსო სამართლებრივი რეჟიმის შესახებ რჩება სადისკუსიო და განსიხილება გაერო-ს კოსმოსის კომიტეტის ჩარჩოებში.

გერში ჭრილობა და ჭრილობის საზღაური ძველ ქართულ სამართალში. საზღაურის ოდენობა განისაზღვრებოდა ჭრილობის ოდენობის მიხედვით და დაზარალებულის „სისხლის", ქონებრივი სასჯელით, რომელიც ინიშნებოდა დაზარალებულის სოციალური მდგომარეობის, ასაკის, სქესის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით.

გესტორი – პირი, რომელიც დავალების გარეშე ახორციელებს მოქმედებებს სხვა პირის ინტერესებში (იხ. დომინუსი). გესტორი მოქმედებებს ახორციელებს დომინუსის პიროვნების ან ქონებისთვის ზიანის მოყენების თავიდან აცილების მიზნით დაინტერესებული პირის ნამდვილი (ან საალბათო) განზრახვისა და ცხადი მოგებიდან (ან სარგებლის) გამომდინარე და საქმის გარემოებებით საჭირო სიფრთხილითა და წინდახედულობით. გესტორი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე თავისი მოქმედებების თაობაზე

ამცნოს დომინუსს და დაელოდოს მის გადაწყვეტილებებს განსახორციელებელი მოქმედებების მოწონებას ან მიუღებლობის შესახებ გონივრული ვადის მანძილზე, თუ ასეთი მოლოდინი არ გამოიწვევს სერიოზულ ზიანს დაინტერესებული პირისთვის. თუ დომინუსი მოიწონებს გესტორის მოქმედებებს, მხარეთა მიმართ გამოიყენება წესები დაკალების მიცემის ან სხვა ხელშეკრულების შესახებ. გესტორის მიერ მას შემდეგ განხორციელებული მოქმედებები, რაც ცნობილი გახდა, რომ მათ არ იწონებს დომინუსი, ამ უკანასკნელისთვის არ იწვევს ვალდებულებებს, არც გესტორთან და არც მესამე პირებთან მიმართებაში.

მოქმედებები, რომლებიც განხორციელებულია რთულ სიტუაციაში მყოფი პირის სიცოცხლისთვის საშიშროების აღმოუხვრის მიზნით დასაშვებია ამ პირის ნების წინააღმდეგაც, ხოლო ვინმეს შესანახად ვალდებულების შესრულება იმის ნების მიუხედავად, ვისაც გააჩნია ეს ვალდებულება. გესტორი ვალდებულია დომინუსს წარუდგინოს ანგარიში მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯებისა თუ სხვა ზარალის მითითებით. გესტორს უფლება აქვს დომინუსისგან მოითხოვოს საჭირო ხარჯებისა და სხვა რეალური ზარალის ანაზღაურება, მათ შორის, იმ შემთხვევებშიც, როცა მოქმედებები სხვის ინტერესებში არ იწვევს სავარაუდო შედეგს. სხვა პირის ქონებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების ღირებულებას.

თუ გესტორის მოქმედებებმა გამოიწვია დომინუსისთვის დადებითი შედეგი, მას აქვს ანაზღაურების მიღების უფლება. აღნიშნული წესები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ვალდებულნი არიან განახორციელონ გარკვეული მოქმედებები სხვათა ინტერესების დასაცავად დაკალების გარეშე (მეურვეები, სახელმწიფო ორგანოები).

გვამის დათვალიერება – საგამოძიებო მოქმედება, რომელიც გამოიყენება გვამზე ჩადენილი დანაშაულის მოძებნისთვის, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელობა ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისთვის, სადაც კვალის ხასიათი შეიძლება იყოს სტერეოტიპული ან განსხვავებული. ასე მაგალითად, გვამზე შეიძლება იყოს კვალი, რომელიც იძლევა ინფორმაციას დანაშაულის იარაღის შესახებ (მაგალითად, დანაზე – დანის ტიპი, ფორმა და ზომა და ა.შ.); ინფორმაციას დანაშაულის ჩადენის ადგილის შესახებ (მაგალითად, გრუნტის, საღებავის ნაწილაკები და ა.შ.); დანაშაულის ჩადენის ხერხზე (გაგუდვა, ცივი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება და ა.შ.). გამომძიებელი აწარმოებს გვამის დათვალიერებას დამსწრეთა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის, ხოლო მისი მონაწილეობის შეუძლებლობის – ექიმის მონაწილეობით. საჭიროებისას, მასში შეიძლება ჩართულ იქნეს სხვა სპეციალისტებიც. გვამი შეიძლება დათვალიერებულ იქნეს აღმოჩენის ადგილიდან მისი ევაკუაციის შემდეგ. თუმცა, თავად ევაკუაციის ფაქტი უნდა იყოს ასახული ოქმში. ამოცნობა გვამის და ფოტოზე აღებჭდვა ხდება არანაკლებ 2-ჯერ. პირველი ფოტოსურათი ასახავს გვამს იმ სახით, როგორითაც ის აღმოაჩინეს. მეორედ ფოტოგრაფირების წინ შესაძლებელია „გვამის ტუალეტი" – იმ კვალის წაშლა, რომელიც ცელის გვამის გარეგნულ ირის და ართულებს მის ამოცნობას.

გვარი I) ზოგადი განმარტებით არის სისხლით ნათესაობა ჯგუფი, რომლის წევრები თავიანთ წარმომავლობას საერთო წინაპარს უკავშირებენ. გვარის მცნებას ძველ ქართულში ტერმინი „სახლი" გამოხატავდა; 2) იურიდიული თვალსაზრისით დაბადებით ან ქორწინებით მიღებული შთამომავლობითი გარდამავალი გვარეობითი სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის სახელს. საქართველოს კანონმდებლობით, დაქორწინების დროს მეულლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ აირჩიონ ერთერთი მეუღლის გვარი, ანდა თითეულმა დაიტოვოს თავისი ქორწინებამდელი გვარი, ან თავისი გვარი შეუთავსოს მეუღლის გვარს. შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა არ იწვევს გვარის გამოცვლას, მაგრამ მშობელს, რომელთანაც შვილი რჩება, უფლება აქვს, შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს ბავშვისათვის მისი გვარის მიკუთვნების შესახებ. თუ ბავშვი ათ წელზე მეტი ხნისაა, გვარის შეცვლისათვის საჭიროა მისი თანხმობა (სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1154). სრულწლოვან მოქალაქეთა მიერ გვარის გამოცვლა ნებადართულია საპატრო მიზეზით, გვარის არაკეთილხმოვანების, ძნელად გამოთქმის და სხვა ამგვარი.

გირავნობა – მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, რომელიც წარმოადგენს კრედიტორის უფლებამოსილებათა კომპლექსს იმ საკუთრების მიმართ, რომელიც გამოყო მოვალემ ან ამ მიზნით წარმოდგენილმა სხვა პირმა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. კრედიტორს, როგორც აღნიშნულ სამართალურთიერთობებში გირაოს უფლების მფლობელს, ეწოდება მოგირავნე, ხოლო მოვალეს, რომელმაც გირაოდ გადასცა თავის ან მესამე პირის საკუთრებაში მყოფი (რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის თანხმობით) ქონება – დამგირავებელი, დაგირავებული ნივთის მესაკუთრის ვალაუუალ მოვალედ გამოცხადების შემთხვევაში, მოგირავნეს ეძლევა საშუალება დაგირავებული ქონებიდან ჩვეულებრივი და არა კონკურსის წესით დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა დაგირავებული ნივთის ხარჯზე, ანუ ეძლევა სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესობა. მოძრავი ქონების გირავნობა შეიძლება განხორციელდეს ნივთის ფიზიკური გადაცემის შემთხვევაში, კრედიტორის მფლობელობაში ან თუ მხარები გირავნობას გააფორმებენ სანოტარო წესით, გირავნობა წარმოიშობა საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, ნივთი გადაეცემა მოგირავნეს თუ არა. მაგალითად, მოსავლის, გემის ან ცხვრის ფარის დაგირავებისას ტექნიკურად არც ისე მოსახერხებელია ნივთის ფიზიკური გადაცემა. ბოლო დროს მეორე მეთოდი სულ უფრო გავრცელებული ხდება.

ლომბარდში ნივთების დაგირავება წარმოადგენს მოქალაქეებისგან პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოძრავი ქონების გირაოდ მიღებას მოკლევადიანი კრედიტების უზრუნველყოფისთვის. ლომბარდი სპეციალიზირებული ორგანიზაციაა და მოქმედებს ლიცენზიის საფუძველზე. ლომბარდში ნივთების დაგირავება ფორმდება ლომბარდის მიერ სპეციალური ბილეთის გაცემით. დადგენილ ვადაში კრედიტად აღებული თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ლომბარდს უფლება აქვს

გაყიდოს დაგირავებული ქონება კანონით დადგენილი წესის საფუძველზე.

უძრავი ქონების დაგირავებას იპოთეკა ეწოდება.

გირაო ეწოდება აგრეთვე აღკვეთის ღონისძიებას, რომელიც გამოიხატება იმ სასამართლოს ან საგამოძიებო ორგანოს დეპოზიტზე, რომლის განსჯადიცაა სისხლის სამართლის საქმე ფულის ან სხვა ფასეულობების შეტანაში ბრალდებულის ან სხვა პირების მიერ. წარმოადგენს ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის გამოცხადების უზრუნველყოფის საშუალებას მომკლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს მიერ მისი გამოძახების შემთხვევაში. გამოუცხადებლობის შემთხვევაში გირაო გადაეცემა სახელმწიფო ბიუჯეტში.

გირავნობა სამოქალაქო სამართალში ვალდებულების უზრუნველყოფის სახეობა, რომლის დროსაც მოვალე (დამგირავებელი) გადასცემს კრედიტორს (მოგირავნეს) რაიმე ქონებას იმისათვის, რომ, თუ მოვალემ ვალდებულება არ შეასრულა, მოგირავნემ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა დაგირავებული ქონების ღირებულებიდან გაინაღდოს. გირავნობა კერძო საკუთრების კეთდაკეთ გაჩნდა და მრავალი ხალხის სამართალში განვითარდა. ქართულში სპარსული წარმოშობის ტერმინი „გირაო" – XVII ს-დან ჩანს. თვით გირავნობის ინსტიტუტი კი „წინდისა" და „წინეულობის" სახელწოდებით ბევრად ადრინდელია (XIV ს-ში უკვე კანონით იყო მოწესრიგებული). გირავნობის ერთ-ერთ სახეობას ეწოდებოდა ბეუშათი.

გირავნობის სიგელი – ფასიანი ქაღალდი, რომლის გაცემასაც შეიძლება თან ახლდეს იპოთეკის შესახებ ხელშეკრულების დადება. გირავნობის სიგელის ბრუნვა ქმნის იპოთეკური კრედიტირების ბაზარს. გამარტივებული სახით ის გამოიყურება შემდეგი სახით – ბანკი იძლევა კრედიტს უძრავი ქონების გირაოთი, გირაო ფორმდება გირავნობის სიგელის გაცემით, რომელიც მოიცავს ყველაზე საიმედო და ძვირი უზრუნველყოფის – უძრავი ქონების, პირველ რიგში კი მიწის ღირებულებას. ასეთი უზრუნველყოფის ქვეშ უფრო ადვილად მოიზიდავს სახსრებს მესამე პირებისგან. მოაგროვებს რა გირავნობის სიგელის დიდ პაკეტს, ბანკს შეუძლია დიდი თანხის მოზიდვა და მისი გაგზავნა ეკონომიკის იმ დარგებში, რომლებიც საჭიროებენ ინვესტიციებს. ამაში მდგომარეობს გირავნობის სიგელის გამოყენების არსი. ეკონომიკურად გირავნობის სიგელი არის უძრავი ქონების ღირებულების ხორცშესხმა. ამგვარად, გირავნობის სიგელი თავისთავად წარმოადგენს საიმედო უზრუნველყოფას. თუმცა, მთავარია ის, რომ გირავნობის სიგელის, როგორც ფასიანი ქაღალდის თვისებები აისახება მასში ასახულ ღირებულებაში: გირავნობის სიგელის ხელიდან ხელში გადაცემისას უძრავი ქონების ღირებულება იძენს ბრუნვის უნარს.

გირაო სისხლის სამართლის პროცესში აღკვეთის ღონისძიება, ხშირად იცვლება ბრალდებულის, მისი ნათესავების ან სხვა პირებისა და ორგანიზაციების ფულით, ფასიანი ქაღალდებით ან სხვა ფასეულობებით. გირაოს შეტანა ხდება იმ საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს დეპოზიტზე, რომელიც აწარმოებს საქმეს. გირაოს მიღება ხდება მოსამართლის ბრძანებით, რომელიც გაიცემა მომკლევის, გამომძიებლისა და პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. გირაოს თანხა განისაზღვრება გირაოს მიმცემის პიროვნების, მისი ქონებრივი მდგომარეობისა და ბრალდებულთან დამოკიდებულების გათვალისწინებით. თუ ბრალდებული დაარღვევს ნაკისრ ვალდებულებებს, გირაო გადაღის სახელმწიფო ბიუჯეტში და ბრალდებულს შეეფარდება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება იხ. აგრეთვე, აღკვეთის ღონისძიება.

გირაო (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი – №168)

კარი №4 – სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულება

1. გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ფულადი თანხა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეაქვს ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით სხვა პირს სასამართლოსათვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის, განსასჯელის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში დროული გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. ფულადი თანხის ნაცვლად შეტანილ უძრავ ქონებას დროული გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. ფულადი თანხის ნაცვლად შეტანილ უძრავ ქონებას ედება ყადაღა. გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი, რომლის ერთი ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს.

2. პროკურორი სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენის დროს განსაზღვრავს გირაოს თანხის ოდენობას და მისი შეტანის ვადას. გირაოს თანხის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით სხვა პირს გირაოს თანხის ნაცვლად შეუძლია შეიტანოს ფულადი თანხის ეკვივალენტური უძრავი ან მოძრავი ქონება. გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 2 000 ლარზე ნაკლები.

3. გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრულ პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში.

4. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი ან გამომძიებელი პროკურორის თანხმობით მიმართავს შესაბამის სასამართლოს ამ კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით.

5. თუ ბრალდებულმა ან განსასჯელმა დადგენილ ვადაში არ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეტანა ან უძრავი ქონების შეტანა, პროკურორი მიმართავს სასამართლოს უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ კოდექსის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

6. სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს,

რომლის მიმართაც გამოყენებულია სისხლის სამოსამართლო პროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება დაკავების სახით, მის მიერ პროცესის მწარმოებელი ორგანოს დეპოზიტზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე. გირაოს შეტანას ადასტურებს ის სასამართლო ან ორგანო, რომლის დეპოზიტზედაც შეიტანება გირაოს თანხა.

7. თუ ბრალდებულმა ან განსასჯელმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, არასაპატიო მიზეზით თავი აარიდა გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოცხადებას, ჩაიდინა ახალი დანაშაული, განახორციელა ზეწოლა პროცესის მონაწილეზე ან/და საფრთხე შეუქმნა საქმეზე არსებულ მტკიცებულებებს, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის ბრძანებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამავე ბრძანებით გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, უძრავი ქონება კი გადაეცემა სახელმწიფოს.

8. ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, თუ ბრალდებული ან განსასჯელი ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

9. თუ ბრალდებულის ან განსასჯელის სახელით გირაოს შემტანი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობით მიმართავს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის ან განსასჯელის სათანადო ქცევას და მის დროულ გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში, გირაოს შემტანს ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით), მოძრავი ან უძრავი ქონება, ხოლო ბრალდებულის ან განსასჯელის მიმართ შეიძლება შეირჩეს აღკვეთის უფრო მკაცრი ღონისძიება.

გირაო – 1) ეპყრობიტანილის, ბრალდებულის ან სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ მოცემული აღკვეთი ღონისძიების შემფარდებელი ორგანოს სადეპოზიტო ანგარიშზე ფულის, ფასიანი ქაღალდების ან ფასეულობების შეტანა, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში ეპყრობიტანილის, ბრალდებულის გამოცხადების უზრუნველყოფისა და მათ მიერ ახალი დანაშაულების ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. გირაოს სახე და ოდენობა განისაზღვრება მოცემული აღკვეთი ღონისძიების შემფარდებელი ორგანოს ან პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სახის, ეპყრობიტანილის, ბრალდებულის პიროვნების შესახებ მონაცემებისა და გირაოს შემტანი პირის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. გირაო აღკვეთი ღონისძიების ნაცვლად შეიძლება არჩეულ იქნეს სასამართლოს, პროკურორის, ასევე გამომძიებლის, მოკვლევის მწარმოებელი პირის მიერ, პროკურორის თანხმობით, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ დროს. თუ გირაოს შეტანა ხორციელდება დაპატიმრების ან შინაპატიმრობის სახით ადრე შეფარდებული აღკვეთი ღონისძიების ნაცვლად, ეპყრობიტანილი, ბრალდებული პატიმრობაში ან შინაპატიმრობაში იმყოფება სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს შეტანამდე, რომელიც განსაზღვრულ იქნა ამ აღკვეთი ღონისძიების შემრჩევი ორგანოს ან პირის მიერ. გირაოს მიღების შესახებ ხდება ოქმის შედგენა, რომლის ასლიც გადაეცემა გირაოს შემტანს.

თუ გირაო შეაქვს პირს, რომელიც არაა ეპყრობიტანილი, ბრალდებული, მას განემარტება ეპყრობიტანილის, ბრალდებულის, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებითაც აირჩევა აღკვეთის მოცემული ღონისძიება და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები და მათი შეუსრულებლობისა თუ დარღვევის შედეგები. ეპყრობიტანილის, ბრალდებულის მიერ გირაოს შეტანასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა თუ დარღვევის შემთხვევაში, გირაო ერიცხება სახელმწიფოს შემთხვევებში, სასამართლო განაჩენის, ასევე განჩინების, დადგენილების გამოტანისას სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ, წყვეტს საკითხს გირაოს შემტანისთვის გირაოს დაბრუნების შესახებ. გამომძიებლის, პროკურორის, მოკვლევის მწარმოებელი პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისას გირაო უბრუნდება გირაოს გადამხდელს, რაზეც მითითებული ხდება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში; 2) სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხერხი. გირაოს ძალით, უზრუნველყოფილი გირაოს ვალდებულების მიხედვით, კრედიტორს უფლება აქვს მოვალის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს დაკმაყოფილება დაგირავებული ქონების ღირებულებიდან იმ პირის კრედიტორების წინაშე, რომელსაც განკუთვნება ეს ქონება (გირაოს გადამხდელი), კანონით დადგენილი ჩამორთმევის გარდა (კერძოდ, საალიმენტო გადახდები, ხელფასის დავალიანება). გირაოს საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, მათ შორის, საგნები და ქონებრივი უფლებები (მოთხოვნები) ბრუნვიდან ამოღებული ქონების, კრედიტორის პიროვნებასთან დაკავშირებული, კერძოდ ალიმენტის, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებისა და სხვა უფლებების გარდა, რომელთა დათმობაც სხვა პირისთვის აკრძალულია კანონით. გირაოში გადაცემული ქონების სახის მიხედვით საგირაო ვალდებულებები შეიძლება დაიყოს შემდეგ სახეებად: უძრავი ქონების გირაო (იპოთეკა); სატრანსპორტო საშუალებების გირაო; საქონლის გირაო ბრუნვაში; ფასიანი ქაღალდების გირაო; ქონებრივი უფლებების გირაო; ფულადი საშუალებების გირაო. გირაო წარმოიქმნება ხელშეკრულების ძალით, ასევე კანონის საფუძველზე მასში მითითებული გარემოებების დადგომისას, თუ კანონში მითითებულია რა ქონება და რა ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფადაა ცნობილი გირაოში არსებულად. ასე, მაგალითად თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არაა სხვა რამ, მყიდველისთვის საქონლის გადაცემის მომენტიდან მის ანაზღაურებამდე კრედიტში გაყიდული საქონელი ითვლება გამყიდველთან გირაოში მყოფად, მყიდველის მიერ საქონლის ანაზღაურების ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

კანონის საფუძველზე წარმოქმნილი გირაოს მიმართ გამოიყენება გირავნობის შესახებ სახელმწიფო კოდექსის წესები, თუ კანონით დადგენილი არაა სხვა რამ.

გირაოს შესახებ ხელშეკრულების არსებით პირობებს წარმოადგენს გირაოს საგანი და მისი შეფასება, არსი, ვალდებულების შესრულების ოდენობა და ვადა, რაც უზრუნველყოფილია გირაოთი, ასევე პირობა იმის შესახებ, თუ რომელ მხარეს არის დაგირავებული ქონება. ხელშეკრულება გირაოს თაობაზე უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ხელშეკრულება იპოთეკის შესახებ, ასევე ხელშეკრულება მოძრავი ქონების ან ქონების უფლების ხელშეკრულების ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გირაოს შესახებ, რომელიც უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული, ანუ ექვემდებარება ნოტარიულად დამოწმებას.

გირვანქა წონის ერთეული. საშუალო წონა 409,5 გ. საქართველოში გავრცელდა XVIII ს-დან და იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

გლახაკები საზოგადოების ერთ-ერთი დაბალი ფენა, რომელიც გამოირჩევა მიუსაფრობით და უთვისტომობით უმრალეს შემთხვევაში. მათ უმეტესობას დაკარგული აქვს კულტურული ღირებულებების შეცნობა და თავს მათხოვრობით და მაწანწალობით ირჩენენ. შუა საუკუნეებში მთელ მსოფლიოში მათი რიცხვი ხშირად 10 0000 აღწევდა და ბრბოების სახით დაეხეტებოდა ადგილიდან ადგილზე. მე-9 ს.-ში ქართველთა მეფემ ბაგრატ I-მა კურაპალატმა დაიწყო გლახაკთა ნაწილი—საგანგებო თანხა გლახაკების დასახმარებლად. II- III სს-ში მთელი სახელმწიფო შემოსავლის მეათედი („ნათალი") გლახაკთათვის იყო განკუთვნილი. მათ რჩენას ხმარდებოდა კერძო პირების ქველმოქმედების შედეგად გაღებული თანხა. მაგ., დავით აღმაშენებლმა საკუთარი სახსრებიდან გლახაკთათვის ოცდაოთხი ათასი დრაჰკანი გამოყო.

საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ფენა. ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შემდეგ თავისუფალ მწარმოებელთა ფენა თანდათანობით ქრებოდა, იგი ან გლეხთა, ან აზნაურთა რიგებში გადადიოდა. ბევრი, ვინც გამოეთიშა ამ ურთიერთობას, მათხოვრობა დაიწყო და გლახაკთა ფენად ჩამოყალიბდა. ბატონყმური ურთიერთობის განმტკიცება, ბუნებრიად ზრდიდა ამ ფენას. მათი რიცხვი ადრეულ ფეოდალურ ხანაში იმდენად დიდი იყო, რომ ბაგრატ I კურაპალატმა ჯერ კიდევ IX ს. ბოლო დაიწესა „გლახაკთა ნაწილი" – საგანგებო თანხა მათ დასახმარებლად. XII – XIII სს-ში მთელი სახელმწიფო შემოსავლის მეათედი („ნაათალი") გლახაკთათვის იყო განკუთვნილი.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობა – დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტი იურიდიული პირის უფლებებით, რომელიც წარმოდგენილია ცალკეული მოქალაქის, ოჯახის ან პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, გადამუშავებასა და რეალიზაციას ქონებისა და მათ სარგებლობაში მყოფი (მათ შორის, იჯარით, სამუდამოდ მემკვიდრეობით მფლობელობაში ან საკუთრებაში) მიწის ნაკვეთების გამოყენების საფუძველზე. გლეხური მეურნეობა იურიდიული პირის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან. გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობას შეადგენს ნარგაობები, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები, სამელიორაციო და სხვა ნარგაობები, პროდუქტიული და მუშა საქონელი, ფრინველები, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის ტექნიკა და მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება, რაც აუცილებელია სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისთვის. გლეხური (ფერმერული) მეურნეობის ქონება ეკუთვნის მის წევრებს, საერთო ნაწილი ნაწილებზე საკუთრების უფლებებზე. გლეხური მეურნეობის წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებისას ქონება შეიძლება იყოს საერთო ერთობლივ საკუთრებაში. გლეხური მეურნეობის ქონების გამოყენება ხორციელდება მისი წევრების მიერ ორმხრივი შეთანხმებით. ქონების განკარგვის გარიგება ხორციელდება მეურნეობის მეთაურის ან ნდობით აღჭურვილი პირის მიერ. გლეხური (ფერმერული) მეურნეობის ქონების გამოყენებისა და განკარგვის სხვა რეჟიმი, საჭიროებისას დგინდება ხელშეკრულებით.

გლოსატორები შუა საუკუნეების იტალიელი იურისტები, რომლებიც განმარტავდნენ რომის სამართლის ცალკეულ დებულებებს და თავიანთ კომენტარებს, ანუ გლოსებს განსამარტავი ტექსტის არშიაზე ან სტრიქონებს შუა წერდნენ. მათმა საქმიანობამ ხელი შეუწყო რომის სამართლის აღდგენასა და გავრცელებას.

გრაფიკული ექსპერტიზა წერილობითი ტექსტის ან ხელმოწერის გამოკვლევა დამწერის ვინაობის დადგენის მიზნით. ასეთი გამოკვლევის შესაძლებლობას იძლევა როგორც წერითი მოძრაობის ჩვევების, ისე ტექსტის შინაარსობრივი, ლექსიკური თუ გრამატიკული ნიშნების ინდივიდუალობა.

გუჯარი უმეტესად მეფისაგან ნაბოძები საბუთის ზოგადი სახელწოდება, რომელიც ქართულ დიპლომატიკაში XV ს-დან შემოვიდა.

დ

დაბრმავება (სამართ. ისტ.).) 1. დამსახიჩრებელი სასჯელი მონათმფლობელურსა და ფეოდალურ საქართველოს სამართალში. ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა „მბნელობა" და „ბიბრმითა დასჯაც", რაც ორთავ თვალის დაბნელებას (ამოთხრას ან ამოწვას) გულისხმობდა. ასე სჯიდნენ დამნაშავეს „საპატიო" ანუ მოსარიდებელ ადგილას (სალარო, ეკლესია) პარვისა და ღალატისათვის. სასჯელის აღსასრულებლად საჭირო იყო უმაღლესი ხელისუფლების დასტური ან სასამართლოს გადაწყვეტილება. ქართული სამართლის წიგნებიდან დაბრმავებას ითვალისწინებდა ბექაალბუღას სამართლის წიგნზე დართული კანონიკური სამართალი (მუხლი 167) და ბაგრატ კურაპალატის სამართალი (მუხლი 152); 2. დანაშაული ძველი ქართული სამართლის მიხედვით. დამნაშავეს ეკისრებოდა ქონებრივი სახდელი და სისხლი დაზარალებულის სოციალურ–წოდებრივი მდგომარეობის შესაბამისად. საზღაურის ოდენობა სამართლის წიგნებში

ერთნაირად არ იყო განსაზღვრული. ვახტანგ VI-ის სამართლით (მუხლები 44,45) ცალი თვალის დაშავებისათვის დაწესებულია „კაცის მესამედი სისხლი", მხედველობისათვის სრულად დაკარგვისათვის კი – „მთელი სისხლი".

დაგეგმვა ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში – იხ. ეკოლოგიური დაგეგმვა.

დაგირავება – გირაო ქონების დამგირავებლისთვის გადაცემით. დაგირავების დროს ქონება გადადის დამგირავებლის ფლობაში, რომელსაც შეუძლია დაგირავების საგნის გამოყენება, თუ ეს ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. როცა გამოყენებას თან ახლავს შემოსავლების ამოღება, ყველაფერი, რისი შეძენაც ხდება ამ საშუალებით, უნდა იყოს მიმართული დაგირავებული ქონების შესანახად ხარჯების დასაფარავად ან ჩაითვალოს გირაოთი უზრუნველყოფილი ვალის (ვალის პროცენტების) დაფარვის ხასით.

დადგენილება – ნებისმიერი გადაწყვეტილება განარჩის გარდა, რომელიც გამოაქვს მოსამართლეს ერთპიროვნულად; პროკურორის, გამომძიებლის, მოკვლევის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია წინასწარი გამოძიების წარმოებისას საბრალდებო დასკვნისა და საბრალდებო აქტის გარდა.

დადგენილებების გადახედვა ზედამხედველობის წესით – სამოქალაქო პროცესში სასამართლო, რომელიც ზედამხედველობის წესით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ განჩინებებზე, დადგენილებებზე და განაჩენებზე საჩივრებისა და წარდგინებათა მიხედვით. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, მსჯავრდებულს, გამართლებულს, მათ დამცველებსა თუ კანონიერ წარმომადგენლებს, პროკურორს უფლება აქვს იშუამდგომლოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინების, დადგენილების გადახედვის შესახებ. ზედამხედველობის წესით საბრალდებო დასკვნის, სასამართლოს განჩინების და დადგენილების გადახედვა უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის კანონის გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით, შსუბუქი სასჯელის ან სხვა საფუძვლების გათვალისწინებით, რასაც მოსდევს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესება, ასევე გამამართლებელი განაჩენის ან განჩინებისა თუ დადგენილების გადახედვა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ არის დაუშვებელი. სასამართლო სხდომაში მონაწილეობას იღებს პროკურორი, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი დამცველები და კანონიერი წარმომადგენლები, სხვა პირები, რომელთა ინტერესებიც უშუალოდ შეხებულია საჩივრით ან წარდგინებით, მათ მიერ ამის შესახებ შუამდგომლობის დაყენებისას. აღნიშნულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ ზედამხედველო საჩივარსა თუ წარდგინებას. მომხსენებელი გადმოსცემს სისხლის სამართლის საქმის გარემოებებს, განაჩენის, განჩინების ან დადგენილების შინაარსს, ზედამხედველო საჩივრის ან წარდგინების მოტივებს. შესაძლებელია კითხვების დასმა მომხსენებლისთვის. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობას იღებს მსჯავრდებული, გამართლებული, მათი დამცველები ან კანონიერი წარმომადგენლები, დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, მათ უფლება აქვთ პროკურორის გამოსვლის შემდეგ მისცენ ზეპირი განმარტებები. შემდეგ მხარეები ტოვებენ სასამართლო სხდომის დარბაზს. გადაწყვეტილება სასამართლოს განაჩენის, განჩინების, დადგენილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ მიიღება მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით. მოსამართლეთა თანაბარი ხმების დროს ზედამხედველო საჩივარი ან წარდგინება ითვლება უარყოფითად.

დადგენილებების გადახედვა ზედამხედველობის წესით საარბიტრაჟო პროცესში – საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ მიღებულ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების შემოწმების ხერხი, საარბიტრაჟო სამართალწარმოების სტადია.

საარბიტრაჟო სამართალწარმოებაში ზედამხედველო წარმოება აღიძერება საქმეში მონაწილე პირის განცხადების ან პროკურორის წარდგინების საფუძველზე ადმინისტრაციულ-სარეცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საკითხს განცხადების ან წარდგინების წარმოებაში მიღების შესახებ წყვეტს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე. განცხადება ან წარდგინება მისი წარმოებაში მიღების შემდეგ განიხილება უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიალური შემადგენლობის სასამართლო სხდომაზე. კანონიერ ძალაში შესული საარბიტრაჟო სასამართლოს სასამართლო აქტები ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, თუ დადასტურდება, რომ საჯარო სასამართლო „აქტი: ა) არღვევს ერთმნიშვნელოვნობას საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ სამართლის ნორმების განმარტებასა თუ გამოყენებაში; ბ) ხელს უშლის სხვა საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას; გ) არღვევს პირთა გაურკვეველი წრის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ან სხვა საჯარო ინტერესებს.

დადგენილებების გადახედვა ზედამხედველობის წესით სამოქალაქო პროცესში – ზოგადი იურისდიქციის სასამართლოების მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების შემოწმების ხერხი, სამოქალაქო სამართალწარმოების სტადია.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილებების გასაჩივრება შესაძლებელია საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოში საქმეში მონაწილე ან სხვა პირების მიერ, თუ მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები დარღვეულია სასამართლო დადგენილებებით. საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოსთვის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გადახედვის შესახებ წარდგინებით მიმართვის უფლება გააჩნიათ პროკურატურის თანამდებობის პირებს, თუ საქმის განხილვაში მონაწილეობდა პროკურორი.

ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის შემდეგ სასამართლოს უფლება აქვს: ა) უცვლელი დატოვოს პირველი, მეორე ან საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, არ დაკმაყოფილოს საზედამხედველო საჩივარი ან პროკურორის წარდგინება ზედამხედველობის წესით საქმის გადახედვის შესახებ; ბ) გააუქმოს სრულად ან ნაწილობრივ პირველი, მეორე ან საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს დად-

გენილება და საქმე გააგზავნოს ხელახლა განსახილველად; გ) გააუქმოს სრულად ან ნაწილობრივ პირველი, მეორე ან საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს სასამართლო დადგენილება და განხილვის გარეშე დატოვოს განცხადება ან შეწყვიტოს საქმის წარმოება; დ) ძალაში დატოვოს საქმეზე მიღებული ერთ-ერთი სასამართლო დადგენილება; ე) გააუქმოს ან შეცვალოს პირველი, მეორე ან საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს სასამართლო დადგენილება და მიიღოს ახალი სასამართლო დადგენილება, თუ დაშვებულია შეცდომა მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებასა და განმარტებაში. საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს დადგენილება კანონიერ ძალაში შედის მისი გამოტანის დღიდან. ზემდგომი სასამართლოს მითითებები კანონის განმარტების შესახებ სავალდებულოა სასამართლოსთვის, რომელიც ხელახლა განიხილავს საქმეს.

დავალების ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (რწმუნებული) ვალდებულია მეორე მხარეს (მრწმუნებელის) სახელითა და ხარჯზე განახორციელოს გარკვეული იურიდიული მოქმედებები. დავალების ხელშეკრულება განეკუთვნება მომსახურების გაწევის ხელშეკრულებათა ჯგუფს. ბუნებით, ეს ხელშეკრულება არის კონსენსუალური, ორმხრივი. თუ დავალების ხელშეკრულება უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობას ხელშეკრულება ითვლება ანაზღაურებიად. დავალების ხელშეკრულებისთვის ნიშანდობლივია პიროვნულ-ნდობითი ხასიათი. მხარეებს წარმოადგენენ რწმუნებული და მრწმუნებელი. დაეალების ხელშეკრულების საგანს შეადგენს იურიდიული მოქმედებების განხორციელება-გარიგება და სხვა ქმედებების, რომლებიც იწვევენ იურიდიულ შედეგებს. დაეალებული მოქმედება განისაზღერება ხელშეკრულებაში მითითებებით, რომლებიც უნდა იყოს: ა) მართლზომიერი; ბ) განხორციელებული; გ) კონკრეტული. მიცემული მოთხოვნების შეუსრულებლობისას რწმუნებულმა შეიძლება თავი ჩათვალოს დავალებასთან კავშირის არმქონედ.

დავალების ხელშეკრულების ვადას წარმოადგენს დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც რწმუნებულმა უნდა შეასრულოს დაეალება. ეს ვადა უნდა ემთხვეოდეს მინდობილობის ვადას ან აღემატებოდეს მას. დავალების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ვადის მითითების გარეშეც. რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს დავალება მითითების შესაბამისად. გადანდობა დასაშვებია მხოლოდ მრწმუნებლის თანხმობით. რწმუნებული პასუხს აგებს მხოლოდ ახალი რწმუნებულის არჩევაზე, მაგრამ არა მის მიერ საქმეების წარმოებაზე (თუ შესაძლო მოადგილე მითითებულია თვითონ ხელშეკრულებაში, რწმუნებული საერთოდ არ აგებს პასუხს). რწმუნებული ასევე ვალდებულია შეატყობინოს მრწმუნებელს დავალების შესრულების მიმდინარეობაზე და წარმოადგინოს სრული ანგარიში. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია ნებისმიერი მხარის ინიციატივით. იხ. ასევე კომერციული წარმომადგენლობა, მინდობილობა.

დაეის გადაწყვეტის ადმინისტრაციული წესი – სამართლებრივი, როგორც წესი, ადმინისტრაციული დაეის გადაწყვეტის არასასამართლო წესი, როცა მოქალაქე ან იურიდიული პირი საჩივრით მიმართავს აღმასრულებელი ხელისუფლების ზემდგომ ორგანოს ან თანამდებობის პირს საჩივრით ან მოთხოვნით გადაწყვეტონ მათსა და საჯარო ხელისუფლების ორგანოს შორის წარმოქმნილი დაეა, რომელიც ეხება მოქალაქის ან ორგანიზაციის უფლებებს, თაეისუფლებებსა და ეალდებულებებს.

დავთარი ძველ საქართველოში შემოსაელის აღწერის წიგნებს „დავთარი“ ეწოდებოდა XIII საუკუნიდან. ვახტანგ მეფის დასტურლამალიდან ვგებულობთ, რომ მარტო შემოსაელისას კი არა, ხალხის აღწერის წიგნსაც დავთარი ერქვა. დავთარს, ასევე ყოველგვარ ანგარიშის წიგნსაც უწოდებდნენ.

დაზავება საომარ მოქმედებათა ან მხარეთა შორის რაიმე წინააღმდეგობის შერერება ან შეწყეტა. დაზავება უმეტესად გამოიყენება ომში, ფრონტზე განსაზღერული მიზნით (დაჭრილთა ეეაკუაცია, მოკლულთა დასაფლავება და ა.შ.). დაზავება საერთოა, როცა საომარი მოქმედება ყველგან წყდება. ასეთ შემთხვეეაში შეთანხმებას დებენ მხედართმთავრები მთაერობათა სახელით. საერთო დაზავება დიდმნიშვნელოეანი სტადიაა, რომელიც წინ უძღვის და ამზადებს მშვიდობიან ურთიერთობათა სრულ აღდგენას საზაეო ხელშეკრულებით. საერთო დაზავების შეთანხმება, როგორც წესი, არ წყვეტს იურიდიულად ომის მდგომარეობას მხარეთა შორის, მაგრამ მე20 ს-ის მე-2 ნახეერიდან მსოფლიო პოლიტიკის პრაქტიკა მოიცაეს ამ საკითხებსაც და ზოგჯერ მშვიდობის სრულ აღდგენას ითეალისწინებს.

დაზარალებულთან შერიგება – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძელები მცირე სიმძიმის დანაშაულის პირველად ჩადენისას და ასევე დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვეევაში.

დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში-მოქალაქე, რომელსაც დანაშაულმა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიაყენა. დაზარალებული სარგებლობს სხვადასხვა პროცესუალური უფლებით: მისცეს საქმეზე ჩვენება, წარადგინოს მტკიცებულება, მისცეს აცილება, გაეცნოს საქმის მასალებს, მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილეაში. უფლება აქეს შეიტანოს საჩივარი გამოძიების ორგანოს, პროკურორისა და სასამართლოს მოქმედებაზე. აგრეთვე სასამართლო განაჩენსა და განჩინებაზე, მოსამართლის დადგენილებაზე და სხეა. იგი დამატებით იძენს უფლებას მხარი დაუჭიროს სამოქალაქო სარჩელს სისხლის სამართლის პროცესში; კერძო ბრალდების საქმეებზე დაზარალებული ბრალმდებლადაც გამოდის. დაზარალებული თაეის უფლებებს იცაეს პირადად ან წარმომადგენლის მეშეეობით. წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენებისათეის დაზარალებული პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

დაზარალებული იურიდიული ტერმინოლოგიის მნიშვნელობით არის ფიზიკური პირი, რომელსაც მიადგა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხყოფის ჩამდენი პირის ქმედების შედეგად, ანდა რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაეადებულმა პირმა. დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შედეგად

დაზარალებულად მიიჩნევა, აგრეთვე, ფიზიკური პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი. დაზარალებულად ცნობის შესახებ მომკვლევს, გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, სასამართლოს განჩინება. ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში დაზარალებულად იცნობა მისი ახლო ნათესავი.

დაზარალებული – 1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოებაში ფიზიკური პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი. დაზარალებულს უფლება აქვს გაეცნოს საქმის ყველა მასალას, მისცეს განმარტებები, წარმოადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობები და აცილებები, ისარგებლოს წარმომადგენლის იურიდიული დახმარებით, შეიტანოს საჩივარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის დადგენილებაზე, ისარგებლოს ყველა საპროცესო უფლებით. საქმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ განიხილება დაზარალებულის მონაწილეობით. მის დაუსწრებლად ის შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა არსებობს მონაცემები დაზარალებულისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის სათანადო შეტყობინების შესახებ და თუ დაზარალებულის მხრიდან არ შეიდგა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების შესახებ ან თუ ასეთი შუამდგომლობა დარჩა დაკმაყოფილების გარეშე.

საქმის აღძვრის სტადიაზე დაზარალებულს გადაეცემა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის ასლი. ოქმის შედგენის პროცესში დაზარალებულს უფლება აქვს მასში შეიტანოს თავისი შენიშვნები და განმარტებები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვის შედეგებით დადგენილების ასლი გადაეცემა ან ეგზავნება დაზარალებულს. დაზარალებული შეიძლება დაკითხულ იქნეს მოწმის სახით; 2) სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, რომელსაც საზოგადოებისთვის საშიში ქმედებით მიადგა ზიანი. დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. დაზარალებულად ცნობის შესახებ მოკვლევის მწარმოებელ პირს, გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც გადმოსცემს პირის დაზარალებულად ცნობის გარემოებებს. ამ მოვლენიდან ფიზიკური ან იურიდიული პირი იძენს დაზარალებულის საპროცესო სტატუსს.

დაზარალებულს უფლება აქვს მოახდინოს მისი უფლებების რეალიზება (დაიკავოს აქტიური პოზიცია) ან უარი თქვას მათ რეალიზებაზე (დაიკავოს პასიური პოზიცია). სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის აქტიურ პოზიციას მოწმობს მისი ისეთი უფლებების რეალიზაცია, როგორიცაა ჩვენებების მიცემა, მტკიცებულებების წარმოდგენა, შუამდგომლობებისა და აცილების განცხადება, მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში, საგამოძიებო მოქმედებების ოქმების გაცნობა, საჭიროებისას, მათზე შენიშვნების გაკეთება, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების, ექსპერტის დასკვნის გაცნობა და ა.შ. დაზარალებულის აქტიური პოზიცია მისი უფლებების რეალიზაციასა დადებით გაელენას ახდენს დანაშაულის გახსნის პროცესზე, დამნაშავეის მხილებაზე, მიყენებული ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე. დაზარალებულს შეუძლია დაიკავოს პასიური პოზიცია სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში. ამასთან, მას უფლება არა აქვს ხელი შეუშალოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და განხილვას (თავი აარიდოს მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გამოძახებით მისელაზე, წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმოვანება). წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება მიეცეს საპროცესო ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

დაზარალებული – მუხლი №447 – დაზარალებულის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები

1. სასამართლო განხილვაში მონაწილე დაზარალებული სარგებლობს მხარის ყველა უფლებით (სსსკ მე-15 მუხლი).

2. საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე დაზარალებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო ისმენს მხარეთა აზრს და წყვეტს მის დაუსწრებლად საქმის განხილვის შესაძლებლობის საკითხს.

3. არასაპატიო მიზეზით დაზარალებულის გამოუცხადებლობისას სასამართლოს უფლება აქვს დაზარალებული მოაყვანინოს, თუ სასამართლოს ან თუნდაც ერთი მხარის აზრით, საქმის განხილვაში მისი მონაწილეობა აუცილებელია.

4. არასაპატიო მიზეზით კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებულის გამოუცხადებლობისას საქმის წარმოება წყდება გარდა იმ შემთხვევისა, როცა განსასჯელი მოითხოვს საქმის განხილვას.

მუხლი №70 – დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის მოვალეობები

1. დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით, გულახდილად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გაფრთხილება პროცესის მწარმოებელმა ორგანომ; დაიცვას ამ კოდექსით დადგენილი წესი წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში.

2. დაზარალებულის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით მოიყვანონ ამ კოდექსის 173-ე და 176-ე მუხლების შესაბამისად. დაზარალებულის გამოუცხადებლობა საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე არ აბრკოლებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.

3. დაზარალებულს ცრუ ჩვენების მიცემისათვის ეცისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად. სისხლისსამართლებრივი დევნა ამ საფუძვლით შეიძლება დაიწყოს მხოლოდ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესელის შემდეგ.

4. დაზარალებულის შემოწმება, ექსპერტიზა, დაკავშირებული გაშიშვლებასთან, აგრეთვე სირცხვილის გრძნობის გამომწვევი სხვა მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით.

დაზარალებულის ჩვენებები – მტკიცება ბრალდების მხრიდან. დაზარალებულს წარმოად-

გენს მოკლეების მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი პირი, რომელსაც დანაშაულით მიადგა ფიზიკური, ქონებრივი ან მორალური ზიანი. დაზარალებული ვალდებულია მისცეს მართებული ჩვენებები. მას გააჩნია საკუთარი ინტერესი საქმის დასრულებაში, ამიტომ მისი ჩვენებები ერთდროულად წარმოადგენს ფაქტების შესახებ ცნობების წყაროს და თავიანთი ინტერესების დაცვის ხერხს. ამდენად, დაზარალებულის ჩვენებების შეფასებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს დაზარალებულის მიერ დანაშაულის მოვლენის ფაქტიური მონაცემების აღქმის, აღბეჭდვის, აღდგენის თავისებურებები. ზოგიერთი ფაქტის აღქმა შეიძლება იყოს არაზუსტი მისი მდგომარეობის შედეგად დანაშაულის ჩადენის და შემდგომი განცდების მომენტში.

დაზარალებულის ჩვენებების შინაარსი წარმოადგენს მტკიცებულებების დამოუკიდებელ სახეს შემდეგი გარემოებების ძალით: ა) ის იკითხება მისი დაზარალებულად ცნობის შემდეგ მოკლეების მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით; ბ) მას საქმეში გააჩნია საკუთარი ინტერესები – ამა თუ იმ ცნობის მიწოდებით ის ცდილობს დანაშაულის მოვლენის აღიარებას, მისთვის ზიანის მიყენების ცნობას, დანაშაულის დადგენას და ზომების მიღებას ზიანის ასანაზღაურებლად.

დაზარალებულის ჩვენებების შეფასებისას ხდება მათი შეჯერება სხვა მტკიცებულებებთან. თუ დაზარალებულმა მისცა ჩვენება რამდენიმეჯერ, უნდა გაირკვეს, ხომ არაა მათ შორის არსებითი წინააღმდეგობა. თუ ეს სახეზეა, მაშინ ასეთი ჩვენებები არ შეიძლება ჩაიდოს ბრალდების საფუძველში. თუ დაზარალებულმა სასამართლოში შეცვალა სასამართლომდელი განხილვის დროს მიცემული ჩვენებები, საჭიროა იმის მიზეზის გარკვევა, ხომ არ უკავშირდება ჩვენებების შეცვლა დაზარალებულზე არამართლზომიერ ზემოქმედებას. დაზარალებულის ჩვენებების თავისებურება იმაშიცაა, რომ ისინი გამომძიებარეობენ პირიდან, რომელსაც უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, შესაბამისად ისინი შეიძლება შეიცავდნენ ცნობებს არა მხოლოდ უშუალოდ მის მიერ აღქმული მოვლენების, არამედ იმის შესახებაც, თუ რა გაიგო მან საქმის მასალებიდან.

დაზვერვა (სამხედრო) – სამხედრო სარდლობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ეითარების ყოველმხრივ შეფასებისა და მართებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ცნობების მოპოვება, მოწინააღმდეგის ჯარების მდგომარეობის, მათი მოქმედებისა და განზრახვის, ადგილმდებარეობის, რადიაციული, ქიმიური იარაღების და სხვა პირობების შესახებ.

გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბისა და დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დაზვერვას.

სტრატეგიული დაზვერვა განუწყვეტლად ხორციელდება როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს. მას აწყობს და წარმართავს უმაღლესი სარდლობა მომავალი მოწინააღმდეგის, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის, მისი გეგმებისა და განზრახვათა შესახებ მონაცემების, აგრეთვე ამ ცნობების მიღების მიზნით, რომლებიც აუცილებელია თავდაცვის და სტრატეგიული ოპერაციების განხორციელებისათვის. სტრატეგიული დაზვერვის ძირითადი ამოცანაა მოწინააღმდეგე ქვეყნის შეიარაღებული ძალების, მათი მომზადების, სამხედრო და ტექნიკური მდგომარეობის, ეკონომიკური და მორალური შესაძლებლობების, საომარი მოქმედების ასპარეზის მომზადებისა და მოწყობის შესწავლა.

ოპერატიული დაზვერვის ამოცანაა მოწინააღმდეგის ჩანაფიქრისა და გეგმების გამომჟღავნება, შეიარაღების მოქმედების ზოლში და მის ფლანგებზე მტრის მთავარი ძალების განლაგებისა და მოქმედების გამოვლენა.

ტაქტიკური დაზვერვის ამოცანაა მოწინააღმდეგის ჯარების შემადგენლობის, საბრძოლო სულისკვეთების, მოქმედების ხასიათისა და დაჯგუფების გამოვლენა. ამ ამოცანების გადაწყვეტაში ყველა გვარობის მზვერავი მონაწილეობს.

კოსმოსური დაზვერვის უცხოურ არმიებში ხორციელდება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების (სადაზვერვო და მეტეოროლოგიური) შემწეობით და წარმოადგენს სტრატეგიულ და ოპერატიული მასშტაბის დაზვერვის ეფექტურ ხერხს. ხდება დიდი ფართობების მიმოხილვითი ფოტოგადაღება. რადიო და რადიოტექნიკური სადაზვერვო აპარატურით აღჭურვილი თანამგზავრების დახმარებით შეიძლება სახმელეთო რადიო და რადიოლოკაციური სადგურების ადგილსამყოფელის გამოვლენა.

საჰაერო დაზვერვის დროს ყველა სახის ავიაციის ეკიპაჟები მიმართავენ თვალთვალს, საჰაერო ფოტოგადაღებასა და სხვადასხვა სახის სპეციალურ საშუალებებს.

სახმელდო დაზვერვა ხორციელდება ფლოტის წყალზედა და წყალქვეშა ძალებით – თვალთვალის, გადატაცებისა და პელენგაციის ტექნიკური საშუალებებით.

საჯარისო დაზვერვას ატარებენ ყველა გვარობის სახმელეთო ჯარები (საინჟინრო, ქიმიური და სხვა). საჯარისო დაზვერვა ახორციელებს თვალთვალს და ფართოდ იყენებს ელექტრონულ-ოპტიკურ, ბგერათსაზომ, რადიო და რადიოტექნიკურ საშუალებებს.

თანამედროვე პირობებში არის გაცილებით მეტი შესაძლებლობა თვალთვალის განხორციელების, რომელიც ღია საზოგადოებისათვის დახურულ თემას წარმოადგენს.

დაზღვევა

იურიდიული თვალსაზრისით დაზღვევა წარმოადგენს საშოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს მიმართულს ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი ინტერესების დაცვისაკენ განსაზღვრული გარემოებების (სადაზღვეო შემთხვევა) დადგომისას სადაზღვევო შესატანებით (პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებიდან, მეორეს მხრივ, დაზღვევა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა მიმართული სახსრების სპეციალური ფონდის (სადაზღვევო ფონდი) შექმნისკენ და გამოყენებისკენ (განაწილებით და გადანაწილებით), აგრეთვე არახელსაყრელი გარემოებებით გამოწვეული სხვადასხვა სახის ზარალის შედეგების დაძლეისაკენ და დანაკარგის აღდგენისაკენ სადაზღვევო თანხების გადახდის გზით. დაზღვევისათვის აუცილებელია ორი მხარის არსებობა: სპეციალური ორგანიზაციისა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ფონდის შექმნასა და გამოყენებას (მზღვეველი) და ფიზიკური და იურიდი-

ული პირებისა, რომელთაც შეაქვთ ფონდში დადგენილი გადასახადები(დამზღვევები). მხარეების ურთიერთვალდებულებები რეგლამენტირებულია დაზღვევის ხელშეკრულებით. შესაძლებელია სადაზღვევო ურთიერთობათა მონაწილეებად გამოვიდნენ მესამე პირებიც: დაზღვეული და ბენეფიციარი – პირი დანიშნული სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად.

დაზღვევაში შეიძლება სამი დარგის გამოყოფა: ქონებრივი დაზღვევა, რომლის ობიექტად გვევლინება ხხვადასხვა მატერიალური ფასეულობები; პირადი, სადაც ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენენ ფიზიკური პირების ცხოვრებაში დამდგარი მოვლენები; პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომლის საგანია მზღვეველის კანდებულების შესამე პირების წინაშე დამზღვევის მიერ მათთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში. ყოველი დარგის შიგნით გამოყოფენ ხხვადასხვა სახეობებს. მაგალითად, ევროპული თანამეგობრობის კლასიფიკაციით არსებობს ქონებრივი დაზღვევის 18 სახეობა.

ვადის მიხედვით დაზღვევა შეიძლება იყოს უვადო ან დროებითი: მოკლევადიანი (რამდენიმე თვიდან ერთ წლამდე), გრძელვადიანი (ერთიდან ხუთ წლამდე) და გარკვეულ ვადამდე.

ქვემოთ განხილულია განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში მიღებული დაზღვევის ზოგიერთი საინტერესო ფორმა:

დაზღვევა კასკო, რომელშიც დაზღვევის ობიექტად გვევლინებიან ტრანსპორტის მექანიზირებული და სხვა საშუალებები. ესენია: ავტომანქანები, მოტოციკლები, მოტოროლერები, აეროციგები, ძრავიანი, იალქნიანი და ნიჩბიანი ნავები (გასაბერის გარდა), კატერები, იახტები.

დაზღვევა ავტო-კომბო, წარმოადგენს ტრანსპორტის კომბინირებული დაზღვევის ფორმას. მოიცავს დაზღვევის რამდენიმე ობიექტს: თავად სატრანსპორტო საშუალება ტვირთი, მძღოლი და მგზავრები.

დაზღვევა კარგო (cargo – ტვირთი) ასახავს ტვირთმფლობელის ინტერესებს და მიმართულია ტვირთების დაზღვევისკენ მათი გადამზიდველი სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის გარეშე.

საკანონო ადამიანის დაზღვევა – კომპანიის მიერ თავისი მშრომელების ან თანამშრომლების ვიწრო წრის დაზღვევა, რომელთა სიკვდილმაც შეიძლება მძიმე გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხშირად წარმოადგენს ბანკის აუცილებელ პირობას მცირე კომპანიისათვის კრედიტის მისაცემად.

ეკიპირთველობის უწყვეტი დაზღვევა ითვალისწინებს დამზღვევის შრომისუუნარობის, ავადმყოფობის ან დაჭრის შემთხვევაში მისთვის სადაზღვევო თანხების გადახდას. სადაზღვევო კომპანიას არ შეუძლია ამ ხელშეკრულების შიშლა გარკვეული ხანგრძლივი ვადის განსვლამდე (უმთავრესად 60 ან 65 წელი). საჭიროა განვასხვაოთ აღნიშნული დაზღვევა უბედური შემთხვევების დაზღვევისაგან, რომლის ხელშეკრულებები ყოველწლიურად უნდა განახლდეს.

არამშრომლების დაზღვევა არის სიცოცხლის დაზღვევის ნაირსახეობა, რომლის დროსაც კლიენტი (დამზღვევი) უარს ამბობს ისეთ რისკებზე, როგორიცაა ალკოჰოლის მიღება და მოწევა და შესაბამისად იხდის უფრო დაბალ პრემიებს.

შიდსით ინფიცირების დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ორგანიზაციების ვალდებულების გადაუხადოს სადაზღვევო თანხა დაზღვეულს მისი შიდსით ინფიცირების შემთხვევაში., აზღვევენ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ ლაბორატორიული ანალიზების უარყოფითი შედეგების საბუთს სისხლში შიდსის ვირუსის არსებობაზე.

პოლიტიკური რისკების დაზღვევა წარმოადგენს ქონების დაზღვევის დარგს, რომელიც ფარავს ზარალს გამოწვეულს ინვესტიციების, კაპიტალის ექსპროპრიაციით და ა.შ. რაც გამოწვეულია სამთავრობო ორგანოების მოქმედებებით. დაზღვევა მოიცავს ნებისმიერი სახის ინვესტიციებს, მათ შორის მიწას. შენობებს, უძრავ და მოძრავ ქარხნებს, მოწყობილობას, ნავთობსადენებს, გემებს, თვითმფრინავებს, გასაყიდ საქონელს და სხვ.

უმუშევრობის დაზღვევა უზრუნველყოფს ფიზიკური პირების დაცვას სამუშაო ადგილის დაკარგვის ან სწავლის დამთავრების შემდეგ სამუშაოთი არაუზრუნველყოფილობის შემთხვევაში.

დამზღვევი

პოლისის მფლობელი, იურიდიული ან ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც გამოხატავს სადაზღვევო ინტერესს და შედის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მზღვეველთან კანონის ან ორმხრივი გარიგების (დაზღვევის ხელშეკრულების) საფუძველზე. დამზღვევს აქვს უფლება დადოს მესამე პირების დაზღვევის ხელშეკრულება დ/ან მათ სასარგებლოდ. დამზღვევს შეუძლია დანიშნოს სადაზღვევო თანხის მიმღები ფიზიკური ან იურიდიული პირი (ბენეფიციარი), აგრეთვე შეცვალოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე. დამზღვევი მოვალეა დროულად გადაიხადოს სადაზღვევო შესატანები (პრემიები). ხელშეკრულების დადებისას დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს ყველა ცნობა მისთვის ცნობილ გარემოებათა შესახებ, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეთ სადაზღვევო რისკის შეფასებისთვის, აგრეთვე მოცემული ობიექტის მიმართ დადებული ყველა სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები დაზღვეული ქონების ზიანის თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად.

დაზღვევა – ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი ინტერესების დაცვის ურთიერთობები გარკვეული მოვლენების (სადაზღვევო შემთხვევების) დადგომისას, მათ მიერ სადაზღვევო შენატანებიდან (სადაზღვევო პრემიებიდან) ჩამოყალიბებული ფულადი ფონდების ხარჯზე. დაზღვევა შეიძლება მოხდეს ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმით. ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება დამზღვევსა და მზღვეველს შორის შეთანხმების საფუძველზე. ნებაყოფლობითი დაზღვევის წესები დგინდება მზღვეველის მიერ დამოუკიდებლად. სავალდებულო დაზღვევა – ესაა დაზღვევა, რომელიც კანონის ძალით ხორციელდება. დაზღვევის ობიექტები შეიძლება იყოს კანონისადმი არასაპირისპირო ქონებრივი ინტერესები. იხ. ასევე დაზღვევის ხელშეკრულება, სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულება.

დაზღვევა გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში – იხ. ეკოლოგიური დაზღვევა.

დაზღვევის პოლისი (ფრანგ. police) – დაზღვევის მოწმობა, დოკუმენტი, რომელსაც მედაზღვეე (სადაზღვეო ორგანიზაცია) აძლევს დამზღვევს მათ შორის დადებული ხელშეკრულების დასადასტურებლად. დაზღვევის პოლისში ასახულია დაზღვევის ძირითადი პირობები (დაზღვევის ობიექტი, სადაზღვეო თანხა, სადაზღვეო შენატანების ოდენობა, ვადები და სხვა). დაზღვევის პოლისი, როგორც წესი, სახელობითია; ზოგ შემთხვევაში კი (მაგ., საზღვაო გადაზიდვის დროს) დაზღვევის პოლისი შეიძლება გაიცეს წარმდგენის უფლებით (წარმდგენის პოლისი, წარმდგენის კონოსამენტი). მგზავრთა სავალდებულო დაზღვევისას დაზღვევის პოლისი არ გაიცემა, რადგან მგზაური დაზღვეულად ითვლება ბილეთის შეძენისთანავე. დაზღვეულის მიერ ქონების გასხვისებისას დაზღვევა და მასთან ერთად პოლისიც კარგავს ძალას.

დაზღვევის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (მზღვეველი) ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საფასურად (სადაზღვევო პრემია) ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მოვლენის (სადაზღვეო შემთხვევის) დადგომისას მეორე მხარეს (დამზღვევს) ან სარგებლის შემძენს გადაუხადოს სადაზღვეო თანხა. ბუნებით დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს ანაზღაურებას (დამზღვევი იხდის სადაზღვეო პრემიას, ხოლო მზღვეველი პასუხისმგებელია სადაზღვეო შემთხვევის დადგომის რისკზე), ორმხრივს, ალეატორულს (სარისკოს). ზოგადად, დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს რეალურს, რამდენადაც ძალაში შედის სადაზღვეო პრემიის ან პირველი შენატანის გადახდის მომენტში. მხარეებს უფლება აქვთ დაზღვევის ხელშეკრულება ჩამოაყალიბონ, როგორც კონსენსუალური. მხარეებს წარმოადგენენ დამზღვევი და მზღვეველი. დაზღვევის ხელშეკრულების ფორმა წერილობითია. შესაძლებელია, როგორც ერთიანი წერილობითი ხელშეკრულების შედგენა, ასევე მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის მისი წერილობით ან ზეპირი განცხადების საფუძველზე სადაზღვეო პოლისის (მოწმობის, სერტიფიკატის, კვიტანციის) გადაცემა, რომელიც ხელმოწერილია მზღვეველის მიერ. დამზღვევის მიერ ამგვარი დოკუმენტის მიღება ნიშნავს მის თანხმობას დადოს ხელშეკრულება მზღვეველის მიერ შემოთავაზებული პირობებით. დაზღვევის ხელშეკრულების ძირითადი პირობებია: ა) სადაზღვეო ინტერესი; ბ) სადაზღვეო რისკი; გ) სადაზღვევო თანხის ოდენობა; დ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა. პირადი დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: ა) ცნობები დაზღვეული პირის შესახებ; ბ) სადაზღვევო რისკი; გ) სადაზღვეო თანხის ოდენობა; დ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

მზღვეველი ვალდებულია: 1) გასცეს სადაზღვეო თანხა სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას დადგენილ ვადაში. ამასთან, ხდება სადაზღვეო აქტის შედგენა (საავარიო სერტიფიკატი.) მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას გადახდაზე, თუ: ა) სადაზღვეო შემთხვევა დადგა დამზღვევის, სარგებლის შემძენის ან დაზღვეული პირის განზრახვის შედეგად იმ შემთხვევების გარდა, როცა ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვეო შემთხვევა დადგა დამზღვევის ან სარგებლის შემძენი პირის უხეში გაუფრთხილებლობით ან როცა დაზღვეული პირის სიკვდილი დადგა თვითმკვლელობის შედეგად, მაგრამ ამ დროისთვის დაზღვევის ხელშეკრულება მოქმედებდა არანაკლებ ორი წლისა; ბ) სადაზღვეო შემთხვევა დადგა ბირთვული აფეთქების, რადიაციის ან რადიოაქტიური დასნეულების; საომარი მოქმედებების, სხვა სახის სამხედრო ღონისძიებების; სამოქალაქო ომის, სახალხო აჯანყების ან გაფიცვების შედეგად; გ) ზარალი წარმოიქმნა დაზღვეული ქონების სახელმწიფო ორგანოების განკარგვით კონფისკაციის, რეკვიზიციის, დაყადაღების ან განადგურების შედეგად. გადაწყვეტილება გადახდაზე უარის შესახებ ფორმდება წერილობით, ეცნობება დამზღვევს და შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში; 2) არ გააუხმაუროს ცნობები დამზღვევის, დაზღვეული პირის ან სარგებლის შემძენის, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ამ პირების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

დამზღვევი ვალდებულია: ა) გადაიხადოს სადაზღვევო შენატანები; ბ) აცნობოს მზღვეველს ყველა ის გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობისა და მისი დადგომისგან შესაძლო ზარალის ოდენობის განსაზღვრისთვის, თუ ეს გარემოებები უცნობია და არ უნდა სცოდნოდა მზღვეველს; გ) დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს მნიშვნელოვანი ცვლილებები იმ გარემოებებში, რომელიც მზღვეველისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების დადებისას, თუ ამ ცვლილებებს შეუძლიათ არსებითად მოახდინოს გავლენა სადაზღვევო რისკის ზრდაზე. მზღვეველს, რომელსაც ეცნობება სადაზღვევო რისკის გამომწვევი გარემოებების შესახებ, უფლება აქვს მოითხოვოს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა რისკის ზრდის პროპორციულად. თუ დამზღვევი წინააღმდეგია, მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების გაწყვეტა; დ) აცნობოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. მოცემული ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ ქონებრივ დაზღვევაში და პირად დაზღვევაში სიკვდილის შემთხვევაზე ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებაზე.

დაზღვევის ხელშეკრულება წყდება ვადაზე ადრე, თუ: ა) დამზღვევი არ იხდის სადაზღვევო პრემიას დადგენილ ვადებში; ბ) აღარაა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობა და სადაზღვევო რისკის არსებობა შეწყდა სადაზღვევო შემთხვევასთან კავშირის არმქონე გარემოებებით (სამეწარმეო საქმიანობის შეწყვეტა პირის მიერ, რომელმაც დაზღვია სამეწარმეო რისკი ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის რისკი, რაც დაკავშირებული იყო ამ საქმიანობასთან და ა.შ.); გ) მზღვეველის ლიკვიდაციისას; დ) დამზღვევის – იურიდიული პირის – ლიკვიდაციისას ან დამზღვევის

– ფიზიკური პირის – სიკვდილის დროს, კანონში აღნიშნული შემთხვევების გარდა; ე) დამზღვევი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე. ამასთან, მზღვეველისთვის გადახდილი თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა ხელშეკრულებით; ვ) მზღვეველი წამოაყენებს მოთხოვნას ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ მისი შეცილისგან ან სადაზღვეო შენატანზე დამატებისგან დამზღვევის (სარგებლის მიმღების) მიერ უარის განცხადების საფუძველზე.

დაზღვეული პირი – ფიზიკური პირი, რომლის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა დაზღვეულია პირადი დაზღვევის ან პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით. დაზღვეულ პირს ყოველთვის გააჩნია სადაზღვეო ინტერესი. დაზღვეული პირი ასევე შეიძლება იყოს დამზღვევი ანუ სარგებლის მიმღენი. ამ შემთხვევაში, დაზღვეულ პირს აქვს დამზღვევის (სარგებლის მიმღების) უფლებები და ვალდებულებები.

პირადი დაზღვევის ხელშეკრულება დადებულად ითვლება დაზღვეული პირის სასარგებლოდ, თუ ხელშეკრულებაში სარგებლის მიმღების სახით დასახელებული არაა სხვა პირი. ხელშეკრულებით დაზღვეული პირის სიკვდილის შემთხვევაში, სადაც დასახელებული არაა სხვა სარგებლის მიმღენი, ასეთად ცნობილი ხდება დაზღვეული პირის მემკვიდრეები. პირადი დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ დაზღვეული პირის წერილობითი თანხმობით. პირადი დაზღვევის ხელშეკრულებაში დასახელებული დაზღვეული პირი შეიძლება შეცვლილ იქნეს დამზღვევის მიერ სხვა პირით მხოლოდ თავად დაზღვეული პირისა და მზღვეველის თანხმობით. თუ პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეულია არა დამზღვევის პასუხისმგებლობა, ამ უკანასკნელს უფლება აქვს სადაზღვეო შემთხვევის დადგომამდე ნებისმიერ დროს შეცვალოს ეს პირი სხვა პირით, ამის შესახებ აცნობებს რა მზღვეველს, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული ხელშეკრულებით. იხ. ასევე დაზღვევა, პირადი დაზღვევის ხელშეკრულება, ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულება, ქონებრივი ხელშეკრულების დაზღვევა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ხელშეკრულების დაზღვევა, დამზღვევი, მზღვეველი, სადაზღვეო რისკი, სადაზღვეო შემთხვევა.

დათვალიერება – საგამოძიებო მოქმედება, რომლის დროსაც მხედველობითი სახით და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხდება შემთხვევის ადგილის, შენობების, საცხოვრებელი ბინის კელევა დანაშაულის კვალის აღმოჩენის, აღწერისა და ამოღების მიზნით, რომელსაც გააჩნია დიდი მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმისთვის. დანაშაულის კვალი (დათვალიერებასთან მიმართებაში) – დანაშაულის შედეგები, რომლებიც გამოხატულია ადგილის, საცხოვრებელი ბინის, საგნების, დოკუმენტების გარე მახასიათებლებისა და მათი განლაგების ცვლილებაში. სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებებია დანაშაულის ჩადენის გარე პირობები და ვითარება, რომელიც ჩამოყალიბდა დანაშაულის ჩადენის დროს და მისი დასრულების შემდეგ.

დათვალიერება ოურისპრუდენციაში დათვალიერება არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევების ვითარებისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევის მიზნით. მომკლველს, გამომძიებელს, პროკურორს უფლება აქვს დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, გვამი, ადგილმდებარეობა, სხეგომი, საგანი, დოკუმენტი ან სხვა ობიექტი. დათვალიერება ტარდება ორი დამსწრის მონაწილეობით. დათვალიერებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ სპეციალისტი, ექსპერტი, ექვემიტანილი, ბრალდებული, დამცველი და პროცესის სხვა მონაწილეები. დათვალიერების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ დათვალიერების მონაწილენი.

დაკავება – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №4 – სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულება

თავი №19 – დაკავება

მუხლი №145 – დაკავების წესი (ამონარიდი)

1. თუ პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი დაადგენს, რომ არსებობს ამ კოდექსში აღნიშნული დაკავების საფუძვლები, იგი ვალდებულია გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს ეჭვმტანილს, განუმარტოს, სახელდობრ, რა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და ასევე აცნობოს, რომ მას აქვს დამცველის ყოლის, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში. დაუშვებელ მტკიცებულებებს წარმოადგენს ის განცხადებები, რომლებიც გაკეთებული იქნა დაკავებული პირის მიერ ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე.

2. პოლიციის თანამშრომელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი ვალდებულია, დაკავებული დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.

3. თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავდაც მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მასი მამხილებელი მტკიცებულებები, დაკავებულ თანამდებობის პირს ამ კოდექსით დადგენილი წესით უფლება აქვს ჩაატაროს ჩხრეკა, რაზედაც კეთდება აღნიშვნა დაკავების ოქმში. ამ შემთხვევაში, ოქმი პირადი ჩხრეკის თაობაზე არ დგება.

დაკავებისთვის აუცილებელი ზომების გადამეტება – დასაკავებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სახისა და საზოგადოებრივი ხარისხის აშკარა შეუსაბამობა დაკავების გარემოებებთან, როცა პირს საჭიროების გარეშე მიეყენება ზედმეტი, გარემოებით არაგამოწვეული ზიანი.

დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაციის საპროცესო მოვალეობა – მუხლი 137 – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

1. დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია: უზრუნველყოს, რომ დაპატიმრებულს საჭირო დასკვნის, განაჩენის, განჩინების, დადგენილების ასლი გადაეცეს მისი

მიღებისთანავე; დაკავებულისა და დაპატიმრებულის საჩივარი და შუამდგომლობა გასინჯვის გარეშე გაუგზავნოს გამომძიებელს. პროკურორსა და სასამართლოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სახალხო დამცველს, ადმინისტრაციისთვის მათი ჩაბარებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა; დროულად მიიყვანოს დაკავებული და დაპატიმრებული გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს გამოძახებით; არ დაუშვას მათი ურთიერთობა თანამდებობის პირსა და ორგანოსთან, რომელსაც საქმე თავის წარმოებაში არ მიუღია; ადვოკატურის მიერ გაცემული ორდერისა და პირადობის მოწმობის წარმოდგენის შემდეგ უზრუნველყოს დაკავებულისა და დაპატიმრებულის პირისპირ შეხვედრა დამცველთან შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად, გარდა 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; უზრუნველყოს დაკავებულისა და დაპატიმრებულის პირისპირ შეხვედრა ექიმთან ან ექსპერტთან; შეადგინოს აქტი იმის შესახებ, რომ განსასჯელი უარს ამბობს სასამართლოში გამოცხადებაზე და დაუყოვნებლივ გაუგზავნოს იგი შესაბამის სასამართლოს; დაუყოვნებლივ შეასრულოს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის დადგენილება, სასამართლოს დადგენილება ან განჩინება დაკავებულისა თუ დაპატიმრებულის განთავისუფლების შესახებ; გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებული ან დაპატიმრებული პირი გადაიყვანოს საგამომძიებო იზოლატორში, რომელიც სხვა ტერიტორიაზე მდებარეობს; ეჭვმიტანილი დაკავების ვადის გასვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს; პატიმრობის ვადის გასვლამდე 7 დღეღამით ადრე შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, ხოლო თუ პატიმრობის მითითებული ვადა არ გაგრძელებულა, გაათავისუფლოს ბრალდებული საგამომძიებო იზოლატორიდან.

2. დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაციის მიერ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას მოსდევს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

დაკვირვების ზონა – (მოსახლეობის რადიაციულ უსაფრთხოების მიზნებთან მიმართებაში) – ტერიტორია სანიტარული დაცვის ზონის ფარგლებს გარეთ, რომელზეც ხორციელდება რადიაციული კონტროლი.

დაკითხვა – საგამომძიებო მოქმედება, რომელიც ხორციელდება წინასწარი გამოძიების წარმოების ადგილას. გამომძიებელს უფლება აქვს, აწარმოოს დაკითხვა დასაკითხი პირის ადგილსამყოფელის ტერიტორიაზე, თუ ამას ჩათვლის საჭიროდ. დაკითხვა არ შეიძლება უწყვეტად გაგრძელდეს ოთხ საათზე მეტ ხანს. დაკითხვის გაგრძელება დასაშვებია არანაკლებ ერთი საათის შესვენების შემდეგ დასვენებისა და საკვების მისაღებად. ამასთან, დაკითხვის საერთო ხანგრძლივობა ერთი დღის მანძილზე არ უნდა აღემატებოდეს 8 სთ. სამედიცინო ჩვენებების არსებობისას დაკითხვის ხანგრძლივობა დგინდება ექიმის დასკვნის საფუძველზე.

დასაკითხად მოწმის, დაზარალებულის გამოძახება ხდება უწყებით, სადაც მითითებულია თუ ვინ და რა სახით ხდება გამოძახებული, რა მისამართზე და ვისთან, გამოცხადების თარიღი და დრო, ასევე საპატიო მიზეზების გარეშე გამოუცხადებლობის შედეგები. უწყება გადაეცემა დასაკითხად გამოძახებულ პირს ხელმოწერით ან გადაეცემა კაშირის საშუალების მეშვეობით. დასაკითხად გამოძახებულ პირის დროებით არყოფნის შემთხვევაში უწყება გადაეცემა მისი ოჯახის სრულუფლებიან წევრს ან მისი საშუალო ადგილის ადმინისტრაციას ან გამომძიებლის დავალებით სხვა პირებსა და ორგანიზაციებს. დასაკითხად გამოძახებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს დანიშნულ დროს ან წინასწარ აცნობოს გამომძიებელს გამოუცხადებლობის მიზეზები. საპატიო მიზეზების გარეშე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაკითხად გამოძახებული პირი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი ან მის მიმართ გამოყენებული იქნეს საპროცესო იძულების სხვა ზომები. არასრულწლოვანი პირი დასაკითხად გამოძახებული ხდება მისი კანონიერი წარმომადგენლების ან სამუშაო ადგილის თუ სასწაულებლის ადმინისტრაციის მეშვეობით. დაკითხვაზე გამოძახების სხვაგვარი წესი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს გამოწვეულია სისხლის სამართლის საქმის გარემოებებით.

სამხედრო მოსამსახურეს დასაკითხად იძახებენ სამხედრო ნაწილის ბრძანებით.

საგამომძიებო მოქმედებებში მონაწილეობისთვის მოხმობილ სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეებთან მიმართებაში გამომძიებელი რწმუნდება მათ პიროვნებაში, განუმარტავს მათ უფლებებს, პასუხისმგებლობას და ასევე შესაბამისი საგამომძიებო მოქმედების წარმოების წესს.

თუ გამომძიებელს ეჭვი შეაქვს იმაში, რომ დასაკითხი პირი ფლობს იმ ენას, რომელზეც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება, ის არაუგვეს, თუ რომელ ენაზე სურს დასაკითხ პირს ჩვენებების მიცემა. დაუშვებელია მისაზვედრი კითხვების დასმა. დანარჩენ შემთხვევაში გამომძიებელი თავისუფალია დაკითხვის ტაქტიკის არჩევისას. დასაკითხი პირი უფლების მქონეა ისარგებლოს დოკუმენტებითა და ჩანაწერებით.

გამომძიებლის ინიციატივით ან დასაკითხი პირის შუამდგომლობით დაკითხვის პროცესში შეიძლება ჩატარდეს ფოტოგრაფირება, აუდიო- და/ან ვიდეოჩაწერა, კინოგადაღება, რომელთა მასალებიც ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად და წინასწარი გამოძიების დასრულებისთანავე კი ილუქება.

თუ მოწმე დაკითხვაზე გამოცხადდა ადვოკატთან ერთად, ადვოკატი ესწრება დაკითხვას. დაკითხვის დასრულების შემდეგ ადვოკატს უფლება აქვს განაცხადოს მოწმის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შესახებ. აღნიშნული განცხადებები ექვემდებარება დაკითხვის ოქმში შეტანას.

14 წლამდე დაზარალებულის ან მოწმის სახით დაკითხვა გამომძიებლის მიხედულობით და 14-დან 18 წლამდე ასაკის დაზარალებულისა და მოწმის დაკითხვა ხდება პედაგოგის მონაწილეობით. არასრულწლოვანი დაზარალებულისა და მოწმის დაკითხვას შეიძლება დაესწროს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის კანონმდებლობის გამაცდილება).

16 წლამდე ასაკის დაზარალებულებსა და მოწმეებს არ აფრთხილებენ ჩვენებების მიცემაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენებების მიცემაზე პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნულ დაზარალებულსა და მოწმეს მათი საკრო-

ცესო უფლებების განმარტებისას მიეთითება სიმართლის თქმის აუცილებლობა.

დაკითხვა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედება, რაც ნიშნავს პირის გამოკითხვას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ. მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაკითხვა ხდება კანონით დადგენილი წესების დაცვით. დაკითხვა ოთხ საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს და უნდა გაფორმდეს ოქმი. დაუშვებელია ფულადი ან უკანონო ზემოქმედების გამოყენება და ამ მეთოდების გამომყენებელი ისჯება კანონით. დანაშაულია, აგრეთვე, მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა. ამასთანავე, პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც უარი განაცხადა თავის ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემაზე.

დაკითხვა – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №7 – საგამოძიებო მოქმედება

კარი №37 – დაკითხვა

მუხლი №295 – გამოძახება დაკითხვაზე

1. მოწმეს, დაზარალებულს, აგრეთვე თავისუფლებაში მყოფ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს გამომძიებელთან ან პროკურორთან იძახებენ უწყებით. უწყება იგზავნება ფოსტით ან შიკრიკის ხელით. გამოძახება შეიძლება აგრეთვე ტელეფონოგრამით, დეპეშით, რადიოგრამით, ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით".

2. გამოძახების შესახებ უწყებასა თუ სხვა შეტყობინებაში აღინშნული უნდა იყოს, ვინ და რისთვის, ვისთან და რა მისამართზე არის პირი გამოძახებული, გამოცხადების დღე და საათი, აგრეთვე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები.

3. უწყების (შეტყობინების) ხელზე მიღება გამოძახებულმა ხელის მოწერით უნდა დაადასტუროს. თუ გამოძახებული ადგილზე არ იმყოფება, უწყება (შეტყობინება) მისთვის გადასაცემად ხელმოწერით უნდა ჩაბარდეს მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელს.

4. პირებს, რომლებიც საგამოძიებო ან დროებით ყოფნის იზოლატორში, მიმღებგამანაწილებელში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ან აღმზრდელობით კოლონიაში იმყოფებიან, იძახებენ ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციის შეწერებით.

მუხლი №173 – გამოცხადების სავალდებულოობა

1. პირები, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით იძახებენ გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ვალდებული არიან, გამოცხადნენ ზუსტად დანიშნულ დროს. გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროცესის მონაწილენი შეიძლება იძულებით მიიყვანონ.

2. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის იძულებით მოყვანა დაიშვება მხოლოდ პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოტივირებული დადგენილებით (განჩინებით).

მუხლი №174 – მოსაყვანი პირი

1. მოყვანა ხორციელდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საგამოძიებო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დაზარალებულის, მოწმის მონაწილეობა, თუ ეს პირები უარს ამბობენ ნებაყოფლობით გამოცხადებაზე და, ამასთან, დადგენილია გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზები.

2. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მოყვანა წინასწარი გამოძახების გარეშე შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული პირები ემალებიან წინასწარ გამოძახებასა და სასამართლოს, ან არა აქვთ გარკვეული საცხოვრებელი ადგილი.

3. განსასჯელის მოყვანა სასამართლოში მისი გამოუცხადებლობის მიზეზის წინასწარი გარკვევის გარეშე დაშვებულია განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა საქმის მოსმენა უნდა გადაიდოს განსასჯელის დაუსწრებლობისა და, ამასთანავე, იმის გამო, რომ არ არსებობს ცნობები მისი ადგილსამყოფლის შესახებ.

4. როგორც წესი არ შეიძლება 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა, ფეხმძიმე ქალთა და მძიმე ავადმყოფთა მოყვანა.

5. საქმის სასამართლოში განხილვისას არ შეიძლება დაზარალებულის მოყვანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე და 141-ე მუხლებით (სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან. გარყვნილი ქმედება) გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსამართლეს მიაჩნია, რომ მისი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმის გადაწყვეტა.

მუხლი №175 – მოსამართლის ბრძანება და სასამართლო განჩინება (დადგენილება) მოყვანის შესახებ

1. გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლე გასცემს ბრძანებას წინასწარი გამოძიების ადგილას გარკვეული პირის იძულებით მოყვანის შესახებ, ხოლო სასამართლომ, რომელიც საქმეს განიხილავს, გამოაქვს დასაბუთებული განჩინება (დადგენილება) აღნიშნული პირის მოყვანის თაობაზე.

2. მოყვანის შესახებ ბრძანებაში ან განჩინებაში (დადგენილებაში) აღნიშნული უნდა იყოს: მოსაყვანი პირის სახელი, გვარი, საპროცესო მდგომარეობა, საცხოვრებელი ან სამსახურის ადგილი; მისი მოყვანის გამოყენების საფუძვლები; როდის, სად უნდა მიიყვანონ პირი, რომელსაც მოყვანა შეეფარდა; ვის ევალება მოყვანის განხორციელება.

3. ნაწილი ამოღებულია.

4. სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. I[1] პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება აგრეთვე ტელეფონი, როგორც ჩვეულებრივი, „ქალაქის", ასევე მობილური, ამგვარი ფორმით გამოძახება, გამოძიების მტკიცებით, შეესაბამება კანონის მოთხოვნებს – სსსკ, მუხლი 295-ე, ნაწილი I – „... ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით". ბუნებრივია, რომ გამოძახება განხორციელებული ტელეფონით არ არის წერილობითი და შესაბამისად ვერ დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს., გარდა ამისა, პრაქტიკაში ადგილი აქვს ტელეფონით გამოძახებას უშუალოდ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების შესრულების დღეს ან ერთი-ორი საათით ადრე. დროის ამ მცირე მონაკვეთში გამოძახებული

პირი, ობიექტური მიზეზების გამო შესაძლოა ვერ გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოში, რაც გამოიწვევს მის მიმართ კანონით გათვალისწინებული სანქციების ან/და ზომების გამოყენებას.

მუხლი №176 – მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანებისა და განჩინების (დადგენილების) აღსრულება

1. მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანება ან განჩინება (დადგენილება) აღსასრულებლად გადაეცემა პოლიციის ორგანოს.

2. როცა მოსაყვან პირს აღმოაჩენენ, პოლიციის მუშაკი მას ხელწერილით აცნობს სასამართლო ბრძანებას ან განჩინებას (დადგენილებას) მოყვანის შესახებ და მიპყავს იმ ორგანოში, რომელიც ალნიშნულია ბრძანებაში ან განჩინებაში (დადგენილებაში). ამასთან, ბრძანებაზე ან განჩინებაზე (დადგენილებაზე) უნდა გაკეთდეს ჩანაწერი პირის აღმოჩენის დროისა და ადგილის, მოყვანის დროის, აგრეთვე მოყვანასთან დაკავშირებით მისი განცხადებების, საჩივრებისა და შეპმდგომლობების შესახებ.

3. თუ პოლიციის მუშაკი დაადგენს, რომ მოყვანა შეუძლებელია სათანადო პირის გაქცევის, შვებულების, მიელინების, მძიმე ავადმყოფობისა და სხვა მიზეზების გამო, ამის თაობაზე ის აკეთებს ჩანაწერს მოყვანის შესახებ სასამართლო ბრძანებაზე ან განჩინებაზე (დადგენილებაზე) და აღსრულების გარშე უბრუნებს განჩინების (დადგენილების) გამომტან მოსამართლეს ან სასამართლოს თავისი ახსნა-განმარტებითურთ.

4. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, მოსამართლის, აგრეთვე დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების მოყვანა დაუშვებელია.

დამაბრკოლებელი ნივთიერება – იხ. მაღე ნივთიერება.

დამატებითი ექსპერტიზა – სპეციალური კვლევა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის დარგში, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო სასამართლო ექსპერტებისა და იმ პირების ექსპერტების მიერ, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა.

დამატებითი ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს: ა) ექსპერტის დასკვნის არასაკმარისი სიცხადის ან სისრულის; ბ) სისხლის სამართლის ადრე გამოკვლეული გარემოებების მიმართ ახალი საკითხების წარმოშობის დროს.

დამატებითი სასამართლო ექსპერტიზის წარმოება ევალება იმავე ან სხვა ექსპერტს.

სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობისას გამომძიებელის ამაზე გამოაქვს დადგენილება ან სასამართლოს წინაშე ის აყენებს შუამდგომლობას, რომელშიც მითითებულია: ა) სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის საფუძვლები; ბ) ექსპერტის სახელი, გვარი და მამის სახელი ან საექსპერტო დაწესებულების დასახელება, რომელშიც უნდა მოხდეს სასამართლო ექსპერტიზა; გ) ექსპერტის წინაშე დაყენებული საკითხები; დ) ექსპერტის განკარგულებაში არსებული მასალები. გამომძიებელი დამატებითი სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ამცნობს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, მის დამცველს და განუმარტავს მას მის უფლებებს, რაზეც ხდება ოქმის შედგენა, რომელსაც ხელს აწერს გამომძიებელი და დადგენილებასთან გაცნობილი პირები.

დამატებითი გამოძიება დამატებითი გამოძიებისათის საქმე ბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი გამოძიება ჩატარდა არასრულფასოვნად, ძიებისას ან მოკვლევისას დაირღვა კანონი, არასწორადაა გამოყოფილი ან გაერთიანებული საქმე, ახლად აღმოჩენილი იქნა გარემოებები და ფაქტები და ა. შ. საქმის დაბრუნება ხდება პროკურორის წერილობითი მითითებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით), სადაც მითითებული უნდა იყოს დაბრუნების საფუძველი ანუ გამოსარკვევი გარემოებანი და გამოძიების მოქმედებანი და ა. შ.

დამატებითი სასჯელი – სასჯელი, რომელიც არ შეიძლება დამოუკიდებლად იქნეს გამოტანილი, არამედ ის ერთვის მხოლოდ ძირითად სასამართლოს მიხედულობის მიხედვით, დამატებითი სასჯელის სახით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სპეციალური სამხედრო ან საპატიო წოდების, სახელმწიფო ჯილდოებისა და საკლასო ჩინის ჩამორთმევა, ასევე ქონების კონფისკაცია.

დამზღვევი – იურიდიული პირი (ან ქმედუნარიანი მოქალაქე), რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება. დამზღვევის მხარეს შეიძლება მონაწილეობდეს სარგებლის შემძენი.

დამნაშავეთა გადაცემა (ექსტრადიცია) – სახელმწიფოს მიერ მის ტერიტორიაზე მყოფი დამნაშავის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად ან კანონიერ, ძალაში შესული განაჩენის აღსასრულებლად. აუცილებლად უნდა ჩატარდეს დამნაშავეთა დაკავება სხვა სახელმწიფოში, თუ ის იქ იმყოფება და მოხდეს დამნაშავეთა გადაცემა. დამნაშავის გადაცემის იურიდიულ ვალდებულებას წარმოშობს სახელმწიფოთა შორის სპეციალური შეთანხმების არსებობა. ამასთანავე, არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემთხვნელი პირი, რომელიც პოლიტიკური მრწამსისათვის იდევნება, ან ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ მის ქეყანაში სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული. საერთაშორისო სამართალში სახელწიფოს მიერ მის ტერიტორიაზე მყოფი დამნაშავის გადაცემა უცხო სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობაში მისაცემად ან განაჩენის აღსასრულებლად, სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს გადასცენ დამნაშავე, თუ დანაშაული მოხდა მის ტერიტორიაზე, თუ დამნაშავე მისი მოქალაქეა ანდა დანაშაულის შედეგად დაზიანდა ეს სახელმწიფო. მოთხოვნათა კოლიზიისას უპირატესობა ეძლევა იმ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა დანაშაული, ან როგორც შეთანხმდებიან. დამნაშავეთა გადაცემა იურიდიულ მოვალეობად იქცევა, მაშინ როცა დანაშაულობასთან ბრძოლის თანამშრომლობაზე დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის არსებობს სპეციალური შეთანხმება, რომელშიც გათვალისწინებულია დამნაშავეთა გადაცემის პირობები. ხელშეკრულებები დამნაშავეთა გადაცემაზე არსებობდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, მაგრამ ფართო ხასიათი მიიღო XIX საუკუნეში.

დამოკიდებული საზოგადოება – სამეურნეო საზოგადოება, რომელშიც უპირატეს (მონაწილე) საზოგადოებას გააჩნია საკმაო საზოგადოების ხმის მქონე აქციათა 20 პროცენტზე მეტი ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 20%. დამოკიდებული საზოგადოება არ წარმოადგენს იურიდიული პირების დამოუკიდებელ საორგანიზაციო-სამართლებრივ ფორმას. მისი გამოყოფა მიზნად ისახავს საზოგადოებათა კრედიტორებისა და მონაწილეების ინტერესთა დაცვას, რომლებიც აღმოჩნდნენ სხვა სამეწარმეო ორგანიზაციების გაელენის ქვეშ.

დამოკიდებული საზოგადოება, რომელმაც შეიძინა საკმაო საზოგადოების ხმის მქონე აქციათა 20%-ზე მეტი ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 20%, ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს ცნობები ამის შესახებ სათანადო წესით. კანონის მიერ განისაზღვრება სამეურნეო საზოგადოებათა ურთიერთმონაწილეობის საზღვრები ერთმანეთის საწესდებო კაპიტალში და იმ ხმათა რაოდენობა, რომლითაც სარგებლობა შეუძლია ერთ-ერთ ასეთ საზოგადოებას სხვა საზოგადოების მონაწილეთა ან აქციონერთა საერთო კრებაზე.

დამოუკიდებლობის დეკლარაცია 1776 წლის 4 იელისს მიიღო ინგლისის კოლონიების წარმომადგენელთა II კონტინენტურმა კონგრესმა იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა დამოუკიდებლობისათვის ომი ჩრდილოეთ ამერიკაში (1775-83). დამოუკიდებლობის დეკლარაციას საფუძვლად დაედო რესპუბლიკელთა და დემოკრატთა სულისკვეთებით დაწერილი თომას ჯეფერსონის პროექტი. მასში აცხადებდა მეტროპოლიისაგან კოლონიების გამოყოფას და დამოუკიდებელ სახელმწიფოს–ამერიკის შეერთებული შტატების შექმნას. გაბატონებულ თეორიას ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ დეკლარაციამ დაუპირისპირა ხალხის სუვერენიტეტის იდეა, მისი უფლება რევოლუციაზე, კანონის წინაშე ყველას თანასწორობას და აღიარებდა მათ ხელშეუვალ უფლებებს ცხოვრებაზე, თავისუფლებაზე და ბედნიერებისაკენ სწრაფვაზე, რადგან ადამიანის შექმნაში მონაწილეობდა ღმერთი (სული წმიდა). დამოუკიდებლობის დეკლარაციის მნიშვნელობა დიდი იყო იმ კუთხით, რომ იგი გაისმა როგორც ანტიოლუტიზმისა და ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ მიმართული სპრძოლო მოწოდება და რეეორმისტულ განცხადებად ხალხთა ცნობიერების ახალ ეპოქაში.

დამსწრე სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, რომელიც სათანადო ორგანოების მიერ არის ჩატარებული, და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფაქტის, მისი მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად მონაწილეობს. უნდა იყოს არანაკლებ ორი სრულწლოვანი ადამიანი და ამ საქმით არ უნდა იყვნენ დაინტერესებული. დამსწრე ვალდებულია გამოცხადდეს სათანადო ორგანიზაციაში და თავის მოქმედება ოქმში ხელის მოწერით უნდა დაადასტუროს. იგი ასევე ვალდებულია, აუცილებლობის შემთხვევაში გამოიჩინოს კონფიდენციალობა საგამოძიებო მასალების მიმართ. დამსწრეს უფლება აქვს გაეცნოს განცხადება საქმესთან ვითარებაში და ოქმში შენიშვნა, ასევე გაეცნოს საგამოძიებო მოქმედების ოქმს, შეიტანოს სასამართლოში საჩივარი მომჩივნის, გამომძიებლის და პროკურორის მოქმედების გამო, თუ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელნი კავშირში იქნებიან ამ ოქმთან.

დამსწრე – 1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოებაში, საქმის დასრულებით დაინტერესებული ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოებაში მიწვეულია საქმის წარმოებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ. დამსწრის ყოფნა საჭიროა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქმეებზე წარმოების უზრუნველყოფის ზომების გამოყენების შემთხვევაში (პირადი ნივთების დათვალიერების დროს, რაც თან გააჩნია ფიზიკურ პირს, იურიდიული პირის კუთვნილი შენობების, ტერიტორიების, იქ არსებული ნივთებისა და დოკუმენტების დათვალიერებისას, ნივთებისა და დოკუმენტების ამოღებისას, სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისას, საქონლის, სატრანსპორტო საშუალების დაყადაღებისას და ა.შ.). საქმის წარმოებაში დამსწრის მონაწილეობა ფიქსირდება ოქმში. დამსწრეს უფლება აქვს გააკეთოს შენიშვნები განხორციელებულ ქმედებებთან მიმართებაში. ასეთი შენიშვნები ექვემდებარება ოქმში სავალდებულო შეტანას. საჭიროებისას, დამსწრე შეიძლება დაკითხულ იქნეს მოწმის სახით; 2) სისხლის სამართლის საქმის დასრულებით არადაინტერესებული პირი, რომელიც მოწვეულია მოკლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის ან პროკურორის მიერ საგამოძიებო მოქმედების წარმოების ფაქტის, ასევე საგამოძიები მოქმედების შინაარსის, მიმდინარეობისა და შედეგების დადასტურებისთვის. დამსწრეები არ შეიძლება იყვნენ: ა) არასრულწლოვნები; ბ) სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეები, მათი ახლო ნათესაები და ნათესაები; გ) აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მუშაკები, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება განახორციელონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და/ან წინასწარი გამოძიება.

დამსწრეს გააჩნია უფლება: ა) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში და საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით გააკეთოს განცხადებები და შენიშვნები ოქმში შეტანით; ბ) გაეცნოს საგამოძიებო მოქმედების ოქმს, რომლის წარმოებაშიც ის მონაწილეობს; გ) შეიტანოს საჩივარი მოკლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის და პროკურორის მოქმედებებსა (უმოქმედობაზე) და გადაწყვეტილებებზე, რაც ზღუდავს მის უფლებას. დამსწრეს უფლება არა აქვს თავი აარიდოს მოკლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის და პროკურორის, სასამართლოს მიერ გამოძახებაზე გამოცხადებას, ასევე გაახმოვანოს წინასწარი გამოძიების მონაცემები, თუ ის გაფრთხილებული იყო ამის შესახებ წინასწარ.

დამსწრე – მუხლი №103 – დამსწრის უფლებამოვალეობანი

1. დამსწრე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელმოწერით დაადასტუროს ამ მოქმედების ჩატარების ფაქტი, მისი მიმდინარეობა და შედეგები; გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები.

2. თუ დამსწრე უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას არასაპატიო მიზეზით, მას შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი 203-ე მუხლით დადგენილი წესით.,

3. დამსწრე შეიძლება დაიკითხოს, როგორც მოწმე, იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესახებ, რომელშიც იგი მონაწილეობდა. ამ შემთხვევაში მას აქვს მოწმის უფლება-მოვალეობები.

4. დამსწრეს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; გააკეთოს განცხადება საგამოძიებო მოქმედების გამო და გამოთქვას შენიშვნა, რომელიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი. გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს.

დამტკიცება – სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებების შეგროვება, შემოწმება და შეფასება შემდეგი გარემოებების დადგენის მიზნით: ა) დანაშაულის მოვლენები (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი და სხვა გარემოებები); ბ) პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში, მისი ბრალეულობის ფორმები და მოტივები; გ) ბრალდებული პიროვნებისთვის დამახასიათებელი გარემოებები; დ) გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ დამნაშავეობას და ქმედების დასჯადობას; ე) სასჯელის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები; ვ) გარემოებები, რომელთაც მოსდევს განთავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან; ზ) გარემოებები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას.

მტკიცებულებების შეგროვება ხორციელდება სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს მიერ საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების წარმოების გზით. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, ასევე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ შეაგროვონ და წარმოადგინონ წერილობითი დოკუმენტები და საგნები მათი სისხლის სამართლის საქმისთვის მტკიცებულებების სახით დართვისთვის. მტკიცებულებების შემოწმება ხდება მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს მიერ მათი სხვა მტკიცებულებებთან შეჯერების გზით, ასევე მათი წყაროების დასადგენად, სხვა მტკიცებულებების მისაღებად, რომლებიც ადასტურებენ ან უარყოფენ შესამოწმებელ მტკიცებულებას. თითოეული მტკიცებულება ექვემდებარება შეფასებას მიკუთნებულობის, დაშვებადობის, უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო ერთობლიობაში შეკრებილ მტკიცებულებებს – საკმარისობის მიხედვით სისხლის სამართლის საქმის გადასაწყვეტად.

სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი, მოკვლევის მწარმოებელი პირი აღიარებენ მტკიცებულებებს დაუშვებლად, თუ: ა) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებები მიღებულია სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლომდელი წარმოების დროს დამცველის გარეშე, მათ შორისაა, დამცველზე უარის თქმა და ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მიერ სასამართლოში დაუდასტურებელი მასალები; ბ) ვარაუდზე, ჭორზე დაფუძნებული დაზარალებულის, მოწმის ჩვენებები, ხოლო მოწმეს არ შეუძლია მიუთითოს თავისი ცნობის წყარო; გ) კანონის (სსსკ) მოთხოვნების დარღვევით მიღებული მტკიცებულებები.

პროკურორს, გამომძიებელს, მოკვლევის მწარმოებელ პირს უფლება აქვს მტკიცებულება დაუშვებლად ცნოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით. დაუშვებლად აღიარებული მტკიცებულება არ ექვემდებარება წართვას საბრალდებო დასკვნასა თუ საბრალდებო აქტში.

დამცველი – ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და მათთვის იურიდიული დახმარების განმხორციელებელი პირი სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას.

დამცველის სახით დაიშვებიან ადვოკატები. სასამართლოს განჩინებითა და დადგენილებით დამცველის სახით შეიძლება ადვოკატთან ერთად დაშვებულ იქნეს ბრალდებულის ერთ-ერთი ახლო ნათესავი ან სხვა პირი, რომლის დაშვების თაობაზეც შუამდგომლობს ბრალდებული. მომრიგებელ მოსამართლესთან საქმის წარმოებისას აღნიშნული პირი დაიშვება ადვოკატის ნაცვლადაც.

დამცველი მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმეში: ა) ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან; ბ) კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძრის მომენტიდან; გ) დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ფაქტიური დაკავების მომენტიდან; დ) დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების გამოცხადების მომენტიდან; ე) საპროცესო იძულების ან სხვა სახის საპროცესო მოქმედებების განხორციელების დაწყების მომენტიდან, რაც შეეხება დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის უფლებებსა და თავისუფლებას.

ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისთვის დაიშვება დამცველის სახით ადვოკატის მოწმობის და ორდერის წარდგენისთანავე.

თუ დამცველი მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, რომლის მასალებშიც არის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობები და მას არ გააჩნია აღნიშნული ცნობებისადმი შესაბამისი წვდომა, ის ვალდებულია ხელი მოაწეროს მათ გაუხმაურებლობას.

ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს ორი ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დამცველი, თუ ერთერთი მათგანის ინტერესები ეწინააღმდეგება მეორის ინტერესებს. ადვოკატს არა აქვს უფლება უარი თქვას ეჭვმიტანილის, ბრალდებულის უკეე საკუთარ თავზე აღებულ დაცვაზე.

კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულია შემთხვევები, როცა სავალდებულოა დამცველის მონაწილეობა: ა) ეჭვმიტანილს, ბრალდებულს არ განუცხადებია უარი დამცველზე; ბ) ეჭვმიტანილი, ბრალდებული წარმოადგენს არასრულწლოვანს; გ) ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლოვანებების ძალით არ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას საკუთარი უფლებები; დ) ეჭვმიტანილი, ბრალდებული არ ფლობს ენას, რომელზეც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება; ე) პირს ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, რომელზეც შეიძლება გამოტანილ იქნეს თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით, სამუდამო პატიმრობა;

ვ) სისხლის სამართლის საქმე ექვემდებარება სასამართლოს მიერ განხილვას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით;
ზ) ბრალდებულმა განაცხადა შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის განსაკუთრებული წარმოების წესით განხილვის შესახებ.

კანონმდებლობა ადგენს დამცველის მოწვევის, დანიშვნისა და შეცვლის წესს. მას იწვევს ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მისი კანონიერი წარმომადგენელი, ასევე სხვა პირები ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაკავებით ან თანხმობით. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს უფლება აქვს ჰყავდეს რამდენიმე დამცველი. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის თხოვნით დამცველის მონაწილეობა უზრუნველყოფილია მოკლეული მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს მიერ. მოწვეული დამცველის მოწვევის შესახებ შუამდგომლობის დღიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოკლეული მწარმოებელ პირს, გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს უფლება აქვთ შესთავაზონ ეჭვმიტანილს, ბრალდებულს სხვა დამცველის მოწვევა, ხოლო მისი უარის შემთხვევაში მიიღონ დამცველის დანიშვნის ზომები. თუ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე დამცველს ხუთი დღის განმავლობაში არ შეუძლია მონაწილეობის მიღება კონკრეტული საპროცესო მოქმედების წარმოებაში, ხოლო ეჭვმიტანილი, ბრალდებული არ იწვევს სხვა დამცველს და არ შუამდგომლობს მისი დანიშვნის შესახებ მოკლეული მწარმოებელ პირს, გამომძიებელს უფლება აქვს აწარმოოს მოცემული საპროცესო მოქმედება დამცველის მონაწილეობის გარეშე გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით. თუ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაკავების მომენტიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში შეუძლებელია მის მიერ მოწვეული დამცველის გამოცხადება, მოკლეული მწარმოებელი პირი, გამომძიებელი ან პროკურორი იღებენ დამცველის დანიშვნის ზომებს. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მიერ დანიშნულ დამცველზე უარის შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედებები ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მონაწილეობით შეიძლება წარმოებულ იქნეს დამცველის მონაწილეობის გარეშე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისთვის დაშვების მომენტიდან დამცველს უფლება აქვს: ა) ჰქონდეს პაემანი ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან; ბ) შეაგროვოს და წარმოადგინოს იურიდიული დახმარების გაწევისთვის აუცილებელი მტკიცებულებები; გ) მოიწვიოს სპეციალისტი; დ) დაესწროს ბრალდების წაყენებას; ე) მონაწილეობა მიიღოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაკითხვაში, ასევე ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მონაწილეობით, მისი შუამდგომლობით ან თავად დამცველის შუამდგომლობით წარმოებულ სხვა საგამოძიებო მოქმედებებში; ვ) გაეცნოს დაკავების ოქმს, დადგენილებას აღმკვეთი ღონისძიების მიღების შესახებ, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მონაწილეობით წარმოებული საგამოძიებო მოქმედებების ოქმებს, სხვა დოკუმენტებს, რომლებიც წაეყენა ან შეიძლება წაეყენებულ იქნეს ეჭვმიტანილისთვის, ბრალდებულისთვის; ზ) წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალას, ამოიწეროს სისხლის სამართლის საქმიდან ნებისმიერი ცნობა ნებისმიერი მოცულობით, გადაიღოს მასალების ასლები, მათ შორის, ტექნიკური საშუალებების მეშვეობით; თ) წამოაყენოს შუამდგომლობა ან აცილება; ი) მონაწილეობა მიიღოს პირველი, მეორე და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში და ასევე განაჩენის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში; კ) შეიტანოს საჩივარი მოკლეული მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს მოქმედებებსა (უმოქმედობასა) და გადაწყვეტილებებზე და მონაწილეობა მიიღოს სასამართლოს მიერ მათ განხილვაში; ლ) გამოიყენოს დაცვის სხვა, კანონით დაშვებული საშუალებები და ხერხები.

დამცველის საქმიანობის საგანს წარმოადგენს კანონის მიერ დაშვებული საპროცესო მოქმედებების მეშვეობით ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის გამამართლებელი ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების მოძებნა.

დამცველის მიერ მხოლოდ კანონში არსებული დაცვის საშუალებებისა და ხერხების გამოყენება ზემოთაღნიშნული ამოცანების შესასრულებლად, ნიშნავს დამცველის დამოუკიდებელი მდგომარეობის კონსტატაციას აირჩიოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაცვის საშუალებები და ხერხები, განსაზღვროს პოზიცია საქმესთან დაკავშირებით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის თავის საქმიანობაში არაა დაკავშირებული დაცვის ქვემ მყოფთან. პირიქით, ის მოქმედებს ბრალდებულთან ერთად, აწვდის მას ინფორმაციას საქმიანობის შედეგების შესახებ, ეთათბირება მას, აცნობს თავის პოზიციას, ახდენს მის კორექტირებას. მასთან დაუთანხმებლობის შემთხვევაში, ბრალდებულს (ეჭვმიტანილს) უფლება აქვს უარი თქვას დამცველზე.

დამცველი წარმოადგენს დამტკიცების სუბიექტს, თუმცა მისი საქმიანობა ამ მიმართულებით განსხვავდება გამომძიებლის ან პროკურორის საქმიანობისგან, რადგანაც მას არ გააჩნია მათ მიერ მტკიცებულებების შეგროვების შესაძლებლობა. ამასთან, მას უფლება აქვს წარმოადგინოს დაცვის ქვემ მყოფისგან მიღებული ან იურიდიული კონსულტაციის მეშვეობით მოთხოვნილი (ცნობები, დახასიათება და ა.შ.) მტკიცებულებები. გარდა ამისა, დამცველი შუამდგომლობს მტკიცებულებების მოთხოვნაზე პროკურორის ან გამომძიების მწარმოებელი პირის მეშვეობით. მონაწილეობს რა ბრალდებულისა და ეჭვმიტანილის დაკითხვაში, მათი მონაწილეობით განხორციელებულ საგამოძიებო მოქმედებებში, მას ასევე აქვს მტკიცებულებითი ბაზის ფორმირების შესაძლებლობა.

დამცველის უფლება-მოვალეობანი (ამონარიდი – მუხლი №84)

1. დამცველმა უნდა გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი იმ გარემოებათა გამოსაელენად, რომლებიც ამართლებენ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, ანდა ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, და უნდა გაუწიოს მას საჭირო იურიდიული დახმარება.

2. დამცველს უფლება არა აქვს იმოქმედოს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ.

3. დამცველს უფლება აქვს:

ა) იცოდეს ეჭვისა და ბრალდების არსი;

თ) განაცხადოს აცილება;

ი) განაცხადოს შუამდგომლობა (იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი);

დანაშაულად შერაცხვა – საერთაშორისო საჯარო სამართლის ერთი სუბიექტის განცხადება მეორე ასეთივე სუბიექტისთვის ამ უკანასკნელის საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოქმნის შესახებ, მის მიერ საერთაშორისო-მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დადგენილი ფაქტის საფუძველზე. დანაშაულად შერაცხვა ნიშნავს, როგორც პოლიტიკური, ასევე მატერიალური პასუხისმგებლობის წარმოქმნას (ეს უკანასკნელი – მატერიალური ზიანის არსებობისას, რომელიც წარმოიქმნა სამართალდარღვევის შედეგად). თუ ქმედება არაა მართლსაწინააღმდეგო, დანაშაულად შერაცხვა დაუსაბუთებელია და საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ პრეტენზიის წამოყენებას მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის პროცესში მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე იმ პასუხისმგებლობის შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

დანაშაულები ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ – ქმედებები, რომლებიც უშუალოდ ხელყოფენ კონსტიტუციაში განმტკიცებულ უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველმყოფელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მათი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გარდა, რომელთა ხელყოფაც წარმოქმნის სხვა დანაშაულების შემადგენლობებს.

ხელყოფის სახეობრივი ობიექტის მიხედვით განსახილველი დანაშაულების კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგი სახით: ა) დანაშაულები პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ; ბ) დანაშაულები სოციალური უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ; გ) დანაშაულები პირადი უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ.

დანაშაულების გამოძიება სხვა სამართალდარღვევებისგან – დანაშაულების სხვა სამართალდარღვევებისგან გამიჯვნის აუცილებლობა, პირველ რიგში, განპირობებულია პრაქტიკული მოთხოვნებით; დასკვნა დანაშაულებრივი ან არადანაშაულებრივი აქტის არსებობის შესახებ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს საკითხს სისხლის სამართლის ან სხვა სახის პასუხისმგებლობის შესახებ.

გამიჯვნა ხორციელდება ოთხი ძირითადი ნიშნის: ა) ობიექტის; ბ) საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის; გ) მართლსაწინააღმდეგობის სახის; დ) არსებითი ზიანის მიხედვით.

დანაშაულების საერთო ობიექტში შედის ისეთი სოციალური ინტერესები (საზოგადოებრივი ურთიერთობები), რომელთა ხელყოფაც შეიძლება რეგულირებულ იქნეს მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით.

საზოგადოებრივი ხასიათისა და ხარისხის მიხედვით დანაშაულები ყოველთვის განსხვავდება მეტი სოციალური ზიანით, ვიდრე სხვა სამართალდარღვევები, რომელთაც ასევე გააჩნიათ საზოგადოებრივი საშიშროების გარკვეული ზომაც. როცა დანაშაულები და სამართალდარღვევები წარმოადგენს მოშიჯნავეს, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი არის მათი გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმი. საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განმსაზღვრელ სუბიექტურ გარემოებებს წარმადგენს ბრალეულობის ფორმა, მოტივი, მიზანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ქმედების სამართალდარღვევისადმი მიკუთვნებაზე. საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი განისაზღვრება ხელყოფის ობიექტით.

გამიჯვნის ყველაზე მკაფიო კრიტერიუმს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგოობის სახე. დანაშაულები ყოველთვის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კანონს და მასში ზუსტადაა აღნიშნული სხვა სამართალდარღვევები არღვევენ თუ არა სამართლის სხვა დარგების ნორმებს. მხოლოდ დანაშაულს შეიძლება მოსდევდეს სისხლის სამართლის სასჯელი შემდგომი ნასამართლეობით. სხვა სამართალდარღვევათა სამართლებრივ სანქციებს ნასამართლეობა არასდროს არ მოჰყვება.

სისხლის სამართლის კანონით გაუთვალისწინებელი ქმედების ჩადენა არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად კანონის ხარვეზის შემთხვევაშიც. მაშასადამე, ამგვარ შემთხვევებში საჭიროა საუბარი სამართალდარღვევაზე (ადმინისტრაციულზე, სამოქალაქოზე და სხვ.) და მის შესაბამის კვალიფიკაციაზე. მხოლოდ ქმედების სისხლის სამართლის მართლსაწინააღმდეგოდ გამოცხადების მომენტიდან, შესაბამისი კანონის გამოცემიდან გადადის ის სამართალდარღვევათა სხვა თანრიგში, ეი. ხდება დანაშაული, ხოლო სახელმწიფოს უჩნდება შესაძლებლობა ებრძოლოს მას სისხლისსამართლებრივი საშუალებებით.

დანაშაულებისა და სხვა სამართალდარღვევათა გამიჯვნის მატერიალურ კრიტერიუმს წარმოადგენს ამ სამართალდარღვევით მიყენებული ზიანი (მისი სიდიდე). დანაშაულები სხვა თანაბარი პირობების დროს ყოველთვის იწვევს მეტი ზიანის მიყენებას, დამნაშავეთა ბრალი საშიშია, მოტივაცია უფრო ცვლადია, ხოლო მართლსაწინააღმდეგო მოქმედების (უმოქმედობის) ხერხები უფრო მკვეთრია.

დანაშაულების ერთობლიობა – ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა, რომელთაგან არცერთზე პირი არ იყო მსჯავრდებული. დანაშაულების ერთობლიობის დროს პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება თითოეულ ჩადენილ დანაშაულზე სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის მიხედვით. დანაშაულების ერთობლიობისას სასჯელი ინიშნება ცალ-ცალკე თითოეულ ჩადენილ დანაშაულზე. თუ ჩადენილი დანაშაულიდან ერთ-ერთის მაინც არის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე, საბოლოო სასჯელი ინიშნება სასჯელთა ნაწილობრივი ან სრული შეერების გზით. ამასთან, საბოლოო სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით არ შეიძლება აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულიდან ყველაზე მძიმეზე გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მაქსიმალურ ვადას ნახევარზე მეტად. თუ მთლიანობაში ჩადენილი დანაშაულები წარმოადგენს მცირე ან საშუალო სიმძიმისას, საბოლოო სასჯელი ინიშნება ნაკლებად მკაცრი სასჯელის უფრო მკაცრით შთანთქმის ან დანიშნული სასჯელების ნაწილობრივი ან სრული შეერების გზით. ამასთან, საბოლოო სასჯელი არ შეიძლება აღემატებოდეს ნახევარზე მეტად მაქსიმ-

ალურ ვადას ან სასჯელის ზომას, რომელიც ინიშნება ჩადენილებს შორის ყველაზე მძიმე დანაშაულზე. დანაშაულების ერთობლიობისას სასჯელთა ძირითად სახეებს შეიძლება თან დაერთოს სასჯელთა დამატებითი სახეები. საბოლოო დამატებითი სასჯელი სასჯელთა ნაწილობრივი ან სრული შეკრებისას არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალურ ვადას ან ზომას, რაც გათვალისწინებულია მოცემული სახის სასჯელისთვის სისხლის სამართლის კოდექსით.

დანაშაულების კვალიფიკაცია

– სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებისა და პირის მიერ ჩადენილი ქმედების გარემოებებს შორის ზუსტი შესაბამისობის (იგივეობის) დადგენა და იურიდიული განმტკიცება.

დანაშაულების კლასიფიკაცია

– დანაშაულების ერთობლიობის დაყოფა მრავალფეროვან ჯგუფებად მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი გარკვეული ნიშნებით. დანაშაულების კლასიფიკაციის მიზნად გამოდის სისხლის სამართლის ინსტიტუტების სწორი და ერთგვაროვანი გამოყენება სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულის მიმართ. დანაშაულების კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმების სახით სისხლის სამართლის კანონში იწოდება მათი საზოგადოებრივი საშიშროების ხასე და ხარისხი, რის შესაბამისადაც ყველა დანაშაული იყოფა: მცირედ, საშუალოდ, მძიმედ და განსაკუთრებით მძიმედ.

მცირე სიმძიმის დანაშაულებს წარმოადგენს განზრახ და გაუფრთხილებელი ქმედებები, რომელთა ჩადენაზეც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას.

საშუალო სიმძიმის დანაშაულებად ითვლება განზრახ ქმედებები, რომელთა ჩადენაზეც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას და გაუფრთხილებელი ქმედებები, რომლებზეც სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას.

მძიმე დანაშაულებად ითვლება განზრახ ქმედებები, რომელთა ჩადენაზეც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებად ითვლება განზრახ ქმედებები, რომელთა ჩადენაზეც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უფრო მკაცრი სასჯელი.

დანაშაულები ეკონომიკის სფეროში

– საზოგადოებრივად საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებიც ხელყოფენ ქონების ფლობასთან, გამოყენებასა და განკარგვასთან სხვადასხვა სახის მატერიალური კეთილდღეობის წარმოებასთან, გაცვლასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული კანონიერი უფლებებისა და ინტერესების უზრუნველმყოფელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ასევე სამსახურებრივ ინტერესებს კომერციული და სხვა ორგანიზაციების საქმიანობაში. სახეობრივი ობიექტის მიხედვით გამოიყოფა დანაშაულების შემდეგი ჯგუფები, რომლებიც წარმოქმნიან დამოუკიდებელ საკანონმდებლო ინსტიტუტებს: ა) დანაშაულები საკუთრების წინააღმდეგ; ბ) დანაშაულები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში; გ) დანაშაულები სამსახურის ინტერესთა წინააღმდეგ კომერციულ და სხვა ორგანიზაციებში.

დანაშაულები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში

– სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ინსტიტუტი, რომელიც განაზოგადებს მატერიალური კეთილდღეობის წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და გამოყენების უზრუნველმყოფელი საზოგადოებრივი ურთიერთობების ხელმყოფელი დანაშაულების ჯგუფს.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში დანაშაულების კლასიფიკაცია ხდება უშუალო ობიექტის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება სფეროთი, სადაც ხდება მოცემული დანაშაულების ჩადენა. მოცემული კრიტერიუმიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყოს: ა) დანაშაულები სამეწარმეო და სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის სფეროში; ბ) დანაშაულები ფულად-საკრედიტო სფეროში; გ) დანაშაულები სახელმწიფოს ფინანსური საქმიანობის სფეროში; დ) დანაშაულები ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში.

დანაშაულები კაცობრიობის უსაფრთხოებისა და მშვიდობის წინააღმდეგ

– საზოგადოებრივად საშიში ქმედებები, რომლებიც უშუალოდ ხელყოფენ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და განვითარების უზრუნველმყოფელ ურთიერთობებს და ასევე მთლიანად კაცობრიობის უსაფრთხოებას.

ამ სახის დანაშაულებს განეკუთვნება საერთაშორისო-სამართლებრივ კონვენციებში ჩამოყალიბებული დანაშაულები, თუმცა, რომლებიც არ უკავშირდებიან სახელმწიფოს პოლიტიკასა და მოქმედებებს. ასეთი კონვენციების საფუძველზე სუვერენული სახელმწიფოები ახდენენ ამგვარი დანაშაულების რეგლამენტირებას ეროვნულ კანონმდებლობაში და ადგენენ სანქციებს მათ ჩადენაზე. საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებს განეკუთვნება: ყალბი ფულის მოჭრა, მძევლების აყვანა, ჰაერო ხომალდის გატაცება, ტერორიზმი, მეკობრეობა, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მიმოქცევა და სხვ. უშუალოდ ობიექტის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი სახის დანაშაულები: ა) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ სახელმწიფოთა მშვიდობასა და მშვიდობიან თანაარსებობას; ბ) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ საერთაშორისო სამართლის მიერ რეგლამენტირებულ ომის წარმოების საშუალებებსა და მეთოდებს; გ) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელს ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელის უსაფრთხოებას.

დანაშაულები კომერციულ და სხვა ორგანიზაციებში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ

– განზრახ ჩადენილი, საზოგადოებრივად საშიში ქმედებები, რომლებიც უშუალოდ ხელყოფენ კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებში სამსახურის ინტერესების უზრუნველმყოფელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, იმ პირების მიერ, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური უფლებამოსილებები შესაბამის კომერციულ ან არაკომერციულ ორგანიზაციებში.

მოცემული სახის დანაშაულებს წარმოადგენს: უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება, უფლე-

ბამოსილებების ბოროტად გამოყენება კერძო ნოტარიუსებისა და აუდიტორების მიერ, კომერციული მოსყიდვა და ა.შ.

დანაშაულები კომპიუტერული ინფორმაციის სფეროში – საზოგადოებრივად საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებიც ხელყოფენ გარე ზემოქმედებისგან კომპიუტერული ინფორმაციის წედომის, გამოყენებისა და განკარგვის წესს. ასეთ ქმედებებს განეკუთვნება: კომპიუტერული ინფორმაციის არამართლზომიერი წედმა, კომპიუტერული და ეგმ-თვის (ელექტრონული გამომთველი მანქანა) მავნე პროგრამების შექმნა, გამოყენება და გავრცელება, ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის წესების დარღვევა.

დანაშაულები მართლმსაჯულების წინააღმდეგ – საზოგადოებრივად საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჯგუფი, რომლებიც ხელყოფენ კანონმდებლობის მიერ მკაცრად რეგლამენტირებული სასამართლოს საქმიანობის უზრუნველმყოფელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები უშუალოდ ობიექტის მიხედვით იყოფა 5 ჯგუფად: ა) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ მართლმსაჯულების კონსტიტუციური პრინციპების რეალიზაციის ურთიერთობებს; ბ) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ მართლმსაჯულების ორგანოთა საქმიანობას მისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად; გ) დანაშაულები, რომლებიც არღვევენ საქმეზე მტკიცებულებების მიღების საპროცესო წესს; დ) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ მართლმსაჯულების ორგანოთა საქმიანობას დანაშაულების დროული აღკვეთისა და გახსნის მხრივ; ე) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ სასამართლო აქტის რეალიზაციის ურთიერთობებს.

დანაშაულები მმართველობის წესის წინააღმდეგ – საზოგადებრივი საშიშროების ქმედებები, რომლებიც ხელყოფენ სახელმწიფო და ადგილობრივი სახელისუფლებო ინსტიტუტების (ორგანოების, დაწესებულებებისა და სიმბოლების) ფუნქციონირების ოფიციალურ წესს, ასევე ფიზიკური პირების იურიდიულად მნიშვნელოვანი უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაციას.

ხელყოფის ობიექტის მიხედვით გამოიყოფა 3 სახის დანაშაული: ა) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ სახელმწიფო ხელისუფლების ატტორიტეტსა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობას; ბ) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრიეი თვითმმართველობის ორგანოთა ნორმალურ საქმიანობას; გ) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ ოფიციალური დოკუმენტაციის წარმართვის დადგენილ წესს.

დანაშაულები ოჯახისა და არასრულწლოვანთა წინააღმდეგ – მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ ხელყოფენ არასრულწლოვანთა ნორმალური განვითარებისა და აღზრდის, ოჯახის ფუნქციონირების უზრუნველმყოფელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

სახეობრიეი ობიექტის მიხედვით დანაშაულები იყოფა 2 ჯგუფად: ა) დანაშაულები არასრულწლოვანთა წინააღმდეგ; ბ) დანაშაულები ოჯახის წინააღმდეგ.

დანაშაულები პიროვნების სქესობრივი ხელშეუხებლობისა და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ – ქმედებები, რომლებიც უშუალოდ ხელყოფენ სრულწლოვანი პირის კანონიერი უფლების უზრუნველმყოფელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს საკუთარი სექსუალური მოთხოვნილებების თვითნებურ რეალიზაციაზე (სქესობრივი თავისუფლება) და არასრულწლოვანთა უსაფრთხო სექსუალური განვითარების უფლებას (სქესობრივი ხელშეუხებლობა).

ყველა დანაშაული პიროვნების სქესობრივი ხელშეუხებლობისა და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ იყოფა შემდეგ სახეებად: ა) დანაშაულები, რომელთა ჩადენაც ხდება ძალისმიერი ხერხებით (ან თან ახლაეს ძალადობა); ბ) დანაშაულები, რომლებიც უხეშად არღვევენ სრულწლოვანი პიროვნებების მხრიდან სქესობრივ მორალს ახალგაზრდა ასაკის პირებთან მიმართებაში.

დანაშაულები პიროვნების წინააღმდეგ – საზოგადოებრივად საშიში ქმედებების დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელიც მიმართულია მოქალაქეთა პირადი უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ.

დანაშაულები პიროვნების წინააღმდეგ იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ა) დანაშაულები სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ; ბ) დანაშაულები პიროვნების თავისუფლების, ღირსებისა და პატიოსნების წინააღმდეგ; გ) დანაშაულები პიროვნების სქესობრივი თავისუფლებისა და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ; დ) დანაშაულები ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ; ე) დანაშაულები ოჯახისა და არასრულწლოვნების წინააღმდეგ.

დანაშაულები საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ – ქმედებები, რომლებიც ხელყოფენ პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების შიდა და გარე საფრთხისაგან უზრუნველმყოფელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ადამიანის უსაფრთხოების ზოგად პირობებს საჯარო დანიშნულების ადგილებში, პიროვნებისა და საზოგადოების უსაფრთხოების პირობებს ეკონომიკის იმ სფეროებში, რომლებშიც გამოიყენება მოსახლეობისა და ეკოლოგიისათვის პოტენციურად მავნე მასალები, ნედლეული და ტექნოლოგიები ან თავად საწარმოო სფერო წარმოადგენს პოტენციურად მავნეს.

საზოგადებრიეი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები უშუალოდ ობიექტის მიხედვით იყოფა შემდეგ სახეებად: ა) დანაშაულები ზოგადი უსაფრთხოების წინააღმდეგ, რომლებიც ხდება საზოგადებრიეი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და ეხება ყველაზე მნიშვნელოვან ინტერესებს მთელი საზოგადოების ცხოვრების ნორმალური და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფის დარგში; ბ) დანაშაულები საზოგადებრიეი წესრიგის წინააღმდეგ ე.ი. იმ საზოგა-

დებრივი ურთიერთობების წინააღმდეგ, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ სიმშვიდეს, მოქალაქეთა შრომის, დასვენებისა და ჯოჯის და ასევე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შრომის ნორმალურ პირობებს; გ) სხვადასხვა სახის სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულები; დ) დანაშაულები, რომლებიც უკავშირდებიან საშიშ საგნებთან მოპყრობის წესების დარღვევას.

დანაშაულები საკუთრების წინააღმდეგ – ერთგვაროვანი საზოგადოებრივად საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ერთობლივი ჯგუფი, რომლებიც ხელყოფენ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმის საკუთრების ნორმალური არსებობის უზრუნველმყოფელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ასევე მატერიალური კეთილდღეობის წარმოებასთან, გამოყენებასთან, განაწილებასთან, ქონების ფლობასთან, გამოყენებასა და განკარგვასთან დაკავშირებულ უფლებებსა და ინტერესებს.

დანაშაულის ობიექტზე (საკუთრებაზე) დანაშაულებრივი ხელყოფის თავისებურებების, დანაშაულების შემადგენლობათა იურიდიული კონსტრუქციის გათვალისწინებით ყველა დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ იყოფა სამ ჯგუფად: ა) დატაცება – ანგარების მიზნით ჩადენილი, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო ჩაბრთმევა და/ან ბრუნვა დამნაშავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რომელმაც ზიანი მიაყენა ამ ქონების მესაკუთრეს ან მფლობელს; ბ) ქონებრივი ზიანის მიყენება, რაც არ უკავშირდება დატაცებას; გ) ქონების განადგურება ან დაზიანება, რაც შეიძლება იყოს განზრახ ჩადენილი ან გაუფრთხილებლობით გამოწვეული.

დანაშაულები სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ – დანაშაულები სამხედრო სამსახურის გაელის დადგენილი წესის წინააღმდეგ, რომლებიც ჩადენილია სამხედრო მოსამსახურეების, და ასევე თადარიგში მყოფი მოქალაქეების მიერ მათ მიერ სამხედრო შეკრებების გაელის დროს.

გამოიყოფა ზოგადი და სპეციალური სახის დანაშაულები სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ. ზოგადი დანაშაულებია: ა) დანაშაულები დაქვემდებარებისა და სამხედრო ურთიერთდამოკიდებულებების წესის წინააღმდეგ; ბ) დანაშაულები სამხედრო სამსახურში ყოფნისა და სამხედრო ქონებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ. სპეციალური დანაშაულებია: ა) სპეციალური (დაკეთილი) სახის სამხედრო სამსახურის შესრულების წესის წინააღმდეგ; ბ) ექსპლუატაციაში სამხედრო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესის წინააღმდეგ.

დანაშაულები სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ – საზოგადოებრივად საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჯგუფი, რომლებიც ხელყოფენ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება საგზაო მოძრაობის მონაწილეების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის და ასევე სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისთვის საფრთხის თავიდან აცილება.

განსახილველი ინსტიტუტის შემადგენელი დანაშაულების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი სახით: ა) დანაშაულები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევას; ბ) დანაშაულები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდებიან სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევას.

დანაშაულები სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ – კრებითი ცნება, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებიც ხელყოფენ ადამიანის სიცოცხლის (ჯანმრთელობის), როგორც მისი არსებობის საწინდარისა და ხერხის უზრუნველმყოფელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ასევე მათ უსაფრთხოებას.

უშუალოდ ობიექტის მიხედვით გამოიყოფა: ა) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ ადამიანის სიცოცხლეს (მკვლელობის ყველა სახე, თვითმკვლელობამდე მიყვანა, მკვლელობა გაუფრთხილებლობით); ბ) დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ ჯანმრთელობას (ჯანმრთელობისთვის მძიმე, საშუალო სიმძიმის ან მსუბუქი ზიანის განზრახ მიყენება, ცემა, მძიმე, საშუალოზე მეტი სიმძიმის ზიანის მიყენება ადამიანის ჯანმრთელობისთვის ანეკტის მდგომარეობაში, აუცილებელი თაედაცის ფარგლების გადამეტებისას, ენერიული დაავადებით, გადამდები ინფექციით დასნებოვნება); გ) დანაშაულები, რომლებიც საშიშროებაში აყენებენ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს (მკვლელობის ან ჯანმრთელობისთვის მძიმე ზიანის მიყენების მუქარა, აბორტის უკანონო წარმოება, ავადმყოფისთვის დახმარების გაუწეველობა, საშიშროებაში დატოვება და ა.შ.).

დანაშაულების რეციდივი – განზრახ დანაშაულის ჩადენა პირის მიერ, რომელიც ნასამართლევი იყო ადრე ჩადენილი განზრახ დანაშაულზე.

დანაშაულების რეციდივი საშიშია: ა) პირის განზრახ დანაშაულის ჩადენისას, რომელზეც მას მიესაჯა თაეისუფლების აღკეთა, თუ ადრე ამ პირს თაეისუფლება ჰქონდა აღკეთილი ორჯერ განზრახ ჩადენილ დანაშაულზე; ბ) პირის მიერ განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენისას, თუ ის ადრე მსჯავრდებულ იქნა განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენაზე.

დანაშაულების რეციდივი ძალიან საშიშია, თუ პირმა: ა) განზრახ ჩაიდინა დანაშაულები, რომელზეც მას თავისუფლება აღკეთა, თუ ეს პირი სამჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი განზრახ ან საშუალო სიმძიმის დანაშაულის ჩადენაზე; ბ) განზრახ ჩაიდინა დანაშაული და ის ადრე ნასამართლევი იყო ორჯერ განზრახ ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაზე; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, თუ ეს ადრე ნასამართლევი იყო განზრახ ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაზე.

დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზება – დანაშაულებრივი გაერთიანების შექმნა, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენის მიმართ.

დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია – დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული ფულადი საშუალებების ან სხვა ქონების ფლობის, გამოყენების ან განკარგვისთვის მართლზომიერი სახის მინიჭება.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება – ნივთები, ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა საგნები ან მათზე უფლება, რომლებიც ფაქტიურად მოპოვებულია დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების შედეგად.

დანაშაულებრივი შედეგი – დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ცვლილებებს ობიექტურ სამყაროში, რომლებიც დგება პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ან უმოქმედობის შედეგად.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება პირის მიერ დანაშაულის დამთავრებაზე ხელის აღება. რაც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ ამ შემთხვევაში რაიმე ზიანი, ან ვნება არ არის მიყენებული დანაშაულის დამთავრებამდე. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს მოტივს, რის გამოც პირმა ხელი აიღო დანაშაულის დამთავრებაზე. არ დაისჯება აგრეთვე ის, ვინც თუმცა ყველაფერი გააკეთა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისათვის, მაგრამ შემდეგ მოვლენათა მსვლელობაში ნებაყოფლობით აქტიურად ჩარეული თავიდან აიცილა ეს შედეგი.

დანაშაულთა დაფარვა – წინასწარ შეუპირებელი, მძიმე დანაშაულების, დამნაშავის, დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, მისი კვალის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვა ან სამხილების განადგურებაზე მიმართული სხვა მოქმედებების ჩადენა.

დანაშაულთა დაფარვის კონკრეტული ფორმები შეიძლება მდგომარეობდეს დამნაშავისთვის თავშესაფრის, ტანსაცმლის, ყალბი დოკუმენტების, სატრანსპორტო საშუალებების, ფულის მიცემაში და ა.შ.

დანაშაულის ჩადენის იარაღების, საშუალებების, მისი კვალის, დანაშაულებრივი გზით მიღებული საგნების დამალვა შეიძლება იყოს, როგორც მათი განადგურება, გარეგნული იერის შეცვლა, ასევე მოკლევის ორგანოებისგან ან წინასწარი გამოძიებისგან, პროკურატურისა თუ სასამართლოსგან მათი დამალვა.

პირი არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მისი მეულის ან ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის წინასწარ შეუპირებელ დამალვაზე.

დანაშაულთა ერთობლიობა სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენა, რომელთაგან პირი არცერთისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ასევე ისეთი ქმედება, რომელიც შეიცავს ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს–დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება. დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითეული დანაშაულისათვის. ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ერთობლიობისას, ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება ამ დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელები. ამასთანავე, ეადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს.

დანაშაულთან შეხება – დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის არმქონე პირის სხვა პირებისთვის ადრე შეუთანხმებელი საქმიანობა, რომლის საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ ის ხელს უშლის დამნაშავის მხილებას ან აადვილებს დანაშაულის ჩადენას.

დანაშაულთა სიმრავლე – სისხლის სამართლის ინსტიტუტი, რომელიც ხასიათდება პირის მიერ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენით, თუ მათზე დაფარული არაა სისხლის სამართლის შედეგები და არ არსებობს საპროცესო დაბრკოლებები სისხლისსამართლებრივი დევნისთვის. სიმრავლე შემადგენელი ელემენტების სახით მოიცავს რამდენიმე ცალკეულ დანაშაულს. სიმრავლის ნიშნებს განეკუთვნება: ა) პირის მიერ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა; ბ) თითოეული ჩადენილი დანაშაული წარმოქმნის დამოუკიდებელ შემადგენლობას და ექვემდებარება დამოუკიდებელ კვალიფიკაციას სისხლის სამართლის ცალკეული მუხლით; გ) თითოეულ დანაშაულთა სიმრავლის შემადგენელზე ნარჩუნდება მისი ჩადენის ფაქტიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი შედეგები.

დანაშაული – საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ და იმყოფება დასჯის საფრთხის ქვეშ.

განზრახ ჩადენილ დანაშაულად ცნობილია ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან ირიბი განზრახვით.

დანაშაული პირდაპირი განზრახვით ჩადენილად ითვლება, თუ პირი აცნობიერებდა საკუთარი ქმედებების (უმოქმედობის) საზოგადოებრივ საშიშროებას, განჭვრეტდა საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას ან გარდაუვალობას და სურდა მათი დადგომა.

დანაშაული ირიბი განზრახვით ჩადენილად ითვლება, თუ პირი აცნობიერებდა საკუთარი ქმედებების (უმოქმედობის) საზოგადოებრივ საშიშროებას, განჭვრეტდა საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, არ სურდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ამ შედეგებს ან მათ გულგრილად უდგებოდა.

გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია დაუფიქრებლობით ან დაუდევრობით.

დაუფიქრებლობითაა ჩადენილი დანაშაული, თუ პირი განჭვრეტდა თავისი ქმედებების (უმოქმედობის) საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ დამყერებლად იმედოვნებდა ამ შედეგების თავიდან აცილებას.

დაუდევრობითაა ჩადენილი დანაშაული, თუ პირი ვერ ჭვრეტდა თავისი ქმედებების (უმოქმედობის) საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის

შესაძლებლობას, თუმცა, სათანადო ჟურადღებისა და სიფრთხილის დროს ვალდებული იყო და შეეძლო განეჭვრიტა ეს შედეგები.

დანაშაული სამართალში, საზოგადოებრივად საშიში მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელსაც სასჯელი ემუქრება. დანაშაული არის ადამიანის ნებისყოფის აქტი, გარეგნულად გამოვლენილი მოქმედებით ან უმოქმედობით. დანაშაულებრივი აზრი (ე.წ. „ლიტონი განზრახვა"), რომელიც განხორციელების აზრს არ მოიცავს დანაშაულად არ ითვლება. დანაშაულის არსებითი ნიშანია მის საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რაც ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა. არ არსებობს დანაშაული ბრალის გარეშე და დაკავშირებული უნდა იყოს დამნაშავის ფსიქიკასთან. თუ დამნაშავეს არა აქვს სუბიექტური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან და მის შედეგთან განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით დანაშაული არ არსებობს. ქმედობა შეიძლება ფორმალურად შეიცავდეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ნიშნებს (მაგ., ასანთის კოლოფის ქურდობა), მაგრამ არსებითად არ იყოს საზოგადოებრივად საშიში. ამ დროს ასეთი ქმედება დანაშაულად არ ითვლება.

არსებობს დანაშაული, რომლის შემადგენლობაში გათვალისწინებულია მავნე შედეგი (მაგ., მკვლელობა), ან ობიექტისათვის საფრთხის შექმნა (მაგ., ვინმესათვის ვენერიული სენის შეყრა). დანაშაულს, რომლის შემადგენლობა მოიცავს მხოლოდ თვით მოქმედებას ან უმოქმედობას და რაიმე მავნე შედეგის განხორციელება (ან საფრთხის შექმნა) საჭირო არ არის (მაგ., ცრუ ჩვენების მიცემა ან ალიმენტის გადახდაზე თავის არიდება. პირველი ორი სახის დანაშაულის დროს აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი მოქმედებას ან უმოქმედობასა და მავნე შედეგს ან რაიმე საკეთილსათვის საფრთხის მდგომარეობის შექმნას შორის.

საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით დანაშაული შეიძლება დავყოთ ორ ძირითად კატეგორიად: 1. მძიმე დანაშაული, რომელიც განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიში ქმედების შემცველია და 2. ნაკლებად მძიმე, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს და რომლის მიმართ შესაძლებელია ადმინისტრაციული სახდელის ან საზოგადოებრივი ღონისძიების ზემოქმედების გამოყენება. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში დანაშაულს ყოფენ სამ ნაწილად (დანაშაული, გადაცდომა, დარღვევა).

ამგვარად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება არის დანაშაული. დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

ფეოდალურ საქართველოში დანაშაულს იურიდიულად სხვადასხვა ტერმინით გამოხატავდნენ. ნებადართული მოქმედების საზღვრის დარღვევა კანონისა და წესის „გარდასვლად" და „გარდახდომად" იყო მიჩნეული. თვით საქციელს, რომელიც კანონწესების „გარდალახვას" წარმოადგენდა, ზოგადად „გარდამალვითი მოქმედება" ეწოდებოდა. ასევე დანაშაულის მნიშვნელობით იხმარებოდა „ბრალი", „შეცოდება" და „ცოდვა". ეს ტერმინები დანაშაულებრივ ქმედობას უფრო სარწმუნოებრივ-ზნეობრივი თვალსაზრისით ახასიათებდა. საკუთრივ „დანაშაული" VII- VIII სს-ში მკვიდრდება. ს.ს. ორბელიანი დანაშაულს ასე განმარტავს: „შეცოდება, ესე იგი... შავად ქმნა საქმისა", ასევე ამ ტერმინს უსადაგებდნენ სიტყვებს, „უღებაი", „უგულებელყოფაი საქმისაი" და „მიშვება", დამნაშავის აღსანიშნავად კი „შეცოდებული", „ბოროტის მოქმედი" და „ძერის მოქმედიც" იხმარებოდა.

დანაშაულის სირთულესა და მრავალსახეობაზე ჯერ კიდე ექვთიმე მთაწმინდელი მიუთითებდა. „მცირე სჯულის კანონი" ქართული რედაქციის მიხედვით, „არა მარტივი არს სენი იგი ცოდვათაი, არამედ მრავალ სახე და მრავალგვარი და მრავალნი რტონი ენებისანი აღმოცენდებიან მისგან" (მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის გამოცემა 1972, გვ. 82). დანაშაულებრივ ქმედობათა კლასიფიკაციის აღმნიშვნელი ტერმინი იყო „განყოფილებაი ბრალთაი". ქართულ იურიდიულ მწერლობას შეუთვისებული ჰქონდა დანაშაულებათა სამჯგუფად დანაწილების ჩანასახოვანი სისტემა. ცალკეული ჯგუფისათვის განსაკუთრებული და მუდმივად მყარი ტერმინი არ არსებობდა. ჯგუფებად დაყოფა ბუნებრივად დამოკიდებული ყოფილა დანაშაულის სიმძიმესიშუბუქეზე. ე. მთაწმინდელის დებულებანი ისეთ რთულსა და მძიმე დანაშაულზე, როგორიცაა მკვლელობა, მიჩნეულია ზოგად მოძღვრებად არა მარტო ამ ბოროტმოქმედების, არამედ საერთოდ დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ.

დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობრიობის წინააღმდეგ – საზოგადოებრივად საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჯგუფი, რომელთაც თან ახლავს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობრიობის უზრუნველმყოფელი წესების დარღვევა ან მათი საფრთხის შექმნა.

სახეობრივი და უშუალოდ ობიექტზე მიმართული დანაშაულების მიხედვით გამოიყოფა 2 ჯგუფის დანაშაულები: ა) დანაშაულები მოსახლეობის ჯანმრთელობის წინააღმდეგ; ბ) დანაშაულები საზოგადოებრივი ზნეობრიობის წინააღმდეგ.

დანაშაულის თანამონაწილეები – პირები, რომლებმაც დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინეს ვიმეცისათან ერთად ან პირთა ჯგუფის შემადგენლობაში წინასწარი შეთანხმებით ან მის გარეშე. დანაშაულის თანამონაწილეებს შორის გამოიყოფა შემსრულებლები, ორგანიზატორი, წამქეზებელი და ხელშემწყობი. შემსრულებელია პირი, რომელიც უშუალოდ იდენს დანაშაულს ან უშუალოდ მონაწილეობს მის ჩადენაში სხვა პირებთან (თანაშემსრულებლებთან ერთად). ორგანიზატორი – პირი, რომელმაც მოახდინა დანაშაულის ჩადენის ორგანიზება ან ხელმძღვანელობდა მის შესრულებას, ასევე ორგანიზებული ჯგუფისა თუ დანაშაულებრივი საზოგადოების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) შემქმნელი და ხელმძღვანელი პირი. წამქეზებელს წარმოადგენს პირი, რომელმაც შეაგულიანა სხვა პირი, ჩაედინა დანაშაული მოსყიდვის, მუქარის,

დაყოლიების გზით ან სხვა ხერხით. ხელშემწყობად ითვლება პირი, რომელმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას რჩევებით, მითითებებით, ინფორმაციის მიწოდებით, იარაღის ან დანაშაულის სხვა ხერხის მიცემით, დანაშაულის ჩადენის დაბრკოლებათა აღმოუხერას, ასევე პირი, რომელმაც დანაშაულს მისცა პირობა დაემალა ის დანაშაულის ჩადენის საშუალებები და იარაღები, დანაშაულის კვალი ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნები, ასევე პირი, რომელმაც წინასწარ მისცა პირობა შეეძინა ან დაემალა ასეთი საგნები.

კანონმა დაადგინა სხვადასხვაგვარი პასუხისმგებლობა დანაშაულის თანამონაწილეებისთვის, თითოეული მათგანის დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის სახისა და ხარისხის მიხედვით.

დანაშაულის კატეგორიები დანაშაულთა დაყოფა სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით. საქართველოს კანონმდებლობით, დანაშაული სამი კატეგორიისაა: ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ნაკლებად მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

დანაშაულისთვის მზადება – პირის მიერ დანაშაულის იარაღების ან საშუალებების მოძიება, დამზადება ან შეგუება, დანაშაულის თანამონაწილეთა მოძებნა, დანაშაულის ჩადენის შეთქმულება ან განზრახ პირობების შექმნა დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული არ იყო მიყვანილი ბოლომდე ამ პირისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

დანაშაულის მიზანი – ფსიქიკური მოვლენა, რომელიც ბრალთან ერთად წარმოქმნის დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. დანაშაულის მიზანი არის შემდგომი შედეგის აზრობრივი მოდელი, რომლის მიღწევისაკენაც მისწრაფვის პირი დანაშაულის ჩადენისას. მიზანი მჭიდრო კავშირშია დანაშაულის მოტივთან. ის შინაგან განზრახვას მოძრავ მოტივებად აქცევს. დანაშაულის მიზანი ჩნდება დანაშაულებრივი მოტივის საფუძველზე, ხოლო მოტივი და მიზანი ერთად წარმოქმნიან იმ ბაზას, რომელზეც ჩნდება ბრალეულობა, როგორც სუბიექტის გარკვეული ინტელექტუალური და ნებელობითი საქმიანობა, რაც ეკავშირდება დანაშაულის ჩადენას და მიმდინარეობს მისი ჩადენის მომენტში. დანაშაულის საზოგადოებისთვის საშიში შედეგები მოცულია მიზნებით მხოლოდ განზრახ ჩადენილ დანაშაულებში. გაუფრთხილებლობით, საზოგადოებისთვის საშიში შედეგების ,მიყენების შემთხვევაში ადამიანის ქცევის მიზნები არ მოიცავს ამგვარ შედეგებს. ამიტომ, გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში, არ შეიძლება ეისაუბროთ დანაშაულებრივ მიზნებზე და კანონმდებელი ამ ნიშნებს არ ათავსებს გაუფრთხილებელი დანაშაულების შემადგენლობაში.

დანაშაულის მიზანი ყოველთვის კონკრეტულია: სარგებლის მიღების, სხვა დანაშაულის დფარვა, ომის პროპაგანდის ან საერთაშორისო გართულებების მიზანი და ა.შ.

მიზანზეა დამოკიდებული საქმიანობის სახე, ხერხი და საშუალებები. მიზანი – დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ფაკულტატიური ნიშანია, მაგრამ ის შეიძლება გამოვიდეს ძირითადი (კონსტრუქციული) ნიშნის სახით, ასევე კვალიფიცირებულ შემადგენლობებში დამამძიმებელი გარემოების ან სასჯელის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოების სახით.

დანაშაულის მოვლენა – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული საზოგადოებისთვის საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება (უმოქმედობა) მისთვის დამახასიათებელი ყველა გარემოებით (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი და სხვა გარემოებები). დანაშაულის მოვლენას ახასიათებს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე და ხელყოფის ობიექტი, დრო, ადგილი, ხერხი – ესაა ელემენტები, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულის მოვლენის სხვადასხვა ასპექტს. მათი დადგენა ცალკეულ შემთხვევებში უზრუნველყოფს კონკრეტული დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას.

დანაშაულის მომზადება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, იმ მუხლზე მითითებით, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის მომზადების ცნებას. დანაშაულის მომზადებისათვის სასჯელის ზომა არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის ნახევარს.

დანაშაულის მოტივი – დანაშაულის შემადგენლობის ფაკულტატური, მაგრამ ამასთან ერთად სუბიექტური მხარის დამოუკიდებელი ნიშანი, რომელიც წარმოადგენს პირის გაცნობიერებულ შინაგან სურვილს, რაც განპირობებულია მისი მოთხოვნილებებითა და ინტერესით და რომლებიც ხიბლულებენ ადამიანს იმოქმედონ გარკვეული სახით. გადამწყვეტი ფაქტორი ადამიანის მიერ თავისი ქცევის ვარიანტის არჩევაში.

დანაშაულის მოტივი დანაშაულებრივი ქცევის შინაგანი მასტიმულირებელი მიზეზი (შურისძიება, ანგარება, ეჭვიანობა და სხვა). მოტივი წარმოადგენს დანაშაულებრივი ქცევის აუცილებელ ნიშანს. უმოტივო ქცევა იურისპრუდენციაში მიუღებელია. მოტივი შეიძლება იყოს დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი, ზოგ შემთხვევაში კი წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებას.

დანაშაულის მცდელობა განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, არის დანაშაულის მცდელობა. სისხლის სამართლებრივი პასუხიმგებლობა დანაშაულის მცდელობისათვის განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, იმ მუხლზე მითითებით, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის მცდელობის ცნებას.

დანაშაულის ობიექტი – სისხლის სამართლის კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად მიეყენება ზიანი ან იქმნება ზიანის მიყენების საშიშროება.

დანაშაულის ობიექტი განსაზღვრავს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს, წარმოადგენს საფუძვლების განუყოფელ ნაწილს სისხლის სამართლის პასუხისგებისთვის, გამოდის დანაშაულების კლასიფიკაციის სისტემათწარმომქმნელი კრიტერიუმის როლში.

კონკრეტული დანაშაულების ობიექტის თვისობრივი ნიშნების, როლისა და მნიშვნელობის სრული გამოვლინისა და სინამდვილეში არსებული სხვადასხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების ასახვისთვის გამოყოფა დანაშაულის ობიექტების ხუთი სახე: ზოგადი, ჯგუფზედა, გვარეობითი, სახეობითი და უშუალო.

დანაშაულის ზოგად ობიექტს წარმოადგენს დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლის სამართლის კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა. ინტეგრირებული (ჯგუფზედა) ობიექტია ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჯგუფი, რომელთა საფუძველზე დანაშაულთა შემადგენლობები ერთიანდება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის დამოუკიდებელ განყოფილებებში. გვარეობითი ობიექტი – შიდა შინაარსით ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჯგუფი. სახეობითი ობიექტი – სისხლის სამართლის კანონის ერთ-ერთი ნორმით დაცული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობა. უშუალო ობიექტი კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელსაც დანაშაულებრივი ქმედებით მიადგა არაპირდაპირი ზიანი.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში არის ობიექტების პირიზონტალზე კიდევ ერთი კლასიფიკაცია: ძირითადი, დამატებითი, ფაკულტატიური (ეს უკანასკნელი თავის მხრივ, იყოფა საჯალდებულოდ და არასაჯალდებულოდ). ძირითად ობიექტად გამოდის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის დაცვისთვის კანონმდებელმა მიიღო სისხლის სამართლის ნორმა. დანაშაულის დამატებით ობიექტად უნდა ვაღიაროთ ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც მოცემული დანაშაულით მიადგება ზიანი ძირითად ობიექტთან ერთად. ფაკულტატურ ობიექტებად უნდა ვაღიაროთ ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც მოცემული დანაშაულით შეიძლება მიადგეს ზიანი ცალკეულ შემთხვევებში, ხოლო ზოგჯერ – არა.

დანაშაულის ობიექტური მხარე არსებითი, საკმარისი და აუცილებელი ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ სისხლის სამართლის კანონით დაცული ობიექტებისადმი – ზიანის მიმყენებელი, საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის გარე აქტს. გამოყოფენ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნების ორ ჯგუფს: ა) საჯალდებულოს და ბ) ფაკულტატიურს (დამატებითს).

საჯალდებულო ნიშნები ახასიათებს დანაშაულის ნებისმიერ შემადგენლობას. თუმცა, დანაშაულების შემადგენლობათა დაყოფის მიხედვით მათი რაოდენობა განსხვავებულია. საჯალდებულო ნიშნებს უნდა განვაკუთვნოთ: ა) საზოგადოებრივად საშიში ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა); ბ) საზოგადოებრივად საშიში შედეგები; გ) მიზეზობრიური კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგებს შორის.

ფაკულტატიურ ნიშნებს, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულების გარკვეულ შემადგენლობას და არა ყველა დანაშაულის ობიექტურ მხარეს, განეკუთვნება: ა) დანაშაულის ჩადენის ხერხი; ბ) იარაღი და საშუალებები; გ) ქმედების ჩადენის ადგილი; დ) დრო; ე) ვითარება.

დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნების გამორკვევას გააჩნია დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გარე, ობიექტური მხარის მიხედვით ხშირად ხდება დანაშაულის ერთი შემადგენლობის გამიჯვნა მეორისგან ან დანაშაულების და სხვა, ანტისაზოგადოებრივი გადაცდომების გამიჯვნა.

დანაშაულის ორგანიზატორი პირი, რომელმაც მოაწყო დანაშაულის ჩადენის ორგანიზება ან ხელმძღვანელობდა მის შესრულებას, ასევე პირი, რომელმაც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან დანაშაულებრივი ჯგუფი (დანაშაულებრივი ორგანიზაცია) ან მართავს მას.

დანაშაულის საგანი მატერიალური სახის ნივთი, რომელსაც უშუალოდ ხელყოფს დამნაშავე. დანაშაულებრივი ხელყოფის საგანი – ესაა ხელყოფის ობიექტის ელემენტი, რომელზე ზემოქმედებისას დამნაშავე არღვევს ან ცდილობს დაარღვიოს თავად საზოგადოებრივი დამოკიდებულება.

დანაშაულის სპეციალური სუბიექტი – პირი, რომელიც საერთო ნიშნების გარდა ხასიათდება დამატებითი ნიშნებით, რომელთაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი და ასახავს დამნაშავის სპეციფიკურ თვისებებს, განსაზღვრავს მის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციას.

სპეციალური სუბიექტის ნიშნები დამატებითი ნიშნებია; სპეციალური სუბიექტის ნიშნები მრავალგვარია და შეიძლება ეხებოდეს პიროვნების სხვადასხვა თვისებას. ზოგადად მათი დაყოფა შეიძლება შემდეგ დამოუკიდებელ ჯგუფებად: ა) სახელმწიფო-სამართლებრივი მდგომარეობების მიხედვით (ამ ქვეყნის მოქალაქე, უცხოეთის მოქალაქე, პირი მოქალაქეობის გარეშე); ბ) დემოგრაფიული ნიშნის მიხედვით (სქესობრივი-ასაკობრივი ნიშნები); გ) ოჯახურ-ნათესაური ურთიერთობები (მშობლები, მათი შვილებელი პირები, შვილები); დ) პირთა თანამდებობრივი მდგომარეობებით (სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა თანამდებობის პირები); ე) სპეციალურ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე პირთა თანამდებობრივი მდგომარეობით (გამომძიებელი, მოკვლევის მწარმოებელი პირი, პროკურორი, მოსამართლე, პოლიციის მუშაკი); ვ) სამხედრო ვალდებულებასთან დაკავშირებით (სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოქალაქეები, სამხედრო მოსამსახურეები); ზ) პროფესიონალური ვალდებულებების მიხედვით (ექიმი, კერძო დეტექტივი, ფარმაცევტი) თ) დაკავებული თანამდებობის მიხედვით (ხომალდის კაპიტანი, საჰაერო ხომალდის მეთაური); ი) შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით (პირი, რომელსაც მიანდეს სახელმწიფო საიდუმლოების შემადგენელი ცნობები სამსახურის, საარჩევნო კომისიის მიხედვით და ა.შ.); კ) სახელმწიფოს მიმართ მოქალაქეების ვალდებულებების სახის მიხედვით (მოწმე, ექსპერტი, დაზარალებული).

დანაშაულის სუბიექტი – სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის ფიზიკური შერაცხადი პირი, რომელმაც ჩაიდინა საზოგადოებისთვის საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

პირები, რომლებმაც მიაღწიეს 14 წლის ასაკს დანაშაულის ჩადენის დროისთვის ექვემდებარებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მკვლელობაზე, ჯანმრთელობისთვის მძიმე ზიანის განზრახ მიყენებაზე, ჯანმრთელობისთვის საშუალო სიმძიმის ზიანის განზრახ მიყენებაზე, ადამიანის გატაცებაზე, გაუპატიურებაზე, სექსუალური ხასიათის ძალადობრივ ქმედებებზე, ქურდობაზე, ძარცვაზე, ყაჩაღობაზე, ქონების განზრახ განადგურებაზე ან დაზიანებაზე დამამძიმებელი გარემოებების დროს, ტერორიზმზე, მძევლის აყვანაზე, ხულიგნობაზე, ვანდალიზმზე, იარაღის, ფეთქებადი ნივთიერებებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების ქურდობაზე ან გამოძალვაზე, ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ქურდობაზე ან გამოძალვაზე, სატრანსპორტო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანაზე და ა.შ.

თუ არასრულწლოვანმა მიაღწია იმ ასაკს, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, მაგრამ ფსიქიკურ აშლილობასთან დაუკავშირებელ ფსიქიკურ განვითარებაში ჩამორჩენის შედეგად, საზოგადოებისთვის საშიში ქმედების ჩადენის დროს არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედებების (უმოქმედობის) ფაქტიური ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება და უმართა ისინი, ის არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

დანაშაულის სუბიექტი პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა და პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის მიხედვით. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. იმისათვის, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს, ადამიანი გარკვეულ ასაკს უნდა იყოს მიღწეული. ასევე განსაზღვრულია კანონით პასუხისმგებლობა სხვადასხვა ასაკში და პასუხისმგებლობის ხარისხი. დანაშაულის სუბიექტს უნდა ჰქონდეს უნარი ანგარიში გაუწიოს და უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. ზოგიერთი დანაშაულის სუბიექტი არ შეიძლება იყოს ყველა პირი, რადგან თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ დანაშაულის სპეციალური სუბიექტი.

დანაშაულის განვითარების ადრეულ საფეხურზე დანაშაულის სუბიექტად ითელებოდნენ აგრეთვე ბავშვები, სულით ავადმყოფები, ცხოველები და უსულო საგნებიც კი. ოდესღაც სპარსეთის მეფე – კიროს დიდმა, ზღვას მღელვარების გამო ბორკილებიც კი დაადო.

ძველ საქართველოში არასდროს არ ყოფილა ცხოველთა გასამართლების ან სხვა მსგავსი ფაქტები. ვახტანგ VI-ის სამართლით, 10 წლამდე მცირეწლოვანი პასუხს არ აგებდა სისხლის სამართლის წესით (მუხლი 187). ყმაწვილთან (მცირეწლოვანთან) იყო გათანაბრებული „უჭკუო კაცი" ე.ი. სულით ავადმყოფი.

დანაშაულის სუბიექტური მხარე – პირის ფსიქიკური საქმიანობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება დანაშაულის ჩადენას. ესაა დანაშაულის შიდა მხარე. მის შემადგენლობაშია ისეთი ნიშნები, როგორიცაა ბრალი, მოტივი და მიზანი. ისინი ერთმანეთთან ურთიერთკავშირში არიან; თუმცა, ბრალი, მოტივი და მიზანი წარმოადგენენ დამოუკიდებელ ფსიქოლოგიურ მოვლენებს ინდივიდუალური ნიშნებით. ნებისმიერი დანაშაულის საკანონმდებლო ნიშნებს წარმოადგენს ბრალი. ბრალი ესაა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ საზოგადოებისთვის საშიში ქმედების და მისი შედეგების მიმართ. არსებობს ბრალის ორი ფორმა – განზრახვა და გაუფრთხილებლობა. ამასთან, ადამიანის მოქმედებები განპირობებულია მოტივებით და მიმართულია გარკვეულ მიზნებზე. ნებისმიერი ქცევის სწორი შეფასება შეუძლებელია მისი მოტივებისა და მიზნების გათვალისწინების გარეშე. მოტივი და მიზანი – ესაა ფსიქიკური მოვლენები, რომლებიც ბრალთან ერთად წარმოქმნიან დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. დანაშაულის მიზანი წარმოიქმნება დანაშაულებრივი მოტივის საფუძველზე, ხოლო მოტივი და მიზანი ერთად ქმნიან იმ ბაზას, რომელზეც ჩნდება ბრალი, როგორც სუბიექტის გარკვეული ინტელექტუალური და ნებელობითი საქმიანობა, რაც უკავშირდება დანაშაულის ჩადენას და მიმდინარეობს მისი ჩადენის მომენტში.

დანაშაულის შედეგი – ზიანი, რომელიც მიადგა სისხლის სამართლის კანონით დაცვის ობიექტს საზოგადოებრივად საშიში ქმედების შედეგად.

დანაშაულის შემადგენლობა კანონით გათვალისწინებული ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა, რაც კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისთვისაა დამახასიათებელი და წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველს, დანაშაულის შემადგენლობა ეწოდება. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები იყოფა ოთხ ჯგუფად: დანაშაულის ობიექტი, დანაშაულის ობიექტური მხარე, დანაშაულის სუბიექტი, დანაშაულის სუბიექტური მხარე. დანაშაულის ობიექტია სამართლით დაცული ის სიკეთე, რის წინააღმდეგ მიმართულია დანაშაულებრივი ქმედება. დანაშაულის ობიექტური მხარეა თვითონ დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი. დანაშაულის სუბიექტია გარკვეულ ასაკს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, ხოლო დანაშაულის სუბიექტური მხარე მოიცავს ბრალს, დანაშაულებრივი ქცევის მოტივსა და მიზანს.

დანაშაულის შემადგენლობა – კანონში აღწერილი ელემენტებისა და არსებითი ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც წარმოქმნიან საზოგადოებისთვის საშიშ ქმედებას, რაც სისხლის სამართლის კანონის მიერ განიხილება დანაშაულის სახით. დანაშაულის შემადგენლობა წარმოქმნის ოთხ შედარებით დამოუკიდებელი ელემენტის ერთობლიობას: დანაშაულის ობიექტი; დანაშაულის ობიექტური მხარე; დანაშაულის სუბიექტი და დანაშაულის სუბიექტური მხარე. სისხლის სამართლის მეცნიერებაში შეიშუშავებულია დანაშაულის შემადგენლობის ცალკეულ სახეებად დაყოფის რამდენიმე კრიტერიუმი: ა) ნიშნების განზოგადებულობის ხარისხი; ბ) საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი; გ) შესაბამისი სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურა.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები განზოგადებულობის ხარისხის მიხედვით იყოფა ზოგადად, სპე-

ციალურად. სახეობრივად და კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობად. ზოგადი დანაშაულის შემადგენლობა ხასიათდება დანაშაულის ზოგადი ცნების განსაზღვრისთვის გამოყენებული ელემენტების ერთობლიობით.

სპეციალური შემადგენლობა ხასიათდება ისეთი ნიშნებისა და ელემენტების არსებობით, რომლებიც ნიშანდობლივია მხოლოდ დანაშაულების გარკვეული ჯგუფისთვის. სწორედ მათი მეშვეობით ხდება ყველა დანაშაულის დიდ ჯგუფებად დაყოფა.

სახეობრივი შემადგენლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის მოცემული ნორმით (მუხლით, მუხლის ნაწილი) დადგენილი ნიშნების ერთობლიობით.

კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობა – ისეთი ნიშნებისა და ელემენტების ერთობლიობაა, რომლებიც ახასიათებს მხოლოდ მოცემული პირის მიერ ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულს.

საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით დანაშაულები იყოფა: ა) დანაშაულის ძირითად შემადგენლობად; ბ) დანაშაულის კვალიფიცირებულ შემადგენლობად; გ) დანაშაულის პრივილეგირებულ შემადგენლობად.

დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა ხსნის მოცემული სახის დანაშაულის არსებით ნიშნებს, არ ახასიათებს რა არც დამამძიმებელ და არც შემამსუბუქებელ გარემოებებს; დანაშაულის კვალიფიცირებული შემადგენლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ ნორმაში სპეციფიკური ნიშნების მითითებით. დანაშაული პრივილეგირებული შემადგენლობით ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ქმედებაზე, რომელიც ჩადენილია სუბიექტის ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებების დროს.

დანაშაულის შემადგენლობა აღწერის ხერხის მიხედვით იყოფა: ა) მარტივად; ბ) რთულად; გ) ალტერნატიულად.

მარტივი შემადგენლობა მოიცავს დანაშაულის ძირითადი ნიშნების მოკლე აღწერას (სისხლის სამართლის ნორმა ფიქსირებს თავად დანაშაულებრივი ქმედების არსს ხელყოფის ობიექტის ან ობიექტური მხარის ზოგიერთი ნიშნის აღწერით).

რთულ შემადგენლობებში ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ნიშნები აღწერილია მრავლად (ეს შეიძლება იყოს რამდენიმე მრავალფეროვანი ქმედების ჩადენა, რამდენიმე შედეგის აღწერა და ა.შ.).

ალტერნატიული შემადგენლობა მოიცავს ნებისმიერი ჩამოთვლილი ქმედების ჩადენას სისხლის სამართლის ნორმასთან კონსტრუქციაში.

დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის კონსტრუქციის მიხედვით ეს უკანასკნელი იყოფა დანაშაულებად: ა) მატერიალური შემადგენლობით; ბ) ფორმალური შემადგენლობით; გ) შეკვეცილი შემადგენლობით.

მატერიალურ შემადგენლობაში ობიექტური მხარის საჭიროდ ნიშნის სახით უნდა იყოს დანაშაულებრივი ქმედების შედეგები.

ფორმალური შემადგენლობა ობიექტური მხარის ნიშნების აღწერისას შემოიფარგლება თავად ქმედებების ჩადენაზე მითითებით, როგორც დამოუკიდებელი და საკმარისი საფუძვლის დასრულებული დანაშაულის შემადგენლობის ცნობისთვის.

შეკვეცილი შემადგენლობა მოიცავს არა მხოლოდ ობიექტური მხარის ნიშნების, არამედ მუხლის დისპოზიციაში აღწერილი მოქმედებების ჩადენისგან ზიანის დადგომის შესაძლებლობის რეალური საფრთხის აღწერასაც.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი

ნიშანი – გარკვეული სახის დანაშაულის გარემოება, რომელმაც განმტკიცება ჰპოვა სისხლის სამართლის კანონში, ახასიათებს მოცემული სახის დანაშაულის სპეციფიკას და გამოყოფს სხვა ნიშნებთან ერთად მას, სხვა სახის დანაშაულებისგან.

დანაშაულის შემსრულებელი

შემსრულებელი – პირი, რომელმაც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში სხვა პირებთან (თანამონაწილეებთან) ერთად და ასევე პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული სხვა პირების გამოყენების მეშვეობით, რომლებიც არ ექვემდებარებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ასაკის, შეურაცხადობის ან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გარემოებების ძალით.

დანაშაულის შემსრულებლის ექსცესი

ექსცესი – დანაშაულის ჩადენა შემსრულებლის მიერ, რომელიც არ მოიცავს სხვა თანამონაწილეების განზრახვას. შემსრულებლის ექსცესზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ ექვემდებარებიან სხვა თანამონაწილეები.

დანაშაულის შემსრულებლის ექსცესის დროს, როცა ის სცდება შეთანხმების ფარგლებს, იხსნება საკითხი სხვა თანამონაწილეების მიერ შემსრულებლის დანაშაულზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რადგანაც ისინი ვერ ხედავდნენ შემსრულებლის მოქმედებებისგან დანაშაულებრივი შედეგების დადგომის გარდაუვალობას ან შეუძლებლობას და არ სურდათ და შეგნებულადაც არ უშვებდნენ მათ დადგომას, ასევე იმიტომაც, რომ მათ მოქმედებებსა და შემსრულებლის მოქმედებებს შორის არაა მიზეზობრივი კავშირი.

ექსცესის დროს შემსრულებელი ხელყოფს არა იმ ობიექტს, რომელიც მოცული იყო ორგანიზატორის, წამქეზებლის, ხელშემწყობის განზრახვით, ანორციელებს არა იმ ქმედებებს, რომლისკენაც მას მოუწოდებდნენ ან რომელშიც მას დახმარება გაუწიეს ხელშემწყობებმა.

ყველა ექსცესი იყოფა რაოდენობრივად და თვისობრივად. პირველის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შემსრულებელი ანორციელებს ერთგვაროვან მეტად ან ნაკლებად მძიმე დანაშაულს, ვიდრე ისაა, რაც განზრახული ჰქონდათ თანამონაწილეებს. ამ შემთხვევაში, თანამონაწილეები პასუხს აგებენ იმ დანაშაულში თანამონაწილეობაზე, რომელთა ერთობლიობად ჩადენაც სურდათ მათ.

თვისობრივი ექსცესის დროს შემსრულებელი ხელყოფს სულ სხვა ობიექტს, რაც საერთოდ არ ჰქონდათ განზრახული თანამონაწილეებს.

დანაშაულის შესახებ შეტყობინების განხილვა

განხილვა – მოკლეული მწარმოებელი პირის, მოკვლეულის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების ერთობლიობა. აღნიშნული პირები ვალ-

დებულნი არიან მიიღონ და შეამოწმონ შეტყობინება ნებისმიერი ჩადენილი ან მოსამზადებელი დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. დანაშაულის შესახებ შეტყობინების შემოწმებისას მოკლეული მწარმოებელი ორგანოს, მოკლევის მწარმოებელ პირს, გამომძიებელსა და პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს დოკუმენტური შემოწმებების, რეზიზიების წარმოება და მათ მონაწილეობაში სპეციალისტების ჩართვა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული დანაშაულის შესახებ შეტყობინებაზე შემოწმებას ახორციელებს მოკლეული მწარმოებელი ორგანო ან გამომძიებელი პროკურორის დავალებით. შესაბამისი მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქცია, მთავარი რედაქტორი ვალდებულია გადასცეს მის ხელთ არსებული დოკუმენტები პროკურორის, გამომძიებლის ან მოკლეული მწარმოებელი ორგანოს მოთხოვნით, ასევე მონაცემები ამ ინფორმაციის გადამცემი პირის შესახებ იმ შემთხვევების გარდა, როცა ამ პირმა წამოაყენა პირობა ინფორმაციის წყაროს საიდუმლოდ შენახვის შესახებ. განმცხადებელს ეძლევა დოკუმენტი დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღების თაობაზე მისი მიმღები პირის შესახებ მონაცემების, მისი მიღების თარიღისა და დროის მითითებით. დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღებაზე უარი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს პროკურორთან ან სასამართლოში.

დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ორგანიზებული ჯგუფის ან დანაშაულებრივი საზოგადოების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მიერ. დანაშაული პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი თუ მასში მონაწილეობს ორი ან მეტი შემსრულებელი, რომლებმაც წინასწარ მოილაპარაკეს დანაშაულის ერთობლივი ჩადენის შესახებ.

დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ ის განხორციელდა ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად გაერთიანებულ პირთა მყარი ჯგუფის მიერ.

დანაშაული დანაშაულებრივი საზოგადოების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მიერაა ჩადენილი, თუ ის განხორციელდა შეკრული ორგანიზებული ჯგუფის (ორგანიზაციის) მიერ, რომელიც შექმნილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩასადენად ან ამავე მიზნით შექმნილი ორგანიზებული ჯგუფების გაერთიანების მიერ.

ორგანიზებული ჯგუფის ან დანაშაულებრივი საზოგადოების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) შემქმნელი პირი ან მათი ხელმძღვანელები ექვემდებარებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მათ ორგანიზებასა და ხელმძღვანელობაზე. ორგანიზებული ჯგუფის ან დანაშაულებრივი საზოგადოების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) სხვა მონაწილეები პასუხისგებაში ეძლევიან იმ დანაშაულებზე, რომელთა მომზადებასა და ჩადენაშიც ისინი მონაწილეობდნენ და ასევე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

დანაშაულის ჩადენის ადგილი

– ადგილი, სადაც მოხდა კრიმინალისტური და სისხლისსამართლებრივი მიმართულებით მნიშვნელოვანი ქმედება. გამოიყოფა დანაშაულის ადგილი: ა) ვიწრო გაგებით – ადგილი, სადაც ქმედება მოხდა უშუალოდ და რომელშიც შეიძლება აღმოჩენილ იქნეს ამ მოვლენით განპირობებული ცვლილებები (ბრძოლის, შეხების კვალი, დანაშრევები დამწაშავეა და მსხვერპლზე, სისხლის კვალი, თითების, ფეხების ანაბეჭდი, დანგრეული ან დაზიანებული საგნები და ა.შ.); ბ) ფართო გაგებით – მოვლენის ადგილთან მისასვლელი და ამ ადგილიდან გაქცევის გზები და მიმდებარე მონაკვეთები (მონაცემები, რომლებიც მოწმობენ დანაშაულის ჩადენას, გაქცევას, დაკარგული ნივთები, კვალი, ბიოლოგიური და მინერალური დაშრევება და სხვ.).

სისხლის სამართლის საქმე ექვემდებარება იმ სასამართლოს მიერ განხილვას, სადაც დანაშაული დასრულდა, თუ ის დაიწყო ერთ ადგილას, სადაც ვრცელდება ერთი სასამართლოს იურისდიქცია და დასრულდა სხვა ადგილას, რომელზეც ვრცელდება სხვა სასამართლოს იურისდიქცია. თუ დანაშაული ჩადენილია სხვადასხვა ადგილას, სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოს მიერ, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მეტი დანაშაულების გამოძიების ან მათ შორის ყველაზე მძიმეს ჩადენის ადგილას.

დანაშაულის ჩადენის დრო

– საზოგადოებრივად საშიში მოქმედების (უმოქმედობის) ჩადენის დრო – შედეგების დადგომის დროის მიუხედავად. დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ერთერთი ფაკულტატიური ნიშანი. ამასთან, მან შეიძლება მიიღოს სავალდებულოს, როგორც ძირითადის, ასევე მაკვალიფიცირებელის მნიშვნელობა.

გარკვეულ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენის დროს, არაა რა დანაშაულის შემადგენლობის არც ძირითადი, არც მაკვალიფიცირებელი ნიშანი, შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა კონკრეტული ხელყოფის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის დახასიათებისთვის.

დანაშაულის ჩადენის ვითარება

– დანაშაულებრივი ქმედების გარემო, რომელიც ხასიათდება ადამიანების ან გარკვეული მოვლენების არსებობით. რიგ შემთხვევებში, ისინი გაულენას ახდენენ ჩადენილის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათზე და ამიტომ, კანონმდებლის მიერ ის შედის დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის საკალდებულო ნიშნების რიცხვში. სხვა შემთხვევებში, გარკვეული ვითარება მითითებულია კანონში, როგორც დანაშაულის კვალიფიცირებული შემადგენლობის ნიშანი. დანაშაულის ჩადენის ესა თუ ის ვითარება უნდა იქნეს გათვალისწინებული სასამართლოს მიერ სასჯელის შეფარდებისას, პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოების სახით.

დანაშაულის ჩადენის იარაღი

– დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის პროცესში უშუალოდ სუბიექტის მიერ გამოყენებული მრავალგვარი საგანი.

დანაშაულის ჩადენის მცდელობა

– პირის განზრახ ქმედება (უმოქმედობა), რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე, თუ ამასთან დანაშაული არ იქნა მიყვანილი ბოლომდე ამ პირისგან დამოუკიდებელი გარემოებით.

დანაშაულის ჩადენის საშუალებები – გარე სამყაროს პროცესები, იარაღები ან მოწყობილობები, რომელთაც სუბიექტი იყენებს ხელყოფის ობიექტზე ზემოქმედებისთვის. სხვადასხვა იარაღისა და საშუალების გამოყენება აძლიერებს ობიექტის დაშავებულებულ მოქმედებებს, მის ძალას, სიმძლავრეს და ინტენსიურობას, აადვილებს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, ხშირად თრგუნავს მისი მსხვერპლის ნებას წინააღმდეგობის გაწევის მიმართ და საბოლოო ჯამში ზრდის ხელყოფის საზოგადოებრივ საშიშროებას.

დანაშაულის ჩადენის ხერხი – იმ მოქმედებების, ხერხების, მეთოდების ერთობლიობა, რომლებითაც ხდება მოცემული დანაშაულის ჩადენა. დანაშაულის ჩადენის ხერხის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ის გარეგნული ფორმა, რომლითაც გამოიხატა მოქმედება; დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტური მხარის რეალიზაციის პროცესში დამნაშავის მიერ გამოყენებული ხერხები და მეთოდები.

დანაშაულის ჩამდენი პირის გადაცემა - სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების გაწევის ერთ-ერთი ფორმა. ის ხორციელდება პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის წინააღმდეგ, მოცემული უცხოეთის სახელმწიფოსთვის (მისი მოთხოვნით სისხლის სამართლებრივი დევნის ან ასეთი პირის მიმართ უცხოეთის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულების მიზნით).

დანაშაულის ჩამდენი პირის დასაკავებლად აუცილებელი ზომების გადამეტებისას ჩადენილი მკვლელობა – დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ. მოცემული დანაშაული ხასიათდება: ა) მკვლელობის დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნით; ბ) ქმედების ჩადენით დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას; გ) დაკავებისთვის საჭირო ზომების გადამეტებით ე.ი. იმ შემთხვევებში, როცა დასაკავებელი სიკვდილის მიზეზი არ იყო დაკავებისთვის აუცილებელი, აშკარად არ შეესაბამებოდა ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათა და ხარისხს და დაკავების გარემოებას.

დაკავების გამხორციელებელ პირს უნდა ჰქონდეს: ა) დაკავების უფლება (საზოგადოებისთვის საშიში ხელყოფის ჩადენა, რომელსაც გააჩნია დანაშაულის ნიშნები; დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისგებისგან თავის არიდების რეალური საშიშროება; მისი დაკავების მიზანი და ა.შ.); ბ) დაკავების სიტუაცია.

დასაკავებელი პირის სიკვდილი არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დაკავების აქტის მართლზომიერების პირობების დაცვისას.

დანაშაულის წამქეზებელი – პირი, რომელმაც წაქეზა მეორე პირი დანაშაულის ჩადენისკენ მოსყიდვის, მუქარის გზით ან სხვა საშუალებით.

დანაშაულობა ისტორიულად ცვალებადი საზოგადოებრივად საშიში ქმედება და მაგნე ბუნების მქონე სპეციალური მოვლენა, რომელიც გულისხმობს მოცემულ ტერიტორიაზე დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩადენილ დანაშაულთა ურთიერთობას. დანაშაულობა წარმოიშვა საზოგადოების განვითარების იმ ეტაპზე, როცა შეიქმნა ოჯახი, სახელმწიფო, საკუთრების ფორმები და საზოგადოებრივი აზროვნების მიდგომები. დანაშაულობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხსა და ხასიათს განსაზღვრავს მისი მდგომარეობა, სტრუქტურა და დინამიკა. დანაშაულობის მდგომარეობა გამოიხატება რაოდენობრივი მაჩვენებლებით ან კოეფიციენტით (კოეფიციენტი იანგარიშება დანაშაულის რაოდენობიდან გარკვეულ მოსახლეზე, მაგ., 100 ათასს მოსახლეზე). სტრუქტურა გულისხმობს თანაფარდობას დანაშაულის ცალკეულ სახეებს შორის, განზრახი და გაუფრთხილებელი დანაშაულის, რეციდივის, ჯგუფური და არასრულწლოვანთა დანაშაულის ხვედრით წონას. დინამიკა ასახავს რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების ცვლილებებს დროის გარკვეულ მონაკვეთში, მოცემულ ტერიტორიაზე. დანაშაულის მდგომარეობა, სტრუქტურა და დინამიკა ცვალებადი მაჩვენებლებია. ეს ახსნება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცვალებადობით, აგრეთვე მოსახლეობის რაოდენობით.

დანაშაულის თავიდან ასაცილებლად უპირველესად შესწავლილი უნდა იქნას მისი სოციალური ბუნება, ხელშემწყობი პირობები, ფსიქოლოგიური გარემო და სხვა თავისებურებანი. დანაშაულების აღმოფხვრის მიზნით უნდა ხორციელდებოდეს ეკონომიკური, პოლიტიკური იდეოლოგიური და საგანმანათლებლო ღონისძიებები. სისტემატურად უნდა ხდებოდეს პროფილაქტიკური ზომების გატარება. დანაშაულობის ლიკვიდირებისათვის აუცილებელია მოქალაქეთა თვითშეგნების და კულტურის ამაღლება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხასიათის ღონისძიებათა ერთობლივი გატარება. მმართველობის დემოკრატიზაცია და ფართო ავიტაციაპროპაგანდა ადამიანის უფლებების დაცვასთან ერთად. დანაშაულობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა არასრულწლოვანთა დანაშაულის პროფილაქტიკა, როცა ადამიანის სრულ დამნაშავედ ჩამოყალიბებამდე უნდა ვებრძოლოთ დანაშაულს. სასჯელის ზომის გამოყენებისას უნდა ხდებოდეს აღმზრდელობითი დანიშნულების ფორმების ზემოქმედება და წარმოადგენდეს გაფრთხილებას, ერთგვარ პრევენციას, რომ სხვა პირებმა არ ჩაიდინონ დანაშაული. არასრულწლოვანთა მიმართ ყურადღება უნდა გამახვილდეს დანაშაულობის იმ ფაქტორებზე, რაც ქმნის მათში ემოციურ აგზნებადობას, მიმდაბლებას, სიტუაციის შეუფასებლობას, გამოცდილების უქმარისობას, სოციალური სიდუხჭირე, მძიმე ოჯახური გარემო, ცხოვრების აღქმის ზედმეტი სიმარტივე, არარელიგიურობა და სხვა თავისებურებები. მუდმივად უნდა ხდებოდეს დანაშაულობათა სტატისტიკური აღწერა, მასალის დამუშავება და სათანადო ახალი და ეფექტური მეთოდების დამუშავება.

დანაშაულში თანამონაწილეობა ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში არის დანაშაულში თანამონაწილეობა. დანაშაულის თანამონაწილეებია: ამსრულებელი, ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე.

დაპატიმრება აღმკვეთი ღონისძიება, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოიყენება დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის ან ბრალ-

დებულის მიმართ, რომლებზეც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი ვადით სხვა, უფრო მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობის დროს. აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების არჩევისას მოსამართლის დადგენილებაში უნდა იყოს მითითებული კონკრეტული, ფაქტიური გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მოსამართლემ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. გამონაკლის შემთხვევებში ეს აღმკვეთი ღონისძიება შეიძლება არჩეულ იქნეს ისეთი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ, რომელზეც გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით, შემდეგი გარემოებებიდან ერთ-ერთის არსებობისას: ა) ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს არ გააჩნია შუამდივი საცხოვრებელი ადგილი ქვეყნის ტერიტორიაზე; ბ) მისი პიროვნება არაა დადგენილი; გ) მის მიერ ადრე შერჩეული აღმკვეთი ღონისძიება იქნა დარღვეული; დ) ის დაეშალა წინასწარი გამოძიების ორგანოებს ან სასამართლოს.

არასრულწლოვან ეჭვმიტანილთან ან ბრალდებულთან მიმართებაში დაპატიმრების შეფარდება აღმკვეთი ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ ის ეჭვმიტანილი ან ბრალდებულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში. გამონაკლის შემთხვევებში ეს აღმკვეთი ღონისძიება შეიძლება შეფარდებულ იქნეს საშუალო სიმძიმის დანაშაულის ჩადენაში არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ.

აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების არჩევის აუცილებლობისას პროკურორი, ასევე გამომძიებელი და მოკვლევის მწარმოებელი პირი პროკურორის თანხმობით სასამართლოს წინაშე აყენებს შესაბამის შუამდგომლობას. შუამდგომლობის დაყენების შესახებ დადგენილებაში გადმოიცემა ის მოტივები და საფუძვლები, რომელთა გამოც საჭირო გახდა ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაპატიმრება და შეუძლებელია სხვა აღმკვეთი ღონისძიების არჩევა. დადგენილებას თან ერთვის შუამდგომლობის დასაბუთებულობის დამამტკიცებელი მასალები. აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ შუამდგომლობის დაყენების შესახებ დადგენილება ექვემდებარება ერთპიროვნულად განხილვას რაიონული ან შესაბამისი დონის სამხედრო სასამართლოს მოსამართლის მიერ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის, პროკურორის, დამცველის მონაწილეობით, თუ ეს უკანასკნელი მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმეში, წინასწარი გამოძიების წარმოების ან ეჭვმიტანილის დაკავების ადგილის მიხედვით, სასამართლოში მასალების შესულიდან რვა საათის მანძილზე.

მხარეთა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, რომლებიც დროულად იყვნენ ინფორმირებულნი სასამართლო სხდომის დროის შესახებ, არ წარმოადგენს დაბრკოლებას შუამდგომლობის განხილვისთვის, ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევების გარდა. აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების დაუსწრებლად შეფარდების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია მხოლოდ ბრალდებულის საერთაშორისო ძებნაში გამოცხადების შემთხვევაში.

დაპატიმრება – 1) პირის დაკავების აქტი რაიმე სამართალდარღვევის ჩადენაში ეჭვმიტანილის სახით ან რომელიმე ორგანოს გადაწყვეტილებით; 2) აღკვეთის დამოუკიდებელი ზომა, რომელიც გამოიყენება პირთან მიმართებაში სასამართლოს გადაწყვეტილებით ან რომელიც გამოიყენება პირთან მიმართებაში სასამართლოს გადაწყვეტილებით ან რომელიც მდგომარეობს მისი შენობაში დაცვის ქვეშ მოთავსებაში, მის მიერ შემდგომი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში ხელის შეშლის მიზნით; 3) სისხლისსამართლებრივი სასჯელის დამოუკიდებელი სახე. დაპატიმრება მდგომარეობს მსჯავრდებულის საზოგადოებისგან მკაცრი იზოლაციის პირობებში და შეეფარდება არანაკლებ უმეტესად ორი თვის ან კანონით განსაზღვრული სხვა ვადით. დაპატიმრება არ შეეფარდება პირებს, რომელთაც არ შესრულებიათ 16 წელი, ასევე ორსულ ქალებს და ქალებს, რომელთა შვილების ასაკიც 14 წლამდეა. დაპატიმრების, როგორც სასჯელის დამოუკიდებელი სახის განხილვისას სისხლისსამართლებრივთან ერთად, ასევე უნდა იქნეს გამიჯნული ადმინისტრაციული და დისციპლინარული დაპატიმრება.

დაპატიმრება თავისუფლების აღკვეთის სახე მოქალაქეთა პიროვნების ხელშეურყევება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის ძალითაც არავინ არ შეიძლება დააპატიმრონ, თუ ამისათვის არ არსებობს სასამართლოს მიერ გაცემული დაპატიმრების ორდერი (სანქცია). დაპატიმრება შეიძლება გამოიყენონ, როგორც აღკვეთის ღონისძება ბრალდებულის წინასწარი პატიმრობისათვის ან განსაკუთრებულ შემთხვევაში ეჭვმიტანილის მიმართ. ზოგჯერ დაპატიმრება სასჯელის ღონისძებაც არის, მაგ., სამხედრო მოსამსახურის დაპატიმრება და პატუქსტატში ჩასმა სასამართლოს მიერ მისთვის მისჯილი გამასწორებელი სამუშაოების ნაცვლად. დაპატიმრებას, როგორც ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძებას, მოსამართლე წერილმანი ხულიგნობისა და წერილმანი სპეკულაციისათვის იყენებს. მოსამართლეს უფლება აქვს დანიშნოს ადმინისტრაციული დაპატიმრება, თუ პირი, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი საშიშროების დანაშაული არ ჩაუდენია, გათავისუფლებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ამგვარ დაპატიმრებას შედეგად არ მოსდევს ნასამართლობა. დისციპლინარულ დაპატიმრებას იყენებენ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართაც.

დაპირისპირება სისხლის სამართლის პროცესში საგამოძიებო მოქმედება, რაც ნიშნავს ადრე დაკითხული პირების ერთდროულ დაკითხვას, თუ მათ ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობებია. ბრალდებულს უფლება აქვს დაუპირისპირდეს იმ პირს, რომელიც მას ამხელს დანაშაულის ჩადენაში. დასაპირისპირებლად გამოძახებულ პირებს რიგრიგობით ართმევენ ჩვენებებს საქმის იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა გასარკვევადაც ტარდება დაპირისპირება. ამის შემდეგ გამომძიებელი მათ უსვამს კითხვებს. გამომძიებლის ნებართვით დაპირისპირებაზე გამოძახებულ პირებსაც შეუძლიათ ერთმანეთს დაუსვან კითხვები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაპირისპირებას შეიძლება ესწრებოდეს დამცველი, პედაგოგი, ექიმი, თარჯიმანი, დასაკითხი კანონიერი წარმომადგენელი, თუ მას საფუძვლად კანონიერება უდევს. დაპირისპირების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ დაკითხული და დამსწრე პირები.

დაპირისპირება – საგამოძიებო მოქმედება, რომელიც წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ ადრე დაკითხული პირების ჩვენებებში არსებობს არსებითი წინააღმდეგობები. დაპირისპირება ხორციელდება გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე. მოცემული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანია ადრე მიღებული მტკიცებულებების შემოწმება, ჩვენებებში წინააღმდეგობათა აღმოფხვრა. დაპირისპირების დროს შეიძლება მიღებულ იქნეს ახალი, ადრე უცნობი ფაქტური მონაცემები.

გამომძიებელი არკვევს დაპირისპირებაში მონაწილე მხარეებს შორის, იცნობენ თუ არა ისინი ერთმანეთს და რა ურთიერთობაში არიან ისინი ერთმანეთთან. შემდეგ, დაკითხულ პირებს რიგ-რიგობით სთავაზობენ ჩვენებების მიცემას იმ გარემოებებზე, რომელთა გასარკვევადაც ხორციელდება მოცემული საგამოძიებო მოქმედება. ჩვენებების მიცემის შემდეგ გამომძიებელს შეუძლია თითოეული პირისთვის კითხვების დასმა. პირებს, რომელთა შორისაც ხდება დაპირისპირება, გამომძიებლის ნებართვით შეუძლიათ ერთმანეთისთვის კითხვების დასმა. გამომძიებელს უფლება არა აქვს დასვას დამსმენელი კითხვები. დაპირისპირების დროს გამომძიებელს უფლება აქვს წარმოადგინოს ნივთმტკიცებები და დოკუმენტები. დაკითხული პირების ჩვენებები, რომლებიც შედის წინა დაკითხვის ოქმებში, აუდიო- და/ან ვიდეოჩანაწერის, ამ ჩვენებების გადაღების აღდგენის გახმოვანება ხდება ამ პირების მიერ ჩვენებების მიცემის ან ჩვენების მიცემაზე უარის განცხადების შემდეგ დაპირისპირებაზე. მოცემული საგამოძიებო მოქმედების წარმოების დროს ხდება ოქმის შედგენა. მასში აღინიშნება დაკითხული პირების ჩვენებები იმ თანამიმდევრობით, რითაც ხდებოდა მათი მიცემა. თითოეული დაკითხული პირი ხელს აწერს თავის ჩვენებას, ოქმის თითოეულ გვერდს და მთლიანად ოქმს.

დარბევა – საცხოვრებელი სახლის, ადმინისტრაციული შენობების, ქონების, მათში მყოფი წარმოების საშუალებებისა და იარაღების დაზიანება, საცხოვრებელი სახლების, მაღაზიების, საწყობების გაძარცვა, ტრანსპორტის განადგურება.

დარბევა ფეოდალურ საქართველოში: 1) სამხედრო მოქმედების სახეობა საგარეო თუ შინაომებში, ხშირად დასჯის და რებრესიის მიზნით; 2) დანაშაული–ფეოდალების მიხდომა–თავდასხმა და ძარცველობა; უფლების თვითნებურად, კანონგარეშე განხორციელება და მტერთან ან მოწინააღმდეგესთან ანგარიშსწორება; 3) ქონებრივი ხასიათი (ეგზეკუციური ბასიათისა) – ერთგვარი ჯარიმა, იძულებითი გადახდევინება.

დასაბუთებული რისკი – დანაშაულს არ წარმოადგენს ზიანის მიყენება სისხლის სამართლის კანონით დაცული ინტერესებისთვის საზოგადოებისთვის სასარგებლო მიზნის მისაღწევად დასაბუთებული რისკის დროს. რისკი დასაბუთებულია, თუ აღნიშნული მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო რისკთან დაუკავშირებელი მოქმედებებით (უმოქმედობით) და რისკის დაშვებამა პირმა მიიღო საკმარისი ზომები სისხლის სამართლის კანონით დაცული ინტერესებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. რისკი დაუსაბუთებელია, თუ მას წინასწარ არ ერთვოდა საშიშროება მრავალი ადამიანის სიცოცხლისთვის, ეკოლოგიური კატასტროფისა თუ საზოგადოებრივი უბედურების საფრთხე.

დასამუშავებლად აკრძალული, ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეების უკანონო კულტივირება – დასამუშავებლად აკრძალული მცენარეების დათესვა და გაზრდა, ასევე კანაფის, ყაყაჩოს ჯიშების, ასევე ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეების კულტივირება.

დასაქმება – მოქალაქეთა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და მისთვის მოაქვს ხელფასი (შრომის შემოსავალი). დასაქმებულად ითვლება მოქალაქეთა შემდეგი კატეგორიები: შრომის ხელშეკრულებით მომუშავენი, მათ შორის, არასრული სამუშაო დროით; დროებითი და სეზონური მუშაკები, რომლებიც დაკავებულნი არიან სამეწარმეო საქმიანობით; პირები, რომლებიც დამოუკიდებლად ირჩენენ თავს სამუშაოთი, მუშაობენ დამხმარე სარენებში; საწარმოო კოოპერატივების (არტელების) წევრები; სანარდო, დავალებისა და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებებით მომუშავენი; ანაზღაურებად თანამდებობაზე არჩეულები, დანიშნულები ან დამტკიცებულები; ყველა სახის დასწრებული საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები. ამგვარად, დასაქმებულად ითვლება პირები, რომლებიც ახდენენ თავიანთი შრომის უფლების რეალიზებას საზოგადოებრივ-სასარგებლო ანაზღაურებადი საქმიანობის ნებისმიერი ფორმით. ოფიციალურად უმუშევრად ითვლება შრომისუნარიანი მოქალაქე, რომელსაც არ გააჩნია სამუშაო და დასაქმების ორგანოში რეგისტრირებული ხელფასი, ეძებს სამუშაოს და მზადაა შეუდგეს მას. უმუშევრად არ ითვლება 16 წლამდე ასაკის პირები და პენსიონერები (III ჯგუფის ინვალიდების გარდა და ასევე პირები, რომლებმაც დასაქმების ორგანოსთვის მიმართვის დღიდან ათი დღის განმავლობაში უარი თქვეს შესაბამისი სამუშაოს ორი ეარიანტისგან და პირები, რომელთაც მიესაჯათ გამოსასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღკვეთის გარეშე).

შესაბამის სამუშაოდ ითვლება ის, რომელიც შეესატყვისება მოქალაქის სპეციალობას, კვალიფიკაციას. პროფესიულ მომზადებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ბოლო სამუშაო ადგილისა და სატრანსპორტო წვდომის პირობებს, საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით. შესაბამისად, არ შეიძლება ჩაითვალოს საცხოვრებელი ადგილის ცვლილებასთან დაკავშირებული სამუშაო, ამაზე მოქალაქის თანხმობის გარეშე ან უკანასკნელ სამუშაოსთან შედარებით დაბალი შრომის ანაზღაურებითა და პირობებით. თუ მისი წინა ხელფასი ბოლო სამი თვის განმავლობაში, რეგიონში საშუალო ხელფასის დონეზე მეტია, მაშინ შესაბამისად არ შეიძლება ჩაითვალოს საშუალო რეგიონალურზე დაბალი ხელფასით მუშაობა. სპეციალობის, კვალიფიკაციის არმქონე პირებისთვის შესაბამისად ითელება ნებისმიერი, მისთვის უკუჩენების არმქონე სამუშაო, შემოთავაზებულ სამუშაოზე მან უარი არ უნდა თქვას, ისევე როგორც დასაქმების ორგანოს მიერ სპეციალობის შესასწავლად გაგზავნაზე.

მოქალაქის დასაქმების ორგანოსთან სამართალდამოკიდებულება მისი, როგორც უმუშევრის რეგის-

ტრაციის მომენტიდან ტრანსფორმირდება დასაქმების ორგანოსთან უმუშევრის სამართალდამოკიდებულებაში. მის შინაარსს წარმოადგენს უმუშევრის ვალდებულება ყველ ორ კვირაში დარეგისტრირდეს უმუშევრის სახით და უმუშევრობის და სხვა მატერიალური დახმარების მიღების უფლება დასაქმების ორგანოსგან, ასევე ინფორმაციის მიღება სამუშაოს შესახებ, კონსულტაცია, პროფორიენტაცია, პროფმომზადება, გადამზადებას — დასაქმების ორგანოს მიერ გაგზავნით სტიპენდიის მიღებასთან ერთად. დასაქმების ორგანოს მიერ გაგზავნით, სამუშაოზე მიღებისას მოქალაქე ითვლება სამუშაოზე მოწყობილად, მისი სამუშაოზე მოწყობის პროცესი წყდება, ხოლო სამუშაოს მიმცემი ვალდებულია დაუბრუნოს დასაქმების ორგანოს მიმართვა, მასში სამუშაოზე აყვანის დროს მითითებით.

სახელმწიფო ახდენს სამუშაოს მიმცემთა უზრუნველყოფას (მათ შორის ადრე წარმოდგენილი განცხადებების ან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მათ კურსდამთავრებულებთან დადებული კონტრაქტების შესაბამისად) შესაბამისი სამუშაოთი, კურსდამთავრებულთა სპეციალობის, არანაკლებ სამწლიანი კვალიფიკაციის მონაცემთა მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაგზავნილი ასეთი კურსდამთავრებულების სამუშაოზე მიღებაზე უარის შემთხვევაში, მოცემული სამუშაოს მიმცემი ვალდებულია განახორციელოს მიზნობრივი ფინანსური გადარიცხვები დასაქმების ფონდში, მოცემული კატეგორიის მუშაკის წლიური საშუალო ხელფასის ოდენობით. ასეთი მიმართვის მქონე კურსდამთავრებულს სასამართლოში შეუძლია გაასაჩივროს მისი სამუშაოზე მიღებაზე უარი, როგორც უსაფუძვლო. სასამართლო, შეამოწმებს რა საქმის ყველა გარემოებას და დაადგენს რა სამუშაოზე მიღებაზე უარის დაუსაბუთებლობას, აკმაყოფილებს შესაბამის სამუშაოს მიმცემს დაღოს შრომითი ხელშეკრულება კურსდამთავრებულთან, სამუშაოს მიმღებთან მიმართვის მისი წარგზნის დღიდან.

დასაქმების ფონდი – ერთ-ერთი სადაზღვევო (საპენსიოსთან ერთად) სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და გათვალისწინებულია მოსახლეობის დასაქმებისთვის ხელშეწყობი ღონისძიებების დაფინანსებისთვის. დასაქმების ფონდი ყალიბდება სამუშაოს მიმცემების, მუშაკთა ხელფასიდან საკალდებულო სადაზღვევო შენატანების, საჭიროებისას ბიუჯეტიდან ასიგნების და ასევე იურიდიული და ფიზიკური პირების ნებაყოფლობითი შენატანების ხარჯზე. დასაქმების ფონდი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, იმყოფება დასაქმების ორგანოთა ოპერატულ მმართველობასა და განკარგულებაში და იხარჯება მოსახლეობის დასაქმებისთვის ხელშეწყობის ღონისძიებებზე. დასაქმების ფონდში არსებული სახსრები, რომლებიც გამოყენებული არ იყო საანგარიშგებო წელიწადში, არ ექვემდებარება ამოღებას და გადადის შემდეგ ფინანსურ წელზე.

დასახლება – გარკვეული რაოდენობის ადამიანების მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (ტერიტორია), რომელიც სხვა ტერიტორიებისგან გამოყოფილია სპეციალური საზღვრებით (იხ. ქალაქისა და სოფლის დასახლებების, სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების ხაზი) დადგენილი წესის მიხედვით. ის იყოფა ქალაქის დასახლებად (ქალაქები და დაბები) და სოფლის დასახლებად (სოფლები, ხუტორები, სტანიცები, აულები, მაჰულები და ა.შ.). დაბები ჩვეულებრივ იყოფა სამუშაოდ, საკურორტოდ და სააგარაკოდ. სოფლის დასახლება რაოდენობის მიხედვით არის ძალიან დიდი (ხუთი ათასზე მეტი ადამიანი), დიდი (ერთი ათასიდან ხუთ ათასამდე ადამიანი), საშუალო (ორასი ადამიანიდან ერთი ათასამდე) და მცირე (ორასზე ნაკლები).

დასახლებათშორისი ტერიტორიები – ტერიტორიები დასახლებების საზღვრების ფარგლებს მიღმა.

დასახული სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობა – საქმიანობა, რომელსაც შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ბუნებრივ გარემოზე და რომელიც წარმოადგენს ეკოლოგიური ექსპერტიზის ობიექტს.

დასვენების დრო – დრო, რომლის განმავლობაშიც მუშაკი თავისუფალია შრომითი ვალდებულებების შესრულებისგან და რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს თავისი სურვილისამებრ.

დასვენებისა და სამუშაო დრო – ესაა არსებითად ორი საპირისპირო და ამავე დროს, ურთიერთდაკავშირებული კატეგორია. სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირებას მოსდევს დასვენების დროის ხანგრძლივობის ზრდა და პირიქით. დასვენების დროს სამართლებრივი რეგულირება მოიცავს მისი სახეებისა და მათი ხანგრძლივობის სამართლებრივ განმტკიცებას, ასევე სამუშაო და დასვენების დროის მონაცვლეობის, სამუშაო დროის პერიოდებს შორის თავისუფალი დროის განაწილების გარკვეული წესის დადგენას.

დასრულებული დანაშაული – პირის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს.

დასტურლამალი ქართული სამართლის ძეგლი. შეადგინა ქართლის მეფე ვახტანგ VI (1707 – 1709 წლებში). შედგება ორი ნაწილისაგან–მეფის დასტურლამალი და დედოფლის დასტურლამალი. ორივე ნაწილი 266 მუხლს მოიცავს. ძეგლის სათაური სპარსულ–არაბულია და ნიშნავს „დასტურს მოქმედებისას, განრიგებას". მასში აღწერილია „წესი და განგებლობა სამეფო დარბაზობისა" და აწესრიგებს სამეფო კარზე მიღებას, მეჯლისსა და აუდენციის ცერემონიალის წესს. ადგენს მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებას, მაღალი ჩინოსნებისა და ეკლესიის კანონის წესს, მათი სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. ძეგლში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მოსახლეობის აღწერისა და გადასახადების აკრეფის საკითხებს.

დასჯადობა – დანაშაულის დამოუკიდებელი ნიშანი, რომელიც ნიშნავს დანაშაულის ჩადენის მომენტში სისხლის სამართლის სასჯელის ან სისხლის სამართლის ზემოქმედების სხვა ზომების საშიშროების არსებობას.

დასჯის მიზნები – კანონმდებლობით განმტკიცებული საბოლოო შედეგები, რომელთა მისაღწევადაც მიმართულია სისხლის სამართლის სასჯელის

გამოყენება. მათ მიეკუთვნება: სოციალური სამართლიანობის აღდგენა, მსჯავრდებულის გამოსწორება, ახალი დანაშაულების ჩადენის თავიდან აცილება.

დასჯის მიზნებში ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალური სამართლიანობის აღდგენა. სოციალური სამართლიანობა – მორალურ-ზნეობრივი კატეგორია და მისი ცნება შეიძლება გამჟღავნებულ იქნეს ისეთი კატეგორიების მეშვეობით, როგორიცაა: „დანაშაულისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება", „საზოგადოებრივი თვითშეგნება" და ასევე სისხლის სამართლის კოდექსში განმტკიცებული სამართლიანობის პრინციპების მეშვეობით.

დასჯა და სისხლისამართლებრივი ხასიათის სხვა ზომები, რომლებიც გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, უნდა იყოს სამართლიანი ანუ შეესაბამებოდეს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხსა და ხასიათს, მისი ჩადენის გარემოებებსა და დამნაშავის პიროვნებას.

სოციალური სამართლიანობის აღდგენისთვის საჭიროა ისეთი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა, როგორიცაა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და დამნაშავე პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება.

სოციალური სამართლიანობის აღდგენის მიზნით დანიშნულმა სასჯელმა ერთდროულად უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულის გამოსწორება და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

დატაცება – ანგარების მიზნით ჩადენილი, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო უსასყიდლო ჩამორთმევა დ/ან მიმართვა დამნაშავის ან სხვა პირების სასარგებლოდ, რამაც ზიანი მიაყენა ამ ქონების მფლობელსა თუ მესაკუთრეს.

დატაცების ცნება მოიცავს ამ დანაშაულის ისეთ ფორმებს, როგორიცაა ქურდობა, თაღლითობა, მისაკუთრება ან გაფლანგვა, ძარცვა, ყაჩაღობა. სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გამომძალვას, რომელიც არ განეკუთვნება დატაცებას, მაგრამ მას გააჩნია რიგი ერთნაირი ნიშნები.

დატაცების საგანს წარმოადგენს ქონება, ხოლო ობიექტს – საკუთრების ურთიერთობები, ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობები კოლექტიური ან ინდივიდუალური სარგებლობის მატერიალური კეთილდღეობის განაწილების სფეროში.

დატაცების მთავარ საშუალებას წარმოადგენს ქონების ჩამორთმევა მესაკუთრისა და სხვა მფლობელისთვის. იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე ფლობს სხვის ქონებას იმის ძალით, რომ ის მისთვისაა ჩაბარებული, მართლზომიერი ფლობის გადასვლა არამართლზომიერზე შეიძლება დახასიათდეს, როგორც ფორმალური ჩამორთმევა.

დატაცების ერთ-ერთი საჯალდებულო ნიშანია უსასყიდლობა. სხვისი ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა უნდა განვიხილოთ იმ შემთხვევებში, როცა დამნაშავე მას დაუფიცება უფასოდ, შესაბამისი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით. სწორედ სხვისი ქონების უსასყიდლო ჩამორთმევა განაპირობებს საზოგადოებისთვის საშიში შედეგების დადგომას მესაკუთრისთვის ან სხვა მფლობელისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების სახით.

დატო – ექსილი, რომლის მიხედვითაც გადახდის ეადას ანგარიშობენ მისი დაწერის დღიდან.

დაუდევრობა – ბრალის გაუფრთხილებლობის ფორმის ნაირსახეობა, რომლის დროსაც პირმა ვერ განჭვრიტა საკუთარი ქმედებების (უმოქმედობის) საზოგადოებისთვის საშიში შედეგების დადგომა, თუმცა მას ამის განჭვრეტა შეეძლო სათანადო ყურადღებისა და წინდახედულობის დროს.

დანაშაული დაუდევრობით ჩადენილად ითვლება, თუ პირი ჭვრეტდა საკუთარი ქმედებებისგან (უმოქმედობისგან) საზოგადოებრივი საშიშროების შედეგების შესაძლებლობას, მაგრამ ამისთვის არასაკმარისი საფუძვლების გარეშე თავდაჯერებულად იმედოვნებდა ამ შედეგების თავიდან აცილებას.

დაუდევრობა – თანამდებობის პირის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება სამსახურისადმი არაკეთილსინდისიერი ან გულგრილი დამოკიდებულების შედეგად, თუ ამან გამოიწვია მოქალაქეების ან ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ან საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს კანონით დაცული ინტერესების არსებითი დარღვევა.

განხილული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირები. თანამდებობის პირის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ნიშნავს მის უმოქმედობას, რაც ხასიათდება სამსახურში ზომების მიუღებლობით, აღნიშნული პირის უფლებამოსილებების წრეში შემავალი კონკრეტული მოქმედებების განუხორციელებლობით.

ვალდებულებების არასათანადო შესრულების ქვეშ იგულისხმება თანამდებობის პირის მიერ მოქმედებების არასრულად განხორციელება ან მათი განხორციელება დადგენილი წესისა თუ წესების წინააღმდეგ.

სისხლისამართლებრივად დასჯადი დაუდევრობა გულისხმობს სავალდებულო წესით იმას, რომ შესაბამისი ვალდებულებების შესრულება შეძიოდა თანამდებობის პირის უფლებამოსილებათა წრეში, რაც განმტკიცებულია კონკრეტულ კანონსა თუ ნორმატიულ სამართლებრივ აქტში, ასევე შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციებში, ბრძანებულებებში, განკარგულებებში და ა.შ. თანამდებობის პირის ვალდებულებების წრის შესახებ სათანადოდ გაფორმებული სამართლებრივი აქტის არარსებობა გამორიცხავს პასუხისმგებლობას დაუდევრობაზე.

მოცემული დანაშაულის ჩადენაზე თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა დადგინდეს, თუ კონკრეტულად რა ვალდებულებები არ შესრულდა ან შესრულდა მის მიერ არასათანადოდ და აჰქონდა თუ არა მას რეალური შესაძლებლობა შეესრულებინა ისინი სათანადო სახით.

დაშრევება ფეოდალურ საქართველოში ქონებრივი სასჯელისა და ზიანის საზღაურის დაკისრება და გადახდა, დაზარალებულის დაკმაყოფილება ფულით (თეთრით), პირუტყვით და ა.შ.

დაუსაბუთებელი გამდიდრების ვალდებულება – ვალდებულება (კონდიქციური ვალდებულება), რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთი პირი, რომელმაც კანონით, სხვა სამართლებრივი აქტებით ან გარიგებით დაუდგენელი საფუძვლით შეიძინა

ან დაიცვა ქონება სხვა პირის ხარჯზე. ვალდებულია ამ უკანასკნელს დაუბრუნოს უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაცული ქონება. დაუსაბუთებელი გამდიდრების ვალდებულებას წარმოადგენს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე სხვადასხვა იურიდიული ფაქტების ძალით: ესაა მოვლენები (მაგალითად, ქარიშხალი), მართლზომიერი და არამართლზომიერი ქმედებები თავად გამდიდრებლის, დაზარალებულის, მესამე პირების (მათ შორის, შეცდომები სასამართლოს გადაწყვეტილებაში) მხრიდან, გამდიდრების კანონიერი საფუძვლების არარსებობა, რომელიც არასდროს არ არსებობდა ან არსებობდა, მაგრამ შემდეგ დროისთვის გაქრა (მაგალითად, გარიგება ბათილად იქნა ცნობილი).

ვალდებულების საგანს შეადგენენ მოვალის მოქმედებები. დაზარალებულისთვის შეძენილი (დაცული) ქონების გადაცემის მხრივ, ვალდებულების სუბიექტებს წარმოადგენს მოვალე (პირი, რომელიც დაუსაბუთებლად გამდიდრდა) და კრედიტორი (დაზარალებული), თუ გამდიდრება მოხდა უკანონო საქმიანობის შედეგად, გამდიდრება გადაეცემა სახელმწიფოს შემოსავალში.

ვალდებულების შინაარსი წარმოქმნის კრედიტორის უფლებას მოითხოვოს მოვალისგან გამდიდრების ანაზღაურება და მოვალის პასუხისმგებლობა ვალდებულება. შესაძლებლობისას, მოვალე ვალდებულია აანაზღაუროს ანალოგიური ქონება ნატურაში, თუ არა – გადაიხადოს კომპენსაცია. ქონების ღირებულება განისაზღვრება მისი შეძენის მომენტისთვის. მოვალე პასუხს აგებს შეძენილი (დაცული) ქონების გაუარესებაზე მას შემდეგ, რაც გაიგო გამდიდრების დაუსაბუთებლობის შესახებ. ამ მომენტამდე ის პასუხს აგებს განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის არსებობისას. მოვალე ვალდებულია დააბრუნოს ყველა ის შემოსავალი, რომელიც მან მიიღო იმ მომენტიდან, რაც გაიგო გამდიდრების დაუსაბუთებლობის შესახებ. კრედიტორი მოვალეს უნაზღაურებს ნიეთის შესანახად გაწეულ ხარჯებს (მაგალითად, საქონლის შენახვაზე გაწეული ხარჯი). დაბრუნებას არ ექვემდებარება მოქალაქისთვის საარსებოდ გადაცემული თანხა, მისი მხრიდან არაკეთილსინდისიერების და საანგარიშო შეცდომის არარსებობისას და ა.შ.

დაუსრულებელ დანაშაულზე სასჯელის შეფარდება – სასჯელის შეფარდების სპეციალური წესი. დაუსრულებელ დანაშაულზე სასჯელის შეფარდებისას გათვალისწინებულია გარემოებები, რომელთა ძალითაც დანაშაული არაა ბოლომდე მიყვანილი. დანაშაულის მომზადებაზე სასჯელის ეადა ან ზომა არ შეიძლება აღემატებოდეს სასჯელის ყველაზე მკაცრი სახის მაქსიმალური ვადის ან ზომის ნახევარს. დანაშაულის მომზადებაზე თავისუფლების უვადო აღკვეთა არ გამოიყენება.

დაუსრულებელი დანაშაული – დანაშაულისთვის მომზადება და დანაშაულის მცდელობა.

დაუსრულებელი დანაშაული – განზრახ დანაშაული, რომელიც დასრულებულია (აღკვეთილია) მომზადების ან მცდელობის სტადიაზე. დაუსრულებელი დანაშაულებრივი საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულებში. დაუსრულებელ დანაშაულად ითვლება დანაშაულის მომზადება და დანაშაულის მცდელობა.

დაუსწრებლად გადაწყვეტილების მიღება – გადაწყვეტილება, რომელიც გამოაქვს ზოგადი იურისდიქციის სასამართლოს, დაუსწრებელი წარმოების წესით სამოქალაქო საქმის განხილვის შედეგების მიხედვით. დაუსწრებლად გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებათა ნარსახეობას და გააჩნია ისეთივე სტრუქტურა, როგორც შეკიბრებით სამოქალაქო პროცესში გამოტანილ გადაწყვეტილებას (იხ. სასამართლო გადაწყვეტილება). მოპასუხეს უფლება აქვს გაასაჩიროს დაუსწრებლად გადაწყვეტილების მიღება საკასაციო წესით.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო სამართლის პროცესში სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის ან მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება. თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ხოლო თუ იგივე პირობებში მოპასუხე არ გამოცხადება, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება დამტკიცებულად, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას და სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

დაუშვებელი მტკიცებულებები – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით მიღებული მტკიცებულებები.

დაუშვებელ მტკიცებულებებს არ გააჩნია იურიდიული ძალა და ის არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებას ან გამოყენებულ იქნეს რაიმე დასამტკიცებელი გარემოების დამტკიცებისთვის. საკალდებულო დამტკიცებას ექვემდებარება: ა) დანაშაულის მოვლენა (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი და სხვა გარემოებები); ბ) პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში, მისი დანაშაულის ფორმა და მოტივები; გ) ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი გარემოებები; დ) დანაშაულით მიყენებული ზიანის სახე და ოდენობა; ე) გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ დანაშაულს და ქმედების დასჯადობას; ვ) სასჯელის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები; ზ) გარემოებები, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან განთავისუფლება.

დაუშვებელ მტკიცებულებებს განეკუთვნება: ა) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლომდელი წარმოების დროს დამცველის გარეშე მიცემული ჩვენებები, რომლებიც ბრალდებულის, ეჭვმიტანილის მიერ არ იქნა დადასტურებული სასამართლოში; ბ) დაზარალებულის, მოწმის ჩვენებები, რომლებიც ეფუძნებიან ვარაუდს, ჭორს, გაგონილს, ასევე მოწმის ჩვენებები, რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს ინფორმაციის წყარო; გ) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით მიღებული სხვა მტკიცებულებები.

დაუძლეველი ძალა (იურიდ.) საგანგებო და აუცილებელი გარემოება, რის გამოც ვერ შესრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, დაუძლეველ ძალას წარმოადგენს. ასევე დაუძლეველ ძალასთან გვაქვს კავშირი, როდესაც სოციალური მოვლენა, რომლის აცდენა მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელი იყო, მოვალისათვის ხელმისაწვდომი სამუალებებით. დაუძლეველი ძალის მოქმედების გამო მოვალე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რაც ამ მოქმედებამ გამოიწვია. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი. საპაერო ტრანსპორტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ მგზავრის გარდაცვალება ან ჯანმრთელობის მოშლა გამოწვეულია დაზარალებულის მიზეზით.

დაუძლეველი ძალა – სამოქალაქო სამართალში, მოცემული პირობების დროს საგანგებო და არააცილებადი გარემოებები. ასეთ გარემოებებს განეკუთვნება ის გარემოებები, რომელთა განჭვრეტა ან თავიდან აცილება შეუძლებელია პირის მიერ მაშინაც კი, როცა პირს შეეძლო განეჭვრიტა დაუძლეველი ძალის მოქმედება. დაუძლეველი ძალის გარემოებებს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, შტორმი, ხანძარი, ზვავი და ა.შ.). ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების გარემოებები (საომარი მოქმედებები, გაფიცულები, ეპიდემიები, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების განკარგულებები, რომლებიც კრძალავენ ვალდებულებით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელებას და ა.შ.). გარემოება უნდა იყოს საგანგებო მისი დაუძლეველ ძალად ცნობისთვის (უჩვეულო, რაც სცდება ნორმალური განვითარების ფარგლებს და როგორც წესი, ადრე უცნობი მოვლენა). ამასთან, ის უნდა იყოს ობიექტურად შეუქცევადი მოცემული პირობების დროს არსებული სამუალებით. ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა პირობის დროს, რომელშიც პირი ასრულებს ვალდებულებას, ერთი და იგივე გარემოება შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში გამოვლინდეს, როგორც დაუძლეველი ძალა, ზოგჯერ კი, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა, რომელიც ხელს უშლის ვალდებულების შესრულებას.

დაშარვა დანაშაულისა – დანაშაულის ცნების, დანაშაულის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ნივთების, აგრეთვე თვით დანაშაულის დაფარვა. დაფარვა ხელს უშლის დანაშაულის გახსნას და ამტკიცებს მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლება. თუ დამფარავება წინასწარ აღუთქვა სხვა პირს დანაშაულის დაფარვა და ამით მან განუმტკიცა მას დანაშაულის გადაწყვეტილება, იგი დისპუტა არა როგორც დამფარავი, არამედ როგორც დანაშაულის თანამონაწილე. დამფარავის სასჯელი დიფერენცირებულია იმის მიხედვით, თუ რაოდენ მძიმეა ის დანაშაული, რომელსაც იგი ფარავს.

დაშრახტვა საზღვაო სამართალში გემის დაქირავება გარკვეული ვადით და მასთან დაკავშირებული საქმიანობა. გემის დამქირავებელი არის დამფრახტავი, ხოლო გემის გამქირავებელი–გამფრახტავი.

დაქვითვა მუშაკის ხელფასიდან – შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულია რიგი არსებითი გარანტიები, რომელთა მიზანიცაა მუშაკების კუთვნილი ხელფასის უკანონო და დაუსაბუთებელი გადახდებისგან დაცვის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, დადგენილია არა მხოლოდ საფუძვლების მკაცრად განსაზღვრული ჩამონათვალი დაქვითვის წარმოებისთვის და იმ ორგანოების წრე, რომელთაც უფლება აქვთ განახორციელონ დაქვითვა ხელფასიდან, არამედ გათვალისწინებულია ხელფასიდან დაქვითვით გარკვეული წესი, ოდენობა და საზღვრები. კანონით მუშაკის ხელფასიდან დაქვითვა შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ა) ხელფასიდან დაქვითვა სახელმწიფოს (ბიუჯეტის) წინაშე მუშაკების ვალდებულებების რეალიზაციის მიზნით; ბ) დაქვითვა მესამე პირების (მოქალაქეებისა და იურიდიული პირების) წინაშე მუშაკთა ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით; გ) დაქვითვა იმ ორგანიზაციაში მუშაკთა დაკალიანების დასაფარავად, რომელშიც ისინი მუშაობენ.

სამუშაოს მიმცემი ვალდებულია განახორციელოს ხელფასიდან დაქვითვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გადარიცხოს თანხა სახელმწიფოს ბიუჯეტში. ამ ჯგუფს განეკუთვნება: ა) სამემსაყრო გადასახადისა და საკენსო ფონდის ბიუჯეტში სადაზღვევო შენატანების დაქვითვა; ბ) დაქვითვა იმ პირთა ხელფასიდან, რომლებიც ასრულებენ გამოსასწორებელ სამუშაოებს სასამართლოს განაჩენის მიხედვით, სასამართლო ორგანოების მიერ დაკისრებული ჯარიმების გადასახდელად; გ) მუშაკებზე ადმინისტრაციული წესით დაკისრებული ჯარიმების დაქვითვა. სამუშაოს მიმცემი ვალდებულია განახორციელოს დაქვითვა მუშაკის ხელფასიდან მესამე პირების სასარგებლოდ აღმასრულებელი დოკუმენტების (აღმასრულები ფურცლების, აღმასრულებელი მინაწერების, კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების) საფუძველზე.

მუშაკის ხელფასიდან დაქვითვა შეიძლება მოხდეს სამუშაოს მიმცემის განკარგულებით. დაქვითვის ასეთი წესი გამოიყენება მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში: ა) გამოუმუშავებელი ავანსის დასაბრუნებლად, რომელიც მუშაზე გაცემულია ხელფასის ხარჯზე; ბ) დაუხარჯავი და დროულად დაუბრუნებელი ავანსის დასაფარავად, რომელიც გაცემულია მივლინებასთან ან სხვა ადგილას გადაყვანასთან დაკავშირებით; გ) განგარიშებითი შეცდომების გამო მუშაკისთვის გაცემული ზედმეტი თანხის დაბრუნებისთვის; დ) მუშაკის განთავისუფლებისას იმ სამუშაო წლის ხარისუფლამდე, რომლის ანგარიშზეც მან უკვე მიიღო ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება, შვებულების მუშაობით არაანაზღაურებულ დღეებზე. ამ დღეებზე დაქვითვა არ ხდება, თუ მუშაკი თავისუფლდება შემდეგი საფუძვლებით: ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან სამუშაოს მიმცემის – ფიზიკური პირის მიერ საქმიანობის შეწყვეტა; ჯანმრთელობის მდგომარეობის სამედიცინო დასკვნის შესაბამისად; ორგანიზაციის მესაკუთრის შეცვლა; მუშაკის გაწვევა სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან მისი გაგზავნა ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურში; მუშაკის სრულად შრომისუუნარობად ცნობა სამედიცინო დასკვნის მიხედვით; მუშაკის ან სამუშაოს მიმცემის – ფიზიკური პირის გარდაცვალება, ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგვა; საგანგებო გარემოებების დადგომა, რომლებიც ხელს

უშლიან შრომითი დამოკიდებულებების გაგრძელებას (სამხედრო მოქმედებები, კატასტროფა, სტიქიური უბედურებები, დიდი ავარია, ეპიდემია და სხვა საგანგებო ვითარება) და ა.შ.

ხელფასის თითოეულ ჯერზე გაცემისას დაქვითვის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 20%, ხოლო კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებით მაღალი ხელფასის შემთხვევებში – 50% ხელფასის ოდენობიდან.

ხელფასიდან დაქვითვა დაუშვებელია იმ შემთხვევებში, როცა ამას არ ითვალისწინებს კანონმდებლობა. კერძოდ, დაქვითვისგან თავისუფლდებიან საკომპენსაციო ხასიათის გადახდები: გამოსასყიდი დღის დაბმარება განთავისუფლებისას; კომპენსაცია გამოუყენებელ შვებულებაზე; საკომპენსაციო გადახდები სამსახურებრივ მივლინებასთან, სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან ან სხვა ადგილას გაგზავნასთან, მუშაკის კუთვნილი ინსტრუმენტის გაცვეთასთან დაკავშირებით. პრემიები, ბავშვებზე, დაკრძალვაზე დახმარება და ა.შ. მუშაკის განცდაების მიხედვით მისი ხელფასიდან შეიძლება მოხდეს ნებისმიერი გადახდა და დაქვითვა: სამუშაოს მიმცემისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურებასთან, ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდასთან დაკავშირებით და ა.შ. მუშაკებს ასევე შეუძლიათ სთხოვონ სამუშაოს მიმცემს მისი ხელფასის ნაწილიდან მოხდეს კომუნალური მოშსახურების ხარჯების, კრედიტის დაფარვა და ა.შ. ასეთი გადარიცხვების ოდენობა არ იზღუდება.

დაქირავება – დაქირავებულის დაქირავება, სწავლება, დაფინანსება და სხვა მატერიალური უზრუნველყოფა, ისევე როგორც მისი გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტსა თუ სამხედრო მოქმედებებში.

დაქირავებული – პირი, რომელიც მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტსა თუ სამხედრო მოქმედებებში მატერიალური ანაზღაურების მიღების მიზნით და არ წარმოადგენს მებრძოლ სახელმწიფოს მოქალაქეს, არ ცხოვრობს მის ტერიტორიაზე მუდმივად და ასევე არ წარმოადგენს პირს, რომელიც გაგზავნილია ოფიციალური ვალდებულებების შესასრულებლად.

დაქტილოსკოპია (დაქტილო... და Skopeo-ვუყურებ) კრიმინალისტიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ხელის კანის ქარგების აღნაგობის პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის, სისხლის სამართლებრივი რეგისტრაციისა და დამნაშავეთა ძებნის მიზნით. ხელის თითების ბოლო ფალანგის ზედაპირის შესწავლით ადგენენ, რომ მათზე არის რელიეფური (პაპილარული) ხაზები, რომლებიც ქმნიან კანის რთულ ქარგებს. ქარგებს ახასიათებს: 1. ინდივიდუალურობა (პაპილარული ხაზების ურთიერთგანლაგება, მათი კონფიგურაცია და ა.შ. ინდივიდუალურია თითოეული ადამიანისა და თითოეული თითისათვის); 2. შედარებითი სიმყარე (ქარგის გარეგანი აღნაგობა არ იცვლება ადამიანის სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც კი გვამის გახრწნამდე); 3. აღდგენის უნარი (კანის საფარის ზედაპირული დარღვევისას–გაკაწვრა, მსუბუქი სიდამწვრე და ა.შ.–ქარგა აღრინდელ სახეს იღებს). პაპტლარული ხაზების აღნიშნულ თავისებურებათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის ხელის განუმეორებელ მყარ ქარგას ეჭვმიტანილთან დამნაშავის იდენტიფიკაციის საფუძველია. დაქტილოსკოპიური მონაცემების მიხედვით შეიძლება, აგრეთვე დადგინდეს დაკავებული დამნაშავის (მაგ., რეციდივისტის) პიროვნება (თუ მას ადრე გაელილი ჰქონდა დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია) ან დადგინდეს, ერთი პირის მიერ არის ჩადენილი დანაშაული, თუ რამდენიმე პირის მიერ და ა.შ. კრიმინალისტიკაში დამუშავებულია თითის კვალის აღმოჩენისა და ფიქსაციის ხერხები და საშუალებები და ამ ანაბეჭდებით პიროვნების იდენტიფიკაციის მეთოდები.

დაღი, დადაღვა (ძვ. ქართ. სამართ) გახურებული რკინის იარაღით შენთით ამომწვარი საკუთრების ნიშანი მსხვილფეხა საქონლის ბეჭზე, გაეაზე ან თაკისერზე (წვრილფეხა საქონელზე საკუთრების ნიშანი. ასევე ცნობილია ხერის სასელწოდებით). ცხენების დადაღვა–განსაკუთრებით მიღებული იყო სამეგრელოში. ცხენის და სხვა საქონლის დადაღვა ხდებოდა განსაკუთრებული ნიშნებით ან პატრონის გვარის ან სახელის პირველი ასოთი.

დაღუპვის ქვეშ მყოფი სამხედრო ხომალდის მიტოვება – ხომალდიდან წასვლის ნებისმიერი ფორმა (მაშველი კანჯოების, კატერების, სხვა საეკაუაციო საშუალებების გამოყენება, სხვა ხომალდზე გადასვლა და სხვ.). ამგვარი ვითარების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს წყალქვეშა ან სხვა ობიექტებთან შეხება, სხვა ხომალდთან შეჯახება, ხანძარი, სხვადასხვა მექანიზმის მწყობრიდან გამოსვლა და ა.შ. ასეთ ვითარებას თან უნდა ახლდეს ხომალდის დაღუპვის საშიშროება. დამწაშავე პირთა ქმედებები შეფასებული უნდა იქნას, როგორც დანაშაულებრივი იმ შემთხვევაშიც, თუ შესაძლებელი იყო სამხედრო ხომალდის დაღუპვის თავიდან აცილება.

დაცვის დოკუმენტები გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო ნიმუშზე – დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ საპატენტო უფლებით დაცული ობიექტის აღიარებას და ადგენენ ობიექტის გამოყენებაზე ქონებრივი უფლებების მფლობელის პიროვნებას. დაცვის დოკუმენტები გამოგონებასა და სამრეწველო ნიმუშზე არის პატენტი. პატენტი გამოგონებაზე მოქმედებს კანონით განსაზღვრული ვადით, რუსეთში ოცი წლის განმავლობაში საპატენტო უწყებაში განცხადების შესვლის თარიღიდან ე.ი. პატენტის მოქმედება ვადა არ ემთხვევა განსაკუთრებული უფლებების წარმოქმნის მომენტს. პატენტი სამრეწველო ნიმუშზე მოქმედებს ათი წლის განმავლობაში საპატენტო უწყებაში განცხადების შეტანის თარიღიდან, ხუთი წლით გაგრძელების შესაძლებლობით. სასარგებლო მოდელზე ხდება მოწმობის გაცემა, რომელიც მოქმედებს ხუთი წლის განმილზე სამი წლით გაგრძელების შესაძლებლობით. პატენტმა (მოწმობამ) შეიძლება შეწყვიტოს თავისო მოქმედება ვადაზე ადრე: 1) მისი ბათილად სრულად ცნობისას; 2) პატენტის მფლობელის განცხადების საფუძველზე; 3) მისი ძალაში შენარჩუნებისთვის ბაჟის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას.

გაცემული პატენტი (მოწმობა), მისი მოქმედების ვადის მანძილზე შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად სრულად ან ნაწილობრივ: 1) სამრეწველო საკუთრების დაცული ობიექტის პატენტუნარიანობის პირობებთან

შეუსაბამობის შემთხვევებში; 2) გამოგონების (სასარგებლო მოდელის) ფორმულაში ან სამრეწველო ნიმუშის არსებითი ნიშნების ერთობლიობაში თავდაპირველ განცხადებაში მიუთითებული ნიშნების არსებობისას; 3) პატენტში ავტორის (ან ავტორთა) ან პატენტის მფლობელის (პატენტის მფლობელთა) არასწორი მითითებისას.

მოწმობა სასარგებლო მოდელზე გაიცემა სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების გარეშე. პატენტები გამოგონებასა და სამრეწველო ნიმუშზე გაიცემა ფორმალური და არსებითი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ.

„დაცვის სიგელი" არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ მასლამის მიერ 654 – 655 წწ. გაცემული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა დამპყრობელი არაბებისა და ქართლის მოსახლეობის ურთიერთობას. დაცვის სიგელს არაბები აძლევდნენ ნებით დამორჩილებულ მოსახლეობას. სიგელის ძალით: 1. დამპყრობლები ხელუხლებლად ტოვებდნენ მოსახლეობის სარწმუნოებას; 2. დამორჩილებულ მოსახლეობას ეკისრებოდა ხარკი–ჯიზია, კომლზე თითო დინარი; 3.ორივე მხარე ვალდებული იყო არ შეეცვალა კომლთა რიცხვი გადასახადის შემცირების ან გადიდების მიზნით; 4. თავისი ნებით გამამადიანებული დამპყრობელთა ძმად ცხადდებოდა და თავისუფლდებოდა ჯიზიისაგან. სიგელის ტექსტი დაცულია არაბი ისტორიკოსების – ტაბარის, ბალაზურის, იაკუთის თხზულებებში და თარგმნილია გერმანულ, რუსულ ენებზე.

დამტკიცება (ძვ. ქართ. სამართ) ძმად გაფიცვა, ორ მეგობარს შორის ძმური კავშირის განმტკიცება ხელოვნური ნათესაობის დამყარებით, ხალხური რიტუალური წესის განხორციელებით. დამტკიცების რიტუალი განსაკუთრებით მიღებული იყო მთაში და არსებობდა რამდენიმე შინაარსით: საკლავით დამტკიცება–ძმად გაფიცვის მსურველები ღელასწყაულზე ხატში (სალოცავში) წაეიდოდნენ ახლო ნათესავებთან ერთად. ხევისბერი მათ დალოცავდა და საკლავის სისხლს აპკურებდა ძმადშეფიცულებს; სისხლის გახარებით დამტკიცება–სახლში ან რაიმე ღელასწყაულზე თითებს გაიჭრიდნენ და ერთმანეთს მიადებდნენ სისხლის გაცვლის მიზნით; ფიცურებლის ჭამით დამტკიცება – არყით ან ღვინით სავსე თასებში ცერცხლს ჩაფხეკდნენ, თასებს გაცვლიდნენ და დალეკდნენ; ტყვიების გაცვლით დამტკიცება – ერთმანეთში ტყვიებს გაცვლიდნენ. ყველა ზემოჩამოთვლილ რიტუალს თან სდევდა სიტყვით, ერთგულების ფიცის დადება.

დაფესებულება – სამოქალაქო სამართალში მესაკუთრის მიერ შექმნილი ორგანიზაციის ფორმა არაკომერციული ხასიათის მმართველობითი, სოციალურ-კულტურული ან სხვა ფუნქციების განხორციელებისთვის და რომელიც ფინანსდება მესაკუთრის მიერ სრულად ან ნაწილობრივ. დაწესებულების განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი უფლებების სახე გამოყენებად ქონებაზე. დაწესებულება წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია არა საკუთრების, არამედ მხოლოდ მასზე განმტკიცებული ქონების ოპერატიული მართვის უფლება. დაწესებულების ვალებზე გადახდევინება ხდება მისი სახსრებით და დამოუკიდებლად შეძენილი ქონებით. მათი არასაკმარისობისას მის ვალდებულებებზე სუბსიდიარული პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი ქონების მესაკუთრეს. დამფუძნებელ დოკუმენტს წარმოადგენს მისი წესდება, რომელსაც ამტკიცებს მესაკუთრე. დაწესებულების დასახელება უნდა მოიცავდეს მითითებას ქონების მესაკუთრეზე და საქმიანობის სახეზე.

დაწინდვა ძველი ქართული წყაროების მიხედვით, მიწის დაგირავება, გვიანდელ პერიოდში ქალის დანიშვნა, საცოლედ დაბეჭება. XIX ს-ის წყაროებსა და ლიტერატურაში უმთავრესად გავრცელებულია ტერმინი „დანიშნა" ან „დაბეჭდა". ამ პირობის დადების შემდეგ ქორწინების დარღვევა არ შეიძლებოდა და შეიძლებოდა ოჯახებს შორის ურთიერთობა გართულებულიყო.

დახასიათება – დახასიათება არის ისეთი დოკუმენტი, რომელიც იძლევა ამა თუ იმ მუშაკის მოღვაწეობის შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ მისი შედგენა ნებისმიერია, იგი მაინც უნდა შეიცავდეს შემდეგ მთავარ ნაწილებს: 1. სათაურს; 2. პიროვნების გვარს, სახელს, მამის სახელს, დაბადების წელს და სხვა მონაცემებს; 3. დახასიათების ტექსტს; 4. თარიღს; 5. თანამდებობის პირთა ხელმოწერას.

დახუთვა შუა საუკუნეების საქართველოში პატრონისათვის ნივთის ან კაცის გამორთმევა, ან მათი ძალით ჩაგდება ხელში და უკან აღარ მიცემა, იგივე დაჭერა ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. ხუთვა და მისგან ნაწარმოები ტერმინები დახუთვა, დამხუთაეი და ნახუთევი და სხვა უძველეს დროიდანვე იხმარებოდა ქართული სამართლის ძეგლებსა და სასულიერო, თუ საერო მწერლობაში.

დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნი (დატწ) – 1) ტერიტორიული წარმონაქმნი, რომელსაც გააჩნია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლის ფარგლებშიც განთავსებულია მასობრივი განადგურების იარაღის შემუშავების, დამზადების, შენახვისა და უტილიზაციის, რადიოაქტიური და სხვა მასალების გადამუშავების სამრეწველო საწარმოები, სამხედრო და სხვა ობიექტები, რომელთათვისაც დგინდება სახელმწიფო საიდუმლოების უსაფრთხო ფუნქციონირებისა და დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი, რაც მოიცავს მოქალაქეთა ცხოვრების სპეციალურ პირობებს; 2) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელსაც გააჩნია ტერიტორია და საზღვრები (იხ. დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის საზღვრები). დატწ-ის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში გადაეცემა სხვა დასახლებული პუნქტები, რომლებიც მის ტერიტორიაზეა განლაგებული (იხ. დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის ზემოქმედების ზონები).

დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის (დატწ) ზემოქმედების ზონები – დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის საზღვრების მიმდებარე ტერიტორიები, რომელთაც ასეთი სტატუსი ენიჭებათ დახურულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნში განთავსებული საწარმოებისა და/ან ობიექტების მაენე ზემოქმედების დადგენის

შემთხვევაში, მთავრობის მიერ დადგენილი წესით; დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის ზემოქმედების ზონების ჩამონათვალი, მათი საზღვრები, მიწათსარგებლობის რეჟიმი, ეკოლოგიური ღონისძიებები, სოციალური გარანტიები და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის კომპენსაციები განისაზღვრება მთავრობის მიერ.

დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის (დატწ) საზღვრები – ზონები, რომლებიც განსაზღვრავენ დატწ-ის ტერიტორიის საზღვრებს; ის დგინდება საწარმოებისა და/ან ობიექტების უსაფრთხო ფუნქციონირების განსაკუთრებული რეჟიმიდან გამომდინარე და ასევე დასახლებული პუნქტების განვითარების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით; დატწ-ის საზღვრები შეიძლება არ დაემთხვეს სახელმწიფოს სუბიექტებისა და მათ შემადგენლობაში შემავალი რაიონების საზღვრებს.

დაზავშნა სამუშაოზე მიღებისას – წინასწარ განმტკიცებული სამუშაო ადგილები პირებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ სოციალურ დაცვას მათი შრომითი მოწყობისას.

დაჯავშნა ანუ კვოტა სამუშაოზე მიღებისას განიხილება, როგორც თანაბარი ცნებები. სხვადასხვა ადგილას კვოტირება სამუშაოზე მიღებისას განისაზღვრება მოცემული ორგანიზაციის თანამშრომლების საშუალო რაოდენობასთან პროცენტულ თანაფარდობაში. დაჯავშნა (კვოტა) ინვალიდთა სამუშაოზე მიღებისას დგინდება კანონის მიხედვით. იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ანუსებენ დაჯავშნას სამუშაოზე ინვალიდთა და სოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირების მიღებისას, ეძლევათ გარკვეული შეღავათები გადასახადებზე და სხვ.

დებეტი – 1. ორმხრივი ცხრილის ფორმის მქონე საბუღალტრო ანგარიშის მარცხენა მხარე. ფულადი სახსრების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (მზა პროდუქცია, დაუმთავრებელი წარმოება, მასალა, საწვავი და ა.შ.) მდგომარეობისა და მოძრაობის სარეგისტრაციო ცხრილებში დებეტის მხარეს მიეთითება აღრიცხული ფასეულობების არსებობა ყოველი თვის დასაწყისში. ანგარიშებზე, რომლებიც გამოიყენება სახსრების წყაროების მდგომარეობისა და მოძრაობის რეგისტრაციისათვის, დებეტში აისახება წყაროს შემამცირებელი სამეურნეო ოპერაციები. ყოველი ოპერაცია საბუღალტრო აღრიცხვისას ერთნაირ თანხებში ჩაიწერება ორჯერ, ორ ურთიერთდაკავშირებულ ანგარიშში: ერთი ანგარიშის დებეტში, და მეორე ანგარიშის კრედიტში.

2. თანხა, რომელიც ერგება ფიზიკურ ან იურიდიულ პირს სხვა პირებისგან გადასახდელად სამეურნეო ურთიერთობების შედეგად. დებეტი აქტიური ნიშნავს აღრიცხული თანხების გაზრდას, ხოლო პასიური – შემცირებას.

დებილობა [< ლათ. debilis სუსტი, უძლური] პირველი, თანშობილი გონებასუსტობის (ოლიგოფრენიის) ყველაზე მსუბუქი ფორმა; ხასიათდება შემეცნებითი პროცესების დაბალი დონით, ახსტრაქტული აზროვნების თითქმის სრული უქონლობით, ქცევის სუსტი ნებისმიერი კონტროლით; დამხმარე სკოლის სპეციალური სწავლების პირობებში შესაძლებელია ელემენტარული ცოდნის, ზოგიერთი შრომითი ჩვევის, სოციალური ნორმის შეთვისება.

დებიტორული [< ლათ. debitor მოვალე] დ. დაკალიანება – ვალების ჯამი, რომელიც ერგება საწარმოს (ორგანიზაციას, დაწესებულებას) იურიდიული ან ფიზიკური პირებისაგან მათთან სამეურნეო ურთიერთქმედების შედეგად.

დებიტორი – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საწარმოს, ორგანიზაციის, დამფუძნებლის დაკალიანება.

დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მკელელობა – დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ, რომელიც მდგომარეობს ახალშობილის განზრახ მკელელობაში დედის მიერ მშობიარობის დროს ან მშობიარობისთანავე, ასევე მკელელობა ფსიქომატრავმირებული სიტუაციის პირობებში ან ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში, რაც არ გამორიცხავს შერაცხადობას. ზოგადად, გამოყოფილია ორი სიტუაცია. პირველი, დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მკელელობა მშობიარობის დროს ან მშობიარობისთანავე, რაც საკალდებულო არაა უკავშირდებოდეს დედის რაიმე სახის ფსიქიკურ აშლილობას. მნიშვნელოვანია მხოლოდ იმის დადგენა, რომ მკელელობა ხდება კანონით განსაზღვრული დროის ფარგლებში. კანონმდებლის მიერ პასუხისმგებლობის შემსუბუქება შეიძლება ახსნილ იქნეს იმით, რომ ამ პერიოდში ქალი ყოველთვის არაა ახალშობილის, როგორც დამოუკიდებელი ცოცხალი არსების აღქმის მდგომარეობაში, აგრძელებს მასში თავისი ნაყოფის აღქმას, შეიგრძნობს რა მას როგორც ტკივილისა და ტანჯვის წყაროს, მეორე – დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მკელელობა ფსიქომატრავმირებული სიტუაციის პირობებში ან ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში, რაც არ გამორიცხავს შერაცხადობას – პირიქით, არ უკავშირებს პასუხისმგებლობას დროის ესოდენ ვიწრო შეკვეთილს. ფსიქომავტრავმირებული სიტუაცია შეიძლება გაგრძელდეს მშობიარობამდე, მშობიარობის დროს ან გარკვეული დროის შემდეგ. მშობიარობა თავისთავად არის ახალშობილზე ზრუნვის აუცილებლობა, ოჯახური და ყოფითი არეულობა – ყოველივე ეს ერთბლიობაში შეიძლება აღმოჩნდეს აუტანელი სიმძიმე დედის ფსიქისთვის, განსაკუთრებით პირველ ხანებში. შესაძლებელია ფსიქიკური აშლილობაც, რაც არ გამორიცხავს შერაცხადობას. მოცემულ შემთხვევაში ასეთი მდგომარეობა გაელენას ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზეც.

დევალვაცია უცხოური ვალუტის ან საერთაშორისო გამოთელითი ერთეულების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური კურსის შემცირება კანონმდებლური წესით.

დეპოზა – გადასაგზავნი ექსილი, ჩეკი ან სააგდასახადო დაკალება, რომელიც გამოწერილია უცხოური ვალუტით და განაღდება საზღვარგარეთ. სახელმწიფო ცენტრალური ბანკები არეგულირებენ ქვეყნის ექსილისა და საკუთარი ვალუტის კურსს ფულის გაყიდვისა და შესყიდვის გზით.

დეზერტირობა – ნაწილის ან მსახურების

ადგილის თვითნებური დატოვება სამხედრო სამსახურის გაელისგან თავის არიდების მიზნით, ისევე როგორც იმავე მიზნით სამხედრო სამსახურში გამოუცხადებლობა. დეზერტირობა – ყველაზე ხანში დანაშაული სამხედრო სამსახურის გაელის წესის წინააღმდეგ, რამდენადაც მოქალაქე სრულად არიდებს თავს სამხედრო სამსახურის გაელას. დეზერტირობა უკავშირდება მოქალაქეთა მიერ თავიანთი კონსტიტუციური მოვალეობის – სამშობლოს დაცვისგან თავის არიდებას. დეზერტირობის საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ ის, ხელყოფს არა მხოლოდ სამხედრო სამსახურის გაელის წესს, არამედ სახელმწიფოს კონსტიტუციურ საფუძვლებსაც.

დეზერტირობა წარმოადგენს ხანგრძლივ დანაშაულს: ის გრძელდება დაწნაშავე პირის სამხედრო სამსახურის გარეთ ყოფნის დროის მანძილზე.

დანაშაულის საწყისი მომენტი განისაზღვრება, როგორც ნაწილის თვითნებური დატოვების დრო ან სამხედრო სამსახურში გამოცხადების ბოლო დღე.

სამხედრო სამსახურის ტერიტორიის ან ადგილის გარეთ ყოფნის დასრულების მომენტად ცნობილია დრო, როცა დაწნაშავეს სამხედრო სამსახურის ადგილას გარეთ ყოფნა შეწყდა (დაწნაშავის გამოცხადება დანაშაულის აღიარებით, ნაწილში დაბრუნება, მისი დაკავება სამართალდამცავი ორგანოების ან სამხედრო უწყების თანამშრომლების მიერ და ა.შ.).

თავის მხრივ, დანაშაული დასრულებულია არა დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტის, არამედ მისი დაწყების მომენტიდან ე.ი. როცა დაწნაშავე პირმა თვითნებურად დატოვა ნაწილი ან სამხედრო სამსახურის სხვა ადგილი, ისევე როგორც სამხედრო სამსახურში დადგენილ დროს გამოუცხადებლობა.

დეკლამაცია (ლათ. deklamatio – მჭევრმეტყველებაში ვარჯიში)

1. მხატვრული, გამომეტყველებითი კითხვის ხელოვნება.

2. მეტყველების გადმოცემის მაღალფარდოვანი, არაბუნებრივი მანერა, ცრუ პათოსი.

დეკლარაცია ლათ. declaratio განცხადება; გამოცხადება] 1) ოფიციალური განცხადება, რომელიც ჩვეულებრივ სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს, პოლიტიკური პარტიების ან საერთაშორისო ორგანიზაციების საპროგრამო დებულებებს აცხადებს; 2) საბაჟო დ. – განცხადება, რომელიც შეიცავს ფასეულობების (საქონლის, ვალუტის, მხატვრული ნაწარმოებების) ჩაწინაუარს და შეეწოდება საბაჟოს ამ ფასეულობების საზღვარზე გადატანის წინ ან შემდგომ; ფასეულობების ფოსტით გადაგზავნის შემთხვევაში მიეწოდება საფოსტო დ.; 3)საგადასახადო დ. – პირის (გადასახადების გადამხდელის) განცხადება მისი შემოსავლის, დანაზარჯის, უძრავმოძრავი ქონების რაოდენობის შესახებ.

დეკლარაციული [ლათ. declarativus გამომცხადებელი] 1) საერთო დებულებების ან განცხადებების შემცველი მათი დასაბუთებისა და ცხოვრებაში განხორციელების (რეალიზაციის 1) აღწერის გარეშე; 2) საზეიმო, დეკლარაციის (1) ფორმით შედგენილი.

დეკომპილირება – დეკომპილირება წარმოადგენს ობიექტური მოდულისაგან საწყისი პროგრამის აღდგენის პროცედურას. იგი შეიძლება შესრულდეს სპეციალური პროგრამით – დეკომპილატორით. მაგალითად, ზოგიერთი პროგრამა მხოლოდ საინსტალაციო დისკეტიდან შეიძლება გადატანილ იქნას კომპიუტერზე, მაგრამ უკვე დაინსტალირებული პროგრამის აღნიშნული კომპიუტერიდან სხვა კომპიუტერზე გადატანა ფაილების უბრალო კოპირებით შეუძლებელია. ამიტომ, პროგრამის საინსტალაციო ერსიის მიღების მიზნით მიმართავენ დეკომპილირებას.

დელეგატი [ლათ. delegatus გაგზავნილი, წარგზავნილი] არჩეული ან დანიშნული წარმომადგენელი, სახელმწიფოს, ორგანიზაციის, კოლექტივის უფლებამოსილი პირი.

დელეგაცია [ლათ. delegatio გაგზავნა, დანიშნა] არჩეული ან დანიშნული პირების ჯგუფი, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სახელმწიფოს, უწყების, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ წარმოადგინონ მათი ინტერესები კონფერენციებზე, ყრილობებზე, კონგრესზე, სხდომებზე, აწარმოონ მოლაპარაკებები და ა.შ.

დელეგირება [< ლათ. delegare გაგზავნა, უფლებამოსილების მინიჭება] 1) უფლებამოსილების მინიჭება, გადაცემა გადაწყვეტილების მისაღებად ან რ-მეს სამართავად; 2) უფლებამოსილის (დელეგატის) არჩევა ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ან გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესების წარმოსადგენად.

დელეგირებული [< ლათ. delegare გაგზავნა, უფლებამოსილების მინიჭება] მართვის უფლება, რომელიც უფრო დაბალ ან მაღალ საფეხურზეა გადაცემული; დ. კანონმდებლობა–კანონების მიღება სახელმწიფოს მეთაურის, ადმინისტრაციული ან სხვა ორგანოების მიერ სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოებმა მიანიჭა.

დელიმიტაცია [ლათ. delimitatio საზღვრის დადგენა] სახელმწიფო საზღვრის მდებარეობისა და მიმართულების განსაზღვრა მოსაზღვრე სახელმწიფოების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომელიც ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული და გრაფიკულადაა გამოსახული ხელშეკრულებაზე დართულ რუკებზე; დ. წარმოადგენს საზღვრების დემარკაციის საფუძველს.

დელიქტი (tort wrong, tortuous wrong) – იგივე, რაც სამართალდარღვევა, ფართო გაგებით – საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული, საზოგადოებისათვის ზიანის მომტანი ქმედება, რომელიც იწვევს კანონით. სამართალდარღვევები შეიძლება იყოს სამოქალაქო (მაგ.,ფიზიკური ან იურიდიული პირის ქონების დაზიანება), ადმინისტრაციული (მაგ. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა), დისციპლინარული და ა.შ. სამართალდარღვევის ყველაზე საშიში ფორმაა დანაშაული, შესაბამისად სამართალდარღვევისათვის შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინარული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

დელიქტი – არამართლზომიერი მოქმედება, გადაცდომა, სამართალდარღვევა, რომლის შედეგადაც

ზიანი მიადგა პიროვნების ან მოქალაქის, ასევე იურიდიული პირის ქონებას (სამოქალაქო სამართალდარღვევა). დელიქტი წარმოადგენს განსაკუთრებული სახის ვალდებულებას – დელიქტური ვალდებულების საფუძველს. პიროვნებისთვის ან მოქალაქის, ასევე იურიდიული პირის ქონებისთვის მიყენებული ზიანი ექვემდებარება სრული მოცულობით ანაზღაურებას იმ პირის მიერ, რომელმაც მიაყენა მათ ზიანი.

დელიქტი სამოქალაქო სამართალში – დარღვევა, რომელიც არაა დაკავშირებული ხელშეკრულების დარღვევასთან, არამედ ზიანის მიყენებასთან. ზიანის მიყენებაში იგულისხმება ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი, ფიზიკური ტრავმა, ცილისწამება. აგრეთვე პირადი თავისუფლებების, საკუთარი უფლების და კომერციული ინტერესების შეზღუდვა. პირს, რომელმაც ჩაიდინა სამოქალაქო სამართალდარღვევა ეწოდება დელინკვენტი (torteasor).

დელეგირება – სამოქალაქო სამართალში ანაზღაურება კომისიონერის თავდებობაზე კომიტენტის წინაშე (იხ. კომისიის ხელშეკრულება) მის მიერ მესამე პირთან გარიგების ვალდებულებების შესრულების შედეგად. ზოგადი წესის მიხედვით, კომისიონერი კომისიის ხელშეკრულებით პასუხს არ აგებს კომიტენტის წინაშე მესამე პირის მიერ გარიგების შეუსრულებლობაზე, რომელიც დაიდო მასთან კომიტენტის ხარჯზე, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომისიონერმა არ გამოავლინა საჭირო წინდახედულობა ამ პირის არჩევაში ან საკუთარ თავზე აიღო დელკრედერე. დელკრედერეს მიღების შემთხვევაში კომიტენტმა უნდა გადაუხადოს კომისიონერს დამატებითი ანაზღაურება.

დემაგოგია [ძვ.-ბერძ. δημαγωγι'α < δη'μος ხალხი + α'γω მივუძღვები] 1) გრძნობებზე, ინსტინქტებზე, ადამიანთა ცნობიერებაზე ზეგავლენა, ენებათა ღელვის აღძრა რ.-მე, ჩვეულებრივ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რომელიც ემყარება ფაქტების განზრახ დამახინჯებას, ცრუ დაპირებებს, პირფერობას ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად, პოპულარობის შესაქმნელად, მასების მოსაზიდად და გადმოსაბირებლად და ა.შ.; 2) დახვეწილი, მალალფარდოვანი და ზოგჯერ დამაჯერებელი მსჯელობა, რომელსაც უკან ანგარება უდგას.

დემერეჯი – საფასურის ოდენობა, რომელიც ერგება გადამზიდავს უბრალო ხომალდზე კონტრსტალიური დროის განმავლობაში. დემერეჯი წარმოადგენს ოპერატიული ზემოქმედების საზომს. დემერეჯი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების არარსებობისას დემერეჯი განისაზღვრება ჩვეულებრივ პორტის შესაბამისად მიღებული განაკვეთების ან ხომალდისა და მისი ეკიპაჟის შენახვაზე გაწეული ხარჯების ოდენობის მიხედვით. იხ. ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება, ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება.

დემილიტარიზაცია [<დე... + ლათ. militaris სამხედრო] 1) განიარაღება; საერთაშორისო შეთანხმებაზე დაყრდნობით სამხედრო ნაგებობებისა და სიმაგრეების ლიკვიდაცია განსაზღვრულ ტერიტორიაზე, აგრ. აკრძალვა მასზე სამხედრო ბაზების და ჯარების ყოლისა; მთლიანად დემილიტარიზებულია ანტარქტიდა, ალანდის არქიპელაგი, სინაის ნახ.კუნძული, ცივრი სხვეულები, მთვარისა და სხვ. ტერიტორიების ჩათვლით; ბირთვული იარაღის გარეშე არსებული ზონები წარმოადგენენ ნაწილობრივი დის მაგალითს; 2) ეკონომიკის დ. – სახელმწიფოს სამხედრო ბიუჯეტის, არმიისა და სამხედრო ტექნიკის შემცირება, სამხედრო წარმოების სამშვიდობო პროდუქციის წარმოებაზე გადაყვანა.

დემილიტარიზებული [<დე... + ლათ. militaris სამხედრო] ყოველგვარი ჯარისაგან თავისუფალი; დ. ზონა – რ-მე ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი ტერიტორიის ზოლი (ჩვეულებრივ ორი სახელმწიფოს საზღვრებს გასწვრივ), რომელშიც აკრძალულია თავდასაცავი ნაგებობების აღმართვა, სამხედრო-საწარმოო დაწესებულებების შექმნა და ჯარების ყოლა.

დემოკრატია [ძვ.-ბერძ. δη'μος ხალხი + κρα'τος ძალაუფლება] 1) საზოგადოების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ფორმა, რომელიც ეუფძნება ხალხის ძალაუფლების წყაროდ ცნობას; დ-ს ძირითადი პრინციპები – კრძო საკუთრებისა და მეწარმეობის თავისუფლების ცნობა (ანუ ჭეშმარიტი საბაზრო ეკონომიკის), მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, მათი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა (მათ შორის უმცირესობის უფლებების დაცვა უმრავლესობის მმართველობისას), კანონის უზენაესობა, ძალაუფლების განაწილება, სახელმწიფოს მეთაურისა და წარმომადგენლობითი ორგანოების წარმომადგენლების არჩევითობა; უშუალო დ-ს შემთხვევაში ძირითადი გადაწყვეტილებები ყველა მოქალაქის მიერ მიიღება კრებებზე ან რეფერენდუმების საფუძველზე; წარმომადგენლობით დ-ის დროს გადაწყვეტილება არჩევითი ორგანოების მიერ მიიღება; 2) პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების მოქმედების პრინციპი; საუნივერსიტეტო, პარტიული, შიდასაფირმო, საწარმოო და სხვ. დ.

დემოკრატიზაცია [< დემოკრატია] საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზებული მოწყობა; დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრების პროცესი; დემოკრატიული საწყისების დანერგვა, რ-მე საზოგადოების, კავშირის დეორგანიზაცია დემოკრატიულ საფუძვლებზე.

დემოკრატიზმი, დემოკრატიულობა [< დემოკრატია] 1) დემოკრატიის არსებობა, მისი ცნობა და განხორციელება; 2) ხელმძღვანელის ან დამსახურებული ადამიანის მოპყრობის უბრალოება გარშემომყოფებთან ურთიერთობაში, ცნობილი ადამიანის უბრალოება (ქედმაღლობის, კუდაბზიკობის არქონა).

დემონსტრაცია – მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი ხერხი. მოქალაქეებს უფლება აქვთ შეიკრიბონ მშვიდობიანად, იარაღის გარეშე, ჩატარონ მიტინგები და დემონსტრაციები, მსვლელობები და პიკეტირება.

დემოსი – I. კლასობრივ საზოგადოებაში მოსახლეობის არაპრივილეგირებული ფენები; ხალხი. 2. ისტორიულად – ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოებში, თავისუფალი მოქალაქეები, ხალხის მასები.

დემოციდი ხელისუფლების მიერ, როგორც წესი, უიარაღო სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ

სხვადასხვა ფორმით განხორციელებული მასიური მკვლელობები, როგორიცაა: გენოციდი, ხოცვა-ჟლეტა.

დენდროლოგიური პარკები და ბოტანიკური ბაღები – 1) განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების კატეგორია, რომელიც განკუთვნება ახეთ მათზე არსებული ბუნების დაცვის დაწესებულებების სტატუსისა და მათი რეჟიმის თავისებურებების გათვალისწინებით; 2) ბუნების დაცვის დაწესებულებები, რომელთა ამოცანებშიც შედის მცენარეთა სპეციალური კოლექციების შექმნა მცენარეთა სამყაროს მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და გამდიდრების მიზნით და ასევე სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება; 3) ტერიტორიები, რომლებზეც მყარდება განსაკუთრებული დაცვის რეჟიმი: იკრძალება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ უკავშირდება მათი ამოცანების შესრულებას და რასაც მოსდევს ფლორისტული ობიექტების დაცულობის დარღვევა. დენდროლოგიური პარკებისა და ბოტანიკური ბაღების ტერიტორიები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა ფუნქციურ ზონებად, მათ შორისაა: ა) ექსპოზიციური, რომლის დათვალიერებაც ნებადართულია დენდროლოგიური პარკებისა თუ ბოტანიკური ბაღების დირექციის მიერ განსაზღვრული წესით; ბ) სამეცნიერო-ექსპერიმენტული, რომლის ჭედმაც შეუძლია მხოლოდ დენდროლოგიური პარკებისა თუ ბოტანიკური ბაღების მეცნიერ-თანამშრომლებს და ასევე სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სპეციალისტებს; გ) ადმინისტრაციული.

დენომინაცია – ფულის ნიშნების ნომინალური ღირებულების შეცვლა ფულის ერთეულის სახელწოდების შეუცვლელად, რასაც თან ახლავს ძველი ფულის ნიშნების ახლით შეცვლა განსაზღვრული შეფარდებით.

დეპარტამენტი – 1) სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელწოდება, რომელიც განაგებს მოცემული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. დეპარტამენტის რაოდენობა, მათი დასახელება განისაზღვრება მთავრობის ან პრეზიდენტის მიერ; 2) ზოგიერთ სახელმწიფოში დეპარტამენტი წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოს და ახორციელებს მინისტრების ანალოგიურ ფუნქციებს (მაგალითად, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი – აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო საგარეო საქმეების სფეროში; ოუსტაციის დეპარტამენტი, თავდაცვის დეპარტამენტი და სხვ.); 3) საერთაშორისო ორგანიზაციებში დეპარტამენტი განისაზღვრება მათი ქარტის შიდა ქვედანაყოფის მიხედვით (მაგალითად, ევროსაბჭოს საჯარო და საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტი).

დეპარტამენტი – 1. ზოგიერთ სახელმწიფოში – სამინისტროს, უწყების დასახელება, მაგ. აშშ-ში საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციების შესრულებული ორგანოა – სახელმწიფო დეპარტამენტი.

2. საფრანგეთში და რიგ სხვა ქვეყნებში ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

3. უმაღლესი ადმინისტრაციული ან სასამართლო დაწესებულების (სამინისტრო, სენატი და სხვ) განყოფილება; ადმინისტრაციული ქვედანაყოფი ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის აპარატში.

დეპეშა – სამსახურებრივი დეპეშები იგზავნება განსაკუთრებულ შემთხვევებში მეტად მნიშვნელოვან და სასწრაფო საკითხებზე. ისინი იბეჭდება საბეჭდ მანქანაზე დიდი ასოებით მხოლოდ ქაღალდის ცალ გვერდზე, ყოველგვარი წანაშალის, ამონაფხეკისა და გასწორების გარეშე.

თუ დეპეშა საპასუხოა, მაშინ მისი ტექსტი უნდა იწყებოდეს იმ დეპეშის ან დოკუმენტის ნომრით, რომლის პასუხსაც ის წარმოადგენს, დეპეშის ტექსტის დასაწყისი და ხელმოწერა იბეჭდება (აბზაცით) ახალი სტრიქონიდან. დანარჩენი ტექსტი იბეჭდება აბზაცების გარეშე, სიტყვის გადატანა დეპეშაში აკრძალულია.

დეპეშაში არ იხმარება კავშირები, წინდებულები და სასვენი ნიშნები, თუ, რასაკვირველია, ამის გამო არ მახინჯდება აზრი. თუ არ ხერხდება სასვენი ნიშნების გამოტოვება, მაშინ ისინი უნდა აღვნიშნოთ სრული ან შემოკლებული სიტყვებით: точка ან тчк, запятая ან зпт, двоеточие ან двтч, скобка ან скб, кавычки ან квч. სხვა ნიშნებიც დეპეშაში ასევე სიტყვებით უნდა აღინიშნოს: (N) номер ან нр. (+) – плюс, (-) – минус, (%) – процент, процентов (:) – деление.

ტექსტის გარდა დეპეშაში უნდა აღინიშნოს მისი კატეგორია და გარკვეული სახე (თუ ეს აუცილებელია), მიმღების მისამართი და დასახელება; მითითებული უნდა იყოს დოკუმენტის ნომერი (თუ დეპეშა საპასუხოა), გაცული ნომერი და ჰქონდეს ბეჭედი. ყველა ეს ცნობა თავსდება დეპეშის ფასიან ნაწილში – ხაზს ზემოთ. ხაზის ქვემოთ (უფასო ნაწილში) მითითებულია თანამდებობა და გვარი იმ პირისა, ვინც ხელი მოაწერა დეპეშას, აგრეთვე ხელმოწერის თარიღი, მისამართი და დეპეშის გამომგზავნი დაწესებულების სახელწოდება.

სატელეგრაფო პუნქტებიდან დამორებულ ადგილებში გაგზავნილ დეპეშებში გამგზავნმა უნდა მიუთითოს მისამართთან ერთად დეპეშის მიტანის წესი – „нарочным", „почтой – заказная".

ხელმოწერა დეპეშაზე დამოწმებული უნდა იყოს ბეჭდით. დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს რამდენიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თითოეული ხელმოწერა დამოწმებული უნდა იყოს სათანადო ორგანიზაციის ბეჭდით.

დეპოზიტი (deposit)

ფულადი თანხები ან ფასიანი ქაღალდები, ჩაბარებული შესანახად საკრედიტო – საფინანსო, სასაქონლო ან ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, რომლებიც გარკვეული პირობების დადგომისას ექვემდებარებიან დაბრუნებას შემტანის მიმართ ან მისი მითითებით გადაცემას მესამე პირისათვის; გააჩნია რამდენიმე მნიშვნელობა: ანაბარი შემნახველ ბანკში; ფასიანი ქაღალდები ჩაბარებული შესანახად საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებში; სააბაჟო გადასახადების ანარიცხი; ადმინისტრაციულ ორგანოებში სარჩელის უზრუნველსაყოფად გაკეთებული ანარიცხი; ნოტარიატის სადეპოზიტო ანგარიშზე ფულის ან ფასიანი ქაღალდების შეტანა, თუკი შეუძლებელია მათი კრედიტორისთვის ჩაბარება.

საქონლის ღირებულების ნაწილი, რომელსაც იხდის მყიდველი აღნიშნული საქონლის შეძენის უფლების

გასანაღდებლად. თუ ყიდვა არ განხორციელდა, გადახდილი თანხა ბრუნდება ან არ ბრუნდება. ანუ დეპოზიტი ამ შემთხვევაში გეეელინება ან ავანსის სახით, ან როგორც ბე.

აგრეთვე ფულადი თანხა, რომელსაც პირველადი შესატანის სახით იხდის მყიდველი განვადებით, რაიმეს შეძენისას ან რაიმე ხანგრძლივი მრავალჯერადი მომსახურების მიღებისას (მაგ. მობილური ტელეფონის ჩართვა).

ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც შეაქვს რაიმე ღირებულება საკრედიტო დაწესებულების სადეპოზიტო ანგარიშზე დეპონენტი ეწოდება. დეპონენტი არის აგრეთვე მუშაკი, რომელმაც დროულად არ მიიღო ხელფასი, აგრეთვე ცალკეული პირები და ორგანიზაციები, რომელთა სასარგებლოდ განხორციელდა ხელფასიდან დაქვითვა (ალიმენტები და სხვა).

დეპონირება

1. საკრედიტო დაწესებულებაში ფულადი თანხების, ფასიანი ქაღალდების და სხვა ღირებულებების შესანახად ჩაბარება (deposit of securities).

2. მოქალის მიერ სასამართლოსა ან ნოტარიატში შესრულების საგნის შენახვა ან ნოტარიატის სადეპოზიტო ანგარიშზე ფულის ან ფასიანი ქაღალდების შეტანა კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნების შემთხვევაში. დეპონირებით მოქალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან.

3. საერთაშორისო ხელშეკრულების დედანის, სარატიფიკაციო სიგელების, საერთაშორისო ხელშეკრულებასთან მიერთების ან მისი დეპონირების საბუთების დედნების დეპოზიტართან შესანახად ჩაბარება. დეპონირება, რომელსაც აწარმოებს დიპლომატიური ან სხვა სპეციალური წარმომადგენელი, ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს შესაბამისი საერთაშორისო საბუთის მადეპონირებელი პირი და მეორეს მხრივ დეპოზიტართან წარმომადგენელი.

დესპოტი [ძვ.-ბერძ. δεσπο'της მბრძანებელი] 1) უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობს არა კანონების ძალით, არამედ თვითნებურად; იხ. აგრ. დესპოტია; 2) ბიზანტიელ დიდებულთა უმაღლესი წოდება; 3) ტირანი, თვითმპყრობელი ადამიანი, რომელიც სხვებს აიძულებს დაემორჩილონ მის ნებას.

დესპოტატები [ძვ.-ბერძ. δεσπο'της მბრძანებელი] ბერძნული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები XIII – XV სს-ში, რომლებიც ბიზანტიის ნახევარდაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ ან ფაქტიურად თავისუფლები, რომელთა მმართველებს დესპოტები ეწოდებოდა.

დესპოტია [ძვ.-ბერძ. δεσπο'της შეუზღუდავი ძალაუფლება] 1) შეუზღუდავი თვითმპყრობელური ხელისუფლების ფორმა; გამოირჩევა ძალაუფლების მქონეთა (ძლიერების) თვითნებობით და ქვეშევრდომთა (სუსტების) უუფლებობით; 2) ქვეყანა, სადაც ასეთი ხელისუფლებაა გამეფებული, მაგ. ძველი ასირია.

დესპოტიზმი [ძვ.-ბერძ. δεσποτει'α მბრძანებელი] 1) იგივეა, რაც დესპოტია, – შეუზღუდავი მონარქიის ფორმა; 2) თვითმპყრობელობა და თვითნებობა გარშემომყოფებთან მიმართებაში; მათი უფლებების, თავისუფლების, დამოუკიდებლობის შებღალვა.

დესტრუქცია [ლათ. destructio] ნგრევა, რამეს სწორი ნორმალური წყობის დანგრევა; პოლიერების დ. – მათი მოლეკულების ნგრევა სითბოს, ჟანგბადის, სინათლის, მექანიკური ძაბვის და სხვ. გაელენით; დ. ხდება პოლიმერული ნაკეთობების შენახვისას, გადამუშავებისას და ექსპლუატაციისას, იწვევს პოლიმერების მრავალი თვისების შეცვლას, რის გამოც ისინი ხშირად გამოსაყენებლად უვარგისი ხდებიან; პოლიმერების დ-სგან დაცვის საშუალებაა სტაბილიზაცია (2).

დესტრუქციულობა [< ლათ. destructio] ნგრევა; ლტოლვა გაფუჭებისკენ; უნაყოფობა; საპირისპ. – კრეატიულობა (აღორძინება).

დესტრუქციული [< ლათ. destructio] დამანგრეველი, უნაყოფო; დ. იდეა – დანგრევის გეგმა, რ-მეს გაფუჭების; დ. ძალები – პოლიტიკური ძალები, რომლებიც ცდილობენ შეცვალონ არსებული წყობა და, როგორც წესი, ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ; შეიძლება ხელმძღვანელობდნენ როგორც სასიკეთო, ასევე ანგარებიანი მიზნებით; სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება ითამაშონ როგორც დადებითი, ასევე საზოგადოებისთვის უარყოფითი როლი; უკანასკნელ წლებში სსრკ-ში ასე უწოდებდნენ ეროვნულ მოძრაობებს სხვადასხვა სახელმწიფოებში; საპირის. – ამალორძინებელი, კონსტრუქციული.

დესტინატერი (destination – მიმართულება. დანიშნულება)

კონკრეტული პირები ან პირთა წრეები, რომელთა მხარდასაჭერად არის დაარსებული ფონდი და რომელთაც აქვთ უფლება მიიღონ წილი ფონდის ქონებიდან. დესტინატერებს აქვთ უფლება გაუქმონ ფონდი იუსტიციის გამგეობის ყველა წერის თანხმობით, ან შეცვალონ ფონდის მიზანი, თუ ამას ეთანხმება იუსტიციის სამინისტრო.

დიაგნოსტიკა [ძვ.-ბერძ. διαγνωστικο'ς ამოცნობის შემძლე] 1) მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის დაავადების ნიშნებს, მეთოდებსა და პრინციპებს, რომელთა საშუალებით ხდება დიაგნოზის დასმა; 2) დიაგნოზის დასმის პროცესი; 3) პლაზმის დ. – პლაზმის, ტემპერატურის, სიმკვრივის და სხვ. მახასიათებლების გაზომვის პრინციპი; 4) ტექნიკური დ. – იმ ნიშნების დადგენა და შესწავლა, რომლებიც ახასიათებს მანქანებში, მოწყობილობებში, მათ კვანძებში, ელემენტებში და ა.შ. დეფექტის არსებობას; მათი მუშაობის რეჟიმი (ან მდგომარეობაში) შესაძლო გადახრებს წინასწარ განსაჭვრეტად; 5) მეთოდებისა და საშუალებების დამუშავება დეფექტების აღმოსაჩენად და სალიკვიდაციოდ – დიაგნოსტიკური აპარატურა და მადიაგნოსტირებელი პროგრამა.

დიალექტიკა [ძვ.-ბერძ. διαλεκτικη'] 1) ძვ საბერძნეთში კამათის წარმართვის ხელოვნება, რომელსაც ჭეშმარიტება საპირისპირო აზრების შეჯახებით და მოწინააღმდეგის მსჯელობებში შეუსაბამობების აღმოჩენით მიიღწეოდა; 2) ფილოსოფიური მოძღვრება ყოფიერებისა და შეცნობის განვითარების შესახებ; 3) ამ მოძღვრებაზე დამკვიდრებული აზროვნების მეთოდი, რომელიც სწვდებოდა რეალობას მის ურთიერთწინააღმ-

დეგობაში, მიზნობრიობასა და განვითარებაში; 4) რ-მეს განვითარება მისი ფორმების მრავალფეროვნებასა და ურთიერთდაპირისპირებულობაში.

დიასპორა [მ.-ბერძ. διασπορα' გაფანტვა] 1) მცენარის ნაწილი (სპორა, თესლი, ნაყოფი, ბოლქვი და ა.შ.), რომელიც ბუნებრივი გზით სცილდებიან მშობელ ორგანიზმს და ესახურება გამრავლებასა და განსახლებას; 2)თავდაპირველად ებრაელების ერთობლიობა, რომლებიც განსახლდნენ ბაბილონური მონობის შემდეგ (ჩვ. წ.-აღ.-მდე VI ს-ში) პალესტინის საზღვრებს გარეთ; ახლა ზოგადად ერის ნაწილი (ეთნიკური ერთობა), რომელიც თავის წარმომავლობის ქვეყნის, ისტორიული სამშობლოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობს.

დიგესტები (ლათ. Digesta – შეკრებილი, სისტემაში მოყვანილი) – იუსტინიანეს კოდიფიკაციის ძირითადი ნაწილი, რომელი იურისტების (პაპინიანეს, პაულუსის, ულპიანეს, გაიუსის, მოდესტინუსის და სხვა) თხზულებათა ნაწყვეტების სისტემური კრებული შეადგინა კომისიამ ტრიბონიანეს ხელმძღვანელობით. გამოიცა 533 წელს, 50 წიგნად, თითოეული წიგნი ტიტულებად, ტიტული – ფრაგმენტებად. უმთავრესად აწესრიგებს ქონებრივ, საოჯახო, მემკვიდრეობით და ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებს. დიგესტები იქცა რომის სამართლის რეცეფციის ძირითად წყაროდ; აღსანიშნავია დიგესტების გავლენა მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამართლებრივ განვითარებაზე.

დიდებული პრივილეგირებულ წოდებათა (აზნაური, თავადი, ვაჭარი) უმაღლესი სოციალური ფენის წარმომადგენელი ფეოდალური ხანის საქართველოში. „დიდება" მეფის მიერ აზნაურისათვის დიდი სახელოს (თანამდებობა) და მისი შესაფერისი ყმამამულის ბოძებას ერქვა. დიდებამინიჭებულ აზნაურს დიდებული აზნაური ეწოდება. აზნაური ითვაიითე ცდილობდა სახელი და ყმამამული სამემკვიდრეოდ ექცია. XI – XII სს. დიდებულთა ცნობილი საგვარეულოების (ქალაბაღელი, ჯაყელი, სურამელი, არიშიანი, ვარდოსანისძე, კახაბერისძე და სხვა) წარმომადგენლები დიდმოხელეობას თაობიდან თაობას გადასცემდნენ. მათი ოჯახის წევრები კი დიდგვარიანები იყვნენ. გვიანდელ საუკუნეებში დიდებულების წრიდან შეიქმნა თავადთა სოციალური წოდება. თავადთა შორის უპირატეს მდგომარეობაში მყოფს „დიდებული აზნაური" ეწოდებოდა.

დიდი მთავარი – მთაავართა უპირველესი წოდება კიევის რუსეთსა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში (X ს-დან კიევის დიდი მთავარი, XIII ს-დან ვლადიმირის დიდი მთავარი და ა.შ.), რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ (XV ს. მიწურული) ამ ტიტულს მხოლოდ მოსკოვის დიდი მთავარი ატარებდა და 1547 წელს შემოვიდა რუსეთის მეფის, ხოლო 1721 წელს იმპერატორის ტიტული. რუსეთის იმპერიაში დიდი მთავრები ეწოდებოდათ იმპერატორის ოჯახის წევრებს. XIV-XVI სს-ში ამ ტიტულს ლიტვის გამგებლებიც ატარებდნენ. 1569 წელს ლიტვის დიდი მთავრის ტიტული პოლონეთის სამეფო ტიტულსაც მიემატა.

დივერსია – აფეთქების, ცეცხლის წაკიდების ან სხვა მოქმედებების ჩადენა, რაც მიმართულია საწარმოების, ნაგებობების, მიმოსვლის გზებისა და საშუალებების, კავშირგაბმულობის საშუალებების, მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველყოფის ობიექტების დაზიანებისა თუ დანგრევაზე ეკონომიკური უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის მოშლის მიზნით. დივერსიად ითვლება ნებისმიერი წინასწარ განზრახული მოქმედება ბირთვული მასალების, დანადგარების, ბირთვული მასალებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესანახი პუნქტების მიმართ, რომელთაც გადააქვთ ბირთვული მასალები და დანადგარები, რომლებსაც შეუძლიათ პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიონ ავარიული სიტუაციები და საფრთხე შეუქმნან ადამიანთა ჯანმრთელობასა თუ სიცოცხლეს რადიაციის შედეგად ან გამოიწვიონ გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება.

დივერსიფიკაციური ზრდის შესაძლებლობანი – შემოსავლების ან ფასების ზრდის შესაძლებლობანი ფირმის ძირითადი საქმიანობის ფარგლებს მიღმა. ინტეგრაციული ზრდის შესაძლებლობანი – შემოსავლების ან ფასების ზრდის შესაძლებლობანი ფირმის საქმიანობის ინტეგრაციის ხარჯზე დარგის სხვა მარკეტინგული სისტემის ელემენტების გამოყენებით.

დისკრიმინაციული ფასების დაწესება საქონლის გაყიდვა ორი ან მეტი სხვადასხვა ფასით მიმოქცევის ხარჯების მოცულობის გაუთვალისწინებლად.

დილერი – 1) პირი, რომელიც ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის გარიგებას საკუთარი სახელითა და ხარჯებით გარკვეული ფასიანი ქაღალდების შესასყიდი და (თუ) გასაყიდი ფასების საჯარო გამოცხადების გზით, ამ ფასიანი ქაღალდების შესყიდვისა და/ან გაყიდვის ვალდებულებით ასეთი საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ გამოცხადებულ ფასად. ზოგიერთი კანონის თანახმად, დილერი შეიძლება იყოს მხოლოდ იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას; 2) შუამავალი (მათ შორის, საბირჟო), რომელიც გარიგებას ახორციელებს საკუთარი სახელითა და ხარჯით შემდგომი გაყიდვის მიზნით. იხ. კომისიის ხელშეკრულება, დაკალების ხელშეკრულება.

დიპლომატია სახელმწიფოსა და მთაურობის მეთაურთა და საგარეო ურთიერთობის ორგანოთა ოფიციალური საქმიანობა საგარეო-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში. ტერმინი დიპლომატია მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „diploma"-წარწერებიანი ორკეცი დაფა, რომელიც ძველ საბერძნეთში რწმუნებულობის საბუთად ეძლეოდა სხვა ქვეყანაში გაგზავნილ დესპანს, თანამედროვე მნიშვნელობით დამკვიდრდა VIII ს. ბოლოს. დიპლომატიის ძირითადი ფორმებია: სახელწიფოთა თუ მთაურობათა მეთაურების, საგარეო უწყებათა ხელმძღვანელების ან საგანგებოდ უფლებამოსილი პირების კონფერენციები და თათბირები, საერთაშორისო შეთანხმებათა დადება, საგარეო უწყებისა და უცხო დიპლომატიური წარმომადგენლების მიმოწერა (დიპლომატური ნოტა, მემორანდუმი და ა.შ.) ან უშუალო მოლაპარაკება.

ძველი ქართული სახელმწიფოები თავიდანვე მიმართავდნენ დიპლომატიას უცხო სახელმწიფოებთან სადაო

საკითხების გადაწყვეტის გზით. დიპლომატიური გზითვე წყდებოდა ომის მომზადების, ზავის დადებისა და სხვა საკითხები. ლეონტი მროველის ცნობით, იბერიის (ქართლის) მეფე ფარნავაზმა (ძვ.წ. III ს.) მოციქულები გაუგზავნა „ასურასტანის“ მეფეს ბერძნებთან მომაკვალი ომის პერსპექტივების დასაზუსტებლად. ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალი იყენებდა „მოციქულთა გაგებას“ (დავის გადაჭრას ელჩების მეშვეობით).

დიპლომატია (< დიპლომიდან, ფრ. diplomatique < ძვ.-ბერძ. δίπλωμα ფურცელი, რომელიც ორადაა გაკეცილი)—დამხმარე საისტორიო დისციპლინა, წყაროთმცოდნეობის ნაწილი, რომელიც იკვლევს საბუთების (აქტების) ფორმასა და შინაარსს. დიპლომატიკა ძირითადად იკვლევს საბუთების გარეგნულ თავისებურებას და მიზნად არ ისახავს მათ შინაარსობრივ შესწავლას (ტექსტის გერმენევტიკას), თუმცა არც თუ იშვიათად განიხილავს, როგორც ფორმის ისე შინაარსის მიხედვით, ასევე გარკვეული სოციალურპოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა დარგობრივი ხედვით, თუ ამ დარგს რაღაც მიმართება, ან შეხება აქვნდა დიპლომატიკასთან.

დიპლომატიკასთან დაკავშირებულია არქივმცოდნეობითი დისციპლინები და ისტორიის სხვა დამხმარე დისციპლინებში გამოყოფილი განხრები (საბუთების — პალეოგრაფია, საბუთების — სფრაგისტიკა, საბუთების — ქრონოლოგია და სხვა). დიპლომატიკის კვლევისათვის იყენებენ ისტორიის ენათმეცნიერებას, გეოგრაფიას, ონომასტიკას, მეტროლოგიას, გენეალოგიას, ნუმიზმატიკას და სხვა. დასაწყეთ ევროპაში საბუთების კვლევა შუა საუკუნეებში დაიწყო იმ მიზნით, რომ ყალბი საბუთები ნამდვილისაგან გაერჩიათ. ასე შეიქმნა პრაქტიკული დიპლომატია. ქართული პრაქტიკული დიპლომატია შუა საუკუნეებში წარმოიქმნა და II ს-ში არსებობდა სახელმძღვანელოები, რომელთა მიხედვითაც ადგენდნენ საბუთებს (VII-VIII სს-ში მათ სამდივნო ეწოდებადა). კახთა მეფის ალექსანდრეს (1476-1511 წწ.) ერთ-ერთი სიგელის ცნობით, ამ დროს საქართველოში არსებობდა ნატყუარი საბუთები და სათანადო პირებს სცოდნიათ კიდეც მათი გამოცნობა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში მითითებულია, თუ როგორ უნდა შეემოწმებინათ საბუთის ნამდვილობა, ხოლო 1782 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების წიგნი გვამცნობს, რომ დავის განხილვის დროს მოსამართლეები ამოწმებდნენ საბუთების ნამდვილობას.

VI- VIII სს. ქართულ სამეფო სიგელგუჯართა („მეფეთა წერილები“) ზოგადი დახასიათება მოგვცა ეპიშტი ბატონიშვილმა ნაშრომში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ეს იყო საქართველოში მეცნიერული დიპლომატიკის შექმნის პირველი ცდა. თანამედროვე კლასიკური გაგებით დიპლომატიკის განვითარებას საფუძველი ჩაუყარა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომმა: „ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“.

ძირითადად იგი არის დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ყოველგვარ იურიდიულ აქტებს (სიგელებს, ხელშეკრულებებს და ა.შ.) მათი ნამდვილობის დადგენის მიზნით.

დიპლომატირება [< დიპლომი] 1) უმაღლესი საზავლო დაწესებულების დიპლომების გაცემა ან სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 2) დიპლომით დაჯილდოება კონკურსზე, გამოფენაზე და სხვ. წარმატებული გამოსელებისთვის.

დიპლომატიური [< დიპლომატია] 1) დიპლომატიასთან დაკავშირებული; დ. აგენტი — პირი, რომელიც უფლებამოსილია დ. კავშირებისთვის და უცხოურ სახელმწიფოებთან ურთიერთობისთვის; დ. კლასი—წოდება, რომელიც მიენიჭება დ. წარმომადგენლების უფროსს საზღვარ-გარეთ; საგანგებოდ უფლებამოსილი ელჩი, რწმუნებული; დ. კორპორაცია — ყველა დ-ი პირის პირადი შემადგენლობა (მაგ., ოჯახის წევრები), რომელიც აკრედიტირებულია მოცემულ სახელმწიფოში, ზემდეგთან (დუაენთან) ერთად; ეიწრო გაგებით — მხოლოდ დ. წარმომადგენლობის სათავეში მდგომი; დ. კურიერი — ოფიციალური პირი, რომელსაც ეკისრება დ. ფოსტის მოწოდება, სარგებლობს დ. იმუნიტეტით; დ. სამართალი — საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც რეგლამენტირებას უკეთებენ დს, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობის წესს; დ. წარმომადგენლობა — საგარეო ურთიერთობის მუდმივი ორგანო (საელჩო ან მისია), რომელიც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს; დ. რანგი — წოდება, რომელიც ენიჭება დიპლომატებს; დგინდება სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით; მრჩეველი, პირველი მდივანი, მეორე მდივანი, ატაშე; 2) კარგად გაანგარიშებული; მარჯვე, „გაქნილი“.

დიპლომატიური აბენტი 1. ერთ სახელმწიფოში მეორე სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურისა და დიპლომატიური პერსონალის წევრთა საერთო სახელწოდება; 2. საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირი, რომელიც მუდმივ სამუშაოზეა იმ ქალაქსა თუ ნაცადგურში, სადაც უცხო საკონსულოებია ან უცხოელთა დიდი რაოდენობაა თავმოყრილი. იგი ურთიერთკავშირშია მათთან, უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ამ კანონების შესრულებას, რომლებიც უცხოელებს ეხება და ა.შ.

დიპლომატიური აქტი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებასა და ამ სახელმწიფოში მყოფი უცხო დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის, აგრეთვე, სხვადასხვა დიპლომატიურ წარმომადგელობას, მიმოწერის დოკუმენტთა საერთო სახელწოდება. დიპლომატიური ნოტა, სამახსოვრო ბარათი, მემორანდუმი და სხვა.

დიპლომატიური კლასები და რანგები — დიპლომატების სამსახურებრივი წოდებები. დიპლომატიური კლასები გააჩნია მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლების მეთაურებს. 1815 წ. ვენის კონგრესის დროიდან არსებობს დიპლომატიური კლასების და რანგების სამი ნაირსახეობა — ელჩი (ეატიკანის წარმომადგენელი: ნუნცი ან ლეგატი), დესპანი (ინტერნუნცი) და საქმეებში რწმუნებული. ამჟამად ეს კლასები განმტკიცებულია 1961 წ. დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-11 მუხლით. ელჩების და დესპანების აკრედიტაცია ხდება სამყოფელი სახელმწიფოს მეთაურთან. საქმეებში რწმუნებულის კი — საგარეო საქმეთა მინისტრთან. დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურებს შორის არ უნდა მოხდეს არანაირი განსხვავება მათი კლა-

სის მისედვით (უფროსებისა და ეტიკეტის საკითხების გარდა).

დიპლომატიური კლასებისა და რანგების მიკუთვნება ხდება დიპლომატიური სამსახურის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მუშაობენ, როგორც სათანადო დაწესებულებებში, ასევე საგარეო ურთიერთობების უცხოეთის ორგანოებში: საელჩოებში, საკონსულოებში, მუდმივ წარმომადგენლობებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მაგალითად, რუსეთში 1943 წლიდან არსებობს შემდეგი კლასები და რანგები: საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, პირველი კლასის საგანგებო ელჩი, მეორე კლასის საგანგებო ელჩი, პირველი კლასის მრჩეველი, მეორე კლასის მრჩეველი, პირველი კლასის პირველი მდივანი, მეორე კლასის პირველი მდივანი, პირველი კლასის მეორე მდივანი, მეორე კლასის მეორე მდივანი, მესამე მდივანი, ატაშე. ელჩისა და დესპანის რანგის მიკუთვნება ხდება პრეზიდენტის ბრძანებით, დანარჩენი რანგის კი საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით. ანალოგიური დიპლომატიური კლასები და რანგები დადგენილია სხვა სახელმწიფოების უმრავლესობაში.

დიპლომატიური კორპუსი – ვიწრო გაგებით, ყველა უცხოური დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურთა ერთობლიობა, რომლებიც აკრედიტებული არიან მოცემულ სახელმწიფოში. ფართო გაგებით, დიპლომატიური კორპუსი მოიცავს მოცემულ სახელმწიფოში ყველა უცხოური დიპლომატიური წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის ყველა და მათი ოჯახის წევრებს. დიპლომატიურ კორპუსს მეთაურობს დეკანი (დეკანი, უხუცესი, მამასახლისი), დიპლომატიური წარმომადგენლების პროტოკოლის მეთაური, რომელსაც გააჩნია ყველაზე მაღალი კლასი და მოცემულ სახელმწიფოში მოცემულ პოსტზე ყოფნის ყველაზე დიდი დრო. ის წარმოადგენს დიპლომატიურ კორპუსს სხვადასხვა ცერემონიაზე, გამოდის დიპლომატიური კორპუსის სახელით მილოცვებით ან გამოხატავს თანაგრძნობას, აცნობს მოსულ დიპლომატებს სამყოფელი სახელმწიფოს დიპლომატიური პროტოკოლის თავისებურებებსა და წეს-ჩვეულებებს.

დიპლომატიურ კორპუსს გააჩნია სადღესასწაულო ცერემონიებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება. თუმცა, დიპლომატიური კორპუსი არ წარმოადგენს უცხოელი დიპლომატების პოლიტიკურ გაერთიანებას და მას უფლება არა აქვს მათი სახელით გამოვიდეს რაიმე სახის ერთობლივი განცხადებებით, მოთხოვნებითა თუ პროტესტით.

დიპლომატიური კორპუსი სახელმწიფოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურების ერთობლიობა. ეს ცნება ფართო მნიშვნელობითაც იხმარება და აღნიშნავს სახელმწიფოში არსებული უცხო დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მთელ დიპლომატიურ პერსონალს ოჯახის წევრებითურთ. დიპლომატიური კორპუსი არ არის პოლიტიკური გაერთიანება, ან ორგანიზაცია, არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, მისი ფუნქციები ცერემონიალური ხასიათისაა (მონაწილეობს იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ცერემონიებში, სადაც ის იმყოფება). დიპლომატიურ კორპუსს ხელმძღვანელობს დიპლომატიური კორპუსის დეკანი (დეკანი, მამასახლისი) – ერთ-ერთი დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, რომელიც სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს შორის დიპლომატიური კლასის მქონეა და ყველაზე მეტ ხანს უკავია ეს თანამდებობა სახელმწიფოში. დეკანი ინფორმაციას აწვდის ახლად აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლებს ამ სახელმწიფოს წესჩვეულებების, სახელმწიფო ორგანოების, დიპლომატიური პოლიტიკის და სხვათა შესახებ და საჭირო შემთხვევაში რჩევა-დარიგებასაც იძლევა. იგი დაკავშირებულია საგარეო საქმეთა უწყების საპროტოკოლო განყოფილებასთან და აუწყებს მას დიპლომატიური კორპუსის ყოფით მოთხოვნებს, სურვილებს, გამოდის დიპლომატიური კორპუსის სახელით ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საზეიმო თუ სამგლოვიარო შემთხვევებში.

დიპლომატიური კურიერი თანამდებობის პირი, რომელსაც დიპლომატიური ფოსტა გადაქცს ერთი სახელწიფოდან მეორეში. საერთაშორისო სამართალში აღიარებულია დიპლომატიური კურიერის ხელშეუხებლობა: არ შეიძლება მისი დაკავება, დაპატიმრება ან გაჩხრეკა უცხო სახელმწიფოებში მგზავრობისას. პირიქით, ამ სახელმწიფოს ეკისრებათ მფარველობა ან დახმარება გაუწიონ დიპლომატიურ კურიერს. გამგზავნი სახელმწიფო დიპლომატიურ კურიერს აძლევს დიპლომატიურ პასპორტს, სადაც აღნიშნულია ყოველი უცხო სახელმწიფოს ვიზა, რომლის გაკლაც მოუხდება მას, და აგრეთვე, კურიერის ფურცელს დიპლომატიური ფოსტის ყოველ ერთეულზე.

დიპლომატიური ნოტა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებასა და უცხო დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის, აგრეთვე სხვადასხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის მიმოწერის ერთ-ერთი ფორმა. დიპლომატიური ნოტით ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს უცხადებს პრეტენზიას ან პროტესტს ამა თუ იმ უმართებულო მოქმედების გამო, აუწყებს მას თავის პოზიციას განსაზღვრულ ვითარებასთან დაკავშირებით, მის ყურადღებას მიაქცევს რაიმე საკითხს და ა.შ. დიპლომატიური ნოტა არის ორი სახის: პირადი ნოტა, რომელიც იგზავნება მნიშვნელოვან საკითხებზე, დაბეჭდილ სპეციალურ სანოტო გერბიან ქაღალდზე. შედგენილია პირველ პირში, ხელს აწერს გამგზავნი. ზედა მარჯვენა კუთხეში დაბეჭდილია გაგზავნის თარიღი და ადგილი, ქვედა მარცხენა კუთხეში – ადრესატის ინიციალები, გვარი, თანამდებობა და მისამართი; და მეორე –ვერბიალური ნოტა–ეხება მიმდინარე საკითხებს, დაბეჭდილია სანოტო ბლანკზე, შედგენილია მესამე პირში, ხელმოუწერელია, ბოლოში დასმულია გამგზავნი დაწესებულების ბეჭედი, ქვედა მარცხენა კუთხეში დაბეჭდილია ადრესატის მისამართი, ადრესატს ბარდება პირადად ან კურიერის მეშვეობით. ზოგჯერ დიპლომატიურ ნოტაში ადრესატისადმი თავაზიან მიმართვასა და კომპლიმენტებს განსაზღვრავს დიპლომატიური პროტოკოლი.

დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი – საერთაშორისო სამართალში უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების, ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური პერსონალის წევრებისა და მათთან გათანაბრებულ პირებისთვის განსაკუთრებული შეღავათებისა და უპირატესობების მიცემა. დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი

განსაზღვრულია 1961 წ. დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციაში. დიპლომატიური წარმომადგენლები, როგორც აკრედიტირებული სახელმწიფოს ორგანოები სარგებლობენ კორესპონდენციისა და არქივების შეუხებლობით, წარმომადგენლობის შენობების, ასევე, მათი ქონებისა და გადაადგილების საშუალებების იმუნიტეტით ჩხრეკის, რეკვიზიციის, დაპატიმრებისგან, ყველა სახის გადასახადის, მოსაკრებლისა და ბაჟისგან შენობების განთავისუფლებით იმათ გარდა, რომლებიც წარმოადგენენ ფულად გადახდას კონკრეტული სახის მომსახურებაზე, წარმომადგენლობის თანამშრომელთა თავისუფალ გადაადგილებაზე სამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე (იმ რაიონებისა და ზონების გარდა, რომლებიც დახურულია სახელმწიფო უსაფრთხოების მოსაზრებით), აკრედიტირებადი სახელმწიფოს მთავრობასთან და მის წარმომადგენლობებთან ურთიერთობების თავისუფლებით, მათ შორის, შიფრის, კოდებისა და დიპლომატიური კურიერების გამოყენების უფლებით; ისინი თავისუფლდებიან ყველა გადასახადის, ბაჟისა და მოსაკრებლისგან, რომელიც წარმომადგენლობის მიერ იკრიფება ოფიციალური ვალდებულებების შესრულებისას, წარმომადგენლობის მიერ ოფიციალური გამოყენებისთვის გათვალისწინებული საგნების ბაჟისგან და სარგებლობენ სხვა პრივილეგიებითა და იმუნიტეტით.

წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრთა პირადი პრივილეგიები და იმუნიტეტი მოიცავს: მათი პიროვნების, საცხოვრებელი შენობების, ქაღალდების, კორესპონდენციისა და ქონების ხელშეუხებლობას; იურისდიქციიდან იმუნიტეტის, სამოქალაქო იურისდიქციიდან იმუნიტეტის ამოღებით სარჩელებთან მიმართებაში, რომლებშიც დიპლომატი გამოდის, როგორც კერძო პირი; განთავისუფლებას ვალდებულებისგან მისცეს ჩვენებები მოწმის სახით; განთავისუფლებას გადასახადებისა და მოსაკრებლისგან, გარდა გადასახადებისა უძრავ ქონებაზე, მემკვიდრეობასა და კერძო შემოსავლებზე; განთავისუფლებას ნებისმიერი შრომითი, სახელმწიფო და სამხედრო ბეგარისგან; განთავისუფლებას სოციალურ დაზღვევაში მონაწილეობისგან; განთავისუფლებას იმიგრაციაზე შეზღუდვისგან და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში რეგისტრაციისგან. დიპლომატების პირადი ტვირთი თავისუფლდება ბაჟისა და მოსაკრებლისგან, ასევე დათვალიერებისგან, თუ არაა სერიოზული საფუძვლები იმის სავარაუდოდ, რომ მასში არის საგნები, რომელთა შემოტანაც აკრძალულია ან რეგულირდება საკარანტინო წესებით.

დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სრულად სარგებლობენ სახელმწიფოს, მთავრობის მეთაურები, საგარეო საქმეთა მინისტრები და მაღალი რანგის სხვა ოფიციალური პირები საზღვარგარეთ ყოფნისას. ასეთივე პრივილეგიები და იმუნიტეტი გააჩნია სახელმწიფოთა მუდმივ წარმომადგენლებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, სპეციალურ მისიებსა და დელეგაციებს საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოებში და საერთაშორისო კონფერენციებზე, ასევე მათ დიპლომატიურ პერსონალს. ყველა აღნიშნული პირის ოჯახის წევრები სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით იმ მოცულობით, რითაც ოჯახის მეთაურები. ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალის მუშაკებს პრივილეგიები და იმუნიტეტი გააჩნიათ უფრო შეზღუდული მოცულობით.

დიპლომატიური პროტოკოლი

დიპლომატიურ ურთიერთობაში დამკვიდრებული თავაზიანობისა და უფროს–უმცროსობის წესები. დიპლომატიურ პრტოკოლი, როგორც სახელმწიფოთა ურთიერპატივისცემის გამოხატულება, აუცილებელია მათ შორის ნორმალური ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის. იგი მოიცავს: დიპლომატიური აქტის გაფორმებას, მასში აღრესატისადმი მიმართვის თავაზიანობის ამა თუ იმ ფორმულით (მაგ., როდესაც, რომელიმე საელჩო ადასტურებს თავის პატივისცემას, რომელიმე ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი და ამ ქვეყნის დაეალებით პატივი აქვს აუწყოს...) და დასკვნით კომპლიმენტს (მაგ., რომელიმე ქვეყნის საელჩო სარგებლობს ამ შემთხვევით, რათა კელავ დაადასტუროს თავისი პატივისცემა..., დიპლომატიურ ცერემონიალსა და ეტიკეტს (წესებს რწმუნებულების სიგელის ჩაბარების თუ სხვა ოფიციალური ცერემონიების, დიპლომატთა ვიზიტების, მათი მიღების, ჩამულობისა და სხვა ამგვარის შესახებ). დიპლომატიური პროტოკოლის ცალკეული წესები სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვანაირია. დიპლომატიური პროტოკოლის აღსასრულებლად თითქმის ყველა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებაში შექმნილია საპროტოკოლო განყოფილება.

დიპლომატიური რანგები

წოდებანი, რომლებიც ენიჭებათ დიპლომატიურ მუშაკებს სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებასა და საზღვარგარეთულ ორგანოებში. დაწესებულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლით. სახელმწიფოთა უმრავლესობას შემოღებული აქვს შემდეგი დიპლომატიური რანგები (დაბლიდან მაღლისაკენ): ატაშე, მესამე, მეორე და პირველი მდივნები, მრჩეველი, დესპანი, ელჩი (ზოგიერთი დიპლომატიური რანგი შეიძლება იყოს I და II კლასის). საზღვარგარეთ მომუშავე დიპლომატთა თანამდებობანი დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ჩვეულებრივ შეესაბამება მათ დიპლომატიურ რანგებს.

დიპლომატიური სამართალი

საერთაშორისო სამართლის ნაწილი, რომელიც მოიცავს პრინციპებსა და საერთაშორისო ნორმებს სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების (საერთაშორისო ორგანიზაცია, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხი) ურთიერთობის წესის შესახებ. სახელდობრ, დიპლომატიურ სამართალს განსაზღვრავს სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის ორგანოთა ფუნქციებს, დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასებსა და აკრედიტების წესს, დიპლომატიურ იმუნიტეტს, საერთაშორისო მდგომარეობას და სხვა, მონათესავე უფუნქციებსა და საქმიანობას. დიპლომატიური სამართალი მოიცავს აგრეთვე დიპლომატიურ პრტოკოლს და საერთაშორისო კონფერენციების მოწვევისა და მუშაობის წესებს.

დიპლომატიური სამართალი საერთაშორისო სამართლის უძველესი დარგია. მისი ზოგიერთი ინსტიტუტი (ელჩებისა და დესპანების წარგზავნა უცხო სახელმწიფოებში, მათი ხელშეუხებლობა, დიპლომატიური ცერემონიალი და სხვა). ჯერ კიდევ ძვ. წ. III–II ათასწლეულებში ჩაისახა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა პრაქტიკაში და ვითარდებოდა როგორც საელჩო

სამართალი. I-ში ხდება ამ სამართლის ბევრად მეტი სრულყოფა, ვიდრე იგი ვითარდებოდა მანამდე. მისი დამხმარე წყაროებია ქვეყნებს შორის ცალკეული ნორმები, რომლებიც შეიცავენ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, აგრეთვე ენის (1961), გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტის (1946), გაეროს სპეციალიზებულ დაწესებულებათა პრივილეგიებისა და იმუნიტეტების (1947), კონვენციები. აგრეთვე საერთაშორისო კონფერენციების რეგლამენტები (მაგ., 1959 წლის კონვენცია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ და სხვა ანალოგიური ღონისძიებები და დოკუმენტები. დიპლომატიურ სამართალთან მჭიდროდაა დაკავშირებული საკონსულო სამართალი.

დიპლომატიური ურთიერთობა

ორი სახელმწიფოს მთავრობათა ოფიციალური ურთიერთკავშირი, რასაც ძირითადად მათი საგარეო უწყებები ახორციელებენ ერთმანეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან მუდმივი საქმიანი კონტაქტებით. ამიტომ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას ჩვეულებრივ თან ახლავს საელჩოების ან მისიების გაცვლა სახელმწიფოთა შორის, რომელიც სრულდება ცერემონიებით, რწმუნებათა და შესაძლებელია საჩუქრების გადაცემით. დიპლომატიური ურთიერთობით ხორციელდება ქვეყნის საგარეო პოლიტიკა.

დიპლომატიური ფოსტა

დიპლომატიური დოკუმენტების შემცველი დალუქული პაკეტები, ჩემოდნები, ტომრები (ვალიზა), რომლებიც დიპლომატიური კურიერის ხელით უგზავნიან ერთმანეთს სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყება და ამ სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლები. დიპლომატიური ფოსტა შეიძლება შეიცავდეს ადრესატის ოფიციალური სარგებლობისათვის განკუთვნილ საგნებსაც. დიპლომატიური ფოსტის ყოველი ერთეული გაფორმებულია კურიერის ფურცლით. დიპლომატიური ფურცელი ხელშეუხებელია — ოფიციალურ ორგანოებს არა აქვთ მისი გახსნისა და დათვალიერების უფლება, პირიქით, მათი მოვალეობაა დაიცვან ან ხელი შეუწყონ დანაშაულებისაშვრი მის გაგზავნას დიპლომატიური კურიერის თანხლებით.

დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასები

საერთაშორისო სამართლით დაწესებული დაყოფა დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურებისა. ასეთი კლასიფიკაციის ერთიანობა დამკვიდრა 1815 წელს ვენის რეგლამენტმა (ვენის კონგრესი 1814-1815 წწ.) და აახენის ოქმმა (1818 წ.). მას შემდეგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა კლასებში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა პრაქტიკამ და ამჟამად დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციით აღიარებულია შემდეგი დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასები: 1. ელჩი და ნუნციუსი (უმაღლესი კლასი)—აკრედიტებულნი არიან სახელმწიფოს მეთაურთან; 2. დესპანი და ინტერნუნციუსი—აკრედიტებულნი არიან სახელმწიფოს მეთაურთან; 3. საქმეთა რწმუნებული — აკრედიტებულია საგარეო საქმეთა უწყების მეთაურთან. სამივე კლასის სამართლებრივი სტატუსი ერთი და იგივეა. განსხვავებაა მხოლოდ დიპლომატიური პროტოკოლის თვალსაზრისით და უფროს-უმცროსობით დიპლომატიურ კორპუსში. როგორც წესი ერთმანეთთან ცვლის ერთი და იგივე კლასის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, II მსოფლიო ომის შემდეგ პრაქტიკაში დამკვიდრდა ელჩების გაცვლა. 1941 წლამდე სახელმწიფოს წარმომადგენელს უცხო სახელმწიფოებში ეწოდებოდა სრულუფლებიანი წარმომადგენელი. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ სახელთა კავშირი არ იყო სრულყოფილად აღიარებულ საგარეო პოლიტიკაში.

დიპლომატიური წარმომადგენლობა

სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის ორგანო სხვა სახელმწიფოში. ხსნიან ამ სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შედეგად. დიპლომატიური წარმომადგენლობა ორი სახისაა: საელჩო, რომელსაც ელჩი მეთაურობს და მისია, რომლის მეთაურია დესპანი ან საქმეთა რწმუნებული. მათ შეესაბამება ეტიკეტის წარმომადგენლობანი — ნუნციატურა (მეთაური ნუნციუსი) და ინტერნუნციატურა (მეთაური ინტერნუნციუსი). ყველა შემთხვევაში დიპლომატიური წარმომადგენლობის სამართლებრივი სტატუსი ერთი და იგივეა. მას განსაზღვრავს ვენის 1961 წლის კონვენცია, საერთაშორისო ჩვეულებები და იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, სადაც დიპლომატიური წარმომადგენელი იმყოფება. დიპლომატიური წარმომადგენლობის ძირითადი ფუნქციებია: თავისი მაკრედიტებელი სახელმწიფოს წარმომადგენლობა და მისი ინტერესების დაცვა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, ხელის შეწყობა ამ ორი სახელმწიფოს მეგობრობის განვითარებაში, ლეგალური გზით მოპოვებული ინფორმაციების მიწოდება, საჯარო წარმომადგენლობის შექმნა ან ამ ფუნქციების განვითარება და სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით და პრივილეგიებით. ის და მისი არქივი ხელშეუხებელია, ბშირად განთავსებულია ადგილობრივი გადასახადებისაგან და სხვა ამგვარი.

დიპლომატიური წარმომადგენლობა იყოფა 3 ნაწილად: დიპლომატიური პერსონალი (დიპლომატიური რანგის მქონე თანამშრომლები), ადმინისტრაციულტექნიკური პერსონალი (კანცელარიის მუშაკები), მომსახურე პერსონალი (შოფრები, დამლაგებლები, მზარეულები) და ა.შ. ადგილსამყოფელი სახელმწიფო მოვალეა დაიცვას ისინი შეურაცხყოფისა და სხვა რაიმე ხელყოფისაგან და უზრუნველყოს მათთვის საჭირო პირობები. დიპლომატიური წარმომადგენლობის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადგილსამყოფელი სახელმწიფო მოვალეა უზრუნველყოს დიპლომატიური წარმომადგენლობის უსაფრთხოება და მშვიდობიანად გამგზავრება სამშობლოში, შეუძლია მიანდოს იმ სახელმწიფოს, ვინც დაიცავს მის ინტერესებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

დიპლომატიური წარმომადგენლობა

— სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების მთავარი უცხოური ორგანო. დიპლომატიური წარმომადგენლობა იქმნება დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ დაინტერესებული სახელმწიფოების შეთანხმების საფუძველზე, რომელშიც კერძოდ, განისაზღვრება ამ ურთიერთობების დონე. თუ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს გააჩნია ელჩის კლასი, მას ეწოდება საელჩო, ხოლო თუ დიპლომატიური

წარმომადგენლობის სათაოდ შია დესპანი ან საქმეებში რწმუნებული, ასეთ წარმომადგენლობას ეწოდება მისია. ამჟამად, მისიები პრაქტიკულად არ იქნება და როგორც წესი, სახელმწიფოები ცვლიან საელჩოებს. უბნიშნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს დიპლომატიური წარმომადგენლობის სამართლებრივ მდგომარეობასა და ფუნქციებს წარმოადგენს 1961 წ. ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობა.

დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციები კერძოდ მდგომარეობს სამყოფელ სახელმწიფოში აკრედიტირებადი სახელმწიფოს წარმომადგენლობაში; სამყოფელ სახელმწიფოში აკრედიტირებადი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ინტერესთა დაცვაში, რაც დაშვებულია საერთაშორისო სამართლით; სამყოფელი სახელმწიფოს მთავრობასთან მოლაპარაკებების წარმოებაში; სამყოფელ სახელმწიფოში ყველა კანონიერი საშუალებით პირობებისა და გარემოების გარკვევაში და მათ შესახებ აკრედიტებული სახელმწიფოსთვის შეტყობინებაში; აკრედიტირებულ და სამყოფელ სახელმწიფოებს შორის შეგობრული ურთიერთობების წახალისებასა და მათი ურთიერთდამოკიდებულებების განვითარებაში ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში. გარდა ამისა, დიპლომატიური წარმომადგენლობა ასრულებს საკონსულოს ფუნქციებს. საელჩოს მუშაკების შემადგენლობაში გამოიყოფა დიპლომატიური, ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალი.

დიპლომატი [ფრ. diplomate < διπλωμη' ფურცელი, რომელიც ორადაა გაკეცილი] 1) საგარეო საქმეთა უწყების თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია ოფიციალური კავშირისთვის უცხოური ქვეყნების წარმომადგენლებთან; თავისი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ჩეულებრივ გააჩნია დიპლომატიური იმუნიტეტი; 2) ადამიანი, რომელიც აღწევს თავის მიზანს ადამიანებთან.

დისკონტი (discount) – 1. სხვაობა ფასიანი ქაღალდის ამჟამინდელ ფასსა და მისი განაღდების მომენტისათვის ან მისი ნომინალის შორის ფასში; ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვა მისი დაფარვის მომენტამდე ფასად, რომელიც ნაკლებია ნომინალზე.

2. სხვაობა ფორვარდულ კურსსა და ვალუტის დაუყოვნებლივ მიწოდებისას კურსს შორის.

3. სხვაობა ერთი და იგივე საქონედზე ფასებს შორის მიწოდების სხვადასხვა ვადებისას.

4. ფასის შემცირება საქონელზე მისი ხარისხის შეუსაბამობისას კონტრაქტით გათვალისწინებულთან.

5. ვალუტის ოფიციალური კურსიდან გადახრა შემცირების მხარეს.

6. ფასდაკლება საქონელზე მუდმივი კლიენტისათვის (trade discount) ან საბითუმი კლიენტისათვის (buik discount), ან ნაღდი ანგარიშსწორების დროს (cash discount).

დისკრედიტაცია [< ფრ. discredit] ნდობის დაკარგვა, ავტორიტეტის შემცირება.

დისკრედიტირება [< ფრ. discre'diter ნდობის დაკარგვა] სისხლის სამართალში თანამდებობის პირის მიერ მოქმედებების ჩადენა, რომლებიც მოქალაქეთა თვალში აშკარად არღვევს სახელისუფლო ორგანოების ღირსებასა და ავტორიტეტს; გარკვეულ პირობებში დ. შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ძალაუფლებისა და სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

დისკრიმინაცია (ლათ. discriminatio – განსხვავება) – 1. ზოგადსამართლებრივი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს სახელმწიფოს, იურიდიულ ან ფიზიკური პირების უფლებების შეზღუდვას, ხელყოფას (სხვა სახელმწიფოებთან, იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან შედარებით). დისკრიმინაცია ნებისმიერი ფორმით აკრძალულია დემოკრატიული სახელმწიფოების შიდა სამართლით და აგრეთვე საერთაშორისო სამართლით, რომელიმე სახელმწიფოს, მისი იურიდიული და ფიზიკური პირების დისკრიმინაცია განიხილება, როგორც არამეგობრული აქტი და შეიძლება გამოიწვიოს სასჯელო ზომები ამ სახელმწიფოს მხრიდან (რეტორსია საერთაშორისო სამართალში იძულების ღონისძიება).

2. ზოგიერთ ადამიანის მიმართ სხვებთან შედარებით უფრო უარესად მოპყრობის უკანონო პრაქტიკა სქესობრივი, რასობრივი,სოციალური ან რელიგიური განსხვავებულობის გამო.

3. დისკრიმინაცია ეკონომიკურ სფეროში: მონოპოლია, რომლის დროსაც მეწარმე ყიდის პროდუქტს ან მომსახურებას და სხვადასხვა მომხმარებელს სხვადასხვა ფასში. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში სხვადასხვა ტარიფები არსებობს ელექტროენერგიაზე მოსახლეობისათვის და საწარმოებისთვის. ეკონომიკურ დისკრიმინაციას მიეკუთვნება ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ სამეურნეო სუბიექტების ერთი ჯგუფის საქმიანობის შეფერხება, ხოლო მეორე ჯგუფისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობების შექმნა სახელისუფლებო ბერკეტების გამოყენებით.

4. დისკრიმინაციული ტარიფები – ტარიფები შედგენილი ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ, რომლებიც არ არიან ერთნაირი ყველა სავაჭრო პარტნიორისათვის. დისკრიმინაციული ტარიფების გაუქმებისაკენ არის მიმართული „ტარიფების და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება“, დისკრიმინაცია საგარეო ვაჭრობის სფეროში – რეჟიმი, რომლის დროსაც ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მათ სავაჭრო საქმიანობაში დისკრიმინაციული პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უარესი პირობები ექმნება, ვიდრე ამავე ტერიტორიაზე წარმოდგენილ სხვა სახელმწიფოების იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

5. ეროვნული დროშის დისკრიმინაცია – ამ დროშის ქვეშ მოცურაე სავაჭრო ფლოტის და სხვა ტრანსპორტის ეკონომიკური დისკრიმინაცია გამოწვეული პოლიტიკური მიზნებით.

დისმისლი საერთაშორისო სამართალში დიპლომატიის კერძო პირად გამოცხადება, რაც ნიშნავს მისთვის დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნას, მის მოქცევას იმ ქვეყნის იურისდიქციაში, სადაც ის იმყოფება.

დისონანსი [ფრ. dissonance < ლათ. dissonans სხვადასხვა ხმოვანი] 1) მუს. თანაყოერადობის დარღვევა, ორი ან მეტი ტონის დაძაბული ერთდროული, შეუხამებელი ჟღერადობა; დიდი და მცირე სეკუნდები

და სეპტიმები, გადიდებული და შემცირებული ინტერვალები, აგრ. აკორდები, რომლებიც ერთ ასეთ ინტერვალს მაინც მოიცავენ; სპარისპ. – კონსონანსი; 2) ლექსის არასწორი რითმა, სადაც თანხმოვანი ემთხვევა, ხოლო მახვილის მჯნე ხმოვანი – არა; ნაკლებად ხმარებული გამოთქმა; 3) რ-მეში პარმონიის არქონა; რ-მეს შეუსაბამობა; უთანხმოება, განსხეთქილება, წინააღმდეგობა.

დისპაშა [ფრ. dispache] საერთო ავარიის დროს ტვირთის, ხომალდის და ფრახტის ზარალის გამოთვლა და მისი განაწილება რეისის ორგანიზატორებს—დამქირავებელს (მეფრახტეს), ხომალდის მფლობელს და ტვირთის მფლობელს შორის.

დისპაშა საზღვაო სამართალში საერთო ავარიის შემდეგ გამოწვეული ზარალის განაწილება გემს, ფრახტს და ტვირთს შორის. საერთო ავარიად იგულისხმება ზიანი, რომელიც გამოწვეულია საერთო საფრთხეში მყოფი გემის, ფრახტისა და გადასაზიდი ტვირთის გადარჩენის მიზნით განზრახ და შეგნებულად საგანგებო ხარჯების გაღების ან შეწირვის შედეგად. საერთო ავარია ნაწილდება გემს, ფრახტსა და ტვირთს შორის მათი ღირებულების, ამ რეისის დამთავრების ადგილისა და დროის მიხედვით (საზ. კოდექსი, მუხლი 271).

დისპაშერი [ფრ. dispacheur] ოფიციალური ექსპერტი, რომელიც ანხორციელებს დისპაშას.

დისპაჩი – საზღვაო სამართალში ანაზღაურება დამფრახტველისთვის ტვირთის დატვირთვის დასრულებაზე სტალიური დროის ამოწურვამდე, რომელიც დადგენილია მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების არარსებობისას დისპაჩის ოდენობა იანგარიშება უბრალო დატვირთვაზე გადახდის 1/2 ოდენობით. იხ. ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება, ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება, სტალიური დრო, დემურეჯი, კონტრსტალიური დრო.

დისპოზიცია [ლათ. dispositio განლაგება] 1) გემების სადგომზე (რეიდზე) ან საერთო ცურვის დროს მწკრივში განლაგების გეგმა; XX ს-მდე სახმელეთო ჯარებისა (ფლოტის ძალების) და მოწინააღმდეგის ჯარების განლაგების გეგმა ბრძოლის წარსამართავად; 2) იურიდიული ნორმის (კანონის, დადგენილების, დეკრეტის ან სხვ. აქტის) განმსაზღვრელი ნაწილი, რომელიც დანაშაულის, ხელშეკრულების და სხვ. ძირითად ნიშნებს მოიცავს.

დისპოზიცია სამართლებრივი ნორმის სტრუქტურული ელემენტი, რომელიც შეიცავს რეგულირებად ურთიერთობების მონაწილეთა ქცევის წესს, მიუთითებს მის არსსა და შინაარსს, ასევე სუბიექტების უფლებებსა და ვალდებულებებს. დისპოზიცია – სამართლებრივი ნორმის ძირითადი ელემენტი, მისი ღერძია. დისპოზიცია გადმოცემის ხერხის მიხედვით შეიძლება იყოს პირდაპირი, ალტერნატიული და საბლანკეტო. გამოხატვის ფორმის მიხედვით კი, დისპოზიცია იყოფა უფლებამოსილებად (აძლევენ სუბიექტებს უფლებას განახორციელონ გარკვეული ქმედები), მავალდებულებლებად (მათში რეგულირებადი ურთიერთობების სუბიექტებს ეკისრებათ გარკვეული ვალდებულებები) და აკრძალვითად (შეიცავს აკრძალვას ცალკეული მოქმედებების განხორციელებაზე, ქცევის კონკრეტული ვარიანტის არჩევას).

დისპოზიტიურობა [გე.-ლათ. dispositivus განმკარგულებელი, მოიწყობი] 1) ხელშეკრულების მონაწილეთა უფლება იმოქმედონ თავისი ნებასურვილის მიხედვით (კანონმდებლობის თანახმად); 2) სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომელიც ნიშნავს, რომ საქმეში მონაწილე პირებს აქვთ საუთარი მატერიალური და პროცესუალური უფლებებით თავისუფლად განკარგულების საშუალება სასამართლოს აქტიური დახმარებით.

დისპოზიციურობა – სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ „ნებადართულია ყველაფერი ის, რაც კანონით არაა აკრძალული". დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ ნებისმიერი ქმედების შესრულება, რაც კანონით არაა აკრძალული. სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს ასევე შეუძლიათ მოიპოვონ უფლებები და აიღონ ვალდებულებები, არა მხოლოდ გათვალისწინებული კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით, არამედ ისეთებიც, რომლებიც მათ პირდაპირ არაა გათვალისწინებული, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგად საწყისებსა და არსს. დისპოზიციურობის პრინციპი მდგომარეობს ასევე იმაში, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ მათი სამოქალაქო უფლებების განხორციელება თავიანთი მიხედულობით. სამოქალაქო სამართლის სუბიექტების მიხედულობა მათი უფლებების განხორციელებისას ეცრდნობა მხოლოდ მათ ქონებრივ და სხვა ინტერესებს. არავის არა აქვს უფლება უკანონოს სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეებს, როგორ განახორციელონ მათი უფლებები. მოცემული პრინციპის კიდევ ერთ გამოვლინებას წარმოადგენს ის, რომ სამოქალაქო სამართლის ნორმების უმრავლესობა ატარებს დისპოზიციურ ხასიათს.

დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი პრინციპი, რომლის თანახმად მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით, ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელისა თუ განცხადების შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხე უფლებამოსილია ცნოს სარჩელი (სამოქ. საპ. კოდექსი, მუხლი 3).

დისციპლინარული გადაცდომა – კონკრეტულ პირზე დაკისრებული სამსახურებრივი ან სხვა ვალდებულებების მართლსაწინააღმდეგო, დანაშაულებრივი შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება, რასაც საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად მოსდევს დისციპლინარული პასუხისმგებლობა. დისციპლინარული გადაცდომა გამოიხატება შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული შრომის ვალდებულებების, შინაგანაწესის, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი ინსტრუქციის დარღვევაში, ზემდგომი ორგანოს, თანამდებობის პირის კანონიერი განკარგულებების შეუსრულებლობაში და ა.შ. დისციპლინარულ გადაცდომას მოსდევს დისციპლინარული სასჯელი საკანონმდებლო აქტის ან სხვა

ნორმატიული სამართლებრივი აქტების (წესდებები, დებულებები, რომლებიც არეგულირებენ დისციპლინარულ პასუხისმგებლობას მართვის ცალკეულ დარგებში – თავდაცვის, ტრანსპორტის, სპაბაჟო სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს) შესაბამისად.

დისციპლინარული პასუხისმგებლობა – დისციპლინარულ გადაცდომაზე პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე ე.ი. მუშაკზე, მოსამსახურეზე ზემოქმედების სამართლებრივი ფორმა შრომის, სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევაზე, რაც გამოიხატა მასზე დაკისრებული შრომის, სამსახურებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობასა თუ არასათანადო შესრულებაში და რამაც გამოიწვია გარკვეული ნეგატიური შედეგები. დისციპლინარული პასუხისმგებლობა ეკისრება ასევე სტუდენტებს, სხვა სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეებს, გარკვეული კატეგორიის პირებს, მაგალითად, პირებს, რომლებიც იმყოფებიან სისხლის სამართლის აღმასრულებელი სისტემის გამოსასწორებელ დაწესებულებებში.

სამხედრო მოსამსახურეებს და ასევე პირებს, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური დისციპლინარული წესდებების მოქმედება შეიძლება დაეკისროთ დისციპლინარული პასუხისმგებლობა არა მხოლოდ დისციპლინარულ, არამედ გარკვეულ ადმინისტრაციულ გადაცდომებზეც კანონის ან დისციპლინარული წესდების შესაბამისად.

დისციპლინარული სამხედრო ნაწილი – სამხედრო ქვედანაყოფი, რომელიც სპეციალურადაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის სასჯელის მოხდისთვის, რომლის წესი და პირობები რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის აღსასრულებელი კანონმდებლობის ნორმებით.

დისციპლინარულ სამხედრო ნაწილები იქმნება და იშლება თავდაცვის მინისტრის ბრძანებით სამხედრო ოლქების მეთაურთა წარმოდგენით.

დისციპლინარული სასჯელი – კანონით გათვალისწინებული მუშაკზე (ორგანოს, დაწესებულების თანამშრომელზე) ზემოქმედების ზომა შრომითი (სახელმწიფო ან მუნიციპალური მოსამსახურისთვის – სამსახურებრივი) ვალდებულებების შეუსრულებლობასა თუ არასათანადო შესრულებაზე, მათ შორის, შრომითი განრიგის, წესების სამსახურებრივი, თანამდებობრივი ინსტრუქციების დარღვევაზე.

როგორც წესი, გამოიყენება შემდეგი დისციპლინარული სასჯელი: შენიშვნა, გაფრთხილება, მკაცრი გაფრთხილება, გაფრთხილება არასრული სამსახურებრივი შესაბამისობის შესახებ, სამსახურიდან განთავისუფლება. დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ შესაბამის აქტებზე დგინდება სასჯელის დადებისა და მოხსნის წესი და ვადები, მათი გასაჩივრების წესი. ადმინისტრაციულთან ერთად გათვალისწინებულია დისციპლინარული სასჯელის გასაჩივრების სასამართლო წესი. როგორც წესი, დისციპლინარული სასჯელი ეკისრებათ ხელმძღვანელის მიერ, რომლის ფუნქციაშიც შედის სამუშაოზე მიღება ან ამაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ.

დისციპლინარული სასჯელი – სასჯელი, რომელიც ეკისრება მუშაკს დისციპლინარული გადაცდომის განხორციელებაზე ე.ი. მუშაკის მიერ მასზე დაკისრებული შრომის ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არასათანადო შესრულებაზე. შრომის დისციპლინის დამრღვევების მიმართ სამუშაოს მიმცემს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი დისციპლინარული სასჯელი: ა) შენიშვნა; ბ) საყვედური; გ) განთავისუფლება შესაბამისი საფუძვლებით. დისციპლინარული სასჯელის მიღებამდე სამუშაოს მიმცემმა უნდა მოითხოვოს მუშაკისგან ახსნა-განმარტება წერილობითი ფორმით. მუშაკისგან ამაზე უარის მიღების შემთხვევაში ხდება შესაბამისი აქტის შედგენა. მუშაკის უარი მისცეს ახსნა-განმარტება არ წარმოადგენს დაბრკოლებას დისციპლინარული სასჯელის გამოყენებისთვის. თითოეულ დისციპლინარულ გადაცდომაზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინარული სასჯელი.

სამუშაოს მიმცემის ბრძანება (განკარგულება) დისციპლინარული სასჯელის გამოყენების შესახებ ეცნობება მუშაკს მისი გამოცემიდან სამი სამუშაო დღის მანძილზე მისი ხელმოწერით. თუ მუშაკი უარს ამბობს ხელი მოაწეროს ბრძანებას (განკარგულებას), დგინდება შესაბამისი აქტი. დისციპლინარული სასჯელი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს შრომის სახელმწიფო ინსპექციებში ან ინდივიდუალური შრომითი დავების განმხილველ ორგანოებში. თუ დისციპლინარული სასჯელის გამოყენების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშაკის მიმართ არ იქნება გამოყენებული ახალი დისციპლინარული სასჯელი, ითვლება, რომ მას ასეთი რამ არ გააჩნია. სამუშაოს მიმცემს დისციპლინარული სასჯელის გამოყენების დღიდან ერთი წლის ამოწურვამდე უფლება აქვს მუშაკს მოუხსნას ის საკუთარი ინიციატივით, მუშაკის თხოვნით, ამ უკანასკნელის უშუალო ხელმძღვანელის ან მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობით.

დისციპლინარული პასუხისმგებლობა ასევე შეიძლება დაეკისროს ორგანიზაციის ხელმძღვანელს, მის მოადგილეს მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოს მოთხოვნით. სამუშაოს მიმცემი ვალდებულია განიხილოს მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოს განცხადება ორგანიზაციის ხელმძღვანელის, მისი მოადგილეების მიერ შრომის შესახებ კანონებისა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების, კოლექტიური ხელშეკრულების პირობების, შეთანხმების დარღვევის თაობაზე და განხილვის შედეგები აცნობოს მუშაკთა წარმომადგენლობით ორგანოს. თუ დარღვევის ფაქტები დადასტურდა, სამუშაოს მიმცემი ვალდებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელის, მისი მოადგილეების მიმართ გამოიყენოს დისციპლინარული სასჯელი განთავისუფლებამდეც კი.

დისციპლინარულ სამხედრო ნაწილში მოთავსება – აღმკვეთი ღონისძიება, რომელიც გამოიყენება სამხედრო მოსამსახურეთა მიერ, თუ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის მომენტისთვის, მათ არ აქვთ მოხდილი სამსახურის ვადა. დისციპლინარულ სამხედრო ნაწილში მოთავსებისთვის საფუძველს წარმოადგენს სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული.

დისციპლინარულ სამხედრო ნაწილში მოთავსება წარმოადგენს სისხლის სამართლის სასჯელს, რაც გამოტანილია სასამართლოს განაჩენით ჩადენილ და-

ნაშაულზე და მისი მიზანია მსჯავრდებული სამხედრო მოსამსახურეების გამოსწორება, მათში დისციპლინირებულობის ჩამოყალიბება კანონებისა და სამხედრო წესდებების უსუნი შესრულების სულისკვეთებით. დისციპლინარულ სამხედრო ნაწილში სასჯელის მოხდის დრო მსჯავრდებულ სამხედრო მოსამსახურეს არ ეთვლება სამხედრო სამსახურის საერთო ვადაში. სამხედრო მოსამსახურესთან მიმართებაში ნასამართლობა ბათილდება სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ, ხოლო სასჯელის მოხდისგან პირობით ვადაზე ადრე განათავისუფლებული სამხედრო მოსამსახურებისთვის ნასამართლობის გაბათილების ვადა (1 წელი) იანგარიშება პირობით, ვადაზე ადრე განათავისუფლების შესახებ სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის დღიდან.

დიქტატორი [ლათ. Dictator < dictor მოლაპარაკე] 1) ძველრომაულ რესპუბლიკაში მმართველი, რომელსაც მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება გააჩნდა, მას უკიდურეს შემთხვევაში ნიშნავდნენ სენატის გადაწყვეტილებით ვადით, რომელიც არ აღემატებოდა 6 თვეს; მისი განაჩენი გასაჩივრებას (აპელაციას) არ ექვემდებარებოდა; მას ემორჩილებოდა დანარჩენი მაგისტრატები, გარდა სახელმწიფო ტრიბუნისა; ზოგჯერ დ. ინიშნებოდა მხოლოდ კონსულის არჩევნების ჩასატარებლად (რომში ორივე კონსულის არყოფნის შემთხვევაში),ლურსმნის საზეიმო რიტუალის ჩასატარებლად და ა.შ.; 2) ყოველი მმართველი, რომელსაც შეუზღუდავი ძალაუფლება გააჩნია; 3) ადამიანი, რომელიც მბრძანებლურად იქცევა სხვა ადამიანებთან მიმართებაში და ზედმეტად მოითხოვნა მათ მიმართ.

დიქტატორული [< დიქტატორი] 1) დაკავშირებული დიქტატორთან და იმასთან, რაც შეუზღუდავ ხელისუფლებას და დიქტატორის უფლებამოსილებას ემყარება; 2) ადამიანი, რომელიც არაფრით არ არის შეზღუდული თავის ძალაუფლებაში, მბრძანებელი.

დიქტატურა [ლათ. dictatura] 1) ძვ. რომში უფლებამოსილება, ძალაუფლება დიქტატორის მბრძანებლობის დროს; 2) სახელმწიფოში ძალაუფლების გაურკვევლება არადემოკრატიული მეთოდებით; ავტორიტარული დემოკრატიული რეჟიმი, მაგ. პირადი დ.; 2) შეუზღუდავი, ის, ვინც არ ემორჩილება არანაირ კანონს, ყურდნობა ძალაუფლებასა და ძალას.

დოგმა [ძვ.-ბერძ. δο'γμα აზრი, გადაწყვეტა, დადგენილება] ცნება, რომელიც სარწმუნოდ (მტკიცებულების გარეშე), ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, რომელიც არ იცვლება გარემოებების ზეგავლენით; სამართლის დ. – იურისპრუდენციის დარგი, რომელიც იკვლევს მოქმედი სამართლის ნორმებს.

დოგმატიზმი [ძვ.-ბერძ. δο'γμα (δο'γματος) სწავლება; აზრი, გადაწყვეტა] ცალმხრივი, სქემატური, გაზეიმაღებული აზროვნება, რომელიც ეყრდნობა დოგმებსა და ავტორიტეტების ბრმა რწმენას, რომელიც იყენებს უცვლელ ცნებებს და დებულებებს კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად.

დოგმატური [ძვ.-ბერძ. δο'γματικο'ς] 1) დაუმტკიცებელი, რაც დოგმას ან დოგმატებს ემყარება, უპასუხისმგებლო, რაზეც არ შეიძლება კამათი, კატეგორიული; 2) დოგმატიკასთან კავშირში მყოფი (1) – ამა თუ იმ სარწმუნოების დებულებების გადმომცემი.

დოკუმენტების გაყალბება – კანონით დასჯადი ყალბი დოკუმენტების დამზადება, მათი ნამდვილის სახით გასაღების მიზნით, რასაც მოსდევს ზიანი სხვებისთვის.

დომინიონი [ინგლ. dominion < ლათ. dominium ფლობა] თვითმართვადი კოლონია დიდი ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში, მოგვიანებით ერთა ბრიტანულ თანამეგობრობაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი მიიღო; II მსოფლიო ომის შემდეგ ცნება დ-ს ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი „თანამეგობრობის წევრი“.

დომინირება [< ლათ. dominari] 1) ბატონობა; ლიდერობა; მთავრად ყოფნა; 2) აღმატებულობა, აბაღლება (გარემომცველ მიდამოზე).

დომინირებული მდგომარეობა – ანტიმონოპოლური კანონმდებლობის მიხედვით მეურნე სუბიექტის (ან სუბიექტების) განსაკუთრებული მდგომარეობა შემცველის არშემჯნე საქონლის ბაზარზე, რომელიც აძლევს მას (მათ) საშუალებას მოახდინოს გადამწყვეტი ზეგავლენა აღნიშნული საქონლის ბრუნვის პირობებზე შესაბამისი ბაზრის ფარგლებში ან დაბრკოლოს სხვა მეურნე სუბიექტების შეღწევა ამ ბაზარზე. რიგ ქვეყნებში მეურნე სუბიექტის მდგომარეობა დომინირებულად მიიჩნევა, თუ მისი წილი განსაზღვრული საქონლის ბაზარზე შეადგენს (პირობითად) 65% ან მეტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამეურნეო სუბიექტი დაამტკიცებს, რომ მიუხედავად აღნიშნული ზღვრის გადაჭარბებისა, მისი მდგომარეობა არ არის დომინირებული, დომინირებულად ითვლება აგრეთვე სუბიექტის მდგომარეობა, რომლის წილი განსაზღვრული საქონლის ბაზარზე 65%-ზე ნაკლებია, მაგრამ სუბიექტის საბაზრო წილის სტაბილურობიდან, კონკურენტების კუთვნილ ბაზრებზე სუბიექტის წილის შეფარდებითი ოდენობიდან, აგრეთვე ბაზარზე ახალი კონკურენტების შეღწევის შესაძლებლობიდან და სხვა კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ანტიმონოპოლიური ორგანო ჩათვლის აღნიშნულ მეურნე სუბიექტის მდგომარეობას დომინირებულად. არ შეიძლება ჩაითვალოს დომინირებულად მდგომარეობა იმ სუბიექტისა, რომლის წილი განსაზღვრული საქონლის ბაზარზე არ აღემატება 35% (პირობითად).

დომინუსი – პირი, რომლის ინტერესითაც გესტორის მიერ ხდება ქმედებების განხორციელება სპეციალური დაკალების გარეშე. იხ. მოქმედება სხვისი ინტერესით დაკალების გარეშე.

დროებითი გადაყენება თანამდებობიდან – საპროცესო იძულების ერთ-ერთი ზომა. ეჭვმიტანილის თანამდებობიდან დროებითი გადაყენების აუცილებლობისას მოკვლევის მწარმოებელი პირი, გამომძიებელი პროკურორის თანხმობით სასამართლოს წინაშე აყენებს შესაბამის შუამდგომლობას წინასწარი გამოძიების წარმოების ადგილის მიხედვით. მოსამართლეს კი შუამდგომლობის თაობაზე გამოაქვს დადგენილება ეჭვმიტანილის ან ბრალდებუ-

ლის თანამდებობიდან დროებითი გადაყენების ან ამაზე უარის შესახებ.

ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის თანამდებობიდან დროებით გადაყენება უქმდება მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, როცა არაა ამ ზომის გამოყენების საჭიროება.

დროებითი მუშაკი – მუშაკი, რომელმაც შრომითი ხელშეკრულება დადო ორ თვემდე ვადით. დროებითი მუშაკის სახით სამუშაოზე მისაღები პირი უნდა იყოს გაფრთხილებული ამის თაობაზე შრომითი ხელშეკრულების დადებისას. ამასთან, ბრძანებაში საჭიროებულად მითითებულია ის, თუ რა ვადით იდება მოცემული ხელშეკრულება. დროებით მუშაკზე სრულად ვრცელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობა.

შრომითი ხელშეკრულება დროებით მუშაკთან შეიძლება დარღვეულ იქნეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგადი საფუძვლების მიხედვით, თუმცა, სამუშაოს მიმცემიც ვალდებულია გააფრთხილოს მუშაკი, რომელმაც შრომითი ხელშეკრულება დადო ორ თვემდე ვადით, დათხოვნის შესახებ ორგანიზაციის ლიკვიდაციასთან, მუშაკთა რაოდენობის ან შტატის შემცირებასთან დაკავშირებით წერილობითი ფორმით, არანაკლებ სამი კალენდარული დღით ადრე.

ორ თვემდე ვადით შრომითი ხელშეკრულების მქონე მუშაკებმა ამ ვადის ფარგლებში შეიძლება მათი წერილობითი თანხმობით იმუშაონ გამოსასელელ და არასამუშაო (სადღესასწაულო) დღეებში. სამუშაო გამოსასელელ და არასამუშაო (სადღესასწაულო) დღეებში კომპენსირდება ფულადი ფორმით, არანაკლებ ორმაგი ოდენობით. მუშაკებს, რომლებმაც დადეს შრომითი ხელშეკრულება ორ თვემდე ვადით, ეძლევათ ანაზღაურებადი შეებულება ან კომპენსაცია.

დროებითი რწმუნებული საქმეებში – საერთაშორისო სამართალში პირი, რომელიც ცელის დიპლომატიური წარმომდგენლობის მეთაურს (ელჩს, დესპანს ან საქმეებში რწმუნებულს) შვებულების, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზებით დაუსწრებლობის დრო. ჩვეულებრივ, დროებით რწმუნებულს საქმეებში წარმოადგენს მრჩეველი-დესპანი ან მაღალი რანგის სხვა დიპლომატი. საქმეებში დროებითი რწმუნებულის დანიშვნის შესახებ საელჩო ნოტათი აცნობებს სამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. საქმეებში დროებითი რწმუნებულის, როგორც პირისგან, რომელიც დროებით ცელის საელჩოს ან მისიის მეთაურს, უნდა განასხვაოთ საქმეებში რწმუნებული, როგორც მისიის ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია ასეთი კლასი.

დროებითი სამართლებრივი დაცვა – პატენტის გაცემის შესახებ განცხადებაში მითითებული პირისთვის გამოგონების უფლების შეზღუდული დაცვის შეთავაზება, გამოგონებაზე განცხადების პუბლიკაციის მომენტიდან, გამოგონების გამოქვეყნებული ფორმულის მოცულობით პატენტის გაცემის შესახებ ცნობების პუბლიკაციის თარიღამდე, დროებითი სამართლებრივი დაცვა ასევე ვრცელდება სასარგებლო მოდელებსა და სამრეწველო ნიმუშებზე განმცხადებლის მიერ პირისთვის, რომელიც იყენებს სხვისი სამრეწველო საკუთრების ობიექტებს, შეტანილი განცხადების შესახებ ცნობების თარიღიდან. დროებითი სამართლებრივი დაცვა ითელება არდამდგარად, თუ მიღებულია გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე უარის შესახებ და ამოწურულია უარის გასაჩივრების შესაძლებლობები.

პირი, რომელიც იყენებს ობიექტს მისი დროებითი სამართლებრივი დაცვის განმავლობაში ვალდებულია გადაუხადოს ფულადი კომპენსაცია უფლების მფლობელს პატენტის მიღების შემდეგ, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეებს შორის შეთანხმების მიუღწევლობისას დავა განიხილება სასამართლო წესით. დროებითი სამართლებრივი დაცვა არ ათლევს უფლებას განმცხადებელს აუკრძალოს მესამე პირებს მისი სამრეწველო საკუთრების ობიექტის გამოყენება.

დროებითი ტექნოლოგიური შენახვა ბირთვული რეაქტორების დასხივებული თბოგამომყოფი ასაწყობების დროებით შენახვა სპეციალურად მოწყობილ საცავებში უსაფრთხოების ამაღლებისა და დანახარჯების შემცირების მიზნით, მათი შემდგომი გამოყენებისას.

დროებითი შრომისუუნარობა – ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სამუშაოს შესრულების შეუძლებლობა შედარებით მცირე დროის განმავლობაში. შრომისუნარიანობის მდგრადი დარღვევების დროს, რაც იწვევს ავადმყოფის მიერ საერთოდ, ან ხანგრძლივი დროით შრომითი საქმიანობის შეწყვეტის ან შრომის პირობების მნიშვნელოვნად შეცვლის აუცილებლობას, დგინდება ინვალიდობა. მუშაკთა დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზა ხორციელდება ჯანდაცვის დაწესებულებებში ექიმის ან ექიმთა კომისიის მიერ. დროებითი შრომისუნარიანობა დასტურდება ავადმყოფობის ფურცლით (კანონმდებლობაში მითითებულ ზოგიერთ შემთხვევაში – სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ცნობით).

დროებით შეთანხმებული გამონაბოლქვი ატმოსფერულ ჰაერში ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერების დროებითი ლიმიტი, რომელიც დგინდება გამონაბოლქვების მოქმედი სტაციონარული წყაროებისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და შესაბამისი ტერიტორიის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ზღვრულად დასაშვები, დადგენილი გამონაბოლქვის ეტაპობრივი მიღწევის მიზნით (იხ. ასევე ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვი ატმოსფერულ ჰაერში, ატმოსფერულ ჰაერში გამონაბოლქვის ტექნიკური ნორმატივი).

დუალიზმი [< ლათ. dualis ორობითი < duo ორი] 1) ფილოსოფიური სწავლება, რომელიც სამყაროს საფუძვლად ორ დამოუკიდებელ საწყისს – სულსა და მატერიას თვლის; წარმოადგენს პლურალიზმის ნაირსახეობას; საპირისპ. – მონიზმი; 2) ორობითობა, გაორება; 3) სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა ფილოსოფიაში.

დუალისტური [< ლათ. dualis] ორობითი, დუალიზმისთვის დამახასიათებელი.

დღემაგიერი – შრომის სამართლის მიხედვით დასვენების დრო, რომელიც მუშაკს ეძლევა არასამუშაო

დროზე კომპენსაციის სახით. ამდენად, თუ მუშაკი მუშაობდა თავის გამოსასყიდ დღეს განსაკუთრებულ, კანონში მითითებულ შემთხვევებში, გამოსასყიდ დღეს მუშაობის კომპენსაცია ხდება მისთვის სხვა დროის დასვენების დღედ მიცემით, ხოლო მხარეთა შეთანხმებით – ფულადი ფორმით, ორმაგი ოდენობით.

ე

ეგზისტენციალიზმი [ლათ. existentia არსებობა] ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, ადამიანური პიროვნების არსებობის წესის აღმნიშნელი. ამ მნიშვნელობით პირველად ტერმინი ე. იხმარება კირკეგორთან. ეგზისტენციალისტების თანახმად, ე. წარმოადგენს ადამიანური „მე"-ს იმ ცენტრალურ ბირთვს, რ-ის წყალობითაც უკანასკნელი გამოდის არა როგორც ცალკეული ემპირიული ინდივიდი, და როგორც „მოაზროვნე გონება", ე. ი. არა როგორც საყოველთაო რამ (ზოგადადამიანური), არამედ სწორედ როგორც კონკრეტული განუმეორებელი პიროვნება.

ედიქტი [ლათ. edictum < edico ვაცხადებ, ვბრძანებ] 1) ძვ. რომში თანამდებობის პირის (მაგისტრატის) ცნობა, მითითება, ბრძანება; განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა ედიქტებს და პრეტორების ცნობებს იმის შესახებ, თუ რომელ სამართლებრივ ნორმებს დაუყრდნობიან მართლმსაჯულების დროს; იმპერატორები არ გამოსცემდნენ ედიქტებს თავიანთი სამოქმედო პროგრამით, მაგრამ იყენებდნენ მათ საკუთარი ნების მოსახელებისთვის საცნობებლად და ახალი ნორმების შესაქმნელად, ჩვ. წ-აღ-ის II ს-ში იმპერატორის ედიქტებმა კანონის ძალა მიიღო; 2) იმპერატორებისა და მეფეების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბრძანება.

ევაკუაცია [< ლათ. evacuare გამოცარიელება] 1)მოსახლეობის, საწარმოების, დასებულებების, ქონების გატანა ადგილიდან, რომელიც მტრის შემოსვევის ან სტიქიური უბედურების საფრთხის წინაშე დგას, აგრ.. დაზიანებულია სტიქიური უბედურების შედეგად ან მოცემულ ტერიტორიაზე მსხვილი სახელმწიფო მშენებლობის შემთხვევაში (ქარხნის აშენება, არხის გათხრა, ჰეს-ის მშენებლობა და ა.შ.); 2) დაჭრილების, ავადმყოფების, ტყვეების, სამხედრო აღჭურვილობის და სხვ. ფასეული ნივთების გეგმაზომიერი გაწევა სამხედრო მოქმედების თეატრიდან; 3) ჯარების გაყვანა მათ მიერ დაკავებული ტერიტორიიდან მიღწეული მშვიდობიანი ხელშეკრულების საფუძველზე.

ევთანაზია (EUTHANASIA) – უკურნებელი სენით დაავადებული და ტკივილებისაგან გატანჯული ადამიანის უმტკივნეულოდ მოკვდინების აქტია და სიტყვა-სიტყვით „შვიდ, ბედნიერ და უმტკივნეულო სიკვდილს" ნიშნავს. ეს მიიღწევა მედპერსონალის, ან სხვა დაინტერესებული პირების მიერ სხვადასხვა ქმედებებით, მაგალითად, ნარკოტიკების მაღალი დოზის ინექციით, ხელოვნური სუნთქვის აპარატის გამორთვით კვების წყაროსგან და ა.შ., ანდა უმოქმედობით (დაავადების მიმდინარეობაში ჩაურეველობა). ევთანაზიის უფლება დღეს მსოფლიო დისკუსიის საგანია, ვინაიდან ეს ერთ-ერთი ყველაზე საკამათო – სამედიცინო, რელიგიური, პოლიტიკური, თუ ეთიკური ხასიათის საკითხია. ევთანაზიის პრაქტიკა ფართოდაა დანერგილი სკანდინავიის ქვეყნებში და წახალისებულია სახელმწიფოსგან; ზოგ ქვეყანაში ევთანაზიის შესაძლებლობის თითოეულ შემთხვევას სასამართლო განიხილავს და გასცემს (ან არ გასცემს) შესაბამის ნებართვას. ბევრ ქვეყანაში კანონმდებლობით არის აკრძალული, ზოგან კი საერთოდ არ არსებობს ამ საკითხის დამარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა.

უნდა დაკანონდეს თუ არა ევთანაზია, ანუ ნებაყოფლობითი სიკვდილი...

„ზოგიერთი ადამიანისთვის სიკვდილი დასჯის ტოლფასია, სხვებისთვის კი – მადლი" (სენეკა)

შეკითხვა, დაკანონდეს თუ არა ევთანაზია, საზოგადოების წინაშე დროდადრო აქტუალურად წამოიჭრება ხოლმე. ზოგიერთ მდიდარ ქვეყანაში, სადაც ცხოვრების მაღალი დონეცაა, ეს საკითხი ერთმნიშვნელოვნად არის გადაწყვეტილი. მაგალითად, ბელგიასა და ჰოლანდიაში ევთანაზია კანონითაა ნებადართული.

2004 წელს ამ ქვეყნების რიცხვს საფრანგეთიც შეემატა და მესამე ევროპული ქვეყანა გახდა, რომელმაც ევთანაზია დაუშვა. ქვეყნის პარლამენტმა აღნიშნული საკითხი თითქმის ერთხმად მიიღო და პასიური ევთანაზიის ლეგალიზაციას დაუჭირა მხარი. შესაბამისად, ამ კანონის თანახმად, ექიმებს ევთანაზიის გამოყენების უფლება არა აქვთ, თუმცა პაციენტის თხოვნით, მათი მკურნალობის შეწყვეტა შეუძლიათ. ქვეყნის თავკაცების მხრიდან მსგავსი მოულოდნელი გადაწყვეტილების მიზეზი ის გახდა, რომ მომაკვდავი პაციენტები სიცოცხლის შესაწყვეტად ევთანაზიისთვის უცხოელ ექიმებს მიმართავდნენ, ხოლო თავად ფრანგი ექიმები ამ მეთოდს მალულად იყენებდნენ. ახალი კანონის თანახმად, „სიცოცხლის მოსწრაფების შესახებ გადაწყვეტილება თავად პაციენტმა უნდა მიიღოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მას საღად აზროვნება არ შეუძლია, გადაწყვეტილებას მისი ოჯახის წევრები იღებენ".

საფრანგეთზე ადრე ევთანაზიის შესახებ კანონი კალიფორნიის შტატში მიიღეს, რითაც ეს შტატი ამერიკაში მეორე გახდა, სადაც ევთანაზიის პრაქტიკა დაკანონდა. 1997 წელს კი ამერიკის შტატებიდან ორეონმა მიიღო ჰუმანური სიკვდილის შესახებ კანონი.

ამ კანონის თანახმად, მხოლოდ იმ პაციენტებს ეძლეოდა ევთანაზიის უფლება, რომელსაც ნაზეარ წელიწადზე მეტი სიცოცხლე აღარ აქვთ დარჩენილი. ამასთანავე, პაციენტს უნდა წარმოედგინა სულ მცირე ერთი წერილობითი და ორი ზეპირი მოთხოვნა. გარდა ამისა, ორ ექიმს პაციენტის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა უნდა შეეფასებინა და დაემტკიცებინა, რომ მას მართლაც შესწევს მსგავსი გადაწყვეტილების მიღების უნარი. მხოლოდ ამ რთული პროცედურის შემდეგ აძლევენ პაციენტს გარკვეული პრეპარატების სასიკვდილო დოზას, ოღონდ მას ეს დოზა სხვების დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად უნდა მიეღო...

ლიბერალურად მოაზროვნე ექიმები მიიჩნევენ, რომ მსგავსი „დახმარება" არ ეწინააღმდეგება ეთიკის

თანამედროვე გაგებას, თუმცა მათი კონსერვატიულად განწყობილი კოლეგები ევთანაზიის წინააღმდეგი არიან. მათი აზრით, ადამიანისთვის სიცოცხლის მოსწრაფება მედიცინის უმნიშვნელოვანეს პრინციას ეწინააღმდეგება, რომელიც ჰიპოკრატეს ფიცშიც კი არის მოხსენიებული: „არც ერთ მთხოვნელს სასიკვდილო საშუალებას არ მივცემ და ამ ჩანაფიქრის განხორციელების გზებსაც არ ვასწავლი".

2005 წელს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ევთანაზიის ლეგალიზაციის წინააღმდეგ გაილაშქრა. ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში უპირატესი სენით დაავადებულ ადამიანთათვის სიცოცხლის მოსწრაფება დაგმობილია. ევროპელმა პარლამენტარებმა იმის შიშიც კი გამოთქვეს, რომ აკრძალვის მიუხედავად, ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებაში ევთანაზიას მაინც მიმართავენ.

როგორც ჩანს, თავად ევროპაში ამ საკითხის მიმართ ერთმნიშვნელოვანი აზრი არც ექიმებსა და მით უმეტეს, არც ევროპელ პარლამენტარებს არ გააჩნიათ. თუმცა, ამის მიუხედავად, ევთანაზიის შესახებ კანონი მოსასმენად მზადება ბევრ ქვეყნებში, როგორებიცაა, ისრაელი, იაპონია და ავსტრალია.

მხოლოდ ფაქტები და ისტორია:

ნებაყოფლობითი სიკვდილის შემოღებაში პირველობა ნიდერლანდებს ეკუთვნის – 1984 წელს ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ ნებაყოფლობითი ევთანაზია დააკანონა.

ევთანაზია ბელგიაში 2002 წელს შემოიღეს, უკვე 2003 წელს ამ მეთოდით სიცოცხლე 200-მა, ხოლო 2004 წელს – 360-მა პაციენტმა მოისწრაფა.

2005 წლის აპრილიდან ბელგიის აფთიაქებში ევთანაზიისთვის საჭირო სპეციალური მოწყობილობა იყიდება. 60 ევროდ ერთჯერადი შპრიცი, საწამლავი (!) და ინექციისთვის საჭირო სხვა ატრიბუტის შეძენა შეიძლება. ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, ევთანაზია შეიძლება ჩატარდეს ყველას, ვინც 18 წელს არის გადაცილებული და უკურნებელი სენით არის დაავადებული. რამდენიმე წერილობითი მოთხოვნის შემდეგ, რომელიც პაციენტის სურვილს მყარად ასაბუთებს, ექიმს მისი სიცოცხლის მოსწრაფება კანონიერად შეუძლია....

ევიკცია – მყიდველის უფლება და გამყიდველის ვალდებულება, ანაზღაუროს მყიდველის შესაძლო დანაკარგი.

ევროგაერთიანება – 28.02.1986 წ. ერთიანი ევროპის აქტი, რომელსაც ასევე ეწოდება აქტი – ერთიანი ევროპის შექმნის შესახებ და ძალაში შევიდა 01.07.1987 წ. შეასო პარიზის 1951 წლის ხელშეკრულება ქვანახშირისა და ფოლადის ევროგაერთიანების (ქფეგ) დაფუძნების შესახებ, 1957 წლის რომის ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (ეეგ) დაფუძნების შესახებ და 1957 წლის რომის ხელშეკრულება ატომური ენერგიის ევროგაერთიანების (ევრატომი) შესახებ და ინსტიტუციურად გააერთიანა სამი მოქმედი გაერთიანება (ქფეგ, ეეგ და ევრატომი) ერთ გაერთიანებაში. სამიეე გაერთიანებას გააჩნია დაბოუკდებული მიზნები და საქმიანობის სფეროები, საერთაშორისო სამართალსუბიექტურობა, მაგრამ ორგანოების ერთიანი სისტემა; 2) გამოიყენება, როგორც სამიდან მხოლოდ ერთი გაერთიანების – ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (ეეგ) – ინტეგრაციული გაერთიანების სახელწოდება, რომელიც მიზნად ისახავს „საერთო ბაზრის", ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნას, საერთო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, რასაც მივყავართ პარმონიულ, ბალანსირებულ და მტკიცე განვითარებამდე, უინფლაციო ზრდამდე, კონკურენტუნარიანობის მაღალ დონემდე და ეკონომიკური მაჩვენებლების კონვერგენციამდე, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებამდე, ეკონომიკურ და სოციალურ ერთიანობასა და სოლიდარობამდე 1957 წ. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნების შესახებ რომის ხელშეკრულების ევროსახელმწიფოებში (1992 წ. ევროკავშირის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულებისა და ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების ცვლილების შესახებ ამსტერდამის ხელშეკრულების, ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებებისა და 1997 წ. მათთან დაკავშირებული რიგი აქტებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით). ის ახდენს დასახული მიზნების რეალიზებას ევროკავშირის ჩარჩოებში მოქმედი ორგანოების მეშვეობით.

ევროპის კავშირი სახელმწიფოთაშორისო გაერთიანება, რომელსაც გააჩნია საკუთარი წევრობა, 1992 წ. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (მაასტრიხტის შეთანხმება) საფუძველზე (ძალაში შევიდა 1993 წელს), რომელიც შეიცვალა ამსტერდამის ხელშეკრულებით ევროკავშირის შესახებ; ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებებისა და 1997 წ. რიგი მასთან დაკავშირებული აქტების საფუძველზე (ძალაში შევიდა 1999 წელს). ეკ ძირითადი ორგანოებია – ევროსაბჭო, ევროკავშირის საბჭო (მინისტრთა საბჭო), ევროპარლამენტი, ევროკომისია და ევროსასამართლო – ამავდროულად მართავს ევროგაერთიანებების საქმეებს – ქვანახშირისა და ფოლადის ევროგაერთიანებას (ქფეგ), ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას (ეეგ) და ატომური ენერგიის ევროგაერთიანებას (ევრატომი), ასევე მოქმედებს გაერთიანების ფარგლებს გარეთ საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების პოლიტიკის, მართლმსაჯულებისა და ეკ-ის წევრი-სახელმწიფოების შიდა საქმეების სფეროში (ე.ი. შეიძლება წარმოადგენდეს გაერთიანებისა და გაერთიანების წევრი-სახელმწიფოების ინტერესებს). სპეციალისტთა ნაწილი უარყოფს ეკ-ის საერთაშორისო სამართალსუბიექტურობის არსებობას, ვარაუდობს რა, რომ ამისათვის საჭიროა გაერთიანების შემდგომი გარდაქმნა, რომლის ერთ-ერთ მიზანსაც წარმოადგენს მისი ინდივიდუალურობის დამტკიცება საერთაშორისო არენაზე. ფაქტიურად, ეკ მონაწილეობს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონფერენციებში.

ეკ მოწოდებულია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს, სივრცის შექმნას შიდა საზღვრების გარეშე, წევრი-სახელმწიფოების მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების გაძლიერებას კავშირის მოქალაქეობის შემოღების მეშვეობით. ეკ წარმოადგენს განვითარებად სტრუქტურას (იგეგმება კავშირის განმტკიცება სამხედრო-პოლიტიკურ დარგში და ერთიანი დიპლომატიის ორგანიზება), უკვე მიღებულია, მაგრამ ძალაში არაა შესული შესწორებები ამსტერდამის ხელშეკრულების მიმართ (2001 წ. შეთანხმება, რო-

მელიც ხელმოწერილ იქნა ნიცაში). მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2004 წლის 1 მაისს ეკ-ში ათი ახალი წევრის: პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მალტისა და კვიპროსის მიღების შესახებ. ამჟამად ამათ გარდა ეკ-ში შედის კიდევ 15 სახელმწიფო: ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი, შვედეთი.

ევროპის კომისია – ევროპის კავშირის (ეკ) და ეროგაერთიანების ძირითადი, მუდმივი მოქმედი ორგანო (ადგილსამყოფელი – ბრიუსელი, ბელგია), რომელიც შედგება თაშმდღმარისა და წევრებისგან (კომისრებისგან). კომისრები მოქმედებენ თავიანთი მთავრობების მითითებების მიუხედავად და ინიშნება ორი კომისარი დიდი სახელმწიფოებიდან და თითო-თითო დანარჩენებიდან ეკ წევრი-სახელმწიფოების მთავრობათა მიერ, საერთო თანხმობით და მას იწონებს ევროპარლამენტი. თითოეული კომისარი განაგებს ეკ საქმიანობის გარკვეულ სფეროს, მათ ეხმარება ათარატი დაახლოებით 30 სამმართველოს შემადგენლობით. ევროპის კომისია იღებს სავალდებულო გადაწყვეტილებებს ეკ ჩარჩოებში და შეიძლება გამოვიდეს მთელი ეკ სახელით, პასუხს აგებს ეკ საგარეო პოლიტიკის კოორდინაციაზე და მესაძე ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით. ევროპის კომისიის საქმიანობა კონტროლდება ევროპარლამენტის მიერ, რომელსაც შეუძლია ევროპის კომისიის უნდობლობის ეოტუმის გამოტანა. ამ შემთხვევაში იცელება ევროკომისიის მთელი შემადგენლობა.

ევროპის პარლამენტი (ევროპარლამენტი) – ეროგაერთიანებისა და ევროკავშირის დემოკრატიული კონტროლის ერთპალატიანი წარმომადგენლობითი ორგანო (ადგილსამყოფელი – სტრასბურგი, საფრანგეთი). ევროპარლამენტის დეპუტატების არჩევა ხდება ეკ თითოეულ წევრ-სახელმწიფოში არჩევნებზე საყოველთაო პირდაპირი კენჭისყრით, მათთვის დადგენილი კვოტების შესაბამისად, მოსახლეობის სიდიდის მიხედვით (2003 წ. მათი რიცხვი შეადგენდა 638, ეკ წევრობის გაფართოებასთან ერთად ის იქნება 700-ზე მეტი). დეპუტატები იყოფა ჯგუფებად პარტიული მიკუთვნებულობის მიხედვით. სესიები ტარდება ყოველწლიურად და გრძელდება 1-2 კვირა (ეს წევრთა უმრავლესობის, ეკ საბჭოსა თუ ევროკომისიის მოთხოვნით შეიძლება მოწვეულ იქნეს რიგგარეშე სესიები). მოსაშზადებელი სამუშაო წარმოებს მუდმივ და დროებით კომიტეტებში, ქვეკომიტეტებსა და კონკრეტული პრობლემების შემსწავლელ ჯგუფებში. ევროპარლამენტს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო პროცესსა და ბიუჯეტის მიღებაში. მას შეუძლია წამოაყენოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივები, შეასრულოს საკონსულტაციო და საკონტროლო ფუნქციები, დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილებით კი შეიძლება შეწიროდეს ეკ საბჭოს აქტები. ეს უფლება აქვს გამოიტანოს ევროკომისიის უნდობლობის ეოტუმი, რომელიც ამ შემთხვევაში კოლექტიურად უნდა გადადგეს.

ევროპის სამართალი – 1) ევროპის ყველა სამართლებრივი სისტემის ერთობლივი აღნიშვნა; 2) ევროპის სახელმწიფოებს შორის დადებული მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ერთობლიობა; 3) ურთიერთდამოკიდებულებების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობის აღნიშვნა, რომლებიც ყალიბდება ევროპის ინტეგრაციული გაერთიანებების, ეროგაერთიანების (მოიცავს ეკ სამართალს და 1950 წ. ევროკონვენციას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ) და ევროკაშირის (ეკ სამართალი) ჩარჩოებში.

ეკ სამართალი უპირატესია ეკ წევრი-სახელმწიფოების ეროვნულ სამართლებრივ სისტემებთან მიმართებაში და მისი უზრუნველყოფა ხდება წევრი სახელმწიფოებისა და ეკ სასამართლო დაწესებულებების მხრიდან. ეკ სამართლის ძირითადი წყაროებია – დამფუძნებელი ხელშეკრულებები და აქტები, რომელთაც იღებს ევროკავშირის ორგანოები: რეგლამენტს (დადგენილებებს) გააჩნია კანონის თვისება და პირდაპირი მოქმედება (გამოიყენება ეროვნულ კანონმდებლობაში ჩართვის გარეშე), გააჩნია სავალდებულო ძალა, როგორც ეკ წევრებისთვის, ასევე მათი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის; დირექტივებს სავალდებულო ხასიათი აქვს მხოლოდ ეკ წევრი-სახელმწიფოებისთვის, რომლებიც დამოუკიდებლად განსაზღვრავენ დირექტივების შესრულების ფორმებს, მეთოდებსა და ვადებს, არ სცილდებიან რა მასში მითითებულ საბოლოო პერიოდს, დირექტივების რეალიზება ხდება ეროვნული საკანონმდებლო აქტების მიღების გზით; გადაწყვეტილებები – ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივი აქტები მიმართულია მთავრობებისთვის ან კერძო თუ იურიდიული პირებისთვის, გააჩნიათ პირდაპირი გამოყენება (მათი რეალიზაციისთვის საჭირო არაა რაიმე სხვა სახელისუფლებო მითითებების მიცემა, მათ საფუძველზე წარმოქმნილი უფლებები და ვალდებულებები შეიძლება იყოს სასამართლოში განხილვის საგანი რაიმე დამატებითი საფუძვლების გარეშე); რეკომენდაციები და დასკვნები – ესაა ეკ აზრების გამოხატვა, რომლებიც შეიცავენ ურთიერთობის და ქცევს სასურველ წესებს იმათთვის, ვისთვისაც ისინია მიმართული. ეკ სამართლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ევროსასამართლოს სასამართლო პრაქტიკა, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიმართულია ეკ სამართლის ერთგვაროვან გაგებასა და განმარტებაზე (გადაწყვეტილებები ეკ დირექტივების პირდაპირი მოქმედების პირობებისა და ძალაში შესვლის პირობების დაზუსტების შესახებ; გადაწყვეტილებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ერთიანი ბაზრის მიზნებისა და ამოცანების მიღწევა და ე.წ. 4 თავისუფლების – პირთა გადაადგილების, მომსახურების, საქონლისა და კაპიტალის მოძრაობის რეალიზაცია და სხვ.).

ევროსაბჭო – რეგიონალური საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაცია. ევროსაბჭო შეიქმნა და მოქმედებს 1949 წლის 5 მაისს ლონდონში ხელმოწერილი წესდების საფუძველზე. ძირითადი განთავსების ადგილია ევროპის სასახლე სტრასბურგში (საფრანგეთი). ევროსაბჭოს მიზანია მეტი ერთიანობის მიღწევა წევრ-სახელმწიფოებს შორის მათი საერთო

მონაპოვარის შემადგენელი იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და წინსვლისთვის და მათი სოციალური და ეკონომიკური პროგრესის ხელშეწყობისთვის. ევროსაბჭო ხელმძღვანელობს სამი ძირითადი ამოცანით: პლურალისტური დემოკრატიისა და ადამიანის ფუნდამენტალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვითა და განმტკიცებით; თანამდროვე საზოგადოების წინაშე სხვადასხვა სფეროში მდგარი პრობლემების გადაწყვეტის ძიებით. ევროპელი ხალხების კულტურული თვითმყოფადობის ფორმირებისთვის ხელშეწყობით.

2003 წლის დასაწყისისთვის ევროსაბჭოში გაერთიანებულია 43 სახელმწიფო. სახელმწიფომ, რომელსაც სურვილი აქვს შეედგეს ევროსაბჭოში უნდა შეასრულოს რიგი პირობები: აღიაროს სამართლის უზენაესობა და უზრუნველყოს, რომ მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფმა ყველა პირმა ისარგებლოს ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით; მოიყვანოს თავისი დაწესებულებები და სამართლებრივი სისტემა შესაბამისობაში დემოკრატიის ძირითად პრინციპებთან (სახალხო წარმომადგენლები უნდა აირჩეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე); მოახდინოს სიტყვის თავისუფლების და განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების გარანტია, ეროვნული უმცირესობების და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვა, ხელი მოაწეროს 1950 წ. ევროკონვენციას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ და ცნოს მისი საკონტროლო მექანიზმი.

ევროსაბჭოს მთავარ ორგანოებს წარმოადგენს: 1) მინისტრთა კომიტეტი, რომელშიც თითოეული წევრ-სახელმწიფო წარმოდგენილია საგარეო საქმეთა მინისტრით ან მისი შემცველი პირით, რომელსაც შეძლებისდაგვარად გააჩნია მთავრობის წევრის სტატუსი. საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე სხდომები იმართება წელიწადში ორჯერ (შესაძლოა ჩატარდეს საგანგებო სხდომები). მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდება ერთხმად დამსწრეებისა და კენჭისყარში მონაწილეების მიერ; ფინანსურ და ადმინისტრაციულ საკითხებზე – ხმათა უბრალო უმრაელესობით. გადაწყვეტილებების მიღება ხდება რეკომენდაციების ან შეთანხმებებისა და კონვენციების ფორმით, რომლებიც გადაეცემა სახელმწიფოებს რატიფიკაციისათვის (ევროსაბჭოს მიერ მიღებულია 150-ზე მეტი კონვენცია); 2) საკონსულტაციო ასამბლეა (1947 წელს მას დაარქვეს საპარლამენტო ასამბლეა – საკონსულტაციო ორგანო, რომელიც წელიწადში ოთხ სესიას ატარებს, შედგება ევროსაბჭოში შემავალი სახელმწიფოების ეროვნული პარლამენტის წევრებისგან); 3) ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი (მოქმედებს 1994 წლიდან, შეცვალა ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების მუდმივი კონფერენცია) – რაოდენობით შეესაბამება საპარლამენტო ასამბლეას, მაგრამ ამ ორგანოში წარმოდგენილია ადგილობრივი ან რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებში არჩეული პირები ან თანამდებობის პირები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ამ ორგანიზაციების წინაშე. კონგრესი წარმოქმნის ადგილობრივი ხელისუფლების პალატას და რეგიონალური ხელისუფლების პალატას, აირჩევა კონგრესის თაემჯდომარე და ორი პალატის ბიურო.

ამ ორგანოებს ეხმარება ევროსაბჭოს სამდივნო. ევროსაბჭოს ოფიციალური ენებია ფრანგული და ინგლისური. ევროსაბჭოს ორგანოთა პროცედურის წესებით შეიძლება განისაზღვროს მათი სამუშაო ენების გამოყენების პირობები.

ევროსასამართლო – ევროგაერთიანებისა და ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი ორგანო (ადგილსამყოფელი – ქ. ლუქსემბურგი), გააჩნია საერთაშორისო, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სასამართლოს ფუნქციები, თვალს ადევნებს ეკ შექმნის შესახებ ხელშეკრულებათა დაცვას, წყვეტს დავებს ეკ ორგანოებს შორის, აკონტროლებს ეკ საბჭოსა და ევროკომისიის გადაწყვეტილებების კანონიერებას, უზრუნველყოფს ეკ სამართლის ერთგვაროვან გაგებასა და გამოყენებას, გადამწყვეტ როლს თამაშობს ევროსამართლის განმარტებაში. ევროსასამართლოს შეიძლება მიმართოს ეკ ორგანოებმა, ეკ წევრმა-სახელმწიფოებმა და მათმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა. ეკ თითოეული წევრი-სახელმწიფო ევროსასამართლოში წარმოდგენილია ერთი მოსამართლით, მრჩეველთა სახით კი დანიშნულია ცხრა გენერალური პროკურორი (მოსამართლეები და პროკურორები ინიშნება საერთო თანხმობით, ექვსი წლის ვადით).

ეთიკა (საქმიანი ცხოვრების ეთიკა – ბიზნესი, საბაზრო ეკონომიკა) – არა ერთ ეკონომისტს და მოაზროვნეს უცდია დაეკავშირებინა ბიზნესი და ქრისტიანული რელიგიის ათი მცნება. ამით მათ სურდათ ალებ-მიცემობაში და იქ, სადაც „ყოვლისშემძლე ფული" ტრიალებს, მიეცათ მაღალი მორალური კრიტერიუმები, რაც ჩვის აზრით ძალზე კეთილისმსყოფელად წაადგება კიდევაც ყოველგვარ ფინანსურ და საქმიან ურთიერთობებს. ამ მხრივ მეტად საინტერესოდ გამოიყურება ამერიკელი ბიზნესმენის და საზოგადო მოღვაწის ნიჩრედ მაკნაირის ნაშრომი – „საქმიანი სამყარო" №1, 1991 წ. წიგნი გამოცდა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა ეროვნაშორისო ცენტრის ეგიდით, სადაც საკმაოდ ორიგინალურად არის პერიფრაზირებული ქრისტიანული სულიერების „ათი მცნება", რომლის დევიზია – „ყველაზე ხელსაყრელია მორალური ბიზნესი", სადაც ავტორი ქადაგებს, რომ ბიზნესის კეთილდღეობა ეფუძნება მაღალ მორალს, აზროვნებას და წარმატებულ ენერგიულ მოქმედებას.

მცნება პირველი – „მე ვარ უფალი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემს გარეშე". – ყველა ქვეყნის კაპიტალი ეფუძნება თავისი ქვეყნის წარმოდგენებს საუკუნეთა სელაში გამობრძმედილ რელიგიასა და ტრადიციებს. ამიტომ თუ გინდა წარმატებას მიაღწიო ბიზნესში პატივი ეცი იმ ქვეყნის ტრადიციებს და რელიგიას, სადაც შენ მოღვაწეობ. ამასთანავე ბიზნესმენი კეთილგანწყობილად უნდა მოეპყრას ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს, მის ბიუჯეტს და იმ წესებს და კანონებს, რაც ანეთანარებს მათ კონტაქტებს, თავისუფალ და მაღალზნეობრივ დამოკიდებულებას პარტნიორებს შორის.

მცნება მეორე – „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი". ამ მცნების მიხედვით კერპად არ უნდა გაიხადო არაფერი, გარდა იქ დამკვიდრებული მორალური წესებისა, რაც ბიზნესს ემსახურება, თვით ფულიც და

მოგებაც კი, რადგან „ორი ბატონის მსახურობით" არავინ მისულა წარმატებამდე. საქმიან ადამიანს უნდა შეეძლოს თავისი დროის ტალანტის და შესაძლებლობების რაციონალური გამოყენება. ბიზნესის პატიოსნება ესაა მისი ხასიათის და მიზნის სიწმინდის ერთობლიობი გააზრება და ამ საქმიანობის მორალური კრედო არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ კომპანიის პრინციპებს, რომელსაც ის ემსახურება. კომპანიის და მისი თანამშრომლების რეპუტაცია ამცირებს ან ზრდის მორალის შესაბამისად კომპანიის ეფექტიანობას, ან პირიქით.

თავის მხრივ კომპანიის მიზნები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თანამშრომლების პირად ინტერესებს. კომპანიის ყველა მოსამსახურისათვის განსაზღვრული უნდა იყოს მისი საქმიანობის სფერო და ის მოსალოდნელი შედეგები, რომლისთვისაც ის უნდა აგებდეს პასუხს.

სხვადასხვა ქვეყანაში არის ბიზნესის სხვადასხვა წესები, თუ. ერთ ქვეყანაში ზოგიერთი ფორმის პატივისცემა განიხილება მხოლოდ პატივად და ყურადღებად, სხვა ქვეყანაში ის შეიძლება ჩაითვალოს კრიმინალად. ამიტომ ბიზნესმენმა თავის საქმიანობაში არ უნდა დაუშვას ორაზროვანი სიტუაციები, რომელიც მის საქმეს გართულებამდე მიიყვანს, ამიტომ ყოველგვარი ახეთი ნაბიჯი უნდა იყოს წინასწარ აწონილი და გაზომილი.

მცნება მესამე – „არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა". შენი მიცემული სიტყვა და პირობა ქარს არ გაატანო და დანაპირების შესრულება მომავალში ეფექტიანობის რეზერვია და მას ყოველთვის ადექვატური რეაქცია მოჰყვება საბოლოოდ. სიტყვა და საქმე ბიზნესმენისთვის უნდა იყოს ერთი მთელი. ამასთანავე მისი საუბარი პარტნიორისთვის უნდა იყოს გასაგები, მოკლე და კორექტული, რადგან ზედმეტი ლაპარაკი და ეულგარული ტერმინები მოწინააღმდეგეში აღძრავენ უკურეაქციებს და უნდობლობას.

მცნება მეოთხე – „მოიხსენიე დღე იგი მაბათი და წმინდა ჰყავ იგი, ექვს დღეს იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე – შაბათი არის უფლისა ღვთისა შენისა".

გახსოვდეს, რომ მეშვიდე დღე დაუთმე უფალს და დასვენებას. ჩვენს დღეკვანელ რთულ და დაძაბულ ეპოქაში დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ დასვენებას, რაც შემდგომში გამოიხატება და რეალიზდება წარმატებაში. რეკრეაციული ბუნებით სარგებლობა დადებით გაელენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ-სულიერი და ნერვიული გადაღლილობის ძალების აღდგენაზე. კარგი და დროული დასვენება ტკინს იცავს ემოციური და გონებრივი სიმძიმის გადატვირთვისაგან, ამიტომ კარგი დასვენება მაღალი შემოსავლების გარანტიაა.

მცნება მეხუთე – „პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქუყანასა ზედა".

პატივისცემით მოპყრობა შობლებისა და უფროსების მიმართ ამაღლებს წარსულისადმი მოკრძალებას და ამით მემკვიდრეობითობას ეძლევა უფრო მტკიცე ჯაჭვის ძალა. ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ შობლები და ის ცხოვრების მასწავლებლები, რომელთა გარეშე ჩვენ შედმიეად განწირული ვიქნებოდით გამოცდილების მიღებისგან. მემკვიდრეობითობის არსის შესაბამისად აწმყო და მომავალი დაფუძნებული წარსულში დაგროვილი ცოდნის მომავალში გამოყენებისათვის.

მცნება მეექვსე – „არა კაც ჰკლა". იესო ქრისტეს მიხედვით უფლის შექმნილი მოკედავის თვით გასამართლებასა და სიცოცხლის ხელყოფის, ანუ პირველი ქვის სროლის უფლება მხოლოდ არარსებულ უცოდველს აქვს, ამტომ ბიზნესის კეთილდღეობა ეფუძნება არა მტაცებლურ ბუნებას და ჯუნგლის კანონს, რომ „ადამიანი ადამიანისთვის მგელია", არამედ ჰუმანიზმსა და კაცთმოყვარეობას. ეთიკის მორალური კოდექსი ითვალისწინებს, რომ ისეთი მარადიული ფასეულობები, როგორიცაა სიცოცხლე, ღირსება, თავისუფლება და საკუთრება და კიდეე ის, რამაც შექმნა ნდობის და ურთიერთგაგების ატმოსფერო ხელშეუხებელია ღმერთის ჩარევის გარეშე. არ დაგაეინყდეთ შეგნება იმისა, რომ მოექცეი სხვას ისეე, როგორც შენ გსურს, რომ მოგექცნენ. ასეთივე მორალით უნდა იყო გაშსჭვალული ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობებისას. ადამიანის წარმატება უნდა ეფუძნებოდეს მის ნიჭს, ოსტატობას, შრომისუნარიანობას, ენერგიულობას და სამართლიანობას და ამ სარბიელიდან გამოძეებული უნდა იქნეს ყოველგვარი მანკიერი ჩვეეები და მიდგომები.

მცნება მეშვიდე – „არა იპარო". ყველა კომპანიას და პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს პროფესიული საიდუმლო, რომელიც ფირმის წარმატების უსმო და უტყეი სიმბოლოა. თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ მისი შენახვა და კომპეტენტური სპეციალისტები პასუხს უნდა აგებდნენ კომპანიის არეალში არსებულ მანკიერ გამოელინებაზე. ეს ქრთამის აღება იქნება, თუ სხვა ფორმის და შინაარსის გადაცდომა და სამართალდარღვევა.

„არ იპარო" ასეე გულისხმობს, რომ მენეჯმენტიც და მარკეტინგიც ზუსტად უნდა ასახაედნენ პროდუქციის ხარისხს და გაწეული მომსახურების (სერვისის) რეალურ ღირებულებას. ამ დროს უნდა გამოირიცხოს ე.წ. „ხალტურა" და გადასახადის დამალეა. არ უნდა მოკიდო ხელი მეკახშეობას, რასაც ჯერ კიდეე ძვ.წ.აღ-ის მე-15 საუკუნეში ამბობდა მოსე წინასწარმეტყველი: „თუ ფულს ასესხებ ჩემს ხალხს, შენთან მყოფ ღარიბს, ნუ იქნები მისი შემაეიწროებელი და ნუ დააკისრებ ვახშს" ("გამოსელა" თავი 22-24).

მცნება მერვე – არა იმრუშო. როგორც ზომიერი სექსუალური ურთიერთობა მყარ საფუძეელს უქმნის ოჯახს, ასეე თავდადებას და ერთგულებას შეუძლია კარგი ნიადაგი შეუქმნას იმ კომპანიას, სადაც ბიზნესმენი მოღეაწეობს, რაც არის კიდეეც კარგი წარმატების გარანტი და საერთოდ ყველა პიროვნება პასუხისმგებელი უნდა იყოს იმ მორალური კლიმატისა, რაც მის იარეელე არის შექმნილი. როგორც ღალატი და ტყეილი არის ოჯახის დამანგრეველი, ასეე იმ ბიზნესის, რომელ კომპანიაშიც ეს ხდება. საქმიანი ურთიერთობა აგებული უნდა იყოს გულახდილ და კოლეგიალურ საფუძეელზე და ბიზნესის მკაცრი და ზუსტად შესრულების ინტელექტი ვერ იტანს სიყალბის და ღალატის მცირე ელემენტებსაც კი.

მცნება მეცხრე – „არა ცილი სწამო მოყეასსა შენსა წამებითა ცრუითა". იყავი პატიოსანი და მართალი, რადგან კარგი რეპუტაცია კომპანიისთვის ნდობის ამაღლების ფაქტორია. არცერთმა ანგარებიანმა წინადადებამ არ უნდა გაცდუნოს და გაუფრთხილდი საკუთარი თავის და კომპანიის ღირსებას. ეს უკანასკნელი აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს საბოლოოდ. ისეე როგორც

ცხოვრების ყველა სფერო, საბაზრო ეკონომიკაც უნდა ეყრდნობოდეს ჯენტლმენურ და პუმანურ მეთოდებს. ამაღე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს პარტნიორი ქვეყნის ან ფირმის მორალური და ტრადიციული მხარეები. ზოგი რამ თუ შენთვის პატივისცემის ნიშანია, შეიძლება ეს ფორმა, ან ჭესტი სხვისთვის უკუნიშანი იყოს. ამიტომ ყოველთვის ამ დროს აირჩიე ოქროს შუალედი, ან პარტნიორის პატივისცემა. მცნება შეთე – „არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არცა მისი სახლისათვის, რაცა ყანისა მისისა, მიწის, მხეელის, ხარის, ერის ან ყოველისა საცხოვრისისა მისისა, არცა ყოველისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასის შენისა“ – ე.ი. არაფერი არ უნდა გშურდეს შენი პარტნიორის და კონკურენტის, რაც საბოლოო ჯამში იქცევა შენივე ფსიქოლოგიური განვითარების მუხრუჭად. შრომისა და წარმატების გზაზე, თუ გინდა ჰპოვო სიკეთისმიერი ამაღლება და სიღრმე, მაშინ არ უნდა გაიკარო შურისა და ბიწის მომაკვდინებელი ბაცილები. ბორტისგან თავისუფალი აზროვნების ძალა ბიძგს აძლევს მეწარმეობის სისტემის მთელი სიგრძე-სიგანით გათაეისებას და მხოლოდ მაშინ ძალუძს ადამიანებს აამოქმედონ გონებაში მოთავსებული მთვლემარე რეზერვები. მხოლოდ მორალურ პრინციპებზე დაფუძნებულ საქმიანობას ძალუძს იყოს შედეგიანი, ეფექტური და სიწმინდის ნათელით გაცისკროვნებული, რაც არის საბოლოო ჯამში ძლიერი ბიძგის მქონე მუხტის შემცველი.

ამ მცნებებს საკმაოდ ეხმიანება იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სიტყვები: „ყოველივე ჩვენი თანამდებობა და მოვალეობა სხვა არა რაი არის, მხოლოდ პირობა, ალთქმა ვისდამეზე მიცემული, მამა-შვილობა, ძმობა, მოყვრობა, მეგობრობა, უფროს-უმცროსობა, მოძღვრობა და ვაჭრობა, ეს ყოველისფერი დაფუძნებულია პირობის მიცემაზე და ალთქმის აღსრულებაზე“... „... ყოველმა გამოცდილმა ვაჭარმა იცის, რომელ ალებ-მიცემითა გამდიდრდება უადრეს იგი, რომელიც ჰყიდის იაფად, რადგანაც იგი მრავალს საქონელს გაჰყიდის; ხოლო რომელიც ჰყიდის ძვირად და მოტყუებით, იგი ბევრს საქონელს ვერ გაჰყიდის და ბევრს ვერას მოიგებს, რადგანაც მას ბევრი მუშტარი არ ეყოლება“.

ბიზნესის შემოსავლის რამდენიმე შეხედულება: 1) უმჯობესია წარმოების პროდუქტების რაოდენობა გაეზარდოთ მცირე მოგებით, ვიდრე მცირე რაოდენობა დიდი მოგებით; 2) საქმის ცუდად წაყვანაზე მიგვითითებს, როცა მოგებას მუშებისგან ან მყიდველებისგან ამოქაჩავენ ხოლმე, მოგება უნდა მოგვცეს საქმის ბევრად უფრო მეტი ხელოვნებით გაძღოლამ; 3) წარმატებები საქმეში და კარგი გასაღებაც – ყველაფერი ფასების ზომიერებაზე და დაკლებაზეა დამოკიდებული; 4) კაპიტალის მთავარი მიზანი, რაც შეიძლება მეტი ფულის მოხვეჭა კი არაა, არამედ ის, რომ ფულს ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მიეყვანო. (ჰენრი ფორდი, „ჩემი ცხოვრება და მოღვაწეობა“, 1988).

ეთნიკური ერთობა ეთნიკური ერთობის ცნება გულისხმობს ადამიანთა ისეთ ერთობას, რომელთაც მოეპოვებათ: 1) ამ ერთობისათვის დამახასიათებელი სახელი; 2) საერთო წინაპრების მითები; 3) ისტორიული მეხსიერება; 4) სხვებისაგან განმასხვავებელი კულტურის ერთი ან რამდენიმე ელემენტი (ენა, ღვთისმწაულები); 5) კავშირი გარკვეულ ტერიტორიასთან; 6) ზოგადი ერთიანობის გრძნობა.

ეთნოციდი უმეტესად ამ ტერმინში იგულისხმება ხალხთა კულტურის განადგურება და არა ადამიანთა ფიზიკური მოსპობა, თუმცა ამ ტერმინს ოვიათად ხმარობენ გენოციდის შინაარსითაც.

ეთნიკური ჯგუფი – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, რომელიც უკავშირდება რომელიმე ხალხთან, ერთიან მიკუთვნებულობას და ხასიათდება კომპაქტური დასახლებით, კულტურისა და ყოფის თავისებურებებით.

ეკიპაჟით სატრანსპორტო საშუალების იჯარის ხელშეკრულება – იჯარის ხელშეკრულების სახე (იხ. ხელშეკრულების იჯარა), რომლის მიხედვითაც მეიჯარე მოიჯარეს ფულადი გადახდის სანაცვლოდ გადასცემს სატრანსპორტო საშუალებას დროებით მფლობელობაში და გამოყენებაში და თავისი ძალებით უწევს მომსახურებას მის მართვასა და ტექნიკურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. თავისი ბუნებით ხელშეკრულება რეალური, ორმხრივი და უკუგებითია. ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით მისი ვადის მიუხედავად. ასეთ ხელშეკრულებასთან მიმართებაში წესები იჯარის ხელშეკრულებათა რეგისტრაციის შესახებ არ გამოიყენება. ვადა არ წარმოადგენს არსებით პირობას. მოცემულ ხელშეკრულებასთან მიმართებაში ასევე არ გამოიყენება წესები განუსაზღვრელი ვადით იჯარის ხელშეკრულების განახლებისა და ახალი ვადით იჯარის ხელშეკრულების დადებაზე მოიჯარის უპირატესი უფლების შესახებ.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალება მართვისა და ტექნიკური ექსპლუატაციის მომსახურების გაწევით. ეკიპაჟს წევრები წარმოადგენენ მეიჯარის თანამშრომლებს. ისინი უმორჩილებიან მეიჯარის განკარგულებებს, რომლებიც ეხება მართვასა და ტექნიკური ექსპლუატაციის მომსახურების გაწევას და მოიჯარეს განკარგულებებს სატრანსპორტო საშუალების კომერციულ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. ეკიპაჟის წევრთა მომსახურების გაწევისა და სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის ხარჯებს, ზარალზე პასუხისმგებლობას იღებს მეიჯარე, თუ იჯარის ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული.

სატრანსპორტო საშუალების სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნების, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის განხორციელების ხარჯებს იღებს მეიჯარე. სატრანსპორტო საშუალების კომერციულ ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს საწვავის, მოსაკრებლის და ა.შ. იღებს მოიჯარე, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული ხელშეკრულებით. მოიჯარეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების კომერციული გამოყენება, მათ შორის, მას აქვს უფლება მეიჯარეს თანხმობის გარეშე თავისი სახელით დადოს შესამე პირებთან გადაზიდვის ხელშეკრულება და ა.შ. ასევე სატრანსპორტო საშუალება სუბიჯარით გასცეს (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული).

იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალების დაზიანების ან დაღუპვის შემთხვევაში მოიჯარე ვალ-

დებულია ზარალი აუნაზღაუროს მეიჯარეს, თუ ეს უკანასკნელი დაამტკიცებს, რომ სატრანსპორტო საშუალების დაზიანება ან დაღუპვა მოხდა იმ გარემოებებში, რომელზეც პასუხს აგებს მეიჯარე კანონის ან იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად. პასუხისმგებლობა მესამე პირებისათვის ოჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალების, მისი მექანიზმების, მოწყობილობების მიერ მიყენებულ ზიანზე ეკისრება მეიჯარეს არასახელშეკრულო პასუხისმგებლობის შესახებ წესების შესაბამისად. მას უფლება აქვს მოიჯარეს მოსთხოვოს მესამე პირებისთვის გადახდილი თანხის ანაზღაურება, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანი წარმოიქმნა მოიჯარეს მიზეზით. იხ. ასევე ტაიმ-ჩარტერის ხელშეკრულება.

ეკიუ – ევროპულისავალუტო ხელოვნური ფულადი ერთეული, რომელიც ეშვარება საერთო ბაზრის წევრი ქვეყნების ვალუტის კალათას.

ეკოლოგიური აღზრდა და განათლება – 1) იდეოლოგიური მექანიზმის ელემენტი გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების (საზოგადოების, სახელმწიფოს) ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში; 2) საზოგადოების ეკოლოგიური კულტურის ამაღლებისა და სპეციალისტთა პროფესიული მომზადების მიზნით განხორციელებული საქმიანობა, რაც მოიცავს ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების მთლიან, კომპლექსურ და უწყვეტ სისტემას და ამასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებას ამის ხელშეწყობის მიზნით.

ეკოლოგიური გეგმები – 1) ეკოლოგიური დაგეგმვის ინსტრუმენტები; 2) დოკუმენტები, რომლებიც ადგენენ ეკოლოგიური ღონისძიებების სისტემას (იხ. გარემოს დაცვისა და მყარი განვითარების უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგია, სახელმწიფო ეკოლოგიური დოქტრინა, მყარ განვითარებაზე გადასვლის კონცეფცია, გარემოს დაცვის მოქმედებების ეროვნული გეგმა). გამოიყოფა გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი ეკოლოგიური გეგმები.

ეკოლოგიური დაგეგმვა ეკოლოგიური მართვის ფუნქცია, რომელიც მდგომარეობს ეკოლოგიური გეგმებისა და ეკოლოგიური პროგრამების შეშუშავებასა და რეალიზაციაში. გამოიყოფა პერსპექტიული (სტრატეგიული) და მიმდინარე ეკოლოგიური დაგეგმვა.

ეკოლოგიური დაზღვევა – 1) სახელმწიფოს, საზოგადოებისა და სხვა სოციალური სტრუქტურის შენარჩუნება, მათი საქმიანობის რეჟიმის დაცვა, მათი პროგრამების რეალიზაცია მათი ბუნებასთან ურთიერთმოქმედების პროცესში; 2) აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების საქმიანობა გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების (საზოგადოების, სახელმწიფოს) ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზების თაობაზე, რაც ხორციელდება კანონმდებლობის საფუძველზე.

ეკოლოგიური დანაშაულები – საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედებები, რომლებიც ხელყოფენ ეკოლოგიურ მართლწესრიგის, საზოგადოების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველმყოფელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და რომლებიც ზიანს აყენებენ ბუნებრივ გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

ეკოლოგიური დანაშაულები იყოფა 2 ჯგუფად: ა) ზოგადი ხასიათის ეკოლოგიური დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ მთლიანად ბუნებას; ბ) სპეციალური ეკოლოგიური დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ ბუნების ცალკეულ კომპონენტებს ან შემადგენელ ნაწილებს (ჰაერს, წყალს და ა.შ.).

ეკოლოგიური დანაშაული – 1) ეკოლოგიური სამართალდარღვევის სახე; 2) გვარეობითი ტერმინი, რომელიც გამოიყენება სისხლის სამართალში დანაშაულთა სპეციფიკური ჯგუფის აღსანიშნავად.

ეკოლოგიური ექსპერტიზა – ეკოლოგიური მართვის ფუნქცია. კანონმდებლობაში ეკოლოგიური ექსპერტიზა განისაზღვრება, როგორც გათვალისწინებული სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის ეკოლოგიურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ეკოლოგიური ექსპერტიზის ობიექტის რეალიზაციის დასაშვებობის განსაზღვრა გარემომცველ ბუნებრივ გარემოზე ამ საქმიანობის შესაძლო არახელსაყრელი ზემოქმედებების და ეკოლოგიური ექსპერტიზის ობიექტის რეალიზაციის სოციალური, ეკონომიკური და სხვა შედეგების თავიდან აცილების მიზნით.

ეკოლოგიური ზიანი – იხ. ეკოლოგიური სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ეკოლოგიური ინჟინირინგი (ეკოინჟინირინგი) გარკვეული საორგანიზაციო და სამართლებრივი ფორმებით განხორციელებული მიზანმიმართული მოქმედებების კომპლექსი, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ახალი საწარმოო სიმძლავრების შექმნა ზიანის მინიმალიზაციის გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში, რაც ხასიათდება სახელმწიფოს სავალდებულო მონაწილეობითა და სპეციალური სუბიექტების – გარემომცველი ბუნებრივი გარემოს ორგანიზაცია – დამპროექტირებლების (ეკოლოგიური ინჟინირინგის დამკვეთი) და სპეციალური საინჟინირინგო ორგანიზაციების არსებობით, რომლებიც ასრულებენ მის დასაცავად ტექნიკური სისტემების დაპროექტებას, დამზადებასა და მოწოდებას (ეკოლოგიური ინჟინირინგის შემსრულებელი).

ეკოლოგიური კანონმდებლობა – 1) ფართო გაგებით, კანონმდებლობის კომპლექსური დარგი – სამართლის ნორმების შემცველი ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემა, რომლებიც არეგულირებენ ეკოლოგიურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს; 2) ვიწრო გაგებით, იგივეა, რაც კანონმდებლობა გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის შესახებ.

ეკოლოგიური კატასტროფა – ბუნებაში ეკოლოგიური წონასწორობის სერიოზული დარღვევა, რასაც მოსდევს ცოცხალი ორგანიზმების

სახეობრივი შემადგენლობის მდგრადობის დარღვევა, მათი რაოდენობის, პროდუქტულობის სრული ან არსებითი განადგურება ან შემცირება ან სიერცეში მათი განაწილების დაკარგვა, ასევე ნივთიერებების ბიოტიკური მიმოქცევის და სხვა ბიოლოგიური პროცესების სეზონური ცელილებების ციკლების დარღვევა.

ეკოლოგიური კონტროლი – ეკოლოგიური მართვის ფუნქცია, რომელიც მდგომარეობს დადგენილი ეკოლოგიური მოთხოვნების შესრულების შემოწმებაში; გამოყოფს სახელმწიფო, საზოგადებრივი, საწარმოო და საუწყებო ეკოლოგიური კონტროლი.

ეკოლოგიური პოლიტიკა – იხ. სახელმწიფო ეკოლოგიური პოლიტიკა.

ეკოლოგიური სამართალდარღვევა – 1) საკონსტიტუციო გვარეობითი ტერმინი, რაც აღნიშნავს ეკოლოგიური საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დარღვევას; 2) სამართალდარღვევის ნაირსახეობა.

ეკოლოგიური სამართალდარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურება – იხ. ეკოლოგიური სამართალდარღვევით მიყენებული ზიანი.

ეკოლოგიური სამართალდარღვევით მიყენებული ზიანი – 1) ამ სიტყვის ვიწრო გაგებით – მხოლოდ ზიანი, რომელიც მიადგა ბუნებრივ გარემოს, ბუნებრივ ობიექტებს, რესურსებს და კომპლექსს – ეკოლოგიური ზიანი, რომლის სიდიდეც იანგარიშება სპეციალური მეთოდიკით, ტაქსებით და ა.შ; ეკოლოგიური ზარალი ხშირად არ შეიძლება იქნეს ანაზღაურებული საერთოდ ნატურაში (ცხოველთა და მცენარეთა გამქრალი სახეობები) ან მოკლე ხანში (გაჩეხილი ტყეები, თევზის მასიური დალუპვა და ა.შ.); 2) ამ სიტყვის ფართო გაგებით-ზიანი, რომელიც მიყენებულია ადამიანის ჯანმრთელობასა და ქონებაზე გარემომცველი ბუნებრივი გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად (სოციალური ზიანი): ნათესების განადგურება, შენობების, ნაგებობების დროზე ადრე დაძველება დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერის ზემოქმედებით და ა.შ (ეკოლოგიური ზარალი).

ეკოლოგიური სამართალი – 1) სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემა, რომლებიც წარმოქმნიან სამართლის კომპლექსურ დარგს, რომლის საგანსაც წარმოადგენს საზოგადებრივი ურთიერთობები მხოლოდ ბუნებრივი გარემოს დაცვაზე – „ბუნების დაცვის“ (ეკოლოგიური სამართალი ვიწრო გაგებით), საზოგადოებრივი ურთიერთობები ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის თაობაზე და ადამიანისა და სხვა ობიექტების (საზოგადების, სახელმწიფოს) ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამოკიდებულებები (ეკოლოგიური სამართალი სიტყვის ფართო გაგებით, ბოლო მნიშვნელობით არ წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულს); 2) სამეცნიერო სპეციალობა; 3) სასწავლო დისციპლინა.

ეკოლოგიური სამართლის ნორმების რეალიზაციის მექანიზმი სამართლებრივი ინსტრუმენტების სისტემა, რომლის გამოყენებაც ხდება ეკოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისთვის. ეკოლოგიური სამართლის ნორმების რეალიზაციის მექანიზმი მოიცავს: ა) სამართლის ნორმებს: სპეციალურს-ეკოლოგიურ-სამართლებრიეს, ეკოლოგიზირებულს (იხ. კანონმდებლობის ეკოლოგიზაცია), ნორმა-გარანტიებს; ბ) ეკოლოგიურ-სამართლებრივ ურთიერთობებს; გ) ეკოლოგიური სამართლის გამოყენების აქტებს; დ) სუბიექტების რეალურ ქცევას ეკოლოგიური სამართლის ნორმების მოთხოვნების შესაბამისად.

ეკოლოგიური სამეცნიერო კვლევები იხ. სამეცნიერო ეკოლოგიური კვლევები.

ეკოლოგიური საქმიანობა – 1) განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილი; 2) მოქმედებების სისტემა სფეროში – „საზოგადება-ბუნება“, რაც ხორციელდება გარკვეული მიზნით და გარკვეული ფორმით. იხ. ადამიანისა და სხვა ობიექტების (საზოგადების, სახელმწიფოს) ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

ეკოლოგიური ცოდნის გავრცელება – 1) იდეოლოგიური მექანიზმის ელემენტი ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების (საზოგადოების, სახელმწიფოს) ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში; 2) საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ბუნებისადმი ფაქიზი დამოკიდებულების აღძრის, მისი სიმდიდრის რაციონალური გამოყენების მიზნით.

ეკონომიკური სანქცია – იძულებითი ზემოქმედების ზომა. მას იყენებენ გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის მიმართ, რომელიც სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში დაშვებული დარღვევებით ზიანს აყენებს სახელმწიფოს და თავისი პარტნიორების ინტერესებს. ამ სანქციების შედეგად საწარმოს აკლდება შემოსავლის გარკვეული ნაწილი.

ეკოსისტემა – მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების, გაერთიანებათა, ასევე მათი არაცოცხალი გარემოს დინამიკური კომპლექსი, რომლებიც ურთიერთქმედებენ, როგორც ერთიანი, ფუნქციური მთელი.

ეკოციდი – მცენარეთა ან ცხოველთა სამყაროს მასობრივი განადგურება, ატმოსფეროს ან წყლის რესურსების მოწამვლა, ასევე სხვა მოქმედებების ჩადენა, რომელთაც შეუძლიათ ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა.

დანაშაული დასრულებულად ითვლება ზემოთჩამოთვლილთაგან თუნდაც ერთი მოქმედების ჩადენის მომენტიდან.

დამნაშავის მოქმედებების, როგორც ეკოციდის სწორი კვალიფიკაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის დადგენა, შეეძლოა თუ არა ამ მოქმედებებს ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა.

მცენარეთა ან ცხოველთა სამყაროს განადგურების

ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ მცენარეთა ან ცხოველთა ცალკეული სახეობების ან სახეობისა და ფორმების ერთობლიობის მოსპობაზე, არსებობის შეწყვეტაზე მიმართული მოქმედებები.

განადგურება მასობრივია იმ შემთხვევაში, თუ ის ვრცელდება მცენარეებისა და ცხოველების სახეობებისა და ფორმების შეუზღუდავ ნრეზე ეი. ატარებს ფართომასშტაბიან ხასიათს და მიმართულია ცალკეულ ტერიტორიაზე მათ სრულ ან ნაწილობრივ განადგურებაზე.

ატმოსფეროს ან წყლის რესურსების მოწამვლად უნდა ჩაითვალოს ატმოსფეროში ან წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებების (რადიოაქტიური, შხამიანი ნარჩენებისა და მასალების, ქიმიური ან ბიოლოგიური წარმოშობის ნივთიერებების) გამონაბოლქვად ან შეწვეთასთან დაკავშირებული მოქმედებები, იმ კონცენტრაციით, რაც აღემატება სახელმწიფოს მიერ დადგენილ ჰიგიენურ და ეკოლოგიურ ნორმატივებს, რომელთაც ერთობლიობაში შეუძლიათ უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა ადამიანზე, ცხოველთა სამყაროზე, სხვა ცოცხალ ორგანიზმებსა და მცენარეებზე.

სხვა მოქმედებებს, რომელთაც შეუძლიათ ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა და ფასდება, როგორც ეკოციდი, უნდა განვაკუთვნოთ: ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების საშუალებების გამოყენება, რასაც მოსდევს მისი შეცვლა ბუნებრივი რესურსების, დინამიკის, დედამიწის შემადგენლობისა თუ სტრუქტურის, მათ შორის, მისი ბიოტის (ფიზიკური გარემოს), ლითოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს ან კოსმური სივრცის წინასწარ განზრახული მართვის გზით (10. 12. 1976 წ. ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების საშუალებების სამხედრო ან სხვა ნებისმიერი მტრული გამოყენების აკრძალვის შესახებ ჟენევის კონვენციის მუხლი 2).

ელასტიკური მოთხოვნილება

– მოთხოვნილება, რომელიც ითვლება და იცვლება ფასების მერყეობის შესაბამისად.

ელექტრო-გამომთვლელი მანქანების ექსპლუატაციის, სისტემის ან მათი ქსელის წესების დარღვევა

– დანაშაული კომპიუტერული ინფორმაციის სფეროში, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული წესების დარღვევას ელექტრო-გამომთვლელი მანქანების, მათი სისტემის ან ქსელისადმი წვდომის მქონე პირების მიერ, რამაც გამოიწვია ელექტრო-გამომთვლელი მანქანის კანონით დაცული ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება ან მოდიფიკაცია, თუ ამ ქმედებამ გამოიწვია არსებითი ზიანის მიყენება.

ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებისთვის (ეგმ) პროგრამების ან მონაცემთა ბაზის გამოყენება

– გამოქვეყნება, აღდგენა, გავრცელება და სხვა ქმედებები სამეურნეო ბრუნვაში მათი შემოღების თაობაზე (მათ შორის, მოდიფიცირებული ფორმით). ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებისთვის პროგრამების ან მონაცემთა ბაზის გამოყენებად არ ითვლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით შეტყობინების გადაცემა გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის ან ელექტრონულ გამოთვლითი მანქანებისთვის პროგრამების შესახებ.

ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისთვის (ეგმ) მავნე პროგრამების გავრცელება

– ნებისმიერი მატერიალური ფორმით აღდგენილი ეგმ პროგრამის ან მონაცემთა ბაზის წვდომის შეთავაზება, სესხის შეთავაზების გზით, მათ შორის, იმპორტი, ნებისმიერი ამ მიზნისთვის; საზოგადოებისთვის საშიში მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც არღვევს საავტორო უფლებებს და მოქალაქეთა და ორგანიზაციების კანონიერ ინტერესებს; ზიანის მიყენება საინფორმაციო რესურსების მესაკუთრეთა, საზოგადოებისა და მთლიანად, სახელმწიფოს ინტერესებისთვის.

ელექტროსკამი

– სასჯელის ყველაზე გავრცელებული ფორმა გასული საუკუნის ბოლოს სახრჩობელა იყო. საფრანგეთში კი დამნაშავეს ჯერ კიდევ თავს კვეთდნენ. „დიდი რევოლუციის საფრანგეთი“ წლებში გამოგონებული გილიოტინა მჭიდროდ შევიდა ამ ქვეყნის ტრადიციებში. „იმ დროის მოწინავე ადამიანები თვლიდნენ, რომ სასჯელის ეს ფორმა ანტიჰუმანური იყო და ცდილობდნენ, რაიმე მისი შემცვლელი მოეძებნათ“, – ამბობს რიჩარდ მარკუპი, ნიუიორკელი სოციოლოგ-კრიმინალისტი. ამასვე ფიქრობდა ვინმე ალფრედ საუთეიჩი, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი ბუფალოელი სტომატოლოგი. ერთხელ ის მოწმე გახდა უბედური შემთხვევისა: ვიღაც მთვრალი მაწანწალა ელექტროსადენებში გაიხლართა, დენმა დაარტყა და მოკვდა. ამ შემთხვევამ საუთეიჩზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან შეამჩნია (თუ მოეჩვენა), რომ საწყალს სულაც არ უწვალია და აზრად მოუვიდა, სასამართლო ინსტანციებისთვის სასჯელის ფორმად შეეთავაზებინა სწორედ ეს პროცედურა. მალე საუთეიჩმა დაამონტაჟა მოწყობილობა, რომელსაც ელექტროსკამი უწოდეს. საუთეიჩის პროექტი ნიო-იორკის შტატის პენიტენციალურ კომისიაზე წარადგინეს და დაამტკიცეს.

1890 წლის 6 აგვისტოს მომხდარი ამბავი კი სამუდამოდ შევიდა შეერთებული შტატების ისტორიაში. ამ დღეს ქვეყანაში პირველად აღსრულდა განჩინი ელექტროსკამის გამოყენებით. მარკუპი ამბობს: „უჩვეულო „მანქანით“ დაინტერესდა მთელი ამერიკა. ეს უნდა გამოეცადა ობერნის ციხის. პატიმარს უილიამ კემლერს, რომელსაც სასიკვდილო გამარჯენი გამოუტანეს თავისი შეყვარებულის მკვლელობისთვის. სიკვდილით დასჯამ სულაც არ ჩაიარა ისე, როგორც მის თანამოაზრეებს ჰქონდათ გათვალისწინებული. ჯალათს დაავიწყდა სველი ღრუბლით შეეზავა ელექტროდები, რომლებსაც დამნაშავისთვის უშუალოდ უნდა გადაეცათ ელექტრული მუხტი და მანქანა არ ამუშავდა. კემლერის სიკვდილი შესაძლებელი გახდა მხოლოდ მესამე ცდით, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მას მერე, რაც იგი ელექტროსკამზე დაჯდა, „მამა-პაპური მეთოდის“ მომხრეები ხმამაღლა გამოსატავდნენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას ამ ფაქტისადმი“.

მაგრამ ამ უსიამოვნო გართულებებმა ვერ შეძლეს ალფრედ საუთეიჩის იდეის დისკრედიტება.

გაეიდა ხანი და ნიუ-იორკის შტატის მაგალითს მიბაძეს ოჰაიომ და პენსილვანიამ – იქაც შემოიღეს ელექტროსკამი. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში სასჯელის ეს ფორმა წამყვანი გახდა ამ ქვეყანაში. კანონით ელექტროსკამზე დასჯისას სასტიკად აკრძალულია

ფოტოს გადაღება, მაგრამ 1928 წელს ვინმე თომას ჰოუარდმა – გაზეთ „დელის ნიუსის" ფოტორეპორტიორმა, შეძლო, შეღწია ოთახში, სადაც სისიკვდილო განაჩენი მოჰყვადათ სისრულეში და ფოტოც გადაიღო. ეს ფოტო „დეილი ნიუსში" გამოქვეყნდა. ჰოუარდის საქციელმა კი საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

„ელექტროსკამთან არის დაკავშირებული ბევრი საოცარი ამბავი, – ამბობს მარკ ჰემი. – სინგ სინგის ციხეში, მაგალითად, როგორღაც სჯიდნენ ერთ-ერთ ყოფილ ხუროს. სიკვდილის წინ მან ოხვრით აღიარა, რომ საკუთარი ხელებით შეაკეწერა ის სკამი, რომელზედაც იგი სიცოცხლეს უნდა გამოთხოვებოდა. ვინმე ჯონი ჰუბერტი ჯალათად მუშაობდა ამერიკის ერთ-ერთ ციხეში. მოხდა ისე, რომ მას მოუხდა იმქვეყნად გაესტუმრებინა თავისი უახლოესი მეგობარი. „ნუ ნერვიულობ, ჯონ, სინდისიერად შეასრულე შენი სამუშაო", – უთხრა მას სიკვდილმისჯილმა. ის ჯალათზე უფრო მშვიდად იყო. 1984 წელს კი ლუიზიანის შტატის ქალაქ ანგოლაში სიკვდილით დასჯეს რობერთ ლი უილინი. ის მოკვდა ელექტროსკამზე, რომელიც ათი წლის წინ მამამისმა დაამზადა".

ნიუ-იორკის შტატში ჯალათებს შორის იყვნენ რეკორდსმენები: ედვინ დეიესმა სიკვდილით დასაჯა 210 ადამიანი, ჯოზეფ ფრენკელმა – 139, ზემოთ ნახსენებმა ჯონ ჰუბერტმა – 120, მაგრამ ყველას აჯობა ცნობილმა რობერტ ელიოტმა. მან 380 სისიკვდილო განაჩენი აღასრულა, მაგრამ თავისი ინტელიგენტური გარეგნობით მკვეთრად განსხვავდებოდა მისი კოლეგებისაგან: საზოგადოებას ის შეიძლება კოლეჯის პროფესორად მიეჩნია: მანამდე, სანამ ელტონი ჯალათი გახდებოდა, ეკლესიის მსახური იყო.

პირველი ელექტროსკამი ამჟამად ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ტრენტონის მუზეუმში ინახება. სასჯელის ეს ფორმა ოფიციალურად მიღებულია ქვეყნის 14 შტატში. „ჩვენს დროში სულ უფრო ბევრი ადამიანი გამოდის ელექტროსკამის წინააღმდეგ და სპეციალისტები, უკეე დიდი ხანია, ეძებენ მის შემცვლელს, – დასძენს ბოლოს მარკ ჰემი – ჯერჯერობით, ეს საკითხი კიდევ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი, მაგრამ ერთი რამ უდავოა: მომავალ საუკუნეში ალერედ საუთეიჩის გამოგონება საბოლოოდ არქივს ჩაბარდება.

ემანსიპაცია – სამოქალაქო სამართლის მიხედვით, 16 წლის არასრულწლოვანის გამოცხადება სრულად ქმედუნარიანად, თუ ის მუშაობს შრომის ხელშეკრულების მიხედვით ან მშობელთა თანხმობით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ემანსიპაცია ხორციელდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით ორივე მშობლის თანხმობის ან სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობისას, თუ მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი არაა თანახმა. ემანსიპაციის მიზანია არასრულწლოვანისთვის სრულფასოვანი სამოქალაქო-სამართლებრივი სტატუსის მინიჭება. თუმცა, ცალკეული უფლებები და ვალდებულებები წარმოიქმნება გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ (მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის უფლება). ემანსიპირებულ არასრულწლოვანს სრული მოცულობით გააჩნია უფლებები და ვალდებულებები (მათ შორის, დამოუკიდებლად აგებს პასუხს ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიქმნა მის მიერ ზიანის მიყენების შედეგად), იმ უფლებებისა და ვალდებულებების გარდა, რომელთა მოპოვებისთვისაც დადგენილია ასაკობრივი ცენზი.

ემანსიპაცია (ფრ. emansipation – ლათ. emansipatio) – 1. დამოუკიდებლობის მოპოვება, უფლებრივი შევიწროვებისგან განთავისუფლება.

2. სამოქალაქო სამართალში ქმედუნარიანად გამოცხადება თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანისა, რომელიც მუშაობს შრომითი კონტრაქტის საფუძველზე ან მშობლების, მშვილებლების ან მზრუნველების თანხმობით მისდევს სამეწარმეო საქმიანობას. არასრულწლოვანის ქმედუნარიანად გამოცხადება ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ მშობლების, მშვილებლების ან მზრუნველის თანხმობით, ხოლო თანხმობის არარსებობის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით. მშობლები, მშვილებლები, მზრუნველი არ აგებენ პასუხს ემანსიპირებული არასრულწლოვანის ვალდებულებებზე. კერძოდ მის მიერ ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე.

ემისია – საბანკო და საბაზინო ბილეთების, ქაღალდის ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება და მიმოქცევაში გაშვება.

ემიტენტი (issues body, emitter) – სახელმწიფო (ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ან მმართველობის ორგანოს სახით), იურიდიული პირები, რომლებიც ბრუნავენ უშვებენ ფულად ნიშნებს, ფასიან ქაღალდებს, ობლიგაციებს, აქციებს, პლასტიკურ საკრედიტო ბარათებს და კისრულობენ ვალდებულებას ამ დოკუმენტების მფლობელების წინაშე.

ყოველ ემიტენტს აქვს მხოლოდ მისთვის ნებადართული ფასიანი ქაღალდებისა და გადასახდელი საშუალებების ემისიის უფლება. ნაღდი ფულის ბრუნვაში გამოშვების უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს თანხების იმ ოდენობით, რაც დადგენილია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ. უნაღდო ანგარიშსწორების ფასიანი ქაღალდების ემისიის უფლება აქვს ყველა ბანკს.

ემოცია – ადამიანის მდგომარეობის, ფსიქოლოგიური დამოკიდებულების შემადგენელი ნაწილი, მათ შორის, დანაშაულის ჩადენის დროსაც ფსიქოლოგიაში ემოციის ქვეშ იგულისხმება დროის კონკრეტულ პერიოდში ადამიანის მიერ რეალურ მოქმედებასთან მიმართებაში პირადი დამოკიდებულების მარტივი, უშუალო განცდა, რაც განპირობებულია მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით ან დაუკმაყოფილებლობით. ტერმინი ემოცია აღნიშნავს გრძნობების განცდის კონკრეტულ, შედარებით ელემენტარულ ფორმას. ემოციური (გრძნობები, აფექტი ულინდება, როგორც რეაქციები, გამოწვეული მოულოდნელი გარემოებებით. ემოციები მხოლოდ ზოგჯერაა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები. ისინი წარმოადგენენ დანაშაულის შემადგენლობის ფაკულტატიურ ნიშანს, რომელიც ახასიათებს მის სუბიექტურ მხარეს.

ემოციები იყოფა დადებითად (კმაყოფილება, სიხარული, აღტაცება, სიამაყე, აღფრთოვანება, დარწმუნებულობა, პატივისცემა, ნდობა, სიმპათია, სინაზე, სიყვარული, გაძლიერება, მშვიდი სინდისი, უსაფრთხოება, ნიშნის მოგება და სხვ.) და უარყოფითად (მწუხარება, უკმაყო-

ფილება, სეფდა, დარდი, სასოწარკვეთილება, შფოთვა, შიში, იმედგაცრუება, მრისხანება, წყენა, სიძულვილი, ღვარძლი, სიბოროტე, ეჭვიანობა, სირცხვილი, მონანიება, სინდისის ქენჯნა და ა.შ.).

ადამიანის ცხოვრებაში ზემოთნახსენები ემოციები პიროვნებაში აყალიბებენ სხვადასხვა სახის ემოციურ მდგომარეობას: განწყობილებას, ვნებას, აღფრთოვანებას, სტრესს, ფრუსტრაციასა და აფექტს.

ენერგომომარაგების ხელშეკრულება – სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ყოდა-გაყიდვის ხელშეკრულების ნაირსახეობა, რომელიც ჰგავს მიწოდების ხელშეკრულებას. ენერგომომარაგების ხელშეკრულება ესაა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ენერგომომარაგებელი ორგანიზაცია ვალდებულია აბონენტს მიერთებული ქსელის მეშვეობით მიაწოდოს ენერგია და ენერგომატარებლები, ხოლო აბონენტი კი ვალდებულია ანაზღაუროს მიღებული ენერგია, ასევე დაიცვას მისი მოხმარების რეჟიმი. ბუნებით, ენერგომომარაგების ხელშეკრულება უპირატესად კონსენსუალური, ორმხრივი, ანაზღაურებადია. ენერგომომარაგების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა: ა) ენერგია სხვადასხვა ფორმით (ენერგია იგულისხმება, როგორც მოძრავი, უბრალო, დაყოფადი ნივთი); ბ) ენერგომატარებლები (ნივთიერებები, რომლებიც გამოყოფენ ენერგიას მათი გამოყენებისას – ორთქლი, ბუნებრივი აირი); გ) სხვა ნივთიერებები, რომელთა მიწოდებაც ხდება ქსელის მეშვეობით (ნავთობი და მისი პროდუქტები, წყალი). მიწოდება ხორციელდება სპეციალური მოწყობილობების – ელექტროსაზების, გაზსადენების მეშვეობით. ენერგომომარაგების ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენს გამყიდველი და მყიდველი (აბონენტი), რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი. ჩვეულებრივ, გამყიდველი ენერგომომარაგებელი ორგანიზაციაა, გამყიდველი შეიძლება იყოს პირველადი მყიდველი, რომელიც შემდგომში ხელშეკრულებებს დებს სუბაბონენტებთან. სუბაბონენტს წარმოადგენს პირი, რომლის ენერგოდანადგარი მიერთებული ქსელის მეშვეობით უკავშირდება აბონენტის ენერგოდანადგარს. აბონენტს შეუძლია სუბაბონენტს გადასცეს ენერგომომარაგებელი ორგანიზაციის მიერ მიღებული ენერგია, მხოლოდ ამ უკანასკნელის თანხმობით. ზოგადად, ენერგომომარაგების ხელშეკრულება იდება გაურკვეველი ვადით. გარკვეული ვადით დადებული ენერგომომარაგების ხელშეკრულება ითვლება ოგივე ვადითა და პირობებით გაგრძელებულად, თუ ვადის ამოწურვამდე არც ერთი მხარე არ აცხადებს მისი შეწყვეტის ან შეცვლის ან ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ. თუ ერთ-ერთი მხარის მიერ მოქმედების ვადის ამოწურვამდე შეტანილია წინადადება ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ, მხარეთა დამოკიდებულება ახალი ხელშეკრულების დადებამდე რეგულირდება ადრე დადებული ხელშეკრულებით. ფაში შესაძლოა განისაზღვროს სახელმწიფო ტარიფებით. ენერგომომარაგების ხელშეკრულება იურიდიული პირებისა და მოქალაქე-მეწარმეების მონაწილეობით იდება წერილობითი ფორმით. მოქალაქის მონაწილეობით ენერგომომარაგების ხელშეკრულებისთვის დასაშვებია კონკლუდენტური ფორმა (ქსელთან ჩართვის). იხ. ასევე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

ეპიდემია ინფექციური დაავადებების გავრცელება, რომლითაც დაავადებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატება მოცემულ ტერიტორიაზე, ანალოგიურ პერიოდში, დაავადებულთა რეგისტრირებულ დონეს. ადამიანის ინფექციური დაავადება, რომელიც ხასიათდება მძიმე მიმდინარეობით, სიკვდილიანობისა და ინვალიდობის მაღალი დონით, მოსახლეობაში სწრაფი გავრცელებით.

ეპიზოოტია – დაავადების ერთდროული გავრცელება მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, ერთი ან რამდენიმე სახეობის ცხოველთა (როგორც შინაურ, ასევე გარეულ) მნიშვნელოვან რაოდენობაში.

ერგონომიკა – ადამიანისა და მანქანის ურთიერთმოქმედების შესწავლა საწარმოო საქმიანობის კონკრეტულ პირობებში.

ერთმმართველობა – მართვის თეორიაში მართვის საქმიანობის ორგანიზებისა და ამა თუ იმ ორგანოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების ფორმა. ერთმმართველობა ნიშნავს, რომ იურიდიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საქვეუწყებო საკითხებზე უნდა მიიღოს შესაბამისი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების ხელმძღვანელმა, რომელსაც ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიღებაზე. ერთმმართველობის პრინციპს ეფუძნება სამინისტროების, ფედერალური სამსახურების, სააგენტოების, რიგი სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურა და საქმიანობა, ერთმმართველობის პრინციპია ჩადებული დეპარტამენტების მუშაობის ორგანიზების საფუძველში.

ერისთავი მხარის გამგებლის აღმნიშნელი ტერმინი ძველ საქართველოში. შეიქმნა გვაროვნული წყობილების წიაღში და ნიშნავდა ერის, ჯარის ან ორიეულ სარდალს და წინამძღოლს. ექვემდებარებოდა გვარის ან ტოძის უხუცესს – მამასახლისს. აღმოსავლეთ საქართველოში – კერძოდ, ქართლის სამეფოში გადაიქცნენ სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლებად. პოლიტიკურ იერარქიაში, ბაგრატიონთა კურაპალატების დროს მათ საკმაოდ მაღალი ადგილი ეკავათ, ამგვარი რიგობით: 1. ქართველთა მეფე კურაპალატი; 2. ერისთათერისთავი; 3. მაგისტროსი; 4. ერისთავი. XI ს-ში, იგი წარმოადგენდა სამეფოს ადმინისტრაციული ერთეულის გამგებელს და ერისთავობა შემკვიდრეობით გადადიოდა. XV ს-დან ისინი ქართლში წარმოადგენდნენ ძლიერი გავლენის მქონე ფეოდალ-მემამულეებს.

ეროვნული ვალუტა – სახელმწიფოს ფულადი ნიშნები, რომლებიც ეკონომიკურ ურთიერთობაში არიან საერთაშორისო ელემენტთან. როგორც წესი, სახელმწიფოს ფულადი ნიშნები გამოდიან ეროვნული ვალუტის სახით ამ სახელმწიფოს არარეზიდენტების (უცხოური კომპანიებისა და ფიზიკური პირების, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საზღვარგარეთ) მონაწილეობით ანგარიშსწორებაში.

ეროვნული პარკები – 1) განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების კატეგორია, რომელთაც განკუთვნება მათი რეჟიმისა და მათზე მყოფი ბუნების დაცვის დაწესებულებების თავისებურებათა გათვალისწინებით; 2) ბუნების დაცვის, ეკოლოგიურ-

საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები; 3) ტერიტორიების (აკვატორიები, ბუნებრივი კომპლექსები) და ობიექტები, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული ეკოლოგიური, ისტორიული, ესთეტიკური ფასეულობა და გათვალისწინებული არიან გამოყენებისთვის ბუნების დაცვის, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მიზნით, ასევე რეგულირებადი ტურიზმისთვის. ეროვნული პარკების ტერიტორიებზე დგინდება განსაკუთრებული დაცვის დიფერენცირებული რეჟიმი, მათი ბუნებრივ, ისტორიულ-კულტურული და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, საიდანაც გამოიყოფა სხვადასხვა ფუნქციური ზონა, მათ შორის: ა) ნაკრძალი, რომლის ფარგლებშიც აკრძალულია ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა და ტერიტორიის რეკრეაციული გამოყენება; ბ) განსაკუთრებით დაცული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია პირობები ბუნებრივი კომპლექსებისა და ობიექტების შენარჩუნებისთვის და რომლის ტერიტორიაზე შესვლაც მკაცრად რეგულირდება; გ) შემეცნებითი ტურიზმის, რომელიც გათვალისწინებულია ეკოლოგიური განათლებისა და ეროვნული პარკების ღირსშესანიშნაო ობიექტების გაცნობის ორგანიზებისთვის; დ) რეკრეაციული, რომელიც დასვენებისთვისაა განკუთვნილი; ე) ისტორიულ-კულტურული ობიექტების დაცვის ზონა, სადაც უზრუნველყოფილია პირობები მათი შენარჩუნებისთვის; ვ) დამსვენებელთათვის ტურისტული სერვისის ობიექტების მოწყობა; ზ) სამეურნეო დანიშნულების, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამეურნეო საქმიანობა, რაც უზრუნველყოფილია ეროვნული პარკის ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის. ეროვნული პარკების ტერიტორიაზე აკრძალულია ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც შეუძლია ზიანის მიყენება ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ობიექტების და ბუნებრივი კომპლექსებისთვის, კულტურულ-ისტორიული ობიექტებისთვის და რომელიც ეწინააღმდეგება ეროვნული პარკების მიზნებსა და ამოცანებს.

ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივება – საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ხასიათდება სხვადასხვა სახის შეხედულებების, იდეების, აზრების საჯარო გავრცელებით, რომლებიც ძირს უთხრიან ნდობასა და პატივისცემას გარკვეული რასის ან ეროვნების ან რელიგიური კონფესიის მიმართ და ასევე იწვევენ გარკვეული რასის, რელიგიის, ეროვნების ადამიანთა ცხოვრების წესის, კულტურის, რელიგიური წეს-ჩვეულებებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას, ადამიანის ღირსების შელახვას ან პირთა ჯგუფის დამცირებას სქესის, რასის, ეროვნების, ენის, წარმომავლობის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, ასევე სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ნიშნებით, რომელიც განხორციელდა საჯაროდ ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით.

ეროვნული შემოსავალი – დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგ. ერთ წელიწადში) მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი ღირებულება. თუ მთლიანი პროდუქციის ღირებულებას გამოვაკლებთ წლის განმავლობაში გაწეულ მატერიალურ დანახარჯებს, მივიღებთ ამ პერიოდში შექმნილ ღირებულებას, ანუ ეროვნულ შემოსავალს.

ესკიზი (ფრანგ. esquisse, ლათ. schedium – პოეტური ექსპრომტი) – სურათის, ნახატის, დეკორაციის, არქიტექტურული, მუსიკალური, სამეცნიერო ან სხვა ნაწარმოების წინასწარი, ჯერ კიდევ დეტალებში დაუმუშავებელი მონახაზი.

ექსორია სახელმწიფოდან განდევნა, გადახვეწა, ძველ საქართველოში უმთავრესად პოლიტიკური მიზეზების გამო. ფეოდალურ საქართველოში ტერმინი ექსორია იხმარებოდა გაძევების აღსანიშნავად. ასეთ სასჯელს ადებდნენ „მინდობით გამოყვანილ“ (მშვიდობიანი მოლაპარაკებით დამორჩილებულ) შეთქმულებს, ეისაც განდგომაში უმნიშვნელო მონაწილეობა ჰქონდა მიღებული.

ეფექტური დოზა – მაიონიზირებელი გამოსხივების ზემოქმედების სიდიდე, რომელიც გამოიყენება, როგორც ადამიანის ორგანიზმისა და მისი ცალკეული ორგანოების დასხივების შორეული შედეგების წარმოქმნის რისკის ზომა, მათი რადიომგრძნობელობის გათვალისწინებით.

ექსგუმაცია – გვამის ამოღება ოფიციალური დასაფლაების ადგილიდან. დადგენილება ექსგუმაციის შესახებ ზოგიერთ ქვეყანაში, გამოაქვს გამომძიებელს, ზოგიერთ მოსამართლეს მასში მითითებული აქვს, თუ ვისი გვარი ექვემდებარება ამოღებას, დაკრძალვის ადგილი, ექსგუმაციის მიზნები და მოტივები. ახლო ნათესავებს ან სხვა ნათესავებს, ახლობლების არარსებობისას ეცნობებათ გვამის მოსალოდნელი ამოღების შესახებ. შეტყობინება შეიძლება მოხდეს ცალკე წერილობითი სახით შედგენილი დოკუმენტის მეშვეობით. ამავდროულად ხდება ექსგუმაციის მიზნებისა და მოტივების, მისი ჩატარების პროცედურის, ასევე გვამის ამოღებისა და მისი ხელახლა დაკრძალვის ანაზღაურების წესის განმარტება. ექსგუმაციის წინააღმდეგ ნათესავების გამოსვლისას გამომძიებელი სასამართლოს ან უფლებამოსილი ორგანოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას ამ საგამოძიებო ან სასამართლო მოქმედების წარმოების შესახებ. ექსგუმაციას თან ახლავს გვამის დათვალიერება. შესაძლებელია მოხდეს ამოცნობა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ექსგუმაციის დროს დამსწრე ექიმს მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია სპეციალისტის სახით. ეს ხელს არ უშლის მას შემდგომში გვამის ექსპერტიზის ჩატარებაში. ექსგუმირებული გვამის მიწოდება შესაძლებელია ამოცნობის ან ექსპერტიზის ადგილას. გვამის ტრანსპორტირება და მისი შემდგომი დაკრძალვა ხდება ექსგუმაციის მწარმოებელი ორგანიზაციის ხარჯზე. გამომძიებლის დადგენილება გვამის ამოღების შესახებ და სასამართლოს გადაწყვეტილება ამის თაობაზე საკალდებულოა დაკრძალვის ადგილის ადმინისტრაციისთვის.

ექსკლუზიური დავალება (sole agency) – დავალება, რომლის შესრულებაზე შუამავალს (მაკლერს) აქვს განსაკუთრებული უფლება, ანუ შემკვეთი ვალდებულია გარკვეული დროის განმავლობაში თავი შეიკავოს სხვა აგენტის გამოყენებისაგან.

ექსპედიცია (forwarding agency) – 1. რაიმეს გაგზავნა (მაგ. კორესპონდენციის, ტვირთის და ა.შ.);

2. გამგზავნი დაწესებულება ან დაწესებულების განყოფილება.

3. სამოქალაქო სამართალში გადაზიდვის ხელშეკრულება (ძირითადად ავტოტრანსპორტით), რომლის ძალითაც ერთი მხარე (ექსპედიტორი) იღებს ვალდებულებას მეორე მხარის (კლიენტის) ხარჯით მისი ან თავისი სახელით გააგზავნოს ან მიიღოს კლიენტის კუთვნილი ტვირთი, ხოლო კლიენტი ვალდებულია ჩაბაროს ტვირთი გასაგზავნად, მიიღოს და გადაუხადოს ექსპორტიორს გაწეული მომსახურებისათვის გასაწევლო, როგორც ფიზიკური (ჩატვირთვა, ჩამოტვირთვა, მარკირება, შენახვა და ა.შ.) ასევე იურიდიული მომსახურებისათვის (ტატრანსპორტო საბუთების გაფორმება, კლიენტის ინფორმირება ტვირთის შემოსვლის შესახებ, სხვაჯო ოპერაციები და სხვა).

ექსპერტი – სპეციალური ცოდნის მქონე პირი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დანიშნულია სასამართლო ექსპერტიზის წარმოებისა და დასკვნის მიცემისთვის.

ექსპერტის თანამდებობა სახელმწიფო სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებში შეიძლება დაიკავოს უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე მოქალაქემ და რომელმაც გაიარა შემდგომი მომზადება კონკრეტული საექსპერტო სპეციალობით, ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ექსპერტის პროფესიონალური მომზადების დონის განსაზღვრა და მათი ატესტაცია სასამართლო ექსპერტიზის დამოუკიდებელი წარმოების უფლებაზე ხორციელდება საექსპერტო-საკვალიფიკაციო კომისიების მიერ ნორმატიული სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით. ექსპერტის პროფესიული მომზადების დონე ექვემდებარება გადაბედვას აღნიშნული კომისიების მიერ ყოველ ხუთ წელიწადში.

ექსპერტს არ შეუძლია მონაწილეობის მიღება სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ ის: ა) წარმოადგენს დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს ან მოწმეს მოცემული სისხლის სამართლის საქმეზე; ბ) წარმოადგენს მოცემული სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების ნებისმიერ მონაწილეს, ახლო ნათესავს ან ნათესავს); გ) იყო ან იმყოფება სამსახურებრივ ან სხვა სახის დამოკიდებულებაში მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან; დ) თუ გამოვლინდება მისი არაკომპეტენტურობა.

ექსპერტი (expert) – 1. სპეციალისტი რომელიმე დარგში, რომელიც ატარებს ექსპერტიზას და იძლევა დასკვნას.

2. სამართალში – პირი, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა და რომელსაც ექსპერტიზის ჩატარებულად იწვევენ საგამომძიებლო ორგანოები ან სასამართლო ექსპერტიზის მოთხოვნის საფუძვლები და პირობები, ექსპერტის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია პროცესუალური კანონმდებლობით. ექსპერტს აქვს უფლება გაეცნოს საქმის მასალებს, გამომძიებლის (სასამართლოს) ნებართვით დაესწროს საგამომძიებლო (სასამართლო) მოქმედებების ჩატარებას, დაუსვას დაკითხ პირებს შეკითხვები და გააკეთოს დასკვნები. ექსპერტის კომპეტენცია არ ვრცელდება სისხლის ან სამოქალაქო საქმის იურიდიულ მხარეზე.

სამოქალაქო სამართალში ხშირად გამოიყენება ქონების საექსპერტო შეფასება, შეფასება ხდება საბალანსო ანგარიშის ან კომპანიის პროსპექტების მიხედვით პროფესიულად მომზადებული პირის მიერ, ექსპერტის პროფესიული კვალიფიკაცია აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს შესაფასებელი ქონების ტიპს. მაგალითად, ქონების შესაფასებლად საჭიროა კვალიფიციური საქონელმცოდნე, ხოლო აქციების შესაფასებლად – კვალიფიციური ბუღალტერი.

ექსპერტი – 1) საქონლის, სამუშაოების, მომსახურებების, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების, მათ შორის, მათზე განსაკუთრებული უფლებების საბაჟო ტერიტორიიდან საზღვარგარეთ გატანა უკან დაბრუნების შესახებ ვალდებულების გარეშე; 2) საბაჟო რეჟიმი, რომლის დროსაც საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ ბრუნვაში მყოფი საქონელი გადის ამ ტერიტორიიდან უკან დაბრუნების შესახებ ვალდებულების გარეშე.

ექსპერტის აშკარა ცრუ დასკვნა

განზრახ არასწორი, სინამდვილესთან შეუსაბამო დასკვნა ექსპერტიზის საგნის მასალების გამოკვლევის შედეგების მიხედვით.

ექსპერტის აცილება – სისხლის სამართლის საქმის წარმოებიდან ექსპერტიზის ჩამოცილება. სისხლის სამართლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეებისთვის დადგენილი ზოგადი საფუძვლების გარდა, ასევე არსებობს დამატებითი საფუძვლები, რომლებიც განპირობებულია ექსპერტის საპროცესო მდგომარეობის სპეციფიკით. ექსპერტის პირადმა (პირადპირმა ან ირიბმა) დაინტერესებამ საქმის დასრულებით შეიძლება გამოიწვიოს მისი ჩამოცილება პროცესში მონაწილეობისგან. ის ვლინდება იმაში, რომ ის საქმეში მონაწილეობდა რეციზორის სახით, აწარმოებდა ინვენტარიზაციას, სამსახურებრივ გამოძიებას, სააუდიტორო ან სხვაგვარ საუწყებო ან არასაუწყებო დოკუმენტურ შემოწმებას, რომლის მასალებიც გახდა საფუძველი სისხლის სამართლის საქმის აღძრისთვის. ექსპერტის მონაწილეობისთვის დაბრკოლებად შეიძლება იქცეს მისი სამსახურებრივი ან სხვა სახის დამოკიდებულება მხარეებსა თუ მათ წარმომადგენლებზე. ექსპერტი ასევე შეიძლება ჩამოშორებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეს, თუ ის ცნობილი იქნება არაკომპეტენტურად ე.ი. არ გააჩნია დასკვნის მისაცემად საჭირო სპეციალური ცოდნა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებაში მითითებულ საკითხებზე. ამასთან, ექსპერტი ვალდებულია შეადგინოს მოტივირებული წერილობითი ცნობა დასკვნის მიცემის შეუძლებლობის შესახებ და მოცემული ცნობა გაუგზავნოს იმ ორგანოს ან პირს, რომლებმაც დანიშნეს სასამართლო ექსპერტიზა, თუ დაყენებული საკითხები სცდება ექსპერტის სპეციალური ცოდნის ფარგლებს.

ექსპერტის დასკვნა წერილობითი სახით წარმოდგენილი კვლევისა და დასკვნის შინაარსი ექსპერტის წინაშე სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი პირის ან მხარეების მიერ დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტის ჩვენებები – ცნობები, მოცემული მის მიერ დაკითხვაზე, რომელიც ჩატარებულ იქნა მისი დასკვნის მიღების შემდეგ, მოცემული დასკვნის განმარტების ან დაზუსტების მიზნით,

ექსპორტი (export) – საზღვარგარეთ საქონლის გატანა, რომელიც გაყიდულია უცხოელ მყიდველზე და განკუთვნილია უცხოურ ბაზარზე გასაყიდად. ექსპორტს მიეკუთვნება აგრეთვე საქონლის გატანა მის სხვა ქვეყანაში გადასამუშავებლად, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტით გადაზიდვა, რომელიმე ქვეყნიდან ჩამოტანილი საქონლის მესამე ქვეყანაში გატანა (რეექსპორტი). ექსპორტის საგანი შეიძლება იყოს მომსახურებაც.

საბაჟანაო გადასახადის ტერმინებში საქონლის ექსპორტი შეიძლება განისაზღვროს როგორც ხილული ექსპორტი, ხოლო ისეთი მომსახურება, როგორიცაა საბანკო, სადაზღვეო ან ტურიზმი – უხილავი ექსპორტი. დიდი ბრიტანეთი, რომელიც სულ უფრო მეტს ხარჯავს იმპორტზე და ღებულობს სულ უფრო მცირე შემოსავალს ექსპორტიდან, თავისი საგარეო ვაჭრობის დასაბალანსებლად ეყრდნობა უხილავი ექსპორტის სფეროს.

ხშირად საქონლის საზღვარგარეთ გატანისთვის საჭიროა საექსპორტო ლიცენზია, ანუ ოფიციალური ნებართვა. დიდ ბრიტანეთში საექსპორტო ლიცენზია აუცილებელია მხოლოდ ხელოვნების ზოგიერთი ნამუშევრის, ანტიკვარიატის და ზოგიერთი სახეობის შეიარაღების გატანისას.

ექსპორტის სტიმულირებისთვის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობები მიმართავენ სხვადასხვა ხერხებს – დოტაციებს, დაკრედიტებას, გადასახადის შემცირებას და ა.შ. დღესდღეობით ევროკავშირი ასეთი ზომების წინააღმდეგ გამოდის.

საქონლის ექსპორტი წარმოადგენს საბაჟო რეჟიმს, რომლის დროსაც ნაციონალური ან ნაციონალიზირებული საქონელი გადის სახელმწიფოს საბაჟო ანუ ეკონომიკურ საზღვრებს გარეთ. ნაციონალური ეწოდება საქონელს დამზადებულს მოცემული სახელმწიფოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე, ხოლო ნაციონალიზირებული – იმპორტული საქონელი, რომელმაც გაიარა საბაჟო კონტროლი და ნებადართულია ამ სახელმწიფოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე მისი თავისუფალი გაყიდვა.

ექსპორტი – საქონლის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობათა გატანა საგარეო ბაზრობაზე სარეალიზაციოდ. უცხოური საქონლის გატანას ამა თუ იმ ქვეყნიდან სხვა სახელმწიფოში რეექსპორტი ეწოდება.

ექსპორტიორის რისკის გარანტია – საექსპორტო ოპერაციების მიხედვით ზარალისაგან დაზღვევის ნაირსახეობა (იმ შემთხვევაში, თუ იმპორტიორმა ვალდებულება არ შეასრულა). ასეთი გარანტიები ეძლევათ სპეციალიზებულ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს.

ექსპორტული (გატანითი) პრემია – ფინანსური შეღავათი, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები აძლევენ ექსპორტიორებს საზღვარგარეთ საქონლის გატანის გაფართოებისათვის. ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ინდუსტრიულ ქვეყნებში. გაწეული შრომის ანაზღაურება ხდება ფირმა-ექსპორტიორებისათვის ფულადი სუბსიდიების მიცემით უშუალოდ საქონლის ექსპორტის დროს ან მათი გადასახადებისაგან განთავისუფლების გზით.

ექსტერიტორიულობა – 1) სისხლის სამართლის საქმეებზე ადგილობრივი სასამართლოსადმი არაქვემდებარობა, რაც განპირობებულია იმ საფუძვლით, რომ შესაბამისი პირი (ან დაწესებულება) ითვლება თითქოსდა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფად, რომლის მოქალაქეობაც მას გააჩნია; 2) განსაკუთრებული უფლებებისა და პრივილეგიების ერთობლიობა, რომლებიც ეძლევა უცხოური სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლებს ან მათ თანამშრომლებს: პიროვნების, სამსახურებრივი შენობების, საცხოვრებელი სახლისა და საკუთრების ხელშეუხებლობა, გადასახადებისგან, საბაჟო დათვალიერებისგან განთავისუფლება და სხვ. დიპლომატიური იმუნიტეტის მოცულობა დადგენილია 1961 წ. ვენის კონვენციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობით.

ექსტრადიცია (ლათ. ex-გან,-იდან და traditio გადაცემა) – (სამართ.). უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა იმ პირისა, ვინც ამ სახელმწიფოს კანონები დაარღვია.

ექსტრემიზმი წარმოსდგება ლათინური ფუძის extremus-გან, რაც უკიდურესს ნიშნავს. თვითონ ტერმინი ფრანგული extremisme-ს შეესატყვისება. აღნიშნავს უკიდურესი ზომებისა და თვალსაზრისის აღიარებას (უმთავრესად პოლიტიკაში).

ექსტრემისტული მასალები – გამოქვეყნებისთვის გათვალისწინებული დოკუმენტები ან ინფორმაცია სხვა მატარებლებზე, რომლებიც შეიცავენ მოწოდებას ექსტრემისტული საქმიანობის განხორციელების თაობაზე ან ასაბუთებენ ან ამართლებენ ასეთი საქმიანობის აუცილებლობას, მათ შორისაა, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის, იტალიის ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელთა შრომები, რასობრივი უპირატესობის დამსაბუთებელი ან გამამართლებელი ან სამხედრო თუ სხვა სახის დანაშაულების ჩადენის პრაქტიკის გამამართლებელი პუბლიკაციები, რომლებიც მიმართულია რომელიმე ეთნიკური, სოციალური, რასობრივი, ეროვნული ან რელიგიური ჯგუფის სრულ ან ნაწილობრივ განადგურებაზე.

ექსტრემისტული ორგანიზაცია – საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანება ან სხვა ორგანიზაცია, რომელთა მიმართაც კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით, მიღებულია გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმიანობის ლიკვიდაციის ან აკრძალვის შესახებ, ექსტრემისტული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ექსტრემისტული საქმიანობა (ექსტრემიზმი) – საზოგადოებრივი და რელიგიური გაერთიანებების ან სხვა ორგანიზაციების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ან ფიზიკური პირების საქმიანობა იმ მოქმედებების დაგეგმვის, ორგანიზების, მომზადებისა და ჩადენის თაობაზე, რაც მიმართულია: ქვეყნის კონსტიტუციური წყობის საფუძვლების ძალისმიერ ცვლილებაზე და მთლიანობის დარღვევაზე; ქვეყნის უსაფრთხოების შერყევაზე; ხელისუფლების უფლებამოსილებების მიტაცებაზე ან მიკუთვნებაზე; უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნაზე; ტერორისტული საქმიანობის განხორციელებაზე; რასობრივი,

ეროვნული ან რელიგიური შუღლის, ასევე სოციალური შუღლის გაღვივებაზე, რაც უკავშირდება ძალადობას ან ძალადობისკენ მოწოდებას; ეროვნული ღირსების შელახვაზე; მასობრივი არეულობების, ხულიგნური მოქმედებების და ვანდალიზმის აქტების განხორციელებაზე იდეოლოგიური, პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული ან რელიგიური სიძულვილის ან მტრობის, ასევე სოციალური დაპირისპირების მოტივებით; ნაცისტური ატრიბუტიკის ან სიმბოლიკის დემონსტრირება და პროპაგანდა; აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისკენ საჯარო მოწოდებები; აღნიშნული საქმიანობის დაფინანსება ან მისი განხორციელებისთვის ხელშეწყობა, მათ შორის, ფინანსური საშუალებების, უძრავი ქონების, ხასწაული, პოლიგრაფიული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სატელეფონო, ფაქსიმილური და სხვა სახის კავშირის, საინფორმაციო მომსახურების, სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეთავაზების გზით.

ეჭვმიტანილი – სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილე; პირი, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც მიუთითებენ მის მონაწილეობას ამ ქმედებაში. მოცემული პირი შეიძლება განისაზღვროს გამომძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების ჩატარების დროს შესაბამისი მტკიცებულებების არსებობისას. ეჭვმიტანილს წარმოადგენს პირი, რომლის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან რომელიც დაკავებულია ან რომლის მიმართაც გამოყენებულია აღკვეთი ღონისძიება ბრალდების წინააღმდეგ.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს: ა) იცოდეს, თუ რაშია ის ეჭვმიტანილი და მიიღოს მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილების, ასევე, დაკავების ოქმის ან მის მიმართ აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შესახებ დადგენილების ასლები; ბ) მისცეს განმარტებები და ჩვენებები მის მიმართ არსებული ეჭვის თაობაზე ან უარი განაცხადოს განმარტებებისა და ჩვენებების მიცემაზე; გ) ისარგებლოს დაცველის დახმარებით; დ) წარმოადგინოს მტკიცებულებები; ე) წამოაყენოს შუამდგომლობები და აცილებები; ვ) მისცეს ჩვენებები და განმარტებები მშობლიურ ან იმ ენაზე, რომელსაც ფლობს; ზ) ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით უფასოდ; თ) გაეცნოს საგამოძიებო მოქმედების ოქმებს და წარმოადგინოს მასზე შენიშვნები; ი) გამომძიებლისა თუ მოკლეულის მწარმოებელი პირის ნებართვით მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებების წარმოებაში, რომელიც წარმოებს მისი, მისი დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით; კ) შეიტანოს საჩივარი სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ან მოკლეულის მწარმოებელი პირის მოქმედებებსა (უმოქმედობაზე) და გადაწყვეტილებებზე; ლ) დაიცვას თავი სხვა კანონით დაშვებული საშუალებებითა და ხერხებით.

ეჭვმიტანილი უფასოდ ითვლება მანამ, სანამ არ დამტკიცდება მისი ბრალეულობა კანონით, დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით.

ეჭვმიტანილის, ბრალდებულის შვილებზე, მათ კმაყოფაზე მყოფ პირებზე ზრუნვისა და მათი ქონების უზრუნველყოფის ზომები

– თუ დაკავებულ ან დაპატიმრებულ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს უმეთვალყურეოდ და დახმარების გარეშე დარჩა არასრულწლოვანი ბავშვები, სხვა ქმაყოფაზე მყოფი პირები და ასევე ხანდაზმული მშობლები, რომლებიც საჭიროებენ მოვლას, გამომძიებელი, მოკლეულის მწარმოებელი პირი იღებს მათი ახლო ნათესაებისთვის, ნათესაებისთვის ან შესაბამისი ბავშვთა თუ სოციალური დაწესებულებებისთვის გადაცემის ზომებს. გამომძიებელი, მოკლეულის მწარმოებელი პირი იღებს დაკავებული ან დაპატიმრებული ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ქონებისა და საცხოვრებელი შენობის უზრუნველყოფის ზომებს.

ეჭვმიტანილის დაკავება – თაეისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომელიც ხორციელდება მოკლეულის მწარმოებელი ორგანოს, მოკლეულის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის ან პროკურორის მიერ. აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ დააკავონ პირი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის სახით, რომლის გამოც შესაძლოა მოხდეს თაეისუფლების აღკვეთა შემდეგიდან ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას: ა) როცა ეს პირი აღმოჩენილია დანაშაულის ჩადენის დროს ან უშუალოდ მისი ჩადენის შემდეგ; ბ) როცა დაზარალებული ან თვითმხილველები მიუთითებენ მოცემულ პირზე როგორც დანაშაულის ჩამდენზე; გ) როცა ამ პირზე ან მის ტანსაცმელზე, მასთან ან მის საცხოვრებელში აღმოჩნდება დანაშაულის აჩარა კვალი. სხვა მონაცემების არსებობისას, რომლებიც ასევე იძლეიან საფუძველს პირი ეჭვმიტანილ იქნეს დანაშაულის ჩადენაში, ის შეიძლება იქნეს დაკავებული, თუ პირი ცდილობდა მიმალვას ან არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან დაუდგენელია მისი პიროვნება ან თუ პროკურორის, გამომძიებლის ან პროკურორის თანხმობით მოკლეულის მწარმოებელი პირის მიერ სასამართლოში გაგზავნილია შუამდგომლობა აღნიშნულ პირთან მიმართებაში აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების შესახებ.

პირი დაკავებულად ითვლება ფაქტიური დაკავების ე.ი. იმ მომენტიდან, როცა პირი დაკავებული ხდება ფიზიკური ძალადობის გამოყენებით ან ასეთის გამოყენების გარეშე და ჩამორთმეეა თაეისუფლება განაგოს საკუთარი თაეი. რაიდენადაც ფაქტიური დაკავება უნდა იყოს განპირობებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვის შეტანით და საპროცესო მოქმედებების განხორციელებით, ის უნდა დავუკავშიროთ ეჭვმიტანილის გამომძიებელთან (მოკლეულის მწარმოებელ პირთან) მიყვანას. სწორედ ამ დროიდან უნდა დაიწყოს დაკავების ვადის ათვლა.

ეჭვმიტანილის დაკავება საპროცესო იძულების ზომაა, რომელიც არ გამოიყენება ფაქტიური დაკავებიდან არაუმეტეს 48 სთ-ისა. დაკავება არ წარმოადგენს აღკვეთი ღონისძიებას. ის გამოიყენება ეჭვმიტანილთან მიმართებაში. ასევე დაშვებულია ძებნაში მყოფი ბრალდებული დაკავება მისი აღმოჩენის შემთხვევაში. დაკავების მიზანს წარმოადგენს: დანაშაულის ჩადენაში დაკავებულის მონაწილეობის ან არმონაწილეობის გარკვევა; აღკვეთი ღონისძიების – დაპატიმრების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა. დაკავების მოტივებს წარმოადგენს: გამოძიებისთვის თაეის არიდების შესაძლებლობა; დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა; გამოძიებისთვის ხელის შეშლის შესაძლებლობის თაეიდან აცილება.

ექვმიტანილის მოკლეულის ორგანოში, გამომძიებელთან, პროკურორთან ან მოსამართლესთან მიყვანის შემდეგ, არაუმეტეს 3 სთ-ისა უნდა იქნეს შედგენილი დაკავების ოქმი, რომელშიც კეთდება აღნიშვნა, რომ ექვმიტანილს განემარტა მისი უფლებები. ოქმში მითითებულია ოქმის შედგენის თარიღი და დრო, ექვმიტანილის დაკავების თარიღი, დრო, ადგილი, საფუძვლები და მოტივები, მისი პირადი ჩხრეკის შედეგები და დაკავების სხვა გარემოებები. დაკავების ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი პირი და ექვმიტანილი.

განხორციელებული დაკავების შესახებ მოკლეულის ორგანომ, მოკლეულის მწარმოებელმა პირმა თუ გამომძიებელმა პროკურორს ან მოსამართლეს უნდა აცნობონ წერილობითი სახით, ექვმიტანილის დაკავებიდან 12 სთ-ის განმავლობაში.

ექვმიტანილი უნდა დაკითხოს სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნების შესაბამისად. დაკითხვის დაწყებამდე ექვმიტანილს მისივე თხოვნით ახვედრებენ დამცველთან პირისპირ და კონფიდენციალურად. საჭიროების შემთხვევაში 2 სთ-ზე მეტი ხნით პაემნის ხანგრძლივობა შეიძლება შეიზღუდოს მოკლეულის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის მიერ საკადებულო წინასწარი შეტყობინებით ექვმიტანილისა და მისი დამცველისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში პაემნის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 2 სთ-ზე ნაკლები.

ექვმიტანილის ჩვენებები – მტკიცებულებების დამოუკიდებელი სახე დაცვის მხრიდან, რაც განპირობებულია ექვმიტანილის საპროცესო მდგომარეობის თავისებურებებით და მდგომარეობიდან, რომ ის ვალდებული არაა დამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ექვმიტანილის დაკითხვის მიზანია მის მიმართ არსებული ექვის შემოწმება და მონაცემების მიღება საფუძვლების არსებობის ან არარსებობის შესახებ ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე საკითხის გადასაწყვეტად. ექვმიტანილის ჩვენებების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი გარემოება, რომელიც შედის დამტკიცების საგანში და რომელსაც დამოკიდებულება გააჩნია განსახილველ მოვლენასთან (ურთიერთდამოკიდებულება პროცესის სხვა მონაწილეებთან, მოწმეებთან და ა.შ.). ექვმიტანილის ჩვენებები მტკიცებით მნიშვნელობას იძენენ მაშინ, როცა ისინი მიღებულია დაკითხვის უფლების მქონე პირის – მოკლეულის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიერ დაკითხვის ჩატარების გარკვეული წესის დაცვით, რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ექვმიტანილს ჩვენებების მიცემა შეუძლია, როგორც დაკითხვის დროს, ასევე დაპირისპირებისას, ადგილზე ჩვენებების შემოწმებისას და ა.შ.

ეზიბი 1) ერთ-ერთი მოხელე მეფის სასახლეში, მეკარე და მეფისთვის მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელი, ამირეჯიბის ხელქვეითი; 2) ქართულ საქორწილო ცერემონიალში ვაჟის მაყრების უფროსი, რომელიც მეფის (ნეფის) წარმომადგენელი იყო.

3

ვადიანი შრომის ხელშეკრულება

შრომის ხელშეკრულებაში შეთანხმება მუშაკსა და სამუშაოს მიმცემს შორის, რომელიც დადებულია გარკვეული ვადით. შრომის ხელშეკრულება ორი სახისაა: ა) განუსაზღვრელი ვადით დადებული; ბ) გარკვეული ვადით დადებული, მაგრამ არაუგეიანეს ხუთი წლისა, ეი. ვადიანი შრომის ხელშეკრულება.

ვადიანი შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც სამუშაოს მიმცემის, ასევე მუშაკის ინიციატივითაც შემდეგ შემთხვევებში: დროებით არმყოფი მუშაკის შესაცვლელად, რომელსაც კანონის შესაბამისად უნარჩუნდება სამუშაო ადგილი; დროებითი სამუშაოების, ასევე სეზონური სამუშაოების შესრულებისას, როცა სამუშაოების წარმოება ბუნებრიეი პირობების ძალით შესაძლებელია დროის გარკვეული პერიოდის (სეზონის) განმავლობაში; სასწრაფო სამუშაოების შესრულებისას უბედური შემთხვევების, ავარიების, კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების თავიდან აცილების მიზნით; სამუშაოების ჩასატარებლად, რომლებიც სცდება ორგანიზაციის ჩვეულებრივ საქმიანობას (რეკონსტრუქცია, სამონტაჟო და სხვა სამუშაოები); პირებთან მიმართებაში, რომლებიც სამუშაოდ მიდიან წინასწარვე გარკვეული დროით შექმნილ ორგანიზაციებში; გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად აყვანილ პირებთან დაკავშირებით, როცა მისი შესრულება შეიძლება განისაზღვროს კონკრეტული თარიღით; უშუალოდ მუშაკის სტაჟირებასთან და პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებული სამუშაოებისთვის; მოცემულ ორგანიზაციაში შეთავსებით მომუშაე პირებთან დაკავშირებით; მასობრივი ინფორმაციის, კინემატოგრაფიის ორგანიზაციების, თეატრების, თეატრალური და საკონცერტო ორგანიზაციების, ცირკის შემოქმედებით მუშაკებთან და ნაწარმოებების შექმნასა და/ან შესრულებაში მონაწილე პირებთან, პროფესიონალ სპორტსმენებთან მიმართებაში; სამეცნიერო, პედაგოგიურ და სხვა მუშაკებთან დაკავშირებით, რომლებმაც დაღეს შრომის ხელშეკრულება გარკვეული ვადით, კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი წესით ჩატარებული კონკურსის შედეგად; ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან, მოადგილეებთან და მთავარ ბუღალტრებთან დაკავშირებით, ორგანიზაციის საორგანიზაციო-სამართლებრივი და საკუთრების ფორმების მიუხედავად და ა.შ. იხ. ასევე შრომის ხელშეკრულების ვადა.

ვაკანსია – დაუკავებელი სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც თავისუფალია იმ პირის გადადგომის ან სიკვდილის შემდეგ, რომელსაც ის ეკავა. ვაკანტური სახელმწიფო თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს არჩევის, კონკურსების ჩატარების, ასევე დანიშვნისა და ჩარიცხვის გზით. მართვის მონარქიული ფორმის მქონე სახელმწიფოთა უმრავლესობაში სახელმწიფოს მეთაურის – მონარქის პოსტზე დანიშვნა ხდება მემკვიდრეობითი პრინციპის საფუძველზე.

ვალდებულება იურიდიული თვალსაზრისით, ვალდებულება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის ძალით, ერთი მხარე (მოვალე) ვალდებულია შეასრულოს მეორე მხარის (კრედიტორის)

სასარგებლოდ რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან. ხოლო კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს მისი მოვალეობის შესრულება. ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

ვალდებულება – სამოქალაქო სამართალში გარკვეული საფუძვლების ძალით წარმოქმნილი სამართალდამოკიდებულება, რომელიც აშუალედებს მატერიალური კეთილდღეობის სასაქონლო გადაადგილებას, რომელშიც ერთი პირი (მოვალე) მეორე პირის (კრედიტორის) მოთხოვნით ვალდებულია განახორციელოს მოქმედება მისთვის მატერიალური კეთილდღეობების შეთავაზების თაობაზე. ერთი პირი (მოვალე) ვალდებულია მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ განახორციელოს ისეთი მოქმედება, როგორიცაა: ქონების გადაცემა, სამუშაოს შესრულება, ფულის გადახდა და ა.შ. ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს მოვალისგან მოითხოვოს მისი ვალდებულების შესრულება.

ვალდებულებების ყველაზე ზოგად კლასიფიკაციას შეიძლება განვაკუთვნოთ მათი დაყოფა რეგულატორად და დამცავად. პირველი ჯგუფი მოიცავს ვალდებულებებს, რომლებიც იურიდიულად განაპირობებენ არაპირდაპირი ნორმალურად წარმოქმნილ ეკონომიკურ ურთიერთობებს (ყიდვა-გაყიდვის, სანარდო, გადაზიდვის, მომსახურების გაწევა და ა.შ.). ვალდებულებების მეორე ჯგუფში შედის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნებიან მაშინ, როცა მატერიალური კეთილდღეობების გადაადგილება და მათი განმტკიცება გარკვეულ პირებზე ამა თუ იმ რგოლში არის დარღვეული (მაგალითად, ვალდებულება მიყენებული ზარალიდან და დაუსაბუთებელი გამდიდრებიდან გამომდინარე). ყველა ვალდებულება იყოფა ორ ტიპად: სახელშეკრულებოდ და არასახელშეკრულებოდ. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოიქმნება დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო არასახელშეკრულებო თავისი საფუძვლების სახით გულისხმობს სხვა იურიდიულ ფაქტებს.

ვალდებულება გამოცხადების შესახებ – საპროცესო იძულების ერთ-ერთი ზომა. მას წარმოადგენს პირის წერილობითი ვალდებულება გამოცხადოს მოკლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის გამოძახებით ან სასამართლოში. საცხოვრებელი ადგილის ცვლილების შემთხვევაში პირი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს თანამდებობის პირს, რომლის წარმოებაშიც არის სისხლის სამართლის საქმე. პირი ამის შესახებ აცნობებს თანამდებობის პირს კავშირის შესაძლო სახებით შოცემული ვალდებულების წარმოქმნისთანავე.

ვალდებულება გამოცხადების შესახებ არ წარმოადგენს აღმკვეთ ღონისძიებას. გამოცხადების შესახებ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მიმართ შესაძლებელია აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება.

არასაპატიო მიზეზით გამოძახების შემდეგ გამოუცხადებლობის შემთხვევაში ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული და მოწმე ექვემდებარება იძულებით მიყვანას.

ვალდებულება მიყენებული ზიანიდან გამომდინარე (დელიქტური ვალდებულება) – არასახელშეკრულებო ვალდებულება, რომლის ძალითაც მოვალე (ზიანის მიმყენებელი ან პირი, რომელიც კანონში მითითებულია მოვალის სახით) ვალდებულია აანაზღაუროს კრედიტორის (დაზარალებულის) ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი უფლებებისადმი მიყენებული ზიანი კანონით დადგენილი წესით. მიყენებული ზიანიდან გამომდინარე ვალდებულება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ა) წარმოიქმნება დაზარალებულის ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევების შედეგად, რომლებიც ატარებენ აბსოლუტურ ხასიათს (საკუთრების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის უფლება); ბ) გააჩნია არასახელშეკრულებო ხასიათი, დაზარალებულის ზიანის მიმყენებელთან შესაძლო სახელშეკრულებო კავშირების არსებობის მიუხედავად; გ) დადგენილია ზიანის სრული ანაზღაურების პრინციპი (ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ზიანის მიყენება რეალურზე უფრო მეტად); დ) კანონით აღნიშნულ შემთხვევებში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება არა ზიანის მიმყენებელს, არამედ სხვა პირებს (მაგალითად, პირს, რომლის ინტერესითაც მოხდა ზიანის მიყენება).

მიყენებული ზიანიდან გამომდინარე ვალდებულების სუბიექტებს წარმოადგენენ კრედიტორი (დაზარალებული) და მოვალე (ზიანის მიმყენებელი, დელიკვენტი). შესაძლებელია პირთა შეცვლაც (სუროგაციის, მემკვიდრეობითი სამართალმემკვიდრეობის დროს), სიმრავლე ერთ ან ორიეე მხარეს (მომატებული საშიშროების წყაროს მფლობელები პასუხს აგებენ სოლიდარულად ზიანზე, რომელიც მიყენებულია ამ წყაროების ურთიერთქმედებით; ზიანის ერთობლიეად მიმყენებელი პირები პასუხს აგებენ სოლიდარულად; არასრულწლოენების მიერ ზიანის მიყენებისას მათი მშობლები პასუხს აგებენ წილობრივი წესით).

მიყენებული ზიანიდან გამომდინარე საგანს წარმოადგენს მოვალის მოქმედებები დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე. ასეთი ვალდებულების წარმოქმნის პირობებს (საფუძველს) წარმოადგენს: ა) სამართალდარღვევის (დელიქტის) შემადგენლობა; ბ) სხვა ფაქტები ვალდებულებების წარმოსაქმნელად, რომლებიც ჩნდებიან დელიქტის ნიშნების არარსებობისას. ნებისმიერ შემთხვევაში სავალდებულოა ზიანის არსებობა, რომელიც შეიძლება იყოს რეალური (ქონების განადგურება, დაზიანება, ზიანის მიყენება ჯანმრთელობისთვის და ა.შ.) ან გამოიხატოს კეთილდღეობის მიუღებლობაში ან მორალური ზიანის სახით.

სამართალდარღვევის შემადგენლობა ყალიბდება შემდეგი ელემენტებისგან: ა) ობიექტური მხარისგან მართლსაწინააღმდეგო ქმედება ე.ი. სხვისი სუბიექტური უფლების დარღვევა სათანადო უფლებამოსილების გარეშე, მიყენებული ზიანი, მათ შორის მიზეზობრივი კავშირი; ბ) სუბიექტური მხარისგან (ბრალი), სამოქალაქო სამართალში მოქმედებს ზიანის მიმყენებლის უდანაშაულობის პრეზუმფცია. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ვალდებულებების წარმოქმნა ბრალის არარსებობისაც (სამთალდარღვევის შეკეე-

ცილი შემადგენლობა). დაზარალებულის ბრალეულობა გათვალისწინებული ხდება შემდეგნაირად: ა) უბრალო გაუფრთხილებლობა არ ხდება ჯურადღების ქვეშ; ბ) განზრახვა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურებას; გ) უხეში გაუფრთხილებლობა იწვევს ანაზღაურების ოდენობის შემცირებას, თუ მოვალე პასუხს აგებს ბრალის არსებობისას ან დ) სასამართლოს უფლება აქვს უარი თქვას ანაზღაურებაზე, თუ მოვალე პასუხს აგებს უდანაშაულოდ; თუმცა, თუ ზიანი მიადგა ჯანმრთელობას, დასაშვებია მხოლოდ ანაზღაურების შემცირება.

ზიანის მიყენებიდან გამომდინარე შეიძლება წარმოიქმნას ვალდებულება სამართალდარღვევის (დელიქტის) არარსებობის დროს. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება, მაგალითად, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანიდან გამომდინარე ვალდებულება, ზიანის ანაზღაურების დაკისრება იმ პირებზე, რომლებიც კანონის ძალით არ წარმოადგენდნენ მოვალეებს ზიანის მიყენებიდან გამომდინარე ვალდებულებაში. ასე, მაგალითად, თუ პასუხისმგებელი მშობლები (მეურვეები) 14 წლამდე ასაკის პირის მიერ მიყენებული ზარალის დროს გარდაიცვალნენ ან არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო თავად ზიანის მიმყენებელი გახდა სრულიად ქმედუნარიანი და გააჩნია ასეთი სახსრები, სასამართლოს უფლება აქვს ზიანის ანაზღაურება დააკისროს ზიანის მიმყენებელს.

ვალდებულებები არასრულწლოვანი პირების მიერ მიყენებული ზიანის მიყენებიდან გამომდინარე – ერთ-ერთი სპეციალური დელიქტი, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ა) თუ ზიანის მიმყენებელს წარმოადგენს 14 წლამდე (მცირეწლოვანი) ფიზიკური პირი, არასრულწლოვანი პირების მიერ მიყენებული ზიანის მიყენებიდან გამომდინარე ვალდებულებებში მოვალეებს წარმოადგენენ მშობლები. ამასთან, მშობლები პასუხს აგებენ თავიანთ ქმედებებზე და პასუხისმგებლობისგან თაეისუფლდებიან იმ პირობით, თუ დაამტკიცებენ, რომ ზიანი მათი დანაშაულით არ წარმოიქმნება. დანაშაული ფართოდაა გაგებული და მოიცავს ბრალს ზედამხედველობის განუხორციელებლობაში, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში აღზრდის მიმართ, მშობლის უფლებებისა და ვალდებულებების არასათანადო გამოყენებაში. ანალოგიურად პასუხს აგებენ აღმზრდელობითი და სამკურნალო დაწესებულებები, რომლებიც წარმოადგენენ მცირეწლოვანის მეურვეებს. მშობლის უფლებაჩამორთმეული მშობლები პასუხს აგებენ სამი წლის განმავლობაში. პირიქით, აღმზრდელობითი დაწესებულებები, ძიძები და ამგვარი პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ მეურვეებს პასუხს აგებენ, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზედამხედველობისას ზიანი არ წარმოქმნილა მათი ბრალით; ბ) თუ ზიანის მიმყენებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი 14-დან 18 წლამდე, ვალდებულებაში მოვალედ გამოდის თავად არასრულწლოვანი და სუბსიდიარულად (საკუთარი სახსრების არასაკმარისობის შემთხვევაში) – მისი მშობლები.

ვალდებულებები გარშემომყოფთათვის მოპატებული საშიშროების შემქმნელი საქმიანობით მიყენებული ზარალიდან (მომატებული საშიშროების წყარო) გამომდინარე – სპეციალური დელიქტი, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) ხდება ზარალის მიყენება მომატებული საშიშროების წყაროს მიერ, რომელიც ორგვარად აღიქმება, როგორც საქმიანობა, რომელიც ქმნის მომატებულ საშიშროებას გარშემო მყოფთათვის (საქმიანობის თეორია), რამდენადაც შეუძლებელია მასზე სრული კონტროლი ან როგორც თავად საგნებია იმგვარი, რომელთაც გააჩნიათ საშიში თვისებები (ობიექტის თეორია). ასეთ ობიექტებს განეკუთვნება ფიზიკური (მექანიკური, ელექტრული, სითბური), ფიზიკურ-ქიმიური (რადიოაქტიური), ქიმიური (მომწამველები, ფეთქებადსაშიში, ხანძარსაშიში), ბიოლოგიური (ზოოლოგიური, მიკრობიოლოგიური) პროცესები (ნივთიერებები, საგნები და ა.შ.); 2) მოვალეს მიეცემა ვალდებულებებში წარმოადგენს მომატებული საშიშროების წყაროს მფლობელი, რომელსაც: ა) გააჩნია ნივთიერი ან სავალდებულო უფლება მოცემულ საგანზე (იურიდიული ნიშანი) და ბ) ახორციელებენ ფაქტიურ ბატონობას ამ საგანზე, მის ექსპლუატაციას (მატერიალური ნიშანი). პირი, რომელიც უშუალოდ მართავდა მომატებული საშიშროების საგანს შრომითი (სამსახურებრივი) ვალდებულებების ძალით, ვალდებულებაში მოვალეს არ წარმოადგენს და შეიძლება პასუხს აგებდეს მხოლოდ რეგრესის წესით (მაგალითად, შრომის სამართლის მიხედვით) იმ შემთხვევების გარდა, როცა პირი მოცემულ საგანს დაეუფლა თვითნებურად. ფაქტიური ფლობიდან უკანონო ამოვარდნას ადექტურებს მომატებული საშიშროების წყაროს მფლობელი. ამ შემთხვევაში, კანონიერი მფლობელი იქნება მოვალე მაშინ, როცა დამტკიცებულია საშიში საგნის არასათანადო შენახვა (დაცვა), რაც გახდა მისი ამოვარდნის მიზეზი. თუ საგნის მფლობელი რამდენიმეა, მოვალეს წარმოადგენს ის, რომელსაც ზიანის მიყენების მომენტისთვის გააჩნდა აბსოლუტური ბატონობა; 3) ზიანის ანაზღაურება ხდება მოვალის დანაშაულის მიუხედავად. თუ ზიანი მიყენებულია მომატებული საშიშროების რამდენიმე წყაროს მოქმედების შედეგად, მათი მფლობელები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მომხდარში თითოეულის ბრალეულობის მიუხედავად. პირიქით, თუ ზიანი მიყენებულია მფლობელებისთვის, მისი ანაზღაურება ხდება დამნაშავის მიერ. თუ, ამასთან იყო დაზარალებულის ბრალეულობა, ამასთან, შემთხვევის ორი მონაწილის ბრალეულობის არარსებობისას, ზიანის ანაზღაურება არ ხდება; ორივე მონაწილის ბრალეულობის არსებობისას ანაზღაურება ხდება ბრალის თანაბარზომიერების მიხედვით; 4) შეიძლება შეიცვალოს ზიანის მიყენების მოცულობა, თუ დამტკიცდება: ა) დაუძლეველი ძალის და დაზარალებულის განზრახვის (თვითმკლელობა) არსებობა, რაც უპირობოდ ანთავისუფლებს ზიანის მიმყენებელს ანაზღაურების ვალდებულებისგან; ბ) დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობის არსებობა, თუ ამასთან არ არსებობს მომატებული საშიშროების წყაროს მფლობელის ბრალეულობა, რაც ანთავისუფლებს მას ანაზღაურების ვალდებულებისგან, იმ შემთხვევების გარდა, როცა ზიანი მიყენებულია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის; გ) ზიანის მიმყენებელი მოქალაქის არახელსაყრელი ქონებრივი მდგომარეობის არსებობა, რომელიც მოქმედებს ბრალეულობის გარეშე.

რაც შეიძლება გახდეს საფუძველი ზიანის ანაზღაურების ოდენობის შესამცირებლად

ვალდებულებების მიხედვით პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევის ხელშეკრულება სხვა პირთა სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან ქონებისთვის ზიანის მიყენების შედეგად – სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ნაირსახეობა (იხ. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება). დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს იმ პირის პასუხისმგებლობის რისკი სხვა პირთა სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან ქონებისთვის ზიანის მიყენების შედეგად, რომელსაც შეიძლება დაეკისროს ასეთი პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაზღვევა იკრძალება კანონით. პირი, რომლის პასუხისმგებლობის რისკიც დაზღვეულია ზიანის მიყენებაზე, უნდა იყოს დასახელებული დაზღვევის ხელშეკრულებაში. თუ ეს პირი არაა დასახელებული ხელშეკრულებაში, დაზღვეულად ითვლება თავად დამზღვევის პასუხისმგებლობის რისკი. შესაძლებელია მასში ოთხი სუბიექტის დამზღვევის, მზღვეველის, დაზღვეული პირისა და სარგებლის შემძენის მონაწილეობა. ხელშეკრულების პირობების მიუხედავად სარგებლის შემძენს ყოველთვის წარმოადგენს პირი, რომელსაც მიადგა ზიანი.

სადაზღვეო შემთხვევის წარმოქმნისას სარგებლის შემძენი მოთხოვნებს უყენებს დამზღვევეს, რომელიც საქმეში მონაწილეობისთვის იხმობს მზღვეველს. იმ შემთხვევებში, როცა დაზღვევის ხელშეკრულების დადება სავალდებულოა კანონის ძალით, სარგებლის შემძენს უფლება აქვს მოსთხოვოს მზღვეველს ზიანის ანაზღაურება.

ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა – სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს სპეციალური ღონისძიებების (ხერხების) ერთობლიობას, რომლებიც საკმარისად ახდენენ ძირითადი მოვალეობის შესრულებას და მოვალეს აქუხებენ შესაბამისი ქცევისკენ. ვალდებულებების ხერხები განისაზღვრება კანონით ან დგინდება მხარეთა შეთანხმებით. ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ხერხები დგინდება კრედიტორის ინტერესებში. თუმცა კი, ყველა ეს ხერხი როდი განკუთვნება სანქციებს, მაგრამ ყველა მათგანი პირდაპირ ან ირიბად ქმნის დამატებით ტვირთს მოვალისთვის. მხარეების მიერ შერჩეული ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ხერხი წერილობით უნდა იყოს დაფიქსირებული ან თავად ვალდებულებაში, რომლის უზრუნველყოფაზეც ისაა მიმართული ან დამატებით (ან სპეციალურ) შეთანხმებაში. ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ყველა ხერხი ატარებს სავალდებულო-სამართლებრივ ხასიათს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ვალდებულების შესრულებას, რომელიც გახდა მათი დადგენის საფუძველი.

ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო სამართლის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს და აწესრიგებს ვალდებულების წარმოშობასა და შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ვალი – ერთი პირის (მოვალის) ვალდებულება განახორციელოს გარკვეული მოქმედება (ან თავი შეიკავოს მის განხორციელებაზე) მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ.

ვალუტა (იტალ. valuta – ღირებულება) – 1. ქვეყნის ფულადი ერთეული და მისი ტიპი (ოქროს, ვერცხლის, ქაღალდის);

2. უცხო ქვეყნის ფულადი ნიშნები, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.

3. ეროვნული სათელური ერთეულები და გადასახდელი საშუალებები. ამჟამად ქვეყნების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ფულადი სისტემა, რომელიც ემყარება ქაღალდის ფულს, ანუ ქაღალდის ვალუტას. ქაღალდის ფული ცვლის ოქროს ბრუნვას და გადახდის სფეროში ოქრო კვლავ აგრძელებს ერთიანი ექვივალენტის როლის შესრულებას.

გამოყენების რეჟიმის მიხედვით ვალუტა იყოფა კონვერტირებად (ბრუნვად) ვალუტად, რომელიც თავისუფლად იცვლება სხვა უცხოურ ვალუტაზე (მაგ. აშშ-ს დოლარი, გერმანული მარკა, ფრანგული ფრანკი და ა.შ.); ნაწილობრივ კონვერტირებად ვალუტად, რომლის ბრუნვა წარმოებს ცალკეულ ოპერაციებში ან პირთა შეზღუდული წრის მიერ, არაკონვერტირებად ანუ ჩაკეტილ ვალუტად, რომელიც ფუნქციონირებს ერთი ქვეყნის ფარგლებში.

სრულიად კონვერტირებადი ვალუტა არის ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობაში პრაქტიკულად არ არსებობს სავალუტო შეზღუდვები. ეს ვალუტები იცვლება სხვა ნებისმიერ ვალუტაზე სპეციალური ნებართვის გარეშე – მათ მიეკუთვნება აშშ-ს დოლარი, კანადის დოლარი, ევროკავშირის ქვეყნების ვალუტები, შვეიცარიის, იაპონიის, შვეციის და სხვა ვალუტები. ამგვარი ვალუტები (განსაკუთრებით აშშ-ს დოლარი) გამოიყენება სავალუტო რეზერვების შექმნისათვის.

ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტა არის ქვეყნებში, სადაც შემორჩენილია სავალუტო შეზღუდვები განსაზღვრული სავალუტო ოპერაციების შესრულებაზე, განსაკუთრებით რეზიდენტების მიმართ.

არაკონვერტირებადი ვალუტა არის ქვეყნებში, რომლებშიც მოქმედებს მრავალი შეზღუდვა და აკრძალვა როგორც რეზიდენტების ისე არარეზიდენტების მიმართ. ეს აკრძალვები ვრცელდება ეროვნული და უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გატანაზე და შემოტანაზე, ყიდვა-გაყიდვაზე, გაცვლაზე, გამოიყენება მრავალმაგი სავალუტო კურსები და სავალუტო რეგულირების სხვა საშუალებები.

ბოლო წლებში მრავალ ქვეყანაში იგრძნობა ტენდენცია სავალუტო კონტროლის თანდათანობითი სრული გაუქმებისა. დიდმა ბრიტანეთმა გააუქმა სავალუტო კონტროლის ყველა ფორმა 1979 წელს. მიუხედავად ამისა ინგლისის ბანკმა შეინარჩუნა 1932 წელს გახსნილი „სავალუტო კურსის გათანაბრების ანგარიში" (exchange equalizatiob account). ინგლისის ბანკი ითვალისწინებს დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ ოქროს მარაგს და ვალუტის ყიდვის დროს იყენებს ამ ფონდს გირვანქა სტერლინგის კურსის სტაბილიზაციისთვის.

ვალუტა – ტერმინი, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ ემიტირებულ ფულთან მიმართებაში. სიტყვის ვიწრო გაგებით

– ესაა უცხოური სახელმწიფოების ფულადი ნიშნები, რომლებიც არის მიმოქცევაში. გეხვდება ამ ტერმინის უფრო ფართო გაგებაც, როცა მისი მეშვეობით აღინიშნება არა მხოლოდ ფულადი ნიშნები, არამედ ყველა ფულადი დოკუმენტი და ქონება, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ვალუტით ანგარიშსწორებისთვის. ამ შემთხვევაში ვალუტის ცნებაში ხდება სავალუტო ფასეულობების ჩართვა.

ვალუტის კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა საფუძვლით. სახელმწიფო-ეშიტენტის მიხედვით გამოიყოფა ეროვნული და უცხოური ვალუტა, ხოლო სამართლებრივი შეზღუდვების არსებობა ან არარსებობა უცხოური ვალუტის ეროვნული ვალუტით შესყიდვაზე ახდენს ამ უკანასკნელის, როგორც თავისუფლად კონვერტირებადი ან შეზღუდულად კონვერტირებადი ვალუტის კლასიფიკაციას.

ვალუტის თავისებურ სახეს წარმოადგენს კოლექტიური ვალუტა. თავიდან ეს იყო საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე შემოღებული პირობითი ფულის ერთეული, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს CDP (გადმტანილია რუსული კალკირებით – (პირობითი ფულის ერთეული, რომელიც გამოიყენება მსფ – (მსოფლიოს საერთაშორისო ფინანსურ ანგარიშსწორებაში) და ეკიუ (გამოიყენებოდა ეე ქვეყნებს შორის ანგარიშსწორებისას, ევროპის სავალუტო სისტემის (ესს) ჩარჩოებში – პირობითი ფულის ერთეული). არც CDP, არც ეკიუ არ იყო რომელიმე სახელმწიფოს ეროვნული ვალუტა და ისინი არ ცვლიდნენ ეროვნულ ვალუტას. ეკიუ თავისი არსებობა შეწყვიტა 01.01.1999 წლიდან, გაერთიანებულ ევროპაში ახალი ტიპის კოლექტიური ვალუტის – ევროს გამოჩენასთან ერთად.

ვალუტისა და სავალუტო ფასეულობების უნარი მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ანგარიშსწორებაში, გაელენა მოახდინოს ქვეყნის ფინანსური მდგომარეობისა და საგარეო ვაჭრობის მდგომარეობაზე, თანამედროვე მსოფლიოში სავალუტო ურთიერთობების რეგულირებას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამას უკავშირდება ფართო სახელმწიფო ჩარევა ვალუტით ოპერაციების რეგულირებაში, რომელიც ხორციელდება იურიდიული და ეკონომიკური ღონისძიებების მეშვეობით.

ვანდალიზმი – საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც გამოიხატება შენობებისა და ნაგებობების დამახინჯებასა და წაბილწვაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ საზოგადოებრივ ადგილებში ქონების დაზიანებაში. ვანდალიზმს შეიძლება განვაკუთვნოთ: უხამსი გამოსახულებებისა და წარწერების შესრულება, ამორალური შინაარსის პლაკატების, რეპროდუქციის, ფოტოების გაკვრა, ისტორიისა და კულტურის ძეგლების საღებაეებით, ნავთობპროდუქტებით მოთხუპნა, დაზიანება და დამახინჯება. წაბილწვა შეიძლება ასევე მდგომარეობდეს საყოველთაოდ მიღებული სულიერი და ისტორიული ფასეულობების შეურაცხყოფაში (ფაშისტური სიმბოლიკის ან ნაცისტური ლოზუნგების განთავსება ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ ადგილებში; მორწმუნეთა გრძნობის შეურაცხმყოფელი წარწერებისა და გამოსახულებების გამოხატვა საკულტო შენობებსა და ნაგებობებზე და ა.შ.). დანაშაულის შემადგენლობას არ წარმოქმნიან წარწერების, ნახატებისა და სხვ. გამოსახულებების შესრულება, რომლებიც არ შეურაცხყოფენ საზოგადოებრივ ზნეობრიობას (კომერციული რეკლამა, საინფორმაციო შეტყობინებები, პოლიტიკური ან რელიგიური პროპაგანდა, ნახატები და წარწერები, რომელთაც არა აქვთ ამორალური შინაარსი და ა.შ.). ასევე დანაშაულის შემადგენლობას არ შეადგენს ისეთი გამოსახულებებისა და წარწერების გამოხატვა, რომლებიც თუმცა კი არღვევენ მორალის ნორმებს, მაგრამ ყოველივე გათვალილი არაა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ რეაქციაზე (ადეილად მოშორებადი ცალკეული უცენზურო სიტყვების დაწერა, უზნეო გამოსახულებების განლაგება ნაკლებად მისაწვდომ ან არახალხმრავალ ადგილებში). ამ შემთხვევებში ჩადენილის ხასიათის მიხედვით, შეიძლება დადგეს მატერიალური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ქონების დაზიანება მდგომარეობს მის სრულ ან ნაწილობრივ გამოუსადეგარ ქცევაში. დაზიანების ხერხები შეიძლება იყოს სხვადასხვა: მექანიკური დაზიანება, საღებაეი ან წებოვანი ნივთიერებებით დაფარვა და ა.შ.

ვარანტი (warrant) – 1. გარანტია, თავდებობა; მოწმობა, რომელიც უფლებას აძლევს მის მფლობელს შეიძინოს ფასიანი ქაღალდები დადგენილი ფასით განსაზღვრული ან განუსაზღვრელი დროის პერიოდის განმაელობაში. ზოგჯერ ასეთი მოწმობა გაიცემა ფასიან ქაღალდებთან ერთად მათი ყიდვის სტიმულირებისათვის მაგ. ვარანტი იძლევა რომელიმე კომპანიის ჩვეულებრივი აქციების ფიქსირებული რაოდენობის შეძენის უფლებას განსაზღვრული ფასით განსაზღვრულ პერიოდში. ამ შემთხვეევაში ვარანტი არ იძლევა არც კომპანიის მართვაში ხმის უფლებას, არც დივიდენდების მიღების უფლებას, მაგრამ აქციების კურსის გაზრდის შემთხვევაში მოგება უფრო მეტი გამოდის, ვიდრე აქციების ჩვეულებრივი (უვარანტო) შეძენის დროს. ვარანტის გამომშეები კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში ვარანტის მფლობელს არა აქვს სარჩელის უფლება. ვარანტების გამოშვება და გაყიდვა ხდება საფონდო ბირჟაზე. ბოლო დროს ვარანტი საკმაოდ პოპულარული გახდა იმასთან დაკავშირებით, რომ ვარანტის გამომშვებ კომპანიებს უფლება აქვთ არ ჩართონ ისინი ბალანსში.

2. საბუთი (მოწმობა), რომელსაც გასცემს სასაქონლო საწყობი იმის დასტურად, რომ ფიქსირებული და სათანადოდ დამოწმებული რაოდენობისა და ხარისხის საქონელი მიღებულია შესანახად. ვარანტის წარდგენისას საწყობი ვალდებულია გასცეს საქონელი. ვარანტი შედგება ორი ნაწილისაგან: სასაწყობო მოწმობისა და საგირავნო მოწმობისაგან. პირველი საჭიროა საქონლის გაყიდვისას საკუთრების უფლების გადასაცემად, ხოლო მეორე შესანახად მიბარებული საქონლის საგირავნებლად კრედიტის მიღების ან სხვა ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით ისე, რომ საქონელი საწყობიდან არ იყოს გატანილი.

ვახტანგ VI სამართალი კანონთა კრებული, რომელიც XVIII საუკუნეში ბატონიშვილის (ვახტანგ VI) ინიციატივით შექმნილმა კომისიამ შეადგინა. კრებულში შეტანილი იქნა: ა) სამართალი მოსესი; ბ) სამართალი ბერძნული; გ) სამართალი სომხური; დ) სამართალი კათალიკოსთა; ე) სამართალი მეფის გიორგისა; ვ) სამართალი აღაბუღაში. კრებულში შე-

ეიდა, აგრეთვე, სამართალი ბატონიშვილის გიორგისა, რომელიც თვითონ ვახტანგ VI შეადგინა „დარბაზის ერთა, ჭაკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთა“ მონაწილეობით. ვახტანგ VI სამართლის წიგნი 270 მუხლს შეიცავს, დაყოფილია კარებად და პარაგრაფებად. წიგნში წარმოდგენილია სისხლის სამართლის, საოჯახო სამართლის, სასამართლო წყობილების, სამართალწარმოების, სამართლის სხვა დარგების საკითხები. ბევრი მათგანი პროგრესული და ცივილიზებული პოზიციებიდანაა მოწესრიგებული, ბევრსაც დაბალი, მოძველებული აზროვნების კვალი აჩნევია და ემსახურება ბატონყმური ურთიერთობის განმტკიცებას.

ვენერიული დაავადებით დასნებოვნება – ამ დაავადების გადაცემა პირის მიერ, რომელმაც იცის საკუთარი დაავადების არსებობის შესახებ ნებისმიერი მოქმედების განზორციელების გზით, რომლებიც იწვევენ დასნეულებას; სქესობრივი აქტის ჩატარება, კოცნა, საკვების მიღება ერთი ჭურჭლიდან, სხვა პიგიენის წესების დაუცველობა ვენერიული დაავადების მჭონე პირის მიერ.

ვერდიქტი – გადაწყვეტილება განსასჯელის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ, რომელიც გამოტანილია ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის მიერ.

ნაფიც მსაჯულთა წინაშე დგას სამი საკითხი: ა) დამტკიცდა თუ არა, რომ ქმედებას ჰქონდა ადგილი; ბ) დამტკიცდა თუ არა, რომ ეს ქმედება ჩაიდინა განსასჯელმა; გ) არის თუ არა დამნაშავე განსასჯელი ამ ქმედების ჩადენაში.

ნაფიცი მსაჯულები მათ წინაშე დასმული საკითხების განხილვისას უნდა ისწრაფოდნენ მიიღონ ერთსულოვანი გადაწყვეტილება. თუ ნაფიცმა მსაჯულებმა სამი საათის მანძილზე განხილვისას ვერ მიაღწიეს ერთსულოვნებას, გადაწყვეტილების მიღება ხდება კენჭისყრით.

საბრალდებო ვერდიქტი ითვლება მიღებულად, თუ სამი საკითხიდან თითოეულზე დადებითი პასუხისთვის ხმა მისცა ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობამ.

საბრალდებო ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში ხდება განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული გარემოებების კვლევა, მისთვის სასჯელის გამოტანა, სამოქალაქო სარჩელისა და სხვა საკითხების გადაწყვეტა, რაც სასამართლოს მიერ წყდება საბრალდებო განაჩენის გამოტანისას.

გამამართლებელი ვერდიქტი ითვლება მიღებულად, თუ ძირითადი საკითხების კითხვათა ფურცელში თითოეულზე უარყოფითი პასუხისთვის ხმა მისცა არანაკლებ ექვსმა ნაფიცმა მსაჯულმა. თუ ხმები თანბარად დაიყო, მიიღება განსასჯელისთვის შედარებით ყველაზე ხელსაყრელი პასუხი.

პასუხები ყველა საკითხებზე განისაზღვრება ნაფიც მსაჯულთა ხმების უბრალო უმრავლესობით. პასუხები ნაფიც მსაჯულთა წინაშე დასმულ საკითხებზე უნდა წარმოადგენდეს მტკიცებას ან უარყოფას სავალდებულო განმარტებით სიტყვათა შეთანხმებით, რომელიც ხსნის ან აზუსტებს პასუხის არსს (“დიახ, დამნაშავეა“, „არა, დამნაშავე არაა“ და ა.შ.).

პასუხები საკითხებზე კითხვათა ფურცელში შეაქვს ნაფიც მსაჯულთა მამასახლისს, შესაბამისი კითხვის შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუ პასუხი წინა კითხვაზე გამორიცხავს შემდგომ კითხვაზე პასუხის გაცემის საჭიროებას, მამასახლისი ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობის თანხმობით ამის შემდგომ წერს სიტყვას „პასუხის გარეშე“.

თუ პასუხი კითხვაზე მიიღება კენჭისყრით, მამასახლისი ამის შემდეგ მიუთითებს ხმათა დათვლის შედეგს. კითხვათა ფურცელს, მასში შეტანილი პასუხებით დასმულ საკითხებზე, ხელს აწერს მამასახლისი. კითხვათა ფურცლის ხელმოწერის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში.

ნაფიც მსაჯულთა მამასახლისი თავმჯდომარეს გადასცემს კითხვათა ფურცელს მასში შეტანილი პასუხებით. შენიშვნების არარსებობისას თავმჯდომარე კითხვათა ფურცელს უბრუნებს ნაფიც მსაჯულთა მამასახლისს გამოცხადებისთვის. თუ ვერდიქტი გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივია, თავმჯდომარე მიუთითებს მის ბუნდოვანებას ან ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის წინააღმდეგობრიობას და მათ სთავაზობს დაბრუნდნენ სათათბირო ოთახში კითხვათა ფურცელში დაზუსტებების შესატანად.

თავმჯდომარეს უფლება აქვს მხარეთა აზრების მოსმენის შემდეგ კითხვათა ფურცელში შეიტანოს დამატებითი საკითხები. მოისმენს რა თავმჯდომარის მოკლე შესავალ სიტყვას კითხვათა ფურცელში ცვლილებების თაობაზე ნაფიც მსაჯულთა კოლეგია ბრუნდება სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად.

ნაფიც მსაჯულთა მამასახლისი აცხადებს ვერდიქტს კითხულობს რა კითხვათა ფურცლიდან სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებსა და მათზე ნაფიც მსაჯულთა პასუხებს. გამოცხადებული ვერდიქტი გადაეცემა თავმჯდომარეს სისხლის სამართლის საქმის მასალებზე დართვისთვის.

ვეტერინარული წესების დარღვევა – საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ხასიათდება ქვეყნის ტერიტორიაზე ავადმყოფი ცხოველების ან ხორცპროდუქტების შემოტანით ან გატანით, შენახვით, ბიოლოგიური ნარჩენების უტილიზაციით (განადგურებით), ასევე საკარანტინო ვადების დაუცველობით, ცხოველთა დაავადებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაფარვით, თუ ამ ქმედებებმა გამოიწვიეს ეპიზოოტიის გაურცელება ან სხვა მძიმე შედეგები.

ვეტო სახელმწიფოს მეთაურის კონსტიტუციური უფლება არ მიიღოს პარლამენტის მიერ შოწონებული კანონები და დაუბრუნოს ისინი პარლამენტში დამუშავებისთვის, შენიშვნებთან ერთად. ეს უფლება თავისი არსით წარმოადგენს ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების ურთიერთკმედების ინსტრუმენტს „თავის შეკავებისა და წინააღმდეგობის“ სისტემაში, რომელიც ახდენს ხელისუფლების გამოყენის პრინციპის რეალიზაციას. ეს უფლება პრეზიდენტს აძლევს საშუალებას აქტიურად ჩაერიოს საკანონმდებლო ხელისუფლების სფეროში და აკონტროლოს კანონების გამოსვლა საკანონმდებლო ორგანოს კედლებიდან.

საკონსტიტუციო სამართლის მეცნიერებაში ვეტოს უფლება იყოფა აბსოლუტურად და ფარდობითად. აბსოლუტური ვეტო ნიშნავს სახელმწიფოს მეთაურის

საბოლოო უარს კანონპროექტის მოწონებაზე. ის არ შეიძლება იქნეს დაძლეული პარლამენტის მიერ. აბსოლუტური ვეტო ახასიათებს იმ სახელმწიფოთა კონსტიტუციურ მოწყობას, სადაც შენარჩუნებულია მონარქიის ელემენტები (დიდი ბრიტანეთი, ბელგია), ფარდობითი ვეტო ატარებს დროებით ხასიათს და გულისხმობს კანონპროექტის მიღებას აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მიერ, პარლამენტში მისი დამუშავების შემდეგ.

ვექსილი (გერმ. Wechsel) – სათანადოდ გაფორმებული საველო ხელწერილი, რომელიც შეიცავს ვალდებულებას გადაიხადოს გარკვეული თანხა დათქმულ ვადაში; თამასუქი.

ვინდიკაციური სარჩელი – იხ. ქონებრივ-სამართლებრივი სარჩელი.

ვოტუმი წარმომადგენლობითი ორგანოს ან ამომრჩეველთა კორპუსის ხმების უმრავლესობით გამოხატული აზრი თუ დადგენილება. საპარლამენტო პრაქტიკაში ნდობის ვოტუმი და უნდობლობის ვოტუმი ნიშნავს მთავრობისა თუ ცალკეული მინისტრის საქმიანობისა და პოლიტიკური კურსის შეფასებას.

ზ

ზარალის ანაზღაურება – არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს დაზარალებულისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

ზარალის ანაზღაურება ხორციელდება 18 წელს მიღწეული მოქალაქეებისა და არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლების მიერ, რომელთა მოქმედებებითაც მოხდა ზიანის მიყენება. ზოგიერთ შემთხვევებში, ზარალის ანაზღაურება ეკისრება იმ პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ ზიანის მომყენებლებს.

ზარალის ანაზღაურების ვალდებულებები ჩნდება: ა) ზარალის (ქონებრივი ან მორალური) არსებობისას, რომელიც მიყენებულია მოქალაქის, იურიდიული პირის ქონების ან მოქალაქის პიროვნებისთვის; ბ) დამრღვევის მოქმედებების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის დროს; გ) დამრღვევის მოქმედებებსა და მიყენებულ ზარალს შორის კავშირის არსებობისას; დ) ზარალის მიმყენებლის აშკარა დანაშაულის დროს, რომელიც გამოხატულია განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით.

ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობისგან პირი თავისუფლდება, თუ მის მიერ დამტკიცდა ზარალის მიყენება არა მისი მიზეზით.

რამდენიმე პირის მიერ მიყენებული ზარალი ექვემდებარება სოლიდარულ ანაზღაურებას. თუ ზარალის ერთ-ერთი მიმყენებელი ანაზღაურებს მთელს ზარალს, მას გააჩნია რეგრესული მოთხოვნის უფლება იმ ზომით, რომელიც შეესაბამება თითოეული დარჩენილი ზარალის მიმყენებლის დანაშაულის ხარისხს.

ზარალის მიმყენებლის მიერ ზარალის ანაზღაურება გათვალისწინებული არაა, თუ ზიანი წარმოიქმნა დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად.

ზარალის ანაზღაურებამ უნდა გამოიწვიოს დაზარალებულის მდგომარეობის აღდგენა. თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, ზარალის ანაზღაურება ხდება ფულადი გამოხატვით, ამასთან გათვალისწინებული ხდება რეალური ზარალი და დაკარგული გამორჩენა.

ზარალის ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იყოს შემცირებული სასამართლოს მიერ: ა) დაზარალებულის დანაშაულის; ბ) ზარალის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის; გ) იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზარალის მიმყენებლის მოქმედებები არ ატარებდა განზრახ განზორციელებული მოქმედებების ხასიათს.

სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ზიანის ანაზღაურების ოდენობის ზრდა გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით.

ზეგანაკვეთური სამუშაო – შრომის სამართალში სამუშაო, რომელსაც აწარმოებს მუშაკი დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობის, ყოველდღიური სამუშაოზე (ცვლის) დამატებით სამუშაოს მიმცემის ინიციატივით. ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება ხდება სამუშაოს მიმცემის მიერ მუშაკის წერილობითი თანხმობით შემდეგ შემთხვევებში: ა) სამუშაოების წარმოებისას, რაც აუცილებელია ქვეყნის თავდაცვისთვის, ასევე საწარმოო ავარიის თავიდან აცილებისა და საწარმოო ავარიის ან სტიქიური უბედურების შედეგების აღმოსაფხვრელად; ბ) საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაოების წარმოებისას წყალმომარაგების, გაზით მომარაგების, გათბობის, განათების, კანალიზაციის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მხრივ გაუთვალისწინებელი გარემოებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც არღვევენ მათ ნორმალურ ფუნქციონირებას; გ) აუცილებლობას – შესრულდეს დაწყებული სამუშაო, რომელიც წარმოების ტექნიკური პირობებით გაუთვალისწინებელი შეფერხების შედეგად არ შეიძლება შესრულებულიყო (დასრულებულიყო) სამუშაო საათების ნორმალური რაოდენობის განმავლობაში, თუ ამ სამუშაოს შეუსრულებლობამ (დაუსრულებლობამ) შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოს მიმცემის, სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების დაზიანება ან დაღუპვა ან შეუქმნას საფრთხე ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; დ) მექანიზმების ან ნაგებობების რემონტისა და აღდგენის დროებითი სამუშაოების წარმოებისას იმ შემთხვევებში, როცა მათმა გაუმართაობამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოების შეწყვეტა მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშაკებისთვის; ე) სამუშაოს გაგრძელებისთვის შემცველი მუშაკის გამოუცხადებლობისას, თუ სამუშაო არ უშვებს შესვენებას. ამ შემთხვევებში სამუშაოს მიმცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები შემცვლელის სხვა მუშაკით შესაცვლელად. სხვა შემთხვევებში ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება დაშვებულია მუშაკის წერილობითი ნებართვით და მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოს აზრის გათვალისწინებით.

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სახელმწიფო აღრიცხვა – 1) სახელმწიფო ეკოლოგიური აღრიცხვის სახე (იხ. ასევე ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედებებისა და

მათი წყაროების სახელმწიფო აღრიცხვა, ტყის ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა, პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების სახელმწიფო აღრიცხვა, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო აღრიცხვა); 2) მართვის ფუნქცია წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის დარგში, რომელიც წარმოადგენს დადგენილი წესით კონკრეტულ ტერიტორიაზე მყოფი წყლის რესურსების რაოდენობისა და ხარისხის სისტემატურ განსაზღვრასა და ფიქსაციას. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება წყლის ობიექტების რაციონალური გამოყენების მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვის უზრუნველყოფის, მათი აღდგენისა და წყლების ერთიანი სისტემით დაცვის მიზნით და ის ეყრდნობა წყლის გამომყენებელთა, წყლის ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგის (იხ. წყლის სახელმწიფო კადასტრი) მიერ წარმოდგენილი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გამოყენების აღრიცხვის მონაცემებს; ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სახელმწიფო აღრიცხვა წარმოებს წყლის ფონდის გამოყენებისა და დაცვის მართვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ წიაღის გამოყენებისა და დაცვის (მიწისქვეშა წყლის ობიექტების), გარემოს (ზედაპირული წყლის ობიექტების) მონიტორინგისა და ჰიდრომეტეოროლოგიის დარგში მართვის სახელმწიფო ორგანოს მიერ.

ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲐᲣᲖᲘ

– ტერიტორია, რომელიც მოიცავს ჰიდრავლიკურად დაკავშირებული წყალსაცავებისა და წყალსატევების წყალშესაკრებ ფართობს, რომელთაგან მთავარი ჩადის ზღვაში ან ტბაში.

ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ

– საქონლის მიწოდება გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს განპირობებულია მიწოდების ხელშეკრულებით (მყიდველის შეკვეთით, დაცლის განწესით). მყიდველს (მიმღებს) უფლება აქვს უარი თქვას მიმწოდებლის მიერ ზედმეტად მიწოდებულ საქონელზე, თუმცა ის ვალდებულია უზრუნველყოს ამ საქონლის დაცულობა (საპასუხისმგებლო შენახვა) და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებელს. მიმწოდებელი ვალდებულია მყიდველის (მიმღების) მიერ მიღებული საქონელი გაიტანოს საპასუხისმგებლო შენახვისთვის ან განაგოს ის გონივრულ ვადაში. თუ მიმწოდებელმა ეს არ გააკეთა, მყიდველს უფლება აქვს მოახდინოს საქონლის რეალიზება ან დაუბრუნოს ის მიმწოდებელს. მყიდველის მიერ საპასუხისმგებლო შესანახად საქონლის რეალიზაციის ან გამყიდველისთვის მის დასაბრუნებლად გაწეული ხარჯები ექვემდებარება მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებას. ამასთან, საქონლის რეალიზაციისგან ამონაგები გადაეცემა მიმწოდებელს მყიდველისთვის საროს გამოკლებით.

ერთი დასახელების საქონლის მიწოდება მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მიწოდების ხელშეკრულებით, არ ითვლება სხვა დასახელების საქონლის მიუწოდებლობის დაფარვად და ექვემდებარება შესვლას იმ შემთხვევების გარდა, როცა ასეთი მიწოდება წარმოებულია მყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობით. იხ. ასევე მიწოდების ხელშეკრულება.

ᲖᲔᲓᲜᲐᲓᲔᲑᲘ

– 1) სასაქონლო ზედნადები წარმოადგენს პირველად საბუღალტრო დოკუმენტს, რომელშიც გაფორმებულია სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა გაცემის და მიღების ოპერაცია.

2) სატრანსპორტო ზედნადები – დოკუმენტი, რომლითაც ფორმდება ტვირთის გადაზიდვა და რომელშიც ჩაშოყალიბებულია ურთიერთობები ტვირთის გამგზავნს, გადამზიდველსა და მიმღებს შორის. მისი გაფორმება ხდება საექსპორტო კანტორაში ან სატრანსპორტო საექსპედიციო დაწესებულებაში, ზედნადების შედგენა წარმოებს ეტალონის მიხედვით, ანგარიშ-ფაქტურაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. ინფორმაცია მოიცავს ტვირთის დასახელებას, ადგილების რაოდენობას, წონას, გაგზავნის და დანიშნულების პუნქტების დასახელებას, მარკირებას, გადასაზიდად მიღების დროს, მიწოდების დროს და ა.შ. არსებობს შემდეგი ტიპის სატრანსპორტო ზედნადებები:

ა) ავიასატვირთო – წარმოადგენს ტვირთის საჰაერო გადაზიდვის ხელშეკრულებას. მისი შედგენა ხდება სამ ორიგინალურ ეგზემპლარად, იუხება გამგზავნის მიერ და გადაეცემა გადამზიდველს ტვირთთან ერთად. პირველი ეგზემპლარი, ხელმოწერილი გამგზავნის მიერ რჩება გადამზიდველთან. მეორე ეგზემპლარს ხელს აწერს ტვირთის გამგზავნი და გადაეცემა ტვირთის მიმღებს. მესამე ეგზემპლარიც გადაეცემა ტვირთის მიმღებს, მაგრამ ხელმოწერილია გადამზიდველის მიერ. ორიგინალების გარდა ფორმდება ექვსი ასლი, რომლებიც რჩება ტვირთის გამგზავნთან, გადამზიდველთან, მიმღებთან, გაგზავნის და დანიშნულების აეროპორტებში და საბაჟოზე. საერთაშორისო რეისების დროს ჩვეულებრივი ფუნქციების გარდა (გადაზიდვის ხელშეკრულება, საქონლის განმკარგულებელი საბუთი, გადამზიდველის მიერ ტვირთის გადასაზიდად მიღების ხელწერილი), ავიასატვირთო ზედნადები ასრულებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას – წარმოადგენს საბაჟო დეკლარაციას.

ბ) ავტოსატრანსპორტო ზედნადები – საერთაშორისო გადაზიდვების დროს ფორმდება ოთხი ორიგინალური ეგზემპლარი. პირველი რჩება ტვირთის გამგზავნთან, მეორე იგზავნება ტვირთთან ერთად, ხოლო მესამე და მეოთხე პირები რჩება გადამზიდველთან.

გ) სარკინიგზო ზედნადები – გამოიყენება საგარეო – სავაჭრო ტვირთების საზღვაო პორტებამდე გადაზიდვისას (იმ შემთხვევაში, როცა ტვირთი შერეული, ანუ არაპირდაპირი მიმოსვლით იგზავნება).

დ) პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის ზედნადები წარმოადგენს რამოდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი მარშრუტით ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვის ხელშეკრულებას. წარმოადგენს საქონლის განმკარგულებელ საბუთს და ადასტურებს რკინიგზის მიერ ტვირთის გადასაზიდად მიღების ფაქტს. მისი შედგენა ხდება ტვირთის გამგზავნის მიერ და იგზავნება ტვირთთან ერთად დანიშნულების სადგურამდე, სადაც გადაეცემა ტვირთის მიმღებს.

ე) საზღვაო ზედნადები – საბუთი, რომელიც ადასტურებს ტვირთის საზღვაო გადაზიდვის არსებობის და გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღების ფაქტს. ამ საბუთის ძალით გადამზიდველი ვალდებულია ტვირთი ჩააბაროს საბუთში მითითებული ტვირთის მიმღებს. ანალოგიურია სახელობითი კონოსამენტის გამოყენება,

რომელიც გამოიყენება ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ. აშშ-ში, კანადაში.

ვ) სამდინარო ზედნადები – სამდინარო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება. შიდა მიმოსელის გადაზიდვებში გამოიყენება ზედნადები და ქვითარი. ზედნადები ფორმდება ტვირთის გამგზავნის მიერ გაგზავნის პუნქტში და ტვირთთან ერთად მიდის დანიშნულების პუნქტამდე, სადაც გადაეცემა ტვირთის მიმღებს. ქვითარი რჩება ტვირთის გამგზავნთან და წარმოადგენს ტვირთის გადასაზიდად მიღების დამადასტურებელ საბუთს. ზედნადებზე და ქვითარზე აუცილებლად უნდა იყოს გაგზავნის (პორტის საკალენდარო შტემპელი) აღნიშნა.

ზეპირობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში მოკლეების, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს დაკითხული პირის მიერ ჩვენების ზეპირად მიცემა. დასაკითხ პირს შეუძლია გამოიყენოს მის ხელთ არსებული დოკუმენტები და ჩანაწერები, მაგრამ ჩვენება უნდა მისცეს ზეპირად. ადრე მიცემული ჩვენების წაკითხვა ან ხმის ჩანაწერების მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში. მაგალითად, თუ შეუძლებელია მოწმის მოყვანა, არსებითი წინააღმდეგობაა მის ახლანდელ და ძველ ჩვენებას შორის და ა. შ. (სსსკ, მუხლი 20, 300, 481).

ზიანი ზარალის ნაირსახეობა, ხარჯები, რომლებიც რეალურად გაწეულია ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის წამოყენების მომენტისთვის ან რომლებიც გაწეული იქნება დარღვეული უფლების აღსადგენად, ასევე ქონების დაკარგვით ან დაზიანებით, ფულის დაკარგვით გამოწვეული ზარალი, მოუღებელი სარგებელი.

არსებობს ზიანის ორი კატეგორია: ქონებრივი და მორალური. პირველი – ზიანი, რომელიც მიადგა ფიზიკური ან იურიდიული პირის ქონებას მასთან დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასახელშეკრულებო ზიანის მიყენების შედეგად.

მორალური ზიანი სამართალში არის არაქონებრივი ხასიათის ზიანი, მიყენებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით. ის გამოიხატება პიროვნების ღირსების შელახვაში, ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვის მიყენებაში, რეპუტაციის შელახვაში და ა.შ.

ზიანი – მატერიალური ზარალი, რომელიც გამოიხატება დაზარალებულის ქონების და მატერიალური კეთილდღეობის (სიცოცხლე, ადამიანის ჯანმრთელობა და ა.შ.) შემცირებაში.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება პიროვნების ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც, როგორც წესი, წარმოიშობა მაშინ, თუ ზიანი მიყენებულია ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება.

ზიანის გამოსწორება – დატაცებული ფულის ან ქონების დაბრუნება, დაზარალებულისთვის სხვა ნივთის შეთავაზება დაკარგულის სანაცვლოდ, რაც ღირებულებით მისი ტოლია ან სხვა ფორმით კომპენსაციის შეთავაზება, ასევე დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა, რაიმე დახმარების (მატერიალური, ფიზიკური და ა.შ.) აღმოჩენა მიყენებული ზარალის აღმოფხვრის მიზნით.

ზიანის მიყენება დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას – ქმედების დანაშაულის გამომრიცხავი გარემოება, რომლის არსიც შეადგენს ზიანის მიყენებას დანაშაულის ჩამდენი პირისთვის მისი დაკავებისას და მის მიერ ახალი დანაშაულების ჩადენის აღკვეთისას, თუ შეუძლებელი იყო სხვა საშუალებით ასეთი პირის დაკავება და ამასთან, არ იყო დაშვებული საჭირო ზომების გადამეტება.

ზიანის უდანაშაულო მიყენება – ზიანი ითვლება უდანაშაულოდ მიყენებულად, თუ მისი მიმყენებელი პირი ვერ აცნობიერებდა და საქმის გარემოებებით არც შეეძლო გაეცნობიერებინა და განეჭვრიტა საშიში ქმედების დადგომის შესაძლებლობა. ზიანი ასევე უდანაშაულოდ მიყენებულად ითვლება იმ შემთხვევაში, როცა მისი მიმყენებელი პირი, თუმცა კი ჭვრეტდა საკუთარი ქმედების (უმოქმედობის) საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ეს შედეგები საკუთარი ფსიქოფიზიოლოგიური თვისებების ექსტრემალურ პირობებთან ან ნერვულ-ფსიქიკურ გადატვირთვასთან შეუსაბამობის ძალით.

ზოგადი და მიზნობრივი გადასახადები – გადასახადს, რომელიც გათვალისწინებული არაა კონკრეტული ხარჯის დაფინანსებისთვის ეწოდება ზოგადი, ხოლო ბიუჯეტის კონკრეტული ხარჯების დაფინანსებისთვის ხდება მიზნობრივი გადასახადების შემოღება. როგორც წესი, გადასახადის მიზანი არაა რამე კონკრეტული ხარჯის დაფარება. გადასახადების დადგენის ერთ-ერთ კონსტიტუციურ პრინციპს წარმოადგენს მათი სპეციალიზაციის შეზღუდვის პრინციპი. ზოგადად გადასახადი გათვალისწინებული არაა გარკვეული ხარჯისთვის. ესაა სახელმწიფო ბიუჯეტის სტაბილურობისა და სახელმწიფოს მიერ თავისი სოციალური და სხვა ფუნქციების შესრულების გარანტიის ერთ-ერთი საჭიროებული პირობა.

მიზნობრივი გადასახადების დაწესება უნდა იყოს განპირობებული კონსტიტუციურად მნიშვნელოვანი მიზნებით. მიზნობრივი გადასახადის შემოღებისთვის კონსტიტუციური პოზიციებით უნდა იქნეს დასაბუთებული ამა თუ იმ ხარჯის დაფინანსების აუცილებლობა მიზნობრივი შემოსავლების ხარჯზე. მიზნობრივი გადასახადი უშუალოდ გარკვეული ხარჯების დასაფარავადაა განკუთვნილი. ამიტომ მიზნობრივი გადასახადების დაწესება მოითხოვს შემოსავალი სახსრების განცალკევების განსაკუთრებულ მექანიზმს. ამისათვის ფუძნდება დამატებითი ბიუჯეტი და გადასახადების ოდენობის ალრიცხვის სპეციალური ანგარიშები. თუ ცალკეული ღონისძიების დაფინანსებისთვის დაწესებულია მიზნობრივი გადასახადი, ღონისძიების ჩატარება სრულიადაა დამოკიდებული ამ გადასახადზე: არაა კონკრეტული შემოსავალი – არაა კონკრეტული ხარჯიც.

ზოგადი ცნობები საქმიანი ქაღალდების შესახებ – საქმიან ქაღალდებს (საბუთებს) განსაკუთრებული წესების მიხედვით ადგენენ და მათ განსაზღვრული ფორმა აქვთ.

ყოველი საბუთი, ჩვეულებრივ, შედგება შემდეგი მთავარი ელემენტებისაგან, რეკვიზიტებისაგან:

1. იმ ორგანიზაციის დასახელება, რომელმაც გაგზავნა საქმიანი ქაღალდი.

2. საბუთების გაცემის, გაგზავნისა და ხელმოწერის ნომერი და თარიღი.

3. იმ ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის დასახელება, რომელსაც ეგზავნება საბუთი; უნდა აღინიშნოს, თუ ცნობილია, თანამდებობის პირის გვარი და ინიციალები.

4. საბუთის შინაარსი.

5. პასუხისმგებელი თანამდებობის პირის (ან პირთა) ხელმოწერა.

როგორც წესი, რთული შინაარსის საბუთი თავდაპირველად შავად დგება, საჭირო შესწორებები და დამატებები მასში შეიძლება მუშაობის პროცესში იქნეს შეტანილი.

თეთრად გადაწერილ (ან მანქანაზე და კომპიუტერზე დაბეჭდილ) და გასაგზავნად (ან ხელზე გასაცემად) გამზადებულ საბუთში მისი რეკვიზიტები (შემადგენელი ნაწილები) სწორად და სუფთად უნდა იყოს განლაგებული.

საბუთის პირის მარცხენა მხარეს სხვადასხვა სამსახურებრივი შენიშვნებისთვის უნდა დაეტოვოთ 30-40 მმ სიგანის არე.

ყოველი ახალი აზრი ახალი სტრიქონიდან უნდა იწერებოდეს.

საბუთი დაწერილი უნდა იქნეს გამართული ქართულით, მასში არ უნდა იყოს შესწორებები და დამატებები.

საბუთის ტექსტის სტილი უნდა იყოს საქმიანი და ნათელი, წინადადებები – მარტივი კონსტრუქციისა. უნდა ვერიდოთ ბუნდოვან გამოთქმებსა და შემოკლებებს, რომლებიც შინაარსის გაგებას აძნელებენ.

საბუთში მოტანილი ფაქტები სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს.

საკითხის არსის გადმოცემა არ უნდა იყოს გაჭიანურებული. მაქსიმალური სიმოკლე საქმიანი წერილის ძირითადი ღირსებაა.

საქმიანი ქაღალდის შედგენისას აუცილებელია ქართული და სხვა საჭირო ენის გრამატიკის მტკიცე ცოდნა.

გადმოცემის (თხრობის) ფორმა თავაზიანი უნდა იყოს, მაგრამ არ უნდა გამოვიყენოთ მეტისმეტად მაღალფარდოვანი გამოთქმები.

ტექსტის შედგენისას ყურადღება უნდა მიექცეს გრამატიკულ შეთანხმებას. მაგალითად, თუ საბუთი დაწერილია დაწესებულების სახელით, ე.ი. მესამე პირში, მაშინ იგი უნდა დამთავრდეს აგრეთვე მესამე პირში და არა პირველში.

რიგ შემთხვევაში საბუთზე თანამდებობის პირის ხელმოწერა დამოწმებული უნდა იქნეს დაწესებულების ან წარმოების ბეჭდით, ზოგ საბუთს კი ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დამოწმებულია სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

ასეთია საქმიანი საბუთების შედგენის ძირითადი მოთხოვნები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია, რადგანაც დაუდევრად და უწიგნურად შედგენილი საბუთი ხშირად გაუგებარია, არ იმსახურებს ნდობასა და პატივისცემას. ამას შეიძლება მოჰყვეს საბუთის გაწორების მოთხოვნა ან მისი უვარგისად მიჩნევა. ეს კი თავის მხრივ იწვევს საქმის შეფერხებას, გაჭიანურებას, ადამიანების დროისა და ენერგიის ამაოდ ხარჯვას.

ზონირება – ტერიტორიის დაყოფა ზონებად ტერიტორიებისა და დასახლებების განვითარების ქალაქთმშენებლობითი სახით დაგეგმვისას, დადგენილი ზონების საქალაქთმშენებლო გამოყენების სახეებისა და მათ გამოყენებაზე შეზღუდვების განსაზღვრით.

ზღვის გარემოს დაბინძურება – ადამიანის მიერ პირდაპირ ან ირიბად ისეთი ნივთიერებებისა თუ ენერგიის შეტანა ზღვის გარემოში, რომელიც იწვევს ან რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ისეთი დამღუპველი შედეგები, როგორიცაა ზიანის მიყენება ცოცხალი რესურსებისა და სიცოცხლისთვის ზღვაში, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშროების, დაბრკოლებების შექმნა ზღვაზე საქმიანობისთვის, მათ შორის, თევზჭერისთვის და ა.შ. გამოყენებული ზღვის წყლის ხარისხის დაცემა და დასვენების პირობების გაუარესება.

ზღვრულად დასაშვები (კრიტიკული) დატვირთვა – ბუნებრივ გარემოზე ერთი ან რამდენიმე მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერების ზემოქმედების მაჩვენებელი, რომლის გადაჭარბებამაც შეიძლება გამოიწვიოს გარემოზე მავნე ზეგავლენა. იხ. ასევე დროებით შეთანხმებული გამონაბოლქვი ატმოსფერულ ჰაერში, მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერების ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვი, გამონაბოლქვის ტექნიკური ნორმატივი.

თ

თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა – სამართლის დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის პროცედურა. ის წარმოადგენს სუბიექტური სამოქალაქო სამართლის დაცვის ერთ-ერთ ხერხს. მოცემული ხერხი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა დარღვეული სუბიექტური უფლება სამართალდარღვევის შედეგად არ წყვეტს არსებობას და რეალურად შეიძლება აღდგეს სამართალდარღვევის შედეგების აღმოფხვრის გზით. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მაგალითებს წარმოადგენს მესაკუთრისთვის მისი ქონების დაბრუნება სხვისი უკანონო მფლობელობიდან, საცხოვრებელ სახლში თვითნებურად შეჭრილი პირის გამოსახლება და ა.შ.

თავდასხმა – დამნაშაეის მიერ აგრესიული, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების ჩადენა პირთა ან

სხვა ობიექტებთან მიმართებაში. ის შეიძლება ატარებდეს შენიღბულ ხასიათს და ასევე გამოიხატოს დაზარალებულზე ღია ან ფარული ზემოქმედებაში.

თავდასხმა პირებსა თუ დაწესებულებებზე, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით – დამნაშავის მიერ აგრესიული მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენა პირებთან მიმართებაში, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით და რომელიც მიმართულია დაზარალებულზე ძალადობის გზით, ისევე როგორც ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით დანაშაულებრივი შედეგის მიღწევაზე. თავდასხმის სახით შეიძლება განვიხილოთ ქმედებები უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის, საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლის, ასევე საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირთა მიმართ, რასაც თან ახლავს თავდასხმის ობიექტზე (პირონენებაზე) სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ან არასაშიში ძალადობა, მკლელობის საფრთხე ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მუქარა, თუ ასეთი ძალადობა არ წარმოქმნის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემადგენლობას. თავდასხმა შეიძლება ატარებდეს შენიღბულ ხასიათს, ასევე გამოიხატოს დაზარალებულზე აშკარა ან ფარული ზემოქმედებით ტოქსიკური, ნერვიულ-პარალიზური ნივთიერებებით. პასუხისმგებლობა დგება ასევე იმ შემთხვევაში, თუ თავდასხმა მოხდა საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელზე ან უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელზე, ასევე საერთაშორისო დაცვის მოსარგებლე პირების საცხოვრებელ ან სამსახურებრივ შენობებზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე, თუ ეს ქმედება მოხდა ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულების მიზნით.

თავდაცვა – შეიარაღებული თავდაცვისთვის მომზადების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სოციალური, სამართლებრივი და სხვა ღონისძიებების სისტემა და სახელმწიფოს, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის შეიარაღებული დაცვა.

თავდაცვისუნარიანობა – ეკონომიკური, სამხედრო, სოციალურ-ზნეობრივი პოტენციალის მდგომარეობა, რომელსაც ძალუძს უზრუნველყოს სახელმწიფოს დაცვა გარედან თავდასხმისგან.

თავდებობა სამოქალაქო სამართალში ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ერთერთი ხერხი. ხელშეკრულებით თავდები ვალდებულია სხვა პირის კრედიტორის წინაშე პასუხი აგოს ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება ასევე დადებულ იქნეს მომავალში წარმოსაქმნელი ვალდებულების უზრუნველსაყოფად. თავდებობის ხელშეკრულება იდება ძირითად ვალდებულებაზე სხვა პირის კრედიტორსა და თავდებს შორის და ექვემდებარება სავალდებულო წერილობით გაფორმებას. თავდებობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის შეუსრულებლობა იწვევს მის ბათილობას; თავდებობისას კრედიტორის წინაშე ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელი მოვალესთან ერთად ხდება სხვა პირი – თავდები. ისინი კრედიტორის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, თუ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული არაა თავდების სუბსიდიარული პასუხისმგებლობა. თავდები არ შეიძლება იყოს საბიუჯეტო ორგანიზაციები, სახაზინო საწარმოები, ფილიალები და წარმომადგენლები. თავდებობის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივს, არაანაზღაურებადს, კონსენსუალურს. თავდების პასუხისმგებლობის მოცულობა და სახე დამოკიდებულია თავდებობის ხელშეკრულების შინაარსზე. კრედიტორის მიერ თავდების მიმართ მოთხოვნების წაყენების შემთხვევაში, ამ უკანასკნელს უფლება აქვს წამოაყენოს საპირისპირო შესედულებები კრედიტორის მოთხოვნების წინააღმდეგ, რომლის წარმომდგენაც შეეძლო მოვალეს, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა თავდებობის ხელშეკრულებაში. თავდები არ კარგავს ამის უფლებას მაშინაც კი, თუ მოვალე უარს იტყვის მათზე ან აღიარებს თავის ვალს.

თუ თავდებმა ნებაყოფლობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით შეასრულა მოვალეს ვალდებულებები, მასზე გადადის კრედიტორის უფლებები ამ ვალდებულებაზე და კრედიტორის, როგორც გირაოს მიმღების უფლებები იმ მოცულობით, რითიც თავდებმა დააკმაყოფილა კრედიტორის მოთხოვნა. თავდებს ასევე აქვს უფლება მოითხოვოს მოვალისგან კრედიტორისთვის გაცემულ თანხაზე პროცენტების გადახდა და მოვალეს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ძირითადი ვალდებულების სათანადო შესრულება იწვევს მის შეწყვეტას. შესაბამისად წყდება თავდებობაც. თუმცა, თავდებობა წყდება შემდეგ შემთხვევებშიც: ა) ვალის უზრუნველყოფილი თავდებით სხვა პირზე გადაყვანასთან დაკავშირებით, თუ თავდებმა კრედიტორს არ მისცა თანხმობა ახალ მოვალეზე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით; ბ) თუ კრედიტორმა უარი თქვა თავდების ან მოვალის მიერ შეთავაზებული სათანადო შესრულებაზე; გ) თავდებობის ხელშეკრულებაში მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ. თავდებობა წყდება, თუ კრედიტორმა თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ წაუყენა სარჩელი თავდებს. როცა ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა არაა მითითებული და არ შეიძლება განისაზღვროს მოთხოვნის მომენტით, თავდებობა წყდება, თუ კრედიტორმა თავდებს არ წაუყენა სარჩელი თავდებობის ხელშეკრულების დადებიდან სამი წლის განმავლობაში.

თავდებობის ხელშეკრულება ხელშეკრულება, რომლის ძალით თავდები კისრულობს ვალდებულებას თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. თავდებობა შეიძლება გამოყენებული იქნეს, აგრეთვე, სამომავლო და პირობითი ვალდებულებისათვის. თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება. თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. თავდები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს ხელშეკრულებაში მითითებულ პირობაზე.

თავის არიდება გადასახადის გადახდისგან – დანაშაული ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, რომელიც გახასიათდება საგადასახადო დეკლარაციის ან სხვა დოკუმენტების წარმოუდგენლობით, რომელთა წარმოდგენაც არის ვალდებული კანონის მიხედვით ან საგადასახადო დეკლარაციასა თუ სხვა დოკუმენტებში აშკარად ცრუ ცნობების შეტანა დიდი ოდენობით.

თავის არიდება გაწვევისგან – სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ სამხედრო კომისრის უწყების მიხედვით აღნიშნულ ვადაში ან ადგილას გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზებით. ზოგიერთი კანონმდებლობით გარკვეულ ვადაში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები შეიძლება იყოს, მაგალითად, გასაწვევის ახლო ნათესავის სიკვდილი, დოკუმენტებით დამტკიცებული დაუძლეველი ძალის არსებობა. თავის არიდებას ასევე წარმოადგენს საკუთარი თავისთვის სხეულებრივი დაზიანების მიყენება, ყალბი დოკუმენტების მიღება გაწვევისგან უკანონო განთავისუფლების მიზნით.

თავის არიდება თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან – პირის არდაბრუნება, რომელსაც აღკვეთილი ჰქონდა თავისუფლება და რომელსაც ნებადართული ჰქონდა გასული თავისუფლების აღკვეთის ადგილის ფარგლებს გარეთ ან რომელსაც გადავადებული ჰქონდა სასამართლოს განაჩენის აღსრულება ან სასჯელის მოხდა გასულისა თუ გადავადების ვადის ამოწურვის შემდეგ.

თავის არიდება საკრედიტორო დავალიანების დაფარვისგან – დანაშაული ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მოქალაქის ბოროტად თავის არიდებას დიდი ოდენობით საკრედიტორო დავალიანების დაფარვისაგან ან ფასიანი ქაღალდების განაღდებისაგან შესაბამისი სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. დანაშაულის ობიექტური მხარე მდგომარეობს ბოროტად თავის არიდებაში ანუ მოქმედებაა თუ უმოქმედობაში, რომლებიც მდგომარეობს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებიდან ან თუნდაც ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობაში, დაფაროს დიდი ოდენობით საკრედიტორო დავალიანება ან განაღდოს ფასიანი ქაღალდები, თუ ეს ვალდებულებები აღიარებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით.

თავის არიდება სამხედრო სამსახურის ვალდებულებების შესრულებისგან ავადმყოფობის სიმულაციის გზით ან სხვა საშუალებებით – დანაშაული სამხედრო სამსახურის გაელის ორგანიზაციის წესის წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ვალდებულებების შესრულებისგან თავის არიდებაზე, ავადმყოფობის სიმულაციის, საკუთარი თავისთვის რაიმე დაზიანების მიყენების, დოკუმენტების გაყალბების ან სხვაგვარი მოტყუების გზით.

სამხედრო სამსახურის ვალდებულებების შესრულებისგან თავის არიდება დაიყვანება იქამდე, რომ სამხედრო მოსამსახურე ცდილობს შექმნას, ზოგჯერ კი ქმნის კიდეც საფუძვლებს შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისგან განთავისუფლებისთვის (დროებით ან მუდმივად). მისი მოქმედებების მიზანი შეიძლება იყოს თავის არიდება ყველა ვალდებულებისგან, რომელიც მას დაეკისრა სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შეძენასთან დაკავშირებით ან კონკრეტული ვალდებულებებისგან, მეთაურის მიერ გაცემული განკარგულების ან მასზე კანონით დაკისრებული მოთხოვნების ჩარჩოებში.

თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა – სახელმწიფოს ვალუტა, რომელსაც გააჩნია კონვერტირების ნიშანი ე.ი. თავისუფლად იცვლება უცხო ვალუტაზე ყველა სახის საერთაშორისო ანგარიშსწორებისთვის. ვალუტის კონვერტირება გულისხმობს შეზღუდვების არარსებობას ეროვნული ვალუტით უცხოური ვალუტის შესყიდვაზე მიმდინარე ოპერაციების განხორციელებისთვის (ანგარიშსწორებისთვის საქონლისა და მომსახურებაზე საგარეო ვაჭრობაში). უცხოური ვალუტის შესყიდვა ეროვნულით, ისევე როგორც უკუოპერაციები, ხდება საბაზრო საკალუტო კურსით. ეროვნული ვალუტის კონვერტირების რეჟიმის დადგენა აღმოუხერის საგარეო სავაჭრო გარიგების განხორციელებას, ახდენს ეროვნული საქონლის მწარმოებლების გასვლას საგარეო ბაზრებზე.

უნდა გამოიყოს ვალუტის კონვერტირების ორი ტიპი. პირველი ტიპი, რომელიც დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ვალუტისთვის, გულისხმობს ვალუტის ფართო საერთაშორისო კონვერტირებულობას. მეორე ტიპი გამოირჩევა იმით, რომ ეროვნული ვალუტა არაა ჩართული საერთაშორისო გაცვლაში, იყიდება და შეისყიდება მხოლოდ ქვეყნის შიდა საკალუტო ბაზარზე. კონვერტირების ეს ტიპი დამახასიათებელია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რუსეთისთვის და ახლო საზღვარგარეთისთვის. თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა წარმოადგენს ვალუტას, რომელსაც გააჩნია როგორც პირველი, ასევე მეორე ტიპის კონვერტირებულობა.

თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სახე, რაც ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მის მოთავსებას. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული, რომელსაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი, მოთავსება არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში. თავისუფლების აღკვეთა არის ვადიანი და უვადო. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით. დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეკრებისას თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაზუთ წელს, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა შეკრებისას – ოცდაათ წელს. უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ეს სასჯელი არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

თავისუფლების აღკვეთა გარკვეული ვადით – მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაცია მისი კოლონია-დასახლებაში, აღმზრდელობით კოლონიაში, სამკურნალო-გამოსასწორებელ დაწესებულებაში, საერთო, მკაცრი ან განსაკუთრებული რეჟიმის გამოსასწორებელ კოლონიაში ან ციხეში გაგზავნის გზით.

სასჯელის დამსჯელი ზემოქმედება დაიყვანება იქამდე, რომ მსჯავრდებული იზღუდება თავისუფალ გადაადგილებაში, შრომითი საქმიანობის არჩევაში, ნათესავებთან, მეგობრებთან, ნაცნობებთან ურთიერთობაში და სხვ.

თავისუფლების აღკვეთა გამოდის სასჯელის ძირითადი სახის როლში და მისი გამოყენება ხდება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს ამგვარი სახის სასჯელს იმ დანაშაულებზე, რომლებიც განეკუთვნება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიებს ან იმ პირებზე, რომლებიც მაღალ საშიშროებას წარმოადგენენ საზოგადოებისთვის (ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა, დანაშაულის რეციდივი და ა.შ.). პირის დაპატიმრებაში ყოფნის დრო სასამართლო განხილვამდე ითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში.

თავისუფლების აღკვეთის ადგილები – გამოსასწორებელი კოლონიები, აღმზრდელობითი კოლონიები, ციხეები, სამკურნალო-გამოსასწორებელი დაწესებულებები.

თავისუფლების სამუდამო აღკვეთა – თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მოხდის ხანგრძლივობის ვადის შეზღუდვის გარეშე. თავისუფლების სამუდამო აღკვეთა გამოიყენება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენაზე, რაც ხელყოფს სიცოცხლეს და მხოლოდ როგორც სიკვდილით დასჯის ალტერნატივა. თავისუფლების სამუდამო აღკვეთა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ შემდეგი დანაშაულების ჩადენაზე: ა) მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების დროს; ბ) სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის სიცოცხლის ხელყოფა; გ) მართლმსაჯულების ან წინასწარი გამოძიების განმხორციელებელი პირის სიცოცხლის ხელყოფა; დ) სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლის სიცოცხლის ხელყოფა; ე) გენოციდი.

თავისუფლების სამუდამო აღკვეთა გამოიყენება მხოლოდ როგორც სასჯელის ძირითადი სახე.

თავისუფლების უვადო აღკვეთა – დაზარალებულისთვის რეალური შესაძლებლობის ჩამორთმევა გადაადგილდეს საკუთარი სურვილით შეუზღუდავ სივრცეში, ადამიანის დაკავება გარკვეულ ადგილას მისი შენობაში ჩაკეტვის, შებოჭვის, ძალადობრივი დაკავების გზით და სხვ. თავისუფლების უკვადო აღკვეთა ასევე შეიძლება მდგომარეობდეს აკრძალვაში დატოვოს შენობა ძალადობის ან დაზარალებულისთვის სხვა ზიანის მიყენების მუქარით.

თავისუფლების შეზღუდვა სასჯელის სახე, რაც ნიშნავს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის თექვსმეტ წელს მიღწეული მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას სპეციალურ დაწესებულებაში მასზე ზედამხედველობის დაწესებით. ეს სასჯელი ენიშნება ნასამართლობის არმქონე, განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებულს ერთიდან სამ წლამდე ვადით, ხოლო გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის მსჯავრდებულს ერთიდან ხუთ წლამდე. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს თავისუფლების შეზღუდვას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით შემდეგი გათვლით: თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

თავისუფლების შეზღუდვა – სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის დროისთვის 18 წელშესრულებული მსჯავრდებულის მოთავსება სპეციალურ დაწესებულებაში საზოგადოებისგან იზოლაციაში, მასზე ზედამხედველობის პირობებში.

თავისუფლების შეზღუდვის წესი რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსით. თავისუფლებაშეზღუდული პირები იმყოფებიან ზედამხედველობის ქვეშ და ისინი ვალდებულნი არიან: ა) შეასრულონ გამოსასწორებელი ცენტრების შინაგანაწესი; ბ) იმუშაონ იქ, სადაც მათ გააგზავნის გამოსასწორებელი ცენტრის ადმინისტრაცია; გ) მუდმივად იყოს გამოსასწორებელი ცენტრის ფარგლებში, არ დატოვოს ის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე; დ) შრომის ანაზღაურების გარეშე მიიღოს მონაწილეობა შენობებისა და გამოსასწორებელი ცენტრის ტერიტორიის კეთილმოწყობაში. მსჯავრდებულებს ეკრძალებათ ისეთი საგნებისა და ნივთების შეძენა, შენახვა და გამოყენება, რომელთა ჩამონათვალსაც ადგენს კანონმდებლობა და გამოსასწორებელი ცენტრების შინაგანაწესი. ასეთი საგნები და ნივთები, რომლებიც აღმოაჩნდებათ მსჯავრდებულებს, ექვემდებარებიან ამოღებასა და შენახვას, განადგურებას ან რეალიზაციას.

თავისუფლების შეზღუდვის მოხდისგან ბოროტად თავის არიდება – მსჯავრდებულის მიერ გამოსასწორებელი ტერიტორიის თვითნებური დატოვება არასაპატიო მიზეზებით, სასჯელის მოხდის ადგილას არდაბრუნება ან არადროული დაბრუნება, ასევე სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის დატოვება. კანონით განსაზღვრული დროის ან ზოგიერთი კანონმდებლობით 15 დღის მანძილზე მსჯავრდებულის აღმოუჩენლობის შემთხვევაში, რომელმაც დატოვა გამოსასწორებელი ცენტრის ტერიტორია, ის ცხადდება ძებნაში და ექვემდებარება დაკავებას.

თავმჯდომარე სასამართლო სხდომაზე – პროფესიონალი მოსამართლე, რომელიც ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას სასამართლო განხილვაზე სისხლის სამართლის საქმის კოლეგიალური განხილვისას ან სისხლის სამართლის საქმის ერთპიროვნული განხილვისას. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე წარმართავს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილის საქმიანობას, ხელმძღვანელობს საქმის ყველა გარემოების და მტკიცებულების კვლევას, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ყველა პრინციპის დაცვას თავისი გადაწყვეტილებებითა და მოქმედებებით, ქმნის პირობებს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის რეალიზაციისთვის. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე სასამართლო განხილვის მონაწილეთა ყურადღებას მიაპყრობს თავიანთი

უფლებებისა და ვალდებულებების სრულ, ობიექტურ განხორციელებაზე საქმის ჭეშმარიტი გარემოებების დადგენისა და კანონით დადგენილი სისხლის სამართლის სამართალწარმოების დანიშნის შესრულების მიზნით. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ერთპიროვნული მოქმედებები სასამართლო სხდომის ხელმძღვანელობისას საქმის კოლეგიალური განხილვის დროს, სხდომის განრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კოლეგიალობის პრინციპს სასამართლოს საქმიანობაში. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულებები სასამართლო სხდომაზე წესრიგის დაცვის, საპროცესო კანონის დადგენილებების ზუსტი შესრულებისგან გადაცდომის აღკვეთის მიზნით სავალდებულოა სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისთვის.

კანონის მითითება პროცესის მონაწილეთა უფლებაზე მოითხოვონ სასამართლო სხდომის ოქმში სასამართლო სხდომის მონაწილეთა პროტესტის შეტანა, თავმჯდომარის მოქმედებებთან დაკავშირებით უნდა იყოს საქმეზე თავად სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ კანონიერების დაცვის საპროცესო გარანტია.

თავშესაფარი პროსტიტუციის საქმიანობისთვის – შენობა ან სხვა ადგილი, სპეციალურად მოწყობილი ან სისტემატურად გამოყენებული პროსტიტუციის საქმიანობისთვის. ამ სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს საცხოვრებელი ბინები, სამსახურებრივი შენობები, სპეციალურად მოწყობილი ტექნიკური და დამხმარე შენობები, სარდაფები და ა.შ. ასევე ავტომანქანები, რომლებიც გამოიყენება სექსუალური ურთიერთობების დასამყარებლად პროსტიტუციით დაკავებული ადამიანების მიერ.

თავშესაფარი – შენობა, რომელშიც სისტემატურად იკრიბებოდნენ ადამიანები ნარკოტიკული საშუალებებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების მიზნით. ამ სახით შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც საცხოვრებელი (სახლი, ბინა, ოთახი), ასევე არასაცხოვრებელი (ავტოფარეხი, სხვენი, სარდაფი, ფარდული) შენობა.

თავშესაფრის უფლება – გამონაკლისი დანაშაულის ჩამდენი პირების გადაცემის წესიდან.

თამასუქი (გერმ. wechsel – გაცვლა)

ფასიანი ქაღალდის ნაირსახეობა, კანონით მკაცრად განსაზღვრული ფორმის აბსტრაქტული ფულადი ვალდებულება, უპირობო და უდაო სავალო დოკუმენტი. საერთაშორისო ვაჭრობაში და განვითარებული ქვეყნების შიდა ბრუნვაში გამოიყენება, როგორც ანგარიშსწორებისა და დაკრედიტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა. თამასუქი უნდა შეიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს: დასახელებას „თამასუქი“ ჩართულს დოკუმენტის ტექსტში და იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილია ეს დოკუმენტი, განსაზღვრული თანხის გადახდის უბრალო და უპირობო წინადადებას, მისი გაცემის ადგილსა და თარიღს, სავალო ვალდებულებას, მისი გაცემის ადგილსა და ვადას, კრედიტორის სახელს. თამასუქის ბოლოს უნდა იყოს მისი გამცემის ხელმოწერა. თამასუქი შეიძლება იყოს ჩეკულებრივი და გადასაყვანი (ტრასტი). ჩეკულებრივი თამასუქი არის მისი გამცემი პირის უპირობო ვალდებულება, მოთხოვნის საფუძველზე ან განსაზღვრულ ვადაში გადაუხადოს მითითებული თანხა თამასუქში დასახელებულ პირს ან მისი ბრძანებით სხვა პირს. გადასაყვანი თამასუქის (ტრატა) მიხედვით გადამხდელი (ტრასატი), როგორც წესი, არის არა თამასუქის გამცემი, არამედ მესამე პირი – აქცეპტანტი (ხშირ შემთხვევაში ბანკი), რომელიც აქცეპტის საშუალებით იღებს თავის თავზე გადახდის უპირობო ვალდებულებას. გადასაყვანი თამასუქის რეკვიზიტებს ემატება იმ პირის დასახელება ვის სასარგებლოდ ან ვისი ბრძანების საფუძველზე უნდა მოხდეს გადახდა. თამასუქში აღნიშნული გადახდის მიმღებ პირს ეწოდება რემიტენტი. გადასაყვანი თამასუქის მიხედვით ყველა ვალდებული პირი პასუხს აგებს თამასუქის მფლობელის წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალე. აქცეპტი ფორმდება თამასუქის პირზე ან დამატებით ფურცელზე წარწერით: „აქცეპტირებულია“, ან „მიღებულია“, ან უბრალოდ გადამხდელის ხელმოწერით, ეს უკანასკნელი ხდება აქცეპტანტი – მთავარი სათამასუქო მოვალე, რომელიც პასუხისმგებელია გადახდაზე დადგენილ ვადაში. გადაუხდელობის შემთხვევაში თამასუქის მფლობელს აქვს პირდაპირი სარჩელის უფლება აქცეპტანტის წინააღმდეგ. ჟენევის კონვენციების მიხედვით აქცეპტი უნდა იყოს უპირობო, თუმცა შეიძლება შეზღუდულ იქნეს თამასუქში აღნიშნული თანხის ნაწილით (ნაწილობრივი აქცეპტი). სავაჭრო გარიგებაზე დამყარებული აქცეპტირებული თამასუქები მიიღება ჩასათვლელად (შეისყიდება) კომერციული ბანკების მიერ დაცემული კრედიტების უზრუნველსაყოფად. ბანკების მიერ აქცეპტირებული თამასუქები გამოიყენება მათ მიერ ურთიერთდაკრედიტების დროს. სათამასუქო ბრუნვის პროცესში თამასუქის მიმცემს და აქცეპტანტს შეიძლება შეუერთდეს სხვა პირებიც, მაგალითად, ინდოსატები, რომლებიც თამასუქს გადასცემენ ინდოსამენტით და აეალისტები (გარანტი),რომლებიც უზრუნველყოფენ თამასუქის მიხედვით გადახდას. პირი, რომელმაც შეასრულა აეალი იღებს თავის თავზე თამასუქის მიხედვით ვალდებულ პირთა ვალდებულებების შესრულებას, თამასუქის გადაცემისას კანონიერ მფლობელად ითვლება ის, ვინც თავის უფლებას დააფუძნებს ინდოსამენტების უწყვეტ რიგზე. თუ პირმა თამასუქი არაკეთილსინდისიერად შეიძინა ან შეძენის დროს დაუშვა უხეში გაუფრთხილებლობა, იგი ვალდებულია დაუბრუნოს თამასუქი წინა მფლობელს. განხილულის გარდა არსებობს თამასუქის სხვა სახეებიც:

საბოლოერო თამასუქი გაიცემა გემის ან ტეირთის გირაოს სახით.

ბლანკო-თამასუქში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე ჩვეულებრივი რეკვიზიტი (მაგ. თამასუქის გამცემის ხელმოწერა, თანხა, გაცემის თარიღი). შეიძლება გამოშვებულ იქნეს, როგორც ტრასანტის (ტრატის გამცემი), ისევე გადამხდელის მიერ ე.წ. ბლანკეტური აქცეპტის შედეგად. გამოიყენება შიდა და საერთაშორისო ბრუნვაში ერთმანეთის მიმართ ნდობის მჭიდრო საქმიან პარტნიორებს შორის. მაგალითად, ბანკის მიერ აქცეპტირებული კრედიტის გაცემისას გახსნილი აკრედიტივის მიხედვით თამასუქის გამცემ იმპორტიორს შეუძლია ხელი მოაწეროს ბლანკო-თამასუქების კომპლექტს და ამ ბანკში მათი დეპონირება განახორციელოს. ბანკი შეთანხმების საფუძველზე აუწყებს ცარიელ რეკვიზიტებს ექსპორტიორის მიერ აკრედიტივის გადასახდელად კო-

მერციულ დოკუმენტების მიწოდების შესაბამისად.

შეგებებული თამასუქის ძალით ორი პირი ერთმანეთის მიმართ გამოდის ერთდროულად კრედიტორისა და მოვალის როლში. შეგებებული თამასუქები გაიცემა არა შემდგარი გარიგების საფუძველზე, არამედ ამ თამასუქების ბანკში ჩათვლის მიზნით.

საფინანსო თამასუქს ერთი საბანკო დაწესებულება აძლევს მეორეს სამაგიერო ფულადი თანხის მიღების მიზნით.

საგარანტიო თამასუქი გაიცემა სამეურნეო გარიგების უზრუნველყოფისათვის.

გაპროტესტებულია თამასუქი, რომლის მიხედვითაც თამასუქის მფლობელის მიერ ნოტარიალურად დამტკიცებულია მოვალის უარი გადახდაზე და თამასუქის დროული გაპროტესტება გადახდის ვადის მომდევნო რამდენიმე დღის ვადაში, რაც საშუალებას აძლევს თამასუქის მფლობელს სარჩელი წაუყენოს ყველა პირს, რომელიც სოლიდარულად ვალდებულია მთავარ მოვალესთან ერთად.

ქვეყნების უმრავლესობის სათამასუქო კანონმდებლობა ეფუძნება 1930 წლის ჟენევის სათამასუქო კონვენციებს, რომლებიც წარმოადგენენ თამასუქების და ჩეკების ბრუნვის მარეგლამენტირებელ მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებებს. ექვს კონვენციას (სამი ეხება თამასუქებს და სამი ჩეკებს) კონფერენციაზე ხელი მოაწერა ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობამ — ავსტრიამ, ბელგიამ, უნგრეთმა, იტალიამ, გერმანიამ, საბერძნეთმა, დანიამ, ლუქსემბურგმა, მონაკომ, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ, პოლონეთმა, ფინეთმა, საფრანგეთმა, პორტუგალიამ, რუსეთმა. კონვენციებს შეუერთდა იაპონია და აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისური სამართლის სხვა ქვეყნები არ შეუერთდნენ ჟენევის სათამასუქო კონვენციებს.

თამასუქი – 1) ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს არაფერით განპირობებულ თამასუქის მფლობელის (ტრასანტის) ვალდებულებას ან წინადადებას გადამხდელისადმი (ტრასატი) გარკვეულ დროში თამასუქის მფლობელს გადაუხადოს თამასუქში დადგენილი ფულადი თანხა.

თამასუქი, როგორც ფასიანი ქაღალდი ხასიათდება მკაცრი ფორმალურობით, აბსტრაქტულობით და როგორც წესი, გადაცემადობით ინდოსამენტის მეშვეობით. გამოიყოფა უბრალო და გადასაყვანი თამასუქი; 2) ცალმხრივი გარიგება თამასუქის გაცემაზე; 3) თამასუქიდან გამომდინარე ვალდებულება. იხ. ასევე ფასიანი ქაღალდი, უბრალო თამასუქი, გადასაყვანი თამასუქი, თამასუქის რეკვიზიტები, თამასუქის ინდოსამენტი, თამასუქის ავალი.

თამასუქის ავალი – სათამასუქო თაოდებობა, რომელიც უზრუნველყოფს თამასუქის მთლიანად ან თამასუქის ნაწილი თანხის გადახდის ვალდებულებების შესრულებას. თამასუქის ავალი გაიცემა მესამე პირის მიერ, როგორც თამასუქის მიმცემზე, ასევე თამასუქის მიხედვით ნებისმიერ, თამასუქის თანახმად ვალდებულ პირზე. შენიშნავა ავალის შესახებ კეთდება თამასუქზე, დამატებით ფურცელზე (ალონჟე) ან თუნდაც ცალკე ფურცელზე ავალისტის ხელმოწერის შემდეგ გაცემის ადგილისა და იმის მითითებით, თუ ვისთვისაა ის გაცემული. ამ უკანასკნელის არარსებობისას ითვლება, რომ ავალი მიცემულია თამასუქის მიმცემზე. ავალი ასევე შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ ხელმოწერით თამასუქის პირის მხარეს, მხოლოდ თუ ეს ხელმოწერა არაა შესრულებული გადამხდელის ან თამასუქის მიმცემის მიერ. ავალისტი და ის პირი, რომლის თაოდებობაც მან აიღო იღებენ სოლიდარულ პასუხისმგებლობას. განახორციელებს რა თამასუქის ანაზღაურებას. ავალისტი იღებს ყველა იმ უფლებას, რომელიც გამომდინარეობს თამასუქიდან იმ პირის წინააღმდეგ, რომელზეც მან გარანტია გასცა და იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ვალდებულნი არიან ამ უკანასკნელის წინაშე. იხ. ასევე ფასიანი ქაღალდი, უბრალო თამასუქი, გადასაგზავნი თამასუქი, თამასუქრეკვიზიტები, თამასუქის ინდოსამენტი.

თამასუქის ინდოსამენტი – თამასუქის უკანა მხარეს ან დამატებით ფურცელზე (ალონჟზე) გადასაცემი წარწერის შესრულება ე.ი. სხვა პირისთვის გადახდის მიღების უფლების გადაცემის შესახებ მითითება. ინდოსანტი ეწოდება პირს, რომელმაც თამასუქი გადასცა ინდოსამენტით, ხოლო ინდოსატი (ან ინდოსატორი) – პირი, რომელიც იღებს თამასუქს ინდოსამენტით. თამასუქის გადაცემის მოქმედებას ეწოდება ინდოსირება, თამასუქის ინდოსაცია. ინდოსამენტი აღინიშნება თამასუქის უკანა მხარეს წარწერის სახით „გადაუხადეთ" ბრძანებას – ან „ჩემს/ჩვენს ნაცვლად გადაიხადე". გადასაცემი წარწერა სავალდებულოდ უნდა შეიცავდეს თამასუქის გადამცემი პირის ხელმოწერას და ის შეიძლება იყოს სახელობითი ან საბლანკო.

საბლანკო თამასუქის ინდოსამენტი თამასუქის მფლობელს უფლებას აძლევს გადასცეს თამასუქი სხვა პირებს ყოველგვარი ხელმოწერის გარეშე. ინდოსანტს შეუძლია უკეე შესრულებული სრული თამასუქის ინდოსამენტი გადააქციოს საბლანკოდ, მხოლოდ გადაესმევა რა ზაზი წარწერას გადაცემის შესახებ და ამის ქვეშ საკუთარი ხელმოწერის შესრულებით. არასაბრუნავი თამასუქის ინდოსამენტი შეიცავს მითითებას „ჩემზე ბრუნვის გარეშე, რაც ინდოსამენტს ანთავისუფლებს უკუპასუხისმგებლობისგან აუნაზღაურებელ და გადაუხდელობაში გაპროტესტებულ თამასუქის მიხედვით, რაც არ ერცელდება შემდეგ ინდოსანტებზე. თამასუქის ინდოსამენტისგან უნდა განვასხვაოთ მინდობილის წარწერა („გადახდის მიღებისთვის", „ინკასოზე" და ა.შ.), რომელიც არ გადასცემს ინდოსატს უფლებას ინდოსანტს დააკისროს პასუხისმგებლობა რეგრესის მიხედვით. ასეთი წარწერა მხოლოდ ახდენს ინდოსატისთვის უფლებამოსილების მინიჭებას მიიღოს თამასუქის შესაბამისი ფული, განაგოს პროტესტის განცხადება, გააცნოს წინამორბედ ხელისმოწერებს გადასახადის შემოუსელელობის შესახებ და ა.შ., მაგრამ არ იხდის ინდოსანტს თამასუქის შესაკუთრედ. იხ. ასევე ფასიანი ქაღალდი, უბრალო თამასუქი, გადასაყვანი თამასუქი, თამასუქის რეკვიზიტები, თამასუქის ავალი.

თამასუქის პროტესტი – გადახდის ოფიციალურად დადასტურებული მოთხოვნა და მისი მოულებლობა. თამასუქის პროტესტის განხორციელებისთვის მისმა მფლობელმა ან მისმა უფლებამოსილმა პირმა გაუნაღდებელი თამასუქი უნდა წარუდგინოს

სანოტარო კანტორას გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით ან თუ ეს დომიცილირებული თამასუქია ეი. შესამე პირის მიერ გასანაღდებელი – ამ პირის ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო არააქცეპტში ან აქცეპტის დაუთარიღებლობისას თამასუქის პროტესტი ხორციელდება გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.

თამასუქი სანოტარო კანტორაში უნდა იქნეს წარმოდგენილი თამასუქზე გადახდის თარიღის ამოწურისთანავე, მეორე დღეს, მაგრამ არა უგვიანეს 12 სთ-ისა ამ ვადის შემდგომ დღეს. არააქცეპტში პროტესტისთვის თამასუქი უნდა იქნეს წარმოდგენილი სანოტარო კანტორაში აქცეპტისადმი წარდგინებისთვის დადგენილი ვადების განმავლობაში, ხოლო თუ თამასუქი აქცეპტისადმი წარდგენილია ვადის ბოლო დღეს – ამ ვადის შემდგომ დღეს არაუგვიანეს 12 სთ-ისა. ნოტარიუსი თამასუქის მიღების დღეს თამასუქის პროტესტს უყენებს გადამხდელს ან მესამე პირს (დომიცილიანტს) თავად თამასუქზე წარწერით გადახდის მიღების და სხვა კუთვნილი თანხის მიღების შესახებ. თუ გადამხდელმა გააკეთა აღნიშვნა აქცეპტის შესახებ გადასაყვან თამასუქზე, თამასუქი უბრუნდება თამასუქის მფლობელს პროტესტის გარეშე. თუ გადამხდელი (დომიცილიანტი) უარს ამბობს თამასუქის გადახდაზე ან აქცეპტის წარმოების მოთხოვნაზე ნოტარიუსი ადგენს დადგენილი ფორმით თამასუქის პროტესტზე გაუნაღდებლობის თუ არააქცეპტში. ის ამასთან აკეთებს შესაბამის ჩანაწერს რეესტრში, ასევე აღნიშნავს თავად თამასუქზე არააქცეპტში ან გაუნაღდებლობაზე პროტესტის შესახებ. გადამხდელის ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობისას თამასუქის პროტესტი ხორციელდება გადახდის ან აქცეპტის შესახებ მოთხოვნის წაყენების გარეშე.

თამასუქის პროტესტის შემდეგ სასამართლოებს უფლება აქვთ გასცენ სასამართლო გადაწყვეტილებები გაპროტესტებულ თამასუქებზე დაფუძნებულ სარჩელებზე; დგება პასუხისმგებლობა მარტივი თამასუქით – წარწერის შემსრულებლების მხრიდან, ხოლო გადასაყვანი თამასუქით – წარწერის შემსრულებლებისა და ტრასანტის (თამასუქის გამცემის) მხრიდან. ეს პირები, ინდოსანტების გარდა, წარმოადგენენ სოლიდარულად პასუხისმგებელს თამასუქის მფლობელთა წინაშე. ამ უკანასკნელს უფლება აქვს წაუყენოს სარჩელი თამასუქით ვალდებულ ყველა პირს (რეგრესის უფლება) ან ერთ-ერთ მათგანს. თამასუქის გამნაღდებელი თავის მხრივ მიმართავს მოთხოვნით დანარჩენებს და მიიღებს რა საჭირო თანხას, მას გადასცემს გაპროტესტებული თამასუქის გადამხდელს.

თამასუქის რეკვიზიტები – თამასუქის გაფორმების ელემენტები; თამასუქში ერთ-ერთი მათგანის არარსებობა არღვევს ამ დოკუმენტს სათამასუქო ძალას. თამასუქის რეკვიზიტებს განეკუთვნება: ა) თამასუქის შედგენის ადგილი ეი. შედგენის ადგილის სახელწოდება (ქალაქი და ა.შ.), რომელიც მითითებულია თამასუქის პირის მხარეზე, ჩვეულებრივ ზედა ნაწილში, ტექსტის ქვეშ. თამასუქის მფლობელს შეუძლია თამასუქში მიუთითოს გადახდის სპეციალური ადგილი; ბ) თამასუქის შედგენის დრო ეი. მისი შედგენის დღის, თვისა და წლის აღნიშვნა. ამის გარეშე შეუძლებელია განისაზღვროს იყო თუ არა თამასუქის მიმცემი ქმედუნარიანი თამასუქის რეკვიზიტების შედგენისას. თამასუქის შედგენის დროის აღნიშვნა მნიშვნელოვანია სათამასუქო ვადის განსაზღვრისთვის; გ) სათამასუქო აღნიშვნა ეი. დოკუმენტის აღნიშვნა სიტყვით „თამასუქი"; დ) თამასუქის თანხა, რომელიც შეიძლება ასევე მოიცავდეს პროცენტებს თამასუქის ბრუნვის დროზე, რომელიც ექვემდებარება განაღდებას წარდგენისას ან წარდგენიდან გარკვეულ დროში; ე) გადახდის ვადა. თამასუქში გადახდის ვადის მიუთითებლობა ხდის მას არანამდვილს. დასაშვებია ვადის განსაზღვრა, რომელიც მიუთითებს დღეს ან გარკვეულ დროს თამასუქის შედგენიდან ან წარდგენისას ან გარკვეულ დროს თამასუქის წარდგენისას; ვ) გადახდის ადგილი. თამასუქი შეიძლება ექვემდებარებოდეს განაღდებას ტრასატის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (გადასაყვანი თამასუქით) იმ ადგილას, სადაც არის თამასუქის მიმცემის საცხოვრებელი ადგილი (უბრალო თამასუქით) ან თამასუქში აღნიშნულ სხვა ადგილას. თამასუქში შეიძლება მითითებული იქნეს პირის სახელწოდება, თუ სად უნდა მოხდეს გადახდა (როგორც წესი, ბანკი); ზ) პირველი შემძენის ეი. პირის მითითება, რომლის ბრძანებითაც უნდა მოხდეს გადახდა (თამასუქის მფლობელის მიერ უბრალო თამასუქში და რემიტენტის მიერ გადასაყვან თამასუქში); თ) თამასუქის მიმცემის ხელმოწერა; ი) გადასაყვან თამასუქში თამასუქის მფლობელის გარდა უნდა იყოს მითითებული გადამხდელი (ტრასატი). იხ. ასევე ფასიანი ქაღალდი, უბრალო თამასუქი, გადასაყვანი თამასუქი, თამასუქის ინდოსამენტი, თამასუქის ავალი.

თანაავტორობა – ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივი შემოქმედებითი შრომით შექმნილი ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. თანაავტორს წარმოადგენს მხოლოდ პირი, რომელიც შემოქმედებით მონაწილეობას იღებდა ნაწარმოებში გადმოცემული იდეების, მეთოდების, პროცესების, სისტემების, ხერხების, კონსტრუქციების, პრინციპების, გამოეონებების, ფაქტების შექმნაში (ტექნიკური დამხმარეები, გამომცემლები, სპონსორები და ა.შ. თანაავტორებს არ წარმოადგენენ). თანაავტორობის წარმოქმნის პირობას წარმოადგენს თანაავტორებს შორის თანაავტორული ნაწარმოების შექმნის შესახებ ზეპირი ან წერილობითი შეთანხმების არსებობა. გადამამუშავებელები (მთარგმნელები და ა.შ.) იღებენ ნაწარმოების გადამუშავების უფლებას, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ თანაავტორებს.

თანაავტორობა ორი სახისაა: ა) განუყოფელი, რომელიც ჩნდება ნაწარმოებთან მიმართებაში და ქმნის ერთ უწყვეტ მთელს; ბ) განცალკევებული (დაყოფადი), რომელიც წარმოიქმნება ნაწარმოებთან მიმართებაში და შედგება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ნაწილებისგან. განუყოფელი თანაავტორობის მიღება შეიძლება მხოლოდ ამის შესახებ შეთანხმების არსებობისას. განუყოფელ თანაავტორობაში წარმოიქმნება ახალი საავტორო უფლება მთლიანად ნაწარმოებზე. დაყოფადი თანაავტორობა უნდა განვასხვავოთ სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების კრებულებში გამოყენების შემთხვევისგან და ა.შ. თანაავტორობის შესახებ შეთანხმების გარეშე. დაყოფადი თანაავტორობისას ნებისმიერი თანაავტორის წვლილის ოდენობა განისაზღვრება ნაწარმოების იმ

ნაწილის მოცულობისა და სახის გათვალისწინებით, რომელიც შექმნილია ამ თანაავტორის მიერ, ხოლო განუყოფელი თანაავტორობისას – მხარეთა შეთანხმებით. განუყოფელი თანაავტორობისას თანაავტორთა წესით შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში არის თანაბარი.

თანადაზღვევა – სამოქალაქო სამართალში დაზღვევის ერთი ობიექტის დაზღვევა დაზღვევის თითო ხელშეკრულებით რამდენიმე მზღვეველთან ერთად, თუ ასეთ ხელშეკრულებაში განსაზღვრული არაა თითოეული მზღვეველის უფლებები და ვალდებულებები, ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს დამზღვევის წინაშე სადაზღვევო ანაზღაურების ან სადაზღვევო თანხის გაცემაზე.

თანამდებობა – სახელმწიფო ორგანოს ან არასახელმწიფო ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც კონკრეტული უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობით განსაზღვრავს მოცემული თანამდებობის მქონე პირის სამსახურებრივ მდგომარეობას. თანამდებობა ფიქსირდება ორგანოს საშტატო განრიგში ან სხვა სამართლებრივ აქტში მოცემული ორგანოს (ორგანიზაციის) შექმნის შესახებ. სახელმწიფო თანამდებობა განისილება, როგორც თანამდებობა სახელმწიფო ხელისუფლების, ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოებში კონსტიტუციის შესაბამისად, მოცემული სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილებების შესრულებისა და უზრუნველყოფის ვალდებულებების დადგენილი წესით, ფულადი შემადგენლობითა და ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობით (იხ. სახელმწიფო თანამდებობა). სახელმწიფო თანამდებობები იყოფა იურიდიული მახასიათებლების მიხედვით.

შესაბამისი თანამდებობის მქონე პირისთვის გათვალისწინებული უფლებამოსილებების თვალსაზრისით, თანამდებობა შეიძლება დაიყოს მმართველობითად (ხელმძღვანელი), კონსულტაციურად, საორგანიზაციო-ტექნიკურად, აღმასრულებლად და დამხმარედ. სახელმწიფო თანამდებობების დაკავების წესი დგინდება კანონმდებლობის მიერ. კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებში თანამდებობის დაკავების წესი დგინდება კანონმდებლობით, ასევე ამ ორგანიზაციების წესდებით, სათანადო წესით დამტკიცებული დებულებებით მათ შესახებ.

თანამდებობის პირი – პირი, რომელსაც უკავია სახელმწიფო თანამდებობა, სახელმწიფო სამსახურის სახელმწიფო თანამდებობა, ასევე სახელმწიფო ორგანოს თანამშრომელი, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად აკისრია საკონტროლო-საზედამხედველო უფლებამოსილებები და იურიდიული მოქმედებების განხორციელება მისთვის დაუქვემდებარებელი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ (ხელისუფლების წარმომადგენელი). სამართლის ცალკეულ დარგებში თანამდებობის პირები განიხილება, როგორც სამართალურთიერთობათა სუბიექტები. თანამდებობის პირი განისაზღვრება, როგორც პირი, რომელიც მუდმივად, დროებით ან სპეციალური უფლებამოსილებით ახორციელებს ხელისუფლების წარმომადგენლის ფუნქციებს ან ასრულებს საორგანიზაციო-განკარგულებით, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებს სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებში, ასევე შეიარაღებულ ძალებში, სამხედრო ფორმირებებში. კანონით გათვალისწინებულია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა საორგანიზაციო-განკარგულებით თუ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებთან დაკავშირებით ორგანიზაციის ხელმძღვანელებს და სხვა ორგანიზაციების სხვა მუშაკებს, ასევე პირებს, რომლებიც სამუწარმეო საქმიანობას ახორციელებენ იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ, როგორც თანამდებობის პირებს, თუ კანონით სხვა რამ არაა დადგენილი.

თანამდებობრივი დანაშაულები – ერთობლივი ცნება, რომელიც აერთიანებს საზოგადოებისთვის საშიშ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებიც ხელყოფენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი თანამდებობის პირებისა და სხვა მოსამსახურეთა, არათანამდებობის პირების – ოფიციალური წარმომადგენების კანონიერი საქმიანობის უზრუნველმყოფელ ურთიერთობებს, ასევე სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურის ავტორიტეტს, სწორ ფუნქციონირებასა და სხვა კანონიერ ინტერესებს.

მოცემული საკანონმდებლო ინსტიტუტი მოიცავს შემდეგ დანაშაულებს: თანამდებობრივი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება, თანამდებობრივი უფლებამოსილებების გადამეტება, თანამდებობრივი უფლებამოსილებების მიკუთვნება, უკანონო მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში, ქრთამის აღება, ძალოვანი ნივთის მიცემა, გულგრილობა, სამსახურებრივი თაღლითობა.

თანამდებობრივი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება – თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილებების გამოყენება სამსახურის ინტერესების საპირისპიროდ, თუ ეს ქმედება განხორციელებულია ანგარების ან სხვა პირადი დაინტერესების მიზნით და გამოიწვია მოქალაქეების ან ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, ასევე კანონის მიერ დაცული სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესების დარღვევა.

თანამდებობრივი უფლებამოსილებების გადამეტება – თანამდებობის პირის მიერ მისი უფლებამოსილებების ფარგლებს გარეთ გამაუალი მოქმედებების ჩადენა და რომელთაც მოჰყვა მოქალაქეების თუ ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ან საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონით დაცული ინტერესების დარღვევა.

თანამდებობრივი უფლებამოსილებების მიკუთვნება – თანამდებობის პირის მიერ მისი უფლებამოსილებების ფარგლებს გარეთ გამაუალი მოქმედებების ჩადენა და რომელთაც მოჰყვა მოქალაქეების თუ ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ან საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონით დაცული ინტერესების დარღვევა.

თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში – ორი ან მეტი პირის ერთობლივი განზრახ მონაწილეობა განზრახ დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობა არის სხვადასხვა ფორმის: ა) დანაშაულს იდენს პირთა ჯგუფი, თუ მის ჩადენაში ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი შემსრულებელი წინასწარი შეთანხმების გარეშე; ბ) დანაშაულის ჩადენა ხდება პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, თუ მასში მონაწილეობდნენ პირები, რომლებიც ერთობლივად შეთანხმდნენ დანაშაულის ჩადენაზე; გ) დანა-

შაულის ჩადენა ხდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ, თუ ის ჩადენილია პირთა მყარი ჯგუფის მიერ, რომლებიც წინასწარ შეთანხმდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენის თაობაზე; დ) როცა დანაშაულის ჩადენა ხდება ორგანიზებული ჯგუფის ან დანაშაულებრივი საზოგადოების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მიერ, თუ ის განხორციელდა შეკრული ორგანიზებული ჯგუფის (ორგანიზაციის) მიერ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩასადენად, ან იმავე მიზნით შექმნილი ორგანიზებული ჯგუფების გაერთიანებით.

დანაშაულის ჩადენას პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ორგანიზებული ჯგუფის ან დანაშაულებრივი საზოგადოების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მიერ მოსდევს უფრო მკაცრი სასჯელი.

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულზე სასჯელის შეფარდება – სასჯელის შეფარდების სპეციალური წესი, რომლის თანახმადაც გათვალისწინებულია პირის ფაქტიური მონაწილეობის სახე და ხარისხი მის ჩადენაში, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მიღწევისთვის, მისი გავლენა მიყენებულ ან შესაძლო ზიანის სახესა და სიდიდეზე. ერთ-ერთი თანამონაწილის პიროვნებასთან დაკავშირებული შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები გათვალისწინებულია მხოლოდ ამ თანამონაწილისთვის სასჯელის შეფარდებისას.

თანდართული წერილი – თანდართული წერილი წარმოადგენს მოკლე ცნობარს იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც გასაგზავნ დოკუმენტებს აქვს დართული.

თუ წარმოგზავნილი დოკუმენტები ნახსენებია წერილის ტექსტში, მაშინ დანართში მათი ჩამოთვლა აღარ არის საჭირო, უნდა აღინიშნოს მხოლოდ ფურცელთა საერთო რაოდენობა.

თანდართული წერილის მთავარი ნაწილებია:

1. კუთხის შტამპი გაგზავნილი ორგანიზაციის დასახელებითა და მისამართი.

2. წერილის ნომერი და თარიღი (იწერება კუთხის შტამპში).

3. მიმღები ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის დასახელება და მისამართი.

4. წერილის ტექსტი.

5. დანართების ჩამოთვლა ფურცელთა რაოდენობის აღნიშვნით.

6. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის ხელმოწერა.

თარჯიმანი

კანონი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №2 – სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი

თავი №13 – სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილენი

მუხლი №100 – თარჯიმანი

1. თარჯიმანს იბარებენ, როცა:

ა) გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ იციან ან სათანადოდ არ იციან ენა, რომელზედაც პროცესის მონაწილე იძლევა განმარტებას ან ჩვენებას;

ბ) ბრალდებულმა, ეჭვმიტანილმა, დამცველმა, დაზარალებულმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ, მათმა წარმომადგენლებმა, პროცესის სხვა მონაწილეებმა არ იციან ან სათანადოდ არ იციან სისხლის სამართლის პროცესის ენა;

გ) საჭიროა მეორე ენიდან ითარგმნოს ესა თუ ის წერილობითი ტექსტი.

2. თარჯიმნის გამოძახების შესახებ გამომძიელებს, პროკურორს ან მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება.

3. წესები, რომლებიც ეხება თარჯიმანს, ვრცელდება იმ პირზედაც, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები და რომელიც მოწვეულია სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის.

3[1] თუ საქმის რამდენიმე მონაწილეს სჭირდება თარჯიმანი და ისინი სათანადოდ ფლობენ ერთსა და იმავე ენას, ამ კოდექსის 101-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება შეუძლია ერთ თარჯიმანს.

4. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირებს უფლება არა აქვთ შეასრულონ თარჯიმნის მოვალეობანი.

მუხლი №101 – თარჯიმნის უფლება-მოვალეობანი

1. თარჯიმანი ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით; ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება და დოკუმენტი; ხელმოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმსა და სასამართლო სხდომის ოქმში, აგრეთვე სხვა საპროცესო დოკუმენტებში, რომლებიც პროცესის მონაწილეს გადაეცემა მის მშობლიურ ენაზე ან იმ ენაზე თარგმნილი, რომელიც მან იცის; გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები, აგრეთვე ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ; დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო სხდომის დროს.

2. თუ თარჯიმანი უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას არასაპატიო მიზეზით, მას შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი 203-ე მუხლით დადგენილი წესით. არასწორი თარგმანისათვის თარჯიმანი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

3. თარჯიმანს უფლება აქვს: თარგმანის დასაზუსტებლად დაუსვას კითხვები პროცესის მონაწილეებს; გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს და სასამართლო სხდომის ოქმს, გამოთქვას შენიშვნები, რომლებიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი. უარი თქვას საქმის წარმოებაში მონაწილეობაზე, თუ თარგმნისათვის საჭირო ცოდნა არ გააჩნია.

თარჯიმანი – პირი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და თაეისუფლად ფლობს იმ ენას, რომლის ცოდნაც აუცილებელია თარჯიმნობისთვის.

პირის თარჯიმნად დანიშნის შესახებ მოკლეევის მწარმოებელი პირს, გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს განჩინება.

თარჯიმანს უფლება აქვს: ა) კითხვები დაუსვას სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეებს

თარგმნის დაზუსტების მიზნით; ბ) გაეცნოს საგამოძიებო მოქმედების ოქმს, რომელშიც ის მონაწილეობდა და ასევე სასამართლო სხდომის ოქმს და გააკეთოს შენიშვნები თარგმანის ჩანაწერის სისწორის თაობაზე, რაც ექვემდებარება ოქმში ჩაწერას; გ) შეიტანოს საჩივარი მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს მოქმედებებსა (უმოქმედობაზე) და გადაწყვეტილებებზე.

თარჯიმანს უფლება არა აქვს: ა) განახორციელოს არასწორი თარგმნა; ბ) გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მონაცემები, რაც მისთვის ცნობილი გახდა სისხლის სამართლის წარმოებაში თარჯიმნის სახით მონაწილეობისას, თუ ის გაფრთხილებული იყო ამის შესახებ.

არასწორ თარგმანსა და წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურებაზე თარჯიმანი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

თარჯიმნის აცილება. გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლომდელი წარმოების დროს თარჯიმნის აცილების შესახებ იღებს მოკვლევის მწარმოებელი პირი, გამომძიებელი ან პროკურორი, ასევე სასამართლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში. სასამართლო წარმოების დროს აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომელიც განიხილავს მოცემული სისხლის სამართლის საქმეს ან მოსამართლე, რომელიც არის თავმჯდომარე სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

თავლითობა – 1) სხვისი ქონების დატაცება ან სხვის ქონებაზე უფლების მოპოვება მოტყუებისა თუ ნდობის ბოროტად გამოყენების გზით; 2) დანაშაული ეკონომიკის სფეროში, რომელიც მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ, წარმოადგენს სხვისი ქონების დატაცებას ან სხვის ქონებაზე უფლების მოპოვებას მოტყუებისა თუ ნდობის ბოროტად გამოყენების გზით; 3) საბუღალტრო აღრიცხვაში – განზრახ ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მიმართულია საბუღალტრო ანგარიშგების დამახინჯებაზე. თუ ეკონომიკური სუბიექტის თანამდებობის პირებმა ანგარების მიზნით ჩაიდინეს მოტყუება ან ბოროტად გამოიყენეს საბუღალტრო ანგარიშგების გამომყენებელთა ნდობა, მაგრამ ბრალი არ დამტკიცდა სასამართლო წესით, ამის აღმომჩენმა აუდიტორმა უნდა მიუთითოს საბუღალტრო ანგარიშგების წინასწარ განზრახული დამახინჯების არსებობაზე.

თევზებისა და ვეშაპისებრთა შორს მიგრირებადი სახეობები – თევზებისა და ვეშაპისებრთა სახეობები, რომელთაც შეუძლიათ მიგრაცია დიდ მანძილზე და გუხედებან სარეწ დაჯგუფებები, როგორც განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

თევზების ანადრომული სახეობები – მდინარეებში, ტბებსა და სხვა წყალსატევებში წარმოქმნილი თევზების სახეობები, რომლებიც შემდეგ ახორციელებენ მიგრაციას ზღვაში ნასუქობისთვის და რომლებიც შემდგომ ბრუნდებიან თავიანთი წარმოქმნის ადგილზე ქვირითის დაყრისთვის. იხ. ასევე: თევზების კატადრომული სახეობები.

თევზების კატადრომული სახეობები – თევზების სახეობები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებისეული ციკლის დიდ ნაწილს ატარებენ სახელმწიფოს წყლებში, მათ შორის, შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში. იხ. ასევე თევზების ანადრომული სახეობები.

თევზების ტრანსზონალური სახეობები – თევზების სახეობები განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და მის მიმდებარე, უცხო სახელმწიფოთა განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში, რომლებიც წარმოადგენენ ამ ცოცხალი რესურსების სამკვიდრებელ ერთიან არეალს. იხ. ასევე თევზების ტრანსსასაზღვრო სახეობები.

თევზების ტრანსსასაზღვრო სახეობები – თევზების, მოლუსკებისა და კიბოსნაირების სახეობები „მჯდომარე სახეობების“ ცოცხალი ორგანიზმების გარდა, ასევე ცოცხალი რესურსები, რომლებიც გუხედება, როგორც განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ და მიმდებარე რაიონში. იხ. ასევე თევზების ტრანსზონალური სახეობები.

თევზჭერა – ცხოველთა სამყაროს გამოყენების სახე (მათ შორის, წყლის უხერხემლოებისა და ზღვის ძუძუმწოვრების მოპოვება).

თვითმკვლელობამდე მიყვანა – დანაშაული ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ, რომელიც მდგომარეობს პირის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანაში დამუქრების, სასტიკი მოპყრობის ან დაზარალებულის ადამიანური ღირსების სისტემატური შელახვის ან სხვა აგიტაციის გზით. მასში შედეგები უშუალოდ დგება თავად დაზარალებულის მოქმედებების შედეგად, რომელიც იძულებულია განახორციელოს თვითმკვლელობა. სწორედ დაზარალებულის მოქმედებების ანალიზი იძლევა საშუალებას გამოვალინოთ, განზრახული აქვს თუ არა მას თვითმკვლელობა. დაუსრულებელი თვითმკვლელობისას დაზარალებულის მოქმედებების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას თვითმკვლელობა მკვლელობისგან გავმიჯნოთ.

თვითმკვლელობამდე მიყვანაზე პასუხისმგებლობის დადგომისთვის აუცილებელია, რომ მუქარამ, სასტიკმა მოპყრობამ ან ადამიანის ღირსების სისტემატურმა შელახვამ ან მასე სექტანტურმა აგიტაციამ მიიყვანოს პირი თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე. დაზარალებულის მოქმედებებს, რომლებიც შემოიფარგლა თვითმკვლელობისთვის მზადებით ან თვითმკვლელობის ჩადენის განზრახვის გამხატვით, არ გააჩნია დამოუკიდებელი სისხლის სამართლის მნიშვნელობა, რამდენადაც კანონს მათ რიცხვში არ ჩაურთაუს მოცემული დანაშაულის შედეგები. პირს, რომელიც დამნაშავეა მუქარაში, სასტიკ მოპყრობასა თუ ადამიანის ღირსების სისტემატურ შელახვაში ან სხვაგვარ მოპყრობაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ პირობის დროს, რაცა ეს მოქმედებები შეადგენენ დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას.

თვითნებობა – კანონით ან სხვა სამართ-

ლებრივი აქტით დადგენილის საპირისპიროდ რაიმე ქმედებების თვითნებური ჩადენა, რომელთა მართლზომიერებაც სადავოა ორგანიზაციის ან მოქალაქის მიერ.

თვითნებური აშენება – შენობის, ნაგებობის, სხვა უძრავი ქონების აგება მიწის მონაკვეთზე, რომელიც ამ მიზნებისთვის გაუთვალისწინებელია კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ან შექმნილია ამაზე საჭირო ნებართვების მიღების გარეშე ან ქალაქთმშენებლობისა და სამშენებლო ნორმებისა და წესების არსებითი დარღვევით. თვითნებური აშენების განმხორციელებელი პირი მასზე არ იძენს საკუთრების უფლებას. მას უფლება არა აქვს განაგოს ნაგებობა – გაყიდოს, გააჩუქოს, გააქირაოს, განახორციელოს სხვა სახის გარიგება. თვითნებური აშენება ექვემდებარება აღებას მისი ამშენებელი პირის მიერ ან მის ხარჯზე.

თორმეტი ტაბულის კანონები რომის სამართლის ერთ-ერთი ძველი ძეგლი, რომლისგანაც მიიღო მძლავრი ბიძგი განვითარებისაკენ. დაწერილი იყო თორმეტ დაფაზე და ამგვარად იყო ცენტრალურ ადგილას გამოფენილი.

თრობის მდგომარეობაში დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა – დანაშაულის ჩადენა პირის მიერ თრობის მდგომარეობაში, რაც გამოწვეულია ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალებების ან სხვა გამბრუებელი ნივთიერებების გამოყენებით, რომელიც ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ალკოჰოლური თრობა ან ნარკოტიკული ან სხვა გამბრუებელი ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული მდგომარეობა, თუ მას მოსდევს პირის მიერ უნარის ნაწილობრივი დაკარგვა გააცნობიეროს ქმედების ფაქტური მხარე ან მართოს ის, არ წარმოადგენს საფუძველს პირის შეურაცხად ან შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში ყოფნის ცნობისთვის, რამდენადაც ამ შემთხვევაში არ არსებობს შეურაცხადობის სამედიცინო კრიტერიუმი ე.ი. ფსიქიკური მოქმედების დარღვევა. გარდა ამისა, პირი შეგნებულად იღებს ალკოჰოლს (ნარკოტიკს ან სხვა გამბრუებელ ნივთიერებას) და აცნობიერებს, თუ რა მოქმედებას ახდენს ის ორგანიზმზე. თუ მან ნარკოტიკი ან ალკოჰოლი მიიღო იძულებით ან მოტყუების გზით, ეს გარემოება შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი ზომის განსაზღვრისას მის მიერ ასეთ მდგომარეობაში ჩადენილ დანაშაულზე.

პათოლოგიური თრობისგან განსხვავებით, რომელიც განხილება, როგორც დროებითი ფსიქიკური აშლილობა და რასაც მოსდევს პირის შეურაცხადად ცნობა, რომელმაც ჩაიდინა ასეთ მდგომარეობაში საზოგადოებისთვის საშიში ქმედება, ჩვეულებრივი (ფიზიოლოგიური) თრობის დროს (გაბრუებისას), როგორც მინიშნები არ არსებობს შეურაცხადობის სამედიცინო (ფსიქიატრიული) კრიტერიუმი.

ბევრ ქვეყანაში სისხლის სამართლის კოდექსი არ განიხილავს პირის თრობის მდგომარეობას დანაშაულის ჩადენის მომენტში, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელს, ან დამამძიმებელს. ამასთან, თუ თრობის მდგომარეობაში დანაშაული ჩაიდინა პირმა, რომელიც სისტემატურად ლოთობს, იღებს ნარკოტიკებს ან სხვა ძლიერმოქმედ ნივთიერებებს, მოცემული გარემოება შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას, როგორც დამნაშავე პიროვნებისთვის დამახასიათებელი.

თხოვნა სამართლებრივი დახმარების შესახებ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაკითხვის, დათვალიერების, ამოღების, ჩხრეკის, სასამართლო ექსპერტიზის წარმოების აუცილებლობისას პროკურორი, გამომძიებელი აყენებენ მოთხოვნას მათი წარმოების შესახებ უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების, შეთანხმების შესაბამისად ან ურთიერთდახმარების პრინციპის საფუძველზე.

თხოვნა საპროცესო მოქმედების წარმოების შესახებ იგზავნება: ა) უზენაესი სასამართლოს მეშვეობით – უზენაესი სასამართლოს სასამართლო საქმიანობის საკითხებზე; 2) იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით – უზენაესი სასამართლოს გარდა ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; გ) შინაგან საქმეთა სამინისტროს, უსაფრთხოების, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ბრუნვაზე კონტროლის სამსახურების მეშვეობით, საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით. როცაა ეს მოითხოვენ სასამართლო გადაწყვეტილებას ან პროკურორის თანხმობას; დ) გენერალური პროკურატურის მეშვეობით – დანარჩენ შემთხვევებში თხოვნა და მასთან დართული დოკუმენტები ითარგმნება იმ უცხო სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, სადაც ისინი იგზავნება.

საპროცესო მოქმედების წარმოების შესახებ თხოვნა დგინდება წერილობითი სახით, მას ხელს აწერს მისი გამგზავნი თანამდებობის პირი, შოწმდება შესაბამისი ორგანოს ღერბიანი ბეჭდით და ის უნდა შეიცავდეს: ა) იმ ორგანოს დასახელებას, რომლიდანაც მოდის თხოვნა; ბ) იმ ორგანოს დასახელებასა და ადგილს, სადაც ის იგზავნება; გ) სისხლის სამართლის საქმის დასახელებასა და თხოვნის სახეს; დ) იმ პირთა შესახებ მონაცემებს, რომელთა მიმართაც იგზავნება თხოვნა, მათ შორის, მათი დაბადების თარიღსა და ადგილს, მოქალაქეობას, საქმიანობის სახეს, საცხოვრებელ ადგილს ან ადგილსამყოფელს, ხოლო იურიდიული პირებისთვის – მათ დასახელებასა და განთავსების ადგილს; ე) გასარკვევი გარემოებების გადმოცემას და ასევე მოსათხოვნი დოკუმენტების, ნივთმტკიცებების და სხვაგვარი მტკიცებულებების ჩამონათვალს; ვ) ცნობებს ჩადენილი დანაშაულის ფაქტური გარემოებების შესახებ, მის კვალიფიკაციას, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის ტექსტს, ხოლო საჭიროებისას, ასევე ცნობებს მოცემული დანაშაულით მიყენებული ზიანის ოდენობის შესახებ.

0

იარაღი – მოწყობილობები და საგნები, რომლებიც კონსტრუქციულად გათვალისწინებულია ცოცხალ ან სხვა მიზანში მოხვედრისთვის, სიგნალების მიწოდებისთვის. იარაღებს არ განეკუთვნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულების ნაკეთობების სახით სერტიფიცირებული ნაკეთობები, სპორტული იარაღები, რომლებიც კონსტრუქციულად გვანან იარაღებს.

იარაღის, მისი ძირითადი ნაწილების, საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების შეძენა – მათი შესყიდვა, საჩუქრად მიღება, ნიეთების ან საქონლის სანაცვლოდ მიღება და ა.შ. ასევე იარაღის დროებით ფლობა დანაშაულებრივი ან სხვა ამგვარი მიზნით, როცა დამნაშავის ქმედებაში დადგენილი არაა მისი ქურდობის ნიშნები.

იარაღის, მისი ძირითადი ნაწილების, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების ან ასაფეთქებელი მოწყობილობების გადაცემა მათი უკანონო გადაცემა იმ პირების მიერ, რომელთაც ისინი გააჩნია უცხო პირებისთვის დროებით გამოყენებისთვის ან შესანახად.

იარაღის, საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების დაცვის ვალდებულებების არასათანადო შესრულება – დადგენილი ინსტრუქციების დაუცველობით გამოწვეული არამკაფიო ან არასრული სახით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების დაცვის ვალდებულებების ისეთი შესრულება, რამაც გამოიწვია მათი დატაცება ან განადგურება ან სხვა მძიმე შედეგების დადგომა.

იდენტიფიკაცია (identification)

იგივეობის დადგენის პროცესი კრიმინალისტიკაში – კონკრეტული ობიექტის ან პიროვნების ამოცნობა მისთვის დამახასიათებელი ზოგადი და კერძო ნიშნების ერთობლიობით, მათი შედარებითი შესწავლის გზით სასამართლო მტკიცებულებათა მისაღებად. სოციალურ ფსიქოლოგიაში იდენტიფიკაცია ეწოდება სუბიექტის თვითმეკუთვნების გარკვეულ სოციალურ ჯგუფთან, სოციუმთან.

სუბიექტის მიხედვით განასხვავებენ საგამოძიებო, სისხლისსამართლებრივ, სარეგისტრაციო და საექსპორტო იდენტიფიკაციას.

ზოგადად იდენტიფიკაცია ადგენს გამოსაკვლევი საგნის შესაბამისობას ნიმუშთან, რომელსაც იდენტიფიკატორი ეწოდება. მაგალითად, ალგორითმულ ენებში გამოიყენება სპეციალური სიმბოლოები – მათემატიკური და ლოგიკური ოპერაციების იდენტიფიკატორები. სალარო აპარატებში ხორციელდება მონეტების იდენტიფიკაცია მათი მასის და ფორმის მიხედვით. დასაველთის ქეცნვების მსხვილ ბანკებში გამოიყენება კლიენტის ხმის საიდენტიფიკაციო აპარატები, რომლებიც ტელეფონით მომსახურების საშუალებას იძლევიან. საიდენტიფიკაციო პარამეტრების როლის შესრულება შეუძლიათ პერსონალურ ნომერს, ინფორმაციას, საგადასახადო ან სოციალური რეგისტრაციის ნომერს.

სბაჟო იდენტიფიკაცია ხდება პლომბის, ბეჭდის დადებით, ციფრობრივი, ასოებრივი ან სხვა მარკირების, საიდენტიფიკაციო ნიშნების, შტამპის დასმით, სინჯებისა და ნიმუშების აღებით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღწერით, ნახაზების შედგენით, მასშტაბური გამოსახულების, ფოტოსურათების, ილუსტრაციების გამოყენებით, იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებით.

ფართო მოხმარების საქონლის ელექტრონული კომპიუტერიზებული იდენტიფიკაციის სისტემა მიღებულია დასაელური ქეცნვების უმრაელესობაში. სისტემაში გამოიყენება სპეციალური მაგნიტური ან შტრიხ-კოდი, რომელიც შედგება სხვადასხვა სისქის შტრიხების განსაზღვრული რაოდენობისაგან და ციფრებისაგან., მოლარე ან გამყიდველი განშუხტავს მაგნიტურ კოდს სპეციალური მოწყობილობით (ან გაატარებს შტრიხკოდს სკანერში) და შემდგომ კომპიუტერი აწარმოებს საქონლის ფასის რეგისტრაციას და საწყობში მისი მარაგის აღრიცხვას. ამგვარი სისტემა საგრძნობლად აადვილებს მაღაზიის მუშაობას, როგორც მომსახურების და აღრიცხვის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ასევე მაღაზიის უსაფრთხოების დონის ამაღლების თვალსაზრისითაც., საქონლის ქურდობის შემთხვეევაში ჩაირთვება გასასელელში დამონტაჟებული მოწყობილობა, რომელიც რეაგირებს მასში მოლარესთან გაუტარებელი საქონლის გატანის მცდელობისას.

იდეოლოგიური მექანიზმი – გარემოშეცველი ბუნებრიეი გარემოს, ბუნებრიეი რესურსების დაცვისა და გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში – 1) ფილოსოფიური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა შეხედულებებისა და იდეების სისტემა, რომლებშიც გაცნობიერებულია ადამიანების დამოკიდებულება ბუნებასთან; 2) ადამიანების ქცევაზე ზემოქმედების იდეოლოგიური ზომების სისტემა ბუნებრიეი გარემოს ხარისხის უზრუნველყოფის, ბუნებრიეი რესურსების მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ანსხვავებენ იდეოლოგიური მექანიზმის შემდეგ ძირითად ელემენტებს: ეკოლოგიურ აღზრდასა და განათლებას, ეკოლოგიურ სამეცნიერო კელეებს, ეკოლოგიური ცოდნის გავრცელებას.

ილუსტრაცია (ლათ. illustratio – ახსნა, ასახვა) – ტექსტის შინაარსობრივად შემავსებელი და ამხსნელი სურათი ან ფოტო.

ილხანი [თურან. ხალხის მბრძანებელი] ჩინგისყაენის შვილიშეილის მიერ 1256 წ-ს დაარსებული ჰულაგუიდების დინასტიის ყაენების ტიტული.

იმამატი [<იმამი] 1) ისლამური თეოკრატიული სახელმწიფო; 2) მიურადების სახელმწიფო ჩეჩნეთსა და დაღესტანში, რომელიც XIX ს-ის 20-იან წწ-ში ჩრ. კაეკასიის ხალხთა ცარისტულ რუსეთთან ბრძოლისას

ჩამოყალიბდა; ახალი ი-ს შექმნა ჰქონდათ განზრახული სამხედრო ფორმირებებს, რომლებიც 1999 წ-ს შეიჭრნენ ჩეჩნეთსა და დაღესტანში.

იმამი [არ.] 1) უმაღლესი მმართველი, მუსულმანური ქვეყნის საერო და სასულიერო ლიდერი; თავდაპირველად ასე უწოდებდნენ წინასწარმეტყველ მუსამედს, შემდეგ არაბების იმამები ხალიფები იყვნენ, თურქების – სულთნები, სპარსელების – ალის შთამომავლები; 2) მუსულმანებთან სასულიერო პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ღვთისმსახურებას მეჩეთში; ავტორიტეტული სამართალმცოდნე და ღვთისმეტყველი ისლამის საკითხებში.

იმიგრანტი [ლათ. immgrans (immigrantis) შესახლებული] 1) ერთი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც სამუდამოდ ან ხანგრძლივი დროით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახლდება; 2) ცხოველების სახეობა, გვარი, ოჯახი და ა.შ., რომელიც წარმოიქმნა და განვითარდა სხვა ადგილას და დიდი დროის შემდეგ დასახლდა მოცემულ ტერიტორიაზე.

იმიგრაცია [ლათ. immgrae შესახლება] 1) უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახლება მოცემულ ქვეყანაში მუდმივად საცხოვრებლად; 2) კაპიტალის ი. – მოცემულ ქვეყანაში უცხო ქვეყნის საწარმოო სუბიექტების კაპიტალების შემოდინება.

იმპერატივი [ლათ. imperativus ბრძანებითი] 1)ზნის ბრძანებითი კილო; 2) კანონი, ბრძანება, კატეგორიული აუცილებელი მოთხოვნა; 3) კატეგორიული იმპერატივი – კანტიანობაში აუცილებელი ზნეობრივი ბრძანება, რომელიც მეხსიერებას თაეიდანვე დაყვება და უნდა დაემორჩილოს ყველა ადამიანი წარმოშობის, საზოგადოებრივი მდგომარეობის, განათლების სარწმუნოების და ა.შ. მიუხედავად, საერთო მნიშვნელობის მქონე ზნეობრივი მითითება პირადი პრინციპის (მაქსიმას) საპირისპიროდ; პიპოთეტიკური ი-ს ძალა მხოლოდ გარკვეულ პირობებში გაჩნია, კატეგორიული ი. – ქცევის აუცილებელი პრინციპია.

იმპერატიული [< ლათ. imperativus] 1)ბრძანებითი; 2) აუცილებელი, არჩევანის გარეშე; ი. მანდატი – მითითება, რომელსაც არჩეული პირი (დეპუტატი) უნდა დაემორჩილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეიძლება უკან იქნეს გაწვეული; ბრაუად თანამედროვე სახელმწიფოში დეპუტატები არ არიან ამომრჩევლების ნებით შეზღუდული, რადგან ითვლებიან მთელი ერის წარმომადგენლებად; როგ ქვეყნებში ი. მანდატს კონსტიტუცია კრძალავს.

იმპერატიული ნორმა (imperative, peremptory rule) – იმპერატიული, ანუ მბრძანებლური, იურიდიულ პრაქტიკაში ნორმა, რომელიც არ იძლევა არჩევანის საშუალებას. იმპერატიულის ანტონიმია უფლებამოსილებითი, იმპერატიულ ნორმას უწოდებენ აგრეთვე დამაკალებელს. ამგვარი ნორმა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს მიუთითებს ქცევის მხოლოდ ერთ ეარიანტზე, არ აძლევს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 746-ე მუხლის ძალით „შეთანხმება ექსკლუზიური დაკალების შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას".

იმპერატორი [ლათ. imperator მბრძანებელი] 1)მხედართმთავრის საპატიო ტიტული რესპუბლიკურ რომში; აგუსტოსის დროიდან რომის სახელმწიფოს მეთაურის ტიტული; 2) შეშდგომში მრაკალი მონარქის ტიტული უპირატესად მრავალეროვან სახელმწიფოებში.

იმპორტი (import) – საზღვარგარეთიდან საქონლის, ტექნოლოგიის და კაპიტალის შემოტანა ქვეყანა იმპორტიორის ბაზარზე მისი რეალიზაციისთვის; საგარეო პარტნიორებისგან საწარმოო ან სამომხმარებლო მნიშვნელობის მქონე ფასიანი მომსახურების მიღება.

სახელმწიფოები ხშირად იყენებენ იმპორტირებული საქონლის საბაჟო ან სატარიფო დაბეგვრას. გადასახდელი თანხა შეიძლება იყოს ფიქსირებული ან წარმოადგენდეს საქონლის ღირებულების პროცენტს. ამგვარი ღონისძიებები წარმოადგენს ძირითად ბარიერს, რომელიც იცავს ეროვნულ მეწარმეებს უცხოელი კონკურენტებისგან, აგრეთვე ეს არის სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში) საიმპორტო შეზღუდვების სხვა საშუალებებიც არსებობს: საიმპორტო ლიცენზია არის ნებართვა ქვეყანაში განსაზღერული საქონლის შემოტანაზე. საიმპორტო კვოტები ზღუდავს ცალკეული სახეობის საქონლის შემოტანის მოცულობას და ეაღებს.

იმპორტიორი – ორგანიზაცია, რომელსაც შემოაქეს საქონელი ან იღებს მომსახურებას საზღვარგარეთიდან. ტერმინი იმპორტიორი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ, რომელშიც იმპორტის წესით შედის საქონელი.

იმპიჩმენტი [ინგლ. impeachment] ზოგიერთ სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლების მქონე პირების პასუხისგებაში მიცემისა და მათი საქმის სამართლოში განსახილველად გადაცემის განსაკუთრებული წესი; ზოგადი საკანონმდებლო ტრადიციით ი-ს დროს პასუხისგებაში მიცემასა და სასამართლოსთვის გადაცემას, როგორც წესი, ქვედა პალატა ახორციელებს, ხოლო საქმეს ზედა პალატა განიხილავს.

იმპიჩმენტი პრეზიდენტის, მთავრობის წევრების ან სხეა უმაღლესი თანამდებობის პირების იურიდიულ პასუხისგებაში მიცემის კანონით დადგენილი განსაკუთრებული პროცედურა. მისი შედეგი შეიძლება იყოს მძიმე დანაშაულების ან გადაცდომის ჩამდენი პირების თანამდებობიდან გადაყენება. პირველად ტერმინი „იმპიჩმენტი" გაჩნდა აშშ-ში და განმტკიცებულ იქნა კონსტიტუციურად. აშშ-ს კონსტიტუციის IV ნაწილის მე-2 მუხლის თანახმად, აშშ-ს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ყველა სამოქალაქო თანამდებობის პირი თანამდებობიდან იქნება ჩამოცილებული, თუ იმპიჩმენტის წესით განსჯისას, ისინი ცნობილნი იქნებიან დამნაშავედ „ღალატში, მექრთამეობასა თუ სხვა მძიმე დანაშაულებსა და გადაცდომებში".

იმპიჩმენტის პროცედურა შემოღებულია სახელმწიფოთა უმრავლესობის კონსტიტუციის მიერ. ყოფილი გფრ-ის კონსტიტუცია მუხ. 61(1) ითვალისწინებს ბუნდესტაგის ან ბუნდესრატის შესაძლებლობას ფედერალური სასკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე აღძრას ბრალდება რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ მის

მიერ ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის განზრახ დარღვევასთან დაკავშირებით. იაპონიის კონსტიტუცია (მუხლი 15) ხალხს ანიჭებს უფლებას ჩამოაცილონ თანამდებობას საჯარო თანამდებობის პირები. იტალიის კონსტიტუციის 90-ე მუხლი ადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობას სახელმწიფო ღალატსა და კონსტიტუციის ხელყოფაზე. საფრანგეთის კონსტიტუცია (მუხლი 68) პრეზიდენტსა და მთავრობის წევრებს აკისრებს პასუხისმგებლობას იმპიჩმენტის წესით სახელმწიფო ღალატისა და „სახელმწიფოს უსაფრთხოების წინააღმდეგ შეთქმულების" შემთხვევაში.

როგორც წესი, იმპიჩმენტის პროცესი მდგომარეობს იმაში, რომ პარლამენტის ერთ-ერთი პალატა გამოდის ბრალდებით, ხოლო მეორე პალატა იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას (აშშ-ში სენატი და წარმომადგენლების პალატა). არსებობს ვარიანტი, როცა ბრალდებას აყენებს პარლამენტი, ხოლო ვერდიქტი გამოაქვს მეორე ორგანოს, მაგალითად, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში მართლმსაჯულების უმაღლეს პალატას.

ევროპის სახელმწიფოების საკონსტიტუციო პრაქტიკაში იმპიჩმენტის შემთხვევები არ ყოფილა. აშშ-ში ყველაზე ცნობილია პრეზიდენტების რ. ნიქსონისა (1969-1974 წწ.) და ბ. კლინტონის (1992-2000 წწ.) წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაყენების შემთხვევები. პრეზიდენტი რ. ნიქსონი იძულებული იყო გადამდგარიყო იმპიჩმენტის საფრთხის ქვეშ, ხოლო ბ. კლიტონის იმპიჩმენტს ხმა არ მისცა სენატმა (არ შეგვა ქვორუმი).

რუსეთის ფედერაციის 1993 წ. კონსტიტუციაში ამ ტერმინს („იმპიჩმენტი") შეესაბამება პასუხისმგებლობის ანალოგიურ ღონისძიებას, რომელიც გამოიყენება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიმართ და რომელსაც ეწოდება „რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება". თანამდებობიდან გადაყენების პროცედურას არეგულირებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 93-ე მუხლი. თანამდებობიდან გადაყენებისთვის საფუძველს წარმოადგენს პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო ღალატი ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენა. 93-ე მუხლის შესაბამისად პროცედურა შედგება სამი ეტაპისგან. პირველი ეტაპი ესაა სახელმწიფო სათათბიროს მიერ პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წამოყენება. ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში ინიციატივა უნდა მოდიოდეს დეპუტატების არანაკლებ 1/3-დან. სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების წაყენების შესახებ იღებს დეპუტატების საერთო რაოდენობის 1/3. მეორე ეტაპზე პროცედურის გასაგრძელებლად საჭიროა სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილების დამტკიცება რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნებით. რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო იძლევა დასკვნას პრეზიდენტის ქმედებებში დანაშაულის ნიშნების შესახებ, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო ამტკიცებს ბრალდების წამოყენების დადგენილი წესის დაცვას. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურის დასკვნითი ეტაპი მდგომარეობს ფედერაციის საბჭოს მიერ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც მან უნდა მიიღოს სამი თვის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდება ითვლება უარყოფილად, ბრალდება ასევე მოიხსნება, თუ სამთვიანი ვადის ამოწურვამდე ფედერაციის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდების უარყოფის შესახებ. 1999 წელს სახელმწიფო სათათბიროში დადგა საკითხი თანამდებობიდან პრეზიდენტ ბ.ნ. ელცინის გადაყენების შესახებ, მაგრამ წამოყენებულმა ბრალდებებმა ვერ მიიღეს ხმათა საჭირო რაოდენობა.

ინდექსატორი [< ინდექსი] 1) პირი, რომელიც ინდექსების შედგენითაა დაკავებული; 2) სია, ჩამონათვალი, რომელშიც მოყვანილია რ-მე ნივთების რიცხობრივი მახასიათებლები, მაგ. სასაქონლო ი. — კატალოგი საქონლის კოდებისა (არტიკულების) და ფასების საძიებელი.

ინდექსაცია [ლათ. index საძიებელი; სია; სათაური, აღწერა] ფულადი მოთხოვნებისა და სხვადასხვა შემოსავლის რეალური ოდენობის შენარჩუნების ხერხი ინფლაციის პირობებში, რომელიც ემყარება განსაკუთრებული ინდექსური კვლევების შეტანას საკრედიტო და სავადასახადო შეთანხმებებში, ხელშეკრულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ და დოკუმენტებში, რომლებიც არეგულირებენ პენსიების, დივიდენდების, პროცენტების, დახმარების და სხვ. გადახდას; ფასიანი ქაღალდების ი-ს დროს გამოიყენება საბითუმო ფასების ინდექსები, მოსახლეობისთვის გადახდის გარანტირებისთვის გამოიყენება საცალო ფასების ინდექსები; უფრო იშვიათად გამოიყენება საექსპორტო საქონლის ან ვალუტის კურსის ცვლილების ინდექსები; ი-ს დროს გადასახადთა ჯამი გამოითვლება კონკრეტული ინდექსის პროპორციულად ეალდებულებების ხელმოწერიდან შესრულებამდე პერიოდისთვის.

ინდივიდუალური მეწარმე – მოქალაქე, რომელიც დაკავებულია სამეწარმეო საქმიანობით იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე (იხ. სამეწარმეო საქმიანობა). სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროებულია მოქალაქის სახელმწიფო რეგისტრაცია ინდივიდუალური მეწარმის სახით. ინდივიდუალური მეწარმე, რომელსაც არ შეუძლია დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები, რაც უკავშირდება მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაკოტრების შესახებ კანონით დადგენილ საფუძვლებზე და წესით, შეიძლება ცნობილ იქნეს გაკოტრებულად. ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან ძალას კარგავს მისი ინდივიდუალური მეწარმის სახით რეგისტრაცია. ინდივიდუალური მეწარმის გაკოტრებულად ცნობის პროცედურის განხორციელებისას მის კრედიტორებს უფლება აქვთ წამოაყენონ თავიანთი მოთხოვნები იმ ვალდებულებებზე, რომლებიც არ უკავშირდება მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას.

ინდოსამენტი – გადასაცემი წარწერა, რომელიც შესრულებულია საორდერო ფასიან ქაღალდზე. პირს, რომლის სახელზეც გამოწერილია ფასიანი ქაღალდი, შეუძლია შესაბამისი უფლების განხორციელება არა მხოლოდ დამოუკიდებლად, არამედ თავისივე განკარგულებით (ორდერით, ბრძანებით) დანიშნოს

სხვა უფლებამოსილი პირი-ინდოსანტი. ინდოსამენტი წარმოადგენს ფასიან ქაღალდზე უფლებების გადაცემის საშუალებას. ინდოსამენტი შეიძლება იყოს საბლანკო ე.ი. იმ პირის მითითების გარეშე, რომელმაც ის უნდა შეასრულოს ან საორდერო პირის მითითებით, რომელმაც უნდა მოახდინოს შესრულება. ჩვეულებრივ, არ იზღუდება ინდოსამენტის რაოდენობა ე.ი. ფასიანი ქაღალდების ყოველ ახალ მფლობელს შეუძლია მისი გადაცემა შემდგომშიც, რასთან დაკავშირებითაც საორდერო ფასიანი ქაღალდების ბრუნვის უნარიანობა წარმოადგენს საკმაოდ მაღალს. პირი, რომლის სახელიც ბოლოა ინდოსამენტების რიგში (საბლანკო ინდოსამენტის დროს – ფასიანი ქაღალდის ნებისმიერი მფლობელი) იქნება საორდერო ფასიანი ქაღალდის ყველაზე მფლობელი.

ინდოსამენტი (endorsement, indorsement)

1. გადამცემი ხელმოწერა ფასიანი ქაღალდის უკანა გვერდზე, თამასუქზე, ჩეკზე და ა.შ., რომელიც ადასტურებს უფლებათა გადასვლას სხვა პირზე ამ საბუთის მიხედვით ხელმოწერა კეთდება საბუთის უკანა მხარეს ან დამატებით ფურცელზე ფასიან ქაღალდზე შეიძლება გაკეთდეს ინდოსამენტების შეუზღუდველი რაოდენობა. როგორც წესი ხელმოწერები კეთდება ერთმანეთის მიმდევრობით, ამიტომ იგულისხმება, რომ სიაში ბოლო პოზიციაზე მყოფი პირი არის ბოლო ხელმომწერი. ინდოსამენტი შეიძლება შეიცავდეს მითითებას პირზე, რომლის სასარგებლოდაც ხდება გადაცემა (სახელობითი ინდოსამენტი), ან შედგებოდეს მხოლოდ ინდოსანტის ხელმოწერისაგან (ბლანკეტური ინდოსამენტი).

2. ინდოსამენტს უწოდებენ აგრეთვე იურიდიული დოკუმენტის ძალაში შესვლისათვის აუცილებელ ხელმოწერას.

3. შესწორებები შეტანილი სადაზღვევო პოლისში.

ინდოსანტი – პირი, რომელმაც გააკეთა გადასაცემი წარწერა საორდერო ფასიან ქაღალდზე. ინდოსანტი პასუხისმგებელია არა მხოლოდ გადაცემული უფლების ნამდვილობაზე, არამედ მის განხორციელებაზეც. ამასთან, პასუხისმგებლობა საორდერო ფასიანი ქაღალდის მფლობელების წინაშე გააჩნია არა მხოლოდ უშუალოდ მოპასუხეს, არამედ ყველა იმ პირს, ვინც გაკეთა გადასაცემი წარწერები, თუ მხოლოდ მათ არ გაანადგურეს „ჩემზე ბრუნვის გარეშე", რაც ხსნის მათ პასუხისმგებლობას.

ინდოსატარი (endorsee, indorsee)

პირი, რომლის სასარგებლოდაც გაკეთდა გადასაცემი ხელმოწერა.

ინვაზია (INVAZIÓN) – 1. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავდასხმის და წინასწარ გამოუცხადებელი აგრესიული ომის აღმნიშვნელი საერთაშორისო ტერმინი – აგრესიის ერთ-ერთი ფორმა. 2. ბიოლოგიაში ინვაზია [ლათ. invasio თავდასხმა, შემოსევა, შემოჭრა] არის ორგანიზმის ცოცხალი პარაზიტებით – მუცლის ჭიებით, მწერებით და სხვ. დასნებოვნება; დაავადებები, რომლებიც ასეთი დასნებოვნებითაა გამოწვეული და მას ინვაზიური დაავადება ეწოდება.

ინვალიდი – (ინვალიდი – რუსული კალკა, ქართულად არაჯანმრთელი ან ფიზიკურად არასრულფასოვანი) – ორგანიზმის ფუნქციების მდგრადი მოშლილობის მქონე პირი, რაც განპირობებულია დაავადებებით, ტრავმებისა თუ დეფექტების შედეგებით, რომლებიც იწვევენ ცხოველქმედების შეზღუდვას და იწვევენ მისი სოციალური დაცვის აუცილებლობას.

ინვენტარიზაცია (inventory, taking, stock-taking) – იურიდიული პირის ბალანსზე მყოფი ფასეულობების არსებობის, მათი შენახვის პირობების, მდგომარეობის, ვალდებულებების და სახსრების მიღების უფლების (პასიები და აქტივი) აგრეთვე სასაწყობო აღრიცხვის მონაცემების რეალურობის პერიოდული შემოწმება. მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია ფორმდება საინვენტარო აღწერით, სადაც აღინიშნება: ქონების კუთვნილება, მისი ძირითადი ნიშნები, ტექნიკური მდგომარეობა, რაოდენობა და შეფასება. ინვენტარიზაციის ჩატარება აუცილებელია წლიური საბუღალტრო ანგარიშის შედგენამდე. ქონების გაქრავებისას, გამოსყიდვისას, გაყიდვისას, პრივატიზაციისას, აგრეთვე იურიდიული პირების ლიკვიდაციისას, დატაცების ფაქტების გამომჟღავნებისას, ბანძრის ან სტიქიური უბედურების შემთხვევაში.

ინკასო (collection of payments) – საბანკო ოპერაციის სახეობა, ანგარიშსწორების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. საინკასო ოპერაცია წარმოადგენს აბსტრაქტულ გარიგებას, რომელიც არ არის დამოკიდებული გადამხდელსა და თანხის მიმღებს შორის არსებულ ხელშეკრულებაზე. ინკასოს დროს ბანკი (ემიტენტი) თავისი კლიენტის დავალებით იღებს მის კუთვნილ ფულად სახსრებს მესამე პირებისაგან საანგარიშსწორებო დოკუმენტების, ფასიანი ქაღალდების აქცეპტისა და სასაქონლო დოკუმენტების საფუძველზე. ბანკ ემიტენტს, რომელმაც მიიღო კლიენტის დავალება, შეუძლია მის შესასრულებლად ჩართოს სხვა ბანკი (შემსრულებელი ბანკი). უფრო ხშირად გამოიყენება აქცეპტური ფორმით საქონლისა და მომსახურებისთვის უნაღდო ანგარიშსწორების დროს, აგრეთვე გამოიყენება მოვალისაგან შესრულების მიღებისას კრედიტორის მიერ ინკასოზე ჩაბარებული საშემსრულებლო და მათთან გათანაბრებული საბუთების საფუძველზე. ინკასოს მიხედვით ანგარიშსწორების წესი რეგულირდება კანონით, კანონთან შესაბამისობაში მოყვანილი საბანკო წესებით და საბანკო პრაქტიკაში მიღებული საქმიანი ჩვეულებებით.

ინკასო – ანგარიშსწორების ფორმა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ბანკი (ბანკი-ემიტენტი) ვალდებულია კლიენტის დავალებით, ამ უკანასკნელის ხარჯზე განახორციელოს გადამხდელისგან გადასახდელის მიღების და/ან გადასახდელის აქცეპტის მიღების თაობაზე ქმედებები. ინკასოს მონაწილეებს წარმოადგენს: კლიენტი; ბანკი-ემიტენტი; ემიტენტის მიერ ჩართული შემსრულებელი ბანკი (მაინკასირებელი ბანკი); გადამხდელი. ინკასოს მექანიზმი მდგომარეობს შემდეგში: თავიდან კლიენტი ბანკ-ემიტენტს გადასცემს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს გადამხდელისგან ფულადი საშუალებების მიღების უფლებას. შემდეგ დოკუმენტები წარედგინება ბანკ-ემიტენტს უშუალოდ ან შემსრულებელი ბანკის მეშვეობით. თუ დოკუმენტები არ შეესაბამება საინკასაციო დავალებას რაიმე ნიშნების მიხედვით, შემსრულებელი ბანკი ამის შესახებ აცნობებს ბანკ-ემიტენტს ან კლიენტს. თუ ნაკლოვანებები არაა

აღმოუხერილი დროულად, დაკალება დარჩება შეუსრულებელი. ყველა მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი დოკუმენტები წარედგინება. გადამხდელს გადასახდელის მისაღებად, რომელიც დაუყონებლივ ერიცხება კლიენტს ბანკი-ემიტენტის მეშვეობით. აქცეპტზე გადამხდელის უარის შემთხვევაში შემსრულებელი ბანკი ამის თაობაზე დაუყონებლივ აცნობებს ბანკ-ემიტენტს, რომელიც ახდენს თავისი კლიენტის ინფორმირებას. ნაწილობრივი გადახდა შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევებში, როცა ეს დადგენილია საბანკო წესებით ან საინკასაციო დაკალებაში სპეციალური ნებართვის არსებობისას.

კლიენტის დაკალების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისას საანგარიშსწორებო ოპერაციების შესრულების წესების დარღვეასთან დაკავშირებით შემსრულებელი ბანკის მიერ, პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე შეიძლება დაეკისროს ამ ბანკს კლიენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობების არარსებობის მიუხედავად. ინკასოს მიხედვით ანგარიშსწორებები ხდება საგადასახადო მოთხოვნების საფუძველზე, რომელთა ანაზღაურებაც შეიძლება მოხდეს გადამხდელის განკარგვით (აქცეპტით) ან მისი განკარგვის გარეშე (უაქცეპტო წესით) და საინკასო დაკალებებით, რომელთა ანაზღაურებაც ხდება გადამხდელის განკარგვის გარეშე (უდავო წესით).

ინკორპორაცია [ლათ. incorporatio] 1) საკუთარ შემადგენლობაში შეყვანა, შემოერთება; 2) მოცემული სახელმწიფოს კანონების ერთ კრებულში გარკვეული რიგით (ანბანის, თემის, მიღების დროის და სხვ. მიხედვით) განლაგება (სისტემატიზაცია) ამ კანონების შინაარსის შეცვლის გარეშე; 3) ფიზიკური ან იურიდიული პირების ჯგუფისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება – ანუ ოფიციალურად რეგისტრირებული ფირმის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება; 4) სიტყვების როგორც მორფოლოგიური კომპლექსების წარმოების ხერხი ორი ან მეტი ფუძის (მორფემის) გაერთიანებით, რომლებიც ავტონომიურია თავისი ლექსიკური მნიშვნელობით; ფუძეებს შორის ურთიერთობა შეესაბამება შესიტყვების ან წინადადების კომპონენტების ურთიერთობას; მაგ. აცტეკების ენაში სიტყვა „ნინაკაკა“ („მეხორც-ვჭამ“) ნიშნავს „მე ხორცს ვჭამ“ და წარმოიქმნა რთული ელემენტებისგან „ნი“ („მე“), „ნაკატლ“ („ხორცი“) და „კა“ („ჭამა“); ი. დამახასიათებელია ინკორპორირებადი ენებისთვის; იხ. აგრ. პოლისინთეტიკური ენები; 5) რადიოაქტიური ნივთიერებების შეღწევა ცოცხალ ორგანიზმში, რაც განაპირობებს მათ დასხივებას გარკვეული დროის განმავლობაში.

ინსტინქტი [ლათ. instinctus ბიძგი] 1) ქცევის თანშობილი აქტების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია ცხოველური ორგანიზმების მოცემული ჯგუფისთვის – რთული უპირობო რეფლექსი (კვებითი, თავდაცვითი, სქესობრივი და ა.შ.), წარმოიქმნება გარეგანი ან შინაგანი გაღიზიანების საპასუხოდ; ი. გამომუშავდება ორგანიზმების ისტორიული განვითარების პროცესში და წარმოადგენს მათ ცხოვრებასთან შეგუების ერთ-ერთ ფორმას; ადამიანის ი. ცნობიერებით კონტროლდება; 2) (სალაპ.) ალღო; ბიძგი, რ-მესადმი ანგარიშმიუცემელი ლტოლვა.

ინსტინქტური [< ლათ. instinctus ბიძგი] უნებლიე, ინსტინქტით გამოწვეული ან განპირობებული.

ინსტიტუტი [ლათ. institutum დადგენა; დაწესებულება] 1) სამართლის ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ერთ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას ან რამდენიმე დამოკიდებულებას, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება, მაგ. ქორწინების ი.; 2) სოციალური სტრუქტურის, ორგანიზაციის ისტორიული ფორმის და საზოგადოებრივი ცხოერების რეგულირების ელემენტი – დაწესებულებების, ნორმების, ფასეულობების, კულტურული ნიმუშების, სხვადასხვა სფეროში ქცევის დაწესებული ნორმების ერთობლიობა; საკუთრების ი., ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ი., სასამართლოსამართლებრივი ი. და ა.შ.; 3) სამეცნიერო-კვლევითი, სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ან კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო დაწესებულება; 4) ქალთა პრივილეგირებული საშუალო დახრული სასწავლო დაწესებულება ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში.

ინსტიტუციები [ლათ. მხრ. institutio ჭკუის დარიგება] 1) სამართლის ელემენტარული სახელმძღვანელოები რომის იმპერიაში, რომლებიც სისტემატურად ასახავდნენ არსებულ კანონმდებლობას; ი., ჩვ. წ.-აღ-ის VI ს-ში გამოიცა იმპერატორ იუსტინიანეს მეფობის დროს და დიგესტების მსგავსად, კანონის ძალა გააჩნდათ; 3) მოქალაქეთა სხვადასხვაგვარი გაერთიანება – ოჯახი, პარტია, პროფკავშირი, ეკლესია; ინსტიტუციონალიზმი განიხილავს სახელმწიფოს როგორც ერთ-ერთ ი-ს.

ინსტიტუციონალიზაცია [< ლათ. institutio მოწყობა; მოქმედების ვითარება] გარკვეულ საზოგადოებრივ მიმართებათა სამართლებრივი და ორგანიზაციული დამკვიდრება, რომელიც იწვევს ახალი სოციალური ინსტიტუტების წარმოქმნას.

ინტელექტუალური საკუთრება – კრებითი ცნება, რომელიც მოიცავს შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებზე და ინდივიდუალიზაციის საშუალებებზე განსაკუთრებულ უფლებებს დაკავშირებულს ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ნაწარმოებებთან. არტისტების საშემსრულებლო მოღვაწეობასთან, ხმის ჩაწერასთან, რადიო და ტელეგადაცემებთან, საფირმო სახელწოდებებთან, საეკლრო ნიშნებთან, სასარგებლო მოდელებთან, სამრეწველო ნიმუშებთან, გამოგონებებთან და სხვ. ინტელექტუალური საკუთრება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მატერიალური ფორმით და გაურკვეველ განუსაზღვრელი რაოდენობის ასლების სახით, მაგრამ საკუთრებას წარმოადგენენ არა ეს ასლები, არამედ მათში გამოხატული ინფორმაცია. ინტელექტუალური საკუთრების ცნება პირველად შემოღებულ იქნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციით 1967 წლის 14 ივლისს სტოკჰოლმში.

ინტელექტუალური საკუთრება – ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე, ასევე მათთან გათანაბრებულ ობიექტებზე, კერძოდ, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინდივიდუალიზაციის საშუალებებსა და მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) განსაკუთრებული უფლებების

ერთობლიობა. ყველაზე სრულად ინტელექტუალური საკუთრების ცნება გაერთიანებულია 14.06.1967 წ. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დამფუძნებელი კონვენციის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტში. მასში მითითებულია, რომ ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ნაწარმოებებთან დაკავშირებულ უფლებებს; შსრულების სამუშრულებლო საქმიანობასთან, ვიდეო-ჩანაწერისა და რადიო- და სატელევიზიო გადაცემებთან დაკავშირებულ უფლებებს; ადამიანის საქმიანობის ყველა დარგში გამოგონებას; სამეცნიერო აღმოჩენებს; სამრეწველო ნიმუშებს, სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო დასახელებებს, კომერციულ აღნიშვნებს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ დაცვას და ასევე სხვა უფლებებს, რომლებიც განეკუთვნებიან ინტელექტუალურ საკუთრებას სამართლო, სამეცნიერო, ლიტერატურისა და მხატვრულ დარგში.

ინტერპოლი – სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის შემოკლებული სახელწოდება – 179 სახელმწიფოს საერთაშორისო მთავრობათშორისი ორგანიზაცია, რომლებიც თანამშრომლობენ სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლაში (ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, ხელოვნებისა და ისტორიული ფასეულობების ქურდობა და კონტრაბანდა, ადამიანებითა და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, იარაღით უკანონო ვაჭრობა, კომპიუტერული შეკბრეობა; საერთაშორისო ტერორიზმი, ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან და სხვ.) ან რომელთა შედეგებიც ეხება რაც სახელმწიფოს. ინტერპოლი ამზადებს და სახელმწიფოების თხოვნით აგზავნის საერთაშორისო ცნობებს ეჭვმიტანილთა ან უგზო-უკლოდ დაკარგულ პირთა შესახებ, საერთაშორისო გაფრთხილებებს „კრიმინალური რეპუტაციის“ მქონე პირებზე, აწარმოებს ცნობილი საერთაშორისო დანაშაულების კართოტეკას (გარეგნობა, დაქტილოსკოპია, დანაშაულის ჩადენის ხერხები, ასევე გატაცებული ფასეულობების კართოტეკა). ინტერპოლი არ მონაწილეობს პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური ან რასობრივი ხასიათის საქმეებში და არ ერევა სახელმწიფოების შიდა საქმეებში. ინტერპოლი მოქმედებს 1956 წლის წესდების საფუძველზე, ხოლო მისი შტაბ-ბინა ლიონშია (საფრანგეთი) განთავსებული. ინტერპოლის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს გენერალური ასამბლეა, სათათბირო ორგანო – აღმასრულებელი კომიტეტი – ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა ძირითადი რეგიონი, გენერალური სამდივნო – ორგანიზაციის მუდმივად მოქმედი სამუშაო აპარატი.

ინფორმაციის დამალვა – ადამიანთა სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისთვის ან გარემოსთვის საშიშროების შემქმნელი მოვლენების, ფაქტების ან გარემოებების შესახებ ცნობების დამალვა ან დამახინჯება პირის მიერ, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს მოსახლეობა და ასეთი საშიშროების აღმოფხვრისთვის ზომების მიღები ორგანო აღნიშნული ინფორმაციით.

ინფორმაციის კოპირება – კომპიუტერული ინფორმაციის არამართლზომიერი წვდომის ერთ-ერთი შედეგი, რომლის არსიც იყო ინფორმაციის ან მისი ნაწილის გადატანა ერთი მატარებლიდან მეორეზე. ინფორმაციის კოპირება შეიძლება განხორციელდეს ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის ხისტ დისკზე მყოფი ინფორმაციის დისკეტაზე ჩაწერის, მისი გადაბეჭდვის მეშვეობით, ერთი ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანიდან მეორეზე ინფორმაციის კაშირის საზით გადატანის გზით.

ინფორმაციის მოდიფიკაცია – ნებისმიერი მისი ცვლილება, რაც არ წარმოადგენს ადაპტაციას. კომპიუტერული ინფორმაციის ადაპტაცია – ცვლილებების შეტანა უშუალოდ პროგრამის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ან მონაცემთა ბაზისთვის მომხმარებლის კონკრეტულ ტექნიკურ საშუალებებზე ან მომხმარებლის კონკრეტული პროგრამების მართვის ქვეშ.

კომპიუტერული ინფორმაციის მოდიფიკაციად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც უკავშირდება მის ფაილებში არსებული ჩანაწერების დამატებას ან წაშლას, ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ან მონაცემთა ბაზისთვის პროგრამების ერთი ენიდან მეორეზე თარგმნას, ფაილთა საიდენტიფიკაციო ატრიბუტების ცვლილებას, რაც არ ცვლის მის არსს.

ინფორმაციის შესახებ ზოგიერთი კანონი

კანონი №2181-IIს – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

თავი №3 – ინფორმაციის თავისუფლება

მუხლი №40 – საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

2. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

მუხლი №41 – საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

1. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი №42 – ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია

ყველას აქვს უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მომსახურება ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;

დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ეკალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რეკომენდაციის შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია;

ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად.

ინციდენტი საშიშ საწარმოო ობიექტზე – საშიშ საწარმოო ობიექტზე გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობების გაფუჭება ან დაზიანება, ტექნოლოგიური პროცესის რეჟიმიდან გადახვევა, ნორმატიული ტექნიკური დოკუმენტების, სხვა სამართლებრივი ნორმატიული აქტების დებულებათა დარღვევა, რომლებიც ადგენენ საშიშ საწარმოო ობიექტზე სამუშაოების წარმოების წესებს.

იპოთეკა – სამოქალაქო სამართალში საწარმოების, შენობების, ნაგებობების, მიწის ნაკვეთებისა და უძრავი ქონების სხვა ობიექტების დაგირავება, რომლებიც რჩებიან დამგირავებელთა მფლობელობასა და გამოყენებაში. იპოთეკისთვის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს: გირაოს შესახებ ხელშეკრულების საგანი, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ უძრავი ქონება და დამგირავებელზე ამ ქონების ფლობისა და გამოყენების უფლებათა შენარჩუნება. იპოთეკურ ურთიერთობებს არეგულირებს კანონი იპოთეკის შესახებ. ზოგადი წესის მიხედვით, დამგირავებელს გააჩნია დაგირავებული ქონების შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი; ამ გარემოებების დადგომისას დამგირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულების ეადამდელი შესრულება, თუ მასსა და დამგირავებელს შორის არაა დადებული წერილობითი შეთანხმება დაღუპული ან დაზიანებული ქონების აღდგენისა თუ შეცვლის შესახებ და დამგირავებელი სათანადოდ ასრულებს ამ შეთანხმების პირობებს. დამგირავებელს უფლება აქვს გამოიყენოს ქონება მისი დანიშნულების შესაბამისად, მათ შორის, ქონებიდან მიიღოს ნაყოფი და შემოსავალები. იპოთეკის შესახებ ხელშეკრულება უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული და ის ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას, რომელიც ხორციელდება იუსტიციის დაწესებულებების მიერ. იპოთეკის შესახებ ხელშეკრულების ნოტარიული დამოწმებისა და სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ წესების დაუცველობას მოსდევს მისი ბათილად ცნობა.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები – მატერიალური კულტურის ობიექტები, რომლებსაც გააჩნია ისტორიული, მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა სახის კულტურული ფასეულობა და რეგისტრირებულნი არიან ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო სიაში.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაზიანება, განადგურება – დაცული ობიექტის მდგომარეობის ცვლილება მისი რომელიმე ნაწილის, ფრაგმენტის მოცილების გზით, რაც შესაძლებელია არა მხოლოდ სპეციალისტების, არამედ სხვა პირებისთვისაც და რომელიც იწვევს მისი ფასეულობის ან მისი სხვა თვისებების ნაწილობრივ დაკარგვას.

იურიდიული კონსულტაცია – არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია დაწესებულების ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ ერთი სასამართლო რაიონის ტერიტორიაზე ადვოკატთა საერთო რაოდენობა ყველა საადვოკატო წარმონაქმნში, რომელიც განთავსებულია მოცემული სასამართლო რაიონის ტერიტორიაზე და შეადგენს ორზე ნაკლებ მოსამართლეს, ევროპის ინსტიტუტიზაციონალური მიდგომით საადვოკატო პალატა აფუძნებს იურიდიულ კონსულტაციას. იურიდიული კონსულტაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესთან და პირობებთან დაკავშირებულია საკითხები, მათ შორის, სამსახურებრივი და

საცხოვრებელი შენობების გამოყოფა ადვოკატებისთვის და ა.შ. რეგულირდება კანონებითა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით.

ადვოკატთა კრება (კონფერენცია) ყოველწლიურად განსაზღვრავს საადვოკატო პალატის მიერ იურიდიულ კონსულტაციაში სამუშაოდ გაგზავნილი ადვოკატის ხელფასს, ასევე მის შესანაცვლად საჭირო სარჯების ოდენობას.

იურიდიული პასუხისმგებლობა

ზოგადსოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა ან ნაირსახეობა, ზოგადსოციალური იურიდიული პასუხისმგებლობა მოიცავს პოლიტიკურ, ეროვნულ, ისტორიულ, პარტიულ პასუხისმგებლობას და მის სხვა ნაირსახეობებსაც. სამშრომლო და უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში არაა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთიანი წარმოდგენა და მითუმეტეს, ერთიანი განსაზღვრა. ზოგ შემთხვევაში ის განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო იძულების ზომა, რომელიც ეფუძნება სამართალდამრღვევის ქცევის იურიდიულ და საზოგადოებრივ განსჯას და გამოიხატება მისთვის გარკვეული უარყოფითი შედეგების დადგენაში, პირადი და ქონებრივი წესის შეზღუდვების ფორმით. სხვა შემთხვევებში – როგორც სამართლის ნორმებით რეგლამენტირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები სახელმწიფოსა, რომელიც გამოდის მისი სპეციალური ორგანოების სახით და სამართალდამრღვევს შორის, რომელსაც ეკისრება ვალდებულება განიცადოს შესაბამისი აკრძალვები და არახელსაყრელი შედეგები ჩადენილ სამართალდარღვევაზე. მესამე შემთხვევაში, იურიდიული პასუხისმგებლობა განიხილება, როგორც სამართალდარღვევის ჩამდენ პირების მიმართ კანონით გათვალისწინებული იძულების ზომების გამოყენება, ამისთვის განსაზღვრული საპროცესო წესით. თუმცა, სამშრომლო და უცხოელი აუტორები თანხმდებიან იმაში, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა სხვა სახის პასუხისმგებლობისგან განსხვავებით უკავშირდება სახელმწიფო იძულებას, კანონით დადგენილი სანქციების გამოყენებას სამართალდამრღვევის მიმართ. იურიდიულ პასუხისმგებლობას ყოველთვის მოსდევს კანონის დამრღვევი პირის ქცევის არა მხოლოდ საზოგადოებრივი, არამედ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი განსჯაც, მათ თან ახლავს უარყოფითი შედეგების დადგომა სამართალდარღვევისთვის პირადი ან ქონებრივი წესის შეზღუდვების სახით. დასასრულს, იურიდიული პასუხისმგებლობა სხვებისგან გამოირჩევა იმით, რომ ის ყოველთვის გამოდის საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმით, რაც დგინდება სახელმწიფოსა (მისი სახით გამომაყალი უფლებამოსილი ორგანოების – სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია და სხვ.) და სამართალდამრღვევს ან სამართალდამრღვევებს შორის. სახელმწიფო ამასთან გამოდის უფლებამოსილი მხარის სახით, ხოლო სამართალდამრღვევი – ვალდებული. იურიდიული პასუხისმგებლობის დადგომისა და განხორციელებისთვის საჭიროა კანონით გათვალისწინებული საფუძვლები და პირობები. იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა. პირის ქცევაში სამართალდარღვევის. თუნდაც ერთი ნიშნის არარსებობა საერთოდ ხსნის საკითხს იურიდიული პასუხისმგებლობის დადგომის შესახებ.

იურიდიული პასუხისმგებლობის ხარისხისა და ხასიათის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის ქმედებების სამართალდარღვევის მთელი შემადგენლობის არსებობა, რაც წარმოიქმნება მისი ისეთი მხარეების ერთიანობით, როგორიცაა სამართალდარღვევის ობიექტი, სუბიექტი, ობიექტური და სუბიექტური მხარეები. თითოეული მათგანის გათვალისწინება საშუალებას იძლევა გამოირიცხოს შეცდომები თავად სამართალდარღვევის დადგენისას და ასევე მის ჩადენაზე პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას.

სამართალდარღვევის ჩადენის შედეგად წარმოქმნილი სამართალდამოკიდებულების მონაწილეთა ყველა მოქმედება მკაცრად რეგულირდება კანონით და უნდა განხორციელდეს კანონის ფარგლებში. ეს ეხება ამა თუ იმ პირის ბრალეულობის დადგენას, ასევე იურიდიული პასუხისმგებლობის სახისა და ზომების განსაზღვრას დანაშაულის ჩადენაზე. იურიდიული პასუხისმგებლობის რეალიზაცია უნდა მოხდეს ამა თუ იმ სამართლებრივი სისტემის ჩარჩოებში დადგენილი პრინციპების ზუსტი შესაბამისობით. მათ შორის, საყოველთაოდ აღიარებულია ისეთი პრინციპები, როგორიცაა პასუხისმგებლობის კანონიერება, დასაბუთებულობა, სამართლიანობა, შეუქცევადობა, მიზანშეწონილობა, გამჭირვალობითი ან ორმაგი პასუხისმგებლობის დაუშვებლობა ერთი და იმავე სამართალდარღვევის ჩადენაზე.

იურიდიული პირების გაერთიანება

– ასოციაციის ან კავშირის ფორმის გაერთიანება, რომელიც წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, შექმნილია კომერციული ორგანიზაციის მიერ მათი სამეწარმეო საქმიანობის კოორდინაციის, ასევე საერთო ქონებრივი ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის მიზნით.

იურიდიული პირების გაერთიანების ძირითად ნიშნებს ატარებს და წარმოადგენს: ასოციაცია (კავშირი) – არაკომერციული იურიდიული პირი; ფუძნდება საზოგადოებრივი და სხვა არაკომერციული ორგანიზაციების მიერ მათი სამეწარმეო საქმიანობის კოორდინაციის, საერთო ქონებრივი ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის მიზნით; ასოციაციის (კავშირის) წევრები ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს; ასოციაცია პასუხს არ აგებს თავისი წევრების ვალდებულებებზე, ასოციაციის წევრები კი იღებენ სუბსიდიარულ პასუხისმგებლობას მის ვალდებულებებზე, მისი დამფუძნებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით; კომერციული ორგანიზაციების ასოციაცია, მისი მონაწილეების გადაწყვეტილებით შეიძლება დაკავდეს სამეწარმეო საქმიანობით.

იურიდიული პირი სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, ორგანიზაცია, რომელსაც საკუთრებაში, სამეურნეო წარმოებაში ან ოპერატიულ მართვაში გააჩნია განკერძოებული ქონება და პასუხს აგებს ვალდებულებებზე ამ ქონებით, საკუთარი სახელით შეუძლია შეიძინოს და განახორციელოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი ბალანსი ანუ ალრიცხვა. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს სამო-

ქალაქო უფლებები, რაც შეესაბამება მის დამფუძნებელ დოკუმენტებში საქმიანობის მიზნებს და აიღოს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები (იხ. უფლებაუნარიანობა). იურიდიული პირის საფუძველში მყოფი საკუთრების ფორმის მიხედვით გამოყოფა სახელმწიფო (ფართო გაგებით, მათ შორის, მუნიციპალური) და კერძო (არასახელმწიფო) იურიდიული პირები.

საქმიანობის ძირითადი მიზნების მიხედვით იურიდიული პირები იყოფა კომერციულად და არაკომერციულად. ორგანიზაციები კომერციულია, თუ მათი ძირითადი მიზანია მოგების მიღება. იურიდიული პირები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციული ორგანიზაციებს შეიძლება შეიქმნას სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებების, საწარმო კოოპერატივების, სახელმწიფო და მუნიციპალური უნიტარული საწარმოების ფორმით. თუ ორგანიზაციების ძირითადი მიზანი არაა მოგების მიღება და ასევე მოგების განაწილება მონაწილეებს შორის, ასეთ ორგანიზაციებს ეწოდება არაკომერციული ორგანიზაციები. არაკომერციული ორგანიზაციები შეიძლება შეიქმნას სამომხმარებლო კოოპერატივების, საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების), საქველმოქმედო და სხვა ფონდების ფორმით და ა.შ. არაკომერციულ ორგანიზაციებს შეუძლიათ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ემსახურება იმ მიზნების მიღწევას, რომლითათვისაც ისინი შეიქმნა. იურიდიული პირი ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას იუსტიციის ორგანოებში, კანონით დადგენილი წესით. სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან იურიდიული პირი ითვლება შექმნილად. იურიდიული პირი მოქმედებს წესდების ან დამფუძნებელი ხელშეკრულებისა და წესდების ან მხოლოდ დამფუძნებელი ხელშეკრულების საფუძველზე. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იურიდიული პირი, რომელიც არ წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას, შეიძლება მოქმედებდეს მოცემული სახის ორგანიზაციების შესახებ ზოგად დებულების საფუძველზე. იურიდიული პირის დამფუძნებელი ხელშეკრულება იდება, ხოლო წესდება მტკიცდება მისი დამფუძნებლების (მონაწილეების) მიერ.

იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შედეგად (იხ. იურიდიული პირის რეორგანიზაცია და იურიდიული პირის ლიკვიდაცია).

იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის კუთვნილი შენობების, ტერიტორიების და იქ მყოფი ნივთებისა და დოკუმენტების დათვალიერება, რომლებიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის განსხორციელებისთვის

ღონისძიება, რომელიც ხორციელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის სწორი და დროული განხილვის უზრუნველყოფის მიზნით. დათვალიერება ხორციელდება ამაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ და ხდება ოქმის შედგენა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის და დამსწრეთა თანდასწრებით. თუ დათვალიერების დროს გამოიყენებოდა ფოტო- და ვიდეოჩაწერა, ან ნივთმტკიცებების ფიქსაციის სხვა დადგენილი ხერხები, შესაბამისი მასალები თან დაერთოს დათვალიერების ოქმს.

იურიდიული პირის აქტივები

– პასივებთან და სუფთა აქტივებთან ერთად მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ ანალიზში ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისთვის. იურიდიული პირის აქტივები – ესაა საწარმოს მოძრავი და უძრავი ქონება, ფინანსური დაბანდებები (მათ შორის, არამატერიალური აქტივები), ფულადი საშუალებები და სხვა ფინანსური აქტივები. პასივები – ესაა საწარმოს ვალდებულებები, რომელიც შედგება სასესხო და მოზიდული სახსრებისგან, მათ შორის, კრედიტორული დავალიანებისგან. სუფთა აქტივები ესაა აქტივებისა და პასივების ოდენობის სხვაობა.

იურიდიული პირის გაკოტრება

– საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ აღიარებული ან მოპასუხის (იურიდიული პირის) მიერ გამოცხადებული მოპასუხის უუნარობა სრულად დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნები ფულად ვალდებულებებზე და/ან შეასრულოს საჯალდებულო გადახდები (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა საჯალდებულო შენატანების შესაბამისი დონის ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში). იურიდიული პირის გაკოტრება წარმოადგენს ერთ-ერთ საფუძველს იურიდიული პირის ლიკვიდაციისთვის. იურიდიული პირის ლიკვიდაცია მის გაკოტრების აღიარების შემთხვევაში შეიძლება ატარებდეს, როგორც ნებაყოფლობით, ასევე იძულებით ხასიათს. იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას და ასევე იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს სამომხმარებლო კოოპერატივის ფორმით ან საქველმოქმედო ან სხვა ფონდის სახით, კრედიტორებთან ერთად ილებს გადაწყვეტილებას თავის გაკოტრებულად გამოცხადებისა და ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკოტრებულად შეიძლება გამოცხადდეს კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების უუნარო იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას, სახაზინო საწარმოს გარდა და ასევე იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს სამომხმარებლო კოოპერატივის ან საქველმოქმედო თუ სხვა ფონდის ფორმით. იურიდიული პირის გაკოტრების ნიშანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შესაბამისი ვალდებულებები და/ან ვალდებულებები არაა შესრულებული იურიდიული პირის მიერ, მათი შესრულების თარიღის დადგომის მოშენებიდან სამი თვის განმავლობაში. იურიდიული პირის გაკოტრებულად ცნობა სასამართლოს მიერ განიხილება საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ. ამ საქმის განხილვისას გამოიყენება გაკოტრების შემდეგი პროცედურები: დაკვირვება, გარეგანი მართვა, საკონკურსო წარმოება, მშვიდობიანი შეთანხმება და სხვა პროცედურები, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. საარბიტრაჟო სასამართლო იურიდიული პირის გაკოტრების შესახებ საქმის განხილვის შედეგების მიხედვით იღებს შემდეგიდან ერთ-ერთ აქტს: გადაწყვეტილება მოვალეს გაკოტრებულად ცნობისა და საკონკურსო წარმოების გახსნის შესახებ; გადაწყვეტილება მოვალის გაკოტრებულად ცნობაზე უარის თაობაზე; განჩინება გარეგანი მართვის შემოღებაზე; განჩინება საქმის წარმოების

შეწყვეტის შესახებ. საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მოვალის გაკოტრებულად ცნობისა და საკონკურსო წარმოების გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ყველა ფულადი ვალდებულების შესრულებისა და გადავადებული საკომპენსაციო გადახდების ვადა ითვლება დადგომილად მოვალისთვის.

არსებობს ორი სახის გაკოტრება – ფიქტიური და წინასწარ განზრახული. ფიქტიური გაკოტრება – მოვალის განცხადება გაკოტრების შესახებ საარბიტრაჟო სასამართლოში იმ დროს, როცა მას აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნები სრული მოცულობით. წინასწარ განზრახული გაკოტრება – მოვალის გაკოტრება მისი დამფუძნებლების (მონაწილეების) ან სხვა პირთა მიზეზით, მათ შორის, მოვალის ხელმძღვანელის ბრალითაც, რომელთაც აქვთ უფლება გასცენ მოვალისთვის საკომპენსაციო მითითებები ან სხვა სახით განსაზღვრავენ მის ქმედებებს.

იურიდიული პირის ლიკვიდაცია

– პროცედურა, რომელიც დგინდება მოქმედი კანონმდებლობით, რაც იწვევს იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტას სამართალმემკვიდრეობის წესით სხვა პირებისთვის უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლის გარეშე. იურიდიული პირის ლიკვიდაცია შეიძლება ატარებდეს როგორც ნებაყოფლობით, ასევე იძულებით ხასიათს. იურიდიული პირი შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს: ა) მისი დამფუძნებლების (მონაწილეების) ან იურიდიული პირის ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელიც ამაზე უფლებამოსილია დამფუძნებელი დოკუმენტებით, მათ შორის, იმ ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, რომელზეც იქმნება იურიდიული პირი, იმ მიზნების მიღწევის გამო, რისთვისაც ის შეიქმნა ან სასამართლოს მიერ იურიდიული პირის რეგისტრაციის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, მისი შექმნისას დაშვებული კანონის ან სხვა სამართლებრივი აქტების დარღვევების შედეგად, თუ ეს დარღვევები ატარებენ აღმოუფხვრელ ხასიათს; ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე ან კანონის დარღვევით ან კანონით აკრძალული საქმიანობის განხორციელების ან საზოგადოებრივი თუ რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების), საქველმოქმედო ან სხვა ფონდის მიერ მისი საწესდებო მიზნების საპირისპირო საქმიანობის სისტემატური განხორციელების გამო.

იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას ან მოქმედებს სამომხმარებლო კოოპერატივის, საქველმოქმედო ან სხვა ფონდის ფორმით, ლიკვიდაციას განიცდის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის მიხედვით, მისი გაკოტრებულად ცნობის შედეგად. იურიდიული პირის დამფუძნებლები (მონაწილეები) ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ამის შესახებ ორგანოს, რომელიც ახორციელებს იურიდიული პირების რეგისტრაციას, რომელსაც იურიდიული პირების ერთიან სახელმწიფო რეესტრში შეაქვს ცნობები, რომ იურიდიული პირი იმყოფება ლიკვიდაციის პროცესში. გარდა ამისა, ისინი იურიდიული პირების სახელმწიფო რეგისტრაციის განმახორციელებელ ორგანოსთან შეთანხმებით ნიშნავს სალიკვიდაციო კომისიას (ლიკვიდატორს) და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ადგენს ლიკვიდაციის წესსა და ვადებს. სალიკვიდაციო კომისია ბეჭდვით ორგანოებში, რომლებშიც ქვეყნდება მონაცემები იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ, აქვეყნებს ცნობებს მისი ლიკვიდაციის, ასევე მისი კრედიტორების მიერ მოთხოვნების განცხადების წესისა და ვადის შესახებ. სალიკვიდაციო კომისია იღებს ზომებს კრედიტორების გამოსავლენად და დებიტორული დავალიანების მისაღებად, ასევე წერილობით აცნობებს კრედიტორებს იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ. იურიდიული პირის ლიკვიდაცია ითვლება დასრულებულად, ხოლო იურიდიული პირის არსებობა შეწყვეტილად, ამის შესახებ იურიდიული პირების ერთიან სახელმწიფო რეესტრში ჩანაწერის გაკეთების შემდეგ.

იურიდიული პირის რეორგანიზაცია

– სამოქალაქო სამართალში იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტა მისი უფლებებისა და ვალდებულებების სხვა პირებზე გადასვლით. იურიდიული პირის რეორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს შერწყმის, გაერთიანების, გამოყოფის, გარდაქმნის ფორმით მისი დამფუძნებლების (მონაწილეთა) ან იურიდიული პირის ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელიც უფლებამოსილია ამაზე დამფუძნებელი დოკუმენტებით.

თუ იურიდიული პირის დამფუძნებლები (მონაწილეები), მათ მიერ უფლებამოსილი ორგანო ან იურიდიული პირის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მის რეორგანიზაციაზე მისი დამფუძნებელი დოკუმენტებით, არ ახორციელებენ იურიდიული პირის რეორგანიზაციას უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებაში განსაზღვრულ ვადაში, სასამართლო აღნიშნული სახელმწიფო ორგანოს სარჩელის მიხედვით ნიშნავს იურიდიული პირის გარეშე მმართველს და აკარებს მას იურიდიული პირის რეორგანიზაციას. იურიდიული პირის გარეშე მმართველზე გადადის იურიდიული პირის საქმეების მართვის უფლებამოსილებები. გარეშე მმართველი გამოდის იურიდიული პირის სახელით სასამართლოში. ადგენს გამყოფ ბალანსს და მას განსახილველად გადასცემს სასამართლოს დამფუძნებელ დოკუმენტებთან ერთად. სასამართლოს მიერ აღნიშნული დოკუმენტების დამტკიცება წარმოადგენს საფუძველს ამ იურიდიული პირების სახელმწიფო რეგისტრაციისთვის. იურიდიული პირი ითელება რეორგანიზებულად, შეერთების ფორმით რეორგანიზაციის შემთხვევების გარდა კლავე წარმომქმნილი იურიდიული პირების სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან. შეერთების ფორმით იურიდიული ფორმის რეორგანიზაციის დროს პირველი მათგანი ითელება რეორგანიზებულად იურიდიულ პირთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში შეერთებული იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ ჩანაწერის შეტანის მომენტიდან.

იურიდიული პირის საგადასახადო სტატუსი

– იურიდიული პირის რეზიდენტობის განსაზღვრის საფუძველს შეადგენს ტესტები (ან მათი კომბინაციები): ა) ინკორპორაციის ტესტი. პირი რეზიდენტად ითელება ქვეყანაში, თუ ის იქნა დაფუძნებული (რეგისტრირებული); ბ) იურიდიული მისამართის ტესტი. პირი ქვეყანაში რეზიდენტად ითელება, თუ მან ამ ქვეყანაში დაარეგისტრირა თავისი იურიდიული მისამართი; გ) ცენტრალური მართვისა და კონტროლის განხორციელების ადგილის ტესტი.

პირი რეზიდენტად ითვლება ქვეყანაში, თუ ამ ქვეყნის ტერიტორიიდან ხდება კომპანიის ცენტრალური ხელმძღვანელობა და მისი საქმიანობის კონტროლი; დ) კომპანიის მიმდინარე მართვის განხორციელების ადგილის ტესტი. პირი რეზიდენტად ითვლება ქვეყანაში, თუ მის ტერიტორიაზე იმყოფება ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ კომპანიის საქმიანობის მიმდინარე მართვას (ადმასრულებელი დირექცია); ე) საქმიანი მიზნის ტესტი. პირი რეზიდენტად ითვლება ქვეყანაში, თუ მისი საქმიანი ოპერაციების ძირითადი მოცულობა ხორციელდება ამ ქვეყნის ტერიტორიაზე (იტალიაში კომპანია ითვლება რეზიდენტად, თუ მის ტერიტორიაზე მას გააჩნია ფორმალური ან ფუნქციონირებადი შტაბ-ბინა ან მისი ძირითადი საქმიანი მიზნების რეალიზება ხდება იტალიის ტერიტორიაზე).

იურიდიული პირების რეზიდენტობის პრინციპით ჯგუფებად დაყოფის გარდა, ხდება დაყოფა სხვა საფუძვლების მიხედვითაც. საწარმოს საორგანიზაციო-სამართლებრივ ფორმას გააჩნია არსებითი გავლენა გადასახადით დაბეგვრის წესსა და ოდენობაზე.

იურიდიული პირის ქმედუნარიანობა – იურიდიული პირის შესაძლებლობა თავისი ქმედებებით მოიპოვოს, შექმნას, განახორციელოს და შეასრულოს სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები. მოქალაქეებისგან განსხვავებით იურიდიულ პირებში უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა დგება და წყდება ერთდროულად. უფლებებისა და ვალდებულებების მოპოვება და ნაწილობრივ განხორციელება იურიდიული ორგანოს პრეროგატივაა, რომელიც წარმოადგენს იურიდიული პირის ინტერესებს სამართლის სხვა სუბიექტებთან ურთიერთობაში ამაზე სპეციალური უფლებამოსილებების გარეშე. იურიდიული პირისთვის სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები შეიძლება ასევე მოიპოვონ მისმა წარმომადგენლებმა, რომლებიც მოქმედებენ იურიდიული პირის ორგანოების მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

იურიდიული ტექნიკა მეთოდების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართალშემოქმედებით და სამართალგამოყენებითი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებასა და წარმართვას.

იურიდიული ფაქტები კანონში გათვალისწინებული ცხოვრებისეული გარემოებები, რომლებიც დევს სამართალდამოკიდებულებების წარმოქმნის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძველში. სამამულო და უცხოურ ლიტერატურაში არსებობს იურიდიული ფაქტების სხვადასხვაგვარი განსაზღვრა და განმარტება, თუმცა, ყველა მათგანი დაყვანება იქამდე, რომ ნებისმიერი იურიდიული ფაქტი: ა) წარმოადგენს სხვადასხვა ცხოვრებისეულ გარემოებებს, პირობებსა და ფაქტებს; ბ) განისაზღვრება სამართლის ნორმებში, უფრო ზუსტად – მათ ჰიპოთეზებში; გ) წარმოადგენს სამართალდამოკიდებულებების წარმოქმნის, შეცვლისა და შეწყვეტის აუცილებელ პირობას; დ) მოიცავს სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეების სუბიექტურ უფლებებსა და იურიდიულ ვალდებულებებს; ე) უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით. ბუნებასა და საზოგადოებაში არსებობს მრავალი გარემოება, ცხოვრებისეული ფაქტი, რომლებიც შეიძლება აღიარებულ იქნენ და სინამდვილეში წარმოადგენენ იურიდიულ ფაქტებს. მათი შესწავლისა და პრაქტიკული გამოყენებისთვის ყველა იურიდიული ფაქტი იყოფა საფუძვლების მიხედვით. მათი კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ კრიტერიუმს წარმოადგენს ნებელობითი ნიშანი. ამის შესაბამისად, ყველა იურიდიული ფაქტი იყოფა მოქმედებებად და მოვლენებად.

მოქმედებები წარმოადგენს ისეთ იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც სრულადაა დამოკიდებული სამართლებრივი დამოკიდებულების მონაწილე პირების ნებაზე. სამართლის ნორმებთან ურთიერთდამოკიდებულების სახის მიხედვით მოქმედებები იყოფა მართლზომიერად და არამართლზომიერად. მართლზომიერი მოქმედებები გამოიხატება სამართლის მოთხოვნებთან შესაბამის ადამიანთა ქცევაში. მოცემული მოქმედებების ჩამდენი ადამიანების ნების მიზნობრივი მიმართულების, მათი განზრახვების მიხედვით გამოიწვიონ ქმედებებით იურიდიული შედეგების დადგომა ან არ გამოიწვიონ ის, მართლზომიერი მოქმედებები იყოფა იურიდიულ აქტებად და იურიდიულ ქცევებად.

იურიდიული აქტების, როგორც მართლზომიერი მოქმედებების ძირითად განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ისინი ხორციელდება გარკვეული იურიდიული შედეგების წარმოქმნის მიზნით. ზოგიერთ მათგანს გააჩნია მბრძანებლური ხასიათი. ასეთს წარმოადგენს, მაგალითად, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები და განჩინებები და სხვ. მრავალ მათგანს არ გააჩნია მბრძანებლური ხასიათი. მათ უწოდებენ გარიგებებს. ასეთია ყიდვა-გაყიდვის, დაქირავების, ჩუქების სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებები და სხვ. იურიდიული ქცევები – ესაა პირთა მოქმედებები, რომელთა განხორციელებასაც კანონი უკავშირებს იურიდიული შედეგების დადგომას, ამ პირთა ნების, სურვილისა და განზრახვის მიუხედავად. ტიპიურ მაგალითებს წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების შექმნა, ნიეთის პოვნა და ა.შ. არამართლზომიერი მოქმედებები ესაა მოქმედებები, რომლებიც არ შეესაბამება სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს, არღვევს სამართლებრივ ბრძანებებს. საზოგადოებრივი საშიშროების, მოცემული მოქმედებით მიყენებული ზიანის და ასევე ზიანის მიმყენებელი პირის ბრალის მიხედვით, არამართლზომიერი მოქმედებები, როგორც იურიდიული ფაქტები იყოფა დანაშაულებად (სისხლის სამართლის სამართალდარღვევები), ადმინისტრაციული და დისციპლინარულ გადაცდომებად და ასევე სამოქალაქო სამართალდარღვევებად (დელიქტებად). **მოვლენები, როგორც იურიდიული ფაქტები** – ესაა მოვლენები, რაც არაა დამოკიდებული ადამიანის ნებაზე, მაგრამ რასაც მოსდევს სამართალდამოკიდებულებების ასევე სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული ვალდებულებების წარმოქმნა, შეცვლა ან შეწყვეტა. თუმცა, ყველა მოვლენა, როდი შეიძლება განვიხილოთ იურიდიული ფაქტის სახით, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც გაელენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობებზე. მაგალითად, ასეთია სტიქიური უბედურებები, როგორიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ. რომელთაც მოსდევთ მრავალრიცხოვანი სამართალდამოკიდებულებების წარმოქმნა არა თაეისთავად, არა თავისთი წარმოშობის ძალით, არამედ იმის ძალით, რომ ისინი წარმოად-

გენენ ადამიანთა დაჭრისა თუ დალუპვის, დაზღვეული ქონების დაზიანებისა თუ ნგრევის უშუალო მიზეზს და ა.შ. **ურიდიული ფაქტები** – მოვლენების სახით შეიძლება გამოვიდეს ადამიანის დაბადება, აკადემიური ხანა და სხვ. მოვლენები, რომელთაც კანონმდებელი განიხილავს, როგორც საფუძვლებს სამართალურიერების წარმოქმნისთვის, შეცვლისა თუ შეწყვეტისთვის საჭიროა არა ცალკეული იურიდიული ფაქტები, არამედ მათი ერთობლიობა, მთელი სისტემა. ეს ასახავს საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების ხასიათსა და მრავალფეროვნებას. ამგვარ შემთხვევებში საუბრობენ არა კონკრეტულ იურიდიულ ფაქტებზე, არამედ რთულ ფაქტურ შემადგენლობაზე. ისევე როგორც ცალკეული იურიდიული ფაქტები, შემადგენლობა არსებობს არა თავისთავად, არამედ ის გათვალისწინებულია სამართლის ნორმებით. იურიდიული ფაქტების მსგავსად, ისიც წარმოადგენს საფუძვლის იურიდიული შედეგების დადგომისთვის.

ფაქტიური შემადგენლობა შეიძლება განისაზღვროს კონკრეტულად ამა თუ იმ სამართლებრივი აქტით ან დახასიათდეს მხოლოდ ზოგადი ნიშნებით. კონკრეტული მახასიათებლის მაგალითად გამოდგება იურიდიული შემადგენლობა – საფუძველი პენსიის მისაღებად განაცხადის სახით, კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ.

იურიდიული ფაქტი სამართლის ნორმებით გათვალისწინებული გარემოება, რომლის არსებობასთან დაკავშირებულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. იურიდიული ფაქტი ორი სახისაა: ხდომილება და მოქმედება. ხდომილება ისეთი ფაქტია, რომელიც ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვება (სტიქიური უბედურება, ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი, დროის გასვლა და ა. შ.), მოქმედება კი ისეთი ფაქტია, რომელიც ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული: იგი შეიძლება იყოს მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო.

იურიდიული ძალა – ნორმატიული სამართლებრივი აქტების კლასიფიკაციის კრიტერიუმი, მათი დაყოფა ორ ძირითად სახედ ან ჯგუფად: კანონებად და კანონქვემდებარე აქტებად. კანონის ან სხვა ნებისმიერი ნორმატიული სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალა განისაზღვრება ამა თუ იმ აქტის გამომცემი ორგანოს მდგომარეობით სამართალშემოქმედებითი, სახელმწიფო ორგანოების საერთო სისტემაში, მისი კომპეტენციითა და შესაბამისად, თავად აქტების სახით.

თითოეულ ქვეყანაში, თითოეულ სამართლებრივ სისტემაში დგინდება მკაცრი იერარქია ანუ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების განლაგების, თანადაქვემდებარების სისტემა. ამ იერარქიის ქვედა საფეხურში არის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები. იერარქიის ზედა ნაწილს შეადგენენ ამა თუ იმ ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული სამართლებრივი აქტები (კანონები, სტატუტები და ა.შ.). ესაა აქტები-კანონები, მათ გააჩნიათ უმაღლესი იურიდიული ძალა ყველა სხვა კანონქვემდებარე აქტთან მიმართებაში. ეს უკანასკნელი უნდა შეესაბამებოდეს კანონს, გამოიცეს კანონის საფუძველზე და კანონის შესრულებისთვის. მოცემული მოთხოვნები უეჭველად ეხება მთავრობის აქტებს, რომელთაც ყველა კანონქვემდებარე აქტს შორის გააჩნიათ უმაღლესი იურიდიული ძალა და რომლებიც მათ შორის წამყვან როლს თამაშობენ. თითოეულ ქვეყანაში ნორმატიული სამართლებრივი აქტების ჩამოყალიბებულ და მხარდაჭერილ იერარქიას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა სამართალშემოქმედებისა და სამართალგამოყენების პროცესის მოწესრიგებისთვის, კანონიერებისა და კონსტიტუციურობის რეჟიმის შექმნისა და დაცვისთვის.

იურისდიქცია – კანონით (ან სხვა ნორმატიული აქტით) დადგენილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებათა ერთობლიობა გადაწყვიტონ სამართლებრივი დავები და გადაწყვიტონ საქმეები სამართალდარღვევების შესახებ ე.ი. შეაფასონ პირის ან სამართლის სხვა სუბიექტის მოქმედებები მათი მართლზომიერების გათვალისწინებით, გამოიყენონ იურიდიული სანქციები სამართალდამრღვევებთან მიმართებაში. იურისდიქცია განისაზღვრება გადასაწყვეტი საქმეების სახისა და თვისების (დანაშაულები და გადაცდომები, ქონებრივი დავები ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს შორის და ა.შ.), მათი ტერიტორიული მიკუთვნების (სისხლის სამართლის პირებს შორის და ა.შ.), მათი ტერიტორიული მიკუთვნების (სისხლის სამართლის საქმის განხილვა დანაშაულის ჩადენის ადგილის, სამოქალაქო საქმის კი – მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), საქმეში მონაწილე პირების (სამხედრო ტრიბუნალისადმი სამხედრო მოსამსახურეების ქვემდებარობა) მიხედვით. იურისდიქცია ხორციელდება კანონის მიერ ზუსტად დადგენილ, მმართველობის ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციის ფარგლებში, სამართალდარღვევების შესახებ საქმეების გადაწყვეტისას. ამა თუ იმ ორგანოს გადაწყვეტილებები არა მისი იურისდიქციის ფარგლებში წარმოადგენს უკანონოს და ექვემდებარება გაუქმებას.

იურისკონსულტი – საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სამართლებრივი სამსახურის მუშაკი. იურისკონსულტს ეკისრება კონტროლი ხელმძღვანელობის მიერ გამოცემული განკარგულებებისა და ბრძანებების კანონიერებაზე, მონაწილეობის მიღება ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შედგენაში, რომელთა დადებაც ხდება სხვა საწარმოებთან და დაწესებულებებთან, მუშებისა და მოსამსახურეების ინფორმირებულობა მიმდინარე კანონმდებლობის შესახებ და მათთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა, სასამართლოებში საქმეების წარმოება, თუ საწარმო (დაწესებულება) გამოდის მოსარჩელის ან მოპასუხის სახით და ა.შ. იურისკონსულტის ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება კანონით.

იუსტიცია [ლათ. justitia სამართლიანობა, კანონიერება] 1) მართლმსაჯულება; რომში ჩ.წ-აღ-მდე I ს-ში ი. გალმერთებული იყო და გამოისახებოდა როგორც ქალ-ღმერთი, რომელსაც ხელში სასწორი ეჭირა;

გააჩნდა თავისი ტაძარი და ქურუმები; 2) სასამართლო დაწესებულებების სისტემა.

იუსტიციის საბჭო საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია სასამართლო რეფორმის გასატარებლად. წინადადების შემუშავების, მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურების შერჩევის, წარდგენის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების გადასაჭრელად. იუსტიციის საბჭო შედგება 12 წევრისაგან, რომელთაგან 4 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, 4 წევრს ირჩევს პარლამენტი, ხოლო ერთ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაში, თანამდებობების მიხედვით შედიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები. იუსტიციის საბჭოს ამოცანები, მისი ორგანიზაციის და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოცემულია 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონით საერთო სასამართლოების შესახებ.

იშვიათი, გაჭირობის საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სახეობები – იხ. წითელი წიგნი.

იძულება სისხლის სამართალში ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს. ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი.

იძულებითი ღონისძიების გამოყენება

[1] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულება – კარი 4

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენების საერთო პირობები – თავი 18

მუხლი №140 – სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების სასამართლო წესი

1. პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობით მაგისტრატი მოსამართლე წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით გასცემს ბრძანებას აღკვეთის ღონისძიების, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების, ქონებაზე ყადაღის დადების, ბრალდებულის ან სხვა პირის სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა საპროცესო სამართლებრივი იძულების გამოყენების, აღკვეთის ღონისძიებათა შეცვლის შესახებ, აგრეთვე დადგენილებას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან, შეცვლასთან ან უარის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაცემული ბრძანების გაუქმების შესახებ.

2. ჩხრეკის, ამოღების, სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის შესახებ სასამართლო ბრძანების გაცემის წესი განსაზღვრულია 290-293-ე მუხლებით.

3. პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ერთ-ერთი საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე მოსამართლის ბრძანების მიღების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს.

4. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს ზუსტი მონაცემები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც გამოითხოვება ბრძანება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოსაყენებლად.

5. შუამდგომლობა მისი განხილვისათვის საჭირო მასალების ახლებთან ერთად წარედგინება მაგისტრატ მოსამართლეს გამომძიების ადგილის მიხედვით. ოპერატიული მონაცემების წარდგენა დაუშვებელია.

6. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად პროკურორის მონაწილეობით. განხილვას აგრეთვე ესწრება ის გამომძიებელი, რომელმაც პროკურორის თანხმობით შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს. სასამართლო სხდომაში მონაწილეობის უფლება აქვს ბრალდებულს, იმ პირს, რომლის მიმართაც სასამართლოში შეტანილია შუამდგომლობა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების (თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა), თანამდებობიდან გადაყენების, ქონებაზე ყადაღის დადების, სისხლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების შესახებ, აგრეთვე მათ დამცველებსა და კანონიერ წარმომადგენლებს.

7. მოსამართლე შუამდგომლობს პირის დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების ან მის მიმართ აღკვეთის სხვა ღონისძიების, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ განიხილავს შუამდგომლობისა და საქმის მასალების წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც დაკავებულთა მოთავსების ან პატიმრობის ადგილიდან ბრალდებულის სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია მისი ავადმყოფობის, სტიქიური უბედურების ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, მოსამართლეს შეუძლია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განსახილველად სასამართლო სხდომა ჩაატაროს დაკავებულთა მოთავსების ან პატიმრობის ადგილას.

8. მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას, და შუამდგომლობის შემტან პირს წინადადება მისცეს წარმოადგინოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი. ამასთან, მოსამართლე არ განიხილავს პირის ბრალეულობის საკითხს და არკვევს მხოლოდ იმას, დაცული იყო თუ არა ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო დამაგრების დროს.

9. მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, რა შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს პროცესის მონაწილეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. იმ ორგანოს წარმომადგენელი, რომელმაც შუამდგომლობა შეიტანა, ასაბუთებს მას, რის შემდეგაც უსასუხებს მოსამართლისა და პროცესის სხვა მონაწილეთა შეკითხვებს. შუამდგომლობის აღძრულისა და მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

10. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ

დაკავებული, დაპატიმრებული, სხვა პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მათი დამცველები და წარმომადგენლები, პროკურორი, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

11. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გასცემს ბრძანებას სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების, მისი ვადის გაგრძელების ან შეცვლის შესახებ, ხოლო თუ საქმეში არ მოიპოვება პირის მიმართ ასეთი ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლები (არ არის საკმარ მტკიცებულებანი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის), მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების, მათ შორის, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, ხოლო პროკურორის შუამდგომლობით – უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

12. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების დაშვებულია აგრეთვე სასამართლის განჩინებით (მოსამართლის დადგენილებით), თუ ამის საჭიროება წარმოიშვა, სამართალმიცემის სტადიაზე ან სასამართლო განხილვის დროს, შერჩეული აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ შუამდგომლობს ბრალდების მხარე (გამომძიებელი პროკურორის თანხმობით ან პროკურორი).

13. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულებით ღონისძიების გამოყენების შესახებ ბრძანებაში უნდა აღინიშნოს: ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის გვარი; თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს; განკარგულება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ, ამასთან ზუსტად უნდა იყოს მითითებული რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება; ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბრძანების მოქმედების, აგრეთვე სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების ვადები რომელი თანამდებობის პირი ან ორგანოა უფლებამოსილი, შეასრულოს ბრძანება; მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი. მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის გვარი, თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს; განკარგულება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის შესახებ გაცემული ბრძანების გაუქმების შესახებ; რომელი თანამდებობის პირი ან ორგანოა უფლებამოსილი შეასრულოს დადგენილება; ამ კანონით გათვალისწინებული გასაჩივრების შემთხვევაში – გასაჩივრების წესი და ვადები; მოსამართლის ხელმოწერა და ბეჭედი.

14. ბრძანების ან დადგენილების შემსრულებელი ბრძანების მიღების შესახებ ადგენს ოქმს, რომელიც უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

15. ბრძანების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებათა გამოვლენის შემთხვევაში მოსამართლეს უფლება აქვს გააგრძელოს მისი მოქმედების ვადა 14 დღით, შუამდგომლობის განმეორებითი განხილვის გარეშე.

16. პირის დაპატიმრების, პატიმრობის ვადის გაგრძელების, აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენებისა და შეცვლის, სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების სასამართლო ბრძანებები, აგრეთვე მოსამართლის დადგენილება აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ დგება 6 ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმომდგენ ორგანოს (ერთი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს), მესამე იგზავნება დაპატიმრებულთა განთავსების ადგილას ან აღკვეთის სხვა სახის ღონისძიების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებთან, იმ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, მეოთხე გადაეცემა პროკურორს, მეხუთე გადაეცემა ბრალდებულს, ან მის დამცველს, ხოლო მეექვსე ეგზემპლარი რჩება სასამართლოში.

17. ბრალდებულს, მის დამცველს, პროკურორს უფლება აქვთ, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის ან აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართონ სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ შუამდგომლობით აღნიშნული სასამართლოებისათვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს. სასამართლო (მოსამართლე) გამოკლეულ იქნა თუ არა არსებითად იგივე საკითხები აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას განხილულ იქნა თუ არა არსებითი მნიშვნელობის მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) დადგენილებით შუამდგომლობას განუხილველად ტოვებს. შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) ატარებს ზეპირ მოსმენას ამ კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით.

18. შუამდგომლობის შეტანის უფლება აქვს სასამართლოში მისი განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე უკან გაითხოვოს თავისი შუამდგომლობა. იმავე საფუძვლით შუამდგომლობის განმეორებით შეტანა არ დაიშვება.

19. საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული, უცხო სახელმწიფოს მიერ ძებნილი, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების საკითხის გადასაწყვეტად პროკურორი დაკავების ადგილის მიხედვით რაიონულ სასამართლოს წარუდგენს უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური პირის (ორგანოს) მიერ გაცემულ ბრძანებას დაპატიმრების შესახებ, დადგენილებას ძებნის გამოცხადების თაობაზე და პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო დოკუმენტებს. მოსამართლე პროკურორის მონაწილეობით ერთპიროვნულად განიხილავს შუამდგომლობას მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24

საათისა. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს აქვს სასამართლო სხდომაში მონაწილეობის უფლება.

20. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე სასამართლო აცხადებს მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს.

იჯარის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს (დამქირავებელს) გადასცეს ქონება ქირის სანაცვლოდ დროებით ფლობაში ან გამოყენებისთვის დროებით. თავისი ბუნებით იჯარის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსენსუალურს, ორმხრივსა და უკუგებითს. ხელშეკრულების საგუძველს (მიზანს) წარმოადგენს ინდივიდუალურ-განსაზღვრული ნივთის გადაცემა ფლობაში და გამოყენებისთვის (ან მხოლოდ გამოყენებისთვის), ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ნივთის შემდგომში მოიჯარეს (დამქირავებლის) საკუთრებაში შესაძლო გადაცემას. იჯარის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ნიშნებით განსაზღვრული (იხ. ქირის ხელშეკრულება) არამოხმარებადი საგნები, მათ შორის, მიწის ნაკვეთები, საწარმოები და სხვა ქონებრივი კომპლექსები, შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები. კანონით შეიძლება დადგინდეს ქონების სახეები, რომლის იჯარით გადაცემაც არაა დაშვებული ან შეზღუდულია, იჯარის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენს იჯარით გადამცემი (ნივთის მესაკუთრე ან პირები, რომელთაც კანონით აქვთ უფლება ქონება გასცენ იჯარით) და მოიჯარე. სახელმწიფო და მუნიციპალური უბრალი ქონების იჯარის ხელშეკრულებებში მესაკუთრეს გარდა ასევე მონაწილეობს ბალანსის მქონე ე.ი. პირი, რომელსაც ნივთი გააჩნია შეზღუდული სასაგნო სამართლის საფუძველზე.

იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს წერილობითი ფორმის, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს იურიდიული პირი ან იჯარის ვადა ერთ წელიწადზე მეტს შეადგენს. უბრალი ქონების იჯარის ხელშეკრულება ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას, თუ სხვა რამ არაა დადგენილი კანონით (კერძოდ, თუ საჭირო არაა საზღვაო ხომალდების იჯარის რეგისტრაცია). იჯარის ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება მხარეთა სურვილისამებრ და ის არ წარმოადგენს არსებით პირობას. თუ ხელშეკრულებაში განსაზღვრული არაა იჯარის ვადა, იჯარის ხელშეკრულება ითვლება გაურკვეველი ვადით დადებულად. კანონის მიერ შესაძლოა განისაზღვროს იჯარის ხელშეკრულების მაქსიმალური ვადები ცალკეული სახის იჯარისთვის და ასევე ცალკეული სახის ქონებისთვის.

მეიჯარეს ვალდებულებებს განეკუთვნება: ა) მოიჯარესთვის დადგენილ ვადაში ნივთის სათანადო მდგომარეობაში გადაცემა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; ბ) მოიჯარეს გაფრთხილება ქონებაზე მესამე პირთა უფლებების შესახებ; გ) კაპიტალური რემონტის ჩატარება, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა კანონით ან ხელშეკრულებით და ასევე მიმდინარე რემონტის ჩატარება, თუ ეს პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით; დ) მოიჯარესთვის ნივთის განუყოფელი გაუმჯობესების ღირებულების ანაზღაურება, რომელიც მოხდა მოიჯარეს სარჯით მეიჯარეს ნებართვით, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასევე მოიჯარეს ვალდებულებებს განეკუთვნება: ა) ქონების გამოყენება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; ბ) საიჯარო ქირის დროული შეტანა; გ) მიმდინარე და ასევე კაპიტალური რემონტის განხორციელება, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით; დ) ქონების დაბრუნება მეიჯარესთვის სათანადო მდგომარეობაში ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე. იჯარის ხელშეკრულების სახეებს წარმოადგენს შენობების, ნაგებობების გაქირავება, იჯარა, სატრანსპორტო საშუალებების, საწარმოების იჯარა, ფინანსური იჯარა (ლიზინგი).

ჯ

კაბალური გარიგება – მძიმე გარემოებების დამთხვევის შედეგად განხორციელებული გარიგება, რომელსაც გააჩნია ნების ნაკლოვანება, რამდენადაც მისი ფორმირება ხდება ისეთი გარემოებების ზემოქმედების ქვეშ, რომელთა დროსაც პრაქტიკულად გამოირიცხება ნების ნორმალური ფორმირება, რაც იძულებულს გვხდის გარიგება დაიდოს ჩვენთვის საკმაოდ არახელსაყრელი პირობებით. ნების ფორმირებაზე გავლენის მქონე გარემოებები მოტყუების ნაცვლად ჩნდება გარიგების მეორე მონაწილისგან დამოუკიდებლად. გარიგების კაბალურობის განსაზღვრისთვის უნდა დადგინდეს, რომ მოქალაქე იმყოფება უკიდურესი საჭიროების მდგომარეობაში, რომ მის კონტრაგენტს ესმის ეს და მას იყენებს საკუთარ ინტერესებში, რომ პირობები აშკარად არახელსაყრელია ერთ-ერთი კონტრაგენტისთვის. არახელსაყრელობა ვლინდება გასაყიდ ნივთის რეალურ ღირებულებასა და გადასახდელი ფასის არათანაბარზომიერებაში.

კავშირი (ასოციაცია) სამოქალაქო სამართალში იურიდიული პირი, რომლის მიზანს არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა. სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ატარებს დამხმარე ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს, არ ცვლის კავშირის (ასოციაციის) სტატუსს. კავშირი (ასოციაცია) არის იურიდიული პირი, რომელიც საერთო მიზანს ისახავს, რომ რამდენიმე პირი და მისი არსებობა დამოკიდებულია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებაზე. კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია ხუთი დამფუძნებელი წევრი. კავშირის რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო (სკ, მუხლი 30 – 31).

კაზუალური განმარტება სამართლის ნორმის ოფიციალური განმარტება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ამ ნორმას იყენებს კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითად, სასამართლო განაჩენში განმარტავს, ასაბუთებს, თუ რატომ არის მის მიერ განხილული დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის მოცემული მუხლით დაკვალიფიცირებული.

კაზუისტიკა [ლათ. casus] ცალკეული შემ-

თხეველების განხილვა ზოგად პრინციპებთან კავშირში; იურიდიული კ. მდგომარეობს სასამართლო საქმეების კაზუსების ცალკეული მაგალითების განხილვაში იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ისინი სამართლის ნორმების თანახმად; 2) ღვთისმეტყველებაში, განსაკუთრებით კათოლიკურში, სწავლება ცოდვის სიმძიმეთა შესახებ სხვადასხვა გარემოებებთან კავშირში; 3) ეშმაკურად, დახლართულად ქმათი; სიმარჯვე; გაჭირლობა მტკიცებულებებში, რომლებიც ჩვეულებრივ ცრუ ან საეჭვოა.

კაზუსი 1) ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მოშხდარი შემთხვევა, რომელსაც დანაშაულის გარეგნული ნიშნები გააჩნია, მაგრამ ბრალის არარსებობის გამო არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; 2) მაგალითის სახით განხილული დანაშაულებრივი შემთხვევა ან რაიმე სამართლებრივი სიტუაცია.

კაზუსი (შემთხვევა) – მოვლენა, რომელიც დგება მასზე პირის მიმართული ნებისგან დამოუკიდებლად და ამიტომ ის არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოცემული პირობების დროს. შემთხვევითი მოქმედება, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებისგან განსხვავებით არის სამართალდარღვევის გარე ნიშნების მქონე, მაგრამ მოკლებულია დანაშაულის ელემენტებს და მაშასადამე, მას არ მოსდევს იურიდიული პასუხისმგებლობა. კაზუსისგან უნდა განვასხვაოთ დაუძლეველი ძალის ცნება.

კანდიდატის, საარჩევნო გაერთიანების, საარჩევნო ბლოკის, საარჩევნო კომპანიის, რეფერენდუმის ჩატარებაზე საინიციატივო ჯგუფის, რეფერენდუმის მონაწილეთა სხვა ჯგუფის საქმიანობის დაფინანსების წესის დარღვევა სოლიდური ფინანსური (მატერიალური) დახმარების გაწევა კანდიდატის, საარჩევნო გაერთიანების, საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანიისთვის საარჩევნო ფონდის სახსრების მიღმა, საარჩევნო ფონდიდან აუნაზღაურებელი საგიტაციო მასალების დამზადებისა და/ან გავრცელების გზით, ფულადი საშუალებების, მატერიალური ფასეულობების გადაცემა აუნაზღაურებელ საფუძველზე ან უსაფუძვლოდ დაბალ ფასად მათ მიერ საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის, ასევე სოლიდური ფინანსური (მატერიალური) დახმარების გაწევა რეფერენდუმის ჩატარებაზე საინიციატივო ჯგუფის, მისი მონაწილეების სხვა ჯგუფის საქმიანობის მხარდასაჭერად რეფერენდუმის ფონდის სახსრების გარდა, რეფერენდუმის ფონდიდან აუნაზღაურებელი ან უსაფუძვლოდ დაბალ ფასად ანაზღაურებული საგიტაციო მასალების დამზადებისა და გავრცელების გზით, ფულადი საშუალებების, მატერიალური ფასეულობების გადაცემა აუნაზღაურებელ საფუძველზე ან უსაფუძვლოდ დაბალ ფასად რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფის წევრის, უფლებამოსილი წარმომადგენლის, მისი მონაწილეების სხვა ჯგუფისთვის, მათ მიერ რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივის წამოყენებაზე, რეფერენდუმზე გარკვეული შედეგის მიღებაზე მიმართული საქმიანობის განსახორციელებლად, ასევე დიდი ოდენობით შემოწირულობის შეტანა საარჩევნო, რეფერენდუმის ფონდში ცრუ პირების მეშვეობით.

კანდიდატი [ლათ. candidates თეთრებში ჩაცმული < candidus თოვლიეთი თეთრი] 1) პირი, რომელიც კენჭს იყრის სახელმწიფო ან საარჩევნო ორგანოში რ-მე თანამდებობის დასაკავებლად ან რ-მე ორგანოში მისაღებად; სახელწოდება მომდინარეობს ძველი რომაული ჩვეულებიდან, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფო თანამდებობის მაძიებლები იცმევდნენ თეთრ ტოგას; 2) მეცნიერებათა კ. – სამეცნიერო ხარისხი, ენიჭება უმაღლესი განათლების მქონე პირებს, რომლებმაც ჩააბარეს საკანდიდატო მინიმუმი და დაიცვეს საკანდიდატო დისერტაცია.

კანდიდატურა [< ლათ. candidates] ადამიანი, რომელიც წარდგენილია რ-მე თანამდებობაზე დასანიშნად, არჩევით ორგანოში ასარჩევად ან რ-მე ორგანიზაციაში მისაღებად.

კანონთა კოლიზია ერთსა და იმავე საკითხზე მოქმედ კანონთა შორის არსებული წინააღმდეგობა. კანონთა კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ კანონს. იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის კანონებს შორის, კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს უფრო გვიან მიღებულ კანონს.

კანონთა კოლიზია (conflict of laws) – ერთსა და იმავე საკითხზე გამოცემული ორი ან მეტი ნორმატიული აქტის წინააღმდეგობა. კოლიზია წყდება იმ ნორმატიული აქტის არჩევის გზით, რომელიც მიესადაგება კონკრეტულ შემთხვევას. ერთსა და იმავე ორგანოს მიერ გამოცემულ აქტებს შორის კოლიზიის შემთხვევაში გამოიყენება უფრო გვიანდელი აქტი. სპეციალურ და ზოგად ნორმებს შორის კოლიზიის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას. თუ ნორმები მიღებულია სხვადასხვა ორგანოს მიერ გამოიყენება ზემდგომი ორგანოს ნორმა.

კოლიზია წარმოიშობა აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლებრივ აქტებს შორის, კერძოდ, უცხოელი მოქალაქეების მიმართ, რომელთა სამართლებრივი სტატუსი შეიძლება განისაზღვროს როგორც მათ ქვეყნის კანონით, ასევე იმ ქვეყნის, სადაც იმყოფებიან. ასეთი კოლიზია წყდება კოლიზიური ნორმების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რომელი ქვეყნის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამა თუ იმ შემთხვევაში, ამ ნორმების ერთობლიობა ქმნის საკოლიზიო სამართალს.

კანონი [ძვ.-ბერძ. κανών წესი, ნიმუში] 1) წესი ან დებულება; ყველაფერი ის, რაც მყარადაა დაკანონებული და საზოგადოდ მიღებული გახდა, ან კანონით ისჯება მაგ. კ. ხელოვნებაში–მხატვრული წესებისა და ხერხების ერთობლიობა, რომლებიც აუცილებლად ითვლება, ამა თუ იმ ეპოქაში, აგრ. თვით ნაწარმოები, რომელიც ნიმუშად ითვლებოდა; 2) საეკლესიო დებულება – დოგმატი, რიტუალი ან წესი, რომელიც მოცემულ ეკლესიაშია მიღებული; დებულებების კრებული, რომლებსაც დოგმატური ხასიათი აქვს, მაგ. ბიბლიური კ. – ბიბლიის წიგნების ერთობლიობა, რომლებსაც ესა თუ ის ქრისტიანული ეკლესია სცნობს და ღვთისმსახურებაში „წმინდა წერილად" იყენებს; 3) ქრისტიანული პოემა – პიმნის რთული სახეობა, რომელიც 9 კარისგან შედგება, ყოველი კარის პირველ სტროფს ირმოსი ეწოდება, დანარჩენებს–ტროპარები; შეიქმნა კონდაკი VIII ს-ში; 4) მრავალხმიანი მუსიკის ფორმა, რომელიც მკაცრ იმიტაციას ემყარება–ყველა ხმაში ერთი მელოდია

გატარებული და ყოველ მომდევნო ხმაში ის მანამდე იწყება, ვიდრე მისი წინამორბედი დასრულდება.

კანონი 1) განსაკუთრებული წესით მიღებული პირველადი სამართლებრივი აქტი სახელმწიფოს არსებობის ძირითად საკითხებზე, რომელიც უშუალოდ გამოხატავს საერთო სახელმწიფო ნებას და რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა; 2) ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელსაც იღებს სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო და გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა და რომელიც არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნილებების თვალსაზრისით; 3) ნორმატიული აქტი, რომელსაც იღებენ განსაკუთრებული წესით, კონსტიტუციის შემდეგ კი გააჩნია ყველაზე მეტი იურიდიული ძალა და მიმართულია ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაზე.

სხვადასხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემაში კანონი გამოიყოფა შემდეგი თავისებურებით: ა) ესაა ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელსაც იღებს მხოლოდ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – პარლამენტი (ფედერალური კრება („გოსდუმა") – რუსეთში, კონგრესი – აშშ-ში, პარლამენტები – იტალიაში, საფრანგეთში, იაპონიაში და სხვ.), რომელიც ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით წარმოადგენს მთელს ერს ან უშუალოდ ხალხს რეფერენდუმის გზით; ბ) კანონს გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა სამართლის ყველა დანარჩენ წყაროს შორის უზენაესობა და წარმოადგენს სამართლის უმაღლეს ფორმას; გ) კანონი, როგორც სამართლის წყარო, რომელიც ამოდის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოდან, გამოხატავს რა (ყოველ შემთხვევაში, თეორიულად) მთელი საზოგადოებისა თუ ხალხის ნებასა და ინტერესებს, ასევე უნდა ასახავდეს მთელი საზოგადოებისა და ხალხის ნებასა და ინტერესებს. სამაშელო და უცხოური სამართლებრივი თეორიისთვის ტრადიციული გახდა კანონის განხილვა საერთო ნების გამოხატველის სახით; დ) სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებისგან განსხვავებით ის გამოიცემა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. მისი მეშვეობით წესრიგდება და რეგულირდება ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობები; ე) კანონი მიიღება, იცვლება და დამატებები შედის განსაკუთრებული საკანონმდებლო წესით. საკანონმდებლო პროცედურა არსებობს თითოეულ სახელმწიფოში. ის, როგორც წესი, მტკიცებულებაა განსაკუთრებული აქტებით – უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების დებულებებისა თუ რეგლამენტით და წარმოადგენს ობიექტურად აუცილებელს.

დასახელებულის გარდა, ასევე არსებობს კანონების სხვა ნიშნებიც, რომლებიც მათ გამოარჩევენ სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებისგან. თუმცა, მათ არ გააჩნიათ არსებითი მნიშვნელობები. არიან რა მსგავსნი ფორმირების ხერხით, იურიდიული ძალით, ადგილითა და როლით სამართლის სისტემაში, კანონები მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

კანონი იყოფა გარკვეულ სახეობად, არსებობს მათი კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმი. მათში არსებული ნორმების მნიშვნელობის მიხედვით კანონები იყოფა საკონსტიტუციოდ და ჩვეულებრივად, ან მიმდინარედ, როგორც მათ ზოგჯერ უწოდებენ საკონსტიტუციო კანონებს, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება თავად კონსტიტუციები; შემდეგ სავეზურზეა კანონები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ცვლილებებისა და დამატებების შეტანა კონსტიტუციათა ტექსტში და ბოლოს კანონები, რომელთა გამოცემის აუცილებლობაც გათვალისწინებულია თავად კონსტიტუციის მიერ. ჩვეულებრივ ან მიმდინარეს განეკუთვნება ყველა სხვა კანონი.

საკონსტიტუციო კანონებისგან განსხვავებით, ჩვეულებრივი კანონების მისაღებად ან შესაცვლელად საჭირო არაა განსაკუთრებული წესი ან დეპუტატთა ხმების კვალიფიცირებული (2/3, 3/4 ან როგორც საბერძნეთის კონსტიტუციაშია, 3/5) უმრავლესობა. მოცემულ შემთხვევაში საკმარისია ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. კონსტიტუციური და ჩვეულებრივი კანონების მიღებისა და ცვლილებებისას პროცედურაში განსხვავებები ასახავენ მათ არაერთგვაროვან მნიშვნელობას სამართლის ფორმების სისტემაში, კერძოდ, ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს შორის.

ამა თუ იმ კანონის გამომცემი ორგანოების, ასევე ტერიტორიის მიხედვით, რომელზეც ვრცელდება მისი მოქმედება, კანონები ფედერაციულ სახელმწიფოში იყოფა ფედერალურად (ზოგადფედერალურად) და კანონებად, რომლებიც მიღებულია ფედერაციის სუბიექტების მიერ. თავის მხრივ, ფედერალური – კანონები იყოფა ფედერალურ საკონსტიტუციო და ფედერალურ ჩვეულებრივ კანონებად. ფედერაციის სუბიექტების მიერ მიღებული კანონები ასევე იყოფა საკონსტიტუციოდ და ჩვეულებრივად (მიმდინარედ). კანონები გამოიცემა ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ და ვრცელდება მის მთელ ტერიტორიაზე, დანარჩენი – ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ და მათ შესაბამისად გააჩნიათ იურიდიული ძალა მხოლოდ მათ ტერიტორიაზე. ზოგადი წესის მიხედვით, ფედერალური კანონის სუბიექტის კანონებთან განსხვავების შემთხვევაში პირველს პრიორიტეტი გააჩნია მეორეზე და მოქმედებს ფედერალური კანონი. კლასიფიკაციის დასახელებულ კრიტერიუმებთან და შესაბამისად, კანონების სახეებთან ერთად არსებობს მათი სხვა კრიტერიუმები და სახეები.

კანონიერება – სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში კანონების და მათი შესაბამისი აქტების განუხრელი შესრულება სახელმწიფოს ყველა ორგანოს, თანამდებობისა და სხვა პირების მიერ. კანონიერება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის ერთ-ერთ ელემენტს. სისხლის სამართლის პროცესში კანონი ასევე ნიშნავს კანონის დებულებების განუხრელ შესრულებას. სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელს, მოკვლევის ორგანოსა და მოკვლევის მწარმოებელ პირს უფლება არა აქვთ გამოიყენონ სისხლის სამართლის კოდექსის საწინააღმდეგო კანონები. სასამართლო დაადგენს რა სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს კანონისა თუ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის შეუსაბამობას, იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების დარღვევას სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, მოკვლევის ორგანოს ან

მოკლეულის მწარმოებელი პირის მიერ სისხლის სამართლის სამართალწარმოების დროს, მოსდევს ასეთი გზით მიღებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲨᲚᲐ – ინდივიდუალური მეწარმის თუ კომერციული ორგანიზაციის რეგისტრაციაზე არამართლზომიერი უარი ან თაეის არიდება მათი რეგისტრაციისთვის, გარკვეული საქმიანობის განხორციელებისთვის სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გაცემაზე არამართლზომიერი უარის თქმა ან თაეის არიდება მისი გაცემისთვის, ინდივიდუალური მეწარმის ან კომერციული ორგანიზაციის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა საკუთრების ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით, ასევე დამოუკიდებლობის შეზღუდვა ან სხვა უკანონო ჩარევა ინდივიდუალური მეწარმის ან კომერციული ორგანიზაციის საქმიანობაში, თუ ეს ქმედებები ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ თანამდებობის პირი, რომელიც იყენებს თაეის სამსახურებრივ მდგომარეობას.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ – პირი, რომელიც საჯაღდებულო სახით მონაწილეობს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეებში.

არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი დაშვება სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისთვის პროკურორის, გამომძიებლის, მოკლეულის მწარმოებელი პირის დადგენილების საფუძველზე, არასრულწლოვანის ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სახით პირველი დაკითხვის მომენტიდან, სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის დაშვებამდე მათ განემარტება თავიანთი უფლებები.

კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს: ა) იცოდეს, თუ რაშია ეჭვმიტანილი ან ბრალდებული არასრულწლოვანი; ბ) დაესწროს ბრალის წაყენებას; გ) მონაწილეობა მიიღოს არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაკითხვაში, ასევე გამომძიებლის ნებართვით – სხვა საგამოძიებო მოქმედებებში, რომელიც ხორციელდება მისი მონაწილეობით და დამცველის მონაწილეობით; დ) გაეცნოს საგამოძიებო მოქმედებების ოქმებს, რომლებშიც ის იღებდა მონაწილეობას და გააკეთოს წერილობითი შენიშვნები მათში გაკეთებული ჩანაწერების სისწორისა და მოკლეულის შესახებ; ე) წამოაყენოს შუამდგომლობები და აცილებები, საჩივრები მოკლეულის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე; წარმოადგინოს მტკიცებულებები; ვ) წინასწარი გამოძიების დასრულებისთანავე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალას, ამოწეროს მისგან ნებისმიერი ცნობა და ნებისმიერი მოცულობით.

სასამართლო სხდომაზე კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ: ა) წამოაყენონ შუამდგომლობები და აცილებები; ბ) მისცეს ჩვენებები; გ) წარმოადგინოს მტკიცებულებები; დ) მონაწილეობა მიიღოს მხარეთა პაექრობაში; ე) შეიტანონ საჩივრები სასამართლოს მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე; ვ) მონაწილეობა მიიღონ საპალატო, საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციების სასამართლოთა სხდომაში.

კანონიერი წარმომადგენელი შეიძლება ჩამოცილებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისგან, თუ არსებობს საფუძვლები ვიეარაუდოთ, რომ მისი მოქმედებები ზიანს აყენებენ არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ინტერესებს. ამის შესახებ პროკურორს, გამომძიებელს, მოკლეულის მწარმოებელ პირს გამოაქვს დადგენილება. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისთვის დაიშვება არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის სხვა კანონიერი წარმომადგენელი.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ საეკლესიო კრებებისა და რომის პაპების გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებდა შიდასაეკლესიო ორგანიზაციის საკითხებს და ზოგიერთ საოჯახო და ქონებრივ ურთიერთობებს. კანონიკური სამართლის ყველაზე ცნობილი კოდიფიკაცია მოხდა 1582 წელს. კანონიკური სამართლის ნორმები ფართოდ იყო ცნობილი და მოქმედებდა შუა საუკუნეების საქართველოშიც.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲠᲘ [გერმ. Kanonier < იტ. cannone ზარბაზანი] მეზარბაზნე; მეფის საარტილერიო ჯარის უდაბლესი წოდება, რომელიც შეესაბამება რიგითს, ქვეით ჯარში.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲙᲣᲠᲘ [ძვ.-ბერძ. κανονικώς დაწესებული] 1) საეკლესიო წესებზე დამყარებული; საეკლესიო კანონებით დადგენილი; კ. სამართალი – საეკლესიო კრებებისა და რომის პაპის დადგენილებების ერთობლიობა; 2) ნიშუშად აღიარებული; კანონებზე დაფუძნებული.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 10 დღის ვადაში ხელს მოაწერს და გამოაქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. პარლამენტმა თუ შენიშვნები მიიღო, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს მოაწერს და აქვეყნებს მას. ხოლო თუ შენიშვნებით არ იქნა მიღებული, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირველ რედაქციას და მიღებულად ჩაითვლება, თუ მხარი დაუჭირა პარლამენტის სითით შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა. პრეზიდენტმა თუ დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე. კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი ან კანონში მითითებული. ოფიციალურ ორგანად ითვლება გაზეთი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე".

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ კანონის დაცვისა და შესრულების ვალდებულება განსაზღვრულ დროში, განსაზღვრულ ტერიტორიაზე (სივრცეში) და კონკრეტული პირების, ორგანიზაციებისა თუ სამართლის სხვა სუბიექტების მიმართ. კანონის მოქმედება იწყება მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან და წყდება მისი ოფიციალური გაუქმების მომენტიდან ან იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადისთვისაც იგი იყო გათვალისწინებული. კანონის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფოს მთელ

ტერიტორიაზე, თუ კანონში სხვა რამ არ არის დადგენილი. კანონის მოქმედება ვრცელდება ყველას მიმართ, თუ იგი სამართლის კონკრეტული სუბიექტებისათვის არაა განკუთვნილი.

კანონისტი (გერმან. Kanonist ბერძნ.-დან – Kanon) -საეკლესიო უფლებების მცოდნე.

კანონის უკუძალა[1] კანონის მოქმედების გაერცელება მის კანონიერ ძალაში შესვლამდე არსებულ შემთხვევებზე. საერთო წესის თანახმად, კანონს არა აქვს უკუძალა. ამ წესიდან გამონაკლისი გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედობის დანაშაულებრიობას, ამსუბუქებს სასჯელს ან სხვაგვარად აუმჯობესებს დამნაშავის მდგომარეობას, აქვს უკუძალა, ხოლო კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამკაცრებს სასჯელს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას, უკუძალა არა აქვს. საერთოდ არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუძალა, თუ იგი ზიანის მომტანია, ან აუარესებს პირის მდგომარეობას (საქ. სამოქ. კ, მუხლი 6; საქ. სამ. კ, მუხლი 3).

კანონის უკუძალა[2] – კანონის მოქმედების გაერცელება სიცოცხლის ყველა შემთხვევასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მისი ძალაში შესვლამდე. ზოგადი წესის მიხედვით, კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს არ გააჩნიათ უკუძალა. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ სამართალდარღვევის შემთხვევაში გამოიყენება ის კანონი, რომელსაც იურიდიული ძალა ჰქონდა დაკის წარმოქმნის ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედების განხორციელების დროს, თუმცა, ეს კანონი მოცემულ მომენტში გაუქმებულ ან შეცვლილ იქნა. კანონის უკუძალის არცნობის პრეზუმფცია მოქმედებს რიგ ქვეყნებში. მაგალითად, იტალიის კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ კანონი მიუთითებს მომავლისთვის იმას, რომ მას არ გააჩნია უკუძალა. კანონის უკუძალის არცნობა ხელს უწყობს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სტაბილიზაციას, თითოეული მოქალაქის მიერ მათი უფლებებისა და თავისუფლებების საიმედოობაში დარწმუნების გაძლიერებას, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები სისხლის სამართლის კანონის გამოყენების პრაქტიკიდან, რომლებიც ითვალისწინებენ გარკვეულ ქმედებებზე პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან საერთოდ მის მოხსნას. ცალკეულ შემთხვევებში კანონის უკუძალა ცნობილი ხდება სამოქალაქო და საოჯახო სამართლის დარგში, მაგრამ ამაზე კანონში უნდა იყოს პირდაპირი მითითება.

კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ – 1) კანონმდებლობის დარგი; 2) ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემა, რომელიც შედგება საკანონმდებლო და ნორმატიული სამართლებრივი აქტების, კანონებისგან, რომლებიც არეგულირებენ ატმოსფერო-საჰაერო საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს შესახებ – 1) კანონმდებლობის დარგი; 2) ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემა, რომელიც შედგება საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებისგან, რომლებიც არეგულირებენ ფაუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

კანონმდებლობა ფიალის შესახებ – 1) კანონმდებლობის დარგი; 2) ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემა, რომელიც შედგება საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებისგან, რომლებიც არეგულირებენ სამთო საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

კანონმდებლობის ეკოლოგიზაცია – ეკოლოგიური სამართლის ნორმების დანერგვა კანონმდებლობის დარგების აქტებში, რომლებიც არეგულირებენ გარემოზე ამა თუ იმ სახით ზეგავლენის მოხდენ მართვას, სამეურნეო, სარეკრეაციო და სხვა საქმიანობას. კანონმდებლობის ეკოლოგიზაციას ექვემდებარება, პირველ რიგში, კანონმდებლობის ადმინისტრაციული, სამოქალაქო, შრომის, სისხლის სამართლის და სხვა დარგები.

კანონმდებლობის სისტემატიზაცია სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების ან მოქალაქეების საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოქმედი ნორმატიული სამართლებრივი აქტებისა და სამართლებრივი ნორმების მოწესრიგებასა და შემდგომ სრულყოფაზე. კანონმდებლობის სისტემატიზაციის პროცესში აღმოიფხვრება წინააღმდეგობები სამართლის ნორმებს შორის, უქმდება ან იცვლება მოძველებული აქტები და ნორმები, იქმნება ახალი, თავისუფალი, უფრო სრულყოფილი აქტები კოდექსების, კანონმდებლობის კრებულების, დებულებებისა და სხვა სისტემატიზირებული აქტების სახით. სამამულო და საზღვარგარეთულ მეცნიერებაში და პრაქტიკაში ჩვეულებრივ გამოიყოფა კანონმდებლობის სისტემატიზაციის ორი ძირითადი ფორმა: კოდიფიკაცია და ინკორპორაცია.

კოდიფიკაცია წარმოადგენს სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობას ახალი, თავისუფალი კანონის შექმნის თაობაზე ადრე მოქმედი, მაგრამ მოძველებული კანონების ღრმა და ყოველმხრივი გადაშუშავების საფუძველზე, მათში არსებითი ცვლილებების შეტანას. კოდიფიკაციის პროცესში მოქმედ, მაგრამ არა მნიშვნელოვადაკარგულ ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანასთან ერთად, კვლავ შექმნილი კანონის პროექტში ასევე ჩართულია ახალი ნორმებიც. ისინი თვისობრივად სხვაგვარ ხასიათს ძალეენ, როგორც ხელახლა შექმნილ ნორმატიულ აქტს, ასევე რეგულირების პროცესსაც მოცემულ აქტში შემავალი ნორმების მეშვეობით. კოდიფიკაცია წარმოადგენს კანონმდებლობის სისტემატიზაციის ყველაზე რთულ და ამასთან ყველაზე სრულყოფილ ფორმას, რომელსაც გააჩნია საკანონმდებლო ხასიათი. ის შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამაზე უფლებამოსილი საკანონმდებლო ორგანოების მიერ. კოდიფიკაციის შედეგს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთსა და იმავე სფეროში მოქმედ სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტთან შედარებით თვისობრივად ახლის შექმნა. საბოლოო ჯამში კოდიფიკაცია არის კანონების დალაგება მისი არსებითი და შინაგანი ბუნების სახით, რაც შედეგობრივად არის კოდექს მიღებული კოდექსების სახით.

ინკორპორაცია წარმოადგენს მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების გარეგან დაშუშავებას

კრებულებში, კანონმდებლობის კრებულში მათი შემდგომი გაერთიანების მიზნით (მაგ. კანონების დალაგება საკუთრების, ქრონილოგიის და ა.შ.). ინკორპორაციის პროცესში დაუშვებელია ინკორპორირებადი აქტების არსისა და შინაარსის ნებისმიერი ცვლილება. არსებობს ინკორპორაციის ორი სახე: ოფიციალური და არაოფიციალური. ოფიციალური ინკორპორაციის თავისებურებები მდგომარეობს იმაში, რომ ის ხორციელდება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ. მის შედეგს წარმოადგენს მოქმედი ნორმატიული სამართლებრივი აქტების კრებულების მომზადება და გამოცემა. მოცემული კრებულები თუმცა კი არ წარმოადგენენ სამართლის წყაროებს, მაგრამ სამართალშემოქმედებისა და სამართალგამოყენების პროცესში მათზე ხდება მითითება. არაოფიციალური ინკორპორაცია ხდება სხვადასხვა არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების, ცალკეული პირების ან ადამიანთა ჯგუფების მიერ. ბუნებრივია, მას არ გააჩნია ოფიციალური ხასიათი და ის ხორციელდება რაიმე უფლებამოსილების გარეშე სამართალშემოქმედებითი ორგანოების მხრიდან. ასეთი ინკორპორაციის შედეგი შეიძლება იყოს საკანონმდებლო აქტების ნებისმიერი კრებული, ცნობარები და ა.შ.

კანცლერი [გერმ. Kanzler < საშ.-ლათ. cancellarius] 1) შუა საუკუნეებში სამეფო კანცელარიისა და არქივის მმართველი; 2) რუსეთში 1917 წ-მდე – უმაღლესი სამოქალაქო წოდება (I კლასის), რომელიც საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელს ენიჭებოდა: საგარეო პოლიტიკის კოლეგიის პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა მინისტრს; 3) კანტების სახჯოს მდივანი შვეიცარიაში; 4) ლორდების პალატის თავმჯდომარე (ლორდ კ.) და ფინანსთა მინისტრი (ხაზინის კ.) ინგლისში; 5) გერმანიაში 1945 წ-მდე რაიხსკანცლერი, პრუშიერმინისტრი; 6) თანამედროვე გარამანიასა და ავსტრიაში ფედერალური კ. – მთავრობის მეთაური.

კაპიტალი [გერმ. Kapital < ლათ. capitalis მთავარი] 1) მოგების მომტანი ქონება – ქონება, რომელიც გამოიყენება მის გასაზრდელად; კ. არსებობს ფულადი და რეალური; საწარმოში მთელი მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების ჯამია, რომელიც გამოიყენება საწარმოში; იყოფა ძირითად და საბრუნავ კ-დ; 2) მარქსიზმში – კ.-ს ღირებულება, რომელსაც მოაქვს დამატებითი ღირებულება დაქირავებული მუშების ექსპლუატაციის გზით.

კაპიტალიზმი [გერმ. Kapitalismus < ლათ. capitalis მთავარი] საზოგადოების ტიპი, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებასა და საბაზრო ეკონომიკაზე (თავისუფალ მეწარმეობაზე); კ-ის პირობებში საბაზრო კონკურენციის მექანიზმი უზრუნველებს მეწარმეს შემოსავლის გაზრდის მიზნით სისტემატურად გაზარდოს კაპიტალი და გაუმჯობესოს წარმოება, რაც ხელს უწყობს საწარმოო ძალების, მეცნიერებისა და ტექნიკის დინამიური განვითარებას; 2) მარქსიზმში საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, რომელიც ეფუძნება კერძო საკუთრებას საწარმოს და სამუშაო ძალის ექსპლუატაციის ბარჯზე; დაიკავა ფეოდალიზმის ადგილი, უნდა შეცვალოს სოციალიზმმა; გლობალური ექსპერიმენტები, რომლებიც ჩატარდა XX ს-ში სხვადასხვა ქვეყანაში და უწევნა მარქსისტული თეორიის მცდარობა.

კაპიტულანტი [<საშ.-ლათ.capitulare მოლაპარაკება გარკვეულ პუნქტებზე] 1) ადამიანი, რომელიც კაპიტულირდება ან ზოგადად მიდრეკილია კაპიტულაციისკენ; 2) პირი, რომელიც ადვილად იხვეჭს უკან სირთულეების წარმოქმნისას, რომელსაც არ შესწევს მიზნისკენ მიმავალი წინააღმდეგობების უშიშრად და მტკიცედ გადალახვის უნარი.

კაპიტულარიები [ლათ. capitularia] კაროლინგების დინასტიის (751–987), ფრანკი მეფეების დადგენილებები, კონონები, განკარგულებები და ინსტრუქციები.

კაპიტულაცია [< საშ.-ლათ. capitulo ვაწარმოებ მოლაპარაკებებს] 1) ერთ-ერთი მებრძოლი მხარის მიერ წინააღმდეგობის შეწყვეტა და მოწინააღმდეგისადმი დამორჩილება მის მიერ ნაკარნახევი პირობებით; შეიარაღებული ძალების სრული დარბევისას ჩვეულებრივ ხელს აწერენ უსიტყვო კაპიტულაციას; 2) არათანასწორი ხელშეკრულება, რომელსაც XVIII–XIX ს-ში ევროპელი სახელმწიფოები თავს ახვევდნენ აღმოსავლეთის სახელმწიფოებს; კ. უზრუნველყოფს დასაქლური სახელმწიფოების მოქალაქეებისა და წარმომადგენლების პრივილეგიებს – ადგილობრივი სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობას,ადგილობრივი თვითმართველობისაგან დამოუკიდებლობას, სავაჭრო ლგოტებს და ა.შ.; იაპონიამ კ-ს გაუქმებას XIX ს-ში მიაღწია, სხვ. ქვეყნებმა XX ს-ის პირველ ნახ-ში.

კაპიტულირება [< საშ.-ლათ. capitulare მოლაპარაკება გარკვეული პუნქტების შესახებ < capitulum თავი, კანონის მუხლი] 1) წინააღმდეგობის შეწყვეტა და მოწინააღმდეგისადმი დამორჩილება მის მიერ ნაკარნახევი პირობებით; 2) კამათში დანებება, უკან დახვევა სირთულეების შექმნისას, საკუთარი დამარცხების აღიარება, უმცლურება წინააღმდეგობათა გადალახვაში.

კაპიტალისტური სახელმწიფო – ისტორიულ არენაზე წარმოიქმნა ბურჟუაზიული რევოლუციების შედეგად, რომლებმაც ბოლო მოუღეს ფეოდალურ – ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ წყობას. ბურჟუაზიული რევოლუციების (და კაპიტალისტური სახელმწიფოს წარმოქმნის) ობიექტური და სუბიექტური წინაპირობები იქმნებოდა ფეოდალური საზოგადოების წიაღში. კაპიტალიზმი აღმოცენდა ფეოდალური წყობილების დაშლის ეპოქაში (XVI ს.). მისი ბუნება და გენეზისი უკავშირდება კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებასა და შემდგომ განვითარებას.

კაპიტალისტური სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს მისი წარმოქმნის მომენტიდან ხშირად წარმოადგენდა სამეურნეო საქმიანობის კერძო სამეწარმეო სისტემა და კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებსა და შრომის მნიშვნელოვან იარაღებზე. კერძო საკუთრება ცხადდებოდა წმინდად და ხელშეუხებლად. მის დაცვასა და შენარჩუნებაზე საბოლოო ჯამში მიმართული იყო ყველა კონსტიტუციური და მომდინარე კანონმდებლობა. ოგივე ნარჩუნდება თანამედროვე კაპიტალიზმის დროსაც. ამასთან დაკავშირებით, მაგალითად, გფრ 1949-ის წლის 23 მაისის ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) ნათქვამია, რომ „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება გარანტირებულია, მათი შინაარსი და საზღვრები დგ-

ინდება კანონებით... გასხვისება შეიძლება მოხდეს მხოლოდ კანონის თანახმად და საფუძველზე, რომელიც არეგულირებს ანაზღაურების წესსა და ოდენობას".

საკუთრების უფლებასთან ერთად კაპიტალიზმის უმნიშვნელოვანეს „მატერიალურ" ნიშნებს, რომლებიც შეადგენენ ამ წყობის შემადგენელ ეკონომიკურ საფუძველს, დასაელურ პოლიტიკურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში უწოდებენ შემდეგს: კონკურენციის არსებობა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება შესაკუთრეების მიერ მოგების მისაღებად; ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესისთვის ხელშეწყობა; ვიწრო სპეციალიზაციის განვითარება, განსაკუთრებით კი, ფინანსური ოპერაციების სფეროში; მძლავრი ნაციონალური და ტრანსნაციონალური კორპორაციების ზრდა; ეკონომიკური დაცემის (დეპრესიების) პერიოდული წარმოქმნა; მთავრობის მიერ კერძო სექტორზე ნაწილობრივი კონტროლის განხორციელება; ძლიერი მუშა ორგანიზაციების წარმოქმნა და განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშა კლასის სტატუსისა და გაჭირვების ზრდას და სხვ.

კერძო საკუთრება წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების საფუძველს, საზომს კაპიტალიზმის დროს, რომელიც ამაეე დროს არის ადამიანის პოლიტიკური, სოციალური და პირადი თავისუფლების ფუნდამენტი. რაც უფრო მეტი საკუთრებაა ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის ხელში, მით მეტი მოცულობით ხორციელდება კონსტიტუციასა და ჩვეულებრივ კანონებში გამოცხადებული უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, შრომის, დასვენების განათლების უფლება და ა.შ.

კაპიტალისტური სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, ჯერ ერთი, გამოყოფა რა გაბატონების ისეთი უმნიშვნელოვანესი საშუალებები, როგორიცაა უდიდესი, კარგად შეიარაღებული ჯარი, პოლიცია, ციხეები, ჯანდარმერია, დაზვერვა და კონტრდაზვერვა. ისინი რეალურ ძალას აძლევენ გაბატონებულ ელიტას. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ კლასის ეკონომიკური და პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელება, რომელიც შეადგენს საზოგადოების უმცირესობას, უმრავლესობაზე. მეორეც, კაპიტალისტური სახელმწიფოს სპეციფიკური თვისება არის საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ინსტიტუტების სისტემაზე ზემოქმედების ძლიერი ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამართლებრივი ბერკეტების ფლობა, რომლებიც საშუალებას იძლევიან დაიკავონ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ბურჟუაზიული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტრუქტურაში. იმის შესაბამისად, თუ როგორ იზრდება მისი ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა პოტენციალი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, კერძოდ, მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის წარმოების, გაერცელებისა და მოხმარების სფეროში, კაპიტალისტური სახელმწიფო უმეტესად გამოდის დიდი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ძალის როლში. მესამეც, კაპიტალისტური სახელმწიფოს თავისებურებას წარმოადგენს მისი უნარი გამოიძიოს გაბატონებული კლასის სხვადასხვა ფრაქციებისა და მათი ორგანიზაციების მიმართ ე.წ. „ერთობლივი კაპიტალისტის" სახით; გამოდის რა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ცალკეული კაპიტალისტებისა თუ ჩონოპოლიის ინტერესებიდან და უშუალო მიზნებიდან, არამედ „ჯამური" მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.

სახელმწიფოს, როგორც „იდეალურ ერთობლივ კაპიტალისტს" ეკისრება ისეთი მრავალფეროვანი, მაგრამ სოციალურ-კლასობრივი არსითა და შინაარსით ერთნაირი ამოცანები, როგორიცაა: ა) გაბატონებული კლასის – ბურჟუაზიის სხვადასხვა ნაწილს შორის არსებული შიდაკლასობრივი წინააღმდეგობებისა და განსხვავებების ნიველირება, ალმოფხვრა; ბ) ბურჟუაზიის სხვადასხვა ფრაქციის დაფოფილი, ხშირად კი ერთმანეთის საპირისპირო ინტერესების გარკვეულ საერთო მნიშვნელამდე მიყვანა; გ) გაბატონებული კლასისა და მთელი საზოგადოების ზოგადი, სტრატეგიული მიზნებისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა; დ) სახელმწიფოს ხელთ არსებული საშუალებებით კაპიტალისტური ეკონომიკის უწყვეტი განვითარების, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განმტკიცებისა და შემდგომი სრულყოფის, ოფიციალური იდეოლოგიის ეფექტურობის ამაღლების უზრუნველყოფა. წყვეტს რა ამ საკითხებს, სახელმწიფო ასრულებს სხვადასხვა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და იდეოლოგიურ ფუნქციებს.

კაპიტალისტურ სახელმწიფოს წარმოქმნისა და განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით გააჩნია მმართველობისა და სახელმწიფო მოწყობის, ასევე პოლიტიკური, უფრო ზუსტად კი სახელმწიფო რეჟიმის სხვადასხვა ფორმა. კაპიტალისტურ სახელმწიფოს ახასიათებს მმართველობის ორი ძირითადი ფორმა: კონსტიტუციური მონარქია და ბურჟუაზიული რესპუბლიკა. კონსტიტუციური მონარქია იყოფა ორ სახედ: საპარლამენტო და დუალისტურ მონარქიად. ბურჟუაზიული რესპუბლიკა იყოფა საპარლამენტოდ და საპრეზიდენტოდ.

სახელმწიფო მოწყობის ფორმის მიხედვით გამოყოფა უნიტარული, ფედერაციული სახელმწიფოები და კონფედერაციები.

კასაცია საარბიტრაჟო პროცესში

– საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების და/ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილებათა გადახედვა სრულად ან ნაწილობრივ. საკასაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია პირველ ინსტანციაში. საკასაციო წარმების წესით საკასაციო საჩივრებს განიხილავს საკასაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლო (იხ. საარბიტრაჟო სასამართლო).

საკასაციო გასაჩივრების უფლება აქვს საქმეში მონაწილე პირებს. საკასაციო საჩივრის შეტანა ხდება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების მიმღები საარბიტრაჟო სასამართლოს მეშვეობით. საკასაციო საჩივრის ფორმა და შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. საკასაციო ინსტანციის სასამართლო, მიიღებს რა საჩივარს წარმოებისთვის საქმეში მონაწილე პირების შუამდგომლობით, უფლება აქვს შეაჩეროს პირველი და საკასაციო ინსტანციების საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებული სასამართლო აქტების შესრულება. სასამართლო აქტის შესრულება შეჩერებული ხდება

საკასაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დადგენილების მიღებამდე საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგების მიხედვით, თუ სასამართლოს მიერ დადგენილი არაა შეჩერების სხვა ვადა.

საარბიტრაჟო პროცესში კასაციის მიზანს წარმოადგენს პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება. საკასაციო ინსტანციის სასამართლო საქმეს განიხილავს სასამართლო სხდომაზე მოსამართლეთა კოლეგიალური შემადგენლობით პირველი ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის წესების მიხედვით. საკასაციო ინსტანციის სასამართლო ადგენს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენების სისწორეს საქმის განხილვისა და გასაჩივრებული სასამართლო აქტის მიღებისას, საკასაციო საჩივარში არსებული საბუთებიდან გამომდინარე. საკასაციო ინსტანციის სასამართლო ამოწმებს ხომ არაა დარღვეული საპროცესო სამართლის ნორმები პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოს მიერ, რაც წარმოადგენს უპირობო საფუძველს პირველი ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების, სააპელაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილების გასაუქმებლად. საქმის განხილვისას საკასაციო ინსტანციის სასამართლო ამოწმებს შეესაბამება თუ არა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დასკვნები სამართლის ნორმის გამოყენების შესახებ მათ მიერ საქმეზე დადგენილ გარემოებებს და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგების მიხედვით, უფლება აქვს: ა) დატოვოს უცვლელად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და/ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, ხოლო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილების გარეშე; ბ) გააუქმოს ან შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და/ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილება სრულად ან ნაწილობრივ და ხელახლა განხილვაზე საქმის გადაუცემლობის გარეშე მიიღოს ახალი სასამართლო აქტი, თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტიური გარემოებები დადგენილია პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოს მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებების სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე; გ) გააუქმოს ან შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და/ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილება სრულად ან ნაწილობრივ და საქმე გადაგზავნოს ხელახალი განხილვისთვის შესაბამის საარბიტრაჟო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება, დადგენილება არის გაუქმებული ან შეცვლილი, თუ ამ სასამართლოს მიერ დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმები, რაც წარმოადგენს საფუძველს გადაწყვეტილების, დადგენილების გასაუქმებლად, და თუ გადაწყვეტილებაში, დადგენილებაში არსებული დასკვნები არ შეესაბამება საქმეზე დადგენილ ფაქტიურ გარემოებებს ან საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; დ) გააუქმოს ან შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და/ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილება სრულად ან ნაწილობრივ და საქმე განსახილველად გადასცეს პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სხვა საარბიტრაჟო სასამართლოს ერთი და იმავე სასამართლო ოლქის ფარგლებში, თუ აღნიშნული სასამართლო აქტები გამოირებით მოწმდება საკასაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ და მათში არსებული დასკვნები არ შეესაბამება საქმეზე დადგენილ ფაქტიურ გარემოებებს ან საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; ე) ძალაში დატოვოს საქმეზე ადრე მიღებული ერთერთი გადაწყვეტილება ან დადგენილება; ვ) გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და/ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილება სრულად ან ნაწილობრივ და შეწყვიტოს საქმის წარმოება ან სასარჩელო განცხადება დატოვოს განხილვის გარეშე სრულად ან ნაწილობრივ. საკასაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოს უფლება არა აქვს დადგინოს ან დამტკიცებულად ცნოს გარემოებები, რომლებიც დადგენილი არ იქნა გადაწყვეტილებაში ან დადგენილებაში ან უარყოფილ იქნა პირველი ან სააპელაციო ინსტანციების სასამართლოს მიერ, გადაწყვიტონ საკითხები ამა თუ იმ მტკიცებულების უტყუარობისა თუ არასწორობის შესახებ, გარკვეული მტკიცებულებების მეორესთან შედარებით უპირატესობის, ასევე იმის თაობაზე, თუ მატერიალური სამართლის რომელი ნორმა უნდა იყოს გამოყენებული და რომელი გადაწყვეტილება, დადგენილება უნდა იქნეს მიღებული საქმის ხელახალი განხილვისას.

პირველი და სააპელაციო ინსტანციების საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების, დადგენილების შესაცვლელად ან გასაუქმებლად საფუძვლებს წარმოადგენს: ა) გადაწყვეტილებაში, დადგენილებაში არსებული სასამართლოების დასკვნების შეუსაბამობა საქმის ფაქტიურ გარემოებებთან და საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან; ბ) მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენების დარღვევა ან არასწორი გამოყენება; გ) საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა ან არასწორი გამოყენება. მატერიალური სამართლის ნორმების არასწორ გამოყენებას წარმოადგენს: ა) გამოსაყენებელი კანონის გამოუყენებლობა; ბ) კანონის გამოყენება, რომელიც არ ექვემდებარება გამოყენებას; გ) კანონის არასწორი განმარტება. ნორმების დარღვევა ან არასწორი გამოყენება წარმოადგენს საფუძველს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების, დადგენილების შესაცვლელად ან გასაუქმებლად, თუ ამ დარღვევამ გამოიწვია ან რომელსაც შეეძლო გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების, დადგენილების მიღება. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების, დადგენილების გაუქმებისთვის საფუძვლის ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს: ა) საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ არაკანონიერი შემადგენლობით საქმის განხილვა; ბ) საქმის განხილვა საქმეში მონაწილე პირის დაუსწრებლად და რომელიც სათანადოდ არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროისა და თარიღის შესახებ; გ) საქმის განხილვისას ენის შესახებ წესის დარღვევა; დ) სასამართლოს მიერ საქმეში მონაწილეობისთვის ჩაურთველ პირთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების, დადგენილების მიღება; ე) გადაწყვეტილების, დადგენილებისთვის მოსამართლის ან ერთ-ერთი მოსამართლის მიერ ხელმოუწერლობა ან არა იმათ მიერ ხელმოწერა, რომლებიც მითითებულნი არიან გადაწყვეტილებაში, დადგენილებაში; ვ) გადაწ-

ყვეტილების, დადგენილების მიღებისას მოსამართლეთა თანბრის საიდუმლოების შესახებ წესის დარღვევა. საკასაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლო, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგების მიხედვით, იღებს სასამართლო აქტს, რომელსაც ეწოდება დადგენილება. დადგენილება კანონიერ ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

კასაცია სამოქალაქო პროცესში

– პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში არსებული გადაწყვეტილებების (ე.ი. დაუსწრებლად მიღებული გადაწყვეტილებების) და განჩინებების გასაჩივრების ხერხი; სამოქალაქო სამართალწარმოების სტადია. პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში არშესული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს საკასაციო წესით უზენაეს სასამართლოში.

საკასაციო გასაჩივრების უფლება აქვთ საქმეში მონაწილე მხარეებსა და სხვა პირებს. საკასაციო გასაჩივრების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. საკასაციო საჩივრის წარდგინების შეტანა ხდება გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მეშვეობით.

კასაციის მიზანს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება. საკასაციო ინსტანციის სასამართლო საქმეს განიხილავს მოსამართლეთა კოლეგიალური შემადგენლობის სასამართლო სხდომაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის. წესების მიხედვით. სასამართლო ამსახებს საქმეში არსებულ და ასევე დამატებით წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ხოლო თუ ცნობს, რომ შესაძლებელი იყო მათი წარმოდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ამტკიცებს სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ ფაქტებსა და სამართალდამკიდებულებებს ან ადგენს ახალ ფაქტებსა და სამართალდამკიდებულებებს. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს კანონიერების ინტერესებში უფლება აქვს შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სრული მოცულობით.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს: 1) უცვლელი დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო საკასაციო საჩივარი, წარდგინება არ დააკმაყოფილოს; 2) გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისთვის გააგზავნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული დარღვევები არ შეიძლება გამოსწორებულ იქნეს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ; 3) შეცვალოს ან გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, არ გადასცეს რა საქმეს ხელახალი განხილვისთვის, თუ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები დადგენილია არსებული და დამატებით წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე; 4) გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ და შეწყვიტოს საქმის წარმოება ან განცხადება დატოვოს განხილვის გარეშე. საფუძვლებს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაუქმებლად ან შესაცვლელად წარმოადგენს: ა) საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების არასწორი განსაზღვრა; ბ) პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დაუმტკიცებლობა; გ) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში გადმოცემული დასკვნების შეუსაბამობა საქმის გარემოებებთან; დ) მატერიალური ან საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა ან არასწორი გამოყენება. პირველი ინსტანციის სასამართლოს არსებითად სწორი გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ ფორმალური მოსაზრებების გამო.

მატერიალური სამართლის ნორმები ითვლება დარღვეულად ან არასწორად გამოყენებულად იმ შემთხვევაში, თუ: ა) სასამართლომ არ გამოიყენა შესაბამისი კანონი; ბ) სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ ექვემდებარება გამოყენებას; გ) სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. ნორმების დარღვევა ან არასწორი გამოყენება წარმოადგენს საფუძველს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაუქმებლად მხოლოდ იმ პირობის დროს, თუ ამ დარღვევამ გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია საქმის არასწორი გადაწყვეტა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას საკასაციო საჩივრების მოსაზრებების მიუხედავად, თუ: ა) საქმე განხილულია სასამართლოს მიერ უკანონო შემადგენლობით; ბ) საქმე სასამართლოს მიერ განხილულია საქმეში მონაწილე რომელიმე პირის დაუსწრებლად და რომელიც ინფორმირებული არ იყო სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ; გ) საქმის განხილვისას დარღვეულ იქნა წესები ენის შესახებ, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება; დ) სასამართლომ გადაწყვიტა საკითხი იმ პირების უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც არ იყვნენ საქმეში მონაწილეები; ე) სასამართლო გადაწყვეტილება არაა ხელმოწერილი მოსამართლის მიერ ან რომელიმე მოსამართლის მიერ ან გადაწყვეტილებას ხელს აწერს არა ის მოსამართლე თუ მოსამართლეები, რომლებიც მითითებულნი არიან სასამართლოს გადაწყვეტილებაში; ვ) სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია არა იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც შედიოდნენ საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში; ზ) საქმეში არაა სასამართლო სხდომის ოქმი; თ) სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას დაირღვა წესები მოსამართლეთა თანბრის საიდუმლოების შესახებ.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილების გამოტანა ხდება საკასაციო განჩინების ფორმით, რომელიც კანონიერ ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან.

კასაცია სისხლის სამართლის პროცესში

– დამოუკიდებელი სტადია, რომელიც მდგომარეობს მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გადახედვაში.

კასაცია უნდა შეიცავდეს: ა) საკასაციო ინსტანციის სასამართლოს დასახელებას, რომელშიც ხდება საჩივრის ან წარდგინების შეტანა; ბ) მონაცემებს საჩივრის ან წარდგინების შემტანი პირის შესახებ, მისი საპროცესო მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან ადგილ-

სამყოფელის მითითებით; გ) მითითებას განაჩენსა თუ სხვა გადაწყვეტილებაზე, რომელიც გასაჩივრებულია და სასამართლოს დასახელებას, რომელმაც ის დაადგინა ან გამოიტანა; დ) საჩივრის ან წარდგინების შემტანი პირის მოსაზრებებს; ე) საჩივრის ან წარდგინებისთვის დართული მასალების ჩამონათვალს; ვ) საჩივრის ან წარდგინების შემტანი პირის ხელმოწერას.

თუ მსჯავრდებული აცხადებს შუამდგომლობას საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობის შესახებ, ამის თაობაზე მიუთითებს საკასაციო საჩივარში.

თუ შეტანილი საჩივრები ან წარდგინება არ შეესაბამება ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებს, რაც ხელს უშლის საკასაციო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვას, საჩივარს ან წარდგინებას აბრუნებს მოსამართლე, რომელიც ნიშნავს ვადას მათი ხელახლა შედგენისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეს მოთხოვნები არაა შესრულებული და საჩივარი ან წარდგინება დროულად არაა შეტანილი, ისინი ითვლება არშეტანილად. ამ შემთხვევაში წყდება საქმის საკასაციო წარმოება. სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა განაჩენი ან სხვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, შეტანილი საჩივრის ან წარდგინების შესახებ აცნობებს და მათ ახლებს უგზავნის მსჯავრდებულს ან გამართლებულს, მის დამცველს, ბრალმდებელს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს ან მათ წარმომადგენლებს, თუ საჩივარი ან წარდგინება ეხება მათ ინტერესებს, აღნიშნულ საჩივარზე ან წარდგინებაზე საპირისპირო მოსაზრების წამოყენების შესაძლებლობის განმარტებით და წამოყენების ვადის მითითებით.

საჩივარსა თუ წარდგინებაზე წამოყენებული საპირისპირო მოსაზრებები თან ერთვის სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

კენჭისყრის შედეგების გაყალბება

– ალურიცხვი ბიულეტენების შეტანა კენჭისყრის დროს გამოყენებულ ბიულეტენთა რიცხვში ან აშკარა ცრუ ცნობების წარმოდგენა ამომრჩევლების, რეფერენდუმის მონაწილეების შესახებ ან რეფერენდუმის მონაწილე ამომრჩევლების აშკარად არასწორი სიის შედგენა, რაც გამოიხატება მასში იმ პირთა შეტანით, რომელთაც არ გააჩნიათ აქტიური საარჩევნო უფლება, რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება ან გამოგონილ პირთა სიაში შეყვანა ან ამომრჩევლების ხელმოწერის გაყალბება ან ბიულეტენების შეცვლა ან ბიულეტენების დაზიანება, რაც შეუძლებელს ხდის რეფერენდუმის მონაწილეთა ნების გამხატვის განსაზღვრას ან რეფერენდუმის მონაწილე ამომრჩევლების ხმათა არასწორი დათვლა ან საარჩევნო კომისიის, რეფერენდუმის კომისიის წევრთა მიერ კენჭისყრის შედეგების შესახებ ოქმზე ხელმოწერა ხმათა დათვლამდე ან კენჭისყრის შედეგების შესახებ ოქმის აშკარად არასწორად შედგენა ან ოქმში უკანონო ცვლილებების შეტანა მისი შეუსების შემდეგ ან არჩევნების, რეფერენდუმის შედეგების აშკარად არასწორი განსაზღვრა.

კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის აღძრა

– სისხლის სამართლის პროცესის სტადია, სისხლის სამართლის დანაშაულის ისეთი შემადგენლობები, როგორიცაა ჯანმრთელობისთვის მცირე ზიანის განზრახ მიყენება, ცემა, ცილისწამება ე.ი. აშკარა ცრუ ცნობების გავრცელება, რომელიც ლახავს სხვა პირის ღირსებასა თუ პატივისცემას ან მის რეპუტაციას, შეურაცხყოფა, წარმოადგენს კერძო ბრალდების საქმეებს, მათი აღძრა ხდება დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის, ასევე პროკურორის მიერ განცხადების შეტანის გზით იმ შემთხვევებში, როცა დაზარალებულს უმწეო მდგომარეობის ძალით ან სხვა მიზეზებით არ შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. დაზარალებულის დაღუპვის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე აღიძერება მისი ახლო ნათესაის განცხადების შეტანის გზით. ამასთან, პროკურორი სისხლის სამართლის საქმეს აგზავნის წინასწარი გამოძიების წარმოებისთვის. სისხლის სამართლის საქმეში პროკურორის ჩართვა არ ართმევს მხარეებს შერიგების უფლებას.

განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც ხდება მისი შეტანა; ბ) დანაშაულის მოვლენის, ადგილის, დროის, ასევე მისი ჩადენის გარემოებების აღწერას; გ) სასამართლოსთვის მიმართულ თხოვნას სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მიღების შესახებ; დ) მონაცემებს პირის შესახებ, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში; ე) მოწმეთა სია, რომლებიც საჭიროა გამოცხადდნენ სასამართლოში; ვ) მისი შემტანი პირის ხელმოწერა.

განცხადება სასამართლოში შედის იმ პირთა რაოდენობის ასლებთან ერთად, რომელთა მიმართაც აღძრულია კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმე.

სასამართლოს მიერ განცხადების თავის წარმოებაში მიღების მომენტიდან, მისი შემტანი პირი კერძო ბრალმდებელს. მას უნდა განემარტოს უფლებები, რაზეც დგინდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს მოსამართლე და განცხადების შემტანი პირი.

კერძო ბრალმდებელი

– სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილე ბრალდების მხრიდან, რომელმაც შეიტანა სასამართლოში განცხადება კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე და რომელიც ბრალდებას იცავს სასამართლოში. კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებს განეკუთვნება საქმეები ჯანმრთელობისთვის განზრახ ზიანის მიყენების, ცილისწამებისა და შეურაცხყოფის შესახებ. ასეთი საქმეების აღძრა ხდება დაზარალებულის, მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების მიხედვით. ისინი ექვემდებარებიან შეწყვეტას დაზარალებულის ბრალდებულთან მორიგების შედეგად. მორიგება დასაშვებია სასამართლოს სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად გასვლამდე. კერძო ბრალმდებლად შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ანუ წარმომადგენელი კერძო ბრალდების საქმეზე. ბრალდების დაცვა არ დაიყვანება მხოლოდ სასამართლო პაექრობებში მონაწილეობამდე, არამედ ის ხორციელდება მთელი სასამართლო განხილვის დროს შუამდგომლობების დაყენების, მტკიცებულებების წარმოდგენის, მათ კვლევაში მონაწილეობის მიღების, სასამართლოსთვის ბრალდების არსზე თავისი შეხედულების გადმოცემის გზით და ა.შ. თუ კერძო ბრალმდებელი ამავდროულად წარმოადგენს დაზარალებულს,

მას გააჩნია ყველა ის საპროცესო უფლება, რაც ამ უკანასკნელს. კერძო ბრალმდებელზე ასევე ვრცელდება ის საპროცესო უფლებებიც, რომელიც გააჩნია სახელმწიფო ბრალმდებელს სასამართლო განხილვის დროს. კერძო ბრალდებას შეიძლება იცავდეს რამდენიმე კერძო ბრალმდებელი. თუ სასამართლო განხილვის დროს ვლინდება კერძო ბრალმდებლის შემდგომი მონაწილეობის შეუძლებლობა, ის შეიძლება შეცვლილ იქნეს კიდეც. სასამართლო – სასამართლო განხილვაში ხელახლა შესულ კერძო ბრალმდებელს ახლევს დროს სისხლის სამართლის საქმის მასალების გასაცნობად სასამართლო განხილვაში მონაწილეობისადმი მომზადებისთვის. კერძო ბრალმდებლის შეცვლას არ მოსდევს იმ მოქმედებების განმეორება, რომლებიც განხორციელდა სასამართლო განხილვის დროს. კერძო ბრალმდებლის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია გაიმეოროს მოწმეთა, დაზარალებულთა, ექსპერტთა დაკითხვა ან სხვა სასამართლო მოქმედებები.

კერძო სამართალი – კრებითი ცნება, რომელიც მოიცავს კერძო ინტერესების გამომხატველი და ინდივიდუალურ მესაკუთრეთა და გაერთიანებათა დამოუკიდებლობასა და ინიციატივაზე დამყარებული ურთიერთობების მარეგულირებელ სამართლის დარგებს, საჯარო სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც არეგულირებს და იცავს ზოგად ინტერესებს. კერძო სამართლის ძირითად ნაწილს შეადგენს სამოქალაქო სამართალი, რომელიც არეგულირებს ქონებრივ და მათთან დაკავშირებულ არაქონებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე საეჭვრო სამართალი.

კერძო სამართლის იურიდიული პირები

კერძო სამართლის იურიდიული პირები შეიძლება იყოს სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული), იურიდიული პირი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ კავშირის (ასოციაცია) ან ფონდის ფორმით. კავშირსა და ფონდში სამეწარმეო საქმიანობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, მაგრამ იგი აბატარებს დამხმარე ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს.

სამეწარმეო იურიდიული პირები დეტალურად აღწერილია მეწარმეთა შესახებ კანონში. მათ რიცხვს განეკუთვნება:

ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

ბ) კომანდიტური საზოგადოება;

გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

დ) სააქციო საზოგადოება;

ე) კოოპერატივი.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (general partnership) წარმოადგენს საზოგადოებას, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლიეი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. სპ-საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები. კანონით ყველა პარტნიორი უფლებამოსილია გაუძღვეს საწარმოო საქმეებს.

კომანდიტური საზოგადოება (limited partnership, partnership in commendam).

საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლიეად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და რომლის კომპანიონები არიან არანაკლებ ერთი კომპლემენტარი და კომანდიტები. კომპლემენტარები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები. ისინი სოლიდარულად და შეუზღუდავად აგებენ პასუხს საზოგადოების ვალდებულებებზე მთელი თავიანთი ქონებით, ისინი ახორციელებენ საზოგადოების საქმეების გაძღოლას და წარმომადგენლობას. კომანდიტები მონაწილეობენ საზოგადოებაში მხოლოდ თავიანთი შენატანებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის ფარგლებში. პასს ოდენობა განსაზღვრას მათ სამეწარმეო რისკს. კომანდიტებს არა აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში და წარმოადგინონ იგი გარე ურთიერთობებში. კომანდიტის მიერ საზოგადოების კონტროლის უფლება გამოიხატება იმაში, რომ მას შეუძლია მოითხოვოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების წიგნებისა და საბუთების გაცნობით შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (limited society) პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, ანუ გადახდევინების მიქცევა საზოგადოების ქონებაზე და არ დაშეუშებლების პირად ქონებაზე. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ორი ათას ლარს. მისი დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. შპს-ს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრებათ დირექტორებს.

სააქციო საზოგადოება (public company, ამერ. corporation) – საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაფოფილია აქციებად. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ნომინალური ღირებულება უნდა შეადგენდეს თხუთმეტი ათას ლარს, ხოლო ერთი აქციის ღირებულება ერთ ლარს ან მის მრავალჯერადს. საწარმო, გარდა კოოპერატივისა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორი ან ხუთასზე მეტი თანამშრომელია, აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს სააქციო საზოგადოების ფორმით. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრებათ დირექტორებს.

კოოპერატივი (co-operative, housing association – საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი, consumer's cooperative society – სამომხმარებლო კოოპერატივი) არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. ხელმძღვანელობა ეკისრება გამგეობას, რომელიც შედგება არანაკლებ ორი დირექტორისაგან. დირექტორები შეიძლება არ იყვნენ კოოპერატივის წევრები.

კერძო სამართლის ობიექტი

ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთეები, რომელთა გამო წარმოიქმნება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები. მათ მიეკუთვნება ნივთები, მათ შორის ფული და ფასიანი ქაღალდები; ქონებრივი უფლებები; სამუშაოები და მომსახურება; ინფორმაცია; ინტელექტუალური

საქმიანობის შედეგები, მათ შორის განსაკუთრებული უფლებები მათზე (ინტელექტუალური საკუთრება), არამატერიალური სიკეთეები. შეიძლება კერძო სამართლის ობიექტების გასხვისება ან გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე უნივერსალური სამართალმემკვიდრეობის ფარგლებში ამა თუ იმ გზით (მემკვიდრეობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია), თუ ისინი არ არიან ამოღებული დადგენილი წესით ბრუნვიდან ან მათი ბრუნვა არ არის შეზღუდული. ბრუნვიდან ამოღებული კერძო სამართლის ობიექტები პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კანონში.

კერძო სამართლის სუბიექტი

საზოგადოდ სამართლის სუბიექტი ეწოდება პირს (ფიზიკურს ან იურიდიულს), რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული უნარი იქონიოს და განახორციელოს უშუალოდ ან წარმომადგენლის საშუალებით უფლებები და იურიდიული ვალდებულებები (სამართალსუბიექტურობა). სამართლის სუბიექტი არის სამართალურთიერთობების აუცილებელი ელემენტი სამართლის ყველა დარგში, თუმცაღა ყოველ დარგში სუბიექტების მდგომარეობას გააჩნია გარკვეული სპეციფიკა. სამოქალაქო სამართალში მოქალაქეები, უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები გამოდიან, როგორც ფიზიკური პირები; კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები – როგორც იურიდიული პირები; სამოქალაქო სამართლებრივი სუბიექტების მესამე ჯგუფს შეადგენს სახელმწიფო ,სახელმწიფოებრივი და მუნიციპალური წარმონაქმნები. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები თანასწორნი არიან. განსხვავებით ადმინისტრაციული სამართალურთიერთობებისგან, რომლებშიც დომინირებს სუბორდინაციის ანუ დაქვემდებარების პრინციპი.

კერძო სამედიცინო პრაქტიკა

– მედიცინის მუშაკების მიერ სამედიცინო მომსახურების გაწევა ჯანდაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური სისტემების დაწესებულებების გარეთ, მოქალაქეების ან საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, მათ შორის, სადაზღვევო სამედიცინო ორგანიზაციების ბარჯზე.

კერძო ფარმაცევტული საქმიანობა

– საწარმოს საკურნალო საშუალებების მომზადების სფეროში, მათ შორის, საკურნალო საშუალებების ბითუმად და საცალო ვაჭრობა, საკურნალო საშუალებების დაშზადება სამოსუმო სავაჭრო და საფთიაქო დაწესებულებების მიერ, რომლებიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის სამართლის ნებისმიერ სუბიექტს, სახელმწიფოსა და მუნიციპალური წარმონაქმნების გარდა.

კერძო ფარმაცევტული საქმიანობა ექვემდებარება ლიცენზირების სავალდებულო წესით.

კვალიფიკაცია

[საშ.-ლათ. qualificatio < qualis როგორი, როგორი ხარისხის + ...ფიკაცია] 1) ხარისხის დადგენა, რ-მეს შეფასება, მისი გარკვეული კატეგორიისთვის მიკუთვნება; 2) ვარგისიანობის ხარისხი, ადამიანის მომზადების დონე ამა თუ იმ საშუალოს შესასრულებლად; 3) პროფესია, სპეციალობა, მაგ. მღებავის კ.

კვალიფიცირება

[< საშ.-ლათ. qualificare განსაზღვრა, ხარისხის დადგენა] 1) ხარისხის, ნიშნების მიხედვით სხვადასხვა კატეგორიისთვის მიკუთვნება; 2) პირის ვარგისიანობის ხარისხის დადგენა ამა თუ იმ სამუშაოსთვის.

კვალიფიცირებული

[< კვალიფიკაცია] 1) გარკვეული კვალიფიკაციის, გამოცდილების, ცოდნის და თვისების მქონე სპეციალობით წარმატებული მუშაობისთვის; კ. შრომა – რთული შრომა; სამუშაო, რომლის შესასრულებლად სპეციალური მომზადებაა საჭირო არაკვალიფიციურ (მარტივ) მუშაობასთან შედარებით; 2) კ. უმეტესობა –კენჭისყრისას უმეტესობა, რომელიც დამსწრეთა სიის $^{2}/_{3}$ ან $^{3}/_{4}$ შეადგენს და აუცილებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, მაგ. პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისას; 3) კ. დანაშაული – დანაშაული, რომელიც კანონის მიერაა გამოყოფილი რიგი სხვ. დანაშაულებიდან, როგორც საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიში და ამიტომ უფრო მკაცრი სასჯელია საჭირო ამისთვის.

კვესტორი

[ლათ. quaestor < quezo ძებნა, გამოძიების წარმოება] 1) ძვ. რომში უმცროსი მაგისტრატი – თავდაპირველად კონსულის დამხმარე ან სისხლის სამართლის გამომძიებელი; მოგვიანებით – თანამდებობის პირი, რომელიც სახელმწიფო საჭურჭლეს განაგებდა; კ-ს თანამდებობიდან იწყებოდა რომაელის პოლიტიკური კარიერა (ყოფილი კვესტორები სენატში შედიოდნენ); 2) ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტში ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმეების განმგებელი; 3) პოლიციელის წოდება იტალიაში.

კვოტა

[საშ-ლათ. quota თითოეულის წილი < ლათ. quot რამდენი] 1) ნაწილი, დასაშვები ნორმა; კარტელის კ. – კარტელის მონაწილეთა წილი პროდუქციის წარმოებაში, გასაღებაში ან ექსპორტში, რომლის მიხედვითაც მათ შორის ნაწილდება მოგება; საარჩევნო კ. – ამომრჩევლების მეტრი; ხმათა ნაწილი, რომელიც აუცილებელია ერთი დეპუტატის ასარჩევად მოცემულ საარჩევნო ოლქში წარმომადგენლობის პროპორციული სისტემისას; იმიგრაციული კ. – იმიგრანტების რიცხვი, რომლებსაც შეიძლება ამა თუ იმ ქვეყანაში ცხოვრების უფლება მიენიჭოთ; საგადასახადო კ. – გადასახადის განაკვეთი, რომელიც დაბეგვრის ერთეულზე მოდის.

კლარჯნი ხელმწიფენი, კლარჯნი მეფენი

– ასე იწოდებოდნენ კლარჯეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლები სუმბატ არტანუჯელი და გურგენი, ბაგრატ II არტანუჯელის ძენი, ბაგრატიონთა მემატიანე სუმბატ დავითის ძის მიხედვით. გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ სუმბატი და გურგენი, რომლებიც მისი მამიდაშვილები იყვნენ, დარბაზობაზე მოიწვია უანასკნელის ციხეში, შეიპყრო და გამოკეტა თმოგვის ციხეში, სადაც ისინი 1012 წელს გარდაიცვალნენ. მათ სამფლობელოს ბაგრატი დაეპატრონა. სუმბატის ძე ბაგრატი და გურგენის ძე დემეტრე კონსტანტინეპოლში გაიქცნენ ბასილა II ბიზანტიის კეისართან, რომ მისი დახმარებით მამაპაპისეული ქვეყანა დაებრუნებინათ, მაგრამ უშედეგოდ. მათი მემკვიდრეები კი, რომლებმაც გაქცევა ვერ მოასწრეს, პატიმრობაში დაიხოცნენ. ასე ამოწყდა არტანუჯელი ბაგრატიონების ანუ „კლარჯხელმწიფეთა" საგვარეულო.

კოალიცია [ლათ. coalitus გაერთიანებული < სშ.-ლათ. coalitio კავშირი] 1) სახელმწიფოების პოლიტიკური ან სამხედრო კავშირი, რომელიც მოლაპარაკებულია საერთო მოქმედებაზე საერთაშორისო ურთიერთობების ამა თუ იმ საკითხში; 2) რამდენიმე პოლიტიკური პარტიის შეთანხმება საქალაქო საბჭოს ან მთავრობის ამ პარტიების წევრებისგან შექმნაზე; იხ. კოალიციური.

კოდექსი [ლათ. codex (codicis) წიგნი] 1) კანონების სისტემატიზირებული კრებული, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების რ-მე სფეროს მოეკუთვნება: სისხლის სამართლის კ., შრომის კ., სამოქალაქო კ. და ა.შ.; 2) წესების, შეხედულებების, ნორმების ერთობლიობა, მაგ. ჰატიოსნების კ.; 3) წიგნი ქაღალდის, პერგამენტის, ქსოვილის ან სხვ. მასალის ფალცირებული (რამდენჯერმე გაკეცილი) ფურცლებისგან, რომლებიც ჯუაშია დამაგრებული და ყდაშია ჩასმული; გაჩნდა III–IV სს-ში და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა გრაგნილებთან ერთად.

კოდექსი – განკითარებად სამართლებრივ სისტემებში კანონის სახე, რომელიც ლათინურიდან სიტყვასიტყვით თარგმანში ნიშნავს „კანონების კრებულს". თანამედროვე გაგებით კოდექსი წარმოადგენს თავისუფალ საკანონმდებლო აქტს, რომელშიც ერთიანდება და სისტემატიზირდება სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ერთმანეთის მსგავს ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს. კოდექსი წარმოადგენს კანონმდებლის საკოდიფიკაციო საქმიანობის ბუნებრივ შედეგს. ისევე როგორც სხვა ნებისმიერ კანონს, კოდექსს გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა და ის ზოგადი წესის მიხედვით, განეკუთვნებოდა მხოლოდ სამართლის გარკვეულ დარგს.

კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ – კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საყოველთაოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობის ზოგად დებულებებსა და პრინციპებს; ადმინისტრაციული სასჯელის სახეების ჩამონათვალი და მათი გამოყენების წესები, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქმეების წარმოების წესი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქმეებზე დადგენილებათა შესრულების წესი.

კოდიფიკაცია [ლათ. codificatio] ქვეყნის კანონების სისტემატიზაცია და სამართლის სხვადასხვა დარგის მიხედვით ერთიან სისტემაში (კოდექსში) გაერთიანება; ჩვეულებრივ მოსდევს მოძველებული კანონმდებლობის გაუქმებას და თანამედროვე სამართლებრივი ნორმების ძალაში შეყვანა; იუსტინიანეს კ. (სხვაგვარად სამოქალაქო სამართლის კორპუსი) – VI ს-ის ბიზანტიური სამრთლის შინაარსის სისტემატიური გადმოცემა, რომელიც მოიცავს ინსტიტუციებს, დიგესტებს და იუსტინიანეს (ბიზანტიის იმპერატორის, რომელიც 527–565 წწ-ში მეუობდა) კოდექსს; იუსტინიანეს კ-ს საფუძვლად რომაული სამართალი უდევს, რომელიც ახალი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებითაა გარდაქმნილი.

კოლეგიალობა – ორგანოს ან ორგანიზაციის კომპეტენციის ქვეშ მყოფი საკითხების ხმის მიცემის ან კონსენსუსის გზით გადაწყვეტის ხერხი, როცა გადაწყვეტილება მიიღება შეთანხმებულად ან კენჭისყრასა თუ განხილვაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით. სახელმწიფო მართვაში კოლეგიალობა ზოგადი კომპეტენციის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ორგანიზების პრინციპია. მთავრობის რეგლამენტით დარეგულირებულია სხდომების ჩატარების, მათთვის საკითხების მომზადების, მთავრობის წევრების ინფორმირების წესი და ა.შ.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში, რომელთა ხელმძღვანელებიც მოქმედებენ ერთმმართველობის პრინციპზე, ინერგება ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების კოლეგიალური განხილვის ფორმა, რომლებიც შედიან სამინისტროს, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოს კომპეტენციაში, როგორსაც წარმოადგენს კოლეგია და რომელსაც მეთაურობს მოცემული ორგანოს ხელმძღვანელი. კოლეგიის შემადგენლობაში შედიან ხელმძღვანელის მოადგილეები და ზემდგომი ორგანოს მიერ პერსონალურად დანიშნული წევრები.

კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობა – პასუხისმგებლობა, რომლის შემოღებაც ხდება მუშაკების მიერ წარმოების პროცესში მათთვის გადაცემული ფასეულობების შენახვასთან, დამუშავებასთან, გაყიდვასთან, გადაზიდვასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ცალკეული სახეების ერთობლივი შესრულებისას, როცა შეუძლებელია თითოეული მუშაკის მატერიალური პასუხისმგებლობის გამოყენება და მასთან ხელშეკრულების დადება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობის დროს ქონება და სხვა ფასეულობა ბარდება ბრიგადას, ის წარმოადგენს ამ პასუხისმგებლობის მატარებელს, ხოლო ადმინისტრაცია ვალდებულია შეუქმნას ბრიგადას საჭირო პირობები მატერიალური ფასეულობების დასაცავად. ბრიგადის შექმნა ხორციელდება ნებაყოფლობის პრინციპის საფუძველზე, ამიტომ ბრიგადის თითოეულმა წევრმა უნდა მისცეს თანხმობა კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობის შემოღებაზე. ამასთან, თითოეული მუშაკი არ უნდა იყოს 18 წელზე უფრო ნაკლები ასაკის და მაშინ წარმოების პროცესში ბრიგადის თითოეული წევრისთვის მართლზომიერია მატერიალური ფასეულობების გადაცემა შესანახად, დამუშავებისთვის, გასაყიდად (გასაცემად), გადაზიდვის ან გამოყენებისთვის. ბრიგადის წევრების ვალდებულებები კი, შესაბამისად, შემდეგია: ა) ერთხელად მოეპყრას ფასეულობებს და მიიღოს ზომები ზარალის თავიდან ასაცილებლად; ბ) დადგენილი წესით აღრიცხოს, შეადგინოს და დროულად წარმოადგინოს ანგარიშები ფასეულობათა მოძრაობისა და ნარჩენების შესახებ; გ) დროულად აცნობოს ადმინისტრაციას ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის ფასეულობათა დაცულობას.

ადმინისტრაცია, თავის მხრივ, ვალდებულია: ა)

შეუქმნას კოლექტივს (ბრიგადას) საჭირო პირობები ფასეულობათა სრული დაცულობის უზრუნველსაყოფად; ბ) დროულად მიიღოს კოლექტივის (ბრიგადის) მიერ ფასეულობათა დაცულობისთვის ხელშემშლელი მიზეზების გამოსავლინები და აღმოსაფხვრელი ზომები, გამოაკლისნოს ზარალის მიყენებაში დამნაშავე კონკრეტული პირები და მისცენ ისინი პასუხისგებაში კანონმდებლობის მიხედვით; გ) გააცნოს ბრიგადას მოქმედი კანონმდებლობა მუშაკების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ორგანიზაციისთვის მიყენებული ზარალზე და ასევე წარმოების პროცესში ფასეულობების მიღების, შენახვის, დამუშავების, გაყიდვის (გასაღების), გადაზიდვის ან გამოყენების და მათი აღრიცხვის ინსტრუქციები და წესები; დ) უზრუნველყოს ბრიგადა მისთვის გადაცემული ფასეულობების მოძრაობისა და ნარჩენების დროული აღრიცხვისა და ანგარიშგებისათვის აუცილებელი პირობებით; ე) პროფორგანოსთან ერთად (თუ ის არსებობს ორგანიზაციაში) განიხილოს საკითხი ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ ბრიგადის წევრთა მოთხოვნების დასაბუთებულობის თაობაზე; ვ) პროფორგანოსთან ერთად მუშაკის თანდასწრებით განიხილოს მისთვის გამოცხადებული აცილება და აცილების დასაბუთებულობის შემთხვევაში მიიღოს ზომები მისი ბრიგადის შემადგენლობიდან გასაყვანად და გადაწყვიტოს საკითხი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემდგომი მუშაობის შესახებ; ზ) მოახდინოს ბრიგადის წევრთა შეტყობინებების რეგლამენტირება იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ფასეულობათა დაცულობას და მიიღოს ზომები ამ გარემოებათა აღმოსაფხვრელად.

ბრიგადირის ან ბრიგადის წევრის მიერ გამოვლენილი დანაკლისი თაღისთავად, საინვენტარიზაციო უწყების დამტკიცების გარეშე ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საფუძველს ბრიგადაზე მატერიალური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. ბრიგადის წევრების წერილობითი განმარტებების გარდა ზოგჯერ წარმოდგენილ უნდა იქნეს სპეციალისტთა დასკვნებიც ინვენტარიზაციის ჩატარებისას. ბრიგადიდან ცალკეული მუშაკების ამოუარდნისას ან მასში ახალი მუშაკების მიღებისას ხელშეკრულება არ ფორმდება ხელახლა. ამ შემთხვევებში ბრიგადის ამოუარდნილი წევრების ხელშოწერის საჭიროსპირო მხარეს მითითებულია მისი ამოუარდნის თარიღი, ხოლო კელავ მიღებული მუშაკისს აწერს ხელშეკრულებას და მიუთითებს ბრიგადაში მოსვლის თარიღს. ბრიგადის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებისას, ზარალი ნაწილდება მის წევრებს შორის თვიური სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) და ბოლო ინვენტარიზაციიდან ზარალის აღმოჩენის დღემდე პერიოდში ფაქტიურად გამომუშავებული დროის პროპორციულად.

კოლექტიური სასამართლო ექსპერტიზა – ექსპერტიზა, რომლის წარმოებაშიც მონაწილეობენ სხვადასხვა სპეციალობის ექსპერტები, კომპლექსური სასამართლო ექსპერტიზის წარმოებაში მონაწილე ექსპერტების დასკვნაში მითითებულია, თუ რა კელევები და რა მოცულობით ჩაატარა თითოეულმა ექსპერტმა, რა ფაქტები დაადგინა მან და რა დასკვნებამდე მივიდა. კოლექტიური სასამართლო ექსპერტიზის წარმოებაში მონაწილე თითოეული ექსპერტი ხელს აწერს დასკვნის იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს მის მიერ ჩატარებული კელევების აღწერას და პასუხს აგებს მასზე.

ექსპერტის დასკვნაში მითითებულია: ა) სასამართლო ექსპერტიზის წარმოების თარიღი, დრო და ადგილი; ბ) მისი წარმოების საფუძველები; გ) სასამართლო ექსპერტიზის დამნიშნელი თანამდებობის პირი; დ) ცნობები საექსპერტო დაწესებულების შესახებ, ასევე ექსპერტის გვარი, სახელი და მამის სახელი, მისი განათლება, სპეციალობა, მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და ან სამეცნიერო წოდება, დაკავებული თანამდებობა; ე) ცნობები საექსპერტო დაწესებულების შესახებ, ასევე ექსპერტის გვარი, სახელი და მამის სახელი, მისი განათლება, სპეციალობა, მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და/ან სამეცნიერო წოდება, დაკავებული თანამდებობა; ვ) ცნობები ექსპერტის გაფრთხილების თაობაზე, რომ ის პასუხისმგებელია ცრუ დასკვნის მიცემაზე; ვ) ექსპერტის წინაშე დაყენებული საკითხები; ზ) კელევების ობიექტები და მასალები, რომლებიც წარმოდგენილია სასამართლო ექსპერტიზის წარმოებისთვის; თ) ცნობები მისი წარმოებისას დამსწრე პირების შესახებ; ი) კელევების შინაარსი და შედეგები გამოყენებული მეთოდიკის მითითებით; კ) დასკვნები ექსპერტის წინაშე დაყენებულ საკითხებზე და მათი დასაბუთება.

თუ სასამართლო ექსპერტიზის წარმოებისას ექსპერტი დაადგენს სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშნელოვან გარემოებებს, მაგრამ რომელთა შესახებაც მას არ დაუსვეს კითხვები, მას უფლება აქვს მიუთითოს მასზე თავის დასკვნაში. მასალები, რომლებიც ახდენენ ექსპერტის დასკვნის ილუსტრირებას (ფოტოსურათები, სქემები, გრაფიკები და ა.შ.) თან ერთვის დასკვნას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს..

კოლექტიური შრომითი დავა – შრომის სამართალში არარეგულირებული უთანხმოებები მუშაკებსა (მათ წარმომადგენლებს) და სამუშაოს მიმცემებს (მათ წარმომადგენლებს) შორის შრომის პირობების დადგენისა და ცვლილების (მათ შორის ხელფასის) კოლექტიური ხელშეკრულებების, შეთანხმებების დადების, ცვლილებისა და შესრულების თაობაზე. კოლექტიური შრომითი დავა ჩნდება სამუშაოს მიმცემის მიერ მუშაკების არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოს აზრის გათვალისწინებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, ორგანიზაციებში შრომის სამართლის ნორმების შემცველი აქტების მიღების დროს. კოლექტიური შრომითი დავის დაწყების მომენტია სამუშაოს მიმცემის (მისი წარმომადგენლის) გადაწყვეტილების შეტყობინების დღე მუშაკების (მათი წარმომადგენლების) ყველა მოთხოვნის ან მათი ნაწილის მიუღებლობის შესახებ ან საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ სამუშაოს მიმცემის (მისი წარმომადგენლის) მხრიდან არაინფორმირებულობა, ასევე კოლექტიური მოლაპარაკების დროს უთანხმოებათა ოქმის შედგენის თარიღი. მოთხოვნების წამოყენების უფლება გააჩნიათ მუშაკებსა და მათ წარმომადგენლებს. ორგანიზაციის (ფილიალის, წარმომადგენლობის, სხვა განცალკევებული სტრუქტურული ქვედანაყოფის) მუშაკების ან მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ წამოყენებული მოთხოვნები მტკიცდება მუშაკების შესაბამის კრებაზე (კონფერენციაზე).

კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის წესი

შედგება შემდეგი ეტაპებისგან: კოლექტიური შრომითი დაყის განხილვა შემრიგებლური კომისიის მიერ, შუამავლის მონაწილეობით და/ან შრომით არბიტრაჟში. სავალდებულო ეტაპს წარმოადგენს კოლექტიური შრომითი დავის განხილვა შემრიგებელი კომისიის მიერ. შემრიგებელ კომისიაში თანხმობის მიუღწეველობისას კოლექტიური შრომითი დავის მხარეები გადადიან მის განხილვაზე შუამავლის მონაწილეობით და/ან შრომით არბიტრაჟში. კოლექტიური შრომითი დავის არცერთ მხარეს უფლება არა აქვს თავი აარიდოს მომრიგებელ პროცედურებში მონაწილეობას. შემრიგებლური კომისია ყალიბდება კოლექტიური შრომითი დავის მხარეთა წარმომადგენლებისგან თანასწორუფლებიან საფუძველზე. საშუამავლო მიმცემი ჭშნის აუცილებელ პირობებს შემრიგებლური კომისიის შუამობისთვის. კოლექტიური შრომითი დავა უნდა იქნეს განხილული შემრიგებლური კომისიის მიერ მისი შექმნის შესახებ ბრძანების (განკარგულების) გამოცემის მომენტიდან ხუთ სამუშაო დღემდე ვადაში. შემრიგებელური კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კოლექტიური შრომითი დავის მხარეების შეთანხმებით, ფორმდება ოქმი, რასაც საჭიროებულო ძალა აქვს ამ დავის მხარეებისთვის და ის სრულდება იმ წესითა და ვადებში, რომლებიც დადგენილია მომრიგებელი კომისიის გადაწყვეტილებით. შემრიგებლურ კომისიაში შეთანხმების მიუღწეველობისას მორიგების პროცედურები გრძელდება შუამავლის მონაწილეობით და ან შრომით არბიტრაჟში. შემრიგებლური კომისიის მიერ კოლექტიური შრომითი დავის მხარეებს უთანხმებათა ოქმის შედგენის შემდეგ, სამი დღის განმავლობაში შეუძლიათ შუამავლის მიწვევა. თუ სამი დღის განმავლობაში არ მიიღწევა თანხმობა შუამავლის კანდიდატურაზე, ისინი ქმნიან შრომით არბიტრაჟს. შრომითი დაყის განხილვა შუამავლის მონაწილეობით ხორციელდება მისი მოწვევიდან შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში და სრულდება კოლექტიური შრომითი დაყის მხარეების მიერ შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღებით წერილობითი ფორმით ან უთანხმოებათა ოქმის შედგენით.

შრომითი არბიტრაჟი წარმოადგენს კოლექტიურ შრომითი დაცვის განმხილველ დროებით მოქმედ ორგანოს, რომელიც იქმნება იმ შემთხვევაში, თუ ამ დაყის მხარეებმა დადეს წერილობითი ფორმით შეთანხმება მისი გადაწყვეტილებების სავალდებულო შესრულების შესახებ, შრომითი არბიტრაჟი იქმნება კოლექტიური შრომითი დაყის მხარეების და მისი რეგულირების სამსახურის მიერ შემრიგებლური კომისიის ან შუამავლის მიერ კოლექტიური შრომითი დაყის განხილვის დაბრუნების დღიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში. შრომითი არბიტრაჟი განიხილავს კოლექტიური შრომითი დავების მხარეთა მიმართვებს; იღებს ამ დავასთან დაკავშირებულ საჭირო ცნობებსა და დოკუმენტებს; საჭიროების შემთხვევაში აცნობების სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კოლექტიური შრომითი დაყის შესაძლო სოციალურ შედეგებს; ამუშავებს კოლექტიური შრომითი დაყის შესახებ რეკომენდაციებს. შემრიგებლური კომისიისა და შრომითი არბიტრაჟის წევრები კოლექტიური შრომითი დაყის გადაწყვეტაში მონაწილეობის დროს მანძილზე თავისუფლდებიან ძირითადი სამუშაოსგან საშუალო ხელფასის შენარჩუნებით ერთი წლის მანძილზე არაუმეტეს სამი თვის ვადით. სამუშაოს მიმცემის შრომითი არბიტრაჟის შექმნისგან თავის არიდების და ასევე მისი რეკომენდაციების შესრულებაზე უარის შემთხვევაში მუშაკებს შეუძლიათ შეუდგნენ გაფიცვის მომზადებას. შრომითი არბიტრაჟის შექმნა განსაკუთრებით აუცილებელია ორგანიზაციებში, რომლებშიც კანონით აკრძალული ან შეზღუდულია გაფიცვების ჩატარება. კოლექტიური შრომითი დაყის მხარეების მიერ მიღწეული შეთანხმება ფორმდება წერილობითი ფორმით და მას ამ მხარეებისთვის გააჩნია სავალდებულო ძალა. მის შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება კოლექტიური შრომითი დაყის მხარეების მიერ.

თუ შემრიგებლურმა პროცედურებმა არ გამოიწვია კოლექტიური შრომითი დაყის გადაწყვეტა, მუშაკებს ან მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ შეუდგნენ გაფიცვის ორგანიზებას. გაფიცვაში მონაწილეობა წარმოადგენს ნებაყოფლობითს. სამუშაოს მიმცემის წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ მოაწყონ გაფიცვა და მასში მონაწილეობა მიიღონ. გადაწყვეტილებას გაფიცვის გამოცხადების შესახებ იღებს ორგანიზაციის (ფილიალის, წარმომადგენლობის, სხვა განცალკევებული სტრუქტურული ქვედანაყოფის) მუშაკთა კრება, კონფერენცია მუშაკების წარმომადგენლობითი ორგანოს წინადადებით. გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად, თუ მას ხმა მისცა კრებაზე (კონფერენციაზე) დამსწრე მუშაკთა არანაკლებ ნახევარმა. მუშაკთა კონფერენციის მოწვევის შეუძლებლობისას მუშაკთა წარმომადგენლობით ორგანოს უფლება აქვს დაამტკიცოს თავისი გადაწყვეტილება, შეატყობინოს რა მუშაკთა ნახევარზე მეტის ხელმოწერას გაფიცვის ჩატარების მხარდასაჭერად. შემრიგებლური კომისიის მუშაობის ხუთი კალენდარული დღის შემდეგ შეიძლება გამოცხადდეს ერთჯერადი ერთსაათიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა, რომელიც წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს სამუშაოს მიმცემს არანაკლებ სამი სამუშაო დღით ადრე. მომავალი გაფიცვის დაწყების თაობაზე სამუშაოს მიმცემს უნდა ეცნობოს წერილობით ათი კალენდარული დღით ადრე. გაფიცვას მეთაურობს მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანო. მისი ჩატარების პერიოდში კოლექტიური შრომითი დაცვის მხარეები ვალდებულნი არიან გააგრძელონ ამ დავის გადაწყვეტა შემრიგებლური პროცედურების მეშვეობით. გაფიცვის დროს მასში მონაწილე მუშაკებს უნარჩუნდებათ სამუშაო ადგილი და თანამდებობა. სამუშაოს მიმცემს უფლება აქვს მუშაკებს არ გადაუხადოს ხელფასი მათი გაფიცვაში მონაწილეობის დროზე. გამონაკლისს შეადგენენ მუშაკები, რომლებიც ასრულებენ სამუშაოების (მომსახურების) სავალდებულო მინიმუმს. კოლექტიური შრომითი დაყის რეგულირების პროცესში იკრძალება ლოკაუტი – მუშაკების განთავისუფლება მათი კოლექტიურ შრომით დავაში ან გაფიცვაში მონაწილეობის გამო. იხ. ასევე გაფიცვა.

კოლმეურნეობა – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც შექმნილია გლეხური (ფერმერული) მეურნეობების მეთაურების და/ან მოქალაქეების მიერ, რომლებიც მართავენ პირად დამზმარე მეურნეობას ნებაყოფლობითი წევრობის საფუძველზე მიწის დამუშავების, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ერთობლივი საქმიანობისთვის ან სხვა საქმიანობის განსორციელებისთვის, რაც უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას და ეფუძნება კოოპერატიული მეურნეობის წევრთა პირად შრომით

მონაწილეობას და მათი ქონებრივი საპაიო შენატანების გაერთიანებას კანონითა და კოლმეურნეობის წესდებით გათვალისწინებული წესით. ამასთან, კოოპერატიული მეურნეობის საპაიო ფონდში არ გადაიცემა მიწის ნაკვეთები, რომლებიც რჩებიან გლეხური (ფერმერული) ან პირადი დამხმარე მეურნეობის საკუთრებაში კოოპერატიული საჭიროებებისთვის გათვალისწინებული მიწების გარდა. კოლმეურნეობის საფირმო დასახელება უნდა შეიცავდეს მის დასახელებასა და სიტყვას „კოლმეურნეობა". თითქმის კოლმეურნეობის ანალოგიურია ისრაელში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები-კიბუცები.

კოლონია [< ლათ. colonia დასახლება] 1) ძველად რ-შე სახელმწიფოს მოქალაქეების სხვა ქვეყანაში დასახლება, მაგ. ბერძნების შავიზღვისპირეთში; 2) ქვეყანა ან ტერიტორია, რომელიც უცხოური სახელმწიფოს (მეტროპოლიის) მმართველობის ქვეშაა მოქცეული, მოკლებულია პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და იმართება სპეციალური რეჟიმის საფუძველზე; 3) სხვა ქვეყნიდან გამოსულების დასახლება; 4) პენიტენციალური სისტემის დაწესებულება, მაგ. შრომით-გამოსასწორებელი კოლონია; 5) კოლონიალური ორგანიზმების ერთობლიობა, რომლის ცალკეულ ნაწილებს ზოგჯერ სხვადასხვა ფუნქციების შესრულების უნარი შესწევთ ანუ ხდება მთელის ცალკე ორგანო; 6) სხვადასხვა სახეობის ფრინველის ერთობლივი მრავალრიცხოვანი დასახლება; 7) ერთი სახეობის ბაქტერიების ან სხვა მიკროორგანიზმების თავმოყრა; 8) ნამარხი ორგანიზმების კომპლექსი, რომელიც დედამიწის ქერქის მოძრაობის შედეგად უფრო ძველი ფუნის წარმომადგენლთა შორის აღმოჩნდა.

კოლონია-დასახლება – იხ. გამოსასწორებელი კოლონიები (საერთო, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის).

კომანდიტისტები – რწმენაზე დამყარებული ამხანაგობის (კომანდიტური ამხანაგობა) მონაწილეთა ორიდან ერთ-ერთი კატეგორია ე.ი. ამხანაგი-მეანაბრეები. კომანდიტისტები მონაწილეობას არ დებულობენ ამხანაგობის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში და იზღარებენ ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული ზარალის რისკს, მათ მიერ შეტანილი ანაბრების ოდენობის ფარგლებში. ერთის მხრივ, კომანდიტისტები მოკლებულნი არიან ამხანაგობათა საქმეების მართვასა და წარმოებაში მონაწილეობას. მეორეს მხრივ, ისინი განაგებენ თავიანთ ანაბრებს სრული ამხანაგების მიუხედავად. ამხანაგობის ქონებაზე კომანდიტისტების უფლებაა განსაზღვრული თავისებურება მდგომარეობის იმაში, რომ ამხანაგობიდან გამოსვლისას მათ უფლება აქვს პრეტენზია ჰქონდეთ მხოლოდ თავიანთი ანაბრების დაბრუნებაზე და არა ფირმის ქონებაში წილის მიღებაზე. ამასთან, ფირმის ლიკვიდაციისას ამხანაგი-მეანაბრეები მონაწილეობენ ხალიკვიდაციო ნაშთის თანაბრად განაწილებაში სრულ ამხანაგებთან.

კომანდიტური [ფრ. commandite რწმენაზე დამყარებული. თანამეგობრობა] კ. თანამეგობრობა – საქმე, რომლის მონაწილეთა ნაწილი ალებული ვალდებულების თანახმად პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით (ხშირად ასეთ მნიშვნელოვან რისკს მხოლოდ ერთი მონაწილე იღებს), ხოლო დანარჩენი მონაწილეები – თავიანთი ანაბრებით.

კომერცია [ლათ. commercium] ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული ოპერაციები.

კომერციული [< ლათ. commercium] სავაჭრო; კ. აქტი – დოკუმენტი, რომელსაც დანაკლისის, სარკინიგზო, წყლით და საჰაერო გადაზიდვებისას ტვირთის დაზიანების შემთხვევაში ადგენენ; გადამზიდის, ტვირთის გადამგზავნის ან მიმღების მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძველი; კომერციული ბანკები – საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც უნივერსალურ საბანკო ოპერაციებს ატარებენ, უპირატესად ანაბრების სახით შემოსული სახსრების დახმარებით; განარჩევენ კერძო (საპაიო და ინდივიდუალურ) და სახელმწიფო კ. (როგორც წესი, საპაიო); კ. თამაშები – ბანკის თამაშის ნაირსახეობა, რომელშიც მოგება უფრო მეტად დამოკიდებულია მოთამაშის ხელოვნებაზე და ცოდნაზე, ვიდრე შემთხვევაზე: ბრიჯი, ვინტი, ვისტი, კინგი, პრეფერანსი (შად. აზარტული); კ. ორგანიზაცია (სტრუქტურა) – იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა; კ. ანგარიში – მეურნეობის მეთოდი, რომელიც ემყარება დანახარჯების და სამეურნეო საქმიანობის შედეგების თანაზომადობას; კ. საიდუმლოება – ცნობები და დოკუმენტები, რომლებიც ბანკის, საქმოსანის, ფირმის და სხვ. საქმიანობას ახასიათებს, ეს ინფორმაცია შეიძლება კონკურენტების მიერ იქნეს გამოყენებული.

კომერციული კონცესიის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (უფლების მფლობელს) ვალდებულია მეორე მხარეს (გამოყენებელს) ანაზღაურების საფასურად დროულად ან დროის მითითების გარეშე მისცეს უფლება სამეწარმეო საქმიანობაში გამოიყენოს უფლების მფლობელის განსაკუთრებული უფლებების კომპლექსი, მათ შორის, საფირმო სახელწოდების და ან კომერციული აღნიშვნის უფლება, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსაკუთრებული უფლებების ობიექტებზე სასაქონლო ნიშნებზე, მომსახურების ნიშანზე და ა.შ. საზღვარგარეთ ამ ხელშეკრულებას ეწოდება „ფრენშაიზინგი".

ბუნებით ეს ხელშეკრულება კონსენსუალური, ორმხრივად სავალდებულო და ანაზღაურებადია. ხელშეკრულების ეკონომიკური მიზანია ბაზარზე საქონლის წინსვლისთვის ხელშეწყობა. ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენს უფლების მფლობელი (განსაკუთრებული უფლებების მჭონე პირი, რომელთა გამოყენების ნებასაც ის აძლევს გამომყენებელს) და გამომყენებელი (პირი, რომელმაც მიიღო განსაკუთრებული უფლებების გამოყენების შესაძლებლობა). კომერციული კონცესიის ხელშეკრულების მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს კომერციული ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ინდივიდუალური მეწარმეების სახით.

ხელშეკრულების საგანია უფლების მფლობელის განსაკუთრებული უფლებების, საქმიანი რეპუტაციისა და კომერციული გამოცდილების კომპლექსი გარკვეული მოცულობით (კერძოდ, გამოყენების მინიმალური და/ან მაქსიმალური მოცულობის დადგენით). ხელშეკ-

რულებაში შეიძლება მითითებულ იქნეს გამოყენების ტერიტორია სამეწარმეო საქმიანობის გარკვეული სფეროსადმი (უფლების მფლობელისგან მიღებული საქონლის გაყიდვებისადმი ან სხვა სავაჭრო საქმიანობის განხორციელებისადმი, სამუშაოების შესრულებისადმი, მომსახურების გაწევისადმი). ხელშეკრულების ფორმა არის საჯაღდებულო წერილობითი ბათილობის საფრთხის ქვეშ. ხელშეკრულების რეგისტრაცია ხდება ხელშეკრულების მიხედვით უფლების მფლობელის სახით გამომავალი ინდივიდუალური მეწარმის ან იურიდიული პირის რეგისტრაციის განმხორციელებელი ორგანოს მიერ. მესამე პირებთან მიმართებაში მხარეებს უფლება აქვთ მიუთითონ ხელშეკრულებაზე მხოლოდ მისი რეგისტრაციის მომენტიდან. საპატენტო კანონმდებლობის შესაბამისად დაცული ობიექტის გამოყენებაზე ხელშეკრულება ექვემდებარება ასევე რეგისტრაციას აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოში საპატენტო და სასაქონლო ნიშნების დარგში. ამ მოთხოვნის დაუცველობისას ხელშეკრულება ბათილად ითვლება.

უფლების მფლობელის ვალდებულებებს სხვა დანარჩენთან ერთად განეკუთვნება: ა) გამომყენებლისთვის ტექნიკური და კომერციული დოკუმენტაციის გადაცემა; ბ) ლიცენზიის გაცემა; გ) ხელშეკრულების რეგისტრაციის უზრუნველყოფა; დ) გამომყენებლისთვის მუდმივი ტექნიკური და საკონსულტაციო ხელმეწყობა. უფლების მფლობელი სუბსიდიარულად პასუხს აგებს გამომყენებლისთვის წაყენებულ მოთხოვნებზე გამომყენებლის მიერ. გაყიდული (შესრულებული, გაწეული) საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის კომერციული კონცესიის ხელშეკრულების მიხედვით შეუსაბამობის თაობაზე გამომყენებლის, როგორც უფლების მფლობელის პროდუქციის (საქონლის) დამამზადებლის მიმართ წამოყენებულ მოთხოვნებზე, უფლების მფლობელი პასუხს აგებს გამომყენებელთან ერთად სოლიდარულად. გამომყენებლის ვალდებულებებს სხვა დანარჩენთან ერთად განეკუთვნება: ა) ანაზღაურების გაცემა ფიქსირებული ერთჯერადი ან პერიოდული გადასახადების, ამონაგებიდან გადარიცხვების, საქონლის საბითუმო ფასზე ფასნამატის ფორმით; ბ) უფლების მფლობელის კომერციული აღნიშვნის ან საფირმო სახელწოდების გამოყენება ხელშეკრულებაში მითითებული სახით; გ) ხელშეკრულების საფუძველზე წარმოებული საქონლის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობის უზრუნველყოფა უფლების მფლობელის მიერ წარმოებულ საქონელთან, შესრულებულ სამუშაოსთან, გაწეულ მომსახურებასთან; დ) უფლების მფლობელის ინსტრუქციებისა და მითითებების დაცვა, რომლებიც მიმართულია განსაკუთრებული უფლებების კომპლექსის გამოყენების სახის, ხერხებისა და პირობების იმასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, როგორც ის გამოიყენება უფლების მფლობელთა მიერ. კომერციული კონცესიის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა უფლებების შეზღუდვები, მათ შორის, უფლების მფლობელისთვის განსაკუთრებული უფლებების ანალოგიური კომპლექსების სხვა პირებისთვის შეთავაზების აკრძალვა; გამომყენებლის ვალდებულება კონკურენცია არ გაუწიოს უფლების მფლობელს იმ ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება კომერციული კონცესიის ხელშეკრულების მოქმედება.

კომერციული მოსყიდვა – კომერციულ ან სხვა ორგანიზაციაში მართვის ფუნქციების განმხორციელებელი პირისთვის ფულის, ფასიანი ქაღალდების, სხვა ქონების უკანონო გადაცემა, ისევე როგორც მისთვის ქონებრივი ხასიათის მომსახურებათა უკანონო გაწევა ამ პირის მიერ დაკავებული სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით განხორციელებული მოქმედების (უმოქმედობის) გამო.

კომერციული, საგადასახადო ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ცნობების უკანონო მილება და გახმაურება – კომერციული, საგადასახადო ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ცნობების უკანონო მილება და გახმაურება – კომერციული, საგადასახადო ან საბანკო საიდუმლოების შემადგენელი ცნობების შეგროვება დოკუმენტების მოპარვის, მოსყიდვის ან მუქარის, ასევე სხვა უკანონო გზით.

კომერციული საიდუმლოება – ინფორმაციის განსაკუთრებული ნაირსახეობა, რომელსაც გააჩნია ნამდვილი ან პოტენციური კომერციული ფასეულობა მისი მესამე პირებისთვის შეუტყობინებლობის ძალით იმ პირობის დროს, რომ არ არსებობს მასზე თავისუფალი წვდომა კანონიერ საფუძველზე და ინფორმაციის მფლობელი იღებს ზომებს მისი კონფიდენციალობის დასაცავად. კომერციული საიდუმლოების წარმომქმნელი ცნობების შემადგენლობა განისაზღვრება თავად სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეების მიერ კანონმდებლობით დადგენილ შეზღუდვების გათვალისწინებით. ასეთი სახის ცნობებს მეწარმეები ჩვეულებრივ განაკუთვნებენ მონაცემებს წარმოებული მოლაპარაკებების, განხორციელებული გარიგებების, კონტრაგენტების, ქონებრივი მდგომარეობის, გამოყენებული ტექნოლოგიების, ტექნიკური გადაწყვეტილებების, წარმოების ორგანიზების მეთოდების („ნოუ-ჰაუ" – იხ. ტერმინი ნოუ-ჰაუ) შესახებ. კომერციული საიდუმლოების შემადგენელი ინფორმაცია დაცულია სამოქალაქო კოდექსითა და სხვა კანონებით.

კომერციული წარმომადგენლობა – წარმომადგენლის ნაირსახეობა, რომელშიც წარმომადგენლის სახით გამოდის მეწარმეების სახელით მუდმივად და დამოუკიდებლად წარმოდგენილი პირი, მათ მიერ სამეწარმეო საქმიანობის სფეროში ხელშეკრულებების დადებისას. კომერციული წარმომადგენლობა არის ანაზღაურებადი. მას უფლება აქვს პქონდეს მრწმენებლისთვის განკუთვნილი ნივთები ხელშეკრულების მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით. დაცავის ხელშეკრულებაზე ცალმხრივი უარი დასაშვებია მეორე მხარისთვის არანაკლებ ოცდაათი დღით ადრე წინასწარი შეტყობინების პირობით, თუ უფრო ხანგრძლივი ვადა არაა გათვალისწინებული ხელშეკრულებით; ხელშეკრულებაზე ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი უარის შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია ორივე მხარეს. კომერციულ წარმომადგენელს უფლება აქვს გადაუხვიოს მრწმენებლის მითითებებს მისი ინტერესების დაცვით, არ ითხოვს რა ამაზე მის დამატებით თანხმობას.

კომისია (comisiion) – 1. ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ერთი მხარე (კომისიონერი) იღებს

ვალდებულებას მეორე მხარის (კომიტენტის) დავალებით, განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე დადოს გარიგებები საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში საკუთარი სახელით, მაგრამ კომიტენტის ინტერესებში და მისი ხარჯით. კომისია ეწოდება აგრეთვე კომისიონერის ანაზღაურებას. თუ კომისიის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ შეთანხმებულად მიიჩნევა საქმიანობის ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ნორმა. კომისიონერი ანგარიშვალდებულია იმ საწარმოს წინაშე, რომლისთვისაც იგი მოქმედებს: ვალდებულია შეთანხმებულ ვადებში, ხოლო თუ შეთანხმება არ არსებობს — ყოველი კვარტლის ბოლოს, კერძოდ, კვარტლის დამთავრებიდან ათი დღის ვადაში, წერილობით წარუდგინოს საწარმოს ცნობები ყოველ შესრულებული საქმის შესახებ და კომისიის ანგარიში. ანგარიშსწორებისას კომისიონერს შეუძლია მოითხოვოს ყველა იმ გარიგების საბუღალტრო ამონაწერი, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო კომისია. კომისიონერი გარიგების შესრულებისათვის პასუხს აგებს საწარმოს წინაშე, თუ კომისიის განხორციელებამდე არ დაუსაბუთა მას ხელშეკრულების მხარეები თუ კომისიონერი არ მოქმედებს საწარმოს მითითებების შესაბამისად და მას არ ჰქონდა უფლება შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე გადაეხვია თავისი უფლებამოსილებისთვის, მაშინ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საწარმოს ამგვარი მოქმედებით მიყენებული ზარალი. კომისიონერი პასუხს აგებს მისთვის მიბარებული ქონების დანაკლისისა და დაზიანებისათვის, თუ ისინი არაა გამოწვეული იმ გარემოებებით, რომელთა აღკვეთა შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი სავაჭრო საწარმოს კეთილსინდისიერი მოქმედებით. თუ კომისიონერი წინასწარ წერილობით იყალდებულებს, რომ თავდებად დადგება გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისათვის (დელკრედერე აგენტი), მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს სპეციალური გასამრჯელო — ვალდებულების შესრულებისათვის თავდებად ყოფნის პრივილია (სათავდები პრივილია). კომისიონერს კომიტენტის თანხმობის გარეშე არა აქვს უფლება სხვაგვარად იმოქმედოს საწარმოს საქმიანობის სფეროში ანდა პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს მონაწილეობა რომელიმე კონკურენტ საწარმოში, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც საქმე ეხება წმინდა ფინანსურ მონაწილეობას — არა უმეტეს ხუთი პროცენტისა. თუ კომისიონერი დაარღვევს ამ ვალდებულებას, საწარმოს შეუძლია მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება, გარდა ამისა, კომიტენტს შეუძლია კომისიონერს მოსთხოვოს, რომ კონკურენტ საწარმოსთვის დადებული გარიგებები გადასცეს მას და ამ გარიგებებიდან გამომდინარე სარგებელი დააბრუნოს ან უარი თქვას ამ სარგებლის მოთხოვნაზე.თანხმობა რომელიმე კონკურენტ საწარმოში მონაწილეობისთვის გაცემულად ითვლება, თუ სახელშეკრულო ურთიერთობაში შესვლისას კომიტენტისთვის ცნობილი იყო ამ მონაწილეობის ფაქტი. კომისიის ხელშეკრულება იდება ერთი წლის ვადით, თუ მხარეები სხვა რაშეზე არ შეთანხმებულან. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების მოშლის შესახებ, მაშინ ხელშეკრულება გრძელდება კიდევ ერთი წლით. გადამწყვეტია ხელშეკრულების მხარის შესაძლებლობა, გაეცნოს განცხადებას ხელშეკრულების მოშლის შესახებ. კომისიის სახელშეკრულებო ურთიერთობების დაუყოვნებლივ შეწყვეტა შესაძლებელია, თუკი არსებობს საამისო მნიშვნელოვანი გარემოებები.

2. სააბანკო პრაქტიკაში — კომერციული ბანკების ანაზღაურება ოპერაციების ჩატარებისათვის კლიენტის დავალებით და მის ხარჯზე.

3. კოლეგიალური ორგანო შექმნილი კონტროლის, შემოწმების, ზედამხედველობის განსახორციელებლად ან რაიმე სადაო საკითხების გადასაწყვეტად.

კომიციები [ლათ. comitia] ძვ. რომში ბალაუფლების უმაღლესი ორგანო — თაისუფალი მოქალაქეების კრება, რომელიც ირჩევდა თანამდებობის პირებს, იღებდა კანონებს, წყვეტდა ომისა და მშვიდობის საკითხებს; კურიატული კ. კურიების დროს იკრიბებოდა, ცენტურიალური — ცენტურიების დროს, ტრიბუტული — ტერიტორიული ოლქების (ტრიბების) მიხედვით; ხმარებიდან გამოვიდა პრინციპატის ეპოქაში.

კომპენსაცია (ლათ. compensatio — ანაზღაურება) — სამოქალაქო სამართალში — იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა სამოქალაქო-სამართლებრივი მოვალეობის დარღვევისას (ნივთის განადგურება, საქონლის მიწოდების ხანგრძლივი დაგვიანება და სხვა), აგრეთვე გადახდები მუშა-მოსამსახურებისათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (საკომპენსაციო გადახდები).

მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება, როდესაც ნატურით შესრულება შეუძლებელია (მაგ. კრედიტორისთვის გადასაცემი ნივთი განადგურდა ან ვადის გადაცილების გამო სეზონური საქონლის მიწოდებამ აზრი დაკარგა). საკომპენსაციო გადახდების მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ გასამრჯელოს გადახდა ხელშეკრულების შეწყვეტისას.

მორალური ზიანის კომპენსაცია არის სამოქალაქო სამართალში არამატერიალურ სიკეთეთა დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ხერხი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში ეკითხულობთ: „ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება". თუ პირს მიაყენეს მორალური ზიანი (ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვა) ქმედებით, რომელიც ხელყოფს მის პირად არაქონებრივ უფლებებს აგრეთვე სხვა არამატერიალურ სიკეთეებს, სასამართლოს შეუძლია დააკისროს ხელმყოფს აღნიშნული ზიანის ფულადი ანაზღაურება. კომპენსაციის ოდენობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში ღებულობს დამრღვევის ბრალეულობის ხარისხს და სხვა ყურადსაღებ გარემოებებს. სასამართლომ უნდა გათვალისწინოს აგრეთვე ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვის ხარისხი, რომელიც დამოკიდებულია დაზარალებული პირის ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

კომპილაცია (ლათ. compilatio — გატაცება) — 1. შედგენა (მაგ. კრებულების, რუკების და ა.შ.); შედგენილი ნაწარმოები, კრებული (მაგ. ეს ლექსიკონი). compilatioNof statutes — სტატუტების, კანონების კრებული.

2. უარყოფითი გაგებით — სხვა ნაშრომის, გამოკვლევების შედეგების გაერთიანება წყაროების დამოუკიდებელი დამუშავების გარეშე, ან ნაშრომი შესრულებული აღნიშნული ხერხით (პლაგიატი).

კომპიუტერული ინფორმაციის არამართლზომიერი წვდომა – კანონმდებლობით დადგენილი კომპიუტერული ინფორმაციის წვდომის, გამოყენებისა და განკარგვის წესის დარღვევა, რასაც მოჰყვა მისი განადგურება, დაბლოკვა, მოდიფიკაცია ან ასლის გადაღება.

კომპლემენტარი – რწმენაზე დაფუძნებული ამხანაგობის მონაწილეთა ორი კატეგორიიდან ერთ-ერთი (სრული ამხანაგები). სრული ამხანაგები ახორციელებენ რწმენაზე დაფუძნებული ამხანაგობის საქმიანობის მართვას. კომპლემენტარები ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას ამხანაგობის სახელით და პასუხს აგებენ ამხანაგობის ვალდებულებებზე თავიანთი ქონებით. პირი შეიძლება იყოს სრული ამხანაგი მხოლოდ ერთ, რწმენაზე დაფუძნებულ ამხანაგობაში.

კომპლექსური სასამართლო ექსპერტიზა – ექსპერტიზა, რომლის წარმოებაშიც მონაწილეობენ სხვადასხვა სპეციალობის ექსპერტები. კომპლექსური სასამართლო ექსპერტიზის წარმოებაში მონაწილე ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია, თუ რა კვლევები და რა მოცულობით ჩაატარა თითოეულმა ექსპერტმა, რა ფაქტები დაადგინა მან და რა დასკვნებამდე მივიდა. კომპლექსური სასამართლო ექსპერტიზის წარმოებაში მონაწილე თითოეული ექსპერტი ხელს აწერს დასკვნის იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს მათ მიერ ჩატარებული კვლევების აღწერას და პასუხს აგებს მასზე.

ექსპერტის დასკვნაში მითითებულია: ა) სასამართლო ექსპერტიზის წარმოების თარიღი, დრო და ადგილი; ბ) მისი წარმოების საფუძვლები; გ) სასამართლო ექსპერტიზის დამნიშნველი თანამდებობის პირი; დ) ცნობები საექსპერტო დაწესებულების შესახებ, ასევე ექსპერტის გვარი, სახელი და მამის სახელი, მისი განათლება, სპეციალობა, სამუშაო სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და/ან სამეცნიერო წოდება, დაკავებული თანამდებობა; ე) ცნობები ექსპერტის გაფრთხილების შესახებ ცრუ დასკვნის მიცემაზე პასუხისგების თაობაზე; ვ) ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები; ზ) კვლევების ობიექტები და მასალები, რომლებიც წარმოდგენილია სასამართლო ექსპერტიზის წარმოებისთვის; თ) მისი წარმოების დროს დამსწრე პირების შესახებ; ი) კვლევების შინაარსი და შედეგები გამოყენებული მეთოდიკის მითითებით; კ) დასკვნები ექსპერტის წინაშე დასმულ საკითხებზე და მათი დასაბუთება.

თუ სასამართლო ექსპერტიზის წარმოებისას ექსპერტი დაადგენს გარემოებებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის საქმისთვის, მაგრამ რომელთა თაობაზეც მის წინაშე არ იყო დაყენებული საკითხები, მას უფლება აქვს მიუთითოს ისინი თავის დასკვნაში. ექსპერტის დასკვნის მაილუსტრირებელი მასალები (ფოტოები, სქემები, გრაფიკები და ა.შ.) თან ერთვის დასკვნას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

კომპლექტი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული პირობა, რომელიც აღნიშნავს ერთ ჯგუფში სხვადასხვაგვარი საქონლის გაერთიანებას, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი ფუნქციურად და კონსტრუქციულად. კომპლექტი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. კანონით გათვალისწინებული არაა კომპლექტისადმი სავალდებულო მოთხოვნები. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს ერთდროულად გადასცეს კომპლექტში შემავალი ყველა ნივთი. მიუხედავად იმისა, რომ კომპლექტის ცალკული ელემენტების გადაუცემლობა არ უშლის ხელს სხვა ელემენტების გამოყენებას, გამყიდველის მიერ კომპლექსის შესახებ პირობის დარღვევის შემთხვევაში დგება ის შედეგები, რაც გათვალისწინებულია არასათანადო კომპლექტში საქონლის გადაცემისთვის. იხ. ასევე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, მიწოდების ხელშეკრულება.

კომპლექტურობა – ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული პირობა, რომელიც აღნიშნავს საქონელში ყველა შემადგენელი ნაწილის ანუ ზოგადი ფუნქციური დანიშნულებით გაერთიანებული ნივთების არსებობას. კომპლექტურ საქონელში შემავალი ნივთები აუცილებელია მისი ნორმალური გამოყენებისთვის (შდრ. ასორტიმენტი, კომპლექტი). კომპლექტურობა შეიძლება განისაზღვროს სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით, ასევე ხელშეკრულებითა და ჩვეულებრივი მოთხოვნებით. არასრული კომპლექტურობის საქონლის გადაცემის შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს გამყიდველისგან არჩევითად მოითხოვოს: ა) შესაბამისი ფასის თანაბარზომიერი შემცირება; ბ) საქონლის სრული დაკომპლექტება გონიერულ ვადაში. თუ გამყიდველმა გონიერულ ვადაში არ შეასრულა მყიდველის მოთხოვნა საქონლის სრული დაკომპლექტების შესახებ, მყიდველს უფლება აქვს არჩევითად მოითხოვოს: ა) არასრული კომპლექტურობის საქონლის კომპლექტურით შეცვლა; ბ) უარი თქვას ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესრულებაზე და მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება. იხ. ასევე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, მიწოდების ხელშეკრულება.

კონგრესი [ლათ. congressus შეხვედრა, კრება] 1)ყრილობა ან თათბირი, უპირატესად საერთაშორისო; 2)ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო; 3)კანონმდებელი ორგანო (პარლამენტი) აშშ-ში, ლათ. ამერიკის სახელმწიფოთა უმრავლესობაში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში; 4) ზოგიერთ სახელმწიფოში პოლიტიკური პარტიების სახელწოდება, მაგ. ინდური ეროვნული კ.

კონვენტი [ლათ. conventus კრება, თავშეყრა] 1)საკანონმდებლო ორგანოების დასახელება, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნებში იწვევენ კონსტიტუციის შესადგენად და მასში ცვლილებების შესატანად; 2) ეროვნული კ. – წარმომადგენლობითი კრება XVII ს-ის საფრანგეთის რევოლუციის დროს, რომელიც მეფის გადადგომის შემდეგ (1792 წ-ის 10 აგვისტოს) იქნა არჩეული; წარმოადგენდა საფრანგეთის პირველი რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს 1795 წ-ის 26 ოქტომბრამდე.

კონვენცია [ლათ. conventio ხელშეკრულება, პირობითად, შეთანხმება] 1) საერთაშორისო ხელშეკრულების ნაირსახეობა; ადგენს სახელმწიფოების ურთიერთვალდებულებებსა და უფლებებს, როგორც წესი, გარკვეულ დარგში; მრავალმხრივი საერთაშორისო კ.

მოიცავს ზოგადი ხასიათის ნორმებს, მაგ. საფოსტო კ.; 2)ხელშეკრულება სხვადასხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებას შორის გასაღების, წარმოების, შეკვეთების განაწილების და სხვ. საკითხების დასარეგულირებლად; წარმოადგენს ტრესტებისა და სინდიკატების გარდამავალ საფეხურს.

კონვენცია

დასახელების მქონე მრავალმხრივი ხელშეკრულებებისგან კონვენციებს არა აქვთ. საერთაშორისო კონვენციების უმრავლესობა იდება ეკონომიკური, იურიდიული და პუმანიტარული ხასიათის სპეციალურ საკითხებზე.

ბერნის კონვენცია ეხება ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვას, მიღებულია 1971 წლის 24 იელისს. ქვეყნები, რომლებიც უერთდებიან ამ კონვენციას შედგენენ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორთა უფლებების დაცვის კავშირს. ბერნის კონვენციის დამატებითი კარი შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც ეხება განვითარებადი ქვეყნების კონვენციასთან მიერთების თავისებურებებს.

კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ

მიღებულია და ღიაა ხელმოწერის და რატიფიცირებისა და მიერთებისათვის გენერალური ასამბლეის 1979 წლის 18 დეკემბრის რეზოლუციით 34/180

ძალაშია: 1981 წლის 3 სექტემბრიდან 27 (1)-ე მუხლის თანახმად ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ გაერთიანების ერების წესდება განამტკიცებს ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი მისი როგორც პიროვნების ღირსებისა და ღირებულებისადმი და მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისადმი რწმენას, აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას განამტკიცებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აცხადებს, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი, თანასწორი ღირსებითა და უფლებებით, და უნდა ფლობდეს დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებასა და თავისუფლებას, ნებისმიერი, მათ შორის, სქესის ნიშნით განსხვავების მიუხედავად, აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის თანასწორობის ნებისმიერი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას, მხედველობაში იღებენ გაერთიანებული ერების და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების ეგიდით დადებულ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მამაკაცისა და ქალის თანასწორობის უფლებას, ითვალისწინებენ, აგრეთვე, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაერთიანებული ერებისა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების მიერ მიღებულ რეზოლუციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებს, შეშფოთებულნი არიან, რომ სხვადასხვა დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, ქალთა მზარდი დისკრიმინაცია გრძელდება, შეახსენებენ, რომ ქალის დისკრიმინაცია არღვევს თანასწორუფლებიანობის და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებს, ხელს უშლის მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; აბრკოლებს საზოგადოებისა და ოჯახის კეთილდღეობის ზრდას და ართულებს ქალის შესაძლებლობათა სრულად გამოყენებას მისი ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

შეშფოთებულნი არიან, რომ სიღარიბის პირობებში ქალებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სურსათი, ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები, განათლება, პროფესიული მომზადება და დასაქმება, აგრეთვე სხვა მოთხოვნილებები, დარწმუნებული არიან, რომ თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მამაკაცისა და ქალის თანაბარუფლებიანობის განვითარებას, ხაზს უსვამენ, რომ აპარტეიდის, რასიზმის ყველა ფორმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესიის, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცისა და ქალის უფლებებით სრული სარგებლობისათვის, ადასტურებენ, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, საყოველთაო და სრული განიარაღება, განსაკუთრებით მკაცრ და ეფექტურ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ბირთვული განიარაღება, ქვეყნებს შორის ურთიერთობაში სამართლიანობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება და უცხოეთისა და კოლონიური ბატონობის, უცხოური ოკუპაციის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელება, აგრეთვე, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ბიძგს მისცემს სოციალურ პროგრესსა და განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მამაკაცსა და ქალს შორის სრული თანასწორობის მიღწევას, დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნის სრული განვითარება, მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობა მოითხოვს ყველა სფეროში ქალის მაქსიმალურ მონაწილეობას მამაკაცის თანასწორად, ითვალისწინებენ ოჯახის კეთილდღეობისა და საზოგადოების განვითარების საქმეში ქალის განუზომელ წვლილს, რომელსაც დღემდე არ მოუპოვებია სრული აღიარება, ოჯახსა და ბავშვის აღზრდაში დედობის ფუნქციისა და ორივე მშობლის როლის სოციალურ მნიშვნელობას, ასევე, გაცნობიერებული აქვთ, რომ ქალის როლი შთამომავლობის გაგრძელებაში არ უნდა იყოს მისი დისკრიმინაციის საფუძველი, ვინაიდან ბავშვის აღზრდა მოითხოვს მამაკაცსა და ქალს, აგრეთვე მთლიანად საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობის განაწილებას, აღიარებენ, რომ მამაკაცისა და ქალის სრული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებისა და ოჯახში როგორც მამაკაცის, ისე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა, მზად არიან განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაციით გამოცხადებული პრინციპები და ამ მიზნით, მიიღონ ასეთი დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და გამოვლინების აღმოსაფხვრელად საჭირო ზომები.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი I

ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი ქალის დისკრიმინაცია ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამოკვეთას ან შეზღუდვას, რომელსაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ან რომლის მიზანია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარება, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა.

მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალის დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას, თანახმა არიან ყველა შესატყვისი საშუალებით, დაუყოვნებლივ განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პოლიტიკა და ამ მიზნით, კისრულობენ ვალდებულებას:

ა) შეიტანონ მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის პრინციპი თავიანთ კონსტიტუციებში ან შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, თუ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ, უზრუნველყონ კანონითა და სხვა შესატყვისი საშუალებებით ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება;

ბ) მიიღონ, სადაც ეს აუცილებელია, ქალის ყოველგვარი დისკრიმინაციის ამკრძალავი შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები, სანქციების ჩათვლით;

გ) დაწესონ ქალის უფლებების სამართლებრივი დაცვა მამაკაცთან თანასწორ საფუძველზე და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყონ დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან ქალის ეფექტური დაცვა;

დ) თავი შეიკავონ ქალის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტისა თუ მოქმედებისაგან და უზრუნველყონ სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მოქმედება ამ ვალდებულების შესაბამისად;

ე) მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ნებისმიერი პირის, ორგანიზაციისა თუ საწარმოს მხრიდან ქალის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;

ვ) მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა საკანონმდებლო ჩათვლით, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომელიც ქალი სდისკრიმინაციას აწესებს;

ზ) გააუქმონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულება, რომელიც ქალის დისკრიმინაციას აწესებს.

მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები ყველა სფეროსი, კერძოდ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში იღებენ შესაბამის ზომებს, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალის ყოველმხრივი განვითარებისა და პროგრესის უზრუნველსაყოფად, რათა მას მამაკაცთან თანასწორობის საფუძველზე შეექმნას ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისა და მათი განხორციელების გარანტია.

მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოს მიერ, მამაკაცსა და ქალს შორის ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად მიღებული დროებითი სპეციალური ზომები ამ კონვენციის განსაზღვრების მიხედვით, დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება, თუმცა, მან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოიწვიოს არათანაბარი და განსხვავებული სტანდარტების შენარჩუნება; აღნიშნული ზომები უნდა გაუქმდეს, როცა მიღწეული იქნება მიზანი, რომელიც შესაძლებლობათა და მოპყრობის თანაბრობაში გამოიხატება.

მონაწილე სახელმწიფოების მიერ დედობის დასაცავად სპეციალური, მათ შორის ამ კონვენციით გათვალისწინებული ზომების მიღება დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა:

ა) შეცვალონ მამაკაცისა და ქალის ყოფაქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენებისა და ჩვეულებების, აგრეთვე, მთელი დანარჩენი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას ან მამაკაცის და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას.

ბ) უზრუნველყონ, რომ საოჯახო აღზრდა გულისხმობდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 6

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალებით ყოველგვარი ეკსპლუატაციის აღსაკვეთად.

ნაწილი II

მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, კერძოდ, ქალისათვის, მამაკაცის თანასწორად, უზრუნველყოფენ უფლებას:

ა) ხმა მისცეს ყველა არჩევნებსა და რეფერენდუმში, არჩეულ იქნას ნებისმიერ სახალხოდ არჩეულ ორგანოში;

ბ) მონაწილეობდეს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში და ეკავოს სახელმწიფო თანამდებობა, აგრეთვე, ახორციელებდეს ნებისმიერ საჯარო ფუნქციას, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონეზე;

გ) მონაწილეობდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემებით არიან დაკავებული.

მუხლი 8

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ ქალისათვის მამაკაცის თანასწორად და დისკრიმინაციის გარეშე საერთაშორისო დონეზე საკუთარი მთავრობის წარმომადგენლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

მუხლი 9

მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს მის მიერ მოქალაქეობის შეძენის, შეცვლის და შენარჩუნების დროს. განსაკუთრებით, უზრუნველყოფენ, რომ უცხოელზე ქორწინებამ ან ქორწინების პერიოდში ქმრის მოქალაქეობის შეცვლამ არ გამოიწვიოს ცოლის მოქალაქეობის ავტომატური შეცვლა, არ აქციოს ის მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აიძულოს მას ქმრის მოქალაქეობის მიღება.

მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს შვილების მოქალაქეობის განსაზღვრისას.

ნაწილი III

მუხლი 10

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყოს თანაბარი უფლებებით განათლების დარგში, კერძოდ:

ა) პროფესიის ან სპეციალობის არჩევისას განათლების ხელმისაწვდომობის, ყველა კატეგორიის სასწავლო დაწესებულებების დიპლომის მიღების ერთნაირი პირობებით, როგორც სოფლის, ისე ქალაქის რაიონებში. ეს თანასწორობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას როგორც სკოლამდელი, ზოგადი, ტექნიკური და უმაღლესი ტექნიკური, ასევე ყველა ტიპის სპეციალური განათლებისათვის;

ბ) სწავლების ერთნაირი პროგრამების, ერთნაირი გამოცდების, თანაბარი კვალიფიკაციის მასწავლებელთა შემადგენლობის, თანაბარი ხარისხის სასკოლო შენობებისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობა;

გ) ყველა დონისა და ფორმის სასწავლებელში მამაკაცისა და ქალის როლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების აღმოფხვრა ერთობლივი სწავლებისა და სწავლების სხვა ფორმების წახალისების გზით, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას, კერძოდ, სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვითა და ამ მიზანთან სწავლების მეთოდების მისადაგებით;

დ) სტიპენდიებისა და სხვა სასწავლო დახმარების მიღების თანაბარი შესაძლებლობა;

ე) შემდგომი განათლების მიღების პროგრამების ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა, მოზრდილთა და ფუნქციური წიგნიერების პროგრამების ჩათვლით, რომელიც მამაკაცთა და ქალთა ცოდნაში არსებული ვაკუუმის სწრაფი შემცირებისაკენაა მიმართული;

ვ) სკოლადაუმთავრებელ გოგონათა რიცხვის შემცირება და პროგრამების შემუშავება იმ გოგონებისა და ქალებისათვის, რომელთაც ნაადრევად მიატოვეს სკოლა;

ზ) სპორტსა და ფიზიკურ მოშზადებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა;

თ) ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად საგანმანათლებლო ხასიათის სპეციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციისა და კონსულტაციების ჩათვლით.

მუხლი 11

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით დასაქმების დარგში, კერძოდ:

ა) შრომის უფლებით, როგორც ყოველი ადამიანის განუყოფელი უფლებით;

ბ) სამუშაოზე დაქირავების დროს ერთნაირი შესაძლებლობების უფლებით, დაქირავებისას შერჩევის თანაბარი კრიტერიუმების გამოყენების ჩათვლით;

გ) პროფესიის ან სამუშაოს თავისუფალი არჩევის, თანამდებობრივი დაწინაურებისა და დასაქმების გარანტიის, აგრეთვე, ყველა სამსახურებრივი შეღავათისა და პირობით სარგებლობის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უფლებით – მოწაფეობის, გაძლიერებული პროფესიული მომზადებისა და რეგულარული გადამზადების ჩათვლით;

დ) სოციალური უზრუნველყოფის უფლებით, კერძოდ, პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, აგრეთვე, ანაზღაურებადი შვებულების უფლებით;

ე) ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის შთამომავლობის გაგრძელების ფუნქციის დაცვის უფლებით;

გათხოვების და დედობის მიზეზით ქალის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მისთვის შრომის ეფექტური გარანტიების შესაქმნელად, მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ შესაბამის ზომებს, რათა:

ა) სანქციების გამოყენების მუქარით აკრძალონ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების საფუძველზე სამუშაოდან დათხოვნა ან დათხოვნისას ოჯახური პირობების გამო დისკრიმინაცია;

ბ) შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება შესაბამისი სოციალური დახმარებით ორსულობისა და მშობიარობის გამო, მუშაობის წინანდელი ადგილის, თანამდებობისა და სოციალური დახმარების შენარჩუნებით;

გ) წაახალისონ აუცილებელი სოციალური მომსახურების გაწევა, რათა მშობლებს შეეძლოთ საოჯახო მოვალეობათა შესრულება შეუთავსონ შრომით საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით;

დ) უზრუნველყონ ორსულობის პერიოდში ქალების განსაკუთრებული დაცვა ისეთი სამუშაოსაგან, რომლებმაც მათ ჯანმრთელობაზე შეიძლება მავნე გავლენა იქონიონ.

კანონმდებობა, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცვას ემსახურება, პერიოდულად განიხილება სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის შუქზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება გადასინჯვას, გაუქმებას ან გაფართოებას.

მუხლი 12

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე

უზრუნველყონ ქალისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათ შორის ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებებისგან დამოუკიდებლად, მონაწილე სახელმწიფოები ქალებს უზრუნველყოფენ შესაბამისი მომსახურებით ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, აუცილებლობის შემთხვევაში უფასო მომსახურებას, ასევე, ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში უზრუნველყოფენ შესაბამისი კვებით.

მუხლი 13

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში, კერძოდ:

ა) საოჯახო დახმარების უფლებით;

ბ) საბანკო კრედიტის, უძრავი ქონების გირავნობით სესხის და ფინანსური კრედიტის სხვა ფორმების მიღების უფლებით;

გ) დასვენების, სპორტისა და კულტურული ცხოვრების ყველა დარგთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობით უფლებით.

მუხლი 14

მონაწილე სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სოფლად მცხოვრები ქალების განსაკუთრებულ პრობლემებს და იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ისინი თაიანთი ოჯახების ეკონომიკური უზრუნველყოფის საქმეში თამაშობენ, მათ შორის, საქმიანობას მეურნეობის არასანაქონლო დარგებში, და მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ამ კონვენციის დებულებათა გამოყენების უზრუნველსაყოფად.

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას სოფლის რაიონებში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ქალთა მონაწილეობა რაიონების განვითარებასა და ასეთი განვითარებისაგან სარგებლობის მიღებაში, კერძოდ, ასეთ ქალებს აღჭურავენ უფლებით:

ა) ყველა დონეზე მონაწილეობდნენ განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

ბ) ხელი მიუწვდებოდათ სამედიცინო მომსახურეობის შესაბამის საშუალებებზე, ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე ინფორმაციის, კონსულტაციებისა და მომსახურების ჩათვლით;

გ) უშუალოდ იღებდნენ სარგებელს სოციალური დაზღვევის პროგრამებისაგან;

დ) იღებდნენ ყველა სახის ფორმალურ და არაფორმალურ მომზადებასა და განათლებას, წიგნიერების ჩათვლით, აგრეთვე, სარგებლობდნენ სათემო მომსახურების და საკონსულტაციო მომსახურების ყველა საშუალებით, ტექნიკური მომზადების დონის ამაღლების მიზნით;

ე) ქმნიდნენ თვითდახმარების ჯგუფებსა და კოოპერატივებს, ეკონომიკურ შესაძლებლობათა თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით დაქირავებული შრომის ან თვითდასქმების საშუალებით;

ვ) მონაწილეობდნენ ყველა სახის კოლექტიურ საქმიანობაში;

ზ) ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და სესხები, ისარგებლონ მარკეტინგის სისტემით, შესაბამისი ტექნოლოგიებითა და მიწისა და აგრარულ რეფორმებში, აგრეთვე, ხელახლა დასახლების გეგმებში თანაბარი სტატუსით;

თ) სარგებლობდნენ ცხოვრების სათანადო პირობებით, განსაკუთრებული სანიტარული, ელექტრო და წყალმომარაგებით, აგრეთვე ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურებასთან მიმართებაში.

ნაწილი IV

მუხლი 15

მონაწილე სახელმწიფოები კანონის წინაშე აღიარებენ ქალის მამაკაცთან თანასწორობას.

მონაწილე სახელმწიფოები ქალს ანიჭებენ მამაკაცის თანაბარ სამოქალაქო უფლება-უნარიანობას და მისით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობებს, კერძოდ, უზრუნველყოფენ ქალის თანაბარ უფლებებს ხელშეკრულებების დადებისა და ქონების მართვისას, აგრეთვე, მისდამი თანაბარ დამოკიდებულებას სასამართლოებსა და ტრიბუნალებში საქმის განხილვის ყველა ეტაპზე.

მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ბათილად და ძალადაკარგულად ჩაითვალოს ნებისმიერი ხელშეკრულება და კერძო იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც ქალის უფლებაუნარიანობის შეზღუდვა მოჰყვება.

მონაწილე სახელმწიფოები მამაკაცსა და ქალს ანიჭებენ თანაბარ უფლებებს გადაადგილების, ბინადრობისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების კანონმდებლობასთან მიმართებაში.

მუხლი 16

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ქორწინებასა და ოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:

ა) ქორწინებისას ერთნაირ უფლებებს;

ბ) მეუღლის თავისუფლად არჩევისა და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებებს;

გ) ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს ერთნაირ უფლებებსა და მოვალეობებს;

დ) მშობლების თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, მათი ოჯახური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, შვილებთან დაკავშირებულ საკითხებში, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში შვილების ინტერესები უპირატესია;

ე) შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხის თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადაწყვეტის თანაბარ უფლებებს. აგრეთვე, ამ უფლებებით სარგებლობისათვის საჭირო ინფორმაციისა და განათლების მიღების შესაძლებლობას;

ვ) მეურვეობასთან, მზრუნველობასთან, წარმომადგენლობასთან და შვილებთან ან ანალოგიური ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში თანაბარ

უფლებებსა და მოვალეობებს, როცა ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს;

ზ) მეუღლეთა თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევასთან მიმართებაში;

თ) მეუღლეთა ქონების მფლობელობის, შეძენის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარ უფლებას.

ბავშვის ნიშნობასა და ქორწინებას იურიდიული ძალა არა აქვს. მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა საჭიროებულო წესით განისაზღვროს ქორწინების მინიმალური ასაკი და ქორწინების აუცილებელი რეგისტრაცია სახელმწიფო რეესტრში.

ნაწილი V

მუხლი 17

ამ კონვენციის განხორციელებისას მიღწეული პროგრესის განსახილველად არსდება ქალის დისკრიმინაციის ხალიკიდაციო კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი"), რომელიც კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის შედგება 18, ხოლო ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ — 23 მაღალი მორალური თვისებებისა და კომპეტენციის მქონე ექსპერტისაგან. მონაწილე სახელმწიფოები ექსპერტებს ირჩევენ საკუთარ მოქალაქეთაგან და ისინი მოქმედებენ პერსონალურად. ექსპერტების შერჩევისას მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და სხვადასხვა ცივილიზაციების, აგრეთვე სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოების მიერ დასახელებულ პირთაგან, ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფო შეუძლია დაასახელოს 1 პირი თავის მოქალაქეთაგან.

პირველი არჩევნები ეწყობა ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 6 თვით შემდეგ. ყოველი არჩევნების მოწყობამდე სულ ცოტა 3 თვით ადრე გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს, წინადადებით, წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები 2 თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ადგენს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეჰყავს ყველა პირი იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს.

კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში. სხდომაზე, რომლის ქორუმსაც მონაწილე სახელმწიფოთა 2/3 შეადგენს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც ხმათა მეტ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლები ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ.

კომიტეტის წევრებს ირჩევენ 4 წლის ვადით, თუმცა I-ლ არჩევნებში არჩეულ 9 წევრს უფლებამოსილების ვადა 2 წლის შემდეგ გაუდის; I არჩევნების მოწყობისთანავე, კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით ასახელებს ამ 9 წევრის გვარებს.

კომიტეტის დამატებით 5 წევრის არჩევა ხდება ამ მუხლის, II, III და IV პუნქტების დებულებათა შესაბამისად ოცდამეთხუთმეტე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ. ამგვარად, არჩეულ 2 დამატებით წევრს უფლებამოსილების ვადა გაუდის 2 წლის შემდეგ; ამ 2 წევრის გვარებს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით.

გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შესავსებად, მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტმაც, როგორც კომიტეტის წევრმა, შეწყვიტა ფუნქციონირება, კომიტეტის თანხმობით ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან.

კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ გასამრჯელოს გაერთიანებული ერების სახსრებიდან, კომიტეტის მნიშვნელობის გათვალისწინებით ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი უზრუნველყოფს კომიტეტს აუცილებელ პერსონალითა და მატერიალური საშუალებებით, კომიტეტის მიერ ამ კონვენციის შესაბამისი ფუნქციების ეფექტური განხორციელებისათვის.

მუხლი 18

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება მათ მიერ ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად მიღებული საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული, თუ სხვა ღონისძიებებისა და ამასთან დაკავშირებით მიღწეული წარმატებების თაობაზე;

ა) დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 1 წლის განმავლობაში;

ბ) ამის შემდგომ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც და მომავალში კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.

მოხსენებაში შეიძლება მითითებულ იქნას ის ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე გავლენას ახდენენ.

მუხლი 19

კომიტეტი ამტკიცებს პროცედურის საკუთარ წესებს.

კომიტეტი თანამდებობის პირებს ირჩევს 2 წლით.

მუხლი 20

კომიტეტი ყოველწლიურად არა უმეტეს 2 კვირის განმავლობაში იკრიბება. ამ კონვენციის XVIII მუხლის შესაბამისად წარმოდგენის მოხსენებათა განსახილველად.

კომიტეტის სხდომები, ჩვეულებრივ, იმართება გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში, ან ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

მუხლი 21

კომიტეტი, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამ-

ბლეას ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ და მონაწილე სახელმწიფოთაგან მიღებული მოხსენებებისა და ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე ამზადებს ზოგადი ხასიათის წინადადებებსა და რეკომენდაციებს. ასეთი წინადადებები და რეკომენდაციები კომიტეტის მოხსენებაში შეაქვთ მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში.

გენერალური მდივანი კომიტეტის მოხსენებებს ინფორმაციისათვის უგზავნის კომისიას ქალის სტატუსის შესახებ.

მუხლი 22

სპეციალიზებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ ამ კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების საკითხების განხილვისას, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს მოუწოდონ, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

ნაწილი VI

მუხლი 23

ეს კონვენცია არ ზღუდავს მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის მიღწევის უფრო მეტად ხელშემწყობ სხვა დებულებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს:

ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა ან

ბ) რომელიმე სხვა საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც ამ სახელმწიფოსათვის ძალშია.

მუხლი 24

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას ეროვნულ დონეზე ამ კონვენციით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციის მისაღწევად.

მუხლი 25

ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის.

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი დანიშნულია ამ კონვენციის დეპოზიტორად.

ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.

ეს კონვენცია ღიაა მისაერთებლად ყველა სახელმწიფოსათვის. მიერთება ხდება გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის მიერთების დოკუმენტის გადაცემით.

მუხლი 26

ამ კონვენციის გადასინჯვის თაობაზე თხოვნა შეიძლება წარმოადგინოს ნებისმიერმა მონაწილე სახელმწიფომ გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინებით.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ასეთი თხოვნის შესაბამისად საჭირო რაიმე ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 27

კონვენცია ძალაშია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემიდან ოცდამეათე დღეს.

ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიკაციას მოახდენს ან მიუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემის შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემის ოცდამეათე დღეს.

მუხლი 28

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან მიერთების მომენტში სახელმწიფოთა მიერ გაკეთებულ დათქმათა ტექსტს. დათქმა, რომელიც შეუთავსებელია ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებთან, არ მიიღება.

დათქმები შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინებით. გენერალური მდივანი ამის შესახებ აცნობებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

მუხლი 29

თუ ორ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოთა შორის ამ კონვენციის განმარტებისა თუ გამოყენების თაობაზე არსებული დავა მოლაპარაკების გზით არ გადაწყდება, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით იგი არბიტრაჟისათვის გადაეცემა. თუ საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე განცხადების შეტანიდან 6 თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან საარბიტრაჟო განხილვის ორგანიზებაზე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დავის საერთაშორისო სასამართლოში გადატანა, ამ სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან მასთან მიერთების დროს შეუძლია თავი შეიკავოს ამ მუხლის I პუნქტის დებულებების სავალდებულო ძალის აღიარებისაგან. სხვა მონაწილე სახელმწიფოებს არ ეკისრებათ ამ მუხლის მითითებული პუნქტიდან გამომდინარე ვალდებულებები იმ მონაწილე სახელმწიფო მიმართ, რომელმაც ამგვარი დათქმა გააკეთა.

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც ამ მუხლის II პუნქტის თანახმად დათქმა გააკეთა, შეუძლია ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით გაიუქმოს თავისი დათქმა.

მუხლი 30

ეს კონვენცია, რომლის თანაბრად აუტენტური ტექსტი შედგენილია არაბულ, ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე, დეპონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

კონვერსია (conversion) — 1. ადრე გამოშვებული სახელმწიფო სესხის პირობების შეცვლა გამოხატული პროცენტის შემცირებაში ან მისი დაფარვის ვადის შეცვლაში, სახელმწიფოს ხარჯების შემცირების მიზნით.

2. ერთი და იგივე კომპანიის მიერ ემიტირებული ერთი ტიპის ობლიგაციების ან აქციების გაცვლა სხვა ტიპის ფასიან ქაღალდებზე. ობლიგაციების და პრივილეგირებული აქციების გამოშვების შეთანხმებაში ხშირად არის გათვალისწინებული კონვერსიის უფლება, რომლის ძალითაც ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელებს შეუძლიათ გაცვალონ ისინი სხვა ფასიან ქაღალდებზე, ხშირად ჩვეულებრივ აქციებზე, გარკვეული კურსით (კონვერსიის ფასი).

3. გარიგების კონვერსია – გამოიყენება როდესაც ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.

4. კონვერსიას ხშირად უწოდებენ სამხედრო მრეწველობის კომპლექსის საწარმოების პროფილის შეცვლას სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის გამოშვების მიზნით.

კონკისტადორები, მოძ. **კონკვისტადორები** [ესპ. მხ.რ.. conquistador დამპყრობელი] 1)ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მნიშვნელოვანი ნაწილის ესპანელი და პორტუგალიელი დამპყრობლები; ანადგურებდნენ და მონებად აქცევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას; კ-ს სისასტიკე ნაწილობრივ ინდიელებში არსებული ადამიანური მსხვერპლშეწირვითა და კანიბალიზმით იყო გამოწვეული; 2) დამპყრობლები, მძარცველები.

კონკლავი [ლათ. conclave ჩაკეტილი ოთახი] 1274 წ-დან კარდინალების საბჭო, მოწვეული რომის პაპის სიკვდილის შემდეგ ახლის ასარჩევად; ხორციელდება გარე სამყაროსგან იზოლირებულ გარემოში, პროცედურის დასაჩქარებლად, საბჭოს არ ტოვებს არც ერთი კარდინალი გადაწყვეტილების მიღებამდე.

კონკლუდენტური [<ლათ. concludere დადება] ხელშეკრულების დადებაზეა მიმართული; კ. მოქმედება – მოცემული მხარის უთქმელი თანხმობა მოლაპარაკების საწარმოებლად.

კონკორდანსი [ლათ. concordance < concordare შეთანხმება] კონტექსტის მქონე სიტყვათა მაძიებელი.

კონკორდანტულობა [<ლათ. concordare შეთანხმების დადება] სხვადასხვა ინდივიდის გენოტიპის მსგავსება, მაგ. ტყუპების.

კონკორდატი [ლათ. concordare თანხმობა < concordatum შეთანხმება] 1) შეთანხმება სახელმწიფო ხელისუფლებასა და რომის პაპს შორის, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოსა და კათოლიკური ეკლესიის ურთიერთშეთანხმებას მოცემულ ქვეყანაში; 2) შვიდის კ. – შვეიცარული კანტონების ალგაუს, ბერნის, ზოლოტურნის, ლუცერნის, სანქტგალენის, ტარგაუს და ციურიხის კავშირი, რომელიც 1832 წ-ს დაფუძნდა; წამოიწია სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროგრამა, რომელიც ეკონომიკურად ჩამორჩენილმა კანტონებმა უარყვეს, მაგრამ კონსტიტუციამ დაამტკიცა 1848 წ-ს.

კონკორდაცია (შუა საუკ. ლათ. -დან – თანახმობა) 1. შეთანხმება, უპირატესად საღმრთო წერილთა შორის; 2. წიგნი, რომელშიც მოყვანილია ბიბლიის ყველა სიტყვა ალფავიტის მიხედვით და მაჩვენებლით, თუ რომელ ადგილზე იმყოფება ეს სიტყვა.

კონკორდია [ლათ. Concordia] რომაულ მითოლოგიაში ხალხსა და სენატს შორის სამოქალაქო თანხმობის გალმერთებული განსახიერება, მოგვიანებით იმპერატორსა და მის გარემოცვას შორის; კ-ს ტაძარი რომაულ ფორუმზე გაიხსნა ჩვ. წ.-აღ.-მდე 387 წ-ს პატრიციუსებისა და პლებეების შერიგების ნიშნად; გამოისახებოდა ქალად, რომელსაც ერთ ხელში სიუხვის რქა, ხოლო მეორეში – ზეთისხილის რტო უჭირავს.

კონკურენცია (competition) – შეჯიბრება საქონლის მწარმოებლებს შორის კაპიტალის გამოყენების ყველაზე უფრო ხელსაყრელი სფეროების, გასაღების ბაზრების, ნედლეულის წყაროების მოსაპოვებლად. კონკურენცია წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების პროპორციების სტიქიური რეგულირების საკმაოდ ეფექტურ მექანიზმს. სამარკეტინგო კონკურენცია ელინდება ფასობრივი და არაფასობრივი ფორმით. ფასობრივი კონკურენციის მეშვეობით საქონლისა და მომსახურების გამყიდველები მოთხოვნილებაზე მოქმედებენ ფასის აწევ-დაწევით. ეს საკმაოდ მოქნილი ინსტრუმენტია, რადგან ფასების შეცვლა შეიძლება მოთხოვნილების, ხარჯების და კონკურენციის ფაქტორების გათვალისწინებით. არაფასობრივი კონკურენცია ფასის, როგორც საშომხმარებლო მოთხოვნილების ფაქტორის, მინიმიზაციას ახორციელებს და გამოყოფს საქონელს და მომსახურების ბაზარზე მოძრაობის, შეფუთვის, მიწოდების, სერვისის, ხელმისაწვდომობის და სხვა სამარკეტინგო ფაქტორების გზით. რაც უფრო უნიკალურია შემოთავაზებული პროდუქცია ან მომსახურება, მით უფრო კონკურენტებთან შედარებით მაღალი ფასების დაწესება შეიძლება მასზე, არაფასობრივი კონკურენციის დროს მწარმოებლები მოთხოვნილებაზე ზემოქმედებას ახდენენ პროდუქციის განსაკუთრებულ. განმასხვავებელ ნიშნებზე აქცენტის გადატანით. ეს მათ საშუალებას აძლევს გაზარდონ გასაღება, ფასის შეუცვლელად ან გაყიდონ იგივე მოცულობის საქონელი უფრო მაღალ ფასში. რისკი იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებლებმა და კლიენტებმა შეიძლება არ ჩათვალონ მოცემული საქონელი უფრო უკეთესი ხარისხის მქონედ, ვიდრე სხვა მწარმოებლებთან. ამ შემთხვევაში მომხმარებელი ამჯობინებს უფრო იაფ ანალოგიურ პროდუქციას. ანუ აღნიშნულ შემთხვევაში გადამწყვეტია პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლამდე. ბაზრის ინფორმაციული ინტეგრაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დონე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ე.წ. სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის სიტუაციების ჩამოყალიბებაში. სრულყოფილი კონკურენცია წარმოადგენს იმ ბაზრის მახასიათებელს, რომელზედაც მოქმედებს მეწარმეთა დიდი რაოდენობა და ბაზარზე გამოაქვთ ერთგვაროვანი პროდუქცია. გადამწყვეტი მნიშვნელობა სრულყოფილი კონკურენციისათვის გააჩნია მეწარმეს შესაძლებლობა ადვილად შეეიდეს განსაზღვრულ დარგში, აგრეთვე მყიდველთა და გამყიდველთა ერთნაირ შესაძლებლობებს მიიღონ ინფორმაცია ბაზრის მდგომარეობის შესახებ. არც საწარმოთა ზომა და არც სხვა ფაქტორები არ აძლევენ საშუალებას თუნდაც ერთ-ერთი საწარმოს

გაელენა მოახდინოს საბაზრო ფასზე. ამასთან დაკავშირებით მოთხოვნილება ცალკე აღებული საწარმოს პროდუქციაზე არ დაიცემა ამ საწარმოს მიერ გაყიდვების მოცულობის გაზრდის გამო. მრავალრიცხოვან წერილ შეწარმებს და მყიდველებს გააჩნიათ ერთნაირად სრული და ამომწურავი ინფორმაცია ბაზრის შესახებ და ამიტომ ვერც ერთი მათგანი ვერ უწევს კონტროლს ამა თუ იმ საქონელზე მოთხოვნილების დონეს, საქონლის მიწოდების მოცულობასა და მის ფასს. ყოველი გამყიდველი ასაღებს ერთსა და იმავე პროდუქტს. ასეთი ტიპის ბაზარზე დამკიდრება იოლია, ისევე., როგორც ბაზრის დატოვება. არასრულყოფილი კონკურენცია ხასიათდება საქონლის ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გასვლის სირთულით, ინფორმაციის ხელმიუწვდომლობით და მყიდველთა და გამყიდველთა შეზღუდული რიცხვით. ასეთ ბაზარზე რეალიზებადი საქონელი შეიძლება იყოს დიფერენცირებული ან უნიკალური, რის გამოც ცალკეულ საბაზრო აგენტებს გააჩნიათ შესაძლებლობა გაელენა მოახდინონ წარმოების მასშტაბებსა და ფასების დონეზე. კონკურენციის ორი აღნიშნული ფორმა წარმოადგენენ ნორმის ზედა და ქვედა ზღვარს, რომლის ფარგლებში რეალურად ვითარდება საბაზრო პროცესები ცალკეულ ქვეყნებში. არაკეთილსინდისიერ კონკურენციას ადგილი აქვს, როდესაც კონკურენციის მეთოდები არღვევს ბაზარზე მიღებულ ნორმებს და კონკურენციის წესებს. პარიზის კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემდეგი სამი სახეობა: 1) ყველა ის ქმედება, რომელთა შედეგად მოცემული ფირმის წარმოება, საქონელი, სამრეწველო ან კომერციული საქმიანობა მომხმარებელმა შეიძლება შეცდომით მიიღოს კონკურენტი ფირმის წარმოებად, საქონლად, სამრეწველო ან კომერციულ საქმიანობად. 2) კომერციული საქმიანობის პირიდან გაკეთებული ცრუ განცხადებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ კონკურენტის წარმოების, საქონლის, სამრეწველო ან კომერციული საქმიანობის დისკრედიტაცია. 3) კომერციულ საქმიანობაში ისეთი მინიშნებების ან აღნიშვნების გამოყენება, რომლებმაც პროდუქციის ან საქონლის ხასიათის, დამზადების წესის, მახასიათებლების, გარკვეული მიზნებისათვის გამოყენებადობის შესახებ შეიძლება მომხმარებელს არასწორი წარმოდგენა შეუქმნას და შეცდომაში შეიყვანოს. გარდა ამ ნიშნებისა, განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობები იცნობენ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სხვა სახეობასაც – კერძოდ, არ არის დაშვებული: კონკურენტის მომხმარებელთა მოსყიდვა მათი კლიენტების სახით მოზიდვის მიზნით; შპიონაჟის ან კონკურენტის მომსახურე პერსონალის მოსყიდვის მიზნით; შპიონაჟის ან კონკურენტის მომსახურე პერსონალის მოსყიდვის გზით მისი საწარმოო ან კომერციულ საიდუმლოებათა გამოკვეცა; კონფიდენციალური სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან საეკონომიკო ინფორმაციის, მათ შორის ნოუ-ჰაუს არამართლზომიერი მიღება, თვითნებური გამოყენება და გახმაურება; მოქმედებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ „ცნებათა აღრევა“ საწარმოს საქმიანობის მიმართ; მოქმედებები მიმართული კონკურენტის მოსამსახურეთა იძულებისკენ. გაარღვიონ ან გაუქმონ დამქირაველთან დადებული კონტრაქტი; ისეთი რეკლამის გამოშვება, სადაც მოყვანილია კონკურენტების საქონლის ან მომსახურების შედარება; კონკურენტის მიერ დადებული კონტრაქტების დარღვევაზე წაქეზება ან ხელშეწყობა. ცრუ შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს მომხმარებელს ეძლევა საშუალება საქონლის არაჩვეულებრივად მომგებიანი პირობებით შეძენისა, ასეთი პირობების რეალურად არარსებობისას; მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ შეგნებულად დუმილი; სხვა მოქმედებები, რომლებიც მიმართულია ბაზრიდან სხვა სუბიექტების გაძევებისკენ. კანონი კრძალავს კონკურენტ სუბიექტებს შორის ნებისმიერი ფორმის შეთანხმებას (შეთანხმებულ მოქმედებებს), რომელიც ითვალისწინებს კონკურენციის შეზღუდვისაკენ მიმართული ფასების (ტარიფები), ფასდაკლებების და სხვა პირობების დადგენას; ბაზრების გაყოფას ტერიტორიული, შესყიდვის მოცულობის, საქონლის ასორტიმენტის, გამყიდველთა და მყიდველთა რანგის ან სხვა ნიშნებით მათი მონოპოლიზაციის მიზნით; სხვა მეურნე სუბიექტებისათვის ბაზარზე შესვლის შემაფერხებელი პირობების შექმნა; პროდუქციის გაყიდვა ხელოვნურად შემცირებულ, ხშირად თვითღირებულებაზე უფრო დაბალ ფასში (დემპინგი), კონკურენტთა საქონლის და პროდუქციის კოპირება და სხვა.

კონკურენცია – სამეურნეო სუბიექტების შეჯიბრებითობა, როცა მათი დამოუკიდებელი მოქმედებები ეფექტურად ზღუდავენ თითოეული მათგანის შესაძლებლობას ცალმხრივად იმოქმედონ შესაბამის სასაქონლო ბაზარზე საქონლის ბრუნვის ზოგად პირობებზე.

კონკურსი – სამოქალაქო სამართალში ვაჭრობის ჩატარების ფორმა. ცნება „კონკურსი“ გამოიყენება ვაჭრობაზე ხელშეკრულებათა დადების ხერხის განსხვავებას. ასეთი ხერხით შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ხელშეკრულება, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს მისი არსიდან. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია შემთხვევები, როცა ცალკეული სახის ხელშეკრულებები შეიძლება დაიდოს მხოლოდ კონკურსის ჩატარების გზით. კონკურსში უნდა მონაწილეობდეს ორი ან მეტი პირი; კონკურსი, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ ერთი მონაწილე, ითვლება არშემდგარად. კონკურსი შეიძლება იყოს, როგორც ღია, ასევე დახურული. ღია კონკურსში შეიძლება მონაწილეობდეს მხოლოდ ამ მიზნისთვის სპეციალურად მოწვეული პირები. გამარჯვებულად ითვლება პირი, რომელმაც საკონკურსო კომისიის დასკვნის მიხედვით წარმოადგინა საუკეთესო პირობები.

კონკურსი – 1. საჯარო კონკურსის გამოცხადება წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას. კონკურსის გამომცხადებელი საჯაროდ აწვევს ჯილდოს რაიმე სამუშაოს საუკეთესო შესრულებისთვის ან სხვა შეგებების მიღწევისათვის და ვალდებულია გადაუხადოს დაწესებული ჯილდო პირს, რომელიც კონკურსის პირობების მიხედვით ცნობილ იქნება გამარჯვებულად. საჯარო კონკურსი შეიძლება იყოს ღია, როდესაც ორგანიზატორის წინადადება გამოქვეყნებულია პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში და ესება ნებისმიერ მსურველს, ან დახურული, როცა კონკურსში მონაწილეობის მიღების მოწვევა მიმართულია პირთა შეზღუდული წრისკენ. ღია კონკურსი შეიძლება ითვალისწინებდეს წინასწარ საკვალიფიკაციო შერჩევის ეტაპს. კონკურსის განცხადება აუცილებლად უნდა შეიცავდეს პირობებს, რომლებიც ასახავენ საკონკურსო

დაკალების არსს, სამუშაოს შეფასების კრიტერიუმებს და წესს, სამუშაოთა კონკურსზე წარმოდგენის წესს, ჯილდოს ოდენობას და ფორმას და აგრეთვე კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადებს. კონკურსის გაუქმება დაიშვება მხოლოდ მონაწილეთა მიერ სამუშაოთა შესრულებამდე. კონკურსის პირობების შეცვლისას ან მის გაუქმებისას კონკურსის გამომცხადებელმა უნდა აუნაზღაუროს ნებისმიერ პირს ხარჯები დაკავშირებული გაუქმების შესახებ ცნობის შეტყობამდე შესრულებულ საკონკურსო სამუშაოსთან. კონკურსის გამომცხადებელმა უნდა დაუბრუნოს კონკურსის მონაწილეებს სამუშაოები, რომელთაც არ ხედათ წილად ჯილდო, თუ სხვა რამ არ იყო გამოცხადებული კონკურსზე და არ გამომდინარეობს შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან.

2. მოკალის მიმართ კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა.

კონკურსი (თანამდებობის დასაკავებლად) – სახელმწიფო, კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებში გარკვეული მართვის ფუნქციების შემსრულებელი პირების არჩევითობის პრინციპის რეალიზაცია. კონკურსების ჩატარების ზოგადი პრინციპები და წესები ითვალისწინებენ პირის პირად ინიციატივას კონკურსის მონაწილეობაში, სპეციალური კოლეგიალური ორგანოების – საკონკურსო კომისიების შექმნას, კონკურსის პირობების გამოქვეყნებას, სპეციალური გამოცდილების, ტესტების ჩატარების შესაძლებლობას და ა.შ. სამეცნიერო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ცხადდება კონკურსი მეცნიერ-თანამშრომელთა და პროფესორ-პედაგოგთა შემდგენლობის ეკანტური თანამდებობების დასაკავებლად; საკონკურსო კომისიის რეკომენდაციებით სამეცნიერო საბჭოებზე ტარდება კანდიდატურების ღია ან ფარული კენჭისყრა.

კონოსამენტი (ფრ. connaissement, ინგლ. bill of lading)

საბუთი, რომელიც შეიცავს გადაზიდვის (უმთავრესად საზღვაო) პირობებს;საბუთი, რომელიც ადასტურებს მის მფლობელს ტვირთის განკარგვის უფლებას. უფრო მეტად გავრცელებულია საგარეო ვაჭრობაში. გაიცემა გადამზიდველიდან გამგზავნზე და ადასტურებს ხელშეკრულების დადების ფაქტს. კონოსამენტის შედგენა ხდება, როგორც წესი, რამოდენიმე ეგზემპლარად, თანაც თითოეულში კეთდება აღნიშნა, თუ რომელ რიცხვსაა შედგენილი. ტვირთის ერთ-ერთი კონოსამენტის მიხედვით გაცემისას დანარჩენები კარგავენ ძალას. კონოსამენტი ასრულებს სამ ფუნქციას: გემზე ტვირთის მიღების ხელწერილი, ტვირთის განმკარგველები საბუთი საერთაშორისო ვაჭრობაში, გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობის დამამტკიცებელი საბუთი.

კონოსამენტში განსაზღვრულია სამართალურთიერობები გადამზიდველსა და ტვირთის მიმღებს შორის. ძირითადი რეკვიზიტებია: გემის დასახელება, თუ ტვირთი კონკრეტულ გემზე ჩაიტვირთა, გადამზიდველის დასახელება, ტვირთის მიღების ან ჩატვირთვის ადგილი, გამგზავნის დასახელება, ტვირთის დანიშნულების ადგილი, ტვირთის მიმღების დასახელება, აგრეთვე ტვირთის დასახელება, ადგილების რაოდენობა, წონა, მოცულობა, მარკირება; გადამზიდველის ანაზღაურების ოდენობა, კონოსამენტის შედგენის დრო და ადგილი, გემის კაპიტნის ხელმოწერა. თუ აუცილებელი პირობები მიმღებისთვის კონოსამენტში არ არის მოცემული, მაშინ ხდება მათი შემცველი საბუთის დამოწმება (როგორც წესი ჩარტერი). არსებობს კონოსამენტის რამდენიმე სახე:

1. საპორტო კონოსამენტი – წარმოადგენს საქონლო-გამმკარგულებელ საბუთს ტვირთზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დატვირთული გემზე.

2. სალელობითია კონოსამენტი, რომელიც ფორმდება წარმომდგენზე, ან მიმღების სახელზე.

3. საორდეროა კონოსამენტი შედგენილი ტვირთის გამგზავნის ან მიმღების ბრძანებით. თუ კონოსამენტში არ არის მითითებული, რომ იგი შედგენილია მიმღების ბრძანებით, იგი ითვლება შედგენილად გამგზავნის ბრძანებით.

4. გამჭოლი კონოსამენტი წარმოადგენს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას, რომელიც ჭარავს საქონლის დატვირთვას რამოდენიმე გემზე და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობაზე. მისი გამოწერა ხდება იმ შემთხვევაში, როცა ტვირთის გადაზიდვისას ხდება შუალედურ პორტში სხვა გემზე მისი გადატვირთვა ან განსხვავებული სახის ტრანსპორტით გადაზიდვა. გამოიყენება საკონტეინერო გადაზიდვებისას. გამჭოლი კონოსამენტი ათავისუფლებს ტვირთის გამგზავნს და მიმღებს ტვირთზე ზრუნვისაგან, რადგან გადამზიდველი, რომელიც გადასცემს ტვირთს მეორე გადამზიდს გამოდის ექსპედიტორის როლში.

5. პირდაპირი კონოსამენტი გულისხმობს, რომ ტვირთი არ ექვემდებარება სხვა გემზე ან ტრანსპორტის სახეობაზე გადატვირთვას.

6. სუფთა კონოსამენტი წარმოადგენს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას, რომელიც არ შეიცავს რაიმე შენიშვნებს ტვირთის ხარისხის ან რაოდენობის თაობაზე, თუკი ასეთი შენიშვნები არსებობს, კონოსამენტი იქნება უსუფთაო და ამგვარი კონოსამენტით ბანკი არ აწარმოებს გადახდას გადმოტვირთულ საქონელზე. უსუფთაო კონოსამენტის თაიდან მოსაცილებლად, გამგზავნი ადგენს საგარანტიო წერილს, რომლითაც გადამზიდველს ესსნება ყოველგვარი პასუხისმგებლობა ზარალისთვის, რაც შეიძლება მიადგეს ტვირთს.

7. ინდოსირებული კონოსამენტი – რომელიც შეიცავს წარწერას მფლობელობის უფლების გადაცემის შესახებ.

8. ჯგუფური კონოსამენტი – საბუთი, რომელიც ფორმდება რამოდენიმე ტვირთზე და განკუთვნილია რამდენიმე ტვირთის მიმღებისთვის.

კონოსამენტი – საქონლის გამანაწილებელი ფასიანი ქაღალდი. ხაზოვანი კონოსამენტი წარმოადგენს ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმას. კონოსამენტი გაიცემა გამგზავნის მოთხოვნით გადამზიდველის მიერ გადასაზიდად ტვირთის მიღების შემდეგ. კონოსამენტში უნდა იყოს ჩართული მონაცემები გადამზიდველის, გამგზავნის, მიმღებისა და ტვირთის შესახებ, მითითებულ უნდა იქნეს დატვირთვისა და ჩამოტვირთვის პორტები, გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღების თარიღი, ფრახტის ოდენობა, კონოსამენტის გაცემის დრო, ადგილი და ორიგინალების რაოდენობა. კონოსამენტს ხელს აწერს გადამზიდველი ან მისი სახელით მოქმედი პირი (საზღვაო ხომალდის

კაპიტანი), თუ კონოსამენტში მითითებულია ტვირთის კარგი მდგომარეობა. კონოსამენტის გაცემა დაშვებულია რამდენიმე სახით: გარკვეული მიმღების სახელზე (სახელობითი კონოსამენტი), გამგზავნის ან მიმღების ბრძანებით (ორდერული კონოსამენტი) ან წარმომდგენზე. სახელობითი კონოსამენტი შეიძლება გადაიცეს სახელობითი გადაცემითი წარწერების მიხედვით ან სხვა ფორმით, რომელიც შეესაბამება მოთხოვნის დათმობისთვის დადგენილ წესებს. ორდერული კონოსამენტი შეიძლება გადაიცეს სახელობითი ან საბანკო გადაცემითი წარწერებით; კონოსამენტი წარმომდგენზე შეიძლება გადაიცეს უბრალო გადაცემის მეშვეობით.

გამგზავნს უფლება აქვს განკარგოს ტვირთი მისი მიღებისთვის გადაცემამდე ან ასეთი უფლების მიმღებისთვის ან მესამე პირისთვის გადაცემამდე. მიმღების ან მესამე პირისთვის ტვირთის განკარგვის უფლების გადაცემისას გამგზავნი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს გადამზიდველს. გამგზავნს უფლება აქვს მოითხოვოს ტვირთის უკან დაბრუნება გაგზავნის ადგილას ხომალდის გასვლამდე, ტვირთის გადაცემა შეალედურ პორტში ან მისი გადაცემა არა იმ მიმღებისთვის, რომელიც მითითებულია გადაზიდვის დოკუმენტში შესაბამისი უზრუნველყოფის შეთავაზებისას ან გამგზავნისთვის გადაცემული კონოსამენტის ყველა ორიგინალის წარმოდგენის პირობით. საპორტო კონოსამენტი ეწოდება კონოსამენტს, რომელიც გაცემულია გადამზიდველის მიერ გამგზავნის მოთხოვნით მას შემდეგ, რაც ტვირთი დაიტვირთა ხომალდზე. მოცემული დოკუმენტი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს.

კონსორციუმი – ფირმების დროებითი ხელშეკრულებითი გაერთიანება კონკრეტული ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად; შეთანხმება ბანკებსა და/ან სამრეწველო ფირმებს შორის ერთობლივი საფინანსო ოპერაციების ჩასატარებლად.

კონსორციუმი [ლათ. consortium თანამეგობრობა, თანამონაწილეობა] დროებითი შეთანხმება რამდენიმე სამეურნეო სუბიექტს (ბანკს, საწარმოს) შორის სესხის ერთობლივი განთავსების შესახებ ან ერთობლივი საწარმოო პროექტის განსახორციელებლად.

კონსპირაცია [ლათ. conspiratio თანხმობა, ერთსულოვნება; შეთქმულება] 1) მეთოდები, რომლებსაც იატაკქვეშა ორგანიზაცია იყენებს საკუთარი საქმიანობისა და წევრების დასაფარავად; 2) საიდუმლოს შენახვა, დაცვა.

კონსპირაციული [< კონსპირაცია] საიდუმლო, იატაკქვეშა, ოფიციალური ხელისუფლებისგან დაფარული.

კონსპირირება [< კონსპირაცია] კონსპირაციის დაცვა, საიდუმლო იატაკქვეშა მუშაობის ჩატარება.

კონტაკორენტი

კონტაკორენტი ეწოდება ანგარიშს, რომელიც იღება მუდმივ საქმიან ურთიერთობებში მყოფ მხარეებს შორის. შეთანხმების ძალით მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას, საქმიანი კავშირებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და გადახდები შეიტანონ ანგარიშზე და ანგარიშის დახურვამდე მიიჩნიონ ხელშეუხებლად.

ანგარიშის ნაშთი (სალდო) ექვემდებარება გადახდას შეთანხმებულ ვადაში. თუ ანგარიშის დახურვისას (ჩვეულებრივ, წელიწადში ერთხელ წარმოებს), ის მხარე, რომელსაც ეკუთვნის თანხის ნაშთი, არ მოითხოვს გადახდას, მაშინ იგი შეიტანება კოტოკორენტზე.

კონტრაფაქცია (counterfeicing, infringement of trafe mark, passingoff)

ცალკეული ფირმების მიერ თავიანთ საეჭვო ნიშნებზე სხვა ფირმების პოპულარული საქონლის აღნიშვნების მოთავსება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და მყიდველის შეცდომაში შეყვანის მიზნით. ტერმინი გამოიყენება მრავალი ქვეყნის სამართალში. ჩვენთან გაერცელებულ ლექსიკონებში კონტრაფაქცია შეესაბამება ინგლისური „counterfeiting". მაგრამ ინგლისურენოვან გამოცემებში „კონტრაფაქციის" შესატყვისია „infringement of trade mark" ან „passing". ეს უკანასკნელი ნიშნავს ავრეთვე სხვისი სახელით საქმეების წაყვანას, ხოლო ტერმინის „counterfeiting" ძირითადი მნიშვნელობა ინგლისურენოვან გამოცემებში არის ყალბი ფულის გამოშვების ექვივალენტური.

სამოქალაქო კოდექსი კონტრაფაქციულ პროდუქციად განიხილავს ნაწარმოებთა და ფონოგრამების ან ვიდეოგრამების ეგზემპლარებს, რომელთა დამზადება ან გავრცელებაც იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევას.

კონტრაჰენტი (ლათ. contrahens – მოლაპარაკების მხარე)

კერძო სამართლის სუბიექტი ხელშეკრულების მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირი, ხელშეკრულების მხარე.

კონფიდენციალურობა (ლათ. confidentie – ნდობა)

1. სტატუსი, რომელიც ენიჭება მონაცემებს და გულისხმობს მათი დაცულობის განსაზღვრულ დონეს.

2. ინფორმაციის დაცულობის თვისება არასანქციონირებული შეღწევისა და უფლებამოსილების არმქონე მოსარგებლეების მიერ მისი გახსნის მცდელობებისაგან.

3. ინფორმაციის თვისება, რომელიც ახასიათებდა მისი გაცნობის პროცედურაში დარღვევების არარსებობით.

4. კონფიდენციალური ანუ მინდობილი, საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც გახმაურებას არ ექვემდებარება.

კონსტიტუტიური [<ლათ. constitus მოწყობილი, განსაზღვრული, გამყარებული] განმსაზღვრული; საფუძვლიანი; მთავარი.

კონსტიტუცია [ლათ. constitutio მოწყობა, დადგენა] 1) სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს მის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ მოწყობას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფოს მართვისა და მოღვაწეობის ორგანიზაციის პრინციპებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს; ქ. წარმოადგენს მთელი მიმდინარე კანონმდებლობის საფუძველს. თუმცა რიგ ქვეყნებში იგი არ არსებობს; 2) ადამიანისა და ცხოველების მორფოლოგიური და ფუნქციონალური თავისებურებები, რომლებიც შთამომავლობით და შეძენილ თვისებებს ეფუძნება; ქ. გამოიხატება აგებულების ძირითად ფორმებში და სხვ. ნიშნებში.

კონსტიტუციური [< კონსტიტუცია 1] საზოგადოებრივ ძირითად კანონზე (კონსტიტუციაზე) დაფუძნებული, მაგ. კ. მონარქია – სახელმწიფო წყობა, რომლის დროსაც თვითმყრობელის ხელისუფლება კონსტიტუციითაა შეზღუდული.

კონსტიტუცია (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია) –

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო".

მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა შორფილიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

4. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 3

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ.

ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;

გ) სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;

დ) ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;

ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;

ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;

ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო ხესხი; ფულის მოჭრა. საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა;

თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; სავაჭრო ფლოტი; გემთა ალმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები. აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი. საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;

კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები;

ლ) თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში;

მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;

ნ) ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა;

ო) საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ატესტაცია და აკრედიტაცია; კანონმდებლობა აკადემიური, სამეცნიერო, პროფესიული წოდებებისა და ხარისხების შესახებ;

პ) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა;

ჟ) სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა;

რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება;

ს) მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა.

2. ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ".

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ".

(საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი N 260-IIს – სსმI, 2000 წ. N 15, მუხ. 36).

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი N 1689-Iს – სსმ, 2002 წ., N 28, მუხ. 128).

მუხლი 4

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

2. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.

3. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

4. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

(საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი N 260-IIს – სსმ, 2000 წ. N 15, მუხ. 36).

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი N 1689-Iს – სსმ, 2002 წ., N 28, მუხ. 128).

მუხლი 5

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება მითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 6

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას.

2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას. აქეს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებას მიმართ.

(საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი N 826-IIს – სსმ, 2001 წ. N 9, მუხ. 33).

მუხლი 7

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

მუხლი 8

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური.

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი N 1689-Iს – სსმ, 2002 წ. N 28, მუხ. 128).

მუხლი 9

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

(საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი N 826-IIს – სსმ, 2001 წ. N 9, მუხ. 33).

მუხლი 10

საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

მუხლი 11

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით.

თავი მეორე

საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.

2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.

2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.

2. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.

2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

4. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაემაყოფილდეს.

6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს.

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არაეის არა აქვს უფლება შეიჭრეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ. აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გაიცეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი საზელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია, ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის, ფფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა. ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დაწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია.

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 31

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს.

მუხლი 32

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში, საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 33

გაფიცების უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან.

3. სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2003 წ. N 23, მუხ. 168).

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.

5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური. და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

მუხლი 40

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 41

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან. მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან

უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

მუხლი 43

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს, სახალხო დამცველის საქმიანობისთვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 44

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 45

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

მუხლი 46

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

2. თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ. N 2, მუხ. 5).

მუხლი 47

1.საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს ახლავს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შეთხზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

თავი მესამე

საქართველოს პარლამენტი

მუხლი 48

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 49

1. პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 100 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 50 პარლამენტის წევრისაგან.

2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

3. პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

5. სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. პარლამენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განაწილების თაობაზე.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ. N 2, მუხ. 5)

(საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2005 წ., N 8, მუხ. 57)..

მუხლი 50

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელმოწერით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის, მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში – პირს, რომლის წარდგენის ინიციატივა დადასტურებულია 1000 ხელმოწერით მაინც, ან რომელიც ბოლო არჩევნებით იყო პარლამენტის წევრი.

2. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 7 პროცენტს მაინც.

3. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების გასვლამდე არაუგვიანეს 15 დღისა. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არა უგვიანეს 60 დღისა. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს, რომელიც უნდა ჩატარდეს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებიდან არა უადრეს 45 და არა უგვიანეს 60 დღისა.

3¹. პარლამენტი საქმიანობას წყვეტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან. პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პარლამენტი იკრიბება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოაცხადების შემთხვევაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების, ანდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების, ანდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების საკითხის გადასაწყვეტად. თუ პარლამენტი არ შეიკრიბა 5 დღის განმავლობაში ან არ დამტკიცა (გაგრძელა) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) პრეზიდენტის ბრძანებულება, მაშინ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება. საომარი მდგომარეობა უნდა გაუქმდეს, თუ პარლამენტი შეკრებიდან 48 საათში არ დამტკიცებს საომარი მდგომარეობის გამოცხადებას (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას. პარლამენტის შეკრება არ იწვევს პარლამენტის წევრების საპარლამენტო თანამდებობების და ხელფასების აღდგენას. პარლამენტი წყვეტს საქმიანობას ზემოაღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

4. პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.

5. პარლამენტის წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

(საქართველოს 1999 წლის 20 ივლისის კონსტიტუციური კანონი N 2221 – სსმI, 1999 წ., N 35(42) მუხ. 169).

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 51

საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

მუხლი 51¹

პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარდა:

ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში;

ბ) პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;

გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 52

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.

2. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

4. პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

5. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.

6. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

(საქართველოს 2004 წლის 23 აპრილის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 9, მუხ. 39).

მუხლი 53

1. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

2. წინა პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება.

3. პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

მუხლი 54

1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

2. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად.

დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწეოდა შეუთავსებელ საქმიანობას;

ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ვ) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის შენობაში;

ზ) გარდაიცვალა.

მუხლი 55

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენ-

ტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეული პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით.

2. პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას.

4. პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში.

(საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი N260-IIს – სსმ, 2000 წ., N 15, მუხ. 36)

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი N1689-Iს – სსმ, 2002 წ; N 28, მუხ. 128).

მუხლი 56

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები.

2. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა დროებით კომისიაში არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მისი სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამორკვევისთვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.

მუხლი 57

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თაიფლდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირთა დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებს ბიურო შესაბამისი კომიტეტების დასკვნის საფუძველზე განიხილავს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით. დასკვნა წარედგინება პრეზიდენტს და პარლამენტს. ბიურო იღებს გადაწყვეტილებებს პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე.

მუხლი 58

1. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს შეიდზე ნაკლები.

2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და რეგლამენტით.

(საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი სსმ, 2005 წ., N 8, მუხ. 57).

მუხლი 59

1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებებს და მიიღოს მათგან პასუხი.

2. პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათპროცენტიანი ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

3. პარლამენტი უფლებამოსილია პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერმინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. თუ პრემიერ-მინისტრი არ გაათავისუფლებს მთავრობის წევრს, ასეთ შემთხვევაში, იგი ორი კვირის ვადაში პარლამენტს წარუდგენს თავის მოტივირებულ გადაწყვეტილებას.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 60

1. პარლამენტის სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2. მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

3. კენჭისყრა ყოველთვის ღია ან სახელობითია, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. პარლამენტის სხდომის ოქმი, საიდუმლო საკითხების გამოკლებით, ქვეყნდება პარლამენტის ბეჭდვით ორგანოში.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 61

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ, საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბერის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით სესიების შორის პერიოდში

იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად ეალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.

3. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ჩატარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

4. პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში პარლამენტი იკრიბება. პარლამენტის მუშაობა გრძელდება ამ მდგომარეობის დამთავრებამდე.

მუხლი 62

პარლამენტის გადაწყვეტილება ომისა და ზავის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 63

1. 75-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისთვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.

2. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა, ან საკონსტიტუციო სასამართლომ – კონსტიტუციის დარღვევა, დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.

3. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

4. თუ 30 დღის ვადაში პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია იმავე ბრალდების წარდგენა.

5. დაუშვებელია პრეზიდენტისთვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო და საომარი მდგომარეობის ან ომის დროს.

მუხლი 64

1. კონსტიტუციის დარღვევისას, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

2. 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დასკვნის მიღების შემდეგ სრული შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები. ამ შემთხვევებზე ვრცელდება აგრეთვე 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება.

მუხლი 65

1. საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას.

2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, საჭიროა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;

ბ) სამხედრო ხასიათისაა;

გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;

დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან;

ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკლებ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას.

3. პარლამენტს უნდა ეცნობოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების შესახებ.

4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 66

1. პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი.

1. კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი.

2. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. პარლამენტის თანხმობა მიიღება დადგენილების სახით, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.

4. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

(საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი N 826-IIს – სსმ, 2001 წ., N 9, მუხ. 33).

მუხლი 67

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. მთავრობას, პარლამენტის წევრს, სპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

2. საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მათივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

3. თუ მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს შენიშვნებს პარლამენტში განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტი მთავრობის მიერ მოწონებულად ჩაითვლება.

(საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი N 260-IIს – სსმ, 2000 წ. N 15, მუხ. 36).

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი N 1689-Iს – სსმ, 2002 წ., N 28, მუხ. 128).

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 68

1. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.

2. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.

3. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისთვის დადგენილია კონსტიტუციის 66-ე მუხლით. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

4. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონი ან ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა. კონსტიტუციის შესწორება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

5. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

6. კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

თავი მეოთხე
საქართველოს პრეზიდენტი

მუხლი 69

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.

3. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 70

1. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოურია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

3. პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 50000 ამომრჩეველის ხელმოწერით.

4. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

5. თუ არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური.

6. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

7. თუ არჩევნები ჩატარებულად არ გამოცხადდა, ან ჩატარდა, მაგრამ პირველ ტურში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი კანდიდატი და მან ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა, ან მეორე ტურში არ აირჩა პრეზიდენტი, ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები.

8. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.

9. პრეზიდენტის მორიგი არჩევნების პირველი ტური ეწყობა წინა არჩევნების ჩატარებიდან მეხუთე წლის აპრილის მეორე კვირა დღეს.

10. პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაშვებულობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

(საქართველოს 1999 წლის 20 ივლისის კონსტიტუციური კანონი N 2224 – სსმ, 1999 წ. N 35(42), მუხ. 170).

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 71

1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს:

„მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის".

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცერემონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

მუხლი 72

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 73

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;

ა') საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

ბ) ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრის – მინისტრის დანიშვნაზე;

გ) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრები;

დ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას, უფლებამოსილია მთავრობას, მთავრობის წევრს დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე.

ე) თანხმობას აძლევს მთავრობის პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე;

ვ) პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას. ხათაბალა პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;

თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება, საგანგებო უფლებამოსილებათა ერცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

ი) პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

კ) კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს;

ლ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით;

მ) წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ნ) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

ო) შეიწყალებს მსჯავრდებულთ;

პ) დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

ჟ) თაემჯდომარეობს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, კონსტიტუციით, აგრეთვე ორგანული კანონით გათვალისწინებული წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მოსამართლეებს;

რ) პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი – დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას.

ს) 51¹-ე მუხლის „ა" – „ძ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და თანხმობა მისცეს მას მინისტრების დანიშვნაზე. ზემოაღნიშნული გარემოებების ამოწურვიდან ერთი თვის განმავლობაში პრეზიდენტი ხელახლა წარუდგენს პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.

2. პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს.

4. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო

ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს. თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადაყენებს საქართველოს სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.

5. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

6. პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

(საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი N 826-IIს – სსმ, 2001 წ., N 9, მუხ. 33).

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 74

1. საქართველოს პარლამენტის არანაკლებ 200000 ამომრჩეველის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

2. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 75

1. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადაყენოს პრეზიდენტი, თუ:

ა) კონსტიტუციის დარღვევა დადასტურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბ) სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს დასკვნით.

მუხლი 76

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, აგრეთვე თუ პარლამენტი დათხოვნილია, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრი. პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას, პარლამენტის თავმჯდომარის დაუალებით, ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე. პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების მქონე მთავრობის წევრი.

2. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ი" ქვეპუნქტებითა და 74-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები, ასევე დაითხოვოს პარლამენტი.

3. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დღიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 76[1]

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს დასანიშნად წარუდგენს საქართველოს გენერალური პროკურორის კანდიდატურას. საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 77

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

თავი მეოთხე[1]
საქართველოს მთავრობა

მუხლი 78

1. მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის სამინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

2. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები), პრემიერ-მინისტრი მთავრობის ერთ-ერთ წევრს აკისრებს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულებას. მთავრობა და მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

3. მთავრობა კონსტიტუციის, კანონების და პრეზიდენტის ნორმატული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს და თავმჯდომარეობეს მთავრობის სხდომას, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით.

5. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და

საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით, რომლის პროექტსაც პარლამენტს წარუდგენს მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით.

6. მთავრობა უფლებამოსილია გადადგეს საკუთარი გადაწყვეტილებით.

7. მთავრობის უფლებამოსილება იწყება კონსტიტუციით დადგენილი წესითა და შემთხვევებში მთავრობის წევრების დანიშვნისთანავე.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 79

1. მთავრობის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი.

2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას. ახორციელებს კოორდინაციასა და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე, მოახსენებს საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ და პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობისთვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

3. პრემიერ-მინისტრი პარლამენტის მოთხოვნით წარუდგენს მას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს.

4. პრემიერ-მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას, აგრეთვე, ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში.

5. პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს, უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის წევრები.

6. პრემიერ-მინისტრი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს.

7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 80

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღების შემდეგ მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. პრეზიდენტი იღებს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნას და მანამ შეუძლია დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის დანიშვნამდე.

2. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის გადადგომის, გადაყენების ან უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის განმავლობაში საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ შეარჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით 10 დღის ვადაში – მთავრობის წევრობის კანდიდატურებს. ამ პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული პროცედურის დასრულებიდან 3 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.

3. პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. მთავრობის წევრები უნდა დაინიშნონ ნდობის გამოცხადებიდან სამი დღის ვადაში. პარლამენტი უფლებამოსილია ნდობა არ გამოუცხადოს მთავრობის შემადგენლობას და იმავე გადაწყვეტილებაში დასვას მთავრობის ცალკეული წევრის აცილების საკითხი. პრეზიდენტის მიერ აცილების შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების გაზიარების შემთხვევაში დაუშვებელია აცილებული პირის მთავრობის იმავე შემადგენლობაში დანიშვნა მთავრობის გათავისუფლებული ან გადამდგარი წევრის ნაცვლად.

4. თუ მთავრობის შემადგენლობამ და მისმა სამთავრობო პროგრამამ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას, პარლამენტი ახორციელებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურას.

5. თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი 5 დღის ვადაში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი, ასევე 5 დღის ვადაში დანიშნავს მინისტრებს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების მიმდინარეობისას დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძრა.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 81

1. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას ან მის ცალკეულ წევრს მხოლოდ მათი სრული შემადგენლობის უმრავლესობით. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს. მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან არ იზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას, თუ პარლამენტი არა უადრეს 90 და არა უგვიანეს 100 დღისა კვლავ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას. საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს, 51[1] მუხლის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას უნდობლობის გამოცხადების შესახებ განმეორებითი კენჭისყრა უნდა გაიმართოს ამ გარემოებების ამოწურვიდან 15 დღეში.

2. პარლამენტი უფლებამოსილია დადგენილებით აღძრას მთავრობისთვის უპირობო უნდობლობის გამოცხადების საკითხი. თუ დადგენილების მიღებიდან არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 20 დღისა პარლამენტი

სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას. თუ პარლამენტი მთავრობას უნდობლობას ვერ გამოუცხადებს, მთავრობის უნდობლობის საკითხის დასმა შემდგომი 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით მთავრობის გადაყენების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი არ არის მთავრობის მობდევენო შემადგენლობაში დანიშნოს იგივე პირი პრემიერ-მინისტრად ან წარადგინოს პრემიერ-მინისტრობის იგივე კანდიდატურა.

4. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია დასვას მთავრობის ნდობის საკითხი პარლამენტში განსახილველ სახელმწიფო ბიუჯეტის, საგადასახადო კოდექსის და მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტებზე. პარლამენტი მთავრობას ნდობას უცხადებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ პარლამენტი მთავრობას ნდობას არ გამოუცხადებს, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის განმავლობაში გადაყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

5. ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებით კენჭისყრა უნდა გაიმართოს საკითხის დასმიდან 15 დღის განმავლობაში. ამ ვადაში კენჭისყრის ჩაუტარებლობა ნიშნავს ნდობის გამოცხადებას.

6. პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებისას შესაბამისი კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების მიმდინარეობისას დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძრა.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 81[1]

1. პარლამენტის მიერ მთავრობისა და მისი სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების შემდეგ მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრით განახლების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობას.

2. პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 81[2]

1. სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მინისტრი კანონის, პრეზიდენტის ნორმატიული აქტის ან მთავრობის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებას.

3. სახელმწიფო მინისტრი ინიშნება კონსტიტუციით დადგენილი წესით განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.

4. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, დაფუძნოს საწარმო, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს რაიმე სხვა საქმიანობიდან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობისა.

5. მთავრობის წევრი უფლებამოსილია გადადგეს თანამდებობიდან.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

თავი მეხუთე
სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 82

1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

2. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

3. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

5. საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 83

1. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.

2. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, მათი სისტემა და სამართალწარმოების წესი დადგენილია კანონით.

3. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.

4. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

მუხლი 84

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

4. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

5. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება,

შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 85

1. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

3.სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

მუხლი 86

1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

2. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კანონით.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან. გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

მუხლი 87

1. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაწრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

მუხლი 88

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. სამ წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით. სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაწრკვა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 89

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე;

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

(საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი N 1689-Iს – სსმ, 2002 წ., N 28, მუხ. 128).

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმებისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავას;

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით;

ვ') იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;

ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი

გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

(საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი N 260-IIს – სსმ, 2000 წ. N 15, მუხ. 36).

(საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი N 826-IIს – სსმ, 2001 წ., N 9, მუხ. 33).

(საქართველოს 2004 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი N 306-რს – სსმ, 2004 წ., N 16, მუხ. 54).

მუხლი 90

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით განსაზღვრულ საქმეებს.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლო უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება კანონით.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელნი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 91

ამოღებულია

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

თავი მეექვსე

სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

მუხლი 92

1. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 93

1. მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი..

2. მთავრობა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა. თუ პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებლობის შემთხვევაში არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთი თვის განმავლობაში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

3. კონსტიტუციის 51[1] მუხლის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებლობისას სახელმწიფო ბიუჯეტს დეკრეტით ამტკიცებს პრეზიდენტი.

4. მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა. მთავრობას მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

5. პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

6. თუ პარლამენტმა ვერ მოახერხა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის დაცვით წარდგენილი ბიუჯეტის მიღება სამი თვის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადაყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

7. სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნისას, პრეზიდენტი დეკრეტით დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად.

8. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ სახელმწიფო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები – მთავრობის მიერ პარლამენტთან შეთანხმებული სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 94

1. საგადებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

2. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.

3. გადასახადებისაგან გათავისუფლება, ავრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

მუხლი 95

1. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს.

მუხლი 96

1. საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სრითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად.

2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

მუხლი .97

1. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2. კონტროლის პალატა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს 5 წლის ვადით სრითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით.

3. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, კონტროლის პალატა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ბოლო წელიწადში ერთხელ თავისი საქმიანობის ანგარიშს.

4. კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.

5. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად.

თავი მეშვიდე

სახელმწიფოს თავდაცვა

მუხლი 98

1. თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა.

2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად, საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.

3. სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით – პარლამენტი სრითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 99

1. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.

2. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 100

1. სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. ამასთან, საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად სამხედრო ძალთა გამოყენება დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე.

2. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ხუთ დღეში მიღების პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

(საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი – სსმ I, 2004 წ., N 2, მუხ. 5).

მუხლი 101

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა სამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი.

თავი მერვე

კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 102

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:

ა) პრეზიდენტს;

ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;

გ) არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც

აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

4. კონსტიტუციის 68-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 103

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

თავი მეცხრე

გარდამავალი დებულებები

მუხლი 104

1. საქართველოს კონსტიტუცია ძალაში შედის ახალარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან.

2. კონსტიტუციის 49-ე, 50-ე და 70-ე მუხლები ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 104[1]

1. კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი და 58-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანისთანავე.

2. 2004 წელს არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტამდე მისი შემადგენლობა, აგრეთვე ფრაქციის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი პარლამენტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ამ პარლამენტის არჩევნების დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი სსმ I, 2005 წ., N 8, მუხ. 57).

მუხლი 105

1. 1995 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, როშლის ინიციატივა დადასტურებულია 50000 ხელმოწერით მაინც, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისათვის.

2. პროპორციული სისტემით არჩევნები ტარდება ერთიანი პარტიული სიით.

3. პოლიტიკურ გაერთიანებას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარადგინოს დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც იმავდროულად მის პარტიულ სიაშია.

4. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ კენჭისყრის მონაწილეთა არანაკლებ ერთი მესამედისა.

5. პირველ ტურში თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს.

6. ეს მუხლი ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

მუხლი 106

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციას, კონსტიტუციასთან და კანონებთან მათ შესაბამისობას.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები, ან დაადასტუროს ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება.

მუხლი 107

1. კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლო წყობილების ორგანული კანონების მიღებამდე ძალაში რჩება სასამართლო წყობილების მოქმედი კანონმდებლობა.

2. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ძალაში შევა შესაბამისი სისხლის სამართლის საპროცესო საკანონმდებლო აქტების მიღების შემდეგ.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი მიღებულ უნდა იქნეს 1996 წლის 1 თებერვლამდე.

მუხლი 108

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებით კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტში სათანადო ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანა გამონაკლისის წესით დაშვებია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების გარეშე.

მუხლი 109

1. შესაბამისი წესით მიღებულ კონსტიტუციას ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

3. საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრები ხელს აწერენ კონსტიტუციის ტექსტს. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში ტექსტი ღიად უნდა ინახებოდეს საქართველოს ყველა ადგილობრივი ორგანოს შენობაში, რათა მოსახლეობა გაეცნოს მის შინაარსს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე
თბილისი,
1995 წლის 24 აგვისტო

კონსტიტუცია (საქართველოს საკონსტიტუციო კანონი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ)

მუხლი 1

1. ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივ

სტატუსს, ხელისუფლების განხორციელების ძირითად ფორმებსა და პრინციპებს, უფლებამოსილებებსა და მათი განხორციელების წესს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.

მუხლი 2

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის ტერიტორიული ერთეული, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ახორციელებს ამ კანონით განსაზღვრულ და ამ კანონით დადგენილი წესით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაშვებია მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული ხელისუფლების ორგანოების შექმნა.

მუხლი 3

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი.

მუხლი 4

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მოიცავს ტერიტორიას ამ კანონის მიღების დღისათვის არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა დასაშვებია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის ინიციატივის საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს ორგანული კანონით.

მუხლი 5

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა და გერბი, რომლებიც განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშასა და გერბში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო დროშისა და გერბის ელემენტები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა ზომით საქართველოს სახელმწიფო დროშის სამი მეხუთედი უნდა იყოს.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოფიციალური ღონისძიების ჩატარებისას სრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს სახელმწიფო ოფიციალურ სიმბოლოებთან (დროშასა და გერბთან) ერთად გამოიფინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა და გერბი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვისას აღიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშაც.

მუხლი 6

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებათა საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

2. ის საკითხები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად არ განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას, წესრიგდება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით.

3. დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებების დელეგირება.

მუხლი 7

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ნორმატიული აქტების მიღება, მათში ცვლილებების შეტანა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;

დ) განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა. კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების შექმნა და მართვა, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკები და მუზეუმები;

ვ) ტურიზმი, კულტურა და სპორტი;

ზ) ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობა და ურბანული განვითარება;

თ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და სხვა კომუნიკაციები;

ი) სანიტარია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა;

კ) სოფლის მეურნეობა და სამონადირეო საქმე;

ლ) სურსათის და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლი;

მ) ბაზრობები, ბაზრები და გამოფენები;

ნ) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავლების ფარგლებში საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულების კონტროლი;

ო) საქართველოს კანონებით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;

პ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა;

ჟ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საჭირო საარქივო სამსახური;

რ) სატყეო მეურნეობის მართვა;

ს) სახანძრო დაცვა.

2. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არ აწესრიგებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე საკითხს, მისი მოწესრიგება შეუძლია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ნორმატიული აქტით.

მუხლი 8

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ საკითხებს დამოუკიდებლად წყვეტენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 9

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არა აქვს უფლება, დაადგინოს ისეთი შეზღუდვები ან მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხელს შეუშლის მოქალაქის, საქონლის, მომსახურების ან კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან ამ ტერიტორიის გავლით.

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არა აქვს უფლება, ნორმატიული აქტით მოაწესრიგოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული საკითხები.

მუხლი 10

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება 4 წლის ვადით. პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 18 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 12 დეპუტატისაგან.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო პირველი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ;

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 11

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება წყდება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლისთანავე.

მუხლი 12

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის თანხმობით დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას ან/და იგი ვერ ახორციელებს ამ კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მან ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს დროებითი საპრეზიდენტო საბჭო, რომელსაც ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს უფლებამოსილება წყდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე.

4. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიღებული აქტი ექვემდებარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებას მისი უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვის ვადაში. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ მიღებულ აქტს. ეს აქტი კარგავს იურიდიულ ძალას.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება მისი დათხოვნიდან არა უადრეს 60 და არა უგვიანეს 90 დღისა. თუ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები ტარდება საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 60 დღის ვადაში.

მუხლი 13

1. დაუშვებელია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი. შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შიდა ორგანიზაცია, პროცედურები და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული რეგლამენტით.

3. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, დადგენილების საფუძველზე, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აქტის გაუქმება. თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და საქართველოს კანონებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი აქტის მოქმედების შეჩერებას.

მუხლი 14

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო:

ა) იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს ამ კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ

საკითხებზე. ასევე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს;

გ) აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას;

დ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით;

ე) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის ორი მესამედით უნდობლობა გამოუცხადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

ვ) ახორციელებს ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია კანონი შენიშვნებით დაუბრუნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებს, რომელთა მისაღებად საკმარისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღებისათვის დადგენილი ხმათა უმრაელესობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პირვანდელი რედაქციით მიღებისათვის საჭიროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკანონმდებლო პროცესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, საქართველოს საკანონმდებლო აქტების დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 15

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისაგან.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

5. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტის მოქმედება ან გააუქმოს ეს აქტი, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებსა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 16

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მთელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უფლებამოსილება ასევე უწყდება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედით მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებისას;

გ) ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებისას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადადგომისას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დანიშნული სახელმწიფო რწმუნებული და მისი ადმინისტრაცია.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით.

მუხლი 17

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი მას თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია 10 დღის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს იგივე ან სხვა კანდიდატურა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

თამეჯდომარის დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში იგი ამ კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეთანხმების პროცედურის განხორციელების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ცალკეული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამის ახალ წევრს ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით.

4. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა ნახევარზე მეტით განახლდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით.

მუხლი 18

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე:

ა) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას;

ბ) ხელმძღვანელობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას;

გ) უფლებამოსილია გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აქტი;

დ) უფლებამოსილია გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი;

ე) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობებით დადგენილი წესით განკარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებას;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს;

ზ) ახორციელებს ამ კანონით საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის აქტის მოქმედება ან გააუქმოს ეს აქტი, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ამ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებსა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 19

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, თუ:

ა) მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

ბ) იგი ვერ ახორციელებს ამ კანონით ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი გარემოების აღმოფხვრიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას.

მუხლი 20

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების შექმნა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ სფეროებში:

ა) ეკონომიკა, ფინანსები და ტურიზმი;

ბ) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

გ) განათლება, კულტურა და სპორტი;

დ) სოფლის მეურნეობა.

2. აკრძალულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს ან სხვა გასამხედროებული ორგანოს შექმნა.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის კანდიდატურას საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ამ კანონით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 21

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს სამთავრობო დაწესებულებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს სტატუსი, სტრუქტურა, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსადმი დაქვემდებარებული შეიარაღებული ქვედანაყოფი, რომლის განლაგების, გადაადგილებისა და გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.

მუხლი 22

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში სარგებლობს ფინანსური ავტონომიით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა განკარგავს მის მიერ შემოღებული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების აკრეფით მიღებულ შემოსავლებს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს კანონის საფუძველზე შესაძლებელია გადაეცეს სახელმწიფო სავადასახადო და არასავადასახადო შემოსავლების ნაწილი, ასევე სპეციალური დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს ქონება, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 23

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედით და ძალაში შედის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედებისთანავე.

მუხლი 24

საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში გადაწყვიტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემის სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხები ამ კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობისათვის მიკუთვნებული საკითხებისა და საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებული საკითხების გათვალისწინებით.

მუხლი 25

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2004 წლის 1 ოქტომბერი

კონსტიტუციური შეთანხმება

(სახელმწიფო – საქ. რესპუბლიკა და საქ. მართლმადიდებელი ეკლესია).

ტერმინთა განმარტება

1. სამოციქულო საყდარი – ეკლესია, რომელიც დაარსებულია ქრისტეს წმიდა მოციქულთა (ან მოციქულის) მიერ.

2. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია საეკლესიო კანონიკური ნორმით არსებულ ადგილობრივ (ავტოკეფალურ) მართლმადიდებელ ეკლესიათა სულიერი ერთობა, რაც ხორციელდება (გამოხატულია) საეკლესიო საიდუმლოებების ურთიერთშეცნობით და ეკლესიის მეთაურთა მიერ წირვა-ლოცვის დროს ურთიერთმოხსენიებით.

3. ავტოკეფალია – ადგილობრივი ეკლესიის სრული თვითმმართველობა; მმართველი ორგანოების არჩევისა და დანიშვნის, ასევე საეკლესიო ცხოვრების წარმართვის (წმინდა მირონის კურთხევა, კანონიკური განწირნებების გამოცემა და სხვა) დამოუკიდებლობა.

4. საეკლესიო კრება – მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება მღვდელმთავრებისაგან, სხვა სასულიერო პირთა დელეგატებისა და ერისკაცთა წარმომადგენლობისაგან.

5. წმიდა სინოდი – ადგილობრივი (საქართველოს) ეკლესიის მღვდელმთავართა კრება (კრებული), რომელიც ილებს ეკლესიის მართვა-გამგეობის შესახებ გადაწყვეტილებებს. წმიდა სინოდს ხელმძღვანელობს ეკლესიის მეთაური (კათოლიკოს-პატრიარქი).

6. კათოლიკოს-პატრიარქი – წმიდა სინოდის (საქართველოს ეკლესიის მმართველი და საკანონმდებლო ორგანოს) თავმჯდომარე და სამოციქულო საყდრის ხელმძღვანელი.

7. ქორეპისკოპოსი – კათოლიკოს-პატრიარქის მოადგილე სასულიერო პირი, რომელიც განაგებს საეკლესიო ცხოვრების გარკვეულ სფეროს. ქორეპისკოპოსს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს კათოლიკოს-პატრიარქი.

8. მღვიანი – კათოლიკოს-პატრიარქის თანაშემწე, რომელიც ასრულებს კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო დავალებებს. მღვიანთა რაოდენობას განსაზღვრავს კათოლიკოს-პატრიარქი.

9. სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი, სადაც ტარდება ადგილობრივი გაფართოებული კრებები, იკურთხება წმიდა მირონი, ხდება კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევა და ახლადარჩეული მღვდელმთავრების ხელდასხმა; ამავე დროს იგი არის უძველესი და უპირველესი საპატრიარქო კათედრა.

10.საპატრიარქო კათედრა – უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქს დაქვემდებარებული ანუ სტავროპიგიალური ტერიტორია (ქალაქი), სადაც არის კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია და საპატრიარქოს ან მისი რომელიმე სტრუქტურის ადგილსამყოფელი.

11. საპატრიარქო – კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით დადგენილ საეკლესიო განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ერთობლიობა.

12. საეკლესიო (კანონიკური) სამართალი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებისა და წესების ერთობლიობა (ეს გულისხმობს მოციქულთა კანონებს, მსოფლიო და ადგილობრივი კრებებისა და წმიდა მამების დადგენილებებს); ხოლო საქართველოს ეკლესიისათვის – ასევე ადგილობრივი ეკლესიის კრებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საქართველოს ეკლესიის დღეს მოქმედი მართვა-გამგეობის წესდება (დებულება), საქართველოს საეკლესო კრების, წმიდა სინოდის და კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გამოცემული განჩინებები და სხვა (საეკლესიო) სამართლებრივი აქტები.

13. აღსარება და საეკლესიო საიდუმლოება – სინანულის საიდუმლო, დაწესებული თვით იესო ქრისტეს მიერ. იგია სულიერი განწმენდის მიზნით უფლის წინაშე მოძღვართან ნებაყოფლობითი აღიარება ცოდვისა, რომლის სხვასთან თქმის უფლება სასულიერო პირს არა აქვს.

14 საეკლესიო საიდუმლოება – ეკლესიის კონფიდენციალური ინფორმაცია.

15. სასულიერო პირი – მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური წესით ხელდასხმული (ნაკურთხი) პიროვნება (მონოზონი, დიაკონი, მღვდელი, ეპისკოპოსი), რომელიც ამ ბრძოლის ინარჩუნებს, თუ არ

მოხდა მისი განკვეთა ეპისკოპოსის ან წმიდა სინოდის დადგენილებით.

16. სულიერი მოძღვარი – მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი, რომელიც ამა თუ იმ ადამიანისაგან იბარებს აღსარებას და წარმართავს მის სულიერ ცხოვრებას.

17. ჯვრისწერა – საეკლესიო საიდუმლოებათაგან ერთ-ერთი, რომლის აღსრულების შემდეგ საეკლესიო სწავლებით, ახლადდაქორწინებულთა ოჯახი ხდება კანონიერი.

18. ღვთისმეტყველება – საეკლესიო და სასულიერო-საგანმანათლებლო სწავლება ღმერთის შესახებ.

19. მონასტერი – ეპისკოპოსის კურთხევით დაარსებული ბერ-მონაზონთა სავანე, რომელიც ეპისკოპოსის მიერ დადგენილი ტიპიკონით (ცხოვრების წესი) ხელმძღვანელობს.

20. საეკლესიო საგანძური – საღვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების ნივთები (ფერწერული, ჭედური, მინაჭრის ხატი და ჯვარი; სანაწილე, პანაღია, ბარძიმ-ფეშხუმი, გარდამოხსნა), რომელთაც აქვთ ისტორიული მნიშვნელობა და მაღალმხატვრული ღირსება.

21. წმინდა ნაწილები – მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხილ მოწმეთა და მოღვაწეთა სხეულის ნაწილები.

22. წმინდა რელიკვია – მაცხოვრის, ღმრთისმშობლისა და წმიდანთა ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები და ნივთები.

23. საეკლესიო ნივთი – საღვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების საგნები.

24. ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგია – ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიაა შემდეგი სიტყვები: „საქართველოს სამოციქულო"; „...ავტოკეფალური"; „მართლმადიდებელი"; „პატრიარქი"; „წმიდა სინოდი".

25. საღვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქცია – ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი (კათოლიკოს-პატრიარქის ან მღვდელმთავრის რეზიდენციები, სასულიერო სასწავლებლები), – მათი პროექტირება, არქეოლოგია, მშენებლობა, რესტავრაცია-კონსერვაცია: საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთები (ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, სანაწილე, ოდიკი, გარდამოხსნა, ემბაზი, ანალოგია, შანდალი, ტაძუკი, ვარსკვლავი, საცეცხლური, სასამკვლე, კოხტა, საეკლესიო ნაბეჭდი, სკვნილი, კვერთხი, პანღია, სუდარა, სანათლაო, კვართი, სარტყელი, საეკლესიო სამშვენისი, ნაკურთხი წყლის, ღვინის, მიწის, ზეთისა და მირონის ჭურჭელი); ხატი, ჯვარი, საეკლესიო სანთელი, საღვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინო, საკმეველი, საკანდელე ზეთი, წმიდა წყალი, სეფისკვერი (სარიტუალო პური); სასულიერო პირის შესამოსელი; მომლოცველობა; საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო და სასულიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურა; ასევე ამ დანიშნულების ტელე-კინო-ვიდეო-აუდიო და რადიო პროდუქცია.

26. საღვთისმსახურო ქონება – ტაძრები, მონასტრები, საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი, წმიდა ნაწილები, წმიდა რელიკვიები, საეკლესიო ნივთები.

27. ეკლესიის ოფიციალური სიმბოლიკა – მოცემულია ეკლესიის მართვა-გამგეობის წესდებაში;

28. დიდი საეკლესიო დღესასწაულები:

– წმიდა ნინოს ხსენების დღე (27 იანვარი);

– მირქმა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (15 თებერვალი);

– ხარება ყოველაწმიდა ღვთისმშობლისა (7 აპრილი);

– საადგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომის კვირადღე (გარდამავალია);

– ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (გარდამავალია);

– საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე (12 მაისი);

– ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (19 აგვისტო);

– შობა ყოველაწმიდისა ღმრთისმშობლისა (21 სექტემბერი);

– ტაძრად მიყვანა ყოველაწმიდისა ღმრთისმშობლისა (4 დეკემბერი).

კონსტიტუციური შეთანხმება

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

– საქართველომ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში აღიდგინა ისტორიული ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ;

– საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. იგი მე-5 საუკუნიდან ავტოკეფალურია და მისი სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი და კათედრა მცხეთა, საპატრიარქო კათედრებია. აგრეთვე, თბილისი და ბიჭვინთა;

– მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;

– საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

– საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად

საქართველოს სახელმწიფო (შემდგომში სახელმწიფო), წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტით და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (შემდგომში ეკლესია), წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქით, დებენ კონსტიტუციურ შეთანხმებას (შემდგომში შეთანხმება):

მუხლი I

1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი

არიან დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში. რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.

3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს. — სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმინდა სინოდი და საქართველოს სამტრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მღვდლის სახით); ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.

5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.

6. როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

მუხლი 2

სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია, არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.

მუხლი 3

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ეკრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

მუხლი 4

1. სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში. სატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები.

მუხლი 5

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

2. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

მუხლი 6

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. ეკლესია თავის არასაეკლესიმსახურო ქონების ფლობას. სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

4. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.

5. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია — მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.

6. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტრიბინოლოგიის და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.

მუხლი 7

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიის შეთანხმებით.

მუხლი 8

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა).

2. ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმინდა ნაწილებისა და წმინდა რელიქვიების გარდა).

მუხლი 9

1. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქიტექტორული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ. ასევე კულტურულისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის,

რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის. პროექტებს.

მუხლი 10

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

მუხლი 11

1. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში). სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 183; 12.04.90).

2. აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად პარლამენტსა საწყისებზე იქმნება კომისია (ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს.

მუხლი 12

1. შეთანხმება შედგება წინამდებარე ტექსტისა და ტერმინთა განმარტებისაგან

2. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტის და წმინდა სინოდის დამტკიცებით.

3. შეთანხმებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

4. შეთანხმება ძალაში შედის პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებისთანავე.

საქართველოს სახელმწიფოს სახელით საქართველოს პრეზიდენტი

ე. შევარდნაძე

საქართველოს სამოციქულო აუტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

კონსტიტუციური წყობილება

სახელმწიფოს ორგანიზების ხერხი, რომელიც განმტკიცებულია მის კონსტიტუციაში და შემდგომ რეგლამენტაციას იღებს მიმდინარე კანონმდებლობაში. კონსტიტუციური წყობილება (ფართო გაგებით) – ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, იდეოლოგიური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელთა რეგულირებაც ძირითადად ხდება კონსტიტუციის ნორმებით, რომლებიც წარმოიქმნებიან ადამიანის, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი კავშირების, სახელმწიფო მოწყობის, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებით.

კონსტიტუციური წყობილების ცნების საფუძველში დევს სამი მთავარი კატეგორია

– ხელისუფლება, სუვერენიტეტი და პიროვნების თავისუფლება. კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებია უფუძვლებური საწყისები, რომლებიც შეადგენენ საკონსტიტუციო სამართლის მთელი სისტემის იდეურ და ნორმატიულ ბაზის. ისინი წარმოადგენენ საკონსტიტუციო სამართლის სუბიექტების ქცევის კონცენტრირებულად გამოხატულ და განზოგადებულ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: მმართველობის სახელმწიფო წყობის, პოლიტიკური რეჟიმის, ურთიერთობათა საკონსტიტუციო-სამართლებრივი რეგლამენტაციის განსაზღვრა საზოგადოების ძირითად ქვესისტემებში, მათი ურთიერთქმედების უზრუნველყოფით.

კონტინენტალური შელფი

– საზღვაო სივრცე, რომელიც რეგულირდება 1958 წ. კონვენციით კონტინენტალური შელფის შესახებ და 1982 წ. გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციით და მოიცავს ტერიტორიული ზღვის გარე საზღვრიდან საერთაშორისო სამართლის მიერ ფიქსირებულ საზღვრებამდე გაშლილ ზღვის ფსკერსა და წყალქვეშა რაიონების წიაღს. ზღვისპირა სახელმწიფოების უმრავლესობისთვის კონტინენტალური შელფის გარე საზღვარი გადის მატერიკის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარზე ან საწყისი საზებიდან ზღვის 200 მილის მანძილზე, რომელთაგანაც იზომება ტერიტორიული ზღვის სიგანე, თუნდაც, თუ მისი სამშელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელება არ ვრცელდება ასეთ მანძილზე. ფართო შელფის მქონე სანაპირო სახელმწიფოს მიერ არჩეული ფიქსირებული წერტილები კონტინენტალური შელფის გარე საზღერის ხაზის გასატარებლად უნდა იყოს საწყისი საზებიდან არაუშორეს 350 მილის მანძილზე, რომელთაგანაც იზომება ტერიტორიული ზღვის სიგანე ან არაუშორეს 100 მილისა 2500 მეტრიანი იზობატიდან იმ შემთხვევებში, როცა კონტინენტალური შელფი სცდება 200 მილის საზღვრებს. სანაპირო სახელმწიფო ასეთ შემთხვევაში უნდა იცავდეს რეკომენდაციებს, რომელიც შეიქმნა 1982 წლის კონვენციის საფუძველზე. ესაა კონტინენტალური შელფის საზღვრების კომისიის კონვენცია, რომელიც იყენებს რთულ ფორმულებს და ითვალისწინებს ოკეანის გარკვეული რაიონის სპეციფიკას. სანაპირო სახელმწიფო უნდა აწარმოებდეს გადარიცხვებს ან შენატანებს ნატურით 200 მილის ფარგლებს გარეთ კონტინენტალური შელფის არაცოცხალი რესურსების დამუშავებასთან დაკავშირებით (გადარიცხვების ოდენობა უნდა გაიზარდოს ყოველ მომდევნო წელს 1%-ით, მაქსიმალური დონის – 7% მიღწევამდე). გადარიცხვების ან შენატანებისგან თავისუფლებიან განვითარებული ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ კონტინენტალურ შელფზე სასარგებლო წიაღისეულის იმპორტს. სანაპირო სახელმწიფოს არ შეუძლია უარი თქვას საზღვაო სამეცნიერო კვლევების წარმოებაზე 200 მილზე ზემოთ კონტინენტალური შელფის ნაწილში.

კონტინენტალური შელფის საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმი არ ეხება მისი დამფარავი წყლების და ამ წყლებზე საჰაერო სივრცის სამართლებრივ სტატუსს. სანაპირო სახელმწიფო კონტინენტალურ

შელფზე ახორციელებს სუვერენულ უფლებებს მისი ბუნებრივი რესურსების (ზღვის ფსკერისა და მისი წიაღის მინერალური და სხვ. რესურსები, ასევე ცოცხალი ორგანიზმების „დამჯდარი“ სახეობები) დამუშავების მიზნით, რაც არ უნდა იწვევდეს გაუმართლებელ დარღვევებს თავისუფალი ნაოსნობის განხორციელებაში, ასევე წყალქვეშა კაბელებისა და მილსადენების გაყვანის მხრივ (გაყვანის ტრასა უნდა შეთანხმდეს სანაპირო სახელმწიფოსთან). ეს უფლებები წარმოადგენს განსაკუთრებულს იმის მიუხედავად, ახორციელებს თუ არა მათ რეალიზებას სანაპირო სახელმწიფო, სხვას არავის არ შეუძლია ამის განხორციელება სანაპირო სახელმწიფოს გამოხატული თანხმობის გარეშე.

კონტრაბანდა – საბაჟო საზღვარზე, მისი გვერდის აქლით ან საბაჟო იდენტიფიკაციის დოკუმენტებისა თუ საშუალებების მოტყუებითი გამოყენებით ან არადეკლარირებულია თუ საეჭვო დეკლარირებით ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული, ძლიერმოქმედი, შხამიანი, მომწამვლელი, რადიოაქტიური და ასაფეთქებელი ნივთიერებების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობების, ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ვაზნების, საბრძოლო მასალების (გარდა გლუვლულიანი მონადირის იარაღისა და მისი ვაზნებისა); ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და მასობრივი განადგურების იარაღის სხვა სახეების, მის შესაქმნელად გამოსაყენებელი მასალებისა და მოწყობილობის; სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის; ხალხებისა და უცხო ქვეყნების მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური მონაპოვარის საგნების გადატანა საჯარო თანამდებობის პირის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან საბაჟო კონტროლის გარკვეული ფორმებისგან განთავისუფლებული პირის ან საბაჟო კონტროლის გარკვეული ფორმებისგან თავისუფალი ცალკეული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე გადატანაზე უფლებამოსილი პირის ან კონტრაბანდისთვის ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ. კონტრაბანდად ითვლება ასევე ხალხებისა და უცხო ქვეყნების მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური მონაპოვარის საგნების საბაჟო ტერიტორიაზე არდაბრუნება, რომლებიც საზღვრებს გარეთაა გატანილი, თუ ასეთი დაბრუნება წარმოადგენს სავალდებულოს. კონტრაბანდა ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

კონსულთა რანგები საკონსულო თანამდებობის პირთა სამსახურებრივი წოდებები. საქართველოს კანონმდებლობით, საკონსულო დაწესებულებათა მეთაურები იყოფა ოთხ კლასად: გენერალური კონსული, კონსული, ვიცეკონსული და საკონსულოს აგენტი (საქართველოს 1994 წლის 22 ნოემბრის კანონი საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ, მუხლი 6).

კონსული [ლათ. consul] 1) ძვ. რომში რესპუბლიკის ეპოქაში ორი არჩევითი უმაღლესი პირის (უმაღლესი მაგისტრის) ტიტული, რომლებიც ცენტურიულ კომიციებში ერთი წლის ვადით ირჩეოდნენ, თანაც წლების ათვლის სისტემაში წლები მხართველი კონსულების სახელებით აღინიშნებოდა; იმპერიის პერიოდში – მხოლოდ საპატიო წოდება; 2) საფრანგეთში 1799–1804 წწ-ში სამი პირის ტიტული, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე შეუზღუდავი საჯარო-სამართლებრივი ძალაუფლებით სარგებლობდნენ; ფაქტიურად მთელი ხელისუფლება პირველ კ-ს ნაპოლეონ ბონაპარტეს ეკუთვნოდა, რომელმაც 1804 წ-ს თავი იმპერატორად გამოაცხადა; 3) თანამდებობის პირი, რომელიც რ-მე ქალაქის ან სხვა სახელმწიფოს რაიონის მუდმივ წარმომადგენლად ინიშნებოდა საკუთარი სახელმწიფოს ან მოქალაქეების იურიდიული და ეკონომიკური ინტერესების დასაცავად, პასპორტებისა და ვიზების გასაცემად, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების საწარმოებლად,სანოტარო ფუნქციების განსახორციელებლად, დოკუმენტების ლეგალიზაციისთვის და ა.შ.

კონსულის [< კონსული] კონსულთან კავშირში, მის კომპეტენციაში მყოფი ან მისი კუთვნილი; კ. ოლქი – კონსულის მოღვაწეობის რაიონი, რომელიც სახელმწიფოთშორისო შეთანხმების საფუძველზე დგინდება; ამ ოლქის საზღვრები კ. პატენტშია მითითებული; კ. პატენტი – მოწმობა, რომელიც ამტკიცებს კონსულის უფლებამოსილებას; შეიცავს მის სრულ სახელს, კლასს, კ. ოლქს და საკონსულოს ადგილმდებარეობას; კ. სამართალი – ერთენული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს კონსულის მოღვაწეობას, მათ პრივილეგიებსა და იმუნიტეტს, კონსულების ურთიერთობის წესს; კ. იურისდიქცია – ნახევრადკლონიურ ქვეყნებში არსებული უცხოელების ხელშეუხებლობა და მათზე ადგილობრივი სამართლის უმოქმედობა, მათი საქმეების საკუთარი ქვეყნის კონსულის მიერ განხილვა.

კონსულტანტი [ლათ. consultans (consultantis) მრჩეველი] რ-მე საქმიანობის სპეციალისტი, რომელიც რჩევებსა და დასკვნებს იძლევა საკუთარი სპეციალობის ან კომპეტენციის საკითხებში.

კონსულტაცია [ლათ. consultatio თათბირი] 1)სპეციალისტის მიერ მიცემული რჩევა, განმარტება; 2) სპეციალისტების თათბირი რ-მე საკითხთან დაკავშირებით; 3) დაწესებულება, რომელიც დახმარებას უწევს მოსახლეობას შესაბამისი სპეციალისტების კონსულტაციით, მაგ. იურიდიული კ.; 4) დამატებითი დახმარება, რომელსაც პედაგოგი მოსწავლეებს უწევს საგნის ათვისებაში.

კონსულტაციური [< ლათ. consultare მოთათბირება] სათათბირო; კ. პაქტი – საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოლაპარაკების მაწარმოებელი მხარეები მოვალენი არიან ითათბირონ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

კონსულტირება [< კონსულტაცია] 1) რ-მე საკითხის გარშემო განსწავლულ პირებთან კონსულტაციის ჩატარება; 2) ვინმესთვის პროფესიონალური რჩევების მიცემა.

კონტრაბანდისტი [ესპ. contrabandista] პირი, რომელიც კონტრაბანდისტობას ეწევა; ქვეყანათა უმეტესობაში ექვემდებარება სამართლებრივ დევნას.

კონტრაბასი [იტ. contrabasso] ზომით ყველაზე დიდი და ფლერადობით ყველაზე დაბალი ძველებური ხემიანი მუს. ინსტრუმენტი; შეიქმნა XVII ს-ის შუა წლებში კონტრაბასული ვიოლას და გამბას საფუძველზე.

კონტრაბანდი [ლათ. contrahens (contrahentis) მოშლაარაკანონი] ყველი მხარე ხელშეკრულებაში ერთმანეთთან მიმართებაში.

კონტრადმირალი [ლათ. contra წინააღმდეგ +ადმირალი] ადმირალის ყველაზე დაბალი წოდება, რომელიც პირველი რანგის კაპიტნის წოდებას მოსდევს და წინ უსწრებს ვიცე-ადმირალის წოდებას; შეესაბამება სამხედრო ან საჰაერო ძალების გენერალმაიორს.

კონტრაქტაციის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ვალდებულია მის მიერ გამოყვანილი (წარმოებული) სოფლის მეურნეობის პროდუქცია გადასცეს დამაშზადებელს – პირს, რომელიც ახორციელებს ასეთი პროდუქციის შესყიდვას გადამუშავებისთვის ან გასაყიდად. კონტრაქტაციის ხელშეკრულება წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ნაირსახეობას და ახლოსაა მიწოდების ხელშეკრულებასთან. კონტრაქტაციის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქცია (მემცენარეობის, მეცხოველეობის პროდუქცია და სხვ.) და მისი გადამუშავების პროდუქტები ე.ი. გარკვეული გეოგრაფიული ნიშნებით განსაზღვრული ნივთები. როგორც წესი, კონტრაქტაციის ხელშეკრულება ეხება მომავალ ნივთებს (მომავალ მოსავალს და ა.შ). კონტრაქტაციის ხელშეკრულების არსებით პირობებს წარმოადგენს საგანი (მათ შორის, პირობა ასორტიმენტის შესახებ) და ვადა, რაც უმეტესწილად, განისაზღვრება ბუნებრივი ფაქტორებით და როგორც წესი, ის ზუსტად არ ემთხვევა ხელშეკრულების დადების მომენტს. დამაშაბადებელი ვალდებულია მიიღოს სოფლის მეურეობის პროდუქცია მწარმოებლისგან მისი განთავსების ადგილას და უზრუნველყოს მისი გატანა, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული ხელშეკრულებით. კონტრაქტაციის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს დამამზადებლის ვალდებულებას მწარმოებელს დაუბრუნოს, მისი მოთხოვნით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისგან მიღებული ნარჩენები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფასად. ვალდებულების არშემსრულებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ან მისი არასათანადოდ შემსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ მისი ბრალის არსებობისას. იხ. ასევე მიწოდების ხელშეკრულება, საჭონლის ასორტიმენტი, საქონლის ხარისხი.

კონტრაქტი – წერილობითი პირობა, შეთანხმება კანონიერი წესით. ტერმინი „კონტრაქტი" შრომის სამართალში გაჩნდა პოსტსაბჭოთა დროში და ის არსებითად ნიშნავს შრომითი ხელშეკრულების გარკვეულ სახეს. კონტრაქტი შეიძლება დადებულ იქნეს სახელმწიფო მოსამსახურეებთან, შემოქმედებით მუშაკებთან, ტელე- და რადიოკომპანიების სპეციალისტებთან და სხვა მუშაკებთან, რომლებიც პირდაპირ არიან მითითებულნი მათ შესახებ სპეციალურ კანონმდებლობაში. ამგვარად, კონტრაქტი ესაა შრომითი ხელშეკრულების სახეობითი ცნება. ყველაივე, რაც ეხება შრომით ხელშეკრულების ცნებას, შინაარსს, მნიშვნელობას, მხარეებს განეკუთვნება კონტრაქტს, როგორც შრომითი ხელშეკრულების განსაკუთრებულ ახალ სახეს.

კონტროლი ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში – 1) ეკოლოგიური კონტროლის შემადგენელი ნაწილი; 2) მართვის ფუნქცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში; კონტროლი ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში იყოფა სახელმწიფოდ, საწარმოოდ, საუწყებოდ, საზოგადოებრივად. სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობათა ყველა მონაწილის მიერ ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების გამოყოფაზე და მასზე მავნე ფიზიკურ ზემოქმედებების ნებართვებით დადგენილი პირობები; ატმოსფერული ჰაერის დაცვის სტანდარტების, ნორმების, წესებისა და სხვა მოთხოვნების, მათ შორის, ატმოსფერული ჰაერის დაცვის საწარმოო კონტროლის განხორციელების; ატმოსფერულ ჰაერში მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერებების გამოყოფის სტაციონარული წყაროების მჭრნე ობიექტების სანიტარული დაცვის ზონების რეჟიმის; ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნობრივი პროგრამების შესრულების; ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში კანონმდებლობის სხვა მოთხოვნების დაცვა. სახელმწიფო კონტროლი ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში აღსრულებელი ხელისუფლების სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

კონტროლი გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში – იხ. ეკოლოგიური კონტროლი.

კონტროლი მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში – 1) ეკოლოგიური კონტროლის შემადგენელი ნაწილი; 2) მართვის ფუნქცია მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში; კონტროლი მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში იყოფა სახელმწიფოდ, საწარმოოდ, საუწყებოდ და საზოგადოებრივად. სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში უზრუნველყოს მიწის კანონმდებლობის, მიწების გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნების, ნორმების, წესების დაცვა მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიერ.

კონტროლი ტყეების გამოყენებისა და დაცვის დარგში – 1) ეკოლოგიური კონტროლის შემადგენელი ნაწილი; 2) მართვის ფუნქცია ტყის ფონდის გამოყენების, დაცვისა და ტყეების აღდგენის დარგში. კონტროლი ტყეების გამოყენებისა და დაცვის დარგში იყოფა სახელმწიფოდ, საწარმოოდ, საუწყებოდ, საზოგადოებრივად. ტყეების გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს ყველა იურიდიული პირისა და მოქალაქის მიერ ტყის ფონდის გამოყენების დადგენილი, მთავარი გამოყენების, შუალედური გამოყენების და სხვა სახის მოჭრის წესების, ასევე კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულება. სახელმწიფო კონტროლი ტყეების გამოყენებისა და დაცვის დარგში ხორციელდება სატყეო მეურნეობის მართვისა და მისი ტერიტორიული, ბუნებრივი გარემოს დაცვის დარგში სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

კონტროლი ცხოველთა სამყაროსა და მათი სამყოფელი გარემოს დაცვის, გამოყენებისა და აღდგენის დარგში – 1) ეკოლოგიური კონტროლის შემადგენელი ნაწილი; 2) მართვის ფუნქცია ცხოველთა სამყაროსა და მათი სამყოფელი გარემოს დაცვის, გამოყენებისა და აღდგენის დარგში; ცხოველთა სამყაროს კონტროლი იყოფა სახელმწიფოდ, საწარმოდ, საუწყებოდ, საზოგადოებრივად. ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა ყველა იურიდიული პირისა და მოქალაქის მიერ ცხოველთა სამყაროს ობიექტების დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა.

კონტროლი წიაღის გეოლოგიური შესწავლის, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის დარგში – 1) ეკოლოგიური კონტროლის შემადგენელი ნაწილი; 2) მართვის ფუნქცია წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში. კონტროლი წიაღის გეოლოგიური შესწავლის, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის დარგში იყოფა სახელმწიფოდ, საწარმოო საუწყებოდ, საზოგადოებრივად. სახელმწიფო კონტროლს წიაღის გეოლოგიური შესწავლის, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის დარგში გააჩნია წიაღის ყველა გამომყენებლის მიერ წიაღის გამოყენების დადგენილი წესის, წიაღის გეოლოგიური შესწავლის, გამოყენებისა და დაცვის დარგში კანონმდებლობის, სტანდარტების (ნორმების, წესების), სახელმწიფო აღრიცხვისა და ანგარიშების წარმოების წესების დაცვის უზრუნველყოფის ამოცანა. ყოველივე ეს კი ხორციელდება სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის და სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოების მიერ ბუნების დაცვისა და სხვა საკონტროლო ორგანოებთან ურთიერთქმედებაში.

კონტროლი წყლების გამოყენებისა და დაცვის დარგში 1) ეკოლოგიური კონტროლის შემადგენელი ნაწილი; 2) მართვის ფუნქცია წყლების გამოყენებისა და დაცვის დარგში; კონტროლი წყლების გამოყენებისა და დაცვის დარგში იყოფა სახელმწიფოდ, საწარმოო საუწყებოდ, საზოგადოებრივად. წყლების გამოყენებისა და დაცვის დარგში კონტროლის ამოცანაა წყლების ურთიერთობათა ყველა მონაწილის მიერ წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის წესის, წყლების გამოყენების ლიმიტის, წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში სტანდარტების, ნორმატივებისა და წესების, წყლის დაცვის ზონების ტერიტორიათა გამოყენების რეჟიმის, წყლის კანონმდებლობის სხვა მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო კონტროლი წყლების გამოყენებისა და დაცვის დარგში ხორციელდება ამ სფეროში მართვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში.

კონტრსტალიური დრო – საზღვაო სამართალში ხომალდის პორტში დასატვირთად ლოდინის დამატებითი დრო, რომელიც დგინდება სტალიური დროის დასრულების შემდეგ. კონტრსტალიური დრო იანგარიშება კალენდარულ დღეებში, საათებში და წუთებში სტალიური დროის დასრულების მომენტიდან. კონტრსტალიურ დროში შედის კლირის და ოფიციალურად დღესასწაულებად გამოცხადებული დღეები, რომლებიც პორტში უქმე დღეებადაა ცნობილი, ასევე შესვენებები ტვირთის მიწოდებაში, რაც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით ან ჰიდრომეტეოროლოგიური პირობებით, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ტვირთის დაცულობას ან ხელს უშლიან მის უსაფრთხო დატვირთვას. დრო, რომლის განმავლობაშიც ტვირთის დატვირთვა არ ხდებოდა გადამზიდავზე დამოკიდებული მიზეზების გამო, არ ითვლება კონტრსტალიური დროის ანგარიშში. უბრალო ხომალდებზე კონტრსტალიური დროის მანძილზე ტვირთის მფლობელი გადამზიდავს უხდის დემერეჯს. გადამზიდავს უფლება აქვს კონტრსტალიური დროის ამოწურვის შემდეგ ხომალდი გაგზავნოს ნაოსნობაში, თუნდაც, თუ მთელი შეპირებული ტვირთი დატვირთული არაა ხომალდზე გადამზიდავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამასთან, გადამზიდავი ინარჩუნებს სრული ფრახტის მიღების უფლებას. იხ. ასევე ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება, ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება.

კონფიდენციალური ინფორმაცია – დოკუმენტირებული ინფორმაცია, რომლის წვდომაც იზღუდება კანონმდებლობის შესაბამისად. კონფიდენციალური ინფორმაციის შემადგენელი ცნობების ჩამონათვალში შედის: 1) ცნობები მოქალაქეების პირადი ცხოვრების ფაქტების, გარემოებებისა და მოვლენების შესახებ, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს მისი პიროვნების იდენტიფიკაცია (პერსონალური მონაცემები); 2) გამოძიებისა და სამართალწარმოების საიდუმლოების შემადგენელი ცნობები; 3) საქსახურებრივი ცნობები, რომელთა წვდომაც შეზღუდულია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად; 4) პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ცნობები, რომელთა წვდომაც შეზღუდულია კონსტიტუციის შესაბამისად (მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო გზავნილების, სატელეგრაფო და სხვა ცნობების, საადვოკატო, საექიმო, სანოტარო საიდუმლოება); 5) კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ცნობები, რომელთა წვდომაც შეზღუდულია სამოქალაქო კოდექსისა და კანონის შესაბამისად (კომერციული საიდუმლოება); 6) ცნობები გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შესახებ მათზე ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებამდე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ კოდექსში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პერსონალურ მონაცემებთან მოპყრობის წესის დარღვევაზე, შეზღუდული წვდომის ინფორმაციის გახმაურებაზე.

კონფისკაცია – სახელმწიფო საკუთრების უფლების მოპოვების წარმოებული ხერხი, რომელიც მდგომარეობს მესაკუთრისთვის ქონების აუნაზღაურებელ ჩამორთმევაში სანქციის სახით. დანაშაულის ჩადენაზე ან სხვა სამართალდარღვევებზე. ზოგადად, კონფისკაცია ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კონფისკაცია შეიძლება განხორციელდეს ადმინისტრაციული წესით. ადმინისტრაციული წესით მიღებული გადაწყვეტილება კონფისკაციის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში. კონფისკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით.

კონფლიქტი [ლათ. conflictus შეჯახება] საპირისპირო ინტერესების, შეხედულებების, მისწრაფებების შეჯახება; ჩხუბი, სეროზული უთანხმოება, კამათი, რომელმაც შეიძლება გართულება გამოიწვიოს; მხატერული კ. – იგივეა, რაც მხატერული კოლიზია.

კონფლიქტური [< კონფლიქტი] კონფლიქტთან კავშირში მყოფი, მისი ხასიათის მატარებელი; კ. ალმასები – ჟერიკული ალმასები, რომლებსაც ავკანკებულები მიაწოდებენ მსოფლიო ბაზარზე მიღებული თანხებით სამთავრობო ჯარებთან ბრძოლებში გამოსაყენებლად (ზოგჯერ გაერო-ს უსაფრთხოების საბჭო აწესებს ემბარგოს ასეთი ალმასების შესყიდვაზე, როგორც ეს მაგ. 2000 წ-ს მოხდა სიერა-ლეონესთან მიმართებაში); კ. კომისია – კომისია, რომელიც დაკავებულია კამათებისა და უთანხმოებების (კონფლიქტების) გადაჭრით, რომლებიც გარკვეული საკითხების გარშემო წარმოიშვება, მაგ. სამუშაოს მიძღებისა და მომუშავეს შორის.

კორდელიერები [ფრ. cordeliers < corde თოკი] 1)ფრანცისკანელების სამონაზონო ორდენის განშტოება; 2) 1790–1794 წწ-ში ფრანგული პოლიტიკური კლუბის „ადამიანისა და მოქალაქეების უფლებათა საზოგადოების" წევრები, რომლებიც კ-ს ყოფილ მონასტერში იკრიბებოდნენ (მათ შორის ჟან დანტონი, კ. დემულენი, ჟ.მარატი, ჭებერი); კ. მონაწილეობდნენ ტერორდისტებთან ბრძოლაში.

კორეალური [< ლათ. correus თანამზრახველი] კ. ვალდებულება – სამოქალაქო სამართალში კ. ეალდებულებაა, რომელის შესრულება ყველა მოვალეს ერთად და ცალკე აღებულს ეკისრება.

კონცესია [ლათ. concessio თანხმობა, ნებართვა; დათმობა] 1) ხელშეკრულება სახელმწიფოს მიერ ბუნებრივი რესურსების, საწარმოების და სხვ. სამეურნეო ობიექტების საექსპლუატაციოდ დროებითი გადაცემის შესახებ; 2) თვით საწარმო, რომელიც ამ ხელშეკრულების საფუძველზეა ორგანიზებული.

კონცესიონერი [< კონცესია] პირი ან საწარმო, რომელსაც კონცესია გაჩნია.

კონცესური ხელშეკრულება ხელშეკრულება, რომლის ძალით სახელმწიფო თავის ბუნებრივ რესურსებს, საწარმოებს და სხვა ობიექტებს გარკვეული პირობით საექსპლოატაციოდ გადასცემს უცხოეთის ფირმას.

კონცეფცია [ლათ. conceptio აღქმა] 1)შეხედულებების სისტემა ამა თუ იმ მოვლენებზე, მათი გაშუქების წარმმართველი იდეა; რ-მე მოვლენების განხილვის ხერხი, რ-მეს გაგების გარკვეული ხერხი; 2) ძირითადი აზრი ან წარმმართველი ჩანაფიქრი, სხვადასხვა სახის საქმიანობის ან სხვადასხვა შემოქმედებითი მოღვაწეების (მხატერების, მწერლების, მეცნიერების და სხვ.) კონსტრუქციული პრინციპი.

კოოპერატივი [< ლათ. cooperatio თანამშრომლობა] პირების გაერთიანება ერთობლივი ეკონომიკური, სამშენებლო ან სხვა საქმიანობისთვის, რომელიც ემყარება მონაწილეობრივ გაერთიანებას, მაგ. სამოქალაქო კ. აერთიანებს კომპაქტურად განთავსებული ატელიეებისა და უზრუნველყოფს მათ დაცვას, გზებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობას, ელექტროენერგიის გადასახადის გადახდას და ა.შ.

კოოპერაცია [ლათ. cooperatio თანამშრომლობა] 1) ნებაყოფლობითი ამხანაგობა, რომელიც დახმარებას უწევს თავის წევრებს მეურნეობის გაძღოლაში; მნიშვნელოვანი გავრცელება ჰპოვა სამუშაოლოგამსაღებლურმა კ-მ სოფლის მეურნეობაში; 2) კოოპერირება; ხანგრძლივი და მდგრადი ურთიერთობების სისტემა დამოუკიდებელ საწარმოებს, აგრ. ქვეყნებს შორის, რომლებიც დაკავებული არიან პროდუქციის ერთობლივი დამზადებით მათი სპეციალიზაციის საფუძველზე..

კოოპერირება [< ლათ. cooperatio თანამშრომლობა] იგივეა, რაც კოოპერაცია (2); ვითარდება საზოგადოებრივი შრომის განაწილების და წარმოების სპეციალიზაციის საფუძველზე.

კოოპტაცია [ლათ. cooptatio დამატებითი არჩევა] არჩევით ორგანოში ახალი წევრების ან კანდიდატების შეყვანა დამატებითი არჩევნების ჩატარების გარეშე.

კოორდინატები [ლათ. co ერთად+ordinatus გარკვეული, მოწესრიგებული] 1) რიცხვები, რომლებიც განაპირობებენ წერტილის განლაგებას სიბრტყეზე ან სივრცეში; ასტრონომიული კ. – რიცხვები, რომლებიც განსაზღვრავენ მნათობის განლაგებას ცაურ სფეროში ან რ-მე ობიექტის მდებარეობას ცაური სხეულის ზედაპირზე; კ-ს წერტილებს მზის ზედაპირზე პლანიგრაფიული ეწოდება, მთვარის ზედაპირზე – სელენოგრაფიული; გეოგრაფიული კ. – გრძედი, განედი და მიცემული წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; პოლარული კ. – სიდიდეები, რომლებიც განსაზღვრავენ წერტ ილის განლაგებას სიბრტყეზე: ამ წერტილის დამორებულობას რ-მე წერტილპოლუსიდან, რომელიც მიცემულ წრეზეა (პოლარულ ღერძზე) მიმაგრებული და კუთხე პოლარულ ღერძსა და წერტ შორის, რომელიც პოლუსს გარკვეულ წერტილთან აკავშირებს; სივრცეში პოლარული კ-ს ანალოგებია ცილინდრული კ. და სფერული კ.; 2) ცნობები ე-მეს ან რ-მეს ადგილსამყოფელის შესახებ: მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვ.

კონფისკაცია [ლათ. confiscatio ხაზინისთვის წართმეული] 1) მთელი ქონების ან მისი ნაწილის იძულებითი და სამუდამო გასხვისება სახელმწიფოს სასარგებლოდ; XVIII–XX სს-ის რევოლუციების მსვლელობაში რიგ ქვეყნებში კონფისკაცია გაუკეთდა მემამულეების მიწებს; თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსში კ. სასჯელის დამატებით ფორმას წარმოადგენს; ადმინისტრაციული სასჯელის სახით ხდება დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული ნივთის კ.; შად. რეკვიზიცია; 2) ბეჭდვითი პროდუქციის ბრუნვიდან ამოღება.

კორეხიდორი – ფეოდალურ ესპანეთში ქალაქის ან პროვინციის მმართველი და მოსამართლე, მეფის მიერ დანიშნული.

კორეტი – 1. ზარბაზნებით აღჭურვილი სამხედრო გემი მე-17 – მე-19 საუკუნეებში. 2. მეორე მსოფლიო ომის დროს (1939-1945 წლებში) ამერიკისა და ინგლისის ფლოტებში ერთგვარი სადარაჯო გემი.

კორპუს დელიქტი [ლათ. corpus delicti] სამხილების ერთობლიობა; დანაშაულის შემადგენლობა; ნივთმტკიცებულებათა ნაკრები.

კორპორაციული იურიდიული პირი – განვითარებულ ქვეყნებში სამეწარმეო საქმიანობის ფართოდ გავრცელებული ფორმა, რომელიც თავალისწინებს წილობრივ საკუთრებას, და მმართველობითი ფუნქციების კონცენტრაციას დაქირავებული პროფესიონალური მმართველების (მენეჯერების) ზედა ეშელონის ხელში. აშშ-სა და სხვა ქვეყნების სამართალში ტერმინით „კორპორაცია" ჩვეულებრივ აღინიშნება იურიდიული პირი, ორგანიზაცია. ამ ტერმინით სარგებლობენ ყოველთვის, როცა უნდათ ხაზი გაუსვან ორგანიზაციულ სიმთლიანეს და სამოქალაქო ბრუნვაში დამოუკიდებელი მონაწილეობის შესაძლებლობას. კორპორაციები ამერიკის შეერთებულ შტატებში იყოფა ოთხ ჯგუფად: საჯარო (public), კვაზისაჯარო (quasipublik) ანუ კერძო კორპორაცია საჯარო ფუნქციებით, სამეწარმეო (business) და არასამეწარმეო (non-profit), შეიძლება იყოს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო. კორპორაციების იურიდიული სტატუსი განაპირობებს მათი მოგების დაბეგვრის სისტემას.

კერძო სადაზღვევო კორპორაციის მაგალითს წარმოადგენს ლლოიდის სადაზღვევო კორპორაცია, რომელიც წარმოიშვა XVII საუკუნეში, როგორც კერძო ორგანიზაცია. 1871 წლიდან ოფიციალურად არის რეგისტრირებული, როგორც სადაზღვევო კორპორაცია და ატარებს ყველა სახის სადაზღვევო ოპერაციას. შედგება რამდენიმე სინდიკატისგან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კერძო კორპორაცია წარმოადგენს საკუთარ საზოგადოების ნაირსახეობას, რომელშიც აქციონერთა რაოდენობა მცირეა, მხოლოდ აქციების დიდი უმრავლესობა (ჩვეულებრივ 80-90%) ეკუთვნის ერთ მფლობელს, აქციონერთა ვიწრო ჯგუფს ან ერთი ოჯახის წევრებს. უმრავლეს შემთხვევაში აქციების ემისია მიზნად არ ისახავს ფინანსური რესურსების მობილიზაციას. საქმე იმაშია, რომ აშშ-ში კორპორაციული ფორმა იურიდიული თვალსაზრისით უფრო მოგებიანია. კერძო კორპორაციების საკუთარ ბაზარი, როგორც ასეთი, არ არსებობს, რადგანაც აქციების ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ატარებენ ეპიზოდურ ხასიათს. აშშ-ში ზოგიერთი კორპორაცია მსხვილი ფირმაა, მაგრამ უმრავლესობა (2 მილიონამდე) წარმოადგენენ წვრილ და უწვრილეს კომპანიებს.

არსებობს კორპორაციების სხვა ტიპებიც:

1. დახურული ტიპისაა კორპორაცია, რომლის აქციები თავმოყრილია პირთა მცირე წრის ხელში და თავისუფლად არ იყიდება.

2. ფინანსური კორპორაციის სახელწოდებით ცნობილია საწარმოები, დაკავებული ფინანსური შუამავლობით, ან სხვა სახის ფინანსური საქმიანობით.

3. ტრანსნაციონალური კორპორაცია – მსხვილი კორპორაცია, რომელსაც გააჩნია უცხოური აქტივები. ტრანსნაციონალური კორპორაციების ორგანიზაციული სტრუქტურა ემყარება სათავო კომპანიის მიერ ყველა დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსის მქონე სტრუქტურული ქვედანაყოფის კონტროლს, დამყარებულს მონაწილეობის პრინციპზე.

ტერმინი „კორპორაციული სამართალი" ორი მნიშვნელობით გამოიყენება: 1) როგორც სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ნაწილი, სამეურნეო საზოგადოებების და კოოპერატივების სამართლებრივი სტატუსის, შექმნის და ფუნქციონირების მარეგულირებელი იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა. ამ გაგებით კორპორაციული სამართალი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საქციონერო სამართალი, რადგან საქციო საზოგადოებების გარდა მისი ნორმები ეხება კომერციული ორგანიზაციების სხვა ფორმებსაც. 2) საწარმოს (კომერციული ორგანიზაციის) მესაკუთრის ან ადმინისტრაციის მიერ დადგენილ წესთა შინაგანი სისტემა, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს დაკავშირებულს შრომით შინაგანაწესთან, პრემირების პირობებთან და ა.შ.

კორუფცია [ლათ. corruption] თანამდებობის პირებისა და პოლიტიკოსების მოქრთამვა; თანამდებობის პირების მიერ საკუთარი სამსახურეობრივი მოვალეობის გამოყენება პირადი გამდიდრების მიზნით; სახელმწიფოთა უმეტესობაში იდევნება კანონით.

კრედიტი (credit) – კრედიტი წარმოადგენს სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმას, სესხის ფულადი ფორმით ან საქონლის სახით დაბრუნების და სასყიდლიანობის (პროცენტის გადახდის) პირობით. კრედიტის ფორმებია: კომერციული, სახელმწიფო, საბანკო, საერთაშორისო და სხვ. ვადების მიხედვით კრედიტი შეიძლება იყოს მოკლევადიანი (1 წლამდე), საშუალოვადიანი (2-7 წელი), და გრძელვადიანი. განვიხილოთ კრედიტების ზოგიერთი საინტერესო ფორმა.

1. კომერციული კრედიტის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ წარმოების და კაპიტალის ბრუნვის დროის პერიოდები არ ემთხვევა ერთმანეთს. ამ შემთხვევაში საქონლის კრედიტში გაყიდვა ხელს უწყობს წარმოების პროცესის უწყვეტობას, კაპიტალის ბრუნვის აჩქარებას და მოგების ზრდას. კომერციული კრედიტი ჩვეულებრივ მოკლევადიანია.

2. სახელმწიფო კრედიტი გაიცემა სახელმწიფოს მიერ, შეიძლება იყოს საშინაო და სახელმწიფოთაშორისო.

3. საბანკო კრედიტი ეძლევათ მეწარმეებს, საწარმოებს ფულადი სესხის სახით.

4. სამომხმარებლო კრედიტი ეძლევა მოსახლეობას პირადი მოხმარების ნივთების განვადებით შეძენისთვის. რიგ ქვეყნებში კრედიტი მოქალაქეებს ბინის ან სახლის ყიდვისთვისაც ეძლევათ.

5. საგარეო საეაჭრო კრედიტი ეს არის მსოფლიო ბაზარზე ღირებულების მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა. გამოიხატება იმაში, რომ საქონელი და მომსახურება ეძლევა განვადებით ან გარკვეული ფულადი თანხები და მატერიალური ღირებულებები გადაეცემა დაბრუნების და პროცენტის გადახდის პირობით. თავისი დანიშნულებით საგარეო საეაჭრო კრედიტი შეიძლება იყოს საექსპორტო და საიმპორტო. პირველი ეძლევა ექსპორტიორს დამატებითი სახსრების სახით წარმოების პროცესის გასაგრძელებლად. გაიცემა სატვირთო და სხვა საჭირო საბუთების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ საექსპორტო ოპერაციის ჩატარებას. საიმპორტო კრედიტი ემსახურება შემოტანილი საქონლის დამატებითი ღირებულების გადახდას. საგარეო საეაჭრო კრედიტი შეიძლება იყოს კომერციული, როცა კრედიტს

გასცეს თვით კომპანია მიმწოდებელი, ან საბანკო, იმ შემთხვევაში, თუ კრედიტს გასცემს ბანკი გარკვეულ დოკუმენტაციის საფუძველზე.

6. შეღავათიანი კრედიტები ეძლევა ძირითადად განვითარებად ქვეყნებს საბაზროზე ნაკლები განაკვეთებით, ხშირად მიღებულზე უფრო ხანგრძლივი ვადით.

7. revocable letter of credit — ანუ გამოსხმობადი კრედიტი შეიძლება გამოსხმობილ იქნას უკან ნებისმიერ დროს წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

8. სარეეესტრო კრედიტი — ეს არის საკრედიტო ხაზი რომლითაც სახსრები შეიძლება აღებულ იქნას სესხად ნებისმიერ მომენტში გარკვეული ლიმიტის ფარგლებში დამატებითი მოლაპარაკებების გარეშე. ეს ხელსაყრელი ფორმაა ორივე მხარისთვის, რადგან იძლევა დროის და სახსრების ეკონომიას. ამასთანავე კრედიტორი გარკვეულ რისკს იღებს თავზე, რადგან საბაზრო კონიუნქტურის უეცარი ცვლილების შემთხვევაში მან მაინც უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და გასცეს კრედიტი.

9. „მარადმწვანე" კრედიტი — რეგულარულად განახლებადი სარეეესტრო საკრედიტო ხაზი მისი პერიოდული სრული დაფარვის მოთხოვნის გარეშე, და ფიქსირებული საერთო ვადით, რის შედეგადაც იგი შეიძლება განახლდეს,

10. საბროკერო კრედიტი — სესხი, რომელსაც ბროკერები იღებენ ბანკებში ან სხვა ბროკერებისგან (საბროკერო ფირმებისგან) სხვადასხვა მიზნით, მათ შორის კლიენტის დავალებით კორპორატიული და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების შესაძენად, აგრეთვე საინვესტიციო და სხვა საქმიანობისათვის.

11. საბუფერო კრედიტი — საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტი, რომელიც ეძლევა ე.წ. სანედლეულე საქონლის საბუფერო მარაგის დასაფინანსებლად მსოფლიო ბაზრებზე ფასების სტაბილიზაციის მიზნით.

12. კრედიტი „ბექ თუ ბექ" (back to back) — კრედიტი, რომელშიც სათაო კომპანიები გამოდიან ერთმანეთის კრედიტორებად და ერთდროულად სესხის მიმღებებად, ხოლო შემდგომ აკრედიტებენ თავიანთ შვილობილ კომპანიებს შესაბამის ქვეყნებში.ხშირად გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში და ბლოკირებული ფულადი სახსრების განსათავისუფლებლად.

13. სათამასუქო კრედიტი — კრედიტი, რომელიც მიიღება თამასუქის მფლობელის მიერ თამასუქის ვადამდე ჩათვლის (გაყიდვის) გზით.

14. სადილერო კრედიტი — ერთდღიანი კრედიტი, რომელიც დილერს ეძლევა გირაოთი.

15. გაყინული კრედიტი — კრედიტების გაცემის დროებითი შეწყვეტა (შეჩერება), როცა უკვე არსებობს მათი გაცემის შესახებ პრინციპიალური გადაწყვეტილება.

16. დაზღვეული კრედიტი — კრედიტი, რომლითაც გარანტი უნაზღაურებს კრედიტორს დანაკარგს მოვალის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში; მაგალითად, საკრედიტო რისკი საბინაო იპოთეკაზე აშშ-ში შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად დაზღვეულ იქნას ფედერალური საბინაო ადმინისტრაციის მიერ.

17. საინვესტიციო კრედიტი — კრედიტი, რომელიც გაიცემა კონკრეტული საწარმოს მშენებლობისთვის.

18. საიპოთეკო კრედიტი — გრძელვადიანი სესხები, რომლებიც გაიცემა უძრავი ქონების, მიწის, აგრეთვე საცხოვრებელი და სამრეწველო დანიშნულების შენობების დაგირავების გარანტიით.

19. კომპენსაციური კრედიტი — კრედიტი, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის ორი კომერციული ფირმა აძლევს ერთმანეთს თანაბარი ოდენობით თავთავიანთი ეროვნულ ვალუტაში; ეშსახურება სახსრების სავალუტო რისკისაგან დასაცავად განვითარებად ქვეყნებში მათი ბლოკირების შემთხვევაში.

20. მსხვილი კრედიტი — ადგილი აქვს, როცა საქმე ეხება განსაკუთრებით დიდ თანხებს. მსხვილია კრედიტი თუ დავალიანების ოდენობა პლუს გარანტიების და ვალდებულებების 50% აჭარბებს ბანკის საკუთარი სახსრების 15%-ს.

21. სალომბარდე კრედიტი — კრედიტი უზრუნველყოფილი ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდებით, ან საქონლის დაგირავებით, მათ შორის ცენტრალური ბანკის კრედიტი კომერციულ ბანკებს.

22. არამწარმოებლური (არანაყოფიერი) კრედიტი — კრედიტი, რომლის დროსაც შეიძინება ისეთი, რაც იყიდება (სურსათი, სამრეწველო სამომხმარებლო საქონელი და სხვ.). ასეთი კრედიტების დასაფარავად მიღის ქვეყანა იმპორტიორში შექმნილი ეროვნული შემოსავლის ნაწილი.

23. მწარმოებლური კრედიტი — კრედიტი, რომლის ხარჯზე შეიძინება მოწყობილობა, აგრეთვე საქონელი, რომელიც იძლევა მოგებას მისი ექსპლუატაციისას. ამ მოგებიდან შემდგომში იფარება დავალიანება.

24. განსირობებული კრედიტი — კრედიტი (უმეტესად უცხოური ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ვალუტის სახით), რომლის გაცემას თან ახლავს კრედიტორის მოთხოვნები კრედიტის მიმღების ეკონომიკური პოლიტიკის გარკვეული კურსის შესახებ, აგრეთვე კრედიტორის მიერ რეკომენდირებული ღონისძიებების შესრულების მოთხოვნა ეკონომიკური რეფორმების სფეროში.

25. სამთავრობო კრედიტი — კრედიტი, რომელსაც გასცემენ სამთავრობო საკრედიტო დაწესებულებები, სამთავრობო კრედიტი უფრო შეღავათიანია, ვიდრე კერძო. შეიძლება იყოს უპროცენტო, რამდენიმე ათწლეულის ვადით, შეიძლება იყოს სუბსიდიების (საჩუქრის) სახით. უფრო ხშირად არის მიზნობრივი (გარკვეული საქონლის შესაძენად, ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ობიექტების განხორციელებისათვის) საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების კრედიტები გაიცემა საერთაშორისო საკავშირო ფონდის მიერ, ევროპული საინვესტიციო ბანკის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის და ევროპული თანამეგობრობის სხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების მიერ.

26. საბანკო კონსორციუმის კრედიტი — მოკლე ან გრძელვადიანი კრედიტი, რომელსაც ერთ კლიენტს აძლევს რამდენიმე ბანკი. ბანკების სახსრების მობილიზების ამდაგვარი ფორმისას კონსორციუმის ყოველი წევრი უზრუნველყოფს კრედიტის გარკვეულ პროცენტს. კრედიტის სტრუქტურირებას უზრუნველყოფს ბანკი, რომელიც კისრულობს სათაო ბანკის ფუნქციებს. იგი აწარმოებს მოლაპარაკებას კლიენტთან და კოორდინაციას უწევს ბანკების ურთიერთობას.

27. პერსონალური კრედიტი — გაიცემა ფიზიკურ პირზე ბანკის ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციის მიერ.

ასეთ კრედიტს წინ უძღვის სესხის მიმღების ფინანსური მდგომარეობის დეტალური შესწავლა.

28. პარტნიორული კრედიტი – მისი მიზანია დახმარების გაწევა სტაბილურად მომუშავე საწარმო-ორგანიზაციების მიმართ დროებითი მატერიალური სიძნელეების დასაძლევად, რაიმე გაუთვალისწინებელი მოკლევადიანი ხარჯების დასაფარავად პარტნიორული კრედიტი გაიცემა ბანკის მიერ, როგორც წესი, ნდობის საფუძველზე და არ გულისხმობს ფინანსური სიძნელეების მიზეზების გამოკვლევას. გამოყოფილი სესხი ფორმდება მოკლევადიანი ვალდებულებით (ჩვეულებრივ, არ აღემატება 90 დღეს).

29. საბაჟო კრედიტი – ზოგიერთ ქვეყანაში ბაჟის გადახდის გადავადება საბაჟო ორგანიზაციების მიერ, გარანტიის და განვადების პროცენტების გადახდის პირობით.

კრედიტი – ფულადი საშუალებები, რომლებიც მსესხებლისთვის გადაცემულია ბანკის ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით. იხ. საკრედიტო ხელშეკრულება.

კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება – ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს პირობას, რომლის დროსაც საქონლის ანაზღაურება ხორციელდება გარკვეული დროის შემდეგ მყიდველისთვის მისი გადაცემიდან. მყიდველი ვალდებულია საქონელი ანაზღაუროს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. თუ ანაზღაურების ვადა განსაზღვრული არაა, მყიდველი ვალდებულია ანაზღაურება მოახდინოს საქონლის გადაცემიდან გონივრულ ვადაში, ხოლო მისი ამორწერის შემდეგ გამყიდველის მიერ გადაცემული საქონლის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს შვიდი დღისა. საქონლის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს გადაცემული საქონლის ანაზღაურება ან გადაცემული საქონლის დაბრუნება, საქონლის ფაქტიური ანაზღაურების დღემდე სხვისი ფულადი საშუალებების გამოყენებაზე დარიცხული პროცენტებით. საქონელი, რომელიც მყიდველისთვისაა გადაცემული, სრულ ანაზღაურებამდე გამყიდველთან რჩება გირაოს სახით (იხ. გირავნობა).

კრედიტის უქაანონო მიღება – ინდივიდუალური მეწარმის ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ კრედიტის ან კრედიტის შეღავათიანი პირობების მიღება ბანკის ან სხვა კრედიტორისთვის ინდივიდუალური მეწარმის ან ორგანიზაციის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ცრუ ჩვენებების მიცემის გზით, თუ ამ ქმედებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზარალი.

კრედიტორი – ვალდებულებითი სამართალდამოკიდებულების სუბიექტი, რომლის სასარგებლოდაც სხვა პირი (მოვალე) ვალდებულია განახორციელოს გარკვეული მოქმედებები: გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო, გადაიხადოს ფული და ა.შ. ან თაი შეიკაოს გარკვეული მოქმედებისგან.

კრედიტორი – საკრედიტო ურთიერთობების ერთ-ერთი მონაწილე გამოდის როგორც სუბიექტი, რომელიც იძლევა სესხს. ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობის მქონეა – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის წინაშეც მოცემულ ორგანიზაციას აქვს დაკალიანება, რაც გამოხატულია მის ბალანსში. სამოქალაქო სამართალში – ის მხარე ვალდებულებაში, რომელსაც აქვს უფლება მოითხოვოს მეორე მხარისგან (მოვალისაგან) ვალდებულების შესრულება: შეასრულოს გარკვეული მოქმედება (გადაიხადოს ფული, შეასრულოს სამუშაო, გადმოსცეს ქონება და ა.შ.) ან პირიქით, თავი შეიკაოს რაიმე მოქმედებისგან.

ორმხრივ ხელშეკრულებებში კრედიტორად ორივე მხარე გვევლინება. მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებაში მყიდველი კრედიტორია, რადგან მას უფლება აქვს მოთხოვოს გამყიდველს ნივთის გადმოცემა; გამყიდველიც კრედიტორია, რადგან შეუძლია მოითხოვოს ფულის გადახდა. შესაბამისად, ორივე მხარე იმავდროულად მოვალეცაა.

რაც შეეხება ცალმხრივ ხელშეკრულებებს, აქ მხოლოდ ერთი მხარეა კრედიტორი, ხოლო მეორე მოვალეა.

ვალდებულებაში შეიძლება იყოს რამოდენიმე კრედიტორი. ამ შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს კანონიდან ან ხელშეკრულებიდან, ყოველ მათგანს აქვს უფლება მოითხოვოს ვალდებულების შესრულების თაიისი წილი. მაგრამ თუკი ვალდებულების საგანი განუყოფელია, (მაგ. მუსიკალური ინსტრუმენტი), კრედიტორებს ეწოდება სოლიდარული, ანუ ყოველ მათგანს შეუძლია მოვალეს მოთხოვოს ვალდებულების შესრულება სრული მოცულობით. თუ მოვალე შეასრულებს ვალდებულებას ერთი კრედიტორის წინაშე იგი თავისუფლდება სხვების წინაშე ვალდებულებისაგან. კრედიტორი, რომელმაც მიიღო შესრულება მოვალისაგან, ვალდებულია აუნაზღაუროს სხვებს მათი კუთვნილი წილი (როგორც წესი თანაბარი).

თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, მოვალეს შეუძლია გაისტუმროს ვალი დეპონირებით ანუ შეინახოს შესრულების საგანი სასამართლოში ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე., ამით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან.

კრიმინალისტიკა – კრიმინალისტიკა როგორც დარგი დაახლოებით 100-120 წლისაა, თუ იურიდიული მეცნიერება კლასიკური ფორმით იშვა რომის სამართლის წიაღში, კრიმინალისტიკა ამ წიაღში გაჩნდა ძალზე მცირე უბნებით, შენაკადებით, რომელთა სისტემაში მოყვანით ხდება სამართლის ცალკე დარგად ჩამოყალიბება.

კრიმინალისტიკური მეცნიერება გამოიყენება სისხლის სამართალწარმოების ამოცანების ამოხსნაში, დანაშაულთა მხილებაში და აქედან გამომდინარე, კანონის სწორად გამოყენებაში, რათა უდანაშაულოდ არ იქნეს პირი პასუხისგებაში მიცემული.

ტერმინი კრიმინალისტიკა, როგორც თითქმის ყველა სხვა ტერმინი, ლათინურია და ნიშნავს დანაშაულს, ე.ი. მეცნიერებას, რომელიც მოწოდებულია დამნაშაეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ტერმინ კრიმინალისტიკას ორი გაგება გააჩნია, ფართო გაგებით ის მოიცავს სისხლის სამართალს, სისხლის სამართლის პროცესს,

კრიმინოლოგიასა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, და სხვა დარგებს ნაკლები შეხებით, კონკრეტული გაგებით იგი არის მტკიცებულებათა ეფექტური აღმოჩენის, ფიქსირების და გამოკვლევის კანონზომიერებათა, აგრეთვე ტექნიკური საშუალებების, ტექნიკური ხერხებისა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის შესახებ.

კრიმინალისტიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დასასრულს. მისი ფუძემდებელია ავსტრიელი კრიმინალისტი ჰანს გროსი, მან შექმნა ამ მეცნიერების სისტემა, განსაზღვრა საგანი, შემოიღო ტერმინი კრიმინალისტიკა, დაადგინა მიზნები, ამოცანები და განაზოგადა პრაქტიკა. მანამდე ხდებოდა პიროვნების იდენტიფიკაცია გარეგნობის მიხედვით (სტატიკური პორტრეტი) და სხვა. მოხდა და ჩამოყალიბდა შრომა — „კრიმინალისტიკის" სისტემაში როგორც სასამართლო გამომძიებლების სახელმძღვანელო, კერძოდ კი ამ შრომის მესამე გამოცემაში 1898.

ჰანს გროსამდე კრიმინალისტიკა იყო სისხლის სამართლის დამხმარე მეცნიერება, მაგრამ იგი თვლიდა, რომ კრიმინალისტიკა უნდა განვითარებულიყო, როგორც ცალკე საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომლის საშუალებით მოხდებოდა დანაშაულის გახსნის და ჩადენის საშუალებების, მეთოდების და ხერხების მიღება.

პროცესუალურ მეცნიერებაში გამოთქმულია შეხედულება, რომ კრიმინალისტიკის ის ნაწილი, სადაც მოცემულია გამოძიების ტაქტიკა და ცალკეულ დანაშაულთა მეთოდიკა არის პროცესუალური დისციპლინა, პროცესის გაგრძელება, ან სისხლის სამართლის პროცესის სპეციკურსი, ხოლო კრიმინალისტიკის ის ნაწილი, რომელიც შეიმუშავებს ტექნიკურ საშუალებებს დანაშაულის გამოძიების მიზნით ე.ი. კრიმინალისტიკური ტექნიკა, არის სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა. ზოგიერთ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კრიმინალისტიკა არის მეცნიერება გამოძიების შესახებ, რადგან მათ ფართო გამოყენება აქვს ძიების პროცესში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთიე წარმატებით გამოიყენება სასამართლო განხილვის დროსაც, აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოთ კრიმინალისტიკა არის დამოუკიდებელი დარგი, რადგან ჰანს გროსის მეშვეობით დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა მისი მიზნები, ამოცანები, საგანი და საშუალებები.

კრიმინალისტიკის საგანია ისეთი ტექნიკური ხერხები, ტაქტიკური საშუალებები და მეთოდური ხასიათის რეკომენდაციები, რაც საშუალებას გვაძლევს სისხლის სამართლის ყოველ საქმეზე დროის ნაკლები დახარჯვით, გეგმაზომიერად და მიზანსწრაფულად დავადგინოთ ჭეშმარიტება.

კრიმინალისტიკური საშუალებები, როგორც კრიმინალისტიკის შესწავლის საგანი არის ისეთი ტექნიკური ხასიათის მეთოდების შემუშავება, რომლებიც საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ უხილავი და ნაკლებად ხილვადი სხვადასხვა ხასიათის კვალი, მოვახდინოთ ამ კვალთა და მტკიცებულებათა ზუსტი და ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური ფიქსირება, მათი ამოღება და გამოკვლევა საექსპერტო დაწესებულებებში.

ამ მიზნით გამოიყენება არა მარტო სპეციალური ხელსაწყოები და აპარატურა, არამედ მუშავდება ისეთი მეთოდები და საშუალებები, რომელთა გამოყენება და პრაქტიკაში დანერგვა სასურველ შედეგს იძლევა დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის.

კრიმინალისტიკის შესწავლის საგანია ტაქტიკური ხასიათის რეკომენდაციები და მეთოდების შემუშავება, რათა ეფექტურად წარმართოს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები.

დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა, როგორც საგანი შეიძლება ასე განვსაზღვროთ, რომ ეს არის მეთოდური ხასიათის რეკომენდაციები, რათა თანმიმდევრულად წარიმართოს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება, დაეადგინოთ დანაშაულის ჩადენის მოტივი, ხერხი, მიზანი და სხვა გარემოებები. საგნის განსაზღვრისას უნდა ითქვას, რომ კრიმინალისტიკის შესწავლის საგანს მეცნიერების თვალსაზრისით მიეკუთვნება ამ დარგის მეთოდოლოგიური საფუძვლის შესწავლა, რაც განსაზღვრავს მის ადგილს მეცნიერულ სისტემებში.

კრიმინალისტიკური ტექნიკა იყენებს ისეთ მეცნიერებათა მიღწევებს როგორიცაა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერება, ფოტოგრაფია, ანატომია. ოპტიკა, უხილავი სხივები, ქიმია, ფიზიკა, ფიზიოლოგია და სხვა.

კრიმინალისტიკა იყენებს სამხედრო მეცნიერებას, ბალისტიკას, რომლის საშუალებით ხდება ტყვიის ან მასრის იდენტიფიკაცია, მათი კგუფურობის განსაზღვრა.

კრიმინალისტიკა ეხება ფიზიოლოგიურ მეცნიერებას იმ მიმართებით, რომ შეიძლება დაეადგინოთ ტკინის დინამიკური სტერეოტიპები, რომლის საფუძველზე სწავლობს ადამიანის ხელის ფორმირებას და ხელნაწერების და ხელმოწერების გამოკვლევის მეთოდს.

კრიმინალისტიკური ტაქტიკა (საგამოძიებო ტაქტიკა) იყენებს რა ისეთ მეცნიერებას, როგორიცაა ლოგიკა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ფსიქოლოგია, შეიმუშავებს მისთვის დამახასიათებელ ტაქტიკურ ხერხებს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, წკაოთხვის, ეფექტური ნორმებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების მიზანსწრაფულად და გეგმიურად ჩატარების მიზნით.

ყოველი პრაქტიკის ათვისებისას უნდა ხდებოდეს მისი როგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული განზოგადება, სადაც მისი გამოყენებისას მიღწეულ იქნება უფრო მაღალი ეფექტები.

მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დანერგვა და პრაქტიკის შესწავლა საშუალებას გვაძლევს შეეიმუშაოთ ეფექტური ხერხები, საშუალებები და მეთოდები.

რამდენადაც კრიმინალისტიკური მეცნიერება არის გამოყენებადი, ისეთი ფუნდამენტური მეცნიერებისათვის, როგორიცაა სისხლის სამართლის პროცესი, იგი ასახავს ისეთი ამოცანის მიღწევას, რასაც სისხლის სამართლის პროცესი ითვალისწინებს, ამიტომ მისი მიზანი საკუთრივ კრიმინალისტიკის მეცნიერული დარგით არ შემოიფარგლება. კრიმინალისტიკის კონკრეტული ამოცანა ხელი შეუწყოს დანაშაულის სწრაფ და დროულ გახსნას და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

კრიმინალისტიკის მიზანთან დაკავშირებულია დანაშაულის გახსნის ცნება. ტერმინი „დანაშაულის გახსნა" პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში სამი გაგებით იხმარება. ძველად, ერთ შემთხვევაში დანაშაულს გახსნილად თვლიდნენ, როდესაც გამომძიებელი

გამოიტანდა დადგენილებას პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მეორე შემთხვევაში დანაშაული გახსნილად ითელებოდა მას შემდეგ, როდესაც პროკურორი დაამტკიცებდა საბრალდებო დასკვნას, მესამე შემთხვევაში მაშინ, როცა კანონიერი განაჩენი შედიოდა ძალაში. აბსურად მიღებულია, რომ როდესაც განაჩენი შედის კანონიერ ძალაში.

კრიმინალისტიკის ცნებას პროფ. ა.პ. ფალიაშვილი ასე განმარტავს: კრიმინალისტიკა არის სპეციალური იურიდიული მეცნიერება, რომელიც საპროცესო ნორმების საფუძველზე შესაბამისად სწავლობს კვალთა და სხვა მტკიცებულებათა ეფექტური აღმოჩენის, ფიქსირების, გამოკვლევისა და გამოყენების კანონზომიერებებს, აგრეთვე ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებს და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკას, დანაშაულის ორგანიზებულად, მიზანსწრაფულად გახსნის, მისი აცილებისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

კრიმინალისტიკის სისტემა

კრიმინალისტიკის სისტემა გულისხმობს ამ საგნის პრობლემათა და საკითხთა თანმიმდევრულ და ორგანულად შერწყმულ განლაგებას. კრიმინალისტიკის სისტემა პასუხობს კითხვაზე, თუ რა პრობლემებს და საკითხებს შეისწავლის იგი და როგორი თანმიმდევრობით არის ეს პრობლემები განლაგებული კრიმინალისტიკის კურსში.

1958 წლამდე კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო სამი ნაწილისაგან შედგებოდა, რომელსაც შემდეგ დაემატა მეოთხე ნაწილი. — და კრიმინალისტიკური სასწავლო პროგრამის შესაბამისად, კრიმინალისტიკის კურსის სისტემა მოიცავდა ოთხ განყოფილებას: 1) კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია, 2) კრიმინალისტიკური ტექნიკა, 3) საგამოძიებო ტაქტიკა, 4) დანაშაულის ცალკეული სახეების გახსნის მეთოდიკა.

კრიმინალისტიკური ტექნიკა, როგორც ამ საგნის დამოუკიდებელი განყოფილება, ჩამოყალიბდა კრიმინალისტიკის კურსის სხვა განყოფილებებზე და თავდაპირველად იწოდებოდა სისხლისსამართლებრივ ტექნიკად. კრიმინალისტიკური ტექნიკის განვითარება მჭიდროდაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იყენებს მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს. გარდა ამისა კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენებისათვის დამახასიათებელი საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკის სიღრმისეული შესწავლა და სისტემატური განზოგადება.

კრიმინალისტიკური ტექნიკა არის საპროცესო კანონებზე დაფუძნებული სამეცნიერო-ტექნიკური ხერხების, საშუალებების, მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება კვალთა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსირების გამოყენებისა და გამოსაკვლევად დანაშაულის თავიდან აცილებისა და გახსნის მიზნით.

კრიმინალისტიკური ხერხები, საშუალებები და მეთოდები გამოიყენება გამომძიებლის და ოპერატიული მუშაკის მიერ გამოძიებასა და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა შესრულებისას, აგრეთვე საექსპერტო გამოკვლევის პროცესში და სპეციალისტის მიერ საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარებისას.

კრიმინალისტური ტექნიკა შეისწავლის პრობლემების გადაჭრის შემდეგ სახეობებს: სასამართლო ფოტოგრაფია, ტრასოლოგია (მოძღვრება კვალთა შესახებ), სასამართლო ბალისტიკა, ხელნაწერების კრიმინალისტური კვლევა, დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტური გამოკვლევა, პიროვნების გაიგივება გარეგნული ნიშნების მიხედვით.

კრიმინალისტიკური ტექნიკის ყველა ხერხი, საშუალება და მეთოდი უნდა შომდინარეობდეს საპროცესო კანონმდებლობიდან და შეესაბამებოდეს პროცესის პრინციპებს. კრიმინალისტური ტექნიკის ზოგიერთი ხერხისა და საშუალების გამოყენება ასახულია საპროცესო კანონში და აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. მაგ. საქ. სისხ. სამ. საპროცესო კოდექსში ნათქვამია, რომ საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელი დათვალიერების დროს აწარმოებს დათვალიერების ადგილის ან ცალკე ობიექტის გაზომვას, ფოტოგრაფირებას, ვიდეოგადაღებას, ადგენს გეგმებსა და სქემებს, აშზადებს კვალის ტიფარსა და ანაბეჭდს, და ა.შ.

საგამოძიებო ტაქტიკა. საგამოძიებო ტაქტიკის განყოფილება თავდაპირველად ჩამოყალიბდა დამნაშავეთა დაკავებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ეფექტურად განხორციელების მიზნით. საგამოძიებო ტაქტიკის შექმნა და განვითარებას საფუძვლად უდევს ისეთი მეცნიერების მიღწევების გამოყენება, როგორიცაა ლოგიკა, ფსიქოლოგია, ეთიკა და ამ ორგანოთა პრაქტიკის სისტემატიური სისტემისმიერი განზოგადება. ყოველი ტაქტიკური ხერხი არ უნდა ლახვიდეს პიროვნების უფლებას, პატივს და უნდა გამომძიებარეობდეს საპროცესო კანონის მოთხოვნიდან. მაგ. საქ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ბრალდებულის დაკითხვის წესს, მაგ., როგორი ტაქტიკური ხერხები უნდა გამოვიყენოთ, რომ ბრალდებულთან დავამყაროთ სწორი ფსიქოლოგიური კონტაქტი.

საგამოძიებო ტაქტიკა შემდეგი თანმიმდევრობით განიხილაეს საკითხებს: საგამოძიებო ტაქტიკის ზოგადი საკითხები, გამოძიების ორგანიზება და დაგეგმვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა, საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ტაქტიკა, ჩვენების ადგილზე შემოწმების ტაქტიკა, ჩხრეკისა და ამოღების წარმოების ტაქტიკა, დაკითხვის ტაქტიკა, ამოსაცნობად წარდგენის ტაქტიკა, ექსპერტიზის ჩატარების ტაქტიკა.

დანაშაულის ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკა იურიდიულ ლიტერატურაში ტრაქტირდება — კრიმინალისტიკურ მეთოდის ფორმითაც იხმარება. დანაშაულის გამოძიების დროს გამოიყენება არა მარტო მეთოდური ხასიათის დებულებები და რეკომენდაციები, არამედ ტექნიკური საშუალებანი, ტაქტიკური ხერხები და მეთოდები. იგი კრიმინალისტიკის მეოთხე განყოფილებაა და განიხილავს შემდეგ პირობებს: დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის ზოგადი დებულებები; დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება. სხვადასხვა ხასიათის ძარცვის და გატაცების გამოძიების მეთოდიკა, მკვლელობის გამოძიების მეთოდიკა, ქურდობის, გაძარცვისა და ყაჩაღობის, თავდასხმის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა, საგზაო მოძრაობის წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეთა გამოძიების მეთოდიკა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევისა და ხანძართა საქმეების გამოძიების მეთოდიკა, და ა.შ.

კრიმინალისტიკის ადგილი სხვა მომოწყნავე იურიდიულ დისციპლინათა სისტემაში:

კრიმინალისტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან, სისხლის სამართალთან, კრიმინოლოგიასთან, საპროკურორო ზედამხედველობასთან, შრომა-გასწორებით სამართალთან ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობასთან, სამოქალაქო სამართლის პროცესთან, სასამართლო მედიცინასთან, სასამართლო ფსიქიატრიასთან და სასამართლო ფსიქოლოგიასთან, და ა.შ.

ა) კრიმინალისტიკა და სისხლის სამართლის პროცესი.

კრიმინალისტიკასა და სისხლის სამართლის პროცესს შორის მჭიდრო კავშირს განსაზღვრავს მთელი რიგი ტექნიკური საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და მეთოდები. მაგ. ამოსაცნობად წარდგენა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, შემთხვევის ადგილზე გაყვანა, ნიმუშების მიღება შედარებითი გამოკვლევისათვის, იხეთი ტექნიკური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა ფოტოგრაფია, ვიდეოგადაღება, მაგნიტოფონი, კვალის ტიპიური და ანაბეჭდის დამზადება შემთხვევის ადგილზე და სხვა.

ამავე დროს არის მათ შორის განსხვავებებიც, რის გამოც სისხლის სამართლის პროცესი განსაზღვრავს და ადგენს ძიების და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პროცესუალურ წესს. საპროცესო სამართლის ნორმები არეგულირებენ იმ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობიან გამოძიებასა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს, სამართალდამცავი ორგანოების სუბიექტებს შორის და მათ ურთიერთობებს პროცესის სხვა მონაწილეებთან. მისგან განსხვავებით კრიმინალისტიკა, ადგენს და განსაზღვრავს იმ კანონზომიერებებს, რაც დაკავშირებულია სამართალწარმოებაში ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების შემუშავებასთან და გამოყენებასთან.

მაგ. საქ. რესპ. სისხ. სამ. საპროცესო კოდექსი ადგენს მტკიცებულებათა მიღების წესს, კრიმინალისტიკა კი ახორციელებს იმ ტექნიკურ საშუალებებს, რომელთა გამოყენების საფუძველზე შეიძლება ადვილად და ეფექტურად მივაგნოთ უხილავ და ნაკლებხილად კვალს და სხვა მტკიცებულებებს.

ბ) კრიმინალისტიკა და სისხლის სამართალი.

კრიმინალისტიკა, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ადგენს და განსაზღვრავს იმ რეკომენდაციებს და მეთოდური ხასიათის დებულებებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულის გამოძიების დროს, ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად, ასევე განსაზღვრავს პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თანმიმდევრობას. მაგ. თუ საქმე გვაქვს ქურდობასთან, კრიმინალისტიკა განსაზღვრავს რა მოქმედება ტარდება პირველად: პირადი ჩხრეკა; მოპარული საგნების და ფასეულობათა აღმოჩენის მიზნით შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ფაქტის მოწმე პირებისგან ახსნა-განმარტების მიღება, ბინის ჩხრეკა და ა.შ. ნანახი გვამის დროს კრიმინალისტიკა ადგენს მკვლელობაა, თვითმკვლელობა თუ უბედური შემთხვევა, რის მიხედვითაც იწყება ძიების ჩატარება.

გ) კრიმინალისტიკა და კრიმინოლოგია

კრიმინალისტიკა კრიმინოლოგიისგან განსხვავებით არ შეისწავლის პრობლემას მთლიანად, არამედ შეიმუშავებს იმ კონკრეტულ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებს, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩადენის მიზეზების დადგენას და მათ თავიდან აცილებას.

მაგ. ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომას ხელს უწყობდა სამუხრუჭო მექანიზმის კონსტრუქციის გაუმართაობა, ან სხვა რამ.

დ) კრიმინალისტიკა და საპროკურორო ზედამხედველობა

გამოძიებისას კანონთა შესრულებისადმი ზედამხედველობის გაწევის დროს პროკურორი ყოველთვის საქმის კურსში უნდა იყოს, დანაშაულის სწრაფი და ოპერატიული გახსნის მიზნით გამოიყენება, თუ არა კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული ტექნიკური საშუალებები, დაქტილური ხერხები და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდური ხასიათის რეკომენდაციები.

ე) კრიმინალისტიკა და სასჯელაღსრულებითი სამართალი.

სასჯელის აღსრულების დროს მსჯავრდებულთა მიმართ გამოიყენება კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული ტექნიკური საშუალებები. თითქმის ყველა ტექნიკური საშუალებები და ტექნიკური ხერხები შემოღებულია არა შრომა-გასწორებითი სამართლის, არამედ კრიმინალისტიკის მიერ.

ვ) კრიმინალისტიკა და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებები

მიუხედავად იმისა, რომ, ამ ორი დარგის შესწავლის საგანი სხვადასხვაა, ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარებისას გამოიყენება კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული საშუალებები, ხერხები, მეთოდები და რეკომენდაციები.

ზ) კრიმინალისტიკა და სამოქ. სამართლის პროცესი.

სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვის დროს და სამოქ.სამართლის საპროცესო ნორმების განხორციელებისას გამოიყენება კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული დაკითხვის ტაქტიკური ხერხები, ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკა, დოკუმენტების კრიმინალისტური გამოკვლევის სხვადასხვა საშუალებები.

კრიმინალისტიკა კავშირშია ისეთ დამხმარე დისციპლინებთან, როგორიცაა სასამართლო მედიცინა, სასამართლო ფსიქიატრია, ფსიქოლოგია და სასამართლო ბუღალტერია და ა.შ. ამ სახის ექსპერტიზის დანიშვნის დროს გამოიყენება კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული ტაქტიკური ხერხები ნიმუშების მიღებასთან დაკავშირებით. პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ წინადადებათა წამოყენებისას ექსპერტის დასკვნა და სხვ. ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ კრიმინალისტიკა მჭიდრო კავშირშია თითქმის ყველა სხვა იურიდიულ დისციპლინებთან.

კრიმინალისტიკა (< ლათ. criminalis – დანაშაულთან დაკავშირებული) – მეცნიერება, რომელიც შეიმუშავებს სპეციალურ ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს სასამართლო მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით დანაშაულის გახსნასთან, თაობიდან აცილებასთან, გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებით. აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

კრიმინალისტიკის ძირითად და ურთიერთაკავშირებულ დარგებს მიეკუთვნება კრიმინალისტიკური ტექნიკა, ტაქტიკა და ცალკეული დანაშაულისათვის დამახასიათებელი მეთოდიკა. კრიმინალისტიკური ტექნიკა მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენების საფუძველზე ადგენს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებსა და ხერხებს დანაშაულის გამოსაკვლევად, აგრეთვე იმ ტექნიკურ საშუალებებს, რომელსაც იყენებენ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩასატარებლად. კრიმინალისტიკის ტექნიკის ძირითადი ქვედარგებია: სასამართლო ხელმწიფება, სასამართლო ფოტოგრაფია, სასამართლო ბალისტიკა, ტრასოლოგია, დიქტილოსკოპია.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზა

სასამართლო ექსპერტიზის გავრცელებული სახე, რომლის დროსაც იყენებენ კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებულ სპეციალურ ხერხებს, მეთოდებსა და საშუალებებს. მისი ძირითადი ამოცანაა ობიექტების იგივეობის და განსხვავებულობის დადგენა-იდენტიფიკაცია, ამ თვალსაზრისით ხელწერისა (სასამართლო ხელმცოდნეობა) და სხვადასხვა ქვალის (ტრასოლოგია) გამოკვლევა, იარაღის დადგენა ნასროლი ტყვიის მიხედვით (სასამართლო ბალისტიკა), პიროვნების იდენტიფიკაცია გარეგნული ნიშნებით (სიტყვიერი პორტრეტი) და სხვა. კრიმინალისტიკის ექსპერტიზა ნიშნავს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმის სასამართლო ორგანოში განხილვის დროს ან დანაშაულის მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესს. კრიმინალისტიკური ექსპერტიზის იურიდიული საფუძველია მომკვლევი პირის, გამომძიებლისა თუ პროკურორის დადგენილება ან სასამართლო განჩინება. კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, როგორც წესი, ტარდება სპეციალიზებულ სახელმწიფო საექსპერტიზო დაწესებულებებში – სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში ან ინსტიტუტში (საქართველოში სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია არსებობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან).

კრიმინალისტიკური მეთოდიკა

შეიმუშავებს მეთოდური ხასიათის მითითებასა და რეკომენდაციებს, რომელიც ეხება ცალკეული კატეგორიის დანაშაულთა (სახელმწიფო ან კერძო საკუთრების გატაცება, მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა) გამოკვლევას, კერძოდ განსაზღვრავს პირველდაწყებით და გადაუდებელ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების თავისებურებებსა და თანმიმდევრობას, ადგენს დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლენისა და აღკვეთის თავისებურებებს და სხვა.

კრიმინალისტიკური ტაქტიკა

კრიმინალისტიკური ტაქტიკა კრიმინალისტურ ტექნიკასთან დაკავშირებით და საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე შეიმუშავებს საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გატარება (შემთხვევის ადგილის დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ჩხრეკის და სხვა დროს).

კრიმინალური [<ლათ. criminalis] სისხლის სამართლის, დანაშაულებრივი; დანაშაულთან კავშირში მყოფი.

კრიმინოლოგია

(ლათ. crimen (ნათესაური ბრუნვა criminis) – დანაშაული და... ლოგია) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულობას როგორც სოციალურ მოვლენას, მის მიზეზებს, დამნაშავის პიროვნებას, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებებს. კრიმინოლოგია არის საზოგადოებრივი მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, რომელიც მჭიდრო კავშირშია, როგორც გამოყენებით სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიასთან, ისე სამართლის მეცნიერების მთელ რიგ დარგებთან (სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესთან, შრომა-გასწორებით სამართალთან და ა.შ.). კრიმინალისტიკა ფართოდ იყენებს სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკასა და ტექნიკას. დანაშაულობის სტატისტიკური მასალის დამუშავებისა და განზოგადების საფუძველზე კრიმინალისტიკა შეისწავლის დანაშაულობის მდგომარეობას, დინამიკას, სტრუქტურასა და გეოგრაფიას, ადგენს მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებებს დანაშაულებსა და სხვადასხვა სოციალურ მოვლენასა თუ პროცესს შორის. ფართოდ გამოიყენება სისხლის სამართლის და პატიმართა პირადი საქმეები და ა.შ. კრიმინოლოგიურ გამოკვლევებში ფართოდ გამოიყენება აგრეთვე წერილობითი გამოკითხვა და ინტერვიუ, როგორც პირველადი ინფორმაციის შეგროვების მეთოდები. ემპირიული მასალის კლასიფიკაციისა და სტატისტიკური დამუშავების პროცესში კრიმინალისტიკა მიმართავს თანამედროვე ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების, აგრეთვე, სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდების გამოყენებას.

ტერრორიული ნიშნის მიხედვით კომპლექსური კრიმინოლოგიური გამოკვლევა გულისხმობს დანაშაულობის შესწავლას ცალკეულ ობიექტებზე (ქალაქი, რაიონი და ა.შ.). დანაშაულის მიზეზებს იკვლევენ სხვადასხვა სახის დანაშაულის (ქონებრივი დანაშაული, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და სხვა) გამომწვევი ფაქტორების შესწავლის მიზნით. ასევე შეისწავლის კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვან რაიმე მოვლენას მაგ., ალკოჰოლიზმს, ნარკომანიას და არკვევს მის მიზეზობრივ დამოკიდებულებას დანაშაულთან არასრულწლოვანთა დანაშაულობას, რეციდივულ დანაშაულობას და სხვა.

კრიმინოლოგიის შესწავლის ძირითადი მიზანია, დანაშაულობის თავიდან აცილება და ამისათვის წინასწარი ღონისძიებების გატარება.

კრონპრინცი [გერმ. Kronprinz] ტახტის მემკვიდრის ტიტული გერმანულ და ავსტრო-უნგრულ იმპერიებში, ამ ქვეყნებში მონარქიების ლიკვიდაციამდე 1918 წ-ს.

კულტურული ფასეულობები – რელიგიური ან საერო ხასიათის ქონებრივი ფასეულობები, რომელთაც გააჩნიათ ისტორიული, მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა კულტურული მნიშვნელობა: ხელოვნების

ნაწარმოებები, წიგნები, ხელნაწერები, საარქივო მასალები, შემადგენელი ნაწილები და არქიტექტურული, ისტორიული, მხატვრული ძეგლების ფრაგმენტები და ა.შ. ზნეობრივი და ესთეტიკური იდეალები, ქცევის ნორმები და ნიმუშები, ენები, დიალექტები და კილოკავები, ეროვნული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, ისტორიული ტოპონიმები, ფოლკლორი, მხატვრული ხელობა, კულტურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, კულტურული საქმიანობის სამეცნიერო კვლევების შედეგები და მეთოდები, ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის შენობები, ნაგებობები, საგნები და ტექნოლოგიები, ისტორიულ-კულტურული მიმართულებით უნიკალური ტერიტორიები და ობიექტები.

კურია [ლათ. curia] 1) ძვ. რომში მეფეების ეპოქის ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ერთეული, რომელსაც მოქალაქეები 30 კურიად იყოფოდა; 10 კურია ტრიბას შეადგენდა; ჩვ. წ.-აღ.-მდე VIII–VII სს-ში კურიების მიხედვით იწვევდნენ ჯარს და ხდებოდა თანამდებობის პირების არჩევა; იხ. აგრ. კომიციები; 2) საზოგადოებრივი ცრილობების შენობა ძვ. რომში, მაგ. შენობა, რომელშიც სენატი იკრიბებოდა; 3) პროვინციალური ქალაქის სენატი რომის იმპერიაში; მისი წევრები კურიალები (დეკურიონები) – საკუთარი ქონებით აგებდნენ პასუხს (და არაიშვიათად თავისუფლებით და სიცოცხლითაც კი) ქალაქზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე და გადასახადების აკრეფაზე; 4) დას. ევროპაში შუა საუკუნეებში სენიორის სააჭო ეასალებთან, მაგ. სამეფო კ. – მეფის მიერ მოწვეული მსხვილი ფეოდალების შეკრება; 5) თანამედროვეობაში პაპის ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ერთობლიობა; 6) ამომძრჩეველთა თანრიგი წოდებრივი, ქონებრივი, სარწმუნოებრივი და სხვ. ცენზის მიხედვით ზოგიერთ საამომრჩეველო სისტემაში, მაგ. რუსეთის იმპერიაში, იხ. კურიალური.

კურორტები – ა) განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების (სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილისა და კურორტების) შემადგენელი ნაწილი, რომელიც განეკუთვნება ასეთს მათი რეჟიმისა და მათზე მყოფი ბუნების დაცვის დაწესებულებების გათვალისწინებით; ბ) სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით ათვისებული და გამოყენებული განსაკუთრებით დაცული ტერიტორია, რომელსაც გააჩნია ბუნებრივი სამკურნალო რესურსები და მათი ექსპლუატაციისთვის აუცილებელი შენობები და ნაგებობები, მათ შორის, ინფრასტრუქტურის ობიექტები.

კურსი (საველუტო) (rate of exhange) – სხვადასხვა ქვეყნების ფულად ერთეულებს შორის თანაფარდობა, რომელიც განპირობებულია მათი მსყიდველობითი უნარით და რიგი სხვა ფაქტორებით (საგადასახადო ბალანსის მდგომარეობა, ინფლაციის დონე, მოკლევადიანი კაპიტალების ქვეყანათშორისი მიგრაცია). ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასი გამოხატული სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში. უცხოური ქვეყნის ვალუტის კურსის ეროვნულ ვალუტაში გამოხატვას ეწოდება პირდაპირი კოტირება. უკუკოტირება (ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტაში გამოხატვა) მხოლოდ დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. შესყიდვის და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობა შეიძლება გახდეს ბანკების შემოსავლის წყარო. არსებობს აგრეთვე საგარეო-სავაჭრო გარიგებების გადახდის ვადებით მანიპულირების ტექნიკა, როდესაც საველუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილების მოლოდინში ხდება გადახდის დაყოვნება ან აჩქარება (leads and legs).

ლ

ლატარეა – 1) მასობრივი თამაში, რომლის დროსაც ლატარეის ორგანიზატორი ლატარეის მონაწილეებს – ლატარეის ბილეთების მესაკუთრეებს შორის ახდენს საპრიზო ფონდის გათამაშებას (ამასთან, ნებისმიერი ლატარეის ბილეთის მოგება დამოკიდებული არაა ღონისძიების სუბიექტების ნებასა და მოქმედებებზე და წარმოადგენს შემთხვევითს); 2) ლატარეის ბილეთი ეი. დოკუმენტი, რომელიც იძლევა ლატარეას გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას. მოცემული დოკუმენტი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს.

ლატარია (ფრანგ. loterie) – მოსახლეობის სახსრების ნებაყოფლობითი მოზიდვის ერთგვარი ფორმა სალატარიო ბილეთების გაერცელების (გაყიდვის) გზით. მათი რეალიზაციიდან შემოსული თანხის ნაწილი თამაშდება სანივთო ან ფულადი პრიზის სახით. ყოველი სალატარიო ბილეთი საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდია ანუ მომგებიანი სალატარიო ბილეთის მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი გადახდა ფულადი ან ნივთობრივი ფორმით. ლატარიის ერთ-ერთი ფორმაა ლატარია-ალეგრი, რომელშიც შედეგები ცხადდება სალატარიო ბილეთის შეძენისთანავე.

ლატარია წარმოადგენს ჯგუფურ ან მასობრივ თამაშს, რომლის დროსაც ლატარიის ორგანიზატორი ლატარიის მონაწილეებს – სალატარიო ბილეთების მფლობელებს შორის ათამაშებს ლატარიის საპრიზო ფონდს. ამასთან მოგების დამთხვევა რომელიმე სალატარიო ბილეთზე არ არის დამოკიდებული სალატარიო საქმიანობის არც ერთი სუბიექტის ნებაზე და მოქმედებებზე და წარმოადგენს მხოლოდ შემთხვევითობას, რომლის სპეციალურად მოწყობა შეუძლებელია. ლატარიის ნაირსახეობას წარმოადგენს ტოტალიზატორი, რომლის მონაწილეები აკეთებენ პროგნოზებს ან დებენ სანაძლეოს შესაძლებელ სპორტულ, პოლიტიკურ ან სხვა შედეგთან დაკავშირებით. ლატარიის ორგანიზაცია შეიძლება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე. ურთიერთობა ლატარიის ორგანიზატორსა და მონაწილეებს შორის იდება ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს პირობებს დაკავშირებულს ლატარიის ჩატარების ვადებთან და მოგების და მისი ოდენობის განსაზღვრის წესებს.

ლატენტური [ლათ. latens ფარული, უხილავი] დაფარული, გარეგნულად გამოუჟღენელი; ლ. გამოსახულება – ფარული (გამოუმჟღავნებელი) ფოტოგრაფიული გამოსახულება; ლ. დამნაშაეობა – დანაშაულის ნაწილი, რომელიც არ ასახება სისხლის სამართლის სტატისტიკაში და არ წარმოადგენს

სისხლის სამართლის სამართალწარმოების საგანს; ლ. პერიოდი – ფარული პერიოდი ფიზიოლოგიაში (დაავადების ფარული მიმდინარეობა).

ლეგატარი – ცნება გამოიყენებოდა უკვე რომაულ სამართალშიც – პირი, რომლის სასარგებლოდაც გაკეთებულია საანდერძო დანაკისრი (ლეგატი).

ლეგატი (ლათ. legatum, ინგლ. legacy, devise, beques) – ცნება ლეგატი ცნობილია რომის სამართლიდან. ნიშნავდა მოანდერძეს მიერ კონკრეტული პირისათვის მინიჭებულ საჩუქარს, რომელსაც იგი მიიღებდა საერთო სამკვიდრო მასიდან, მაგრამ მხოლოდ სამკვიდროდან თავდაპირველად ყველა ვალის გასტუმრების შემდეგ. ამიტომ ლეგატი არ იყო უპირობო საანდერძო განკარგულება.

ლეგატი ეწოდება საანდერძო დანაკისრს. მოანდერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება, სამკვიდროს ხარჯზე ლეგატის მარეგულირებელი ნორმები გამოიყენება აგრეთვე მოანდერძის მიერ მემკვიდრისთვის საერთო-სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესრულების დაკისრებისას, თუ ეს მოქმედება ქონებრივ ხასიათს ატარებს, პირს, რომლის სასარგებლოდაც მემკვიდრეს ეკისრება ვალდებულება – ლეგატარი ეწოდება.

ლეგატის საგანი შეიძლება იყოს ლეგატარისათვის სამკვიდროში შემავალი ქონებიდან ნივთების გადაცემა საკუთრებაში, სარგებლობაში ან სხვა სანივთო უფლებით; მისთვის ისეთი ქონების შეძენა ან გადაცემა, რომელიც არ შედის სამკვიდროში, განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და ა.შ.

ლეგატარს შეიძლება მიეცეს აგრეთვე ანდერძით გადასული საცხოვრებელი სადგომით ან მისი განსაზღვრული ნაწილით სამისდღემდინო სარგებლობის უფლება, თუ იგი მემკვიდრეებთან ერთად ცხოვრობდა არანაკლებ ერთი წლისა.

ინგლისის სამართალი განასხვავებს საანდერძო დანაკისრს მოძრავ ქონებაზე (legacy) და უძრავ ქონებაზე, რაც აღინიშნება სხვა ტერმინით – devise ან bequest.

ლეგისლატორა [< ლათ. legislator შეთავაზებული კანონპროექტი] 1) უფლებამოსილების კანონიერი ვადა, ასევე არჩეული საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის პერიოდი; 2) რ-ზე ქვეყნის კანონმდებელი ორგანო.

ლეგისტები [საშ.-ლათ. legistae კანონი] შუა საუკუნეების იურისტები, რომაულ საერო სამართალს უპირისპირებდნენ კანონიკურ (საეკლესიო) სამართალსა და ფეოდალურ ადათწესებს, მხარს უჭერდნენ სამეფო ხელისუფლებას.

ლეგიტიმაცია [ლათ. legitimus კანონიერი] 1) სახელმწიფო ხელისუფლების, რ-ზე სოციალური ინსტიტუტის სტატუსის უფლებამოსილების კანონიერების აღიარება, ეცრდნობა საზოგადოებაში მიღებულ ფასეულობებს, კონსტიტუციის ნორმებს, დემოკრატიულ არჩევნებს, რეფერენდუმს, ტრადიციებს; 2) კანონიერების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; 3) ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვისთვის კანონიერი შვილის უფლებების მინიჭება.

ლეგიტიმისტები [< ლათ. legitimus კანონიერი] 1) საფრანგეთის 1830 წ-ის ივლისის რევოლუციის დროს დამხობილი ბურბონთა ლეგიტიმური დინასტიის მომხრე მონარქისტები; უპირატესად არისტოკრატიული წარმოშობის მსხვილი მიწათმფლობელები და უმაღლესი კათოლიკური სამღვდელოების წარმომადგენლები; 2) ამა თუ იმ ნებისმიერი სახელმწიფოს დამხობილი დინასტიის მომხრეები.

ლეიბორისტები [ინგლ. labour party < labour შრომა] 1) შრომისა; ლეიბორისტული (სოციალისტ-დემოკრატიული) პარტიის წევრები დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, აბ. ზელანდიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში; 2) ფართო გაგებით, ნებისმიერი სოციალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მაგ. ისრაელის ალიდები (შრომის პარტიის).

ლიბერალიზმი (ლათ. liberalis თავისუფალი) 1. პოლიტიკური მიმართულება, რომელიც იცავდა ბურჟუაზიის თავისუფლებას ფეოდალურ-ბატონყმურ ეპოქასა და ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში, ხოლო ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის დამყარებისა და პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის განვითარების პირობებში გადაიქცა რეაქციულ მოვლენად. 2. უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობა, მაგ. შემწყნარებლობა. 3. (მოძვ.). ბურჟუაზიისა და თავადაზნაურთა სიტყვათხმარებაში: თავისუფალი აზროვნება.

ლიბერტა (ლათ. – თავისუფლება) რომაელთა მითოლოგიის მიხედვით – თავისუფლების ქალღმერთი.

ლიბერტე, ეგალიტე, ფრატერნიტე [ფრ. libert galite, fraternit] თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა (საფრანგეთის XVIII ს-ის დიდი რევოლუციის ლოზუნგი).

ლიბერუმ ვეტო [ლათ. libertum თავისუფალი + veto ვკრძალავ] 1652-1791 წწ. რეჩ პოსპოლიტას სეიმის ნებისმიერი წევრის უფლება თავისი პროტესტით არ დაეშვა სეიმის დადგენილებების მიღება (რისთვისაც საჭირო იყო თანხმობა – ერთხმად მიღება); ლ.ვ. ხელს შეუწყობს პოლონეთის სახელმწიფობრიობის შესუსტებას და საბოლოოდ დაცემას.

ლიზინგი (leasing) – იჯარის ნაირსახეობა. პრაქტიკაში განასხვავებენ იჯარის სამ სახეობას: hiring – მოკლევადიანი (ერთი დღიდან რამდენიმე თვემდე, renting) – საშუალო ვადის (ექვს თვემდე ან სეზონით) და ლიზინგი (leasing) – მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, ნაგებობების გრძელვადიანი იჯარა (რამოდენიმე წლით), პირველი ორი ფორმისგან განსხვავებით ლიზინგში შეიძლება მონაწილეობდეს სამი მხარე – 1) ლიზინგის მიმღები, 2) საფინანსო ინსტიტუტი, ბანკი ან ლიზინგო ფირმა, რომელიც აფინანსებს და აძლევს კრედიტებს საქონლის მწარმოებელს და დროებით მოსარგებლეს, 3) საწარმო სიმძლავრეების, მოწყობილობა-დანადგარების გამყიდველი ლიზინგს, რომელიც მოწყობილობის მიმწოდებელი და ლიზინგის მიმცემი ერთი და იგივე პირია, ეწოდება პირდაპირი ლიზინგი და წარმოადგენს ორმხრივ გარიგებას. ლიზინგი არსებითად წარმოადგენს

შუალედურ ფორმას იყარის, ხელშეკრულებასა და დაკრედიტების ხელშეკრულებას შორის, რადგან გააჩნია ორივე ხელშეკრულების თვისებები.

ლიზინგი წარმოადგენს აგრეთვე მანქანა-დანადგარების საიჯარო ექსპორტის ან ხანგრძლივი მოხმარების საქონლის დაკრედიტების ფორმას. ლიზინგური კომპანია ყიდულობს მოწყობილობას და აძლევს იჯარით რამდენიმე წლით ფირმა მოიჯარეს, რომელიც თანდათანობით იხდის ვალს. სალიზინგო ოპერაციებს ატარებენ არა მარტო სპეციალიზირებული კომპანიები, არამედ მსხვილი კომერციული ბანკები, მანქანა-დანადგარების შესასყიდად ლიზინგური კომპანიები იყენებენ საკუთარ, აგრეთვე ნასესხებ სახსრებს, ლიზინგის კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი ვარიანტები: მოიჯარის მიერ ქონების გამოსყიდვა ნარჩენი ფასით, რაც იძლევა ძვირადღირებული თანამედროვე დანადგარების მიღებას დიდი ერთჯერადი დანახარჯის გარეშე (შესაძლებელია, რომ ლიზინგის პერიოდი დემთხვეს დანადგარის ფიზიკურ, ან მორალური ცვეთის პერიოდს); ლიზინგის ვადის გაგრძელება; ქონება უბრუნდება ლიზინგურ კომპანიას (ბანკს).

ლიზინგი საერთაშორისოა, როცა კომპანიები სხვადასხვა ქვეყნებში იმყოფებიან. ყველაზე მეტად ლიზინგი განვითარებულია ნაოსნობის და ავიაციის სფეროში.

ფირმა მოიჯარე როგორც წესი, ვალდებულებას კისრულობს იჯარით აღებულ დანადგარებზე ან იჯარით აღებული ქონების საშუალებით აწარმოოს სამუშაოები ლიზინგის მიმცემის დავალებით, და თავი შეიკავოს ხელშეკრულებაში მითითებული სამუშაოების გარდა სხვა სახის სამუშაოს შესრულებისაგან. ლიზინგის მიმღები იღებს თავის თავზე ყველა ვალდებულებას, დაკავშირებულს საკუთრების უფლებასთან: შემთხვევითი განადგურების რისკი, მიმდინარე ტექნიკური მომსახურების განხორციელება და ა.შ. ამავე დროს ლიზინგის მიმღებს (მოიჯარეს) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აქვს ხელშეკრულების ობიექტით ექსკლუზიური სარგებლობის უფლება.

საბუღალტრო ანგარიშების თვალსაზრისით ლიზინგის ხელშეკრულება წარმოადგენს დაუსრულებელ გარიგებას და ობიექტები არ ირიცხება არც ერთი პარტნიორის ბალანსზე. ლიზინგის მიმღებისთვის ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯები წარმოადგენენ მიმდინარე საიჯარო ხარჯებს და არ იყოფა პროცენტებად და საამორტიზაციო ანარიცხებად.

ლიზინგის ხელშეკრულების უპირატესობას წარმოადგენს ფორმების და პირობების მრავალფეროვნება (ოპერატიული, ფინანსური, გაყოფილი, დაბრუნებადი, სუფთა, პირდაპირი და სხვა სახის ლიზინგის ფორმები). ლიზინგი განისაზღვრა, როგორც დაფინანსების ეფექტური საშუალება, რომელიც ხელსაყრელია საწარმოსათვის იმ შემთხვევაში, როცა მას არ გააჩნია კაპიტალდაბანდებების აუცილებელი სახსრები წარმოების დამოუკიდებლად აღჭურვისათვის. საიჯარო გადასახადი შეიძლება იყოს ფიქსირებული, დეგრესული ან მზარდთა შეთანხმებით. ობიექტის შესყიდვის ვალდებულების შემთხვევაში კონტრაქტში აუცილებლად მიეთითება მისი გასაყიდი ფასი ლიზინგის დასრულების შემდეგ, რომელიც, როგორც წესი, შეადგენს პირვანდელი ღირებულების 10-15%. ლიზინგი საშუალებას აძლევს ლიზინგის მიმღებს და მწარმოებელს დააჩქაროს პროდუქციის გასაღების პროცესი, გაზარდოს შესაძლო პარტნიორთა წრე, ადვილად გააკონტროლოს და გაითვალისწინოს ფინანსური ოპერაციები გადასახდის პერიოდულობის გამო. არსებობს ლიზინგის ხელშეკრულების მრავალი ნაირსახეობა, რომლებიც არ შემოიფარგლება ზემოთჩამოთვლილით. განვიხილოთ ლიზინგის ზოგიერთი საინტერესო ფორმა:

1. საბანკო ლიზინგი – ხელშეკრულება, რომელშიც სალიზინგო კომპანიის როლში გამოდის ბანკი, რომელიც ლიზინგის მიმღების შეკვეთით ყიდულობს დანადგარებს და აძლევს ამ უკანასკნელს იჯარით.

2. დაბრუნებადი ლიზინგი – პირდაპირი ლიზინგის ნაირსახეობა. ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს უკვე გააჩნია მოწყობილობა-დანადგარები, მაგრამ სახსრები არ ჰყოფნის მის ასამოქმედებლად. მაშინ იგი პოულობს სალიზინგო კომპანიას იმ მიზნით, რომ მიჰყიდოს მას თავის ქონება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ლიზინგით აძლევს დანადგარებს ამავე საწარმოს. ამის შედეგად საწარმოს უწნდება დამატებითი ფულადი რესურსი. ამასთან კონტრაქტით ლიზინგის ვადის გასვლის შემდეგ საწარმოს აქვს უფლება გამოისყიდოს დანადგარები და აღადგინოს მათზე თავისი საკუთრების უფლება.

3. ლიზინგი საიმპორტო – სალიზინგო კომპანია ყიდულობს დანადგარებს უცხოური კომპანიისაგან და შემდეგ იჯარით აძლევს ეროვნულ საწარმოს.

4. ფინანსური ლიზინგი – ხასიათდება იმით, რომ ქონების ლიზინგში გადაცემის ვადა უახლოვდება თავისი ხანგრძლივობით მისი ექსპლუატაციის და მთლიანი ღირებულების ამორტიზაციის ვადას, რადგანაც ლიზინგის მიმცემს საქმე აქვს მხოლოდ ერთ ლიზინგის მიმღებთან, ხარჯები – ლიზინგის ორგანიზებაზე. აგრეთვე იმის რისკი, რომ ლიზინგის პერიოდში მოთხოვნილება მოცემულ მოწყობილობაზე დაეცემა, მინიმალურია. ეს რისკი მთლიანად გადადის ლიზინგის მიმღების მხრებზე. სალიზინგო გადასახადები ფინანსური ლიზინგის დროს ნაკლებია, ვიდრე ოპერატიული ლიზინგის დროს.

5. ოპერატიული ლიზინგი – ლიზინგის ფორმა, რომლის ვადა უფრო მცირეა, ვიდრე იჯარით აღებული ქონების საამორტიზაციო ვადა. ლიზინგის დასრულებისას ობიექტი უბრუნდება მფლობელს. ლიზინგის მიმცემი იძულებულია რამოდენიმეჯერ გასცეს იჯარით აღნიშნული ქონება და ამიტომ აწევს იმის გარკვეული რისკი, რომ ვერ დაფარავს ლიზინგის ობიექტის ღირებულებას, ანუ ვერ ამოიღებს მასში ჩადებულ თანხას იმ შემთხვევაში, თუ მოწყობილობაზე მოთხოვნილება დაეცემა. ამის გამო სალიზინგო გადასახადები ოპერატიული ლიზინგის დროს საკმაოდ მეტია, ვიდრე ფინანსური ლიზინგის დროს.

6. სუფთა ლიზინგი – რომლის დროსაც ქონების მომსახურება აკისრია ლიზინგის მიმღებს. ამ დროს მოწყობილობის მოსახურებაზე გაწეული ხარჯები არ შედის სალიზინგო გადასახდელში. ასეთი ფორმა დამახასიათებელია ფინანსური ლიზინგისათვის და არის კლასიკური.

7. „სველი" ლიზინგი – ლიზინგი, რომელიც გულისხმობს მოწყობილობის აუცილებელ ტექნიკურ მომსახურებას, მის რემონტს, დაზღვევას და სხვა ოპერაციებს, რაც აკისრია ლიზინგის მიმცემს. ამ

მომსახურების გარდა ლიზინგის მიმღების სურვილით ლიზინგის მიმცემი თავის თავზე იღებს კვალიფიციური პერსონალის მომზადების, მზა პროდუქციის მარკეტინგის და რეკლამის ვალდებულებას. აღსანიშნავია, რომ ოპერატიული ლიზინგი ატარებს უმთავრესად „სველ“ ხასიათს.

8. კომპენსაციური ლიზინგი — ლიზინგი, რომლის პირობებით საიჯარო გადასახადის სახით მოიჯარე სალიზინგო ფირმას ძირითად საწარმოში აღებულ მოწყობილობაზე დამზადებულ პროდუქციას.

9. გამოყოფილი ლიზინგი — ლიზინგი სახსრების დამატებითი მოზიდვით, ანუ ლიზინგი, რომელსაც სალიზინგო ფირმა მხოლოდ ნაწილობრივ აფინანსებს. მოწყობილობის შესყიდვისას იგი იხდის არა მთელ თანხას, არამედ ნაწილს. დანარჩენ თანხას იგი სესხულობს ერთ ან რამოდენიმე კრედიტორისგან. ამასთან სალიზინგო კომპანია სარგებლობს ყველა საგადასახადო შეღავათით, რომელიც გამოითელება მოწყობილობის სრული ღირებულებიდან.

10. ლიზინგი გენერალური — ზოგადი (გენერალური) ლიზინგის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მოიჯარის უფლებას შეაცვლის იჯარით აღებული მოწყობილობის სია ახალი კონტრაქტების გაფორმების გარეშე.

ლიზინგის ხელშეკრულება ხელშეკრულება, რომლის ძალით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით. თავისი სამართლებრივი ბუნებითა და შედეგებით ლიზინგის ხელშეკრულება უახლოვდება ქირავნობის ხელშეკრულებას და ლიზინგთან დაკავშირებული რიგი საკითხები წყდება ამ ხელშეკრულების ანალოგიურად (სამოქ. კოდ. მუხლი 576 – 580).

ლითოგრაფია (ბერძ. lithos – ქვა, + grapho – ვწერ)

1. ბეჭდვის ხერხი, რომლის დროსაც საღებავი სპეციალურ ქვაზე შესრულებული ბრტყელი საბეჭდი ფორმიდან, წნეის ქვემ უშუალოდ ქაღალდზე გადაიტანება.

2. ასეთი მეთოდით მიღებული ანაბეჭდი.

3. შენობა, საწარმო, სადაც ბეჭდავენ ამგვარი მეთოდით. პირველი ლითოგრაფია გამოგონილ იქნა 1796-1798 წლებში ა. ზენეფელდერფის მიერ გერმანიაში.

ლიკვიდატორი (liquidator)

პირი, რომელიც ახორციელებს იურიდიული პირის ლიკვიდაციას. ინიშნება გამგეობის მიერ, განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას სასამართლოს (იუსტიციის სამინისტროს) შეუძლია სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა. ლიკვიდატორები პასუხს აგებენ როგორც გამგეობის წევრები. საწარმოს ლიკვიდაციისას ლიკვიდატორებმა დანიშენისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი. საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა ეცნობოს სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, — საჯარო განცხადებით, და მოიწვიონ ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისთვის, ლიკვიდატორები მოვალენი არიან დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, განახორციელონ აქტივები და შეასრულონ საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან არ გამომდინარეობს დავალიანება. დავალიანების დადგენისთანავე ისინი მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს ამის თაობაზე, რომელმაც უნდა აღძრას საბანკროტო საქმე და ლიკვიდატორები წარმოადგენენ საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში, შეუძლიათ წარმართონ მასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავრონ საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულონ დავები, ხოლო, თუ საჭიროა, ჩაერთონ ახალ გარიგებებშიც. მათ შეუძლიათ თავისუფლად გაყიდონ აქტივები. გრძელვადიანი ლიკვიდაციის დროს მათ ყოველწლიურად უნდა შეადგინონ შუალედური ბალანსები. საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავის საქმიან მოვალეობათა შესრულებისას უნებართვო მოქმედებებით მიყენებული ზიანისათვის.

ინგლისურ სამართალში ლიკვიდატორი ინიშნება კომპანიის ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის დროს მისი წევრების ან კრედიტორების მიერ. იძულებითი ლიკვიდაციის დროს ლიკვიდატორს ნიშნავს სასამართლო.

კრედიტორების მიერ კომპანიის ნებაყოფლობითი ლიკვიდაციისას ლიკვიდატორის დანიშენა შეუძლიათ კომპანიის წევრებს კრედიტორების მიერ სხდომის ჩატარებამდე ან თავად კრედიტორები ნიშნავენ ლიკვიდატორს თავიანთ სხდომაზე; პირველ შემთხვევაში აუცილებელია სასამართლოს თანხმობა. თუ ინიშნება ორი ლიკვიდატორი, გადაწყვეტილებას იძის თაობაზე, თუ ვინ განახორციელებს კომპანიის ლიკვიდაციას, იღებს სასამართლო.

იძულებითი ლიკვიდაციის დროს სასამართლო ლიკვიდაციის შესახებ პეტიციის მიღების შემდეგ ნიშნავს ლიკვიდატორის მოვალეობის დროებით შემსრულებელ პირს. მას შემდეგ რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის პროცესის თაობაზე იგი ნიშნავს ოფიციალურ ლიკვიდატორს, რომელიც მართავს ეალაუვალი კომპანიის ქონებას. ლიკვიდატორის ურთიერთობა კომპანიასა და კრედიტორებთან სამართლებრივად წარმოადგენს მინდობილი ქონების მართვას. ლიკვიდატორი არის სასამართლო წინონიკი. მის მოვალეობებს განსაზღვრავს კანონი და მას არა აქვს უფლება პირადი სარგებლობისთვის გამოიყენოს თავისი მდგომარეობა. ეალაუვალობის შესახებ ინგლისის 1986 წლის კანონის მიხედვით, ლიკვიდატორი უნდა იყოს კვალიფიციური იურისტი პრაქტიკოსი ამ სფეროში და იყოს ცნობილი პროფესიონალური ორგანიზაციის წევრი (ისეთი როგორც იურისტთა ასოციაცია, დიპლომირებული ბუღალტრების ინსტიტუტი და სხვა). ლიკვიდატორის საქმიანობას აკონტროლებენ სასამართლო, სალიკვიდაციო კომიტეტი და ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო.

ლიკვიდაცია (იურიდიული პირების) — იურიდიული პირების საქმიანობის შეწყვეტის ერთერთი ფორმა, რომელიც გამოიხატება მათი ქონების და საქმეების ლიკვიდაციაში უფლება-მოვალეობების სამართალმემკვიდრეობის წესით სხვა პირებთან გადასვლის გარეშე. იურიდიულ პირთა ლიკვიდაციისას ადგილი აქვს მათი საწარმოო, საეაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის შეწყვე-

ტას, კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, იურიდიული პირის წევრებისთვის საპაიო შენატანების დაბრუნებას.

განვიხილოთ არაკომერციული იურიდიული პირების ლიკვიდაციის პირობები: კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია ხდება წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევის შედეგად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმების შედეგად იურიდიული პირის გაუქმება ხდება, აგრეთვე, მისი გამგეობის ან უფლებამოსილ წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. იურიდიული პირის ლიკვიდაცია შეიძლება მოახდინოს სასამართლომ მისი რეგისტრაციის ბათილად ცნობის ან რეგისტრაციის დროს დაშვებული უხეში დარღვევების შემთხვევაში, აგრეთვე იურიდიული პირის მიერ კანონით აკრძალული საქმიანობის განხორციელებისას, ან ულიცენზიოდ ისეთი საქმიანობის განხორციელების გამო, რომელიც მოითხოვდა ლიცენზიის არსებობას. იურიდიული პირის დამფუძნებლებმა ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ წერილობითი ფორმით ლიკვიდაციის შესახებ ორგანოს, რომელიც ახორციელებს იურიდიული პირების სახელმწიფო რეგისტრაციას. აღნიშნული ორგანო რეესტრში შეიტანს ცნობებს იმის შესახებ, რომ იურიდიული პირი იწყებს ლიკვიდაციის პროცესში. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას სასამართლოს (იუსტიციის სამინისტრო) შეუძლია სხვა ლიკვიდატორების დანიშნა. ლიკვიდატორები პასუხს აგებენ როგორც გამგეობის წევრები. ამ მომენტიდან იურიდიული პირის ყველა საქმის მართვის უფლებამოსილება გადადის ლიკვიდატორთან. ხდება იურიდიული პირის ქონებიდან კრედიტორების დაკმაყოფილება, დარჩენილი ქონება ნაწილდება დამფუძნებლებს შორის. იურიდიული პირის ლიკვიდაცია ითვლება დასრულებულად, ხოლო იურიდიული პირი ლიკვიდირებულად იმ მომენტიდან, როცა რეესტრში ამის შესახებ ჩანაწერი გაკეთდება.

შესაბამისი ინგლისური ტერმინებია liquidation ან winding up. ნიშნავს კომპანიის აქტივების განაწილებას კრედიტორებსა და მის წევრებს შორის, რაც წინ უძღვის მის დათხოვნას და კომპანიის არსებობა წყდება. ლიკვიდაცია შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და განხორციელებული კრედიტორების (creditor's voluntary liquidation) ან წევრების მიერ (member's voluntary liquidation), ან შეიძლება იყოს იძულებითი და განხორციელდეს სასამართლო წესით (compulsory liquidation). ლიკვიდაციის დროს კომპანიის კრედიტორები ქმნიან სალიკვიდაციო კომიტეტს იმისათვის რომ მისცენ საშუალება ლიკვიდატორს განახორციელოს ზოგიერთი თავისი უფლებამოსილება. თუ კომპანია ვერ ფარავს ოავის ვალებს კომიტეტი შედგება მხოლოდ კრედიტორებისაგან, სხვა შემთხვევაში მის შემადგენლობაში შედიან როგორც კრედიტორები, ასევე მეპაიეები.

ლიკვიდურობა (liquidity) – რეალიზაციის, მატერიალურ ფასეულობათა ნაღდ ფულად გადაქცევის სიადვილე.

საწარმოების, ბანკების, კომპანიების აქტივების დინამიურობა, მოძრავუნარიანობა, რაც გულისხმობს დადგენილ ვადებში საკრედიტო-ფინანსური ვალდებულებების და კანონიერი ფულადი მოთხოვნების შეუფერხებელ დაკმაყოფილებას.

განასხვავებენ ბანკების და კომპანიების ლიკვიდურობას. ბანკის ლიკვიდურობა ნიშნავს უნარს უზრუნველყოს ვალდებულებების დროული დაფარვა, ანუ აქტივების შესაბამისობა პასივებთან მოცულობით და ვადებით. ლიკვიდურობის ამაღლება გულისხმობს ბანკის მომგებიანობის შემცირებას, რადგან იზრდება ლიკვიდური აქტივების (მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, მიმდინარე ანგარიშები, ნაღდი ფული და ა.შ.) წილი.

კომპანიის ლიკვიდურობა ნიშნავს მისი დაავალიანების ოდენობის შეფარდება ლიკვიდური აქტივების ოდენობასთან, ანუ სახსრების, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალების დასაფარავად: ნაღდი ფული, დეპოზიტები ბანკში და ა.შ.

ბანკების ლიკვიდობის ოპტიმალური დონის განსაზღვრა რთული ამოცანაა, რადგან რაც მეტია ლიკვიდურობა მით უფრო ნაკლებ რენტაბელურია ბანკი. საქმე იმაშია, რომ ლიკვიდურ აქტივებს არ მოაქვთ ან თითქმის არ მოაქვთ შემოსავალი.

საბანკო ანაბრის მომგებიანობის მაჩვენებელი გამოისახება წლიური პროცენტით. როგორც წესი მაღალი წლიური პროცენტის (8-10% და მეტი) მქონე ბანკები არასტაბილურობით ხასიათდება და ლიკვიდურობის დონე დაბალი აქვთ.

ლიმიტები ნარჩენების განთავსებაზე – კონკრეტული სახის ნარჩენების ზღვრულად დასაშვები რაოდენობა, რომელთა განთავსებაც გარკვეული ხერხით, დადგენილი ვადით დასაშვებია ნარჩენების განთავსების ობიექტებში, მოცემულ ტერიტორიაზე ეკოლოგიური ვითარების გათვალისწინებით.

ლიცენზიატი (licensee) – იურიდიული პირი, რომელიც გამოგონების, პატენტის, ტექნოლოგიური ცოდნის, კომერციული ინფორმაციის მესაკუთრესგან იძენს ლიცენზიას, მათი გარკვეულ ფარგლებში გამოყენების უფლებაზე.

ლიცენზია (license) – კომპეტენტური ორგანოს ნებართვა განსაზღვრულ საქმიანობაზე ან ამ საქმიანობის ფარგლებში რაიმე სპეციფიკური ოპერაციების შესრულებაზე. არსებობს ლიცენზიების ორგანოს ნებართვა გარკვეული სახის საქმიანობაზე მათ შორის საგარეო ვაჭრობაზე, შიდა ვაჭრობაში გარკვეული რაოდენობის საქონლის შემტანისა და გატანის თაობაზე სახელმწიფო ორგანიზაციებიდან მიღებული სპეციალური ნებართვა იმ საქონელზე, რომლის შემოტანა, გატანა ან ტრანზიტი დაშვებული არაა, ოპერაციები ფასიან ქაღალდებთან, და ა.შ. 2) საპატენტო ლიცენზია – პატენტის მფლობელის ნებართვა ტექნიკური დოკუმენტაციის ან დაპატენტებული გამოგონების გამოყენების თაობაზე ანუ სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირისთვის პატენტებით დაცული გამოგონებებით ან ტექნოლოგიებით სარგებლობის უფლების გადაცემა, რომელიც ფორმდება ლიცენზიო ხელშეკრულებით.

საპატენტო ლიცენზია გამოგონებაზე, რომელზედაც შეტანილია საპატენტო განაცხადი ან მიღებულია პატენტი. ე.წ. უპატენტო ლიცენზიები გაიცემა ისეთ ტექნიკურ მიღწევებზე (მათ შორის ნოუ-ჰაუ), რომლებიც მოცემული ქვეყნის კანონით არ შეიძლება დაცული იყოს პატენტით. პატენტიანი ლიცენზიის ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე უპატენტოსი. ამ კატეგორიის ლიცენზიის სახეებია ჩვეულებრივი, განსაკუთრებული

და სრული. ჩვეულებრივი ლიცენზიით ლიცენზიარი აძლევს ლიცენზიატს უფლებას გამოიყენოს გამოგონება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში, მაგრამ იტოვებს უფლებას გამოიყენოს თვითონაც იმავე ტერიტორიაზე, აგრეთვე მისცეს იგივე ლიცენზია პირთა შეუზღუდავ წრეს. ლიცენზიატს არა აქვს სუბლიცენზიის გაცემის უფლება. განსაკუთრებული (ექსკლუზიური) ლიცენზიით მხოლოდ ლიცენზიატს აქვს უფლება გამოიყენოს გამოგონება. პატენტის მფლობელი უარს ამბობს ამ ტერიტორიაზე გამოგონების გამოყენებასა და ლიცენზიის სხვა პირებისთვის მიცემაზე. სრული ლიცენზია (შედარებით იშვიათი ფორმაა) უფლებას აძლევს ლიცენზიატს გამოიყენოს პატენტზე დაფუძნებული ყველა უფლება პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში.

კანონიერი საფუძვლებით და წესით სასამართლოს ან სახელმწიფოს მმართველობის ორგანოს დაინტერესებული პირის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია დადგინოს იძულებითი ლიცენზია დაპატენტებული გამოგონების გამოყენებაზე და განსაზღვროს პირობები. იძულებითი ლიცენზია გაიცემა როდესაც გამოგონება არ გამოიყენება ან გამოიყენება არასაკმარისად (სახელმწიფოს თვალსაზრისით) ან დაკავშირებულია ქვეყნის თავდაცვის ინტერესებთან.

გამოგონების, პატენტის, ტექნოლოგიური ცოდნის მესაკუთრე იურიდიულ პირს, რომელიც თავის კონტრაქტებს (ლიცენზიატს) აძლევს თავისი უფლებების გარკვეულ ფარგლებში გამოყენების ლიცენზიას, ლიცენზიარი (ლიცენსორი) ეწოდება.

ლიცენზია – სპეციალური ნებართვა კონკრეტული სახის საქმიანობის განხორციელებაზე სალიცენზიო მოთხოვნებისა და პირობების სავალდებულო დაცვისას, რომელიც გაცემულია სალიცენზიო ორგანოს მიერ იურიდიული პირისა თუ ინდივიდუალური მეწარმისთვის.

ლიცენზია კანონის მიერ განსაზღვრულ თითოეული სახის საქმიანობაზე გაიცემა. იმ სახის საქმიანობის განხორციელება, რომელზეც გაცემულია ლიცენზია შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ლიცენზიის მიმღები იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის მიერ. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ლიცენზიის მოქმედების ვადა არ შეიძლება იყოს 5 წელზე ნაკლები, მისი დასრულებისას ის შეიძლება გაგრძელებულ იქნეს ლიცენზიატის განცხადებით. ლიცენზიის გაგრძელება ხორციელდება ლიცენზიის დამდასტურებელი დოკუმენტის ხელახლა გაფორმების წესით. კონკრეტული სახის საქმიანობის ლიცენზირების შესახებ დებულებებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ლიცენზიის უვადო მოქმედება.

ლიცენზია ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის სახეებზე

– 1) სპეციალური ნებართვა ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენებაზე; 2) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მფლობელის უფლებას გამოიყენოს გარკვეული სახეობის ველური ცხოველები ან მათი ნაწილები, ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენების დასაშვები რაოდენობის მითითებით), განმწესრიგებელი ლიცენზია (სპეციალური ნებართვა, რომელიც მასში მითითებულ პირებს აძლევს უფლებას დადგენილი წესით განკარგოს ცხოველთა სამყაროს ობიექტები).

ლიცენზია წიაღის გამოყენებაზე

1) სპეციალური სახელმწიფო ნებართვა წიაღის გამოყენებაზე; 2) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დადგენილი ფორმით წიაღის სარგებლობაში გადაცემას (ბლანკი სახელმწიფო გერბით, ასევე ტექსტური, გრაფიკული და სხვა დანართები, რომლებიც წარმოადგენენ ლიცენზიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს და განსაზღვრავს წიაღის გამოყენების ძირითად პირობებს); 3) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას გამოიყენოს წიაღის მონაკვეთი გარკვეულ საზღვრებში, მასში მითითებული მიზნის შესაბამისად, დადგენილი ვადის განმავლობაში მფლობელის მიერ ადრე მითითებული პირობების დაცვისას. წიაღის გამოყენებაზე ლიცენზიის გაცემა ხორციელდება მიწის რესურსების მართვის ორგანოს ან მიწის მესაკუთრის წინასწარი თანხმობის არსებობისას შესაბამისი მიწის ნაკვეთის წიაღის გამოყენების მიზნებისათვის გამოყოფაზე. წიაღის გამოყენებაზე ლიცენზიის მიღება საჭირო არაა მიწის მფლობელების – მესაკუთრეების მიერ მათ საზღვრებში სასარგებლო წიაღისეულების მოპოვების განხორციელებისას, რომლებიც არ ირიცხებიან სახელმწიფო ბალანსზე ასაფეთქებელი სამუშაოების გარეშე და მიწისქვეშა ნაგებობების საჭიროებისთვის მშენებლობისას 5 მ-მდე სიღრმეზე, ასევე საყოფაცხოვრებო ჭებისა და ჭაბურღილების პირველ წყალშემცველ ჰორიზონტზე მოწყობისა და ექსპლუატაციის დროს, რომელიც არ წარმოადგენს ცენტრალიზებული წყალმომარაგების წყაროს.

ლიცენზია წყლის გამოყენებაზე

– 1) სპეციალური ნებართვა წყლის ობიექტებისა და მათი ნაწილების გამოყენებაზე გარკვეული პირობებით; 2) დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომელიც აფორმებს წყლის ობიექტების სარგებლობაში გადაცემას (ლიცენზიის ბლანკი წყლის გამოყენებაზე წარმოადგენს მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტს, მას გააჩნია დაცულობის ხარისხი ფასიანი ქაღალდის დონეზე წარმოდგენილ, სააღრიცხვო სერია და ნომერი); 3) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას გამოიყენოს წყლის ობიექტი ან მისი ნაწილი გარკვეულ პირობებში დადგენილი ვადის განმავლობაში. ანსხვავებენ ლიცენზიებს ზედაპირული წყლის ობიექტების, მიწისქვეშა წყლის ობიექტების, ტრანსსასაზღვრო (სასაზღვრო) წყლის ობიექტების გამოყენებაზე (იხ. ასევე განმწესრიგებელი ლიცენზია). წყლის გამოყენებაზე ლიცენზიის მიღება საჭირო არაა:

ა) საერთო წყალგამოყენებისას; ბ) წყლის ობიექტების გამოყენებისას მცირე ზომის ხომალდებზე სანაოსნოდ; გ) სახანძრო საჭიროებებისთვის წყლის გამოყენებისას; დ) საპაერო ხომალდების ერთჯერადი დაფრენისთვის (ამფრენისთვის); ე) ცალკეული ჰაბურღილებიდან და ჭებიდან წყლის ამოღებისას საყოფაცხოვრებო ტუმბოების გამოყენებით, ზედაპირიდან წყალშემცველი პირველი პორიზონტის გამოყენებისას, თუ ასეთი წყალშემცველი პორიზონტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს და არ გამოიყენება ცენტრალიზებული სასმელი წყალმომარაგებისათვის; ვ) განცალკევებული წყლის ობიექტების გამოყენებისას.

ლიცენზირება ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში – 1) ეკოლოგიური მართვის ფუნქცია; 2) გვარეობითი ტერმინი, რომელიც მოცემულ სფეროში აღნიშნავს ხალიცენზიო საქმიანობის სახეებს. იხ. ლიცენზირება წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში; ლიცენზირება მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში; ლიცენზირება ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში; ლიცენზირება წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში; ტყის ფონდის გამოყენების საქმიანობის ლიცენზირება; სამრეწველო თევზჭერისა და თევზჭერის ლიცენზირება.

ლიცენზირება მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში 1) ლიცენზირების სახე ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. 2) მართვის ფუნქცია მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში; 3) გვარეობითი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მოცემულ დარგში ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობის სახეების. იხ. ლიცენზირება მიწის მელიორაციის დარგში, აგროქიმიური მომსახურების საქმიანობის ლიცენზირება, მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული საპროექტო-საკვლევი სამუშაოების ლიცენზირება.

ლიცენზირება მიწის მელიორაციის დარგში – 1) მართვის ფუნქცია მიწის გამოყენებისა და დაცვის დარგში; 2) ლიცენზირების სახე მიწის გამოყენებისა და დაცვის დარგში, რომელიც მდგომარეობს შემდეგი სახის საქმიანობის განხორციელებაზე ნების დამთხეველი ოფიციალური დოკუმენტების (ლიცენზირების გაცემაში) გაგრძელებაში, შეჩერებასა და ანულირებაში დადგენილ შემთხვევებში: საპროექტო-საკვლევი სამუშაოები, რაც უკავშირდება სამელიორაციო ღონისძიებებს; სარწყავი, დამშრობი, დამშრობ-სარწყავლისნო სისტემების, ცალკე განლაგებული პიდროტექნიკური ნაგებობების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ჯგუფურ (მაგისტრალურ) წყალსადენებში მშენებლობა, რეკონსტრუქციები; ჰაბურღილების ბურღვა წყალზე (თერმულ წყლებზე ჰაბურღილების ბურღვის გარდა); სამელიორაციო სისტემების, ცალკე განლაგებული პიდროტექნიკური ნაგებობების და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების ექსპლუატაცია და რემონტი. ლიცენზირება მიწის მელიორაციის დარგში ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის მიზნით სამელიორაციო სისტემებისა და ცალკე განლაგებული პიდროტექნიკური ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, მათი მესაკუთრეების (გამომყენებელთა) უფლებებისა და ინტერესების დაცვით, მიწის მელიორაციის დარგში სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებიც ახორციელებენ მათ მიერ გაცემული, გაგრძელებული, შეჩერებული ან ანულირებული ლიცენზიების რეესტრს.

ლიცენზირება პესტიციდებთან და აგროქიმიკატებთან უსაფრთხო მოპყრობის დარგში 1) მართვის ფუნქცია მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში; 2) ლიცენზირების სახე მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში, რაც მდგომარეობს იმ ლიცენზიების გაცემაში, გაგრძელებაში, შეჩერებასა და ანულირებაში დადგენილ შემთხვევებში, რომლებიც იძლევიან ნებართვას საქმიანობის განხორციელებაზე დასახელებულ დარგში.

ლიცენზირება ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში – 1) ლიცენზირების სახე ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში; 2) მართვის ფუნქცია ცხოველთა სამყაროს გამოყენებისა და დაცვის დარგში, რომელიც წარმოადგენს ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ლიცენზიების გაცემის, გაგრძელების, შეჩერებისა და ანულირების საქმიანობას დადგენილ შემთხვევებში.

ლიცენზირება წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში – 1) ლიცენზირების სახე ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში; 2) მართვის ფუნქცია წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში, რომელიც წარმოადგენს წიაღის გამოყენებაზე ლიცენზიების გაცემის, გაგრძელების, შეჩერებისა და ანულირების საქმიანობას დადგენილ შემთხვევებში.

ლიცენზირება წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში – 1) ლიცენზირების სახე გარემომცველ ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ადამიანისა და სხვა სუბიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში; 2) მართვის ფუნქცია წყლების გამოყენებისა და დაცვის დარგში; წყლის გამოყენებაზე ლიცენზიების გაცემის, გაგრძელების, შეჩერებისა და დადგენილი შემთხვევებში ანულირების საქმიანობა.

ლობიზმი – ზოგიერთი წყაროს თანახმად, ის პირველად დაფიქსირებულია 1829 წელს. ამ ტერმინით აღინიშნებოდა ოლბანის (აშშ) კონგრესის დერეფნების მემუდმიეთა წრე, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ

გაელენა მოეხდინათ სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაზე. XX ს. 30-იანი წლების დასაწყისში ეს პირობითი გამოთქმა მოდაში შემოვიდა და პოპულარული ხდება ვაშინგტონში. მოგვიანებით ლობიზმი ხდება მრავალ ქვეყანაში უმაღლეს სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის განუყოფელი ნაწილი.

როგორც წესი, ლობიზმით საკმაოდ აქტიურადაა დაკავებული მსხვილი ბიზნესი. ლობიზმი გამოიყენება კონკურენტულ ბრძოლაში ბიუჯეტის გადანაწილებაზე, ჯგუფური ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების უზრუნველყოფაზე, სახელმწიფოსგან საკანონმდებლო დაცვის მიღწევის მიზნით ლობიზმს ასევე იყენებს საშუალო და მცირე ბიზნესი. თავიანთი ჯგუფური ინტერესების უზრუნველსაყოფად ლობიზმს იყენებენ ფერმერული და სხვადასხვა პროფესიული ასოციაციები. განაზოგადა რა ტერმინის „ლობისტის" გამოყენების პრაქტიკა, ამერიკის ინფორმაციის სამსახურმა „კონგრესშლ კუოტერლი" აღნიშნა 3 კელაზე გამოყენებადი მნიშვნელობა: 1) კელაზე ფართო გაგებით – ესაა „ზეწოლის ჯგუფი"; 2) ის შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელმაც სცადა ზეწოლის მოხდენა საკანონმდებლო პროცესზე სხვა პირის ან პირთა ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე; 3) ლობისტია ის, ვინც ამ სახითაა რეგისტრირებული კანონის თანახმად, თუ ასეთი არსებობს. როგორც წესი, ლობისტური საქმიანობა ხორციელდება გარკვეული ანაზღაურების ფასად.

არსებობს ლობიზმის სხვადასხვა ფორმა. მათ შორის გამოიყოფა „პირდაპირი ლობიზმი". ამერიკის საკანონმდებლო პრაქტიკაში არსებობს აშშ-ის უზენაესი სასამართლოს სპეციალური დადგენილება (1945 წ. ივნისი) რომლის თანახმადაც იურიდიული თვალსაზრისით, ლობიზმად ითვლება განსაკუთრებულად, „პირდაპირი ლობიზმი". ის მოიცავს ზემოქმედების მეთოდებს, რაც არ მოითხოვს პირად კონტაქტებს კანონმდებლებთან ან აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირთან: სატელევიზიო პროგრამები, სარეკლამო-პროპაგანდისტული კომპანიები და ა.შ. ლობიზმის მექანიზმს გააჩნია გარკვეული სტრუქტურა. რამდენადაც მისი რგოლები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან ურთიერთდამოკიდებულების ფორმალური დამოკიდებულებით, ამ სტრუქტურას არ შეიძლება ეუწოდოთ საორგანიზაციო. ამიტომ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „აღმასრულებელი სტრუქტურა" ე.ი. სტრუქტურა, რომლისთვისაც ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან წარმოადგენს მუდმივ ფუნქციას. მასში შედის ორგანიზაციების საკუთარი სპეციალიზირებული ქვედანაყოფები (აშშ-ში ესაა ვაშინგტონის წარმომადგენლობები), ასევე დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომელთა ლობისტურ მომსახურებას მუდმივად ან პერიოდულად მიმართავენ ზეწოლის ჯგუფები.

XX ს-ში მნიშვნელოვანი სიახლე ლობირების მექანიზმში ბიზნესის სფეროში გახდა მსხვილი კორპორაციების მართვის სტრუქტურების ჩარჩოებში „საზოგადოებრივი ურთიერთობების" სპეციალურ განყოფილებათა შექმნა, რომელიც მართავს ხელისუფლებასთან კავშირების მთელს კომპლექსს ცენტრსა და ადგილებზე. განყოფილებათა ფუნქციაში შედის ფირმების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრიორიტეტების გამოკვლევა, ინფორმაციის შეგროვება, არგუმენტების გამომუშავება, ხელისუფლებასთან კონსულტაციები და კონტაქტების დამყარება. სახელმწიფო ხელისუფლებასთან ურთიერთობის ერთ-ერთ წესს წარმოადგენს მისი ამომწურავი ინფორმაცია შემოთავაზებული გადაწყვეტილებების მოტივებისა და შესაძლო შედეგების შესახებ. რამდენიმე კომპანიის ინტერესების დამთხვევის შემთხვევაში იქმნება კოალიციები. ლობირების სპეციალური ასარატი დაინტერესებულ ფირმებს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ მოახდინონ ზემოქმედება მთავრობაზე, არამედ დროულად მოახდინონ რეაგირება პოლიტიკაში ცვლილებაზე.

ლობისტური საქმიანობის მეთოდები საზოგადოების ცხოვრების პოლიტიკურ სფეროში მრავალფეროვანია. მათ შორის კველაზე გაერცელებულია: ფულის შეტანა საარჩევნო კომპანიაზე; მონაწილეობა პოლიტიკური კომპანიების წარმოებაში; პროპაგანდისტული ღონისძიებების ორგანიზაცია; რამდენიმე ორგანიზაციის გაერთიანეული ლობირება; ზემოქმედება კანონმდებლზე გაელენიანი ამომრჩეელის, პირადი მეგობრის მეშეობით; ფულადი ანაზღაურება; დასვენების ორგანიზება და ა.შ. ლობიზმის ერთ-ერთი ნეგატიური მხარეს წარმოადგენს მისი მონაწილეების მიდრეკილება ანგარების ინტერესების დაკმაყოფილებისკენ, საკვები გარემოს შექმნა შესაძლო სამართალდარღვევისა და კორუფციისათვის. ამიტომ ლობიზმის პრაქტიკის გაფართოებასთან ერთად იზრდება მისი შეზღუდვების საშუალებების არსებული. მათ განეკუთვნება: ლობიზმის მკაცრი სამართლებრივი რეგლამენტაცია, მისი მონაწილეების წრის გაფართოება და მათ შორის კონკურენციის წახალისება, პროეციონალიზმის ამაღლება სახელმწიფო მოსამსახურეების მხრიდან, ლობირების მექანიზმის სრულყოფა.

სამართლებრივი რეგლამენტაციის გზით ლობისტური საქმიანობის დარეგულირების პროცესში ლიდერს წარმოადგენს აშშ. პირველ რეალურ მცდელობას წარმოადგენს რეზოლუცია, რომელიც მოიწონა აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ 20.05.1876 წ. 1946 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი ლობიზმის რეგულირების შესახებ. კანონის კონცეფცია ეყრდნობა იმას, რომ ლობიზმი თავისთავად არ ითვლება აშშ-ში უკანონოდ. მის არსებობას უზრუნველყოფს ერთი შესწორება, რომელიც ახდენს მოქალაქეების უფლებების გარანტიას მიმართონ მთავრობას პეტიციებით საჩივრების დაკმაყოფილების შესახებ. ლობიზმის არანაირმა კონტროლმა არ უნდა დაარღვიოს დემოკრატიული პროცესის ფუნდამენტალური უფლება. ასეთი შეზღუდულების განვითარების შესაბამისად 1946 წლის ფედერალური კანონი აკრძალეებს არ უწესებს ლობისტურ საქმიანობას, არამედ ის მოითხოვს მხოლოდ მის საჯაროობას.

ლობი, ლობიზმი 1) კულუარები, სადაც პარლამენტის დეპუტატებს ჰქონდათ ურთიერთობა გარეშეებთან, ისმენდნენ მათ აზრებს ამა თუ იმ კანონპროექტის სასარგებლოდ ან მისი უკუგდების შესახებ, ამას გავლენა უნდა მოეხდინა დეპუტატების აზრებზე; 2) საგანგები პოლიტიკური ინსტიტუტი, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პარტიების, პროფკავშირების, კორპორაციების, მეწარმეთა კავშირებისა და სხვა „ზეწოლის ჯგუფების") ზემოქმედების მექანიზმი კანონების მიღების საქმეში; შეიქმნა აშშ-ში, სადაც

ლობისტური მოღვაწეობა 1946 წლიდან რეგულირდება ფედერალური კანონებით; 3) ფართო გაგებით – მოქმედება მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის ინტერესებში, ხშირად სხვა ჯგუფების საზიანოდ.

ლოიალური კონკურენცია (loyal competition)

დროებითი გადახვეწა სრულყოფილი კონკურენციის (perfect competition) სიტუაციიდან გარკვეული შეღავათის ელემენტის შეტანის გზით. ხშირად აქვს ადგილი ყოფილ ფრენშაიზინგულ პარტნიორებს შორის. ფრენშაიზინგის მიმღების მიმართ შეიძლება დაწესდეს განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში კონკურენციის აკრძალვა, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელს.

ლოკაუტი – მუშაკების განთავისუფლება სამუშაოს მიმცემის ინიციატივით კოლექტიური შრომით დავასა თუ გაფიცვაში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით. სამუშაოს მიმცემის მოქმედებების ლოკაუტად აღიარებისთვის სულაც არაა საჭიროებული განთავისუფლებათა მასიური ხასიათი. შეიძლება ადგილი ჰქონდეს შრომის ხელშეკრულების გაწყვეტას პროფკავშირების აქტივისტებთან, საზოგადოებრივი თვითშემოქმედების ორგანოს წევრებთან და ა.შ., სადაც განთავისუფლების მიზეზი იქნება მათი მონაწილეობა კონკრეტულ კოლექტიურ დავასა და გაფიცვაში. თუ სამუშაოს მიმცემი არ იცავდა ნორმებს ლოკაუტის დაცვის შესახებ, მას მოსდევს დარღვეული შრომის უფლებების აღდგენა, ასევე ორგანიზაციის ხელმძღვანელის იურიდიული პასუხისმგებლობის დადგომა.

ლომბროზიანობა XIX ს-ში ფართოდ გავრცელებული მიმდინარეობა კრიმინოლოგიაში, რომელიც დანაშაულის ჩადენის მიდრეკილებას თანდაყოლილი თვისებებით (“ანთროპოლოგიური სტიგმატებით”) ხსნიდა; სახელწოდება მიიღო იტალიელი კრიმინალისტიკისა და სასამართლო ფსიქიატრის ჩეზარე ლომბროზოს (1835-1909) სახელიდან. თანამედროვე ლომბროზიანელები დამნაშავე პირის ჩამოყალიბებაში გარემოს გაელენასაც აღიარებენ.

ლორდი 1) შუა საუკუნეების ინგლისში მსხვილი მიწათმფლობელი და ფეოდალი; 2) უმაღლესი თავადური წოდების შთამომაელობითი ტიტული, ენიჭებოდა პირებს, რომლებისგანაც შედგებოდა ბრიტანეთის პარლამენტის ლორდთა პალატა; XIX ს. ეს ტიტული ენიჭებათ პირებს მეცნიერებასა და კულტურაში დამსახურებისათვის; 3) ზოგიერთი თანამდებობის სახელწოდების ნაწილი დიდ ბრიტანეთში; საადმირალოს ლ. – საზღვაო მინისტრი; ხაზინის ლ.-ფინანსთა მინისტრი; ლ. კანცლერი – ლორდთა პალატის თავმჯდომარე; ლ. – მერი – ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მეთაური ლონდონსა და სხვა დიდ ქალაქებში.

ლტოლვილი – პირი, რომელიც მოქცა ძალადობის ან დევნის ქვეშ ან რომელსაც საფუძვლიანად ეშინია გახდეს რასობრივი თუ ეროვნული მიკუთვნებულობის, მრწამსის, ენის, გარკვეული სოციალური ჯგუფისა თუ პოლიტიკური მრწამსის ნიშნით დევნის ობიექტი და იძულებულია დატოვოს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და აღმოჩნდეს ან განზრახული აქვს აღმოჩნდეს რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქესაც ის არ წარმოადგენს. გარდა ამისა, მიზეზები, რომლის გამოც ლტოლვილი ტოვებს თავის ქვეყანას შეიძლება იყოს გარეშე აგრესია, ოკუპაცია, უცხოელთა ბატონობა ან მოელენები, რომლებმაც ხელი ორიენტულად დაარღვიეს წესრიგი ამ ქვეყანაში ან ბუნებრივი ხასიათის მოელენები (გვალვა, მიწისძრა, წყალდიდობა და ა.შ.), როცა შერყეულია ამ ქვეყანაში ადამიანთა არსებობის მატერიალური ან სხვა პირობები.

ლტოლვილად არ შეიძლება ცნობილ იქნეს პირები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს სამყაროს წინააღმდეგ, სამხედრო დამნაშავეები ან ქმედებები, რომელიც ეწინააღმდეგება გაერო-ს მიზნებსა და პრინციპებს და ასევე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პირები.

ლტოლვილად ცნობილი პირი არ ექვემდებარება იმ ქვეყანაში გაგზავნას, რომლის დატოვებაც მათ მოუხდათ იძულებით. მათი განთავსების სახელმწიფოში ლტოლვილი ერთი სახით უფლებებით (საკუთრო უფლება, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, დაწყებითი განათლების მიღების უფლება და ა.შ.) ერთნაირ მდგომარეობაშია მის მოქალაქეებთან მიმართებაში, ხოლო სხვა უფლებებით (მომრაეი ან უმრაეი ქონების შეძენის, შრომის, ასოციაციის უფლება და ა.შ.) ისინი უტოლდებიან უცხოელ მოქალაქეებს.

აკრძალულია ლტოლვილის დისკრიმინაცია ნებისმიერი მოტივით.

ლტოლვილი საქართველოს კანონმდებლობით, ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დატოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა იმის გამო, რომ იდევნებოდა რასის, რელიგიის,ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულებებისათვის და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო. ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობა, მათი უფლებანი-ვალდებანი და დაცვის გარანტიები განსაზღვრულია საქართველოს 1998 წლის 18 თებერვლის კანონით ლტოლვილთა შესახებ.

ლუსტრაციები 1) უძველეს დროში და შუა საუკუნეებში მრავალი ხალხის რელიგიურ-მაგიური ადათ-წესები, რომლებიც მიმართული იყო დაავადებებისა და უბედურებების წინააღმდეგ; განმწმენდი ძალა მიეწერებოდა ცეცხლს (ადამიანებისა და საცხოვრებლების შებოლება), წყალს, მარილს, რკინას და ა.შ.; 2) მოცემულ ქვეყანაში აკრძალული პოლიტიკური პარტიის მაღალი რანგის ფუნქციონერებისათვის გარკვეული დროის განმავლობაში სახელმწიფო აპარატში თანამდებობის დაკავების, წარმომადგენლობით ორგანოებში არჩევის, მოსამართლის საქმიანობის და სხვ. აკრძალვა; განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენეს ლ. გერმანიის დენაციფიკაციის პერიოდში ნაციონალ-სოც. პარტიის წევრების მიმართ, ამჟამად იყენებენ აღმ. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერების მიმართ.

ლუქი – მუქი წითელი ფერის ფისი, რომელსაც ხმარობენ რისამე (კარის, კონვერტის) დასაბეჭდად. მაგ. ქონებაზე ყადაღის დადებისას შეიძლება დაილუქოს სა-

თაესოს შესასვლელი კარები. ლუქი განთავსდება ისეთ ადგილას, რომ კონტაქტშია კარის უძრავსა და მოძრავ ნაწილთან, რომელთა ურთიერთის მიმართ გადაადგილება კარის გაღების მცდელობისას გამოიწვევს ლუქის დაზიანებას. ლუქის გაყალბების თავიდან ასაცილებლად მასზე ამოიტვიფრება ბეჭედი. ანალოგიურად გამოიყენება პლომბი, რომელიც მზადდება ტყვიისაგან (ფრ. plomb – ტყვია) ან სხვა მასალისაგან. მაგრამც საქონლზე, კონტეინერებზე და ა.შ. საბაჟო სამართალში წარმოადგენს საბაჟო - უზრუნველყოფის და იდენტიფიკაციის ერთ-ერთ საშუალებას.

მ

მაგისტრატურა [ლათ. magistratus მეთაური] 1)ძვ. რომში უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები (იხ. მაგისტრატი); 2) პირების ერთობლიობა, რომლებიც სახელმწიფო თანამდებობებს იკავებდნენ ძვ. რომში და ზოგიერთ სხვ. ქვეყანაში; 3) სასამართლო დაწესებულებების სისტემა ძვ. რომში; 4) დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში სახელმწიფო ჩინოვნიკი (მაგისტრატი) ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს; 5) ზოგიერთ სახელმწიფოში სასწავლო საფეხური უმაღლეს დაწესებულებაში, რომელიც ბაკალავრიატს მოსდევს.

მავნე ზეგავლენა ადამიანზე – საცხოვრებელი გარემოს ფაქტორების ზეგავლენა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ან მომავალი თაობების სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას.

მავნე ნივთიერება – ნივთიერება, რომელსაც ზღვის გარემოში მოხვედრისას შეუძლია საშიშროება შეუქმნას ადამიანთა ჯანმრთელობას, ზიანი მიაყენოს ცოცხალ რესურსს, ზღვის ფლორასა და ფაუნას, გაუარესოს დასვენების პირობები ან ხელი შეუშალოს ზღვის მართლზომიერი გამოყენების სხვა სახეებს, ასევე ნივთიერება, რომელიც ექვემდებარება კონტროლს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერება – ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერება ან ისეთი ნივთიერებების ნარევი, რომლებიც შედის ატმოსფერულ ჰაერში და რომლებიც გარკვეული კონცენტრაციით მავნე გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე.

მავნე ნივთიერებების ან ასეთი ნივთიერებების შემცველი ჩადინებების გადაშვება – ნებისმიერი გამოყოფა ხომალდებიდან ან სხვა მცურავი საშუალებებიდან, საფრენი აპარატებიდან, ხელოვნური კუნძულებიდან, ნაგებობებიდან და დანადგარებიდან ნებისმიერი მიზეზით, მათ შორისაა, ნებისმიერი გაფრნა, გამოყოფა, გადასხმა, გაღინება, გადატუმბვა ან დაცლა. მავნე ნივთიერებების გადაშვება არ გულისხმობს მავნე ნივთიერებების გამოყოფას, რაც უკავშირდება ზღვაში კონტინენტური შელფის მინერალური რესურსების მოძიებას, ძებნას, დამუშავებასა და მათთან დაკავშირებულ პროცესებს, ასევე მავნე ნივთიერებების ჩადინებას სამეცნიერო კვლევების ჩატარებისთვის დაბინძურებასთან ბრძოლის ან მისი კონტროლის მიზნით.

მავნე ფიზიკური ზეგავლენა ატმოსფერულ ჰაერზე – ხმაურის, ვიბრაციის, ინფრაწითელი გამოსხივების, ტემპერატურული და სხვა ფიზიკური ფაქტორების მავნე ზეგავლენა, რომლებიც ცვლიან ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურულ, ენერგეტიკულ, ტალღოვან, რადიაციულ და სხვა ფიზიკურ თვისებებს, ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე.

მათხოვრობა – უცხო პირებისთვის ფულის, კუების პროდუქტების, ტანსაცმლის, სხვა საგნების სისტემატური თხოვნა (სხვადასხვა მიზეზით და მათ გარეშე), რომლითაც შეიძლება მატერიალური სარგებლის მიღება.

მაკიაველიზმი [< იტ. Machiavelli] 1) პოლიტიკა, რომელიც უხეშ ძალაზეა აგებული და თელავს ზნეობის ფორმებს; სახელწოდება დაკავშირებულია იტალიელი პოლიტიკოსის და მოაზროვნის ნიკოლო მაკიაველის (1469-1527) სახელთან, რომელიც თელიდა, რომ დასაშვებია ყველაფერი, რაც იტალიური სახელმწიფოს გაძლიერებას გამოიწვევს; 2) ცბიერება, სიმუხთლე; მიზნის მიღწევა ნებისმიერი საშუალების გამოყენებით.

მაკლერი (გერმ. makler)

მაკლერი წარმოადგენს შუამავალს ხელშეკრულების დადებისას. აგენტისაგან განსხვავებით მაკლერს არ გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობით საეჭვო მაკლერის უფლება-მოვალეობები აქვს იმ პირს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის სახით სხვა პირთათვის კისრულობს საჭონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირაუნობის ხელშეკრულებათა დადების ან სავაჭრო საქმიანობის სხვა საგნების შუამავლობას ისე, რომ მათგან არა აქვს, ეს, ხელშეკრულებით მუდმივად დავალებული. რაიმე გრძელვადიანი ხელშეკრულებო ურთიერთობის არარსებობა არის მაკლერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი. ეს დებულება სამართლიანია, აგრეთვე, საბინაო და სასესხო მაკლერებისთვისაც.

გერმანული წარმოშობის სიტყვა „მაკლერის" ინგლისური შესატყვისია „ბროკერი", ხოლო საფრანგეთში მას უწოდებენ „კურტიე"-ს. არის შუამავალი საფონდო და სასაქონლო ბირჟებზე გარიგებების დადებისას. ბროკერი, ასე ვთქვათ, „ახედრებს" გამყიდველს და მყიდველს, მაგრამ არ დებს გარიგებებს თავის სარჯით. გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი და სპეციალიზირდება საბირჟო ოპერაციების განსაზღვრულ სახეებზე. ბირჟაზე ბროკერად მოღვაწეობის უფლება აქვს მხოლოდ ამ ორგანიზაციის წევრს, რომელიც საკვალიფიკაციო გამოცდაზე დადებით შეფასებას მიიღებს. მას ეძლევა სამკერდე ნიშანი და კომერციულ გარიგებებში შუამავლობის უფლება. საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისათვის ბროკერი იხდის გარკვეულ თანხას. მას უნდა გააჩნდეს საკუთარი კაპიტალი და მდგრადი

ფინანსური მდგომარეობა. ბროკერებს შეუძლიათ სესხების მიღება (საბროკერო კრედიტი) ბანკებისგან ან საბროკერო ფირმებისაგან სხვადასხვა მიზნებისათვის. მაგალითად, კლიენტის დავალებით კორპორატიული და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების შესაძენად, აგრეთვე საინვესტიციო და სხვა საქმიანობისათვის. ბროკერები ერთიანდებიან საბროკერო კანტორებში, ფირმებში, გილდიებში და ასოციაციებში და უწევენ საშუამავლო მომსახურებას კლიენტებს. ბროკერები ამყარებენ საქმიან ურთიერთობებს სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟებზე, სადაზღვეო და საფრახტო ბაზრებზე. ამასთან ისინი უზრუნველყოფენ სავაჭრო ხელშეკრულებათა კონფიდენციალურობას. ამითაა განპირობებული საშუამავლო გარიგებების უპირატესობა, რაც მხარეებს სურთ უცნობი დარჩნენ. გარდა ამისა, ბროკერებს უხდიან ბაზარზე გარკვეული სახის საქონლის, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის კონიუნქტურის შესწავლისათვის, რეკლამისათვის, კონსულტაციებისათვის. კომისიის ოდენობა ამ მომსახურებისათვის პირდაპირპროპორციულია გარიგების ოდენობისა და მას განსაზღვრაეს საბირჟო კომიტეტი, გაიცემა ხელშეკრულების დადების შემდეგ. მას ეწოდება ბონუსი ან კურტაჟი. კომისია შეიძლება განისაზღვროს ფიქსირებული ტარიფის მიხედვით ან წარმოადგენდეს გარიგების გარკვეულ პროცენტს. ბროკერებს გააჩნიათ ვიწრო სპეციალიზაცია ერთი ბირჟის მასშტაბითაც. ამიტომ მათ ვალებათ ცალკეული ფუნქციების შესრულება. მაგ. შეკვეთის მიღება, ან კონსულტაცია. განსხვავდებიან აგრეთვე საქონლის ჯგუფების მიხედვით, ბაზრის სეგმენტების მიხედვით, რომლებზედაც მუშაობენ. კლიენტის კატეგორიების მიხედვით, ბროკერთა ნაწილი თამაშობს ბირჟაზე ფასების აწევაზე, მათ „ხარები" ეწოდებათ, ე.წ. „დათვები" კი პირიქით თამაშობენ ფასდაკლებაზე.

პროფესიონალური მომზადების მიმართულების მიხედვით ბროკერი შეიძლება იყოს საბირჟო, საუქციონო, სადაზღვეო, სანაოსნო (გემების ფრახტზე მომუშავე), სავალუტო. ბროკერებს, რომლებიც მუშაობენ საფონდო ბირჟებზე და მონაწილეობენ თამასუქების ჩათელის (სადისკონტო) ოპერაციებში ეწოდებათ ბილ-ბროკერები. სავალუტო და ფასიანი ქაღალდების სფეროში ბროკერების ფუნქციებს ასრულებენ აგრეთვე კომერციული ბანკები.

ბირჟის უფროსი ბროკერი – არის ბირჟის მუშაკი, რომელსაც უფლება აქვს ჩაატაროს ოპერაციები ბირჟის წინამძღვრის სექციაში და გააკონტროლოს ბროკერების მიერ თაიანთი მოვალეობების სწორად შესრულება, დიდი ბრიტანეთის სამთავრობო ობლიგაციების ბაზარზე არსებობს საფონდო ბირჟის სამთავრობო ბროკერის თანამდებობა, რომელიც სამთავრობო აგენტის ფუნქციებს ასრულებს საფონდო ბირჟაზე. მოქმედი ბროკერი იწოდება სტოკ-ბროკერად.

ბროკერები, ფირმები და კანტორები, გილდიები და ასოციაციები ვალდებულნი არიან აწარმოონ ყოველი კლიენტის ყოველი გარიგების აღრიცხვა. მაგალითად, საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობის მიხედვით სავაჭრო მაკლერი ვალდებულია აწარმოოს დღიური და ყოველდღიურად ჩაწეროს მასში ყველა დიდებული გარიგება. ჩანაწერები უნდა გაკეთდეს ქრონოლოგიური წესით, იყოს ხელმოწერილი მაკლერის მიერ და უნდა შეიცავდეს მონაცემებს მხარეების, გარიგების საგნისა და პირობების, განსაკუთრებით, საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვისას, მათი სახეობისა და რაოდენობის, ასევე ფასისა და გარიგების საბოლოო შესრულების დროის შესახებ. სავაჭრო მაკლერი ვალდებულია მხარეთა მოთხოვნით ნებისმიერ დროს მისცეს მათ ამონაწერები დღიურიდან.

სადაზღვეო ბროკერები წარმოადგენენ შუამავლებს სადაზღვეო საქმეში. მოქმედებენ, როგორც წესი დამზღვევის ინტერესებში და ეხმარებიან მას სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას მიიღონ მზღვეველისაგან (სადაზღვეო კომპანიისაგან) კუთვნილი სადაზღვეო თანხა. მოქმედებენ სპეციალური მინდობილობის საფუძველზე. ეს არის საბუთი, რომელსაც დამზღვევი აძლევს სადაზღვეო ბროკერს და რომლის ძალითაც მას ენიჭება განცხადებულ პრეტენზიასთან შესაბამისად მზღვეველისგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სადაზღვეო ბროკერი აღნიშნული მომსახურებისათვის ღებულობს ანაზღაურებას (ბროკერიჯი), რომელიც წარმოადგენს დამზღვევის მიერ მიღებული სადაზღვეო თანხის გარკვეულ პროცენტს.

საბაჟო ბროკერი – პირი, რომელიც თავისი სახელით ასრულებს საბაჟო გაფორმების ნებისმიერი სახის ოპერაციებს. ამასთან იგი ასრულებს მოვალეობას და აკისრია პასუხისმგებლობა ისე, თითქოს დამოუკიდებლად ახორციელებდეს საქონლის საზღვარზე გადაადგილებას. საბაჟო ორგანოების მიმართ ამგვარი საბაჟო ბროკერის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიზღუდოს წარმოდგენილ პირთან (პრინციპალთან) არსებული კონტრაქტით. საბაჟო ბროკერი მოქმედებს სპეციალური ლიცენზიის საფუძველზე.

მაკლერები (ბროკერები) არ რჩებიან უმუშევრად, რადგან გარდა იმისა, რომ ახვედრებენ გამყიდველსა და მყიდველს, მათ გააჩნიათ კონკრეტული ბაზრების სპეციალური ცოდნა და აგრეთვე შეუძლიათ გარიგების მონაწილის ეინაობის დაფარვა.

განვიხილოთ შინაარსობრივად ახლოს მდგომი ცნებები:

1. **დილერი** – იგივე რაც ბროკერი.(მაკლერი), არის საფონდო ბირჟის წევრი (ცალკეული პირი ან კომპანია), ოღონდ იგი მუშაობს თავის ხარჯზე და რისკზე, ფასიან ქაღალდებს ყიდულობს მხოლოდ საკუთარი ფულით, ბროკერისაგან განსხვავებით დილერის კლიენტი პასუხს არ აგებს ზარალზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ზეპირი განკარგულების შესრულებას. დილერი ეწოდება აგრეთვე შეწარმეს, რომელიც სალაღად ვაჭრობს პროდუქციით, რომელიც შეძენილი აქვს ბითუმად, როგორც წესი დილერი არის მსხვილი სამრეწველო კორპორაციის აგენტი და შედის მის სადილერო ქსელში. დილერის ანაზღაურება ფორმირდება გამყიდველის და მყიდველის კურსებს შორის სხვაობისაგან.

2. **ჯობერი** – ლონდონის საფონდო ბირჟის დილერს ბროკერებისაგან განსხვავებით არა აქვს უშუალოდ კლიენტებთან ანუ ბირჟის არაწევრებთან ოპერაციების წარმოების უფლება.

მამათმავლობა სქესობრივი უკუღმართობა–მამაკაცთან მამაკაცის სქესობრივი კავშირი, იგივე ჰომოსექსუალიზმი. ძველ ქართულ სამართალში მიღებული იყო მამათმაულობის ანუ „სოდომური ცოდვის" შემთხვევა და სამ ჯგუფად დაყოფა. იმის მიხედით, თუ როგორ, რა პირობებში იქმნებოდა ჩადენილი ეს ცოდვა"

(მაგ.- „ოდეს სხვასა მიერ შეემთხვა... სიგლახაკისაგან"; „ენ" სხუასა თანა მამათმაულობდეს და სხუაი მის თანა") განასხვავებდნენ „სუბუქ", „მძიმე" და „უმძიმეს" მამათმაულობას. ასხარ მამათმაულობას „მამათ დედლობაი" ეწოდებოდა. ერეკლე II-სა და ანტონ კათალიკოსის განჩინება 1767-68 წლების, მამათმაულობისათვის „ძალიანი და საანდაზოს ჯაჯაებით" (ტანჯეა-წამებით) სიკვდილს ითვალისწინებდა.

მამაკაცთა კავშირები საზოგადოებრივი ინსტიტუტი, გაჩნდა დედისეული გვარიდან მამისეულ გვარზე გარდამავალ პერიოდში, მამაკაცთა ისეთი ორგანიზაციის სახით, რომელიც საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობის მოსაპოვებლად იბრძოდა. მამაკაცთა კავშირებს ჰყავდათ საკუთარი ხელმძღვანელები, ჰქონდათ საიდუმლო ენები, რიტუალები, რელიგიური ცერემონიები. პირველყოფილი—თემური წყობილების რღვევის პროცესში ზოგჯერ, მათ საიდუმლო საზოგადოებებსაც უწოდებდნენ და სახელმწიფო ხელისუფლების ჩასასხურ ორგანოებს წარმოადგენდნენ. მამაკაცთა კავშირებმა ფართო გავრცელება ჰპოვა მელანეზიასა და დასავლეთ აფრიკაში. ცნობილია მიკრონეზიასა და ამერიკაში გადმონაშთური ფორმებით კი მთელ რიგ ძველ და ჩვენი უახლესი ისტორიის დროინდელ ხალხებში (ნეოსტანლები და სხვები).

მამაკაცთა სახლები საზოგადოებრივი ნაგებობანი პირველყოფილ საზოგადოებაში. სოფლის უცილო მამაკაცთა ჯგუფური საცხოვრებელი. აგრეთვე მამაკაცთა საკრებულო, სტუმართა მისაღები და რიტუალების შესასრულებელი ადგილი. მამაკაცთა სახლები ან მათი სხვადასხვაგვარი გადმონაშთი ყველა კონტინენტის ხალხშია ცნობილი. ისევე როგორც შედარებით ნაკლებად გავრცელებული ქალიშვილთა სახლები, რაც დაკავშირებულია სქესობრივ-ასაკობრივ დაყოფასთან პირველყოფილ საზოგადოებაში და მისი საწყისები შესაძლებელია ადრინდელ გვაროვნულ თემში, სქესთა ცალ-ცალკე ცხოვრებიდან მომდინარეობდეს. მამაკაცთა სახლებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა დედისეული გვარიდან მამისეულ გვარზე გადასვლის დროს, როცა მამაკაცთა კავშირების სამოქმედო ცენტრი გახდა.

მამამძუძეობა (მამამძუძე – გამზრდელი) – სხვის ოჯახში შვილის გასაზრდელად გაბარების ჩვეულება, გავრცელებული იყო მსოფლიოს მრავალ ხალხში. კელტებში, არაბებში, კავკასიაში და სხვებში. მისი ინსტიტუტი მოდის პატრიარქალური გვარიდან ფეოდალური საზოგადოების ჩათვლით, რომლის შესახამისად წარჩინებული ოჯახები ჩვილ ვაჟებს აღსაზრდელად თავიანთ ვასალებსა და მსახურებს აბარებდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში ეს ტრადიცია შემონახული იყო ათაღიკობის სახელწოდებით. გავრცელებული იყო ყაბარდოელებში, ჩერქეზებსა და ოსებში. 7-8 წლამდე ბავშვებს ზრდიდა ათაღიკის ცოლი – ძიძა (ვამზრდელი). ამ მნიშვნელობით „დაბადების" ქართულ თარგმანში მოხსენიებულია დედაძუძუ, შემდეგ კი მის აღზრდაზე მამაძუძუ ზრუნავდა: ასწავლიდა იარაღის ხმარებას, ჯირითს, ზნეობრივად ამაღლებულ ქცევას, სიმამაცეს, შემდეგ კი უკვე აღზრდილს ასაჩუქრებდა და უშვებდა მამის სახლში. ზემო რაჭაში ამ ტრადიციას „სხვისი შვილობა" ერქვა და ხელოვნური ნათესაობის თავისებურ ფორმასთან, „ყრმამოკეთეობასთან" იყო დაკავშირებული. ამ ტრადიციით აღსაზრდელსა და აღმზრდელს შორის მყარდებოდა ბუძუნი ნათესაობა, რაც მათ შორის საქორწილო ურთიერთობას კრძალავდა.

მამასახლისი ძველ საქართველოში სახლის, თემის, გვარის წინამძღოლი. მოგვიანებით არჩეული ან დანიშნული პირი, რომელიც ხელმძღვანელობდა ადმინისტრაციულ ერთეულს, ძირითადად სოფელს, აგრეთვე მცირე კოლექტივის (ლაშის, ჯგუფის) ხელმძღვანელს.

პირველყოფილ-თემური წყობილების პერიოდში მამასახლისი გვარის უხუცესი, რომლის გადმონაშთები ფეოდალური საქართველოს პერიოდშიც იქნა შენარჩუნებული. სოფლის მამასახლისი უმეტესად გლეხთა ფენიდან იყო, რომელიც ყველანაირ სამოხელეო და სასამართლო ფუნქციებს ასრულებდა, თეითონ განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადისაგან. სახასო მამულები მამასახლისს მეფე ნიშნავდა. მამასახლისებს მოურავთან, ნაცვალთან და მელიქთან ერთად ბაზრის და ვაჭრობის საქმეები ებარა, რომლებთანაც ავრეთვე სასამართლო საქმეებს იხილავდა. მამასახლისი იყო არჩეითაც და დანიშვნითაც, დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი იდეოლოგიური ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში აღმოჩნდებოდა იგი.

მამობის დადგენა ნავარაუდი მამისაგან ბავშვის წარმოშობის ოფიციალური დადასტურება. თუ მშობლები ვერ თანხმდებოდნენ მამობის საკითხზე, საქმე განიხილებოდა სასამართლოში, ერთ-ერთი მშობლის განცხადების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებული წესით. მამობის დადგენა დაბადების თარიღისაგან დამოუკიდებლად სასამართლო წესით ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ გარდაიცვალა პირი, რომელიც თავის თავს ბავშვის მამად აღიარებდა. სასამართლო წესით მამობის დადგენისას მხედველობაში მიიღება ბავშვის მშობლების ერთად ცხოვრება და საერთო მეურვეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთად აღზრდა და რჩენა, ასევე სხვა დამადასტურებელი საბუთი, რომლებიც საესებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

მანდატური [< მანდატი] მანდატთან კავშირში მყოფი, მანდატის საფუძველზე განხორციელებული; მ. კენჭისყრა–კენჭისყრის სისტემა, რომლის დროსაც დელეგატებს აქვს რამდენიმე ხმის უფლება მის მიერ წარდგენილი ორგანიზაციების პროპორციულად; მ. სისტემა–სისტემა, რომლის დროსაც გერმანიისა და თურქეთის ყოფილი პროვინციები იმართებოდა I მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ (იხ. მანდატარი); II მსოფლიო ომის შემდეგ ამ სისტემას ჩაენაცვლა გაეროს სისტემა.

მანდატურთუხუცესი ფეოდალურ საქართველოში მაღალი თანამდებობის პირი, ვეზირი, რომელიც "სამთა ვეზირთა" შემადგენლობაში შედიოდა და ათაბაგსა და ამირსპასალარს უტოლდებოდა. მანდატურთუხუცესის ფუნქციაში შედიოდა სამეფო კარზე წესრიგის დაცვა და სხვა ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება.

მანუს კანონები ძველი ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური და სამართლებრივი მიმდინარეობა, ნორმათა კრებული, რომელიც განსაზღვრავდა ინდოელის ყოფაქცევას პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბრაჰმანიზმის რელიგიური დოგმების შესაბამისად. მანუს კანონების შედგენას ინდური ტრადიცია მიაწერს ადამიანთა მითიურ მამამთავარ მანუს. ჩვენამდე მოღწეული რედაქცია შედგენილი უნდა იყოს ძვ. წ. II და ახ. წ. I საუკუნეებში. იგი დაწერილია სანსკრიტულ ენაზე და შეიცავს 2650 ორტაეულს, რომელიც 12 თავადაა დაყოფილი. მათში მოცემულია წოდებათა (ვარნების) წარმოშობა, თითეული მათგანის დანიშნულება და პრივილეგიები, საოჯახო, საოქაქაო და სისხლის სამართლის ნორმები.

მანქანების მართვის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა – დანაშაული სამოქალაქო და სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ, რომელიც მდგომარეობს სამოქალაქო და სამხედრო, სპეციალური ან სატრანსპორტო მანქანის ტარების წესების დარღვევაში, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მძიმე ან საშუალო სიმძიმის ზიანის მიყენება, ადამიანის ან ორი ან მეტი პირის სიკვდილი.

მაჟორიტარული [< ფრ. majorer უმეტესობა] უმრავლესობასთან კავშირში მყოფი ან მასზე დამყარებული; მ. ოლქი – საარჩევნო ოლქი, რომლის დეპუტატი მ.სისტემით ირჩევა; მ. წარმომადგენლობა– კენჭისყრის შედეგების განმსაზღვრელი სისტემა, რომლის დროსაც არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მიიღო ამომრჩეველთა ხმების უმეტესობა (აბსოლუტური ან შეფარდებითი); იხ. აგრ. პროპორციული.

მარაგის მიწები – 1) მიწის ერთ-ერთი კატეგორია; 2) სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი მიწები, რომლებიც არაა შეთავაზებული მოქალაქეებისა თუ იურიდიული პირების მიერ გამოყენებისათვის, ხელახლა განაწილების ფონდის გარდა, რომელიც ყალიბდება მიწის კოდექსის შესაბამისად; მარაგის მიწების გამოყენება დასაშვებია მათი სხვა კატეგორიაში გადაყვანის შემდეგ.

მართვის დარგი – საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც უკავშირდებიან ნიშნებით მსგავსი ობიექტების ფუნქციონირებას (მაგალითად, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, განათლება, ჯანდაცვა, თავდაცვა და ა.შ.) და წარმოადგენენ მართვითი ზემოქმედების საგანს სახელმწიფოს მხრიდან, მის მიერ შექმნილი სახელმწიფო მართვის ორგანოების მხრიდან. თითოეულ მართვის დარგს გააჩნია თავისი სპეციფიკა, რომელიც განპირობებულია მოცემული დარგით გაერთიანებული საწარმოების, დაწესებულებების, სხვა ორგანიზაციების საქმიანობის სახით.

სახელმწიფოს ფუნქციების რეალიზაცია კონკრეტულ დარგებთან მიმართებაში ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით. ამ ორგანოების მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილებები უნდა შეესაბამებოდეს მეურნეობის მოცემული დარგის ან სოციალურ-კულტურული საქმიანობის განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს.

მართლზომიერი ქცევა – ადამიანთა სოციალური ქცევის ერთ-ერთი ნაირსახეობა. სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში ის გამოდის, როგორც მისი წამყვანი ნაირსახეობა, როგორც ადამიანთა ქცევების და სოციალურ-მნიშვნელოვანი მოქმედებების ერთობლიობის უდიდესი ნაწილი. მართლზომიერი ქცევა წარმოადგენს არამართლზომიერი ან მართლსაწინააღმდეგო ქცევის ანტიპოდს. ქცევის მართლზომიერების ან არამართლზომიერების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ იმის საფუძველზე, თუ რამდენად ესადაგება ადამიანთა ქცევა და მოქმედებები სამართლებრივ მითითებებს. ეს ეხება სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, ასევე მათ მიერ გამოცემულ სხვადასხვა იურიდიულ აქტს.

მართლზომიერი ქცევის ფაქტის შესახებ კონსტატაციასთან ერთად არსებობს ყველა საფუძველი ვისაუბროთ მისი სხვადასხვა ხარისხის შესახებ ამა თუ იმ ქმედების მიმართ. მართლზომიერების ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმს წარმოადგენს ადამიანთა რეალური მოქმედებებისა და ქცევების შესაბამისობის ხარისხი სამართლის ჩადებულ ნორმებში ქცევის მოდელებთან. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართლზომიერი ქცევა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანთა ისეთი ქცევა, რომელიც სრულად ეთანხმება სამართლის ნორმების ყველა მოთხოვნას. თუ ესა თუ ის ქმედება უმნიშვნელოდ არღვევს არსებით სამართლებრივ მითითებებს, ის არ უნდა განვაკუთვნოთ მართლზომიერთა რიგს. ეს ეხება სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მოქმედებების მართლზომიერებას.

მართლზომიერი ქცევის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ის გამოდის, როგორც საზოგადოებრივ-აუცილებელი და საზოგადოებრივ-სასარგებლო ქცევა. ის ქმნის საზოგადოების სტაბილურობისა და ორგანიზებულობის საფუძველს, აყალიბებს საჭირო წინაპირობებს მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. არსებობს მართლზომიერი ქცევის სხვადასხვა სახე. მათი კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა საფუძველით. მაგალითად, გარეგანი გამოვლინების მიხედვით მართლზომიერი ქცევა შეიძლება გამოვიდეს ან აქტიური მოქმედების, ან პირიქით, კანონით გათვალისწინებული პასიური ქცევის – უმოქმედობის სახით.

ამ მხრივ ასევე საყურადღებოა, მართლმსაჯულების სხვადასხვა დარგებთან ნორმების მიკუთვნებულობა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მართლზომიერი ქმედებები, ეს უკანასკნელი იყოფა სამოქალაქო-სამართლებრივად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივად, შრომითად და სხვ. შესაძლებელია სამართლებრივი ქმედებების კლასიფიკაციის სხვა კრიტერიუმებიც. მაგალითად, მათი განხორციელების სფეროს მიხედვით (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვ.); მართლზომიერი ქცევის სუბიექტის მიხედვით (მოქალაქეთა, თანამდებობის პირთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, სხვადასხვა გაერთიანების მართლზომიერი ქმედებები) და ა.შ. მართლზომიერი ქცევის სხვადასხვა სახის გამოყოფა და შესწავლა საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გავიგოთ მათი ბუნება, შინაარსი, როლი საზოგადოებრივ და სახელმწიფო-სამართლებრივ ცხოვრებაში, ასევე მათი დანიშნულება.

მართლმსაჯულება – სახელმწიფო საქმიანობის ერთი-ერთი ფორმა, რომელიც არსებითად მდგომარეობს სამართლის გამოყენებაში ანუ ესაა სამართალგამოყენებითი ანუ იურისდიქციული საქმიანობა. ეს ხორციელდება პროცესის მონაწილეთა და მხარეთა მონაწილეობით სამოქალაქო და სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვისას და გადაწყვეტისას კანონით რეგლამენტირებული ფორმით. სისხლის სამართლის კანონი მართლმსაჯულების ქვეშ გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლო ორგანოების აღნიშნულ, არამედ ამის ხელშეშლობი ორგანოების – პროკურატურის, წინასწარი გამოძიების, კანონიერ ძალაში შესული განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულებელი დაწესებულებებისა და ორგანოების საქმიანობასაც.

მართლმსაჯულება სახელმწიფოებრივი საქმიანობის ერთ-ერთი დიდი ფორმა. სასამართლოს მიერ სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვაგადაწყვეტა, ე.ი. კანონით დაცული ინტერესებისა და უფლებების დარღვევის ფაქტის სასამართლო წესით დადგენა და სამართალდამრღვევის მიმართ სახელმწიფო იძულებითი ღონისძიების გამოყენება. მართლმსაჯულება ემსახურება სახელმწიფოში დადგენილი მართლწესრიგისა და სამართლიანობის დაცვას. მართლმსაჯულება დაფუძნებულია დემოკრატიზმის, კანონიერებისა და ჰუმანიზმის პრინციპების განხორციელებას ქეეყანაში. იგი მოწოდებულია დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება, მოქალაქეების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებები, საკუთრება და სხვა კანონიერი ინტერესები. უზრუნველყოს მათი კანონით დაცული მოთხოვნების დაკმაყოფილება. კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება ხელს უწყობს ადამიანთა უფლებების დაცვას და მათ აღზრდას სამშობლოსადმი ერთგულებით და ნდობით.

მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო იხილავს და წყვეტს საქმეებს კოლეგიალურად ღია ან დახურულ სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით, რომლის წინაშე წინა პლანზე წამოწეულია და დაცულია ყველა მოქალაქის თანასწორობა, მიუხედავად მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა საზოგადოებრივი მდგომარეობისა. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლე და მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. სასამართლოს მთელი საქმიანობა განსაზღვრული და რეგლამენტირებულია კანონით – პროცესუალური ნორმებით, რომელთა განუხრელად დაცვა მოსამართლეთა მიერ მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელების მთავარი პირობაა.

მართლმსაჯულების აღმსრულებელი პირის სიცოცხლის ხელყოფა – დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს ხელყოფას მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის ან მართლმსაჯულების აღსრულებაში მონაწილე პირის, პროკურორის, გამომძიებლის, მოკვლეულის მწარმოებელი პირის, დამცველის, ექსპერტის, სასამართლო აღმასრულებლის ან მათი ახლობლების სიცოცხლეზე საქმეების ან მასალების სასამართლოში განხილვასთან, წინასწარი გამოძიების წარმოებასთან ან სასამართლოს განაჩენის, გადაწყვეტილების, სხვა სასამართლო აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, აღნიშნული პირების კანონიერი საქმიანობისთვის ხელის შეშლის ან ასეთ საქმიანობაზე შურისძიების მიზნით, ჩადენილი ქმედება.

მართლმსაჯულების აღსრულებისთვის ხელის შეშლა – ნებისმიერი ფორმით ჩარევა სასამართლოს საქმიანობაში სარჩელთა დაკმაყოფილებაზე უარის მიღების ან ამა თუ იმ სასჯელის მისჯის მიზნით და ა.შ., რაც არ უერთდება მუქარას ან ძალადობას.

დანაშაულის ობიექტური მხარე მდგომარეობს კონსტიტუციის ნორმებისა და კანონის უგულებელყოფაში და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების ჩადენაში, რომლებიც გამოიხატებიან სასამართლოს საქმიანობის ჩარევაში მართლმსაჯულების აღსრულების მხრივ.

ასეთი ზემოქმედება მოსამართლესა თუ ნაფიც მსაჯულზე შეიძლება განხორციელდეს მითითებებისა და რჩევების მიცემის გზით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საქმე ან ამის თაობაზე შესაბამისი თხოვნით გამოთქმის გზით და ა.შ.

სასამართლოს საქმიანობაში ჩარევა მართლმსაჯულების აღსრულებისთვის ხელის შეშლის მიზნით წარმოქმნის მღეღვარი დანაშაულის შემადგენლობას იმ პირობის დროს, რომ აღნიშნული ზემოქმედება მოსამართლეზე გაწეულ იქნა მის მიერ კონკრეტული სასამართლოს საქმის განხილვასთან დაკავშირებით და იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლის მიერ განიხილება რიგი, გარკვეული კატეგორიის საქმეები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოსამართლეზე შეიძლება განხორციელდეს ზეგავლენა სარჩელთა დაკმაყოფილებაზე უარის (მაგალითად, კომერციულ ბანკებთან მიმართებაში) ან ამა თუ იმ სასჯელის მისჯის მიზნით და ა.შ. მოსამართლეზე ასეთი სახის ზემოქმედებაზე პასუხისგებაში პირთა მიუცემლობა უგულებელყოფს კანონის მოთხოვნას მართლმსაჯულების აღსრულებაში ყოველგვარი ჩარევის აკრძალვის შესახებ.

მართლსაწინააღმდეგობა დანაშაულის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ნიშანი, რომელიც აღნიშნავს მისი ჩადენის აკრძალვას დასჯის საფრთხის ქვეშ. მართლსაწინააღმდეგობა ანუ კანონსაწინააღმდეგობა – ნებისმიერი დანაშაულის ფორმალური ნიშანი.

მართლურთიერთობა სახამართლო ნორმით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები აქვთ. მართლურთიერთობა გამოხატავს საზოგადოების თაყვანუფალ და თანასწორუფლებიან წევრთა ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობას, რომ მან სამართლის ნორმის საფუძველზე შესრულოს რაიმე მოქმედება ან სხვას მოსთხოვოს მისი შესრულება ანდა მისგან თავის შეკავება; მოვალეობა კი ნიშნავს სუბიექტის საკანონდებულო ქცევას, როცა მან უნდა შეასრულოს უფლების მქონე პირის მოთხოვნის შესაბამისად და სამართლის ნორმის საფუძველზე. თავისი შინაარსის მიხედვით მართლურთიერთობა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: სამოქალაქო, შრომითი, ადმინისტრაციული და ა.შ. მისი წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა დაკავშირებულია

გარკვეულ იურიდიულ ფაქტთან, იმ გარემოებებთან, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არის გათვალისწინებული.

მართლშეგნება სამართლებრივ შესხედულებათა ერთობლიობა, იგივე სამართლებრივი იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა. მართლშეგნება შესაბამისად ქმნის სამართალს, სამართლებრივ დაწესებულებებს. ერთიანი მართლშეგნება უნდა ყალიბდებოდეს იმ ქვეყნის საზოგადოებაში, სადაც იმ მართლშეგნების დომინანტია წამყვანი. მართლშეგნებაში იგულისხმება ქვეყნის პროგრესულობის იდეების და სამართლიანობის შესხედულებები სამართალზე, მის წარმოშობასა და არსზე, დანიშნულებასა და მიზნებზე, განვითარების ეტაპებსა და ისტორიულ ბედზე. მართლშეგნების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, აგრეთვე, თუ რამდენად სამართლიანია მოქმედი კანონები ქვეყანაში, რამდენად სამართლიანად არის განაწილებული უფლებები და მოვალეობები საზოგადოების წევრებს შორის, როგორია ამ უფლება-მოვალეობათა შინაარსი, მოცულობა და რამდენად უზრუნველყოფს მის განხორციელებას სახელმწიფო.

მართლწესრიგი მოქმედ სამართალზე დაფუძნებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელსაც იცავს და ახორციელებს სახელმწიფო. მართლწესრიგი განასახიერებს და განამტკიცებს განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა მხარეებს ქვეყნებში, კერძო და საზოგადოებრივ საკუთრებას, სახელმწიფო და პირად უსაფრთხოებას. ასევე დემოკრატიზმის ძირითად პრინციპებს, ყველა ერისა და ხალხის თანასწორობას, მოქალაქეების თავისუფლებასა და თანასწორობას. მართლწესრიგში იგულისხმება ის საზოგადოებრივი წესრიგი, რომელიც კანონიერების პრინციპის გატარების შედეგად მყარდება.

მართლწესრიგი – საზოგადოებრივი წესრიგის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ეს უკანასკნელი ყალიბდება საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სხვადასხვა სოციალური ნორმის განხორციელების შედეგად. მართლწესრიგი წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეულ მდგომარეობას, რომელიც მიიღწევა სამართლის ყველა სუბიექტის მიერ სამართლებრივ ნორმებში შემცველი მითითებების მკაცრი და განუხრელი დაცვის შედეგად. მართლწესრიგის უმნიშვნელოვანეს განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ის ყალიბდება მხოლოდ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და საკანონმდებლო წესით უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ.

მარკირება – ინფორმაცია, რომელიც დამაზდებლის მიერ თავსდება უშუალოდ კონკრეტულ საქონელზე, ტარაზე, ეტიკეტებსა თუ ბარლიყებზე და ა.შ.; საიდენტიფიკაციო პირობითი აღნიშვნები თითოეულ სატვირთო ადგილის საფუთავზე (ყუთზე, ტომარაზე და ა.შ.), რომელიც შეიცავს ტვირთის სათანადო გადაზიდვისა და მიმღებისადმი ჩაბარებისთვის აუცილებელ მონაცემებს. სათანადო მარკირების უქონლობამ შეიძლება დამზღვევს ჩამოართვას სადაზღვეო ანაზღაურების მიღების უფლება.

მარჟა – დეპოზიტზე (ანაბარზე), გირაუნობის უზრუნველყოფაზე ან ვალუტის კურსის დასაშვებ ცვლილებაზე დამატებითი გადასასადი (გარანტირებული ანარიცხი). სავაჭრო გარიგებებში – ფულადი თანხა ან გირაო, რომელიც მიბარებულია ბროკერთან ღია ფიუჩერსის კონტრაქტებით შესაძლებელი დანაკარგის დასაზღვევად.

„მარჟით" ფასიანი ქაღალდების ყიდვა ნიშნავს მათს ყიდვას ნაწილობრივი ანაზღაურებით. აუნაზღაურებელი ფასიანი ქაღალდების თანხას ბირჟის ბროკერი კლიენტს აძლევს კრედიტს. თავად ბროკერი ნაყიდ ფასიან ქაღალდებს აგირავებს და დაგირავების შედეგად ღებულობს სესხს.

მარტივი ამხანაგობის ხელშეკრულება – ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ორი პირი (რამდენიმე პირი-ამხანაგი) ვალდებულია გაერთიანოს თავისი წვლილი და ერთობლივად იმოქმედოს იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე მოგების მისაღებად ან კანონით დასაშვები მიზნის მისაღწევად. ბუნებით, მარტივი ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსენსუალურს, ორმხრივ და ანაზღაურებად. მარტივი ამხანაგობის ხელშეკრულების სუბიექტებად შეიძლება გამოვიდეს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი სუბიექტი. თუმცა, მეწარმეობის მიზნით დადებული მარტივი ამხანაგობის ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოქალაქე-მეწარმეებს ან/და კომერციულ იურიდიულ პირებს, ასევე არაკომერციულ იურიდიულ პირებს, თუ ეს საქმიანობა შეესაბამება საწესდებო მიზნებს და მოგება მიმართულია ამ მიზნებზე. გამოყოფა ღია და ფარული ამხანაგობა. ფარული ამხანაგობის მოდელი გულისხმობს, რომ ხელშეკრულების დადება უცნობია მესამე პირებისთვის, თითოეული ამხანაგი უძღვება საქმეს და პასუხისმგებლობას იღებს დამოუკიდებლად, თუმცა ერთმანეთთან ურთიერთობაში ამხანაგები დაკავშირებულნი არიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებით. მარტივი ამხანაგობის ხელშეკრულების ნაირსახეობებს წარმოადგენს ასევე ხელშეკრულებები სამეურნეო საზოგადოებების დაფუძნების, ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების შექმნის შესახებ და ა.შ. მარტივი ამხანაგობის ხელშეკრულების ფორმა განისაზღვრება კანონმდებლობის ზოგადი მოთხოვნებით.

ამხანაგობის ქონება იყოფა: ა) ამხანაგების საერთო საწილო საკუთრებაში არსებულად და ბ) ერთობლივად გამოყენებადად წილობრივი საკუთრების წარმოქმნის გარეშე. არ იქმნება მართვის სპეციალური ორგანოები. გადაწყვეტილებების მიღება ხდება ერთსულოვნად ან ხმათა უმრავლესობით. ზოგადად, თითოეულ ამხანაგს უფლება აქვს იმოქმედოს ყველა ამხანაგის სახელით მარტივი ამხანაგობის საქმეების წარმართვისას. თუ ყველა ამხანაგის სახელით გამოდის ერთი ამხანაგი, ჩნდება წარმომადგენლობის ურთიერთობები.

კომერციული მარტივი ამხანაგობის მონაწილეები პასუხს აგებენ მესამე პირების წინაშე სოლიდარულად ყველა ვალდებულებაზე; არაკომერციულს კი – მხოლოდ არასახელშეკრულებო ვალდებულებებზე სოლიდარულად.

მარტივი თანრიგოვანი პროგრესია – მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საგადასახადო ბაზის საერთო ოდენობისთვის დგინდება საფეხურები (თანრიგები) და თითოეული თანრიგისთვის განისაზღვრება გადასახადის ოდენობა, სარგო აბსოლუტურ ოდენობაში. მაგალითად, გადასახადით დასაბეგრი გადასახადი იყოფა თანრიგებად: 1) 1-დან 1000 ლარამდე; მე-2 – 1001-დან 2000 ლარამდე; მე-3 – 2001-დან 3000 ლარამდე და ა.შ. 1 თანრიგისთვის დგინდება გადასახადი 1 ლარი; მე-2 თანრიგისთვის – 10 ლარი, მე-3-თვის – 100 ლარი. ამ სისტემის მოუხერხებლობა თვალსაჩინოა: რაც უფრო ფართოა თანრიგების საზღვრები, მით მეტია არათანაბარობა შემოსავლების მიმღებ პირთა გადასახადით დაბეგვრაში, რაც შეესაბამება თანრიგის სხვადასხვა საზღვარს. ეს სისტემა ფართოდ გამოიყენებოდა წარსულში. ამჟამად ის არ გამოიყენება.

მარტივი სასაწყობო მოწმობა – ფასიანი ქაღალდი წარმომდგენზე, რაც ადასტურებს სასაწყობო შენახვის ხელშეკრულების დადების, დამცველის (საქონლის საწყობის) მიერ ტვირთის გადამცემისგან გადაცემული ნივთის მიღების ფაქტს, მას გააჩნია ფორმალური რეკვიზიტები. საქონლის საწყობში არსებულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება მარტივი სასაწყობო მოწმობის გადაცემის გზით. იხ. ასევე შენახვის ხელშეკრულება, სასაწყობო შენახვის ხელშეკრულება, სასაწყობო კვიტანცია, ორმაგი სასაწყობო მოწმობა.

მარტივი შარლოტის პროგრესია – მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო ბაზის საერთო ოდენობისთვის ასევე დგინდება თანრიგები, თუმცა თითოეული თანრიგისთვის განისაზღვრება სხვადასხვა განაკვეთი (როგორც მყარი, ასევე საპროცენტო). ამასთან საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ის, რომ გადასახადი იანგარიშება არა ნაწილ-ნაწილ (არა ცალკეული თანრიგების მიხედვით), თითოეულ თანრიგზე დარიცხული გადასახადის ოდენობათა შემდგომი შეკრებით, ხოლო ერთი განაკვეთი გამოიყენება გადასახადით დაბეგვრის ბაზის მიმართ ბაზის საერთო ოდენობის მიხედვით.

მარწმუნებელი – დაკალების ხელშეკრულებაში მხარე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ანდობს (აკალებს) იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებების შესრულებას თავისი სახელით და ხარჯზე სხვა პირს (რწმუნებულს).

მასობრივი არეულობები – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დარღვევა ადამიანთა დიდი ჯგუფის მიერ, რომელსაც თან ახლავს ძალადობა, დარბევები, ხანძრის გაჩენა, ქონების განადგურება, ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების ან მოწყობილობების გამოყენება, ასევე შეირაღებული წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. ამ დროს ნადგურდება სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ქონება, ხდება ტრანსპორტის მუშაობის ბლოკირება, პარალიზებული ხდება ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ფუნქციონირება, ხორციელდება თავდასხმები და სხვა ქმედებები, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (მის) – პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა, რადიო-, ტელე-, ვიდეოპროგრამა, კინოქრონიკის პროგრამა, მასობრივი ინფორმაციის პერიოდული გაერცელების სხვა ფორმა.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა – გაზეთი, ჟურნალი, ალმანახი, ბიულეტენი, სხვა გამოცემა, რომელსაც გააჩნია მუდმივი სახელწოდება, მიმდინარე ნომერი და გამოდის არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

რადიო-, ტელე-, ვიდეო-, კინოქრონიკის პროგრამის ქვეშ იგულისხმება პერიოდული აუდიო-, აუდიო-ვიზუალური ცნობებისა და მასალების (გადაცემების) ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ მუდმივი სახელწოდება და გამოდიან (ეთერში) არაუმეტეს წელიწადში ერთხელ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროდუქციის ქვეშ იგულისხმება პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ცალკეული ნომრის ტირაჟი ან ტირაჟის ნაწილი, რადიო-, ტელე-, კინოქრონიკის პროგრამის ცალკეული გამოშვება, აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის ტირაჟი ან ტირაჟის ნაწილი.

სპეციალიზირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალება ისეთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებაა, რომლის რეგისტრაციისა თუ პროდუქციის გაერცელებისთვის დადგენილია სპეციალური წესები.

მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულება – ასეთად ცნობა ხდება მაშინ, როცა დამნაშავე პირმა ჩაიდინა დანაშაული იმ პირის ინტერესებში (ყველაზე ხშირად, მართლსაწინააღმდეგო), რომელიც მატერიალურად ინახავს მას, უზრუნველყოფს ფულით, ტანსაცმლით, პროდუქტებით (მშობლები, მეურვეები, ახლო ნათესავები). როგორც წესი, სამსახურებრივი დამოკიდებულების საფუძველს წარმოადგენს სამსახურში ერთი პირის მეორესადმი დაქვემდებარება (საწარმოს ხელმძღვანელი აიძულებს ბუღალტერს დაიტაცოს ფულადი საშუალებები, ემუქრება რა დათხოვნით წინააღმდეგ შემთხვევაში). სხვაგვარი დამოკიდებულება შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ სიტუაციაში და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (ქრთამის გამომძალვა ბინის ორდერის გაცემის სანაცვლოდ, ცრუ ჩვენებების მიცემის იძულება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის პირობის დროს და ა.შ.).

მაფია [იტ. mafia, maffia] 1) საიდუმლო საზოგადოება სიცილიაში, რომელიც XIX ს-ის დასაწყისში წარმოიქმნა როგორც მოსახლეობის ორგანიზებული თვითდაცვა; XX ს-ში სიცილიურმა მ-მ ხელში ჩაიგდო დანაშაულებრივი ბიზნესი (ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა, სათამაშო სახლები და პროსტიტუცია) და შეაღწია იტალიის პოლიტიკურ სფეროში, მოქმედებდა მოსყიდვის, შანტაჟის, ძალადობისა და კკლელობების გზით (შეად. „კოზა ნოსტრა"); 2) ორგანიზებული დანაშაულებრივობის ნებისმიერი ფორმა; ცალკეული დანაშაულებრივი დაჯგუფება; 3) გაელენიან პირთა ჯგუფი.

მაწანწალობა – ადგილმდებარეობის სისტემური შეცვლა კონკრეტულ მისამართზე მუდმივი საცხოვრებლის, სოციალურად სასარგებლო საქმიანო-

ბის არარსებობის დროს, რაც უკავშირდება კანონიერი წესით, კანონის ფარგლებში არსებობისთვის საშუალებების მოპოვების შეუძლებლობას.

მახსოვარი ერთგვარი მოწმე ძველ საქართველოში სასამართლოსათვის საინტერესო მოწმე, ხშირად ხანდაზმული პირი (ძველი საქმის მცოდნე, „თანამეკამე"), წყაროებში ზოგჯერ მოხუცებულად, უფროს კაცად იხსენიება, მოწმის გვერდით. მახსოვარის ჩვენების საფუძველზე სადავო საქმე შეიძლება ფიცის გარეშე გადაწყვეტილიყო. ეახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 206-ე მუხლის თანახმად, უკეთუ „მამულისა თუ რასაც ფერის განარჩენი" სადავო გახდება და „მახსოვარი აღარ ცოცხალ იყოს", საქმე ფიცით წყდება, ხოლო როდესაც მოდავე მხარეს „მახსოვარი" ეშიების და სწორად შეიტყობს, ის არ მოიშლების". დოკუმენტებში „სოფლის უფროსნი და მახსოვარნი კაცნი", როგორც წესი, მრავალობითად მოიხსენიება.

„მგელი" – მსხვილი აქციონერი, რომელიც საბირჟო თამაშებს ეწევა დამხმარე პირთა მეშვეობით, იგი ხელოვნურად ქმნის ისეთ სიტუაციას, რომელიც აქციების კურსს სასურველი მიმართულებით ცვლის. „მგლის" ძირითადი მიზანია წერილი აქციონერების – „ცხვრების" გატყავება-გაპარსვა. ამას „მგელი" ახორციელებს საბანკო კაპიტალთან კონტაქტში. ბირჟის გამგეობა ებრძვის „მგელს", რადგან არასტაბილური ვითარება ბირჟის შემოსავალზე უარყოფითად მოქმედებს.

მგზავრთა გადაზიდვის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გადამზიდავი ვალდებულია მიიყვანოს ფიზიკური პირი (მგზავრი) დანიშნულების პუნქტში, ხოლო მგზავრი ვალდებულია გადაიხადოს ამაზე დადგენილი საფასური. მგზავრები ვალდებულნი არიან ჰქონდეთ სამგზავრო ბილეთი, ხოლო საჯარო გადამყვანი ვალდებულია გააფორმოს მათი გაცემა თავისუფალი ადგილების არსებობისას ტარიფის თანახმად. ბილეთი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ამტკიცებს ხელშეკრულების დადებას და მის შინაარსს. რკინიგზაზე მგზავრებს უფლება აქვთ: ა) შეიძინონ ბილეთები ნებისმიერ მატარებელზე, ნებისმიერ ვაგონზე, მის მიერ მითითებულ სადგურამდე; ბ) უფასოდ წაიყვანოს ერთი ბავშვი 5 წლამდე, თუ მას არ უკავია ცალკე ადგილი, ასევე 5 წელზე ზემოთ ბავშვები შესაბამისი ტარიფით; გ) განაბარიელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ქმედებები.

მდგომარეობა ბაზარზე – ისეთი პირობები, რომლებიც ასახავენ მოცემული ფასის მიხედვით რაიმე სახის ფასეულობაზე მოთხოვნასა და მიწოდებას.

მედიო – საბირჟო გარიგების შესრულების ვადა, რომელიც ემთხვევა თვის შუა რიცხვს (15). მედიოსთან ერთად ბირჟაზე გამოიყენება გარიგების ანგარიშსწორების სხვა ვადაც, რომელიც ემთხვევა თვის ბოლოს.

„მემორანდუმი თამასუქი" – ერთი პირის მიერ ხელმოწერილი თამასუქი, რომელშიც მოვალეობა დაკისრებული აქვს სხვა პირს. ხელისმომწერი ხდება იმ პირის გარანტი.

მეფეს შეობა – მეწარმეებს შორის ფულადი ურთიერთობების სისტემა, რომელსაც კრედიტორი მსესხებელს დიდ და დაუსაბუთებელ პროცენტს ახდევინებს.

მემთვალყურეობა არასრულწლოვან ეჭვმიტანილსა თუ ბრალდებულზე – ძირითადი აღმკვეთი ღონისძიება. აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა დანაწერები აღმკვეთი ღონისძიება შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მოცემული აღმკვეთი ღონისძიების შერჩევა. მეთვალყურეობა არასრულწლოვან ეჭვმიტანილსა თუ ბრალდებულზე მდგომარეობს მისი სათანადო ქცევის უზრუნველყოფაში მშობლების, მეურვეების, მზრუნველების ან სხვა, ნდობადამსახურებული და ასევე სპეციალიზირებული ბავშვთა დაწესებულების თანამდებობის პირთა მხრიდან, რომელშიც ის იმყოფება, რაზეც ეს პირები იძლევიან წერილობით ვალდებულებას, ნდობადამსახურებულ პირებს შეიძლება განეკუთვნოთ ის პირები, რომლებთაც გააჩნიათ კარგი რეპუტაცია, შეუძლიათ პოზიტიური ზემოქმედების მოხდენა არასრულწლოვან ეჭვმიტანილზე (ბრალდებულზე), მათ შორის, უზრუნველყონ მისი სათანადო ქცევა (მაგალითად, მშობლებს გარდა, ნათესავი, მასწავლებელი და სხვ.). ასეთი პირის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა დასაშვებია, თუ: ა) არასრულწლოვან ბრალდებულს (ეჭვმიტანილს) არ ჰყავს მშობლები, მეურვე ან მზრუნველი; ბ) მშობლები, მეურვე ან მზრუნველი წინააღმდეგნი არიან თავიანთი მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანონ არასრულწლოვანი; გ) როცა მოკლეების მწარმოებელ პირს, გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს გააჩნია საკმარისი საფუძვლები იმის სავარაუდოდ, რომ მშობლებს, მეურვეს ან მზრუნველს არ შეუძლია უზრუნველყოს არასრულწლოვანის მეთვალყურეობა (მაგალითად, ავადმყოფობა, ხანდაზმული ასაკის გამო და ა.შ.).

მოცემული აღმკვეთი ღონისძიების არჩევა ხდება იმ პირის თანხმობით, რომლის მეთვალყურეობის ქვეშაც გადადის არასრულწლოვანი. თუ ზემოთაღნიშნული პირებიდან არცერთს არ სურს წერილობითი ვალდებულების მიცემა მეთვალყურეობის შესახებ, ხდება სხვა აღმკვეთი ღონისძიების შერჩევა. არასრულწლოვანზე მეთვალყურეობა მოიცავს ვალდებულებათა ორ ჯგუფს: ა) სათანადო ქცევაზე – არასრულწლოვანის მხრიდან; ბ) მეთვალყურეობაზე ეკ. არასრულწლოვანის სათანადო ქცევის უზრუნველყოფა – პირისათვის, რომელიც იღებს ვალდებულებას.

მეკაპერობა – მტრის, ასევე ნეიტრალური ქვეყნების ხომალდების მართლსაწინააღმდეგო ძალისმიერი ქმედებები (გატაცება, გაძარცვა, განადგურება, ჩაძირვა), რომელთაც გადაქცევ ტერიფი მტრულად განწყობილი სახელმწიფოსთვის და რომლებიც განხორციელებულია დაპირისპირებული სახელმწიფოების შეიარაღებული კერძომფლობელური ხომალდების (კორსარების, კაპერების) მიერ. ღია ზღვაში დაპირისპირებული სახელმწიფოები კაპერებს აძლევდნენ თავიანთი სახელმწიფოს სამხედრო დროშის ქვეშ ცურვის უფლებაზე პატენტს. სამხედრო-საზღვაო ხელისუფლებათა ინტერესებში მოქმედი კაპერები არ შედიოდნენ სამხედრო ფლოტის შემადგენლობაში და

არ იმყოფებოდნენ სამხედრო მეთაურობის ქვეშ, არ იღებდნენ გასამრჯელოს სახელმწიფოსგან. კაპერების ანაზღაურებას წარმოადგენდა მათ მიერ მოპოვებული ნადავლი. კაპერობა ჩამოყალიბდა ფეოდალიზმის დროს და ითვლებოდა ზღვაში შეიარაღებული ბრძოლის ნებადართულ ხერხს, სანამ ის აკრძალული არ იქნა 1856 წ. პარიზის საერთაშორისო კონგრესზე მიღებული დეკლარაციით საზღვაო ბრძოლის შესახებ. ამჟამად, მეკაპერობა პრაქტიკაში არ გამოიყენება სამხედრო ფლოტის ტექნიკურ სრულყოფასთან დაკავშირებით.

მეკობრეობა – 1) საერთაშორისო სამართალში ძალისმიერი არამართლზომიერი ქმედებები (ძალადობის, დაკავების ან ძარცვის ნებისმიერი აქტი), რომელიც ხორციელდება პირადი მიზნებით ღია ზღვაში ხომალდის, საფრენი აპარატის ეკიპაჟის ან მგზავრების მიერ სხვა ხომალდის ან საფრენი აპარატის ან პირისა თუ ქონების წინააღმდეგ, რომელიც მათზეა განთავსებული. გაეროს საზღვაო სამართლის კონვენცია (1982 წ.) მეკობრეობას განაკუთვნებს, ასევე, რომელიმე ხომალდის ან საფრენი აპარატის გამოყენებაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის ნებისმიერ აქტს, თუ ამ ქმედებების ჩამდენმა იცის გარემოებები, რომელთა ძალითაც ეს ხომალდი ან საფრენი აპარატი წარმოადგენს მეკობრულ ხომალდს ან საფრენ აპარატს; 2) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენება უფლების მფლობელთა თანხმობის გარეშე კომერციული სარგებლის მიღების მიზნით.

მეკობრეობა (საერთაშორისო სამართალი) – კერძომფლობელური გემის (ან საფრენი აპარატის) ეკიპაჟის თუ მგზავრის ძალადობა ღია ზღვაში სხვა გემის, მასზე მყოფი პირების, თუ მათი ქონების მიმართ. ძალადობაა სახელდობრ, გემის ან მასზე მყოფი პირების დაკავება, გატაცება, გაძარცვა და სხვა ასეთი. მეკობრეობას უძველესი ისტორია აქვს. შუა საუკუნეების ევროპელი მკობრეები (კორსარები) თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ზღვისპირა ქალაქებსაც და I საუკუნემდე კოლონიური პოლიტიკის მქონე ქვეყნების ექსპანსიის იარაღს წარმოადგენდა. ამ ფორმით მეკობრეობაში გადაიზარდა კაპერობა. მეკობრეობის ფაქტები ამჟამადაც შეინიშნება მსოფლიოში. უამრავ სახელმწიფოს შორის დადებულია ხელშეკრულებები და კონვენციები მეკობრეობასთან საერთო ძალით ბრძოლის შესახებ და ჟენევის 1958 წლის კონვენციით („კონვენცია ღია ზღვის შესახებ") მონაწილე ქვეყანა უფლებამოსილია, მეკობრეთა ხომალდი ღია ზღვაში ჩაბრის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში. მეკობრეთა შემპყრობმა ქვეყანამ თავის კანონებით უნდა დასაჯოს მეკობრეობაში დამნაშავე პირები, ხოლო მათ მიერ მიტაცებული ქონება დაუბრუნოს კანონიერ მფლობელს, ასევე მას უფლება აქვს მოახდინოს მეკობრული გემის კონფისკაცია.

მეკობრეობას საქართველოში ზოგადად ყაჩაღობა ერქვა. იგი გარკვეული სოციალური ფონის მოუგეარებლობის პროდუქტია, რადგან ისინი ხშირად ბატონისაგან თავისუფლებას მეკობრეობაში ხედავდნენ. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით „მეკობრეობა ყოველთვის არ ითვლებოდა სამრახისად", (მაგალითად, გვარის გარეთ დასაშვები იყო). XIIს-ში მეკობრეობის საკითხი მსჯელობის საგანიც გამხდარა და 1179 წელს კანონით დარბაზს მეკობრისათვის „ძელსა ზედა ჩამოხრჩობა" დაუწესებია და ამ სიმკაცრეს გარკვეული დადებითი შედეგები მოჰყოლია, თუმცა საქართველოს ისტორიას ეს შავბნელი ლანდი მთელი საუკუნეების მანძილზე მიჰყვებოდა, როგორც მოუცილებელი მავნე ხასიათის სოციალური მოვლენა.

მემკვიდრეობა (სამართ.) გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) კანონით, ანდერძით, ჩუქებით და მათი ერთად გაერთიანების საფუძველით. სამკვიდრო ქონება შეიცავს როგორც ქონებრივი უფლებების, ისე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს (სკ, მუხლი 1306).

არსებობს მემკვიდრეობის სხვა განმარტებაც გარდაცვლილი პირის (სამკვიდროს დამტოვებლის) ქონებისა და განსაზღვრული პირადი არაქონებრივი უფლებების სხვა პირზე (მემკვიდრეზე, უფლებამონაცვლეზე) გადასვლა. მემკვიდრეობითობის გადასვლის დროს კანონით განსაზღვრული წესით მოცემული უნდა იყოს, მემკვიდრეობითობის საგანი, მოცულობა, დრო და ის უფლებები, რითაც შემდგომში მოუწევს მემკვიდრეს სამემკვიდრეო ქონების მოხმარება და განკარგვა.

მემკვიდრე – პირი, რომელიც კანონში ან ანდერძში მითითებულია გარდაცვლილის სამართალმემკვიდრის სახით. მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ მოქალაქეები, იურიდიული პირები ან სახელმწიფო. მოქალაქეს უფლება აქვს ანდერძში თავად განსაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებზეც გადავა მემკვიდრეობა მისი სიკვდილის შემდეგ. იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები მხოლოდ ანდერძის მიხედვით. სახელმწიფო მემკვიდრე ხდება (ბეითალმანი – უპატრონო ქონება), თუ: მემკვიდრეობის გადამცემს არ ჰყავს მემკვიდრეები არც კანონით, არც ანდერძით; ყველა მემკვიდრეს ჩაშორთმეული აქვს მემკვიდრეობის უფლება; არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო მემკვიდრეობა. იხ. ასევე მემკვიდრეობის ჩამორთმევა.

მემკვიდრეთა რიგები – შესაძლო მემკვიდრეების დაჯგუფება მემკვიდრეობის უფლების პრიორიტეტის მიხედვით. კანონი ადგენს მემკვიდრეობის 8 რიგს. თითოეული შემდგომი რიგი მემკვიდრეობის მისაღებად მოწვეული ხდება წინა რიგის მემკვიდრეების არსებობისას. პირველი რიგის მემკვიდრეებს განეკუთვნება მემკვიდრეობის გადამცემის შვილები, მეუღლე და შვილობლები, მეორე რიგის მემკვიდრეებს განეკუთვნება მემკვიდრეობის გადამცემის ღვიძლი და არაღვიძლი დები და ძმები, მისი ბაბუა და ბებია, როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან, მესამე რიგის მემკვიდრეებია მემკვიდრეობის გადამცემის შვილობილის ღვიძლი და არაღვიძლი ძმები (მემკვიდრეობის გადამცემის ბიძები და დეიდები, მამიდები). მეოთხე რიგის მემკვიდრეებია მემკვიდრეობის გადამცემის დიდი ბაბუები და დიდი ბებიები. მეხუთე რიგის მემკვიდრეებში შედის მემკვიდრეობის გადამცემის ღვიძლი და არაღვიძლი დისშვილობილა და ძმისშვილების ბაღშვები და მისი ბაბუებისა და ბებიების ღვიძლი ძმები და დები; მეექვსე რიგის მემკვიდრეებს განეკუთვნება მემკვიდრეობის გადამცემის ბიძაშვილების, მამიდაშვილების, დეიდაშვილების შვილები და შვილიშ-

ეილი. წინამორბედის რიგის მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში მეშვიდე რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენს მემკვიდრეობის გადამცემის გერები, მამინაცვალი და დედინაცვალი.

მემკვიდრეობის გადამცემის შვილიშვილები და შვილთაშვილები, დისწულები და ძმისწულები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები წარმოადგენენ კანონით მემკვიდრეებს, თუ მემკვიდრეობის გახსნის მომენტისთვის ცოცხალი არაა ის მშობელი, რომელიც იყო მემკვიდრე (მემკვიდრეობა წარდგინების უფლებით).

მემკვიდრეობის გახსნის დღისთვის შრომისუუნარო მოქალაქეები, რომლებიც განეკუთვნებიან კანონით მემკვიდრეებს, მაგრამ არ შედიან იმ რიგის მემკვიდრეთა წრეში, რომელმაც უნდა მიიღოს მემკვიდრეობა, კანონით იღებენ მემკვიდრეობას ერთად და თანაბრად ამ რიგის მემკვიდრეების გვერდით, თუ მემკვიდრეობის გადამცემის სიკვდილამდე არანაკლებ ერთი წელი იყვნენ მის კმაყოფაზე, იმის მიუხედავად, ცხოვრობდნენ თუ არა ისინი მემკვიდრეობის გადამცემთან ერთად. კანონით მემკვიდრეობას იღებენ ის მოქალაქეებიც, რომლებიც მემკვიდრეობის გადამცემის სიკვდილამდე არანაკლებ ერთი წელი ცხოვრობდნენ მასთან ერთად, იმყოფებოდნენ მის კმაყოფაზე, მაგრამ არ შედიოდნენ მემკვიდრეთა წრეში. კანონით სხვა მემკვიდრეების არსებობისას, ისინი მემკვიდრეობას იღებენ იმ რიგის მემკვიდრეებთან ერთად და თანაბრად, რომლებიც მემკვიდრეობის მისაღებად არიან გამოძახებულები, ხოლო სხვა მემკვიდრეების არარსებობისას ისინი მემკვიდრეობას იღებენ დამოუკიდებლად მერეე რიგის მემკვიდრეთა სახით.

მემკვიდრეობაზე უარი – სამოქალაქო სამართალში პირის ცალმხრივი გარიგება, რომელიც მიმართულია მემკვიდრის უპირობო და განუმეორებელ უარზე მემკვიდრეობის უფლებაზე გარდაცვლილის ქონებასთან მიმართებაში.

თუ მემკვიდრემ უარი თქვა მემკვიდრეობაზე და არ მიუთითა ის, ვის სასარგებლოდაც თქვა მან უარი, მისი წილი გადადის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა და ნაწილდება თანაბრად. თუ მემკვიდრეობაზე უარს ამბობს ერთადერთი მემკვიდრე, მემკვიდრეობა გადადის სახელმწიფოზე (ბეთალმანი ქონება). მემკვიდრე უარს ამბობს მემკვიდრეობაზე განცხადების წარდგენით სანოტარო კანტორაში მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით. თუ მემკვიდრემ უარი განაცხადა მემკვიდრეობაზე, მას არ შეუძლია მისი მიღება. მემკვიდრეობაზე უარი შეიძლება განცხადებულ იქნეს მხოლოდ ქმედუნარიანი პირის მიერ. დაუშვებელია მემკვიდრეობაზე უარის თქმა შემდეგი პირების სასარგებლოდ: არ წარმოადგენენ მემკვიდრეებს, ჩამორთმეული აქვთ მემკვიდრეობის უფლება ანდერძში ამის შესახებ პირდაპირი მითითების გზით. მემკვიდრეობაზე უარი უნიერსალურია ე.ი. მემკვიდრე უარს ამბობს მემკვიდრეობაზე, სადაც არ უნდა იყოს ის და როგორ ეითარებამიც. მემკვიდრეობაზე უარი შეიძლება ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად სასამართლო წესით, თუ ამას ადგილი ჰქონდა მოტყუების, ძალადობის, მუქარის და ასევე სხვა საფუძვლების გზით, რომელთაც მოსდევს გარიგების ბათილად ცნობა.

მემკვიდრეობით გადაცემა – კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილი მოქალაქის (მემკვიდრეობის გადამცემის) ქონებრივი და ზოგიერთი პირადი არაქონებრივი უფლებისა და ვალდებულების გადასვლა ერთ ან რამდენიმე პირზე. სამართალმემკვიდრეობის საფუძველს წარმოადგენს რთული ფაქტიური შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებით. სამართალმემკვიდრეობა წარმოადგენს ზოგადს (უნივერსალურს) და არა ნაწილობრივს (სინგულარულს). მემკვიდრეთა განსაზღვრის ფორმის მიხედვით გამოყოფენ მემკვიდრეობით გადაცემას კანონით და ანდერძით.

მემკვიდრეობით გადაცემა ანდერძის მიხედვით – ანდერძის ფორმა, რომელიც გულისხმობს სამართალმემკვიდრეობას მემკვიდრეობის გადამცემის მიერ შედგენილი ანდერძის საფუძველზე, რაც განსაზღვრავს კონკრეტულ მემკვიდრეებს. იხ.: ანდერძი, ანდერძის ფორმა, ანდერძის გაუქმება.

მემკვიდრეობით გადაცემა კანონის მიხედვით – ანდერძის ფორმა, რომელიც გულისხმობს კანონში მითითებული მემკვიდრეებისთვის ქონების გადაცემას. მემკვიდრეობით გადაცემა კანონის მიხედვით ხდება, თუ: ა) არ არსებობს ანდერძი ბ) ანდერძი ბათილადაა ცნობილი; გ) არ არსებობენ ანდერძით მემკვიდრეები; დ) ანდერძში მითითებულმა მემკვიდრეებმა უარი თქვეს მემკვიდრეობაზე, გარდაიცვალნენ მემკვიდრეობის გახსნამდე. კანონი ადგენს კანონით მემკვიდრეთა მერეე რიგს (იხ. მემკვიდრეთა რიგები).

მემკვიდრეობით გადაცემა წარდგინების უფლებით – მემკვიდრეობის წესი, რომლითაც მემკვიდრეობის გადამცემის შვილიშვილებს და შვილთაშვილებს, მისი ძმების და დების შვილებს, მემკვიდრეობის გადამცემის მშობლების ძმებისა და დების შვილებს უფლება აქვთ მიიღონ მემკვიდრეობა კანონის მიხედვით, თუ მემკვიდრეობის გახსნის დროისათვის ცოცხალი არაა ის მშობელი, რომელიც იყო მემკვიდრე; ისინი მემკვიდრეობას იღებენ თანაბრად იმ წილს, რომელიც ერგებოდა მათ გარდაცვლილ მშობელს კანონის მიხედვით.

მემკვიდრეობითი მასა – მემკვიდრეობის გადამცემის ქონებრივი და ზოგიერთი პირადი არაქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობა, რომლებიც გადადის მემკვიდრეებზე მემკვიდრეობითი სამართლის ნორმების საფუძველზე. მემკვიდრეობით მასაში შედის მხოლოდ ის ქონება, რომელიც მემკვიდრეობის გადამცემს ჰქონდა კანონიერ საფუძვლებზე. კანონით დაუშვებელია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მემკვიდრეობითი წესით გადაცემა. მემკვიდრეობითი წესით გადადის ნივთები, ქონებრივი საავტორო და სპატენტო უფლებები, ანაბრები, პაი – წილი იურიდიული პირების საწესდებო (სააპაო, სასაწყობო) კაპიტალში, ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება, ქონებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება და ა.შ.

პირადი არაქონებრივი უფლებები, როგორც წესი, არ შედის მემკვიდრეობითი მასის შემადგენლობაში კანონში მითითებული შემთხვევების გარდა. მემკვიდრეობით გადადის ის პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც აუცილებელია ქონებრივი უფლებების რეალიზაციისთვის, მაგალითად, პატენტის მიღების უფლება და ა.შ. მემ-

კვიდრეობით არ გადადის საავტორო უფლება, სახელის უფლება და ნაწარმოების ავტორის რეპუტაციის დაცვის უფლება. ავტორის მემკვიდრეებს უფლება აქვთ დაიცვან აღნიშნული უფლებები. მემკვიდრეობით არ გადადის გარდაცვლილი მოქალაქის ის ქონებრივი უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან მის პიროვნებას და წყდებიან მის სიკვდილთან ერთად. მემკვიდრეობით მასაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვეულებრივ საოჯახო საგნებს.

პენსიონერის კუთვნილი პენსია, რომელიც მან ვერ მიიღო სიკვდილის გამო, გადაეცემათ მის მემკვიდრეებს ზოგად საფუძვლებზე. მემკვიდრეობის შემადგენლობაში არ შედის: ა) დახმარება ბავშვის დაბადებაზე, რომელიც არ იქნა მიღებული დახმარების მიღების უფლების მქონე მშობლის სიკვდილთან დაკავშირებით; ბ) დახმარება დროებით შრომისუუნარობაზე, რომელიც მიუღებელი დარჩა მუშაკის სიკვდილის დღისთვის; გ) გარდაცვლილის მიერ მიუღებელი ხელფასი, რომელიც გადაეცემათ მის ოჯახის წევრებს. თუ გარდაცვლილი ცხოვრობდა მარტო და არ ჰყავდა შრომისუუნარო ქმაყოფაზე მყოფი პირები, ხელფასი შედის მემკვიდრეობის შემადგენლობაში.

მემკვიდრეობითი სამართალი

ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს სამემკვიდრეო ქონების გადასვლასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს. მემკვიდრეობა გადადის კანონით ან ანდერძით. მემკვიდრეობის კანონისმიერი წესი მოქმედებს ყოველთვის თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონისმიერ მემკვიდრეებს პირველ რიგში მიეკუთვნებიან: გარდაცვლილის შვილები (შვილობილები), შეუღლე, მშობლები (მშვილებლები), აგრეთვე გარდაცვლილის შვილი, რომელიც სიკვდილის შემდეგ დაიბადა, გარდაცვლილის შვილიშვილები და შვილიშვილისშვილები კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში მათი მშობლები ცოცხალი აღარ არიან, ან მათ უარი განაცხადეს მემკვიდრეობის მიღებაზე, ან ანდერძის გამო ჩამოერთვათ მემკვიდრეობა, მეორე რიგის კანონისმიერ მემკვიდრეებად ჩაითვლებიან გარდაცვლილის დები, ძმები, ბებია და პაპა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. სამკვიდროს დამტოვებლის ძმისწულები და დისწულები კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც სამკვიდროს დამტოვებლის მემკვიდრე იქნებოდა. მემკვიდრეთა შორის ქონება თანაბრად ნაწილდება. ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობა და საყოფაცხოვრებო საგნები ეკუთვნის სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად, მის გარდაცვალებამდე კანონით განსაზღვრული ვადის განმავლობაში მცხოვრებ კანონისმიერ მემკვიდრეებს მათი მემკვიდრეობის რიგისა და წილის მიუხედავად.

ანდერძით მემკვიდრეობის დროს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი დაუტოვოს ნებისმიერ პირს, სახელმწიფოს, კერძო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას. მაგრამ, იმ შემთხვევაში, როცა სამკვიდროს დამტოვებელს გარდაცვალების შემდეგ რჩება არასრულწლოვანი ან არაშრომისუნარიანი შვილები (შვილიშვილები), შრომისუუნარო მეუღლე, მშობლები (მშვილებლები) და მის ქმაყოფაზე მყოფი მემკვიდრეები, ასეთ მემკვიდრეებს ეკუთვნის სავალდებულო წილი ანდერძის შინაარსის მიუხედავად.

მემკვიდრეებმა მემკვიდრეობა უნდა მიიღონ სამკვიდროს გახსნის დღიდან (ეს. სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების დღიდან) კანონით დადგენილი წესით – ვადაში. თუ კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ და ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება, მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. მემკვიდრეს უფლება აქვს კანონით განსაზღვრულ ვადაში უარი თქვას მემკვიდრეობაზე ან უარი თქვას სხვა კერძო პირის, იურიდიული პირის ან სახელმწიფოს სასარგებლოდ.

მემკვიდრეობითი ტრანსმისია

– მემკვიდრეობის გახსნის შემდეგ გარდაცვლილი მემკვიდრისგან, რომელმაც ვერ მოასწრო მისი მიღება, მიღებული მემკვიდრეობის მიღების უფლების მის მემკვიდრეებზე გადასვლა. გარდაცვლილი მემკვიდრის უფლებას ახორციელებს მისი მემკვიდრე ზოგად საფუძვლებზე, მემკვიდრეობის მისაღებად საჭირო ვადის განმავლობაში. მემკვიდრეობითი ტრანსმისია უნდა გამოვყოთ იმ შემთხვევებისგან, როცა მემკვიდრემ მოასწრო მემკვიდრეობის მიღება, მაგრამ არ გაიფორმა თავისი უფლება მემკვიდრეობაზე. ამასთან, მემკვიდრეობითი ქონება უკვე ითვლება მოცემული მემკვიდრის კუთვნილად. აღ. უკანასკნელის სიკვდილის შემთხვევაში მის მემკვიდრეებზე გადადის არა მემკვიდრეობის მიღების უფლება, არამედ თავად მემკვიდრეობითი ქონება.

მემკვიდრეობითი წილის ნამატი

წესი, რომლის მიხედვითაც, კანონით ან ანდერძით მემკვიდრეების მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის განცხადების ან მოანდერძის მიერ მემკვიდრეებისთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში მემკვიდრეობის მათი წილი ნაწილდება კანონით მემკვიდრეებს შორის თანაბრად. მემკვიდრეობითი წილის მატება არ ხდება, თუ: ა) ანდერძით მემკვიდრემ უარი თქვა მემკვიდრეობაზე ანდერძით ან კანონით სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ; ბ) მემკვიდრეობა ანდერძით ეკუთვნის სახელმწიფოს ან ორგანიზაციას; გ) ამოვარდნილ მემკვიდრეს განწესებული ჰყავს მემკვიდრე; დ) ანდერძით მემკვიდრის წილი, რომელიც გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნის შემდეგ, გადადის მის მემკვიდრეებზე მემკვიდრეობითი ტრანსმისიის წესით.

მემკვიდრეობის გადამცემი

– პირი, რომლის გარდაცვალების შემდეგაც ხდება მემკვიდრეობითი სამართალმემკვიდრეობის განხორციელება. მემკვიდრეობის გადამცემი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, მათ შორის, ქმედუნარიანი ან ქმედუუნარო. იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ მემკვიდრეობის დატოვება: მათი შეწყვეტისას (ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციისას) ქონება გადადის სხვა პირებზე კანონით დადგენილი წესით, მესაკუთრეთა წესდების ან მითითების შესაბამისად.

მემკვიდრეობის გახსნის ადგილი

– მემკვიდრეობის გადამცემის ბოლო, უძღვნი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ ის უცნობია, ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის აღმორჩნის ადგილი. საცხოვრებელ ადგილად ითვლება ადგილი, სადაც მოქალაქე უძღვნად ან უპირატესად ცხოვრობს, ხოლო არასრულწლოვანთა ან მეურვეობის ქვეშ მყოფ მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილად მათი კანონიერი

წარმომადგენლების – მშობლების, შვილად ამყვანთა ან მეურვეთა საცხოვრებელი ადგილი. თუ გარდაცვლილის ქონება სხვადასხვა ადგილასაა, მემკვიდრეობის გახსნის ადგილად უნდა იქნეს ცნობილი ის, სადაც განთავსებულია ქონების ფასეულად უფრო მეტი ნაწილი. თუ ორ ან მეტ ადგილას ერთნაირი ფასეულობის ქონებაა, მემკვიდრეობის გახსნის ადგილად მიიჩნევა ქონების იმ ნაწილის განთავსების ადგილი, რომელსაც გააჩნია მეტი სამეურნეო მნიშვნელობა. თუ მემკვიდრეობის გადამცემს არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამემკვიდრეო ქონება არის რომელიმე დასახლებულ პუნქტში, ნოტარიუსი მემკვიდრეებისგან მოითხოვს დოკუმენტებს იმის შესახებ, რომ მოანდერძეს არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

მემკვიდრეობის გახსნის ადგილი მტკიცდება: სახლების მართვის მემკვიდრეობის გადამცემის საბუღალტრო ადგილის ადმინისტრაციის, სამისამართო ბიუროს, სამხედრო კომისარიატის ცნობით იმის შესახებ, რომ ჯარში გაწვევისას მემკვიდრეობის გადამცემი ცხოვრობდა გარკვეულ მისამართზე, მემკვიდრეობის გადამცემის სიკვდილის შემდეგ საქტო ჩანაწერის ასლით, სადაც არის სპეციალური გრაფა გარდაცვლილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, რომელსაც აესებენ გარდაცვლილის მიწერის შესახებ პასპორტში არსებული მონაცემების საფუძველზე, თუ გარდაცვლილის საცხოვრებელი ადგილი უცნობია, მემკვიდრეობის გახსნის ადგილი მტკიცდება დოკუმენტით მისი ქონების განლაგების ადგილის შესახებ. ნოტარიული პრაქტიკა გამორიცხავს მოწმის ჩვენებებით მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დამტკიცების შესაძლებლობას.

მემკვიდრეობის გახსნის დრო – მემკვიდრეობითი სამართალდამკიდებულებათა წარმოქმნის მომენტი. მემკვიდრეობის გახსნის დროს უკავშირდება:

მემკვიდრეობით ქონების შემადგენლობა; მემკვიდრეობის მიღების ან მასზე უარის ვადების; კრედიტორების მიერ პრეტენზიების წამოყენების ვადების; მემკვიდრეებში მემკვიდრეობითი ქონების საკუთრების უფლების წარმოქმნის მომენტის; მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემისთვის ვადების განსაზღვრა და ა.შ. მემკვიდრეობის გახსნის დღედ აღიარებულია მემკვიდრეობის მიმცემის სიკვდილის დღე. იმ შემთხვევაში, როცა პირები, რომლთაც შეეძლოთ მემკვიდრეობის მიღება ერთმანეთის შემდეგ, კვდებიან ერთ დღეს, შეუძლებელია განისაზღვროს, თუ ვინ გარდაიცვალა უფრო ადრე, ამიტომ, მემკვიდრეობის გახსნის დროს განსაზღვრისას ერთი დღე-ღამის განმავლობაში გარდაცვლილი პირები ითვლებიან ერთდროულად გარდაცვლილებად (ასეთ პირებს ეწოდებათ კომორიენტები).

მემკვიდრეობის მიმცემის შემდეგ თუნდაც რამდენიმე საათის მერე გარდაცვლილი მემკვიდრე, მაგრამ შემდგომ კალენდარულ დღეს, არ ითვლება გარდაცვლილად მასთან ერთად და მასზე გადადის მემკვიდრეობის მიღების უფლება. ამ შემთხვევაში მის მემკვიდრეებს შეუძლიათ მიიღონ მემკვიდრეობა მემკვიდრეობითი ტრანსმისიის წესით. მემკვიდრეობის გახსნის დრო უნდა დამტკიცდეს სიკვდილის მოწმობით, რომელიც ადასტურებს მოქალაქის გარდაცვალებას. დადასტურების მიღების შეუძლებლობისას პირის სიკვდილი დგინდება სასამართლო წესით. გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის სიკვდილის დღედ ითვლება კანონიერ ძალაში სასამართლოს გადაწყვეტილების შესვლის დღე მისი გარდაცვალებად გამოცხადების შესახებ. მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში, რომელიც დაიკარგა უგზოუკვლოდ იმ გარემოებების დროს, რომლებიც სიკვდილით იმუქრებიან ან იძლევიან საფუძველს ივარაუდოთ მისი დაღუპვა გარკვეული უბედური შემთხვევისგან, სასამართლოს შეუძლია ამ მოქალაქის გარდაცვალების დღედ ცნოს მისი საეარაუდო დაღუპვის დღე.

მემკვიდრეობის მიღება – პირის ცალმხრივი გარიგება, რომელიც მიმართულია მემკვიდრის უფლებაში შესვლაში. დაუშვებელია მემკვიდრეობის მიღება პირობის ქვეშ ან პირობით. მემკვიდრეობის მიღება ხორციელდება მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით ნოტარიული ორგანოსთვის მემკვიდრეობის მიღების შესახებ განცხადების შეტანის გზით. აღნიშნული მოქმედებები უნდა განხორციელდეს მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში (იხ. მემკვიდრეობის გახსნის დრო). პირებს, რომელთათვისაც მემკვიდრეობის მიღების უფლება ჩნდება მხოლოდ სხვა მემკვიდრეების მიერ მემკვიდრეობის მიუღებლობის შემთხვევაში შეუძლიათ განაცხადონ თავიანთი თანხმობის შესახებ და მიიღონ მემკვიდრეობა, მემკვიდრეობის მისაღებად დარჩენილი ვადის ნაწილის განმავლობაში.

მემკვიდრეობის მიღების ვადა შეიძლება გაგრძელდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ დამტკიცდება, რომ ვადა გაცდენილია საპატიო მიზეზით. განცხადება მემკვიდრეობის შესახებ მემკვიდრემ შეუძლია წარუდგინოს ნოტარიუსს მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით პირადად, წარმომადგენლის მეშვეობით ან გააგზავნოს ფოსტით. ამასთან, საჭირო არაა დოკუმენტების წარმოდგენა, რომლებიც ადასტურებენ ნათესაობას, გარდაცვლილის უფლებას ქონებაზე და ა.შ. (შეად. მოწმობა მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ). მემკვიდრეობის მიღების შესახებ განცხადების წარმომდგენი პირის ხელმოწერის ნამდვილობა შეიძლება დადასტურებულ იქნეს ნოტარიუსის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა თანამდებობის პირის ან საზღვარგარეთ კონსულის მიერ (თუ მემკვიდრე არ იმყოფება მემკვიდრეობის გახსნის ადგილას). მემკვიდრეობის მიღების შესახებ განცხადება შეიძლება გაკეთებულ იქნეს წარმომადგენლის მიერ, რომელსაც გააჩნია ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა მემკვიდრეობის საქმის წარმართვაზე. მემკვიდრე ასევე ითვლება მემკვიდრეობის მიმღებად, თუ მან ფაქტიურად მიიღო მფლობელობაში ან მართვაში მემკვიდრეობითი ქონება. იხ. ასევე მემკვიდრეობითი ტრანსმისია, მემკვიდრეობაზე უარის თქმა.

მემკვიდრეობის ჩამორთმევა – ცალკეული პირებისთვის (უღირსი მემკვიდრეებისთვის) უფლების ჩამორთმევა მიიღონ მემკვიდრეობა. მემკვიდრეობის მიღების უფლება არც კანონით, არც ანდერძით არა აქვთ მოქალაქეებს, რომლებიც მემკვიდრეობის მიმცემის, მისი რომელიმე მემკვიდრის წინააღმდეგ მიმართული მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ქმედებებით ხელს უწყობდნენ მათი ან სხვა პირების მემკვიდრეებად დასახელებას ან ხელს უწყობდნენ (ან ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ) მემკვიდრეობიდან მათი ან სხვა პირთა ნების გაზრდას, თუ ეს გარემოებები

დამტკიცებულია სასამართლო წესით. აღნიშნული არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ანდერძი აღნიშნულ პირთა სასარგებლოდ შედგენილია სამართალდარღვევის შედეგ.

კანონით მემკვიდრეობის მიღება არ შეუძლიათ მშობლებს იმ ბავშვების შემდეგ, რომელთა მიმართაც მათ ჩამოერთმევათ მშობლის უფლება მემკვიდრეობის გახსნის მომენტისთვის, ასევე იმ მშობლებსა და არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც თავს არიდებდნენ კანონის ძალით მათზე დაკისრებული მემკვიდრეობის მიმღების შენახვის ვალდებულების შესრულებას, თუ ეს გარემოება დამტკიცდა სასამართლო წესით. მოქალაქეებს, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ მემკვიდრეობის მიღების უფლება, არ უხმობენ სავალდებულო წილის მემკვიდრეობით მიღებისას, რამდენადაც სავალდებულო წილის მემკვიდრეობით მიღება ეხება კანონით მემკვიდრეობის მიღებას. ალიმენტის გადახდისგან თავის არიდების ფაქტი, მშობლის უფლების ჩამორთმევა არ წარმოადგენს ანდერძით მემკვიდრეობის მიღებისთვის დაბრკოლებას, რამდენადაც მემკვიდრეობის მიმცემს უფლება აქვს მთელი ქონება ანდერძით გადასცეს ნებისმიერ პირს.

მენარდეს ეკონომია – სამუშაოების შესრულების ხელშეკრულებებში სხვაობა აღრიცხვაში ადრე შეტანილ და სამუშაოების შესრულების დროს ფაქტიურად წარმოებულ ხარჯებს შორის. მენარდეს მიერ მიღებულმა ეკონომიამ გაკვეთა არ უნდა მოახდინოს სამუშაოების ხარისხზე. ხელშეკრულებით შეიძლება განაწილდეს ეკონომია მხარეებს შორის. თუ ხელშეკრულებაში არაა სპეციალური პირობები, ეკონომია რჩება მენარდეს. იხ. ასევე სანარდო ხელშეკრულება, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულების ხელშეკრულება.

მენეჯერი (manager) – 1. კომპანიის ერთ-ერთი თანამდებობის პირი, დაქირავებული პროფესიონალი მმართველი (წარმოების დირექტორი, კონცერნის, ტრესტის, ცალკეული ქვეგანაყოფის ხელმძღვანელი).

2. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით სასამართლოს შეუძლია დანიშნოს პირი იმ კომპანიის სამართავად, რომელსაც არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება. ამ შემთხვევაში მენეჯერის ამოცანაა დაიცვას კრედიტორების და აქციონერების ინტერესები.

3. იგივე, რაც ანტრეპრენერი.

იგივე ფუნის მქონე ტერმინი – მენეჯმენტი (management) მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

1. კომპანიის, ბანკის, საწარმოს და ა.შ. ხელმძღვანელი ჯგუფი.

2. სამაგრო სინდიკატების ხელმძღვანელი ჯგუფის წევრები, რომლებიც ადგენენ ემისიის პირობებს და იძლევიან სესხების განთავსების გარანტიას დადგენილ ვადებში შეთანხმებული კურსით. ჯგუფის სათავეში დგას წამყვანი მენეჯერი (lead manager).

3. წარმოების მართვა წარმოების მართვის პრინციპების მეთოდების, საშუალებების და ფორმების ერთობლიობა, რომლებიც შემუშავებულია და გამოიყენება აშშ-ში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში წარმოების ეფექტურობის ამაღლების და მოგების გაზრდის მიზნით.

მენეჯერი – სპეციალისტი, პროფესიონალი მმართველი, რომელმაც კარგად იცის თავისი წარმოების ტექნოლოგიური პროცესები და შესაძლებლობები, კარგად ერკვევა საბაზრო ეკონომიკაში, კომპეტენტურია იურისპრუდენციაში, შეუძლია ხალხთან მუშაობა და ფლობს მართვის თეორიას.

მენეჯმენტი – ინტელექტუალური, საფინანსო, ნედლეულის, მატერიალური რესურსების მართვის ხელოვნება ყველაზე ეფექტური საწარმოო საქმიანობის მიზნით.

მენეჯმენტი – წარმოების მართვის იმ პრინციპების, მეთოდების, საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობა, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მოგებათა გადიდების მიზნით დაამუშავეს და გამოყენებაშია თანამედროვე ფორმებისა და განვითარების მქონე ქვეყნებში.

მეორადი ბაზარი – შუამავლობის გარეშე მოქმედი ბაზარი, რომელზედაც სრულდება უცხოური სესხური ვალდებულებებისა და შინაგანი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები პირველად ბაზარზე მათი თავდაპირველი გამოშვების შემდეგ. გაყიდვისგან შემოსულ თანხას ღებულობს ფასიანი ქაღალდების მფლობელი და არა ფასიანი ქაღალდების გამომშვები კორპორაცია ან სახელმწიფო ორგანო. სასაქონლო გარიგებების დროს მეორად ბაზარზე ხდება საქონლის გაყიდვა ან ხელახლა გაყიდვა შუამავლის საშუალებით და არა პირველადი გამყიდველის მეშვეობით.

მესამე პირი (სამართ.) სამოქალაქო პროცესში პირი, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას სხვა პირთა მიერ დავის საგანზე ან მის ნაწილზე. მესამე პირი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ან ასეთი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. სარგებლობენ მხარეთა სატროცესო უფლებამოსილებით, გარდა უფლებისა, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეჩერებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება (სამ. სას. კოდექსი, მუხლი 88 – 91).

მესამე პირი არის სამოქალაქო პროცესის მონაწილე (მოქალაქე ან იურიდიული პირი), რომელიც თავის უფლებების ან ინტერესების დასაცავად ჩაებმება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის აღძრული დავის გადაწყვეტაში. არსებობენ მესამე პირები, რომლებიც აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას სადაო საგანზე, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნას დავის ობიექტზე, მისი საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. არსებობს ასევე მესამე პირი, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნას არ აცხადებს, მაგრამ დავის შედეგად გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას შეუძლია შემდგომში გაკვეთა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე: მაგ., სასამართლო დავაში ავტომანქანის მფლობელსა და იმ დაზარალებულს შორის, რომელსაც მანქანამ ქონებრივი ზიანი მიაყენა, შეიძლება მესამე პირად ჩაებას მძღოლი. იგი იურიდიულად დაინტერესებულია საქმის შედეგით, რადგან მანქანის მფლობელს შეუძლია ზარალის ანაზღაურებისას მძღოლს მომართოს უკუმოთხოვნით (ე.წ. სარეგრესო სარჩელი). მესამე პირი აღჭურვილია ფართო პროცესუალური უფლებებით.

მესამე პირები – სამოქალაქო პროცესში პირები, რომლებიც იცავენ თავიანთ უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს სამოქალაქო საქმეში, რომელიც აღძრულია სხვა პირების (მხარეების) სარჩელით. გამოიყოფა მესამე პირთა ორი ჯგუფი: ა) მესამე პირები, რომლებიც აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე; ბ) მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე. მესამე პირები, რომლებიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებენ დავის საგანზე, წარმოადგენენ პირებს, რომელთა ჩართვაც ხდება უკვე დაწყებულ პროცესში ზოგად საფუძვლებზე სარჩელის წამოყენების გზით, თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. პროცესში ჩართული მესამე პირი აცხადებს მოთხოვნებს თავდაპირველი მხარეების მიერ სადაო უფლების ცნობაზე ან ცდილობს იმ საგნის თავის სასარგებლოდ მიკუთვნებას, რომელზეც არის დავა მხარეებს შორის. დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნების მქონე მესამე პირებს მოსარჩელისგან გამოყოფს შემდეგი ნიშნები: ა) მესამე პირი ყოველთვის ერთვება დაწყებულ პროცესში; ბ) მოპასუხე მესამე პირების წინააღმდეგ შეიძლება იყოს, როგორც ერთ-ერთი მხარე, ასევე ორივე მხარე ერთად; გ) მესამე პირთა მოთხოვნები არ შეიძლება წამოყენებულ იქნეს ერთობლიობაში თავდაპირველი მოსარჩელის, სარჩელთან ერთად, რამდენადაც მესამე პირები და მოსარჩელე წარმოადგენენ ურთიერთგამომრიცხავი უფლებებისა და ინტერესების მატარებლებს და მოსარჩელეს მოთხოვნების დაკმაყოფილებამ უნდა გამოიწვიოს მესამე პირების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და პირიქით. მესამე პირებს, რომლებიც აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს, შეუძლიათ პროცესში ჩართვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენამდე. რამდენადაც დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნების განმცხადებელი მესამე პირი, თავისი მონაწილეობის სამართლებრივი ბუნების მიხედვით წარმოადგენს მოსარჩელეს, მას გააჩნია საქმეზე მოსარჩელის ყველა უფლება და ვალდებულება.

დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნების არმქონე მესამე პირებს საშუალება აქვთ ჩაერთონ უკვე დაწყებულ პროცესში. თუ საქმეზე გადწყვეტილება გავლენას მოახდენს მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე ერთ-ერთ მხარესთან დაკავშირებით. პროცესში მესამე პირთა მონაწილეობის არსი მდგომარეობს შესაძლებლობაში დაიცვან საკუთარი ინტერესები „სხვის“ საქმეში. გადაწყვეტილებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების (ვალდებულების) წარმოქმნა მხარისთვის მესამე პირთან მიმართებაში ან მესამე პირისთვის მხარესთან მიმართებაში, პროცესში. ყველაზე ტიპიურ საფუძველს პროცესში მესამე პირების მონაწილეობისთვის წარმოადგენს მის მიმართ რეგრესული სარჩელის წამოყენების შესაძლებლობის თაობაზე აცილება. მესამე პირი საქმეში ერთვება საკუთარი ინიციატივით ან საქმეში ჩართული ხდება სასამართლოს მიერ. პროცესში ჩართვა შესაძლებელია საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. საქმეში მონაწილეობა მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეს არ ქმნის მესამე პირისთვის მხარის მდგომარეობას და არანაირ მოთხოვნას არ უყენებს დავის ობიექტს. ამიტომ მესამე პირები სარგებლობენ მხარეების საპროცესო უფლებებით და იღებენ ვალდებულებებს, გარდა სარჩელის საგნისა და საფუძვლის ცვლილების, სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირების ან მომატების, სარჩელზე უარის, სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი შესრულების მოთხოვნის უფლებისა.

მეურვეობა სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, რომელიც შემოღებულია ქმედუუნარო მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დასაცავად და მცირეწლოვანთა აღსაზრდელად. მეურვეობა დგინდება მცირეწლოვანებზე, ასევე ქმედუუნაროებზე, როშლებიც ასეთად აღიარებულნი არიან სასამართლოს მიერ ფსიქიკური აშლილობის შედეგად. არასრულწლოვანებზე მეურვეობას ადგილი აქვს მაშინ, თუ მათ არ ჰყავთ მშობლები, შვილად ამყვანები, სასამართლოს მიერ ჩამორთმეულია მშობლის უფლება, მშობლები თავს არიდებენ მათ აღზრდას ან მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. მეურვეები წარმოადგენენ სამეურვეო პირთა წარმომადგენლებს კანონის ძალით და მათი სახელითა და ინტერესებით ახორციელებენ ყველა საჭირო გარიგებას. ისინი ასევე გამოდიან თავიანთი მეურვეობის ქვეშ მყოფთა უფლებებისა და ინტერესების დამცველად, მათ შორის, სასამართლოშიც სპეციალური უფლებამოსილების გარეშე. მეურვეები შეიძლება იყვნენ მხოლოდ სრულწლოვანი ქმედუნარიანი მოქალაქეები და მხოლოდ სამეურვეო პირთა თანხმობით, ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს მეურვის ზნეობრივი და სხვა პიროვნული თვისებები, მისი უნარი შეასრულოს მეურვის ვალდებულებები.

მეურვეებს უფლება აქვთ განკარგონ სამეურვეო პირის შემოსავლები დამოუკიდებლად, თუ ეს სარჩევი მიმართულია თავად სამეურვეო პირის შენახვაზე. მეურვეს, მის მეუღლეს და ახლო ნათესავებს უფლება არა აქვთ განახორციელონ გარიგება სამეურვეო პირთან, სამეურვეო პირისთვის ჩუქების სახით ქონების გადაცემის გარდა.

მეურვეობა მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვის სამართლებრივი ფორმა, რომელიც წესდება შვიდი წლის ასაკს მიუღწეველ პირებზე, აგრეთვე პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ, ან ჰეპუასუსტობის გამო.

მეურვეობა ეცისრებათ ბავშვზე განათლების ორგანოებს, ქმედუუნაროდ აღიარებულ პირზე–ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოს. მეურვე ინიშნება მისი თანხმობით და ამ მოვალეობას იგი ასრულებს უსასყიდლოდ. სულით ავადმყოფის მეურვე მოვალეა, აგრეთვე, თვალყური ადევნოს სამეურვეო პირის მუდმივ სამედიცინო მომსახურებას. მეურვე განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს სამეურვეო პირის უფლებებსა და ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოშიც (სკ, მუხლი 1275–1276; 1287–1289).

მეურვეობა არის მცირეწლოვანთა აღზრდისა და მათი ინტერესების სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი ფორმა, გულისხმობს აგრეთვე არაქმედუნარიან პირთა პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვას. მეურვეობა წესდება იმ მცირეწლოვანზე, რომელსაც არ მიუღწევია კანონით განსაზღვრულ ასაკამდე და მშობლების გარდაცვალების ან ავადმყოფობის, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის ან სხვა მიზეზის გამო

დარჩა მშობლის მზრუნველობის გარეშე. მეურვეობა აგრეთვე წესდება იმ პირზე, რომელიც სასამართლომ სულით ავადმყოფობისა და ჭკუასუსტობის გამო არაქმედუნარიანად აღიარა.

სამეურვეო ფუნქციებს უშუალოდ ასრულებს ამ მიზნისათვის დანიშნული მეურვე. მეურვედ შეიძლება დაინიშნოს სრულწლოვანი მოქალაქე მისივე თანხმობით. მეურვე, როგორც კანონიერი წარმომადგენელი, მართავს მცირეწლოვანის ქონებას მისი ინტერესებიდან გამომდინარე და მისი სახელით დებს ყველა აუცილებელ გარიგებას. იცავს სამეურვეო პირის უფლებებსა და ინტერესებს ყველა დაწესებულებაში, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებში. მეურვეობა წყდება სამეურვეო ორგანოს გადაწყვეტილებით, მაშინ თუ აღარ არსებობს ის საფუძველი, რომელმაც განაპირობა მისი დაწესება, ან მიაღწევს კანონით განსაზღვრულ ასაკს და შესაძლებელია მეურვე მზრუნველი გახდეს. მეურვეობა შეიძლება იყოს უსასყიდლოც და ანაზღაურებადიც. თუ მეურვე დაკისრებულ მოვალეობას არასათანადოდ ასრულებს, შეიძლება მისი გადაყენება; ხოლო თუ მეურვემ ანგარების მიზნით გამოიყენა მოვალეობა ან დატოვა სამეურვეო პირი ზედამხედველობისა და აუცილებელი მატერიალური დახმარების გარეშე, პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

სამოქალაქო სამართლის მიხედვით მეურვეობა შეიძლება დაწესდეს უკეთესად დაკარგულად აღიარებულის ქონებაზეც.

მეურვეობის საბჭო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დაწესებულება, რომლის დახმარებითაც გენერალური ასამბლეა ასრულებს თავის ფუნქციებს მეურვეობის საერთაშორისო სისტემაში. გაეროს წესდების მიხედვით (მუხლი 86), მასში შედიან მეურვე სახელმწიფოები, უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები და გაეროს სხვა წევრი სახელმწიფოები (3-3 წლით არჩეულნი) ისეთი შეფარდებით, რომ მეურვე და არამეურვე სახელმწიფოთა რაოდენობა თანაბარი იყოს. მეურვეობის საბჭოს ფუნქციაა განიხილოს მეურვე სახელმწიფოთა ანგარიშგებანი, პეტიციები სამეურვეო ტერიტორიებიდან და სხვა. გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მეურვეობის საერთაშორისო სისტემა ზოგიერთი ყოფილი კოლონიური ქვეყნის მართვა-გამგეობა, რომელიც დაქვემდებარებულია კონტროლისადმი. გაეროს წესდებით ამ სისტემის მიზნად გამოცხადებულია სამეურვეო ტერიტორიების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურის პროგრესისათვის ხელის შეწყობა თითოეული ტერიტორიის სპეციფიკის და მისი ხალხის სურვილის შესაბამისად. მეურვეობის საერთაშორისო სისტემა მოიცავს სამანდატო ტერიტორიებს, მეორე მსოფლიო ომის შედეგად მტრულად განწყობილი სახელმწიფოებისათვის ჩამორთმეულ კოლონიებს, აგრეთვე სხვა ყოფილ კოლონიურ სამფლობელოებს, რომლებსაც ამ სისტემაში ნებაყოფლობით ჩართავენ მათი მმართველი სახელმწიფოები. გაერო ამტკიცებს მმართველი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ შეთანხმებას ტერიტორიებზე მისი მეურვეობის შესახებ. 1946-47 წლებში გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა 9 სამეურვეო შეთანხმება იმ ტერიტორიების შესახებ, რომლებიც მანამდე სამანდატო ტერიტორიებს წარმოადგენდნენ: დიდი ბრიტანეთის მეურვეობა დაწესდა ტანგანიკაზე და ბრიტანეთის ტოგოზე; საფრანგეთისა — საფრანგეთის კამერუნსა და საფრანგეთის ტოგოზე; ბელგიისა — რუანდა — ბურუნდიზე; ავსტრალიისა — ახალ გვინეაზე; ახალი ზელანდიისა — კუნძულ ნაურუზე; იაპონიის — ყოფილ სამანდატო ტერიტორიაზე — წყნარი ოკეანის (მარშალის, მარიანას, კაროლინას) კუნძულებზე დაწესდა აშშ-ის მეურვეობა. 1950 წელს იტალიის მეურვეობა დაწესდა მის ყოფილ კოლონია სომალიზე. გაეროს ფუნქციებს მეურვეობის საერთაშორისო სისტემაში ასრულებს გენერალური ასამბლეა მეურვეობის საბჭოს დახმარებით ან უშიშროების საბჭო, როცა სამეურვეო ტერიტორია სტრატეგიულ რაიონს მიეკუთვნება მსოფლიოში კოლონიალიზმის დასრულების შემდეგ 11-დან 10-მა სამეურვეო ტერიტორიამ მოიპოვა თავისუფლება: ამ ტერიტორიაზე შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები (კამერუნი, სომალი, ტოგო, ტანგანრიკა, რუანდა, ბურუნდი, დასავლეთ სამოა, ნაურუ, განა, ნიგერია, პაპუაახალი გვინეა). სამეურვეო ტერიტორიად დარჩა მხოლოდ წყნარი ოკეანის კუნძულები, მაგრამ მათგან მარიანას კუნძულები აშშ-მა 1975 წელს გამოაცხადა აშშ-თან ნებაყოფლობით შეერთებულ სახელმწიფოდ.

მეკრთამეობა დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას და სახელმწიფო აღმშენებლობით ფუნქციას. მეკრთამეობის სახეებია: ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და მეკრთამეობაში შუამავლობა. ქრთამის აღებად ითვლება,როცა სამსახურებრივი ქმედობის შესრულებისა თუ შეუსრულებლობისათვის თანამდებობის პირი პირადად ან შუამავლის მეშვეობით იღებს ფულს თუ სხვა მატერიალურ ფასეულობას ან გამოელის რაიმე ქონებრივ ან სხვა ანგარებით გამორჩენას. აუცილებელი არ არის, რომ ქრთამის მიმცემსა და ქრთამის ამღებს შორის შეთანხმება წინ უსწრებდეს იმ სამსახურებრივ მოქმედებას, რომლითაც ქრთამის მიმცემია დაინტერესებული („ქრთამი-მოსყიდვა"). დამამძიმებელ გარემოებებად კანონი თვლის: თანამდებობის პირის პასუხსაგებ მდგომარეობას, მეკრთამეობისათვის ნასამართლობას, ქრთამის აღება არაერთხელ და მიუსაჯებოდა პირს თავისუფლების აღკვეთა კანონით განსაზღვრული წესით, შესაბამისი ეადით და ქონების კონფისკაციით.

თუ ქრთამის ამღები შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი, ქრთამის მიმცემი და მეკრთამეობაში შუამავალი, ე.ი. ის პირი, ვინც ხელს უწყობს ქრთამის მიცემა-აღების შესახებ შეთანხმების მიღწევას ან განხორციელებას, შეიძლება იყოს როგორც კერძო, ისე თანამდებობის პირი.

ქრთამის მიმცემი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მას ქრთამს გამოსძალავს თანამდებობის პირი ან თუ იგი ქრთამის მიცემის შემდეგ ნებაყოფლობით განაცხადებს ამის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებში. ქრთამის ამღებთან შედარებით ქრთამის მიმცემსა და მეკრთამეობაში შუამავალს კანონი შედარებით ნაკლებად სჯის.

ძველი რომის თორმეტი ტაბულის კანონები ითვალისწინებდა მეკრთამე მოსამართლის სიკვდილით დასჯას. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის მიხედვით „ეისცაენ სამეფოს საპყრობლის უფროსი იყოს და პატიმართაგან ქრთამი აიღოს, და ის კაცნი არ დაიპან

ჯაჭვითა ანუ ხუნდითა და გაუშვან... იმ საპყრობილეთ უფროსსა თავი მოეჭრას ანუ ექსორია ექმნას" (სამართალი ბერძნული, მუხლი 380). მექრთამეობის იდენტურია ხშირად მცნება კორუფცია.

მზრუნველობა – სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, რომელიც შემოღებულია არა სრულად ქმედუნარიანი მოქალაქეობის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, ასევე არასრულწლოვანთა აღსაზრდელად 14-დან 18 წლამდე. მზრუნველობა არასრულწლოვანებზე დგინდება მაშინ, თუ მათ არ ყავთ მშობლები, შვილად ამყვანები, მშობლებს ჩამორთმეული აქვთ უფლება სასამართლოს მიერ, ასევე იმ შემთხვევაში, როცა მშობლები თავს არიდებენ მათ აღზრდას ან მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. მზრუნველები იძლევიან თანხმობას იმ გარიგების განხორციელებაზე, რომლის უფლებაც არა აქვთ დამოუკიდებლად მზრუნველობის ქვეშ მყოფებს. ისინი ასევე გამოდიან თავიანთი მზრუნველობის ქვეშ მყოფთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად ნებისმიერ პირთან მომართებაში. მზრუნველებად შეიძლება დაინიშნონ სრულწლოვანი ქმედუნარიანი მოქალაქეები და მხოლოდ მათი თანხმობით. ამასთან უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი ზნეობრივი და სხვა პირადი თვისებები, მეურვის ვალდებულებების შესრულების უნარი, მათი იმ პირებთან დამოკიდებულებები, რომლებიც საჭიროებენ ზრუნვას და თუ შესაძლებელია- მზრუნველობის ქვეშ მყოფთა სურვილი.

მზრუნველებს უფლება აქვთ განკარგონ დამოუკიდებლად მზრუნველობის ქვეშ მყოფთა შემოსავლები, თუ მათი ხარჯები მიმართულია თავად საზრუნავი პირის შესანახად. დანარჩენ შემთხვევებში, მეურვეები ვალდებულნი არიან მიიღონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი ნებართვა მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის ქონებრივ ინტერესებთან დაკავშირებული გარიგების განხორციელებაზე. მზრუნველს, მის მეუღლეს და ახლო ნათესავებს უფლება არა აქვთ გაანხორციელონ გარიგება მზრუნველობის ქვეშ მყოფთან, მისთვის საჩუქრის სახით ქონების გადაცემის ან მისი აუნაზღაურებელ სარგებლობაში გადაცემის გარდა.

მფლველი – კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და გაარჩია შესაბამისი ლიცენზია. სადაზღვევო კომპანიის საწესდებო კაპიტალებისათვის დადგენილია სპეციალური ლიმიტი, რომელიც შეადგენს 30-60 ათას ლარს ან კანონით განსაზღვრულსხვა თანხის ოდენობას საქმიანობის სახეების მიხედვით. სადაზღვევო კომპანიის უშუალო საქმიანობის საგანი არ უნდა იყოს საწარმოო, სავაჭრო-საშუამავლო და სამაკლო საქმიანობა.

მზღვეველი სამოქალაქო სამართალში არის დაზღვევის ხელშეკრულების მხარე, რომელიც ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადაუხადოს დამზღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხა.

მზღვეველი – ნებისმიერი საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისთვის და რომელმაც დადგენილი წესით მიიღო ლიცენზია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებაზე. მზღვეველის უშუალო საქმიანობის საგანი არ შეიძლება იყოს საწარმოო, სავაჭრო-საშუამავლო ან სამაკლო საქმიანობა. მზღვეველი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სადაზღვევო ორგანიზაციები, არამედ ორმხრივი დაზღვევის საზოგადოებებიც. მზღვეველებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ კავშირები, ასოციაციები ან სხვა გაერთიანებები, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ უფლება უშუალოდ დაკავდნენ სადაზღვევო საქმიანობით.

მთავრობა – აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. ქვეყანაში ჩამოყალიბებული პარტიული სისტემის ნაირსახეობის მიხედვით მთავრობა შეიძლება იყოს ერთპარტიული, კოალიციული, მრავალპარტიული და უპარტიო. მთავრობის ფორმირების წესი განისაზღვრება სახელმწიფოს მმართველობის ფორმით. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს და მას გააჩნია ფართო უფლებამოსილებები მთავრობის ფორმირების საკითხების გადაწყვეტაში. ამასთან, მთავრობა გამოდის, როგორც პრეზიდენტთან არსებული აღმასრულებელი ორგანო. ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკებში მთავრობის ფორმირების წესი წარმოადგენს საპრეზიდენტო ხელისუფლების შეზღუდვის ძირითად ფორმას და ის ხორციელდება პარლამენტში პარტიათა ფრაქციების თანაფარდობის მიხედვით. ამასთან, მთავრობა ანგარიშვალდებულია არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშე. საპარლამენტო რესპუბლიკებში მმართველობითი უფლებამოსილების მთელი სისრულე კონცენტრირებულია მთავრობის მეთაურის ხელში (გერმანიის – კანცლერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი). მთავრობის ფორმირების, ფუნქციისა და უფლებამოსილების წესი მტკიცდება თანამედროვე სახელმწიფოების კონსტიტუციასა და სპეციალურ საკონსტიტუციო კანონებში.

მთავრობის მოქმედებების გეგმა გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის დარგში – ეკოლოგიური დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც მუშავდება გარემოს დაცვისა და მყარი განვითარების უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი დებულებების რეალიზაციისთვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით და რომელიც იცავს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების, მიზნობრივი და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ჩამონათვალს, საორგანიზაციო-ეკონომიკურ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია დასახლებული ძირითადი დებულებების რეალიზაციის პირველ ეტაპზე. იხ. სახელმწიფო ეკოლოგიური დოქტრინა, მყარ განვითარებაზე გადასვლის კონცეფცია, გარემოს დაცვის მოქმედებების ეროვნული გეგმა.

მიბარების ხელშეკრულება ხელშეკრულება, რომლის ძალით შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი. მიბარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შემნახველი ვალდებულია ისეთივე კეთილსინდისიერად შეინახოს ნივთი, როგორც საკუთარ ნივთს შეინახავდა. მას არა აქვს უფლება მიბარებული ნივთი სხვას გადასცეს

შესანახად ან ისარგებლოს ამ ნივთით მიმბარებლის თანხმობის გარეშე. თუ მიბარება ასყიდლიანია, მაშინ მიმბარებელი მოვალეა ხელშეკრულების შეწყვეტისას შემნახველს გადაუხადოს დათქმული საზღაური (სკ, მუხლი 763 – 775).

მიდევნების უფლება – სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლება გამყიდველისგან მიიღოს ანაზღაურება 5%-ის ოდენობით თითოეულ შემთხვევაში გადაყიდვის ფასიდან, ნაწარმოების იმ ფასად გაყიდვისას, რაც აღემატება წინამორბედს არანაკლებ 20%-ით. მიდევნების უფლება უწყვეტად უკავშირდება ავტორის პიროვნებას, მისი სიკვდილის შემდეგ ის გადადის კანონით ავტორის მემკვიდრეებზე. მიდევნების უფლება ერცილდება მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების ორიგინალებზე და წარმოიქმნება იმ ნაწარმოების საჯარო გადაყიდვის შემთხვევაში, რომელიც ადრე გასხვისებული იქნა ავტორის მიერ. გადაყიდვა წარმოადგენს საჯაროს, თუ ის ხორციელდება აუქციონის, მაღაზიის მეშვეობით და ა.შ.

მიდრეკილება ნარკოტიკული საშუალებებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებისკენ – ნებისმიერი განზრახ ქმედებები, რომლებიც მიმართულია სხვა პირში მათი გამოყენების სურვილის აღძრაში (შეთავაზება, რჩევის მიცემა და ა.შ.), ასევე მოტყუება, ფსიქიკური ან ფიზიკური ძალადობა, თავისუფლების შეზღუდვა და სხვა მოქმედებები ნარკოტიკული საშუალებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების იძულების მიზნით.

მიზეზობრივი კავშირი კაუზირი მოვლენების შორის, რომლის დროსაც ერთი მოვლენა (მიზეზი) კანონზომიერია და შიდა აუცილებლობით წინ უსწრებს მეორეს (შედეგს) და წარმოქმნის მას.

მიზეზობრივი კავშირი სამართალში ობიექტური კავშირი ადამიანის მოქმედებასა (ან უმოქმედობასა) და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. სამართალი მიზეზობრივი კავშირის სპეციალურ ცნებას კი არ ქმნის, არამედ იყენებენ ამ ცნებას იმ სახით, როგორც იგი დადგენილია ფილოსოფიაში. მოელენათა ურთიერთკავშირისა და ურთიერგანპირობებულობისაგან სამართალი გამოჰყოფს მთელი სამყაროს იმ „მცირე ნაწილაკს", რომელიც მას აინტერესებს მიზეზობრივ კავშირს ადამიანის მოქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. ადამიანის მოქმედება არასდროს არ არის ერთადერთი მიზეზი შედეგისა და მას შეუძლია წარმოქმნას მოვლენა-შედეგი მხოლოდ სხვა პირებთან ზემოქმედებაში. მიზეზობრივი კავშირის არსებობისათვის საკმარისია, თუ ადამიანის მოქმედება ჩართული იყო მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში, როგორც შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირი მყარდება ადამიანის მოქმედებასა და იმ შედეგს შორის, რომელიც გათვალისწინებულია კანონში, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი (მაგ., ადამიანის სიკვდილი, ნივთის განადგურება), ხოლო სამოქალაქო სამართალში – მოქმედებასა და ქონებრივ ზარალს შორის. იმ საკითხის პრაქტიკულად გადასაწყვეტად, იყო თუ არა ადამიანის მოქმედება მაგნე შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, საჭიროა წვრილ წარმოდგენაში გამოვრიცხოთ მოქმედება მიზეზობრივი კაუშირის ჯაჭვიდან. თუ აღმოჩნდება, რომ მოქმედების გარეშე შედეგი ამ სახით და დროის ამ მონაკვეთში არ განხორციელდებოდა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოქმედება მიზეზობრივად კაუშირშია შედეგთან.

ყოველივე მიზეზობრივი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველია, მაგრამ სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საჭიროა კიდევ, როგორც წესი, მისი სუბიექტური საფუძველი, ე.ი. ბრალი.

ზოგადად სამართალში მიზეზობრიე კაუშირად ითვლება, ობიექტური კავშირი სამართალდარღვევის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამ დროს იურიდიული პასუხისმგებლობისათვის საჭიროა, რომ სამართალდამრღვევის მოქმედება ბრალთან იყოს დამდგარი შედეგის აუცილებელი პირობა.

მიზნობრივი საგადასახადო კრედიტი – ფულადი გამოხატულების გადასახადის (გადასახადის ნაწილის) გადახდის შეცვლა ნატურალური შესრულებით. ბიუჯეტში ფულადი თანხის შეტანის ნაცვლად გადასახადის გადამხდელი საბიუჯეტო ორგანიზაციების ან დაწესებულებების სასარგებლოდ ახდენს თავისი პროდუქციის მიწოდებას, ახორციელებს სამუშაოებს, ახდენს მომსახურების გაწევას. კანონის თანახმად, შეღავათის მიცემა გადასახადის გადამხდელისთვის უნდა მომხდარიყო ადგილობრივ ბიუჯეტში გადასარიცხი თანხის ოდენობის ფარგლებში. თუ გადამხდელს ხურდა ასეთი შეღავათის მიღება; ის დებს საგადასახადო შეთანხმებას ადგილობრივ ადმინისტრაციასთან. საწარმოს მიერ საგადასახადო შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში ბიუჯეტში გადასარიცხი თანხა, ასევე ამ თანხის 25% ჯარიმის სახით ექვემდებარებოდა მისგან ამოღებას. ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა შეთანხმებების დამდები ადმინისტრაციის მიერ. გადაწყვეტილება შესაძლებელი იყო გასაჩივრებულიყო საწარმოს მიერ სასამართლო წესით. ასეთი ნატურალური გადასახადით დაბეგრა დამახასიათებელია ეკონომიკური განვითარების კრიზისული ეტაპისთვის, რასაც თან ახლავს გადახდისუნარიანობის შემცირება, სახელმწიფოსა და ბაზრის შინაწილეთა ორმხრივი დავალიანების ზრდა და ა.შ. საგადასახადო კოდექსი კი ადგენს, რომ გადასახადი ექვემდებარება. გადახდას მხოლოდ ფულადი ფორმით – ნაღდი ან უნაღდო სახით.

მითვისება – სხვისი ქონების უკანონო შენარჩუნება მისი, როგორც საკუთარი ქონების განკარგვის მიზნით.

მითვისება ან გაფლანგვა – დანაშაულისთვის ჩაბარებული სხვისი ქონების დატაცება. მართლზომიერი ფლობიდან არამართლზომიერზე გადასვლა, ახასიათებს სწორედ დანაშაულის ჩადენის მომენტს. მითვისება ან გაფლანგვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებისა უნდა იქნეს კვალიფიცირებული, როგორც დანაშაული მართლზომიერ ფლობაში მყოფი ქონების თავისი ან სხვა პირის საკუთრებაში უკანონო აუნაზღაურებელი გადასვლა, რომელიც თანამდებობრივი ვალდებულებების, სპეციალური დავალების ძალით ამ ქონებასთან მიმართებაში ახორციელებდა ამ ქონების განკარგვას, მართვას, მიწოდებას ან შენახვას (ექსპედიტორი, მომარაგების აგენტი, გამყიდველი, მოლარე და

სხვა პირები). სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება, რომელიც ჩადენილია ზემოთაღნიშნული უფლებამოსილებების არამქონე პირის მიერ, უნდა იქნეს კვალიფიცირებული, როგორც ქურდობა.

დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უნდა გაიმიჯნოს თანამდებობრივი უფლებამოსილებების ანგარებით, ბოროტად გამოყენებისგან.

მითითება – 1) განკარგულებითი აქტი, რომელიც გამოცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და მიმართულია მოქალაქისა თუ ორგანიზაციისთვის (იურიდიული პირისთვის), რომელიც შეიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს კანონის დარღვევების აღმოფხვრის ან კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულების შესახებ.

უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირთა მიერ დადგენილი წესით გამოტანილი სავალდებულო მითითებების შეუსრულებლობას მოსდევს მოქალაქეების, ინდივიდუალური მეწარმეების და იურიდიულ პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. თუ ასეთი მითითების შეუსრულებლობამ გამოიწვია ადამიანის მსხვერპლი, ზიანი მიაყენა მოქალაქეების ჯანმრთელობას ან გამოიწვია მატერიალური ზარალი ჩნდება საფუძვლები დამნაშავე პირების სისხლის სამართლის და მატერიალურ პასუხისგებაში მიცემისთვის; 2) ხშირად ტერმინი „მითითება" იურიდიულ ლიტერატურაში გაგებულია კანონის ნორმასთან, ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის განკარგულებასთან.

მილანის ედიქტი 313-საკლესიო მწერლის ევსევის ცნობილი დოკუმენტი, რომელიც გამოსცეს რომის იმპერატორებმა კონსტანტინემ და ლიცინიუსმა 313 წელს მილანში გამართული თათბირის შემდეგ. ამ დოკუმენტით ყველა რელიგიის მიმდევრებს, მათ შორის ქრისტიანებს მიენიჭათ უფლება შეესრულებინათ ის ღვთისმსახურება, რომელიც მათ სურდათ. მილანის ედიქტმა ეკლესიას დაუბრუნა ადრე კონფისკაციაქმნილი ქონება.

მილიტარიზაცია [< ლათ. militaris სამხედრო] ქვეყნის ცხოვრების ომისთვის მზადების მოთხოვნებს დამორჩილება მტრულად განწყობილი გარემოცეის გამო ან სხვა ქვეყანაზე თავდასასხმელად (მაგ. გერმანია XX ს-ის 30 – 40-იან წწ-ში); ხშირად მ-ს თან ახლავს სამხედრო ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების სამოქალაქო ურთიერთობებში გადატანა, სამხედრო კანონების, სამხედრო დისციპლინის გავრცელება ცალკეულ დარგზე ან სახალხო მეურნეობაზე მთლიანობაში.

მილიტარიზმი [< ლათ. militaris სამხედრო] პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური საშუალებების სისტემა, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის მმართველი წრეები იყენებენ სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების გასაზრდელად; ელინდება შეიარაღების გაძლიერებაში, სამხედრო ბიუჯეტის ზრდაში, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნაში, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გავლენის ზრდაში ეკონომიკასა და პოლიტიკაში.

მიმდებარე ზონა – ღია ზღვის ზონა (ზღვის სარტყელი), რომელიც ეკერის სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორიული წყლების გარე საზღვარს. გაერო-ს 1982 წ. საზღვაო სამართლის კონვენციის მუხ. 33(2) თანახმად, ის არ შეიძლება გაერცელდეს ზღვის 24 მილის ფარგლებს გარეთ, რომელიც იზომება იმ საწყისი ხაზებიდან, საიდანაც ტერიტორიული ზღვა (1958 წ. ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ კონვენციის შესაბამისად დადგენილ იქნა 12 მილი). მიმდებარე ზონის დადგენა ხდება სანაპირო სახელმწიფოს მიერ სპეციალური მიზნით იურისდიქციის განხორციელებისთვის: სბაჟო, ფისკალური, სანიტარული ან იმიგრაციის წესების დარღვევის თავიდან ასაცილებლად. მიმდებარე ზონის დადგენა არის სანაპირო სახელმწიფოს უფლება და არა ვალდებულება.

მიმდინარე საჯარიო ოპერაციები – ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო შეთანხმებებით დარეგულირებული გარიგებები ე.წ. საერთაშორისო საალუტო გადახდები, რომლთა გადახდაც ხდება კაპიტალის გადაგზავნისგან განსხვავებული მიზნით. როგორც წესი, მიმდინარე საალუტო ოპერაციების რიცხვს განეკუთვნება გადახდები ექსპორტირებულ და იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე, მოკლევადიანი კრედიტების მიცემა, ასევე არასავაჭრო ხასიათის გადახდები (ხელფასი, პენსიები, ალიმენტი, შემწეობა, საავტორო ანაზღაურება და ა.შ.). მოცემული გადახდები ხორციელდება მატერიალური კეთილდღეობით ექვივალენტური გაცვლის სფეროში, მათ განხორციელებას თან ახლავს ამა თუ იმ კეთილდღეობის შემხვედრი გაცემა. მიმდინარე საალუტო ოპერაციების ჩატარებას არ უნდა შეეხოს შეზღუდვები სახელმწიფოს მხრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს ვალუტა აღარ იქნება თავისუფლად კონვერტირებადი, რამდენადაც მისი რეზიდენტები ვერ შეძლებენ თავისუფლად გაცვალონ ის უცხოურ ვალუტაზე და ანგარიში გაასწორონ უცხოელ კონტრაგენტებთან. საერთაშორისო საალუტო ფონდის წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება არ შეზღუდონ მიმდინარე საალუტო ოპერაციებით განხორციელებული გადახდები.

საალუტო რეგულირების რეჟიმი გულისხმობს, რომ მიმდინარე საალუტო ოპერაციები, თუმცა კი არ ექცევა შეზღუდვების ქვეშ, ისევ ხორციელდება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. ამ შემთხვევაში საკონტროლო ღონისძიებების მიზანს წარმოადგენს კაპიტალის მიმდინარე საგარეო საეაჭრო ოპერაციების ჩატარების სახის ქვეშ გატანის თავიდან აცილება. რთული საკონტროლო პროცედურების დადგენა არ უნდა გადაიზარდოს ე.წ. ფაქტიურ საალუტო შეზღუდვებში ე.ი. ისეთ ბიუროკრატიულ დაბრკოლებებში, რომელიც არსებითად არღუდებენ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას წარმოებას საალუტო ურთიერთობების კეთილსინდისიერი მონაწილეების მხრიდან.

მიმოწერის საიდუმლოება – კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით გარანტირებული მოქალაქეების ყველა სახის საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების (წერილების, დეპეშების, ბანდეროლების და ა.შ.) ხელშეუხებლობის უფლება. მიმოწერის საიდუმლოების, სატელეფონო, საფოსტო გზავნილების, დეპეშების, სხვა შეტყობინებების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საფოსტო და სატელეფონო გზავნილებზე ყადაღის დადება,

მათი ამოღება კაუშირგაბმულობის დაწესებულებებში, სატელეფონო და სხვა სახის საუბრების კონტროლი და ჩაწერა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. საფუძველს ასეთი გადაწყვეტილების მიღებისთვის წარმოადგენს ფაქტიური მონაცემების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ბანდიტიზმში, ამბანთებში, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებში არსებობს სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, საგნები, დოკუმენტები. არავის არა აქვს უფლება გახსნას, გაეცნოს და გაახმოვანოს კორესპონდენციის შინაარსი. მიმოწერის საიდუმლოებას იცავს კანონი. მის დარღვევაზე კანონმდებლობა ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მიმოწერის საიდუმლოების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ დამნაშავეობასთან ბრძოლის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებში, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მინდობილობა – სამოქალაქო სამართალში სბუთი, რომელშიც ფიქსირდება წარმომადგენლის უფლებამოსილება დადოს გარიგებები და განაზორციელოს სხვა მართლზომიერი მოქმედებები წარმოდგენილი პირის სახელით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს. მინდობილობის შეწყვეტისათვის აუცილებელია დოკუმენტის გაუქმება ან მისი ძალადაკარგულად აღიარება. ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ რესპუბლიკურ გაზეთში.

განასხვავებენ მინდობილობის სამ სახეობას: ერთჯერადი მინდობილობა – გაცემული რაიმე კონკრეტული მოქმედების განსახორციელებლად; სპეციალური მინდობილობა – ერთი ტიპის მრავალჯერადი მოქმედებისათვის; გენერალურმა მინდობილობამ შეიძლება მისცეს წარმომადგენელს წარმოდგენილის სახელით ხელშეკრულებების დადების, პრინციპალის ქონების მართვის, სასამართლოსა და არბიტრაჟში მისი სახელით გამოსვლის ან საგარეო-ეკონომიკური შეთანხმებების დადების უფლებამოსილება და სხვ. ამ ზოგადი კლასიფიკაციის გარდა მინდობილობათა შემდეგი ნაირსახეობები გვხვდება:

1. ბლანკეტური მინდობილობა – სბუთი უფლებათა გადაცემის შესახებ, რომელშიც არ არის მითითებული ნდობით აღჭურვილი პირის ვინაობა.

2. საბროკერო მინდობილობა დაზღვევაში – ზოგიერთი უცხოური ქვეყნის სადაზღვევო პრაქტიკაში სბუთი, რომელსაც დამზღვევი აძლევს სადაზღვევო ბროკერს და რომლის ძალითაც მას ენიჭება განცხადებულ პრეტენზიასთან შესაბამისად მზღვეველისაგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სადაზღვევო ბროკერი აღნიშნული მომსახურებისათვის ღებულობს ანაზღაურებას (კომისიას), რომელიც წარმოადგენს დამზღვევის მიერ მიღებული სადაზღვევო თანხის გარკვეულ პროცენტს.

3. სავაჭრო მინდობილობას საწარმო აძლევს მეორე პირს წარმომადგენლობისათვის, რომელიც არ არის შეტანილი სავაჭრო რეესტრში, სავაჭრო ოპერაციების გაძლოლის მინდობილობა იძლევა უფლებას მხოლოდ საწარმოსათვის ტრადიციული, მუდმივი ხასიათის გარიგებების დასადებად. გენერალური მინდობილობისაგან განსხვავებით აქ წარმომადგენლის უფლებები შეზღუდულია.

4. თუ სავაჭრო მინდობილობა რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში. იგი წარმოადგენს გენერალურ სავაჭრო მინდობილობას (პროკურა). პროკურა იძლევა უფლებამოსილებას სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა იმ სახის საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან. მიწის ნაკვეთების გასხვისების ან ვალდებულებებით მათი დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად მიეცემა. პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე პირებისათვის. ეს წესი შეეხება, კერძოდ შეზღუდას, რომ პროკურა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული გარიგებებისა თუ გარიგებათა განსაზღვრული სახეებისათვის ან მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას, ან განსაზღვრული დროისათვის, ანდა ცალკეულ ადგილებში. პროკურის შემოფარგვლის ერთი ან რამდენიმე ფილიალით მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირთათვის, თუ ფილიალებს მართაველ სხვადასხვა საწარმო სახელწოდებით.

5. აქციონერთა უფლების მინდობილობა – რწმუნებულება, რომელიც ეძლევა წარმომადგენელს აქციონერის სახელით მოქმედების უფლებაზე.

მინდობილობა – სამოქალაქო სამართალში წერილობითი უფლებამოსილება, რომელიც ერთი პირის (მრწმუნებელის) მიერ გაიცემა მეორისთვის მესამე პირების წინაშე წარდგენისთვის. მინდობილობა უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნებს, რომელიც კანონის მიერ წაეყენება გარიგების დადებას. კერძოდ, მინდობილობა შეიძლება გაიცეს მხოლოდ მართლზომიერი იურიდიული მოქმედებების განხორციელებაზე; წარმომადგენლის ნება უნდა ჩამოყალიბდეს თავისუფლად და აღექვატურად გამოიხატოს მინდობილობაში; იურიდიული პირისთვის გაცემული მინდობილობა შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ გარიგების დადებას, რაც არ ეწინააღმდეგება სპეციალურ სამართალობიექტურობას და ა.შ. კანონი მინდობილობის ფორმას უყენებს გარკვეულ მოთხოვნებს: ყველა შემთხვევაში მინდობილობა უნდა იყოს წერილობითი ფორმის; გარიგების მინდობილობა, რომელიც მოითხოვს ნოტარიულ ფორმას, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა და ასევე მინდობილობა, რომელიც გაიცემა გადაადობის წესით, უნდა იყოს ნოტარიულად დამტკიცებული.

მინდობილობა იურიდიული პირის სახელით გაიცემა მისი ხელმძღვანელის ან ამაზე დამფუძნებელი დოკუმენტებით უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, ამ ორგანიზაციის ბეჭდით – დართვით. მინდობილობა იურიდიული პირის სახელით, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებას, ფულის ან სხვა ქონებრივი ფასეულობების მიღებას ან გაცემას, ასევე უნდა იქნეს ხელმოწერილი ამ ორგანიზაციის მთავარი ბუღალტრის მიერ. მინდობილობის მოქმედების მაქსიმალური ვადაა 3 წელი. თუ მინდობილობაში მითითებული არაა ვადა, ის ძალას ინარჩუნებს მისი გადაცემიდან 1 წლის განმავლობაში. მინდობილობა, სადაც არაა მითითებული მისი დადების თარიღი, ბათილია. მინდობილობა წარმოადგენს სახელობით დოკუმენტს. ეს ნიშნავს იმას, რომ მინდობილობაში უნდა იყოს

მითითებული პირი, რომელზეცაა ის გაცემული, ასევე მისი შემდგენი პირი.

მინდობილობა ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი და კვალიფიცირებული (ნოტარიულად დამოწმებული). მინდობილობის ეს უკანასკნელი ფორმა საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს გარიგება, რომელიც საჭიროებს ნოტარიულ ფორმას და ასევე მინდობილობების მიმართ, რომლებიც გაიცემა გადანდობის წესით.

კანონის ძალით ნოტარიუსით დამტკიცებულ მინდობილობებს უთანაბრდება გარკვეული თანამდებობის პირების მიერ (მაგალითად, ჰოსპიტლების, სანატორიუმების და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებების ხელმძღვანელების, სამედიცინო ნაწილში მოადგილის, უფროსი ან მორიგე ექიმის მიერ დასტურდება აღნიშნულ დაწესებულებებში მყოფი პირების მინდობილობა) დამტკიცებული მინდობილობები.

მინდობილობაში გამოხატული უფლებამოსილებების მოცულობისა და ხასიათის მიხედვით გამოიყოფა გენერალური (ზოგადი, სპეციალური და ერთჯერადი მინდობილობები, გენერალურად ითვლება მინდობილობა, რომელიც უფლებამოსილს ხდის წარმომადგენელს განახორციელოს გარიგებისა და სხვა იურიდიული მოქმედებების ფართო წრე, რომლებიც როგორც წესი, უკავშირდებიან წარმოსადგენის საქმიანობის მოცულობას. სპეციალური მინდობილობა წარმომადგენელს ანიჭებს უფლებას განახორციელოს შეუზღუდავი რაოდენობის გარიგება ან სხვა იურიდიული მოქმედებები წარმოსადგენის სახელით, თუმცა მასში ან შემოფარგლულია წარმომადგენლის საქმიანობის სფერო ან ჩამოთვლილია წარმომადგენლის ერთგვაროვანი შესაძლო მოქმედებები. ეთჯერადი მინდობილობა გაიცემა ერთი კონკრეტული გარიგების ან სხვა იურიდიული მოქმედების განხორციელებაზე. იხ. დილერი, აგენტირების ხელშეკრულება, გადანდობა.

მინდობილობა (მართვის ფორმა)

– მინდობილობა არის ისეთი საბუთი, რომლითაც ორგანიზაცია ან ცალკეული პირი აძლევს უფლებას სხვა პირს მისი სახელით იმოქმედოს ან მიიღოს მატერიალური ფასეულობა განკარგვის მიზნით.

იმის მიხედვით, თუ როგორ ფორმდება რწმუნებულება, მინდობილობები შეიძლება იყოს პირადი და ოფიციალური.

პირადი მინდობილობები დგება ჩვეულებრივ იმ შემთხვევებში, როცა ცალკეული პირი გადასცემს მეორე პირს მისი კუთვნილი ხელფასის ან ფასეულობის აღების უფლებას.

ოფიციალური მინდობილობები გაიცემა იურიდიული პირის მიერ (წარმოების, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ) სხვადასხვა მოქმედების შესასრულებლად (საბანკო ოპერაციების მართვა, ფულადი და მატერიალურ-საბარგო სახსრების მიღება, სატრანსპორტო ოპერაციების მართვა და ა.შ.).

პირადი მინდობილობა შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. საბუთის დასახელება (იწერება გვერდის შუა ნაწილში).
2. მრწმუნებლის გვარი, სახელი და მამის სახელი.
3. რწმუნებულის გვარი, სახელი და მამის სახელი.
4. მინდობილობის საგანი.
5. მინდობილობის გაცემის თარიღი.
6. მრწმუნებლის ხელმოწერა.
7. თანამდებობის პირის ხელმოწერა და მრწმუნებლის ხელმოწერის დამადასტურებელი ორგანიზაციის, წარმოების, სოფლის საბჭოს, სანოტარო კანტორის ბეჭედი.

იურიდიული პირის მიერ გაცემულ მინდობილობებში (ოფიციალურ მინდობილობებში) ნაჩვენები უნდა იყოს გაცემის ადგილი და თარიღი. იურიდიული პირის სრული დასახელება, მისი ხელმძღვანელი, ორგანოს ადგილმდებარეობა და აგრეთვე მინდობილობის მოქმედების დრო, რომელიც აღინიშნება სიტყვებით და არ უნდა აღემატებოდეს კანონით განსაზღვრულ ვადას.

მინდობილობით მართვა

– იხ. ქონების მინდობილობით მართვის ან დაზღვევის ხელშეკრულება.

მინისტრი

– აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს. – სამინისტროს ხელმძღვანელი. მინისტრის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება კონსტიტუციით. წარმოადგენს რა თანამდებობით მთავრობის წევრს, ის მონაწილეობს მთავრობის სხდომებში, მთავრობის პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში, ღებს მონაწილეობას მისი დადგენილებებისა და განკარგულებების მომზადებაში. მინისტრი ანგარიშვალდებულია მთავრობის, ხოლო პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე – პრეზიდენტის წინაშე.

მინისტრი ხელმძღვანელობს მისთვის ჩაბარებული სამინისტროს საქმიანობას ერთმმართველობის საფუძველზე და პერსონალურ პასუხისმგებლობას იღებს სამინისტროზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე. მინისტრის უფლებამოსილებები სამინისტროს საქმიანობის ხელმძღვანელობასა და მისი აპარატის მუშაობის ორგანიზებაზე განსაზღვრება მთავრობის ან პრეზიდენტის მიერ მათ მხრიდან სამინისტროების შესახებ დამტკიცებულ დებულებებში. მინისტრი შესაბამისი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს, ინსტრუქციებს, დებულებებს, წესებს და ა.შ.) და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს, განკარგულებებს). მინისტრი ვალდებულებებს ანაწილებს თავის მოადგილეებს შორის; ამტკიცებს აპარატის რაოდენობის და შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში, ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს; ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურას და დებულებებს მისი სტრუქტურული რგოლების შესახებ; ნიშნავს და ანთავისუფლებს თანამდებობიდან ცენტრალური აპარატის მუშაკებს; საჭიროების შემთხვევაში აუქმებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და მისთვის უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სამართლებრივ აქტებს.

მიტინგი

– შეკრებისა და მანიფესტაციის, როგორც მოქალაქეთა ერთ-ერთი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი ხერხი; მოქალაქეთა მასობრივი შეკრება, რათა საჯაროდ გამოხატონ დამოკიდებულება პირთა და ორგანიზაციათა მოქმედებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მოვლენების მიმართ. მიტინგი უპირატესად ტარდება ღია სივრცეში და სრულდება რეზოლუციის მიღებით.

მიუსაფარი ცხოველი – ცხოველი, რომელიც დაჭერის მომენტში არ იყო რომელიმე პირის მართვის ქვეშ. სამოქალაქო სამართალში მოცემული ტერმინი გამოიყენება უშუალოდ შინაური ან მოშინაურებული ცხოველების მიმართ. მიუსაფარი ცხოველის ცნებას უკავშირდება საკუთრების უფლების მოპოვების თავდაპირველი ხერხი, კერძოდ, თუ მიუსაფარი ცხოველის დაჭერის შესახებ განცხადებიდან 6 თვის მანძილზე მათი მესაკუთრე არ გამოჩნდება ან თავად ის არ განაცხადებს მათზე თავისი უფლების შესახებ, პირი, რომელთანაც იმყოფება ცხოველი იძენს მათზე საკუთრების უფლებას. ამ პირის მიერ მასთან მყოფი ცხოველის საკუთრებაში ყოლის უფლებაზე უარის შემთხვევაში ისინი ხვდებიან მუნიციპალურ საკუთრებაში და გამოიყენება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული წესით.

მიყვანა – ადმინისტრაციულ-აღმკვეთი ღონისძიება, მდგომარეობს ფიზიკური პირის იძულებით ორგანოში მიყვანაში, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე ახორციელოს წარმოება, შეადგინოს ოქმში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, თუ შეუძლებელია მისი შედგენა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოულების ადგილას, თუ ოქმის შედგენა წარმოადგენს საჯაღდებულოს.

კანონში მითითებულია პირები, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ იძულებითი მიყვანა. ასეთ პირებს განეკუთვნება: შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირები, შინაგანი ჯარების, სასაზღვრო სამსახურის ორგანოებისა და ჯარების, სისხლის სამართლის აღმასრულებელი სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, საუწყებო და არასაუწყებო დაცვის, იმ ორგანოების თანამდებობის პირები, რომლებიც ახორციელებენ ტრანსპორტის გამოყენების წესების, გარეშოს, ტყის ფონდის, ცხოველთა სამყაროს, თევზის მარაგის დაცვის, ნადირობისა და მეთევზეობის წესების კონტროლსა თუ ზედამხედველობას; სხვაეო ორგანოების თანამდებობის პირები.

მიყვანა უნდა მოხდეს მოკლე დროში. მიყვანის შესახებ ხდება ოქმის შედგენა ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან ადმინისტრაციული დაკავების ოქმში.

მიწა – 1) ბუნებრივი ობიექტი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ეკოლოგიური დანიშნულება და დაცულია ბუნების შემადგენელი ნაწილის სახით; 2) ბუნებრივი რესურსი, რომელიც გამოყენებული და დაცულია, როგორც მოსახლეობის სიცოცხლისა და საქმიანობის საფუძველი (წარმოების ბუნებრივი საშუალება და ბუნებრივი სიერცითი ბაზისი); 3) უძრავი ქონება, საკუთრებისა და მიწის სხვა უფლებების ობიექტი, ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში მიწას გააჩნია მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა; 4) წყლის საზოგადებრივი და სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი; 5) მიწის კანონმდებლობაში ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბუნების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის სახით დაცული ობიექტი; ბუნებრივი რესურსი, რომელიც გამოიყენება წარმოების ბუნებრივი საშუალებისა და ბუნებრივი სიერცითი ბაზისის სახით; და ამავდროულად უძრავი ქონება, მიწის საკუთრებისა და სხვა უფლებების ობიექტი.

მიწათმოწყობა – მართვის ერთ-ერთი ფუნქცია მიწის გამოყენებისა და დაცვის სფეროში, რომელიც წარმოადგენს მიწის მდგომარეობის შესწავლას, მიწების რაციონალური გამოყენების დაგეგმვის და ორგანიზების და მათი დაცვის, მიწათმოწყობის ახალი ობიექტების წარმოქმნისა და არსებული ობიექტების მოწესრიგების, ადგილზე მათი საზღვრების დადგენის (ტერიტორიულ მიწათმოწყობა), მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიერ მიწის მონაკვეთების სასოფლო-სამეურნეო წარმოების განხორციელებისთვის რაციონალური გამოყენების ორგანიზების ღონისძიებებს.

მიწათმოწყობის დოკუმენტაცია მიწათმოწყობის ჩატარების შედეგად მიღებული დოკუმენტები.

მიწათმოწყობის დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზა – მიწათმოწყობის დოკუმენტაციის საწყის მონაცემებთან, ტექნიკურ პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება; ის ხორციელდება მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

მიწათმოწყობის ობიექტები – სახელმწიფოს, მუნიციპალური, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ტერიტორიები, ტერიტორიული ზონები, მიწის ნაკვეთები, აღნიშნული ტერიტორიების, ზონებისა და ნაკვეთების ნაწილები.

მიწათმოწყობის ობიექტების გამიჯვნა – მხარეში მიწათმოწყობის ობიექტის საზღვრების განსაზღვრის სამუშაოები და მათი შეთანხმება; მხარეში მიწათმოწყობის ობიექტის საზღვრების ადგილმდებარეობის განმტკიცება გამოჯვნის ნიშნებით და მათი კოორდინატების განსაზღვრა ან მიწათმოწყობის ობიექტის საზღვრების ადგილმდებარეობის სხვაგვარი აღწერის შედგენა; მიწათმოწყობის ობიექტის რუკის (გეგმის) დამზადება. მიწათმოწყობის ობიექტების გამიჯვნა ხორციელდება სახელმწიფო მიწის კადასტრის ცნობების, მიწათმოწყობის დოკუმენტაციის, ქალაქმშენებლობის და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც უკავშირდება მიწის გამოყენებას, დაცვასა და განაწილებას. იხ. ასევე მიწათმოწყობა.

მიწათმოწყობის ობიექტის რუკა (გეგმა) – დოკუმენტი, რომელიც გრაფიკული ფორმით ასახავს მიწათმოწყობის ობიექტის განლაგებას, სიდიდეს, საზღვრებს, მიწათმოწყობის ობიექტის გამოყენებაში შეზღუდული ნაწილების საზღვრებს და ასევე მიწასთან მჭიდროდ დაკავშირებული უძრავი ქონების ობიექტების განთავსებას.

მიწათმოწყობის პროცესი – მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს: მოსამზადებელ სამუშაოებს, მიწათმოწყობის პროგნოზის, სქემების, პროექტების შემუშავებას, საარიექტო დოკუმენტაციის განხილვასა და დამტკიცებას, პროექტების ატურაში (ადგილზე) გადატანას, მიწათმოწყობის მასალებისა და დოკუმენტების გაფორმებასა და გაცემას, საავტორო ზედამხედველობის განხორციელებას მიწის მესაკუთრის, მიწის მფლობელთა, მიწით მოსარგებლეთა და მოიჯარეთა მიერ მიწათმოწყობის პროექტების შესრულებაზე.

მიწასთან დაკავშირებული უძრავი ნივთების რეგისტრაცია – დანაშაული ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, რომელიც წარმოადგენს მიწასთან დაკავშირებული უძრავი ნივთების რეგისტრაციას, სახელმწიფო მიწის კადასტრის საერიცხვო მონაცემების დამახინჯებას, მიწაზე გადასახადის ოდენობის განზრახ შემცირებას, თუ ეს ქმედებები ჩადენილია ანგარების ან სხვა პირადი დაინტერესებით თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ობიექტური მხრიდან დანაშაული წარმოადგენს კანონში ალტერნატიულად დასახელებულ მოქმედებებს: ა) აშკარად უკანონო გარიგების რეგისტრაციას მიწასთან დაკავშირებით; ბ) სახელმწიფო მიწის კადასტრის საერიცხვო მონაცემების დამახინჯება; გ) მიწაზე გადახდის ოდენობის შემცირებას.

ყველა ჩამოთვლილი მოქმედება ხორციელდება თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მიწასთან დაკავშირებული აშკარად უკანონო გარიგების რეგისტრაცია არის მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სამართლებრივი აქტებით, მიწასთან დაკავშირებული გარიგებისთვის სათანადო იურიდიული მნიშვნელობის მინიჭებისთვის ამისათვის სათანადო საფუძვლების გარეშე.

მიწების დაცვა – 1) ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების შემადგენელი ნაწილი; 2) ღონისძიებების სისტემა: ა) ნიადაგისა და მისი ნაყოფიერების შესანარჩუნებლად; მიწების წყლისა და ქარის ეროზიისაგან, დაბინძურებისგან, დამლაშებებისგან, დაჭაობებისგან, რადიოაქტიური და ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებისგან, წარმოებისა და მოხმარების ნარჩენებით გაჯერებისგან დასაცავად; ბ) სასოფლო-სამეურნეო ადგილებისა და სხვა სახის მიწის ბაქტერიულ-პარაზიტული და საკარანტინო მავნებლებისგან, მცენარეთა ავადმყოფობისგან დასაცავად; გ) დაბინძურების შედეგების ლიკვიდაციისათვის; დ) მელიორაციის მიღწეული დონის შენარჩუნებისთვის; ე) დარღვეული მიწის რეკულტივაციისთვის, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისთვის.

მიწების მელიორაცია – მართვის ფუნქცია მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში, რომელიც წარმოადგენს ჰიდროტექნიკური, ქიმიური, ეროზიის საწინააღმდეგო, აგრო-სატყეო-სამელიორაციო, აგროტექნიკურ და სხვა მელიორაციულ ღონისძიებებს მიწების ძირეული გაუმჯობესების მიზნით.

მიწების მონიტორინგი – 1) გარემოს მონიტორინგის სისტემის შემადგენელი ნაწილი (იხ. ასევე ატმოსფერული ჰაერის სახელმწიფო მონიტორინგი, წყლის ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი, წიაღის მდგომარეობის სახელმწიფო მონიტორინგი, ტყეების მონიტორინგი); 2) მიწის ფონდის მდგომარეობაზე დაკვირვებათა სისტემა ცვლილებათა დროული გამოვლენისთვის, მათი შეფასებისთვის, ნეგატიური პროცესების შედეგების გაფრთხილებისა და თავიდან აცილებისათვის. მიწების მონიტორინგის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: მიწის ფონდის მდგომარეობის ცვლილებათა დროული გამოვლენა, მათი შეფასება, პროგნოზი და რეკომენდაციების დამუშავება ნეგატიური პროცესების თავიდან ასაცილებლად; სახელმწიფო მიწის კადასტრის, რაციონალური მიწათმოწყობისა და მიწათგამოყენების საინფორმაციო უზრუნველყოფა, მიწების გამოყენებისა და დაცვის კონტროლი. მიწების მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს მთლიანად მიწა საკუთრების ფორმა, მიზნობრივი დანიშნულებისა და გამოყენების სახის მიუხედავად, მიწების მონიტორინგს ვაკისრია მიწათა კატეგორიების შესაბამისი ქვესისტემები.

მიწით სარგებლობა – 1) მიწის ნაკვეთი, რომელიც გათვალისწინებულია უძრავი ქონების ობიექტის სახით, მისთვის საკადასტრო ნომრის მიკუთვნებით; 2) რამდენიმე განცალკევებული მიწის მონაკვეთი, რომელიც უფლების მფლობელის განცხადების მიხედვით გათვალისწინებულია უძრავი ქონების ერთი ობიექტის სახით, მისთვის ერთიანი საკადასტრო ნომრის მიკუთვნებით; 3) როგორც გაშენებული, ასევე გაშენებას დაქვემდებარებული ტერიტორიები ქალაქებისა და სხვა დასახლებების გაშენებისა და დაგეგმვის გენერალური გეგმებისა და პროექტების ტერიტორიული განვითარების სხვა დოკუმენტების შესაბამისად; 4) მიწის მონაკვეთების გამოყენება, რომელიც ხორციელდება გარკვეული კანონების ან წესების მიხედვით (იხ. გაშენების წესები).

მიწისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების იჯარა – მიწის, წყლის, ტყეების უფლებათა სახეები; განკერძოებული ბუნებრივი ობიექტების დროებითი ფლობა და გამოყენება ან დროებითი გამოყენება გადახდის სანაცვლოდ, რომელიც ხორციელდება იჯარის ხელშეკრულების (ქონებრივი დაქირავების) საფუძველზე. იჯარის ობიექტები შეიძლება იყოს წყლის ობიექტები, მიწის ნაკვეთები, ტყის ფონდის ნაკვეთები და ა.შ. განცალკევებული ბუნებრივი ობიექტები, რომლებიც არ კარგავენ თავიანთ ნატურალურ თვისებებს მათი გამოყენების პროცესში. კანონით შეიძლება დადგინდეს მიწის სახეები და სხვა განცალკევებული ბუნებრივი ობიექტები, რომელთა იჯარით გადაცემაც არაა დაშვებული ან იზღუდება და ასევე მიწის მონაკვეთებისა და სხვა განცალკევებული ბუნებრივი ობიექტების იჯარით გაცემის თავისებურებები; მოიჯარის მიერ იჯარით აღებული მიწის მონაკვეთებისა და სხვა განცალკევებული ბუნებრივი ობიექტების გამოყენების შედეგად მიღებული პროდუქცია და შემოსავალი, ხელშეკრულების შესაბამისად წარმოადგენს მის საკუთრებას.

მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დენაციონალიზაცია – 1) პროცესი, რომელიც არის დასახელებული ობიექტების ნაციონალიზაციის საპირისპირო; 2) მიწის გადაცემა (გამოსყიდვა) სახელმწიფოდან კერძო, მუნიციპალურ და სხვა ფორმის საკუთრებაში დასახელებულ ობიექტებზე.

მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაცია – მიწის, წყლების, წიაღის, ტყეების და სხვა ბუნებრივი რესურსების კერძო საკუთრებიდან სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლა. იხ. ასევე მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დენაციონალიზაცია.

მიწის გადასახადი – მიწის საფასურის ფორმა; მიწის გადასახადის ოდენობა დამოკიდებული არაა მიწის მესაკუთრეების, მიწათმფლობელების, მიწით მოსარგებლეების სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე და წესდება სტაბილური გადასახადების სახით მიწის ფართობის ერთეულზე წელიწადზე გაანგარიშებით; მიწის გადასახადის განაკვეთები გადახედას ექვემდებარება მიწის გამომყენებელთა დამოუკიდებელი სამეურნეო პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით; მიწის მონაკვეთზე, რომელიც არ გამოიყენება ან გამოიყენება არამიზნობრივი დანიშნულებით, მიწის გადასახადის განაკვეთი დგინდება ორმაგი ოდენობით.

მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული საპროექტო-საკვლევი სამუშაოების ლიცენზირება 1) მართვის ფუნქცია მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში; 2) ლიცენზირების სახე მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში, რომელიც მდგომარეობს ლიცენზიების გაცემაში, გაგრძელებაში, შეჩერებასა და ანულირებაში: ა) შემდეგი სახის საპროექტო-საკვლევი სამუშაოების განხორციელებაზე, რაც უკავშირდება მიწის გამოყენებას, ახალი მიწის ნაკვეთების წარმოქმნისა და არსებული მიწის ნაკვეთების მოწესრიგების მიწათმოწყობის პროექტების შედგენა – მიკუთვნების მოქმედი ნორმებისა და დამტკიცებული მიწათმოწყობისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაციის საფუძველზე; მიწათმოწყობის პროექტების შედგენა, რაც უკავშირდება მიწის გამოყენების სამართლებრივი რეჟიმის, მიწათგამოყენების სერვიტუტებისა და შეზღუდვების დადგენას; განსაკუთრებული ბუნების დაცვის, რეკრეაციული, ნაკრძალის რეჟიმების მქონე ტერიტორიების საზღვრების განთავსებისა და დადგენის დასაბუთება; ქალაქისა და სოფლის დასახლებების და სხვა შენიციპალური წარმონაქმნების შტრიხების განმტკიცებისა და შეცვლის მასალების მომზადება; მიწის ფონდის მდგომარეობასა და გამოყენებაში ცვლილებების გაბოვლენის და მათი შეფასების სამუშაოების ჩატარება; გამოუყენებელი, არარაციონალურად გამოყენებული ან არამიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებული მიწების გამოვლენის სამუშაოების ჩატარება; მიწათმოწყობის კოკუმენტაციის შეფუთავება, რაც უკავშირდება მიწების რესურსულ შეფასებას, გამოყენებასა და დაცვას, მცირერიცხოვანი ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო საქმიანობის შენარჩუნებასა და განვითარებას; მიწის საკადასტრო შეფასების ჩატარება, მასალების მომზადება მიწის გადასახადის განაკვეთებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრისთვის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების საფასო ზონირება; ბ) შემდეგი სახის გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის განხორციელებაზე საპროექტო-საკვლევი სამუშაოების შემადგენლობაში მიწათმოწყობის განხორციელებისას და მიწის სახელმწიფო კადასტრის წარმოებისას: მიწების გამოკვეთის სამუშაოების კომპლექსის ჩატარება ადგილზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნებისა და მიწის მფლობელთა მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენით (აღდგენით), ერთიანი სახელმწიფო სისტემით, მიწის ნაკვეთების საზღვრების გეგმების (ნახაზების), მიწის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმება; ყველა კატეგორიის მიწის ინვენტარიზაცია; საკადასტრო დაგეგმების, მიწათმოწყობის, სანიაღაგო და გეობოტანიკური გამოკვლევების განხორციელება; ციფრული და ელექტრონული საკადასტრო და თემატური რუკების, მიწების გამოყენებისა და მდგომარეობის გეგმების ბანკის წარმოება; მიწის საინფორმაციო სისტემების შექმნის სამუშაოების განხორციელება, სახელმწიფო მიწის კადასტრის მონაცემთა ავტომატიზირებული ბანკების (ფონდების), მიწებისა და მიწათმოწყობის მონიტორინგის წარმოება, გრაფიკულ და ციფრულ სახეებში საკადასტრო და თემატური რუკების, მიწის მდგომარეობისა და გამოყენების გეგმებისა და ატლასების შედგენისა და განახლების სამუშაოების ჩატარება, მათი მომზადება გამოსაცემად და მათი გამოცემა.

მიწის იჯარა – მიწათსარგებლობის ფორმა, რომლის დროსაც მიწის მესაკუთრე მიწის ნაკვეთს მეურნეობის წარმართვისათვის გარკვეული ვადით გადასცემს მეორე პირს (მოიჯარეს) და მისგან სანაცვლოდ იღებს საიჯარო ქირას. სხვადასხვა ფორმით იგი არსებობდა მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების დროსაც. საიჯარო ქირა მოიცავს როგორც რენტას, ისე მიწაზე ადრე დაბანდებულ კაპიტალის სარგებელს (პროცენტს). მიწის იჯარას პირველ ხანებში ნატურალური ხასიათი ჰქონდა. მიწის იჯარით ძირითადად უმიწაწყლო გლეხები სარგებლობდნენ და XVI-XVII სს-დან ნატურალური იჯარა იცვლება ფულადი იჯარით. თანამედროვე მსოფლიოში მიწის იჯარა ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს ბევრ ქვეყნებში.

მიწის კადასტრი – ყოველმხრივი ცნობების ერთობლიობა, მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფოში მიწათა აღრიცხვა წარმოებს მთელი ქვეყნისთვის ერთიანი სისტემით. სახელმწიფო მიწის კადასტრი შეიცავს მიწათსარგებლობის რეგისტრაციის მონაცემებს, მიწის ხარისხისა და რაოდენობის აღრიცხვას, მიწის ეკონომიურ შეფასებას და ა.შ. ეს მონაცემები აუცილებელია მიწის რაციონალური გამოყენების ორგანიზაციისა და მისი დაცვისათვის, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისათვის, მიწის მელიორაციისათვის და ა.შ.

მიწის კანონმდებლობა – 1) კანონმდებლობის დარგი; 2) ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემა, რომელიც შედგება მიწის კოდექსისგან, საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებისგან, რომლებიც არეგულირებენ მიწის საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

მიწის კატეგორიები – მიწის შემადგენლობის კლასიფიკაციის ერთეული მიწის მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით. გამოიყოფა მიწის 7 კატეგორია: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები; დასახლებათა მიწები; მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, ინფორმატიკის, კოსმოსური უზრუნველყოფის, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სხვა სპეციალური დანიშნულების მიწები; განსაკუთრებით დაცული ტერიტორიებისა და ობიექტების მიწები; ტყის ფონდის მიწები; წყლის ფონდის მიწები; მარაგის მიწები. მიწების სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება მათი მიწის ამა თუ იმ კატეგორიისადმი მიკუთვნებულობით

და მიწების ნებადართული გამოყენებით ტერიტორიული ზონირების შესაბამისად, რომლის ზოგადი პრინციპები და ჩატარების წესი დგინდება კანონით.

მიწის კოდექსი – მიწის კანონმდებლობის კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს მიწის საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

მიწის კონტროლი – იხ. კონტროლი მიწის გამოყენებისა და დაცვის დარგში.

მიწის ლიგა – ირლანდიის ეროვნული მიწის ლიგა. ირლანდიელი გლეხებისა და ქალაქის ღარიბთა მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც ირლანდიის მოწინავე წრეების მხარდაჭერით სარგებლობდა. დაარსდა 1879 წელს მ. დევიტის და სხვა წერილბურუაზიის ინიციატივით, აერთიანებდა დაახლოებით 200 000 წევრს, ჰქონდა განყოფილება აშშ-ში. ემყარებოდა ყმრულის მომხრეთა ზომიერ პროგრამას. იყო ლენდორდებისა და ინგლისის ხელისუფალთა წინააღმდეგ ირლანდიელ გლეხთა მასობრივი ბრძოლის ორგანიზატორი. ფართოდ იყენებდა ბოიკოტის მეთოდს. 1882 წლის ოქტომბერში ჩ.ს. პარნელმა გარდაქმნა მიწის ლიგა ირლანდიის ეროვნულ ლიგად, რომელიც მხოლოდ პომრულისათვის იბრძოდა.

მიწის მიკუთვნება – 1) მიწის ნაკვეთი, რომელიც გადაცემულია სამუდამო მემკვიდრეობით მფლობელობაში გამოყენებისთვის (იჯარის გარდა); 2) მიწის ნაკვეთი, რომელზეც უფლება წარმოიქმნა კანონში დადგენილი საფუძვლების მიხედვით.

მიწის მუნიციპალიზაცია – მიწის საკუთრების ან მისი გამგებლობის უფლების გადაცემა უსასყიდლოდ ან გამოსყიდვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი (მუნიციპალიტეტებისადმი). მიწის მუნიციპალიზაციის მოთხოვნას მენშევიკები იცავდნენ თავიანთ აგრარულ პროგრამაში. მისი საფუძველი იყო პ. მასლოვის პროექტი (1903), ამ პროგრამის თანახმად შენარჩუნებული იყო გლეხთა წვრილი კერძო მიწათმფლობელობა, სანადელე მიწაც მათი საკუთრება იქნებოდა, ხოლო მემამულეთა მიწები გადაეცემოდა მუნიციპალიტეტებს. პროგრამა ითვალისწინებდა საეკლესიო, სამონასტრო და სხვა მიწების ნაწილობრივ ნაციონალიზაციას კონფისკაციის წესით და მათ გადაცემას რესპუბლიკური წყობის სახელმწიფოს მფლობელობაში.

მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკადასტრო აღრიცხვა – ერთიან სახელმწიფო რეესტრში მიწის ნაკვეთების აღწერა და ინდივიდუალიზაცია, რის შედეგადაც თითოეული მიწის ნაკვეთი იღებს ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან ერთმნიშვნელოვნად გამოიყოს ის სხვა მიწის ნაკვეთებისგან და განხორციელდეს მისი თვისობრივი და ეკონომიკური შეფასებები. მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკადასტრო აღრიცხვას თან ახლავს თითოეული მიწის ნაკვეთისთვის საკადასტრო ნომრის მიკუთვნება. იხ. ასევე სახელმწიფო მიწის კადასტრი.

მიწის ნაკვეთი – 1) მიწის ზედაპირის ნაწილი (მათ შორის, ზედაპირული ნიადაგის შრე) სახელმწიფო საკადასტრო აღრიცხვის მიზნებისთვის, რომლის საზღვრებიც აღწერილ და დადასტურებულია დადგენილი წესით, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ და ასევე ყველაფერი ის, რაც იმყოფება მიწის ნაკვეთის ზემოთ და ქვემოთ, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა წიაღის, სპილენძი სერების გამოყენების შესახებ კანონმდებლობით და სხვა კანონებით; 2) მიწათმოწყობის მიზნებისთვის – მიწათმოწყობის ერთერთი ობიექტი; 3) უძრავი ქონება, რომელზეც უფლება ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას კანონის შესაბამისად (მიწის ნაკვეთები, წიაღის ნაკვეთები არ განცალკევებული წყლის ობიექტები, ყველა ის ობიექტი, რომელიც უკავშირდება მიწას იხ. რომ მათი გადაადგილება შეუძლებელია დანიშნულების არათანაბარზომიერი ზიანის გარეშე, მათ შორის, შენობები, ნაგებობები, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები, ტყეები და მრავალწლიანი ნარგაობები, კონდომინიუმები, საწარმოები, როგორც ქონებრივი კომპლექსები).

მიწის ნაკვეთის გამიჯვნა – ადგილზე მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობისა და საზღვრების განსაზღვრის ღონისძიებები.

მიწის ნაკვეთის საზღვრები – ხაზები, რომლებიც განსაზღვრავენ მიწის ნაკვეთის ფარგლებს; დგინდება ადგილზე (ნატურაში) და ფიქსირდება გარკვეული ფორმის დოკუმენტებში; ის ემთხვევა სანიტარული (სამთო-სანიტარული) დაცვის ოლქის გარე კონტურს.

მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი – იხ. საკადასტრო ნომერი.

მიწის ნორმატიული ფასი – მიწაზე ფულადი გადახდის ფორმა; ის გამოიყენება მიწის ნაკვეთების შესყიდვისა და გამოსყიდვის დროს, ასევე მიწის გირაოთი საბანკო კრედიტის მისაღებად. მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია მიწის ნაკვეთის ფართობის ერთეულზე მიწის გადასახადის ორასჯერადი განაკვეთის ოდენობით (მიწის ნორმატიული ფასის საბაზო სიდიდე). იხ. ასევე მიწის გადასახადი.

მიწის საზოგადოებრივი ურთიერთობები – 1) ურთიერთობები ადამიანებს შორის მიწის, როგორც მათი სიცოცხლისა და საქმიანობის გამოყენებისა და დაცვის თაობაზე; 2) მიწის კოდექსის რეგულირების, მიწის კანონმდებლობის სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების სავანი.

მიწის საიჯარო გადასახადი – იჯარით გადაცემული მიწის გადასახადის ფორმა; ის დგინდება იმ ოდენობით, რომელიც განსაზღვრულია მიწის იჯარის ხელშეკრულებით. იხ. ასევე მიწის გადასახადი, მიწის ნორმატიული ფასი.

მიწის საკუთრების უფლების, სამუდამოდ მემკვიდრეობით მიღებული მფლობელობის, მიწის უვადო (მუდმივი) გამოყენების სახელმწიფო აქტები – იურიდიული დოკუმენტების სახე, რომლებიც ადასტურებენ მიწის აღნიშნულ უფლებებს.

მიწის სამართალდარღვევა – იხ. ეკოლოგიური სამართალდარღვევა.

მიწის სამართალი – 1) სამართლებრივი ნორმებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების სისტემა, რომელიც წარმოქმნის სამართლის დამოუკიდებელ კომპლექსურ დარგს, რომლის საგანსაც წარმოადგენს მიწის საზოგადებრივი ურთიერთობები; 2) სამეცნიერო სპეციალობა სპეციალური მეცნიერ-შუამავების ნომენკლატურის სპეციალობის: „ბუნებრივ-რესურსული სამართალი; აგრარული სამართალის და ეკოლოგიური სამართალის" შემადგენლობაში; გ) სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ისწავლება უმაღლესი პროფესიული განათლების სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის თანახმად, სპეციალობით „იურისპრუდენცია" უფლებრალური კომპონენტის ჩარჩოებში.

მიწის სახელმწიფო კადასტრი – 1) ბუნებრივ-რესურსული კადასტრების სახე (იხ. ასევე წყლის სახელმწიფო კადასტრი), სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების სახელმწიფო კადასტრი, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო კადასტრი, განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახელმწიფო კადასტრი, ტყის სახელმწიფო კადასტრი; 2) მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკადასტრო აღრიცხვის ჩატარების შედეგად მიღებული დოკუმენტირებული ცნობების სისტემატიზირებული კრებული ტერიტორიული ზონებისა და მიწის ადგილმდებარეობის, მიზნობრივი დანიშნულებისა და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

მიწის სერვიტუტი – იხ. სერვიტუტი.

მიწის უფლებებისა და მიწასთან დაკავშირებული გარიგებების სახელმწიფო რეგისტრაცია – 1) სახელმწიფოს მიერ მიწის ნაკვეთზე, როგორც უძრავ ქონებაზე უფლების წარმოქმნის, შეზღუდვის (დატვირთვის), გადასვლის ან შეწყვეტის ცნობისა და დამტკიცების იურიდიული აქტი; 2) მიწის რეგისტრირებული უფლების არსებობის ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთი. მიწის უფლებისა და მიწასთან დაკავშირებული გარიგებების სახელმწიფო რეგისტრაციას ექვემდებარება: მიწის საკუთრების, მიწის სამუდამოდ მემკვიდრეობითი ფლობის, მიწის მუდმივი (უვადო) გამოყენების უფლება, იპოთეკა, სერვიტუტები და ასევე მიწის სხვა უფლებები კანონებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იხ. ასევე უძრავი ქონების უფლებებისა და მასთან დაკავშირებული გარიგებების სახელმწიფო რეგისტრაცია.

მიწის ფონდი – 1) ბუნებრივი რესურსების ფონდთა (წყლის ფონდი, წიაღის სახელმწიფო ფონდი, ტყის ფონდი, ბუნება-ნაკრძალების ფონდი, ცხოველთა სამყაროს ფონდი) სახე; 2) ყველა კატეგორიის მიწის ერთობლიობა სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში, რომლებიც შედიან ან ექვემდებარებიან შესყიდის სახელმწიფო მიწის კადასტრში.

მიწოდების ბაზისი – მიწოდების ხელშეკრულების პირობების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ მხარეებს შორის ტვირთის შეფუთვის, ტრანსპორტირების, დაზღვევისა და შენახვის ვალდებულებების განაწილებას და ასევე საკუთრების უფლების გადაცემისა და საქონლის შემთხვევით დაღუპვის (დაზიანების) რისკების მომენტებს. იხ. ასევე მიწოდების ხელშეკრულება.

მიწოდების პერიოდულობა – პირობა მიწოდების ხელშეკრულებაში, რომელიც განსაზღვრავს მყიდველისთვის საქონლის ცალკეული პარტიების გადაცემის ვადებსა და მოცულობას ერთიანი ხელშეკრულების ჩარჩოებში. როცა მხარეების მიერ გათვალისწინებულია საქონლის მიწოდება მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ცალკეული პარტიებით, მაგრამ ცალკეული პარტიების მიწოდების ვადები (მიწოდების პერიოდები) მასში არაა განსაზღვრული, საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს თანაბარი პარტიებით ყოველთვიურად, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს კანონიდან, სხვა სამართლებრივი აქტებიდან, ვალდებულების არსიდან, საქონლის ვადამდელი მიწოდება შეიძლება მოხდეს მყიდველის თანხმობით. იხ. ასევე მიწოდების ხელშეკრულება.

მიწოდების ხელშეკრულება ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელი მიმწოდებელი ვალდებულია განსაზღვრულ დროს გადასცეს შესყიდული საქონელი მყიდველს სამეწარმეო საქმიანობაში ან სხვა მიზნით გამოსაყენებლად, რაც არ უკავშირდება პირად, ოჯახურ, სხვა ამგვარი სახით გამოყენებას. მიწოდების ხელშეკრულება წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სახეს სპეციფიკური ნიშნებით. სუბიექტური შემადგენლობის განსაზღვრა გათვალისწინებული არაა, მაგრამ მხარეებს (მიმწოდებელსა და მყიდველს) წარმოადგენენ მეწარმეები. ხელშეკრულების არსებით პირობებს შეადგენს პირობები საგნისა და ვადის შესახებ.

მიწოდების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ნივთები. ქონებრივი უფლებები არ შეიძლება იყოს საგანი (იხ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება). გადასაცემი ნივთები გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობაში და სხვა მიზნით, რაც არ უკავშირდება პირად ყოფით საჭიროებებს. ხელშეკრულების დადების მომენტში ნივთები შეიძლება არც კი იყოს შექმნილი (შეძენილი) მიმწოდებლის მიერ.

ვადა მიწოდების ხელშეკრულებაში განისაზღვრება მხარეების მიერ. ხელშეკრულებაში მიწოდების პერიოდების განსაზღვრასთან ერთად დასაშვებია საქონლის მიწოდების გრაფიკის (დეკადური, დღიური, საათობრივი და ა.შ.) დადგენა. შესაძლებელია მიწოდების პერიოდულობის გათვალისწინებაც (იხ. მიწოდების ხელშეკრულება).

მიწოდების ხელშეკრულების ფორმა განისაზღვრება ზოგადი მოთხოვნებით, მიმწოდებლის ვალდებულება მიაწოდოს საქონელი მყიდველს განისაზღვრება მხარეების მიერ შერჩეული მიწოდების ბაზისის მიხედვით. იხ. ასევე საქონლის ბოლომდე მოუწოდებლობა, საგარანტიო ვადა, საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) არსებითი ნაკლოვანება, საქონლის ამორჩევა, მიწოდების ბაზისი, მიწოდების პერიოდულობა, საქონლის ხარისხი, კომპლექტურობა, გაგზავნის განაწესი.

მკვიდრი ხალხები (Indigenos peoples) – მკვიდრი ხალხების განსაზღვრება ძირითადად ხდება შემდეგი მახასიათებელი ნიშნებით: 1. მჭიდრო კავშირი წინაპართა ცხოვრების ადგილებთან და ამ რაიონებში არსებულ ბუნებრივ რესურსებთან; 2. თვითიდენტიფიკაცია და აგრეთვე სხვათა მიერ იდენტიფიკაცია, როგორც გარკვეული კულტურული ჯგუფის წევრებისა; 3. მშობ-

ლიური ენის არსებობა, რომელიც ხშირად და მკვეთრად განსხვავდება სახელმწიფო ენისაგან; 4. ტრადიციული, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობა; 5. ტრადიციულ საშუალებებზე ორიენტირება არსებობის შესანარჩუნებლად.

ზოგადად, მკვიდრი ხალხის წარმომადგენელია ის, ვინც თავს ამ მიწა-წყლის მკვიდრად აცხადებს და იქ მცხოვრები ხალხი თავის მიწა-წყლის წევრად აღიარებს წინაპრებთან კავშირით.

მკვლელობა – სხვა ადამიანის განზრახ მოკვდინება. ის წარმოადგენს ყველაზე მძიმე დანაშაულს პიროვნების წინააღმდეგ. ქმედება მკვლელობად ხდება ცნობილი სხვა ადამიანის სიკვდილის რეალურად დადგომისას, როგორც დანაშაულებრივი შედეგი.

მკვლელობა დასრულებულია დაზარალებულის სიკვდილის დადგომის მომენტიდან, მნიშვნელობა არა აქვს როდის დადგა სიკვდილი: დაუყოვნებლივ თუ რაღაც დროის შემდეგ.

ხშირად მკვლელობა ხორციელდება აქტიური მოქმედებების გზით დანაშაულის რაიმე იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის ორგანიზმზე უშუალო ფიზიკური ზემოქმედების გზით. მკვლელობა უმოქმედობის გზით შედარებით იშვიათად გვხვდება. ის გულისხმობს იმას, რომ დამნაშავეს ეკისრებოდა ვალდებულება თავიდან აეცილებინა სასიკვდილო დასასრულის დადგომა. ეს გარემოება შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან, შრომითი ურთიერთობებიდან, რაც წინ უსწრებს დამნაშავის ქცევას და სხვა ფაქტიურ გარემოებებიდან.

მკვლელობა სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მართლსაწინააღმდეგოდ და განზრახ ან გაუფრთხილებლობით. განზრახი მკვლელობის ძირითადი სახეებია: 1. ანგარებით; 2. ხულიგნური ქცევა გრძნობით; 3. დაზარალებულის სამსახურეობრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; 4. ორი ან რამდენიმე პირის; 5. წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა; 6. განსაკუთრებული სისასტიკით; 7. ისეთი საშუალებით რომელიც მრავალი ადამიანის სიცოცხლისათვის არის საშიში; 8. სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, აგრეთვე გაუპატიურებასთან დაკავშირებით; 9. სისხლის აღების ნიადაგზე; 10 განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ან იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახი დანაშაული; 11. ტერორისტული აქტი და სხვა. ყველა სხვა დანარჩენი მკვლელობა შეტნაკლებად ითვლება შემამსუბუქებელ გარემოებად.

ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში მკვლელობის შესახებ ჩამოყალიბდა „საკმაოდ ვრცელი და მეტად საგულისხმო ზოგადი ხასიათის მოძღვრება" (ივ. ჯავახიშვილი), რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის. მკვლელობის კლასიფიკაციის საფუძველს დამნაშავის „გაბნრახვაი", „ნებაი" „გულისსიტყვაი" („გულისთქმაი") წარმოადგენდა. განსხვავებული იყო „ნებითი კაცის კვლაი" და „უნებლიე კაცის კულაი", რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა სახედ იყოფოდა. მაგალითად „ნებსითი" მკვლელობის სახეობად ითვლებოდა „ურად ნებსითნი" ანუ „სრულიად ნებსითნი კაცის კვლანი" (როცა „ავაზაკნი ანგარებისათვის და მიხვეჭის უცხოთა საფარეთა მოპკულეს კაცთა უბრალოთა"). „უნებლიეთი მკვლელობის ერთ-ერთი განყოფილებაი" იყო მკვლელობა. „ჭეშმარიტად უნებული „ანუ „სრულიად უნებული და გარეშე გონებისა და განზრახვისა მოქმედისა მის" (უკეთუ ძალისადმი „უცნაურად ნატყორცნი „ქვაი ანუ შეშაი" კაცს მოხვდებოდა და მოკლავდა" (ფათერაკად ითვლებოდა). ამასთან შედარებით უფრო მძიმედ მიიჩნეოდა ისეთი „უნებლიეთი" მკვლელობა, რომელიც „ნებსითსა მიეახლების", „მახლობელ არს ნებსითსა კაცის კულასა" (გულისწყრომით შეპყრობილმა მოჩხუბარმა დაშავების მიზნით „საკრძალავსა ადგილსა" „ურიდად სცა" მოწინააღმდეგეს, რომელიც ამის შედეგად გარდაიცვალა. მკვლელი ორნაირად ისჯებოდა საეკლესიო და საერო სამართლით. კაცის კვლა კანონად ეკლესიისგან დადგენილი იყო უშიარებლად ყოფნა (20 წელი „ნებსითი" და 10. წელი „უნებლიეთი" მკვლელობისათვის, რასაც თავის მხრივ მოქალაქეობრივი უფლების ჩამორთმევას ნიშნავდა. ძირითადი საერო სასჯელი იყო ქონებრივი საზღაური – „სისხლი", მიმართავდნენ გარკვეული ვადით მამულის ჩამორთმევას და მამულისგანაც გაძევებას. პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად აღსანიშნავია მალით, ღალატით და მოწამლით მკვლელობა, რისთვისაც დამნაშავეს ორკეცი საზღაური ეკისრებოდა. „მხარობით" კაცის მკვლელ „ყაზახს" (ყარაღს) „სამაგი" სისხლი გადაეხადა.

მკვლელობა გაუფრთხილებლობით – დანაშაული ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოების წინააღმდეგ. დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება გაფრთხილების ამა თუ იმ წესის დარღვევით მოქმედებით ან უმოქმედობით, რასაც მოჰყვა სხვა ადამიანის სიკვდილი შედეგის სახით. მსოფლიოს სამართლებრივი ინსტიტუციონალიზმის მიხედვით ყველა მკვლელობის დროს დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია. საჭიროა მიზეზობრივი კავშირის არსებობა დაზარალებულის სიკვდილსა და ქმედებას შორის. დანაშაული გაუფრთხილებლობით ხდება ან დანაშაულებრივი დაუფიქრებლობის ან დანაშაულებრივი დაუდევრობის სახით.

მმართველობის ფორმა – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზების წესი, რაც მოიცავს უმაღლესი და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების წარმოქმნის ხერხსა და მათი ერთმანეთთან თუ მოსახლეობასთან ურთიერთდამოკიდებულებების წესს. მმართველობის ფორმები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, ხორციელდება თუ არა ხელისუფლება ერთი პირის ან კოლექტიური არჩეითი ორგანოს მიერ. პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს მმართველობის მონარქიულ ფორმას, მეორეში – რესპუბლიკურს. მმართველობის მონარქიული ფორმის დროს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს, მოქმედი კანონების თანახმად, წარმოადგენს მონარქი. რესპუბლიკური დროს – არჩეითი სახელმწიფო ორგანო და მათთან ერთად მათი ამომრჩევლები. ისტორიისა და თანამედროვეობისთვის ცნობილია მონარქიისა და რესპუბლიკის სხვადასხვა სახეები. ისინი უმეტესწილად დამოკიდებულია სახელმწიფოების ტიპზე, ასევე მათ წარმოქმნისა და ფუნქციონირების პირობებზე. საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე მონარქია ორი სახისაა: დუალისტური და სპარ-

ლამენტო. დუალისტური მონარქიისთვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ფორმალურ-იურიდიული დაყოფა მონარქსა და პარლამენტს შორის. აღმასრულებელი ხელისუფლება უშუალოდ მონარქის ხელშია, საკანონმდებლო კი – პარლამენტის. თუმცა, პარლამენტი ფაქტიურად ეშორჩილება მონარქს. საპარლამენტო მონარქია იმით გამოირჩევა, რომ მონარქის სტატუსი ფორმალურად და ფაქტიურად შეზღუდულია სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ყველა სფეროში. საკანონმდებლო ხელისუფლება სრულად ექვემდებარება პარლამენტს, აღმასრულებელი კი – მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია თავის საქმიანობაზე პარლამენტის წინაშე. მონარქის მონაწილეობა მთავრობის ფორმირებაში სიმბოლურია. საპარლამენტო მონარქის მაგალითებს წარმოადგენს ინგლისი, პოლანდია, შვედეთი.

გამოიყოფა თანამედროვე რესპუბლიკების ორი სახე: საპრეზიდენტო, რომლის თავისებურებასაც წარმოადგენს პრეზიდენტის ხელში მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებების გაერთიანება და საპარლამენტო. ამ უკანასკნელის თავისებურებას წარმოადგენს პრეზიდენტის სუსტი ხელისუფლება, ასევე პრემიერ-მინისტრის თანამდებობის არსებობა, რომელიც ერთდროულად ასრულებს მთავრობის მეთაურის და მმართველი პარტიისა და პარტიული კოალიციის ლიდერის როლს.

საპრეზიდენტო რესპუბლიკებს განეკუთვნება: არგენტინა, ბრაზილია, რუსეთი, აშშ და ა.შ., საპარლამენტოს – საბერძნეთი, გერმანია და სხვ.

მოდუს ვივენდი [ლათ. modus vivendi ცხოვრების წესი] 1) საერთაშორისო დროებითი შეთანხმება, რომელიც დიდი მხარეების შორის პრობლემის შემდგომი გარკვევის იმედით; 2) ურთიერთობების მდგომარეობა, რომლებსაც მხარეები ფაქტიურად სცნობენ.

მოვალე – სავალდებულო სამართალდამკიდებულების სუბიექტი, რომელიც ვალდებულია მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ განახორციელოს გარკვეული მოქმედებები, როგორიცაა: ქონების გადაცემა, სამუშაოს შესრულება, ფულის გადახდა და ა.შ. ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედებებისგან.

მოვალეობის შესრულება – შრომის სამართალში იმ შუამკის ვალდებულების შესრულება., რომელიც არაა ადგილზე. მოვალეობის შესრულება წარმოადგენს სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანის ერთ-ერთ სახეს. კალენდარულ წელიწადში (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე) 1 თვემდე ვადით მოვალეობის შესრულება კვალიფიცირებულია, როგორც გადაყვანა საწარმოო აუცილებლობით, რაც არ მოითხოვს თანამშრომლის თანხმობას. თუ მოვალეობის შესრულება გრძელდება კალენდარული წლის მანძილზე, 1 თვეზე მეტ ხანს, ეს მოითხოვს თანამშრომლის თანხმობას. მოვალეობის შესრულებად არ ითვლება შუმაკის დანიშვნა ეკანტური თანამდებობის ვალდებულების შემსრულებლად, ის ასეთს წარმოადგენს, თუ ის თავისუფლდება თავისი სამუშაოსგან, მისი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით. ჩვეულებრივ, პრაქტიკაში ეკანტური თანამდებობის ვალდებულებების შესრულება შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა პერიოდს, რამდენადაც შრომის კანონმდებლობა მას არ ზღუდავს გარკვეული ვადით. მოცემული შუმაკის განთავისუფლება მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობისგან შესაძლებელია მხოლოდ ზოგად საფუძვლებზე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. თუ ზემდგომი ორგანო არ დაამტკიცებს მას მოცემულ თანამდებობაზე, ის თავისუფლდება ვალდებულებების შესრულებისგან გადაყვანამდე თანაბარღირებული სამუშაოს (კვალიფიკაციითა და ანაზღაურებით) შეთავაზებით.

მოვალეობის შესრულება უნდა განსასხვაოთ პროფესიების შეთავსებისგან. ასე მაგალითად, თუ შუმაკს ავალებენ შეასრულოს დროებით არშყოფი თანამშრომლის ვალდებულებები, მისი ძირითადი სამუშაოს შესრულებისგან განთავისუფლების გარეშე, ეს იქნება პროფესიის შეთავსება თანამშრომლის თანხმობით და არა მოვალეობის შესრულება. მოვალეობის შესრულებისას მუშაკი იღებს მის მიერ შეთავსებული თანამდებობის ანაზღაურებას. აღნიშნული წესებით მოვალეობის შესრულება უნდა განსასხვაოთ ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობის მოვალეობის შესრულებისგან. ასეთი მოადგილე მუდმივად ასრულებს მოადგილის გარკვეულ შრომით ფუნქციას. ჩვეულებრივ, თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელს ჰყავს რამდენიმე მოადგილე, ხელმძღვანელი თითოეულ მათგანს აძლევს სამუშაოს გარკვეულ მონაკვეთს ე.ი. მის მიერ სახელმძღვანელო საქმიანობის სფეროს.

ხელმძღვანელის არყოფნისას მის ვალდებულებებს ასრულებს მოადგილე ან პირველი მოადგილე (თუ ის რამდენიმეა). ამასთან, ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც დროებით (შვებულების, მივლინების მანძილზე და ა.შ.) თავის ვალდებულებებს აკისრებს მოადგილეს, რომელიც ასევე ითვლება ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად. თუმცა, ეკანტური თანამდებობის ვალდებულებების შესრულებისგან განსხვავებით, ხელმძღვანელის ვალდებულებების ასეთ შესრულებაზე მისი მოადგილის მიერ, საჭირო არაა ამ უკანასკნელის თანხმობა, რამდენადაც თავად მოადგილის თანამდებობა ავალდებულებას მას ამას.

მოკვეთა (სამართალ. ისტ) – სასჯელის სახე ძველ საქართველოში. დამნაშავის გაძევება საცხოვრებელი ადგილიდან ან კორპორაციიდან. საკორპორაციო მართლმსაჯულებით მოკვეთა გათვალისწინებული იყო ღალატის, ამბოხების, მეუხეშეობის და სხვა დანაშაულისათვის. მთიელთა ჩვეულებითი სამართალი თემიდან მოკვეთას ითვალისწინებდა. შეიძლებოდა, რომ მონანიებულ-გამოსწორებული დამნაშავე კორპორაციას, თემს კვლავ თავის წევრად მიეღო.

მოკვლევა დანაშაულის წინასწარი გამოკვლევის ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიზანია სათანადო სამებრო-ოპერატიულ და საგამოძიებო ღონისძიებათა შედეგად დანაშაულისა და მის ჩამდენ პირთა აღმოჩენა-დადგენა, დანაშაულის თავიდან აცილება და აღკვეთა. მოკვლევას აწარმოებდნენ პოლიციის ორგანოები, სამხედრო ნაწილებისა და შეპარნების მეთაურები, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები და სხვა უფლებამოსილი ორგანოები. კანონმდებლობა განასხვავებს 2 სახის მოკვლევას, როცა საქმის წინასწარი გამოძიება სავალდებულოა და როცა იგი სავალდებულო არ არის. პირველ შემთხვევაში მოკვლევის ორგანო აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და გადაუდებელ საგა-

მოძიებო მოქმედებათა (დათვალიერება, ჩხრეკა, ეჭვმიტანილის დაკავება და ა.შ.) ჩატარების შემდეგ, რაც უნდა დამთავრდეს კანონით განსაზღვრულ დროში და საქმეს გადასცეს გამომძიებელს. მეორე შემთხვევაში (მარტივ საქმეებზე) დანაშაულის მოკვლევა ტარდება სრული მოცულობით და საქმე პროკურორის მიერ დამტკიცებული საბრალდებო დასკვნით იგზავნება სასამართლოში არსებითად განსახილველად. მოკვლევის წარმოების წესი განსაზღვრულია კანონით, რომლის დროსაც ზედამხედველობას უწევს პროკურორი.

მოკვლევა – წინასწარი გამოძიების ფორმა, რომელიც ხორციელდება სისხლის სამართლის საქმეზე მოკვლევის მწარმოებელი პირის (გამომძიებლის) მიერ, რომლის მიმართაც წინასწარი გამოძიების წარმოება არაა სავალდებულო. წინასწარი გამოძიება მოკვლევის ფორმით ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.

მოკვლევა, როგორც საპროცესო საქმიანობის სახე და წინასწარი გამოძიების ფორმა დანაშაულის გამოძიებაზე ხდება მხოლოდ აღძრულ საქმეზე. კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით და სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესებით. კანონი არ ადგენს საგამოძიებო მოქმედებების წარმოებისა და მოკვლევაზე გადაწყვეტილების მიღების განსაკუთრებულ წესებს, მათზე ვრცელებს წინასწარი გამოძიების წარმოების წესებს, მაგრამ გარკვეული გამონაკლისის გარდა.

მოკვლევის მწარმოებელი პირი – მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია მოკვლევის ორგანოს უფროსის მიერ განახორციელოს წინასწარი გამოძიება მოკვლევის ფორმით და ასევე სხვა უფლებამოსილებაც. მოკვლევის მწარმოებელი პირი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებები და მიიღოს საპროცესო გადაწყვეტილებები იმ შემთხვევების გარდა, როცა ამაზე საჭიროა მოკვლევის მწარმოებელი ორგანოს უფროსის თანხმობა, პროკურორის სანქცია და/ან სასამართლო გადაწყვეტილება. პროკურორის სანქციის ქვეშ იგულისხმება პროკურორის ნებართვა ან თანხმობა მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის მიერ შესაბამისი საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების წარმოებასა და მათ მიერ საპროცესო გადაწყვეტილებების მიღებაზე. მოკვლევის მწარმოებელ პირს უფლება აქვს განახორციელოს სხვა უფლებამოსილებებიც.

პროკურორისა და მოკვლევის მწარმოებელი ორგანოს უფროსის მითითებები სავალდებულოა მოკვლევის მწარმოებელი პირისთვის, ამასთან, მას უფლება აქვს გაასაჩივროს მოკვლევის ორგანოს უფროსის მითითებები პროკურორთან, ხოლო პროკურორის მითითებები – ზემდგომ პროკურორთან. მოცემული მითითებების გასაჩივრება არ აჩერებს მათ შესრულებას.

მოკვლევის ორგანოები – შინაგან საქმეთა სამინისტროს, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, სამხედრო ნაწილების მეთაურები, სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ორგანოები.

მოკვლევის ორგანოები ახორციელებენ წინასწარ გამოძიებას: მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე, მცირე და საშუალო სიმძიმის დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეების შესახებ – პროკურორის წერილობითი მითითებით.

მოკვლევის ორგანოები შედგება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისგან, რომელთაც ეწოდებათ „მოკვლევის მწარმოებელი პირები“.

მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელი მოკვლევის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია გასცეს დავალებები მოკვლევის წარმოებისა და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესახებ. მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის უფლებამოსილებებში შედის: ა) მოკვლევის მწარმოებელ პირს ძალეს უფლებამოსილებას აწარმოოს მოკვლევა სისხლის სამართლის საქმეებზე. რომლებზეც სავალდებულო არაა წინასწარი გამოძიების წარმოება; განახორციელოს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც სავალდებულოა წინასწარი გამოძიების ჩატარება; ბ) ძალეს მოკვლევის მწარმოებელ პირს თანხმობას აწარმოოს საგამოძიებო საპროცესო მოქმედებები; გ) უფლება აქვს გამომძიებლის, მოკვლევის მწარმოებელი პირის შეამდგომლობით გაახანგრძლივოს გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ ჩადენილ ან მომზადებულ დანაშაულზე; დ) ამტკიცებს საბრალდებო აქტს.

მოკიდებული, მოკიდული ფეოდალური დაჯგუფების სახეობა ძველ საქართველოში. ამ სახის დაჯგუფებაში ერთიანდებოდნენ ერთი მრწამსისა და მიზანდასახულობის თანამოაზრე ფეოდალთა საგვარეულოები.

მოკლევადიანი კრედიტი კრედიტი, რომელიც საბრუნავი კაპიტალის ან საბრუნავი საშუალებების წრებრუნვას ემსახურება წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში და როგორც წესი, გაიცემა ერთი წლის ვადით.

მომატებული საშიშროების წყაროები (საგნები) – მატერიალური ობიექტი, რომელიც იმყოფება ადამიანის კონტროლის ქვეშ, მაგრამ დამახასიათებელი თვისებების ძალით არ შეიძლება გაკონტროლდეს ამ უკანასკნელის მიერ სრულად, რაც ქმნის გარშემომყოფებისთვის ზიანის მიყენების ალბათობის მაღალ ხარისხს.

მომრიგებელი მოსამართლეები – ზოგადი იურისდიქციის მოსამართლეები, რომლებიც შედიან ერთიან სასამართლო სისტემაში. მომრიგებელი მოსამართლე მართლმსაჯულებას ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. მომრიგებელი მოსამართლე შეიძლება იყოს 25 წლის, უმაღლესი იურიდიული განათლების, არანაკლებ 5 წლის სტაჟის, საკვალიფიკაციო გამოცდაგავლილი და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის რეკომენდაციის მქონე მოქალაქე.

მომრიგებელი მოსამართლეები პირველ ინსტანციაში განიხილავენ: ა) სისხლის სამართლის საქმეებს დანაშაულების შესახებ, რომელთა ჩადენაზეც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას; ბ) საქმეებს სასამართლო ბრძანების გაცემის შესახებ; გ) საქმეებს განჩორწინების შესახებ, მეუღლეებს შორის არსა დავა შვილებზე; დ) საქმეებს მეუღლეებს შორის ერთად დაგრეგვული ქონების გაყოფის შესახებ; ე) სხვა საქმეებს, რომლებიც გამო-

დინარეობენ ოჯახურ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან, მამობის (დედობის) სადაობის, მამობის დადგენის, მშობლის უფლებების ჩამორთმევის, ბავშვის შვილად აყვანის შესახებ საქმეების გარდა; ვ) ქონებრივი დავის საქმეებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 500 შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას; ზ) შრომის ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებს, საშუალოზე ადდგენის შესახებ საქმეების გარდა; თ) მიწის ნაკვეთების, ნაგებობებისა და სხვა უძრავი ქონების გამოყენების წესის განსაზღვრის საქმეებს; ი) საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, რომლებიც განეკუთვნებიან მომრიგებელი მოსამართლის კომპეტენციას. მომრიგებელი მოსამართლე განიხილავს საქმეებს ხელახლა აღმოჩენილი გარემოებებით მის მიერ პირველ ინსტანციაში მიღებულ და ძალაში შესულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

მომჩივარებელი – მოქალაქე, რომელსაც აქვს განზრახვა შეუკვეთოს ან შეიძინოს რაიმე, ანუ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) შემძენი, დამკვეთი ან გამომგონებელი პირადი, ოჯახური და სხვა საჭიროებებისთვის, რაც არ უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას.

მონათმფლობელური სახელმწიფო – სახელმწიფო ორგანიზაციის ისტორიულად პირველი ეტაპი, რომელიც აღმოცენდა პირველყოფილი წყობილების ნანგრევებზე საზოგადოების კლასებად დაყოფისა და პირველი დაპირისპირული სოციალური ძალების წარმოქმნის ძალით, მონათმფლობელებისა და მონების სახით. ყველაზე უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფოები, რომლებიც წარმოიქმნენ ჩვ.წ. აღ-მდე IV ათასწ. ბოლოს – III ათასწ. დასაწყისში იყო ეგვიპტე (ეგვიპტის სამეფო), ტიგროსისა და ევფრატის ხეობებში (შუმერული, ასევე ასირიული სახელმწიფოები), ინდოეთი და ჩინეთი (ჩვ.წ.აღ-მდე II ათასწლეული). ხეთის (ხეთების) სახელმწიფო (ჩვ.წ.აღ-მდე II ათასწლეულის ბოლო). უფრო გვიანდელი მონათმფლობელური სახელმწიფოებია ძველი ბაბილონი, ძველი რომი, რომლებიც აღმოცენდნენ ხმელთაშუაზღვის აუზში.

მონათმფლობელური წყობა, ამასთან ერთად კი, სახელმწიფო და სამართალი გადის 2 ძირითად სტადიას. პირველი სტადია ასოცირდება ძველაღმოსავლურ მონათმფლობელობასთან. მის ყველაზე დამახასიათებელ თვისებასა და თავისებურებას შორის სამამულო და უცხოელი მეცნიერების მიერ გამოიყოფა შემდეგი: პირველყოფილი თემური წყობილების მნიშვნელოვანი ნარჩენების არსებობა; პატრიარქალური მონობისა და შეურნეობის მართვის პრიმიტიული ფორმების არსებობა, რომლის დროსაც მონას ნება ეძლეება ჰქონდეს ქონება და ოჯახიც კი; ხანგრძლივი დროის მანძილზე მონებზე კერძო საკუთრებასთან ერთად კოლექტიური მონათმფლობელობის (მონები, რომლებიც ეკუთვნიან ცალკეულ ტაძრებს, · სახელმწიფოს) შენარჩუნება; სასოფლო-სამეურნეო თემების არსებობა, რაც განპირობებულია აღმოსაველთის მკაცრი კლიმატით და ამის შედეგად – კოლექტიური შრომის გამოყენების აუცილებლობა ირიგაციული ნაგებობების მშენებლობაზე, სარწყავი სისტემების ექსპლუატაციისას, ცხოველთა მოშენებისას, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა, მიწის დამუშავებისას. იყო რა მიწის კოლექტიური მესაკუთრე, სოფლის თემი ახორციელებდა მის ყოდვა-გაყიდვას. დადგენილი წესების შესაბამისად, ის მას, ანაწილებდა თავის წევრებს შორის, წყვეტდა მიწის უფრო რაციონალური გამოყენების ძირითად საკითხებს. მონათმფლობელური წყობილების განვითარების მეორე სტადია – ბერძნულ-რომაული მონათმფლობელობის პერიოდი, რომელიც გამოირჩევა წარმოების მონათმფლობელური ხერხის უფრო მაღალი დონით, პირველყოფილი თემური წყობილების ნარჩენების არარსებობით, მონათმფლობელური სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების უფრო მაღალი ხარისხით, მონებისა და ღარიბი მოქალაქეების ექსპლუატაციის, უმოწყალო ძალადობისა და მასების დაჩაგვრის განვითარებული ფორმებით.

მონათმფლობელური სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი შეადგენდა მონათმფლობელების კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებსა და მონებზე. მონათმფლობელური წყობილების პირობებში, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში პირველად ყველაზე მკვეთრი და გაშიშვლებული ფორმით გამოჩნდა საზოგადოების სხვადასხვა კლასისა და ფენის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უთანასწორობა, ერთი კლასის – მონათმფლობელების შეუზღუდავი ბატონობა და მეორე კლასის – მონების უუფლებობა. ამასთან, გამოდიოდა რა თავისი სოციალურ-კლასობრივი არსის მიხედვით, როგორც მონათმფლობელების კლასის ორგანიზაცია, მონათმფლობელური სახელმწიფო იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას მონათმფლობელური საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის გასაფორმებლად და განსამტკიცებლად, მონათმფლობელური საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების მდგრადობისა და დაცვის უზრუნველსაყოფად, მონათმფლობელების მონებზე ბატონობის შესანარჩუნებლად, თავისუფალი ღარიბებისა და მონების ალაგმვისა და დაჩაგვრისათვის.

მონათმფლობელური სახელმწიფო თავისი არსებობის პროცესში ახორციელებდა მისთვის დამახასიათებელ საშინაო და საგარეო ფუნქციებს. თითოეული ფუნქცია წარმოადგენდა მოცემული ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, რომელიც განპირობებული იყო მისი არსით, სოციალური შინაარსითა და დანიშნულებით, ასევე მათ წინაშე მდგარი უახლესი და საბოლოო მიზნებითა და ამოცანებით.

საშინაო ფუნქციებს შორის, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ თავისუფალი მასებისა და მონების ექსპლუატაციისათვის ყველაზე ოპტიმალური პირობების შექმნისა და მხარდაჭერის ფუნქცია, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ გამოიხატებოდა მონათმფლობელური სახელმწიფოს საექსპლუატაციო ხასიათი და მისი დამოკიდებულება გაბატონებული კლასის ეკონომიკური ინტერესების მიმართ, სახელმწიფო, როგორც დიდი მიწების, მაღაროებისა და უდიდესი რაოდენობის მონების მესაკუთრე არა მხოლოდ ქმნიდა პირობებს მასების ექსპლუატაციისთვის გაბატონებული კლასის მხრიდან, არამედ თავადაც გამოდიოდა, როგორც ექსპლუატატორი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდებოდა ძველ ეგვიპტეში. მონათმფლობელური სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საშინაო ფუნქციები იყო ასევე მონათმფლობელური კერძო საკუთრების დაცვა, მონებისა და სხვა ჩაგრული კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვა, რომლის აუცილებლობაც ბაკარნახევი იყო მონების, თავისუფალი, მაგრამ გაღატაკებული სოციალ-

ური ჯგუფებისა და ფენების მასობრივი აჯანყებებით, შეურიგებელი წინააღმდეგობით მონებსა და მონათმფლობელებს, დაჩაგრულებსა და მჩაგვრელებს შორის მონათმფლობელური წყობილების არსებობის ისტორიის მანძილზე. ასეთი ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითები იყო მონებისა და ღარიბი მეთემეების დიდი აჯანყებები ეგვიპტეში (ჩვ.წ. აღ-მდე XVIII ს-ის შუა პერიოდი), მონებისა და გაჭაბტებულების აჯანყება მცირე აზიაში (ჩვ.წ. აღ-მდე II ს.), მონების უდიდესი აჯანყება სპარტაკის ხელმძღვანელობით რომში (ჩვ.წ. აღ-მდე 74-71 წწ.) და სხვ.

მონათმფლობელური სახელმწიფოს საგარეო ფუნქციებს განეკუთვნება მისი საქმიანობის ისეთი მიმართულებები, რომლებიც უკავშირდებიან სხვა ხალხების დაპყრობას, დაჩაგრასა და გაძარცვას; ქვეყნის დაცვას გარეშე მოწინააღმდეგეებისგან; ომების წარმოების შედეგად დაპყრობილი ტერიტორიების მართვას; სხვა სახელმწიფოებთან დიპლომატიური, საეკჭრო და სხვა სახის მშვიდობიანი კავშირების დამყარებას. მონათმფლობელური სახელმწიფოს საგარეო ფუნქციები უწყვეტ კავშირში იყო საშინაო ფუნქციებთან, ეისებოდა და მტკიცდებოდა მისით. მონათმფლობელური სახელმწიფოები ერთმანეთისაგან გამოირჩეოდნენ სახელმწიფო მართვის (პოლიტიკური რეჟიმების) მეთოდებისა და ფორმების მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით, მიუხედავად მათი ერთნაირი არსის, სოციალური შინაარსისა და დანიშნულების მიუხედავად. ასეთი მრავალფეროვნების მიზეზები იყო თითოეული მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოქმნისა და განვითარების სხვადასხვა კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, პოლიტიკური ძალების სხვადასხვაგვარ თანაფარდობაში, სოციალური წინააღმეგობების სიმწვავის ხარისხში, ამა თუ იმ ქვეყანაში საწარმოო ძალების განვითარების არაერთგვაროვან დონეში, ამა თუ იმ სახელმწიფოს არსებობის კლიმატურ და სხვა პირობებში. მონათმფლობელური სახელმწიფოს ძირითად ფორმებს წარმოადგენს: მონარქია, არისტოკრატიული რესპუბლიკა და დემოკრატიული რესპუბლიკა.

მონათმფლობელურ სახელმწიფოსთან უწყვეტ კავშირსა და ურთიერთქმედებაში იყო სამართალი, როგორც ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და წესების ერთობლიობა, რომლებიც მიმართული იყო საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემის რეგულირებაზე გაბატონებული კლასის ინტერესებში. მონათმფლობელური სახელმწიფოს ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა: მონათმფლობელების კერძო საკუთრების განმტკიცება წარმოების საშუალებებსა და მონებზე, მონათმფლობელური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების, მონათმფლობელთა კლასის ბატონობის სხვადასხვა ფორმის განმტკიცება, სოციალური უთანასწორობის არსებობის დაკანონება სხვადასხვა ჯგუფებსა და თავისუფალი ადამიანების ფენებს შორის.

მონაცემთა ბაზა – მონაცემთა (სტატიების, გამოთელების და ა.შ.) ერთობლიობის წარმოდგენის და ორგანიზაციის ობიექტური ფორმა სისტემატიზირებული ისეთნაირად, რომ შესაძლებელი იქნეს ამ მონაცემთა პოვნა და დამუშავება ელექტრო-გამომთველი მანქანის მიერ, წარმოადგენს საკტორო უფლების ობიექტს. მონაცემთა ბაზა შეიტანება კომპიუტერში მისი შემდგომი შენახვის, განახლების და მომხმარებელთა მიერ გამოყენების მიზნით. მოსარგებლეებს ეძლევათ შესაძლებლობა (სასყიდლიანი ან უფასო) მისი ოპერატიული შესწავლის, აგრეთვე ანალიზის და პროგნოზირების შეთოდირების. მონაცემთა ბაზის მაგალითებია: ნორმატიულ-სამართლებრივი ინფორმაციის მონაცემთა ბაზა (ნორმატიული სამართლებრივი აქტების სრულეკრანიანი ელექტროსალები) ან ტექნოლოგიური მონაცემთა ბაზა და ა.შ.

მონოპოლისტური მოქმედებები და კონკურენციის შეზღუდვა – ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საპირისპირო მოქმედებები (უმოქმედობა) სამეურნეო სუბიექტების მხრიდან, რომლებიც მიმართულია კონკურენციის დაუშვებლობაზე, შეზღუდვასა თუ აღმოფხერაზე.

მონური შრომის გამოყენება – ადამიანის შრომის გამოყენება., რომლის მიმართაც ხორციელდება საკუთრების უფლებისთვის დამახასიათებელი უფლებამოსილებები იმ შემთხვევაში, თუ პირს მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით არ შეუძლია უარი განაცხადოს სამუშაოების შესრულებაზე (მომსახურებაზე).

მორალი – საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა. მორალში აისახება ადამიანთა წარმოდგენები სიკეთისა და ბოროტების, საზოგადოებრივად სასარგებლო ან მავნე ქცევის შესახებ. სოციალური ნორმების სისტემაში მორალს უკავია მნიშვნელოვანი ადგილი, მას გააჩნია პირდაპირი და უკუკავშირები სამართლიან თუ სამართლისგან განსხვავებით, რომელიც ოპერირებს ადამიანთა ქცევის შეფასებას ისეთი ტერმინებითა და კრიტერიუმებით, როგორიცაა მაგალითად, „მართლზომიერი" ან „არამართლზომიერი" ქცევა, „იურიდიული უფლებები" და „იურიდიული ვალდებულებები", „სამართალდარღვევა". „იურიდიული პასუხისმგებლობა, მორალის ნორმებში აისახება სრულიად სხვაგვარი შეფასებითი კატეგორიები და კრიტერიუმები, კერძოდ: კატეგორიები „სიკეთე" და „ბოროტება", „ღირსება" და „უღირსობა", „ჰუმანური" და „არაჰუმანური", „კეთილსინდისიერი" და „სამარცხვინო", „სამართლიანი" და „არასამართლიანი" და სხვ. ამ კატეგორიებსა და კრიტერიუმებზე დაყრდნობით სამართალი და მორალი საზოგადოებაში ასრულებენ თავიანთი საბოლოო მიზნებითა და ამოცანებით ერთნაირ რეგულაციურ და აღმზრდელობით ფუნქციებს. ისინი გამოდიან ნებისმიერი ლოკალური სოციალური ორგანიზმის (მაგალითად, რეგიონის, შრომითი კოლექტივის), ასევე მთელი საზოგადოების სოციალური რეგულირების მექანიზმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილების სახით. მორალს, ისევე როგორც სამართალს ყოველთვის ჰქონდა და აქვს სოციალური ხასიათი. ეს ნიშნავს იმას, რომ მორალის ნორმების მეშვეობით რეგულირდება ისეთი ურთიერთობები და კავშირები, რომლებიც ჩნდება ადამიანსა და საზოგადოებას შორის. მორალსა და სამართალს გააჩნია გაერცელებისა და რეგულირების საერთო სფეროები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმებისთვის. აქ. მორალისა და სამართლის გაერცელების სფეროები მაქსიმალურად ემთხვევა. თუმცა, მაქსიმალური, ყველაზე ფართო დამთხვევაც კი სულაც არ ნიშნავს მათ სრულ შერწყმას.

მორალის ნორმების რეგულაციური ზემოქმედების

სფერო გაცილებით უფრო ფართოა სფეროზე, რომელზეც ვრცელდება სამართლის ნორმები. ამ უკანასკნელს, ისევე როგორც სახელმწიფოს აქვს რა საქმე მთელი საზოგადოებისა და ინდივიდებისთვის მნიშვნელოვან ინტერესებთან და ურთიერთობებთან, არ შეუძლია შეაღწიოს საზოგადოების ყველა შრეში, დაარეგულიროს ყველა პიროვნებათშორისი და ამის მსგავსი ურთიერთობები. მეგობრობის, სიყვარულის, ოჯახური და სხვა ურთიერთობები რეგულირდება მხოლოდ მორალის (ან სხვა სოციალური ნორმის) და არა სამართლის ნორმებით. სამართალი და მორალი მოიცავენ ადამიანთა ქცევის შეფასებასა და ნორმებს არა მხოლოდ ყოფით, ოჯახურ, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოსადმი ურთიერთობებშიც. ესაა საზოგადოებაში დისციპლინისა და წესრიგის დამყარების და შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები. ზემოთქმულის გარდა, სამართლისა და მორალის ძირითადი განსხვავებები იმაშია, რომ ისინი ისტორიულად სხვადასხვა დროს წარმოიქმნებიან. მორალი ჩნდება უკვე პირველყოფილი წყობის წიაღში. სამართალი კი მხოლოდ სახელმწიფო წყობის წარმოქმნასთან ერთად ჩნდება. სამართალი ყალიბდება სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის, ხოლო მორალი – სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, ფენის, კლასის და თავად საზოგადოების აქტიურობის შედეგად. სამართალში აღნიშნული მითითებების შესრულება ზოგადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების მეშვეობით. მორალის მოთხოვნების შესრულება გარანტირებულია მხოლოდ საზოგადოებრივი აზრით იმ ინდივიდზე საზოგადოების მხრიდან ზეწოლით, რომელიც უშვებს მორალური ნორმების დარღვევას. სამართლისა და მორალის თავისებურებებს ასევე უნდა დავმატოთ ის, რომ სამართლის ნორმები განსხვავდება მორალის ნორმებისგან უფრო მეტი კონკრეტულობით და ფორმალური გარკვეულობით.

მორალური ზიანის ანაზღაურება შრომის სამართალში – მორალური ზიანი, რომელიც მიადგა მუშაკს სამუშაოს მიმცემის არასამართლებრივი მოქმედებითა თუ უმოქმედობით ანაზღაურებული ხდება მუშაკისთვის ფულადი ფორმით იმ ოდენობით, რომელიც განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით. დაუს წარმოქმნის შემთხვევაში მორალური ზიანის მუშაკისთვის მიყენებისას, მისი ანაზღაურების სიდიდე განისაზღვრება სასამართლოს მიერ, ანაზღაურებას დაქვემდებარებული ქონებრივი ზარალის მიუხედავად.

მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ მოთხოვნებზე არ ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობა, რამდენადაც ისინი გამომდინარეობენ პირადი არაქონებრივი უფლებებისა და სხვა არამატერიალური კეთილდღეობის დარღვევიდან. კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებულია მოსარჩელისთვის მიყენებული ზნეობრივი თუ ფიზიკური ტანჯვის ხარისხსა და მოცულობაზე, მოპასუხეს დანაშაულის ხარისხზე თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა საყურადღებო გარემოებებზე.

მორალური ზიანის კომპენსაცია – სამოქალაქო სამართალში არამატერიალურ კეთილდღეობათა დაცვის ერთ-ერთი ხერხი. ის მდგომარეობს დამრღვევისთვის ვალდებულების დაკისრებაში დაზარალებულს გადაუხადოს ფულადი კომპენსაცია ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვისთვის, რასაც ის განიცდის სამოქალაქო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. მოთხოვნები მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ შეიძლება განცხადებულ იქნეს მხოლოდ მოქალაქეების მიერ, რამდენადაც იურიდიულმა პირებმა არ შეიძლება განიცადონ ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვა. ზოგადი წესის მიხედვით, დარღვეული უფლებები უნდა ატარებდეს პირად არაქონებრივ ხასიათს. სხვა სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევისას მორალური ზიანის კომპენსაციის შესაძლებლობა უნდა იყოს პირდაპირ მითითებული კანონში.

მორატორიუმი – კანონის საფუძველზე დადგენილი მთავრობის მიერ ვალდებულებების შესრულების გადავადება. სამოქალაქო კანონმდებლობაში მოცემული ცნება განიხილება, როგორც ერთ-ერთი ვალდებულება, რომელიც აჩერებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობას. მორატორიუმის არსი იმაშია, რომ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო მთავრობის სახით გადასწევს ვალდებულების შესრულების ვადას და ამით გარკვეული პერიოდის მანძილზე „ყინავს" მოვალეების მიერ ვალდებულების იძულებითი შესრულების მოთხოვნის არსებულ უფლებებს. მორატორიუმი შეიძლება ეხებოდეს ყველა ვალდებულებას (ზოგადი მორატორიუმი) ან ვრცელდებოდეს მხოლოდ ცალკეულ სახეებზე (კერძო მორატორიუმი). პრაქტიკაში, მორატორიუმის გამოცხადება საკმაოდ იშვიათია და როგორც წესი, ის განპირობებულია საგანგებო გარემოებებით. საერთაშორისო სამართალში მორატორიუმი – ესაა რომელიმე მოქმედების გადავადება ან მისგან თავის შეკავება სახელმწიფოების შეთანხმებით გათვალისწინებული გარკვეული ან გაურკვეველი ვადით, მაგალითად, შესაბამის საკითხზე საერთაშორისო ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკებების პერიოდის განმავლობაში.

მორატორიუმი (moratorium) – 1. ვალის გადახდის გადავადება გარკვეული ვადით ან შესაბამისი პირობის დადგომამდე – ოფიციალური მორატორიუმი, სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური აქტებით გაფორმებული ან მხარეთა ურთიერთშეთანხმებით მიღწეული (ორმხრივი ან მრავალმხრივი).

2. სავალო გადახდის შეწყვეტა ვადის დათქმის გარეშე – ფაქტიური მორატორიუმი, ოფიციალურად გამოუცხადებელი (ჩვეულებრივ ცალმხრივი).

3. მოვალის ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ მას არ ძალუძს ვალების ან მათი ნაწილის გადახდა – განზრახი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს გადაუხდელი დავალიანების დაფარვის პირობების გადასინჯვას.

4. საერთაშორისო სამართალში მორატორიუმი ნიშნავს სახელმწიფოთა შეთანხმებას განსაზღვრული ან განუსაზღვრელი. ვადით რაიმე მოქმედებებისგან თავის შეკავებას.

მორიგებითი შეთანხმება სამოქალაქო საქმეებზე – მხარეთა შეთანხმება სასამართლო დავის გარკვეული პირობებით (ყველაზე ხშირად, ორმხრივი დათმობების საფუძველზე) შეწყვეტის შესახებ. სამოქალაქო საქმეებზე მორიგებითი შეთანხმება მათი დადების ადგილის მიხედვით უნდა დაიყოს სასამართლოს და არასასამართლოს სახით. სა-

სამართლო სხდომაზე მიღებულ მორიგებით შეთანხმებას ეწოდება სასამართლოს სახის; არასასამართლო სახისად იწოდება სასამართლო სხდომის გარეთ მიღწეული შეთანხმება. მხარეებს მორიგებითი შეთანხმების დადება შეუძლიათ მხოლოდ სასარჩელო წარმოების საქმეებზე. ის შეიძლება მიღებულ იქნეს, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში, ასევე აღმასრულებელი წარმოების სტადიაში, საარბიტრაჟო პროცესში მორიგებითი შეთანხმება იღება წერილობითი ფორმით.

მორიგებითი შეთანხმების დადება ხორციელდება სასამართლოს კონტროლის ქვეშ, რომელიც ვალდებულია შეამოწმოს, ხომ არ ეწინააღმდეგება ის კანონს, ხომ არ არღვევს ის სხვა პირთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს. აღნიშნული გარემოებების არსებობისას, სასამართლომ უარი უნდა თქვას მორიგებითი შეთანხმების დამტკიცებაზე. მორიგებითი შეთანხმების შესახებ განჩინება უტოლდება სასამართლო გადაწყვეტილებას და მხარეების მიერ შეუსრულებლობისას ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

მორიგება – შრომითი კანონმდებლობის თანახმად, მოცემული მუშაკისთვის არასამუშაო დროს საწარმოში მორიგის ვალდებულებების შესრულება ადმინისტრაციის განკარგულებით, გამოსასველ დღეებსა და დღესასწაულებზე. ამ არასამუშაო დროს მორიგე ასუხს აგებს წესრიგზე და ოპერატიულად წყვეტს საწარმოს გადაუდებელ საკითხებს. ასეთი მორიგეობისგან არასამუშაო დღეს უნდა განვასხვავოთ დარაჯების, ეახტიორებისა და სხვა მუშაკების მორიგეობა ცვლის გრაფიკის მიხედვით, რომელიც შესაძლებელია 2-3 დღის შემდეგ, მაგალითად, ეახტიორი, როგორც მორიგე მუშაობს 12. სთ, ხოლო შემდეგ 2 დღე ისვენებს. ეს მისი მუშაობის ნორმალური რეჟიმია ცვლის გრაფიკის მიხედვით.

მორიგეობას საწარმოში ორგანიზებას უკეთებს ადმინისტრაცია ყოველ ცალკეზე სპეციალური ბრძანებითა და განკარგულებით. მორიგე საწარმოში ჩვეულებრივ არ იმყოფება თავის სამუშაო ადგილას, არამედ დირექციის, სამმართველოს შენობაში და ფლობს საწარმოს ხელმძღვანელთა ტელეფონებს. მორიგეობა არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ნორმალურ სამუშაო დროს. მორიგეობა არ უნდა დაეკისროს თანამშრომლებს, რომელთაც აკრძალული აქვთ ზეგანაკვეთური მუშაობა, რამდენადაც ეს არღვევს მათი მუშაობის ნორმალურ რეჟიმს და ასევე ქალებს, რომელთაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვები.

მოსაზღვრე უფლებები – ობიექტური გაგებით სამოქალაქო სამართლის ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ შესრულებების, დადგმათა, ფონოგრამების, საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემების დაცვის ურთიერთობებს. სუბიექტური გაგებით მოსაზღვრე უფლებებია: ა) შემსრულებელთა უფლებები მათ შესრულებასა და დადგმაზე (საშემსრულებლო უფლებები); ბ) ფონოგრამების მწარმოებელთა უფლებები მათ ფონოგრამებზე (ფონოგრამული უფლებები); გ) საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებები მათ გადაცემებზე ეთერში; დ) საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებები მათ გადაცემაზე საყოველთაო ცნობისთვის. მოსაზღვრე უფლებების ობიექტებს წარმოადგენს: ა) ფონოგრამა (შესრულების ან სხვა ხმათა ნებისმიერი ხმოვანი ჩანაწერი); ბ) შესრულება და დადგმა (ნაწარმოების წარმოდგენა თამაშის, დეკლამაციის, სიმღერის, ცეკვის მეშვეობით და ა.შ.); გ) საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა, ვიდეოჩანაწერი ობიექტების ჩანაწერში არაა ნახსენები. საშემსრულებლო უფლებები ჩვეულებრივ წარმოიქმნება შესრულების (დადგმის) მომენტიდან, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ჩაწერის ან ამ ჩანაწერის გამოქვეყნების (გადაცემის) მომენტიდან. ფონოგრამული უფლებები წარმოიქმნება ჩაწერის მომენტიდან, ზოგჯერ კი ამ ჩანაწერის გამოქვეყნებისთანავე. საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებები ჩნდება გადაცემის განხორციელების მომენტიდან. კანონი ითვალისწინებს მოსაზღვრე უფლებების შეზღუდვას. იხ. ასევე შემსრულებელთა მოსაზღვრე უფლებები, ფონოგრამის მწარმოებლის მოსაზღვრე უფლებები, საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა მოსაზღვრე უფლებები, საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციათა მოსაზღვრე უფლებები.

მოსაკრებელი – მოსაკრებლის ქვეშ იგულისხმება საჯალდებულო შენატანი, რომლის აკრეფაც ხდება ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან, რომლის გადახდაც წარმოადგენს სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის, სხვა უფლებამოსილი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ გადამხდელებთან მიმართებაში იურიდიულად მნიშვნელოვანი მოქმედებების განხორციელების ერთ-ერთ პირობას. მოსაკრებელს შეიძლება განეკუთვნოთ სახელმწიფო ბაჟი, საბაჟო მოსაკრებელი, მოსაკრებელი ცხოველთა სამყაროს ობიექტებისა და წყლის ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობის უფლებაზე.

ტრადიციის ძალით გადახდა, რომელიც წარმოადგენს გადასახადს, შეიძლება იყოს ბაჟი, მოსაკრებელი და პირიქით. ასე, მაგალითად, ირის გადასახადს, რომელსაც იხდიან საქონლით სახელმწიფო საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას იწოდება ბაჟად. მიზნობრივ სოციალურ გადასახადებს, რომელთაც იხდიან მუშაკები და საშუალო მიმცემები სპეციალურ ფონდში (საპენსიო, სოციალური და საგანმანათლებლო სამედიცინო დაზღვევის და სხვ.) ეწოდება შენატანები, გადახდები და ა.შ. ეს შენატანები არ წარმოადგენს ასეთს სიტყვის სრული მნიშვნელობით, რამდენადაც მათი აკრეფა ხდება გადახდისუნარიანობის საფუძველზე, რაც ახასიათებს გადასახადებს, მაგრამ არა ბაჟსა და მოსაკრებელს. ეს გარეშეთა ჩქმალავს ამა თუ იმ გადახდის ჭეშმარიტ ბუნებას, ართულებს მის ანალიზს გადასახადის გადამხდელის მიერ, ქმნის გადასახადის დადგენის წესების დარღვევის საფრთხეს. ბაჟსა და მოსაკრებელს არ გააჩნია ის ფინანსური მნიშვნელობა, რომელიც ახასიათებს გადასახადებს. ბაჟისა და მოსაკრებლის გადახდისას ყოველთვის არსებობს სპეციალური მიზანი და სპეციალური ინტერესი. ამ გაგებით მოსაკრებელი და ბაჟი ინდივიდუალურ გადასახადებს წარმოადგენს. თუმცა, რამდენადაც სახელმწიფო ვალდებულია წარმოადგინოს თავისი მომსახურებების ძირთადი მოცულობა მიმღების უნარის მიუხედავად, ანაზღაუროს ისინი და სახელმწიფო ხარჯების დაფარვა არ შეიძლება მოხდეს ინდივიდუალური გადახდების ხარჯზე, რომლებიც გარკვეულ უფლებებს იძლევიან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი

უარყოფს სახელმწიფო მართვის კომერციალიზაციას და ზღუდავს სახელმწიფოს მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ხარჯების გადახდისუნარიან მოთხოვნაზე საპასუხოდ. ბაჟისა და მოსაკრებლის აკრეფის მიზანი მდგომარეობს მხოლოდ დანაკლისის გარეშე ფინანსებში, მაგრამ სუფთა შემოსავლის, დანახარჯების გარეშე, რომლის საქმიანობასთან დაკავშირებითაც ხდება ბაჟის აკრეფა. ეს პრინციპი ყოველთვის როდია დაცული პრაქტიკაში. ხშირად მომსახურებაზე საფასური აჭარბებს მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. რიგ შემთხვევებში გადასახადი როდი წესდება ხარჯების დაფარვის მიზნით, არამედ თავად მოქმედება ხდება ცნობილი საკანონმდებლო გადასახადის ამოღებისათვის. ეს შეტაკება მართებულია მაგალითად, სხვადასხვაგვარი რეგისტრაციების დაწესების მიმართ და ა.შ.

მოცემული გარემოება მოწმობს იმას, რომ თუმცა კი ბაჟისა და მოსაკრებლის აკრეფა ხდება ინდივიდუალური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, მათი განხილვა არ შეიძლება, როგორც სახელშეკრულებო, სავალდებულო გადახდების. ესაა ფულადი შენატანები, რომელთა აკრეფაც ხდება ინდივიდუალური წესით საჯარო-სამართლებრივი ხასიათის მომსახურებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით მნიშნელოვანია იმის საზგასმა, რომ ბაჟის ან მოსაკრებლის გადახდა ხდება არა მომსახურებაზე, არამედ მომსახურებასთან დაკავშირებით, ამასთან ამ მომსახურების გაწევა უკავშირდება სახელმწიფო ორგანოს, მოქმედებს რა საერთო ინტერესებში, სახელმწიფო-სახელისუფლებო ფუნქციების რეალიზებით. ასე, მაგალითად, ბაჟის გადახდას სასამართლოში სასარჩელო განცხადების მიწოდებისას თან ახლავს კონკრეტული პირის უფლება სასამართლო დაცვაზე, თუმცა ის უკავშირდება სასამართლოს საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციას – კანონიერების რეჟიმის დაცვას. ბაჟი არ განაპირობებს სახელმწიფო ორგანოს არსებობას, რამდენადაც მისი დაფინანსება შეიძლება სხვა წყაროებიდანაც. ბაჟის აკრეფა განპირობებულია რომელიმე სახელმწიფო ორგანოს თავისი ფუნქციების რეალიზაციით.

ბაჟსა და მოსაკრებლის სახე გულისხმობს სხვა პრინციპების გამოყენებას გადახდის ოდენობის განსაზღვრისას ვიდრე ისინი, რომელთა გამოყენებაც ხდება გადასახადით დაბეგვრისას. პირის გადაუხდისუნარიანობის განსაზღვრა არ შეიძლება იყოს ამოსავალი მომენტი, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში ის იწვევს არა თანასწორობის დამყარებას, არამედ მის დარღვევას. მართლაც, პირები, რომლებიც გამოიყენებენ ერთსა და იმავე მომსახურებას, გადაიხდიან სხვადასხვა ოდენობის ბაჟს, ამიტომ ბაჟისა თუ მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება მომსახურების სახიდან და ოდენობიდან გამომდინარე (ექვივალენტურობის პრინციპი) და დგინდება კონკრეტული ოდენობით. ფულადი თანხა შეიძლება არ იყოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის ექვივალენტური. თუმცა, ეს არ ნიშნავს აბსოლუტურ თავისუფლებას გადასახადის ოდენობის განსაზღვრისას.

ბაჟისა თუ მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა ზღუდავდეს მოქალაქეთა შესაძლებლობას გამოიყენონ ძირითადი კონსტიტუციური უფლებები, მიიღონ სახელმწიფო ორგანოებისგან ესა თუ ის მომსახურება, რამდენადაც ეს უფლებები მოქალაქეებს ეძლევათ რაიმე გადასახადის შეტანის მიუხედავად. მაგალითად, ხელს უწყობს რა მოქალაქეთა განათლების უფლების რეალიზაციას – სახელმწიფო ვალდებულია დაფინანსოს ხარჯები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე გადასახადების და არა ბაჟისა თუ მოსაკრებლის ხარჯზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაჩნდებოდა განათლების „მისაწვდომობის ბარიერი". ამ პრინციპიდან გამომდინარე, რიგი ქვეყნების კონსტიტუციაში არის აკრძალვები, მოთხოვნილ იქნეს ანაზღაურება ამგვარი მომსახურების გაწევაზე.

ბაჟი სხვადასხვაგვარია. გამოიყოფა ბაჟი, რომლის აკრეფაც ხდება ადმინისტრაციული მომსახურების გაწევაზე (მაგალითად, მოქალაქეობის მოპოვების ან შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის განხილვაზე), ბაჟი, რომლის აკრეფაც ხდება რიმე უფლების შეთავაზებაზე (მაგალითად, ნადირობის უფლების ნებართვის გაცემაზე) და ბაჟი, რომლის აკრეფაც ხდება, როგორც კომპენსაციის, საზოგადოების გარკვეულ სარჯებზე კონკრეტული პირების ინტერესებში (მაგალითად, ბაჟი მსხვილტონაჟიანი სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებისთვის, რომლებიც ახდენენ მომატებული სახის დამაგრეველ მოქმედებას აეტოგზებზე).

მოსამართლე – პირი, რომელსაც კონსტიტუციური წესით გაანჩნა უფლებამოსილებები აღასრულოს მართლმსაჯულება და ასრულებს თავის ვალდებულებებს პროფესიონალურ საფუძველზე. მოსამართლე დამოუკიდებელია და ექვემდებარება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ყველა მოსამართლეს გააჩნია ერთიანი სტატუსი.

უფლებამოსილებების შესრულებისას, ასევე არასამსახურებრივ ურთიერთობებში მან უნდა აიცილოს ყოველივე თავიდან, რასაც შეუძლია სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის, მოსამართლის ღირსების შელახვა ან ეჭვის შეტანა ობიექტურობაში, სამართლიანობაში და მიუკერძოებლობაში. მოსამართლეს უფლება არა აქვს იყოს პარლამენტარი, სამედიატორო მოსამართლე, მიეკუთვნებოდეს პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს, განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, შეათავსოს მოსამართლეობა სხვა ანაზღაურებად სამუშაოსთან სამეცნიერო, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის გარდა.

მოსამართლე უნდა იყოს ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული განათლება და აკმაყოფილებდეს კონსტიტუციით, კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მოსამართლეს თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე. სასამართლოს თავმჯდომარე, სადაც გაჩნდა მოსამართლის ვაკანტური თანამდებობა, ამის შესახებ ატყობინებს მოსამართლეთა შესაბამის საკვალიფიკაციო კოლეგიას ვაკანსიის გაჩენიდან არა უგვიანეს 10 დღისა. კოლეგია ამ შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღის შემდეგ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აცხადებს ვაკანსიის შესახებ მოსამართლის თანამდებობის დაკავებისთვის განცხადებების მიღების დროისა და ადგილის მითითებით, ასევე შემოსული განცხადებების განხილვის დროისა და ადგილის აღნიშვნით. ნებისმიერ მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია კანონით დადგენილ ასაკს, გააჩნია უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული პროფესიით მუშაობის შესაბამისი სტაჟი, არ გააჩნია მოსამართლის თანამდებობის დაკავებისთვის ხელშე-

მშლელი დაავადებები, უფლება აქვს სცადოს გაიაროს მოსამართლის თანამდებობის დაკავებისთვის საჭირო საკვალიფიკაციო გამოცდა, მიმართავს რა განცხადებით შესაბამის საგამოცდო კომისიას.

მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება – საკანონმდებლო გარანტია, რომელიც საშუალებას იძლევა სისხლის სამართალში შესასრულოს კანონიერი, დასაბუთებული და მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოტანის უმნიშვნელოვანესი პირობა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დაქვემდებარების პრინციპის გარანტია. სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენა ხდება სათათბირო ოთახში. ამ დროს სათათბირო ოთახში შეიძლება იყოს მხოლოდ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი მოსამართლეები. სამუშაო დროის დასრულების შემდეგ, ასევე სამუშაო დღის განმავლობაში სასამართლოს უფლება აქვს გააკეთოს შესვენება სათათბირო ოთახიდან გასვლით. მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმოვანონ მსჯელობა, რასაც ადგილი ჰქონდა განაჩენის განხილვისა და გამოტანის დროს. ესაა კანონიერებისა და დასაბუთებულობის უზრუნველყოფის საშუალება განაჩენის გამოტანისას. გარდა ამისა, სათათბირო ოთახის საიდუმლოება არის განაჩენის გამოტანისას გადასაჭრელი საკითხების მშვიდი და საქმიანი განხილვის აუცილებელი პირობა; საქმეში მონაწილე მოსამართლეების თავისუფალი აზრის გამოხატვის ინსტრუმენტი.

მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება გარანტირებულია იმით, რომ გადაწყვეტილების (განაჩენის) გამოტანისას არ ხდება ოქმის წარმოება, მითითებული არაა მოსამართლეთა კენჭისყრის შედეგები; გადაწყვეტილებას (განაჩენს) ხელს აწერს სასამართლოს მთელი შემადგენლობა, მათ შორის ის მოსამართლეც, რომელიც კენჭისყრისას აღმოჩნდა უმცირესობაში და გამოთქვა განსაკუთრებული აზრი განაჩენის გამოცხადებისას. მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამოხატული აზრები.

მოსამართლის ან სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა მიმართ გამოყენებული უსაფრთხოების ზომების შესახებ ცნობების გამჟღავნება – უსაფრთხოების ზომების შესახებ ცნობების გახმაურება, რომლებიც მიმართულია დასაცავი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე და მათი ქონების დაცვაზე უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი ორგანოების მიერ, მაგალითად, პროცესის მონაწილეს ან მისი ახლობლების საცხოვრებელი ადგილის ცვლილება, ფსევდონიმიის მიკუთვნება (მოწმისთვის), დაცვის პოსტის დაყენება; ბრალდებულისთვის – ცნობების დამალვა მისი ადგილსამყოფელის, სასამართლოში გადაყვანის მარშრუტის შესახებ და ა.შ., რომელიც გამოიყენება მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, სასამართლო აღმასრულებლის, დაზარალებულის, მოწმის, სისხლის სამართლის სხვა მონაწილეთა, ასევე მათი ახლობლების მიმართ, თუ ეს ქმედება ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელსაც მიანდეს ეს ცნობები ან ცნობილი გახდა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ის ცნობილი გახდა უცხო პირებისთვის.

მოსამართლის აცილება – პროცედურა, რომელიც მიმართულია სისხლის სამართლის საქმიდან მოსამართლის ჩამოშორებაზე.

მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ ის: ა) წარმოადგენს დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მპასუხეს, მოწმეს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე; ბ) მონაწილეობდა მოცემულ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში ნაფიცი მსაჯულის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმანის, დამსწრის, სასამართლო სხდომის მდივნის, დამცველის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენლის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მპასუხის წარმომადგენლის, მოკლეების მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის სახით; გ) წარმოადგენს მოცემულ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში რომელიმე მონაწილის ახლო ნათესავს ან ნათესაეს; დ) თუ არსებობს სხვა გარემოებები, რომლებიც გაბედეს საფუძველს ვიეარაუდოთ, რომ მოსამართლე პირადად, ირიბად ან პირდაპირაა დაინტერესებული სისხლის სამართლის საქმის დასრულებით.

თუ მოსამართლე მონაწილეობას ღებულობდა სისხლის სამართლის საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის სასამართლოში, მას არ შეუძლია მონაწილეობის მიღება მოცემული საქმის მეორე ინსტანციის სასამართლოში განხილვაში. სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მეორე ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობის მიმღებ მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ან ზედამხედველობის წესით, ასევე საქმის ხელახლა განხილვაში მეორე ინსტანციის სასამართლოში განაჩენის, განჩინების, დადგენილების გაუქმების შემდეგ, რომელიც გამოტანილ იქნა მისი მონაწილეობით.

მოსამართლის აცილების საკითხი დგება სასამართლო გამოძიების დაწყებამდე, ხოლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის სასამართლოს მიერ განხილვის დროს – ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის ფორმირებამდე.

შემდგომი სასამართლო სხდომის დროს გამომძიებლის აცილების შემდეგ საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ მაშინ, თუ ამის საფუძველი მისთვის ადრე არ იყო ცნობილი.

მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობა სისხლის სამართლის საქმის განხილვაში. პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობის მიღება მოცემული სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მეორე ინსტანციის სასამართლოში ან ზედამხედველობის წესით, ასევე პირველ ან მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვისას ან ზედამხედველობის წესით განხილვისას, მისი მონაწილეობით გამოტანილი განაჩენის, განჩინების, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე დადგენილების გაუქმების შემთხვევაში. მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობა

მილება სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ ის: ა) წარმოადგენს დაზარალებულს, სამოქალაქო მოხარჯელეს, სამოქალაქო მოპასუხეს ან მოწმეს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე; ბ) მონაწილეობდა ნაფიცი მსაჯულის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის, დამსწრის, სასამართლო სხდომის მდივნის, ექვშიტანილის, ბრალდებულის დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის ან სამოქალაქო მოხარჯელის, ასევე მოკლეულის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის სახით მოცემული სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში; გ) წარმოადგენს მოცემულ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მონაწილეთაგან რომელიმეს ახლო ნათესავს ან ნათესავს. მოსამართლის აცილების საკითხი დგება სასამართლო გამოძიების დაწყებამდე, ხოლო სისხლის სამართლის საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვისას – ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის ფორმირებამდე. შემდგომი სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას აცილებაზე განცხადება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საფუძველი ამისათვის არ იყო ცნობილი მხარისთვის. აცილების განცხადებას განიხილავს სასამართლო სათათბირო ოთახში განჩინების ან დადგენილების გამოტანით.

მოსამართლის აცილების თაობაზე საკითხი წყდება დანარჩენი მოსამართლეების მიერ, თუ სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოს მიერ კოლეგიალურად იმ მოსამართლის დაუსწრებლად, რომლის აცილებაც არის მოთხოვნილი. მოსამართლეს, რომლის აცილების მოთხოვნაც დგას, უფლება აქვს სათათბირო ოთახში დანარჩენი მოსამართლეების გასელამდე საკუთარ გადმოსცეს თავისი განმარტება ამ აცილების თაობაზე. რამდენიმე მოსამართლის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის აცილება წყდება იმავე სასამართლოს მიერ სრული შემადგენლობით, ხმათა უმრავლესობით. ერთპიროვნულად საქმის განმხილველი მოსამართლისადმი აცილების, შუამდგომლობის აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების ან საგამოძიებო მოქმედებების წარმოების, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის ან მისი შეწყვეტის შესახებ დადგენილებაზე საჩივარი განიხილება იმავე მოსამართლის მიერ.

მოსამართლის, რამდენიმე მოსამართლის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის აცილების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში შუამდგომლობა ან საჩივარი შესაბამისად გადადის სხვა მოსამართლის ან სასამართლოს სხვა შემადგენლობის წარმოებაში სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესით. თუ მოსამართლის აცილებასთან ერთად დგას საკითხი სისხლის სამართლის საქმის წარმოების სხვა მონაწილეებიდან რომელიმეს აცილების შესახებ, პირველ რიგში, წყდება საკითხი მოსამართლის აცილების შესახებ.

მოსამართლე თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია სახელმწიფოს სახელით განახორციელოს მართლმსაჯულება. მოსამართლე ძირითადად განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს და შესაბამისად გამოაქვს მათზე გადაწყვეტილება და განაჩენი. თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. კანონი ითვალისწინებს მოსამართლის აცილებას და თვითაცილებას. სამსახურეობრივი უმოქმედობისა და მართლმსაჯულების ავტორიტეტის შემლახავი საკითხებისათვის მოსამართლე პასუხს აგებს დისციპლინარულ საქმეთა კოლეგიის წინაშე, რომელიც იქმნება უმაღლესი, საოლქო და საქალაქო სასამართლოებთან.

მოსამართლეთა არჩევითობა სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს სისტემის ყველა რგოლი იქმნება არჩევითობის საწყისებზე და მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ კანონით დადგენილი წესით არჩეული მოსამართლეები. მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპი საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია ქვეყნის კონსტიტუციით და კანონმდებლობით სასამართლო წყობილების შესახებ.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოსამართლე სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონით და მართლშეგნებით და არავის ზეგავლენას არ ემორჩილება. სასამართლოების მუშაობა ისეა აგებული, რომ მოსამართლეები თავისუფალნი არიან ყოველგვარი ზემოქმედებისაგან. კანონმდებლობა უზრუნველყოფს იმისაც, რომ მოსამართლეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან, საქმის გარჩევის დროს სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, შეუძლიათ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი; მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გარანტირებულია სათათბირო ოთახის საიდუმლოებით და სხვა.

მოსამართლეთა შეუცვლელობა თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში სასამართლოთა წყობილების პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფიზიკურად არ შეუძლია საქმიანობის გაგრძელება, აგრეთვე სასამართლოს განაჩენით ან თვით მოსამართლის სურვილის საფუძველზე. მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი ჩამოყალიბდა აბსოლუტიზმის პერიოდში, სამეფო ხელისუფლების რეფორმის პროცესში. მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი იყო, რომ გაზრდილიყო მოსამართლეთა ავტორიტეტი, პასუხისმგებლობა და მიეცა უფრო მეტი მორალური ფუნქცია, ვიდრე სახელმწიფოს ნებისმიერ სხვა მოხელეს.

დიდ ბრიტანეთში საგრაფოს სასამართლოს წევრის ზღვრული ასაკია 72 წელი, საფრანგეთში შეიძლება იყოს ამ თანამდებობაზე, სანამ 65-70 წელი შეუსრულდება. აშშ-ში, ბელგიაში, დანიაში, ნორვეგიაში, შვეიცარია და ნიდერლანდში მოსამართლეებს ნიშნავენ მთელი სიცოცხლით. მოსამართლეთა შეუცვლელობით კიდევ უფრო განმტკიცებულია მათი დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების განხორციელებისას.

მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოება – ადამიანების ამჟამინდელი და მომავალი თაობების მათი ჯანმრთელობისთვის მავნე მაიონიზირებელი გამოსხივების ზემოქმედებისგან დაცულობის მდგომარეობა.

მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობა – მოსახლეობის ჯანმრთელობის, ადამიანის სამყაროული გარემოს მდგომარეობა, რომლის დროსაც არაა ადამიანზე გარემოს ფაქტორების მაენე ზეგავლენა და უზრუნველყოფილია მისი ცხოველქმედების ხელსაყრელი პირობები.

მოსეს სამართალის კანონები – გადმოცემული ბიბლიის მე-5 წიგნში, „მეორე სჯულთაში", რომელსაც ლეგენდარულ მოსე წინასწარმეტყველს მიაწერენ, სხვა წყაროებით ძეგლი შედგენილია ძ. წ. 622 წელს. მოსეს კანონები მოქმედი კანონები იყო ქრისტიანულ მსოფლიოში და მოსეს ათი მცნება წარმოადგენს ქრისტეს ათი მცნების წინამორბედს. მოსეს კანონებით ცხოვრობდნენ საქართველოს ებრაელები. ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი სამართლის წიგნთა კრებულში მოსეს სამართალი შეტანილია პირველ წიგნად. იგი შედგება 52 მუხლისაგან და წარმოადგენს გამონაკრებს „მეორე სჯულთას" მე-5 წიგნის მე-5, 13-27 თავების მუხლებიდან. ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას კანონთა ტექსტში შეუმოკლებია ცალკეული ფრაზები და ზოგჯერ მთელი წინადადებებიც გამოუტოვებია. სამართლის წიგნი იწყება ათი მცნებით და უმთავრესად სისხლის, სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ნორმებს შეიცავს. ბიბლიის კანონმდებლობის წიგნის შედგენა არა მარტო „მეორე სჯულთას", არამედ „გამოსვლათას" წიგნების მიხედვითაც, ვახტანგის კრებულის შედგენამდეც უცდიათ საქართველოში.

მოტყუება – სიტუაცია, როცა ერთ-ერთი მხარე მეორეს აწვდის არასწორ ცნობებს მისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების მნიშვნელოვანი ელემენტების შესახებ ან წინასწარ განზრახულად დუმს მათი ნამდვილი არსის თაობაზე.

მოურავი ფეოდალურ საქართველოში ადმინისტრაციული ერთეულის, სოფლის, ქალაქის, თემის – მმართველი, დღევანდელი ქალაქის თავი, ანუ მერი, ევროპის ქვეყნებში ბურგომისტრი. ძველი მოურავი თავდაპირველად განაგებდა სამეურნეო და საფინანსო ფუნქციებს, მოგვიანებით კი ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციებიც შეითავსა. მოურავი ეწოდებოდა, აგრეთვე, მებატონის და მეფის მამულების გამგებელს.

მოუხდელი სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქით სასჯელისგან განთავისუფლების სახე. რუსეთის ფედერაციაში მისი შინაარსი შეადგენს თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის დისციპლინარულ სამხედრო ნაწილში ყოფნის ან თავისუფლების აღკვეთის ცვლილებას; სასამართლოს მიერ, სასჯელის მოხდის პერიოდში მისი ქცევის გათვალისწინებით, შესაძლოა შეცვლილ იქნეს სასჯელის მოუხდელი ნაწილის სასჯელის უფრო მსუბუქი სახით. ამასთან, პირი სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს სასჯელის დამატებითი სახის მოხდისგან.

სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეიძლება შეიცვალოს სასჯელის უფრო მსუბუქი სახით მსჯავრდებულის მიერ: ა) მცირე ან საშუალო სიმძიმის დანაშაულზე – სასჯელის ვადის არანაკლებ 1/3-ისა; ბ) მძიმე დანაშაულზე – სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევრისა; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე – სასჯელის ვადის არანაკლებ 2/3-ისა ფაქტიური მოხდის შემდეგ.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლის დროს სასამართლომ შეიძლება აირჩიოს სასჯელის უფრო მსუბუქი სახე სისხლის სამართლის კოდექსში მითითებული სასჯელის სახეების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია კოდექსით თითოეული სახის სასჯელისთვის.

მოწიცარი (სამართ. ისტ.) ფეოდალურ საქართველოში სასამართლო პროცესის მონაწილე, რომელიც ფიცით ადასტურებდა სასამართლოსათვის მნიშვნელოვან ფაქტს. უმრავლეს შემთხვევაში მოფიცარი ამაგრებდა სასამართლო პროცესში მხარის სახით მონაწილე პირის ფიცს. მოფიცარი იგივე თანამოფიცარი იყო. თანამოფიცარს, რომელსაც პროცესში მონაწილე მხარე თავისი სურვილით ირჩევდა, „შეუგდებელი" მოფიცარი ერქვა. სასამართლოს მითითებით შერჩეული თანამოფიცარი კი „შეგდებულ" მოფიცრად იწოდებოდა. აუცილებელი არ იყო, რომ თანამოფიცარი სადაო ფაქტის თვითმხილველი ყოფილიყო. თანამოფიცრად ჩვეულებრივ ხანშიშესული, ღვთის მორწმუნე და უმწიკვლო სახელის მქონე კაცი უნდა გამხდარიყო. ქალი თანამოფიცრად არ დაიშვებოდა.

მოქალაქეებისა და იურიდიული პირების საკუთრება – კერძო საკუთრების ფორმები.

მოქალაქეთა კერძო საკუთრება გამოდის შემდეგი ფორმებით: მოქალაქეთა საკუთრება, რომლის წარმოქმნის წყაროსაც წარმოადგენს მათი შრომა დაჩრაგვებული შუაკეების სახით იმის მიუხედავად, თუ მეურნეობისა და კულტურის რომელ სფეროში ხდებოდა ეს შრომა; მათი შრომა სრული ამხანაგების ან საწარმოო კოოპერატივის წევრების სახით, რაც არაა მომრთული მოგებაზე; საკუთარ საქმიანობაზე დაფუძნებული სამეწარმეო საქმიანობის ხარჯზე წარმოქმნილი საკუთრება, დაქირავებულ შრომაზე დაფუძნებული სამეწარმეო საქმიანობისა ხარჯზე წარმოქმნილი საკუთრება. ეს უკანასკნელი სახე სამეწარმეო საქმიანობის შეიძლება განხორციელდეს, როგორც იურიდიული პირის წარმოქმნის, ასევე ასეთის წარმოქმნის გარეშეც. არ უნდა დაგვაეიწყდეს მოქალაქეთა საკუთრების წარმოქმნის, როგორც ზოგადსოციალური, ასევე საერთო-სამოქალაქო ხერხები. პირველს განეკუთვნება შემწეობები და დახმარებები საზოგადოებრივი ფონდებიდან, ჰუმანიტარული დახმარება საზღვარგარეთიდან და საქველმოქმედო ფონდების ხარჯზე და ა.შ.; მეორეს განეკუთვნება – პროცენტები კაპიტალზე (მაგალითად, დივიდენდები აქციებზე), ჩუქება, მემკვიდრეობით გადაცემა და ა.შ.

იურიდიულ პირთა საკუთრების უფლების სუბიექტები იყოფა სამეურნეო ამხანაგობებად და საზოგადოებებად; საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერატივებად; საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებად; საქველმოქმედო და სხვა ფონდებად; გაერთიანებებად, იურიდიულ პირთა საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, იმ ცალკეული სახეების გარდა, რომელიც კანონის შესაბამისად არ შეიძლება ეკუთვნოდეს იურიდიულ პირებს. თუ ქონება ეკუთვნის იურიდიულ პირს, მისი რაოდენობა და ღირებულება არ შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევების გარდა, როცა ასეთი შეზღუდები დადგენილია კანონით კონსტიტუციური წყობის

საფუძვლების, ზნეობრიობის, პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. საკითხის გადაწყვეტისას შეიძლება თუ არა ქონება იყოს მოცემული იურიდიული პირის საკუთრებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს განეკუთვნება თუ არა იურიდიული პირი კომერციულ ან არაკომერციულ ორგანიზაციას და შესაბამისად გაანია თუ არა მას უფლებაუნარიანობა: ზოგადი ან სოციალური. იურიდიული ორგანიზაციების საკუთრებაში შეიძლება იყოს, როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონება. ორგანიზაციის საბუღალტრო ანგარიშგების წესების შესაბამისად იურიდიულ პირთა საკუთრებაში მყოფი ქონება იყოფა ღირებულებისა და მსახურობის ვადის მიხედვით ძირითად და ბრუნვაში მყოფ სახსრებად.

მოქალაქეთა ეკოლოგიური უფლებები – 1) ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა შემადგენელი ნაწილი; 2) მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების განუყოფელი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ხელსაყრელ გარემოს, მის მდგომარეობაზე უტყუარი ინფორმაციის, ეკოლოგიური საშართალდარღვევით მისი ჯანმრთელობისა თუ ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას; 3) სიტყვის ფართო გაგებით – სისტემა, რომელიც მოიცავს მოქალაქეთა არა მხოლოდ აღნიშნულ, არამედ სხვა სახის უფლებებსაც ამ სფეროში, მაგალითად, მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვის უფლებას გარემოს არახელსაყრელი ზეგავლენისაგან, რაც გამოწვეულია სამეურნეო ან სხვა საქმიანობით, ავარიებით, კატასტროფებით. სტიქიური უბედურებებით.

მოქალაქეთა მიმართვები – მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი საშუალება. მოქალაქეთა მიმართვები გულისხმობენ მოქალაქეთა მონაწილეობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტაში, მართვაში. მოქალაქეთა აქტიური გავლენის შესაძლებლობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე და ის წარმოადგენს დარღვეული უფლების აღდგენის ხერხს საჩივრების, განცხადებებისა და შუამდგომლობების შეშვებით.

მოქალაქეთა მიმართვების სახეებია: ა) წინადადება – არ უკავშირდება მოქალაქეთა უფლებების დარღვევას და მიმართულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადებრივი ორგანიზაციების ორგანიზებისა და საქმიანობის წესის გაუმჯობესებაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა სფეროების საკითხების გადაწყვეტაზე; ბ) განცხადება-მიმართვა უფლების ან კანონიერი ინტერესის რეალიზაციის თაობაზე, რომელიც არ უკავშირდება მის დარღვევას, მაგრამ შეიცავს თხოვნას ადამიანთა საჭიროებების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ; გადასახადებისგან განთავისუფლების და საგადასახადო შეღავათების მიცემის შესახებ და ა.შ.; გ) შუამდგომლობა-მიმართვა თხოვნით, პირის გარკვეული სტატუსის, უფლებების ან თავისუფლებების, ლტოლვილად, იძულებით გადაადგილებულ პირად ცნობის შესახებ და ა.შ.; დ) საჩიარი-მიმართვა სახელმწიფო ან მუნიციპალური მოსამსახურეების, თანამდებობის პირთა მოქმედებითა და უმოქმედობით, გადაწყვეტილებებით დარღვეული უფლების ან კანონიერი ინტერესის თაობაზე.

მიმართვის უფლება გაარნიათ მოქალაქეებს, უცხოელ მოქალაქეებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს თაეიანთი, ასევე წევრების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით. მოქალაქეებს შეუძლიათ, როგორც კოლექტიური ასევე ინდივიდუალური მიმართვების გაგზავნა.

მოქალაქეთა მიმართვები შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმის. შემოსული მოქალაქეების მიმართვები რეგისტრირდება რამდენადაც ამ მომენტიდან იწყება საპროცესო ვადა, რომლის განმალებაშიც უნდა იქნეს განხილული მიმართვა.

მოქალაქეთა მიმართვებში უნდა იყოს: ა) იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის დასახელება და მისამართი, რომელსაც ის ეგზავნება; ბ) საქმის არსის გადმოცემა; გ) მიმმართველი პირის გვარი, სახელი, მამის სახელი; დ) მიმმართველის მისამართი ან მონაცემები საშუშაო ან სასწავლო ადგილის შესახებ; ე) თარიღი, ხელმოწერა.

თუ მოქალაქის მიმართვა არ შეიცავს ამ ცნობებს, ის ცნობილი ხდება ანონიმურად და არ ექვემდებარება განხილეას დანაშაულების შესახებ ანონიმური სიგნალების გარდა, რომლებიც ხვდებიან სამართალდამცავ ორგანოებში.

მოქალაქეთა მიმართვების განხილვის ვადებია: ა) წინადადებებისთვის – ერთ თვემდე ვადა, იმ წინადადებების გარდა, რომლებიც დამატებით მოითხოვენ შესწავლას; ბ) განცხადებებისთვის – ერთ თვემდე ვადა მისი შესელის დღიდან, ხოლო იმათთვის, რომლებიც არ საჭიროებენ შემოწმებას გადაუდებლად, განცხადების შეტანის დღიდან არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა; გ) საჩივრებისთვის ერთ თვემდე, თუ საჭიროა დამატებითი შესწავლა; გადაუდებლად, მაგრამ საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა; თუ საჭიროა სოციალური შემოწმება, საჩივრის გადაწყვეტის ვადები ხანგრძლივდება, მაგრამ საჩივრის შემტანი პირისთვის ამის შესახებ შეტყობინებით არა უგვიანეს ერთი თვისა.

სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა განცხადებები და საჩივრები განიხილება შემცირებულ ვადებში.

მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება მოქალაქეთა საექიმო შემოწმება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრის საგანზე. თითოეული ადამიანი სამედიცინო შემოწმებას გადის დაბადების მომენტიდან, ხოლო შემდეგ საჭიროებისამებრ ან კანონით მითითებულ გარკვეულ შემთხვევებში.

მოქალაქეთა უფლება ხელსაყრელ გარემოზე – იხ. მოქალაქეთა ეკოლოგიური უფლებები.

მოქალაქეობა პირის სამართლებრივი მდგომარეობა და კავშირი სახელმწიფოსთან. მოქალაქისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობანი ერთმანეთის მიმართ დადგენილია კონსტიტუციით და სხვა კანონებით. მოქალაქისათვის უმთავრესია პირის უფლება მონაწილეობდეს სახელმწიფოს მართვაში და მასზე

სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელება მისი ადგილსამყოფელის მიუხედავად. მოქალაქეობა წარმოიშვა ანტიკურ რესპუბლიკაში, როგორც მონობისგან თაეისუფალი პირის პრივილეგიური მდგომარეობა. ფეოდალიზმის ეპოქაში გაბატონებული მონარქიული წესწყობილებისათვის დამახასიათებელი იყო ქვეშევრდომობა. მ. ევროპაში რეფორმაციების შედეგად აღმოცენებული მოქალაქეობა ერთ-ერთი დემოკრატიული ინსტიტუტია და. ხასიათდება მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობით. მოქალაქეობის შეძენა ძირითადად ფილიაციით (დაბადებით) ხდება. ახალშობილს მრავალი სახელმწიფო ანიჭებს თავის მოქალაქეობას სისხლის უფლების (jus sanguinis) პრინციპით, ე.ი. თუ ბავშეი ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა შვილია; ზოგიერთი სახელმწიფო (ბრაზილია და ლათინური ამერიკის ბეერი ქვეყანა) – ნიადაგის უფლების (jus soil) პრინციპით, ე.ი. თუ ბავშეი ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაიბადა; ზოგი კი ორივე პრინციპს იყენებს. მოქალაქეობის შეძენის მეორე სახეა ნატურალიზაცია. მოქალაქეობის შეცვლა ხდება ავრეთვე ტრანსფერტით, როცა ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი. მეორე სახელმწიფოს გადაეცემა, იქ მცხოვრები მოქალაქენი, როგორც წესი, კარგაეენ ძველ მოქალაქეობას და იძენენ ახალს–მეორე სახელმწიფოს მოქალაქეობას. ასეთ ტერიტორიულ ცელილებასთან დაკავშირებით სახელმწიფოები ხშირად იყენებენ ოპტაციას ანუ მოქალაქეობის არჩეეას. გადასაეემ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს ეძლეეათ უფლება შეინარჩუნონ თაეიანთი მოქალაქეობა. თანამედროეე საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის მიცემა, პრეზიდენტის უფლებამოსილებას წარმოადგენს. ყეელა ეითარებაში აუცილებელია რომ მოქალაქე იფოს კანონით განსაზღერული ასაკის მქონე.

მოქალაქეობის დაკარგეა ხდება, როცა პირი თაეისი ნებით გადის მოქალაქეობიდან, როცა იგი ავტომატურად კარგავს მოქალაქეობას მისი სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღერულ შემთხეევაში, როცა მას სახელმწიფო ჩამოართმეეს მოქალაქეობას კანონმდებლობით გათეალისწინებულ შემთხეევებში. სახელმწიფოთა მიერ მოქალაქეობის საკითხთა სხვადასხეანაირი გადაჭრა ხშირად იწეევს უმოქალაქეობას (აპოლიდი) ან ორმაგ მოქალაქეობას (ბიპოლიდი).

მოქმედება – საზოგადოებრიეად საშიში ქმედების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გამოიხატება ადამიანის აქტიურ ქცეეაში, რაც მიმართულია გარკეეული შედეგების მიღწეეაზე. ის საკმაოდ რთული ხასიათისაა ბუნებით, ხან შეიძლება გამოვლინდეს ერთი მიმართულებით, ერთადერთი სხეულის მოძრაობის სახით, ხანაც შესაძლოა წარმოადგენდეს მართლსაწინააღმდეგო გამოვლინებების კომპლექსურ სისტემას.

მოქმედება სხვისი ინტერესებით დაეალების გარეშე – არასახელშეკრულებო ეალდებულება, რომელიც ჩნდება ერთი პირის (გესტორის) მიერ სხვა პირის (დომინუსის) თეალსაჩინო სარგებლობისთეის ფაქტიური ან იურიდიული მოქმედებების ნებაყოფლობით, გაცნობიერებული ჩადენის ძალით. ის წარმოქმნის ამ უკანასკნელის ეალდებულებას აუნაზღაუროს გესტორს საჭირო ხარჯები ან მის მიერ გაწეული ზარალი, ხოლო ზოგჯერ აანაზღაუროს თანატოლეადი ანაზღაურება. მხარეებად აქ გამოდის გესტორი და დომინუსი. ეალდებულების შინაარსი წარმოქმნის გესტორისა და დომინუსის უფლებებსა და ეალდებულებებს. ეალდებულების საგანი კი ქმნის ქმედებებს სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე: ფაქტიურსა და იურიდიულს.

მოქმედებების ეროვნული გეგმა გარემოს დაცვის თაობაზე – ეკოლოგიური დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც მუშაედება ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღების, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მისი არახელსაყრელი გავლენის შემცირების მიზნით. იხ. გარემოს დაცეისა და მყარი განვითარების უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგია.

მოცემულ დანაშაულზე გათვალისწინებულთან შედარებით უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდება – სასჯელის შეფარდების სპეციალური წესი, რომლის თანახმადაც დანაშაულის მიზნებთან და მოტივებთან, დამნაშავის როლთან, დანაშაულის ჩადენის დროს ან მას შემდეგ მის ქცეევასთან და დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შემამცირებელი სხვა არსებით გარემოებებთან დაკავშირებული განსაკუთრებული გარემოებების, ისევე როგორც ჯგუფური დანაშაულის გახსნისთვის მნიშვნელის აქტიური ხელშეწყობის დროს შეიძლება შეფარდებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულზე ნაკლები სასჯელი ან სასამართლომ შეუფარდოს უფრო მსუბუქი სასჯელი ან არ გამოიყენოს დამატებითი სახის სასჯელი, რომელიც გათვალისწინებულია სავალდებულოს სახით.

მოძრავი ქონება – ქონება, რომელიც კანონის პირდაპირი მითითებით არ განეკუთენება უძრავ ქონებას, მათ შორის, ფული და ფასიანი ქაღალდები. უძრავ ქონებაზე უფლებების წარმოქმნის, შეცელის, გადახელისა და შეწყეტისთეის საჭირო არაა ისეთი მკაცრი ფორმალობების დაცეა, რომლებიც გათვალისწინებულია უძრაეი ქონებისთეის (წერილობითი ფორმისა და სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციის დაცეა), თუ სხეა რამ პირდაპირ არაა მითითებული კანონში.

სამოქალაქო ბრუნეაში საკუთრიე ფულის გარდა მონაწილეობს სხეა ფულადი დოკუმენტები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უჭირაეს ფასიან ქაღალდებს – დოკუმენტს, რომელიც დადგენილი ფორმისა და სავალდებულო რეკეიზიტების დაცეით ადასტურებს განხორციელებულ ქონებრიე უფლებებს ან რომელთა გადაცემაც შესაძლებელია მხოლოდ მისი წამოყენებისას. ფასიან ქაღალდებს განეკუთენება სახელმწიფო ობლიგაციები, ობლიგაციები, თამასუქები, ჩეკები, სადეპოზიტო და შემნახეელი სერტიფიკატები, საბანკო შემნახეელი წიგნაკები წარმდგენზე, კონოსამენტები, აქციები, საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული ჩამონათეალი არ წარმოადგენს ამომწურაეს, რამდენადაც კანონით დადგენილი წესით ფასიან ქაღალდებს შეიძლება განეკუთენებოდეს სხეა დოკუმენტებიც, რომლებიც პასუხობენ ფასიანი ქაღალდის ნიშნებს, ფასიან ქაღალდებს გააჩნია რა გარკეეული ღირებულება, ფულთან ერთად წარმოადგენენ ბრუნეისა და გადახდის ხელსაყრელ საშუალებას, ასრულებენ საკრედიტო ინსტრუმენტის როლს და უზრუნველყოფენ სხეადასხეა

კეთილდღეობაზე უფლებათა გამარტივებულ გადაცემას. ეს შესაძლებელია იმის წყალობით, რომ ფასიან ქაღალდებს გააჩნია რიგი თვისებებიც, რომლებიც მათ განასხვავებენ სხვა იურიდიული დოკუმენტებისგან: ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი უნდა შეიცვას კანონით მკაცრად განსაზღვრული ფორმით და მას უნდა ჰქონდეს ყველა აუცილებელი რეკვიზიტი; ყველა ფასიან ქაღალდში უნდა განისაზღვროს ის იურიდიული შესაძლებლობა, რომლის განხორციელების უფლებაც გააჩნია ფასიანი ქაღალდის კანონიერ მფლობელს; სხვა პირებისთვის ფასიანი ქაღალდის გადაცემის შესაძლებლობა; ფასიანი საყარო უტყუარობის ნიშანი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კანონით ზღვრულადაა განსაზღვრული იმ საფუძვლების წრე, რომლებზე დაყრდნობითაც მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე; ფასიან ქაღალდში ხორცშესხმული სუბიექტური სამართლებრივი უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მისი წარდგენისას.

მოწმე — მოწმის უფლება-მოვალეობანი — მუხლი №94

1. მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გაფრთხილება გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ; დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს; არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.

2. თუ მოწმე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, იგი შეიძლება იძულებით მოიყვანონ 176-ე მუხლით დადგენილი წესით. გამოუცხადებლობის, თავმჯდომარის განკარგულებათა შეუსრულებლობის, საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემულობისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე (208-ე მუხლი).

3. ჩვენებაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმე პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-371-ე მუხლებით, ამასთან, მოწმე არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი ან მისი ახლო ნათესაის წინააღმდეგ.

4. მოწმეს უფლება აქვს: იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული; ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, და ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით. აცილება მისცეს თარჯიმანს; საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება; გაეცნოს დაკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, გააკეთოს განცხადება გამოძიების უკანონო მეთოდების შესახებ; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის იმ ნაწილს, სადაც ჩაწერილია მისი ჩვენება, და მოითხოვოს მასში დამატებების, ცვლილებებისა და დაზუსტებების შეტანა, ისარგებლოს წერილობითი ჩანაშენებითა და დოკუმენტებით. სსს კოდექსის 368-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული იძულებითი ექსპერტიზისას ისარგებლოს 366-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა", „ბ" და „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებებით; გამომძიებლის უკანონო მოქმედება გაასაჩიროს პროკურორთან, არ მისცეს ჩვენება, რომელიც ამხელს მას ან მის ახლო ნათესავებს დანაშაულის ჩადენაში; მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; გაეცნოს ოქმს და გააკეთოს განცხადებები, რომლებიც ოქმში შეიტანება.

მოწმე – პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს რაიმე გარემოებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და გადაწყვეტისათვის და რომელიც გამოძახებულია ჩვენების მისაცემად. მოწმის სახით არ შეიძლება გამოძახებულ იქნეს: ა) მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული – სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მოცემული სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით; ბ) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ადვოკატი, დამცველი – გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა მის მიერ იურიდიული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით; გ) ადვოკატი - გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით; დ) მღვდელმსახური – გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარებიდან და ა.შ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოწმეს ანიჭებს გარკვეულ უფლებებს: ა) უარი თქვას გამოვიდეს მოწმედ საკუთარი თავის, მეუღლის, სხვა ახლობელი პირებისა და ახლო ნათესავების წინააღმდეგ. თუ მოწმე თანახმაა მისცეს ჩვენები, ის უნდა იყოს გაფრთხილებული იმაზე, რომ მისი ჩვენებები გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების სახით, თუნდაც თუ ის შემდგომ უარს იტყვის ამ ჩვენებებზე; ბ) მისცეს ჩვენებები მშობლიურ ან იმ ენაზე, რომელსაც ის ფლობს; გ) ისარგებლოს თარჯიმნის დახმარებით უფასოდ; დ) განაცხადოს მის დაკითხვაში მონაწილე თარჯიმნის აცილება; ე) წამოაყენოს შუამდგომლობები და შეიტანოს საჩივრები მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მოქმედებებზე (უმოქმედობაზე) და გადაწყვეტილებებზე; ვ) გამოცხადდეს დაკითხვაზე ადვოკატთან ერთად; ზ) წამოაყენოს შუამდგომლობა უსაფრთხოების ზომების გამოყენების შესახებ; ამასთან, მას ეკისრება გარკვეული ვალდებულებებიც. ის უნდა: ა) გამოცხადდეს მოკვლევის მწარმოებელ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში, თუ მოწმე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება, ის შეიძლება დაექვემდებაროს ძალით მოყვანას; ბ) მისცეს სწორი ჩვენებები. ცრუ ჩვენების მიცემაზე ან ჩვენების მიცემაზე უარის განცხადებისას მოწმეს გააჩნია პასუხისმგებლობა; გ) არ გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მონაცემები, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, თუ ის წინასწარ იყო გაფრთხილებული ამის შესახებ. მოწმე ასევე აგებს პასუხს წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურებაზე.

მოწმე პირი, რომლისთვისაც ცნობილია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებული რაიმე გარემოება. არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ: ა) წარმომადგენელი, აგრეთვე დამცველი

სისხლის სამართლის საქმეზე – იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას; ბ) სასულიერო პირი – იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდეს აღსარების დროს; გ) პირი, რომელსაც მცირეწლოვანების, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება; დ) მხარეები სამოქალაქო საქმეებზე, აგრეთვე ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ახლო ნათესავი, თუ იგი არ დათანხმდა დაკითხვაზე, როგორც ბრალდების მოწმე. სასამართლოს უფლება აქვს მოწმის მოვალეობისაგან გაათავისუფლოს ზოგიერთი პირი, რომელსაც თავისი პროფესიული თუ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, განდობილი ან ნაცნობი აქვს ეალდებულება არ გაამჟღავნოს მოქალაქის, სახელმწიფო, კომერციული თუ სხვა საიდუმლოება. მოწმე ვალდებულია გამოცხადდეს მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით და მისცეს სწორი ჩვენება, რაც იცის საქმის შესახებ. ჩვენებაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით (სსსკ, მუხლი 93 – 94; სამ. საპ. კოდექსი, მუხლი 140 – 145).

მოწმის ან დაზარალებულის მოსყიდვა – დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს დამნაშავე პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ალნიშნული პირებისთვის ფულის, ფასიანი ქაღალდების, სხვა ქონების გადაცემას ან მათთვის ქონებრივი ხასიათის მომსახურების გაწევას მოწმის, დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენებების მიცემის სანაცვლოდ საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე ან მისი სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს.

მოწმის იმუნიტეტი – პირის უფლება არ მისცეს ჩვენებები საკუთარი თავისა და ახლო ნათესავების წინააღმდეგ, ასევე სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მოწმის იმუნიტეტი – პირის უფლება არ მისცეს ჩვენებები საკუთარი თავის, ახლობელი პირებისა და ახლო ნათესავების წინააღმდეგ და ასევე სხვა შემთხვევებში. მოწმის თანხმობისას მისცეს ჩვენებები – ის უნდა იყოს გაფრთხილებული იმის შესახებ, რომ მისი ჩვენებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებების სახით სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, შემდგომში მის მიერ ამ ჩვენებების უარყოფისას.

მოწმის ჩვენებები მტკიცების სახე, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხრიდან მათი შინაარსის მიხედვით.

მოწმეს წარმოადგენს პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები და რომელიც გამოძახებულია ჩვენების მისაცემად. მოწმის ჩვენებების საფუძველს შეადგენს მის მიერ მოელენებისა თუ მოქმედებების პირადი აღქმა, რომელთა ცოდნას მნიშვნელობა აქვს საქმისთვის. მან ასევე შეიძლება მისცეს ჩვენებები იმ ფაქტებზეც, რომელთაც ის არ აკვირდებოდა, მაგრამ იცის მათ შესახებ სხვა წყაროდან, თუ ის დაასახელებს ინფორმაციის წყაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ჩვენებები მოკლებული იქნება მტკიცებულების მნიშვნელობას. ეს, რასაკვირველია, არ ეხება შემთხვევებს, როცა კონკრეტულ წყაროზე მითითება არ შეიძლება შემოწმდეს მისი დაკარგვის (იმ პირის სიკვდილი, რომლისგანაც მიღებულია ცნობები ან დოკუმენტის განადგურება და ა.შ.) ძალით. ასეთი შემთხვევების დროს ჩვენებები ფასდება ზოგად საფუძვლებზე. მოცემული დებულება ეხება ჩვენებებსაც, რომლებშიც დაფიქსირებული არაა დანაშაულის მოვლენის დრო, ადგილი, სხვა გარემოებები.

მოწმის მიერ ჩვენებების მიცემა წარმოადგენს მის ვალდებულებას. ამასთან, მოწმის განცხადება იმის შესახებ, რომ მან არაფერი იცის საქმის გარემოებების შესახებ, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ჩვენებების მიცემაზე უარი ან თავის არიდება, თუ დამტკიცდება, რომ ასეთი განცხადება ცრუა. მოწმე შეიძლება მიეცეულ იქნეს პასუხისგებაში ცრუ ჩვენებების მიცემაზე. მოწმე შეიძლება დაკითხულ იქნეს საქმის ნებისმიერ გარემოებაზე, მათ შორის, ბრალდებულის, დაზარალებულის პიროვნებისა და მათთან და სხვა მოწმეებთან თაეიანთი ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ.

მოწმე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ან მომკვლევის მიერ გამოძახებული პირი, რომელმაც ჩვენება უნდა მისცეს სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ. მოწმე შეიძლება იყოს ყველა, ვისთვისაც ცნობილია საქმის გარემოებანი. მოწმის სახით არ შეიძლება დამცველის (სისხლის სამართლის საქმეზე) ან წარმომადგენლის (სამოქალაქო სამართლის საქმეზე) დაკითხვა იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც ცნობილი გახდა მათთვის, როგორც სასამართლო პროცესის მონაწილეთათვის, აგრეთვე იმ პირის დაკითხვა, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია აღიქვას ფაქტი ან სწორად მისცეს ჩვენება. მოწმე შეიძლება გამოიძახონ, როგორც საქმეში მონაწილე პირთა შუამდგომლობით, ისე მომკვლევი პირის, გამომძიებლის ან სასამართლოს ინიციატივით. მოწმე შეუცველია, ამიტომ მისი აცილება არ შეიძლება. მოწმე მოვალეა გამოცხადდეს გამოძახებისთანავე და მისცეს ჩვენება მშობლიურ ენაზე, მოითხოვოს მისი ჩვენების ზუსტი ჩაწერა და სხვა. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდებისათვის, აგრეთვე შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმეს დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მოწმის ჩვენების სისწორე მტკიცდება სასამართლოს და სხეათა შინაგანი რწმენით.

მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია სასამართლოს ფსიქოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მოწმის დაკითხვისა და იურიდიული ფაქტის შესახებ არსებული ინფორმაციის აღდგენისა და გადმოცემის ფსიქოლოგიურ თავისებურებებსა და კანონზომიერებებს სამართლებრივი ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. მოწმის ჩვენების სანდოობა დამოკიდებულია მოწმის ასაკობრივ თავისებურებებზე, ინტელექტუალური განვითარების დონეზე, სულიერების ხარისხზე, აღქმის, მეხსიერების, ფანტაზიის ზნეობის და სხვა მსგავს და გარემომცველ ფაქტორებზე და კანონზომიერებაზე, მის თვისებებსა და დამოკიდებულებაზე გამოძიების და სასამართლოს სხეადასხვა კომპონენტის მიმართ.

მოწმობა 1. ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მფლობელის ვინაობას, მის სამართლებრივ სტატუსს (მაგ., მუშაობის ადგილს, დაკავებულ თანამდებობას ე.წ. სამსახურის მოწმობა). პიროვნების მოქალაქეობის ვინაობის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტია პასპორტი. ზოგჯერ (მაგ., მოსამსახურეთათვის) პასპორტს ცვლის მოწმობა, რომელიც ერთდროულად სამსახურეობრივი მოწმობაცაა და პირადობის მოწმობაც; 2. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იურიდიულ მნიშვნელობის მქონე განსაზღვრულ უფლებას ან ფაქტს (მაგ., სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში მონაწილეობის უფლება).

მოწმობა – არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მუშაკის პირადობას და მის თანამდებობას. ჩვეულებრივ იგი იწერება სპეციალური სტამბური წესით დაბეჭდილ ბლანკზე (მაგალითად, მილიონების მოწმობა). ასეთი მოწმობის შეუსება არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს.

მოწმობის შედგენილობა ასეთია:

1. დაწესებულების კუთხის შტამპი, რომელზედაც აღნიშნულია სარეგისტრაციო ნომერი და მოწმობის გაცემის თარიღი;

2. წარწერა;

3. ვის მიეცა ცნობა (გვარი, სახელი, მამის სახელი);

4. რას ადასტურებს იგი?

5. თუ აუცილებელია, უნდა აღინიშნოს, რა დოკუმენტის საფუძველზეა გაცემული მოწმობა (დოკუმენტის თარიღი, ნომერი და დასახელება);

6. რა ვადითაა გაცემული მოწმობა?

7. პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერა და ბეჭედი.

მოწმობა დაბადების შესახებ – იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ბავშვის დაბადების ფაქტს და წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელიც ამტკიცებს ბავშვის პიროვნებას, ასევე არასრულწლოვანისას მის მიერ პასპორტის მიღებამდე გარკვეულ ასაკის დადგომასთან დაკავშირებით. ბავშვის რეგისტრაცია ხდება მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით მმაჩის ან სხვა სათანადო ორგანოს მიერ. განცხადების შეტანა უნდა მოხდეს ბავშვის ფაქტიური დაბადების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. მმაჩის ან სხვა სათანადო ორგანო ახორციელებს საარქივო ჩანაწერს და გასცემს მოწმობას დაბადების შესახებ; ამ დოკუმენტში ჩართული მონაცემები უნდა იყოს საარქივო ჩანაწერის იდენტური. დაბადების შესახებ მოწმობის ბლანკები წარმოადგენენ მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტებს. დაბადების შესახებ მოწმობაში ჩანაწერის შინაარსი შეიძლება სადავო გახდეს სასამართლო წესით. რიგ ქვეყანაში დაბადების შესახებ მოწმობას ეწოდება მეტრიკა, ხოლო სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერის წიგნს – მეტრიკის წიგნი.

მოწმობა მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ – დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს მემკვიდრეზე უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლას. ის არ წარმოადგენს უფლების წარმომქმნელ დოკუმენტს. მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ მოწმობა არ წარმოადგენს საჯაღდებულოს, თუმცა ის აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ობიექტზე (უძრავ ქონებაზე) უფლების შემდგომი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგისტრაცია (ავტოტრანსპორტი). კერძო პრაქტიკით დაკავებულ ნოტარიუსებს უფლება აქვთ გასცენ მოწმობა მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ და მიიღონ ზომები მემკვიდრეობის დაცვისთვის იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო მხარეში არაა სახელმწიფო სანოტარო კანტორა. მოწმობა მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ გაიცემა მემკვიდრეთა წერილობითი განცხადებით (განცხადება მემკვიდრეობის შესახებ [illegible] განცხადება). განცხადებაზე მემკვიდრის ხელმოწერის ნამდვილობა უნდა იყოს დადასტურებული. მოწმობა მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ გაიცემა ყველა მემკვიდრეზე ერთად ან ცალ-ცალკე. მემკვიდრის პირადი გამოცხადება მოწმობის მისაღებად არაა საჯაღდებულო, მისი თხოვნით მოწმობა შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით.

კანონით მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ მოწმობის გაცემისას ნოტარიუსი ამოწმებს მემკვიდრეობის გადამცემის სიკვდილის ფაქტს, მემკვიდრეობის გახსნის დროსა და ადგილს, ნათესაური ან სხვა ურთიერთობების არსებობას, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს მემკვიდრეობისათვის გამოძახებისთვის, სამემკვიდრეო ქონების შემადგენლობასა და ადგილსამყოფელს.

ანდერძის მიხედვით მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ მოწმობის გაცემისას ნოტარიუსი ამოწმებს მემკვიდრეობის გადამცემის სიკვდილის ფაქტს, ანდერძის არსებობას, მემკვიდრეობის გახსნის დროსა და ადგილს, სამემკვიდრეო ქონების შემადგენლობასა და ადგილსამყოფელს, რომელზეც გაიცემა მოწმობა, არკვევს იმ პირთა წრეს, რომლებსაც აქვთ უფლება მემკვიდრეობაში საჯაღდებულო წილზე, ასევე სანოტარო კანტორიდან მოითხოვს ცნობებს იმის შესახებ, ხომ არ გაუქმებულა ის. შესაძლებელია დამატებითი მოწმობის გაცემა, მაგალითად, იმ მემკვიდრეების გამოცხადების შემთხვევაში, რომლებიც შესული არ იყვნენ ადრე გაცემულ მოწმობაში.

მოხარაზე გადასახადი ძველ საქართველოში, ეს ტერმინი მოხსენიებულია 1202 წლის თამარ მეფის სიგელში.

მოხელე თანამდებობის პირის ზოგადი სახელწოდება ძველ საქართველოში. მოხელე წარმოდგა სიტყვა „ხელის"-გან და ნიშნავდა ძალაუფლებას, თანამდებობას, საკუთრებას. ბრძანების გაცემის უფლებით აღჭურვილი „მოხელე" ხელისუფლად იწოდებოდა. ხელისუფლების ბრძანების აღმსრულებელ მოხელეს კი „საქმის მოქმედი" ერქვა. არსებობდა „დიდნი" და „მცირენი საქმის მოქმედნი". „დარბაზის რიგის მოხელეები იყვნენ „ეექვსეულნი", დიდებულებს ეკავათ უმაღლესი თანამდებობები და ყველა ესენი იყვნენ „დიდნი". „მცირე" მოხელეებად ინიშნებოდნენ მეფის აზნაურები და მსახურები. ადმინისტრაციულ ერთეულებში დანიშნულ მოხელეებს „საქვეყნოდ გამრიგე მოხელე" ეწოდებოდათ. თანამედროვე საქართველოშიც ფართოდ გამოიყენებოდა სიტყვა სახელმწიფო მოხელე და ნიშნავს სახელმწიფო სამსახურში მყოფ ჩინოვნიკს.

მოხსენებითი ბარათი – წარმოადგენს წარმოებათა და დაწესებულებათა მუშაკების მიერ თავიანთი ხელმძღვანელებისათვის წარდგენილ ცნობას იმ

საკითხების შესახებ, რომლებიც მათ სამსახურებრივ საქმიანობას ეხება.

მოხსენებითი ბარათი თავისი დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს: ანგარიშის, ინიციატივის ან ინფორმაციის ხასიათისა.

ანგარიშის ხასიათის მოხსენებითი ბარათი წარმოადგენს სამსახურებრივი დავალებისა და მოვალეობის შესრულების ანგარიშს. მაგალითად, გეგმის შესრულების, შემოწმების შედეგების, სამივლინებო დავალებების შესრულების შესახებ და სხვა.

ინიციატივის ხასიათის მოხსენებითი ბარათი წარედგინება სამსახურებრივ უფროსს ან ხელმძღვანელს მუშაკის პირადი წამოწყების შესახებ. მასში გამოთქმულია სხვადასხვა აზრი და დასაბუთებულია ღონისძიებანი, რომლებიც ორგანიზაციისა და წარმოების პროგრესს რაციონალიზაციის, ეკონომიის რეჟიმს, სოციალისტური საკუთრების შენახვასა და დაცვას, მუშაკთა შერჩევას, მათ განაწილებასა და სხვას ეხება.

ინფორმაციის ხასიათის მოხსენებით ბარათში მოცემულია ინფორმაცია რაიმე მოვლენის ან შემთხვევის შესახებ. მოხსენებითი ბარათის შინაარსი მოკლე უნდა იყოს, მასში მოტანილია ფაქტები – სწორი და ნამდვილი, წინადადებები – ზუსტად ჩამოყალიბებული (ფორმირებული).

მოხსენებითი ბარათი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. თანამდებობა და გვარი იმ ხელმძღვანელისა, რომელსაც ეხება მოხსენებითი ბარათი.

2. მომხსენებლის თანამდებობა, გვარი, სახელი და მამის სახელი.

3. დოკუმენტის დასახელება (სათაური).

4. მოხსენებითი ბარათის მოკლე შინაარსი, ე.ი. რა საკითხს ეხება იგი (იმ შემთხვევაში, თუ მოხსენებითი ბარათი დიდი მოცულობისაა).

5. მოხსენებითი ბარათის ტექსტი.

6. თუ საჭიროა, უნდა ჩამოითვალოს დანართები ფურცლების რაოდენობის აღნიშვნით.

7. მოხსენებითი ბარათის შედგენის თარიღი.

8. იმ თანამდებობის პირის ხელმოწერა, რომელიც წარადგენს მოხსენებით ბარათს.

მპარავთმძებნელი ფეოდალურ საქართველოში საგანგებოდ შექმნილი სასამართლო-სამძებრო დაწესებულების თანამდებობის პირი, რომელსაც ეკალებოდა ქურდობა-მტაცებლობის საქმეზე დამნაშავეთა დადგენა და გასამართლება.

მრავალბრუნვიანი ტარა – ტარა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაერთხელ როგორც ანალოგიური პროდუქციის ან ნაწარმის ყუთი, ბალონი, ტომარა შეკრულებით, მყიდველი (მიმღები) ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს მრავალბრუნვიანი ტარა და დასაკეტების საშუალებები, რომლებშიც მოხდა საქონლის მიწოდება კანონით ან სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესითა და ვადებში. სხვა დანარჩენი ტარა, ასევე საქონლის საფუთავი ექვემდებარება მიმწოდებლისთვის დაბრუნებას მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მრეწველობისა და სხვა სპეციალური დანიშნულების მიწები – 1) მიწის ერთ-ერთი კატეგორია; 2) დასახლებათა შტრიხების ფარგლებს გარეთ განლაგებული და მრეწველობის ობიექტების დასაწ ორგანიზაციების საქმიანობის ან სხვა სპეციალური დანიშნულების მიწების შემადგენლობაში შედის მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, ინფორმატიკის მიწები; კოსმოსური საქმიანობისთვის, თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული მიწები, სხვა სპეციალური დანიშნულების მიწები.

მსახურობის ვადა – გამოუყენებელი საქონლის დამამზადებლის მიერ მონიშნული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მომხმარებელი უზრუნველყოფილია საქონლის დანიშნულებისამებრ უსაფრთხო გამოყენების შესაძლებლობით. მსახურობის ვადის ამოწურვის შემდეგ გამოყენება ხდება საშიში ან საჭიროების მრავალრიცხოვანი რეჟიმით, ან თუ ხელშეკრულებით რა თქმა უნდა მიზანშეწონილია. მსახურობის ვადა იანგარიშება საქონლის მყიდველისთვის (დამკვეთისთვის) გადაცემის დღიდან, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა ხელშეკრულებით. თუ გადაცემის დღის დადგენა შეუძლებელია, ეს ვადები იანგარიშება საქონლის დამზადების დღიდან. მსახურობის ვადის განმავლობაში გამყიდველი (დამამზადებელი) პასუხს აგებს არსებით ნაკლოვანებებზე. საქონლის არსებითი ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს დამამზადებელს წაუყენოს მოთხოვნა ასეთი ნაკლოვანებების უსასყიდლოდ აღმოფხვრის შესახებ, თუ დაამტკიცებს, რომ ისინი წარმოიქმნა საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემამდე, აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება წამოყენებულ იქნეს, თუ საქონლის ნაკლოვანებები აღმოჩენილია საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემის დღიდან ორი წლის ამოწურვის შემდეგ, მაგრამ საქონელზე დადგენილი მსახურობის ვადის ფარგლებში ან საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემიდან ათი წლის განმავლობაში, თუ დადგენილი არაა მსახურობის ვადა. თუ აღნიშნული მოთხოვნა არაა დაკმაყოფილებული მისი წამოყენებიდან ოცი დღის განმავლობაში, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზარალების ანაზღაურება მომხმარებლის ან მესამე პირის მიერ ნაკლოვანებების გამოსწორებაზე, საქონლის ანალოგიური მარკის საქონლით გაცვლა ან მისი უკან დაბრუნება და გადახდილი თანხის დაბრუნება. იხ. ასევე ვადები.

მსახურთუხუცესი ფეოდალურ საქართველოში მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირი, XIII საუკუნიდან ვეზირი, რომელიც მეჭურჭლეთუხუცესთან ერთად „ორთა ვაზირთა" ჯგუფს შეადგენდა. მსახურთუხუცესი განაგებდა სალაროს, მეფის საწოლს და მის კერძო მეურნეობას. მას ექვემდებარებოდნენ „მსახურნი მეფისა": მოლარეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი და სხვა მოხელეები.

მსაჯულთუხუცესი ფეოდალურ საქართველოში მთავარი მსაჯული. სასამართლო უწყების ხელმძღვანელი, რომლის „ხელისა იყვნენ ყოველნი მსაჯულნი, ბჭენი, ხელისბერნი, ხელისაულნი" და სხვა სასამართლო მოხელეები. მოგვიანებით მსაჯულთუხუცესს მდივანბეგი ეწოდებოდა.

მსაჯული 1) საქმის პირველი ინსტანციით განმხილველი სასამართლოს წევრი, რომელიც აღჭურვილია მოსამართლის ყველა უფლებამოსილებით. საქართველოს კანონმდებლობით, მსაჯულები მონაწილეობენ მხოლოდ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში საქმის განხილვისას; 2) ფეოდალურ საქართველოში მსაჯული ნიშნავდა საერთოდ მოსამართლეს, საქმის განსჯისა და გადაწყვეტის უფლებამოსილების მქონე პირს.

მსხვერპლი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც იურიდიული პასუხისმგებლობის გამომწვევი ქმედებით ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიადგა ზიანი, მათ შორის, სხეულის დაზიანება, მორალური ზიანი, ემოციური ტანჯვა, მატერიალური ზარალი ან მათი ძირითადი უფლებების არსებითი შელახვა მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად, რაც არღვევს სახელმწიფოს მოქმედ ეროვნულ სისხლის სამართლის კანონებს, მათ შორის იმათაც, რომლებიც კრძალავენ ძალაუფლების დანაშაულებრივად ბოროტად გამოყენებას.

მსჯავრდებულისათვის აკრძალული და დასაშვები ნივთები

„მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის №366 ბრძანება

დანართი №1 – ჩამონათვალი იმ ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებების, საკვები პროდუქტების და დოკუმენტებისა, რომელთა გაყიდვა და გამოყენება ეკრძალებათ მსჯავრდებულებს

1. საშოკოლადო ბრუნვიდან ამოღებული საგნები, ნივთები და ნივთიერებები.

2. ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ყველა სახეობა.

3. სატრანსპორტო საშუალებები.

4. ფეთქებადი, მომწამლავი და ცეცხლსაშიში ნივთიერებები.

5. ფული, ფასეული ნივთები, ფასიანი ქაღალდები.

6. ოპტიკური ხელსაწყოები.

7. საკვები პროდუქტები, რომლებიც საჭიროებენ სითბურ დამუშავებას (ყავა-ჩაის გარდა), საფუარი, შაქარი.

8. ალკოჰოლური სასმელების ყველა სახეობა, ლუდი.

9. სუნამოები, ოდეკოლონები და სხვა სპირტზე დამზადებული ნივთიერებები.

10. წამლები და ნარკოტიკული ნივთიერებები, სამედიცინო დანიშნულების საგნები.

11. გადასამრავლებელი აპარატები.

12. დანები, სხეა ბასრი და მჩხვლეტაეი საგნები, სანთებლები.

13. ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები.

14. ბანქო.

15. ფოტოაპარატები, ფოტომასალები, ქიმიკატები, ვიდეოკამერები.

16. მობილური ტელეფონები.

17. ნებისმიერი დოკუმენტი (სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა).

18. ტოპოგრაფიული რუკები და კომპასები.

19. დაუდგენელი ნიშნების სამხედრო და სხვა ფორმის ტანსაცმელი და ამ სახეობის ტანსაცმელს მიკუთვნებული ზედა სამოსი, ქუდები და ფეხსაცმელი.

20. ფერადი ფანქრები, საღებავები, კოპირების ქაღალდები.

დანართი №2 – ჩამონათვალი იმ ნივთებისა და საგნებისა, რომლებიც მსჯავრდებულებს უფლება აქვთ თან იქონიონ, მიიღონ ამანათებით, გზავნილებით, ბანდეროლებით და შეიძინონ დაწესებულების მაღაზიებში

1. თამბაქო და ასანთი.

2. ტანსაცმელი, ქუდი, ფეხსაცმელი და მსჯავრდებულისათვის დადგენილი ნიშნების საწოლის ნივთები.

3. საცვლები (თბილი და უბრალო).

4. ცხვირსახოცები, ქამრები, წინდები, კოლგოტკები, ხელთათმანები, ოთახის ფლოსტები, სპორტული ფეხსაცმელი, ძაფები, მოსასხამები, პირსახოცები.

5. ტუალეტის ნივთები (ტუალეტის და საყოფაცხოვრებო საპონი, კბილის ჯაგრისი, კბილის ფხვნილი, კბილის პასტა, ხელსაცხებელი, საკარცხელი, თმის სამაგრი სავარცხელი).

6. თაესაფრები, რეტუზები, ქამრები, ბიუსტჰალტერები, მარლა, ჰიგიენური პაკეტები, თმის სამაგრები, ვაზელინი, ბამბა, შამპუნი, კოსმეტიკური ნივთები (ქალებისათვის).

7. სარკე, მექანიკური, ელექტრო ან ერთჯერადი სამართებელი.

8. ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ჯაგრისები, ფეხსაცმლის საცხი.

9. ჭურჭელი, პლასტმასისაგან დამზადებული სათვალის, საპნისა და კბილის ჯაგრისის ბუდეები, ჭიქები და კოვზები.

10. სამაგიდო თამაშები, გარდა ბანქოსი.

11. სახელმძღვანელოები, რეეულები, საფოსტო კონვერტები, ღია ბარათები, საფოსტო მარკები, უბრალო ფანქრები, ავტოკალმები, მელანი და შავი, ცისფერი და იისფერი ავტოკალმის ღერები.

12. ლიტერატურა.

13. ფოტოგრაფიები, ფოტოალბომები.

14. სპორტული ტანსაცმელი.

15. ქარხნული წარმოების ელექტრომადუღარები.

16. არაძერიფასი ლითონებისაგან დამზადებული ჯერები და საკულტო საგნები.

17. ყავარჯნები, ხის ტროსტები, პროტეზები, ინვალიდის ეტლები (ექიმის ნებართვით),

18. არაძერიფასი ლითონებისაგან დამზადებული მაჯისა და ყიბის საათები.

19. ტელეეიზორები, რადიომიმღებები, ვიდეო ან აუდიო მაგნიტოფონები, საბეჭდი საშუალებები.

მსჯავრდებული პირი, რომლის მიმართაც სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. მსჯავრდებულის უფლებათა შეზღუდვა განისაზღვრება კანონით.

მსჯავრდება – სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

მსჯავრდებული ვალდებულია: ა) შეასრულოს მო-

ქალაქთა დადგენილი ვალდებულებები; დაიცვას ქცევის საზოგადოებრივი ნორმები; ბ) დაიცვას სასჯელის მოხდის წესი და პირობები; გ) შეასრულოს სასჯელის აღმასრულებელი დაწესებულებების მოთხოვნები; დ) ღირსეულად მოეპყრას პერსონალს, სხვა მსჯავრდებულებს და სასჯელის აღმსრულებელ დაწესებულებებში მოსულ პირებს.

მსჯავრდებულებს უფლება აქვთ: ა) მიიღონ ინფორმაცია საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების, სასჯელის მოხდის პირობების შესახებ; ბ) პერსონალის მხრიდან ღირსეულ მოპყრობაზე; გ) არ შეიძლება მოექცნენ სამდღიურონ და სხვა სახის ცდების ქვეშ; დ) მიმართონ წინადადებებით, განცხადებებით, საჩივრებით ზემდგომ ორგანოებს; ე) ჰქონდეთ მიმოწერა; ვ) ჯანმრთელობის ორცვის და სამედიცინო დახმარების; ზ) მიიღონ პენსია და სოციალური დახმარება; თ) ისარგებლონ ადვოკატის მომსახურებით; ი) პირადი უსაფრთხოებით.

მსჯავრდებულს გააჩნია სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება. ამ უფლების განხორციელება წარმოადგენს ნებაყოფლობითს და ის არ უნდა არღვეედეს დაწესებულების შინაგანაწესს.

საკითხი ნასამართლობის მოხსნის შესახებ განიხილება სასჯელმოხდილი პირის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. შუამდგომლობის განხილვისას ხდება იმ პირის განმარტებების მოსმენა, რომელმაც ის შეიტანა და გამოკვლეული ხდება საქმის მასალები. პირი ითვლება ნასამართლეულად სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან და ნასამართლეობის დაფარვის ან მოხსნის მომენტამდე. მსჯავრდებულის უმწიკვლო ქცევის დროს სასამართლოს წინაშე შესაძლებელია შუამდგომლობის დაყენება ნასამართლეობის ვადაზე ადრე მოხსნამდე. ნასამართლეობის დაფარვა ან მოხსნა ახდენს ნასამართლეობასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი შედეგის ანულირებას.

მსჯავრდებულის გამოსწორება –

მსჯავრდებულის ფაქტი დამოკიდებულების ფორმირება ადამიანის, საზოგადოების, შრომის, ნორმების, წესებისა და ტრადიციების მიმართ და სამართლებრივი ქცევის სტიმულირება. მსჯავრდებულის გამოსწორების ძირითად ნიშნებს წარმოადგენს: სასჯელის მოხდისა და აღსრულების დადგენილი წესი, აღმზრდელობითი მუშაობა, ზოგადი განათლების მიღება, პროფესიული მომზადება და საზოგადოებრივი ზემოქმედება. მსჯავრდებულის გამოსწორების საშუალებები გამოიყენება სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის, მსჯავრდებულთა პიროვნებისა და მათი ქცევის გათვალისწინებით.

მსჯავრდებულის ნათესავებსა და ახლობლებთან შეხვედრის უფლება

– მუხლი №516 (ამონარიდი – სსსკ)

განაჩენის გამოცხადებისთანავე პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის წერილობითი თხოვნით, თავმჯდომარე ვალდებულია მისცეს მის ნათესავებსა და ახლობლებთან შეხვედრის ნება.

მტკიცება სისხლის სამართლის პროცესში მოქმედების, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს კანონით რეგლამენტირებული საქმიანობა მტკიცებულებათა შეკრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესში, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სსსკ 112-ე მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს: ა) დანაშაულის შემთხვევა (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი და სხვა გარემოებები); ბ) ბრალდებულის ან სხვა პირის ქმედება, რომლის მიმართაც წარმოებს პროცესი; გ) ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი; დ) ბრალი, დანაშაულის მიზანი და მოტივი; ე) გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე და რაც ახასიათებს მის პიროვნებას; ვ) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა; ზ) გარემოებანი, რომლებიც განაპირობებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლებას ან სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებების გამოყენებას. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალდებული ვალდებული არ არის ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. სამოქალაქო პროცესში თითეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რაზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ თავისუფლად, თავისი შინაგანი რწმენით (სსსკ, მუხლი 110, 132; სამ. სას. კოდექსი, მუხლი 102–105).

მტკიცებულებები ნაწილი II (ამონარიდი)

საპროცესო კანონმდებლობის 44-ე მუხლის 34-ე პუნქტი ასევე განმარტავს, თუ რა არის სისხლის სამართლის საქმე (ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება)

სისხლის სამართლის საქმე – საგამოძიებო და სასამართლო ოქმების, დოკუმენტების, ექსპერტების დასკვნების, ნივთიერ და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა.

მტკიცებულებებია კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზედაც მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ადგენენ, არსებობს თუ არა მოვლენა ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს. (სსსკ, მუხლი 110, პუნქტი 1).

მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში დასაშვებია:

ა) ექვემიტანილის ჩვენება;
ბ) ბრალდებულის ჩვენება;
გ) განსასჯელის ჩვენება;
დ) დაზარალებულის ჩვენება;
ე) მოწმის ჩვენება;
ვ) ექსპერტის ჩვენება;
ზ) ნივთიერი მტკიცებულებანი;
თ) საგამოძიებო მოქმედების, სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმები;
ი) სხვა დოკუმენტები.

კ) ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომლის მოპოვებისას ადგილი არ ჰქონია პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევას. ამ შემთხვევაში ფარული გადაღების მწარმოებელი პირი დაკითხული უნდა იქნეს სასამართლოში მოწმის სახით ფარული ჩანაწერის წარმომავლობასთან დაკავშირებით. (სსსკ, მუხლი 110, პუნქტი 2).

მტკიცებულება (დაუშვებელი მტკიცებულება) მუხლი 111 (საქ. სისხლის სამართლის პროცესი)

1. მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია:

ა) იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი არ არის შეკრიბოს მტკიცებულებანი ამ საქმეზე;

ბ) კანონით გაუთვალისწინებელი წყაროდან;

გ) კანონით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების ამუწყად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით;

დ) პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი ან რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს, რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.

2. ბრალდების მტკიცებულებათა დასაშვებობისა და დაცვის მტკიცებულებათა დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.

3. მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით (განჩინებით).

4. დაუშვებლად მიჩნეული მტკიცებულება ამოიღება სისხლის სამართლის საქმიდან და ინახება პროცესის მწარმოებელი ორგანოს კანცელარიაში სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადის განმავლობაში.

5. დაუშვებლად მიჩნეული ბრალდების მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს დაცვის შუამდგომლობით. (სსსკ, მუხლი 111).

გარემოებები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე

სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს:

ა) ბრალდებულის ან სხვა პირის მოქმედება ან უმოქმედობა;

ბ) მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი;

გ) ბრალი;

დ) გარემოებები, რომლებიც გაელენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას;

ე) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა. (სსსკ, მუხლი 112).

გარემოებები, რომლებიც დგინდება მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშე. პრეიუდიციები

1. მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოკვლევის გარეშე მიიღება:

ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები;

ბ) ადრე ნასამართლობაზე განაჩენის ასლი, თუ არც ერთი მხარე და არც პროცესის მწარმოებელი ორგანო ამ ფაქტს საეჭვოდ არ ხდიან და არ მოითხოვენ მის შემოწმებას.

2. მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშე არსებულად ითვლება პრეიუდიციები, რომლებიდანაც გამომდინარეობს, რომ:

ა) სხვა სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება სავალდებულოა სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლისა და მოსამართლისათვის, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე საეჭვოდ არ ხდის ამ განაჩენის კანონიერებას;

ბ) სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება სავალდებულოა სასამართლოს, პროკურორისა და გამომძიებლისათვის სისხლის სამართლის საქმის იმ საკითხის გადასაწყვეტად, მოხდა თუ არა მოვლენა ან ქმედება, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე საეჭვოდ არ ხდის ამ გადაწყვეტილებას.

3. პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი შეიძლება უარყოს მხარემ, სასამართლოს განაჩენმა, სხვა შემაჯამებელმა გადაწყვეტილებამ ან დადგენილებამ, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებსა და მოსამართლეთა შინაგან რწმენას.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევაში გამომძიებელსა და პროკურორს უფლება აქვთ უარყონ პრეიუდიცია და საქმე გადასცენ სასამართლოს თავიანთი შინაგანი რწმენის საფუძველზე. სასამართლოს, რომელიც შინაგანი რწმენით შეაფასებს მტკიცებულებებს, უფლება აქვს გამოიტანოს განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება პრეიუდიციის მიუხედავად. ასეთი განაჩენი ან გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლისთანავე საქმესთან ერთად იგზავნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც გამოითხოვს იმ საქმეს, რომლის პრეიუდიციული მნიშვნელობაც უარყოფილია, და იმ მტკიცებულების შეფასების შემდეგ, რომელიც საფუძვლად უდევს ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებებს, აუქმებს ან ცვლის ერთ მათგანს და ძალაშიტოვებს მეორეს. (სსსკ, მუხლი 113).

მტკიცების პროცესის შემადგენელი ნაწილები

1. მტკიცება არის მტკიცებულებათა შეკრების, საპროცესო დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესი სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

2. ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, მტკიცებას ახორციელებს მხარეთა აქტიური მონაწილეობით. (სსსკ, მუხლი 127).

მტკიცებულებათა შეკრება

1. მტკიცებულებათა შეკრება ხდება წინასწარი გამოძიების, სასამართლო განხილვის, სააპელაციო წარმოებისა და განაჩენის აღსრულების პროცესში.

2. საკასაციო წარმოების სტადიაზე წარდგენილი ან გამოთხოვილი დამატებითი მასალა, რომელიც არ არის მტკიცებულება, თავისთავად ან საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთად შეიძლება გახდეს განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისა თუ შეცვლის საფუძველი.

3. სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით, აგრეთვე პროკურორსა და გამომძიებელს უფლება აქვთ: მათ წარმოებაში არსებულ საქმეზე ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით დაკითხვის, დასკვნის მიცემის მიზნით ექსპერტად გამოიძახონ ნებისმიერი პირი; ჩაატარონ დათვალიერება, შემოწმება, სხვა საგამოძიებო

მოქმედება; საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, კერძო პირს მოსთხოვონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების წარმოდგენა.

4. სასამართლო განხილვისა და სააპელაციო წარმოების სტადიებზე მტკიცებულებათა შეკრება სასამართლოს შეუძლია დაავალოს გამომძიებელს ან პროკურორს, თუ ამისათვის საჭიროა ჩხრეკა, ამოღება, გვამის ექსუმაცია ან სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარებაც სასამართლოს სხდომაზე ვერ ხერხდება. (სსსკ, მუხლი 128).

მხარეების მიერ მტკიცებულებათა შეკრება და წარდგენა

1. დამცველს, აგრეთვე დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ: შეაგროვონ მათ მარწმუნებელ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები, მათ შორის, გამოაელინონ და გამოითხოვონ ცნობა, დახასიათება და სხვა დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ასეთი მოთხოვნა; მიმართონ მცოდნე პირს, გამოთქვას თავისი აზრი საქმის გამო წამოჭრილი სპეციალური საკითხის განსამარტავად, ჩატარებული ექსპერტიზის შესაფასებლად და შეადგომლობის დასასაბუთებლად; მოიწვიონ ექსპერტი, ასევე საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტი დასკვნის დასადგენად; ისარგებლონ კერძო დეტექტივის მომსახურებით მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობების მისაღებად.

2. დამცველისა და წარმომადგენლის მიერ ოფიციალურად წარმოებული გამოძიების გარეთ მოპოვებული მასალები, დოკუმენტები, ცნობები უნდა დაერთოს საქმეს და შეიძლება წარედგინოს სასამართლოს, როგორც მტკიცებულებანი.

3. დამცველის დასაბუთებული მოთხოვნა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სავალდებულოა გამომძიებლისა და პროკურორისათვის. ამ მოქმედების ოქმი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო მისი ასლი გადაეცეს დამცველს, რომელსაც უფლება აქვს დაიმოწმოს ისინი ბრალდებულის უდანაშაულობის ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა დასამტკიცებლად.

4. ცნობები წერილობითი და ზეპირი ფორმით, აგრეთვე საგნები და დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება იყოს მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეზე, უფლება აქვს წარმოადგინოს აგრეთვე ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, დაზარალდებულმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ და მათმა წარმომადგენლებმა. (სსსკ, მუხლი 129).

მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრება მუხლი 130

1. მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესში, თუ ის საპროცესო წესით არის დამაგრებული, ესე იგი შეტანილია საგამოძიებო მოქმედების ან სასამართლო განხილვის ოქმში, რომელიც შედგენილია ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. ნივთიერი მტკიცებულება უნდა აღიწეროს ოქმში და დაერთოს საქმეს სპეციალური განჩინებით (დადგენილებით). ექსპერტის მიერ დადგენილი ცნობის საპროცესო წესით დამაგრება ხდება ექსპერტის მიერ სათანადოდ შედგენილი დასკვნით. სასამართლო მოქმედების ოქმი და დოკუმენტი საქმეს უნდა დაერთოს სპეციალურად გამოტანილი დადგენილების გარეშე.

1[1]. მხარეთა შუამდგომლობით, ექსპერტი უნდა დაკითხონ მხარეებმა სასამართლოში მის მიერ მიცემული წერილობითი დასკვნის თაობაზე. ამ შემთხვევაში წერილობითი დასკვნა მტკიცებულებით ძალას იძენს მხოლოდ ექსპერტის მიერ თავისი წერილობითი დასკვნის სასამართლოში მიცემული ჩვენებით დადასტურების შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექსპერტი გარდაიცვალა, იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ან თუ ამოწურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა შესაძლებლობა. მხოლოდ აღნიშნული დასკვნა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

2. დამცველისა და პროცესის სხვა მონაწილის მიერ წარმოდგენილი საგანი ან მასალა მტკიცებულების მნიშვნელობას იძენს მას შემდეგ, რაც პროცესის მწარმოებელი ორგანო გამოიტანს განჩინებას (დადგენილებას) სისხლის სამართლის საქმეზე მისი დართვის შესახებ. ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს უარი უთხრას პროცესის მონაწილეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საქმისათვის დართვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროცესის მწარმოებელი ორგანო ცნობს, რომ ეს მტკიცებულება არ განეკუთვნება საქმეს, ან როცა არ მიიჩნევს მას დასაშვებად. (სსსკ, მუხლი 130).

მტკიცებულებათა შემოწმება

მხარის მიერ შეკრებილი და წარდგენილი მტკიცებულებები ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა შემოწმდეს, რაც ითვალისწინებს მიღებულ მტკიცებულებათა ანალიზს, მათს შეკრებას სხვა მტკიცებულებებთან, ახალ მტკიცებულებათა შეკრებას, იმის გარკვევას, დაცული იყო თუ არა სათანადო პროცედურა მტკიცებულებათა გამოვლენისა და საპროცესო დამაგრების დროს. (სსსკ, მუხლი 131).

მტკიცებულებათა შეფასება

1. თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი დამოკიდებულების, დასაშვებობის, უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება მათი ერთობლიობით – დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით.

2. გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე მტკიცებულებას აფასებენ თავისუფლად, შინაგანი რწმენით.

3. ეჭვი დამნაშავედ პირის ცნობისათვის მტკიცებულების უტყუარობისა და მისი საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, თუ ეჭვი არ შეიძლება გაბათილდეს დამატებით მტკიცებულებათა შეკრებით.

4. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

5. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამორიცხვა შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. (სსსკ, მუხლი 132).

მტკიცებულებათა შეფასება შინაგანი რწმენით

1. არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით.

2. მტკიცებულებათა შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ გაარკვეს: მათი დამოკიდებულება საქმისადმი (შესაბამისობა), დაცული იყო თუ არა საპროცესო კანონი მათი შეკრებისას (დასაშვებობა), მათი უტყუარობა და საკმარისობა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით.

3. ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. (სსსკ, მუხლი 19).

მუხლი №123 – გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების შესახებ საქმის წარმოების დამთავრებამდე

1. საქმის წარმოების დამთავრებამდე გამოძიების ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს: მალფუჭებად საგნებს, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელ საგნებს, შინაურ პირუტყვს, ფრინველს, სხვა შინაურ ცხოველებს, თუ მათ ყადაღა არა აქვთ დადებული. საქმის წარმოების დამთავრებამდე გამოძიების ორგანომ მესაკუთრეს ან მფლობელს შეიძლება დაუბრუნოს სატრანსპორტო საშუალებები, თუ მათ ყადაღა არა აქვთ დადებული.

1[1]. თუ ნივთიერი მტკიცებულება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებას – საგანს, რომელიც მესაკუთრის (მფლობელის) ნების საწინააღმდეგოდ გაიდგა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმისმწარმოებელი ორგანო უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით წერილობით შესთავაზებს საგნის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს, თუ ასეთი პირი ცნობილია, დაიბრუნოს კუთვნილი საგანი. საქმისმწარმოებელმა ორგანომ წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს საგნის მესაკუთრეს (მფლობელს) მისი ვინაობის დადგენისთანავე. წერილობითი შეტყობინების მიღება დასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტით ან ამ შეტყობინებაზე მესაკუთრის (მფლობელის) ხელის მოწერით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამისად ოჯახის წევრის ანდა უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. საგნის მესაკუთრე (მფლობელი) წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 45 დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს თავისი კუთვნილი საგნის დაბრუნებასა და ტრანსპორტირებას. თუ მესაკუთრე (მფლობელი) აღნიშნულ ვადაში არ დაიბრუნებს თავის კუთვნილ საგანს, საქმისმწარმოებელი ორგანო უზრუნველყოფს მის შენახვას არა უმეტეს 3 თვისა. ასეთ შემთხვევაში თუ საგნის მესაკუთრე (მფლობელი) გადაწყვეტს საგნის დაბრუნებას, იგი ცენტრალურ ბიუჯეტში იხდის საგნის შენახვისა და მოვლის ხარჯებს, რომელთა ღირებული 1%-ს. საგნის შეფასებას ახორციელებს ექსპერტი. სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ საგანი გადადის სახელმწიფო საკუთრებაში და მისი განკარგვა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგნის მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი, არ არსებობს მისი კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი დაბრუნება შეუძლებელია სხვა მიზეზით, საგანი უნდა ჩაბარდეს შესაბამის ორგანიზაციას გამოსაყენებლად, შესანახად, მოსაელელად ან უნდა განხორციელდეს მისი განკარგვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი №122 – ნივთიერი მტკიცებულების შენახვა

1. ნივთიერ მტკიცებულებას ინახავს პროცესის მწარმოებელი ორგანო ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას.

2. ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც ან ნადგურდება ან მესაკუთრესა თუ მფლობელს არ უბრუნდება, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

3. სისხლის სამართლის საქმის წარმოების პირველ ეტაპზე საქართველოს ეროვნულ ბანკში უნდა ინახებოდეს მცირეასი ლითონები, ქვები და თვლები, უცხოური ვალუტა, საქართველოს ფულის ნიშნები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული საგნები ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, თუ მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს მათ ინდივიდუალურ ნიშნებს.

5. დიდგაბარიტიანი საგანი შეიძლება დარჩეს მის მფლობელთან ანდა ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელთან, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ საგნის დაცვაზე.

6. ექსპერტიზისათვის გასაგზავნი საგნები უნდა იყოს დალუქული, რაც დადასტურებული უნდა იქნეს გამომძიებლისა და სსსკ-ის 121-ე მუხლის 4[1] ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსწრის ხელმოწერით. ექსპერტისაგან მიღებული საგნები უნდა იყოს დალუქული ექსპერტის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით იგივე წესები უნდა იქნეს დაცული ნივთიერ მტკიცებულებათა ფოსტით გაგზავნისა და მიღების დროს.

მუხლი №498 – განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები (ამონარიდი)

1. განაჩენის დადგენისას სასამართლო თანამიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს:

ლ) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №3 – მტკიცებულებანი და მტკიცება

თავი №16 – მტკიცებულებათა სახეები

მუხლი №124 – გადაწყვეტილება ნივთიერ მტკიცებულებათა შესახებ საქმის წარმოების დამთავრების დროს (ამონარიდი)

1. განაჩენში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ;

გ) სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, ნადგურდება, ხოლო დაინტერესებული პირის ან დაწესებულების შუამდგომლობით, მას გადაეცემა;

ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ – კანონით დადგენილი ფორმით გამოხატული ცნობები, რომელთა საფუძველზეც სასამართლო ადგენს საქმის სწორი გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) არსებობას ან არარსებობას. ცნობები შეიძლება მიღებულ იქნეს მხარეთა და მესამე პირთა განმარტებებიდან, მოწმეთა ჩვენებებიდან, წერილობითი და ნივთმტკიცებებიდან, აუდიო- და ვიდეოჩანაწერებიდან, ექსპერტთა დასკვნებიდან.

სამოქალაქო საქმეებში მნიშვნელობის მქონე გარემოებებს (ფაქტებს) წარმოადგენს: ა) მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის იურიდიული ფაქტები ე.ი. ფაქტები, რომელთა არსებობას ან არარსებობასაც კანონი უკავშირებს სუბიექტების შორის მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოქმნის, ცვლილებისა თუ შეწყვეტის შესაძლებლობას; ბ) მტკიცებულებითი ფაქტები – ფაქტები, რომლებიც არის რა დადგენილი, საშუალებას იძლევა ლოგიკური გზით იქნეს გამოვლინილი როგორც იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტი; გ) ფაქტები, რომელთაც გააჩნია საპროცესო მნიშვნელობა. ამ ფაქტებს კანონი აკავშირებს სარჩელის წარმოუნების, საქმის წარმოების შეჩერების უფლების წარმოქმნას და სხვ. სასამართლო განსაზღვრავს, თუ რა გარემოებებია მნიშვნელოვანი საქმისთვის, რომელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ისინი. მასვე გამოაქვს გარემოებები განსახილველად, თუნდაც მხარეებს მათზე არ მიუთითებიათ.

იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტების სამი სახე არ მოითხოვს დადგენას მტკიცებულებების მეშვეობით: ა) სასამართლოს მიერ საყოველთაოდ ცნობილად აღიარებული ფაქტები. ფაქტის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება ხდება სასამართლოს მიერ ორი პირობით: ობიექტურის – ფაქტის გახმაურება პირთა ფართო წრეში; სუბიექტურის – ფაქტის სასამართლოსთვის (მოსამართლისთვის) ცნობის არსებობისას. როგორც წესი, საყოველთაოდ ცნობილს წარმოადგენს ისეთი ფაქტები, როგორიცაა გეზაუა, მიწისძვრა, ომი, წყალდიდობა. ამა თუ იმ ფაქტის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება დამოკიდებულია მოვლენის შემდეგ ამოწურულ დროზე, მოვლენის გარკვეულ ადგილას გაურცელებაზე. ფაქტის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება შეუძლია არა მხოლოდ პირველი ინსტანციის, არამედ საქმის საკასაციო და ზედამხედველობის წესით განმხილველ სასამართლოებს; ბ) პრეიუდიციალური (წინასწარ გადაწყვეტილი) ფაქტები ე.ი. სასამართლოს მიერ დადგენილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით .ან განაჩენით. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ერთ სამოქალაქო საქმეზე დადგენილი ფაქტების დამტკიცება არ ხდება კვლავ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას, რომლებშიც მონაწილეობენ იგივე პირები. სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა სასამართლოსთვის, რომელიც განიხილავს საქმეს პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც მოხდა სასამართლოს განაჩენის გამოტანა, მხოლოდ იმ საკითხებთან მიმართებაში, ჰქონდა თუ არა ამ მოქმედებებს ადგილი და მოხდა თუ არა მათი ჩადენა ამ პირის მიერ. კანონი პრეიუდიციალურ ფაქტებს არ განაკუთვნებს ადმინისტრაციული და საარკურორო-საგამოძიებო ორგანოების აქტებით დადგენილ ფაქტებს; გ) მხარის მიერ აღიარებული ფაქტები, თუ აღიარება სასამართლოს მიერაა მიღებული. სასამართლო არ იღებს აღიარებას, თუ ის მოხდა საქმის ნამდვილი გარემოებების დამალვის მიზნით ან მოტყუების, ძალადობის, მუქარის, კეთილსინდისიერი შეცდომის გავლენით.

სამოქალაქო საქმეების განხილვაში, როგორც წესი, მონაწილეობს ორი მხარე საპირისპირო ინტერესებით. მხარეები შეეცდებიანობის პრინციპითა და თავიანთი ინტერესებით წარმოადგენენ მტკიცებულებებს. ცდილობენ რა ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. გარკვეული ფაქტების დამტკიცების ვალდებულება ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ამტკიცებს მათ, ასაბუთებს ამით თავის მოთხოვნას ან საპირისპირო აზრს, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა კანონით. რიგ კანონებში არის გამორიცხვა ზოგადი წესიდან, რომელიც ფაქტის დამტკიცების ან მისი უარყოფის ვალდებულებას აკისრებს არა იმ მხარეს, რომელიც მას ამტკიცებს, არამედ საპირისპიროს (პრეზუმფცია), სამოქალაქო სამართალში ყველაზე გავრცელებულია ორი მტკიცებულებითი პრეზუმფცია: ა) ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფცია; ბ) პირის ბრალეულობის პრეზუმფცია, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან შეასრულა ის არასათანადოდ. ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაგაწყვეტისას მოსარჩელე თუმცა კი მიუთითებს მოპასუხეს ბრალეულობაზე, მაგრამ არაა ვალდებული დაამტკიცოს ის, როგორც ეს ზოგადი წესიდანაა გამომდინარე. კერძო სამართალი ცელის დამტკიცების ვალდებულებების განაწილებას: ზიანის მიმყენებელი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ზიანი მოხდა არა მისი მიზეზით. ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა იკარაუდება სამართლის ნორმით. ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფცია ერცელდება ყველა გარემოებაზე, რომელიც გამომდინარეობს ზიანის მიყენების ფაქტიდან, ვალდებულების არშემრულებელი ან არასათანადოდ შემრულებელი პირის ბრალეულობის პრეზუმფცია ასევე მკაფიოდაა გამოხატული კანონში. ბრალეულობის არარსებობა მტკიცდება ვალდებულების დამრღვევი პირის მიერ სასამართლოს შეეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით. მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმებში გათვალისწინებულია სხვა სახის პრეზუმფციაც.

მხარეთა განმარტებები სავალდებულოა· გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ საქმეში, რამდენადაც ესაა საწყისი მტკიცებულებითი მასალა, რომელზეც უფიძდება მხარეთა მოთხოვნები და საპირისპირო მოსაზრებები. განმარტებები შეიძლება მოცემულ იქნეს წერილობითი ან ზეპირი ფორმით. განმარტებების მიცემა მხარის უფლებაა, ამიტომ კანონმდებლობის მიერ გათვალისწინებული არაა სანქციები ცრუ განმარტებების მიცემაზე ან მათ მიცემაზე უარის თქმაზე.

მოწმეს წარმოადგენს პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს რაიმე გარემოებების შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის. მტკიცებულებებს არ წარმოადგენს მოწმის მიერ მოცემული ცნობები, თუ მას არ შეუძლია დაამტკიცოს თავისი ცნობის წყარო. მოწმეების სახით დაკითხვას არ ექვემდებარება: ა) წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეზე ან დამცველები სისხლის სამართლის საქმეზე,

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის ან დამცველის ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) მოსამართლეები, ნაფიცი მსაჯულები, სახალხო ან საარბიტრაჟო მსაჯულების – საკითხების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა სათათბირო ოთახში საქმის გარემოებების განხილვასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოტანისას; გ) რელიგიური ორგანიზაციების მღვდელმსახურები, რომელთაც გაიარეს სახელმწიფო რეგისტრაცია – აღსარებისას მათთვის ცნობილი გარემოებების შესახებ. მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე უარი შეუძლია თქვას: ა) მოქალაქემ საკუთარი თავის წინააღმდეგ, ბ) მეუღლემ მეუღლის წინააღმდეგ, ბავშვებმა, მათ შორის ნაშვილებმაც შვილად ამყვანი მშობლების, მშობლებმა შვილების, მათ შორის შვილად აყვანილის წინააღმდეგ; გ) ძმებმა, დებმა ერთმანეთის, ბაბუებმა, ბებიებმა შვილიშვილების და შვილიშვილებმა ბაბუების, ბებიების წინააღმდეგ; დ) საქანონმდებლო ორგანოების დეპუტატებმა იმ ცნობებთან დაკავშირებით, რაც მათთვის ცნობილი გახდა დეპუტატის უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებით; ე) ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით უფლებამოსილმა პირმა იმ ცნობების თაობაზე, რაც მისთვის ცნობილი გახდა თავისი ვალდებულებების შესრულებისას.

წერილობითს წარმოადგენს მტკიცებულებები, რომელიც მოიცავს ცნობებს გარემოებების შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის, აქტები, ხელშეკრულებები, ცნობები, საქმიანი კორესპონდენცია, სხვა დოკუმენტები და ციფრული, გრაფიკული ჩანაწერის ფორმით შესრულებული მასალები, მათ შორის, ფაქსიმილიური, ელექტრონული ან სხვა სახის კავშირით მიღებული მასალები. წერილობით მტკიცებულებებს განეკუთვნება სასამართლოს გადაწყვეტილებები და განაჩენები, სხვა სასამართლო დადგენილებები, სარბიცესო მოქმედებების განხორციელების, სასამართლო სხდომების ოქმები, სარბიცესო მოქმედებების ჩატარების ოქმებისადმი დანართები (სქემები, რუკები, გეგმები, ნახაზები). წერილობითი მტკიცებულებების წარმოდგენა ხდება დედანის სახით ან სათანადოდ დამოწმებული ასლის ფორმით.

ნივთმტკიცებებს წარმოადგენს საგნები, რომლებიც გარეგნული ირით, თვისებებით, ადგილსამყოფელის ან სხვა ნიშნების მიხედვით შეიძლება წარმოადგენდნენ საქმის განხილვისა და გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას.

პირი, რომელიც წარმოადგენს აუდიო- და/ან ვიდეოჩანაწერს ელექტრონულ ან სხვა მატარებელზე ან აყენებს შუამდგომლობას მათი მოთხოვნის შესახებ, ვალდებულია მიუთითოს, როგორ, ვის მიერ და რა პირობებში ხორციელდებოდა ჩაწერა.

ექსპერტიზა ინიშნება საქმის განხილვის პროცესში წამოყენებული საკითხების არსებობისას, რაც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ხელობის სხვადასხვა დარგში. ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაევალოს სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებას, კონკრეტულ ექსპერტს ან რამდენიმე ექსპერტს. ექსპერტიზის ნიშნავს სასამართლო. ის ტარდება სასამართლო სხდომაზე ან სხდომის გარეთ, თუ ეს საჭიროა კვლევების სახის მიხედვით ან კვლევისთვის მასალების სხდომაზე წარმოდგენის შეუძლებლობისა თუ სიძნელის გამო. საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვს დაესწრონ ექსპერტიზას იმ შემთხვევების გარდა, როცა ასეთმა დასწრებამ შეიძლება ხელი შეუშალოს კვლევას, ექსპერტთა თათბირსა და დასკვნის შედგენას. ექსპერტი იძლევა დასკვნას წერილობითი ფორმით. დასკვნა უნდა შეიცავდეს ჩატარებული კვლევის დაწვრილებით აღწერას. თუ ექსპერტი ექსპერტიზის ჩატარებისას დაადგენს საქმის განხილვისა და გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა მიმართებაშიც არ იყო დასმული კითხვები, მას უფლება აქვს დასკვნები ამ გარემოებების შესახებ ჩართოს თავის დასკვნაში. სასამართლოს ექსპერტის დასკვნა არაა სავალდებულო და ფასდება სარბიცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით.

მტკიცებულებები წარმოადგენს საქმის უტყუარი გარემოებების დადგენის საშუალებებს. მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია განვიხილოთ მტკიცებულებები, როგორც: ა) პირდაპირი და ირიბი; ბ) თავდაპირველი და წარმოებული; გ) პირადი და საგნობრივი. პირდაპირი – მტკიცებულებები, რომელთა შინაარსსაც ერთმნიშვნელოვანი კავშირი აქვს საძიებელ ფაქტთან ე.ი. მტკიცებულების შინაარსიდან შეიძლება რამდენიმე საალბათო დასკვნის გაკეთება ფაქტების არსებობის ან არარსებობის შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმისთვის. ფაქტის არსებობა ან არარსებობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ირიბი მტკიცებულების საფუძველზე. ამ უკანასკნელის სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში ან რამდენიმე ირიბი მტკიცებულების შეჯამებამ შეიძლება მოგვცეს უტყუარი ცნობები საკვლევი ფაქტის შესახებ. თავდაპირველს წარმოადგენს უშუალოდ მტკიცებულების წყაროზე საკვლევი ფაქტის (მოვლენის, მოქმედების) ზემოქმედების პროცესში ჩამოყალიბებული მტკიცებულებები, რომლისგანაც შემდგომ საქმის განხილვისას მიღებული იქნება ინფორმაცია მოცემულ ფაქტზე. მაგალითად, ესაა დოკუმენტების დედანი ან მოწმის ჩვენებები, რომელიც იყო თვითმხილველი იმ მოვლენისა, რომლის არსებობას ან არარსებობას ადგენს სასამართლო საქმის განხილვის პროცესში. წარმოებული მტკიცებულებები აღადგენენ სხვა წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, მაგალითად, დოკუმენტების ასლები, ოქმები, რაც შედგენილია სასამართლო დავალების შესრულებისას, მოწმის ჩვენებები, რომლისთვისაც საკვლევი ფაქტების შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა სხვა წყაროებიდან, კერძოდ, სხვა პირებისგან. პირად მტკიცებულებებს განეკუთვნება მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტთა დასკვნები. პირადი მტკიცებულებები მათ ეწოდებათ იქიდან გამომდინარე, რომ ისინი გამომდინარეობენ ფიზიკური პირებიდან, რომლებიც ამავდროულად წარმოადგენენ საკვლევი ფაქტების შესახებ ცნობების წყაროებს. საგნობრივს განეკუთვნება წერილობითი და ნივთმტკიცებები ე.ი. არაცოცხალი ბუნების ობიექტები, რომლებიც შეიცავენ მოვლენების, მოქმედებების კვალს, ანაბეჭდს.

საქმეზე მიღებულ ყველა მტკიცებულებას სასამართლო აფასებს ცალ-ცალკე და ერთობლივად. მტკიცებულებათა შეფასება ხდება შემდეგი პრინციპების დაცვით: ა) სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით; ბ) მტკიცებულებები ფასდება

ყოველმხრივ, სრული მოცულობით და მიუკერძოებლად; გ) სასამართლოსათვის არანაირ მტკიცებულებას არ გააჩნია წინასწარ დადგენილი ძალა.

მტკიცებულებების გაყალბება – მტკიცებულებების შეგნებული დამახინჯება მათი გაყალბების, შესწორებების შეტანის გზით, რაც ამახინჯებს ნამდვილ არსს ანუ სახეზეა ცრუ ცნობები.

მტკიცებულებების გაყალბება სასიათდება მათ გაყალბებაზე, დამახინჯებაზე მიმართული მოქმედებით. ზოგადად ამგვარი მოქმედებების განხორციელება ხდება საქმის გარემოებების განზრახ არასწორი განმარტების მიზნით, საპროცესო გადაწყვეტილებების მიღებისას.

მტკიცებულებების შეგროვება – დამტკიცების სუბიექტების მიერ მათი უფლებამოსილებების ფარგლებში საპროცესო მოქმედებების განხორციელება, რომლებიც მიმართულია კანონით დადგენილი წესით მტკიცებულებების აღმოჩენაზე, მოთხოვნაზე, მიღებასა და განმტკიცებაზე. მტკიცებულებების შეგროვება წარმოადგენს მომხდარი მოვლენის ობიექტურად არსებული ქცალის აღქმასა და მათ საპროცესო ფიქსაციაზე მიმართული მოქმედებების სისტემას. მტკიცებულებები აღქმასა და განმტკიცებას პოულობს საქმის მასალებში გამომძიებლის, სასამართლოს მიერ. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ხდება კანონით დადგენილი წესით, რომლის დროსაც ხდება მტკიცებულებების შეგროვება. მტკიცებულებების შეგროვება ხდება: ა) იმ საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების წარმოების გზით, რომელთა ჩატარების ჩამონათვალი და წესი აღნიშნულია კანონში; ბ) საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან, თანამდებობის პირებისგან და მოქალაქეებისგან საგნების წარმოდგენის მოთხოვნის, რევიზიების წარმოების გზით; გ) პროცესის მონაწილეების, ასევე ნებისმიერი მოქალაქების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიღების გზით.

პროცესის მონაწილეებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ საგამოძიებო მოქმედებების წარმოების შესახებ მტკიცებულებების შეგროვების მხრივ, მაგრამ თავად მათ არ შეუძლიათ მტკიცებულებების შეგროვება საგამოძიებო გზით. მათ შეუძლიათ საქმის მწარმოებელ პირს წარუდგინონ ნივთები თხოვნით, რომ ისინი საქმეს დაურთონ ნივთმტკიცებების სახით, წერილობითი და სხვა დოკუმენტები. დაასახელონ პირები, რომლებიც შეიძლება დაიკითხონ მოწმეების, დაზარალებულების სახით, იშუამდგომლონ მათი გამოძახება გამომძიებელთან, სასამართლოში.

ბრალდებულის დამცველს, დაზარალებულის წარმომადგენელს (ადვოკატს) შეუძლია გამოითხოვონ დოკუმენტები დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და ისინი წარუდგინონ გამომძიებელს, სასამართლოს. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ტექნიკური საშუალებები: ვიდეო- და ხმოვანი ჩაწერა, ფოტო- და კინოაპარატურა, მაგალითად, ჩაიწერონ თვითმხილველის მონაყოლი და ა.შ. ეს მასალები შეიძლება გახდეს საფუძველი მოწმის სახით პირის გამოძახებისა და დაკითხვის შუამდგომლობის დასაბუთებისთვის.

მტკიცებულებების შეფასება – აზროვნებითი, ლოგიკური საქმიანობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს თითოეული მტკიცებულების დაშვებადობის, ფარდობითობის, უტყუარობის, მნიშვნელობის (ძალის) და მათი ერთობლიობის საკმარისობის განსაზღვრა დამტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დასადგენად. მტკიცებულებების შეფასება ხდება შინაგანი რწმენის მიხედვით. არანაირ მტკიცებას არ გააჩნია წინასწარ დადგენილი ძალა. მტკიცებულებების შეფასების სუბიექტებად ცნობილია მხოლოდ პროცესის ის სუბიექტები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საქმის წარმოებაზე და უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები საქმეზე.

შინაგანი რწმენით მტკიცებულებების შეფასებას ეწოდება მტკიცებულებების თავისუფალი შეფასება. თავისუფალი შეფასების პრინციპი სასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) კანონი არ მოუთითებს, თუ რა მტკიცებულებებით უნდა დადგინდეს ესა თუ ის გარემოება, არ ადგენს წინასწარ მტკიცებულებების ძალას, მტკიცებულებათა სახეობის უპირატეს მნიშვნელობას, საქმეზე ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად მტკიცებულებათა საკმარისობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს; 2) მტკიცებულებათა შეფასება ხდება შინაგანი რწმენით. ეს ნიშნავს, რომ ის თავისუფალია კანონში ადრე მითითებული შეფასების კრიტერიუმებისგან, მაგრამ ის არ შეიძლება იყოს თვითნებური. მის საფუძველში დევს საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა მათ ერთობლიობაში.

მუდმივი რენტა – რენტის ხელშეკრულების სახე (იხ. რენტის ხელშეკრულება). მუდმივი რენტის გადამხდელები შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი, მიმღები – ფიზიკური პირები და არაკომერციული ორგანიზაციები. დასაშვებია სარგებლის შემცნების განსაზღვრა. სამუდამო რენტისგან განსხვავებით მუდმივი რენტის გასხვისება შეიძლება ზოგადი წესით (მოთხოვნის უფლების დათმობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მემკვიდრეობით მიღება). მუდმივი რენტის ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრული არაა რენტის ოდენობა, წარმოადგენს დაუდებელს, თუ ხელშეკრულება არ ადგენს რენტის გადახდის წესს, ის ექვემდებარება გადახდას თითოეული კვარტალის დასრულებისას. გადამხდელს გაანია რენტის გამოსყიდვის უპირობო უფლება. მუდმივი რენტის ხელშეკრულებას შეუძლია აკრძალოს აღნიშნული უფლების რეალიზაცია რენტის მიმღების სიცოცხლეში ან გარკვეული დროის განმავლობაში. მუდმივი რენტის ხელშეკრულების გაწყვეტა მიმღების მოთხოვნით დასაშვებია გადამხდელის მიერ თავისი ვალდებულებების არსებითი დარღვევებისას. თუ ქონება უფასოდ გადაცემული, ასეთ შემთხვევაში გამოსასყიდი ფასი მოიცავს გადაცემული ქონების ფასს რენტის წლიური თანხის გარდა. გადამხდელისთვის უფასოდ გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკზე პასუხისმგებელია გადამხდელი. ქონების შემთხვევით დაღუპვისას რენტის გადახდის ვალდებულება არ წყდება. თუ ის ქონება შემთხვევით დაიღუპა ან დაზიანდა, რომელიც გადაცემულია გადახდაზე რენტის გადახდის ქვეშ, უარყოფით შედეგები ეცისრება მიმღებს, რენტის გადახდის ვალდებულება წყდება ან იცვლება მისი ოდენობა.

მუნიციპალური წარმონაქმნი – ქალაქის, სოფლის დასახლება ან რამდენიმე დასახლება, რომელიც გაერთიანებულია საერთო ტერიტორიით,

რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა, არსებობს მუნიციპალური საკუთრება, ადგილობრივი ბიუჯეტი და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი ორგანოები.

მუნიციპალური წარმონაქმნის საარჩევნო კომისია – ახდენს მუნიციპალური არჩევნების, ადგილობრივი რეფერენდუმის, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრის, დეპუტატის გამოწვევის თაობაზე კენჭისყრის, მუნიციპალური წარმონაქმნის საზღვრების ცვლილებების, მუნიციპალური წარმონაქმნის გარდაქმნის საკითხებზე ხმის მიცემის მომზადებისა და ჩატარების ორგანიზებას.

მუსლიმანური სამართალი სამართლის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა არაბთა სახალიფოში VII- სს-ში. მუსლიმანური სამართალი გავრცელდა ისლამის კალდაკვალ. თურქეთში იგი 1926 წლამდე მოქმედებდა, ლიბანში 1932 წლამდე, ერაყში 1951 წლამდე; ირანსა და ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში კი მას დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მუსლიმანური სამართლის წყაროდ ითვლება ყურანი, ყურანის დამატებები, წინასწარმეტყველ მუჰამედის (მაჰმადის) – მუსლიმთა კანონმდებლის ანუ „შარიათის" შეგონებები და გადაწყვეტილებები, ფეტვა – ყველაზე სახელმოხვეჭილი კანონცოდნეების სანიმუშო გადაწყვეტილებების კრებული; მუსლიმანური სამართლის არაოფიციალური წყარო იყო ადათი, რომელსაც კანონში არსებული ხარვეზის შესავსებად იყენებდნენ და მისთვის დამახასიათებელია რელიგიური და სამართლებრივი ნორმების შერწყმა. საპროცესო სამართალი არ ცნობდა. ჰაკაასაციო ინსტანციას.მუსლიმანური სამართალი ძირითადად კანონმცოდნეების კომენტარებით ვითარდებოდა. ცნობილი კანონმცოდნეები იყვნენ აბუ ჰანიფა, მალიქ იბნ ანასი, ალ-შაფიი და ამჟად იბნ ჰანბალი, რომლებიც მუსულმანური სამართლის მთავარი სკოლის ფუძემდებლად ითელებიან.

მუქარა – სიტყვიერად, წერილობით, მოქმედებებით ან სხვა ხერხით გამოხატული განზრახვა პირის ან საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ფიზიკური, მატერიალური ან სხვა სახის ზიანის მიყენებისა; პიროვნებაზე ფსიქიკური ძალადობის ერთ-ერთი სახე.

მუშაკების დისციპლინარული პასუხისმგებლობა – იურიდიული პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი სახე. ის წარმოადგენს მუშაკის ვალდებულებას მიიღოს სასჯელი შრომის სამართლის ნორმების შესაბამისად, საკუთარი ვალდებულებების მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ შეუსრულებლობაზე. მუშაკების დისციპლინარული პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იმ პირებთან მიმართებაშიც, რომლებმაც მოახდინეს დისციპლინარული გადაცდომა. მაშასადამე, ასეთი პასუხისმგებლობის საფუძველს ყოველთვის წარმოადგენს დისციპლინარული გადაცდომა, რომელიც კონკრეტული მუშაკის მიერაა განხორციელებული.

შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს მუშაკების დისციპლინარული პასუხისმგებლობის ორ სახეს: ზოგადსა და სპეციალურს. ზოგადი დისციპლინარული პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია შრომის შინაგანაწესით და ვრცელდება ყველა მუშაკზე იმათ გარდა, რომელთათვისაც დადგენილია სპეციალური დისციპლინარული პასუხისმგებლობა. დისციპლინარული სასჯელის დაკისრების უფლება აქვს ორგანიზაციის ხელმძღვანელს შინაგანაწესის თანახმად. შრომის დისციპლინის დარღვევებზე საშუალო მიმცემი იყენებს შემდეგ დისციპლინარულ სასჯელს: ა) შენიშვნა; ბ) საყვედური ან გაფრთხილებაა ან ორივე ერთად; გ) განთავისუფლება შესაბამისი საფუძვლებით. ეს ჩამონათვალი მუშაკების დისციპლინარული პასუხისმგებლობისთვის წარმოადგენს ამომწურავს.

სპეციალური დისციპლინარული პასუხისმგებლობა დადგენილია მუშაკებისთვის წესდებებითა და დებულებებით დისციპლინის შესახებ და გამოირჩევა ზოგადი პასუხისმგებლობისგან ძირითადად: ა) პირთა წრით, რომლებზეც ის ვრცელდება; ბ) დისციპლინარული სასჯელის საზომით; გ) დისციპლინარული ძალაუფლების მქონე ორგანოებისა და პირების წრით; დ) სასჯელის გასაჩივრების დადგენილი წესით.

მუშაკი – შრომის სამართალში ფიზიკური პირი, რომელიც შრომით დამოკიდებულებაშია სამუშაოს მიმცემთან. შრომით დამოკიდებულებაში შესულისთვის მუშაკი უნდა იყოს შრომითი ქმედუნარიანობის მქონე. ზოგადად, ის დგება 16 წლიდან. ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებია 15 წლის პირთა სამუშაოზე მიღება, ხოლო მოსწავლეების – 14 წლიდან. 14 წლამდე ასაკის პირებთან შეიძლება შრომის ხელშეკრულების დადება კინემატოგრაფის ორგანიზაციებში, თეატრებში, ცირკში ნაწარმოებების შექმნასა თუ შესრულებაში მონაწილეობისთვის.

შრომის ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან მოქალაქე ხდება მუშაკი და იძენს უფლებებსა და ვალდებულებებს. მოქალაქეთა ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური უფლებები ჩამოყალიბებულია კონსტიტუციაში. ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქისთვის, უცხოელებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის დადგენილია სპეციალური მოთხოვნები სამუშაოზე მიღების სტადიაზე. მათ უნდა გააჩნდეთ სპეციალური შრომითი უფლებაუნარიანობა.

შრომის შავნე დარან საშიშ პირობებში, ასევე მიწისქვეშა სამუშაოებზე და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში მუშაკის სამუშაოდ დაშვებისთვის ნებადართულია შრომის ხელშეკრულების დადება 18 წლიდან. სახელმწიფო მოსამსახურის სახით შეიძლება მიღებულ იქნეს პირი არანაკლებ 18 წლისა, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, გააჩნია პროფესიული განათლება და პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუშაკის გადაყვანა სამუშაოდ სხვა ადგილას – მუდმივი გადაყვანა, რაც მოითხოვს მუშაკის თანხმობას. ეს გადაყვანა უნდა განასხვავოთ სხვა ადგილას მივლინებისგან (სხვა ადგილად ითელება სხვა დასახლებული პუნქტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით). გადაყვანისა და მივლინების მიზნები, ასევე მათი პირობები განსხვავებულია. მივლინება ესაა მუშაკის გამგზავრება სხვა ადგილას ადმინისტრაციის განკარგეით, შეზღუდული ვადით სამუშაოს შესასრულებლად. ის არ მოითხოვს მუშაკის თანხმობას, გარდა ქალებისა, რომელთაც ჰყავთ 3 წლამდე ასაკის ბავშვები, ინვალიდი ბავშვები ან მუშაკების, რომლებიც უელიან ოჯახის ავადმყოფ წევრებს. მივლინებისას მუშაკს უნარჩუნდება

მისი მუდმივი სამუშაო ადგილი და საშუალო ხელფასი, ხოლო მიელინების ხარჯების კომპენსირება ხდება სამიელინებო გაცემის სახით (იხ. საკომპენსაციო გაცემა).

სხვა ადგილას გადაყვანისას საჭიროა მუშაკის თანხმობა. მას არ უნარჩუნდება წინა სამუშაო ადგილი, ის თავისუფლდება იქიდან სხვა ადგილას გადაყვანასთან დაკავშირებით და გაიცემა მისი ოჯახის გადაადგილების თანხები კომპენსაციების სახით (იხ. საკომპენსაციო გაცემა). სხვა ადგილას გადაყვანა შესაძლებელია იმავე ორგანიზაციის გადასვლასთან დაკავშირებით, სადაც მუშაობს მუშაკი. მაშინ მისი შრომითი ურთიერთობები მოცემულ სამუშაოს მიმცემთან არ წყდება, არამედ მუშაკის შრომის წიგნაკში ალინიშნება მოცემული ორგანიზაციის ახალი ადგილსამყოფელი. ასეთ გადაყვანაზე სამუშაოს მიმცემი ვალდებულია მიიღოს მუშაკის თანხმობა, ხოლო მუშაკზე გაიცემა კომპენსაცია სხვა ადგილას გადაადგილებასთან დაკავშირებით. მთელი ორგანიზაციის სხვა ადგილას გადაყვანისას ადმინისტრაცია გადასცლას სთავაზობს ძირითად მუშაკებს, სპეციალისტებს, ხოლო ტექნიკურ პერსონალს ის კრებს ადგილზე. ამიტომ თავისუფლდებიან დარაჯები, დამლაგებლები და სხვა ტექნიკური პერსონალი. უმცროს ტექნიკურ პერსონალს ამის შესახებ ეცნობება დათხოვნამდე ორი თვით ადრე და მათზე გაიცემა კომპენსაცია საშუალო ხელფასის ოდენობით. თუ მუშაკი, რომელსაც ადმინისტრაცია სთავაზობს გადაადგილებას სხვა ადგილას ორგანიზაციასთან ერთად, უარს ამბობს ამ სამუშაოზე, მასზე გაიცემა დახმარება მისი ხელფასის არა ნაკლებ ორი კვირის ოდენობით.

მუშაკის მატერიალური პასუხისმგებლობა

– მუშაკის ვალდებულება ანაზღაუროს ორგანიზაციის ზიანი, რომელთანაც მას გააჩნია შრომითი ურთიერთობა, ამ ზიანის დანაშაულებრივი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით (უმოქმედობით) მიყენების შემთხვევაში. მუშაკის მატერიალური პასუხისმგებლობა დგება შემდეგი პირობების ერთდროული არსებობისას: ა) პირდაპირი (ნამდვილი) ზიანი; ბ) ზიანის მიმყენებელი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები; გ) მუშაკის ბრალეულობა ზიანის მიყენებაში; დ) მიზეზობრივი კავშირის არსებობა მუშაკის ქმედებას (უმოქმედობას) და ზიანს შორის. პირდაპირი (ნამდვილი) ზიანის ქვეშ იგულისხმება ნაღდი, რეალურად არსებული ქონებისთვის ზიანის მიყენება მისი (ან მისი ნაწილის) დაკარგვის, მისაკუთრების, დაზიანების, გაფუჭების გზით და მესაკუთრის – მფლობელის შესაბამისი აუცილებლობა ხარჯი გაწიოს ქონების შეძენაზე ან აღდგენაზე ან შეცვალოს სხვა სუბიექტისთვის (ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის) გადახდები მუშაკის დანაშაულით. ეს შეიძლება იყოს მატერიალური ფასეულობების დანაკლისი, გაფუჭება, ხარჯები რემონტზე, საჯარიმო სანქციები ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, ასევე გადახდილი ჯარიმის, იძულებითი გაცდენის ანაზღაურების ოდენობა და ა.შ. მატერიალური პასუხისმგებლობა დგება არა მხოლოდ ორგანიზაციისთვის მიყენებულ ზიანზე, არამედ სამუშაოს მიმცემის მიერ მუშაკის დანაშაულით მესამე პირისთვის მიყენებულ ზიანზეც. შრომის სამართლის ნორმები ითვალისწინებს მხოლოდ იმ რეალური ზიანის ანაზღაურებას, რომელიც ფაქტიურად მიიღო სამუშაოს მიმცემმა.

მუშაკის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები

– უფლებები, რომლებიც გააჩნია მუშაკს, როგორც შრომითი ურთიერთობის მხარეს და ვალდებულებები, რომელთაც ის იღებს. მუშაკს უფლება აქვს: ა) დაწს, შეცვალოს ან გაწყვიტოს შრომის ხელშეკრულება შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით; ბ) მიიღოს შრომის ხელშეკრულებით განპირობებული სამუშაო; გ) მიიღოს სამუშაო ადგილი სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი პირობებით; დ) დროულად და სრულად მიიღოს ხელფასი კვალიფიკაციის, შრომის სირთულის, შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად; ე) დასვენების, მიიღოს გამოსასვლელ დღეებში, დღესასწაულებზე, შეებულების დროს დასვენების შესაძლებლობა; ვ) მიიღოს სრული და უტყუარი ინფორმაცია შრომის პირობებისა და დაცვის შესახებ; ზ) მიიღოს პროფესიული მოშზადება, გადამზადება და პიმაღლოს კვალიფიკაცია; თ) გაწევრიანდეს გაერთიანებაში, შეიქმნას პროფესიული კავშირი ან შეედგეს მასში შრომის უფლებების, კანონიერი ინტერესებისა და თავისუფლებათა დასაცავად; ი) მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის მართვაში; კ) წარმართოს კოლექტიური მოლაპარაკებები და დადოს კოლექტიური ხელშეკრულება თუ შეთანხმება თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე მიიღოს ინფორმაცია კოლექტიური ხელშეკრულების ან შეთანხმების პირობების შესრულების თაობაზე; ლ) დაიცვას შრომის უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები ყველა კანონიერი საშუალებით; მ) გადაწყვიტოს ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავა, გაჩნია გაფიცვის უფლება; ნ) აანაზღაუროს მუშაკისთვის მიყენებული ზარალი მის მიერ შრომის ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით და მიიღოს მორალური ზიანის კომპენსაცია; ო) მიიღოს სავალდებულო სოციალური დაზღვევა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ზემოაღნიშნული ძირითადი უფლებების გარდა, მუშაკს გააჩნია გარკვეული ვალდებულებებიც. მუშაკი ვალდებულია: ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს შრომის ვალდებულებები, რომელიც მას ეკისრება შრომის ხელშეკრულებით; ბ) დაიცვას ორგანიზაციის შინაგანაწესი; გ) დაიცვას შრომის დისციპლინა; დ) შეასრულოს შრომის დადგენილი ნორმები; ე) დაიცვას შრომის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები; ვ) ფრთხილად მიედგეს სამუშაოს მიმცემის და სხვა მუშაკების ქონებას; ზ) დაუყოვნებლივ აცნობოს სამუშაოს მიმცემს ან უშუალო ხელმძღვანელს ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სახიფათო სიტუაციის წარმოქმნის შესახებ.

მფლობელობა

პირის სამეურნეო ბატონობა ნივთზე. ის წარმოადგენს საკუთრების უფლების შემადგენელი სამი უფლებამოსილებიდან ერთ-ერთს.

ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, რომელიც მფლობელს აძლევს საშუალებას ნივთზე უშუალო ზემოქმედება მოახდინოს. წარმოადგენს მესაკუთრის ერთ-ერთ უფლებას. კანონიერი (ტიტულარული) მფლობელი შეიძლება იყოს ნივთის არამესაკუთრე მაგ. დამქირავებელი (მოიჯარე) პირი, რომელსაც ქონება გადაეცა შესანახად; მოგირავნე; გადამზიდველი და ა.შ.

მფლობელობა (სამართ.) ნივთის პყრობა, ფაქტობრივი (ფიზიკური ან სამეურნეო) ბატონობა ქონებაზე. მფლობელობა იქცევა მფლობელობის უფლებად, თუ კანონი იცავს მას სხვა პირთა მხრივ დარღვევისაგან. ასეთი უფლება უპირველესად ეკუთვნის მესაკუთრეს, რომელსაც ნივთით სარგებლობასა და ნივთის განკარგვასთან ერთად მისი ფლობის უფლებაც აქვს. მფლობელი შეიძლება იყოს არამესაკუთრეც, მაგ., როცა მესაკუთრე თავის ქონებას გადასცემს სხვას ხელშეკრულებით (ვინმეს მისცემს შესანახად, გააქირაებს და ა.შ.). მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ქონება სხვისი უკანონო მფლობელობისაგან. ასეთივე უფლება აქვს იმ პირს, რომელიც ფლობს ნივთს ხელშეკრულების საფუძველზე ან კანონის ძალით სამართალი იცავს არა ფაქტობრივ მფლობელობას, არამედ ისეთ მფლობელობას, რომელსაც სამართლებრივი საფუძველი აქვს (ტიტულიანი მფლობელობა). ამით ასეთი სამართლებრივი მფლობელობა განსხვავდება სხვა ქვეყნის სამართლებრივი მფლობელობისაგან, სადაც მფლობელობა შეიძლება იყოს დაცული ე.წ. მფლობელობით (პასესორული) სარჩელით, რომლის დროსაც მფლობელობის აღსადგენად საკმაოა მოსარჩელე დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ იგი ფლობს ნივთს და არაა საჭირო სამართლებრივი საფუძვლის მითითება, საიდანაც ჩანს, რომ იგი ნივთს მართლზომიერი მფლობელია.

განასხვავებენ კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მფლობელობას. მფლობელობა კეთილსინდისიერია, თუ მფლობელმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა თავისი მფლობელის არაკეთილსინდისიერება. არაკეთილსინდისიერი მფლობელის მაგალითია ნაპოვნი ნივთის ფლობა. მფლობელობის კეთილსინდისიერებისა და არაკეთილსინდისიერების საკითხს მნიშვნელობა აქვს მესაკუთრის წინაშე უკანონო მფლობელის პასუხისმგებლობისათვის.

მფლობელობის უფლებამოსილება

– ესაა ნივთზე მესაკუთრის სამეურნეო ბატონობის იურიდიულად უზრუნველყოფილი შესაძლებლობა. ამასთან, ნივთი შეიძლება იყოს პირთა კანონიერ მფლობელობაში, რომლებიც არ წარმოადგენენ მის მესაკუთრეებს. კერძოდ, დამჭირავებლის (მოიჯარის), მოგირავნეს (კომისიონერის) მფლობელობაში და ა.შ.

კანონიერი და უკანონო მფლობელობის შესახებ იხ. უტიტულო (უკანონო) მფლობელობა (ქონება).

მშვიდობის დაცვის მსოფლიო კონ-გრესები და კონფერენციები

მოძრაობა ამ საკითხებთან დაკავშირებით დაიწყო 1b. შუა წლებიდან ომის მოწინააღმდეგეთა გასაერთიანებლად და დღემდე შედგა 150-მდე მსოფლიო კონგრესი და კონფერენცია.

მშვიდობის დაცვის პირველი მსოფლიო კონგრესები (1843 წლის ლონდონის მშვიდობის საყოველთაო კონგრესი, 1848 წლის ბრიუსელის პაციფისტების საერთაშორისო კონგრესი, 1849 წლის პარიზის მშვიდობის საყოველთაო კონგრესი და საყოველთაო მშვიდობის მეგობართა კონგრესი, 1850 წლის ფრანკფურტის მშვიდობის საყოველთაო კონგრესი) აერთიანებდა ცალკეულ პირებსა და იდეალისტ პაციფისტთა შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფებს, რომლებიც მშვიდობის განმტკიცების გზას უმთავრესად რელიგიური დოგმების გავრცელებაში ხედავდნენ.

1948 წელს ვროცლავში შედგა კულტურის მოღვაწეთა მშვიდობის დაცვის კონგრესი. 1949 წელს, აპრილში და ამავე წელს პრაღაში შეიკრიბნენ მშვიდობის მომხრეთა მონაწილენი, მსოფლიო კონგრესების მოძრაობის ეგიდით, მსოფლიო მშვიდობის მხარდასაჭერად, 1950 წელს ეს მოძრაობა გაგრძელდა ვარშავაში, 1952 წლის დეკემბერში ვენაში, მშვიდობის დაცვის ხალხთა კონგრესი, 1955 წლის ივნისში, პეკინში – მშვიდობის დაცვის მსოფლიო ასამბლეა, 1958 წლის ივლისი, სტოკჰოლმში – განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კონგრესი, 1965 წლის ივლისი, ჰელსინკში – მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის და საყოველთაო განიარაღების მსოფლიო კონგრესი. 1962 წლის ივლისში, მოსკოვში – საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესი. 1976 წლის ივლისი, სტოკჰოლმში-ვიეტნამში მშვიდობისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 22 საერთაშორისო და 60 ეროვნული ორგანიზაცია. 1968 წლის ივლისში, ისევ სტოკჰოლმში ვიეტნამისადმი მიძღვნილი II მსოფლიო კონფერენცია. 1969 წლის ივნისში, ბერლინში – მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო (მმს)

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის უმაღლესი მუდმივი ორგანო, რომელსაც ირჩევენ ამ მოძრაობის საერთაშორისო კონგრესებსა და სესიებზე. შეიქმნა მშვიდობის მომხრეთა II მსოფლიო კონგრესზე (ვარშავა 1950 წ. ნოემბერი). მმს – წარმართავს და კოორდინაციას უწევს სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობის მომხრეთა საქმიანობას, ახდენს მათ მობილიზაციას მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ და საყოველთაო განიარაღებისათვის საბრძოლველად მუდმივად ქმნის ქმედით ბარიერებს მშვიდობის დასამყარებლად მთელ მსოფლიოში. მმს-ში პირველად 226 კაცი შედიოდა, 1971 წლის დასაწყისში კი – 104 ქვეყნის 600-მდე წარმომადგენელი. მმს-ს ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი (შეიქმნა 1959 წელს, ფ. ჟოლიო-კიურის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც 1950-59 წლებში მმს-ს პრეზიდენტი იყო) და სამდივნო, რომელსაც სათაოში უდგას გენერალური მდივანი. სამდივნოს ადგილსამყოფელია – ქ. ჰელსინკი.

მშვიდობის საერთაშორისო პრემიები

პრემიები – დაწესდა მშვიდობის მომხრეთა I მსოფლიო კონგრესზე 1949 წლის აპრილში. პრემიებს აკუთვნებს მშვიდობის მსოფლიო საბჭო მეცნიერების, კულტურის და ხელოვნების მოღვაწეებს ისეთი ნაწარმოებისათვის, რომელიც ხელს უწყობს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას. 1951 წელს მშვიდობის მსოფლიო საბჭომ დაადგინა პრემიების ფორმა: მშვიდობის საპატიო საერთაშორისო პრემიები (1957 წლიდან აღარ მიუნიჭებიათ) და მშვიდობის ოქროს მედლები (1959 წლიდან ფ. ჟოლიო-კიურის სახელობის მშვიდობის ოქროს მედალი).

მშვილდოსანი [ლათ. sagittarius] ზოდიაქოს ერთ-ერთი თანავარსკვლავედი თორმეტიდან (ლათ. Sagittarius). ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავები 1,8 და 2,0 ვიზუალური ვარსკვლავიერი სიდიდისაა. მშვილდოსნის

მიმართულებითაა ცხზე ზამთრის მზეუდრობის წერტილი და გალაქტიკის ცენტრი, აგრეთვე შეუიარაღებელი თვალით ხილვადი სფერული ვარსკვლავთა გროვა M 55, დაკვირვებისათვის საუკეთესო პირობებია ივნის-ივლისში. საქართველოს ტერიტორიდან მშვილდოსანი მთლიანად მოჩანს.

მშვილდოსანი ზოდიაქალური თანავარსკვლავედია სამხრეთ ცაზე. 115-მდე უბრალო თვალით ხილული სუსტი ვარსკვლავი. მითის მიხედვით ესაა ბრძენი ქენტავრი ქირონი, რომელიც სიმღერას, ქნარზე დაკვრას და ისრის სროლას ასწავლიდა ორფევსს, აქილევსს და სხვებს. მშვილდი მოზიდული აქვს და უნდა მოკლას ორიონის დამგეზლაური ღრიანკალი.

მშობელთა უფლება-მოვალეობანი

ის პირადი და ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც აქვთ მშობლებს შვილების მატერიალური უზრუნველყოფისა და სათანადო აღზრდისათვის, აგრეთვე, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის. დედასა და შვილს შორის უფლება-მოვალეობის წარმოშობისათვის საკმარისია დედისაგან ბავშვის დაბადების ფაქტი. მამასა და შვილს შორის მსგავსი ურთიერთობის წარმოშობისათვის სისხლით ნათესაობის გარდა საჭიროა ქორწინების რეგისტრაცია ბავშვის დედასთან (გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა პირი ნებაყოფლობით აღიარებს არარეგისტრირებული ქორწინების დროს დაბადებული ბავშვის მამობას ან როცა მისი მამობა დადგენილია სასამართლო წესით). მშობლები შვილებს ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ და სადავო საკითხის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობით მშობლები ვალდებული არიან არჩინონ შვილები არასრულწლოვანებამდე და თუ მშობელი ნებაყოფლობით არ ასრულებს ამ მოვალეობას, მას ალიმენტის გადახდა დაეკისრება. განქორწინების შემთხვევაში მშობლებს უფლება აქვთ იქონიონ შვილზე აღმზრდელობითი ზეგავლენა და არშეთანხმების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტს სადავო საკითხს.

მშობელს უფლება აქვს ჩამოერთვას მშობლის უფლება სასამართლო წესით, თუ იგი თავს არიდებს შვილის აღზრდის მოვალეობას ან ბოროტად იყენებს მშობლის უფლებებს, მავნე გავლენას ახდენს მასზე. მშობლის უფლების ჩამორთმევა არ ათავისუფლებს მშობელს შვილის რჩენის მოვალეობისაგან.

მშობლის უფლების ჩამორთმევა საოჯახო სამართალში უკიდურესი დამსჯელი ღონისძიებაა, რომლის გამოყენების უფლება აქვს სასამართლოს. მშობლებს ან ერთ-ერთ მათგანს შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლება, თუ გამოირკვევა, რომ ისინი სისტემატურად არიდებენ თავს შვილების აღზრდის მოვალეობას, ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებას, სასტიკად ეპყრობიან მათ ან თავიანთი ამორალური მოქმედებით მავნე ზეგავლენას ახდენენ შვილებზე. მშობლის უფლების აღდგენა შეიძლება მოხდეს ისევ სასამართლო წესით (სკ. მუხლი 1205 – 1209).

მშრალი კანონი კანონი, რომელიც კრძალავს ალკოჰოლური სასმელების წარმოებასა და გაყიდვას. შემოღებული იყო აშშ-ში (1920-33) და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში (მაგ. ფინეთში). მას სისტემატიურად არღვევდნენ ე.წ. ბუტლეგერები, რომლებიც ალკოჰოლური სასმელების კონტრაბანდით, არალეგალური წარმოებითა და ეაჭრობით მდიდრდებოდნენ.

მყარი განვითარება – 1) ე.ი. ვერნადსკის მიერ განკერძოებული გონების სფეროს (ნოოსფეროს) ფორმირება, რომლის ეროვნული და ინდივიდუალური სიმდიდრის საზომი გახდება ბუნებასთან პარმონიაში მცხოვრები ადამიანის სულიერი ფასეულებები და ცოდნა; 2) სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რაც არ არღვევს ბუნებას, როგორც ამ განვითარების საფუძველს; 3) მსოფლიო თანამეგობრობის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს გარემომცველი ბუნებისა და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების და პრობლემების ბალანსირებულ გადაწყვეტას ადამიანთა ამჟამინდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით. მყარ განვითარებაზე გადასვლა გულისხმობს ბუნებრივი ეკოსისტემების თანდათანობით აღდგენის იმ დონემდე, რომელიც იძლევა გარემომცველი ბუნებრივი გარემოს სტაბილურობის გარანტიას. ამასთან, იგულისხმება რიგი პრინციპული ამოცანების თანამიმდევრული გადაწყვეტა: ქვეყნის არსებული კრიზისიდან გამოსვლის პროცესში ეკოლოგიური სიტუაციის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა; ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის მირეული გაუმჯობესების მიღწევა ეკონომიკური საქმიანობის ეკოლოგიზაციის ხარჯზე, ინსტიტუციონალური და სტრუქტურული გარდაქმნების ჩარჩოებში; სამეურნეო საქმიანობის შემოღება ეკოსისტემათა ტევადობის ფარგლებში ენერგო და რესურსდამცავი ტექნოლოგიების მასიური დანერგვის, ეკონომიკის, პიროვნების სტრუქტურის მიზანმიმართული ცვლილებების საფუძველზე. მყარი განვითარების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს მისი სამართლებრივი საფუძვლის შექმნა, მათ შორის, მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა, რაც განსაზღვრავს ბუნებრივი გარემოს დაცვის და ბუნებათსარგებლობის რეგულირების ეკონომიკურ მექანიზმებს; სამეურნეო საქმიანობის სტიმულირების სისტემის შემუშავება და პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენა მის ეკოლოგიურ შედეგებზე, რომელთა დროსაც ბიოსფერო უკვე აღიქმება არა მხოლოდ როგორც რესურსების მიმწოდებელი, არამედ როგორც ცხოვრების ფუნდამენტი, რომლის შენარჩუნებაც უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების ფუნქციონირების აუცილებელი პირობა; ქვეყნის ლოკალური და რეგიონალური ეკოსისტემების სამეურნეო ტევადობის შეფასება, მათზე დაშვებული ანთროპოგენური ზემოქმედების განსაზღვრა. მყარი განვითარების იდეების პროპაგანდის ეფექტური სისტემის ფორმირება და აღზრდისა და სწავლების შესაბამისი სისტემის შექმნა.

მცდელობა დანაშაულისა განზრახი მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი ითვლება დანაშაულის განხორციელების სტადიად ანუ საფეხურად. დანაშაულის განხორციელების პირველ დასწყად სტადიას წარმოადგენს დანაშაულის მომზადება, ე.ი. პირობების განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად.

მცდელობა შეიძლება იყოს დამთავრებული და

დაუმთავრებელი. მცდელობა დაუმთავრებელია, როდესაც დამნაშავეს არ გაუკეთებია ყველაფერი, რისი გაკეთებაც მისი მხრიდან საჭირო იყო დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, მაგ., თუ იგი განაიარაღეს, ვიდრე ესროდა დაზარალებულს. მცდელობა დამთავრებულია, როცა დამნაშავემ გააკეთა ყველაფერი, რაც საჭირო იყო დანაშაულის დასამთავრებელი მიზეზების გამო, მაგ., ესროლა, მაგრამ ვერ მოახვედრა. პირი ასევე დაისჯება მცდელობისათვის, თუ მან მიზნის მისაღწევად გამოიყენა უვარგისი საშუალება (მაგ., საწამლავის ისეთი მცირე დოზა, რომელსაც არ შეეძლო სიკვდილი გამოეწვია), ან როცა წარმართა მცდელობა უვარგის ობიექტზე (მაგ., ახერხებს ახალშობილს, რომელიც ისედაც მკვდარია).

მცდელობა და დანაშაული ისჯება იმავე კანონით, რომლითაც ისჯება დამთავრებული დანაშაული. სასჯელის დადებისას მხედველობაში მიიღება დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხი და მიზეზები, რომელთა გამოც დანაშაული არ იქნა ბოლომდე მიყვანილი. თუ პირი ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, იგი არ დაისჯება მცდელობის ან დანაშაულის მომზადებისათვის და პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენი შეიცავს სხვა დამთავრებული შემადგენლობის ნიშნებს.

ნორმებს დანაშაულის მცდელობის დასჯადობის შესახებ უხვადებით ქართული ფეოდალური სამართლის ადრინდელ ძეგლებში, კერძოდ, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტებში, რომელიც თან ერთვის ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნს. ამ ძეგლის 134-ე მუხლი ითვალისწინებს მკვლელობის დასჯადობას და ამ ცნებისათვის ხმარობს ტერმინს „სიკვდილისა ცდისათვის“. დანაშაულის მცდელობა კიდევ უფრო რეგლამენტირებულია ეახტანგ VI-ის სამართლის წიგნის (VIII ს.) 59-ე მუხლში, სადაც მოცემულია ამ ცნების არსებითი ნიშნები: დანაშაულის დაუმთავრებლობა დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და პირდაპირი განზრახვა („თავისი გუნებით სიკვდილი სდომებია, მაგრამ ღმერთსა და ბედს მოურჩენია, რომ იმ გზაზე ალარ გაუვლია...“).

მცენარეთა ან ცხოველთა სამყაროს განადგურება – მცენარეთა ან ცხოველთა ცალკეული სახეობის ან სახეობისა და ფორმების ერთობლიობის განადგურებაზე, არსებობის შეწყვეტაზე მიმართული მოქმედებები.

განადგურება მასიურია, თუ ის ერცელდება მცენარეთა და ცხოველთა სახეობისა და ფორმების განუსაზღვრელ წრეზე, ანუ ატარებს ფართომასშტაბიან ხასიათს და მიმართულია მათ სრულ ან ნაწილობრივ განადგურებაზე ცალკეულ ტერიტორიაზე და ქმნის მათი სრული გაქრობის ან ამოწყდომის საფრთხეს.

მცენარეთა სამყაროს ობიექტი – მცენარეული წარმოშობის ორგანიზმი (ველურად გაზრდილი მცენარე, სოკო) ან მისი პოპულაცია.

მცირეწლოვნები – არასრულწლოვნები, რომელთაც არ შესრულებიათ 14 წელი. ზოგადი წესის მიხედვით, მცირეწლოვნები ქმედუუნარონი არიან, მათი სახელით გარიგება ხორციელდება მათი მშობლების, შვილად ამყვანების ან მეურვეების მიერ. თუმცა, მცირეწლოვნებს 6-დან 14 წლამდე უფლება აქვთ დამოუკიდებლად განახორციელონ მცირე საყოფაცხოვრებო გარიგება: ა) მიმართული მოგების უანაზღაურებო მიღებაზე, რაც არ მოითხოვს ნოტარიულ დამოწმებას ან სახელმწიფო რეგისტრაციას; ბ) კანონიერი წარმომადგენლების ან მათი ნებართვით მესამე პირების მიერ შეთავაზებული საშუალებების განკარგვის თაობაზე გარკვეული მიზნისთვის ან თავისუფალი განკარგვისთვის. მცირე საყოფაცხოვრებო გარიგებას განეკუთვნება მცირეწლოვნების ან მათი ოჯახის წევრების ჩვეულებრივ, ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მიმართული გარიგება. ამის მიუხედავად, მცირეწლოვნები მათზე დამოუკიდებლად პასუხს არ აგებენ, წარმოადგენენ რა ქმედუუნაროს. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება მათ მშობლებს, შვილად ამყვანებს ან მეურვეებს. ისინი აგებენ ასევე პასუხს მცირეწლოვანის მიერ მიყენებულ ზარალზე. მოლიარობაში, მოქალაქეები, რომლებსაც არ შესრულებიათ 14 წელი წარმოადგენენ ქმედუუნაროებს. მათთვის მიცემული კანონიერი შესაძლებლობები, განახორციელონ გარკვეული გარიგება, ატარებს მკაცრად ამომწურავ ხასიათს და წარმოადგენს გამონაკლისს საერთო წესიდან.

მძევალი – პირი, რომელიც გატაცებული და დაკავებულია სხვა პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც მას ემუქრებიან სიკვდილით, დაზიანებით ან ტყვეობის გაგრძელებით, რათა აიძულონ მესამე მხარე – სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია, ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა ჯგუფი განახორციელონ ნებისმიერი აქტი ან თავი შეიკავონ მისგან, მძევლის განთავისუფლების პირდაპირი ან ირიბი პირობის სახით (იხ. 17.12.1979 წ. მძევალთა აყვანასთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მუხლი 1).

მძევლის აყვანა წარმოადგენს საერთაშორისო ხასიათის ერთ-ერთი დანაშაულს, რომელზეც სახელმწიფოები შეთანხმდნენ აწარმოონ ერთობლივი ბრძოლა.

1979 წლის მძევალთა აყვანასთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან ერთად ამ დანაშაულისთვის წინააღმდეგობის გაწევის საკითხები ასევე შეხებულია 1970 წ. ჰააგის კონვენციაში საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცებასთან ბრძოლის შესახებ, 1971 წ. მონრეალის კონვენციაში სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ, 1988 წ. რომის კონვენციაში საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ, 1973 წ. კონვენციაში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირების, მათ შორის, დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ დანაშაულების თაობაზე აცილებისა და დასჯის შესახებ, ასევე რიგ რეგიონალურ და ორმხრივ შეთანხმებაში დამნაშავეობასთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ.

მძევლის აყვანა წარმოადგენს თაეისთავად სერიოზულ საშიშროებას და მისი ჩამდენი პირები ექვემდებარებიან მკაცრად დასჯას. თუმცა, ამ დანაშაულის სუბიექტური მხარის, მძევლის ამყვან პირთა მოთხოვნების ხასიათა და მოტივების მიხედეით, ეს დანაშაული შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ტერორისტული აქტი.

მძევალი 1. საერთაშორისო სამართალში მძევლები უდანაშაულო პირებია, რომლებიც მათ წინააღმდეგ

მებრძოლი სახელმწიფოს ხელისუფლებამ შეიპყრო ან რომელიმე ბანდიტურმა ჯგუფმა შეიპყრო ფულის, შურისძიების ან სხვა რაიმე ბოროტი გრძნობის მიზნით. უმეტესად მძევლების აყვანა ხდება ოკუპანტების ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რადგან ბრძოლის სხვა მეთოდს აბორიგენი მოსახლეობა ვერ ხედავს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. 1949 წლის ჟენევის კონვენცია „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის იმ პირთა ნუსხაში, რომლებიც არაეითარ შემთხვევაში არ შეიძლება მძევლებად აიყვანონ, კონვენციას სამოქალაქო მოსახლეობის გარდა შეპყრის შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან ისინი, ვინც იარაღი დაყარა, აგრეთვე, შეწყვიტა სომარ მოქმედებაში მონაწილეობა ავადმყოფობის, დაჭრის, შეპყრობის თუ სხვა რაიმეს გამო; 2. ძველ საქართველოში მძევალი იყო პირობის სიმტკიცისათვის ან ერთგულება-მორჩილებისა თუ მშვიდობიანობის საწინდრად გამორთმეული ანდა შეპყრობილი ადამიანი — „აცა წინდად დასმული" (ს.ს. ორბელიანი). ხევსურეთის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მძევალი „სისხლის გადახდის თავდებს" წარმოადგენდა.

მძევლად აყვანილად მიჩნეულია პირი, რომელიც მშვიდობიან დროს შეპყრობილი იქნება გამოსასყიდის, პოლიტიკური დათმობების ან სხვა რაიმე ანგარებითი ან ფიზიკური ზემოქმედების და შურისძიების მიზნით. მძევლად აყვანა აკრძალულია მძევლად აყვანის საწინააღმდეგო საერთაშორისო კონვენციით. მძევლად აყვანა არღვევს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩაღებულ პრინციპებს: სიცოცხლის უფლებას, თავისუფლების, ხელშეუხებლობის, დამამცირებელი მოპყრობის, გადაადგილების და სხვა უფლებებს.

მძევლის აყვანა – საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, რომელიც კერძოდ, გამოიხატება ნებისმიერი პირის მიერ სხვა პირის გატაცებაში ან ძალით დაკავებაში, რასაც თან ახლავს მძევლისთვის სიკვდილის, ზიანის მიყენების მუქარა იმისთვის, რომ ხელისუფლის მესამე მხარეს (სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციას, ფიზიკურ, იურიდიულ პირს ან პირთა ჯგუფს) განახორციელოს ნებისმიერი აქტი ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისაგან, მძევლის გასანთავისუფლებლად პირდაპირი ან ირიბი პირობის სახით.

მხარეები სამოქალაქო პროცესში

– სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოსარჩელე (საჩივრის შემტანი, განმცხადებელი) (იხ. საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეები, განსაკუთრებული წარმოება) და მოპასუხე. მხარეებად დაიმ მონაწილეები ხდებიან სამოქალაქო საქმის აღძრის მომენტიდან. მოსარჩელე – პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს სადაო უფლების დაცვისთვის სარჩელის შეტანის გზით. მოპასუხე – პირი, რომელსაც მოსარჩელე უყენებს თავის სასარჩელო მოთხოვნას. რამდენადაც მხარეები პროცესში იმყოფებიან დაეის მდგომარეობაში, საკითხი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების მიკუთვნებულობის შესახებ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სასამართლო განხილვის შედეგად. ამასთან დაკავშირებით მოსარჩელე და მოპასუხე სადაო მატერიალური სამართალდამოკიდებულების საეარაუდო სუბიექტები არიან. ისინი იურიდიულად არიან დაინტერესებულნი საქმის დასრულებაში. მათი იურიდიული დაინტერესებულობა ნიშნავს იმას, რომ თითოეულ მხარეს საქმეში გააჩნია მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი, რამდენადაც ის წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივი დამოკიდებულების სუბიექტს, რომლის თაობაზეც წარმოიქმნა დავა; მათ ასევე გააჩნიათ საპროცესო ინტერესი, რამდენადაც მხარეები სასამართლოსგან ცდილობენ მათთვის „ხელსაყრელი" გადაწყვეტილების გამოტანას. სამოქალაქო პროცესში მხარეებად შეიძლება გამოვიდნენ მოქალაქეები, სახელმწიფო ორგანოები, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები, საზოგადოებები, გაერთიანებები და ა.შ. (იხ. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა, სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა).

მხარეთა იურიდიული დაინტერესებულობის ხარისხი ყველაზე მაღალია პროცესის სხვა მონაწილეებთან შედარებით, ამიტომ მათ გააჩნია უფლებების ყველაზე მეტი მოცულობა. კანონი მათ აძლევს უფლებას უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძველი, გაზარდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა. სარჩელზე უარის თქმა მოსარჩელეს შეუძლია სასამართლოს სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად გასვლამდე. სარჩელზე უარის თქმა ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელე უარს ამბობს მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნაზე და მაშასადამე პროცესის გაგრძელებაზე. თუ მოსარჩელე უარს ამბობს სარჩელზე საქმის წარმოება წყდება (იხ. სარჩელი). სასამართლოს მოსარჩელის თანხმობის გარეშე არ შეუძლია შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძველი. მოპასუხეს უფლება აქვს ცნოს სარჩელი. სარჩელის ცნობა შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. სასამართლოს უფლება აქვს არ მიიღოს სარჩელზე უარი, თუ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს სხვა პირთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს. სარჩელის ცნობისას პროცესი გრძელდება და საქმეზე ხდება გადაწყვეტილების გამოტანა სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ. მხარეებს უფლება აქვთ დადონ მორიგებითი შეთანხმება-ხელშეკრულება, რომელშიც ისინი მიდიან ორმხრივ დათმობებზე, განსაზღვრავენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს სადაო სამართალდამოკიდებულებაზე. მორიგებითი შეთანხმება არ შეიძლება დადებულ იქნეს შშობლის უფლებების ჩამორთმევის შესახებ საქმეებზე. მორიგებითი შეთანხმების დამტკიცებისას კი საქმის წარმოება წყდება.

მხოლოდ მხარებისთვის დამახასიათებელი უფლებების გარდა კანონით მოსარჩელესა და მოპასუხეს აკისრებს უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც საერთოა საქმეში მონაწილე პირებისთვის. ასე, მაგალითად, მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერი, გადაიღონ ასლები, წარმოადგინონ მტკიცებულებები, გამოიკვლიონ ეს მტკიცებულებები, ეითხვები დაუსვან საქმეში მონაწილე სხვა პირებს, მოწმეებსა და ექსპერტებს, განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ ზეპირი და წერილობითი განმარტებები სასამართლოს, წარუდგინოს მოსაზრებები და საბუთები სასამართლო განხილვის დროს წარმოქმნილ ყველა საკითხზე, წამოაყენონ შუამდგომლობები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები და ისარგებლონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო უფლებებით.

რამდენადაც მოსარჩელე და მოპასუხე წარმოად-

გენენ მატერიალურ-სამართლებრივი დამოკიდებულების სავარაუდო სუბიექტებს, კანონი უშვებს ერთ-ერთი მხარის შეცვლის შესაძლებლობას. თუ სასამართლო განხილვის დროს დაადგენს იმას, რომ სარჩელი წაყენებულია არა იმ პირის მიმართ, რომელმაც უნდა აგოს პასუხი, საქმის შეწყვეტის გარეშე შეუძლია შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე და თუ სარჩელი წაყენებულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს ამის უფლება, შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელეც. შესაბამისად თავდაპირველი მოსარჩელეს შეცვლა შეიძლება მისი თანხმობით. სასამართლოს საკუთარი ინიციატივით არ შეუძლია პროცესიდან გამოთიშოს სარჩელის წამომყენებელი მოსარჩელე. თუ თავდაპირველი მოსარჩელე არ ეთანხმება პროცესიდან გამოთიშვას, შესაბამისი მოსარჩელე პროცესში შედის მესამე პირის სახით, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნებით. სასამართლოს უფლება არა აქვს დაავალდებულოს სათანადო მოსარჩელე ჩაერთოს საქმეში. მოცემული საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხოლოდ ამ უკანასკნელის სურვილზე. თუ შესაბამისი მოსარჩელე არ ერთვება პროცესში, საქმის განხილვა გრძელდება თავდაპირველი მოსარჩელის მონაწილეობით, რომელიც რჩება პროცესის სუბიექტად, არ კარგავს რა საპროცესო უფლებებსა და ვალდებულებებს. თუ თავდაპირველი მოსარჩელე თანახმაა გამოეთიშოს პროცესს, ხოლო შესაბამისი მოსარჩელე თანახმაა ჩაერთოს პროცესში, საქმის განხილვა გრძელდება ახალი მოსარჩელის მონაწილეობით. თუ შეუსაბამო მოსარჩელე თანახმაა გამოეთიშოს პროცესს, ხოლო შესაბამისი მოსარჩელე არ ერთვება პროცესში, პროცესი წყდება საქმეზე მხარის არარსებობის გამო. მოსარჩელის თანხმობაა საჭირო საქმეში მონაწილე თავდაპირველი (შეუსაბამო) მოპასუხის შეცვლაზე. ასეთი თანხმობის არარსებობისას სასამართლოს უფლება აქვს პროცესში ჩართოს კიდევ ერთი მოპასუხე, მეორე მოპასუხის სახით, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, არ გამოთიშავს რა პროცესიდან თავდაპირველ მოპასუხეს. სამოქალაქო სამართალწარმოებაში პირების შეცვლა შესაძლებელია არა მხოლოდ არაშესაბამისი მხარის შეცვლის, არამედ საპროცესო სამართალმემკვიდრეობის წესითაც. სარჩელი შეიძლება შეტანილი იქნეს ერთობლივად რამდენიმე მოსარჩელის ან რამდენიმე მოპასუხის მიერ (იხ. საპროცესო თანამონაწილეობა).

მხარეთა პაექრობა – სისხლის სამართლის პროცესის სტადია, რომელიც შედგება ბრალმდებლისა და დამცველის სიტყვებისგან (დამცველის არარსებობისას მხარეთა პაექრობაში მონაწილეობს განსასჯელი). მხარეთა პაექრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ასევე დაზარალებულსა და მის წარმომადგენლებს. სამოქალაქო მოპასუხეს, სამოქალაქო მოსარჩელეს, მათ წარმომადგენლებს, განსასჯელს უფლება აქვთ იშუამდგომლონ მხარეთა პაექრობაში მონაწილეობის შესახებ. მხარეთა გამოსვლის თანამიმდევრობა დგინდება სასამართლოს მიერ. ამასთან, პირველი ყველა შემთხვევაში გამოდის ბრალმდებელი, ხოლო ბოლო განსასჯელი და მისი დამცველი. სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი მხარეთა პაექრობაში გამოდიან სამოქალაქო მოსარჩელესა და მისი წარმომადგენლის შემდეგ. ეს ანხნსება მიზანშეწონილობით, რამდენადაც ლოგიკურია მოუსმინო თავიდან ბრალდებას, შემდეგ მათ უარყოფას და არა პირიქით.

მხარეთა პაექრობის მონაწილეებს უფლება არა აქვთ მიუთითონ სასამართლოს მიერ დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებებზე. სასამართლოს არა აქვს უფლება შეზღუდოს მხარეთა პაექრობის ხანგრძლივობა. ამასთან, თავმჯდომარეს უფლება აქვს შეაჩეროს მხარეები თუ ისინი ეხებიან მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან კავშირის არმქონე გარემოებებს და დაუშვებელ მტკიცებულებებს. მხარეთა პაექრობაში მონაწილეთა სიტყვით გამოსვლის შემდეგ მათ კიდევ ერთხელ შეუძლიათ რეპლიკით გამოსვლა. ბოლო რეპლიკის უფლება აქვს განსასჯელს ან მის დამცველს.

ნ

ნადირობა – ცხოველთა სამყაროს გამოყენების სახე, რომელიც მდგომარეობს დადგენილი წესით ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარეშედან ამოღებაში, რომლებიც განეკუთვნებიან ნადირობის ობიექტებს. გამოიყოფა ნადირობა ცეცხლსასროლი იარაღით და უიარაღო ნადირობა.

ნადირობის ობიექტები – ცხოველთა სამყაროს ობიექტები, რომლებიც განეკუთვნებიან ნადირობის ობიექტებს მათი სტატუსის, რაოდენობის, გამოყენების ტრადიციის, მიღებული პროდუქციის ხარისხისა და სახის მიხედვით, განსაკუთრებულ ჩამონათვალში შესულის გზით, რომელიც დგინდება ცხოველთა სამყაროს ობიექტების დაცვის, გამოყენების კონტროლისა და რეგულირების სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ალმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმებით.

ნათესავები – ყველა სხვა პირი, ახლო ნათესაების გარდა, რომლებიც ნათესაურ კავშირშია. მოცემულ პირებს გააჩნიათ გარკვეული უფლებები და ვალდებულებები: გააჩნიათ უფლება იყვნენ დაზარალებულის წარმომადგენლები, არ მისცენ ჩვენება ნათესაურ წინააღმდეგ და სხვ. ამასთან, ნათესავს გააჩნია რიგი ვალდებულებები, მათ შორის, მოკლეევის მწარმოებელი პირის, პროკურორის, გამომძიებლის ნებართვის გარეშე არ გაახმაუროს წინასწარი გამოძიებისა და მოკლეევის მონაცემები; დაემორჩილონ სასამართლო სხდომის წესრიგს და თავმჯდომარის განკარგულებებს.

ნანტის ედიქტი (1598) საკანონმდებლო აქტი, რომელსაც ხელი მოაწერა საფრანგეთის მეფე ანრი IV 1598 წლის 13 აპრილს ნანტში, რითაც დამთავრდა საფრანგეთში რელიგიური ომები. ნანტის ედიქტის თანახმ ად კათოლიკობა გაბატონებულ რელიგიად რჩებოდა, მაგრამ ჰუგენოტებს ეძლეოდათ რწმენისა და ღვთისმსახურების თავისუფლება პარიზსა და რამდენიმე ქალაქში, თაუიანთ ციხეებსა და ზოგიერთ სოფელში. მათ ასევე უფლება ჰქონდათ დაეკავებინათ სასამართლო-

ადმინისტრაციული და სამხედრო თანამდებობები. ნანტის ედიქტით დამატებით საიდუმლო მუხლებით პუგენოტებმა მიიღეს 100 ციხე-სიმაგრე გარნიზონებითურთ, არმიის ჯილის უფლება და სხვა პრივილეგიები. პუგენოტებთან ომის შემდეგ, ნანტის ედიქტის საიდუმლო მუხლები გაუქმდა (1629). 1658 წელს ლუი XIV-ემ ნანტის ედიქტი საბოლოოდ გააუქმა.

ნაპოვნი – ნივთი, რომელიც მესაკუთრეს ან მფლობელობაზე სხვა უფლებამოსილი პირის მფლობელობაში აღარაა მისი ნების გარეშე ან დაკარგვის და ეინმეს მიერ პოვნის შედეგად. პოვნის დროს შემთხვევითობას ადგილი აქვს, როგორც ნივთის დამკარგავის, ასევე მისი მპოვნელის მხარეს. ნივთის მპოვნელი ვალდებულია ნაპოვნის შესახებ აცნობოს მის დამკარგავ პირს ან შესაკუთრეს ან ეინმე ისეთ პირს, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს ის. თუ ნივთი ნაპოვნია შენობაში ან ტრანსპორტში, ის უნდა გადაეცეს ამ შენობის ან სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. ნივთის მპოვნელს უფლება აქვს ის გადასცეს პოლიციას ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ან შეინახოს თავისთან. ნივთის მპოვნელი პასუხს აგებს მის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობის ან ამის წინასწარი განზრახვის შემთხვევაში. ბევრი კანონმდებლობით თუ ნივთის პატრონი არ გამოჩნდა პოვნის შესახებ განცხადების გაკეთების მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში, მპოვნელი იძენს მასზე საკუთრების უფლებას. თუ მპოვნელი უარს ამბობს მის მიღებაზე, ის გადადის მუნიციპალურ საკუთრებაში. მპოვნელს პოვნასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების გარდა, უფლება აქვს მოითხოვოს ნივთის ღირებულების დაახლოებით 20%-მდე, ხარჯების ანაზღაურებისა და დასაჩუქრების უფლება არ წარმოიქმნება, თუ მპოვნელმა არ განაცხადა ნაპოვნის შესახებ ან შეეცადა მის დამალვას.

ნაპოლეონის კოდექსი – საფრანგეთის 1804 წელს მიღებული სამოქალაქო კოდექსი შეიქმნა ნაპოლეონის უშუალო მონაწილეობით. შეიცავს სამოქალაქო, საოჯახო, საპროცესო და ნაწილობრივ შრომის სამართლის ნორმებს. კოდექსმა გააუქმა ფეოდალური პრივილეგიები და განამტკიცა კერძო საკუთრების უფლება, რომელიც წმიდათაწმიდად და ხელშეუხებლად გამოაცხადა. ფ. ენგელსმა ამ კოდექსს ბურჟუაზიული საზოგადოების კანონთა კლასიკური კრებული უწოდა. ისტორიკოსთა წყაროებით ამ კოდექსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბევრი ბურჟუაზიული ქვეყნების სამოქალაქო სამართლებრივ განვითარებაზე. არის გადმოცემები, რომ ნაპოლეონი ნახევრად ხუმრობით ამბობდა: „კოდექსი უნდა იყოს მოკლე და ცოტა ბუნდოვანი“, სავარაუდოდ მასში ის აზრია ჩადებული, რომ სამართლის ნორმა ისე, იმ გაგებით გამოიყენოს ხელისუფლებამ, როგორც მას სურს.

ნარკომანია – დაავადება, რომელიც განპირობებულია ნარკოტიკულ საშუალებასა თუ ფსიქოტროპულ ნივთიერებაზე დამოკიდებულებით.

ნარკოტიკული საშუალებები – სინთეზური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერებები, პრეპარატები, მცენარეები, რომლებიც შედიან ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და მათი პრეკურსორების ჩამონათვალში და ექვემდებარებიან კონტროლს კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებით, 1961 წ. ერთიანი კონვენციით ნარკოტიკული საშუალებების შესახებ.

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ანალოგები – მიმოქცევისთვის აკრძალული სინთეზური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერებები, რომლებიც ჩართული არაა ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალში, ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და მათ პრეკურსორებში, რომელთა ქიმიური სტრუქტურა და თვისებები მსგავსია ქიმიური სტრუქტურით და ნარკოტიკული საშუალებებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების თვისებებით, რომელთა ფსიქოაქტიურ მოქმედებასაც ისინი აწარმოებენ.

ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების გადაგზავნა ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების გადაადგილება საფოსტო, სამგზავრო გზავნილების სახით, რაც ამ საშუალებებისა და ნივთიერებების ტრანსპორტირება ხორციელდება გამგზავნის დაუსწრებლად.

ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების გადაზიდვა – განზრახ ქმედებები ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების გადაადგილების მხრივ, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით.

ზოგიერთი კანონმდებლობით, უკანონო გადაზიდად არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს პირის მიერ მგზავრობისას ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების შენახვა მცირე ოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია პირადი მოხმარებისთვის.

პირის მოქმედებებში უკანონო გადაზიდვის შემადგენლობის არსებობის შესახებ საკითხი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს განზრახვის, სატრანსპორტო საშუალების გამოყენების მიზნის, ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ოდენობის, მოცულობის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების გადამუშავება – კანონმდებლობის დარღვევის განხორციელებული ქმედებები, რომლებიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე ნარკოტიკული საშუალებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მყარი ან თხევადი ნარევის რაფინირებაზე (უცხო მინარევებისგან გაწმენდაზე) ან ასეთ ნარევში (პრეპარატში) ნარკოტიკული საშუალებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერების გაზრდაზე.

ნარკოტიკული საშუალებებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების დამზადება – მოქმედებები, რომელთა შედეგადაც ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და მათი პრეკურსორების საფუძველზე

მიღებულია გამოყენებისა და მოხმარებისთვის მზა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების ფორმები ან მათი შემცველი სამკურნალო საშუალებები.

ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო დამზადების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ კანონმდებლობის დარღვევით განზრახ ქმედებები, რომლებიც მიმართულია ნარკოტიკის შემცველი მცენარეებისგან, სამკურნალო, ქიმიური და სხვა ნივთიერებებისგან გამოყენებისა და მოხმარებისთვის მზა ნარკოტიკული საშუალებებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღებაზე.

ახალი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემუშავება დაშვებულია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მიზნით. ახალი ნარკოტიკული საშუალებებისა და სამედიცინო მიზნით გამოყენებული ფსიქოტროპული ნივთიერებების შემუშავება და სახელმწიფო რეგისტრაცია ხდება სამკურნალო საშუალებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

ახალი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემუშავება ხორციელდება სახელმწიფო შეკვეთის შესაბამისად და ის ეფუძნება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, აღნიშნული სახის საქმიანობაზე ლიცენზიის არსებობისას. თუ შემუშავებული ახალი ნარკოტიკული საშუალება ან ფსიქოტროპული ნივთიერება უნდა იქნეს გამოყენებული სამედიცინო მიზნით, მისი კლინიკური ცდები ხორციელდება სამკურნალო საშუალებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმოები და დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოებას, ექვემდებარებიან სახელმწიფო რეგისტრაციას კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადატანა, გადაგზავნა ან გასალება – ნარკოტიკულ საშუალებებთან ან ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან მუშაობის წესის განსაზღვრული საერთაშორისო ხელშეკრულებების, საუწყებო აქტების, ინსტრუქციების დადგენილი წესების დარღვევით ჩადენილი ქმედებები. პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა ნარკოტიკული საშუალებები ან ფსიქოტროპული ნივთიერებები და აქტიურად უწყობდა ხელს ნარკოტიკული საშუალებებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულების გახსნასა თუ აღკვეთას, ამხელდა მათ ჩამდენ პირებს – მსოფლიოს უმეტეს თაეისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან მოცემულ დანაშაულზე.

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანა, გატანა – ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და მათი პრეკურსორების გადაადგილება სხვა სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიიდან ჩვენი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე ან ჩვენი ქვეყნის საბაჟო ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიაზე.

ნარჩენებთან ეოპყრობა – საქმიანობა, რომლის პროცესშიც წარმოიქმნება ნარჩენები და ასევე ნარჩენების შეგროვების, გამოყენების, გაუვნებელყოფის, ტრანსპორტირების, განთავსების საქმიანობა.

ნარჩენების გამოყენება – ნარჩენების გამოყენება საქონლის (პროდუქციის) წარმოებისთვის, სამუშაოების ჩატარებისთვის, მომსახურების გაწევისთვის ან ენერგიის მისაღებად.

ნარჩენების განთავსება – ნარჩენების შენახვა და დამარხვა.

ნარჩენების განთავსების ობიექტი – სპეციალურად მოწყობილი ნაგებობა, რომელიც გათვალისწინებულია ნარჩენების განთავსებისთვის (პოლიგონი, ღამის საცავი, მთის ქანების ყრილი და სხვ.).

ნარჩენების გაუვნებელყოფა – წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების დამუშავება, მათ შორის, მათი დაწვა და გაუვნებელყოფა სპეციალიზირებულ დანადგარებზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით.

ნარჩენების დამარხვა – ხომალდებიდან, საფრენი აპარატებიდან, ხელოვნური კუნძულებიდან, დანადგარებიდან და ნაგებობებიდან ნარჩენების ან სხვა მასალების ნებისმიერი წინასწარ განზრახული მოშორება, ასევე ხომალდების, საფრენი აპარატების, ხელოვნური კუნძულების, დანადგარებისა და ნაგებობების (შემდეგ ობიექტები) წინასწარ განსაზღვრული განადგურება. დამარხვად არ ითვლება ნარჩენებისა და სხვა მასალების მოშორება, რომლებიც წარმოადგენენ ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების ნორმალურ ექსპლუატაციის შედეგს ან ახასიათებენ მას, ხომალდების, საფრენი აპარატების, დანადგარებისა და ნაგებობების მიერ. ტრანსპორტირებული ნარჩენებისა და სხვა მასალების გარდა, რომელთა ექსპლუატაციაც ხდება აღნიშნული მასალების მოშორების მიზნით ან ასევე იმათ გარდა, რაც წარმოადგენს ასეთი ნარჩენებისა თუ სხვა მასალების დამუშავების შედეგს ასეთ ხომალდებზე, საფრენ აპარატებზე, ხელოვნურ კუნძულებზე, დანადგარებსა და ნაგებობებზე; სხვა მიზნებისთვის განკუთვნილი მასალების შენობა, ვიდრე ესაა მათი უბრალო მოშორება იმ პირობით, რომ ეს არ ეწინააღმდეგება კანონითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დასახელებულ მიზნებს.

ნარჩენების სახეები ნარჩენების ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ საერთო ნიშნები ნარჩენების კლასიფიკაციის სისტემის შესაბამისად. იხ. წარმოებისა და მოხმარების ნარჩენები (ნარჩენები).

ნარჩენების სახელმწიფო კადასტრი 1) დოკუმენტირებული ცნობების სისტემატიზირებული კრებული ნარჩენების წარმოშობის, რაოდენობის, შემადგენლობის, თვისებების, საშიშროების კლასის, განთავსების პირობებისა და კონკრეტული ობიექტების, მათი გამოყენების ტექნოლოგიებისა და განიარაღების შესახებ და სხვ.; 2) დოკუმენტების სისტემა, რომელიც მოიცავს ნარჩენების საკლასიფიკაციო კატალოგს, ნარჩენების განთავსების ობიექტების

სახელმწიფო რეესტრს და ასევე ნარჩენებისა და სხვადასხვა სახის ნარჩენების გამოყენების ტექნოლოგიების შესახებ მონაცემთა ბანკს.

ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილება – ნარჩენების გადატანა ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ან რაიონში, რომელიც არაა რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ იმ პირობის დროს, რომ ნარჩენების ასეთი გადაადგილება ეხება არანაკლებ ორი სახელმწიფოს ინტერესს.

ნარჩენების შენახვა – წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების შენახვა ნარჩენების განთავსების ობიექტებში, მისი შემდგომი დამუშავის, გაუვნებელყოფისა თუ გამოყენების მიზნით.

ნარჩენების წარმოქმნის ნორმატივები – სამართლებრივი აქტის სახე, რომელშიც იანგარიშება კონკრეტული სახის ნარჩენების რაოდენობა პროდუქციის ერთეულის წარმოებისას, რაც დადგენილია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ნარჩენების რაოდენობის შესამცირებლად იურიდიულ პირებთან და ინდივიდუალურ მეწარმეებთან მიმართებაში, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას ნარჩენებთან მოპყრობის დარგში. ნარჩენების წარმოქმნის ნორმატივების პროექტებს აშუშავებენ აღნიშნული პირები. ნარჩენების წარმოქმნის ნორმატივების შემუშავებისა და დამტკიცების წესს განსაზღვრავს მთავრობა.

ნასამართლობა საქართველოს კანონმდებლობით ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებების საკითხის გადაწყვეტისას. მსჯავრდებული ნასამართლად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვლება: ა) პირობითი მსჯავრისას – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; ბ)თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; გ)ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ; ვ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ; ე)განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული სამაგალითოდ იქცეოდა, სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა და გაქარწყლების ვადის გასვლამდე. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას (სსკ მუხლი 79).

ნასამართლობა დანაშაულზე მსჯავრდების გარკვეული იურიდიული შედეგი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ელემენტი. დანაშაულის ჩადენაზე მსჯავრდებული პირი ითვლება ნასამართლევად საბრალდებო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის დაფარვის ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობის არსი ვლინდება მსჯავრდებულის უფლებების გარკვეულ შეზღუდვაში, რომლებიც არ შედის სასჯელის შინაარსში. ახალ დანაშაულზე სასჯელის დანიშნისას ნასამართლობა სასამართლოს მიერ შეიძლება განხილულ იქნეს დამამძიმებელი გარემოების სახით. სასჯელმოხდილი პირი ნასამართლევად ითვლება კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში ან ძირითადი და დამატებითი სასჯელის მოხდის დღიდან ნასამართლეობის მოხსნამდე. კანონით დადგენილი ვადის ამოწურვა ავტომატურად იწვევს ნასამართლეობის დაფარვას, ამ დროის განმავლობაში ახალი დანაშაულის ჩაუდენლობის პირობის დროს. სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლებისას (როდესაც ხდება სასამართლოს მიერ სასჯელის შეჩერებული ან პირობითის ან შეწყალების აქტის ძალით, ნასამართლეობის დაფარვის ვადა იანგარიშება ფაქტის ან შეწყალების აქტის ძალით) ნასამართლეობის დაფარვის ვადა იანგარიშება ფაქტიურად მოხდილი სასჯელის გათვალისწინებით, სასჯელის მოხდისგან განთავისუფლების მომენტიდან. თუ პირი, რომელმაც მოიხადა სასჯელი, ნასამართლეობის დაფარვის ვადის ამოწურვამდე ჩაიდენს დანაშაულს, ნასამართლეობის დაფარვა ვადის მიმდინარეობა წყდება, ხოლო პირველ დანაშაულზე ნასამართლეობის დაფარვის ვადა იანგარიშება ბოლო დანაშაულზე სასჯელის ფაქტიური მოხდის შემდეგ. ამ შემთხვევებში პირი ითვლება ნასამართლევად ორივე დანაშაულზე, მათ შორის ყველაზე მძიმეზე ნასამართლეობის დაფარვის ვადის ამოწურვამდე.

ნასამართლეობის არმქონედ ცნობისგან უნდა განვასხვაოთ ნასამართლეობის მოხსნა სასამართლოს მიერ.

სასჯელისგან განთავისუფლებული პირი ითვლება არანასამართლევად.

თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდეგ იქცეოდა უზადოდ, მისი შემადგენლობით სასამართლოს შეუძლია მას მოუხსნას ნასამართლეობა ნასამართლეობის დაფარვის ვადის ამოწურვამდე. ნასამართლეობის დაფარვა ან ამოწურვა აუქმებს ნასამართლეობასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ შედეგს.

ნასყიდი გლეხი ფეოდალურ საქართველოში ნასყიდ გლეხს უწოდებდნენ იმ გლეხს, რომელიც ფეოდალს იყიდა. გლეხი უმეტესად იყიდებოდა მიწიანად, ხდებოდა მაი შეწირვაც ეკლესიისათვის.

ნასყიდობის ხელშეკრულება ხელშეკრულება, რომლის ძალით გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ნასყიდობასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია სამოქალაქო კანონმდებლობით (სკ. მუხლი 477 – 504).

ნატურაში მიწის ნაკვეთის მიკუთვნება 1) მიწათმოწყობის ერთ-ერთი ღონისძიება; 2) ადგილზე მიწის ნაკვეთის საზღვრების განსაზღვრა.

ნაფიცი ვექილი ადვოკატის ოფიციალური სახელწოდება რევოლუციამდელ რუსეთში. ნაფიცი ვექილის წოდება შემოიღო 1864 წლის სასამართლო წესდებამ. ნაფიც ვექილად შეიძლებოდა ყოფილიყო უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი. ნაფიცი ვექილები ქმნიდნენ თვითმმართველ კორპორაციებს.

ნაფიცი მსაჯულების თათბირის საიდუმლოება – ნაფიცი მსაჯულების ვალდებულება დაიცვან კონფიდენციალობა თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად, სათათბირო პროცესის შესახებ; მოცემული ვალდებულება განსაზღვრავს, რომ სათათბირო ოთახში სხვა პირების ყოფნა დაუშვებელია, გარდა ნაფიცი მსაჯულების კოლეგიისა. ნაფიც მსაჯულებს არ შეუძლიათ გაახმოვანონ მსჯელობა, რომელსაც ადგილი აქვს თათბირის დროს. ნაფიც მსაჯულთა ჩანაწერები, რომლებიც სასამართლო სხდომაზე იყო წარმოებული, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სათათბირო ოთახში ნაფიც მსაჯულთა წინაშე დასმულ საკითხებზე პასუხების მომზადებისთვის.

ნაფიცი მსაჯული მოქალაქე, რომელიც განსაკუთრებული ხერხითა და კომპეტენტური ორგანოს მიერ შერჩეულია მართლმსაჯულების აღსრულებისთვის.

ნაფიცი მსაჯულის სახით მართლმსაჯულების აღსრულებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მოქალაქეებს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმეების განხილვისას. ნაფიცი მსაჯულები შეიძლება იყვნენ მოქალაქეები, რომლებიც ჩართულნი არიან ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების სიაში სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს მიერ განხილვაში მონაწილეობისთვის. ნაფიცი მსაჯულების სახით მართლმსაჯულების აღსრულებაში მონაწილეობა წარმოადგენს მოქალაქეობრივ მოვალეობას ნაფიცი მსაჯულების კანდიდატთა სიაში შესული მოქალაქეებისთვის.

უმეტესი ქვეყნის საერთაშორისო პრაქტიკით, ნაფიცი მსაჯულები არ შეიძლება იყვნენ პირები: ა) რომელთაც ნაფიც მსაჯულთა კანდიდატთა სიის შედგენის მომენტისთვის არ მიუღწევიათ 25 წლის ასაკისთვის; ბ) გაჩენიათ დაუფარავი ან მოუხსნელი ნასამართლობა; გ) სასამართლოს მიერ ცნობილნი არიან ქმედუუნაროდ ან შეზღუდულნი არიან ქმედუნარიანობაში სასამართლოს მიერ; დ) აღრიცხვაზე იმყოფებიან ნარკოლოგიურ ან ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისგან, ტოქსიკომანიისგან, ქრონიკული და ხანგრძლივი ფსიქიკური აშლილობებისგან განკურნებასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ მოქალაქე გახდეს ნაფიცი მსაჯული საჭიროა შეკრების გაელა, რომლის შედეგების მიხედვით ხდება სიების შედგენა.

მოქალაქეებს ნაფიცი მსაჯულის ვალდებულებების შესასრულებლად იწვევენ წელიწადში ერთხელ 10 სამუშაო დღის ვადით ან ამ საქმის განხილვის დროის მანძილზე. სასამართლო ნაფიც მსაჯულებს ბიუჯეტიდან უხდის საკომპენსაციო ანაზღაურებას მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს 1/2 ნაწილის ოდენობით, ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობის დღეების რაოდენობის პროპორციულად. ნაფიც მსაჯულს უნაზღაურდება მივლინების ხარჯები სასამართლოს მიერ. ნაფიც მსაჯულზე მის მიერ მართლმსაჯულების აღსრულების პერიოდში ერცელდება მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის გარანტიები.

სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად გასელის წინ ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის თავმჯდომარე მიმართავს ნაფიც მსაჯულებს შესაკავი სიტყვით. ამასთან, თავმჯდომარეს ეკრძალება რაიმე ფორმით გამოხატოს საკუთარი აზრი ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის წინ დასმულ საკითხებზე. მას თავის სიტყვაში მოჰყავს: ა) ბრალდების შინაარსი; ბ) სისხლის სამართლის კანონის შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განსასჯელის მიერ ჩადენილ ქმედებაზე; გ) ახსენებს სასამართლოში გამოკვლეულ განსასჯელს, როგორც მამხილებელ, ასევე გამამართლებელ მტკიცებულებებს; გ) გადმოსცემს სახელმწიფო ბრალმდებლისა და დაცვის პოზიციებს; ე) ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს მტკიცებულებების მათ ერთობლიობაში შეფასების ძირითად წესებს; უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის არსს; განსასჯელის სასარგებლოდ აღმოუფხვრელი ეჭვების განმარტების დებულებებს; დებულებას იმის შესახებ, რომ მათი ვერდიქტი შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც უშუალოდა გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე; ე) მოაყოლრობს ნაფიცი მსაჯულების კოლეგიის ყურადღებას იმაზე, რომ განსასჯელის უარს ჩვენების მიცემაზე ან სასამართლოში მის დუმილს არ გააჩნია იურიდიული მნიშვნელობა და არ შეიძლება მათი, როგორც განსასჯელის ბრალეულობის დასტურის განმარტება; ზ) განმარტავს ნაფიც მსაჯულთა თათბირის, დასმულ კითხვებზე პასუხის მომზადების, პასუხებზე ხმის მიცემისა და ვერდიქტის გამოტანის წესს. ამ სიტყვის შემდეგ მხარეებს შეუძლიათ სასამართლო სხდომაზე გამოხატონ საპირისპირო შეხედულება თავმჯდომარის მიერ ობიექტურობისა და მოუკერძოებლობის პრინციპის დარღვევის მოტივებთან დაკავშირებით.

თავმჯდომარის შესავალი სიტყვა იწერება სასამართლო სხდომის ოქმში, ან მისი ტექსტი თან ერთვის სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რაზეც მითითება ხდება ოქმში. თავმჯდომარე ამთავრებს თავის სიტყვას ნაფიცი მსაჯულების ყურადღების მიპყრობით იმაზე, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში მათ შეუძლიათ აღიარონ განსასჯელის შეწყნარების დამსახურება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სასამართლო, რომელიც მართლმსაჯულებას ახორციელებს ხალხის წარმომადგენელთა (ნაფიც მსაჯულთა) უშუალო მონაწილეობით. ნაფიცი მსაჯულები, როგორც წესი, ქმნიან დამოუკიდებელ კოლეგიას, რომელიც ვერდიქტის გამოტანით წყვეტს მხოლოდ ბრალდებულის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხს. ბრალეულად ცნობის შემთხვევაში განაჩენს ადგენენ და სასჯელს ნიშნავენ პროფესიონალი მოსამართლეები დამოუკიდებლად ან ნაფიც მსაჯულებთან ერთად. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია შედგება 6, 12 და ზოგ ქვეყანაში უფრო მეტი წევრისაგან, რომელთა შერჩევა ხდება ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. როგორც წესი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პირველი ინსტანციით იხილავს საქმეებს მძიმე დანაშაულისათვის და მისი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ საჩივრდება. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პირველად შეიქმნა ინგლისში შუა საუკუნეებში, საფრანგეთის დიდი

რეჟოლუციის შემდეგ კი ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამჟამად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არსებობს აშშ-ში, რუსეთში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ირლანდიაში და სხვა ქვეყნებში.

ნაყოფი

შემოსავალი მიღებული ნივთით სარგებლობის შედეგად. ბუნებრივ (ორგანულ) ნაყოფს მიეკუთვნება ცხოველთა ნამატი, მატყლი, რძე, შინაური ფრინველის კვერცხი, ხეხილის ნაყოფი და ა.შ. ნივთის სამოქალაქო ბრუნვის შედეგად მიღებულ ნაყოფს (ფულადი სახსრებით სარგებლობის პროცენტი, გაქირაების ფასი და ა.შ.) ეწოდება შემოსავალი.

ნაციონალობა (საერთაშ. სამართ.) საერთაშორისო კერძო სამართლის პრინციპი, რომელიც ასახავს თანასწორუფლებიანობას, კონკრეტულ საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობაში. გამოიხატება იმით, რომ ერთი სახელმწიფოს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა სტატუსი (უფლებები, პრივილეგიები, შეღავათები) მეორე სახელმწიფოში იმგვარადვეა განსაზღვრული, როგორც მეორე სახელმწიფო პირთა სტატუსი პირველ სახელმწიფოში. ნაცვალგება მატერიალურია, როცა ეს ორი სტატუსი თავისი შინაარსით ემთხვევა ერთმანეთს; ნაცვალგება ფორმალურია, როცა ორივე სტატუსი ადგილობრივი კანონებიდან გამომდინარეობს, მაგრამ მატერიალური შინაარსით განსხვავებულია ამ ორი სახელმწიფოს კანონმდებლობათა სხვადასხვაობის გამო.

ნაცვალი 1) გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ეგზირის მოადგილე; 2) გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში ადმინისტრაციული პოლიციური მოხელე. ნაცვალები ჰყავდათ როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფალთ. იყვნენ ქალაქისა და სოფლის ნაცვალები. თბილისში ერთდროულად ორი ნაცვალი (შეფის მოხელე და მოურავის მოხელე) საქმიანობდა. თბილისისა და გორის მელიქების, ეშიკაღასბაშის, ყორიასულაბაშის და ზოგიერთი სხვა მოხელის ნაცვალებს ნაიბები ეწოდებოდათ. ნაცვალი, მოურავთან ერთად იხილავდა მცირემნიშვნელოვან დავას, მეთვალყურეობდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და სხვა.

ნაჩუქრობა – სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (გამჩუქებელი) უანგაროდ გადასცემს ან იღებს ვალდებულებას გადასცეს მეორე მხარეს (საჩუქებელს) ნივთი საკუთრებაში ან ქონებრივი უფლება (მოთხოვნა) საკუთარი თავის ან მესამე პირის მიმართ ან ანთავისუფლებს, ან ავალდებულებს განთავისუფლოს ის ქონებრივი ვალდებულებისგან მისი ან მესამე პირის წინაშე. ბუნებით, ნაჩუქრობა – არაანაზღაურებადი, კონსენსუალური ან რეალური ხელშეკრულებაა. ნაჩუქრობის ხელშეკრულების საგანი – ნივთები, ქონებრივი უფლებები მჩუქებლის ან მესამე პირებთან მიმართებაში, განთავისუფლება ქონებრივი ვალდებულებებისგან გამჩუქებლის (ვალის პატიება) ან მესამე პირის (ვალდებულებების შესრულება საჩუქებლის ნაცვლად) წინაშე.

აქ, მხარეებია გამჩუქებელი და საჩუქებელი. ამასთან, დაუშვებელია ნაჩუქრობა ჩვეულებრივი საჩუქრების გარდა, რომელთა ღირებულებაც აღემატება კანონით დადგენილს ხუთჯერ – მცირეწლოვანთა, ქმედუუნაროდ მიჩნეულ მოქალაქეთა, მათი კანონიერი წარმომადგენლების სახელით; სამკურნალო, საგანმანათლებლო და სხვა ანალოგიური დაწესებულებების მუშაკებისადმი მათ დაწესებულებაში სამკურნალოდ ან აღსაზრდელად მყოფი მოქალაქეების, მეუღლეებისა და ამ მოქალაქეთა ნათესავების სახელით; სახელმწიფო და მუნიციპალური წარმონაქმნების ორგანოთა მომსახურებისთვის მათ სამსახურებრივ მდგომარეობასთან ან მათ მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით; კომერციულ ორგანიზაციებს შორის დამოკიდებულებების მხრივ.

იურიდიულ პირს, რომელსაც ნივთი ეკუთვნის სამეურნეო ფლობის ან ოპერატიული მართვის უფლებით, შეუძლია მისი ჩუქება მესაკუთრის თანხმობით. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება მცირე ღირებულების საჩუქრებზე. ნაჩუქრობა შეიძლება მოხდეს ზეპირად, გადაცემით, სიმბოლური გადაცემით (გასაღების გადაცემა და ა.შ.) ან უფლების დამდგენი დოკუმენტების გადაცემით იმ შემთხვევების გარდა, როცა: ა) გამჩუქებელს წარმოადგენს იურიდიული პირი ან საჩუქრის ღირებულება ხუთჯერ აღემატება კანონით დადგენილს; ბ) ხელშეკრულება შეიცავს მომავალში ჩუქების პირობას (კონსენსუალური ხელშეკრულება). უძრავი ქონების ნაჩუქრობის ხელშეკრულება ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას.

ნაჩუქრობის კონსენსუალური ხელშეკრულების შინაარსი წარმოქმნის გამჩუქებლის ვალდებულებას აუნაზღაურებლად გადასცეს პირს ნივთი ან ქონებრივი უფლება თუ განთავისუფლდება ქონებრივი ვალდებულებისგან. ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საჩუქრის გადაცემას საჩუქებლისთვის გამჩუქებლის სიკვდილის შემდეგ, ასევე დანაპირები ანუკრობა მთელი თავისი ქონება ან ქონების ნაწილი ნაჩუქრობის კონკრეტულ საგანზე მითითების გარეშე ნივთის, უფლების ან ვალდებულების განთავისუფლებისგან, მართალია გამჩუქებელს უფლება აქვს უარი თქვას ნაჩუქრობის კონსენსუალური ხელშეკრულების შესრულებისგან, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიცვალა გამჩუქებლის ქონებრივი ან ოჯახური მდგომარეობა თუ ჯანმრთელობა იმდენად, რომ ახალ პირობებში ხელშეკრულების შესრულება გამოიწვევს მისი ცხოვრების დონის არსებით შემცირებას, ასევე იმ საფუძვლებზეც, რომლებიც მას უფლებას აძლევს გააუქმოს ნაჩუქრობა (იხ. ნაჩუქრობის გაუქმება).

საჩუქებელ პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მისთვის ნაჩუქრობის გადაცემამდე უარი თქვას მასზე. ამ შემთხვევაში ნაჩუქრობის ხელშეკრულება ითვლება გაწყვეტილად. თუ ნაჩუქრობის ხელშეკრულება დადებულია წერილობითი ფორმით, გამჩუქებელს უფლება აქვს საჩუქებელი პირისგან მოითხოვოს ნაჩუქრობის მიღების უარით გამოწვეული რეალური ზარალის ანაზღაურება. საჩუქებელი პირის უფლება, რომელსაც ნაჩუქრობის ხელშეკრულებით დაპირებული აქვს ჩუქება, არ გადადის მის მემკვიდრეებზე (სამართალმემკვიდრეებზე), თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა ნაჩუქრობის ხელშეკრულებით. გამჩუქებლის ვალდებულებები, რომელმაც მისცა ნაჩუქრობის პირობა, გადადის მის მემკვიდრეებზე (სამართალმემკვიდრეებზე) თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა ნაჩუქრობის ხელშეკრულებით.

ნაჩუქრობის გაუქმება – ნაჩუქრობის შესრულებული ხელშეკრულების შეწყვეტა გამჩუქებლის ინიციატივით კანონში გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, რასაც მოსდევს საჩუქებელი პირის ვალდებულება დააბრუნოს ნაჩუქები ნივთი. თუ ის შენარჩუნდა ნატურაში ნაჩუქრობის გაუქმების მომენტისთვის.

გამჩუქებელს უფლება აქვს გააუქმოს ნაჩუქრობა იმ შემთხვევების გარდა, როცა გადაიცა მცირე ღირებულების საჩუქარი, თუ: ა) საჩუქებელმა პირმა მოახდინა თავდასხმა მის, ან მისი ოჯახის რომელიმე წევრისა თუ ახლო ნათესაის სიცოცხლეზე, ან განზრახ მიაყენა გამჩუქებელს სხეულის დაზიანება. გამჩუქებლის სიცოცხლის განზრახ მოსპობის შემთხვევაში საჩუქებელი პირის მიერ სასამართლოში ეკუთვნის გამჩუქებლის მემკვიდრეებს; ბ) საჩუქებელის მიმართვა ნაჩუქი ნივთით, რომელიც წარმოადგენს გამჩუქებლისთვის დიდ არაქონებრივ ფასეულობას, ქმნის მისი დაკარგვის საშიშროებას; გ) ნაჩუქრობა მოხდა ინდივიდუალური მეწარმის ან იურიდიული პირის მიერ გაკოტრების შესახებ კანონის დებულებების დარღვევით, მის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სახსრების ხარჯზე ექსი თვის განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებდა ასეთი პირის გაკოტრებულად გამოცხადებას; დ) გამჩუქებელი რჩება ცოცხალი საჩუქებელი პირის სიკვდილის შემდეგ იმ პირობით, რომ ნაჩუქრობის გაუქმების საფუძველი არის ხელშეკრულებაში.

ნაწარმოების ავტორი ფიზიკური პირი, რომლის შემოქმედებითი შრომითაც შექმნილია ნაწარმოები, რომელსაც იცავს საავტორო უფლება. ნაწარმოების ავტორი იღებს უფლებას მის მიერ ნაწარმოების შექმნის ფაქტის ძალით. ნაწარმოების გამოქვეყნება არ წარმოადგენს საავტორო უფლების დაცვის პირობას (გამონაკლისს შეადგენენ ზეპირი ნაწარმოებები). ასევე არაა საჭირო ნაწარმოების რეგისტრაცია. ავტორს (საავტორო უფლებების მფლობელს) აქვს უფლება ნაწარმოების თითოეულ ეგზემპლარზე მიუთითოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც აღნიშნულია წრეში მოთავსებული ლათინური ასოთი „C“ და ასევე თავისი სახელი და ნაწარმოების პირველი გამოცემის თარიღი. სხვა დამამტკიცებელი ნიშნების არარსებობისას მოქმედებს ავტორობის პრეზუმფცია ე.ი. ნაწარმოების ავტორად ითვლება პირი, რომელიც ავტორის სახით მითითებულია ორიგინალზე ან ნაწარმოების თითოეულ ეგზემპლარზე.

ზოგადი წესის მიხედვით, ნაწარმოების ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნებისას (იმ შემთხვევის გარდა, როცა ფსევდონიმი ეჭვს არ ტოვებს ავტორის პიროვნებაში) ნაწარმოების გამომცემელი ითვლება ავტორის წარმომადგენლად და ამ სახით მას შეუძლია ავტორის უფლებების დაცვის უფლება. ავტორის უფლებები იყოფა პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებად. პირადი არაქონებრივი უფლებები ეკუთვნის უშუალოდ ავტორებს ქონებრივი უფლებების ფლობის მიუხედავად. იხ. თანაავტორობა, ნაწარმოების გადამუშავება, აუდიოვიზუალური ნაწარმოები, შედგენილი ნაწარმოები, სამსახურებრივი ნაწარმოები, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ავტორის ქონებრივი უფლებები,

ნაწარმოების გადამუშავება – საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების შინაარსის თარგმნა, გადაკეთება, არანჟირება ან სხვაგვარი ცვლილება. მთარგმნელებისა და გადამამუშავებელთა (არანჟირების, ინსცენირების ავტორი) მიერ შექმნილი ნაწარმოებები, ერთის მხრივ, წარმოადგენს წარმოებულს, ხოლო მეორეს მხრივ, ახალ ნაწარმოებს და ისინი დაცულია საავტორო უფლებით, როგორც დამოუკიდებელი. გადამუშავებაზე საავტორო უფლება წარმოიქმნება წარმოებული ნაწარმოების შექმნის ძალით იმის მიუხედავად, გადამუშავებამდე თუ მას შეშდეგაა მიღებული ნაწარმოების ავტორის თანხმობა გადამუშავებაზე. ასეთი თარგმანის ან გადამუშავების გამოყენებისთვის უნდა დაიდოს საავტორო ხელშეკრულება არა მხოლოდ მთარგმნელთან (გადამამუშავებელთან), არამედ იმ ორიგინალური ნაწარმოებების ავტორებთან, რომლებიც ითარგმნა ან იქნა გადამუშავებული. მთარგმნელებს ან გადამამუშავებლებს უფლება არა აქვთ აუარძალონ სხვა პირებს განახორციელონ და გამოიყენონ იმავე ნაწარმოებების თავიანთი საკუთარი თარგმანი ან გადამუშავება.

ნაწარმოების გამოქვეყნება – ავტორის თანხმობით განხორციელებული მოქმედება, რომელიც ნაწარმოებს ხდის მისაწვდომს საყოველთაოდ. ნაწარმოების გამოქვეყნება შეიძლება მოხდეს: ა) გამოცემის; ბ) შესრულების ან საჯარო შესრულების; გ) ეთერში გადაცემის გზით და ა.შ. ნაწარმოების გამოქვეყნება ყოველთვის ატარებს საჯარო ხასიათს. გამოქვეყნებას წარმოადგენს ნაწარმოების ეგზემპლარების გამოშვება, ფონოგრამების მიმოქცევაში ყოფნა ნაწარმოების ავტორის, ფონოგრამის მწარმოებლის თანხმობით იმ რაოდენობით, რაც საკმარისია პუბლიკის გონიერული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

შესრულებად ითვლება ნაწარმოების წარმოდგენა თამაშის, დეკლამაციის, სიმღერის, ცეკვის მეშვეობით ცოცხალი შესრულებით ან ტექნიკური საშუალებების (ტელერადიომაუწყებლობის და ა.შ.) მეშვეობით; აუდიოვიზუალური ნაწარმოების კადრების ჩვენება მათ თანამიმდევრობაში (ხმის თანხლებით ან უხმოდ). ნაწარმოების საჯარო ჩვენების ქვეშ იგულისხმება ნაწარმოების უშუალოდ ან ეკრანზე დემონსტრაცია (დიაპოზიტივები, ფილმების ცალკეული კადრები და ა.შ.). ეთერში გადაცემას წარმოადგენს ნაწარმოებების გადაცემა რადიოთი ან ტელევიზიით, ასევე სიგნალების მიღება (გადაცემა) თანამგზავრების მეშვეობით, პროგრამების პუბლიკის მიერ ფაქტიური მიღების მიუხედავად.

ნაწილ-ნაწილ გადახდის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს პირობას იმის შესახებ, რომ საქონლის ანაზღაურება ხორციელდება ნაწილ-ნაწილ გარკვეული დროის მანძილზე, მისი მყიდველისთვის გადაცემიდან. მოცემულ ხელშეკრულებაში არსებითს წარმოადგენს პირობები საქონლის ფასის, საგნის, გადახდის წესის, ვადებისა და ოდენობის შესახებ. თუ მყიდველი დადგენილ დროში არ ახორციელებს მორიგ გადახდას საქონელზე, გამყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე და მოითხოვოს გაყიდული საქონლის დაბრუნება. ეს უფლება ბათილდება, თუ მყიდველის

მიერ წარმოებული გადახდა აღემატება საქონლის ფასის ნახევარს.

ნაციონალიზაცია – სახელმწიფო საკუთრების უფლების შეძენის წარმოებული ხერხი, რომელიც მდგომარეობს მოქალაქეებისა და იურიდიული პირების კერძო საკუთრებაში მყოფი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მოქცევაში. ნაციონალიზაცია ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ამ ქონების ღირებულებისა და სხვა ზარალის მესაკუთრესთვის ანაზღაურების შესაბამისად. დავები ზარალის ანაზღაურების შესახებ წყდება სასამართლოს მიერ.

ნდობის ჯგუფი საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების წევრთაგან შედგენილი 3-კაციანი ჯგუფი, რომელთაგან ერთი კომიტეტის თავმჯდომარეა, ერთი საპარლამენტო უმრავლესობის და ერთი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი. ნდობის ჯგუფის შექმნის წესი და უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს 1998 წლის 4 მარტის კანონით ნდობის ჯგუფის შესახებ.

ნებაზე მიშვება სამსახურში – თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ საქმიანობაში ქრთამის მიმცემის ან მათი წარმომადგენლების დარღვევებზე ზომების მიუღებლობა, არარეაგირება მის არამართლზომიერ მოქმედებებზე.

ნებაყოფლობითი უარის თქმა დანაშაულის ჩადენაზე პირის მიერ დანაშაულისთვის მზადების ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენაზე მიმართული მოქმედებების (უმოქმედობის) შეწყვეტა, თუ პირმა გააცნობიერა დანაშაულის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა. პირი არ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დანაშაულზე, თუ მან ნებაყოფლობით და საბოლოოდ თქვა უარი ამ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე; თუმცა ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტიურად ჩადენილი ქმედება შეიცავს დანაშაულის სხვა შემადგენლობას.

ნებატორული სარჩელი – იხ. ქონებრივ-სამართლებრივი სარჩელი.

ნივთები – სამოქალაქო სამართალში ადამიანთან მიმართებაში გარემომცველი სამყაროს მატერიალური საგნები. სამოქალაქო სამართლის მეცნიერება ნივთების ქვეშ გულისხმობს ბუნების მიერ მოცემულ ან ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური სამყაროს ფასეულობებს, რომლებიც გამოდიან სამოქალაქო სამართლის ობიექტების სახით. მათ წარმოადგენს, როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის საგნები ე.ი. ადამიანის შრომის პროდუქტები, ასევე საგნები, რომლებიც შექმნილია თავად ბუნების მიერ და გამოიყენება ადამიანთა მიერ თაეიანთ ცხოველქმედებაში – მიწა, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეები და ა.შ. სამოქალაქო სამართლის ობიექტებს შორის ნივთებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ, რაც განისაზღვრება მათი ყველაზე მეტი გაერცელებულობითა და ნივთებთან დაკავშირებით საკუთრების ურთიერთობების წარმოქმნით. ნივთების უმნიშვნელოვანესი ნიშანი, რომლის მიხედვითაც ისინი ხდებიან სამოქალაქო სამართლის ობიექტები მდგომარეობს მათ უნარში დააკმაყოფილოს ადამიანთა ესა თუ ის მოთხოვნილება. საგნები, რომელთაც არ გააჩნიათ სასარგებლო თვისებები ან ისინი, რომელთა სასარგებლო თვისებებიც ჯერაც არაა აღმოჩენილი ადამიანთა მიერ, ასევე ადამიანთათვის მიუწვდომელი საგნები ადამიანის ცივილიზაციის განვითარების მიცემულ ეტაპზე (მაგალითად, კოსმური ხომალდები) სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტებად არ გამოდიან. სამოქალაქო სამართალში ნივთები იყოფა სახეებად იურიდიული კლასიფიკაციის საფუძვლების მიხედვით. თანამედროვეობის თითქმის ყველა სამართლებრივი სისტემის მიერ ნივთები იყოფა მოძრავად და უძრავად (მიწის ნაკვეთები, წიაღის უბნები, განცალკევებული წყლის ობიექტები და ა.შ.). უძრავი ქონების ობიექტების უმრავლესობისთვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მათი უშუალო კავშირი მიწასთან. უძრავ ქონებას ასევე განეკუთვნება სახელმწიფო რეგისტრაციის ქვეშ მყოფი საჰაერო და საზღვაო ხომალდები, შიდა ნაოსნობის ხომალდები და კოსმიური ობიექტები (ხელოვნური თანამგზავრები, კოსმიური ხომალდები და ა.შ.). ყველა დანარჩენი ნივთი, რომელიც კანონის პირდაპირი მითითებით არ განეკუთვნება უძრავ ქონებას, მათ შორის, ფული და ფასიანი ქაღალდები მიჩნეულია მოძრავ ქონებად.

ზოგადი წესის მიხედვით, ნივთები შეზღუდული არაა ბრუნვაში, შესაძლებელია მათი თავისუფლად გასხვისება და ერთი პირიდან მეორეზე გადასვლა (ბრუნვაში შეუზღუდავი ნივთები). ზოგიერთი სახის ნივთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დაცვის, მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მოსაზრებებით და ა.შ. ბრუნვაში შეზღუდულია, მაგალითად, იარაღი, ძლიერმოქმედი შხამები, ნარკოტიკული საშუალებები (ბრუნვაში შეზღუდული ნივთები). ბრუნვიდან ამოღებულად ითვლება ის ნივთები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საგანი (ცხოველთა საშყარო, ყაღბი ფულის ნიშნები და ა.შ.).

მოხმარებადს განეკუთვნება ნივთები, რომლებიც გამოყენების პროცესში კარგავენ თაეიანთ სამოხმარებლო თვისებებს სრულად ან ნაწილობრივ (მაგალითად, კვების პროდუქტები) ან გარდაიქმნება სხვა სამოხმარებლო ნივთად (მაგალითად, სამშენებლო მასალები). არამოხმარებადს წარმოადგენს ის ნივთები, რომლებიც მათი გამოყენებისას დანიშნულების მიხედვით, აბორტიზაციას განიცდის თანდათან შედარებით ხანგრძლივი დროის მანძილზე (მაგალითად, მანქანები). სამოქალაქო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანს წარმოადგენს ნივთების დაყოფა ინდივიდუალურ-გარკვეულად, დაყოფადად და დაუყოფადად, სულიერად და უსულოდ, მთავარ ნივთებად და კუთვნილებად.

ნივთებისა და დოკუმენტების ამოღება – ადმინისტრაციული წესით იმ საგნებისა და დოკუმენტების ამოღება, რომლებიც წარმოადგენენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საგანს ან ჩადენის იარაღს და რომელთაც აქვთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმეზე მტკიცებულებათა მნიშვნელობა ან აღმოჩენილნი არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას ან პირადი შემოწმებისას, იმ ნივთების შემოწმებისას, რომლებიც

თან გააჩნია ფიზიკურ პირს ან სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებისას.

ფიზიკურ პირებში ნივთებისა და დოკუმენტების ამოღება ხორციელდება იმ თანამდებობის პირთა მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან შეადგინონ ოქმები ორი მოწმის თანდასწრებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების შესახებ, ჩაატარონ პირადი ნივთების და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება. ფურცლიდან პირებში ნივთებისა და დოკუმენტების ამოღება, მათთვის კუთვნილი ტერიტორიების, შენობებისა და საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ქონების, ასევე შესაბამისი დოკუმენტების შემოწმების დროს, ხორციელდება ამაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, რაზეც ხდება ოქმის შედგენა ორი მოწმის თანდასწრებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, რასაც მოსდევს შესაბამისი სახის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა, მძღოლს, გემწყობაზს, პილოტს ჩამოერთმევა შესაბამისი მოწმობა საქმეზე დადგენილების გამოტანამდე და გაიცემა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების დროებითი ნებართვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმში ხდება ჩანაწერის გაკეთება მძღოლის მოწმობის ჩამორთმევის თაობაზე.

ნივთებისა და დოკუმენტების ამოღებისას, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ფოტო- და კინოგადაღება, ვიდეოჩანაწერი, ნივთმტკიცებების ფიქსაციის სხვა საშუალებები. ამოღებული ნივთები და დოკუმენტები ინახება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვამდე, საქმეზე დადგენილებაში უნდა გადაწყდეს ამ საგნების ბედი (კონფისკაცია, ანაზღაურებადი ამოღება, რეალიზაცია ან განადგურება, მფლობელისთვის დაბრუნება). ნივთებისა და დოკუმენტების ამოღებაზე მოქმედებები შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, პროკურატურაში ან სასამართლოში.

ნივთი – ნივთი სამართალში მატერიალური სამყაროს საგანია, რომლის გამო წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სასამართლო აწესრიგებს. საგნების ეკონომიური დანიშნულებისა და ბუნებრივი თავისებურების მიხედვით სამართალში დადგენილია ნივთების სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმი და მიღებულია შემდეგი კლასიფიკაცია. წარმოების საშუალებები და მოხმარების საგნები ბრუნვიდან ამოღებული, ბრუნვაში შეზღუდული და შეუზღუდავი ნივთები (შეზღუდულია მიმოქცევა ნივთებისა რომლის შეძენა მარტო სპეციალური ნებართვით შეიძლება. მაგ., ზოგიერთი იარაღი, ძლიერმოქმედი შხამი და ა.შ.) ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები (ავტომანქანა, ძალაყინი და ა.შ.) და გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთები, რომელთა გამოყოფა ხდება წონის, რაოდენობის, ფორმის და ზომის მიხედვით, გაყოფადია ისინი თუ არა (ჭიქა არაყი, ღვინო, საათი), ნადგურდებიან ერთჯერადი და საერთოდ არამოხმარების გამოყენების შედეგად (საწვავი მასალა) თუ ხანგრძლივი მოხმარებისაა (ავეჯი); საგამოძიებო და სამართალწარმოებაში მნიშვნელოვანია ნივთების დაყოფა მთავარ, საკუთნელ, აქტიურ ან პასიურ ხარისხებად.

ნიშანი (სამართ. ისტ.) ფეოდალურ საქართველოში: 1. ბეჭედი ან სხვა რამ სამკაული (იშვიათად ეერცხლის ან ოქროს ფული), რომელსაც სახიმო ან მისი წარმომადგენელი სასტარძლოს ან მის მშობლებს გადასცემდა. სასატარძლოს გარდაცვალების ან მისი მხრივ პირობის დარღვევის შემთხვევაში ნიშანი უკან უნდა დაებრუნებინათ, ხოლო თუ დანიშნული ქალი დამნაშავეზე გათხოვდებოდა, ნიშანი ქალის საკუთრებად ითვლებოდა. ქალისთვის ნიშნის მიტანას ბელგასაც ეახოდნენ. 2. წერილობითი დოკუმენტი („სამამულო ნიშანი" და „წიგნი და ნიშანი"). 3. საეკლესიო გამოსაღები, რომელსაც მიცვალებულის პატრონი იხდიდა. ზოგჯერ ნიშანი მიცვალებულის მოსაგონებელ მის რაიმე ნივთს (ცხენი, იარაღი, ტანსაცმელი, სამკაული) ნიშნავდა.

ნიჭი (სამართ. ისტ.) საჩუქარი და საბოძვარი მართლმადიდებლურ, ქრისტიანულ ძველ საქართველოში, რომელსაც ღმერთის წყალობად თვლიდნენ. ს.ს. ორბელიანის განმარტებით, ნიჭი – „უფალთა მიერ საბოძვარს", „უალრესისაგან უდარესის ბონაცემს" წარმოადგენდა. ჩუქებას, ბოძებას აღნიშნავდა „ნიჭება", „მინიჭება", „მონიჭება", გაჩუქებას – „ჯანიკება". მბობებელს – „მომნიჭებელი" და ა.შ. ბექასა და აღბუღის სამართალში, (მუხლი 34) საქორწილო შესაწერის მნიშვნელობით იხსენიება სანიჭარი, რომელიც გეანობამდე შემორჩა მესხეთჯავახეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ნოვაცია – სამოქალაქო სამართალში ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ვალდებულება წყდება იმავე პირებს შორის არსებული თავდაპირველი ვალდებულების სხვა ვალდებულებით შეცვლის შესახებ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც ითვალისწინებს შესრულების სხვა საგანს ან ხერხს. ნოვაცია დაუშვებელია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულებებთან მიმართებაში. ნოვაცია წყვეტს დამატებით ვალდებულებებს, რაც უკავშირდება თავდაპირველს, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმებით. მხარეთა სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, რომლებიც ასევე იწვევენ ვალდებულებების შეწყვეტას, ნოვაცია არ წყვეტს მხარეთა სამართლებრივ კავშირს, რამდენადაც იმ ვალდებულების ნაცვლად, რომლის მოქმედებაც წყდება, მათ მიერ სრულდება უწინდელი ვალდებულების შემცველი ვალდებულება. მხარეები ითვალისწინებენ საგნის შეცვლას, ასევე შესრულების ხერხის ცვლილებას. იცვლება რა საგანი და შესრულების ხერხები მხარეები სპეციალურად თანხმდებიან ადრე მოქმედი ვალდებულების შეწყვეტის პირობებსა და მისი ახალი ვალდებულებით შეცვლის თაობაზე.

ნოვაცია (novation) – მხარეთა შეთანხმებით ვალდებულების შეწყვეტა მისი ახალი ვალდებულებით შეცვლის გზით. ნოვაცია არ ერცვლდება სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე, აგრეთვე საალიმენტო ვალდებულებებზე.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით ამ ტერმინს სხვა მნიშვნელობა ენიჭება: ორმხრივი ხელშეკრულების

განახლება იმავე პირობებით, მაგრამ ერთ-ერთი კონტრაჰენტი იცვლება მესამე პირით. ასეთ სიტუაციას შეიძლება ადგილი, თუ ერთ-ერთი კომპანიის საქმიანობის სფერო გადადის სხვა კომპანიაში. ეს უკანასკნელი კი, იღებს თავის თავზე ვალდებულებებს ამ სფეროში წინა კომპანიის მიერ დადებული კონტრაქტების შესრულებაზე.

ნორმატივიზმი [< ლათ. normatio მოწესრიგება] – სამართლის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა XX საუკუნეში. მჭიდროდაა დაკავშირებული I ს-ში გაბატონებულ პოზიტივიზმთან. ნორმატივიზმი ემყარება ნეოკანტიანელების დებულებას იმის შესახებ, რომ ჯერარსი და არსი ერთმანეთისაგან განუყოფელია და რომ ჯერარსი არ გამომდინარეობს არსისაგან, რომელიც მოცემულია „ნორმატულ სკოლა“ – სამართალში.

ნორმატივიზმი სამართლის თეორიაში უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობაა XX ს-ის სამართლებრივ მეცნიერებაში, რომელიც სამართლის ნორმებს მათი განვითარებისა და არსებობის ეკონომიკური, ისტორიული და სოციალური პირობებისგან დამოუკიდებლად შეისწავლის.

ნორმატიული [<ლათ. normatio მოწესრიგება] ნორმატივთან დაკავშირებული; ნორმის დამდგენი, წესების განმსაზღვრელი; ნ. აქტი – სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ნორმატიული აქტი, რომლის მეშვეობით დგინდება სამართლის ნორმები.

ნორმატიული აქტი სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო ორგანოების მეშვეობით გამოცემული აქტი, რომელშიც დადგენილია სამართლებრივი ნორმა. უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტს წარმოადგენს კანონი. მმართველობითი სახელმწიფო ორგანოები გამოსცემენ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს (ბრძანებულება, ბრძანება, განკარგულება, დადგენილება), რომელიც ერთი დარგის, დაწესებულების ან პირთა ჯგუფისათვის წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტს. ნორმატიულ აქტია აგრეთვე ზოგჯერ ორგანიზაციის აქტი, რომელიც სახელმწიფო ორგანოსთან ერთად არის გამოცემული.

ნორმატიული აქტი, განსხვავდება ე.წ. ინდივიდუალური იურიდიული აქტისაგან, რომელიც არეგულირებს კონკრეტულ მართლურთიერთობას, მაგ. სასამართლო გადაწყვეტილება, გარიგება, ბრძანებულება ორდენით დაჯილდოების შესახებ და სხვა.

ნორმატიული სკოლა სამართალში ს-ის სამართლის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომლის მიხედვითაც სამართლის შექმნა და განვითარება დამოუკიდებელ საკუთარ კანონზომიერებას ემორჩილება. მისი ფილოსოფიური საფუძველია სუბიექტური იდეალიზმი, კერძოდ, ნეოკანტიანელობა, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს არსსა და ჯერარსს და სამართალს მთლიანად ჯერარსის სფეროს მიაკუთვნებს. მოიცავს აგრეთვე პოზიტივიზმის იდეებს, რომელიც იურიდიული მეცნიერების ამოცანად თვლის მხოლოდ მოქმედი სამართლის ნორმების აღწერასა და სისტემატიზაციას.

ნორმატიულ სკოლას წმინდა სამართლის მოძღვრებასაც უწოდებენ, რომელიც მან მიიღო მისი მამამთავრის პ. კელზენის „წმინდა სამართლის მოძღვრების“ სახელის მიხედვით. ამ მოძღვრების შესაბამისად, სამართალი „წმინდაა“, იგი თავისუფალია ყოველგვარი მეტაიურიდიული შეხედულებისაგან, როგორიცაა, მაგ., სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა. სამართალი არ ემსახურება არავითარ პოლიტიკურ იდეას, არ აღიარებს არავითარ გარეშე ღირებულებას. სამოქმედო ძალას სამართალი თავის თავშივე პოულობს. ერთი ნორმა, მეორე უფრო ზოგადი ნორმიდან იღებს ძალას, ხოლო ყველა ნორმა საბოლოოდ „ძირითადი ნორმიდან“ კონსტიტუციიდან გამომდინარეობს. სამართლებრივი პრობლემების გამოცალკევებისას პ. კელზენი ერთადერთ შესაძლებელ მეთოდად მიიჩნევს, ნორმატულ, ფორმალურ-ლოგიკურ მეთოდს.

ნორმატიული სკოლის მოძღვრება ევროპის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში იყო მე-2 მსოფლიო ომის დამთავრებამდე.

ნორმირება ნარჩენებთან მოპყრობის დარგში – სახელმწიფო მართვის ფუნქცია ნარჩენებთან მოპყრობის დარგში, რომელიც ხორციელდება ნარჩენების წარმოქმნის ნორმატივებისა და მათ განთავსებაზე ლიმიტის დადგენის გზით.

ნორმირება ცხოველთა სამყაროსა და მისი სამყოფელი გარემოს გამოყენებისა და დაცვის დარგში – მართვის ფუნქცია ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში, რომელიც ხორციელდება აღნიშნულ დარგში ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენების ლიმიტის, სტანდარტების, ნორმატივებისა და წესების დადგენის გზით.

ნორმირება წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში – სახელმწიფო მართვის ფუნქცია წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში, რომელიც ხორციელდება წყლის გამოყენების (წყლის მოხმარებისა და წყლის გადაგდების) ლიმიტის დადგენის, ასევე სტანდარტების, ნორმატივებისა და წესების შეშუშავებისა და მიღების გზით.

ნოტარიატი – სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა სისტემა, რომლებიც მოწოდებულნი არიან კონსტიტუციის, სხვა კანონების შესაბამისად დაიცვან მოქალაქეებისა და იურიდიული პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები ნოტარიუსების მიერ საკანონმდებლო აქტებით დადგენილი სანოტარო მოქმედებების განხორციელების გზით. სანოტარო მოქმედებებს ახორციელებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში მომუშავე ან კერძო პრაქტიკით დაკავებული ნოტარიუსები.

ნოტარიუსები ახორციელებენ შემდეგ ნოტარიულ მოქმედებებს: ა) ამოწმებენ გარიგებას; ბ) გასცემენ მოწმობებს მეუღლეების საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების შესახებ; გ) კრძალავენ ან ხსნიან აკრძალვებს ქონების გასხვისებაზე; დ) ადასტურებენ დოკუმენტების ასლების სისწორეს და მათგან ამონაწერის სინამდვილეს; ე) ადასტურებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას; ვ) ადასტურებენ ერთა

ენიდან მეორეზე დოკუმენტების თარგმნის სისწორეს; ზ) ადასტურებენ მოქალაქის გარკვეულ ადგილას ყოფნის ფაქტს; თ) ადასტურებენ მოქალაქის იმ პირთან იგივეობას, რომელიც გამოხატულია ფოტოსურათზე; ი) ადასტურებენ დოკუმენტების წარდგენის დროს; კ) გადასცემენ ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებებს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს; ლ) იღებენ დეპოზიტად ფულად საშუალებებს და ფასიან ქაღალდებს; მ) ასრულებენ აღმასრულებელ წარწერებს; ნ) ახორციელებენ ჩვეკების გადაუხდელობას; ა) შესანახად იღებენ დოკუმენტებს; ე) ახორციელებენ საზღვაო პროტესტს; რ) უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს. საკანონმდებლო აქტებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა სანოტარო მოქმედებებიც.

დასახლებულ პუნქტში ნოტარიუსის არარსებობისას აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების თანამდებობის პირები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ შემდეგი სანოტარო მოქმედებები: ა) ადასტურებენ ანდერძს; ბ) ადასტურებენ მინდობილობებს; გ) იღებენ მემკვიდრეობითი ქონების დაცვის ზომებს; დ) ადასტურებენ დოკუმენტების ასლებისა და მათგან ამონაწერის ნამდვილობას; ე) ადასტურებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას.

საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირები ახორციელებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს: ა) ამოწმებენ გარიგებას, უძრავი ქონების გასხვისების შესახებ ხელშეკრულების გარდა; ბ) იღებენ მემკვიდრეობითი ქონების დაცვის ზომებს; გ) იძლევიან მოწმობებს მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ; დ) გასცემენ მოწმობებს მეუღლეების საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების შესახებ; ე) ამოწმებენ დოკუმენტების ასლებისა და მათგან ამონაწერების სისწორეს; ვ) ადასტურებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას; ზ) ადასტურებენ ერთი ენიდან მეორეზე დოკუმენტების თარგმნის სისწორეს; თ) ადასტურებენ მოქალაქის სიცოცხლის ფაქტს; ი) ადასტურებენ მოქალაქის გარკვეულ ადგილას ყოფნის ფაქტს; კ) ადასტურებენ ფოტოსურათზე გამოსახული პირის მოქალაქესთან იგივეობას; ლ) ადასტურებენ დოკუმენტების წარმოდგენის დროს; მ) იღებენ დეპოზიტში ფულად საშუალებებსა და ფასიან ქაღალდებს; ნ) ახორციელებენ აღმასრულებელ წარწერებს; ო) უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს; პ) ახორციელებენ საზღვაო პროტესტს; საკანონმდებლო აქტებით ასევე შეიძლება გათვალისწინებული იქნეს საკონსულო დაწესებულებების თანამდებობის პირთა მიერ სხვა სანოტარო მოქმედებებიც.

ნოტარიული მოქმედებები ან მათზე უარი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში, რომელიც საჩივარს განიხილავს განსაკუთრებული წარმოების წესით.

ნოტარიატი [<ლათ. notarius გადამწერი, მდივანი] სახელმწიფო და კერძო კანტორების სისტემა, რომელიც საგანგებოდაა განკუთვნილი სხვადასხვა სახის იურიდიული აქტის (ხელშეკრულების, ანდერძის, მინდობილობის და სხვ.) დასამტკიცებლად და დოკუმენტზე არსებული ხელმოწერების, აგრ. მათი ასლების უტყუარობის დასამოწმებლად.

ნოტარიუსი [ლათ. notaris გადამწერი] თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაში შედის სხვადასხვა სახის იურიდიული აქტების (ხელშეკრულებების, ანდერძების, მინდობილობების და სხვ.) დამოწმება და გაფორმება; დასახლებულ პუნქტში ნოტარიუსის არარსებობის შემთხვევაში მის მოვალეობებს სააღმასრულებლო ხელისუფლების უფლებამოსილი თანამდებობის პირები ასრულებენ.

ნოტარიუსი — ნოტარიუსი არის თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაში შედის სხვადასხვა იურიდიული აქტების (ხელშეკრულებების, ანდერძების, მინდობილობების და ა.შ.) დამოწმება, გაფორმება, აგრეთვე სხვა მოქმედებების ჩატარება, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო უფლებების იურიდიული განმტკიცებისაკენ და მომავალში ამ უფლებათა დარღვევების თავიდან აცილებისაკენ. საცხოვრებელ პუნქტში ნოტარიუსის არყოფნის შემთხვევაში ნოტარიალურ მოქმედებებს ასრულებენ აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი წარმომადგენლები. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ნოტარიალურ მოქმედებებს სახელმწიფოს სახელით ასრულებენ საკონსულო ორგანოების უფლებამოსილი წარმომადგენლები.

საბირჟო ნოტარიუსი არის პირი, რომელიც ადასტურებს ხელშეკრულებებს და საბირჟო ბრუნვასთან დაკავშირებულ სხვა საბუთებს. საბირჟო ნოტარიუსს ევალება იმ თამასუქების გაპროტესტება, რომელთა ფლობელებიც უცხოელები არიან, უცხოური ენებიდან ნათარგმნი და უცხოურ ენებზე თარგმნილი კომერციული ქაღალდების დამოწმება. ზოგიერთ ქვეყანაში საბირჟო ნოტარიუსებს ნიშნაენ საბირჟო კომიტეტები, ხოლო სხვა ქვეყნებში — იუსტიციის მინისტრი. ნოტარიალური საქმიანობა არ წარმოადგენს მეწარმეობას და მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას.

ნოუ-ჰაუ (know-how) — ინგლისურიდან სიტყვასიტყვით თარგმანში ნიშნავს „ვიცი როგორ". ტექნიკური, კომერციული, საწარმოო, საფინანსო, ადმინისტრაციული და სხვა ცოდნის ერთობლიობა გაფორმებული ტექნიკური დოკუმენტაციის სახით, გამოხატული სასარგებლო ჩვეულებით, გამოცდილებით, რაც საჭიროა ამა თუ იმ წარმოების ორგანიზაციისთვის, პრაქტიკულად გამოიყენება საწარმოო ან პროფესიულ საქმიანობაში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი ყველასათვის, ნოუ-ჰაუს ცნებაში უპირველესად მოიაზრება ტექნიკური შემოქმედების შედეგი, ტექნიკური გადაწყვეტა, შესრულებული გამოგონების დონეზე, რომელიც ამავე დროს რაიმე მიზეზების გამო არ არის დაპატენტებული. კომერციულ პრაქტიკაში ითელება საწარმოს საკუთრებად და გათანაბრებულია გამოგონების პატენტებთან, საეჭრო ნიშნებთან, საავტორო უფლებებთან და სხვა საპატენტო ინფორმაციასთან. ტერმინი ნოუ-ჰაუ თავდაპირველად გაჩნდა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდგომ გავრცელდა სხვა ქვეყნებში. გაფართოვდა ცნების გამოყენების სფეროც, რომელიც მოიცავს არატექნიკური ხასიათის ცნობებსაც დაკავშირებულს წარმოების ორგანიზაციასა და ეკონომიკასთან, მარკეტინგთან, დაფინანსების წყაროსთან, კომერციულ ინფორმაციასთან და ა.შ.

„ნოუ-ჰაუ" შეიცავს სიახლის ელემენტებს, რაღაც მიზეზების გამო დაუცველს პატენტით და ამის გამო გასაიდუმლოებულს. გადაიცემა (კონტრაქტით და სხვ.) დოკუმენტაციის სახით, რომელიც არ იძლევა სიახლის მთელი შინაარსის გაგებას, ინფორმაცია საკმარისია მხ-

ოლოდ მისი გამოყენებისათვის. შესაძლებელია აგრეთვე მისი დანერგვის მიზნით სპეციალისტების და კონსულტანტების მონაწილეობა.

„ნოუ-ჰაუ" ფართოდ გამოიყენება ლიცენზიურ შეთანხმებებში, ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებებში, ლიზინგში და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსში „ნოუ-ჰაუს" დაცვის მექანიზმი არ არის დამუშავებული. მუხლი 1105 გეაგ-ზავნის სხვა საკანონმდებლო აქტებთან სამრეწველო საკუთრების შესახებ.

O

ობიექტური შერაცხვა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ზიანის უდანაშაულო მიყენებაზე. ობიექტური შერაცხვა დაუშვებელია. არცერთი ქმედება, რომელიც ჩადენილია უდანაშაულოდ, რა მძიმე შედეგებსაც არ უნდა მოიცავდეს, არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც დანაშაული. ქმედების დანაშაულად შერაცხვა, რომლის საზოგადოებრივ საშიშროებასაც არ ჭვრეტდა პირი და არც შეეძლო განეჭვრიტა, იქნებოდა სამართლიანობასა და ყოველგვარ გამჟირთხილებელ მნიშვნელობას მოკლებული და ამიტომაა უარყოფილი მართლმსაჯულების მიერ.

ოვერდრაფტი [ინგლ. overdraft] 1) სა-ბანკო კრედიტისთვის გადაჭარბება, აგრ. ბანკის მიერ მოკლევადიანი კრედიტის მინიჭება კლიენტისთვის ანგარიშზე სახსრების არარსებობის შემთხვევაში; ასეთ მომსახურებას ჩვეულებრივ სანდო კლიენტებს უწევენ, რომელთა გადახდისუნარიანობაში ბანკს ეჭვი არ ეპარება; 2) ადამიანების გადამეტებული მიღება ჯარში, სასწავლო დაწესებულებაში, სპორტულ კლუბში ან სხვ. ორგანიზაციაში.

ომბუდსმენი (Ombudsman) – 1. სახალხო დამცველი, რომლის მოვალეობაა იყოს სამართლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრი მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის, რათა გამოიძიოს მოქალაქეთა საჩივრები ხელისუფლების ორგანოებისა და ოფიციალური პირების წინააღმდეგ იმ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქეთა აზრით, ხელისუფლებამ დაარღვია მათი უფლებები. ომბუდსმენს ასევე უფლება აქვს გამოიძიოს საქმე საკუთარი ინიციატივით. დღეს ომბუდსმენის ინსტიტუტი არსებობს მსოფლიოს უმეტეს და განვითარებად ქვეყნებში; 2. სკანდინავიის ქვეყნებში (ისტორიულად), – მეფის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირი, რომელიმე ოლქში ან რეგიონში.

ომი – შეიარაღებული დაპირისპირება სახელმწიფოებს ან ხალხს შორის აგრესიულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი მიმდინარეობისას შეიძლება გამოიყოს აგრესიის ყველა ნიშანი.

ესაა ორგანიზებული შეიარაღებული ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ეროვნულგანმათავისუფლებელი ბრძოლის მწარმოებელ სახელმწიფოებს, ერებს და ასევე მშრალებს შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტში. ომს თან ახლავს ყველა მშვიდობიანი ურთიერთობის სრული გაწყვეტა. გამოიყოფა სამართლიანი, მართლზომიერი (ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვა აგრესიის წინააღმდეგ, იძულებითი შეიარაღებული სანქციები აგრესორის წინააღმდეგ გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი თვითგამორკვევის უფლების განხორციელების მიზნით) და უსამართლო, არამართლზომიერი ომი (აგრესია, კოლონიალური ომი), რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულს.

ომის გაჩაღება – დიპლომატიური, სამხედრო ან სხვა ხასიათის პროვოკაციული მოქმედებები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ფორმალური მიზეზის შექმნა შეიარაღებული ძალის გამოყენებისა და სამხედრო მოქმედებების წარმოებისთვის. ასეთ მოქმედებებს წარმოადგენს, მაგალითად, პოტენციური მოწინააღმდეგის ბრალდება სახელმწიფოს საზღვრების უკანონო ცვლილებაში, მისი შეიარაღებული ფორმირებების მიერ სახელმწიფო საზღვრების უკანონო გადაკვეთაში, მშვიდობის შესახებ შეთანხმების შეუსრულებლობაში და ა.შ.

ომის დამნაშავე პირი, რომელმაც ჩაიდინა კატასტროფის საწინააღმდეგო დანაშაული. ეს დანაშაულია მშვიდობის წინააღმდეგ, ანუ აგრესიული ომის მომზადება, დაგეგმვა, გაჩაღება და მონაწილეობა ასეთ მოქმედებაში. საყოველთაოდ ცნობილი ნიურნბერგის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა ამ ბაზით, მშვიდობის მოწინააღმდეგეთა და ომის გამჩაღებელთა დასჯის მიტივით. ამ დროს ამასთანავე ხდება ყოველგვარი საერთაშორისო სამართლის ფეხქვეშ გათელვა და ადამიანის უფლებათა დარღვევა, რომელშიც შედის მათი დახოცვა, ტყვეობა, წამება, მიწების მიტაცება, დამცირება, ქრთამ საკუთრების ძალადობით ჩამორთმევა, მონური შრომა, დევნა პოლიტიკური, რელიგიური, რასობრივი და სხვა ნიშნით. დამნაშავეთა საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართალში დამკვიდრდა II მსოფლიო ომთან (1939-1945 წწ.) დაკავშირებით. არსებობს მრავალი საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომელთა მეშვეობით და ხელშეკრულებით ხორციელდება ან უნდა ხორციელდებოდეს ომის დამნაშავეთა მიმართ დამსჯელი ზომები.

ომის კანონები და ჩვეულებები საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ მეომარ მხარეთა ურთიერთობას ერთმანეთთან და ნეიტრალურ სახელმწიფოებთან. მოქმედი ომის კანონები ჩვეულებრივ დაკვიდრებულია საერთაშორისო ჩვეულებებით, ძირითადად კი დადგენილია სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით (ჰააგის კონვენციები 1899, 1907, 1954, ჟენევის ოქმები 1925, 1977, ჟენევის კონვენციები 1949 და ა.შ.).

ამ კანონების მიხედვით საომარი მოქმედების დაწყებას წინ უნდა უსწრებდეს ომის მოტივირებული გამოცხადება. აკრძალულია ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის, აგრეთვე ასეთიეე ჭურვების და ნივთიერების გამოყენება. დაუშვებელია ტყვედ ჩავარდნილის მოკვლა, დაჭრა, დამცირება, წამება და სხვა ასეთი.

მოწინააღმდეგის დროშის, სანიტარული სამსახურის ნიშნების ყალბად გამოყენება, პარლამენტიორის ხელშეუხებლობის დარღვევა და სხვა. საომარი მოქმედება უნდა ხდებოდეს შეიარაღებულ მხარეთა შორის და მშვიდობიან მოსახლეობაზე ომი არ უნდა ვრცელდებოდეს, ასევე არ უნდა ისჯებოდნენ ტყვედ ჩაყარდნილი დაჭრავებული რაზმები, აკრძალულია საომარი მოქმედება არაკომბატანტების წინააღმდეგ, თუ ისინი იარაღით არ იბრძვიან. აკრძალულია თავდასხმა პოსპიტლებზე, დაჭრილებზე, ავადმყოფებზე, სანიტარულ გემზე, მატარებელზე და იმ რეგიონზე, რომელიც ნეიტრალურ ზონად არის გამოცხადებული. ომის კანონები ითვალისწინებს აგრეთვე ომის შეწყვეტის ფორმებს (დაზავება, კაპიტულაცია, საზავო ხელშეკრულება) იურიდიული შედეგებითურთ.

ომის პროპაგანდა სისხლის სამართლის მიხედვით დანაშაული, რომელიც მიმართულია მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ და საფრთხეს უქმნის რომელიმე სახელმწიფოს უშიშროებას. ომის პროპაგანდა რა ფორმითაც არ უნდა იყოს მოწოდებული. ისჯება თითქმის ყველა სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონებით. გაერომ გენერალური ასამბლეის 1947 წლის 3 ნოემბრის რეზოლუციით კატეგორიულად დაგმო ომის პროპაგანდა, ხოლო 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ მისი აღკვეთა დაევალა სახელმწიფოებს. ომის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე მსოფლიოსთვის კვლავ რჩება, ერთ-ერთ აქტუალურ გადასაჭრელ პრობლემად.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები – ცნობები მომზადებული, ჩასადენი ან ჩადენილი დანაშაულების, დანაშაულის მომზადებელი, ჩასადენად მზად მყოფი ან ჩამდენი პირების შესახებ, რომლებიც დაევალნენ მოკვლევის მწარმოებელ ორგანოებს, გამოძიებას ან სასამართლოს.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების მომზადებისა და განხორციელებისთვის, დანაშაულების გამოელენის, თავიდან აცილების, აღკვეთისა და გახსნის, მათი მომზადებელი, ჩამდენი პირების გამოელენისა და დადგენის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩასატარებლად, ასევე იმ პირების ძებნისთვის, რომლებიც დაევალნენ მოკვლევის ორგანოებს, გამოძიებასა და სასამართლოს, თავს არიდებდნენ სასჯელს და უგზო-უკლოდ დაკარგულთა ძებნისთვის.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები შეიძლება გახდეს საფუძველი და მიზეზი სისხლის სამართლის საქმის აღძერისთვის, წარმოდგენილ იქნეს მოკვლევის ორგანოში, გამომძიებელთან და სასამართლოში, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე და ასევე გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეებზე დამტკიცებისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

სისხლის სამართლის საქმის აღძერის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად წარმოდგენილი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები უნდა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებზე მიმანიშნებელ საკმარის მონაცემებს, კერძოდ, ცნობებს იმის შესახებ, თუ სად, როდის, რა ნიშნები და კერძოდ რა დანაშაულის ნიშნებია აღმოჩენილი, რა გარემოებების დროს ჰქონდა ადგილი დანაშაულის ნიშნების აღმოჩენას, ცნობებს მისი ჩამდენი (თუ ის ცნობილია) პირის (პირების), დანაშაულის თვითმხილველების (თუ ისინი ცნობილია), დანაშაულის კვალის ადგილსამყოფელის, საქმისთვის მნიშვნელოვანი ნებისმიერი ფაქტისა და გარემოების, იმ დოკუმენტებისა და საგნების შესახებ, რომლებიც შეიძლება გახდნენ ნივთმტკიცებები. წარმოდგენილ შედეგებში შემტკიცე ცნობები უნდა იძლეოდეს საშუალებას გაკეთდეს დასკვნა მოვლენის არსებობისა და მისი მართლსაწინააღმდეგობის შესახებ.

საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების მომზადებისა და განხორციელებისთვის წარმოდგენილი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები უნდა შეიცავდეს ცნობებს გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოსგან მიმალული პირების, მტკიცებულებათა შესაძლო წყაროების, სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებებისა და ფაქტების მცოდნე პირების, დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალებების, დანაშაულებრივი გზით მოპოებული ფულისა და ფასეულობების ადგილსამყოფელის, დმტკიცების – საქმის გარემოებებთან დაკავშირებული საგნებისა და დოკუმენტების შესახებ, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მოცულობა და თანამიმდევრობა, არჩეულ იქნეს მათი წარმოების ყველაზე ეფექტური ტაქტიკა, შემუშავებულ იქნეს გამოძიების ოპტიმალური მეთოდიკა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

სისხლის სამართლის საქმეებზე დამტკიცებაში გამოყენებისთვის წარმოდგენილი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები უნდა იძლეოდეს საშუალებას ჩამოყალიბდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი მტკიცებულებები მთლიანად დამტკიცებასთან მიმართებაში და შეიცავდეს სისხლის სამართლის საქმეზე დასამტკიცებელი გარემოებების დასადგენად მნიშვნელობის მქონე ცნობებს, მითითებებს საეარაუდო მტკიცებულების ან იმ საგნის მიღების წყაროზე, რომელიც შეიძლება გახდეს მტკიცებულება და ასევე ცნობებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან სამართალწარმობის პირობებში შემოწმდეს მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული მტკიცებულებები

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები – კანონმდებლობით დადგენილი მოქმედებები, რომელთაც ახორციელებს მოკვლევის მწარმოებელი პირი, გამომძიებელი, ასევე მოკვლევის მწარმოებელი ორგანო დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დასადგენად.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისას ტარდება შემდეგი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები: გამოკითხვა; ცნობების მოპოება; ნიმუშების შეგროვება შედარებითი კვლევისთვის; შემოწმებითი შესყიდვა; საგნებისა და დოკუმენტების კვლევა; დაკვირვება; პიროვნების გაიგივება; შენობების, ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების გამოკვლევა; საფოსტო გზავნილების, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების კონტროლი; ინფორმაციის მოხსნა კავშირის ტექნიკური არხებიდან; ოპერატიული დანერგვა; საკონტროლო მიწოდება; ოპერატიული ექსპერიმენტი.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების დროს გამოიყენება საინფორმაციო სისტემები, ვიდეო- და აუდიოჩანაწერი, კინო- და ფოტოგადაღება, ასევე სხვა ტექნიკური საშუალებები, რაც ზიანს არ აყენებს ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და გარემოს.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმხორციელებელი ორგანოების თანამდებობის პირები წყვეტენ მის ამოცანებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში პირადი მონაწილეობის მეშვეობით, იყენებენ თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა დახმარებას, რომლებიც ფლობენ სამეცნიერო, ტექნიკურ, სხვა სპეციალურ ცოდნას, ასევე ცალკეულ მოქალაქეთა დახმარებას მათი თანხმობით.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისთვის საფუძვლებს წარმოადგენს: ა) აღძრული სისხლის სამართლის საქმის არსებობა; ბ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განმხორციელებელი ორგანოების მიერ ცნობების მიღება მომზადებული, ჩადენადი ან ჩადენილი დანაშაულის, მისი ჩამდენი ან ორგანიზატორი პირების შესახებ, თუ არ არსებობს საკმარისი მონაცემები სისხლის სამართლის საქმის აღძერის შესახებ საკითხის გადაწყვეტად; იმ პირების შესახებ, რომლებიც უმალებიან მოკლეული ორგანოებს, გამოძებასა და სასამართლოს; გ) გამომძიებლის, მოკლეული მწარმოებელი ორგანოს დავალებები, პროკურორის მითითებები ან სასამართლოს განჩინება მათ წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმეებზე; დ) სხვა ორგანოების თხოვნა, რომლებიც ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს; ე) დადგენილება უსაფრთხოების ზომების გამოყენების შესახებ დაცულ პირებთან მიმართებაში; ვ) საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციებისა და ორგანოების მოთხოვნა.

ოპოზიცია – ოპოზიციის რამდენიმე განმარტება არსებობს პოლიტიკური, ლოგიკური, ლინგვისტური და სხვა, მაგრამ უმეტესად მიღებულია პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც თავის მხრივ არის დიფერენცირებული. თვითონ ტერმინის ფუძე ლათინურია და ნიშნავს დაპირისპირებას (oppositio) შეხედულებების და სხვა პოლიტიკური თვალსაზრისის გამო. უმთავრესად ოპოზიციას უწოდებენ იმ პარტიასა და ჯგუფს, რომლებიც გამოდიან უმრავლესობის ან გაბატონებული აზრის საწინააღმდეგოდ. არსებობს საპარლამენტო და შიდაპარტიული ოპოზიცია. საპარლამენტო ოპოზიციას წარმოადგენს პარტია ან პირთა ჯგუფი, რომელიც არ მონაწილეობს მთავრობის შექმნაში და რიგ პოლიტიკურ საკითხებზე თავისი განსაკუთრებული აზრი აქვს.

ოპოზიცია – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დაპირისპირებას: 1. ეისიმე ან რისიმე წინააღმდეგ მოქმედება; თავისი შეხედულებების ან პოლიტიკის დაპირისპირება სხვისი შეხედულების ან პოლიტიკისათვის. 2. რაიმე საზოგადოების, ორგანიზაციის და მისთანების შიგნით არსებული ჯგუფი, რომელიც თავის შეხედულებებს, თავის პოლიტიკას უპირისპირებს უმრავლესობის შეხედულებებსა და პოლიტიკას.

ორგანიზაცია – სოციალური ჯგუფი, რომელიც შექმნილია გარკვეული მიზნების შესასრულებლად. იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში, სამეურნეო ან ოპერატიულ მართვაში გააჩნია განკერძოებული ქონება და პასუხისმგებელია ვალდებულებებზე ამ ქონებით, შეუძლია თავისი სახელით მოიპოვოს და განახორციელოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, აიღოს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი და რეგისტრირებულია იუსტიციის სახელმწიფო ორგანოებში დადგენილი წესით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

– ფიზიკური პირი, რომელიც კანონის ან ორგანიზაციის დამფუძნებელი დოკუმენტების შესაბამისად, მისი საორგანიზაციო-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად, ახორციელებს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, მათ შორის, ახორციელებს მისი ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განპირობებულია იმით, რომ ის, ერთის მხრივ, თავად წარმოადგენს დაქირავებულ მუშაკს, ხოლო მეორეს მხრივ – რწმუნების გარეშე შეუძლია გამოვიდეს ორგანიზაციის სახელით. ორგანიზაციის ხელმძღვანელის უფლებები და ვალდებულებები შრომითი ურთიერთობების დარეგ‌ში, მათ შორის, ხელშეკრულების ვადა და სხვა პრეცედენტები, რაც ამას წინ უსწრებს განისაზღვრება შრომის კანონმდებლობით, კანონებითა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით, ორგანიზაციის დამფუძნებელი დოკუმენტებით, შრომის ხელშეკრულებით. იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება, რომლის დაფინანსებაც ხდება ბიუჯეტიდან ხორციელდება იმ წესითა და ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს მთავრობა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ორგანიზაციებში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული წესით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგად საფუძვლებს შორის გათვალისწინებულია განთავისუფლების რიგი სპეციალური საფუძვლები, კერძოდ ორგანიზაციის ქონების მესაკუთრის შეცვლისას. ამასთან, ორგანიზაციის ხელმძღვანელი შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს მის მიერ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რასაც მოჰყვა ქონების დაკარგვა, მისი არამართლზომიერი გამოყენება ან ორგანიზაციის ქონებისთვის სხვა ზარალის მიყენება, ასევე შრომითი ვალდებულებების ერთჯერადი უხეში დარღვევისას.

ამ ზოგადი საფუძვლების გარდა გათვალისწინებულია შრომის ხელშეკრულების გაწყვეტის დამატებითი საფუძვლები ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვის: ა) ორგანიზაციის ხელმძღვანელის – მოვალის თანამდებობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით, გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად; ბ) იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს ან ორგანიზაციის ქონების მესაკუთრეს ან მესაკუთრის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით შრომის ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის შესახებ; გ) სხვა საფუძვლებით, რაც გათვალისწინებულია შრომის ხელშეკრულებით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელთან შრომის ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს ან ორგანიზაციის ქონების მესაკუთრის ან მესაკუთრის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული

გადაწყვეტილებით, მისი დანაშაულებრივი ქმედებების არარსებობისას ორგანიზაციის ხელმძღვანელზე გაიცემა კომპენსაცია მასთან შრომის ხელშეკრულების ვადამდე გაწყვეტაზე, შრომის ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით. ორგანიზაციის ხელმძღვანელს აქვს უფლება ვადამდე გაწყვიტოს შრომის ხელშეკრულება, ამის შესახებ აცნობებს რა სამუშაოს მიმცემს წერილობითი ფორმით, არა უგვიანეს 1 თვით ადრე.

ორგანიზაციის ხელმძღვანელს გააჩნია სრული მატერიალური პასუხისმგებლობა ორგანიზაციისათვის მიყენებულ პირდაპირ, ნამდვილ ზარალზე. ამასთან, ზარალის გაანგარიშება ხორციელდება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

ორგანიზებული ჯგუფი – პირთა მყარი ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთ ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

ორდალია [სპ.-ლათ. ordalium < ანგლოსაქს. ordal განაჩენი. სასამართლო] „ღმერთის სამსჯავრო"; ძველად და შუა საუკუნეებში ადამიანის დანაშაულისა და უდანაშაულობის დადგენა სასამართლოში მისი ცეცხლით, წყლით, სიმაღლით და სხვ. გამოცდის გზით. საქართველოში ორდალიების არსებობის ფაქტი დადასტურებულია XVII-XVIII სს-ში. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით, სასამართლო მტკიცებულებად ითვლებოდა შანთი, მდუღარე „ხმალში გატანება", აგრეთვე ფიცი და ცოდვის მოკიდება.

ორდერი (order)

1. სერთიფიკატი, რომელიც იძლევა უფლებას ფასიანი ქაღალდების შესყიდვის წინასწარ დადგენილი ფასით განსაზღვრულ პერიოდში. ორდერი ხშირად გამოიშვება აქციებთან ერთად იმისათვის, რომ მიიზიდოს ინვესტორები.

2. საწყობიდან საქონლის ან ფულის გაცემის მითითება, ბრძანება.

3. სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების შესყიდვის ოფცია.

4. მეფრახტის განკარგულება გემის ამა თუ იმ პორტში მისვლილობის შესახებ.

5. საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციების წერილობითი განკარგულება გემის ან მისი ნაწილის ფრახტის შესახებ ტვირთის საზღვაო გადაზიდვის მიზნით, რომელიც შეიცავს საფრახტო გარიგებისთვის აუცილებელ ძირითად რეკვიზიტებს.

ორდერი – ტყეთსარგებლობაში: 1) ტყეთგამოყენების განხორციელების იურიდიული საფუძველი (იხ. ხე-ტყის საჭრელი ბილეთი, სატყეო ბილეთი); 2) დოკუმენტი, რომელიც ტყეთმოსარგებლეს აძლევს უფლებას განახორციელოს მხოლოდ ორდერში მითითებული ტყეთსარგებლობის სახე დადგენილი მოცულობით (ოდენობით) და ტყის ფონდის კონკრეტულ მონაკვეთზე. სატყეო მეურნეობისთვის ორდერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს ხე-ტყის საჭრელი ბილეთი, რომელიც სატყეოს სახელზეა გაცემული. ორდერის ფორმას, მისი ალრიცხვის, შენახვის, შევსებისა და გაცემის წესს ადგენს სატყეო მეურნეობის მართვის ორგანო.

ორმაგი დაზღვევა – დამზღვევის მიერ ქონების დაზღვევის ხელშეკრულებათა დადება (იხ. დაზღვევის ხელშეკრულება) რამდენიმე მზღვეველთან იმ ოდენობით, რაც საერთო ჯამში აღემატება ქონების სადაზღვეო ღირებულებას. ამ შემთხვევაში სადაზღვეო ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს მის სადაზღვეო ღირებულებას. ამასთან, თითოეული მზღვეველი იხდის სადაზღვევო ანაზღაურებას იმ ოდენობით, რომელიც არის სადაზღვევო თანხის პროპორციული ამ დამზღვევის მიერ დადებულ აღნიშნული ქონების დაზღვევის ყველა ხელშეკრულების საერთო ოდენობასთან მიმართებაში.

ორმაგი სასაწყობო მოწმობა – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სასაწყობო შენახვის ხელშეკრულების დადების, შემნახველის (ქონლის საწყობის) მიერ ტვირთის მიმცემისგან ნივთის მიღების ფაქტს, ასევე საქონლის საკუთრებისა და საწყობში არსებული საქონლის დაგირავების უფლებას. ორმაგ სასაწყობო მოწმობაში მითითებულია: საქონლის საწყობის დასახელება და ადგილმდებარეობა; ტვირთის მიმცემის დასახელება; შესანახად მიღებული ფასეულობების დასახელება და რაოდენობა, მათ შორის, მითითებები მათ თვისობრივ მახასიათებლებზე; ვადა, რომლითაც მიღებულია ფასეულობები შესანახად; შენახვაზე ანაზღაურების ოდენობა; ორმაგი სასაწყობო მოწმობის გაცემის თარიღი.

ორმაგი სასაწყობო მოწმობა შედგება ორი ნაწილისგან: სასაწყობო მოწმობისა და საგირავნო მოწმობისგან (ვარანტი), ორივე ნაწილი წარმოადგენს ორდერულ ფასიან ქაღალდს. სასაწყობო და საგირავნო მოწმობები შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ერთად ან ცალ-ცალკე გადასაცემი წარწერების (ინდოსამენტების) მიხედვით, რომელიც სრულდება უკანა მხარეს ან ალონჟებზე, რომლებიც ეკრობა ორმაგი სასაწყობო მოწმობის შესაბამის ნაწილებს. თუ ორმაგი სასაწყობო მოწმობა დაყოფილი არაა, გადაცემისას ინდოსამენტი სრულდება მხოლოდ სასაწყობო მოწმობაზე ან მისადმი მიკრობილ ალონჟზე. გადახაზული გადასაცემი წარწერა ითვლება დაუწერლად. საბლანკო ინდოსამენტი დაუშვებელია. ინდოსამენტის ტექსტში ნებისმიერი გადადებადი ან გაუქმებადი პირობა ითვლება დაუწერლად.

საქონლის გირაოთი გადაცემისას საგირავნო მოწმობა გამოიყოფა და გადაეცემა გიროს მიმღებს, რის შესახებაც სასაწყობო მოწმობაში კეთდება შენიშვნა. საგირავნო მოწმობის უკანა მხარეს ან ალონჟზე უნდა გაკეთდეს გადასაცემი წარწერა გიროს მიმღების სასარგებლოდ. სასაწყობო მოწმობის უკანა მხარეზე აღინიშნება ცნობები საგირავნო მოწმობით გაცემული კრედიტის ოდენობისა და მისი პროცენტების შესახებ.

გირავნობის უფლება ძალაშია მხოლოდ საცავში ფასეულობების შენახვის ვადის ფარგლებში. ფასეულობათა შენახვის ვადის ამოწურვისთანავე გირავნობა წყდება. ეს მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზეც მოხდა საგირავნო მოწმობის სასაწყობოსგან გამოყოფა.

საწყობში საქონლის განკარგვა ხდება სასაწყობო მოწმობის გადაცემის გზით. საწყობიდან საქონლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ორმაგი სასაწყობო მოწმობის ან სასაწყობო მოწმობის წარდგენისას სესხის დაფარვისა და გიროს შეწყვეტის შესახებ კვიტანციასთან ერთად.

ორმხრივი დაზღვევის საზოგადოება იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მიერ შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს თავისი წევრების ქონებისა და სხვა ქონებრივი ინტერესების დაზღვევას. ზოგადად, ორმხრივი დაზღვევის საზოგადოების მიერ თავიანთი წევრების ინტერესების დაზღვევა ხორციელდება უშუალოდ წევრობის საფუძველზე, დაზღვევის სპეციალური ხელშეკრულების დადების გარეშე. ორმხრივი დაზღვევის საზოგადოებას უფლება აქვს დააზღვიოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც არ წარმოადგენენ მის წევრებს, თუ: ა) ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია მისი დამფუძნებელი დოკუმენტებით; ბ) საზოგადოება წარმოქმნილია კომერციული ორგანიზაციის ფორმით; გ) საზოგადოებას გააჩნია ნებართვა (ლიცენზია) შესაბამისი სახის დაზღვევის განხორციელებაზე; დ) პასუხობს კანონით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

ორსული ან იმ ქალებისთვის სასჯელის მოხდის გადავადება, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები – მსჯავრდებულ ორსულ ან იმ ქალებს, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები შეიძლება გადაევადოთ სასჯელის მოხდა მანამ, სანამ ბავშვი მიაღწევს 14 წელს, მხოლოდ არა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე.

თუ მსჯავრდებულმა უარი თქვა ბავშვზე ან თავს არიდებს ბავშვის აღზრდას გაფრთხილების მიუხედავად, რომლის მიმართაც მოხდა სასჯელის მოხდის გადავადება, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული გააგზავნოს სასამართლოს განაჩენით განსაზღვრულ ადგილას.

ბავშვის მიერ 14 წლის შესრულებისას სასამართლო ანთავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელისგან ან უცვლის მას უფრო მსუბუქი სახის სასჯელით.

ორსულობა – ფიზიოლოგიური პროცესი, რომელიც უკავშირდება განაყოფიერებასა და ნაყოფის განვითარებას. სისხლის სამართალში დამნაშავის ორსულობა სასჯელის შემამსუბუქებელი ერთ-ერთი გარემოებაა და ასევე საფუძველი მისი სასჯელის მოხდის გადავადებისთვის; მსხვერპლის ორსულობა – ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა.

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა (აბორტი) – ის უნდა ჩატარდეს ჯანდაცვის სახელმწიფო ან მუნიციპალური სისტემის დაწესებულებებში, რომელთაც გააჩნიათ ლიცენზია აღნიშნული სახის საქმიანობაზე სპეციალური მომზადების მქონე ექიმების მიერ.

საკითხი ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის შესახებ წყდება ამბულატორულ-პოლიკლინიკის ან სტაციონარულ დაწესებულებაში კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც არის ექიმი მეან-გინეკოლოგი, დაწესებულების (განყოფილების) ხელმძღვანელი, იურისტი ქალის წერილობითი განცხადების მიხედვით, ორსულობის ვადის ბუკვნის არსებობის დროს, რომელიც დადგენილია ექიმ მეან-გინეკოლოგის მიერ და შესაბამისი იურიდიული დოკუმენტების დართვით (მოწმობა ქმრის გარდაცვალების, განქორწინების შესახებ და სხვ.), რომლებიც ადასტურებენ სოციალურ ჩვენებებს.

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტისთვის სამედიცინო ჩვენებების ჩამონათვალი განისაზღვრება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის უკანონო ჩატარებას მოხდევს კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ოსტრაკიზმი [ძ.-ბერძ. ὀστρακισμός < ὀστρακον თიხის ჭურჭლის ნამსხვრევი] 1) ჩვ. წ-აღმდე VI–V სს-ში ბერძნული ქალაქიდან ცალკეული მოქალაქეების განდევნა სახალხო კრების გადაწყვეტილებით, ჩვეულებრივ ათწლიანი ვადით; გასახლების შესახებ გადაწყ ვეტილების მიღება ჩვეულებრივ საიდუმლო კენჭისყრით ხორციელდებოდა, როდესაც ყველი, ვისაც ხმის მიცემის უ ფლება ჰქონდა, სახელს თიხის ჭურჭლის ნამსხვრევზე წერდა იმ ადამიანისას, რომელიც ხალხისთვის საშიში იყო; 2) გასახლება, განდევნა, დევნა.

ო ტემპორა, ო მორეს [ლათ. o tempora, o mores] ო დროებაჟ, ო ზნეობაჟ (ციცერონის შეძახილი, როდესაც მან კატალინას შეთქმულება გახსნა).

ოფერენტი (tenderer, offeror) – ხელშეკრულებაში წინადადების მიმცემი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება.

ოფერტი (offer) – ოფერტი ეწოდება ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებას გაკეთებულს ზეპირად, წერილობითის ან გამომდინარეს პირის ქცევიდან ერთი ან რამოდენიმე პირის მისამართით, რომელშიც გამოხატულია წინადადების მიმცემი პირის (ოფერენტი) მიერ თავისი წინადადების შესრულების მზადყოფნა – თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში. ამ წინადადების შინაარსიდან ნათლად ჩანს ან იგულისხმება, რომ იგი შებოჭავს ოფერენტს აქცეპტანტის მიერ მოქმედების. მოქმედებისაგან თავის შეკავების ან შემხვედრი ვალდებულების საშუალებით ოფერტის მიღების (აქცეპტის) მომენტიდან. ოფერტა განსხვავდება კონკრეტული პირობების არსებობით. ესენია, მაგალითად, პროდუქციის ფასის შესრულების ვადების, პროდუქციის გადაცემის ვადების, ანგარიშსწორების პირობების და სხვა კომერციული ინფორმაციის შემცველი ცნობები, რომლებიც. ოფერენტის აზრით, აუცილებელი და საკმარისია პოტენციალური მყიდველის ან შემკვეთის დასაინტერესებლად. როგორც წესი, ოფერტა მიმართულია კონკრეტულ მხარესთან, მაგრამ შეიძლება შესრულდეს საჯარო განცხადების სახით ჟურნალში, ტელევიზიით ან საჯარო განცხადების სახით ჟურნალში, ტელევიზიით ან საჯარო ეპჭრობაზე. საქონლის შეთავაზება პრეისკურანტში, კატალოგებში მიმართული პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ ჩაითვლება საჯარო ოფერტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეიცავს საცალო ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა პირობას. საცალო ეპჭრობისთვის განკუთვნილ ადგილას (დახლი, ვიტრინა და სხვ) საქონლის გამოფენა, მისი ნიშუშების, აღწერილობების, ფოტოგრაფიების, კატალოგების დემონსტრირება ჩაითვლება საჯარო ოფერტად, მიუხედავად იმისა მითითებულია თუ არა ფასი და საცალო ნასყიდობის ხელშეკრულების სხვა არსებითი პირობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველმა აშკარად განსაზღვრა, რომ შესაბამისი საქონელი არ არის განკუთვნილი

გასაყიდად. გარიგების დადების ვალდებულება ოფერტიდან გამომდინარეობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მიღებული იქნება მეორე მხარის მიერ და ოფერენტი მიიღებს დადგენილი ფორმის შეტყობინებას ამის შესახებ. თანმყოფი პირებისათვის გაკეთებულ ოფერტზე პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული. არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს. თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში. ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად. თუ პასუხში გამოთქმულია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, ოღონდ სხვა პირობებით, ვიდრე ამას ოფერტი ითვალისწინებდა, ასეთი პასუხი ჩაითვლება უარად ოფერტზე და ამავე დროს, — ახალ ოფერტად (კონტროფერტა). განსახვავებენ მყარ და თავისუფალ ოფერტას. მყარი ოფერტა წარმოადგენს წერილობითი ფორმის წინადადებას გაგზავნილს ერთი შეკვეთის ან მყიდველის მისამართით, ვადის მითითებით, რომლის განმავლობაში ოფერენტი ბოჭავს თავის თავს ამ წინადადებით და არ შეუძლია ანალოგიური წინადადებით მიმართოს სხვა აქცეპტანტს. მყარ ოფერტაში მითითებული ვადის განმავლობაში პასუხის მიუღებლობა უთანაბრდება უარს და ათავისუფლებს ოფერენტს თავისი წინადადებისაგან. თავისუფალი ოფერტა წარმოადგენს წინადადებას ერთდროულად რამდენიმე აქცეპტანტის მისამართით, არ ადგენს პასუხის კონკრეტულ ვადას და არ ბოჭავს ოფერენტს არავითარი ვალდებულებებით.

წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვეეას ოფერტზე.

განვიხილოთ ოფერტის მოქმედების შეწყვეტის მიზეზები დიდი ბრიტანეთის სამართლის მიხედვით:

1. ოფერტის გამოხმობა — შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერ დროს აქცეპტამდე, მაგრამ გაიწია იურიდიული ძალა მხოლოდ ოფერტის ადრესატის მიერ, მისი მიღებიდან.

2. ოფერტის ვადის გასვლა ანუ აქცეპტის მისაღებად „ნორმალურად აუცილებელი დროის" გადაჭარბება.

3. შემხვედრი წინადადების (ოფერტის) მიღება.

4. ოფერენტის სიკვდილი.

ოფერტი — სამოქალაქო სამართალში ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირისთვის მიმართული ადრესატთან ხელშეკრულების დადების წინადადება. ოფერტად ცნობილი წინადადება უნდა: ა) იყოს საკმაოდ გარკვეული და გამოხატავდეს პირის აშკარა განზრახვას დადოს ხელშეკრულება; ბ) შეიცავდეს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას; გ) იყოს მიმართული ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ პირზე. ოფერტის გაგზავნა წარმოადგენს ხელშეკრულების დადების პირველ სტადიას. ხელშეკრულება დადებულად ითვლება ოფერტის გამგზავნი პირის მიერ მისი აქცეპტის (წინადადების მიღების) მიღების მომენტში.

ოფცია (option, ლათ. — opto) — ზოგადი მნიშვნელობა — არჩევანი, მაგრამ აზრობრივი დატვირთვა სხვადასხვაა გამოყენების სფეროს მიხედვით.

1. ვალდებულების შესრულების ფორმის, ხერხის, ტექნიკის, მოცულობის არჩევის უფლება ან ვალდებულებაზე უარით თქმის უფლება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას.

2. შეთანხმება, რომელიც აძლევს მყიდველს უფლებას ესა თუ ის ნივთი შეიძინოს განსაზღვრულ დრომდე ან განსაზღვრულ მოვლენამდე (შესყიდვის ოფცია), ანდა, იმავე პირობით, გაყიდველს უფლება აქვს საგანი მყიდველს მიჰყიდოს (გაყიდვის ოფცია).

3. საერთაშორისო სამართალში — მოქალაქეობის წარმოშობის და შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი, რაც გამოიხატება ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირების მიერ მოქალაქეობის არჩევაში, რომელიც ხორციელდება დაინტერესებული ქვეყნების შეთანხმების და მათი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე. უმეტესწილად ადგილი აქვს ტერიტორიული ცვლილებების, ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის დროს, ან ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის, მეორის იურისდიქციაში გადასვლისას (ოპტაცია).

4. საავტორო სამართალში — ხელშეკრულების წინაპირობა უცხო ქვეყნის ავტორის ნაწარმოებების გამოცემისა. გამომცემლობა იღებს ნაწარმოებს საკითხის შესასწავლად და გადასაწყვეტად განსაზღვრული ვადით, რომლის განმავლობაშიც საავტორო უფლების მფლობელს არ შეუძლია დადოს ხელშეკრულება სხვა გამომცემლობასთან იმავე ენაზე გამოსაცემად. რაიმე გადასახდელს ოფციის შეთანხმება არ ითვალისწინებს.

5. ფასიანი ქაღალდები, რომლებიც აძლევენ მათ მფლობელს უფლებას გაყიდოს ან შეიძინოს აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების გარკვეული რაოდენობა ფიქსირებულ ფასში. ოფციის გამყიდველი იღებს თავის თავზე ვალდებულებას ოფციონის ხასიათიდან გამომდინარე ან შეიძინოს მყიდველისაგან შესაბამისი აქციები ან ფასიანი ქაღალდები, ან პირიქით — მიჰყიდოს. აქციების კურსის მოძრაობიდან გამომდინარე ოფციის მყიდველი იღებს გადაწყვეტილებას, განახორციელოს თუ არა მის მიერ ნაყიდი უფლება ოფციის მოქმედების პერიოდში. საბირჟო კურსის მოძრაობის მიმართულებები, პროგნოზირებული გამყიდველისა და მყიდველის მიერ ურთიერთსაწინააღმდეგოა, ამიტომ ორივეს აქვს მოგების მიღების იმედი. თუ ოფცია განხორციელდა, გამყიდველის მოგებას შეადგენს თანხა, რომელიც მყიდველმა გადაიხადა ოფციაში (პრემია). ოფცია ორი სახისაა: ოფცია „ფუთ" (put) — გაყიდვაზე, და ოფცია „ქოლ" (call) ყიდვაზე.

6. პირობა საზღვაო გადაზიდვის (ჩარტერის) ხელშეკრულებაში, რომელიც ითვალისწინებს მეფრახტის მიერ ჩატვირთვის ან ჩამოტვირთვის პორტის არჩევის უფლებას, აგრეთვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთი ტვირთის მეორეთი შეცვლის უფლებას.

7. კომპანიის აქციების ფიქსირებულ ფასად შეძენის უფლება, რომელსაც კომპანიები აძლევენ თავიანთ მაღალი თანამდებობის მოსმასურეებს.

ოქმი (ადმინისტრაციული) — ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ ფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი (ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ), პირადი დაკავების, დათვალიერების, ნივთების დათვალიერების ან ამოღების, დოკუმენტების ამოღების, სატრანსპორტო საშუალების დაკავების ფაქტი და ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის შესახებ საქმეების წარმოების უზრუნველყოფის სხვა ზომები. ოქმში მითითებული ხდება მისი შედგენის თარიღი და დრო; ოქმის შემდგენი პირის თანამდებობა, გვარი და ინიციალები; ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ; მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები, სახელები, მამის სახელები, მისამართები, თუ ისინი არსებობენ; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და მოვლენა; კანონის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მოცემულ სამართალდარღვევაზე; ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის კანონიერი წარმომადგენლის განმარტება, რომელთა მიმართაც აღძრულია საქმე; საქმის გადასაწყვეტად საჭიროა სხვა ცნობები. ოქმს (ადმინისტრაციას) ხელს აწერს მისი შემდგენი პირი, ფიზიკური პირი ან იურიდიული პირის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე. ამასთან, ამ უკანასკნელს უფლება აქვს ოქმში შეიტანოს განმარტებები და შენიშვნები, ასევე უარი თქვას ოქმის ხელმოწერაზე. მოწმეების და დაზარალებულების არსებობისას ოქმს ხელს აწერენ ეს პირებიც. თუ პირი უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, მასში კეთდება ჩანაწერი ამის შესახებ.

თანამდებობის პირი ოქმის შედგენისას ვალდებულია განუმარტოს საქმის წარმოების მონაწილეებს მათი უფლებები და ვალდებულებები, რაზეც ოქმში კეთდება ჩანაწერი. გარდა ამისა, მასში შეიძლება გაკეთდეს ჩანაწერი ჩატარებული პირადი და ნივთების დათვალიერების, ნივთებისა და დოკუმენტების ამოღების შესახებ, თუ არ ხდება ცალკეული ოქმების შედგენა ჩატარებული მოქმედებების შესახებ.

აღნიშნული ოქმი ეგზავნება მოსამართლეს, ორგანოს, თანამდებობის პირს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საქმე. დამოუკიდებელი საპროცესო დოკუმენტის სახით ხდება ოქმის შედგენა ადმინისტრაციული დაკავების შესახებ, ნივთებისა და დოკუმენტების ამოღების, ფიზიკურ პირებთან არსებული ნივთების დათვალიერების, სატრანსპორტო საშუალებების დაკავების ან მისი ექსპლუატაციის აკრძალვის შესახებ და ა.შ.

ოქმი (მარტივი, კრების ან რაიმე სხდომის ფორმა-ნიმუში) – ოქმი არის

საბუთი, რომელიც ადგენს კრების, სხდომის ან თათბირის ჩატარების ადგილს, დროსა და მიზანს, დამსწრეთა შემადგენლობას, ასახავს მოხსენებათა და გამოსვლათა შინაარსს და ავრეთვე მოხსენიება საკითხების თანახმად მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ოქმებით ფორმდება შუშა-მოსამსახურეთა, სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრთა კრებების, არტელის გამგეობის, საინვენტარიზაციო კომისიების სხდომების, დაწესებულებათა ტექნიკური საბჭოების სხდომების საბალანსო კომისიების შუშაობის შედეგების გადაწყვეტილებები.

ოქმების გაფორმება გულისხმობს კრებაზე, სხდომაზე ან თათბირზე მიმდინარე საუბრებისა და გამოტანილი დადგენილებების სისტემატურ ჩაწერას. კრების მსელელობის დროს მდივანი აკეთებს შავ ჩანაწერს იმ მოცულობით, რაც საჭიროებულია ოქმის შემდგომი გაფორმებისთვის. მის განკარგულებაში უნდა იყოს კრების ყველა წერილობითი მასალა: დღის წესრიგი, განცხადების ფურცლები, მოხსენებათა და თანამოხსენებათა თეზისები, ღონისძიების პროექტები, დასკვნები, აქტები, ანგარიშები, სქემები, შეკითხვები მომხსენებლის მიმართ და ა.შ.

განხილული საკითხების მნიშვნელობის მიხედვით ჩანაწერები ოქმში კეთდება მოკლედ ან დაწვრილებით.

მოკლე ჩანაწერები კეთდება უბრალო (სარეზოლუციო) ოქმებში. ეს ოქმები იქცება იმ შემთხვევაში, როცა წყდება საკითხები, რომლებიც არ საჭიროებენ ხანგრძლივ განხილვას. ასეთი ოქმები ძირითადად შედგება ორი ნაწილისაგან: 1. „მოისმინეს", რომელშიც იწერება განსახილველი საკითხები და 2. „დაადგინეს", სადაც წერენ სათანადო საკითხებზე მიღებულ დადგენილებას (რეზოლუციას).

დაწვრილებითი ჩანაწერები კეთდება ოქმ-ანგარიშში. ოქმი-ანგარიში უფრო დაწვრილებით ასახავს სხდომის მიმდინარეობას და დგება იმ შემთხვევაში, როდესაც კრებაზე (სხდომაზე) წყდება რთული, კამათის გამომწვევი საკითხები და საჭიროა აღინიშნოს კამათში გამომსვლელ სხვადასხვა პირთა შეხედულებები.

ერცელი შინაარსის შემცველ ოქმებში (ოქმ-ანგარიშში), როგორც წესი, ასახულია ყოველი საკითხის განხილვის მსვლელობა, ამიტომ აქ ყოველი საკითხის განხილვისას ნაჩვენები უნდა იყოს მოხსენების, თანამოხსენების, კითხვებისა და პასუხების, სხდომის მონაწილეთა გამოსვლების შინაარსი, მომხსენებლის დასკვნითი სიტყვის შინაარსი, განხილული საკითხების ირგვლივ შემოსული წინადადებების შინაარსი და მიღებული ღონისძიებების ტექსტი.

ოქმებში აისახება მხოლოდ ძირითადი აზრები, გარემოებანი და ფაქტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საკითხის განხილვისთვის.

კრების ღონისძიება იწერება სიტყვა-სიტყვით ჩვეულებრივ, იგი იწერება ასე: დამტკიცდეს ესა თუ ის დოკუმენტი, მოწონებულ იქნეს ესა თუ ის ღონისძიება, მიღებულ იქნეს საკონკურსო მოწვევა, მიღებულ იქნეს პარტიის ან საზოგადოების წევრად, გათვალისწინებულ იქნეს, დაეკალოს ამა და ამ პირს გაკეთოს ესა და ეს, აღინიშნოს ამა და ამ რგოლის, ბრიგადის, ამხანაგის კარგი მუშაობა, გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს რომელიმე საქმე და ა.შ.

უახლოეს სამ დღეში კრების შემდეგ, საჭარო შეშთხვევებში კი უფრო ადრე, კრების ოქმი საბოლოოდ რედაქტირებული უნდა იქნეს მდივნის მიერ და თაყჯდომარესთან შეთანხმების შემდეგ გადაწერილი ან გადაბეჭდილი და ხელმოწერილი.

ოქმი იღებს რიგით ნუმერაციას წლის დასაწყისიდან, რაც ამაეე დროს აღნიშნავს ჩატარებულ კრებათა რაოდენობას.

ოქმის ძირითადი ნაწილებია:

1. საბუთის დასახელება (კრების, სხდომის ან თათბირის ოქმი) და მისი ნომერი.

2. კრების, სხდომის ან თათბირის ჩამტარებელი ორგანიზაციის დასახელება.

3. კრების ჩატარების თარიღი.

4. კრების მონაწილეთა შემადგენლობა (ჩამთელიან გვარებს ანბანის მიხედვით ან მიუთითებენ დამსწრეთა რაოდენობას).

5. კრების ხელმძღვანელთა გვარები და ინიციალები;

6. დღის წესრიგი (საკითხთა ნუსხა მომხსენებელთა გვარების დასახელებით).

7. ოქმის ტექსტი.

ა) „მოისმინეს" – მიუთითებენ საკითხს, დღის წესრიგსა და მოხსენების ინფორმაციის მოკლე შინაარსს (ან მისი ტექსტი ოქმს თან ერთვის).

ბ) „გამოვიდნენ" – მიუთითებენ გამომსელელთა გვარებს და გამოსელის მოკლე შინაარსს.

გ) „დაადგინეს" – აღინიშნება (ან დაერთვის ოქმს) დასახული ღონისძიება.

9. შესაძლო დანართების ნუსხა ფურცლების რაოდენობის მითითებით.

10. კრების თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერა, ან კრების (თათბირის, სხდომის) მონაწილეთა ხელმოწერაც იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი წესი გათვალისწინებულია წესდებით ან დებულებით ანდა კრების თავმჯდომარე ჩათელის ამას საჭიროდ.

ᲐᲮᲚᲝᲕᲔᲚᲘ N

სხდომა, კრება

კოლეგიალური ორგანოს დასახელება

" "

ქალაქი, თარიღი

ესწრებოდნენ:

1.

2.

3.

4.

სხდომის თავმჯდომარე (გვარი)

მდივანი (გვარი)

დღის წესრიგი

1.

2.

გამოვიდნენ:

1.

2.

დაადგინეს:

1.

2.

3.

1. მოისმინეს:

გამოვიდნენ:

1.

2.

დაადგინეს:

1.

2.

სხდომის თავმჯდომარე: (გვარი)

სხდომის მდივანი: (გვარი)

ოქმის ფორმა (სისხლის სამართლის პროცესში მასალების სასამართლომდელი მომზადებისა) – მოკლევის ორგანოების მიერ ზოგიერთი დანაშაულის გარემოებების გამოკლევის სპეციფიკური წესი. ოქმის ფორმა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა საქმის გარემოებები შეიძლება დადგინდეს მოკლევის ან წინასწარი გამოძიების წარმოების გარეშე, ხოლო ოქმი, ჩადენილი დანაშაულის შესახებ და სხვა მასალები წარმოადგენს საფუძველს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის აღძერისა და სამართალდამრღვევის სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად. ამ დანაშაულებზე საქმის წარმოება ხდება ზოგადი წესების მიხედვით. დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას მოკლევის ორგანო საგამოძიებო მოქმედებების წარმოების გარეშე ადგენს დანაშაულის გარემოებებს და სამართალდამრღვევის პიროვნებას, იღებს განმარტებებს სამართალდამრღვევისგან, თვითმხილველებისგან ან სხვა პირებისგან, ითხოვს ცნობას სამართალდამრღვევის ნასამართლეობის შესახებ, სამუშაოს ადგილიდან ან სასწავლებლიდან დახასიათებას და სხვა მასალებს, რომელთაც მნიშვნელობა გააჩნიათ საქმის სასამართლოში განხილვისთვის.

ჩადენილი დანაშაულის გარემოებებზე დგინდება ოქმი, რომელშიც მითითებულია მონაცემები სამართალდამრღვევი პიროვნების შესახებ, დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, მოტივი, ხერხი, შედეგები და სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ დანაშაულის არსებობასა და სამართალდამრღვევის ბრალეულობას. ოქმს თან ერთვის ყველა მასალა, პირთა სია, რომლებიც ექვემდებარებიან სასამართლოში გამოძახებას. მოკლევის ორგანოს ხელმძღვანელი შეისწავლის ოქმს და თანდართულ მასალებს, საკმარისი საფუძვლების არსებობისას აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და აყალიბებს ბრალდებას. სისხლის სამართლის საქმე იგზავნება პროკურორთან, რომელიც მას აგზავნის სასამართლოში წინასწარი გამოძიების ან მოკლევის წარმოებისთვის ან წყვეტს საქმეს.

ᲝᲮᲔᲠᲘ (სამართ. ისტ.) მიტოვებულ-გაუკაცრიელებული უძრავი ქონება ძველ საქართველოში – ასეთი ქონების სახელად იხმარებოდა აგრეთვე „ნაოხარი", „ოხერქმნილი" და „პარტახიც", რომლის კანონიერად დასაკუთრება მხოლოდ განსაზღვრულ პირობათა დაცვით, სახელდობრ, ხანგრძლივი და „მიუმძლავრებელი" მფლობელობის („უფლებამოსილების") გზით შეიძლებოდა.

პ

ᲞᲐᲘ – კომპანიის კაპიტალის წილი, რომელიც იძლევა მეპაიეთა საერთო კრებაში მონაწილეობის, დივიდენდის მიღების და კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ქონების წილის მიღების უფლებას. პაი გამოიხატება განსაზღვრული დოკუმენტის – მოწმობის სახით, რომელსაც ზედ ერთვის დივიდენდების მისაღები კუპონები. ყველა ჩამოთვლილი ნიშანი სამართლიანია აქციის მიმართაც.

საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობის მიხედვით პაი წარმოადგენს კოოპერატივის წევრის შესატანს კოოპერატივის საპაიო ფონდში, გამოხატულს ფულადი სახით. ყოველი პაი უნაშთოდ უნდა იყოფოდეს ორმოცდაათზე. დასაშვებია კოოპერატივის ერთი წევრის ხელში რამოდენიმე პაის თავმოყრა.

პანტომიმა (ბერძ. pan (pantos) – ყოველი, + mimos – მიბაძვა)

1. სცენური ხელოვნების სახეობა, რომელშიც მხატვრული გამომსახველობის ხერხებს წარმოადგენენ: პლასტიკა, ჟესტი, მიმიკა. მრავალ ქვეყანაში პანტომიმის დაცვა უზრუნველყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ფიქსირებულია რაიმე ნიშნით – ალწერილობით ან სხვა აღქმადი ფორმით.

2. მიმიკური წარმოდგენა – სპექტაკლი სიტყვების გარეშე.

პანდექტები (ლათ. pandectae < ბერძნ. pandektes – ყოველისმომცველი) – დიგესტების ბერძნული სახელწოდება.

პანდექტური სამართალი (გერმ. Pandektentecht – გეანდ. ლათ. modernus pandectarum), კერძო სამართალი, რომელიც მოქმედებდა გერმანიაში XVI-XIX სს-ში. პანდექტურ სამართალს საფუძვლად დაედო გლოსატორთა მიერ გადამუშავებული რომის სამართალი, რასაც დაემატა კანონიკური სამართლის ნორმები და გერმანული ფეოდალური სამართლის ჩვეულებები. იგი გერმანიის საერთო სამართალი იყო. მოქმედებდა გერმანიის სამოქალაქო სჯულდების შემოღებამდე (1900 წ.)

პარლამენტი – სიტყვა პარლამენტი დღევანდელი გაგებით ფრანგულიდან მომდინარეობს, ეს უკანასკნელი კი ძველი ლათინებიდან სესხულობენ ამ სიტყვას. თავად ქმედითი ორგანოს მსგავსი დაწესებულება გაჩნდა ძველ, მონათმფლობელურ პერიოდში არსებულ ცივილიზაციებს (რომი, სპარტა, საბერძნეთი). შუა საუკუნეებში კი ევროპაშიც (რუსეთში – საეროო კრება, დუმა, საფრანგეთში – გენერალური შტატები, ინგლისში – პარლამენტი, საქართველოში – დარბაზი, კარაჟი, საკრებულო) არსებობდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები, რომლებიც არეგულირებდნენ სახელმწიფოს ცხოვრებას პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობით.

თანამედროვე მსოფლიოში პარლამენტი წარმოადგენს არჩევით პოლიტიკურ-წარმომადგენლობით ორგანოს და არის ხელისუფლების სამი შტოს (აღმასრულებელი – მთავრობა, საკანონმდებლო – პარლამენტი, სასამართლო), ერთ-ერთი ხაზის მიმართულების მქონე და საკუთარი ფუნქციების გამტარებელი. დღეს ანდელ მსოფლიოში ამ ტიპის ფუნქციის შემსრულებელია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა და მისი სახელწოდებები ამგვარია: რუსეთში – დუმა, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში, საბერძნეთში, იაპონიაში – პარლამენტი, ამერიკის შეერთებულ შტატებში – კონგრესი, ბრაზილიაში – ეროვნული კონგრესი, პონდურასში – დეპუტატთა კონგრესი, პოლონეთში, ფინეთში – სეიმი, დანიაში – ფოლკეტინგი, პოლანდიაში – ცენტრალური შტატები, შვეიცარიაში – ფედერალური ასამბლეა, ნორვეგიაში – სტორტინგი, ისლანდიაში – ალტინგი, ისრაელში – კნესეტი, თურქეთში – დიდი ეროვნული კრება, აზერბაიჯანში – მილი მეჯლისი, ირანში მეჯლისი და ა.შ. ეს ორგანოები უმეტესწილად ორპალატიანია და აშშ-ს გააჩნია წარმომადგენელთა პალატა და სენატი, ინგლისს თემთა პალატა და ლორდთა პალატა, იტალიას დეპუტატთა პალატა და სენატი, გერმანიას ბუნდესტაგი და ბუნდესრატი, იაპონიას წარმომადგენელთა პალატა და მრჩეველთა პალატა და ა.შ. ერთპალატიანი პარლამენტებია ფინეთში, დანიაში, შვეიცარიაში, საბერძნეთში, ირანში, თურქეთში და პარლამენტის ჩამოყალიბების ამგვარი მიდგომა აიხსნება მათი ფედერაციული მოწყობით და უფლებამოსილების განხორციელების მყარი გარანტირებული ქმედებით. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარლამენტის შექმნის ამგვარი მიდგომა არსებობს არა მარტო რესპუბლიკური ფორმის სახელმწიფოებში, იქ სადაც სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრეზიდენტი, არამედ კონსტიტუციურ-მონარქიულ ქვეყნებშიც (ინგლისი, იაპონია, ჰოლანდია).

დამოუკიდებელი საქართველოს, 1921 წლის კონსტიტუციაში რესპუბლიკის წარმომადგენლობით საკანონმდებლო ორგანოს „საქართველოს პარლამენტი" დარქვა. ყველა ქვეყანას კონსტიტუცია ფართოდ წარმოადგენს და მომდინარეობს ხელისუფლების დაყოფის პრინციპიდან, რესპუბლიკური ფორმის სახელმწიფოს სამივე შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) დაყოფის პრინციპსა და მათი უფლებამოსილების გამიჯვნის კომპეტენციას. პარლამენტის და სხვა სტრუქტურათა უფრო დაწვრილებითი უფლებამოსილება წარმოდგენილია ნორმატიულ აქტებში.

დღეისათვის პარლამენტის ფორმის ერთ-ერთი უმაღლესი დაწესებულებაა ევროპარლამენტი, რომელიც 1957 წელს შეიქმნა, ჯერ საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ბელგიის, ნიდერლანდების და ლუქსემბურგის ბაზაზე, შემდგომ მათ შეუერთდნენ დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია. ეს ქვეყნები წარმოადგენენ ევროპის ქვეყნების თანამეგობრობას და არის ურთიერთსაკონსულტაციო ორგანო ევროპის წესრიგისა და ურთიერთდახმარების. თავდაპირველად, ევროპარლამენტის დეპუტატებად ინიშნებოდნენ დასახელებული ქვეყნების წარმომადგენლები მათი პარლამენტარების რიცხვიდან. 1979 წლიდან ევროპარლამენტში დეპუტატებს ირჩევენ ამ თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების მოქალაქენი საყოველთაო, პირდაპირი არჩევნების წესით ხუთი წლის ვადით. დეპუტატთა რაოდენობა თითოეული ქვეყნიდან განისაზღვრება მათი მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად.

პარლამენტი – სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანო. ტერმინი „პარლამენტი" წარმოადგენს საკანონმდებლო შეკრებების საერთო სახელწოდებას, კერძო სახელწოდებებია – ფედერალური კრება, კონგრესი, ეროვნული კრება, სეიმი და სხვ. პარლამენტმა ფართო გავრცელება პოვა XVI-XVIII სს-ში ბურჟუაზიული რევოლუციების შედეგად. სახელმწიფოების უმრავლესობაში პარლამენტი შედგება ორი პალატის: ზედა (ლორდთა პალატა, სენატი და სხვ.) და ქვედა (წარმომადგენლების პალატა, ეროვნული კრება და სხვ.) პალატისგან. ზედა პალატები ყალიბდება სხვადასხვა ხერხით: არჩევნების (საფრანგეთი), მემკვიდრეობითი (ინგლისი), დანიშვნის გზით. ქვედა და ერთპალატიანი პარლამენტების ჩამოყალიბება ხდება არჩევნების გზით.

პარლამენტის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს კანონშემოქმედება. პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებები ხორციელდება პალატების რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის შეს-

აბამისად. თითოეულ ქვეყანაში ეს პროცედურა იყოფა რიგ სტადიებად და მას გააჩნია თავისი თავისებურებები. თუმცა, ამასთან არსებობს რამდენიმე საერთო შტრიხიც. პარლამენტის მუშაობის პროცედურის ზოგადობა მდგომარეობს სამართალშემოქმედების პროცესის ერთნაირი სტადიების არსებობაში. პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობისთვის უმნიშვნელოვანესია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რომელსაც, როგორც წესი, ფლობენ მთავრობა, პარლამენტის პალატები, ამომრჩეველთა, დეპუტატთა ჯგუფები, კონსტიტუციაში სპეციალურად მითითებული ორგანოები. პარლამენტის საკმაოდ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება. ქვეყნების უმრავლესობაში ეს პროცესი ხდება საკანონმდებლო პროცედურის ჩარჩოებში. ზოგიერთ ქვეყანაში ის ხორციელდება სპეციალური რეზოლუციის მიღებით. ამასთან, ბიუჯეტის მიღების წესი განსხვავდება საკანონმდებლო წესისაგან. მაგალითად, ფინეთში ბიუჯეტის პროექტი სეიმში გადის ერთი მოსმენით, მაშინ როცა კანონპროექტები სამი მოსმენით; ნორვეგიასა და ისლანდიაში ბიუჯეტის პროექტი განიხილება პალატების ერთობლივ სხდომაზე, ხოლო კანონპროექტები ცალკ-ცალკე. დიდ ბრიტანეთში ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია არა კანონპროექტის, არამედ ფინანსთა მინისტრის ოფიციალური განცხადების ფორმით. საფრანგეთში „ფინანსური კანონები", მათ შორის, ბიუჯეტის პროექტი განიხილება და მტკიცდება პარლამენტის მიერ ცალკ-ცალკე თითოეული სამინისტროსთვის. პარლამენტში პროექტის განხილვა ჩვეულებრივ გადადის მთავრობის მთელი პოლიტიკის განხილვაში და ამიტომ ის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთი ფორმა.

პარლამენტის პალატების საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საპარლამენტო კომისიები ან კომიტეტები, ისინი იყოფა ორ კატეგორიად: დროებითი, რომლებიც იქმნებიან ერთი კონკრეტული საქმის განსილვისათვის და მუდმივი, რომლებიც იქმნებიან პალატის უფლებამოსილებების მთელი ვადის ან საპარლამენტო სესიის პერიოდის მანძილზე. კომიტეტები იღებენ მონაწილეობას საკანონმდებლო საქმიანობაში და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის სფეროში.

პასუხისმგებლობა საქმის განხილვის ან საგამოძიებო მოქმედების გადადებით გამოწვეული ზიანისათვის

მუხლი №207 საქ. სსსკ

1. კანონით დადგენილი წესით გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოძახებული პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, სასამართლოში საქმის განხილვის ან საგამოძიებო მოქმედების გადადებით გამოწვეული ხარჯები კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გადახდება გამოუცხადებელ პირს.

2. ამ კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოში გამოძახებული პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მას მოსამართლე (სასამართლო) აკისრებს ჯარიმას 100-დან 500 ლარამდე ოდენობით, რაც პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი

დანაშაულისა და დამნაშავის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების დამადასტურებელი გარემოებანი, რის გამოც უფრო მკაცრი სასჯელი ინიშნება. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი ორგვარად არის კანონმდებლობაში ასახული: 1. როცა პირდაპირ არის გათვალისწინებული რაიმე დანაშაულისათვის სასჯელის დაწესებისას, მაგ., ქურდობა ბინაში შეღწევით; 2. როდესაც მხედველობაში იღებს სასამართლო ყოველგვარი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას კანონით განსაზღვრული სანქციის ფარგლებში. ასეთ გარემოებათა ამომწურავ ნუსხას შეიცავს განსაზღვრული კანონი.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული გარემოებანი, რომლებიც ადასტურებენ დანაშაულებრივი ქმედობის ან დამნაშავის ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას. ეს გარემოებანი კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში ამსუბუქებენ სასჯელს. ზოგჯერ მათ შეიძლება განაპირობონ კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა ან პირობითი მსჯავრი, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაულის ჩადენის დროს — დამნაშავის გათავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება. კანონის მოთხოვნით შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება ჩადენილი დანაშაულის მაუნე შედეგების თავიდან აცილება, მიყენებული ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება დამნაშავის მიერ; დანაშაულის ჩადენა, მძიმე პირად ან ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო; დანაშაულის ჩადენა მუქარის ან იძულების გაელენით ან მატერიალური, სამსახურეობრივი თუ სხვაგვარი დამოკიდებულების გამო (თუ მუქარა რაიმე უმნიშვნელო ინტერესს ეხება ან თუ პირს მართლზომიერი მოქმედებით ემუქრებიან, მაშინ იგი არ შეამსუბუქებს პასუხისმგებლობას).

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანია — დანაშაულის ჩადენა პირველად შემთხვევით მომხდარ გარემოებათა გამო; დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გაელენით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით, დანაშაულის ჩადენა საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან დაცვის დროს, თუნდაც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით; დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანის ან ორსული ქალის მიერ; გულწრფელი მონანიება ან გამოცხადება ბრალის აღიარებით; მონანიება გულწრფელია, როცა დამნაშავე შეიგნებს ჩადენილი დანაშაულის გასაკიცხაობას და აძლევს გულახდილ ჩვენებას საგამოძიებო ორგანოებს თუ სასამართლოს გამოცხადება ბრალის აღიარებით გულისხმობს დამნაშავის გამოცხადებას სათანადო ორგანოებში საკუთარი ინიციატივით. ჩამოთვლილი შემამსუბუქებელი გარემოებები ამომწურავი არაა, სასამართლოს შეუძლია მსჯელეელობაში მიიღოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ისეთი, რომლებიც კანონში არ არის მითითებული, მაგ. პოზიტიური ხასიათის ცნობები, წერილობითი დახასიათება, ჯილდოები, ნამსახურობა, ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ინვალიდობა, ორსულობა, ბავშვის ან ბავშვების ყოლა, ავადმყოფი ოჯახის წევრის ან ნათესავის ყოლა, რომელიც მის მზრუნველობას საჭიროებს

პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის დარღვევაზე – შრომის კანონმდებლობისა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დარღვევაში დამნაშავე პირის დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემა. ისინი ასევე შეიძლება მიცემულ იქნენ სამოქალაქო-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში კანონით დადგენილი წესით. პირის პასუხისგების საკითხი შეიძლება დადგეს უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის წესების დარღვევაზე, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მძიმე ან საშუალო სიმძიმის ზიანის მიყენება.

ზოგიერთ ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება სამუშაოზე მიღებაზე დაუსაბუთებელ უართან ან ორსულობის მიზეზით ქალის სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში და ა.შ.

პასუხისმგებლობისა და სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებები: ა) მცირე სიმძიმის დანაშაულის ჩადენა პირველად გარემოებების შემთხვევითი დამთხვევის შედეგად; ბ) დამნაშავის არასრულწლოვნება; გ) ორსულობა; დ) დამნაშავისთვის მცირეწლოვანი შვილების ყოლა; ე) დანაშაულის ჩადენა მძიმე ცხოვრებისეული გარემოებების დამთხვევის ძალით ან თანაგრძნობის მოტივით; ვ) დანაშაულის ჩადენა ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების შედეგად ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების ძალით; ზ) დანაშაულის ჩადენა აუცილებელი თავდაცვის, დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავების, ბრძანების ან განკარგულების შესრულების, დასაბუთებული რისკის მართლზომიერების პირობების დარღვევისას; თ) დაზარალებულის ქცევის არამართლზომიერება ან ამორალურობა, რაც გახდა დანაშაულის მიზეზი; ი) მონანიებით გამოცხადება, აქტიური ხელშეწყობა დანაშაულის გახსნისთვის, დანაშაულის სხვა მონაწილეების მხილება და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ბრუნვისთვის ხელშეწყობა; კ) დაზარალებულისთვის სამედიცინო და სხვა სახის დახმარების გაწევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზარალის ან მორალური ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება და ა.შ.

პატენტი – დოკუმენტი, რომელიც ოფიციალურად ამტკიცებს მისი მფლობელის უფლებას შექმნილ გამოგონებებზე ან სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებზე და ადგენს მათ მოცულობას. პატენტის მფლობელს გააჩნია გარანტია მიიღოს სარგებელი დამატენტებული საშუალების მონოპოლური ფლობიდან კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში, რომლის ამოწურვის შემდეგაც ის ხდება საყოველთაო მოხმარებაში. ასეთი შესაძლებლობის მიცემა ხდება სპეციალური პროცედურის ჩარჩოებში, რომელიც მოიცავს საზოგადოებისთვის მონაცემების შეტყობინებას შექმნილი ტექნიკური სიახლის შესახებ (განცხადების შედგენა და შეტანა, განცხადების მასალების პუბლიკაცია და ა.შ.), კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ იმის შემოწმება, ნამდვილად ამდიდრებს თუ არა განცხადებული სიახლე ტექნიკის მსოფლიო დონეს (განცხადების ექსპერტიზა) და დასასრულს, სახელმწიფოს სახელით განსაკუთრებით დაცული დოკუმენტის გაცემა, რომელიც ახდენს განცხადების შემტანის უფლების გარანტიას.

პატენტის მფლობელის უფლება ატარებს აბსოლუტურ, განსაკუთრებულ და ეადიან ხასიათს, ასევე შეზღუდულია იმ სახელმწიფოს ტერიტორიით, რომლის საპატენტო უწყებამაც გასცა ის.

პატენტი [ლათ. patens (patentis) ღია, აშკარა] 1)განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს ტექნიკური გადაწყვეტილების გამოგონებად, სასარგებლო მოდელად ან ნიშუშად ცნობას; ამტკიცებს იმ პირის საავტორო უფლებებსა და მოცემული ტექნიკური გადაწყვეტილების გამოყენების უფლებას, ვის სახელზეცაა გაცემული; 2)დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს ვაჭრობის ან სხვა მოღვაწეობის უფლებას, ხოლო ზოგიერთ სახელმწიფოში – გარკვეული თანამდებობის დაკავებისას; 3) საკონსულო პ. – დოკუმენტი, რომელსაც ღებულობს კონსული საკუთარი სახელმწიფოსგან სხვა ქვეყანაში დანიშვნის დროს და ამტკიცებს მის უფლებამოსილებას; 4) სანიტარული პ. – მოწმობა, რომელიც გაიცემა საზღვარგარეთ გასამგზავრებელ გემებზე და შეიცავს ხომალდის სანიტარულ მდგომარეობას გამგზავრებისა და დანიშნულების პორტების სახელწოდებებს.

პატენტი – სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული საბუთი, რომელიც ადასტურებს წინადადების გამოგონებად, სასარგებლო მოდელად, სამრეწველო ნიმუშად აღიარებას, მის პრიორიტეტს, აეტორობას და განსაკუთრებულ უფლებას მასზე.

პატენტი შეიცავს შემდეგ დებულებებს: 1) მოცემული ტექნიკური გადაწყვეტილება არის გამოგონება. 2) აეტორი (აეტორები) არის (არიან) შემდეგი პირი (პირები. 3) ამა და ამ პირს აქვს განსაკუთრებული უფლება ამ გამოგონებაზე.

პატენტო მოქმედებს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში.

პატენტის მფლობელის თანხმობის გარეშე გამოგონება არ შეიძლება იყოს გამოყენებული. ზოგიერთი ქვეყნის სამართლით, იმ შემთხვევაში, როცა გამოგონებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის, მაგრამ პატენტის მფლობელთან ლიცენზიის მიღების ან პატენტის დათმობის შეთანხმება მიღწეული არ არის, პატენტი შეიძლება იძულებულით იქნეს გამოსყიდული სახელმწიფოს მიერ, ან გამოყენებული იქნას შესაბამისი ორგანიზაციის მიერ.

პატენტის მფლობელის ერთ-ერთ დამცავ მექანიზმად ბევრ ქვეყანაში გვეელინება სანქციების (ჯარიმები, ქონებაზე ყადაღის დადება) გამოყენება ისეთ ნაკეთობათა ქვეყანაში შემოტანაზე, რომელიც პატენტით დაცული გამოგონების ანალოგიურია.

პატენტის მოქმედების ტერიტორიული ხასიათი შეიძლება გადალახულ იქნას საერთაშორისო შეთანხმებების დადებით, რომლის მაგალითია ეეროპული თანამეგობრობის ქვეყნების კონვენცია ერთიანი პატენტის შესახებ;

პატიმრობა – კანონი №2263-რს – საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ

კარი №2 – თავისუფლების აღკვეთის აღსრულება და მოხდა

თავი №17 – ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის საერთო პირობები

მუხლი №89 – პატიმრის პაემანი

1. პატიმარს (ბრალდებულს, განსასჯელს, ასევე ამ კანონის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პატიმარს) შეიძლება ყოველთვიურად მიეცეს არა უმეტეს ორი პაემნის უფლება. პაემნის თაობაზე დაწესებულების ადმინისტრაციას უნდა ეცნობოს პაემნამდე არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

1[1]. ბრალდებულს პაემნის უფლებას აძლევს გამომძიებელი, პროკურორი. პაემნის მიცემაზე გამომძიებლის, პროკურორის დასაბუთებული უარი ბრალდებულს ეცნობება წერილობით 24 საათის განმავლობაში. უარის გასაჩივრების უფლება ბრალდებულს აქვს მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლო (მოსამართლე) საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს ზეპირი მოსმენის გარეშე, საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 48 საათისა. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს (მოსამართლის) გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

1[11]. განსასჯელის, ასევე ამ კანონის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პატიმრის პაემნის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიზღუდოს პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს (მოსამართლის) გადაწყვეტილებით. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს (მოსამართლეს) გადაწყვეტილება გამოაქვს პროკურორის მიერ შუამდგომლობის დაყენებიდან (წარდგენიდან) არა უგვიანეს 48 საათისა, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. პატიმარს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, თავისი ქვეყნის საკონსულოს ან ამ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელთან შეხვედრის შეუზღუდავი უფლება აქვს.

3. პატიმარს აქვს თავის დამცველთან შეხვედრის შეუზღუდავი უფლება, რაც წესრიგდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.

4. პატიმრის პაემანს თვალყურს ადევნებს საპყრობილის თანამშრომელი, რომელიც უნდა ჩაერიოს პაემანში ან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს იგი, თუ პაემანი ზიანს აყენებს სისხლის სამართალწარმოებას.

5. პუნქტი ამოღებულია.

დებულება – დებულება პატიმრობის მოხდის წესის შესახებ

მუხლი №19 – პატიმართან შეხვედრა

1. პატიმარს შეიძლება მიეცეს ხანმოკლე შეხვედრის უფლება იმ პირადი ან სამართლებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რომელთა განხორციელებაც არ შეიძლება მესამე პირთა მეშვეობით; პატიმრის ხანმოკლე შეხვედრის უფლებას იძლევა გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე.

2. პატიმარს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, თავისი ქვეყნის საკონსულოს, ან ამ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელთან შეხვედრის შეუზღუდავი უფლება აქვს.

3. შეხვედრაზე წერილობით თანხმობაში უნდა მიეთითოს, თუ ვისი და რომელ პირებთან ეძლევა შეხვედრის უფლება. შეხვედრაზე ერთდროულად დაიშვება არა უმეტეს ორი სრულწლოვანი პირისა.

4. გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის წერილობითი ნებართვის, აგრეთვე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე საპყრობილის დირექტორი ან მისი მოადგილე რეჟიმის დარგში იძლევა წერილობით მოთხოვნას შეხვედრაზე ნების დართვის თაობაზე და განსაზღვრავენ მის ხანგრძლივობას საერთო რიგის გათვალისწინებით.

5. შეხვედრაზე უფლება პატიმარს მიეცემა საერთო რიგის დაცვით. შეხვედრის წინ შეხვედრაზე მოსულ პირებს განემარტებათ შეხვედრაზე მოქცევის წესების შესახებ.

6. პირები, რომლებიც შეხვედრაზე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე ან არაფხიზელ მდგომარეობაში მოვიდნენ, აგრეთვე პირები, რომლებიც ნებართვაში არ არიან აღნიშნული, შეხვედრაზე არ დაიშვებიან. ამის თაობაზე განემარტება შეხვედრაზე მოსულ პირს.

7. პატიმრის პაემანს თვალყურს ადევნებს საპყრობილის მოსამსახურე, რომელიც უნდა ჩაერიოს შეხვედრაში ან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს იგი, თუ შეხვედრა ზიანს აყენებს სისხლის სამართალწარმოებას.

8. შეხვედრა მიმდინარეობს სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ შენობებში, სადაც მოწყობილია გამყოფი ზღუდე, რომელიც გამორიცხავს საგნების გადაცემის შესაძლებლობას, მაგრამ ხელს არ უშლის საუბარს და ვიზუალურ ურთიერთობას. საუბარი ხორციელდება უშუალოდ ან სასაუბრო მოწყობილობის საშუალებით.

9. პატიმარს აქვს თავის დამცველთან შეხვედრის შეუზღუდავი უფლება, რაც წესრიგდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. შეხვედრა ტარდება გამყოფი ზღუდის გარეშე, როგორც ნორმალური და დროში შეზღუდვის გარეშე. საპყრობილის მოსამსახურეს უფლება აქვს ვიზუალურად, მოსმენის გარეშე, აკონტროლებდეს შეხვედრას.

10. პირებს, რომელსაც მიეცათ პატიმართან შეხვედრის უფლება, საპყრობილის დირექტორის ან მისი შემცველი პირის ნებართვის გარეშე ეკრძალებათ საპყრობილეში შეიტანონ და გამოიყენონ კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებები, კომპიუტერი, კინო-, ფოტო-, აუდიო-, ვიდეო-და გადასამრავლებელი აპარატურა.

11. შეხვედრის ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) შეხვედრაზე მოსული პირების მიერ საპყრობილის მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა;

ბ) ნივთების, ნივთიერებებისა და საკვები პროდუქტების პატიმრისათვის გადაცემის ან მისგან მიღების აცდელობა;

გ) იმგვარი მონაცემების გადაცემა, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას ან ხელი შეუწყონ დანაშაულის ჩადენას;

დ) შეხვედრაზე მოსული პირების მიერ პირობითი სივნალების, შიფრის და ინფორმაციის გადაცემის სხვა ფარული ხერხის გამოყენება.

12. შეხვედრის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საპყრობილის მოსამსახურე წერილობით მოახსენებს საპყრობილის დირექტორს და მიუთითებს შეხვედრის შეწყვეტის მიზეზის თაობაზე.

13. პატიმრებთან შეხვედრების მოკლევადიანი შეწ-

ყეტის თაობაზე (კარანტინის, საგანგებო რეჟიმის და სხვა გარემოებათა გამო) საპყრობილის დირექტორი აცნობებს პროკურორს და იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომლის წარმოებაშიც იმყოფება საქმე. მნახველთა მისაღებში გამოიკერება განცხადება.

კანონი №2263-რს – საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ

კარი №2 – თავისუფლების აღკვეთის აღსრულება და მოხდა

თავი №17 – ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის საერთო პირობები

მუხლი №85 – ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ადგილი(ამონარიდი)

2. თუ პატიმარმა გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ სასამართლოს განაჩენი, გასაჩივრებიდან არა უადრეს 5 დღისა და არა უგვიანეს 10 დღისა პატიმარი დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით გადაჰყავთ განსაზღვრულ რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (გარდა საპყრობილისა) და მისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილს, მსჯავრდებულთაგან სრულ იზოლაციაში. თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ საჩივრდება, გამოიყენება ამ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესი.

პატიმრობაში ყოფნის ადგილები – შსს, უშიშროების სამსახურის საგამომიებო იზოლატორები; შსს ორგანოების ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა დროებითი დაკავების იზოლატორები; სასაზღვრო ან სხვა ჯარების ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა დროებითი დაკავების იზოლატორები.

პატიჟი (სამართ. ისტ.) სასჯელი, დასჯა ძველ ქართულ სამართალში. ს.ს. ორბელიანის განმარტებით პატიჟი „უპატიურად და შეჭირვების პყრობას ნიშნავს. ბექას და ალბუღას სამართალში ტერმინი „პატიჟი" სასჯელის ზოგადი მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში მას საჯარო ხელისუფლებისათვის განკუთვნილი სისხლის სამართლის ჯარიმის მნიშვნელობაც აქვს. მაგ., დიდებულის მკვლელი ვალდებულია დაზარალებულის სასარგებლოდ კანონით დაწესებული ქონებრივი საზღაურის – „სისხლის" გარდა გარდაიხადოს და დაურჩოს (მ. 1). პატიჟიდან წარმოდგა „განპატიჟება" (დასჯა), პატიჟეულობა (სასჯელის დადება) და „პატიჟეული" (სასჯელდადებული).

პატრონაჟი – ზრუნვის განსაკუთრებული ფორმა. პატრონაჟი ხორციელდება სრულწლოვანი ქმედუნარიანი მოქალაქის თხოვნით, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს და დაიცვას თავისი უფლებები და შეასრულოს ვალდებულებები. მზრუნველი სრულწლოვან ქმედუნარიან მოქალაქეზე ინიშნება მეურვეობისა და ზრუნვის ორგანოს მიერ ასეთი მოქალაქის თანხმობით და ის ასრულებს ქონების განკარგვის ფუნქციებს, რომელიც ეკუთვნის სრულწლოვან ქმედუნარიან სამეურვეო პირს დავალების ან მინდობილობით მართვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. დავალების ხელშეკრულება, მინდობილობით მართვა). პატრონაჟი სრულწლოვან ქმედუნარიან მოქალაქეზე წყდება პატრონაჟის ქვეშ მყოფი მოქალაქის მოთხოვნით.

პაუშალური [< გერმ. pauschal მთელი, მთლიანად აღებული]; პ. გადასახადი (თანხა) – საერთო გადასახადი (თანხა), მასის შემადგენელი ნაწილების გამოყოფის გარეშე, მაგ. გადასახადის საერთო თანხა პარტია საქონელზე.

პენიტენციარული (გვიანდ. ლათ. poenitentiarius; ლათ. poenitentia მონანიება) – (სამართ.). სასჯელთან დაკავშირებული. პენიტენციალური სისტემა – უმეტეს სახელმწიფოებში: სისხლის სამართლის სასჯელის მოხდის წესი თავისუფლების აღკვეთის სახით.

პერსონა გრატა – სასურველი პირი – უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, ასეთი წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრი ან სხვა ოფიციალური წარმომადგენელი, რომლის დანიშვნასა და საქმიანობაზეც სამყოფელ სახელმწიფოში მოცემულია თანხმობა. მოცემული ტერმინი გამოიყენება უფრო იშვიათად, ვიდრე მისი ანტონიმი – პერსონა ნონ გრატა.

პერსონა ნონ გრატა – არასასურველი პირი – უცხო სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი ან უცხოელი დიპლომატი, რომელსაც სამყოფელი სახელმწიფო თვლის არასასურველად ან მიუღებელ პირად. რომელიმე პირის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს მის მიერ ამ სახელმწიფოს ხელისუფლების დადგენილებებისა და კანონების დარღვევა, ჩარევა მის შიდა საქმეებში და ა.შ. პირის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება ნიშნავს, რომ ის ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს სამყოფელი სახელმწიფო. თუ ის ამას არ გააკეთებს გონივრულად განსაზღვრულ ვადებში, სახელმწიფოს უფლება აქვს გამოაცხადოს მისი დისმისი (თანამდებობიდან განთავისუფლება), რის შემდეგაც დიპლომატი ან უცხო სახელმწიფოს სხვა წარმომადგენელი კარგავს პრივილეგიებსა და იმუნიტეტს, ხდება ჩვეულებრივი პირი და შესაძლებელია მისი პასუხისგებაში მიცემა მის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევაზე.

პეტიცია – საკონსტიტუციო სამართალში მოქალაქეთა კოლექტიური მიმართვის სახე, რომელიც წერილობითი ფორმით იგზავნება სახელმწიფო ორგანოებში და გამოხატავს საზოგადოებრივ აზრს ეკონომიკური, სოციალური განვითარებისა, ქვეყანაში და რეგიონში, ასევე ცალკეულ ტერიტორიაზე პოლიტიკური პრობლემების თაობაზე. ხელისუფლების ყურადღება პეტიციაში ხშირად მიპყრობილია ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევაზე, ჩინოვნიკების ბოროტად გამოყენებაზე და ა.შ.

პირადი არაქონებრივი დამოკიდებულებები – არაქონებრივ კეთილდღეობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებშიც ვლინდება მოქალაქის ან ორგანიზაციის ინდივიდუალური თავისებურებები. აღნიშნული დამოკიდებულება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) წარმოიქმნებიან არაქონებრივ (სულიერ) კეთილდღეობასთან დაკავშირებით, როგორიცაა მოქალაქის ღირსება, პატიოსნება, საქმიანი რეპუტაცია, სახელი, იერიდიული პირის დასახელება, საავტორო ნაწარმოები, გამოგონება,

სამრეწველო ნიმუში და ა.შ.; 2) უწყვეტადაა დაკავშირებული მათში მონაწილე პირების პიროვნებასთან; 3) მათში ვლინდება ცალკეული მოქალაქეების ან ორგანიზაციის ინდივიდუალობა.

პირადი დაზღვევის ხელშეკრულება

– დაზღვევის ხელშეკრულების სახე, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (მზღვეველი) ვალდებულია ხელშეკრულებით განპირობებულ თანხაზე (სადაზღვევო პრემია), რომელსაც იხდის მეორე მხარე (დაზღვევე), გადაიხადოს ერთდროულად ან პერიოდულად ხელშეკრულებით განპირობებული თანხა (სადაზღვევო თანხა), თავად დაზღვევის ან ხელშეკრულებაში დასახელებული მოქალაქის (დაზღვეული პირის) სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების, ასევე, მის მიერ გარკვეული ასაკის მიღწევის ან მის ცხოვრებაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვლენის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომის შემთხვევაში. პირადი დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს საჯარო ხელშეკრულებას. პირადი დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს დაზღვევის ან დაზღვეული პირის კანონიერი ინტერესები, რაც უკავშირდება მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, შრომისუნარიანობასა და საკუთარ უზრუნველყოფას. ამასთან, ზოგიერთი რისკი მოკლებულია შემთხვევითობას, გააჩნია ალბათობის მაღალი ხარისხი და წარმოადგენს ხელსაყრელს დაზღვეული პირისთვის (გარკვეული ასაკის მიღწევა და სხვ.) პირადი დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს გადახდებს ნებისმიერ შემთხვევაში და ატარებს დაგროვებით (შემნახველ) ხასიათს.

პირადი დაზღვევის ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია: მზღვეველს, დამზღვევს, დაზღვეულ პირს, სარგებლის შემძენს. დაზღვეული პირი შეიძლება იყოს დამზღვევი, სარგებლის შემძენი ან მესამე პირი. პირადი დაზღვევის ხელშეკრულება დადებულად ითვლება დაზღვეული პირის სასარგებლოდ, თუ ხელშეკრულებაში სარგებლის შემძენის სახით დასახელებული არაა სხვა პირი, პირადი დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეული პირის სიკვდილის შემთხვევაში, რომელშიც დასახელებული არაა სხვა სარგებლის შემძენი, სარგებლის შემძენად ცნობილი ხდება დაზღვეული პირის მემკვიდრეები. პირადი დაზღვევის ხელშეკრულება იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც არაა დაზღვეული პირი, მათ შორის, დამზღვევის სასარგებლოდაც, შეიძლება დაიდოს მხოლოდ დაზღვეული პირის წერილობითი თანხმობით. ასეთი თანხმობის არარსებობისას პირადი დაზღვევის ხელშეკრულება ითვლება ბათილად დაზღვეული პირის სარჩელის მიხედვით, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ – მისი მემკვიდრეების სარჩელით. გაბათილდება ხდება სადაზღვევო უზრუნველყოფის ფორმით, რომელიც განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და შეიძლება გაიცეს, როგორც ერთდროულად, ასევე პერიოდულად. იხ. ასევე დაზღვევა, დაზღვეული პირი, სარგებლის შემძენი.

პირადი დათვალიერება (ნივთების დათვალიერება, რომლებიც თან გააჩნია ფიზიკურ პირს)

იძულებითი ღონისძიება, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენისა და აღკვეთის, ასევე ასეთ საქმეებზე წარმოების უზრუნველყოფის მიზნით. პირადი დათვალიერება ხორციელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საგნების ან ჩადენის იარაღის აღმოჩენის აუცილებლობისას.

პირადი დათვალიერება ხორციელდება დასათვალიერებელი პირის იდენტური სქესის პირის მიერ, იმავე სქესის ორი დამსწრის თანდასწრებით. ნივთების დათვალიერება, რომლებიც თან გააჩნია ფიზიკურ პირს – ესაა ამ ნივთების გამოკვლევა მათი კონსტრუქციული მთლიანობის დარღვევის გარეშე.

განსაკუთრებულ შემთხვევებში საკმარისი საფუძვლების არსებობის ეარაუდისას, რომ ფიზიკურ პირს თან გააჩნია სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მისაყენებლად გამოსადეგარი იარაღი ან სხვა საგნები, პირადი დათვალიერება შეიძლება განხორციელდეს ამაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების (შინაგან საქმეთა სამინისტროს, შინაგანი ჯარების, საუწყვეთო ან არასაუწყვეთო დაცვის, საბაჟო, სასაზღვრო სამსახურის, სისხლის სამართლის აღმასრულებლის სისტემის, სამხედრო საატომობილო ინსპექციების და სხვა ამგვარი ორგანოს წარმომადგენლების) მიერ.

პირადი დათვალიერების შესახებ ხდება ოქმის შედგენა ან ხორციელდება შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება ადმინისტრაციული დაკავების ან მიყვანის ოქმში. თუ პირადი დათვალიერებისას გამოიყენება ფოტო- და კინოგადაღება, ვიდეოჩაწერა, ნივთმტკიცებების ფიქსაციის სხვა ტექნიკური საშუალებები, ასეთი სახის მასალები თან ერთვის შესაბამის ოქმს.

პირადი თავდებობა

ნდობის მქონე პირის პირადი თავდებობა იმის შესახებ, რომ ის პასუხისმგებელია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე, კერძოდ: დანიშნულ დროს გამოცხადება გამომძიებლის, მოკვლევის მწარმოებელი პირის, პროკურორის გამოძახებით და სასამართლოში; სხვა გზით ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას.

პირადი თავდებობის არჩევა აღმკვეთი ღონისძიების სახით დასაშვებია ერთი ან რამდენიმე თავმდების წერილობითი შუამდგომლობით, იმ პირის თანხმობით, რომლის მიმართაც ხდება თავდებობა. თავდებს განემარტება ეჭვმიტანილის ან ბრალდების არსი, ასევე თავდების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, რაც უკავშირდება პირად თავდებობას. თავდების მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მას შეიძლება დაეკისროს ფულადი ჯარიმა 100 (დღე) შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის სახით. (ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო გამოცდილება).

პირადი თავდებობა

სისხლის სამართლის პროცესში სანდო პირების წერილობითი ვალდებულება, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და შომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს გამოძახებით მათთან გამოცხადებას. პირადი თავდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ თავდებთა და ბრალდებულის თანხმობით. პირადი თავდებობის გამოყენების შესახებ დგება ოქმი, რომელიც თავდებობის შესახებ ხელწერილთან ერთად დაერთვის საქმეს. ბრალდებულის მიერ ისეთი ქმედების ჩადენისას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებულ იქნება თავდებობა, თითეულ თავდებს სასამართლომ შეიძლება დააკისროს

ფულადი სახელი კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით (სსსკ, მუხლი 170).

პირადი ჩხრეკა – საპროცესო მოქმედება, რომელიც ხორციელდება საფუძვლების არსებობისას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გათვალისწინებული წესით, სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი საგნებისა და დოკუმენტების აღმოჩენისა და ამოღების მიზნით.

პირადი ჩხრეკა შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი დადგენილების გარეშე პირის დაკავებისას ან დაპატიმრებისას, ასევე საკმარისი საფუძვლების არსებობისას, რომ შენობაში ან სხვა ადგილას მყოფი პირი, სადაც ხდება ჩხრეკა მალავს თან საგნებსა და დოკუმენტებს, რომელთაც შეიძლება აქონდეთ მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმისთვის.

პირადი ჩხრეკას აწარმოებს მხოლოდ იმ სქესის პირი, რომელსაც განეკუთვნება გასაჩხრეკი პირი და იმავე სქესის მოწმეებისა და სპეციალისტების თანდასწრებით, თუ ისინი მონაწილეობენ მოცემულ საგამოძიებო მოქმედებაში.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა – პირის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების უკანონო შეგროვება ან გავრცელება, რომელიც შეადგენს მის პირად ან ოჯახურ საიდუმლოებას მისი თანხმობის გარეშე ან ამ ცნობების გავრცელება საჯარო გამოსვლაში, საჯაროდ დემონსტრირებულ ნაწარმოებში ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

პირგასამტეხლო

კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელსაც მოვალე უხდის კრედიტორს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მაგალითად, შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ დამატებით საშუალებას. პირგასამტეხლოს მოთხოვნისას კრედიტორი არ არის ვალდებული ამტკიცოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით, თუნდაც ძირითადი ვალდებულება იყოს ზეპირი ფორმის ხელშეკრულებით წარმოშობილი.

პირდაპირი შერეული მიმოსვლა – ორი ან მეტი სახის ტრანსპორტით რამდენიმე სატრანსპორტო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული გადაზიდვა, ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტით, რომელიც შედგენილია მთელი სავალი გზისთვის (მაგ. სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტისთვის). პირდაპირ შერეულ მიმოსვლაში შედის: სარკინიგზო სადგურები, რომლებიც ღიაა ტვირთების გადასაზიდად ოპერაციების ჩატარებისთვის; საზღვაო და მდინარის პორტები, აეროდრომები, აეროპორტები ითვლება პირდაპირ შერეულ მიმოსვლაში ჩართულად ამის შესახებ ტვიფხობინების მომენტიდან, რაც გადაცემულია სატელეგრაფო ან სხვა სახის შეტყობინების მეშვეობით.

ტვირთის მიწოდების საერთო ვადა განისაზღვრება მათი ყველა სახის ტრანსპორტით მიწოდების ვადების ერთობლიობიდან გამომდინარე და იანგარიშება შესაბამისი სახის ტრანსპორტზე მოქმედი ტვირთის მიწოდების ვადების გაანგარიშების წესების საფუძველზე. ტვირთის მიწოდების ვადების გადაცილებაზე ქონებრივ პასუხისმგებლობას. პირდაპირი შერეული მიმოსვლისას იღებს ის მხარე, რომლის ბრალითაც დაშვებულია ვადის გადაცილება. იხ. ასევე ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება.

პირები, რომლებიც ხელს უწყობენ მართლმსაჯულების აღსრულებას – სამოქალაქო პროცესის მონაწილეები, რომელთაც განეკუთვნება სასამართლოს წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები და თარჯიმნები.

სასამართლოს წარმომადგენლები – პირები, რომლებიც საპროცესო ქმედებებს ახორციელებენ სასამართლოში წარმოდგენილი მოქალაქისა თუ ორგანიზაციის სახელით და ინტერესებით. მოქალაქეებს თავიანთი საქმის წარმობა სასამართლოში შეუძლიათ პირადად ან წარმომადგენლების მეშვეობით. საქმეში მოქალაქის პირადი მონაწილეობა არართმევს მას უფლებას ამ საქმესთან დაკავშირებით ჰყავდეს წარმომადგენელი. იურიდიული პირების საქმეებს სასამართლოში აწარმოებს მათი ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ კანონის, წესდების ან დებულების მიერ შეთავაზებული უფლებამოსილებების ფარგლებში ან მათი წარმომადგენლები. ქმედუუნარო მოქალაქეების და შეზღუდულად ქმედუნარიანი მოქალაქეების უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი წარმომადგენლები – მშობლები, შვილად ამყვანები, მეურვეები და მზრუნველები. წარმომადგენლები შეიძლება ჰყავდეთ საქმეში მონაწილე პირებს. სასამართლო წარმომადგენლობა დასაშვებია სამოქალაქო საქმეების ნებისმიერ კატეგორიაზე და პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. წარმომადგენელი ყოველთვის მოქმედებს წარმოსადგენი პირის სახელით; მისი მოქმედებები შეზღუდულია იმ პირის უფლებამოსილებებით, რომლის ინტერესებსაც ის წარმოადგენს; მისი მოქმედებები მოიცავს მატერიალურ-სამართლებრივ და საპროცესო შედეგებს არა მხოლოდ პირადად მისთვის, არამედ წარმოსადგენი პირისთვისაც. სასამართლოში წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გააჩნია სათანადო სახით გაფორმებული უფლებამოსილებები. სასამართლოში წარმომადგენლები არ შეიძლება იყვნენ არასრულწლოვანი პირები, ადვოკატები, რომლებსაც დავალება მიიღეს კანონმდებლობის დარღვევით, გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები. სასამართლოს წარმომადგენლის უფლებამოსილებები სასამართლოში საქმის წარმოებაზე ფორმდება კანონის მოთხოვნების შესაბამისად; ა) მოქალაქეებისთვის გაცემული მინდობილობები მოწმდება ნოტარიული წესით; ბ) იურიდიული პირის სახელით წარმომადგენლის მინდობილობა გაიცემა ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც თავად როგორც იურიდიული პირის ორგანო მოქმედებს ორგანიზაციის სახელით მინდობილობის გარეშე, წარმოადგენს რა მას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში. ხელმძღვანელის უფლებამოსილებები მტკიცდება დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებენ მის სამსახურებრივ მდგომარეობას (სამსახურებრივი რწმუნება, საერთო კრების ოქმი და სხვ.); გ) ადვოკატის უფლებამოსილებები მოწმდება იურიდიული კონსულტაციის მიერ გაცემული ორდერით; დ) პროკუკა-

ვებრების, სხვა ორგანიზაციების უფლებამოსილი პირები წარმოადგენენ შესაბამისი ორგანიზაციების დავალებას წარმომადგენლობის განხორციელებაზე (საერთო კრების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის არჩევითი ორგანოს ოქმი და სხვ.); ე) საპროცესო თანამონაწილეობისას ერთ-ერთ თანამონაწილეს, როგორც წარმომადგენლის უფლებამოსილებები შეიძლება დამტკიცდეს დანარჩენი თანამონაწილის ზეპირი განცხადებით; ვ) კანონიერი წარმომადგენლები სასამართლოს სთავაზობენ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ მათ უფლებამოსილებებს (პასპორტი, მოწმობა დაბადების შესახებ, აქტი შვილად აყვანის შესახებ, სამეურვეო ან საზრუნავი მოწმობა). პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ მინდობილობა ან სხვა, მათი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, არ შეიძლება პროცესში დაშვებულ იქნეს წარმომადგენლობის სახით.

პროცესში დაშვებული წარმომადგენელი იღებს უფლებას განახორციელოს ყველა ის საპროცესო ქმედება, რომლის ჩადენაც შეუძლია სასამართლოში თავად წარმოსადგენ პირს. მას უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მოახდინოს მათგან ამონერა, წარმოადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათ კვლევაში, კითხვები დაუსვას საქმეში მონაწილე პირებს, მოწმეებს, ექსპერტებს, წამოაყენოს შუამდგომლობები და ა.შ. ესაა კანონით გათვალისწინებული წარმომადგენლის ზოგადი უფლებამოსილებები. წარმომადგენელს შეიძლება ჰქონდეს სპეციალური უფლებამოსილებებიც. წარმომადგენლის უფლება საქმე გადასცეს სამედიატორო სასამართლოს, ნაწილობრივ ან სრულად თქვას უარი სარჩელზე, ცნოს სარჩელი, შეცვალოს სარჩელის საგანი, გადასცეს უფლებამოსილებები სხვა პირს, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება და ა.შ. ცალკე უნდა იყოს მითითებული მინდობილობაში, რამდენადაც ეს უფლებამოსილებები უკავშირდება მატერიალური უფლების განკარგვას. კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ყველა მოქმედება უფლებამოსილებების სპეციალური გაფორმების გარეშე.

მოწმეები – პირები, რომელთაც სასამართლოში იძახებენ მათთვის ცნობილი ცნობების შეტყობინებისთვის. მოწმის სახით შეიძლება დაკითხულ იქნეს ნებისმიერი პირი, თუ სასამართლო მის ჩვენებებს ჩათლის აუცილებლად განსახილველი საქმის გარემოებების გამოსავლენად. თუმცა, კანონი ადგენს შეზღუდვებს, რომლებიც ხელს უშლიან მოქალაქის მოწმის სახით გამოძახებასა და დაკითხვას. მაგალითად, არ შეიძლება გამოძახებულ და დაკითხულ იქნეს სამოქალაქო საქმეზე წარმომადგენლები ან სისხლის სამართლის საქმეზე დამცველები, ასევე პირები, რომლებმაც გარემოებების შესახებ გაიგეს წარმომადგენლის ან დამცველის ვალდებულებების შესრულებისას და ასევე პირები, რომელთაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლოვანებების ძალით არ შეუძლიათ სწორად აღიქვან ფაქტები ან მათზე მისცენ სწორი ჩვენებები. მოწმეს ეკისრება ორი ძირითადი ვალდებულება – გამოცხადდნენ სასამართლოში და მისცენ მართული ჩვენებები. რიგ შემთხვევებში, მოწმეს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, რაც გათვალისწინებულია კანონით. სხვა შემთხვევაში, ჩვენებების მიცემაზე უარის თქმაზე ან ცრუ ჩვენებების მიცემაზე მოწმეს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. კონსტიტუციით დადგენილია, რომ არავინ არაა ვალდებული მოწმის სახით გამოვიდეს საკუთარი თავის, მეუღლის და ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

ექსპერტები – პირები, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის დარგში და სასამართლოს მიერ მოწვეულნი არიან ექსპერტიზის ჩასატარებლად. სამოქალაქო პროცესში სპეციალური შეცნობის ქვეშ იგულისხმება ისეთი ცოდნა, რომელიც სცდება ადამიანის გამოცდილებიდან გამომდინარე ცოდნის, საყოველთაოდ ცნობილი განზოგადებების ფარგლებს. ექსპერტის სახით არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც წარმოადგენს საქმეში მონაწილე მხარეების, მათი წარმომადგენლების ნათესავს, რათა გამოირიცხოს საქმის დასრულებით დაინტერესება, პირდაპირ ანირიბად. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნისას ექსპერტი ექვემდებარება აცილებას. ექსპერტს გააჩნია აუცილებელი საპროცესო უფლებები თავისი ვალდებულებების შესრულებისთვის. რამდენადაც ეს აუცილებელია დასკვნის მისაცემად, ექსპერტს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში, თხოვოს სასამართლოს მისთვის დამატებითი მასალების შეთავაზების შესახებ. ექსპერტს გააჩნია საპროცესო ვალდებულებები: განახორციელოს კვლევა და წარმოადგინოს დასაბუთებული დასკვნა მის წინაშე სასამართლოს მიერ დაყენებულ საკითხებზე. თუ ექსპერტიზის წარმოებისას ექსპერტი დაადგენს საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა თაობაზეც მას დაუსვეს კითხვები, მან ეს გარემოებები აუცილებლად უნდა შეიტანოს დასკვნაში, განმარტოს თავისი წერილობითი დასკვნა სასამართლო სხდომის დროს. გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებაზე. ექსპერტს შეუძლია უარი თქვას დასკვნის მიცემაზე, თუ მისთვის წარმოდგენილი მასალები არასაკმარისია ან თუ მას არ გააჩნია აუცილებელი ცოდნა მასზე დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად. ცრუ დასკვნის მიცემაზე ექსპერტს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

თარჯიმნები – პირებს, რომლებიც არ ფლობენ იმ ენას, რომელზეც მიმდინარეობს სამართალწარმოება, უზრუნველყოფილი აქვთ უფლება მისცენ ჩვენებები, გააკეთონ განცხადებები და განმარტებები, განაცხადონ შუამდგომლობები მშობლიურ ენაზე. სასამართლო დოკუმენტები საქმეში მონაწილე პირებს გადაეცემათ მათ მშობლიურ ან იმ ენაზე თარგმანში, რომელსაც ისინი ფლობენ. ამით განისაზღვრება თარჯიმნის საპროცესო მდგომარეობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში. თარჯიმანი შეიძლება აცილებულ იქნეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებით. თარჯიმანს აკისრია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ცრუ თარგმანზე. საარბიტრაჟო პროცესში მონაწილეთა შემადგენლობა სამოქალაქო პროცესის ანალოგიურია. სუბიექტთა უფლებებისა და ვალდებულებების წრე ბევრ რამეში ემთხვევა, მაგრამ მას გააჩნია გარკვეული თავისებურებები.

პირველი რისკის სისტემა – ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულებები (იხ. ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულება) რისკის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის განგარიშების სისტემა, რაც ეარაუდობს იმას, რომ მზღვეველი უნაზღაურებს დამზღვევს (სარგებლის შემძენის) ნებისმიერ ზარალს

სრული მოცულობით, მაგრამ არა უმეტეს სადაზღვევო თანხისა.

პირველი ღამის უფლება ფეოდალური პერიოდის ერთ-ერთი სახის ბეგარა, რომელიც განსაკუთრებულად შეურაცხყოფდა ყმა გლეხის ადამიანურ ღირსებას. ამ ბეგარის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ბატონს გლეხის საცოლე-პატარძალთან უნდა გაეტარებინა პირველი ღამე და ზოგ ქვეყანაში (მაგ. ესპანეთში) გადასახადიც კი იყო დაწესებული, თუ პატარძალი ქალიშვილი არ აღმოჩნდებოდა. შემდგომ პერიოდში, ევროპაში ეს სამარცხვინო წეველება ფულადი გადასახადით შეიცვალა. საქართველოში პირველი ღამის უფლება ოფიციალურად დადასტურებული არ არის, მაგრამ არსებობს ამგვარი ფაქტების ზეპირი გადმოცემები.

პირველი ჯგუფის ტყეების დაცულობის კატეგორიები – პირველი ჯგუფის ტყეების კლასიფიკაციის ერთეული მათი ეკოლოგიური მნიშვნელობის, ადგილმდებარეობისა და მათ მიერ შესრულებული ფუნქციების მიხედვით. გამოიყოფა პირველი ჯგუფის ტყეების დაცულობის შემდეგი კატეგორიები: ტყეების აკრძალული ზოლები მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის სხვა ობიექტების ნაპირებზე; ტყეების აკრძალული ზოლები, რომლებიც იცავენ ფასეული სარეწი თევზების ქვირითის საყრელ ადგილებს. ტყეების დამცავი ზოლები რკინიგზის მაგისტრალების, ადგილმდებარეი და სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ. ტყეები უდაბნოს, ნახევარუდაბნოს, ველის, მცირე ტყიანი მთის ტერიტორიებზე, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვისთვის; დასახლებებისა და სამეურნეო ობიექტების მწვანე ზონების ტყეები; წყალმომარაგების წყაროების სანიტარული დაცვის ზონების პირველი და მეორე სარტყლების ტყეები; კურორტების სანიტარული (სამთო-სანიტარული) დაცვის ოლქების პირველი, მეორე და მესამე ზონის ტყეები; განსაკუთრებით ფასეული ტყის მასივები; სამეცნიერო ან ისტორიული მნიშვნელობის მქონე ტყეები; ბუნების ძეგლები; თხილნარ-სარეწი ზონები; ტყის სანაყოფე ნარგავები; ტუნდრისპირა ტყეები; სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალების ტყეები; ეროვნული პარკების ტყეები; ბუნებრივი პარკების ტყეები; ნაკრძალი ტყის მონაკვეთები.

პირთა კატეგორია, რომელთა მიმართაც გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეების წარმოების განსაკუთრებული წესი – კანონმდებლობით გათვალისწინებული პირების განსაკუთრებული ჯგუფი, რომელთა რიცხვს განეკუთვნება: ა) საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წევრები; ბ) საკონსტიტუციო, ზოგადი იურისდიქციის ან საარბიტრაჟო სასამართლოების მოსამართლეები, მომრიგებელი მოსამართლეები, ნაფიცი ან საარბიტრაჟო მსაჯულები მათ მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პერიოდში; გ) ადამიანის უფლებებზე უფლებამოსილი; დ) პრეზიდენტი, რომელმაც შეწყვიტა თავისი უფლებამოსილების შესრულება და ასევე პრეზიდენტობის კანდიდატი; ე) პროკურორი; ვ) გამომძიებელი; ზ) ადვოკატი; თ) საარჩევნო, რეფერენდუმის კომისიების წევრი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

პირთა სიმრავლე ვალდებულებაში – მხარეები ვალდებულებაში (კრედიტორი და მოვალე) შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც ერთი, ასევე რამდენიმე პირის მიერ, საუბრობენ პირთა სიმრავლეზე ვალდებულებაში. ამასთან, პირთა სიმრავლე შეიძლება იყოს, როგორც ერთ, ასევე ვალდებულების თითოეულ მხარეს. ამის მიხედვით გამოყოფენ აქტიურ, პასიურ და შერეულ პირთა სიმრავლეს ვალდებულებაში. აქტიურ სიმრავლეს აგვილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორის მხარეს მონაწილეობს რამდენიმე პირი ერთი მოვალის დროს. ამ სახის სიმრავლეს ახასიათებს ის, რომ სამოქალაქო სამართლის რამდენიმე სუბიექტს შეუძლია მოვალისგან მოითხოვოს ვალდებულებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება. თუ პირთა სიმრავლე არის მოვალის მხარეს, ხოლო კრედიტორის მხარეს მხოლოდ ერთი პირი მონაწილეობს, ესაუბრობთ პასიურ სიმრავლეზე. ამ შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულებაში მონაწილე ყველა მოვალისგან ვალდებულების შესრულება. შერეულ სიმრავლეს აგვილი აქვს ვალდებულებაში ერთდროულად რამდენიმე მოვალისა და კრედიტორის მონაწილეობისას. ის ასევე შეიძლება წარმოიქმნას, როგორც მონაწილეთა სიმრავლისას ვალდებულების ერთ მხარეს, ასევე ცალმხრივ ვალდებულებებში რამდენიმე კრედიტორისა და რამდენიმე მოვალის მონაწილეობისას.

პირთა ჯგუფი – ორი ან მეტი შემსრულებელი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ერთად წინასწარი შეთანხმების გარეშე, პირთა ჯგუფის მოქმედებები ხასიათდება შეთანხმებულობის მინიმალური ხარისხით. თანამონაწილეები ერთობლივად სჩადიოდნენ დანაშაულს და წარმოადგენენ თანაშემსრულებლებს.

პირთა ჯგუფი, რომლებიც მოქმედებენ წინასწარი შეთანხმებით – იხ. დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ორგანიზებული ჯგუფის ან დანაშაულებრივი საზოგადოების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მიერ.

პირი მოქალაქეობის გარეშე (აპატრიდი) – პირი, რომელიც იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არ წარმოადგენს მის მოქალაქეს, არ გააჩნია რომელიმე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამამტკიცებელი საბუთი.

მოქალაქეობის გარეშე ყოფნის მდგომარეობა ჩნდება მოქალაქეობის მოპოვების წესის შესახებ სხვადასხვა სახელმწიფოს კანონების კოლიზიის შედეგად.

თანამედროვე პირობებში, იქიდან გამომდინარე, რომ თითოეულ ადამიანს გააჩნია მოქალაქეობის უფლება სახელმწიფოებში, რომელთა ტერიტორიაზეც ცხოვრობენ პირები მოქალაქეობის გარეშე, ჩვეულებრივ ახალისებენ მათ მიერ ამ ან სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებას, ასევე იღებენ ღონისძიებებს, რომლებიც ამცირებენ მოქალაქეობის გარეშე ყოფნის შემთხვევებს, ამტკიცებენ რა თავიანთ კანონებში უცხოელი მოქალაქეების ბავშვებისთვის თავიანთი მოქალაქეობის მიცემის უფლებას, თუ სხვა შემთხვევაში ისინი გახდებიან პირები მოქალაქეობის გარეშე ან კრძალავენ რა

თავიანთი მოქალაქეობიდან გასვლას თუ ამის შედეგად პირი გახდება აპატრიდი.

მოქალაქეობის გარეშე ყოფნის შემთხვევების შემცირებაზეა მიმართული რიგი საერთაშორისო კონვენცია: 1930 წ. კონვენცია, რომელიც არეგულირებს მოქალაქეობის შესახებ კანონების კოლიზიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს; 1957 წ. კონვენცია გათხოვილი ქალების მოქალაქეობის შესახებ; 1961 წ. კონვენცია მოქალაქეობის გარეშე დარჩენის შეწყვეტის შესახებ.

თუ მოქალაქეობის გარეშე ყოფნის მდგომარეობა ნარჩუნდება, პირები მოქალაქეობის გარეშე ქვეყნების უმრავლესობაში, თავიანთი უფლებების მხრივ უტოლდებიან სამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეებს, ხოლო სხვა მხრივ (მოძრავი ან უძრავი ქონების შეძენის, შრომის უფლება და ა.შ.) – უცხოელ მოქალაქეებს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს დებულება განმტკიცებულია 1954 წ. კონვენციაში აპატრიდების სტატუსის შესახებ.

იმ შემთხვევებში, როცა აპატრიდები თავიანთი სამართლებრივი მდგომარეობით უტოლდებიან უცხოელ მოქალაქეებს, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ პირის მოქალაქეობის გარეშე უფლება არა აქვს ისარგებლოს რომელიმე სახელმწიფოს დიპლომატიური დაცვით, ასევე შეღავათებითა და უპირატესობებით, რომლებიც გამომდინარეობენ უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ხელშეკრულებითა და შეთანხმებით.

პირი, რომელიც ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას – შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელმაც მიაღწია სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ ასაკს.

პირმშოობა სამეფო ტახტის მემკვიდრეობით მეფის უფროს შვილზე გადასვლა. საქართველოში შემოვიდა IX ს-ში. მანამდე კი (I-VIII სს-ში) სამეფოს მთელი წეს-წყობილება, – მეფისა საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებისგან აღმოცენდა და მამასახლისობიდან წარმოიშვა, ხოლო მეფის ხელისუფლება ერისმთავრობის ნიადაგზე აღმოცენდა და IX-XIII სს-ში ალორძინდა.

პირობით განთავისუფლება – სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშნა გამოსასწორებელი სამუშაოების სახით, შეზღუდვა სამხედრო სამსახურში, თავისუფლების შეზღუდვა, დისციპლინარულ სამხედრო ნაწილში მოთავსება ან თავისუფლების აღკვეთა კანონით განსაზღვრული ვადით სასჯელის რეალური მოხდის გარეშე.

პირობით განთავისუფლების დანიშვნისას სასამართლო ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივ ხასიათსა და ხარისხს, დამნაშაულის პიროვნებას, მათ შორის, დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.

პირობითი განთავისუფლების დანიშვნისას სასამართლო ადგენს საცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც პირობით მსჯავრდებულმა თავისი ქცევით უნდა დაამტკიცოს თავისი გამოსწორება. პირობითი განთავისუფლების დროს ასევე შეიძლება დანიშნულ იქნეს სასჯელის დამატებითი სახეები.

პირობითვადამდელი განთავისუფლება – წამახალისებელი ზომა, რომელიც გამოიყენება, თუ პირმა თავისი ქმედებებით დაამტკიცა, რომ ის უკვე გამოსწორდა და მას არ სჭირდება სასჯელის სრულად მოხდა.

პირობითვადამდელი განთავისუფლების გამოყენებისთვის სასამართლომ უნდა დაადგინოს მსჯავრდებულის სამაგალითო ქცევის ფაქტები და მისი დამოკიდებულება შრომის მიმართ, მისი პიროვნების დამახასიათებელი მონაცემები, სწრაფება ანაზღაუროს მატერიალური ზარალი და ა.შ.

პირობითვადამდელი განთავისუფლების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს შეიძლება მიმართოს მსჯავრდებულმა, მისმა ადვოკატმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა; ასეთი შუამდგომლობა შედის დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით, რომელიც ვალდებულია ათი დღის ვადაში გააგზავნოს ის სასამართლოში საჭირო მასალებთან ერთად.

პირობითვადამდელი განთავისუფლების გამოყენების შესახებ საკითხის გადაწყვეტად კანონით გათვალისწინებულია მოხდილი სასჯელის კონკრეტული ვადები, რომლებიც დამოკიდებულია მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულების კატეგორიაზე. მოცემული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის არანაკლებ 1/3 ვადის ფაქტიური მოხდის შემდეგ, მსუბუქ დანაშაულზე; მძიმე დანაშაულზე – არა ნაკლებ ნახევრისა; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე – არა ნაკლებ 2/3. თუ დამნაშავე მსჯავრდებულია სხვადასხვა კატეგორიაში შემავალი დანაშაულების ერთობლიობაზე, საკითხი პირობითვადამდელი განთავისუფლების შესახებ შეიძლება დასმულ იქნეს ყველაზე მძიმე დანაშაულზე ამ ვადისთვის აუცილებელი სასჯელის მოხდის შემდეგ.

პირობითვადამდელი განთავისუფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსჯავრდებულთა ნებისმიერი კატეგორიის მიმართ, იქნება ეს პირველად მსჯავრდებული პირი თუ არაერთხელ ნასამართლევი.

თუ სასამართლო უარს ამბობს პირობითვადამდელ განთავისუფლებაზე, განმეორებით წარდგინებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს უარის შესახებ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი წლის შემდეგ.

საკითხი პირობითვადამდელი განთავისუფლების გაუქმების შესახებ წყდება მოსამართლის მიერ მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იმ სპეციალიზირებული ორგანოს წარდგინებით, რომელიც ახორციელებს კონტროლს პირობით მსჯავრდებულზე; ახალი დანაშაულის ჩადენისას საკითხი პირობითვადამდელი განთავისუფლების გაუქმების ან შენარჩუნების შესახებ, წყდება ახალი საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ, განაჩენის გამოტანისას.

პირობითი გარიგება გარიგება, რომელიც დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ამ შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგება შეწყდება ამ მოვლენის დადგომისთანავე. ამასთან, ბათილია გარიგება, თუ მისი რომელიმე პირობა ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება (სკ. მუხლი 90 – 91).

პირობითი მსჯავრი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გარკვეული

დროითა და პირობით აჩერებს ზოგიერთი სახისა და ზომის სასჯელის აღსრულებას. სსკ 63-ე მუხლის თანახმად, თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, თავისუფლების შეზღუდვის, სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსების, ტუსაღობის ან თავისუფლების აღკვეთის გარეშე, სასამართლო დაადგენს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად. ამასთან, სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული ვალდებულება. ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას, გამოსაცდელი ვადა არ უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას – არანაკლებ ერთი და არა უმეტეს ექვსი წლისა. თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში სისტემატურად ან ჯიუტად არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი (სსკ, მუხლი 63 – 64, 67).

პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი – ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გარკვეულ კონკრეტულ მონაცემებს მისი მფლობელი პიროვნების შესახებ. პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების რიცხვში შედის: მოქალაქის პასპორტი, რომელიც ადასტურებს მოქალაქის პიროვნებას ქვეყნის ტერიტორიაზე; მოქალაქის პასპორტი (საზღვარგარეთის); დიპლომატიური პასპორტი; სამსახურებრივი პასპორტი; მეზღვაურის პასპორტი. პასპორტების სახეები, მათი შინაარსი, გაცემის წესები რეგულირდება პრეზიდენტის, მთავრობის ბრძანებებით.

სამხედრო მოსამსახურის პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს მოწმობა (ოფიცრებისთვის, მიჩმანებისთვის, პრაპორშჩიკებისთვის) და სამხედრო ბილეთი (რიგითი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთათვის). იძულებით გადაადგილებული პირის, ლტოლვილის პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს შესაბამისი მოწმობა, რომლის ბლანკების ფორმა მტკიცდება მთავრობის მიერ.

პიროვნების ხელშეუხებლობა – სისხლისსამართლებრივ-საპროცესო სამართლის პრინციპი, რომლის თანახმადაც არაეინ არ შეიძლება იქნეს დაკავებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის სახით ან იქნეს დაპატიმრებული. მოკვლევის მწარმოებელ ორგანოს, მოკვლევის მწარმოებელ პირს, გამომძიებელს ან პროკურორს პირის დაკავება ან დაპატიმრება შეუძლიათ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის სახით, თუ არსებობს შემდეგიდან ერთ-ერთი საფუძველი მაინც ან როცა ამ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენის დროს ან მისი ჩადენისთანავე; ბ) როცა დაზარალებული ან თვითმხილველი მიუთითებს მოცემულ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე; გ) როცა ამ პირზე ან მის ტანსაცმელზე, მასთან ან მის საცხოვრებელ სახლში აღმოჩენილი იქნება დანაშაულის აშკარა კვალი.

დაპატიმრება, როგორც აღმკვეთი ღონისძიება შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, რომელზეც სასჯელი ითვალისწინებს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას იმ შემთხვევაში, თუ: ა) ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ქვეყნის ტერიტორიაზე; ბ) მისი პიროვნება არაა დადგენილი; გ) მის მიერ დარღვეულია ადრე შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიება; დ) ის დაემალა წინასწარი გამოძიების ორგანოებს ან სასამართლოს.

პირი, რომლის მიმართაც აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებულია პატიმრობა, ასევე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, რომელიც დაკავებულია უნდა მოთავსდეს პირობებში, რომლებიც გამორიცხავენ მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშროებას.

პლაგიატი [ლათ. plagium მოტაცება < plagio ვიტაცებ] ინტელექტუალური საკუთრების მიტაცება; სხვისი ავტორობის განზრახი მითვისება; სხვისი სამეცნიერო, ლიტერატურული, ტექნიკური ნაწარმოების (გამოგონების, რაციონალური წინადადების) საკუთრად გასაღება; ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობას პ-სთვის; შეად. კომპილაცია.

პლებისციტი [ლათ. plebiscitum ხალხის გადაწყვეტილება < plebs უბრალო ხალხი + scitum გადაწყვეტილება, დადგენილება] 1) ძვ. რომში დადგენილება, რომლებსაც პლებეების კრებები ღებულობდა; 2) საერთო სახალხო კენჭისყრა, რეფერენდუმი; საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიყენება მოსახლეობის გამოსაკითხად ამა თუ იმ ტერიტორიის ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის მისაკუთვნილებლად; იხ. ადრ. რეფერენდუმი.

პლურალიზმი [ლათ. pluralis] 1) მრავალობითობა, რ-მეს მრავალფეროვნება, მაგ. საკუთრების ფორმების პ. მოცემულ საზოგადოებაში; პ. ახასიათებს დემოკრატიულ სამართლებრივ საზოგადოებას და შეუძლებელია ტოტალიტარულ საზოგადოებაში; 2) ფილოსოფიური სწავლება, რომლის თანახმად არსებობს ყოფიერების რამდენიმე (ან მრავალი) დამოუკიდებელი საწყისი; საპირისპ. – მონიზმი.

პლურალური [ლათ. pluralis] მრავალობითი; პ. ვოტუმი – ამომრჩეველის უფლება ისარგებლოს ერთდროულად რამდენიმე ხმით საკუთარი ქონებრივი და განათლებრივი მდგომარეობის (ცენზის) შესაბამისად; არსებობდა დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში და ზოგიერთ სხვ. ქვეყანაში XIX ს-ში.

პოლემიკა (ბერძ. polemikos – მეომრული, მტრული) – კამათი სამეცნიერო, ლიტერატურული ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას.

პოლისი (სადაზღვეო) (policy, insurance policy) – სადაზღვეო ორგანოს (მზღვეველი) მიერ გაცემული დაზღვევის ხელშეკრულების დამადასტურებელი საბუთი. მასში აღნიშნულია მხარეების ვინაობა და ადგილსამყოფელი, დაზღვევის საგანი, სადაზღვეო თანხების და სადაზღვეო შესატანის ოდენობა, ვადები, სადაზღვეო რისკის განსაზღვრა.

ზოგჯერ პოლისის გაფორმებამდე გაიცემა დროე-

ბითი სადაზღვევო საბუთი. რიგ ქვეყნებში სადაზღვევო საბუთების მთელი ერთობლიობიდან კანონმდებლობა სასამართლო მნიშვნელობის საბუთად, მხოლოდ პოლისს ცნობს.

მოქმედების ვადის, პასუხისმგებლობის ფარგლების და მოცულობის, სპეციალური პირობების მიხედვით განასხვავებენ პოლისის რამდენიმე სახეს.

ბლოკ-პოლისი დიდ ბრიტანეთში ეწოდება პოლისს, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე ერთგვაროვან გადაზღვევას, იგივე ტერმინი აშშ-ში ნიშნავს ორი ან რამდენიმე შენობის ხანძრისაგან დამცავ პოლისს.

პოლისი ყველა რისკის წინააღმდეგ არის პერსონალური სადაზღვევო პოლისი, რომელიც ფარავს ბევრ (რა თქმა უდა, არა ყველას) რისკს. ასეთი ტიპის პოლისში არ არის ჩამოთვლილი შემთხვევები, რომლებსაც ფარავს პოლისი. ამის მაგივრად ჩამოთვლილია შემთხვევები, რომლებსაც პოლისი არ ფარავს.

ა ზ ა რ ტ უ ლ ი პ ო ლ ი ს ი (wager insurance). სადაზღვევო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა დამზღვევს არ გააჩნია დაზღვეულ ობიექტში მატერიალური ინტერესი ,მაგალითად, გემი, რომელიც სხვა პირს ეკუთვნის და დამზღვევს არავითარი საქმიანი კავშირი არა აქვს ამ პირთან. რიგი ქვეყნების სამოქალაქო სამართლით ამ შემთხვევაში დამზღვევი მაინც პასუხისმგებელია კანონის წინაშე, რათა თავიდან იქნეს აცილებული სადაზღვევო შემთხვევის ხელოვნურად შექმნის ცდუნება.

ღია ეწოდება პოლისს, რომელიც მოიცავს დამზღვევის განმეორებად რისკებს გარკვეული პერიოდის ან კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში. პრაქტიკაში, როგორც წესი, ეს არის საზღვაო ტვირთების სადაზღვევო პოლისი, რაც მზღვეველი თანხმაა დაზღვიოს დაზღვევის გემის ნებისმიერი მარშრუტი ან ნებისმიერი ტვირთი მოწოდებული განსაზღვრული პირის მიერ.

პ ა რ ტ ნ ი ო რ უ ლ ი პ ო ლ ი ს ი ითვალისწინებს სადაზღვევო თანხის გადახდას პირზე (ბენეფიციარი), თუ გარდაიცვალა მისი ერთ-ერთი საქმიანი პარტნიორი, ამგვარი პოლისი მიზნად ისახავს იმ ფინანსურ სიძნელეების თავიდან აცილებას, რომლებიც მოჰყვება გარდაცვლილის მემკვიდრეების მიერ მისი წილი კაპიტალის საქმიდან ამოღებას.

პოლისი მონაწილეობით იძლევა სადაზღვევო საზოგადოების მოგებიდან წილის მიღების უფლებას.

პ ო ლ ი ტ ი კ ა [ძ.-ბერძ. πολιτική' სახელმწიფო მეცნიერება < πό'λις სახელმწიფო] მოღვაწეობის დარგი, რომელიც ეხება საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობას, რომლის არსია სახელმწიფოს მიზნების, ფორმების და მოღვაწეობის დადგენა; შიდა პ. მოიცავს პარტიებისა და სახელმწიფოს მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებს ქვეყნის შიგნით (ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ტექნიკური პ. და სხვ.); საგარეო პ. მოიცავს სახელმწიფოებს შორის არსებულ ურთიერთობებს; ასიმილატორული პ. — სახელმწიფო მოღვაწეობა დაჩაგრული ხალხის ეროვნული თავისებურებების მოსასპობად — მისთვის ენის, კულტურის, რელიგიის, გაბატონებული ერის იძულებით თავზე მოხვევის გზით (იხ. ასიმილატორები 2),.

პ ო ლ ი ტ ი კ ა ნ ი [ფრ. politiquant < ძ.-ბერძ. πολιτική' სახელმწიფო მეცნიერება] უპარინციპო სახელმწიფო მოღვაწე; მარჯვე ინტრიგანი, რომელიც პოლიტიკაში პირადი ანგარებიანი მიზნებით მოღვაწეობს; პ-სთვის დამახასიათებელია უკიდურესობამდე ჩაებღაუჭოს ხელისუფლებას და გამოიყენოს ყველა შესაძლო მეთოდი მისი შენარჩუნებისთვის.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი [ძ.-ბერძ. πολιτικό'ς სახელმწიფო] პოლიტიკასთან დაკავშირებული; მსოფლიოს პ. რუკა — დედამიწის გეოგრაფიული რუკა, რომელზეც აღნიშნულია ყველა ქვეყანა; ფართო გაგებით ცნობების ერთობლიობა მსოფლიოს პოლიტიკური გეოგრაფიის შესახებ; პ. ხელმძღვანელი — თანამდებობის პირი როტბში, ბატარეებში და წითელი არმიის მათ ტოლფას ქვედანაყოფებში 1919—1942 წწ-ში (დროგამოშვებით), ხოლო 1935—1942 წწ-ში აგრ. საშხედრო წოდება (უფროსი პოლიტხელმძღვანელი და უმცროსი პოლიტხელმძღვანელი); საზოგადოების პ. სისტემა — სოციალური ინსტიტუტების სისტემა, რომლებიც ანწორციელებენ ცოცხალქმედების ფუნქციებს; პ. ეკონომია — მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებრივი წარმოების საფუძვლებს, მისი ფუნქციონირებისა და განვითარების კანონებს, წარმოების, განაწილების, მიმოცვლის და მოხმარების პრობლემებს ადამიანების საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ა — მდგრადი სტრუქტურის და მოღვაწეობის მუდმივი ხასიათის მქონე დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც გამოხატავს თავისი წევრებისა და მომხრეების პოლიტიკურ ნებას და ამოცანად ისახავს მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის განსაზღვრასა და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფორმირებაში მონაწილეობის მიღებას, აგრეთვე ძალაუფლების განხორციელებას ხელისუფლების საწარმომადგენლო ორგანოებში არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. პოლიტიკური პარტიის ზუსტი იურიდიული განსაზღვრა მოცემულია კონკრეტული ქვეყნების კანონმდებლობებში და შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ადგილობრივი პოლიტიკური და სამართლებრივი ტრადიციების მიხედვით.

„პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ა კ ი თ ხ ი ს" დ ო ქ ტ რ ი ნ ა — აშშ-ს საკონსტიტუციო სამართალში გამოყენებული თეორია პოლიტიკური საქმის სასამართლო წესით განხილვის შეუძლებლობის ახიარებისთვის. დოქტრინა შექმნილია აშშ უზენაესი სასამართლოს მიერ. მისი არსი დაიყვანება პოლიტიკის სამართლისგან მკაფიო გამიჯვნის მცდელობამდე. ამ დოქტრინის თანახმად, აშშ-ს ფედერალურ სასამართლოებს შეუძლიათ განსახილველად მიიღონ მხოლოდ ის საქმეები, რომლებშიც არის დავა სამართლის შესახებ, ხოლო პოლიტიკური კონფლიქტის შემცველი საქმეები უნდა გადაწყდეს არა სასამართლო, არამედ პოლიტიკური წესით, სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ.

თუ რომელი დავა უნდა განეკუთვნოთ „პოლიტიკურ საკითხს" წყვეტს უშუალოდ აშშ-ს უზენაესი სასამართლო. მითითება „პოლიტიკური საკითხის" დოქტრინაზე საშუალებას აძლევს სასამართლოებს თავი აარიდონ კონსტიტუციური კონფლიქტების განხილვას, რომლებშიც სასამართლო სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებით უპირატესობას ანიჭებს ჩაურევლობას. მაგალითად, ხანგრძლივი დროის მანძილზე აშშ-ს უზენაესი სასამართლო უარს ამბობდა განეხილა საჩივრები

საარჩევნო ოლქების წარმოქმნისას პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის დარღვევებზე.

სხვადასხვა დროს აშშ-ს უზენაესი სასამართლო თავისი სურვილისამებრ აფართოებდა ან ავიწროებდა „პოლიტიკური საკითხის" დოქტრინის ცნებას ჩამოყალიბებული სიტუაციისა და შემადგენლობის მიხედვით. ასე, მაგალითად, XX ს-ის 60-იან წლებში აშშ უზენაესმა სასამართლომ ე. უორენის მეთაურობით შეაღწიეთა „პოლიტიკური საკითხის" ცნება მიუთითა რა ამასთან, რომ „პოლიტიკური საკითხი" შეიძლება წარმოიშვას სასამართლოებისა და სახელმწიფო სხვა შტოების ურთიერთდამოკიდებულების ბაზაზე. 1962 წელს აშშ-ს სასამართლო შეიდა კონფლიქტში, რომელიც აშკარა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, აღიარა რა შესაძლებლად ტენესის შტატში ოლქების მიხედვით ამომრჩეველთა თანაბარი განაწილების პრინციპის დარღვევის შესახებ საკითხის სასამართლო განხილვა.

70-იან წლებში აშშ უზენაესმა სასამართლომ უბერგერის თავმჯდომარეობით გააგრძელა თეითგამოკვლის პრაქტიკა „პოლიტიკური საკითხის" დოქტრინის განმარტებაში. კერძოდ კი, ამან სასამართლოს მისცა შესაძლებლობა თავიდან აეცილებინა საქმეების განხილვა, სადაც შეხებული იყო საკითხი ამერიკელების აგრესიის შესახებ ვიეტნამში. 80-90-იან წლებში გაგრძელდა აშშ უზენაესი სასამართლოს უარი თავისი წინამორბედების რიგ ლიბერალურ პოზიციებზე.

პოლიტიკური უფლებები

მოქალაქეთა ძირითადი კონსტიტუციური უფლებების ერთ-ერთი ჯგუფი. პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები აძლევენ მოქალაქეებს საშუალებას მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოიცავენ სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღების უფლებას, საარჩევნო უფლებებს, გაერთიანებების, კრებების და მანიფესტაციების უფლებებს, ინფორმაციის თავისუფლებას, და ა.შ. პოლიტიკურ უფლებებს ჩვეულებრივ აკავშირებენ მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეობასთან.

პოლიციზმი – აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების სისტემა, რომლებიც მოწოდებულნი არიან დაიცვან მოქალაქეთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, უფლებები და თავისუფლებები, საკუთრება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან. პოლიციის ძირითადი ამოცანებია: პიროვნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დანაშაულის გამოვლენა და გახსნა; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური და სხვა ფორმის საკუთრების დაცვა; ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დახმარების გაწევა მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში. პოლიცია იყოფა კრიმინალურად და საზოგადოებრივი უსაფრთხოების პოლიციად; კრიმინალური პოლიციის ძირითადი ამოცანაა დანაშაულების გამოვლენა, გაფრთხილება, აღკვეთა და გახსნა; იმ პირთა ძებნის ორგანიზება და განხორციელება, რომლებიც ემალებიან მოკვლევას, გამოძიებასა და სასამართლოს, დაკარგულნი არიან უგზო-უკვლოდ და ა.შ. კრიმინალური პოლიცია ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, კრიმინალისტურ და სხვა საექსპერტო კვლევებს. საზოგადოებრივი უსაფრთხოების პოლიცია მოწოდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთა პირადი უსაფრთხოება; საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, აღკვეთოს დანაშაული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. გახსნას დანაშაულები, რომლებზეც სავალდებულო არაა წინასწარი გამოძიების წარმოება, დანაშაულის გამოძიება მოკვლევის ფორმით; კომპეტენციის ფარგლებში დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს, ორგანიზაციებს, მათ შორის, საზოგადოებრივ გაერთიანებებს დაიცვან მათი უფლებები და თავისუფლებები.

წარმოადგენს რა შინაგან საქმეთა ორგანოების ქვედანაყოფთა ძირითად სტრუქტურულ ნაწილს, პოლიცია ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს. რკინიგზის, წყლის და საჰაერო ტრანსპორტზე მოქმედებს სატრანსპორტო პოლიცია, რომლის ხელმძღვანელობასაც ახორციელებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ტრანსპორტზე. პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომლებს უფლება აქვთ: შეამოწმონ მოქალაქეთა დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენენ პიროვნების დამადასტურებელს, თუ არის საკმარისი საფუძვლები ეჭვისა, რომ მათ ჩადინეს დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა; მოახდინონ პირადი დათვალიერება ნივთების, ხელის ბარგის ან ბარგის დათვალიერება, თუ არის საკმარისი მონაცემები იმის შესახებ, რომ ასეთ პირებს თან აქვთ იარაღი, საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი ნივთიერებები, ნარკოტიკული საშუალებები და ა.შ. ამოიღონ შესაბამისი საგნები, საშუალებები და ნივთიერებები, თუ არ არსებობს მათი ტარებისა და შენახვის კანონიერი საფუძვლები; განახორციელონ ადმინისტრაციული დაკავება, შეადგინონ ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ და კანონის შესაბამისად დააკისრონ ადმინისტრაციული სასჯელი; განახორციელონ რიგი სხვა უფლებამოსილებები პოლიციაზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, კანონით განსაზღვრულია პოლიციის მიერ ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და იარაღის გამოყენების საფუძვლები და წესი.

პოპულიზმი (ფრ. populisme < ლათ. populus ხალხი) იდეურ-პოლიტიკური შინაარსით სხვადასხვაგვარი იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობები, რომლებიც ასახავს მასობრივი ცნობიერების საპირისპირობას; პ. ჩვეულებრივ ხშირად გამოხატავს უნდობლობას წარმომადგენლობითი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მიმართ, აკრიტიკებს ბიუროკრატიასა და კორუფციას, მოითხოვს ხალხის უშუალო მონაწილეობას მმართველობაში („პირდაპირი დემოკრატია") და ხელისუფლების ავტორიტეტული ლიდერისთვის გადაცემას (როგორც წესი, მოცემული ქვეყნის პოპულისტების ლიდერისთვის); პ.-სთვის დამახასიათებელია ანტიინტელექტუალიზმი, სოციალური პრობლემების უმარტივესი გზებით გადაჭრის და სოციალური სამართლიანობის რწმენა; პ. შეიძლება იქცეს საზოგადოების როგორც დემოკრატიული („მემარჯვენე პ."), ასევე რეაქციული („მემარცხენე პ.") გარდასახვის საფუძვლად; პოლიტოლოგები ხშირად აიგივებენ პ-ს დემაგოგიასთან.

პორნოგრაფიული მასალები ან საგნები – ფერწერული, გრაფიკული, ლიტერატურული, მუსიკალური და სხვა სახის ნაწარმოებები,

რომელთა საუშველოსაც წარმოადგენს სექსუალური ურთიერთობების ანატომიური და/ან ფიზიოლოგიური დეტალების ახახვა.

პორნოგრაფიული მასალებით ან საგნებით ვაჭრობა – მათი რეალიზაცია მესამე პირებისთვის გარკვეულ ფასად. ვაჭრობას მოსდევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმის მიუხედავად, წარმოადგენს თუ არა პირი გამყიდველს, ახეთი მასალებისა და საგნების დამამზადებელი პირები ან თუ მათ რეალიზებას ახდენს სხვა პირი. ასევე არა აქვს მნიშვნელობა წარმოადგენს თუ არა ვაჭრობა საცალოს ან საბითუმოს, ღიას ან დახურულს, ამით გამყიდველი დაკავებულია სისტემატურად თუ ერთჯერადად. ეს გარემოებები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს მიერ დამნაშავეისთვის სასჯელის დანიშვნისას. დანაშაული დასრულებულია თუნდაც ერთი მასალის ან საგნის, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, თუნდაც ერთი პირისთვის რეალიზაციის მომენტიდან.

პორნოგრაფიული მასალების ან საგნების უკანონო გავრცელება – გაერცელების ან რეკლამირების გზით პორნოგრაფიული მასალების ან საგნების დამზადება, გაერცელება, რეკლამირება, ასევე პორნოგრაფიული სახის ბეჭდვითი გამოცემებით, კინო-, ან ვიდეომასალებით უკანონო ვაჭრობა, რომელიც გამოიხატება მათ განხორციელებაში დადგენილი წესების დარღვევით ან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის გარეშე, რომლის მიზედვითაც განისაზღვრება ასეთი ქმედებების განხორციელების წესი და ფორმები.

პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერება – ბუნებრივი ან ხელოვნური წარმოშობის ინდივიდუალური ნივთიერება (ნაერთი), რომელსაც წარმოების, გამოყენების, ტრანსპორტირების, გადამუშავების ან საყოფაცხოვრებო პირობებში შეუძლია არახელსაყრელი გავლენის მოხდენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე.

პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების სახელმწიფო აღრიცხვა – იხ. პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების სახელმწიფო რეგისტრაცია.

პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების სახელმწიფო რეგისტრაცია – მართვის ფუნქცია ბუნებრივი გარემოს დაცვისა და მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის დარგში, რომელიც წარმოადგენს საქმიანობას ფიზიკურ-ქიმიური, ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური, ეკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური და სხვ. ინფორმაციის გამოვლენის, დაგროვების, პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების აღრიცხვისა და რეგლამენტაციის მხრივ, ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე მათი მავნე გავლენის თავიდან აცილების მიზნით. პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების სახელმწიფო რეგისტრაცია ხორციელდება ჯანდაცვის სამინისტროს ორგანოების მიერ სახელმწიფო ორგანოებისა და იურიდიული პირების და ასევე იმ მოქალაქეთა წარდგინებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონკრეტული ნივთიერების (ნაერთების) გამოშვებასა და იმპორტზე.

პრეცედენტიული [ლათ. praevenio წინ ვუსწრებ] წინმსწრები, დამცავი (მაგ. ჰ. აცრა); სპირისპირო მხარის მოქმედებებისთვის წინ გასწრება (მაგ. ჰ. დარტყმა).

პრეზიდენტი – ზოგადად იხმარება იმ პირის ტიტულის აღსანიშნავად, ვინც თავმჯდომარეობს მთავრობას. კლასიკურ ლათინურში praeses-ის (პრეზიდენტის) ტიტულით მოიხსენებოდნენ პროვინციების გუბერნატორები. დიოკლეტიანეს მმართველობის დროს პრეზიდენტის წოდება ენიჭებოდათ შედარებით მცირე პროვინციების გამგებელ პროკურატორებს, როგორც იმპერატორის მოხელეებს.

ინგლისში პრეზიდენტი მეფის ლეიტენანტს აღნიშნავდა. სერ ჯონ ქაული თავის ნაშრომში „Interpreter of words" (1 607წ.) ასე განსაზღვრავდა სიტყვა პრეზიდენტს: „იხმარება მეფის ლეიტენანტის აღსანიშნავად, მაგალითად – უელსის, იორკის, ბერვიკის პრეზიდენტი, სამეფო საბჭოს პრეზიდენტი". ბრიტანეთის ზოგიერთ ჩრდილო-ამერიკულ პროვინციაში (ნიუ ჰემფშაირი, პენსილვანია, სამხრეთ ქეროლინა) პრეზიდენტი ერქვა საბჭოს თავმჯდომარეს, როცა პენსილვანია და ნიუ ჰემფშაირი შტატებად გადაიქცნენ, პრეზიდენტი ეწოდა აღმასრულებელი საბჭოს თავს.

რევოლუციური ბრძოლის დროს, ამერიკაში, 1774 წლიდან, კონტინენტური კონგრესის თავმჯდომარე მოხელეს ეწოდა „პრეზიდენტი", ხოლო 1787 (1789) წლიდან შეერთებული შტატების კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის ტიტული მიიღო ფედერალური მთავრობის თავმა. ასე იქცა პრეზიდენტი რესპუბლიკის არჩევით ხელმძღვანელად.

სიტყვა „პრეზიდენტი" იმ კერძო ენციკლოპედიური გეგმით, რასაც ჰქვია „პირი, რომელიც თავმჯდომარეობს", დიდხანს იხმარებოდა მეფის ამალის ერთ-ერთი წევრის აღსანიშნავად. ეკლესიასტურ ტერმინოლოგიაში Praesidens აღნიშნავს სასულიერო პირს, ხანდახან იხმარებოდა მონასტრების წინამძღოლთა აღსანიშნავად.

პრეზიდენტი ეწოდებათ სწავლულ, სამეცნიერო, ლიტერატურულ, სამხატვრო აკადემიების არჩევით ხელმძღვანელებს, მაგალითად – „სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი" 1660 წლიდან არსებობდა ინგლისში.

საფრანგეთში რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდა არსებობს სენატისა და დეპუტატთა პალატის პრეზიდენტების ტიტული. გერმანიაში სიტყვა „Prasident" იხმარება ისევე, როგორც ინგლისში.

პრეზიდენტი (ინსტიტუტის) – სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი. პრეზიდენტობის ინსტიტუტი, როგორც პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა აშშ-ში, რომელსაც მიჰბაძეს შემდგომ ლათინური ამერიკის ქვეყნებმა. XIX ს-ის პირველ ნახევარში მათ უმრავლესობაში დაფუძნდა პრეზიდენტის პოსტი. ევროპაში პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა შემოღებულ იქნა 1848 წელს ორ რესპუბლიკაში – საფრანგეთსა და შვეიცარიაში. XIX

ს-ის ბოლომდე სხვა სახელმწიფოები დარჩნენ მონარქიებად. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პრეზიდენტები იქცნენ უმაღლეს თანამდებობის პირებად ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ეკვადორის რესპუბლიკაში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, თურქეთში. 30-40-იან წლებში პრეზიდენტობის ინსტიტუტი ერცელდება აზიაში. ის შემოიღეს ფილიპინებში, სირიაში, ლიბანში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში პრეზიდენტებმა ჩაიბარეს იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია, ისლანდია და მალტა. აზიაში პრეზიდენტობის ინსტიტუტი დაფუძნდა სამხრეთ კორეაში, სამხრეთ ვიეტნამში, ტაივანში, ინდოეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში, ერაყში, ირანში, აღანეთში. 50-იანი წლების ბოლოდან – 60-იანი წლების დასაწყისიდან საპრეზიდენტო მმართველობის მოდელი გავრცელდა აფრიკაში. 80-იანი წლების ბოლოს პრეზიდენტობის ინსტიტუტი დაფუძნდა ყოფილი სსრკ-ის პოლიტიკურად მონათესავე თითქმის ყველა ქვეყანაში, ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში და მონღოლეთში.

პრეზიდენტის უფლებამოსილებები, მისი როლი და სტატუსი განისაზღვრება თითოეული სახელმწიფოს შესაბამისი კონსტიტუციური ნორმებით. პრეზიდენტი შეიძლება იყოს: აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური (აშშ კონსტიტუცია, მუხ. 2.1, მექსიკის კონსტიტუცია, მუხ. 80); სახელმწიფოს მეთაური (იტალიის კონსტიტუცია, მუხ. 87; უნგრეთის კონსტიტუცია, მუხ. 29.1); სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იმის ძალით, რომ კონსტიტუცია არ ითვალისწინებს მთავრობის თავმჯდომარის ცალკე პოსტს (აშშ, მექსიკა). ზოგიერთ ქვეყანაში პრეზიდენტი ფორმალურად წარმოადგენს სახელმწიფოს „ერთპიროვნულ“ ლიდერს. თუმცა, მის გარდა არსებობს უმაღლესი კოლეგიალური ორგანო (მაგალითად, ბოლო ხანებამდე ერაყში – რევოლუციური მეთაურობის საბჭო. თურქეთში – ეროვნული უშიშროების საბჭო). სპეციფიკური მოდელი დამყარდა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. მასში უმაღლეს ხელისუფლებას ახორციელებს უმაღლესი რელიგიური იერარქია. რესპუბლიკის პრეზიდენტი და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები ფორმალურად ექვემდებარებიან ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელს. აზიის და აფრიკის რიგ ქვეყნებში ხელისუფლება მთლიანად ეკუთვნის მმართველი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს პრეზიდენტის კანდიდატურას და შემდეგ წარმართავს მის საქმიანობას. პრეზიდენტის უფლებამოსილებების მოცულობა დამოკიდებულია სახელმწიფოში არჩეულ მმართველობის სისტემაზე. ძალაუფლების ყველაზე მეტი სისრულე პრეზიდენტს გააჩნია საპრეზიდენტო რესპუბლიკაში. საპრეზიდენტო რესპუბლიკებს წარმოადგენს ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა აშშ, მექსიკა, არგენტინა, ბრაზილია, ბოლივია, გონდურასი, ეგვიპტე, ტუნისი, ალჟირი, ბენინი, ნიგერია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და ა.შ. პრეზიდენტობის მოდელზე დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს უფლებამოსილებათა მოცულობა.

პრეზიდენტობის ამერიკულმა მოდელმა შექმნა ძლიერი, ერთპიროვნული საპრეზიდენტო ხელისუფლება. სრული მოცულობით ამ მოდელმა ხორცი შეისხა მხოლოდ აშშ-ში. აშშ-ის პრეზიდენტს გააჩნია ვრცელი უფლებამოსილებები, მაგრამ ის მოქმედებს მხოლოდ ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში და ხელისუფლების გამიჯვნის კონსტიტუციური პრინციპის ძალით მას არ შეუძლია ერთპიროვნულად მართოს მთელი სახელმწიფო აპარატი. მის საპირწონეს წარმოადგენს კონგრესი და უზენაესი სასამართლო. მხოლოდ მათი მხარდაჭერისას შეუძლია პრეზიდენტს მნიშვნელოვანი ცვლილებების მიღწევა სახელმწიფო საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. პრეზიდენტობის ლათინოამერიკული მოდელი, თუმცა კი წარმოიქმნა აშშ გამოცდილებაზე, ის თავისი პარამეტრებით მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება ამერიკულისგან: ა) პრეზიდენტობის ინსტიტუტი წარმოადგენს აშკარად „დიდხანს მოთამაშეს“, ხოლო ამ ქვეყნების პარლამენტს არ გააჩნია კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე; ბ) პრეზიდენტს გააჩნია დაკანონებული შესაძლებლობა ჩაერიოს ფედერაციის სუბიექტების საქმეებში; გ) ლათინური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტებს გააჩნიათ დიდი უფლებამოსილებები ეკონომიკურ დარგში მთავრობის პირდაპირი კონტროლის ქვეშ მყოფი სახელმწიფო კომპანიების მნიშვნელოვანი რაოდენობის ძალით; დ) დამახასიათებელია ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის, მათ შორის, პრეზიდენტობის ინსტიტუტის დამოკიდებულება ჯარზე. უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ ელემენტებს წარმოადგენს: პრეზიდენტის არჩევა ერთი ვადით; ხელახლა არჩევის უფლების არარსებობა; მრავალპარტიული სისტემა; სასამართლო უფლების გაძლიერება (ბრაზილია, ვენესუელა).

პრეზიდენტობის აფრო-აზიური მოდელი ხასიათდება დიდი ავტორიტარიზმით, რაც ხშირად გადადის ტოტალიტარულ რეჟიმში. პრეზიდენტი ერთდროულად შეიძლება ასრულებდეს სახელმწიფოს, მთავრობის მეთაურისა და მმართველი პარტიის ლიდერის ფუნქციებს. მთავრობა და სასამართლო ხელისუფლება სრულადაა დამოკიდებული პრეზიდენტზე. ამ მოდელისთვის დამახასიათებელია სუპერცენტრალიზმი, რომლის დროსაც პრეზიდენტი ნიშნავს ადგილობრივი ადმინისტრაციების მეთაურებს, და ხშირად ხდება ოპოზიციის არარსებობა. უმრავლეს შემთხვევაში, პრეზიდენტობის აფრო-აზიური მოდელი ხდება პირადი ხელისუფლების რეჟიმი. ევროპაში გავრცელება ჰპოვა ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკისა და საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელებმა. პრეზიდენტი ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელის დროს წარმოადგენს სახელმწიფოს და არა მთავრობის მეთაურს. პრეზიდენტს გააჩნია ვეტოს უფლება კანონებზე, რომლებიც მიღებულ იქნა პარლამენტში; შეუძლია იყოს თავმჯდომარე მინისტრთა საბჭოს სხდომებზე ან სხდომა მოწვეულ იქნეს მისი თხოვნით; გააჩნია პრეროგატივა დაამტკიცოს დეკრეტები და დადგენილებები, რომელთაც იღებს მთავრობა; დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები. პრეზიდენტი წარმოადგენს უმაღლეს მთაავარსარდალს, შეუძლია ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღება; გამოიდეს სახალხო რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით. ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკაში საპრეზიდენტო ხელისუფლების შეზღუდვას წარმოადგენს მთავრობის ფორმირება პარლამენტში პარტიების ფრაქციათა თანაფარდობის მიხედვით და მისი ანგარიშვალდებულება პარლამენტის და არა პრეზიდენტის წინაშე. ნახევრადსაპრეზიდენტო ყველაზე კარგადაა წარმოდგენილი საფრანგეთში, იტალიაში, ფინეთში, ჩეხეთში, პოლონეთში,

ტაივანში, ლიბანში და სხვა ქვეყნებში.

საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს კონსტიტუციურ მეთაურს. ფორმალურად პრეზიდენტს გააჩნია რიგი უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილება: მთავრობის მეთაურის დანიშვნა, პარლამენტის დათხოვნის შესახებ განცხადების გაკეთება, წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. ფაქტიურად, ამ და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება პრეზიდენტს შეუძლია მხოლოდ მთავრობის მეთაურთან შეთანხმებით. მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტი არაა პასუხისმგებელი მთავრობის მოქმედებებზე და წარმოადგენს ზეპარტიულ ფიგურას.

არსებობს საპრეზიდენტო არჩევნების ორი ძირითადი ტიპი – პირდაპირი და ირიბი. ირიბი არჩევნები ტარდება პარლამენტის მიერ (ჩეხეთი, ბულგარეთი, თურქეთი და სხვ.); პარლამენტისა და შტატების, პროვინციების წარმომადგენელთა მიერ (იტალია, ყოფილი გფრ, სლოვაკეთი, შვედეთი და სხვ.); ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ (აშშ და ფინეთი 1994 წლამდე), პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება საფრანგეთში, ავსტრიაში, ირლანდიაში, ისლანდიაში და სხვა სახელმწიფოებში. სხვადასხვა ქვეყანაში გათვალისწინებულია სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებების ვადები – 1 წელი შვეიცარიაში, 4 წელი ისლანდიაში, რუმინეთში, აშშ-ში და სხვ; 5 წელი – ყოფილი გფრ-ში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, ჩეხეთში, ინდოეთში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და სხვ.; 7 წელი – საფრანგეთში, იტალიაში, თურქეთში და სხვ.; სამუდამოდ მალავის რესპუბლიკაში. პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის არსებობს რიგი კონსტიტუციური და პოლიტიკური ნორმა: მოქალაქეობა (გერმანია); მკვიდრობის ცენზი (აშშ – 14 წელი); ეროვნულ-ეთნიკური ცენზი (პორტუგალია); ტერიტორიულ-რეგიონალური ცენზი (ინდონეზიაში პრეზიდენტს იჩრევენ მხოლოდ იავადან); რელიგიური მიკუთვნებულობა; ასაკობრივი ცენზი (35 წელი – აშშ-ში, მექსიკაში, ავსტრიაში და სხვ.; 40 წელი – გერმანიაში და საბერძნეთში, 45 წელი მონღოლეთში, 50 წელი – იტალიაში) და სხვ.

პრეზუმფცია (ლათ. praesumptio – ვარაუდი, მოლოდინი)

1. ვარაუდი, რომელიც ემყარება ალბათობას.

2. ფაქტის იურიდიულად სარწმუნოდ, უეჭველად ცნობა, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო. მაგ. უდანაშაულობის პრეზუმფცია (დებულება, რომლის მიხედვით პირი ითვლება უდანაშაულოდ, სანამ არ იქნება დამტკიცებული მისი ბრალეულობა).

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

პრეზუმპცია [ლათ. presumptio] 1) წინადადება, რომელიც ალბათობაზეა დამყარებული; 2) ფაქტის იურიდიულად სანდოდ ცნობა, ვიდრე არ იქნება დამტკიცებული საპირისპირო, მაგ. უდანაშაულობის პ. – სამართალწარმოების ერთ-ერთი დემოკრატიული სამართლებრივი პრინციპი, რომლის თანახმად ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამდე, ვიდრე მისი დანაშაული არ იქნება დადაგენილი სასამართლოს მიერ კანონის შესაბამისად.

პრეიუდიციალური [< ფრ. pr judiciel < ლათ. praejudicialis] პ. საკითხი – სამართლებრივი საკითხი, რომლის გადაწყვეტის გარეშე საქმე ვერ განიხილება სასამართლოში.

პრეიუდიციალობა – საქმის განმხილველი ყველა სასამართლოსთვის ეალდებულება შემოწმებისა და დამტკიცების გარეშე მიიღოს ფაქტები, რომლებიც დადგენილ იქნა ადრე, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას დაინტერესებულ მხარეებს არ შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ იმავე მოთხოვნით, იმავე საფუძვლებზე დაყრდნობით. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეზე საეალდებულოა სასამართლოსთვის, პროკურორისთვის, გამომძიებლისა და პირისთვის, რომელიც აწარმოებს მოკვლევას საკითხზე, აქონდა თუ არა ადგილი მოვლენას, მაგრამ არა ბრალდებულთან მიმართებაში. პრეიუდიციალობა მოქმედებს მანამ, სანამ მოსამართლეებს არ გაუწნდებათ ეჭვი სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებაში დადგენილ გარემოებებთან დაკავშირებით.

მოსამართლეები აფასებენ მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით, რომელიც ეფუძნება სასამართლო გადაწყვეტილებაში მტკიცებულებების უშუალო კვლევას. ერთი გადაწყვეტილების მეორესთან წინააღმდეგობაში მოსვლისას ზემდგომი სასამართლო წყვეტს საკითხს ერთ-ერთი მათგანის გაუქმების შესახებ.

პრეიუდიციალობა მოქმედებს წინამორბედ პროცესში მონაწილე პირებთან მიმართებაში. მესამე პირები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ პროცესში აყენებენ დამოუკიდებელ სარჩელს. მათ მიმართებაში პრეიუდიციალობა არ მოქმედებს.

პრეიუდიციალობა შეიძლება გაუქმდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადახედვისას ხელახლა აღმოჩენილი საფუძვლების მიხედვით.

პრემია (premium, option, option deal, reward, bonus)

1. ტერმინი, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში სადაზღვეო შესატანის მნიშვნელობით. სადაზღვევო პრემია შეიძლება იყოს ერთჯერადი ან დაექვემდებაროს განვადებით გადახდევინებას.

2. პრემია ვადიან გარიგებებზე. სხვაობა თანხაში, როდესაც ობლიგაცია ან პრივილეგირებული აქცია იყიდება ნომინალურ ღირებულებაზე უფრო ძვირად.

3. ფულადი თანხა, რომელსაც იხდის მყიდველი ოფციონის კონტრაქტის დადებისას.

4. წახალისების ფორმა რომელიმე სფეროში თვალსაჩინო მიღწევებისათვის ან დამსახურებისათვის, შეიძლება იყოს ფულადი ან ნატურალური ჯილდოს სახით, აგრეთვე ინდივიდუალური ან კოლექტიური.

5. საბირჟო პრემია – წინასწარ შეთანხმებული პირგასამტეხლო, რომელსაც სასწრაფო გარიგების დროს უხდის აქციების მყიდველი გამყიდველს, თუ გარიგებისთვის დათქმულ დღეს იგი უარს ამბობს ოპერაციაზე.

6. ოფციის პრემია — გაიცემა ფასიანი ქაღალდების ან საქონლის გარკვეული დროის შუალედში ფიქსირებულ ფასად შესყიდვის ან გაყიდვის უფლებაში.

7. პრემია რისკისთვის — დამატებითი შემოსავალი, რომელსაც იღებს ინვესტორი სხვა პროექტებთან შედარებით მაღალრისკიანი პროექტის დაფინანსებისას (ცხადია, თუ პროექტმა გაამართლა).

8. საემისიო პრემია — განსხვავება აქციების საბაზრო გასაყიდ ფასსა და მათ ნომინალურ ღირებულებას შორის. ზოგიერთ ქვეყანაში კომპანიების დამატებითი კაპიტალი ფორმირდება მხოლოდ და მხოლოდ საემისიო პრემიებისგან.

პრეტენზია

მოვალის მიერ კრედიტორის ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დარღვევით გამოწვეული დავის ნებაყოფლობითი გადაწყვეტის მოთხოვნა. პრეტენზია უნდა იყოს განცხადებული სარჩელის შეტანამდე იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობაში, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების ურთიერთობაში გადაშზიდველთან და კავშირგაბმულობის ორგანოსთან. პრეტენზიები საცალო ვაჭრობის ობიექტებში ნაყიდი ნივთების მიმართ უნდა განცხადდეს ნივთების საგარანტიო ვადის პერიოდში.

ზოგიერთ ლექსიკონში, მათ შორის სპეციალურში, პრეტენზია ითარგმნება როგორც pretention, მაგრამ ინგლისურ წყაროებში უპირატესად გამოიყენება claim. რადგანაც სიტყვა claim იმავდროულად ნიშნავს სარჩელსაც, პრეტენზიასაც და რეკლამასაც. თარგმნის დროს უნდა დაეყურადნოთ კონტექსტს.

პრეტორი [ლათ. pareitor წინამავალი, წინამძღოლი] ძვ. რომში: 1) თავდაპირველად კონსულებისა და დიქტატორების ტიტული; 2) შემდგომში თანამდებობის პირი, რომელიც უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებასა და შინაგან წესსა და სამართალს ახორციელებს; რესპუბლიკაში ორი პრეტორი იყო, მაგრამ უკვე ნერონის დროს (37–68) 18 გახდა, რადგან იმპერიის ეპოქაში პრეტორები მოვალენი იყვნენ მოეწყოთ საჯარო თამაშები რომში (მოგვიანებით კონსტანტინეპოლში); თანდათანობით მათი უფლებამოსილება იმპერატორისა და მისი დიდებულების ხელში გადაეცდა.

პრეტორიანელები [ლათ. praetoriani] 1) ძვ. რომში თავდაპირველად მთავარსარდლის პირადი დაცვა; 2) პრინციპატის დასაწყისიდან იმპერატორის გვარდია, რომელიც სარგებლობდა სხვადასხვა პრივილეგიით და წარმოადგენდა მსხვილ პოლიტიკურ ძალას; სამეფო კარის გადატრიალებების დროს ჯ-ბა არაერთხელ ჩამოაგდეს იმპერატორი ან ტახტზე აიყვანეს; 3) დაქირავებული ჯარები, რომლებიც უხეშ ძალაზე დამყარებული ხელისუფლების საყრდენს წარმოადგენს.

პრეფერენციალური [< პრეფერენციები] ლგოტები, შეღავათები; პ. რეჟიმი — სააბაო შეღავათების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებს ამა თუ იმ საქონლის შემოტანაზე ამა თუ იმ ქვეყნიდან.

პრეფერენციები [საშ.-ლათ. praeferentia უპირატესობის მინიჭება] შეღავათიანი საბაჟო გადასახადები, რომლებსაც სახელმწიფო აწესებს ამა თუ იმ საქონლის შემოტანაზე ცალკეული ქვეყნიდან, რაც არ ვრცელდება სხვ. ქვეყნებზე.

პრეცენდენტი [ლათ. precedens (praecedentis) წინამძღოლი] შემთხვევა, რომელსაც ადრე ჰქონდა ადგილი და წარმოადგენს მაგალითს ან გასამართლებელ საბუთს მსგავსი ხასიათის შემდგომი შემთხვევებისთვის; სასამართლო პ.–კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის დასაბუთება წესად ითვლება და აუცილებელია სხვ. სახის სასამართლოებისთვის ანალოგიური საქმეების გადაწყვეტისას; პრეცედენტული სამართალი საფუძვლად უდევს სამართალწარმოებას დიდ ბრიტანეთში, აშშ-ს მრავალ შტატში და ზოგიერთ სხვ. ქვეყანაში.

პრეცედენტი კონკრეტულ საქმეზე სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილება, რომელიც განიხილება ნიმუშის სახით ანალოგიური საქმეების განხილვისას. არსებობს ორი სახის პრეცედენტი: სასამართლო (მაგალითად, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები) და ადმინისტრაციული (მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოების ან ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები). სამართლის ყველაზე გაერცელებულ ფორმას წარმოადგენს სასამართლო პრეცედენტი. ამ უკანასკნელის არსებობა მოწმობს იმას, რომ ქვეყნებში, სადაც პრეცედენტი ცნობილია სამართლის წყაროს სახით, სამართალშემოქმედებით საქმიანობას ახორციელებენ არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ სასამართლო ორგანოები. სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს სამართლის წყაროს.

პრეცედენტი, როგორც სამართლის წყარო უძველესი დროიდანაა ცნობილი. ძველი რომის პირობებში პრეცედენტის სახით გამოდიოდა ზეპირი განცხადებები (ედიქტები) ან გადაწყვეტილებები პრეტორებისა და სხვ. მაგისტრატების კონკრეტულ საკითხებზე. პრეცედენტი, როგორც სამართლის წყარო ფართოდ გამოიყენებოდა ასევე შუა საუკუნეებში და ყველა შემდგომ ასწლეულში. ამჟამად ის გამოიყენება როგორც სამართლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, აშშ და სხვა მრავალი ქვეყნის სამართლის სისტემებში.

პრივატიზაცია — კერძო პირებზე და პირთა ჯგუფებზე სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლების გადაცემა. მისი რეალიზაცია ხდება გაყიდვით ან უსასყიდლო გადაცემით.

პრიმუს ინტერ პარეს [ლათ. primus inter pares] პირველი ტოლებს შორის.

პრინციპალი (კომიტენტი)

1. ძირითადი, მთავარი მოვალე ვალდებულებაში, პირი, რომლის სახელითაც მოქმედებს წარმომადგენელი.

2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის დავალებითა და ხარჯით აგენტი (ბროკერი) ახორციელებს საბირჟო ოპერაციებს.

3. ეროვნული ბანკი, საინვესტიციო ბანკი, რომელიც მეორად ბაზარზე ყიდულობს თაყისი სახსრებით ფასიან ქაღალდებს მათი შემდგომი მომგებიანი რეალიზაციის მიზნით.

4. პირი, ვისი დავალებითაც ბანკი, საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) აძლევს საგარანტიო ვალდებულებას კრედიტორს (ბენ-

უფიციარს) ფულადი თანხის გადახდის შესახებ ამ უკანასკნელის მიერ წერილობითი მოთხოვნის წამოყენებისას.

პრიორიტეტი – განცხადების შეტანის მოწმენდის დადგენა გაშოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის სიახლის (ორიგინალურობის) განსაზღვრის მიზნით. კანონი ადგენს პრიორიტეტის დადგენის შემდეგ ხერხებს: ა) გამოგონების პრიორიტეტი დგინდება საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანის თარიღის მიხედვით, რომელიც შეიცავს განცხადებას, აღწერას, ფორმულასა და ნახაზებს, თუ აღწერაში მათზე არის მითითება. სასარგებლო მოდელის პრიორიტეტის დადგენისთვის განაცხადი უნდა შეიცავდეს განცხადებას, აღწერას, ფორმულასა და ნახაზებს. სამრეწველო ნიმუშზე განაცხადი უნდა შეიცავდეს ფოტოების კომპლექტსა და აღწერას; ბ) პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს უცხო ქვეყანაში – პარიზის სამრეწველო საკუთრების დაცვის კონვენციის მონაწილე ქვეყანაში – პირველი განაცხადის შეტანის უფრო ადრეული თარიღის მიხედვით (კონვენციური პრიორიტეტი), თუ განაცხადი გამოგონებასა თუ სასარგებლო მოდელზე შეიდა საპატენტო უწყებაში 12 თვის განმავლობაში, ხოლო განაცხადი სამრეწველო ნიმუშზე – 6 თვის განმავლობაში აღნიშნული თარიღიდან. მოცემული ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორი თვით. კონვენციური პრიორიტეტი უნდა იქნეს მოთხოვნილი განაცხადის შეტანისას ან ბოლო ორი თვის განმავლობაში. ამასთან, მას თან ერთვის პირველი განაცხადის ასლი; გ) პრიორიტეტი შეიძლება დადგენილ იქნეს დამატებითი მასალების შესვლის თარიღი მიხედვით, თუ ისინი განმცხადებლის მიერ გაფორმებულია დამოუკიდებელი განაცხადის სახით. ასეთი განაცხადი უნდა იქნეს შეტანილი საპატენტო უწყებისთვის დამატებითი მასალების მხედველობაში მიღების შეუძლებლობის შესახებ განმცხადებლის უწყების მიღების თარიღიდან სამთვიანი ვადის ამოწურვამდე, მათ მიერ განცხადებული გადაწყვეტილების არსის შეცვლის ცნობასთან დაკავშირებით; დ) პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს იმავე განმცხადებლის უფრო ადრეული განაცხადის შესვლის თარიღის მიხედვით, თუ ასეთი განაცხადი შეიდა გამოგონებაზე უფრო ადრეული განაცხადის თარიღიდან 12 თვის ფარგლებში და სასარგებლო მოდელსა თუ სამრეწველო ნიმუშზე უფრო ადრეული განაცხადის თარიღიდან ექვსი თვის მანძილზე (ე.წ. შიდა პრიორიტეტი).

პროგრამულ-მიზნობრივი მართვა – სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო რეგულირების ობიექტების მდგომარეობასა და საქმიანობაზე სახელმწიფო ზემოქმედების გარკვეულ ხერხს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკა, სოციალური დაცვა, კულტურა, განათლება, მეცნიერება და ა.შ.). პროგრამულ-მიზნობრივი მართვა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სპეციალური ფუნქციაა, რომელიც რეგულირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით. პროგრამულ-მიზნობრივი მართვა მოიცავს ცალკეული დარგების, რეგიონების განვითარების პროგნოზის შემუშავებას, პროგნოზული მონაცემების ბაზაზე განვითარების პროგრამების შემუშავებას, პროგრამებისა და მათი დაფინანსების მოცულობის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებათა მომზადებას, კონტროლს აღნიშნული პროგრამებისა და მათი რეალიზაციის გეგმების შესრულებაზე (იხ. სახელმწიფო პროგრამა).

პროგრესიის დახურული სისტემები – რიგ შემთხვევებში ფაქტიური პროგრესია, გადასახადით დაბეგრაში მიიღწევა არა გადასახადის პროგრესული განაკვეთების დადგენის გზით, არამედ სხვა მეთოდებით. მაგალითად, სხვადასხვა თანრიგში შემავალი შემოსავლებისთვის შეიძლება დადგინდეს ფაქტითის არაერთგვაროვანი თანხა – მეტი დაბალი შემოსავლებისთვის და ნაკლები მაღალი შემოსავლებისთვის. ამ შემთხვევაში არაპროპორციულად შეიცვლება გადასახადით დაბეგრის ბაზა და რასაკვირველია გადასახადიც.

პროდიუსერი (ლათ. producere – წარმოება, შექმნა) – პირი, რომელიც აფინანსებს და თავისი ინიციატივით ორგანიზაციას უკეთებს თეატრალური ან კინემატოგრაფიული ნაწარმოების წარმოდგენას, მაუწყებლობის საშუალებებით გადაცემას, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამზადებას. პროდიუსერი უნდა განვასხვაოთ ავტორისაგან, მას გააჩნია მხოლოდ სარგებლობის, გაქირავების, გაყიდვის განსაკუთრებული უფლება. აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლის ვინაობის საჯაროობის შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლად აღიარებულია ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელიც სათანადო წესით აღნიშნულია ამ ნაწარმოებზე.

პროდუქტი (prodect, production) – 1. ეკონომიკური საქმიანობის ნივთობრივი შედეგი. პროდუქტების და ნახევარფაბრიკატების (რესურსების) ურთიერთგამოყენება დამოკიდებულია ეკონომიკურ მოდელზე. თუ მოდელის პირველად ელემენტად განვიხილავთ საწარმოს, მაშინ მაგალითად, ტურბინა იქნება სატურბინო ქარხნის პროდუქტი, მაგრამ თუ მოდელი განსაზღვრულია დარგობრივი დაყოფით, იგივე ტურბინა იქნება ნახეარფაბრიკატი ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის დარგში. ნებისმიერი პროდუქტი შეიძლება იმავდროულად იყოს რესურსიც სხვა პროდუქტის წარმოებისათვის, გარდა საბოლოო პროდუქტებისა, რომლებიც გადიან ეკონომიკური სისტემის ფარგლებს გარეთ.

2. პროდუქცია, ანუ პროდუქტების და საწარმოო (ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის: მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვ.) მომსახურების ერთობლიობა, რომელიც გამოსატულია ღირებულების ფორმით ან ნატურალურად. ზოგიერთი წყარო პროდუქციას მიაკუთვნებს მხოლოდ სასარგებლო შრომის ნაყოფს (პროდუქტი, ნახეარფაბრიკატი, მომსახურება), სხვა წყაროები – აგრეთვე წარმოების ნარჩენებსაც, მათ შორის გარემოს გამაბინძურებელსაც, თანამდევ პროდუქტს და წუნს, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ტერმინი „გამოშვება".

ზოგიერთი (მაგ. რუსეთის ფედერაცია) სამოქალაქო კოდექსი პროდუქტად არ მიიჩნევს ნატურალურ სასოფლო-სამეურნეო, აგრეთვე, ნადირობის შედეგად მიღებულ გადაუმუშავებელ პროდუქტს.

პროვიზია – 1. პროვიზია არის ფულადი ანაზღაურება, რომელსაც შემკვეთი უხდის სავაჭრო წარმომადგენელს. პროვიზიის გადახდა საერთო წესით ხდება ყოველთვიურად, თუ პროვიზიის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ შეთანხმებულად მიიჩნევა საქმიანობის ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ნორმა. პროვიზია გამოითვლება იმ თანხიდან, რომელიც უნდა გადაიხადოს გარიგების მხარემ. პროვიზიის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა შემკვეთის მიერ გარიგების შესრულების მომენტიდან და იგი გადახდილ უნდა იქნეს იმავე თვის ბოლოს. ფულით გადახდისას ფასდათმობები უნდა გამოიქვითოს; იგივე წესი მოქმედებს ფულადი მიმოქცევის, ფრახტის, შეფუთვის, ბაჟისა და გადასახადების დამატებითი ხარჯებისათვის, თუ ეს დამატებითი ხარჯები არ უნდა გაიღოს მესამე პირმა. სარგებლობის დათმობისა და სარგებლობის ვადიანი ხელშეკრულებების დროს პროვიზია გამოითვლება ხელშეკრულების თანხიდან ხელშეკრულების ვადის შესაბამისად. უვადო ხელშეკრულების დროს პროვიზია გამოითვლება ყოველთვის ხელშეკრულების თანხიდან და ექვემდებარება ანაზღაურებას იმ დრომდე, ვიდრე გარიგების მხარეს შეუძლია მოშალოს ეს გარიგება, დაზღვევისას პროვიზია გამოითვლება დაზღვეული თანხიდან. თუ ასეთი თანხა არ არსებობს, მაშინ პროვიზია გამოითვლება საბაზღვეო შესატანიდან, ეს წესი მოქმედებს აგრეთვე არსებული მუდმივი კლიენტურის შენარჩუნებისათვის ზრუნვის პროვიზიის მიმართ, თუ სავაჭრო წარმომადგენელი წინასწარ წერილობით თავდებად დადგება გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის, მას უჩნდება უფლება მოითხოვოს სპეციალური გასამრჯელო – ვალდებულების შესრულებისათვის თავდებად ყოფნის პროვიზია ანუ სათავდებო პროვიზია. სათავდებო პროვიზიის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა გარიგების დადებისთანავე.

2. საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკაში ასე უწოდებენ გარდაუვალ მიზნობრივ ხარჯებს, მაგ. „პროვიზია უიმედო ვალებზე" – საეარაუდო ზარალის თანხა ადრე გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობის გამო.

პროკურატურა – ერთადერთი სახელმწიფო ორგანო რუსეთის ფედერაციაში, რომელსაც უფლება აქვს აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა. მოცემული უფლება ასევე გააჩნია სამოქალაქო მოსარჩელეს ე.ი. პირს, რომელიც დანაშაულისგან იქნა დაზარალებული. არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძრის სამი კონცეფცია: ა) სუფთა კანონიერების კონცეფცია – საქმე ყოველთვის აღიძრება და შეწერება ფორმალური საფუძვლებით; ბ) სუფთა მიზანშეწონილობის კონცეფცია – საქმის აღძრა და შეწერება დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოზე ე.ი. მიზანშეწონილობის შესახებ მის გადაწყვეტილებაზე; გ) შერეული კონცეფცია: საქმე აღიძრება სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით, ხოლო წყდება კანონიერების კონცეფციიდან გამომდინარე ან საქმე აღიძრება კანონიერების კონცეფციიდან გამომდინარე, ხოლო წყდება სათანადო ორგანოს გადაწყვეტილებით.

ასევე გამოიყენება ფრანგული კონცეფცია, რომელიც ამოდის შერეული კონცეფციიდან (პირველი ვარიანტი): საქმე აღიძრება პროკურატურის მიხედულობით, ხოლო წყდება კანონიერების კონცეფციით (საქმეს წყვეტს არა პროკურორი, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანო – სასამართლო და ა.შ.). როცა პროკურორი იღებს რაპორტს მოკვლევის ორგანოებიდან, ის წყვეტს საკითხს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძრის შესახებ მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე (შეიძლება აღძრას ან არ აღძრას). სისხლისსამართლებრივი დევნის აღძრის შესახებ საკითხზე უარის განცხადება არის ადმინისტრაციული აქტი. ამიტომ, სხვა პროკურორს შეუძლია აღძრას ამავე სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა. ასევე, მოწინააღმდეგე პირებს შეუძლიათ პროკურორის მოქმედებების გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან.

პროკურატორი [ლათ. procurator] 1) ძვ. რომში მეურნეობის მმართველი; სასამართლო რწმუნებული; გადასახადების ამკრები ჩინოვნიკი; იმპერატორის მიწების მმართველი; 2) თანამდებობა შეედურ პარლამენტში.

პროკურატურა [<პროკურორი] სახელმწიფო ორგანოების სისტემა, რომელიც თვალყურს ადევნებს კანონების ზუსტსა და ერთგვაროვან შესრულებას და სისხლის სამართლის დანაშაულებების გახსნას; პ-ს გააჩნია სისხლის სამართლის საქმეების აღძრისა და გამოძიების უფლება, ბრალდების წარმომადგენელია სასამართლოში სახელმწიფოს სახელით; პ. აგრ. აწარმოებს სასამართლო საქმიანობის, განაჩენის აღსრულების, კანონიერების დაცვას სასჯელის მოხდის დროს და სხვ. თვალყურს.

პროკურისტი [< ლათ. procurare რ-მეს მართვა] რიგ ქვეყნებში აგენტი, რომელსაც სავაჭრო წარმოებამ მიანიჭა სხვადასხვა ხელშეკრულების დადების უფლება.

პროკურორი [ფრ. procureur < ლათ. procurare ზრუნვა] 1) პროკურატურის ორგანოების თანამდებობის პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს კანონების სწორ გამოყენებას და შესრულებას; 2) სახელმწიფო მხარადებელი სასამართლო პროცესში.

პროკურორის აცილება – პროკურორის ჩამოცილება სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისგან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებით. სასამართლო პრაქტიკაში პროკურორის აცილების უპირობო საფუძველს წარმოადგენს ნათესაური კავშირების არსებობა მასსა და გამომძიებელს შორის, რომლის მოქმედებებზეც ის ახორციელებს ზედამხედველობას სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. გარდა ამისა, პროკურორი ყველანაირად უნდა ეცადოს საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე არ გამოთქვას საკუთარი აზრი ბრალდებულის ბრალეულობის ან უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარეს. რუსეთში პროკურორი არ ექვემდებარება აცილებას შემდეგი წარ...ისაგან, თუ ის მონაწილეობდა საქმის წინასწარი გამოძიების ჩატარებაში, ამტკიცებდა საბრალდებო დასკვნას ან საბრალდებო აქტს, ახდენდა დაკავების და საპროცესო იძულების სხვა ზომების სანქციონირებას, სახელმწიფო ბრალმდებლის სახით გამოდიოდა სასამართლოში ან მონაწილეობდა საქმის განხილვაში მეორე ინსტანციის სასამართლოში ან ზედამხედველობის წესით. ეს განპირობებულია პროკურორის საპროცესო

ფუნქციის თავისებურებებით, რათა განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა. თუ პროკურორი პირადად იძიებდა სისხლის სამართლის საქმეს სრული მოცულობით, მას ასევე აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს მოცემული საქმის სასამართლოს მიერ განხილვაში და უფლებამოსილია გამოვიდეს სახელმწიფო ბრალმდებლის სახით.

პროკურორის აცილების საკითხი შეიძლება დადგეს პროცესის მონაწილეების მიერ მოკლეულისა და წინასწარი გამოძიების დროს, ასევე საქმის პირველ, მეორე და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოში განხილვისას. აცილების საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი აგრძელებს თავისი ფუნქციების შესრულებას სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში. აცილების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას ზემდგომ პროკურორს და სასამართლოს უფლება აქვთ მოითხოვონ საჭირო მასალები, მოისმინონ ასაცილებელი პროკურორის განმარტებები და ასევე აცილების შესახებ შუამდგომლობის დამყენებელი პირის განმარტებები.

პროკურორი სამოქალაქო პროცესში თანამდებობის პირი პროკურატურის სისტემაში, რომელიც ახორციელებს საპროკურორო ზედამხედველობას, წინასწარ გამოძიებას და ა.შ. სამოქალაქო პროცესში პროკურორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სხვა პირთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის განცხადებით ან ჩაერთოს საქმეში პროცესის ნებისმიერ სტადიაში, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისა თუ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვა. კანონი ადგენს პროკურორის სამოქალაქო პროცესში მონაწილეობის ორ ფორმას: ა) სარჩელის წაყენებას სასარჩელო წარმოების საქმეებზე. განცხადების შეტანას არასასარჩელო წარმოების საქმეებზე (იხ. საარბიტრაჟო და სამოქალაქო სამართალწარმოების სახეები) ან პროტესტს; ბ) სხვა პირთა ინიციატივით დაწყებულ პროცესში შესვლას. პროკურორი სამოქალაქო პროცესში მიმართავს სასამართლოს საქმის აღძრის შესახებ განცხადებით, თუ ირღვევა მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, რომელიც დაცულია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, როცა პირს ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლია პირადად დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოში ან როცა დარღვეულია მოქალაქეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის უფლებები და თავისუფლებები ან სხვა გარემოებების ძალით დარღვევამ შეიძინა განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

პროკურორს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სასარჩელო სამართალწარმოებას საქმეებზე განცხადებით, გააჩნია მოსარჩელეს ყველა უფლება და ვალდებულება გარდა მორიგებითი შეთანხმების დადებისა. სამოქალაქო პროცესში პროკურორს არ შეიძლება წაეყენოს შემხვედრი სარჩელი. მხარეებისა და მესამე პირებისგან განსხვავებით პროკურორი სამოქალაქო პროცესში გამოდის პროცესში სხვათა ინტერესების დასაცავად. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის იურიდიულად არაა საქმით დაინტერესებული, თუმცა მისი დაინტერესება არაა სრული, როგორც მხარეების და მესამე პირების მიერ, რომლებიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებენ დავის საგანზე, არამედ გააჩნია მხოლოდ საპროცესო ხასიათი. სამოქალაქო პროცესში პროკურორს არ შეიძლება გააჩნდეს საქმის დასრულების მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესებულობა, რამდენადაც ის არ წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობების სუბიექტს, რომლის თაობაზეც ხდება დავის წარმოქმნა. პროკურორის საპროცესო დაინტერესებულობა განპირობებულია იმით, რომ სხვა პირთა ინტერესების სასამართლოში დაცვის ვალდებულება დადგენილია კანონით. სამოქალაქო პროცესში პროკურორის უარი სხვა პირის დაცვისთვის წამოყენებულ სარჩელზე, არ ართმევს ამ პირს უფლებას მოითხოვოს საქმის განხილვა არსებითად. თუ პირი, რომლის ინტერესებშიც პროკურორმა სამოქალაქო პროცესში წამოაყენა სარჩელი, უარს ამბობს განცხადებულ მოთხოვნაზე, საქმე ექვემდებარება შეწყვეტას. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პროკურორი სამოქალაქო პროცესში სარჩელს წარმოადგენს და საქმეში მონაწილეობს საკუთარი სახელით და არა იმ პირის სახელით, რომლის ინტერესებშიც დაიწყო პროცესი. სასამართლოს წარმომადგენელი, რომელსაც არ წარმოადგენს პროკურორი სამოქალაქო პროცესში, სარჩელის შეტანას ახდენს წარმოადგენი პირის სახელით (იხ. სასამართლო წარმომადგენლობა).

სხვა პირთა ინიციატივით დაწყებულ საქმეში შემავალი პროკურორი სამოქალაქო პროცესში გამოდის სასამართლო სხდომაზე დასკვნით მთლიანად საქმის არსზე. სამოქალაქო პროცესში პროკურორს აქვს საკასაციო ინსტანციაში პროტესტის შეტანის უფლება ამ პროტესტის შემდგომი მხარდაჭერით მეორე ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე, თუ მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმე დაწყებულია სხვა პირთა საჩივრებით, პროკურორი სამოქალაქო პროცესში ვალდებულია პროცესში ჩაერთოს ამ სტადიაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესახებ დასკვნის მიცემისთვის. პროკურატურის თანამდებობის პირებს თაიანთი კომპეტენციის შესაბამისად შეუძლიათ პროტესტის შეტანა კანონიერ ძალაში შესულ სამოქალაქო საქმეების დადგენილებებზე ან ერთეებიან უკვე დაწყებულ პროცესი დასკვნის მისაცემად საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოში. სამოქალაქო პროცესში პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს საქმის გადახედვა ხელახლა აღმოჩენილი გარემოებების მიხედვით.

პროკურორის გადაწყვეტილება საბრალდებო დასკვნასთან ერთად შემოსული სისხლის სამართლის საქმეზე – აქტი, რომლის მიღებაც ხდება პროკურორის მიერ გამომძიებლისგან საბრალდებო აქტით შემოსული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. პროკურორი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც შემოსულია საბრალდებო აქტთან ერთად და მასზე იღებს შემდეგიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: ა) საბრალდებო აქტის დამტკიცებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ; ბ) სისხლის სამართლის საქმის დაბრუნების შესახებ საბრალდებო აქტის ხელახლა შესადგენად მისი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში; გ) სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ; დ) სისხლის სამართლის საქმის წარმოებისთვის წინასწარი გამოძიებისთვის გაგზავნის შესახებ.

საბრალდებო აქტის დამტკიცებისას პროკურორს უფლება აქვს თავისი დადგენილებით მისგან ამოიღოს ბრალდების ცალკეული პუნქტები ან მოახდინოს ბრალდების კვალიფიცირება უფრო ნაკლებად მძიმეზე.

საბრალდებო აქტის ასლი გადაეცემა ბრალდებულსა და მის დამცველს.

პროკურორის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე – პროკურორის მიერ მიღებული აქტი გამომძიებლისგან მიღებული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. პროკურორი განიხილავს გამომძიებლისგან შემოსულ სისხლის სამართლის საქმეს საბრალდებო დასკვნასთან ერთად და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: ა) საბრალდებო დასკვნის დამტკიცებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ. პროკურორს შეუძლია შეადგინოს ახალი საბრალდებო დასკვნა; ბ) სისხლის სამართლის საქმის ან სისხლის-სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ცალკეულ ბრალდებულთან მიმართებაში სრულად ან ნაწილობრივ; გ) სისხლის სამართლის საქმის გამომძიებლისთვის დაბრუნების შესახებ დამატებითი გამომძიების წარმოებისთვის ან საბრალდებო დასკვნის ხელახალი შედგენისა და გამოელენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის; დ) სისხლის სამართლის საქმის ზემდგომი პროკურორისთვის გაგზავნის შესახებ საბრალდებო დასკვნის დამტკიცებისთვის, თუ ის ექვემდებარება განსჯას ზემდგომი სასამართლოს მიერ.

პროკურორს უფლება აქვს: ა) საბრალდებო დასკვნის დამტკიცებისას შეცვალოს ბრალდების მოცულობა ან ბრალდებულის მოქმედების კვალიფიკაცია ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის კანონის მიხედვით; ბ) გააუქმოს ან შეცვალოს ბრალდებულისთვის შერჩეული აღკვეთი ღონისძიება. პროკურორს ასევე უფლება აქვს შეარჩიოს აღკვეთი ღონისძიება, თუ ასეთი არ იყო გამოყენებული, შინაპატიმრობისა და დაპატიმრების გარდა; გ) შეამციროს ან შეაესოს სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სია დაცვის მხრიდან მოწვეთა სიის გარდა.

პროკურორი სისხლის სამართლის პროცესში – თანამდებობის პირი, რომელიც კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია სახელმწიფოს სახელით განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის სამართალწარმოების დროს, ასევე ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოთა საქმიანობაზე. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს პროკურორი მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, უზრუნველყოფს მის კანონიერებას და დასაბუთებულობას, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა წინასწარი გამოძიება ჩატარებულია მოკვლევის ფორმით, პროკურორს უფლება აქვს სახელმწიფოს სახელით ბრალდების დაცვა სასამართლოში დაავალოს მოკვლევის მწარმოებელ პირს ან გამომძიებელს, რომელიც მოკვლევას აწარმოებდა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე. პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს განცხადებით ან საქმეში ჩართოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, თუ ამას მოითხოვს მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოების, სახელმწიფოს მიერ კანონით დაცულ ინტერესთა დაცვა. პროკურორს უფლება აქვს კანონით გათვალისწინებული წესით უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.

საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილე პროკურორის უფლებამოსილებები განისაზღვრება საპროცესო კანონმდებლობით.

პრეკრუსტე [ძ.-ბერძ. Προκρου'στης გამჭიმავი] 1)ბერძ. მითოლოგიაში გოლიათი ყაჩაღი, რომელიც ძალით აწვენდა მგზავრებს ქვის საწოლზე; იმას, ვინც საწოლზე გრძელი იყო, ფეხებს აჭრიდა, ხოლო მოკლეს ჭიმავდა; პ. თეზევსმა მოკლა; 2) პრკრუსტეს საწოლი – ხელოვნური ყალიბი, რომელსაც ძალით უნდათ შეუსაბამო რ-მეს.

პრომისკუიტეტი [ლათ. promiscuus შერეული, საერთო] 1) სხვაგვარად პეტერიზმი (1); შეუზღუდავი სქესობრივი ურთიერთობის სავარაუდო სტადია, რომლებიც წინ უსწრებდა ადამიანების საზოგადოებაში, ქორწინებისა და ოჯახის ნორმების დამკვიდრებას; 2) სქესობრივი აღერახსნილობა, რომელიც მოიცავს სექსის პრაქტიკულად ყველა სახეობას და მოცემული საზოგადოების პრაქტიკაშია დანერგილი, მაგ. პიპების საზოგადოებაში.

პროსტიტუცია [ლათ. prostitutio შებღალვა, გაუპატიურება < prostituo ვარცხვენ, ნამუსს ავყრი] საკუთარი სხეულის გაყიდვა ბავშვების, ქალების, მამაკაცების მიერ, დასაბამს ანტიკურ საზოგადოებაში იღებს; თანამედროვეობაში აკრძალულია ზოგიერთ ქვეყანაში; სხვ. ქვეყნებში მოზრდილების პ. ლეგალიზებულია.

პროსტიტუციური საქმიანობაში ჩაბმა საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ხასიათდება აქტიური მიზანმიმართული მოქმედებებით წვაქეზოს ქალი (კაცი), ზოგჯერ კი აიძულოს კიდეც ის დაკავდეს პროსტიტუციით. განხილვადი დანაშაულებრივი ქმედება საფრთხის ქვეშ აყენებს საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომ ნორმალურ არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ზნეობრივ სიწმინდეს ადამიანთა სექსუალურ ქცევაში, ამასთან, ხელყოფს მოქალაქის ჯანმრთელობას, სხვულებრივ ხელშეუხებლობას, მის ღირსებასა და პატიოსნებას.

პროსტიტუციურ საქმიანობაში ჩაბმა – მოქმედება, რომელიც მიმართულია ბევრ ან თუნდაც ერთ პირში ხარისის გამოწვევაზე დაკავდეს პროსტიტუციით, არის პირის ჩართვა ამ საქმიანობაში.

პროტესტი (ლათ. protestari – საჯაროდ ვამტკიცებ)

1. მტკიცე შედავება რამეს წინააღმდეგ.

2. სასამართლო ან სხვა სამართალდაცვითი ორგანოების ოფიციალური წარდგინება შესაბამის განაჩენთა და გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესახებ.

3. თამასუქის გაპროტესტება – კრედიტორის მიერ ნოტა-რიალური ან სასამართლო ორგანოების მეშვეობით განცხადება თამასუქის გამცემის (ან აქცეპტანტის) მიერ მოცემულ ვადაში თამასუქში მითითებული თანხის გადაუხდელობის შესახებ. გაპროტესტებული თამასუქები არ მიიღება ბანკების მიერ ანგარიშში ჩასათვლელად და არ წარმოადგენენ გადახდის საშუალებას. თამასუქის გადაუხდელობის გაპროტესტება მეტყველებს გადამხდელთა ფინანსურ სიძნელეებზე.

4. სადაზღვევო პროტესტი – გემთმფლობელის კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვის მიზნით მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გემის კაპიტნის მიერ დადგენილი წესით გაფორმებული წერილობითი განცხადება ავარიის შემთხვევაში, თუ ეს ავარია შეიძლება წარმოადგინდეს გემთმფლობელის მიმართ ქონებრივი პრეტენზიების წაყენების საფუძველს.

პროტექტორატი [< ლათ. protector მფარველი] 1) სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც პროტექტე-სახელმწიფო ინარჩუნებს შედარებით დამოუკიდებლობას საშინაო საქმეებში, ხოლო მის საგარეო კავშირებს, თავდაცას და სხვ. სახელმწიფო-მონოპოლია ახორციელებს; 2) სახელმწიფო ან ტერიტორია, რომელიც ასეთ დამოკიდებულებაში იმყოფება; 3) მმართველობის ფორმა ინგლისში 1653–1659 წწ-ში, როდესაც სახელმწიფოს სათავეში იდგა ლორდ-პ., რომელიც ამ თანამდებობას სიცოცხლის განმავლობაში ინარჩუნებდა.

პროტექცია [ლათ. protectio საფარი, დაცვა] მფარველობა, რომელსაც გავლენიანი პირი უწევს ეშეს პირად საქმეების მოწყობაში, მაგ. მეწარმის მიერ სახელმწიფოსგან საქონლის პარტიის წარმოებაზე შეკვეთის მიღება.

პროტექციონალიზმი [ფრ. protectionnisme < ლათ. ptotectio საფარი] 1) სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ეროვნული ეკონომიკის უცხოური კონკურენციისგან დასაცავად გარკვეულ უცხოურ საქონელზე მაღალი ბაჟის დადების (ან მათი შემოტანის აკრძალვით), სამაგულო წარმოებაში სახსრების ჩადების და ექსპორტის ხელისშეწყობის გზით; 2) კონკურენტი პირების მფარველობის (პროტექციის) სისტემა, რომლებიც ჩვეულებრივ სახელმწიფო მოსამსახურეები (ჩინოვნიკები) არიან, რ-მე საქმეების წარმოების დროს.

პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება – შრომის სამართლის მიხედვით მუშაკის მიერ ერთსა და იმავე ორგანიზაციაში მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულებით განპირობებულ ძირითად სამუშაოსთან ერთად დამატებითი სამუშაოს შესრულება სხვა პროფესიით (თანამდებობით) ან ასევე შესრულება დროებით არმყოფი მუშაკის ეალდებულებებისა ძირითადი სამუშაოსგან განთავისუფლების გარეშე. პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისგან განსხვავებით მუშაკის მიერ ძირითად სამუშაოსთან ერთად იმავე პროფესიით (თანამდებობით) დამატებითი მოცულობის სამუშაოს შესრულება განიხილება, როგორც მომსახურების ზონების გაფართოება ან შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის ზრდა. შრომის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია შეთავსების ნებისმიერი ვარიანტი, მათ შორის, პროფესიებისა და თანამდებობების მიხედვით.

პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება დასაშვებია ყველა ორგანიზაციაში გამონაკლისის გარეშე, ფორმდება სამუშაოს მიმცემის ბრძანებით (განკარგულებით) და ითხოვება წერილობით შრომით ხელშეკრულებაში შეთავსებული პროფესიის (თანამდებობის), დამატებით შესასრულებელი შრომის ფუნქციების მოცულობის და ხელფასზე დანამატის მითითებით. თუ მუშაკი დროებით არ ცხადდება სამუშაოზე ავადმყოფობის, შვებულების გამო, როცა მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი (თანამდებობა), მისი შრომითი ვალდებულებები შეიძლება დაეკისროს სხვა მუშაკს (მუშაკებს) მისი (მათი) თანხმობით, ძირითადი შრომის ფუნქციების შესრულებისგან განთავისუფლების გარეშე. შესაბამის მუშაკს (მუშაკებს) გაეზრდება ხელფასზე დანამატის უფლება.

პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებაზე ან არმყოფი მუშაკის ვალდებულებების შესრულებაზე დანამატის ოდენობა განისაზღვრება შრომის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით. ზოგჯერ პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებაზე დანამატის ოდენობა განისაზღვრება კოლექტიურ ხელშეკრულებაში. ეს არ გამორიცხავს მათი მომატების შესაძლებლობას სამუშაოს მიმცემსა და მუშაკს შორის შეთანხმებით. პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება უნდა განვასხვაოთ შეთავსებისგან, რომლის დროსაც მუშაკი თავისი ძირითადი შრომის ფუნქციის გარდა ასრულებს სხვა რეგულარულად ანაზღაურებად სამუშაოს ახალი შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, ძირითადი სამუშაოსგან თავისუფალ დროს იმავე ან სხვა ორგანიზაციაში.

პროფესიული გადამზადება – ჩვევების და ცოდნის გაღრმავების პროცესი, რომელიც განპირობებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამაღლებით, მომიჯნავე დარგების პროფესიების და ცოდნის ათვისების აუცილებლობით ან ახალ სამუშაოზე გადაყვანით.

პროფესიული კავშირები – მოქალაქეთა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან მათი საქმიანობის საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით მათი სოციალურ-შრომითი უფლებებისა და ინტერესების წარმომადგენლობისა და დაცვის მიზნით. პროფკავშირების მუშაკების გაერთიანების ისტორიულად ჩამოყალიბებული მასობრივი საორგანიზაციო ფორმაა რასის, ეროვნულობის, სქესის, რელიგიური მრწამსის მიუხედავად. პროფკავშირები შედის საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას საწესდებო ფუნქციებითა და ამოცანებით.

პროფკავშირების საქმიანობის პრინციპებს ნებაყოფლობითობასა და კანონიერებასთან ერთად წარმოადგენს: ა) თანასწორობის პრინციპი, რომლის შესაბამისადაც მოქმედი კანონმდებლობა ერეკლება ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციაზე, მათი რაოდენობის, ამა თუ იმ გაერთიანებაში შესვლის ან სხვა თავისებურებების მიუხედავად; ბ) დამოუკიდებლობის პრინციპი, რომელიც ნიშნავს იმას, რომ პროფკავშირები დამოუკიდებლები არიან თავიანთ საქმიანობაში; გ) თვითმმართველობის პრინციპი, რომელიც გამოიხატება უფლებაში დამოუკიდებლად დამტკიცონ წესდება, დაარეგულირონ შიდა საქმიანობა და მიიღონ გადაწყვეტილება პროფკავშირის რეგისტრაციის შესახებ. პროფკავშირებს უფლება აქვთ შექმნან გაერთიანებები (ასოციაციები) დარგობრივი, ტერიტორიული ან სხვა პროფესიული სპეციფიკის ნიშნების მიხედვით – რეგიონთაშორისი, ტერიტორიული. მათ უფლება აქვთ არ დარეგისტრირდნენ შესაბამის ორგანოებში, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი არ იძენენ იურიდიული პირის უფლებებს.

პროფკავშირის უფლებამოსილებები განეკუთვნება

შრომით სფეროს. შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვის, შრომის დაცვის წესების, კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისთვის პროფკავშირის მუშაკებს უფლება აქვთ: ა) დაუბრკოლებლივ ეწვიონ და დაათვალიერონ საამქროები, განყოფილებები და სამუშაოს სხვა ადგილები; ბ) მოითხოვონ სამუშაოს მიმცემისგან ინფორმაცია კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოებისთვის, შესაბამისი დოკუმენტები, ცნობები და განმარტებები, ასევე შეამოწმონ ხელფასის ანგარიშები; გ) საჭიროების შემთხვევაში შესაბამის სამუშაოს მიმცემებს შესთავაზონ იმ ხელმძღვანელი მუშაკების დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემა, რომლებიც არღვევენ შრომის კანონმდებლობას, შრომის დაცვის წესებს და ა.შ.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ სამართალდამკიდებულება, რომლის შესაბამისადაც პროფორგანიზატორი, პროფკავშირის, პროფკავშირების გაერთიანების (ასოციაციის), პროფკავშირის ორგანოს ხელმძღვანელი ან პროფკავშირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სხვა პირი პროფკავშირის, პროფკავშირების გაერთიანების (ასოციაციის) წესდებით, დებულებით პირველადი პროფკავშირის ორგანიზაციის შესახებ ან პროფკავშირის ორგანოს გადაწყვეტილებით გამოდის სხვა პირის სახელით და უშუალოდ ქმნის, ცვლის ან წყვეტს მისთვის უფლებებსა და ვალდებულებებს.

პროფკავშირის წარმომადგენლობას გააჩნია განსაკუთრებული სახე, არ გამომდინარეობს მინდობილობიდან, როგორც წესი, რომლის მეშვეობითაც დგინდება დამოკიდებულებები წარმომდგენელსა და წარმოსადგენს შორის. პროფკავშირის წარმომადგენლობის გამოყენებით პროფკავშირები ახორციელებენ თავიანთი დამცავი ფუნქციის რეალიზებას, რომელიც წარმოადგენს, როგორც ყველა მუშაკს, ასევე ცალ-ცალკე თითოეული მათგანის შრომითი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გარანტიას.

პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია წარმოადგენს მუშაკების ინტერესებს კოლექტიური მოლაპარაკებების, კოლექტიური ხელშეკრულების დადებისა და შეცვლის, მის შესრულებაზე კონტროლის, სამუშაოს მიმცემთან მუშაკების შრომითი დავების განხილვის დროს. მუშაკებს, რომლებიც არ წარმოადგენენ პროფკავშირის წევრებს, უფლება აქვთ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ორგანო აღჭურვონ უფლებამოსილებით და წარმოადგინონ მათი ინტერესები სამუშაოს მიმცემთან ურთიერთდამოკიდებულებებში. თუ ორგანიზაციაში არაა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია ან არსებობს პროფკავშირი, რომელიც აერთიანებს მუშაკების ნახევარზე ნაკლებს, მუშაკებს საერთო კრებაზე (კონფერენციაზე) უფლება აქვთ თავიანთი ინტერესების წარმოდგენა დაავალონ აღნიშნული პროფკავშირის ორგანიზაციას ან მის სხვა წარმომადგენელს. სამუშაოს მიმცემი ვალდებულია შექმნას პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაკთა წარმომადგენლების საქმიანობას.

პროფკავშირის წარმომადგენლობას უფლება აქვს: ა) აწარმოოს კონსულტაცია სამუშაოს მიმცემთან შრომის სამართლის ნორმების შემცველი ლოკალური ნორმატიული აქტების მიღების საკითხებზე; ბ) მიიღოს ინფორმაცია სამუშაოს მიმცემისგან მუშაკების ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე; გ) განიხილოს სამუშაოს მიმცემთან საკითხები ორგანიზაციაში მუშაობის, მისი სრულყოფის მიზნით წინადადებების შეტანის შესახებ; დ) მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური ხელშეკრულებების შემუშავებასა და მიღებაში და ა.შ.

ᲕᲔ

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ვენეციაში დადებული ოთხი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება. ისინი წოთელი ჯარის მიერ 1864 წელს შემუშავებულ ომის წარმოების პუმანიტარულ წესებს განსაზღვრავენ. ვენეციის პირველი კონვენცია (1864), ბრძოლის ველზე დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებს ეხება. ვენეციის მეორე კონვენცია (1906) აფართოებს პირველის შინაარსს ჰააგის 1899 წლის კონვენციების საფუძველზე. ის შეეხება შეიარაღებული ძალების მოქმედებას არა მარტო ხმელეთზე, არამედ ზღვაზეც. ვენეციის მესამე კონვენციამ (1929) ახალი დებულება შემოიტანა, რომლითაც აღინიშნა, რომ კონვენციის პირობები ეხება არა მარტო იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება, არამედ ყველა ადამიანს, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა (ეს უკავშირდება როგორც სამხედროებს, ასევე სამოქალაქო მოსახლეობას). ვენეციის მეოთხე კონვენცია (1949) ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობისა და სამხედროების დაცვას ეხება და საბრძოლო მოქმედების ზონაში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მკაცრ სტანდარტებს აწესებს და მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, კრძალავს სამხედრო დანაშაულს. 1977 წელს მიიღეს 1949 წლის კონვენციის ორი დამატებითი პროტოკოლი, რომლებიც საერთაშორისო და შიდა კონფლიქტების მსხვერპლთ ეხება.

ᲕᲘᲠᲐᲜᲢᲘ [ფრ. girate < girare une somma თანხის გადარიცხვა] სხვაგვარად ინდოსანტი; პირი, რომელიც ხელს აწერს თამასუქზე.

ᲕᲘᲠᲐᲢᲘ [ფრ. girate < girare une somma თანხის გადარიცხვა] პირი, რომლის სახელზეცაა გაცემული თამასუქი.

ᲕᲘᲠᲝ [იტ. giro ბრუნვა, გადაყვანა, წრებრუნვა] 1)ინდოსამენტი, წარწერა თამასუქზე, ჩეკზე და ა.შ., რომლითაც თანხა გადაეცემა გარკვეულ პირს, აგრ. კლიენტის \'ერილობითი მითითება (ჟირირება) ბანკისთვის მისი მიმდინარე ანგარიშიდან გარკვეული თანხის მესამე პირის ან ორგანიზაციის ანგარიშზე გადარიცხვის შესახებ; 2) უნაღდო ანგარიშსწორების სახეა, რომელიც საანგარიშო ჩეკების დახმარებით ხორციელდება.

ჟურნალისტების კანონიერი პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლა – საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მდგომარეობს ჟურნალისტის იძულებაში გაავრცელოს ინფორმაცია ან უარი თქვას ინფორმაციის გავრცელებაზე.

ჟურნალისტების კანონიერი პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლა იწვევს ჟურნალისტის შრომით უფლებების, ასევე ბეჭდვითი სიტყვისა და მას (მასობრივი საინფორმაციო საშუალებები) თავისუფლების შეზღუდვას. დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დამნაშავე აცნობიერებს, რომ ის ხელს უშლის ჟურნალისტების კანონიერ პროფესიონალურ საქმიანობას და სურს კიდეც ეს. ამ დანაშაულისთვის დამახასიათებელია მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებისთვის ხელის შეშლის მიზანი.

რ

რადიაციის წყაროები – არაბირთვული დანადგარებისთვის მიკუთვნებული კომპლექსები, დანადგარები, აპარატები, მოწყობილობები და ნაკეთობები, რომლებშიც შედის რადიოაქტიური ნივთიერებები ან გენერირებულია მაიონიზირებელი გამოსხივება.

რადიაციული ავარია – მაიონიზირებელი გამოსხივების წყაროს მიერ მართვის დაკარგვა, რაც გამოწვეული არ არის მოწყობილობის გაუმართაობით, მუშაკების (პერსონალის) არასწორი მოქმედებებით, სტიქიური უბედურებებით ან სხვა მიზეზებით, რომელთაც შეეძლოთ გამოეწვიათ ან გამოიწვიეს ადამიანთა დასხივება დადგენილ ნორმებზე მეტად ან გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება.

რადიაციული უსაფრთხოების წესები – სახელმწიფო ნორმირების დოკუმენტები რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში. რადიაციული უსაფრთხოების წესებით ხდება მოთხოვნების რეგლამენტაცია ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ რადიოაქტიურ ნივთიერებებთან და მაიონიზირებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან მუშაობისას.

რადიოაქტიური მასალა – ნებისმიერი ნივთიერება ან მასალა, რომელშიც რადიონუკლიდის ჯამური და ხვედრითი აქტიურობა აღემატება დასაშვებ მნიშვნელობებს. მასალაში რამდენიმე რადიონუკლიდის არსებობა ითვლება რადიოაქტიურად, თუ მათი ჯამური და ხვედრითი აქტიურობის მნიშვნელობებისა და დასაშვებთა თანაფარდობა ერთეულზე მეტია. ყველა დაფუძნებული მასალა განეკუთვნება რადიოაქტიურ მასალას (ნივთიერებებს), რამდენადაც მათი ხვედრითი აქტიურობა ყოველთვის მეტია დასაშვებზე. განსაკუთრებული სახის რადიოაქტიური მასალა (რადიოაქტიური ნივთიერება) – გაუფანტავი მყარი რადიოაქტიური მასალა ან რადიოაქტიური მასალა პერმეტულ კაფსულაში, რომლის კონსტრუქციაც შეუძლებელს ხდის მის გახსნას დაშლის გარეშე. რადიოაქტიური ნივთიერება ან კაფსულა განეკუთვნება განსაკუთრებულ სახეს, თუ მათ გააჩნიათ არანაკლებ 5 მმ ზომა და სპეციალური ამტანობა გააჩნიათ დაცემაზე, დარტყმაზე, გალუნვაზე და გახურებაზე.

რადიოაქტიური ნარჩენები – რადიოაქტიური მასალები და ნივთიერებები, რომელთა შემდგომი გამოყენებაც არაა გათვალისწინებული და წარმოადგენს დამარხვის ან სხვაგვარი ლიკვიდაციის საჭიროებას.

რადიოაქტიური ნივთიერებები – არაბირთვული მასალებისადმი მიკუთვნებული ნივთიერებები, რომლებიც უშვებენ მაიონიზირებელ გამოსხივებას.

აღნიშნული ობიექტების ჩამოთვლილ კატეგორიებთან მიკუთვნება განისაზღვრება მაქსიმალუატირებელი ორგანიზაციის მიერ და ფიქსირდება შესაბამის დოკუმენტში კანონით დადგენილი წესით. იხ. ასევე რადიაციის წყაროები, რადიოაქტიური ნარჩენები.

რაპორტი დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შესახებ – საპროცესო დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია იურიდიული ძალა და ასახავს დანაშაულის ნიშნების აღმოჩენას. რაპორტის წარდგენის საფუძველს წარმოადგენს ინფორმაცია ჩადენილი ან მომზადებული დანაშაულის შესახებ, რომელიც მიღებულია ინფორმაციის სხვა წყაროებიდან, არაა განცხადებული მოქალაქის მიერ ან მონანიებით გამოცხადებისას. რაპორტში საჭიროებულო წესით უნდა იყოს მითითებული ჩადენილი ქმედების გარემოებები და ამის შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო. რაპორტში დანაშაულის ნიშნებზე მითითების გარდა, მკაფიოდ უნდა იქნეს დასახელებული დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობის წყარო (წყაროები) (ფაქსიმილური კავშირით, თვითმხილველი – მოწმისგან, ტელეფონით და სხვ.). გარდა ამისა, კანონი განსაზღვრავს რიგ მოთხოვნებს რაპორტის მიმართ. რაპორტის შედგენა ხდება პროკურორის, წინასწარ გამომძიების ან მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის სახელზე. რაპორტს ხელს აწერს შეტყობინების მიმღები პირი. ამასთან, მითითებული უნდა იყოს მისი თანამდებობა, წოდება, გვარი და ინიციალები, დოკუმენტის შედგენის თარიღი.

რასობრივი თეორია – ადამიანთა რასის არასრულფასოვნების შესახებ შეხედულებებისა და იდეების ერთობლიობა, რომლებიც განისაზღვრება სახელმწიფოს წარმოქმნისა და განვითარების ძირითადი წინაპირობების სახით. ამ თეორიის თანახმად, მსოფლიოში არსებობს „უმაღლესი" რასები, რომელთაც უნდა იბატონონ და „უმდაბლესი", რომლებიც უნდა დაემორჩილონ „უმაღლეს" რასებს. ამ თეორიის მომხრეთა ლოგიკით სახელმწიფოს წარმოქმნა აუცილებელია ერთი რასის მეორეზე მუდმივი ბატონობის უზრუნველსაყოფად. რასობრივ თეორიას გააჩნია ხანგრძლივი ისტორია, მაგრამ განვითარება და პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა შუა საუკუნეებში – კოლონიალიზმის აყვავების პერიოდში და XX ს-ის პირველ ნახევარში – ევროპაში

ფაშიზმის წარმოქმნის პერიოდში. თავიდან „ცივილიზებული" ქვეყნები ფართოდ იყენებდნენ მას ადგილობრივ მკვიდრებთან სასტიკი მოპყრობისა და მათი მიწების მიტაცების გამართლებისთვის, შემდეგ ზოგიერთი „ცივილიზებული" ქვეყანა ამართლებდა რასობრივი თეორიით გაჩაღებულ ომს სხვა „ცივილიზებულ" და „არაცივილიზებულ" ქვეყნების წინააღმდეგ.

რასობრივი თეორიის საფუძველში მყოფი იდეები ფართოდ გამოიყენებოდა ომისშემდგომ პერიოდში „ცივი ომის" წარმოებისას კაპიტალისტურ ქვეყნებს (აშშ-ს ხელმძღვანელობით) და სოციალისტურ ქვეყნებს (სსრკ მეთაურობით) შორის. ისტორიულად რასობრივმა თეორიამ დრო მოჭამა და სრულად იქნა დისკრედიტირებული რამდენიმე ათწლეულის უკან. ის არ გამოიყენება, როგორც ოფიციალური ან თუნდაც ნახევაროფიციალური იდეოლოგია. თუმცა, ის, როგორც „სამეცნიერო", აკადემიური დოქტრინა ასახვას პოულობს ზოგიერთ ქვეყნებში ამჟამადაც. რასობრივი თეორიის ერთ-ერთ ნაირსახეობად უნდა განვიხილოთ ზოგიერთ ქვეყანაში არსებული რელიგიური და საერო მითები ამა თუ იმ ხალხის, ნაციის ან რასის „ღვთის მიერ არჩეულობაზე", მათ „მესიისებრ" როლზე, დანიშნულებაზე და ა.შ.

რატიფიკაცია უმაღლესი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების მიერ საერთაშორისო მოლაპარაკების ან კონვენციის დამტკიცება (მოცემულ სახელმწიფოში იურიდიული ძალის მინიჭება), რომელიც წინდაწინ ხელმოწერილია სახელმწიფოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ; რით ფორმდება განსაკუთრებული დოკუმენტი – სარატიფიკაციო სიგელი.

რაციონალური ბუნებით სარგებლობა – იხ. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

რეაბილიტაცია (გვიან ლათ. rehabilitatio – აღდგენა)

უფლებებში აღდგენა. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული, სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი პირის რეაბილიტაციად ითვლება საქმის გადასინჯვისას გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანა დანაშაულის ფაქტის, დანაშაულის შემადგენლობის არარსებობისას, ან დანაშაულში მონაწილეობის ფაქტის მტკიცებულებების არარსებობისას. ბრალდებულის ან მსჯავრდებულის რეაბილიტაციის შემთხვევაში დაცადაღებული და ამოღებული ქონება უბრუნდება მას ნატურით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, – ფულით. რეაბილიტაციის დღეს არსებული მისი საშუალო საბაზრო ფასის მიხედვით.

პოსტსაბჭოურ სინამდვილეში არსებობს ცნებები პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაცია და რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაცია. რსფსრ-ის 1991 წლის 18 ოქტომბრის „პოლიტიკურ რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის" შესახებ კანონის მიხედვით რეპრესირებული პირები აღდგენილ უნდა იქნენ რეპრესიათა გამო დაკარგულ სოციალურ-პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებში, სამხედრო და სპეციალურ წოდებებში, მათ უბრუნდებათ სახელმწიფო ჯილდოები, ეძლევათ შეღავათები, ეხდებათ კომპენსაციები მოცემული კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

რსფსრ-ის 1991 წლის 26 აპრილის კანონის განსაზღვრებით „რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაცია" ნიშნავს საზღვართა იძულებით გადაკეთების ანტიკონსტიტუციურ პოლიტიკამდე არსებული ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას და მის აღდგენაზე უფლების განხორციელებას, გაუქმებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების აღდგენის უფლების აღიარებას, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

რეაბილიტაცია – უკანონოდ ან დაუსაბუთებლად სისხლისსამართლებრივი დევნის ქვეშ მოქცეული პირის უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენისა და მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი. სასამართლო განაჩენში, განჩინებაში, დადგენილებაში, სასამართლო პროკურორი, გამომძიებელი, მოკლეული მწარმოებელი პირი სათანადო დოკუმენტში ცნობს გამართლებულ ან იმ პირზე, რომლის მიმართაც შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, რეაბილიტაციის უფლებას. პირის რეაბილიტირებულად ცნობის შემდეგ მოცემულ პირს სათანადოდ ეცნობება სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების წესი.

რეაბილიტირებულისთვის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოიცავს: ა) ხელფასის, პენსიის, შემწეობის, სხვა საშუალებების ანაზღაურებას, რომლებიც ჩამოერთვა მას სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად; ბ) კონფისკირებული ან სახელმწიფოს შემოსაველზე აყვანილი ქონების ანაზღაურება; გ) ჯარიმებისა და იმ საპროცესო დანახარჯების ანაზღაურებას, რომლებიც მისგან აღებულია სასამართლოს განაჩენის შესრულებისთვის; დ) მის მიერ იურიდიული დახმარების გაწევაზე გადახდილი თანხის ანაზღაურებას; ე) სხვა ხარჯების ანაზღაურებას. მოთხოვნა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ შეიძლება განცხადებულ იქნეს რეაბილიტირებულის კანონიერი წარმომადგენლის მიერ. პროკურორი ან სასამართლო სახელმწიფოს სახელით ოფიციალურ ბოდიშს უხდის რეაბილიტირებულს მისთვის მიყენებულ ზიანზე. სარჩელები მიყენებულ ზარალზე ფულადი გამოხატულებით კომპენსაციის შესახებ შეტანილი ხდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ამასთან, თუ ცნობები რეაბილიტირებულის დაკავების, დაპატიმრების, მისი თანამდებობიდან დროებით ჩამოცილების, მის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ზომების გამოყენების, მსჯავრდების შესახებ გამოქვეყნებულია ბეჭდვით პრესაში, გაერცელებულია რადიოთი, ტელევიზიით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რეაბილიტირებული პირის, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მისი ახლობლების ან ნათესავების მოთხოვნით ან სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, მოკლეულის მწარმოებელი პირის წერილობითი მითითებით შესაბამისი მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში უნდა გაკეთდეს განცხადება რეაბილიტაციის შესახებ 30 დღის განმავლობაში.

რეაბილიტაციის უფლება – ქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება, მორალური ზიანის შედეგების აღმოფხვრა და შრომითი, საპენსიო, საბინაო

და სხვა უფლებების აღდგენა. სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული მოქალაქის ზიანის ანაზღაურება ხდება სახელმწიფოს მიერ სრული მოცულობით მოკვლევის ორგანოს, მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს ბრალის მიუხედავად.

სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს: ა) განსასჯელს, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი; ბ) განსასჯელს, რომლის მიმართაც სისხლის-სამართლებრივი დევნა შეწყვეტილია, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის შემთხვევაში; გ) ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს, რომლის მიმართაც შეწყვეტილია სისხლისსამართლებრივი დევნა; დ) მსჯავრდებულს – სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული საბრალდებო განაჩენის სრულად ან ნაწილობრივ გაუქმების და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შემთხვევაში; ე) პირს, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო სამედიცინო ხასიათის იძულების ზომები – მოცემული ზომის გამოყენების შესახებ სასამართლოს უკანონო ან დაუსაბუთებელი დადგენილების გაუქმების შემთხვევაში. ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელზეც განხორციელებული იყო საპროცესო იძულების ზომები უკანონოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. ზემოთდასახელებული წესები არ ვრცელდება შემთხვევებზე, რაც პირის მიმართ გამოყენებული საპროცესო იძულების ზომები ან სპრალდებო განაჩენი გაუქმებულია ან შეცვლილია ამნისტიის შესახებ აქტის გამოცემის, ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მიუღწევლობის გათვალისწინებით ან არასრულწლოვანთან მიმართებაში, რომელმაც თუმცა კი მიაღწია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს, მაგრამ ფსიქიკურ განვითარებაში ჩამორჩენასთან დაკავშირებით, რაც არ უკავშირდება ფსიქიკურ აშლილობას, არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა საკუთარი ქმედების (უმოქმედობის) ფაქტიური ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება და ემართა ისინი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის მომენტში ან კანონის მიღებისას, რაც აღმოფხვრის დამნაშავეობას ან ქმედების დასჯადობას.

რეაბილიტირებული პირები – პირები, რომელთაც აღუდგებათ მათ მიერ უკანონო სისხლისსამართლებრივ დევნასთან, ასევე რეპრესიებთან დაკავშირებით დაკარგული სოციალურ-პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, სამხედრო და სპეციალური წოდებები, მათ უბრუნდებათ სახელმწიფო ჯილდოები, გაიცემა კომპენსაციები კანონით დადგენილი წესით.

რეგენტი [ლათ. regens (regentis) მმართველი] 1)დროებითი მმართველი მონარქისტულ ქვეყნებში, ინიშნება ტახტის ვაკანტურობის ან მონარქის მცირეწლოვნების, ხანგრძლივი ავადმყოფობისა და მისი არყოფნის შემთხვევებში; 2) გუნდის – უფრო ხშირად საკლესიო გუნდის – დირიჟორი; 3) ლუერში დაცული ალმასებიდან უდიდესი ალმასი (მასა 136,75 კარატი), იპოვნა ინდოეთში მონა ინდუსმა (1700წ.), რომელმაც გაიჭრა ბარძაყი და ჭრილობაში, სახეების ქვეშ დამალული გამოიტანა.

რეგენტობა [< რეგენტი 2] დროებითი კოლეგიალური (რეგენტთა საბჭო) ან ერთპიროვნული (რეგენტი) განხორციელება სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებისა ტახტის ვაკანტურობის, მონარქის მცირეწლოვნების, ხანგრძლივი ავადმყოფობის, არაქმედითუნარიანობის ან ხანგრძლივი არყოფნის შემთხვევებში (მონარქისტულ სახელმწიფოებში).

რეგისტრაცია – 1. სიაში, წიგნში შეტანა, ნუსხის, აღწერის შედგენა.

2. ფაქტების ან მოვლენების ჩაწერა მათი აღრიცხვის ან ფაქტისთვის კანონიერი ძალის მინიჭების მიზნით, მაგალითად, ქორწინების რეგისტრაცია.

რეგლამენტი 1) ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის, ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობის წესს. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს რეგლამენტი წარმოადგენს კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტს და როგორც წესი, მუშავდება და მტკიცდება თავად ორგანოს მიერ თავისი საქმიანობის მოწესრიგებისა და მისი ეფექტურობის გაზრდის მიზნით; 2) რომელიმე საზოგადოებრივი ან სხვა არასახელმწიფო ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული კრების, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევების, მოხსენებების, პაექრობებისთვის დროის განსაზღვრის წესი; 3) ზოგიერთი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ფორმა (1815 წლის ვენის რეგლამენტი და სხვ.).

რეგრესი (recourse) – გადახდილი თანხის უკუმოთხოვნის უფლება.

ზოგადი წესით რეგრესული მოთხოვნით მოვალე ვალდებულია ანაზღაუროს კრედიტორის მიერ მესამე პირებისათვის გადახდილი თანხა სრული მოცულობით.

პირს, რომელმაც სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანი ანაზღაურა, აქვს ამ პირისაგან თანხის უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლება. თუ რამდენიმე პირმა ერთობლივი ზიანი მიაყენა სხვის ქონებას, ხოლო ერთერთმა ანაზღაურა ზიანი მარტო, მას შეუძლია ყოველ ზიანის მიმყენებელს უკუმოთხოვოს ანაზღაურებული თანხა თითოეულის ბრალის ხარისხის პროპორციულად. თუ ბრალის ხარისხის დადგენა ვერ ხერხდება, მაშინ იგი მიიჩნევა თანაბრად.

მზღვეველი, რომელმაც გაბაიხადა სადაზღვევო თანხა უფლებამოსილია უკუმოითხოვოს ეს თანხა იმ პირისაგან, ვისი ბრალითაც მოხდა ზიანის მიყენება.

რეგრესს ხშირად აქვს ადგილი მწარმოებლებსა და შუამავლებს შორის ურთიერთობებში. მაგალითად, სამკერვალო ფაბრიკა უხდის ჯარიმას საცალო ვაჭრობის მაღაზიას უხარისხო პროდუქციის მიწოდებისთვის, შემდეგ კი, რეგრესის წესით ითხოვს ანაზღაურებას საფეიქრო ფაბრიკიდან, რომელმაც მიაწოდა ქსოვილი ფარული დეფექტებით.

რეგრესის უფლება ჩნდება ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ დაზარალებულისთვის თანხის გადახდის მომენტიდან. სასამართლოს არა აქვს უფლება დაკმაყოფილოს რეგრესული სარჩელი, სანამ მოსარჩელე არ ანაზღაურებს მიყენებულ ზიანს.

რეგრესიული გადასახადით დაბეგვრა – გადასახადით დაბეგვრის პროგრესული

მეთოდის საპირისპიროდ რეგრესიის მეთოდის გამოყენებისას საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად ხდება გადასახადის გაზრდის ოდენობის შემცირება.

რეგულარული და ერთჯერადი გადასახადები – რეგულარული (სისტემატური, მიმდინარე) გადასახადები, რომელთა აკრეფაც ხდება გარკვეული პერიოდულობით ქონების ფლობის მთელი დროის ან შემოსავლის მომტანი საქმიანობის განხორციელების განმავლობაში. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, მიწის გადასახადი იკრიფება ყოველწლიურ საფუძველზე, ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადი თვიურად ან კვარტალურად და ა.შ. ერთჯერადი გადასახადების გადახდა უკავშირდება რაღაც მოვლენებს, რომლებიც არ წარმოქმნიან სისტემებს. მაგალითად, ბაჟის გადახდა დამოკიდებულია საქონლის იმპორტის ან ექსპორტის ფაქტზე. ერთჯერად გადასახადს განეკუთვნება გადასახადი ქონებიდან, რომელიც გადადის მემკვიდრეობის ან ჩუქების წესით.

რეზოლუცია (ფორმა – საჯარო სამსახურში) – რეზოლუცია ეწოდება დაწესებულების ან რომელიმე განყოფილების ხელმძღვანელის მიერ მოკლედ გადმოცემულ აზრს დოკუმენტის შინაარსზე და მისისაე მითითებას ამ დოკუმენტის შესრულების ხასიათის შესახებ. იგი უმეტესად იწერება დოკუმენტის პირველი ფურცლის შარცხენა მხარის თავისუფალ ადგილზე.

რეზოლუცია განსაზღვრავს დოკუმენტის კონკრეტულ შემსრულებელს, დავალების შინაარსს, საჭიროების შემთხვევაში – შესრულების ვადასაც.

რეკამბიო სხვანაირად – რეტრატა; 1) ბანკის ანგარიში კლიენტისთვის იმ დანახარჯის დასაფარავად, რომელიც დაკავშირებულია ინკასო თამასუქზე პროტესტის თაობაზე; 2) გაპროტესტებული თამასუქის გამნაღდებელი პირის მოთხოვნა ამ თამასუქის ერთ-ერთი მოვალე პირის მიმართ შეტანილი თანხის პროცენტების, ფასისა და დანახარჯის გადახდის შესახებ.

რეკვიზიტები (essential elements, requisite elements)

აუცილებელი მონაცემები, ან იურიდიული, კომერციული საბუთების (თამასუქი, ჩეკი და სხვ) ელემენტები, რომლებიც განაპირობებს მათ ნამდვილობას (მონაცემები ესიტენტის შესახებ, გადამხდელის ვინაობა, ანგარიშის ნომერი და ა.შ.). ერთი ან რამდენიმე რეკვიზიტის არარსებობა იწვევს საბუთის ბათილობას ან საცილობას. ყველაზე უფრო მკაცრი მოთხოვნები დადგენილია საბუღალტრო საბუთების რეკვიზიტებისთვის.

რეკვიზიცია – სახელმწიფოს მიერ მესაკუთრისთვის ქონების იძულებითი ჩამორთმევის კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ხერხი, რაც წარმოადგენს საკუთრების უფლების შეწყვეტის საფუძველს. რეკვიზიცია შეიძლება განხორციელდეს სტიქიური უბედურებების, ავარიების, ეპიდემიების, სხვა საგანგებო შემთხვევების დროს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ქონების სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესითა და პირობებით, მესაკუთრისთვის ქონების ღირებულების გადახდით. პირს, რომლის ქონებაც რეკვიზირებულია, უფლება აქვს იმ გარემოებების მოქმედების შეწყვეტისას, რომელთა გამოც მოხდა რეკვიზიცია, მოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით მისი შენარჩუნებული ქონების დაბრუნება.

რეკლამაცია – რეკლამაცია (პრეტენზია) ეწოდება მოთხოვნის საურავის, საუპიროსა და ჯარიმის გადაუხდელობისა და ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილი დანაკარგების ანაზღაურების შესახებ, რომელიც წარედგინება დამნაშავე მხარეს.

რეკლამაციები იბეჭდება წერილის სახით 4 ცალად, რომელთაგანაც 2 შემდეგში იხმარება როგორც სასარჩელო განცხადების დანართი.

რეკლამაციის შემადგენელი ნაწილებია:

1. რეკლამაციის გამგზავნი დაწესებულების კუთხის შტამპი.

2. დოკუმენტის ნომერი და თარიღი (იწერება შტამპში).

3. იმ ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის დასახელება და მისამართი, რომელსაც გამოეცხადა პრეტენზიები.

4. რეკლამაციის შინაარსი.

5. დანართების ჩამოთვლა.

6. თანამდებობის პირთა ხელმოწერა.

რეკლამაცია (claim. ლათ. reclamatio – ხმამაღალი უკმაყოფილება)

განცხადება ვალდებულებათა არასათანადო შესრულების შესახებ. მყიდველის (დამკვეთის) პრეტენზია პროდუქციის დამაშავებლის ან მიმწოდებლის მიმართ პროდუქციის დეფექტიანობის ან უკომპლექტობის გამო, რაც გაფორმებულია შესაბამისი აქტებით. რეკლამაცია მიიღება თუ იგი გამოწვეულია პროდუქციის კონსტრუქციულ-ტექნიკური ნაკლოვანებებით და არ მიიღება თუ დაკავშირებულია პროდუქციის არასწორ ექსპლუატაციასთან ან დამატებითი გამოკვლევით დეფექტების არსებობა არ დასტურდება.

რეკლამაციები (პრეტენზიები) შეიძლება მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნდეთ სხვადასხვა საფუძვლებით. უფრო ხშირად საქონლის ხარისხის, რაოდენობის, გადახდის ვადის გადაცილების გამო. თუ რეკლამაცია არ გადაწყდა მხარეთა შეთანხმებით, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

განსაზღვრულ შემთხვევებში ხელშეკრულების მხარეები მიმართავენ პრეტენზიით გადამზიდველს და მზღვეველს. არსებობს რეკლამაციის წარდგენის განსაზღვრული ვადები, რომელთა გასვლის შემდეგ იკარგება უფლება მის დაკმაყოფილებაზე.

რეკონსტრუქცია

1. ძირეული გარდაქმნა, გადაკეთება.

2. ახალი პრინციპების მიხედვით გარდაქმნა.

3. რაიმეს აღდგენა შემონახული ნაშთების ან აღწერი...ობის მიხედვით.

რელიგიური ორგანიზაციები – მოქალაქეების, სხვა პირთა ნებაყოფლობით გაერთიანება შუდმივად და კანონიერ საფუძველზე, ერთობლივი აღმსარებლობისა და რწმენის გავრცელების მიზნით და რომელიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია იურიდიული პირის სახით.

რემიტენტი (remitter) – პირი, რომლის სასარგებლოდაც გამოცემულია აკრედიტივი. რემიტენტის როლში შეიძლება იყოს მესამე პირიც და აკრედიტივის მფლობელიც. რემიტენტის მითითება თამასუქში აუცილებელი რეკვიზიტია ჟენევის ერთიანი სათამასუქო კონვენციის მიხედვით (1930 წ.). ინგლისის სათამასუქო სამართალი უშვებს საწარმოდგენლო თამასუქის გამოცემას.

რენტა – კაპიტალიდან, ქონებიდან ან მიწიდან რეგულარულად მისაღები შემოსავალი, რომელიც მიმღებისგან არ მოითხოვს სამეწარმეო საქმიანობას.

რენტაბელობა – საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრება ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საშუალო წლიური ღირებულებასთან და ნორმირებულ საშუალებებთან მოგების ფონდებით.

რენტის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (რენტის მიმღები) მეორეს (რენტის გადამხდელს) საკუთრებაში გადასცემს ქონებას, ხოლო რენტის გადამხდელი ვალდებულია მიღებული ქონების სანაცვლოდ რენტის მიმღებს პერიოდულად გადასცეს გარკვეული ფულადი თანხა. რენტის ხელშეკრულება ბუნებით წარმოადგენს რეალურს (დადებულად ითვლება მომენტიდან, როცა რენტის მიმღები საკუთრებაში გადასცემს შესაბამის ქონებას), ანაზღაურებადს, ალეატორულს. რენტის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენს რენტის მიმღები და მისი გადამხდელი. ხელშეკრულების ფასის ქვეშ იგულისხმება, როგორც პერიოდული სარენტო გადასახადების ოდენობა, ასევე რენტის გამოსასყიდი ფასი (ფულადი თანხა, რომლის გადახდაც გადამხდელს მიერ წყვეტს რენტის ხელშეკრულებას).

რენტის ხელშეკრულება ექვემდებარება ნოტარიულ დამოწმებას, ხოლო თუ საგანს წარმოადგენს უძრავი ქონება, მაშინ სახელმწიფო რეგისტრაციასაც. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მოძრავი ან უძრავი ქონება, რომლის გასხვისებაც ხდება რენტის გადახდის ქვეშ და თაეად მიმღებისთვის გადახდილი რენტა (რენტის გადასახადი). რენტის ხელშეკრულების მიხედვით ქონება შეიძლება გადაცემულ იქნეს რენტის გადამხდელის საკუთრებაში ფულის სახით გადასახადის სანაცვლოდ ან უფასოდ. რენტის უფლებები წარმოადგენს უძრაეი ქონების დატვირთვას ე.ი. ამ ქონებაზე უფლებების მესამე პირისთვის გადაცემისას ნარჩუნდება რენტის მიმღების უფლება, ხოლო თაედაპირველი გადამხდელი იღებს სუბსიდიარულ პასუხისმგებლობას. უძრაეი ქონების გადაცემისას რენტის მიმღები წარმოადგენს ქონების გირაოს მიმღებს. რენტის ხელშეკრულების სახეებს წარმოადგენს: მუდმივი რენტა, სამუდამო, მთელი სიცოცხლე რენტა. იხ. ასევე სამუდამო კმაყოფაზე ყოფნის ხელშეკრულება.

რეორგანიზაცია

იურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობის შეწყვეტა ან სხვაგვარი შეცვლა მისი ქონების და საქმიანობის ლიკვიდაციის გარეშე, რომელიც იწვევს სამართალმემკვიდრეობის ურთიერთობების წარმოშობას. განასხვავებენ იურიდიული პირების რეორგანიზაციის ხუთ სახეს:

1. შეერთების დროს ორი ან მეტი იურიდიული პირი შეირწყმება ერთ, სრულიად ახალ იურიდიულ პირში.

2. მიერთება ნიშნავს, ერთი ან რამდენიმე იურიდიული პირის მიერთებას სხვა იურიდიულ პირთან, რომელიც აგრძელებს არსებობას.

3. გაყოფის დროს ადგილი აქვს ერთი იურიდიული პირის დაყოფას ორი ან მეტი სრულიად ახალი იურიდიული პირის წარმოქმნით.

4. გამოყოფისას, იურიდიული პირის შემადგენლობიდან გამოიყოფა ერთი ან რამდენიმე იურიდიული პირი, ამასთან პირველი იურიდიული პირი აგრძელებს არსებობას.

5. და ბოლოს გარდაქმნა, როდესაც ერთი სახის იურიდიული პირი გარდაიქმნება სრულიად განსხვაეებული ტიპის იურიდიულ პირად.

პარტნიორთა გადაწყვეტილებით შესაძლებელია ერთი ფორმის საზოგადოების გარდაქმნა სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად წილობრივი ურთიერთობებისა და საზოგადოების საქმიანობის საგნის შენარჩუნებით. გარდაქმნა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთაერებიდან ექვსი თვის ეადაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით.

საზოგადოებებსა და ინდივიდუალურ საწარმოს შეუძლიათ გაერთიანდნენ (შერწყმა). საეციო საზოგადოებაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრაელესობა, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვეაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საზოგადოება უერთდება მეორეს. თუ ორივე საზოგადოება ერთიანდება ერთ ახალ საზოგადოებად. საზოგადოება, რომელმაც ძველი საზოგადოება მიიერთა, ან ახლად შექმნილი საზოგადოება – წარმოადგენენ ადრინდელი საზოგადოების (საზოგადოებების) უფლებამონაცვლეს.

საწარმო, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე საწარმო ერთეულია, შეიძლება დაიყოს მის შემადგენლობაში მყოფ საწარმოებად და მათ გააგრძელონ საქმიანობა, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა – სუბიექტებმა საკუთარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

კანონით დადგენილ შემთხვეევებში იურიდიული პირის გაყოფის ან გამოყოფის გზით რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სახელმწიფოს უფლებამოსილმა ორგანომ (იუსტიციის სამინისტრომ) ან სასამართლომ.

რეპატრიაცია – სახელმწიფო მოქალაქეობის, მუდმივი საცხოვრებლის ან ისტორიულ სამშობლოში იმ პირთა დაბრუნება, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით იმყოფებოდნენ სხვა სახელმწიფოებში.

ასე, მაგალითად, ომის დამთავრების შემდეგ ხდება სამხედრო ტყვეებისა და გადადგილებულ პირთა სამშობლოში რეპატრიაცია.

რეპატრიაცია ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შესაბამისი სახელმწიფოების კანონის საფუძველზე. რეპატრიანტები ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობიდან, რომელშიც ისინი ბრუნდებიან, ინარჩუნებენ თავიანთ მოქალაქეობას. უცხოელი

მოქალაქეები და პირები მოქალაქეობის გარეშე რეპატრიაციის დროს ინარჩუნებენ თავიანთ სტატუსს და გარკვეული დროის მანძილზე შეუძლიათ კიდეც დარჩნენ უცხოეთის მოქალაქეებად ან ავტომატურად სახელმწიფოში, სადაც ისინი დაბრუნდნენ. თუმცა, მათ შეუძლიათ მოიპოვონ ამ ქვეყნის მოქალაქეობა მისი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე შესაძლებელია შემთხვევა, როცა ამის გამთვალისწინებელი (კანონის საფუძველზე) რეპატრიანტები იმ სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან, რომელშიც ისინი ბრუნდებიან, ხდებიან მისი მოქალაქეები, თუ რასაკვირველია, ისინი არ არიან ამის წინააღმდეგი. კერძო შემთხვევა – მეზღვაურების რეპატრიაცია რეგულირდება 1926 წ. კონვენციით „მეზღვაურთა რეპატრიაციის შესახებ" (ყოფილ საბჭოთა კავშირში რატიფიცირებულია 1969 წლის 18 ივნისის სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით). მეზღვაური სარგებლობს რეპატრიაციის უფლებით საზღვარგარეთ კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემთხვევაში, თუ ხომალდის მფლობელს არ ძალუძს ვალდებულებების შესრულება გაკოტრების, ხომალდის გაყიდვის, ხომალდის რეგისტრაციის ცვლილების, ხომალდის კატასტროფის მიზეზით, ასევე ნებისმიერი დაავადების ან ტრავმის დროს, სხვა ანალოგიური მიზეზებით. თუ ხომალდის მფლობელს არ ძალუძს რეპატრიაციის ორგანიზება, მას ახორციელებს ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც რეგისტრირებულია ხომალდი ან ის სახელმწიფო, საიდანაც უნდა იქნეს რეპატრირებული მეზღვაური ან მეზღვაურის სამოქალაქო მიკუთვნებულობის სახელმწიფო.

რეპლიკა – პაექრობათა მონაწილის განმეორებითი გამოსვლა პაექრობის შემდეგ, რაც ეფუძნება მხარეთა პაექრობის მონაწილის შენიშვნების გახმოვანებას სხვა მონაწილეთა სიტყვებში გამოთქმულთან მიმართებაში. სიტყვათა წარმოთქმის შემდეგ სასამართლო პაექრობის ყველა მონაწილე შეიძლება გამოვიდეს კიდევ ერთხელ რეპლიკით. რეპლიკის შინაარსი შეიძლება იყოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც წარმოადგენს პაექრობათა საგანს. რეპლიკა – სასამართლო პაექრობის არასავალდებულო ელემენტია. რეპლიკის უფლება უნდა იქნეს გამოყენებული პრინციპული ხასიათის მქონე ფაქტების დამახინჯების წინააღმდეგ გამოსვლის მიზნით. რეპლიკა არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც უკვე თქმულის განმეორება. რეპლიკის უფლება გააჩნია სასამართლო პაექრობის ყველა სუბიექტს. ბოლო რეპლიკის უფლება აქვს დამცველსა და განსასჯელს.

რეპროგრაფია – დოკუმენტის ასლის გადაღების სხვადასხვა ხერხის (ფოტოასლი, ელექტროგრაფიული ასლი, ქსეროასლი და ა.შ.) გამაერთიანებელი სახელწოდება.

რეპროდუცირება (ლათ. reproducere – კლავწარმოება) – 1. ნახატის, სურათის, ბეჭდური ტექსტის კლავწარმოება პოლიგრაფიის ან ფოტოგრაფიის საშუალებებით.

2. სურათი, ნახატი, ტექსტი კლავწარმოებული ასეთი მეთოდით.

რეპუტაცია (image) – 1. ვინმეს ან რაიმეს თვისებებზე, ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე შექმნილი საზოგადო აზრი.

2. კომპანიის საქმიანი რეპუტაცია – კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაწილი. ადამიანთა ცნობიერებაში ჩამოყალიბებული შეხედულებები ორგანიზაციასა და მისი პროდუქციის შესახებ. რეკლამის და საზოგადოებასთან კავშირების განმტკიცების (public relations) ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ხელსაყრელი შთაბეჭდილების შექმნა, ან მისი გაუმჯობესება არაკეთილსაყრელი შეხედულებების დაგროვების შემთხვევაში. განვითარებული უცხოური ქვეყნების პრაქტიკაში ამ ტერმინს სუფთა ეკონომიკური დატვირთვა აქვს, განმარტებულია როგორც სხვაობა კომპანიის ღირებულებასა (თანხა, რომელზედაც თანახმაა, როგორც გამყიდველი, ისე მყიდველიც) და მისი ცალ-ცალკე აღებული აქტივების საბაზრო ღირებულების ჯამს შორის. ასეთი მაჩვენებლის შეფასება პოულობს ასახვას კომპანიის ბალანსში. საქმიანი რეპუტაციის შეფასების მეორე მეთოდია კომპანიის სუფთა მოგების შედარება ზოგადდარგობრივ მოგებასთან. უარყოფით რეპუტაციას (აშშ) აქვს ადგილი, როცა კომპანიის შესყიდვის ფასი უფრო დაბალია, ვიდრე შეძენილი სუფთა აქტივების საბაზრო ფასების ჯამი. ამ შემთხვევაში მიიღება აქტივების საბაზრო ფასების ჯამი. ასევე, ამ შემთხვევაში ხდება გრძელვადიანი აქტივების ღირებულების შეფასების შესწორება შემცირების მიმართულებით. თუ ამგვარი შესწორებების შემდეგაც კომპანიის ფასი ნაკლებია მისი აქტივების ჯამის ფასზე, დარჩენილ სხვაობას ეწოდება უარყოფითი რეპუტაცია, ბალანსში ჩაიწერება საკრედიტო ნაშთი, შემდეგ ეს ნაშთი ამორტიზირდება მოგებაზე პერიოდში, რომელიც არ აღემატება ორმოც წელიწადს.

რესტიტუცია (restitution) – 1. საერთაშორისო სამართალში ომის დროს მოწინააღმდეგის ტერიტორიიდან უმართებულოდ გაზიდული ქონების დაბრუნება.

2. პირვანდელ უფლებრივ და ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენა; სამოქალაქო სამართალში ბათილი გარიგების შედეგად მიღებული ქონების უკან დაბრუნება, თუ დაბრუნება ნატურით შეუძლებელია, მაშინ შესაბამისი ფულადი თანხით ანაზღაურება. ზოგად წესით გამოიყენება ორმხრივი რესტიტუცია, მაგრამ თუ ერთ-ერთი მხარე გარიგების დროს შეგნებულად მეორისთვის საზიანოდ მოქმედებდა, მაშინ გამოიყენება ცალმხრივი რესტიტუცია.

3. პირვანდელი მესაკუთრეებისთვის საცხოვრებელი სახლების, ნაგებობების და ზოგიერთი საწარმოს დაბრუნება პრივატიზაციისა და დენაციონალიზაციის დროს.

რეტორსია საერთაშორისო სამართალში იძულებითი ხასიათის ღონისძიებები, რასაც ერთი სახელმწიფო იყენებს მეორე სახელმწიფოს მიმართ მის მიერ განხორციელებული არამეგობრული და არამართლზომიერი მოქმედების პასუხად.

რეფერენდუმი – მოქალაქეთა საყოველთაო კენჭისყრა კანონპროექტებზე, მოქმედ კანონებზე და სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა საკითხებზე.

კენჭისყრის, ხმის მიცემის მეთოდი კონსტიტუციურ სახელმწიფოში, რომელთაც ამომრჩეველთა საერთო ნაწილი გამოხატავს თავის ნებასურვილს არსებულ კანონმდებლობასა და სამართლისადმი. რეფერენდუმი

შეიძლება იყოს საჯაღდებულო და არასაჯაღდებულო, ე.წ. ფაკულტატური. ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლესობაში კონსტიტუციის დამატებები და შესწორებები საჯაღდებულო რეფერენდუმის საგანს წარმოადგენს, ხოლო არასაჯაღდებულო რეფერენდუმის დროს ამომრჩეველთა ერთი განსაკუთრებული პეტიციით მოითხოვს სახალხო კენჭისყრას რომელიმე განსაზღვრული კანონის გამო. იმის და მიხედვით, რა არის ასარჩევი ან უარსაყოფი, რეფერენდუმები იყოფა კონსტიტუციურად და საკანონმდებლოდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში საჯაღდებულო რეფერენდუმები კონსტიტუციურია, მაშინ როცა არასაჯაღდებულო აბსოლუტური უმრავლესობა საკანონმდებლო ხასიათს ატარებს.

რეცეპტების ან სხვა დოკუმენტების უკანონო გაცემა თუ გაყალბება, რომლებიც იძლევიან ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების უფლებას – რეცეპტის გაცემა შესაბამისი სამედიცინო ჩვენებების გარეშე ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების დანიშვნის ან გაფორმების დადგენილი წესების დარღვევით.

ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების უფლების მიმნიჭებელ სხვა დოკუმენტებს განეკუთვნება დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენენ საუფლებო აღნიშნული საშუალებების ან ნივთიერებების გაცემისათვის (გაყიდვისათვის). ასეთ დოკუმენტებს წარმოადგენს ლიცენზიები გარკვეული სახის საქმიანობაზე, რომელიც უკავშირდება ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ბრუნვას, სამედიცინო დაწესებულების განცხადება ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღებაზე სამკურნალო მიზნით გამოყენებისათვის, ამონაწერი სტაციონარული ავადმყოფის ავადმყოფობის ისტორიიდან, სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები და ა.შ.

რთული პროგრესია პროგრესული გადასახადით დაბეგვრის ამოცანებს ყველაზე მეტად შეესაბამება რთული პროგრესიის სისტემა, ისევე როგორც პროგრესიის სხვა სისტემებში, რთული პროგრესიის სისტემაში საგადასახადო ბაზა დაყოფილია საგადასახადო თანრიგებად, თუმცა თითოეული თანრიგი არსებობს დამოუკიდებლად, იბეგრება ცალკე თავისი განაკვეთიდან გამომდინარე, რაც არაა დამოკიდებული საგადასახადო ბაზის საერთო ოდენობაზე.

რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ (რიოს დეკლარაცია) – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს 27 საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო პრინციპს ბუნების დაცვაზე, რომელთაგან პირველი გვამცნობს: „ადამიანზე ზრუნვა წარმოადგენს ცენტრალურ რგოლს მყარი განვითარების უზრუნველყოფის საქმიანობაში. ადამიანებს უფლება აქვთ იცხოვრონ ჯანსაღად და ნაყოფიერად იმრომონ ბუნებასთან ჰარმონიაში“, რიოს დეკლარაციის თანახმად „მყარი განვითარების მისაღწევად გარემოს დაცვა უნდა შეადგენდეს განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება განიხილებოდეს მისგან მოწყვეტილად, რიოს დეკლარაცია მიღებულია გაერო-ს გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე 1992 წ. 14 ივნისს ქ. რიო-დე-ჟანეიროში.

რკინიგზის, საჰაერო ან წყლის ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა – სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების მოთხოვნებზე უარის თქმა, მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება, მათ სამართავად არასათანადო პირების დაშვება, მგზავრებითა თუ ჭონებით გადატვირთვა და ა.შ.

მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა მოიცავს სხვადასხვაგვარ გადაცდომას მოძრავი სატრანსპორტო საშუალების მართვის დადგენილი წესისგან: გაცლა აკრძალვით სიგნალზე, პილოტის მიერ მარშრუტის დაუცველობა, შემხვედრ წყლის ტრანსპორტთან გემწყვანის არასწორი გვერდის აცლა და ა.შ.

ექსპლუატაციის წესების დარღვევა გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას არადანიშნულებისამებრ; კვანძებისა და მექანიზმების ტექნიკური მომსახურების მოთხოვნებისგან გადაცდომა, რომლებიც უზრუნველყოფენ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოებას, უცხო პირთა დაშვება სამართავად, მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის არასწორი ზომების მიღება გადასმისა და ჩასხდომის დროს, ტვირთის დატვირთვისა და ჩამოტვირთვისას ან სხვა სახის დარღვევები.

რწმუნების სიგელი – დოკუმენტი, რომელიც გაიცემა აკრედიტირებული სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის მიმართ, რომელსაც გააჩნია ელჩის ან დესპანის კლასი. რწმუნების სიგელი გაიცემა აკრედიტირებული სახელმწიფოს მეთაურის ხელმოწერის შემდეგ და მყარდება საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმოწერით. რწმუნების სიგელი მიმართულია სახელმწიფოს მეთაურისათვის, რომელშიც ნიშნება ელჩი ან დესპანი. რწმუნების სიგელში მითითებულია დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის სახელი, გვარი და კლასი და არის თხოვნა მიიღონ ის კეთილგანწყობით და ენდონ ყოველივე იმას, რასაც ის ეტყვის აკრედიტირებული სახელმწიფოსა და მისი მთავრობის მეთაურის სახელით. დანიშნულების ქვეყანაში მისელისთანავე ელჩი ან დესპანი გარკვეულ დღეს, საზეიმო ვითარებაში გადასცემს რწმუნების სიგელს სამყოფელი სახელმწიფოს მეთაურს. სახელმწიფოთა უმრავლესობაში რწმუნების სიგელის გადაცემის მომენტიდან დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური ითვლება ოფიციალურ ძალაში შესულად.

რწმუნების სიგელის გადაცემის დღესა და საათსაც კი გააჩნია დიდი მნიშვნელობა დიპლომატიური წარმომადგენლების მეთაურის უფროსობის განსაზღვრისთვის დიპლომატიურ კორპუსში. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, რომელსაც გააჩნია საქმეებში რწმუნებულის კლასი, სამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცემს აკრედიტირებული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის რწმუნების წერილს.

რწმუნებულება – იურიდიული დოკუმენტი, რომელიც აძლევს ერთ პირს უფლებამოსილებას იმოქმედოს მეორე პირის სახელით მთლიანობაში ან გარკვეული მიზნებით, გარკვეულ სფეროებში ან გარკვეული ვადით.

რწმუნებული – 1. პირი, რომელიც დაავალების ხელშეკრულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.

2. საპატენტო რწმუნებული არის პირი, რომელიც განმცხადებლის ან პატენტის მფლობელის დავალებით ასრულებს მოქმედებებს მიმართულს გამოგონებათა სამართლებრივი დაცვის და საპატენტო უფლების გამოყენებასა და დაცვისაკენ. უცხოების ქვეყნებში გამოიყენება ამერეკე ტერმინი „საპატენტო აგენტი“, თუ სპეციალისტს არ გააჩნია საჭირო პროფესიონალური იურიდიული მომზადება.

ს

საავტორო, მომიჯნავე, გამომგონებლური და საპატენტო უფლებების დარღვევა – ნაწარმოებების ეგზემპლარების ან ფონოგრამების შემოტანა, გაყიდვა, გაქირავება ან სხვა უკანონო გამოყენება შემოსაღლის მიღების მიზნით, თუ ნაწარმოებების ეგზემპლარები ან ფონოგრამები წარმოადგენენ კონტრაფაქტულს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად ან ნაწარმოებების ეგზემპლარებსა და ფონოგრამებზე მითითებულია ცრუ ინფორმაცია მათი დამამზადებლების, მათი წარმოების ადგილის, ასევე საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა შესახებ, ისევე როგორც შემოსაღლის მიღების მიზნით საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვაგვარი დარღვევისას. გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის უკანონო გამოყენება, ავტორის ან განმცხადებლის თანხმობის გარეშე გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის არსის გახმოვანება მათზე ცნობების ოფიციალური გამოქვეყნება არის ავტორობის მითვისება ან თანაავტორობის იძულება.

საავტორო უფლება – ობიექტური გაგებით, ესაა სამოქალაქო სამართლის ნორმების ერთობლიობა (ინსტიტუტი), რომლებიც არეგულირებენ ავტორობის აღიარებისა და ავტორებისა და უფლების მფლობელების არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების დაცვის ურთიერთობებს; სუბიექტური გაგებით, ესაა ავტორებისა და სხვა უფლების მფლობელების ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების ერთობლიობა.

საავტორო უფლება ერცელდება მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც: ა) წარმოადგენენ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს; ბ) არსებობენ ობიექტური ფორმით. შემოქმედებითი საქმიანობის კრიტერიუმებს წარმოადგენს დამოუკიდებლობა, პროდუქტიული ხასიათი. ნებისმიერი ნაწარმოები დაცულია დანიშნულებისა და ღირსების (დადებითი თვისებების) მიუხედავად. მოქმედებს ნაწარმოების შექმნის შემოქმედებითი ხასიათის პრეზუმფცია. ობიექტური ფორმის ქვეშ იგულისხმება ავტორის მიერ შექმნილი იდეალური სახეების გარე გამოხატვის ფორმა. ნაწარმოების გაცნობა ხდება შემდეგი ფორმების მეშვეობით: წერილობითი, ზეპირი (საჯარო წარმოთქმა), მოცულობით-სივრცითი და ა.შ. დაცვა ასევე ვრცელდება ნაწარმოების ნებისმიერ ორიგინალურ ნაწილზე, რომელიც დაცულია, როგორც ცალკე ნაწარმოები. საავტორო უფლების ობიექტებს არ წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტები და მათი ოფიციალური თარგმანი; სახელმწიფო სიმბოლოები; ცნობები მოვლენებისა და ფაქტების შესახებ, რომლთაც აქვთ ინფორმაციული ხასიათი.

საავტორო უფლებების კოლექტიური მართვა ავტორების, შემსრულებლების, ფონოგრამების და საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელთა ქონებრივი უფლებების განხორციელება ორგანიზაციების მიერ იმ შემთხვევებში, როცა მათი პრაქტიკული განხორციელება ინდივიდუალური წესით არის გაძნელებული (საჯარო შესრულება, ნაწარმოებების აღდგენა მექანიკური, მაგნიტური და სხვაგვარი ჩაწერის გზით, რეპროდუცირება და სხვ.). მოცემული ორგანიზაციები შეიძლება დაფუძნდეს არაკომერციული ორგანიზაციების (უპირველეს ყოვლისა, არაკომერციული პარტნიორობის, ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციებისა და იურიდიული პირების გაერთიანებათა) ფორმით. საავტორო ან მომიჯნავე უფლებების მფლობელს შეუძლია ნებაყოფლობით დადოს წერილობითი ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც ეალდებულია დადოს ასეთი ხელშეკრულება, თუ ეს შეესაბამება მის საწესდებო მიზნებს. ეს ხელშეკრულება არ წარმოადგენს საავტოროს (არსებობს აზრი, რომ მოცემული ხელშეკრულება არის ხელშეკრულება ქონების მინდობილობითი მართვის შესახებ). მოცემული ხელშეკრულების მიხედვით უფლების მფლობელ ორგანიზაციას გადასცემს უფლებას განახორციელოს (გამოიყენოს) თავისი ქონებრივი უფლებები კოლექტიურ საფუძველზე, ხოლო ორგანიზაცია საკუთარ თავზე იღებს ასეთი უფლებების განხორციელებას. თავად ორგანიზაციას უფლება არა აქვს გამოიყენოს ობიექტები, რომლებიც მიღებულია მის მიერ სამართალად. შემდგომში ორგანიზაცია დებს ხელშეკრულებას გამომყენებლებთან (სალიცენზიო ხელშეკრულებები) ან სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც უფლებებს მართავენ კოლექტიურ საფუძველზე. ორგანიზაციას უფლება არა აქვს უარი უთხრას გამომყენებელს დადოს სალიცენზიო ხელშეკრულება, რომელმაც მას მიმართა ამ თხოვნით. კოლექტიურ საფუძველზე ქონებრივი უფლებების მმართველი ორგანიზაცია გამომყენებლებთან ათანხმებს ანაზღაურების ოდენობას; ლიცენზიას სთავაზობს გამომყენებლებს, ანაწილებს და გასცემს შეგროვებულ ანაზღაურებას საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებს შორის. ანაზღაურების გაცემასთან ერთად ორგანიზაცია ვალდებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებს წარუდგინოს ანგარიშები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს მათი უფლებების გამოყენების შესახებ.

საავტორო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ავტორი (უფლების მფლობელი) ვალდებულია სხვა მხარეს (გამომყენებელს) გადასცეს საავტორო ქონებრივი უფლება ნაწარმოებზე, ხოლო ავტორის ნაწარმოების გამომყენებელი (გამომცემელი) ვალდებულია გამოიყენოს ნაწარმოები, რომელსაც იცავს საავტორო უფლება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და ავტორს გადაუხადოს დადგენილი გასამრჯელო (იხ. ავტორის ქონებრივი უფლებები) შექმნილ ნაწარმოებზე (იხ. შეკვეთის საავტორო ხელშეკრულება). მხარეებია: ავტორი ან სხვა უფლების მფლობელი (სამართალმემკვიდრეები და ა.შ.) და გამომყენებელი.

საავტორო ხელშეკრულება ანაზღაურებადია. ჩვეულებრივ, გასამრჯელო განისაზღვრება ნაწარმოების გამოყენებისგან მიღებული შემოსავლისგან პროცენტის სახით. დასაშვებია, გარკვეული პროცენტის დადგენა ნაწარმოების მთელს მოცულობაზე ან გასამრჯელოს ცალილების შესაძლებლობა – გამოყენების მოცულობის მიხედვით. დასაშვებია გასამრჯელოს დადგენა სხვაგვარადაც, თუ გასამრჯელოს განსაზღვრა შემოსავლის პროცენტის სახით შეუძლია ნაწარმოების სახესთან ან მისი გამოყენების თავისებურებებთან დაკავშირებით (მაგალითად, ერთჯერადი გასამრჯელო მთელი გამოყენების მოცულობაზე – ფიქსირებული თანხა ან პაუშალური ანუ საერთო-შთლიანი გადასახადი).

საავტორებულოდ ითვლება საავტორო ხელშეკრულების წერილობითი ფორმა, ნაწარმოების პერიოდულ გამოცემებში გამოყენების შესახებ საავტორო ხელშეკრულების გარდა, რაც მდგომარეობს ზეპირ ფორმაში. ეგმ (ელექტრო გამომთველი მანქანა) და მონაცემთა ბაზისთვის პროგრამების წედომის მასიური გამომყენებლისთვის შეთავაზებისა და გაყიდვისას დასაშვებია ხელშეკრულებათა დადების განსაკუთრებული წესის გამოყენება, მაგალითად, პროგრამებისა და მონაცემთა ბაზის გადასაცემ ეგზემპლარებზე ხელშეკრულების ტიპიური პირობების გადმოცემის გზით.

საავტორო ხელშეკრულებში განისაზღვრება: ა) ნაწარმოების გამოყენების საშუალებები (ხელშეკრულებით გადასაცემი კონკრეტული უფლებები); ბ) ის ვადა, რომლის მანძილზეც გადაიცემა უფლებები; გ) ტერიტორია, სადაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოები. თუ ხელშეკრულებაში არაა მითითებული ის ტერიტორია, სადაც მყიდველს (გამომყენებელს) უფლება აქეს გამოიყენოს მიღებული უფლებები – ითვლება, რომ უფლებები გადაცემულია მაგალითად, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე; (ეი. იქ სადაცა ეს ხდება) დ) გასამრჯელოს ოდენობა დ/ან გასამრჯელოს ოდენობის განსაზღერის წესი თითოეული სახის გამოყენებაზე; ე) გასამრჯელოს გადახდის ვადები; ვ) სხვა პირობები, რომელთაც მხარეები არსებითად ჩათვლიან. თუ ქონებრივი უფლება პირდაპირ არაა გადაცემული საავტორო ხელშეკრულებით ან უცნობი იყო ხელშეკრულების დადების დროს, ითვლება, რომ ის ნარჩუნდება გამჟიდველზე (ავტორზე).

საავტორო ხელშეკრულება იყოფა: ა) საავტორო ხელშეკრულებად განსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ და ბ) საავტორო ხელშეკრულებები არაგანსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ. თუ სხვა რამ პირდაპირ არაა გათვალისწინებული საავტორო ხელშეკრულებაში, მაშინ საავტორო ხელშეკრულებით გადასაცემი უფლებები ითვლება არაგანსაკუთრებულად. ნებისმიერ შემთხვევაში, საავტორო ხელშეკრულება არ შეიძლება ზღუდავდეს მომავალში გარკვეულ თემაზე ან გარკვეულ სფეროში ნაწარმოებების შექმნისა და მათი გამოყენების საავტორო უფლებას. საავტორო ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ გადასაცემი ქონებრივი უფლება იმოქმედებს გარკვეული პერიოდის მანძილზე ან გარკვეულ ტერიტორიაზე, როგორც განსაკუთრებული, ხოლო სხვა დროის მონაკვეთში ან სხვა ტერიტორიაზე, როგორც არაგანსაკუთრებული უფლება.

საავტორო ხელშეკრულება არაგანსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ – საავტორო ხელშეკრულების სახე, რომელიც ითვალისწინებს გამომყენებლისთვის არაგანსაკუთრებული ქონებრივი უფლებების გადაცემას ნაწარმოების გამოყენებაზე. გადასაცემი უფლებები მოქმედებენ მხოლოდ ავტორთან მიმართებაში და გამომყენებელს (ავტორს) არ აძლევს არანაირ უფლებას აღკვეთოს ნაწარმოების გამოყენება მესამე პირების მიერ. იხ. ასევე ავტორის ქონებრივი უფლებები.

საავტორო ხელშეკრულება განსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ – საავტორო ხელშეკრულების სახე, რომელიც ითვალისწინებს განსაკუთრებული უფლებების გამომყენებლისთვის გადაცემას ნაწარმოების გამოყენების მხრივ. გამომყენებელი ხდება ქონებრივი უფლებების ერთადერთი მფლობელი (ხელშეკრულებაში მითითებულ ფარგლებში) და მას შეუძლია აუკრძალოს ნებისმიერ სხვა პირს (მათ შორის, ავტორს) ნაწარმოების გამოყენება. ამასთან, ავტორი, რომელმაც გადასცა განსაკუთრებული ქონებრივი უფლებები ინარჩუნებს სხვა პირების მიერ ნაწარმოების გამოყენების აკრძალვის უფლებას, თუ განსაკუთრებული უფლების მქონე მფლობელი, რომელმაც ის ხელშეკრულებით მიიღო, არ ახორციელებს ამ უფლების დაცვას თავად.

საანდერძო დაკისრება (ლეგატი) – სამოქალაქო სამართალში ანდერძის მიხედვით მემკვიდრეზე გარკვეული მოქმედებების განხორციელების ვალდებულების დაკისრება ერთი ან რამდენიმე პირის (ანდერძდანაკისრების) სასარგებლოდ, რომლებიც იღებენ უფლებას მოითხოვონ მისი (ვალდებულების) შესრულება.

საანდერძო დაკისრების (ლეგატის) არსი მდგომარეობს იმაში, რომ მემკვიდრეობის შემადგენელი უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობიდან, გარკვეულ პირს ან პირებს გადაეცემა მხოლოდ გარკვეული უფლება – კრძნო (სინგულარული) სამართალმემკვიდრეობა. ანდერძდანაკისრები არ წარმოადგენს მემკვიდრეს. ამის ძალით, ანდერძდანაკისრები პასუხისმგებელნი არ არიან მემკვიდრეობის მიმცემის ვალებზე, არ იხდიან სახელმწიფო ბაჟს საანდერძო განკარგულების ერთ-ერთ სახეს, რომლის ძალითაც მასზე მითითებას უნდა ჰქონდეს ადგილი ანდერძის ფორმაში. ანდერძის გარეთ საანდერძო დაკისრებას ძალა არ გააჩნია, არის რა ანდერძის შემადგენელი ნაწილი, საანდერძო დაკისრება უნდა გაკეთდეს თავად

მოპასუხის მიერ და არ შეიძლება ანდერძში ჩაირთოს მისი სასამართლოს მიერ განსარჩევის გზით.

საანდერძო დაკისრების (ლეგატის) ობიექტი შეიძლება იყოს გარკვეული ფულადი თანხის გადაცემა, ვალის პატიება, რაიმე ქონებით სარგებლობის უფლების მიცემა, რაიმე ნივთის გადაცემა ანდერძდანაკისრისთვის სამემკვიდრეო მასიდან, ვალდებულების დაკისრება მემკვიდრისთვის არა უშუალოდ, არამედ მემკვიდრეზე დაკისრებული ვალდებულების ფორმით. ამის ძალით, მემკვიდრესა და ანდერძმემკვიდრეს შორის მყარდება ვალდებულებითი სამართალდამოკიდებულებები, სადაც მემკვიდრე გამოდის ვალის, ანდერძდანაკისრი კი, შესაბამისად, კრედიტორის სახით. ანდერძდანაკისრს შეუძლია უარი თქვას საანდერძო დაკისრებაზე. ანდერძდანაკისრები შეიძლება იყოს, როგორც კანონის მიხედვით მემკვიდრეთა წრეში შემავალი, ასევე არშემავალი პირები. მემკვიდრემ, რომელსაც ეკისრება მოპასუხის მიერ საანდერძო დაკისრების (ლეგატის) შესრულება, უნდა შეასრულოს ის მხოლოდ მასზე გადასული მემკვიდრეობითი ქონების ნამდვილი ღირებულების ფარგლებში, მემკვიდრეობის მიმცემის ვალების ნაწილის გამოქვითვით, რომელიც მასზე მოდის.

მემკვიდრეობის გახსნამდე ანდერძდანაკისრის სიკვდილის შემთხვევაში საანდერძო დაკისრება (ლეგატი) უქმდება. შესაძლებელია შემთხვევები, როცა ანდერძდანაკისრი კვდება მემკვიდრეობის გახსნის შემდეგ, მაგრამ იმ მომენტამდე, როცა ანდერძით მემკვიდრე მოასწრებს მის მიღებას. ისევე როგორც ნებისმიერი ქონებრივი უფლება, საანდერძო დაკისრების (ლეგატის) მიღების უფლება ამ შემთხვევაში გადადის ანდერძდანაკისრის მემკვიდრეებზე – ისინი ხდებიან ანდერძით თავდაპირველი მემკვიდრის კრედიტორები. გამონაკლისს შეადგენს ის საანდერძო დანაკისრები, რომელთა შესრულებაც უკავშირდება ანდერძდანაკისრის პიროვნებას.

საარბიტრაჟო და სამოქალაქო სამართალწარმოების სახეები – სისხლის სამართლის საქმეების აღძრის, განხილვის, გადაწყვეტის საპროცესო წესი ზოგადი იურისდიქციისა და საარბიტრაჟო სასამართლოებში, რაც განიხაზღვრება დასაცავი მატერიალური სამართლის სახითა და სპეციფიკით.

საარბიტრაჟო სამართალწარმოებაში გამოიყენება რამდენიმე სახე: 1) სასარჩელო წარმოება; 2) ადმინისტრაციული და სხვა საჯარო სამართალურთიერთობებიდან წარმოქმნილი საქმეების წარმოება; 3) განსაკუთრებული წარმოება; 4) ვალაუვალობის (გაკოტრების) შესახებ საქმეების წარმოება; 5) გამარტივებული წარმოება; 6) სხვა სახის წარმოება. სამოქალაქო სამართალწარმოებაში: 1) სასარჩელო წარმოება; 2) საჯარო სამართალურთიერთობებიდან წარმოქმნილი საქმეების წარმოება; 3) განსაკუთრებული წარმოება; 4) ბრძანებითი წარმოება; 5) სხვა სახის წარმოება.

საარბიტრაჟო პროცესი (საარბიტრაჟო სამართალწარმოება) – საარბიტრაჟო საპროცესო სამართლის ნორმებით დარეგულირებული საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობა მისი კომპეტენციის ქვეშ მყოფი საქმეების განხილვის, გადაწყვეტისა და გადახედვის თაობაზე.

საარბიტრაჟო სამართალწარმოების ამოცანებში შედის: ა) იმ პირთა დარღვეული ან სადავო უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომლებიც

სასამართლო განხილვა განსასჯელის დაუსწრებლად შეიძლება დაშვებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მცირე ან საშუალო სიმძიმის დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე ის შუამდგომლობს, მის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვის თაობაზე.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საჯალდებულოა დამცველის მონაწილეობა, თუ: ა) ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა უარი არ განაცხადა დამცველზე; ბ) ეჭვმიტანილი, ბრალდებული წარმოადგენს არასრულწლოვანს; გ) ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლოვანებების ძალით არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს დაცვის უფლება; დ) ეჭვმიტანილი, ბრალდებული არ ფლობს ენას, რომელზეც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება; ე) პირს ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, რომელზეც სასჯელი შეიძლება იყოს თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე ზემოთ, თავისუფლების უვადო აღკვეთა; ვ) სისხლის სამართლის საქმე ექვემდებარება ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სასამართლოს მიერ განხილვას; ზ) ბრალდებულმა განაცხადა შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის განხილვის შესახებ.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო სააპელაციო საჩივრებისა და წარდგინების მიხედვით ამოწმებს მოქრიგებელი მოსამართლის განაჩენისა და დადგენილების კანონიერებას, დასაბუთებულობასა და სამართლიანობას.

სასამართლო გამოძიება ხდება სასამართლო განხილვის ზოგადი წესების მიხედვით. საქმის განხილვის დასრულებისთანავე სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება.

ეწევიან სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას; ბ) მართლმსაჯულების მისაწვდომობის უზრუნველყოფა სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში; გ) სამართლიანი საჯარო სასამართლო განხილვა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, კანონით დადგენილ ვადებში; დ) კანონიერების განმტკიცება და სამართალდარღვევათა თავიდან აცილება სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში; ე) კანონისა და სასამართლოს მიმართ ღირსეული დამოკიდებულების ფორმირება; ვ) საქმიანი პარტნიორული ურთიერთობების, საქმიანი ბრუნვის ეთიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა.

საარბიტრაჟო სასამართლოსთვის მიმართვა ხდება შემდეგი ფორმით: ა) სასარჩელო განცხადება – ეკონომიკურ და სხვა საქმეებზე, რომლებიც ჩნდება სამოქალაქო სამართალდამკიდებულებებისგან; ბ) განცხადებები – საქმეებზე, რომლებიც წარმოიქმნება ადმინისტრაციული და სხვა საჯარო სამართალდამკიდებულებებისგან, გაკოტრების, განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე, ზედამხედველობის წესით სასამართლო აქტების გადახედვის შესახებ მიმართვის დროს და სხვა შემთხვევებში; გ) საჩივრები – სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის საარბიტრაჟო სასამართლოსთვის მიმართვისას და ასევე სხვა შემთხვევებში, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული; დ) წარდგინება – გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილეებისთვის მიმართვის დროს.

სასამართლოს საქმიანობა მიმდინარეობს განსაკუთრებული ფორმით, რომელსაც ეწოდება საპროცესო. საარბიტრაჟო საპროცესო ფორმის ძირითადი შტრიხები მდგომარეობს იმაში, რომ: ა) საარბიტრაჟო პროცესის ყველა მონაწილე ახორციელებს მხოლოდ საარბიტრაჟო საპროცესო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ მოქმედებებს; ბ) საარბიტრაჟო სასამართლოსა და პროცესის მონაწილეებს შორის ურთიერთობებს გააჩნია სამართალდამკიდებულებათა სახე; გ) მხარეებს გააჩნიათ თანაბარი შესაძლებლობები დაიცვან თავიანთი უფლება, პროცესში მონაწილეობის, მტკიცებულებათა წარმოდგენის, სამართლებრივი დახმარების გამოყენების, გადაწყვეტილებათა გასაჩივრების, აღმასრულებელ წარმოებაში მონაწილეობის უფლება. საარბიტრაჟო საპროცესო ფორმის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ორგანიზაციებს, მოქალაქე-მეწარმეებს ეძლევათ მათი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების დაცვის გარანტია, დარღვეული სამართლის აღდგენის გარანტია.

ტერმინები „საარბიტრაჟო", „არბიტრაჟი" გამოიყენება იმ ორგანოების სახელწოდებებშიც, რომლებიც არ შედიან საარბიტრაჟო სასამართლოების სისტემაში და ახორციელებენ უფლებების დაცვას სამედიატორო განხილვის ფორმით, მაგალითად, საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლო.

საარბიტრაჟო სასამართლო

სახელმწიფო სასამართლო ორგანო, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ეკონომიკური დავების გადაწყვეტისა და სხვა საქმეების განხილვის გზით, რომლებიც განეკუთვნება მის კომპეტენციას კონსტიტუციისა და სხვა კანონების შესაბამისად. საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობა იგება კანონიერების, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის, საქმის განხილვის საჯაროობის პრინციპების საფუძველზე.

საარჩევნო ბლოკი

– ორი ან მეტი საზოგადოებრივი გაერთიანების ნებაყოფლობითი გაერთიანება კანონითა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად, არჩევნებში ერთობლივი მონაწილეობისთვის. საარჩევნო ბლოკს გააჩნია საარჩევნო გაერთიანების უფლებები.

საარჩევნო გაერთიანება

– საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის წესდებაც ითვალისწინებს არჩევნებში მონაწილეობას კანდიდატების წამოყენების მეშვეობით, რომელიც შექმნილი და რეგისტრირებულია კანონებისა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

საარჩევნო დოკუმენტების გაყალბება

– საარჩევნო კომისიის, რეფერენდუმის კომისიის წევრის, საარჩევნო გაერთიანების, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის, საინიციატივო ჯგუფის უფლებამოსილი წარმომადგენლის, ასევე კანდიდატის ან მის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ამ დოკუმენტებში ცრუ ცნობების შეტანა.

საარჩევნო კომისია

– კოლეგიალური ორგანო, რომელიც ყალიბდება კანონის მიერ დადგენილი წესითა და ვადებში და რომელიც ახდენს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების უზრუნველყოფის ორგანიზებას. კომისიები, რომლებიც ახდენენ პრეზიდენტის, დეპუტატების არჩევნების ჩატარებისს ორგანიზებას, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციით და უშუალოდ აირჩევა მოქალაქეების მიერ კანონის შესაბამისად.

საარჩევნო უფლებები

მოქალაქეთა უფლება აირჩიონ (აქტიური საარჩევნო უფლება) და იყვნენ არჩეულნი (პასიური საარჩევნო უფლება) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში.

სააქციო საზოგადოება

– კომერციული იურიდიული პირი, რომელიც წარმოქმნილია ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, რომლებიც პასუხს არ აგებენ მის ვალდებულებებით, წილებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალით, რომელზეც უფლებები დადასტურებულია ფასიანი ქაღალდებით – აქციებით. სააქციო საზოგადოების დამფუძნებელ დოკუმენტს წარმოადგენს დამფუძნებლების შეკრებაზე მიღებული წესდება. წესდების გარდა დამფუძნებლებმა შეიძლება დადონ დამფუძნებელი ხელშეკრულება-შეთანხმება საზოგადოების დაფუძნებაზე ერთობლივი საქმიანობის შესახებ. წესდებაში ფიქსირდება საწესდებო კაპიტალის სიდიდე, რომლის გაერთიანებაც გადაწყვეტეს დამფუძნებლებმა იურიდიული პირის შექმნისას. სააქციო საზოგადოების დაფუძნების დროს მისი საწესდებო კაპიტალი უნდა შედგებოდეს გარკვეული რაოდენობის ჩეეიულებრივი აქციისგან ერთნაირი ნომინალური ღირებულებით და ასევე მოიცავდეს პრივილეგირებული აქციების არა უმეტეს 25%.-ს ასეთ აქციებს ეწოდება განთავსებული, რამდენადაც მათი შემდგომი მყიდველები (აქციონერები) უკვე ცნობილია. აქციის ყველა მფლობელის რეგის-

ტრაცია ხდება აქციონერთა სპეციალურ რეესტრში, რომელსაც აწარმოებს თავად სააქციო საზოგადოება ან სპეციალიზირებული ორგანიზაცია-რეგისტრატორი. ეს უკანასკნელი სავალდებულოა, თუ სააქციო საზოგადოებაში 500 აქციონერზე, ჩვეულებრივ აქციების მფლობელზე მეტია. ამგვარად, დაუშვებელია წარმომდგენზე აქციების გამოშვება. საწესდებო კაპიტალის შემცირება ან გაზრდა ხდება საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

სააქციო საზოგადოების წეერობა უკავშირდება პირადი და ქონებრივი უფლებების მოპოვებას. აქციონერის პირად უფლებებს განეკუთვნება სააქციო საზოგადოების საქმების მართვაში მონაწილეობის უფლება. ქონებრივ უფლებებს განეკუთვნება სააქციო საზოგადოების მოგების ნაწილის მიღების უფლება დივიდენდის, ქონების ნაწილის სახით, რომელიც დარჩა მისი ლიკვიდაციის შემდეგ. სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოებს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, ასევე დირექტორთა საბჭო (სამეთვალყურეო საბჭო), რომელიც იქმნება, თუ საზოგადოებაში 50-ზე მეტი წევრია. სააქციო საზოგადოების აღმასრულებელ ორგანოებს წარმოადგენს ერთპიროვნული და/ან კოლეგიალური ორგანო (გამგეობა, დირექცია და ა.შ.). მათი კომპეტენცია განისაზღვრა კანონით „სააქციო საზოგადოებების შესახებ" და სააქციო საზოგადოების წესდებით. გარდა ამისა, საზოგადოების მართვა ხელშეკრულების მიხედვით შეიძლება დაევალოს გარეშე მმართველებსაც – იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

საალსრულებო ფურცელი – საალსრულებო საბუთის ნაირსახეობა. გაიცემა სასამართლო გადაწყვეტილებით, განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა საფუძველზე. საალსრულებო ფურცელში სიტყვა-სიტყვით გადმოცემულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მითითებულია სასამართლოს დასახელება და საქმე, რომელზედაც გაიცა საალსრულებო ფურცელი. გადაწყვეტილების გამოტანის და კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი, საალსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი, კრედიტორისა და მოვალის დასახელება და მისამართები. საალსრულებო ფურცელს ხელს აწერს მოსამართლე და იგი დამოწმებულ უნდა იქნეს სასამართლოს ბეჭდით. ყოველ გადაწყვეტილებაზე, როგორც წესი, გაიცემა ერთი საალსრულებო ფურცელი. თუ აღსრულება უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ადგილებში, ან თუ საქმეში მონაწილეობდა რამდენიმე მოსარჩელე ან მოპასუხე, სასამართლოს შეუძლია გასცეს რამდენიმე საალსრულებო ფურცელი.

საალსრულებო წარწერა – ნოტარიუსის განკარგულება მოვალეს, შესრულებული წარწერის სახით საკალო დოკუმენტზე განსაზღვრული ფულადი თანხის ან რაიმე ქონების ზღვევინების შესახებ წარმოადგენს ინგლისურ-ჰოლანდიური სამეურნეო სამართლის ელემენტს.

საბაჟო კარი ფეოდალური საქართველოში სასამართლო დაწესებულება, სამსჯავრო. დვით აღმშენებლის რეფორმების შედეგად საბჭო კარი გარდაიქმნა უმაღლეს სასამართლო ორგანოდ, რომელიც იხილავდა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე შეტანილ საჩივრებს.

საბაზრო ფასი – საშუალო ფასი, რომლითაც შეიძლება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ყიდვა მოცემულ ბაზარზე, ან მოცემულ საქონელთან დაკავშირებული გარიგებების საშუალო ფასი დროის კონკრეტულ პერიოდში. უმრავლეს შემთხვევაში არის თავისუფალი და ყალიბდება უშუალოდ ბაზარზე თავისი შინაარსით. იგი არის სახელშეკრულებო, თუმცა მოლაპარაკების ფორმალური აქტი მყიდველსა და გამყიდველს შორის, როგორც წესი, არ არსებობს, მაგრამ, რადგან გამყიდველი დაინტერესებულია გაყიდოს თავისი საქონელი რაც შეიძლება ძვირად, ხოლო მყიდველი დაინტერესებულია შეიძინოს რაც შეიძლება იაფად საბოლოო ჯამში ფასი ყალიბდება მათი ურთიერთსაპირისპირო ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე. ბაზრის თავისუფალ ფასებს საქონლზე განსაზღვრავს მიწოდებისა და მოთხოვნილების მექანიზმი.

საბანკო ანაბარის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარეა (ბანკი), რომელმაც მეორე მხარისგან (მეანაბრისგან) ვალდებულება ან მისთვის განკუთვნილი თანხა (ანაბარი) მიიღო, ვალდებულია დაბრუნოს ანაბრის თანხა მას და გადაუხადოს მასზე პროცენტები ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. საბანკო ანაბრის ხელშეკრულება ბუნებით წარმოადგენს რეალურს (ე.ი. ითვლება დადებულად ბანკისთვის ანაბრის გადაცემის მომენტში), ცალმხრივად სავალდებულოს, ანაზღაურებად. საბანკო ანაბრის ხელშეკრულება, რომელშიც მეანაბრეს წარმოადგენს მოქალაქე – აღიარებულია საჯარო ხელშეკრულებად. საბანკო ანაბრის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფული (ანაბარი), რომელიც გამოხატულია ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში.

საბანკო ანაბრის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენს ბანკი და მეანაბრე. მეანაბრე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, თუმცა მეანაბრე-მოქალაქეს გააჩნია დამატებითი დაცვა (მოქალაქე-მეანაბრეს მოთხოვნების დაკმაყოფილება პირველ რიგში ბანკის ლიკვიდაციის დროს; საჯარიმო სანქციები მოქალაქეთა ანაბრების არაუფლებამოსილი პირების მიერ მოზიდვის შემთხვევაში და ა.შ.). გარდა ამისა, იურიდიულ პირებს მოქალაქეებისგან განსხვავებით უფლება არა აქვთ დეპოზიტზე არსებული თანხა გადაურიცხონ სხვა პირებს. საბანკო ანაბრის ხელშეკრულება იდება სავალდებულო წერილობითი ფორმით კნინობის საფრთხის ქვეშ.

საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საკრედიტო ორგანიზაცია ვალდებულია მიიღოს და ჩარიცხოს თანხა ანგარიშზე, რომელიც გახსნილი აქვს კლიენტს (ანგარიშის მფლობელს), შეასრულოს კლიენტის განკარგულებები ანგარიშიდან შესაბამისი თანხის გადარიცხვისა და გაცემის და ანგარიშზე სხვა ოპერაციების ჩატარების შესახებ. თავისი ბუნებით, საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსენსუალურს, ორმხრივს, ანაზღაურებად. კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს საბანკო ანგარიშის ხელშეკრულების საჯარო ხასიათს, თუმცა, ბანკი ვალდებულია დადოს საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება კლიენტთან, რომელმაც მიმართა წინადადებით გახსნას ანგარიში ბანკის მიერ მოცემული სახის ანგარიშების

გასახსნელად გამოცხადებულ პირობებზე, რაც შეუსაბამება კანონის მოთხოვნებსა და საბანკო წესებს. ბანკი ვალდებულია კლიენტისთვის განახორციელოს მოცემული სახის ანგარიშებისთვის გათვალისწინებული ოპერაციები. ამასთან, ბანკს უფლება არა აქვს განსაზღვროს და გააკონტროლოს კლიენტის თანხის გამოყენების მიმართულება და დადგინოს კანონით ან საბანკო ანგარიშის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მისი უფლებების შეზღუდვა, განაგოს საკუთარი თანხები. ფულადი საშუალებების ანგარიშიდან ჩამოწერა ხდება ბანკის მიერ კლიენტის ნებასურვილისამებრ. ასეთი განკარგულების გარეშე საბანკო ანგარიშიდან თანხის მოხსნა ნებადართულია სასამართლოს გადაწყვეტილებით და ასევე კანონით გათვალისწინებულ ან ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებით უპირატესტო (უდაო) მოხსნა.

ბანკი ვალდებულია კლიენტის ანგარიშზე შემოსული თანხა ჩარიცხოს არა უგვიანეს იმ დღისა, რომელიც მოსდევს ბანკში შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის შემოსვლას, თუ უფრო მოკლე ვადა გათვალისწინებული არაა საბანკო ანგარიშის ხელშეკრულებით. ბანკი ვალდებულია გასცეს ან გადარიცხოს ანგარიშიდან კლიენტის თანხა არა უგვიანეს იმ დღისა, რომელიც მოსდევს ბანკში შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის შემოსვლას, თუ სხვა ვადები არაა გათვალისწინებული კანონით, საბანკო წესებითა თუ საბანკო ანგარიშის ხელშეკრულებით. ბანკს უფლება აქვს განახორციელოს გადახდა ანგარიშიდან ფულადი საშუალებების არარსებობის დროსაც (ანგარიშის კრედიტირება).

კლიენტი ბანკის მომსახურებას ოპერაციების შესრულების თაობაზე ანაზღაურებს იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია საბანკო ანგარიშის ხელშეკრულებით. ამასთან, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა საბანკო ანგარიშის ხელშეკრულებით, ანგარიშზე არსებული თანხის სარგებლობაზე ბანკი იხდის პროცენტებს. საბანკო ანგარიშების სახეებს წარმოადგენს: საანგარიშსწორებო (გათვალისწინებული კომერციული ან არაკომერციული ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის წარმოებისთვის), დროებითი საანგარიშსწორებო (დაროვებითი, რომელზეც გათვალისწინებულია სახსრები, რაც მიმართულია მონაწილეების მიერ იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის წილების ანაზღაურებაზე), საკრესპონდენტო (ღია ერთი საკრედიტო ორგანიზაციის), სხვა საკრედიტო ორგანიზაციის, საბიუჯეტო (იხსნება პირების მიერ, რომელთაც უფლება აქვთ განკარგონ საბიუჯეტო სახსრები), მიმდინარე (რომელიც შეიძლება გაიხსნას გარკვეული არაკომერციული დაწესებულებებისა და ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ).

საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება შეიძლება გაწყვეტილ იქნეს კლიენტის განცხადებით ნებისმიერ დროს. საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება ბანკის მოთხოვნით შეიძლება გაწყვეტილ იქნეს სასამართლოს მიერ იმ შემთხვევებში, როცა: ა) თუ ანგარიშზე არსებული თანხა არის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, რაც გათვალისწინებულია საბანკო წესებით ან ხელშეკრულებით იმ პირობის დროს, რომ თანხა არაა აღდგენილი ბანკის მიერ გაფრთხილების გაგზავნიდან ერთი თვის მანძილზე; ბ) ამ ანგარიშზე წელიწადის განმავლობაში ოპერაციების არარსებობისას, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული საბანკო ანგარიშის ხელშეკრულებით.

საბანკო გარანტია – ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხერხი, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით მგზომარეობს იმაში, რომ ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვეო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალი) თხოვნით იძლევიან წერილობით ვალდებულებას გადაუხადონ პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს), გარანტიით მიცემული ვალდებულების პირობების შესაბამისად, ფულადი თანხა ბენეფიციარის მიერ მისი გადახდის შესახებ წერილობითი მოთხოვნის წარდგენისთანავე. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დადების მოწმეს წარმოადგენს საგარანტიო წერილი. ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით და გარანტიაში განსაზღვრული ვადის დასრულებამდე, რომელზეცაა ის გაცემული. საბანკო გარანტიის მიზანია პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე მისი ვალდებულებების (ძირითადი ვალდებულების) სათანადო შესრულების უზრუნველყოფა. გარანტად შეიძლება გამოდიოდეს, როგორც ბანკები, ასევე სხვა საკრედიტო დაწესებულებები, რომელთაც გააჩნიათ საბანკო ოპერაციების განხორციელების ლიცენზია და სადაზღვეო ორგანიზაციები. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება წარმოადგენს ანაზღაურებას, რამდენადაც საბანკო გარანტიის გაცემაზე გარანტი პრინციპალისგან იღებს ანაზღაურებას. საბანკო გარანტიით თანხის გადახდით, რომელზეც გაცემულია გარანტია. გარანტს უფლება აქვს უარი თქვას ბენეფიციარის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, თუ ისინი არ შეესაბამებიან გარანტიის პირობებს ან გამოტოვებულია გარანტიის ვადა. ამასთან, საბანკო გარანტია ინარჩუნებს ძალას ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის ან მისი არანამდვილად გამოცხადების შედეგად, რაც მოწმობს საბანკო გარანტიის შედარებით დამოუკიდებლობას ძირითად ვალდებულებებთან მიმართებაში. საბანკო გარანტია სხვა უზრუნველმყოფელი ვალდებულებებისგან განსხვავებით შეიძლება იყოს, როგორც გამომსმობადი, ასევე არაგამოსმობადი. პირდაპირი გარანტია – საბანკო გარანტიაა, რომელიც გაიცემა ბანკის მიერ უშუალოდ პრინციპალის კონტრაგენტის სასარგებლოდ. გარანტია ბანკის მეშვეობით – საბანკო გარანტიაა, რომელიც გაიცემა ბანკის მიერ კონტრაგენტის მომსახურე ბანკის სასარგებლოდ. უზრუნველყოფილი ვალდებულებების მიზნისა და სახის მიხედვით საბანკო გარანტიები იყოფა საქონლის მყარი შეთავაზების, გადახდის, მიწოდების, წარმოდგენის (საქონლის სესხის), საავანსო გადახდების დაბრუნების, საგადასახადო, საბაჟო, სასამართლო გარანტიებად.

საბანკო ოპერაციები – ბანკების ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციების გარიგება განსაკუთრებული უფლებაუნარიანობის პრინციპის შესაბამისად. საბანკო ოპერაციების ჯგუფში შეიძლება განვიხილოთ სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების განსაკუთრებული ჯგუფი, იქიდან გამომდინარე, რომ მათი ნორმალური განხორციელებით დაინტერესებულია მთლიანად საზოგადოება: ა) ფულადი საშუალებების ანაბრებში მოზიდვა; ბ) მოზიდული თანხის განთავსება საკუთარი სახელით საკუთარ ანგარიშზე; გ) იურიდიული და ფიზიკური

პირების საბანკო ანგარიშების გახსნა და წარმართვა; დ) იურიდიული და ფიზიკური პირების დავალებით მათ საბანკო ანგარიშების მიხედვით ანგარიშსწორების განხორციელება; ე) ფულადი საშუალებების ინკასაცია; ვ) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა; ზ) ანაბრებში ძვირფასი ლითონების მოზიდვა და განთავსება; თ) საბანკო გარანტიების გაცემა; ი) ფულადი საშუალებების გადაზიანა ფიზიკური პირების დავალებით.

ამ გარიგებისთვის დგინდება განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი. საბანკო ოპერაციების განხორციელების მიხედვით, რომელიც შეიძლება შეასრულოს საკრედიტო ორგანიზაციამ, გამოიყოფა: ბანკები ე.ი. საკრედიტო ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული უფლება ერთობლიობაში განახორციელონ ზემოთჩამოთვლილთაგან პირველი სამი სახის ოპერაცია; არასაბანკო-საკრედიტო ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ ცალკეული საბანკო ოპერაციების განხორციელების უფლება.

საბაჟო კონტროლისგან თავისუფალი ზონა

– სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, რომელზეც ნებისმიერი მატერიალური ფასეულობა წარმოადგენს საგარეო სავაჭრო გარიგების საგანს, არ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს და არ იბეგრება იმპორტის ბაჟითა და მოსაკრებლით. თავისუფალ ზონაში საიმპორტო-საექსპორტო საქონელზე ბორციელდება მხოლოდ საბაჟო ზედამხედველობა. თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანისთვის საჭირო არაა საბაჟო დეკლარაცია. კომერციული თავისუფალი ზონა იქმნება საგარეო სავაჭრო საქმიანობის წახალისების მიზნით, მნიშვნელოვანი ეროვნული განსხვავებების პირობებში საბაჟო პროცედურების სისტემებში, რაც ითვალისწინებს გადასახადებისა და ბაჟის აკრეფას. ასეთ ზონაში იქმნება პირობები მხოლოდ საიმპორტო-საექსპორტო საქონლის საიმომხმარებლო თვისებების შესანარჩუნებლად. სამრეწველო თავისუფალ ზონაში საქონელი შეიძლება დაექვემდებაროს დამუშავებას ან მათ საფუძველზე დამზადდეს ახალი ნაშრომი და პროდუქტი.

საბაჟო კონტროლის ზონა

– ზონა, რომელიც შექმნილია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერებისა და შემოწმების ფორმით საბაჟო კონტროლის განხორციელების, მათი შენახვისა და საბაჟო დაკვირვების ქვეშ გადაადგილების შესრულების მიზნებისთვის.

საბაჟო კონტროლის ზონა შეიძლება შეიქმნას საბაჟო საზღვრის გაყოლებით, საბაჟო გაფორმების წარმოების, საბაჟო ოპერაციების ჩატარების, საქონლის გადაზიდვის, მისი დათვალიერებისა და შემოწმების, დროებითი შენახვის, იმ სატრანსპორტო საშუალებების დასაყენებელ ადგილებში, რომელთაც გადაადგილდება საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონელი და ასევე კანონით გათვალისწინებულ სხვა ადგილებში.

საბაჟო კონტროლის ზონები შეიძლება იყოს მუდმივი მათში საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის რეგულარული არსებობისას და დროებითი. დროებითი საბაჟო კონტროლის ზონები შეიძლება შეიქმნას: ა) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმების წარმოებისთვის საბაჟო ოპერაციების განხორციელების ადგილის გარეთ – მათი განხორციელების დროით, თუ ასეთი ოპერაციების ჩატარებისას საჭიროა განსაზღვროს საბაჟო კონტროლის ზონა, საბაჟო ორგანოების მიერ თავიანთი ფუნქციების დაუბრკოლებელი შესრულების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე; ბ) მუდმივი საბაჟო კონტროლის ზონის გარეთ აღმოჩენილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებისა თუ შემოწმების განხორციელების აუცილებლობისას.

გადაწყვეტილებას, დროებითი საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის შესახებ იღებს საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი პირი, წერილობითი ფორმით.

საბაჟო კონტროლის ზონის შექმნისა და აღნიშვნის წესს, ასევე მათ მიმართ მოთხოვნებს ადგენს ამაზე უფლებამოსილი ორგანო.

საბინაო კანონმდებლობა

– სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა ან სისტემა, რომლებიც არეგულირებენ საბინაო ურთიერთობებს ე.ი. მოქალაქეების ბინით დაკმაყოფილების უზრუნველმყოფელ ურთიერთობებს. საბინაო კანონმდებლობის მოქმედება ვრცელდება მოქალაქეთა ბინით უზრუნველყოფის ისეთ ურთიერთობებზე, რომელთა საგანსაც წარმოადგენს საცხოვრებელი შენობა და გამოსადეგია მუდმივი საცხოვრისისთვის, თუნდაც თუ ის თავდაპირველად გათვალისწინებული იყო დროებით საცხოვრებელის სახით, მთელი რიგი პირობების არსებობისას. საბინაო კანონმდებლობა არეგულირებს საერთო საცხოვრებელში, სამსახურებრივ საცხოვრებელ შენობებში საცხოვრებლის შეთავაზებისა და გამოყენების, ასევე დროებით მაცხოვრებლებისა და გადამქირავებლის მიერ ბინის გამოყენების ურთიერთობებს. ამავე დროს, ის არ ვრცელდება საავარიო საცხოვრებელი შენობების გამოყენების ურთიერთობებზე, თუნდაც თუ ისინი გამოსადეგია წლის ყველა დროს საცხოვრებლად ე.ი. ეს აღნიშნული შენობები არ შედის საცხოვრებელი ფონდის შემადგენლობაში.

საბინაო კანონმდებლობა განეკუთვნება კომპლექსური სამართლებრივი წარმონაქმნების რიცხვს, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა დარგობრივი მიკუთვნების ნორმებს. ესაა სახელმწიფო სამართლის ნორმები, რომლებიც ამტკიცებენ მოქალაქეთა საცხოვრებლის ქონის უფლებას, მისი განხორციელებისა და დაცვის ძირითად პრინციპებს, რაც საბინაო ფონდების კლასიფიკაციისას წარმოადგენს ამოსავალს; ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბინაო ფონდის მართვას, იმ პირთა აღრიცხვას, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელს, საცხოვრებელი შენობების განაწილებას, მათი სათანადო შენახვისა და ექსპლუატაციის კონტროლს; სამოქალაქო სამართლის ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ საცხოვრებელი შენობების ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის ურთიერთობებს; ფინანსური სამართლის ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფულადი საშუალებების მიმართვას საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტზე, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის სხვა საჭიროებებზე და ა.შ.

საბინაო კოდექსი

– კოდიფიცირებული ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებს საბინაო ურთიერთობების წარმოქმნას, ცვლილებასა და შეწყვეტას. საბინაო სამართლის ნორმები,

რომლებიც არსებობს სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბინაო კოდექსს.

საბინაო სამართალი – სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს სამართლის ნორმების სისტემას, რომლებიც არეგულირებენ საბინაო ფონდის მართვის, მისი დაცვის უზრუნველყოფის, უსახლკარო მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი შენობების შეთავაზების, ასევე სხვადასხვა საფუძველზე (სოციალური ან კომერციული დაქირავება, წვერობა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში და ა.შ.) მიღებული საცხოვრებელი შენობების გამოყენების ურთიერთობებს. საბინაო სამართლის მიერ არ რეგულირდება საცხოვრებელი შენობის საკუთრების, იმ შენობებისა და ნაგებობების გამოყენების, საცხოვრებლის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ურთიერთობები.

საბინაო სერტიფიკატი – სახელობითი დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს მოქალაქის უფლებას მიიღოს უნაცვალგებო სუბსიდია, რომელიც მის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საცხოვრებელი შენობის შესაძენად. სახელმწიფო საბინაო სერტიფიკატების გამოშვება და განაღდება ხდება ფინანსთა სამინისტროს მიერ. მთავრობა ამტკიცებს მოქალაქეებისათვის გასაცემი საბინაო სერტიფიკატების გამოშვებისა და განაღდების წესს.

სახელმწიფო საბინაო სერტიფიკატი მოქალაქეს აძლევს უფლებას კონკურსით შერჩეულ ერთ-ერთ ბანკში გახსნას ბლოკირებული მიზნობრივი ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება ფულადი საშუალებები გამოყოფილი უნაცვალგებო სუბსიდიის ოდენობით და ასევე ამ საშუალებების გამოყენების უფლება – საცხოვრებლის საკუთრებაში შესაძენად სახელმწიფო საბინაო სერტიფიკატის მოქმედების დადგენილი ვადის მანძილზე. სახელმწიფო საბინაო სერტიფიკატების მფლობელთა ბლოკირებულ მიზნობრივ ანგარიშებზე ფულადი საშუალებების გადარიცხვა ხორციელდება სახაზინო ორგანოების მეშვეობით.

საბინაო ფონდი – ყველა საცხოვრებელი შენობის ერთობლიობა საკუთრების ფორმის მიუხედავად, მათ შორის, საცხოვრებელი სახლები, სპეციალიზირებული სახლები (საერთო საცხოვრებლები, სასტუმრო-თავშესაფრები, სამსახურო ფონდის სახლები, საცხოვრებელი შენობები საბინაო ფონდიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დროებით დასახლებისთვის, სპეციალური სახლები მარტოხელა ხანდაზმულებისთვის, ინტერნატ-სახლები ინვალიდებისთვის, ვეტერანებისთვის და სხვ.), ბინები, სამსახურებრივი საცხოვრებელი შენობები, სხვა სახის შენობები სხვა ნაგებობებში, რომლებიც გამოდგება საცხოვრებლად.

უფრო ვრცელს წარმოადგენს ცნება „უძრავი ქონება საბინაო სფეროში", ე.ი. უძრავი ქონება ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის დადგენილი უფლებებით ქონების ფარგლებში, რომელიც მოიცავს: მიწის ნაკვეთებს და მათთან დაკავშირებულ საცხოვრებელ სახლებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებით; სახლ-კართან არსებული სამეურნეო ნაგებობები, მწვანე ნარგავები განვითარების მრავალწლიანი ციკლით; საცხოვრებელი სახლები, ბინები, სხვა სახის საცხოვრებელი შენობები საცხოვრებელ სახლებსა და სხვა ნაგებობებში, რომლებიც გამოდგება მუდმივი ან დროებითი საცხოვრებლის სახით; ნაგებობები და საბინაო სფეროს საინჟინრო ინფრასტრუქტურის ელემენტები.

გამოიყოფა საბინაო ფონდის შემდეგი სახეები: ა) კერძო: 1.1. მოქალაქეთა საკუთრებაში მყოფი ფონდი: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, პრივატიზირებული, აგებული და შეძენილი ბინები და სახლები, ბინები – საბინაო და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების, ბინების ინდივიდუალურ მფლობელთა ამხანაგობების სახლებში, მოქალაქეების მიერ საკუთრებაში შეძენილი ბინები და სახლები კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებზე; 1.2. – იურიდიულ პირთა საკუთრებაში მყოფი ფონდი (კერძო მესაკუთრეთა სახით შექმნილი), რომელიც მიღებული ან შეძენილია მათი სახსრებით, მათ შორის, საბინაო, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახსრების ხარჯზე არა სრულად გადახდილი საპაიო შენატანით; ბ) სახელმწიფო: 2.1. – საუწყებო ფონდი, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია და იმყოფება სახელმწიფო საწარმოების სამეურნეო ან სახელმწიფო დაწესებულებების ოპერატიულ მმართველობაში; 2.2. – ფონდი, რომელიც სახელმწიფო სუბიექტების საკუთრებაში იმყოფება და ასევე საუწყებო ფონდი, რომელიც სახელმწიფო საწარმოების სამეურნეო ან იმ სახელმწიფო დაწესებულებების ოპერატიულ მმართველობაშია, რომლებიც განეკუთვნებიან შესაბამისი სახის საკუთრებას; გ) მუნიციპალური – ფონდი, რომელიც იმყოფება რაიონის, ქალაქის, მათში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების საკუთრებაში, ასევე საუწყებო ფონდი, რომელიც მუნიციპალური საწარმოების სრულ სამეურნეო ან მუნიციპალური დაწესებულებების ოპერატიულ მმართველობაშია; დ) საზოგადოებრივი – ფონდი, რომელიც მდგომარეობს საზოგადოებრივი გაერთიანებების საკუთრებაში. იხ. ასევე საცხოვრებელი შენობა, საბინაო სამართალი, საბინაო შენობების გაყოფის ხელშეკრულება.

საბინაო ფონდის პრივატიზაცია – ნებაყოფლობით საფუძველზე მოქალაქეთა საკუთრებაში მათ მიერ სახელმწიფო და მუნიციპალურ ფონდში დაკავებული საცხოვრებელი შენობების უფასო გადაცემა. საცხოვრებელი ბინები გადაიცემა საერთო საკუთრებაში ან ერთობლივად მცხოვრები პირებიდან ერთ-ერთის (მათ შორის არასრულწლოვანებიდან ერთ-ერთის) საკუთრებაში. მოქალაქეები, რომლებიც გახდნენ საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეები, ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მას საერთოდ სამებრ (მათ უფლება აქვთ გაყიდონ, გააქირაონ, ანდერძით გადასცეს ის, ასევე განახორციელონ კანონმდებლობით დაშვებული სხვა გარიგება). პრივატიზაციას არ ექვემდებარება ავარიული საცხოვრებელი ბინები, სამსახურებრივი შენობები, მოსახლეობის სოციალური დაცვის სტაციონარული დაწესებულებების საბინაო ფონდში შემავალი შენობები და ა.შ.

საცხოვრებელი ბინების მოქალაქეთა საკუთრებაში გადაცემა ფორმდება გადაცემის ხელშეკრულებით, რომელიც იდება სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოს, დაწესებულების მიერ მოქალაქესთან, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში

მიიღო საცხოვრებელი ბინა. ამასთან, საჭირო არაა გადაცემის ხელშეკრულების ნოტარიული დამოწმება. შეძენილ საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლება ჩნდება ერთიან სახელმწიფო რეესტრში იუსტიციის დაწესებულებების მიერ უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან.

საბინაო ხელშეკრულება – საცხოვრებელი შენობის სოციალური დაქირავების ხელშეკრულება-შეთანხმება, რომლის მიხედვითაც გამქირავებელი ვალდებულია: ა) დაქირავებულს და მისი ოჯახის წევრებს ფლობასა და გამოყენებაში ან მხოლოდ გამოყენებაში გადასცეს მუდმივ საცხოვრებლად საცხოვრებელი შენობა, როგორც წესი, ცალკე ბინის სახით, საცხოვრებელი ფართის ნორმის ფარგლებში ან ბ) დაქირავებულს შეუნარჩუნოს უფლება საცხოვრებელ შენობაში იცხოვროს დაქირავების ხელშეკრულებით მისი ფართობის მიუხედავად, ხოლო დაქირავებული ვალდებულია გამოიყენოს ეს შენობა დანიშნულებისამებრ, დროულად აწარმოოს შენობისა და კომუნალური მომსახურების ანაზღაურება. ესაა კონსენსუალური, ორმხრივი, ანაზღაურებადი ხელშეკრულება. სოციალური დაქირავების ხელშეკრულების დადებისთვის საფუძველს წარმოადგენს საცხოვრებელი შენობის ორდერი, რომელიც მოქალაქისთვის გაცემულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

საბირჟო ბიულეტენი – ბირჟის პერიოდული ორგანო, რომელშიც ქვეყნდება ფასიანი ქაღალდების ჩამონათვალი, დღიურად გაყიდული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, საფონდო ბირჟაზე ყოველი ცალკეული ფასიანი ქაღალდის უმაღლესი, უმცირესი და დასკვნითი კურსი, აგრეთვე ცნობები დადებულ ხელშეკრულებათა შესახებ.

საბირჟო კანონმდებლობა – სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ სასაქონლო ბირჟების (მათი ფილიალებისა და სხვა განცალკევებული ქვედანაყოფების) საქმიანობასთან და საბირჟო ვაჭრობასთან, საფონდო და საკალუტო ბირჟასთან და ასევე სასაქონლო, სასაქონლო-საფონდო და უნივერსალური ბირჟის საფონდო და საკალუტო სექციების განყოფილებების (ქვედანაყოფების) საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

საბირჟო კოტირება – საბირჟო ვაჭრობაზე ფასიანი ქაღალდების ან საქონლის ფასიანი კურსი, რომელიც რეგისტრირდება და ქვეყნდება შესაბამისი ბირჟის საკოტირო კომისიის მიერ.

საბირჟო კურსი – ფასიანი ქაღალდის (აქცია, ობლიგაცია), ბირჟაზე ჩამოყალიბებული გასაყიდი ფასი, საბირჟო კურსი პირდაპირ დამოკიდებულია დივიდენდის სიდიდისა და უკუდამოკიდებულია სასესხო პროცენტის ნორმისაგან.

საბირჟო კურსი – ფასი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა. საბირჟო კურსი მერყეობს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობის მიხედვით. რეგისტრირებული საბირჟო კოტირება ყოველწლიურად ქვეყნდება სპეციალურ საბირჟო ბიულეტენებში და მისი გადაბეჭდვა ხდება მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური გაზეთებისა და ჟურნალების მიერ. წამყვანი კომპანიების აქციათა გაშუალედებული საბირჟო კურსი (აქციათა კურსის ინდექსი) წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებელს. ფასიანი ქაღალდების საბირჟო კურსი განისაზღვრება: ა) მიმდინარე და მოსალოდნელი შემოსავლიანობით; ბ) საბანკო საპროცენტო განაკვეთის ოდენობით, ოქროზე, ცალკეულ საქონელსა და უძრავ ქონებაზე ფასით; გ) ლიკვიდურობით ე.ი. შესყიდული ფასიანი ქაღალდების დანაკარგების გარეშე ფულად გადაქცევის შესაძლებლობით; დ) საბირჟო სპეკულაციით ე.ი. საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით საბირჟო კურსს შორის სხვაობისგან მოგების მიღებისთვის გარიგების დროს და გარიგების შესრულების მომენტში.

საბირჟო საქონელი – ბრუნვიდან არამოღებული გარკვეული სახისა და ხარისხის საქონელი, მათ შორის, სტანდარტული კონტრაქტი და კონოსამენტი აღნიშნულ საქონელზე, რომელიც დაშვებულია დადგენილი წესით, ბირჟის მიერ, საბირჟო ვაჭრობისთვის. საბირჟო საქონელი არ შეიძლება იყოს უძრავი ქონება და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები.

საბირჟო ფასი – საბირჟო ვაჭრობის წესით რეალიზებული საქონლისა და მომსახურების ფასი, რომელიც ყალიბდება მოთხოვნისა და მიწოდების შეწონასწორებით.

საბირჟო ფასი – ფასი, რომელიც ყალიბდება საბირჟო კოტირების შედეგად, ბირჟის წესებით გათვალისწინებული ხარისხის, მიწოდების ადგილიდან დაშორებულობის და საბირჟო სტანდარტებისგან სხვა გადახვევების შედეგად დაწესებული ფასდაკლებისა ან მომატებისგან.

საბიუჯეტო [< ბიუჯეტი] ბიუჯეტის საშემოსავლო ან დანახარჯის სტატიებთან დაკავშირებული, მატერიალურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული; ს. წესი – სახელმწიფოს ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცებისა და შესრულების კანონით დაწესებული წესი; ს. დეფიციტი – სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის აღმატება მის შემოსავალზე. ხასიათდება სახელმწიფო ფინანსების არამდგრადი მდგომარეობით; ს. ინდექსი – იგივეა, რაც სიცოცხლის ღირებულების ინდექსი; ს. ნაკრები – საქონლისა და მომსახურების ნუსხა, რომელიც ახასიათებს მოთხოვნის მოცულობასა (ანგარიშდება ოჯახზე ან სულ მოსახლეზე) და სტრუქტურას; გამოიყენება ს. ინდექსის გამოსაანგარიშებლად; საბიუჯეტო გამოკვლევები – შემოსაელის, გასაელის და მოსახლეობის მოთხოვნის არჩევითი სტატისტიკური გამოკვლევები; გამოიყენება მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზისთვის, სახ.-სამ. საქონლის, შრომის ბალანსის გამოსაანგარიშებლად და ა.შ.; ს. სამართალი – სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც სახელმწიფოს ფულადი სახსრების წარმოქმნისა და გამოყენების საკითხების რეგლამენტირებას ახდენენ; საფინანსო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტი.

საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯება – თანამდებობის პირის მიერ დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა მათი მიღების პირობების, ბიუჯეტით დამტ-

კიცებული. საბიუჯეტო განრიგის, საბიუჯეტო ასიგნების შესახებ უწყების, შემოსაელებისა და ხარჯების ნუსხის ან სხვა იმ დოკუმენტის მიზნის შეუსაბამოდ, რომელებიც წარმოადგენენ საფუძველს საბიუჯეტო სახსრების მისაღებად.

საბიუჯეტო სისტემის კანონის შესახებ (ტერმინები)

(საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო სისტების შესახებ)

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მინისტრი – საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლება – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;

გ) ადგილობრივი ხელისუფლება – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (29.12.2006 N 4238).

დ) ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი დონეების მიერ; ამოღებულია (29.12.2004 N 901).

ე) სახელმწიფო ბიუჯეტი – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა; (28.04.2006 N 2948).

ვ) ამოღებულია (29.12.2004 N901).

ზ) ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს, მათ შემოსულობებსა და გადასახდელებს; (29.12.2006 N 4238).

თ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შემოსულობების, მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა, რომელსაც ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო); (29.12.2006 N4238).

ი) ამოღებულია (29.12.2004 N901).

კ) მხარჯავი დაწესებულება – ბიუჯეტის ხარჯების ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის დაწესებულება, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება და რომელიც პასუხისმგებელია ხარჯების მართვაზე; (28.04.2006 N2948).

ლ) საბიუჯეტო ორგანიზაცია – მხარჯავი ორგანიზაცია ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად;

მ) საბიუჯეტო (ფისკალური) წელი – კალენდარული წელი;

ნ) სახელმწიფო ხაზინა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;

ო) წლიური საბიუჯეტო კანონი – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი;

პ) ვალდებულების აღება – მომავალში გადახდაზე პასუხისმგებლობის აღება;

ჟ) ბიუჯეტის შემოსულობები – ბიუჯეტის ანგარიშებზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა; (29.12.2004 N901).

რ) ბიუჯეტის გადასახდელები – ბიუჯეტის ანგარიშებიდან გასაცემი ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა; (29.12.2004 N901).

ს) ბიუჯეტის შემოსავლები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტების ანგარიშებზე მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა დაბრუნება და ანაზღაურება არ ხდება; (29.12.2004 N 901).

ტ) ბიუჯეტის ხარჯები – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები.

საბრალდებო აქტი – საპროცესო დოკუმენტი, რომლის შედგენაც ხდება მაშინ, როცა შეგროვებული მტკიცებულებები ადგენენ დასამტკიცებელ გარემოებებს და შესრულებულია ყველა აუცილებელი საპროცესო მოქმედება სისხლის სამართლის საქმეზე.

საბრალდებო აქტში მითითებულია: ა) მისი შედგენის თარიღი და ადგილი; ბ) მისი შემდგენელი პირის თანამდებობა, გვარი, ინიციალები; გ) დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი, მისი ხერხები, მოტივები, მიზნები, შედეგები, ასევე მოცემული სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები; დ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირის მონაცემები; ე) ბრალდების ფორმულირება, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის, პუნქტის, ნაწილის მითითებით; ვ) ბრალდების დამამტკიცებელი მტკიცებულებების ჩამონათვალი და მტკიცებულებების ჩამონათვალი, რომელთაც მიუთითებს დაცვის მხარე; ზ) სასჯელის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები; თ) მონაცემები დაზარალებულის, მისთვის მიყენებული ზიანის სახისა და ოდენობის შესახებ; ი) სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სია.

ბრალდებული, მისი დამცველი უნდა გაეცნონ საბრალდებო აქტს და სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რაზეც კეთდება აღნიშნა სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის – ოქმში.

მოკლევის მწარმოებელი პირის მიერ შედგენილი საბრალდებო აქტი მტკიცდება მოკლევის მწარმოებელი ორგანოს ხელმძღვანელის მიერ. სისხლის სამართლის საქმის მასალები საბრალდებო აქტთან ერთად ეგზავნება პროკურორს.

საბრალდებო დასკვნა პროცესუალური დოკუმენტი – რომელშიც შეჯამებულია წინასწარი

გამოძიების შედეგები, გაკეთებულია მტკიცებულებათა ანალიზი და შეფასება, მოცემულია დანაშაულის იურიდიული კვალიფიკაცია. საბრალდებო დასკვნა შედგება შესავლის, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. შესავალ ნაწილში მითითებულია ბრალდებულის სახელი და გვარი, აგრეთვე, სსკ მუხლი (მუხლები), რომლის მიხედვითაც კვალიფიცირდება მის მიერ ჩადენილი დანაშაული. აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებულია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ბრალდებულის მოსაზრებები და მათი გაბათილება. სარეზოლუციო ნაწილში გადმოცემულია მონაცემები ბრალდებულის პიროვნების შესახებ, ბრალდების ფორმულირება და კვალიფიკაცია. საბრალდებო დასკვნას დაერთვის სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სია, ცნობები გამოძიების ეაების, აღკვეთის ღონისძიებების, სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და სხვა. საბრალდებო დასკვნას ადგენს და ხელს აწერს გამომძიებელი, ხოლო საქმესთან ერთად სასამართლოში აგზავნის პროკურორი (სსსკ, მუხლი 409 – 416).

საბრალდებო დასკვნა – საპროცესო დოკუმენტი, რომელიც ასრულებს წინასწარ გამოძიებას და შეიცავს გამომძიებლის დასკვნებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირის ან პირების ბრალდების ფორმულირების შესახებ. საბრალდებო დასკვნა მოიცავს საქმეზე წინასწარი გამოძიების შედეგებს, მასში გადმოცემულია დანაშაულის ყველა დადგენილი გარემოება, გაანალიზებულია ბრალდებისა და დაცვის მხარის მტკიცებულებები. ეროდება საპროცესო დასკვნები საქმის არსის შესახებ. საბრალდებო დასკვნაში სისტემატიზირებულია ცნობები სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის, სასამართლოში გამოსაძახებელი პირების, წინასწარი გამოძიების ეადების, ბრალდებულების ადგილსამყოფელის, ნივთმტკიცებების, საპროცესო დანახარჯების, სამოქალაქო სარჩელის, ბრალდებულისა და დაზარალებულის ქმაყოფაზე მყოფთა უფლებების, ქონების შესაძლო კონფისკაციის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომების შესახებ; ცნობები სისხლის სამართლის საქმის მასალების თითოეული ბრალდებულის, დამცველის, დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლის მიერ გაცნობის, საქმის პროკურორისთვის გაგზავნის თარიღის და იმ პროკურატურის ორგანოს დასახელების შესახებ, სადაც გაიგზავნა საქმე საბრალდებო დასკვნასთან ერთად.

საბრალდებო დასკვნა შედგება სამი ნაწილისგან. პირველი – შესავალი ან საბრალდებო წარმოადგენს დასკვნას, რომელშიც მითითებულია დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების შესახებ დოკუმენტების დასახელება (თითოეული ბრალდებულის გვარები და ინიციალები ანბანური თანამიმდევრობით), ის მუხლები, რომლებითაც ხდება მისი ბრალდება. საბრალდებო დასკვნის ამ ნაწილში უნდა იყოს მითითებული ასევე პროკურატურის ორგანოს დასახელება, პროკურორის საკლასო ჩინი, გვარი და ინიციალები, რომელსაც გადაეცემა საქმე საბრალდებო დასკვნასთან ერთად მისი დამტკიცებისთვის. ადგილის გამოტოვებით ასეთი თანამდებობის პირის მიერ ხელმოსაწერად და თარიღის აღსანიშნავად, ასევე მასში შედის დაწვრილებითი ცნობები; დაბადების ადგილი; საცხოვრებელი და/ან რეგისტრაციის ადგილი; მოქალაქეობა; განათლება; ოჯახური მდგომარეობა; ოჯახის შემადგენლობა; დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან; ნასამართლობის არსებობა, ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელი სასამართლოს მიერ არის მსჯავრდებული, რა მუხლით, სასჯელის სახე და ზომა, როდის განთავისუფლდა; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის მონაცემები.

საბრალდებო დასკვნის მეორე ნაწილი არის მოტივირებული და მტკიცებულებითი. მასში შედის გამოძიების შედეგები, რომლებიც ადასტურებენ დანაშაულის არსებობას და ბრალდებულის ბრალეულობას; მტკიცებულებები, რომლებზეც დაცვის მხარე და გამოძიების მიერ ამ საბუთების შემოწმების შედეგები. ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ უდანაშაულობის დასამტკიცებლად მოყვანილი ან სხვა გარემოებებთან დაკავშირებული მოსაზრებები, რომლებიც მათი აზრით, უნდა განიხილოს სასამართლომ ჩათვლილია საბრალდებო დასკვნაში და ცალკე ნაწილში, საქმის ტომისა და ფურცლის მითითებით. საბრალდებო დასკვნის ამ ნაწილში შედის ასევე მონაცემები, რომლებიც ამძიმებენ და ამსუბუქებენ ბრალდებულის პასუხისმგებლობას. შემამსუბუქებელ გარემოებებს წარმოადგენს: ა) დანაშაულის პირველად ჩადენა, საშუალო სიმძიმის დანაშაული გარემოებების შემთხვევითი თანხვედრით შედეგად; ბ) ბრალდებულის არასრულწლოვნება; გ) ორსულობა; დ) მცირეწლოვანი ბავშვების ყოლა; ე) და ნაშაულის ჩადენა მძიმე ცხოვრებისეული გარემოებების ძალით ან თანაგრძნობის მოტივით; ვ) დანაშაულის ჩადენა ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების შედეგად ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვა დამოკიდებულების ძალით; ზ) დანაშაულის ჩადენა ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას, დანაშაულის ჩამდენი პირის დაკაებისას დაუსაბუთებელი რისკის, უკიდურესი აუცილებლობის, აუცილებელი თავდაცვის მართლზომიერების დარღვევის დროს; თ) მონანიებით გამოცხადება, აქტიური ხელშეწყობა დანაშაულის გახსნისთვის, დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ბებინისთვის, გამოძიებისთვის დახმარების გაწევა სხვა დამნაშავეების მხილების გზით და ზოგიერთი სხვა გარემოება.

თავის მხრივ, დამამძიმებელ გარემოებებს უნდა განეკუთვნოთ: ა) დანაშაულის არაერთჯერადობა; ბ) მძიმე შედეგების დადგომა; გ) დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის, დანაშაულებრივი საზოგადოების შემადგენლობაში; დ) განსაკუთრებით აქტიური როლი დანაშაულის ჩადენაში; ე) დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით, სადიზმით, აბუჩად აგდებით, ტანჯვით დაზარალებულთან მიმართებაში; ვ) დანაშაულის ჩადენა იარაღის გამოყენებით და ა.შ.

საბრალდებო დასკვნის მტკიცებულებით ნაწილში ასევე შედის მონაცემები დაზარალებულის, მისთვის დანაშაულით მიყენებული ზიანის სახისა და ოდენობის შესახებ. **საბრალდებო დასკვნის ნაწილი** ასევე არის ცნობები. საბრალდებო დასკვნას თან ერთვის სასამართლო სხდომაზე გამოსაძახებელი პირების სია ბრალდებისა და დაცვის მხრიდან, სადაც მითითებულია თითოეული მათგანის საცხოვრებელი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი, სწავლების ადგილი, ტელეფონის ნომრები და სხვ. ცნობები, ასევე საქმის ფურცლები, რომლებზეც გადმოცემულია მათი ჩვენებები ან დასკვნა. სასამართლო სხდომაზე გამოსაძახებელ პირთა სიას ხელს აწერს გამომძიებელი

ბუნებრივია საბრალდებო დასკვნის მესამე ნაწილი არის სარეზოლუციო, სადაც მოცემულია: კვალიფიკაციის გამოყენების და სასჯელის ზომის ნაწილი.

საბოტაჟი – გარკვეული ვალდებულებების შეგნებული შეუსრულებლობა ან მათი განზრახ გაუფრთხილებელი შესრულება; ფარული წინააღმდეგობა რაიმეს განხორციელებისადმი.

საბრძოლო მასალები – შეიარაღების საგნები და სატყორცნი აღჭურვილობა, რომელიც გათვალისწინებულია განადგურებისთვის და შეიცავს სასკდომ, საფრენ, ჰიდროტექნიკურ ან ჩამოსაგდებ ჭურვებს ან მათ შეწყობას. საბრძოლო მასალების კატეგორიებს განეკუთვნება საარტილერიო აღჭურვილობა, ნაღმები, სამხედრო-საინჟინრო ასაფეთქებელი ჭურვები, ხელისა და რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები, სამხედრო რაკეტები, ავიაბომბები და. ა.შ. მათში იმ საშუალებების არსებობისა თუ არარსებობის მიუხედავად, რომლებიც ახდენენ ამეთქების ინიცირებას და ასევე ყველა სახის ვაზნა კალიბრის მიუხედავად, დამზადებული სამრეწველო თუ თვითნაკეთი საშუალებით. სასიგნალო, სანათი, ცარიელი, სამშენებლო, გაზის, სასწავლო და სხვა ვაზნები, რომელთაც არ გააჩნიათ გამანადგურებელი ელემენტი (ჭურვი, ტყვია, საფანტი, კარტეჩები და ა.შ.) და გათვალისწინებულნი არ არიან მიზნის გასანადგურებლად არ განეკუთვნებიან საბრძოლო მასალებს, ასაფეთქებელ ნივთიერებებს და მოწყობილობებს.

საგადასახადო აგენტები – პირები, რომლებზეც კანონმდებლობით დაკისრებულია და ვალდებულია გაიანგარიშოს გადასახადი მათ მიერ გადასახადის გადამხდელისთვის გაცემული თანხებიდან, დაქვითოს ეს გადასახადი და ის გადარიცხოს ბიუჯეტში ან არასაბიუჯეტო ფონდებში. ზოგჯერ, „საგადასახადო აგენტის" ცნების ნაცვლად გამოიყენება სინონიმური ცნება „ფისკალური აგენტი".

საგადასახადო აგენტის ფუნქციების დაკისრება მეწარმეებსა და ორგანიზაციებზე დამატებითი დატვირთვაა. ფისკალური ვალდებულებების ასეთი სახით დაკისრება კერძო პირებზე არ უნდა იწვევდეს მათ მიერ მნიშვნელოვანი რესურსების გახარჯვას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ გადასახადებს, რომლთაც ეს პირები იხდიან, როგორც გადასახადის გადამხდელები ემატება ხარჯები საგადასახადო აგენტის მოვალეობის შესასრულებლად მოწვეული შტატის შენახვაზე გაწეული ხარჯებით. ამასთან, უნდა იქნეს გათვალისწინებული ხარჯები ამ თანამშრომლის სამუშაო ადგილით, მოწყობილობით, ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე და სხვ. ყოველივე ეს ამძიმებს გადასახადით დაბეგვრის სიმძიმეს, გარდა ამისა, ეს ტვირთი დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე (როგორიცაა ოფისის იჯარის ღირებულება და ა.შ.). საგადასახადო ორგანოები აკონტროლებენ ორგანიზაციებისა და მეწარმეების მიერ საგადასახადო აგენტის ვალდებულებების შესრულებას. მოწმდება, თუ რამდენად სწორად და დროულად ხდება გადასახადების აღრიცხვა, დაქვითვა და გადაგზავნა, აღრიცხავენ თუ არა საგადასახადო აგენტები გადასახადის გადამხდელთათვის უკვე გადახდილი შემოსავლებისა და დაქვითული გადასახადების აღრიცხვას, აწვდიან თუ არა საგადასახადო ორგანოებს ინფორმაციას გადახდილი თანხის, დაქვითული და დაუქვითავი გადასახადების შესახებ. თუ საგადასახადო ორგანო გამოავლენს საგადასახადო აგენტის ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების ფაქტს, ორგანიზაციას ან მეწარმეს შეიძლება დაეკისროს სანქციები.

საგადასახადო ბაზა – გადასახადით დაბეგვრის საგნის რაოდენობრივი გამოხატულება. საგადასახადო ბაზას უწოდებენ ასევე გადასახადის საფუძველს, რამდენადაც ესაა სიდიდე, რომელთან მიმართებაშიც უშუალოდ გამოიყენება გადასახადის განაკვეთი, რითაც ხდება მისი ოდენობის განსაზღვრა; გადასახადით დაბეგვრის საგნის უმრავლესობა არ შეიძლება უშუალოდ გამოიხატოს რაიმე ერთეულებში. ასეთი საგნის გასაზომად თავდაპირველად საჭიროა არჩეულ იქნეს რაიმე ფიზიკური მახასიათებელი, გაზომვის რომელიმე პარამეტრი მრავალი შესაძლოდან ე.ი. განისაზღვროს გადასახადის მასშტაბი. მაგალითად, გადასახადის საგანს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებზე წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებები. თუმცა, სხვადასხვა ქვეყანაში შერჩეულია მათი გადასახადით დაბეგვრის განსხვავებული პარამეტრები: საფრანგეთსა და იტალიაში – ძრავის სიმძლავრე, ბელგიასა და ნიდერლანდებში – ავტომობილის წონა, ყოფილი გერ-ში (დღევანდელი გერმანია) – სამუშაო ცილინდრების მოცულობა. ასეთ შემთხვევებში, საგადასახადო ბაზა არ შეიძლება განისაზღვროს, როგორც გადასახადით დაბეგვრის საგნის ნაწილი. ხატოვნად რომ ვთქვათ, საგადასახადო ბაზა წარმოადგენს გადასახადით დაბეგვრის საგნის პროექციას გარკვეული კუთხით. საგადასახადო ბაზა აუცილებელია სწორედ გადასახადის გაანგარიშებისთვის, თუმცა ის უშუალოდ არ წარმოადგენს გარემოებას, რომელიც წარმოქმნის გადასახადის გადახდის ვალდებულებას.

გადასახადით დაბეგვრის პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია გადასახადით დაბეგვრის ობიექტისა და საგადასახადო ბაზის ცნებების დაუსაბუთებელი გაიგივება, რასაც მივყავართ გადასახადის გადამხდელთა მოქმედებების, როგორც საგადასახადო სამართალდარღვევათა არასწორ კვალიფიკაციამდე. რამდენადაც თითოეულ გადასახადის გადამხდელს გააჩნია საქმიანობის ინდივიდუალური მაჩვენებლები, შესაბამისად საგადასახადო ბაზაც განსხვავებულია. კანონში შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ გადასახადით დაბეგვრის საგნის შეფასების საფუძველი და საგადასახადო ბაზის განსაზღვრის წესი და არა თავად საგადასახადო ბაზა. საგადასახადო ვალდებულების არსებითი ელემენტების ცნებათა ბუნდოვანი განსაზღვრა ხელს არ უწყობს მკაფიო საგადასახადო კანონმდებლობის მიღებას.

ნებისმიერი გადასახადის შემუშავების დროს წარმოქმნილ ერთ-ერთ საკვანძო პრობლემას წარმოადგენს საგადასახადო ბაზის ფორმირების წესის მკაფიო განსაზღვრა. ამაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ზუსტად განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ოდენობა. პრობლემას გააჩნია მრავალი ასპექტი, რომელთა შორის უნდა გამოიყოს ტერიტორიული (სახელმწიფოს საგადასახადო იურისდიქციის საზღვრები) და დროებითი (საგადასახადო ბაზის განაწილება სხვადასხვა საგადასახადო პერიოდს შორის) ასპექტები. გადასახადის იურიდიული შემადგენლობის ელემენტები – გადასახადით დაბეგვრის

სუბიექტი და ობიექტი – ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ამ ნიშნის მიხედვით გადასახადები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: რეზიდენტობის პრინციპით აგებული (სარეზიდენტო გადასახადები) და ტერიტორიულობის პრინციპით აგებული გადასახადები (ტერიტორიული გადასახადები). განსხვავების არსი იმაშია, რომ სარეზიდენტო გადასახადებში სუბიექტი განსაზღვრავს გადასახადის ობიექტს, ხოლო ტერიტორიულ გადასახადებში კი, პირიქით.

საგადასახადო ბაზის აღრიცხვის მეთოდები განიხილება, როგორც საბუღალტრო საკითხი, რომელსაც გააჩნია მხოლოდ ირიბი დამოკიდებულება გადასახადით დაბეგვრის პრობლემების მიმართ. არსებობს საბუღალტრო აღრიცხვის 2 ძირითადი მეთოდი. ერთ-ერთი მათგანი ითვალისწინებს სახსრებს მიღებისა და გაცემის მომენტში არსებულ ოპერაციებს. ამ შემთხვევაში შემოსავლად ცხადდება ყველა თანხა, რომელიც ნამდვილად მიღებულია გადასახადის გადამხდელის მიერ კონკრეტულ პერიოდში, ხოლო ხარჯებად – რეალურად გაცემული თანხა. ამ მეთოდს ეწოდება სალაროს ან მითვისების მეთოდი, რამდენადაც ხდება მხოლოდ ამ თანხის (ქონების) გათვალისწინება, რომელიც მითვისებულია გადასახადის გადამხდელის მიერ გარკვეული იურიდიული ფორმით, მიღებულია მაგალითად, სალაროში ნაღდი სახით, გადაცემულია საკუთრებაში გარკვეული დოკუმენტების გაფორმების მეშვეობით და ა.შ. ამ მეთოდის შესაბამისად, ქონების ღირებულების ნამატი არ წარმოადგენს შემოსავალს იმ დრომდე, სანამ ეს ნამატი ამა თუ იმ სახით არაა ობიექტივირებული: მიღებულია პროცენტები ბანკში ანაბარზე, აქციები გაყიდულია მეტ ფასად შეძენის ფასთან შედარებით და სხვ. სალაროს მეთოდი გამოიყენება ფიზიკური პირებიდან საშემოსავლო გადასახადზე; შემოსავალს წარმოადგენს ფაქტიურად მიღებული შემოსავალი გარკვეული იურიდიული ფორმით. სხვა მეთოდისთვის მნიშვნელოვანია ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოქმნის მომენტი. ასე, მაგალითად, შემოსავლად ითვლება ყველა ის თანხა, რომლის მიღების უფლებაც გაუჩნდა გადასახადის გადამხდელს კონკრეტულ საგადასახადო პერიოდში იმის მიუხედავად, მიღებულია თუ არა ის სინამდვილეში. ხარჯებიც გაანგარიშებისთვის ხდება საანგარიშებო პერიოდში წარმოქმნილი ქონებრივი ვალდებულებების თანხის გაანგარიშება ფაქტიური გადახდების მიუხედავად. ამ მეთოდს ეწოდება დამგროვებლური ან სუფთა შემოსავლის მეთოდი.

საგადასახადო დაგეგმვა – თითოეულ გადასახადის გადამხდელზე უფლების აღიარება გამოიყენოს კანონით დაშვებული ყველა საშუალება, ხარჯი და სახსრები საგადასახადო ვალდებულებების მაქსიმალური შემცირებისთვის. საგადასახადო დაგეგმვა შეიძლება განისაზღვროს, როგორც გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ორგანიზება, რათა მინიმიზირებულ იქნეს საგადასახადო ვალდებულებები გარკვეული პერიოდით კანონების დარღვევის გარეშე. ის ნიშნავს არჩევას იურიდიული პირის საქმიანობისა და მისი აქტივების განთავსების სხვადასხვა ვარიანტს შორის, ამასთან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებების უფრო დაბალი დონის მისაღწევად. საგადასახადო დაგეგმვის საფუძველში დევს კანონით დადგენილი ყველა შეღავათისა და უპირატესობის მაქსიმალურად სრული და სწორი გამოყენება, ასევე საგადასახადო ორგანოების პოზიციის შეფასება და სახელმწიფოს საგადასახადო, საბიუჯეტო და საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინება.

საგადასახადო კოდექსი – საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების სისტემა, რომელიც შედის ერთიან საკანონმდებლო აქტში. ნორმების მოცემული სისტემის არსებობა განისაზღვრება რიგი მიზეზებითა და პირობებით: ა) საგადასახადო კანონმდებლობას სჭირდება სისტემატიზაცია, რომელიც შესაძლებელია, რამდენადაც არსებობს საგადასახადო სისტემის შიდა ერთიანობა. ნებისმიერი გადასახადის გადახდის წყაროდ გამოდის პირის შემოსავალი (რეალური ან საეარაუდო). საჭიროა დადგინდეს სხვადასხვა გადასახადის გადახდის მკაფიო თანამიმდევრობა. ზოგადი წესის მიხედვით, საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციისგან მიღებული ამონაგებიდან, პირველ რიგში ხდება ირიბი გადასახადების (დღგ – დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზები) გადახდა. შემდეგ იანგარიშება და გადახდა ექვემდებარება ქონებრივი გადასახადები. აღნიშნული გადასახადების გამოკლებით დარჩენილი თანხა წარმოადგენს ბაზას გადასახადით დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისთვის. მოგებაზე გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი სუფთა მოგება დანარჩენი გადასახადების წყაროა. გადასახადების დადგენა და აკრეფა ხდება გადასახადით დაბეგვრისა და მოსაკრებლთა ზოგადი პრინციპების საფუძველზე. საგადასახადო კანონმდებლობის სისტემატიზაცია ხელს უწყობს ამ პრინციპების უფრო სრულ და მკაფიო ხორცშესხმას. ამა თუ იმ გადასახადის დადგენისას გამოყენებული მრავალი ცნება, ტერმინი წარმოადგენს „ზოგადსაგადასახადოს“. მნიშვნელოვანია, რომ მათი გამოყენება მოხდეს ერთმნიშვნელოვნად კანონმდებლობის არასაჭირო გართულების, კაუზალურობის თავიდან აცილებლად. სისტემატიზირებული აქტი მოწოდებულია გამორიცხოს გადასახადით დაბეგვრის მექანიზმის არაერთგვაროვნობა, შიდა წინააღმდეგობა. რამდენადაც საგადასახადო სისტემის ცნება არ დაიყვანება მხოლოდ გადასახადების სისტემამდე, საგადასახადო კოდექსი არეგულირებს მთლიანად ფისკალურ მართლწესრიგს. ამასთან, განიხილება რეგიონალური და ადგილობრივი გადასახადების საკითხები, გადასახადების გადახდის თაობაზე ვალდებულების წარმოქმნისა და შესრულების წესის, გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და ვალდებულებების პრობლემები, საგადასახადო კონტროლის მეთოდები და ფორმები, პასუხისმგებლობა საგადასახადო დარღვევებზე და ა.შ. ეს საშუალებას აძლევს საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეებს მიიღონ სრული და უტყუარი ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ; ბ) საგადასახადო კოდექსი გამოდის საგადასახადო კანონმდებლობის სტაბილურობის საფუძვლის სახით. საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმირების შესახებ საკითხში საჭიროა ბალანსის პოვნა, ერთის მხრივ, ეკონომიკური და სოციალური პირობების ცვლილებებისთვის მიყოლის მოთხოვნასა და მეორეს მხრივ, სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებისათვის მათი საინვესტიციო დაგეგმვის, გრძელვადიანი ანგარიშების გარანტირების აუცილებლობას შორის და ა.შ. რიგ ქვეყნებში რეალური სინამდვილის ცვლილებებისადმი კოდიფიცირებული აქტების შეზღუდული

ათვისების უნარი განიხილება, როგორც არგუმენტი საგადასახადო კოდექსის მიღებაზე უარის სასარგებლოდ. მაგალითად, საგადასახადო კოდექსი არაა დიდ ბრიტანეთში. თუმცა, ეს გარემოება სხვა ქვეყნებში ფასდება საგადასახადო კანონმდებლობის კოდიფიკაციის სასარგებლოდ, რამდენადაც გადასახადების შესახებ საკანონმდებლო აქტების მუდმივი შესწორება, დამატება იწვევს ქაოსს, რომელშიც იბნევიან ყველაზე გამოცდილი ექსპერტებიც კი. საგადასახადო კოდექსი ობიექტურად ატარებს საკონსტიტუციო დატვირთვასაც. რეალურ გადასახადით დაბეგვრაზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფო წყობის დემოკრატიზმის, სამართლის, როგორც უმაღლესი სამართლიანობის გამხატულების შესახებ დეკლარაციების აღქმა. რეგულირების ობიექტის მიხედვით გამოიყოფა ზოგადი და სპეციალური საგადასახადო კოდექსი.

ზოგადი საგადასახადო კოდექსი შეიცავს მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, რომლებიც ახდენენ მთლიანად გადასახადით დაბეგვრის რეგლამენტაციას. ასეთი კოდექსებით რეგულირდება გადასახადების აკრეფის საფუძვლები, გადასახადის გადამხდელთა უფლებები და ვალდებულებები საგადასახადო ორგანოების სტრუქტურა და სამართლებრივი სტატუსი, გადასახადების გაანგარიშებისა და გადახდის პროცედურები, გაანგარიშების სისწორეზე კონტროლის წესი, საგადასახადო ორგანოების, მათი თანამდებობის პირების მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრება, პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევაზე. ასეთი აქტების მაგალითს წარმოადგენს აშშ-ის შიდა შემოსავლების კოდექსი, საფრანგეთის საგადასახადო კოდექსი, დებულება გადასახადების, მოსაკრებლებისა და ბაჟის აკრეფის წესის შესახებ, რომელიც ასრულებს გერმანიის საგადასახადო კოდექსის როლს.

სპეციალური საგადასახადო კოდექსებით რეგულირდება ფისკალური გადახდების ცალკეული სახეები. მაგალითად, ალეირში მოქმედებს რამდენიმე ასეთი კოდექსი: პირდაპირი გადასახადებისა და მათთან გათანაბრებული გადასახადების კოდექსი, საქონლებრუნვაზე გადასახადების კოდექსი, სარეგისტრაციო მოსაკრებლებისა და საგერბო მოსაკრებლების კოდექსი. ბელგიაში გამოიყენება მოსახლეობის შემოსავლებიდან გადასახადების კოდექსი.

საგადასახადო კოდექსში გამოყენებული ტერმინები და ცნებები

მუხლი 11. ამ კოდექსის ტერმინებისა და ცნებების გამოყენების არეალი

ამ კოდექსის ტერმინები და ცნებები, რომლებსაც აქვთ საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ტერმინებისა და ცნებებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა, გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო ურთიერთობების რეგულირებისას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 12. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. პირი – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

1[1]. საგადასახადო ორგანო – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, მისი სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული ორგანო, ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურული ერთეული ან სხვა ქვედანაყოფი, რომლის ფუნქციაა გადასახადების ადმინისტრირება. ამასთანავე, აღნიშნული ორგანოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოდ აგრეთვე ჩაითვლება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დაწესებულება, ამ დაწესებულების ტერიტორიული ორგანო ან სხვა ქვედანაყოფი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, შეასრულოს საგადასახადო ორგანოს ფუნქციები. (29.12.2006. N4255).

1[3]. შემოსავლების სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ან შემოსავლების სამსახურის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დაწესებულება, რომელსაც მიენიჭება უფლებამოსილება, შეასრულოს შემოსავლების სამსახურის ამ კოდექსით გათვალისწინებული ფუნქციები. (29.12.2006, N4255).

2. გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი – საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის ამ კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად მიკუთვნებული ნომერი.

3. სააღრიცხვო დოკუმენტაცია – პირველადი დოკუმენტები (მათ შორის, პირველადი საგადასახადო დოკუმენტები), ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტები და დგინდება საგადასახადო ვალდებულებები.

4. გადასახადების ადმინისტრირება – გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა/საგადასახადო აგენტთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

5. დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელი – ადგილი, სადაც უძრავი ქონება ფაქტობრივად მდებარეობს, ხოლო მოძრავი ქონება რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ არ არსებობს მოძრავი ქონების რეგისტრაციის ადგილი, დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელად ითვლება ადგილი, სადაც მოძრავი ქონება ფაქტობრივად მდებარეობს.

6. რეზიდენტი – რეზიდენტი ფიზიკური პირი ან რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია).

7. არარეზიდენტი – პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი.

8. პირის ოჯახი – პირი, მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გვარი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, შვილი და გერი, და, ძმა, ბებია, ბაბუა, შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან. ამ კოდექსის მიზნებისათვის თავად გადამხდელი უპირობოდ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს (ზემოაღნიშნულ პირთაგან), რომლებიც მასთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ და ეწევიან საერთო მეურნეობას. (25.05.2006.N 3138).

9. პარტნიორი – პარტნიორი, აქციონერი, კომანდი-

ტი, კომპლემენტარი, კოოპერატიის წევრი „შეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

10. საემისიო კაპიტალი – სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე, „შეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 3.3 პუნქტის შესაბამისად.

11. დივიდენდი – მოგების ნაწილი, რომელსაც იურიდიული პირი სამეურნეო წელის (სამეურნეო წლების) შედეგების მიხედვით ანაწილებს პარტნიორთა შორის, აგრეთვე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციების გამოსყიდვისას ("შეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53[1] მუხლის შესაბამისად) ქონების განაწილებით მიღებული შემოსავალი, გარდა საწესდებო და საემისიო კაპიტალის ქონებისა ან/და იმ ქონებისა, რომელიც პარტნიორმა ადრე განახორციელა შენატანის სახით.

12. პროცენტი – სავალო ვალდებულებებთან (გარდა საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით წარმოშობილი სავალო ვალდებულებებისა), მათ შორის, კრედიტებთან (სესხებთან). დეპოზიტებთან, ანაბრებთან, ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელი, აგრეთვე დისკონტის სახით მიღებული შემოსავალი და არასახელმწიფო საპენსიო ფონდიდან მიღებული პროცენტი.

13. როიალტი:

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური წარმონაქმნების გადამუშავების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლების საფასური;

ბ) საავტორო უფლებების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნახაზის, მოდელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

გ) სამრეწველო, სავაჭრო ან სამეცნიერო-კვლევითი მოწყობილობის გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

დ) ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის მიღებული შემოსავალი;

ე) კინოფილმების, ვიდეოფილმების, ხმის ჩანაწერების ან ჩაწერის სხვა საშუალებათა გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

ვ) ამ ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების გაწევისათვის ან ამ უფლებათა გამოყენებაზე უარის თქმით მიღებული შემოსავალი.

14. არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დღგ, აქციზი და სხვა), რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისთვის იწოდება გადასახადის გადამხდელად.

15. საერთაშორისო გადაზიდვა – ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით ტრანზიტის ან ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული ან იმპორტამდე (საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებამდე) ტერიტორიის გადაზიდვა, აგრეთვე ორი ქვეყნის გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტებს შორის შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაყვანა (28.04.2006. N2955).

16. ინდუსტრიული საქონელი – სხვადასხვა საქონელი, რომლებსაც აქვთ ერთნაირი მახასიათებლები. კერძოდ, ფიზიკური მახასიათებლები, ხარისხი, რეპუტაცია ბაზარზე, წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი.

17. მსგავსი საქონელი – სხვადასხვა საქონელი, რომლებიც არ არიან იდენტურნი, მაგრამ აქვთ მსგავსი მახასიათებლები და შედგებიან მსგავსი კომპონენტებისაგან, რაც მათ საშუალებას აძლევს, განახორციელონ ერთი და იგივე ფუნქციები და იყვნენ კომერციულად ურთიერთშემცვლელნი.

18. საქონლის ექსპორტი, საქონლის იმპორტი, საქონლის რეესპორტი, საქონლის ტრანზიტი, საქონლის დროებით შემოტანა, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაშუშავება, გადაშუშავებული პროდუქტი, გადაუშუშავებელი საქონელი, საქართველოს საბაჟო ტერიტორია და საბაჟო საზღვარი – თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, განისაზღვრება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად (29.12.2006 (4246).

19. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა – სასაქონლო კლასიფიკაციის კოდების სისტემა, რომელიც მიღებულია „საქონლის აღწერილობისა და კოდირების სისტემის ჰარმონიზაციის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად.

20. უიმედო საგადასახადო დავალიანება – ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება, რომელიც წარმოქმნილია საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებით ან/და სანქციებით, თუ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ქონების მიმართ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების შედეგად დადგინდა, რომ მას არ გააჩნია ქონება ან/და აქტივები, რომ მისი ქონება ან/და აქტივები იმდენად მცირეა, რომ ვერ ფარავს სასამართლოს ხარჯებს. (22.04.2005.N1414).

21. უიმედო ვალი – საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაციის შედეგად გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომელიც არ იქნა ანაზღაურებული მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლომდე.

22. აღიარებული ზედმეტად გადახდილი თანხა – ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადასახდელი თანხა, რომელიც:

ა) გამოვლენილია საგადასახადო ორგანოს მიერ;

ბ) დადასტურებულია საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე;

გ) დადასტურებულია ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებით;

დ) წარმოშობილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. (29.12.2006 N4246).

23. აღიარებული საგადასახადო ვალდებულება – გადასახადი ან/და სანქცია, რომელიც წარმოშობილია:

ა) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე;

ბ) „საგადასახადო მოთხოვნის" საფუძველზე, რომელსაც გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ეთანხმება ან რომლის გასაჩივრების ვადა გასულია;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე (22.04.2005.N1414).

24. საგადასახადო დავალიანება – სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის. (29.12.2006 N4246).

25. აღიარებული საგადასახადო დავალიანება – სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის აღიარებულ ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით აღიარებული ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის (29.12.2006 N4246).

26. დანაკლისი – სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი ნაკლებობა. ისეთი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ, რომელთა დასაწყობება და, შესაბამისად, ინვენტარიზაცია ფიზიკურად შეუძლებელია (ელექტრო– და თბოენერგია, გაზი და წყალი), დანაკლისად ჩაითვლება სხვაობა შეძენილ (შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით) და რეალიზებულ (გადასახადის გადამხდელისგან ფაქტობრივად გასული) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შორის, თუ ვერ დგინდება დებიტორი (ამნაზღაურებელი) ან/და მიმთვისებელი. ამასთან, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილია დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, დანაკლისად ჩაითვლება ამ ოდენობაზე მეტი ნაკლებობა.

27. არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება საავტორო უფლება, პატენტი, საქმიანი ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩაიზი, საბადოების დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები.

28. მატერიალური აქტივი – აქტივი, რომელიც არ არის არამატერიალური აქტივი.

29. წმინდა აქტივები – სხვაობა პირის აქტივებსა და მის ვალდებულებებს შორის.

30. ეკონომიკური სიმსხურის ვადა განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

31. ჭრილობა – ყველა ნიეთი და არამატერიალური სიკეთე, რომელთა შეუზღუდაეად შეძენა და რომელთა ფულობა, განკარგვა და რომლებითაც სარგებლობა შეუძლიათ პირებს.

32. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:

ა) სახნაი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებადართული წყლის ფონდისა და ტყის ფონდის მიწები;

გ) საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და საagარაკო ნაკვეთები;

დ) დასახლებული პუნქტების ფარგლების გარეთ მდებარე მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ე) ქალაქის, დაბის, სოფლის, კურორტისა და სხვა ტიპის დასახლებათა ფარგლებში მდებარე მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც სამეურნეო დანიშნულებით არ არის შეცვლილი და რომელთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ნებადართულია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით;

ვ) სამელიორაციო ქსელებით დაკავებული მიწები;

ზ) სხვა მიწა, რომელიც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად.

33. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – მიწა, რომელიც არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

34. კალენდარული წელი – დროის მონაკვეთი ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ახალრეგისტრირებული გადასახადის გადამხდელებისათვის – პირველ წელს რეგისტრაციის თარიღიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

35. წელი (გარდა კალენდარული წლისა) – დროის მონაკვეთი, რომელიც შედგება ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვისაგან.

36. ძირითადი საშუალება – მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი 1 წელზე მეტი ხნით იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, იჯარით (მათ შორის, ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის (25.05.2006, N 3138).

37. არაამორტიზებადი ძირითადი საშუალება – ძირითადი საშუალება, რომელიც ექსპლუატაციის დროს არ კარგავს თავის ღირებულებას.

38. წარმომადგენლობითი ხარჯი – პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები, რომლიც მოიცავს:

ა) პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) პროტოკოლით გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;

ბ) საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;

გ) სუვენირების შეძენის ხარჯებს;

დ) სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათ შორის:

დ.ა) საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორ-

მება, გაგრძელება) ხარჯებს;

დ.ბ) აეროპორტში დახვედრისა და გაცილების (''ვიპ''-ის დარბაზის მომსახურება ხარჯებს;

დ.გ) სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს;

დ.დ) სასტუმრო მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯებს;

დ.ე) პროტოკოლით გათვალისწინებული მიღებების, წვეულებების (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი ,ეახშამი, ბანკები) ხარჯებს.

39. კომპენსაცია – პირის მიერ საქონლის მიწოდების, გაწეული მომსახურების ან მისიე ხარჯების, დანაკარგის ან დანაკლისის ანაზღაურების მიზნით მიღებული ქონება, გასამრჯელო, სარგებელი, საფასური, საზღაური (25.05.2006 N 3138).

40. ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები – ხარჯები, რომლებიც ამაღლებს ძირითადი საშუალებების ამოსავალ (თავდაპირველ ნორმატიულ) მწარმოებლურობას, მათ შორის, შენობა-ნაგებობების ელემენტების მოდერნიზაცია, (რეკონსტრუქცია), მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გახანგრძლივების მიზნით და მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად; მანქანა-დანადგარების ნაწილების გაუმჯობესება მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად და ახალი საწარმოო პროცესების დანერგვა, გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯებისა, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების ამოსავალი მწარმოებლურობის აღდგენის ან შენარჩუნების მიზნით.

41. დახლი ან არასტაციონარული სავაჭრო ადგილი – ბაზრის ან ბაზრობის ტერიტორიაზე გაქირავებული ადგილი, საიდანაც ხდება პირის მიერ საქონლის მიწოდება და რომლის ფართობს და მომსახურების საფასურს (ქირას) განსაზღვრავს ბაზრის ან ბაზრობის ხელმძღვანელი.

42. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები – პირის მიერ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მარაგ-ნაწილები, ტარა და მზა პროდუქცია (საქონელი) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

43. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (შემდგომში – ბასს)– ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტები.

44. სათამაშო ბიზნესით დაკავებული პირისაგან მიღებული მოგებები – შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება ფიზიკური პირის (მოთამაშის) მიერ აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობებიდან ერთ ბილეთზე, ჟეტონზე, მონეტაზე ან/და სხვა საშუალებაზე მიღებული და დადებული თანხის ან/და ნივთის ღირებულების დადებითი სხვაობით. (25.05.2006. N 3138).

საგადასახადო კრედიტი – გადასახადის გადახდის გადავადებისა თუ ნაწილ-ნაწილ გადახდის შესახებ გადასახადის გადახდის ვადის ცვლილების ფორმა. განსხვავება იმაშია, რომ შეღავათების მიცემა-გადახდის გადავადება ან ნაწილ-ნაწილ გადახდა ხდება უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, ხოლო საგადასახადო კრედიტის მიცემა ხდება ხელშეკრულებით. საგადასახადო კრედიტის გამოყენებაზე ხდება პროცენტების მიღება, ისევე როგორც გადავადებასა თუ გადანაწილებაზე. თუ შეღავათის მიღების აუცილებლობა გამოწვეულია პირისათვის ზიანის მიყენებით სტიქიური უბედურების, ტექნოლოგიური კატასტროფის ან სხვა დაუძლეველი ძალის გარემოებების თუ საბიუჯეტო დაფინანსების შეფერხების, სახელმწიფო შეკვეთის ანაზღაურების შედეგად, პროცენტები არ ირიცხება.

საგადასახადო ორგანოები – სახელმწიფო საინსპექციო ორგანოების სისტემა, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ კანონმდებლობის დაცვაზე. საგადასახადო ორგანოების კონტროლის საგანია: ა) გადასახადების გაანგარიშების სისწორე; ბ) გადასახადების გადახდის სისრულე; გ) გადასახადების გადახდის დროულობა, ყველა თანამედროვე სახელმწიფოში გადასახადების გადახდის კონტროლი შედის საგადასახადო სამსახურების სპეციალური სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში, რომელთა სორგანიზაციო სტრუქტურებიც არსებითად განსხვავებულია. ქვეყნების უმრავლესობაში საგადასახადო უწყებები შედიან ფინანსთა სამინისტროების შემადგენლობაში და მათ გააჩნიათ იერარქიული წყობა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ნიშნის მიხედვით. ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია საგადასახადო ორგანოების მუშაობის ორგანიზების სხვა მეთოდები. მაგალითად, არსებობს თითოეულ საწარმოზე საგადასახადო სამსახურის მუშაკთა ჯგუფის განმტკიცების პრინციპი. ასეთი ჯგუფი კურირებს საწარმოს წარმოქმნიდან ლიკვიდაციამდე და წყვეტს ყველაფერს, რაც უკავშირდება მის გადასახადით დაბეგვრას: შემოწმებიდან გადასახადების ამოღებამდე. არსებობს მხარჯაჭერის ჯგუფიც, რომლებშიც მუშაობენ საგადასახადო სამსახურის ყველაზე გამოცდილი სპეციალისტები. ეს ქვედანაყოფები გამოიყენება გადასახადით დაბეგვრის რთული საკითხების გადაწყვეტად და ის შეიძლება მიეკუთვნოს ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც უშუალოდ მუშაობს გადასახადის გადამხდელთან.

საგადასახადო პერიოდი – ვადა, რომლის განმავლობაშიც სრულდება საგადასახადო ბაზის ფორმირების პროცესი, საბოლოოდ განისაზღვრება საგადასახადო ვალდებულების ოდენობა. გადასახადის შემადგენლობის ამ ელემენტის აუცილებლობა განისაზღვრება იმით, რომ გადასახადით დაბეგვრის მრავალ ობიექტს (მოგების, შემოსავლის მიღება. საქონლის რეალიზაცია და ა.შ.) ახასიათებს განფენილობა დროში, განმეორებითობა. შესაბამისი შედეგის განსაზღვრის მიზნით აუცილებელია პერიოდულად შეკრება. ჯერადი გადასახადებისთვის (მაგალითად, გადასახადი ქონებიდან, რომელიც გადადის მემკვიდრეობითი ან ჩუქების წესით) საგადასახადო პერიოდი არ დგინდება. საკითხი საგადასახადო პერიოდის შესახებ უკავშირდება გადასახადით დაბეგვრის ერთჯერადობის პრობლემას. ერთი და იგივე ობიექტის ორმაგი გადასახადით დაბეგვრის დაუშვებლობის პრინციპის შესაბამისად ის შეიძლება ერთი სახის გადასახადით დაბეგვრის მხოლოდ ერთხელ ქანონით განსაზღვრულ საგადასახადო პერიოდის განმავლობაში.

უნდა გაიმიჯნოს ცნებები ,,საგადასახადო პერიოდი'' და ,,საანგარიშგებო პერიოდი'' ე.ი. შეკრების

(საბოლოო ან შუალედური), ანგარიშგების შედგენის და მისი საგადასახადო ორგანოში წარდგენის ეძღ. რიგ შემთხვევებში შეიძლება ემთხვეოდეს საგადასახადო და საანგარიშგებო პერიოდები. ანგარიშგება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს რამდენიმეჯერ ერთი საგადასახადო პერიოდის განმავლობაში. ეს, როგორც წესი, გამოწვეულია ბიუჯეტში გადასახადის თანაბარი შეტანის მოთხოვნით, რაც ყოველთვის არ შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი საავანსო გადასახადების გადახდით, რომელიც გათვალისწინებულია რაიმე დამეების ან ვარაუდის საფუძველზე.

გადასახადი, რომელიც გათვალისწინებულია საანგარიშგებო პერიოდის შედეგებით და არ ემთხვევა საგადასახადო პერიოდს, წარმოადგენს შუალედურ გადასახდელს. საგადასახადო პერიოდის განსაზღვრაში ბუნდოვანება შეიძლება გახდეს გადასახადის გადამხდელთა უფლებების სერიოზული დარღვევების მიზეზი. თითოეული საგადასახადო პერიოდის შედეგებით გადასახადის გადამხდელები საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე ანგარიშობენ საგადასახადო ბაზას. ამასთან, არსებობს მოღებული ან გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი თანხის ამა თუ იმ საგადასახადო პერიოდისთვის განკუთვნების პრობლემა; ეს პრობლემა წყდება გადასახადით დაბეგვრის ბაზის აღრიცხვის კონკრეტული მეთოდის დადგენით.

საგადასახადო პოლიცია – სამართალდამცავი ორგანო, რომელიც იქმნება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გადასახადით დაბეგვრის სფეროში. საგადასახადო პოლიციის ძირითადი ამოცანებია: ა) საგადასახადო დანაშაულებისა და სამართალდარღვევების გამოელენა, თაეიდან აცილება და აღკეთა; ბ) საგადასახადო ორგანოების თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გ) საგადასახადო ორგანოებში დარღვევების გამოელენა, თაეიდან აცილება და აღკეთა. საკითხი საგადასახადო დანაშაულებთან საბრძოლველად სპეციალიზირებული ორგანოს შექმნის შესახებ სხეადასხეა ქვეყანაში განსხვავებულად წყდება.

მთლიანობაში შეიძლება გამოიყოს ოთხი მიდგომა მსოფლიო პრაქტიკაში: ა) ერთიანი გასამხედროებული ორგანოს შექმნა, რომელიც აერთიანებს ფინანსური კონტროლის ყველა ორგანოს ფუნქციებს; ბ) საგადასახადო სამსახურისა და საგადასახადო პოლიციის შექმნა დამოუკიდებელი ორგანოების სახით. ამასთან, საგადასახადო პოლიცია ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასა და საგადასახადო დანაშაულების გამოძიებას; გ) საგადასახადო ორგანოების შემადგენლობაში სპეციალური ქვედანაყოფების შექმნა საგადასახადო დანაშაულებთან საბრძოლველად; დ) რიგ ქვეყნებში საგადასახადო პოლიციის, როგორც ასეთის არარსებობა. საგადასახადო დანაშავეებასთან ბრძოლის შესაძამისი ღონისძიებები ტარდება ზოგადი კომპეტენციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ (პოლიცია, პროკურატურა და ა.შ.), საგადასახადო ორგანოებისგან საგადასახადო პოლიცია გამოირჩეა მეტი ოპერატიულობით და ორგანიზების უფრო გასამხედროებული ხასიათით, რომელიც მიმართულია დანაშაულის ნიშნების მქონე საგადასახადო დარღვევებთან საბრძოლველად. სხვა სამართალდამცავი ორგანოებისგან მას გამოარჩევს სპეციალიზაცია ეკონომიკურ და პირველ რიგში, საგადასახადო სამართალდამკოდებულებათა სფეროში.

საგადასახადო შეღავათები – უპირატესობები, რომელთაც სთავაზობენ გადასახადისა და მოსაკრებელთა გადამხდელების გარკვეულ კატეგორიებს სხვა გადასახადის გადამხდელებთან შედარებით, მათ შორის, შესაძლებლობა არ გადაიხადოს გადასახადი ან მოსაკრებელი ან გადაიხადოს ისინი მცირე ზომით. ყველა საგადასახადო შეღავათს გააჩნია საერთო მიზანი – გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების ოდენობის შემცირება. იშეიათადაა სხვა მიზანი – გადახდის გადავადება ან განაწილება, რასაც საბოლოო ჯამში (იმის გათვალისწინებით, რომ გადახდის გადავადება ან განაწილება ფაქტიურად წარმოადგენს უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით მიცემულ კრედიტს) ირიბად მიეცაეართ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების შემცირებამდე. იმის მიხედვით, თუ გადასახადით დაბეგვრის, საგადასახადო ბაზის ან სარგოს თანხის საგნის (ობიექტის) გადასახადის სტრუქტურის თუ რომელი ელემენტის ცვლილებაზეა მიმართული შეღავათი, ისინი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ა) გამონაკლისი, ბ) ფასდაკლება, გ) განთავისუფლება.

გამონაკლისი – ესაა საგადასახადო შეღავათი, რომელიც მიმართულია გადასახადით დაბეგვრისაგან გადასახადით დასაბეგრი ცალკეული საგნების (ობიექტების) განთავისუფლებაზე. მოგებაზე გადასახადის და შემოსავალზე გადასახადის მხრივ გამონაკლისი გამოიხატება იმაში, რომ მოგება ან შემოსაეალი, რომელიც მიღებულია გადასახადის გადამხდელის მიერ გარკვეული სახის საქმიანობისგან ამოღებული ხდება გადასახადით დასაბეგრი მოგების (შემოსაელის) შემადგენლობისგან ეი. არ ექვემდებარება გადასახადით დაბეგვრას. ქონებაზე გადასახადებთან მიმართებაში გამონაკლისი გამოიხატება გადასახადით დაბეგვრისაგან ქონების ცალკეული სახეების განთავისუფლებაში. ირიბი გადასახადები ასევე იყენებენ ამ სახის შეღავათს. გარკვეული ოპერაციები თავისუფლდება გადასახადით დაბეგვრისაგან. გამონაკლისი შეიძლება იყოს მუდმივი ან გარკვეული ვადით, როგორც გადასახადის ყველა გადამხდელის, ასევე მათი ცალკეული კატეგორიის მიმართ.

ფასდაკლება – ესაა შეღავათები, რომლებიც მიმართულია საგადასახადო ბაზის შემცირებაზე. მოგებასა და შემოსავალზე გადასახადების მხრივ ფასდაკლება უკავშირდება არა გადასახადის გადამხდელის შემოსავლებს, არამედ ხარჯებს. სხვა სიტყვებით რომ ეთქვათ, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს შეამციროს მოგება, რომელიც ექვემდებარება გადასახადით დაბეგვრას სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ წახალისებულ მიზნებზე მათ მიერ წარმოებული ხარჯის ოდენობით: გადარიცხვები საქველმოქმედო ფონდებში. განათლების, ჯანდაცვის, კულტურის დაწესებულებებისთვის, ხარჯები ბუნების დაცვის ღონისძიებებზე და ა.შ. გადასახადით დაბეგვრის შედეგებზე გავლენის მიხედვით ფასდაკლება შეიძლება დაიყოს ლიმიტირებულად (ფასდაკლების სიდიდე შეზღუდულია პირდაპირ ან ირიბად) და არალიმიტირებულად (საგადასახადო ბაზა შეიძლება შემცირდეს გადასახადის გადამხდელის ხარჯების მთელი თანხის ოდენობით). ისევე როგორც გამონაკლისები, შეღავათების ეს ჯგუფიც შეიძლება დაი-

ყოს ზოგადად, რომლითაც სარგებლობენ გადამხდელები სუბიექტური ნიშნების მიუხედავად და სპეციალურად, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ მხოლოდ სუბიექტების გარკვეულ კატეგორიებს.

სარგოს ოდენობა (მთლიანი გადასახადი) – ესაა საგადასახადო ბაზაში შემავალი გადასახდით დაბეგვრის ერთეულების რაოდენობის გადასახადის განაკვეთზე (განაკვეთებზე) გამრავლების ჯამი. გადასახადებში, რომელთა ოდენობაც განისაზღვრება გადასახადის გადამხდელთა შორის მისაღები საერთო თანხის გაწერის გზით (გაწერითი გადასახადები), სარგოს ოდენობა არსებობს, როგორც წინასწარ განსაზღვრული სიდიდე. **განთავისუფლება** – გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების პირდაპირი შემცირება. სარგებელი აქ უშუალოდაა წარმოდგენილი გამონაკლისითა და უპირატესებით წარმოდგენილ სარგებელთან შედარებით, რომლებიც სარგოს ოდენობას ამცირებენ ირიბად. თუ პირველი ორი სახის შეღავათისგან მეტ სარგებელს იღებს გადამხდელი, რომლის შემოსაელებიც იბეგრება მაღალი განაკვეთით, რაოდენობრივი გამოხატულებით ერთნაირი განთავისუფლება შემოსაელის დიდ წილს უნარჩუნებს გადამხდელს დაბალი შემოსაელებით, გადასახადის გადახდისგან განთავისუფლება შეიძლება დაიყოს შეღავათის ფორმების მიხედვით გარკვეულ სახეებად.

გადასახადის განაკვეთის შემცირება. მაგალითად, საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებაზე გადასახადის მიხედვით გადასახადის განაკვეთი მცირდება 50%-ით საწარმოებისთვის, რომელთა შტატის 50%-ს და მეტს შეადგენენ პენსიონერები და ინვალიდები, ხდება სარგოს ოდენობის (მთლიანი გადასახადის) შემცირება. სარგოს ოდენობა შეიძლება შემცირდეს ნაწილობრივ ან სრულად, გარკვეული პერიოდის მანძილზე ან უვადოდ. გარკვეული პერიოდით გადასახადის გადახდისგან სრულმა განთავისუფლებამ მიიღო **საგადასახადო არდადეგების** სახელწოდება. **გადასახადის გადახდის გადავადება** ან განაწილება. გადასახადის გადახდის გადავადება ან განაწილება – კანონით დადგენილი გადასახადის გადახდის ვადის შეცვლის ფორმა.

საგამოძიებო ექსპერიმენტი – საგამოძიებო მოქმედება, რომელიც მიმართულია სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი მონაცემების დაზუსტებაზე და ხორციელდება დანაშაულის მოვლენის აღდგენის გზით. სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი მონაცემების შემოწმებისა და დაზუსტების მიზნების თანახმად. გამომძიებელს უფლება აქვს აწარმოოს საგამოძიებო ექსპერიმენტი გარკვეული მოვლენის გარეშეობებისა და ეითარების, მოქმედებების აღდგენის გზით. ამასთან, მოწმდება გარკვეული ფაქტების აღქმის, გარკვეული მოქმედებების ჩადენის, რაიმე მოქმედების დადგომის შესაძლებლობა, ასევე ელინდება მომხდარი მოვლენის თანამიმდევრობა და კვალის წარმოქმნის მექანიზმი. საგამოძიებო ექსპერტიზის ჩატარება დასაშვებია, თუ არ იქმნება საფრთხე მასში მონაწილე პირთა ჯანმრთელობისათვის. საგამოძიებო ექსპერტიზის წარმოება სხვადასხვა მიზნით ტარდება: დანაშაულის მოვლენისა და გარემოებების შესახებ მონაცემების დასაზუსტებლად, ჩვენებების დასამტკიცებლად და სხვ. მისი წარმოებისას ხდება ოქმის შედგენა, ასევე შესაძლებელია ფოტო და ვიდეოგადაღება.

საგამოძიებო მოქმედება – მოსამართლის ბრძანებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება – მუხლი №290 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №7 – საგამოძიებო მოქმედება

თავი №36 – ზოგადი დებულებანი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ

1. საგამოძიებო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი ბინის, მიმოწერის, პირადი ჩანაწერის, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების საიდუმლოების შეზღუდვასთან, ტარდება მოსამართლის ბრძანებით.

2. ამოღება, ჩხრეკა, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით (გარდა ამ კოდექსის 145-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), რის შესახებაც მაგისტრატ მოსამართლეს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, პროკურორმა უნდა აცნობოს 24 საათის განმავლობაში და გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობას. მასალების შემოსულიდან არა უგვიანეს 24 საათისა მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, პროკურორის მონაწილეობით ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას. მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც ამოღება, ჩხრეკა და საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება ჩატარა მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, მოსამართლის ბრძანების გარეშე. მასალების განხილვის შემდეგ მაგისტრატ მოსამართლეს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, გამოაქვს დადგენილება:

ა) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ.

3. ნაწილი ამოღებულია.

4. გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც: არსებობს დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების მოსპობისა და დაკარგვის რეალური საშიშროება, პირს დანაშაულის ფაქტზე წასწრებენ, საქმისათვის საჭირო საგნები და დოკუმენტები აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, შემოწმება) ან შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო.

5. ნაწილი ამოღებულია.

6. გამომძიებლისა და პროკურორის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნეს მოსამართლის ბრძანება პირის იძულე-

ბით შემოწმების, მოყვანის, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების მიღების შესახებ.

7. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო სხდომის ოქმი არ დგება. მოსამართლე უფლებამოსილია შეამგრძოლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საგამოძიებო იზოლატორი – სისხლის სამართლის აღმასრულებელი სისტემის ორგანო, რომელიც გათვალისწინებულია ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა მოთავსებისთვის, რომელთა მიმართაც აღკვეთი ღონისძიების სახით შერჩეულია დაპატიმრება. საგამოძიებო იზოლატორს გააჩნია იურიდიული პირის უფლებები. სისხლის სამართლის აღმასრულებელი სისტემის საგამოძიებო იზოლატორები იქმნება, რეორგანიზებული და ლიკვიდირებული ხდება იუსტიციის მინისტრის მიერ. საგამოძიებო იზოლატორის დაფინანსება ხდება ბიუჯეტის ხარჯზე.

საგამოძიებო მოქმედებების წარმოების წესები – კანონის მოთხოვნები, რომლებიც ერცელდება ყველა საგამოძიებო მოქმედებაზე.

შესაძლებელია გამოიყოს საგამოძიებო მოქმედებების წარმოების შემდეგი წესები: ა) რიგი საგამოძიებო მოქმედება წარმოებს მხოლოდ გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე (გვამის დათვალიერება მისი დაკრძალვის ადგილიდან ამოღების აუცილებლობისას, შემოწმება, ჩხრეკა და ამოღება). მოცემულ შემთხვევაში დადგენილება პროკურორის, გამომძიებლის, მკლევის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილებაა, რომელიც გამოტანილია წინასწარი გამოძიების წარმოებისას საბრალდებო დასკვნისა და საბრალდებო აქტის გარდა. დადგენილებას გააჩნია წერილობითი ფორმა. თითოეული დადგენილება შედგება სამი ნაწილისგან: შესავალი, აღწერითი და სარეზოლუციო. შესავალ ნაწილში მითითებულია დადგენილების დასახელება, მისი გამოტანის ადგილი და თარიღი, გამომტანი პირი. დადგენილების აღწერით ნაწილში დასაბუთებულია მიღებული გადაწყვეტილება და სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებითაც ხდება მისი რეგლამენტაცია. სარეზოლუციო ნაწილში ყალიბდება გადაწყვეტილება იმ ადგილის მითითებით, სადაც წარმოებს საგამოძიებო მოქმედება. შემოწმების აუცილებლობისას მითითებულია შემმოწმებელი პირის სახელის, გვარის, მამის სახელის მითითება. დადგენილებას ხელს აწერს მისი გამომტანი პირი; ბ) კანონმდებლობით დადგენილ ზოგიერთ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებები წარმოებს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, საცხოვრებელი სახლის დათვალიერება მასში მცხოვრებ პირთა თანხმობის გარეშე; საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა და/ან ამოღება; პირადი ჩხრეკა; ბანკებსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტებისა და საგნების ამოღება; კორესპონდენციის დაყადაღება; ჭორების დაყადაღება; სატელეფონო და სხვა სახის საუბრების კონტროლი და ჩაწერა; გ) საგამოძიებო მოქმედებები წარმოების დღის საათებში, გამონაკლისის შეადგენს შემთხვევები, რომლებიც არ ითმენენ გადადებას, მაგალითად, საგამოძიებო მოქმედების წარმოების აუცილებლობა დანაშაულის კვალის განმტკიცებისთვის (საეზო შემთხვევის, მკვლელობის ადგილის დათვალიერება და ა.შ.; დ) დაუშვებელია ძალადობის, ძალისმიერი მოქმედებების გამოყენება, მუქარა, დაშინება, სხვა უკანონო ზომების მიღება; ე) დაუშვებელია საფრთხის შექმნა მათში მონაწილე პირების უსაშრობისა და სიცოცხლისათვის; ვ) სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეთა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეთა პიროვნების დადასტურება ბრალდების, დაცვის მხრიდან და ა.შ. დამცველმა უნდა წარმოადგინოს მისი სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (იურიდიული კონსულტაციის მიერ გაცემული ორდერი, შეთანხმება და ა.შ.); ზ) გამომძიებელი და მოკვლევის მწარმოებელი პირი სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში მონაწილეებს განუმარტავს მათ უფლებებს, რაც აუცილებლად აისახება ამ მოქმედების ოქმში და მტკიცდება შესაბამისი სუბიექტის ხელმოწერით. ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს დაკითხვის, დაპირისპირების, ამოცნობის დროს განემარტება მათი კონსტიტუციური უფლება და არ მისცენ დასტური საკუთარი თავის, მეუღლის ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ. მოწმესა და დაზარალებულს აფრთხილებენ პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის დროს და ცრუ ჩვენებების მიცემაზე. წინასწარი გამოძიების საიდუმლოს შენახვის აუცილებლობისას მათ განემარტება პასუხისმგებლობა წინასწარი გამოძიების ან მოკვლევის მონაცემების გახმოვანებაზე. ექსპერტი ინფორმირებულია ცრუ დასკვნის მიცემაზე პასუხისმგებლობის შესახებ. გამომძიებელი და მოკვლევის მწარმოებელი პირი სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეებს განუმარტავს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების წარმოების წესს და მისი დაცვის აუცილებლობას. პირებს, რომლებთან მიმართებაშიც ხდება ჩხრეკა ან ამოღება, ასევე დამსწრეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თვალი ადევნონ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობასა და შედეგებს; თ) დანაშაულის კვალისა და ნივთმტკიცებების აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. ტექნიკურ საშუალებებს განეკუთვნება დანაშაულის კვალის აღმოჩენის სხვადასხვა სახის ხელსაწყოები – ლუპიდან დაწყებული ურთულესი აპარატურით დამთავრებული, სპეციალური ფუნჯები, ლითონის მაძებრები და ა.შ. ი) საგამოძიებო მოქმედების წარმოების დროს ხდება ოქმის შედგენა – დოკუმენტისა, რომელშიც ფიქსირდება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შინაარსი და მისი შედეგები.

საგამოძიებო და სასამართლო მოქმედების ოქმები

1. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებებია ამ კოდექსით (საქ. სისხლის სამართლის საპრ. კოდექსი) გათვალისწინებული წესით შედგენილი საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ოქმები.

2. ოქმი, რომელიც ჩვენებას აფიქსირებს, არ გამორიცხავს ჩვენების მიმცემ პირთა გამოძახებისა და დაკითხვის შესაძლებლობას.

3. საპროცესო გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა მითითება ჩვენებასა და კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან ამოკრებილ სხვა ცნობებზე. (სსსკ, მუხლი 125).

სისხლის სამართლის პროცესში პირის ჩვენების სარწმუნოობის შესაფასებლად დასაშვებია ფარული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი, თუ იგი დაფიქსირებულია:

ა) ფარულად იმ პირის მიერ, რომლის წინააღმდეგ იყო მიმართული დანაშაული და რომელიც არის საურბის ან ქმედების მონაწილე;

ბ) ტექნიკური საშუალებით შემთხვევით, რაც ასახავს განხორციელებულ ქმედებას. (სსსკ, მუხლი 110, პუნქტი 2^1).

ფარული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის დასაშვებობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა ხდება სასამართლო გადაწყვეტილებით. (სსსკ, მუხლი 110, პუნქტი 2^2).

მოპოვებული და მხარის მიერ წარმოდგენილი ცნობები უნდა დაერთოს საქმეს. ისინი უნდა შეამოწმოს და გამოიკვლიოს მეორე მხარემ, აგრეთვე ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს. მხოლოდ დასაშვებად მიჩნეული მტკიცებულებები შეიძლება იქნეს გამოყენებული სასამართლო კამათსა და სასამართლო განაჩენში. (სსსკ, მუხლი 110, პუნქტი 3).

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით მიღებული მონაცემები შეიძლება გახდეს ამა თუ იმ საპროცესო წყაროს ცნობისა და ფაქტის (დოკუმენტის გარდა) შინაარსი და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიშვება, როგორც მტკიცებულებები. (სსსკ, მუხლი 110, პუნქტი 4).

საგანგებო მდგომარეობა – შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად მთელს ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების, სხვა ორგანიზაციების საქმიანობის განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც უშვებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ცალკეულ შეზღუდვებს, ასევე მათზე დამატებითი ვალდებულებების დაკისრება. არსებობს ორი სახის გარემოება, რომელთა არსებობის დროსაც შეიძლება საგანგებო მდგომარეობის შემოღება: ა) კონსტიტუციური წყობის ძალადობრივი შეცვლის შიდელობა, შეიარაღებული ამბოხი, ეროვნებათშორისი, კონფესიათშორისი და რელიგიური კონფლიქტები; ბ) ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციები (იხ. საგანგებო სიტუაცია).

ქვეყნის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღება ხდება პრეზიდენტის ბრძანებით. ის შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ დროებით შეზღუდვებს: ა) შესაბამის ტერიტორიაზე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებების სრული ან ნაწილობრივი შეჩერება; ბ) შეზღუდვების დადგენა გადაადგილების თაისუფლებაზე, შემოსელისა და გასელის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღება; გ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაძლიერება; დ) შეზღუდვების დადგენა ცალკეული სახის ფინანსურ-ეკონომიკურ საქმიანობაზე; ე) სურსათისა და პირველი საჭიროების საგნების გაყიდვის, შეძენისა და განაწილების განსაკუთრებული წესის დადგენა; ვ) მიტინგების, შეკრებებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების ჩატარების აკრძალვა ან შეზღუდვა; ზ) გაფიცების აკრძალვა; თ) სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შეზღუდვა და მათი დათვალიერების განხორციელება; ი) საშიში წარმოების საქმიანობის შეჩერება; კ) მატერიალური და კულტურული ფასეულობების ეკაკუაცია უსაფრთხო ადგილას. შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვა დამატებითი ზომები და დროებითი შეზღუდვებით (იხ. საგანგებო სიტუაცია).

საგანგებო სიტუაცია ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ვითარება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, გარემომცველ ბუნებრივ გარემოს და რომელსაც მოსდევს მნიშვნელოვანი მატერიალური დანაკარგები სტიქიური ან სხვა სახის უბედურების, საშიშ სამრეწველო ან პიდროტექნიკურ ობიექტზე ავარიის, კატასტროფის შედეგად და ა.შ. საგანგებო სიტუაციები იყოფა ბუნებრივად და ტექნოგენურად. მოსახლეობის საგანგებო სიტუაციებისგან დაცვის, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით გათვალისწინებულია სპეციალური ზომები, რომლებიც ხორციელდება, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური ორგანოს, ასევე სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. ამ ზომებში შედის: ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვის შექმნა; მოსახლეობისა და ტერიტორიების დაცვის ძალების და საშუალებების მომზადება; მოსახლეობისთვის დაცვის საშუალებების სწავლება, ევაკუაცია, საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება და ა.შ. საგანგებო სიტუაციის პირობებში მოქალაქის უფლებები შედის: კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების უფლება; რისკის შესახებ ინფორმაციის მიღება, რომლის ქვეშაც შეიძლება მოექცნენ მოქალაქეები; ჯანმრთელობისა თუ ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ა.შ. მოქალაქეები საგანგებო სიტუაციის პირობებში ვალდებულნი არიან დაიცვან უსაფრთხოების წესები საყოფაცხოვრებო და შრომით საქმიანობაში, ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნები, შეასრულონ ქცევის დადგენილი წესები საგანგებო სიტუაციის საშიშროებისა და არსებობის დროს და ა.შ.

საგარანტიო გადახდები – გადახდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაკის გარკვეული მატერიალური კეთილდღეობის დონის შენარჩუნებას მის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს იმ ორგანიზაციაში შეუსრულებლობის დროს, რომელთანაც მას გააჩნია შრომითი სამართალდამოკიდებულება ან სხვა ორგანიზაციაში თაისი ვალდებულებების შესრულებისას, რომლის მიზანიცაა დანაკარგების თაიდან აცილება თანამშრომლის ხელფასში. საგარანტიო გადახდები ხელფასისგან განსხვავდება პირველ რიგში მიზნობრიეი დანიშნულებით. საგარანტიო გადახდები ესაა მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფის დონის შენარჩუნება სახელმწიფო ან საზოგადოებრიეი ვალდებულებების შესრულებისას, სწავლებისას, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის და ა.შ.

საგარანტიო გადახდები გაიცემა შემდეგ შემთხვევებში: ა) მუშაკს – შრომითი სამართალდამოკიდებულების სუბიექტს; ბ) კანონმდებლობაში მითითებული საფუძვლების გამოვლენისას; გ) შრომითი ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე; დ) დროის გამო, რომელიც უნდა იყოს სამუშაო დროის მონაკვეთი, მაგრამ მუშაკთა დამოუკიდებელი მიზეზების გამო ასეთი არ აღმოჩნდა. საგარანტიო გადახდების კლასიფიკაციის ამოდიან საგარანტიო გადახდების მიზნობრიეი დანიშნულებიდან (გადახდები ჯანმრთელობის დასაცავად, სახელმწიფო და საზოგადოებრიეი ვალდებულებების შესრულების დროზე; კვალიფიკაციის ამაღლებისა და განაწილების

მიღებისას; სამუშაოს მიმცემის უკანონო ქმედებების დროს), რომელიც ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვისთვის იმ მუშაკების მიმართ, რომელთაც უნდა გაიარონ სამედიცინო გამოკვლევა. საგარანტიო გადახდები ნარჩუნდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ვალდებულებების შესრულების დროს, მათ შორის, შრომის საკითხების კომისიის წევრებზე, კოლექტიურ მოლაპარაკებებში, ასევე მომრიგებელ კომისიასა და შრომით არბიტრაჟში მონაწილე პირებზე. საგარანტიო გადახდები კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლებისას ნარჩუნდება მუშაკებზე, რომლებიც კვალიფიკაციის ამაღლებაზე იგზავნებიან სამუშაოსგან მოწყვეტით (საშუალო ხელფასი ძირითადი სამუშაოს ადგილის მიხედვით); მუშაკებზე, რომელთაც სასწავლებლად აგზავნის სამუშაოს მიმცემი ან რომლებიც დამოუკიდებლად მოხვდნენ აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ეძლევათ შეღავათები საშუალო ხელფასის შენარჩუნებით). საგარანტიო გადახდები სამუშაოს მიმცემის უკანონო მოქმედებების დროს ხორციელდება მაშინ, თუ ხელფასი არაა მიღებული: თანამშრომლის სამუშაოსგან უკანონო ჩამოშორების, დათხოვნის ან სხვა სამუშაოზე გადაყვანისას. შრომითი დავების განხილვის ორგანოს გადაწყვეტილების შესრულებაზე სამუშაოს მიმცემის მიერ შრომის წიგნაკის დაკავების, შრომის წიგნაკში არასწორი ჩანაწერის შესრულების ან კანონმდებლობის შეუსაბამო დათხოვნის მიზეზის ფორმულირების შედეგად.

საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის წესების დარღვევა – დანაშაული, რომელიც წარმოადგენს ავტომობილის, ტრამვაის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მატარებელი პირის მიერ საგზაო მოძრაობის ან სატრანსპორტო საშუალებების წესების დარღვევას, რაშიც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მძიმე ან საშუალო სიმძიმის ზიანის ან დიდი ზარალის მიყენება.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა – გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პროცესში ან მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაიღუპნენ ან დაშავდნენ ადამიანები, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალებები, ნაგებობები, ტვირთი ან მიღებულ იქნა სხვა სახის მატერიალური ზარალი.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დათვალიერების ოქმის დანართი

შემთხვევის ადგილი (საავტომობილო გზა, ქუჩა, კმ, სახლი, გზაჯვარედინი და ა.შ.)

სქემა

ავტო-საგზაო შემთხვევის ნახაზი

(ნახაზი კეთდება ობიექტების ზუსტი განლაგებისა და მანძილების მინიშნებით)

მძღოლი (გვარი, სახელი, მამის სახელი) (ხელმოწერა)

მძღოლი (გვარი, სახელი, მამის სახელი) (ხელმოწერა)

სქემა შეადგინე (თანამდებობა, წოდება) (ხელმოწერა)

დამსწრენი (გვარი, სახელი, მამის სახელი) (ხელმოწერა)

(გვარი, სახელი, მამის სახელი) (ხელმოწერა)

პირობითი აღნიშვნები

I.

2. და ა.შ.

საგუშაგო სამსახურის წესების დარღვევა – დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ, რაც მდგომარეობს საგუშაგო (საყაზტო) სამსახურის საწესდებო წესების დარღვევაში პირის მიერ, რომელიც შედის გუშაგის (ეახტის) შემადგენლობაში, თუ ამ ქმედებამ გამოიწვია გუშაგის (ეახტის) მიერ დაცული ობიექტებისთვის ზიანის მიყენება.

სადაზღვევო ანაზღაურების გაანგარიშების პროპორციული სისტემა

ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო რისკის დადგომისას გასაცემი ანაზღაურების გაანგარიშების სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ სადაზღვევო გადახდა ფარავს დამზღვევის (სარგებლის შემძენის) არა მთელ ზარალს, არამედ მხოლოდ ნაწილს, სადაზღვევო თანხისა და ღირებულების პროპორციულ თანაფარდობას. თუ არასრულ ქონებრივ დაზღვევაში სადაზღვევო თანხა შეადგენს ქონების სადაზღვევო ღირებულების 50%-ს, დამზღვევი ვალდებულია ანაზღაუროს მხოლოდ მიყენებული ზარალის ნახევარი.

სადაზღვევო გადახდა – ფულადი თანხა, რომელიც მზღვეველმა უნდა გასცეს დაზღვევის ხელშეკრულებაში ან კანონში მიცემულ პირზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად. ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულებებში სადაზღვევო გადახდას ეწოდება სადაზღვევო ანაზღაურება, პირადი დაზღვევის ხელშეკრულებებში – სადაზღვევო უზრუნველყოფა. სადაზღვევო ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს დამზღვევის ან მგსამე პირის დაზღვეული ქონებისთვის მიყენებულ პირდაპირი ზარალის ოდენობას სადაზღვევო შემთხვევის დროს.

იმ შემთხვევაში, როცა სადაზღვევო თანხა ნაკლებია ქონების სადაზღვევო ღირებულებაზე, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა მცირდება ქონების სადაზღვევო ღირებულებასთან სადაზღვევო თანხის თანაფარდობის პროპორციულად, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული დაზღვევის ხელშეკრულებით.

პირადი დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო თანხა დგინდება დამზღვევის მიერ მზღვეველთან შეთანხმებით. სადაზღვევო უზრუნველყოფის გაცემა ხდება დამზღვევისთვის ან მესამე პირისთვის, დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.

სადაზღვევო თანხა – დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული ან კანონით დადგენილი ფულადი თანხა, რომლიდან გამომდინარეც დგინდება სადაზღვევო შენატანის და სადაზღვევო გადახდის ოდენობა. სადაზღვევო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს ქონების ღირებულებას ხელშეკრულების დადების მომენტისთვის. მხარეებს არ შეუძლიათ სადაო გახადონ ქონების სადაზღვევო თანხა, რომელიც განსაზღვრულია

დაზღვევის ხელშეკრულებაში, იმ შემთხვევების გარდა, როცა მზღვეველი დაამტკიცებს, რომ ის განზრახ იყო შეცდომაში შეყვანილი დამზღვევის მიერ. ქონების დაზღვევისას სადაზღვევო ღირებულება უტოლდება ქონების საბაზრო ღირებულებას დაზღვევის ხელშეკრულების დადების დღეს. სამეწარმეო რისკის დაზღვევის დროს – მოსალოდნელი ზარალის ოდენობას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას – მხარეების მიერ განსაზღვრულ თანხას. თუ დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო თანხა აღემატება ქონების სადაზღვევო ღირებულებას, ხელშეკრულება წარმოადგენს ბათილს კანონის ძალით სადაზღვევო თანხის იმ ნაწილში, რომელიც აღემატება ქონების ნამდვილ ღირებულებას ხელშეკრულების დადების მომენტისთვის. თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო ღირებულებაზე ნაკლებია, დაზღვევას ეწოდება არასრული. (იხ. სადაზღვევო ანაზღაურების გაანგარიშების პროპორციული სისტემა).

სადაზღვევო პოლისი – წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადების ფაქტს და მის არსებით პირობებს. სადაზღვევო პოლისის გაცემა ხდება სადაზღვევო ორგანიზაციის (მზღვეველის) მიერ და არ მოითხოვს დამზღვევის მიერ ხელმოწერას. მოთხოვნები სადაზღვევო პოლისის შინაარსისა და რეკვიზიტების მიმართ დადგენილი არაა. ჩვეულებრივ სადაზღვევო პოლისი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს (პირობებს): ა) დოკუმენტის დასახელება; ბ) მზღვეველის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები; გ) დამზღვევის გვარი, სახელი, მამის სახელი ან დასახელება და მისი მისამართი; დ) დაზღვევის ობიექტის მითითება; ე) სადაზღვევო თანხის ოდენობა; ვ) სადაზღვევო რისკის მითითება; ზ) სადაზღვევო შენატანის ოდენობა, მისი შეტანის ვადები და წესი; თ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა; ი) ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის წესი; კ) სხვა პირობები მხარეთა შეთანხმებით; ლ) მზღვეველის წარმომადგენლის ხელმოწერა.

ერთჯერადი სადაზღვევო პოლისი აფორმებს მარტივ ოპერაციებს ერთ ობიექტთან დაზღვევის მიხედვით. გენერალური სადაზღვევო პოლისი მოიცავს ობიექტთა ჯგუფის დაზღვევის ოპერაციებს მსგავსი პირობებით გარკვეული დროის მანძილზე. ერთჯერადი სადაზღვევო პოლისის გაცემა გენერალური სადაზღვევო პოლისის საფუძველზე დასაშვებია, მაგრამ არაა სავალდებულო. გენერალურ პოლისში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამზღვევის მიერ დაზღვევის პირობების არჩევის შესაძლებლობა, რომლებიც ამ უკანასკნელის მიერ შეტყობინებული ხდება სადაზღვევო პოლისით განპირობებული წესით. სადაზღვევო თანხების ოდენობა არაა მითითებული, რამდენადაც ქონების ღირებულება და მისი რაოდენობა წინასწარ არაა ცნობილი; სადაზღვევო პრემიის ოდენობა შეიძლება მითითებულ იქნეს მხოლოდ მიახლოებით.

სადაზღვევო პრემია – დაზღვევის ხელშეკრულებაში საფასური დაზღვევაზე, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა (სარგებლის შემძენმა) მზღვეველს იმ წესითა და ვადებში, რომლებიც დადგენილია დაზღვევის ხელშეკრულებით ან კანონით.

სადაზღვევო რისკი – სავარაუდო მოვლენა, რომლის დადგომის შემთხვევაშიც ხდება დაზღვევა და რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები: ა) მისი დადგომის ალბათობა და ბ) შემთხვევითობა.

სადაზღვევო ტარიფი – 1) სადაზღვევო შენატანის განაკვეთი სადაზღვევო თანხის ერთეულიდან ან დაზღვევის ობიექტიდან. სადაზღვევო ტარიფი დაზღვევის სავალდებულო სახეებზე დგინდება სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონებში; 2) სავალდებულო სოციალურ დაზღვევაში გამოიყენება ცნება „სადაზღვევო შენატანის ტარიფი" – სადაზღვევო შენატანის განაკვეთი, რომელიც დადგენილია სავალდებულო სოციალური დაზღვევის კონკრეტულ სახეზე, შრომის დარიცხული ანაზღაურებით, დაზღვეული პირების ყველა საფუძვლის მიხედვით.

სადაზღვევო ღირებულება – ნამდვილი, დაზღვეული ინტერესის ფულადი შეფასების თანხა. სადაზღვევო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს დაზღვეული ქონების ნამდვილ სადაზღვევო ღირებულებას ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, ამ წესს ეწოდება დაზღვევის ლიმიტი.

სადაზღვევო შემთხვევა – მოვლენა, რომლის დადგომის შემთხვევაში კანონის ან ხელშეკრულების ძალით მზღვეველი ვალდებულია დამზღვევს გადაუხადოს სადაზღვევო თანხა.

1) დაზღვევის ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებული მოვლენა, რომლის დადგომის გამოც წარმოიქმნება მზღვეველის ვალდებულება სადაზღვევო თანხა გადაუხადოს დამზღვევს, დაზღვეულ პირს, სარგებლის შემძენს ან მესამე პირებს. ქონებასთან დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევის დროს სადაზღვევო გადახდა ხდება სადაზღვევო ანაზღაურების სახით, დამზღვევის ან მესამე პირის პიროვნებასთან დაკავშირებით კი – სადაზღვევო უზრუნველყოფის სახით; 2) სავალდებულო სოციალური დაზღვევის კანონმდებლობის მიხედვით მოვლენა, რომელიც წარმოადგენს სოციალური სადაზღვევო რისკის რეალიზაციას, რომლის დადგომის გამოც ჩნდება მზღვეველის ვალდებულება განახორციელოს უზრუნველყოფა სავალდებულო სოციალური დაზღვევის მიხედვით.

სადაზღვევო შენატანი – დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო პრემიის ნაწილი, რომელიც გადახდას ექვემდებარება დაზღვევის ხელშეკრულებაში ან კანონში დადგენილ ვადებში.

სადაზღვევო შესატანი (პრემია)

თანხა, რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობისათვის.

სადისკონტო განაკვეთი (discount rate)

საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც კომერციული ბანკები ანაღდებენ თამასუქებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში – სახაზინო განაკვეთი, რომლითაც სარეზერვო ბანკი საფასონო ბიტოკ დაწესებულებებისთვის მოკლე ვადით სახსრების მიცემის დროს.

სადისტური მეთოდები – სასტიკი და გაუკუღმართებული მოპყრობა, რომელიც იწვევს გან-

საკუთრებული ტანჯვის მიყენებას (წამება, ცოცხლად დაწვა, დახრჩობა, მოკვდინება ტანჯვით და ა.შ.).

საერთო მაუწყებლობის ორგანიზაციების მოსაზღვრე უფლებები – განსაკუთრებული უფლებების კომპლექსი, რომლებიც განეკუთვნება საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებს უკვე ეთერით გადაცემულ გადაცემებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული უფლებები ვრცელდება გამოყენების შემდეგ სახეებზე: ა) კაბელით საყოველთაო გადაცემისთვის მისი საკაბელო მაუწყებლობის სხვა ორგანიზაციისთვის გადაცემა (იმის მიუხედავად, ხორციელდება თუ არა „ცოცხალი შესრულების" პირველი საეთერო გადაცემა ან ჩანაწერით გადაცემა); ბ) გადაცემის ეთერით ტრანსლაცია; გ) გადაცემის ჩაწერა; დ) გადაცემის ჩაწერის აღდგენა (ამასთან შემდგომი გაერცელება მოხდება საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობის გარეშე; ე) საყოველთაო ცნობისთვის გადაცემა ფასიანი შესასვლელის მქონე ადგილებში. გადაცემის გავრცელების უფლება არ გაიცემა (იხ. ფონოგრამის მწარმოებლის მოსაზღვრე უფლებები), თუ ასეთი გადაცემა შეიქმნა კანონით და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის სახსრების ხარჯზე, გადაცემაზე მოსაზღვრე უფლებები გააჩნია საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას ამ გადაცემის ეთერით გაშვების მომენტში – ეს იქნება საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის თავდაპირველი უფლებები. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლებები მოქმედებს ასეთი ორგანიზაციის მიერ პირველი გადაცემის ეთერით განხორციელებიდან 50 წლის ან იმ სახელმწიფოს კანონით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

საერთაშორისო კონფერენციები გარემოს დაცვისა და მყარი განვითარების თაობაზე – სახელმწიფოების წარმომადგენელთა და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე მეცნიერებისა და სხვა პირების თათბირი გარემოს დაცვის პრობლემების განხილვისთვის; ამ საერთაშორისო კონფერენციებს შორის ყველაზე ცნობილია: გაეროს კონფერენცია ქ. სტოკჰოლმში ადამიანის გარემომცველი გარემოს პრობლემებზე და გაეროს კონფერენცია ქ. რიო-დე-ჟანეიროში გარემოსა და განვითარების თაობაზე (იხ. რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ).

საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული მუდმივი წარმომადგენლობა – საერთაშორისო ორგანიზაციის სუვერენული წევრი-სახელმწიფოს ორგანო, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ მასში წარმოადგინოს მოცემული სახელმწიფო და კავშირი იქონიოს ამ სახელმწიფოსთან და ამის ქვეშ. საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული მუდმივი წარმომადგენლობის ფუნქციებში შედის: ორგანიზაციასთან გამგზავნი სახელმწიფოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფაში; ამ სახელმწიფოსა და ორგანიზაციას შორის კავშირის შენარჩუნებაში; ორგანიზაციასთან მოლაპარაკებების წარმოებაში; ორგანიზაციაში განხორციელებული საქმიანობის გარკვევაში და მასზე გამგზავნი სახელმწიფოს მთავრობისთვის ცნობის მიწოდებაში; ორგანიზაციის საქმიანობაში გამგზავნი სახელმწიფოს მონაწილეობის უზრუნველყოფაში; გამგზავნი სახელმწიფოს ინტერესების დაცვაში ორგანიზაციასთან მიმართებაში; ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების განხორციელების ხელშემწყობაში ორგანიზაციასთან და მის ფარგლებში თანამშრომლობის გზით.

საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული მუდმივი წარმომადგენლობის სამართლებრივი დებულება განისაზღვრება 1975 წლის 14 მარტის ვენის კონვენციით საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათ დამოკიდებულებაში სახელმწიფოს წარმომადგენლობის შესახებ, ასევე საერთაშორისო სამართლის ჩვეულებრივი ნორმებით. საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული მუდმივი წარმომადგენლობა სარგებლობს დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სრულად. ამ წარმომადგენლობის დიპლომატიურ, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ და მოსამსახურე პერსონალს გააჩნია დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომელთა შესაბამისი კატეგორიების ანალოგიური პრივილეგიები და იმუნიტეტი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული მუდმივი წარმომადგენლობის აკრედიტაცია ხდება არა სამყოფელ სახელმწიფოში, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ამ მუდმივი წარმომადგენლობის სამართლებრივ დებულებებში არსებობს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და მათი თანამშრომლების სტატუსისგან განსხვავებული თავისებურებები. კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული მუდმივი წარმომადგენლობის მეთაურის დასანიშნად საჭირო არაა აგრემანის თხოვნა არც სამყოფელ სახელმწიფოში, არც საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, ხოლო არც წარმომადგენლობის და მათი თანამშრომლების პრივილეგიები და იმუნიტეტი არ შეიძლება შეიზღუდოს სამყოფელი სახელმწიფოს მიერ ორმხრივობის საფუძველზე. საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლების მიმართ არ გამოიყენება მათი „პერსონა ნონ გრატად" გამოცხადება, ხოლო რომელიმე მათგანის მიერ თავისი სტატუსის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყდეს სამყოფელ სახელმწიფოს, ორგანიზაციის გენერალურ მდივანს (გენერალური დირექტორისა) და ამ წარმომადგენლობის თანამშრომლების მოქალაქეების სახელმწიფოს შორის.

საერთაშორისო ორგანიზაციები – მრავალმხრივი თანამშრომლობის ორგანოები. საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის გამოიყოფა საერთაშორისო მთავრობათაშორისო ორგანიზაციები (სმშო), რომელთა მონაწილეებს წარმოადგენენ სახელმწიფოები და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები (საო), რომლებშიც შედის ეროვნული გაერთიანებები, ასოციაციები და სხვადასხვა სახელმწიფოს ცერძო პირებიც კი. მოცემულ სტატიაში ტერმინი „საერთაშორისო ორგანიზაციები" აღინიშნება მხოლოდ სახელმწიფოთა მთავრობათაშორისო ორგანიზაციები, რამდენადაც საერთაშორისო სამართალი უშუალოდ არეგულირებს მხოლოდ ამ ორგანიზაციების საქმიანობას. საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ სახელმწიფოების გაერთიანებას, რომელიც შექმნილია ბუდიე საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობების ამა თუ იმ დარგში თანამშრომლობისთვის. საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ მეორადს, წარმოებულს სახელმწიფოე-

ბისგან საერთაშორისო სამართლის სუბიექტების მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ანსხვავებენ უნივერსალურს (მსოფლიოს), რომლებიც აერთიანებენ მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობას, მაგალითად, გაერო-ს და რეგიონალურს, რომლებშიც შედის რომელიმე გეოგრაფიული რაიონის სახელმწიფოები, მაგალითად, არაბული სახელმწიფოების ლიგა, აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია, დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობა და ა.შ.

კომპეტენციის მოცულობის მიხედვით გამოყოფენ საერთაშორისო ორგანიზაციებს ზოგადი ან ფართო კომპეტენციით (გაერო, იუნესკო) და სპეციალური კომპეტენციით (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვ). ახალი წევრების მიღების წესის მიხედვით ანსხვავებენ ღია საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებშიც შესვლის უფლება აქვს ნებისმიერ სახელმწიფოს და დახურულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა შემადგენლობაშიც ესა თუ ის სახელმწიფო პოლიტიკური ან სხვა მიზეზებით არ დაიშვება, მაგალითად ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია, რომლის წევრებიც შეიძლება იყვნენ მხოლოდ მუსულმანური ქვეყნები. მიღებული გადაწყვეტილებების იურიდიული ძალის მიხედვით გამოყოფა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა გადაწყვეტილებებიც სავალდებულოა წევრი-სახელმწიფოებისთვის. ყველაზე დაწერილებითს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია მათი საქმიანობის საგნის მიხედვით; პოლიტიკური, ეკონომიკური, ტრანსპორტის, კავშირის საკითხების შესახებ და ა.შ. საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის წესი და სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება საერთაშორისო სამართლის – საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის ნორმებით. მის უმნიშვნელოვანეს წყაროებს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებები და სხვა დამფუძნებელი აქტები, 1946 წ. კონვენცია გაერო-ს პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ, 1947 წ. კონვენცია სპეციალიზირებული დაწესებულებების პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ და საერთაშორისო ორგანიზაციების ორმხრივი შეთანხმებები მათი შტაბ-ბინების სახელმწიფოებთან.

საერთაშორისო სასამართლო

– გაერო-ს მთავარი სასამართლო ორგანო, რომელიც შეიქმნა 1945 წელს და განლაგებულია ჰააგაში (ნიდერლანდები). საერთაშორისო სასამართლოს ორი ძირითადი ფუნქციაა განიხილოს იურიდიული ხასიათის დავები სახელმწიფოებს შორის და გამოიტანოს კონსულტაციური დასკვნები გაერო-ს გენერალური ასამბლეის (გაეროს გა), გაერო-ს უშიშროების საბჭოს (გაეროს უს) მოთხოვნით და ასევე გაერო-ს გა, გაერო-ს სხვა ორგანოებისა და მისი სპეციალიზირებული დაწესებულებების ნებართვით. საერთაშორისო სასამართლო შედგება 15 წევრისგან. მის შემადგენლობაში არ შეიძლი ერთდროულად ერთი და იგივე სახელმწიფოს ორი მოქალაქე. ამასთან, საერთაშორისო სასამართლოს შემადგენლობა მთლიანობაში უნდა იყოს ისეთი, რომ მასში წარმოდგენილი იყოს მსოფლიოს ძირითადი სამართლებრივი სისტემები და ცივილიზაციის უმთავრესი ფორმები. საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეების არჩევა ხდება ერთდროულად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცხრა წლის ვადით. კანდიდატებმა ასარჩევად უნდა მიიღონ ხმათა უმრავლესობა გაეროს გა-ზე (გენერალურ ასამბლეაზე) და გაეროს უშიშროების საბჭოს ნებისმიერი წევრის რეა ხმა. საერთაშორისო სასამართლოს შემადგენლობა სამ წელიწადში ერთხელ განიცდის განახლებას 1/3 ე.ი. ყოველ სამ წელიწადში ირჩევა ზუთი სასამართლო. საერთაშორისო სასამართლოს თხუთმეტი წევრის გარდა ამა თუ იმ საქმის განხილვაში მონაწილეობა შეუძლიათ ე.წ. „ad hos" მოსამართლეებს, რომელთაც ნიშნავენ მოდავე მხარეები და რომელთა მოქალაქეებიც არაა საერთაშორისო სასამართლოს შემადგენლობაში. საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ფაკულტატურია: მან შეიძლება განსახილველად მიიღოს დავები მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით. თუ ისინი თანახმა არიან საქმე განიხილონ საერთაშორისო სასამართლოში, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება სავალდებულოა მათთვის. სურვილის ქონისას სახელმწიფოებს შეუძლიათ წინასწარ ცნონ საერთაშორისო სამართლის იურისდიქცია მათთვის, ყველა შემდგომ დავასთან დაკავშირებით და 50-ზე მეტმა სახელმწიფომ გააკეთა კიდეც ეს.

საერთაშორისო სამართლის კონსულტაციურ დასკვნებს ყველა შემთხვევაში გააჩნია რეკომენდაციების სახე. საქმიანობის მანძილზე მისთვის გადაცემულია დაახლოებით 80 საქმე; მათი ნაწილი მხარეების მიერ უკან იქნა გატანილი განხილვის დაწყებამდე, დაახლოებით 10-ზე მეტ საქმეზე საერთაშორისო სასამართლომ თავი ჩათვალა არაკომპეტენტურად განეხილა მისთვის გადაცემული დავები, დანარჩენ შემთხვევებში სასამართლოს პოტენციალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო ფართოდ ხალხთა უსაფრთხოებისა და მშვიდობის ინტერესებში.

საერთაშორისო სრუტეები

– ბუნებრივი საზღვაო გასასვლელები, რომლებიც აერთიანებენ ცალკეულ ზღვებსა და ოკეანეებს და გამოიყენებიან საერთაშორისო ნაოსნობისთვის. საერთაშორისო სრუტეების სამართლებრივი რეჟიმი დამოკიდებულია მსოფლიო საზოგადოების მიერ მათი გამოყენების ინტენსიობასა და მათ გეოგრაფიულ მდგომარეობაზე საერთაშორისო წყალსაცავი გზების სისტემაში. საერთაშორისო სრუტეებში, სადაც არის ნავიგაციისა და ჰიდროგრაფიული პირობების თვალსაზრისით ხელსაყრელი გზა, რომელიც გადის ღია ზღვაში ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში (ვეზ) მოქმედებს ღია ზღვის რეჟიმი, მათ შორის, ნაოსნობისა და საჰაერო ნაოსნობის თავისუფლება. საერთაშორისო სრუტეებში, რომლებიც ღია ზღვის ან გეზ-ის ერთ რაიონს აკავშირებენ ღია ზღვის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის მეორე რაიონთან, მოქმედებს ტრანზიტული გატარების რეჟიმი (ნაოსნობის თავისუფლება, მათ შორის წყალქვეშა ნავების წყალქვეშა გატარება და გადაფრენის თავისუფლება საერთაშორისო სრუტეებზე უწყვეტი და სწრაფი ტრანზიტის მიზნით, მიმდებარე სახელმწიფოების კანონებისა და წესების დაცვით: მოძრაობის დაფის სქემები, დაბინძურების თავიდან აცილება, თევზჭერის დაუშვებლობა და სხვ.); გატარების რეჟიმი სხვა მხრივ არ ეხება საერთაშორისო სრუტეების წყლების სტატუსს. ტრანზიტული გატარების რეჟიმი საერთაშორისო სრუტეებში დადგენილია 1982 წ. გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციის შესაბამისად და არ შეიძლება შეჩერდეს დროებითაც კი. საერთაშორისო-სამართლებრივი წესის ძალით, 1982 წელს

კონვენციის მიღებამდე და მიღების შემდეგ მოქმედებს ყველა ქვეყნის ხომალდების და თვითმფრინავების თავისუფალი გატარების პრინციპი. 1982 წლის კონვენცია არ მოქმედებს საერთაშორისო სრუტეებში, რომლებიც რეგულირდებიან სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულებებით: ბაკი ზღვის სრუტეები (1936 წ. კონსტანტინეპოლის ტრაქტატი), მაგელანის სრუტე (1881 წ. ხელშეკრულება არგენტინასა და ჩილეს შორის).

საერთაშორისო ტერორიზმი – განზრახ ძალადობის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება ან გამოყენების მუქარა პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ, რომელიც ეხება ორი ან მეტი სახელმწიფოს ინტერესებს და განხორციელებულია სახელმწიფოზე, საერთაშორისო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ფუნქციების შემსრულებელ პირებზე ზეწოლის მიზნით, რათა მათ გარკვეული ქმედებები განახორციელონ ან თავი შეიკავონ ამა თუ იმ მოქმედებისგან.

ეს საერთაშორისო ტერორიზმის დეფინიციის ერთერთი მაგალითია, რამეე ოფიციალურად მიღებული განსაზღვრა კი არ არსებობს.

სახელმწიფოები აქტიურად განაგრძობენ საქმიანობას ცალკეული სახის საერთაშორისო ტერორიზმის: საჰაერო, ზღვაო, საბომბე ანუ დასაბომბად მიზანმიმართული ადგილების და ა.შ. წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციების შემუშავებასა და მიღებაზე. 2003 წლის 1 იანვრისთვის მიღებული იყო 12 ასეთი ანტიტერორისტული კონვენცია. არსებობს ასევე მრავალმხრივი კონვენციები ტერორიზმთან ბრძოლის თაობაზე, რომლებიც დადებულია რეგიონალურ დონეზე. მაგალითად, 1977 წ. ევროპის კონვენცია ტერორიზმთან ბრძოლის თაობაზე, კონვენცია ტერორიზმის აქტების თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, რომლებიც იღებენ პირთა წინააღმდეგ დანაშაულების ფორმას, როცა ეს აქტები ატარებენ საერთაშორისო ხასიათს, 2001 წ. შანხაის კონვენცია ტერორიზმთან, სეპარატიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ და ა.შ.

საერთაშორისო ტერორიზმი შეიძლება გამოელინდეს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების მკვლელობათა, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების ხელყოფის, მძევლების აყვანის, თვითმფრინავების გატაცების, აფეთქებების და სხვა მოქმედებების ფორმით, რომლებიც მოწოდებულნი არიან დაშინონ მოსახლეობა, დაარღვიონ საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ზეწოლა მოახდინონ სახელმწიფო, საერთაშორისო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციასა თუ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე და აიძულონ მათ შეასრულონ ტერორისტთა მოთხოვნები.

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმი – პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობაა, ის განხილულ უნდა იქნეს, როგორც სისხლის სამართლის და არა როგორც პოლიტიკური დანაშაული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტერორისტთა დასჯის შეუქცეველობა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივების მიუხედავად, არ შეიქმნას რაიმე დაბრკოლება მათ გადასაცემად და ა.შ.

თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ტერორიზმი წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მთავარ საფრთხეს და ეს მოითხოვს ყველა სახელმწიფოს ძალისხმევის გაერთიანებას კაცობრიობისთვის ყველაზე საშიშ გამოწვევასთან ბრძოლაში.

საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები – საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედებები, რომლებიც არ განეკუთვნებიან სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობების ხელმყოფელ საერთაშორისო დანაშაულებს და რომლებიც ზიანს აყენებენ მშვიდობიან თანაშრომლობას სხვადასხვა დარგში. ხელყოფის ობიექტისა და საერთაშორისო საშიშროების ხარისხის მიხედვით ისინი იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ა) დანაშაულები საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილურობის წინააღმდეგ – საერთაშორისო ტერორიზმი, მძევალთა აყვანა, დანაშაული საჰაერო ტრანსპორტზე; ბირთვული მასალის ქურდობა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, კონტრაბანდა, არალეგალური ემიგრაცია, ომის პროპაგანდა და სხვ. ქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებენ სახელმწიფოთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას; ბ) ყალბი ფულის მოჭრა, დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაცია, ხალხთა კულტურული ფასეულობების ხელყოფა და სხვ.; გ) ადამიანის პირადი უფლებების დანაშაულებრივი ხელყოფა, მონობა, მონათაჭრობა, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა, წამება, ადამიანის უფლებათა სისტემატიური და მასიური დარღვევები და სხვ.; დ) ღია ზღვაში ჩადენილი დანაშაულები: მეკობრეობა, დახმარების გაუწევლობა ზღვაზე, საზღვაო გარემოს დაბინძურება, წყალქვეშა კაბელის ან მილსადენის დაზიანება და სხვ.; ე) საერთაშორისო ხასიათის სამხედრო დანაშაული; აკრძალული საშუალებებისა და ომის აკრძალული მეთოდების გამოყენება, სამოქმედებების რაიონში მოსახლეობაზე ძალადობა და სხვ.

საერთაშორისო ხელშეკრულება (ტერმინები) (კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ")

მუხლი 3

ტერმინების განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საერთაშორისო ხელშეკრულება** – საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა;

ბ) **ხელშემკვრელი მხარე** – სახელმწიფო, რომელმაც გამოთქვა თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე, ხელშეკრულების ძალაში შესვლის მიუხედავად;

გ) **მონაწილე** – სახელმწიფო, რომელმაც გამოთქვა თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე და რომლისთვისაც ხელშეკრულება ძალაშია შესული;

დ) **ხელშეკრულების დადება** – ყველა მოქმედება, რომელსაც საქართველო ხელშეკრულების მიმართ ახ-

ორციელებს საერთაშორისო დონეზე, მოლაპარაკებათა გამართვის, ხელშეკრულების ხელმოწერისა და მისი სავალდებულოდ აღიარების ჩათვლით;

ე) ხელმოწერა – ხელშეკრულების დადების სტადია ან საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე საქართველოს თანხმობის გამოხატვის ფორმა.

ვ) რატიფიკაცია, დამტკიცება, შეერთება – საქართველოს მიერ მისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ფორმა;

ზ) უფლებამოსილება – საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც ერთი ან რამდენიმე პირი ინიშნება საქართველოს მხარის წარმომადგენლად მოლაპარაკებათა გამართვის, ხელშეკრულების ტექსტის მიღების ან მისი აუთენტურობის დადგენის, ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის განხორციელების მიზნით;

თ) დათქმა – ხელშეკრულების ხელმოწერის, რატიფიკაციის, დამტკიცების ან მასთან შეერთების დროს გაკეთებული ცალმხრივი განცხადება, რომელიც გამოხატავს საქართველოს მიმართ ხელშეკრულების გარკვეულ დებულებათა იურიდიული მოქმედების გამორიცხვის ან შეცვლის სურვილს;

ი) საერთაშორისო ორგანიზაცია – საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ან მთავრობათაშორისი ორგანიზაცია;

კ) დეპოზიტარი – სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია ან მისი მთავარი აღმასრულებელი თანამდებობის პირი, რომელიც ინახავს საერთაშორისო ხელშეკრულების დედანს და ასრულებს ამასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს;

ლ) დენონსაცია – საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის ფორმა, რომელიც ნიშნავს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად;

მ) გაუქმება (ანულირება) – საერთაშორისო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ფორმა, რომელიც ნიშნავს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას შეორე მონაწილე მხარის მიერ მისი არსებითად დარღვევის შემთხვევაში ან საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად.

ნ) კორექტირება – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ოფიციალურად დამოწმებული ქართული თარგმანის მის უცხოენოვან აუთენტურ ტექსტთან შეუსაბამობის შემთხვევაში ქართული თარგმანის შესწორება. (14.04.2006 N2886).

საერთაშორისო ხელშეკრულებები გადასახადით დაბეგვრის შესახებ – სახელმწიფოებს შორის საგადასახადო საკითხებზე დადებული ხელშეკრულებები. გამოიყოფა საგადასახადო საკითხებზე საერთაშორისო შეთანხმებების სამი ჯგუფი: 1) აქტები, რომლებიც ადგენენ გადასახადით დაბეგვრის ზოგად პრინციპებს, ისეთებს, როგორიცაა ევროპის სოციალური ქარტია (მიღებულია 18.10.1961 წ., ამოქმედდა 1965 წელს), 1975 წ. ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თაობაზე თათბირის დასკვნითი აქტი და სხვ. ეს აქტები არ ექვემდებარებიან უშუალო გამოყენებას, არამედ მათში არსებული პრინციპების რეალიზაცია ხდება შიდა კანონმდებლობაში; 2) საკუთრივ საგადასახადო შეთანხმებები; ეს ორი ან მრავალმხრივი შეთანხმებები ხდება იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ორმაგი გადასახადით დაბეგვრა, გადასახადის გადამხდელთა დისკრიმინაცია, რომლებიც სამეურნეო საქმიანობას ეწევიან უცხოეთის ქვეყნების ტერიტორიაზე, გადასახადით დაბეგვრისგან თავის არიდების აცილებისთვის. საერთაშორისო შეთანხმებების ამ ჯგუფში შეიძლება გამოიყოს სამი ქვეჯგუფი: ა) საერთო საგადასახადო შეთანხმებები(კონვენციები). ისინი მოიცავენ სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს პირდაპირი (შემოსავლებსა და ქონებაზე გადასახადები) ან ირიბი გადასახადების (მაგ. საბაჟო ტარიფების) მხრივ; ბ) შეზღუდული საგადასახადო შეთანხმებები. ისინი ეხებენება ან ცალკეულ გადასახადებს (მაგ., შეთანხმებები მემკვიდრეობაზე, სოციალურ დაზღვევაზე გადასახადები) ან ცალკეული სახის საქმიანობის გადასახადით დაბეგვრას (მაგ., შეთანხმებები საზღვაო და საჰაერო გადაზიდვების ორმაგი დაბეგვრის აღმოფხვრის შესახებ და ა.შ.); გ) შეთანხმებები საგადასახადო საქმეებზე ადმინისტრაციული დახმარების გაწევის შესახებ. ეს შეთანხმებები ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის, საგადასახადო კონტროლის გაძლიერების მიზნით და ა.შ.; 3) სხვადასხვა სახის საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად განიხილავენ საგადასახადო სამართლის საკითხებსაც. ასე მაგალითად, სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა საფუძვლების შესახებ შეთანხმება განიხილავს საკითხს საგადასახადო თანასწორობის თაობაზე; შეთანხმებები დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარების შესახებ ითვალისწინებს ორმხრივ საგადასახადო შეღავათებს დიპლომატიური და საკონსულო თანამშრომლობისთვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჰაერო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომელთა საფუძველზეც დგინდება ბაჟის მხრივ ყველაზე მეტი ხელსაყრელობის რეჟიმი, განსაკუთრებულ ქვეჯგუფს შეადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი ბაზირების ქვეყნების ხელშეკრულებები, რომლებიც ასევე განიხილავენ ამ ორგანიზაციებისა და მათი თანამშრომლების გადასახადით დაბეგვრისგან განთავისუფლების საკითხებს ბაზირების ქვეყნებში. გადასახადით დაბეგვრის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების რეალიზაციის უზრუნველყოფა ხდება ასევე მათი მონაწილეების უფლებით, მიმართონ კომპეტენტურ ორგანიზაციებს შეთანხმებათა დაცვის შესახებ დაცვის გადაწყვეტისთვის. ასევე დავებზე გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. გადასახადით დაბეგვრის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების უმრავლესობა ადგენს შეთანხმებით პროცედურებს სადავო საკითხების გადასაწყვეტად, ამ მიზნით გარკვეული უფლებამოსილებები ენიჭება იმ სახელმწიფოების ფინანსურ ან საგადასახადო ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ შეთანხმებას.

საერთო ბუნებათსარგებლობა – მოქალაქეების მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენება თავიანთი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სპეციალ-

ური მოწყობილობებისა და სპეციალური ნებართვის გარეშე (მაგალითად, საერთო სარგებლობის მიწების გამოყენება დასახლებებში გასასვლელის მიზნით, წყლის ობიექტების გამოყენება სასმელად და დასენებისთვის, ტყეების – სოკოების, მარწყვის საკრეფად და ა.შ.). საერთო ბუნებათსარგებლობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საერთო და გაძლიერებული რეჟიმის აღმზრდელობითი კოლონია

– გამოსასწორებელი დაწესებულებების ნაირსახეობები, რომლებშიც სასჯელს იხდიან არასრულწლოვანები და ასევე მსჯავრდებულები, რომლებიც აღმზრდელობით კოლონიებში რჩებიან მათ მიერ 21 წლის შესრულებამდე. აღმზრდელობით კოლონიებში შეიძლება შეიქმნას იზოლირებული მონაკვეთები, რომლებიც ფუნქციონირებენ, როგორც ზოგადი რეჟიმის გამოსასწორებელი კოლონიები, სადაც სასჯელს იხდიან სასჯელის მოხდის დროს 18 წელს მიღწეულები.

ჩვეულებრივ პირობებში აღმზრდელობით კოლონიებში სასჯელს იხდიან არასრულწლოვანი მსჯავრდებულები გარდა იმ მსჯავრდებულებისა, რომლებმაც ადრე მოიხადეს სასჯელი ან სასჯელის მოხდის პერიოდში ჩაიდინეს განზრახ დანაშაული, ასევე შემსუბუქებელი, შეღავათიანი ან მკაცრი სასჯელის მოხდის პირობებიდან გადმოყვანილი არასრულწლოვანი მსჯავრდებულები.

საერთო საკუთრება

– სამოქალაქო სამართალში სამართალდამოკიდებულებათა კომპლექსი ორი ან მეტი პირის საკუთრებაში მყოფი ქონების თაობაზე. საერთო საკუთრება ჩნდება ორი ან მეტი პირის საკუთრებაში ქონების შესელისას, რომელიც შეიძლება გაიყოს მისი დანიშნულების (გაუყოფელი ნივთები) ცვლილების გარეშე ან არ ექვემდებარება გაყოფას კანონის თანახმად. საერთო საკუთრება დაყოფად ქონებაზე ჩნდება კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საერთო საკუთრება შეიძლება წარმოიქმნას სხვადასხვა საფუძვლით: მემკვიდრეობა, ქორწინებაში ყოფნა, გლეხური (ფერმერული) მეურნეობის წარმოქმნა, პრივატიზაცია, ნივთის ერთობლივი შეძენა, სახლის ერთობლივი აგება და ა.შ. საერთო საკუთრების უფლების ობიექტს წარმოადგენს ინდივიდუალურ-განსაზღვრული ნივთი ან ასეთი ნივთების ერთობლიობა. საერთო საკუთრებისთვის დამახასიათებელია საკუთრების უფლების სუბიექტების სიმრავლე, რომელთაც ეწოდებათ საერთო საკუთრების მონაწილეები ან მესაკუთრეები. საერთო ქონების განკარგვა ხდება ყველა მესაკუთრის ურთიერთთანხმობით. სამოქალაქო სამართალი გამოყოფს ორი სახის საერთო საკუთრებას: წილობრივ საკუთრებას (რაც მის თითოეულ მონაწილეს ეკუთვნის გარკვეული წილი) ან ერთობლიეს (როცა მისი მონაწილეების წილი არაა წინასწარ განსაზღვრული). ზოგადად, ქონებაზე საერთო საკუთრების უფლება წარმოადგენს წილობრივს, როცა კანონით გათვალისწინებულია ამ ქონებაზე ერთობლიეი საკუთრების წარმოქმნა. საერთო წილობრივი საკუთრება შეიძლება წარმოიქმნას კანონით დაშვებული ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლების ძალით. საერთო ერთობლივი საკუთრების წარმოქმნა დაშვებულია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. და საერთო ერთობლივი საკუთრების მონაწილეთა შეთანხმებით, ხოლო თუ ეს შეთანხმება მიღწეული არაა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ საერთო ქონებაზე შესაძლებელია დადგინდეს წილობრივი საკუთრება.

საექსპორტო კონტროლი

– ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონითა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას საქონელთან, ინფორმაციასთან, სამუშაოებთან, მომსახურებასთან, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ მასობრივი განადგურების იარაღის, მისი მიწოდების საშუალებების, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის სხვა სახეების შექმნისას.

საჯარო დაზღვევის ხელშეკრულება

– პირადი ან ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის დადებაც საჯარო დამზღვევისთვის კანონის ძალით.

საჯარო დაზღვევის ობიექტებს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) კანონში აღნიშნული სხვა პირების სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება მათი ჯანმრთელობისთვის, სიცოცხლისთვის ან ქონებისთვის ზიანის მიყენების შემთხვევისთვის; ბ) საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობის რისკი, რომელიც შეიძლება დადგეს სხვა პირების სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან ქონებისთვის ზიანის მიყენების ან სხვა პირებთან ხელშეკრულებების დარღვევის შედეგად; გ) ქონება, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებას, რაც გადაცემულია სამეურნეო მართვაში ან ოპერატიულ მმართველობაში. სადაზღვევო შენატანების გადახდა ხდება დამზღვევის მიერ საკუთარი ხარჯით. საჯარდებულო სახელმწიფო დაზღვევა უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე (სამხედრო მოსამსახურეების დაზღვევა და სხვ.). პირს, რომლის სასარგებლოდაც კანონით უნდა მოხდეს საჯარდებულო დაზღვევა, უფლება აქვს მოითხოვოს მისი განხორციელება იმ პირის მიერ, რომელსაც ეკისრება მოცემული ვალდებულება. თუ პირმა, რომელსაც ეკისრება დაზღვევის ვალდებულება არ განახორციელა ის, ან დადო დაზღვევის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომელიც აუარესებს სარგებლის შემძენის მდგომარეობას კანონით განსაზღვრულ პირობებთან შედარებით. ის, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას პასუხისმგებელია სარგებლის შემძენის წინაშე იმავე პირობებით, რომლებზეც უნდა იქნეს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება შესაბამისი დაზღვევის დროს.

საჯარდებულო მემკვიდრეები

– პირებს, რომელთაც აქვთ გარდაცვლილის ქონების გარკვეული წილის მიღების უფლება, მემკვიდრეობის გადამცემის ანდერძში გამოხატული ნების მიუხედავად. საჯარდებულო მემკვიდრეებს განეკუთვნება: ა) მემკვიდრეობის გადამცემის არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო ბავშვები (მათ შორის, შვილად აყვანილები); ბ) შრომისუუნარო მეუღლე; გ) შრომისუუნარო მშობლები (შვილად ამყვანები) და დ) გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი შრომისუუნარო პირები. საჯარდებულო მემკვიდრეები იღებენ მემკვიდრეობას ანდერძის შინაარსის მიუხედავად, იმ წილის არანაკლებ ნახევრის ოდენობით,

რომელიც ერგებოდა თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის გადაცემისას (საჯარდებულო წილი).

საჯარდებულო წილის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ყველა მემკვიდრე კანონის მიხედვით, რომელიც ცოცხალია მემკვიდრეობის გახსნის მომენტში, მათ შორის, უღირსი მემკვიდრეებიც (იხ. მემკვიდრეობის ჩამორთმევა). თუ უღირსი მემკვიდრე შედის საჯარდებულო წილის უფლების მქონე მემკვიდრეთა წრეში, ასეთ მემკვიდრეს ჩამოერთმევა მემკვიდრეობაში საჯარდებულო წილის უფლება. თუ ერთ-ერთი მემკვიდრე უარს ამბობს მემკვიდრეობის წილზე და არ მიუთითებს მემკვიდრეობაზე უარის თქმისას გარკვეული პირის სახარგებლოდ, მემკვიდრეობითი ქონების ეს წილი, პირველ რიგში, უნდა წაეიდეს აუცილებელი მემკვიდრის საჯარდებულო წილის დაფარვაზე, რომელსაც ანდერძის მიხედვით არ გამოეყო მემკვიდრეობითი ქონების შესაბამისი ნაწილი.

საჯარდებულო წილის გაანგარიშებისას იგულისხმება ისიც, რომ მოანდერძესთან ერთად არმცხოვრები მემკვიდრე მიიღებდა ჩვეულებრივ საოჯახო ნივთებსა და საგნებზე უფლებას (იხ. ჩვეულებრივი საოჯახო საგნების მემკვიდრეობით გადაცემა) მემკვიდრეობის კანონით გადაცემისას. თუმცა, ზოგადად, ჩვეულებრივი საოჯახო საგნებისა და ნივთებისგან შემდგარი მემკვიდრეობითი ქონება გადადის მხოლოდ თანამცხოვრებ მემკვიდრეზე (იხ. მემკვიდრეობითი მასა).

საჯარდებულო სამუშაოები – მსჯავრდებულის მიერ ძირითადი სამუშაოს ან სწავლისგან თავისუფალ დროს უფასო, საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოების შესრულება. საჯარდებულო სამუშაოების სახე და ობიექტები განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სისხლის სამართლის აღმასრულებელ ინსპექციასთან შეთანხმებით.

საჯარდებულო სამუშაოების მოხდისგან ბოროტად თავის არიდება – 1) მსჯავრდებულებისთვის საჯარდებულო სამუშაოებზე გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზებით ერთი თვის მანძილზე ორჯერ; 2) შრომის დისციპლინის დარღვევა ორზე მეტად ერთი თვის მანძილზე; 3) საცხოვრებელი ადგილის დატოვება სასჯელის მოხდისგან თავის არიდების მიზნით.

სასჯელის მოხდისგან ბოროტად თავის ამრიდებელ მსჯავრდებულს, რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია, ბებნაში ცხადდება და შეიძლება დაკავებულ იქნეს 48 სთ-მდე ვადით. მოცემული ვადა შეიძლება გაგრძელდეს სასამართლოს მიერ 30 დღემდე.

საჯარო კონტროლი – სახელმწიფო კონტროლის სახე, რომელიც მდგომარეობს საჯარო კონტროლის ორგანოებისა და აგენტების მიერ კანონიერების უზრუნველყოფაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელებაში საჯარო ოპერაციების ჩატარებისას. საჯარო კონტროლი წარმოადგენს საჯარო რეგულირების სისტემის შემადგენელ ნაწილს და უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ დადგენილი საჯარო შეზღუდვების ეფექტურობას.

საჯარო კონტროლის საგანს შეადგენს საჯარო ოპერაციები. საჯარო კონტროლის მიზანს წარმოადგენს კანონიერების უზრუნველყოფა საჯარო ოპერაციების ჩატარებისას. პირველ რიგში, ეს გამოიხატება საჯარო შეზღუდვების დაცვის შემოწმებაში. თუმცა, კონტროლი ვრცელდება იმ მოქმედებების ჩადენაზეც, რომლებიც არ ხვდებიან აკრძალვებისა და შეზღუდვების ქვეშ.

საჯარო კონტროლის სუბიექტებს წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოები, ხოლო რიგ შემთხვევებში – არასახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება ჩაატარონ ღონისძიებები საჯარო კანონმდებლობის დაცვის შემოწმების თაობაზე.

საჯარო კონტროლის აგენტები

– როგორც წესი, არასახელმწიფო ორგანიზაციები და დაწესებულებებია, რომლებზეც კანონით დაკისრებულია საკონტროლო ფუნქციების განხორციელების ვალდებულება. აგენტების უფლებამოსილებები ამოიწურება უფლებით განახორციელონ დაკვირვება საჯარო ოპერაციების ჩატარებაზე და შეამოწმონ საჯარო კანონმდებლობის შესრულება. მაგალითად, საჯარო კონტროლის აგენტებად გამოდიან არასახელმწიფო ბანკები, რომელთაც აქვთ უფლება განახორციელონ საჯარო ოპერაციები („უფლებამოსილი ბანკები"). ახორციელებენ რა საჯარო ოპერაციებს კლიენტების დავალებით ბანკები ვალდებულნი არიან აკონტროლონ მათი კანონიერება. საჯარო კონტროლის აგენტების უფლებამოსილებები შემოწმებათა ჩატარების მხრივ იზღუდება მათი მონაწილეობით ჩატარებული ოპერაციებით. ასე მაგალითად, ბანკს არა აქვს უფლება და არაა ვალდებული შეამოწმოს თავისი კლიენტის საჯარო ოპერაციების კანონიერება, რომელიც ხორციელდება სხვა ბანკების მეშვეობით. საჯარო კონტროლის აგენტების ნიშანდობლივ შტრიხს წარმოადგენს მათი ანგარიშვალდებულება საჯარო კონტროლის შესაბამისი ორგანოს წინაშე.

საჯარო კონტროლის ორგანოები სპეციალური კომპეტენციის აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან: ა) დაადგინონ საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე ცალკეული საჯარო ოპერაციების განხორციელებისა და მათზე ინფორმაციის წარმოდგენის წესები; ბ) შეამოწმონ საჯარო ოპერაციების შემოწმება; გ) დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები იმ პირების პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებმაც დაარღვიეს საჯარო კანონმდებლობა.

საჯარო ოპერაციები – საჯარო კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული და ფიზიკური პირების მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება ვალუტისა და საჯარო ფასეულობების მიმართ და რომლებიც ექვემდებარებიან სახელმწიფო რეგულირებასა და კონტროლს ეროვნული ვალუტის დასაცავად. საჯარო ოპერაციების წრე ვალუტით ოპერაციების (მოქმედებების) წრისგან განსხვავდება იმით, რომ ასეთი ტიპის ყველა მოქმედება რიდი შეიძლება იქნეს რეგულირებული სამართლით ეროვნული ვალუტის დასაცავად. მაგალითად, ბანკომატების გადათვლა ვალუტით მოქმედებაა, მაგრამ არა საჯარო ოპერაცია. ასევე, საჯარო ოპერაციები არ უნდა დავიყვანოთ ვალუტის გაცვლის და ვალუტით გარიგებამდე. ოპერა-

ცად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ გარიგება, არამედ სხვა მოქმედებაც (გადახდა, ვალუტის შემოტანა ან გატანა სახელმწიფო საზღვარზე და ა.შ.). თუმცა, საჯალუტო ოპერაციების უმრავლესობა – ესაა გარიგება, რომელშიც ვალუტა არის გადახდის საგანი (ვალუტის გაცვლის გარიგება) ან საშუალება (საგარეო სავაჭრო გარიგება და საერთაშორისო ინვესტიციები).

ეკონომიკური არსისა და საგადასახადო ბალანსზე გავლენის თვალსაზრისით, საერთაშორისო საჯალუტო ურთიერთობების ჩარჩოებში განხორციელებული საჯალუტო ოპერაციები იყოფა მიმდინარედ (საგარეო სავაჭრო ფუღადი გადასახადები) და კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებულად (ინვესტიციები).

მიმდინარე საჯალუტო ოპერაციებთან და კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან ერთად უნდა გამოიყოს ქვეყნის შიგნით განხორციელებული საჯალუტო ოპერაციები. საჯალუტო ოპერაციების კლასიფიკაცია მიმდინარეა, რომელიც უკავშირდება კაპიტალის მოძრაობას და ქვეყნის შიგნით განხორციელებად, გამოყენებადია, როგორც უცხოურ, ასევე ეროვნული ვალუტით ოპერაციის მიმართ.

საჯალუტო ოპერაციები, რომლებიც უკავშირდებიან კაპიტალის მოძრაობას – საერთაშორისო საჯალუტო ფუღადი გადახდები, რომლებიც ხორციელდებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში კაპიტალის გადაგზავნის მიზნებისთვის. როგორც წესი, ესაა საინვესტიციო ოპერაციები დასაბრუნებელ (გრძელვადიანი კრედიტები) ან დაუბრუნებელ (აქციების, წილის შეძენა კაპიტალში) საფუძველზე. მიმდინარე ხასიათის ოპერაციებისგან განსხვავებით ისინი არ გულისხმობენ ხანმოკლე პერსპექტივაში ეკვივალენტურ შემხვედრ შეთავაზებას. ამასთან დაკავშირებით არსებობს კაპიტალის ზრდასთან დაკავშირებული ოპერაციების ქვეყნის საგადასახადო ბალანსზე ნეგატიური გავლენის საშიშროება.

ეროვნული ეკონომიკის არასტაბილურობის პირობებში კაპიტალის თავისუფალმა მოძრაობამ შეიძლება გამოიწვიოს „კაპიტალის გაქცევა" უფრო ხელსაყრელ ქვეყნებში, ვალუტის გადინება ქვეყნიდან. იმისათვის, რომ ქვეყანა დაცულ იქნეს მოვლენათა ასეთი განვითარებისგან, რომელსაც შეუძლია საჯალუტო კრიზისის პროვოცირება ან გაღრმავება, სახელმწიფო მიმართავს საჯალუტო შეზღუდვების შემოღებას. საჯალუტო რეგულირების რეჟიმი გულისხმობს, რომ კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება აკრძალული არაა, მაგრამ შეზღუდულია. ასეთი ოპერაციები, მათი კონკრეტული სახის მიხედვით ხორციელდება: ა) სარეგისტრაციო წესით; ბ) ნებართვითი წესით.

სუბიექტის შესაძლებლობა განახორციელოს ოპერაცია, იმყოფება დამოკიდებულებაში საჯალუტო რეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებასთან, რომელიც თავის პოზიციას აფუძნებს ქვეყნის საგადასახადო ბალანსის მდგომარეობის შეფასებაზე. როგორც წესი, სახელმწიფო ხელს არ უშლის იმ ოპერაციების ჩატარებას, რომლებიც იწვევენ ქვეყანაში საჯალუტო რესურსების შემოდინებას. ამ შემთხვევაში, საჯალუტო რეგულირების ორგანოს უფლება აქვს ნება დართოს განხორციელდეს კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული გარკვეული სახის ოპერაციები (მაგალითად, ფინანსური დახმარების შეთავაზება საზღვარგარეთიდან დელობილი კომპანიის მიერ შეილობილი კომპანიის სასარგებლოდ).

საჯალუტო რეგულირება – იურიდიული თვალსაზრისით სახელმწიფოს მიერ დადგენილი განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რომლის დროსაც საჯალუტო ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს სუბიექტების შეუზღუდავი წრით, კანონით დადგენილი საჯალუტო შეზღუდვების დაცვისას. საჯალუტო შეზღუდვების დადგენა ივსება სახელმწიფო საჯალუტო კონტროლის ღონისძიებათა სისტემით. საჯალუტო რეგულირება წარმოადგენს ვალუტით ოპერაციების განხორციელების სამი სამართლებრივი რეჟიმიდან ერთ-ერთს. უფრო მკაცრ რეჟიმს წარმოადგენს საჯალუტო მონოპოლია, რომლის დროსაც საჯალუტო ურთიერთობების მონაწილეთა წრე შემოიფარგლება სახელმწიფოს, მისი ორგანოებისა და უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ. ამგვარი რეჟიმი მოქმედებდა სსრკ-სა (ყოფილი საბჭოთა კავშირი) და СЭВ (რუსული კალკა, საჯარუდოდ ჩრდ. ქვეყნებში) ქვეყნებში. საჯალუტო მონოპოლია ხელს უშლის ეროვნულ საწარმოებს მონაწილეობა მიიღონ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში.

საჯალუტო ოპერაციების მონაწილეთათვის ყველაზე ნაკლებად მძიმეს წარმოადგენს მათი თავისუფალი განხორციელების რეჟიმი. ამ შემთხვევაში სახელმწიფო შეზღუდვებს არ აწესებს ვალუტით ოპერაციების განხორციელებაზე, თუმცა ინარჩუნებს საჯალუტო კონტროლის ღონისძიებებსაც დანაშაულებრივი მემოსაელების ლეგალიზაციასთან საბრძოლველად. XX ს-ის 80-იან წლებში დასავლეთ ევროპის უმრავლესი ქვეყანა გადავიდა საჯალუტო ოპერაციების თავისუფალ განხორციელებაზე.

საჯალუტო რეგულირების მიზანს წარმოადგენს ეროვნული ვალუტის დაცვა. ამისათვის სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს რამდენიმე ამოცანის გადაწყვეტას: ა) არ დაუშვას ეროვნული ვალუტის განდევნა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე – ბრუნვიდან; ბ) შეინარჩუნოს საგადასახადო ბალანსის ოპტიმალური სტრუქტურა; გ) შეინარჩუნოს კონტროლი კაპიტალის შემოტანასა და გატანაზე; დ) შეინარჩუნოს ეროვნული ფულის ერთეულის საჯალუტო კურსის სტაბილურობა; ე) შეიქმნას და შენარჩუნდეს სახელმწიფოს საჯალუტო რეზერვი. რამდენადაც ამოცანის მონაცემები არ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებებით, საჯალუტო რეგულირება, როგორც სამართლებრივი რეჟიმი ივსება ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო ღონისძიებებით (ინვესტიციებით საჯალუტო ბაზარზე და სხვ.). იურიდიული და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობა წარმოქმნის საჯალუტო რეგულირებას, როგორც სახელმწიფოს საჯალუტო პოლიტიკის რეალიზაციის კომპლექსურ ინსტრუმენტს.

საჯალუტო ურთიერთობებზე იურიდიული ინსტრუმენტების – საჯალუტო შეზღუდვების მეშვეობით ზემოქმედებისგან უნდა განვასხვავოთ ეკონომიკური ღონისძიებების ჩატარება სახელმწიფოს საჯალუტო პოლიტიკის რეალიზაციის მხრივ. ეკონომიკური ღონისძიებები არ ზღუდავენ უფლებებს და არ ადგენენ საჯალუტო ურთიერთობების მონაწილეთა ვალდებულებებს, ასევე არ გულისხმობენ სახელმწიფო იძულების გამოყენებას.

ამგვარი ღონისძიებების ჩასატარებლად აუცილებელი არაა ნორმატიული აქტების გამოცემა.

საჯალუტო ფასეულობები – სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ობიექტი. საჯალუტო ფასეულობებს განეკუთვნება: ა) უცხოური ვალუტა, ფულის ნიშნები ბანკნოტების, სახაზინო ბილეთების, მონეტების სახით, რომლებიც მიმოქცევაშია და წარმოადგენენ კანონიერ საგადასახადო საშუალებას სხვა სახელმწიფოში ან სახელმწიფოთა ჯგუფში და ასევე მიმოქცევიდან ამოღებული და ამოღებადი, მაგრამ გაცვლისადმი დაქვემდებარებული ფულის ნიშნები; სახსრები ანგარიშებზე სხვა სახელმწიფოების ფულად ერთეულებში და საერთაშორისო ფულად ან საანგარიშსწორებო ერთეულებში; ბ) ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში – საგადასახადო დოკუმენტები (ჩეკები, თამასუქები და სხვ.), საემისიო ფასიანი ქაღალდები (მათ შორის, აქციები, ობლიგაციები), საემისიო ფასიანი ქაღალდებიდან წარმოებული ფასიანი ქაღალდები (მათ შორის, დეპოზიტარული ხელწერილი), ოპციონები, რომლებიც იძლევიან ფასიანი ქაღალდების შეძენის უფლებას და საჯალო ვალდებულებები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში; გ) ძვირფასი ლითონები – ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები (პალადიუმი, ირიდიუმი, როდიუმი, ოსმიუმი, რუთენიუმი) ნებისმიერი სახითა და მდგომარეობაში, საიუველირო და სხვა საყოფაცხოვრებო ნაწარმის გარდა, ასევე ასეთი ნაწარმის ნამსხვრევები; დ) ბუნებრივი ძვირფასი ქვები – ალმასები, ლალები, ზურმუხტები, საფირონები და ალექსანდრიტები დაუმუშავებელი და დამუშავებული სახით, ასევე, მარგალიტი, ასეთი ქვებისგან საიუველირო და სხვ. საყოფაცხოვრებო ნაწარმის და ასეთი ნაწარმის ნამსხვრევების გარდა.

საჯალუტო ფონდი – საწარმოების (ორგანიზაციების, გაერთიანებების) ვალუტის ამონაგების ნაწილი, რომელიც ირიცხება მათ ბალანსზე და განისაზღვრება წარმოებისადმი დადგენილი ნორმატიების შესაბამისად.

საჯალუტო შეზღუდვები – საჯალუტო კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯალუტო ოპერაციების ჩატარების წესები და აკრძალვები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დგინდება ეროვნული ვალუტის დაცვის მიზნით. საჯალუტო შეზღუდვების დადგენა წარმოადგენს საჯალუტო რეგულირების სამართლებრივი რეჟიმის აუცილებელ კომპონენტს.

საჯალუტო შეზღუდვები – საგარეო ვაჭრობის და საზღვარგარეთ წარმოებული საფინანსო ოპერაციების ანგარიშსწორების ფორმების დადგენა (დივიდენდები, ინვესტიციები, საჯალუტო ოპერაციები და სხვ.) და მათი შეზღუდვა უცხოეთის ქვეყნებთან ანგარიშსწორების რეგულირების მიზნით.

საჯარაულო ფასი – ფასების დიაპაზონი, რომლის ფარგლებშიც მყიდველი (მომხმარებელი) შეუცნობლად თუ შეცნობილად აფასებს მოცემულ საქონელს (მომსახურებას).

საეჭრო-სამრეწველო პალატა – არასახელმწიფო არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საწარმოებსა და მეწარმეებს. საეჭრო სამრეწველო პალატას შეუძლია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა მისი საწესდებო ამოცანების შესრულებისთვის. მის მიერ მიღებული მოგება არ ნაწილდება საეჭრო-სამრეწველო პალატის წევრებს შორის. საეჭრო-სამრეწველო პალატა წარმოადგენს იურიდიულ პირს და პასუხს აგებს ვალდებულებებზე მისი კუთვნილი ქონებით. საეჭრო-სამრეწველო პალატა არ აგებს პასუხს თავისი წევრების ვალდებულებებზე, ისევე როგორც მისი წევრები მის ვალდებულებებზე; არ აგებენ პასუხს მის მიერ შექმნილი საწარმოების ვალდებულებებზე, ისევე როგორც ეს საწარმოები არ აგებენ პასუხს საეჭრო-სამრეწველო პალატის ვალდებულებებზე. საეჭრო-სამრეწველო პალატა მოქმედებს კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში.

საეჭრო-სამრეწველო პალატა იქმნება ეკონომიკის განვითარებისთვის, მსოფლიო საშეურნეო სისტემაში მისი ინტეგრირებისთვის, თანამედროვე სამრეწველო, ფინანსური და საეჭრო ინფრასტრუქტურის ფორმირებისთვის, საწარმოო საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის, მეწარმეების მათ სოციალურ პარტნიორებთან ურთიერთობების დარეგულირებისთვის, ყველა სახის საწარმოო საქმიანობის განვითარებისთვის ხელშეწყობის მიზნით.

საეჭრო ჩვეულება – ნორმატიული ხასიათის ქცევის წესები, რომლებიც თამაშობენ განსაკუთრებულ როლს მხარეთა შორის ურთიერთობების რეგულირებაში და ახდენენ გაელენას დადებული გარიგების ხასიათზე. ისინი ყალიბდებიან ვაჭრობის განსაზღვრულ სფეროებში. მათ მუდმივად განმეორებადი, ერთგვაროვანი, ხანონტანური გამოყენების საფუძველზე. ამ ტერმინში იგულისხმება არა ჩვეულება, როგორც სამართლის წყარო, არამედ ვაჭრობის სფეროში ჩამოყალიბებული ქცევის სტერეოტიპები, რომლებიც კვალიფიცირდება და გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულების ნაგულისხმევი პირობების სახით. საუბარია საქმიანი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში არსებულ ქცევის საყოველთაოდ აღიარებულ წესებზე, რომლებიც სასამართლოს მიერ განიხილება დადებული კონტრაქტის არსებით შემადგენელ ნაწილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი წესი კარგად ცნობილი იყო ხელშეკრულების მხარეებისთვის და ჰქონა გარიგებაში გამოხატულება პირდაპირი მითითების სახით ან არ იყო გამორიცხული მხარეების მიერ პირდაპირი ან ნაგულისხმევი ფორმით. ამგვარი საეჭრო ჩვეულებები გავრცელებულია საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში, მრავალი მათგანი ასახულია საერთაშორისო საეჭრო ტერმინების კრებულში „ინკოტერმს". ინგლისში მრავალი საეჭრო ჩვეულება მას შემდეგ, რაც გახდა სასამართლო გადაწყვეტილების (პრეცედენტის) ნაწილი, გადაიქცა საპრეცედენტო სამართლის ნორმად. აშშ-ს საეჭრო კოდექსი იძლევა ჩვეულების შემდეგ განმარტებას: „...საქმიანი ურთიერთობების ნებისმიერი პრაქტიკა ან წესი, რომელთა დაცვა ამა თუ იმ ადგილში, პროფესიაში ან საქმიანობის სფეროში ატარებს იმდენად შუდმივ ხასიათს, რომ ამართლებს მათი დაცვის მოლოდინს აგრეთვე მოცემულ გარიგებასთან მიმართებაში". ამასთან კოდექსი განიხილავს საეჭრო ჩვეულებებს, როგორც მხარეთა შეთანხმების ნაწილს.

საგანგებო მეთოდი – შრომითი პროცესის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ხორციელდება მუშაკთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეთ, როცა არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მათი ყოველდღიური დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილას. საგანგებო მეთოდი გამოიყენება სამუშაო ადგილის მნიშვნელოვანი დაშორებისას სამუშაოს მიმცემის ყოფნის ადგილიდან საწარმოო, სოციალური და სხვა დანიშნულების ობიექტების შენებლობის, რემონტისა თუ რეკონსტრუქციის ვადების შემცირების მიზნით, არაცხოვრებელ, ცალკეულ რაიონებში, განსაკუთრებული ბუნებრივი პირობებით.

საერიდიკაციო სარჩელი სარჩელი, რომლითაც მესაკუთრე ითხოვს უკანონო მფლობელისაგან ნივთის უკან დაბრუნებას. მესაკუთრის ასეთი მოთხოვნა საფუძვლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხემ უკანონოდ მოიპოვა მფლობელობის უფლება. დაუშვებელია, მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

საზედამხედველო საჩივარი – სასამართლო პროცესის ნებისმიერი მონაწილის (პროკურორის გარდა) შუამდგომლობა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვის შესახებ. იხ. ასევე საზედამხედველო წარდგინება.

საზედამხედველო წარდგინება – პროკურორის შუამდგომლობა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვის შესახებ (სასამართლო პროცესის დანარჩენი მონაწილეების შუამდგომლობას ეწოდება საზედამხედველო საჩივარი).

საზედამხედველო წარდგინება უშუალოდ იგზავნება საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია გადახედოს გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებას. მას თან ერთვის: ა) განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების ასლი, რომელიც გასაჩივრებულია; ბ) განაჩენის ან საალაცაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინების, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინების, საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს დადგენილების ასლები, თუ მათი გამოტანა ხდებოდა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე; გ) აუცილებელ შემთხვევებში სხვა საპროცესო დოკუმენტების ასლები, რომლებიც განმცხადებლის აზრით ამტკიცებენ საზედამხედველო საჩივარსა თუ წარდგინებაში გადმოცემულ მოსაზრებებს.

საზედამხედველო წარდგინების განმხილველ მოსამართლეს უფლება აქვს გამოითხოვოს ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმე საზედამხედველო წარდგინების გადასაწყვეტად. საზედამხედველო წარდგინების შესწავლის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს შემდეგთაგან ერთ-ერთი დადგენილება: ა) უარის შესახებ საზედამხედველო წარდგინების დაკმაყოფილებაზე; ბ) საზედამხედველო წარმოების აღძრისა და საზედამხედველო წარდგინების სისხლის სამართლის საქმესთან ერთად საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ, თუ ის იყო მოთხოვნილი.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეებს უფლება აქვთ არ დაეთანხმონ სასამართლოს გადაწყვეტილებას საზედამხედველო წარდგინების დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ. ამ შემთხვევაში ის აუქმებს ასეთ გადაწყვეტილებას და მას გამოაქვს დადგენილება.

საზოგადოება დამატებითი პასუხისმგებლობით კომერციული ორგანიზაცია, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია დამფუძნებელი დოკუმენტებით განსაზღვრული სიდიდის წილებად, დაფუძნებულია ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სუბსიდიარული პასუხისმგებლობა მის ვალდებულებებზე თავიანთი ქონებით, ყველასთვის თანაბარი ოდენობით, საწესდებო კაპიტალში მათი ანაბრების ჯერადი ღირებულებით. დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოების სპეციფიკა მდგომარეობს მონაწილეების ქონებრივი პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ სახეში მისი ვადების მიხედვით. ერთ-ერთ მონაწილის გაკოტრებისას მისი პასუხისმგებლობა ნაწილდება დანარჩენ მონაწილეებს შორის მათი ანაბრების პროპორციულად, თუ პასუხისმგებლობის განაწილების სხვა წესი გათვალისწინებული არაა საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტებით. საზოგადოება დამატებითი პასუხისმგებლობით უნდა მოიაზრებს საზოგადოების დასახელებას და სიტყვას „დამატებითი პასუხისმგებლობით“.

საზოგადოებრივი გაერთიანება – ნებაყოფლობითი, თვითმართვადი, არაკომერციული ფორმირება, რომელიც შექმნილია საერთო ინტერესების საფუძველზე გაერთიანებული მოქალაქეების ინიციატივით, საზოგადოებრივი გაერთიანების წესდებაში მითითებული საერთო მიზნების სარეალიზაციოდ.

საზოგადოებრივი გაერთიანების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მისი წესდება. საზოგადოებრივი გაერთიანების დამფუძნებლებად გამოდიან მოქალაქეები (არანაკლებ 3 ადამიანისა) და ასევე სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები იურიდიული პირების უფლებებით (მოქალაქეებთან ერთად). სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ შეიძლება იყვნენ საზოგადოებრივი გაერთიანების დამფუძნებლები, წევრები და მონაწილეები. საზოგადოებრივი გაერთიანების ქონება ყალიბდება შესასვლელი ან საწევრო შენატანების საფუძველზე, თუ მათი გადახდა გათვალისწინებულია წესდებით; ნებაყოფლობითი შენატანებისა და შემოწირულობების; საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების შესაბამისად ჩატარებული ლექციებიდან, გამოფენებიდან, ლატარიებიდან, აუქციონებიდან, სპორტული და სხვა ღონისძიებებიდან შემოსაელების; საზოგადოებრივი გაერთიანების საწარმო საქმიანობიდან შემოსავლების; სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებისგან, საზოგადოებრივი გაერთიანების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისგან და სხვა, კანონით დაშვებული შემოსული შემონატანების მეშვეობით. საზოგადოებრივი გაერთიანების, როგორც იურიდიული პირის უფლება-უნარიანობა ჩნდება მოცემული გაერთიანების სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან. საზოგადებრივი გაერთიანების დასახელების თავისებურებას წარმოადგენს მასში მისი საქმიანობის ტერიტორიული სფეროს (რეგიონთაშორისი, რეგიონალური, ადგილობრივი) ჩართვის აუცილებლობა. საზოგადოებრივი გაერთიანების ინდივიდუალიზაციის საშუალებას წარმოადგენს ასევე მისი სიმბოლიკა (დროშები, ემბლემები, ალმები), რომელიც ექვემდებარება

სახელმწიფო საჯარდებულო რეგისტრაციას. საზოგადოებრივი გაერთიანება შეიძლება შეიქმნას შემდეგიდან ერთ-ერთი საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმით: საზოგადოებრივი ორგანიზაცია; საზოგადოებრივი მოძრაობა; საზოგადოებრივი ფონდი; საზოგადოებრივი დაწესებულება; საზოგადოებრივი თვითშემოქმედების ორგანო. საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობას გააჩნია რეგულირების რეჟიმი.

საზოგადოებრივი დაწესებულება

– წეროობის არმქონე საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანიცაა გარკვეული სახის მომსახურების გაწევა, რომელიც პასუხობს აღნიშნული გაერთიანების მონაწილეთა ინტერესებსა და შესაბამის საწესდებო მიზნებს. საზოგადოებრივი დაწესებულებისა და მისი ქონების მართვა ხორციელდება დამფუძნებლის (დამფუძნებლების) მიერ დანიშნული პირების მიერ. საზოგადოებრივი დაწესებულების შესაბამისად შეიძლება შეიქმნას კოლეგიალური ორგანო, რომელსაც ირჩევენ მონაწილეები, მაგრამ არა მოცემული დაწესებულების დამფუძნებლები.

საზოგადოებრივი თვითშემოქმედების ორგანო

– წეროობის არმქონე საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საცხოვრებელი, სასწაელო ან სამუშაო ადგილის მიხედვით მოქალაქეების სხეადასხვა სოციალური პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტა მიმართული პირთა შეუზღუდავი წრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, რომელთა ინტერესებიც უკავშირდება საზოგადოებრივი თვითშემოქმედების ორგანოს საწესდებო მიზნების მიღწეასა და პროგრამების რეალიზაციას. საზოგადოებრივი თვითშემოქმედების ორგანო ყალიბდება ზემოთაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტით დაინტერესებული მოქალაქეების ინიციატივით და ის თავის საშუშაოს აგებს თვითმმართველობის საფუძველზე წესდების შესაბამისად. საზოგადოებრივი თვითშემოქმედების ორგანოს არ გააჩნია ზემდგომი ორგანოები ან ორგანიზაცია.

საზოგადოებრივი მოძრაობა

– მონაწილეებისგან შემდგარი და წეროობის არმქონე მასობრივი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელსაც გააჩნია სოციალური, პოლიტიკური და სხვა საზოგადოებისთვის სასარგებლო მიზნები, რომელთაც მხარს უჭერენ საზოგადოებრივი მოძრაობის მონაწილეები. საზოგადოებრივი მოძრაობის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ყრილობა (კონფერენცია) ან საერთო კრება. საზოგადოებრივი მოძრაობის მუდმივად-მოქმედ ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს აჩევითი კოლეგიალური ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია ყრილობის (კონფერენციის) ან საერთო კრების წინაშე.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია

არაკომერციული ორგანიზაცია, წევრობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც შექმნილია ერთობლიეი საქმიანობის საფუძველზე გაერთიანებული მოქალაქეების საწესდებო მიზნების მიღწეესა და საერთო ინტერესების დასაცავად. საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრები შეიძლება იყვენენ ფიზიკური და იურიდიული პირები – საზოგადოებრივი გაერთიანებები, თუ სხეა რამ გათვალისწინებული არაა კანონით. საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ყრილობა (კონფერენცია) ან საერთო კრება. საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუდმივად მოქმედ ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს არჩევითი კოლეგიალური ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია ყრილობის (კონფერენციის) ან საერთო კრების წინაშე.

საზოგადოებრივი საშიშროება

– დანაშაულის თვისება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს დანაშაულის განმასხვავებელ ნიშანს და ხასიათდება: ა) ობიექტური ნიშნებით (შედეგებით, ჩადენის ხერხით, ადგილით და სხვ.); ბ) სუბიექტური ნიშნებით (დანაშაულის ფორმით, მოტივებით, რეციდივით და სხე.).

ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება ობიექტურია. ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ კანონმდებელზე არის დამოკიდებული კონკრეტული ქმედებების მიკუთვნება დანაშაულის კატეგორიისადმი. ქმედება საშიშია არა იმიტომ, რომ ის, ასე შეიფასა ვიღაცამ, არამედ იმიტომ, რომ ის თავისი შიდა არსით მკვეთრად უპირისპირდება პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. საზოგადოებისთვის საშიში ქმედებების წრე იცვლება ეკონომიკაში, პოლიტიკაში არსებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი ურთიერთობები ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და გამოყენების თაობაზე

– 1) ურთიერთობები ადამიანებს შორის ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და გამოყენების თაობაზე; 2) ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონის, მასზე სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების რეგულირების საგანი.

საზოგადოებრივი ფონდი

– არაკომერციული ფონდების ერთ-ერთი სახე, რომელიც წარმოადგენს წეროობის არმქონე საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომლის მიზანიც მდგომარეობს ქონების ჩამოყალიბებაში ნებაყოფლობითი შენატანების, სხვა კანონით დაშვებული შემოსავლების საფუძველზე და მოცემული ქონების საზოგადოებისთვის სასარგებლო მიზნებისთვის გამოყენებაში. საზოგადოებრივ ფონდს უფლება არა აქვს აღნიშნული ქონება გაზოიყენოს საკუთარ ინტერესებში.

საზოგადოებრივი ფონდის ხელმძღვანელი ორგანო ყალიბდება მისი დამფუძნებლების და/ან მონაწილეების მიერ ან საზოგადოებრივი ფონდის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, რომელიც მოლებულია რეკომენდაციების ან პერსონალური დანიშენების სახით ან ყრილობაზე (კონფერენციაზე) თუ საერთო კრებაზე მონაწილეების არჩევის გზით.

საზღვაო სამეცნიერო კვლევები განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში

– ფუნდამენტალური ან გამოყენებითი კვლევები და ამ მიზნებისთვის ჩატარებული ექსპერიმენტული სამუშაოები, რომლებიც მიმართულია ზღვის ფსკერსა და მის წიაღში, წყლის სიღრმესა და ატმოსფეროში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების ყველა ასპექტზე ცოდნის მისაღებად.

საზღვაო სარესურსო კვლევები განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში – გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც მიმართულია განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ცოცხალი რესურსების, ასევე არაცოცხალი რესურსების შესწავლაზე, ძიებასა და რეზვაზე.

საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში სახსრების დაუბრუნებლობა – ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში სახსრების გადარიცხვის თაობაზე უფლებამოსილი ბანკის ანგარიშებზე.

საინვესტიციო ბანკი – სპეციალიზებული ბანკი, რომელიც აფინანსებს მეურნეობის სხვადასხვა დარგებს და გასცემს გრძელვადიან კრედიტებს.

საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი გადასახადების შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, ესაა უფლების შეთავაზება იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ახდენენ სახსრების ინვესტირებას სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებაზე, წარმოების ტექნიკურ გადაიარაღებაზე, ახალი ტექნოლოგიების შექმნაზე და რომლებიც ასრულებენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან შეკვეთებს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, შეამცირონ თავიანთი საგადასახადო გადახდები დარიცხული პროცენტებისა და კრედიტის ოდენობის შემდგომი ეტაპობრივი გადახდით. საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის შესახებ ხელშეკრულებაში განისაზღვრება: გადასახადის სახე, კრედიტის ოდენობა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, პროცენტების ოდენობა, დაფარვის წესი, ხელშეკრულების პირობების შესრულების (გირაო, შუამავლობა) უზრუნველყოფის ზომები და მხარეთა პასუხისმგებლობა.

საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციათა მოსაზღვრე უფლებები

ნებისმიერი ფორმით გადაცემის გამოყენების განსაკუთრებული უფლებების ერთობლიობა, მათ შორის, ანაზღაურების მიღების უფლება ასეთი ნებართვის შეთავაზებაზე. გადაცემის გამოყენებაზე ნებართვის მიცემის განსაკუთრებული უფლება ნიშნავს საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლებას განახორციელოს შემდეგი მოქმედებები: ა) ერთდროულად საკაბელო გზით გადასცეს ის საკაბელო მაუწყებლობის სხვა ორგანიზაციას; ბ) გადასცეს გადაცემა ეთერით; გ) ჩაწეროს გადაცემა; დ) აღადგინოს გადაცემის ჩანაწერი, იმ შემთხვევის გარდა, როცა გადაცემის ჩაწერა მოხდა საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობით; ე) გადაცემის გადაცემა საყოველთაო ცნობისთვის ფასიანი შესასვლელის მქონე ადგილებში. საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლებები მოქმედებს ასეთი ორგანიზაციის მიერ პირველი გადაცემის კაბელით განხორციელების შემდეგ 50 წლის განმავლობაში.

საკადასტრო ნომერი – უძრავი ქონების უნიკალური, სახელმწიფოს ტერიტორიაზე დროში არაგანმეორებადი ნომერი, რომელიც მას მიეკუთვნება საკადასტრო და ტექნიკური აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) განხორციელებისას, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და ნარჩუნდება მანამ, სანამ უძრავი ქონების მოცემული ობიექტი არსებობს, როგორც რეგისტრირებული სამართლის ობიექტი. შენობის ან ნაგებობის საკადასტრო ნომერი შედგება იმ მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომრისგან, რომელზეც იმყოფება შენობა ან ნაგებობა და ასევე შენობისა თუ ნაგებობის საინვენტარო ნომრისგან. შენობასა თუ ნაგებობაში ოთახის საკადასტრო ნომერი შედგება შენობის ან ნაგებობის საკადასტრო და ოთახის საინვენტარო ნომრებისგან; მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი შედგება საკადასტრო ოლქის, საკადასტრო რაიონის, საკადასტრო კვარტალის, საკადასტრო კვარტალში მიწის ნაკვეთის ნომრებისგან.

საკანონმდებლო პროცედურა – კანონთა პროექტების გაელის დადგენილი წესი მათ მიღებამდე და ძალაში შესვლამდე. თითოეულ ქვეყანაში საკანონმდებლო პროცედურას გააჩნია თავისი თავისებურებები. თუმცა ის ყველგან მტკიცდება და რეგულირდება კონსტიტუციებში, მიმდინარე კანონებში, ასევე სპეციალურ დებულებებსა და რეგლამენტში, რომლებიც ადგენენ სახელმწიფო ორგანოების სამართალშემოქმედებით საქმიანობის წესს. საკანონმდებლო პროცედურა შედგება იურიდიულად განმტკიცებული წესების მთელი სერიისგან, რომლებიც განსაზღვრავენ კანონების მომზადებისა და მიღების წესს. იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ორგანოების სამართალშემოქმედებით საქმიანობასთან ერთად კონსტიტუციურად გათვალისწინებულია კანონების მიღება რეფერენდუმების (საყოველთაო კენჭისყრის) გზით, ამ უკანასკნელთა ჩასატარებლად დგინდება განსაკუთრებული პროცედურა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სალხის უშუალო ნების გამოხატვის პროცესს მიანიჭოს მოწესრიგებული და მიზანმიმართული ხასიათი.

რეფერენდუმის ჩატარების პროცედურა ითვალისწინებს რეფერენდუმის ჩატარების შესახებ საკითხის წამოყენებას, რეფერენდუმის საგნის განსაზღვრას, მის ჩატარებას, შედეგების დაჯამებას და სხვ. ზოგიერთი ქვეყნის რეფერენდუმის შესახებ კანონებში განსაკუთრებით დიდგენილია, რომ ეს კანონები და მათში განმტკიცებული სახალხო გამოკითხვების ჩატარების პროცედურა პირდაპირ შეეფარდება ჩვეულებრივი არჩევნების ჩატარების მექანიზმს. რეფერენდუმების ჩატარების მკაფიოდ გამომუშავებული და კანონმდებლობით განმტკიცებული პროცედურა ქმნის წინაპირობებს კანონის განსახილველ პროექტსა თუ სხვა საკითხზე ამომრჩეველთა აზრის ყველაზე სრული გამოვლენისთვის, ამასთან, ხელს უწყობს რა კანონიერებისა და კონსტიტუციურობის დაცვას. ანალოგიურ როლს თამაშობს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ჩეეულებრივი სამართალშემოქმედებითი გზით – სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღების პროცედურა. ეს, პირველ რიგში, ეხება საკანონმდებლო პროცედურას.

საკანონმდებლო პროცესის სტადიები ერთიანი მონოლითური საკანონმდებლო პროცესი, რომელიც ასახავს და განამტკიცებს კანონის პროექტების გატარების ლოგიკას მისი წარმოქმნის მომენტიდან მის მიღებამდე და გამოქვეყნებამდე. იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყოფა საკანონმდებლო

პროცესის ოთხი სტადია: საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპროექტის განხილვა, კანონის მიღება – დამტკიცება და კანონის გამოქვეყნება. თითოეული მათგანი შედარებით დამოუკიდებელია და გააჩნია თავისი სპეციფიკა და სტატუსი.

საკანონმდებლო ინიციატივა წარმოადგენს კანონპროექტების საკანონმდებლო დაწესებულებაში (კონგრესი, ეროვნული კრება, სეიმი და ა.შ.) შეტანის უფლებას მოქმედი კანონმდებლობისა და დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ზოგჯერ, საკანონმდებლო ინიციატივის ცნება ითვალისწინებს საკანონმდებლო ორგანოებში არა მხოლოდ მზა კანონპროექტებს, არამედ მოქმედი კანონების გამოცემის, ცვლილებისა თუ გაუქმების შესახებ წინადადებების შეტანას.

საკანონმდებლო პროცესის შემდეგი სტადიაა საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეტანილი ან მოგვიანებით შემუშავებული კანონპროექტის განხილვა. განხილვა ორი სახისაა: წინასწარი (არაოფიციალური) და ოფიციალური.

წინასწარი განხილვა, როგორც წესი, ხორციელდება დაინტერესებული პირების, ექსპერტების, შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ფართო წრის ჩართვა. ის შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, თემატური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სემინარების, „მრგვალი მაგიდების" სხდომების ჩატარება, ტელე და რადიოდებატები, შესაბამისი პუბლიკაციების მომზადება გაზეთებსა და ჟურნალებში, კანონპროექტების წინასწარი განხილვა მნიშვნელოვანია, როგორც კონკრეტული კანონის, ასევე მთელი საკანონმდებლო პროცესის ხარისხის ამაღლებისთვის. ამ ეტაპზე, კანონის წარმოდგენილი პროექტი გადის ყოველმხრივ იურიდიულ, ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა სახის ექსპერტიზას. კანონპროექტების ოფიციალური განხილვა ჩეულებრივ ხდება ორ დონეზე – საპარლამენტო კომისიების, კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების, ასევე საპარლამენტო პალატების დონეზე; ეს პროცესი რეგულირდება სპეციალური დებულებებისა და რეგლამენტების მეშვეობით.

საკანონმდებლო პროცესის უმნიშვნელოვანეს სტადიას წარმოადგენს კანონის მიღება და დამტკიცება. იურიდიულ ლიტერატურაში ამ სტადიას განიხილავენ, როგორც ორ, შედარებით დამოუკიდებელ სტადიას. პირველი მათგანი უკავშირდება კანონის მიღებას, მეორე – კანონის დამტკიცებას. კანონის მიღება ხდება სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. მის დამტკიცებას ახორციელებს სახელმწიფოს მეთაური.

საკანონმდებლო პროცესის დასკვნითი სტადიაა მიღებული კანონის გახმოვანება. ამ სტადიის დანიშნულება მდგომარეობს მოსახლეობისთვის მიღებული კანონის შინაარსის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში. გახმოვანება არის ოფიციალური და არაოფიციალური. ის ყველაზე ხშირად ხორციელდება გამოქვეყნების სახით. ზოგადად, გახმოვანებისთვის არსებობს მკაცრად განსაზღვრული ვადა. ოფიციალურ გამოცემაზე, სადაც ქვეყნდება კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, მითითება ხდება სამართლის ნორმების გამოყენების აქტებში, კანონმდებლობის კრებულებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში.

საკასაციო განჩინება – სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგების მიხედვით გამოტანილი განჩინება, რომელშიც მითითებულია: ა) განჩინების გამოტანის თარიღი და ადგილი; ბ) სასამართლოს დასახელება და საკასაციო კოლეგიის შემადგენლობა; გ) საკასაციო საჩივრის ან წარდგინების შემტან პირზე მონაცემები; დ) მონაცემები საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილე პირების შესახებ; ე) საჩივრის ან წარდგინების შემტანი პირის მოსაზრებების მოკლე გადმოცემა; ვ) მიღებული გადაწყვეტილების მოტივები; ზ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივარსა თუ წარდგინებაზე; თ) გადაწყვეტილება აღმკვეთი ღონისძიების შესახებ.

განაჩენის გაუქმების ან შეცვლისას მითითებულია: სისხლის სამართლის ნორმების დარღვევა, რომლებიც ექვემდებარებიან აღმოფხვრას ახალი სასამართლო განხილვისას. გარემოებები, რომლებმაც გამოიწვიეს უსამართლო სასჯელის გამოტანა; განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი.

საკასაციო განჩინებას ხელს აწერს სასამართლოს მთელი შემადგენლობა და ის ცხადდება სასამართლო სხდომის დარბაზში სათათბირო ოთახიდან მოსამართლეთა დაბრუნების შემდეგ. სათათბირო ოთახში გასვლის წინ სასამართლო აცხადებს საკასაციო განჩინების გამოცხადების დროს.

საკასაციო განჩინება, რომლის შესაბამისადაც მსჯავრდებული ექვემდებარება პატიმრობიდან განთავისუფლებას, სრულდება ამ ნაწილში დაუყოვნებლივ, თუ მსჯავრდებული მონაწილეობს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომაში. სხვა შემთხვევებში საკასაციო განჩინების ასლი ან ამონაწერი საკასაციო განჩინების სარეზოლუციო ნაწილიდან მსჯავრდებულის პატიმრობიდან განთავისუფლების ნაწილში ეგზავნება დაუყოვნებლივ დაწესებულებისთვის ადმინისტრაციას, სადაც იმყოფება მსჯავრდებული.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებები საეალდებულოა შესასრულებლად სისხლის სამართლის საქმის ხელახალი განხილვისას.

საკასაციო წარმოება – სტადია, რომელზეც ზემდგომი სასამართლო პროცესის მონაწილეთა საჩივრების ან პროკურორის პროტესტის შესაბამისად ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის კანონიერებასა და დასაბუთებულობას.

საკასაციო წარმოება წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოთა საქმიანობაზე ზედამხედველობის ერთ-ერთ ფორმას ზემდგომი სასამართლოების მხრიდან.

საკასაციო ინსტანციის სასამართლო ამოწმებს განაჩენის და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებას, დასაბუთებულობასა და სამართლიანობას საკასაციო საჩივრებისა და წარდგინებათა მიხედვით. მოცემული ზედამხედველობის მიზანს წარმადგენს დაშვებული შეცდომების დროული გამოსწორება. ამასთან დაკავშირებით კანონმდებელმა დაადგინა, რომ საკასაციო საჩივრის ან საკასაციო პროტესტის წარმოდგენა გადადებს დროებით განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შომენტს საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვამდე და აჩერებს განაჩენის სისრულეში მოყვანას.

საკასაციო წარმოებას ახასიათებს გარკვეული თვისებები: ა) განაჩენთა გასაჩივრების თავისუფლება.

საკასაციო გასაჩივრების უფლება აქვს ყველა სუბიექტს, რომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა უკავშირდება განაჩენში მიღებულ გადაწყვეტილებებს: განსასჯელს (მსჯავრდებულს), გამართლებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს; ბ) განაჩენის, როგორც კანონიერების, ასევე დასაბუთებულობის შემოწმება: საკასაციო წესით მოწმდება დაცულია თუ არა მოცემული სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას კანონის მოთხოვნები, ასევე სწორადაა თუ არა დადგენილი საქმის ფაქტიური გარემოებები, შეესაბამება თუ არა სასამართლოს დასკვნები ობიექტურ სინამდვილეს, დაადგინა თუ არა სასამართლომ სიმართლე განაჩენში.

ყოველმხრივი შემოწმება აუცილებელია იმ ამოცანათა გადაწყვეტისთვის, რომელთაც ემსახურება საკასაციო წარმოება: ახალი მასალების წარმოდგენა (მოთხოვნა); უარესისკენ შემობრუნების აკრძალვა (დაუშვებლობა) ე.ი. მსჯავრდებულის მდგომარეობის დამძიმების დაუშვებლობა, რომელიც გამართლებულია (განაჩენთან შედარებით) მსჯავრდებულის, გამართლებულის, მათი დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის საკასაციო გასაჩივრების შედეგად.

საკასაციო წარმოება ემსახურება მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას. რაც განსაზღვრავს კიდეც მის მნიშვნელობას. ის ხელს უწყობს განაჩენთა კანონიერებისა და დასაბუთებულობის მიღწევას, მათ შორის იმათისაც, რომლებიც გასაჩივრებულ და გაპროტესტებულ არ იქნა, რამდენადაც თავად სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების, გაპროტესტების, საქმის მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვის შესაძლებლობა ახდენს პრევენციულ ზემოქმედებას აქეზებს რა სასამართლოს, პროკურორს, გამოძიების ორგანოებს დაიცვან კანონი. საკასაციო წარმოება ემსახურება კანონის დარღვევების გამოვლენას განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ე.ი. ზედამხედველობის წესით განაჩენთა შემოწმებასთან შედარებით უფრო ოპერატიულად; ხელს უწყობს იმას, რომ დაშვებულ არ იქნეს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის შესრულება; ემსახურება სასამართლო საქმიანობის ზედამხედველობას ზემდგომი სასამართლობის მხრიდან, რომლის მნიშვნელოვან ფორმასაც ის წარმოადგენს. საკასაციო წარმოების ტრადიცია წყდება პიროვნების – განსასჯელის, გამართლებულის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის ამოცანა, რამდენადაც ამ პირებს უფლება აქვთ გასაჩივრონ განაჩენი ნებისმიერ საკითხზე, რომლის გადაწყვეტაც ლახავს მათ უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლო ვალდებულია განიხილოს ეს საჩივრები, გამოაელინოს ამ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაშვებული დარღვევები, მიიღოს მათი აღმოფხვრისა და მომავალში ასეთი დარღვევების დაუშვებლობის ზომები.

საკასაციო წარმოება არის პიროვნების უფლებებისა და ინტერესების არსებითი სისხლის სამართლის საპროცესო გარანტია.

სისხლის სამართლის საქმის საკასაციო საჩივრით ან წარდგინებით შესვლისას მოსამართლე ნიშნავს სასამართლო სხდომის თარიღს, დროს და ადგილს. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვის თარიღის, დროსა და ადგილის შესახებ მხარეს უნდა ეცნობოს სასამართლო სხდომის დღემდე არა უგვიანეს 14 დღით ადრე, ან კანონით განსაზღვრული სხვა ვადით საკითხი მსჯავრდებულის გამოძახების შესახებ წყდება სასამართლოს მიერ. დაპატიმრებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ სასამართლო სხდომაში ან თავისი პოზიცია გადასცეს ვიდეოკონფერენც-კავშირის სისტემის გამოყენების გზით. საკითხი მსჯავრდებულის სასამართლო სხდომაში მონაწილეობის შესახებ წყდება სასამართლოს მიერ. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის თარიღის, დროისა და ადგილის თაობაზე დროულად ინფორმირებულ პირთა გამოუცხადებლობა ხელს არ უშლის სისხლის სამართლის საქმის განხილვას.

თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, თუ რომელი სისხლის სამართლის საქმე განიხილება და ვისი საკასაციო საჩივრით და წარდგინებით. ამის შემდეგ, ის აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას, მხარეთა სახელებს, გვარებსა და მამის სახელებს და ასევე თარჯიმნის სახელს, გვარსა და მამის სახელს, თუ ის მონაწილეობს სასამართლო სხდომაში. შემდეგ ის არკვევს, გაჩნდა თუ არა მათ აცილებები და შუამდგომლობები. აცილებათა და შუამდგომლობათა დაშვებისას ერთ-ერთი მოსამართლე მოკლედ გადმოსცემს გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების ან განაჩენის შინაარსს, ასევე საკასაციო საჩივარსა და წარდგინებას. სასამართლო უსმენს საჩივრის ან წარდგინების წარმომდგენი მხარეების გამოსვლას მეორე მხარის საპირისპირო მოსაზრებებისა და დასკვნების დასაბუთებულობას. რამდენიმე საჩივრის არსებობისას გამოსვლების თანამიმდევრობა განსაზღვრება სასამართლოს მიერ მხარეთა აზრის გათვალისწინებით.

საკასაციო წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლოს მხარის შუამდგომლობის მიხედვით, უფლება აქვს უშუალოდ გამოიკვლიოს მტკიცებულებები. საკასაციო საჩივარსა და წარდგინებაში მოყვანილი მოსაზრებების დასადასტურებლად ან უარსაყოფად მხარეებს უფლება აქვთ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოადგინოს დამატებითი მასალები. დამატებითი მასალები არ შეიძლება მიღებულ იქნეს საგამოძიებო მოქმედებების წარმოების გზით. სასამართლოსთვის დამატებითი მასალების წარმომდგენი პირი ვალდებულია მიუთითოს, თუ რა გზითაა ისინი მიღებული და რასთან დაკავშირებით გაჩნდა მათი წარმოდგენის აუცილებლობა.

საკომისიო ვაჭრობა – არასასურსათო საქონლით საცალო ქსელის მეშვეობით ვაჭრობა მოქალაქეებთან არ იურიდიულ პირებთან საკომისიო ხელშეკრულების საფუძველზე. მოქალაქეებთან საკომისიო ხელშეკრულებები რეგულირდება ასევე კანონმდებლობით – მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ და სპეციალური წესებით. საქონლის საკომისიო მიღება ფორმდება დოკუმენტის (საკომისიო ხელშეკრულება. კვიტანცია, ზედნადები და სხვ. სახები) შედგენის გზით, რომელსაც ხელს აწერს კომისიონერი და კომიტენტი. სატრანსპორტო საშუალებები მიიღება საყუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და დროებითი სარეგისტრაციო ნიშნის („ტრანზიტი") არსებობისას. საკომისიოდ არ მიიღება ბრუნვიდან ამოღებული საქონელი, საქონელი, რომელიც არ ექვემდებარება დაბ-

რუნებას ან გაცვლას, სხვა ფორმის, ზომის, გაბარიტის, მოდელის საქონელზე; პირადი ჰიგიენის საგნები; სამკერვალო და სატრიკოტაჟო თეთრეულის, წინდის ნაწარმი; პარფიუმერულ-კოსმეტიკური საქონელი; საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი; სამკურნალო საშუალებები; საკვებ პროდუქტებთან კონტაქტირებადი ნაწარმი და მასალები პოლიმერული მასალებისგან, მათ შორის, ერთჯერადი გამოყენებისთვისაც. საკომისიოდ მიღებული საქონლის ჩამონათვალში და სასაქონლო იარლიყზე მითითებულია საქონლის მდგომარეობის დამახასიათებელი ცნობები (ახალი, ხმარებაში მყოფი, გაცვეთის ხარისხი, ძირითადი სასაქონლო ნიშნები, მისი ნაკლოვანებები). მოქალაქეებისგან საქონელი საკომისიოდ მიიღება პასპორტის წარდგენისას. საქონლის ფასი განისაზღვრება შეთანხმებით. საკომისიოდ მიღებული საქონელი გაყიდვაში ხვდება მისი მიღებიდან არა უგვიანეს შემდგომ დღისა, გამოსასვლელი დღეებისა და დღესასწაულების გარდა. თუ საქონლის გასაყიდად მოხვედრა ფერხდება კომისიონერის გამო, ეს უკანასკნელი კომიტენტს თითოეულ გადაცილებულ დღეზე უხდის საუპიროს ანაზღაურების ოდენობით. საქონლის ჩამოფასების წესი და ოდენობა თანხმდება კომისიონერსა და კომიტენტს შორის საკომისიო ხელშეკრულების დადებისას. თუ კომიტენტი უარს ამბობს საქონლის ჩამოფასებაზე მას უბრუნდება საქონელი, კომისიონერისთვის მის შენახვაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებით. გაყიდულ საქონელზე ფული კომისიონერის მიერ კომიტენტს გადაეცემა საქონლის გაყიდვიდან არა უგვიანეს მესამე დღისა.

საკომისიო სასამართლო ექსპერტიზა – სპეციალური კვლევა, რომელსაც აწარმოებს ერთი სპეციალობის არა ნაკლებ ორი ექსპერტისა. ექსპერტიზის საკომისიო ხასიათი განისაზღვრება გამომძიებლის ან სასამართლო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც დაევალებული აქვს სასამართლო ექსპერტიზის წარმოება, თუ ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით ექსპერტთა აზრები დასმულ საკითხებზე ერთმანეთს ემთხვევა, მათ მიერ ხდება ერთიანი დასკვნის შედგენა. უთანხმოების წარმოქმნის შემთხვევაში სასამართლო ექსპერტიზის წარმოებაში მონაწილე თითოეული ექსპერტი იძლევა ცალკე დასკვნას იმ საკითხებზე, რომლებმაც გამოიწვიეს უთანხმოება. ექსპერტის დასკვნა ან მისი შეტყობინება დასკვნის გაკეთების შეუძლებლობის შესახებ, ასევე ექსპერტის დაკითხვის ოქმი გამომძიებლის მიერ წარედგინება ბრალდებულს, ეჭვმიტანილს, მის დამცველს, რომელთაც ასევე განემარტებათ უფლება იშუამდგომლონ დამატებითი ან ხელახალი სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

თუ სასამართლო ექსპერტიზა განხორციელებული იყო დაზარალებულის შუამდგომლობით ან დაზარალებულის და/ან მოწმის მიმართ, მათაც ასევე წარედგინებათ ექსპერტის დასკვნა.

საკომისიო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (კომისიონერი) ვალდებულია მეორე მხარის (კომიტენტის) დავალებით ანაზღაურების საფასურად განახორციელოს ერთი ან რამდენიმე გარიგება საკუთარი სახელით, მაგრამ კომიტენტის ხარჯზე. საკომისიო ხელშეკრულება ბუნებით წარმოადგენს კონსენსუალურს, ანაზღაურებადს, ორმხრივს. საკომისიო ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენს: კომიტენტი (პირი, რომლის ინტერესებშიც ხორციელდება გარიგება) და კომისიონერი (პირი, რომელიც გარიგებას ახორციელებს კომიტენტის ინტერესებში). სუბიექტებისადმი არაა სპეციალური მოთხოვნები. საკომისიო ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომისიონერის მიერ გარიგებების განხორციელება (პირადი ხასიათის მატარებელი გარიგების გარდა), თანმხლები მოქმედებების შესრულება (უფლების რეგისტრაცია და ა.შ.). კომისიონერი მოქმედებს საკუთარი სახელით, მაგრამ კომიტენტის ხარჯზე (იხ. დაევალების ხელშეკრულება). სპეციალური მოთხოვნები ფორმისადმი არაა დადგენილი. საჭირო არაა მინდობილობის გაცემა. კომისიის ხელშეკრულების ფასი განისაზღვრება განხორციელებული გარიგების ფასით. ხელშეკრულების ვადა შეიძლება იყოს გარიგების განხორციელების ვადაზე უფრო ხანგრძლივი. კომისიონერის ვალდებულებებს განეკუთვნება შემდეგი: ა) შეასრულოს დავალება კომიტენტისთვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებზე? ბ) წარმოადგინოს ანგარიში. კომიტენტის მიერ მითითებულთან შედარებით მიღებული დამატებითი სარგებელი იყოფა კომისიონერსა და კომიტენტს შორის თანაბრად (თუ სხვა რამ არაა დადგენილი ხელშეკრულებაში). თუ კომისიონერი გაყიდის კომიტენტის ქონებას შეთანხმებულზე უფრო ნაკლებ ფასად, ის ვალდებულია ანაზღაუროს სხვაობა, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ მას არ გააჩნდა სხვა გამოსავალი და ასეთმა გაყიდვამ გზა მოუჭრა უფრო მეტ ზარალს კომიტენტისთვის და ასევე კომიტენტის თანხმობის მიღების შესაძლებლობის არარსებობისას. თუ კომისიონერმა იყიდა ქონება შეთანხმებულზე უფრო მაღალ ფასად, კომიტენტს უფლება აქვს არ მიიღოს ეს ქონება, რის შესახებაც ვალდებულია გაუგზავნოს კომისიონერს გარიგების განხორციელების თაობაზე შეტყობინების მიღებისთანავე (წინააღმდეგ შემთხვევაში შესყიდვა ითვლება კომიტენტის მიერ მიღებულად). კომისიონერი პასუხს აგებს მესამე პირთან გარიგების ნამდვილობაზე (იხ. გამონაკლისი: დელკრედერე).

კომიტენტის ვალდებულებებს სხვა დანარჩენთან ერთად შეადგენს შემდეგი: ა) მიიღოს და გაითვალისწინოს ყოველივე გარიგების მიხედვით; ბ) გასცეს საკომისიო ანაზღაურება და ანაზღაუროს ყველა გაწეული ხარჯი საკომისიო ხელშეკრულების შესრულების შემდეგ, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული მის მიერ. კომიტენტს უფლება აქვს უარი თქვას საკომისიო ხელშეკრულებაზე ნებისმიერ დროს აუნაზღაუროს რა ზარალს კომისიონერს. კომისიონერს უფლება აქვს ცალმხრივად განაცხადოს უარი ანაზღაურების უფლებით მხოლოდ საკომისიო ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც დადებულია ვადის მითითების გარეშე ან თუ ეს უფლება გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით. დაუსაბუთებელი უარის დროს შეუძლებელია იძულება, მაგრამ დასაშვებია ზარალის ანაზღაურება.

საკომპენსაციო გადახდები – შრომითი ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ვალდებულებების შესრულებისას მუშაკების მიერ გაწეული დამატებითი მატერიალური ხარჯების ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული გადახდები. საკომპენსაციო გადახდები ხელფასისგან განსხვავდება მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით. საკომპენსაციო გადახდები

მიზანს წარმოადგენს არა ცოცხალი შრომის დანახარჯების ანაზღაურება, არამედ იმ ხარჯების კომპენსაცია, რომელსაც სწევენ შუამკვები კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. საკომპენსაციო გადახდები ხორციელდება კანონის ძალით, მათი ოდენობა დგინდება კანონმდებლობით, მათზე არ ხდება სადაზღვევო შენატანების დარიცხვა და ა.შ. საკომპენსაციო გადახდები იყოფა: ა) მათი წარმომქმნელი საფუძვლების (პირადი ინსტრუმენტების გამოყენება, მიელინება); ბ) გადახდების სახეების მიხედვით, მათი სამსახურებრივი როლის, ეიწრო მიზნობრივი დანიშნულების გათვალისწინებით (მგზავრობის, შენობის დაქირავების ხარჯები და ა.შ.).

სამსახურებრივ მივლინებებთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და ოდენობა განისაზღვრება ორგანიზაციის ლოკალური ნორმატიული აქტით ან კოლექტიური ხელშეკრულებით.

საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორ-განო, რომელიც კანონით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან კანონისა და პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე; იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ; აგრეთვე მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურ საკითხებს, რეფერენდუმებისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავას, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს; ახორციელებს კონსტიტუციისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წევრისაგან, რომელთაგან სამს ნიშნავს პრეზიდენტი, სამს ირჩევს პარლამენტი, ხოლო სამს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება 10 წელია. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. სასამართლო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს ხუთი წლის ვადით. ამავე წესითა და ვადით ირჩევა მისი ორი მოადგილე. პლენუმის სხდომას უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარის მოადგილე. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება-მოსილება, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, 1996 წლის 21 მარტის კანონით საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ და სხვა კანონებით.

საკონსტიტუციო შესწორება

– მოქმედი კონსტიტუციის ტექსტის ნებისმიერი ცვლილება (სახელმწიფოს ძირითადი კანონის დებულებებიდან რომელიმეს ამოღება, დამატება, ახალი რედაქცია). საკონსტიტუციო შესწორების შეტანის, მიღებისა და ძალაში შესვლის წესი და პირობები რეგულირდება შესაბამისი კანონით.

საკონსულო

[< კონსული] 1) კონსულების მმართველობის პერიოდი ძვ. რომში, ავრ. საფრანგეთში – 1799 წ-ის 9 ნოემბრის (18 ბრიუმერის) სახელმწიფო გადატრიალებიდან დაწყებული ნაპოლეონ ბონაპარტეს იმპერატორად გამოცხადებამდე 1804 წ-ის 18 მაისს; 2) სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა ორგანო, რომელიც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზეა განლაგებული (ამ უკანასკნელის თანხმობით) კონსულის ფუნქციების შესასრულებლად.

საკონსულო დაწესებულება

– საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოთა საგარეო ურთიერთობების ორგანო. განასხვავებენ საკონსულო დაწესებულების ორ სახეს – დიპლომატიური წარმომადგენლობების საკონსულო განყოფილებებსა და ცალკეულ საკონსულოებს, რომლებიც იქმნებიან არა სამყოფელი სახელმწიფოს დედაქალაქში, არამედ ქალაქებში, სადაც განლაგებულია საზღვაო პორტები ან დიდი სარკინიგზო კვანძები ან ადგილებში, სადაც არის ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. დიპლომატიური წარმომადგენლობის საკონსულო განყოფილების შექმნისთვის საჭირო არაა რაიმე სპეციალური შეთანხმება. ასეთი განყოფილების თანამშრომელთა სამართლებრივი მდგომარეობა არის საელჩოს სხვა განყოფილებების მუშაკთა სტატუსის ანალოგიური. ცალკეული საკონსულო დაწესებულების დაფუძნება შესაძლებელია მხოლოდ დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმებით. ასეთ შეთანხმებაში განისაზღვრება საკონსულო დაწესებულების ადგილმდებარეობა და რაიონი, სადაც ის ახორციელებს თავის საქმიანობას – ე.წ. საკონსულო ოლქი.

საკონსულო დაწესებულების მეთაურს გააჩნია შემდეგიდან ერთ-ერთი კლასი: გენერალური კონსული, ვიცე-კონსული და საკონსულო აგენტი. შესაბამისად, საკონსულო დაწესებულებას ეწოდება გენერალური საკონსულო, საკონსულო, ვიცე-საკონსულო ან საკონსულო სააგენტო., სახელმწიფოების უმრავლესობაში საკონსულო დაწესებულების მეთაურს ნიშნავს საგარეო საქმეთა მინისტრი. გამგზავნი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საკონსულო დაწესებულების მეთაურს ანძლევს საკონსულო პატენტს, რითაც დასტურდება მისი ამ პოსტზე დანიშვნა. დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლისას საკონსულო დაწესებულების მეთაური პატენტს წარუდგენს სამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრს. სახელმწიფო მასზე გასცემს საკონსულო ეგზეკვატურას, რომელიც მოწმობს მის ცნობას შესაბამის საკონსულო ოლქში საკონსულო დაწესებულების მეთაურის სახით. საკონსულო ეგზეკვატურის მიღების მომენტიდან საკონსულო დაწესებულების მეთაური ითვლება თანამდებობადაკავებულად.

საკონსულო დაწესებულების სამართლებრივი მდგომარეობა და ფუნქციები განისაზღვრება 1963 წ. ვენის მრავალმხრივი კონვენციით საკონსულო ურთიერთობების შესახებ და ორმხრივი საკონსულო კონვენციებით. თითოეული სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულების საქმიანობა ჩვეულებრივ რეგლამენტირებულია ეროვნული კანონმდებლობით. საკონსულო დაწესებულების მუშაკთა შემადგენლობაში სხვადასხვა საკონსულო კონვენციაში გამოიყოფა ორი კატეგორია: საკონსულოს თანამდებობის პირები და საკონსულოს თანამშრომლები (ამ შემთხვევაში თანამშრომლების ქვეშ იგულისხმება, როგორც ადმინისტრაციულ-ტექნიკური, ასევე მომსახურე პერსონალის მუშაკები) ან სამი კატეგორია: თანამდებობის პირები, საკონსულოს თანამშრომლები (მოსამსახურეები) (ასეთ კონვენციებში თანამშრომლები

ან მოსამსახურეები – ეს მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალია) და მომსახურე პერსონალის მუშაკები. სახელმწიფოები სამტატო კონსულებთან ერთად შესაძლებელია ასევე არასამტატო (საპატიო) კონსულებსაც იყენებდნენ, რომლებიც, როგორც წესი, ინიშნებიან სამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეებიდან: ცნობილი იურისტებიდან, ბიზნესმენებიდან, კულტურის მოღვაწეებიდან და ა.შ.

საკონტროლო [< კონტროლი] 1) კონტროლთან კავშირში მყოფი ან მისი განმახორციელებელი; შესამოწმებელი; 2) ს. პაკეტი – აქციების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს მისი მეპატრონის ფაქტიურ ბატონობას სააქციო საზოგადოებაში; წვრილი აქციების ფართო გაერცელებისას ს. პაკეტი შეიძლება აქციების საერთო რაოდენობის მხოლოდ 20 – 30 %-ს შეადგენდეს (ზოგჯერ კი უფრო ნაკლებს), რათა მთლიანად დაიმორჩილოს (აკონტროლოს) სააქციო საზოგადოების საქმიანობა.

საკონცენტრაციო [< გე.-ლათ. concentratus თავმოყრილი] დაგროვებასთან (კონცენტრაციასთან) დაკავშირებული; ს. ბანაკი – ბანაკი იძულებითი იზოლაციისთვის და რეაქციური ან მოსალოდნელი მოწინააღმდეგეების (სხვაგვარად მოაზროვნეების): სამხედრო ტყვეების, ლტოლვილების, გარკვეული ეროვნების მშვიდობიანი მაცხოვრებლების გასანადგურებლად; პირველად მოაწყეს ესპანელებმა 1895 წ-ს კუბაზე განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამდე; მოგვიანებით უპირატესად ტოტალიტარული რეჟიმები იყენებდა; II მსოფლიო ომის წწ-ში გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში 11 მლნ. ადამიანზე მეტი განადგურდა.

საკრედიტო ბარათი – პლასტიკური ბარათი, რომელიც ბანკის კლიენტს – ემიტენტს საშუალებას აძლევს, აწარმოოს უნაღდო საცალო ანგარიშსწორება.

საკრედიტო დაწესებულება – იურიდიული პირი, რომელიც მოგების მიღების მიზნით ეროვნული ბანკის სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ საბანკო ოპერაციებს. საკრედიტო დაწესებულებები იყოფიან ბანკებად, რომლებიც ახორციელებენ საბანკო ოპერაციების სრულ სპექტრს და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებად, რომელთაც გაანიათ მხოლოდ ცალკეული საბანკო ოპერაციების განხორციელების უფლება.

საკრედიტო სისტემა – 1) კრედიტის ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა ერთი ქვეყნის ფარგლებში; 2) ქვეყნის საკრედიტო დაწესებულებების ერთობლიობა (ბანკები, შემნახველი სალაროები, სადაზღვევო საზოგადოებები, ლომბარდები და ა.შ.).

საკუთრების უფლება, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი – სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომლებიც არეგულირებენ მესაკუთრის კუთვნილი ნივთის ფლობას, სარგებლობისა და განკარგვის ურთიერთობებს მესაკუთრის სურვილისამებრ მისივე ინტერესებში, ასევე მისი საშეურნეო მმართველობის სფეროში ყველა მესამე პირის ჩარევის აღმოფხვრას. როგორც სუბიექტური უფლება საკუთრების უფლება ესაა მესაკუთრეზე განმტკიცებული იურიდიულად უზრუნველყოფილი შესაძლებლობა ფლობდეს, ისარგებლოს და განკარგოს მისი კუთვნილი ქონება საკუთარი ინტერესითა და სურვილით, ამ ქონებასთან მიმართებაში ნებისმიერი მოქმედების განხორციელების გზით, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს და სხვა სამართლებრივ აქტებს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს, ასევე შესაძლებლობა აღმოიფხვრას მესამე პირთა ჩარევა მისი სამეურნეო მმართველობის სფეროში. კონსტიტუციით თანაბრადაა დაცული კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური საკუთრება და მისი სხვა ფორმები.

საკუთრების უფლების წარმოქმნის საფუძვლები უნდა დაიფოს თავდაპირველადად და წარმოებულად. საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველ ხერხებს განეკუთვნება: საკუთრების უფლების მოპოვება კულავ დამზადებულ ნივთზე; გადამუშავება; საკუთრების უფლების მოპოვება უპატრონო ქონებაზე; პოვნა და ა.შ. საკუთრების უფლების მოპოვების წარმოებულ ხერხებს განეკუთვნება: კონფისკაცია, პრივატიზაცია, ხელშეკრულებით (მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების, გაცვლის) შეძენა და ა.შ. საკუთრების უფლების შეწყვეტა ხდება მესაკუთრის მიერ თავისი ქონების გასხვისებისას სხვა პირებისთვის, მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლებაზე უარის განცხადებისას, ქონების დაღუპვისა და განადგურებისას, ქონებაზე საკუთრების უფლების დაკარგვისას კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მესაკუთრის მიერ ქონების იძულებითი ჩამორომვება დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლებისა, რაცა ხორციელდება: ა) ქონებაზე გადახდევინება ვალდებულებების მიხედვით; ბ) ქონების გასხვისება, რომელიც კანონით არ შეიძლება ეკუთვნოდეს მოცემულ პირს; გ) უძრავი ქონების გასხვისება ნაკეთის ჩამორომვებასთან დაკავშირებით; დ) უპატრონო, შენახული კულტურული ფასეულობების, შინაური ცხოველების გამოსყიდვა; ე) რეკვიზიცია; ვ) კონფისკაცია; ზ) ქონების გასხვისება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საკულტო საგნები

რელიგიური ხასიათის საგნები, დაკავშირებული ღვთაებისადმი თაყვანისცემის ცერემონიებთან.

საკურორტო რეგიონი (რაიონი) – ტერიტორია მასზე კომპაქტურად განთავსებული კურორტებით, რომელიც გაერთიანებულია სანიტარული (სამთო-სანიტარული) დაცვის საერთო ღონით.

საკურორტო საქმე – სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის ყველა სახის ერთობლიობა დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის ორგანიზებისა და განხორციელების მხრივ ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენების საფუძველზე.

საკურორტო ფონდი – ყველა გამოყენილი და აღრიცხული ბუნებრივი სამკურნალო რესურსების, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილების, ასევე კურორტებისა და საკურორტო რეგიონების (რაიონების) ერთობლიობა.

სალდო (amount of balance, net balance)

სხვაობა ფულად შემოსავალსა და ხარჯებს შორის დროის განსაზღვრულ მონაკვეთში; მოცემული

თარიღისთვის საბუღალტრო ანგარიშის ნაშთი. სალდო შეიძლება იყოს სადებეტო — თუ ნაშთი აქტივების სახითაა, ან საკრედიტო — თუ ნაშთი პასივებშია.

საერთაშორისო საჯარო ანგარიშებში — სხვაობა ქვეყნის იმპორტსა და ექსპორტს შორის ან მის საგარეო გადასახადებსა და შემოსავლებს შორის. აქ შესაბამისად არის დადებითი და უარყოფითი სალდო. მაქსიმალურად დასაშვებ სალდოს სახელმწიფოთაშორისო ანგარიშსწორებაში ეწოდება „სვინგი". სვინგის გადაჭარბების შემთხვევაში სახელმწიფო კრედიტორმა შეიძლება დროებით შეაჩეროს საქონლის მიწოდება და მოითხოვოს სალდოს დაფარვა.

სალიკური სამართალი სალიკური ფრანკების ჩვეულებითი სამართლის კრებული. შედგენილია VI საუკუნის დამდეგს მეფე ხლოდვიგის მიერ. ჩაწერილია ეულგარულ ლათინურ ენაზე ფრანგული სიტყვებისა და გამოთქმების ჩამატებებით. სალიკურ სამართალში კაზუსების სახით აღწერილია ცალკეული დანაშაულებები და სასჯელები, მოცემულია ცნობები ფრანკების საზოგადებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, მოსახლეობის კატეგორიათა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, დიდი ადგილი დათმობილი აქვს სამართალწარმოქმნისა და სასამართლო წყობილების საკითხებს.

სამართალდამოკიდებულებათა ობიექტი – სამართლის თეორიაში მატერიალური, სულიერი და სხვა კეთილდღეობა, რომელთა თაობაზეც სამართლის სუბიექტები შედიან სამართალდამოკიდებულებაში და ახორციელებენ თავიანთ სუბიექტურ უფლებებსა და ვალდებულებებს. სამართალდამოკიდებულებათა ობიექტის ცნების, შინაარსის, კლასიფიკაციისა და ანალიზის პრობლემებს გააჩნია საკმაოდ არსებითი მნიშვნელობა, რამეთუ მხოლოდ სამართლის ობიექტის არსებობა იწვევს თავად სამართალდამოკიდებულების წარმოქმნისა და არსებობის აუცილებლობას. სამართლის ობიექტის არსებობა აზრობრივ ხდის ნებისმიერი სხვა სამართალდამოკიდებულების არსებობას. საზოგადოებაში არაა და არ შეიძლება იყოს სამართალდამოკიდებულებები, არა მხოლოდ უსუბიექტო, არამედ უობიექტოც. „სამართალდამოკიდებულებათა ობიექტის" ცნების ზოგადი განსაზღვრის პრობლემა ყოველთვის იწვევდა მკვლევარების ყურადღებას და შეადგენდა დავის საგანს. ცდილობენ რა იპოვონ მისი ადეკვატური გადაწყვეტილება და უპასუხონ საერთო კითხვას, თუ რა არის სამართალდამოკიდებულებათა ობიექტი, ავტორები კვლევის ერთიანი საგნისა და საერთო მიზნის ძალით გამოიქვამენ, არა მხოლოდ განსხვავებულ, არამედ ერთმანეთის შემავსებელ შეხედულებებსაც.

სამართალდამოკიდებულებების ობიექტის ქვეშ ზოგჯერ იგულისხმება ის, რაზეც მიმართულია სამართალდამოკიდებულება ან რომლის გამოც ის წარმოიქმნება. სამართალდამოკიდებულების ობიექტის სახით ხშირად განიხილება ნებისმიერი ცხოვრებისეული მოვლენა, რომელმაც განაპირობა სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული ვალდებულებების წარმოქმნა. თუ შევაჯამებთ მსჯელობას სამართალდამოკიდებულებების ობიექტთან დაკავშირებით, შეიძლება გამოვყოთ მათი შემდეგი სახეები: ა) მატერიალური კეთილდღეობა. მატერიალური სამყაროს საგნები — ნივთები; ბ) სულიერი, ინტელექტუალური შემოქმედების შედეგები (მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, სამეცნიერო და მხატვრული წიგნები და ა.შ.); გ) ადამიანთა ქცევა — მათი გარკვეული მოქმედება ან უმოქმედობა, ასევე ამა თუ იმ ქცევის შედეგები; დ) პირადი არაქონებრივი და სხვა სოციალური კეთილდღეობა, რომლებიც ემსახურებიან სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეების ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და რომლის გამოც მხარეებს გააჩნიათ გარკვეული იურიდიული ვალდებულებები და სუბიექტური უფლებები. იხ. სამართლებრივი დამოკიდებულება.

სამართალდამცავი ორგანოები – სახელმწიფო (უმრავლეს შემთხვევაში – აღმასრულებელი) ხელისუფლების ორგანოთა სისტემა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სამართალდაცვის ფუნქციების განხორციელება სპეციალური ფორმებისა და მეთოდების მეშვეობით პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გარდა ამისა, სამართალდამცავ ორგანობს განეკუთვნება ზოგიერთი არასახელმწიფო ორგანო და დაწესებულება, როგორსაც წარმოადგენს ადვოკატურა და საზოგადებრივ საფუძველზე შექმნილი სამართალდაცვითი მოძრაობების ორგანოები. ფართო გაგებით, სამართალდამცავ ორგანოებში შედის სასამართლოები, თუმცა, სასამართლო სისტემა შეადგენს სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელ განშტოებას, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებათა მართლმსაჯულებას.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიცოცხლის ხელყოფა – დანაშაული მართეის წესის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, მათი ახლობლების სიცოცხლის ხელყოფას ალნიშნული პირების მიერ საზოგადებრივი წესრიგის დაცვისა და საზოგადებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კანონიერი საქმიანობისთვის ხელის შეშლის ან ასეთ საქმიანობაზე შურისძიების მიზნით.

სამართალდარღვევა – უფლებაუნარიანი პირის ან პირების დანაშაულებრივი, მართლსაწინააღმდეგო, საზოგადოებისთვის საზიანო ქმედება, რასაც მოსდევს იურიდიული პასუხისმგებლობა. სამართალდარღვევა ყოველთვის გამოდის, როგორც მართლზომიერი ქცევის სოციალური და იურიდიული ანტიპოდი. სამართალდარღვევას გააჩნია რიგი ნიშნები და თვისებები, რომელთა შორისაც საჭიროა გამოიყოს შემდეგი

1. ნებისმიერი სამართალდარღვევა ესაა ყოველთვის გარკვეული ქცევა, რომელიც იმყოფება ადამიანის გონებისა და ნების მუდმივი კონტროლის ქვეშ. ესაა ნებელობითი, გაცნობიერებული მოქმედება, რომელიც გამოიხატება ადამიანის მოქმედებასა თუ უმოქმედობაში. სამართალდარღვევის ნიშნების სახით არ შეიძლება განხილულ იქნეს ადამიანის ხასიათის თვისებები, აზრების სახე ან პირადი თვისებები. თუმცა, თუ ისინი ელინდებიან კონკრეტულ სამართალსაწინააღმდეგო ქმედებებში — მოქმედებებში ან უმოქმედობაში, ამ შემთხვევაში დგება იურიდიული შედეგები. 2. მართლ-

საწინააღმდეგობა სამართალდარღვევის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნიშანია. ყოველი ქმედება – მოქმედება თუ უმოქმედობა როდი წარმოადგენს სამართალდარღვევას, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ხორციელდება კანონის საპირისპიროდ. ქმედების მართლსაწინააღმდეგობის კონკრეტულ გამოხატულებას შეიძლება წარმოადგენდეს კანონში ან სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში პირდაპირ დადგენილი აკრძალვის დარღვევა ან სამართლის სუბიექტებზე კანონითა თუ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა. 3. სამართალდარღვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს ბრალის არსებობა. ბრალი ასახავს პირის ფსიქიკურ მდგომარეობასა და დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედების – მოქმედებისა თუ უმოქმედობის მიმართ, ასევე ასეთი ქმედების შედეგად წარმოქმნილ შედეგებთან. ის ნიშნავს პირის მიერ საკუთარი ქცევის მართლსაწინააღმდეგობის გაგებასა თუ გაცნობიერებას. აი, რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს სამართალდარღვევად არასრულწლოვანი ან სასამართლოს მიერ შეურაცხადად ცნობილი პირის ან პირების ქმედებები, რამდენადაც მათ არ შეუძლიათ გააცნობიერონ და გაიგონ საკუთარი ქმედებების მართლსაწინააღმდეგობა. სამართალდარღვევად არ ითვლება ე.წ. ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებიც ხორციელდება გაცნობიერებულად, პირის ნებით. ასეთი სახის ქმედებები ხორციელდება პროფესიული ან სამსახურებრივი ვალდებულებების ძალით და არ შეიცავს დანაშაულს. მაგალითად, მეხანძრის მოქმედებები, რამაც ზიანი მიაყენა ჭონებას ხანძრის ჩაქრობისას, მაშველის, ექიმის ანალოგიური მოქმედებები.

გამოიყოფა ბრალეულობის ორი ფორმა: განზრახვა და გაუფრთხილებლობა, განზრახვა გულისხმობს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქცევის განმხორციელებელი პირი აცნობიერებს საკუთარი ქმედებებისა თუ უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგობას, განჭვრეტს მათ საზოგადოებისთვის საშიშ შედეგებს და სურს, ან უშვებს მათ დადგომას. თუ პირი აცნობიერებს საკუთარი ქმედებებისა და მისი შედეგების მართლსაწინააღმდეგობას, მაგრამ არ სურს მათი დადგომა, თუმცა უშვებს ასეთ შესაძლებლობას ან გულგრილად უდგება მას, ადგილი აქვს ირიბ განზრახვას.

გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალეულობის ერთ-ერთი ფორმა ორი სახისაა: თვითდაჯერებულობა და დაუდევრობა. თვითდაჯერებულობა გულისხმობს, რომ პირი განჭვრეტს საკუთარი ქცევის საშიშ შედეგებს, მაგრამ დაუფიქრებლად იმედოვნებს მათ თავიდან აცილებას. გაუფრთხილებლობა დაუდევრობით გულისხმობს, რომ პირი არ განჭვრეტს თავისი ქმედებების საშიშ შედეგებს, მაგრამ შეუძლია და უნდა განჭვრიტოს ისინი. გაუფრთხილებლობა მეუთითებს, პირველ რიგში, პირის უპასუხისმგებლო და დაუდევარ დამოკიდებულებაზე მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების, საზოგადოებისა და სხვა პირის (პირთა) ინტერესების მიმართ. 4. სამართალდარღვევა ხორციელდება დელიქტუნარიანი ადამიანების მიერ ე.ი. იმათ მიერ, რომელთაც შეუძლიათ აკონტროლონ თავიანთი ნება და ქცევა, პასუხი აგონ საკუთარ ქმედებებზე, გააცნობიერონ მათი მართლსაწინააღმდეგო სახე. დელიქტუნარიანობა განისაზღვრება კანონებსა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში. დელიქტუნარიანებს წარმოადგენენ შერაცხადი პირები, რომლებმაც მიაღწიეს გარკვეულ ასაკს, მაგალითად, სამოქალაქო და სისხლის სამართალში სრული დელიქტუნარიანობა დგება 18 წლიდან, ცალკეულ დანაშაულებზე პასუხისმგებლობა დგება 14 წლიდან, ადმინისტრაციულ გადაცდომებზე და შრომის სამართლის დარღვევებზე 16 წლიდან. 5. სამართალდარღვევის ძირითად განმასხვავებელ ნიშნებს განეკუთვნება პირის ან ორგანიზაციისთვის სხვა პირისა თუ ორგანიზაციის მიერ მიყენებული ზიანის არსებობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის. რაც შეეხება ზიანის მიყენებას, ყველა ავტორი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს. ზიანის მიყენებას გააჩნია ორი ასპექტი – იურიდიული და ფაქტური. იურიდიული მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ირღვევა სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეების სუბიექტური უფლებები ან იქმნება ისეთი პირობები, რომლებიც ხელს უშლიან სუბიექტების მიერ მათზე დაკისრებული იურიდიული ვალდებულებების შესრულებას. სამართალდარღვევის ფაქტური მხარე მდგომარეობს სამართალდამოკიდებულების მონაწილისთვის მატერიალური ან მორალური ზიანის მიყენებაში. როცა ესაუბრობთ სამართალდარღვევის ისეთ ნიშანზე, როგორიცაა მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა თუ მიყენებულ ზიანს შორის, პირველ რიგში, საქმე ეხება პირდაპირ და არა, რამენაირ კავშირს. მაგრამ შედეგები უნდა იყოს არსებული კანონმდებლობის დარღვევით ქმედების ან უმოქმედობის პირდაპირი შედეგი. დაუშვებელია მათ შორის რაიმენაირი შუამავალი რგოლები. მეორეც, მხედველობაშია ის, რომ მიზეზობრივი კავშირი უნდა იყოს არა შემთხვევითი, არამედ სავსებით კანონზომიერი, რამაც განაპირობა მაგრ შედეგების დადგომა. სამართალდარღვევის დასახელებული ნიშნები წარმოადგენს ძირითადს, მაგრამ არა ამომწურავს. მათ გარდა, არსებობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიშნები და თვისებებიც.

სამართალდარღვევის დახასიათებისთვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია მის შემადგენლობასაც. ცნებაში „სამართალდარღვევის შემადგენლობა" განზოგადებული და დაკგუფებულია ნებისმიერი სამართალდარღვევისთვის დამახასიათებელი ნიშნები და თვისებები. ეს ხდება სქემით: სამართალდარღვევის ობიექტი, სუბიექტი, ობიექტური და სუბიექტური მხარები. სამართალდარღვევის ობიექტს წარმოადგენს დარეგულირებული და სამართლით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც ადგება ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ან უმოქმედობით. სამართალდარღვევისას პირი ზიანს აყენებს არა მხოლოდ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ მართლწესრიგს, არამედ მოქალაქეთა სამართალცნობიერებას, ასევე მათ სუბიექტურ უფლებებს.

სამართალდარღვევის სუბიექტებს წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც გააჩნიათ უნარი და შესაძლებლობა ანალონ იურიდიული პასუხისმგებლობა თავიანთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე (დელიქტუნარიანობა), სამართალდარღვევის ობიექტური მხარეა მისი გარე მახასიათებლები, პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარეგნული აღწერა. სამართალდარღვევის ობიექტური მხარის შემადგენელი ელემენტებია: ა) თავად მართლსაწინააღმდეგო ქმედება ან უმოქმედობა; ბ) მოცემული ქმედებით ან უმოქმედობით საზოგადოებრივი ურთიერთობებისთვის მიყენებული

ზიანი; გ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის; დ) დრო, ადგილი და სხვა გარემოებები, რომელთა დროს მოხდა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა; ე) სამართალდარღვევის ჩადენის ხერხები და საშუალებები.

სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე მიუთითებს პირის ფსიქიკურ მდგომარეობაზე მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში. მისი შინაარსი წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტის ბრალის ერთ-ერთ ფორმას (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), რაც არის საკანონმდებლო პირობა ან საფუძველი მისი იურიდიული პასუხისგებაში მიცემისთვის. ბრალეულობა სამართალდარღვევის სუბიექტური მხარის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მისი დამატებითი ელემენტების სახით სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში განიხილება სამართალდარღვევის ჩადენის მიზანი და მოტივები. მათ უწოდებენ ფაკულტატიურს ანუ ყოველთვის არაა საჭირო ელემენტები ამა თუ იმ ქმედების სამართალდარღვევად ცნობისთვის. ასეთი ელემენტების გამოყენების მაგალითად გამოდგება ეკონომიკურ, ფინანსურ და საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთ სხვა სფეროში ჩადენილი რიგი დანაშაულების კვალიფიკაცია.

სამაშულო და უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყოფა სამართალდარღვევის რამდენიმე სახე. ამ უკანასკნელის კვალიფიკაცია ხდება სამართალდარღვევის სასიათის, მათი ზიანის ხარისხისა და საზოგადოებრივი ურთიერთობებისთვის საშიშროების, ასევე მათ ჩადენაზე გამოყენებული სანქციების მიხედვით. მოცემული კრიტერიუმის თანახმად ყველა სამართალდარღვევა იყოფა დანაშაულებად და გადაცდომებად. დანაშაული ეწოდება სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ საზოგადოებისთვის საშიშ ქმედებებს, რაც ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ მართლწესრიგს. ნებისმიერ დანაშაულზე გამოიყენება სახელმწიფო იძულების ყველაზე მკაცრი ზომები – სისხლისსამართლებრივი სანქციები, რომლებიც მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწესებენ მათ ჩადენაში დამნაშავე პირების ქცევასა და სამართლებრივ სტატუსზე.

დანაშაული ყოველთვის წარმოადგენს სისხლის სამართლის დარღვევებს. ქვეყნების უმრაელესობის სახელმწიფო-სამართლებრივი თეორია და პრაქტიკა ამოდის იქიდან, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ფარგლებს გარეთ არსებული სამართალდარღვევა, რომელიც კვალიფიცირებულია, როგორც დანაშაული არ არსებობს და მიეკუთვნება უმეტესად გადაცდომებს. გადაცდომები წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომელთაც საზოგადოებრივი საშიშროების შემცველ დანაშაულებთან შედარებით გააჩნია ნაკლები ხარისხი და რომელთაც მოსდევს არა სისხლის სამართლის სანქციები, არამედ ადმინისტრაციული, დისციპლინარული ან სამოქალაქო-სამართლებრივი ზემოქმედების ზომები. მართლსაწინააღმდეგო ქცევით საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროსთვის მიყენებული ზიანის, ამასთან, გამოყენებული ჯარიმის მიხედვით გადაცდომები იყოფა ადმინისტრაციულად, დისციპლინარულად და სამოქალაქო-სამართლებრივად (დელიქტურად).

ადმინისტრაციული გადაცდომების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათი განხორციელება ხდება სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის სფეროში და მათ ჩადენაზე გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ის შეიძლება გამოისახოს ჯარიმის დაკისრებაში, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევაში და ა.შ. დისციპლინარული გადაცდომა წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობებისთვის საზიანო მართლსაწინააღმეგო ქმედებებს ფიზიკური პირების მხრიდან, რომლებიც მიმართულია საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებების შინაგანაწესის, შრომის, სამსახურებრივი, სასწავლო, სამხედრო და სხვა სახის დისციპლინის დარღვევაზე. პასუხისმგებლობა დისციპლინარული გადაცდომების ჩადენაზე გათვალისწინებულია სხვადასხვა საუწყებო (წესდებები, დებულებები, ინსტრუქციები) და ლოკალურ (სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებები და სხვ.) ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში.

სამოქალაქო-სამართლებრივი გადაცდომები ივარაუდება, როგორც ქონებრივი და არაქონებრივი ურთიერთობების სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევა, რომელთაც გააჩნიათ ინტელექტუალური ღირებულება, როგორც კონკრეტული პირებისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. სამოქალაქო სამართალდარღვევა გარეგან გამოხატულებას პოულობს მოქალაქე-ბისა თუ მათი ორგანიზაციებისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებაში, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობაში, მოქალაქის ღირსებისა და პატიოსნების შემლახველი ცნობების გაერცელებაში, უკანონო გარიგებაში, ამა თუ იმ პირებისა თუ ორგანიზაციების სამოქალაქო უფლებების დარღვევაში.

სამართალი – საყოველთაო საკალდებულო სოციალური ნორმების ერთობლიობა (სისტემა), რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს ნებას და რომელიც დაცულია მისი ძალით. ასეთი წარმოდგენა სამართლის შესახებ გავრცელებულია ზოგადად იურიდიულ ლიტერატურაში. სამართლის, როგორც მოელენისა და ცნების ანალიზის დროს გამოიყოფა მისი შემდეგი ნიშნები და თვისებები: ა) სამართალი, პირველ რიგში, ესაა ქცევის წესებისა თუ ნორმების ერთობლიობა, უფრო ზუსტად კი, სისტემა. ესაა არა ნორმების შემთხვევითი ნაკრები, არამედ ქცევის გარკვეული წესების მკაცრად შემოწმებული ერთობლიობა. ის ყალიბდება ერთგვაროვანი, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ელემენტებისგან. ასეთს წარმოადგენს სამართლის ნორმები ან ქცევის წესები. სისტემა უნდა იყოს შინაგანად ერთიანი და არადაპირისპირებული. მის ცალკეულ სტრუქტურულ ელემენტებს – ნორმებს შორის წარმოქმნილი კავშირები, ისევე როგორც ნორმები უნდა იყოს მიმართული რეგულაციური და სხვა ფუნქციების შესრულებაზე. ერთიანი მიზნების მიღწევაზე; ბ) სასამართლო – სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ნორმების სისტემა. არსებობს სხვადასხვა სოციალური ნორმების სიმრავლე, მაგრამ მხოლოდ სამართლებრივი ნორმების სისტემა ამოდის სახელმწიფოდან, ყველა დანარჩენი კი იქმნება და ეითარდება სხვადასხვა არასახელმწიფო (საზოგადებრივი, პარტიული და სხვა) ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ. სამართლებრივი აქტები ასევე

შეიძლება მიღებულ იქნეს რეფერენდუმის გზით; გ) სამართალი ყოველთვის გამოხატავს სახელმწიფო ნებას, როგორც სამართლის საფუძველს, რომელიც სამამულო და უცხოურ იურიდიულ მეცნიერებაში არსებული კონცეფციებით გამოხატავს კლასის, მმართველი ჯგუფის, საზოგადების, ხალხის ან ერის ნებას. სახელმწიფოსა და სამართლის არსებობისა და ფუნქციონირების მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამართალში, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მმართველი ელიტის ნება. ამასთან, ურყევ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ეს უკანასკნელი შიშობს რა სოციალურ აფეთქებებსა და პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვას, ხშირად იძულებულია ანგარიში გაუწიოს ქვეშევრდომთა ნებასა და ინტერესებს; დ) სამართალი წარმოადგენს საყოველთაო სავალდებულო ხასიათის მქონე ქცევისა წესებისა თუ ნორმების სისტემას. საყოველთაო სავალდებულობა ნიშნავს საზოგადოების ყველა წევრის მიერ სამართლის ნორმებში არსებული მოთხოვნების შესრულების გარდაუვალობას. ის ჩნდება სამართლის ნორმასთან ერთად, ამასთან ერთად ვითარდება და იცვლება; ე) სამართლის დაცვა და უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო სამართლის ნორმებში არსებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, მისი მხარდაჭერა ხდება სახელმწიფო იძულებით. სახელმწიფო არ შეიძლება გულგრილად მიუდგეს მის მიერ გამოცემულ ან სანქციონირებულ აქტებს: ქმნის ყველა პირობას მათი რეალიზაციისთვის, იცავს მათ დარღვევებისგან და ახდენს მათ გარანტიას. ამასთან, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს სახელმწიფო იძულება. ის უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც მოქმედებს კანონის ფარგლებში და საფუძველზე, ასევე კანონით გათვალისწინებული საპროცესო წესების შესაბამისად.

სამართალსუბიექტურობა – უნარი ჰქონდეს და განახორციელოს თავისი მოქმედებებით სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები. სამართალსუბიექტურობის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

სამართალშემოქმედება – სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე, მისი აქტიურობის ფორმა, რომლის უშუალო მიზანსაც წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბება, მათი ცვლილება, გაუქმება ან დამატება. თითოეულ სახელმწიფოში სამართალშემოქმედებას გააჩნია თავისებურებები, მაგრამ ის ყველგან მიმართულია ნორმების ერთიანი, შინაგანად შეთანხმებული და არასაპირისპირო სისტემის შექმნასა და სრულყოფაზე, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ მრავალფეროვან ურთიერთობებს. სოციალური არსის მიხედვით, სამართალშემოქმედება გამოდის, როგორც სახელმწიფო ნების კანონში აყვანის, მისი სხვადასხვა იურიდიულ აქტებში გაფორმების პროცესი. ის მოიცავს ამაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების უშუალო საქმიანობას ნორმატიული სამართლებრივი აქტების დამუშავების, მიღების, ცვლილების ან დამატებების შეტანის თაობაზე.

სამართალშემოქმედება წარმოადგენს სამართალწარმოქმნის მთელი პროცესის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. ეს უკანასკნელი მოიცავს არა მხოლოდ სამართალშემოქმედების, არამედ მის წინამორბედ, სამართლის ფორმირების მოსამზადებელ პროცესსაც. ამ უკანასკნელის არსებობის აუცილებლობა განპირობებულია გამოცემული აქტების ხარისხის მომატების შედეგიად მზარდი მოთხოვნილებით. ის დამოკიდებულია არა იმდენად სახელმწიფო ორგანოების სამართალშემოქმედებითი საქმიანობის დონეზე, რამდენადაც ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის მიღებამდე ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების დონეზე. იმისათვის, რომ მისაღები აქტი მაქსიმალურად პასუხობდეს საზოგადოების ცხოვრების მოთხოვნილებებს და იყოს ეფექტური, საკმაოდ მნიშვნელოვანია წინასწარ გადაწყდეს კავშირურთიერთობა მის ფორმასთან, სახესთან, შიდა სტრუქტურასთან, სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემაში როლთან და ადგილთან დაკავშირებული პრობლემების წრე. ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია განისაზღვროს იმ ფაქტორების წრე, რომლებიც ხელს უწყობენ და პირიქით, ხელს უშლიან ამა თუ იმ ნორმატიული სამართლებრივი აქტის მომზადებასა და მიღებას. აუცილებელია გაკეთდეს სხვადასხვა ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში არსებული მოთხოვნებისა და შეხვედრების რეალიზაციის პოზიტიური და შესაძლო ნეგატიური (გვერდითი) შედეგების პროგნოზი.

სამართალცნობიერება – საზოგადებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც არსებობს მის პოლიტიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ და სხვა ფორმებთან ერთად. ის წარმოადგენს ცალკეული ადამიანების, სოციალური ჯგუფების, ფენებისა და კლასების იდეების, გრძნობების, განცდების და შეხედულებების ერობლიობას მოქმედი სამართლის, მართლმსაჯულებისა და კანონიერების შესახებ და ასევე იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ისინი. წარმოადგენს რა საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების ერთერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, სამართალცნობიერება იყოფა ორ ძირითად შემადგენელ ელემენტად – სამართლებრივ იდეოლოგიად (სამეცნიერო სამართალცნობიერება) და სამართლის ფსიქოლოგიად (ყოფითი სამართალცნობიერება).

სამართლის ფსიქოლოგია ესაა გარკვეული სამეცნიერო პოზიციების საფუძველზე ჩამოყალიბებული იდეების, შეხედულებებისა და წარმოდგენების სისტემა სამართლის შესახებ. თეორიულ ასახვას სამართლებრივი იდეოლოგია პოულობს სხვადასხვა სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების, ინსტიტუტებისა და დაწესებულებების კვლევებში და მათ გამოქვეყნებაში სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემაში.

სამართლის ფსიქოლოგია წარმოადგენს სხვადასხვა სამართლებრივი მოვლენის მიმართ ცალკეული მოქალაქეებისა და ადამიანთა ჯგუფების გრძნობების, ჩვევების, ემოციებისა და განწყობის ერთობლიობას. კონკრეტული ასახვა სამართლის ფსიქოლოგიამ შეიძლება ჰპოვოს ხელახლა მიღებული ან გაუქმებული სასამართლო აქტების, ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობის, სამართალდამცავი და სამართალგამოყენებითი საქმიანობის ეფექტურობის მიმართ.

სამართალწარმოების ენა – ენა, რომელზეც წარმოებს სისხლის სამართლის პროცესი. კონსტიტუციის თანახმად, თითოეულ ადამიანს უფლება

აქვს გამოიყენოს მშობლიური ენა, ურთიერთობის, აღზრდის, სწავლისა და შემოქმედების ენის თავისუფალი არჩევა. მოცემული პრინციპი გამოხატავს ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა ერისა და ხალხის თანასწორობის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ აღიარებას.

ადგენს რა სამართალწარმოების სახელმწიფო ენას, კონსტიტუცია სისხლის სამართლის სამართალწარმოების თითოეულ მონაწილეს აძლევს უფლებას ისარგებლოს იმ ენით, რომელსაც ფლობს და ამდენად მისცეს განმარტებები, დააყენოს შუამდგომლობები, გააკეთოს განცხადებები, შეიტანოს საჩივრები, გაეცნოს საქმის მასალებს, გამოვიდეს სასამართლოში მშობლიურ ენაზე ან იმ ენაზე, რომელსაც ფლობს და ასევე, უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის დახმარებით. თუ საჭიროებენ და სასამართლო დოკუმენტები აუცილებლად ექვემდებარება ეჭვმიტანილისთვის, ბრალდებულისთვის და ასევე სამართალწარმოების სხვა მონაწილეებისთვის გადაცემას, აღნიშნული დოკუმენტები უნდა ითარგმნოს სამართალწარმოების შესაბამისი მონაწილის მშობლიურ ან იმ ენაზე, რომელსაც ის ფლობს.

სამართალწარმოების მონაწილეები სამოქალაქო საქმეებზე

– სამოქალაქო და საარბიტრაჟო სამართალწარმოებაში მონაწილე პირები, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა საპროცესო მდგომარეობა, დამოკიდებული მათი პროცესში შესვლის მიზნებზე. ყველა მონაწილე იყოფა სამ ჯგუფად: ა) სასამართლო; ბ) საქმეში მონაწილე პირები; გ) მართლმსაჯულების აღსრულების ხელშემწყობი პირები.

სასამართლო ხელმძღვანელობს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას, გამოდის პროცესის მონაწილეთა საპროცესო უფლებების გარანტად, წყვეტს მატერიალურ-სამართლებრივ დავას არსებითად, ახორციელებს კონტროლს ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე, გამოაქვს სასამართლო დადგენილებები.

საქმეში მონაწილე პირები – პროცესის მონაწილეები, რომელთა მოქმედებებზეც დამოკიდებულია სამოქალაქო საქმის მოძრაობა. საქმეში მონაწილე პირებს განეკუთვნება: ა) მხარეები (იხ. მხარეები სამოქალაქო პროცესში); ბ) მესამე პირები; გ) პროკურორი, სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისად; განმცხადებლები და სხვა დაინტერესებული პირები განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე. მხარეები – მოსარჩელე და მოპასუხე. მხარეები წარმოადგენენ სადავო მატერიალური სამართალდამოკიდებულების საკარაუდო სუბიექტებს, მესამე პირები – პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქმის დასრულებით. გამოიყოფა მესამე პირთა ორი ჯგუფი: ა) მესამე პირები, რომლებიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებენ დავის საგანზე; ბ) მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე. დამოუკიდებელი მოთხოვნის განმცხადებელი მესამე პირები საპროცესო მდგომარეობით უტოლდებიან მოსარჩელეს. მესამე პირებს, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს, არ გააჩნიათ მხარის საპროცესო მდგომარეობა იმასთან დაკავშირებით, რომ არ წარმოადგენენ მატერიალურ-სამართლებრივი დამოკიდებულების სუბიექტებს, რომლის თაობაზეც წარმოიქმნა დავა და არანაირ მოთხოვნას არ აყენებს დავის ობიექტის შესახებ. პროცესში მათი მონაწილეობის აზრი მდგომარეობს საკუთარი ინტერესების დაცვაში „სხვის" საქმეში ე.ი. შემდგარმა გადაწყვეტილებამ შეიძლება მათთვის გამოიწვიოს გარკვეული სამართლებრივი შედეგები, მაგალითად, რეგრესული სარჩელის წამოყენება მოცემული საქმის განხილვის დროს დადგენილი ფაქტების საფუძველზე. პროკურორს, სახელმწიფო ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილე პირებს შეუძლიათ სამოქალაქო საქმეში მონაწილეობა: ა) მიმართონ სასამართლოს საზოგადოებრივი, სახელმწიფო და სხვა პირთა ინტერესების დაცვის მიზნით; ბ) პროცესში ჩაერთონ საქმეზე დასკვნის მისაცემად.

მართლმსაჯულების აღსრულების ხელშემწყობი პირები – სასამართლო წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები და თარჯიმნები. პროცესის მოცემულ მონაწილეთა ფუნქციები სხვადასხვაგვარია. საერთოს წარმოადგენს ის, რომ მათ არ გააჩნიათ იურიდიული დაინტერესებულობა (არც მატერიალურ-სამართლებრივი, არც საპროცესო) საქმის დასრულების მხრივ.

სამართალწარმოების მონაწილეები სისხლის სამართლის საქმეებზე

– სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მიმღები პირები. სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოების მონაწილეების ცნების დადგენისას ისეთები, როგორიცაა ბრალდებული, ეჭვმიტანილი. სამოქალაქო მოსარჩელე და ა.შ. მათი უფლებებით აღჭურვისას, ვალდებულებების დაკისრებისას კანონმდებელი განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალდამოკიდებულებათა შესაძლო სუბიექტების წრეს. თუმცა, ეს უკანასკნელნი არ არიან პირდაპირ კავშირში სახელმწიფოს წარმომადგენელთან, მაგრამ ისინი ახორციელებენ ურთიერთქმედებას ერთმანეთთან. მათ არ შეუძლიათ გამოძიების პროცესში ან სასამართლოში თავიანთი უფლებების რეალიზება და მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ეს ხსნის მათი სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობებში მონაწილეობის ვალდებულებას. ურთიერთობები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს შორის შეიძლება იყოს, როგორც ორსუბიექტური, ასევე მრავალსუბიექტური.

სამართალწარმოების მონაწილეები სისხლის სამართლის საქმეებზე შემდეგნაირად იყოფა: ა) სასამართლო; ბ) სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეები ბრალდების მხრიდან; გ) სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეები დაცვის მხრიდან; დ) სისხლის სამართლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეები.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები – ესაა, ერთის მხრივ, პირები, რომლებიც გამოდიან საპროცესო უფლებებისა და ვალდებულებების მატარებლებად. მეორეს მხრივ, მონაწილეებს წარმოადგენენ, არა მხოლოდ, უფლებებითა და ვალდებულებებით აღჭურვილი პირები და ორგანიზაციები, არამედ ასევე ორგანოებიც, რომელთაც გააჩნია საძალაუფლებო უფლებამოსილებები პროცესის სხვა მონაწილეებთან მიმართებაში. ეს სუბიექტები აღჭურვილნი არიან

გარკვეული უფლებამოსილებებით სისხლის სამართლის სამართალწარმოების შესრულებისთვის და იცავენ თავიანთ ან წარმოსადგენი პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს: ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, წარმომადგენელი, ასევე სხვა სუბიექტები, რომლებიც ეხმარებიან საპროცესო მოქმედებების განხორციელებაში ან ადასტურებენ ასეთი მოქმედებების განხორციელებას. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სამართალდამოკიდებულებათა ფარგლებში და მეშვეობით, რასთან დაკავშირებითაც ისინი სხვადასხვაგვარად ერთვებიან ამ სამართალდამოკიდებულებებში. ასე, მაგალითად, ზოგიერთი სუბიექტი სამართალდამოკიდებულებაში მონაწილეობს თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულების ძალით, რომლებიც განმტკიცებულია სხვადასხვა ნორმატიული აქტით. ასეთ მონაწილეებს წარმოადგენს სასამართლო, გამომძიებელი, პროკურორი, მოკალეების მწარმოებელი პირი. სხვა სუბიექტები სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობენ თავიანთი უფლებების განხორციელების გზით, იცავენ ან წარმოადგენენ თავიანთ ინტერესებს, მაგალითად, კანონიერი წარმომადგენელი. მესამენი მონაწილეობენ თანამდებობრივი ვალდებულებების განხორციელებელ პირთა ნების თანახმად. ასეთებს განეკუთვნება ეჭვმიტანილი, დაშსწრე და სხვ. მეოთხენი ახორციელებენ სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობას, სამართალწარმოებაში მონაწილეობენ რა გარკვეული დავალებების შესრულების მეშვეობით, მაგალითად, დამცველი. სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობაში მონაწილეობენ სხვადასხვა სუბიექტები: სასამართლო, მოსამართლე, პროკურორი, გამოძიების ორგანოები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პროცესის მონაწილეები, სამართალწარმოების ხელშემწყობი პირები. შესაბამისად, თითოეული მათგანი შეიძლება დახასიათებულ იქნეს მისი კუთვნილი უფლებებისა და ვალდებულებების პოზიციიდან.

სისხლის სამართლის პროცესის კონკრეტული მონაწილის დახასიათებისათვის საჭიროა განისაზღვროს, თუ რა ფუნქციას ასრულებს თითოეული მათგანი., მონაწილის ფუნქციის ქვეშ იგულისხმება თითოეული მონაწილისთვის საჭირო შედეგზე მიმართული საქმიანობა, მონაწილეთა საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით. ამასთან, მხედველობაში გვაქვს, როგორც დანაშაულით დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებისგან დაცვა. სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეთა დაყოფა ფუნქციების მიხედვით საჭიროა სისხლის სამართლის სამართალწარმოების ტიპის დახასიათებისთვის. ასე, მაგალითად, ინკვიზიციური პროცესისთვის დამახასიათებელია ის, რომ ბრალდების ფუნქციები და საქმის გადაწყვეტა კონცენტრირებულია ერთ ხელში, ხოლო სამართლებრივი გზით მიმაეალი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია პროცესში მონაწილე მხარეთა დაყოფა მათ მიერ შესრულებადი ფუნქციების მიხედვით, რომლის დროსაც ხდება ბრალდების ფუნქციის ფაქტიური გამოყოფა საქმის გადაწყვეტის ფუნქციისგან. ამდენად, პროცესის მონაწილეთა დაყოფა ხდება ფუნქციების მიხედვით: „ბრალდების მხრიდან" და „დაცვის მხრიდან". განსაზღვრულია სასამართლოს განსაკუთრებული როლი. ჩვენს სახელმწიფოში სისხლის სამართლის სამართალწარმოება იგება მხარეთა თანასწორობის, შეჯიბრებითობის პრინციპებზე და ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოების მონაწილეები ახორციელებდნენ უფლებამოსილებებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და მათი საქმიანობა მიმართული იყოს სისხლის სამართლის საქმის ობიექტურ განხილვაზე.

სამართალწარმოების სტადიები

– საპროცესო მოქმედებების ერთობლიობა, რომელთა განხორციელებაც ხდება გარკვეული თანამიმდევრობით და უზრუნველყოფენ საქმის მოძრაობას. სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამოიყოფა შემდეგი სტადიები: ა) საქმის აღძრა (იხ. სამოქალაქო საქმის აღძრა სასამართლოში); ბ) საქმის მომზადება სასამართლო განხილვისთვის (იხ. სამოქალაქო საქმეების მომზადება სასამართლო განხილვისთვის); გ) საქმის სასამართლო განხილვა (იხ. სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვა); დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში არშესული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრება და გაპროტესტება (აპელაცია ან კასაცია). (იხ. აპელაცია სამოქალაქო პროცესში, კასაცია სამოქალაქო პროცესში); ე) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილებების გადახედვა ზედამხედველობის წესით (იხ. ზედამხედველობის წესით დადგენილებების გადახედვა სამოქალაქო პროცესში); ვ) სასამართლო დადგენილებების გადახედვა ხელახლა აღმოჩენილი გარემოებების მიხედვით.

საარბიტრაჟო სამართალწარმოებაში არსებობს მსგავსი სტადიები, რომელთაც გააჩნიათ თავისებურებები (იხ. აპელაცია საარბიტრაჟო პროცესში, კასაცია საარბიტრაჟო პროცესში).

სამართლებრივი დამოკიდებულება

– სამართლის ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის მონაწილეები წარმოადგენენ სახელმწიფოს მიერ დაცული და გარანტირებული სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული ვალდებულებების მატარებლებს. სამართლებრივი დამოკიდებულებისთვის დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებებია: 1) სამართლებრივი დამოკიდებულება წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაკუთრებულ ნაირსახეობას. სამართლებრივი დამოკიდებულება წარმოადგენს ამ ურთიერთობების მონაწილეებს შორის ურთიერთქმედების იურიდიულ ფორმას. სამართლის ნორმებით დარეგულირებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობები არ კარგავს თავის ბუნებას და ხასიათს, მოცემული ტიპის ურთიერთობების საწყის თვისებებსა და თავისებურებებს. ისინი იძენენ მხოლოდ ახალ სახეს, საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალ ფორმას, ხდებიან რა სამართალდამოკიდებულებები; 2) სამართლებრივი დამოკიდებულება ყალიბდება სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, რომლებშიც გამოიხატება და მტკიცდება სახელმწიფო ნება. შრავალი საზოგადოებრივი ურთიერთობა რეგლამენტირებულია წესებში, ტრადიციებში, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტებში არსებული ნორმების მეშვეობით, თუმცა სამართალდამოკიდებულებათა ფორმასა და სახეს ისინი იღებენ მხოლოდ მათი სამართლის ნორმებით – რეგულირების მეშვეობით. ეს ეხება ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას – ოჯახ-

ურს, შრომითს, ქონებრივს, პირადს და სხვას, მათი ბუნების, ხასიათის, წარმოქმნის სფეროსა და არსებობის ხერხის მიუხედავად; 3) სამართლებრივი დამოკიდებულება წარმოადგენს სახოგადოებრივი ურთიერთობების ისეთ სახეს რომელიც ყალიბდება მათი მონაწილეების გაცნობიერებულ-ნებელობითი მოქმედებების შედეგად. გაცნობიერებულ-ნებელობითი ხასიათი ვლინდება ორ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტში: ა) სამართლებრივი დამოკიდებულება ჩნდება კანონმდებლის ნებითა და სურვილით შექმნილი ნორმების საფუძველზე; ბ) მათში არსებული სახელმწიფო-სამართლებრივი ბრძანებები, ასევე სამართლის ნორმებში ჩადებული იურიდიული უფლებები და ვალდებულებები ხორციელდება პირთა გაცნობიერებულ-ნებელობითი მოქმედებების წყალობით; 4) სამართლებრივი დამოკიდებულება წარმოადგენს მათი მონაწილეების მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან კავშირებს, რომელთა განხორციელებაც ხდება მათზე დაკისრებული სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული ვალდებულებების მეშვეობით. რეალური მოქმედებების ერთობლიობასთან ერთად ისინი შეადგენენ სამართალდამოკიდებულებათა შინაარსს; 5) ნებისმიერი სამართლებრივი დამოკიდებულების რეალიზაცია გარანტირებულია სახელმწიფო იძულების შესაძლებლობით. უმრავლეს შემთხვევაში სამართლის ნორმების მოთხოვნა და მათ საფუძველზე წარმოქმნილი სამართლებრივი დამოკიდებულების შინაარსი ცყრდნობა მათი მონაწილეების ნებაყოფლობით და გაცნობიერებულ ქცევას. თუმცა, სამართლებრივი მითითებების დარღვევის შემთხვევაში არ გამოირიცხება სახელმწიფო იძულების გამოყენება. სამართლებრივი დამოკიდებულება იყოფა სახეებად. არსებობს სამართლებრივი დამოკიდებულების რამდენიმე კლასიფიკაცია სხვადასხვა საფუძვლით. ნორმების დარგობრივი მიკუთვნებულობის მიხედვით სამართლებრივი დამოკიდებულება იყოფა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად, სისხლის სამართლებრივად, სამოქალაქო-სამართლებრივად, შრომითად და სხვ. მათში მონაწილე მხარეების რაოდენობისა და მათ შორის უფლებებისა და ვალდებულებების განაწილების სახის მიხედვით გამოიყოფა ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი სამართლებრივი დამოკიდებულება. ცალმხრივი სამართლებრივი დამოკიდებულების ძირითადი განმასხვავებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათში მონაწილე ორივე მხარიდან თითოეულს გააჩნია ერთმანეთთან მიმართებაში მხოლოდ უფლებები ან მხოლოდ ვალდებულებები. ცალმხრივი სამართლებრივი დამოკიდებულების ტიპიური მაგალითი არის ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ერთ მხარეს გააჩნია მხოლოდ სუბიექტური უფლება (მოითხოვოს საჩუქრის გადაცემა), ხოლო მეორეს – მხოლოდ ვალდებულება (საჩუქრის გადაცემა). ორმხრივი სამართლებრივი დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მასში მონაწილე ორივე პირის უფლებები და ვალდებულებები ერთმანეთთან მიმართებაში. მაგალითს წარმოადგენს დაქირავების, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და ა.შ. მრავალმხრივ სამართლებრივ დამოკიდებულებაში მონაწილეობს სამი და მეტი მხარე, ამასთან, თითოეულ მათგანს ერთმანეთთან მიმართებაში გააჩნია უფლებები და ვალდებულებები. ასეთ სამართლებრივ დამოკიდებულებაში ერთი მხარის თითოეულ სუბიექტურ უფლებას შეესაბამება მეორე მხარის სუბიექტური, იურიდიული ვალდებულება. მრავალმხრივი სამართლებრივი დამოკიდებულების მაგალითს წარმოადგენს ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომელშიც ორი ძირითადი მხარის გარდა მონაწილეობს მესამე მხარე – შუამავალი.

სამართლებრივი ნორმების განმარტება – სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, ცალკეული მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების საქმიანობის განსაკუთრებული სახე, რაც მიმართულია სამართლებრივი ნორმების აზრობრივი შინაარსის გაშლასა და მათში შემავალი სახელმწიფო ნების გამოვლენაზე. სამართლებრივი ნორმების განმარტება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, უფრო ზუსტად – წარმატებული საქმიანობის პირობას. სამართლებრივი ნორმების განმარტება, როგორც სამართალგამოყენების პროცესის განუყოფელი ნაწილი შედგება ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილისგან: გამოსაყენებელი სამართლის ნორმის არსის გარკვევისა და მისი არსისა და აზრობრივი შინაარსის განმარტებისგან.

სამართლის ნორმების განმარტება-გარკვევა წარმოადგენს თითოეულ მათგანზე სრული და ამომწურავი წარმოდგენის მიღების პროცესს. არსებობს სამართლის ნორმების განმარტების რიგი ფართოდ გამოყენებული და ტრადიციული ხერხი და მეთოდი. მათ შორისაა: გრამატიკული (ტექსტური), სისტემატური, ლოგიკური და ისტორიულ-პოლიტიკური (ისტორიული) განმარტება.

გრამატიკული (ტექსტური) განმარტება, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, მდგომარეობს ნორმის ტექსტის ან ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლის გრამატიკულ, ლექსიკურ და სინტაქსურ ანალიზში. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექსტის სტრუქტურას, სასვენი ნიშნების განლაგებას, მოცემულ ტექსტში საყოველთაო გამოყენების ტერმინებისა და სიტყვების არსობრივ მნიშვნელობას, ტექნიკურ ტერმინებს, რომლებიც აღებულია ცოდნის სხვადასხვა დარგიდან: მეცნიერებიდან, ტექნიკიდან და ხელოვნებიდან, ასევე სპეციალურ, იურიდიულ ტერმინოლოგიას. ძველი კანონების ან ტექსტების ანალიზის დროს, რომლებშიც მრავლადაა უცხოური ტერმინები და სიტყვები, უნდა ამოვიღეთ მათი თავდაპირველი მნიშვნელობიდან, რომელიც ენიჭებოდა მათ კანონის მიღების დროს ან რომელიც მათ გააჩნდათ კანონმდებლისთვის მშობლიურ ენაზე. სისტემატური განმარტება მდგომარეობს სისტემური მიდგომის გამოყენებაში სამართლის სხვადასხვა ნორმის, ცალკეული მუხლებისა და მთლიანად კანონების ანალიზის დროს. ამასთან, მკვლევარის ძირითადი ყურადღება ექცევა სამართლის ნორმის არსისა და შინაარსის გამოვლენას მისი ადრე გამოცემულ ნორმებთან შეჯერების გზით, მისი ადგილისა და როლის განსაზღვრას ამ ნორმების სისტემაში, მისი მრავალმხრივი კავშირების სახის განსაზღვრას მოცემულ ნორმებთან. განმარტების სისტემატური ხერხი ან მეთოდი უდიდეს გავლენას ახდენს კანონმდებელსა და სამართალგამოყენებელზე კანონმდებლობაში ხარვეზების და კოლიზიების (წინააღმდეგობების) გამოვლენასა და აღმოფხვრაში. ის ასევე ეფექტურია სამართლებრივი სისტემის ძველი, ფორმალურად არაგაუქმებული, თუმცა ფაქტიურად არამქმედისგან გარჩევასა და აღმოფხვრაში,

რიგი საზოგადოებრივი ურთიერთობების გაქრობის, სამართლებრივი რეგულირების ობიექტების ან სამართლებრივი ნორმების სხვა მიზეზების ძალით.

ზოგჯერ სისტემატური განმარტება განიხილება, როგორც ლოგიკური განმარტების კერძო ფორმა, მისი მნიშვნელობისა და შედარებითი დამოუკიდებლობის მიუხედავად. ლოგიკური განმარტების კერძო ფორმა გამოიყენება სამართლებრივი მითითებების ლოგიკური არსის გამოსაელენად ყველა იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია განისაზღვროს სამართლებრივი ნორმის, მუხლის ან მთელი აქტის არსი და შინაარსი სისტემატური ან გრამატიკული (ტექსტური) განმარტების გზით. განმარტების სხვადასხვა მეთოდსა და ხერხს შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ-პოლიტიკურ განმარტებას. მისი ძირითადი არსი და შინაარსი დაიყვანება იმ სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის გარკვევამდე, რომელშიც ხდებოდა მიღებული ნორმის მიღება, მისი გამოცემის სოციალურ-პოლიტიკური მოტივების დადგენამდე, კანონმდებლის ძირითადი მიზნებისა და განზრახვის განსაზღვრამდე. ისტორიულ-პოლიტიკური განმარტებისას კანონმდებელი და სამართალგამომყენებელი ერთდროულად არკვევენ საკითხს გამოსაცემი ნორმის კაუშირისა და სამართალშეკვეთრეობის შესახებ მის წინამორბედ ნორმებთან ერთად. ისტორიულ-პოლიტიკური განმარტების ფართო გამოყენება სხვა მეთოდებთან ერთად საშუალებას იძლევა სრულად გამოირკვეს განსასხილველი ნორმის ან მთელი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ნამდვილი არსი და შინაარსი.

ამასთან, დიდი მნიშვნელობა გააჩნია სიმართლის ნორმების განმარტებას მოცულობის მიხედვით. განმარტების ეს სახე გამოდის, როგორც განმარტების პროცესის ლოგიკური გაგრძელება და დასრულება. ამასთან, ის გამოდის, როგორც მთელი პროცესის კანონზომიერი შედეგი, რაც წინ უსწრებს განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, სისტემატური და ისტორიულ-პოლიტიკური მეთოდების გამოყენებას. სწორედ ამ მეთოდების მეშვეობით შეიძლება მოძებნდეს ამომწურავი პასუხი კითხვაზე, ემთხვევა თუ არა სრულად მოცემულ ნორმაში ან აქტში კანონის სიტყვები მის სულისკვეთებას, უნდა გაეიგოთ თუ არა ნორმის ან ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სიტყვიერი გამოხატულება სიტყვა-სიტყვით ან საჭიროა მათი შინაარსის შეკვეცა ან გაფართოება, რაც გამომდინარეობს მათი სიტყვა-სიტყვით განმარტებიდან. ამ კითხვაზე საბოლოო პასუხის გაცემა შეიძლება სხვა დამატებითი მეთოდების – სამართლის ნორმების მოცულობის მიხედვით განმარტების მეთოდების გამოყენებით. მათი არსი მდგომარეობს სამართლის ნორმის შინაარსის მის ტექსტურ გაფორმებასა და გამოხატვასთან შესაბამისობის ხარისხის განსაზღვრაში. იმ შემთხვევაში, როცა სამართლის ნორმის განხილვისას ვლინდება, რომ ნორმის არსი და შინაარსი სრულად ემთხვევა მის ტექსტურ გაფორმებასა და გამოხატვას, როცა მისი არსი სიტყვა-სიტყვით აღიქმება, საუბრობენ სიტყვა-სიტყვით განმარტებაზე. განმარტების ეს მეთოდი წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულს მრავალ ქვეყანაში და მოწმობს იმას, რომ უმრავლეს შემთხვევაში კანონმდებლის ნება, მიზნები და ინტერესები მკაფიოდ და უსუსტად აისახება და ჟალიბდება კანონში და მასში შემავალ ცალკეულ ნორმებში. თუმცა, სხვადასხვა ქვეყნის სამართალშემოქმედებით პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ასეთი შესაბამისობა არ ხდება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამასთან შესაძლებელია ორი ეარიანტი. პირველი – როცა სამართლის ნორმის ტექსტური გამოხატულება და გაფორმება, მისი სიტყვიერი ფორმულირება უფრო ვრცელია მის ლოგიკურ აზრსა და შინაარსზე. მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება შეზღუდული განმარტების მეთოდი. სამართლის ნორმები უნდა განიმარტოს შეზღუდულად. სამართლის ნორმის შინაარსისა და ტექსტური გამოხატულების შესაძლო შეუსაბამობის მეორე ეარიანტი მდგომარეობს იმაში, რომ კანონის სიტყვა შეიძლება იყოს უფრო ვიწრო მის ლოგიკურ აზრზე. ამ შემთხვევაში საუბრობენ სამართლის ნორმის ვრცელი განმარტების მეთოდის გამოყენების აუცილებლობასა და გარდაუვალობაზე კი.

განმარტება-ახსნა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ გამომუშავებული რეკომენდაციებისა და ახსნების ერთობლიობას, რაც მიმართულია კანონისა და ცალკეული ნორმების ჰეშმარიტი არსისა და შინაარსის გარკვევაზე. განმარტება-გარკვევისგან განსხვავებით განმარტება-ახსნა „მუშაობს" არა „თავისთვის", არამედ „სხვებისთვის". მას არ გააჩნია საკალდებულო ხასიათი თითოეულ კანონთან ან ნორმასთან დაკავშირებით. მისი აუცილებლობა წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როცა განმარტება-გარკვევის პროცესში ელინდება კანონის ან ცალკეული ნორმის შინაარსში გაურკვევლობა, შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა.

იურიდიული შედეგების მიხედვით, რომლებიც დგება განმარტება-ახსნის შედეგად, ის იყოფა ორ სახედ: ოფიციალურად და არაოფიციალურად. სამართლის ნორმის ან მთლიანად სამართლებრივი აქტის განმმარტებელი სუბიექტების მიხედვით ოფიციალური განმარტება იყოფა აუტენტურად და ლეგალურად. განმარტების ეს სახეები ერთმანეთისგან გამოირჩევიან არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების თავისებურებებით, რომლებიც ახორციელებენ განმარტებას, მათი ადგილითა და როლით სახელმწიფო აპარატის სტრუქტურაში, არამედ ამასთან გამოყენებული განმარტების აქტების სხვადასხვა ძალით.

აუტენტური განმარტება ხორციელდება იმ ორგანოების მიერ, რომლებიც გადმოსცემენ მოცემულ სამართლებრივ აქტს. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, სახელმწიფო მართვის ორგანოები და ა.შ. აუტენტური განმარტება მოცემულია არა სამართალგამოყენებითი, არამედ საკანონმდებლო წესით. თუმცა, ხელახლა გამოცემული ნორმატიული აქტისგან განსხვავებით განმარტების აქტის გამოცემა ხდება სამართლის არსებული ნორმების განმარტების და არა ახალი ნორმების შექმნის მიზნით.

ოფიციალური ლეგალური განმარტების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის ხორციელდება არა თავად ორგანოს მიერ, რომელმაც გამოსცა განმარტებული აქტი, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ, მათთვის მიცემული უფლებამოსილებების ჩარჩოებში. ეს უკანასკნელი შეიძლება ატარებდეს მუდმივ ან ერთჯერად სახეს. ლეგალური განმარტების აქტები სავალდებულო ძალის მქონეა მხოლოდ იმ პირებისა და გაერთიანებებისთვის, რომლებიც ხვდებიან განმარტების

განმხორციელებელი ორგანოს იურისდიქციის ქვეშ. ეს შეიძლება იყოს სასამართლო, ფინანსური, საგადასახადო და სხვა ორგანოები.

არაოფიციალური განმარტება-ახსნა ხორციელდება არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების, სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების, სპეციალისტ-იურისტების ჯგუფების და ცალკეული მოქალაქეების მიერ. ის გამოიხატება ზეპირი ან წერილობითი რჩევების, განმარტებების, რეკომენდაციების ფორმით. ასეთი სახის აქტებს არ გააჩნიათ სავალდებულო ხასიათი და არ იწვევენ არანორმატიული იურიდიულ შედეგებს. მათი მორალური ძალა და გავლენა ეფუძნება მოქალაქეების, დაწესებულებების და ორგანიზაციების პროფესიულ ავტორიტეტს, რომლებიც განმარტავენ ამა თუ იმ ნორმის ან ცალკეული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შინაარსს. არაოფიციალური განმარტების სახეებს შორის გამოიყოფა ე.წ. ყოველდღიური განმარტება მოქალაქეების მიერ, ასევე პროფესიონალური (კომპეტენტური) განმარტება, რომელიც ხორციელდება სპეციალისტების მიერ სახელმწიფოსა და სამართლის დარგში (მოსამართლეების, ადვოკატების და სხვ.) მათი ყოველდღიური საქმიანობის პროცესში. განსაკუთრებით გამოიყოფა დოქტრინული (სამეცნიერო) განმარტება. ის ვლინდება მოქმედ კანონმდებლობაზე მეცნიერ-იურისტების მიერ მომზადებული კომენტარების, ლექციების, სამეცნიერო სტატიების, ბროშურების სახით.

ოფიციალური და არაოფიციალური განმარტების სხვადასხვა ფორმის განხილვისას განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ე.წ. კაზუალური განმარტება. განმარტების ეს ფორმა თანაბრად გამოიყენება ოფიციალური და არაოფიციალური განმარტებისას. კაზუალური განმარტების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ განმარტების ეს ფორმა ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული საქმის (კაზუსის) განხილვასთან დაკავშირებით. მისი გამოყენების აუცილებლობა იმაშია, რომ ქვემდგომი სამართალგამოყენებითი ორგანოები ზემდგომთა აზრით არასწორად იყენებენ სამართლის ნორმებს კონკრეტულ საქმეებთან მიმართებაში, უშვებენ რა კანონმდებლობის დარღვევებს. კაზუალურ განმარტებას (ოფიციალურს) გააჩნია იურიდიული ძალა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებთან ან საქმეებთან დაკავშირებით, არაოფიციალური კაზუალური განმარტება მოკლებულია ასეთ ძალას.

კაზუალური განმარტების ყველაზე გავრცელებულ სახეებს წარმოადგენს სასამართლო და ადმინისტრაციული განმარტება.

სამართლებრივი სახელმწიფო

– სახელმწიფოს განვითარების განსაკუთრებული სახე ან დონე, რომელიც ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორიცაა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ყოველმხრივი და რეალური გარანტიები, სამართლისა და კანონის უზენაესობა, კანონის პირდაპირი მოქმედება, მოქალაქეთა ორმხრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე და სახელმწიფოში მოქალაქეთა წინაშე, ხელისუფლების დაყოფის პრინციპი, რომელიც ხორციელდება პრაქტიკაში და საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი დემოკრატიის, კანონიერებისა და კონსტიტუციურობის რეჟიმში. სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს პირობებს წარმოადგენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების არსებობა; საზოგადოების ყველა წევრის ან ყოველ შემთხვევაში უმრავლესობის მიერ პოლიტიკური და სამართლებრივი ცნობიერების მაღალი დონის მიღწევა; მათში ზოგადსაკაცობრიო კულტურის გამომუშავება, რაც აუცილებელია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის; ქვეყანაში არაწინააღმდეგობრივი კანონმდებლობის ერთიანი სისტემის არსებობა და სხვ.

უნდა გაეშვიხნოთ ერთმანეთისგან სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია და მისი განხორციელების პრაქტიკა. სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიამ ფაროო განვითარება და კონსტიტუციური განმტკიცებაც კი ჰპოვა მრავალ თანამედროვე სახელმწიფოში. მაგალითად, 1978 წ. ესპანეთის კონსტიტუციის 1 მუხ. 3.1 აცხადებს, რომ ესპანეთი არის „სოციალური, სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო, რომლის უმაღლეს ფასეულობებსაც წარმოადგენს თაეისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა და პოლიტიკური პლურალიზმი“. 1949 წლის, გფრ-ის ძირითადი კანონის თანახმად „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენს დემოკრატიულ და სოციალურ ფედერაციულ სახელმწიფოს“ (20 მუხ.) და „მიწების კონსტიტუციური მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს რესპუბლიკური, დემოკრატიული და სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს მოცემული ძირითადი კანონის სულისკვეთებით“ (28-ე მუხლი). სამართლებრივი სახელმწიფოს იდეამ ირიბი და პირდაპირი განმტკიცება ჰპოვა ავსტრიის, საბერძნეთის, იტალიის, საფრანგეთის, შვედეთის, შეიცარიის და რიგი მაღალგანვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების კონსტიტუციაში.

სამართლებრივი სისტემები

სხვადასხვა სახელმწიფოში მოქმედი სამართლის ნორმები და ინსტიტუტები, რომლებიც ერთიან ზოგად პრინციპზეა დამყარებული. სამართლის სისტემები იყო შემდეგ ოჯახებად: კონტინენტალური, ანუ რომანულ-გერმანული; ანგლო-საქსონური, ანუ ანგლო-ამერიკული და მუსულმანური. საქართველოს სამართალ-შემოქმედებითი საქმიანობა, სამართლის კონტინენტალური და ეროვნული ტრადიციების სინთეზს წარმოადგენს.

სამართლებრივი ჩვეულებები

– სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული ქცევის წესი, რომელიც ჩამოყალიბებულია საზოგადოებაში მრავალჯერადი და ხანგრძლივი გამოყენების შედეგად. სამართლებრივი ჩვეულებებისთვის დამახასიათებელი თვისებები და თავისებურებები ძირითადად ემთხვევა არასამართლებრივი ჩვეულებების ტიპიურ ნიშნებს იმ განსხვავებით, რომ პირველს გააჩნია იურიდიული ძალა და მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით. ისტორიულად სამართლებრივი ჩვეულებები წარმოიქმნა, როგორც სამართლის პირველი წყარო საზოგადოების პირველყოფილ-თემური ორგანიზების სახელმწიფოზე გადასვლის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ არსებული ჩვეულებების სანქციონირების შედეგად. უძველეს სახელმწიფოებში სამართლებრივ ჩვეულებებს ეკავა წამყვანი მდგომარეობა. მაგალითად, ძველ რომში სამართლებრივი ჩვეულებებიდან ჩამოყალიბდა სამართლის უმნიშვნელოვანესი დარგები და ინსტიტუტები. ჩვეულებებს შორის გამოიყოფდა წინაპრების, ქურუმების პრაქტიკაში ჩამოყალიბებული

ადათ-წესები და ა.შ. საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების მიხედვით სამართლებრივი ჩვეულებები, ამასთან ერთად კი, ჩვეულებითი სამართალი თანდათან განიდევნებოდა კანონებით და სამართლის სხვა ფორმებითა თუ ინსტიტუტებით, ხდებოდა რა სამართლის მეორეხარისხოვანი წყარო. ამჟამად ყველაზე გავრცელებულია საუჭრო ნაოსნობის, პორტების, საერთაშორისო ჩვეულებები და ა.შ.

სამართლებრივი ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ზოგადი ხასიათის წესებს, ყველასთვის სავალდებულო ქცევის ნორმებს. როგორც სამართლის წყარო ის თამაშობს მნიშვნელოვან როლს სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში. ის გამოირჩევა ჩვეულებრივი ხელშეკრულებებისგან, რომლებიც იდება სამეურნეო საქმიანობის, ვაჭრობის, საქონლის გაცვლის სფეროში და სხვ. სამართლებრივ ხელშეკრულებას ადგილი აქვს, მაგალითად, სახელმწიფოებსა და სახელმწიფო წარმონაქმნებს შორის ურთიერთდამოკიდებულებებში. სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე ხშირად იგება ურთიერთდამოკიდებულებები სახელმწიფოებსა და სახელმწიფო წარმონაქმნებს – ფედერაციის სუბიექტებს და ყოველთვის სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ქმნიან კონფედერაციას. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება სსრკ წარმონაქმნის შესახებ, 1922 წლის მარტში დადებული ხელშეკრულება კავკასიის ფედერაციის წარმოქმნის შესახებ და სხვა ანალოგიური აქტები. 1992 წლის 31 მარტის ფედერაციული ხელშეკრულების საფუძველზე იგება ურთიერთდამოკიდებულებები ამჟამად რფ (რუსეთის ფედერაციის) სუბიექტებს შორის.

სამართლის დარგი – შედარებით განცალკევებული, ავტონომიური იურიდიული ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეულ სფეროს (დარგს). ასე, მაგალითად, სამართლის ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არაპირდაპირ განაპირობებენ შრომის ურთიერთობებს წარმოქმნის შრომის სამართლის დარგს; ფინანსური ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლის ნორმები აყალიბებენ ფინანსური სამართლის დარგს; მიწის ურთიერთობების განმამტკიცებელი და მარეგულირებელი სამართლის ნორმები ქმნიან მიწის სამართლის დარგს. სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქეების ცხოველქმედებისთვის მნიშვნელოვანი რეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების მიხედვით თითოეულ დარგს უჭირავს გარკვეული მდგომარეობა სამართლის სისტემაში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საკონსტიტუციო (სახელმწიფო) სამართალი. შემდეგ მოდის ადმინისტრაციული სამართალი; ფინანსური სამართალი; მიწის სამართალი; სამოქალაქო სამართალი; შრომის სამართალი; ეკოლოგიური სამართალი; საოჯახო სამართალი; სისხლის სამართალი; სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი; სამოქალაქო-საპროცესო სამართალი და ა.შ.

სამართლის ინსტიტუტებსა და დარგებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო სამართალს. მისი რეგულირების საგანს წარმოადგენს არა შიდასახელმწიფოებრივი, არამედ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები. საერთაშორისო სამართალი შედგება ორი ნაწილისგან – საერთაშორისო საჯარო და საერთაშორისო კერძო სამართლისგან.

თითოეული სამართლის დარგი წარმოადგენს არა მისი ნორმებისა და ინსტიტუტების შემთხვევით ნაკრებს, არამედ მთლიან წარმონაქმნს, სისტემას, უფრო ზუსტად კი – მთლიანად, სამართლის სისტემის მიმართ – ქვესისტემას. თავის მხრივ, თითოეული სამართლის დარგი გამოდის ზოგადი სისტემის სახით სამართლის ინსტიტუტების სისტემასთან (ქვესისტემასთან) მიმართებაში ამდენად, მთლიანად სამართლის სისტემის ჩარჩოებში არსებობს მისი სისტემის ნაკლებად საერთო შემადგენელი ნაწილები სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების სახით. ყველა მათგანი ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული, ისინი ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, ავსებენ ერთმანეთს. მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების წყალობით ყალიბდება მთლიანი, შინაგანად ერთიანი, ინსტიტუტებისა და დარგებისგან შემდგარი წარმონაქმნი – სამართლის სისტემა.

სამართლის ინსტიტუტები – ერთმანეთთან დაკავშირებული იურიდიული ნორმების შედარებით განცალკევებული ჯგუფები, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეულ ნაირსახეობებს. ნორმებთან – სამართლის სისტემის პირველად სტრუქტურულ ელემენტებთან შედარებით სამართლის ინსტიტუტები წარმოადგენენ უფრო ტევად თავისი ხასიათითა და შემადგენელი ნაწილების შინაარსით, სამართლის სისტემის მეორადი სტრუქტურული ელემენტებით. ცალკე სამართლის თითოეული ინსტიტუტის მიერ რეგულირდება არა ყველა, არამედ მხოლოდ ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობები. შესაბამისად, თითოეული სამართლის ინსტიტუტის მათ მიერ გაშუალედებული ხასიათა და თავისებურებების მიხედვით, მოცულობა სამართლებრივი ნორმების არა ყველა, არამედ გარკვეული, შედარებით დამოუკიდებელი და ავტონომიური ერთობლიობები.

სამართლის ინსტიტუტები არსებობს და ფუნქციონირებს სამართლის დარგების ფარგლებში. მათ შემადგენელ ნორმებთან ერთად ისინი აყალიბებენ სამართლის თითოეული დარგის სტრუქტურას. მაგალითად, საკონსტიტუციო სამართალი შეიძლება შედგებოდეს ისეთი ინსტიტუტებისაგან, როგორიცაა მოქალაქეობის ინსტიტუტი – ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ პირის მიერ ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქის სტატუსის შეძენასთან მის განხორციელებასთან, ცელილებასთან, დაკარგვასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს; ინსტიტუტებისგან, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს ადგილსა და როლს სახელმწიფო ორგანოების საერთო სისტემაში; ინსტიტუტებისაგან, რომლებიც ადგენენ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების ფორმირებისა და საქმიანობის წესს და ა.შ.; სამოქალაქო სამართალი მოიცავს მრავალ ინსტიტუტს, რომელიც ეხება მოქალაქეების ყიდვა-გაყიდვის, იჯარის, საქონლის მიწოდების, დაზღვევების, სასესხო, გადაზიდვების, დაზღვევის, საქორწილო შენაზღის, ჩუქების და სხვ. სავალდებულო უფლებების.

შრომის სამართალში კი არის ინსტიტუტები, რომლებიც უკავშირდება შრომის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებას, ხელფასის დარიცხვასა და გაცემას, შრომის დისციპლინის დაცვას, პენსიაზე გასელას

და ა.შ. სამართლის დარგის ფარგლებში მოქმედ ინსტიტუტებთან ერთად არსებობს მრავალრიცხოვანი ინსტიტუტები, რომლებიც მოიცავენ სამართლის რამდენიმე დარგის ნორმებს. სამეცნიერო და სასწავლო იურიდიულ ლიტერატურაში მათ უწოდებენ შერეულ ინსტიტუტებს.

სამართლის ნორმა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქცირებული ქცევის წესი, რომლის დაცვა და შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით. სამართლის ნორმა განსაზღვრავს მართლზომიერი ქცევის ზოგად წესს და წარმოადგენს ღრმად დამუშავებული ქცევის ტიპიურ მოდელს. სამართლის ნორმა შედგება სამი ნაწილისაგან. ამ ნაწილების ერთობლიობას სამართლის ნორმის სტრუქტურა ეწოდება. სამართლის ნორმის იმ ნაწილს, რომელიც მიუთითებს იმ პირობებსა და გარემოებებზე, რომელთა არსებობა ან დადგომა აუცილებელია ამ ნორმით დადგენილი წესის განხორციელებისათვის, ეწოდება ჰიპოთეზა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ქცევის წესს განსაზღვრავს, არის დისპოზიცია. სამართლის ნორმის ნაწილს, რომელიც ადგენს იძულებითი ხასიათის ღონისძიებას დისპოზიციით გათვალისწინებული ქცევის წესის დარღვევისათვის, სანქცია ეწოდება.

სამართლის პრინციპები – მისი ფორმირების, განვითარების და ფუნქციონირების პროცესის წამყვანი საწყისების, ძირითადი იდეები ან ამოსავალი დებულებები. აისახებიან რა სამართლის ნორმებში, სამართლის პრინციპები აღწევენ საზოგადოების მთელ სამართლებრივ ცხოვრებაში, ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში. ისინი ახასიათებენ არა მხოლოდ სამართლის არსს, არამედ მის შინაარსს, ასახავენ მის შიდა წყობას, სტატიკას, მისი გამოყენებისა და დინამიკის პროცესს. სამართლის პრინციპები უდიდეს გავლენას ახდენენ ნორმატიული აქტების მომზადების მთელს პროცესზე, მათ გამოცემაზე, სამართლებრივი მოთხოვნების დაცვის გარანტიების დადგენაზე. პრინციპები წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოების მთელი სამართალშემოქმედებითი, სამართალგამოყენებითი და სამართალდაცვითი საქმიანობის ძირითად ორიენტირს. მათი დაცვის ხარისხთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია სამართლებრივი სისტემის წყობის, სტაბილურობისა და ეფექტურობის დონე. სამართლის პრინციპები ხელს უწყობენ მისი სხვადასხვა დარგისა და ინსტიტუტების, სამართლის ნორმებისა და სამართლებრივი დამოკიდებულებების, სუბიექტური და ობიექტური უფლების შიდა ერთიანობისა და ურთიერთქმედების განმტკიცებას.

სამართლის პრინციპები წარმოადგენენ არა თვითნებურს თავიანთი ხასიათის მიხედვით, არამედ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ ობიექტურად განპირობებულ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ წყობას, სახელმწიფოსა და სამართლის სოციალურ-კლასობრივ ბუნებას, ქვეყანაში გაბატონებულ პოლიტიკური და სახელმწიფო რეჟიმის ხასიათს, ამა თუ იმ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის წყობისა და ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს. სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში გამოიყენება სამართლის პრინციპების კლასიფიკაციის მთელი რიგი კრიტერიუმები და მათი დაყოფა სხვადასხვა ჯგუფებად. მოცემული კრიტერიუმის შესაბამისად სამართლის პრინციპებს, რომლებიც ვრცელდება მთელს სამართლის სისტემაზე და განსაზღვრავს მის სახეს, შინაარსს, მის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებებსა და თვისებებს, ეწოდება ზოგადი პრინციპები. მათ შორის აღნიშნავენ სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმის, თანასწორობის, კანონიერების პრინციპების სამართლის ნორმების შექმნისა და რეალიზაციის, იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების ერთიანობის, დემოკრატიზმის პრინციპები.

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგად პრინციპებთან ერთად გამოიყოფა დარგთაშორისი და დარგობრივი სამართლის პრინციპები. დარგთაშორისი სამართლის პრინციპები მოიცავს სამართლის ორ ან მეტ დარგს, უპირატესად მოსაზღვრეს, ერთმანეთთან თანმხვედრს კონსტიტუციური და ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო და სხვ. დარგთაშორის პრინციპებს სრულად ესადაგება ზოგადი სამართლის პრინციპები. სამართლის თითოეულ დარგში ან დარგთა ჯგუფში ისინი ეძებენ თავისებურ სპეციფიკას. დარგობრივი სამართლის პრინციპები ვრცელდება მხოლოდ სამართლის კონკრეტულ დარგებზე – კონსტიტუციური, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, მიწის, შრომის და სხვ. შესაბამისად, მათ საფუძველზე იქმნება და ხორციელდება ნორმები, რომლებიც შეადგენენ მხოლოდ სამართლის მოცემულ დარგს.

სამართლის რეალიზაცია – სამართლებრივი მითითებების განხორციელების, ამ მითითებების ცხოვრებაში, ადამიანთა ქცევაში ასახვის პროცესი და მოცემული პროცესის საბოლოო შედეგი. სამეცნიერო ლიტერატურაში არაა ერთმნიშვნელოვანი წარმოდგენის შესახებ, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ სამართლის რეალიზაციის ქვეშ. ზოგიერთ შემთხვევაში საუბრობენ მაგალითად სამართლის რეალიზაციაზე, როგორც სამართლებრივი მითითებების განხორციელების განსაზღვრულ, მკაცრად განპირობებულ პროცესზე, როგორც ამ მითითებების ადამიანთა ქცევაში ასახვის შესახებ. ამასთან, ტიპიურია განსაზღვრა, რომლის თანახმადაც, სამართლის რეალიზაცია გამოდის, როგორც სამართლის სუბიექტების ისეთი ქცევა, რომელშიც ასახვება სამართლებრივი ნორმების მითითებები (მართლზომიერი ქცევა), ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობა იურიდიული ვალდებულებების შესრულებებისა და უფლებების განხორციელების მხრივ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სამართლის რეალიზაცია განისაზღვრება, როგორც ადამიანთა ქცევაში იმ მოთხოვნების ასახვა, რომლებიც ზოგადადაა გამოხატული სამართლის ნორმებში, როგორც სამართლებრივი რეგულირების პროცესის კონკრეტული გამოვლინება.

სხვა შემთხვევებში სამართლის რეალიზაცია განისაზღვრება არა მხოლოდ სამართლებრივი რეგულირების პროცესის გარეშე გამოვლინების, არამედ მისი საბოლოო შედეგის სახითაც. მოცემულ ასპექტში, სამართლის რეალიზაცია განისაზღვრება, როგორც სრული შესაბამისობის მიღწევა ნორმების მოთხოვნებთან – ჩაიდინოს გარკვეული ქცევა ან თავი შეიკავოს მისი ჩადენისგან და ფაქტიურად დამდგარი შედეგების ოდენობას შორის. მოცემულ ასპექტში სამართლის რეალიზაცია განისაზღვრება, როგორც სრული შესაბამისობის მიღწევა გარკვეული ქცევის განხორციელების ან მასზე თავის შეკავების ნორმების მოთხოვნებსა და ფაქტიურად მათი შედეგების ოდენობას შორის.

არსებობს სამართლის რეალიზაციის ფორმების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია. ყველაზე გავრცელებულია მათი დაყოფა სამართლის სუბიექტების სამართალშემოქმედებით მოქმედებების სახის მიხედვით. ამ ნიშან-კრიტერიუმით გამოიყოფა სამართლის რეალიზაციის ოთხი ძირითადი ფორმა: განხორციელება (გამოყენება), შესრულება, დაცვა, გამოყენება. განვიხილოთ მოკლედ პირველი სამი; მეოთხე ფორმა განხილული იქნება შემდგომ.

უფლებების ან უფლებამოსილებათა განხორციელება (გამოყენება) გამოიხატება სხვადასხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტებისთვის სამართლის ნორმებით მინიჭებული შესაძლებლობების აქტიურ რეალიზაციაში. სამართლის რეალიზაციის მოცემული ფორმის ფარგლებში ხდება სუბიექტური უფლებების განხორციელება სამართლის მიერ რეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების მეშვეობით. ამის მაგალითის წარმოადგენს მოქალაქეთა მიერ თავიანთი კონსტიტუციური უფლებების განხორციელება – შექმნან პროფკავშირები თავიანთი ინტერესების დასაცავად, ჩაატარონ მიტინგები და დემონსტრაციები, მსელელობები და ა.შ.

საქმე ეხება ასევე სახელმწიფო და სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილებების რეალიზაციას, რომლებიც წარმოადგენენ სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს. მოქმედებენ რა თავიანთი წესდებების, დებულებებისა და სხვა აქტების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავენ მათ სამართლებრივ სტატუსს, ისინი დაუბრკოლებლად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს და ამით მათთვის დამახასიათებელ უფლებამოსილებებსაც.

შესრულება, როგორც სამართლის რეალიზაციის ფორმა წარმოადგენს საკანონმდებლო ნორმების რეალიზაციას, სამართლის სუბიექტის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. ვალდებულებების შესრულება გამოიხატება ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სამართლის ნორმის გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებაში. ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული მოქმედები შეიძლება ასევე გათვალისწინებულ იქნეს სამართალგამოყენების პროცესში გამოცემულ ხელშეკრულებებსა და ინდივიდუალურ აქტებში. სამართლის ნორმებში არსებული ვალდებულებების მაგალითის სახით შეიძლება გამოვიყენოთ მოქალაქეთა კონსტიტუციური ვალდებულებები. ისინი შედის თავად კონსტიტუციათა, ასევე სხვა საკონსტიტუციო აქტების ტექსტებში.

ვალდებულებების შესრულება გარკვეული მოქმედებების განხორციელების გზით რიგ შემთხვევაში უტოლდება ამა თუ იმ მოქმედებების განხორციელებისგან თავის შეკავებას. შესრულება იმის მიუხედავად, თუ რა გზით მიიღწევა ის – აქტიური მოქმედებების ან მათგან თავის შეკავების, უმოქმედობის გზით – ყოველთვის უკავშირდება ცხოვრებაში მაქალდებულებელი მითითებების ხორციშესხმას.

ამ ფორმისგან განსხვავებით სამართლის ნორმების დაცვა უკავშირდება მხოლოდ აკრძალვის ნორმების რეალიზაციას. ზოგჯერ სამართლის ნორმების დაცვას ითვალისწინებენ, როგორც ვალდებულებების დაცვას. თუმცა, არსი მაინც ერთნაირია: თავის შეკავება სამართლის ნორმებით აკრძალული მოქმედებების განხორციელებისგან, სამართლის რეალიზაციის მოცემული ფორმის დანიშნულება და სოციალური როლი მდგომარეობს იმაში, რომ არ იქნეს დაშვებული მოქმედებები, რომლებიც ზიანს მიაყენებენ არა მხოლოდ საზოგადოებასა და სახელმწიფოს, არამედ პიროვნებასაც. ვალდებულებების დაცვას ყოველთვის გააჩნია არა აქტიური, არამედ პასიური სახე. მოცემული ფორმის რეალიზაცია მიიღწევა არა სამართლის სუბიექტების აქტიური მოქმედებების ჩადენის ძალით, არამედ კანონით აკრძალული მოქმედებების ჩადენისგან თავის შეკავების წყალობით.

სამართლის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს სამართალგამოყენება, იგივე, სამართლის რეალიზაცია.

სამართლის რეალისტური სკოლა

ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება აშშ-ში და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის სამართლის მეცნიერებაში. აღმოცენდა XX საუკუნის 20-იან წლებში. ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ გრეი, ხოლმზი, ფრანკი, კლეველინი, როსი და სხვები. მათი მტკიცებით, სამართალი არის არა ის, რაც კანონით არის დადგენილი, არამედ ის, რაც რეალურად ტარდება ცხოვრებაში. სამართლის ნორმა კანონმდებლის აზრია, რასაც მოსამართლე ან მიიღებს ან არა. სამართალი არის ის, რასაც სასამართლო გადაწყვეტს. რეალისტური სკოლის დოქტრინა ეწინააღმდეგება სამართლის სტაბილურობისა და კანონიზადმი მოსამართლის დამორჩილების პრინციპს.

სამართლის სისტემა

– ერთმანეთთან დაკავშირებული იურიდიული ნორმების, ინსტიტუტებისა და დარგების ერთობლიობა. სამართლის სისტემა წარმოადგენს მისი შემადგენელი ნაწილების შინაგან წყობას, ორგანიზებისა და განკარგვის გარკვეულ წესს, რაც განპირობებულია საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების სახით. სამართლის სისტემა გამოდის, როგორც სამართლის შიდა ფორმა, რომელიც ასახავს ამა თუ იმ ქვეყანაში რეალურად არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მისი ნორმის ყველა შემადგენელი ნაწილი ერთმანეთთან კავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაშია, ისევე როგორც მათ მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები.

სისტემურობა წარმოადგენს ნებისმიერი ტიპის სამართლის განუყოფელ თვისებას, მისი არსებობა მოუთითებს იმას, რომ სამართალი წარმოადგენს არა ერთმანეთისგან გათიშული იურიდიული ნორმების შემთხვევით ნაკრებს, არამედ მთლიან მყარ წარმონაქმნს. ამ მთლიანობისა და ერთიანობის საფუძველში დევს მრავალრიცხოვანი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. სუბიექტურ ფაქტორებს შორის გამოიყოფა კანონმდებლობის სწრაფვა და ძალისხმევა შექმნას და განავითაროს ისეთი სამართლის სისტემა, რომელიც თუ მონოლითურობითა და ორგანული ერთიანობით არა, მაგრამ მისი შემადგენელი ნაწილების ელემენტარული გამართულობითა და არაწინააღმდეგობრიობით იქნება გამორჩეული. რამეთუ იმაზე, თუ როგორ შეიქმნა და როგორაა შინაგანად ორგანიზებული სამართლის სისტემა, დამოკიდებულია მისი სოციალურ-პოლიტიკური, იურიდიული და იდეოლოგიური მნიშვნელობა და ეფექტურობა.

ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ სამართლის სისტემის მთლიანობისა და ერთიანობის

ფორმირებას განეკუთვნება საზოგადოების ცხოვრების ის მატერიალური, სოციალური და სხვა პირობები, რომლებიც განაპირობებენ მისი წარმოქმნისა და არსებობის პროცესს, ასევე მისი შეთანხმებული და ეფექტური ფუნქციონირების ობიექტურ აუცილებლობას.

სამართლის სისტემის ღრმა და მრავალმხრივი შესწავლა გულისხმობს მის განხილვას ფილოსოფიური, ზოგადი სისტემური მიდგომის პოზიციებიდან. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რომ სამართლის სისტემა უნდა განიხილოთ არა საერთოდ „მთლიანობაში და ზოგადად", არამედ მკაცრად დიფერენცირებულად, მისი შემადგენელი ნაწილების გამოყოფითა და შესწავლით, მისთვის დამახასიათებელი ელემენტებისა და კომპონენტების ღრმა ანალიზით.

რეალურ ცხოვრებაში სამართლის სისტემა არსებობს და ფუნქციონირებს, როგორც საკმაოდ რთული და მრავალდარგოვანი კომპლექსი. მის სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებიც არსებობენ და ფუნქციონირებენ სხვადასხვა დონეზე, წარმოადგენს სამართლის დარგები, სამართლებრივი ინსტიტუტები და სამართლის ნორმები. ეს უკანასკნელნი შეადგენენ ნებისმიერი სამართლის სისტემის ნორმატიულ საფუძველს, ბაზისს. ამასთან, ისინი გამოდიან სამშენებლო მასალის სახით, რომლისგანაც იქმნება სამართლის ყველა დარგი და ინსტიტუტი. სამართლის ნორმები წარმოადგენენ სამართლის სისტემის პირველად ელემენტებს., ისინი გამომდინარეობენ სახელმწიფოდან და წარმოადგენენ ქცევის ზოგადსაელდებულო წესებს. სამართლის ნორმებით რეგულირდება მთელი საზოგადოებისა და ცალკეული მოქალაქეების ცხოველქმედებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და არა ყველა ურთიერთობა. რაც შეეხება დანარჩენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მათი რეგულირება ხდება არასამართლებრივი ნორმების მეშვეობით.

სამართლის ინსტიტუტები გამოდიან, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული იურიდიული ნორმების შედარებით განცალკევებული ჯგუფები, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეულ ნაირსახეობას. სამართლის ნორმების — სამართლის სისტემის პირველადი სტრუქტურული ელემენტებისგან განსხვავებით სამართლის ინსტიტუტები ვლინდებიან, როგორც თავისი ხასიათითა და შინაარსით უფრო ტევადი შემადგენელი ნაწილები, როგორც მისი მეორადი სტრუქტურული ელემენტები. სამართლის თითოეული ინსტიტუტის მიერ რეგულირდება არა ყველა, არამედ ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობები. შესაბამისად, სამართლის თითოეული ინსტიტუტი მოიცავს არა ყველა სამართლებრივ ნორმას, არამედ ცალკეულ თვისობრივად განსაზღვრულ, შედარებით დამოუკიდებელ და ავტონომიურ ერთობლიობას. სამართლის ინსტიტუტები არსებობენ და ფუნქციონირებენ სამართლის ცალკეული დარგების ფარგლებში. მათ შემადგენელ ნორმებთან ერთად ისინი აყალიბებენ სამართლის თითოეული დარგის სტრუქტურას.

სამართლის დარგები წარმოადგენენ სამართლის სისტემის ყველაზე დიდ შემადგენელ ნაწილებს. ისინი წარმოადგენენ შედარებით განცალკევებული, ავტონომიური იურიდიული ნორმების ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეულ დარგს (სფეროს). ასე, მაგალითად, სამართლის ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ შრომის ურთიერთობებს, წარმოქმნის შრომის სამართლის დარგს; სამართლის ნორმების სისტემა, რომლებიც განაპირობებენ ფინანსურ ურთიერთობებს, აყალიბებს ფინანსური სამართლის დარგს; სამართლის ნორმები, რომლებიც ამტკიცებენ და არეგულირებენ მიწის ურთიერთობებს, ქმნიან მიწის სამართლის დარგს. სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ცალკეული მოქალაქეების ცხოველქმედებისთვის მნიშვნელობის მიხედვით, სამართლის ყველა სისტემას გააჩნია გარკვეული მდგომარეობა სამართლის სისტემაში. სამართლის სხვა დარგებს შორის ყველაზე წამყვანი როლი უჭირავს საკონსტიტუციო (სახელმწიფო) სამართალს. მას მოსდევს სამართლის სხვა დარგები, კერძოდ კი, ადმინისტრაციული სამართალი, ფინანსური სამართალი, მიწის სამართალი, სასოფლო-სამეურნეო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, ეკოლოგიური სამართალი, საოჯახო სამართალი, სისხლის სამართალი, გამოსასწორებელი-შრომის სამართალი, სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი და სამოქალაქო-საპროცესო სამართალი. სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო სამართალს. ის არ შედის არცერთ ეროვნულ სამართლის სისტემაში. მისი რეგულირების საგანს წარმოადგენს არა შიდასახელმწიფოებრივი, არამედ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები. საერთაშორისო სამართალი შედგება ორი ნაწილისგან: საერთაშორისო საჯარო და საერთაშორისო კერძო სამართლისგან. სამართლის ყველა დარგი მათი თავისებურებების მიუხედავად, გაშდის, როგორც ძირითადი, უშუალოდ სამართლის სისტემის ჩამოყალიბებული სტრუქტურული ელემენტები. სწორედ მათგან ყალიბდება ნებისმიერი სამართლის სისტემა. მათი განვითარების, მოწესრიგების დონეზეა დამოკიდებული მთელი სამართლის სისტემის განვითარებისა და ეფექტურობის დონე. სამართლის სისტემა არ უნდა აგურიოთ მასთან ახლოს მდგარ ორ, მაგრამ არა მის იდენტურ ცნებებთან – სამართლებრივ სისტემასთან და კანონმდებლობის სისტემასთან.

თუ სამართლის სისტემის ქვეშ იგულისხმება შინაგანი წყობა, მისი შემადგენელი ნაწილების ორგანიზებისა და განლაგების გარკვეული წესი, სამართლებრივი სისტემის ქვეშ იგულისხმება ქვეყნის მთელი სამართლებრივი სტრუქტურა, მთელი საზოგადოების სამართლებრივი ორგანიზაცია, რომელიც ყალიბდება მის ფარგლებში ფუნქციონირებადი ყველა იურიდიული საშუალების, ინსტიტუტისა და დაწესებულების ერთობლიობიდან. კანონმდებლობის სისტემა წარმოადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების (კანონების, ბრძანებების, სტატუტების, დეკრეტების, მთავრობის დადგენილებების და სხვ.) ერთობლიობას, რომელიც იყოფა თვისობრივად განსაზღვრულ შემადგენელ ნაწილებად. სამართლის სისტემასთან შედარებით, რომელსაც გააჩნია ობიექტური ხასიათი, კანონმდებლობის სისტემა მნიშვნელოვანწილად მოქცეულია მიზანმიმართული ზემოქმედების ქვეშ სამართალშემოქმედებითი ორგანოების მხრიდან., ის არა მხოლოდ იქმნება, არამედ თაეის განეითარებაში მათ მიერაა მომართული. მისი არსებობა და ფუნქციონირება განპირობებულია კანონმდებლობის ნებითა და ნორმათშემოქმედებითი მისწრაფებებით.

სამართლის ფილოსოფია მეცნიერება სამართალმცოდნეობისა და სახელმწიფოთმცოდნეობის ზოგად თეორიულ-მსოფლმხედველობრივი პრობლემების შესახებ. ანტიკური ფილოსოფოსები (პერაკლიტე, დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი) განიხილავდნენ, აგრეთვე, სამართლისა და სამართლიანობის, სახელმწიფოსა და სამართლის, კანონისა და ბუნებითი უფლებების, სამართლისა და უსამართლობის ურთიერთობის და სხვა მონათესავე პრობლემებს. სამართლის ფილოსოფიის საკითხს დიდი ადგილი აქვს დათმობილი შემდგომი პერიოდის ფილოსოფოსთა ნაშრომებში (მაკიაველი, სპინოზა, მონტესკიე, რუსო, ლოკი, კანტი, ჰეგელი და სხვა). მათ შემდგომ სამართლისა და სახელმწიფოს ფილოსოფიას იკვლევდნენ სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები (შტამლერი, რადბრუხი, კისტიაკოვსკი, კელზენი, ელინეკი და სხვა). ხშირად სამართლის ფილოსოფიას სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიადაც მოიაზრებენ.

სამართლის ფორმები – საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ქცევის ზოგადსაველდებულო წესების ორგანიზებისა და გამოხატვის ხერხი. სამეცნიერო და უცხოურ ლიტერატურაში არაა ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სამართლის ფორმები. ხშირად მას აიგივებენ სამართლის წყაროსთან და განიხილავენ არა მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით, არამედ მატერიალური და ფილოსოფიური მნიშვნელობითაც.

საშეცნიერო და სასწავლო გამოცემებში სამართლის ფორმა, როგორც სამართლებრივი ნების განმტკიცების ან „კანონში აყვანილი გაბატონებული კლასის ნების“ გამოხატვის ხერხი, ზოგჯერ განიხილება სამართლის უმაღლესი ფორმის სახით. მასთან ერთად გამოიყოფა შიდა ფორმაც. ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც სამართლის სისტემა ან სტრუქტურა, შიდა წყობა, როგორც სამართლებრივი ნორმების დაყოფა დარგებისა და ინსტიტუტების, შესაბამისად, მათ მიერ რეგულირებული ურთიერთობების და ნაწილობრივ, სამართლებრივი რეგულირების მეთოდის მიხედვით.

სამართლის ოდითგანვე არსებული ფორმების ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს შემდეგი. ესაა სამართლებრივი წეს-ჩვეულებები, სახელმწიფო ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, სამართლებრივი ხელშეკრულებები, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომელთა მიღებაც ხდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს ანქციით. რომის სამართლის წყაროებს წარმოადგენდნენ საქმიანი წესები, რომელთა გამომუშავებაც ხდებოდა კონსულების, პრეტორების და სხვა თანამდებობის პირთა ყოველდღიური საქმიანი პრაქტიკით. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემისთვის სამართლის წყარო ხანგრძლივი დროის მანძილზე (XIII-XIX სს.) იყო სამართლებრივი დოქტრინა. მუსულმანური სამართლის უმნიშვნელოვანესი ფორმების სახით გამოდის: ყურანი – ისლამის წმინდა წიგნი, სუნა ანუ ტრადიციები, რაც უკავშირდება ღმერთის მიერ მოვლენილ მაცივრულს, იჯმა ანუ „მუსულმანური საზოგადოების ერთიანი შეთანხმება“ და კიასი, ანუ ანალოგიის განსჯა.

სამართლის თეორიაში სამართლის ფორმები წარმოადგენს მრავალფეროვანი იურიდიული წყაროების სისტემას, ქცევის ზოგადი წესების ორგანიზების ხერხს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რაც არსებითად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, მმართველი სტრუქტურებისა და მთლიანად სახელმწიფოსთვის. გამოხატვის კონკრეტული ხერხის გათვალისწინებით გამოიყოფა სამართლის ოთხი ძირითადი ფორმა: ა) ნორმატიული სამართლებრივი აქტები; ბ) ნორმატიული ხელშეკრულება; გ) სამართლებრივი წესი; დ) პრეცედენტი. ყველა მათგანი უკავშირდება სახელმწიფოს, რამდენადაც ისინი წარმოიქმნენ, როგორც სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგი.

სამართლის ფუნქციები – სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში როლი, რომელსაც ახორციელებს სამართალი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. სამართლის ფუნქციები, მათი რეალური შინაარსი და სოციალური მნიშვნელობა ძირითადად განისაზღვრება სახელმწიფოს სახით. სახელმწიფოსა და სამართალს შორის, იმის მიუხედავად, თუ როგორ განიმარტება ეს უკანასკნელი – პოზიტივისტური თუ ბუნებრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით – არსებობს უწყვეტი კავშირი, სახელმწიფო და სამართალი თუმცა კი ურთიერთდაკავშირებულია. მაგრამ ისინი ამავდროულად, შედარებით დამოუკიდებელნი არიან. თუ სახელმწიფო გამოსცემს ნორმატიულ და სამართლებრივ აქტებს, ის უზრუნველყოფს მათ დაცვას და შეუსრულებლობის შემთხვევაში იყენებს იძულების ძალას, სამართალი, თავის მხრივ, აქტორად ზემოქმედებს სახელმწიფოზე ყველა ორგანოსთვის, თანამდებობის პირებისა თუ ორგანიზაციებისთვის ზოგადსაველდებულო ქცევის წესების დადგენის გზით. სამართლის ნორმების მეშვეობით მტკიცდება მათი სტატუსი, განისაზღვრება მათი საქმიანობის ჩარჩოები, დგინდება მათი სტრუქტურა, სუბორდინაცია, საქმიანობისა და ურთიერთდამოკიდებულებების წესი. სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან მიმართებაში სამართალი გამოდის როგორც საზოგადოებაში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობების – ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ. რეგულატორი. სამართალი განამტკიცებს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ წყობას. ამაში მდგომარეობს მისი ერთ-ერთი ფუნქცია და დანიშნულება, რომ სამართალი ადგენს რა მხარეთა (მოქალაქეების, თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების) კონკრეტულ უფლებებსა და ვალდებულებებს, ამით მას შეაქვს გარკვეული წესი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოველმოქმედებაში, ქმნის იურიდიულ წინაპირობებს მისი აქტიურობისა და ეფექტურობისთვის. სწორედ ამიტომ, ყოველი სახელმწიფო მისწრაფვის არა მხოლოდ შექმნას მისი ინტერესების შესატყვისი კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები (დადგენილებები, დეკრეტები, განკარგულებები და ა.შ.), არამედ განახორციელოს კიდეც ისინი სრულად.

საზოგადოებრივი ურთიერთობების განმტკიცებისა და რეგულირების ფუნქციებთან ერთად, სამართალი ასევე ასრულებს აღმზრდელობით როლს. ის ვლინდება იმაში, რომ კანონი ეყრდნობა არა მხოლოდ სახელმწიფო იძულებას, არამედ დარწმუნებასაც. სამართალი ამავდროულად ასრულებს გარკვეულ ევრისტულ (ძიება, პოვნა) და პროგნოსტიკულ როლსაც. განამტკიცებს რა საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებულ

სისტემას, სამართალი ასახავს ქმნის კიდეც აუცილებელ წინაპირობებს მათი უფრო ღრმა შემეცნების, განვითარებისა და სრულყოფისთვის.

სამარცხვინო ბოძი პიროვნების ღირსების დამამცირებელი სასჯელის აღსრულების ადგილი. მსჯავრდებულს აცმევდნენ სიცილის და შურაცხყოფის გამომწვევ ტანსაცმელს, სერიდნენ ფისით, უკეთებდნენ ცხვილის საყელოს და აყენებდნენ სამარცხვინო ბოძთან. დასჯის ასეთი წესი, რომელიც უძველესი დროიდანაა ცნობილი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, XIX საუკუნემდე არსებობდა.

სამედიატორო სასამართლო – მუდმივად მოქმედი სამედიატორო სასამართლო ან სამედიატორო სასამართლო, რომელიც წარმოქმნილია მხარეების მიერ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად. მუდმივად მოქმედი სამედიატორო სასამართლოები წარმოიქმნება საჯაჭრო პალატების, ბირჟების, მეწარმეთა და მომხმარებელთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, სხვა ორგანიზაციების – იურიდიული პირებისა და მათი გაერთიანებების მიერ და არ მოქმედებენ ამ ორგანიზაციებთან – იურიდიულ პირებთან. სამედიატორო სასამართლოში შეიძლება შეეიდეს ნებისმიერი დავა, რომელიც გამომდინარეობს სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებებიდან, თუ სხვა რამ არაა დადგენილი კანონით. სამედიატორო სასამართლოს გადასაწყვეტად შეიძლება გადაეცეს დავა მხოლოდ მხარეებს შორის სამედიატორო შეთანხმების არსებობისას. სამედიატორო შეთანხმება შეიძლება დადებულ იქნეს მხარეების მიერ ყველა ან გარკვეულ დაეებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოიქმნა ან შეიძლება წარმოიქმნას მხარეებს შორის რაიმე კონკრეტულ სამართალდარღვევასთან კავშირში.

სამედიატორო სასამართლო წყვეტს დავებს კონსტიტუციის და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ხოლო თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ესაა გათვალისწინებული კანონით, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები. თუ მხარეთა ურთიერთობები არაა რეგულირებული სამართლის ნორმებით ან მხარეთა შეთანხმებით, სამედიატორო სასამართლო იყენებს მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლის ნორმებს, ხოლო ასეთი ნორმების არარსებობისას, დავას წყვეტს კანონების, სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების არსიდან და ზოგადი საწყისებიდან გამომდინარე.

სამედიატორო სასამართლოს შემადგენლობის ფორმირება ხდება სამედიატორო მოსამართლეების (მოსამართლის) არჩევის (დანიშვნის) გზით. მუდმივად მოქმედ სამედიატორო სასამართლოში სამედიატორო სასამართლოს შემადგენლობის ფორმირება ხდება მუდმივად მოქმედი სამედიატორო სასამართლოსთვის დადგენილი წესების მიხედვით. სამედიატორო მოსამართლედ აირჩევა (დაინშნება) ფიზიკური პირი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს დავის მოუკერძოებელი გადაწყვეტა, პირდაპირ ან ირიბად არაა დაინტერესებული საქმის დასრულებით, წარმოადგენს დამოუკიდებელს და აძლევს თანხმობას სამედიატორო მოსამართლის ვალდებულებების შესრულებაზე. ერთპიროვნულად დავის გადაწყვეტ სამედიატორო მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, დავის კოლეგიალური გადაწყვეტის შემთხვევაში უმაღლესი იურიდიული განათლება უნდა ჰქონდეს სამედიატორო სასამართლოს შემადგენლობის თავმჯდომარეს. სამედიატორო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც: ა) არ გააჩნია სრული ქმედუნარიანობა ან არის მეურვეობის თუ მზრუნველობის ქვეშ; ბ) გააჩნია ნასამართლეობა ან მიეცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში; გ) რომლის უფლებამოსილებები ზოგადი იურისდიქციის ან საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლის, ადვოკატის, ნოტარიუსის, გამომძიებლის, პროკურორის ან სამართალდამცავი ორგანოების სხვა მუშაკის სახით შეწყდა კანონით დადგენილი წესით, გადაცდომასთან დაკავშირებით; დ) რომელიც მისი თანამდებობრივი სტატუსის შესაბამისად არ შეიძლება არჩეულ (დანიშნულ) იქნეს სამედიატორო მოსამართლის მიერ.

მუდმივად მოქმედი სამედიატორო სასამართლო სამედიატორო განხილვას ახორციელებს მუდმივად მოქმედი სამედიატორო სასამართლოს წესების შესაბამისად, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ სამედიატორო განხილვის სხვა წესების გამოყენების შესახებ. საქმის სამედიატორო სასამართლოში აღძრა ხდება სასარჩელო განცხადების შეტანით. თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც ის მიუთითებს, როგორც თავისი მოთხოვნების დასაბუთებაზე. სამედიატორო სასამართლოს უფლება აქვს შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა. სამედიატორო შეთანხმების მხარეები საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებას ნებაყოფლობით შეასრულონ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება. თუ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება არაა შესრულებული ნებაყოფლობით დადგენილ ვადაში, ის ექვემდებარება იძულებით შესრულებას. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებით შესრულება ხორციელდება აღმასრულებელი წარმოების წესებით, სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებით შესრულებაზე აღმასრულებელი ფურცლის საფუძველზე.

თუ სამედიატორო შეთანხმებაში გათვალისწინებული არაა ის, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საბოლოოს, ის შეიძლება სადაო გახდეს საქმეში მონაწილე მხარის მიერ, კომპეტენტურ სასამართლოში გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განცხადების შეტანის გზით.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ზომები – მოქალაქის იძულებითი შეზღუდვა მის უფლებებსა და ვალდებულებებში. არსებობს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ზომების გამოყენების საფუძვლების ჩამონათვალი. ისინი ეხება პირთა სამ კატეგორიას: ა) დანაშაულის ჩამდენებს შეურაცხადობის მდგომარეობაში; ბ) რომელთა ფსიქიკური მოქმედების დარღვევა დადგა უკვე დანაშაულის ჩადენის შემდეგ; გ) დანაშაულის ჩამდენებს და ფსიქიკური აშლილობების მქონეთ, რომლებიც არ გამორიცხავენ შერაცხადობას.

შეურაცხადობის ცნება აიხსნება ორი კრიტერიუმით – სამედიცინო და იურიდიულით. სამედიცინო კრიტერიუმი მდგომარეობს ფსიქიატრიის დარგში სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტების მიერ საზოგადოებისთვის საშიში ქმედების ჩამდენ პირთან მიმართებაში

იმის კონსტატაციაში, რომ მას დანაშაულის ჩადენისას ჰქონდა ფსიქიკური დაავადება, რაც გამორიცხავს ასეთი პირის უნარს ანგარიში გაუწიოს საკუთარ ქმედებებს და მართოს ისინი. იურიდიული კრიტერიუმი გულისხმობს ასეთ პირში დანაშაულის ფორმის განმსაზღვრელი ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნების არარსებობის კონსტატაციას. შეურაცხადობის განსაზღვრისთვის საჭიროა ორივე კრიტერიუმის დადგენა. ამასთან, დადგენილია, რომ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ზომები ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ფსიქიკური აშლილობები უკავშირდება ამ პირების მიერ სხვა არსებითი ზიანის მიყენების შესაძლებლობას ან საკუთარი თავისა თუ სხვებისთვის საშიშროებას.

სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ღონისძიება, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის განკურნება და მის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვლავ ჩადენის თავიდან აცილება. ასეთი ღონისძიება გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელმაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა შეურაცხად მდგომარეობაში, ან დანაშაულის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა, ანდა მას ესაჭიროება განკურნება ალკოჰოლიზმისაგან ან სხვა ნარკომანიისაგან (სსკ, მუხლი 102 – 103).

სამელიორაციო სისტემებისა და ცალკე განლაგებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის წინასაპროექტო და საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზა – დასახლებული დოკუმენტაციის – დაპროექტებისა და მშენებლობის ნორმატიული დოკუმენტაციის საწყის მონაცემებთან, ტექნიკურ პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

სამეურნეო ამხანაგობა – რამდენიმე პირის შეთანხმებითი გაერთიანება საერთო სახელით სამეწარმეო საქმიანობის ერთობლივი წარმოებისთვის. სამეურნეო ამხანაგობის ცნების ქვეშ იგულისხმება კომერციული იურიდიული პირების რამდენიმე დამოუკიდებელი სახე, რომელთათვისაც საერთოს წარმოადგენს ის, რომ მათი საწესდებო კაპიტალი იყოფა წილებად. დამფუძნებლების (მონაწილეების) შენატანების ხარჯზე შექმნილი, ასევე სამეურნეო ამხანაგობის საქმიანობის პროცესში წარმოებული და შეძენილი ქონება ეკუთვნის მათ საკუთრების უფლებით. სამეურნეო ამხანაგობისთვის დამახასიათებელს წარმადგენს ის, რომ მის მონაწილეს (სრულ ამხანაგს) გააჩნია შეუზღუდავი პასუხისმგებლობა მთელი თავისი ქონებით ფირმის ვალდებულებებზე. ამასთან დაკავშირებით ამხანაგობები საზოგადოებისგან განსხვავებით, როგორც წესი, დამფუძნებლები იღებენ პირად მონაწილეობას საწარმოს საქმეებში და გარდა ამისა, პირი შეიძლება სრული ამხანაგი იყოს მხოლოდ ერთ ამხანაგობაში. სამეურნეო ამხანაგობებს უნდა ჰქონდეთ საწესდებო კაპიტალი, რომელიც წარმოქმნის მისი საქმიანობის ქონებრივ ბაზას და ახდენს კრედიტორთა ინტერესების გარანტიას. სამეურნეო ამხანაგობა შეიძლება შეიქმნას სრული ამხანაგობის და რწმენაზე დაფუძნებული ამხანაგობის ფორმით.

სამეურნეო საზოგადოება – კომერციული ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია ერთი ან რამდენიმე პირის მიერ მათი ქონების გაერთიანების (განცალკევების) გზით, სამეწარმეო საქმიანობის წარმართვისთვის. სამეურნეო საზოგადოების ცნება აღნიშნავს კომერციული იურიდიული პირების რამდენიმე დამოუკიდებელ სახეს, რომელთათვისაც საერთოს წარმოადგენს ის, რომ მათი საწესდებო კაპიტალი იყოფა წილებად. სამეურნეო საზოგადოებისთვის დამახასიათებელს წარმადგენს მონაწილეთა არა პირადი ძალისხმევის, არამედ მათი ქონების გაერთიანება. მონაწილეები პასუხისმგებელნი არ არიან ფირმის ვალდებულებებზე (გარდა დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებისა) და მათი სამეწარმეო რისკი შეზღუდულია საწესდებო კაპიტალში შენატანის ოდენობით. სამეურნეო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საწესდებო კაპიტალი, რომელიც წარმოქმნის მისი საქმიანობის ქონებრივ ბაზას და ახდენს კრედიტორთა ინტერესების გარანტიას. კომერციული ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალის სიდიდე განისაზღვრება კანონის შესაბამისად. სამეურნეო ორგანიზაციები საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმების მიხედვით შემდეგი სახისაა: საზოგადოებები შეზღუდული პასუხისმგებლობით, საზოგადოებები დამატებითი პასუხისმგებლობით, საჯარო საზოგადოებები (დახურული და ღია).

სამეურნეო კანონმდებლობა ნორმატიული კანონების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისა და ხელმძღვანელობის წესს. კანონებს შორის, უდიდესი მნიშვნელობის შემცველია ქვეყნის ძირითადი კანონი – კონსტიტუცია, სადაც განსაზღვრულია ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის საფუძველი, საკუთრების ფორმები და საზოგადოებრივი წარმოების ყველა რგოლის მომცველი ერთიანი სახელმწიფო-სამეურნეო კომპლექსი. სამეურნეო კანონმდებლობით რეგულირებულ ურთიერთობათა სუბიექტებია ორგანიზაციები, იურიდიული პირები, მოქალაქეები და სხვები.

სამეცნიერო-ეკოლოგიური კვლევები – 1) იდეოლოგიური მექანიზმის ელემენტი ბუნებრივი გარემოს, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში; 2) საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ბუნებრივი გარემოს, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რაც მოიცავს ასევე აღნიშნულ სფეროში სამეცნიერო კვლევების ორგანიზების, ჩატარებისა და დანერგვის სისტემას.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულების ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შემსრულებელი ვალდებულია ჩაატაროს დამკვეთის ტექნიკური დავალებით განპირობებული სამეცნიერო კვლევები (სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების ხელშეკრულება) ან შეიმუშაოს ახალი ნაწარმის ნიმუში, მისი საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია ან ახალი ტექნოლოგია (საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური

სამუშაოების შესრულების ხელშეკრულება). ის განეკუთვნება სანარდო ტიპის ხელშეკრულებებს. ბუნებით ისაა კონსენსუალური, ორმხრივად სავალდებულო, ანაზღაურებადი. ხელშეკრულების საგანია შედეგი, რომელიც უნდა იქნეს მიღებული შემსრულებლის მიერ (ნიშუები, დოკუმენტაცია, ახალი ტექნოლოგია და ა.შ.).

სანარდო ხელშეკრულებისგან განსხვავებით სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამუშაოების შესრულების ხელშეკრულებათა შესრულების შემთხვევითი შეუძლებლობის რისკს სწევს დამკვეთი, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა კანონით ან ხელშეკრულებით, თუ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებისას ვლინდება შედეგების მიღწევის შეუძლებლობა შემსრულებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, დამკვეთი ვალდებულია ანაზღაუროს სამუშაოები, რაც ჩატარდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგების მიღების შეუძლებლობის გამოვლინამდე. თუ საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამუშაოების შესრულების დროს ვლინდება სამუშაოების გაგრძელების შეუძლებლობა ან მიზანშეუწონლობა შემსრულებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, დამკვეთი ვალდებულია ანაზღაუროს შემსრულებლის მიერ გაწეული ხარჯები.

შემსრულებელს უფლება აქვს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების ხელშეკრულების შესასრულებლად მოიწვიოს მესამე პირები მხოლოდ დამკვეთის თანხმობით. საცდელ-საკონსტრუქტორო ან ტექნოლოგიური სამუშაოების შესრულებისას შემსრულებელს უფლება აქვს მის შესრულებაში ჩართოს მესამე პირები, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა ხელშეკრულებით. ზოგადი წესის მიხედვით დამკვეთს უფლება აქვს გამოიყენოს მისთვის შემსრულებლის მიერ გადაცემული სამუშაოების შედეგები, მათ შორის, სამართლებრივი დაცვის უნარის მქონეც, ხოლო შემსრულებელს უფლება აქვს გამოიყენოს მის მიერ მიღებული სამუშაოების შედეგები საკუთარი საჭიროებისთვის. იხ. ასევე სანარდო ხელშეკრულება.

სამეწარმეო რისკის დაზღვევის ხელშეკრულება – ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულების ნაირსახეობა (იხ. ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულება). დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თავად დამზღვევის სამეწარმეო რისკი. პირის სამეწარმეო რისკის დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც არ წარმოადგენს დამზღვევს, ბათილია. სამეწარმეო რისკის დაზღვევის ხელშეკრულება პირის სასარგებლოდ, რომელიც არ წარმოადგენს დამზღვევს, დადებულად ითვლება დამზღვევის სასარგებლოდ. მოცემული ხელშეკრულების ნაირსახეობას წარმოადგენს გადაზღვევის ხელშეკრულება. იხ. ასევე მზღვეველი.

სამეწარმეო საქმიანობა

საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობის თანახმად „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა“.

მეწარმეს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი, კანონით აუკრძალავი სამეურნეო საქმიანობა, მაგალითად, კომერციული შუამავლობა, სავაჭრო და სხვა საქმიანობა, მათ შორის ოპერაციები ფასიან ქაღალდებზე. მეწარმეობა შეიძლება განხორციელდეს: დაქირავებული შრომის გამოყენებით ან დაქირავებული შრომის გამოუყენებლად; იურიდიული პირის შექმნით ან იურიდიული პირის შეუქმნელად; მეწარმეს აქვს უფლება თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის გამოიყენოს საწარმოთა ნებისმიერი კანონით დაშვებული სამართლებრივი ფორმა; შეიძინოს ქონება და საკუთრების უფლებები; მონაწილეობა მიიღოს თავისი ქონებით სხვა სამეურნეო სუბიექტების საქმიანობაში; შეთანხმების საფუძველზე გამოიყენოს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება; დაიქირაოს და დათხოვოს მუშაკები საკონტრაქტო პირობებით; დამოუკიდებლად დაწესოს დაქირავებული პირების შრომის ანაზღაურების და სხვა სახის შემოსავლის ფორმები, სისტემები და ოდენობა; დამოუკიდებლად დაეგეგმოს სამეურნეო საქმიანობის პროგრამა; აირჩიოს მიმწოდებელი და მომხმარებელი; დაწესოს ფასები და ტარიფები; გახსნას ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში; განახორციელოს ყველა სახის საკრედიტო და სანგარიშსწორებო ოპერაცია; თავისუფლად განაგოს სამეწარმეო საქმიანობის მოგება (შემოსავალი), დარჩენილი ყველა აუცილებელი გადასახადის გადახდის შემდეგ; მიიღოს განუსაზღვრელი ოდენობის პირადი მოგება; დადგენილი წესით ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის და დაზღვევის სახელმწიფო სისტემით; გაასაჩივროს სახელმწიფო და სხვა ორგანოების მოქმედებები, რომლებიც ხელყოფენ მის უფლებებსა და ინტერესებს; გამოვიდეს საგარეოეკონომიკური ურთიერთობების მონაწილედ კანონმდებლობით დადგენილი წესით; განახორციელოს საკუთარ ოპერაციები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამეწარმეო საქმიანობა – დამოუკიდებელი, საკუთარი რისკის ფასად განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია სისტემატური მოგების მიღებაზე ქონების სარგებლობისგან, საქონლის გაყიდვისგან, სამუშაოების შესრულებისგან ან მომსახურების გაწევისგან იმ პირების მიერ, რომლებიც ასეთის სახით რეგისტრირებულნი არიან კანონით დადგენილი წესით. სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი (ზოგადად, კომერციული ორგანიზაციები). არაკომერციულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მათი საწესდებო მიზნების მიღწევისთვის.

სამთავრობო კომისია საკოორდინაციო კომისია, რომელიც იქმნება მთავრობის მიერ სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საკითხებზე წინადადებების განხილვისა და მომზადებისთვის; მთავრობის გადაწყვეტილებების კონტროლის განხორციელების მიზნით შესაბამის სფეროში. თითოეული სამთავრობო კომისიის უფლებამოსილებები განისაზღვრება მთავრობის მიერ მის წინაშე დაყენებული ამოცანების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ყველა სამთავრობო კომისიისთვის საერთოს წარმოადგენს: აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოსა და ორგანიზაციისგან სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების უფლება; ზემთავრობოშნული ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოსმენა; მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შეფასების განხორციელება; კონკრეტულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფის წინადადებების შეტანა მთავრობაში; მუშა ჯგუფების შექმნა, მათ მუშაობაში მეცნიერებისა და სპეციალისტების ჩართვით. სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებები, მიღებული მისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს სავალდებულოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის.

სამთო კანონმდებლობა იმ იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს სასარგებლო წიაღისეულის გამოყენებისა და დაცვის სფეროში. სამთო ურთიერთობათა საფუძველია წიაღზე სახელმწიფოს განსაკუთრებული საკუთრების უფლება, ამიტომ წიაღი გაიღება მხოლოდ სარგებლობისათვის, იქმნება მისი გეგმიანი, რაციონალური და კომპლექსური სარგებლობის პირობები, თუმცა დიდი მოგების შემთხვევაში შესაძლებელია მისი კერძო საკუთრებაში გადაცემა.

წიაღი სარგებლობაში გაიცემა გეოლოგიური შესწავლისათვის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან. მაგ., მაღე ნივთიერებათა ნარჩენების ჩასამარხად, ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად და სხვა.

სამთო მიკუთვნება – წიაღის მონაკვეთი (წიაღის გეომეტრიზირებული ბლოკი), რომელიც ეძლევა მომხმარებელს წიაღის გამოყენების ლიცენზიის შესაბამისად სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის, რაც არ უკავშირდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას, განსაკუთრებით დაცული გეოლოგიური ობიექტების წარმოქმნას და ასევე მინერალური ნედლეულის ძიებისა და მოპოვების დროს პროდუქციის განაწილების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

სამთო სამართალი – 1) სამართლებრივი ნორმებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების სისტემა, რომლებიც წარმოქმნიან სამართლის დამოუკიდებელ კომპლექსურ დარგს, რომლის საგანსაც წარმოადგენს სამთო საზოგადოებრივი ურთიერთობები; 2) სამეცნიერო სპეციალობა (12.00.06 რუსეთის უფდერაცია) და სპეციალობის შემადგენლობაში „ბუნებრივ-რესურსული სამართალი; აგრარული სამართალი. ეკოლოგიური სამართალი" მეცნიერ-თანამშრომლების სპეციალობათა ნომენკლატურის მიხედვით. 3) სამეცნიერო დისციპლინის „მიწის სამართალის" შემადგენელი ნაწილი; 4) დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა, რომელიც, როგორც წესი, ისწავლება იურიდიულ სასწავლებლებში სპეციალური კურსის სახით.

სამინისტრო – აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო სახელმწიფოების უმრავლესობაში, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მართვას წარმოების ცალკეულ დარგებსა და სფეროებში, მოსახლეობის ჯანმრთელობის, გარემოს დაცვას, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში, ასევე უშუალოდ ხელმძღვანელობს თავდაცვის, საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის, იუსტიციის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის საკითხებს. სამინისტროს ფორმირებისა და მინისტრთა დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფოების კონსტიტუციით ან სპეციალური კანონებით.

სამკვიდრებელი გარემოს ფაქტორები – სამყოფელი გარემოს ბიოლოგიური (ვირუსული, ბაქტერიული, პარაზიტული და სხვ.), ქიმიური, ფიზიკური (ხმაური, ვიბრაცია, ულტრაბგერა, ინფრაბგერა, სითბური, მაიონიზირებელი, არამაიონიზირებელი და სხვა სახის გამოსხივება), სოციალური (კვება, წყალმომარაგება, ყოფის, შრომის, დასვენების პირობები) და სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ან შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ადამიანზე და ან შემდგომი თაობების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

სამკურნალო ბუნებრივი რესურსების გამომყენებლები – იურიდიული პირები და მოქალაქეები, რომლებიც ამუშავებენ და იყენებენ ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს ლიცენზიის საფუძველზე.

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილი – 1) განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების კატეგორია, რომელთა მიხედვით ასეთს განეკუთვნება – მათზე მყოფი ბუნების დაცვის დაწესებულებების რეჟიმის თავისებურებებისა და სტატუსის გათვალისწინებით; 2) ტერიტორია, რომელსაც გააჩნია ბუნებრივი სამკურნალო რესურსები და გამოსადეგია დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის, ასევე მოსახლეობის დასვენებისთვის.

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილის, კურორტის, საკურორტო რეგიონის (რაიონის) საზღვრები – ხაზები, რომლებიც აღნიშნავენ დასახელებული განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ფარგლებს; ის დგინდება ადგილზე (ნატურაში) და ფიქსირდება გარკვეული ფორმის დოკუმენტებში; ის ემთხვევა სანიტარული (სამთო-სანიტარული) დაცვის ოლქის გარე კონტურს.

სამომრიგებლო სასამართლო ზოგ სახელმწიფოში სასამართლო სისტემის ქვედა რგოლი, რომელიც პირველადი ინსტანციით იხილავს მცირე მნიშვნელობის საქმეებს. სასამართლოს წევრებს (მომრიგებელ მოსამართლეებს) ზოგ ქვეყანაში ირჩევს მუნიციპალიტეტის მინისტრი ნიშნავს, ზოგან კი ხალხი ირჩევს. ეს ინსტიტუტი პირველად შეიქმნა ინგლისში XIV საუკუნეში. სამომრიგებლო სასამართლოში საქმის განხილვა ხდებოდა გამარტივებული წესით, მომრიგებელი მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად. საქართველოში ასეთი სასამართლოები იყო XIX ს-ში.

სამოქმარებლო კოოპერატივი პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანება წევრობის

საწყისებზე საქონლისა და მომსახურების საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, რომლის თავდაპირველი ქონება ფალიბდება საპაიო შენატანებისგან. სამომხმარებლო კოოპერატივი განეკუთვნება არაკომერციულ ორგანიზაციებს. სამომხმარებლო კოოპერატივის დასახელება უნდა შეიცავდეს მითითებას მისი საქმიანობის ძირითად მიზანზე, ასევე სიტყვას ან „კოოპერატივი" ან „სამომხმარებლო საზოგადოება". სამომხმარებლო კოოპერატივის მონაწილეები შეიძლება იყვნენ, როგორც მოქალაქეები, ასევე იურიდიული პირები, ამასთან სავალდებულოა, თუნდაც ერთი მოქალაქის არსებობა; წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერატივი გადაიქცევა იურიდიული პირების გაერთიანებად.

სამომხმარებლო კოოპერატივის ძირითად დამფუძნებელ დოკუმენტს წარმოადგენს მისი წესდება, ხოლო მართვის უმაღლეს ორგანოს მისი წევრების საერთო კრება. საერთო კრების სხდომებზე შორის მის ფუნქციებს ასრულებს საბჭო. სამომხმარებლო კოოპერატივის კოლეგიალურ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა. სამომხმარებლო კოოპერატივის წევრები სოლიდარულად აგებენ სუბსიდიარულ პასუხს მის ვალდებულებებზე კოოპერატივის თითოეული წევრის დამატებითი შენატანის გადაუხდელი ნაწილის ფარგლებში. სამომხმარებლო კოოპერატივს უფლება აქვს გაანაწილოს თავის წევრებს შორის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

სამოქალაქო ბუნტი – ძალდატანებელი, ხშირ შემთხვევაში იმპულსური მოქმედებით განვითარებული აჯანყება, რომლის საფუძველი იყო სხვადასხვა სოციალური ან პოლიტიკური ქმედება ან ნაბიჯი მმართველობითი ორგანოს მიერ გარკვეულ პირობებში. აქციას შეიძლება თან ახლდეს გარკვეულ ურთიერთობათა შეცვლის მოწოდება. მისი მიზანი შეიძლება იყოს მოწინააღმდეგის იძულება წავიდეს გარკვეულ დათმობაზე. სამოქალაქო ბუნტი ძლიერი ემოციური ბიძგის შემცველია და მოსალოდნელია მისი გადაზრდა ძლიერ სახალხო მღელვარებაში, ამიტომ მთავრობა მსგავს აქციებს ყოველთვის ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები მას შემდეგ, რაც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები დაფიქსირდა თავისუფლებათა დიად ქარტიაში (1215 წ.), საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა დეკლარაციაში (1789 წ.) და ამერიკულ ბილში უფლებათა შესახებ (1791 წ.), მათ სხვა ფორმით, პირველი თაობის კლასიკურ უფლებებს უწოდებენ. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიხედვით ადამიანის ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებია: 1. სიცოცხლის უფლება; 2. წარმოებისაგან თავისუფლება; 3. მონობისაგან თავისუფლება; 4. პირადი თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება; 5. პატივისა და ღირსების უფლება; 6. გადაადგილების თავისუფლება; 7. სამართლიანი სასამართლოს უფლება; 8. პირადი ცხოვრების უფლება; 9. აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება; 10. აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება; 11. დემონსტრაციების თავისუფლება; 12. ასოციაციების მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება, როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით; 15. ხმის მიცემის ან არჩევის უფლება პერიოდულ სამართლიან არჩევნებში; 16. სახელმწიფო სამსახურში ყოფნის თანასწორი უფლება.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა – განსაზღვრული კანონის, დეკრეტების, ინსტრუქციების, არმიისა და პოლიციის ბრძანებების და სხვა სამთავრობო დირექტივების წინასწარგანზრახული, ღია და შეგნებული დარღვევა. ბრძანებები არ სრულდება იმის გამო, რომ მათ უკანონოდ ან ამორალურად აღიქმებენ ან აიგივებენ იმ პოლიტიკასთან, რომლის წინააღმდეგაც გამოსთქვამენ პროტესტს. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მეთოდი გამოიყენება როგორც ცალკეული პირების, ისე ადამიანთა ჯგუფების მიერ, სამოქალაქო ბუნტის – ძალდატანებელი, იმპულსური მოქმედებით.

სამოქალაქო კანონმდებლობა – ნორმატიული სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომლებიც შეიცავენ სამოქალაქო სამართლის ნორმებს. ზოგადი წესის მიხედვით, სამოქალაქო კანონმდებლობის აქტებს არ გააჩნია უკუძალა და გამოყენება იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიქმნენ მათი ამოქმედების შემდეგ.

სამოქალაქო კოდექსი – დარგობრივი კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, რომელმაც უნდა დაარეგულიროს სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებები.

სამოქალაქო კოდექსი (ტერმინები)

მუხლი 1509. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (06.04.2005 N 1233)

1. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან:

ა) სახელმწიფო;

ბ) თვითმმართველი ერთეული; (14.12.2006 N 3967)

გ) სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის ან მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით;

დ) სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც არ არის შექმნილი სამოქალაქო კოდექსის ან მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად;

ე) საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები და სხვა);

ვ) კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს განეკუთვნება:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი; (14.12.2006 N3967).

ბ) ამოღებულია (14.12.2006N3967).

გ) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

დ) კომანდიტური საზოგადოება;

ე) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

ვ) სააქციო საზოგადოება;

ზ) კოოპერატივი.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტები

(სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო) ადამიანის მოქმედებები ან მოვლენები მოქალაქეთა ცხოვრებაში, რომლებიც გავლენას ახდენენ მოქალაქეთა უფლებებისა და ვალდებულებების წარმოქმნაზე, ცვლილებასა თუ შეწყვეტაზე და ასევე ახასიათებენ მის სამართლებრივ მდგომარეობას. ისეთი სამოქალაქო მდგომარეობის აქტები, როგორიცაა დაბადება, ქორწინება და განქორწინება, შეილად აყვანა, მამობის დადგენა, სახელის გადარქმევა და მოქალაქის სიკვდილი განეკუთვნება ისეთი ფაქტების რიცხვს, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქის სამოქალაქო-სამართლებრივ სტატუსს. გარკვეული სამოქალაქო მდგომარეობის აქტები ექვემდებარებიან სახელმწიფო რეგისტრაციას. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სახელმწიფო რეგისტრაცია ხდება მმართველობის ან სხვა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერში, ხოლო ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მცხოვრებთა მიმართებაში საკონსულო დაწესებულებების მიერ. წარმოებული ჩანაწერების საფუძველზე მოქალაქეებზე გაიცემა მოწმობები, რომლებიც ადასტურებენ შესაბამისი სამოქალაქო მდგომარეობის აქტების (პასპორტი, მოწმობა დაბადების, სიკვდილის, ქორწინების შესახებ და ა.შ.) სახელმწიფო რეგისტრაციის ფაქტს.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება

– დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის ობიექტსაც წარმოადგენს დამზღვევის მიერ პიროვნებისთვის ან ფიზიკური პირის ქონებისთვის, ასევე იურიდიული პირისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული კანონიერი ინტერესები. ის წარმოადგენს ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულების ნაირსახეობას (იხ. ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულება). კანონი უშვებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ორ ნაირსახეობას: ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევის ხელშეკრულება სხვა პირების სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან ქონებისთვის ზიანის მიყენების შედეგად და ხელშეკრულების მიხედვით პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება (იხ. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება).

სამოქალაქო პროცესი (სამოქალაქო სამართალწარმოება)

– სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით დარეგულირებული ზოგადი იურისდიქციის სასამართლოს გამგებლობის ქვეშ მყოფი სამოქალაქო საქმეების განხილვის, გადაწყვეტისა და გადახედვის წესი. სამოქალაქო პროცესის ამოცანებში შედის: ა) სამოქალაქო საქმეების სწორი და დროული განხილვა და გადაწყვეტა მოქალაქეების, ორგანიზაციების დარღვეული ან სადაო უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მუნიციპალური წარმონაქმნების, იმ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო, შრომითი და სხვა სამართალდამოკიდებულებების სუბიექტებს; ბ) კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისთვის, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის, კანონისა და სასამართლოსადმი ღირსეული დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა.

სასამართლოს და ასევე პროცესში მონაწილე ყველა პირის საქმიანობა მიმდინარეობს განსაკუთრებული ფორმით, რომელსაც ეწოდება საპროცესო. სამოქალაქო პროცესისთვის დამახასიათებელი თვისებები მდგომარეობს იმაში, რომ: ა) სასამართლო საქმეების განხილვის და გადაწყვეტის წესი განსაზღვრულია საპროცესო სამართლის ნორმებით; ბ) საქმის დასრულებით დაინტერესებული პირები სარგებლობენ სასამართლო სხდომაში მონაწილეობის უფლებით საქმის განხილვისას და საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უფლებით; გ) საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს სასამართლო სხდომისას დადგენილ ფაქტებს მტკიცებულებების მეშვეობით და შესაბამებოდეს კანონს.

ზოგიერთ იურიდიულ ლიტერატურაში, სასამართლო პრაქტიკაში სამოქალაქო პროცესის ტერმინით აღნიშნავენ სამოქალაქო საპროცესო სამართალსაც და სასწავლებლებში შესასწავლ სასწავლო დისციპლინასაც (მაგ. რუსეთის ფედერაცია, ძველი რომი).

სამოქალაქო სამართალდამოკიდებულება

– საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც რეგულირებულია სამოქალაქო სამართლის ნორმით. სამოქალაქო სამართლის საგანში შედის, როგორც ქონებრივი, ასევე პირადი არაქონებრივი დამოკიდებულებები. სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებების შემთხვევათა უმრავლესობა მყარდება მათში მონაწილე პირების ნებით. სამოქალაქო სამართლისთვის ტიპიურ საფუძველს სამოქალაქო სამართალდამოკიდებულების წარმოქმნისთვის წარმოადგენს ხელშეკრულება. სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებისთვის ყველაზე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მხარეთა თანასწორობა, მათი იურიდიული დამოუკიდებლობა ერთმანეთისგან. სამოქალაქო სამართალდამოკიდებულების შინაარსს წარმოადგენს მათი მონაწილეების ურთიერთქმედება, რომელიც ხორციელდება სამოქალაქო სამართალდამოკიდებულების სამართლებრივი ფორმის წარმომქმნელი სუბიექტური უფლებებისა და ვალდებულებების შესაბამისად. სუბიექტური უფლების ქვეშ იგულისხმება უფლებამოსილი პირის შესაძლო ქცევის იურიდიულად უზრუნველყოფილი ზომა, ხოლო სუბიექტური ვალდებულების ქვეშ – სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებაში ვალდებული პირის საჭირო ქცევის იურიდიულად განპირობებული ზომა. სამოქალაქო სამართალდამოკიდებულების სუბიექტები (მონაწილეები) შეიძლება იყვნენ: ა) საქართველოს მოქალაქეები, უცხოელი მოქალაქეები და პირები მოქალაქეობის გარეშე; ბ) ქართველი და უცხოელი იურიდიული პირები; გ) მუნიციპალური წარმონაქმნები და ა.შ.

სამოქალაქო სამართალდამოკიდებულების ობიექტად გამოდის მისი სუბიექტების ქცევა რომელიც მიმართულია გარკვეულ კეთილდღეობაზე, რომელსაც შეუძლია ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებები იყოფა ქონებრივ და პირად

არაკონებრივ, ფარდობით და აბსოლუტურ, ნივთიერად და საჯაღდებულოდ.

ქონებრივი სამართალდამოკიდებულებები დგინდება ქონებრივ-ღირებულებითი დამოკიდებულებების სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით დარეგულირებისას, ხოლო პირადი არაქონებრივი კი – არაქონებრივი დამოკიდებულებების სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებით დარეგულირების შედეგად. ფარდობითი და აბსოლუტური დამოკიდებულებები ხასიათდება სუბიექტთშორისი კავშირის სტრუქტურით. ფარდობით სამართალდამოკიდებულებებში უფლებამოსილ პირს უპირისპირდება, როგორც ვალდებული, მკაცრად განსაზღვრული პირები (მაგალითად, დამოკიდებულება წილობრივი საკუთრების მონაწილეებს შორის). აბსოლუტურ სამართალდამოკიდებულებებში უფლებამოსილ პირს უპირისპირდება ვალდებული პირების განუსაზღვრელი რაოდენობა (მაგალითად, საავტორო უფლებათა ურთიერთობაში ვალდებულის სახით გამოდის აეტორთან მიმართებაში ყველა უცხო პირი).

უფლებამოსილი პირის ინტერესთა დაკმაყოფილების ხერხის მიხედვით გამოიყოფა ნივთიერი და სავალდებულო სამართალდამოკიდებულებები. ნივთიერ სამართალდამოკიდებულებაში უფლებამოსილი პირის ინტერესი კმაყოფილდება ნივთების სასარგებლო თვისებების ხარჯზე, მისი ნივთთან უშუალო ურთიერთქმედების გზით. სავალდებულო სამართალდამოკიდებულებაში კი უფლებამოსილი პირის ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ ვალდებული პირის გარკვეული ქმედებების ხარჯზე, უფლებამოსილი პირისთვის შესაბამისი მატერიალური კეთილდღეობის შეთავაზების მხრივ.

სამოქალაქო სამართლებრივი პასუ-ხისმგებლობა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მოქალაქეთა ან იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევის ან ზარალის მიყენებისათვის. უმთავრესად ეს არის მიყენებული ზარალის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს (ჯარიმის) გადახდა, ზოგჯერ კი – სამართალდარღვევისადმი არაქონებრივი ხასიათის სანქციის გამოყენება (მაგ., ცილისწამებლური ცნობის უარყოფის მოთხოვნა). არსებობს ხელშეკრულებითი პასუხისმგებლობა (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების დროს) და ხელშეკრულების გარეშე პასუხისმგებლობა (დელიქტური პასუხისმგებლობა). თუ ვალდებულებაში რამდენიმე კრედიტორი ან მოვალეა, განასხვავებენ: წილადი პასუხისმგებლობის ფორმას, როცა ყოველი მოვალე პასუხს აგებს მისი წილის თანაბრად, და სოლიდარულს, რომლის მიხედვითაც კრედიტორი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულება სრული მოცულობით, მოსთხოვს როგორც ყველა მოვალეს ერთად, ისე თითოეულს ცალ-ცალკე. ასეთ შემთხვევაში მოვალეს, რომელმაც ერთპიროვნულად შეასრულა მთლიანი ვალი, უკუმოთხოვნის უფლება ენიჭება დანარჩენი მოვალეების მიმართ (სარეგრესო სარჩელი). არსებობს სუბსიდიური პასუხისმგებლობაც, რომლის მიხედვითაც კრედიტორი უფლებამოსილია ძირითადი მოვალისაგან მიღებული ნაწილი გადაახდევინოს სხვა ვალდებულ პირს.

სამოქალაქო სამართლის იმპერა-ტიული ნორმა – სამოქალაქო სამართლის ნორმა, რომელიც შეიცავს წესს, რომლის შეცვლაც არ შეუძლიათ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს თავიანთი მიხედულობით. სამოქალაქო კანონმდებლობის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციფიკის მიხედვით, სამოქალაქო სამართლის ნორმების უმრავლესობა ატარებს დისპოზიციურ ხასიათს; ამიტომ, სამოქალაქო სამართალში იმპერატიული ნორმები გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე დისპოზიციაში. იმპერატიული ნორმების მაგალითი შეიძლება გახდეს ნორმები, რომლებიც ადგენენ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებსა და მათი დაანგარიშების წესს, რამდენადაც კანონის შესაბამისად არ შეიძლება მათი შეცვლა მხარეთა შეთანხმებით. ნორმის იმპერატიულ ხასიათზე მიუთითებს სამართლებრივი აქტების მუხლებში არსებული შესაბამისი ფორმულირებები, მაგალითად, „დაუშვებელია", „არ შეუძლიათ", „ბათილია" და ა.შ.

სამოქალაქო სამართლის კოდ-ექსი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც სისტემატიზებულია სამოქალაქო სამართლის ძირითადი ნორმები. მათში ახასიათებული და განვითარებულია საფუძვლებში ჩამოყალიბებული დებულებები და პრინციპები. გარდა ამისა, რეგულირებულია ისეთი ურთიერთობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საფუძვლებში (გაცვლა, ჩუქება, სესხი, გარდაცვალებამდე რჩენა და ა.შ.). სამოქალაქო სამართლის კოდექსი აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს, მათთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს (პატივისა და ღირსების დაცვა) და სხვა.

სამოქალაქო სამართლის ობი-ექტები – სამოქალაქო სამართალში ნივთები, ინფორმაცია, მოქმედებები, არამატერიალური და სულიერი კეთილდღეობა, რომელთა გამოც სამოქალაქო სამართლის სუბიექტები ერთმანეთთან შედიან სამართლებრივ დამოკიდებულებებში. ამ კეთილდღეობათა (ობიექტების) წრე საკმაოდ ფართოა და მრავალფეროვანი. სამოქალაქო სამართლის ობიექტებს განეკუთვნება ნივთები, ფული და ფასიანი ქაღალდები, სხვა ქონება, მათ შორის, ქონებრივი უფლებები, სამუშაოები და მომსახურება; ინფორმაცია; ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები, მათ შორის, მათზე განსაკუთრებული უფლებები (ინტელექტუალური საკუთრება); არამატერიალური კეთილდღეობები.

სამოქალაქო სამართლის საპ-როცე-სო კოდექსი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც სისტემატიზებულია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. იგი ადგენს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს ისეთ დავაზე, რომელიც წარმოიშობა სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საშეურნეო და ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობებისაგან, აგრეთვე განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე. კოდექსით დადგენილ საქმეთა განხილვის წესი უფლების დაცვის ყველაზე უფრო ავტორიტეტული ფორმაა და მოწოდებულია უზრუნველყოს მხარეთა ნამდვილი უფლებების დაცვა, განსახილველ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა.

სამოქალაქო სამართლის სუბიექტები – სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებების მონაწილეები, რომლებიც შეიძლება იყვნენ სამოქალაქო სამართალსუბიექტურობის მქონე პირები. სამოქალაქო სამართლის სუბიექტებია: მოქალაქეები(ფიზიკური პირები); იურიდიული პირები; მუნიციპალური წარმონაქმნები. ეს უკანასკნელები გამოდიან სამოქალაქო სამართლის მიერ რეგულირებულ ურთიერთობებში, თანაბარ საწყისებზე ამ ურთიერთობების სხვა მონაწილეებთან – მოქალაქეებთან და იურიდიულ პირებთან.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს თავისი მოქმედებებით შეუძლიათ ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების და ვალდებულებების შეძენა და განხორციელება, სასამართლოში გამოსვლა მათი კომპეტენციის ჩარჩოებში, რომელიც განსაზღვრულია ამ ორგანოების სტატუსის განმსაზღვრელი აქტებით.

სამოქალაქო საპროცესო სამართალდამოკიდებულებები – სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით დარეგულირებული ურთიერთობები მართლმსაჯულების განმხორციელებელ სასამართლოსა და პროცესის სხვა ნებისმიერ წევრს შორის, რომლებიც ჩნდება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნების მიღწევაზე მიმართული საპროცესო ქმედებების შედეგად.

სამოქალაქო საპროცესო სამართალდამოკიდებულებებს გააჩნია შემდეგი თავისებურებები: ა) ჩნდება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მოცემულ სამართალდამოკიდებულებას; ბ) ჩნდება საპროცესო იურიდიული ფაქტების (სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა მოქმედების ან უმოქმედობის) არსებობისას, რომლებიც იწვევენ საპროცესო შედეგებს; გ) შეიძლება არსებობდეს ორ სუბიექტს – სასამართლოსა და სამოქალაქო პროცესის ნებისმიერ მონაწილეს შორის; დ) სასამართლო წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო სამართალდამოკიდებულებების საეალდებულო სუბიექტს; ე) სასამართლო აღჭურვილია ძლიერი უფლებამოსილებებით სამართალდამოკიდებულებების სხვა მონაწილეთა მიმართ; ვ) სამოქალაქო საპროცესო სამართალდამოკიდებულებები ჩნდება მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვასთან, გადაჭრასთან, მოცემულ საქმეზე სასამართლო დადგენილებების გასაჩივრებასთან, გაპროტესტებასთან და გადახედვასთან დაკავშირებით; ზ) იმყოფება მოძრაობაში და ურთიერთკავშირში; თ) უზრუნველყოფილია, როგორც სამოქალაქო საპროცესო, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი, ისისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სანქციებით.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მასში ნორმები უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართალწარმოების წარმატებით განხორციელებას, რომელიც მოწოდებულია გადაჭრას შემდეგი ამოცანები: სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების, კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების, პოლიტიკური, შრომის, საბინაო და სხვა პირადი ქონებრივი და მორალურ-სულიერი უფლებები და სხვა სამოქალაქო ურთიერთობებში წარმოშობილ დავებს და ინტერესებს, ასევე სამოქალაქო საპროცესო სამართალი არეგულირებს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტის წესს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესების სრული გათვალისწინებით, უზრუნველყოფს კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას, მოქალაქეთა საპროცესო უფლებების განუხრელად დაცვას, განამტკიცებს პრინციპებს, რომელიც გამოხატულია საქართველოს თუ სხვა ქვეყნის შესაბამისი დემოკრატიზმით და სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ბუნებით.

სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა – სამოქალაქო საპროცესო უფლებებისა და საკუთრების ქონის უნარი.

მოქალაქის სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა ჩნდება დაბადების მომენტიდან და წყდება სიკვდილით ან სასამართლო წესით მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადებით. იურიდიული პირები სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობას იძენენ სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან და ერთმეორეს ის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციისას.

სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა – სასამართლოში საკუთარი ქმედებებით უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელების წარმომადგენლისთვის საქმის წარმართვის გადაცემის უნარი.

იურიდიულ პირებში სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა დგება სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობასთან ერთად, მათი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან.

სრული სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა ზოგადი წესის მიხედვით მოქალაქეებში დგება სრულწლოვანების მიღწევასთან ერთად ე.ი. 18 წლიდან. ცალკეულ შემთხვევებში სრული სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა შეიძლება ჰქონდეთ არასრულწლოვან პირებს. ასე, მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა დგება ემანსიპაციის – ზრუნვისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით, კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით (ან ასეთი თანხმობის გარეშე სასამართლოს გადაწყვეტილებით) 16 წლის არასრულწლოვანის სრულ ქმედუნარიანად გამოცხადების მომენტიდან. სრულ სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობას იძენს კანონიერ ქორწინებაში შესული არასრულწლოვანიც, რომლის მიმართაც კანონით დადგენილი წესით შემცირდა ქორწინების ასაკი. არასრულწლოვანებს შეიძლება ჰქონდეთ ნაწილობრივი სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელფასის განაწილებასთან დაკავშირებულ საქმეებზე (შრომითი, ოჯახური, გარიგებიდან გამომდინარე). არასრულწლოვანებს უფლება აქვთ პირადად დაიცვან სასამართლოში თავიანთი უფლებები და კანონით დაცული ინტერესები. 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანები დამოუკიდებლად აგებენ პასუხს მიყენებულ ზიანზე ზოგადი საფუძვლების მიხედვით. სრული ან ნაწილობრივი სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე არასრულწლოვანთა და სულიერი აკადმყოფობისა თუ ჭკუასუსტობის შედეგად ქმედუუნაროდ აღიარებული მოქალაქეების უფლებებსა

და კანონით დაცული ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები – მშობლები, შვილად ამყვანები, მეურვეები.

სამოქალაქო სარჩელი სისხლის სა-მართლის პროცესში დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს აღძრული მოთხოვნა. სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარადგინონ სისხლის სამართლის საქმის აღძრის, წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის დროს, აგრეთვე სასამართლოში, მაგრამ სამსჯავრო (სასამართლო) გამოძიების დაწყებამდე. ასეთი სარჩელი შეიძლება აღძრას ყოველმა დაინტერესებულმა პირმა, რომელსაც მიაჩნია, რომ დანაშაულის შედეგად მან განიცადა მატერიალური ზარალი. წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები, პროკურორი და სასამართლო ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები წარმოდგენილი ან მომავალში შესაძლებელი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად. სარჩელი განიხილება სისხლის სამართალწარმოების წესით და გადაწყდება განაჩენის გამოტანის დროს. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს აღძრულ სარჩელზე, მაგრამ თუ ამ უარს მიიღებენ, მოსარჩელეს ერთმევა უფლება აღძრას იგივე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სამოქალაქო საქმეებზე დადგენილებების გადახედვა სააპელაციო წესით – იხ. აპელაცია სამოქალაქო პროცესში.

სამოქალაქო საქმეებზე დადგენილებების გადახედვა საკასაციო წესით – იხ. კასაცია სამოქალაქო პროცესში.

სამოქალაქო საქმეების მომზადება სასამართლო განხილვისათვის სამოქალაქო და საარბიტრაჟო პროცესების საკმაოდ ვრცელი სტადია, რომლის მიზანია საქმის სწორი და დროული განხილვისა და გადაწყვეტის უზრუნველყოფა. საქმის სასამართლო განხილვისთვის მომზადების ამოცანებს წარმოადგენს სადავო სამართალდამოკიდებულების და გამოსაყენებელი კანონმდებლობის ხასიათის, საქმის სწორი განხილვისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების განსაზღვრა; საქმეში მონაწილე პირების შემადგენლობის და საარბიტრაჟო პროცესის სხვა მონაწილეების შესახებ საკითხის გადაწყვეტა; საქმეში მონაწილე პირებისთვის საჭირო მტკიცებულებების მიწოდება; მხარეთა შერიგება.

სამოქალაქო და საარბიტრაჟო პროცესებში საქმის სასამართლო განხილვისთვის მოსამზადებლად განხორციელებული მოსამართლის ქმედებები მსგავსია. მოსამართლე: 1) მხარეებს განუმარტავს მათ საპროცესო უფლებებსა და ვალდებულებებს; 2) გამოკითხავს მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს განცხადებული მოთხოვნების არსზე და თუ საჭიროა სთაჯაზობს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენას გარკვეულ ვადაში; 3) გამოკითხავს მოპასუხეს და საქმის გარემოებებზე არკვევს, რა საპირისპირო მოსაზრებები არსებობს სარჩელთან მიმართებაში და რა მტკიცებულებებით მყარდება ისინი; 4) წყვეტს საკითხს საქმეში თანამოსარჩელეების, თანამოპასუხეებისა და მესამე პირების ჩართვის შესახებ; 5) ილებს ზომებს მხარეების მიერ მორიგებითი შეთანხმების მიღწევის შესახებ და მხარეებს განუმარტავს მათ უფლებებს მიმართონ სამედიატორო სასამართლოს დავის გადაწყვეტაზე და ასეთი ქმედებების შედეგებს; 6) საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ აცნობებს დაინტერესებულ მოქალაქეებს თუ ორგანიზაციებს; 7) წყვეტს საკითხს მოწმეთა გამოძახების შესახებ; 8) ნიშნავს ექსპერტიზას და ექსპერტს მისი ჩატარებისთვის, ასევე წყვეტს საკითხს პროცესში მონაწილეობისთვის სპეციალისტის, თარჯიმანის მოწვევის შესახებ; 9) გადაუდებელ შემთხვევებში საქმეში მონაწილე პირების შეტყობინებით ახორციელებს ადგილზე წერილობითი და ნივთმტკიცებების დათვალიერებას; 10) ილებს ზომებს სარჩელის უზრუნველსაყოფად; 11) ახორციელებს სხვა აუცილებელ საპროცესო მოქმედებებს.

სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვა – სამოქალაქო და საარბიტრაჟო სამართალწარმოების ძირითადი სტადია. სასამართლო სხდომაზე, ამ სტადიაზე განიხილება და წყდება საქმე. სამოქალაქო პროცესში სასამართლო განხილვა შედგება რამდენიმე ნაწილისგან: ა) სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი; ბ) საქმის არსებითი განხილვა; გ) სასამართლო პაექრობები; დ) გადაწყვეტილების გამოტანა და გახმოვანება.

მოსამზადებელ ნაწილში სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა აუცილებელი პირობები საქმის არსებითად განხილვისათვის მოცემულ სასამართლო სხდომაზე: ა) შეიძლება თუ არა საქმის განხილვა სასამართლოს მოცემული შემადგენლობის დროს; ბ) შესაძლებელია თუ არა საქმის მოსმენა პროცესის მონაწილეთა მოცემული შემადგენლობის დროს; გ) შესაძლებელია თუ არა საქმის განხილვა არსებული მტკიცებულებების დროს. საქმის მხარეების მიერ არსებითად განხილვის დროს ხორციელდება განმკარგულებელი მოქმედებები (უარის თქმა სარჩელზე, სარჩელის ცნობა, მორიგებითი შეთანხმება და სხვ.) და ხდება მტკიცებულებების გამოკვლევა. სასამართლო პაექრობაში ჯამდება მტკიცებულებების კვლევა. პაექრობა შედგება საქმეში მონაწილე პირების და/ან მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან. გადაწყვეტილების მიღებისა და გახმოვანების ნაწილში მოსამართლე (მოსამართლეები) წყვეტს საქმის არსებით განხილვას და გადაწყვეტილებას აცხადებს სასამართლო სხდომის დარბაზში.

ანალოგიური ნაწილები გააჩნია სასამართლო განხილვას საარბიტრაჟო სამართალწარმოებაში.

სამოქალაქო სიკვდილი რუსეთში (XVIII– XIX სს) პიროვნების ღირსების დამამცირებელი სასჯელი თავადაზნაურობის წარმომადგენელთათვის. მსჯავრდებულს მიაკრავდნენ სამარცხვინო ბოძზე და თავზე გადაამტვრევდნენ დაშნას ყოველგვარი წოდებრივი უფლების აყრის ნიშნად.

სამოქალაქო უფლებების დაცვა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო უფლებების აღდგენასა თუ აღიარებაზე და ინტერესთა

დაცვაზე მათი დარღვევისა თუ სადაოდ გახდომისას. ანსხვავებენ სამოქალაქო უფლებების დაცვის ორ ძირითად ფორმას – იურისდიქციულსა და არაიურისდიქციულს.

სამოქალაქო უფლებების დაცვის იურისდიქციული ფორმა არის დარღვეული ან სადაო, სუბიექტური უფლებების დაცვის სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანოების არასრულყოფილად ან შედარად საქმიანობისას. მისი არსი გამოიხატება იმაში, რომ პირი, რომლის უფლებები და კანონიერი ინტერესები დაირღვა არამართლზომიერი მოქმედებით მიმართაეს დაცვისთვის სახელმწიფო ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს (სასამართლოს, საარბიტრაჟო სასამართლოს, სამედიატორო სასამართლოს, ზემდგომ ინსტანციას და ა.შ.). ისინი უფლებამოსილნი არიან მიიღონ საჭირო ზომები დარღვეული უფლების აღსადგენად და სამართალდარღვევის აღსაკვეთად. სამოქალაქო უფლებების დაცვის იურისდიქციული ფორმის ჩარჩოებში გამოიყოფა დარღვეული უფლებების დაცვის ზოგადი და სპეციალური წესი. სამოქალაქო უფლებებისა და ასევე კანონით დაცული ინტერესების დაცვა ზოგადი წესის მიხედვით ხორციელდება სასამართლო წესით. როგორც წესი, სამოქალაქო უფლებების სასამართლო დაცვის საშუალების სახით გამოდის სარჩელი, ცალკეულ შემთხვევებში – განცხადება ან საჩივარი. სპეციალურ წესს წარმოადგენს სამოქალაქო უფლებების დაცვის ადმინისტრაციული წესი, რომელიც გამოიყენება ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით ე.ი. მხოლოდ კანონში პირდაპირ მითითებულ შემთხვევებში. ასეთი წესით ხდება მაგალითად, მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვა იმ პირთა მოქმედებებისგან, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი შენობა. ადმინისტრაციული წესით განხორციელებული სამოქალაქო უფლებების დაცვის საშუალებას წარმოადგენს შესაბამის მმართველობით ორგანოში იმ პირის მიერ შეტანილი საჩივარი, რომლის უფლებები და კანონიერი ინტერესებიც დაირღვა სამართალდარღვევის შედეგად.

სამოქალაქო უფლებების დაცვის არაიურისდიქციულ ფორმას წარმოადგენს მოქალაქეებისა და სამოქალაქო უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დამცავი ორგანიზაციების მოქმედებები, რომლებიც მათ მიერ ხორციელდება დამოუკიდებლად, სახელმწიფო და სხვა კომპეტენტური ორგანოებისთვის დახმარებისთვის მიმართვის გარეშე.

სამოქალაქო უფლებების დაცვა ხდება მათი აღიარების, უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის, იმ მოქმედებების აღკვეთის გზით, რომლებიც არღვევენ უფლებას ან საფრთხეს უქმნიან მის დარღვევას; სადავო გარიგების ბათილად ცნობისა და მისი შედეგების გაუქმებას; სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს აქტის ბათილად ცნობის; ზარალის ანაზღაურების; უპირობის ჯარიმის; მორალური ზიანის კომპენსაციის; სამართალდამკიდებულების შეწყვეტის ან შეცვლის; სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს კანონის საწინააღმდეგო აქტის სასამართლოს მიერ მიუღებლობის; კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებების მეშვეობით.

„სამოქალაქო ჰსჯულვილება“ (სხვადასხვა საგანთა შეკრებილება) – უცნობი პირის მიერ 1799-1800 წლებში მომზადებული და კრებულად შემონახული 21 კანონპროექტი („მანიფესტი“, „უქაზი“, „ისტრუქცია“) სხვადასხვა საკითხზე. ეს კრებული ხელთ ჰქონია დავით ბატონიშვილს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ იოანე ბატონიშვილს. ამ დოკუმენტის შემდგენელს უნდა სცოდნოდა დავით და იოანე ბატონიშვილების განზრახულობანი; იგი ნაწილობრივ ემყარება და ავითარებს კოდექს, კერძოდ, დავითის კოდიფიკაციის დებულებებს. იგი ოპოზიციაში უდგას ჟამგასულ ფეოდალურ წესრიგს. მისგან შეთავაზებული სამართლებრივი მოწესრიგება ასახავს უპირატესად ქალაქის მოსახლეობას, მისი მდიდარი ნაწილის ზრახვებს და ძირითადად ეთანხმება მოწინავე რეფორმებს. ავტორი ხელუხლებლად ტოვებს ბატონყმობას და ავითარებს აღებმიცემობას, ხელოსნობას და კაპიტალს. ავტორის და ბატონიშვილების აზრით საქართველოში ეს რეფორმა უნდა დაეწყო ახალ ფენასზემქსმე წოდების სახით.

„სამოქალაქო ჰსჯულვილება“ მართვა-გამგეობისა და მართლმსაჯულებითი ორგანოების მოწყობაში წოდებრივი წარმომადგენლობის საწყისს მიჰყვებოდა. სხვადასხვა ნაწილი ფრაგმენტულად, სისხლის სამართლისა და პროცესის ცალკეულ ნორმებსაც შეიცავს.

სამპარავთმძებნელო სამართალი გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სასამართლო-სამძებრო დაწესებულება, მპარაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთ დაწესებულებას VI ს-დან მეკობრეთმძებნელთა სასამართლო, შემდგომ, „დასტურლამალის“ მიხედვით, ხევისთავის სასამართლო ეწოდებოდა. მას ეკალებოდა დამნაშავის დევნა, წინასწარი გამოძიება, საქმის გარჩევა და დამნაშავის გასამართლება. მათი მთავარი მოხელე იყო – მეკობრეთ-მძებნელი, ქურდისმბებელი, მათ მეფისაგან ჩენილი მოხელენიც ემსახურებოდნენ. გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის მიხედვით, „ჩენილთა“ მოვალეობას შეადგენდა დამნაშავის დევნა, დაპატიმრება და განაჩენის სისრულეში მოყვანა. მპარავისათეის გათვალისწინებული იყო ჩამოხრჩობა (როდესაც დამნაშავეს „მრავალჯერ ეპაროს“) ან დამასახიჩრებელი სასჯელი. ნაპარავი უბრუნდებოდა თავის პატრონს. დანაშაულისათეის გათვალისწინებული იყო აგრეთვე ჯარიმა მეფის ან ფეოდალის სასარგებლოდ. VIII ს-ის ძეგლით და ეახტანგ VI-ის სამართლით დაწესებულია ნაპარავის შეიდმაგად გადახდევინება.

სამრეწველო თევზჭერისა და თევზჭერის ლიცენზირება 1) მართვის ფუნქცია ცხოველთა სამყაროს გამოყენებისა და დაცვის დარგში; 2) ლიცენზირების სახე ცხოველთა სამყაროს გამოყენებისა და დაცვის დარგში, რომელიც მდგომარეობს სპეციალური ჩამონათვალის თანახმად საქმიანობის სახეების განხორციელებაზე ლიცენზიების გაცემაში, გაგრძელებაში, შეჩერებასა და ანულირებაში, რასაც ამტკიცებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო რეგულირებასა და დარგთაშორის კოორდინაციას წყლის ბიოლოგიური რესურსებისა და მათი სამყოფელი გარემოს რაციონალური გამოყენების, შესწავლის, შენარჩუნებისა და აღდგენის სფეროში.

სამრეწველო ნიმუში საპატენტო უფლების დაცვის ობიექტი, რომელიც წარმოადგენს ნაწარმის მხატვრულ-საკონსტრუქტორო გადაწყვეტას,

რაც განსაზღვრავს მის გარეგნულ იერს. სამრეწველო ნიმუშის პატენტუნარიანობის პირობებს წარმოადგენს მხოლოდ სიახლე, ორიგინალურობა და სამრეწველო გამოყენებადობა.

სიახლე განისაზღვრება, როგორც სამრეწველო ნიმუშის არსებითი ნიშნების ერთობლიობის უცნობობა, რომლებიც განსაზღვრავენ ნაწარმის ესთეტიკურ და/ან ერგონომიკულ თვისებებებს სამრეწველო ნიმუშის პრიორიტეტის თარიღამდე მსოფლიოში ხელმისაწვდომი ცნობებიდან გამომდინარე.

სამრეწველო ნიმუშის ორიგინალობა ითვლება დადგენილად, თუ მისი არსებითი ნიშნები განაპირობებენ ნაწარმის ესთეტიკური თვისებურებების შემოქმედებით ხასიათს. ორიგინალობა ითვლება დადასტურებულად იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს არსებითი ნიშნების მქონე სხვა გადაწყვეტა მოცემული მხატვრულ-კონსტრუქტორული გადაწყვეტისთვის.

ორიგინალურის არ წარმოადგენს სამრეწველო ნიმუში, რომელსაც ცნობილთან შედარებით შეცვლილი აქვს მხოლოდ სიდიდე, ელემენტების რაოდენობა ან ფერი ან წარმოადგენს რეალური ობიექტის შემცირებულ ან გადიდებულ ასლს და ა.შ.

სამრეწველო ნიმუშის სამრეწველო გამოყენებადობა გამოიხატება მისი მრავალჯერადი აღდგენის შესაძლებლობაში შესაბამისი ნაწარმის დამზადების გზით.

პატენტუნარიანი არაა ნაწარმის ტექნიკური ფუნქციით განპირობებული გადაწყვეტა, არქიტექტურის ობიექტები (მცირე ფორმების გარდა), სამრეწველო, ჰიდროტექნიკური და სხვ. სტაციონარული ნაგებობები, არამდგრადი ფორმის ობიექტები თხევადი, გაზისებრი, ფშვნადი ან ამგვარი ნივთიერებებისგან, ასევე ისეთი გადაწყვეტა, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, ჰუმანურობისა და მორალის პრინციპებს.

სამრეწველო ნიმუში – სამრეწველო ნიმუში სამოქალაქო სამართალში ნიშნავს ნაკეთობის მხატვრულ ან მხატვრულ-კონსტრუქტორულ გადაწყვეტას, რომელიც განსაზღვრავს მის გარეგნობას. არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სამრეწველო ნიმუში უნდა დამზადებული იყოს სამრეწველო წესით. ამ ელემენტის არარსებობისას ნაკეთობა შეიძლება მიეკუთვნოს ხელოვნების ქმნილებათა კატეგორიას, რომელთა დაცვა ხორციელდება არა სამრეწველო საკუთრების ნორმებით, არამედ საავტორო სამართლის საშუალებით. სამრეწველო ნიმუში შეიძლება იყოს მოცულობით (მოდელი), ბრტყელი (ნახატი) ან კომბინირებული. სამართლებრივი დაცვა ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ არსებითი ნიშნები მათ ერთობლიობაში არის ახალი, ორიგინალური და მრეწველობაში გამოყენებადი. „ახალი“ ნიშნავს, რომ მისი ნიშანი (ან მათი კომბინაცია) არ არის ცნობილი მსოფლიოში. „ორიგინალური“ ნიშნავს, რომ არსებითი ნიშნები ან (და) მათი კომბინაცია თავისებურია და განსაზღვრავს ნაკეთობის ესთეტიკურ და ერგონომიკულ თვისებებს (მათ შორის ფორმას, კონფიგურაციას, ორნამენტს ან ფერთა შეხამებას). სამრეწველო ნიმუში მიიჩნევა მრეწველობაში გამოყენებადად, თუ შესაძლებელია მისი კვლავწარმოება ქარხნულ ან მსგავს პირობებში სამეურნეო ბრუნვაში ნაკეთობის შეყვანისთვის საკმარის დონეზე. სამრეწველო ნიმუშის შესახებ განაცხადის დაფებითი ექსპერტიზის შემდეგ ავტორს, ავტორის მემკვიდრეს ან ავტორის მიერ განაცხადში მითითებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ეძლევა პატენტი.

არ ეძლევა სამრეწველო ნიმუშის სახით სამართლებრივი დაცვა შემდეგი ხასიათის გადაწყვეტილებებს: რომლებიც განპირობებულია მხოლოდ ნაკეთობის ტექნიკური ფორმით; ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, პუმანურობის და მორალის პრინციპებს; არქიტექტურის ობიექტებს. გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა; ბეჭდვით პროდუქციას; არამდგრადი ფორმის ობიექტებს თხევადი, გაზისებრი, ფხვიერი, და მსგავსი ნივთიერებებისგან.

სამსახურებრივი გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები და სასარგებლო მოდელები – მუშაკის მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების ან სამუშაოს მიმცემისგან მიღებული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილი სამრეწველო ნიმუში, სასარგებლო მოდელები, გამოგონება.

სამსახურებრივი გამოგონების და ა.შ. შემქმნელ მუშაკს აქვს საზღაურის მიღების უფლება. საზღაურის ოდენობა უნდა იყოს სამუშაოს მიმცემის მიერ მიღებული ან მისაღები სარგებლის პროპორციული, სამრეწველო საკუთრების ობიექტის სათანადო გამოყენებისას იმ შემთხვევებში, თუ: ა) სამუშაოს მიმცემს მიღებული აქვს პატენტი; ბ) სამუშაოს მიმცემმა პატენტის მიღების უფლება გადასცა სხვა პირს; გ) სამუშაოს მიმცემმა მიიღო გადაწყვეტილება შესაბამისი ობიექტის საიდუმლოდ შენახვის შესახებ; დ) სამუშაოს მიმცემმა წარმოდგენილი განცხადების მიხედვით არ მიიღო პატენტი იმ მიზეზებით, რაც დამოკიდებული იყო სამუშაოს მიმცემზე.

სამსახურებრივი ნაწარმოები – ნაწარმოები, რომელიც ავტორის მიერ შექმნილია სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებისას ავტორსა და დავალების განმსაზღვრელ პირს შორის შრომითი ურთიერთობების არსებობისას. სამსახურებრივი დავალება არ უნდა სცდებოდეს თანამდებობის ინსტრუქციების, ბრძანებებისა და განკარგულებების მიერ დადგენილ ვალდებულებათა ჩარჩოებს. სამსახურებრივი დავალება შეიძლება იყოს, როგორც კონკრეტული, ასევე ზოგადი. ნაწარმოები იძენს სამსახურებრივის რეჟიმს არა შექმნის, არამედ მისი სამუშაოს მიმცემისთვის წარდგენის მომენტიდან. სამსახურებრივ ნაწარმოებზე საავტორო უფლება ეკუთვნის ავტორს, ამასთან, კანონით განსაზღვრულია უფლებამოსილებათა ჩამონათვალი. ზოგადად, სამუშაოს მიმცემს არ გააჩნია პირადი საავტორო უფლებები, მაგრამ გააჩნია სამსახურებრივი ნაწარმოების გამოყენების ყველა უფლება. ორგანიზაცია-სამუშაოს მიმცემის ლიკვიდაციის შემთხვევაში განსაკუთრებული უფლებები გადაეცემა სამართალშემკვიდრეებს, ხოლო ამის შეუძლებლობისას სამსახურებრივი ნაწარმოების ავტორებს. ავტორსა და სამუშაოს მიმცემს შორის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს იმას, რომ ზოგიერთი უფლება ნაწარმოებების გამოყენებაზე უნარჩუნდება ავტორს ან გადაეცემა სამუშაოს მიმცემს გარკვეული ვადით.

სამსახურებრივი სიყალბე – თანამდებობის პირის, ასევე სახელმწიფო მოსამსახურის ან

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოსამსახურის მიერ ოფიციალურ დოკუმენტში შეტანილი ცრუ ცნობები, ასევე ამ დოკუმენტებში შესწორებების შეტანა, რომლებიც ამახინჯებენ მათ ნამდვილ შინაარსს, თუ ეს ქმედებები ჩადენილია ანგარების მიზნით ან სხვა პირადი დაინტერესებით.

სამუდამო რენტა – რენტის ხელშეკრულების სახე (იხ. რენტის ხელშეკრულება). სამუდამო რენტის გადამხდელს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი სუბიექტი, მიმღებს – მხოლოდ ფიზიკური პირი. სამუდამო რენტის ხელშეკრულების ქვად უტოლდება ქონების გადამცემის ან მის მიერ აღნიშნული პირის სიცოცხლის პერიოდს. სამუდამო რენტა მუდმივი რენტისგან განსხვავებით გაუსხვისებელია. თუ მიმღების მხარეს გამოდის რამდენიმე პირი, ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალებისას მისი უფლებები გადადის დანარჩენებზე. სამუდამო რენტის ხელშეკრულების პირობა ბოლო მიმღების სიკვდილის შემდეგ უფლებების მის მემკვიდრეებზე გადასვლის შესახებ ბათილია. თუ ხელშეკრულება არ ადგენს რენტის გადახდის ოდენობასა და წესს, ის უდრის შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას, რაც კანონითაა დადგენილი. ხელშეკრულების გაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულებაში მითითებულ შემთხვევებში. სამუდამო რენტის ხელშეკრულების გაწყვეტა მიმღების მოთხოვნით შესაძლებელია გადამხდელის მიერ თავისი ვალდებულებების არსებითი დარღვევის დროს. მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს რენტის გამოსყიდვა ან ხელშეკრულების გაწყვეტა, მყენებული ზარალის ანაზღაურებით. ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკზე ყველა შემთხვევაში პასუხისმგებელია გადამხდელი.

სამუდამო რჩენის ხელშეკრულება – სამუდამო რენტის ხელშეკრულების ნაირსახეობა. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს უძრავი ქონება. რენტა ჩვეულებრივ ნატურალური ფორმით (საკვებით, ტანსაცმლით უზრუნველყოფა და ა.შ.) ხდება მიწოდებული. სამუდამო რჩენის ხელშეკრულების გადამხდელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი, მიმღები – მხოლოდ ფიზიკური პირი. სამუდამო რჩენის ხელშეკრულების ვადა უდრის ქონების გადამცემი პირის სიცოცხლის პერიოდს. ხელშეკრულებაში უნდა განისაზღვროს რჩენის მოცულობის ღირებულება, მიუხედავად იმისა, რომ გადამხდელი ხდება რენტით გადაცემული ქონების მესაკუთრე, მას უფლება აქვს განკარგოს ის, მხოლოდ რენტის მიმღების წინასწარი თანხმობით. სამუდამო რჩენის ხელშეკრულება წყდება მიმღების სიკვდილთან ერთად, ასევე რენტის მიმღების მოთხოვნით გადამხდელის მიერ ვალდებულებების შესრულების არსებით დარღვევასთან დაკავშირებით.

სამუშაო ადგილი – ადგილი, სადაც მუშაკი უნდა იმყოფებოდეს ან სადაც ის უნდა მივიდეს მის სამუშაოსთან დაკავშირებით და რომელიც პირდაპირ ან ირიბად იმყოფება სამუშაოს მიმცემის კონტროლის ქვეშ.

სამუშაოდან გადაყენება – შრომის სამართალში მუშაკის მიერ შრომის ფუნქციებისა და სხვა შრომის ვალდებულებების შესრულების დროებით შეჩერება ამაზე უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებით, რასაც, როგორც წესი, თან ახლავს ხელფასის გაცემის შეჩერება და რომელიც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სამუშაოდან გადაყენება უნდა განვასხვაოთ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისგან ანუ განთავისუფლებისგან. სამუშაოდან მოხსნა ჯერაც არ წყვეტს თავისთავად შრომის სამართალდამოკიდებულებას, ის წარმოადგენს მხოლოდ სამართლებრივ საფუძველს მუშაკის შრომის ვალდებულებისგან განთავისუფლებისთვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შემდეგ.

სამუშაოდან გადაყენების უფლება აქვს მაგალითად, გამომძიებელს, რომელსაც პროკურორის ან სხვა მსგავსად უფლებამოსილი პირის სანქციით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული მუშაკი. გამამართლებელი განაჩენის ან საქმის შეწყვეტის დროს შრომის ვალდებულებების შესრულებისგან გადაყენებული მუშაკი უნდა იქნეს ადდგენილი უწინდელ სამუშაოზე და აუნაზღაურდეს სხვაობა ხელფასში. დადგენილება მუშაკის სამუშაოდან გადაყენების შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ბრალდებულის, დამცველის და ასევე იმ ორგანიზაციის მიერ, რომელშიც მუშაობს ბრალდებული.

სამუშაო დრო – შრომის სამართალში დრო, რომლის განმავლობაშიც მუშაკი ორგანიზაციის შინაგანაწესს, შრომის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უნდა ასრულებდეს შრომის ვალდებულებებს, ასევე დროის სხვა პერიოდები, რომლებიც კანონებისა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად განეკუთვნებიან სამუშაო დროს. სამუშაოს მიმცემი ვალდებულია აწარმოოს თითოეული მუშაკის მიერ ფაქტიურად გამომუშავებული დროის აღრიცხვა.

18 წლამდე ასაკის საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის კანონმდებლობაში მითითებულ დროს.

მუშაკსა და სამუშაოს მიმცემს შორის შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს, როგორც სამუშაოზე მიღება, ასევე შემდგომ არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა. სამუშაოს მიმცემი ვალდებულია დაადგინოს არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა ორსული ქალის, ერთ-ერთი არასრულწლოვანი ბავშვის (14 წლამდე) მშობლის (მეურვის, მზრუნველის), ასევე იმ პირის თხოვნით, რომელიც უვლის ოჯახის ავადმყოფ წევრს სამედიცინო დასკვნის შესაბამისად. არასრული სამუშაო დროის პირობებში მუშაობისას მუშაკის შრომის ანაზღაურება ხდება მის მიერ გამომუშავებული დროის პროპორციულად ან შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით. ყოველდღიური სამუშაოს (ცვლის) ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს: ა) 15-დან 16 წლამდე ასაკის მუშაკებისთვის – 5 სთ, 16-დან 18 წლამდე – 7 სთ; ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, დაწყებითი და საშუალო პროფესიული განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლებას უთავსებენ მუშაობას, 14-დან 16 წლამდე – 2,5 სთ, 16-დან 18 წლამდე – 3,5 სთ; გ) ინვალიდებისთვის – სამედიცინო დასკვნის შესაბამისად.

შრომის მავნე და/ან საშიში პირობების დროს სამუშაოზე დაკავებული მუშაკებისთვის სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 36-საათიანი სამუშაო კვირის დროს – 8 სთ; 30-საათიანი და ნაკლები სამუშაო კვირის დროს – 6 სთ ყოველდღიურად (ცვლის დროს).

კინემატოგრაფიის ორგანიზაციების, ტელე– და ვიდეოგადამღები კოლექტივების, თეატრების, თეატრალური და საკონცერტო ორგანიზაციების, ცირკის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მუშაკების, პროფესიული სპორტსმენებისთვის ყოველდღიური სამუშაოს (ცვლის) ხანგრძლივობა შეიძლება დადგინდეს კანონების ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების, კოლექტიური ხელშეკრულების ან შრომის ხელშეკრულების შესაბამისად.

სამუშაოს (ცვლის) ხანგრძლივობა ღამის საათებში მცირდება 1 საათით (ღამის საათებში – 22 სთ-დან 6 სთ-მდე).

სამუშაოს (ცვლის) ხანგრძლივობა ღამის საათებში არ მცირდება მუშაკებისთვის, რომლებზეც დადგენილია სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა, ასევე სპეციალურად ღამის საათებში სამუშაოდ აყვანილი მუშაკებისთვის, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა კოლექტიური ხელშეკრულებით.

ღამის საათებში მუშაობისთვის დაუშვებელია: ორსული ქალების, ინვალიდების, 18 წლამდე ასაკის მუშაკების სამუშაოზე აყვანა, იმ პირების გარდა, რომლებიც მონაწილეობენ მხატვრული ნაწარმოებების შექმნაა თუ შესრულებაში. ღამის საათებში სპორტსმენების, კინემატოგრაფიის ორგანიზაციათა, ტელე– და ვიდეოგადაღების კოლექტივების, თეატრების, ცირკის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების მუშაობის წესი შეიძლება განისაზღროს კოლექტიური ხელშეკრულებით, ლოკალური ნორმატიული აქტით ან შრომის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით. მუშაობა დროის ნორმალური ხანგრძლივობის ფარგლებს გარეთ შეიძლება მოხდეს, როგორც მუშაკის (შეთავსება), ასევე სამუშაოს მიმცემის (ზეგანაკვეთური მუშაობა) ინიციატივით.

სამუშაო დღე – შრომის სამართალში კანონით დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღის განმავლობაში. ის შეიძლება იყოს 7-საათიანი (6-დღიანი სამუშაო კვირის დროს ნორმალური სამუშაო დროით), 6– და 4-საათიანი – შემცირებული სამუშაო დღისას სამუშაოების გრაფიკის ან განაწესის შესაბამისად. ორგანიზაციაში ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობა კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება შინაგანაწესებით, ხოლო ცვლის მუშაობისას – ცვლის გრაფიკის მიხედვით. შრომის კანონმდებლობაში გამოიყოფა: ნორმირებული სამუშაო დღე; შემცირებული სამუშაო დღე; არანორმირებული სამუშაო დღე; სამუშაო დღე, რომელიც დაყოფილია ნაწილებად (დაყოფილი სამუშაო დღე).

სამუშაოზე აღდგენა – მუშაკის აღდგენა უწინდელ სამართლებრივ მდგომარეობაზე, რომელიც არსებობდა მის უკანონო განთავისუფლებამდე ან სხვა სამუშაოზე უკანონო გადაყვანამდე. კანონიერი საფუძვლის გარეშე განთავისუფლების ან დათხოვნის დადგენილი წესის დარღვევით ან სხვა სამუშაოზე უკანონო გადაყვანის შემთხვევაში მუშაკი უნდა იქნეს აღდგენილი უწინდელ სამუშაო ადგილზე შრომითი დავის განმხილველი ორგანოს მიერ. გადაყვანისა და განთავისუფლების დავებზე ასეთ ორგანოს წარმოადგენს სასამართლო. გარკვეული ხელმძღვანელი მუშაკებისა და მოსამართლეებისთვის, პროკურორებისთვის, სახელმწიფო მოსამსახურეთათვის დაცა სამუშაოზე აღდგენასთან დაკავშირებით თავდაპირველად განიხილება ზემდგომი ორგანოს მიერ. თუმცა, შრომითი დაცის განხილვის სპეციალური წესის გავლის შემდეგ ისინი მოკლებული როდი არიან სასამართლო დაცვის უფლებას. ზემდგომი ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ ამ პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავით და სარჩელით.

უწინდელ სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღსადგენ მუშაკს: 1) ეძლევა უწინდელი სამუშაო (თანამდებობა), რომელსაც ის ასრულებდა უკანონო განთავისუფლებამდე ან გადაყვანამდე; 2) უნაზღაურდება იძულებითი გაცდენის დრო უსამართლო განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებით ან სხვაობა შრომის ანაზღაურებაში უწინდელ და ახალ სამუშაოზე; 3) ხდება მისი უწყვეტი სტაჟის აღდგენა, ხოლო იძულებითი გაცდენის დრო ეთვლება სტაჟის ყველა სახეში; 4) სამუშაოზე აღდგენის დღიდან მუშაკს უფლება აქვს ანაზღაურონ ავადმყოფობის ფურცელი; 5) ხდება მისი ყველა შრომითი უფლების აღდგენა უწინდელ სამუშაოზე, თანამდებობაზე, სხვადასხვა შრომითი შეღავათის განაწლება; 6) კანონიერი საფუძვლის გარეშე ან განთავისუფლების წესის დარღვევით განთავისუფლების ან სხვა სამუშაოზე უკანონო გადაყვანის შემთხვევაში სასამართლოს მუშაკის მოთხოვნით შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მუშაკისთვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის სახით ანაზღაურების შესახებ, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო.

იურისდიქციული ორგანოს გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის შესახებ ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. სამუშაოს მიმცემი ვალდებულია გასცეს ბრძანება აღდგენილი მუშაკისთვის უწინდელი სამუშაოს შეთავაზების შესახებ. თუ აღნიშნული გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენასთან დაკავშირებით არ სრულდება, მის შესრულების შეფერხებაში დამნაშავე თანამდებობის პირი ირღვის მატერიალურ პასუხისმგებლობას იმ ზიანზე, რომელიც ორგანიზაციის მიერ მიადგა მუშაკს იძულებითი გაცდენის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა მისი სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების შესრულების შეფერხების გამო. ხოლო თუ თანამდებობის პირი ბოროტად არ ასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებას სამუშაოზე აღდგენის შესახებ, ის შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სამუშაოზე აღდგენა ზოგჯერ შეიძლება მოხდეს მუშაკის სამუშაოს მიმცემთან მშვიდობიანი შეთანხმების შედეგადაც, რომელიც დამტკიცებულია სასამართლოს მიერ შრომითი დავის განხილვის დროს. სამუშაოზე აღდგენის შესახებ იურისდიქციული ორგანოს გადაწყვეტილება ავალდებულებს სამუშაოს მიმცემს დაუყოვნებლივ აღადგინოს მუშაკი არა უბრალოდ ნებისმიერ, არამედ იმ სამუშაოზე, რომელსაც ის ასრულებდა უკანონო გადაყვანამდე ან განთავისუფლებამდე. ამას-

თან, თუ ის ასრულებდა ფაქტიურად ერთ სამუშაოს, ხოლო ბრძანებით მისი მიღება გაფორმდა სხვა სამუშაოზე (სხვა სპეციალობით, კვალიფიკაციით), ის უნდა იქნეს აღდგენილი იმ სამუშაოზე, რომელსაც ის ფაქტიურად ასრულებდა უკანონო გადაყვანამდე ან განთავისუფლებამდე იმავე დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში.

თუ შრომითი დავის პერიოდში მუშაკი სხვა სამუშაოზე გადაიყვა, მას მანც აქვს უფლება მოითხოვოს აღდგენა უწინდელ სამუშაოზე. მან შეიძლება არ ისარგებლოს ამ უფლებით, არამედ მოითხოვოს მხოლოდ უკანონოდ განთავისუფლების ცნობა და იძულებითი გაცდენის ანაზღაურება. ადმინისტრაციამ შეიძლება აღადგინოს მუშაკი სამუშაოზე სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდეც.

განიხილავს რა სარჩელებს სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლომ ყოველმხრივ უნდა განიხილოს, არა მხოლოდ განთავისუფლების საფუძვლების არსებობა, არამედ მოცემული საფუძვლით განთავისუფლების წესის დაცვის სიკაცრეც. ამასთან, სასამართლო ხელმძღვანელობს შრომის კანონმდებლობით.

უკანონოდ განთავისუფლებული ან სხვა სამუშაოზე გადაყვანილი მუშაკის უწინდელ სამუშაოზე აღდგენის შეუძლებლობისას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად სასამართლო განთავისუფლებას ან გადაყვანას ცნობს არასწორად და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, ხოლო შესაბამის შემთხვევებში – სამართალმემკვიდრეს ავალდებულებს აუნაზღაუროს მოცემულ მუშაკს საშუალო ხელფასი იძულებითი გაცდენის მანძილზე და მუშაკს ცნობს განთავისუფლებულად ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად. სამუშაოზე აღდგენისას მუშაკის შრომის წიგნაკში გაკეთებული ჩანაწერი მისი განთავისუფლების ან გადაყვანის შესახებ, რომლებიც ცნობილ იქნა უკანონოდ, ლიკვიდირებული ხდება შემდეგი სტრიქონებით: „ცნობილ იქნეს წინამორბედი პუნქტი ბათილად“ ან „წინამდებარე პუნქტის ჩანაწერი ცნობილ იქნეს ბათილად“.

სამუშაოზე მიღება – მოქალაქესთან შრომის ხელშეკრულების დადება. დაუშვებელია დაუსაბუთებელი უარი სამუშაოდ მიღებაზე. დაუშვებელია ნებისმიერი, პირდაპირი თუ ირიბი სახით უფლებების შეზღუდვა ან პირდაპირი თუ ირიბი უპირატესობების დადგენა შრომის ხელშეკრულების დადებისას სქესის, რასის, კანის ფერის, ეროვნების, ენის, წარმომაელობის, ქონებრივი, სოციალური, თანამდებობრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის და სხვა გარემოებების მიხედვით, რაც არ უკავშირდება მუშაკების საქმიან თვისებებს. სამუშაოს მიმცემმა წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს პირს, რომელსაც ეთქვა უარი სამუშაოზე მიღებაზე, ამ უარის მიზეზით. შრომის ხელშეკრულების დადებაზე უარი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლო წესით.

თუ სამუშაოს შესრულება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას კანონის ან სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტის შესაბამისად, აკრძალულია სამუშაოზე მიღება სპეციალური, განათლების შესახებ დოკუმენტის მიღების გარეშე. ასევე, აკრძალულია ისეთი პირის სამუშაოზე აყვანა, რომლის შესრულებაც მას აკრძალული აქვს სამედიცინო დასკვნის შესაბამისად. ზოგიერთი კატეგორიის მუშაკი (მაგალითად, არასრულწლოვნები, ქალები) არ შეიძლება აყვანილ იქნეს გარკვეული სახის სამუშაოებზე, როგორიცაა მძიმე სამუშაოები, მუშაობა მავნე და/ან საშიშ პირობებში, მიწისქვეშა სამუშაოები. ეს შეზღუდვები განისაზღვრება მოცემული სახის სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნებით. ცალკეული მოქალაქეებისთვის დადგენილია სავალდებულო სამედიცინო დათვალიერება სამუშაოზე მიღების წინ და პერიოდული სამედიცინო შემოწმებები.

სამუშაოზე მიღება ფორმდება სამუშაოს მიმცემის ბრძანებით (განკარგულებით), რომელიც გაცემულია დადებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე. მუშაკის მოთხოვნით სამუშაოს მიმცემი ვალდებულია მას გადასცეს აღნიშნული ბრძანების (განკარგულების) დამოწმებული ასლი. სამუშაოზე მიღებისას სამუშაოს მიმცემი ვალდებულია გააცნოს მუშაკს ორგანიზაციაში მოქმედი შინაგანაწესი, სხვა ლოკალური ნორმატიული აქტები, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ მუშაკის შრომის ფუნქციებთან, კოლექტიურ ხელშეკრულებასთან. სათანადოდ გაუფორმებელი შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მუშაკი სამუშაოს შეუდგა სამუშაოს მიმცემის (ან მისი წარმომადგენლის) დავალებით. მუშაკის სამუშაოზე ფაქტიური დაშვებისას სამუშაოს მიმცემი ვალდებულია მასთან გააფორმოს შრომის ხელშეკრულება წერილობითი ფორმით, სამუშაოზე ფაქტიური დაშვებიდან არა უგვიანეს სამი დღისა.

სამუშაოზე მიღებისას მხარეთა შეთანხმებით შეიძლება მოხდეს მუშაკის გამოცდა მისი ჩასაბარებელ სამუშაოსთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით. ზოგიერთი კატეგორიის მუშაკების სამუშაოზე მიღებისას არსებობს თავისებურებები. ასე, მაგალითად, შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდებულ იქნეს 14 წლის მოზარდთან ერთ-ერთი მშობლის (მეურვის, მზრუნველის), სამეურვეო და მზრუნველი ორგანოს თანხმობით, სწავლისგან თავისუფალ დროს ისეთ სამუშაოზე, რაც ზიანს არ აყენებს მის ჯანმრთელობას და არ არღვევს სწავლის პროცესს.

კინემატოგრაფიის ორგანიზაციებში, თეატრალურ და საკონცერტო ორგანიზაციებში, ცირკში დასაშვებია შრომის ხელშეკრულების დადება 14 წლამდე ასაკის პირებთან ერთ-ერთი მშობლის (მეურვის, მზრუნველის), სამეურვეო და მზრუნველი ორგანოს თანხმობით, ნაწარმოებების შექმნასა და/ან შესრულებაში მონაწილეობისთვის, ჯანმრთელობისა და ზნეობრივი განვითარებისთვის ზიანის მიყენების გარეშე. გარკვეული თავისებურებები არსებობს ტრანსპორტის, პედაგოგიურ, დიპლომატიურ და საკონსულო დაწესებულებებში, საზღვარგარეთ სახელმწიფო დაწესებულებებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლობებში მუშაკების სამუშაოზე აყვანისას. როგორც წესი, სამუშაოზე მიღება ხდება სამუშაოს მიმცემთან სამუშაოზე ასაყვანი მუშაკის უშუალო შეთანხმებით, თუმცა მოქალაქეებს შეიძლება დახმარება გაუწიონ სამუშაოზე მოწყობისას დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ორგანოებმა.

სამუშაოზე მიღებაზე უსაფუძვლო უარის თქმა ან ორსული თუ იმ ქალის დაუსაბუთებელი განთავისუფლება, რომელსაც ჰყავს სამ წლამდე ასაკის ბავშვები

სამუშაოზე მიღებაზე უარი ან სამუშაოდან განთავისუფლება კანონის საპირისპიროდ, ამისათვის საფუძვლების გარეშე, როცა ქმედების ცხად მოტივს წარმოადგენს ქალის ორსულობა ან მცირეწლოვანი ბავშვების ყოლა.

სამუშაო კვირა – შრომის სამართალში

კანონით ან კანონის საფუძველზე დადგენილი სამუშაო დროის ხანგრძლივობის ნორმა კალენდარული კვირის მანძილზე. ცნება „სამუშაო კვირა“ სამუშაო საათების რაოდენობის გარდა მოიცავს კვირაში სამუშაო დღეების რაოდენობასაც.

არის ორი სახის სამუშაო კვირა: 5-დღიანი 2 დამოსასვენელი დღით და 6-დღიანი ერთი დამოსასვენელი დღით.

5-დღიანი სამუშაო კვირის დროს ყოველდღიური სამუშაოს (ცვლის) ხანგრძლივობა განისაზღვრება შინაგანაწესით ან ცვლის გრაფიკით და სამუშაო კვირის დადგენილი ხანგრძლივობის დაცვით. 6-დღიანი სამუშაო კვირა ერთი გამოსასვენელი დღით შემოღებულია ორგანიზაციებში, სადაც წარმოების სახისა და შრომის პირობებით მიზანშეწონილია 5-დღიანი სამუშაო კვირის დადგენა. სამუშაო კვირა ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს: ა) ნორმალური – არ შეიძლება აღემატებოდეს 40 სთ კვირაში; ბ) შემცირებული – არა უმეტეს 36 სთ; გ) არასრული.

შრომის მავნე პირობების მქონე სამუშაოებზე დასაქმებული მუშაკების ცალკეული კატეგორიისთვის კანონი ადგენს არა მხოლოდ შემცირებულ სამუშაო კვირას, არამედ სამუშაო კვირის უკიდურეს ხანგრძლივობასაც. ცალკეული კატეგორიის მუშაკებისთვის (მასწავლებლები, ექიმები და სხვ.) დგინდება სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა მათი შრომის განსაკუთრებულ სახესთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება მომატებულ ნერვულ და ემოციურ დაძაბულობას ან სამუშაოების შესრულების პირობების თავისებურებებს. I და II ჯგუფის ინვალიდებისთვის გამოიყენება სამუშაო დროის შემცირებული ხანგრძლივობა – არა უმეტეს 35 სთ კვირაში შრომის სრული ანაზღაურების შენარჩუნებით.

სამუშაოს იძულებითი გაცდენა

– მუშაკის დაუსწრებლობა სამუშაოზე სამუშაოს მიმცემი მიზეზით მის უკანონო განთავისუფლებასა და სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით. პასუხისმგებლობა სამუშაოს იძულებით გაცდენაზე მთლიანად ეკისრება სამუშაოს მიმცემს, რამდენადაც მან აიძულა მუშაკი არ გამოცხადებულიყო სამუშაოზე. ტერმინი „სამუშაოს იძულებით გაცდენა“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება სამუშაოზე უკანონოდ განთავისუფლებულის ან არასწორად სხვა სამუშაოზე გადაყვანილის აღდგენას. სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას შრომითი დავის განმხილველი ორგანო ამავდროულად იღებს გადაწყვეტილებას მუშაკისთვის სამუშაოს იძულებითი გაცდენის დროზე, საშუალო ხელფასის გაცემის შესახებაც.

მუშაკის აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისას ასევე ხდება სამუშაოს იძულებითი გაცდენა. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ადრე გათვალისწინებულია ანაზღაურება ამ იძულებით გაცდენაზე. მუშაკის იძულებით გაცდენაში დამნაშავე ადმინისტრაციულმა პირმა შეიძლება მატერიალური პასუხისმგებლობა აიღოს ამ იძულებითი გაცდენის დროის ანაზღაურებაზე. საკითხი სამუშაოს იძულებით გაცდენაში დამნაშავე თანამდებობის პირის მატერიალური პასუხისმგებლობისა და სამუშაოზე მუშაკის აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების შეუერხებაზე განიხილება სასამართლოს მიერ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან ზემდგომი ადმინისტრაციის სარჩელით ან ორგანიზაციისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე პროკურორის განცხადებით.

სამუშაოს მიმცემი – შრომის სამართალში

იურიდიული პირი (ორგანიზაცია) ან მოქალაქე, რომელთანაც მუშაკი შედის შრომით ურთიერთობებში. სამუშაოს მიმცემად შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი იურიდიული პირი საკუთრების სახისა და ფორმის მიუხედავად. იურიდიული პირის სახით ორგანიზაციის რეგისტრაციის შემდეგ შეიძლება განხორციელდეს მოქალაქეთა სამუშაოზე მიღება. სამუშაოს მიმცემის სახით არ შეიძლება გამოვიდეს ორგანიზაციის განცალკევებული სტრუქტურული ქვედანაყოფი (ფილიალი, წარმომადგენლები), რამდენადაც მათ არ გააჩნიათ იურიდიული პირის უფლებები.

სამუშაოს მიმცემის სახით შეიძლება გამოვიდეს სხვა სუბიექტი, რომელსაც გააჩნია შრომის ხელშეკრულების დადების უფლება. მაგალითად, თავად მოქალაქეების მიერ შექმნილი საზოგადოებრივი გაერთიანებები, მათ შორის, პროფკავშირები.

სამუშაოს მიმცემს, ისევე როგორც შრომის სამართლის სხვა სუბიექტს გააჩნია განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი.

მაშინ, როცა შრომის ურთიერთობებში შედის იურიდიული პირი, მისი სახელით მოქმედებენ ორგანიზაციის მართვის ორგანოები. როგორც წესი, იურიდიული პირის ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი. ორგანიზაციის ხელმძღვანელს აქვს უფლება თავისი უფლებამოსილებების ნაწილი გადასცეს ორგანიზაციის სხვა თანამდებობის პირებს, რაც უნდა გაფორმდეს ხელმძღვანელის ბრძანებით (განკარგულებით) ან დაფიქსირდეს ორგანიზაციის ნორმატიულ აქტში.

სამუშაოს მიმცემის სახით შეიძლება გამოვიდეს ფიზიკური პირი, თუ ის ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე ან როცა სამუშაოზე იღებს პირად მდივანს, მებაღეს და ა.შ. ასეთ შემთხვევაში სამუშაოს მიმცემი სხვის შრომას იყენებს საოჯახო მეურნეობის მომსახურებისთვის ან შემოქმედებით, სამეცნიერო საქმიანობაში დახმარების გაწევისთვის. როგორც ფიზიკურ პირს, სამუშაოს მიმცემს გააჩნია სამართლებრივი დებულების კონკრეტული თავისებურებები.

სამუშაოს მიმცემის მატერიალური პასუხისმგებლობა

– სამუშაოს მიმცემის ეალდებულება მუშაკს აუნაზღაუროს მატერიალური ზარალი კანონით დადგენილ შემთხვევებში. სამუშაოს

მიმცემის მიერ მატერიალური ზარალის ანაზღაურების სახეებია: ა) სამუშაოს მიმცემის ვალდებულება მუშაკს აუნაზღაუროს მატერიალური ზარალი, რომელიც მას მიადგა შრომის შესაძლებლობის უკანონო ჩამორთმევის შედეგად; ბ) სამუშაოს მიმცემის მატერიალური პასუხისმგებლობა მუშაკის ქონებისთვის მიყენებული ზარალის გამო; გ) სამუშაოს მიმცემის მატერიალური პასუხისმგებლობა ხელფასის გაცემის შეფერხებაზე.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამუშაოს მიმცემი მუშაკს ასევე უნაზღაურებს მისთვის მიყენებულ მორალურ ზიანს, მატერიალურ პასუხისმგებლობასთან ერთად.

სამუშაოს მიმცემის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები

უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოს მიმცემის ნორმალურ ურთიერთდამოკიდებულებას მუშაკებთან. სამუშაოს მიმცემს უფლება აქვს: ა) დაღის, შეცვალოს და გაწყვიტოს შრომის ხელშეკრულებები მუშაკებთან შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით; ბ) აწარმოოს კოლექტიური მოლაპარაკება და დადოს კოლექტიური ხელშეკრულებები; გ) წაახალისოს მუშაკები კეთილსინდისიერი ეფექტური შრომისთვის; დ) მუშაკებისგან მოითხოვოს შრომის ვალდებულებების შესრულება და სამუშაოს მიმცემისა თუ სხვა მუშაკების ქონებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება, ორგანიზაციის შინაგანაწესის დაცვა; ე) მიიღოს ლოკალური ნორმატიული აქტები; ვ) შექმნას სამუშაოს მიმცემთა გაერთიანებები თავიანთი ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის მიზნით.

სამუშაოს მიმცემის ვალდებულებებში შედის: ა) კანონების და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების, კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმებების და შრომის ხელშეკრულებების პირობების დაცვა; ბ) მუშაკებს მისცეს შრომის ხელშეკრულებით განპირობებული სამუშაო; გ) უზრუნველყოს მუშაკები მოწყობილობით, ინსტრუმენტებით, ტექნიკური დოკუმენტაციით და სხვა საშუალებებით, რომლებიც აუცილებელია მათ მიერ შრომის ვალდებულებების შესასრულებლად; დ) უზრუნველყოს მუშაკები თანაბარი ხელფასით თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებაზე; ე) აწარმოოს კოლექტიური მოლაპარაკებები, დადოს კოლექტიური ხელშეკრულება; ვ) მუშაკებს მისცეს სრული და უტყუარი ინფორმაცია კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმების დასადებად და მათ შესრულებაზე კონტროლისთვის; ზ) დროულად შეასრულოს სახელმწიფო საზედამხედველო და საკონტროლო ორგანოების მითითებები, გადაიხადოს კანონების, სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დარღვევაზე ჯარიმა; თ) შექმნას პირობები, რაც უზრუნველყოფს მუშაკთა მონაწილეობას ორგანიზაციის მართვაში; ი) განახორციელოს მუშაკთა საჯალდებულო სოციალური დაზღვევა კანონით დადგენილი წესით; კ) ანაზღაუროს მუშაკებისთვის მიყენებული ზარალი, რომელიც მათ მიადგა შრომის ვალდებულებების შესრულებისას; ლ) შეასრულონ კანონით სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით, შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

სამუშაო დღე-იწადში – შრომის სამართალში ესაა უწყვეტი მუშაობის 12 თვე ორგანიზაციაში შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. კალენდარული წელიწადისგან განსხვავებით სამუშაო წელიწადი იანვარიშება არა 1 იანვრიდან, არამედ მუშაკის სამუშაოზე აყვანის თარიღიდან შრომითი ხელშეკრულების დადების საფუძველზე. ასე მაგალითად, თუ მუშაკი სამუშაოზე აყვანილ იქნა 2001 წლის 1 თებერვლიდან, მისი პირველი სამუშაო წელიწადი მთავრდება 2001 წლის 31 იანვარს მეორე სამუშაო წელიწადი – ესაა პერიოდი 2002 წლის 1 თებერვლიდან 2003 წლის 1 თებერვლამდე და ა.შ. შვებულების უფლების მოპოვებისთვის მუშაკი უნდა იყოს იმ ორგანიზაციასთან შრომითი სამართალდამოკიდებულებაში, რომელთანაც მან დადო შრომითი ხელშეკრულება. შვებულება ერთი სამუშაო წელიწადს მუშაკს ერგება მოცემულ ორგანიზაციაში უწყვეტი მუშაობის 6 თვის ამოწურვის შემდეგ.

არსებობს გამონაკლისები ზოგადი წესიდან. უწყვეტი მუშაობის 6 თვის ამოწურვამდე მუშაკს შვებულება ეძლევა: ორსულობასთან დაკავშირებული შვებულების წინ ან მას შემდეგ მისივე თხოვნით; 18 წლამდე მუშაკებს; სამხედრო მოსამსახურეებს, თანამეგობის მფოფებს და სხვ. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ერთი ორგანიზაციიდან მეორეში გადაყვანილ მუშაკებს შვებულება შეიძლება მიეცეთ გადაყვანის შემდეგ მუშაობის 6 თვის ამოწურვის შემდეგ ზოგადად სხვა ორგანიზაციაში გადაყვანამდე და გადაყვანის შემდეგ ერთობლიობაში. მე-2 და შემდგომ წლებში შვებულება შეიძლება მუშაკს მიეცეს წლის ნებისმიერ დროს შვებულების გრაფიკის შესაბამისად. სამუშაო სტაჟი შვებულების მისაცემად უნდა იყოს უწყვეტი. შვებულება შრომის სტაჟზე შეიძლება მიეცემულ იქნეს კონკრეტულ ორგანიზაციაში. სამუშაო წელიწადში, რომელიც იძლევა შვებულების უფლებას – შედის: ფაქტიურად გამომუშავებული დრო, ხოლო კანონში მითითებულ შემთხვევებში კალენდარული დროც, როცა მუშაკი ფაქტიურად არ მუშაობდა, მაგრამ მას შეუნარჩუნდა სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და ხელფასი ნაწილობრივ ან სრულად; დრო, როცა მუშაკი ფაქტიურად არ მუშაობდა, მაგრამ შეინარჩუნა სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და იღებდა დახმარებას სახელმწიფო დაზღვევის მიხედვით; კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამუშაო პერიოდები.

ძირითად ერთეულს სამუშაო წელიწადის გაანგარიშებისთვის წარმოადგენს თვე. მხოლოდ გამონაკლისის სახით მიღებულ თვეზე ნაკლები სამუშაო დღეები ხდება გათვალისწინებული სამუშაო წელიწადის ხანგრძლიობის განსაზღვრისას. სამუშაო წელიწადის გაანგარიშებისას მნიშვნელობა არ გააჩნია სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის ხანგრძლიობას.

სამშენებლო სანარდო ხელშეკრულება – სანარდო ხელშეკრულების ნაირსახეობა. სამშენებლო სანარდო ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ახალი მშენებლობის, ობიექტის (საწარმოს, შენობის, ნაგებობის, მიკრორაიონის და სხვა ობიექტების) რეკონსტრუქციის, კაპიტალური რემონტის სამუშაოები და ასევე სამშენებლო, სამონტაჟო, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების კომპლექსის შესრულება, არასტანდარტიზირებული მოწყობილობის დამზადება სამშენებლო პირობებში. ფასი ხელშეკრულებაში შეიძლება განისაზღვროს, როგორც მყარი ან მიახლოებითი. მყარი ფასი შეიძლება დადგინდეს საკონკურსო საფუძ-

ელზე ღია სანარდო ჯაჭრობის ჩატარების შედეგად ან შშკნებლობაზე დამტკიცებული ხარჯების ფარგლებში, რაც ცნობილია მენარდე. მყარი ფასი წარმოადგენს უცვლელს შშნებლობის მთელი პერიოდის მანძილზე. ფასში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მენარდის რისკის კომპენსაციის უზრუნველსაყოფი სახსრები, რაც გამოწვეულია ინფლაციური პროცესებით. ღია სახელშეკრულებო ფასი ზუსტდება შშნებლობის დროს ალურიცხვი ხარჯების წარმოქმნასთან დაკავშირებით. ხარჯების ღირებულების ყველა ცვლილება მენარდის მიერ მტკიცდება დოკუმენტალურად. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს სამუშაოს შესრულების საწყისი და საბოლოო ვადები. შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სამუშაოს ცალკეული ეტაპების დასრულების ვადები (შუალედური ვადები). სამშენებლო სანარდო ხელშეკრულება ითვლება დაუდებლად, თუ მასში არაა პირობა სამუშაოების შესრულების ვადის შესახებ.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ხორციელდება შშნებლობის ტექნიკური-ეკონომიკური დასაბუთების (ტედ) და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ღონისძიებები, რაც მტკიცდება ინვესტორის მიერ და გადის სახელმწიფო საუწყებო ექსპერტიზას. თუმცა, დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის არარსებობა არ წარმოადგენს უპირობო საფუძველს ხელშეკრულების დაუდებლად ცნობისთვის, თუ აუცილებელი სამუშაოები ცნობილი იყო მხარეებისთვის, დამკვეთისთვის კი ცნობილია ტიპიური პროექტი. დამკვეთს უფლება აქვს შეკვეთოს დოკუმენტაცია დამატებითი სამუშაოების გათვალისწინებით, მაგრამ შშნებლობის საერთო ღირებულების არა უმეტეს 10% ოდენობით. დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა სამუშაოების ღირებულების 10%-ზე მეტი მოცულობით ხდება მხარეების შეთანხმებით და ფორმდება დამატებითი შეთანხმებით.

შშნებლობის უზრუნველყოფას მასალებით, ნაკეთობებითა და კონსტრუქციებით ახორციელებს მენარდე, ხოლო საინჟინრო და ტექნოლოგიური მოწყობილობით – დამკვეთი. მიღებული და გადახდილი ნაწილის ობიექტის დაცვას ახორციელებს დამკვეთი, სხვა ქონების დაცვას – მენარდე დამკვეთის ხარჯზე. ხარისხზე კონტროლის ღონისძიებები ხორციელდება არქიტექტორის მონაწილეობით. თუ დადგენილი არაა საგარანტიო ვადა, სამუშაოს შედეგის ნაკლოვანებებთან დაკავშირებული მოთხოვნები შეიძლება წაყენებულ იქნეს დამკვეთის მიერ მენარდისთვის, გონიერულ ვადაში აღმოჩენის დროს. ჩაბარება ხორციელდება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მონაწილეობით. თუ ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს აქტის ხელმოწერაზე, მასში კეთდება შენიშვნა ამის შესახებ და აქტს ხელს აწერს მეორე მხარე. ცალმხრივი აქტი შეიძლება ცნობილ იქნეს სასამართლოს მიერ ბათილად, თუ აქტზე ხელმოუწერლობის მოტივები მის მიერ ცნობილი ხდება დასაბუთებულად. იხ. ასევე სანარდო ხელშეკრულება.

სამხედრო დანაშაულები – სისხლისსამართლებრიგად დასჯადი ქმედებები, დანაშაულები სამხედრო სამსახურის გაელის დადგენილი წესის წინააღმდეგ, რომლებიც ჩადენილია სამხედრო მოსამსახურეების და ასევე თადარიგში მყოფი მოქალაქების მიერ, სამხედრო შეკრებების გაელის დროს.

სამხედრო ნაწილის მეთაურობის დაკვირვება (რუსეთის და ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლებრივი დევნის პრაქტიკა) სისხლის სამართლის ხასიათის აღმკვეთი ღონისძიება.

სამხედრო ნაწილის მეთაურობის დაკვირვების აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდება დასაშვებია მხოლოდ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის თანხმობით.

სამხედრო ნაწილის მეთაურობის დაკვირვების განხორციელება უჭვმიტანილსა თუ ბრალდებულზე, რომელიც წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურეს ან მოქალაქეს, რომელიც გადის სამხედრო შეკრებას მდგომარეობს ამ პირის მიერ შემდეგი ვალდებულებების შესრულებაში: ა) დანიშნულ დროს გამოცხადეს მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის გამოძახებით და სასამართლოში; ბ) სხვა ეზით არ აღუდგეს წინ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას. დადგენილება აღმკვეთი ღონისძიების შოცემული სახის არჩევის შესახებ ეგზავნება სამხედრო ნაწილის მეთაურობას, რომელსაც განემარტება ეჭვის ან ბრალდების არსი და მისი ვალდებულებები მოცემული აღმკვეთი ღონისძიების აღსრულების მხრივ. თუ ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა ჩაიდინა ქმედებები, რომელთა თაკიდან ასაცილებლადაც იქნა არჩეული მოცემული სახის აღმკვეთი ღონისძიება, სამხედრო ნაწილის მეთაურობა ამას დაუყოვნებლივ აცნობებს ორგანოს, რომელმაც შეუფარდა მას ასეთი სახის აღმკვეთი ღონისძიება.

სამხედრო ქონების დაკარგვა – დანაშაული სამხედრო ქონების გაფრთხილების წესის წინააღმდეგ.

ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს იარაღის, საბრძოლო მასალების, სამხედრო ტექნიკის საგნების შენახვის წესის დარღვევაში, ასევე მათ დაკარგვაში, რაც შეიძლება იყოს, როგორც მოქმედების, ასევე უმოქმედობის შედეგი. სამხედრო ქონების შენახვის წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ქონების უმეთვალყურეოდ მიტოვებაში, მისი ტრანსპორტირების პირობების შეუსრულებლობასა თუ არასათანადო შესრულებაში, სამხედრო ტექნიკის ტექნიკური უზრუნველყოფის მოქმედებების არადროულ შესრულებაში და ა.შ.

თუ იარაღი, საბრძოლო მასალები, სამხედრო ტექნიკის საგნები ჩაბარებული იყო არა სამსახურებრივი გამოყენებისთვის, არამედ სხვა მიზნით, ასეთი ქონების დაკარგვა გაუფრთხილებლობით არ წარმოქმნის განხილული დანაშაულის შემადგენლობას.

დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა სამსახურებრივი გამოყენებისთვის ჩაბარებული იარაღის, საბრძოლო მასალების ან სამხედრო ტექნიკის საგნების შენახვის წესების დარღვევასა და მათ დაკარგვას შორის. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არარსებობა არ წარმოქმნის დანაშაულის შემადგენლობას.

სანაღირო ადგილები – ყველა მიწის, ტყის და წყლით დაფარული ფართობი, რომელიც წარმოადგენს გარეული ცხოველებისა და ფრინველების

საკანის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს სანადირო მეურნეობის წარმართვისთვის. სანადირო ადგილები იყოფა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე განმტკიცებულად, რომლებშიც ნადირობა ხდება ამ ორგანიზაციების მიერ გაცემული ნებართვებით; საერთო სარგებლობის ადგილებად, რომლებშიც ნებადართულია ყველა მოქალაქისთვის ნადირობისთვის დადგენილი წესით; ნადირობისთვის დახურული ადგილებით (ნაკრძალები და მწვანე ზონები). სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე სანადირო ადგილების განმტკიცება ხდება სანადირო ადგილების ეკონომიკური გამოკვლევის ბაზაზე მათი შემდგომი მოწყობისა და სანადირო მეურნეობების ორგანიზებისთვის, მათში გარეული ფრინველებისა და ცხოველების დაცვის, მოშენებისა და ნორმირების ღონისძიებების ჩატარებით.

სანადირო მეურნეობა – სახალხო მეურნეობის დარგი, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფოს მოთხოვნების უზრუნველყოფა ბეწვეულისა და ნადირობის სხვა პროდუქციის მხრივ. ამ მიზნით ხდება სანადირო ადგილების მოწყობა, დაცვა, განახლება და გარეული ფრინველებისა და მხეცების მარაგის რაციონალური გამოყენება.

სანადირო ფონდი იხ. სახელმწიფო სანადირო ფონდი,

სანარდო ფასდება – შრომის ანაზღაურების ფორმა, რომელიც წარმოადგენს პროდუქციის (ნაწარმის) ერთეულის დამზადებაზე ან სათანადო ხარისხის გარკვეული ოპერაციის შესრულებაზე მუშაკისთვის განკუთვნილი ფულადი ანაზღაურების ოდენობა, რომელიც განისაზღვრება გაანგარიშების გზით. სანარდო ფასდება დამოკიდებული არაა იმაზე, თუ რადის შესრულდა შესაფასებელი სამუშაო: დღისით, ღამით ან ზეგანაკეთეურ დროს. ამასთან, შრომის ნორმების ან სატარიფო განაკეთების (სარგოს) ცვლილება იწვევს სანარდო ფასდების შესაბამის გადაანგარიშებას.

სანარდო ფასდების სიდიდე პირდაპირ კავშირშია სატარიფო განაკეთ-ოდენობასა და დროის ნორმასთან, ასევე უკუკავშირშია გამომუშავების ნორმასთან. სანარდო ფასდების შემცირებას ან გაზრდას იწვევს დროის ნორმათა შემცირება ან მომატება.

სანარდო ფასდება, ისევე როგორც გამომუშავების ნორმები დგინდება მუშაკებისთვის მოცემულ ორგანიზაციაში მიღწეული ტექნიკის დონის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზების შესაბამისად. მათი გადახედვა შეიძლება ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის სრულყოფის ან დანერგვის, სხვა საორგანიზაციო ღონისძიებების გატარების მიხედვით, ასევე ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მოწყობილობის გამოყენების შემთხვევაში, ცალკეული მუშაკების მიერ, მათი ინიციატივით, შრომის ახალი ხერხებისა და სამუშაო ადგილების სრულყოფის ხარჯზე პროდუქციის გამომუშავების მაღალი დონის მიღწევა არ იწვევს ადრე დადგენილი შრომის ნორმებისა და სანარდო ფასდების გადახედვას.

ლოკალური ნორმატიული აქტები, რომლებიც ითვალისწინებენ შრომის ნორმების, ასევე სანარდო ფასდების შემოღებას, შეცვლასა და გადახედვას მიიღება სამუშაოს მიმცემის მიერ მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოს აზრის გათვალისწინებით. სანარდო ფასდების განსაზღვრისთვის აუცილებელია ვიცოდეთ: რა განრიგით შესრულდა სამუშაო, როგორია სატარიფო განაკეთების (საათობრივი, დღიური) ოდენობა მოცემული განრიგით, საჭიროა ამ კვალიფიკაციის შრომის ნორმა (დროის, გამომუშავების ნორმა). შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემის ალნიშნული ელემენტების საფუძველზე განისაზღვრება სანარდო ფასდება. მისი განსაზღვრისთვის საჭიროა შესასრულებელი სამუშაოს განრიგის სატარიფო განაკეთი (საათობრივი, დღიური) გაიყოს გამომუშავების (საათობრივი, დღიური) ნორმაზე. თუ შრომა ნორმირებულია დროის ნორმის დადგენის გზით, სანარდო ფასდება იქნება დროის ნორმაზე (საათებში ან დღეებში) სატარიფო განაკეთის (საათობრივი, დღიური) გამრავლებისგან წარმოებულის ტოლად. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, სატარიფო განაკეთის ოდენობა განსაზღვრული ხდება შესრულებული სამუშაოს განრიგით.

სანარდო ფასდება განისაზღვრება იმისთვის, რომ გაანგარიშებულ იქნეს მუშა-შენარდის ხელფასი. ის გაანგარიშებულ უნდა იქნეს სანარდო ფასდების წარმოებული პროდუქციის (შესრულებული ოპერაციების) რაოდენობაზე გამრავლების გზით, თუ ესაა შრომის ანაზღაურების პირდაპირი სანარდო სისტემა. შრომის ანაზღაურების სანარდო-პროგრესული სისტემის გამოყენებისას პროდუქციის (შესრულებული ოპერაციების) რაოდენობა ნორმის ფარგლებში ნაზღაურდება ნორმალური სანარდო ფასდებების მეშვეობით, ხოლო მას ზემოთ – მზარდის მიხედვით (შრომის ანაზღაურების შესახებ დებულების თანახმად). შრომის კოლექტიური სანარდო ანაზღაურების გამოყენებისას შრომის ანაზღაურება ხდება კოლექტიური სანარდო ფასდების საფუძველზე. მათი განსაზღვრისთვის საჭიროა ბრიგადის თითოეული წევრის სატარიფო განაკეთის ოდენობა და გამომუშავების კომპლექსური ნორმა (პროდუქციის გამომშვების, შესრულებული ოპერაციების ნორმა). კოლექტიური სანარდო ფასდება შეადგენს ბრიგადის ყველა წევრის სატარიფო განაკეთის საერთო ოდენობის მოცემულ ობიექტზე (აგრეგატზე, მექანიზმზე) პროდუქციის გამომუშავების ანუ ბრიგადის, რგოლის მიერ გამოშვებული პროდუქციის ნორმაზე გაყოფისგან მიღებულ განაყოფს.

18 წლამდე ასაკის მუშაკთა შრომა, რომლებიც დაშვებულნი არიან სანარდო სამუშაოებზე ანაზღაურებები ხდება დადგენილი სანარდო ფასდებით. სამუშაოს მიმცემს შეუძლია დაადგინოს მათზე საკუთარი სახსრების ხარჯზე დამატებითი გადახდის წარმოება იმ დროის სატარიფო განაკეთამდე, რომლითაც მცირდება მათი ყოველდღიური მუშაობის სანგრძლივობა.

სანიტარული დაცვის ზონა მაიონიზირებელი გამოსხივების წყაროს ირგვლივ – ტერიტორია დასახლებული წყაროს ირგვლივ, რომელზეც ადამიანთა დასხივების დონემ მოცემული წყაროს ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში შეიძლება გადააჭარბოს დასხივების დონის მოსახლეობისთვის დადგენილ ზღვარს. ამ სანიტარული დაცვის ზონაში აკრძალულია ადამიანთა მუდმივი და დროებითი ცხოვრება, შემოღებულია სამეურნეო საქმი-

ანობის შეზღუდვის რეჟიმი და ხდება რადიაციული კონტროლი.

სანიტარული ეპიდემიის საფინანსო-ეკონომიკური (პროფილაქტიკური) ღონისძიებები – საორგანიზაციო, ადმინისტრაციული, საინჟინრო-ტექნიკური, მედიკო-სანიტარული, ეპიზერიზაციული და სხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ადამიანზე გარემოს მავნე ფაქტორების გავლენის აღმოფხვრასა თუ შემცირებაზე, ინფექციური და მასიური არაინფექციური დაავადებების (მოწამვლათა) წარმოქმნისა და გავრცელების თავიდან აცილებაზე და მათ ლიკვიდაციაზე.

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სანიტარულ წესებთან გარემოს ფაქტორების, სამეურნეო და სხვა საქმიანობის, პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების, ასევე ნორმატიული აქტების, ობიექტების შეფებლობის პროექტების, საექსპერტიზო დოკუმენტაციის შესაბამისობას (შეუსაბამობას).

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარება – მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოს მდგომარეობა გარკვეულ ტერიტორიაზე კონკრეტულად მითითებულ დროს.

სანიტარული (სამთო-სანიტარული) დაცვის ოლქი განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორია მეურნეობის მართვის, ცხოვრების, ბუნებათსარგებლობის რეჟიმის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ბუნებრივი სამკურნალო რესურსებისა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილის, კურორტის, საკურორტო რეგიონის (რაიონის) დაცვასა და შენარჩუნებას. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილებისა და კურორტებისთვის, სადაც სამკურნალო რესურსები განეკუთვნება წიაღს (მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები და სხვ.), დგინდება სამთო-სანიტარული დაცვის ოლქები, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში – სანიტარული დაცვის ოლქები. სანიტარული (სამთო-სანიტარული) დაცვის ოლქი წარმოადგენს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილის, კურორტის, საკურორტო რეგიონის (რაიონის) საზღვარს.

სანქცია – სამართლებრივი ნორმის ნაწილი, რომელშიც განისაზღვრება მისი დარღვეისა თუ შეუსრულებლობის შედეგები, გათვალისწინებულია სახელმწიფო ზემოქმედების გარკვეული ზომები დამრღვევებთან მიმართებაში. სანქცია ყოველთვის გამოხატავს სახელმწიფოს რეაქციას მისი უფლებამოსილი სასამართლო, სამართალდამცავი და სხვა ორგანოების სახით მოქალაქეების ან მათი ორგანიზაციების მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე. ის წარმოადგენს არა მხოლოდ ცალკეული იურიდიული ნორმების, არამედ მთელი სამართლის განუყოფელ ნიშანს: ანიჭებს მათ ზოგადსაკანონმდებლო ხასიათს.

სანქციები, ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების დროს – ჯარიმები, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების კონტრაქტით და რომელთა სიდიდე იზრდება ვალდებულების შესრულების ვადის გასვლის სანგრძლივობასთან ერთად, მაგრამ არ აღემატება დარჩენილი მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 8-10%-ს. ჯარიმის გადახდასთან ერთად, ვალდებულების დამრღვევს აზღვეინებენ აგრეთვე მიყენებული ზარალს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამავე დროს, ჯარიმის გადახდა და მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მიწოდების ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს მიწოდების ვალდებულების შესრულებისაგან.

სანქციები [ლათ. sanctio დაურღეეველი, უმკაცრესი დადგენილება < sancire დადგენა, წმინდად ქცეეა] 1)პიროვნებაზე, ორგანიზაციაზე, სახელმწიოზე ზემოქმედების ზომები; ნეგატიური ს. მიმართულია საზოგადოებრივი ნორმების გადახვეევის წინააღმდეგ (მაგ. პროკურორის ს. დასაპატიმრებლად ან გასაჩხრეკად), ხოლო პოზიტიური ს. ეწევა საზოგადოების ან საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ მოწონებული ნორმებიდან გადახვეევის სტიმულაციას; ფორმალურ ს.-ს ადებს ოფიციალური ორგანო, ხოლო არაფორმალური ს. ელინდება ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის, მეგობრების, მეზობლების რეაქციის მიხედეით; სახელმწიფოს მიმართ გამოიყენება ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო ს. მის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების ან საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღეეისას; 3) რ-მე აქტების დამტკიცება ან ნებართვის მიცემა უმაღლესი ინსტანციის მიერ, რაც ამ აქტების კანონის ძალას ანიჭებს; 4) სანქცია – რ-შეს მოწონება.

სანქციონირება [< ლათ. sanctio დაურღეეველი, წმინდად ქცეეა] დამტკიცება; მოწონება, სწორედ ან კანონიერად ცნობა; ნებართვის მინიჭება, სანქციის მიცემა.

საორგანიზაციო მექანიზმი ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ადამიანთა ქცევაზე ზემოქმედების საორგანიზაციო ღონისძიებების სისტემა ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

საოჯახო კანონმდებლობა – საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც შეიცავენ საოჯახო სამართლის აქტებს. საოჯახო კანონმდებლობის შინაარსი წარმოქმნის მხოლოდ იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც ასახავენ ოჯახური ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების სპეციფიკას და შესაბამისად გამოიყენება მხოლოდ ოჯახურ ურთიერთობებთან მიმართებაში. ასეთი სამართლებრივი ნორმები შედის ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში, რომლებიც მათი იურიდიული ძალის მიხედვით განლაგებულია მკაცრად განსაზღვრულ იერარქიულ სისტემაში: კონსტიტუცია; საერთაშორისო კონვენციები, რომელთა მონაწილესაც წარმოადგენს სახელმწიფო; საოჯახო კოდექსი; სახელმწიფოს კანონები; პრეზიდენტის ბრძანებულებები და მთავრობის დადგენილებები; საუწყებო ნორმატიული აქტები.

საპასპორტო სისტემა – წესების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეთა პიროვნების დადასტურების წესსა და ფორმას და შესაბამისი დოკუმენტების სახეებს, ასევე ამ დოკუმენტების გამოყენების, მათი გაცემის, გაცვლის, შენახვისა და ამოღების წესს. საპასპორტო სისტემა მოიცავს მოსახლეობის სარეგისტრაციო აღრიცხვის წესებს მოქალაქეების დაბადებისა და ყოფნის ადგილის მიხედვით. საპასპორტო სისტემის ამოცანებია პირობების შექმნა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კონსტიტუციური ვალდებულებების რეალიზაციისთვის, კანონიერების უზრუნველსაყოფად, სამართალდარღვევებთან საბრძოლველად, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების განსამტკიცებლად.

საპასუხისმგებლო შენახვა – მიწოდების ხელშეკრულებაში დროებით, მყიდველის მიერ უადაზე ადრე, მისი თანხმობის გარეშე ან შეუკვეთაეი საქონლის მიღება საქონლის ბუღის შემდგომი განსაზღვრისთვის., მიმწოდებელი ვალდებულია მყიდველის (მიმღების) მიერ, საქონელი გაიტანოს შესანახად ან განკარგოს ის გონიერულ ვადაში. თუ ამ ვადაში მიმწოდებელი არ განკარგავს საქონელს, მყიდველს უფლება აქვს მოახდინოს საქონლის რეალიზაცია ან ის დაახრუნოს მიმწოდებელთან. საქონლის საპასუხისმგებლო შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც გასწია მყიდველმა ექვემდებარება ანაზღაურებას მიმწოდებლისაგან. ამასთან, საქონლის რეალიზაციისგან მიღებული თანხა გადაეცემა მიმწოდებელს მყიდველისთვის კუთვნილი თანხის გამოქვითვით.

საპატენტო ბაჟი – ფულადი გადასახადი, რომელიც გადაეხდეინებათ საპატენტო კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოგონებების დაპატენტებაზე, საეაჭრო ნიშნების რეგისტრაციისათვის და სხვ.

საპატენტო უფლება – სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომლებიც არეგულირებენ ქონებრივ და ასევე მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს გამოგონებების, სასარგებლო მოდელებისა და სამრეწველო ნიმუშების შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით. საპატენტო უფლებას საქმე აქვს არამატერიალური კეთილდღეობების დაცვასა და გამოყენებასთან, რომლებიც წარმოადგენენ ინტელექტუალური შემოქმედების პროდუქტებს. გამოგონებები, სასარგებლო მოდელები და სამრეწველო ნიმუშები არის აზროვნებითი საქმიანობის შედეგები, ამა თუ იმ ტექნიკური ან მხატვრულ-კონსტრუქციული ამოცანების იდეალური გადაწყვეტა. ამ გადაწყვეტის შინაარსი ხდება საპატენტო უფლების დაცვის საგანი.

საპორტფელო ინვესტიციები – კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდებანი საზღვარგარეთის სამრეწველო, სატრანსპორტო, სოფლის მეურნეობის, საკრედიტო და სხვა სფეროებში.

საპროექტო დოკუმენტაცია – ნორმატიულად დადგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო ექსპერტიზის, წინასაპროექტო და საპროექტო დოკუმენტების მიზნებისთვის, შენობების, ნაგებობების, საწარმოების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, გაფართოების, კაპიტალური რემონტისა და ტექნიკური გადაიარაღების, ასევე საშიში საწარმოო ობიექტების კონსერვაციისა და ლიკვიდაციის პროექტი (სამუშაო პროექტი).

საპროცენტო განაკვეთი – ანაზღაურების ოდენობა ფულადი ან მატერიალური სესხისათვის, რომელსაც მსესხებელი უხდის გამსესხებელს (კრედიტორს). საბანკო საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს ბანკის სასესხო პროცენტის ოდენობას, რომელსაც მას უხდის მისი საკრედიტო რესურსებით სარგებლობისათვის. პროცენტის წყაროა ზედმეტი ღირებულება, რომელიც წარმოიქმნება გასესხებული სახსრების საწარმოო გამოყენებისას, სამეწარმეო შემოსავლის გამოკლებით. საპროცენტო განაკვეთი უნაზღაურებს კრედიტორს ფულადი სახსრების დაუყოვნებლივი რეალიზაციის უფლების დაკარგვას და მათ საინფლაციო გაუფასურებას კრედიტის მოქმედების პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე რისკს დაკავშირებულს კრედიტის გაცემასთან. ეკონომიკაში ცნობილია ე.წ. ,,საბაირო'' საპროცენტო განაკვეთის ცნება, რომელიც წარმოადგენს ძირითად ფონდებში განთავსებული ინვესტიციებისგან შემოსავლის მინიმალურ მისაღებ ოდენობას. პროექტი მიიღება ინვესტირებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უზრუნველყოფს შემოსავლიანობას არა უმცირეს ,,საბერიერო'' განაკვეთისა. საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე გავლენას ახდენენ, როგორც ზოგად-ეკონომიკური ფაქტორები (სამეურნეო კონიუქტურის მდგომარეობა, მოგების ნორმის დინამიკა და სხვ.), ასევე სპეციფიკური ფაქტორები (მოცულობა, ვადა, საკრედიტო რისკის დონე, სესხის სახეობა). საპროცენტო განაკვეთის სისტემა კლასიფიცირდება სასესხო ოპერაციების ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე, აგრეთვე სასესხო გარიგებების შესრულების ვადებიდან და იმ ბაზრის ტიპებიდან გამომდინარე, სადაც ეს ოპერაციები სრულდება. საპროცენტო განაკვეთი შეიძლება იყოს ფიქსირებული კრედიტის მთელი ვადის განმავლობაში, ან მცურავი – პუდმივად ცვალებადი საბაზრო კონიუქტურის შესაბამისად. მცურავი საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების გაცემისას. მისი სიდიდე არ ფიქსირდება კრედიტის მთელი ვადისათვის, არამედ პერიოდულად გადაისინჯება კრედიტორისა და მოვალის მიერ შეთანხმებულ დროის მონაკვეთებში. დროის პერიოდს, რომლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთის სიდიდე მუდმივი რჩება (უოთავრესად 3-6 თვე) ეწოდება **საპროცენტო პერიოდი**. მცურავი საპროცენტო განაკვეთი შედგება საბაზისო განაკვეთისგან – როგორც წესი ლიბორი (ბანკთაშორისი საკრედიტო განაკვეთი ლონდონის ბანკთაშორის ბაზარზე. აღნიშნული ტერმინი გამოიყენება ანალოგიური განაკვეთების მიმართ სხვა ბანკთაშორის ბაზრებზე), და ფასთა მერყეობის ამპლიტუდის მაჩვენებლისაგან (სპრედი). მცურავი საპროცენტო განაკვეთების გაჩენის მიზეზია ინფლაციის მაღალი ტემპები და სასესხო პროცენტის ოდენობის ცვალებადობა. ცნობილია აგრეთვე ანტისიპაციური საპროცენტო განაკვეთი, რომლის ოდენობა გამოთვლება ვალის საბოლოო ჯამიდან, მაგრამ საპროცენტო შემოსავალი გადაიხდება წინასწარ, პერიოდის დასაწყისში, კრედიტის გაცემის მომენტშიეე. ორივე განხილულ შემთხვევაში მთელი საპროცენტო რისკი აწევს მსესხებელს. დეკურსიული საპროცენტო განაკვეთით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალიც

გადაიხდება ერთჯერადად და არა პერიოდულად, მაგრამ განსხვავებით ანტისიპაციური განაკვეთისგან გადახდა წარმოებს არა პერიოდის დასაწყისში, არამედ ბოლოში, ძირითადი ვალის გადახდასთან ერთად.

ცალკეული ბანკები თავიანთი საპროცენტო განაკვეთის დადგენისას ამოდიან ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთებიდან. გარდა ზემოაღნიშნული ლონდონის ბანკთაშორისი ბაზრისა (ლიბორი), არსებობს სხვა ბანკთაშორისი ბაზრები, რომლებიც გაელენას ახდენენ საპროცენტო განაკვეთების ოდენობის დადგენაზე, მაგალითად, პარიზის ბირჟის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი (პიბორი) დგინდება ყოველდღე დილის თერთმეტ საათზე საფრანგეთის საბანკო ასოციაციის ეგიდით.

ბანკებს შეიძლება გააჩნდეთ დაკრედიტების საკმაოდ მოქნილი სისტემა, რომელიც მოიცავს (გარდა განხილული ფიქსირებული, მცურავი, ანტისიპაციური და დეკურსიული განაკვეთებისა) საპროცენტო განაკვეთების მრავალ ფორმას:

საბაზისო საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს უმცირესს საპროცენტო განაკვეთს კრედიტებზე, რომლებსაც კომერციული ბანკები აძლევენ მსხვილ და საიმედო კომპანიებს, კრედიტუნარიან კლიენტებს; ეს განაკვეთი, როგორც წესი, უფრო დაბალია, ვიდრე განაკვეთები სხვა სახეობის სესხებზე.

ფაქტური (ეფექტური) საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს კრედიტებზე, რომელიც მოიცავს კრედიტის მომსახურებისთვის საჭირო ხარჯებს (საბანკო კომისიები და სხვ).

სპეციფიკური საპროცენტო განაკვეთი გადაიხდება მხოლოდ ფულადი სახსრების გამოყენებისათვის დროის ხანგრძლივ პერიოდში და გამორიცხავს გადასახადებს დაკავშირებულს საკრედიტო რისკთან, ადმინისტრაციულ ხარჯებთან;

ფორვარდული საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება სადღეისოდ კრედიტისათვის, რომელიც გაიცემა დროის განსაზღვრულ მომენტში მომავალში.

გაუთვალისწინებელი საპროცენტო განაკვეთი ექვემდებარება ცვლილებებს გარკვეული მოვლენის შედეგად, რომლის დადგომა სავარაუდოა, მაგრამ აუცილებელი არაა.

ნომინალური საპროცენტო განაკვეთი გამოიხატება ვალუტაში მიმდინარე კურსით საინფლაციო შესწორებების გაუთვალისწინებლად.

რეალური საპროცენტო განაკვეთი გამოხატული ფულადი ოდენობით ინფლაციის გათვალისწინებით;

სალომბარდო საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება კრედიტებზე, რომლებსაც ცენტრალური ბანკი აძლევს კომერციულ ბანკებს უმაღლესი კლასის ფასიანი ქაღალდების გირაოს პირობით. სალომბარდო კრედიტი გამოიყენება კომერციული ბანკების გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად და არა როგორც სისტემატური რეფინანსირების ფორმა.

ფედერალური ფონდების საპროცენტო განაკვეთი აშშ-ში წარმოადგენს ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი ბანკების ურთიერთდაკრედიტებისას გამოყენებულ განაკვეთს.

რაც შეეხება სადეპოზიტო საპროცენტო განაკვეთებს, ოგიეე ამერიკის შეერთებულ შტატებში მათ ადგენს აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭო, დეპოზიტების სადაზღვევო კორპორაციების ფედერაცია, საბინაო დაკრედიტების ფედერალური ბანკის გამგეობა და ნაციონალური საკრედიტო მაგიდის ადმინისტრაცია. კომერციულ ბანკებში, ურთიერთშემნახველ ბანკებში, საკრედიტო ასოციაციებში და საანაბრო კავშირებში განთავსებულ სადეპოზიტო და საანაბარო ანგარიშებზე მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების გარანტი არის აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა.

სადეპოზიტო საპროცენტო განაკვეთი შეიძლება იყოს უარყოფითი, როდესაც ბანკი ანაბრის მფლობელს, როგორც თავის კრედიტორს ტრადიციულად კი არ უხდის, არამედ ახდევინებს პროცენტს დეპოზიტის განთავსებისა და შენახვის მომსახურებისათვის. უარყოფითი საპროცენტო განაკვეთი ეწოდება ავრეთვე რეალურ საპროცენტო განაკვეთს დეპოზიტებზე და კრედიტებზე, ავრეთვე ობლიგაციების მომგებიანობის განაკვეთს, გამოანგარიშებულს გარკვეული ვადის განმავლობაში, ინფლაციის პირობებში, როდესაც ფულის გაუფასურების ტემპი შესაბამის პერიოდში გამოხატული, პროცენტულად აღემატება მინიმალური საპროცენტო განაკვეთის ოდენობას.

საპროცესო გადაწყვეტილება – სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად საქმის გარემოებების ყოველმხრივი, ობიექტური გამოკვლევის შემდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული ზღების სათათბირო ოთახში, სადაც შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლე ან სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი მოსამართლეები. სათათბირო ოთახში დაუშვებელია სხვა პირთა დასწრება.

სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული. სასამართლო აფუძნებს გადაწყვეტილებას იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც გამოკვლეულ იქნა სასამართლო სხდომაზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისგან. შესავალ ნაწილში უნდა იყოს მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს დასახელება, სასამართლოს შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, საქმეში მონაწილე სხვა პირები, მათი წარმომადგენლები, დავის საგანი ან განცხადებული მოთხოვნა. სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერითი ნაწილი შეიცავს მითითებას მოსარჩელის მოთხოვნაზე, მოპასუხის საპირისპირო შეხედულებას და საქმეში მონაწილე პირთა განმარტებებს. სამოტივაციო ნაწილში მითითებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის გარემოებები; მტკიცებულებები, რომელთაც ეფუძნება სასამართლოს დასკვნები ამ გარემოებების შესახებ; მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებებს; კანონებს, რომლებითაც ხელმძღვანელობს სასამართლო. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში შეიძლება მითითებულ იქნეს მხოლოდ სარჩელის აღიარება და მისი მიღება სასამართლოს მიერ. სარჩელზე უარის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულია მხოლოდ სასამართლოს მიერ მოკვლეული გარემოებების დადგენა სასარჩელო ხანდაზმულობის ან სასამართლოში

მიმართვის ვადის გაელის მიზეზების ცნობასთან დაკავშირებით. სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელის სრულად თუ ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე ან უარის განცხადების შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილებაზე, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესს.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს თუ საქმისთვის მნიშვნელოვანი რა გარემოებებია დადგენილი და რომელი დაუდგენელი, როგორია მხარეთა სამართალდამოკიდებულება, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული მოცემულ საქმეზე და ექვემდებარება თუ არა სარჩელი დაკმაყოფილებას.

საპროცესო გარანტიები სამართლებრივი საშუალებები, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის სუბიექტებს უზრუნველყოფენ ვალდებულების შესრულებისა და სამართლის გამოყენების შესაძლებლობით. ფუძემდებლური ნორმები განმტკიცებულია კონსტიტუციაში. ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს უფლება აქვს დაიცვას თავისი უფლებები, როგორც პირადად, ასევე დამცველისა და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

უმნიშვნელოვანეს საპროცესო გარანტიებს წარმოადგენს: ა) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის უფლება იცოდეს, თუ რაშია ის ეჭვმიტანილი და ბრალდებული დამცველი; ბ) სასამართლო კონტროლი აღმკვეთი ღონისძიების შერჩევაზე; გ) სასამართლო განხილვის მონაწილეთა უფლებების თანასწორობა; დ) სასამართლოსთვის უფლების მიცემა ბრალდებული გამოაცხადოს დამნაშავედ; ე) სახელმწიფო ორგანოების მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა.

საპროცესო გარანტიებს უზრუნველყოფენ პირები, რომლებიც წარმართავენ სამართალწარმოებას. ისინი: ა) განუმარტავენ საქმეში მონაწილე პირებს მათ უფლებებს; ბ) იღებენ ზომებს საქმის გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევისთვის; გ) იღებენ კანონიერ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს; დ) აუქმებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არღვევენ მოქალაქეთა უფლებებს. პროცესის წარმმართველი ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მისი მონაწილეები თაეიანთი უფლებების რეალიზების შესაძლებლობით.

საპროცესო დანახარჯები – სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელთა ანაზღაურებაც ხდება ბიუჯეტის ან სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეთა სახსრებით.

საპროცესო დანახარჯებს განეკუთვნება: ა) დაზარალებულისთვის, მოწმისთვის, მათი კანონიერი წარმომადგენლისთვის, ექსპერტისთვის, სპეციალისტისთვის, თარჯიმნისთვის, დამსწრეთათვის გადახდილი თანხები, რაც უკავშირდება მათ გამოცხადებას საპროცესო მოქმედებების წარმოების ადგილას და ცხოვრებას; ბ) თანხები, რომლებიც მუშაკებისა და მუდმივი ხელფასის მქონე დაზარალებულისთვის, მოწმისთვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის, დამსწრეთათვის ხდება გაცემული მათ მიერ ხელფასის ბოლომდე მიუღებლობის გამო, მოკლეების ორგანოში, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოცხადებასთან დაკავშირებით; გ) თანხები, რომლებიც გაიცემა შუამდგომელის არქონე დაზარალებულისთვის, მოწმისთვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. დამსწრეთათვის მათი ჩეულებრივი საქმიანობისგან მოწყვეტასთან დაკავშირებით; დ) ანაზღაურება, რომელიც გაიცემა ექსპერტისთვის, თარჯიმნისთვის, სპეციალისტისთვის მაო მიერ შესრულებულ ეალდებულებებზე სისხლის სამართლის სამართალწარმოების დროს, იმ შემთხვევების გარდა, როცა ეს ვალდებულებები მათ მიერ შესრულებული იყო სამსახურებრივი დავალების წესით; ე) ადეოკატისთვის გაცემული თანხები მის მიერ გაწეულ იურიდიულ დახმარებაზე, ადეოკატის სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში დანიშნულებისამებრ მონაწილეობის შემთხვევაში; ვ) ნივთმტკიცებულებების შენახვასა და გადაგზავნაზე დახარჯული თანხები; ზ) საექსპერტო დაწესებულებებში სასამართლო ექსპერტიზის წარმოებაზე დახარჯული თანხები; თ) სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს გაწეული სხვა ხარჯები.

თანხების გაცემა ხდება მოკლეების მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით.

საპროცესო დანახარჯების ანაზღაურება ხდება ბიუჯეტის ან განსასჯელთა ხარჯზე, თარჯიმნისა და დამცველისთვის გადახდილი თანხის გარდა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

განსასჯელის გამართლებისას სასამართლოს უფლება აქვს საპროცესო დანახარჯები გადაახდევინოს სრულად ან ნაწილობრივ – პირს, რომლის საჩივრითაც დაიწყო მოცემული სისხლის სამართლის საქმის წარმოება. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისას მხარეთა მორიგების გამო საპროცესო დანახარჯების გადახდა ეკისრება ორივე მხარეს ან ერთ-ერთს. პირის რეაბილიტაციისას საპროცესო დანახარჯების ანაზღაურება ხდება ბიუჯეტის ხარჯზე.

საპროცესო დანახარჯების ანაზღაურება ბიუჯეტის ხარჯზე ხდება პირის ქონებრივი შეუძლებლობისას, რომლისგანაც ის უნდა იქნეს აღებული. სასამართლოს უფლება აქვს გაათავისუფლოს მსჯავრდებული სრულად ან ნაწილობრივ საპროცესო დანახარჯების ანაზღაურებისგან, თუ ეს არსებით ასახეას პპოვებს იმ პირთა მატერიალურ მდგომარეობაზე, რომლებიც იმყოფებიან მსჯავრდებულის კმაყოფაზე.

საპროცესო ვადა – კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი დროის მონაკეეთი, რომელსაც გააჩნია იურიდიული მნიშვნელობა და გამოყოფილია ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისთვის. ვადების გაანგარიშება ხდება საათებით, დღეებით, თვეებით. დაპატიმრების, შინაპატიმრობის და სამედიცინო თუ ფსიქიატრიულ სტაციონარში ყოფნის ვადების გაანგარიშებისას მათში შედის არასამუშაო დროც. ვადა, რომელიც იანგარიშება დღეებით, იწურება ბოლო დღეების 24 სთ-ში. თვეებით გაანგარიშებათა ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, ხოლო თუ ამ თვეს არ გააჩნია შესაბამისი რიცხვი, ვადა იწურება ამ თვის ბოლო დღეს. თუ ვადის ამოწურვა მოდის არასამუშაო დღეზე, ვადის ბოლო დღედ ითვლება არასამუშაო დღის მომდევნო დღე დაკავების, დაპატიმრების, შინაპატიმრობის, სამედიცინო ან ფსიქიატრიულ სტაციონარში

ყოფნის ვადების გაანგარიშების შემთხვევების გარდა. დაკავებისას ვადა ინგარიშება ფაქტიური დაკავების მომენტიდან. ვადა არ ითვლება გაცდენილად, თუ საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ვადის ამოწურვამდე გადაეცემულია მათ მიღებაზე უფლებამოსილი პირისთვის, ხოლო დაპატიმრებული ან სამედიცინო თუ ფსიქიატრიულ სტაციონარში მყოფი პირებისათვის, თუ საჩივარი ან სხვა დოკუმენტი ვადის ამოწურვამდე ჩაბარებულია წინასწარი პატიმრობის ადგილის ან სამედიცინო თუ ფსიქიატრიული სტაციონარის ადმინისტრაციისთვის. ვადა შეიძლება გახანგრძლივებულ იქნეს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სპეციალო მიზეზით გაცდენილი ვადა უნდა აღდგეს მოკლეული მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის დადგენილების საფუძველზე, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე. ვადის აღდგენაზე უარის განცხადება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს კანონით დადგენილი წესით დაინტერესებული პირის შუამდგომლობით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება დადგენილი ვადის გაცდენით შეიძლება შეჩერებულ იქნეს გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ ვადის გადაწყვეტამდე.

საპროცესო თანამონაწილეობა – რამდენიმე მოსარჩელის მიერ ერთობლივად სარჩელის წამოყენება ან რამდენიმე მოპასუხესთან მიმართებაში. სამოქალაქო და საარბიტრაჟო სამართალწარმოებაში თანამონაწილეობისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ა) თანამონაწილეები (თანამოსარჩელეები, თანამოპასუხეები) წარმოადგენენ იმ სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს, რომლებიც შედიან სასამართლო განხილვის საგანში; ბ) თანამონაწილეები მონაწილეობენ ერთსა და იმავე პროცესში; გ) ერთ-ერთ თანამონაწილის ვალდებულება ან მოთხოვნის უფლება არ გამორიცხავს დანარჩენი თანამონაწილეების მოთხოვნის უფლებებს ან პასუხისმგებლობას. მატერიალურ-სამართლებრივი დამოკიდებულების მიხედვით, რომლის თაობაზეც წარმოიქმნა დავა, საპროცესო თანამონაწილეობა შეიძლება იყოს სავალდებულო ან ფაკულტატიური. სავალდებულო თანამონაწილეობა წარმოიქმნება მაშინ, როცა საკითხი მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ შეიძლება გადაწყდეს იმ პირობით, თუ სასამართლო ერთობლივად განიხილავს თანამოსარჩელეთა მოთხოვნებს ან თანამოპასუხეთათვის წაყენებულ მოთხოვნებს. ფაკულტატიური თანამონაწილეობა ნიშნავს, რომ თითოეული მხარის საკითხი უფლებისა და ვალდებულების შესახებ შეიძლება გადაწყდეს ცალ-ცალკე, მაგრამ საპროცესო მიზანშეწონილობის მოსაზრებებიდან გამომდინარე მხარეთა მოთხოვნები ერთიანდება. თითოეული თანამონაწილე წარმოადგენს პროცესის დამოუკიდებელ სუბიექტს და თითოეულ მათგანს გააჩნია მხარის ყველა უფლება და ვალდებულება. თანამონაწილეებმა საქმის წარმართვა შეიძლება დაავალოს ერთ-ერთ თანამონაწილეს.

საპროცესო მოქმედება – საგამობიებო, სასამართლო ან სხვა სახის მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონით.

საპროცესო სამართალმემკვიდრეობა საპროცესო უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე გარკვეულ შემთხვევებში (მოქალაქის სიკვდილი, იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტა, მოთხოვნის დათმობა და ა.შ.). საპროცესო სამართალმემკვიდრეობა შესაძლებელია, თუ სასამართალმემკვიდრეობა უშვებს მატერიალურ სამართალდამოკიდებულებას. სამართალმემკვიდრეობისგან განსხვავებით მატერიალურ სამართალში არ შეიძლება იყოს ნაწილობრივი საპროცესო სამართალმემკვიდრეობა. სამოქალაქო საპროცესო სამართალმემკვიდრეობის დროს ერთი პირიდან მეორეზე გადადის საპროცესო უფლებებისა და ვალდებულებების მთელი ერთობლიობა. საპროცესო სამართალმემკვიდრეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა უკვე წარმოიქმნა პროცესი კონკრეტულ საქმეზე.

საპენსიო ხელშეკრულება შეთანხმება არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ფონდსა და მის მეანაბრეს შორის, რომლის შესაბამისადაც შეანაბრე ვალდებულია შეიტანოს ფონდში საპენსიო შენატანები დადგენილ ვადებში განსაზღვრული ოდენობით, ხოლო ფონდი ვალდებულია გადაუხადოს მონაწილეს არასახელმწიფო პენსია. საპენსიო ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს: მხარეთა შეთანხმებას; ცნობებს ხელშეკრულების საგნის შესახებ; დებულებებს მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ; დებულებებს საპენსიო შენატანების წესისა და შეტანის პირობების შესახებ; საპენსიო სქემის სახეს; საპენსიო საფუძვლებს; დებულებებს არასახელმწიფო პენსიების გადახდის წესის შესახებ; დებულებებს მხარეთა პასუხისმგებლობის შესახებ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე; ხელშეკრულების მოქმედებისა და შეწყვეტის ვადებს; დებულებებს ხელშეკრულების ცვლილებისა და გაწყვეტის წესისა და პირობების შესახებ; დებულებებს დავების დარეგულირების წესის თაობაზე; მხარეთა რეკვიზიტებს.

საპყრობილე – გამოსასჯორებელი დაწესებულების ნაირსახეობა, რომელიც გათვალისწინებულია სასჯელის მოსახდელად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენაზე, დანაშაულების განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლებაააყვეთილი და ასევე გამოსასწორებელი კოლონიებიდან სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი მსჯავრდებულისთვის.

სარგებლიანობა – საქონლის მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ მის უნარს, დააკმაყოფილოს ესა თუ ის მოთხოვნილება.

სარგებლის შემძენი – პირი, რომლის სასარგებლოდაც დადებულია პირადი ან ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულება. სარგებლის შემძენი წარმოადგენს მესამე პირს ხელშეკრულებაში და მას უნდა ჰქონდეს სადაზღვევო ინტერესი. სარგებლის შემძენი იძენს უფლებებსა და ვალდებულებებს მხოლოდ ამაზე თანხმობის არსებობისას. ამ შემთხვევაში დამზღვევს უფლება აქვს მოითხოვოს სარგებლის შემძენისგან, მაშინაც კი, როცა სარგებლის შემძენი წარმოადგენს დაზღვეულ პირს, დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის, მზღვეველზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მაგრამ მის მიერ

შეუსრულებელს, ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულებით სადაზღვევო ანაზღაურების ან პირადი დაზღვევის ხელშეკრულებით სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე სარგებლის შემძენისგან მოთხოვნის წამოყენებისას. იმ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არადროული შესრულების შედეგების რისკზე, რომლებიც უნდა იყოს შესრულებული, პასუხს აგებს სარგებლის შემძენი.

სარგებლის შემძენის სასარგებლოდ დაზღვევის ხელშეკრულების დასკვნა იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას წარმოადგენს დაზღვეული პირი არ ანთავისუფლებს დამზღვევს ამ ხელშეკრულებით ვალდებულებების შესრულებისგან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული ან დამზღვევის ვალდებულებები შესრულებულია პირის მიერ, რომლის სასარგებლოდაც დადებულია ხელშეკრულება; დამზღვევს უფლება აქვს შეცვალოს სარგებლის შემძენი სხვა პირით, ამის შესახებ წერილობით აცნობებს რა დამზღვევს. პირადი დაზღვევის ხელშეკრულებით სარგებლის შემძენის შეცვლა რომელიც დანიშნულია დაზღვეული პირის თანხმობით, დასაშვებია მხოლოდ ამ პირის თანხმობით. სარგებლის შემძენი არ შეიძლება შეიცვალოს სხვა პირით მას შემდეგ, რაც მან შეასრულა რაიმე ვალდებულება დაზღვევის ხელშეკრულებით ან დამზღვევს წაუყენა მოთხოვნა სადაზღვევო ანაზღაურების ან თანხის გადახდის შესახებ. იხ. ასევე დაზღვევა, პირადი დაზღვევის ხელშეკრულება, ქონების დაზღვევის ხელშეკრულება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, დამზღვევი, დაზღვეული პირი, მზღვეველი, სადაზღვევო რისკი, სადაზღვევო შემთხვევა.

სარგებლობა – მესაკუთრის ერთ-ერთი ძირითადი უფლებამოსილებაა. სარგებლობის უფლება შეიძლება გააჩნდეს არამესაკუთრესაც რაც გამოიხატება ნივთის მოხმარებაში მისი დანიშნულების მიხედვით (ქონების ექსპლუატაცია, მისგან მოგების და დაყოფის მიღება და ა.შ.). სარგებლობის უფლების საზღვრები დადგენილია კანონით, ხელშეკრულებით ან სხვა სამართლებრივი საფუძვლებით (მაგ. ანდერძით). კანონიერი სარგებლობა დაცულია ხელყოფისგან სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებებით, მაგალითად, სარგებლობის ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრის სარჩელით (ნეგატორული სარჩელი). აკრძალულია ქონებით სარგებლობა სხვა პირთა საზიანოდ (ე.წ. უფლების ბოროტად გამოყენება).

სარგებლობა – საკუთრების უფლების შემადგენელი სამი უფლებამოსილებიდან (ფლობა, სარგებლობა, განკარგვა) ერთ-ერთი. სარგებლობა მდგომარეობს ნივთიდან სასარგებლო თვისებების ამოღებაში მისი საწარმოო და პირადი მოხმარების გზით.

სარეზერვო ფასი – ფასი, რომლის ქვემოთ გამყიდველი არ არის თანახმა, რომ გაიყიდოს თავისი საქონელი, ან საქონლის ის უმაღლესი ფასი, რომელსაც იხდის საქონლის მყიდველი.

სარჩელი – სარჩელი წარმოადგენს დარღვეული უფლების ან კანონით დაცული ინტერესის სასამართლო დაცვის საშუალებას. განასხვავებენ სარჩელის ორ მხარეს: მეტარიალურ-სამართლებრივს და პროცესუალურ-სამართლებრივს. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება დადგენილი ფაქტებისა და იურიდიული ნორმების საფუძველზე განცხადებული მოთხოვნის არსებითად დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ხოლო მეორე შემთხვევაში – სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სასამართლოში მიმართვის მართლზომიერებას. კანონში მკაფიოდ არის განსაზღვრული მიზეზები, რომელთა გამო სასამართლო უარს აცხადებს სარჩელის მიღებაზე, წყვეტს საქმის წარმოებას ან ტოვებს სარჩელს განხილვის გარეშე. მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის წამოყენებული მოთხოვნების ხასიათიდან გამომდინარეობს სარჩელის სახეობები. ის შეიძლება მიმართული იყოს: მოპასუხის იძულებისკენ შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს არამართლზომიერი მოქმედებისგან (დაბრუნოს ქონება, აანაზღაუროს ზიანი, გაგაიხადოს პირგასამტეხლო, ალიმენტი, არ გამოიყენოს საეჭვო ნიშანი და სხვ); მხარეთა შორის სამართალურთიერთობების არსებობა-არარსებობის ფაქტის დადასტურებისაკენ, აგრეთვე დოკუმენტის ნამდვილობის ან სიყალბის დადგენისაკენ (ალიარებითი სარჩელი, მაგ. ხელშეკრულების დამტკიცება ან მისი ბათილად ცნობა); სამართალურთიერთობათა შეცვლისაკენ (საერთო ქონებიდან წილის გამოყოფა) ან შეწყვეტისაკენ (საერთო ქონებიდან წილის გამოყოფა) ან ამგვარი შეწყვეტისაკენ (საერთო საკუთრების გაყოფა). სარჩელის სამი განმსაზღვრელი ელემენტია წარდგენის საფუძველი, საგანი და შინაარსი. საფუძველი წარმოადგენს ფაქტიურ გარემოებებს, რომლებთანაც კანონმდებლობა აკავშირებს დაინტერესებულ პირთა შორის სამართალურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას. სარჩელის საგანია სადაო სამართალურთიერთობა, ხოლო სარჩელის შინაარსი – მოსარჩელის მოთხოვნები. სარჩელი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. მისი შინაარსი უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

1) სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი;

2) მოსარჩელის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ მოსარჩელე იურიდიული პირია – მისი სახელწოდება და მისამართი;

3) წარმომადგენლის გვარი, სახელი და მისამართი, თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს;

4) მოპასუხის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ მოპასუხე იურიდიული პირია – მისი სახელწოდება და მისამართი;

5) მოსარჩელის მოთხოვნა;

6) გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

7) მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;

8) სარჩელის ფასი თუ შესაძლებელია სარჩელის შეფასება;

9) სარჩელისათვის დართული საბუთების ნუსხა.

ამ აუცილებელი ელემენტების გარდა სარჩელში შეიძლება ჩამოყალიბდეს აგრეთვე მოსარჩელის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ:

1) სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს;

2) სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მა-

სალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზე არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს;

3) სასამართლომ დროულად შეატყობინოს და იმ სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები.

სარჩელი – დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის საპროცესო საშუალება. ფორმას, რომლითაც ხდება ამ უფლების დაცვა ეწოდება სასარჩელო ფორმა (იხ. სასარჩელო წარმოება). ერთი პირის სადავო მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას მეორის მიმართ, რომელიც ექვემდებარება განხილვას გარკვეული საპროცესო წესით, ეწოდება სარჩელი. კანონის თანახმად, ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების დაცვისთვის. ასეთ მიმართვას ეწოდება სარჩელის წამოყენება (იხ. სამოქალაქო საქმის აღძრა სასამართლოში). სასამართლოსთვის მიმართვა ხდება სასარჩელო განცხადების შეტანის გზით.

სარჩელის უზრუნველყოფა – სამოქალაქო სამართალწარმოებაში გარკვეული იძულებითი ღონისძიებების მიღება, რომელსაც იღებს სასამართლო მოსარჩელის ან სასამართლოს ინიციატივით და მდგომარეობს მოპასუხის უფლების შეზღუდვაში განკარგოს დავის მატერიალური საგანი. სარჩელის უზრუნველყოფა მოქალაქეებისა და იურიდიული პირების უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი გარანტიაა, რასაც ითვალისწინებს, როგორც სამოქალაქო-საპროცესო, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. სარჩელის უზრუნველყოფა მიმართულია მოქალაქეებისა და იურიდიული პირების ქონებრივი უფლებების რეალურ და სრულ აღდგენაზე, რომელიც დარღვეულია სამოქალაქო სამართალდარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შედეგად. მოცემული ინსტიტუტის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მისით დაცულია მოსარჩელის კანონიერი ინტერესები იმ შემთხვევისას, როცა მოპასუხე იმოქმედებს არაკეთილსინდისიერად ან ზომების მიუღებლობა გამოიწვევს სასამართლო დადგენილების აღსრულების შეუძლებლობას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს შორის გამოიყოფა: ა) მოპასუხის კუთვნილი ქონების დაყადაღება და რომელიც მასთანაა ან სხვა პირთანაა; ბ) მოპასუხისთვის გარკვეული ქმედებების აკრძალვა; გ) სხვა ადამიანებისთვის აკრძალვა განახორციელოს გარკვეული მოქმედებები, მათ შორის, გაფასცეს ქონება მოპასუხეს ან მის მიმართ შეასრულოს სხვა ვალდებულებები; დ) ქონების რეალიზაციის შეჩერება ქონებისგან დაყადაღების მოხსნის შესახებ სარჩელის წამოყენების შემთხვევაში; ე) აღმასრულებელი დოკუმენტით ჯარიმის შეჩერება, რომელიც შედაეებულია მოვალის მიერ სასამართლო წესით. საჭირო შემთხვევებში, შესაძლოა დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე ზომის გამოყენება. დაუშვებელია კანონით გაუთვალისწინებელი ზომების გამოყენება, რაც ამა თუ იმ სახით ლახავს მოპასუხის ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

სასაზღვრო წარმომადგენლები – საერთო საზღვრის მქონე სახელმწიფოების ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც ინიშნებიან მოსაზღვრე სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დაცვის, სახელმწიფო საზღვრის გარკვეულ მონაკვეთებზე სასაზღვრო ინციდენტების რეგულირების საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც ასრულებენ შემთანხმებელი კომისიის როლს.

სასაზღვრო წარმომადგენელს უნდა ჰყავდეს მოადგილე, რომელიც მისი არყოფნისას ასრულებს მის ეალდებულებებს. სასაზღვრო წარმომადგენლების საქმიანობის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდნენ თარჯიმნები, ექსპერტები და სხვა თანამშრომლები. სასაზღვრო ინციდენტების გამოძიების შედეგების მიხედვით შეთანხმებული გადაწყვეტილებები ფიქსირდება მოსაზღვრე სახელმწიფოების სასაზღვრო წარმომადგენლების ერთობლივი სხდომის ოქმში და ის ექვემდებარება შესრულებას. თუ სასაზღვრო წარმომადგენელი ვერ ახერხებს ინციდენტის დარეგულირებას, ის წყდება დიპლომატიური გზით.

მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სასაზღვრო წარმომადგენლების არსებობისას ისინი და მათი თანმხლები პირები სარგებლობენ ხელშეუხებლობით (არ შეიძლება მათი დაკავება ან დაპატიმრება ნებისმიერი ფორმით). საზღვარზე გადასვლისას მათ შეუძლიათ დადგენილი ფორმის და პირადი იარაღის ტარება. მათ ბაჟის გარეშე შეუძლიათ გადაიტანონ სამუშაოსთვის საჭირო საგნები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება მათი უკან დაბრუნების პირობით. ასევე ხელშეუხებელია მათი სამსახურებრივი ქაღალდები. ზოგჯერ, შესაძლებელია სხვა პრივილეგიებიც, მათ შორის, დაცვა. საკმაოდ ფართო უფლებამოსილებების მიუხედავად, სასაზღვრო წარმომადგენელს უფლება არა აქვთ გადაწყვიტონ საკითხი პირის მიერ საზღვრის გადაკვეთის თაობაზე, განიხილონ ტერიტორიული დავები და ა.შ.

სასამართლო – სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას და იცავს საზოგადოების, ასევე ცალკეული მოქალაქეების ინტერესებს მართლმსაჯულების აღსრულების, მართლწესრიგის დარღვევი პირების მიმართ სახელმწიფო იძულების ზომების გამოყენების გზით. სასამართლო წარმოიქმნება და ვითარდება სახელმწიფოსთან ერთად, თანდათან გამოიყოფა რა დამოუკიდებელ ორგანოდ. თანამედროვე სახელმწიფომდელ პერიოდში სასამართლოების ფუნქციას ასრულებდნენ უხუცესთა საბჭოები, ტომების ბელადები, ხალხთა კრებები და ა.შ. საზოგადოების განვითარების აღრეულ სტადიებზე ფართო გავრცელება ჰპოვეს ტალიონისა (ძველი რომის სამართალი – სისხლი სისხლის წილ და კბილი კბილის წილ...) და სისხლის აღების პრინციპმა.

მონათმფლობელურ სახელმწიფოში სასამართლო ფუნქციები სახელმწიფო ფუნქციებთან ერთად თავმოყრილი იყო პრივილეგირებული კლასის ხელში. გვაროვნული ურთიერთობების ფუნქციონირების აღმოფხვრის შესაბამისად ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემა და სასამართლო იქცა დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოდ. მაგალითად, ჩ.წ.აღ-მდე III-I სს. ძე. რომსა და ათენში სასამართლო უკვე იყო გამოყოფილი მართვის ორგანოებისგან, ჩამოყალიბდა სასამართლო კოლეგიები და სასამართლო დაცვის ინსტიტუტი. ფეოდალური სახელმწიფოების სასამართლოებისთვის დამახასიათებელია წოდებრიობა, მსხვეილი მიწათმფლობელების

ფართო უფლებამოსილებები. სასამართლო სისტემის ცენტრალიზაცია უკავშირდება სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებას და აბსოლუტიზმის ჩამოყალიბებას. ამ პერიოდში ჩნდება უმაღლესი სასამართლო ორგანოები (ინგლისში სამეფო სკამის სასამართლო, საიმპერატორო სასამართლო გერმანიაში). XVI-XVIII სს. ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა სასამართლოს განვითარებაში შეიტანეს რიგი დემოკრატიული პრინციპი: ყველას თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე, სამართალწარმოების საჯაროობა და ზეპირსიტყვიერება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, უარის თქმა ფორმალური დამტკიცების სისტემაზე, მოსამართლეთა არჩევითობის, უფანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპები. ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს საშობლოდ ითვლება ინგლისი. ყველაზე მეტად ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ აღიარება პპოვა XIX ს-ში, თუმცა XX ს-ში მასზე მრავალმა ქვეყანამ უარი თქვა.

სასამართლო მართლმსაჯულების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო. სასამართლო წარმოიშვა სახელმწიფოსთან ერთად და ყოველთვის მოწოდებული იყო დაეცვა სახელმწიფო ძლიერება და სამართლიანობა.

მონათმფლობელურ სახელმწიფოში არ არსებობდა სასამართლო, როგორც დამოუკიდებელი ორგანო და მმართველი ფენა ასრულებდა სასამართლო ფუნქციასაც. ფეოდალურ სახელმწიფოში არსებობდა ე.წ. წოდებრივი სასამართლოები (საეკლესიო, საგლეხო და ა.შ.). კაპიტალიზმის ხანაში წარმოიშვა მთელი რიგი დემოკრატიული ინსტიტუტები (კანონის წინაშე თანაწორობა, პროცესის საქვეყნოობა, მოსამართლეთა არჩევითობა და სხვა). თანამედროვე მსოფლიოში არსებობს სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული, საეკლესიო და სხვა სასამართლო სისტემები.

ფეოდალურ საქართველოში, მიუხედავად თავის დროისათვის პროგრესული ელემენტების არსებობისა, მაინც დაკავშირებული იყო პოლიტიკურ ხელისუფლებასთან. სახელმწიფო ცენტრალიზაციასთან ერთად მეფე ფეოდალთა სასამართლო ფუნქციონირების მკვეთრად კეცავდა. უმნიშვნელოვანესი სისხლის სამართლის მუხლები ამოღებული იყო მემამულეთა სასამართლოების კომპეტენციიდან. მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, უმაღლეს მსაჯულად ითვლებოდა. ბაგრატიონებულ ფეოდალურ საქართველოში მეფის შემდეგ პირველი პირი — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მოსამართლეობდა სააჯო კარში. რთული და სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საქმეების გასარჩევად მეფე დარბაზს იწვევდა. სახელმწიფო სასამართლო დაწესებულებას „დიევანი“ ერქვა, ხოლო უფროს მოსამართლეს — მდიევანბეგი. მცირე მნიშვნელობის საქმეებს არჩევდნენ ხევისთავები, მოურავები, მეთემეები.

სასამართლო აქტი სასამართლოს სამართალგამოყენებითი აქტი, რომელიც წყვეტს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეს არსებითად.

სისხლის სამართლის საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოები იღებენ აქტებს განაჩენის, განჩინების ან დადგენილების სახით. ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოებს გამოაქვთ დასკვნა. იხ.: განაჩენი, სასამართლოს დასკვნა, განჩინება.

სასამართლო აქტის შეუსრულებლობა — ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულების, კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსაშსახურის მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის, გადაწყვეტილების ან სასამართლო აქტის შეუსრულებლობა, ისევე როგორც მათი შესრულებისთვის ხელის შეშლა.

სასამართლო აღმასრულებელი თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების, მორიგების იძულებით შესრულებას, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის თაობაზე მიღებული განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულებას ქონებრივი გადახდევინების ნაწილში.

სასამართლო ბალისტიკა კრიმინალისტიკის დარგი, შეისწავლის დანაშაულის გამოძიებისას წამოჭრილ იმ ტექნიკურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან. შესწავლის ობიექტია ხელის ცეცხლსასროლი იარაღი, მასთან დაკავშირებული საბრძოლო მასალა, გასროლის კვალი (ჭურვის კვალი) — ნახვრეტები, ნაკაწრები, ახლო გასროლის კვალი (დენთის აირის, ალის, ჭვარტლის ნალექისა და სხვა მექანიკური და თერმული ზემოქმედება). სასამართლო ბალისტიკა განსაზღვრავს ცეცხლსასროლი იარაღის სახეობას, სისტემას, ჭურვის სახეს (ტყვია, საფანტი და ა.შ.); ადგენს გამოყენებული იარაღის იდენტიფიკაციას ადგილზე, აღმოჩენილი ტყვიისა და პილზის მიხედვით, განსაზღვრავს სროლის მიმართულებასა და დისტანციას და ა.შ. ყოველივე ამას კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს სასამართლო ბალისტიკური ექსპერტიზა.

სასამართლო ბალისტიკა ეყრდნობა საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევებს მათ შორის ბალისტიკას.

სასამართლო ბრძანება — მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად გამოტანილი სასამართლო დადგენილება ფულადი თანხის გადახდის ან მეკალისგან მოძრაი ქონების მოთხოვნის შესახებ განცხადების საფუძველზე.

სასამართლო ბრძანების გაცემა ხდება, თუ: ა) მოთხოვნა ეფუძნება ნოტარიულად დამოწმებულ გარიგებას; ბ) მოთხოვნა ეფუძნება მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებას; გ) მოთხოვნა ეფუძნება ნოტარიუსის მიერ განხორციელებული თამასუქის პროტესტს გადაუხდელობაში, არააქცეპტსა და აქცეპტის დაუთარიღებლობაში; დ) განცხადებულია მოთხოვნა არასრულწლოვანი ბავშვებისთვის ალიმენტის გადახდაზე, რასაც არ უკავშირდება მამობის დადგენა, მამობის (დედობის) სადაოობას ან სხვა დაინტერესებული პირების ჩართვას; ე) შეტანილია განცხადება მოქალაქეებიდან გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა სავალდებულო გადასახადების ამოღების შესახებ; ვ) განცხადებულია მოთხოვნა დარიცხული, მაგრამ მუშაკისთვის გაუცემელი ხელფასის შესახებ; ზ) შინაგან

საქმეთა სამინისტროს, სასამართლო აღმასრულებლების ქვედანაყოფის მიერ მოთხოვნილია მოპასუხის, მოვალის ძებნასთან, დაყადაღებული ქონების დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება და ა.შ.

სასამართლო ბრძანების გაცემა ხდება სასამართლო განხილვისას და მხარეთა გამოძახების გარეშე. სასამართლო ბრძანება ამავდროულად წარმოადგენს აღმასრულებელ დოკუმენტს და სისრულეში მოყვანა ხდება სასამართლო აქტების შესრულებისთვის დადგენილი წესით.

სასამართლო გადაწყვეტილება – მართლმსაჯულების აქტი, რომლითაც საქმე არსებითად წყდება. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს: ა) კანონიერი; ბ) დასაბუთებული; გ) სრული; დ) უპირობო; ე) გარკვეული.

კანონიერება მდგომარეობს საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების სწორ გამოყენებაში. სასამართლომ საქმის გადაწყვეტისას უნდა აირჩიოს და გამოიყენოს სამართლის ნორმა და სწორად განმარტოს ის მისი შინაარსისა და არსის შესაბამისად. მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმის არარსებობისას სასამართლო იყენებს მსგავსი სამართალდამოკიდებულებების მარეგულირებელ ნორმებს (სამართლის ანალოგია). დასაბუთებულობა მდგომარეობს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტის დამტკიცებაში, ასევე სასამართლოს დასკვნების საქმის ნამდვილ გარემოებებთან შესაბამისობაში. სისრულე მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა უპასუხოს მხარეთა ყველა მოთხოვნას და საპირისპირო აზრს. უპირობო ნიშნავს იმას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში არ უნდა იყოს მითითება მისი შესრულების შესაძლებლობაზე რაიმე პირობის დადგომის მიუხედავად. გარკვეულობა ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილებაში მკაფიოდ უნდა გადაწყდეს საკითხი მხარეების უფლებებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში – ვის ეკუთვნის უფლებები, ვის ეკისრება ვალდებულებები, როგორია მათი კონკრეტული შინაარსი.

სასამართლო გადაწყვეტილება შედგება ოთხი ნაწილისგან: ა) შესავალი; ბ) აღწერითი; გ) სამოტივაციო; დ) სარეზოლუციო.

გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია გამოასწოროს მისი ნაკლოვანებები დაშვებული შეცდომების, აშკარა არითმეტიკული შეცდომების, გამოტოვების სახით, შესწორების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ სასამართლო სხდომაზე.

სასამართლოს შეუძლია დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ: ა) საქმეში მონაწილე პირები რაიმე მოთხოვნის თაობაზე ახორციელებდნენ მტკიცებულების წარმოდგენას და იძლეოდა განმარტებას, რომ არ იყო შეტანილი გადაწყვეტილებაში; ბ) სასამართლომ, გადაწყვიტა რა საკითხი სამართლის ჭეშმარიტების დადგენის შესახებ, არ მიუთითა მიკუთვნებული თანხის, ქონების ოდენობა, რაც ექვემდებარება გადაცემას ან მოქმედები, რომლებიც უნდა განახორციელოს მან; გ) სასამართლოს მიერ არაა გადაწყვეტილი საკითხი სასამართლო ხარჯების შესახებ. დამატებითი გადაწყვეტილება გამოაქვეთ სასამართლო სხდომაზე.

სასამართლო გადაწყვეტილება – პირველი ინსტანციის სასამართლო დადგენილება, რომლითაც წყდება საქმე არსებითად და გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს სახელმწიფოს სახელით. მოსამართლე და მსაჯულები სასამართლო გადაწყვეტილებას იღებენ ხმის უმრავლესობით, ამასთანავე იცავენ მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოებას.

სასამართლო გადაწყვეტილების შესავალში აღინიშნება გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი, სასამართლოს შემადგენლობა, საქმეში მონაწილე პირები და დავის საგანი. აღწერილობითი ნაწილი შეიცავს მითითებას მოსარჩელის მოთხოვნაზე, მოპასუხის შესაგებელსა და საქმეში მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებზე. სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, კანონები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო. სარეზოლუციო ნაწილში შეიცავს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების შესახებ, ავრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრებასა და გაპროტესტების ვადასა და წესს. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც განხილულია და გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე. სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

სასამართლო გამოძიება – სამსჯავრო გამოძიება, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის ნაწილი, რომლის დროსაც ამოწმებენ და იკვლევენ საქმეზე მოპოვებულ ყველა მტკიცებულებას. სასამართლო გამოძიება ტარდება პირველი ინსტანციის სასამართლოში. მასში მონაწილეობენ განსასჯელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოპასუხე, სახელმწიფო ბრალმდებელი, დამცველი, საზოგადოებრივი დამცველი, სასამართლო შემადგენლობა და პროცესის სხვა მონაწილენი. სასამართლო გადაწყვეტილება იწყება სპარალდები დასკვნის გამოქვეყნებით. სასამართლო გამოძიების დროს იკვლევენ და ამოწმებენ ყველა მტკიცებულებას, დაკითხავენ განსასჯელს, დაზარალებულს, მოწმეს, ექსპერტს, ათვალიერებენ ნივთიერ მტკიცებულებებს, შემთხვევის ადგილს და ა.შ. სრული, ყოველმხრივი და ობიექტური სასამართლო გამოძიების უზრუნველსაყოფად საჭიროა დაცვა სასამართლო პროცესის ძირითადი პრინციპებისა: საქმეყნოობა, ზეპირობა, უშუალობა, პროცესის მონაწილეთა პროცესუალური უფლებების თანასწორობა და სხვა. მტკიცებულებანი, რომლებიც სასამართლო გამოძიების დროს შემოწმებული არ არის, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განაჩენს.

სასამართლო გამოძიება – სასამართლო განხილვის ნაწილი, რომლის დროსაც ხდება განაჩენის დასაბუთებისთვის აუცილებელი ყველა მტკიცებულების გამოკვლევა სასამართლოს მიერ.

სასამართლო გამოძიება მოიცავს მრავალ სასამართლო მოქმედებას, რომელთა გაერთიანებაც შეიძლება 3 შედარებით დამოუკიდებელ ჯგუფად: ა) სასამართლო გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებული მოქმედე-

ბები; ბ) მტკიცებულებების კვლევა; გ) სასამართლო გამოძიების დასრულება. სასამართლო გამოძიების დაწყება წარმოადგენს სასამართლოს წინაშე საკვლევი ამოცანების დაყენებისა და კვლევის წესის განსაზღვრის ეტაპს.

სასამართლო გამოძიება იწყება საბრალდებო დასკვნის გახმოვანებით, საჭირო შემთხვევებში განსასჯელისთვის ბრალდების არსის განმარტებით. შემდეგ თავმჯდომარე გამოკითხავს თითოეულ განსასჯელს, გასაგებია თუ არა მისთვის ბრალდება და ცნობს თუ არა ის თავს დამნაშავედ. სურვილისამებრ თავმჯდომარე მას აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს თავისი პასუხის მოტივირება. ბრალდების შეცვლის შემთხვევებში საბრალდებო დასკვნასთან ერთად უნდა გახმოვანდეს მოსამართლის დადგენილებაც სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ.

იმ შემთხვევებში, თუ წინასწარი გამოძიება არ წარმოებდა, სასამართლო გამოძიება იწყება დაზარალებულის განცხადების გახმოვანებით.

განსასჯელთა პასუხის შემდეგ თავის დამნაშავედ ცნობის ან არცნობის შესახებ, სასამართლო ისმენს ბრალმდებლისა და ყველა მხარის აზრს სასამართლო გამოძიებისას მტკიცებულებების კვლევის წესის შესახებ ანუ განსასჯელთა, დაზარალებულთა, მოწმეთა დაკითხვის თანამიმდევრობა, ექსპერტის მოსმენის და სხვა სასამართლო მოქმედებების თაობაზე, რომლებიც მიმართულია მტკიცებულებების კვლევაზე. თუ განსასჯელი თავს არ ცნობს დამნაშავედ და არ სურს ჩვენებების მიცემა, სასამართლო ჩვეულებრივ იწყებს მტკიცებულებების კვლევას დაზარალებულის დაკითხვით. სასამართლოში მტკიცებულებების გამოკვლევისთვის გამოიყენება იმ სახელმწიფოების მოქმედებები, რაც ხორციელდებოდა წინასწარ გამოძიებამდე და მისი მიმდინარეობისას. ესაა დაკითხვები, დათვალიერება, ექსპერტიზა და ა.შ.

სასამართლო განხილვის უშუალობა

– სასამართლოს აუცილებლობა პირადად, დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა საქმის ყველა გარემოების შესწავლაში. მხოლოდ ასეთი სახით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს საქმის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური განხილვა, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. მოსამართლეების მიერ საქმეზე მტკიცებულებების პირადად, უშუალო აღქმა საშუალებას აძლევს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთოს თავისი დასკვნები იმ ფაქტიურ გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებიც მის მიერაა გამოკვლეული და დადგენილი სასამართლო სხდომაზე. წინასწარი გამოძიების მასალები არ შეიძლება დაედოს საფუძვლად განაჩენის გამოტანას, თუ ისინი არ იქნა გამოკვლეული სასამართლოსა და მხარეების მიერ სასამართლო განხილვის დროს.

თავად ტერმინი „უშუალობა“ გულისხმობს მოსამართლეების მონაწილეობას საქმის განხილვაში, როცა ისინი იკვლევენ, სწავლობენ ამა თუ იმ მტკიცებულებებს (მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი, წერილობითი და ა.შ.) თავიანთი გრძნობის ორგანოების მეშვეობით – დამოუკიდებლად წაიკითხონ, მაგალითად, ესა თუ ის დოკუმენტები; მოუსმინონ მოწმეებს სასამართლო სხდომებზე; გაეცნონ ექსპერტის დასკვნის ორიგინალს, შეისწავლოს დანაშაულის იარაღი და ა.შ.

სასამართლო განხილვის უშუალობა გულისხმობს, რომ სასამართლოს შეძლებისდაგვარად უნდა ჰქონდეს საქმე გაყალბებულთან და ორიგინალთან (მტკიცებულებების), პირველწყაროსთან (უშუალოდ მოუსმინოს პირს, რომელიც, მაგალითად, აკეთებდა დანაშაულის ჩადენას და არა იმას, ვინც სადღაც გაიგო ჩადენილი დანაშაული). უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ ამა თუ იმ საქმის განხილვისას სახეზეა უშუალობის პრინციპისგან დაშორება. მოსამართლეებს ხშირად უხდებათ გამკლავება ობიექტური გადაწყვეტილების გამოსატანად აუცილებელი ინფორმაციის ნაკლებობასთან. ამიტომ განხილვას ექვემდებარება ის მტკიცებულებებიც, რომლებიც არ ატარებენ პირველწყაროს ხასიათს. ასე, მაგალითად, განსასჯელის მიერ სასამართლო სხდომაზე ჩვენებების მიცემაზე უარის ან მოწმეების. დაზარალებულების საპატიო მიზეზებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კანონი უშვებს მათი ჩვენების გახმოვანების შესაძლებლობას, რომლებიც მიცემული იყო წინასწარი გამოძიების წარმოებისას ან სასამართლოში – ადრე. ეს გახმოვანება, ასევე დაკითხვის ოქმისადმი დართული ფოტო-, აუდიო– ან ვიდეომასალები, ჩვენებების გადაღებული მასალა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მხარეთა შუამდგომლობის დროს. სასამართლოს მიერ ასეთი გახმოვანების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საფუძველს წარმოადგენს არსებითი წინააღმდეგობის არსებობა განსასჯელის, მოწმის, დაზარალებულის მიერ წინასწარი გამოძიების წარმოებისას ან ადრე, სასამართლო განხილვაზე მიცემულ ჩვენებებს შორის ან სასამართლო სხდომაზე მოწმის, დაზარალებულის არყოფნა იმ მიზეზებით, რომლებიც გამორიცხავენ მათი სასამართლოში გამოცხადების შესაძლებლობას.

სასამართლო დადგენილებები სამოქალაქო საქმეებზე

– მოსამართლეთა (სასამართლოების) აქტები, რომლებიც გამოხატავენ მსჯელობას გადასაწყვეტი მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო საკითხების შესახებ. სამოქალაქო პროცესში ესაა: 1) გადაწყვეტილებები და განჩინებები: ა) მომრიგებელი მოსამართლის; ბ) პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების; 2) საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოს დადგენილებები და განჩინებები; 3) სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები, რომელიც გადახედავს საქმეს ხელახლა აღმოჩენილი გარემოებების მიხედვით; 4) სასამართლო ბრძანება. საარბიტრაჟო პროცესში: 1) პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება და განჩინება; 2) სააპელაციო, საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოების დადგენილებები; 3) საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, დადგენილებები და განჩინებები ხელახლა აღმოჩენილი გარემოებებით სასამართლო აქტის გადახედვის შესახებ განცხადების განხილვის შედეგების მიხედვით.

სასამართლო და საარბიტრაჟო ხარჯები

– ზოგადი (სასამართლო) და საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ საქმეების განხილვასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ხარჯები. სასამართლო და საარბიტრაჟო ხარჯები შედგება: ა) სახელმწიფო ბაჟისგან; ბ) საქმის განხილვასთან დაკავშირებული დანახარჯისგან. სახელმწიფო ბაჟი არის კანონის მიერ

დადგენილი საკითხებულო და მთელს ტერიტორიაზე მოქმედი გადასახადი, რომლის აკრეფაც ხდება იურიდიულად მნიშვნელოვანი მოქმედებების განხორციელებაზე ან დოკუმენტების გაცემაზე, ასევე ზოგადი იურისდიქციის ან სარბიტრაჟო სასამართლოების მიერ საქმეების განხილვაზე, გადაწყვეტაზე, საქმეთა გადახედვაზე. სასამართლოს მიერ დოკუმენტების ასლის გადაცემაზე. **დანაზარჯები** – ხარჯები, რომლებიც უკავშირდება საქმის განხილვას და ექვემდებარება გადახდას მხარეების მიერ.

სამოქალაქო პროცესში საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს განეკუთვნება: ა) თანხა, რომელიც ექვემდებარება გაცემას მოწმეებისთვის, ექსპერტებისთვის, სპეციალისტებისთვის და თარჯიმნებისთვის. ბ) ხარჯები თარჯიმნის მომსახურების ანაზღაურებაზე, რომლებიც გაწეულია უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა საერთაშორისო ხელშეკრულებით; გ) მხარეებისა და მესამე პირების ხარჯები მგზავრობასა და ცხოვრებაზე, რომელიც მათ გასწიეს სასამართლოში გამოცხადების გამო; დ) წარმომადგენელთა მომსახურების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები; ე) ხარჯები ადგილზე დათვალიერების წარმოებაზე; ვ) კომპენსაცია დროის ფაქტიურ დაკარგვაზე; ზ) საქმის განხილვასთან დაკავშირებული საფოსტო ხარჯები, გაწეული მხარეების მიერ; თ) სასამართლოს მიერ ცნობილი სხვა ხარჯები. საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებულ დანაზარჯებს განეკუთვნება: ა) ექსპერტების, მოწმეების, თარჯიმნებისთვის გადასახდელი თანხა; ბ) ადგილზე მტკიცებულებების დათვალიერების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები; გ) ხარჯები ადვოკატთა და სხვა პირთა მომსახურებაზე, რომლებიც სწევდნენ იურიდიულ დახმარებას (წარმომადგენლების); დ) საქმეში მონაწილე პირთა მიერ გაწეული სხვა ხარჯები საქმის განხილვასთან დაკავშირებით.

სასამართლო დაცვის უფლება –

უფლება, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აძლევს მისი უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო დაცვას. ეს უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს. სასამართლო დაცვის უფლების რეალიზება ხდება შრომითი დავების სასამართლო გადაწყვეტის პროცესში და ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ხერხებით, რომელთა გამოყენებაც გულისხმობს არა მხოლოდ დარღვეული ან სადავო უფლების სწრაფ აღდგენას ან კანონით დაცული ინტერესის რეალიზაციას, არამედ შრომითი ურთიერთობების სუბიექტთა კანონიერი უფლებების დარღვევის მიზეზების აღმოფხვრასაც. სასამართლო დაცვა მოიცავს დარღვეული სუბიექტური უფლებების თავიდან აცილების ზომების ერთობლიობას და მათ იძულებით აღდგენას, ასევე მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მუშაკს მიადგა სამუშაოს მიმცემის არამართლზომიერი მოქმედებებით (უმოქმედობით). სასამართლო დამოუკიდებელია სამუშაოს მიმცემისგან და ის ემორჩილება მხოლოდ კანონს. მუშაკს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ორგანიზაციის ადგილსამყოფელის მიხედვით თავად ან თავისი წარმომადგენლის (ადვოკატის) მეშვეობით. მოქალაქეთა უფლებების სასამართლო დაცვა იგება კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობის დემოკრატიულ პრინციპზე.

სასამართლო ეთიკა

„მოსამართლე უნდა იყოს ღმერთის მოშიში? უქრთამო, სამართლიანი, რომელიც დედის, მამის, ძმისა თუ ბატონის ხათრით არ გაამრუდებს სამართალს, არ დაჩაგრავს მართალს" ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი (IX საუკუნე).

როდესაც იქმნება მოსამართლის ეთიკის კოდექსი, პრეამბულაში მოცემული იქნება მისი მიზნები და დანიშნულება, სამსახურში და სამსახურის გარეთ დამკვიდრდეს, მიუკერძოებელი, კომპეტენტური მართლმსაჯულება. ამაღლდეს სასამართლოს ხელისუფლების ავტორიტეტი. განმტკიცდეს მართლმსაჯულების, პატიოსნებისა და სიწმინდის რწმენა. უზრუნველყოფილი იქნას ადამიანის უფლებები, საერთო კეთილდღეობა და სამართლიანობა.

სასამართლო ეთიკის ნორმები სპეციფიკურია და ეს გამოიხატება იმაში, რომ ის ზნეობრივად დამაკალდებულებელია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქცევის ესა თუ ის წესი, რომელსაც ეს კოდექსი ითვალისწინებს, საერთოდ არ არის იურიდიულად სავალდებულო, წესების უმრავლესობა კანონით (ხშირად კონსტიტუციითაც კი) არის გათვალისწინებული და ამდენად იურიდიული ძალაც აქვს.

ეს ბუნებრივია ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია, ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ", სააროცესო და სხვა კანონმდებლობა ადგენს და განსაზღვრავს სამართლის უზენაესობის, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ პრინციპებს, საწინდრებსა და წანამძღერებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არის ასახული სამოსამართლო ეთიკის კოდექსში.

მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი ზნეობრივად კრძალავს იმას, რაც კანონით, ანუ იურიდიულადაა აკრძალული. მაგალითად, მართლმსაჯულების კანონის შესაბამისად განხორციელებას, იურიდიულად ავალდებულებს მოსამართლეს, მაგრამ სასამართლო ეთიკის კოდექსში ამ ვალდებულებას მაინც ითვალისწინებს და ზნეობრივი, პროფესიული მოვალეობის რანგში აჰყავს, სამოსამართლო ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზანი გახლავთ ის, რომ მოსამართლე კანონის წინაშე შიშის გამო კი არ უნდა იცავდეს ამ ეთიკის კოდექსს, არამედ ნებაყოფლობით პროფესიული თავმოყვარეობის შედეგად, უნდა იქცეოდეს ასე.

სამოსამართლო ეთიკის კოდექსს იღებს და ცელილებები შეაქვს მოსამართლეთა კონფერენციას, ან სხვა სათანადო ორგანოს, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ ეთიკის სამართლის ნორმები მის წიაღშივე იბადება და ამით ფართო პროფესიონალიზმით უდგებიან, მხედველობაშია საერთო სახალხო განხილვა. სამოსამართლო ეთიკის პრინციპები განსაზღვრავენ სამოსამართლო ქცევის სტანდარტებს, რომელიც უნდა დაიცვას მოსამართლემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თუ პირად ცხოვრებაში. კარგი იქნება თუ სამოსამართლო ქცევის წესები ჩამოყალიბებული იქნება მუხლებად, რომლებიც რამდენიმე ბლოკად იქნება გაერთიანებული. სამოსამართლო ქცევის წესებში არის შეზღუდვები, რომლებიც კანონთან დებულებით ან წესდებით უნდა იყოს დადგენილი.

სამოსამართლო ეთიკას ზღვრული საზღვრები არა

აქვს და აერთიანებს სამოსამართლო კლასის ყველანაირ შეზღუდვას, რაც, აუცილებელია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, სასამართლო ავტორიტეტის და პრესტიჟის ამაღლებისთვის, ანდა ამ ფაქტორებისადმი საზოგადოებრივი რწმენის განსამტკიცებლად.

სამოსამართლო ეთიკის კოდექსი არ მოიცავს სახელმწიფოებრივ სანქციას, რადგან ისინი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს იქნება გამოყენებული შინაგანი რწმენით.

რა შეიძლება შეფასდეს სასამართლო ეთიკის კოდექსის დარღვევად მოსამართლის მხრიდან? სამართალში მიცემული პირის შეურაცხყოფა, რაც შეიძლება შეფასდეს „სასამართლოს ავტორიტეტის და მოსამართლის ღირსების შემლახველ ქმედებად“ და აღიძრას დისციპლინარული დევნა. მე-2 მაგალითი – „სასამართლოზე მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის ან მისი გადაწყვეტილების უდიერად მოხსენიება“. ამ შემთხვევას შეიძლება რაიმე იურიდიული შედეგი არ მოჰყვეს და ჩადენილი დარღვეებისათვის რეაგირება შემოიფარგლოს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დამრიგებელ მოსამართლესთან საუბრით.

იმ შემთხვევაში, თუ სამოსამართლო ეთიკის ნორმის დარღვევამ ზეგავლენა იქონია საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაზე და გამოიწვია უკანონო ან უსამართლო გადაწყვეტილება – მაგალითად, იმ საქმის განხილვა, რომელშიც მოსამართლის მიუკერძოებლობა საეჭვოდაა ეჭვს იწვევს და მისგან განრიდება საჭიროებული იყო, შესაძლოა უმრაელეს შემთხვევაში წარმოადგენდეს საპროცესო კანონმდებლობის არსებით დარღვევას და სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებელ პირობას.

ყველა ამ პირობებიდან გამომდინარე სამოსამართლო ეთიკის კოდექსი (როგორც ეს მრაჟალ ქვეყანაშია მიღებული) უნდა შეეიდეს მოსამართლეთა სწავლებასა და საკვალიფიკაციო გამოცდების პროგრამაში. ეს მოსამართლეებს დაეხმარება სამოსამართლო ეთიკის მოთხოვნების ღრმად გაცნობიერების, გათავისების და შესატყვისი შინაგანი მზაობის გამომუშავებაში.

და ბოლოს მოსამართლე არა მარტო რეალურად უნდა იყოს სამართლიანობის აღმსარებელი, არამედ მისი ცხოვრებაში დამამკვიდრებელიც – მოსამართლემ უნდა გაამართლოს უზარმაზარი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ნდობა, იგი უნდა განასახიერებდეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და სიწმინდეს. ქმნიდეს რწმენას ჩვენი სამართლებრივი სისტემის სამართლიანობისადმი.

სასამართლო კამათი – სასამართლო პროცესში სასამართლო განხილვის ნაწილი, რომელშიც პროცესის მონაწილენი აჯამებენ სასამართლოს მიერ ჩატარებული საქმის გარემოებათა გამოკვლეევას და გამოთქვამენ მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა გადაწყდეს სისხლის სამართლის პროცესში – სასამართლო კამათი, რომელიც მოიცავს სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის ან მათი წარმომადგენლების, დამცველების ან, თუ სამსჯავრო სხდომაზე დამცველი არ მონაწილეობს, თვით განსასჯელის სიტყვებს, ხოლო ე.წ. კერძო ბრალდების საქმეებზე, გარდა აღნიშნულისა – დაზარალებულის (ან მისი წარმომადგენლის) სიტყვას. სასამართლო კამათის ხანგრძლიეობა შეზღუდული არ არის, მაგრამ თავმჯდომარეს უფლება აქვს შეაჩეროს გამომსყელი, თუ იგი ეხება ისეთ გარემოებებს, რომლებსაც საქმესთან კავშირი არა აქვს. ძირითადი სიტყვის შემდეგ კამათის მონაწილეებს შეუძლიათ რეპლიკით გამოვიდნენ.

სასამართლო მედიცინა – სამედიცინო დისციპლინა, რომელიც ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელების საქმეს – წყვეტს სამედიცინო და ბიოლოგიური ხასიათის საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება სასამართლო და სავაძოძიები ორგანოების მუშაობის პროცესში. სასამართლო მედიცინა დიდ დახმარებას უწევს ჯანდაცვის ორგანოებს სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაში – აელენს საექიმო და დიაგნოსტიკურ შეცდომებს, ტრავმატიზმის, მოწამელის მიზეზებს და სხვა ასეთს. იგი აგრეთვე, მჭიდროდაა დაკავშირებული მრაელ სამედიცინო (პათოლოგია, ანატომია, მეანობაგინეკოლოგია, ტოქსიკოლოგია და სხვა) დისციპლინასთან. სასამართლო მედიცინის პრაქტიკული ნაწილია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა რუსეთში 1716 წელს პეტრე I დააკანონა. საქართველოში სასამართლო რეფორმის შემდეგ შემოიღეს 1846 წელს. მისი ჩატარება დაეელათ საქალაქო, სამაზრო და საგუბერნიო ექიმებს. რეეოლუციამდელ საქართველოში, ისე როგორც რუსეთში დღეს შედის იუსტიციის სამინისტროს დაქეემდებარებაში.

სასამართლო მოწყობა – სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედი სასამართლო დაწესებულებების სისტემა.

ზოგადად შეიძლება იყოს შემდეგი სახის სასამართლოები: საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო, რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, სამხარეო სასამართლო, ავტონომიური მხარის სასამართლო, სამხედრო სასამართლო, საარბიტრაჟო საპელაციო სასამართლო, საარბიტრაჟო სასამართლო, რაიონული სასამართლო, მომრიგებელი მოსამართლე და ა.შ.

საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო სამართალწარმოების მეშეობით. უზენაესი სასამართლო წარმოადგენს უმაღლეს სასამართლო ორგანოს სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სხვა საქმეებზე და უშუალოდ ზემდგომ სასამართლო ინსტანციას რესპუბლიკის, სამხარეო, ავტონომიური მხარისა და ოლქის, სამხედრო ოლქების, ფლოტის სამხედრო სასამართლოების მხრივე.

რაიონული სასამართლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმეებს განიხილავს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს სახით. რაიონული სასამართლო წარმოადგენს უშუალოდ ზემდგომ სასამართლო ინსტანციას მომრიგებელ მოსამართლეებთან მიმართებაში, რომლებიც მოქმედებენ შესაბამისი რაიონული სასამართლოს ტერიტორიაზე.

სამხედრო სასამართლოები იქმნება ტერიტორიული პრინციპით ჯარებისა და ფლოტის დისლოკაციის

ადგილის მიხედვით. ეს სასამართლოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქმეებს განიხილავენ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს სახით, ზედამხედველობისა და ხელახლა აღმოჩენილი გარემოებების წესით.

უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო წარმოადგენს უმაღლეს სასამართლო ორგანოს ეკონომიკური დაებების და სხვა საქმეების გადაწყვეტის თაობაზე, რომელთაც განიხილავენ საარბიტრაჟო და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები. საარბიტრაჟო სააპელაციო სასამართლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმეებს განიხილავს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს სახით და ასევე ხელახლა აღმოჩენილი გარემოებების მიხედვით. მოქმედებელი მოსამართლე თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს უმნიშვნელო ან ნაკლებად მნიშვნელოვან სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით.

სასამართლო პრაქტიკა – სასამართლოს საქმიანობა, რაც გამოიხატება არსებული კანონმდებლობის საფუძველზე კონკრეტულ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტაში. სასამართლოს საქმიანობა აისახება მის მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტში (სასამართლო გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება, დადგენილება). ამ აქტს იურიდიული საკალდებულო ძალა აქვს მხოლოდ მოცემული საქმისათვის. კანონის კონკრეტიზაციისა და არაერთგზის გამოყენების კვალობაზე სასამართლო პრაქტიკაში ყალიბდება დებულებები, რომლებიც შინაარსის სწორი დასაბუთებული განმარტების წყალობით ზემოქმედებას ახდენენ სხვა, ანალოგიურ საქმეთა გადაწყვეტაზე. ასეთი დებულებები ხელს უწყობენ სასამართლო პრაქტიკის ერთიანობას.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა – სამედიცინო გამოკვლევა და დასკვნა სპეციალურ სამედიცინო და ბიოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში. ტარდება მხოლოდ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების დადგენილებით ადამიანის სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების ხასიათის, ჯანმრთელობისა და ასაკის, სიმთვრალის ხარისხისა და პიროვნების იდენტიფიკაციის დასადგენად, რომელსაც ატარებენ ექიმი-სპეციალისტები და სასამართლო სამედიცინო ექსპერტები. გართულების შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაეკალოს რამდენიმე ექსპერტს, სხვა სპეციალობის ექიმებთან ერთად.

სასამართლო სისტემა – ერთობლიობა სახელმწიფო სასამართლო ორგანოებისა, რომლებიც მართლმსაჯულების განსახილველად კანონით დადგენილი ურთიერთობებით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

სასამართლო სისტემის აგებას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები: სასამართლო სისტემის ერთიანობა, სასამართლო სისტემის სტრუქტურის დამოკიდებულება სახელმწიფო წყობილებაზე; ინსტანციების გაყოფა (სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება მათ კანონიერ ძალაში შესვლამდე შეიძლება გადაისინჯოს საერთო წესით მხოლოდ ერთხელ უშუალოდ ზემდგომ სასამართლოში).

სასამართლო სტატისტიკა – სტატისტიკის დარგი, რომელიც კრებს და შეისწავლის ცნობებს უკვე ცნობილი და სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ განხილული დანაშაულებისა და სხვა სამართალდარღვევების შესახებ, აგრეთვე, აღრიცხავს ამ სამართალდარღვევებთან ბრძოლის ღონისძიებებს. სასამართლო სტატისტიკის მთავარი სახეებია: სისხლის სამართლის სტატისტიკა, სამოქალაქო სამართლის სტატისტიკა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკა. სასამართლო სტატისტიკის მაჩვენებლები ასახავენ სამართალდარღვევათა სტრუქტურასა და დინამიკას. სისხლის სამართლის სტატისტიკა სტატისტიკური მეთოდების საშუალებით იკვლევენ დანაშაულობასა და მასთან ბრძოლის სისხლის სამართლის ღონისძიებებს. იგი იყოფა წინასწარი გამოძიების სტატისტიკად, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების სტატისტიკად, შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ დანაშაულის თაობაზე აცილებისა და გახსნის სტატისტიკად, დამნაშავეობის ერთიან სტატისტიკად, რომელიც ასახავს მის მდგომარეობასა და ტენდენციებს, აგრეთვე დამნაშავის პიროვნების შესახებ მონაცემებს და ა.შ. სამოქალაქო სამართლის სტატისტიკა იყოფა სამოქალაქო სამართალწარმოებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების სტატისტიკად.

სასამართლო სტატისტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოში, კანონიერების დარღვევების შესწავლის საქმეში და თავიდან აცილების მიზნით მუშაობის დაგეგმვისა და მისი ეფექტურობის ამაღლებისათვის.

სასამართლო ფოტოგრაფია – ფოტოგადაღების მეთოდების სისტემა კრიმინალისტიკაში; დანაშაულის გამოძიების დროს იყენებენ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მუშაობისას სასამართლო ექსპერტიზის პროცესში მტკიცებულებათა გამოსაკვლევად. სასამართლო ფოტოგრაფიაში შედის შემთხვევის ადგილის,ჩხრეკის, საგამოძიებო ექსპერტიზის, ცოცხალი პირების, გვამების, დოკუმენტების, დანაშაულის იარაღისა და სხვა მსგავსის ფოტოგადაღება, რომლის მეთოდებია: 1. აღბეჭდვითი – იყენებენ ისეთი ნიშნების აღსაბეჭდად, რომლებიც მხედველობის საშუალებით აღიქმება (მაგ., პანორამული ფოტოსურათი ავიკირებს უბნის განფენილობას; ამოსაცნობი – ადამიანის სახეს ანფასში ან პროფილში; რეპროდუქციული გამოიყენება დოკუმენტებისათვის და სხვა); 2. კვლევითი – იყენებენ ისეთი დეტალების გამოსავლენად, რომლთა დანახვაც შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია (მაგ., ფოტოგადაღება ინფრაწითელი, ულტრაიისფერი, რენტგენის სხივებისა და სხვა ამგვარი საშუალებით). სასამართლო ფოტოგრაფია, როგორც მტკიცებულებათა საშუალება, გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

სასამართლო ფსიქიატრია – ფსიქიატრიის დარგი, რომელიც შეისწავლის ფსიქიკური მოქმედების დარღვევებს სისხლის, სამოქალაქო სამართლისა და პროცესის საკითხებთან დაკავშირებით. სისხლის სამართალში სასამართლო ფსიქიატრიის მიზანია იმ ფსიქოპათოლოგიური კრიტერიუმების დადგენა, რომელთა მიხედვითაც გამოხატულია ამა თუ იმ

პირის უნარი, გააკონტროლოს და წარმართოს თავისი მოქმედება, რის გამოც არ აგებს პასუხს თავის ქმედებაზე (შეურაცხადი), აგრეთვე იმ დაზარალებულისა და მოწმის პიროვნების შესწავლა, რომლის ფსიქიკური მდგომარეობა ეჭვს იწვევს მოსმენილი მოვლენების სწორად აღქმისა და სწორი ჩვენების მიცემის თვალსაზრისით.

სამოქალაქო სამართლის პროცესში სასამართლო ფსიქიატრია განსაზღვრავს შეიძლება თუ არა ამა თუ იმ პირს ჰქონდეს მოქალაქეობრივი უფლებები და მოვალეობები; ადგენს, შეუძლია თუ არა მოსარჩელეს ან მოპასუხეს სწორად გაერკვეს თავის მოქმედებაში და წარმართოს იგი, რის საფუძველზეც სასამართლოს გამოაქვს დასკვნები და ეხმარება მას საბოლოოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანაში.

სასამართლომდელი წარმოება – სისხლის სამართლის სამართალწარმოება დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში პროკურორის მიერ გაგზავნამდე, მისი არსებითი განხილვისთვის.

სასამართლომდელი წარმოება მოიცავს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და წინასწარ გამოძიებას, რომლებიც იყოფა: ა) მიზეზებად და საფუძვლებად სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთვის; ბ) სისხლის სამართლის საქმის აღძვრის წესად; გ) წინასწარი გამოძიების ზოგად პირობებად; დ) წინასწარ გამოძიებად; ე) ბრალდების წაყენებად, დათვალიერებად, შემოწმებად, საგამოძიებო ექსპერიმენტად; ვ) ჩხრეკად, ამოღებად, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების დაყადაღებად; ზ) მოლაპარაკების შემოწმებად; ი) სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებად, წინასწარი გამოძიების შეჩერებად და განახლებად; კ) სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტად; ლ) სისხლის სამართლის საქმის პროკურორისთვის საბრალდებო დასკვნასთან ერთად გაგზავნად; მ) სისხლის სამართლის საქმეზე პროკურორის მოქმედებად და გადაწყვეტილებად, რომელიც საბრალდებო დასკვნასთან ერთადაა შემოსული; მოკვლევის წარმოებად.

სასამართლოსადმი უპატივცემულობა – მოქმედებები, რომლებიც ხელს უშლიან მართლმსაჯულების აღსრულებას ან მოიცავენ უპატივცემულო დამოკიდებულებას სასამართლოს კანონიერი უფლებამოსილებების მიმართ, სასამართლოსადმი უპატივცემულობა შეიძლება დაიყოს სასამართლოში და მის ფარგლებს გარეთ ჩადენილ ქმედებებად.

სასამართლოს დასკვნა – იმ პირის ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არარსებობის შესახებ დასკვნა, რომლის მიმართაც გამოიყენება სისხლის სამართლის საქმის წარმოების განსაკუთრებული წესი.

სასამართლოს უფლებამოსილებები – სასამართლოს განმგებლობის ქვეშ მყოფი საკითხების წრე, რომელთა მეშვეობითაც სრულდება სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების ორგანოს ვალდებულებები და მხოლოდ სასამართლო არის უფლებამოსილი: ა) ცნოს პირი დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში და გამოუტანოს მას სასჯელი; ბ) გამოიყენოს პირის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულების ზომები; გ) გამოიყენოს პირის მიმართ აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულების ზომები; დ) გააუქმოს ან შეცვალოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები: ა) აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების, შინაპატიმრობის შეფარდების შესახებ; ბ) დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ; გ) ექვემატნილის, ბრალდებულის, რომელიც არაა დაპატიმრებული სამედიცინო ან ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების შესახებ შესაბამისი სასამართლო-სამედიატორო ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის წარმოებისთვის; დ) საცხოვრებელი სახლის დათვალიერების წარმოების შესახებ მასში მცხოვრებ პირთა თანხმობის მიუხედავად; ე) საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის და/ან ამოღების წარმოების შესახებ; ვ) ბანკებსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში ანაბრებისა და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის შემცველი საგნებისა და დოკუმენტების ამოღების წარმოების შესახებ; ზ) პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ; თ) ქონების დაყადაღების შესახებ; ი) ექვემატნილის ან ბრალდებულის თანამდებობიდან დროებითი ჩამოშორების შესახებ; კ) სატელეფონო და სხვა სახის საუბრების კონტროლისა და ჩაწერის შესახებ. სასამართლო სასამართლომდელი წარმოების დროს უფლებამოსილია განიხილოს საჩივრები პროკურორის, გამომძიებლის, მოკვლევის ორგანოს ან მოკვლევის მწარმოებელი პირის მოქმედებებსა (უმოქმედობასა) და გადაწყვეტილებებზე.

თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოვლენილი იქნება გარემოებები, რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებათა კანონის დარღვევებს, რაც დაშვებულ იქნა მოკვლევის, წინასწარი გამოძიების წარმოების ან სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს ქვემდგომი სასამართლოს მიერ, სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს კერძო განჩინება ან დადგენილება, რომელშიც ყურადღება ექცევა კანონის დარღვევების ფაქტებსა და გარემოებებს და რომლებიც მოითხოვენ საჭირო ზომების მიღებას. სასამართლოს ასევე აქვს უფლება გამოიტანოს კერძო განჩინება ან დადგენილება სხვა შემთხვევებში, თუ ამას ცნობს საჭიროდ.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევაზე ზემოქმედების ზომები – თუ პირი წესრიგს არღვევს სასამართლო სხდომაზე ან არ ექვემდებარება თავმჯდომარეს, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთიდან შემდეგი ღონისძიება: ა) პირს ეძლევა გაფრთხილება ასეთი ქცევის დაუშვებლობის შესახებ; ბ) ამეკვეთენ სასამართლო სხდომის დარბაზიდან; გ) მას ეკისრება ფულადი ჯარიმა, რომლის თაობაზეც ხდება სასამართლო განჩინების ან დადგენილების გამოტანა.

ბრალმდებლის ან დამცველის თავმჯდომარის განკარგულებებზე დაუმორჩილებლობისას სისხლის სამართლის საქმის მოსმენა შეიძლება გადაიდოს სასამართლოს განჩინებით ან დადგენილებით.

განსასჯელი შეიძლება გაძევებულ იქნეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან მხარეთა პაექრობის დასრულებამდე. ამასთან, მას უნდა მიეცეს ბოლო სიტყვის

უფლება. ამ შემთხვევაში განაჩენი უნდა გამოცხადდეს მისი თანდასწრებით ან ეცნობება მას ხელწერილით გამოცხადებისთანავე.

სასამართლო სხდომის მდივანი

– სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, რომელიც ხელს უწყობს მართლმსაჯულების აღსრულებას. სასამართლო სხდომის მდივნის ძირითადი ვალდებულება მდგომარეობს იმაში, რომ ის აწარმოებს სასამართლო სხდომის ოქმს. ის ვალდებულია სრულად და სწორად გადმოსცეს ოქმში სასამართლოს მოქმედებები და გადაწყვეტილებები, ასევე სასამართლო განხილვის მონაწილეთა მოქმედებები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სასამართლო სხდომის დროს. ამასთან, სასამართლო სხდომის მდივანი ამოწმებს სასამართლოში იმ პირთა გამოცხადებას, რომლებიც უნდა მონაწილეობდნენ სასამართლო სხდომაში და თავმჯდომარის დავალებით ახორციელებს სხვა მოქმედებებს.

სასამართლო სხდომის მდივნის აცილება

– სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისგან სასამართლო განხილვის მონაწილის ჩამოცილება, რომელიც აწარმოებს სასამართლო სხდომის ოქმს. მკაფიო საფუძვლები სასამართლო სხდომის მდივნის აცილების შესახებ არ არსებობს. მოცემულ შემთხვევაში, აქცენტი კეთდება აცილების პროცედურაზე. სისხლის სამართლის საქმეში სასამართლო მდივნის სახით წინამორბედი მონაწილეობა არ წარმოადგენს საფუძველს მისი აცილებისთვის. თუ მეორე ან საზედამხედველო ინსტანციის სასამართლო გამოაველენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დარღვევებს, რაც გამოიხატა სასამართლო განხილვის მიმდინარეობის, სასამართლო სხდომის ოქმში მდივნის მიერ არასრულ ფიქსაციაში ან მის დაუდევარ შედგენაში, რამაც გამოიწვია განაჩენის გაუქმება, ეს მდივანი უნდა იქნეს ჩამოცილებული ოქმის წარმოებას იმავე სისხლის სამართლის საქმის მეორადი სასამართლო განხილვის დროს.

ასევე, სასამართლო სხდომის მდივნის აცილებისთვის საფუძვლებს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) იმ ენის არცოდნა ან არასაკმარისი ცოდნა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ბ) არაკეთილსინდისიერი ან დაუდეგარი დამოკიდებულება თავისი ვალდებულებების მიმართ; გ) დაბალი პროფესიული მომზადება; დ) ოქმის შედგენის ჩვევების უქონლობა.

სასამართლო, სასამართლო სხდომის მდივნის აცილების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად ისმენს სასამართლო სხდომის მდივნის განმარტებებს და ასევე სასამართლო განხილვის მონაწილეთა აზრს.

სასამართლო სხდომის ოქმი

– საპროცესო დოკუმენტი, რომელსაც აწარმოებს სასამართლო სხდომის მდივანი და ასახავს მთელს მის მიმდინარეობას. სასამართლო სხდომის ოქმში მითითებულია: ა) სხდომის ადგილი და თარიღი, მისი დაწყებისა და დასრულების დრო; ბ) თუ რომელი სისხლის სამართლის საქმე განიხილება; გ) სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, მოსაცემები მდივნის, თარჯიმნის, ბრალმდებლის, დამცველის, განსასჯელის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის, მათი წარმომადგენლების და სასამართლოში გამოძახებული პირების შესახებ; დ) მონაცემები განსასჯელის პიროვნების და მის მიმართ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიების შესახებ; ე) სასამართლოს მოქმედებები იმ წესით, რომლითაც მათ ადგილი ჰქონდათ სასამართლო სხდომის დროს; ვ) სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე პირთა განცხადებები, შუამდგომლობები და პროტესტი; ზ) სასამართლოს მიერ სათათბირო ოთახში გასვლის გარეშე გამოტანილი განჩინებები და დადგენილებები; თ) სათათბირო ოთახში მიღებული სასამართლოს განჩინებები და დადგენილებები; ი) ცნობები სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეებისთვის მათი უფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის განმარტების გარეშე; კ) ჩვენებების დაწერილებითი შინაარსი; ლ) დაკითხულთათვის დასმული კითხვები და მათი პასუხები; მ) სასამართლო სხდომაზე წარმოებული დათვალიერების და მტკიცებულებათა კვლევის სხვა მოქმედებების შედეგები; ნ) გარემოებები, რომელთა ოქმში შეტანასაც ითხოვენ სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეები; ო) სასამართლო პაექრობაში მხარეთა გამოსვლების ძირითადი შინაარსი და განსასჯელის ბოლო სიტყვა; პ) ცნობები განაჩენის გახმოვანების, სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობის წესის და მასში შენიშვნების გაკეთების შესახებ; ჟ) ცნობები გამართლებულთა და მისჯილთათვის განაჩენის გასაჩივრების წესისა და ვადის, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობის შესახებ შუამდგომლობის უფლების განმარტების შესახებ; რ) სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირთა მიმართ მიღებული ზემოქმედების ზომები; ს) თუ სასამართლო გარჩევის დროს ჩატარდა აუდიო ან ვიდეოჩაწერა, ფოტოგრაფირება, ამის შესახებ აღნიშნა კეთდება სასამართლო სხდომის ოქმში.

ოქმი უნდა იქნეს მომზადებული და ხელმოწერილი სასამართლო სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ სასამართლო სხდომის დასრულებიდან სამი დღის განმავლობაში. ოქმი სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას შეიძლება გამზადდეს ნაწილ-ნაწილ, ისევე როგორც მთლიანად, ოქმი ხელმოწერილია თავმჯდომარისა და მდივნის მიერ. მხარეთა შუამდგომლობით მათ შეიძლება მიეცეთ შესაძლებლობა გაეცნონ ოქმის ნაწილებს მათი მომზადების მიხედვით.

სასამართლო სხდომის რეგლამენტი

– კანონმდებლობით დადგენილი სასამართლო განხილვის ჩატარების გარკვეული წესი, რომლის დარღვევასაც მოსდევს გარკვეული შედეგები. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად სასამართლო სხდომა ტარდება ასეთი რეგლამენტით: ა) მოსამართლეთა შესვლისას სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი ყველა პირი დგება; ბ) სასამართლო განხილვის ყველა მონაწილე მიმართავს სასამართლოს, იძლევა ჩვენებებს და იძლევა განცხადებებს ფეხზე ამდგარი. ამ წესიდან გადახვევა შეიძლება დაშვებულ იქნეს თავმჯდომარის ნებართვით; გ) სასამართლო განხილვის მონაწილეები და ასევე პირები, რომლებიც არიან სასამართლო დარბაზში მიმართაევენ სასამართლოს სიტყვებით „პატივეცემულო სასამართლო“, ხოლო მოსამართლეს – „თქვენო ღირსებავ“; ან სხვა დადგენილი ფორმით; დ) სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს სასამართლო სხდომის წესრიგს, ასრულებს თავმჯდომარის განკარგულებებს. სასამართლოს მანდა-

ტურის მოთხოვნები სასამართლო სხდომის წესრიგის უზრუნველსაყოფად სავალდებულოა სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი პირებისთვის.

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა – ბრალდებულის, მოწმის, დაზარალებულისა და სხვა პირთა ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმება; ნიშნავენ სასამართლო-საგამოძიებო ორგანოები. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო-საგამოძიებო ორგანო საეჭვოდ მიიჩნევს ბრალდებულის, მოწმის ან დაზარალებულის ფსიქიკურ მდგომარეობას. ბრალდებულის სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზას იკვლევს მისი შერაცხადობისა თუ შეურაცხადობის და კანონით გათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის ღონისძიებათა გამოყენების საკითხებს. მოწმეთა და დაზარალებულთა ექსპერტიზის დროს ძირითადი ამოცანაა დადგინდეს თუ რამდენად სწორად შეუძლიათ მათ აღიქვან სასამართლო საქმისათვის საჭირო გარემოებანი. საშოქალაქო პროცესში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ინიშნება მოსარჩელის ან მოპასუხის ქმედუნარიანობის საკითხის გადასაწყვეტად. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო-საგამოძიებო ორგანო არ ეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას, საჭიროა ამის მოტივირება და კანონით გათვალისწინებული სხვა ზომის მიღება.

სასამართლო ფსიქოლოგია – ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ფსიქიკური ცხოვრების კანონზომიერებათა გამოვლენის თავისებურებებს დანაშაულებათა თავიდან აცილების, სასამართლო წარმების, დამნაშავეთა გამოსწორების და აღზრდის სფეროში. სასამართლო ფსიქოლოგია იკვლევს დამნაშავის ცნობიერებაში ანტისაზოგადოებრივ შეხედულებებისა და ჩვეულებების შეჭრისა და განმტკიცების, დანაშაულებრივი მიზნებისა და მოტივების ფორმირებისა და რეალიზაციის „მექანიზმებს"; სასამართლო წარმოებაში მონაწილე პირთა ფსიქიკის თავისებურებათა გაველენას საქმის მიმართ მათ პოზიციაზე, ახსნის შინაარსსა და გადაწყვეტილების გამოტანაზე.

სასამართლო ფსიქოლოგიის მონაცემები გამოიყენება კრიმინალისტიკაში საგამოძიებო საქმიანობის (მათ შორის დამნაშავე პიროვნების შესწავლა, მოწმის ჩვენების ობიექტურობის მიღწევა და სხვა), ტაქტიკისა და ხერხების დამუშავებაში, სასჯელის ზომების ეფექტურობის შეფასებასა და მათი გამოყენების რეკომენდაციების დამუშავებაში, დანაშაულებათა თავიდან აცილების ზომების დამუშავებასა და დანაშაულებათა მიზეზების შესწავლაში.

სასამართლოს შემადგენლობა – მოსამართლეთა პირადი შემადგენლობა ამა თუ იმ სასამართლოშია. სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ხორციელდება კოლეგიალურად და ერთპიროვნულად; პირველი ინსტანციის სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების ან სამი პროფესიონალი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის ან ერთპიროვნულად მოსამართლეთა მონაწილეობით. სისხლის სამართლის საქმე განიხილება ერთი და იმავე მოსამართლეების ანუ სასამართლოს ერთი და იგივე შემადგენლობის მიერ. თუ რომელიმე მოსამართლეს არა აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს მონაწილეობა სასამართლო სხდომაზე, ის იცვლება სხვა მოსამართლით და სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა იწყება თავიდან. სასამართლო კოლეგიებში საქმეების განხილვა საკასაციო და საზედამხედველო წესით ხდება სამი მოსამართლის შემადგენლობით. სისხლის სამართლის საქმე განიხილება ერთი და იმავე მოსამართლეების ანუ სასამართლოს ერთი და იგივე შემადგენლობის მიერ, თუ აქაც რომელიმე მოსამართლეს ჩამოერთმევა შესაძლებლობა გააგრძელოს მონაწილეობა სისხლის სამართლის სხდომაში, ის იცვლება სხვა მოსამართლით და სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა იწყება თავიდან.

სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა – მუხლი 208

1. სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე. ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე), რომელიც უფლებამოსილია სხდომის დარბაზში დაშვებულ პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდოს სხდომაზე დასწრეთა რაოდენობა.

2. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დაშვების დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ; თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა.

3. თუ სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება გაძევების შესახებ ეხება ბრალმდებელს ან დამცველს, საქმის მოსმენა გადაიდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთი პირის ბრალდებას ან დაცვას თაობაზე ახორციელებდა რამდენიმე ბრალმდებელი ან რამდენიმე დამცველი. გაძევებული ბრალმდებლის ან დამცველის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება (დადგენილება), რომელიც ეგზავნება შესაბამისად საქართველოს გენერალურ პროკურატურას ან ადვოკატთა გაერთიანებას.

4. თუ ბრალდებული ან განსასჯელი გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან, სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება მისი თანდასწრებით, ხოლო თუ იგი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, გადაწყვეტილების გამოცხადება ხდება ბრალდებულის ან განსასჯელის გარეშე, რის შემდეგაც მას ხელწერილით გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი.

5. პირი სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე. მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) უფლებამოსილია გაძევებულ პირს

მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა.

6. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით შეიძლება დააჯარიმოს ჯარიმა 50-დან 500 ლარამდე ოდენობით, რაზედაც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. თუ დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას. სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა ამ ნაწილით განსაზღვრულ ფარგლებში.

7. თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს (მოსამართლის), პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას და დაკავების ოქმის შედგენას, ამასთანავე, სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას და უგზავნის განკარგულების გამოცემაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს). დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს (მოსამართლეს), რომელსაც გაეგზავნა მიმართვა და რომელიც უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი და ორზე მეტი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ერთი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს უახლოესი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრატი მოსამართლე. სააპელაციო სასამართლოში განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა მისი მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ან მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გარდა დიდი პალატისა, განკარგულება გამოაქვს ერთერთი პალატის თავმჯდომარეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს იმ მოსამართლეს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. დაკავებული პირი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს, შეიძლება გადაეცეს პოლიციას. თუ დაპატიმრების შესახებ განკარგულება გამოტანილ იქნა პროცესის მონაწილის მიმართ, სასამართლო სხდომა შეიძლება გადაიდოს აღნიშნული ვადით. განკარგულება მიიღება ზეპირი მოსმენის საფუძველზე. დაკავებული პირის წარდგენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა.

8. სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში სასამართლოს მანდატური უფლებამოსილია დაკავოს წესრიგის დამრღვევი პირი, რის შესახებაც ადგენს დაკავების ოქმს, სასამართლოს მანდატური ვალდებულია დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, წარუდგინოს იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს. სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დაკავებული პირის წარდგენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული განკარგულება, გარდა პატიმრობის შესახებ განკარგულებისა, მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდება.

10. ამ მუხლით გათვალისწინებული პატიმრობის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლო დაკავებულ პირს აცნობებს საქმის განხილვის დროსა და ადგილს. მხარის გამოუცხადებლობა არ იწვევს სხდომის გადადებას. საქმის განხილვა იწყება სასამართლოს თავმჯდომარის (მოსამართლის) მოხსენებით, რომელიც აცხადებს, ვის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული პატიმრობა, საქმის განხილვის მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, საჯაროდ კითხულობს წესრიგის დარღვევის თაობაზე შედგენილ მიმართვას და უსმენს საქმის განხილვაში მონაწილე პირებს. ზეპირი მოსმენისას დამრღვევ პირს/მის დამცველს საშუალება ეძლევა, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები და მისცეს განმარტებები დაკავების კანონიერებისა და პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პატიმრობის გამოყენების შესახებ. განკარგულების გამომტანი სასამართლო (მოსამართლე) განკარგულების ასლს დაუყოვნებლივ გადასცემს დამრღვევ პირს, ასევე განკარგულების ასლს აღსასრულებლად უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებს. დაკავების ვადა ჩაითვლება პატიმრობის საერთო ვადაში.

11. პატიმრობის გამოყენების შესახებ განკარგულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში და იგი შეიძლება გასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა პატიმრობა, სათანადო წესით მისთვის განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში. შემოსულ საჩივარს სასამართლო დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს (მოსამართლეს). პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ან პალატის, გარდა დიდი პალატისა, თავმჯდომარის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში წესრიგის დარღვევის შესახებ მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება იმ მოსამართლესთან, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის

გარეშე და მისი განხილვის ვადა საჩივრის შეტანიდან 24 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

შენიშვნა:

ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლის საფუძველზე დაჯარიმებულ პირს ჯარიმასთან ერთად დაერიცხება საურავი:

ა) 150 ლარის ოდენობით – 50-დან 250 ლარამდე დაჯარიმების შემთხვევაში;

ბ) 300 ლარის ოდენობით – 250-დან 500 ლარამდე დაჯარიმების შემთხვევაში.

მუხლი 208[1]. სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის არაიდენტიფიცირებული პირის პასუხისგებაში მიცემის წესი

1. თუ სასამართლოში წესრიგის დამრღვევი პირის ვინაობა (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი) დაუდგენელია, ხოლო დამრღვევი პირი უარს აცხადებს თვითიდენტიფიცირებაზე ან სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო შეუძლებელია მისი იდენტიფიცირება, სასამართლოს მანდატური ადგენს ოქმს, რომლის ფორმასაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ოქმში აღიწერება პირის ყველა შესაძლო გარეგნული ნიშანი (სავარაუდო ასაკი, სქესი, სიმაღლე, თმის ფერი, თვალის ფერი, სხვა გარეგნული თავისებურებანი და სხვა ნიშანი), რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება, ამასთანავე, ოქმში აღნიშნეთ პირს შესაძლებელია მიენიჭოს პირობითი სახელი ციფრების ან/და ანბანის სიმბოლოების იმგვარი კომბინაციით, რაც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლებელს გახდის ამ პირის იდენტიფიცირებას. აღნიშნული ოქმი და დამრღვევის ფოტოსურათი დაერთვის თაემჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებას.

2. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევება ან/და დაპატიმრება, განკარგულება აღსრულდება დაუყოვნებლივ, ხოლო დაჯარიმების შემთხვევაში განკარგულება ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ოქმთან და დამრღვევი პირის ფოტოსურათთან ერთად ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პირის იდენტიფიცირების მიზნით და აღსასრულებლად.

მუხლი №44 – ამ კოდექსში (საქ. სისხ. სამ. საპრ. კოდექსი) გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

57. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა – პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით და სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის გამართვამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.

მუხლი №203 – სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა პასუხისმგებლობა გამოცხადებასა და თავიანთ მოვალეობათა შესრულებაზე უარის თქმისათვის

1. თუ მოწმე ან დაზარალებული უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე, მას დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2. თუ ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი ან დამსწრე უარს იტყვის გამოცხადებაზე ან იმ კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე, მას დაეკისრება ფულადი ჯარიმა 500 ლარამდე ოდენობით.

3. იძულებით მოყვანის შემთხვევაში პროცესის მონაწილე არ თავისუფლდება გამოძახების გამოუცხადებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან.

სასამართლო წესდებანი 1864 – იმ საკანონმდებლო აქტების ოფიციალური სახელწოდება რუსეთში, რომლებიც საფუძვლად დაედო 1864 წლის სასამართლო რეფორმას.

სასამართლო წყობილება – I. სამართლის დარგი, იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც ადგენენ სასამართლოების ამოცანებს, ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპებს, სტრუქტურასა და კომპეტენციას. 2. სასამართლო დაწესებულებათა სისტემა, რომელიც ეყრდნობა დემოკრატიულ პრინციპს; სასამართლო სისტემის ერთიანობას, ყველა მოქალაქისთვის ერთიან და თანაბარ სასამართლოს, ყველა სასამართლოს შექმნას არჩევითობის საფუძველზე და სხვა.

სასამართლო ხარჯები – თანხა, რომელსაც უხდიან მოწმეს, დაზარალებულს, ექსპერტს, თარჯიმანს ან სხვა სასამართლოსათვის აუცილებელ პირს სასამართლოში გამოცხადებისთვის ან სასამართლოსა თუ გამოძიების ორგანოების დავალებით შესრულებული სამუშაოებისთვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად. სასამართლო ხარჯებს შეადგენს ის თანხა, რომელიც დაიხარჯა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების შესანახად, გადასაგზავნად ან გამოსაკვლევად და აგრეთვე სასამართლო საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. სასამართლო ხარჯებს, როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმეზე ახდევინებენ მსჯავრდებულს, სამოქალაქო სამართლის საქმეზე კი – იმ მხარეს, რომლის პრეტენზიები უსაფუძვლო აღმოჩნდა, შრომის, საალიმენტო და ზოგიერთ სხვა სამოქალაქო საქმეში მოსარჩელე სასამართლო ხარჯისგან თავისუფალია.

სასამართლო ხელმცოდნეობა – კრიმინალისტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ხელწერის და მისი გამოკვლევის მეთოდებს დანაშაულის გამოძიებისა და სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო სამართლის საქმის სასამართლო გარჩევის პროცესში წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად. თანამედროვე სასამართლო ხელმცოდნეობის ძირითადი დანიშნულებაა პიროვნების იდენტიფიკაცია ხელწერის მიხედვით – ე.ი. იმის დადგენა, ეკუთვნის თუ არა განსაზღვრული ჩანაწერი ან ხელმოწერა ამა თუ იმ კაცს, ამისათვის ტარდება ხელწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზა,

რაც თითოეული ადამიანის ხელწერის ინდივიდუალობაზეა დაფუძნებული. ექსპერტიზის დროს შეისწავლიან ხელწერის საერთო (ნიშანთა სიდიდე, სისწრაფე და სხვა) და კერძო (მოძრაობის მიმართულება ასოთა დაწერისას, ასოების დაწერის ან მისი ელემენტების შეერთების ხერხებს და სხვა) ნიშნებს. ხელწერის კრიმინალისტიკური გამოკვლევა შეიძლება გამოიყენონ იმის დასადგენად, თუ რა მდგომარეობაში შესრულდა ეს ხელნაწერი (მაგ, წერილი დაწერა ფეხზე მდგომმა), შეიძლება დადგინდეს აგრეთვე, თუ რა მდგომარეობაში იყო თითი დამწერი (აღელვებული, მთერალი, აქვს ხელის ტრამა, ნერვიული დაავადება და სხვა.) და ა.შ.

სასამსახურო ძალლები – სხვადასხვა ჯიშის ძაღლები, რომელთაც იყენებენ საყარაულოდ, სამძებროდ, სამწყემსოდ, მარხილში შესაბმელად და სხვა საჭიროებისათვის. სასამსახურო ძაღლები გამოირჩევიან მძლავრი აღნაგობით, პატრონისა და მინდობილი ობიექტების კარგად დაცვის ინსტინქტით, დაუნდობლობით. საყარაულო და სამძებრო ძაღლებს სპეციალური წვრთნის შემდეგ იყენებენ სახელმწიფო საზღვრების და სამხედრო სამრეწველო და სამეურნეო ობიექტების და სამხედრო სამრეწველო და სამეურნეო ობიექტების დასაცავად, ბოროტმოქმედთა, ნარკოტიკთა და სხვა მსგავსთა მოსაძებნად, გეოლოგიურ ექსპედიციებში – მიწის წიაღში მადნის აღმოსაჩენად, მიწიქვეშა აირის ქსელის დაზიანებული ადგილების მისაგნებად; სამხედრო სამსახურში – მეკავშირეებად, სანიტრებად, ნაღმის მაძებელებლებად და სხვა; სამწყემსო ძაღლებს – მეცხოველეობაში მტაცებლებისაგან დასაცავად. შესაბმელ ძაღლებს ჩრდილოეთში სატრანსპორტო საშუალებად იყენებენ. სასამსახურო ძაღლებს განეკუთვნება ყველა ჯიშის ნაგაზი, კავკასიური დობერმან-პინჩერი, დოგი, ერდელტერიერი, ბოქსიორი, ბულდოგი, სენბერნარი, ნიუ-ფაუნდლენდი, ჩრდ.-აღმოსავლეთის ყეფია, როტველიერი, როზენშნაუცერი, შაპი ტერიერი, მოსკოვური საყარაულო და სხვა. მსოფლიოში აღრიცხულია ასამდე სასამსახურო ჯიშის ძაღლი. საქართველოში ბუნებრივად არსებული რამდენიმე სხვადასხვა კავკასიური ჯიშის გარდა, გავრცელებული კავკასიური ნაგაზი უძველესი ადგილობრივი ჯიშია, რომელსაც ფართოდ იყენებენ მეცხოველეობის ფერმების დასაცავად. საქართველოში გაურცელდა აგრეთვე გერმანული ნაგაზი, ბოქსიორი, დოგი, ნიუფაუნდლენდი, როტველიერი, მცირე რაოდენობით – კოლი, ერდელტერიერი, სენბერნარი, როზენშნაუცერი, შაპი ტერიერი და სხვა.

სასაპყრო სისხლის ნაწილი, რომელიც ეძლეოდა მოკლული ცაცის ქვრივს თავის სარჩენად ძველ საქართველოში, იგი ძმის მკვლელობისას (თუ „ძმანი... გაყოფით იყვნენ") დააკანონა გიორგი ბრწყინვალის სამართალმა. სასაპყროს ქვრივს გაუთხოვრობის პირობით აძლევდნენ. მის ოღენობას „ძალისა მსგავსად განსაზღვრავდა დარბაზი ან ერისთავი და განმგებელი. სასაპყროს გვაროვნული საზოგადოების ანალოგიური დანაწესიდან წარმოდგა. ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება გადმონაშთური ჩვეულება, რომლის მიხედვითაც მკვლელისათვის შეიძლებოდა „დაეკუთვნებინათ" მოკლულის ქვრიყობლის რჩენა-შენახვა.

სასარგებლო მოდელი

სამრეწველო სამართლის ერთ-ერთი ობიექტი, რომელიც სამრეწველო ნიმუშთან და გამოგონებასთან ერთად დაცულია საპატენტო სამართლის მიერ. სასარგებლო მოდელს მიეკუთვნება წარმოების საშუალებების და მოხმარების საგნების, აგრეთვე მათი შემადგენელი ნაწილების კონსტრუქციული შესრულება. სასარგებლო მოდელს უწოდებენ მცირე გამოგონებას, რომელიც არ არის მიმართული ტექნიკის დონის ასამაღლებლად. ჩვეულებრივი გამოგონებისაგან განსხვავებით სასარგებლო მოდელს მოეთხოვება შედარებით დაბალი საგამომგონებლო დონე. სასარგებლო მოდელს ეძლევა სამართლებრივი დაცვა, თუ ის არის ახალი და მრეწველობაში გამოყენებადი: ახალი, თუ მისი არსებითი თვისებების ერთობლიობა არ არის ცნობილი ტექნიკის დონიდან გამომდინარე; მრეწველობაში გამოყენებადი, თუ მისი გამოყენება შეიძლება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში და სხვა დარგებში.

სასარგებლო მოდელად არ ჩაითვლება ხერხი, ნივთიერება, მიკროორგანიზმის შტამი, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურა, აგრეთვე უკვე ცნობილი ხერხის, ნივთიერების, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურის, მიკროორგანიზმის შტამის ახალი დანიშნულებით გამოყენება; მეცნიერული თეორიები და მათემატიკური მეთოდები; მეურნეობის, ორგანიზაციების და მართვის მეთოდები; აღნიშვნის პირობები, განრიგები, წესები; გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები; ალგორითმები და კომპიუტერული პროგრამები; ნაგებობების და ტერიტორიების დაგეგმარებისა და მშენებლობის პროექტები, სქემები; გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ნაკეთობათა მხოლოდ გარეგნულ მხარეს, მიმართული ესტეთიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები; გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ინტერესებს, პუმანიზმისა და ზნეობის პრინციპებს.

რიგი ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი) კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასარგებლო მოდელის დაცვას. ზოგიერთი ქვეყანა მასზე გასცემს მხოლოდ მოწმობას.

სასარგებლო მოდელი – სამართლის ობიექტი, რომელიც წარმოადგენს წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების, მათი ნაწილების კონსტრუქციულ შესრულებას. სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობის პირობებს წარმოადგენს მხოლოდ სიახლე და სამრეწველო გამოყენებადობა (იხ. გამოგონება). სიახლის კრიტერიუმები დაცულია, თუ შემოთავაზების არსებითი ნიშნების ერთობლიობა ცნობილი არაა ტექნიკის დონიდან, რომელიც მოიცავს მსოფლიოში გამოყენებულ ცნობებს იმაზე დანიშნულების საშუალებების შესახებ. სამრეწველო გამოყენებადობა განისაზღვრება გამოგონების სამრეწველო გამოყენებითობის ანალოგიურად. სასარგებლო მოდელის სახით არაა ცნობილი: ა) ობიექტები, რომლებიც არ შეიძლება აღიარებულ იქნეს გამოგონებებად; ბ) მიკროორგანიზმების შტამები, ნივთიერებები, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურები და ასეევე მათი გამოყენება ახალი დანიშნულებით.

სასარგებლო ფიალისეულის მარაგის ბალანსები – 1) დოკუმენტების სისტემა, რომელიც მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის

სახელმწიფო ბალანსებს. ეს ოფიციალური დოკუმენტი მზადდება ქვეყნის მინერალურ-ნედლეული ბაზის მდგომარეობის ყოველწლიური აღრიცხვის მიზნით. არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ტერიტორიული ბალანსებიც. ესაა დოკუმენტი, რომელიც მზადდება სპეციალურ ჩამონათვალში ჩამოთვლილი სასარგებლო წიაღისეულის ყველა სახეობაზე მინერალურ-ნედლეული ბაზის მდგომარეობის აღრიცხვისთვის ნედლეულის სახელმწიფო ფონდის მართვის ტერიტორიული (რეგიონული) ორგანოს მიერ; 2) თითოეული სახის სასარგებლო წიაღისეულის მარაგის შესწავლის ხარისხის, თვისებების, რაოდენობის, მათი განთავსების, სამრეწველო ათვისების, მოპოვების, მოპოვების დროს დანაკარგების და სხვა ცვლილებების, სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოების მოძიებული მარაგით უზრუნველყოფის დონის, ამ საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და მინერალური ნედლეულის გადამუშავების შესახებ ცნობების სისტემა.

სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო ბალანსი – იხ. სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ბალანსები.

სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების სახელმწიფო კადასტრი – 1) ბუნებრივ-რესურსული კადასტრების სახე (იხ, ასევე წყლის სახელმწიფო კადასტრი, მიწის სახელმწიფო კადასტრი, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო კადასტრი, განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახელმწიფო კადასტრი, ტყის სახელმწიფო კადასტრი); 2) თითოეული საბადოს მიხედვით დოკუმენტირებული ცნობების სისტემატიზირებული კრებული, რომელიც ახასიათებს ძირითადი და მასთან მიმდებარე სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობასა და თვისებას, მათში შემავალ კომპონენტებს, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკურ, ჰიდროლოგიურ, ეკოლოგიურ და სხვა პირობებს, თითოეული საბადოს გეოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების განსაზღვრას, ასევე ცნობებს სასარგებლო წიაღისეულის გამოვლინებებზე. სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების სახელმწიფო კადასტრის წარმართვა ხდება წიაღის გეოლოგიური შესწავლის პროგრამების შემუშავების უზრუნველყოფის, სასარგებლო წიაღისეულის კომპლექსური გამოყენების, მათი მოპოვებისთვის საწარმოების რაციონალური განთავსების და ასევე სხვა სახალხო-სამეურნეო მიზნით.

სასარჩელო განცხადება სამოქალაქო სამართალწარმოებაში წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც გადმოცემულია მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნები და სხვა ცნობები, რომელთაც მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საქმის აღძერისთვის, სასარჩელო განცხადება უნდა შეესაბამებოდეს კანონს. განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც ხდება მისი შეტანა; ბ) პირთა (მხარეებისა და მათი წარმომადგენლების), მხარეთა საცხოვრებელი ადგილის დასახელებას; გ) სარჩელის ფასს (თუ სარჩელი ექვემდებარება შეფასებას); დ) გარემოებებს, რომელთაც მოსარჩელე უკავშირებს თავის მოთხოვნებს, მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს და ასაბუთებენ მოსარჩელის მოთხოვნების ოდენობას, ზოგიერთ სასარჩელო განცხადებაში მოყვანილია სარჩელის სამართლებრივი საფუძველი ე.ი. კანონები და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტები, რომელთა საფუძველზეც. მოსარჩელის აზრით, უნდა გადაწყდეს საქმე. ეს პირობა ეალდებულია პროკურორისა და ადეკატის მიერ შეტანილი განცხადებებისთვის. ის ასევე უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოების მიერ შეტანილი განცხადებებში; ე) მოსარჩელის მოთხოვნებს მოპასუხის მიმართ, მათი დაკმაყოფილების შინაარსს, ოდენობას, წესსა და ხერხს; ვ) დართული დოკუმენტების ჩამონათვალს, სახელმწიფო ბაჟის გადახდის მტკიცებულებებს.

საარბიტრაჟო პროცესში სასარჩელო განცხადებასაც წაყენებულია დამატებითი მოთხოვნებიც, რაც განპირობებულია საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ განხილული საოქალაქო საქმეების სახით. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, სასარჩელო განცხადებაში უნდა იყოს: ამოღებული ან სადავო თანხის გაანგარიშება; მოსარჩელის მოთხოვნა კანონებსა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებზე მითითებით; სხვა ცნობები, თუ ის საჭიროა დავის სამართლიანი გადაწყვეტისთვის. სასარჩელო განცხადების შეტანა ხდება სასამართლოში წერილობითი ფორმით, ასლებით, მოპასუხეთა რაოდენობის მიხედვით. მას ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი.

მოსარჩელეს უფლება აქვს ერთ სასარჩელო განცხადებაში გააერთიანოს რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნა. ასეთ გაერთიანებას ეწოდება სარჩელთა ობიექტური გაერთიანება, რამდენადაც ამ შემთხვევებში ხდება სადავო საგანზე რამდენიმე საქმის გაერთიანება. სუბიექტური გაერთიანებისგან (რამდენიმე მოსარჩელის მიერ ერთობლიეი განცხადების შეტანა ან ერთ წარმოებაში რამდენიმე მოსარჩელის განცხადებათა გაერთიანება) განსხვავებით, ამ შემთხვევაში არ ხდება მოსარჩელეთა რაოდენობის ზრდა. სასარჩელო მოთხოვნების გაერთიანება ერთ წარმოებაში დასაშვებია იმ შემთხვევებში, როცა მოთხოვნების სახით, მათი ურთიერთკავშირით, საერთო მტკიცებულებების არსებობით გამოვლენილი იქნება დაცის უფრო სწრაფი და სწორი გადაწყვეტის შესაძლებლობა. ცალკეულ შემთხვევებში რამდენიმე მოთხოვნის ერთდროული განხილვა ხდება კანონის პირდაპირი მოთხოვნის ძალით (მშობლის უფლების ჩამორთმევა და ალიმენტის გადახდევინება, სამუშაოზე აღდგენა და ხელფასის ანაზღაურება და სხვ.). რამდენიმე მოთხოვნის ერთ საქმეში გაერთიანების უფლება გააჩნია არა მხოლოდ მოსარჩელეს, არამედ სასამართლოსაც. ამასთან, მას შეუძლია განუმარტოს მოსარჩელეს საქმის სასამართლო განხილვისთვის მომზადების სტადიაზე, უფლება წამოაყენოს იმ მოპასუხის ან მოპასუხეებისადმი დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან საქმეში ჩართულნი. თუ ასეთი მოთხოვნები განცხადებულ იყო ადრე მოსარჩელის მიერ და განცხადება არის სასამართლო წარმოებაში, მოსამართლეს უფლება აქვს გადაწყვეტოს საკითხი ყველა მთგანის ერთ საქმეში გაერთიანების შესახებ. თუ დადგენილი იქნება, რომ ნებისმიერი ამ მოთხოვნათაგანი არ შეიძლება განხილულ იქნეს ერთ წარმოებაში (მაგალითად, თუ ასეთ გაერთიანებას მოსდევს ერთ ან რამდენიმე მოთხოვნასთან

დამოკიდებულების არმქონე პირთა პროცესში ჩართვის აუცილებლობა), მოსამართლეს უფლება აქვს გამოჯნონ ეს მოთხოვნები ცალკ-ცალკე წარმოებისთვის, თუ ამ მოთხოვნათა ცალკეული განხილვა იქნება უფრო მიზანშეწონილად ცნობილი.

სასარჩელო წარმოება – სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითადი სახე. უფლების დაცვის სასარჩელო ფორმისთვის დამახასიათებელი გარკვეული ნიშნები: ა) მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის არსებობა, რომელიც გამომდინარეობს მხარის დარღვეული ან სადავო უფლებიდან კანონის ძალით; ბ) სუბიექტური სამართლის შესახებ დავის არსებობა; გ) საპირისპირო ინტერესების მქონე ორი მხარის არსებობა, რომელთაც გააჩნიათ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებები დაიცვან მათი უფლებები და ინტერესები სასამართლოში.

უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის ძირითადი შტრიხები მდგომარეობს შემდეგში: ა) სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის წესი თანამიმდევრულადაა განსაზღვრული საპროცესო კანონის ნორმებით; ბ) საქმეში მონაწილე პირებს გააჩნიათ უფლება პირადად ან თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში სასამართლოს სხდომაზე; გ) საქმეში მონაწილე პირებს კანონი აძლევს საკმარის სამართლებრივ გარანტიებს, რომლებიც მათ შესაძლებლობას აძლევს გაელენა იქონიოს პროცესის მსელელობაზე და მიაღწიოს კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანას; დ) სასარჩელო წარმოება ატარებს შეჯიბრებით ხასიათს.

უფლების დაცვის სასარჩელო ფორმა არსებობს არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოებაში, არამედ მისი ძირითადი თვისებები ახასიათებს საარბიტრაჟო პროცესსაც. უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის შესახებ შეიძლება ვისაუბროთ სამედიატორო განხილვასთან მიმართებაში.

სასარჩელო ხანდაზმულობა – ვადა იმ პირის სარჩელის მიხედვით უფლების დასაცავად, რომლის უფლებაც დარღვეულია. ევროპის ბევრ ქვეყანაში სასარჩელო ხანდაზმულობის ზოგადი ვადა დგინდება სამი წელიწადი. ცალკეული სახის მოთხოვნებისთვის სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადები დგინდება კანონის მიერ. კანონის ის წესები, რომლებიც განსაზღვრავენ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებს, ატარებს იმპერატიულ ხასიათს. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იწყება იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაიგოს საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ. შესრულების გარკვეული ვადის მქონე ვალდებულებებისთვის სასარჩელო ხანდაზმულობის მიმდინარეობა იწყება შესრულების ვადის დასრულებისთანავე, იმ ვალდებულებებზე, რომელთა შესრულების ვადაც არაა განსაზღერული ან განსაზღერულია მოთხოვნის მომენტით, სასარჩელო ხანდაზმულობის მიმდინარეობა იწყება იმ მომენტიდან, როცა კრედიტორს ექნება უფლება წამოაყენოს მოთხოვნა ვალდებულების შესრულების შესახებ, ხოლო თუ მოვალეს გააჩნია საშეღავათო ვადა ასეთი მოთხოვნის შესრულებისთვის, სასარჩელო ხანდაზმულობის ათვლა იწყება აღნიშნული ვადის დასრულებისთანავე. სარჩელის წამოყენების უფლება დამოკიდებული არაა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ამოწურვაზე, არამედ სწორედ დარღვეული უფლების დაცვის შესახებ მოთხოვნა მიიღება სასამართლოს მიერ განხილვისთვის, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ამოწურვის მიუხედავად.

სასარჩელო ხანდაზმულობა გამოიყენება სასამართლოს მიერ დავაში მხარის განცხადების მიხედვით, რომელიც გაკეთდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ამოწურვა, რომლის გამოყენების შესახებაც განცხადებულ იქნა დავაში მხარის მიერ, წარმოადგენს საუფუძელს სარჩელის მიღებაზე უარის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გარემოებებს, რომელთა დროსაც სასარჩელო ხანდაზმულობის მიმდინარეობა ხდება შეჩერებული ან შეწყვეტილი.

ზოგადად სასარჩელო ხანდაზმულობა ვრცელდება ყველა სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებაზე. სასარჩელო ხანდაზმულობა არ გამოიყენება პირადი არაქონებრივი უფლებებისა და სხვა არამატერიალური კეთილდღეობის დაცვის შესახებ მოთხოვნებზე გამონაკლისის სახით, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა; ანაბრების გაცემის შესახებ ბანკისადმი მეანაბრეთა მოთხოვნების გამონაკლისის სახით; მოქალაქის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ გამონაკლისის სახით; ა.შ.ა., ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ზიანის ანაზღაურებაზე უფლების წარმოქმნის მომენტიდან სამი წლის ამოწურვის შემდეგ წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება გასულ დროზე არა უმეტეს სამი წლისა, რაც წინ უსწრებდა სარჩელის წამოყენებას.

სასაქონლო ნიშანი – აღნიშნა, მოთავსებული საქონელზე სამრეწველო ან საეჭრო საწარმოების მიერ საქონლისა და მწარმოებლის (გამყიდველის) ინდივიდუალიზაციის მიზნით.

სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო (ანუ სავაჭრო) ნიშანი მიეკუთვნება ინტელექტუალურ საკუთრების ნაირსახეობას და წარმოადგენს აღნიშნას, პროდუქციის ინდივიდუალიზაციის საშუალებას, რომელიც იძლევა იურიდიული ან ფიზიკური პირების საქონლის განსხვავების საშუალებას სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირების იგივე ტიპის საქონლისაგან. სასაქონლო ნიშნის სახით შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს სიტყვიერი, გამომსახველობითი, მოცულობითი და სხვა აღნიშნები და მათი კომბინაციები.

სასაქონლო ნიშანი (მომსახურების ნიშანი) – საქონელზე ან საფუთაზე განთავსებული აღნიშნა საქონლისა და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციისთვის. სასაქონლო ნიშნის მეშვეობით შესაძლებელია ერთი სახის იურიდიული ან ფიზიკური პირების საქონლისა და მომსახურების განსხვავება სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირების ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურებისგან. სასაქონლო ნიშანი (მომსახურების ნიშანი) შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს იურიდიული პირის, ასევე ფიზიკური პირის სახელზე, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. დასაშვებია კაშირის ან ასოციაციის კოლექტიური სასაქონლო ნიშნის

(მომსახურების ნიშნის) რეგისტრაცია, რომელიც გათვალისწინებულია მათ მიერ გამოშვებული დ/ან რეალიზებული საქონლის აღსანიშნავად, რომელთაც გააჩნიათ ერთიანი თვისობრივი ან სხვა საერთო მახასიათებლები. სასაქონლო ნიშნის (მომსახურების ნიშნის) რეგისტრაცია მოქმედებს ათი წლის განმავლობაში, საპატენტო უწყებაში განცხადების შეტანის თარიღიდან. რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს მფლობელის განცხადებით, რომელიც შეტანილია მისი მოქმედების ბოლო წლის განმავლობაში, ყოველ ჯერზე ათი წლით. სასაქონლო ნიშნის (მომსახურების ნიშნის) რეგისტრაციის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე სრულად ან ნაწილობრივ უმაღლესი საპატენტო პალატის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია ნებისმიერი პირის განცხადებით, რეგისტრაციიდან ხუთი წლის განმავლობაში სასაქონლო ნიშნის უწყვეტად გამოუყენებლობასთან დაკავშირებით. სასაქონლო ნიშნის (მომსახურების ნიშნის) მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება ისარგებლოს და განკარგოს ის, ასევე აკრძალოს სხვა პირების მიერ გამოყენება. სასაქონლო ნიშნის (მომსახურების ნიშნის) მფლობელის უფლებების დარღვევად ცნობილია სასაქონლო ნიშნის (მომსახურების ნიშნის) ან ამ ნიშნით აღნიშნული საქონლის არასანქცირებული დამზადება, გამოყენება, შემოტანა, გაყიდვის მიზნით შეთავაზება, გაყიდვა, სამეურნეო ბრუნვაში სხვაგვარი შემოღება ან ამ მიზნით მისი შენახვა. სასაქონლო ნიშნები (მომსახურების ნიშნები) შეიძლება იყოს სიტყვიერი, გამოსახულებითი, მოცულობითი და სხვა აღნიშნები ან მათი კომბინაცია. კანონი არ უშვებს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას, რომლებიც შედგებიან მხოლოდ აღნიშნებისგან, რომელთაც: ა) არ გააჩნიათ განმასხვავებელი უნარი ან წარმოადგენენ სახელმწიფო გერბებს, დროშებსა და ემბლემებს; სახელმწიფოების ოფიციალური სახელწოდებები და ა.შ.; ბ) წარმოადგენენ საყოველთაოდ გამოყენებადს გარკვეული სახის საქონლის აღსანიშნავად ან გ) მიუთითებენ საქონლის სახეობაზე, ხარისხზე, რაოდენობაზე, თვისებაზე, დანიშნულებაზე, ფასეულობაზე, ასევე მისი წარმოების ან გასაღების დროსა და ადგილზე; დ) წარმოადგენენ ცრუს ან შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებელი საქონელთან ან მის დამამზადებელთან დაკავშირებით; ე) ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ინტერესებს, პუმანურობისა და მორალის პრინციპებს; ვ) იგივეა ან ემსგავსება მათი არევის ხარისხამდე სასაქონლო ნიშნებს, რომლებიც ადრე იყო რეგისტრირებული ან სარეგისტრაციოდ განცხადებული.

სასაქონლო ნიშნის (მომსახურების ნიშნის) გამოყენებად ითვლება მისი გამოყენება საქონელზე, რომლისთვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, მის საფუთაზე რეკლამაში, ოფიციალურ ბლანკებზე, აბრებზე და ა.შ. სასაქონლო ნიშნის (მომსახურების ნიშნის) მფლობელს უფლება აქვს სხვა პირთან დადოს ხელშეკრულება მისი დათმობის შესახებ ან გადასცეს სასაქონლო ნიშნის (მომსახურების ნიშნის) გამოყენების უფლება სალიცენზიო ხელშეკრულებით. მოცემული ხელშეკრულებები ექვემდებარება საეალდებულო რეგისტრაციას საპატენტო უწყებაში.

სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საზოგადოებისთვის საშიში გამოვლინება, რომელიც არღვევს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების წესს, რაც ლახავს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების ავტორიტეტს, ზიანს აყენებს საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებს და ხელყოფს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტის განსაკუთრებულ უფლებას გამოიყენოს თავისი სასაქონლო და მომსახურების ნიშანი.

სასაწყობო მოწმობა – საბუთი, რომელიც ადასტურებს მხარეთა შეთანხმების საქონლის შესანახად გადაცემის ფაქტის შესახებ. სასაწყობო მოწმობა ადასტურებს საკუთრების უფლებას, როგორც შიდა ბაზარზე, ისე საექსპორტოს. ამიტომ სასაწყობო მოწმობის გადაცემა საჯარო პარტნიორისათვის განიხილება, როგორც საკუთრების უფლების გადასვლა.

ორმაგი სასაწყობო მოწმობა წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: სასაწყობო მოწმობისა და საგირაენო-მოწმობისაგან, რომლებიც შეიძლება განცალკევებულ იქნან ერთმანეთისაგან.

სასაწყობო ქვითარი – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სასაწყობო შენახვის ხელშეკრულების დადების, დამცველის (საქონლის საწყობის) მიერ ნივთის გადამცემისგან მიღების ფაქტს, ასევე გადაცემული ქონების მახასიათებლებს. სასაწყობო ქვითარი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, არ შეიძლება მისი გადაცემა მესამე პირისთვის შენახვის ხელშეკრულებით მოთხოვნის უფლებების დათმობის გარეშე. იხ. ასევე მარტივი სასაწყობო მოწმობა, ორმაგი სასაწყობო მოწმობა, შენახვის ხელშეკრულება, სასაწყობო შენახვის ხელშეკრულება.

სასაწყობო შენახვის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საქონლის საწყობი (დამცველი) ვალდებულია ანაზღაურების საფასურად დაიცვას მისთვის საქონლის მფლობელის (გადამცემის) მიერ გადაცემული საქონელი და ეს საქონელი დაბრუნოს ხელუხლებელი. ბუნებით, სასაწყობო შენახვის ხელშეკრულება წარმოადგენს რეალურს, ანაზღაურებადს. საჯარო საწყობების მიერ დადებული სასაწყობო შენახვის ხელშეკრულება წარმოადგენს საჯაროს.

სასაწყობო შენახვის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენს საქონლის გადამცემი და დამცველი – საქონლის საწყობი, რომელზეც ხდება იურიდიული პირის ცნობა და რომელიც ახორციელებს საქონლის შენახვის სამეწარმეო საქმიანობას და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას. სასაწყობო შენახვის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ერთ-ერთი სასაწყობო დოკუმენტის: ა) სასაწყობო ქვითრის; ბ) მარტივი სასაწყობო მოწმობის ან გ) ორმაგი სასაწყობო მოწმობის გაფორმების გზით. გამოიყოფა რეალური და ირეგულარული სასაწყობო შენახვა. საქონლის მიღებისას საქონლის საწყობი ვალდებულია დაათვალიეროს საქონელი და განსაზღვროს მათი რაოდენობა და გარეგნული მდგომარეობა, მისცეს საქონლის მფლობელს საქონლის დათვალიერების შესაძლებლობა (ირეგულარული შენახვისას – ნიმუშების), მიიღოს საქონლის შენახვისთვის აუცილებელი ზომები. საწყობს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიიღოს ზომები საქონლის დაცულობის უზრუნველსაყოფად, ხოლო შენახვის პირობების არსებითი ცვლილებისას ის ვალ-

დებულია აცნობოს ამის შესახებ საქონლის მფლობელს. დაზიანებების აღმოჩენისას, რაც სცდება შეთანხმებული ან ჩვეულებრიები დაზიანებების ფარგლებს, საწყობმა უნდა შეადგინოს აქტი და იმავე დღეს აცნობოს ეს საქონლის მფლობელს. საქონლის მიღებისას სავალდებულოა საქონლის შემოწმება. იხ. ასევე შენახვის ხელშეკრულება.

სასესხო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (გამსესხებელი) მეორე მხარეს (მსესხებელს) საკუთრებაში გადასცემს ფულს ან სხვა ნივთებს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია გამსესხებელს დაუბრუნოს იგივე ოდენობის თანხა (სასესხო თანხა) ან სხვა მის მიერ მიღებული იმავე სახისა და ხარისხის ნივთების ტოლი რაოდენობა. სასესხო ხელშეკრულება ბუნებით წარმოადგენს რეალურს (ითვლება დადებულად ფულის ან სხვა ნივთების გადაცემის მომენტიდან), ცალმხრივად სავალდებულოს, ანაზღაურებად ან არაანაზღაურებად. ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს გარკვეული გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთები (იხ. იჯარის ხელშეკრულება), მათ შორის, ფულადი საშუალებები. სასესხო ხელშეკრულების ფორმა უნდა იყოს წერილობითი, თუ: ა) გამსესხებელს წარმოადგენს იურიდიული პირი ან ბ) სესხის ოდენობა არანაკლებ ათჯერ აღემატება კანონით დადგენილ მინიმალური შრომის ანაზღაურებას. სასესხო ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს გამსესხებლის ხელწერილის გაცემით.

სასესხო ხელშეკრულების მიხედვით პროცენტები პირდაპირ არაა მითითებული და განისაზღვრება გამსესხებლის საცხოვრებელ ადგილას, ხოლო თუ გამსესხებელს წარმოადგენს იურიდიული პირი – მისი ყოფნის ადგილას არსებული საბანკო პროცენტის განაკეთი (რეფინანსირების განაკვეთით), მსესხებლის მიერ ვალის თანხის ან მისი შესაბამისი ნაწილის გადახდის დღეს. სასესხო ხელშეკრულება უპროცენტოა, თუ მასში პირდაპირ არაა გათვალისწინებული სხვა რამ იმ შემთხვევებში, როცა: ა) ის დადებულია მოქალაქეებს შორის იმ თანხის ოდენობით, რომელიც ორმოცდათჯერ არ აღემატება კანონით დადგენილ მინიმალურ შრომის ანაზღაურებას და არ უკავშირდება თუნდაც ერთი მხარის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება; ბ) მისი მიხედვით, მსესხებელს გადაეცემა არა ფული, არამედ გარკვეული გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული სხვა ნივთები.

სესხის დაბრუნების ვადა შეიძლება განისაზღვროს თარიღის ან მოვლენის ზუსტი მითითებით ან მოთხოვნის პირობებით. იმ შემთხვევებში, როცა დაბრუნების ვადა ხელშეკრულებით არაა დადგენილი ან განსაზღვრულია მოთხოვნის მომენტით სესხის ოდენობა უნდა დაუბრუნდეს გამსესხებელს ამის შესახებ მოთხოვნის ანუ გამსესხებლის მიერ წამოყენების დღიდან ოცდაათი დღის განმავლობაში, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა სასესხო ხელშეკრულებით. თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა სასესხო ხელშეკრულებით, უპროცენტო სესხის ოდენობა შეიძლება დაბრუნებულ იქნეს ვადაზე ადრე მსესხებლის მიერ. პირიქით, თუ სესხი პროცენტითაა გაჯერებული, ის შეიძლება დაუბრუნდეს გამსესხებელს ვადაზე ადრე მისი თანხმობით. თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა სასესხო ხელშეკრულებით, სესხის ოდენობა დაბრუნებულად ითვლება მისი გამსესხებლისთვის გადაცემის ან შესაბამისი თანხის მის სბანკო ანგარიშში ჩარიცხვის მომენტში.

პასუხისმგებლობა მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების ვადის დარღვევაზე შეიძლება დადგინდეს სასესხო ხელშეკრულებაში. იხ. სესხის უფულობა (უვალუტობა), თამასუქი, ობლიგაცია, სახელმწიფო (მუნიციპალური) სასესხო ხელშეკრულება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები 1) მიწის ერთ-ერთი კატეგორია; 2) დასახლებათა შტრიხის მიღმა არსებული მიწები, რომლებიც შეთავაზებულია სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისთვის და ასევე განკუთვნილია ამ მიზნებისთვის. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შემადგენლობაში შედის სასოფლო-სამეურნეო საკარმიდამო, მიდასამეურნეო გზებით, კომუნიკაციებით, ხე-ბუჩქოვანი მცენარეებით დაკავებული მიწა, რომელიც გათვალისწინებულია მიწის დაცვის უზრუნველსაყოფად არასელსაფრელი ბუნებრივი, ანთროპოგენული და ტექნოგენური მოვლენების ზემოქმედებისგან, ჩაკეტილი წყალსატევებით, ნაგებობებით, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის, შენახვისა და პირველადი გადამუშაებისთვის.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრიორიტეტი – იხ. განსაკუთრებით ფასეული და განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების მიწების შენარჩუნების პრიორიტეტი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაყოფიერების სახელმწიფო ნორმირება – ნორმირების სახე მიწის გამოყენებისა და დაცვის დარგში, რომელიც ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაყოფიერების უზრუნველსყოფის სფეროში სტანდარტების, ნორმების, ნორმატივების, წესების, რეგლამენტის დადგენილების გზით. იხ. მიწის კატეგორიები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი – ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია სოფლის მეურნეობის საქონლის მწარმოებლების მიერ ნებაყოფლობითი წევრობის საფუძველზე ერთობლიეი საწარმოო ან სხვა სამეურნეო საქმიანობისთვის, რაც ეფუძნება მათი ქონებრივი ხაჯაო შენატანების გაერთიანებას კოოპერატივის წევრთა მატერიალური და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეიძლება შეიქმნას საწარმოო ან სამომხმარებლო კოოპერატიეის ფორმით.

სასტიკი მოპყრობა სამხედრო ტყვესადმი – ნებისმიერი უკანონო აქტი ან უმოქმედობა ტყვედ ამყვანი ზესახელმწიფოს მხრიდან, რომელმაც გამოიწვია მისი ძალაუფლების ქვეშ მყოფი სამხედრო ტყვეს სიკვდილი ან საფრთხის ქვეშ დაყენება მისი ჯანმრთელობა. სამხედრო ტყვესადმი სასტიკი მოპყრობა იკრძალება და განიხილება, როგორც ჟენევის კონვენციის სერიოზული დარღვევა. კერძოდ, არცერთი სამხედრო ტყვე არ შეიძლება მოექცეს ფიზიკური დამახინჯების ან ნებისმიერი ხასიათის სამეცნიერო ან სამედიცინო ცდის ქვეშ, რაც არ მართლდება სამხედრო ტყვეს მკურნალობის მოსაზრებებითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

სასტიკი მოპყრობა ცხოველებთან – საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ხორციელდება ხულიგნური ან მზაკვრული მოსაზრებებიდან გამომდინარე ან სადისტური მეთოდების გამოყენებით, რასაც მოჰყვა ცხოველის დაღუპვა ან დასახიჩრება.

სასჯელთა სისტემა – სისხლის სამართლის კანონში დადგენილი გარკვეული წესით განლაგებული სასჯელის სახეების ამომწურავი ჩამონათვალი, რაც საჯაღდებულოს წარმოადგენს სასამართლოსთვის. სასჯელთა სისტემა მდგომარეობს ყველაზე მსუბუქი სასჯელიდან უმკაცრესამდე გადასვლაში. ასეთი წყობა სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას შერჩეულ იქნეს სასჯელი, რომელიც შეესაბამება ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ე.ი. სასამართლო მცირე სიმძიმის დანაშაულების ჩადენაზე ნიშნავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს, ხოლო მძიმე, მითუმეტეს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაზე – უფრო მკაცრ სასჯელს.

სასამართლო სასჯელის გამოტანისას ითვალისწინებს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, მისი ჩადენის გარემოებებს და დამნაშავის პიროვნებას, დანაშაულის ჩადენაში პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმებით, ორგანიზებული ჯგუფის (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მიერ, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენას მათი რეციდივის დროს და ა.შ.

კანონით განსაზღვრულ სასჯელთა სისტემას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: ა) სასჯელთა სისტემა წარმოქმნის სისხლის სამართლის კანონში განმტკიცებულ სასჯელთა სახეების ერთობლიობას; ბ) კანონში განმტკიცებული სისხლის სამართლის სასჯელთა სახეების ჩამონათვალი წარმოადგენს ამომწურავს; გ) სასჯელთა დადგენილი ჩამონათვალი განლაგებულია გარკვეული წესით, თანმიმდევრობით და ქმნის თავისებურ „სასჯელთა კიბეს“, რომლის თითოეული „საფეხური“ შეადგენს სასჯელის ცალკე სახეს.

სასჯელი – სახელმწიფო იძულების ზომა, რომელიც შეფარდებული ხდება სასამართლოს განაჩენით. ის გამოიყენება დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირთან მიმართებაში და მდგომარეობს ამ პირის უფლებებისა და თავისუფლებების აღკვეთაში ან შეზღუდვაში. სასჯელი გამოიყენება სოციალური სამართლიანობის აღსადგენად და ასევე მსჯავრდებულის გამოსწორებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით.

სასჯელისგან განთავისუფლება – სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირის სასჯელის მოხდისგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლება, მისი შემდგომი აღსრულების მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

სასჯელისგან განთავისუფლების სახეებს განეკუთვნება: ა) ვადაზე ადრე განთავისუფლება სასჯელისგან; ბ) სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა; გ) სასჯელისგან განთავისუფლება ავადმყოფობასთან დაკავშირებით; დ) ორსული და იმ ქალების სასჯელის მოხდისგან დროზე ადრე განთავისუფლება, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები; ე) სასჯელის მოხდისგან განთავისუფლება სასამართლოს საბრალდებო განაჩენის ხანდაზმულობის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით.

სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები: ა) დანაშაულის რეციდივი; ბ) მძიმე შედეგების დადგომა დანაშაულის ჩადენის შედეგად; გ) დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის, ორგანიზებული ჯგუფის ან დანაშაულებრივი სამყაროს (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) შემადგენლობაში; დ) განსაკუთრებით აქტიური როლი დანაშაულის ჩადენაში; ე) დანაშაულის ჩადენაში მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე ან თრობის მდგომარეობაში მყოფი, იმ ასაკს მიუღწეველი პირების ჩართვა, რომლის დადგომის შემდეგაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; ვ) დანაშაულის ჩადენა ეროვნული, რასობრივი, რელიგიური სიძულვილის ან მტრობის, სხვა პირთა მართლზომიერ მოქმედებებზე სასაცილოს გადახდის მოტივით, სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; ზ) დანაშაულის ჩადენა იმ პირთან ან ახლობლებთან მიმართებაში, რომლებიც ახორციელებენ სამსახურებრივ საქმიანობას ან ასრულებენ საზოგადოებრივ მოვალეობას; თ) დანაშაულის ჩადენა ორსულ ქალთან, მცირეწლოვანთან, უმწეო პირთან მიმართებაში, რომელიც დამოკიდებულია დამნაშავეზე; ი) დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით, სადიზმით, აბუჩად აგდებით, ტანჯვით; კ) დანაშაულის ჩადენა იარაღის, საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი ნივთიერებების, ასაფეთქებელი ან მათი საიმიტაციო მოწყობილობების, სპეციალურად დამზადებული ტექნიკური საშუალებების, შხამიანი და რადიოაქტიური ნივთიერებების, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაკოლოგიური პრეპარატების, ასევე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულების გამოყენებით; ლ) დანაშაულის ჩადენა საგანგებო მდგომარეობის, სტიქიური ან სხვა საზოგადოებრივი უბედურების, ასევე მასობრივი არეულობის პირობებში; მ) დანაშაულის ჩადენა ნდობის გამოყენებით, რომელიც დამნაშავისთვის გამოცხადებული იყო მისი სამსახურებრივი მდგომარეობის ან შეთანხმების ძალით; ნ) დანაშაულის გამოყენება ხელისუფლების წარმომადგენლის დოკუმენტების ან ფორმის გამოყენებით.

სასჯელის ზომა – სასჯელის კონკრეტული სახე და ზომა, რომელიც გამოაქვს სასამართლოს განაჩენით კონკრეტული დანაშაულის ჩადენაზე მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებით.

სასჯელის მოხდის ადგილები

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონის შესაბამისად, „სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის №591 ბრძანებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე:

1. ჩაითვალოს:

ა) „ქ. რუსთავის №1 დაწესებულება-კოლონია – „№1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (ქ. რუსთავი)“;

ბ) „ქ. რუსთავის №2 დაწესებულება-კოლონია“ – „№2 საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (ქ. რუსთავი)“;

გ) „საგარეჯოს №3 დაწესებულება-კოლონია“ – „№3 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (საგარეჯოს რაიონი)“;

დ) „ქ. თბილისის №5 დაწესებულება-კოლონია“ –

(ქალთა) – „№5 საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (ქ. თბილისი)“;

ე) „ზემო აჭარის №6 დაწესებულება-კოლონია“ (არასრულწლოვანთა) – „არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებად (მცხეთის რაიონი)“;

ვ) „აჭარის №7 დაწესებულება-კოლონია“ – „№6 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (ქ.თბილისი)“;

ზ) „დაბა ჭნის №8 დაწესებულება-კოლონია“ – „№7 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (ქ. თბილისი)“;

თ) „დაბა ჭნის №9 დაწესებულება-კოლონია“ – „№7 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (მცხეთის რაიონი)“;

ი) „გეგუთის №10 დაწესებულება-კოლონია – „№8 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (წყალტუბოს რაიონი)“;

კ) „საგარეჯოს №11 დაწესებულება – კოლონია-ჩასახლება“ – „№4 სასჯელაღსრულების დაწესებულებად (საგარეჯოს რაიონი)“;

ლ) „ხონის №12 დაწესებულება-კოლონია“ – „№9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებად (ხონის რაიონი)“;

მ) №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (ქ. ქუთაისი);

ნ) „ქ. თბილისის №15 დაწესებულება – რესპუბლიკური საავადმყოფო“ – „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებად (ქ. თბილისი)“;

ო) ამოღებულია №999 საფუძველზე

პ) „ქ. ქუთაისის №2 საგამოძიებო იზოლატორი“ – „№2 საპყრობილედ (ქ. ქუთაისი)“;

ჟ) „ქ. ბათუმის №3 საგამოძიებო იზოლატორი“, – „№3 საპყრობილედ (ქ. ბათუმი)“;

რ) „ქ. ზუგდიდის №4 საგამოძიებო იზოლატორი“ – „№4 საპყრობილედ (ქ. ზუგდიდი)“;

ს) „ქ. თბილისის №1 საპყრობილე“ – №1 და №5 საპყრობილედ (ქ. თბილისი)“.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული სასჯელაღსრულების დაწესებულებებია:

ა) №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (ქ. რუსთავი);

ბ) №6 საპყრობილე /ქ. რუსთავი/;

გ) №3 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (საგარეჯოს რაიონი);

დ) №4 სასჯელაღსრულების დაწესებულება (საგარეჯოს რაიონი);

ე) ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება;

ვ) №6 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (ქ. თბილისი);

ზ) №7 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (მცხეთის რაიონი);

თ) №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებად (წყალტუბოს რაიონი);

ი) №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (ხონის რაიონი);

კ) არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება;

ლ) №1 საპყრობილე (ქ. თბილისი);

მ) №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (ქ. ქუთაისი);

ნ) №3 საპყრობილე (ქ. ბათუმი);

ო) №4 საპყრობილე (ქ. ზუგდიდი);

პ) პუნქტი ძალადაკარგულია;

პ[1]) №5 საპყრობილე (ქ. თბილისი);

ჟ) ქვეპუნქტი ამოღებულია.

რ) №8 საპყრობილე (მცხეთის რაიონი, დაბა ქსანი).

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული სამკურნალო დაწესებულებებია:

ა) სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება (მცხეთის რაიონი);

ბ) სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება (ქ. თბილისი).


სასჯელის მოხდის გადავადება – განაჩენის აღსრულება პირის საჯალდებულო, გამოსასწორებელი სამუშაობის, თავისუფლების აღკვეთის, დაკავების შესახებ შეიძლება გადავადებულ იქნეს სასამართლოს მიერ გარკვეული ვადით შემდეგიდან ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას: ა) მსჯავრდებულის ავადმყოფობა, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას – მის გამოჯანმრთელებამდე; ბ) მსჯავრდებულის ორსულობა არ მცირეწლოვანი ბავშვების ყოლა – უმცროსი ბავშვის 14 წლის შესრულებამდე, გარდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მისი მსჯავრდებისას; გ) მძიმე შედეგები ან მათი წარმოქმნის საშიშროება მსჯავრდებულის ან მისი ახლობლებისთვის, რაც გამოწვეულია მძიმე დაავადებით, სტიქიური უბედურებით, ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული გარემოებებით.

სასჯელის მოხდის გადავადების საკითხს წყვეტს სასამართლო მსჯავრდებულის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, ახლო ნათესაების, დამცველის შუამდგომლობით ან პროკურორის წარდგინებით.

სასჯელის მოხდისგან განთავისუფლების საფუძვლები: ა) სასამართლოს განაჩენით გამოტანილი სასჯელის ვადის მოხდა; ბ) სასამართლოს განაჩენის გაუქმება საქმის წარმოების შეწყვეტით; გ) პირობით – ვადამდელი განთავისუფლება სასჯელის მოხდისგან; დ) სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა სასჯელის უფრო მსუბუქი სახით; ე) მძიმე ავადმყოფობა ან ინვალიდობა; ვ) კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

სასჯელის სახეები სისხლის სამართალში – სისხლის სამართლის კანონით დადგენილ სასჯელთა ზოგადი ერთობლიობა.

სასჯელის სახეებს სისხლის სამართალში წარმოადგენს: ა) ჯარიმა; ბ) გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის შესრულების უფლების ჩამორთმევა; გ) სპეციალური, სამხედრო ან საპატიო წოდების, საკლასო ჩინისა და სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევა; დ) საჯალდებულო სამუშაოები; ე) გამოსასწორებელი სამუშაობი; ვ) შეზღუდვა სამხ-



A. #1 სასჯელაღსრულების დაწესებულება ქ.რუსთავი მშენებელთა ქუჩა#60	B. #5 სასჯელაღსრულების დაწესებულება(ქალთა და არასრულწლოვანთა) ქ.თბილისი ახუსენიძე-ტბელის ქუჩა #11	C. #7 სასჯელაღსრულების დაწესებულება მცხეთის რაიონი დაბა ქსანი	D. #8 სასჯელაღსრულების დაწესებულება სოფელი გუგუთი(ვარციხის დასახლება)
E. #10 სასჯელაღსრულების დაწესებულება ავჭალის ქუჩა #17	F. #1 საპყრობილე ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა #85	G. #2 საპყრობილე ქ ქუთაისი ავტოყარხნის დასახლება	H. #3 საპყრობილე ქ.ზუგდიდი, დაბა ხელვაჩაური, ურეკის დასახლება
J. #4 საპყრობილე ქ.ზუგდიდი, ე.დადიანის ქუჩა #9	K. #5 სასჯელაღსრულების დაწესებულება(ქალთა და არასრულწლოვანთა) ქ.თბილისი, გორგასლის ქ.# 83	L. #6 საპყრობილე ქ.რუსთავის გზატკეცილი, ავლაბრის დასახლება	M. #7 საპყრობილე ქ.თბილისი .ჭელეას ქუჩა #1
N. #8 საპყრობილე მცხეთის რაიონი დაბა ქსანი	O. არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება ქ.თბილისი გრ.ხანძთელის ქუჩა #3	P. პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა #77	R. ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებ მცხეთის რაიონი, დაბა ქსანი

ელრო სამსახურში; ზ) თავისუფლების შეზღუდვა; თ) დასატიმრება; ი) სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსება; კ) თავისუფლების აღკვეთა გარკვეული ვადით; ლ) თავისუფლების სამუდამო აღკვეთა; მ) სიკვდილით დასჯა.

მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ჯ.პ. „ლ“ – „გ“ ჩამოთვლილი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ ძირითადი სასჯელის სახეების სახით სისხლის სამართალში. ჯარიმა და უფლების ჩამორთმევა დაიკავოს გარკვეული თანამდებობა ან ეწეოდეს გარკვეულ საქმიანობას, გამოიყენება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით სისხლის სამართალში. სპეციალური, სამხედრო ან სპორტი წოდების, საკლასო ჩინისა და სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევა გამოიყენება მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახით სისხლის სამართალში. იხ. ძირითადი სასჯელი, დამატებითი სასჯელი.

სასჯელის შეფარდება დანაშაულების რეციდივის დროს – სპეციალური წესი, რომლის თანახმადაც დანაშაულების რეციდივის, საშიში ან განსაკუთრებულად საშიში რეციდივის დროს სასჯელის შეფარდებისას გათვალისწინებულია ადრე ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, გარემოებები, რომელთა ძალითაც წინამორბედი სასჯელის გამოსასწორებელი ზემოქმედება აღმოჩნდა არასაკმარისი და ასევეა კვლავ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი. დანაშაულის ნებისმიერი სახის რეციდივის დროს სასჯელის ვადა არ შეიძლება იყოს ჩადენილ დანაშაულზე გათვალისწინებული სასჯელის ყველაზე მკაცრი სახის მაქსიმალური ვადის 1/3-ზე ნაკლები. დანაშაულის ნებისმიერი სახის რეციდივის დროს, თუ სასამართლოს მიერ დადგენილია შემამსუბუქებელი გარემოებები, სასჯელის ვადა შეიძლება იყოს ჩადენილ დანაშაულზე გათვალისწინებული სასჯელის ყველაზე მკაცრი სახის მაქსიმალური ვადის 1/3-ზე ნაკლები.

სასჯელის შეფარდება (ზოგადი საწყისები) – პრინციპული დებულებები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ კონკრეტული პირისთვის კონკრეტულ დანაშაულზე ინდივიდუალური სასჯელის ზომის შერჩევისას.

სასჯელის შეფარდება შეწყალების შესახებ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დროს – ნაფიც მსაჯულთა მიერ დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობილი, მაგრამ შეწყალების ღირსი პირისთვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა იყოს ამ დანაშაულზე გათვალისწინებული სასჯელის ყველაზე მკაცრი სახის ზომაზე ან მაქსიმალური ვადის 2/3-ზე მეტი, თუ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტით პირისთვის სასჯელის შეფასებისას, რომელიც დამნაშავეა დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ იმსახურებს შეწყალებას, სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინება არ ხდება.

სატარიფო ბადე – შრომის ანაზღაურების სატარიფო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. ის წარმოადგენს სამუშაოების (პროფესიების, თანამდებობათა) სატარიფო თანრიგების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრულია სამუშაოების სირთულისა და მუშაკების საკვალიფიკაციო მახასიათებლების გათვალისწინებით, სატარიფო კოეფიციენტების მეშვეობით. სატარიფო ბადის ელემენტებს წარმოადგენს სატარიფო თანრიგები და სატარიფო კოეფიციენტები. სატარიფო ბადის თითოეულ თანრიგს შეესაბამება სატარიფო კოეფიციენტი, რომელიც გეიჩვენებს, თუ რამდენჯერ არის II და შემდგომი თანრიგების მუშაკთა სატარიფო განაკვეთი I თანრიგის მუშაკთა თანრიგზე მეტი. I თანრიგის კოეფიციენტს წარმოადგენს ერთიანი. I თანრიგის სატარიფო განაკვეთისა და შესაბამისი სატარიფო კოეფიციენტების ცოდნისას, ძნელი არაა განვსაზღვროთ ნებისმიერი თანრიგის მუშაკის სატარიფო განაკვეთი. სატარიფო ბადის დიაპაზონი ძირითადად დამოკიდებულია მოცემულ ორგანიზაციაში შესასრულებელი სამუშაოების სირთულეში მაქსიმალურ განსხვავებებზე. სატარიფო ბადის ყველა პარამეტრი განისაზღვრება დამოუკიდებლად იმათ გარდა, რომელთა დაფინანსებაც ხდება საბიუჯეტო ასიგნებებით.

შრომის ანაზღაურებაში თანაფარდობის დადგენა კვალიფიკაციის მიხედვით და ამის საფუძველზე სატარიფო ბადის შემუშავება წყვეტს ამ ფაქტორით ხელფასის დიფერენციაციის საერთო პრობლემის მხოლოდ ნაწილს. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია დადგენილ საკვალიფიკაციო თანრიგებზე მთელი მრავალფეროვანი სამუშაოების შესრულება, რომელთა შესრულებაც ხდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა ორგანიზაციაში, წარმოების ცალკეულ მონაკვეთებზე მათი შესრულების კონკრეტული სარგანიზაციო და ტექნიკური პირობების გათვალისწინებით. ამისათვის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს სამუშაოებისა და მუშაობა პროფესიების ერთიანი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი (ესსც) და მოსამსახურეთა თანამდებობების საკვალიფიკაციო ცნობარი.

სატარიფო განაკვეთი – სატარიფო სისტემა წარმოადგენს შრომის ანაზღაურების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, რომელიც ემსახურება მის დიფერენცირებას მოსამსახურეთა სხვადასხვა ჯგუფებში და კატეგორიებში შრომის სირთულის, მნიშვნელობის, პირობების მიხედვით. სატარიფო განაკვეთები და თანამდებობათა საკვალიფიკაციო ცნობარები გამოიყენება ანაზღაურების ოდენობის დასადგენად. სატარიფო განაკვეთი წარმოადგენს მოცემული სატარიფო თანრიგის მუშაკის შრომის ანაზღაურების ოდენობას დროის დადგენილ ერთეულში (საათი, დღე, თვე). გამოანგარიშება ხდება მოცემული სატარიფო თანრიგის კოეფიციენტის გამრავლებით პირველი თანრიგის სატარიფო განაკვეთზე.

სატელეფონო საუბრების კონტროლი – საუბრების მოსმენა და ჩაწერა კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენების გზით, ფონოგრამების დათვალიერება და მოსმენა.

თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის საეარაუდოდ, რომ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და სხვა პირთა სატელეფონო და სხვა საუბრები შეიძლება შეიცავდეს მნიშვნელოვან ცნობებს სისხლის სამართლის საქმისთვის, მათი კონტროლი და ჩაწერა დასაშვებია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეების წარმოებისას, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ძალადობის, გამოძალვის და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების საშიშროების არსებობისას დაზარალებუ-

ლის, მოწმის ან მათი ახლო ნათესავების, ნათესავების, ახლობელი ადამიანების მიმართ სატელეფონო და სხვა სახის საუბრების კონტროლი და ჩაწერა დასაშვებია აღნიშნულ პირთა წერილობითი განცხადებით, ხოლო ასეთი განცხადების არარსებობისას სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. გამომძიებლის ან მოსამართლის შუამდგომლობაში სატელეფონო და სხვა სახის საუბრების კონტროლისა და ჩაწერის შესახებ, მითითებულია: ა) სისხლის სამართლის საქმე, რომლის წარმოების დროსაც საჭიროა მოცემული ზომის გამოყენება; ბ) საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც ხდება მოცემული საგამოძიებო მოქმედების წარმოება; გ) იმ პირთა გვარები, სახელები და მამის სახელები, რომელთა სატელეფონო და სხვა სახის საუბრები უქვემდებარება კონტროლსა და ჩაწერას; დ) კონტროლისა და ჩაწერის განხორციელების ვადა; ე) იმ ორგანოს დასახელება, რომელსაც ევალება კონტროლისა და ჩაწერის ტექნიკური განხორციელება.

დადგენილება სატელეფონო და სხვა სახის საუბრების ან სასამართლოს კონტროლისა და ჩაწერის წარმოების შესახებ მოსამართლის ან გამომძიებლის მიერ იგზავნება შესაბამის ორგანოში შესასრულებლად. სატელეფონო და სხვა სახის საუბრების კონტროლის და ჩაწერის წარმოება წყდება გამომძიებლის ან სასამართლოს დადგენილებით, თუ აუცილებელი არაა მოცემული ღონისძიების ჩატარება. გამომძიებელს ან მოსამართლეს სატელეფონო და სხვა სახის საუბრების კონტროლსა და ჩაწერის წარმოების ვადის განმავლობაში უფლება აქვს ნებისმიერ დროს მათი განმხორციელებელი ორგანოსგან მოითხოვოს ფონოგრამა დათვალიერებისა და მოსმენისთვის. ის გადაეცემა გამომძიებელს დალუქული სახით თანმხლებ წერილთან ერთად, რომელშიც მითითებული უნდა იყოს აღნიშნული საუბრების დაწყების და ჩაწერის დასრულების თარიღი და დრო და ამასთან გამოყენებული ტექნიკური საშუალებების მოკლე დახასიათება. ფონოგრამის დათვალიერების და მოსმენის შედეგების შესახებ გამომძიებელი ან მოსამართლე მოწმეების და ამასთან აუცილებელი სპეციალისტების, ასევე იმ პირთა მონაწილეობით, რომელთა სატელეფონო და სხვა სახის საუბრებია ჩაწერილი — ადგენს ოქმს, რომელშიც სიტყვა-სიტყვით უნდა გადმოიცეს ფონოგრამის ის ნაწილი, რომელიც გამომძიებლის აზრით კავშირშია მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან. ფონოგრამების დათვალიერებასა და მოსმენაში მონაწილე პირებს უფლება აქვთ იმავე ოქმში ან ცალკე გადმოსცენ თავიანთი შენიშვნები ოქმთან მიმართებაში. ფონოგრამა სრული მოცულობით ერთვის თან სისხლის სამართლის საქმის მასალებს, როგორც ნივთმტკიცება გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე და ინახება უცხო პირების მიერ ფონოგრამის მოსმენისა და ტრანკრიბის მოსმენის შესაძლებლობის გამომრიცხავ პირობებში და ამასთან დაცულია მისი ტექნიკური გამოსადეგობა განმეორებითი მოსმენისთვის, მათ შორის, სასამართლო სხდომაზე.

სატვირთო ზედნადები – დოკუმენტი, რომელიც აფორმებს გადაზიდვის ვალდებულებას. სატვირთო ზედნადები გამოიყენება პრაქტიკულად ყველა სახის ტრანსპორტზე. ის წარმოადგენს გადაზიდვის შეთანხმების წერილობით ფორმას, ამტკიცებს ხელშეკრულების დადების ფაქტს და ასახავს მის შინაარსს, გამოდის ტვირთგამცილებელი დოკუმენტის სახით, ახდენს იმ პირის ლეგიტიმაციას, რომელსაც აქვს უფლება მიიღოს საქონელი და პრეტენზიები და სარჩელი წაუყენოს გადამზიდს.

გადაზიდვის ხელშეკრულება დადებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა ტვირთი ჩაბარებულია გადასაზიდად ზედნადებთან ერთად, რის შესახებაც გადამზიდის მიერ კეთდება შენიშვნა, ხოლო ტვირთის მიღების დასადასტურებლად გაიცემა სატვირთო კვიტანცია. სატვირთო ზედნადებს ხელს აწერს ტვირთის გამგზავნი, რომელიც პასუხისმგებელია ზედნადებში შემავალი ცნობების უტყუარობასა და ზედნადებში აღნიშნული არასანდო, არაზუსტი და არასრული ცნობების შედეგად წარმოქმნილ შედეგებზე.

სატიტულო (კანონიერი) ფლობა

კანონის ან ხელშეკრულების ძალით ნივთის ფაქტიური ფლობა, რომელიც ქმნის მასზე სამეურნეო ბატონობის შესაძლებლობას. ქონების სატიტულო მფლობელად შეიძლება გამოვიდეს მოიჯარე, დამცავი, კომისიონერი და ა.შ. ნივთის დამკარგავ სატიტულო მფლობელს, ისევე როგორც მესაკუთრეს უფლება აქვს ეინდიკაციაზე, ასევე ნეგატორული სარჩელის წამოყენებაზე. სატიტულო (კანონიერ) ფლობას უპირისპირდება არასატიტულო (უკანონო) ფლობა.

სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება

– ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (ექსპედიტორი) ვალდებულია ანაზღაურების სანაცვლოდ და მეორე მხარის (კლიენტის – ტვირთის მიმღების ან ტვირთის გამგზავნის) ხარჯზე შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება ან მოახდინოს მისი ორგანიზება, რაც უკავშირდება ტვირთის გადაზიდვას. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების სუბიექტებს წარმოადგენენ ექსპედიტორი და კლიენტი. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებაში კლიენტებს შეიძლება წარმოადგენდნენ ტვირთის გამგზავნი ან მიმღები, ტვირთის მფლობელი, გადამზიდავი და სხვა სუბიექტები. ექსპედიტორი შეიძლება იყოს ფურიდიული პირი – მეწარმე, ასევე მოქალაქე, რომელმაც მიიღო მეწარმის სტატუსი და გაარწია შესაბამისი ლიცენზია. ხშირად ექსპედიტორის ფუნქციებს ასრულებს გადამზიდავი, მის მიერ დადებული გადაზიდვის ხელშეკრულების ჩარჩოებში. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურება. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებაში ვადა და ფასი არ წარმოადგენს არსებით პირობას. შესაძლოა, როგორც ერთჯერადი, ასევე გრძელვადიანი სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება. გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების წერილობითი ფორმა, საჭიროებისას გაიცემა რწმუნება.

ექსპედიტორის ვალდებულებებს წარმოადგენს: ა) ტვირთის გადაზიდვის ორგანიზება არჩეული მარშრუტით; ბ) ტვირთის საკუთარი ან კლიენტის სახელით გადაზიდვის ხელშეკრულების დადება; გ) ტვირთის გაგზავნის უზრუნველყოფა და მისი მიღება შეთანხმებულ ადგილას; დ) გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა ოპერაციების განხორციელება (გამგზავნის და მიმღების ინფორმირება სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის ჩამოსულის შესახებ; ტვირთის მიღება გადამზიდავის მიერ და მისი

მიწოდება კლიენტის საწყობში, კლიენტის სანაცვლოდ გადაზიდვის საფასურის გადახდა და სხვ.).

კლიენტის ვალდებულებებში შედის: ა) ტვირთის გადაცემა ექსპედიტირების განხორციელებისთვის; ბ) ტვირთის ექსპედიტორთან მიღება; გ) გათვალისწინებული ანაზღაურების გადახდა; დ) ექსპედიტორისთვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება; ე) ექსპედიტორისთვის ინფორმაციის მიწოდება ტვირთის თვისებებისა და გადაზიდვის პირობების შესახებ.

მხარეებს უფლება აქვთ უარი თქვან ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივი წესით კონტრაგენტის გაფრთხილებით გონივრულ ვადაში (ამ ვადის დაუცველობისას მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს კონტრაგენტს მიყენებული ზარალი). ექსპედიტორი, როგორც მეწარმე პასუხს აგებს ვალდებულების შეუსრულებლობაზე მისი ბრალის არსებობის მიუხედავად. თუ ექსპედიტორის ვალდებულების დარღვევა გამოწვეულია გადამზიდავის მოქმედებებით, ექსპედიტორის პასუხისმგებლობა ექვემდებარება თავად გადამზიდავის პასუხისმგებლობის წესებს. ამან შეიძლება გამოიწვიოს ექსპედიტორის პასუხისმგებლობის შეზღუდვა, ასევე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა ერთ წლამდე.

სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება – იძულების ადმინისტრაციული ღონისძიება, რომელიც ხორციელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის, საქმის დროული და სწორი განხილვის უზრუნველყოფის მიზნით. ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება ე.ი. სატრანსპორტო საშუალების გამოკვლევა მისი კონსტრუქციული მთლიანობის დარღვევის გარეშე, მიზნად ისახავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საგნების ან ჩადენის იარაღის აღმოჩენას.

სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების უფლებით აღჭურვილია თანამდებობის პირები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან შეადგინონ ოქმები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, განახორციელონ მიყვანა და ადმინისტრაციული დაკავება. სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების შესახებ ხდება ოქმის შედგენა ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება ადმინისტრაციული დაკავების ოქმში. ოქმის შედგენისადმი მოთხოვნები (რეკვიზიტები) დგინდება კანონით.

სატრანსპორტო საშუალებებისა თუ მიმოსვლის გზების მწყობრიდან გამოყვანა – სატრანსპორტო საშუალების, მიმოსვლის გზების, სივრცითი ზაციის საშუალებების ან სხვა სატრანსპორტო მოწყობილობის დაზიანება, მოშლა ან სხვა გზით მწყობრიდან გამოყვანა, ასევე სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება, თუ ამ ქმედებებმა გაუთრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მძიმე ზიანის ან დიდი ზარალის მიყენება.

სატრანსპორტო საშუალების გამოყენება სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია, რაც უკავშირდება მის მოძრაობას გზების (საგზაო მოძრაობის) და ასევე მათი მიმდებარე და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის გათვალისწინებული ტერიტორიების (ეზოებში, საცხოვრებელ მასივებში, სატრანსპორტო საშუალებების სადგომებზე, გასამართ სადგურებზე და სხვა ტერიტორიებზე) ფარგლებში. სატრანსპორტო საშუალების გამოყენებად არ ითვლება სატრანსპორტო საშუალებაზე დაყენებული მოწყობილობის ექსპლუატაცია, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება საგზაო მოძრაობაში სატრანსპორტო საშუალების მონაწილეობას.

სატრანსპორტო საშუალების იჯარის ხელშეკრულება მართვისა და ტექნიკური ექსპლუატაციის მომსახურების გაწევის გარეშე – იჯარის ხელშეკრულების სახე (იხ. იჯარის ხელშეკრულება), რომლის თანახმადაც, მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს სატრანსპორტო საშუალებას ფულადი გადახდის სანაცვლოდ დროებით გამოყენებაში ან ფლობაში მართვისა და ტექნიკური ექსპლუატაციის მომსახურების გაწევის გარეშე. სამართლებრივი ბუნება, ფორმისადმი და ვადისადმი მოთხოვნები არის ეკიპაჟით სატრანსპორტო საშუალების იჯარის ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებულის ანალოგიური.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალება. მართვისა და ტექნიკური უზრუველყოფის მომსახურების გაწევა არ ხდება. ეკიპაჟის წევრები ემორჩილებიან მოიჯარეს ბრძანებებს ყველა მიმართულებით, სატრანსპორტო საშუალების სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნების, მომდინარე რემონტის განხორციელების ვალდებულებები ეკისრება მოიჯარეს. ხარჯებს ეკიპაჟის წევრთა მომსახურების ანაზღაურებაზე, ასევე სატრანსპორტო საშუალების დაზღვევაზე და ზარალზე პასუხისმგებლობას იღებს მოიჯარე, თუ იჯარის ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული. პასუხისმგებლობა მესამე პირების მიერ სატრანსპორტო საშუალების, მისი მექანიზმების, მოწყობილობების მიერ მიყენებულ ზარალზე ეკისრება მოიჯარეს.

სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერის გაყალბება ან განადგურება – დანაშაული – ტრანსპორტის მართვის წესის წინააღმდეგ, რაც თვალისწინებდა სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სარეგისტრაციო ნიშნის, ძრავის, შასის, ძარას ნომრის გაყალბებას ამ უკანასკნელის ექსპლუატაციისა და გასაღების მიზნით.

სატყეო კოდექსი სატყეო კანონმდებლობის კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს სატყეო საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

სატყეო მიწების გადაყვანა არასატყეოში იმ მიზნით, რაც არ უკავშირდება სატყეო მეურნეობის წარმართვას და სატყეო ფონდის გამოყენებას და/ან სატყეო ფონდის მიწების ჩამორთმევას – მართვის ფუნქცია მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში, რაც ხორციელდება იურიდიული პირების ან მოქალაქეების ინიციატივით სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნის საფუძველზე. სატყეო მიწების არასატყეო გადაყვანა შეიძლება მოხდეს დროებით (მაგ. 25 წლამდე ვადით) გამოყენებისთვის სატყეო ფონდის შემადგენლობის გამონაკლისის გარეშე ან მიწების ჩამორთმევით და მათი სატყეო ფონდის შემადგენლობიდან ამოღებით. ასეთი გადაყვანის დროს ერთდროულად წყდება საკითხი მიწის ნაკვეთის ჩამორთმევისა და შეთავაზების პირობების, სატყეო მიწების არასატყეოში გადაყვანისთვის გადახდისა და სატყეო ფონდის მიწების ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზარალის ოდენობის შესახებ.

სატყეო საზოგადოებრივი ურთიერთობები – 1) საზოგადოებრივი ურთიერთობები ადამიანებს შორის ტყის ფონდში შემავალი და არშემავალი ტყეების, ასევე ტყის მცენარეებით დაუფარავი ტყის ფონდის მიწის გამოყენების, დაცვისა და აღდგენის თაობაზე; 2) ტყის ფონდის სამართებრივი რეგულირების, სატყეო კანონმდებლობის სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების საგანი.

სატყეო სამართალი – 1) სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემა, რომლებიც წარმოქმნიან სამართლის დამოუკიდებელ კომპლექსურ დარგს, რომლის საგანსაც წარმოადგენს სატყეო საზოგადოებრივი ურთიერთობები; 2) სამეცნიერო სპეციალობა მეცნიერ-მუშაკების სპეციალობათა ნომენკლატურის 12.00.06 (რუსეთის ფედერაცია) სპეციალობის შემადგენლობაში „ბუნებრივ-რესურსული სამართალი, აგრარული სამართალი, ეკოლოგიური სამართალი"; 3) სამეცნიერო დისციპლინის „მიწის სამართალი-ს" შემადგენელი ნაწილი, დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა, რომელსაც როგორც წესი, იურიდიულ სასწავლებლებში ასწავლიან სპეციალური კურსის სახით.

საშრატი – სამოქალაქო სამართალში პირგასამტეხლოს სახე, რომლის გადახდაც ხდება ფულადი გადახდის ვადის გადაცილების გამო. რამდენადაც ასეთი დარღვევა ატარებს ხანგრძლივ სახეს, საურავის დარიცხვა ხდება ვადის გადაცილების თითოეულ დღეზე. საურავი იანგარიშება პროცენტებში ვალის თანხიდან. ამით ის განსხვავდება სხვა პროცენტებისგან, რომლებიც უკავშირდებიან ამა თუ იმ ვალდებულებას (გადახდები კრედიტზე, პროცენტები სხვისი ფულადი საშუალებების სარგებლობაზე და ა.შ.).

საფირმო სახელწოდება – კომერციული იურიდიული პირის დასახელება. საფირმო სახელწოდება იძლევა სამოქალაქო ბრუნვაში კონკრეტული ორგანიზაციის (საწარმოს) იდენტიფიკაციის და ინდივიდუალიზაციის საშუალებას, გარდა ამის წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს მომხმარებლისათვის. იურიდიულ პირს, რომლის საფირმო სახელწოდება რეგისტრირებულია დადგენილი წესით, აქვს განსაკუთრებული უფლება მის გამოყენებაზე. პირი, რომელიც არამართლზომიერად იყენებს სხვის რეგისტრირებულ საფირმო სახელწოდებას ვალდებულია შეწყვიტოს მისი გამოყენება და ანაზღაუროს მიყენებული ზარალი ამ საფირმო სახელწოდების გამოყენების უფლების მქონე პირის მოთხოვნით. საფირმო სახელწოდების გასხვისება შეიძლება მხოლოდ საწარმოსთან ერთად. საფირმო სახელწოდების მფლობელს შეუძლია სახელწოდების გამოყენების გადაცემა სხვა პირზე ლიცენზიის გადაცემის საფუძველზე (მაგ. საწარმოს ნაწილობრივ გაყიდვის, ჩუქების, იჯარით გადაცემის დროს), ოღონდ სალიცენზიო ხელშეკრულებაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ფარგლები რათა გამოირიცხოს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

საფოსტო მისამართი მისამართი წარწერაა კონვერტზე (პაკეტზე, ამანათზე და ა.შ.), იგი აღნიშნავს იმ პირის (საწარმოს, დაწესებულების) ადგილსამყოფელს, რომელსაც ეგზავნება წერილი (პაკეტი და ა.შ.). არასწორად დაწერილი მისამართი აგვიანებს კორესპონდენციის მიწოდებას.

ჩვენთან მიღებულია მისამართის დაწერის ისეთი თანმიმდევრობა, როდესაც ჯერ აღინიშნება ყველაზე დიდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, შემდეგ კი უფრო პატარა ერთეულები: რესპუბლიკა, ოლქი, (მხარე), რაიონი, ქალაქი (სოფელი, დაბა, ხუტორი და ა.შ.). ქალაქის დასახელების წინ უნდა აღინიშნოს საფოსტო ინდექსი, შემდეგ კი ქუჩა, სახლისა და ბინის ნომერი. ბოლოს იწერება გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირისა, ვისაც ეგზავნება კორესპონდენცია.

ქვემოთ ესმება ბაზი და იმავე წესით იწერება გამგზავნის მისამართი.

საქველმოქმედო ორგანიზაცია

ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია საქველმოქმედო მიზნების მისაღწევად და არ მისდევს კომერციულ მიზნებს გაარჩია საგადასახადო შეღავათები. მისი შემოსავლები მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია გადასახადებისგან.

საქველმოქმედო ფონდი წარმოადგენს ორგანიზაციას შექმნილს სხვადასხვა საქველმოქმედო პროგრამების დასაფინანსებლად – ფირმების, ბანკების და ცალკეული პირების სახსრებით. მიკროეკონომიკურ დონეზე – საწარმოს შემოსავლის ნაწილი, რომელიც განკუთნილია საქველმოქმედო მიზნებისთვის და გაიარია საგადასახადო შეღავათები დადგენილი ნორმატივების ფარგლებში.

ქველმოქმედება გამოიხატება გაჭირვებაში მყოფ ცალკეულ პირთათვის ან ორგანიზაციებისთვის მატერიალური დახმარების გაწევაში. ქველმოქმედება შეიძლება მიმართული იყოს რაიმე საზოგადო მნიშვნელობის მქონე მოღვაწეობის (მაგალითად, გარემოს ან ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა) წახალისებასა და განვითარებისაკენ.

საქმიანი მონანიება – ნიშნავს, რომ პირმა, რომელმაც ჩაიდინა მცირე სიმძიმის დანაშაული, თავს ცნობს დამნაშავედ, ინანიებს ამას კონკრეტული მოქმედებებით. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქმიან მონანიებასთან დაკავშირებით შესაძლებელია სასამართლოს, პროკურორის, ასევე გამომძიებლისა და მოკვლევის მწარმოებელი პირის მიერ პროკურორის ან სასამართლოს საეალდებულო თანხმობით იმ პირობის დროს, რომ პირი ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია მცირე ან საშუალო სიმძიმის დანაშაულის ჩადენაში.

საქმიანი რეპუტაცია – კონკრეტული პირის პროფესიული თვისებების შეფასება. საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ სუბიექტს და განეკუთვნება მატერიალურ კეთილ-

დღეობას. მოქალაქეს უფლება აქვს სასამართლოთი მოითხოვოს მისი საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამაერცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამება. უარმყოფელი ცნობების უარყოფა უნდა მოხდეს იმ მის-ში (მასობრივი ინფორმაციის საგენტო), სადაც გავრცელდა კიდეც ის. კანონის შესაბამისად, მოქალაქეს, რომლის მიმართაც გავრცელდა მისი საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები უფლება აქვს მოითხოვოს ზარალისა და მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიყენებულ იქნა ცნობების გავრცელებით. მოქალაქის საქმიანი რეპუტაციის დაცვის წესები, შესაბამისად გამოიყენება იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიმართაც ანუ იურიდიულ პირსაც ასევე გააჩნია საქმიანი რეპუტაცია და უფლება დაიცვას ის, რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, უმეტესად ეს შესაძლებელია მხოლოდ მოქალაქეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

საქმიანი წერილი (მიმართვა)

– საქმიანი წერილი ეწოდება ერთი დაწესებულების ან ცალკეული პირის ოფიციალური ხასიათის წერილობით მიმართვას მეორე დაწესებულების ან პირისადმი.

საქმიანი წერილი სამი მთავარი სახისა შეიძლება იყოს: წერილი-შეკითხვა, წერილი-თხოვნა, წერილი-პასუხი.

იგი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1. კუთხის შტამპი;

2. მიმღები ორგანიზაციის დასახელება და მისამართი;

3. წერილის ტექსტი;

4. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან გამგზავნი პირის ხელმოწერა.

წერილებში შეიძლება იყოს ცნობა ხელმძღვანელი ორგანოების განკარგულებათა, მითითებათა ან დაკალებათა შესრულების შესახებ; ასეთ წერილებს ეწოდება „საინფორმაციო წერილები".

საქმის აღძვრის და წარმოების წესი და ფორმა

თბილისი
ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურა
სისხლის სამართლის №საქმე
გვარი
სახელი
მამის სახელი მიმართ
დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით/ებით
ნაწილით/ებით ქვეპუნქტით/ებით
წინასწარი გამოძიება დაიწყო:
წინასწარი გამოძიება დამთავრდა:
ტომი:
საქმეში ფურცელი:
გამომძიებელი

საქმეში არსებული დოკუმენტების ნუსხა
დოკუმენტის დასახელება
1. მოქალაქე ზ. სანაძის განცხადება
2. წინასწარი გამოძიების აღრიცხვის ბარათი
3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების აღრიცხვის ბარათი
4. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი
5. დადგენილება ზ.სანაძის დაზარალებულად ცნობის შესახებ
6. დაზარალებულის უფლება-მოვალეობათა ნუსხა
7. დადგენილება ბიოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ
8. დადგენილება ა. სიმონიშვილის დაკაებების შესახებ
9. დადგენილება ა. სიმონიშეილის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ
10. ეჭვმიტანილის უფლება-მოვალეობათა ნუსხა
11. ეჭვმიტანილ ა. სიმონიშვილის დაკითხვის ოქმი
12. მოწმის ვ. მაისურაძის დაკითხვის ოქმი
13. დადგენილება ა. სიმონიშეილის ბრალდებულად ცნობის შესახებ
14. ბრალდებულის უფლება-მოვალეობათა ნუსხა
15. ბრალდებულ ა.სიმონიშვილის დაკითხვის ოქმი
16. შუამდგომლობა ბრალდებულ ა. სიმონიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ (სასამართლოს დასახელება)
17. ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა
18. სასამართლოს ბრძანება ბრალდებულ ა. სიმონიშვილისათვის აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების შერჩევის შესახებ
19. მიმართვა (თბილისის მერიის იურიდიული სამსახური)
20. მოწმის ვ. მაისურაძის დაკითხვის ოქმი
21. ტრასოლოგიური (დაქტილოსკოპიური) ექსპერტიზის დასკვნა
22. მიმართვა (შს სამინისტროს საზღერის დაცვის დეპარტამენტი)
23. დადგენილება ბრალდებულ ა. სიმონიშეილისათვის წინასწარი გამოძიების დამთავრების გამოცხადების შესახებ
24. დადგენილება ბრალდებულ ა. სიმონიშვილისთვის საქმის მასალების გასაცნობად წარდგენის შესახებ
25. ბრალდებულ ა. სიმონიშვილის შუამდგომლობა სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ
ს.ფ. (საქმის ფურცელი)
1.
2.
3. და ა.შ.

საქმის წარმოება მომრიგებელ მოსამართლესთან

– მომრიგებელი მოსამართლე პირველ ინსტანციაში განიხილავს: ა) სისხლის სამართლის საქმეებს დანაშაულების შესახებ, რომელთა ჩადენაზეც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას; ბ) საქმეებს სასამართლო ბრძანების გაცემის შესახებ; გ) საქმეს განქორწინების შესახებ, თუ მეუღლეებს შორის არაა დავა ბავშვებზე; დ) მეუღლეებს შორის ერთობლივად დაგროვებული ქონების გაყოფის შესახებ საქმეებს; ე) ოჯახურ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე სხვა საქმეებს, გარდა საქმეებისა მამობის (დედობის) შედავების, მამობის დადგენის, მშობლის უფლებების ჩამორთმევის, ბავშვის შვილად აყვანის შესახებ; ვ) შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებს, სამუშაოზე აღდგენის შესახებ საქმეების

გარდა; ზ) საქმეების მიწის ნაკეთებით, ნაგებობებით, სხვა უძრავი ქონებით სარგებლობის წესის განსაზღვრის შესახებ; თ) საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, რომლებიც განეკუთვნება მომრიგებელი მოსამართლის კომპეტენციას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის მიხედვით. მომრიგებელი მოსამართლე განიხილავს საქმეებს ხელახლა აღმოჩენილ გარემოებებზე, მის მიერ პირველ ინსტანციაში და ძალაში შესული გადაწყვეტილებების თაობაზე.

კერძო ბრალდების საქმეებზე, თუ განცხადება არ პასუხობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, მომრიგებელ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება განცხადების მისი შემტანი პირისთვის დაბრუნების შესახებ, სადაც აღნიშნულია მისი კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა და ადგენს ამისთვის ვადას. აღნიშნული მითითების შეუსრულებლობისას მომრიგებელი მოსამართლე უარს აცხადებს განცხადების მიღებაზე და აცნობებს ამის შესახებ მის შემტან პირს. მხარეთა შუამდგომლობით მომრიგებელი მოსამართლე ხელს უწყობს მათ ისეთი მტკიცებულებების შეგროვებაში, რომლებიც არ შეიძლება მიღებულ იქნეს მათ მიერ დამოუკიდებლად.

სასამართლო სხდომის დანიშვნის საფუძვლების არსებობისას მომრიგებელი მოსამართლე სასამართლოში იძახებს პირს, რომლის თაობაზეც შესულია განცხადება, აცნობს მას საქმიან მასალებს, ამლევს განცხადების ასლს, განუმარტავს განსასჯელს მის უფლებებს სასამართლო სხდომაზე და არკვევს, თუ ვინაა აუცილებლად სასამართლოში გამოსაძახებელი ჭეშმარიტების დადგენის და დაცვის მოწმეთა სახით. სასამართლოში იმ პირის გამოუცხადებლობისას, რომლის შესახებაც შეტანილია განცხადება, განცხადების ასლი განსასჯელის უფლებების, ასევე მხარეთა მორიგების პირობებისა და წესის განმარტებით ეგზავნება განსასჯელს.

მომრიგებელი მოსამართლე მხარეებს განუმარტავს მორიგების შესაძლებლობას. მათ მიერ მორიგების შესახებ განცხადებების შეტანისას, სისხლის სამართლის საქმის წარმოება წყდება მომრიგებელი მოსამართლის დადგენილებით. თუ მხარეებს შორის არ მოხდა მორიგება, მომრიგებელი მოსამართლე ნიშნავს სისხლის სამართლის საქმის განხილვას სასამართლო სხდომაზე. მომრიგებელი მოსამართლე ახორციელებს მოსამზადებელ მოქმედებებს და იღებს გადაწყვეტილებებს კანონით დადგენილი წესით.

საქონელი – ნებისმიერი მოძრავი ქონება (მათ შორის, ყველა სახის ენერგია) და უძრავი ქონებისთვის მიკუთვნებული საჰაერო, საზღვაო ხომალდები, კოსმოსური ობიექტები, რომლებიც წარმოადგენენ საგარეო სავაჭრო საქმიანობის საგანს. საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულების დროს გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები საქონელს არ წარმოადგენს. ნებისმიერი ნივთი, რომელიც შეზღუდული არაა ბრუნვაში, თაეისუფლად გასხვისებადია და გადადის ერთი პირიდან მეორეზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით (იხ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება).

საქონელი – შრომის პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია ადამიანის გარკვეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მოხმარებაში გამოიყენება გაცვლისა და ყიდვა-გაყიდვის შედეგად.

საქონელმოძრაობა – სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის შეუფერხებელ მოძრაობას მწარმოებელთა საწყობიდან მომხმარებლამდე – ტრანსპორტის სახეობის შერჩევის, გადაზიდის, მარშრუტების დადგენის, შეფუთვისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების, საწყობებში განლაგებისა და სხვ. ჩათვლით.

საქონლის ამორჩევა მიწოდების ხელშეკრულებაში პირობა, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ მყიდველი იღებს საქონელს მიმწოდებლის მიერ მითითებულ ადგილას და დამოუკიდებლად ახდენს მის ტრანსპორტირებას. ამ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია განახორციელოს გადასაცემი საქონლის დათვალიერება მათი გადაცემის ადგილას, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა კანონით, სხვა სამართლებრივი აქტებით ან არ გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან. საქონლის მყიდველის (მიმღების) მიერ ამორჩევლობა მიწოდების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, ხოლო მისი არარსებობისას – საქონლის მშადყოფნის შესახებ მიმწოდებლის შეტყობინების მიღების შემდეგ გონივრულ ვადაში, მიმწოდებელს აძლევს უფლებას უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე ან მყიდველისგან მოითხოვოს საქონლის ანაზღაურება. იხ. ასევე მიწოდების ხელშეკრულება, მიწოდების ბაზისი.

საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) არსებითი ნაკლოვანება – აღმოუფხვრელი ნაკლოვანება ან ნაკლოვანება, რომელიც არ შეიძლება აღმოიფხვრას დროის არათანაზომიერი დანახარჯის გარეშე ან ვლინდება კვლავ მისი აღმოფხვრის შემდეგ ან სხვა ამგვარი ნაკლოვანებები. ამასთან, საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) არსებითი ნაკლოვანების ქვეშ იგულისხმება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) შეუსაბამობა კანონით გათვალისწინებულ, ხელშეკრულებით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებთან ასევე იმ მიზნებთან, რომელთა შესახებაც გამყიდველს (შემსრულებელს) ეცნობა მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების დადებისას ან ნიმუშის და/ან აღწერის მიხედვით ნიმუშთა და/ან აღწერით საქონლის გაყიდვისას.

საქონლის ასორტიმენტი – პირობა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში (მიწოდების ხელშეკრულებაში და ა.შ.), რომელიც განსაზღვრავს საქონლის თანაფარდობას სახეობის, მოდელების, ზომების, ფერებისა და სხვა ნიშნების მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში გამყიდველი ეალდებულია მყიდველს გადასცეს მხარეების მიერ შეთანხმებული საქონელი ასორტიმენტში. პირობა საქონლის ასორტიმენტის შესახებ წარმოადგენს არსებითს მხოლოდ კონტრაქტაციის ხელშეკრულებაში.

გამყიდველის მიერ ასორტიმენტის შესახებ პირობის დარღვევით საქონლის გადაცემა მყიდველს უფლებას აძლევს უარი თქვას მათ მიღებაზე და ანაზღაურებაზე, ხოლო თუ ისინი ანაზღაურებულია, მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება და ზარალის ანაზღაურება. საქონელი, რომელიც არ შეესაბამება პირობას ასორტიმენტის შესახებ ითვლება მიღებულად, თუ მყიდველი მათი მიღებიდან გონივრულ ვადებში არ აცნობებს მყიდველს თაეის უარს საქონელზე.

თუ გამყიდველი მყიდველს იმ საქონელთან ერთად, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების ასორტიმენტს, გადასცემს ასორტიმენტის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეუსაბამო საქონელს, მყიდველი უფლების მქონეა: ა) მიიღოს ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ასორტიმენტის საქონელი და უარი თქვას დანარჩენ საქონელზე; ბ) უარი თქვას ყველა მიღებულ საქონელზე; გ) მოითხოვოს იმ საქონლის შეცვლა, რომელიც არ შეესაბამება ასორტიმენტის შესახებ ხელშეკრულების პირობებს; დ) მიიღოს ყველა გადაცემული საქონელი. იხ. ასევე მიწოდების ხელშეკრულება, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

საქონლის ბოლომდე მიუწოდებლობა – მიმწოდებლის მიერ მყიდველისთვის საქონლის მიწოდება იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს განპირობებული იყო მიწოდების ხელშეკრულებით. საქონლის ბოლომდე მიუწოდებლობისას მყიდველს უფლება აქვს მიუწოდებელი საქონელი შეიძინოს სხვა პირებთან მათი შესაძენი ხარჯების მიმწოდებელზე მიკუთვნებით. კანონითა და მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებაზე ან ბოლომდე მიუწოდებლობაზე იკრიფება ან აღინიშნება მიმწოდებლისგან ვალდებულების ფაქტიურ შესრულებამდე, მისი ვალდებულების ფარგლებში შეავსოს მიუწოდებელი რაოდენობით საქონელი, თუ პირგასამტეხლოს გადახდის სხვა წესი დადგენილი არაა კანონით ან ხელშეკრულებით.

საქონლის გაყიდვა დაბაალ ფასებში საქონლის გაყიდვა პირველად დაწესებულზე დაბალ ფასებში, რაც წარმოადგენს მისი გასაღების სტიმულირების ერთ-ერთ ფორმას.

საქონლის თვითღირებულება საწარმოს (ფირმის) მიერ პროდუქციის საწარმოებლად და სარეალიზაციოდ გაწეული მიმდინარე დანახარჯების ფულადი გამოსახვა. საქონლის თვითღირებულება შეიცავს: წარმოებაში გამოყენებული საშუალებების ღირებულებას (მაგ., დანახარჯები ნედლეულზე, მასალებზე, ნახევარფაბრიკატებზე, სათბობზე, ენერგიაზე, ძირითადი საწარმოო ფონდების ექსპლუატაციასა და ამორტიზაციაზე), საწარმოს მუშაკების შრომის ანაზღაურებისა და სოციალური დაზღვევის დანარიცხების ხარჯებს.

საქონლის სამომხმარებლო თვისებები – კონსტრუქციული (მტკიცე) და ესთეტიკური (რბილი) თვისებების ერთობლიობა, რომლებიც მყიდველთა თვალში საქონელს უქმნიან დადებით ეფექტსა და მომხიბლელობას.

საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელება – ქვეყნის, დასახლებული პუნქტის, ადგილის ან სხვა გეოგრაფიული ობიექტის დასახელება, გეოგრაფიული ობიექტის ისტორიული სახელწოდება, რომელიც გამოიყენება საქონლის აღსანიშნავად, რომლის განსაკუთრებული თვისებები ძირითადად განისაზღვრება მოცემული გეოგრაფიული ობიექტის ბუნებრივი პირობებით ან ადამიანთა ფაქტორებით (ან ბუნებრივი პირობებითა და ადამიანთა ფაქტორებით ერთდროულად). საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელების სამართლებრივი დაცვა ჩნდება მისი რეგისტრაციის საფუძველზე სპატენტო უწყების მიერ ან საერთაშორისო ხელშეკრულების ძალით. მოწმობა მოქმედებს ათი წლის განმავლობაში სპატენტო უწყებაში განცხადების შესვლის დღიდან. მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს მოწმობის მფლობელის განცხადებით.

საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელების გამოყენებად ითვლება მისი გამოყენება საქონელზე, საფუთაზე, რეკლამაში, პროსპექტებზე, ანგარიშებზე, ბლანკებზე, სხვა დოკუმენტაციაში, რომელიც უკავშირდება საქონლის სამეურნეო ბრუნვაში შემოღებას. დაუშვებელია რეგისტრირებული დასახელების გამოყენება პირთა მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ მოწმობა თუნდაც, თუ მითითებულია საქონლის წარმოშობის ნამდვილი ადგილი ან დასახელება გამოიყენება თარგმანში ისეთ გამოთქმებთან ერთად, როგორიცაა „ტიპი", „იმიტაცია" და ა.შ. ასევე დაუშვებელია მსგავსი აღნიშვნის გამოყენება ერთი სახის საქონლისთვის, რასაც შეუძლია მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანა. მოწმობის მფლობელს უფლება არა აქვს საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელების გამოყენების ლიცენზია გადასცეს სხვა პირებს.

საქონლის ხარისხი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საგნის დახასიათება, რომელიც განსაზღვრავს მყიდველისთვის გადასაცემი ნივთის მნიშვნელოვან ნიშნებს, მის გამოსადეგობას გამოყენებისთვის. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს საქონელი, რომლის ხარისხიც შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს. თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში განსაზღვრული არაა პირობები საქონლის ხარისხის შესახებ, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს იმ მიზნებისთვის გამოსადეგი საქონელი, რომელთათვისაც ის ჩვეულებრივ გამოიყენება. თუ გამყიდველს ხელშეკრულების დადებისას ეცნობა საქონლის შეძენის კონკრეტული მიზნების შესახებ მყიდველის მიერ, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ამ მიზნების შესაბამისად გამოსადეგი საქონელი. ნიშუშის მიხედვით ან აღწერით საქონლის გაყიდვისას გამყიდველმა უნდა გადასცეს საქონელი, რომელიც შეესაბამება ნიმუშს და (ან) აღწერას. საქონლის ხარისხისადმი საჯალდებულო მოთხოვნები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო (დარგობრივი) სტანდარტების მიერ. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ მოთხოვნებს მყიდველისთვის გადაცემის მომენტში და გონივრული ვადის ფარგლებში გამოსადეგი იყოს ჩვეულებრივი გამოყენებისთვის. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს გამყიდველის მიერ საქონლის ხარისხის გარანტიის მიცემას (იხ. საგარანტიო ვადა).

კანონი ან ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს საქონლის ხარისხის შემოწმების სპეციალურ წესს მყიდველისთვის გადაცემისას (გამოცდა, ანალიზი, დათვალიერება და ა.შ.).

გამყიდველის მიერ მიუთითებელი საქონლის ნაკლოვანებების გამოელენის შემთხვევაში მყიდველს, რომელსაც გადაეცა ეს საქონელი უფლება აქვს გამყიდველისგან მოითხოვოს სურვილისამებრ: ა) მსყიდველობითი ფასის თანაბარზომიერი შემცირება; ბ) გონივრულ ვადებში საქონლის ნაკლოვანებების უსასყიდლო აღმოფხვრა; გ) საქონლის ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე საკუთარი ხარჯების ანაზღაურება. საქონ-

ლის ხარისხისადმი მოთხოვნების არსებითი დარღვევის შემთხვევაში (აღმოუფხვრელი, საკმაოდ ართანაბარზომიერი ხარჯების ან დროის დანახარჯის შედეგად აღმოუხვრადი ნაკლოვანებების აღმოჩენისას და ა.შ.). მყიდველს სურვილისამებრ უფლება აქვს: ა) უარი თქვას ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესრულებაზე და მოითხოვოს საქონელზე გადახდილი თანხის დაბრუნება; ბ) მოითხოვოს საქონლის შეცვლა ხელშეკრულების შესაბამისი ხარისხის საქონლით. აღნიშნული მოთხოვნები შეიძლება მყიდველის მიერ წამოყენებულ იქნეს საგარანტიო ვადის განმავლობაში.

იმის დამტკიცების ტვირთი, რომ საქონელს ნაკლოვანება ჰქონდა მყიდველისთვის გადაცემამდე ან ამ მომენტამდე წარმოქმნილი მიზეზების გამო, აწევს მყიდველს იმ შემთხვევების გარდა, როცა საქონელზე დადგენილია ხარისხის გარანტია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამყიდველი პასუხს აგებს საქონლის ნაკლოვანებებზე, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ისინი წარმოიქმნენ მყიდველისთვის მისი გადაცემის შემდეგ. ამ უკანასკნელის მიერ საქონლის გამოყენების ან მისი დაცვის წესების დარღვევის ან მესამე პირებისა მოქმედების თუ დაუძლეველი ძალის შედეგად. იხ. ასევე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, მიწოდების ხელშეკრულება.

საქორწინო კონტრაქტი ზოგიერთი ქვეყნის სამართალში ნეფე-დედოფლის მიერ დაქორწინების დროს დადებული შეთანხმება ქონების მართვისას ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების მოწესრიგების თაობაზე. მაგალითად, საქორწინო კონტრაქტი შეიძლება იყოს ქონების ერთად მართვის, ე.წ. თანამართვის საფუძველი (საფრანგეთი), ქონების მართვის მთელი უფლების ქმარზე გადაცემა (თურქეთი), მეუღლეთა შეთანხმებით ქორწინებამდელი ქონების ერთობა ან განცალკევებულობა (პოლონეთი) და სხვა.

საყოველთაო გაფიცვა – რეგიონის ან ქვეყნის მრეწველობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარგების მუშათა უმრავლესობის მიერ სამუშაოს შეწყვეტა, მიმართული ეკონომიკური აქტიურობის შეჩერებისაკენ პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. გაფიცვა, როგორც წესი, არ ვრცელდება ჯანმრთელობის დაცვაზე, სურსათითა და წყლით მომარაგებაზე. შესაძლებელია, რომ ასეთი გაფიცვები იყოს სიმბოლური (რამდენი საათის განმავლობაში) ან შეიძლება ისახავდეს უფრო მასშტაბურ ამოცანებს, რომ მოწინააღმდეგე დათმობებზე წაიყვდეს.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეული – სასარგებლო წიაღისეულის სახე, რომელიც განკუთვნება ასეთს სპეციალურ ჩამონათვალში ჩართვის გზით. წიაღის შეთავაზების წესი საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის სახსრების დამუშავებისთვის, წიაღის გამოყენების წესი მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისთვის დგინდება კანონებითა და სხვა ნორმატიული, სამართლებრივი აქტებით. მიწის ნაკვეთების მფლობელებს, მესაკუთრეებს უფლება აქვთ თავიანთი სურვილისამებრ, ამ ფარგლებში განახორციელონ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სამუშაოები ასაფეთქებელი მოწყობილობების გარეშე, აწარმოონ მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობა თავიანთი საჭიროებებისათვის 5 მ-მდე სიღრმეზე, ასევე მოაწყონ და მოახდინონ საყოფაცხოვრებო ჭებისა და ჭაბურღილების ექსპლუატაცია პირველ წყალგამტარ ჰორიზონტზე, რომელიც არ წარმოადგენს ცენტრალური წყალმომარაგების წყაროს. წიაღი საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის, სამშენებლო მასალების წარმოების მიზნით, შეიძლება არ იქნეს გადაცემული სამთო-მომპოვებელი და სხვა საწარმოო ნარჩენების გამოყენების შესაძლებლობისას, რომლებიც წარმოადგენენ ნედლეულის ალტერნატიულ წყაროებს.

საშემოსავლო გადასახადი – გადასახადის მიწერის სახე, რომლითაც იბეგრება იურიდიული ან კერძო პირის შემოსავალი, რომელიც მიღებულია მათი საქმიანობის შედეგად ან ქონების გამოყენებით.

საშინაო ბაზარი – 1) ბაზარი, რომელიც შემოსაზღვრულია ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებით; 2) საქონლის მწარმოებლებისა და მომხმარებლების ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, ერთი ქვეყნის შიგნით საქონლის (მომსახურების) ყიდვა-გაყიდვის მიზნით.

საშიში ნარჩენები – ნარჩენები, რომლებიც შეიცავენ საშიში თვისებების მქონე (ტოქსიკური, ფეთქებადსაშიში, მაღალი რეაქციული უნარის შემცველი) მავნე ნივთიერებებს ან რომელთაც გააჩნიათ ინფექციური დაავადებების გამომწვევი უნარი, წარმოადგენენ რა უშუალო ან პოტენციურ საშიშროებას ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსთვის დამოუკიდებლად ან სხვა ნივთიერებებთან კონტაქტში შესვლის დროს.

საშიში ნარჩენების პასპორტი – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ნარჩენების მიკუთვნებას საშიშროების შესაბამისი სახისა და კლასის ნარჩენებთან, რომლებიც მოიცავენ ცნობებს მათი შემადგენლობის შესახებ.

საშიში სამრეწველო ობიექტები – საწარმოები ან მათი სამკრეთები, მონაკვეთები, ფარითობი, ასევე სხვა სამრეწველო ობიექტები, რომლებიც მითითებულია შესაბამის კანონში.

საშიში საწარმოო ობიექტების სამრეწველო უსაფრთხოება – პიროვნებისა და საზოგადოების სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების ავარიებისგან დაცულობის მდგომარეობა საშიშ საწარმოო ობიექტებზე და ასეთი ავარიების შედეგებისგან დაცვა.

საშიშროებაში მიტოვება დახმარების გარეშე პირის მიტოვება სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობაში და რომელიც მოქალაქეებისა თავდაცვის ზომების მიღებას მცირეწლოვანების, სიბერის, აუადმყოფობის გამო, თუ დამნაშავეს ჰქონდა შესაძლებლობა გაეწია დახმარება ამ პირისთვის და ვალდებული იყო ეზრუნა მასზე ან თავად ჩაყენება ის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობაში.

საშუალო ხელფასი სპეციალური წესებით გაანგარიშებული ფულადი ანაზღაურების (ხელფასის) ოდენობა, რომელიც მუშაკებზე გაიცემა იმ შემთხვევებში, როცა ისინი სამუშაოზე არ არიან სპატიო მიზეზებით და რომელთაც კანონმდებლობის შესაბამისად უნარჩუნდებათ სამუშაო ადგილი (თანამდებობა). საშუალო ხელფასის გარკვეული ოდენობა გამოსასელელი დახმარების სახით, ასევე გაიცემა შრომის ხელშეკრულების კანონით დადგენილი საფუძვლებით გაწყვეტისას (მაგალითად, მუშაკის სამხედრო სამსახურში გაწვევა ან მისი ალტერნატიული სამხედრო სამსახურში გაგზავნა, ორგანიზაციის ლიკვიდაცია, შტატის შემცირება და სხვ.).

საშუალო ხელფასი გარანტირებული აქვთ კოლექტიურ მოლაპარაკებებში, კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმების პროექტის მომზადებაში მონაწილე პირებს, შრომითი დავების თაობაზე კომისიების წევრებს ამ კომისიების მუშაობის დროს. საშუალო ხელფასი უნარჩუნდებათ მუშაკებს ყოველწლიური (ძირითადი) და დამატებითი შვებულების დროს. საშუალო ხელფასის შენარჩუნების ვადები და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით შრომის შესახებ. შრომის კოდექსი განსაზღვრავს საშუალო ხელფასის გაანგარიშების ერთიან წესს.

საჩივარი — საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №5 – ზოგადი ნაწილის სხვა დებულებანი

თავი №30 – საჩივარი

მუხლი №234 – სისხლის სამართლის პროცესის განმახორციელებელი ორგანოს და თანამდებობის პირის მოქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

გამომძიებლის, გამოძიების ორგანოს უფროსის, პროკურორის, მოსამართლის ან სასამართლოს მოქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ პროცესის მონაწილეებს, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი №235 – საჩივრის შეტანა

1. საჩივარი შეაქვთ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოში ან იმ თანამდებობის პირთან, რომელიც კანონით უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება, დასაშვებია საჩივრის შეტანა იმ პირთან ან იმ ორგანოში, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილებაც საჩივრდება. ამ შემთხვევაში საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს აღრესატს.

2. საჩივარი გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს შესაბამის პროკურორს. საჩივარი პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს ზემდგომ პროკურორს. თანამდებობის პირმა, რომელმაც მიიღო საჩივარი თავისი მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო, აღრესატისათვის მისი გაგზავნისას უნდა დაურთოს საკუთარი განმარტებები.

3. საჩივარი შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი. ზეპირი საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და საჩივრის მიმღები თანამდებობის პირი. საჩივარს შეიძლება დაერთოს მისი დამადასტურებელი მასალები.

მუხლი №236 – საჩივრის შეტანის ვადა

1. გამომძიებლის, გამოძიების ორგანოს უფროსის ან პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივრის შეტანა შეიძლება წინასწარი გამოძიების მთელი წარმოების განმავლობაში.

2. სასამართლოს (მოსამართლის) მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივრის შეტანა შეიძლება ამ კოდექსის კერძო ნაწილში დადგენილ ვადებში.

3. სპატიო მიზეზით საჩივრის შეტანის გაცდენილი დროის აღდგენა შეუძლია სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ საჩივრის გამო.

4. მოსამართლის დადგენილება გაშვებული ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საერთო წესით, ერიუკრადად ზემდგომ სასამართლოში. სასამართლოს უფლება აქვს აღადგინოს გაშვებული ვადა და არსებითად განიხილოს საქმე საჩივრის საფუძველზე.

თავი 30. საჩივარი

კარი №5 – ზოგადი ნაწილის სხვა დებულებანი

მუხლი №238 – საჩივრის განხილვის ზოგადი წესი

1. საჩივრის განხილვა არ შეიძლება დაეკისროს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომლის მოქმედებაც საჩივრდება, აგრეთვე იმ ორგანოს ან პირს, რომელმაც დაამტკიცა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

2. ორგანო ან პირი, რომელიც საჩივარს განიხილავს, შეზღუდული არ არის საჩივარში ჩამოყალიბებული მოსაზრებებით და უფლება აქვს შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – საქმის მთელი წარმოება.

3. საჩივრის განხილვისას პროკურორი და სასამართლო ვალდებულნი არიან ყოველმხრივ შეამოწმონ მასში წარმოყალიბებული მოსაზრებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – გამოითხოვონ დამატებითი მასალები და განმარტებები.

4. ორგანო ან პირი, რომელიც საჩივარს განიხილავს, ვალდებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა, სხვა პირთა, აგრეთვე დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული პირი უკმაყოფილოა გამოძიების ორგანოს ან/და გამომძიებლის მოქმედებითა და გამოძიების მსვლელობით, მას აქვს უფლება წერილობით მიმართოს ზემდგომ ორგანოს (ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს პროკურატურა, სამინისტროს გენერალური ინსპექცია, სასამართლო ან შესაბამისი უწყების მაკონტროლებელი ან/და საზედამხედველო ორგანო).

საჩივარი – თავი №30

მუხლი №243 – წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ასევე პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების წესი

1. წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების,

ასევე პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) მისი გაცემიდან (გამოტანიდან) 48 საათის ვადაში შეიძლება ერთჯერადად გაასაჩიროს ბრალდებულმა, მისმა დამცველმა, პროკურორმა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

2. საჩივარი შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამცემ (გამომტან) მოსამართლესთან, რომელიც ამ საჩივარსა და საქმის მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების (დადგენილების) აღსრულებასა და საქმის გამოძიებას.

3. საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს საქმის მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 72 საათისა.

4. საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, პროკურორისა და მხარეთა მონაწილეობით. მხარეთა გაშვებადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივრის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ ბრალდებულს, მის დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს. საჩივრის განმხილველ მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საჩივრის გადაწყვეტისათვის, წინადადება მისცეს მხარეებს, წარმოადგინონ საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებანი. მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, რა საჩივარი განიხილება, ასახელებს მხარეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები, აცილების საკითხი წყდება ამ კოდექსით დადგენილი წესით. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ მხარეები, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, განმარტებანი მისცენ სასამართლოს და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

5. საჩივრის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ ბრძანების (დადგენილების) გაცემისას (გამოტანისას) დაიცვა თუ არა მოსამართლემ ამ კოდექსის 151-ე-172-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

6. საჩივრის განხილვის შემდეგ მოსამართლე იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) გასაჩივრებული ბრძანების (დადგენილების) ძალაში დატოვების და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

7. საჩივრის შემტან მხარეს უფლება აქვს სასამართლოში მისი განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე უკან გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

8. საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი დადგენილების ასლები გადაეცემა მხარეებს, ეგზავნება ბრძანების (დადგენილების) გამცემ მოსამართლეს და ამ გადაწყვეტილების აღმსრულებელ ორგანოს.

9. ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გამოტანილი დადგენილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

10. მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, გამოიკვლია თუ არა არსებობად იგივე საკითხები პირველი ინსტანციის სასამართლომ ან განიხილა თუ არა სასამართლომ არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე, საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) დადგენილებით საჩივარს განუხილველად ტოვებს; საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) ატარებს ზეპირ მოსმენას ამ კოდექსით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. ზეპირი მოსმენის შემთხვევაში მოსამართლე აცხადებს გადაწყვეტილების არეზოლუციო ნაწილს.

სარჩევარი – 1) სისხლის სამართლის პროცესში მიმართვა თანამდებობის პირის მიმართ, რომელიც ახორციელებს სამართალწარმოებას ან სასამართლოსადმი სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტის ან სხვა პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევასთან დაკავშირებით, რომლის უფლებებიც და ინტერესებიც დაირღვა თანამდებობის პირის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მოქმედებით. მოკლეული ორგანოს, მოკლეული მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მოქმედები და გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეების, ასევე სხვა პირების მიერ იმ ნაწილში, რომელშიც წარმოებული საპროცესო მოქმედები და მისაღები საპროცესო გადაწყვეტილებები ეხება მათ ინტერესებს. პროკურორი (ან სასამართლო) განიხილავს საჩივარს მისი მიღებიდან სამი დღის მანძილზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა საჩივრის შემოწმებისთვის საჭიროა დამატებითი მასალის მოთხოვნა ან სხვა ზომების მიღება, დასაშვებია მისი განხილვა ათი დღის ვადაში, რის შესახებაც ეცნობება განმცხადებელს. საჩივრის განხილვის შედეგების შესაბამისად პროკურორს (ან სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება მისი სრული ან ნაწილობრივი დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებისა და მისი გასაჩივრების შემდგომი წესის შესახებ.

მოკლეული მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებები სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე უარის, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ, ასევე მათი სხვა გადაწყვეტილებები და მოქმედებები, რომელთაც შეუძლიათ ზიანის მიყენება სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეების კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებებისთვის ან გაართულონ მოქალაქეთა მართლმსაჯულებაში წვდომა, შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს რაიონულ სასამართლოში, წინასწარი გამოძიების წარმოების ადგილის მიხედვით.

საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში განმცხადებლის, მისი დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის ან უშუალოდ წარმომადგენლის მიერ ან მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლისა თუ პროკურორის მეშვეობით.

მოსამართლე ამოწმებს მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების კანონიერებასა და დასაბუთებულო-

ბას სასამართლო სხდომაზე განმცხადებლისა და მისი დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის ან წარმომადგენლის მონაწილეობით, თუ ისინი მონაწილეობენ სისხლის სამართლის საქმეში, სხვა პირთა თანდასწრებით, რომელთა ინტერესებიც უშუალოდ შეხებულია გასაჩივრებული მოქმედებით ან გადაწყვეტილებით და ასევე პროკურორის მონაწილეობით. საჩივრის განხილვის დროის შესახებ დროულად შეტყობინებულ პირთა გამოუცხადებლობა და რომლებიც არ იყენებენ მათი თანდასწრებით მის განხილვას, არ წარმოადგენს დაბრკოლებას საჩივრის განსახილველად სასამართლოს მიერ. სასამართლოს მიერ განსახილველი საჩივრები განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე, დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების შემთხვევების გარდა.

სასამართლო სხდომის დაწყებისას მოსამართლე აცხადებს რომელი საჩივარი ექვემდებარება განხილვას, წარუდგება სასამართლო სხდომაზე მყოფ პირებს, განუმარტავს მათ უფლებებსა და ვალდებულებებს. შემდეგ განმცხადებელი, თუ ის მონაწილეობს სასამართლო სხდომაში ასაბუთებს საჩივარს, რის შემდეგაც ისმინება სხვა პირები. განმცხადებელს აქვს შესაძლებლობა გამოეიდეს რეპლიკით.

საჩივრის განხილვის შედეგების მიხედვით მოსამართლეს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დადგენილება: შესაბამისი თანამდებობის პირის მოქმედების ან გადაწყვეტილების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის და მისი ვალდებულების შესახებ — აღმოუხვრას დაშვებული დარღვევა ან საჩივრის დაკმაყოფილების გარეშე შეჩერების შესახებ.

მოსამართლის დადგენილების ასლები ეგზავნება განმცხადებელსა და პროკურორს. საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული მოქმედებისა და გადაწყვეტილების შესრულების განხორციელებას, თუ ამას საჭიროდ არ ჩათვლის მოკლეევის მწარმოებელი ორგანო, მოკლეევის მწარმოებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე; 2) მოქალაქის, ორგანიზაციის (იურიდიული პირი) ზეპირი ან წერილობითი მიმართვა სასამართლოსთვის, სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსთვის, შესაბამისი ორგანოების თანამდებობის პირებისთვის უფლებათა, თავისუფლებათა და კანონით დაცულ ინტერესთა დარღვევის თაობაზე.

საჩივრის განხილვის ზოგადი წესები ითვალისწინებს, რომ ის უნდა იქნეს წარმოდგენილი ორგანოში, თანამდებობის პირისთვის, რომლებიც წარმოადგენენ უშუალოდ ზემდგომ იმ ორგანოს, თანამდებობის პირთან მიმართებაში, რომლის მოქმედებაც (უმოქმედობა) იქნა გასაჩივრებული. საჩივარი უნდა იქნეს განხილული მისი მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, ხოლო სამხედრო მოსამსახურის ან მისი ოჯახის წევრის მიერ წარმოდგენილი კი, არა უგვიანეს 15 დღისა, ან კანონით განსაზღვრულ სხვა ვადებში. აღნიშნული ვადები შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა მასალების დამატებით შესწავლა, დოკუმენტების მოთხოვნა, ადგილზე გასვლა და ა.შ.

ზოგადი იურისდიქციის სასამართლოებში მოქალაქეთა საჩივრების განხილვა აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი და სხვა სახის ორგანიზაციების და მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე, რეგულირდება კანონის მიერ.

საჩივრის განხილვა სასამართლოში

– კანონით დადგენილი პროცედურა. თუ გამოძიების ორგანოთა შესაბამისი მოქმედებები და გადაწყვეტილებები ეხება არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობებს, არამედ წარმოქმნის მათ ფარგლებს გარეთ გამაეალ შედეგებს, ზღუდავს რა ამასთან, პიროვნების კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ასეთი მოქმედებების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების გადაღებამ სასამართლო განხილვის სტადიამდე შეიძლება ზიანი გამოიწვიოს, რომლის აღმოფხვრაც შემდგომში იქნება განუზორციელებელი. ამ შემთხვევებში კონტროლი წინასწარი გამოძიების ორგანოების მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე სასამართლოს მხრიდან, რომელსაც ადგილი აქეს მხოლოდ მის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, ანუ წარმოების შემდგომ ეტაპზე არ წარმოადგენს დარღვეული უფლებების აღდგენის ეფექტურ საშეალებას, ამიტომ, დაინტერესებული პირები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ გამოძიების დროს სასამართლოში საჩივრით დაუყოვნებლივი მიმართვის შესაძლებლობით. საჩივრის შემტან პირს, მის დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს შეუძლიათ სასამართლოში შეიტანონ შესაბამისი მონაცემები, რომლებიც მათი აზრით, აუცილებელია შეტანილი საჩივრის სწორი და ობიექტური გადაწყვეტისთვის. სასამართლოში საჩივრის შეტანის შემდეგ ხდება ცალკე წარმოება, რომელსაც თან ერთვის: საჩივარი, მხარეების მიერ წარმოდგენილი მასალები, მოსამართლის დადგენილება საჩივრის განხილვის შედეგების შესახებ, ასევე სხვა დოკუმენტები, რომლებიც არ წარმოადგენენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს. საჩივრის განხილვის წინ მოსამართლე საფუძვლების არსებობისას აფორმებს სასამართლო სხდომაში მონაწილე პირებს წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურების დაუშვებლობის შესახებ პროკურორის, გამომძიებლის (მოკლეევის მწარმოებელი პირის) ნებართვის გარეშე, რაზეც მათ ჩამორთმეეათ ხელწერილი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებით, საჩივრის განხილეისას შემოწმებას ექვემდებარება გამომძიებლის (მოკლეევის მწარმოებელი პირის) და პროკურორის მოქმედებების (უმოქმედობის) და გადაწყვეტილებების კანონიერება და დასაბუთებულობა. ამასთან, კანონიერების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყველა მოთხოვნის დაცვა, რომლებიც ახდენენ გამომძიებლის (მოკლეევის მწარმოებელი პირის), პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი მოქმედების განხორციელების წესს, ხოლო დასაბუთებულობის ქვეშ წარმოდგენილ მასალებში იმ ცნობების არსებობა, რომლებიც ამტკიცებენ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების აუცილებლობას. მოკლეევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებისას მოსამართლეს უფლება არა აქეს შეიჭრას სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში მონაწილე პირთა ბრალეულობის შესახებ საკითხის განხილეაში.

საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გამყიდველი, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას საქონლის საცალოდ გაყიდვის თაობაზე და ვალდებულია მყიდველს გადასცეს პირადი, ოჯახური, სხვა სახის გამოყენებისთვის გათვალისწინებული საქონელი, რაც არ უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობას. გამყიდველი შეიძლება იყოს მხოლოდ კომერციული ორგანიზაცია (მოქალაქე-მეწარმე), რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას საქონლის საცალოდ გაყიდვის მხრივ (ე.წ. სავაჭრო ორგანიზაცია). მყიდველის დამატებითი უფლებები და გარანტიები დადგენილია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობით. მათ განეკუთვნება მომხმარებლის უფლება ინფორმაციაზე გამყიდველის, დაშამზადებლისა და საქონლის შესახებ, საქონლის უსაფრთხოებაზე, უფლება მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაცია და სხვ.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პირადი, ოჯახური ან სხვაგვარი გამოყენებისთვის გათვალისწინებული ნივთები, რაც არ უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობას.

ხელშეკრულება წარმოადგენს საჯარო, საჯარო აღწერა, რეკლამა, გამოფენა საქონლის გაყიდვის ადგილას და ა.შ. მათ შორის, ყველა არსებითი პირობის არშემცველი ხელშეკრულება წარმოადგენს საჯარო ოფერტს. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმით, რამდენადაც ის სრულდება დადებისას. ხელშეკრულების დადების ფაქტი მოწმდება გამყიდველის მიერ მყიდველისთვის სალაროს ან საქონლის ჩეკის ან სხვა დოკუმენტის გაცემით, რაც ადასტურებს საქონლის საფასურის გადახდას.

საქონლის ნაკლოვანების აღმოჩენის შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს შერჩევით მოითხოვოს: ა) უხარისხო საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით; ბ) შესასყიდი ფასის თანაბარზომიერი შემცირება; გ) საქონლის ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივი არანაზღაურებადი აღმოფხვრა; დ) ხარჯების ანაზღაურება მათ აღმოფხვრაზე ან ე) უარი განაცხადოს ხელშეკრულების შესრულებაზე და მოითხოვოს საქონლიზე გადახდილი თანხის დაბრუნება. იხ. ასევე საგარანტიო ვადა, საქონლის (მუშაობის, მომსახურების) არსებითი ნაკლოვანება, მსახურობის ვადა, მომხმარებელი, საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ნიმუშების გამოყენებით, საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ავტომატების გამოყენებით, კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ნაწილ-ნაწილ გადახდით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ავტომატების გამოყენებით – საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს საქონლის გაყიდვას ავტომატური მოწყობილობების მეშვეობით, გამყიდველის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე.

ავტომატების მფლობელებმა მყიდველებამდე უნდა მიიტანონ ინფორმაცია საქონლის გამყიდველის შესახებ ავტომატზე შესაბამისი ცნობების განთავსების გზით ან სხვაგვარად, მათ შორის, საფირმო სახელწოდების, მისი განთავსების ადგილის, მუშაობის რეჟიმის და იმ ქმედებების შესახებ, რომელიც უნდა განახორციელოს მყიდველმა, რათა მიიღოს საქონელი. მოცემული ხელშეკრულება ითვლება დადებულად მყიდველის მიერ მოქმედებების განხორციელების მომენტიდან, რაც აუცილებელია საქონლის მისაღებად. თუ აღნიშნული ქმედებების მიუხედავად მყიდველი ვერ ახერხებს გარკვეული საქონლის მიღებას, მას უფლება აქვს გამყიდველისგან მოითხოვოს საქონლის დაუყოვნებელი მიწოდება ან გადახდილი თანხის დაბრუნება.

საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ნიმუშების გამოყენებით – საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს საქონლის გაყიდვას მყიდველისთვის საქონლის ნიმუშის გაცნობის (მისი აღწერის, საქონლის კატალოგის და ა.შ.) საფუძველზე. ხელშეკრულება ითვლება გამყიდველის მიერ შესრულებულად საქონლის ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ადგილას მიწოდების მომენტიდან, ხოლო ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობის არარსებობისას მყიდველისთვის საქონლის მიწოდების მომენტიდან: მოქალაქისთვის – მის საცხოვრებელ ადგილას; იურიდიული პირისთვის – მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას მოცემული ხელშეკრულების შესრულებაზე მხოლოდ გამყიდველისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებისას, რაც გაწეულია ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულების შესრულების მოქმედებებთან დაკავშირებით.

საცდელი ბაზარი – საქონლის გაყიდვის ადგილი მოსინჯვის მიზნით, რათა შეფასდეს ბაზარზე წარმოდგენილი ახალი საქონლის (მომსახურების) სამომხმარებლო თვისებების შესაბამისობა მომხმარებელთა მოთხოვნილებებთან, მისი მასიურად წარმოების კომერციული მიზანშეწონილობა, დაზუსტდეს ფირმის (საწარმოს) მარკეტინგის სტრატეგია.

საცდელი ბაზრის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ იგი იძლევა სასარგებლო ინფორმაციას ბაზარზე წარმოდგენილი ახალი საქონლის სამომხმარებლო თვისებების დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის, საქონლის (მომსახურების) გასაყიდი ფასების დადგენისათვის, სარეკლამო კომპანიის წარმართვის, გასაღების სტიმულირების ღონისძიებების დამუშავებისათვის და სხვ.

საცხოვრებელი ბინის ორდერი – დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ამონაწერს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებიდან მოქალაქესა და მისი ოჯახის წევრებისთვის გარკვეული საცხოვრებელი ბინის გადაცემის შესახებ და წარმოადგენს საფუძველს სახელმწიფო (მუნიციპალური) საბინაო ფონდის სოციალური დაქირავების ხელშეკრულების დასადებად. ორდერის გაცემა შედის საბინაო სამართალდამოკიდებულების წარმოქმნის რთულ იურიდიულ შემადგენლობაში.

საცხოვრებელი ბინის ორდერი ბათილად ითვლება სასამართლო წესით მოქალაქეების მიერ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნის შესახებ შეუსაბამო ცნობების მიწოდების, სხვა მოქალაქეებისა ან ორგანიზაციების უფლებების დარღვევის, თანამდებობის პირთა მიერ არამართლზომიერი მოქმედებების განხორციელების შემთხვევაში და ასევე ბინის ორ-

დერის გაცემის წესისა და პირობების დარღვევის სხვა შემთხვევებშიც.

საცხოვრებელი სახლების გაცვლა სახელმწიფო (მუნიციპალური) ფონდის სახლებში – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც საცხოვრებელი შენობის დამქირავებელი მასთან მცხოვრები ოჯახის წევრების წერილობითი თანხმობით ახორციელებს საცხოვრებელი სახლის გაცვლას სხვა დამქირავებელთან ან საცხოვრებელ-სამშენებლო კოოპერატივის წევრთან.

სახელმწიფო (მუნიციპალური) ფონდის სახლებში საცხოვრებელი სახლების გაცვლისთვის, რომლებშიც ცხოვრობენ მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნები და არიან დამქირავებელთა ოჯახის წევრები, საჭიროა მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოების ნებართვა. თუ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობენ მხოლოდ არასრულწლოვანები, რომლებიც ადგილზე დროებით არ არიან, საცხოვრებელი სახლების გაცვლა ხდება მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ნებართვით, ხოლო არასრულწლოვანის მიერ 14 წლის შესრულების შემდეგ დამოუკიდებლად მათი კანონიერი წარმომადგენლების და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ნებართვით.

თუ ოჯახის წევრებს შორის არაა მიღწეული შეთანხმება გაცვლის შესახებ ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს დაკავებული სახლის იძულებითი გაცვლა სხვადასხვა სახლებში (ბინებში). ამასთან, გათვალისწინებულია გაცვლით სახლებში მცხოვრებ პირთა ინტერესები და მოსაზრებები. დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრს უფლება აქვს დამქირავებლის და ოჯახის დანარჩენი წევრების (მათ შორის, დროებით ადგილზე არმყოფებისაც, რომელთაც აქვთ საცხოვრებელ ფართზე უფლება) წერილობითი თანხმობით გაცვალონ მისი საცხოვრებელი ფართობის წილი სხვა პირთან იმ პირობით, რომ გაცვლის წესით შეშთავალი პირი იცხოვრებს ამ შენობის დამქირავებლის ოჯახის წევრის სახით. იხ. ასევე საცხოვრებელი შენობა, საბინაო სამართალი.

საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობა – ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური პირადი უფლება, რაც ნიშნავს, რომ არავინ არ უნდა შეიჭრას საცხოვრებელ სახლში მასში მცხოვრები პირების ნების საწინააღმდეგოდ. საცხოვრებელ შენობაში თვითნებური შეჭრა დაიშვება მხოლოდ საზოგადოებრიეი უსაფრთხოების, ასევე ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სერიოზული და აშკარა საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობის გარანტიები შეიძლება შეიზღუდოს საგანგებო ან სამხედრო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში. საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობის მთავარი კონსტიტუციური გარანტია მდგომარეობს იმაში, რომ ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება წარმოებულ იქნეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს მასში შემავალი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებით, საკუთრების ფორმის მიუხედავად, საცხოვრებელ ფონდში შემავალ საცხოვრებელ შენობას, რომელიც გამოიყენება მუდმივად საცხოვრებლად, ასევე ამ ფონდში არშემავალ შენობასა თუ ნაგებობას, რომელიც გამოიყენება დროებითი საცხოვრებელი სახით. სისხლის სამართლის პროცესის ჩარჩოები საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობა ნიშნავს იმას, რომ საცხოვრებელი სახლის დათვალიერება, ჩხრეკა და ამოღება ხდება მხოლოდ მასში მცხოვრები პირების თანხმობით ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ შემთხვევები, როცა საცხოვრებელი სახლის დათვალიერება, ჩხრეკა და ამოღება უნდა განხორციელდეს გადაუდებლად. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღების გარეშე. ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი საგამოძიებო მოქმედებების წარმოების დაწყებიდან 24 სთ-ის განმავლობაში აცნობებს პროკურორსა და მოსამართლეს საგამოძიებო მოქმედების წარმოების თაობაზე. მოსამართლე აღნიშნული ცნობის მიღების შემდეგ ამოწმებს წარმოებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას და მას გამოაქვს დადგენილება მისი კანონიერების ან უკანონობის შესახებ. თუ მოსამართლე უკანონოდ ცნობს წარმოებულ საგამოძიებო მოქმედებას, ყველა მტკიცებულება, რომელიც მიღებულია ამ მოქმედების წარმოებისას ითელება დაუშვებლად.

საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობის დარღვევა – უკანონო შეღწევა საცხოვრებელ სახლში, მასში მცხოვრები პირის ნების წინააღმდეგ.

საცხოვრებელი შენობა – შენობა, რომელიც კათვალისწინებულია მოქალაქეთა საცხოვრებლად, საკუთრებაში გადაცემული ან იჯარით, სოციალური თუ კომერციული დაქირავების ხელშეკრულებით შეთავაზებული. მოქალაქეებისთვის საცხოვრებლად შეთავაზებული საცხოვრებელი შენობა უნდა იყოს კეთილმოწყობილი მოცემული დასახლებული პუნქტის პირობებთან მიმართებაში, პასუხობდეს დადგენილ სანიტარულ და ტექნიკურ მოთხოვნებს. საცხოვრებელი შენობისადმი მოთხოვნები ასევე განისაზღვრება შეთავაზების საფუძვლებითა და ფუნქციური დანიშნულებით (მაგალითად, სამანევრო ფონდის შენობები, რომლებიც შეთავაზებულია კაპიტალური რემონტის დროით).

სოციალური დაქირავების ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს იზოლირებული საცხოვრებელი შენობა (ბინა, ბინის ნაწილი და ა.შ.). საცხოვრებელი შენობის შეთავაზება მოქალაქეებისთვის ხდება საცხოვრებელი ფართის ნორმის ფარგლებში. საცხოვრებელი ფართის სოციალური ნორმა არის საცხოვრებელი შენობის შეთავაზების ფართობის მინიმალური ოდენობის ეკვივალენტური, რომელიც დგინდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ საბინაო უზრუნველყოფის მიღწეული დონის, ოჯახის შემადგენლობის, საცხოვრებელი შენობის გამოყენებული ტიპების მიხედვით სოციალური გამოყენების საბინაო ფონდის სახლებში და ა.შ. ამასთან, კანონში განმტკიცებულია ოჯახური განსახლებისა და მოქალაქის ინდივიდუალური თავისებურებების (ავადმყოფობა და ა.შ.) აღრიცხვის პრინციპები. იხ. ასევე საბინაო სამართალი, საცხოვრებელი შენობების გაყიდვის ხელშეკრულება.

საცხოვრებელი შენობების გაყიდვის ხელშეკრულება – უძრავი ქონების გაყიდვის ხელშეკრულების ნაირსახეობა (იხ. უძრავი ქონების გაყიდვის ხელშეკრულება), რომლის მიხედვითაც გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაყიდოს საცხოვრებელი შენობა. საცხოვრებელი შენობების გაყიდვის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საცხოვრებელი სახლი, ბინა, საცხოვრებელი სახლის ან ბინის ნაწილი. ხელშეკრულებაში სავალდებულოა იმ პირთა მითითება, რომლებიც კანონის შესაბამისად ინარჩუნებენ ამ საცხოვრებელი შენობის სარგებლობის უფლებას, მყიდველის მიერ მისი შეძენის შემდეგ. საცხოვრებელი შენობების გაყიდვის ხელშეკრულება ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას და დადებულად ითვლება ასეთი რეგისტრაციის მომენტიდან. შემდგომ ხდება საკუთრების უფლების გადაცემის რეგისტრაცია. იხ. ასევე უძრავი ქონება, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

საწარმო – 1) ქონებრივი კომპლექსი, რომელიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის გამოყენებისთვის. საწარმო მთლიანად, როგორც ქონებრივი კომპლექსი ცნობილია უძრავ ქონებად. საწარმო მთლიანად ან მისი ნაწილი შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვის, გირაოს, იჯარის და სხვ. გარიგების ობიექტი, რაც უკავშირდება ქონებრივი უფლებების დადგენას, ცვლილებასა და შეწყვეტას; 2) სამეურნეო საქმიანობის ობიექტი, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის გამოყენებასთან, სამუშაოების შესრულებასთან, მომსახურების გაწევასთან, რომლებიც ხორციელდება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედების წყაროების მოწყობილობის, ტექნოლოგიებისა და პროცესების გამოყენებით.

საწარმოო კოოპერატივი – სამოქალაქო სამართალში კომერციული ორგანიზაცია, მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება წევრობის საფუძველზე, ერთობლივი საწარმოო ან სხვა სამეურნეო საქმიანობისთვის (საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის პროდუქციის წარმოება, გადამუშავება, გასაღება, სამუშაოების შესრულება, ეპჯრობა, მომსახურების გაწევა), რაც ეფუძნება მათ პირად შრომით და. სხვა სახის მონაწილეობას და მისი წევრების (მონაწილეების) მიერ ქონებრივი საპაონ შენატანების გაერთიანებას. საწარმოო კოოპერატივის მონაწილეებს წარმოადგენენ მოქალაქეები. მათთან ერთად კოოპერატივში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ იურიდიულმა პირებმაც, თუ ამას უშვებს კოოპერატივის წესდება. ნებისმიერი საწარმოო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები.

საწარმოო კოოპერატივი წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას. საწარმოო კოოპერატივის წევრები კოოპერატივის ვალდებულებებზე იღებენ სუბსიდიარულ პასუხისმგებლობას საწარმოო კოოპერატივის შესახებ კანონითა და კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით. კოოპერატივის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს მის დასახელებას და სიტყვას „საწარმოო კოოპერატივი“ ან „არტელი“. საწარმოო კოოპერატივის დამფუძნებელ დოკუმენტს წარიმოადგენს წესდება, რაც მტკიცდება მისი წევრების საერთო კრებით. საწარმოო კოოპერატივის საკუთრებაში მყოფი ქონება იყოფა მისი წევრების პაიებად, კოოპერატივის წესდების შესაბამისად. კოოპერატივის თითოეულ წევრს მისი პაის სიდიდის მიუხედავად გააჩნია ერთი ხმა მონაწილეთა საერთო კრებაზე.

საწარმოო კოოპერატივის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მისი წევრების საერთო კრება. კოოპერატივში 50-ზე მეტი წევრის არსებობისას შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ახორციელებს კონტროლს კოოპერატივის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაზე. საწარმოო კოოპერატივის აღმასრულებელ ორგანოებს წარმოადგენს მმართველობა და/ან მისი თავმჯდომარე. ისინი ახორციელებენ კოოპერატივის საქმიანობის მართვას და ანგარიშვალდებულნი არიან სამეთვალყურეო საბჭოსა და კოოპერატივის წევრთა საერთო კრების წინაშე, კოოპერატივის წევრს უფლება აქვს სურვილისამებრ დატოვოს კოოპერატივი. ამ შემთხვევაში მას უნდა გადაეცეს პაის ღირებულება ან მისი პაის შესაბამისი ქონება. საწარმოო კოოპერატივი შეიძლება ნებაყოფლობით რეორგანიზებულ ან ლიკვიდირებულ იქნეს მისი წევრების საერთო კრების გადაწყვეტილებით.

საწესდებო ურთიერთდამოკიდებულებათა წესების დარღვევა – რუსეთის ფედერაციაში ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის სხვადასხვა სახე, რომელიც უკავშირდება ერთი სამხედრო მოსამსახურის ღირსებისა და პატოსნების შელახვას მეორეს მიერ ან მის მასხრად აგდებას, ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში, სხვა ძალადობრივ ქმედებებში, რომლებიც უკავშირდებიან დაზარალებულისთვის ფიზიკური ტანჯვის მიყენებას.

საწყისი ხაზები – სახელმწიფოების ზღვის სანაპიროების გასწვრივ დადგენილი ხაზები, რომელთაგანაც იზომება ტერიტორიული ზღვის, მიმდებარე ზონის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სიგანე და დგინდება კონტინენტალური შელფისა და არქიპელაგის წყლების გარე საზღვარი. 1982 წ. გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციის შესაბამისად გამოყოფენ ნორმალურ და სწორ საწყის ხაზებს.

ნორმალურ საწყის ხაზს წარმოადგენს ოფიციალურად სანაპირო სახელმწიფოდ ცნობილი სახელმწიფოს დიდი მასშტაბის საზღაო რუკებზე ნაპირის ან დაშრობის გასწვრივ აღნიშნული ხაზი, რომელიც განლაგებულია სრულად ან ნაწილობრივ მატერიკიდან ან კუნძულიდან იმ მანძილზე, რაც არ აღემატება ტერიტორიული ზღვის სიგანეს. ატოლებზე ან რიფებით შემოვარგლულ კუნძულებზე განლაგებული კუნძულებისთვის ნორმალურ საწყის ხაზებს წარმოადგენს ზღვისკენ მიმართული რიფის ხაზი ყველაზე დიდი მოქცევის დროს.

იმ ადგილებში, სადაც ნაპირის ხაზი ღრმადაა შეჭრილი და კლაენილია ან სადაც ნაპირის გასწვრივ და მისგან უშუალო სიახლოვეს არის კუნძულების ჯაჭვი, საწყისი ხაზების გასაანგარიშებლად იყენებენ ე.წ. სწორი საწყისი ხაზების მეთოდს, რომლებიც აერთიანებენ შესაბამის წერტილებს. ადგილებში, სადაც ნაპირის ხაზი საკმაოდ არამდგრადია დელტების ან სხვა ბუნებრიული პირობების არსებობის გამო, წერტილები შეიძლება არჩეულ იქნეს ზღაში ყველაზე დიდი მოქცეის მაქსიმალურად გამომაეალი ხაზის გასწვრივ და ისინი რჩებიან მოქმედნი, სანამ სანაპირო სახელმწიფო სახელმძღვანელო წესით არ შეცვლის მათ. წერტილებს წარმოადგენს ზღვაში ყველაზე მკაფიო ბუდმიეი სა-

პორტო ნაგებობები. სწორი საწყისი ხაზების დადგენისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოცემული რაიონის განსაკუთრებული ეკონომიკური ინტერესები, რომელთა რეალურობა და მნიშვნელობა მკაფიოდაა დამტკიცებული მათი ხანგრძლივი განხორციელებით. საწყისი ხაზების გავლებისას დაშვებული არაა ნაპირის ზოგადი მიმართულებიდან მნიშვნელოვანი გადახრები.

სწორი საწყისი ხაზების მეთოდი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, რათა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვა აღმოჩნდეს მოკვეთილი ღია ზღვისგან ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისგან. თუ სწორი საწყისი ხაზების გავლებამ მიგვიყვანა სიერცის შიდა წყლებში ჩართვამდე, რომლებიც ამ დრომდე ასეთად არ განიხილებოდა, მათ მიმართ გამოიყენება მშვიდობიანი გაელის უფლება.

საწყისი ხაზები, რომელთაგანაც იზომება ტერიტორიული ზღვის სიგანე – სანაპიროს გასწვრივ ყველაზე დიდი უკუქცევის ხაზები, რომლებიც ოფიციალურად გამოცემული საზღვაო რუკებზეა აღნიშნული; სწორი საწყისი ხაზი, რომელიც აერთიანებს ზღვის მხარეს ყველაზე დაშორებული კუნძულების, რიფებისა და კლდეების წერტილებს ადგილებში, სადაც სანაპირო ხაზი დაღარული და კლაკნილია ან სადაც ნაპირის გასწვრივ და მასთან უშუალო სიახლოვეს არის კუნძულების ჯაჭვი; სწორი ხაზი, რომელიც გადის იმ მდინარის შესართაეის განივ, რომელიც უშუალოდ ჩადის ზღვაში, წერტილებს შორის მის ნაპირებზე, რომლებიც მაქსიმალურად გადიან ზღვაში ყველაზე დიდი მოქცევის დროს; სწორი ხაზი, რომელიც არ აღემატება ზღვის 24 მილს, რაც აერთიანებს ყურეში ან კუნძულებს შორის სრუტეში ან მატერიკსა და კუნძულს შორის სრუტეში ბუნებრივი შესასვლელის ყველაზე დიდი მოქცევის წერტილებს; წერტილების გეოგრაფიული კოორდინატების ჩამნათველი, რომლებიც განსაზღვრავენ საწყისი ხაზების მდებარეობას, რომელთაგანაც იზომება ტერიტორიელი ზღვის სიგანე; ტერიტორიული ზღვის საზღვრები და საწყისი ხაზები, რომელთაგანაც იზომება ტერიტორიული ზღვის სიგანე, საზღვაო რუკებზე აღინიშნება 1:200 000 – 1:300 000 მასშტაბით, ხოლო ასეთი რუკების არარასებობის შემთხვევაში, რუკებზე 1:100 000 ან 1:500 000 მასშტაბით; ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია გადახვევა აღნიშნული მასშტაბებიდან, რაც გამოწვეულია მოცემული რაიონის კარტოგრაფირების სპეციფიკით, გეოგრაფიული პირობების თავისებურებებით, საწყისი ხაზების მასალების სიზუსტის ხარისხითა თუ სხვა მიზეზებით.

სახაზინო საწარმო – სამოქალაქო სამართალში უნიტარული საწარმო, რომელიც ეფუძნება ოპერატიული მართვის უფლებას, რაც წარმოქმნილია სახელმწიფო და მუნიციპალური უნიტარული საწარმოების შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სახაზინო საწარმოს დამფუძნებელ დოკუმენტს წარმოადგენს მისი წესდება, რომელსაც მთავრობა ამტკიცებს. სახაზინო საწარმოს უფლება აქვს გაასხვისოს ან სხვა სახით განკარგოს მასზე განმტკიცებული ქონება მხოლოდ ამ ქონების მესაკუთრის თანხმობით. სახაზინო საწარმო დამოუკიდებლად ახდენს მის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას, თუ სხვა რამ არაა დადგენილი კანონით ან სხვა სამართლებრივი აქტებით. სახაზინო საწარმოს შემოსავლების განაწილების წესი განისაზღვრება მისი ქონების მესაკუთრის მიერ. სახაზინო საწარმო რეორგანიზებულ ან ლიკვიდირებულ შეიძლება იქნეს მთავრობის გადაწყვეტილებით.

სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით არჩეული თანამდებობის პირი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის და მისი აპარატის საქმიანობის წესი განსაზღვრულია საქართველოს 1996 წლის 16 მაისის კანონით საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ. სახალხო დამცველის მსგავს ინსტიტუტს სხვა ქვეყნებში ეწოდება: ომბუდსმენი, შუამავალი, ხალხის ადვოკატი და ა. შ.

სახალხო კრება პარლამენტის სახელწოდება ბულგარეთში, ალბანეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

სახელმწიფო – 1) თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითადი ინსტიტუტი და მისი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ფორმა. სახელმწიფოს მთავარი დანიშნულება მდგომარეობს პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციასა და საზოგადოების მართვაში. ნებისმიერი სახელმწიფო გამოხატავს და იცავს ორი სახის ინტერესებს: მთელი საზოგადოებისა და მმართველი წრეების. სახელმწიფოს საქმიანობის პრაქტიკასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ უკანასკნელის ინტერესები ხშირად დომინირებს საზოგადოების ინტერესებზე. სახელმწიფოს გააჩნია დამახასიათებელი ნიშნები და შტრიხები, რომლებიც მას გამოარჩევენ, როგორც სახელმწიფომდელი (პირველყოფილი თემური), ასევე მასთან არსებული არასახელმწიფოებრივი (პატრიები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი მოძრაობები და ა.შ.) ორგანიზაციისგან.

სახელმწიფოს ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანსა და თვისებას წარმოადგენს საზოგადოებიდან გამოყოფილი და ხშირად მის სათავეში მყოფი ხელისუფლებისა და მართვის აპარატის არსებობა. ეს აპარატი შედგება ადამიანთა განსაკუთრებული ფენისგან, რომელთა მთავარ საქმიანობასაც წარმოადგენს სახელისუფლებო და მმართველობითი ფუნქციების შესრულება. ისინი უშუალოდ არ აწარმოებენ არც მატერიალურ, არც სულიერ კეთილდღეობას, არამედ მხოლოდ მართავენ. თანამდებობებს ეს ადამიანები იკავებენ არჩევნების, დანიშვნის, მემკვიდრეობით მიღების გზით. ამ აპარატის ძირითად შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოები და სხვ. აპარატის პირველად რგოლს წარმოადგენს სახელმწიფო ორგანო.

სახელმწიფოს მნიშვნელოვან განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს იძულების აპარატის არსებობა. ის შედგება განსაკუთრებული რაზმებისგან არმიის, პოლიციის, დაზვერვის, კონტრდაზვერვის სახით, ასევე ნებისმიერი სახის იძულებითი დაწესებულებისგან (ციხეები, ბანაკები და ა.შ.). მართვის აპარატი

შეიარაღებული პირების განსაკუთრებულ რაზმებთან ერთად იწოდება საჯარო ხელისუფლებად, თუმცა მეცნიერებაში „საჯარო ხელისუფლების" ერთიანი გაგება და ერთმნიშვნელოვანი ახსნა შემუშავებული არაა. როგორც წესი, მას განიხილავენ სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშნების, ხოლო ზოგჯერ კი – სახელმწიფოს სინონიმის სახით. სახელმწიფოს სპეციფიკურ თვისებას ასევე წარმოადგენს მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, გვაროვნული წყობისგან განსხვავებით, სადაც საზოგადოებრივი ხელისუფლება გავრცელდა ადამიანებზე სისხლით ნათესაური კავშირის ნიშნით – მათი ამა თუ იმ გვარისადმი, ფრატრიისადმი, ტომისადმი ან ტომთა კავშირისადმი მიკუთვნებულობის მიხედვით – სახელმწიფოში ხელისუფლება ვრცელდება მისი ტერიტორიის ყველა მცხოვრებზე. ნათესაური კავშირების მიუხედავად ადამიანები სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოდიან, როგორც მოქალაქეები (რესპუბლიკის პირობებში), როგორც ხელქვეითები (მონარქიის პირობებში), ან როგორც პირები მოქალაქეობის გარეშე ან როგორც უცხოელები, რომლებიც ხედებიან სახელმწიფოს იურისდიქციას, მისი კანონების მოქმედების ქვეშ.

მოსახლეობის ტერიტორიულ დაყოფასა და სახელმწიფო ხელისუფლების გავრცელებას მხოლოდ გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობაზე მოსდევს სახელმწიფოს ტერიტორიული დაყოფა რიგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად. ქვეყნებში ასეთი ერთეულების დასახელებები სხვადასხვაგვარია: ოლქი, პროვინცია, მხარე, დისტრიქტი, საგრაფო, რაიონი და ა.შ. თუმცა, მათი დანიშნულება და ფუნქციები ერთიანია: სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანიზება. სახელმწიფოს ტერიტორიულ ორგანიზაციას ხშირად ეწოდება სახელმწიფო მოწყობა, განსაკუთრებით კი, ფედერალურ სახელმწიფოებში.

სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს სუვერენიტეტი. ის, ჯერ ერთი, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის შიგნით, მეორეც, მის დამოუკიდებლობას საერთაშორისო არენაზე. სუვერენიტეტში პოლიტიკურ და იურიდიულ გამოხატვას პოულობს სახელმწიფოს სრულუფლებიანი დამოუკიდებლობა და მისი უნარი სხვა სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს და გაატაროს თავისი შიდა და საგარეო პოლიტიკა, სახელმწიფოს კიდევ ერთ სახასიათო ნიშანს წარმოადგენს გადასახადები და სესხები. თავდაპირველად ისინი საჭირო იყო არმიის, პოლიციის, იძულების სხვა ორგანოებისა და სახელმწიფო აპარატის შენახვისთვის. მოგვიანებით, გადასახადები და სესხები იქცა გამოყენებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო, სამედიცინო, კულტურულ და სხვა პროგრამებზე. ზემოთჩამოთვლილი ნიშნების გარდა თითოეული სახელმწიფო გამოიყოფა თავისი ატრიბუტებით (სიმბოლოებით), სამახსოვრო თარიღებით. სახელმწიფოს გააჩნია თავისი ჰიმნი, დროშა, ოფიციალური ქცევის ჩამოყალიბებული წესები, ტრადიციები, ურთიერთობისა და მისალმების ფორმები;

2) სამოქალაქო სამართალში – სამოქალაქო სამართლის ერთიანი სუბიექტი. სახელმწიფოს, ისევე როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელმწიფო მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში არა თავისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ საჯარო ხელისუფლების ყველაზე ეფექტური აღსრულების მიზნით. სახელმწიფოს სახელისუფლებო უფლებამოსილებების არსებობას უკავშირდება მისი განსაკუთრებული სამართალუნარიანობა და როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტის განსაკუთრებული სტატუსი. კერძოდ, სახელმწიფო თვითონ იღებს კანონებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო სამართლის ყველა დანარჩენმა ობიექტმა, სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს ადმინისტრაციული აქტები, რომლებისგანაც ჩნდება სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები მეორე მხარის ნების მიუხედავად.

სახელმწიფო ინარჩუნებს სახელისუფლებო ფუნქციებს მაშინაც კი, როცა ის შედის თანასწორობის საწყისებზე აგებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელმწიფო სარგებლობს იმუნიტეტით. სახელმწიფო სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს არა როგორც დაუყოფელი მთელი, არამედ როგორც სხვადასხვა დონის სუბიექტების ერთობლიობა. ამ სუბიექტებს განეკუთვნება: მხარეები, ოლქები, ავტონომიური მხარე, ავტონომიური ოლქი, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქები, მუნიციპალური წარმონაქმნები.

სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და მათი თანამდებობის პირების მოქმედებების გასაჩივრება

– მოქალაქეებისა თუ მათი ორგანიზაციების საჩივრების განხილვის სასამართლო ან ადმინისტრაციული წესი სახელმწიფო ხელისუფლების არამართლზომიერ გადაწყვეტილებებზე. მოქალაქეს შეუძლია სურვილისამებრ მიმართოს უშუალოდ სასამართლოს ან ზემდგომ ორგანოს (თანამდებობის პირს), იმ ორგანოს, თანამდებობის პირს თაობაზე, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება არღვევს მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს. სასამართლოს, რომელმაც განსახილველად მიიღო საჩივარი, უფლება აქვს თავისი ინიციატივით ან მოქალაქის თხოვნით შეაჩეროს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესრულება. ასევე გათვალისწინებულია აღმასრულებელი ხელისუფლების, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა. იხ. დავის გადაწყვეტის ადმინისტრაციული წესი.

სახელმწიფო აპარატი

– სახელმწიფო ორგანოების სისტემა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება, სრულდება ძირითადი ფუნქციები, მიიღწევა სახელმწიფოს მიერ მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მდგარი მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო აპარატი წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ელემენტს. მისი მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფო და ნაწილობრივ საზოგადოებრივი საქმეების მართვა. ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო აპარატის აგებისა და ფუნქციონირების საფუძველში დევს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. ისინი განსაზღვრავენ მისი შიდა წყობის, სტრუქტურის, ხასიათის, ასევე მისი საქმიანობის ფორმისა და მეთოდების ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებებს, უმეტესწილად ხელს

უწყობს მისი სხეადასხვა შემადგენელი რგოლის ერთიან სისტემაში გაერთიანებას.

ნებისმიერი სახელმწიფოს აპარატი – ესაა არა მისი ორგანოების მექანიკური გაერთიანება, არამედ მათი მკაფიოდ ორგანიზებული, მკაცრად მოწესრიგებული, მთლიანი სისტემა. იმ ფაქტორების რიცხვში, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფო აპარატის, როგორც ერთიანი, მთლიანი სისტემის ფუნქციონირებასა და აგებაზე, შედის: სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური საფუძვლის – მეურნეობის სისტემისა და წარმოების საშუალებებზე საკუთრების სხვადასხვა ფორმის ერთიანობა; სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების პოლიტიკური საფუძვლის ერთიანობა; გარკვეულ ქვეყნებში ერთიანი ოფიციალური იდეოლოგიის არსებობა; სახელმწიფო ორგანოების სახელმწიფო აპარატის შემადგენელი ნაწილების აგებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპების არსებობა; სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების წინ მდგარი საბოლოო მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობა. იმ ფაქტორებს, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავენ სახელმწიფო აპარატს, როგორც ერთიანი სისტემის ფუნქციონირებას ასევე უნდა განვაკუთვნოთ ისინი, რომლებიც უკავშირდებიან მისი ყველა რგოლის უზრუნველყოფას ერთიანი ორგანიზაციული, ფინანსური, ხოლო საჭიროებისას, იძულების საშუალებებითაც, მათი საქმიანობის ზოგადი მიმართულებით პოლიტიკური ხაზის გატარებასა და მთელი საზოგადოების, მმართველი კლასისა თუ კლასების, ცალკეული სოციალური ფენების ინტერესთა გამოხატვაზე ურთიერთქმედებენ.

სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა სახელმწიფო აპარატის შიდა წყობა, მისი შემადგენელი რგოლების განლაგების წესი, მათი თანაფარდობა. ნებისმიერ ქვეყანაში ჩამოყალიბებული სახელმწიფო აპარატი არის ერთიანი, მთლიანი (საერთო) სისტემა. ის, თავის მხრივ, შედგება რიგი კერძო სისტემისგან. თითოეულ სისტემაში შედის ფუნქციები, შიდა წყობით, უშუალო მიზნებით, შესასრულებელი საქმიანობის სახეებით განპირობებული ერთგვაროვანი სახელმწიფო ორგანოები.

თანამედროვე სახელმწიფო აპარატის ყველაზე მნიშვნელოვანი კერძო სისტემებია: საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოთა სისტემა, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემა, სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა სისტემა, პროკურატურის ორგანოთა სისტემა. სახელმწიფო ორგანოები წარმოადგენენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოთა მატარებლებს.

სამეცნიერო წრეებში ზოგჯერ საუბრობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, როგორც ხელისუფლების გარკვეულ შტოზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ წარმოადგენენ რომელიმე ოფიციალური ხელისუფლების მატარებლებს. მათ ასეთად უწოდებენ იმის ძალით, რომ ისინი ძალიან ძლიერ, ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მასებზე, თამაშობენ განსაკუთრებულ როლს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, დადებითი ან უარყოფითი იმიჯის შექმნაში მმართველი ელიტის ან კონკრეტული პირების მიმართ. იხ. სახელმწიფო აპარატი, სახელმწიფო ორგანოები.

სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა – თანამდებობის პირის მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების გახარჯვა იმ მიზნებზე, რომლებიც არ შეესაბამებიან მათი საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას და აღნიშნული ფონდების ბიუჯეტს.

სახელმწიფო აღრიცხვა გარემომცველი ბუნებრივი გარემოს, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში – იხ. სახელმწიფო ეკოლოგიური აღრიცხვა.

სახელმწიფო ბაჟი – ბაჟი, რომელიც იკრიფება რიგი მომსახურების გაწევაზე გადამხდელის სასარგებლოდ (სასარჩელო განცხადებებისა და სხვა დოკუმენტების მიღება სასამართლოს მიერ, ნოტარიული მოქმედებების განხორციელება, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია, რიგი დოკუმენტების გაცემა და სხვ.), ასევე განსაკუთრებული უფლების მიცემაზე (ნადირობის უფლება). მაგალითად, სარეგისტრაციო ბაჟი იკრიფება სამრეწველო ნიმუშზე, სასარგებლო მოდელზე, გამოგონებაზე პატენტების გაცემის შესახებ განცხადებით პირის მიმართვისას. ბაჟის აღება ხდება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ყოფილ სსრკ-ში ბაჟისა და მოსაკრებელის ცნებების გამიჯვნა ტარდებოდა იმის მიხედვით, თუ სად ხდებოდა გადახდილი სახსრების მოხვედრა. თუ სახსრები ხვდებოდა ბიუჯეტში იმის მიუხედავად, თუ ვისთვის ხდებოდა უშუალოდ მათი გადახდა (ე.წ.ფისკალური ტაქსა), ასეთ გადახდას ეწოდებოდა ბაჟი. თუ გადახდა ხდებოდა იმ ორგანიზაციის სასარგებლოდ, რომლისთვისაც ხდებოდა გადახდა (ე.წ. ჩინოვნიკური ტაქსა), ასეთ გადახდას ეწოდება მოსაკრებელი.

ზოგიერთ კანონმდებლობაში მოსაკრებელს ძირითადად უწოდებენ გადასახადებს სპეციალური უფლების ქონებაზე (მოსაკრებელი ეიჭრობის უფლებაზე, ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებაზე და ა.შ.). ბაჟს განეკუთვნება გადასახადის გადამხდელთა სასარგებლოდ გადახდილი სახსრები იურიდიულად მნიშვნელოვანი მოქმედებების ჩადენაზე (აღმინისტრაციული მომსახურების გაწევა: პასპორტის გაცემა, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია, სასამართლო განხილვისთვის საქმის მიღება და ა.შ.). გარდა ამისა, ბაჟი შეიძლება აკრეფილ იქნეს სახელმწიფო ქონების გამოყენებაზე ან პირისთვის რაიმე მომსახურების გაწევაზე, რომელიც არ განეკუთვნება ადმინისტრაციულს (მაგალითად, ქუჩების გამოყენება კინოგადაღებების ჩასატარებლად, თუ ეს მოითხოვს სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფო ორგანოების მხრიდან: მოძრაობის შეზღუდვა და ა.შ.).

სახელმწიფო ბრალმდებელი – სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოში სახელმწიფოს სახელით ბრალდების მხარდამჭერი პროკურატურის

ორგანოს თანამდებობის პირი.

სახელმწიფო ბრალმდებელი წარმოადგენს მტკიცებულებებს და მონაწილეობს მათ კვლევაში, სასამართლოს გადმოსცემს თავის აზრს ბრალდების არსთან და სასამართლო განხილვის დროს წარმოშობილ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გამოთქვამს წინადადებას სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისა და განსასჯელისთვის სასჯელის გამოტანის შესახებ.

თუ სასამართლო განხილვის დროს სახელმწიფო ბრალდებული მიდის დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ამტკიცებენ განსასჯელისთვის წაყენებულ ბრალდებას, ის უარს ამბობს ბრალდებაზე და სასამართლოს გადმოსცემს უარის მოტივებს. სასამართლო განხილვის დროს სახელმწიფო ბრალდებულის სრულ ან ნაწილობრივ უარს ბრალდებაზე მოსდევს სისხლის სამართლის საქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა სრულად ან მის შესაბამის ნაწილში.

სახელმწიფო ბუნებრივი ბიოსფერული ნაკრძალები – ნაკრძალები, რომლებიც შედიან ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო სისტემაში, რომელთა მხრიდანაც ხდება გლობალური ეკოლოგიური მონიტორინგის განხორციელება; სახელმწიფო ბუნებრივი ბიოსფერული ნაკრძალების ტერიტორიების სამეცნიერო კვლევების, ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარების, ასევე რაციონალური ბუნების გამოყენების მეთოდების აპრობირებისა და დანერგვის მიზნით, რომლებიც არ არღვევენ გარემომცველ ბუნებრივ გარემოს და არ ამოწურავენ ბიოლოგიურ რესურსებს, შეიძლება განეკუთვნოს ბიოსფერული პოლიგონების ტერიტორიები, მათ შორის, განსაკუთრებული დაცვისა და ფუნქციონირების დიფერენცირებული რეჟიმით; ბიოსფერული პოლიგონის ტერიტორიების განსაკუთრებული დაცვის კონკრეტული რეჟიმი დგინდება მასზე არსებული დებულებების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სახელმწიფო ორგანოები, რომელთაც მმართველობაშიცაა სახელმწიფო ბუნებრივი ბიოსფერული ნაკრძალები: ა) კომპლექსური (ლანდშაფტური), რომლებიც გათვალისწინებულია ბუნებრივი კომპლექსების (ბუნებრივი ლანდშაფტის) შენარჩუნებისა და აღდგენისათვის; ბ) ბიოლოგიური (ბოტანიკური და ზოოლოგიური), რომლებიც გათვალისწინებულია მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი და გაქრობადი სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურული მიმართულებით ფასეული სახეობების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის; გ) პალეონტოლოგიური. რომლებიც გათვალისწინებულია ნამარხი ობიექტების შენარჩუნებისათვის; დ) ჰიდროლოგიური (ჭაობის, ტბის, მდინარის, ზღვის), რომლებიც გათვალისწინებულია ფასეული წყლის ობიექტებისა და ეკოლოგიური სისტემების შენარჩუნებისა და აღდგენისთვის; ე) გეოლოგიური, რომლებიც გათვალისწინებულია არაცოცხალი ბუნების ფასეული ობიექტებისა და კომპლექსების შენარჩუნებისთვის.

სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალების ტერიტორიებზე მუდმივად ან დროებით იკრძალება ან იზღუდება ნებისმიერი საქმიანობა, თუ ის ეწინააღმდეგება სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალების შექმნის მიზნებს ან ზიანს აყენებს ბუნებრივ კომპლექსებსა და მათ კომპონენტებს.

სახელმწიფო გეოლოგიური ექსპერტიზა (სასარგებლო წიაღისეულის მარაგის, გამოყენებაში გადასაცემ მონაკვეთზე წიაღის შესახებ გეოლოგიური და ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო ექსპერტიზა) – 1) წიაღის სახელმწიფო ფონდის სახელმწიფო მართვის ფუნქცია; 2) სახელმწიფო ექსპერტიზის სახე წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში; სახელმწიფო გეოლოგიური ექსპერტიზა ტარდება წიაღის რაციონალური კომპლექსური გამოყენებისთვის პირობების შექმნის მიზნით, წიაღის გამოყენებაზე, გამოყენებისათვის გადასაცემ წიაღის მონაკვეთის სახვრების გამოყენებაზე ფულადი გადასახადის განსაზღვრისთვის, სასარგებლო წიაღისეულის მოძებნული მარაგის, წიაღის სხვა თვისებების შესახებ ინფორმაციის შეფასების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ფასეულობასა თუ საშიშროებას, სახელმწიფო გეოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესი (მათ შორის, პრინციპები, სუბიექტები, ობიექტები, ვადები და სხვ.) განისაზღვრება მასზე არსებული დებულებებით; 3) სახელმწიფო ბალანსზე სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დასმისა და სახელმწიფო ბალანსიდან მათი ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებელი პირობა; ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებელი პირობა, რომლებიც უკავშირდებიან წიაღის გამოყენებას.

სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლი – სახელმწიფო მართვის ფუნქცია წიაღის გეოლოგიური შესწავლის, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის დარგში. სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის ამოცანას წარმოადგენს ყველა გამომყენებლის მიერ წიაღის გამოყენების დადგენილი წესის, კანონმდებლობისა და დადგენილი სტანდარტების (წესების, ნორმების) დაცვის უზრუნველყოფა წიაღის გეოლოგიური შესწავლის, გამოყენებისა და დაცვის დარგში, სახელმწიფო ალრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების წესების დაცვის უზრუნველყოფა.

სახელმწიფო გერბის შეურაცხყოფა – საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო გერბის განადგურებაზე, დაზიანებასა თუ უღირს გამოყენებაზე მიმართულ აქტურ ქმედებებს და მოწმობს მის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებას.

სახელმწიფო დაცვა – აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემის ფუნქცია ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. სახელმწიფო დაცვა ხორციელდება სამართლებრივი, ორგანიზაციული, დაცვითი, სარეჟიმო, ტექნიკური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობის საფუძველზე. სახელმწიფო დაცვის ობიექტებს განეკუთვნება პრეზიდენტი, პირები, რომლებიც იკავებენ სახელმწიფო თანამდებობებს, სახელმწიფო მოსამსახურები, უცხო სახელმწიფოების მეთაურები და ამ სახელმწიფოთა სხვა ოფიციალური წარმომადგენლები. სახელმწიფო დასაცავი ობიექტები – შესაბამისი შენობები, ნაგებობები, რომლებშიც განლაგებულია სახელმწიფო ხელისუ-

ფლების ორგანოები, მისი მიმდებარე ტერიტორიები და აკვატორია.

სახელმწიფო დაწესებულება – სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს მიერ შექმნილი ორგანიზაცია არაკომერციული ხასიათის ფუნქციების განსორციელებისთვის. სახელმწიფო დაწესებულებების მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო. ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებას გააჩნია თავისი სპეციალიზაცია: არსებობს საფინანსო, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სოციალური დაცვის, სამეცნიერო, იუსტიციის, საგარეო პოლიტიკური დაწესებულებები და ა.შ. თითოეულ სახელმწიფო დაწესებულებას გააჩნია თავისი წესდება ან დებულება ამის შესახებ, ის ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, მას გააჩნია ლიცენზია ან სერტიფიკატი. სახელმწიფო დაწესებულება ფლობს მასზე, ოპერატიული მართვის უფლებით განმტკიცებულ სახელმწიფო ქონებას. სახელმწიფო დაწესებულების მესაკუთრე სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ შთახდინონ მათი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, განსაზღვრონ მათი საქმიანობის მიზნები, საგანი და ფორმები; განამტკიცონ მათზე ქონება, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია, დანიშნონ და გაანთავისუფლონ თანამდებობიდან მათი ხელმძღვანელები; ასევე დაფინანსონ სახელმწიფო დაწესებულება შესაბამისი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

სახელმწიფო ეკოლოგიური აღრიცხვა 1) ეკოლოგიური მართვის ფუნქცია; 2) გვარებითი ტერმინი, რომელიც მოიცავს სახელმწიფო აღრიცხვის სახეებს ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში (იხ. ასევე ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედებისა და მათი წყაროების სახელმწიფო აღრიცხვა, რადიოაქტიური ნივთიერებებისა და რადიოაქტიური ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა, პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების სახელმწიფო აღრიცხვა, ტყის ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სახელმწიფო აღრიცხვა, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო აღრიცხვა); სახელმწიფო ეკოლოგიური აღრიცხვის მონაცემები გამოიყენება ბუნებრივი რესურსების შესაბამისი კადასტრების წარმოებისას.

სახელმწიფო ეკოლოგიური დოქტრინა – 1) ხელმძღვანელი პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, იდეოლოგიური, სამართლებრივი პრინციპების სისტემა, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ეკოლოგიური პოლიტიკის, ასევე ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკული მოქმედებების თეორიულ საფუძველს; 2) ეკოლოგიური დაგეგმვის დოკუმენტი.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა – იხ. ეკოლოგიური ექსპერტიზა.

სახელმწიფო ეკოლოგიური პოლიტიკა – ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისთვის მიზნების, ამოცანების, შინაარსის, მისი პრაქტიკული მოქმედებების მიმართულებათა განსაზღვრა. ახალი სახელმწიფო ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა გაჩნდა რიო-დე-ჟანეიროში ბუნებრივი გარემოსა და განვითარების, გაერო-ს კონფერენციის რეკომენდაციებთან დაკავშირებით. სახელმწიფო ეკოლოგიური პოლიტიკა ყალიბდება გარემოს დაცვისა და მყარი განვითარების უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგიის ჩარჩოებში; სახელმწიფო ეკოლოგიური პოლიტიკის დებულებები ჩამოყალიბებულია ეკოლოგიური დაგეგმვის რიგ დოკუმენტებში. იხ. ასევე რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია ბუნებრივი გარემოსა და განვითარების შესახებ (რიოს დეკლარაცია).

სახელმწიფო ზედამხედველობა – სახელმწიფო მმართველობის ფუნქცია, რომელიც მდგომარეობს კანონით ან სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ნორმებისა და წესების (მათ შორის, სტანდარტების, ტექნიკური, სამშენებლო ნორმებისა და წესების, უსაფრთხოების მოთხოვნების, სახელმწიფო რეგისტრაციის, ლიცენზირების წესების და ა.შ.) შესრულების სისტემატურ დაკვირვებაში. სახელმწიფო ზედამხედველობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ წარმოადგენს რა სახელმწიფო კონტროლის ხერხს, ის ხორციელდება ორგანიზაციების, მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ ექვემდებარებიან ზედამხედველობის ორგანოს. ზედამხედველობის ორგანო არ აფასებს ამა თუ იმ საქმიანობის მიზანშეწონილობას, მისი ვალდებულებაა უზრუნველყოს კანონიერება, ასევე მაგალითად, შრომის დაცვისა და პირობების, საცხოვრებელი ფონდის შენახვისა და რემონტის, კვების პროდუქტების, ხორბლის, სხვა სასურსათო ნედლეულის ხარისხისა და სამრეწველო, სახანძრო, რადიაციული უსაფრთხოების კონკრეტული მოთხოვნების შესრულება და სხვ.

სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს ამაზე უფლებამოსილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, ასევე მათ სისტემაში შემავალი სპეციალურად უფლებამოსილი საკონტროლო-საზედამხედველო ორგანოები – სახელმწიფო ინსპექციები.

სახელმწიფო თანამდებობა – თანამდებობა სახელმწიფო ხელისუფლების და ასევე კონსტიტუციის შესაბამისად წარმოქმნილ ორგანოებში, შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესრულებისა და უზრუნველყოფის ვალდებულებების დადგენილი წრით, ფულადი შემადგენლობით ბიუჯეტის ხარჯზე და მოცემული თანამდებობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობით.

სახელმწიფო ინსპექცია სახელმწიფო ორგანო, რომელსაც გააჩნია სპეციალური საკონტროლო და ნებართვითი ფუნქციები საქმიანობის გარკვეულ სფეროებში (საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, საგზაო მოძრაობის, სახანძრო უსაფრთხოება და ა.შ.). როგორც წესი, სახელმწიფო ინსპექციის ხელმძღვანელები (მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები) ინიშნება მთავრობის მიერ, რომელიც მათ განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს

აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების სისტემაში (მაგალითად, ეკჭრობის, საქონლის ბარისხისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია; სახელმწიფო საფოფაცხოერებო ინსპექცია; ვეტერინარული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სახელმწიფო ინსპექცია და ა.შ.). ჯანდაცვის სისტემაში მოქმედებს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოები მთავარი სანიტარული ინსპექტორის მეთაურობით.

სახელმწიფო ინსპექციას გააჩნია თავისი რეგიონული ან ტერიტორიული ორგანოები, რომელთაც ხელმძღვანელობენ შესაბამისი მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები. სახელმწიფო ინსპექტორებს უფლება აქვთ ჩაატარონ საინსპექციო გამოკვლევები, საკონტროლო შემოწმებები, მისცენ საეალდებულო მითითებები იურიდიულ პირებსა და მოქალაქეებს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის შესახებ, შეაჩერონ საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობა მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის, ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში და ა.შ.

სახელმწიფო ინსპექცია წარმოადგენს ადმინისტრაციული იურისდიქციის ორგანოს, რომლის თანამდებობის პირებსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ განიხილონ საქმეები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ და ადმინისტრაციული სასჯელი გამოიყენონ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ.

სახელმწიფო კომიტეტი – აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ფუძნდება პრეზიდენტის მიერ დარგთაშორისი კოორდინაციისა და ფუნქციური რეგულირების განხორციელების მიზნით გარკვეულ სფეროში (სტატისტიკა, სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია), მეურნეობის ან სოციალურ-კულტურული ცხოვრების ქვედარგში (მეთევზეობა; ფიზკულტურა, სპორტი, ტურიზმი და სხვ.).

სახელმწიფო კომიტეტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ინიშნება მთავრობის მიერ და რომელსაც გააჩნია პერსონალური პასუხისმგებლობა სახელმწიფო კომიტეტზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე. სახელმწიფო კომიტეტის მუშაობაში კოლეგიური საწყისები წარმოდგენილია მასში წარმოქმნილი კოლეგიით და კოლეგიურობით.

სახელმწიფო კონტროლი – სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა – კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის უზრუნველყოფისა და საბოლოო ჯამში საზოგადოების ყველა დარგში: ეკონომიკის, სოციალურ-კულტურული და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური საქმიანობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით. თანამედროვე ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია სახელმწიფო კონტროლს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების კონსტიტუციური გარანტიების რეალიზაციაზე. სახელმწიფო კონტროლის ფორმებს წარმოადგენს მიმდინარე და შემდგომი კონტროლი, რომელიც მდგომარეობს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმებაში. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას მხოლოდ უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) აქვს უფლება გასცეს საეალდებულო მითითებები, გარკვეულ შემთხვევებში შეწყვიტოს ფინანსირება, მოითხოვოს ლიცენზიის შეჩერება ან გამოხმობა, სახელმწიფო რეგისტრაციის გაუქმება ან ბათილად ცნობა და ა.შ.

მაკონტროლებელი ორგანო გარკვეულ შემთხვევებში უფლებამოსილია ჩაერიოს კონტროლის ქვეშ მყოფი ობიექტის ოპერატიულ საქმიანობაში, მაგალითად, მოითხოვოს კონკრეტული თანამდებობის პირის ჩამოცილება მისი სამსახურებრივი ეალდებულებების შესრულებისგან. სახელმწიფო ხელისუფლების კონკრეტული ორგანოების მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებები გათვალისწინებულია კონსტიტუციით, პრეზიდენტის ნორმატიული სამართლებრივი აქტებით და ა.შ.

კანონის მიერ განსაზღვრულია ზემოთაღნიშნული პირების უფლებათა დაცვის პრინციპები სახელმწიფო კონტროლის (ზედამხედველობის) ჩატარებისას, მათ შორის მითითებულია: იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია; ამ პირებისთვის ნორმატიული სამართლებრივი აქტების ღიაობა და მისაწვდომობა, რომლებიც ადგენენ საეალდებულო მოთხოვნებს; კონტროლის განხორციელება უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ; კონტროლის ღონისძიებათა ჩატარების პერიოდულობა და ოპერატიულობა; მოქმედებათა გასაჩივრების შესაძლებლობა და ა.შ.

სახელმწიფო კორპორაცია – არაკომერციული ორგანიზაცია, რომელსაც არ გააჩნია წევრობა და დაფუძნებულია ქონებრივი შენატანის საფუძველზე, სპეციალური კანონის გამოცემის გზით სპეციალური, მმართველობითი ან სხვა საზოგადოებრივ-სასარგებლო ფუნქციების განხორციელებისთვის. სახელმწიფო კორპორაციას გააჩნია საკუთრების უფლება მისთვის გადაცემულ ქონებაზე. სახელმწიფო კორპორაცია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება სპეციალური კანონით, რომლითაც იქმნება კიდეც კორპორაცია. სახელმწიფო კორპორაციის შექმნისა და საქმიანობისთვის საჭირო არაა დამფუძნებელი დოკუმენტები, რაც გათვალისწინებულია კანონით (წესდება, დამფუძნებელი ხელშეკრულება). სახელმწიფო კორპორაციის სახელწოდება, მისი მიზნები, ადგილსამყოფელი, მართვის ორგანოები, მათი ფორმირების წესი, სახელმწიფო კორპორაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესები და ასევე სახელმწიფო კორპორაციის ქონების გამოყენების პირობები ლიკვიდაციის შემთხვევაში განისაზღვრება კანონით, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო კორპორაციის შექმნას.

სახელმწიფო მართვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს მიზანმიმართულ ზემოქმედებას და ხელმძღვანელობას საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების, ასევე ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ სფეროში. ეს საქმიანობა ელინდება წარმოების რეგულირების, ბრუნვისა და მოხმარების კონკრეტულ მეთოდებში, ადამიანისა და

მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, კონტროლისა და ზედამხედველობის ხერხებში.

ძირითადად სახელმწიფო მართვა მოიცავს სახელმწიფოს მთელს საქმიანობას. თუმცა, გარდა ამისა, სახელმწიფო მართვა წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს განხორციელების სფეროს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს დემოკრატიული სამართლებრივი სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების რეალიზაცია, სახელმწიფო მართვა ყოველთვის უკავშირდება საჯარო-სახელისუფლებო უფლებამოსილებების განხორციელებას.

სახელმწიფო მართვა ხორციელდება შემდეგ სფეროებში: ეკონომიკა (საბაზრო ურთიერთობების განვითარება, ბრძოლა მონოპოლიზმთან, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ბაზარზე ყველა კერძოსამეწარმეო და მეწარმისთვის, ერთიანი ეკონომიკური სივრცის უზრუნველყოფა, ერთიანი ფულადი, საგალუტო, საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება, სახელმწიფო რეგისტრაცია, ლიცენზირება, სერტიფიკაცია და ა.შ.); საზოგადოების ცხოვრების სოციალურ-კულტურული სფერო (სოციალური სტანდარტების შემუშავება, სახელმწიფო პენსიონერების უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანდაცვის, განათლების ორგანიზაცია, ხელშეწყობა მეცნიერებისა და კულტურის სფეროში); ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სფერო (მართვა ქვეყნის თავდაცვის, საზოგადოებრივი და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის, იუსტიციის, ეკონომიკური, საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროებში და ა.შ.).

სახელმწიფო მონოპოლია – სამოქალაქო ბრუნვაში წარმოების, ვაჭრობის, საქმიანობის სხვა სახეების განსაკუთრებული უფლება, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს. სახელმწიფო მონოპოლია უნდა განეიხილოთ, როგორც ურთიერთობათა განსაკუთრებული სფერო, რომელშიც მათი ბუნებიდან გამომდინარე სახელმწიფოსთან ერთად შეიძლება გამოვიდეს სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტები, თუმცა ეს მათ პირდაპირ ეკრძალებათ.

სახელმწიფო მოსამსახურე – მოქალაქე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ასრულებს სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებებს ფულადი გასამრჯელოს სანაცვლოდ, რომელიც გამოიყოფა ბიუჯეტიდან. სახელმწიფო მოსამსახურის ფულად შენახვაზე ხარჯების ოდენობა, მათ შორის, ხარჯები საკომპენსაციო და მათი სოციალური მომსახურებების ანაზღაურებაზე შესაბამისად დგინდება ბიუჯეტის მიერ.

სახელმწიფო ნორმირება რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში სახელმწიფო მართვის ფუნქცია მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში, რომელიც ხორციელდება სანიტარული წესების, ნორმების, ჰიგიენური ნორმატიულების, რადიაციული უსაფრთხოების წესების, სახელმწიფო სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, შრომის დაცვის წესების, დადგენის განკარგულებითი, მეთოდური და რადიაციული უსაფრთხოების სხვა დოკუმენტების მეშვეობით.

სახელმწიფო პოლიტიკა ბირთვულ მასალებთან, რადიოაქტიურ ნივთიერებებთან და ნარჩენებთან მოპყრობის სფეროში – დასახელებულ დარგში სახელმწიფოს საქმიანობის ამოცანების, ფორმებისა და შინაარსის განსაზღვრა; ის ითვალისწინებს ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებებისა და ნარჩენების ნორმირების, მიღების, წარმოქმნის, გამოყენების, ფიზიკური დაცვის, შეგროვების, რეგისტრაციისა და აღრიცხვის, ტრანსპორტირებისა და შენახვის პრობლემათა კომპლექსურ გადაწყვეტას.

სახელმწიფო პროგრამა – სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საწარმოო, სოციალურ-ეკონომიკური, საორგანიზაციო-სამეურნეო და სხვა ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც დამტკიცებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ. თითოეულ სახელმწიფო პროგრამაში მოყვანილია მისი პასპორტი, პროგრამის სახელწოდება, მითითება სამართლებრივ აქტზე, რომელსაც ეფუძნება პროგრამა, განისაზღვრება მისი სახელმწიფო დამკვეთები და ძირითადი შემმუშავებლები, პროგრამის შესრულების ეტაპები და ვადები, კონკრეტულ შემსრულებელთა ჩამონათვალი, დაფინანსების მოცულობა, მოსალოდნელი შედეგები, ასევე დგინდება პროგრამის რეალიზაციაზე კონტროლის წესი.

სახელმწიფო პროგრამის ტექსტს თან ერთვის მისი შესასრულებელი კონკრეტული ღონისძიებების გეგმა. სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია წარმოადგენს პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვისა და მართვის, სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ხერხს ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული ცხოვრების სფეროში.

სახელმწიფო რეჟიმი – სახელმწიფოს ფორმის შემადგენელი ნაწილი. სახელმწიფო რეჟიმის ქვეშ იგულისხმება ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფების, კლასების ან ფენების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისთვის გამოყენებული მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა. სახელმწიფო რეჟიმი წარმოადგენს სახელმწიფო ფორმის ყველაზე დინამიურ შემადგენელ ნაწილს. ის მკვრივობიარედ რეაგირებს ყველა მნიშვნელოვან პროცესებსა და ცვლილებებზე, რომლებიც მიმდინარეობს ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში, კერძოდ, სოციალურ-კლასობრივ ძალებთან თანაფარდობაში. სახელმწიფო რეჟიმი მნიშვნელოვნად ახდენს სახელმწიფო ფორმის ინდივიდუალიზებას. ის გამოდის პოლიტიკური რეჟიმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის სახით, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა სხვა ელემენტს.

ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული რეჟიმის სახეზე შეიძლება მეტყველებდეს მრავალგვარი ფაქტორი. თუმცა, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს: სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობისა და მართლმსაჯულების ორგანოთა ფორმირების ხერხი და წესი; სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს შორის კომპეტენციის განაწილების წესი და მათი ურთიერთდამოკიდებულებების სახე; მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალურობისა და გარანტირებულობის ხარისხი; სამართლის როლი საზოგადოების ცხოვრებაში

და სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში; სახელმწიფო მექანიზმში არმიის, პოლიციის, კონტრდაზვერვის, დაზვერვის და მათი ანალოგიური სტრუქტურების ადგილი და როლი; მოქალაქეთა და მათი გაერთიანებების სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოს მართვაში რეალური მონაწილეობის ხარისხი; საზოგადოებაში წარმოქმნილი სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების გადაწყვეტის ძირითადი ხერხები და სხვ.

პოლიტიკურმა პრაქტიკამ სრულად დაამტკიცა თეზისის სამართლიანობა იმის შესახებ, რომ ხელისუფლებაში მყოფი ფენა ან კლასი ყველა ქვეყანაში უცილობლად ამაუშავებს მმართველობის ორ სისტემას, საკუთარი ინტერესებისათვის ბრძოლის და თავისი ბატონობის მხარდაჭერის ორ მეთოდს, ამასთან ეს ორი მეთოდი ხან ცვლის ერთმანეთს, ხანაც ერთმანეთში გადადის. პირველ რიგში, ესაა ძალადობის მეთოდი და შემდგომ, ე.წ. „ლიბერალიზმის", მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების გაფართოების, დათმობების მეთოდი. იმის მიხედვით, თუ სახელმწიფო ხელისუფლების განსორციელების რომელი მეთოდი გამოდის პირველ პლანზე ამა თუ იმ ქვეყანაში, გამოიყოფა სახელმწიფო რეჟიმის ორი ძირითადი სახე: ავტორიტარული (ანტიდემოკრატიული) და დემოკრატიული (ლიბერალური).

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია

– საზოგადოებრივ-პოლიტიკური სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა, რომელიც სწავლობს სახელმწიფოსა და სამართალს, როგორც ასეთის წარმოქმნის, ჩამოყალიბებისა და განვითარების, ზოგად კანონზომიერებებს და ასევე სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოქმნის ჩამოყალიბებისა და განვითარების სპეციფიკურ კანონზომიერებებს, რომლებიც ფუნქციონირებენ ცალკე აღებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისა და ცივილიზაციის ჩარჩოებში. კონკრეტული საკითხების წრე, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისთვის თავისი საგნის ფარგლებში, არასდროს არ იყო სამუდამოდ მოცემული, უცვლელი. მაგალითად, თუ ადრე სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სამამულო კურსის ჩარჩოებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა „პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს", „საერთო სახალხო" სახელმწიფოსა და სამართალს; „სახელმწიფოს – ღამის დარაჯს" და ა.შ.; ამჟამად, ეს თეორიები და დოქტრინები ისტორიის კუთვნილებად იქცა. პირველ პლანზე მათ ნაცვლად გაჩნდის „სამართლებრივი სახელმწიფოს", „სოციალური სახელმწიფოს" კონცეფციები, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ბუნებრივ-სამართლებრივი თეორიები და სხვ.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საგნის საფუძვლები სახელმწიფოსა და სამართლის წარმოქმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებებია. მოცემული მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინის ბირთვი ნარჩუნდება მთელი მისი არსებობის პერიოდის განმავლობაში. რაც შეეხება ზოგადი კანონზომიერებების განსაზღვრისას გამოყენებულ ემპირიულ მასალას, ასევე სხვადასხვაგვარ „კერძო თეორიას", შეხედულებებსა და წარმოდგენებს სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების, ინსტიტუტებისა და დაწესებულებების შესახებ, ისინი ეითარდებიან უწყვეტად, ცვლიან ერთმანეთს და იცვლიან სახეს. ისევე როგორც, ნებისმიერი მეცნიერება, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს, რომლებიც მიუთითებენ მის ადგილსა და როლზე საზოგადოების ცხოვრებაში. მათ შორისაა შემეცნებითი, ეერისტული და პროგნოზული ფუნქციები.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის მატერიალისტური თეორია

– თეორიის არსი და სამართლის წარმოქმნის ძირითადი მიზეზები შეინიშნება არა რელიგიისა და მორალის სფეროში, არამედ ეკონომიკის დარგში და ადამიანთა ცხოვრების სოციალურ სფეროში. ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფო ორგანიზაცია ცელის გვაროვნულ-ტომობრივ ორგანიზაციას. სამართალი კი ცვლის ჩვეულებებს. ეს ხდება არა საზოგადოებრივი ზნეობის, რელიგიური შეხედულებებისა და მსოფლმხედველობის, არამედ ძირეული ცვლილებების შედეგად ეკონომიკურ სფეროში და პირველყოფილ საზოგადოებაში. სწორედ მათ გამოიწვიეს პირველყოფილი თემური წყობილების დაშლა და ახალ პირობებში საზოგადოებრივი ურთიერთობების პირველყოფილი წეს-ჩვეულებებით რეგულირების უნარის დაკარგვა, მსოფლიო ისტორიაში ცნობილმა შრომის უდიდესმა დაყოფამ, რაც უკავშირდებოდა მესაქონლეობის მიწათმოქმედებისგან, ხელობის მიწათმოქმედებისგან გამიჯვნას და ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის გამოჩენამ გამოიწვიეს საწარმოო ძალების სწრაფი ზრდა, ადამიანის მიერ სულ უფრო მეტი საარსებო საშუალების წარმოების უნარის გამომუშავება. ეკონომიკურად ხელსაყრელი ხდება სხვისი შრომის გამოყენება. თუ ადრე სამხედრო ტყვეებს კლავდნენ, მათ ახლა მონებად აქცევდნენ, აიძულებდნენ რა მათზე ეშუშავათ. მათ მიერ წარმოებულ ნარჩენ (გამოკვებისთვის ზეაუცილებელს) პროდუქტს ისაკუთრებდნენ.

საზოგადოებაში თავიდან შეინიშნებოდა, ხოლო შემდეგ შრომის დაყოფასთან ერთად სწრაფად გაძლიერდა ქონებრივი განშრევებაც. გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები. საკმარისი პროდუქტის მისაღებად ფართოდ გამოიყენებოდა არა მხოლოდ სამხედრო ტყვეების, არამედ თანამემამულეთა შრომაც. საზოგადოება თანდათან, მრავალი ათასწლეულების მანძილზე იყოფოდა სხვადასხვა ფენად, კონკრეტულად პირადი საკუთარი ინტერესებით და ზოგადად საკუთარი, თუმცა არა ერთგვაროვანი სტატუსით, მყარ ჯგუფებად, კლასებად, სოციალურ ფენებად. პირველყოფილი საზოგადოების დაშლის მიხედვით, გვარის წევრთა საერთო მასიდან გამოიყვნენ დიდგვაროვნები – ბელადების, სამხედრო მეთაურების, ქურუმების განცალკევებული ჯგუფი, იყენებდნენ რა თავიანთ საზოგადოებრივ მდგომარეობას, ეს ადამიანები ისაკუთრებდნენ სამხედრო ნადავლის დიდ ნაწილს, მიწის საუკეთესო ნაკვეთებს, იძენდნენ უამრავ საქონელს, ნაკეთობებს, შრომის იარაღებს. თავიანთ ძალაუფლებას, რაც დროთა განმავლობაში გახდა მემკვიდრეობითი, ისინი იყენებდნენ არა იმდენად საზოგადოებრივი, რამდენადაც პირადი ინტერესების დასაცავად, მონების და ღარიბი თანამემამულეების მორჩილებაში ყოფნისთვის. გაჩნდა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის სხვა ნიშნებიც, რომელიც

თანდათან ხდებოდა სახელმწიფო ორგანიზაცია. ახალ საზოგადებრივ-ეკონომიკურ პირობებში ხელისუფლების ორგანიზაციის უწინდელი სისტემა – გვაროვნულ-ტომური ორგანიზაცია, რომელიც გათვლილი იყო საზოგადების მცირე მართვაზე, რომელმაც არ იცოდა ქონებრივი დაყოფა და სოციალური უთანასწორობა – ადმოჩნდა უძლური მზარდი ცვლილებების წინაშე ეკონომიკის სფეროსა და სოციალურ ცხოვრებაში, სულ უფრო ღრმა უთანასწორობის წინაშე. როგორც ფ. ენგელსი წერდა ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა" გვაროვნულმა წყობილებამ თავისი დრო მოჭამა, ის „აფეთქდა" შრომის დაყოფითა და მისი შედეგით – საზოგადოების კლასებად დაშლით და ის სახელმწიფოთი შეიცვალა. სახელმწიფო ორგანოები და ორგანიზაციები ნაწილობრივ გაჩნდნენ პირველყოფილი თემური წყობილების ჩარჩოებში წარმოქმნილი ორგანოებისა და ორგანიზაციების გარდაქმნის, ნაწილობრივ კი ამ უკანასკნელთა სრული განდევნის გზით.

ნებისმიერ საზოგადოებაში სახელმწიფოს ნიშნების წარმოქმნას მოწმობს, პირველ რიგში, მისგან იმ ადამიანთა ფენის გამოყოფა, რომლებიც აწარმოებდნენ არა მატერიალურ ან სულიერ კეთილდღეობას, არამედ დაკავებულნი იყვნენ მართვის საქმეებით; ადამიანთა მოცემული ფენისთვის განსაკუთრებული უფლებებისა და უფლებამოსილებების მიცემა; სხვადასხვა სახის გადასახადისა და ბეგარის, სესხების შემოღება; საზოგადების წევრთა დაყოფა არა ნათესაური ნიშნით, როგორც ეს იყო პირველყოფილი თემური წყობილების დროს, არამედ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნით; მუდმივ საფუძველზე მეიარაღებულ ხალხთა განსაკუთრებული რაზმების წარმოქმნა, რომლებიც ერთის მხრივ, მოწოდებულნი არიან დაიცვან ტერიტორია და საზოგადოება გარედან თავდასხმისგან, სოლო მეორეს მხრივ – მოიპოვონ თავად ახალი ტერიტორიული გამარჯვებები. ისინი ასევე მიუთითებენ იმაზე, რომ სახელმწიფო საზოგადოებისთვის თავმოხვეული არაა გარედან. ის წარმოიქმნება მის საფუძველზე ბუნებრივი გზით, ამასთან, ის ვითარდება და სრულყოფილი ხდება. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის მატერიალისტური თეორიის მრავალრიცხოვან მომხრეებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია კ. მარქსს, ფ. ენგელსს და ვ.ი. ლენინს.

სახელმწიფოს საგარეო ფუნქციები

– სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რაც უშუალოდ უკავშირდება მის წინაშე მდგარი გადაწყვეტილებების გადაწყვეტას მიზნებისა და ამოცანების საერთაშორისო არენაზე. ეს უკანასკნელი არასდროს არ იყო ყველა სახელმწიფოსთვის და პრაქტიკულად არ შეიძლება იყოს ერთნაირი ყველა სახელმწიფო წარმონაქმნებისა და სახელმწიფოსთვის, ისინი დამოკიდებულია კქეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმსა და სახელმწიფოთა ტიპებზე, ერთი და იმავე სახელმწიფოს განვითარების ეტაპებზე, მსოფლიოში ჩამოყალიბებულ საერთაშორისო ვითარებაზე, სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულებათა ხასიათზე.

სახელმწიფოს მიზნები, ამოცანები და გარკვეული ფუნქციები უმეტესწილად დამოკიდებულია მის სოციალურ-კლასობრივ არსსა და შინაარსზე, მის სოციალურ-კლასობრივ მზაობასა და მიმართულებაზე, ასევე მის იდეოლოგიურ განპირობებულობაზე. სახელმწიფოს არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს ასეთი მიზნები და ამოცანები, ამასთან ერთად კი შესაბამისი ფუნქციები, რომლებიც არ იყო განპირობებული მისი არსით, შინაარსით, მმართველი წრეების იდეოლოგიური შეხედულებებით, მისი სოციალურ-კლასობრივი დანიშნულებით.

იდეოლოგიური და პოლიტიკური მრწამსი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩნდებოდა სახელმწიფოს საგარეო მიზნებში, ამოცანებსა და ფუნქციებში. მათ შორის, მაგალითად, გამოიყოფოდა ისეთი ფუნქციები, როგორიცაა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ფუნქციები; მშვიდობისთვის და მშვიდობიანი თანაარსებობისთვის ბრძოლა კაპიტალიზმის ქვეყნებთან; ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის მხარდაჭერის ფუნქცია და განეითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობა და სხვ. პოლიტიკური და იდეოლოგიური პოსტულატები, რომლებიც შეადგენდნენ მოცემული ფუნქციების საფუძველს შედიოდა არა მხოლოდ პარტიულ დოკუმენტებში, არამედ მტკიცებულებად კანონმდებლობითაც. იხ. სახელმწიფოს ფუნქციები.

სახელმწიფო საზღვარი

– ხაზი და ამ ხაზზე გამავალი ვერტიკალური ზედაპირი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ტერიტორიის (ხმელეთის, წყლის, წიაღისა და საჰაერო სივრცის) ე.ი.შესაბამისი სახელმწიფოს სუვერენიტეტის მოქმედების საზღვრებს.

იმ ადგილის მიხედვით, თუ სად გადის საზღვარი გამოყოფენ სახმელეთო, მდინარის, ტბის, საზღეაო და საჰაერო საზღვარს. ამჟამად, სახელმწიფოები არ ადგენენ თავიანთი წიაღის სახელმწიფო საზღვარს, თუმცა თეორიულად შესაძლებელია ამის გაკეთება ვერტიკალურ ზედაპირზე ორიენტირებით, რომელიც გადის სახელმწიფო საზღვრის მიწისზედა ხაზზე დედამიწის ცენტრისაკენ.

სახმელეთო საზღვარი დგინდება მეზობელი სახელმწიფოების შეთანხმებით. როგორც წესი, ასეთი სახის ხელშეკრულებები დანართების სახით შეიცავს სხვადასხვა დოკუმენტსა და ოქმს და ასევე რუკას მასზე გამოსახული საზღვრის ხაზით.

მდინარის საზღვარი ასევე განისაზღვრება მეზობელი სახელმწიფოების ხელშეკრულებებით. ჩვეულებრივ, სანაოსნო სასაზღვრო მდინარეებზე ის გადის მთავარი ფარვატერის ან ყველაზე ღეტი ხიდრმის ხაზზე – ტალვეგზე, ხოლო არასანაოსნოზე – მდინარის შუაში, მოცემულ მომენტში მათი მდგომარეობის მიხედეით. სანაოსნო მდინარეებზე საზღვრის ხაზი შეიძლება შეიცვალოს მათი მთავარი ფარვატერის შუაგულის ბუნებრიეი ცვლილებების შესაბამისად, ხოლო არასანაოსნო მდინარეებზე, რუებსა და არხებზე საზღვრის ხაზი იცვლება მათი შუაგულის გადანაცვლების მიხედეით, რომელსაც იწვევს ამ წყლების ნაპირთა კონფიგურაციის ბუნებრიეი ცვლილებები. მდინარის კალაპოტის მოულოდნელი და მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს საზღვარი რჩება უწინდელ ადგილას მოსაზღვრე ქვეყნებს შორის უწინდელის შესაცვლელად. ამიტომ, ხელშეკრულებებში ხშირად მითითებულია იცვლება თუ არა საზღვრის ხაზი მოცემულ მდინარეზე ბუნებრიეი

ცელილებების მიხედვით თუ ის წარმოადგენს უცელსს. თუ სასაზღვრო მდინარეზე გადებულია ხიდი, მასზე საზღვარი გადის ზუსტად შუაში, იმის მიუხედავად, თუ როგორაა საზღვარი თავად მდინარეზე გაელებული. ხიდების, კაშხალების, დამბების ან ამგვარი ნაგებობების სასაზღვრო მდინარეებზე ხელახლა მოწყობისა თუ ალების აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ამას თან ახლავს მდინარეში წყლის დონის ცელილება, საჭიროა წინასწარი თანხმობა ამაზე მოსაზღვრე სახელმწიფოს მხრიდან. ახალი კუნძულის მონაკვეთი, ნარიყი და კუნძულის სხვა ბუნებრივი ცელილებები სასაზღვრო მდინარეზე ტოვებენ საზღვრის ხაზს უცელსს. მდინარის საზღვარი საერთაშორისო მდინარეზე, რომელიც გადის ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას და ემთხვევა იმ სახელმწიფოს სახმელეთო საზღვარს, რომელსაც კვეთს ეს მდინარე.

ტბის საზღვარი განისაზღვრება მეზობელი სახელმწიფოების შეთანხმებით და გადის ან ტბის შუაში ან სწორ ხაზზე, რომელიც აერთებს სახმელეთო საზღვრის გამოსასვლელებს ტბის ნაპირებთან.

ზღვის საზღვარი, თუ ის მოცემულია – სახელმწიფოს ტერიტორიას აშორებს ღია ზღვისგან, დგინდება სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით ტერიტორიული ზღვის განფენილობის საზღვრების დადგენილი საერთაშორისო წესის შესაბამისად. თუ ზღვის საზღვარი აშორებს ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვას მეორე სახელმწიფოს ამავე კატეგორიის წყლებისგან, საზღვარი დგინდება მეზობელ ან მოსაზღვრე სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით.

სახელმწიფო საზღვარი ხმელეთზე ყოველთვის აღინიშნება თვალსაჩინო სასაზღვრო ნიშნებით: სასაზღვრო სვეტებით, პირამიდებით და ა.შ. თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა საერთაშორისო ხელშეკრულებებით საზღვარი ხმელეთზე გადის დამახასიათებელ წერტილებზე, რელიეფის ზაზებზე ან მკაფიოდ გამოხატულ ორიენტირებზე (მთის ქედზე, ღრეზე, მდინარეზე და ა.შ.). მდინარის, ტბისა და ზღვის საზღვრები ასევე შეიძლება აღინიშნოს საყეებით, ტიეტივებითა და სხვა ნიშნებით, თუმცა ზღვის საზღვარი ჩვეულებრივ მხოლოდ რუკაზე ჩანს. საჰაერო და წიაღების საზღვრები ადგილზე არ აღინიშნება. ზოგ ქვეყანაში საჰაერო საზღვარი არ ფორმდება მოსაზღვრე სახელმწიფოების შეთანხმებებით და არ ზუსტდება არანაირი ნიშნით საჰაერო სივრცეში. სახელმწიფო საზღვრის სტატუსი განისაზღვრება მოსაზღვრე სახელმწიფოების საერთაშორისო ხელშეკრულებით, რაც არ გამორიცხავს მის ასახვას თითოეული მათგანის შიდა კანონმდებლობაში.

სახელმწიფო საზღვრის დაცვა – სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის, სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკის რეალიზაციის შემადგენელი ნაწილი. სახელმწიფო საზღვრის დაცვის ზომები გამოიყენება საზღვრის სტატუსიდან გამომდინარე. სახელმწიფო საზღვრის დაცვის მიზანს წარმოადგენს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების უზრუნველყოფა და მათი უსაფრთხოების დაცვა.

სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი ესაა ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ საზღვრის დაცვის, მისი სატრანსპორტო საშუალებებისა და პირების მიერ გადაკვეთის, საზღვარზე ტვირთის, საქონლისა და ცხოველების გადაადგილების წესებს. სასაზღვრო რეჟიმი არის ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ სასაზღვრო ზონაში შესვლის (გასვლის), დროებით ყოფნის, გადაადგილების წესს პირებისა და სატრანსპორტო საშუალებების მხრიდან. შესაბამისი ნებართვების გაცემის წესს; სამეურნეო, სარეწი და სხვა საქმიანობის, მასობრივი ღონისძიებების ჩატარების წესებს; შიდა ზღვებზე, ტერიტორიულ ზღვაში მცირე ზომის ხომალდებისა და გადაადგილების საშუალებების აღრიცხვისა და შენახვის წესებს; კელეფითი, ძიებითი და სხვა სახის სამუშაოების წარმოების წესებს.

სასაზღვრო სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს სპაეო, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ, ეეტერინალური კონტროლის ორგანოებთან, კულტურის სამინისტროსთან მჭიდრო კონტაქტში, რომელიც ზედამხედველობას უწევს კულტურული ფასეულობების სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებას, ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას.

სახელმწიფო საზღვრის მართლსაწინააღმდეგო ცელილება – სასაზღვრო ნიშნების ამოღება, გადაადგილება ან განადგურება სახელმწიფო საზღვრის მართლსაწინააღმდეგო ცელილების მიზნით.

სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა – სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა სახელმწიფოში შესვლის ან სახელმწიფოდან გასვლის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ან კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სათანადო ნებართვის გარეშე. სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთად არ ითვლება ქვეყანაში უცხოელი მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ შემოსელა პოლიტიკური თავშესაფარის უფლების გამოყენებისთვის კონსტიტუციის შესაბამისად, თუ ამ პირთა ქმედებებში არაა დანაშაულის სხვა შემადგენლობა.

სახელმწიფო საიდუმლო – ცნობები სამხედრო,საგარეო პოლიტიკური და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის, მეცნიერების, ტექნიკის, დაზვერვის, კონტრდაზვერვისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სფეროში, რომელთაც გააჩნიათ სახელმწიფო მნიშვნელობა და მოითხოვენ სპეციალურ დაცვასა და მოპყრობის სპეციალურ რეჟიმს.

სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება – დადგენილი წესის (წესების) დარღვევით სახელმწიფო საიდუმლოების შემადგენელი ცნობების გახმოვანება ან გაერცელება პირის მიერ, რომელსაც ევალებოდა მისი შენახვა ან რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ საქმიანობასთან ან სამუშაოსთან დაკავშირებით და ცნობილი გახდა სხვა პირებისთვის.

სახელმწიფო სამთო ზედამხედველობა – სახელმწიფო მართვის ფუნქცია სამრეწველო უსაფრთხოების დარგში; სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის მიზანს წარმოადგენს ყველა გამომყენებლის მიერ წიაღის კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, რაც დამტკიცებულია სამუშაოების უსაფრთხო წარმოების, მოსახლეობაზე, გარემოზე, სახ-

ალხო მეურნეობის ობიექტებზე მათი შენე გაელენის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, ასევე წიაღის დაცვის მოთხოვნების (წესებისა და ნორმების) წესით. სახელმწიფო სამოო ზედამხედველობას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური ორგანო (სახსამოო ტექნიკური ზედამხედველობა).

სახელმწიფო სამონადირეო ფონდი – ველური ცხოველები და ფრინველები, ბინადრები და ასევე გაშვებულები სამონადირეო ადგილებში გაშენების მიზნით, იმის მიუხედავად, თუ ვის მფლობელობაშია მათი საბინადრო ტერიტორია; სახელმწიფო სამონადირეო ფონდის გამოყენება დაშვებულია ნადირობის დადგენილი წესების დაცვით.

სახელმწიფო სამოქალაქო სამსახური – სახელმწიფო სამსახურის სახე, რომელიც წარმოადგენს მოქალაქეთა პროფესიულ სამსახურებრივ საქმიანობას სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურის თანამდებობებზე სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებათა შესრულების უზრუნველყოფის მხრივ.

სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურის პრინციპებს წარმოადგენს: ა) ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა პრიორიტეტი; ბ) სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების ერთიანობა; გ) სახელმწიფო ენის მცოდნე მოქალაქეთა მიერ სამოქალაქო სამსახურის თანაბარი წვდომა და მისი გავლის თანაბარი პირობები სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიისადმი მიკუთვნებულობის, მრწამსის და ასევე სხვა გარემოებების მიუხედავად, რომლებიც არ უკავშირდებიან სამოქალაქო მოსამსახურის პროფესიულ და საქმიან თვისებებს; დ) სამოქალაქო მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; ე) სამოქალაქო სამსახურის სტაბილურობა; ვ) სამოქალაქო სამსახურის შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობა; ზ) ურთიერთქმედება საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და მოქალაქეებთან; თ) სამოქალაქო მოსამსახურეთა დაცულობა მათ პროფესიულ სამსახურებრივ საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევისგან.

სახელმწიფო სამსახური – სამართლის ნორმებით დადგენილი სახელმწიფო ხელისუფლების ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელება მოქალაქეთა მიერ, რომელთაც უკავიათ სახელმწიფო სამსახურის კონკრეტული თანამდებობები პროფესიულ საფუძველზე, სახელმწიფოებრივ-სახელისუფლებო უფლებამოსილებებით აღჭურვილ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში და რომელთა შრომაც ანაზღაურებადი ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

სახელმწიფო სამსახური – ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტი, რომლის ნორმების ერთობლიობაც განსაზღვრავს და განამტკიცებს სახელმწიფო მოსამსახურეთა უფლებებს, ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, სახელმწიფო სამსახურის გაელის, მათ შორის, სახელმწიფო სამსახურის თანამდებობათა დაკაებების, ატესტაციისა და საკვალიფიკაციო განრიგის მიკუთვნების წესს და სხვ.

სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა – 1) კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენისა და თავიდან აცილების საქმიანობა მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის დარგში, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საცხოვრებელი გარემოს დაცვის მიზნით. ის ხორციელდება სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მიერ.

სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა მოიცავს: ა) კონტროლს სანიტარული კანონმდებლობის, სანიტარულ-ანტიეპიდემიური (პროფილაქტიკური) ღონისძიებების, სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირების მითითებებისა და დადგენილებების შესრულებაზე; ბ) სანიტარულ-საკარანტინო კონტროლს სახელმწიფო საზღარზე გატარებისას; გ) სანიტარული კანონმდებლობის დარღვევათა აღკვეთის ღონისძიებებს, სანიტარული კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესახებ დადგენილებების გამოტანას და მითითებების გაცემას, ასევე მათი ჩამდენი პირების პასუხისგებაში მიცემას; დ) კონტროლს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე; ე) სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური გამოძიებების ჩატარებას, რომლებიც მიმართულია ინფექციური დაავადებებისა და მასობრივი არაინფექციური აეადმყოფობის (მოწმალის) წარმოქმნის მიზეზებისა და პირობების გამოვლენაზე; ე) წინადადებების შემუშავებას სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური (პროფილაქტიკური) ღონისძიებების ჩატარებაზე; ზ) სტატისტიკურ დაკვირვებას მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის დარგში, ინფექციური, პროფესიული, მასობრივი არაინფექციური დაავადების (მოწმალის) სახელმწიფო აღრიცხვას გარემოს ფაქტორების მაენე ზემოქმედებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო საინფორმაციო რესურსების ფორმირების მიზნით. სამსახურებრივი ვალდებულებების არასათანადო შესრულებაზე, მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობისათვის საფრთხის შემქმნელი ფაქტებისა და გარემოებების დაფარვაზე თანამდებობის პირები პასუხს აგებენ კანონმდებლობით დადგენილი წესით; 2) სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ფუნქცია.

სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ნორმირება – სახელმწიფო მართვის ფუნქცია მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის დარგში, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებისა და დაწესებულებების დადგენის გზით, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ წესებში, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მისი სამყოფელი გარემოსთვის, სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ნორმირება მოიცავს: ერთიანი მოთხოვნების შემუშავებას სანიტარული წესების დასაბუთების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების მიზნით; კონტროლი სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ნორმირების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაზე, სანიტარული წესების შემუშავების

გადახედვა, ექსპერტიზა, დამტკიცება, ამოქმედება და გამოქვეყნება, სანიტარული წესების დანერგვის კონტროლი, მათი გამოყენების პრაქტიკის განზოგადება და შესწავლა; სანიტარული წესების რეგისტრაცია და სისტემატიზაცია, ერთიანი მონაცემთა ბაზის ფორმირება და წარმართვა სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ნორმირების დარგში.

სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური – ორგანოებისა და დაწესებულებების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, ასევე ახორციელებს სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სისტემა, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობას. სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს მოსახლეობის ინფექციური და მასობრივი არაინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა, ადამიანზე გარემოს ფაქტორების მაენე ზემოქმედების თავიდან აცილება, მოსახლეობის ჰიგიენური აღზრდა და განათლება.

სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური წესები და ნორმატივები ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტები (სანიტარული წესები, ნორმები, სანიტარული წესები და ნორმები, ჰიგიენური ნორმატივები), რომლებიც ადგენენ სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ მოთხოვნებს.

სახელმწიფო (მუნიციპალური) სასესხო ხელშეკრულება სასესხო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მსესხებელს წარმოადგენს სახელმწიფო ან მუნიციპალური წარმონაქმნი, ხოლო გამსესხებელს – მოქალაქე ან იურიდიული პირი. ყველა სახელმწიფო (მუნიციპალური) სასესხო ხელშეკრულება წარმოადგენს ნებაყოფლობითს. სახელმწიფო (მუნიციპალური) სასესხო ხელშეკრულება იღება გამსესხებლის მიერ გამოშვებულ სახელმწიფო ობლიგაციების ან სხვა სახელმწიფო (მუნიციპალური) ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით, რომლებიც ამტკიცებენ გამსესხებლის უფლებას მსესხებლისგან მიიღოს სესხად დადგენილი პროცენტების ან სხვა ქონებრივი უფლებების მიხედვით სესხის ბრუნვაში გაშვების პირობებით გათვალისწინებულ ვადებში. ბრუნვაში გაშვებული სესხის პირობების ცვლილება დაუშვებელია.

ყველაზე გავრცელებულია სახელმწიფო ობლიგაციების (ვალდებულებების) გამოშვება. ასეთი ობლიგაციების ემიტენტს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტრო. ობლიგაციები წარმოადგენენ სახელობით საკუპონო ფასიან ქაღალდებს და მათ მფლობელებს ისინი აძლევენ უფლებას მიიღონ მისი ნომინალური ღირებულება განაღდებისას და საკუპონო შემოსავალი ობლიგაციების ნომინალური ღირებულების პროცენტის სახით, რომლის გადახდაც ხდება მათი გამოშვების პირობებით დადგენილი წესით. ობლიგაციების ემისია ხორციელდება ცალკეული გამოშვების ფორმით ემიტენტის მიერ დადგენილ ვადებში. თითოეულ გამოშვებას გააჩნია სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი. ამასთან, ობლიგაციებს, რომელთაც გააჩნიათ უფლებათა ერთნაირი მოცულობა და განაღდების თარიღი, გააჩნიათ ერთნაირი სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი. ემიტენტი ცბ (ცენტრალური ბანკი) შეთანხმებით ობლიგაციების თითოეული ცალკეული გამოშვებისთვის ადგენს მის მოცულობას, საკუპონო შემოსავლის ოდენობას თითოეულ საკუპონო პერიოდზე; განთავსების თარიღს, განაღდების თარიღს; საკუპონო შემოსავლის გაცემის თარიღს; შეზღუდვებს არარეზიდენტების მიერ შეძენილი გამოშვების მოცულობის წილზე. აღნიშნული პირობები ფიქსირდება გლობალურ სერტიფიკატში და ცხადდება განთავსების დაწყებამდე. საკუპონო შემოსავლის სიდიდე წარმოადგენს ფიქსირებულს თითოეულ საკუპონო პერიოდზე. პირველ კუპონზე პროცენტები ირიცხება ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან მისი გადახდის თარიღამდე. იხ. სასესხო ხელშეკრულება, ფასიანი ქაღალდი, სახელმწიფო.

სახელმწიფო სასინჯი დამღების დამზადებისა და გამოყენების წესების დარღვევა დანაშაული სამეურნეო საქმიანობის სფეროში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო სასინჯი დამღების არასანქცირებულ დამზადებას, გასაღებასა და გამოყენებას, ასევე მის გაყალბებას ანგარების მიზნით ან სხვა პირადი დაინტერესებით.

სახელმწიფო სუვერენიტეტი სახელმწიფოებრიობის არსებობის ბუნებრივი და აუცილებელი პირობა. სახელმწიფო ხელისუფლების წყაროსა და სუვერენიტეტის მატარებელს წარმოადგენს მისი მრავალეროვანი ხალხი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ და კონსტიტუციის საფუძველზე წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით.

სახელმწიფო სუვერენიტეტი ცხადდება უმაღლესი მიზნების – თითოეული ადამიანისთვის ღირსეული ცხოვრების, თავისუფალი განვითარების და მშობლიური ენის გამოყენების, ხოლო თითოეული ხალხისთვის – მათ მიერ არჩეულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ეროვნულ-კულტურულ ფორმებში თვითგამორკვევის განუყოფელი უფლების სახელით.

სუვერენიტეტის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი გარანტიების უზრუნველსაყოფად დგინდება კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობა მთელს ტერიტორიაზე; ხალხის განსაკუთრებული უფლება განაგოს, ფლობდეს და გამოიყენოს ეროვნული სიმდიდრე.

სახელმწიფოს ტერიტორიული ნიშანი სახელმწიფოს ფარგლებში მოსახლეობის განაწილება ტერიტორიულ ერთეულებზე. პირველყოფილი წყობილებისგან განსხვავებით, სადაც საზოგადოებრივი ხელისუფლება ვრცელდებოდა ადამიანებზე ნათესაური ნიშნით, მათი ამა თუ იმ გვართან, ფრატრიასთან, ტომთან ან ტომების კავშირთან მიკუთვნებულობის მიხედვით, სახელმწიფო წყობის დროს ხელისუფლება ვრცელდება მათზე მათი საცხოვრებელი ტერიტორიის შესაბამისად, სახელმწიფოს წარმოქმნასთან ერთად მაცხოვრებლები „პოლიტიკური მიმართულებით გადაიქცნენ ტერიტორიის უბრალო მიკუთვნებად (კუთვნილებად)“. სისხლით ნათესაური კავშირებისგან დამოუკიდებლად ისინი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოდიან, როგორც მოქალაქეები (რესპუბლიკის პირობებში) ან როგორც ქვეშევრდომები (მონარქიის პირო-

ბებში) ან როგორც პირები მოქალაქეობის გარეშე ან უცხოელები, რომლებიც სახელმწიფოს იურისდიქციის, მისი კანონების მოქმედების ქვეშ ექცევიან. სახელმწიფოს ტერიტორია თავისებური სახის მატერიალური ბაზაა, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია არსებობა. ეს სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირების ბუნებრივი პირობაა.

სახელმწიფოს ტერიტორიის ქვეშ ჩვეულებრივ იგულისხმება სიერცე, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება. სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს შემდეგი სივრცე და მასთან გათანაბრებული ობიექტები: ა) მიწა და მისი წიაღი, რომლებიც წარმოქმნიან სახმელეთო ტერიტორიას; ბ) მდინარეები, ტბები, ხელოვნური წყალსატევები, ასევე ზღვის შიდა და ტერიტორიული წყლები, რომლებიც გარს უვლიან მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიას (სახელმწიფოს წყლიანი ტერიტორია); გ) საჰაერო სივრცე სახმელეთო და წყლის ტერიტორიაზე (სახელმწიფოს საჰაერო ტერიტორია); დ) სახელმწიფოს ტერიტორიასთან გათანაბრებული ობიექტები (საზღვაო და სახმელეთო ხომალდები, კოსმოსური ხომალდები და სადგურები, რომლებიც მოქმედებენ მოცემული სახელმწიფოს დროშის ქვეშ და სახელმწიფოს კუთვნილი სხვა ობიექტები). თითოეული სახელმწიფოს თავის ტერიტორიაზე გააჩნია მთელი სისრულით ხელისუფლება და გამორიცხავს ნებისმიერ ჩარევას „თავისი" საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეებში უცხოური ხელისუფლების მხრიდან. სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში და ასევე საერთაშორისო სამართალში საყოველთაოდ აღიარებულს წარმოადგენს ტერიტორიული უზენაესობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის პრინციპები. მოსახლეობის ტერიტორიულ დაყოფას და სახელმწიფო ხელისუფლების გაერცელებას მხოლოდ გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობაზე აუცილებლად მოსდევს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. სახელმწიფოების მთელი ტერიტორია იყოფა რიგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, სხვადასხვა სახელმწიფოში მათ სხვადასხვაგვარი სახელწოდება აქვთ: ოლქები, პროვინციები, მხარეები, დისტრიქტები, საგრაფოები, კანტონები რაიონები და ა.შ. თუმცა, მათი დანიშნულება და ფუნქცია ერთია – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზება და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის დაკავება.

სახელმწიფოს ფორმა – მისი შინაარსისა და არსის უშუალო გამომხატველი და მატარებელი. როგორიცაა სახელმწიფოს არსი და შინაარსი (ფუნქციები), საბოლოო ჯამში, ისეთი იქნება მისი ფორმაც. სახელმწიფოს არსი გამოისატება იმაში, თუ რომელი ფენების, ჯგუფების, კლასების ნებასა და ინტერესებს იცავს ის. სახელმწიფოს განხილვა მისი შინაარსის კუთხით ნიშნავს დადგენას, თუ როგორ და რა მიმართულებით მოქმედებს ის. სახელმწიფოს შესწავლა ფორმის თვალსაზრისით ნიშნავს მისი წყობის ძირითადი შემადგენელი ნაწილების, შინაგანი სტრუქტურის, სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და განხორციელების ძირითადი მეთოდების შესწავლას. სახელმწიფოს ფორმა, ისევე როგორც მისი არსი და შინაარსი, არასდროს არ იყო სტატიკური, არამედ ყოველთვის იცვლებოდა და ეითარდებოდა მრავალი ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა ფაქტორების გეერდით. მუდმივად იცვლებოდა მათზე წარმოდგენაც. ამის დასტურია ასობით სხვადასხვა აზრი სახელმწიფოს ფორმის საკითხზე, გამოთქმული მისი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე. ძველ საბერძნეთსა და რომში ფილოსოფოსები და იურისტები გამოთქვამდნენ სრულიად განსხვავებულ, საკმაოდ წინააღმდეგობრივ აზრებსა და შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება სახელმწიფოს ფორმის ქვეშ, თუ როგორი სახელმწიფოს ფორმები არსებობს, რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან, ასე მაგალითად, ანტიკურობის ერთ-ერთი უდიდესი ძველბერძენი მოაზროვნე, ფილოსოფოსი პლატონი (ჩვ. წ.ა.-მდე 427-347 წწ.) ამოდიოდა იქიდან, რომ „იდეალური სახელმწიფოს", როგორც „საუკეთესობისა და კეთილშობილების" სახელმწიფოს მართვის ფორმას წარმოადგენს „მცირედთა კანონიერი ხელისუფლება" – არისტოკრატია. გარდა ამისა, გამოიყოფოდა „კანონიერი მონარქია" მეფის ხელისუფლება და „უკანონო" – ოლიგარქია. პლატონმა შექმნა მოძღვრება სახელმწიფო ცხოვრების დინამიკისა და შეცვლის შესახებ, ადამიანის ნატურის, მისი ფორმების წახდენის ძალით. ამ მოძღვრების თანახმად, იდეალური სახელმწიფო და მისი არისტოკრატიული ფორმა მუდმივი არაა. სახელმწიფომ შეიძლება განიცადოს დეგრადაცია და შესაბამისად, ამ მიმართულებით შეიცვლება მისი ფორმებიც. არისტოკრატია, რომელიც იწვევს კერძო საკუთრების წარმოქმნას მიწაზე და თავისუფალი ადამიანების მონებად გადაქცევას, შეიძლება გადაიქცეს ე.წ. ტიმოკრატიად. ეს უკანასკნელი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს კრეტა-სპარტანულ ტიპს, ძლიერი მეომრების ბატონობას, თანდათან შეიძლება იქცეს ოლიგარქიად. ოლიგარქია, როგორც წყობა, დაფუძნებული ქონებრივ ცენზსა და მდიდრების ძალაუფლებაზე, ტრანსფორმირდება დემოკრატიაში. დასასრულს, დემოკრატია, როგორც ხალხის ხელისუფლება და ხალხისათვის, შეიძლება საპირისპიროდ – ტირანიაში გადაიზარდოს. როგორც პლატონი თვლიდა, ესაა სახელმწიფოს ყველაზე უარესი ფორმა, რომლის დროსაც გამეფებულია თვითნებობა, ძალადობა და უსამართლობა. სახელმწიფოს მეთაური – ტირანი ახდენს ხელისუფლების მიტაცებას ხალხის სახელით და როგორც „ხალხის მიერ დაყენებული".

სახელმწიფო წყობისა და მმართველობის ფორმებისთვის მიძღვნილი მოძღვრებები და ცალკეული იდეები ეითარდებოდა სხვა ქვეყნებშიც, კაცობრიობის ცივილიზაციის არსებობისა და განვითარების ყველა სტადიაზე. სახელმწიფოს ფორმის კვლევას ძნიშნელოვანი ყურადღება ეთმობა თანამედროვე სამაულო და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში. თუმცა, თანამედროვე ავტორებს შორის არაა ერთნაირი აზრი სახელმწიფოს ფორმის ცნების, სახეებისა და შინაარსის შესახებ. გამოითქმება სრულიად განსხვავებული აზრებიც. ამჟამად, სამაულო და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში უპირატესია აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს ფორმა შედგება მმართველობის, სახელმწიფო წყობისა და სახელმწიფო რეჟიმის ფორმებისგან.

სახელმწიფოს შიდა ფუნქციები – სახელმწიფოს მრავალფეროვანი შიდა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც განპირობებულია მათ წინაშე მდგარი შიდა ამოცანების გადაწყვეტის

აუცილებლობით. ეს ამოცანები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ისინი ეხება საზოგადოებისა და თავად სახელმწიფოს პრაქტიკულად ყველა სფეროს: ეკონომიკურს, სოციალურს, პოლიტიკურს, სასულიერო, ფინანსურს და სხვ. გარდა ამისა, სახელმწიფო ხშირად წყვეტს, ერთი, ცალკე ალებული სფეროს ფარგლებს გარეთ გამაეალ ამოცანებს. სახელმწიფოს შიდა ფუნქციებისა და საზოგადოების ცხოვრების სფეროთა მჭიდრო ურთიერთკავშირი ზოგჯერ წარმოადგენს მათი ერთმანეთთან გაიგივების მიზეზს. თუმცა, როგორც წესი, ასეთ გაიგივებას გააჩნია არა სრული, არამედ ნაწილობრივი ხასიათი. სახელმწიფოს შიდა ფუნქციების კლასიფიკაციისა და მათი სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ზოგადი სისტემიდან გამოყოფისას ისეთ ფუნქციებთან ერთად, როგორიცაა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, რომლებიც სრულად ემთხვეიან საზოგადოების ცხოვრების სფეროებს და განიხილება ისეთებიც, რომლებიც არ ემთხვეიან მათ, მათ შორის სხვადასხვა წყაროში მოიხსენიება სახელმწიფოს ისეთი შიდა ფუნქციები, როგორიცაა მართლწესრიგის დაცვა და დაცვა საზოგადოებაში; საკუთრების უფლების, მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა; სოციალური მომსახურებების გაწევა; ხალხის ხელისუფლების უზრუნველყოფა; კულტურულ-აღმზრდელობითი, სამართალდაცვითი (ეკოლოგიური), ფინანსური კონტროლის ფუნქცია და სხვ. სახელმწიფოს საქმიანობის მოცემული და სხვა ამგვარი მიმართულებების ჩამონათვალი უმეტესად შეესაბამება სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენას სახელმწიფოს შიდა ფუნქციების შესახებ, ვიღრე მათ გაგებას, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ აიგივებს სახელმწიფოს ფუნქციებს საზოგადოების ცხოვრების ძირითად სფეროებთან. იხ. სახელმწიფოს ფუნქციები, სახელმწიფოს საგარეო ფუნქციები.

სახელმწიფო კადასტრი (ქალაქთმშენებლობა) – ცნობების სახელმწიფო საინფორმაციო სისტემა, რაც აუცილებელია ქალაქთმშენებლობის საქმიანობის განხორციელებისთვის, მათ შორის, უბრაეი ქონების ობიექტების ცვლილებებისთვის; ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კადასტრი მოიცავს: ცნობებს ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, სეისმური, პიდროლოგიური მდგომარეობის შესახებ; ტერიტორიების საინეინრო ობიექტების, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურებისა და კეთილმოწყობის შესახებ; ტერიტორიებისა და დასახლებების განვითარების ქალაქთმშენებლობის დაგეგმვისა და მათი გაშენების შესახებ; ტერიტორიების ზონირებისა და ტერიტორიული ზონების ქალაქთმშენებლობის რეგლამენტის შესახებ. ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კადასტრის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო მიწის კადასტრები, მუნიციპალური წარმონაქმნების ქალაქთმშენებლობის კადასტრი და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაცია ტერიტორიებისა და დასახლებების განვითარების ქალაქთმშენებლობის დაგეგმვისა და მათი გაშენების შესახებ, ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კადასტრი მოიცავს ასევე ცნობებს სხვა დარგობრივი კადასტრების შესახებ და ქალაქთმშენებლობის საქმიანობის განხორციელებისთვის სხვა საჭირო საინფორმაციო სისტემებს.

სახელმწიფო ღალატი (შპიონაჟი) – სახელმწიფო საიდუმლოს გაცემა ან უცხო სახელმწიფოსთვის, უცხოური ორგანიზაციისა თუ მათი წარმომადგენლებისთვის დახმარების გაწევა მტრული საქმიანობის ჩატარებაში ქვეყნის საგარეო უსაფრთხოების საზიანოდ, რომელიც განხორციელებულია საკუთარი ქვეყნის მოქალაქის მიერ.

ამ დანაშაულის ჩადენისას მთავარი საშიშროება მოდის გარედან, რამდენადაც მოქალაქის მოქმედებები მიმართული და მხარდაჭერილია უცხო სახელმწიფოს ან უცხოური ორგანიზაციების ძალებითა და საშუალებებით, რომელთაც გააჩნიათ მძლავრი ფინანსური, ტექნიკური და სხვა რესურსები. ესაა საკუთარი ქვეყნის მოქალაქისა და უცხო სახელმწიფოებისა ან ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანამონაწილეობის ერთგვარი ფორმა ქვეყნის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განხორციელებაში.

სახელმწიფო ფყლის კადასტრი – 1) ბუნებრივი რესურსების სახე (იხ. ასევე მიწის სახელმწიფო კადასტრი, სასარგებლო წიალისეულის საბადოებისა და გამოვლინებების სახელმწიფო კადასტრი, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო კადასტრი, განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახელმწიფო კადასტრი; ტყის სახელმწიფო კადასტრი); 2) წყლის ობიექტების, მათი წყლის რესურსების, წყლის ობიექტების გამოყენების, წყალგამოყენებელთა შესახებ მონაცემთა სისტემატიზირებული დოკუმენტირებული კრებული. წყლის სახელმწიფო კადასტრის მონაცემები წარმოადგენს საფუძველს გადაწყვეტილებათა მისაღებად სახელმწიფო მართვის განხორციელებისას წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის სფეროში. წყლის სახელმწიფო კადასტრის მართვა ხორციელდება წყლის ფონდის გამოყენებისა და დაცვის მართვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ პიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის (ზედაპირულ წყლის ობიექტებზე) დარგში მართვის სახელმწიფო ორგანოსა და წიალის გამოყენებისა და დაცვის (მიწისქვეშა წყლის ობიექტების) მართვის სახელმწიფო ორგანოს მონაწილეობით.

სახელმწიფო ფყობის ფორმა – სახელმწიფოს შიდა მოწყობა. მისი დაყოფა შემადგენელ ნაწილებად – ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, ავტონომიური პოლიტიკური წარმონაქმნები ან ხუვერენული სახელმწიფოები. ის, ასევე ასახავს მთლიანად სახელმწიფოსა და მისი ცალკეული ნაწილების თანაფარდობის სახეს. არსებობს სახელმწიფო წყობის ფორმის ორი ძირითადი ნაირსახეობა, მათ შორის ყველაზე მარტივია უნიტარული სახელმწიფო. ესაა ერთიანი სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელიც იყოფა მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ნაწილებად. უნიტარული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია მთელი ქვეყნისთვის საერთო სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოები, ერთიანი სასამართლო სისტემები და კონსტიტუცია. სახელმწიფო წყობის უფრო რთულ ფორმას წარმოადგენს ფედერაცია. ფედერაციული სახელმწიფო შედგება რიგი სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფო წარმონაქმნებისგან – ფედერაციის წევრებისგან (სუბიექტებისგან). თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი ადმინისტრაციულ-ტერიტო-

რიული დაყოფა; მთელი ფედერაციისთვის საერთო უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გარდა, თითოეულის ტერიტორიაზე არსებობს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები. ფედერაციის წევრებს (სუბიექტებს) ასევე აქვთ თავიანთი სასამართლო და სხვა ორგანოები, იღებენ საკუთარ კონსტიტუციასა და კანონებს.

სახელმწიფო წყობის ნაკლებად გაერცელებულ ფორმას წარმოადგენს კონფედერაცია. ის წარმოადგენს სახელმწიფოების გაერთიანებას ან კავშირს, რომლის დროსაც კონფედერაციის წარმომქმნელი სახელმწიფოები სრულად ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას, გააჩნიათ საკუთარი ხელისუფლების, მმართველობისა და მართლმსაჯულების ორგანოები. ერთობლიეი მოქმედებების კოორდინაციისთვის კონფედერაციის წევრი-სახელმწიფოები ქმნიან გაერთიანებულ ორგანოებს. ეს უკანასკნელი ფუნქციონირებენ მკაცრად განსაზღვრულ სფეროებში და ისინი მისდევენ ზუსტად განსაზღვრულ (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო და სხვ.) მიზნებს. კონფედერაცია ხშირად განიხილება, როგორც შუალედური რგოლი სახელმწიფოების ფედერაციის წარმოქმნისკენ მიმავალ გზაზე. ამჟამად, კონფედერაციად ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით ითვლება შვეიცარია, თუმცა ის ფაქტიურად წარმოადგენს ფედერაციას. კონფედერაციის ნიშნები არსებობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაშიც (დსთ).

სახელფასო ფონდი – მუშაკებისთვის შრომის ანაზღაურების გაცემის ძირითადი წყარო. ის, წარმოადგენს ორგანიზაციის მუშაკების ხელფასის ზოგად სიდიდეს, რომელიც იანგარიშება არსებული სატარიფო განაკვეთებიდან ან სარგოდან გამომდინარე და მისგან სხვადასხვა გადარიცხვების დაქვითვის, სოციალურ დაზღვევაზე გადარიცხვების მომენტამდე. სწორედ, საერთო ხელფასი გამოიყენება შრომის ანაზღაურებაზე ჯამური საწარმოო ხარჯების განსაზღვრისთვის.

სახელფასო ფონდში შეტანას ექვემდებარება ანაზღაურების შემდეგი სახეები: ა) ანაზღაურება გამომუშავებულ დროზე: სატარიფო განაკვეთებითა და სარგოებით დარიცხული ხელფასი; მუშაკის მიერ ცალკეულ სანარდო ფასდებით შესრულებულ სამუშაოზე დარიცხული ხელფასი, პროდუქციის რეალიზაციისგან (სამუშაოების შესრულებისა და მომსახურების გაწევისგან) ამონაგების პროცენტებში; ნატურალური ანაზღაურების წესით გაცემული პროდუქციის ღირებულება; პრემიები და ანაზღაურება (მათ შორის, ნატურალური პრემიების ღირებულება), რაც ატარებს რეგულარულ ან პერიოდულ ხასიათს, მათი ანაზღაურების წყაროების მიუხედავად; მასტიმულირებელი წანამატი და დანამატი სატარიფო განაკვეთებსა და სარგოებზე (პროფესიონალურ ოსტატობაზე, პროფესიების და თანამდებობების შეთავსებაზე და ა.შ.); ყოველთვიური ან ყოველკვარტალური ანაზღაურება (წანამატი) სამუშაოს სტაჟზე, ნამსახურობაზე.

ასევე მათში შედის ორგანიზაციების სპეციალისტების, ხელმძღვანელების, კვალიფიცირებული მუშაკების შრომის ანაზღაურება, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან ძირითადი სამუშაოსგან, მაგრამ მიწვეულნი არიან მუშაკთა მომზადებისთვის, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის; საკომპენსაციო ანაზღაურება შტატიან დაზღვევის აგენტებზე, შტატიან ბროკერებზე; გაზეთების, ჟურნალების და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების რედაქციათა მუშაკების შემადგენლობაში მყოფი მუშაკებისთვის პონორარი; ბუღალტერიის მუშაკების მომსახურებათა ანაზღაურება; მუშაობისას სპეციალური შესვენების ანაზღაურება; სხვა ორგანიზაციებიდან სამუშაოთი დაკმაყოფილებული მუშაკების სარგოში სხვაობის გადახდა, გარკვეული დროის განმავლობაში წინა სამუშაო ადგილის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შენარჩუნებით; სახელმწიფო ორგანიზაციებთან სპეციალური ხელშეკრულების თანახმად ორგანიზაციაში მუშაობისთვის მიწვეული პირებისთვის შესრულებულ სამუშაოზე დარიცხული თანხა, რომელიც გაიცემა როგორც უშუალოდ ამ პირებზე, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებზე, შეთავსებით სამუშაოზე მიღებულთა შრომის ანაზღაურება; ბ) ანაზღაურება გამოუმუშავებელ დროზე: ყოველწლიური და დამატებითი შეებულებების ანაზღაურება (ფულადი კომპენსაციის გარდა გამოყენებულ შვებულებაზე); კოლექტიური ხელშეკრულებით მუშაკებისთვის დამატებით მიცემული შებულების ანაზღაურება; 18 წლამდე მუშაკებისთვის შეღავათიანი საათების ანაზღაურება; სასწავლო შვებულებების ანაზღაურება საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის; მუშაკების სწავლების პერიოდზე ანაზღაურება, რომლებიც გაგზავნილი არიან პროფესიული მომზადებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ან მეორე პროფესიის შესწავლისთვის; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ვალდებულებების შესასრულებლად მიწვეული მუშაკების შრომის ანაზღაურება; თანხა, რომელიც გაცემულია ორგანიზაციის ხარჯზე მუშაკის მიერ გამოუმუშავებელ დროზე, რომელიც იძულებული იყო ემუშავა არასრული სამუშაო დრო ადმინისტრაციის ინიციატივით; ანაზღაურება დონორ-მუშაკებზე გამოკვლევის. სისხლის ჩაბარების და დასვენების დღეებზე; მუშაკის არა ბრალით გაცდენების ანაზღაურება; იძულებით გაცდენის დროზე ანაზღაურება; გ) ერთდროული წამახალისებელი გადახდები: ერთდროული (ერთჯერადი) პრემიები მათი გაცემის წყაროს მიუხედავად; ანაზღაურება წლის განმავლობაში სამუშაოს შედეგების მიხედვით; მატერიალური დახმარება, რომელიც ეძლევა ყველა მუშაკს ან მუშაკთა უმრავლესობას (მატერიალური დახმარების გარდა, რომელიც გარკვეულ მუშაკებს ეწევათ ოჯახური მდგომარეობის გამო, დასაოლავებაზე და ა.შ.); დამატებითი გადახდები ყოველწლიური შებულების მიცემისას (კანონმდებლობის შესაბამისად); ფულადი კომპენსაცია გამოუყენებელ შვებულებაზე; მუშაკებისთვის წახალისების სახით აქციების ან აქციების შესაძენად შეღავათების გაცემა უსასყიდლოდ; სხვა ერთდროული წახალისებები; დ) გადახდა კეებაზე, საცხოვრებელზე, საწვავზე.

სახელმწიფო ჯილდოები საქართველოს კანონმდებლობით, იმ მოქალაქეთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით, რომელთაც გმირობა, მამაცობა გამოიჩინეს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში, ან განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. დაწესებულია შემდეგი სახის სახელმწიფო ჯილდოები: დაკით აღმაშენებლის ორდენი, ეახტანგ გორგასლის ორდენი (I, II, III ხარისხი), ღირსების ორდენი, „ოქროს

საწმისის ორდენი“, მედალი „მხედრული მამაცობისათვის“. მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“, ღირსების მედალი. სახელმწიფო ჯილდოების მინიჭების წესი განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის 1992 წლის 24 დეკემბრის დადგენილებით და დამტკიცებული დებულებით საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების შესახებ.

სახელო ფეოდალურ სახელმწიფოში სახელმწიფო თანამდებობის პირი; მოგვიანებით, აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური უწყების ხელმძღვანელი.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება – სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ნაირსახეობა (იხ. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება). მოცემული ხელშეკრულების დადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თავად დამზღვევის პასუხისმგებლობის რისკი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ბათილია. ხელშეკრულებაში მითითების მიუხედავად სარგებლის შემძენს ყოველთვის წარმოადგენს პირი, რომლის წინაშეც დამზღვევს ყოველთვის გააჩნია სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა.

სახლთუხუცესი ფეოდალურ საქართველოში მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც სამეფოში, სამთავრობსა და სათავადოებში სამეურნეო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს განაგებდა. თავიანთი სახლთუხუცესები ჰყავდათ კათალიკოსსა და დედოფალს.

საჯაროდ დემონსტრირებადი ნაწარმოები – ნაწარმოებების, ფონოგრამების, შესრულებათა, დადგმების, საეთერო ან საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემის საჯარო წვენება, საჯარო შესრულება ან შეტყობინება უშუალოდ ტექნიკური საშუალებების მეშვეობით თავისუფალი დასწრებისთვის ღია ადგილას ან ადგილას, სადაც არის მნიშვნელოვანი რაოდენობის პირები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ოჯახის ჩვეულებრივ წრეს იმის მიუხედავად, ხდება თუ არა ნაწარმოების, ფონოგრამის, შესრულების, დადგმის, საეთერო ან საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემის აღქმა მათი გადაცემის ადგილას ან სხვა ადგილას ამავდროულად ნაწარმოებების, ფონოგრამების, შესრულებათა, დადგმების, საეთერო ან საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემების გადმოცემით.

საჯარო კონკურსი – საკალდებულო ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნებიან გარკვეული წრის პირების შეჯიბრების საფუძველზე გადაჭრადი ამოცანის წამოყენებასთან დაკავშირებით, გამარჯვებულისთვის სპეციალური ანაზღაურების გაცემით. საჯარო კონკურსი ხასიათდება: ა) მიცემული პირობის საჯაროობით (დახურული კონკურსის შემთხვევაში წინადადება შეიძლება ეხებოდეს პირთა შეზღუდულ წრეს); განცხადება უნდა შეიცავდეს დაკალების არსის შემცველ პირობებს, მუშაობის შედეგების შეფასების კრიტერიუმებსა და წესს და სხვა მიღწევებს, მათი წარმოდგენის ადგილს, დროსა და წესს, ჯილდოს ოდენობასა და ფორმას, ასევე კონკურსის შედეგების გამოცხადების წესსა და ვადებს; ბ) მიმართულებას საზოგადოებრივ-სასარგებლო მიზნების მიღწევაზე; გ) სპეციალური (და არა კანონით გათვალისწინებული) ფულადი ან ნივთიერი ჯილდოს (პრემიის) შეპირებით კონკურსში გამარჯვებისთვის; დ) მონაწილეების წინაშე კონკრეტული ამოცანის დაყენებით გარკვეული სამუშაოს საუკეთესო შესრულების სახით.

საჯარო კონკურსის გამომცხადებელ პირს უფლება აქვს შეცვალოს მისი პირობები ან გადადების შემთხვევაში, კონკურსი მხოლოდ ნაშრომების წარმოდგენისთვის დადგენილი ვადის პირველი ნახევრის განმავლობაში. შეტყობინება საჯარო კონკურსის პირობების ცვლილების ან გადადების შესახებ უნდა გაკეთდეს იმავე ხერხით, რითაც კონკურსი იყო გამოცხადებული. საჯარო კონკურსის პირობების შეცვლის ან გადადების შემთხვევაში კონკურსის გამომცხადებელმა პირმა უნდა ანაზღაუროს ნებისმიერი პირის მიერ გაწეული ხარჯები, რომელმაც შეასრულა განცხადებაში გათვალისწინებული სამუშაოები მანამ, სანამ მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა გამხდარიყო საჯარო კონკურსის პირობების შეცვლის ან მისი გადადების შესახებ, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ აღნიშნული სამუშაო შესრულებული არ იყო კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით ან წინასწარ არ შეესაბამებოდა მის პირობებს.

საჯარო მოწოდებები კონსტიტუციური წყობის ძალისმიერი შეცვლისკენ – დანაშაული კონსტიტუციური წყობისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების საფუძვლების წინააღმდეგ. ობიექტური თვალსაზრისით, დანაშაული გამოიხატება შემდეგი სახის ქმედებებში: ა) საჯარო მოწოდებები ძალაუფლების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდებისკენ; ბ) ძალაუფლების ძალისმიერი შენარჩუნებისკენ საჯარო მოწოდებები; გ) საჯარო მოწოდებები კონსტიტუციური წყობის ძალისმიერი შეცვლისკენ. პასუხისგებაში მისაცემად საკმარისია ჩამოთვლილი ქმედებებიდან ერთ-ერთი. დანაშაული არ შეიძლება ჩადენილ იქნეს უმოქმედობის გზით.

საჯაროობა – სისხლის სამართლის პროცესის პრინციპი, რომელიც ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება დანაშაულის ჩადენის ყველა შემთხვევაში ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დანაშაულით შეხებულ პირთა ინტერესების მიუხედავად, დანაშაულის გახსნის, დამნაშავეთა დადგენისა და მათი სამართლიანი დასჯის მიზნით. საჯაროობის პრინციპი უშუალოდა დაკავშირებული კანონიერების პრინციპთან, რამდენადაც კანონთა დანაშაულებრივი დარღვევის ყველა შემთხვევაში საჭიროა აქტიური რეაქცია სახელმწიფოს ორგანოთა მხრიდან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აკალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობა, დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის თითოეულ შემთხვევაში აღძრან სისხლის სამართლის საქმე და მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება დანაშაულის მოკლების, დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა დასადგენად და მათ დასასჯელად. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მათი ინტერესები, ვინც დაზარალდა დანაშაულისგან.

სისხლის სამართლის პროცესის, როგორც ბუნებით საჯარო პროცესის დახასიათებას უკავშირდება სისხლის სამართლის საქმეების დაყოფა საჯარო, კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებად. პირველ კატეგორიას განეკუთვნება სისხლის სამართლის საქმეთა უდიდესი უმრავლესობა. ესაა საქმეები დანაშაულის შესახებ, რომელთა აღძვრაც, გამოძიებაც და გადაწყვეტაც ხდება დაზარალებულთა ნების მიუხედავად. არის საქმეები, რომელთა აღძვრაც ხდება დაზარალებულის საჩივრით, ხოლო შეწყვეტა – მისი ბრალდებულთან მორიგების შემთხვევაში. ესაა კერძო ბრალდების საქმეები. კერძო-საჯარო ბრალდების საქმეების აღძვრა ხდება დაზარალებულის საჩივრის მიხედვით, მაგრამ შეწყვეტას ის არ ექვემდებარება მორიგების გამო.

საჯარო სამართალი – სამართლის დარგების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ საერთო, ერთობლივი (საჯარო) ინტერესების უზრუნველმყოფელ ურთიერთობებს, კერძო სამართლის დარგებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართულია კერძო ინტერესის დაცვისაკენ. საჯარო სამართლის დარგებს მიეკუთვნება საერთაშორისო საჯარო სამართალი, საკონსტიტუციო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საფინანსო სამართალი, სისხლის სამართალი და სისხლის საპროცესო სამართალი და რიგი სხვა დარგებისა.

საჯარო სამსახურის კანონის შესახებ (ტერმინები) (საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ")

მუხლი 2 (29.12.2006 N4278)

ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინი „თანამდებობის პირი" გულისხმობს შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

ე) საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე;

ვ) საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილე;

ზ) საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი და მათი მოადგილეები;

თ) საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

ი) საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;

კ) საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი;

ლ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;

მ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების ხელმძღვანელებები;

ნ) ცენტრალური გამწეევი კომისიის თავმჯდომარე, გამწეევი კომისიის რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის სამხედრო კომისრები;

ო) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, პრეზიდიუმის წევრი, დეპარტამენტის, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატების ხელმძღვანელები;

პ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი;

ჟ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი;

რ) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი;

ს) ამოღებულია (30.03.2007 N4603)

ტ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო საagენტოს უფროსი და მისი მოადგილე; (29.12.2006 N4295);

უ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი;

ფ) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე;

ქ) რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები;

ღ) რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის, რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები;

ყ) მოსამართლე;

შ) საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები; საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის, სამსახურის ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები;

ჩ) საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არსებული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.

საჰაერო ხომალდის გატაცება – საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, რომლის ქვეშაც იგულისხმება საჰაერო ხომალდის უკანონო, ძალის გამოყენებით ან ძალადობის გამოყენების მუქარის მეშვეობით მიმართვა არა იმ გეოგრაფიულ წერტილში, რომელიც მითითებულია ფრენის გეგმაში.

უკანონო ჩარევის აქტებთან ბრძოლის თაობაზე საერთაშორისო კონვენციები ეხება დანაშაულებისა და სამართალდარღვევების სამ სახეს, რომლებიც უკავშირდებიან საჰაერო ხომალდებს. 1963 წელს ტოკიოს კონვენცია საჰაერო ხომალდზე დანაშაულისა და ზოგიერთი სხვა ქმედების შესახებ ეხება ისეთ ზოგად-სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, როგორიცაა

ქურდობა, ნარკოტიკების გადატანა, მკვლელობა და ა.შ. ასევე ფრენის, საჰაერო ხომალდში მყოფი პირებისა და ქონების უსაფრთხოებისთვის საშიშ ქმედებებს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ თუ არა ეს ქმედებები დანაშაულებრივს. ტოკიოს კონვენციას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცებასთან ბრძოლისთვის, თუმცა ასეთ ქმედებებზე გათვალისწინებული არაა მასში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. 1970 წლის ჰააგის კონვენცია ეხება საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცებას, რომლის ქვეშაც იგულისხმება საჰაერო ხომალდის გატაცება უკანონო, ძალადობის გზით ან ძალადობის გამოყენების მუქარით ან დაშინების სხვა ნებისმიერი ფორმით ან მასზე კონტროლის დამყარება ან ნებისმიერი ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა. 1971 წლის მონრეალის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ, ძირითადად ერცელდება საჰაერო ტრანსპორტზე დივერსიულ აქტებზე: საჰაერო ხომალდის განადგურება, მისთვის ისეთი დაზიანებების მიყენება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მის უსაფრთხოებას ფრენისას, საჰაერო ხომალდზე ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების მოთავსება და ა.შ. მონრეალის კონვენცია ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საჰაერო ხომალდში მყოფ პირთა მიმართ ძალადობის აქტებზე, თუ ეს აქტები საფრთხეს უქმნიან საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებას.

სეზონური სამუშაოები – შრომის სამართალში სეზონურია სამუშაოები, რომლებიც კლიმატური და სხვა ბუნებრივი პირობების ძალით სრულდება არა მთელი წლის, არამედ გარკვეული პერიოდის (სეზონის) განმავლობაში, რაც არ აღემატება ექვს თვეს. პირობა სამუშაოს სეზონური ხასიათის შესახებ უნდა იყოს მითითებული შრომის ხელშეკრულებაში. სეზონურ მუშაკებზე სრულად ერცელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობა, მაგრამ გარკვეული გამონაკლისებით. ასე, მაგალითად, სეზონური სამუშაოებით დაკავებული მუშაკი ვალდებულია წერილობითი ფორმით გააფრთხილოს სამუშაოს მიმცემი შრომის ხელშეკრულების ვადამდელი გაწყვეტის შესახებ სამი კალენდარული დღით ადრე. შრომის ხელშეკრულება სეზონურ მუშაკთა შეიძლება გაწყვეტილ იქნეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგადი საფუძვლების მიხედვით. თუმცა, სამუშაოს მიმცემი ვალდებულია გაფრთხილოს მუშაკი, რომელიც დაკავებულია სეზონური სამუშაოებით, განთავისუფლების შესახებ ორგანიზაციის ლიკვიდაციასთან, ორგანიზაციის მუშაკების შტატის ანუ რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით, წერილობითი ფორმით არა ნაკლებ შვიდი კალენდარული დღით ადრე.

სეზონურ სამუშაოებზე დაკავებულ მუშაკებთან შრომის ხელშეკრულების გაწყვეტისას, ორგანიზაციის ლიკვიდაციასთან, მუშაკების შტატის ან რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით გაიცემა დახმარება ორი კვირის საშუალო ხელფასის ოდენობით. სეზონურ სამუშაოებზე მუშაკთა აყვანისას გამოსაცდელი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას. სეზონურ სამუშაოებზე აყვანილ მუშაკებს ეძლევათ ანაზღაურებადი შვებულება მუშაობის თითოეულ თვეზე ორი კალენდარული დღის გაანგარიშებით.

სეკვესტრი – 1. სასამართლოს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება.

2) სადაო ქონების გადაცემა დროებით შესანახად და სამართავად მესამე პირისთვის, იმ პირზე შემდგომი გადაცემის მიზნით. რომელიც მოიგებს დავას. იძულებითი აღსრულებისათვის უფლებამოსილი იპოთეკარის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია აუქციონზე იძულებითი გასხვისების ნაცვლად დაადგინოს ნივთის იძულებითი მართვა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მმართველს ან მართვის ფუნქციას გადასცემს მესაკუთრეს.

სეკვესტრი [ლათ. secuestro ვაყენებ მიღმა, გამოვყოფ] 1) აკრძალვა ან შეკვეცა, რომელსაც აწესებს სახელმწიფო ხელისუფლება სახელმწიფოს ინტერესებში საკუთრებით ან სახსრებით სარგებლობასთან დაკავშირებით, მაგ. ბიუჯეტის ს.; 2) ქსოვილის მკვდარი მონაკვეთი (ჩვეულებრივ ძვლის), რომელიც გამოეყო ჯანსაღ ქსოვილს ჩირქოვანი პროცესის შედეგად.

სენატი [ლათ. senatus < senex მოხუცი, უხუცესი] 1)ძვ. რომში უმაღლესი სახელმწიფო საბჭო, რომელიც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (რომში ს-ს შექმნა რომულს მიეწერება) დომინატის ეპოქამდე, როდესაც ს. არსებითად რომის ქალაქის საბჭოდ იქცა; 2) ზედა პალატა მრავალი ქვეყნის პარლამენტში; 3) ზოგიერთ ქვეყანაში ქალაქის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანო.

სენატორი [< სენატი] 1) სენატის წევრი; 2) ზედა პალატის წევრი ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტში, სადაც არ არსებობს ოფიციალური სენატი.

სენატუს-კონსულტი [ლათ. senatus consultum] 1) ძვ. რომში სენატის აზრი, რომელიც შესაბამისად იყო გაფორმებული და ატარებდა აუცილებელ ხასიათს; 2) საფრანგეთში პირველი და მეორე იმპერიების (XIX ს.) კონსულობის პერიოდში აქტები, რომლებიც ცვლიდნენ ან ავსებდნენ კონსტიტუციას.

სერვიტუტი [ლათ. servitus (servitutis) მონობა, მოვალეობა, ბეგარა] სხვაგვარად სერვიტუტური სამართალი: 1) სხვისი საკუთრებით სარგებლობის კანონით შეზღუდული უფლება, მაგ. სხვისი კუთვნილი მიწის მონაკვეთზე გაელის, კომუნიკაციების გაყვანის უფლება; 2) მესაკუთრის უფლების შეზღუდვა მისი საკუთრებით სარგებლობისას, მაგ. სხვის ეზოში გადასახელი ფანჯრის გაკეთების უფლება; 3)ერთი ქვეყნის ტერიტორიული სუვერენიტეტის შეზღუდვა სხვა ქვეყნის ან ქვეყნების სასარგებლოდ, მაგ.სატრანსპორტო კორიდორის არსებობა.

სერვიტუტი – მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული, რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება ანდა გამორიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ.

ყველაზე უფრო გავრცელებულია მიწის სერვიტუტი, ანუ სხვის ნაკვეთზე გაელის და წყლის გაყვანის

უფლება. ინგლისურ სპეციალურ წყაროებში გავლის უფლება განმარტებულია ორი ცნებით: „right of passage“ და „right of way“. მაგრამ პირველი ტერმინი ეხება წყალზე გაელას, ხოლო მეორე – ხმელეთზე.

საჭიროა განვასხვაოთ უფლება, რომლის გარეშეც შეუძლებელია საკუთრებით სარგებლობა (მაგალითად, გარაჟთან ერთადერთი მისასვლელი გზა) ანუ აუცილებელი სერვიტუტი და სერვიტუტი სარგებლობის მოხერხებულობის მიზნით.

თუ ნაკვეთზე გავლის უფლება ეძლევა მხოლოდ მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, ესაა კერძო სერვიტუტი, თუ კი მრავალ პირს (მაგალითად, რკინიგზის სადგურთან გზის შესამცირებლად) – საჯარო სერვიტუტი. სერვიტუტი ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივ მიზნებში (მილების გაყვანა, ელექტრომავთულტრალების გატარება და ა.შ.).

სერვიტუტი შეიძლება იყოს დადებითი, თუკი იგი გამოიხატება პირის უფლებაში სერვიტუტით დატვირთული უძრავი ქონების მიმართ გარკვეული მოქმედებების შესრულებაში (გავლის, ნახირის გადაყვანის უფლება და ა.შ.), ან უარყოფითი, რაც მდგომარეობს სერვიტუტით დატვირთული უძრავი ქონების პატრონის მიერ გარკვეული მოქმედებების შესრულებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაში (მაგალითად, აეკრძალოს მეზობელს შენობების ან ნაგებობების აღმართვა, რომლებიც შეზღუდავენ ჰაერის ან შუქის შეღწევას მთავარ ნაკვეთზე).

საერთაშორისო სამართალში გამოიყენება საერთაშორისო სერვიტუტი – ერთი სახელმწიფოს ტერიტორიული უფლებების შეზღუდვა სხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ: საზღვარ ბაზების, დასახლებების შექმნა, არხებზე ტრანზიტული გავლა და ა.შ.

სერვიტუტი – სხვისი უძრავი ქონებით შეზღუდული სარგებლობის უფლება. სერვიტუტი, როგორც ქონებაზე, ნაგებობაზე, შენობებზე ქონებრივი უფლება შეიძლება არსებობდეს მიწის ნაკვეთით სარგებლობასთან კავშირის გარეშეც. უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის, სხვა უძრავი ქონების) მესაკუთრეს უფლება აქვს მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრისგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა მიწის ნაკვეთის (მეზობელი ნაკვეთის) მესაკუთრისგან მოითხოვოს მეზობელი ნაკვეთით შეზღუდული სარგებლობის უფლება (სერვიტუტი). ამასთან, მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა არ ართმევს ნაკვეთის მესაკუთრეს ამ ნაკვეთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს. სერვიტუტი დგინდება სერვიტუტის მომთხოვნ პირსა და მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს შორის შეთანხმებით და ექვემდებარება რეგისტრაციას უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციისთვის განსაზღვრული წესით. სერვიტუტით დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრეს უფლება აქვს, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა კანონით, მოითხოვოს იმ პირებისგან, რომელთა ინტერესებშიც დადგინდა სერვიტუტი, თანაზომადი საფასური ნაკვეთით სარგებლობაზე. სერვიტუტი არ შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვის, გირაოს დამოუკიდებელი საგანი და არ შეიძლება გადაეცეს სხვა ხერხით პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ უძრავი ქონების მესაკუთრეებს, რომლის სარგებლობის უზრუნველსაყოფად დადგენილია სერვიტუტი.

სერტიფიკატი [ფრ. certificat < ლათ. certum სწორია + facere კეთება] 1) დოკუმენტი, რომელიც უფლება-მოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერაა გაცემული და ამოწმებს რ-მე ფაქტს, მაგ. საქონლის ხარისხს; სამედიცინო ს. ამოწმებს აცრების მიღებას, რომლებიც აუცილებელია სხვადასხვა ქვეყანაში გასასვლელად; 2) სესხების ფინანსური მოვალეობა: სახელმწიფო სესხების ობლიგაციები, საბანკო ფახიანი ქაღალდები წარმომდგენზე; 3) შემნახველი ს. – ბანკის წერილობითი ვალდებულება ფულადი სახსრების ჩადების შესახებ, ამოწმებს მეანაბრის უფლებას მიიღოს დადგენილი დროის შემდეგ ჩადებული ფული და მასზე კუთვნილი პროცენტი მოცემული ბანკის ნებისმიერ დაწესებულებაში.

სერტიფიკაცია მასისა და სითბოს გაცვლის მრავალსაფეხურებრივი პროცესი მრავალკომპონენტიანი თხევადი შენაერთების ცალკეულ კომპონენტებად დაშლის დროს. მრავალსაფეხურებრივი გამოხდისაგან (დისტილაცია) განსხვავდება ქვაბში დისტილატის (ფლეგმის) ნაწილის დაბრუნებით, ფართოდ გამოიყენება ნავთობქიმიური, კეთილ, ფარმაცევტულ წარმოებაში და ფერად მეტალურგიაში.

სესხის უფულობა (უვალუტობა) – მსესხებლის მიერ გაისესხებლისგან სესხის საგნის ფაქტიური არმიღება ან ხელშეკრულებით განპირობებულთან შედარებით ნაკლები რაოდენობით მიღება. თუ სესხის ხელშეკრულება დაიდო წერილობითი ფორმით, მისი შედგენება უფულობაზე მოწმეთა ჩვენებებით დაუშვებელია იმ შემთხვევების გარდა, როცა ხელშეკრულება დაიდო მოტყუების, ძალადობის, მუქარის, მძიმე ეითარებათა დამთხვევის გავლენით. თუ მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულება მისი უფულობის გამო იქნება შედავებული და დამტკიცებული, რომ ფული ან სხვა ნივთები სინამდვილეში არ იქნა მიღებული გამსესხებლისგან, სესხის ხელშეკრულება ითვლება ბათილად. თუ ფული ან ნივთები სინამდვილეში მიღებულ იქნა გამსესხებლისგან მსესხებლის მიერ ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მითითებულია ხელშეკრულებაში, ხელშეკრულება ითვლება დადებულად ამ რაოდენობის ფულსა თუ ნივთებზე. იხ. ასევე სესხის ხელშეკრულება.

სექსუალური ხასიათის ძალისმიერი ქმედებები – სექსუალური ხასიათის ნებისმიერი მოქმედება ძალადობის გამოყენებით ან მისი გამოყენების მუქარით დაზარალებულთან ან სხვა პირებთან მიმართებაში ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

სიკვდილით დასჯა – სასჯელის განსაკუთრებული ზომა, რომელიც შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე, სიცოცხლის ხელშყოფელ დანაშაულებზე.

სიკვდილით დასჯა და მასთან დაკავშირებული პრობლემები, მოსაზრებები. (დილემა)

ძველი რომის საზოგადო მოღვაწე ლუკრეციუსი ამბობდა: „სიკვდილი საშიში არ არის – სანამ ჩვენ ვართ, ის არ არის, ხოლო როცა ის არის ჩვენ აღარ ვართ“. ეს წმინდა სოფისტიკაა, საინტერესოდ მოსას-

ჰესი მისტიკა, მაგრამ ადამიანის გონებისთვის ფრიად მიუღებელი, მაგრამ იმ მატერიალიზებულ სიმწუავეს და ტანჯვას, რომელსაც ადამიანები და მათი ახლობლები განიცდიან სიკვდილით დასჯისას, ვერანაირი სოფისტური აზროვნების ელვარება ვერ დაამძლევინებს.

ჩვენ, რომ სიკვდილით დასჯის შედეგი წარმოვაჩინოთ, სასურველია გავიაზროთ, რა ფსიქოლოგიური ზეგავლენას ახდენს ის საზოგადოებაზე. ისტორიულად, სიკვდილით დასჯის მიზანი მდგომარეობს ზოგად პრევენციაში, ანუ საზოგადოების გაფრთხილებაში, თაეი შეიკავონ მსგავსი ქმედებისაგან. ამიტომ დასასჯელად ხალხმრავალი ადგილები იყო შერჩეული — გზაჯვარედინები ან მოედნები, საერთოდ, ყველა სასჯელის მიზანი დამნაშავის გამოსწორება იყო (ახლაც ასეა). სიკვდილით დასჯისას ერთგვარ შეუსაბამოსობასთან გვაქვს საქმე. ის სასურველ შედეგს ვერ აღწევდა, მაშინაც კი, როცა საჯაროდ აღსრულდებოდა. მით უმეტეს არაფერს მოიტანს ახლა (ფარულად). ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით საინტერესო აზრი გამოთქვა ფრანგმა ფილოსოფოსმა ალბერ კამიუ. „ალჟირში, პირველ მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე, სიკვდილი მიესაჯა მკვლელს, რომელმაც შემზარავი დანაშაული ჩაიდინა (მან ბავშვებიანად ამოჟლიტა ოჯახი). ეს ჩაიდინა გაცხარებისას და გაშმაგებისას. მაგრამ ზედრი გაძარცვით დაამძიმა... მე, მამაჩემი ცოტა რამით მახსოვს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი, მან თავის სიცოცხლეში პირველად ისურვა სიკვდილით დასჯის ნახვა, უთენია ადგა და გაემართა სიკვდილით დასჯის ადგილისაკენ — ქალაქის მეორე ბოლოსაკენ, სადაც ხალხი იყო შეკრებილი. ის, რაც იქ ნახა, მამაჩემს არაეისთეის უამბნია. დედაჩემი ჰკვებოდა, ის სახლში შემოვარდა შეძრწუნებული, არანაირ კითხვაზე პასუხს არ იძლეოდა, შემდეგ საწოლზე გაიშხლართა და უცებ აღებინა. იმ დილით მისთვის გაცხადდა ხმამაღლა სიტყვებით დაფარული სიმართლე. ის ფიქრობდა არ ყოლგამოჭრილ ბავშვებზე, არამედ მხოლოდ მოფარხალე სხეულზე კაცისა, რომელიც ხის ფიცარანგაზე გამოაგდეს და თავი მოკეთეს". აღწერილი ფაქტი არის იმის მტკიცება, თუ რა ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს სიკვდილით დასჯა საზოგადოების ფორმირებაზე. 1906 წელს ილია ჭავჭავაძემ სიკვდილის დასჯის საწინააღმდეგო შეიღი თეზისი წამოაყენა პეტერბურგის სახელმწიფო სათათბირო საბჭოში და ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი სწორედ ის იყო, რომ „გრძნობას ბუნებურს ატლანქებს", ამახინჯებს და შემდეგ აგრძელებს — ადამიანთა ბუნება, რომ ასეთ ფაქტებს (სიკვდილით დასჯას) შეეჩვევა, გრძნობა გაუხეშდება. დასკვნა ასეთია: გაუხეშებული გრძნობა იოლად ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ყველა ეითარებაში სიკვდილით დასჯა უნდა იქნეს განხილული როგორც შურისძიება, ჯიბრი... აქ ჩნდება საკითხის მეორე ასპექტი, მთელ პლანეტაზე, ყველა დროს, სასჯელს განიხილავდნენ, როგორც აღმზრდელობითი ნიშნის მატარებელს. სიკვდილის დასჯის დროს კი ეს მოქმედებუნალია, რადგან „აღზრდის ობიექტი" კვდება, იხვრიტება და ასე შემდეგ. არ შეიძლება არ ვახსენოთ კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც სასჯელის ამ ფორმის ყველა მომხრე აღიარებს — თუ, ეს არის „შეცდომა", ანუ ის შემთხვევა, რომ შეცდომით დაიხვრიტოს სამართალში მიცემული. ასეთი რამ კი უკანასკნელ ოც წელიწადში უკვე მოხდა, ცნობილი მანიაკის (ჩიკატილოს) მკვლელობების სერიის დროს, როდესაც მის მაგიერად სხვას სჯიდნენ — ერთმა თაეი ჩამოიხრჩო, ერთმა თეალი სინათლე დაკარგა ნერვულობისაგან, ხოლო ერთი დახვრიტეს".

შეა საუკუნეების უდიდეს განმანათლებლები შარლ მონტესკიე, თომას ჯეფერსონი და ჯონ ლოკი კი, ადამიანის სიცოცხლეს განიხილავდნენ ღმერთებისაგან მინიჭებულ მადლად, ძალად და მის ხელყოფურად მოსპობას ეწინააღმდეგებოდნენ და მათი ძალისხმევით ამ შინაარსით შეიიდა იგი კონსტიტუციაში. ამგვარად ადამიანის სიცოცხლე სახელმწიფოებრივ სიმაღლეზე აეიდა, და იგი სახელმწიფოს უპირველესი კანონით უნდა ყოფილიყო დაცული.

ახლა დავუბრუნდეთ კვლავ ილიას და კიდევ სხვათა არგუმენტს — „გრძნობას ბუნებურს აუხეშებს". ილიას წითელი ფანქრით გაუხაზავს ფრანგი მეცნიერის ებილ ბუტრუს პარიზიდან გამოგზავნილი წერილი, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ასე განიხილავდა: „როგორც სიცოცხლე, ისე სინდისი სხვა არაფერია, თუ არა მოლეკულების დროებითი გარდამავალი შეხამება, რასაც თაეისთავად ღირებულება არ გააჩნია, აქედან გამომდინარე ადამიანთა სიცოცხლე ხელმეუხებელია". ზემოთ მოყვანილმა განცდებმა ილიას შთააგონა თაეის მეტად ფსიქოლოგიური მოთხრობა „სარჩობელაზედ", ისეეე როგორც ვიქტორ ჰიუგოს თაეის „საბრალონი".

ირონიულად ეღერს ის ფაქტიც, რომ სიკვდილით დასჯა ქეყნის იურისპრუდენციაში სასჯელის სახეებში არ შედის და სასჯელის ეს ზომა დროებითობის უფლებით სარგებლობს. აი, რას ამბობს ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდიაეეი ამ ფაქტის გამო: „რომელმან აღიღოს მახეილი, მახეილითვე განიგმიროს. ეს სახელმწიფოზე ითქვა, ვინაიდან სახელმწიფო, გარდა იმისა, რომ პირველმა აიღო ხმალი და სისხლიანი მკელელობებით დაიბადა, მკელელობა კანონამდე აამაღლა, სიკვდილით დასჯა ერთ-ერთ კანონად აღიარა. ცნობილია, რომ ისტორიულად სიკვდილით დასჯა სისხლიანი შურისძიებისგან განვითარდა, რომ სახელმწიფომ „მზრუნველობა" გამოიჩინა და თავის თაეზე აიღო შურისძიების ორგანიზება და უპიროეება მიანიჭა ამ შურისძიებას. ძველი სისხლიანი შურისძიების სტიქია ირაციონალურია, მასში ტორტმანების პირველმქნილი ქაოსი და იგი გაცილებით უფრო კეთილშობილია, წმინდა, ვიდრე თანამედროვე სახელმწიფოს ორგანიზებული შეფიქრებული შეგნებულ-შეეცური შურისძიება". და საერთოდ, ფეხქვეშ ითელება ის ღვთაებრივი არსი, რომ ადამიანის შექმნაში დედისა და მამის გარდა მონაწილეობს სული წმინდა, ფეხქვეშ ითელება ერთ-ერთი ათმცნებათაგანი „არა კაც ჰკლა".

სიკვდილის დასჯას ეძღვნება რამდენიმე წიგნი (ფაქტების აღწერა ჯალათთა მხრიდან), მათ შორის არის საფრანგეთის რეეოლუციის ჯალათის „სანსუნის ჩანაწერები" და მე-19-20 საუკუნის საფრანგეთის ასევე პროფესიონალი ჯალათის ანდე ობრუხტის წიგნი „შავი დღიური". აი, რას წერს ეს უკანასკნელი. პირველად, ქალის სიკვდილით დასჯა მოხდა 1941 წლის იანვარში. ეს იყო ელისაბედ ლამუსა — მომწამელელი. ჯერ იყო და, თავისი ქმარი მოწამლა, რათა დრო ეტარებინა საყვარელთან, რომელიც მხოლოდ სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, ვინაიდან საყვარელი ლამუსას მრავალად

ჰყავდა. რაც შეეხება დედას, ქალიშვილის საშიშ მოწმეს, ისიც მოწამლა...

მთელი საპყრობილე შესძრა უბედური ყმაწვილი ქალის ყვირილმა. როდესაც განთიადისას პროკურორი შევიდა მის საკანში და გამოუცხადა, „გამხნევდით, თქვენი შეწყალების თხოვნა არ დაკმაყოფილესო“. იგი კოდა, როდესაც ჩემმა თანაშემწემ კეფაზე თმა შეჭრა, იგი კოდა მაშინაც, როდესაც თავი გილიოტინაზე დაეხეტინეთ, მერე დანის პირმა ყრუდ დაჭრა კისერში... და უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა. აქამდე ჯერ არადროს მსმენოდა ასეთი ყურთასმენის წამლები სიჩუმე. ჩვენ ყველანი ვიდექით და განძრევა გვეშინოდა, რომ საზარელი კიენი ისევ ატყდებოდა...

ერთი წელიც არ იყო გასული, რომ კიდევ ერთი ქალი მომიყვანეს სიკვდილით დასასჯელად. ახალგაზრდა სანდომიანი ქალი, რომელმაც თავის ქმართან ერთად (კარებში მოაყოლა) საკუთარი ქალიშვილი დაახრჩო. ქმარს წინადღით მოვკეთე თავი. მთხოვა, სიკვდილის წინ თვალები ამიხეიეო. არ უნდოდა, გილიოტინა დაენახა.

ქალმა კი, ხელებს რომ ვუკრავდი, ჩამწურჩურა „ნუ წუხართ, არ გაგიძალიანდებით“. უხმოდ, უცრემლოდ გადავიდა საქალიშვილე საკანში, სადაც ვიმედოვნებ, უკვ გრძნობს თავს... საშინელი სანახავი იყო კოხტა თავის ლამაზ კისერზე სისხლიანი გადანაჭერი.

საზოგადოებაში, რომელსაც კონფლიქტები აზანზარებს, სიკვდილით დასჯა ურთიერთგადაჯაჭვული აგრესიულობის და შიშის გამოხატულებაა, რომელსაც მთელი საზოგადოებრივი ცნობიერება მოუცავს. ადამიანი ასეთ საზოგადოებაში გამუდმებულ საფრხეს გრძნობს, სიკვდილით დასჯა თაეიხი შემზარავი ფაქტით მას მცირედენ სიმშვიდეს ჰპატებს, რადგან მან იცის, ადამიანებს მასავით ეშინიათ ამ სასჯელისა, და მაშასადამე, იგი მას იცავს და ისეთივე ილუზორული დაცეაა, რომელიც მოგვაგონებს ბავშვს, სიბნელეში სიარული რომ ეშინია და სიმღერით იმხნევებს თავს.

კიდევ უფრო შემაძრწუნებელია სიკვდილის ფაბრიკები, სადაც ადამიანთა ხწრაფი ლიკვიდირებისათვის სხვადასხვა კონვეირები შექმნეს – გაზის საკნები, ღუმელები და სხვა. აი, რას წერს მეორე სამაშულო ომის მონაწილე, ებრაელი იაკობ ვერნიკი, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა ეს საშინელებანი: „როცა ფეხმძიმე ქალებს წუკდნენ, მათ მუცელი უსკდებოდათ და ნაყოფი დედასთან ერთად იწვოდა, მკვლელებზე ეს არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა“... „არაერთხელ მომხდარა, რომ ნაცისტები მტირალ ბავშს დედას მკერდიდან მოგლეჯდნენ და პირდაპირ კოცონში აგდებდნენ. ამ დროს იცინოდნენ, დედებს მოუწოდებდნენ, თავიანთი შვილების კვალდაკვალ გმირულად ჩამხტარიყვნენ ცეცხლში და სიამოენებდათ მათ დაშინება“. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამის ჩამდენი, ხშირად, ალბათ, შექსპირის ტრაგედიებსაც კითხულობდნენ და საკუთარ ცოლ-შვილთან ერთად ცრემლებად იღერბოდნენ. დღეს სახელმწიფოს მხარეს მდგარ ჯალათ-მკვლელებს და კრიმინალურ მკვლელებს, დამნაშავეთა სამყაროს ენით რომ ეთქვათ „ბეზპრიდელებს“, გააჩნიათ ჰუმანარი, ნაზი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი და ამ საშინელებებს მაინც სჩადიან. ცხოვრების გარკვეულ ეპიზოდებში მათ ასეთი ამოვარდნები აქეთ (სწრაფვა აგრესიისაკენ), შემდეგ კვლავ ნორმალური დინება იეანებს, მათ გონებაში ეს ციკლი მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე მუშაობს.

ყოველივე ზემოთ აღწერილი და განსჯილი კი იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ადამიანის გრძნობა-ბუნება გაუხეშებულია. აი ის, რასაც ილიაც და სხვებიც გვიკიჟინებდნენ. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, ცხოერების გარკვეულ ეტაპებზე მისი კანონმდებლობიდან გამომდევება შეუძლებელია, მხედველობაში გვაქვს ომი, შიდასახელმწიფოებრივი დაძაბულობა. მაგრამ დღეს საქართველო უკეე შეუერთდა იმ 53 ქვეყანას (1988 წელი), სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. ამაეე დროს, აუცილებელია შეიქმნას სპეციალური კომიტეტი, ჯგუფი, თუ გნებავთ ინსტიტუტიც, რომელიც აღწერს და გაანალიზებს ზოგადად ამ თემასთან და აქ ჩამოთვლილ საკითხებს. კატობრიობის არსებობის მანძილზე უამრაეი დიდი და ცნობილი პიროენება დასაჯეს სიკვდილით და, რომ არა ეს საზარელი კანონი, მათ დიდი სიკეთის მოტანა შეეძლოთ კატობრიობისათეის: ფილოსოფოსი სოკრატე, ჯორდანო ბრუნო, ლაეუაზიე მარიამ სტიუარტი, კარლ I, მარი ანტუანეტა, ლუდოეიკო XVI და სხეები.

სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ ბრძოლა დიდი ხანია გასცდა იურისპრუდენციის ფარგლებს და ზოგად – ჰუმანურ პრობლემად იქცა. ამ საკითხებს უცხოეთში იკვლევენ ინსტიტუტები, რომელთა მონაცემებით, „სიკვდილით დასჯამ ხელი შეუწყო დანაშაულობათა ზრდას“. პიროენება, რომელიც ამ დანაშაულს სჩადის, საზოგადოების სული და ხორცია. ეს დიდი ორგანიზმის ნაწილია, მან ამ საზოგადოებაში მიიღო ის ჩვეები, რომლებმაც აიძულა, ჩაედინა მკვლელობა და უმჯობესი იქნება აეხსნათ, როგორ შეიძლება გამოვაქეეოთ საზოგადოებიდან აგრესია, შიში, შურისძიება...

მე-7 საუკუნის ინგლისელი პოეტი ჯ. დონი წერდა: „ყოველი ადამიანის სიკვდილი მაკნინებს მეც, რადგან მე ნაწილი ვარ კაცობრიობის და ამიტომ ნურასოდეს ნუ იკითხავ, – ეის უხმობს ზარი: იგი შენ გიხმობს. აჩრდილთა საუფლო კი, რომელსაც ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით, უნდა შეგეეძლოს გეეთქეას, ამაოდ არ ეყოფილვართ ამ ქეეყანაზე და მრავალსაუკუნოვანი ჰუმანური წესწყობილების წარმომადგენელებმა კი, მკვლელთა დასჯა ღმერთს უნდა ვანდოთ, მით უმეტეს თუ გვკერა იმის, რომ იმქეეყნად სიცოცხლე გრძელდება“.

წერილი შეიქმნა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო სიკვდილით დასჯა გაუქმებული. ბიჭი თეზელიშეილი

სიცოცხლის აღება (ვენდეტა) გავროენული წყობილებიდან შემორჩენილი ჩვეულება, რაც ნიშნავს სამაგიეროს მიზღვას მკვლელობისათვის. სისხლის აღების ჩვეულება მოითხოედა არა მარტო მკვლელის მოკლას, არამედ დასაშეებად თელიდა მკვლელის ნაცვლად, მისი ახლობლის (შვილი, მამა, ძმა, ბიძაშვილი და სხვა ამგვარი ნათესავი) მოკლასაც. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა მკვლელობის ასეთ მოტივს არ იცნობს, პრაქტიკაში იგი გათანაბრებულია შურისძიების მოტივთან.

სისხლის სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგი, რომელიც წარმოადგენს ნორმატიული აქტების ნაკრებს, რომლებიც განსაზღვრავენ

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ამოცანებს, პრინციპებს, საფუძვლებსა და პირობებს, ასევე დანაშაულებად ცნობილი საზოგადოებისთვის საშიში ქმედებების დასჯადობას.

სისხლის სამართლებრივი დევნა

კანონით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირთა პროცესუალური საქმიანობა, რომელიც მიმართულია დანაშაულის გახსნის, დანაშაულთა მხილებისა და მათი სამართლიანი დასჯის უზრუნველყოფისაკენ.

ბრალდების მხარის მიერ განხორციელებული საპროცესო საქმიანობა ეჭვმტანილის, ბრალდებულის დანაშაულის ჩადენაში მხილების მიზნით. დამნაშავის სისხლისსამართლებრივი დევნა და სამართლიანი სასჯელის გამოტანა ისეთ ემსახურება სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებას, როგორც უდანაშაულოთა დევნაზე უარის თქმა, მათი სასჯელისგან განთავისუფლება, თითოეულის რეაბილიტაცია, ვინც უსაფუძვლოდ მოექცა სისხლისსამართლებრივი დევნის ქვეშ.

სისხლის სამართლის ამოცანები

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა, საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, გარემოს, კონსტიტუციური წყობის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისგან, კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ასევე დანაშაულებათა თავიდან აცილება. ამ ამოცანების განსახორციელებლად სისხლის სამართალი ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველსა და პრინციპებს, განსაზღვრავს, თუ როგორი საშიში ქმედებები ითვლება დანაშაულად და ადგენს სასჯელის სახეებსა და სისხლის სამართლის სხვა ზომებს დანაშაულის ჩადენისთვის.

სისხლის სამართლის კანონი

– ნორმატიული სამართლებრივი აქტი მიღებული ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ ხალხის ნების აღსრულებისთვის, რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა, შედგება ურთიერთდაკავშირებული იურიდიული ნორმებისგან და რომლებიც ადგენენ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგად დებულებებს, დანაშაულის ცალკეულ სახეებს და მათ ჩადენაზე გათვალისწინებულ სასჯელს, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან განთავისუფლების პირობებს.

სისხლის სამართლის კანონის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობების ე.ი. იმ დამოკიდებულებების ფარგლებში, რომლებიც წარმოიქმნებიან დანაშაულის ჩამდენ პირსა და კანონის გამომყენებელ, სახელმწიფოს სამართალდამცავ ორგანოს შორის.

სისხლის სამართლის კანონი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ა) წარმოადგენს სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი სამართალშემოქმედების შედეგს, ფლობს უმაღლეს იურიდიულ ძალას; ბ) შეიცავს სისხლის სამართლის ნორმებს ე.ი. ყველა მოქალაქისა და ორგანიზაციისთვის სავალდებულო ქცევის წესებს; გ) შეიცავს მითითებებს სისხლისსამართლებრივი ნორმების მოქმედების წესების შესახებ; დ) ეფუძნება კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს; ე) წარმოადგენს სისხლის სამართლის ერთადერთ წყაროს.

სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება

– საფუძველი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაუქმებლად, სისხლის სამართლის კანონის არასწორ გამოყენებას წარმოადგენს: ა) სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მოთხოვნების დარღვევა; ბ) სისხლის სამართლის კოდექსის არა იმ მუხლის ან მუხლის იმ პუნქტების გამოყენება, რომლებიც ექვემდებარებოდნენ გამოყენებას; გ) უფრო მკაცრი სასჯელის გამოტანა, ვიდრე ამას ითვალისწინებდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი.

სისხლის სამართლის კანონის განმარტება

– სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ცალკეული მოქალაქეების რთული და ნებელობითი საქმიანობა, რომელიც მიმართულია სისხლის სამართლის ნორმების ჭეშმარიტი შინაარსისა და არსის დადგენაზე მათი რეალიზაციისა და მათში გამოხატული სახელმწიფო ნების გამოვლენაზე.

იურიდიულ მეცნიერებაში განმარტების სუბიექტის მიხედვით გამოიყოფა მისი შემდგომი სახეები: ა) ოფიციალური განმარტება. მისი არსი დაიყვანება იქამდე, რომ ნორმის განმარტება ხორციელდება ამაზე სპეციალურად უფლებამოსილი სუბიექტების მიერ, მისი შედეგები კი მტკიცდება სპეციალურ აქტში და მათ გააჩნია საეალდებულო მნიშვნელობა სხვა სუბიექტებისთვის; ბ) არაოფიციალური განმარტება. ის ხორციელდება ოფიციალური და სახელისუფლებო უფლებამოსილების არმქონე სუბიექტების მიერ, ასეთი განმარტების შედეგი არ შეიძლება გამოიყენებოდეს პრაქტიკაში კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციების განხილვისას. მას ყოფენ ყოველდღიურად, პროფესიონალურად და დოქტრინულად.

სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

– კანონის მოქმედების გავრცელება შემთხვევებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მისი ძალაში შესვლამდე. სისხლის სამართლის კანონი, რომელიც აღმოფხვრის ქმედების დანაშაულს, ამსუბუქებს სასჯელს ან სხვაგვარად აუმჯობესებს პირის მდგომარეობას, გააჩნია უკუძალა. ე.ი. ერცელდება შესაბამისი ქმედებების ჩამდენ პირებზე, ასეთი კანონის ძალაში შესვლამდე, მათ შორის, ნასამართლევ პირებზე, რომლებიც იხდიან სასჯელს ან მოიხადეს ის. სისხლის სამართლის კანონი, რომლის მიხედვითაც ქმედება დანაშაულებრივად ხდება აღიარებული, ძლიერდება სასჯელი ან სხვაგვარად უარესდება პირის მდგომარეობა, არაა უკუძალის მქონე. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებაზე, რომელზეც სასჯელს იხდის პირი, ეს სასჯელი ექვემდებარება შემცირებას ახალი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

სისხლის სამართლის კლასიკური სკოლა

მეცნიერული სკოლის მიმართულება სისხლის სამართლის დარგში. წარმოიშვა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში. მისი წარმომადგენლები იყვნენ ბეკარია, მონტესკიე, ლოკი, ფოიერბ-

ახი და სხვები. მათ წამოაყენეს სისხლის სამართლის პროცესუალური პრინციპები: თანასწორობა კანონის წინაშე, უდანაშაულობის პრეზუმფცია, სასჯელის სამართლიანობა, მტკიცებულების ობიექტურობა და ბევრი სხვა. ეს პრინციპები დღესაც ინარჩუნებენ თავის დიდ მნიშვნელობას სისხლის სამართლის მეცნიერებაში.

სისხლის სამართლის კოდექსი – ნორმების ნაკრები, რომლებიც განსაზღვრავენ დამნაშავეობას და საშიში ქმედებების დასჯადობას.

სისხლის სამართლის კოდექსი იყოფა ორ ნაწილად: ზოგადად და განსაკუთრებულად. კონკრეტული სისხლის სამართლის ნორმის მიკუთვნებულობა ამა თუ იმ ნაწილთან დამოკიდებულია მის შინაარსზე. ზოგად ნაწილში გადმოიცემა ისეთი საკითხები, რომელთაც გააჩნიათ პრინციპული მნიშვნელობა მთელი სისხლის-სამართლებრივი რეგულირებისთვის. მასში დგინდება სისხლის სამართლის კანონის პრინციპები და ზოგადი დებულებები. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში გადმოიცემა სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრინციპები, სისხლის სამართლის კანონის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად მიმართული ნორმები და მუხლები, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების საზღვრები, ძირითადი ცნებები – დანაშაული, სასჯელი, სასჯელისა და სისხლის-სამართლებრივი პასუხისგებისგან განთავისუფლება, ნასამართლობა და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი შეიცავს მითითებებს კონკრეტული საზოგადოებისთვის საშიში ქმედებებისა და მათ ჩადენაზე სასჯელის სახისა და ზომის შესახებ. განსაკუთრებული ნაწილის ნორმები არსებითად განსხვავდება ზოგადი ნაწილის ნორმებისგან, რაც განსაზღვრავს კიდეც მათ სტრუქტურას. ისინი მკაფიოდ იყოფა ორ ნაწილად: ერთში აღწერილია მოცემული ქმედებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, მეორეში – სასჯელი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოცემული დანაშაულის ჩადენაზე.

სისხლის სამართლის მართლსაწინააღმდეგობა – დანაშაულის ფორმალური ნიშანი, რაც ნიშნავს პრინციპის საკანონმდებლო გამოხატვას „არ არსებობს დანაშაული კანონში ამის შესახებ მითითების გარეშე". სისხლის სამართლის მართლსაწინააღმდეგობა, როგორც დანაშაულის იურიდიული ნიშანი ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის სახით შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქცეცა, რომელიც სპეციალურადაა მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში. ამა თუ იმ მუხლის განსაკუთრებული ნაწილიდან ამოვარდნა ნიშნავს იმას, რომ დანაშაული აღარაა მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მას არ მოსდევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

სისხლის სამართლის მეცნიერება – სისხლისსამართლებრივი შეხედულებების, იდეების, ცოდნის სისტემა, რომელიც ხსნის სისხლის სამართლის კანონის ცნებას, მისი გამოყენების პრინციპებსა და პრაქტიკას; სისხლის სამართლის ისტორიას და მისი განვითარების გზებს; უცხოური სისხლის სამართლის ძირითადი ინსტიტუტების თავისებურებებს. სისხლის სამართლის მეცნიერება წარმოადგენს იურიდიული მეცნიერების ნაწილს. სისხლის სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენს სისხლის სამართლის თეორია, რომელიც სწავლობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის, დანაშაულის, სასჯელის საფუძვლის ზოგად ცნებებს და ასევე ამუშაებს დამნაშაეობასთან ბრძოლის პრობლემებს.

სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი ეყრდნობა სისხლის სამართლის კანონმდებლობას, სამართალშემოქმედებით და სამართალგამოყენებით – სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკას, სამშობლო და უცხოურ თანამედროვე და ძველ თეორიულ კონცეფციებს, ასევე ფილოსოფიის, სამართლის ზოგადი თეორიის, სოციოლოგიის დებულებებს. სისხლის სამართლის მეცნიერება არა მხოლოდ ეყრდნობა სამართალშემოქმედებით და სამართალგამოყენებით პრაქტიკას, არამედ ზემოქმედებს კიდეც მასზე ანუ არსებობს მეცნიერებისა და პრაქტიკის უწყვეტი კავშირი. ის, ისევე როგორც ნებისმიერი მეცნიერება ასრულებს აღწერით, განმარტებით და განჭვრეტის ფუნქციებს. ეს ზოგადი ფუნქციები განსაზღვრავენ კონკრეტულ ფუნქციებს და მათ შესაბამის ამოცანებს. სისხლის სამართლის მეცნიერების კონკრეტული ფუნქციები და ამოცანები მდგომარეობს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩატარებაში, რომლებშიც ასახვას პოულობენ მეცნიერების ზოგადი ფუნქციები.

ფუნდამენტალურ სისხლის სამართლის კვლევებს ახასიათებს ის, რომ ჯერ ერთი, ისინი სცდებიან სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფარგლებს, მეორე, ისინი ეყრდნობიან ფილოსოფიის, სამართლის, სოციოლოგიის და მეცნიერების სხვა დარგების დებულებებს, ეკონომიკური, სოციალური მოვლენების და საზოგადოებრივი ურთიერთობების მთელი სისტემის შესწავლას სისხლის სამართალთან ერთად ურთიერთქმედებაში, მესამე, იწვევენ სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებისა და შემადგენლობის ძირითად კანონზომიერებებთან დაკავშირებული აბსტრაქტული დებულებების შემუშავებასა და ფიქსაციას, მეოთხე, წარმოადგენენ გარკვეულ დამოუკიდებელ მიმართულებებს მეცნიერებაში, მეხუთე, შეადგენენ გამოყენებითი კვლევების ფუნდამენტს.

სისხლის სამართლის მეცნიერების ძირითადი ამოცანებია: სისხლის სამართლის თეორიის ფუნდამენტალური პრობლემების შემუშავება და ამის საფუძველზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა; სისხლისსამართლებრივი სასჯელის ეფექტურობის, მისი შესრულების პრაქტიკის შესწავლა და დანაშაულის ჩამდენ პირებზე სისხლის სამართლის სასჯელის და სხვა ღონისძიებების ეფექტური გაელენის გზების განსაზღვრა; სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შემდგომი სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება ორგი საშიში ქმედებების კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის მიმდინარე პროცესების შესწავლის საფუძველზე; სისხლის სამართლის სოციოლოგიის პრობლემების კვლევა კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების მიზნით; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა; დანაშაულებრივი ქცეების ორგანიზებული

ფორმების გამოვლენათა ანალიზი; დანაშაულის სუბიექტის, საში და განსაკუთრებით საშში რეციდივის გაანალიზება; სხვა სახელმწიფოების გამოცდილების შესწავლა დამნაშავეობასთან ბრძოლის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა – იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იგულისხმება, როგორც დამნაშავე პირის მიერ დანაშაულის უარყოფითი შედეგების იძულებითი ატანა მსჯავრდების (სახელმწიფო განსჯის) და ამისთვის დამნაშავის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ იძულების ფორმით. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ესაა სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სამართლებრივი ქცევის ფორმა, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივი ურთიერთობებს მონაწილეთა სოციალური როლების დაცვის მხარეს, რაც ელინდება ვალდებულებების ერთობლიობაში არ მოხდეს დანაშაულის ჩადენა, ხოლო მათი დანაშაულებრივი დარღვევის შემთხვევაში – სახელმწიფოს მხრიდან იძულებითი ზემოქმედების საშუალებაში.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ სახეს გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები. პირველი – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ესაა დანაშაულის ჩადენის სამართლებრივი შედეგი. მისი დადგომა ხდება მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის შემცველი ქმედების ჩადენაზე. სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება მცირე სიმძიმის გადაცდომებზე, რომლებიც არ განეკუთვნებიან დანაშაულს. მეორე თავისებურება მდგომარეობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შინაარსში, რაც დაყვანება პირის დაკითხვამდე და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაგმობამდე, უარყოფით შეფასებამდე და იძულებით შეზღუდვამდე. მესამე თავისებურება გულისხმობს რეგლამენტაციის გამოყენების წესს განსაკუთრებული ფორმით. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მეოთხე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დამოკიდებულების ჩარჩოებში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წარმოადგენს მის ატრიბუტს, რაც გამოიხატება საზოგადოების წინაშე მოქალაქეების კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებში. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება არსებობდეს სამართალდამკიდებულებამდე ან მის გარეშე. მისი წარმოქმნის, შეცვლის ან შეწყვეტის მომენტი კონკრეტული პირისთვის ყოველთვის უკავშირდება სისხლის სამართლის ურთიერთობების წარმოქმნას, ცვლილებას ან შეწყვეტას. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რაც უკავშირდება სასჯელის დანიშვნასა და გამოყენებას, უნდა წარმოადგენდეს არა თვითმიზანს, არამედ სოციალური სამართლიანობის აღდგენის, მართლწესრიგის დაცვის, ახალი დანაშაულების თავიდან აცილების საშუალებას. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნიშნავს არა თავად მოთხოვნებს, არამედ კანონის მოთხოვნების შესრულების ვალდებულებას.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება – სახელმწიფოს უარი, კომპეტენტური ორგანოების სახით, მისცეს სამართალდარღვევის ჩადენაში დამნაშავე პირი პასუხისგებაში და მის მიმართ გამოიყენოს სახელმწიფო იძულებითი ზემოქმედების ზომები.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების სახეები უშუალოდ მითითებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ქმედით მონანიებას, დაზარალებულთან შერიგებას, სანდაზმულობის ვადების ამოწურვას.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია – სახელმწიფო იძულების კონკრეტული ღონისძიების არჩევა დანაშაულის ჩამდენ პიროვნებაზე პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში. პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა უნდა შეესაბამებოდეს, პირველ რიგში, დამნაშავე პიროვნების სოციალურ თვისებებს და ასევე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს.

სისხლის სამართლის პოლიტიკა

სახელმწიფოს საქმიანობის მიმართვა, რომელიც უკავშირდება დამნაშავეობასთან ბრძოლის სისხლის სამართლის ზომების გამოყენებას, ამ ბრძოლის ამოცანების, ფორმების, შინაარსის განსაზღვრა. სისხლის სამართლის პოლიტიკის ქვეშ ასევე იგულისხმება მთლიანად დამნაშავეობასთან ბრძოლის კონცეფცია, სტრატეგიული ხაზი, რაც მოიცავს პროფილაქტიკურ, სისხლისსამართლებრივ და გამოსასწორებელ-შრომით ასპექტებს.

სისხლის სამართლის პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს შიდა პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. ის მიმართულია რეალური საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაზე, საზოგადოების ძირითადი ფასეულობების ხელყოფისგან ეფექტურ სამართლებრივ დაცვაზე, დამნაშავეობის შეზღუდვაზე და პერსპექტივაში კი, ლიკვიდაციაზე.

სისხლის სამართლის პოლიტიკა ატარებს მეცნიერულად დასაბუთებულ და გეგმაზომიერ ხასიათს, ეფუძნება საზოგადოების შესაძლებლობებისა და სოციალური მოთხოვნების შემეცნებას მისი განვითარების თითოეულ ეტაპზე, დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროში. მისი საწყისი მოთხოვნებია: დანაშაულის ჩამდენ პირთა სამართლიანი პასუხისმგებლობის შეუქცევადობა, სისხლის სამართლის კანონის აღმზრდელობითი, გამაფრთხილებელი, გამოსასწორებელი ზემოქმედებისა და მისი გამოყენების პრაქტიკის ერთიანობა, დარწმუნების მეთოდების ფართო გამოყენება, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება რეალური საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებს; პასუხისმგებლობისა და სასჯელის დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია, თავად სასჯელთა სისტემის დიფერენციაცია დამნაშავეთა პიროვნების, ქმედების მოტივებისა და მიზეზების მაქსიმალური გათვალისწინებით; დანაშაულთა პროფილაქტიკის ღონისძიებების სისტემატური განხორციელება, დანაშაულთა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა და აღმოფხვრა.

სისხლის სამართლის პროცესის სტადია – სისხლის სამართლის პროცესის გარკვეული ეტაპი, რომელზეც წყდება ესა თუ ის ამოცანები, მიმდინარეობს დანაშაულის სამართლებრივი გეგმიური გამოძიება. სისხლის სამართალში სულ რეა სტადიაა (ექვსი ზოგადი და ორი განსაკუთრებული). ზოგადი სტადიები იყოფა სასამართლომდელ და სასამართლო სტადიებად. სტადიების თანამიმდევრობა მკაცრადაა განსაზღვრული კანონით.

სასამართლომდელ სტადიებს განეკუთვნება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის და წინასწარი გამოძიების სტადიები.

სასამართლო სტადიებია: ა) საქმის დანიშნა სასამართლო განხილვისთვის; ბ) სასამართლო განხილვა; გ) საკასაციო წარმოება; დ) განაჩენის აღსრულება.

განსაკუთრებული სტადიებია: ა) საქმის განახლება ზედამხედველობის წესით; ბ) საქმის განახლება ხელახლა აღმოჩენილი გარემოებების მიხედვით.

სამართალწარმოების ზოგადი ამოცანებითა და პრინციპებით ერთმანეთთან დაკავშირებული სტადიების ერთობლიობა წარმოქმნის სისხლის სამართლის პროცესის სისტემას.

სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტები – სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე ყველა ორგანო და პირი. სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტების კვალიფიკაცია შეიძლება დაიყოს მათი ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით: ა) სახელმწიფო ორგანოებად – სასამართლო, მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, მოკვლევის მწარმოებელი პირი, საგამომძიებო განყოფილების უფროსი, რომლებიც ვალდებულნი არიან უზრუნველყონ კომპეტენციის ფარგლებში სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების გადაწყვეტა; უზრუნველყონ პიროვნების უფლებები და კანონიერი ინტერესები სისხლის სამართლის პროცესში; მონაწილეობა მიიღონ დამტკიცებაში საქმის გარემოებების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური კვლევის საწყისებზე. ეს პირები სარგებლობენ უფლებამოსილებებით სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, მათ შორის უფლება აქვთ (კანონის შესაბამისად) გამოიყენონ საპროცესო იძულების ზომები სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მოქალაქეების მიმართ. სწორედ ამ პირებს აქვთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილებები, დადგენილებები, განჩინებები, მათ უნდა იმოქმედონ კანონისა და ზნეობრიობის ნორმების შესაბამისად. ეს პირები ასრულებენ თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელ ფუნქციას; ბ) საზოგადოებრიი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტიეების წარმომადგენლებად (მაგ. საზოგადოებრივი დამცველები და საზოგადოებრივი ბრალმდებლები); გ) პროცესის მონაწილეებად (ბრალდებული, დაზარალებული და ა.შ.); დ) სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე სხვა პირებად (მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები, დამსწრეები და სხვ.) ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. სისხლის სამართლის სამართალწარმოების სუბიექტების მოყვანილი კლასიფიკაცია განეკუთვნება ყველაზე გავრცელებულს, მაგრამ მას ხშირად უწოდებენ სადავოს.

სისხლის სამართლის სამართალწარმოება სისხლის სამართლის საპროცესო სამართლით რეგულირებული, დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული მოქმედებების ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდება მოკვლევის მწარმოებელი ორგანოების, გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლოს მიერ და მიმართულია დანაშაულის გამოელენაზე, გამოძიებაზე, რისი მეშვეობითაც ხდება დანაშაულისგან დაზარალებულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, დამნაშაეთა სისხლისსამართლებრივი დევნა და სამართლიანი დასჯა. სისხლის სამართლის სამართალწარმოება იგება მხარეთა თანასწორობის, შეჯიბრებითობის პრინციპებზე და ამასთან დაკავშირებით საჭიროა, რომ სისხლის სამართლის სამართალწარმოების ყველა მონაწილე ახორციელებდეს თავის უფლებამოსილებებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და მიმართაედეს თაეის ძალისხმევას სისხლის სამართლის საქმის ობიექტურ განხილვაზე. სისხლის სამართლის სამართალწარმოება ძირითადად შედგება ცალკეული ნორმატიული აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისგან.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დარღვევა წარმოადგენს საფუძველს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლისთვის. ამ საფუძვლებს წარმოადგენს: ა) სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არშეწყვეტა მის შესაწყვეტად საფუძვლების არსებობისას; ბ) განაჩენის გამოტანა სასამართლოს უკანონო შემადგენლობის მიერ ან ეერდიქტის გამოტანა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის უკანონო შემადგენლობის მიერ; გ) სისხლის სამართლის საქმის განხილეა განსასჯელის დაუსწრებლად იმ შემთხვევების გარდა, როცა მცირე ან საშეალო სიმძიმის დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე ის შუამდგომლობს მოცემული სისხლის სამართლის საქმის მის დაუსწრებლად განხილვის შესახებ; დ) სისხლის სამართლის საქმის განხილეა დაცველის მონაწილეობის გარეშე, როცა მისი მონაწილეობა წარმოადგენს საეალდებულოს ან ბრალდებულის უფლების დარღვეეით ისარგებლოს დაცველის დახმარებით; ე) განსასჯელის უფლების დარღვეეა ისარგებლოს ენით, რომელსაც ფლობს და თარჯიმნის დახმარებით; ვ) განსასჯელის უფლების დარღვეეა მონაწილეობა მიიღოს მხარეთა პაექრობაში; ზ) განსასჯელისთვის ბოლო სიტყვის არმიცემა; თ) ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის სათათბირო საიდუმლოს დარღვეეა ეერდიქტის გამოტანისას ან მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოების დარღვეეა განაჩენის გამოტანისას; ი) განაჩენის დასაბუთება სასამართლოს მიერ დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებებით; კ) მოსამართლის ან ერთ-ერთი მოსამართლის ხელმოწერის არარსებობა, თუ სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოს მიერ კოლეგიალურად, შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებაზე; ლ) სასამართლო სხდომის ოქმის არარსებობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში – სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს შესაბამისი საპროცესო მოქმედების განხორციელების

ან საპროცესო გადაწყვეტილების მიღების დროს, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა კანონით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება პირთა წრის მიმართ – სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება ვრცელდება ქვეყნის მოქალაქეებზე, ასევე უცხოელებზე, მოქალაქეობის არმქონე და დიპლომატიური ხელშეუხებლობის მქონე პირებზე. ამ პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეების წარმოება ხორციელდება სსსკ-ის წესების შესაბამისად.

სსსკ-ით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები იმ პირთა მიმართ, რომლებსაც გააჩნიათ დიპლომატიური ხელშეუხებლობის უფლება, ხორციელდება მხოლოდ აღნიშნული პირების თხოვნით ან მათი თანხმობით, რომელიც მოითხოვება საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში – კანონის გავრცელება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

სისხლის სამართლის საქმის წარმოება ქვეყნის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად მიმდინარეობს სსსკ-ის შესაბამისად, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი არაა სხვა რამ.

სსსკ-ის ნორმები ასევე გამოიყენება ქვეყნის ტერიტორიის გარეთ ქვეყნის დროშით მფრინავ საჰაერო, საზღვაო ან მდინარის ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, თუ აღნიშნული ხომალდი მიწერილია იმ ქვეყნის პორტისთვის, რომლის დროშის ქვეშაც მოძრაობს ის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – სისხლის სამართლის სამართალწარმოების სამართლებრივი პროცედურების სისტემა, რომლის დანიშნულებაცაა დანაშაულებისგან დაზარალებული პირებისა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სისხლის სამართლის სამართალწარმოების სფეროში.

სისხლის სამართლის პროცესის ობიექტური დანიშნულებაა საზოგადოების ინტერესების, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ზოგადად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არის სამი საპროცესო ფუნქცია (ბრალდება, დაცვა და საქმის არსებითად გადაწყვეტა), მასში შედის ცნება „მხარე", რომლის ქვეშაც იგულისხმება სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეები, რომლებიც შეიძლებითობის საფუძველზე ასრულებენ ბრალდების ან ბრალდებისგან დაცვის უფლებას. ეს საშუალებას აძლევს სამართალდამოკიდებულების სუბიექტს აირჩიოს ქცევის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, მოახდინოს მისი აქტივაცია, რამდენადაც ისინი თავისუფლდებიან ურთიერთგამომრიცხავი უფლებამოსილებების შესრულებისგან, რაც ჩვეულებრივ ხდება სუბიექტისთვის ორი ან მეტი საპროცესო ფუნქციის დაკისრებისას. საბოლოო ჯამში, ეს ხელს უწყობს სისხლის სამართლის პროცესის დინამიკის გაძლიერებას, სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის ცენტრის სასამართლომდელი წარმოებიდან სასამართლო სტადიებზე გადატანას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განამტკიცებს სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების ისეთ სისტემას, რომელიც მიმართულია სასჯელის გარდაუვალობის უზრუნველყოფაზე ბრალდებულის დამტკიცებული ბრალის დროს და მოქალაქეების იცავს უკანონო და დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სრულფასოვნად კოდიფიცირებული, ნორმატიული სამართლებრივი აქტია, რომელიც შეესაბამება კონსტიტუციას და განამტკიცებს მთელ სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ ზოგად დებულებებს, აკონკრეტებს პროცესის თითოეულ სტადიაში ცალკეული მოქმედებების წარმოების წესს და გადაწყვეტილებათა მიღებას, როგორც მთლიანად საქმეზე, ასევე ცალკეულ საკითხებზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამტკიცებს სისხლის სამართლის პროცესის შერეულ სახეს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასამართლომდელ წარმოებაში მთავარი როლი ეკუთვნის პროკურორს, გამომძიებელს, მოკვლევის მწარმოებელ პირს, რომელსაც გააჩნია საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების, მათ შორის საპროცესო იძულების ზომების მიღების უფლებამოსილებები, ხოლო სასამართლო განხილვა კი, ეფუძნება რა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, ადგენს თანასწორ უფლებებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ტერმინები)

მუხლი 44. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. სასამართლო – მართლმსაჯულების განმახორციელებელი კოლეგიური ორგანო; მოსამართლე – ორგანო, რომელიც ერთპიროვნულად, არსებითად განიხილავს სისხლის სამართლის საქმესა და მასალებს საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ.

2. ამოღებულია (25.03.2005 N 1204).

3. სასამართლო ინსტანციები – პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოები. (16.03.2001 N815).

4. საგამოძიებო კოლეგია – საოლქო სასამართლოს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გამოძიების მოსამართლეებს აერთიანებს.

5. გამოძიების მოსამართლე – ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს და საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიების მოსამართლე, რომელიც წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებს. (25.03.2005 N 1204).

6. სასამართლო გადაწყვეტილება – სასამართლოს (მოსამართლის) განაჩენი, განჩინება, დადგენილება, ბრძანება, განკარგულება. (29.12.2006 N 4208).

7. განაჩენი – პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.

8. განჩინება – კოლეგიური წესით გამოტანილი პირველი, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის გარდა) ნებისმიერ საკითხზე. (16.03.2001. N815).

9. დადგენილება – გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლეს ერთპიროვნულად გამოაქვს საქმის განხ-

ილვისას; გამომძიებელის, პროკურორის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც წარმოიშობა წინასწარი გამოძიების პროცესში. (25.03.2005 N1204).

10. შემაჯამებელი გადაწყვეტილება – გადაწყვეტილება, რომელიც ამთავრებს სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიას.

11. სასამართლო ბრძანება (მოსამართლის ბრძანება) – მოსამართლის ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომელიც იძლევა დაპატიმრების, სხვა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვას.

12. სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი) – გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო (მოსამართლე). (25.03.2005 N 1204).

13. პროკურორი – საქართველოს გენერალური პროკურორი და მისადმი დაქვემდებარებული ყველა პროკურორი, მათი მოადგილეები და თანაშემწეები.

14. სახელმწიფო ბრალმდებელი – პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში. (16.03.2001 N815).

15. გამომძიებელი – საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადო საგამოძიებო დანაყოფის თანამდებობის პირი, რომელიც გამოძიებას აწარმოებს სრული მოცულობით (29.12.2006. N4257).

16. ამოღებულია (16.12.2005 N2265).

16[1]. საფინანსო-სახუღალტრო ექსპერტი – პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა და განათლება მხარის მიერ დასმულ საკითხებზე საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად. (27.12.2005 N2543).

17. ამოღებულია (25.03.2005 N 1204).

18. მხარეები – სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი, რომლებიც იცავენ საკუთარ ან მარწმუნებლების ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეში.

19. ბრალდების მხარე – პროკურორი, აგრეთვე დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები. (25.03.2005. N1204).

20. დაცვის მხარე – ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, დამცველი, ბრალდებულის მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი.

21. ახლო ნათესავი – მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული). ამ კოდექსის XXIV თავის მიზნებისთვის ახლო ნათესავად ითვლება ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და და ძმა, მშობლისა და შვილის გერები, მეუღლის და, ძმა და მშობელი. (24.06,2004 N208).

21[1] ოჯახის წევრი – მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან ან განსასჯელთან მუდმივად მცხოვრები პირი. (24.06.2004 N208).

21[2]. დაკავშირებული პირი – პირი, რომელსაც ფიზიკური ან იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ იგი მიღებულია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად და ამ ქონებით სარგებლობს ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი. (24.06.2004 N208).

22. კანონიერი წარმომადგენელი – ახლო ნათესავი, მეურვე, მზრუნველი.

23. დასაცავი პირი – ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი ან მსჯავრდებული, რომელსაც დამცველი იცავს.

23.[1] ეჭვმიტანილი პირი – პირი, რომლის მიმართ არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ ამგვარი ეჭვი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირის მიმართ წაყენებული იქნეს ბრალდება. პირი ეჭვმიტანილად ითვლება ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაკავებისთანავე ან პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე (13.08. 2004 №398).

24. ბრალდებული – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი.

25. განსასჯელი – ბრალდებული, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ან საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ დასამტკიცებლად ჩაბარდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. (16.12.2005 N 2265).

26. მსჯავრდებული – პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

27. გამართლებული – პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი.

28. დაპატიმრება – წინასწარი პატიმრობა.

29. სისხლის სამართლის პროცესი – გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეთა კანონით მოწესრიგებული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ამ კოდექსის პირველი მუხლით გათვალისწინებული ამოცანების გადასაწყვეტად. (25.03.2005 N 1204).

30. საპროცესო მოქმედება – სამართალწარმოების ნებისმიერი ორგანოს მოქმედება, რომელიც ტარდება ამ კოდექსით დადგენილი პროცედურის ფარგლებში.

31. საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედება – საპროცესო მოქმედება, რომელიც ტარდება მტკიცებულებათა შეკრების, დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების მიზნით.

32. საპროცესო გადაწყვეტილება – გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება, საბრალდებო დასკვნა, სასამართლოს (მოსამართლის) განაჩენი, განჩინება, დადგენილება.

33. პროკურორის სანქცია – პროკურორის მიერ გამომძიებლის, ქვემდგომი პროკურორის დადგენილების დამტკიცება ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. (25.03.2005 N 1204).

34. სისხლის სამართლის საქმე – საგამოძიებო და სასამართლო ოქმების, დოკუმენტების, ექსპერტების დასკვნების, ნივთიერ და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა.

35. ზიანი – უშუალო ზიანი და ანაცდენი სარგებელი.

36. ღამის დრო – 22 საათიდან 6 საათამდე.

37. არასრულწლოვანი – პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია.

38. მცირეწლოვანი პირი, რომელსაც 14 წელი არ შესრულებია.

39. ადვოკატურა, საადვოკატო ბიურო, ფირმა – ორგანიზაციული წარმონაქმნი, სადაც მუშაობენ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა კოლეგიების წევრები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილნი არიან აწარმოონ საადვოკატო საქმიანობა.

40. ამოღებულია (19.06.2001 N 949).

41. კერძო ბრალმდებელი – დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას სასამართლოში.

42. კერძო გამომძიება დაცვის მხარის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დაცვისათვის საჭირო მონაცემების შეკრება და მტკიცებულებათა სახით პროცესის მწარმოებელი ორგანოსთვის წარდგენა. აღნიშნული საქმიანობა არ წესრიგდება ამ კოდექსით.

43. წინასწარი გამოძიება – უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების დადგენა და მისი ჩამდენი პირის მხილება. (25.03.2005 N 1204).

43[1]. სისხლისსამართლებრივი დევნა – ამ კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფა. (25.03.2005 N1204).

44. დამსწრე – ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის, აგრეთვე ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევაში მოწვეული პირი. (25.03.2005 N 1204).

45. გამომძიების ადგილი საგამომძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის განთავსების ადგილი.

(საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის N 1506-IIს კანონი, „საქართველოს რესპუბლიკა“, N183, 21.07.98 წ. (საქართველოს 1999 წლის 13 მაისის N 1958 კანონი, „საქართველოს რესპუბლიკა“, N 130, 18,05.99 წ.

საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ N 18

საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ N 18 2000 წ.)

საქართველოს 2000 წლის 5 მაისის N 287-IIს კანონი, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ N 18 2000 წ.)

46. საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების მიზნებისათვის:

ა) გადაცემა – სახელმწიფოს მიერ პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად;

ბ) ექსტრადიცია – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის პირის გადაცემა საერთაშორისო ხელშეკრულების ან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. (14. 08. 2003 N 2976)

47. თანამდებობის პირი (რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი) – ამ კანონის მიზნებისათვის, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე ანდა საწარმოში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს წილის (აქციათა) 50%-ს ან 50%-ზე მეტს, ხელმძღვანელობით ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც ბრალად ედება თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში შესაბამისად სამოხელეო ანდა სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, გამოძალვა, მითვისება ან გაფლანგვა, გადასახადებისაგან თავის არიდება, საბაჟო წესების დარღვევა, წვაშება ან წაშების მუქარა ანდა დამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი დაკავებული თანამდებობიდან. (29.12.2006. N 4207).

48. ამოღებულია.

49. ქონების ჩამორთმევა – როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით. (28.12.2005 N 2620).

50. რეკეტი – შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი ან ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა. (24.06.2004 N 208).

51. რეკეტული დაჯგუფება – თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება. (24.06.2005, N208).

52. რეკეტირი – პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას, ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებას და სხვა პირთა შორის დავების გადაწყვეტაში (24.06.2004 N 208).

53. რეკეტული ქონება – რეკეტიდან მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს. (24.06.2004 N 208).

54. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი

– ბრალდებული, რომლის მიმართაც განიხილება საქართველოში ექსტრადიციის საკითხი, ან პირი, რომლის მიმართაც განიხილება საზღვარგარეთ ექსტრადიციის საკითხი.

55. საექსტრადიციო პატიმრობა პატიმრობა, რომელიც გამოიყენება საზღვარგარეთ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ექსტრადიციის უზრუნველსაყოფად. (25.03.2005. N 1204).

56. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომელი – შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების თანამშრომელი, რომლის ვინაობა გასაიდუმლოებულია, პროცესში მონაწილეობს ფსეუდონიმით და რომელიც უფლებამოსილია ჩვენება მისცეს მხოლოდ შეცვლილი გარეგნობით ან ხმით. (16.12.2005. N2265).

57. სპეციალური მიზეზით გამოუცხადებლობა – პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობა, რაც გამოწვეულია აუცილებლობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომლებიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე გამოცხადებას. აუცილებლობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. წინასწარ ცნობილი სპეციალური მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის გამართვამდე არა უგვიანეს 48 საათისა. სპეციალური მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში. (28.04.2006. N2836).

58. უკანონო ქონება – ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციების (წილი), რომელიც (რომლებიც) მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

59. დაუსაბუთებელი ქონება – ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის (რომელთა) კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები პირს არა აქვს ან იგი (ისინი) მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

სისხლის სამართლის საქმეების გადახედვა ხელახლა აღმოჩენილი გარემოებებით

გარემოებები, რომლებიც არსებობდა კანონიერ ძალაში განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შესვლის მომენტისთვის, მაგრამ ცნობილი არ იყო სასამართლოსთვის.

ხელახლა აღმოჩენილის წარმოადგენს შემდეგი გარემოებები: ა) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილი დაზარალებულის ან მოწმის ცრუ ჩვენებები. ექსპერტის ცრუ დასკვნა; ნივთმტკიცებების, საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ოქმების და სხვა დოკუმენტების გაყალბება; არასწორი თარგმნა. ამ გარემოებებს მოსდევს უკანონო, დაუსაბუთებელი ან არასამართლიანი განაჩენის, განჩინების ან დადგენილების გამოტანა; ბ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილი; მოკალეეის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის ან პროკურორის დანაშაულებრივი ქმედებები, რასაც მოსდევს უკანონო, დაუსაბუთებელი ან არასამართლიანი განაჩენის, განჩინების ან დადგენილების გამოტანა; გ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინებით დადგენილი მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედებები, რომელიც მის მიერ ჩადენილ იქნა მოცემული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას.

სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანება

– პროცესი, რომლის დროსაც ერთიანდება რამდენიმე საქმე; სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანება ხდება პროკურორის დადგენილების საფუძველზე. ერთი საქმის წარმოებაში შეიძლება გაერთიანდეს სისხლის სამართლის საქმეები: ა) ერთი ან რამდენიმე დანაშაულის თანამონაწილეობით ჩადენი რამდენიმე პირის მიმართ; ბ) რამდენიმე დანაშაულის ჩადენი ერთი პირის მიმართ; გ) პირის მიმართ, რომელიც ბრალდებულია წინასწარ პირობამიუცემელი დანაშაულის დაფარვაში, რომელთა გამოძიებაც ხდება ამ სისხლის სამართლის საქმეებზე. სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანება ასევე დასაშვებია იმ შემთხვევებში, როცა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემი პირი დაუდგენელია, მაგრამ არსებობს საკმარისი საფუძვლები იმის საეარაუდოდ, რომ რამდენიმე დანაშაული ჩადენილია ერთი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ. სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანებისას მათზე წარმოების ვადა განისაზღვრება იმ სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, რომელსაც გააჩნია წინასწარი გამოძიების ყველაზე ხანგრძლივი ვადა.

სისხლის სამართლის საქმეების განახლება

– დაკარგული სისხლის სამართლის საქმის ან მისი მასალების აღდგენა წარმოებს პროკურორის დადგენილების, ხოლო სისხლის სამართლის საქმის ან მისი მასალების სასამართლო წარმოების მიმდინარეობისას დაკარგვის შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც ეგზავნება პროკურორს აღსრულებისთვის. სისხლის სამართლის საქმე ხორციელდება სისხლის სამართლის საქმის მასალების შენარჩუნებული ასლებით, რომლებიც შეიძლება ცნობილ იქნენ მტკიცებულებებად. მოკლეეის, წინასწარი გამოძიებისა და დაპატიმრების ვადები სისხლის სამართლის საქმეების განახლების დროს განისაზღვრება კანონის შესაბამისად.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადია, რომელსაც გააჩნია შემდეგი ნიშნები: ა) საწყისი და საბოლოო მომენტები; ბ) საკუთარი ამოცანები; გ) მონაწილეთა გარკვეული წრე; დ) სპეციფიკური სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობა; ე) შესაბამისი სპეციფიკის მქონე სისხლის სამართლის საპროცესო აქტები. სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთვის საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსში არსებული მიზეზებისა და საფუძვლების არსებობა.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთვის მიზეზს წარმოადგენს განცხადება დანაშაულის შესახებ, დანაშაულის აღიარებით გამოცხადება, შეტყობინება ჩად-

ენილი ან მომზადებული დანაშაულის შესახებ, რომელიც მიღებულია სხვა წყაროებიდან. სისხლის სამართლის საქმის აღძრისთვის საფუძველს წარმოადგენს საკმარისი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ნიშნებს.

განცხადება დანაშაულის შესახებ შეიძლება გაკეთდეს ზეპირი ან წერილობითი სახით. წერილობითი განცხადება დანაშაულის შესახებ უნდა იქნეს ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. ანონიმური განცხადება დანაშაულის შესახებ არ შეიძლება გახდეს მიზეზი სისხლის სამართლის საქმის აღძრისთვის.

განცხადება დანაშაულის აღიარებით გამოცხადების შესახებ წარმოადგენს პირის ნებაყოფლობით ცნობას მის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე. აღიარებით გამოცხადების შესახებ განცხადება შეიძლება გაკეთდეს, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით. ზეპირი განცხადება მიიღება და შეტანილი ხდება ოქმში, რომელიც უნდა შეიცავდეს ცნობებს განმცხადებლის, ასევე განმცხადებლის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ.

შეტყობინება ჩადენილი ან მომზადებული დანაშაულის შესახებ, რომელიც მიღებულია სხვა წყაროებიდან მოცემული შეტყობინების მიმღები პირის მიერ, რაზეც დგინდება რაპორტი დანაშაულის ნიშნების გამოელენის თაობაზე.

სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე უარის განცხადება

– პროკურორის, გამომძიებლის, მოკვლევის ორგანოსა და მოკვლევის მწარმოებელი პირის მიერ მიღებული ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტილება დანაშაულის შესახებ შეტყობინებათა გადაწყვეტის ეტაპზე. გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე უარის შესახებ უნდა იქნეს მიღებული დაუყოვნებლივ ამის საფუძვლების აღმოჩენისას. თუ სისხლის სამართლის საქმის აღძრასთან დაკავშირებული დაყოვნება იწვევს დანაშაულის კვალის წაშლას, მისი გახსნის გართულებას, სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე უარის განცხადების დაყოვნება არანაკლებ საშიშია. ამ შემთხვევაში ასევე შესაძლებელია მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დარღვევები. სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე უარი უნდა იქნეს განცხადებული მატერიალურ-სამართლებრივი ან საპროცესო საფუძვლები არსებობისას. მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები ეყრდნობა სისხლის სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამორიცხავენ დანაშაულის არსებობას ან კონკრეტული პირის პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობას. გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე უარის შესახებ მიიღება, თუ არსებობდა მიზეზები სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის, მაგრამ დადგენილი არაა საფუძველი ასეთი საპროცესო გადაწყვეტილების მისაღებად. ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს შედეგობრივს სისხლის სამართლის საქმის აღძრის სტადიაზე, ხოლო თუ ის არ იქნა გასაჩივრებული, მაშინ საბოლოოს.

პროკურორის, გამომძიებლის, მოკვლევის მწარმოებელი პირის დადგენილებები უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და მოტივირებული. ყოველივე ეს სრულად ეხება დადგენილებას სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე უარის შესახებ.

სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე უარის შესახებ დადგენილების გამოტანისას დანაშაულის შესახებ შეტყობინების შემოწმების შედეგების მიხედვით, რაც უკავშირდება მის ჩადენაში კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის ბრალეულობაზე ეჭვის შეტანას, პროკურორი, გამომძიებელი, მოკვლევის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია განიხილოს საკითხი სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე ცრუ დასმენასთან დაკავშირებით იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა ან გაავრცელა ცრუ ინფორმაცია დანაშაულის შესახებ. სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე უარი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს პროკურორთან ან სასამართლოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა

– უფლებამოსილი პირის იურიდიულად მნიშვნელოვანი მოქმედება, რასაც მოსდევს სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის შეწყვეტა, რომელიც ხორციელდება ბრალდების მხრიდან. კანონი ადგენს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საფუძვლებს. საპროცესო გაგებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა არის ამაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის სამართალწარმოების გაგრძელების შეწყვეტის შესახებ და ამისთვის საჭირო წინაპირობების არარსებობასთან დაკავშირებით. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს, როგორც პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე, ასევე ამის შემდეგაც. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საფუძვლებია: ა) თავად დანაშაულის მოვლენის არარსებობა; ბ) გარკვეული პირის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობა; გ) პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადების ამოწურვა; დ) ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სიკვდილი; ე) დაზარალებულის შერიგება ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან; ვ) დამნაშავის მიერ იმ ასაკის მიუღწეველობა, როდიდანაც დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა; ზ) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ამნისტიის აქტის არსებობა; თ) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ქმედითი მონანიება; ი) გამოძიებისას ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დანაშაულის ჩადენაში არმონაწილეობის დადგენა; კ) დაზარალებულის განცხადების არარსებობა კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა; ლ) შესაბამისი სასამართლოს დასკვნის არარსებობა ერთერთი პირის ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ; მ) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობა იმავე ბრალდებაზე ან სასამართლოს განჩინების, მოსამართლის გადაწყვეტილების არსებობა; ნ) სისხლის სამართლის საქმის აღძრაზე უარის განცხადების არსებობა მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის გაუქმებული დადგენილებით; ო) სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტას ექვემდებარება არასრულწლოვანის მიმართ, რომელმაც მიაღწია ასაკს, რომელთანაც დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მაგრამ არსებობს ფსიქიკურ განვითარებაში ჩამორჩენა, რაც არ უკავშირდება ფსიქიკურ აშლილობას და მას არ შეეძლო ამის შედეგად გაეცნობიერებინა საკუთარი ქმედებების

(უმოქმედობის) ფაქტიური ხასიათი და ემართა ისინი; ბ) თუ წინასწარი გამოძიების დროს დადგინდება, რომ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაული (მცირე ან საშუალო სიმძიმის) ჩადენილია მის მიერ პირველად და მისი გამოსწორება შეიძლება აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულების ღონისძიებების გამოყენების გზითაც.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეჩერება – სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში კანონით გათვალისწინებული შესვენება, რაც განპირობებულია კანონში დადგენილი გარემოებებით. სასამართლოს გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეჩერების შესახებ: ა) იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებული მიიმალა და უცნობია მისი ადგილსამყოფელი; ბ) ბრალდებულის მძიმე დაავადების შემთხვევაში, თუ ის მტკიცებება სამედიცინო დასკვნით; გ) სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში თხოვნის გაგზავნის ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში გამოყენებული ან გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ სარიერის განსახილველად მიღების შემთხვევაში; დ) იმ შემთხვევაში, როცა ცნობილია ბრალდებულის ადგილსამყოფელი, თუმცა სასამართლო განხილვაში მისი მონაწილეობის რეალური შესაძლებლობა არ არსებობს.

სისხლის სამართლის ფყარო – ფორმა, რომელსაც იღებს სამართლებრივი ურთიერთობები – სამართლის ნორმები, სამართლებრივი დებულებები, რომლებიც შედის იურიდიულ აქტებში.

სიყალბე დანაშაული, რომელიც მდგომარეობს ნამდვილი დოკუმენტების გაყალბებაში ან ყალბი დოკუმენტების შედგენაში.

სიცოცხლის უზრუნველყოფის ფყაროებიდან გათიშვა – თანამდებობის პირის ან კომერციულ თუ სხვა ორგანიზაციაში მართველი ფუნქციების შემსრულებელი პირის მიერ მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის უკანონო შეწყვეტა ან შეზღუდვა ან სხვა წყაროების (გაზმომარაგების, თბომომარაგების, წყალმომარაგების) გათიშვა, თუ ამან გაუფრთხილებლობით გამოიწვია დიდი ზარალის, ჯანმრთელობისთვის მძიმე ზიანის მიყენება ან სხვა მძიმე შედეგები.

სიცრუის დეტექტორი (პოლიგრაფი) ხელსაწყო, რომელიც ერთდროულად ახდენს რამდენიმე ფიზიოლოგიური ფუნქციის (სუნთქვის სიხშირე, სისხლის წნევა, კანის ტენიანობა და სხვა ასეთი) რეგისტრაციასა და გაზომვას. შინაგანი დაძაბულობისა და მღელვარების დროს, მაგალითად, ცრუ ჩვენების მიცემისას, აღნიშნული მონაცემები განსხვავდება ნორმალური მდგომარეობისაგან, რის საფუძველზეც კეთდება დასკვნა ამ ჩვენების სისწორის შესახებ. აშშ-ში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ამ მოწყობილობას იყენებენ სამოძიებო და სამებრო მიზნებისათვის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ სარგებლობს დიდი პოპულარობით, რადგან დადგენილია, რომ ბევრ თაღლითს და ბოროტმოქმედს აუღელვებლად შეუძლია მისცეს ცრუ ჩვენება, ხოლო პატიოსანი მოწმე შეიძლება სწორ ჩვენებას იძლეოდეს, მაგრამ ღელავდეს.

სლაიდი (ინგლ. slide – შეცურება, შეყოფა)

იგივე, რაც დიაპოზიტივი. წარმოადგენს ფოტოსურათს შესრულებულს გამჭვირვალე მასალაზე (მინა, აპკი), განკუთვნილს პროექტორის საშუალებით ეკრანზე დემონსტრირებისთვის.

სოლიდარული ვალდებულება (joint and several liability)

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნაირსახეობა. ადგილი აქვს მოვალეთა სიმრავლისას ვალდებულებაში, როდესაც რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, ეს პირები წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

სოლიდარული ვალდებულება შეიძლება იყოს განპირობებული: 1) ხელშეკრულებით; 2) კანონით; 3) ვალდებულების საგნის განუყოფლობით.

სოლიდარული ვალდებულების დროს კრედიტორს შეუძლია მოსთხოვოს შესრულება ნებისმიერ მოვალეს, როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ.

მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება (რეგრესი) დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის პრინციპით.

ვალდებულებაში კრედიტორთა სიმრავლის დროს, როდესაც თითოეულს შეუძლია მთლიანი შესრულების მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულია მხოლოდ ერთჯერადად შეასრულოს, აქვს სოლიდულ უფლებამოსილებას.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავიანთი ქონებით. სოლიდარული საზოგადოების შექმნის წესი და საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონით მეწარმეობის შესახებ.

სოციალური ბოიკოტი (სამოქალაქო გაფიცვა) საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტიურობის შეწყვეტა და სრული პასიურობა ბშირ შემთხვევაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საერთო პოლიტიკური ან სოციალური მიზნის მისაღწევად.

სოციოლოგია [< ლათ. socialis + ...ლოგია] მეცნიერება საზოგადოებაზე როგორც მთლიან სისტემაზე და ცალკეულ საზოგადოებრივ ინსტიტუტზე, პროცესზე, ჯგუფზე, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაზე, ადამიანების მასობრივი ქცევის კანონზომიერებებზე; მოიცავს დაახ. 40 დარგს, მაგ. სოციოლოგიური ანალიზი.

სოციოლოგიური ადამიანების საზოგადოებისა და მისი ცალკეული ჯგუფების გამოკვლევებთან დაკავშირებული სოციოლოგიის ნაწილი, რომელიც

იყენებს მის მეთოდებს და გამომდინარეობს მისი კანონებიდან.

სოციოლოგიური სკოლა (სამართალში) – სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც შეიქმნა XX საუკუნის დასაწყისში. ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ იუნგი, პაუნდი, ჟენი და სხვები. ისინი თვლიდნენ, რომ სამართლებრივი აქტები ყოველთვის არ არის ეკონომიკური და სოციალური პირობების ადეკვატური. სამართალი არის არა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმები, არამედ სამართლებრივი ურთიერთობანი, რომლებიც რეალურად არსებობს ცხოვრებაში. სამართლის განხორციელებაში გადამწყვეტია სამართლის შეხედულება, რომელიც ნაკლებად უნდა იყოს სამართლის ნორმებზე დამოკიდებული, რათა დაიცვას პიროვნების ინტერესები.

სოციალური ნორმები – ქცევის წესები ან ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ინდივიდებს შორის, ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს, ინდივიდებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებს.

სოციალური ნორმების გარდა საზოგადოებაში არსებობს ტექნიკური ნორმები. ისინი განსაზღვრავენ ადამიანთა დამოკიდებულებას წარმოების სხვადასხვა საშუალების, შრომის იარაღების, ბუნების, ცხოველთა სამყაროს მიმართ. ესაა მაგალითად, სოფლის მეურნეობის მანქანების ან სხვა ტექნიკის ექსპლუატაციის წესები, ყოველგვარი ტექნიკური და ტექნოლოგიური სტანდარტები. რასაკვირველია, ტექნიკური ნორმები, ისევე როგორც მათი ნების დართვის სფერო არ შეიძლება არსებობდეს იზოლირებულად, სოციალური ნორმებისგან და მათი უშუალო გამოყენების სფეროსგან მოწყვეტით. ყველა ნორმა ურთიერთდაკავშირებულია, ისინი გაელენას ახდენენ ერთმანეთზე.

ტექნიკური ნორმების სოციალურობა პირობითია საკუთრივ სოციალურ ნორმებთან შედარებით, ის შეზღუდულია და ვლინდება, როგორც სპეციალურ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში, რომლებშიც გადმოცემულია სხვადასხვა ტექნიკური ნორმის შინაარსი, ასევე აქტებში, რომლებიც შეიცავენ მითითებას ტექნიკურ ნორმებზე. სოციალურ ნორმებს ასევე განეკუთვნება მორალის ნორმები, წეს-ჩვეულებები, ტრადიციული ნორმები და ა.შ.

სოციალური პარტნიორობა – ურთიერთდამოკიდებულებათა სისტემა მუშაკებს (მათ წარმომადგენლებს), სამუშაოს მიმცემებს (მათ წარმომადგენლებს), სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის, რაც მიმართულია მუშაკებისა და სამუშაოს მიმცემთა ინტერესების შეჯერების უზრუნველყოფაზე შრომითი და მათთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების საკითხების თაობაზე. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ სოციალური პარტნიორობის მხარეებს იმ შემთხვევებში, როცა ისინი გამოდიან სამუშაოს მიმცემთა (ან მათი წარმომადგენლების) ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების სახით.

სოციალური პარტნიორობა ხორციელდება შემდეგი ძირითადი პრინციპების საფუძველზე: მხარეთა თანასწორობა, მხარეთა ინტერესების პატივისცემა და გათვალისწინება; მხარეთა დაინტერესებულობა მონაწილეობა მიიღონ სახელშეკრულებო ურთიერთობებში; სახელმწიფოს ხელშეწყობა დემოკრატიულ საფუძველზე სოციალური პარტნიორობის განმტკიცებასა და განვითარებაში; მხარეებისა და მათი წარმომადგენლების მიერ კანონებისა და სხვა ნორმატიულ სამართლებრივი აქტების დაცვა; მხარეთა წარმომადგენლების უფლებამოსილებები; არჩევანის თავისუფლება შრომის სფეროში შემპაყრი საკითხების განხილვისას; მხარეების მიერ ვალდებულებების საკუთარ თავზე აღების ნებაყოფლობითობა; მხარეების მიერ რეალურად აღებული ვალდებულებების რეალობა; კოლექტიური ხელშეკრულებების, შეთანხმებების შესრულების ვალდებულება; კონტროლი მიღებული კოლექტიური ხელშეკრულებების, შეთანხმებების შესრულებაზე; მხარეების, მათი წარმომადგენლების პასუხისმგებლობა მათი ბრალით კოლექტიური ხელშეკრულებების, შეთანხმებების შეუსრულებლობაზე.

სოციალური პარტნიორობის ფორმებს წარმოადგენს: ა) კოლექტიური მოლაპარაკებები კოლექტიური ხელშეკრულებების, შეთანხმებების პროექტების მომზადებისა და მათი დადების მხრივ; ბ) ორმხრივი კონსულტაციები (მოლაპარაკებები) შრომითი და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების საკითხების თაობაზე; გ) მუშაკების, მათი წარმომადგენლების მონაწილეობა ორგანიზაციის მართვაში; დ) მუშაკებისა და სამუშაოს მიმცემთა წარმომადგენლების მონაწილეობა შრომითი დავების სასამართლომდელ განხილვაში. სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირების უზრუნველყოფისთვის, კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოებისთვის და კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმების პროექტების მომზადებისა და მათი დადებისთვის, კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესრულებაზე კონტროლის ორგანიზაციისთვის, მხარეთა გადაწყვეტილებით, წარმოიქმნება კომისიები უფლებამოსილებით აღჭურვილი მხარეების წარმომადგენლებისგან.

სოციალური სამართლიანობის აღდგენა – სისხლის სამართლის სასჯელის ერთ-ერთი მიზანი. სოციალური სამართალიანობა – მორალურ-ზნეობრივი კატეგორია და მისი ცნება შეიძლება გაშლილ იქნეს ისეთი კატეგორიების მეშვეობით, როგორცაა „დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურება“, „საზოგადოებრივი თვითშეგნება“, „ჩადენილზე მისაზღვევის თანატოლვადი“. დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოყენებული სასჯელი და სხვა სისხლისსამართლებრივი ზომები უნდა იყოს საშარისიანი ე.ი. შეესაბამებოდეს დანაშაულის საზოგადოებრივ სასიათსა და ხარისხს, მისი ჩადენის გარემოებებსა და დამნაშავის პიროვნებას. სოციალური სამართლიანობის აღდგენის მიზნით მისჯილმა სასჯელმა ამავდროულად უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულის გამოსწორებაც და ახალი დანაშაულების თავიდან აცილებაც.

სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგი – მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ადამიანის სამყოფელ გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებების სახელმწიფო სისტემა, მათი ანალიზი, შეფასება და პროგნოზი, ასევე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განწილება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა

და სამყოფელი გარემოს ფაქტორების ზემოქმედებას შორის. სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგი ხორციელდება მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით. სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგის დროს წყდება შემდეგი ამოცანები: სახელმწიფო საინფორმაციო ფონდის ფორმირება; მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ადამიანის სამყოფელი გარემოს ფაქტორების ზემოქმედებას შორის სისტემური ანალიზისა და რისკის შეფასების საფუძველზე; მონიტორინგის განხორციელების საქმიანობის უწყვეტობაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მისაღებად წინადადებების შემუშავების მიზნით.

სპეციალისტი – სასამართლოში მიწვეული პირი, რომელსაც გააჩნია გარკვეული ცოდნა, რაც აუცილებელია მტკიცებულებების აღმოჩენაში, განმტკიცებასა და ამოღებაში ხელშეწყობისათვის და ასევე ტექნიკური საშუალებების გამოყენებისთვის. სპეციალისტის სახით საქმის წარმოებაში მონაწილეობისთვის შეიძლება ჩართულ იქნეს ნებისმიერი, სთანადო ცოდნის მქონე პირი, რომელიც დაინტერესებული არაა საქმის დასრულებით.

სპეციალისტი ვალდებულია: ა) გამოცხადდეს მოსამართლის, ორგანოს, თანამდებობის პირის გამოძახების, რომლის წარმოებაშიცაა საქმე; ბ) მონაწილეობა მიიღოს მოქმედებების ჩატარებაში, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ ცოდნას, მტკიცებულებების აღმოჩენის, განმტკიცებისა და ამოღების მიზნით; გ) თავისი ხელმოწერით დაადასტუროს აღნიშნული მოქმედებების განხორციელების ფაქტი, მათი შინაარსი და შედეგები. სპეციალისტს აფრთხილებენ აშკარა ცრუ განმარტებების მიცემაზე პასუხისმგებლობის შესახებ.

სპეციალისტს უფლება აქვს: ა) გაეცნოს საქმის მასალებს, რომელიც განეკუთვნება მისი მონაწილეობით განხორციელებული ქმედებების საგანს; ბ) მოსამართლის, თანამდებობის პირის, კოლეგიალური ორგანოს სხდომის თავმჯდომარის ნებართვით დაუსვას შესაბამისი მოქმედებების საგანთან დაკავშირებული კითხვები პირს, რომლის მიმართაც ხდება საქმის წარმოება, დაზარალებულსა და მოწმეს; გ) გააკეთოს შენიშვნები და განცხადებები მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, რომლებიც ექვემდებარებიან ოქმში შეტანას.

სპეციალისტი პასუხს აგებს ვალდებულებების შესრულებაზე უარის განცხადებაზე ან თავის არიდებაზე.

სპეციალისტის აცილება – სპეციალისტის ჩამოცილება სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისგან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძვლებით. სპეციალისტის არაობიექტურობამ შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები, როგორც სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეებისთვის, ასევე საქმის გადასაწყვეტადაც იმ საგამოძიებო მოქმედებების წარმოების დროს დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით, რომლებშიც მონაწილეობდა ასეთი პირი. ამიტომ სპეციალისტის აცილებისთვის საფუძვლების სახით გამოდგება ისეთივე გარემოებები, როგორც ექსპერტის აცილებისთვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონი უშვებს პირის განმეორებით მონაწილეობას სპეციალისტის სახით მოცემულ სისხლი სამართლის საქმეში. თუმცა, თუ პირი ასრულებდა ექსპერტის ფუნქციას, მისი მონაწილეობა სპეციალისტის სახით, შეუძლებელია.

სპეციალისტის აცილების განცხადებასა და განხილვასთან დაკავშირებული საპროცესო საკითხები წყდება ზოგადი წესით, რომელიც დადგენილია სისხლის სამართლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეებისთვის.

სპეციალისტის უფლება-ვალდებანი – მუხლი №99

1. სპეციალისტი ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით. მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და სასამართლო განხილვაში; გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება მტკიცებულებათა აღმოჩენისა და დამაგრებისათვის; გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს ყურადღება მიაპყროს გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, მისცეს განმარტებანი მის მიერ შესრულებულ მოქმედებათა გამო; გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო სხდომის დროს.

2. თუ სპეციალისტი უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას არასაპატიო მიზეზით, მას შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი 203-ე მუხლით დადგენილი წესით.

3. სპეციალისტს უფლება აქვს: იცოდეს, რა მიზნით გამოიძახეს იგი; უარი განაცხადოს საქმეში მონაწილეობაზე, თუ არ გააჩნია სათანადო ცოდნა. ოქმში შესატანად გააკეთოს განცხადება და შენიშვნა იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომლის ჩატარებაშიც იგი მონაწილეობდა; გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ნებართვით შეკითხვები დაუსვას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და სასამართლო განხილვაში მონაწილე პირებს. გაეცნოს საგამოძიებო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმებს.

სპეციალური, სამხედრო ან საპატიო ღოდების, საკლასო ჩინისა და სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევა – გამოიყენება უშუალოდ დამატებითი სასჯელის სახით მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაზე. ამასთან, სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის პიროვნება.

სასჯელის დამსჯელი თვისებები მდგომარეობს: ა) მსჯავრდებულზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში; ბ) სპეციალური შეღავათებისა და უპირატესობების ჩამორთმევაში, რომელთაც იძლევა სპეციალური, სამხედრო, საპატიო წოდება, საკლასო ჩინი ან სახელმწიფო ჯილდოები.

სასჯელის მიცემული სახე წარმოადგენს უვადოს.

სპეციალური უფლების ჩამორთმევა – ადმინისტრაციული სასჯელის სახე, რომელიც მდგომარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი ფიზიკური პირისთვის ადრე მიცემული უფლების ჩამორთმევაში, ამ უფლების გამოყენების წესის უხეშ ან სისტემატურ დარღვევაზე. სპეციალური უფლების

ჩამორთმევაში შედის: სატრანსპორტო საშუალების მართვის, ნადირობის, რადიოელექტრონული საშუალებების ან მაღალსიზშირიანი მოწყობილობების ექსპლუატაციის უფლების ჩამორთმევა. სპეციალური უფლების ჩამორთმევა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კოდექსის შესაბამისად და ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ძირითადი ადმინისტრაციული სასჯელის სახით. სპეციალური უფლების ჩამორთმევა არ შეიძლება იყოს ერთ თვემდე ნაკლები და ორ წელზე მეტი ვადით.

სპეცტანსაცმელი ინდივიდუალური დაცვის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც გადაეცა მუშაკს და განმტკიცებულია მასზე მის სამუშაო ადგილას ჯანმრთელობისთვის მავნე და საშიში საწარმოო ფაქტორებისგან (ქიმიური, ბიოლოგიური ან ფიზიკური, ასევე ხმაური, ვიბრაცია და სხვ.) თავდაცვისთვის.

შრომის დაცვის შესახებ საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესაბამისად თითოეულ მუშაკს უფლება აქვს უზრუნველყოფილ იქნეს კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით სამუშაოს მიმცემის სახსრების ხარჯზე. სამუშაო ადგილების მიხედვით გაიცემა სპეციალური ტანსაცმელი, სპეციალური ფეხსაცმელი და სხვ. ეს წესი ვრცელდება ყველა ორგანიზაციის მუშაკებზე საკუთრებისა და საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმების, პროფესიისა და თანამდებობის მიუხედავად.

უმაღლესი და საშუალო პროფესიონალური განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის, სწავლების ნებისმიერი ფორმის მოსწავლეებისთვის საწარმოო პრაქტიკის გაელისას სპეცტანსაცმელი გაიცემა ზოგადად დადგენილი წესით. მუშაკებისთვის გაცემული სპეცტანსაცმელი ითვლება ორგანიზაციის საკუთრებად და ექვემდებარება საჯალდებულო დაბრუნებას: განთავისუფლებისას; იმავე ორგანიზაციაში სხვა სამუშაოზე გადაყვანისას, რომლისთვისაც სპეცტანსაცმელი გათვალისწინებული არაა. სამუშაოს მიმცემი ახდენს სპეცტანსაცმლის სათანადო მოვლას, დროულად ახორციელებს მის ქიმწმენდას, გარეცხვას და რემონტს.

რიგ საჯარო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი კეების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამედიცინო დაწესებულებებში სპეცტანსაცმლის გარდა მუშაკებისთვის უფასოდ გაიცემა სპეციალური სანიტარული ტანსაცმელი. ის ასევე წარმოადგენს ორგანიზაციის საკუთრებას. ცალკეული კატეგორიის მუშაკებს სამოქალაქო სამინისტროებსა და უწყებებში გადაეცემათ ფორმები. ფორმით უზრუნველყოფის წესი და პირობები დგინდება ნორმატიული სამართლებრივი აქტებით, რომლებიც არეგულირებენ ამ კატეგორიის მუშაკების შრომის ურთიერთობებს. დარგთაშორისი და დარგობრივი მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებში დგინდება: მუშაკთა თანამდებობების (პროფესიის) ჩამონათვალის დამტკიცების წესი, რომლებზეც გაიცემა ფორმა; გაცემის ნორმები; ფორმის საგნების ტარების ვადები; მისი აღწერა და ტარების წესები; გაცემის პირობები და შეღავათები (ფორმით უფასოდ უზრუნველყოფა, ერთი კომპლექტის ფასდაკლებით გაცემა და ა.შ.).

შრომით დავებს სპეცტანსაცმლის გაცემისა და გამოყენების საკითხებზე განიხილავს შრომითი დავების კომისიები უშუალოდ ორგანიზაციებში. მუშაკების მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხები ორგანიზაციისთვის მიყენებულ ზარალზე რეგულირდება შრომის კოდექსის მიერ სპეცტანსაცმლის დაზიანებასთან ან დაკარგვასთან დაკავშირებით.

სრული ამხანაგობა – სამოქალაქო სამართალში სამეურნეო ამხანაგობა, რომლის მონაწილეებიც დაკავებულნი არიან სამეწარმეო საქმიანობით და სოლიდარულად იღებენ სუბსიდიარულ (დამატებით) პასუხისმგებლობას მთელი თავიანთი ქონებით მისი ვალდებულებების მხრივ. ის წარმოიქმნება რამდენიმე მონაწილეს (სრულ ამხანაგებს) შორის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელთა სახითაც შეიძლება გამოვიდნენ მხოლოდ მეწარმეები – ინდივიდუალური ან კოლექტიური. ამხანაგობის საფირმო დასახელება უნდა მოიცავდეს მისი ყველა მონაწილის ნამდვილ სახელებს (სახელწოდებებს). დასაშვებია ერთ-ერთი ამხანაგის სახელის (სახელწოდების) აღნიშვნა მასზე სიტყვის დართვით „... და კომპანია". სრული ამხანაგობის მართვა ხორციელდება ყველა მონაწილის მიერ ერთხმად ან ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. სრული ამხანაგობის ინტერესთა წარმოდგენას ბრუნვაში ახორციელებს მისი თითოეული მონაწილე. ამ შემთხვევაში სრულ ამხანაგობას, როგორც იურიდიულ პირს გააჩნია რამდენიმე დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი ორგანო (მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით).

დამფუძნებელი ხელშეკრულება შეიძლება ადგენდეს სრული ამხანაგობის სხვა სქემებსაც, მაგალითად, საქმეების მართვა ყველა მონაწილის მიერ ერთობლივად (ერთი კოლეგიალური ორგანო) ან ზოგიერთი მათგანის მიერ (ერთი ან რამდენიმე ერთპიროვნული ორგანო). პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სრული ამხანაგობის მონაწილე. სრული ამხანაგობის მონაწილეთა პერსონალური შემადგენლობის ცვლილება რომელიმე მონაწილის გასვლის ან სიკვდილის, ერთ-ერთი მათგანის უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ქმედუუნაროდ ან გაკოტრებულად ცნობის, ერთ-ერთი მონაწილისადმი რეორგანიზაციული პროცედურების გახსნის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით, სრულ ამხანაგობაში მონაწილე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, მოსდევს სრული ამხანაგობის ლიკვიდაცია. სხვა რამ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ამხანაგობის დამფუძნებელი ხელშეკრულებით ან დარჩენილ მონაწილეთა შეთანხმებით.

სტალინური დრო – საზღვაო სამართალში ეადა, რომლის განმავლობაშიც გადამზიდავი იძლევა ხომალდს ტვირთის დასატვირთად და ის დატვირთვის ქვეშ ჰყავს ფრახტისადმი დამატებითი გადასახადების გარეშე. სტალიური დრო იანგარიშება სამუშაო დღეებში, საათებსა და წუთებში, ტვირთის დასატვირთად ხომალდის მზადყოფნის შესახებ ცნობის მიწოდების მერე დღიდან. ამასთან, სტალიურ დროში არ ითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც ტვირთის დატვირთვა არ ხდებოდა გადამზიდავისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ან დაუძლეველი ძალით ან ჰიდრომეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე და ა.შ. თუ ტვირთის დატვირთვა მოხდა სტალიური დროის დაწყებამდე, მასზე ფაქტიურად დახარჯული დრო ით-

ელება სტალიურ დროში. იხ. ასევე ტეირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება, ტეირთის გადაზიდვის ხელშეკრულება.

სტატუსი [ლათ. status მდგომარეობა] 1) ადამიანის ან ადამიანების ჯგუფის მდგომარეობა საზოგადოებაში ან მის ნაწილში; დამოკიდებულია ეკონომიკურ, პროფესიულ, ეთნიკურ და სხვ. მახასიათებელზე (სქესი, განათლება, პროფესია, შემოსავალი და სხვ.); განასხვავებენ „მემკვიდრეობით" და „მიღწეულ" (ადამიანის ძალისხმევით მოპოვებულ) ს-ს; 2) თვისება (წარმომადგენლობის დონე), რომელშიც გამოდის ადამიანი, ადამიანების ჯგუფი ან ორგანიზაცია გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროს.

სტატუს ინ სტატუ [ლათ. status in statu] სახელმწიფო სახელმწიფოში.

სტატუს-კვო [ლათ. status quo მდგომარეობა, რომელშიც] მდგომარეობა, რომელიც არსებობს მოცემულ მომენტში ან არსებობდა ადრე; ს.-კ-ს შენარჩუნება – შექმნილი მდგომარეობის შენარჩუნება; ს.-კ-ს აღდგენა – დაბრუნება მდგომარეობასთან, რომელიც მომხდარ ცვლილებებამდე არსებობდა.

სტატუს კვო ანტე ბელუმ [ლათ. status quo ante bellum] მდგომარეობა, რომელიც არსებობდა ომამდე.

სტატუტი [საშ.-ლათ. statum < statuo ვუზრუნველყოფ] 1) წესდება, წესების კრებული, რომელიც განაპირობებს ადამიანის, ადამიანების ჯგუფის ან ორგანიზაციის საქმიანობის მიმდინარეობას და მის უფლებამოსილებას, მაგ. მონაზვნური ორდენის ს.; 2) წესების კრებული, რომელიც განაპირობებს რ-მე შესრულების ან გამოყენების წესს, მაგ. ორდენის (ჯილდოს) ს. – ორდენის აღწერილობა, ამ ორდენით დაჯილდოვების და მისი ტარების წესი; 3) ძველად კანონების კრებული, მაგ. ლიტვის დიდი სამთავროს ს.; 4) თანამედროვე ინგლისურენოვან ქვეყნებში კანონი.

სტოკჰოლმის დეკლარაცია – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ბუნების დაცვის 27 საერთაშორისო პრინციპს. პირველი მათგანი გვამცნობს: „ადამიანს გააჩნია თავისუფლების, თანასწორობისა და ცხოვრების ხელსაყრელი პირობების ძირითადი უფლება გარემოში, რომლის ხარისხიც საშუალებას იძლევა წარმართო ღირსეულად და გაუმჯობესებულად ამყამინდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ...". სტოკჰოლმის დეკლარაციის თანახმად „დედამიწის ბუნებრიები რესურსები, მათ შორის, ჰაერი, მიწა, ფლორა და ფაუნა და განსაკუთრებით ბუნებრივი ეკოსისტემების რეპრეზენტაციული ნიმუშები უნდა იქნეს შენარჩუნებული ამყამინდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ სათანადო დაგეგმვისა და საჭიროებისამებრ მართვის გზით". ეს დეკლარაცია მიღებულია 1972 წლის 16 ივნისს ქ. სტოკჰოლმში გაეროს ადამიანის გარემომცველი გარემოს პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.

სუბიექტური უფლება – კანონით გათვალისწინებული და სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი პირის შესაძლო (ნებადართული) ქცევის ზომა თავისი კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ობიექტური უფლებისგან (ერთობლიობისგან ან რეალურად არსებული იერარქიული ნორმების სისტემისგან) განსხვავებით სუბიექტური უფლება გამოდის, როგორც უფლება, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ გარკვეულ სუბიექტს და რეალიზებულია მხოლოდ ამ პირის მიხედულობით. ახდენს რა სუბიექტური უფლების რეალიზებას სამართალდამკიდებულებათა მონაწილე მოქმედების არსებული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და ჩარჩოებში. მაგალითად, ახორციელებს რა ნივთზე, ნაგებობაზე, ნაკვეთზე საკუთრების უფლებას, რაც მდგომარეობს მათ თავისუფალ ფლობაში, სარგებლობაში და განკარგვაში, პირმა არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებელი მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებებისთვის გარკვეული უფლებებისა და თავისუფლებების მიცემისას, ამავე დროს, ადგენს ასეთი უფლებების განხორციელების კონსტიტუციურ ფარგლებს. მაგალითად, მოქალაქეებს და მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ კერძო საკუთრებაში ჰქონდეთ მიწა, ისარგებლონ და განაგონ ის და სხვა ბუნებრივი რესურსები თავისუფლად, თუ ეს ზიანს არ აყენებს გარემოს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

აცხადებს რა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები გაუსხეისებელია და ეკუთვნის თითოეულს დაბადებიდან, კონსტიტუცია ამავდროულად ადგენს მათი განხორციელების საზღვრებს იმაზე მითითების გზით, რომ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება არ უნდა არღვევდეს სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს. მოქალაქეების ან მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებათა უკანონო შეზღუდვის შემთხვევაში, დამნაშავე პირებთან და ორგანიზაციებთან მიმართებაში უნდა განხორციელდეს სამართლებრივი ზემოქმედების ზომები. კონსტიტუცია ადგენს, რომ თითოეულს აქვს უფლება სახელმწიფომ აუნაზღაუროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან მათი თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებითაც თუ უმოქმედობით მიყენებული ზიანი. ეს ეხება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასაც.

სუბროგაცია ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულებებში სადაზღვევო ანაზღაურების გადამხდელ მზღვეველზე მოთხოვნის უფლების გადასვლა, რომელიც დამზღვევს (სარგებლის შემძენს) გააჩნია ზარალზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, რომელიც ანაზღაურებულია დაზღვევის შედეგად, გადახდილი თანხის ფარგლებში. სუბროგაცია გამოიყენება, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არაა გათვალისწინებული. რეგრესული ვალდებულებისგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს ახალი მოთხოვნის წარმოქმნას, სუბროგაცია ითვალისწინებს ძირითადი ვალდებულების შენარჩუნებას დამზღვევსა (სარგებლის შემძენსა) და ზარალზე პასუხისმგებელ პირს შორის, მაგრამ კრედიტორის შეცვლით.

სუბროგაცია (subrogation) – 1. ერთი პირის სხვა პირით შეცვლა ვალდებულებებში. მაგალითად, როდესაც მზღვეველი დამზღვევს აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, მასზე გადადის მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს ჰქონდა ზიანის მიმყენებლის მიმართ.

თუ დაგირაკებულია მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულებას ასრულებს გირავნობის ვადის გაუსვლამდე, მაშინ შესრულება იკავებს მოთხოვნის ადგილს. ინგლისის სამართალი სუროგაციას მიაკუთვნებს აგრეთვე მოპასუხის ან მოსარჩელის ჩანაცვლებას სხვა პირით.

2. სუბროგაცია (სუროგაცია) — ძველ კანონში დამატებების შეტანა. განასხვავებენ აგრეთვე აბროგაციას, ანუ მოძველებული კანონის გაუქმებას მისი უსარგებლობის გამო ან იმის გამო, რომ იგი ეწინააღმდეგება დროის სულისკვეთებას; ობროგაციას — ძველ კანონში აუცილებელი ცვლილებების შეტანა.

სუბსტიტუცია – სამოქალაქო სამართალში ანდერძში მემკვიდრის ქვედანაშენა იმ შემთხვევისთვის, თუ ძირითადი მემკვიდრე მოკვდება მემკვიდრეობის გახსნამდე ან არ მიიღებს მას. ქვედანაშენი მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ როგორც კანონით მემკვიდრეები, ასევე სხვა პირები. მემკვიდრის ქვედანაშენის შესახებ წესის გამოყენება დასაშვებია, თუ: ძირითადი მემკვიდრე გარდაიცვალება მემკვიდრეობის გახსნამდე, ძირითადი მემკვიდრე არ მიიღებს მემკვიდრეობას; ძირითად მემკვიდრეს ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება, როგორც უღირსს; ძირითადი მემკვიდრე არ შეასრულებს ანდერძში ანდერძით გადამცემის მიერ გამოხატულ მოთხოვნებს.

სულით ავადმყოფობა – ფსიქიური დაავადება, რომელიც გამოიხატება ნორმალური ფსიქიკური პროცესების დარღვევაში და არსებითად უშლის ხელს პირის უნარს სწორად აღიქვას გარემო და გააკონტროლოს თავისი ქცევა. სულით ავადმყოფობა ელინდება აღქმის, აზროვნების, მეხსიერების, ემოციების, ყურადღების, ნების და ქცევის დარღვევაში. ასეთი ავადმყოფობების რიცხვს მიეკუთვნება შიზოფრენია, ეპილეფსია, პარანოია, ოლიგოფრენია და სხვა ფსიქიური დაავადებები. კანონმდებლობა ადგენს სულით ავადმყოფთა ქმედუნარიანობის გარკვეულ შეზღუდვებს. სამოქალაქო კოდექსის 1276 მუხლის თანახმად ასეთი პირი შეიძლება ცნობილ იქნეს ქმედუუნაროდ და დაენიშნოს მეურვე. არ დაიშვება ქმეუუნარო პირის მონაწილეობა არჩევნებში. დაუშვებელია აგრეთვე პირთა შორის ქორწინება თუ ერთ-ერთი მათგანი ცნობილი იყო ქმედუუნაროდ, ხოლო დაქორწინების შემთხვევაში იგი ითელება ბათილად. სისხლის სამართალში სულით ავადმყოფობა არის ერთ-ერთი საფუძველი პირის შეურაცხადად ცნობისათვის.

სხეულებრივი სასჯელი ანტიკურ და შუასაუკუნეების სამართალში სასჯელის ღონისძიება, რაც ნიშნავდა მსჯავრდებულისათვის ფიზიკური ტანჯვის მიყენებას (მათრახით ცემა, ენის ამოგლეჯა, კიდურების მოკვეთა, თვალების დათხრა და სხვა). ეს სხეულებრივი სასჯელი ზოგ ქვეყანაში XX საუკუნემდე შემორჩა. საქართველოში ასეთ სასჯელს იშვიათად მიმართავდნენ.

სხეულის ასოთდაშავება ზიანის მიყენება საკუთარი ჯანმრთელობისთვის რაიმე ორგანოს ხელოვნური დაზიანების, ორგანოს ფუნქციების დარღვევის, სხეულის ქსოვილების დაზიანების მეშვეობით, ასევე პირობების მიზანმიმართული შექმნა რაიმე დაავადების წარმოქმნისა თუ სინამდვილეში არსებული დაავადების გამწვავებისთვის.

ჯანმრთელობას ზიანი შეიძლება მიადგეს სხვადასხვა ხერხით: ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღით, სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით, სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატის ან შხამიანი ნივთიერებების მიღებით და სხვ. ჯანმრთელობის ზიანი შეიძლება მიადგეს დამნაშავის მიერ დამოუკიდებლად ან მისი თხოვნით ეს შეასრულოს სხვა პირმა. ძალიან ხშირად ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების ახსნას დამნაშავენი ცდილობენ უბედური შემთხვევის შედეგის სახით.

სხეულის მსუბუქი დაზიანება – პირის ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ა) ჯანმრთელობის ხანმოკლე დარღვევა; ბ) შრომისუნარიანობის უმნიშვნელო მტკიცე დაკარგვა.

სხეულის მსუბუქი დაზიანება იყოფა: ა) ჯანმრთელობის ხანმოკლე დარღვევის ან შრომისუნარიანობის უმნიშვნელო მტკიცე დაკარგვის გამომწვევად; ბ) ჯანმრთელობის ხანმოკლე დარღვევის ან შრომისუნარიანობის უმნიშვნელო მტკიცე დაკარგვის არგამომწვევად.

ხანმოკლედ უნდა ჩაითვალოს ჯანმრთელობის დარღვევა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება დაზიანებას, რაც გრძელდება ექვს დღეზე მეტ ხანს, მაგრამ არა უმეტეს სამი კვირისა (21 დღისა).

შრომისუნარიანობის უმნიშვნელო მტკიცე დაკარგვის ქვეშ იგულისხმება საერთო შრომისუნარიანობის მტკიცე დაკარგვა 10%-მდე.

სხეულის მსუბუქ დაზიანებას, რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის ხანმოკლე დარღვევა ან შრომისუნარიანობის უმნიშვნელო მტკიცე დაკარგვა, განეკუთვნება დაზიანება, რომელსაც გაარჩია არა უმეტეს ექვსი დღის ხანგრძლივობის უმნიშვნელო შედეგები.

სხვადასხვა სახის სასჯელის გადაანგარიშება – სასჯელთა სრული ან ნაწილობრივი შეკრების წესი, რომელიც გამოიყენება დანაშაულის და განაჩენის ერთობლიობის მიხედვით სასჯელის გამოტანისას.

სხვა სამუშაოზე გადაყვანა – შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილება, რომელიც შეთანხმებულია მისი დადებისას. ასეთ არსებით პირობებს განეკუთვნება: შრომის ადგილი, შრომის ფუნქცია, შრომის ანაზღაურება, სამუშაო დროის რეჟიმი, შეღავათები და სხვ. თუ იცვლება მხოლოდ მუშაკის სამუშაო ადგილი, ეს იქნება არა გადაყვანა, არამედ ადგილის გამოცვლა, რაც არ მოითხოვს მუშაკის თანხმობას. თუმცა, თუ შრომის ხელშეკრულების დადებისას მასში არ იყო მითითებული ორგანიზაციის კონკრეტული ქვედანაყოფი, ან კონკრეტული მექანიზმი (ლოკომოტივის, ავტომანქანის ტიპი და ა.შ.), მათი ცვლილება არ იქნება გადაადგილება, არამედ გადაყვანა, რაც მოითხოვს მუშაკის თანხმობას.

გადაყვანა ყოველთვის არის სხვა სამუშაო იმასთან შედარებით, რომლის შესახებაც დადებული იყო შრომის ხელშეკრულება, რაც მოითხოვს მუშაკის თანხმობას. შრომის ხელშეკრულების პირობების ყოველი ცვლილება როდი წარმოადგენს გადაყვანას, შრომის ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს შრომის კანონმდებლობის ახალი ნორმის შედეგად (სამუშაო დროის ხანგრძლივობის, შეებულების, საბიუჯეტო

სფეროში სარგოს ოდენობის მხრივ). ასეთი ცვლილება არ შეიძლება ჩაითვალოს გადაყვანად.

თუ მოხდა შრომის საორგანიზაციო ან ტექნოლოგიური პირობების ცვლილებები, დასაშვებია სამუშაოს მიმცემის მხრივ მუშაკის შრომის არსებითი პირობების ცვლილება იგივე სპეციალობით, კვალიფიკაციით ან თანამდებობით. შრომის პირობების ასეთი ცვლილების (შრომის ანაზღაურების სისტემებისა და ოდენობის, შეღავათების, მუშაობის რეჟიმის, პროფესიების შეთავსების და ა.შ.) შესახებ მუშაკს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით არა უგვიანეს ორი თვით ადრე. შრომის ხელშეკრულების პირობების ასეთი ცვლილება არ ითვლება გადაყვანად, თუ მუშაკი თანახმა არაა გააგრძელოს მუშაობა ახალ პირობებში, სამუშაოს მიმცემი ვალდებულია წერილობითი ფორმით შესთავაზოს მას ორგანიზაციაში არსებული სხვა სამუშაო (მისი კვალიფიკაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად), ხოლო ასეთი სამუშაოს არქონისას ვაკანტური ქვემდგომი თანამდებობა, ასევე მისი კვალიფიკაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად. თუ არ არსებობს ასეთი სამუშაო და მუშაკი უარს ამბობს შეთავაზებულ სამუშაოზე, შრომის ხელშეკრულება წყდება.

შრომის ხელშეკრულების ცვლილება შესაძლებელია ატესტაციის, როგორც ზოგიერთი მუშაკის საქმიანი თვისებების მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან შესაბამისობის საკალდებულო პერიოდული შემოწმების შედეგების მიხედვით.

სხვა სამუშაოზე ყველა გადაყვანა მათი ეადის მიხედვით იყოფა მუდმივად, როცა არ ნარჩუნდება უწინდელი სამუშაო ადგილი და დროებითად, როცა მუშაკი გადაყვანილი ხდება გარკვეული ეადით, რომლის ამოწურვის შემდეგაც ის უნდა დაუბრუნდეს უწინდელ სამუშაო ადგილს, რამდენადაც მას უნარჩუნდება ძირითადი სამუშაო ხელშეკრულების მიხედვით. სხვა სამუშაოზე ყველა მუდმივი გადაყვანა კლასიფიცირებულია სამუშაო ადგილის ცვლილების მიხედვით: ა) იმავე საწარმოში, ორგანიზაციაში; ბ) სხვა საწარმოში, ორგანიზაციაში, თუმცა იმავე მხარეს (იხ. სხვა ორგანიზაციაში გადაყვანა); გ) სხვა ადგილას, თუმცა იმავე ორგანიზაციასთან ერთად (იხ. მუშაკის გადაყვანა სამუშაოდ სხვა ადგილას). ყველა მუდმივი გადაყვანა ხორციელდება მუშაკის წერილობითი თანხმობით. სამუშაო ადგილი ესაა ის საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია (სამუშაოს მიმცემი), რომელთანაც დადებულია შრომის ხელშეკრულება. შრომის ხელშეკრულებაში სამუშაო ადგილი უნდა იყოს კონკრეტიზებული საამქროს, განყოფილების, ქვედანაყოფის, აგრეგატის მითითებით, სადაც იმუშავებს მუშაკი.

შრომის ფუნქცია ესაა მხარეების მიერ შეთანხმებული შრომის ხელშეკრულების აუცილებელი პირობა შესაძლოა სპეციალობის, პროფესიის მითითებით. შრომის ფუნქციაში შედის სამუშაოს მოცულობაც.

არანაირი გადაყვანა და გადაადგილება არ უნდა მოხდეს, თუ ახალი სამუშაო აკრძალულია მოცემული მუშაკისთვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, სქესის ან ასაკის მიხედვით.

მუშაკის შრომის წიგნაკში აღინიშნება მხოლოდ მუდმივი გადაყვანა, ხოლო შესაბამისად არ აღინიშნება დროებითი გადაყვანა.

სხვისი მიწის ნაკვეთით შეზღუდული სარგებლობის უფლება

– იხ. სერვიტუტი.

სჯულდება (სჯულისდება)

შუა საუკუნეების საქართველოში რელიგიურ დოგმატთა (კანონთა) წიგნი. სჯულდება ნიშნავდა, აგრეთვე, თეითონ კანონშემოქმედებით პროცესს, კანონპროექტის მომზადებას, მიღებასა და სამოქმედოდ შემოღებას.

ტ

ტაბულა რასა

[ლატ. tabula rasa გლუვი დაფა] 1. სუფთა ფურცელი; რ-მე სუფთა, ხელშეუხებელი; სენსუალიზმის ცნება, რომელიც ადამიანის თავდაპირველ ცნობიერებას აღნიშნავს (მაგ. ახალშობილის ან სრული ამნეზიის შემდეგ), რომელსაც არ გააჩნია ცოდნა გარეგანი გრძნობადი გამოცდილების არქონის შედეგად. 2. ძველ რომში კანონთა კრებული.

ტაიმ-ჩარტერის ხელშეკრულება

საეჯრო ხელშეკრულება, რომლის მიხედეთაც ხომალდის მფლობელი ვალდებულია განსაზღერულ საფასურად (ფრახტი) დამქირაეებელს შესთავაზოს ხომალდი და ხომალდის ეკიპაჟის წევრთა მომსახურება გარკვეული ეადით ტეირთის გადაზიდვისთვის, მგზავრთა გადაყვანისთვის და საეჯრო ნაოსნობის სხვა მიზნებისთვის. ის განიხილება, როგორც ეკიპაჟთან ერთად სატრანსპორტო საშუალების იჯარის ხელშეკრულების ნაირსახეობა. ბუნებით ტაიმ-ჩარტერის ხელშეკრულება ორმხრივად დამავალდებულებელი, ორმხრივი და რეალურია. ტაიმ-ჩარტერის ხელშეკრულების შედგენა ყოველთვის ხდება წერილობითი ფორმით (მოთხოვნები რეგისტრაციის შესახებ არ გამოიყენება). გამოიყენება პროფორმები ბალტაიმი, ფრენკტაიმი (საფრანგეთი), დოიტფრეიტი (გერმანია). მხარეებს ეწოდებათ „დამფრახტბელი“ და „გემთმფლობელი“. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საზღვაო სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ეკიპაჟითაა დაკომპლექტებული.

სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს იდენტიფიცირებული სახელწოდების, მისი ტექნიკური და საექსპლუატაციო მონაცემების (ტეირთამწეობა, ტეირთშეთავსებადობა, სისწრაფე და სხვ.) მითითების გზით. სატრანსპორტო საშუალების მიმართ არსებობს შემდეგი მოთხოვნები: ა) სანაოსნო მდგომარეობა, ტექნიკური გამოსადეგობა ტეირთის (მგზავრთა) გადაადგილებისათვის და ხომალდის შესაბამისი აღჭურვა; ბ) კომერციული გამოსადეგობა ე.ი. ხომალდის (მისი კორპუსის, ძრაეისა და მოწყობილობის) გამოსადეგობა ტაიმ-ჩარტერის მიერ გათვალისწინებული მიზნებისთვის; გ) ხომალდის ეკიპაჟით დაკომპლექტება. გემის მფლობელი პასუხს არ აგებს ნაკლოვანებებზე, რომელთა აღმოჩენაც არ შეიძლებოდა მის მიერ სათანადო ზრუნვის დროს (ფარული ნაკლოვანებები). დამფრახტბელი (დამქირაეებელი) სატრანსპორტო საშუალებას იღებს ფლობასა

და სარგებლობაში (გადაზიდვის ხელშეკრულებისგან განსხვავებით, რომელიც არ გულისხმობს ხომალდის გასელას გემის მფლობელის ფლობიდან). როგორც წესი, დამფრახტელი ახორციელებს სხვისი ტვირთის გადაზიდვას, დებს რა საკუთარი სახელით ამ ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ვადა არ წარმოადგენს არსებით პირობას. როგორც წესი, ტაიმ-ჩარტერის ხელშეკრულება იდება ხანგრძლივი ვადით.

ხომალდის ექსპლუატაცია ხორციელდება ეკიპაჟის დახმარებით, რომელიც ორმაგ დაქვემდებარებაშია: ა) ტექნიკურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით (გემწყვანა, შინაგანაწესის განსაზღვრა) ექვემდებარება გემის მფლობელის განკარგულებებს; ბ) კომერციულ ექსპლუატაციასთან მიმართებაში (მარშრუტის, ტვირთის, მოცდენის დროის განსაზღვრა, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის ხომალდის ტექნიკურ უსაფრთხოებას) – დამფრახტელს. გემის მფლობელი ახორციელებს მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს, ხომალდის სათანადო მდგომარეობაში ამყოფებს, ანაზღაურებს გუნდის შრომას. დამფრახტელი ანაზღაურებს ხომალდის კომერციულ ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს და მოსაკრებელს. ხომალდს სარგებლობის შედეგად მიღებული შემოსავალი წარმოადგენს დამფრახტელის საკუთრებას. გამონაკლისს შეადგენს შემოსავალი გადარჩენისაგან, რომლებიც ნაწილდება გემის მფლობელსა და დამფრახტელს შორის თანაბარი ოდენობით: ა) გადარჩენაზე დანახარჯისა და ბ) ეკიპაჟის ანაზღაურების გამოკლებით. დამფრახტელი უნაზღაურებს გემის მფლობელს ფრახტს, იმ დროის გამოკლებით, რომლის განმავლობაშიც ხომალდი გამოუსადეგარი იყო ექსპლუატაციისთვის, თუ არ არსებობს დამფრახტელის ბრალეულობა. თუ ფრახტის ოდენობა დამოკიდებულია ტვირთზე, ის განისაზღვრება წყალწყვის გათვალისწინებით (ტონაჟი). როგორც წესი, ფრახტის გადახდა ხდება წინასწარ (10 წლამდე). გადახდის გადავადებისას, 14 დღეზე მეტი ხნით, გემის მფლობელს უფლება აქვს გაფრთხილების გარეშე ჩამოართვას ხომალდი მას და მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება (ხომალდის ჩამორთმევა არ შეიძლება, თუ ტაიმ-ჩარტერის ხელშეკრულება ითვალისწინებს მის გამოსყიდვას). ხომალდის დაღუპვის შემთხვევაში ფრახტის გადახდა ხდება ეკიპაჟისგან ბოლო ცნობების მიღების დღის მიხედვით.

თუ ტაიმ-ჩარტერის ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული, დამფრახტელს უფლება აქვს გემის მფლობლების თანხმობის გარეშე ხომალდი გადასცეს სუბტაიმ-ჩარტერის ტაიმ-ჩარტერის ხელშეკრულების უფლებების ფარგლებში მოქმედების მთელი ვადის ან ასეთი ვადის ნაწილის განმავლობაში. ამასთან, დამფრახტელი არ თავისუფლდება გემის მფლობელის წინაშე ვალდებულებების შესრულებისგან. დამფრახტელი პასუხს არ აგებს დაფრახტული ხომალდის გადარჩენით, დაღუპვით ან დაზიანებით მიყენებულ ზარალზე, თუ არ დამტკიცდა, რომ ზარალი მიყენებულია დამფრახტელის ბრალით. მესამე პირების წინაშე არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა გააჩნია გემის მფლობელს, რომელსაც უფლება აქვს წაუყენოს რეგრესიული სარჩელი დამფრახტელს მისი ბრალის არსებობისას.

ტელეფონოგრამა ტელეფონოგრამა არის სამსახურებრიეი წერილების გადაცემის ერთ-ერთი სწრაფი და ამავე დროს მარტივი ფორმა, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ გაფორმებას.

ტექსტის შინაარსი ადრესატს გადაეცემა ტელეფონით, გადაცემულ ტექსტს იწერს ის, ვინც ტელეფონოგრამას იღებს. ჩაწერილი ტექსტის სისწორეს ამოწმებენ ხელმეორედ წაკითხვის გზით. ტელეფონოგრამის ტექსტში უნდა იყოს მითითებული გადაცემის დრო და იმ პირთა გვარები, ვინც გაგზავნა და მიიღო ტელეფონოგრამა.

ტელეფონოგრამა უნდა შედგებოდეს დოკუმენტის სახელწოდების, მისი ნომრის, ადრესატისა და გადამცემი დაწესებულების სახელწოდებისაგან, აგრეთვე მითითებული უნდა იყოს თანამდებობა და გვარი იმ პირისა, ვინც ხელი მოაწერა ტელეფონოგრამას. ბოლოს უნდა იყოს აღნიშნა:

მიიღო – დრო –

გადასცა – დრო –

ტერიტორია – [ლათ. territorium] 1) მიწის, პაერის, შიდა სანაპირო წყლების სივრცე, მაგ. ქალაქის ტ., სახელმწიფოს ტ.; 2) განსაკუთრებული ადმინისტრაციული ერთეული კოლონიებში; 3) ზოგიერთ ფედერაციულ სახელმწიფოში განსაკუთრებული ადმინისტრაციული ოლქი, რომელიც ჯერ მთლიანად არ არის შესული ფედერაციის შემადგენლობაში, მაგ. პუერტორიკო, რომლის სტატუსი განსხვავდება აშშ-ს სხვა შტატების სტატუსისგან.

ტერიტორიალური – გარკვეულ სივრცესთან (ტერიტორიასთან) დაკავშირებული; წყლის ტ. – ნაპირის მიმდებარე წყალსატევის ნაწილი, რომელზეც ვრცელდება მონაპირე სახელმწიფოს სუვერენიტეტი.

ტერიტორიის დემილიტარიზაცია – ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო შეთანხმებიდან არ განამტკიცოს მიცემული ტერიტორია (არ აგოს მასზე თავდაცვითი ნაგებობები: ციხესიმაგრეები, სამხედრო ბაზები), არ განაბრკოლოს სხვა სახის სამხედრო საქმიანობა. ტერიტორიის დემილიტარიზაცია შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. ჩვეულებრივ, დაინტერესებული სახელმწიფოები დებენ ხელშეკრულებას ტერიტორიის დემილიტარიზაციის შესახებ სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილთან დაკავშირებით. სრული დემილიტარიზაციის საფუძველზე ელემენტებს წარმოადგენს ძველის განადგურება და ახალი სამხედრო ნაგებობების მშენებლობის და ნებისმიერი შეიარაღებული ძალის შენახვის აკრძალვა, პოლიციის რაზმების გარდა, რაც აუცილებელია წესრიგის შენარჩუნებისთვის. ხელშეკრულებები ტერიტორიის სრული დემილიტარიზაციის შესახებ შეიძლება შეიცავდეს სამხედრო მასალებისა და ტექნიკის წარმოებისა და შეღწების, შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ტექნიკის ტრანზიტის აკრძალვით.

ნაწილობრივი დემილიტარიზაცია შესაძლოა ითვალისწინებდეს ახალი სამხედრო ნაგებობებისა და სიმაგრეების მშენებლობის აკრძალვას ძველის შენარჩუნებისას; შეიარაღებული ძალების რაოდენობის, შეიარაღების სიმძლავრისა და მათი სახეების შეზღუდვას და ა.შ. დემილიტარიზებული ზონის სტატუსის დარღვევის ქვეშ უნდა განვიხილოთ იმ სახელმწიფოს გარკვეული ქმედებები, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია ასეთი ზონა, კერძოდ კი: შეიარაღებული ძალების შენახვა ან მათი რაოდენობის გაზრდა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ნორმასთან შედარებით დემილიტარიზებულ

ზონაში და ა.შ. დემილიტარიზებული ზონის დარღვევის თანამონაწილე შეიძლება იყოს უცხო სახელმწიფო, თუ ის ახორციელებს ზემოთაღნიშნულ და სხვა მოქმედებებს ტერიტორიული სუვერენის თანხმობით. თუ უცხოეთის შეიარაღებული ძალები გამოჩნდება დემილიტარიზებულ ზონაში ან ისინი ცდილობენ მასში განათავსონ იარაღი და ეს მოხდება სახელმწიფო-სუვერენის სურვილის საწინააღმდეგოდ, ეს მოქმედებები შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც აგრესია. ჩვეულებრივ ნეიტრალიზაცია და დემილიტარიზაცია ხორციელდება ერთობლივად ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილზე. თუმცა, ნეიტრალიზაცია შეიძლება მოხდეს დემილიტარიზაციის გარეშეც.

განსხვავებენ ტერიტორიებს, რომლებიც რეალურად იქნა დემილიტარიზებული ე.ი. მათზე ლიკვიდირებულ იქნა ადრე არსებული სამხედრო ნაგებობები და სამაგრები, (მაგალითად, ალანდის არჩიპელაგის სრული დემილიტარიზაცია) და ტერიტორიები, რომლებზეც არასდროს არ არსებობდა არანაირი სამხედრო ობიექტი, არამედ ისინი მხოლოდ იქნენ გამოცხადებული დემილიტარიზებულად, მაგალითად, ანტარქტიდა. დაობენ არქიპელაგ შპიცბერგენის სრული ან ნაწილობრივი დემილიტარიზაციის შესახებ. 1920 წ. ხელშეკრულება შპიცბერგენის შესახებ (პრეამბულა) ითვალისწინებს რეჟიმის დამყარებას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს არქიპელაგში შემავალი კუნძულების მშვიდობიანი გამოყენება, ხოლო ამ საერთაშორისო ხელშეკრულების მე-9 მუხლი შეიცავს ნორვეგიის ვალდებულებას არ შექმნას და არ დაუშვას რაიმე საზღვაო ბაზის შექმნა და არ ააგოს არანაირი სიმაგრე 1920 წლის ხელშეკრულებით რეგულირებულ ტერიტორიაზე, ბაზგასასულია ასევე ის, რომ არასდროს არ უნდა იქნეს გამოყენებული სამხედრო მიზნით.

ნაწილობრივ დემილიტარიზებულია სუეცისა და პანამის არხები, მაგელანის სრუტე. 1947 წ. იტალიასთან მშვიდობიანი ხელშეკრულებით დემილიტარიზებულ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, რომელიც ეკუთვნის ამჟამად საბერძნეთს (დოდეკანეზის კუნძულები), იტალიას (პანტელერის, პელაგის, პიანოზის კუნძულები). ნაწილობრივი დემილიტარიზაციის ახალ და საკმაოდ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს არაბირთვული ზონების შექმნა. ასე, მაგალითად, ნაწილობრივ დემილიტარიზებულია ზღვის ფსკერი ზღვებისა და ოკეანეების ფსკერსა და მის წიაღში ბირთვული და მასობრივი განადგურების სხვა სახის იარაღების განთავსების აკრძალვის შესახებ 1971 წ. ხელშეკრულებით. დამოუკიდებელ პრობლემებს წარმოადგენს კოსმოსისა და საზღვრების დემილიტარიზაცია.

ტერიტორიის ნეიტრალიზაცია – საერთაშორისო სამართალში შეთანხმებითი ვალდებულება მოცემული ტერიტორია არ იქცეს სამხედრო მოქმედებების ადგილად ომის შემთხვევაში და ის არ იქნეს გამოყენებული ბაზის სახით საომარი ოპერაციების წარმოებისთვის. ტერიტორიის ნეიტრალიზაციის რეჟიმის დადგენის მიზანია გარკვეული სიერცის გამორიცხვა სამხედრო მოქმედებების არეალიდან შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში. 1888 წ. კონსტანტინოპოლის კონვენციის თანახმად ნეიტრალიზებულ იქნა სუეცის არხი, 23. 07. 1881 წ. ჩილესა და არგენტინას შორის დადებული ხელშეკრულებით „სამუდამოდ ნეიტრალურად" იქნა გამოცხადებული მაგელანის სრუტე, მოქმედებას აგრძელებს 07. 09. 1977 წ. ხელშეკრულება აშშ-სა და პანამას შორის პანამის არხის შუდმივი ნეიტრალიტეტისა და რეჟიმის შესახებ, რომელიც არხს აცხადებს „მუდმივად ნეიტრალურად". ანტარქტიდის ნეიტრალიზაცია გამოდინარეობს 01. 12. 1959 წ. ხელშეკრულებიდან ანტარქტიდის შესახებ, რომელიც ამტკიცებს სამხრეთ ნახევარსფეროს ამ პოლარული მხარის გამოყენების მშვიდობიან მიზნებს და სამხედრო ხასიათის ნებისმიერი ღონისძიების აკრძალვას. შპიცბერგენის არქიპელაგის ნეიტრალიზების საფუძველს წარმოადგენს 1920 წ. ხელშეკრულება შპიცბერგენის შესახებ, რომელიც გულისხმობს მის მიერ რეგულირებული ადგილების მშვიდობიან გამოყენებას (პრეამბულა) და ნორვეგიის ვალდებულებას არასდროს არ გამოიყენოს ისინი საომარი მიზნით (მუხ. 9). შპიცბერგენის ტერიტორიის ნეიტრალიზაციის ირიბ მტკიცებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ 1919 წ. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილე-სახელმწიფოებმა ნორვეგია აირჩიეს პასუხისმგებლად არქიპელაგზე სწორედ იმიტომ, რომ ის ნეიტრალური დარჩა პირველ მსოფლიო ომში. ტერიტორიის ნეიტრალიზაცია ხშირად გამოიყენება ამ ტერიტორიის დემილიტარიზაციასთან ერთად.

ტერიტორიის რადიაციულად დაბინძურებული მონაკვეთი – ტერიტორიის მონაკვეთი, რომელიც წარმოადგენს საშიშროებას მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის, ექვემდებარება რეაბილიტაციას რადიოაქტიური დაბინძურების შემდეგ მოცემულ მონაკვეთზე ექსპლუატაციიდან მოხსნილი განსაკუთრებით საშიში რადიოაქტიური ობიექტების განთავსების ან ტექნოლოგიური საქმიანობის შედეგად.

ტერიტორიული ზონა – ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ხასიათდება მიწის ნაკვეთების გამოყენების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმით და რომლის საზღვრებიც განსაზღვრულია მიწების ზონირებისას მიწის, ქალაქთმშენებლობის, გადასახადებისა და მოსაკრებლების, ბუნებრივი გარემოს შესახებ კანონმდებლობების შესაბამისად.

ტერიტორიული ზღვა – საზღვაო სამართალში ხმელეთის ტერიტორიასთან ან შიდა საზღვაო წყლებთან შეერთებული საზღვაო სარტყელი 12 საზღვაო მილის სიგანე, რაც იზომება საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და კანონმდებლობის შესაბამისად; ტერიტორიული ზღვის განსაზღვრა ასევე გამოიყენება ყველა კუნძულთან მიმართებაში. ტერიტორიული ზღვის საგარეო საზღვარი წარმოადგენს ქვეყნის სახელმწიფო საზღვარს. ტერიტორიული ზღვის შიდა საზღვარს წარმოადგენს ის საწყისი ხაზები, რომელთაგანაც იზომება ტერიტორიული ზღვის სიგანე. ტერიტორიულ ზღვას, საჰაერო სივრცეს მასზე, ასევე ტერიტორიული ზღვის ფსკერზე, მის წიაღზე ერცელდება ქვეყნის სუვერენიტეტი. ამ ტერიტორიულ ზღვაზე უცხოური გემების მშვიდობიანი გაელის უფლების გამოყენებით.

ტერიტორიული მიწათმოწყობა – იხ. მიწათმოწყობა.

ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა) – ზღვის წყლები, რომლებიც ერთვიან მოცემული ქვეყნის სახმელეთო ტერიტორიებს ან შიდა წყლებს, შემოვალს მისი ტერიტორიის შემადგენლობაში. ესაა მსოფლიო ოკეანის ნაწილი, გარკვეული სიგანის ზოლი, რაც არ აღემატება 12 საზღვაო მილს, რომელიც ინგარიშება საწყისი ზაბებიდან; შედის მიმდებარე სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენლობაში, ტერიტორიული წყლების გარე საზღვარი წარმოადგენს მიმდებარე სახელმწიფოს საზღვარს. სახელმწიფო-არქიპელაგის ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა) იწყება მისი არქიპელაგის წყლების ფარგლებს გარეთ (მათი განსაზღვრის წესი გათვალისწინებულია საზღვაო კონვენციის ნაწ. IV-ით, რაც მოწონებულია გაეროს მიერ 1982 წელს). ამ კონვენციის მიღების შემდეგ ტერმინი „ტერიტორიული წყლები" განიდევნა ტერმინით „ტერიტორიული ზღვა" იმისთვის, რომ აღმოუხერხლიყო გაუგებრობა, რამდენადაც ზოგიერთი მიმდებარე სახელმწიფო იყენებდა ტერმინს „ტერიტორიული წყლები" შიდა წყლების აღნიშვნისთვის. ამჟამად, „ტერიტორიული წყლები" სახელშეკრულებო და საკანონმდებლო პრაქტიკაში არ გამოიყენება, მაგრამ გვხვდება სამართლებრივ ლიტერატურაში.

ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის) სამართლებრივი რეჟიმი ნაწილობრივ რეგულირდება 1958 წლის კონვენციით ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ, ყველაზე სრულად – გაეროს 1982 წლის კონვენციით საზღვაო სამართლის შესახებ. ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის) წყლის სისზრქეზე, მასზე საჰაერო სივრცეზე, მათ ქვეშ ზღვის ფსკერზე და წიაღზე ვრცელდება სანაპირო სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით, პირველ რიგში, უცხოური გემების მშვიდობიანი გავლის უფლება. გავლა არ ითვლება მშვიდობიანად, თუ ირღვევა სანაპირო სახელმწიფოს მშვიდობა, წესრიგი ან უსაფრთხოება ან ხორციელდება 1982 წ. საზღვაო სამართლის თაობაზე გაეროს კონვენციის მუხ. 19, პ. 2-ში ჩამოთვლილი ქმედებები. მიმდებარე სახელმწიფოს უფლება აქვს დისკრიმინაციის გარეშე, თავისი ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის) გარკვეულ რაიონებში შეაჩეროს მშვიდობიანი გავლის უფლება უცხოური ხომალდებისთვის, თუ ეს არსებითად მნიშვნელოვანია მისი უსაფრთხოებისთვის, ასევე დაადგინოს გავლის წესები, მოითხოვოს დადგენილი საზღვაო ლერეფნების გამოყენება. მიმდებარე სახელმწიფოს ხელისუფლებას უფლება აქვს განახორციელოს სისხლის სამართლის იურისდიქცია უცხოურ ხომალდზე, რომელიც გადის მის ტერიტორიულ წყლებს (ტერიტორიულ ზღვას), თუმცა ეს ხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, საერთაშორისო ნაოსნობის პრაქტიკის შესაბამისად: დანაშაულის შედეგები ვრცელდება სანაპირო სახელმწიფოზე; დანაშაული არღვევს სიმშვიდეს სახელმწიფოში ან წესრიგს ტერიტორიულ წყლებში (ტერიტორიულ ზღვაში); ხომალდის კაპიტანი, დიპლომატიური აგენტი ან საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირი მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარების აღმოჩენის შესახებ თხოვნით; მიღებული ზომები აუცილებელია ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობის აღსაკვეთად.

სანაპირო სახელმწიფომ არ უნდა გააჩეროს ტერიტორიულ წყლებზე (ტერიტორიული ზღვის) გამავალი უცხოური ხომალდი ან შეცვალოს მისი კურსი სამოქალაქო იურისდიქციის განხორციელების მიზნით ხომალდზე მყოფი პირის მიმართ, მაგრამ შეუძლია გამოიყენოს ჯარიმა ან დაყადაღება ნებისმიერ სამოქალაქო საქმეზე იმ შემთხვევაში, როცა სამოქალაქო ვალდებულება ჩნდება ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის) გავლის ძალით (მაგალითად, ხომალდმა დააზიანა სანავიგაციო მოწყობილობა ტიტიკა, ნიშნები და ა.შ.). ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის) დადგენა ხდება კუნძულების ირგვლივაც, რომელიმე სახელმწიფოს დაშორებული კუნძულების ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა) განისაზღვრება 1982 წ. საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის 6. II და VII.

ტერორიზმი ← აფეთქების, ცეცხლის წაკიდების ან სხვა მოქმედებების განხორციელება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლეს, ზიანს აყენებენ ქონებასა ან ქმნიან საზოგადოებისთვის საშიშ შედეგებს, თუ ეს ქმედებები ჩადენილ იქნა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის, მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით; ძალადობა ან მისი გამოყენების მუქარა ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების მიმართ, ასევე ქონებისა და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება (დაზიანება) ან განადგურების (დაზიანების) მუქარა, რაც უქმნის საფრთხეს ადამიანთა დაღუპვას, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზარალის მიყენებას ან სხვა საზოგადოებისთვის საშიში შედეგების დადგომას, რომლებიც ხორციელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის, მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, რაც ხელსაყრელია ტერორისტებისთვის; ასევე სახელმწიფო ან სხვა პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტის ან ასეთ საქმიანობაზე შურისძიების მიზნით; თავდასხმა უცხო სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელზე, რომელიც სარგებლობს საერთაშორისო დაცვით, ასევე სამსახურებრივ შენობებზე ან იმ პირების სატრანსპორტო საშუალებებზე, თუ ამ ქმედებების მიზანია ომის პროვოცირება ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულება.

ტერორისტული აქტი – ტერორისტული ხასიათის დანაშაულის უშუალო ჩადენა აფეთქების, ცეცხლის წაკიდების, ბირთვული ფეთქებადი მოწყობილობების, რადიოაქტიური, ქიმიური, ბიოლოგიური, ტოქსიკური, ასფიქსიებელი, მომწამვლელი, ძლიერმოქმედი, შხამიანი ნივთიერებების გამოყენების ან გამოყენების მუქარის ფორმით; სატრანსპორტო საშუალებების ან სხვა ობიექტების განადგურება, დაზიანება ან გაცემა; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოღვაწის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ჯგუფის წარმომადგენლის სიცოცხლის ხელყოფა; მძევლების აყვანა, ადამიანის გატაცება; ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით მუქარის გავრცელება; სხვა მოქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლეს, ქმნიან მნიშვნელოვანი ქონებრივი ზარალის მიყენების ან

სხვა, საზოგადოებისთვის საშიში შედეგების დადგომის საშიშროებას.

ტექნოგენურად შეცვლილი რადიაციული ფონი – ბუნებრივი რადიაციული ფონი, რომელიც შეცვლილია ადამიანის საქმიანობის შედეგად.

ტექნოლოგია – ხერხების, პროცესების, ოპერაციების, მეთოდების ერთობლიობა, რომელთა საშუალებით წარმოებაში შემავალი ელემენტები გარდაიქმნებიან გამავალ ელემენტებად; იგი მოიცავს მანქანებს, მექანიზმებს, ინსტრუმენტებს, ჩვეებსა და ცოდნას. ტექნოლოგია შეიძლება ეწოდოს მხოლოდ სისტემატურ, ობიექტურად ორგანიზებულ ცოდნას, რომ შეიძლებოდეს მისი გადაცემა ერთი ადამიანისაგან მეორისათვის. იგი უნდა იყოს რაიმე სახით დაფიქსირებული ზეპირად ან წერილობით, უნდა იყოს გასაგები, გახსნილი, ან ჰქონდეს გახსნის უნარი. გარდა ამისა, შესაძლებელი უნდა იყოს ტექნოლოგიის გამოყენება იმ პრობლემების მოგვარებისათვის, რომლებიც წარმოიშობა ადამიანის საქმიანობის შედეგად მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში ან ჯანრთველობაში. გამოგონება, სასარგებლო მოდელი და სამრეწველო ნიმუში წარმოადგენენ ამა თუ იმ ტექნოლოგიის აღწერილს და წარმოდგენილს განსაკუთრებული სახით ან ფორმით, თუმცა ტექნოლოგია სცდება გამოგონების, სასარგებლო მოდელის და სამრეწველო ნიმუშის ფარგლებს. ტექნოლოგია შეიძლება იყოს აგრეთვე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ჯანრთველობაში მომსახურებათა შეთავაზების იმისა მიუხედავად, ასახულია თუ არა ეს ცოდნა გამოგონებაში, სასარგებლო მოდელში, სამრეწველო ნიმუშში, მცენარის ჯიშში, დოკუმენტალურად დაფიქსირებულ ტექნიკურ ინფორმაციაში, კონსტრუირების, აწყობის, ტექნიკური მომსახურების, სამრეწველო დანადგარის ექსპლოატაციის, ანდა სამრეწველო საწარმოსა თუ საჯაჭრო ობიექტის სპეციალისტთა კვალიფიკაციასა და გამოცდილებაში.

ბოლო პერიოდში გავრცელება ჰპოვა უნარჩენო ტექნოლოგიამ, რომელიც წარმოადგენს წარმოების ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიურ პროცესს. გამოშებული პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს გარემოს დაცვის მოთხოვნებს, ხოლო გამოყენების შემდეგ უნდა იყოს შესაძლებლობა მისი სრული ან ნაწილობრივი რეციკლირება (გამმეორებითი გამოყენება).

ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გადამზიდავი ვალდებულია მისთვის გამგზავნის მიერ ჩაბარებული ტვირთი მიიტანოს დანიშნულების პუნქტში და ის ჩააბაროს უფლებამოსილ პირს, ხოლო გამგზავნი ვალდებულია ტვირთის გადაზიდვაზე გადაიხადოს დაგენილი თანხა. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივ, ანაზღაურებად და რეალურს (საზღვაო ხომალდის დაფრახტვის ხელშეკრულება – კონსენსუალური). ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მგზავრთა გადაყვანის ხელშეკრულება) ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება წარმოადგენს საკვარო. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების სუბიექტებს წარმოადგენს ტვირთის გამგზავნი და გადამზიდავი. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ტვირთის (მგზავრთა) გადაადგილების მომსახურება, რასაც თან ახლავს შენახვის, დატვირთვის (ჩამოტვირთვის) მომსახურება. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებაში ფასი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებაში ვადას წარმოადგენს დროის პერიოდი, რომლის ამოწურვისთანავე ტვირთი უნდა იყოს მიწოდებული მიმღებისთვის.

ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება სხვადასხვა ხერხით ტრანსპორტის სახის და გადაზიდვის მიხედვით ტვირთის კეიტანციის შედგენით, ხაზოვანი კონოსამენტის გაფორმებით, ჩარტერის ხელშეკრულების დადებით ჩარტერული კონოსამენტის გაცემით. გადამზიდავი ვალდებულია: ა) განახორციელოს დატვირთვა საერთო სარგებლობის ადგილებში საშიში და მალფუჭებადი ტვირთის გარდა; არაგაბარიტული ტვირთის; ჩამოსასმელი, დასაყრელი და ჩასაყრელი სახით გადასაზიდ ტვირთს თან უნდა ახლდეს ტვირთის გამგზავნი, ტვირთის მიმღებთა წარმომადგენლები; ბ) ტვირთის მიწოდება მოახდინოს დადგენილ ვადაში; გ) უზრუნველყოს ტვირთის დაცულობა; დ) აცნობოს ტვირთის მიმღებს მისი მისამართით შემოსული ტვირთის შესახებ; ე) შეინახოს უფასოდ ტვირთი დადგენილი დროის განმავლობაში; ვ) შეამოწმოს ტვირთის გაცემისას მისი მდგომარეობა, მასა და ადგილების რაოდენობა კანონით მითითებულ შემთხვევებში.

გამგზავნი (მიმღები) ვალდებულია: ა) განახორციელოს დატვირთვა (ჩამოტვირთვა) არასაერთო სარგებლობის ადგილებში დატვირთვის ტექნიკური ნორმების და დატვირთვის ნორმატიული ვადების დაცვით; ბ) გადაიხადოს გადაზიდვის ფულადი საფასური და სხვა გადასახადები; გ) მიიღოს ტვირთი. გადამზიდავი იღებს პასუხისმგებლობას ტვირთის მიწოდების ვადის გადაცილებაზე და ტვირთის დაუცველობაზე. იხ. ასევე მგზავრთა გადაყვანის ხელშეკრულება, პირდაპირი შერეული მიმოსვლა.

ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვა – სარკინიგზო ტრანსპორტით განხორციელებული გადაზიდვა ტვირთის გამგზავნთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვის ხელშეკრულების დადებამდე საჭიროა განცხადების შეტანა ან გრძელვადიანი ხელშეკრულების შედგენა (გადაზიდვის ორგანიზების ვალდებულება). ბუნებით, ხელშეკრულება რეალურია (იღება ტვირთის გადამზიდველისთვის ზედნადებით წარმოდგენის მომენტიდან), ორმხრივად მავალდებულებელი, ანაზღაურებადი. ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვის ხელშეკრულებაში ფასი არის გადასაზიდი ქირა, რომელიც განისაზღვრება მთავრობის მიერ დადგენილი წესით. ცნობები ტვირთის გადაზიდვის ტარიფების, ასევე მოსაკრებლის ცვლილების შესახებ გადის მის-ში (მასობრივი ინფორმაციის საშუალებები), ასეთი ცვლილებების შემოღებამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე.

რკინიგზას გააჩნია ქონებრივი პასუხისმგებლობა ტვირთის დაუცველობაზე, თუ არ დაამტკიცებს, რომ ტვირთის დაკარგვა, ადგილამდე მიუტანლობა ან დაზიანება (გაფუჭება) მოხდა გარემოებების შედეგად, რომელთა თავიდან აცილებაც მას არ შეეძლო და რომელთა აღმოფხვრაც მასზე არ იყო დამოკიდებული

(მიზეზები, რომლებიც დამოკიდებულია ტვირთის მიმღებზე ან ტვირთის გამგზავნზე, ტვირთის განსაკუთრებული თვისებები და ა.შ.). რკინიგზა, ტვირთის მიწოდების გადაცილებაზე, რომლის მიზეზითაც მოხდა ეს, იხდის საურავს ყოველ გადაცილებულ დღეზე ტვირთის გადაზიდვის თანხის 9% ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს იმ თანხისა, რომელიც სჭირდება მოცემული ტვირთის გადაზიდვას, თუ ეერ დაამტკიცებს, რომ გადაუადება მოხდა სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების აღმოფხვრისა და სხვა, რკინიგზისგან დამოუკიდებელი გარემოებების შედეგად. იხ. გადაზიდვის ხელშეკრულება.

ტოტალიტარიზმი [ფრ. totalitarisme < ლათ. totaliter მთლიანად, სულ] 1) სახელმწიფოს ფორმა, რომელიც გამოირჩევა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე აბსოლუტური კონტროლით, კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების ფაქტიური ლიკვიდაციით, რეპრესიებით სხვადასხვა მოაზროვნეებისა და ოპოზიციის მიმართ; ტოტალიტარული რეჟიმები არსებობდა საბჭოთა კავშირში, ფაშისტურ გერმანიაში, მაოისტურ ჩინეთში, კომუნისტურ კამბუჩიაში და სხვ. ქვეყნებში; 2) შეხედულებების ერთობლიობა სახელმწიფოს შესახებ როგორც უმაღლეს სიკეთეზე, ჰიპოთეზა ტოტალიტარული ჩარევის (ეკონომიკაში, კულტურაში, განათლებაში და სხვ.) უპირატესობის შესახებ; შად. ეტატიზმი და ავტორიტარიზმი.

ტოტალური [ფრ. total < ლათ. totaliter მთლიანად, სულ] მთლიანი, ყოელისმომცველი; მაგ. ტ. ომი – ომი, რომელიც მიმდინარეობს ყველა საშუალების გამოყენებით, სამართლებრივი ნორმების დაცვის გარეშე; ტ. მობილიზაცია – მთელი მოსახლეობის გაწვევა ომში, მოზარდებიდან დაწყებული მოხუცებულებით დამთავრებული კაცების და ქალების (ტარდებოდა გერმანიაში 1944–1945 წწ-ში) მასებით.

ტრანსმისია

სამოქალაქო კოდექსის 1430 და 1431 მუხლებში საუბარია მემკვიდრეობით ტრანსმისიაზე. ზოგადად ცნება „ტრანსმისია" ინგლისურენოვან იურიდიულ წყაროებში ნიშნავს შემდეგს:

1. საქმის გადაცემა სხვა ინსტანციაში.

2. შემდგომი გაგზავნა, გაგზავნა მესამე ქვეყნის სამართალთან (კოლიზიურ სამართალში).

3. transmission of rights – გადაცემა, დათმობა (უფლებების, ქონების).

ტრანსპლანტაცია – ორგანოების და/ან ქსოვილების გადანერგვა ცოცხალი დონორიდან ან გვამიდან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა სამედიცინო საშუალებები არ იძლევიან ავადმყოფის (რეციპიენტის) სიცოცხლის შენარჩუნების ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების გარანტიას.

ადამიანის ორგანოების და/ან ქსოვილების ტრანსპლანტაცია წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის ხსნისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებას და უნდა განხორციელდეს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საფუძველზე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული ჰუმანური პრინციპების შესაბამისად, ამასთან, ადამიანის ინტერესები უნდა აღემატებოდეს საზოგადოების ან მეცნიერების ინტერესებს.

ტრიბუნა [ფრ. tribune < ლათ. tribunal] 1) ძე. რომში შემაღლება, რომელზეც ისხდნენ მაგისტრატები სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს; 2) შემაღლება ორატორისთვის ან ხელმძღვანელისთვის და მისი ამალისთვის, მაგ. მავზოლეუმის ტ.; 3) მაყურებლებისთვის შემაღლებული რიგები სტადიონებზე და მოედნებზე; 4) მასობრივი ინფორმაციის საშუალება.

ტრიბუნალი [ლათ. tribunal] 1) „მოციქულთა სიგნატურის ტ." – კათოლიკურ ეკლესიაში უმაღლესი სასამართლო ინსტანცია (საკასაციო სასამართლო), რომელიც განიხილავს დაპირისპირებებს არქიეპისკოპოსულ სასამართლოებს შორის და აგრ. დაკავებულია „ბათილი ქორწინებების" საკითხებით; სხვ. კათოლიკური ტ. – „წმინდა რომაული რიტა" და „უწმინდესი სამოციქულო პენიტენციარიაში"; 2) საორანგუთის დიდი რევოლუციის პერიოდში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სპეციალური სასამართლოები პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებისთვის, რომლებზეც გადაწყვეტილება გამოჰქონდათ არა კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ რევოლუციური მიზანმიმართულების საფუძველზე; 3) 1945 წ-ს შეიქმნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი სამხედრო ნაცისტების გასასამართლებლად, მას შემდეგ ამგვარი ტ. აღადგენს მუშაობას სხვადასხვა სახით, მაგ. ყოფილ იუგოსლავიაში მომხდარი დანაშაულებების განსახილველად.

ტრიბუნი [ლათ. tribunus] 1) ძე. რომში სამხედრო ტ.–ჯარის მეთაური; 2) სახალხო ტ.–თანამდებობის პირი, რომელიც ყოველწლიურად ირჩეოდა ტრიბას კრებებზე პლებეების უფლებების დასაცავად არისტოკრატიის თვითნებობისგან; სახალხო ტ-ს თანამდებობა წმინდად და ხელშეუხებლად ითვლებოდა; იგი მოვალე იყო ყოველთვის ღია ჰქონოდა სახლის კარები მოქალაქეებისთვის, რომლებიც საჭიროებდნენ დაცვას და არ დაეტოვებინა რომი ერთ დღე-ღამეზე ხანგრძლივი დროით; იმპერიის პერიოდში ტ-ს თანამდებობამ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა; 3) გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ორატორი, პუბლიცისტი.

ტრიუმვირატი [ლათ. triumviratus < tres სამი + vir მამაკაცი] ძე. რომში: 1) თანამდებობის პირების „სამეული", რომლებსაც გააჩნდათ ცხოერების რ-მე დარგის მეთაურობის უფლებამოსილება; 2) გაელენიანი პოლიტიკური მიღვაწეებისა და მხედართმთავრების ორი კავშირი, რომლებიც შეიქმნა ჩ. წ-აღ-მდე 60–53 და 43–31 წწ-ში ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად და მის შესანარჩუნებლად; 4) სამი ადამიანი, რომლებიც საერთო მოღვაწეობისთვის გაერთიანდნენ.

ტრიუმვირები [ლათ. triumvir] ძე. რომში: 1) "სამეულების" წევრები, რომლებიც აკონტროლებდნენ საზოგადოებრივი ცხოერების რ-მე დარგს: ციხეების ზედამხედველი და განაჩენის აღმსრულებელი ტ., დღესასწაულების მოწყობაზე პასუხისმგებელი ტ., ბაზინის საქმეების განმგებელი ტ. და სხვ.; 2) პირველი (იულიუს კეისარი, გნეუს პომპეუსი და მარკუს კრასუსი) და მეორე (ოქტავიუსი, მარკუს ანტონიუსი და მარკუს ლეპიდუსი) პოლიტიკური ტრიუმვირატების წევრები.

ტრასანტი – პირი, რომელმაც გადასაყვანი თამასუქი გადასცა ტრატს, თამასუქის მიმცემს. ის პასუხს აგებს თამასუქის მფლობელის წინაშე სოლიდარულად ყველა ინდოსამენტით, თუ ტრასატი უარს ამბობს ანაზღაურების ვალდებულების შესრულებაზე (იხ. თამასუქის პროტესტი).

ტრასატი – პირი, რომელიც გადამხდელია (მოვალეა) გადასაყვანი თამასუქით. ტრასატის ვალდებულება წარმოიქმნება მის მიერ თამასუქის აქცეპტის პირობის, გადასაყვანი თამასუქით გადახდის დროს.

ტურისტი – ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის მიხედვით ტურისტი არის პირი, რომელმაც უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას გამოიყენა ტურისტთა განთავსების ადგილები სულ ცოტა ერთი დღე-ღამის განმავლობაში. უცხოელი ტურისტების სტატისტიკური აღრიცხვა ხორციელდება, როგორც სასაზღვრო პუნქტში, ისე უცხოელ სტუმრების განთავსების ადგილებში — სასტუმრო კომპლექსებში, მოტელებში, კემპინგებში და ა.შ.

ტყე – 1) ბუნებრივი ობიექტი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ეკოლოგიური მნიშვნელობა და დაცულია ბუნების შემადგენელი ნაწილის სახით; 2) ბუნებრივი რესურსი, რომელიც გამოიყენება და დაცულია, როგორც ადამიანის სიცოცხლისა და საქმიანობის საფუძველი; 3) საკუთრებისა და ტყეზე სხვა უფლებების ობიექტი. ორ უკანასკნელ თვისებაში ტყეს გააჩნია მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა; 4) ტყეო საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სამართლებრივი დამოკიდებულებების ობიექტი; 5) კანონმდებლობაში ტყე შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტყის მცენარეების, მიწის, ცხოველთა სამყაროს და ბუნებრივი გარემოს სხვა კომპონენტების ერთობლიობა, რომელსაც გააჩნია დიდი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა.

ტყეების აღდგენა – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სატყეო მეურნეობისა და ტყის მომხმარებლების მართვის ორგანოს სატყეო მეურნეობის მიერ სატყეო ფონდში მომხდარი ცვლილებებისა და სატყეო მოწყობის პროექტების შესაბამისად, ტყით დაუფარავ მიწაზე ტყეების დროული აღდგენის, ტყის ქსნური შემადგენლობის გაუმჯობესების, ტყეებისა მწარმოებლურობის ზრდის, ტყის ფონდის მიწის რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.

ტყეების მონიტორინგი – 1) გარემოს მონიტორინგის სისტემის შემადგენელი ნაწილი (იხ. ასევე ატმოსფერული ჰაერის სახელმწიფო მონიტორინგი, წყლის ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი, წყლის ბიოლოგიური რესურსების მონიტორინგი, წიაღის მდგომარეობის სახელმწიფო მონიტორინგი, მიწების მონიტორინგი); 2) ტყის ფონდის მდგომარეობის და დინამიკის დაკვირვებების, შეფასებისა და პროგნოზის სისტემა ტყის ფონდის გამოყენების, დაცვის, ტყეთა აღდგენისა და მათი ეკოლოგიური უნქციების ზრდის დარგში სახელმწიფო მართვის მიზნით; ტყეების მონიტორინგის განხორციელების წესი დგინდება სატყეო მეურნეობის მართვის ორგანოს მიერ სპეციალურად უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან ერთად გარემოს დაცვის დარგში.

ტყეთა ჯგუფები ტყის ფონდის კლასიფიკაციის ერთეული მისი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მნიშვნელობის, ადგილმდებარეობისა და შესრულებადი ფუნქციების შესაბამისად, ის იყოფა პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ტყეებად; პირველი ჯგუფის ტყეებს განეკუთვნება ტყეები, რომელთა ძირითად დანიშნულებასაც წარმოადგენს წყლის დაცვის, დაცვის, სანიტარულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი, სხვა ფუნქციების შესრულება და ასევე განსაკურთებით დაცული ბუნებრიეი ტერიტორიების ტყეები; მეორე ჯგუფის ტყეებს განეკუთვნება ტყეები მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვისა და მიწისზედა სატრანსპორტო გზების განვითარებული ქსელის მქონე რეგიონებში, ტყეები, რომლებიც ასრულებენ წყლის დაცვის, სანიტარულ-ჰიგიენურ, გამაჯანსაღებელ და სხვა, შეზღუდული საექსპლუატაციო მნიშვნელობის ფუნქციებს და ასევე ტყეები არასაკმარისი ტყის რესურსების რეგიონებში, რომელთა შესანარჩუნებლადაც საჭიროა ტყის გამოყენების რეჟიმის შეზღუდვა; მესამე ჯგუფის ტყეებს განეკუთვნება მრავალტყიანი რეგიონების ტყეები, რომელთაც გააჩნიათ უპირატესად საექსპლუატაციო მნიშვნელობა; მესამე ჯგუფის ტყეები იყოფა ათვისებულ და სარეზერვო ტყეებად. ტყეების ჯგუფებისადმი მიკუთვნება და ასევე ტყეების გადაყვანა პირველი ჯგუფიდან შესაბამისად სხვა ჯგუფში ხორციელდება ტყის მოწყობის მასალებისა და სპეციალური კვლევების საფუძველზე.

ტყის გაშენება – არასატყეო მიწებზე ტყეების შექმნის მიზნით განხორციელებული საქმიანობა, ტყის ფონდის არაპროდუქტიული მიწების შემცირება, დამცავი ნარგაევების გაშენება ტყის ფონდში არშემავალ მიწებზე.

ტყის კანონმდებლობა 1) კანონმდებლობის დარგი; 2) ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემა, რომელიც შედგება ტყის კოდექსის, საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების, კანონებისა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებისგან, რომლებიც არეგულირებენ ტყის საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ტყის მოწყობის პროექტები – დოკუმენტები, რომლებშიც არის მოცემული სატყეო მეურნეობის მართვისა და ტყის ფონდის გამოყენების კომპლექსური შეფასება გასულ პერიოდის მანძილზე, მუშავდება სატყეო მეურნეობის ორგანიზებისა და მართვის ძირითადი დებულებები. ტყის მოწყობის პროექტები მტკიცდება სატყეო მეურნეობის მართვის ორგანოს მიერ დადგენილი წესით და ისინი წარმოადგენენ სავალდებულო ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებს სატყეო მეურნეობის მართვისთვის, ტყის ფონდის გამოყენებისა და სატყეო-სამეურნეო სამუშაოების დაფინანსების მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვისა და პროგნოზირებისთვის.

ტყის სახელმწიფო კადასტრი – 1) ბუნებრივ-რესურსული კადასტრების სახე (იხ. ასევე წყლის სახელმწიფო კადასტრი, მიწის სახელმწიფო კადასტრი, სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების სახელმწიფო კადასტრი, ცხოველთა

სამყაროს ობიექტების სახელმწიფო კადასტრი, განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახელმწიფო კადასტრი); 2) დოკუმენტირებული ცნობების სისტემატიზირებული კრებული ტყის ფონდის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების შესახებ. სახელმწიფო ტყის კადასტრის მონაცემები გამოიყენება სატყეო მეურნეობის სახელმწიფო მართვის, მისი წარმართვის ორგანიზების, ტყის მიწის არასატყეო მიწად გადაქცევისას, რაც არ უკავშირდება სატყეო მეურნეობის მართვასა და ტყის ფონდის გამოყენებას და/ან ტყის ფონდის მიწის ჩამორთმევისას, ტყის ფონდის გამოყენებაზე გადასახადების ოდენობის განსაზღვრისას, ტყის გამომყენებელთა და სატყეო მეურნეობის მართვის განმხორციელებელი პირების სამეურნეო საქმიანობის შეფასებისას.

ტყის სერვიტუტები ტყის ფონდის ან ტყის სხვისი მონაკვეთის შეზღუდული გამოყენების უფლება. ანსხვავებენ საჯარო ტყის სერვიტუტებს (მოქალაქეთა უფლება თავისუფლად იყვნენ ტყის ფონდში და ტყის ფონდში შემავალ ტყეებში, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა კანონმდებლობით) და კერძო ტყის სერვიტუტებს (ტყის ფონდის მონაკვეთები მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიერ და ასევე ტყის ფონდში არშემავალი მონაკვეთების გამოყენების უფლების შეზღუდვა სხვა დაინტერესებულ პირთა სასარგებლოდ ხელშეკრულებების, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტების, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე).

ტყის ფონდი ბუნებრივი რესურსების ფონდთა სახე (იხ. წყლის ფონდი, მიწის ფონდი, წიაღის სახელმწიფო ფონდი, ცხოველთა სამყაროს ობიექტთა ფონდი); 2) ტყეების ერთობლიობა სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში, რომლებიც შედიან ან ექვემდებარებიან შესვლას ტყის სახელმწიფო კადასტრში.

ტყის ფონდის გამოყენების საქმიანობის ლიცენზირება 1) ლიცენზირების სახე ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში; 2) მართვის ფუნქცია ტყეების გამოყენებისა და დაცვის დარგში; 3) გვარეობითი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საქმიანობის სახეებს ლიცენზირებას დაქვემდებარებულ მოცემულ დარგში (მაგალითად, ავია-ტყისდაცვითი სამუშაოების ჩატარების საქმიანობა და სხვ.).

ტყის ფონდის მიწები – 1) მიწის ერთ-ერთი კატეგორია; 2) ტყის მიწები (ტყის მცენარეებით დაფარული და ასევე ტყით დაუფარავი, მაგრამ გათვალისწინებული მის აღსადგენად – გაწმენდა, გაშენებრება, გადაწვა და სხვა, ასევე არასატყეო მიწა, განაკაფი ზოლი, გზები, ჭაობები და სხვ.), რომელიც განკუთვნილია სატყეო მეურნეობის წარმოებისთვის; ტყის ფონდის მიწის საზღვრები განისაზღვრება სხვა კატეგორიის მიწისგან მისი გამოყოფის გზით, ტყის მოწყობის მასალების შესაბამისად.

ტყის ფონდის მონაკვეთის საზღვრები – ხაზები, რომლებიც აღნიშნავენ ტყის ფონდის მონაკვეთის ფარგლებს; ის დგინდება ადგილზე (ნატურაში) და ფიქსირდება გარკვეული ფორმის დოკუმენტებში ტყის მოწყობის წესით.

ტყის ფონდის მონაწილის კონცესიის ხელშეკრულება – ტყის ფონდის ნაკვეთებზე ტყის რესურსების გარკვეული პირობებით, 1-დან 49 წლამდე ვადით, ანაზღაურებადი გამოყენების უფლების გადაცემა კონცესიის ხელშეკრულებით (ძირითადად, აუთვისებელ ნაკვეთებზე, ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურის გარეშე და რაც მოითხოვს მნიშვნელოვან საშუალებებს მათი ექსპლუატაციაში ჩართვისათვის); ტყის ფონდის მონაწილის კონცესიის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენს მთავრობა ან აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო და პირები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენენ ინვესტორებს. ტყის ფონდის მონაწილის კონცესიის ხელშეკრულება იღებს კონკურსის ან აუქციონის ჩატარების შედეგების მიხედვით და ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

ტყის ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა 1) სახელმწიფო ეკოლოგიური აღრიცხვის სახე (იხ. ასევე ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედებებისა და მათი წყაროების სახელმწიფო აღრიცხვა, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სახელმწიფო აღრიცხვა, რადიოაქტიური ნივთიერებებისა და რადიოაქტიური ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა, ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვა); 2) მართვის ფუნქცია ტყეების გამოყენების, დაცვის, აღდგენის დარგში, რომელიც წარმოადგენს ტყის ფონდის, მისი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებების შესახებ უტყუარი ცნობების შეგროვების საქმიანობას. ტყის ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის მაჩვენებლების ჩამონათვალი, ასევე შესაბამისი დოკუმენტების ფორმები განისაზღვრება სატყეო მეურნეობის მართვის ორგანოს მიერ; ტყის ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის მონაცემები გამოიყენება ტყის სახელმწიფო კადასტრის წარმოებისას.

უ

უარი თანამშრომლობაზე – სახელმწიფო ინსტიტუტებთან ან მთავრობასთან სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური თანამშრომლობის წინასწარგანზრახული შეზღუდვის, შეჩერების, შეწყვეტისკენ მიმართული ქმედებანი.

უარი ინფორმაციის გაცემაზე – შესაბამისი პირის პირდაპირი უარი გასცეს საჭირო ინფორმაცია, თუ ასეთი უარი განსაზღვრულია რაიმე კანონიერი საფუძვლის გარეშე.

უარი პირის გადაცემაზე – პროცედურა, რომელიც ხორციელდება შემდეგი საფუძვლების არსებობისას: ა) პირი, რომლის თაობაზეც შემოვიდა შოთხოვნა უცხო სახელმწიფოს მხრიდან გადაცემის შესახებ, მიეცა თავშესაფარი, მოცემულ სახელმწიფოში რასის აღმარებლობის, მოქალაქეობის, ეთნიკონალობის, გარკვეულ სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნასთან დაკავშირებით; გ) კანონის შესაბამისად არ შეიძლება აღიძრეს სისხლის სამართლის საქმე ან განაჩენი არ შეიძლება აღსრულდეს ხანდაზმულობის ვადების ამოწურვის შედეგად ან სხვა კანონიერი საფუძვლით,

პირის გადაცემაზე უარი შეიძლება ითქვას, თუ: ა) ქმედება, რომელიც გახდა საფუძველი გადაცემის შესახებ მოთხოვნისთვის, არ წარმოადგენს დანაშაულს სისხლის სამართლის კანონის მიხედვით; ბ) ქმედება, რომლის გამოც გაგზავნილია მოთხოვნა პირის გადაცემაზე, მოხდა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ან იმ ქვეყნის ინტერესების საპირისპიროდ მის ტერიტორიაზე; გ) იმ პირის სისხლისსამართლებრივი დევნის აღძრა ხდება კერძო ბრალდების სახით, რომლის მიმართაც გაგზავნილია მოთხოვნა გადაცემის შესახებ.

უარის განცხადება ჩვენებების მიცემაზე – მოწმის ან დაზარალებულის უარი მისცეს ჩვენებები მოკლევის ორგანოებს, წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ აღნიშნული პირების გაფრთხილების მიუხედავად. ჩვენებების მიცემაზე უარი შეიძლება გამოიხატოს მოწმის ან დაზარალებულის სასამართლოში გამოცხადებისგან თავის არიდებაში. მოწმის ან დაზარალებულის პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, რომ ამ პირების სასამართლოში გამოცხადებაზე თავის არიდება უკავშირდება მათ სურვილს არ მისცენ ჩვენება და არა სხვა მიზეზებს.

ჩვენებების მიცემაზე უარი შეიძლება ასევე გამოვლინდეს დუმილის ფორმით, როცა მოწმე ან დაზარალებული პასუხობს მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის ან სასამართლოს ზოგიერთ კითხვას და უარს ამბობს სხვა კითხვებზე პასუხის გაცემაზე. მოწმის ან დაზარალებულის უარი ჩვენებების მიცემაზე წარმოადგენს განზრახ დანაშაულს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი განზრახვით. პირი არ ექვემდებარება პასუხისმგებლობას საკუთარი თავის, მეუღლის ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ ჩვენებების მიცემაზე უარის შემთხვევაში.

უბედური შემთხვევა საწარმოში – ტრავმა, მათ შორის, მეორე პირის მიერ მიყენებული; მძიმე მოწამვლა; მზის დარტყმა; დამწვრობა; მოყინვა; წყალში დახრჩობა; ელექტროდენის, ჭექა-ქუხილის დარტყმა; დასხივება; მწერების და ქვეწარმავლების მიერ დაკბენა; სხეულის დაზიანება ცხოველის მიერ; შენობების, ნაგებობებისა და კონსტრუქციების ნგრევის, აფეთქების, ავარიების, სტიქიური უბედურების ან სხვა, საგანგებო სიტუაციის შედეგად მიღებული დაზიანებები, თუ ამას მოჰყვა მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანა, მის მიერ შრომისუნარიანობის დროებით ან მყარი დაკარგვა ან სიკვდილი, თუ ისინი მოხდა: ა) სამუშაო დროის განმავლობაში ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ (დადგენილი შესვენების ჩათვლით) ან იმ დროის მანძილზე, რომელიც საჭიროა წარმოების იარაღებისა და ტანსაცმლის წესრიგში მოსაყვანად სამუშაოს დაწყებამდე ან დასრულების შემდეგ ან სამუშაოს შესრულებასა ზეგანაკვეთურ, გამოსასვლელ და სადღესასწაულო დღეებში; ბ) სამუშაო ადგილისკენ ან სამუშაოდან სამუშაოს მიმცემის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით მგზავრობისას ან პირადი ტრანსპორტით სარგებლობისას, აღნიშნული ტრანსპორტის საწარმოო მიზნით, სამუშაოს მიმცემის (მისი წარმომადგენლის) განკარგვით გამოყენებისას; გ) სამსახურებრივ მივლინებაში გამგზავრებისას ან უკან დაბრუნებისას; დ) ცვლათშორის დასვენების დროს, შემცველილის სახით სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისას (სატრანსპორტო საშუალებაზე მძღოლი – შემცველი, გამცილებელი ან მექანიკოსი რეფრიჟერატორის სექციიდან მატარებელში და ა.შ.); ე) საავტო მეთოდით მუშაობისას ცვლათშორისი დასვენების დროს, ასევე ხომალდზე ყოფნისას ვახტისა და ხომალდზე სამუშაობისგან თავისუფალ დროს; ვ) მუშაკის, დადგენილი წესით, ბუნებრივი და ტექნოგენური სახის საგანგებო სიტუაციების, ავარიებისა და კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობისას; ზ) სამუშაოს მიმცემის ინტერესებში შემავალი მოქმედებების განხორციელებისას, რომლებიც არ შედიოდა მუშაკის ვალდებულებაში.

გამოძიებასა და აღრიცხვას ექვემდებარება საწარმოში უბედური შემთხვევები, რომლებშიც დაზარალდნენ მუშაკები და სამუშაოს ასრულებდნენ შრომის ხელშეკრულების მიხედვით; საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები, მოსწავლეები, რომლებიც პრაქტიკას გადიოდნენ ორგანიზაციაში; თავისუფლებააღკვეთილი და ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ შრომაში ჩაბმული პირები; სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ ორგანიზაციის ან ინდივიდუალური მეწარმის საწარმოო საქმიანობაში.

უბედური შემთხვევების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი სახით: ორგანიზაციაში მომხდარი უბედური შემთხვევები; ინდივიდუალურ მეწარმესთან მომხდარი უბედური შემთხვევები; ხომალდზე მომხდარი უბედური შემთხვევები.

შედეგების მიხედვით გამოიყოფა: ჯგუფური უბედური შემთხვევა საწარმოში (ერთ ადამიანზე მეტი), მძიმე უბედური შემთხვევა საწარმოში; უბედური შემთხვევა საწარმოში სასიკვდილო დასასრულით.

უბედური შემთხვევის დროს სამუშაოს მიმცემი (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია: ა) დაუყოვნებლივ გაუწიოს ორგანიზება დაზარალებულებისთვის პირველადი დახმარების გაწევას და საჭიროებისას მოათავსოს ის ჯანდაცვის დაწესებულებაში; ბ) გამოძიების დაწყებამდე შეინარჩუნოს ის ვითარება, რაც იყო უბედური შემთხვევის მომენტისთვის, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და არ გამოიწვევს ავარიას, ხოლო მისი შენარჩუნებისას დაფიქსიროს შექმნილი ვითარება (შეადგინოს სქემები, გადაიღოს ფოტოები და განახორციელოს სხვა ღონისძიებები); გ) უზრუნველყოს საწარმოში უბედური შემთხვევის დროული გამოძიება და მისი აღრიცხვა; დ) დაუყოვნებლივ აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ დაზარალებულის ნათესავებს, ასევე შეტყობინებები გააგზავნოს შესაბამის ორგანოსა და ორგანიზაციებში

(შრომის სახელმწიფო ინსპექცია, პროკურატურა, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო და სხვ.).

უბედური შემთხვევა

გარე ძალის უეცარი და მანეე ერთჯერადი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე დაზარალებულის მხრიდან განზრახვის არარსებობისას. გათვალისწინებულია საპენსიო და სოციალური დაზღვევის კანონმდებლობაში. თუ დასახირება დაკავშირებულია შუამკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან და მოხდა საწარმოს ბრალით, საწარმო არის მატერიალურად პასუხისმგებელი.

უბრალო თამასუქი (სრული) – მკაცრად ფორმალური ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს უბრალო და არაფრით განპირობებულ თამასუქის მიმცემის (მოვალის) ვალდებულებას გადაუხადოს გარკვეული თანხა გარკვეულ დროსა და გარკვეულ ადგილას თამასუქის მფლობელს ან მისი ბრძანებით.

უბრალო თამასუქში მონაწილეობს ორი პირი: თამასუქის მიმცემი, რომელიც თავად პირდაპირ და უპირობოდ არის ვალდებული გადაიხადოს მის მიერ გაცემულ უბრალო თამასუქზე და პირველი შემძენი (თამასუქის მფლობელი), რომელსაც გააჩნია უფლება მიიღოს გადასახადი უბრალო თამასუქის მიხედვით. უბრალო თამასუქის განსხვავება სხვა საკალო ფულადი ვალდებულებისგან მდგომარეობს იმაში, რომ: ა) უბრალო თამასუქი შეიძლება ხელიდან ხელში გადაეიდეს გადასაცემი წარწერით; ბ) პასუხისმგებლობა უბრალო თამასუქზე მასში მონაწილე პირთათვის წარმოადგენს სოლიდარულს იმ პირთა გარდა, რომელთაც შეასრულეს არაბრუნვითი წარწერა; გ) სანოტარო დაწესებულებაში გამოცხადება ხელმოწერის დასამოწმებლად საჭირო არაა; დ) უბრალო თამასუქის გაუნაღდებლობისას დადგენილ ვადაში საჭიროა ნოტარიული პროტესტის განცხადება; ე) უბრალო თამასუქის შინაარსი ზუსტად დადგენილია კანონით და სხვა პირობები ითვლება დაუწერლად; ვ) უბრალო თამასუქი წარმოადგენს აბსტრაქტულ ფულად დოკუმენტს და ამის ძალით უზრუნველყოფილი არაა გიროათი, საწინდარით ან საუპიროთი, (საჯარიმო პირგასამტეხლო). იხ. ასევე სასესხო ხელშეკრულება, ფასიანი ქაღალდი, გადასაცემი თამასუქი, თამასუქის რეკვიზიტები, თამასუქის ინდოსამენტი, თამასუქის ავალი.

უდანაშაულობის პრეზუმფცია

სამართლის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დადასტურდება განაჩენით და არ შევა ძალაში, სასჯელის აღსრულებით, კანონით და განსაზღვრული წესით. უდანაშაულობის პრეზუმფციის მიზანია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის უფლებათა რეალური დაცვა. ამის გარანტია, დაცვის უფლების განხორციელება, უკანონოდ და დაუსაბუთებლად პირის პასუხისგებაში მიცემისა, გასამართლების თავიდან აცილება და უდანაშაულო პირის დამნაშავედ არ გამოცხადება.

უდანაშაულობის პრეზუმფცია პირველად აღიარეს საფრანგეთში ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციით 1789 წელს. იგი აისახა ყველა დიდი მნიშვნელობის საერთაშორისო დოკუმენტში და განსაკუთრებით გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში.

უდანაშაულობის პრეზუმფცია

ამასთან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი ცალსახად განსაზღვრავს, რომ

1. ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არაეინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თაეისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ბრალმდებელს ეკისრება. ბრალმდებელს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე.

3. დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა, გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

4. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. (სსსკ, მუხლი 10).

უდანაშაულობის პრეზუმფცია

– მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. სწორედ სასამართლოს და მხოლოდ სასამართლოს, როგორც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელ ორგანოს ანდობს სახელმწიფო პირის დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობას და მის დასჯას განაჩენით, რომელიც გამოტანილია დადგენილი წესით. გამომძიებლის მიერ პირისთვის ბრალდების წაყენებისა და პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის დამტკიცების ფაქტები არ ნიშნავს ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე მსჯელობებს პირის ბრალეულობის შესახებ არ გააჩნია საბოლოო იურიდიული მნიშვნელობა.

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობს რიგი დებულებისა: ა) ეჭვმიტანილს, ბრალდებულს (განსასჯელს) არ გააჩნია ვალდებულება დაამტკიცოს თაეისი უდანაშაულობა; უარყოფა ეჭვმიტანილის და ბრალდებულის დასაცავად მოყვანილი საბუთებისა, ბრალდების დამტკიცების ვალდებულება არის ბრალდების პრეროგატივა; ბ) ეჭვმიტანილი და ბრალდებული უზრუნველყოფილია დაცვის უფლებით; გ) დანაშაულის ჩადენაში აღმოუფხერელი ეჭვები განიმარტება ბრალდებულისა და განსასჯელის სასარგებლოდ; ეს წესი ვრცელდება საქმის წინასწარ წარმებაზეც, რასაც შეიძლება მოჰყვეს ისეთი საპროცესო შედეგები, როგორიცაა საქმის შეწყვეტა. ბრალდების მოცულობის ან მისი სახის შეცვლა ჩადენილის კვალიფიკაციის შეცვლის შედეგად; დ) საქმის წარმოებელი სახელმწიფო ორგანოები, ხოლო სასამართლო – სასამართლო განხილვაზე ვალდებულია ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლიოს საქმის გარემოებები; სასამართლოს უფლება არა აქვს დამტკიცების ვალდებულება დააკისროს განსასჯელს; მტკიცებულებების სასამართლოს მიერ უშუალო კვლევა გულისხმობს

სასამართლოს ვალდებულებას მოისმინოს ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმეთა, ექსპერტის ჩვენებები, გაანზიავანოს ოქმები და სხვა დოკუმენტები, აწარმოოს მტკიცებულებათა კვლევის სხვა საგამოძიებო მოქმედებები; ე) ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება შეიძლება ჩაიდოს საბრალდებო დასკვნის საფუძველში მხოლოდ საქმეში მტკიცებულებების ერთობლიობის აღიარების ცნობის დროს; ვ) კანონი ადგენს საბრალდებო განაჩენის გამოტანის დაუშვებლობას ვარაუდების საფუძველზე; ის შეიძლება დადგინილ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, რომ სასამართლო განხილვის დროს განსასჯელის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში მტკიცდება სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით.

უვიზო შესვლა – უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება ამაზე მისი წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე, რომელიც გაიცემა ეიზის ფორმით. უვიზო შესვლა შესაძლებელია მხოლოდ მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობის ან საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე, რომელიც მის მიერ მიღწეულია სხვა სახელმწიფოებთან.

ევროპის რიგმა ქვეყნებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს შენგენის ხელშეკრულებას, არა მხოლოდ მისცეს ამ ხელშეკრულების წევრი-ქვეყნების მოქალაქეებს უვიზო შესვლის უფლება, არამედ ისინი სხვა ქვეყნების მოქალაქეებსაც, რომლებმაც მიიღეს ერთ-ერთ ამ ქვეყანაში შესვლის ვიზა, უვიზოდ შესვლის ნებას რთავენ შენგენის ზონის ყველა სახელმწიფოში.

ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც დაინტერესებულია უცხოელი ტურისტების მოზიდვით, მაგალითად, მალაიზია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ხორვატია, მაკედონია და სხვ. მათ ანდენენ უვიზო შესვლის უფლებას შიდა კანონმდებლობით. ამასთან, ზოგი ქვეყანა, მაგალითად, გერმანია, კოსტა-რიკა, იამაიკა საერთოდ ყველა ტურისტს ანდევს უვიზო შესვლის უფლებას, ზოგი კი, მხოლოდ იმ ტურისტებს, რომლებიც შედიან ქვეყანაში საკრუიზო ხომალდებითა და ჩარტერული თვითმფრინავებით.

უვიზო შესვლის უფლებით ჩვეულებრივ სარგებლობენ წესების ან საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე სავაჭრო ხომალდების ეკიპაჟის წევრები, საერთაშორისო რკინიგზის მატარებლების მომსახურე პერსონალი და ამაზე შეთანხმების მიღწევის არსებობისას, სამოქალაქო აეროპორტების თვითმფრინავების ეკიპაჟის წევრები, რომლებიც ასრულებენ საერთაშორისო რეისებს.

ხშირად სახელმწიფოები ერთმანეთთან დებენ ხელშეკრულებებს იმ პირთა უვიზო შესვლის შესახებ, რომელთაც აქვთ დიპლომატიური ან სამსახურებრივი პასპორტები.

უზენაესი სასამართლო – საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლო.

უზენაესი სასამართლო კანონით დადგენილი წესით ზედამხედველობის მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში, პირველი ინსტანციით განიხილავს საკასაციო საჩივრებს, ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე აზორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ათი წლის ვადით ირჩევს პარლამენტი. უზენაეს სასამართლოში იქმნება: ა) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია; ბ) სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გ) ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; დ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; ე) საზედამხედველო პალატა; ვ)პლენუმი.

უზენაესი სასამართლოს პალატებსა და კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარეები, რომლებსაც კანონით განსაზღვრული ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. იგი ირჩევს, ასევე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს. უზენაესი სასამართლოს პალატებისა და კოლეგიის თავმჯდომარეები იმავდროულად არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები. უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია კონსტიტუციით, საქართველოს 1999 წლის 12 მაისის ორგანული კანონით საქართველოს უზენაესი სასამართლოების შესახებ და სხვა კანონით.

უზუფრუქტი (ლათ. usufructus) – რომანული სისტემის სახელმწიფოთა სისტემაში კანონის ან ხელშეკრულების მიერ დადგენილი ერთი პირის უფლება ისარგებლოს სხვა პირის საკუთრებით ამ ნივთისგან ნაყოფის ან სხვა სარგებლის მიღებით, მაგრამ ისეთნაირად, რომ ნივთის მთლიანობა შენარჩუნებულ იქნას. უზუფრუქტის მიმღებს (უზუფრუქტუარს) მესაკუთრისგან განსხვავებით არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, დაგირავების ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. უზუფრუქტუარის მოვალეობაში შედის ქონების მოვლა და მისი გამოყენება იმგვარად, რაც გამორიცხავს ქონების გაფუჭებას ან გაუფასურებას.

უზუფრუქტი შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო, შეიძლება იყოს განსაზღვრული ვადით, გარკვეული პირობის დადგომამდე ან არსებობდეს უზუფრუქტუარის სიცოცხლის ხანგრძლივობის მანძილზე. უზუფრუქტი, რომელიც ჩარმოიშვება უფრო ხშირად მემკვიდრეობის ურთიერთობის სფეროში, მოქმედებს უზუფრუქტუარის სიცოცხლის განმავლობაში. მესაკუთრე, რომელმაც დაუშვა უზუფრუქტის დაწესება, ინარჩუნებს ამ პერიოდში მფლობელის კონტროლირების მხოლოდ იურიდიულ შესაძლებლობას.

უზუფრუქტუარი – პირადი სერვიტუტის მფლობელი, ანუ პირი, რომელსაც აქვს სხვისი ნივთით სარგებლობის პერსონალური უფლება. უზუფრუქტუარს აქვს ნივთიდან ბუნებრივი მოგების (ნაყოფი, მოსავალი) ან ფუნადი მოგების (სესხის პროცენტი, საიჯარო გადასახადი) მიღების უფლება. მის მოვალეობაში შედის ქონების მოვლა და მისი გამოყენება იმგვარად, რომ გამორიცხოს ქონების გაფუჭება და გაუფასურება.

უკანონოდ შვილად აყვანა – ბავშვების შვილად აყვანის, მეურვეობაში (მზრუნველობაში) გადაცემის მოქმედებები ბავშვთა უფლებების შესახებ

კონვენციის დებულებების, კონსტიტუციის, შესაბამისი კანონების დარღვევით, მათი არაერთხელ ჩადენის ან ანგარების მიზნით განხორციელების პირობის დროს.

უკანონო კერძო სამედიცინო პრაქტიკის ან კერძო ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელება

კერძო სამედიცინო პრაქტიკის ან კერძო ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელება პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია ლიცენზიები არჩეული სახის საქმიანობაზე, დანაშაული კიდევ უფრო მძიმდება, თუ ამან გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება.

უკანონო მეწარმეობა

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება რეგისტრაციის გარეშე ან რეგისტრაციის წესების დარღვევით, ასევე იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების სახელმწიფო რეგისტრაციის განმხორციელებელ ორგანოში ცრუ ცნობების შემცველი დოკუმენტების წარდგენა ან სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე იმ შემთხვევებში, როცა ასეთი ნებართვა (ლიცენზია) სავალდებულოა ან ლიცენზიო მოთხოვნებისა და პირობების დარღვევით, თუ ამ ქმედებამ ზიანი მიაყენა მოქალაქეებს, ორგანიზაციებს ან სახელმწიფოს ან ამან გამოიწვია დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

უკანონო მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში

თანამდებობის პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელი ორგანიზაციის დაფუძნება ან მონაწილეობის მიღება ასეთი ორგანიზაციის მართვაში პირადად ან ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით, კანონით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, თუ ასეთი საქმიანობა უკავშირდება ასეთი ორგანიზაციისთვის შეღავათების ან უპირატესობების მიცემას ან სხვა ფორმით მეურვეობას.

უკანონო მოქმედებები აღსაწერი, დასაყადაღებელი ან საკონფისკაციო ქონების მიმართ

– აღსაწერი, დასაყადაღებელი ქონების გაფლანგვა, გასხვისება, დამალვა ან უკანონო გადაცემა პირის მიერ, რომელსაც ჩაბარებული აქვს ეს ქონება, ასევე საკრედიტო ორგანიზაციის მოსამსახურეთა მიერ საბანკო ოპერაციების განხორციელება დაყადაღებული ფულადი საშუალებებით (ანაბრებით).

უკანონო ნადირობა

– ნადირობა შესაბამისი ნებართვის გარეშე ან სოციალური აკრძალვის მიუხედავად ან პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია ნადირობის უფლება ან მიიღო ლიცენზია სათანადო საფუძვლების გარეშე ან ხორციელდება ამისთვის შეუსაბამო ადგილას აკრძალულ დროს, დაუშვებელი იარაღებითა და საშუალებებით.

უკანონო საბანკო საქმიანობა

– საბანკო საქმიანობის (საბანკო ოპერაციების) განხორციელება რეგისტრაციის ან სპეციალური ნებართვის (ლიცენზიების) გარეშე იმ შემთხვევებში, როცა ასეთი ნებართვა ვალდებულია, თუ ამ ქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა მოქალაქეებს, ორგანიზაციებს ან სახელმწიფოს ან ამას თან ახლავს შემოსავლის მიღება დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

უკიდურესი აუცილებლობა

– მდგომარეობა, რომელიც საჭიროა გარემოებების გამო და აუცილებელია იმ საშიშროებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც უშუალოდ ემუქრებიან პიროვნებას და მოცემული პირის ან პირთა უფლებებს, კანონით დაცული საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესებს, თუ ეს საშიშროება არ შეიძლება აღმოიფხვრას სხვა საშუალებებით და ამასთან, დაშვებული არ იყო უკიდურესი აუცილებლობის საზღვრების გადამეტება.

უკიდურესი აუცილებლობა

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება. სსკ 30-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი ვინც ხელმყოფს, დაუხიანებს ან საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს. თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებშენელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე, უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი აზიანებს ისეთ სიკეთეს, რომელიც არ წარმოადგენს საფრთხის შექმნის წყაროს. ამ დროს ერთიმეორეს ეჯახება ორი მართლზომიერი ინტერესი, რომელთაგან ერთის გადარჩენა იწვევს მეორეს დაღუპვას. ამასთან, დაუშვებელია ერთი პირის სიცოცხლის გადარჩენა სხვა პირის სიცოცხლის ხარჯზე. ასევე, ერთი პირისათვის განზრახ სიცოცხლის მოსპობა არ შეიძლება გამართლებული იქნას უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით მაშინაც კი, როდესაც ამით რამდენიმე სიცოცხლე იქნა გადარჩენილი.

უკიდურესი აუცილებლობის საფლვრების გადამეტება

– ზიანის მიყენება, რომელიც აშკარად არ შეესაბამება საშიშროების ხარისხსა და სახეს და იმ გარემოებებს, რომელთა დროსაც აღმოიფხვრა საშიშროება, რაც აღნიშნულ ინტერესებს მიადგა თანაბარი ან უფრო მეტი ზიანი, ვიდრე თავიდან აცილებულს.

უმნიშვნელო ქმედება

– მოქმედება (უმოქმედობა), რომელიც თუმცა კი ფორმალურად შეიცავს რაიმე ქმედების ნიშნებს, უმნიშვნელო ქმედების ძალით არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას, რის შედეგადაც არ წარმოადგენს დანაშაულს. ქმედების უმნიშვნელობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება გამოძიებისა და სასამართლოს პრეროგატივას და ეყრდნობა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ანალიზს. უმნიშვნელო ქმედებამ, რომელიც არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის ძალით, შეიძლება წარმოიქმნას სხვა სამართალდარღვევების (მაგალითად, ადმინისტრაციული თუ დისციპლინარული) შემადგენლობა და ამ შემთხვევაში მისი ჩამდენი პირის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული, დისციპლინარული ან საზოგადოებრივი ზემოქმედება, რაც არ წარმოადგენს სასჯელს.

უმოქმედობა

– მართლსაწინააღმდეგო ქმედების ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც წარ-

მოადგენს პირის საზოგადოებრივად საშიშ და მართლსაწინააღმდეგო პასიურ ქცევას, რაც გამოიხატება მის მიერ საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებების განუხორციელებლობაში, რომელიც მას შეეძლო და უნდა განეხორციელებინა მოცემულ ვითარებაში. მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს სხვადასხვა საფუძვლიდან, კერძოდ: ა) სისხლის სამართლის კანონის პირდაპირი მითითებისგან; ბ) სამსახურებრივი ან პროფესიონალური ფუნქციებიდან; გ) ნათესაური და ოჯახური ურთიერთობებიდან; დ) პირის წინამორბედი მოქმედებებისგან, რომელმაც თავისი ქცევით სამართლებრივი ინტერესები რეალური საშიშროების წინაშე დააყენა. სისხლის სამართალში უმოქმედობა განისაზღვრა, არა როგორც მოქმედებებისგან უბრალო თავშეკავება, არამედ როგორც საზოგადოებრივად საშიში ქცევა, რომელიც თავისი ბუნებით არ განსხვავდება აქტიური მოქმედებებით ჩადენილი დანაშაულისგან.

უმუშევრობა – მოვლენა ეკონომიკაში, რომლის დროსაც მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიურ ნაწილს, რომელსაც სურს მუშაობა არ შეუძლია გამოიყენოს თავისი სამუშაო ძალა. უმუშევრობის მიზეზები შეიძლება იყოს წარმოების დაცემა, ინფლაცია, რეალური ხელფასის ოდენობის შემცირება და ა.შ.

უმწეო მდგომარეობა – ერთ-ერთი გარემოება, რომელიც ამძიმებს დამნაშავის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებას; პირის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც მას ართმევს საკუთარი თავის დაცვის, დამნაშავისთვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას. უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირებს შეიძლება განვაკუთვნოთ მძიმე ავადმყოფები და ხანდაზმულები, მცირეწლოვანი ბავშვები, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები, რაც მათ ართმევს მიმდინარე მოვლენების სწორად აღქმის უნარს.

უნიტარიზმი [ფრ. unitarisme < ლათ. unitas ერთიანობა] სახელმწიფოს მოწყობა, რომელიც ემყარება ცენტრალიზაციას და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული შემადგენლების ავტონომიურ უუფლებობას; ფართოდ გამოიყენება უპირატესად ერთი ეროვნების ადამიანებით დასახლებულ სახელმწიფოებში (მაგ. პოლონეთში).

უნიტარული [ფრ. unitare ერთიანი < ლათ. unitas ერთიანი] ერთიანი, ერთიანობისკენ, შერწყმისკენ სწრაფვის მქონე; უ. სახელმწიფო — სახელმწიფოს მოწყობის ფორმა, რომლის დროსაც ქვეყნის მთელი ტერიტორია დაყოფილია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად (რაიონებად, ოლქებად, გუბერნიებად და სხვ.), მაგრამ არ გააჩნია თავის შემადგენლობაში ფედერაციული ერთეულები (შტატები, რესპუბლიკები); შეად. ფედერაცია (1), კონფედერაცია (2); იხ. უნიტარიზმი.

უნიტარული საწარმო – სამოქალაქო სამართალში კომერციული ორგანიზაცია, რომელსაც არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება, რაც განმტკიცებულია მასზე მესაკუთრის მიერ. უნიტარული საწარმო ფუძნდება სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ სამეწარმეო ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქონლის გამოშვების (სამუშაოების წარმოების ან მომსახურების გაწევის) მიზნით. უნიტარული საწარმოს ქონება იმყოფება სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში, წარმოადგენს დაუყოფელს და არ შეიძლება განაწილებულ იქნეს ანაბრების (წილების, პაიების) მიხედვით. უნიტარული საწარმოს საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს მითითებას მისი ქონების მესაკუთრეზე; უნიტარული საწარმო პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე მისი კუთვნილი ქონებით. უნიტარული საწარმოების დამფუძნებელ დოკუმენტებს წარმოადგენს, როგორც წესი, მესაკუთრის (მისი წარმომადგენლის) გადაწყვეტილება და წესდება. უნიტარული საწარმოები ქონების მესაკუთრის მიხედვით იყოფა სახელმწიფო და მუნიციპალურ უნიტარულ საწარმოებად. სახელმწიფო და მუნიციპალური უნიტარული საწარმოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება სამოქალაქო კოდექსის, ასევე რიგი სპეციალური ნორმატიული აქტების შესაბამისად.

უპატრონო ქონება – ქონება, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე ან რომლის მესაკუთრეც უცნობია ან ქონება, რომლის საკუთრების უფლებაზეც მან უარი განაცხადა. სამოქალაქო სამართალში უპატრონო ქონების ცნებას უკავშირდება ქონების შეძენის თაედაპირველი ხერხი. უპატრონო ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძვლები და წესი დამოკიდებულია იმაზე, თუ მოძრავს წარმოადგენს ნივთები თუ უძრავს.

ურბანიზაცია [ფრ. urbanisatio < ლათ. urbanus ქალაქური] წარმოებისა და მოსახლეობის ქალაქებში თავმოყრის პოზიტიური პროცესი და ქალაქების როლის ზრდა; განვითარებულ ქვეყნებში უ-ს დონე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ჩამორჩენილებში, მაგ. ქალაქის მოსახლეობის წილი ევროპაში შეადგენს 73 %, აზიასა და აფრიკაში კი დაახ. 31%; როგორც წესი, უ-ს ახლავს კულტურისა და დემოკრატიის საერთო ზრდა საზოგადოებაში.

უსაფრთხოების ტექნიკა – საორგანიზაციო და ტექნიკური ღონისძიებებისა და საშუალებების სისტემა, რომლებიც მომუშავეებს თავიდან აცილებენ საშიში საწარმოო ფაქტორების ზემოქმედებას. „უსაფრთხოების ტექნიკის“ ტერმინის ქვეშ იგულისხმება ადამიანის ორგანიზმის ანატომიური მთლიანობის, მისი ქსოვილებისა და ცალკეული ორგანოების ფიზიკური ფუნქციების დაცვა მანქანების, მოწყობილობების, ტექნოლოგიური პროცესების, შრომის სხვა ტექნიკური საშუალებებისა და საგნების არასასურველი გავლენისგან. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მუშაკის ორგანიზმის დაცვა ტრავმებისგან, რომელთა წყაროსაც წარმოადგენს უსაფრთხოების მოთხოვნების შეუსაბამო საწარმოო შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა, ინსტრუმენტები, ელექტრული დენი, „აგრესიული“ სითხეები, ტექნოლოგიური პროცესები და ა.შ. თუ საქმე ეხება გარე საწარმოო გარემოსთან წაყენებულ მოთხოვნებს (საწარმოო შენობების მოცულობისა და ფართობის მიმართ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, პაერის ტენიანობისა და ტემპერატურის პარამეტრებისადმი შენობებში, ასევე საწარმოო ხმაურის, ვიბრაციის, დამტვერიანების დასაშვები ნორმების მიმართ და ა.შ.), მაშინ იყენებენ ტერმინს „საწარმოო სანიტარია“, რომელიც განისაზღვრება, როგორც საორგანიზაციო, ჰიგიენური და სანიტარულ-ტექნიკური ღონისძიებების სისტემა,

რომელთა მეშვეობითაც ხდება მუშაკებზე მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედების თავიდან აცილება ან შემცირება.

ზშირად შრომის დაცვის მოთხოვნები, რომელთაც უყენებენ მოწყობილობებს, ტექნოლოგიურ პროცესებსა და საწარმოო შენობებს ამავდროულად ასახავენ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნებს. ამიტომ, ზშირად ორივე ტერმინის ერთდროული გამოყენება შემდეგი სახით გვხვდება, „უსაფრთხოების ტექნიკა და საწარმოო სანიტარია". შრომის პროცესში მუშაედება შრომის იარაღებთან და საგნებთან მოპყრობის წესები ანუ ის წესები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს მომუშავეებსა და ტექნიკას, საგნებსა და ბუნების ძალებს შორის. ეს წესები შეიცავენ მოთხოვნებს, რომელთაც უნდა პასუხობდეს შრომის საშუალებები და საგნები მუმაკების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების თვალსაზრისით, მოთხოვნები სამუშაოს ხერხებისა და სამუშაოს ორგანიზაციასთან მიმართებაში. ასეთი წესები წარმოადგენენ ტექნიკურსა და სანიტარულ-ჰიგიენურს. თითოეულ მუშაკს უფლება აქვს: ჰქონდეს სამუშაო ადგილი, რაც შეესაბამება შრომის დაცვის მოთხოვნებს; უარი თქვას სამუშაოების შესრულებაზე მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშროების წარმოქმნის შემთხვეევაში, შრომის დაცვის მოთხოვნების დარღვევის შედეგად; დაეუფლოს უსაფრთხოების ტექნიკის მეთოდებს და შრომის ხერხებს სამუშაოს მიმცემის სახსრებით. სამუშაოს მიმცემი კი ვალდებულია უზრუნველყოს: მუშაკების უსაფრთხოება შენობების, ნაგებობების, მოწყობილობების ექსპლუატაციისას, ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებისას; მუშაკების ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების არსებობა და მისაწედომობა; სპეცტანსაცმლის შეძენა და გაცემა საკუთარი სახსრებით; დანერგოს უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუალებები და ა.შ. საშუაოს მიმცემს ეკისრება უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის ინსტრუქტაჟის ჩატარება.

ორგანიზაციებში საჭიროა შემდეგი სახის ინსტრუქტაჟის ჩატარება შრომის დაცვის თაობაზე: შესაეალი – სამუშაოზე ასაყვანთათვის. პირველადი – სამუშაო ადგილზე; განმეორებითი (პერიოდული) – დადგენილ ვადებში; არაგეგმიური (მიმდინარე) – ტექნოლოგიური პროცესის ან მოწყობილობის შეცვლისას, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დარღვევისას; მიზნობრივი – ერთჯერადი, სტიქიური უბედურებების, ავარიების შედეგების ლიკვიდაციის შესრულებასთან დაკავშირებით ანუ მუშაკის სხვა სამუშაოზე დროებითი გადაყვანისას საწარმოო აუცილებლობის შემთხვეევაში. დაუშვებელია იმ პირთა სამუშაოზე ყოფნა, რომლებსაც არ გაუვლიათ სათანადო წესით უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების სწავლება, ინსტრუქტაჟი და ცოდნის შემოწმება.

უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო (საწარმოო) სანიტარიის წესები

– ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემა, რომლებიც შეიცავენ შრომის დაცვის ერთიან მოთხოვნებს, რომელიც დაცულ უნდა იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, საკუთრების ყველა ფორმის ორგანიზაციების მიერ ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის (რეკონსტრუქციის) და ექსპლუატაციის, მანქანების, მექანიზმებისა და მოწყობილობის კონსტრუქციის, ტექნოლოგიური პროცესების შემუშავების, წარმოებისა და შრომის ორგანიზების დროს. ერთიან წესებსა და ნორმებში მოცემულია მოთხოვნები, რომლებიც ეხებიან შრომისა და საწარმოო სანიტარულ სფეროს დაცვას ყველა ორგანიზაციაში. დარგთაშორისი წესები და ნორმები ახდენენ შრომის უსაფრთხო პირობების რეგლამენტაციას გარკვეული სახის სამუშაოს, წარმოების ან მოწყობილობის ტიპისთვის.

ორგანიზაციები ამუშავებენ და ამტკიცებენ საწარმოს სტანდარტებს, შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემას, შრომის დაცვის ინსტრუქციებს მუშაკებისთვის და ცალკეული სახის სამუშაოებისთვის სახელმწიფო ნორმატიული სამართლებრივი აქტებისათვის. სამუშაოს მიმცემი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკური მოწყობილობით აღჭურვა და მათზე შრომის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც შეესაბამება შრომის დაცვის დარგობრივ და დარგობრივ წესებს, სანიტარულ წესებსა და ნორმებს; წესებში ისეთი მოთხოვნების არარსებობისას, რომელთა დაცვაც სამუშაოების წარმოებისას აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად, ორგანიზაციის სამუშაოს მიმცემი იღებს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ...ას.

უსაფრთხოების წესების დარღვევა ატომური ენერგეტიკის ობიექტებზე

– დანაშაული საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ. ის წარმოადგენს უსაფრთხოების წესების დარღვევას ატომური ენერგეტიკის ობიექტების განთავსების, დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, თუ ამას შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიკვდილი ან გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება.

უსაფრთხოების წესების დარღვევა მაგისტრალური მილსადენების მშენებლობის, ექსპლუატაციისა თუ რემონტის დროს

– სატრანსპორტო დანაშაული, რომელიც წარმოადგენს უსაფრთხოების წესების დარღვევას მაგისტრალური მილსადენების მშენებლობის, ექსპლუატაციისა თუ რემონტის დროს, თუ ამ ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მძიმე ან საშუალო სიმძიმის ზიანის ან მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება.

უსაფრთხოების წესების დარღვევა სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას

დანაშაული საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ. ის წარმოადგენს აღნიშნული წესების ისეთ დარღვევას, რომელმაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მძიმე ან საშუალო სიმძიმის ზიანის მიყენება.

უსაფრთხოების წესების დარღვევა ფეთქებადსაშიშ ობიექტებზე

– დანაშაული საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ. ის წარმოადგენს უსაფრთხოების წესების დარ-

ღეების ფეთქებადსაშიშ ობიექტებზე ან ფეთქებადსაშიშ საამქროებში, თუ ამას შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგები.

უსაფრთხო პირობები ადამიანისთვის – გარემოს მდგომარეობა, რომლის დროსაც არ არსებობს ადამიანზე მისი ფაქტორების მავნე ზემოქმედების საშიშროება.

უსისხლო გადატრიალება – წარმატებით დაგვირგვინებული უსისხლოდ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება. ნუ აურევთ ძალდატანებით ბრძოლაში, თუმცაღა, მსგავსი გადატრიალება ხანდახან ძალდატანებით წინააღმდეგობის და მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტის გაგრძელებაა. წინააღმდეგობის უამრავი ფორმა არსებობს, რომელთა შორის თანამედროვე ხანაში მიღებულია უსისხლო გადატრიალება, რომელიც გულისხმობს ამ რეჟიმის კანონიერების ზოგად უარყოფას, მასობრივ გაფიცვებს, მსხვილ დემონსტრაციებს, ეკონომიკური აქტიურობის შეწყვეტას და საყოველთაო უარის თქმას პოლიტიკურ თანამშრომლობაზე. ეს უკანასკნელი შეიძლება შეიცავდეს სახელმწიფო მოხელეების აქციებს, არმიისა და პოლიციის დაუმორჩილებლობას. ბუნტის დასკვნით ეტაპზე, როგორც წესი, იქმნება პარალელური მთავრობა. წარმატების შემთხვევაში სამოქალაქო ბუნტის შედეგად შეიძლება დაეშხოს არსებული რეჟიმი რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში. სამოქალაქო ბუნტის შედეგად დამხობილი ლიდერები, როგორც წესი, იძულებულნი ხდებიან დასტოვონ თავისი ქვეყანა. ამის მაგალითად გვევლინება ფილიპინების პრეზიდენტის ფერდინანდ მარკოსისა (1986) და ირანის შაჰის (1979) ქვეყნიდან გაძევება.

უტიტულო (უპატრონო) ქონება – ნივთის ფაქტიური ფლობა, რომელიც შეადგენს მასზე სამეურნეო ბატონობის შესაძლებლობას, როცა ასეთი ფლობა არ ეყრდნობა რაიმე სამართლებრივ საფუძველს. მოცემული ცნება სამოქალაქო სამართლის მიერ განიხილება იმდენად, რამდენადაც ფლობის უფლებამოსილება წარმოადგენს საკუთრების სამართლის ერთ-ერთ შემადგენელს. ზოგადი წესის მიხედვით, საგნები იმათ მფლობელობაშია, ვისაც გააჩნია მათი ფლობის ესა თუ ის უფლება. აღნიშნული გარემოება ნივთის თაობაზე დავის განხილვისას იძლევა შესაძლებლობას ამოვიდეთ ფაქტიური მფლობელობის კანონიერების პრეზუმფციიდან. უკანონო მფლობელები იყოფა კეთილსინდისიერად და არაკეთილსინდისიერად. მფლობელი კეთილსინდისიერია, თუ მან არ იცოდა ან მას არ უნდა სცოდნოდა საკუთარი მფლობელობის არაკანონიერების შესახებ. მფლობელი არაკეთილსინდისიერია, თუ მან იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ამის შესახებ. სამოქალაქო სამართალურთიერთობების მონაწილეთა კეთილსინდისიერების ზოგადი პრეზუმფციის შესაბამისად უნდა მოხდეს ამოსელა მფლობელის კეთილსინდისიერების ვარაუდიდან. უკანონო მფლობელების დაყოფას კეთილსინდისიერებად და არაკეთილსინდისიერებად, გააჩნია მნიშვნელობა მესაკუთრესა და მფლობელს შორის შემოსავალსა და გასავალზე ანგარიშსწორების დროს, როცა მესაკუთრე ითხოვს თავის ნივთს ვინდიკაციური სარჩელის მეშვეობით და ასევე იმის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, შეუძლია თუ არა მფლობელს მოიპოვოს საკუთრების უფლება ფლობის ხანდაზმულობის მიხედვით.

უფლება ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის კანონით გათვალისწინებული და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული შესაძლებლობა მოიქცეს გარკვეული სახით და სხვისგანაც მოითხოვოს გარკვეული მოქმედება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება. მაგ., მესაკუთრე აღჭურვილია თავისი ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებით მას შეუძლია სხვა პირს მოსთხოვოს თავი შეიკავოს მისი უფლების ხელყოფისაგან, ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ხელს უშლის ამ უფლების განხორციელებას. თუ პირს დაურღვევენ უფლებას, მას შეუძლია მიმართოს ადამიანის უფლებათა დამცველ შესაბამის ორგანოებს, მათ შორის სასამართლოსაც. ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტები, შეიძლება იყოს როგორც პირი, ასევე პირთა ჯგუფი.

უფლებათა ბილი 1) დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ 1689 წელს მიღებული აქტი, რომელმაც დაკანონა კონსტიტუციური მონარქია, შეზღუდა მეფის ხელისუფლება საკანონმდებლო და საგადასახადო სფეროში, დაადგინა სამეფო ხელისუფლების თვითნებობისაგან ადამიანის დაცვის ზოგიერთი გარანტია; 2) აშშ-ში მიღებული იქნა 1787 წლის კონსტიტუციის პირველი 10 შესწორება, რომელთაც გამოაცხადეს სიტყვის, კრების, რწმენის თავისუფლება, პიროვნების ქონების ხელშეუხებლობა და ა. შ.

უფლებამონაცვლეობა[1] უფლება-მოვალეობის გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე (მაგ., გარდაცვლილი მოქალაქიდან მის მემკვიდრეზე). უფლება ნიშნავს უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტის შეცვლას, ერთი პირი–მონაცვლე სხვის, მისი წინამორბედის ადგილს იკავებს, მართალურთიერთობის შინაარსი კი არ იცვლება. უფლება-მონაცვლეზე გადადის იგივე უფლებები და მოვალეობები, რომლებიც წინამორბედს ჰქონდა. უფლება-მოვალეობათა პირველადი შეძენისაგან განსხვავებით, უფლება წარმოებული ხასიათისაა – იგი წინამორბედის უფლებებს ემყარება. განასხვავებენ ზოგად ანუ უნივერსალურსა და კერძო ანუ სინგულარულ უფლებას. პირველ შემთხვევაში ერთ ან რამდენიმე უფლებამონაცვლეზე გადადის წინამორბედის ყველა უფლება და მოვალეობა (მაგ., კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ემკვიდრეზე გადადის გარდაცვლილის მთელი ქონება, რა სახისაც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი), მეორე შემთხვევაში უფლება რაიმე ცალკეული უფლებისა და მოვალეობის გადასვლით გამოიხატება. მაგ., სინგულარული უფლება, როცა კრედიტორი თავის უფლებას – მსესხებელს მოსთხოვოს ფული – დაუთმობს სხვა პირს, ახალ კრედიტორს. არ არის დაშვებული წმინდა პირადი ხასიათის უფლებების მონაცვლეობა. მაგ. ალიმენტის მიღების უფლების გადაცემა.

უფლებამონაცვლეობა[2] (საერთაშორისო სამართალი) უფლება-მოვალეობის გადასვლა ერთი სახელმწიფოდან მეორეზე ტერიტორიული ცვლილებების ან მასთან დაკავშირებული მოვლენების დროს (ახალი სახელმწიფოს წარმოშობა, ერთი სახელმწიფოს შესვლა მეორის შემადგენლობაში, სახელმწიფოს დაყოფა, გამოყოფა და ა.შ.). უფლებამონაცვლეობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად ყოფილ კოლონიურ სახელმწიფოს გამოეყოფა ახალი სუვერენული ერთეული. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, კერძოდ, 1978 წლის კონვენცია სახელმწიფოთა უფლებამონაცვლეობის შესახებ აღიარებს ახალ სახელმწიფოს უფლებას უარი თქვას ყველა იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე, რომლებიც ლახაენ ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტს, მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ძალაში რჩება მხოლოდ ის ხელშეკრულებანი, რომელთა შესახებ სახელმწიფო-მემკვიდრეს არაფერი საწინააღმდეგო. არა. აქვს. ამავე დროს ლოკალური ხასიათის ხელშეკრულებანი, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილთან, მდინარესთან, სარკინიგზო ან საავტომობილო გზასთან, საზღვრებთან, როგორც წესი, რჩება ძალაში და გადადის. სახელმწიფო-მემკვიდრეზე, თუკი ასეთი სტატუსი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. უფლებამონაცვლეობის საკითხი არ წარმოიშობა სახელმწიფო წყობილების ან მმართველობის ფორმის შეცვლის შედეგად, რადგანაც ამ შემთხვევაში სახელმწიფო განაგრძობს არსებობას როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ხდება რევოლუცია, წამოიჭრება უფლებამონაცვლეობის საკითხი, რომლის დროსაც ანტიდემოკრატიული რევოლუციის პირობებში მთლიანად უნდა გადაისინჯოს უფლებამონაცვლეობის საკითხი.

უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება – კომერციულ ან სხვა ორგანიზაციაში მართვის ფუნქციის შემსრულებელი პირის მიერ უფლებამოსილებების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საპირისპიროდ და სარგებლისა და უპირატესობის მიღების მიზნით საკუთარი თაეისა თუ სხვა პირებისთვის ან სხვა პირების ზიანის მიყენება, თუ ამ ქმედებამ გამოიწვია მოქალაქეებისა თუ ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისთვის ან კანონით დაცული სახელმწიფოსა თუ საზოგადოების ინტერესებისთვის ზიანის მიყენება.

უფლებაუნარიანობა ფიზიკური პირის (მოქალაქის) და იურიდიული პირის (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოდაწესებულებების და ა.შ.) უნარი იქონიონ კანონით გათვალისწინებული ან დასაშვები უფლება-მოვალეობანი. უფლებაუნარიანობა კანონით განსაზღვრული საფუძვლების – იურიდიული ფაქტების დადგომისას შესაბამისი მართალურთიერთობის (სამოქალაქო; შრომითი, საოჯახო, სანრიცესო და სხვა) მონაწილეთა ბევრი კონკრეტული უფლებისა და მოვალეობის წარმოშობის აუცილებელი წანამძღვარია. მოქალაქის უფლება წარმოიშობა მისი დაბადების მომენტიდან და წყდება სიკვდილით. მოქალაქის ზოგი უფლება და მოვალეობა დაკავშირებულია ასაკთან. მაგ. საპარლამენტო, სამოსამართლეო არჩევნებში მონაწილეობა და სხვა. სრული და მთლიანი უფლებაუნარიანობის ჩამორთმევა დაუშვებელია, შესაძლებელია, მხოლოდ მისი შეზღუდვა ან ცალკეული უფლებების ჩამორთმევა, რომელსაც კანონით ითვალისწინებს და უმეტესად ეხება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. გარიგება ან ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს პირის ან გარკვეული ჯგუფის უფლებებს ბათილად იცნება.

უფლებაუნარიანობა კანონით დადგენილი პირის ან ორგანიზაციის უნარი იყოს სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული ვალდებულებების მატარებელი. უფლებაუნარიანობა გამოდის თავდაპირველი პირობის, ზოგადი წინაპირობის სახით სამართალდამოკიდებულებებში მონაწილეობის მიმართ. სამართლის თეორიაში გამოიყოფა უფლებაუნარიანობის სამი ძირითადი სახე: ზოგადი, დარგობრივი და სპეციალური.

ზოგადი უფლებაუნარიანობა ესაა ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის უნარი იყოს სამართლის, როგორც ასეთის სუბიექტი. მას აღიარებს სახელმწიფო პირებზე მათი დაბადების მომენტიდან. დარგობრივი უფლებაუნარიანობა ნიშნავს იურიდიულ უნარს იყოს სამართლის ამა თუ იმ დარგის სუბიექტი. სამართლის თითოეულ დარგში მისი დადგომის ვადები შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი. სპეციალური უფლებაუნარიანობა გამოდის, როგორც უნარი, იყოს გარკვეული თანამდებობის დაკავებასთან (პრეზიდენტი, მოსამართლე, პარლამენტის წევრი) ან პირის სამართლის სუბიექტების გარკვეულ კატეგორიებთან მიკუთვნებულობასთან (როგი სატრანსპორტო საშუალების მუშაკები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და სხვ.) დაკავშირებით წარმოქმნილი სამართალდამოკიდებულებების მონაწილე. სპეციალური უფლებაუნარიანობის წარმოქმნა ყოველთვის განპირობებულია განსაკუთრებული მოთხოვნების შესრულებით. მაგალითად, აშშ პრეზიდენტის თანამდებობაზე ასარჩევად საჭიროა 35 წლის ასაკის მიღწევა და აშშ ტერიტორიაზე არა ნაკლებ 14 წლით მუდმივი ცხოვრება.

უფლებაუნარიანობას, ისევე როგორც მრავალ სამართლებრივ კატეგორიას გააჩნია ისტორიული ხასიათი და ის ექცევა ისტორიული ცვლილებების ქვეშ. ადრე ყოველი ადამიანი როდი იყო უფლებაუნარიანი. ისტორიიდან ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში უფლებაუნარიანობა არ გააჩნდათ მონებს, ხოლო რიგ ქვეყნებში უცხოელებს. შეზღუდული უფლებაუნარიანობა ჰქონდათ ყმებს. ამჟამად, ყველა ქვეყანაში უფლებაუნარიანობა განიხილება, როგორც საყოველთაო პრინციპი, რომელიც ერცელდება ყველა მოქალაქეზე გამონაკლისის გარეშე. გარკვეული შეზღუდვები დგინდება მხოლოდ მოქალაქეების ქმედუნარიანობისა და ორგანიზაციების მიმართ.

უფლებები (არასრულწლოვანი პაციენტის უფლებები) (ზოგიერთი ქვეყნის თანამედროვე მსოფლიოს პრაქტიკა)

რისი უფლება აქვს არასრულწლოვანი პაციენტის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს?

არასრულწლოვანი პაციენტის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მკურნალი ექიმისგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია არასრულწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

როდის არ მიეწოდება არასრულწლოვან პაციენტზე არსებული ინფორმაცია მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს?

აღნიშნული ინფორმაცია მშობელს ან კანონიერ

წარმომადგენელს არ მიეწოდება, თუ ინფორმაციის მიწოდების წინააღმდეგია:

ა) არასრულწლოვანი პაციენტი, რომელიც ქმედუნარიანად ითვლება;

ბ) 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პაციენტი, რომელიც სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას და რომელმაც ექიმთან მიმართა სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, კონტრაცეფციის არაქირურგიული მეთოდების შესახებ კონსულტაციის მიღების ან ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზნით. ამ შემთხვევაში არასრულწლოვანს უფლება აქვს განაცხადოს ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურებაზე. ყველა სხვა შემთხვევაში პირი სამედიცინო ჩარევას ექვემდებარება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

რისი უფლება აქვს 16 წლამდე არასრულწლოვან პაციენტს მისი გონებრივი განვითარების გათვალისწინებით?

სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პაციენტის სამედიცინო მომსახურების მიღებისას აუცილებელია მისი მონაწილეობაც ასაკისა და გონებრივი განვითარების გათვალისწინებით.

არასრულწლოვან პაციენტს, რომლის ასაკი აღემატება 16 წელს, უფლება აქვს ინფორმირებული თანხმობა ან უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, თუ იგი სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას. პაციენტის გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს.

არასრულწლოვან პაციენტს აქვს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება. მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მის ასაკს და გონებრივი განვითარების დონეს.

უფლებები (გასაჩივრების წესი და პასუხისმგებლობა პაციენტის უფლებების დარღვევისათვის)

პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს ექიმს, ექთანს, მედიცინის სხვა მუშაკს ან სამედიცინო დაწესებულებას უჩივლოს სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციაში, ჯანმრთელობის დაცვის მართვის ორგანოში, სასამართლოში ან დაიის გამრჩევ სხვა ორგანოში, თუ სამედიცინო პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეულ იქნა პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების ან სიკვდილის, ან პაციენტისთვის მიყენებულ იქნა მორალური ან მატერიალური ზიანის.

პაციენტის გამოკვლევასთან, მოვლასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დარღვევისთვის, საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისთვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები:

ა) წერილობითი გაფრთხილება;

ბ) სახელმწიფო სერთიფიკატის მოქმედების შეჩერება (ნებადართული საქმიანობის დროებით აკრძალვა);

გ) სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება (ნებადართული საქმიანობის აკრძალვა)

დ) ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ალკოჰოლის შემცველი მედიკამენტების გამოწერის შეზღუდვა.

საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საბჭო.

უფლებები (დაავადებები, რომლებიც წარმოადგენენ მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების საფუძველს)

დამტკიცებულია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს N 322/ო (19.08.1999 წ) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს N 465 (19.08.1999 წ.) ბრძანებებით.

I. ტუბერკულოზი

1.1. ფილტვების პროგრესირებადი ფიბრიოზულ-კავერნოზული ტუბერკულოზი პლევრის ქრონიკული ტოტალური ემპიემა.

ფილტვების პროგრესირებადი ფიბროზულ-კავერნოზული ტუბერკულოზი ხასიათდება: პოლიმორფული ცვლილებებით, ფიბროზული კავერნის ან კავერნების არსებობით, ახალი დესტრუქციებით, ბაქტერიაგანაყოფით, გავრცობილი ბრონქოგენული მთესველით, მერვადი ბრონქოექტაზებით, ემფიზემატოზური ცვლილებებით.

გართულებები: სისხლდენა ფილტვებიდან, სპონტანური პნევმოთორაქსი, ამილოიდოზი, ფილტვ-გულის III ხარისხის უკმარისობა.

ქრონიკული ტოტალური ემპიემა.

გართულებები: პლევრო-ბრონქული ფისტულა, ფილტვ-გულის III ხარისხის უკმარისობა.

დიაგნოზის დასადასტურებლად სავალდებულოა კლინიკო-ლაბორატორიული, ბაქტერიოსკოპიული, რენტგენტოლოგიური (რენტგენოგრაფიული და ტომოგრაფიული) გამოკვლევები და სხვა ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად. გასათვალისწინებელია დაავადების ხანგრძლივი მიმდინარეობა პერიოდული გამწვაებებითა და მყარი შრომისუუნარობით.

1.2. ფილტვების პროგრესირებადი გავრცობილი ტუბერკულოზი მათ შორის კაზეოზური პნევმონიის ჩათვლით; ფილტვ-გულის III ხარისხის უკმარისობით.

გავრცობილი პროცესისათვის დამახასიათებელია ფილტვის ქსოვილის სუბტოტალური დაზიანება, ადექვატური ქიმიოთერაპიის მიუხედავად ბაქტერიაგამოყოფა.

გართულებები: სისხლდენა ფილტვებიდან, სპონტანური პნევმოთორაქსი, ფილტვ-გულის III ხარისხის უკმარისობა.

დიაგნოზის დასადასტურებლად სავალდებულოა კლინიკო-ლაბორატორიული, ბაქტერიოსკოპიული, რენტგენოლოგიური (რენტგენოგრაფიული და ტომოგრაფიული) გამოკვლევები და სხვა ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

1.3. თირკმლების ორმხრივი კავერნოზული ტუბერკულოზი სპეციფიკური პროცესის გავრცელებით

საშარდე გზებში, გართულებული თირკმლების ქრონიკული უკმარისობით ტერმინალურ სტადიაში.

შარდგამომყოფი სისტემის პროგრესირებადი ტუბერკულოზის დიაგნოზის დასადასტურებლად სავალდებულოა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები დინამიკაში, თირკმლებისა და შარდის ბუშტის მიმოხილვითი რენტგენოგრაფია, ექსკრეტორული უროგრაფია, ცისტოსკოპია, რეტროგრადული პიელოგრაფიით და ულტრაბგერითი გამოკვლევები.

1.4. ხერხემლის, მსხვილი ძელებისა და სახსრების პროგრესირებადი დესტრუქციული ტუბერკულოზი შინაგანი ორგანოების ამილოიდოზით.

პროცესისათვის დამახასიათებელია მასიური რღვევები დაზიანებულ უბნებში და დისტროფიული ცვლილებები ყველა ქსოვილებსა და ორგანოებში, სახსრებე ჩანთების ნაწიბუროვანი გადაგვარება ართროზული კონტრაქტურების ჩამოყალიბებით, სპონდილიტს თან ახლავს ტუბერკულოზური აბსცესები, სპასტიური დამბლა, ზურგის ტვინის ფუნქციური მოშლილობანი.

დიაგნოზის დასადასტურებლად სავალდებულოა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევა, აბსცესიდან ამოღებული ჩირქის გამოკვლევა და სახსარშიდა გამონაჟონის დათესვა, რეგიონალური ლიმფური კვანძებისა და სახსარშიდა გამონაჟონის ციტოლოგიური დიაგნოსტიკა, რენტგენოგრაფია ორ პროექციაში (პირდაპირი და გვერდითი), კოხისა და ტუბერკულოზის სინჯები.

2. ავთვისებიანი სიმსივნეები

2.1. ავთვისებიანი სიმსივნის ნებისმიერ ნარահსახეობათა და ნებისმიერი სტადიით (I, II, III, IV) დაავადებულნი, რომელთა მდგომარეობაც შეესაბამება IV კლინიკური ჯგუფით განსაზღვრულ კატეგორიას.

2.2. ლიმფურ და სისხლმბად სისტემათა ავთვისებიანი სიმსივნეები;

2.3. მწვავე ლეიკოზის ყველა ფორმა.

2.2.2. ქრონიკული მიელოლეიკოზი სპლენომეგალიით, კოაგულოპათიით მყარი იმუნოდეფიციტით, ანემიითა და კახექსიით.

2.2.3. ქრონიკული ერითრომიელოზის ტერმინალური სტადია.

2.2.4. ჰეშმარიტი პოლიციტემია – ერითრემია გართულებული სისხლჩაქცევებით ან თავის ტვინის სისხლძარღვთა თრომბოემბოლიებით;

2.2.5. ქრონიკული ლიმფოლეიკოზი, გართულებული ერითროპენიით, თრომბოპენიით, განუწყვეტლივ მორეციდივე ინფექციებით.

2.2.6. ქრონიკულ მონოციტარული ლეიკოზის ტერმინალური სტადია.

2.2.7. რუსტიცკი-კალერის მრავლობითი მიელომა ოსტეოდესტრუქციული სინდრომით (ხერხემლის მალებისა და ქვედა კიდურების ძვლების პათოლოგიური მოტეხილობებით).

2.2.8. ჰოჯკინის დაავადება – I სტადია, ერთი ან რამდენიმე ექსტრალიმფური ორგანოს დიფუზური ან დისიმინირებული დაზიანებით.

2.2.9. ავთვისებიანი ან არადიფერენცირებულ უჯრედოვანი ლიმფომები ეისცერალური ორგანოების, ეალდეიერის რგოლის, ექსტრა და სუბდიაფრაგმული ლიმფური კვანძების კომბინირებული დაზიანებით.

დიაგნოზის დასადასტურებლად სავალდებულოა გაფართოებული ჰემატოლოგიური კვლევა, ძვლის ტვინის ტრეპანობიოფსია და ლიმფური კვანძების ასპირაციული ან ექსტირპაციული ბიოფსია.

2.3. სხივური დაავადება:

2.3.1. მწვავე სხივური დაავადება;

2.3.11. ნებისმიერი სიმძიმის (I-IV ხარისხი) მწვავე სხივური დაავადება გამძაფრების პერიოდში.

2.3.12. კანის ადგილობრივი სხივური დაზიანებები ნებისმიერი სიმძიმის (I-IV ხარისხი) სხივური დაავადების გამძაფრების პერიოდში.

2.3.1.3. მწვავე სხივური დაავადებების შედეგები:

ა) ასთენიური სინდრომი რეგულატორული სისტემების (უპირატესად ნერვული და სისხლძარღვოანი) უკიდურესი გამოფიტვითა და ფუნქციური უკმარისობით;

ბ) ნერვული და სისხლის მიმოქცევის სისტემების ორგანული დაზიანებები თავის ტვინისა და პერიფერიული სისხლის მიმოქცევის მოშლით.

გ) პერიფერიული სისხლის მაჩვენებლების არასტაბილურობა გამოხატული პანციტოპენიური სინდრომით, ძვლის პიპოპლაზიის ნიშნებით (ლეიკოციტები 2,0 X 10^9-ზე ნაკლები, ტრომბოციტები 0,7 X 10^{12});

დ) ღრმა ტროფიკული, დეგენერაციული და სკლეროზული მოგვიანებითი რადიაციული წყლულები, ტკივილის სინდრომით;

ე) კონტრაქტურები და ამპუტაციური დეფექტები;

ვ) სხივური კატარაქტა III სტადიის, უკეთმხედველ თვალში მხედველობის სიმახვილით 0-05.

2.3.2. ქრონიკული სხივური დაავადება II-IV ხარისხის სიმძიმის პერიოდის ფორმირებით და შორეული პერიოდი (პროგრესირებადი სტადია).

2.3.3. მოგვიანებითი სხივური ეფექტები (ღვიძლის, ფილტვების, ძვლოვანი სისხლმბადი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეები).

დიაგნოზის დასადასტურებლად სავალდებულოა სრული ჰემატოლოგიური კვლევა, სისხლძარღვთა დოპლეროგრაფია, ულტრასონოგრაფია ძვლის ტვინის თრომბოელასტოგრამა, თავის ტვინის ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული გამოკვლევა. სხივური დაავადებების დიაგნოზის გამოტანა ხდება კოსმიური წესით რადიაციული მედიცინის სპეციალისტების მონაწილეობით.

3. ენდოკრინული სისტემის დაავადებანი

3.1. შაქრიანი დიაბეტი ინსულინდამოკიდებული ტიპის მძიმე მიმდინარეობით. კეტოაციდოზისკენ მიდრეკილებით, გამოხატული მაკროანგიოპათიებით, რეტინოპათიებით, პოლინეიროპათიებით.

დიაგნოზის დასადასტურებლად სავალდებულოა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, მათ შორის სისხლსა და შარდში შაქრის რაოდენობის, შარდში კეტოსხეულების განსაზღვრა დინამიკაში, ელექტროკარდიოგრაფიული, რეოვაზოგრაფიული გამოკვლევები და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

3.2. იცენკო-კუშინგის სინდრომი მკვეთრად გამოხატული გართულებებით: ლულოვანი ძვლებისა და ხერხემლის პათოლოგიური მოტეხილობანი, კუნთების ატროფია, კარდიომიოპათია გულ-სისხლძარღვთა სისტემის III ხარისხის უკმარისობით, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა ორი ან მეტი კიდურის პლეგიით ან პარეზით.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, მათ შორის დღე-ღამურ შარდში 17 კეტოსტეროიდების და 17 ოქსიკორტიკოსტეროიდების, სისხლის შრატში კორტიზოლის აკტჰ, საერთო ცილისა და ცილის ფრაქციების განსაზღვრა, რენტგენოგრაფიული, ეტრო-კარდიოგრაფიული, ულტრაბგერითი გამოკვლევები და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

3.3. ჰიპოფიზური უკმარისობა (სიმონდსის დაავადება) ტახეკსიის სტადიაში.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, მათ შორის ქოლესტერინის, შაქრის რაოდენობის, სისხლისა და შარდში 17 ოქსიკორტიკოსტეროიდების განსაზღვრა, კორტიზოლის რენტგენოლოგიური, ელექტროკარდიოლოგიური და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

4. ფსიქიკური აშლილობანი

4.1. უწყვეტი და წყვეტილი (შეტევის მაგვარი) პროგრედიენტულად მიმდინარე მძიმე კლინიკური პროგნოზის მქონე შიზოფრენიის ყველა ფორმა.

4.2. გუნება-განწყობის აფექტური აშლილობანი: მანიაკალური და დეპრესიული ფსიქოზი ხშირი მანიაკალური და დეპრესიული ფაზებით.

4.3. თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ჭკუასუსტობის (დემენციის) ყველა ფორმა;

4.3.1. სენილური დემენციის ყველა ფორმა (მარტივი ტიპის: გალუცინატორულ-ბოდეითი გამოვლინებებით; სენილური დემენციის ადრეული პრესენილური ვარიანტის; ალცჰეიმერის დაავადება; პიკის დაავადება).

4.3.2. ათეროსკლეროზული ჭკუასუსტობა (ფსიქოზის გარეშე; დეპრესიით; გალუცინატორულ-ბოდეითი დარღვევებით; პიროვნების ქცევის მწვავე აშლილობით-ბნევით).

4.3.3. კორსაკოვის ფსიქოზი (ალკოჰოლური, სიფილისური, ტრავმული გენეზის).

4.3.4. ორგანული ჭკუასუსტობა (ენცეფალიტური, მენინგოენცეფალიტური, სიფილისური, ეპილეფსიური, თავის ტვინის ტრავმული გენეზის).

4.4. გახანგრძლივებული რეაქციული ფსიქოზი პროგრედიენტული მიმდინარეობის, გართულებული მძიმე სომატიური პათოლოგიით, რომელიც დინამიკაში ღებულობს ქრონიკული სულით დაავადების ექვივალენტურ ხასიათს.

4.5. გახანგრძლივებული, პროგრედიენტულად მიმდინარე ფსიქოზები, დისოციაციური (კონვერსიული).

4.6. მძიმე კლინიკური გამოსავლის (პროგნოზის) მქონე სხეადასხვა ეტიოლოგიის პროგრედიენტულად მიმდინარე ფსიქოზები.

4.7. პიროვნების მძიმე ქცევითი აშლილობანი მიღრეკილი ხშირი დეკომპენსაციებისადმი: პიროვნების პათოლოგიური განვითარება (პარანოიალური, პარანოიდული და სხვა ტიპების ფსიქოპათიები).

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, თავის ტვინის ფუნქციონალური მდგომარეობის გამოკვლევის ინსტრუმენტული მეთოდები და სპეციფიკური ფსიქოლოგიური ტესტები.

დიაგნოზის გამოტანა ხდება კომისიური წესით არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ნერვული სისტემისა და გრძნობათა ორგანოების დაავადებები.

5.1. თავისა და ზურგის ტვინის სისხლძარღვოანი დაავადებანი: ემბოლიები; თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა (იშემიური, ჰემორაგიული ან შერეული ტიპის); III ხარისხის ქრონიკული სისხლ-ძარღვოანი ენცეფალოპათია; პირველადი (არატრავმული) სუბარაქნო-იდული სისხლჩაქცევები ტვინის კეროვანი დაზიანების მყარად გამოხატული მოვლენებით (ჰემი-პარაპლეგიები, ღრმა ჰემიპარა-პარეზები, დროსა და სივრცეში ორიენტაციის დარღვევა, აკინეტიკო-რიგიდული სინდრომი).

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, კოაგულოგრამა, სისხლში რიპიდების განსაზღვრა, ლიქვორის გამოკვლევა, ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა, თავის მაგნიტრასული არტერიების დოპლეროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, თავის ტვინის სისხლძარღვების ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული ანგიოგრაფია, ტომოგრაფია და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

5.2. ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციური დემიელინიზირებადი დაავადებანი, თანმხლები თავისა და ზურგის ტვინის ორგანული დაზიანებებით ფუნქციის მყარი ღრმა მოშლით (მძიმე დამბლები, ღრმა პარეზები, მგრძნობელობის გავრცელებული მოშლით, მენჯის ორგანოების ფუნქციის დარღვევით, ტროფიკული მოშლილობებით, გამოხატული აკინეტიკორიგიდული სინდრომით) და პროცესის პროგრესული მიმდინარეობით:

5.2.1. მეორადი ჩირქოვანი მენინგიტები.

5.2.2. თავის ტვინის აბსცესები.

5.2.3. სპინალური ეპიდურალური აბსცესები და არატუბერკულოზური წარმოშობის გრანულომები.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, სისხლის ბაქტერიოგრამა, ლიქვორის გამოკვლევა, თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია, დაავადების შესაბამისად სპონდილოგრაფია, მიელოგრაფია, ელექტრომიოგრაფია, ხერხემლისა და ზურგის ტვინის ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

5.2.4. ნეიროსიფილისი.

5.2.5. ნერვული სისტემის დაზიანება ტუბერკულოზის დროს.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, ლიქვორის გამოკვლევა, ელექტროენცეფალოგრამა, თავის მაგისტრალური არტერიების დოპლეროგრაფია, თავის ტვინით გამოწვეული პოტენციალების გამოკვლევა, თავის ტვინის ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ელექტრომიოგრაფია და დაავადების შესაბამისად სპეციფიკური სინჯები, ასევე ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

5.2.6. გაფანტული სკლეროზი.

5.2.7. შილდერის ლეიკოენცეფალიტი.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, სისხლის ვირუსოლოგიური და იმუნოლოგიური გამოკვლევა, ლიქვორის გამოკვლევა (მათ შორის ლანგეს რეაქცია), მიელინის ფუძე ცილის გამოკვლევა, თავის ტვინის გამოწვეული პოტენციალების გამოკვლევა, ელექტრო-ენცეფალოგრამა, თავის ტვინის ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, კრანიოგრაფია და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

5.3. ცენტრალური ნერვული სისტემის ტრავმული დაავადებანი – თავის ტვინის კეროვანი დაზიანების მყარად გამოხატული მოვლენებით (ჰემიპარაპლეგიები, ღრმა ჰემი-პარაპარეზები).

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, ლიქვორის გამოკვლევა, კრანიოგრაფია, თავის ტვინის ტომოგრაფია, და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

5.4. დაავადებები პროგრესირებადი მიმდინარეობით – მამოძრავებელი, მგრძნობელობითი, ვეგეტატიურ-ტროფიკული ფუნქციის მყარად გამოხატული დარღვევებითა და ჩატარებული მკურნალობის არაეფექტურობით:

5.4.1. თავის ტვინის სიმსივნეები.

5.4.2. კრანიოსპინალური სიმსივნეები.

5.4.3. ზურგის ტვინის სიმსივნეები.

5.4.4. სირინგობულბია.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, ლიქვორის გამოკვლევა, კრანიოგრაფია, თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია, თავის ტვინის სისხლძარღვთა ანგიოგრაფია, ვერტებრალური ანგიოგრაფია, დაავადების შესაბამისად კისრის მალების რენტგენოგრაფია, კისრის მიდამოს ან თავის ტვინის ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, თავის ტვინის მაგისტრალური არტერიების დოპლეროგრაფია და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

5.4.5. ჰეპატოცერებრალური დისტროფია (ჰეპატო-დენცეფალური დეგენერაცია; ვილსონ-კონოვალოვის დაავადება).

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, კოაგულოგრამა, სისხლში შაქრის რაოდენობის განსაზღვრა, საერთო ცილისა და ცილის ფრაქციების განსაზღვრა, სისხლის იმუნოლოგიური და ვირუსოლოგიური გამოკვლევა, მიკროელემენტების (სპილენძის) განსაზღვრა, ღვიძლის ფუნქციური სინჯები, მუცლის ღრუს ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევა თავის ტვინის ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

5.4.6. სპინოცერებრალური ატაქსია

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, კოაგულოგრამა, საერთო ცილისა და ცილის ფრაქციების განსაზღვრა, ლიქვორის გამოკვლევა (მათ შორის ლანგეს რეაქცია), ღვიძლის ფუნქციური სინჯები, ელექტრო-ენცეფალოგრაფია, თავის ტვინის გამოწვეული პოტენციალების გამოკვლევა, ტვინის მაგისტრალური არტერიების დოპლეროგრაფია, კრანიოგრაფია, მიელოგრაფია, თავის ტვინის ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ელექტრო-ენცეფალოგრაფიული მუცლის ღრუს ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევა და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

5.4.7. გენერალიზებული მიოტონიური სკლეროზი.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, სისხლში აიე ვირუსის განსაზღვრა, ლიქვორის გამოკვლევა, ღვიძლის ფუნქციური სინჯები, კუნთის ქსოვილის მორფოლოგიური გამოკვლევა, რენტგენოლოგიური, ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევები, სპონდილოგრაფია, ელექტრომიოგრაფია, თავისა და ზურგის ტვინის ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

5.4.8. მიასთენია

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, სისხლის ბიოქიმიური ანალიზი, ჰორმონების განსაზღვრა თ^3 თ^4 თირეოტროპული, ადენოკორტიკოტროპული ჰორმონის, კორტიზოლის 17-ოქსიკორტიკოსტეროიდების, სისხლის იმუნოლოგიური გამოკვლევა, ელექტროკარდიოგრაფია, ,,ჯეტერის" ფენომენის გამოკვლევა. წინა შუასაყარის მიდამოს კომპიუტერული ტომოგრაფია, სპონდილოგრაფია, კუნთის ქსოვილის მორფოლოგიური გამოკვლევა, მედიკამენტოზური ტესტები(პროზერინი, გუანიდინი, ამირიდინი) და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

5.5. ეპილეფსია პაროსიზმული შეტევების გენერალიზაციით და გართულებით, ფსიქიკის გამოხატული მზარდი მოშლით.

5.6. სრული უსინათლობა ასევე მდგომარეობა, როცა მყარი პათოლოგიური ცვლილებების ფონზე უკეთესი მხედველობის თვალში სიმახვილე არ აღემატება 0.03 და არ ექვემდებარება კორეგირებას ან ორივე თვალის მხედველობის არე კონცენტრულად შეიზღუდებულია 50-მდე.

6. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი

6.1. გულის დაავადებანი გულ-სისხლძარღვთა III ხარისხის უკმარისობით:

6.1.1. გულის შეძენილი და თანდაყოლილი მანკები.

6.1.2. კონსტრიქციული პერიკარდიტი, რომელიც არ ექვემდებარება ქირურგიულ მკურნალობას.

6.1.3. გახანგრძლივებული მიმდინარეობის ბაქტერიული ენდოკარდიტი.

6.1.4. კარდიომიოპათიები (დილატაციური, ჰიპერტროფიული, ობსტრუქციული).

6.1.5. ენდომიოკარდიული ფიბროზი.

6.1.6. მიოკარდიტული კარდიოსკლეროზი.

6.1.7. გულის იშემიური დაავადება.

6.1.8. რითმისა და გამტარებლობის· რთული მოშლა.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკოლაბორატორიული გამოკვლევები, საერთო

ცილისა და ფრაქციების განსაზღვრა, კოაგულოგრამა, ანტისტრეპტოლიზინის სინჯი, (საჭარუდოდ C) რეაქტიული ცილა, დიფენილამინის სინჯი., ელექტროკარდიოგრაფიული, რენტგენოგრაფიული, ულტრაბგერითი გამოკვლევები და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

6.3. არტერიების დაავადებანი, ორი ან მეტი კიდურის მაგისტრალურ სისხლძარღვთა დაზიანებით, განგრენოზულ-ნეკროზულ სტადიაში;

6.3.1. მაობლიტერებელი ენდარტერიიტი.

6.3.2. მაობლიტერებელი ათეროსკლეროზი.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, კოაგულოგრამა, შაქრის, კრეატინინის ლიპიდური ცილის განსაზღვრა, ელექტრო-კარდიოგრაფიული, ექოკარდიოსკოპიული, რეოვაზოგრაფიული გამოკვლევები, დოპლეროგრაფია და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

7. სასუნთქი გზების დაავადებანი

ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებანი დიფუზური პნევმოსკლეროზით, ფილტვების ემფიზემით, ქრონიკული ფილტვისმიერი გულით დეკომპენსაციის სტადიაში, სუნთქვითი უკმარისობა III ხარისხით ან თირკმლის ქრონიკული უკმარისობის ტერმინალური სტადიით:

7.1. ქრონიკული აბსტრუქციული ბრონქიტი.

7.2. ბრონქული ასთმა.

7.3. ბრონქოექტაზიური დაავადება.

7.4. ფილტვის ქრონიკული გიგანტური აბსცესი.

7.5. პლევრის ტოტალური ან სუბტოტალური ემპიემა.

7.6. სხვადასხვა ეტიოლოგიის პნევმოკონიოზები.

7.7. იდიოპათური ფიბროზირებადი ალვეოლიტი.

7.8. სარკოიდოზი.

7.9. პირველადი ემფიზემა.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, ნახველის ბაქტერიოლოგიური და ციტოლოგიური გამოკვლევა, რენტგენოლოგიური (რენტგენოგრაფიული და ჩენების მიხედვით ტომოგრაფიული), ბრონქოსკოპიული, კარდიოგრაფიული გამოკვლევები, სპირომეტრია, სპიროგრაფია და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

8. საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებანი

8.1. ნაწლავებისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა ორგანოთა დაავადებანი შეწოვის ფუნქციის გამოხატული მოშლით, კახექსიის სტადიაში.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული, კუჭ-ნაწლავის რენტგენოსკოპიური, რენტგენოგრაფიული, ენდოსკოპიური (რექტოსკოპია, კოლონოსკოპია, ირიგოსკოპია), მორფოლოგიური გამოკვლევები.

8.2. სხვადასხვა ეტიოლოგიის დვიძლის ციროზები, დეკომპენსაციის სტადიაში, პორტული ჰიპერტენზიით, ჰიპერსპლენიზმით, ჰეპატოუჯრედოვანი უკმარისობით.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული (მათ შორის ფერმენტული) გამოკვლევა, რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი, რადიოიზოტოპური გამოკვლევები.

9. თირკმელების დაავადებანი

თირკმლის ქრონიკული უკმარისობით ტერმინალურ სტადიაში:

9.1. თირკმლების ნაკლოვანება – ტერმინალური სტადია.

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები დინამიკაში, თირკმლებისა და შარდის ბუშტის მიმოსილვითი რენტგენოგრაფია, ექსკრეტორული უროგრაფია, ცისტოსკოპია რეტროგრადული პიელოგრაფიით და ულტრაბგერითი გამოკვლევები.

10. ძვალ-სახსროვანი სისტემისა და შემაერთებელი დაავადებანი

პროცესის პროგრესირებალი გენერალიზაციით და თირკმლების ქრონიკული უკმარისობით ტერმინალურ სტადიაში ან სისხლის მიმოქცევის III ხარისხის უკმარისობით ან ცენტრალური ნერვული სისტემის მყარი კეროვანი დაზიანებით (ჰემი-პარაპლეგიები; ჰემიპარაპარეზები), ან განიკი კუნთების გენერალიზებული დაზიანებით – დისფაგიით, დიზართრიით:

10.1. რევმატოიდული ართრიტი.

10.1.1. ჰემორაგიული ვასკულიტი

10.1.2. სისტემური წითელი მგლურა

10.1.3. დერმატომიოზიტი

10.1.4. კუანძოვანი პერიარტერიიტი

10.1.5. სისტემური სკლეროდერმია.

10.1.6. მაანკილოზებელი სპონდილოართრიტი (ბეხტერევის დაავადება).

დიაგნოზის დასადასტურებლად საჭიროა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, მათ შორის სისხლისა და შარდში შარდმჟავას რაოდენობის განსაზღვრა, თირკმელებისა და შარდის ბუშტის მიმოხილვითი რენტგენოგრაფია, ექსკრეტორული უროგრაფია, ულტრაბგერითი გამოკვლევები და ყველა ის გამოკვლევა, რომელიც საჭიროა თანმხლებ გართულებათა დასადასტურებლად.

12. ანატომიური დეფექტები

გამოწეული უკანასკნელი სასჯელის მოხდის პერიოდში დაავადების ან ტრამვის შედეგად ზედა ან ქვედა კიდურების მაღალი ამპუტაცია, აგრეთვე ერთი ზედა და ერთი ქვედა კიდურის მაღალი ამპუტაცია (ბარძაყის ან წინამხრის ზედა მესამედში);

სამედიცინო დოკუმენტაციის გარდა საჭიროა ავადმყოფის ფოტოსურათი.

ინვალიდ მსჯავრდებულებთან მოპყრობის გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები

სად-ში (სასჯელ აღსრულების დეპარტამენტი) პატიმრების მიღებისთანავე, თითოეული მათგანი გაღის სპეციალურ სამედიცინო შემოწმებას, რათა გამოვლინდეს სპეციფიკური ფიზიკური თუ გონებრივი ნაკლი, რომელთაც შემდგომში შესაძლოა შეაფერხონ პატიმრის გამოსწორება, და განისაზღვროს შრომისადმი მათი ქმედითუნარიანობა;

ყოველთვის, როცა სად-ის (სასჯელ აღსრულების დეპარტამენტი) ექიმი ჩათელის, რომ დაპატიმრების შედეგად, ან პატიმრობის რაიმე პირობების გამო პატიმრის ფიზიკური ან გონებრივი წონასწორობა დაირღვა ან მას ასეთი დარღვევა ემუქრება, იგი ამის შესახებ მოახსენებს დაწესებულების უფროსს;

სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს პატიმრის მკაცრ რეჟიმში გადაყვანას ან კვების შემცირებას, შეიძლება დაედოს მას მხოლოდ ექიმის მიერ მისი გასინჯვის შემდეგ. მან წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ ტუსაღს ძალუძს ასეთი სასჯელის გადატანა; ამასთან ეს წესი ეხება სასჯელის იმ სახეებსაც, რომლებსაც შეუძლიათ დასჯილ პირს მიაყენონ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი;

თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ მკაცრი სასჯელის მოხდის პერიოდში სად-ის (სასჯელ აღსრულების დეპარტამენტი) ექიმმა ყოველდღე უნდა მოინახულოს იგი და დაწესებულების უფროსს მოახსენოს თავისი აზრი, თუ იგი საჭიროდ თელის სასჯელის შეწყვეტას ან შეცვლას თავისუფლებააღკვეთილი პირის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო.

უფლებები (დაკავებასთან დაკავშირებული და წარმოშობილი უფლებები)

თუ თქვენ დაგაკავეს, თქვენ გაქვთ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გარანტირებული უფლებები:

- თქვენი დაკავების მომენტში თქვენ უფლება გაქვთ იცოდეთ:
- ვინ დაგაკავათ, მისი თანამდებობა, სამუშაო ადგილი და უფლებამოსილება; დაკავების ზუსტი ადგილი და დრო საათისა და წუთის მითითებით;
- თქვენ უფლება გაქვთ დაუყოვნებლივ შეატყობინოთ თქვენს ოჯახს, ახლობლებსა და ნათესავებს დაკავების ადგილი ან ადგილსამყოფელი; ამ უფლების განხორციელებისთვის თქვენ უფლებამოსილი ხართ გამოიყენოთ დაკავების ადგილზე არსებული ყველა კავშირგაბმულობის საშუალება, მათ შორის ტელეფონი; ამასთან დამკავებელი ვალდებულია 5 საათის განმავლობაში, ხოლო არასრულწლოვანის დაკავების შემთხვევაში 3 საათის განმავლობაში შეატყობინოს თქვენი დაკავების შესახებ თქვენს ოჯახს;
- დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა;
- თუ დაკავების მომენტში თქვენ გყავთ არასრულწლოვანი შვილი, ხანდაზმული მშობელი, ან სხვა პირი, რომელიც მარტო რჩება უმწეო მდგომარეობაში, დამკავებელი ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები მათი პატრონობის შესახებ;
- თუ დაკავების მომენტში თქვენ ზედამხედველობის გარეშე გრჩებათ რაიმე ქონება დამკავებელი ვალდებულია მიიღოს ამ ქონების დაცვისათვის საჭირო ზომები, ხოლო გატარებული ღონისძიებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა გაცნობოთ;
- პოლიციის დაწესებულებაში ან მოკლევის ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირთან თქვენი მიყვანის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შედგეს დაკავების ოქმი, რომელშიც უნდა აღინიშნოს: ვინ, როდის, რა ვითარებაში დაგაკავათ, რა დანაშაულის ჩადენაში ხართ ეჭვმიტანილი, რომელ საათზე მიგიყვანეს მოკვლევის ორგანოში.
- ოქმს ხელს აწერს დამკავებელი, ოქმის შემდგენელი და თქვენ;
- თქვენ უფლება გაქვთ ისარგებლოთ დამცველის მომსახურებით მასთან შეთანხმებით და მოიწვიოთ იგი ან სხვა პირი (ნებისმიერი პირი), ან ახლო ნათესავი, რის შესახებაც უნდა განაცხადოთ წერილობით ან ზეპირად, ან თქვენი დაცვა დამოუკიდებლად განახორციელოთ;
- თქვენ უფლება გაქვთ უარი თქვათ დანიშნულ დამცველზე, დამცველის მოსვლამდე და მოსვლის შემდეგაც თქვენი უფლებაა არ მისცეთ ჩვენება;
- მომკვლევს ან გამომძიებელს უფლება არა აქვს რეკომენდაცია გაუწიოს კონკრეტულ დამცველს თქვენი, თქვენი ნათესავებისა და ახლობლების წინაშე;
- მომკვლევი ეს არის პირი, რომელიც თავდაპირველ, გადაუდებელ საგამომძიებო მოქმედებას ატარებს და შემდეგ საქმეს გადასცემს გამომძიებელს; გამომძიებელი არის პროკურატურის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამდებობის პირი, რომელიც აწარმოებს საქმის გამოძიებას სრულად;

კანონი ითვალისწინებს სავალდებულო დაცვას, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ხართ:

არასრულწლოვანი;

ან გაქვთ ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი,

ან არ იცით ქართული,

ან ეჭვმიტანილი ხართ ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ასეთ შემთხვევაში სავალდებულო ნიშნავს, მომკვლევის ან გამომძიებლის ვალდებულებას აუცილებლად დაგინიშნოთ დამცველი;

- თქვენ უფლება გაქვთ უარი თქვათ ამ დამცველზე და კანონი გაძლევთ დროს თქვენთვის, ან თქვენი ახლობლებისთვის სასურველი დამცველის მოსაწვევად. თუ თქვენს მიერ არჩეული ადვოკატის გამოცხადება შეუძლებელია თქვენი დაკავებიდან 3 საათის განმავლობაში, მაშინ მომკვლევი, ან გამომძიებელი ვალდებულია დაგინიშნოთ დამცველი;
- თქვენ უფლება გაქვთ უარი თქვათ დანიშნულ დამცველზე და თქვენს მიერ არჩეული ადვოკატის გამოცხადებამდე დაცვა განახორციელოთ დაწოკიდებლად, ანუ გამოიყენოთ კანონით თქვენთვის და თქვენი ადვოკატისთვის მინიჭებული უფლებები ერთდროულად;
- თქვენ უფლება გაქვთ პირველ დაკითხვამდე პირისპირ შეხვდეთ დამცველს სხვა ნებისმიერი პირების გარეშე; ამის შემდეგ თქვენ უფლება გაქვთ შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად შეხვდეთ თქვენს დამცველს;
- თქვენ უფლებამოსილი ხართ ისარგებლოთ ნებისმიერი სახის იურიდიული ლიტერატურით, იქონიოთ ქალალდი და საკანცელარიო ნივთები საჩივრების, შუამდგომლობებისა და სხვა დოკუმენტების შესადგენად;
- თქვენ უფლება გაქვთ ეჭვმიტანილად პირველივე დაკითხვის შემდეგ მოითხოვოთ უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი დასკვნა, თუ ამის საფუძველზე შეიძლება დადასტურდეს თქვენზე ფიზიკური ზემოქმედების კვალი ვისგანაც არ უნდა იყოს ის მიყენებული.

- ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცემისა და წამების ფაქტის დასადგენად, არამედ სხვა საპროცესო უფლებების გამოყენების მიზნით, რაც უკავშირდება ფიზიკური ნაკლის გამო დადგენილ სავალდებულო წესებს დაკავებულის მიმართ;
- თქვენ უფლებამოსილი ხართ იცოდეთ რისთვის დაგაკავეს, რა საფუძვლით და რა მტკივით, რა დანაშაულში ხართ ეჭვმიტანილი და რა ადასტურებს ამ ეჭვს, ხოლო დამკავებელი ვალდებულია ამომწურავი განმარტება მოგცეთ თქვენთვის საინტერესო ყველა საკითხზე;
- თქვენ უფლება გაქვთ მისცეთ ან არ მისცეთ ჩვენება, ან ნებისმიერი განმარტება და პასუხი თქვენს მიმართ დასმულ შეკითხვებზე;
- თქვენ გაქვთ დუმილის უფლება ანუ უფლება არ უპასუხოთ დასმულ კითხვებს, ანუ თქვენი უფლებაა არ დაიბრალოთ დანაშაული;
- თქვენ უფლება გაქვთ უფასოდ ისარგებლოთ თარჯიმნის მომსახურებით, თუ თქვენ არ იცით, ან სათანადოდ არ იცით ქართული;
- თქვენ უფლება გაქვთ წარადგინოთ ალიბი და ნებისმიერი მტკიცებულება;
- ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს თქვენს სასარგებლოდ;
- თქვენ უფლება გაქვთ მონაწილეობა მიიღოთ თქვენი ან თქვენი დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ ყველა საგამოძიებო მოქმედებაში;
- თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ ანაზღაურება ზიანისათვის, რომელიც თქვენ მოგადგათ სისხლის სამართლის საქმის უკანონოდ და დაუსაბუთებლად აღძრისა და დაკავების შედეგად; ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმის მიუხედავად, იქნებით თუ არა შემდეგ სასამართლოს მიერ მსჯავრდებული.
- თქვენს უფლებებში შედის აგრეთვე შემდეგი:
- პოლიციის დაწესებულებაში ან მოკლევის ორგანოს უფლებამოსილ პირთან თქვენი მიყვანის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეგეძლოთ დაკავების ოქმი;
- თქვენი დაკავებისა შესახებ ოქმის შედგენიდან 12 საათის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმის აღძრის, თქვენი ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ და ხელზე გადმოგცენ დადგენილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეთ.
- მოკვლევეი ან გამომძიებელი ვალდებულია წარმოგიდგინოთ ხელწერილი, სადაც ნაწილობრივ ჩამოთვლილია თქვენი უფლებების თაობაზე. გთხოვთ გულდასმით წაიკითხოთ და ისარგებლოთ თქვენთვის კანონით მინიჭებული უფლებებით.
- პოლიციაში მიყვანიდან არა უგვიანეს 24 საათისა თქვენ უნდა დაიკითხოთ;
- პოლიციაში მიყვანიდან 48 საათის განმავლობაში თქვენ უნდა წაგიყვანონ ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეთ;
- თუ თქვენთვის ბრალდების წაყენების მომენტიდან 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას თქვენი დაპატიმრების ან სხვა ღონისძიების შეფარდების შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეთ;
- დაკავება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს შემდეგი კანონიერი საფუძველი:
- თუ თქვენ წაგასწრეს დანაშაულის ფაქტზე ან დანაშაულის ჩადენისთანავე;
- თუ თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულიც პირდაპირ მიუთითებენ თქვენზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;
- თუ თქვენს სხეულზე ან თქვენს ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- თუ თქვენ მიიმალეთ დანაშაულის ჩადენისას, მაგრამ შემდეგ თქვენ ამოგიცნოთ დაზარალებულმა;
- თუ თქვენ იძებნებით პოლიციის მიერ;
- თქვენი დაკავება აკრძალულია სხვა ნებისმიერი მონაცემებით, გარდა ზემოაღნიშნულისა, თუ თქვენ არ ცდილობდით გაქცევას, აგრეთვე გაქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და თქვენი ეინაობა დადგენილია, ე.ი. გაქვთ პირადობის და საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მოწმობა. მხოლოდ იმის გამო, რომ თქვენ არა გაქვთ რაიმე პირადობის მოწმობა თქვენი დაკავება აკრძალულია;
- პირადობის მოწმობის მოთხოვნის უფლება პოლიციის მხრიდან არ დაიშვება;
- თქვენ უფლება გაქვთ მიმართოთ საჩივრით იმ ტერიტორიის პროკურორს ან სასამართლოს, სადაც მოხდა თქვენი დაკავება, რათა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე;
- თუ თქვენი საჩივარი პროკურორმა არ დააკმაყოფილა, თქვენ უფლება გაქვთ გაასაჩივროთ პროკურორის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არაღძრის შესახებ იმავე ტერიტორიის სასამართლოში;
- თქვენ უფლება გაქვთ მიმართოთ სასამართლოს სარჩელით უკანონო დაკავების შედეგად თქვენთვის მიყენებული, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით;
- თქვენ უფლება გაქვთ პირდაპირ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ თქვენი უკანონო დაკავების ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძრა;
- თუ თქვენ დაგაკავეს და შემდეგ გაგათავისუფლეს, ხელმეორედ იმავე ეჭვის საფუძველზე თქვენი დაკავება კანონით აკრძალულია;
- თუ თქვენ ხართ სამხედრო მოსამსახურე და დაგაკავეს, პოლიციაში თქვენი მიყვანიდან 3 საათის განმავლობაში თქვენ უნდა გადაეცეთ სამხედრო პროკურატურას ან შესაბამის სამხედრო მეთაურს, რომელსაც მოკვლევის ორგანოს უფლებამოსილება აქვს;
- თქვენს მიერ თქვენი უფლებების გამოუყენებლობა არ შეიძლება ეინმეს მიერ ჩაითვალოს, როგორც დანაშაულის ჩადენის დადასტურება თქვენი მხრიდან; ამ შემთხვევებში უმეტესად გამოიყენება საქართველოს კონსტიტუციის მე-17, მე-18, მე-20, მე-40-ე და 42-ე მუხლები,

უფლებები (ექიმის მოვალეობები და ვალდებულებები)

რა სახის სამედიცინო ჩარევების დროს არის ექიმი ვალდებული მიიღოს პაციენტისგან წერილობითი ინფორმირებული თანხმობა?

ექიმი ვალდებულია მიიღოს წერილობით ინფორმირებული თანხმობა შემდეგი სამედიცინო ჩარევების წინ:

ა) ნებისმიერი ქირურგიული ოპერაცია (გარდა მცირე ქირურგიული ჩარევისა);

ბ) აბორტი;

გ) სისხლძარღვების კათეტერიზაცია (გარდა პერიფერიული ვენების კათეტერიზაციისა);

დ) ჰემოდიალიზი და პერიტონეული დიალიზი;

ე) ხელოვნური განაყოფიერება.

ვ) ქირურგიული კონტრაცეფცია – სტერილიზაცია;

ზ) გენეტიკური ტესტირება;

თ) გენური თერაპია;

ი) სხივური თერაპია;

კ) ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპია.

ექიმი ვალდებულია შესაბამისი სამედიცინო მომსახურება გაუწიოს პაციენტს, რომელსაც მკურნალობს ან/და მეთვალყურეობს იმაუე დაწესებულებაში მომუშავე კოლეგა, თუ ეს უკანასკნელი რაიმე მიზეზის გამო ვერ ახორციელებს სამედიცინო მომსახურების განხორციელებას. თუ ექიმი მოიწვევს თავის კოლეგას პაციენტის სამედიცინო მომსახურებაში მონაწილეობისათვის, ხოლო პაციენტთან მას დადებული აქვს ხელშეკრულება გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების შესახებ, მომწვევი (ექიმი, რომელთანაც დადებული აქვს ხელშეკრულება) ვალდებულია შესთავაზოს მოწვეულს მისი შრომის შესაბამისი საზღაური.

როდის არის ექიმი ვალდებული აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება?

ექიმი მოვალეა აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოს მისი უწყვეტობა თუ:

ა) არსებობს ოფიციალურად გაფორმებული (წერილობითი) ან სიტყვიერი შეთანხმება;

ბ) გამოხატულია სიცოცხლისათვის საშიში, მათ შორის თვითმკვლელობის მცდელობით განპირობებული მდგომარეობა ან პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას ექიმის სამუშაო ადგილზე.

გ) პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ხოლო თუ სამედიცინო მომსახურების გაწევა არა აქვს შესაძლებლობა აღმოუჩინოს პაციენტს ასეთი მომსახურება, იგი ვალდებულია მიაწოდოს პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს სრული ინფორმაცია თუ სად შეიძლება გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღება.

არასამუშაო ადგილზე შესაძლებლობების ფარგლებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა, ექიმის ისეევ, როგორც ნებისმიერი მოქალაქის, მოვალეობაა. ამ დროს დაუშვებელია რაიმე საზღაურის მოთხოვნა. ყველა სხვა შემთხვევაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებული მოვალეობები, მათ შორის მისი უწყვეტობის უზრუნველყოფის მოვალეობა, ექიმს ეკისრება მაშინვე, როცა იგი იწყებს სამედიცინო დახმარებას.

რა ფორმით და ვისთვის შეუძლია ექიმს სამედიცინო დოკუმენტაციაში პაციენტზე არსებული ინფორმაციის გამჟღავნება?

ექიმი ვალდებულია პაციენტს, ხოლო მისი ქმედუუნაროობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის ან/და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში პაციენტის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს პაციენტის მოთხოვნით, გააცნოს მის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, დიაგნოსტიკური გამოკვლევების შედეგების მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებული მონაცემების, სხვა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ ჩატარებული კონსულტაციის ამსახველი ჩანაწერების ჩათვლით.

ექიმს მხოლოდ პაციენტის თანხმობით აქვს უფლება გააცნოს ქმედუნარიანი ან/და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პაციენტის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია.

ექიმი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგაც. კონფიდენციალობის გამჟღავნება დასაშვებია პაციენტის თანხმობის, მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობისათვის საფრთხის, სასწაულო ან სამეცნიერო მიზნით პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენების დროს მონაცემების იმგვარად წარდგენისას, რაცა შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია. აგრეთვე სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების მოთხოვნისას ან რაღესაც ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

უფლებები (ორსულისა და მეძუძური დედების უფლებები)

რა ვალდებულება აკისრია სამედიცინო მომსახურების გამწევს ორსულისა და მეძუძური დედის წინაშე?

ორსულს და მეძუძურ დედას უფლება აქვთ სამედიცინო მომსახურების გამწევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია ორსულობის, მშობიარობის ან ლოგინობის პერიოდში დაეგეგმილი ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის შემთხვევაში ნაყოფზე ან ახალშობილზე შესაძლო პირდაპირი ან ირიბი მავნე ზემოქმედების შესახებ. მშობიარეს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის და ნაყოფისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ. მშობიარეს არა აქვს უფლება უარი თქვას ისეთ სამედიცინო მომსახურებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი ნაყოფის დაბადებას და რომელიც მშობიარეს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მინიმალური რისკის მატარებელია.

რისი უფლება აქვს მშობიარეს?

მშობიარეს უფლება აქვს მშობიარობის დროს გვერდით იყოლიოს მეუღლე ან მისთვის სასურველი პირი. მეღოგინე ქალს უფლება აქვს გვერდით იყოლიოს ახალშობილი თუ სამედიცინო მომსახურების გამწევი,

ბაუშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით მის სხვაგან გადაყვანას არ გადაწყვეტს, აგრეთვე საკუთარი შეხედულებისამებრ კეებოს ახალშობილი.

რა ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს ორსულისა და მეძუძური დედების წინაშე?

სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს უსაფრთხო დედობას, ორსული ქალების სამედიცინო შეთვალყურეობას, საწარმოებსა და დაწესებულებებში ბავშვთა მოელისათვის საჭირო პირობების შექმნას, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ სამედიცინო დახმარებას სახელმწიფო სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის გზით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მეანობის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, სხვადასხვა (სამედიცინო დაწესებულება, რომელიც გაიმარჯვებს ტენდერში და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მშობიარეთათვის უფასო სამედიცინო მომსახურებას) სამედიცინო დაწესებულებებში მშობიარობა უფასოა.

უფლებები (პაციენტის უფლებები)

სამედიცინო დაწესებულებებსა და პაციენტებს შორის არსებული ურთიერთობა მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 37), კონვენციით „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ და კონვენციის დამატებით ოქმით „ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ“, კანონებით „პაციენტის უფლებების შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, „ორგანოთა გადანერგვის შესახებ“, რომელშიც გამოხატულია, როგორც პაციენტის უფლებები, ასევე ექიმთა და საერთოდ სამედიცინო დაწესებულების მუშაკთა მოვალეობები სხვადასხვა კატეგორიის პაციენტის მიმართ.

ვინ არის პაციენტი?

პაციენტი არის ნებისმიერი პირი, რომელიც მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით.

პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადი უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია.

რა უფლებები აქვს პაციენტს?

პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია:

ა) სამედიცინო მოშსახურების არსებული რესურსებისა და მათი მიღების სახეების, საფასურისა და ანაზღაურების ფორმების შესახებ;

ბ) საქართველოს კანონმდებლობითა და სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული პაციენტის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;

გ) განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ;

დ) სამედიცინო გამოკელეევების შედეგების შესახებ;

ე) განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა, ალტერნატიული ვარიანტების, მათი თანმხლები რისკისა და ეფექტიანობის შესახებ;

ვ) განზრახულ სამედიცინო მომსახურებაზე გაცხადებული უარის მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

ზ) დიაგნოზისა და სავარაუდო პროგნოზის, აგრეთვე მკურნალობის მიმდინარეობის შესახებ;

თ) სამედიცინო მომსახურების გამწევის ვინაობისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ.

რა უფლებები აქვს ქმედუნარიან პაციენტს?

ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებისუნარიან პაციენტს უფლება აქვს მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის მოსალოდნელი შედეგების შესახებ პაციენტი ამომწურავად უნდა იყოს ინფორმირებული. სამედიცინო მომსახურების გაწევისას დასაშვებია მხოლოდ მასში უშუალოდ მონაწილე პირთა დასწრება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პაციენტი თანახმაა ან მოითხოვს სხვა პირთა დასწრებას. პაციენტს უფლება აქვს მეორე აზრის მოსაძიებლად დაუბრკოლებლად მიმართოს სხვა ექიმს ან სამედიცინო დაწესებულებას.

რა უფლებები აქვს არაქმედუნარიან პაციენტს?

არაქმედუნარიან და გაცნობიერებულ გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტისათვის გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის ან სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობის დროს სამედიცინო ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ პაციენტის ინტერესების გათვალისწინებით. ყველა სხვა შემთხვევაში, არაქმედუნარიანი პაციენტის ნათესაეის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

რისი უფლება არა აქვს პაციენტს?

ნებისმიერ პაციენტს უფლება აქვს მისი სურვილისამებრ მიმართოს ან არ მიმართოს სამედიცინო მომსახურების გამწევს სხვადასხვა სამედიცინო ჩარევისათეის, მაგრამ არსებობს ისეთი სამედიცინო ღონისძიებები, რომლის გაწევაზეც პაციენტს უფლება არა აქვს უარი თქვას, გარდა:

ა) სავალდებულო აცრებისა და საკარანტინო ღონისძიებებისა;

ბ) გადამდები დაავადებების მაღალი რისკის მქონე მოქალაქეთათვის სათანადო სამკურნალო და საპროფილაქტიკო ღონისძიებებისა;

გ) სხვადასხვა ობიექტების ინფიცირებისაგან დაცვისა და ინფიცირებული ობიექტების გაუვნებლობისა;

დ) ეპიდემია საწინააღმდეგო ვითარებაში გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლისა;

ე) სამედიცინო პერსონალის ეპიდემიოლოგიური მზადყოფნისათვის საჭირო. ღონისძიებების განხორციელებისა;

ტერმინთა განმარტება

პაციენტის ნათესავი – მეუღლე, მშობლები, ბებია, პაპა, შვილი, შვილიშვილი, და-ძმა, არაღვიძილი და-ძმა, დისშვილები და ძმისშვილები, მშობლების და-ძმები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, დანათესაეებულები (მოყვრები).

პაციენტის მეურვეობა და მზრუნველობა – მეურვეობა და მზრუნველობა უწესდება არასრულწლოვან ბავშვს, რომელსაც არ ჰყავს მშობლები, ან პირს, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო.

პაციენტის კანონიერი წარმომადგენელი – პაციენტის მეურვე ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი.

ქმედუნარიანობა – პირის უნარი თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ყიდვა-გაყიდვა და ა.შ).

ქმედუუნარო – პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად არის აღიარებული.

ინფორმირებული თანხმობა – პაციენტის, ხოლო მისი ქმედუუნარობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურებაზე.

დისკრიმინაცია – ადამიანისათვის რაიმე ნიშნის მიხედვით უპირატესობის მინიჭება, სხვა ხალხის ან რასის ან ჯგუფის დამცირებით.

სასჯელაღსრულების დაწესებულება – დაწესებულება, სადაც პირი სასამართლოს გადაწყვეტილებით დანაშაულის ჩადენისათვის იხდის სასჯელს. დაწესებულება სადაც პირი იმყოფება სასამართლოს მიერ პატიმრობის სახით აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებიდან, სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე.

სად – სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.

უფლებები (სამხედრო მოსამსახურის, წვევამდელისა და სამხედრო სამსახურში კონტრაქტით დაქირავებულის, როგორც პაციენტის უფლებები)

სამხედრო მოსამსახურეს, წვევამდელსა და სამხედრო სამსახურში კონტრაქტით დაქირავებულს ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრისათვის სხვა ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების გარდა, აქვთ დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზის მოთხოვნისა და ჩატარების უფლება, თუ წვევამდელი სამხედრო სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილებას არაობიექტურად მიიჩნევს.

უფლებები (ფსიქიურად დაავადებულ პაციენტთა უფლებები)

რა აქვს გარანტირებული ფსიქიურად დაავადებულ პირს?

ფსიქიურად დაავადებულ პაციენტს გარანტირებული აქვს:

ჰუმანური დამოკიდებულება, რომელიც გამორიცხავს პიროვნების ღირსების შეურაცხმყოფელ ყოველგვარ ქმედებებს;

მკურნალობა მინიმალურად შეზღუდულ პირობებში და იმ მეთოდებით, რომლებიც შემუშავებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ;

მკურნალობა აუცილებელი სამედიცინო ჩვენების მიხედვით, შეძლებისდაგვარად ავადმყოფის ან მისი ახლობლების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს;

ინფორმაციის მიღება თავისი დაავადებებისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ;

მკურნალობაზე უარის თქმის უფლება, თუ აქვს უნარი მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება. თუ პაციენტის ასაკი არ აღემატება 16 წელს, ან არა აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, მაშინ ასეთი ინფორმაციისა და გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ მის მშობლებს ან მეურვეს;

ადვოკატის დახმარების მიღების უფლება. ფსიქონერეოლოგიური დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია პაციენტის ადვოკატს წარუდგინოს პაციენტზე არსებული ყველა სახის დოკუმენტაცია;

ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ადვოკატის შეხვედრას პაციენტთან, მასთან პერსონალის ან სხვა მოწმეების გარეშე გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობა არ იძლევა ამის შესაძლებლობას;

საჩივრისა და განცხადების შეტანა სასამართლო, სახელმწიფო ორგანოებში, ფსიქიატრი მოიწვევა სამართლებრივი საკითხების განხილვისას;

თუ პირი კანონით არის აღიარებული დაავადების ხარისხის მიხედვით, შეუძლია არჩევნებში მონაწილეობის უფლება და გაანძია უფლებამოსილება ადმოუკიდებლად ეწეოდეს სამეურნეო საქმიანობას, თვითონ განაგებდეს თავის ქონებას თუ იგი სასამართლოს მიერ აღიარებული არ არის არაქმედუნარიანად;

ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების მიღების უფლება;

უფლება ისარგებლოს სოციალური დაცვით;

უფლება ისარგებლოს სანიტარული და საკურორტო მომსახურებით.

რა არის ადამიანის ფსიქიურად დაავადებულად ცნობის საფუძველი?

სამსახურებრივი ან ოჯახური კონფლიქტი, შეუთავსებლობა საზოგადოებაში გაბატონებულ მორალურ, რელიგიურ, კულტურულ ან პოლიტიკურ შეხედულებებთან არ არის ფსიქიური დაავადების დიაგნოზის დასმის საფუძველი.

ცნობა იმის შესახებ, რომ პირი წარსულში მკურნალობდა ამბულატორიული ან სტაციონარული ტიპის ფსიქონევროლოგიურ დაწესებულებებში, არ ჩაითვლება გადამწყვეტ ფაქტორად, რათა იგი ჩაითვალოს ფსიქიურად დაავადებულად.

როგორ უწევენ ფსიქიურად დაავადებულ პირს ფსიქიატრიულ მკურნალობას?

ფსიქიურად დაავადებულ პირს ფსიქიატრიულ დახმარებას უწევენ მისი თხოვნის საფუძველზე.

იმ პირს, რომელსაც არ შესრულებია 16 წელი ან სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუნარიანად, ფსიქიატრიული დახმარების გაწევა ხდება მისი მშობლების ან მეურვის თანხმობით.

ექიმი-ფსიქიატრი ავადმყოფის გამოკვლევისას ვალდებულია გაეცნოს მას და გააცნოს გამოკვლევის მიზანი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ამ მოქმედებას შეუძლია გაამწვაეოს ავადმყოფის მდგომარეობა.

ნებისმიერი ტიპის მკურნალობა დაუყოვნებლივ

ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში იმის მითითებით, რომ მკურნალობა ნებაყოფლობითია (დასტურდება პაციენტის ხელმოწერით).

რა უფლება აქვს სტაციონარში მოთავსებულ პაციენტს?

მიიღოს და გაგზავნოს გზავნილები და წერილები;

მიიღოს მნახველები საამისოდ სპეციალურ დროს (11 საათიდან 20 საათამდე) და სპეციალურ ადგილას (ყველა განყოფილებაში არსებობს სპეციალურად გამოყოფილი ოთახები).

შეხვდეს ადვოკატს ან მეურვეს მოწმეების გარეშე.

უფლებები (წინასწარპატიმრობაში ან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის, როგორც პაციენტის უფლებები)

რა უფლებით სარგებლობს პირი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებისთანავე?

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებისთანავე პირს უფლება აქვს მოითხოვოს სათანადო სამედიცინო გამოკვლევა, დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და საჭიროებისას სამედიცინო მომსახურება.

რა ვალდებულება აკისრია ექიმს პატიმრის, დაკავებულის ან დატყვევებულის წინაშე?

პატიმრის, დაკავებულის ან დატყვევებულისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას ექიმი ვალდებულია მისი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა და მკურნალობა უზრუნველყოს ისეთივე ხარისხითა და სტანდარტებით, როგორითაც იმ ადამიანებისა, რომლებიც არ არიან პატიმრები, დაკავებულები ან დატყვევებულები. ექიმი ვალდებულია წინასწარპატიმრობაში ან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირს სამედიცინო დახმარება გაუწიოს მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, გარდა გადაუდებელი და სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობისა, როცა თანხმობის მიღება შეუძლებელია პაციენტის მძიმე მდგომარეობის გამო.

ექიმს ეკრძალება მოშიმშილე პატიმრის ან დაკავებულის ხელოვნური კვება, თუ ის უარს ამბობს საკვების ბუნებრივი გზით მიღებაზე და მას, ექიმის აზრით აქვს უნარი გაანალიზოს თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს მის ჯანმრთელობას. ეს აზრი უნდა დაადასტუროს ერთმა სხვა ექიმმა მაინც.

პატიმრის ან დაკავებულის საკვების მიღებაზე უარის განცხადების შემთხვევაში ექიმი ვალდებულია აცნობოს პატიმარს ან დაკავებულს საკვების მიღებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების შესახებ. თუ პატიმარი ან დაკავებული ნებაყოფლობითი შიმშილობის შედეგად უგონო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ექიმს უფლება აქვს იმოქმედოს პაციენტის ჯანმრთელობის ან/და სიცოცხლის ინტერესთა შესაბამისად, მიუხედავად პაციენტის მიერ მანამდე განცხადებული ნებისა. თუ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე შიმშილობელ პატიმარი ან დაკავებული უარს აცხადებს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, შიმშილობის მოსალოდნელ შედეგებზე ექიმი პასუხს არ აგებს.

უფლების ჩამორთმევა სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება, რომლითაც პირს ეკრძალება ისარგებლოს გარკვეული უფლებით. მაგ., მშობლის, გარკვეული საქმიანობის, პროფესიის და თანამდებობის ჩამორთმევა. უფლების ჩამორთმევის სპეციალურ სახეს წარმოადგენს სამხედრო და სხვა წოდებათა, აგრეთვე ორდენების, მედლებისა და საპატიო წოდებათა ჩამორთმევა. გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სასამართლოს შეუძლია დანიშნოს, როგორც ძირითად, ასევე დამატებით სასჯელად განსაზღვრული ეადით, კანონის შესაბამისად.

უფლების ჩამორთმევა დაიკაეოს გარკვეული თანამდებობები ან დაკავდეს გარკვეული საქმიანობით – სახელმწიფო სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობის დაკავების ან გარკვეული პროფესიული ან სხვა საქმიანობის განხორციელების აკრძალვა. ის შეიძლება პირობითად ორ დამოუკიდებელ ელემენტად დაიყოს: ა) უფლების ჩამორთმევა დაიკაეოს გარკვეული თანამდებობები სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში; ბ) უფლების ჩამორთმევა დაკავდეს გარკვეული პროფესიული ან სხვა საქმიანობით.

გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა მდგომარეობს მსჯავრდებული პირის იმ თანამდებობიდან განთავისუფლებაში, რომელზეც მას უფლება აქვს ჩამორთმეული. გარკვეული თანამდებობების დაკავების უფლების ჩამორთმევა გამოიყენება იმ პირებთან მიმართებაში, რომელთაც უკავიათ თანამდებობები სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

გარკვეული საქმიანობით დაკავების უფლების ჩამორთმევა ეხება როგორც სამსახურებრივი (პროფესიული), ასევე არასამსახურებრივი (სხვა სახის) საქმიანობის აკრძალვას.

გარკვეული პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევა ვრცელდება საქმიანობაზე, რომლის განხორციელებისთვისაც საჭიროა გარკვეული პროფესიული მომზადება (პედაგოგიური, საექიმო, ფარმაცევტული, იურიდიული და სხვ.).

სხვა სახის (არასამსახურებრივ) საქმიანობას განეკუთვნება საქმიანობის ისეთი სახეები, როგორიცაა სამეწარმეო საქმიანობა, სატრანსპორტო საშუალების მართვა, ნადირობა, თევზჭერა, როგორც წესი, ბევრი ასეთი საქმიანობა არ უკავშირდება პროფესიულ მომზადებას.

უფლების ჩამორთმევა დაიკაეოს გარკვეული თანამდებობები ან დაკავდეს გარკვეული საქმიანობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელის, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სახითაც.

უქმე არასამუშაო დღეები და დღესასწაულები – მუშაკის დასვენების დრო, რომელიც მის განკარგულებაში რჩება შრომის ფუნქციების შესრულების შემდეგ. დასვენების დროის ცალკეული ნაწილების სახით მასში შედის: ყოველკვირეული დასვენება, გამოსასვლელი დღეები და დღესასწაულები, ასევე სამუშაო დღის (ცვლის) ხანგრძლივობის 1 სთ-ით შემცირება დღესასწაულისა და გამოსასვლელი დღეების წინა დღეს. 5 დღიანი სამუშაო კვირის დროს მუშაკებს ეძლევა 2 გამოსასვლელი დღე კვირაში, 6 დღიანის დროს კი – 1 დღე. საერთო გამოსასვლელ დღეს წარმოადგენს კვირა. 5 დღიანი

სამუშაო კვირის დროს მე-2 გამოსასვლელ დღეს, თუ ეს განსაზღვრული არაა კანონით, ადგენს ორგანიზაციის სამუშაო გრაფიკი ან შინაგანაწესი.

დღესასწაულების დადგენა ხდება კანონმდებლობით. ასეთ დღეებში ორგანიზაციებში არ წარმოებს სამუშაოები. გამონაკლისს შეადგენს ის ორგანიზაციები, რომელთა მუშაობის შეწერებაც შეუძლებელია საწარმოო-ტექნიკური პირობების (უწყვეტად მომუშავე ორგანიზაციები) მოსახლეობის მოსახურებისთვის აუცილებელი სამუშაოების, ასევე გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით. გამოსასვლელ დღეს მუშაობის კომპენსაცია ხდება სხვა დღეს დასვენებით ან მხარეთა შეთანხმებით ფულადი ფორმით, მაგრამ არა ნაკლებ ორმაგი ოდენობით. თუ დღესასწაულს წინ უსწრებს გამოსასვლელი დღე კალენდრით ან სამუშაო გრაფიკით, ყოველდღიური სამუშაოს (ცვლის) ხანგრძლივობის შემცირება არ ხდება დღესასწაულის წინ.

უცნობებელი არყოფნა – ცნება, რომელიც შემოღებულია სამოქალაქო კანონმდებლობაში სამოქალაქო ურთიერთობებში იმ გაურკვეველობის აღმოფხვრის მიზნით, როცა მოქალაქის (ამ ურთიერთობების მონაწილის) შესახებ ხანგრძლივი დროის მანძილზე არაა არანაირი ცნობა მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, ხოლო მის მოსაძებნად მიმართული მცდელობები კი უშედეგოა, მოქალაქე შეიძლება ჩაითვალოს უცნობებლად არმყოფად, თუ კანონით დადგენილ რამდენიმე წელიწადის მანძილზე არანაირი ცნობები არ არსებობს მისი ადგილსამყოფელის შესახებ. უცნობებლად არმყოფად მოქალაქის ცნობა ხდება ზოგადი იურისდიქციის სასამართლოთა კომპეტენციით, უცნობებლად არმყოფი მოქალაქის ქონება, მისი მუდმივი მართვის საჭიროების შემთხვევაში გადაეცემა სასამართლოს გადაწყვეტილებით პირს, რომელიც განისაზღვრება მზრუნველობისა და ქომაგობის ორგანოდ და მოქმედებს ამ ორგანოსთან დადებული ქონების მინდობილობით მართვის ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ქონებიდან სარჩო გაიცემა იმ მოქალაქეებზე, რომლებიც უნდა შეენახა უცნობებლად არმყოფს და იფარება მისი დავალიანება სხვა ვალდებულებებზე. უცნობებლად არმყოფი მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას მისი ასეთად ცნობის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება ამ მოქალაქის ქონების მართვა.

უცხოური ვალუტა – ცნება საგალუტო კანონმდებლობაში უცხოური სახელმწიფოების ფულის ნიშნების აღსანიშნავად, რომლებიც ემსახურებიან საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს. იურიდიული თვალსაზრისით სახელმწიფოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვანს წარმოადგენს ტერმინის – „უცხოური ვალუტა“ – აღნიშვნა, რამდენადაც სახელმწიფოს საგალუტო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია არ დაუშვას საკუთარ ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის ბრუნვიდან განდევნა, მისი ჩანაცვლება უცხოური ვალუტით. ეს მიზანი, პირველ რიგში, მიიღწევა უცხოური ვალუტით გარიგების წესის რეგულირებისას (იხ. საგალუტო რეგულირება).

საერთაშორისო გადახდების პრაქტიკაში გამოიყენება არა მხოლოდ ფული (ნაღდი და უნაღდო), არამედ მისი შემცვლელებიც, პირველ რიგში კი ფასიანი ქაღალდები. მოცემული გადახდები რომ არ ამოვარდეს საგალუტო რეგულირების სფეროდან, უცხოური ვალუტის განსაზღვრასთან ერთად, კანონს შემოაქვს საგალუტო ფასეულობების უფრო ფართო განსაზღვრება, რომელთა გამოყენებითაც ოპერაციები ასევე ექვემდებარება რეგლამენტაციასა და კონტროლს.

უძრავი ქონება – როგორც წესი, მუდმივად ერთსა და იმავე ადგილას მყოფი ქონება, რომელსაც გააჩნია ინდივიდუალური ნიშნები და წარმოადგენს შეუცვლელს. უძრავ ქონებას განეკუთვნება მიწის ნაკვეთები, წიაღის მონაკვეთები, განკერძოებული წყლის ობიექტები და ყველაფერი ის, რაც მიწას უკავშირდება, მათ შორის, ტყეები, მრავალწლიანი ნარგავები, შენობები, ნაგებობები და ა.შ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, უძრავი ქონების ობიექტების უმრავლესობისთვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მათი უწყვეტი კავშირი მიწასთან, რისი წყალობითაც მათ გააჩნიათ მომატებული ღირებულება. კანონის მიხედვით უძრავ ქონებას შეიძლება მიეკუთვნოს სხვა ქონებაც. უძრაობი ქონების სამართლებრივი რეჟიმის ძირითადი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ საკუთრების სხვა ქონებრივი უფლებების (იპოთეკა, სერვიტუტი და ა.შ.) მასზე ზოგიერთი სავალდებულო (ოჯარა, მინდობილობით მართვა და ა.შ.) უფლების წარმოქმნა, გადაცემა, შეზღუდვა და შეწყვეტა ხდება განსაკუთრებული წესით.

უძრავი ქონების გაყიდვის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გამყიდველი ვალდებულია მყიდველს საკუთრებაში გადასცეს მიწის ნაკვეთი, შენობა, ნაგებობა, ბინა ან სხვა უძრავი ქონება. უძრავი ქონების გაყიდვის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, ერთი დოკუმენტის შედგენის გზით, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ ბათილობის საფრთხის ქვეშ. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მყიდველზე გადაცემა უძრავი ქონების გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას. ამასთან, ხელშეკრულება არაა რეგისტრირებული (შვად. საცხოვრებელი შენობების გაყიდვის ხელშეკრულება). უძრავი ქონების გაყიდვის ხელშეკრულების არსებით პირობებს წარმოადგენს ფასი და საგანი.

შენობის, ნაგებობის გაყიდვის ხელშეკრულების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ამგვარ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემასთან ერთად გადაიცემა უფლებები მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელზეცაა განლაგებული ეს უძრავი ქონება და აუცილებელია მისი გამოყენებისათვის ე.ი. საკუთრების ან იჯარის უფლება. იმ შემთხვევებში, როცა მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია გამყიდველის კუთვნილი შენობა, ნაგებობა ან სხვა უძრავი ქონება, იყიდება ამ უძრავი ქონების მყიდველის საკუთრებაში გადაცემის გარეშე, გამყიდველს უნარჩუნდება იმ მიწის ნაკვეთის ნაწილის სარგებლობის უფლება, რომელიც დაკავებულია უძრავი ქონებით და აუცილებელია მისი გაყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით სარგებლობისთვის. გამყიდველის მიერ უძრავი ქონების გადაცემა ხორციელდება მხარეების მიერ ხელმოწერილი გადაცემის აქტით. იხ. ასევე უძრავი ქონება, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

უწყება – უწყება წარმოადგენს ოფიციალურ წერილობით შეტყობინებას რაიმეს (მაგ., მოსალოდნელი თათბირის) შესახებ. იგი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1. მიმართვა ადრესატისადმი გვარისა და ინიციალების აღნიშვნით ან სახელით და მამის სახელით;
2. შინაარსი, რომელშიც აღინიშნება: ა) რომელი ორგანიზაცია ატარებს კრებას (თათბირს, სხდომას); ბ) რა საკითხები იქნება განხილული.
3. სად და როდის შედგება კრება.
4. უწყების გაგზავნის თარიღი.
5. პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.

უწყვეტობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესის პრინციპი, რაც ნიშნავს სასამართლო განხილვის მიმდინარეობას უწყვეტად, გარდა შესვენებისათვის საჭირო დროისა. სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვს სხვა საქმე და მასალა განიხილოს მოცემული საქმის წარმოების შეწერების ან საქმის განხილვის 2 დღეზე მეტი ვადით შეწერების შემთხვევაში (სსსკ, მუხლი 441).

ფ

ფასიანი ქაღალდების ემისია – ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვება. ფასიანი ქაღალდების (აქციებისა და ობლიგაციების) ემისია, რომელთაც ახორციელებენ სააქციო კომპანიები და ასევე სახელმწიფო (მისი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები). გადაწყვეტილება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის შესახებ გამოაქვს მთავრობას, ბიუჯეტის დეფიციტის და სახელმწიფო თუ მუნიციპალური ვალის ზღვრული მოცულობის შესაბამისად. ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევისა და განაღდების წესი რეგულირდება კანონით სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების ემისიისა და ბრუნვის თაობაზე. იხ. ბოროტად გამოყენება ფასიანი ქაღალდების გამოშვების (ემისიის) დროს.

ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტი – საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც ხსნის ფასიანი ქაღალდების გამოშვების მიზნებსა და პირობებს, ასევე ემიტენტის ფინანსური და საქმიანი მდგომარეობის ძირითად პოზიციებს. ის რეგისტრირებულ უნდა იქნეს მარეგულირებელი ორგანოს მიერ.

ფასიანი ქაღალდი – სამოქალაქო სამართალში დოკუმენტი, რომელიც დადგენილი ფორმისა და საკადებულო რეკვიზიტების დაცვით ადასტურებს ქონებრივ უფლებებს, რომელთა განხორციელება ან გადაცემაც შესაძლებელია მხოლოდ მისი წარდგენისას. ფასიანი ქაღალდის გადაცემით გადადის ერთობლიობაში ყველა მისი უფლება. ფასიან ქაღალდებს განეკუთვნება: სახელმწიფო ობლიგაცია, ობლიგაცია, თამასუქი, ჩეკი, საღებაროტიტო და შენახვის სერტიფიკატები, სამნაკო შემნახველი წიგნაკი წარმომდგენზე, კონოსამენტი, აქცია, საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც კანონის თანახმად მიეკუთვნებიან ფასიან ქაღალდების რიცხვს. ზოგადად, ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ სპეციალურ ბლანკებზე შედგენილ წერილობით დოკუმენტებს, რომელთაც გააჩნიათ გაყალბებისგან დაცვის ესა თუ ის ხარისხი. ფასიანი ქაღალდის აუცილებელი რეკვიზიტები დგინდება კანონმდებლობით თითოეული კონკრეტული სახის გამოსაშვებ ფასიან ქაღალდთან მიმართებაში. ფასიანი ქაღალდის საკადებულო რეკვიზიტების არარსებობა ან ფასიანი ქაღალდის შეუსაბამობა მისთვის დადგენილ ფორმასთან იწვევს მის ბათილობას. ფასიანი ქაღალდის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მასში ასახული უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ფასიანი ქაღალდის წარდგენისას. ფასიანი ქაღალდის დაკარგვას, როგორც წესი, მოსდევს მასზე განმტკიცებული უფლების რეალიზაციის შეუძლებლობა. ფასიანი ქაღალდები იყოფა ცალკეულ სახეებად სხვადასხვა საკლასიფიკაციო საფუძვლების მიხედვით. უფლებამოსილი პირის აღნიშვნის ხერხების მიხედვით გამოიყოფა წარმომდგენის, სახელობითი და ორდერული ფასიანი ქაღალდები, წარმომდგენის ფასიან ქაღალდს წარმოადგენს ისეთი ქაღალდი, რომელშიც მითითებული არაა კონკრეტული პირი, რომლისთვისაც უნდა მოხდეს შესრულება. ასეთ ფასიან ქაღალდში გამოხატული უფლების განმხორციელებელ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდის ნებისმიერი მფლობელი, რომელმაც მხოლოდ უნდა წარმოადგინოს ის. სახელობითი ფასიანი ქაღალდია დოკუმენტი, რომელიც გამოწერილია კონკრეტული პირის სახელზე, რომელსაც შეუძლია მასში გამოხატული უფლების განხორციელება. ორდერული ფასიანი ქაღალდიც ასევე გაიცემა გარკვეულ პირზე, მაგრამ იმ პირზე, რომელსაც შეუძლია შესაბამისი უფლების განხორციელება არა მხოლოდ დამოუკიდებლად, არამედ დანიშნოს კიდევ თავისი განკარგულებით (ორდერით, ბრძანებით) სხვა უფლებამოსილი პირი.

იმის გათვალისწინებით, თუ რა საწყისებზე ხდება ფასიანი ქაღალდის გამოშვება, გამოიყოფა საემისიო და არასაემისიო ფასიანი ქაღალდები. საემისიო ფასიან ქაღალდებს განეკუთვნება აქციები, ობლიგაციები, შემნახველი სერტიფიკატები და სხვ. არასაემისიო ფასიანი ქაღალდების გამოშვება ხდება „ცალობითი" წესით და მათ მფლობელებზე მტკიცდება უფლებების ინდივიდუალური მოცულობა. მათ წარმოადგენენ ჩეკები, თამასუქები, კონოსამენტები და სხვ.

ფასიანი ქაღალდები მათში ასახული უფლებების შინაარსის მიხედვით არის: ფულადი, სასაქონლო და ფასიანი ქაღალდები, რომლებიც იძლევიან სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებას. იხ. ფასიანი ქაღალდების ემისია.

ფაუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები – 1) ურთიერთობები ადამიანებს შორის ცხოველთა სამყაროსა და მისი სამკვიდრებელი გარემოს გამოყენების, დაცვის, აღდგენის თაობაზე; 2) ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების სამართლებრივი რეგულირების საგანი.

ფაუნისტური სამართალი – 1) სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემა, რომლებიც წარმოქმნიან სამართლის კომპლექსურ დარგს, რომლის საგანსაც წარმოადგენს ფაუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები (არ წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულს); 2) სამეცნიერო სპეციალობა; 3) „მიწის სამართლის" სასწავლო დისციპლინის შემადგენელი ნაწილი.

ფაქსიმილე [< ლათ. fac simile გააკეთე მსგავსი] 1)დოკუმენტის ან ე-მეს ხელნაწერის ზუსტი აღწარმოება; 2)ბეჭედი, რომელიც ახდენს საკუთარი ხელმოწერის აღწარმოებას; ჩვეულებრივ სჭირდებათ ხელმძღვანელ პირებს, როდესაც ხელს აწერენ ერთი სახის უმნიშვნელო დიდი რაოდენობის დოკუმენტს, მაგ. მოსაწვეებზე.

ფაქტი [ლათ. factum გაკეთებული] 1) ჭეშმარიტება, არაგამოგონილი ამბავი, მოვლენა; 2) მყარად დადგმული საფუძველი, რომელზეც იგება თეორია; 3) ცოდნა, რომლის ნამდვილობა დამტკიცებულია; იურიდიული ფ. – გარემოება, რომელსაც უკავშირდება სამართალურთიერთობის წარმოქმნა, შეცვლა ან შეწყვეტა.

ფაქტიური რეალური, მოქმედი, ფაქტებზე დამყარებული ან მათი შესაბამისი.

ფაქტიური დაკავების მომენტი – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის გადაადგილების თავისუფლების ფაქტიური აღკვეთის მომენტი. მოკვლევის მწარმოებელ პირს, ორგანოს, გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს დააკაეოს პირი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის სახით, რომელზეც შეიძლება შერჩეულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა, თუ: ა) ამ პირს დანაშაულის ჩადენისას ან უშუალოდ მისი ჩადენის შემდეგ წაასწრეს; ბ) დაზარალებულები ან თვითმხილველები მიუთითებენ მოცემულ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე; გ) ამ პირზე ან მის ტანსაცმელზე, მასთან ან მის საცხოვრებელ ბინაში აღმოჩნდება დანაშაულის აშკარა კვალი.

სხვა მონაცემების არსებობისას, რომლებიც იძლევიან საფუძველს პირი ეჭვმიტანილ იქნეს დანაშაულის ჩადენაში, ის შეიძლება იქნეს დაკავებული, თუ ცდილობდა მიმალეას ან მას არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან დადგენილი არაა მისი პიროვნება ან თუ პროკურორის, ასევე გამომძიებლის ან მოკვლევის მწარმოებელი პირის მიერ პროკურორის თანხმობით სასამართლოში გაგზავნილია შუამდგომლობა აღნიშნული პირის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ.

ფაქტორი [ლათ. factor გამკეთებელი, მწარმოებელი] 1) მიზეზი, რ-მე პროცესის, მოვლენის მამოძრავებელი ძალა, რომელიც განაპირობებს მის ხასიათს ან ცალკეულ თვისებას; რისკის ფ. მედიცინაში – ერთ-ერთი ფ., რომელიც ხელს უწყობს დაავადების წარმოქმნას, მაგ. ნარკომანია – შიდსით დანებოვნების რისკის ფაქტორი; 2) ადამიანური ფ.–ადამიანის ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების ერთობლიობა; ამ ფ-ის აღრიცხვას სამუშაო ადგილებზე საინტერნო ფსიქოლოგია შეისწავლის.

ფაშიზმი [იტ. fascismo < fascio შეკვრა, კონა] 1)ნა-ციონალ-სოციალიზმის იდეოლოგია; 2) პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ესწრაფვოდა ქვეყანაში ან მთელ მსოფლიოში ტერორისტული დიქტატურის დამყარებისკენ რასიზმისა და შიდა ომების გაღვივების გზით; 3) ფაშისტების ტერორისტული დიქტატურა იტალიაში (1922–1945), გერმანიაში (1933–1945), აგრ. ზოგიერთ სხვა ქვეყანაში; ხასიათდება ქვეყნის შიგნით დემოკრატიის მოსპობით, სატერორო ნაციის განსაკუთრებული მდგომარეობით და აგრესიული (ან იზოლაციური) პოლიტიკით მეზობლების მიმართ.

ფედერალიზმი [ფრ. f d ralisme < ლათ. foedus კავშირი] 1) მოძრაობა მრავალეროვნებიან სახელმწიფოებში სახელმწიფოს ფედერაციულად მოწყობის სასარგებლოდ; 2) რ-მეს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ფედერაციის პრინციპზეა აგებული.

ფედერალისტები [ინგლ. მხ.რ. federalist < ლათ. foedus კავშირი] 1) ფედერალიზმის მომხრეები; 2) პოლიტიკური პარტია აშშ-ში XVIII–XIX სს-ში; მსხვილი ვაჭრებისა და მონათმფლობელი პლანტატორების ინტერესები, რომლებიც ისწრაფვოდნენ შტატების მიერ ფედერაციული ხელისუფლების მიმართ მაქსიმალური დელეგირებისკენ; 3) იგივე ეპოქაში პოლიტიკური დაჯგუფება ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომლებიც გამოდიოდნენ სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის მოთხოვნით.

ფედერალური 1) ზოგადსახელმწიფოებრივი; ფ. ჯარი–შეიარაღებული ძალები, რომლებიც ჩამოყალიბდა ზოგადსახელმწიფოებრივ დონეზე; ფ. კანონი – კანონი მიღებული ზოგადსახელმწიფოებრივ დონეზე და ჩვეულებრივ ვრცელდებულებს შესრულებას ფედერაციის ყველა სუბიექტს, თუნდაც ის ეწინააღმდეგებოდეს ადგილობრივ კანონმდებლობას; 2) იგივეა, რაც ფედერაციული.

ფედერატები [ლათ. foedirati < foedus კავშირი] 1)ბარბაროსული ტომი რომის იმპერიის გაანპირას; სხვადასხვა პრივილეგიის ფასად მოვალეები იყვნენ დაეცვათ საზღვარი; 2) XVIII ს-ის ბოლოს საფრანგეთში მოხალისეები, რომლებიც მიემართებოდნენ პარიზში რევოლუციის დასაცავად; 3) „ასი დღის" პერიოდში მოხალისეები, რომლებიც ნაპოლეონის მხარეს გამოდიოდნენ (1815); 4) პარიზის კომუნის დამცველი (1871) ეროვნული გვარდიის მონაწილეები.

ფედერაცია [< გე.-ლათ. foederare კავშირით გაძლიერება] 1) სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა (ინდოეთის, გერმანიის, რუსეთის, აშშ-ს და სხვ.), რომლის დროსაც სახელმწიფო იქმნება შედარებით დამოუკიდებელი სუბიექტების, ქალაქების, შტატების, ოლქების, მხარეების, მიწების, რესპუბლიკების და სხვ., დაკავშირებით; ფ-ში არსებობს ერთიანი კონსტიტუცია, სახელისუფლო ორგანოები, ჯარი, მოქალაქეობა, ფულადი ერთეული და ა.შ.; ფ-ს სუბიექტებს, როგორც წესი გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო, საშემსრულებლო და სასამართლო ორგანოები; 2) საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელთა წევრები სარგებლობენ გარკვეული დამოუკიდებლობით, ემორჩილებიან საერთო ხელისუფლებას, მაგ. ჰანდრაკის საერთაშორისო ფ.

ფედერაციული ფედერაციასთან დაკავშირებული; ფ. სახელმწიფო – იგივეა, რაც ფედერაცია (1).

ფედინგი [ინგლ. feding < fade ნელ-ნელა შესუსტება] რადიოტალღების დასუსტება; რადიოსიგნალის შესუსტება ან გაქრობა რადიოტალღების გაერცელების პირობების გაუარესების გამო.

ფელდმარშალი – [გერმ. Feldmarschall] უმაღლესი სამხედრო წოდება ევროპის ჯარებში, რომელიც XVI ს-ში შემოიღეს; შემორჩენილია დიდ ბრიტანეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

ფეთქებადსაშიში ობიექტები – 1) ინახება, ტრანსპორტირებას ექვემდებარება, ნადგურდება შემდეგი საშიში ნივთიერებები, კერძოდ: აალებადი ნივთიერებები; დამუანგავი ნივთიერებები; საწვავი ნივთიერებები, ასაფეთქებელი ნივთიერებები, ტოქსიკური ნივთიერებები, ნივთიერებები, რომლებიც წარმოადგენენ საშიშროებას გარემომცველი სამყაროსადმი; 2) გამოიყენება მოწყობილობა, რომელიც მუშაობს 0,07 მეგაპასკალზე მეტი წნევის ქვეშ ან წყლის 115°C-ზე ზემოთ ადუღების ტემპერატურის დროს; 3) გამოიყენება სტაციონარულად დადგენილი ტვირთამწე მექანიზმები, ესკალატორები, საბაგირო გზები, ფუნიკულიორები; 4) მიიღება შაქი და ფერადი ლითონების ნაღნობი და ამ შენადნობებით ამ ნაღნობების საფუძველზე; 5) წარმოებს სამთო სამუშაოები, სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების სამუშაოები და ასევე სამუშაოები მიწისქვეშა პირობებში.

ფერადი და/ან შავი ლითონების ნამსხვრევი და ნარჩენები – გამოუსადეგარი და სამომხმარებლო თვისებადაკარგული ფერადი და/ან შავი ლითონების და მათი შენადნობების ნაწარმი, ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნენ ფერადი და/ან შავი ლითონების და მათი შენადნობებისგან ნაკეთობების წარმოების პროცესში, ასევე გამოუსწორებელი წუნი აღნიშნული ნაკეთობების წარმოების პროცესის შედეგად.

ფეტიში 1. უსულო საგანი, რომელსაც პირველყოფილი ტომები მიაწერდნენ ზებუნებრივ, მაგიურ ძალას და თაყვანს სცემდნენ. 2. გადატანითი მნიშვნელობით ისეთი რამ, რაც ბრმად სწამთ, რასაც ეთაყვანებიან, აღმერთებენ.

ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება – ადამიანის ორგანიზმსა თუ ფსიქიკაზე ზემოქმედება მისი ნების მიუხედავად ან საწინააღმდეგოდ დანაშაულებრივი მიზნის მიღწევის – სხვა პირის წაქეზების საშუალების სახით ჩაიდინოს დანაშაული. დანაშაულს არ წარმოადგენს ზიანის მიყენება სისხლის სამართლის კანონით დაცული ინტერესებისთვის ფიზიკური იძულების შედეგად, თუ ასეთი იძულების შედეგად პირს არ შეეძლო ემართა თავისი ქმედებები (უმოქმედობა).

საკითხი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, სისხლის სამართლის კანონით დაცული ინტერესებისთვის ფსიქიკური ან ფიზიკური იძულების შედეგად მიყენებულ ზიანზე, რომლის შემდეგაც პირმა შეინარჩუნა შესაძლებლობა ემართა თავისი ქმედებები, წყდება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის დებულებების შესაბამისად.

ფიზიკური პირის საგადასახადო სტატუსი – პირები, რომელთაც აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი სახელმწიფოში, მათ შორის უცხოელები(რეზიდენტები) და პირები მოქალაქეობის გარეშე, რომლებიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ არა ნაკლებ 183 დღეს კალენდარულ წელიწადში (ერთი ან რამდენიმე პერიოდის განმავლობაში); პირები, რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი სახელმწიფოში – პირები, რომლებიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ 183 დღეზე ნაკლებს კალენდარულ წელიწადში (ფიზიკური ყოფნის ტესტი). ცნება „კალენდარულ წელიწადში" ნიშნავს 1 კალენდარული წელიწადის ფარგლებში პირის ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრებას და არ შეიძლება გაერცელდეს უფრო ხანგრძლივ პერიოდებზე. ზოგიერთ ქვეყანაში რეზიდენტობის განსაზღვრის პერიოდს წარმოადგენს არა კალენდარული, არამედ საგადასახადო წელიწადი, რომელიც შეიძლება არც ემთხვეოდეს კალენდარულს. იმ შემთხვევაში, როცა დროის კრიტერიუმი არასაკმარისია პირის გადასახადით დაბეგვრის ადგილის განსაზღვრისთვის (მაგალითად, ჩნდება ორმაგი რეზიდენტობა) გამოიყენება შემდეგი დამატებითი ნიშნები: ა) ჩვეული (მუდმივი) საცხოვრებლის განთავსების ადგილი; ბ) ცხოვრებისეული ინტერესების ცენტრი (პირადი და ეკონომიკური კავშირები); გ) ჩვეული საცხოვრებელი ადგილი; დ) მოქალაქეობა.

ეროვნული კანონმდებლობებითა და საერთაშორისო შეთანხმებებით დგინდება ამ კრიტერიუმების გამოყენების მკაცრი თანამიმდევრულობა ადამიანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისთვის. თუ ამ კრიტერიუმების თანამიმდევრული გამოყენების შედეგად, მაინც შეუძლებელია განისაზღვროს სახელმწიფო, სადაც ადამიანს გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ეს საკითხი წყდება დაინტერესებული სახელმწიფოების საფინანსო ან საგადასახადო ორგანოების მოლაპარაკების პროცესში.

ფილიალი – იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ მდებარე მისი განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც ასრულებს მის ყველა ფუნქციას ან მათ ნაწილს, მათ შორის წარმომადგენლობის ფუნქციას. ფილიალი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. მოქმედებს იურიდიული პირის მიერ დაწესებული დებულებების საფუძველზე. ფილიალის ქონების მესაკუთრეა იურიდიული პირი. ფილიალის ხელმძღვანელს ნიშნავს იურიდიული პირი და იგი მოქმედებს მინდობილობის საფუძველზე.

ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს, რომელიც რეგისტრაციის საბუთებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს. კანონით დადგენილი ხელმოწერები შესანახად უნდა გაკეთდეს ფილიალის მარეგისტრირებელ სასამართლოში.

ფილიალის რეგისტრაციისათვის სასამართლოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

1. საწარმოს მმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილება ფილიალის შექმნის შესახებ;
2. ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერა;
3. საწარმოს წესდების ასლი;
4. გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის

დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;

5. საწარმოს რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა.

ფინანსები [ფრ. finances ფულადი სახსრები < საშ.-ლათ. financia ნაღდი ფული, შემოსაყალი] 1) ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც კერძო პირის, ოჯახის, კოლექტივის, ფირმის, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სახელმწიფოს ხელშია; 2) ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა ფულადი ფონდების შექმნისა და გამოყენების პროცესში; ფულადი სახსრების ფორმირების, განაწილების და ხარჯვის სისტემა.

ფინანსური ფინანსებთან დაკავშირებული, ფულად უზრუნველყოფასთან დაკავშირებული და ა.შ.; ფ. ჯგუფები – ბანკების, საეჭრო და სხვ. საწარმოების უმსხვილესი გაერთიანებები, რომლებიც XIX ს-ის ბოლოს შეიქმნა; ფ. კრიზისი–ეროვნული ვალუტის კურსის და ეროვნული ფასიანი ქაღალდების ფასის მკვეთრი ვარდნა; ფ. სისტემა–ქვეყნის დაწესებულებების ერთობლიობა, რომელიც განაგებს ფინანსებს, პირველ რიგში ბანკებს და ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურების ქვედანაყოფებს; სახელმწიფო ამ სისტემის მეშვეობით ანაწილებს ეროვნული შემოსავლის ნაწილს საგარეო, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მიზნების შესაბამისად.

ფიქტიური გაკოტრება – კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მესაკუთრის, ასევე ინდივიდუალური მეწარმის მიერ ამკარად ცრუ განცხადების გაკეთება თავისი გაკოტრების შესახებ კრედიტორების შეცდომაში შეყვანის მიზნით, კრედიტორებისთვის კუთვნილი გადახდების ვადის გადავადებისათვის ან ვადების შემცირების ან ვადის გადაუხდელობის მიზნით, თუ ამან გამოიწვია დიდი ზარალი.

ფიქციური (ლათ. fictio – ტყუილი, შეთხზული ამბავი) – ფიქცია წარმოადგენს ხერხს, როცა სინამდვილეს ათავსებენ რაიმე პირობით ფორმულაში. გააჩნია მხოლოდ გარეგნული ნიშნები იმ ცნების, რომელსაც განასახიერებს, შინაარსობრივად კი არ შეესაბამება მას. ფიქციური შეიძლება იყოს ქორწინება, როდესაც იგი დადებულია ფორმალურად და არ ითვალისწინებს ქორწინებაში მყოფი პირების ერთობლივ ცხოვრებას და ოჯახის შექმნას, ანუ მიზნად ისახავს ქორწინებისთვის დამახასიათებელ სამართლებრივი შედეგების დადგომას. ფიქციურია თამასუქი, რომელიც არ არის ნამდვილი და არ აკმაყოფილებს მოვალეს გადაუხადოს თამასუქში მოცემული თანხა ან მოცემულ ვადებში. ფიქციური გაკოტრება წარმოადგენს კომერციული ორგანიზაციის მესაკუთრის ან მმართველის აშკარად ცრუ განცხადებას თავის ვალაუვალობის შესახებ კრედიტორთა შეცდომაში შეყვანის და ვალების გადახდის გადავადების ან ვალების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით.

ფონდი – წევრობის არამქონე არასამეწარმეო ორგანიზაცია დაფუძნებული ფიზიკური და/ან იურიდიული პირების მიერ ნებაყოფლობითი ქონებრივი შენატანების საფუძველზე სოციალური, საქველმოქმედო, კულტურული, საგანმანათლებლო ან სხვა საერთოსაზოგადო სასარგებლო მიზნით. ფონდები იყენებენ ქონებას მათ წესდებაში განსაზღვრული მიზნებისთვის. ფონდებს აქეთ სამეწარმეო საქმიანობის უფლება თუ ის დამხმარე ხასიათს ატარებს და ემსახურება საერთო მიზანს. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ფონდის წევრებსა და ფონდის შემომწირველებს შორის დაუშვებელია.

საერთაშორისო ფონდები წარმოადგენენ მიზნობრივ ფონდებს, რომლებიც შექმნილია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების საფუძველზე. ყველასათვის კარგად ცნობილი საერთაშორისო საველუტო ფონდი წარმოადგენს საერთაშორისო საველუტო-საფინანსო ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საერთაშორისო ვაჭრობისა და საველუტო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობისათვის საველუტო კურსების მარეგულირებელი ნორმების დადგენის და მათ შესრულებაზე კონტროლის გზით, მრავალმხრივი საგადამხდელო სისტემის შემოღების და საველუტო შეზღუდვების გაუქმების, აგრეთვე თავისი წევრებისათვის ბალანსების გაუწონასწორებლობასთან დაკავშირებული საველუტო სიძნელეების დროს საკრედიტო რესურსების გამოყოფის გზით. როგორც გაეროს სპეციალიზირებული ორგანო საერთაშორისო საველუტო-საფინანსო კონფერენციაზე ბრეტონ ვუდსში, რომელიც შეუდგა საქმიანობას 1947 წლის მარტიდან. ფონდის კაპიტალი წარმოიქმნება წევრი ქვეყნების შენატანებისგან ყოველი ქვეყნისთვის დაწესებული კვოტის შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალით, მსოფლიოს ეკონომიკაში და საერთაშორისო ვაჭრობაში მისი როლით. საერთაშორისო საველუტო ფონდის ხელმძღვანელი ორგანოებია მმართველთა საბჭო და დირექტორატი. მმართველთა საბჭო, საერთაშორისო საველუტო ფონდის უმაღლესი ორგანო, რომელიც წყვეტს პრინციპიალური ხნიშვნელობის მქონე საკითხებს, შედგება წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისაგან ან ცენტრალური ეკონომიკური ბანკების მმართველებისაგან და შეიკრიბება წელიწადში ერთხელ. დირექტორატი – აღმასრულებელი ორგანო, არეგულირებს ფონდის ყოველდღიურ საქმიანობას. საკრედიტო ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ წევრი ქვეყნების ოფიციალურ ორგანოებთან: ხაზინასთან, ცენტრალურ ბანკებთან, საველუტო ფონდებთან. კრედიტები გაიცემა უცხოური ვალუტის გაყიდვის გზით მისსხებელი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე. ხოლო კრედიტის დაფარვა ხდება ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტაზე ფონდიდან გამოსყიდვით. ამასთან კრედიტის მაქსიმალური ოდენობა დამოკიდებულია, უმთავრესად, ქვეყანა მისსხებლის კვოტაზე.

სხვა ხნიშვნელოვანი საერთაშორისო ფონდების მაგალითად, გამოდგება: 1) საველუტო თანამშრომლობის ევროპული ფონდი (1973), შექმნილი ევროპის კავშირის ფარგლებში საველუტო ინტეგრაციის განვითარების მიზნით, რომელიც აძლევს კრედიტებს ევროკავშირის წევრებს საბალანსო დეფიციტის დასაფარავად და საველუტო კურსის დასარეგულირებლად; 2) აგრეთვე ევროპული საველუტო ფონდი (1981), რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო საველუტო-საფინანსო ორგანიზაციის შექმნის პროექტს და პერსპექტივაში უნდა გახდეს საანგარიშსწორებო ცენტრი საველუტო თანამშრომლობის ევროპული ფონდის მაგივრად. 3) ევროპული სოციალური ფონდი (1959) მონაწილეობს დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაში. 4) ეიტტენენის

ფონდი გამოიყენება საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტის მქონე სახელმწიფოთათვის კრედიტების მიცემისთვის, თუ მათ ამოწურეს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ჩვეულებრივი სესხების მიღების შესაძლებლობები.

ფონდი – როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი, არაკომერციული ორგანიზაციის ფორმა, რომელსაც არ გააჩნია წევრობა და დაფუძნებულია მოქალაქეებისა და/ან იურიდიული პირების მიერ ნებაყოფლობით ქონებრივი შენატანების საფუძველზე, რომელიც მისდევს სოციალურ, საქველმოქმედო, კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვა, საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნებს. ფონდისთვის მისი დამფუძნებლების (დამფუძნებლის) მიერ გადაცემული ქონება წარმოადგენს ფონდის საკუთრებას. ფონდის დაფუძნებისა და მისთვის საკუთრებაში გარკვეული ქონების გადაცემის შემდეგ დამფუძნებლები კარგავენ ყველა ქონებრივ უფლებას მასზე. ამასთან, დამფუძნებლები პასუხს არ აგებენ მათ მიერ შექმნილი ფონდის ვალდებულებებზე, ხოლო ფონდი პასუხისმგებელი არაა თავისი დამფუძნებლების ვალდებულებებზე. ფონდის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მისი სამეურვეო საბჭო, რომელიც მოქმედებს საზოგადოებრივ საწყისებზე. საწესდებო მიზნების მიღწევისთვის ფონდს უფლება აქვს დაკავდეს სამეწარმეო საქმიანობით, მათ შორის, სამეურნეო საზოგადოებების შექმნის ან მათში მონაწილეობის გზით. გადაწყვეტილების მიღება ფონდის ლიკვიდაციის შესახებ შეიძლება მიიღოს მხოლოდ სასამართლომ დაინტერესებულ პირთა განცხადების მიხედვით.

ფონდი შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს: ა) თუ ფონდის ქონება არასაკმარისია მისი მიზნების განხორციელებისთვის და არარეალურია საჭირო ქონების მიღების ალბათობა; ბ) თუ არ შეიძლება მიღწეულ იქნეს ფონდის მიზნები, ხოლო ამ მიზნით არ შეიძლება საჭირო ცვლილებების წარმოება ამ მიზნებში; გ) თუ ფონდის საქმიანობა განსხვავდება წესდებით გათვალისწინებული მიზნებისგან; დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ფონოგრამის მწარმოებლის მოსაზღვრე უფლებები – ფონოგრამის მწარმოებლის (დამამზადებლის) უფლებების კომპლექსი. ფონოგრამის დამამზადებელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც აიღო ინიციატივა და პასუხისმგებლობა შესრულების ხმოვან ჩაწერაზე; სხვა მტკიცებულებების არარსებობისას ფონოგრამის დამამზადებელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან დასახელება აღნიშნულია ამ ფონოგრამაზე და/ან მის შემცველ ბუღალტერიაში ჩეულებრივი სახით. ფონოგრამის მწარმოებელს გააჩნია შემდეგი განსაკუთრებული უფლებამოსილებები: ა) აღდგენის უფლება; ბ) გადაკეთების (გადამუშავების) უფლება; გ) ეგზემპლარების გავრცელების უფლება; დ) ეგზემპლარების იმპორტის უფლება. ანაზღაურების შეგროვება, განაწილება და გაცემა ხდება ორგანიზაციის მიერ, რომელიც მართავს ფონოგრამების მწარმოებელთა და შემსრულებელთა უფლებებს კოლექტიურ საფუძველზე (იხ. საავტორო უფლებების კოლექტიური მართვა). განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები შემსრულებლებთან მიმართებაში გათვალისწინებულის ანალოგიურია (იხ. შემსრულებელთა მოსაზღვრე უფლებები). ფონოგრამის მწარმოებლის უფლებები მოქმედებს მისი პირველი ჩაწერიდან 50 წლის განმავლობაში, თუ ფონოგრამა არ იქნა გამოქვეყნებული ამ ვადის განმავლობაში.

ფორმალური – [ინგლ. formal < ლათ. forma სახეობა] 1) ფორმისთვის დამახასიათებელი; ფ. მეთოდი ლიტერატურათმცოდნეობაში – მიდგომა, რომლის დროსაც ლიტერატურა (მისი მხატვრული ფორმა) ითვლება ლოგიკა-მათემატიკური კანონებისთვის დაქვემდებარებულად; 2) ოფიციალური, დადგენილი წესის დაცვასთან დაკავშირებული, ფორმის (6) მიხედვით გაკეთებული; ფორმალური მტკიცებულებები – XVI–XIX სს-ში სამხილების შეფასების სისტემა სისხლის სამართლის პროცესში, რომლის დროსაც ყოველი სახეობის სამხილის მნიშვნელობა და მათი ფორმა წინასწარ იყო განსაზღვრული კანონში და სასამართლოს სამხილების შეფასების ნაცვლად გამოჰქონდა გადაწყვეტილება მათი ადგილისა და იერარქიის შესახებ; 3) დაკავშირებული არა არსთან, არამედ რ-შეს გარე გამოვლინებასთან, ფორმალისტიკასთან დაკავშირებული; 4) მხოლოდ მოჩვენებითად არსებული, პირობითად, მაგ. ადამიანის ძირითადი უფლებები ტოტალიტარულ სახელმწიფოში; 5) ფ. ლოგიკა – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის აზრების ფორმებსა და შეთავსებებს მათი კონკრეტული შინაარსისგან დამოუკიდებლად.

ფორმულარი – საეჭრო მიმოქცევაში წარმოადგენს ტიპიურ ხელშეკრულებას, რომელიც წინასწარ არის გამომუშავებული მსხვილი ორგანიზაციების მიერ და წარედგინება კონტრაჰენტს ხელმოსაწერად. კონტრაჰენტს არა აქვს საშუალება შეცვალოს ან თუნდაც მსჯელობის საგნად აქციოს შემოთავაზებული პირობები, მას მხოლოდ შეუძლია მიიღოს ეს პირობები ან არ მიიღოს. ფორმულარების გამოყენების მარეგულირებელ წესებს გამოიმუშავებენ საერთაშორისო ორგანიზაციები და კომერციული სახელშეკრულებო ურთიერთობები, რომლებიც უკვე თითქოს გამოირიცხება სამოქალაქო და სავაჭრო კანონების მოქმედების სფეროდან, და თუმცა არსებითად ფორმულარები არ წარმოადგენენ სამართლის წყაროს, თანამედროვე საქმიან და კომერციულ ურთიერთობებში ისინი ფაქტიურად ცვლიან მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს. იმის გამო, რომ ფორმულარები მოიცავენ მთელ დარგებს და ჰპოვებს ფართო გავრცელება, ზშირად საუბრობენ განსაკუთრებულ ფორმულარულ სამართალზე.

ფორს-მაჟორი – [< ფრ. force-majeure დიდი ძალა] 1) გადაულახავი ძალა; უკიდურესი მდგომარეობა, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია; მოვლენა, რომელიც არ შეიძლება იყოს წინასწარგანსაზღვრული ან თავიდან აცილებული რ-მე ღონისძიებების საშუალებით, მაგ. სტიქიური უბედურება; ფ.-მ., როგორც წესი, ათაეისუფლებს ქონებრივი მოვალეობისგან ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ან ზიანის მიყენების გამო; 2) გაუთვალისწინებელი გარემოება, რომელიც შლის გეგმებს.

ფრაქციები [ფრ. fraction წილი, ნაწილი < ლათ. fractio გატეხვა, ნატეხი] 1) დაჯგუფება საკანონმდებლო ორგანოში ან პოლიტიკურ პარტიაში; ჩეუე-

ლებრივ ფ-ს წერი მოვალეა ხმა მისცეს ისე, როგორც მისი კოლეგების უმეტესობამ გადაწყვიტა: 2) ადამიანების დაჯგუფებები, რომლებიც საერთო ინტერესებით არიან გაერთიანებული; 3) თხევადი ნაზავის (ნაეთობის და სხვ.) ან ფხვიერი მასალების (ცარცის, მაღნის და სხვ.) ნაწილაკებში მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისებებით; მკერივი ფ. ერთმანეთისგან ნაწილაკების სიდიდით გამოიყოფიან საცერების მეშვეობით; თხევადი ფ. გამოიყოფა დუღილის ტემპერატურის მიხედვით დისტილაციის და რექტიფიკაციის დროს.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით, ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას. ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია ფრენშაიზის მიმღებს წარუდგინოს მის მიერ გამოყენებული ფორმით არამატერიალური ქონებრივი უფლებები, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, ნიმუშები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შეძენის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია, ასევე, სხვა ინფორმაცია, რაც საჭიროა გასაღებისათვის ხელშესაწყობად. ფრენშაიზის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური, რომლის ოდენობა არსებითად გამოთვლება ფრენშაიზის სისტემის განხორციელებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით – აქტიურად განახორციელოს საქმიანობა, მიიღოს მომსახურება და შეიძინოს საქონელი ფრენშაიზის მიმცემის ან მის მიერ დასახელებულ პირთა მეშვეობით, თუ კი ეს უშუალო კავშირშია ხელშეკრულების მიზანთან (სკ, მუხლი 607 – 609).

ფრენშაიზინგი – 1. ორ კომპანიას შორის დადებული მრავალწლიანი სასყიდლიანი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უფროსი პარტნიორის მიერ მეორე კომპანიისთვის განსაკუთრებული უფლებების კომპლექსის გადაცემას სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენების უფლებით. ეს მოიცავს განსაზღვრული სავაჭრო ნიშნის (ლოგო), საფირმო სახელწოდების, ტექნოლოგიის ან დაცული კომერციული ინფორმაციის (ნოუ-ჰაუ), საქმიანი რეპუტაციის, კომერციული გამოცდილების გარკვეული მოცულობით (დადგენილი მინიმალური და მაქსიმალური ფარგლებით) გამოყენების, აგრეთვე უფროსი პარტნიორის პროდუქციის (საქონლის, სამუშაოების ჩატარების, მომსახურების) გაყიდვის უფლების გადაცემას დადგენილი ბაზრის ფარგლებში. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ფრენშაიზის მიმღების უფლებას უფროსი პარტნიორი კომპანიის თანხმობით მისცეს სხვა პირებს უფლებათა კომპლექსით ან მისი ნაწილით სარგებლობის უფლება.

2. მთავრობის ან ადგილობრივი ხელისუფლების სპეციალური პრივილეგია, რომელიც გამოიხატება ფირმისთვის განსაკუთრებული უფლებების მიცემაში გარკვეული მომსახურების გაწევაზე, მაგალითად, მგზავრთა გადაყვანა გარკვეულ რაიონში ან დასახლებული პუნქტის უზრუნველყოფა წყლით, ელექტროენერგიით და სხვ.

ფსევდონიმი (ბერძ. pseudonymos – მოგონილი სახელი) – მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორის მოგონილი, პირობითი სახელი. ზოგიერთ ავტორს ძირითადი ფსევდონიმის გარდა ჰქონდა მრავალი სხვა, მაგალითად, ვოლტერს 160 ფსევდონიმი ჰქონდა, ხოლო პროლეტარიატის ბელადს – ლენინს 150-ზე მეტი, არსებობს კოლექტიური ანუ საზიარო ფსევდონიმები (ჯოზმა პრუტკოვი). უფლება ფსევდონიმზე წარმოადგენს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებას. ფსევდონიმის გახსნა ავტორის თანხმობის გარეშე, ხოლო ავტორის სიკვდილის შემდეგ მისი ნაწარმოებების ხელუხლებლობის დამცველი პირების თანხმობის გარეშე წარმოადგენს საავტორო უფლების დარღვევას. ფსევდონიმის ერთ-ერთი სახეობაა ასტრონიმი (ბერძ. astroN_ ვარსკვლავი, onyma – სახელი, ინგლ. astronum) – ავტორის სახელის აღნიშვნა რაიმე ტიპოგრაფიული ნიშნებით (მაგ. ვარსკვლავებით).

ფსიქიატრიულ სტაციონარში უკანონო მოთავსება – ფსიქიატრიულ სტაციონარში ჯანმრთელი ადამიანის მოთავსება, რომელიც არ საჭიროებს ამ სტაციონარში მკურნალობას, ასევე ფსიქიკური აშლილობების მქონე პირების ფსიქიატრიულ სტაციონარში გადაყვანა, თუ პოსპიტალიზაცია მოხდა კანონით დადგენილი წესისა და საფუძვლების დარღვევით.

პირის ფსიქიატრიულ სტაციონარში უკანონო მოთავსება წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის სპეციალურ სახეს.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რაც არ გამორიცხავს შერაცხადობას. შერაცხადი პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის დროს, ფსიქიკური აშლილობის ძალით, არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა საკუთარი ქმედებების (უმოქმედობის) ფაქტიური სახე და საზოგადოებრივი საშიშროება, ან ემართა ისინი, ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ფსიქიკური აშლილობა, რაც არ გამორიცხავს შერაცხადობას გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას და შეიძლება გახდეს საფუძველი სამედიცინო ხასიათის იძულების ზომების დანიშვნისთვის.

ფსიქიკური ძალადობა – სამხედრო მოსამსახურეების ღირსებისა და პატიოსნების შელახვა ან მათი აბუჩად აგდება, რომელიც მდგომარეობს დაშინებაში, ძალადობის მუქარაში, შეურაცხყოფაში. აბუჩად აგდება წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურების არაერთჯერად შეურაცხყოფას, მის მიმართ შეურაცხმყოფელი მოქმედებების განხორციელებას, სხვა ქმედებებს, რომელთაც მოსდევს სულიერი ტანჯვა.

ფსიქოლოგიური (ან იურიდიული) შეურაცხადობის კრიტერიუმი – პირის უნარის არარსებობა გააანალიზოს საკუთარი ქმედებების (უმოქმედობის) ფაქტიური სახე და საზოგადოებრივი საშიშროება (ინტელექტუალური ნიშანი) ან მართოს ისინი (ნებელობითი ნიშანი).

ფსიქოლოგიური სკოლა (სამართალი)–სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელიც შეიქმნა XIX – XX სს მიჯნაზე და

დღესაც საკმაოდ საინტერესოა მეცნიერთა წრისათვის. ამ სკოლის წარმომადგენლები (ტარდი, რიუმელინი, პეტრაჟიცკი და სხვა) სამართლისა და სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებდნენ ადამიანის ფსიქოლოგიურ განცდას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები საქართველოში იყვნენ სურგულაძე, ზოზო ნანეიშვილი და სხვები. ყველა ესენი ერთად ამტკიცებდნენ, რომ სამართალი და სახელმწიფო არის ადამიანთა ფსიქოლოგიური განწყობისა და განვითარების პროდუქტი, რომელიც წარმოიშვა და მოქმედებს ადამიანთა ფსიქოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით. სამართალში ნორმები კი არ არის მთაყარი, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველია მოსამართლის ინტუიცია, ქვეცნობიერი განცდა, ფსიქოლოგიური განწყობა.

ფსიქოტროპული ნივთიერებები – სინთეზური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერებები, პრეპარატები, ბუნებრივი მასალები, რომლებიც შედის ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების ჩამონათვალში კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის 1971 წლის ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ კონვენციის შესაბამისად.

ფსიქოტროპულ ნივთიერებებს განეკუთვნება შემდეგი: ამობარბიტალი, ფენმეტრაზინი, პენტაბარბიტალი, დეტსტრომეტორფანი, ნატრიუმის ეტამინალი, ქალციონი (ტრიაზოლამი), ციპეპროლი, ფენცტარმინი, ფეპრანონი (ამფეპრამონი), ამინორექსი, კეტამინი, ფტოროტანი, 4-მეთილამინორექსი.

ფულადი სასჯელი – კანონით დადგენილი პროცედურა, რომელიც ხორციელდება სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეების მიერ საპროცესო ვალდებულებების შეუსრულებლობის, ასევე მათ მიერ სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში.

ფულადი ჯარიმის დაკისრება ხდება სასამართლოს მიერ, თუ შესაბამისი დარღვევა დაშვებულია სასამართლო სხდომის მსელელობისას, სასჯელის დაკისრება ხდება სასამართლოს მიერ იმ სასამართლო სხდომაზე, სადაც დადგინდა ეს დარღვევა, რის თაობაზეც ხდება სასამართლოს განჩინების ან დადგენილების გამოტანა.

თუ შესაბამისი დარღვევა მოხდა სასამართლომდელი წარმოების დროს, მოკლელეის მწარმოებელი პირი, გამომძიებელი ან პროკუროორი ადგენს ოქმს დარღვევის შესახებ, რომელიც ეგზავნება სასამართლოს და ექვემდებარება მოსამართლის მიერ განხილვას. სასამართლო სხდომაზე იბარებენ პირს, რომელსაც უნდა დაეკისროს ფულადი სასჯელი და პირი, რომელმაც შეადგინა ოქმი. დაძრღვევის გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზების გარეშე ხელს არ უშლის ოქმის განხილვას.

ოქმის განხილვის შედეგების მიხედვით მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ფულადი სასჯელის დაკისრების შესახებ ან მის დაკისრებაზე უარის შესახებ. დადგენილების ასლი ეგზავნება პირს, რომელმაც შეადგინა ოქმი და პირს, რომელსაც ფულადი სასჯელი დაეკისრა.

ფული – სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ობიექტი. ფულის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მას, არის რა საყოველთაო ეკვივალენტი შეუძლია შეცვალოს ქონებრივი ურთიერთობების თითქმის ნებისმიერი ობიექტი, რომელიც ატარებს ანაზღაურებად ხასიათს. ფული, ისევე, როგორც ფასიანი ქაღალდები ბუნებით განეკუთვნება გვაროვნულ, შეცვლად და დაყოფად ნივთებს.

ნაღდი ფულის გამოშეებისა და ბრუნვიდან ამოღების განსაკუთრებული უფლება გააჩნია ეროვნულ ბანკს. ნაღდი ფულის ემისია ხორციელდება საბანკო ბილეთების (ბანკნოტების) და ლითონების მონეტების ფორმით. ბანკნოტები და მონეტები წარმოადგენს რცხ (რუსეთის ცენტრალური ბანკი) უპირობო ვალდებულებებს და უზრუნველყოფილია მისი ყველა აქტივით. უცხოური ვალუტის, ასევე უცხოურ ვალუტაში საგადასახადო დოკუმენტების გამოყენება ქვეყნის ტერიტორიაზე ანგარიშსწორებისას დაშვებულია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, წესითა და პირობებით.

ფუნდამენტალიზმი [ლათ. fundamentalis საფუძვლად მდებარე] 1) საწყისი (მათ შორის მოძველებული) რელიგიური იდეების, პრინციპებისა და სწავლების ფასეულობების ერთგულება; სწავლის მსელელობაში გაჩენილი გადახრების, ერესების გადალახვის და მისი პირველადი სიწმინდის მოთხოვნა; ფ. გამოირჩევა რელიგიური წესების ფანატიკური შესრულებით საერო კულტურის სრული უარყოფით და საკუთარი შეხედულებების სხვისთვის თავსმოხვევით; რელიგიისგან დამოუკიდებლად ფუნდამენტალისტები გამოირჩევიან უკიდურესობით და მზად არიან სხვადასხვა საშუალებებით შეეწინააღმდეგონ ნებისმიერ პროგრესს; მაგ. XX ს-ის დასაწყისში აშშ-ს სამხრეთ შტატებში გაჩნდა პროტესტანტული ფ., რომელიც მიმართული იყო ლიბერალური პროტესტანტული რაციონალიზმის წინააღმდეგ და უარყოფდა ბიბლიის ნებისმიერ კრიტიკას; იხ. აგრ. ორთოდოქსია; 2) მოძველებული ნორმების დაცვა ცხოვრების რ-მე დარგში, რეაქციონერული ქცევა; შეად. კონსერვატიზმი.

ქ

ქალაქთმშენებლობა – იხ. ქალაქთმშენებლობის საქმიანობა.

ქალაქთმშენებლობაში მიწის ნაკვეთებისა და უძრავი ქონების სხვა ობიექტების ნებადართული გამოყენება – უძრავი ქონების ობიექტების გამოყენება ქალაქთმშენებლობის რეგლამენტის შესაბამისად; შეზღუდვები აღნიშნული ობიექტების გამოყენებაზე კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე სერვიტუტები.

ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაცია – დოკუმენტაცია ტერიტორიებისა და დასახლებების განვითარების ქალაქთმშენებლობის დაგეგმვისა და მათი გაშენების შესახებ.

ქალაქთმშენებლობის კანონმდებლობა – 1) კანონმდებლობის დარგი; 2) ნორმატიული სამართლებრივი აქტების სისტემა, რომელიც შედგება ქალაქთმშენებლობის კოდექსის, საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებისაგან (ქალაქთმშენებლობის საქმიანობის ნაწილში), რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ქალაქთმშენებლობის დარგში ადგენენ ქალაქთმშენებლობის მოთხოვნებს ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისადმი; ქალაქთმშენებლობის საქმიანობისთვის მიწის გამოყენების პირობებისა და წესისადმი; სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების საფუძვლების შემუშავებისა და რეალიზაციისადმი ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული და ეროვნული განვითარების დარგში; ენერგეტიკული სისტემების, ბირთვული ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კაშირგაბმულობის, კოსმიური საქმიანობის, თავდაცვისა და უსაფრთხოების ობიექტების განთავსებისადმი ტერიტორიებისა და დასახლებების ქალაქთმშენებლობის დაგეგმვისა და გაშენების დარგში სტანდარტების შემუშავების მიმართ; ასევე მოთხოვნებს ქალაქთმშენებლობის საქმიანობის ობიექტების განსაზღვრისადმი, რომლებზეც საჭიროა სახსრების გამოყოფა ბიუჯეტიდან.

ქალაქთმშენებლობის რეგლამენტი – გაშენების წესებით დადგენილი მიწის მონაკვეთებისა და უძრავი ქონების სხვა ობიექტების გამოყენების სახეებისა და პარამეტრების ერთობლიობა ქალაქისა და სოფლის დასახლებებში, სხვა მუნიციპალურ წარმონაქმნებში, ასევე უძრავი ქონების ობიექტების დასაშენები ცვლილებების ერთობლიობა ქალაქთმშენებლობის საქმიანობის განხორციელებისას თითოეული ზონის ფარგლებში.

ქალაქთმშენებლობის საქმიანობა

სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა ტერიტორიებისა და დასახლებების განვითარების, ქალაქთმშენებლობის დაგეგმვის, მიწის ნაკვეთების გამოყენების სახეების განსაზღვრის, უძრავი ქონების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დარგში მოქალაქეების, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების, ასევე აღნიშნული ტერიტორიებისა და დასახლებების ეროვნული, ისტორიულ-კულტურული, ეკოლოგიური, ბუნებრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ქალაქთმშენებლობის საქმიანობის ობიექტთა მონიტორინგი

ქალაქთმშენებლობის საქმიანობის ობიექტების მდგომარეობასა და ცვლილებაზე დაკვირვების სისტემა, რომელიც ხორციელდება ცხოველქმედების გარემოს მდგომარეობის შესწავლის მეშვეობით, ერთიანი მეთოდიკით; ქალაქთმშენებლობის საქმიანობის ობიექტთა მონიტორინგის ცნობები ექვემდებარება სახელმწიფო ქალაქთმშენებლობის კადასტრში შეტანას; ქალაქთმშენებლობის საქმიანობის ობიექტთა მონიტორინგის წესი განისაზღვრება მთავრობის მიერ.

ქალაქი – დასახლების სახე; მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ქალაქი იყოფა: ზედიდად (3 მლნ-ზე მეტი ადამიანი), უდიდესად (1-დან 3 მლნ-მდე ადამიანი), უმსხვილესად (250 ათასიდან 1 მლნ-მდე ადამიანი); მოსახლეობის უპირატესი საქმიანობის კრიტერიუმის მიხედვით გამოიყოფა: სამრეწველო ქალაქები, ქალაქი-სამეცნიერო ცენტრები, ქალაქი-კურორტები, ქალაქები-კულტურული, ისტორიული და რეკრეაციონული ცენტრები; 2) მუნიციპალური წარმონაქმნის სახეობა.

ქალაქისა და სოფლის დასახლებების, სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების ფარგლები – 1) ამ დასახლებებისა და/ან წარმონაქმნების ადმინისტრაციული საზღვარი; 2) ხაზი, რომელიც დასახლებათა მიწას მოიცავს სხვა კატეგორიის მიწებისგან; ხაზი, რომელიც მოიცავს ერთი და იგივე ბუნებრივი რესურსის ნაწილებს ერთმანეთისგან, მაგალითად, ქალაქის ტყეებს სხვა ტყეებისგან.

ქალაქისა და სოფლის დასახლებების, სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების ფარგლების პროექტები – ქალაქისა და სოფლის დასახლებების, სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების ტერიტორიის განვითარების ქალაქთმშენებლობის დაგეგმვის შესახებ ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაციის შემადგენელი ნაწილი. პროექტები მუშავდება ქალაქებისა და სოფლის დასახლებების გენერალური გეგმების ან რაიონების, სოფლის მხარეთა ტერიტორიების განვითარების ქალაქთმშენებლობის დაგეგმვის ტერიტორიული კომპლექსური სქემების საფუძველზე.

ქალაქის ფარგლები – იხ. ქალაქისა და სოფლის დასახლებების, სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების ფარგლები.

ქანქარული მიგრაცია ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში სამუშაოდ ან სასწავლებლად მოსახლეობის რეგულარული გადაადგილება. რეგულარულობა შეესაბამება სწავლის ან შრომითი საქმიანობის რეჟიმს. ქანქარული მიგრაცია წარმოიშვა და განვითარება მიიღო ურბანიზაციის პირობებში. ქანქარული მიგრაციის საფუძველია მოსახლეობის განსახლებისა და წარმოების განლაგების შეუსაბამობა. მთავარი მიმართულებაა სოფლიდან ქალაქისაკენ, პატარადან დიდ ქალაქში, ე.ი. ქანქარული მიგრაცია შეინიშნება მსხვილი ქალაქების საგარეუბნო ზონებსა და ქალაქის აგლომერაციებში. ადგილი აქვს აგრეთვე, საშუალო და წვრილი ქალაქების ზონებში, სოფლის ადგილის უბანიზებულ ტერიტორიაზე. მოლიანად ქალაქების საგარეუბნო რაიონებში ფორმირდება ქანქარული მიგრაციის მყარი ზონები, მისი უმნიშვნელოვანესი პირობაა – ტრანსპორტის განვითარება.

ქარიზმა – [ძ.-ბერძ. χα'ρισμα წყალობა, ზეცის საჩუქარი] ადამიანის განსაკუთრებული მიმზიდველობა, მისი მაგნეტიზმი, რომელიც გამოიხატება მის მიერ მომხრეების სწრაფად მოპოვების უნარში; ქ. არ უკავშირდება ადამიანის ინტელექტუალურ ან ზნეობრივ მახასიათებლებს (ქარიზმატული ლიდერები იყვნენ, მაგ. სტალინი და უ.ჩერჩილი, ჰიტლერი და ფრუზველტი); ქ-ს არსებობა პოლიტიკური დღეგრძელობის აუცილებელი პირობაა; ასეთ ლიდერებს მასა ყველაფერს პატრობს, მაგ. ცხოვრების დონის დაქვეითებას.

ქვოდ ლიცეთ იოვი, ნონ ლიცეთ ბოვი [ლათ. quod licet jovi, non licet bovi] რაც ნებადართულია იუპიტერისთვის, აკრძალულია ხარისთვის.

ქვორუმი [ლათ. quorum (praesentia sufficit) ეინც (საკმარისადაა წარმოდგენილი)] კანონით ან ორგანიზაციის წესდებით დადგენილი კრების, თათბირის მონაწილეთა უმცირესი რაოდენობა, რომელიც აუცილებელია უფლებამოსილი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ქვოტა – 1) წილი საზოგადოებრივ წარმოებაში ან გასაღებაში, რომელსაც ადგენენ თითოეული უბნისათვის სხვადასხვაგვარ შეთანხმებათა ჩარჩოებში; 2) რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს საზალხო მეურნეობისთვის ექსპორტის ან იმპორტის მნიშვნელობას.

ქიმიური იარაღი – ბუნებრივი ან ხელოვნური გზით მიღებული ნივთიერებები ან მათი ნაერთები, ასევე მათი მეშეობით აღჭურვილი საბრძოლო მასალები და სხვა მოწყობილობები, სპეციალურად გათვალისწინებული მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურებისთვის მათი შემადგენელი ნივთიერებების ქიმიური თვისებების ხარჯზე, რომელთა გამონთავისუფლება ხდება ასეთი საბრძოლო მასალებისა და მოწყობილობების გამოყენების შედეგად, ასევე ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც გათვალისწინებულია აღნიშნული საბრძოლო მასალებისა თუ დანადგარების გამოყენებისთვის.

13.01.1993 წლის ქიმიური იარაღის შემუშაების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის და მისი განადგურების შესახებ კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, ქიმიური იარაღის ძირითად შემადგენელ კომპონენტებს, მისი ასეთად აღიარებისთვის წარმოადგენს ტოქსიკური ქიმიკატები (ტოქსინები) და მათი პრეკურსორები.

ქირავნობის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის ძალით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით, ხოლო დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. ქირავნობის ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ასევე შეიძლება იყოს მესაკუთრეც და არა მესაკუთრეც. ქირავნობის საგანი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სადგომი, საწარმოო იარაღები და სხვა. ქირავნობის ვადა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება, მაგრამ თუ ის, ათ წელზე მეტი ვადით დაიდო, ათი წლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს კანონით დადგენილ ვადაში და წესით (სსკ, მუხლი 531 – 575).

ქმედება – დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ძირითადი ნიშანი, ახასიათებს ადამიანის გარეგნული ქცევის აქტს, რომელიც მიმართულია სამართალდარღვევის ჩადენაზე. ქმედება – ადამიანის ნების გარეგანი გამოხატულებაა, ის მოიცავს დანაშაულებრივი ქცევის ორ ძირითად ფორმას: მოქმედებასა და უმოქმედობას.

ქმედუნარიანობა – ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. საქართველოს კანონმდებლობით, ქმედუნარიანობა სრული მოცულობით წარმოიშვება სრულწლოვანების, 18 წლის ასაკიდან. 7-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ითვლება შეზღუდულ ქმედუნარიანობის მქონედ, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში ის მონაწილეობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი გარიგებით იღებს რაიმე სარგებელს. შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება, აგრეთვე, სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ქმედუუნაროა. ასეთად ითვლება, აგრეთვე, პირი, რომელიც ჭკუასუსტობის, ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ არის აღიარებული (სკ, მუხლი 12 – 14).

ქმედუნარიანობა – პირის, სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეს კანონით დადგენილი უნარი თავისი უშუალო მოქმედებებით შეიძინოს უნარიანობის ხასიათი და მოცულობა, რომელიც განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ და მტკიცდება სხვადასხვა ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში. მათ შორის, ფუძემდებლური მნიშვნელობა გააჩნია კონსტიტუციას. ამის ძალით, ქმედუნარიანობა უფლებაუნარიანობასთან ერთად განიხილება, როგორც იურიდიული თვისება. ისევე როგორც უფლებაუნარიანობას, ქმედუნარიანობას გააჩნია ისტორიული ხასიათი. ის განპირობებულია სახელმწიფო და სამართლებრივი წყობის თავისებურებებით, ისტორიული, ეროვნული და რელიგიური ტრადიციებით, ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონით.

ქმედუნარიანობა მჭიდრო კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაშია უფლებაუნარიანობასთან. ამ უკანასკნელთან ერთად, ის მიუთითებს სუბიექტების პოტენციურ შესაძლებლობებს, იყენენ სხვადასხვაგვარი სამართალდამოკიდებულების მოწმეები. მისი არსებობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული ვალდებულებების წარმოქმნისათვის. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს – სამართლის სუბიექტებს არ გააჩნიათ განსხვავება უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობას შორის. ისინი წარმოიქმნებიან, ხორციელდებიან და წყდებიან ერთდროულად. რაც შეეხება მოქალაქეებს, აქ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. თუ უფლებაუნარიანობა დგება მოქალაქეებში დაბადების მომენტიდან, სრული ქმედუნარიანობა ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობით დგება 18 წლიდან, მათ მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

ქმედუუნაროება – იხ. ქმედუნარიანობა.

ქონება – სამოქალაქო სამართალდამოკიდებულებათა ერთ-ერთი ობიექტი. ეს ტერმინი გამოიყენება სამოქალაქო სამართალში სხვადასხვა მნიშვნელობით. ყველაზე ხშირად ქონების ქვეშ იგულისხმება ცალკეული ნივთები ან მათი ერთობლიობა. ამასთან, ქონება შეიძლება მოიცავდეს ნივთებს, ფულს ან ფასიან ქაღალდებს. რიგ შემთხვევებში ქონებად იწოდება არა მხოლოდ ზემოთჩამოთვლილი ობიექტები, არამედ ქონებრივი უფლებებიც.

ქონებაზე ყადაღის დადება – ქონების

მფლობელის ან მესაკუთრისთვის მიმართული აკრძალვა განაგოს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ის, ასევე ქონების ჩამორთმევა და მისი შესანახად გადაცემა. სამოქალაქო სარჩელის, სხვა ქონებრივი აღძერის ნაწილში განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფისთვის ან დანაშაულებრივი მოქმედებების გზით მიღებული ქონების შესაძლო კონფისკაციისთვის პროკურორი, მოკლევის მწარმოებელი პირი ან გამომძიებელი, პროკურორის თანხმობით, სასამართლოს წინაშე აყენებენ შუამდგომლობას ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან კანონით, მათ მოქმედებებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას და შესაძლო კონფისკაციის უზრუნველსაყოფად სასამართლომ უნდა მიუთითოს კონკრეტულ, ფაქტიურ გარემოებებზე, რომელთა საფუძველზეც მან მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. ყადაღა შეიძლება დაედოს პირის ქონებას, თუ არსებობს საკმარისი საფუძვლები იმის საკარაულოდ, რომ ის მიღებულია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად.

ქონებაზე ყადაღის დადება ხდება დამსწრეთა თანდასწრებით. ამ პროცედურაში შეიძლება მონაწილეობდეს სპეციალისტიც. ყადაღადადებული ქონება შეიძლება ჩამორთმეულ ან გადაცემულ იქნეს შესანახად ამ ქონების მესაკუთრისა თუ მფლობელისთვის ან სხვა პირისთვის, რომლებიც უნდა იქნენ გაფრთხილებულნი ქონების შენახვაზე პასუხისმგებლობის შესახებ, რაზეც შესაბამისი ჩანაწერი კეთდება ოქმში. თუ არ არსებობს ქონება, რომელიც ექვემდებარება დაყადაღებას, ამის შესახებ მითითებული ხდება ოქმში. ოქმის ასლი გადაეცემა პირს, რომლის ქონებასაც დაედო ყადაღა.

ქონებაზე ყადაღის დადება უქმდება იმ პირის ან ორგანოს დადგენილების, გაწინების საფუძველზე, რომლის წარმოებაშიც არის სისხლის სამართლის საქმე, როცა ამ ზომის გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს.

ქონება, რომელიც არ ექვემდებარება კონფისკაციას – მსჯავრდებულის ქონება, რომელიც შედის იმ ქონების ჩამონათვალში, რომელსაც არ ეხება კონფისკაცია სასამართლოს განაჩენით. კონფისკაციას არ ექვემდებარება ის ქონება და საგნები, რომლებიც მსჯავრდებულს ეკუთვნის კერძო საკუთრების უფლებით ან წარმოადგენენ მის წილს საერთო საკუთრებაში, თუმცა, მოცემული ჩამონათვალში აღნიშნული საგნები შეიძლება იქნეს კონფისკირებული, თუ ისინი აღმოჩენილ იქნა იმ რაოდენობით, რომელიც აშკარად აღემატება მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის მოთხოვნილებებს ან დამზადებულია ძვირფასი ლითონებისგან, წარმოადგენენ ფუფუნების საგნებს ან გააჩნიათ ისტორიული ან მხატვრული ღირებულება.

ქონება, რომელიც ექვემდებარება აღწერას ან დაყადაღებას – ქონება, რომელიც კანონით დადგენილი წესით, არის დაყადაღებული სისხლის სამართლის პროცესში სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად.

ქონება, რომელიც ექვემდებარება კონფისკაციას – მსჯავრდებულის კუთვნილი ქონება ან სხვა პირების ქონება, რომელიც გახდა დანაშაულებრივი ხელყოფის იარაღი ან საგანი ან მიღებულია მის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების ან დაგროვილია დანაშაულებრივი გზით.

ქონების აღწერა – 1) პროცედურა, რომელიც წარმოადგენს ქონების შემადგენელი საგნების ჩამონათვალს. სისხლის სამართლის პროცესში ქონების აღწერას ადგილი აქვს ისეთი საპროცესო მოქმედების დროს, როგორიცაა ქონების დაყადაღება, ქონების შესაძლო კონფისკაცია, რომელიც მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ან დაგროვებულია დანაშაულებრივი გზით. მოცემულ შემთხვევაში პროკურორი, მოკლევის მწარმოებელი პირი ან გამომძიებელი პროკურორის თანხმობით სასამართლოს წინაშე აყენებენ შუამდგომლობას ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან იმ პირთა ქონების დაყადაღების შესახებ, რომლებიც კანონით მატერიალურად პასუხისმგებელნი არიან მათ ქმედებებზე; 2) აქტი, რომლის შედგენა ხდება სასამართლო აღმასრულებლის აღმასრულებელი დოკუმენტებით ქონების ამოღების უზრუნველსაყოფად. აღწერაში არ შეიძლება ჩართულ იქნეს ქონება, რომელზეც კანონის მიხედვით დაუშვებელია ამოღება.

ქონების განადგურება ან დაზიანება საზოგადოებისთვის საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამოუკიდებელი ნაირსახეობა, რომელზეც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის რიგი მუხლებით.

ქონების განადგურების ქვეშ იგულისხმება მისი ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რომლის დროსაც ქონება სამუდამოდ კარგავს თავის სამეურნეო ფასეულობას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანიშნულებისამებრ.

დაზიანების ქვეშ იგულისხმება ქონებისთვის ისეთი ზიანის მიყენება, რაც არსებითად ამცირებს მის სამეურნეო ფასეულობას, მაგრამ ამასთან ის შესაძლოა იყოს გამოსადეგი გამოყენებისთვის, დანიშნულებისამებრ მისი აღდგენის ან გამართვის შემთხვევაში.

ქონების გასხვისება – ერთი პირის საკუთრებაში მყოფი ქონების გადაცემა მეორისთვის; მესაკუთრის მიერ უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთი საშუალება განაგოს ქონება, რაც სრულდება ანაზღაურებით ან აუნაზღაურებლად.

ქონების დაზღვევის ხელშეკრულება – ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულების ნაირსახეობა (იხ. ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულება). მოცემული ხელშეკრულება იდება სამოქალაქო სამართლის ობიექტებთან, ნივთებთან (ნივთების კომპლექსთან) მიმართებაში იმ შემთხვევების გარდა, რომელთა დაზღვეაც ხდება სხვა სახის დაზღვევის ხელშეკრულებებით. ქონების დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც გააჩნია კანონიერი ინტერესი შეინარჩუნოს დაზღვეული ქონება (მესაკუთრე, მეიჯარე და ა.შ.). წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება წარმოადგენს ბათილს. შესაძლებელია საერთოდ არ იყოს მითითებული სარგებლის შემძენი (გაიცემა სადაზღვევო პოლისი წარმდგენზე).

ქონების დაყადაღება – ადმინისტრაციული წესით საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა

და სხვა ნივთების დაყადაღება, რომლებიც წარმოადგენენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან საგანს.

აღნიშნული საგნების დაყადაღება მდგომარეობს მათი ნუსხის აღწერაში პირისადმი განცხადებით, რომლის მიმართაც გამოიყენება მოცემული ღონისძიება ან მისი წარმომადგენლისადმი განკარგვის აკრძალვის შესახებ, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში – მოცემული ქონების გამოყენების შესახებ. ქონების დაყადაღება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა შეუძლებელია რაიმე ნივთის ამოღება ან თუ მისი შენახვა უზრუნველყოფილ იქნება ამოღების გარეშე. საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა ქონების დაყადაღება ხდება თანამდებობის პირთა მიერ, რომელთაც კანონის თანახმად ძალუძთ ადმინისტრაციული დაკავებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის აღძერის განხორციელება.

ზნირად ქონების დაყადაღება გამოიყენება ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ საბაჟო ორგანოების მიერ იმ ღონისძიების სახით, რომელიც უზრუნველყოფს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ამოღებას, რომლებიც წარმოადგენენ საბაჟო წესების დარღვევის საგანს, საბაჟო ჯარიმებისა და გადასახადების ამოღებას ან დროულ შეტანას გარკვეულ ბიუჯეტში და ა.შ. ქონების დაყადაღება ხდება დამსწრეთა თანდასწრებით და იმ პირის მონაწილეობით, რომელსაც ჩამოერთვა საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და სხვა საგნები. გადაუდებელ შემთხვევებში შეიძლება ქონების დაყადაღება მოხდეს მათი მფლობელის თანდასწრების გარეშე. საჭიროების შემთხვევაში ხდება ფოტო– და კინოგადაღება, ვიდეოჩაწერა. ქონების დაყადაღების თაობაზე დგინდება ოქმი. ოქმს თან ერთვის ნივთმტკიცებათა ფიქსაციის მასალები. ოქმის ასლი გადაეცემა პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა მოცემული ღონისძიება ან მის კანონიერ წარმომადგენელს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს).

ქონების კონფისკაცია – სახელმწიფოს საკუთრებაში მსჯავრდებულის საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილის ან მთელი ქონების იძულებითი აუნაზღაურებელი გადაცემა (იხ. ქონება, რომელიც არ ექვემდებარება კონფისკაციას, ქონება, რომელიც ექვემდებარება კონფისკაციას).

ქონების შენახვის ტვირთი – ქონების შენახვასთან დაკავშირებული ხარჯებისა და დანახარჯების გაწევა. ზოგადი წესის მიხედვით, ქონების შენახვის ტვირთი ეკისრება მის მესაკუთრეს. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა ქონების ან მისი ნაწილის შენახვის ტვირთი ეკისრება სხვა პირს კანონით ან ხელშეკრულებით. ქონების შენახვის ტვირთს კი განეკუთვნება მისი დაცვა, რემონტი, სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება და ა.შ.

ქონებრივი ზარალის ანაზღაურება – პროცედურა, რომელიც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესში და მოიცავს რეაბილიტირებულისთვის: ა) ხელფასის, პენსიის, შემწეობის, სხვა საშუალებების ანაზღაურებას, რომლის გარეშეც ის დარჩა სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად; ბ) ქონების ანაზღაურებას, რომელიც იქნა კონფისკირებული ან სახელმწიფოს შემოსავალზე აყვანილი სასამართლოს გადაწყვეტილების ან განაჩენის საფუძველზე; გ) ჯარიმისა და საპროცესო დანახარჯების ანაზღაურებას, რომელიც მას გადაახდევინეს სასამართლოს განაჩენის შესრულებისთვის; დ) მის მიერ იურიდიული დახმარების გაწევისთვის გადახდილი თანხის ანაზღაურება; ე) სხვა ხარჯების ანაზღაურება.

ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ შეტყობინებისა და დოკუმენტების ასლის მიღების დღიდან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების განმაელობაში რეაბილიტირებულს უფლება აქვს ქონებრივი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს ორგანოს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი და/ან განჩინება, დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის, უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების გაუქმების ან შეცვლის შესახებ. თუ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე ან განაჩენი შეიცავდა ზემდგომი სასამართლოს მიერ, მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების შესახებ იგზავნება განაჩენის გამომტან სასამართლოში, მოთხოვნა ქონებრივი ზარალის ანაზღაურების შესახებ შეიძლება განცხადებულ იქნეს რეაბილიტირებულის კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

ქონებრივი ზარალის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის შეტანიდან არა უგვიანეს 1 თვისა მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი ან მოკვლევის მწარმოებელი პირი განსაზღვრავს მის ოდენობას და მას გამოაქვს დადგენილება ამ ზარალის ანაზღაურების სანაცვლოდ გადახდის წარმოების შესახებ. მოთხოვნა ქონებრივი ზარალის ანაზღაურების შესახებ წყდება მოსამართლის მიერ განაჩენის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის წესით. დადგენილების ასლი გადაეცემა რეაბილიტირებულს, ხოლო მისი სიკვდილის შემთხვევაში – მემკვიდრეებს, ახალ ნათესავებს, ნათესავებს ან გარდაცვლილი რეაბილიტირებულის ქმაყოფაზე მყოფს. შეტყობინება მათ ეგზავნებათ არა უგვიანეს 5 დღისა მათი მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოებისა თუ სასამართლოსთვის მიმართვიდან.

ქონებრივი უფლებები – სუბიექტური სამოქალაქო უფლებები, რომელთა ობიექტსაც წარმოადგენს ნივთები. ქონებრივი უფლებები უპირისპირდება საეალდებულო უფლებებს და მათ ძირითად განმასხვავებელ შტრიხს წარმოადგენს აბსოლუტური ხასიათი, რომლის ძალითაც ქონებრივი უფლებების სუბიექტები დამოუკიდებლად ზემოქმედებენ შესაბამის კეთილდღეობაზე სხვა ვინმე პირთა ხელშეწყობის გარეშე, ხოლო ქონებრივი ურთიერთობების ყველა სხვა მონაწილემ ხელი არ უნდა შეუშალოს მათ ასეთი შესაძლებლობების განხორციელებაში.

ქონებრივ-სამართლებრივი სარჩელი – საკუთრების უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი საშუალება. ნივთიერ-სამართლებრივი სარჩელი ხასიათდება იმით, რომ ის უშუალოდ მიმართულია საკუთრების, როგორც აბსოლუტური სუბიექტური უფლების უშუალო დაცვაზე, რაც არ უკავშირდება რაიმე კონკრეტულ ვალდებულებას და მიზნად ისახავს ამ ფლობის აღდგენას, გამოყენებასა და მესაკუთრის განკარგვას მის კუთვნილ ქონებაზე ან დაბრკოლებებისა თუ ეჭვის აღმოფხვრას ამ უფლებამოსილებათა განხორციელებაში. შესაბამისად, ნივთიერ-სამართლებრივ სარჩელს განეკუთვნება სარ-

ჩელი სხვისი უკანონო ფლობიდან ქონების მოთხოვნის (ვინდიკაციური სარჩელი), მფლობელობის ჩამორთმევასთან კავშირის არმქონე დარღვევების აღმოფხვრის (ნეგატორული სარჩელი) და საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელები. ვინდიკაციური სარჩელის ქვეშ იგულისხმება არამფლობელი მესაკუთრის არასახელშეკრულებო მოთხოვნა ქონების ფაქტიური მფლობელის მიმართ, ამ უკანასკნელის ნატურაში დაბრუნების შესახებ. ნეგატორული (უარმყოფელი) სარჩელი – ესაა ნივთის მფლობელი მესაკუთრის მოთხოვნა მესამე პირისადმი ქონების გამოყენებისა და განკარგვის უფლებამოსილებათა განხორციელებაში დაბრკოლებების აღმოფხვრის შესახებ. სარჩელი საკუთრების უფლების ცნობის შესახებ – ქონების მესაკუთრის არასახელშეკრულებო მოთხოვნაა მესამე პირების წინაშე მოსარჩელისთვის სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების კონსტატაციის შესახებ, რაც არაა დაკავშირებული კონკრეტულ მოთხოვნებთან ქონების დაბრუნების ან მფლობელობის ჩამორთმევასთან არდაკავშირებული სხვა დაბრკოლებების აღმოფხვრის შესახებ.

ქორწინება საეკლესიო – ერთი შეიდ საიდუმლოთაგანი ქრისტიანულ რელიგიაში. ასრულებს ეკლესიაში მღვდელი ან ეპისკოპოსი. ქორწინების რიტუალი შედგება ორი ნაწილისაგან, დაწინდვა–დანიშენისა, შესაულებელ პირთა შორის ბეჭდების გაცვლა. ბეჭედი, როგორც წრე, მარადისობას გამოხატავს, მეუღლეთა თითებზე კი მათ მარადიულ ურთიერთზრუნვას და გვირგვინის კურთხევისაგან თავზე გვირგვინის დადგმით გამოხატაულ ენების დათრგუნვას, ჯილდოს იმისათვის, რომ მათ ქორწინებამდე კეთილსინდისიერად იცხოვრეს. ქორწინების საიდუმლოს დროს კითხულობდნენ ლიტურგიულ ტექსტებს ფსალმუნთა წიგნიდან, სახარებიდან, სამოციქულოდან და სხვა. წარმოთქვამენ სპეციალურ ლოცვებს ან საკედრებელს. ქრისტიანული რელიგია ქორწინების საიდუმლოთი შეკრულ ცოლქმრულ კავშირს განიხილავს როგორც ქრისტეს სულიერ კავშირს ეკლესიასთან (ქრისტე–სიძე, ეკლესია – რძალი). მართლმადიდებელი ეკლესია რჯულიერ ქორწილს ძალიან ძნელად აუქმებს (მაგ., ცოლქმრისაგან ღალატის შემთხვევაში და სხვა).

ქორწინების ბათილობა – ქორწინება შეიძლება ცნობილი იქნეს ბათილად, თუ დარღვეულია ქორწინებისათვის კანონით დადგენილი პირობები, ან თუ ქორწინების რეგისტრაცია მიზნად აქ ისახავდა ოჯახის შექმნას (ფიქტიური ქორწინება). ქორწინება შეიძლება ბათილად ცნოს მხოლოდ სასამართლომ (სკ, მუხლი 1140 – 1150).

ქორწინების დამაბრკოლებელი გარე-მოებები – გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, ქორწინება დაუშვებელია: ა) იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან; პირდაპირ აღმაკალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის; გ)ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმას შორის; დ) მშვილებელსა და ნაშვილებს შორის; ე) იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ (სკ, მუხლი 1120).

ქრთამი – ფული, ფასიანი ქაღალდები, სხვა ქონება, ქონებრივი ხასიათის სარგებელი, რომელიც მიღებულია (გადაცემულია) თანამდებობის პირის მიერ მის სამსახურებრივ უფლებამოსილებებში შემაუალი მოქმედების განხორციელებაზე (უმოქმედობაზე) ქრთამის მიმცემის ან მისი წარმომადგენელი პირების სასარგებლოდ, ისე როგორც ზოგადი მფარველობის გაწევა ასეთი პირის სასარგებლოდ. ქრთამი გამოდის შემდეგი დანაშაულის საგნად: ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა.

სამსახურში ზოგად მფარველობას შეიძლება განვაკუთვნოთ დაუმსახურებელ წახალისებასთან, დაუსაბუთებელი სახით თანამდებობაზე დაწინაურებასთან დაკავშირებული მოქმედები და ასევე ქმედებები, რაც გამოწეული არაა აუცილებლობით.

სამსახურში ნებაზე მიშვებას უნდა განვაკუთვნოთ. მაგალითად, თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ საქმიანობაში ქრთამის მიმცემის ან მის მიერ წარმოდგენილ პირთა დარღვევებზე ზომების მიუღებლობა, მის არამართლზომიერ ქმედებებზე რეაგირების არმოხდენა.

კანონის არსის მიხედვით ქრთამის საგანს ფულთან, ფასიან ქაღალდებთან და სხვა ქონებასთან ერთად შეიძლება შეადგენდეს ქონებრივი ხასიათის სარგებელი ან მომსახურება, რომლის გაწევაც ხდება უანგაროდ, მაგრამ რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას (ტურისტული საგზურის შეთავაზება, ბინის რემონტი, ავარაკის შენებლობა და ა.შ.). ქონებრივი ხასიათის სარგებლის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ გადასაცემი ქონების, საპრივატიზაციო ობიექტების ღირებულების, საიჯარო გადასახადის, სბანკო სესხის სარგებლობაზე საპროცენტო განაკეთების შემცირება. ქონებრივი ხასიათის აღნიშნულმა სარგებელმა და მომსახურებამ განაჩენში უნდა ჰპოვოს ფულად შეფასება.

განაჩენში უნდა იყოს მითითებული, თუ კონკრეტულად რა კონკრეტული მოქმედების შესრულებაზე (უმოქმედობაზე) აიღო ქრთამი ან კომერციული მოსყიდვის საგანი დაინტერესებული პირისგან თანამდებობის პირმა ან მართვის ფუნქციის შემსრულებელმა პირმა კომერციულ თუ სხვა ორგანიზაციაში. მათი გადაცემის დრო გადამცემის ინტერესებში მოქმედების განხორციელებამდე თუ მას შემდეგ (უმოქმედობამდე თუ უმოქმედობის შემდეგ) ჩადენილის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს.

თუ ქონებრივი სარგებელი ფულის, სხვა ფასეულობის, მატერიალური მომსახურების გაწევის სახით გაწეულია თანამდებობის პირთა ახლობლებისა და ნათესავებისთვის მისი თანხმობით ან თუ ის, არ იყო ამის წინააღმდეგი და გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილებები ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ, თანამდებობის პირის მოქმედები უნდა იქნეს კვალიფიცირებული, როგორც ქრთამის აღება.

ქრთამის მიღების ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია – კომერციულ ან სხვა ორგანიზაციებში თანამდებობის პირის ან მართვის ფუნქციების განმხორციელები პირისთვის, მისი თანხმობის გარეშე ფულის, ფასიანი ქაღალდების, სხვა ქონების გადაცემის ან მისთვის ქონებრივი ხასიათის მომსახურების გაწევის მცდელობა დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებათა ან შანტაჟის ხელოვნური შექმნის მიზნით (იხ. ქრთამი, კომერციული მოსყიდვა).

ღ

ქურდობა – სხვისი ქონების ფარული მიტაცება, ქურდობის კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს იმ პირის მოქმედებებს, რომელმაც მოახდინა ქონების უკანონო ჩამორთმევა მესაკუთრის არყოფნისას ან ამ ქონების სხვა მფლობელის, უცხო პირების დაუსწრებლად ან მათი თანდასწრებით, მაგრამ მათგან შეუმჩნეველად. იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული პირები ხედავდნენ, რომ ხდებოდა ქურდობა, მაგრამ დამნაშავე ეითარებიდან გამომდინარე ფიქრობდა, რომ მოქმედებდა მალულად, ჩადენილი ასევე წარმოადგენს სხვისი ქონების ფარულ მიტაცებას.

თუ სხვისი ქონების უკანონო ჩამორთმევისას დამსწრე პირი არ აცნობიერებს ამ მოქმედებების მართლსაწინააღმდეგობას ან წარმოადგენს დამნაშავე პირის ახლო ნათესავს, რის გამოც ის ფიქრობს, რომ ამ პირისგან მას არ შეხვდება წინააღმდეგობა, ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდება, როგორც სხვისი ქონების მიტაცება. თუ აღნიშნულმა პირებმა მიიღეს სხვისი ქონების მიტაცების აღკვეთის ზომები (მაგალითად, ითხოვდნენ ამ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შეწყვეტას), დამნაშაეის პასუხისმგებლობის საკითხი ჩადენილზე დგება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის შესაბამისად. თუ ქურდობის ჩადენისას დამნაშაეის მოქმედება აღმოჩნენილი ხდება ქონების მესაკუთრის ან სხვა მფლობელის ან სხვა პირების მიერ, მაგრამ დამნაშავე აცნობიერებს რა ამას, აგრძელებს ქონების უკანონო ჩამორთმევას ან მის დაკავებას, ჩადენილი უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ძარცვა, ხოლო სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების ან ასეთი ძალადობის გამოყენების საფრთხის შემთხვევაში, როგორც ყაჩაღობა.

ქურდობა ითვლება დასრულებულად, თუ ქონება ჩამორთმეულია და დამნაშავეს გააჩნია რეალური შესაძლებლობა გამოიყენოს ან განკარგოს ის სურვილისამებრ (მაგალითად, მიტაცებული ქონება გამოიყენოს საკუთარი თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ, განკარგოს ის ანგარების მიზნით, სხვა ხერხით). ქურდობის შემადგენლობას არ წარმოქმნიან არა ანგარების მიზნით სხვისი ქონების დაუფლებაზე მიმართული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები, მაგალითად, მისი დროებით გამოყენება შემდგომში მესაკუთრისთვის დაბრუნებით.

იმ შემთხვევებში, როცა ქონების უკანონო ჩამორთმეა მოხდა ხულიგნობის, გაუპატიურების ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებების დროს, საჭიროა დადგინდეს, თუ რა მიზნით მოხდა ქონების ჩამორთმევა ამ პირისთვის.

თუ პირი მიზნად ისახავდა ანგარებას, მის მიერ ჩადენილი ქმედება, ქონების დაუფლების ხერხის მიხედვით, შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს ერთობლიობაში, როგორც შესაბამისი დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ და ხულიგნობა, გაუპატიურება ან სხვა დანაშაული.

ღაჯაკათი (არაბ.) მუსულმანურ სამყაროში წმინდა ომი, რელიგიური ნიშნით, ისლამის გავრცელების და განმტკიცების მიზნით.

ღალა [არაბ. ღალაJ – ნათესის და ხეხილის მოსავალი] საქართველოში ფეოდალიზმის დროს, მიწის მესაკუთრისათვის მოსაელის ნაწილის გადახდა ნატურით, ღალის ოდენობა განისაზღვრებოდა მიწის ფართობის, ხარისხის, აგრეთვე ტრადიციის გათვალისწინებით; ამ ტერმინის არაბულიდან შეთვისება ცხადყოფს, რომ ქართული სოციალურ-ეკონომიური ცხოერების ასპარეზზე ღალა VII ს. II ნახევარზე ან VIII ს-ზე ადრე არ უნდა გაჩენილიყო. თეთონ სიტყვა ღალა – დასამუშავებლად აღებული მიწის ქირას წარმოადგენდა, ამასთანავე სულადად აღნიშნავდა, თვით მოსაელის, გარკვეული რაოდენობით (პროცენტით) გადახდილს.

ღამის დრო – დროის შუალედი 22-დან 6 საათამდე ადგილობრივი დროით, დღე-ღამის დროსთან დაკავშირებულ საკითხს გააჩნია დიდი მნიშენელობა გარკვეული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისთვის. დადგენილია, რომ გამომაზებაზე გამოუცხადებლობისას, არასაპატიო მიზეზებით, ეჭვმიტანილი, ბრალდებული ასევე დაზარალებული და მოწმე ექვემდებარებიან ძალით მიყვანას. ამასთან, ძალით მიყვანა არ შეიძლება მოხდეს ღამის საათებში გადაუდებელი შემთხვევების გარდა. ასევე დაუშეებელია საგამოძებო მოქმედებების წარმოება ღამის საათებში გადაუდებელი შემთხვევების გარდა.

ღამის მუშაობა – მუშაობა საღამოს 10 სთ-დან დილის 6 სთ-მდე. ღამის მუშაობა აკრძალულია ან შეზღუდულია კანონმდებლობით შემდეგი კატეგორიის მუშაკებისთეის: ა) ორსული ქალები; ბ) 18 წლამდე ასაკის მუშაკები და ინვალიდები; გ) კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღერული მუშაკების კატეგორია. ღამის მუშაობის დროს სამუშაოს (ცვლის) დადგენილი ხანგრძლიეობა მცირდება 1 სთ-ით, თუმცა ეს წესი არ ვრცელდება მუშაკებზე, რომელთაც აქეთ შემცირებული სამუშაო დრო (მასწავლებლები, ექიმები, მუშაკები, რომელთაც გააჩნიათ შრომის მავნე და საშიში პირობები). ღამის მუშაობის ხანგრძლიეობა უტოლდება დღისას იმ შემთხვევებში, როცა ეს აუცილებელია წარმოების პირობებით, ასევე ცვლის მუშაობისას ან კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ღამის მუშაობის 1 სთ-ით შემცირებისას, როცა დღის მუშაობა 7 სთ-ია, ღამის მუშაობის ანაზღაურება ხდება, როგორც 7/6 დღის საათისა, ხოლო 6 საათიანი მუშაობისას, როგორც დღის საათის 6/5. ეს ეხება შრომის დროით ანაზღაურებასაც. კოლექტიური ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სამუშაოს უფრო მაღალი ანაზღაურება ღამის საათებში.

თუ მუშაკი მუშაობს მხოლოდ ღამით (მაგალითად, ღამის ექთანი, ღამის დარაჯი), ღამის მუშაობის ხანგრძლიეობა არ მცირდება, მაგრამ ასეთი მუშაკის ანაზღაურება უფრო მეტია, ვიდრე იმავე ფუნქციების შემსრულებელი მუშაკისა დღის საათებში.

ღია ზღვა – საერთაშორისო სამართალში მსოფლიო ოკეანის ნაწილი, რომელიც განლაგებულია წყლების, ტერიტორიული ზღვის, არქიპელაგის წყლების ფარგლებს მიღმა, რომელშიც მოქმედება არის ღია ზღვის შემდეგი თავისუფლება: ნაოსნობის, ფრენის, თევზჭერის, წყალქვეშა კაბელებისა და მილსადენების გაყვანა, ხელოვნური კუნძულების, ნაგებობების აგება, ზღვის მეცნიერული კვლევების წარმოება და სხვა. განსაკუთრებული რეჟიმი მოქმედებს ღია ზღვის ისეთ ნაწილებში, როგორიცაა მიმდებარე და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა.

ღია ზღვაზე არ ერცელდება რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ის ღიაა საერთო, თანაბარი და მართლზომიერი გამოყენებისთვის, როგორც მიმდებარე, ასევე ზღვაში გასასვლელის მქონე სახელმწიფოებისთვის, სხვა სახელმწიფოების უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სამხედრო გემები და ხომალდები, რომლებიც სახელმწიფო არაკომერციულ სამსახურში არიან ღია ზღვაში სარგებლობენ იმუნიტეტით ნებისმიერი სახელმწიფოს იურისდიქციისგან. ერთი სახელმწიფოს ხომალდი შეიძლება გაჩერებულ და დათვალიერებულ იქნეს ღია ზღვაში მეორე სახელმწიფოს სამხედრო ან სპეციალურად უფლებამოსილი ხომალდის მიერ იმ შემთხვევებში, თუ: ა) ეს გათვალისწინებულია სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის მონაწილეებსაც წარმოადგენენ ჩამრევი სახელმწიფო და იმ სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავი ხომალდი, რომლის თავისუფალი ნაოსნობაც შეჩერებულია ასეთი ჩარევით; ბ) საჭიროა მეკობრეობასთან ან მონათვაჭრობასთან საბრძოლველად; გ) ხომალდს არ გააჩნია ეროვნული დროშა ან გააჩნია უცხოური დროშა, თუმცა ფაქტიურად გააჩნია იგივე ნაციონალობა, რაც ჩარევის განმხორციელებელ სამხედრო ხომალდს; დ) ხორციელდება დევნა „ცხელ კვალზე“ დევნის განმხორციელებელი სახელმწიფოს იურისდიქციის ან სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ სივრცეში ჩადენილ დარღვევებზე; ე) ხომალდიდან ხორციელდება უკანონო რადიო– ტელემაუწყებლობა.

ღირსება – სამოქალაქო უფლებების სამართლის ერთ-ერთი ობიექტი, რომელიც განეკუთვნება არამატერიალურ კეთილდღეობას, ღირსების ქვეშ იგულისხმება პიროვნების თვითშეფასება, მის მიერ პირადი თვისებების, უნარების, მსოფლმხედველობის, შესრულებული მოვალეობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაცნობიერება. ღირსება განსაზღვრავს პიროვნების სუბიექტურ შეფასებას. ღირსება ასევე წარმოადგენს და მიეკუთვნება პიროვნების ობიექტურ შეფასებას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას მოქალაქისა და იურიდიული პირის მიმართ, ასევე პიროვნების მორალური და სხვა თვისებების სოციალური შეფასება. ღირსების დაცვის უფლება გააჩნიათ მხოლოდ მოქალაქეებს. მათ უფლება აქვთ სასამართლოთი მოითხოვონ მათი ღირსების, პატიოსნებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამება. ორგანო, სადაც გაერცელებული ცნობები, რომლებიც ღირსებას ულახავენ მოქალაქეს უნდა იყოს უარყოფილი იმავე ორგანოში. გარდა ამისა, მოქალაქეს, რომლის მიმართაც გაერცელდა მისი ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები უფლება აქვს ასეთი ცნობების უარყოფასთან ერთად მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება მათი გაერცელებით მიყენებულ მორალურ ზიანზე.

ყ

ყადაღა – ქონებაზე ყადაღის დადება, ანუ მესაკუთრის ან მფლობელისათვის ქონების განკარგვის ან ქონებით სარგებლობის უფლების აკრძალვა. სისხლის სამართლის პროცესში სამოქალაქო სარჩელის, სხვა ქონებრივი სახდელის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა თუ განსასჯელის, აგრეთვე, მათი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქონებას, მათ შორის სბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს ეჭვი, რომ ქონებას გადამალავენ ან დაზიანებენ და დახარჯავენ (სსსკ, მუხლი 190 – 199).

ყადაღა (თურქ.) – ქონების აღწერა და ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის აკრძალვა. გამოიყენება, როგორც სამოქალაქო სარჩელის, ჯარიმების, გადასახადების და სხვა საჯარდებულო ქონებრივი სახდელების უზრუნველყოფის საშუალება. სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქონებას, მათ შორის სბანკო ანგარიშებს, თუ არის მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ. ქონებაზე ყადაღის დადება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს განჩინებით. ყადაღა შეიძლება დაედოს ქონების ნებისმიერ ნაწილს, მათ შორის ფულად ანაბრებს, ფასიან ქაღალდებს, ანგარიშებში არსებულ ფულად თანხებს, ასევე ნებისმიერ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ეკუთვნის ბრალდებულს, ეჭვმიტანილს, განსასჯელს, მათ მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, ასევე ქონებას, რომელიც ეკუთვნის მესამე პირებს, თუ არსებობს საკმარისი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნა ან განკუთვნილია დანაშაულის ჩასადენად, ან მიღებულია დანაშაულის შედეგად. ყადაღა არ დაედება ქონებას, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, ასევე ქონებას, რომელიც აუცილებელია ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, განსასჯელის, მათ მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან მათი ოჯახის წევრებისათვის საჭირო საცხოვრებლის, ავეჯის, ტანსაცმლის, საკვების, მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საშუალებების, ინვალიდობის საარსებო საშუალებების, ასევე ქონებას, რომელიც აუცილებელია ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, განსასჯელის, მათ მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან მათი ოჯახის წევრების პროფესიული საქმიანობისათვის, ან სასწავლო პროცესისათვის. ყადაღა შეიძლება დაედოს ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, განსასჯელის, მათ მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქონებას, მათ შორის სბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს

აღნიშნული თანხის ფარგლებში. ქონებაზე ყადაღის დადებაში მონაწილეობს სპეციალისტი — საქონლმცოდნე, რომელიც განსაზღვრავს ქონების ღირებულებას საშუალო საბაზრო ფასებით. ფულად ანაბრებზე ყადაღის დადებასას წყდება საანაბრო ოპერაციები.

ქონებაზე ყადაღის დადებისას დგება ოქმი, რომელშიც სასამართლოს აღმასრულებელი აღწერს ქონებას. ოქმში (აღწერაში) უნდა აღინიშნოს დასაყადაღებელი ქონების ზუსტი დასახელება, რაოდენობა, ზომა, წონა, ცვეთის ხარისხი, სხვა ინდივიდუალური ნიშნები და ღირებულება; მიეთითოს, თუ რა ქონებაა ჩამორთმეული და რა დარჩა შესანახად; ეკუთვნის თუ არა ეს ქონება, ან მისი ნაწილი სხვა პირებს.

დაყადაღებული ქონება, გარდა უძრავი და დიდგაბარიტიანი საგნებისა, ამოღებულ უნდა იქნეს. ძვირფასი ლითონები, ქვები და თვლები, უცხოური ვალუტა, ჩეკები, ფასიანი ქაღალდები შესანახად ბარდება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში, ხოლო ობლიგაციები და ფასიანი ქაღალდები — შემნახველ ბანკში. ფული შედის იმ სასამართლოს დეპოზიტზე, რომლის წარმოებაში იმყოფება საქმე. დაყადაღებული და ამოღებული ქონება ილუქება და შესანახად რჩება მესაკუთრესთან, მოლობელთან ან ბრალდებულის ოჯახის სრულწლოვან წევრთან. ამ პირებს უნდა განემარტოთ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ამ ქონების განსხვისებისა თუ გაფუჭებისათვის, რის შესახებაც ჩამოერთმევათ ხელწერილი.

პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მის ქონებას ყადაღა უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაედო, მათ შორის, საქმესთან კავშირის არმქონე პირსაც, რომლის ქონებაც შეცდომით მოხვდა ოქმში (აღწერაში), უფლება აქვს მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება.

ყადაღის დადება საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებზე

– საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც ხორციელდება საქმარისი საფუძვლების არსებობისას იმის სავარაუდოდ, რომ სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი საგნები, დოკუმენტები ან ცნობები შეიძლება შესაბამისად არსებობდეს ბანდეროლებში, საფოსტო-სატელეფონო გზავნილებში, დეპეშასა თუ რადიოგრამებში, მათზე შეიძლება მოხდეს ყადაღის დადება.

ყადაღის დადება საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებზე, მათი დათვალიერება და ამოღება კავშირგაბმულობის დაწესებულებებში ხდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

გამომძიებელი შუამდგომლობას აგზავნის სასამართლოში. განიხილავს რა აღნიშნულ შუამდგომლობას მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება საგამოძიებო მოქმედების წარმოების ნებართვის ან უარის შესახებ, უარის მოტივების მითითებით. გამომძიებლის შუამდგომლობაში საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებზე ყადაღის დადების, მათი დათვალიერებისა და ამოღების შესახებ მითითებულია: ა) იმ პირის სახელი, გვარი, მამის სახელი და მისამართი, რომლის საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებიც უნდა იქნეს დაკავებული; ბ) ყადაღის დადების, დათვალიერებისა და ამოღების საფუძვლები; გ) დასაყადაღებელი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების სახეები; დ) იმ კავშირგაბმულობის დაწესებულების დასახელება, რომელსაც ეკალება შესაბამისი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების დაკავება.

თუ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებზე ყადაღის დადების შესახებ, მისი ასლი იგზავნება კავშირგაბმულობის შესაბამის დაწესებულებაში, რომელმაც უნდა დააკავოს საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილები და ამის შესახებ მან უნდა დაუყოვნებლივ აცნობოს გამომძიებელს. გამომძიებლის მიერ შესაბამისი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების დათვალიერება, ამოღება და ასლის გადაღება ხდება დამსწრეთა თანდასწრებით, შესაბამისი დაწესებულების მუშაკების რიგიდან. საჭიროებისას გამომძიებელს უფლება აქვს გამოიძახოს სპეციალისტი და ასევე თარჯიმანი. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების დათვალიერების თითოეულ შემთხვევაში ხდება ოქმის შედგენა, სადაც მითითებულია, თუ ვის მიერ და რომელი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი დაექვემდებარა დათვალიერებას, ასლების გადაღებას, გაეგზავნა ადრესატს ან იქნა დაკავებული.

საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებზე ყადაღის დადება უქმდება გამომძიებლის მიერ ამის შესახებ საგანგებული შეტყობინებით სასამართლოსთვის, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ყადაღის დადების შესახებ და პროკურორისთვის, როცა აღარაა ამ ზომის გამოყენების აუცილებლობა, მაგრამ არა უგვიანეს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დასრულებისა.

ყადაღის დადება ფასიან ქაღალდებზე

– კანონით დადგენილი პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს ფასიან ქაღალდებზე ყადაღის დადების განსაკუთრებულ წესს. ფასიან ქაღალდებზე ყადაღის დადების საფუძვლებს წარმოადგენს: დანაშაულებრივი მოქმედებების შედეგად ან დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების შესაძლო კონფისკაციის ან დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

ყადაღა ედება ფასიან ქაღალდებს და ფასიანი ქაღალდების სერტიფიკატებს. დოკუმენტური ფასიანი ქაღალდების დაყადაღება ხდება მათი განთავსების ადგილის მიხედვით. არადოკუმენტური ფასიანი ქაღალდების დაყადაღება კი ამ ქაღალდების მფლობელთა უფლებების აღრიცხვის ადგილის მიხედვით (ემიტენტი, დეპოზიტარი ან სხვა სპეციალიზირებული ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნებართვა). ფასიან ქაღალდებზე ყადაღის დადება ასევე ერცელდება ისეთ ფასიან ქაღალდებზე, რომლებიც მიღებულია მათი კონვერტაციის ანუ გაცვლის შედეგად. დაყადაღებას არ ექვემდებარება კეთილსინდისიერი შემძენის ხელში მყოფი ფასიანი ქაღალდები წარმომდგენზე. ისეთ ფასიან ქაღალდებზე ყადაღის დადების შესახებ ოქმში მითითებულია: ა) დაყადაღებული ფასიანი ქაღალდების საერთო რაოდენობა, მათი სახე, კატეგორია (ტიპი) ან სერია; ბ) ნომინალური ღირებულება; გ) სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი; დ) ცნობები ემიტენტის ან ფასიანი ქაღალდების გამცემი ან ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების აღმრიცხველი პირების და ასევე აღრიცხვის წარმოების ადგილის შესახებ; ე) ცნობები დოკუმენტის შესახებ, რომელიც ადასტურებს ყადაღადადებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებას.

ყადი (არაბ. qadi) აღმოსავლეთის ქვეყნებში: მუსლიმანთა სასულიერო მსაჯული, მოსამართლე.

ყალბი ფულის მოჭრა – გასაღების მიზნით ყალბი სახელმწიფო სახაზინო და საბანკო ბილეთების, ლითონის მონეტების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ან უცხოური ვალუტის დამზადება ან მათი გასაღება; გარდა ამისა, ნამდვილი ფულადი ნიშნების ან ფასიანი ქაღალდების გაყალბება იმ ციფრების შეცვლის გზით, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ნომინალურ ღირებულებას ან ნუმერაციას.

ყაჩაღობა – თაღლასმა სხვისი ქონების ქურდობის მიზნით, რომელიც ჩადენილია ძალადობის გამოყენებით, რაც საშიშია ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლისთვის ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება – სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გამყიდველი ვალდებულია საქონელი საკუთრებაში გადასცეს მყიდველს, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მასზე გარკვეული ფულადი თანხა (ფასი). ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ნივთები ან ქონებრივი უფლებები. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მომავალში დასამზადებელი ან უკვე არსებული საქონლის თაობაზე, მაგრამ, რომელიც არ ეკუთვნის გამყიდველს ხელშეკრულების დადების მომენტში.

გამყიდველის ვალდებულებებს განეკუთვნება შემდეგი: 1) მყიდველისთვის საქონლის გადაცემა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხოლო თუ ასეთი ვადა არაა დადგენილი ხელშეკრულებით, მაშინ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. გამყიდველის მიერ საქონლის გადაცემის ვალდებულების შესრულების მომენტი განისაზღვრება:

ა) მყიდველისთვის საქონლის გადაცემით (თუ გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი); ბ) საქონლის შეთავაზებით მყიდველის განკარგულებაში გარკვეულ ადგილას (თუ საქონელი უნდა გადაეცეს მყიდველს საქონლის განთავსების ადგილას); გ) საქონლის გადაცემით გადამზიდველისთვის ან კავშირის ორგანიზაციისთვის (ყველა სხვა შემთხვევაში). საქონლის შემთხვევითი დაღუპვის ან შემთხვევითი დაზიანების რისკი გადადის მყიდველზე გამყიდველის მიერ საქონლის გადაცემის ვალდებულების შესრულების მომენტში, ხოლო თუ საქონელი გაყიდვის დროს გზაშია – ხელშეკრულების დადების მომენტში (თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული), საქონელზე საკუთრების უფლება გადადის საქონლის (საქონლის თანმხლები დოკუმენტების, სიმბოლური დოკუმენტების) ან ტერიტორის გადამზიდაის მიერ ფაქტიური გადაცემის მომენტში. თუ გამყიდველი არ ასრულებს მყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი საქონლის გადაცემის ვალდებულებას, ამ უკანასკნელს უფლება აქვს გამყიდველისგან მოითხოვოს გადახდილი საქონლის გადაცემა ან თანხის დაბრუნება. ასევე პროცენტების გადახდა სხვისი ფულადი საშუალებების სარგებლობაზე; 2) თუ სხვა რამ გათვალისწინებული არაა ხელშეკრულებით, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს საქონელთან ერთად გადასცეს გასაყიდი საქონლის კუთვნილებები, ასევე მასთან დაკავშირებული დოკუმენტები (ტექნიკური პასპორტი, ხარისხის სერტიფიკატი და ა.შ.); 3) მყიდველისთვის მესამე პირების ნებისმიერი უფლებისგან გირავნობა, იჯარა, სერვიტუტის დადგენა, თავისუფალი საქონლის გადაცემა იმ შემთხვევების გარდა, როცა მყიდველი თანახმაა მიიღოს ასეთი უფლებებით დატვირთული საქონელი. მესამე პირების უფლებათა აღმოჩენის შემთხვევაში, რომელთა შესახებაც მყიდველმა არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, მას უფლება აქვს გამყიდველს წაუყენოს მოთხოვნა საქონლის ფასის დაწევის ან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაწყვეტის და მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ; 4) საქონლის გადაცემა სათანადო რაოდენობით, კომპლექტში, კომპლექტურობაში, ასორტიმენტში და ხარისხით.

მყიდველის ვალდებულებებს განეკუთვნება: ა) საქონლის მიღება ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და დროში, მათ შორის, მიწოდების მისამართის შეტყობინება; სატრანსპორტო საშუალებების შეთავაზება და ა.შ.; ბ) საქონლის ანაზღაურება გამყიდველის მიერ მის გადაცემამდე ან მას შემდეგ სრული ფასის ოდენობით, თუ სხვა რამ დადგენილი არაა კანონით ან ხელშეკრულებით. მოცემული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს პროცენტების გადახდა სხვისი ფულადი საშუალებების სარგებლობაზე. თუ მყიდველმა არ განახორციელა საქონლის წინასწარი ანაზღაურება, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, გამყიდველს უფლება აქვს უარი თქვას საქონლის გადაცემაზე. იხ. ასევე საქონლის ასორტიმენტი, საქონლის ხარისხი, კომპლექტი, კომპლექტურობა.

ყულარაღასი მეფის მცველ მეთოფეთა უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში, რომელიც მეფეს ადგა თავს და ყორჩიბაშთან ერთად მის პირად სამსახურს ხელმძღვანელობდა. ამასთანავე, იგი სასახლის დიდი მოხელე იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეფოს მართვაში. XVIII ს. II ნახევარში ყულარაღასობამ დაკარგა რეალური შინაარსი და მხოლოდ ტიტული შემორჩა.

ყურანი [არ. ‚ყურ'ან' საკითხავი] მუსულმანების მთავარი წმინდა წიგნი, მუჰამედის მიერ შექასა და მედინაში წარმოთქმული ქადაგებების, სარიტუალო და იურიდიული დადგენილების, ლოცვების, სადამრიგებლო ხასიათის მოთხრობებისა და იგავების კრებული; ყ. შეიქმნა წინასწარმეტყველის გარდაცვალებიდან 632 წ-ს რამდენიმე ათეული წლის შემდეგ და წარმოადგენს დაწერილი მუსულმანური სამართლის (შარიათის) საფუძველს; თვით მუჰამედმა არ იცოდა წერა-კითხვა.

შ

შანტაჟი – ღირსების შემლახავი ცნობების გამჟღავნების მუქარა, რომელთაც, საყოველთაოდ ცნობის დროს, შეუძლიათ არსებითი ზიანი მიაყენონ დაზარალებულის ან მისი ახლობლების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ღირსებასა და პატიოსნებას, ან გამოიწვიონ სხვა არასასურველი შედეგები. ამასთან, ასეთი ცნობები შეიძლება იყოს, როგორც ნამდვილი, ასევე ცრუ.

შარიათის კანონები

სასტიკი გადმონაშთი თუ ისლამური ტრადიცია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად აერცელებენ ინფორმაციას მუსულმანური კანონმდებლობის – შარიათის შესახებ, რომლის ნორმებიც ბევრ ადამიანს აოგნებს. საჯარო დასჯა, კიდურების მოკვეთა, ქალების გაწკეპვა და ა.შ. ზოგჯერ არამუსულმანური საზოგადოების აღშფოთებასაც იწვევს ხოლმე. მაინც რა არის ეს ყბადაღებული შარიათის კანონები, ვინ იცავს მათ და რამდენად სამართლიანია მუსულმანთა ეს კანონმდებლობა?

რა არის შარიათი?

როგორ უთავსდება რამდენიმე ასწლეულის წინათ შექმნილი სამართლებრივი კანონები XXI საუკუნის კანონებს, სამოქალაქო დემოკრატიულ საზოგადოებასა და ადამიანის უფლებებს?

დისკუსია შარიათის შესაბამისობაზე სამოქალაქო ნორმებთან ახალი არ არის და მასზე დიდი ხანია მსჯელობენ.

შარიათი არაბული ზმნიდან – „შარია“-დან მოდის, რაც გზას ნიშნავს, რომელზეც უნდა იარო, და გზას, რომელიც ღმერთმა მოგცა. ტერმინოლოგიურად შარიათი ნიშნავს იმას, რაც ღმერთმა შთააგონა წინასწარმეტყველებს, რათა მათ ადამიანებამდე მიეტანათ.

ისლამური კანონმდებლობა ძირითადად ყურანს ეფუძნება და მისი მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ მასში არ მოიპოვება გზა, რომ ადამიანმა რაიმე უღირსი საქციელი ჩაიდინოს.

შარიათის მიხედვით, არსებობს მუსულმანის ქცევის შეფასების ხუთი კრიტერიუმი: 1. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქმედებები, ანუ აუცილებელი შინაგანაწესი: ეს ქმედებები წახალისებულია და სასურველიც – მაგალითად, ყოველდღიური კანონიკური ლოცვა ან შესაწირის გაღება თანამოძმეების საკეთილდღეოდ? 2. რეკომენდირებული, დადებითად შეფასებული ქმედებები. მართალია, ასეთი ქმედების ჩადენა აუცილებელი არ არის, მაგრამ ისინი წახალისებულია. მაგალითად, ჯაჰა (მექაში მომლოცველობა) და აქტიური ქველმოქმედება; 3. ქმედებები, რომლებიც არ არის წახალისებული, მაგრამ არ ისჯება. მაგალითად, დარიგებების დადება, საეჭრო მოლაპარაკებები; 4. ქმედებები, რომლებიც არ ისჯება, მაგრამ არ არის სასურველი მათი ჩადენა. მაგალითად, ბილწსიტყვაობა, უფროსი ადამიანებისადმი უპატივცემულობა და ა.შ.; 5. მუსულმანებისთვის კატეგორიულად აკრძალული ქმედებები, მაგალითად, ღორის ხორცის ჭამა, ღვინის სმა, აზარტული თამაშები, მკვლელობა, მრუშობა და ა.შ. სწორედ ეს ქმედებები ითვალისწინებს სასჯელს. შარიათის მიხედვით, მოქმედებები, რომლებიც ისჯება, ოთხ კატეგორიად იყოფა: ჭორაობა და სხვა ადამიანის ლანძღვა; ქურდობა, ანუ სხვის ქონების მითვისება; სხვა ადამიანის ღირსების დამცირება; მოყვრისთვის იმის გაკეთება, რასაც საკთარ თავს არ უსურვებ.

„სისხლი სისხლისა წილ“

სუფთა სახით, შარიათს მუსულმანური სამყაროს სულ რამდენიმე ქვეყანაში თუ იცავენ, მაგრამ სამართლებრივ სისტემაზე მნიშვნელოვან გავლენას ეს კანონმდებლობა ყველა მუსულმანურ ქვეყანაში ახდენს. მაგალითად, ისეთი სერიოზული დანაშაულები, როგორიცაა მკვლელობა. ამ საკითხში, ისე, როგორც არც ერთ სხვა საკითხში, შარიათს გვარტომობრივი სამართლის ნიშნები აქვს, რომელიც სისხლის ალებას ემყარება. ალმოსაველეთმცოდნეების მიაჩნიათ, რომ ისლამის მორალი ამ შემთხვევაში შუალედურია იუდეურ მორალსა (შურისძიება, პრინციპით – „თვალი თვალისა წილ, სისხლი სისხლისა წილ“) და ქრისტიანულ მორალს შორის, რომელიც საერთოდ უგულებელყოფს შურისძიებას. ისლამი ეუბნება მოკლულის მშობლებს: „თქვენ გაქვთ შურისძიების უფლება, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ აპატიებთ. ხოლო შური უნდა იძიოთ მოკლულის მაგიერად: მონა მონისა წილ, ქალი ქალისა წილ“.

თუ მოკლულის ოჯახი უარს იტყვის კომპენსაციის მიღებაზე – დიაზე (არაბული სიტყვიდან „დია“, რაც გამოსასყიდს ნიშნავს). ანუ ე.წ. სისხლის ფულზე, ძალაში შედის შურისძიების კანონი. სახასიათო ნიუანსი – ტრადიციის მიხედვით, მოკლულ ქალზე დაწესებული დია ორჯერ ნაკლებია, ვიდრე კაცზე. მოკლულ ქრისტიანზე ან იუდეველზე უფრო ნაკლებია და დია, ვიდრე მუსულმანზე, ხოლო არასრულწლოვანის ან სულიერად ავადმყოფის მაგიერად დიას სახელმწიფო იხდის. ქალები და ბავშვები დიას გადახდისგან გათავისუფლებული არიან.

დამნაშავეს სჯის ჯალათი ან მოკლულის ოჯახი, რომელსაც გადაეცემა დამნაშავე. სხვადასხვა სალვთო სკოლას თავისი აზრი აქვს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოკლას დამნაშავე. შარიათის მიხედვით, სიკვდილით ისჯება რჯულგანდგომილიც, რომელიც ცოდვას არ მოინანიებს. ბევრ მუსულმანური ქვეყანაში სიკვდილით ისჯება ნარკოტიკებით მოვაჭრეც. შარიათი ყველაფერ იმის წინააღმდეგი გამოდის, რაც მავნეა ადამიანებისთვის: ალკოჰოლიზმი, აზარტული თამაშები, პროსტიტუცია. გარდა ამისა, კრძალავს მეთქრამეობას, თაღლითობას და ა.შ.

ადსანიშნავია, რომ ადრეულ ისლამურ პერიოდში უიშვიათესი იყო დაპატიმრება. ეს გამოწეული იყო, უპირველესად, მათი მომთაბარეობით: ისინი ძირითადად, ქალაქიდან ქალაქში დადიოდნენ, ხოლო დაპატიმრებულის კარავში დაკავება ან თან ტარება ნაკლებად მოსახერხებელი იყო.

...მრავალი წლის წინათ იემენის დედაქალაქში – სანში, ერთ-ერთი უცხოელი ჟურნალისტი ასეთ ფაქტს შეესწრო: გრძელი თეთრი პერანგით შემოსილი დამნაშავე ცხენზე მჯდომი გამოაბრძანეს ძველებური თურქული ციტადელის წინ. რამდენიმე პოლიციელმა დასჯის ადგილი უსაქმურებისგან გაათავისუფლა. გასამართლებელი, რომელიც თავშიშველი იყო, სრულიად გაუნძრეველად იდგა, არანაირ ემოციას არ ავ-

ლენდა. როგორც ჩანს, მან წინასწარ შეამზადა თავი ღმერთთან შესახვედრად. ყადიმ (მოსამართლემ) განაჩენი წაიმღერა. ჯალათმა დამნაშავეს უბიძგა, აიძულა, პირდაპირ მტვერში ჩაჩოქილიყო და ქარქაშიდან ხმალი ნელა ამოაძრო. შემდეგ კი... ხმალი ძლიერად მოიქნია. პირველ ჯერზე თავი არ მოიჭრა, დამნაშავეს კისერი გადაუტყდა და სახე პერანგში ჩაიძირა. გაწყვეტილი სისხლძარღვებიდან სისხლმა იჩქეფა, ბრბომ უკმაყოფილოდ დაიგმინა. ჯალათმა მეორედ მოიქნია ხმალი, თავს ძირს დაცემამდე წაავლო ხელი თმაში და მაღლა ასწია. დასჯილის სახე ათრთოლდა, ტკიეილისგან და შიშისგან მოქცეულ ტუჩებში გაყვითლებული კბილები გაიმხილნდა. პოლიციელებმა ჯერ კიდევ მოფართხალე სხეულს ტილო გადააფარეს და მარხილზე შემოდეს. იქვე ჩააგდო თავი ჯალათმა. მარხილი დაიძრა და ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა. მთელ პროცედურას ხომ ხუთი წუთიც არ დასჭირვებია...

რა თქმა უნდა, ახლა იემენში ასეთი პრაქტიკა უკვე წარსულის კუთვნილებაა. დღესდღეობით საჯარო დასჯა მხოლოდ საუდის არაბეთში ხდება.

ფაქტობრივად, სიკვდილით ისჯება მრუშობა, თუ დამნაშავეები (როგორც კაცი, ისე ქალი) სრულწლოვანები არიან და დაოჯახებულებიც, მათ ჩაკლავა ემუქრებათ, ხოლო თუ რომელიმე დამნაშავე მარტოხელაა, მაშინ ცოდვის ორივე მონაწილეს ასი როზგი ელის.

ეს ძალზე მკაცრი სასჯელია. მაგრამ მას იშვიათად ასრულებენ, რადგან განაჩენის გამოსატანად ოთხი მოწმის ჩვენებაა საჭირო, რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს მრუშობის აქტი. ასეთი სიტუაცია კი ნაკლებმოსალოდნელია.

რაც შეეხება მამათმავლობას, ის საერთოდ არ ითვლება დანაშაულად, თუმცა კი ცოდვაა. ამიტომ მამათმავლთაეის სასჯელიც შედარებით ზომიერია — სულ 25 როზგი.

როზგები და ამპუტაცია

არანაკლებ შოამბეჭდაეია ქურდობისთეის დაწესებული სასჯელები. დამნაშაეის დასადგენად ამ შემთხვეეაში ორი მოწმე მამაკაცია საჭირო. მაგრამ თუ ქურდი მუსულმანური მართლმსაჯულების ხელში მოხვდება, საშინელ სასჯელს ვარ ასცდება. ტრადიციის მიხედვით, ქურდს მარჯვენა ხელის მტევანს აჭრიან, ან თითს (თუ მცირე ქურდობაა). ადრე ამას ჯალათი აკეთებდა, ახლა კი ზოგიერთ ქეეყანაში სპეციალური ქირურგი ჰყავთ, რომელიც ნარკოზის მოშველიებით აკეთებს ამ „ოპერაციას". ირანში კი სპეციალურ ელექტრომანქანას იყენებენ, რომელიც თითებს ჭრის. ჰიგიენური მოსაზრებით, მისი სამართებლები რომელიმე ანტისეპტიკური საშეაულებით იწმინდება.

ადრე განმეორებითი ქურდობისთეის ადამიანს მარცხენა ხელს აჭრიდნენ და ა.შ. ახლა კი მუსულმანური ქეეყნების უმრავლესობაში ქურდებს ხანგრძლეივი ვადით სეამენ ციხეში.

ბოლო დრომდე, შარიათის მიხედეით, მიღებული იყო გაროზგეა, განსაკუთრებით თავგამოდებულ თალიბებში კი — ჯოხით ცემაც კი. რელიგიური მოსამართლეები — კადები — გულუხვად არიგებდნენ ასეთ სასჯელებს, მაგალითად, ალკოჰოლის მიღებისთეის, რეგულარული ლოცეების დარღეეისთეის, რამადანის მარხეის დარღეეისთეის, უგვანი საქციელისთეის (მაგალითად, ქალის ატორღიალებისთეის ან კაცის გამოწეეისთეის), საზოგადოებრივ ადგილებში სიცილისთეის, დასაეული მუსიკის თანხლებით ჯგუფური ცეკვებისთეის და იმ შემთხეეაშიც, როცა ქალი არ იცვამდა „პარანჯას" ან „ხიჯაბას", რომლებეც მის სხეულს ისე ფარავენ, რომ მხოლოდ სახე, ხელის მტევნები და ფეხის კუსლები უჩანს. აეღანეთში კი ტელეგადაცემების ყურებისთეისაც დაუსჯიათ...

აქტიურად იყენებს როზგსა და ჯოხებს საუდის არაბეთის წესჩეეულებათა პოლიცია, განსაკუთრებით, ისეთ წმინდა ადგილებში, როგორიცაა მექა და მედინა. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებების დამცეელი კომისიის ამასწინანდელ მოხსენებაში დაახლოებით 200 მაგალითია მოეუანილი, რიცა ირანში 18 წლამდე ახალგაზრდებს საჯაროდ როზგავდნენ მუსულმანური საზოგადოებრიეი წესების დარღეეისთეის. საგულისხმოა, რომ რამდენიმე ახალგაზრდამ მხოლოდ იმიტომ იზარალა, რომ პრეზიდენტ-რეფორმატორს, მოპამედ ხატამს დაუჭირა მხარი.

ასეე საფრთხე ემუქრებათ უცხოელებს, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში ერთმანეთისადმი მეტისმეტ სიახლოეეს გამოაელენენ, ან „არასათანადოდ" ჩაცმულ-დახურულები გაიელიან მუსულმანური ქალაქების ქუჩებში. არც ის არის გამორიცხული, რომ ისინი გაროზგონ კიდეც.

რა თქმა უნდა, დროის ცვალებადობასთან ერთად, შარიათის კანონებს თეითონ მუსულმანები გადახედაენ ხოლმე და გარკეეული ცვლილებებიც შეჰქონდათ. რაც ძალიან მოძველებული ჩანდა და არალოგიკური, თანდათან იღებდნენ კანონმდებლობიდან. ხშირად ხომ ათასნაირი უხერხული მომენტი იქმნებოდა, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა თანამედროეეობას. მაგალითად, როგორ უნდა გადაიღოს პასპორტისთეის სურათი ქალმა — ჩადრით თუ უჩადროთ?

ყეელაზე მეტად კი შარიათის კანონების დაცვისკენ და შეა საუკუნეების პრიენიპების ერთგულებისკენ ხალხს ისლამური ფუნდამენტალიზმი უბიძგებს, რასაც საკმაოდ საშიშ მოელენად მიიჩნეეენ, ხშირად თეით მუსულმანებიც კი. აღნიშნული თემა დაიწერა საგაზეთო მასალის მიხედეით.

შეზღუდვა სამხედრო სამსახურში – სისხლის სამართლის სასჯელის სახე, რომელიც შეეფარდებათ კონტრაქტით სამხედრო სამსახურში მყოფ მსჯაერდებულებს კანონით გათეალისწინებულ შემთხეეებში, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაზე.

შეზღუდული კონეერსიის ძქონე ეალუტა – ეალუტა, რომლის გადაცვლაც ხდება მხოლოდ ზოგიერთი საზღეარგარეული ქეეყნის ეალუტაზე, მაგალითად, ფინური მარკა, იაპონური იენა და სხეა.

შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობა – შრომის კანონმდებლობის მიხედეით მუშაკის მატერიალური პასუხისმგებლობის სახე, რომელიც მდგომარეობს ეალდებულებაში ანაზღაურებულ იქნეს ზარალი ადრე დადგენილ საზღერებში. ასეთ საზღეარს წარმოადგენს მუშაკის მიერ მიღებული საშუალო თეიური ხელფასი ზარალის აღმოჩენის დღეს.

საშუალო თვიური ხელფასი იანვარიშება ზიანის მიმყენებელი პირის მუშაობის ბოლო სამი კალენდარული თვის განმავლობაში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საზოგადოება, რომელიც კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორების პასუხისმგებლობა განისაზღვრება მათი წილის ოდენობით. შპს-ს დაფუძნება ერთ პირსაც შეუძლია და მისი შექმნის წესი და საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონით მეწარმეთა შესახებ.

შეთავსება – შრომის სამართლის მიხედვით, მუშაკის მიერ ძირითადი სამუშაოს გარდა, ასევე რეგულარული ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება შრომის ხელშეკრულების საფუძველზე ძირითადი სამუშაოსგან თავისუფალ დროს. შეთავსებით მუშაობა შეიძლება შესრულდეს, როგორც მისი ძირითადი სამუშაო ადგილას, ასევე სხვა ორგანიზაციებში. შრომის ხელშეკრულებაში სავალდებულოა იმის მითითება, რომ სამუშაო წარმოადგენს შეთავსებითს. შეთავსებით მუშაობის თავისებურებები ცალკეული კატეგორიების მუშაკებისთვის (პედაგოგიური, სამედიცინო და ფარმაცევტული, კულტურის მუშაკები) განისაზღვრება მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

შეთავსებით სამუშაოზე აყვანისას სხვა ორგანიზაციაში მუშაკი ვალდებულია სამუშაოს მიმცემს წარუდგინოს პასპორტი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პიროვნებას. თუ შეთავსებით მუშაობა გულისხმობს სპეციალური ცოდნის არსებობას, სამუშაოს მიმცემს უფლება აქვს მუშაკისგან მოითხოვოს დიპლომის ან სხვა დოკუმენტის წარდგენა განათლების ან პროფესიული მომზადების შესახებ, მაგრამ და საშიშ პირობებში მუშაობისას – ცნობა ძირითადი სამუშაოს ადგილზე შრომის სახისა და პირობების შესახებ.

შეთავსებით მომუშავე პირებისთვის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 4 სთ დღეში და 16 სთ. კვირაში. ანაზღაურება ხდება გამომუშავებული დროის პროპორციულად ან შრომის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით. შეთავსებით დროითი ანაზღაურებით მომუშავე პირთა შრომის ანაზღაურება ხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს საბოლოო შედეგების მიხედვით. შეთავსებით იმ რაიონებში მომუშავე პირების შრომის ანაზღაურება, სადაც დადგენილია რაიონული კოეფიციენტები და ხელფასზე დანამატები ხდება ამ კოეფიციენტებისა და დანამატების გათვალისწინებით. ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება მუშაკს ეძლევა ძირითად სამუშაოზე შვებულებასთან ერთად. თუ შეთავსებით მომუშავე მუშაკის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე ძირითად სამუშაო ადგილას შვებულების ხანგრძლივობა, სამუშაოს მიმცემი მუშაკის თხოვნით მას ეძლევა ანაზღაურება შვებულების შესაბამისი ხანგრძლივობის ხელფასის შენარჩუნების გარეშე.

შეთანხმება – იურიდიული აქტი, რომელიც ადგენს სოციალურ-შრომითი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების ზოგად პრინციპებს და რომელიც იდება სამუშაოს მიმცემებსა და მუშაკების სრულუფლებიან წარმომადგენლებს შორის. გამოიყოფა შემდეგი სახის შეთანხმებები: გენერალური, რეგიონალური, ტერიტორიული და სხვ.

გენერალური შეთანხმება ადგენს სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირების ზოგად პრინციპებს სახელმწიფო დონეზე. რეგიონალური შეთანხმება ადგენს სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირების ზოგად პრინციპებს რეგიონის დონეზე. ტერიტორიული შეთანხმება ადგენს შესაბამისი მუნიციპალური წარმოქმნის ტერიტორიაზე შრომის საერთო პირობებს, შრომის გარანტიებსა და შეღავათებს მუშაკებისთვის.

ეს ჩამონათვალი არაა ამომწურავი. მხარეებს შეუძლიათ სხვა სახის შეთანხმებების მიღწევაც სოციალური პარტნიორობის ნებისმიერ დონეზე. შეთანხმებაში მონაწილე მხარეების რაოდენობის მიხედვით ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ორმხრივი (ბიპარტიზმი) და სამმხრივი (ტრიპარტიზმი).

შეთანხმება პროდუქციის გაყოფის შესახებ – ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფო სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტს (ინვესტორს) ანაზღაურებად საფუძველზე და გარკვეული ვადით გადასცემს განსაკუთრებულ უფლებებს მინერალური ნედლეულის ძიებაზე, მოპოვებაზე, მოცემულ შეთანხმებაში აღნიშნული წიაღის მონაკვეთში და ამასთან დაკავშირებით სამუშაოების წარმოებაზე. ხოლო ინვესტორი ვალდებულია განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები თავისი ხარჯებითა და რისკის ფასად. პროდუქციის გაყოფის შესახებ შეთანხმება განსაზღვრავს წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო პირობას.

შეიარაღებული აჯანყება – შეიარაღებული გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ კონსტიტუციური წყობის დამხობის ან ძალისმიერი შეცვლისა თუ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად. შეიარაღებული აჯანყება დასრულებულად ითვლება მეამბოხეთა შეიარაღებული გამოსვლის მომენტიდან სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობის დამხობისა თუ შეცვლის მოთხოვნით და დამუქრებით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში განახორციელებენ თავიანთ მოთხოვნებს შეიარაღებული ძალით. დანაშაული ხორციელდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვითა და სპეციალური ზემოთდასახელებული მიზნებით.

შეკვეთის საავტორო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ავტორი ვალდებულია შექმნას ნაწარმოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და ის გადასცეს შემკვეთს, ხოლო შემკვეთი ვალდებულია ავტორს გადაუხადოს გასამრჯელო ავანსით. შემკვეთის საავტორო ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ზოგადი პირობები, რომლებიც ეხებიან საავტორო ხელშეკრულებებს. შემკვეთის საავტორო ხელშეკრების საგანს წარმოადგენს ნაწარმოების გამოყენების უფლება, რომელიც ავტორმა მომავალში უნდა შექმნას. შემკვეთის ავტორი შესახებ ხელშეკრულებაში უნდა იყოს მომავალი ნაწარმოების ზუსტი და კონკრეტული აღწერა, მათ შორის, მისი მოცულობა, სახე, ჟანრი, გამოყენების სფერო, სახელწოდება და ა.შ. ხელშეკრულების მიხედვით შემკვეთი ვალდებულია ავტორს გადაუხადოს ავანსი (კანონით

არაა რეგულირებული გადახდის ოდენობა, წესი, ვადები).

ავტორი, რომელმაც არ წარმოადგინა შეკეთილი ნაწარმოები შეკეთის საავტორო ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულია ანაზღაუროს მხოლოდ რეალური ზარალი, რომელიც მიადგა შემკვეთს (დაკარგული გამორჩენის გარდა). ავტორის პასუხისმგებლობის სიდიდე შეკეთილი ნაწარმოების არწარმოდგენაზე არ შეიძლება აღინიშნულ იქნეს ხელშეკრულებით.

შეკრება და მანიფესტაცია – ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის თანახმად, ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილს იმართება. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. შეკრებასა და მანიფესტაციასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს 1997 წლის 12 ივნისის კანონით შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ.

შემადგენლობითი ნაწარმოები – ნაწარმოები, რომელშიც ასევე შედის სხვა ავტორთა ნაწარმოებები. შემადგენლობით ნაწარმოებზე საავტორო უფლება მთლიანად წარმოიქმნება შემადგენლობით ნაწარმოებში (კრებული) ჩართული მასალების შემოქმედებითი შერჩევისა და განთავსების პირობისას. შემადგენლობითი ნაწარმოები შეიძლება შეიცავდეს საავტორო უფლებით დაუცველ მასალებსა და ნაწარმოებებს (ცნობარებს). შემდგენს უფლება აქვს განახორციელოს თავისი საავტორო უფლება შემადგენლობითი ნაწარმოების გამოყენებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის (შემდგენლის) მიერ მიღებულია თანხმობა ასეთ გამოყენებაზე კრებულში შესული ნაწარმოებების ავტორებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში შემდგენლის საავტორო უფლება არ შეიძლება იქნეს რეალიზებული. შემადგენლობით ნაწარმოებებს განეკუთვნება ენციკლოპედები, ენციკლოპედიური ლექსიკონები, პერიოდული გამოცემები და სხვ. გამომცემელს აქვს განსაკუთრებული უფლება მოლიანად გამოცემის გამოყენებაზე და არაკონკრეტული უფლება თავისი სახელის (სახელწოდების) მითითებაზე. ენციკლოპედიაში, ენციკლოპედიურ ლექსიკონში ან პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების ავტორი გამომცემელთან დებს საავტორო ხელშეკრულებას, რომელშიც განისაზღვრება ავტორის მიერ გამომცემლისთვის გადასაცემი უფლებების მოცულობა. (არაერთჯერადი გამოყენების შესაძლებლობა, ვადა, რომლითაც ხდება უფლების გადაცემა და ა.შ.). ხელშეკრულება შეიძლება უკრძალავდეს ავტორს გამოიყენოს თავისი ნაწარმოები სხვა გამოცემებში.

შემზღუდავი ღონისძიებები (კარანტინი) – ადმინისტრაციული, მედიკო-სანიტარული, ვეტერინარული და სხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებაზე და ითვალისწინებენ სამეურნეო და სხვა საქმიანობის განსაკუთრებულ რეჟიმს, მოსახლეობის, სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთების, საქონლისა და ცხოველთა გადაადგილების შეზღუდვას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება – თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქმის შემდგომი გამოძიებისთვის. მასზეა დამოკიდებული ის, თუ რა ინფორმაცია ექნება თავდაპირველად გამომძიებელს – ინფორმაციის არასაკმარისობის პირობებში კონკრეტული საქმის გამოძიება ხდება რთული. შემთხვევის ადგილის დათვალიერება ხდება დანაშაულის კვალის, სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების აღმოსაჩენად. მოცემული საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს დამსწრეთა თანდასწრებით. თუ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისთვის საჭიროა დიდი დრო ან ადგილზე დათვალიერება გართულებულია, საგნები უნდა იქნეს ამოღებული, დალუქული, დამოწმებული გამომძიებლისა და დამსწრეთა ხელმოწერებით დათვალიერების ადგილას. ამოღებას ექვემდებარება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული საგნები. საცხოვრებელი ბინის დათვალიერება ხდება მასში მცხოვრებ პირთა თანხმობით. თუ მასში მყოფი პირები ეწინააღმდეგებიან ამას, გამომძიებელი სასამართლოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას დათვალიერების წარმოების შესახებ. ორგანიზაციის შენობის დათვალიერება ხდება შესაბამისი ორგანიზაციის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თანდასწრებით. დათვალიერებაში მისი მონაწილეობის უზრუნველყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში, კი, ამის შესახებ კეთდება ჩანაწერი ოქმში.

შემოწმება საგამოძიებო მოქმედება, რომელიც წარმოადგენს გარე დათვალიერების ნაირსახეობას, რომლის სპეციფიკაც განპირობებულია წარმოებული მოქმედების ობიექტით – ადამიანის სხეულით. შემოწმების შედეგად შეიძლება აღმოჩენილ იქნეს: კვალი; სისხლის ლაქები, ქიმიური ნივთიერებები, ნაკაწრები, სხეულის სხვა დაზიანებები, ნაიარევი, ტატუირება, თანდაყოლილი ლაქები, სხვა სპეციფიკური ნიშნები (თავისებურებები), რომელთა მეშვეობითაც შეიძლება დადგენილ იქნეს პირის მონაწილეობა გამოძიებად დანაშაულთან.

შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს: ა) ბრალდებული (ეჭვმიტანილი); ბ) დაზარალებული; გ) მოწმე, მისი ჩვენებების უტყუარობის შეფასების აუცილებლობის შემთხვევაში.

შემოწმება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ადამიანის სხეულზე აღმოჩენილი განსაკუთრებული ნიშნების, დანაშაულის კვალის, სხეულის დაზიანების, ასევე თრობის მდგომარეობის გამო ღონისთვის საჭირო არაა სასამართლო ექსპერტიზის წარმოება.

შემოწმება ხორციელდება გამომძიებლის (მოცლევის მწარმოებელი პირის) მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს სავალდებულოს შესამოწმებელი პირისთვის. შემოწმებაზე უარის შემთხვევაში შემოწმება ხდება იძულების წესით, განსაკუთრებულ შემთხვევებში.

შემთხვევის ადგილის სქემატური გამოსახულება (ნიმუში)

ქ. _____


_____

ზუსტი მისამართი

_____

_____

მდებარე ბინის სქემატური გამოსახულება.



1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____
7. _____
8. _____
9. _____
10. _____

გამომძიებელი _____

ხელმოწერა _____

თარიღი _____

აკრძალულია გამომძიებლის (მოკვლევის მწარმოებელი პირის) მიერ შემოწმების წარმოება საპირისპირო სქესის პირთან მიმართებაში, თუ ამას თან ახლავს მოცემული პირის გაშიშვლება. იგივე ეხება დამსწრეებსაც.

შემოწმება მოითხოვს სათანადო მომზადებას: გადაწყვეტილების მიღებას შემოწმების თაობაზე და ტექნიკური საშუალებების გამოყენების ან გამოუყენებლობის შესახებ; შემოწმების ჩატარების დროისა და ადგილის განსაზღვრას; სპეციალისტების, ექიმის შერჩევასა და გამოძახებას; განმარტებითი მოქმედებების დროულ ჩატარებას და ამ შემთხვევებში საპროცესო დოკუმენტების შედგენას; შემოწმების დროს მოქმედებების წესისა და თანამიმდევრობის შემუშავებას.

შემსრულებელთა მოსაზღვრე უფლებები – შემსრულებელთა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების ერთობლიობა მათ შესრულებასა და დადგმაზე. შემსრულებელს წარმოადგენს მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც ასრულებს როლს, კითხულობს, მღერის, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვა სახით ასრულებს ლიტერატურისა თუ ხელოვნების ნაწარმოებებს, ასევე სპექტაკლის არაქონებრივ უფლებებს: ა) შემსრულებლის სახელზე და ბ) შემსრულებლის რეპუტაციის დასაცავად (იხ. პირადი არაქონებრივი საავტორო უფლებები) და განსაკუთრებული ქონებრივი უფლებით შესრულების ან დადგმის გამოყენებაზე.

განსაკუთრებული უფლება გამოყენებაზე მოიცავს მხოლოდ გამოყენების შემდეგ შემთხვევებს: 1) ეთერში ან კაბელით შესრულების გადაცემა (განსაკუთრებული უფლება არ მოქმედებს, თუ შემსრულებელი იძლევა თანხმობას გადაიცეს თაეისი შესრულება ეთერით (ან კაბელით) და ამ გადაცემის „ცოცხალი" შესრულებით გადაცემისას, ამ შესრულების რეტრანსლაციას ახლენს საეთერო (ან საკაბელო) მაუწყებლობის სხვა ორგანიზაცია; 2) შესრულების ჩაწერა (ხმოვანი ან ვიდეოჩაწერა), თუ ის ადრე არ იქნა ჩაწერილი; 3) ჩანაწერის ალდგენა (არსებული ჩანაწერის საფუძველზე ჩანაწერის ასლების დამზადება მატერიალურ მატარებლებზე); 4) არაკომერციული ჩანაწერის (მაგალითად, შექმნილი საარქივო მიზნებისთვის) ეთერით (კაბელით) გადაცემა; 5) ფონოგრამის გაქირავება, სადაც შესრულების ჩანაწერია შესული. ალდგენილი ჩანაწერის გაერცელების უფლება არ გააჩნია შემსრულებელს. კანონი ითვალისწინებს შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვას, უშვებს არაკომერციული მიზნით გამოქვეყნებული ფონოგრამის მწარმოებლისა და ასეთ ფონოგრამაზე ჩაწერილი შემსრულებლის თანხმობის გარეშე: ა) ფონოგრამის საჯარო შესრულებას; ბ) ფონოგრამის ეთერით გადაცემას; გ) ფონოგრამის გაერცელებას კაბელით საყოველთაო ცნობისთვის. შემსრულებლის უფლებები მოქმედებს პირველი შესრულების ან დადგმის შემდეგ 50 წლის განმავლობაში. შემსრულებლის უფლებები სახელზე და შესრულებისა თუ დადგმის ნებისმიერი დამახინჯებისგან დაცვაზე დაცულია უვადოდ.

შენახვის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (შემნახველი) ვალდებულია შეინახოს მისთვის მეორე მხარის მიერ გადაცემული ნივთი და დააბრუნოს ეს ნივთი ხელუხლებლად. შენახვა-ხელშეკრულება ბუნებით წარმოადგენს რეალურს, მაგრამ ის შეიძლება კონსტრუირებულ იქნეს კონსენსუალური სახით. ის შეიძლება იყოს, როგორც ანაზღაურებადი, ასევე აუნაზღაურებელი. შენახვის ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივად სავალდებულოს, მათ შორის, თუ შემნახველი მოქმედებს აუნაზღაურებლად. შენახვის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შენახვის მომსახურება ანუ შემნახველის საქმიანობა, რომელიც მიმართულია ქონების შენარჩუნების უზრუნველყოფაზე. შენახვის ხელშეკრულების ობიექტია მოძრავი ან უძრავი ნივთები. შენახვის ხელშეკრულების ფორმა განისაზღვრება ზოგადი წესებით, თუ სხვა რამ არაა დადგენილი სპეციალური ნორმებით. შენახვის კონსენსუალური ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით მონაწილეთა შემადგენლობისა და გადასაცემი ნივთის ღირებულების მიხედვით. შენახვის მიზნით ნივთის მიღების ფაქტი შეიძლება დამტკიცდეს ქვითრის, მოწმობის, ჟეტონის ან სხვა დოკუმენტის (ნიშნის) გაცემით, რაც ადასტურებს ნივთების შესანახად მიღებას. ვადა არ წარმოადგენს შენახვის ხელშეკრულების არსებით პირობას, თუ ვადა არაა გათვალისწინებული და არც შეიძლება განისაზღვროს მისი არსიდან გამომდინარე, შემნახველი ვალდებულია შეინახოს ნივთი მისი ჩამბარებლის მიერ მოთხოვნამდე. ნივთის ჩამბარებელს უფლება აქვს ნივთი მოითხოვოს ვადაზე ადრე, შენახვის საფასური განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, როგორც წესი, გადახდა ხდება შენახვის დასრულების შემდეგ.

შემნახველის ვალდებულებებს განეკუთვნება: ა) ნივთის შესანახად მიღება (შენახვის კონსენსუალურ ხელშეკრულებაში); ბ) მიიღოს შენახვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ზომა გადაცემული ნივთის დაცულობის უზრუნველსაყოფად; გ) თაეი შეიკაეოს ნივთით სარგებლობისგან ამაზე ჩამბარებლის თანხმობის არარსებობისას; დ) პირადად შეასრულოს ვალდებულება. ნივთის მესამე პირისათვის გადაცემის დროს დასაშვებია მხოლოდ ნივთის ჩამბარებლის ვალდებულება. ნივთის მესამე პირისთვის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ნივთის ჩამბარებლის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემნახველი ვალდებულია ეს გააკეთოს გარემოებების ძალით, ხოლო ჩამბარებლისგან თანხმობის მიღების შესაძლებლობა კი რეალურად არ არსებობს; ე) დაუბრუნოს ნივთი ჩამბარებელს ბუნებრივი გაუარესების გათვალისწინებით (ირეგულარულ შენახვაში დაბრუნებას ექვემდებარება არა თავად ეს ნივთი, არამედ მსგავსი), ასევე შენახვის დროს მიღებული ნაყოფი და შემოსავალი, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული შენახვის ხელშეკრულებით.

ნივთის ჩამბარებლის ვალდებულებებს განეკუთვნება: ა) ნივთის წარმოდგენა (შენახვის კონსენსუალურ ხელშეკრულებაში); ბ) შეტყობინება ნივთის განსაკუთრებული თვისებების და მისი შენახვის პირობების შესახებ; გ) დაიბრუნოს ნივთი; დ) შემნახველს გადაუხადოს საფასური და აუნაზღაუროს გაწეული ხარჯები.

შერაცხადობა – ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანის ნორმალური მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება ამ უკანასკნელის შესაძლებლობასა და უნარში დანაშაულის ჩადენის მომენტში გააცნობიეროს თავისი ქმედებების ფაქტიური ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება და მართოს ისინი; დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის საკალდებულო ნიშანი.

საკითხი პირის შერაცხადობის შესახებ დგება მის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, მათ შორის, შერაცხადობა წარმოადგენს ბრალისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობას: მხოლოდ ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია პასუხი აგოს თავისი საზოგადოებისთვის საშიში ქცევის გამო და მის მიმართ მიზანშეწონილია სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენება. საკუთარი ქმედებების მართვის უნარი მოწმობს შესაძლებლობას დაისახო გარკვეული მიზნები და ეცადო მათ მიღწევას, გამოაკლინო ნებისყოფა ამისთვის ან პირიქით, იმისთვის, რომ თავი შეიკავო დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმისა და ცდუნებისგან. ითვლება, რომ თითოეული მოქალაქე შერაცხადია. თუ გამოძიების ან სასამართლოს პროცესში ამასთან დაკავშირებით იბადება ეჭვი, ინიშნება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის გადასაწყვეტიცაა საკითხი, წარმოადგენს თუ არა პირი შერაცხად მის მიერ ინკრიმინირებულ ქმედებასთან მიმართებაში. იხ. **ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა**, პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს სიმთვრალეში.

შერაცხადობა ადამიანის უნარი გაითვალისწინოს თავისი ქცევის ფაქტობრივი მხარე, შეიცნოს მისი სოციალური მნიშვნელობა, უზრუნველყოს მას და პასუხი აგოს კანონის წინაშე. თუ პირს ეს უნარი არ გააჩნია, იგი პასუხს არ აგებს დანაშაულისათვის.

შერისხვა – ფეოდალურ საქართველოში სასჯელის ერთ-ერთი სახე, რომელიც ადამიანის ძირითადი მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევას ნიშნავდა. ჩვეულებით სამართალში შერისხვა საეკლესიო შეჩვენებაა. დამნაშავის დაწყევლასა და ხატზე გადაცემას ნიშნავდა.

შესვენება სამუშაოზე – დრო, რომლის მანძილზეც მუშაკი თავისუფლდება შრომის ფუნქციების შესრულებისგან და ისვენებს. შრომის კანონმდებლობით დადგენილია შესვენების სხვადასხვა სახე, რომელიც მუშაკისთვისაა გამოყოფილი. მათ შორისაა: ა) შესვენება დასვენებისა და კვებისთვის, რომელიც მუშაკს უნდა აქნონეს სამუშაო დღის (ცვლის) განმავლობაში და რომელიც არ შედის სამუშაო დროში. შესვენების დრო და ხანგრძლივობა დგინდება ორგანიზაციის შინაგანაწესით ან სამუშაოს მიმცემსა და მუშაკს შორის მიღწეული შეთანხმებით; ბ) ხანმოკლე შესვენება დასვენებისა და პირადი მოთხოვნილებებისთვის, რომლებიც შედის სამუშაო დროში და ასევე სპეციალური შესვენება, რომლიც გათვალისწინებულია შრომის დაცვის მიზნით ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისთვის; გ) წარმოებისა და შრომის ორგანიზებითა და ტექნოლოგიით განპირობებული სპეციალური შესვენება სამუშაო დროის მანძილზე. მუშაკებს, რომლებიც მუშაობენ წლის ცივ ან ცხელ დროს ღია ცის ქვეშ ან დახურულ ცივ შენობებში, ასევე მტვირთავებს ეძლევათ სპეციალური შესვენება გათბობისა და დასვენებისთვის, რომელიც შედის სამუშაო დროში; დ) შესვენება დასვენებისთვის, რომელიც შედის სამუშაო დროის შემადგენლობაში ზოგიერთი დარგობრივი დებულებით სამუშაო და დასვენების დროის შესახებ. ასეთი შესვენება ეძლევათ ავტომობილების მძღოლებს, რომლებიც მუშაობენ ორგანიზაციებში მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად; ე) ქალებს, რომელთაც ჰყავთ 1,5 წლამდე ბავშვები ეძლევათ დამატებითი შესვენება ბავშვის გამოსაკვებად, მათი დასვენებისა და კვების გარდა.

შეუვალობა, იმუნიტეტი – ფეოდალური პრივილეგია–სენიორის, საერთო თუ საეკლესიო ფეოდალის პოლიტიკური საგადასახადო, ადმინ.პოლიციური და სამართლისაკულო უფლება თავის სამფლობელოში. შეუვალობა მსხვილ მიწათმფლობელობას ემყარებოდა. მისი მინიჭება მეფის სიუზერენის წყალობის აქტით ხდებოდა და ნიშნავდა, რომ ამ სამფლობელოში მეფე-სიუზერენის მოხელეებს არ შეესელებოდათ და არაფერი ესაქმებოდათ. ევროპულ ქვეყნებში შეუვალობა VII ს-ში გაჩნდა. განსაკუთრებით განვითარდა X-XI სს-ში, ხოლო XIII-XIV სს-ში, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების კვალობაზე, თანდათან მოისპო.

საქართველოში პირველი საბუთები შეუვალობასთან დაკავშირებით XI ს. განეკუთვნება და ბევრი მათგანი ადრე ბოძებულ შეუვალობას განაახლებდა და ამტკიცებდა... „აქონდეს... თავისუფლად და შეუვალად ყოველისა შესაელის და გამოსავლისაგან“, ჩამოთელილია მოხელეებიც, ვისაც ბოძებული შეუვალობა უნდა დაეცვა. შეუვალობას ლაშქარნადირობის სამსახური საგანგებო დათქმით არ უნდა გამოკლებოდა. შეუვალობის მინიჭებას თან სდევდა ყმა-მამულის ბოძებასა თუ შეწირვას. თავის საგამგეო-სენიორიის ფარგლებში შეუვალობას ზოგჯერ თვითონ მფლობელიც გასცემდა. ყველაზე სრული შეუვალობით ეკლესია სარგებლობდა (სასჯულო სამრეველო). სასამართლო შეუვალობა საზოგადოებრივ წესად არასოდეს აღიარებულა. მისგან გამოკლებული იყო სხვადასხვა სახელმწიფო დანაშაული, მძიმე დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ და მასთან დაკავშირებული უმკაცრესი სასჯელები (სიკვდილით დასჯა, გახიბრება), აგრეთვე, მძიმე ქონებრივი დანაშაული, რომლისთვისაც სამპარავთმამებელო სამართალი მოქმედებდა.

შეურაცხადობა – პირის უუნარობა გააცნობიეროს საკუთარი ქმედებების (უმოქმედობის) ფაქტიური სახე და საზოგადოებრივი საშიშროება ან მართოს ისინი ქრონიკული ან დროებითი ფსიქიკური აშლილობების, ჭკუასუსტობის ან ფსიქიკის სხვა აეადმყოფური მდგომარეობის შედეგად.

შეურაცხადობა და შერაცხადობა განეკუთვნება სამართლებრივ ცნებებს, მაგრამ ისინი სულაც არ წარმოადგენენ პირის უდანაშაულობის ან ბრალეულობის წინაპირობას, როგორც ამას ზოგჯერ ამტკიცებენ, სინამდვილეში, ეს სამართლებრივი კატეგორიები ახასიათებენ სუბიექტს, მის უნარს ან უუნარობას აგონ პასუხი სისხლისსამართლებრივად.

სისხლის სამართლის კანონი ამოდის შეურაცხადობის ორი კრიტერიუმიდან: ა) იურიდიული (ფსიქოლოგიური) და ბ) სამედიცინო (ბიოლოგიური). მხოლოდ ამ კრიტერიუმების ერთობლიობა განსაზღვრავს პირის შეურაცხადობას, თითოეული მათგანი კი ცალკ-ცალკე პირის ფსიქიკური მდგომარეობის იურიდიულ ან სამედიცინო მხარეს ჩაღენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედების მიმართ.

შეურაცხადად პირი შეიძლება ცნობილ იქნეს მხოლოდ კონკრეტულ, საზოგადოებისათვის საშიშ

ქმედებებთან მიმართებაში. შეურაცხადობა, რომელიც განპირობებულია ფსიქიკური აშლილობით უნდა არსებობდეს საზოგადოებისთვის საშიში ქმედების ჩადენის დროს.

შეურაცხადებისგან უნდა გამოიყოს შერაცხადი პირები, რომელთაც დანაშაულის ჩადენის დროს ფსიქიკური აშლილობის გამო არ შეეძლოთ გაეცნობიერებინათ ფაქტიური სახე და საზოგადოებრივი საშიშროება საკუთარი ქმედებებისა ან ემართათ ისინი სრულად.

შეურაცხადობა – ადამიანის უუნარობა ან დაბალი უნარიანობა, გააცნობიეროს თავისი მოქმედება და უხელმძღვანელოს საკუთარ ქმედებას და აზროვნებას. სსკ 34-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური აშფოთყოფობის, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო, არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან თუმცა შეეძლო მისი გაცნობიერება, მაგრამ არ ჰქონდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად.

შეურაცხყოფა – პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით. ეს დანაშაული შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც შეუძლია აღიქვას თავისი ღირსების დამამცირებელი ქცევა. შეურაცხყოფა დაზარალებულის დაუსწრებლად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე ითვალისწინებდა, რომ შეურაცხმყოფელი ქცევა ცნობილი გახდება დაზარალებულისათვის. შეურაცხყოფა გულისხმობს პირის ზნეობრივი ან გონებრივი თვისებების ფიზიკური თავისებურებისა ან მისი საქმიანობის უარყოფით შეფასებას. შეურაცხყოფა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად, წერილობით ან მოქმედებით და ხშირად ხდება შეურაცხყოფის ჩამდენის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

შეურაცხყოფა – სხვა პირის ღირსებისა და პატიოსნების შელახვა, რომელიც გამოხატულია მიუღებელი ფორმით.

შეფასება – ფასის, ღირებულების განსაზღვრის პროცედურა; ღირებულების დონის ან მნიშვნელობის შესახებ აზრი; არსებობს შეფასების, როგორც ეკონომიკური რაოდენობრივი მაჩვენებლის, ორი ფორმა: ნომინალური შეფასება, რომელიც გამოთვლილია საინფლაციო მოელენების გაუთვალისწინებლად და რეალური შეფასება, რომელიც გამოთვლილია საინფლაციო მოლოდინების გათვალისწინებით.

დაზღვევაში შეფასება წარმოადგენს დამზღვევის ქონების ღირებულებას, რომელიც საუუძველად ედება სადაზღვევო თანხის, სადაზღვევო შესატანის, ზიანის ოდენობის განსაზღვრას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

სადაზღვევო რისკის შეფასების ორი ფორმა არსებობს: რაოდენობრივი შეფასება, რომელიც მიიღება რისკის სტატისტიკური და ანალიზური მეთოდებით გამოთვლისას და ღირებულებითი შეფასება, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის ან შემთხვევათა ერთობლიობის დადგომის ალბათობას, აგრეთვე მათი შედეგების განსაზღვრას ფულადი ფორმით. სადაზღვევო რისკის ღირებულება შეიძლება შემცირდეს **ან გამოსარ**დოს სხვადასხვა მართვაი ან უმართავი ფაქტორების ზეგავლენით. რისკის ღირებულებითი შეფასება **გამოსაზ**ღვრება სტატისტიკური მონაცემების საუუძველზე, **რომ**ლებიც აჩვენებენ სადაზღვევო შემთხვევების დადგომის სიხშირეს და მიყენებული ზიანის ოდენობას.

შეფენთა სასამართლო – სასამართლო, რომლის შემადგენლობაში, პროფესიულ მოსამართლეებთან ერთად, შედიან მოსახლეობის მიერ არჩეული შეფენები (მსაჯულები). გერმანიის საუბნო სასამართლო სისხლის სამართლის საქმეთა მნიშვნელოვან ნაწილს იხილავს შეფენების მონაწილეობით.

შეყრილობა ძველ საქართველოში ორი ან მეტი პირის (ოჯახის) ხელშეკრულებითი შეერთება-გაერთიანება უძრავ-მოძრავი ქონებისა და სამეურნეო საქმიანობის მეტ-ნაკლები გაერთიანებით. შეყრილობა ვალდებულებითი სამართლის (ამხანაგობის) და საოჯახო-სამემკვიდრეო სამართლის ინსტიტუტია. მას, ჩვეულებრივ, განაყარი (ადრე ერთ-სახლი) ოჯახები მიმართავდნენ. შეყრილობა გაყრის საპირისპირო გარიგება იყო. მის გახშირებას ხელს უწყობდა დროთა სიავე ქვეყნის ცხოვრებაში, მსხვილი საზოგადო-ებრივი ერთეულის საწარმოო უპირატესობა ნატურალური მეურნეობის ვითარებაში. ამ ინსტიტუტის არსებობა დამოწმებულია ოდითგანვე (VII ს.) და განსაკუთრებით მთიულებში, რაც ნიშნავდა ძმობას (ძმად შეყრა). ფეოდალურ საზოგადოებაში „მოკიდებულის" ინსტიტუტს უკავშირდება, თუმცა შეყრილობის ხელშეკრულება უეადოდ იდებოდა, მაგრამ მხარეები მაინც ითვალისწინებდნენ პირობას კვლაე განშორების თაობაზე და დათქმას პირველშეყრილთა შთამომავლობის გაყრა-მემკვიდრეობის წესის შესახებ. მესამე, მეოთხე თაობამდე შეყრილობა სოუზერენ-სენიორის ან მებატონის დასტურს საჭიროებდა. იბეგრებოდა საბატონო და სამხედრო მოსაკრებლით, რასაც შესამყრელო ეწოდებოდა.

შეცდომა – სუბიექტის არასწორი წარმოდგენა მის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრივი სახის უდანაშაულობის, მისი შედეგების, ჩადენილი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის, ასევე სასჯელის ზომის შესახებ, რომელიც შეიძლება გამოტანილ იქნეს მოცემული ქმედების ჩადენაზე.

გამოიყოფა ორი სახის შეცდომა: იურიდიული და ფაქტიური.

იურიდიული შეცდომა – სუბიექტის მცდარი წარმოდგენა ქმედების დანაშაულებრივი სახის ან უდანაშაულობის და მისი შედეგების, ჩადენილის სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის, ასევე სასჯელის ზომის შესახებ, რომელიც შეიძლება შეფარდებულ იქნეს ამ ქმედების ჩადენაზე.

ფაქტიური შეცდომა – პირის მცდარი წარმოდგენა ჩადენილის ფაქტიური გარემოებების შესახებ, რაც ეხება მის ,ერო ჩადენილი ქმედების ობიექტს და ობიექტურ მხარეს და რომლებიც განსაზღვრავენ მის სახეს და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს.

შეწამება, დაწამება – (სამართ. ისტ.) დანაშაულში ბრალის დადება, შედავება სამოქალაქო მოთხოვნის გამო. განირჩეოდა საბუთიანი, პირისპირ შეწამება და „შესმენით" თუ ეჭვით შეწამება – „ბრა-

ლის მიჩემება“. ვახტანგ VI-ის სამართლით ცნობილია შეწამება მთხრობლით და შეწამება ცილით, ე.ი. ვარაუდით, ეჭვით. განსჯამდე სასამართლოს შეწამება უნდა გამოეძია. იმისდა კვალად, მთხრობლით იყო შეწამება თუ ცილით, გამოძიების პროცესი და მტკიცებულებანიც განსხვავდებოდა.

ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲐ – ჩუქების სახეობა საქართველოში. ტერმინის ფორმა მოდის ფეოდალური საქართველოს დროიდან და ნიშნავდა ამა თუ იმ ქონების მიძღვნას სულის საცხონებლად ღვთაების ან რომელიმე წმინდანის სახელზე და მის გადაცემას შესაბამისი ეკლესია-მონასტრისათვის. ჩვეულებრივ შეწირვას თან სდევდა შემწირველისათვის საწირაოსა და აღაპის დამზადება. შეწირებდა უპირატესად საკუთრად მონაგარი ქონება. სამკვიდრო ქონების შეწირვა მეფე–სენიორის დასტურსა და თანამფლობელ-მესაკუთრეთა თანხმობას საჭიროებდა. შეგწირულების „გამოწირვა“ შეუწყნარებელი იყო და ცოდვად ირაცხებოდა.

ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ – გლეხი ფეოდალურ საქართველოში, რომელიც ფეოდალმა შესწირა ეკლესიას. გამოარჩევენ „თავისუფლობით შეწირულ“ გლეხებს, რომლებიც პატრონმა წინასწარ გაათავისუფლა საბატონო და სამოხელეო გადასახადებისაგან და ისე შესწირა ეკლესიას. გლეხის ხატისათვის შეწირვა ხდებოდა „საალაპე“, „სატრაპეზო“ ან გარკვეული სამუშაოს შესრულების პირობით (მეწისქვილედ, წყაროს მკაზმავად და ა.შ.). „თავისუფლებით“ გლეხების შეწირვა სასარგებლო და სასურველი იყო ეკლესიისათვის, რადგან გლეხი მის უშუალო მფლობელობაში გადადიოდა და მთელ ძალ-ღონეს ეკლესიას ახმარდა. „თავისუფლობით შეწირულ“ გლეხთა რიცხვი დიდი იყო XI-XII ს-ის საქართველოში. ზოგჯერ „თავის უფლობით შეწირულ“ გლეხს შემწირველი „უსამართლო ბეგარას“ ადებდა. ასეთ შემთხვევაში ეკლესია ცდილობდა აეძულებინა შემწირველი გლეხისათვის „უსამართლოდ დადებული ბეგარა და სამსახური“ აეხადა.

ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲐ – ნივთის ან უფლების ჩუქება ზოგადსასარგებლო მიზნებში. შეწირულობა შეიძლება მიეცეს მოქალაქეებს, სამკურნალო, აღმზრდელობით დაწესებულებებს, საკულმოძღვრო, სამეცნიერო და სასწაულო დაწესებულებებს, ფონდებს, მუზეუმებს და კულტურის სხვა დაწესებულებებს, სხვადასხვა ზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს, აგრეთვე სახელმწიფოს და სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტებს. შეწირულობის მიღებისათვის არ არის საჭირო ვინმეს ნებართვა ან თანხმობა. ქონების შეწირულობა იურიდიული პირისათვის შეიძლება იყოს სრულად თავისუფალი მის გამოყენებაზე, ხოლო ფიზიკური პირისათვის ზოგ შემთხვევაში უნდა იყოს განპირობებული შემომწირველის მითითებით ამ ქონების გარკვეულ მიზნებში გამოყენების თაობაზე. ამგვარი პირობის არარსებობისას ქონების შეწირულობა ითვლება უბრალო ჩუქებად, ხოლო სხვა შემთხვევაში შეწირულობის მიმღები იყენებს მას დანიშნულების მიხედვით.

ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲐ – ჩუქების ხელშეკრულების ნაირსახეობა, რომელიც გულისხმობს საჩუქრის გადაცემას საერთო სასარგებლო მიზნით. შეწირულობის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ნივთები ან უფლებები. ჩვეულებრივი ჩუქებისგან განსხვავებით შეწირულობის საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს ვალდებულებისგან განთავისუფლება. მხარეებს წარმოადგენს მჩუქებელი და საჩუქებელი პირი. საჩუქებლად (მჩუქებლებად) ხშირად გამოდიან მოქალაქეები, სოციალური დაცვის დაწესებულებები, სამკურნალო, აღმზრდელობითი, საქველმოქმედო, სამეცნიერო დაწესებულებები, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები, ასევე სახელმწიფო. შეწირულობის მიღებაზე საჭირო არაა ვინმეს ნებართვა ან თანხმობა. მოქალაქეებისთვის ქონების შეწირულობის ხელშეკრულებაში უნდა იყოს მითითებული ჩუქების გამოყენების მიზნები, ხოლო იურიდიული პირებისთვის ეს მიზნები შეიძლება იყოს მითითებული. შეწირული ქონების გამოყენება შეწირულობის განმხორციელებელი პირის მიერ არაა მითითებული დანიშნულებისამებრ, მას, მის მემკვიდრეებს ან სხვა სამართალმემკვიდრეს უფლება აქვთ მოითხოვონ შეწირულობის გაუქმება.

შეწირულობასთან მიმართებაში არ გამოიყენება ზოგადი ნორმები ჩუქების (იხ. ნაჩუქრობა გაუქმება) და სამართალმემკვიდრეობის (იხ. ნაჩუქრობა) გაუქმების შესახებ.

ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ – სახელმწიფოს მეთაურის აქტი, რომელიც გამოდის საფუძველად ბრალდებულის სასჯელისგან განთავისუფლების ან შემსუბუქებისთვის.

შეწყალების უფლება გააჩნია მხოლოდ პრეზიდენტს. პრეზიდენტის გადაწყვეტილება ფორმდება ბრძანებით, რომელიც იგზავნება შესაბამისი მსჯავრდებულის მისამართით, რომლის შესახებაც შეიძლება შეამდგომლობა.

შეწყალების აქტით პრეზიდენტს შეუძლია: ა) გაანთავისუფლოს პირი სასჯელის მოუხდელი დარჩენილი ნაწილის მოხდისგან; ბ) შეამციროს დარჩენილი ნაწილი გარკვეული ნაწილით; გ) შეცვალოს დარჩენილი სასჯელის ნაწილი ან მისჯილი სასჯელი უფრო მსუბუქით; დ) მოხსნას ნასამართლობა.

შეწყალების აქტით არ ხდება სამხედრო ან სპატიო წოდების დაბრუნება, რამდენადაც შეწყალება არ წარმოადგენს პირის რეაბილიტაციას, ის არ აღმოფხვრის ჩადენილი დანაშაულის ფაქტს, არამედ ის არის ჰუმანიზმის გამოვლინება მსჯავრდებულ პირთან მიმართებაში.

ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ, ᲙᲔᲠᲫᲝ ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲐ – სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს აქტი, რომლითაც ხდება ცალკეულ პირთა განთავისუფლება სასჯელისაგან ან მათთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება. შეწყალება შეიძლება გამოიხატოს უკვე აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტით. სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებით, სასჯელის ზომის შემცირებით, ნასამართლეობის მოხსნით. საამისო თხოვნა შეიძლება აღძრას თავად მსჯავრდებულმა, მისმა ნათესავებმა, დამცველმა, აგრეთვე საზოგადოების გარკვეულმა ჯგუფმა. შეწყალების აქტი გამოხატავს ჰუმანურ დამოკიდებულებას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც გულწრფელად მოინანიეს, პატიოსანი შრომითა და სანიმუშო ყოფაქცევით დაადასტურეს, რომ გამოსწორდნენ და ამიტომ აღარ საჭიროებენ დასჯის ფორმებს.

ᲕᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – სამართალწარმოების პრინციპი, რაც ნიშნავს სამართალწარმოების მიმდინარეობას მხარეთა დაცით და მათ სრულ თანასწორობას, წარმოადგინონ მტიცებულებანი,

მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება საქმესთან დაკავშირებით და ა. შ. სამოქალაქო საქმეებზე მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული. სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და არ შეიძლება დაკავოსროს ერთსა და იმავე ორგანოს ან ერთსა და იმავე პირს. სასამართლო ყოველიეე ამისათვის ქმნის კანონით გათვალისწინებულ პირობებს და ამასთანავე, იგი შეზღუდული არ არის მხარეთა მოსაზრებით და იღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას გადაწყვეტილების გამოტანისათვის (სსსკ, მუხლი 15, სამ. საპ. კოდექსი, მუხლი 4).

შეჯიბრებებისა და კონკურსების მონაწილეთა და ორგანიზატორთა მოსყიდვა – დანაშაული სამეურნეო საქმიანობის სფეროში, რომელიც ითვალისწინებს სპორტსმენების, სპორტული მსაჯების, მწვრთნელების, პროფესიონალ სპორტული შეჯიბრებების ორგანიზატორთა ან სხვა მონაწილეთა, ასევე კომერციული კონკურსების ორგანიზატორთა და ჟიურის წევრთა მოსყიდვას ამ შეჯიბრებების ან კონკურსების შედეგებზე გაელენის მოხდენის მიზნით.

შვებულება – შესვენება სამუშაოზე, თავისუფალი დრო, რომელიც ეძლევა მუშაკებს ყოველწლიურად სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

ყოველწლიური დამატებითი ანაზღაურებადი შებულება ეძლევა მანე და/ან საშიში პირობების სამუშაოზე დაკავებულ მუშაკებს. ორგანიზაციებს თავიანთი საწარმოო და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით შეუძლიათ დამოუკიდებლად დაადგინონ დამატებითი შებულება მუშაკებისთვის, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული კანონით.

ყოველწლიურად ანაზღაურებადი შებულების მიცემის რიგითობა განისაზღვრება სამუშაოს მიმცემის მიერ დამტკიცებული შებულების გრაფიკის შესაბამისად, მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოს აზრის გათვალისწინებით. ყოველწლიურად ანაზღაურებადი შებულება უნდა გაგრძელდეს: ა) მუშაკის დროებითი შრომისუუნარობის; ბ) მუშაკის მიერ ანაზღაურებადი შვებულების დროს სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, თუ ამისათვის კანონით გათვალისწინებულია სამუშაოსგან განთავისუფლება; გ) კანონით; ორგანიზაციის ლოკალური ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება – დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვანთა წინააღმდეგ, რაც მდგომარეობს შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნებაში შვილად აყვანის ნების წინააღმდეგ და ჩადენილია პირის მიერ, რომელიც ვალდებული იყო დაემალა შვილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება ან სხვა პირის მიერ ანგარებისა თუ სხვა ქვენა სურვილებით. შეილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება ეინმეს შვილად აყვანის ფაქტის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით ნებისმიერი პირის და ასევე შვილად აყვანილისთვის იმის შეტყობინებაში, რომ მისი მშობლები წარმოადგენენ შვილად ამყვანებს.

შვილის მკვლელობა – დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა მშობიარობის დროს ან ამის შემდეგ უმალვე, ასევე დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მკვლელობა ფსიქომატრავმირებელი სიტუაციის პირობებში ან ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში, რაც არ გამორიცხავს შერაცხადობას. გარემოებები, რომლებიც ხშირად თან ახლავს ამ სახის მკვლელობას (ქალის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა მშობიარობის დროს, მძიმე ოჯახური ვითარება, მატერიალური სირთულეები), ჩვეულებრივ გათვალისწინებული ხდება სასამართლოს მიერ სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებების სახით. თუმცა, შვილის მკვლელობა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს დამამძიმებელი გარემოებების (განმეორება, განსაკუთრებული სისასტიკე) არსებობის დროსაც.

შვილობილი საწარმო – სახელმწიფო ან მუნიციპალური უნიტარული საწარმო, რომელიც შექმნილია სხვა უნიტარული საწარმოს მიერ, რაც ეფუძნება სამეურნეო მართვის უფლებას პირველისთვის, დადგენილი წესით, სამეურნეო მართვაში ქონების ნაწილის გადაცემის გზით. შვილობილი საწარმოს ცნება გამოიყენება მხოლოდ უნიტარული საწარმოების მიმართ. ცნებები „შვილობილი საწარმო“ და „შვილობილი საზოგადოება“ არ წარმოადგენს ერთგვარი მნიშვნელობის მქონეს. შვილობილი საწარმოს განმასხვავებელ თვისებებს წარმოადგენს შემდეგი ნიშნები: შვილობილი საწარმოს ერთადერთი დამფუძნებელი შეიძლება იყოს ძირითადი (დედობილი) უნიტარული საწარმო, რომელიც ეფუძნება სამეურნეო მართვის უფლებას. შვილობილი საწარმოს ქონება სამეურნეო მართვის უფლებით ეკუთვნის, როგორც თავად შვილობილ საწარმოს, ასევე მის დამფუძნებელსაც; დამფუძნებელი დამოუკიდებლად ამტკიცებს შვილობილი საწარმოს წესდებას. თუმცა, შვილობილი საწარმოს სამეურნეო მართვაში ქონების გადაცემისთვის საჭიროა ქონების მესაკუთრის თანხმობის მიღება; დამფუძნებელი ნიშნავს თანამდებობაზე და თანამდებობიდან ათავისუფლებს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელს; დამფუძნებლის პასუხისმგებლობა შვილობილი საწარმოს ვალდებულებების მიხედვით უნიტარული საწარმოს მესაკუთრის პასუხისმგებლობის ანალოგიურია ამ უკანასკნელის ვალდებულებების მიხედვით.

შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიული ზღვის საზღვაო გარემოს ხარისხის ნორმატივები – შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიული ზღვის საზღვაო გარემოს ხარისხის ნორმირების ინსტრუმენტი. გამოიყენენ მავნე ნივთიერებების უკიდურესად დასაშვები კონცენტრაციებისა და ზღვის გარეშოზე, შიდა ზღვების წყლისა და ტერიტორიული ზღვის ბუნებრივ რესურსებზე დასაშვები მავნე ზემოქმედებების ნორმატივებს.

შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიული ზღვის საზღვაო გარემოს ხარისხის ნორმირება – მართ-

ვის ფუნქცია წყლების გამოყენებისა და დაცვის დარგში, რომელიც ხორციელდება შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიული ზღვის საზღვაო გარემოს ხარისხის ნორმატივების დადგენის გზით, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და გენეტიკური ფონდის შენარჩუნებას, საზღვაო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას, შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიული ზღვის ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და აღდგენას.

შიდასამეურნეო მიწათმოწყობა – იხ. მიწათმოწყობა.

შიმშილობა – როგორც პროტესტის ფორმა, ჩვენში ისე მკვიდრდება, რომ ისტორიულად უმოკლეს დროში პოლიტიკური ტრადიციის სახეს იღებს. შიმშილობა როგორც პოლიტიკური ქმედება, წარმოიშვა განსაზღვრული პოლიტიკური ტრადიციების პირობებში. შიმშილობა, როგორც პოლიტიკური ქმედება, ემყარებოდა უმძლავრობის პოლიტიკურ დოქტრინას, რომლის ავტორია მაჰატმა განდი. შიმშილობა უმძლავრობის ინდივიდუალური ფორმაა. შიმშილობა ძლიერი საშუალებაა, მაგრამ მეტისმეტად საშიშია, როცა მას დილეტანტურად იყენებენ – ამბობს განდი.

შინაგანაწესი – წესები, რომელთა მიღებაც ხდება მხოლოდ ადგილობრივ დონეზე, თავად ორგანიზაციებში. ორგანიზაციის შინაგანაწესი მტკიცდება სამუშაოს მიმცემის მიერ ორგანოს აზრის თვალსაზრისით. ორგანიზაციის შინაგანაწესი ხშირად გამოდის კოლექტიური ხელშეკრულების დანართის სახით. ჩვეულებრივ შინაგანაწესი მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ზოგადი დებულებები; ბ) მუშაკთა მიღებისა და დათხოვნის წესი; გ) ადმინისტრაციის ძირითადი ვალდებულებები; დ) მუშაკთა ძირითადი ვალდებულებები; ე) სამუშაო დრო და მისი გამოყენება; ვ) მუშაობისას წარმატებაზე წახალისების ზომები; ზ) შრომის დისციპლინის დარღვევაზე ზემოქმედების ზომები.

შინაპატიმრობა – სისხლის სამართლის პროცესში აღკვეთის ღონისძიება. გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომლის სრული იზოლაცია აუცილებლობით არაა გამოწვეული. შინაპატიმრობის დროს, სასამართლოს ბრძანების შესაბამისად, ბრალდებულს შეიძლება აკრძალოს გარკვეულ პირებთან ურთიერთობა, სატელეფონო საუბრები, კორესპონდენციის გაგზავნა, მიღება და სახლიდან გასვლა. დაპატიმრებულის საცხოვრებელ ადგილს შეიძლება მიეჩინოს პოლიციის დაცვა და მის ქცევაზე დაწესდეს პოლიციის ზედამხედველობა. შინაპატიმრობა ბრალდებულს შეიძლება დაუწესდეს 9 თვის ვადით (სსსკ, მუხლი 166).

შინაპატიმრობა – აღმკვეთი ღონისძიების ერთ-ერთი სახე, რომელიც მდგომარეობს ბრალდებულის, ეჭვმტანილის თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებში, ასევე: ა) გარკვეულ პირებთან ურთიერთობის; ბ) კორესპონდენციის მიღებისა და გაგზავნის; გ) კავშირის ნებისმიერი საშუალებით მოლაპარაკებათა წარმოების აკრძალვაში. შინაპატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით აირჩევა ეჭვმიტანილთან ან ბრალდებულთან მიმართებაში სასამართლოს მიერ მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახური მდგომარეობისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. სასამართლოს მიერ აღმკვეთი ღონისძიების სახით შინაპატიმრობის არჩევისას მითითებული უნდა იყოს კონკრეტული, ფაქტიური გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მოსამართლემ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. შინაპატიმრობის აღმკვეთი ღონისძიების სახით არჩევის შესახებ სასამართლოს დადგენილებასა თუ განჩინებაში მითითებულია კონკრეტული შეზღუდვები ეჭვმიტანილთან ან ბრალდებულთან მიმართებაში და ასევე ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელსაც ეკისრება ზედამხედველობის განხორციელება დადგენილი შეზღუდვების შესრულებაზე.

შოვინიზმი [ფრ. chauvinisme < Chauvin] უკიდურესი ნაციონალიზმი; დევნის, ჩაგვრის, სხვა ხალხების შევიწროვების პოლიტიკა; ეროვნული მტრობისა და სიძულვილის გაღვივება; ეროვნული გამორჩეულობისა და რასობრივი უპირატესობის ქადაგება, აგრესია სხვ. ხალხების მიმართ; ყველაზე თვალსაჩინოდ შ. პიტლერურ გერმანიაში წარმოჩინდა; იწოდა ფრანგი კაპრალის შოვენის სახელის მიხედვით, რომელიც ეთაყვანებოდა ნაპოლეონ I-ის დამპყრობელ პოლიტიკას.

შპიონაჟი [გერმ. Spionage < ფრ. espionage] კერძო პირზე, ორგანიზაციაზე, პარტიაზე, საწარმოზე, შეიარაღებულ ძალებზე ან სახელმწიფოზე ცნობების საიდუმლო შეგროვება სხვ. პირის, ორგანიზაციის, პარტიის და ა.შ. შეკვეთით; განასხვავებენ სამხედრო, საწარმოო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ შ-ს.

შპიონაჟი – იხ. სახელმწიფო ღალატი.

შპიონი [გერმ. Spion < ფრ. espion] სხვაგვარად – აგენტი (2), ჯაშუში; ადამიანი, რომელიც ფარულად აგროვებს ცნობებს კერძო პირზე, ორგანიზაციაზე, პარტიაზე, საწარმოზე, შეიარაღებულ ძალებზე ან სახელმწიფოზე მთლიანობაში ამ ცნობების დამქირავებლისთვის გადასაცემად; იმ შემთხვევაში, თუ შ-ს შეგროვა და გადაცა ცნობები, რომლებიც სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებად ითვლება, იგი ექცევა შესაბამისი კანონმდებლობის მოქმედების ქვეშ.

შრომა-აღმზრდელობითი კოლონია – შრომა-გასწორების დაწესებულება, სადაც სასჯელად დანიშნულ თავისუფლების აღკვეთას იხდიან არასრულწლოვანები. არსებობს ორი სახის: საერთო რეჟიმის კოლონია და გაძლიერებული რეჟიმის კოლონია. საერთო რეჟიმის კოლონიაში სასჯელს იხდიან მამრობითი სქესის არასრულწლოვანები, რომლებსაც პირველად დაედოთ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით არამძიმე დანაშაულისათვის. აქვე იხდის სასჯელს ყველა მდედრობითი სქესის მსჯავრდებული არასრულწლოვანები. გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში სასჯელს იხდიან არასრულწლოვანები, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთით, მსჯავრდებული რომელმაც ბოროტად დაარღვია რეჟიმის მოთხოვნები, კანონით დადგენილი წესით შეიძლება გადაიყვანონ საერთო რეჟიმის კოლონიიდან გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში. ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს

მამრობითი სქესის არასრულწლოვან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთით სასჯელის მოხდა საერთო რეჟიმის შრომა-აღშზრდელობით კოლონიაში, ნაცვლად გაძლიერებული შრომა-აღმზრდელობითი კოლონიისა.

შრომა-გასწორების კოდექსი – ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც მოცემულია სასამართლოს განაჩენით სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და გამასწორებელი სამუშაოების მოხდისა და აღსრულების წესები და პირობები.

შრომა-გასწორების კოლონია – შრომა-გასწორების დაწესებულება, სადაც ითავსებენ იმ სრულწლოვანს, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით კანონში განსაზღვრულია თუ რომელი სახის შრომა-გასწორების კოლონიაში უნდა მოიხადოს მსჯავრდებულმა სასჯელი. მსჯავრდებულ მამაკაცთა მიერ სასჯელის მოსახდელად არსებობს საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიები; მსჯავრდებული ქალები სასჯელს იხდიან ან საერთო რეჟიმის, ან მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში. რეჟიმის სახის მიხედვით დაწესებულია სასჯელის მოხდის შესაბამისი პირობები. შრომა-გასწორების კოლონიად ითვლება კოლონია-დასახლებაც. არსებობს აგრეთვე კოლონია-დასახლება იმ პირთათვის, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის გამო.

შრომა-გასწორების სამართალი – სამართლის დარგი, რომელიც მოიცავს სასჯელის მოხდისა და აღსრულების მომწესრიგებელ ნორმათა ერთობლიობას. შრომა-გასწორების სამართლის ნორმათა ერთი ნაწილი შეიცავს ფუძემდებლურ პრინციპებს, ზოგად დებულებებს და ცნებებს. ამ სამართალში პრინციპად აღიარებულია ის მომენტი, რომ მსჯავრდებულის აღზრდაში მონაწილეობს საზოგადოების გარკვეული ჯგუფები, კანონით დადგენილი წესით სრულდება კონტროლი აღმასრულებელი ორგანოების მიერ, კანონიერების პრინციპის შესაბამისად, სასჯელის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა დამყარებულია კანონების განუხრელ დაცვაზე. ჰუმანიზმის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ შრომა-გასწორების კანონმდებლობა მიზნად ისახავს საზოგადოების წევრების დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. სასჯელის მიზანია, არა მხოლოდ დასჯა მსჯავრდებულის, არამედ მისი ხელახლა აღზრდა საზოგადოებისათვის.

შრომითი დავები – არარეგულირებული უთანხმოება შრომის სამართლის სუბიექტებს შორის, რომელიც განსახილველად შეიძლა იურისდიქციულ ორგანოში შრომითი და სხვა, მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების თაობაზე, რომლებიც შედიან შრომის სამართლის საგანში.

შრომითი დავები იყოფა ინდივიდუალურად და კოლექტიურად.

ინდივიდუალური შრომითი დაევი ესაა არარეგულირებული უთანხმოება სამუშაოს მიმცემსა და მუშაკს შორის კანონებისა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების გამოყენების საკითხებზე, რომლებიც შეიცავენ შრომის სამართლის, კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმების, შრომის ხელშეკრულების ნორმებს, რომლებზეც განცხადებულია ინდივიდუალური შრომითი დაევის განხილვის ორგანოში. ინდივიდუალური შრომითი დავების განმხილველ ორგანოებს წარმოადგენს შრომითი დაევების კომისია და სასამართლო.

კოლექტიური შრომითი დაევი – დარეგულირებული უთანხმოება მუშაკებს (მათ წარმომადგენლებს) და სამუშაოს მიმცემებს (მათ წარმომადგენლებს) შორის შრომის პირობების დადგენის, შეცვლის, კოლექტიური ხელშეკრულებების, შეთანხმებების დადების, შეცვლისა და შესრულების თაობაზე და ასევე სამუშაოს მიმცემის უარის თქმასთან დაკავშირებით გაითვალისწინოს მუშაკთა არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოს აზრი ორგანიზაციაში, შრომის სამართლის ნორმის შემცველი აქტების მიღებისას.

კოლექტიური შრომითი დაევი განიხილება მორიგებითი პროცედურების გამოყენებით, კერძოდ, მომრიგებელი კომისიის მიერ, შუამავლის მონაწილეობით და/ან შრომის არბიტრაჟში. თუ მორიგების პროცედურებმა არ გამოიწვია კოლექტიური შრომითი დაევის გადაწყვეტა ან სამუშაოს მიმცემი თავს არიდებს მორიგების პროცედურებს, არ ასრულებს კოლექტიური შრომითი დაევის გადაწყვეტის დროს მიღწეულ შეთანხმებას, მუშაკებს (მათ წარმომადგენლებს) უფლება აქვთ შეუდგნენ გაფიცვის ორგანიზებას.

შრომითი დავების კომისია (შდკ) – ორგანიზაციის შრომითი კოლექტივისა და სამუშაოს მიმცემის ერთობლიეი ორგანო. კომისია წარმოიქმნება პარიტეტულ საწყისებზე მუშაკების და სამუშაოს მიმცემის წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობიდან და ის წყვეტს მოცემული საწარმოს მუშაკთა ინდივიდუალურ შრომით დაევებს. შრომითი დაევის კომისიაში მუშაკთა წარმომადგენლების არჩევა ხდება შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) მიერ ფარული ან ღია კენჭისყრით (ამას წყვეტს კრება, კონფერენცია), ხოლო წარმომადგენლები სამუშაოს მიმცემისგან შდკ-ში ინიშნებიან სამუშაოს მიმცემის ბრძანებით. პირველ საორგანიზაციო სხდომაზე შრომითი დაევის კომისიის ყველა წევრი (არჩეული და დანიშნული) ირჩევს კომისიის თაეჯდომარეს და მდივანს. მუშაკების აღნიშნულ კრებაზე (კონფერენციაზე) შეიძლება გამოტანილ იქნეს გადაწყვეტილება ცალკეულ ქვედანაყოფებში თავიანთი შდკ შექმნის შესახებ, რომლებიც წარმოიქმნებიან იგივე წესით (აირჩევა მოცემული ქვედანაყოფის მუშაკებისგან მათ კრებაზე და ინიშნება ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ბრძანებით). ქვედანაყოფის შრომითი დაევების კომისია ასევე წყვეტს მოცემული ქვედანაყოფის მუშაკების ინდივიდუალურ დაევებს.

შრომითი დასახიჩრება – შრომის სამა- ოლში მუშაკის ჯანმრთელობის დაზიანება საწარმოში უბედური შემთხვევის, კანონში ჩამოთვლილი პირობებისა და გარემოებების დროს. ყველა გარემოება და პირობა იყოფა ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი – ესაა შრომის საქმიანობასთან უშუალოდ ან ირიბად დაკავშირებული გარემოებები და პირობები; შრომის ვალდებულებების ან სამუშაოს მიმცების ინტერესებში გარკვეული მოქმედებების შესრულებასას; სამუშაოსკენ

მიმავალ გზაზე ან სამუშაოდან დაბრუნებისას; ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან სამუშაოს სხვა ადგილას ყოფნისას სამუშაო საათებში, დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა წარმოების იარაღების, ტანსაცმლის წესრიგში მოყვანისთვის და ა.შ. სამუშაოს დაწყებამდე ან დასრულების შემდეგ; ორგანიზაციის ახლოს ან სამუშაოს სხვა ადგილას სამუშაო დროის მანძილზე, თუ იქ ყოფნა არ ეწინააღმდეგება შინაგანაწესს. მეორე ჯგუფი – გარემოებები და პირობები, რომელიც ეხება ყველა მოქალაქეს, მათ შორის იმათ, რომლებიც არ მუშაობენ: გაღიან საწარმოო სწავლებას (პრაქტიკას) ან ატარებს სასწავლო ცდას (ექსპერიმენტს) სწავლების დროს; სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებისას, რომელიც შეესაბამება კონსტიტუციით დაშვებულ აკრძალვებს; სამოქალაქო მოვალეობის შესრულებისას ადამიანის სიცოცხლის ხსნის, საკუთრებისა და მართლწესრიგის დაცვის თაობაზე.

შრომით დასახიჩრებას განეკუთვნება არა მხოლოდ მიღებული ტრავმის პირდაპირი და უპირობო შედეგი, არამედ ყველა გართულება. ასევე ტრავმის შორეული შედეგები. შრომითი დასახიჩრების ფაქტის გათვალისწინება ხდება დროითი შრომისუუნარობის მიხედვით შემწეობის, პენსიის დანიშვნისას. გარდა ამისა, საწარმოში მიღებულ შრომით დასახიჩრებაზე მუშაკს შეუძლია მიიღოს დამატებით ზარალის ანაზღაურება: სოციალურ და პროფესიულ რეაბილიტაციაზე, მათ შორის, ხარჯები დამატებით სამედიცინო დახმარებაზე, მათ შორის, დამატებით კვებასა და წამლების შეძენაზე; სანიტარულ-საკურორტო მკურნალობაზე, პროთეზირებაზე, სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფაზე და სხვ. მუშაკებისთვის დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებზე, რაც უკავშირდება მათ მიერ შრომის ვალდებულებების შესრულებას, არ ერიცხება სასარჩელო ხანდაზმულობა. საწარმოში უბედური შემთხვევების გამოძიებისა და გამოძიების მასალების გაფორმების წესი ხორციელდება შრომის კოდექსის შესაბამისად.

შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი (შმკ)

კოლექტიური ხელფასის განაწილების ერთ-ერთი ხერხი ბრიგადის, ჯგუფის წევრებს შორის შრომის ორგანიზების კოლექტიური ფორმის დროს. შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენება საშუალებას იძლევა უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული თითოეული მუშაკის ინდივიდუალური წვლილი კოლექტიური შრომის შედეგებში. მისი შემოღება ხდება ბრიგადის (რგოლის, მონაკვეთის) საერთო კრების გადაწყვეტილებით. მისი გამოყენება ფიქსირდება კოლექტიურ ხელშეკრულებებში, ორგანიზაციის სხვა ლოკალურ ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში. შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გათვალისწინებით შეიძლება განაწილდეს: სანარდო ხელფასი, კოლექტიური პრემიებისა და მატერიალური წახალისების ყველა სახე, ხელფასის ფონდის ეკონომია, რომელიც მიღებულია მუშაკების გამონაკისუფლების შედეგად და არაა გამოყენებული პროფესიების (თანამდებობების) შეთავსებაზე დამატებითი გადახდისთვის, მომსახურების ზონის გაფართოება და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის ზრდა, ბრიგადის ინიციატიით შრომის ნორმების გადახედვაზე ერთდროული ანაზღაურება და სხვა. ფულადი გადახდები კონკრეტული თანამშრომლისთვის მისი პირადი საწარმოო შედეგების გამო არ შეიძლება შედიოდეს ბრიგადის საერთო ხელფასში. შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის დადგენისას გათვალისწინებულია: პროფესიების (თანამდებობების) ფაქტიური შეთავსება, მომსახურების ზონების გაფართოება, იმ მუშაკის უფრო რთული სამუშაოების შესრულება, რომელიც ადგილზე არაა, ბრიგადის სხვა წევრებისთვის დახმარება, შრომის, საწარმოო დისციპლინის დაცვა და ა.შ. კოლექტიური ხელფასის განაწილება ბრიგადის წევრებს შორის შრომითი კოეფიციენტის გათვალისწინებით, როგორც მაკორექტირებელი მაჩვენებლისა ხორციელდება მუშაკებისთვის მიკუთვნებული სატარიფო თანრიგის და ფაქტიურად გამომუშავებული დროის შესაბამისად.

საბაზო შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის სახით ჩვეულებრივ იყენებენ ერთიანს. ფაქტიურად, თითოეული ბრიგადის შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი დგინდება ბრიგადის კოლექტივის (საბჭოს) მიერ საბაზო ოდენობით, რომელიც მეტია ან ნაკლებია მასზე (შრომის საერთო შედეგში მუშაკის ინდივიდუალური წვლილის გათვალისწინებით). შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მეშვეობით კოლექტიური პრემიისა და სანარდო ხელფასის განაწილებისას შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი შეიძლება მერყეობდეს 0-დან 2.0-მდე. შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის შემცირებისას საწარმოო შეცდომებთან, დაცდენებთან და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებზეც ლოკალური ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულია პრემიის სრულად ან ნაწილობრივ მოხსნა, საჭიროა რომ ამასთან დაკავშირებული ხელფასის შემცირება არ აღემატებოდეს მოცემული მუშაკისთვის დარიცხული პრემიის ოდენობას. ამასთან, მუშაკის ხელფასი არ უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (შრომის ნორმების შეუსრულებლობა, წუნიანი პროდუქციის დამზადება, გაჩერება მუშაკის დანაშაულით და სხვ.), შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებაზე უთანხმებები წყდება ბრიგადის წევრთა საერთო კრებაზე, ხოლო მის გადაწყვეტილებაზე დაუთანხმებლობისას შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ინდივიდუალური შრომითი დავების განხილვისთვის.

შრომითი მოწყობა

სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომელიც სპეციალიზირებულია ამ საწარმოში მოსახლეობისთვის ხელშეწყობისთვის სამუშაოს მოძებნის, სამუშაოზე გაგზავნისა და მოწყობის მხრივ, შრომითი მოწყობა ეს კიდევ არის დაუსაქმებელი პირის გარკვეულ ორგანიზაციაში მუშაკად გადაქცევის პროცესი. რამდენადაც სამუშაოს მიღების პროცესის შინაარსს შეადგენს: ა) შესაბამისი სამუშაოს მოძებნა, მათ შორის, აუცილებელი გადაკვალიფიცირება, კვალიფიკაციის ამაღლება; ბ) სამუშაოზე მოწყობა ანუ შრომის ხელშეკრულების დადება, რომლითაც წყდება შრომითი მოწყობის პროცესი. ფართო გაგებით, შრომითი მოწყობა – ესაა სამუშაოზე აყვანის ნებისმიერი პროცესი: დამოუკიდებელი,

დასაქმების სახელმწიფო ორგანოს, ადმინისტრაციის მეშვეობით, რომელიც ვალდებულია მუშაკს განთავისუფლების შესახებ აცნობოს მას წერილობით ორი თვით ადრე და შესთავაზოს მას ორგანიზაციაში არსებული სხვა ადგილი (შიდა შრომითი მოწყობა). ვიწრო გაგებით, შრომითი მოწყობა – შესაბამისი ორგანოების საქმიანობა სამუშაოზე მოწყობასთან დაკავშირებით; დასაქმების ორგანოები, არასრულწლოვანთა (მოზარდების) საქმეების კომისია და ა.შ.

არსებობს შრომითი მოწყობის ზოგადი და სპეციალური ფორმები. ზოგად ფორმებს განეკუთვნება: დაბოუკიდებელი შრომითი მოწყობა და შრომითი მოწყობა დასაქმების ორგანოების მეშვეობით, ასევე შიდა სამუშაოზე მოწყობა სამუშაოს მიმცემის მიერ, შრომით მოწყობას განეკუთვნება: სამუშაო ძალის ორგანიზებული შეერება გამგზავრებისთვის; საშუალო სპეციალური და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა საკონტრაქტო მომზადება და სამუშაოდ გაგზავნა; სამუშაოზე უმუშევართა გაგზავნა სამუშაოს მიმცემის მიერ დადგენილი კვოტის მიხედვით, ეს კვოტა სავალდებულოა სამუშაოს მიმცემისთვის (იხ. დაკავშირებული სამუშაოზე მიღებისას); შრომითი მოწყობა საზღვარგარეთ კონტრაქტით.

მოქალაქეს შეუძლია სამუშაოზე მოწყობა დამოუკიდებლად შრომითი მოწყობის ორგანოთა დახმარების გარეშე. მოცემული მოქალაქის სამუშაოზე მიღებისას უმალ ჩნდება მისი შრომითი სამართალდამკვიდებლება შესაბამის სამუშაოს მიმცემთან მის მიერ დადებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე. მოქალაქეთა შრომითი მოწყობა წარმოადგენს მოქალაქეთა შრომის უფლების მნიშვნელოვან გარანტიას, რამდენადაც ის ეხმარება ამ უფლების რეალიზებას. ხელისუფლების აღმასრულებელი, დასაქმების ორგანოები და სამუშაოს მიმცემები მოწოდებულნი არიან კანონით უზრუნველყონ დასაქმება და შრომითი მოწყობა, მოახდინონ სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზება დასაქმების დარგში მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობისთვის სრულ, ნაყოფიერ და თავისუფლად არჩეულ საქმიანობის ანუ შრომის უფლების თაობაზე. ასე, მაგალითად ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (გაერო, 1948 წ.) ითვალისწინებს, რომ თითოეულ ადამიანს გააჩნია შრომის, სამუშაოს თავისუფლად არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისგან დაცვის უფლება.

შრომის ანაზღაურება შრომის ნორმალური პირობებიდან გადახრის დროს

– შრომის ანაზღაურების წესები და სამუშაოზე კომპენსაციების მინიმალური ოდენობის დადგენა ნორმალურისგან განსხვავებულ პირობებში. ნორმები მძიმე სამუშაოთა დაკავებული, მაგრ დ/ან საშიში ან სხვა განსაკუთრებული პირობებით, განსაკუთრებულ კლიმატურ პირობებში ღამის საათებში მომუშავე მუშაკების შრომის ანაზღაურების შესახებ დგინდება შრომის ნორმალური პირობების დროს მომუშავეებთან შედარებით უფრო მაღალი სატარიფო განაკეთით (სარგოთი), მაგრამ ის არ უნდა იყოს კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულზე ნაკლები. შრომის ანაზღაურების კონკრეტული ოდენობა დგინდება ან სამუშაოს მიმცემის მიერ ან კოლექტიური შეთანხმებით, შრომის ხელშეკრულებით.

სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაოების შესრულებისას შრომის დროითი ანაზღაურებისას ანგარიში ხდება უფრო მაღალი კვალიფიკაციის სამუშაოს შესაბამისი, ხოლო შრომის გარიგებითი ანაზღაურებისას – შესრულებული სამუშაოს შეფასების მიხედვით. პროფესიების შეთავსებისას ან დროებით არმყოფი მუშაკის შესაბამისი ვალდებულებების ძირითადი სამუშაოსგან მოწყვეტის გარეშე შესრულებისას მუშაკს ეძლევა დანამატი ხელფასზე, რომლის ოდენობაც დგინდება მხარეთა შეთანხმებით. ზეგანაკეთური სამუშაოს ანაზღაურება ხდება მუშაობის პირველი ორი საათის მანძილზე არა ნაკლებ ერთნახევარი ოდენობით, შემდგომ საათებში – არა ნაკლებ ორმაგი ოდენობით. გამოსასვლელ დღეებსა და დღესასწაულებში მუშაობაზე ანაზღაურება ხდება არა ნაკლებ ორმაგი ოდენობით. შრომის ანაზღაურების რეგულირების საკითხები შრომის ნორმალური პირობებიდან გადახრის დროს რეგულირდება შრომის კოდექსით, კანონებით და სხვა ნორმატიული, სამართლებრივი აქტებით.

შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა (შამო)

– სახელმწიფოს მიერ გარანტირებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე ერთი თვის მანძილზე შესრულებულ სამუშაოზე. შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის შემოღების წესი და ვადები დგინდება კანონით და ის არ შეიძლება იყოს შრომისუნარიანი ადამიანის საარსებო მინიმუმის ოდენობაზე ნაკლები. კანონით გარანტირებული შამო-ს უზრუნველყოფა წარმოადგენს ყველა სამუშაოს მიმცემის იურიდიულ ვალდებულებას მათი საორგანიზაციო-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად.

შრომის დაცვა

– მუშაკების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების სისტემა შრომითი საქმიანობის პროცესში, რაც მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, საორგანიზაციო-ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს.

მუშაკების შრომისუნარიანობასა და ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენენ შრომის პირობები – საწარმოო გარემოს ფაქტორებისა და შრომის პროცესების ერთობლიობა. საწარმოო გარემოს ფაქტორები შეიძლება იყოს მავნე, საშიში ან უსაფრთხო. მავნე საწარმოო ფაქტორებს წარმოადგენს ფაქტორები, რომელთა მოქმედებასაც მუშაკებზე შეუძლია მათი დაავადების გამოწვევა. საშიში საწარმოო ფაქტორებია ისეთი ფაქტორები, რომელთა ზემოქმედებაც მუშაკებზე იწვევს ტრავმას. საწარმოო გარემოს უსაფრთხო ფაქტორებია შრომის ისეთი პირობები, რომელთა დროსაც მომუშავეებზე მავნე დ/ან საშიში საწარმოო ფაქტორების ზემოქმედება გამორიცხულია ან მათი ზეგაელენის დონეები არ [illegible]მატება დადგენილ ნორმატივებს.

შრომის დაცვის წესების დარღვევა

– დანაშაული მოქალაქის კონსტიტუციური შრომის უფლების წინააღმდეგ იმ პირობებში, რომლებიც შეესაბამებიან უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვევას იმ პირის მიერ,

რომელსაც ეკისრება ამ წესების დაცვა, თუ ამან გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მძიმე ან საშუალო სიმძიმის ზიანის მიყენება.

შრომის დისციპლინა – ყველა მუშაკისთვის სავალდებულო ქცევის წესებისადმი დამორჩილება, რაც განსაზღვრულია კანონებით, კოლექტიური ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით, შრომითი ხელშეკრულებით, ორგანიზაციის ლოკალური ნორმატიული აქტებით.

როგორც სამართლებრივი კატეგორია შრომის დისციპლინა გამოდის ოთხ ასპექტში: ა) როგორც შრომის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – შრომის დისციპლინის დაცვის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა; ბ) როგორც შრომითი სამართალდამოკიდებულების ელემენტი – მუშაკის ვალდებულება შრომითი სამართალდამოკიდებულების მიხედვით დაექვემდებაროს მოცემული ორგანიზაციის შრომის დისციპლინას, შრომის შინაგანაწესს; გ) როგორც შრომის სამართლის ინსტიტუტი – ნორმების სისტემა, რომლებიც ახდენენ შრომის შინაგანაწესის, მუშაკისა და სამუშაოს მიმცემის ვალდებულებების რეალიზებას; დ) როგორც ფაქტიური ქცევა ე.ი. ორგანიზაციაში ყველას მიერ შრომის დისციპლინის დაცვის დონე.

შრომის დისციპლინა მჭიდრო ურთიერთკავშირშია ტექნოლოგიურ. და საწარმოო დისციპლინასთან. ამასთან, ეს ცნებები უნდა განვასხვავოთ შრომის დისციპლინისგან. ასე მაგალითად, საწარმოო დისციპლინას დამოკიდებულება აქვს მუშაკებთან, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი საწარმოო ციკლში. ტექნოლოგიური დისციპლინა კი შეიცავს ტექნოლოგიურ ნორმებს, რომლებიც ითვალისწინებენ აგრეგატებთან, მექანიზმებთან, დაზგებთან და ინსტრუმენტებთან მოქცევის წესებს. სამუშაოს მიმცემი ვალდებულია შექმნას საჭირო პირობები თანამშრომლების მიერ შრომის დისციპლინის დასაცავად.

შრომის კანონმდებლობა – კანონმდებლობის დარგი და სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომლებიც არეგულირებენ შრომის და სხვა, შრომისგან წარმოებულ სოციალურ ურთიერთობებს. შრომის ურთიერთობები ყალიბდება, ერთის მხრივ, მოქალაქეს და მეორეს მხრივ, ორგანიზაციას (სამუშაოს მიმცემს) შორის. შრომის კანონმდებლობა განამტკიცებს შრომის და მისგან წარმოებული ურთიერთობების ფუძემდებლურ ელემენტებს. არსებობს სამი ასეთი ძირითადი ელემენტი: ქონებრივი, მმართველობითი (საორგანიზაციო) და დაცვითი. ამ ელემენტების მეშვეობით შრომის კანონმდებლობა არეგულირებს შრომის ურთიერთობებს. შრომის კანონმდებლობას გააჩნია თავისი საგანი და რეგულირების მეთოდი. შრომის კანონმდებლობისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის სისტემა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რამეთუ მათ საფუძველში დევს შრომის ურთიერთობები. შრომის კანონმდებლობის მიერ რეგულირების საზოგადოებრივი ურთიერთობა, რაც ყალიბდება შრომის გამოყენების პროცესში, როცა მოქალაქე ჩართული ხდება ორგანიზაციის კოლექტივში გარკვეული პროფესიის (სპეციალობის, თანამდებობის) მიხედვით შრომითი ფუნქციების შესასრულებლად, დადგენილი შრომითი განწესის დაქვემდებარებით, ხდება შრომითი სამართალდამოკიდებულება.

შრომის სამართლის ნორმები შედის ნორმატიულ აქტებში, რომელთა ერთობლიობაც წარმოქმნის შრომის კანონმდებლობის სისტემას.

შრომის კოდექსი – შრომის სამართლის კოდიფიცირებული წყარო. შრომის კოდექსის ძირითადი მიზნებია: ა) მოქალაქეთა შრომის უფლებებისა და თავისუფლებების სახელმწიფო გარანტიების დადგენა; ბ) შრომის ხელსაყრელი პირობების შექმნა; გ) მუშაკებისა და სამუშაოს მიმცემთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. შრომის კანონმდებლობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: აუცილებელი სამართლებრივი პირობების შექმნა შრომითი ურთიერთობების მხარეთა, სახელმწიფოს ინტერესების ოპტიმალური შეთანხმების მისაღწევად, შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება.

შრომის კოდექსი მოიცავს ნორმების სამ ჯგუფს: ა) იმპერატიულს, რომლებიც არ შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულებით რეგულირებით; ბ) დისპოზიციური, რაც შრომითი ურთიერთობების სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას დაარეგულიროს მათი ქცევა თავისი მიხედულობით, იმ პირობით, რომ შეთანხმების შედეგები არ გაუარესებს მუშაკების მდგომარეობას შრომის კანონმდებლობასთან შედარებით; გ) სარეკომენდაციო, როცა კანონმდებელი იძლევა რეკომენდაციას გადაწყვიტოს ესა თუ ის საკითხი შეთანხმების წესით. შრომის კანონმდებლობა კრძალავს იძულებით შრომას. იძულებითი შრომა – ესაა სამუშაოს შესრულება რაიმე სასჯელის გამოყენების მუქარის ქვეშ. კოდექსში აკრძალულია დისკრიმინაცია შრომის სფეროში. თითოეულს გააჩნია თანაბარი შესაძლებლობა თავისი შრომის უფლების რეალიზაციისთვის. შრომის კოდექსი არეგულირებს ყველა მუშაკის შრომას შრომითი ურთიერთობის ყველა სტადიაზე. ამდენად, შრომის კოდექსის ნორმების მოქმედების სფერო ფართოა.

შრომის მავნე პირობები – შრომის პირობები, რომელიც ხასიათდება მავნე საწარმოო ფაქტორების არსებობით, რაც აღემატება ჰიგიენურ ნორმატივებს და არახელსაყრელ გავლენას ახდენს მომუშავის და/ან მისი შთამომავლობის ორგანიზმზე.

შრომის ნორმები – შრომის სამართალში გამომუშავების, დროის, რაოდენობის, საწარმოო შენობის მოშსახურების, მართვადობის ნორმები. მათი დადგენა ხდება მუშაკებისთვის ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მიღწეული დონის შესაბამისად. შრომის ნორმები შეიძლება იყოს შემდეგი სახის: ა) გამომუშავების ნორმა ე.ი. სათანადო ხარისხის პროდუქციის ან შრომის ოპერაციების გარკვეული რაოდენობა, რომელიც უნდა აწარმოოს მუშაკმა ნორმალური შრომის პირობებში, კონკრეტული დროის მანძილზე; ბ) დროის ნორმა – დროის რაოდენობა, რომელიც უნდა დახარჯოს პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე ან გარკვეული შრომის ოპერაციების შესრულებაზე; გ) მომსახურების ნორმა ე.ი. მოწყობილობის, ფართობის, სამუშაო ადგილების ერთეულის რაოდენობის დადგენა, რომელსაც უნდა მოემსახუროს მუშაკი სამუშაო დღის (ცვლის) მანძილზე; დ) რაოდენობის ნორმები ე.ი. მუშაკთა რაოდენობა, რომელიც აუცილებელია გარკვეული შრომითი ფუნქციის შესასრულებლად; ე) რაოდენობის ნორმატიები – დადგენილი გაანგარიშებითი სიდიდე,

რომელიც მოიცავს შრომის ერთობლივი დანახარჯების ნორმას, ე.ი. სამუშაო დროის პროდუქციის ერთეულზე; ვ) ნორმირებული საწარმოო დაკავება ე.ი. სამუშაოს მოცულობა, რომელიც დადგენილია მუშაკებისთვის ნორმასთან ნატურალურ ერთეულებში, რომელთა შესრულებაც მოუწევს მუშაკს სამუშაო დღის (ცვლის) მანძილზე; ზ) მართვადობის ნორმები ე.ი. იმ მუშაკების დადგენილი რაოდენობა, რომელთაც ხელმძღვანელობს თანამდებობის პირი.

შრომის ნორმების შემოღება, შეცვლა და გადახედვა რეგულირდება ლოკალური ნორმატიული აქტებით, რომელთაც იღებს სამუშაოს მიმცემი მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოს აზრის გათვალისწინებით. შრომის ნორმების გადახედვა შესაძლებელია ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის სრულყოფასა და დანერგვასთან, საორგანიზაციო ან სხვა ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც ხდება შრომის ნაყოფიერების ზრდა.

შრომის რედუქცია – რთული შრომის მარტივ შრომამდე დაყვანის ობიექტური პროცესი. ყოველი შრომა მისი შინაარსის მიუხედავად განსხვავდება სირთულის ხარისხით, რთული შრომა დროის ერთეულში უფრო მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე მარტივი შრომა, მაშასადამე რთული შრომა არის ხარისხში აყვანილი მარტივი შრომა.

შრომის საერთაშორისო დანაწილება შრომის საზოგადოებრივ-ტერიტორიული დანაწილების უმაღლესი საფეხური; ეშვარება ცალკეული ქვეყნის წარმოების სპეციალიზაციას პროდუქციის განსაზღვრულ საკითხებზე, ამ პროცესში ეს ქვეყნები ერთმანეთს უცვლიან მეთოდებს, რომლის სიღრმით განისაზღვრება საწარმოო ძალების განვითარების დონე. მისი ხასიათი და ფორმები კი განპირობებულია ამ საქმიანობაში მონაწილე ქვეყნების წარმოებითი ურთიერთობებით, შრომის საერთაშორისო დანაწილება ქმნის საერთაშორისო ეკჭრობის გაფართოების საფუძველს და შეადგენს მსოფლიო ბაზრის განვითარების ობიექტურ ბაზას. ყოველივე ეს ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას მსოფლიო მასშტაბით, წარმოების კონცენტრაციასა და მის სპეციალიზაციას, რაც საბოლოო ჯამში ერთმანეთთან აკავშირებს ქვეყნებს, მსოფლიოს კაპიტალისტური მეურნეობის ჩამოყალიბების დაგვირგვინებით.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) – ერთა ლიგასთან ერთად შექმნილი ორგანიზაცია 1919 წ. ვერსალის ზავით ხელშეკრულების შესაბამისად შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 1946 წლიდან ხდება გაეროს პირველი სპეციალიზირებული დაწესებულება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ძალისხმევაც 1969 წელს აღინიშნა ნობელის მშვიდობის პრემიით, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან გამოირჩევა ერთი განსაკუთრებული თავისებურებით: მშრომელთა და მეწარმეთა წარმომადგენლები მონაწილეობენ მისი პოლიტიკის განსაზღვრაში თანასწორი უფლებებით მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად. ის იგება თანასწორი ტრიპარტიზმის (სამმხრიობა) პრინციპით, რაც ასახავს სოციალურ პარტნიორობას საერთაშორისო დონეზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია დაკავებულია შემდეგი საკითხების გადაწყვეტით: ამუშავებს საერთაშორისო პოლიტიკასა და პროგრამებს, რომლებიც მიმართულია მშრომელთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდასა და ადამიანის ძირითადი უფლებების მხარდაჭერაზე; იღებს საერთაშორისო შრომის ნორმებს, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს მოცემული პოლიტიკის განხორციელებისთვის; ახორციელებს საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის ერცელ პროგრამას მთავრობებისთვის დახმარების გაწევისთვის ამ პოლიტიკის ეფექტურად გატარების საქმეში; ხელს უწყობს ზოგად და პროფესიულ განათლებას, ახორციელებს კვლევით და საგამომცემლო საქმიანობას, რაც ხელს უწყობს მისი პროგრამების შესრულებას.

შსო ოფიციალურ მიზანს წარმოადგენს მყარი მშვიდობის დამყარება სოციალური სამართლიანობის საფუძველზე.

ზემოთჩამოთვლილი ამოცანები ხორციელდება საერთაშორისო შრომის ნორმების დადგენის გზით კონვენციებისა და რეკომენდაციების ფორმით. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია თავისი ამოცანების შესასრულებლად იყენებს მუშაობის სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ მეთოდს: საერთაშორისო ნორმების შემუშავებას, მიღებას და მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელებას. გარდა ამისა, შრომის მსოფლიო ორგანიზაცია წევრ-სახელმწიფოებს საჭიროების შემთხვევაში უწყვეტს ტექნიკურ დახმარებას ამ დარგში: მაგ., – არასწორი კვლევითი სამუშაოების ჩატარება და ინფორმაციის გავრცელება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მოიცავს შემდეგ ორგანოებს: გენერალურ კონფერენციას, აღმინისტრაციულ საბჭოს და შრომის საერთაშორისო ბიუროს (შსბ). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების მუხლი 3-ის შესაბამისად მის უმაღლეს ნორმატიულ ორგანოს წარმოადგენს გენერალური კონფერენცია. ის შედგება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრი-სახელმწიფოს დელეგატებისგან, გენერალური კონფერენციის მოწვევა ხდება არა ნაკლებ ერთჯერ წელიწადში. მასში მონაწილეობენ თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომელთაგან ორი წარმოადგენს სამთავრობო დელეგატს, ხოლო ორი შესაბამისად: ერთი – მეწარმეთა, ხოლო მეორე მშრომელთა დელეგატს.

გენერალური კონფერენციის შემდეგ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მნიშვნელობით მეორე ორგანოს წარმოადგენს აღმინისტრაციული საბჭო. მისი არჩევა ხდება სამი წლით და ის შედგება 56 წევრისგან: მთავრობათა – 28, მეწარმეთა – 14 და მშრომელთა 14 წარმომადგენლისგან.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტრუქტურაში მესამე ორგანოს წარმოადგენს შრომის საერთაშორისო ბიურო (შსბ). შრომის საერთაშორისო ბიუროს სათავეში არის გენერალური დირექტორი, რომელიც ინიშნება აღმინისტრაციული საბჭოს მიერ და მისი ინსტრუქციების შესაბამისად მის წინაშე პასუხს აგებს ბიუროს ეფექტურ მუშაობასა და ნებისმიერი სხვა ამოცანის შესრულებაზე, რომლებიც მისთვისაა დავალებული.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია წარმატებით წყვეტს მის წინაშე მდგარ ამოცანებს, ამუშავებს

და იღებს კონვენციებსა და რეკომენდაციებს, ადგენს საერთაშორისო შრომის ნორმებს, ხელმძღვანელობს სამმხრივობის პრინციპით და ახორციელებს მიღებული ნორმების დაცვაზე კონტროლს.

შრომის სამართალი – სამართლის დამოუკიდებელი დარგი, რომელსაც გააჩნია საკუთარი საგანი და მეთოდი. შრომის სამართალი არეგულირებს შრომის და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს: ა) შრომის ორგანიზებისა და შრომის მართვის; ბ) მოცემულ სამუშაოს მიმცემთან სამუშაოზე მოწყობის; გ) მუშაკების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების; დ) სოციალური პარტნიორობის, კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების, კოლექტიური შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადების; ე) შრომის პირობების დადგენაში მუშაკებისა და პროფკავშირების მონაწილეობის; ვ) შრომის სფეროში მუშაკებისა და სამუშაოს მიმცემების მატერიალური პასუხისმგებლობის; ზ) შრომის კანონმდებლობის დაცვაზე ზედამხედველობისა და კონტროლის (მათ შორის, პროფკავშირის კონტროლის); თ) შრომითი დაეების გადაწყვეტის თაობაზე.

შრომის სამართლის მიზნებს წარმოადგენს: მოქალაქეთა შრომით უფლებებისა და თავისუფლების სახელმწიფო გარანტიების დადგენა; შრომითი ხელსაყრელი პირობების შექმნა; მუშაკებისა და სამუშაოს მიმცემების უფლებებისა და ინტერესების დაცვა, შრომის კანონმდებლობის ამოცანას წარმოადგენს საჭირო სამართლებრივი პირობების შექმნა შრომითი ურთიერთობების მხარეთა და სახელმწიფოს ინტერესთა ოპტიმალური შეთანხმების მისაღწევად. შრომის სამართლის ძირითადი ფუნქციებია: აღმზრდელობითი, ეკონომიკური, სოციალური და დაცვითი. შრომის სამართალში აღმზრდელობითი ფუნქციის რეალიზაციისთვის არსებობს დარწმუნების, წახალისებისა და იძულების მეთოდები. ეკონომიკური ფუნქცია ვლინდება შრომის რესურსების რაციონალურ გამოყენებაში, ხარისხიანი და ნაყოფიერი მუშაობის სტიმულირებაში. სოციალური ფუნქცია განისაზღვრა იქიდან გამომდინარე, რომ შრომის სამართალი მუშაკებს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას მათი უნარის გამოყენებისთვის და ქმნის მათი პიროვნების განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს. დაცვითი ფუნქცია ვლინდება შრომითი სამართალდამოკიდებულების ყველა სტადიაზე. შრომის სამართალი არეგულირებს ურთიერთობებს იურიდიულად თანასწორუფლებიან სუბიექტებს შორის. შრომის სამართალი მჭიდრო კავშირშია სამართლის სხვა დარგებთან, კერძოდ სამოქალაქო სამართალთან, ადმინისტრაციულ სამართალთან, სოციალური უზრუნველყოფის სამართალთან და სხვ.

შრომის სამართალი – სამართლის დარგი, რომელიც არეგულირებს მოქალაქეთა შრომით ურთიერთობებს, რომელშიც შედის კონტროლი შრომის დაცვაზე, დაზღვევა, დაეები შრომის განხორციელებასთან დაკავშირებით და ზოგადად უფლებები შრომით საქმიანობასთან მიმართებაში, სადაც ძირითადად მოცემულია შრომითი ურთიერთობის წარმოშობის და შეწყვეტის წესი, შრომის უსაფრთხო პირობების დაცვა, შრომის შინაგანაწესი, შრომაში მიღწევებისათვის წამახალისებელი ფორმები და სახეები. ასევე განამტკიცებს პროფკავშირების როლს შრომის დაცვის რეგულირებისა და წარმოების მართვაში; ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და ამ საფუძველზე მოქალაქეთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას და საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომის დიფერენციების და თითოეული პიროვნების შრომისუნარიანობის სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაქცევას. შრომის სამართალი იდეოლოგიური ბუნებით უნდა აღძრავდეს უპირველეს ყოვლისა ადამიანთა შორის, ხელს უწყობდეს შრომითი პირობების თანასწორობას ყველა ეროვნების და რასებს შორის, და მოხუცებულობის და შრომისუნარის დაკარგვისას სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფას პენსიის სახით, სადაც ყველა შრომითი ურთიერთობა და წესი მოცემული იქნება ორგანული კანონის შესაბამისად. შრომის საერთაშორისო დანაწილების დროს იქმნება ისეთი სტრუქტურების სიმრავლე, რაც ხელს უწყობს ეაჭრობის და ტრანსპორტის განვითარებას სხვადასხვა ქვეყნებს შორის.

შრომის სამართლებრივი ინსპექცია – ახალ ხანებამდე პროფკავშირების ერთ-ერთი ორგანო, რომელიც ახორციელებდა კონტროლს სამუშაოს მიმცემების, თანამდებობის პირების მიერ შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვაზე, მათ შორის, შრომით ხელშეკრულების, სამუშაო დროის, დასვენების დროის, შრომის ანაზღაურების, კომპენსაციების, შეღავათების, ასევე სხვა სოციალური -შრომის საკითხებთან დაკავშირებით ორგანიზაციებში, რომლებშიც მუშაობენ მოცემული პროფკავშირის წევრები. შრომის სამართლებრივი ინსპექცია ასრულებდა სახელმწიფო და პროფკავშირის (საზოგადოებრივი) კონტროლის ფუნქციებს.

შრომის უნარი – შრომითი საქმიანობის უნარი, რომელიც დამოკიდებულია ადამიანის ჯანმრთელობაზე. სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, რომლის შესრულებაც ძალუძს ადამიანს, განასხვავებენ საერთო შრომისუნარიანობას (ე.ი. რაიმე სამუშაოს შესრულების უნარს ჩვეულებრივ პირობებში), პროფესიონალურ შრომისუნარიანობას (ანუ რაიმე გარკვეული პროფესიის ან სპეციალობის სამუშაოს შესრულების უნარს) და სპეციალურს (ე.ი. სამუშაოს შესრულების უნარს განსაზღვრულ საწარმოო ან კლიმატურ პირობებში – მაღაროში ქვეშ, მაღალმთიან რაიონებში, უკიდურესი ჩრდილოეთის პირობებში, წყალში დიდ სიღრმეებზე და ა.შ.). მოცულობის მხრივ განასხვავებენ სრულ და არასრულ (ნაწილობრივ, შეზღუდულ და ა.შ.) შრომისუნარიანობას.

შრომის ფიზიოლოგია – ფიზიოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებას და მათი რეგულაციის თავისებურებას ადამიანის შრომითი საქმიანობის დროს, ე.ი. შრომის პროცესს მის ფიზიოლოგიურ გამოვლინებაში. შრომის ფიზიოლოგია წყვეტს ორ ძირითად ამოცანას: განსაზღვრავს სამუშაო პროცესის ოპტიმალურობას რომელიც შესაძლებლობას იძლევა უფრო ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და მისი ეფექტურობა; შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლიც ადამიანს დაიცავს ზოგიერთი ფაქტორის არასასურველი გავლენისაგან. ამ ამოცანებიდან გამომდინარე შრომის ფიზიოლოგია ასაბუთებს შრომისა და დასვენების რეჟიმს; ადგენს ადამიანის მიერ ინფორმაციის მიღებას,

გადამუშავებისა და გაცემის ოპტიმალურ და ზღვრულ შესაძლებლობას: განსაზღვრავს, აფასებს და ჭერქს ადამიანის ორგანიზმის ფუნქციურ მდგომარეობას შრომითი საქმიანობის დაწყებამდე, მის მსვლელობაში და დამთავრების შემდეგ; ამუშავებს ეარგიშისა და სწავლების წესებსა და რეჟიმს და ა.შ.

შრომის ფიზიოლოგია, შრომის პიგიენასა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციასთან ერთად სწავლობს მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას, ადამიანის შრომითი საქმიანობის პრობლემას.

შრომის ფსიქოლოგია – გამოყენებით ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანის შრომას, როგორც მოტივირებული ქცევის სპეციფიკურ ფორმას, მის ზოგად, დიფერენციულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს ამა თუ იმ საზოგადოების ისტორიულ და ეკონომიკურ პირობებთან კავშირში, რომლებშიც იგი სწავლისა და პრაქტიკის საფუძველზე ყალიბდება და ხორციელდება. გარდა შრომის ეფექტურობის ზრდისა, შრომის ფსიქოლოგიის ამოცანა აგრეთვე შრომის პუმანიზაცია, შრომის პროცესში პიროვნების ყოველმხრივი აღზრდა-განვითარებაა.

შრომის ფსიქოლოგიაში გამოიყენება მეთოდები: ექსპერიმენტი, დაკვირვება, გამოკითხვა, ტესტი, აუტოტრენინგი, მედიტაცია და ა.შ.

შრომითი ფსიქოლოგიის შედეგად განვითარდა ბევრი სხვა დარგის (საინჟინრო, საავიაციო, მძღოლის, გამყიდველის და სხვა) მიმართულებები, რომლებსაც დღეს აქტიური როლი უკავია დარგის განვითარებაში.

შრომის შენაძენა შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობა, შრომის ხელშეკრულების დადებისას უნდა იყოს მითითებული: თანამდებობის, სპეციალობის, პროფესიის დასახელება კვალიფიკაციის აღნიშვნით, ორგანიზაციის საშტატო განრიგის შესაბამისად ან კონკრეტული შრომის ფუნქცია. თანამდებობა განსაზღვრავს მუშაკის უფლებებს, ვალდებულებების მოცულობასა და პასუხისმგებლობას. სპეციალობა მიუთითებს გარკვეული ცოდნისა და ჩვევების არსებობის შესახებ, რომელიც შეძენილია სპეციალური განათლების პროცესში. სპეციალობა – ესაა შრომითი საქმიანობის სახე ანუ უფრო განზოგადებული ცნება, ვიდრე სპეციალობა. კვალიფიკაცია ესაა პროფესიული სწავლების სახე და ხარისხი, რომელიც განისაზღვრება მუშებისთვის, ხოლო მოსამსახურეებისთვის – სპეციალური განათლებით, წოდებით, გამოცდილებით.

მუშაკის შრომის ფუნქციის განსაზღვრისთვის უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ერთიანი მიდგომა. ამას ემსახურება სამუშაოებისა და მუშათა პროფესიების ერთიანი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი (ესსც) და მოსამსახურეთა თანამდებობების საკვალიფიკაციო ცნობარი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კლასიფიკაციის კრიტერიუმს წარმოადგენს შრომის სახე. ამის მიხედვით კი მოსამსახურეთა ყველა თანამდებობა იყოფა სამ კატეგორიად, ხელმძღვანელები, სპეციალისტები და ტექნიკური შემსრულებლები; თავის მხრივ, თითოეული კატეგორია იყოფა ჯგუფებად. გარდა ამისა, მოცემული სპეციალობის (თანამდებობის) მიხედვით შრომის ვალდებულებების წრე განისაზღვრება ტექნიკური წესებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და დებულებებით.

შრომის ფუნქცია არ შეიძლება შეიცვალოს შრომის ხელშეკრულების მხარეთა თანხმობის გარეშე.

შრომის წიგნაკი განსაკუთრებული დოკუმენტი ორგანიზაციაში მუშაკის სამუშაო სტაჟისა და შრომითი საქმიანობის შესახებ. შრომის წიგნაკში შედის მონაცემები მუშაკზე: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, განათლება, პროფესია, სპეციალობა (თანამდებობა), სამუშაოზე მიღების თარიღი, სხვა სამუშაოზე გადაყვანის ან განთავისუფლების თარიღი, განთავისუფლების მიზეზის ფორმულირება, ასევე ცნობები ორგანიზაციაში მუშაობისას მიღწეულ წარმატებებზე წახალისებისა და ჯილდოს მიღების შესახებ, აღმოჩენებზე, რომლებზეც გაცემულია დიპლომები, გამოყენებული გამოგონებების, ასევე, რაციონალიზატორული წინადადებებისა და ამასთან დაკავშირებით გაცემული ანაზღაურების შესახებ. შრომის წიგნაკში არ შედის დისციპლინარული და სხვა ჯარიმები. მასში შედის ცნობები შეირარღებულ ძალებში მსახურობის, უმაღლეს და საშუალო სავანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დროის შესახებ.

სამხედრო ან სხვა სპეციფიკური სამსახურის ნაწილში „ცნობები სამუშაოს შესახებ" – მითითებულია ასევე სხვა ცნობები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მუშაობის საერთო და უწყვეტი შრომითი სტაჟის სწორი დადგენისთვის. შრომის წიგნაკი მუშაობის დროს ინახება სამუშაოს მიმცემთან და ის გადაეცემა მუშაკს მისი განთავისუფლების დღეს. განთავისუფლების დღეს ითვლება ორგანიზაციაში მუშაობის ბოლო დღე. ეს თარიღი შედის შრომის წიგნაკში. ჩანაწერი განთავისუფლების მიზეზების შესახებ უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის ფორმულირებასთან ზუსტ შესაბამისობაში და შრომის კოდექსის შესაბამისი მუხლის მითითებით. შრომის წიგნაკში მითითებული განთავისუფლების მიზეზის უკანონო ფორმულირება გავლენას ახდენს მუშაკის სამართლებრივ სტატუსზე, მისი მუშაობის უწყვეტ სამუშაო სტაჟზე, მის უფლებაზე მიიღოს ფულადი კომპენსაცია მორალურ ზიანზე, უმუშევრობაზე დახმარება და ა.შ.

შრომის წიგნაკში ჩანაწერების მიხედვით დგინდება საერთო, უწყვეტი და სპეციალური შრომის სტაჟი, რომელთაც კანონები, სხვა სამართლებრივი ნორმატიული აქტები, ასევე შრომის ხელშეკრულება უკავშირებენ შეღავათებისა და უპირატესობების მიღებას. სამუშაოზე აყვანა შრომის წიგნაკის წარდგენის გარეშე არ ხდება. ამიტომ, ნებისმიერი პირი შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადებამდე ვალდებულია სამუშაოს მიმცემს წარუდგინოს შრომის წიგნაკი. ორგანიზაციის მესაკუთრის შეცვლისას, ასევე მისი რეორგანიზაციისას როცა გრძელდება შრომითი ურთიერთობები მუშაკის თანხმობით, შრომის წიგნაკში შედის ორგანიზაციის ახალი დასახელება, ასევე მითითებულია მომხდარი რეორგანიზაციის თარიღი. მესაკუთრის შეცვლისას მითითებულია ახალი მესაკუთრე ან ამგვარ შემთხვევებში ხდება შრომის ხელშეკრულების მხარისა და შრომის სამართალდამოკიდებულების სუბიექტის ცვლილება. მუშაკის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების გაწყვეტისას ავადმყოფობასთან, ინვალიდობასთან, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ან სხვა მიზეზებით, რომელთაც კანონმდებლობა უკავშირებს გარკვეული შეღავათებისა და უპირატესობების მინიჭებას, შრომის

წიგნაკში განთავისუფლების შესახებ ჩანაწერი კეთდება ამ მიზეზების მითითებით. მუშაკის განთავისუფლების დროს ყველა ჩანაწერი მუშაობის, წახალისებისა და დაჯილდოების შესახებ, რომლებიც შეტანილია შრომის წიგნაკში, მოცემულ სამუშაოს მიმცემთან მუშაობის მანძილზე, დასტურდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან ამაზე სპეციალურად უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციისა თუ კადრების განყოფილების ბეჭდით.

შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) – შეთანხმება საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე (ადმინისტრაცია) ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით, ხოლო მეორე მხარე (მუშაკი) ვალდებულებას იღებს შეასრულოს გარკვეული სამუშაო, სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვას შრომის ხელშეკრულების პირობები, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს (შკ. მუხლი 16).

შრომის ხელშეკრულების გაწყვეტა მუშაკის ინიციატივით (საკუთარი სურვილით) – მუშაკის უფლება გაწყვიტოს შრომის ხელშეკრულება აცნობებს რა ამის შესახებ ხელმძღვანელობას წერილობითი ფორმით ორი კვირით ადრე. შრომის ხელშეკრულება შეიძლება გაწყვეტილ იქნეს მუშაკსა და სამუშაოს მიმცემს შორის შეთანხმებით განთავისუფლების შესახებ გაფორმილების ვადის ამოწურვამდე.

იმ შემთხვევებში, როცა მუშაკის განცხადება მისი ინიციატივით (საკუთარი სურვილით) განთავისუფლების შესახებ განპირობებულია მის მიერ სამუშაოს გაგრძელების შეუძლებლობით, ასევე სამუშაოს მიმცემის მიერ შრომის სამართლის ნორმის შემცველი კანონებისა და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების, კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმების ან შრომის ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, სამუშაოს მიმცემი ვალდებულია გაწყვიტოს შრომის ხელშეკრულება მუშაკის განცხადებაში მითითებულ დროში.

მუშაკს უფლება აქვს გაიტანოს თავისი განცხადება განთავისუფლების შესახებ გაფორმილების ვადის ამოწურვამდე. ამ შემთხვევაში განთავისუფლება არ ხდება, თუ მის ადგილას არაა მიწვეული სხვა მუშაკი წერილობითი ფორმით. განთავისუფლების შესახებ გაფორმილების ვადის ამოწურვისთანავე მუშაკს უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა. მუშაობის ბოლო დღეს სამუშაოს მიმცემი ვალდებულია მისცეს მუშაკს შრომის წიგნაკი, სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და გაასწოროს მასთან საბოლოო ანგარიში. თუ განთავისუფლების შესახებ გაფორმილების ვადის ამოწურვის შემდეგ შრომის ხელშეკრულება არ იქნა გაწყვეტილი და მუშაკი არ ითხოვს განთავისუფლებას, შრომის ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება.

შრომის ხელშეკრულების ვადა – შრომის კანონმდებლობის მიხედვით შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს: ა) განუსაზღვრელი ვადით; ბ) გარკვეული ვადით, არა უმეტეს 5 წლისა (ვადიანი შრომის ხელშეკრულება), თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული შრომის კოდექსითა და სხვა კანონებით., შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება განუსაზღვრელი ვადით, თუ შრომის ხელშეკრულებაში მხარეების მიერ არაა შეთანხმებული მისი მოქმედების ვადა.

ვადიანი შრომის ხელშეკრულება არა უმეტეს 5 წლის ვადით იდება იმ შემთხვევებში, როცა შრომითი ურთიერთობები არ შეიძლება დადგინდეს გაურკვეველი ვადით სამუშაოს სახისა და მისი შესრულების პირობების გათვალისწინებით, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული შრომის კოდექსით.

თუ ამოწურა ვადიანი შრომის ხელშეკრულების ვადა და არცერთ მხარეს არ მოუთხოვია მისი გაწყვეტა, ხოლო მუშაკი აგრძელებს მუშაობას ვადის ამოწურვის შემდეგ, შრომის ხელშეკრულება ითვლება დადებულად განუსაზღვრელი ვადით. შემდგომ განთავისუფლებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ზოგად საფუძვლებზე.

განსაზღვრული ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება ამისათვის საკმარისი საფუძვლების არსებობისას, რომელიც დადგენილია სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის განმხორციელებელი ორგანოს მიერ შრომის კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებაზე, რომლებიც შეიცავენ შრომის სამართლის ნორმებს, ითვლება დადებულად განუსაზღვრელი ვადით. ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას. იკრძალება ვადიანი შრომის ხელშეკრულების დადება მუშაკებისთვის გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების მიცემისგან თავის არიდების მიზნით.

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა – შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებით და იმ გარემოებებით, რაც დამოკიდებული არაა მხარეთა ნებაზე. ამ გარემოებებში შეიძლება შედიოდეს: ა) მუშაკის სამხედრო სამსახურში გაწვევა ან მისი შეცვლა ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურით; ბ) მუშაკის სამუშაოზე აღდგენა შრომის სახელმწიფო ინსპექციის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით; გ) თანამდებობაზე აუარჩეველობა; დ) მუშაკის დასჯა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენის შესაბამისად, რაც გამორიცხავს წინა სამუშაოზე მუშაობის გაგრძელებას; ე) მუშაკის ან სამუშაოს მიმცემის სიკვდილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგვა; ვ) საგანგებო გარემოებების დადგომა, რაც ხელს უშლის შრომითი ურთიერთობების (სამხედრო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, კატასტროფა, დიდი ავარია ან ეპიდემია და ა.შ.) გაგრძელებას.

შტატგარეშე მუშაკი – კანონმდებლობის მიხედვით პირი, რომელიც სამუშაოს ასრულებს ორგანიზაციისთვის, საწარმოსთვის, დაწესებულებისთვის ორგანიზაციის შუდმივ საშტატო შემადგენლობაში მისი ჩარიცხვის გარეშე. შტატგარეშე მუშაკებს იწვევენ ერთჯერადი, შემთხვევითი ან გარკვეული სახის სამეურნეო სამუშაოების შესრულებისთვის. ასეთ სამუშაოებს განეკუთვნება, მაგალითად, ექიმთა კონსულტაცია სამედიცინო დაწესებულებებში, ექსპერტიზის სამუშაოები, მოწყობილობის, დანადგარის რემონტი,

გათვითრება, შელებება და ა.შ. შტატგარეშე მუშაკთან შრომითი ურთიერთობები ფორმდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებების სახით. შტატგარეშე მუშაკის შრომა ნაზღაურდება მოცემულ ორგანიზაციაში ანალოგიური სამუშაოების ნორმებთან და ფასდებასთან შესაბამისობაში. შტატგარეშე მუშაკი ექვემდებარება საჯალდებულო სოციალურ დაზღვევის საწარმოში უბედური შემთხვევებისგან და პროფესიული დაავადებებისგან. შტატგარეშე მუშაკზე, რომელმაც გააფორმა შრომის ხელშეკრულება დადგენილი წესით, ფორმდება შრომის წიგნაკი. მას ზოგად საფუძვლებზე ეძლევა ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება.

ორგანიზაციისთვის აუცილებელი ერთჯერადი სამეურნეო სამუშაოები შეიძლება შესრულდეს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების (სანარდო, დაკალების და სხვ.) საფუძველზე. ასეთი ხელშეკრულებების შემსრულებლები არ ექვემდებარებიან ორგანიზაციის შინაგანაწესს, თვითონ ახდენენ მათ მიერ საკუთარი რისკით შესასრულებელი სამუშაოების ორგანიზებას, მათ უნაზღაურდებათ მხოლოდ შესრულებული სამუშაოების საბოლოო შედეგი ან შესრულებული დაკალება. პირები, რომლებიც ასრულებენ სამუშაოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებებით, არ სარგებლობენ ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ან მასზე ფულადი კომპენსაციის გაცემის უფლებით.

შუამავალი კომერციაში ადამიანი ან ორგანიზაცია, რომელიც მოგებას იღებს კომერციული ოპერაციების შედეგად, რომელთაც ისინი ახორციელებენ მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. შუამავალს განეკუთვნებიან აგენტები, ბროკერები, დილერები, ვაჭრები, ფაქტორები, ბითუმად მოვაჭრეები, დისტრიბუტორები და საცალო მოვაჭრეები. ისინი იღებენ შეშოსაელებს სხვადასხვა მომსახურების გაწევის ხარჯზე, რომელთა შორისაა დაფინანსება, დიდი პარტიების შესყიდვა, ფასიანი ქაღალდების შენახვა, საქონლის დიდი პარტიების დაფოფა პატარა ნაწილებად, რისკის მიღება, „ბაზრის ჩაშოყალიბება“ და ფასების სტაბილიზაცია, ინფორმაციის მიწოდება საქონლის (მომხმარებლებისა) და ბაზრის (მწარმოებლების) შესახებ, გასაღების ბაზრის შეთავაზება და მყიდველებისა და ვაჭრების დაკავშირება.

შუამდგომლობა – პირის თხოვნა საპროცესო მოქმედებების განხორციელების შესახებ, რომელიც მიმართულია სასამართლოსთვის, გამომძიებლისთვის, სხვა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირისთვის.

მხარეებს აქვთ კანონიერი უფლება წამოაყენონ შუამდგომლობა. კანონის თანახმად, ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, მის დამცველს, დაზარალებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს, კერძო ბრალმდებელს, ექსპერტს, ასევე სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს, მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ წამოაყენონ შუამდგომლობა საპროცესო მოქმედებების წარმოების ან საპროცესო გადაწყვეტილებების მიღებისთვის. სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად, შუამდგომლობის წამომყენებელი პირის ან მის მიერ წარმოსადგენი პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად. შუამდგომლობის განცხადება ხდება მოკელეის მწარმოებელი პირისთვის, პროკურორისთვის, გამომძიებლისთვის ან სასამართლოში. სასამართლო განხილვის დროს შუამდგომლობის დაყენება შეუძლია ასევე სახელმწიფო ბრალმდებელსაც.

შუამდგომლობის დაყენება შეიძლება სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ მომენტში. წერილობითი შუამდგომლობა თან დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს, ზეპირის შეტანა კი ხდება საგამოძიებო მოქმედების ან სასამართლო განხილვის ოქმში. შუამდგომლობის აცილება არ ართმევს განმცხადებელს უფლებას კელავ დააყენოს შუამდგომლობა.

შუამდგომლობა განხილვასა და გადაწყვეტას ექვემდებარება მისი დაყენების შემდეგ. შუამდგომლობის განხილვის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება: ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ; ბ) მის დაკმაყოფილებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის განცხადების შესახებ (მოკელეის მწარმოებელ პირს, გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება). მოცემული გადაწყვეტილებები ეცნობება შუამდგომლობის დამყენებელ პირებს. შუამდგომლობაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს გასაჩივრებული.

შუამდგომლობა – თავი 29

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №5 – ზოგადი ნაწილის სხვა დებულებანი

თავი №29 – შუამდგომლობა

მუხლი №230 – შუამდგომლობის განცხადების უფლება

1. შუამდგომლობის განცხადების უფლება აქვს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ მონაწილეს, აგრეთვე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლის ინტერესებსაც ეხება სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

2. შუამდგომლობა წარედგინება თანამდებობის პირს ან ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა თუ გადაწყვეტისათვის.

3. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს თხოვნას საპროცესო მოქმედების ჩატარების ან საპროცესო გადაწყვეტილების მიღების შესახებ შუამდგომლობის შემტანი ან მარწმუნებელი (დასაცავი) პირის ინტერესებისათვის. მტკიცებულებათა აღმოსაჩენად საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს, რა გარემოებათა დასადგენად არის საჭირო მათი ჩატარება.

მუხლი №231 – შუამდგომლობის განცხადების წესი

1. შუამდგომლობის განცხადება შეიძლება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. სასამართლო კამათის დაწყების შემდეგ შუამდგომლობის განცხადება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოსაკვლევია არსებითად ახალი მტკიცებულება და ამ მტკიცებულების წარმოდგენა მხარის მიერ სასამართლო კამათის დაწყებამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო.

2. შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. იგი უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა იქნეს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა

ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან.

3. წერილობითი შუამდგომლობა და მისი დამსაბუთებელი მასალები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

4. ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმში, რომლის ჩატარების დროსაც იგი იყო განცხადებული, ცალკე შედგენილ ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში.

5. შუამდგომლობის უარყოფა განმცხადებელს არართმევს უფლებას, ახალი არსებითი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს შუამდგომლობით სისხლის სამართლის პროცესის იმავე ან სხვა სტადიაზე.

6. შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი განცხადების მომენტიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა.

7. სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე მოსამართლე მხარეს დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე.

8. სასამართლოში საქმის განხილვისას დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით მოსამართლე მხარეს პოზიციის გამოსახატავად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

მუხლი №232 – შუამდგომლობის გადაწყვეტა

1. შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ იგი ხელს უწყობს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად დადგენას.

2. ბრალდებისა და დაცვის მხარეთა შუამდგომლობები ერთნაირი ყურადღებით უნდა განიხილებოდეს.

3. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დამცველის, დაზარალებულის, დაზარალებულის წარმომადგენლის, პროცესის სხვა მონაწილის დასაბუთებული შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ უნდა დაკმაყოფილონ გამომძიებელმა, პროკურორმა, პირველი და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებმა.

4. ბრალდების მხარის შუამდგომლობა იმ მტკიცებულების გამოთხოვის, საქმეზე დართვისა და გამოკვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს წაყენებულ ბრალდებას ან ამძიმებს განსასჯელის პასუხისმგებლობას, აუცილებლად უნდა დაკმაყოფილონ პირველი და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებმა.

5. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

6. შუამდგომლობის უარყოფის შესახებ ორგანოს ან პირს, რომლის სახელზედაც იყო იგი შეტანილი, გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება (განჩინება), ეს დადგენილება (განჩინება) წინასწარი გამოძიების დროს გადაეცემა შუამდგომლობის შემტან პირს, ხოლო სასამართლოში იგი გამოცხადდება. ერთ და იმავე შინაარსის შუამდგომლობა, რომელზედაც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, მეორედ აღარ განიხილება.

7. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება გამომძიებლის მიერ შუამდგომლობის უარყოფას, მას უფლება აქვს ასეთივე შუამდგომლობით მიმართოს პროკურორს.

შუამდგომლობა (ნიმუში)

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ
შუამდგომლობის გამოტანის ადგილი
200 წ.
საქართველოს (ქალაქის, რაიონის)
გამომძიებელი (წოდება, სახელი და გვარი)
განვიხილე ჩემს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმე N
ვის მიმართ რა ფაქტზე
დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ ჩამუხლით(ებით)
გამოვარკვიე
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140, 151, 152, 155 და მუხლებით
ეშუამდგომლობ
ქალაქის, რაიონის
სასამართლოს წინაშე ბრალდებულ
მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით
აღკვეთის ღონისძიების სახე
შერჩევის შესახებ.
გამომძიებელი (ხელმოწერა)

შტრიხი [გერმ. Strich ხაზი] 1) პატარა, მოკლე ხაზი; 2) განმასხვავებელი დეტალი, დამახასიათებელი თავისებურება; 3) მუს. ინსტრუმენტებიდან ბგერის მიღების ხერხი: ლეგატო, სტაკატო, სიმებიან ინსტრუმენტებზე აგრ. სპიკატო და სხვ.; შტრიხები ჟღერადობას სხვადასხვა შეფერილობას ანიჭებს ნაწარმოების შინაარსის, არანჟირების და შემსრულებლის ჩანაფიქრის მიხედვით; 4) სხვაგვარად კორექტორი (2); თეთრი სითხე, რომელიც წყლის ან სპირტის საფუძველზეა დამზადებული ქაღალდზე დაშვებული შეცდომების დასაფარად; ხარისხიანი შ. იძლევა ზევიდან საბეჭდი მანქანით დაბეჭდვის საშუალებას.

შტრიხკოდი, შტრიხ-კოდი [გერმ. Strich + ფრ. ცოდე] კოდი, რომელიც შედგება სხვადასხვა სისქის პარალელური შავი ხაზებისგან, მოთავსებულია ეტიკეტზე ან საქონლის შეფუთვაზე; ინდივიდუალურია ყოველი სახეობის საქონლისთვის და მოიცავს ცნობებს წარმოშობის, მწარმოებლის, სავაჭრო ჯგუფის და ფასის შესახებ; სალაროს აპარატის ოპტიკური საჩვენებელი მოწყობილობა (სკანერი), რომელიც შიფრავს შ-ს და დისპლეიზე გამოჰყავს საქონლის ფასი.

ჩ

ჩაკეტილი ვალუტა – არაკონვერტირებული ვალუტა, რომელიც თავისი ქვეყნის ფარგლებში მოძრაობს.

ჩამდინარე წყლები – დადგენილი წესით წყლის ობიექტებში ჩადენადი წყალი, მისი გამოყენების შემდეგ ან შემოსული დაბინძურებული ტერიტორიიდან.

ჩარტერის ხელშეკრულება – დაფრახტვის ხელშეკრულება, რომელიც აფორმებს საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე გადაზიდვის ურთიერთობებს. გადაზიდვის სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებით ჩარტერის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსენსუალურს. ბუნებით, ჩარტერის ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივს და ანაზღაურებადს. ჩარტერის ხელშეკრულების წერილობითი ფორმა სავალდებულოა. ჩარტერის ხელშეკრულების არსებობა და შინაარსი შეიძლება დამტკიცდეს ჩარტერული კონოსამენტით ან სხვა წერილობითი მტკიცებულებით. ჩარტერის ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს მხარეთა დასახელებას, ხომალდის სახელწოდებას, მითითებას ტვირთის სახეზე, ფრახტის ოდენობას, ტვირთის დატვირთვის ადგილის დასახელებას და ასევე დანიშნულების ადგილს ან ინფორმაციას ხომალდის მიმართულების შესახებ. ჩარტერის ხელშეკრულებას ხელს აწერენ გადამზიდავი და დამფრახტველი ან მათი წარმომადგენლები. დამფრახტველს უფლება აქვს (გადამზიდავის თანხმობით) დაუთმოს თავისი უფლებები მესამე პირს ხელშეკრულებით. დამფრახტველი და ასევე მესამე პირი გადამზიდავის წინაშე სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი ჩარტერის ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე.

ჩაქოლვა ძველ ქართულ სამართალში სიკვდილით დასჯის სახეობა. ძველი ქართული სამართლის ძეგლებში დამოწმებულია ალრინდული ფეოდალური ხანიდან (მაგ., გაბატონებული რელიგიური რწმენის უარყოფისათვის). ვაჟა-ფშაველას მიხედვით, ძველად ფშავ-ხევსურეთში ნაბუშარს თუ გააჩენდნენ, ქალსა და კაცს სახალხოდ ხიდისყურზე, გზაჯვარედინზე ჩაქოლავდნენ. ჩაქოლვა ცნობილი იყო მრავალი ხალხის სამართალში ძველ მსოფლიოში. ძველი ებრაელი სიმართლის მიხედვით ჩაქოლვით სჯიდნენ მრუშობაზე წასწრებულთ და ღვთის მგმობელთ; დამნაშავეისათვის ქვები პირველად დანაშაულის მოწმეებს უნდა ესროლათ.

ჩეკი (chegue, ამერიკული დაწერილობა – cheek) – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მოანაბარის განკარგულებას ბანკისადმი, რათა მან მიიმდინარე ანგარიშიდან გადაუხადოს ან გადაურიცხოს წარმომდგენს გარკვეული თანხა. წარმოადგენს ყველა სახის ვალების დაფარვის ყველაზე გავრცელებულ ფორმას. ჩეკის მიხედვით გადამხდელად შეიძლება მიეთითოს მხოლოდ ბანკი, რომელშიც ჩეკის მიმცემს გააჩნია სახსრები. ჩეკის გამოწვევა მისი წარდგენის ვადის გასვლამდე არ შეიძლება. ჩეკის გაცემის ფაქტი არ აბათილებს ფულად ვალდებულებას, რომლის შესასრულებლადაც იგი გაიცა. ჩეკი უნდა შეიცავდეს:

1) სახელწოდებას „ჩეკი", ჩართულს საბუთის ტექსტში.

2) ჩეკის გამცემის დავალებას ბანკისადმი გარკვეული თანხის გადახდის შესახებ.

3) გადამხდელის დასახელებას და ანგარიშის ნომერს, რომლიდანაც უნდა მოხდეს გადახდა.

4) გადახდის ვალუტის მითითებას.

5) ჩეკის შედგენის ადგილსა და დროს.

6) ჩეკის გამომწერი პირის ხელმოწერას.

დოკუმენტში რომელიმე ელემენტის არარსებობა უკარგავს მას ჩეკის ძალას. ჩეკი, რომელშიც არ არის მითითებული მისი შედგენის ადგილი განიხილება, როგორც ჩეკის გამცემის ადგილსამყოფელის მიხედვით ხელმოწერილი. ჩეკის ფორმა და მისი შეუსების წესი განისაზღვრება კანონით და საბანკო წესებით. ჩეკი გადახდას ექვემდებარება მხოლოდ დადგენილი პერიოდის განმავლობაში. ჩეკის მიხედვით გადამხდელი (ბანკი) ვალდებულია ყველა მისაწვდომი საშუალებით შეამოწმოს ჩეკის ნამდვილობა, აგრეთვე დარწმუნდეს იმაში, რომ ჩეკის წარმომდგენი არის ამისთვის უფლებამოსილი პირი. ინდოსირებული ჩეკის გადახდისას გადამხდელმა უნდა შეამოწმოს ინდოსამენტის სისწორე, მაგრამ არა ინდოსატების ხელმოწერები. ზარალი, რომელიც წარმოიშვა გადამხდელის მიღების გამო, ეკისრება გადამხდელს ან ჩეკის გამცემს იმის მიხედვით თუ ვისი ბრალით იქნა ეს ზარალი მოყენებული. ჩეკის გადამხდელს აქვს უფლება მოითხოვოს ხელწერილი იმის თაობაზე, რომ ჩეკი გადახდილია. არსებობს ჩეკების მრავალი ნაირსახეობა.

1. სახელობითი ჩეკი. მისი გადაცემა სხვა პირზე არ შეიძლება, ანუ გადახდა წარმოებს მხოლოდ ჩეკში მითითებული პირის მიმართ.

2. ინდოსირებადი ჩეკით გადახდის მიღება შეუძლია ჩეკის კანონიერ მფლობელს, რომელიც თავის უფლებას ამტკიცებს ინდოსამენტების უწყვეტი რიგით.

3. ანულირებული ჩეკი – ჩეკი, რომელიც გადახდილია ბანკის მიერ. ჩეკის გადახდისას ბანკი ათავისებს მასზე თავის ინდოსამენტს და ამით ახდენს მის საბოლოო ანულირებას. ანულირებული ჩეკი ამოიღება ბრუნვიდან.

4. კროსირებულია ჩეკი, ჩეკი რომელზედაც ორი პარალელური ხაზია გავლებული. ეს ნიშნავს, რომ თანხა უნდა გადაირიცხოს წარმომდგენის ანგარიშზე და არა გაიცეს ნაღდ ფულად.

5. ღია ჩეკი – ჩვეულებრივი ჩეკია, რომლითაც შეიძლება ნაღდი ფულის მიღებაც.

6. ბლანკეტურ ჩეკებზე თანხა არ ინახება, ასეთი ჩეკები გაიცემა როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა წინასწარ ცნობილი არ არის, მაგრამ ჩეკის გამომწერს შეუძლია შეზღუდოს მაქსიმალური მარჯენებელი.

7. დაბრუნებითი ჩეკი არის ჩეკის განსაკუთრებული სახე, რომელიც გამოიწერება გადამხდელი ბანკის სასარგებლოდ მის მიერ არასწორად გაფორმებული საბუთების გადასახდისას.

8. საწარმდგენლო ჩეკი, მისი გადახდა წარმოებს ნებისმიერი პირის მიერ მის წარმომდგენისთანაც. ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა, ხოლო საერთაშორისო ანგარიშსწორებებში საერთოდ არ გამოიყენება.

9. სავაჭრო ჩეკი – სალაროში წარსადგენი ქვითარი, რომელზედაც აღნიშნულია საქონელში გადასახდელი

თანხის ოდენობა; აგრეთვე სალაროდან მიღებული ტალონი, რომელიც ადასტურებს, რომ საქონლის ფასი გადახდილია. სავაჭრო ჩეკს აქვს დიდი მნიშვნელობა მაღაზიაში ნაყიდი ნივთის შეცვლისას. თუ მყიდველი აღმოაჩენს ნაყიდ ნივთში, რომელზედაც გარანტია არ ერცელდება (ქსოვილები, ტანსაცმელი, ბეწვეული და ა.შ.), ხარვეზებს, მას აქვს უფლება ამ ხნის განმავლობაში ან გამოცდალის საქონელი ანალოგიურზე ან დაბრუნოს ნივთი და მიიღოს უკან მის მიერ გადახდილი თანხა. ამ უფლების განსახორციელებლად მყიდველს ხელთ უნდა ჰქონდეს ჩეკი.

ჩვენებები – ცნობები, რომელთაც მნიშვნელობა გააჩნიათ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისთვის და მიღებულია ეჭვმიტანილისაგან, ბრალდებულისგან, დაზარალებულისგან, მოწმისგან.

ჩვენებების შემოწმება ადგილზე

– საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ხორციელდება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ახალი გარემოებების დადგენის მიზნით, ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის, დაზარალებულისა თუ მოწმის მიერ ადრე მიცემული ჩვენებების შემოწმებისა თუ დაზუსტების გზით. ჩვენებების ადგილზე შემოწმების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადრე დაკითხულ პირს გამომძიებელი ადგილზე სთავაზობს საკულევი მოვლენის ვითარებისა და გარემოებების ადდგენას, მიუთითოს სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვან საგნებზე, დოკუმენტებზე, კვალზე, ამასთან მოყოლას ახლავს რა გარკვეული მოქმედებების დემონსტრაცია. რაიმე სახის გარეშე ჩარევა და შემოწმების დროს მიღებული მონაცემები შეჯერებული ხდება ადრინდელი ჩვენებების მონაცემებთან და საქმის სხვა მტკიცებულებებთან. დაუშვებელია ადგილზე რამდენიმე პირის ჩვენებათა ერთდროული შემოწმება. მოცემული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობა და შედეგები ფიქსირდება ადგილზე ჩვენებების შემოწმების ოქმში. მასში მითითებულია შესასრულებელი მოქმედებების შინაარსი და თანამიმდევრობა, მათი შედეგები, მოცემულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირის ჩვენებები, აღიწერება მოცემული დანაშაულის ჩადენის ადგილის გარემოება. თუ ადგილზე ჩვენებების შემოწმების დროს აღმოჩენილ იქნა ახალი მტკიცებულებები, დანაშაულის ჩადენის იარაღი და საქმისთვის მნიშვნელოვანი საგნები, ისინი ფიქსირდება ოქმში, ილუქება და თან ერთვის სისხლის სამართლის საქმეს.

ჩვენების მიცემის იძულება – კონსტიტუციითა და კანონით აკრძალული ქმედებების ჩადენა, რომლებიც გამოიხატება გამომძიებლის ან მოკვლევის მწარმოებელი პირის მიერ, დაევალებით ან მდუმარე თანხმობით სხვა პირის მიერ მუქარის, სხვა უკანონო მოქმედებების გამოყენებაში, საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტიური მონაცემების ეჭვმიტანილისგან, ბრალდებულისგან, დაზარალებულისგან, მოწმისგან ან ექსპერტისგან მიღების მიზნით.

ჩვეულებითი სამართალი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადასტურებული ჩვეულებების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს სხვადასხვა დარგისა და სახის სამართლებრივ ურთიერთობებს. ჩვეულებების საფუძველზე იქმნებოდა ძველი ეპოქის საკანონმდებლო აქტები. ამ სამართლის გაელენა იგრძნობა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებზე. თანამედროვე სამყაროში ჩვეულებითი სამართლის როლი და ზეგაელენა იგრძნობა დიდ საერთაშორისო ურთიერთობაში.

ჩვეულებრივი საოჯახო საგნების მემკვიდრეობით გადაცემა

– სიტუაცია, როცა მემკვიდრეობის გახსნის დღისთვის მემკვიდრეობის გადამცემთან თანამცხოვრებ მემკვიდრეს გააჩნია მემკვიდრეობის გაყოფისას უპირატესი უფლება მიიღოს მემკვიდრეობით ჩვეულებრივი საოჯახო საგნების გარკვეული ნაწილი. ამ ჯგუფის ნივთებს განეკუთვნება: აეჯი, ჭურჭელი, სამზარეულოს მოწყობილობა, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყობები და ა.შ.; საოჯახო ბიბლიოთეკა, თუ ის არ ატარებს კოლექციის ხასიათს, არ შეიცავს ანტიკვარულ ნაკეთობებს და ა.შ.

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულე-ბის ორგანიზაცია (ნატო)

სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც შეიქმნა 1949 წელს. ნატოს დამფუძნებლები იყვნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია, ისლანდია, პორტუგალია. ამჟამად ნატო ოცზე მეტ სახელმწიფოს აერთიანებს. ხელშეკრულების თანახმად, ნატოს მიზანია ყველა საერთაშორისო დავა, რომელშიც მისი წევრები შეიძლება ჩათრეული აღმოჩნდნენ, გადაჭრას მშვიდობიანი საშუალებებით, ისეთი გზით, რომ საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას საფრთხე არ შეექმნას; თავი შეიკავოს მუქარისა ან ძალის გამოყენებისაგან ისეთი საშუალებით, რომელიც არ შეესაბამება **გაეროს** ორგანიზაციის მიზნებს. **ნატოს** უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა **ნატოს** საბჭოს სესია, რომელსაც წელიწადში ორჯერ იწვევენ. აღმასრულებელი ორგანოა საერთაშორისო სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით. **ნატოს** მთავარი შტაბბინა მდებარეობს ბრიუსელში.

ჩუქება სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე (მჩუქებელი) უსასყიდლოდ გადასცემს თავის ქონებას საკუთრებად მეორე მხარეს (დასაჩუქრებულს). ნაჩუქრობის ნამდვილობისათვის კანონი, ჩვეულებრივ ითვალისწინებს რამდენიმე სავალდებულო პირობას. კანონით განსაზღვრული ღირებულების ნაჩუქრობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. მოქალაქის მიერ სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ქონების ჩუქების ხელშეკრულება იდება უბრალო წერილობითი ფორმით, რომელიც სასურველია დამოწმდეს ბეჭდით ორიე მხარის მიერ. სპეციალურ გაფორმებას საჭიროებს საცხოვრებელი სახლის, ძირფასი ნივთის, ავტომანქანის ჩუქება. კანონით დადგენილი წესის გეერდის ავლა გამოიწვევს ჩუქების ბათილობას. ხელშეკრულების დადებისას აუცილებელია დასაჩუქრებულის თანხმობა. ძველ ქართულ სამართალში ჩუქებას, „მიცემა და ნიჭი", აგრეთვე „ძღვენი", „ქრთამი" და „ფეშქაში" ეწოდებოდა.

ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად, მისი თანხმობით. ჩუქების ხელშეკრულება

დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან. საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მაშინ, თუ იგი სანოტარო წესითაა დამოწმებული. დაუშვებელია ქონების გაჩუქება, თუ ეს საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს. ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურებას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლობელი ნათესავის მიმართ (სკ, მუხლი 524 – 530).

ჩუხჩარახი მესამე რანგის საპატიო მოხელე, ამირსპასალარისა და ამირახორის შემდეგ. მისი თანასწორი მოხელენი იყვნენ ეზოთუხუცესი და მეპატრეთუხუცესი. ეს თანამდებობა სამხედრო დიდმოხელის უნდა ყოფილიყო.

ჩხრეკა – საგამოძიებო მოქმედება, რომელიც მდგომარეობს შენობების, ტერიტორიების, ტრანსპორტის დათვალიერებაში სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ობიექტების ამოღებისა საქმის მასალებზე დართვის მიზნით. ჩხრეკის წარმოების საფუძველს წარმოადგენს საკმარისი მონაცემების არსებობა, იმის საეარაუდოდ, რომ გარკვეულ ადგილას ან რომელიღაც პირს შეიძლება ჰქონდეს დანაშაულის იარაღები, საგნები, დოკუმენტები და ფასეულობები, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეთ სისხლის სამართლის საქმისთვის. ჩხრეკა შეიძლება წარმოებდეს ძებნილი პირების ან გვამების აღმოჩენის მიზნით. ჩხრეკა წარმოებს გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე. თუ ჩხრეკა წარმოებს საცხოვრებელ სახლში აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება.

ჩხრეკის დაწყებამდე გამომძიებელი წარმოადგენს დადგენილებას მისი წარმოების შესახებ ან ამ წარმოების ნების დამრთველ სასამართლო გადაწყვეტილებას. შემდეგ ის ითხოვს ნებაყოფლობით გადასცენ ამოსაღები საგნები, დოკუმენტები და ფასეულობები, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეთ სისხლის სამართლის საქმისთვის. თუ ისინი ნებაყოფლობით გადაიცემა, არაა აუცილებელი ჩხრეკის წარმოება.

ჩხრეკის წარმოებისას შეიძლება გაიღოს ნებისმიერი შენობა, თუ მისი მფლობელი უარს ამბობს მათ ნებაყოფლობით გაღებაზე., გამომძიებელმა უნდა მიიღოს ზომები იმისთვის, რომ არ გახმოვანდეს ჩხრეკის დროს გამოვლენილი პირის პირადი ცხოვრების გარემოებები, მისი პირადი და ოჯახური საიდუმლო. გამომძიებელს უფლება აქვს აუკრძალოს პირებს, რომლებიც იმყოფებიან შენობაში, მისი დატოვება ან ერთმანეთთან ან სხვა პირებთან ურთიერთობა ჩხრეკის წარმოების დასრულებამდე.

ჩხრეკის წარმოებისას ხდება საგნებისა და დოკუმენტების, ფასეულობების ამოღება და წარდგენა დამსწრეებისა და სხვა პირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან იქ ჩხრეკის დროს, ხოლო საჭიროებისას ისინი იფუთება და ილუქება ადგილზე, რაც მოწმდება აღნიშნული პირების ხელმოწერით.

ჩხრეკის წარმოებისას მონაწილეობას იღებს პირი, რომელის შენობაშიც წარმოებს ჩხრეკა ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრები, ამას შეიძლება დაესწროს დამცველი, ასევე ადვოკატი.

ჩხრეკის წარმოებისას ხდება ოქმის შედგენა, რომელშიც მითითებულია თუ რა ადგილას და რა გარემოებების დროს იქნა აღმოჩენილი საგნები, დოკუმენტები ან ფასეულობები, ისინი ამოღებულ იქნა ნებაყოფლობით თუ იძულებითი სახით. ზუსტადაა მითითებული ყველა ამოღებული საგანი, დოკუმენტი და ფასეულობა, მათი რაოდენობა, წონა, ზომა, ინდივიდუალური ნიშნები და შეძლებისდაგვარად ღირებულება. თუ ჩხრეკის დროს ნაცადი იყო ამოსაღები საგნების, დოკუმენტების ან ფასეულობების განადგურება ან გადამალვა, ამის შესახებ ჩანაწერი კეთდება ოქმში და მითითებული ხდება მიღებული ზომები. ოქმის ასლი გადაეცემა იმ პირს, რომლის შენობაშიც მოხდა ჩხრეკა ან მისი ოჯახის სრულუფლებიან წევრს. თუ ჩხრეკა წარმოებს ორგანიზაციის შენობაში, ოქმის ასლი გადაეცემა შესაბამისი ორგანიზაციის ადმინისტრაციის წარმომადგენელს ხელმოწერით.

ც

ცალკე წარმოებაში სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოყენება

– პროცედურა სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი გამოძიების დროს ცნობილი ხდება გამოსაძიებელ საქმესთან კავშირის არმქონე დანაშაულის ჩადენის შესახებ, ხოლო გამომძიებელს, მოკლევის მწარმოებელ პირს გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმიდან ახალი დანაშაულის შესახებ ცნობების შემცველი მასალების გამოყოფისა და მათი პროკურორისთვის გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. მოკლევის მწარმოებელი პირი, მოკლევის ორგანო, გამომძიებელი და პროკურორი ვალდებულნი არიან მიიღონ, შეამოწმონ შეტყობინება ნებისმიერი ჩადენილი ან მომზადებული დანაშაულის შესახებ და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ მასზე გადაწყვეტილება. დანაშაულის შესახებ შეტყობინების შემოწმებისას მოკლევის მწარმოებელ ორგანოს, პირს, გამომძიებელსა და პროკურორს უფლება აქვთ მოითხოვონ დოკუმენტური შემოწმების წარმოება, რევიზია და მასში ჩართონ სპეციალისტები.

განმცხადებელს ეძლევა დოკუმენტი დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღების თაობაზე მისი მიმღები პირის მონაცემების, მიღების თარიღისა და დროის შესახებ.

დანაშაულის შესახებ შეტყობინების განხილვის შედეგების მიხედვით მოკლევის მწარმოებელი ორგანო, პირი, გამომძიებელი ან პროკურორი იღებს შემდეგიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: ა) სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ; ბ) სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის შესახებ; გ) გამოძიებაში მყოფი შეტყობინების გადაცემის შესახებ. ამასთან, განმცხადებელს განემარტება მისი უფლება გაასაჩივროს მოკვეთილი გადაწყვეტილება და გასაჩივრების წესი.

ახალი დანაშაულის შესახებ ცნობების შემცველი

და სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებაში გამოყოფილი მასალები დაიშვება მტკიცებულებათა სახით მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე.

ცელიბატი [ლათ. caelibatus < caeleds დაუქორწინებელი] კათოლიკური სასულიერო პირების უბიწოების აღთქმა, რომელიც XII ს-ში შემოვიდა.

ცემა – არაერთი დარტყმის მიყენება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი. ცემა არ შეადგენს განსაკუთრებული სახის დაზიანებებს. თუ ცემის შედეგად დაზარალებულის სხეულზე რჩება დაზიანებები, მათ აფასებენ სიმძიმის ხარისხის მიხედვით ჩვეულებრივი ნიშნებიდან გამომდინარე. თუ ცემა არ ტოვებს არანაირ ობიექტურ კვალს, სამედიცინო-სასამართლო ექსპერტი თაყის დასკვნაში აღნიშნავს დაზარალებულის საჩივრებს, მიუთითებს რა, რომ აღმოჩენილი არაა დაზიანებების ობიექტური ნიშნები და არ განსაზღვრავს სხეულებრივი დაზიანების ხარისხს. ამგვარ შემთხვევებში ცემის ფაქტის დადგენა განეკუთვნება მოკვლეული მწარმოებელი ორგანოების, წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლოს კომპეტენციას.

ცენზორი [ლათ. censor < censeo ვაკეთებ აღწერას, ვაფასებ] 1) ძვ. რომში (ჩვ. წ-აღ-მდე 443 – ჩვ. წ-აღ-ის 74 წწ-ში) ორი უმაღლესი თანამდებობის პირის დასახელება, რომლებიც განაგებდნენ მოსახლეობის აღწერას (ცენზებს) და ანაწილებდნენ მოქალაქეებს ქონებრივი წოდებების მიხედვით, თვალყურს ადევნებდნენ მოსახლეობის ზნეობრიობას და კეთილსაიმედოობას (ადამიანი, რომელიც შებღალავდა თავის წოდებას, აქვეითებდნენ) და ხელშეკრულებებს დებდნენ სახელმწიფოს სახელით; 2) პირი, რომელიც ახორციელებს თვალყურს ბეჭდური ნაწარმოებებზე.

ცენზორი ცენზის პირობების დამაკმაყოფილებელი, ცენზთან დაკავშირებული.

ცენზურა [ლათ. censura] 1) ძვ. რომში ცენზორის თანამდებობა; 2) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე თვალყურის დევნება სახელმწიფოს მიერ; განასხვავებენ წინასწარ და დამსჯელ ც-ს; 3) დაწესებულება, რომელიც განაგებს ბეჭდურ პროდუქციაზე თვალყურის დევნებას.

ცენტრალიზაცია [ლათ. centralization < ლათ. centrum] 1) რ-მეს თაემოყრა ერთ ხელში ან ერთ ადგილას – ერთიან ცენტრში; 2), სახელმწიფო ფუნქციების უმეტესი ნაწილის თაემოყრა ცენტრალური უწყებების განმგებლობაში, ქვეყნებში, რომლებსაც ახასიათებს სახელმწიფოს ძლიერი ჩარევა ეკონომიკაში; 3) უკვე შექმნილი კაპიტალების გაერთიანება ერთი კომპანიის მიერ მეორეს ჩაყლაპვის დროს, მაგ. აქციების საკონტროლო პაკეტის შესყიდვის გზით.

ცესია სამოქალაქო სამართლის მიხედვით მოთხოვნის უფლების დათმობა, რომელიც მდგომარეობს კრედიტორის შეცვლაში. კრედიტორს, რომელიც გადასცემს თავის მოთხოვნის უფლებას ეწოდება ცედენტი, ხოლო მოთხოვნის უფლების მიმღებს (ახალ კრედიტორს) – ცესონარი. ცესია – ესაა შეთანხმება, ერთის მხრივ, ვალდებულების მიხედვით კრედიტორსა და მეორეს მხრივ, მესამე პირს შორის, კრედიტორის უფლების გადაცემის შესახებ. კრედიტორის უფლებების სხვა პირზე გადასვლისთვის საჭირო არაა მოვალის თანხმობა, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით. მოვალის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ვალდებულების მიხედვით მოთხოვნის დათმობა, რომელშიც კრედიტორის პიროვნებას გააჩნია არსებითი მნიშვნელობა მოვალისთვის. კრედიტორის პიროვნებასთან უწყვეტად დაკავშირებული უფლებები არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, კერძოდ ისეთი უფლებები, როგორიცაა მოთხოვნები სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელთა გადაცემაც მოთხოვნის უფლების დათმობის წესით არ შეიძლება პირადი ხასიათის ძალით. მოთხოვნის უფლების დათმობა ნიშნავს ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლას და არანაირი ცვლილებები მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების მოცულობაში უფლების დათმობისას არ ხდება. ცესიონარი იძენს უფლებას იმავე მოცულობით და იმავე პირობებით, რომელიც ჰქონდა თავდაპირველ კრედიტორს მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში. მოთხოვნის უფლების დათმობის შედეგს წარმოადგენს ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლა. მოთხოვნის უფლების დამთმობი კრედიტორი არაა პასუხისმგებელი ახალი კრედიტორის წინაშე მოვალის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, რამდენადაც ის იმ მოთხოვნას გადასცემს, რომელსაც თავად ფლობს.

ცილისწამება – ცრუ ცნობების გავრცელება, რომელიც ლახავს პირის ღირსებასა თუ ჰატიოსნებას ან მის რეპუტაციას აყენებს ჩრდილს.

ციტირება (ლათ. citatum – მოხმობა, გამოცხადება) – რაიმე ტექსტიდან სიტყვასიტყვით ამონაწერი წყაროს მითითებით.

ცნობა – არსებობს ორი სახის ცნობა, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ა) ცნობა, რომელიც წარმოადგენს დაწესებულების შიგნით სარგებლობის დოკუმენტს. იგი წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელს და შეიცავს მონაცემებს რაიმე საკითხის შესახებ. ასეთი ცნობის შემადგენელი ნაწილებია:

1. დოკუმენტის დასახელება.
2. ცნობის ტექსტი.
3. იმ პირის თანამდებობა და გვარი, რომელიც ადგენს ცნობას, მისი ხელმოწერა.
4. შედგენის თარიღი.

ასეთი ცნობა იწერება დაწესებულების ხელმძღვანელის მითითებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აუცილებელია, როგორც ფუნდაი ან სერიოზული ტექნიკური დასაბუთების დოკუმენტი.

ბ) ცნობა, რომელიც წარმოადგენს დაწესებულების ან ცალკეულ პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის რომელიმე ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტს.

ასეთი ცნობა მიზანდასახულია, ამიტომ იგი შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ ორგანიზაციამ, რომლისთვისაც არის განსაზღვრული.

ცნობა შემდეგი მთავარი ნაწილებისაგან შედგება:

1. იმ ორგანიზაციის დასახელება, რომელმაც გასცა ცნობა (იგი მოთავსებულია კუთხის შტამპში).

2. ცნობის სარეგისტრაციო ნომერი და მისი გაცემის თარიღი (აღინიშნება კუთხის შტამპში).

3. დოკუმენტის დასახელება (იწერება შტამპის მარჯვნივ).

4. ორგანიზაციის დასახელება ან იმ პირის სახელი, შამის სახელი და გვარი, რომელსაც ეძლევა ცნობა.

5. ცნობის ტექსტი (გადმოცემულია ფაქტი, რომელიც ამ ცნობით დასტურდება).

6. ცნობის მიზანი.

7. ბეჭედი და თანამდებობის პირთა ხელმოწერები.

ცნობა, ანუ დიპლომატიური აქტი

– ცნობა, ანუ დიპლომატიური აქტი არის ისეთი სახის ქმედება, როდესაც ერთი სახელმწიფო აღიარებს სხვა სახელმწიფოს, მანამდე არარსებული ურთიერთობის მონაწილედ. გარდა სახელმწიფოს ცნობისა საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია მთაარობის, ერის, სამხედრო ან სხვა სტრუქტურის მხარის ცნობა, რომელსაც მოყვება გარკვეული პოლიტიკურ-იურიდიული შედეგები.

თანამედროვე გაგებით ცნობა, ანუ დიპლომატიური აქტი სამ საუკუნეზე მეტია არსებობს, მაგრამ მისი მომწესრიგებელი, სავალდებულო ხასიათის კონვენციური დოკუმენტი ჯერ არ შექმნილა, ამიტომ იგი ემყარება საერთაშორისო გამოცდილებას და სამართლებრივ პრინციპებს.

ცნობის ინსტიტუტის თეორიაში ბოლო ჟამს გამოიკვეთა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დოქტრინა. ერთნი მიიჩნევენ, რომ ცნობა ფორმალური აქტია და წარმოადგენს რეალურად არსებული სახელმწიფოს ფორმალურ აღიარებას, რომლისთვისაც არაეითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ახალი სახელმწიფოს წარმოშობის საფუძვლისთვის, ისე როგორც ადამიანის პიროვნებად ფორმირებაში არსებითია თავისთავად ადამიანის დაბადება და ნაკლებად მნიშვნელოვანია იგი ქორწინების შედეგად გაჩნდა თუ ქორწინების გარეშე. სხვა მხრივ თელიან, რომ ცნობა არსებითი და ოფიციალური ძალის შემცველი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც არა მარტო აღიარებს, არამედ ქმნის ახალ სახელმწიფოს და ამ შემთხვევაში წარმოადგენს სახელმწიფოს შექმნის მთავარ საფუძველს. ამ თეორიის მიხედვით პარიზის კომუნა და საბჭოთა რუსეთი არ ექვემდებარებოდნენ ციელიზაციის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკა ანსხვავებს ცნობის სამ ფორმას: დე-იურე, დე-ფაქტო და ფაქტობრივ ცნობას. დე-იურე ოფიციალური და სრული აღიარებაა, დე-ფაქტო ოფიციალური, მაგრამ არასრული. ფაქტობრივი ცნობა წარმოადგენს სახელმწიფოთშორის ფაქტობრივ ურთიერთობას ოფიციალური აღიარების გარეშე. ოფიციალური აღიარება შეიძლება იყოს როგორც აშკარად გამჟღავნებული, ისე თანხმობის გამომხატველი ან კონკლუდენტური მოქმედების.

დე-იურედ ცნობა დიპლომატიური ცნობის საფუძველია, რაც უმნიშვნელოვანესია აღიარების პოლიტიკურ ურთიერთობაში. დე-ფაქტოდ ცნობა დროებითი მნიშვნელობის შემცველია და წარმოადგენს ნაკლები ძალის მქონეს. ბუნებრივად დამყარებულია უმეტესად ამგვარი წესრიგი, რომ სახელმწიფოებს ცნობენ ჯერ დე-ფაქტოდ და შემდგომ დე-იურედ, ან ორივე მიმართებით.

ცოდვის მოკიდება

ფეოდალურ საქართველოში, სასამართლო მტკიცებულების ერთ-ერთი სახე. ვახტანგ VI სამართლის წიგნში ცოდვის მოკიდება განმარტებულია შემდეგნაირად: „ეჭვმიტანილმა „შემწამებელი კაცი“ ზურგზე უნდა აიკიდოს და თქვას: „შენამც ცოდვა მეორედ მოსულის მემცა მაქეს და შენდა ნაცელადმც მე განეკითხები, თუ მე ეგ მექნას“. ცოდვის მოკიდებას სასამართლო პროცესის სხვა მონაწილე (მოსარჩელე, მოპასუხე) მიმართავდა თავისანი პოზიციის დასადასტურებლად.

ცოცხალი რესურსების რეფვა

– კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს წყლის ბიოლოგიური რესურსების ძიებასა და მოპოვებას, პროდუქციის მიღებას, დამუშავებას, ტრანსპორტირებას, შენახვას, მის გადატვირთვას, ასევე სარეწი ხომალდებისა და დანადგარების მომარაგებას საწვავით, წყლით, სურსათით, ტარათი და სხვა მასალებით.

ცრუმეწარმეობა

– კომერციული ორგანიზაციის შექმნა სამეწარმეო ან საბანკო საქმიანობის განხორციელების განზრახვის გარეშე, რომლის მიზანია კრედიტების მიღება, გადასახადებისგან განთავისუფლება, სხვა ქონებრივი სარგებლის მიღება ან აკრძალული საქმიანობის დაფარვა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა მოქალაქეებს, ორგანიზაციებს ან სახელმწიფოს. ცრუმეწარმეობის დროს წინასწარ იქმნება ფორმით კანონიერი, მაგრამ საქმიანობის შინაარსით ფიქტიური ორგანიზაცია. სუბიექტური მხარე ხასიათდება ირიბი განზრახვით. დანაშაული ხდება ანგარების მიზნით. დამნაშავე აცნობიერებს, რომ შექმნილი კომერციული ორგანიზაცია წარმოიქმნება ფიქტიურად, არა კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის, არამედ აკრძალული საქმიანობის დასაფარავად მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით და ის განჭვრეტს მოქალაქეებისთვის, ორგანიზაციებისთვის ან სახელმწიფოსთვის დიდი ზიანის მიყენების შესაძლებლობას და სურს ან გაცნობიერებულად უშვებს ასეთი შედეგის დადგომას.

ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალი (სიები), რომლებიც შეტანილია წითელ წიგნში და მისგან ამოღებულები

– წითელი წიგნის შემადგენელი ნაწილი. ჩამონათვალის მომზადება და გაერცელება ხდება მის გამოცემებს შორის პერიოდში.

ცხოველთა სამყარო

1) ბუნებრივი ობიექტი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ეკოლოგიური მნიშვნელობა და დაცულია ბუნების შემადგენელი ნაწილის სახით; 2) ბუნებრივი რესურსი, რომელიც გამოიყენება და დაცულია, როგორც შესაბამის ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხთა სიცოცხლისა და საქმიანობის საფუძველი; 3) საკუთრებისა და ცხოველთა სამყაროზე სხვა უფლებების ობიექტი; ამ ორ უკანასკნელ თვისებაში ცხოველთა სამყაროს გააჩნია დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა; 4) რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაში ცხოველთა სამყარო განისაზღვრება, როგორც „ყველა სახის გარეული ცხოველების ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც მუდმივად ან დროებით ბინადრობენ ქვეყნის ტერიტორიაზე და იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში და ასევე განეკუთვნებიან კონტინენტური შელფისა

და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ბუნებრივ რესურსებს".

ცხოველთა სამყაროს ბიოლოგიური მრავალფეროვნება – იხ. ბიოლოგიური მრავალფეროვნება.

ცხოველთა სამყაროს გამომყენებლები – მოქალაქეები და იურიდიული პირები, რომელთაც კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ცხოველთა სამყაროთი.

ცხოველთა სამყაროს დაცვა – ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების შემადგენელი ნაწილი.

ცხოველთა სამყაროს მონიტორინგი – იხ. ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი.

ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენება – ცხოველთა სამყაროს ობიექტების შესწავლის, მოპოვების ან სხვა ხერხებით აღნიშნული ობიექტებისგან სარგებლის მიღების საქმიანობა, ადამიანის მატერიალური ან სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მათი სამყოფელი გარემოდან ამოღებითა და ასეთის გარეშე. **იხ. ასევე წყლის ობიექტებით სარგებლობა, ცხოველთა სამყაროს ობიექტების მყარი გამოყენება.**

ცხოველთა სამყაროს ობიექტების მყარი განვითარება – ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენება, რაც შორეულ პერსპექტივაში არ იწვევს ცხოველთა სამყაროს ბიოლოგიური მრავალფეროვნების გაღარიბებას და ამასთან ნარჩუნდება ცხოველთა სამყაროს გამრავლებისა და მყარი არსებობის უნარი. **იხ. ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენება.**

ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო აღრიცხვა – 1) სახელმწიფო ეკოლოგიური აღრიცხვის სახე (იხ. ასევე ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედებებისა და მათი წყაროების სახელმწიფო აღრიცხვა, ტყის ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სახელმწიფო აღრიცხვა, პოტენციურად საშიში და ბიოლოგიური ნივთიერებების სახელმწიფო აღრიცხვა); 2) მართვის ფუნქცია ცხოველთა სამყაროსა და მისი საცხოვრებელი გარემოს გამოყენების რეგულირების, დაცვისა და აღდგენის დარგში, რომელიც წარმოადგენს დადგენილი წესით ცხოველთა სამყაროს ობიექტების რაოდენობის, მათი გეოგრაფიული გავრცელების სისტემატურ განსაზღვრას, ასევე მათი გარემოს დახასიათებას, ინფორმაციას მათი სამეურნეო გამოყენების შესახებ და სხვა აუცილებელ მონაცემებს (**იხ. ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო კადასტრი**). ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო აღრიცხვას ახორციელებს ცხოველთა სამყაროს ობიექტებისა და მათი საცხოვრებელი გარემოს დაცვის, კონტროლისა და გამოყენების რეგულირების სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები და ცხოველთა სამყაროს გამომყენებლები მთაერობის მიერ დადგენილი წესით.

ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი – გარემომცველი ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის სისტემის შემადგენელი ნაწილი (ქვესისტემა) (იხ. ასევე: ატმოსფერული ჰაერის სახელმწიფო მონიტორინგი, წყლის ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი, წყლის ბიოლოგიური რესურსების მონიტორინგი, წიაღის მდგომარეობის სახელმწიფო მონიტორინგი, მიწის მონიტორინგი, ტყეების მონიტორინგი); 2) ცხოველთა სამყაროს ობიექტების გავრცელებაზე, რაოდენობაზე, ფიზიკურ მდგომარეობაზე, მათი გარემოს სტრუქტურაზე, თვისებასა და ფართობზე რეგულარული დაკვირვებების სისტემა, რომელიც ხორციელდება აღნიშნული პარამეტრების ცვლილებათა დროული გამოვლენის, მათი შეფასების, ნეგატიური პროცესებისა და მოვლენების შედეგების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მიზნით ბიოლოგიური მრავალსახეობის შესანარჩუნებლად, ცხოველთა სამყაროს ობიექტების მყარი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად და მათი მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენებისთვის.

ცხოველთა სამყაროს ობიექტების ფონდი – ბუნებრივი რესურსების ფონდთა სახე (**იხ. წყლის ფონდი, წიაღის სახელმწიფო ფონდი, მიწის ფონდი, ტყის ფონდი, ბუნებრივი ნაკრძალის ფონდი**) – ცხოველთა სამყაროს ობიექტების ერთობლიობა სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში, რომლებიც შედიან ან ექვემდებარებიან შეყვანას ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო კადასტრში.

ცხოველთა სამყაროს ობიექტი – ცხოველური წარმოშობის ორგანიზმი (ველური ცხოველი) ან მისი პოპულაცია.

ცხოველთა სამყაროს სამკვიდრებელი გარემო – ბუნებრივი გარემო, რომელშიც ცხოველთა სამყაროს ობიექტები ბინადრობენ ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში.

ცხოველთა სამყაროს სამკვიდრებელი გარემოს დაცვა – საქმიანობა, რომელიც მიმართულია ცხოველთა სამყაროს ობიექტების მყარი არსებობისა და კეთილეწარმოების პირობების შენარჩუნებასა თუ აღდგენაზე. იხ. ასევე ცხოველთა სამყაროს სამკვიდრებელი გარემო.

ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრი – 1) ბუნებრივ-რესურსული კადასტრების სახე (იხ. ასევე წყლის სახელმწიფო კადასტრი, მიწის სახელმწიფო კადასტრი, სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების სახელმწიფო კადასტრი, განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახელმწიფო კადასტრი, ტყის სახელმწიფო კადასტრი); 2) დოკუმენტირებული ცნობების სისტემატიზირებული კრებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების გეოგრაფიული გავრცელების, მათი რაოდენობის, მათი სამყოფელი გარემოს, სამეურნეო გამოყენების შესახებ და სხვა აუცილებელი ცნობები.

ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონმდებლობის დარღვევა იხ. ეკოლოგიური სამართალდარღვევა.

ძ

ძალადობა (ძალისმიერი ქმედებები) – იხ. ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

ძალადობის თეორია – დასავლეთში,

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორია, მისი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან გერმანელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი ე. დიურინგი (1833-1921), ავსტრიელი სოციოლოგი და სახელმწიფოთმცოდნე ლ. გუმპლოვიჩი (1838-1909) და ცნობილი „მარქსიზმის რევიზიონისტი" კ. კაუცკი (1854-1938). ძალადობის თეორიის ქვაკუთხედს წარმოადგენს მტკიცება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოქმნის მთავარი მიზეზი მდგომარეობს არა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და კლასების წარმოქმნაში, არამედ ერთი ტომების მიერ სხვათა დაპყრობაში, ძალადობაში, დამონებაში. „ისტორია ერ გვიჩვენებს ვერცერთ მაგალითს – მსჯელობდა ამასთან დაკავშირებით ლ. გუმპლოვიჩი თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „ზოგადი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ" სადაც სახელმწიფო წარმოიქმნა არა ძალადობის აქტის მეშვეობით, არამედ სხვაგვარად. გარდა ამისა, ეს ყოველთვის იყო ერთი ტომის მეორეზე ძალადობა, ის გამოიხატებოდა უფრო ძლიერი, უცხო ტომის მიერ სუსტი, მკვიდრი მოსახლეობის დაპყრობასა და დამონებაში".

ერთი ტომების და ხალხის მეორეზე ძალადობისა და დაპყრობის, დამონების შედეგად გამარჯვებულები წარმოქმნიან მმართველ კლასს, ხოლო დამარცხებულები და დამონებულები „მუშათა და მოსამსახურეთა კლასს". სწორედ ტომებში, მათ ურთიერთბრძოლაში შეგვიძლია ვაღიაროთ „სახელმწიფოს მთავარი, ძირითადი ნაწილები, ნამდვილი ქვაკუთხედი, ტომებში, რომლებიც ნელ-ნელა ხდებიან კლასები და წოდება. სწორედ ამ ტომებისგან იქმნება სახელმწიფო. ისინი და მხოლოდ ისინი უსწრებენ წინ სახელმწიფოს" – თელიდა გუმპლოვიჩი და მასთან ერთად, მისი თანამოღვაწენი. ამასთან, ძალადობა განიხილება არა როგორც შეზღუდული, ლოკალური, არამედ გლობალური და ამასთან, „ბუნებრივი" მოელენა არა მხოლოდ, როგორც სახელმწიფოს ერთმანეთთან მოპაექრე ორი „ელემენტის" – გამარჯვებულებისა და დამარცხებულების, მმართველებისა და სამართაველის – ერთიანობას, არამედ შორს მიმავალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგების მქონეს. მათ შორის ყველაზე ძირითადია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოქმნა და განვითარება. ძალადობის თეორია, ისევე როგორც სხვა თეორიები ასახავს საზოგადოების მხოლოდ ზოგიერთი ფენის შეხედულებებს სახელმწიფოს ბუნებაზე და მის წარმოშობაზე.

ძალით მიყვანა – პირის ძალით მიყვანა

მოკლეების მწარმოებელ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში. საჭიროებისას ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, ასევე დაზარალებულს ან მოწმეს შეიძლება ჩამოერთვას ვალდებულება გამოცხადების შესახებ. ვალდებულება გამოცხადების შესახებ მდგომარეობს პირის წერილობით ვალდებულებაში დროულად გამოცხადდეს მოკვლევის მწარმოებელ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოძახების შესაბამისად. ხოლო საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას დაუყოვნებლივ აცნობოს მათ ამის შესახებ. პირს განემარტება ვალდებულების დარღვევის შედეგები, რის შესახებაც შესაბამისი აღნიშვნა კეთდება ვალდებულებაში. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას ეჭვმიტანილი, ბრალდებული, ასევე დაზარალებული და მოწმე შეიძლება დაექვემდებაროს ძალით მიყვანას. ძალით მიყვანა არ შეიძლება განხორციელდეს ღამის საათებში, გადაუდებელი შემთხვევების გარდა. ძალით მიყვანას არ ექვემდებარებიან 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანები, ორსული ქალები, ავადმყოფები, რომელთაც გადაადგილება აკრძალული აქვთ ექიმის ჩვენებით. ძალით მიყვანას აწარმოებენ მოკვლევის ორგანოები მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილების, ხოლო საჭიროებისას სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

ძალის გამოყენების მუქარა – ერთი

სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ სხვა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, რომლებიც ემსახურებიან შეიარაღებული ძალის გამოყენების მზადყოფნის ჩვენებას და როგორც წესი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ზეწოლის მოხდენას. საერთაშორისო სამართალი კრძალავს, როგორც ძალის გამოყენებას, ასევე ძალის გამოყენების მუქარასაც. ამის მიუხედავად, ყოველთვის როდი შეიძლება დამაჯერებლად მოხდეს ამა თუ იმ ქმედების, როგორც ძალის გამოყენების მუქარის კვალიფიკაცია. ხშირად მოპყავთ არგუმენტი, რომ თავად ზესახელმწიფოების არსებობაც კი, არსებითად შეიძლება განვიხილოთ როგორც ძალის გამოყენების მუქარა.

ძარცვა ხხვისი ქონების ღია დატაცება,

რომელიც ხორციელდება ქონების მესაკუთრის ან სხვა მფლობელის ან უცხო პირთა თანდასწრებით, როცა ამ დანაშაულის ჩამდენი პირი აცნობიერებს, რომ დამსწრე პირები ხედებიან მისი ქმედებების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს იმის მიუხედავად, იღებდნენ თუ არა ისინი ზომებს ამ მოქმედებების აღსაკვეთად.

ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ – სამართლის წიგნი, რომელიც

1335 წელს გიორგი V საგანგებოდ მთიულეთისათვის შეადგინა. XVIII ს-ის დასაწყისში იგი ჩართეს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, ვითარცა „სამართალი მეფის გიორგისა". ვახტანგისეული ტექსტის გარდა ძეგლმა ჩვენამდე იმ ერთადერთი, XVII საუკუნის ნაკლული ნუსხითღა მოაღწია, რომელმაც „გარიგება ხელმწიფის კარისა" შემოგვინახა. კანონმდებლის მიზანი იყო მტკიცე წესრიგის დამყარება მთიულეთში, რომელიც სამეფო დღემენს ეკუთვნოდა, გარდა ამისა საჭირო იყო ხელი შეწყობოდა იქაური ადრინდელი კლასობრივი, წინაფეოდალური საზოგადოების შემდგომ ფეოდალიზაციას. სჯულმდებელმა თვითონ ადგილობრივ გამოიკვლია ვითარება და შემდეგ თბილისში გაიმართა საგანგებო საკანონმდებლო კრება, რომელსაც შერჩევით და სათათბირო ხმით, მთიულთა ნახევრად სახალხო და ნახევრად სამეფო მოხელე ხეუსებერები და აგრეთვე თავკაცები, ე.წ. ეროვანნიც დაასწრეს. ძეგლიდან ცხადად ჩანს, რომ მთიულებში უკვე შერყეულ გვაროვნულ-

თემურ ზნე-ჩვეულებებს კლასობრივი წარჩინება-ჩაგვრა უპირისპირდებოდა. ხალხი სახელმწიფო მართვა-გამგეობას ძნელად იგუებდა. ამასთან ქვეყანას მოსდებოდა „მრავალფერნი უღუსობანი“ (ე.ი. მონღოლთა ბატონობით მოელენილი ურიგობა და ძალმომრეობა). ძეგლი პრეამბულასა და 46-ე მუხლს მოიცავს. ისინი მოსაწესრიგებელი საგნისდა მიხედვით დალაგებულია ერთნაირი შინაგანი სისტემით.

ამოსაელად მიჩნეულია, რომ „ხელმწიფის დარბაზისა და საეაზიროს სრულმოქმედება მიწის (მამულის) ჭერა განპირობებულია სამსახურით“. კეთილშენაძენი, „ნასყიდი“ თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაშია. სასჯელის მუქარით აკრძალულია სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი საქმიანობა თავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, საერისთაოს საზღვარს გარეთ. დაწესებულია სასჯელი ლაშქარში გამოუსელელობისათვის. წინა ალანზე წამოწეულია საჯარო-სამართლის სასჯელები (გაძეება, შამულის ჩამორთმეება და ციხის დაქცევა, ჯარიმა, ბეგარა, გასარსვა და სხვა). დაკანონებულია კომპოზიცია, მეტადრე „სისხლი“, აგრეთვე უარზანგობა თუ საუპატიო და გერში – სხეულის დაზიანების საზღაური. ძეგლი იწყება დანაშაულებით ადმინისტრაციულ წარმომადგენელთა სიცოცხლის წინააღმდეგ, განსაკუთრებით დაცულია აგრეთვე ხელისუფლების დასაყრდენი ფენა ხალხში (სეფისბერების მოგვარეთა და ძირითად სამხედროალდებულთა, ეროვანთა, სიცოცხლე). უმძიმეს დანაშაულადაა მიჩნეული მშობლის და ძმის მკვლელობა. გამოცალკევებით წესრიგდება დიდი სალოცავის ლომისისათვის მეფე-წარჩინებულთაგან შენაწირი გლეხის მკვლელობა. დაგმობილია უდანაშაულო ცოლის „დაგდება“ და სხვისი ცოლის მოტაცება. კანონი ებრძვის შურისგებასა და თვითნებურ ანგარიშის გასწორებას, აღიარებს აუცილებელი მოგვრების უფლებას, აწესრიგებს თანამონწილეობის საკითხს. საქმეები გადახდეულებით ისჯება ქურდ-მეკობრის მოკვლის დაუსჯელობა, საზღვარი ქედის მევახშეობას. ძეგლი, ადგილობრივი დანიშნულების მიუხედავად საერთო სახელმწიფოებრივი კანონიერების უზრუნველყოფას ემსახურებოდა და სამართლის მოწესრიგების გაუმჯობესებულ ხერხებს იყენებდა. ამიტომაც ვახტანგ VI-ის კორპუსის პრეამბულის მოწმობით, მისი მიხედვით „სჯიდნენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი“. ძეგლი პირველად გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ (1913), შემდეგ ს. მაკალათიამ (1937, 1963). ძეგლი ვახტანგ VI-ის მთელ კორპუსთან ერთად ითარგმნა და ორჯერ გამოიცა რუსულად, თარგმნილია აგრეთვე ინგლისურად (ო. უორდროპი, 1914) და ფრანგულად (ი. კარსტი, 1935).

ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲐ, ᲫᲔᲒᲚᲘᲡᲬᲔᲠᲐ – შუა საუკუნეების საქართველოში საკანონმდებლო აქტის დადგენა-ჩამოყალიბება საბუთად „გაწერა და დადება“ ძეგლად; თვითონ ასეთი საკანონმდებლო ძეგლი („განანერი“) განმტკიცებული სახით. ეარაუდობენ, რომ ძეგლის დადებაში აღიბეჭდა უძველესი ხერხი კანონის გამოკვეთისა ქვის სვეტზე (მაგ., ხაშურაბის კანონები). ძეგლის დადების მსგავსი გამოთქმები საბუთებში იშვიათი როდია, მაგრამ თვით ამ სახელწოდების აქტებად ცნობილია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა და „ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ“ (წყარო ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა ტ. I თბ., 1955, გვ. 458; ივ. ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორია. წიგნი I ტფილისი, 1928 თხზულება, ტ. 6, თბილისი, 1982).

ᲫᲔᲒᲚᲘ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲗᲐ XIV-XV ᲡᲡ. მიჯნის ქართული საისტორიო ძეგლი – ქსნის ერისთაოთა საგვარეულო მატიანე. შედგენილია ლარგვისის მონასტერში ავგაროზ ბანდაისის ან მისი ვაჟის – გრიგოლის მიერ. ძეგლის პირველი ნაწილი, რომელიც ფოლკლორულ ცნობებს და ძველ ქრონიკებს ემყარება, საყურადღებო ცნობებს შეიცავს ადრინდელი ფეოდალური ხანის ალმოსავლეთ საქართველოზე. მეორე ნაწილში მოთხრობილია ქსნის საერისთაოს ისტორია XIII ს. 90-იანი წლებიდან 1405 წლამდე.

ᲫᲔᲚᲘ (სამართ. ისტ.) სასჯელის იარაღი ძველ საქართველოში. სიტყვა „ძელით“ ძველ ქართულში აღინიშნებოდა ხე, ღერე ანუ მორი და ჯვარი („ძელი გარდაჭდობილი სასიკვდილოთა კაცთა დასამსჭვალავად“ და დასჯის იარაღის სახელიც აქედან წარმოდგა. „ძელი“ დამნაშავის (თანახმად „ძუელისა სჯულისა“ მპარავმეკობრეთა ავაზაკთა) ჩამოსახრობი მოწყობილება იყო. ასე დასჯილს „ძელსა მიცემა“ (ალბმა), ანუ „ძელსა ზედა ჩამორჩობა“ და „ძელსა ზედა დამოკიდება“ ერქვა. მემატიანეს ცნობით ბასილი უჯარმელი-ჭყონდიდელი „დამოჰკიდეს ძელსა შუა ქალაქსა“. ძელი წამების და მოკვდინების იარაღადაც გამოიყენებოდა და საზოგადოდ „ძელზე გასმა“, ჯვარცმას ან სარზე დასმას ნიშნავდა. ძელის ალმართვა და ძელით დასჯა იხსენიება ბიბლიაშიც. და ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში (კათალიკოსთა სამართალი, ბიჭვინთის იადგარი, სამართალი ბატონიშვილის დავითისა და სხვა).

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲥᲕᲔᲑᲘ – ბუნებრივი ალმასები, ზურმუხტები, ლალი, საფირონები და ალექსანდრიტები, ასევე ბუნებრივი მარგალიტი დაუმუშავებელი (ბუნებრივი) და დამუშავებული სახით. ძვირფას ბუნებრივ ქვებს უტოლდება უნიკალური ქარვის წარმონაქმნები, რომელსაც ადგენს მთავრობა.

უნიკალური ქარვის წარმონაქმნების ძვირფასი ბუნებრივი ქვებისადმი განეკუთვნების ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს: ა) მასა 1000 გრამზე ზემოთ; ბ) ფორმა – მრავალგვარი, ფანტაზიური, რომელიც უკავშირდება ქარვის შედაღეროვანი წარმოქმნის პირობებს; გ) მთლიანობა – შედარებით მონოლითური თავისი სტრუქტურით (არა ნაკლებ 80%), რომელიც შეიცავს გამჭოლ ნიჟარას, ვიზუალურ ნაპრალებს, რაც საფრთხეს უქმნის ნიმუშის მთლიანობას; დ) ჩანარჩენი – გამჭვირვალე ნიმუშები 10 მმ-ზე მეტი, კარგად შენარჩუნებული ფლორისა და ფაუნის ჩანართებით; ე) ფერი – მრავალფეროვანი ფერთა გამა, რომელიც ახასიათებს ქარვას.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘ – ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები (პალადიუმი, ირიდიუმი, როდიუმი, რუთენიუმი და ოსმიუმი). ძვირფასი ლითონების მოცემული ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ კანონით. ძვირფასი ლითონები შეიძლება იყოს ნებისმიერ მდგომარეობაში, სახით, მათ შორის, თვითნაბადი და აფინირებული სახით, ასევე ნედლეულში, შენადნობში, ნახევარფაბრიკატებში, სამრეწველო პროდუქტებში, ქიმიურ ნაერთებ-

ში, საიუველირო და სხვა ნაკეთობაში, მონეტებში, ნამსხვრევებში, წარმოებისა და მოხმარების ნარჩენებში. ძვირფას ლითონებად ითვლება ოქროს, პლატინისა და ვერცხლის ზოლი, ასევე ძვირფასი ლითონების (ოქროს, პლატინის, ვერცხლის) მონეტა, რომელიც ბრუნვაშია და წარმოადგენს კანონიერ საგადასახადო საშუალებას (მათ შორის, ბრუნვიდან ამოღებული, მაგრამ გაცვლის ქვეშ მყოფი).

ძვირფასი ლითონების, ბუნებრივი ძვირფასი ქვების ან მარგალიტის უკანონო ბრუნვა – გარიგება, რომელიც უკავშირდება ძვირფას ლითონებს, ბუნებრივ ძვირფას ქვებს ან მარგალიტს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით, ასევე მათი უკანონო შენახვა, გადატანა ან გადაგზავნა ნებისმიერი სახით, მდგომარეობით, საიუველირო და საყოფაცხოვრებო ნაკეთობების და ასეთი ნაკეთობების ნატეხების გარდა.

ძვირფასი ლითონების მოპოვება – ძვირფასი ლითონების მიღება ძირითადი (მადანის) ქვიშრობისა და ტექნოგენური საბადოებიდან კონცენტრატებისა და სხვა ნახევარპროდუქტების მიღებით, რომლებიც შეიცავენ ძვირფას ლითონებს.

ძირითადი სასჯელი სასჯელის ყველაზე მკაცრი სახეებია: სავალდებულო სამუშაოები, გამოსასწორებელი სამუშაოები, სამხედრო სამსახურში შეზღუდვები, დაკავება, თავისუფლების აღკვეთა გარკვეული ვადით, სამუდამოდ. ძირითადი სასჯელი შეიძლება გამოტანილ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი და ერთმანეთისგან გამოყოფილი. მოცემული კატეგორია არ შეიძლება შეფარდებულ იქნეს სხვა სახის სასჯელთან დამატების სახით.

ძლიერმოქმედი ან შხამიანი ნივთიერებების უკანონო ბრუნვა გასაღების მიზნით – ძლიერმოქმედი ან შხამიანი ნივთიერებების დამზადება, გადამუშავება, შეძენა, შენახვა, გადატანა ან გადაგზავნა გასაღების მიზნით, ასევე მათი გასაღება დადგენილი წესების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე, რომელსაც იძლევიან ხელისუფლების ორგანოები სამეცნიერო, სამედიცინო ან სხვა სახის საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

ძუძუს ბავშვობის ასაკი – ჩვილი ბავშვობის პერიოდი დაბადებიდან მეორე წლის დაწყებამდე იყოფა 4 პერიოდად: 1) ახალდაბადებულობის (1 თვე), როცა ინსტინქტებისა და თანდაყოლილი რეფლექსების მეშვეობით ბავშვი ეგუება გარემოს და უმეტეს დროს სძინავს; 2) 1 თვიდან 4 თვემდე, ძირითადი ფუნქციაა გარე სინამდვილის აღქმის განვითარება, დედას გამოყოფს გარემოსაგან, იწყებს ღიმილს. 3) „ხელის მოკიდების“ ანუ „ტაცების პერიოდი (5 თვიდან), ბავშვი მიისწრაფვის ხელი მოჰკიდოს საგანს და პირისაკენ წაიღოს, რის შედეგადაც ეუფლება თავის სხეულს; ხდება აქტიური სუბიექტის პირველი ჩასახვა, რაც ნებისმიერი ქცევის (ე.ი. ნებელობის) პირველ ჩასახვად ითვლება; 4) ძუძუს ბავშვობის ასაკის მეორე ნახევარი (6-7 თვიდან წლამდე ან წლინახევრამდე), ბავშვი სწრაფად ეუფლება თავის სხეულს. ფოფხავს, ჯდება, სწავლობს სიარულს, რის შემდეგაც მისთვის პრაქტიკულად მისაწვდომი ხდება სივრცე და უფართოვდება სივრცეში ორიენტაციის უნარი, იწყება „პრაქტიკული ინტელექტის“ პირველი ჩასახვა – გონიერი მოქმედების უნარის განვითარება.

წ

წამება – ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის მიყენება სისტემატური ცემის ან სხვა ძალადობრივი ქმედებების გზით. წამების ხერხები სისტემატურ ცემასთან ერთად შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც უკავშირდება ტკივილის მრავალჯერად ან ხანგრძლივ მიყენებას – წიწკნა, შოლტვა, მრავალჯერადი, თუმცა მცირე დაზიანებების მიყენება ბლაგვი ან წვეტიანი საგნებით, თერმული ფაქტორების ზემოქმედება, სუნთქვის ბლოკირება, ელექტროდენის გამოყენება, შეურაცხმყოფელი ხასიათის ძალისმიერი მოქმედებები და ა.შ.

სხეულისთვის მსუბუქი დაზიანებების მიყენება ან ცემა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც წამება, თუ ბრალდების ერთ ან რამდენიმე ეპიზოდზე, რაც იძლევა საფუძველს პირის მოქმედები კვალიფიცირებულ იქნეს სისტემატურის სახით, ამოიწურა ხანდაზმულობის ვადა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისთვის ან ამ პირის მიმართ ალრე ამ ქმედებებზე გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სასჯელის ზომები და არ გაუქმებულა დადგენილებები ასეთი ზომების გამოყენების შესახებ.

წამების დაუშვებლობა: საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შედარებითი ანალიზი.

1. დეფინიცია

კონვენცია „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან სასჯელის წინააღმდეგ“ (შემდგომში „კონვენცია) წამებას შემდეგნაირად განმარტავს: „ნებისმიერი ქმედება, რომლითაც მძიმე ფიზიკური ან ფსიქიური ტკივილი ან ტანჯვა განზრახ მიადგა პირს...“.

საქართველოს კანონმდებლობაში წამების დეფინიცია სსკ-ის 126-ე მუხლშია მოცემული: „სისტემატიური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი“.

(117-ე მუხლი ეხება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, ხოლო 118-ე მუხლი – ნაკლებად მძიმე დაზიანებას)“

ისეთი ცნებების განმარტებას, როგორებიცაა „ცემა“, „სისტემატიური“, „ძალადობა“, „ნებისმიერი ქმედება“, „ტკივილი“, „ტანჯვა“ და ა.შ. – არც კონვენცია და არც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა. კონვენციის შემთხვევაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა. კონვენციის შემთხვევაში

ზემოხსენებულ ცნებათა განმარტებების კონკრეტულ საქმეებზე არსებულ დასკვნებსა და კომენტარული ხასიათის მასალებში ეხვედებით, ხოლო ქართულ სამართალში – სისხლის სამართლის კომენტარებში.

2. წამების დაუშვებლობა და დასჯადობა

კონვენციის მე-4 მუხლის მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წამებისა და წამების მცდელობის ყველა აქტი დანაშაულად ითელებოდეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტი წამებას, არაჰუმანურ, სასტიკ ან პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას ან ასეთი სასჯელის გამოყენებას დაუშვებლად მიიჩნევს. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი კი დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას კრძალავს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 335-ე მუხლები წარმოადგენს იმ სამართლებრივ ბაზას, სადაც კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წამების დაუშვებლობისა და დასჯადობის პრინციპებია ასახული.

კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით წამება განზრახ უნდა იქნეს ჩადენილი და კონკრეტული მიზნის მისაღწევად იქნეს მიმართული. ასეთ მიზნებად კონვენცია მოიაზრებს დაზარალებულის ან მესამე პირისაგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვებას ან დასჯას ისეთი ქმედებისათვის, რომელიც ჩაიდინა პირმა ან ეჭვმიტანილია მის ჩადენაში.

სსსკ-ის 126-ე მუხლი არ მიუთითებს კონკრეტულ მიზანზე, რასაც წამება შეიძლება ემსახურებოდეს. შესაბამისად ამ მუხლის ფართო გაგებით, იგი მოიცავს წამების კონვენციისეულ გაგებასაც და სხვა შემთხვევებსაც, რომლებზეც კონვენცია შეიძლება პირდაპირ არ ვრცელდებოდეს. სსსკ 126-ე მუხლის მეორე ნაწილში ყურადსაღებია ისეთი დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც დამნაშავეს „უიოლებს" დაზარალებული პირისთვის ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილის ან ტანჯვის მიყენებას; კერძოდ, არასრულწლოვანის წამება, დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულების მიმართ, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით.

აქვე უნდა აღინიშნოს სსკ 335-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილი მოიხსენიებს წამებას, როგორც თანდართულ საშუალებას პროკურორის, გამომძიებლის, ან მოკლეულის მიერ მუქარით ან სხვა უკანონო ქმედებით ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დაზარალებულის ან მოწმის იძულებისათვის ჩვენების მისაცემად ან ექსპერტისთვის დასკვნის მისაცემად.

სსსკ 126-ე მუხლი გამორიცხავს ქმედების წამებად დაკვალიფიცირებას, თუ წამების დეფინიციაში მოცემულ ქმედებას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. თუ ასეთი განზრახვა – პირდაპირი ან არაპირდაპირი – არ დასტურდება, მაშინ შესაძლოა ერთობლიობაში იქნას განხილული წამებისა და გაუფრთხილებლობით მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენების მუხლები, ხოლო თუ არც ბრალის გაუფრთხილებლობით ფორმასთან გვაქვს საქმე, მაშინ წამების მუხლის დისპოზიციური ნაწილი ართულებს ქმედების წამებად დაკვალიფიცირებას. სასურველი იქნებოდა სსსკ 126-ე მუხლის დისპოზიცია არ ახდენდეს მიმართებას 117-ე და 118-ე მუხლებზე და ამის ნაცვლად წამების გამო დამდგარ სხვა შედეგებს – გარდა ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვისა – მიიჩნეოდეს დამამძიმებელ გარემოებად.

წამების საშიშროება გაძევების, დაბრუნების და გადაცემის დროს – კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისაგან, რომ მათ არ გააძევონ, დააბრუნონ ან გადასცენ პირი სხვა სახელმწიფოს, სადაც, მისი წამების ვარაუდის რეალური საფუძველი არსებობს. საქმე ეხება ე.წ. პოზიტიურ ვალდებულებას, ანუ ვალდებულებას არა მხოლოდ აწამო, არამედ აღკვეთო ან არ დაუშვა წამების შესაძლებლობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლითა და სსსკ 4-6-ე მუხლებით დადგენილია, რომ:

ა) საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია;

ბ) საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო შეთანხმებით და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გ) უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი შეიძლება გადაეცეს უცხო სახელმწიფოს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად, გარდა იმ შემთხვევისა თუ პირს დევნიან პოლიტიკური მრწამსისთვის, ან პირს ჩადენილი აქვს ქმედება, რომელიც საქართველოში დანაშაულად არ ითელება, ან იმ სახელმწიფოში, რომელიც ითხოვს გადაცემას ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმდებლობა არ მიუთითებს წამების საშიშროებაზე, როგორც გაძევების, დაბრუნების ან ექსტრადიციის გამომრიცხავ ფაქტორზე.

4. წამების დაუშვებლობა ომისა და საგანგებო მდგომარეობის დროს

კონვენციის მე-2 მუხლის მეორე ნაწილი გამორიცხავს ომს, ომის საშიშროებას, შიდაპოლიტიკურ არასტაბილურობას ან ნებისმიერ საგანგებო მდგომარეობას, როგორც წამების გამამართლებელ არგუმენტს.

აქვე საყურადღებოა ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების მე-3 საერთო მუხლი, რომელიც ადგენს საომარი მდგომარეობის დროს დასაცავი მინიმალური პუმანიტარული წესების ერთობლიობას. ერთერთი ასეთი წესი სწორედ წამების დაუშვებლობაა და საერთაშორისო სასამართლომ იგი აღიარა იმპერატიული ხასიათის ნორმად ერთ-ერთ საქმეზე ნიკარაგუა-აშშ-ს დაპირისპირებისას.

საქართველოს კონსტიტუციაში საინტერესო მომენტს ეხვედებით, კერძოდ, მე-18 მუხლით დადგენილი უფლებების შეზღუდვა დაიშვება საგანგებო მდგომარეობის დროს კონსტიტუციის 46-ე მუხლით. ეს უკანასკნელი არ განასხვავებს ერთმანეთისგან მე-18 მუხლით დადგენილ უფლებებს. ერთი შეხედვით, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით აკრძალული ქმედება – დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება – რომელიც შესაძლოა წამების, ან სხვა სასტიკი ან არაადამიანური მოპყრობის ფორმას წარმოადგენდეს, ექვემდებარება შეზღუდვას.

5. ზოგადი ხასიათის შენიშვნები

– კონვენციასთან შეერთების დროს მისი ოფიციალური თარგმანი არ არსებობდა.

– კოდექსში არასისტემურად და არასრულყოფილადაა მოცემული წამების კონვენციისეული გაგების სხვადასხვა კომპონენტი (მუქარა, ჩვენების მიცემის იძულება, ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება).

6. საქართველოს ანგარიში წამების საწინააღმდეგო კომიტეტში (1996 წ.).

ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲢᲘᲞᲔᲑᲘ წამების, ძირითად 15 სახეს არჩევენ, მათი განსხვავების საფუძველია ფიზიოლოგია, გამოყენებული მეთოდები და ინსტრუმენტები. წამების სახეებია: 1) გაუსატიურება; 2) წამება აკრძალეის საშუალებით; 3) იძულებითი პოზები; 4) ელექტრული მუხტის გამოყენება; 5) ცემა; 6) დასახიჩრება; ნაჩხვლეტები, ჭრილობები, ნამწვავები და ა.შ. 7) იძულებითი ინექციები; 8) ჩამოკიდება, გადაგდება, გაჭიმვა; 9) მედიკამენტების, ან არათერაპიული საშუალებების გამოყენება; 10) დაწვა; 11) წყალში ჩაძირვა ("წყალქვეშა ნაცი"); 12) ნერვებზე ზემოქმედება, ხმით, ან სინათლით ზემოქმედება; 13) ფსიქოლოგიური წამება; 14) იძულების მუქარით დოკუმენტებზე ხელის მოწერა; 15) შეურაცხყოფა, ან სასტიკი მოპყრობა.

ᲓᲐᲠᲓᲒᲘᲜᲔᲑᲐ – სისხლის სამართლის პროცესში საპროკურორო რეაგირების აქტი, თუმცა ცნება „წარდგინება" გამოიყენება სხვა მნიშვნელობითაც: როგორც მოკლეევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის წარდგინება დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების აღმოუხვრის ზომების მიღების შესახებ. ესაა ერთადერთი გამონაკლისი ცნების ზოგადი გამოყენების წესიდან.

ᲓᲐᲠᲓᲒᲘᲜᲔᲑᲐ (ᲤᲝᲠᲛᲐ-ᲜᲘᲛᲣᲨᲘ) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის დებულების

დანართი 1

უმაღლესი სასწავლებლის დასახელება

სტუდენტთა შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის კომისიამ ადგილი მიანიჭა ფაკულტეტის კურსის სტუდენტის (სტუდენტების)

1.

2.

3.

ნაშრომს

ნაშრომის დასახელება

დისციპლინაში

ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელია

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ᲓᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲐ (ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ)

აქ გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, სასარგებლო გამოდგეს ჩვენი დეპუტატებისა და სახელმწიფო აპარატის მუშაკებისათვის

როჯერ დუგლასი, „უოლ-სტრიტ ჯორნელი", ნიუ-იორკი

როგორც ბოლო 50 წლის მანძილზე დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ქვეყნების გამოცდილებამ, ასევე, მრავალმხრივმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, 10-დან 8 შემთხვევაში, ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციის მთავარი მიზეზი იყო აუცილებელი და გადაუდებელი რეფორმების დაგვიანება.

თეითონ იდეა, რომ მთავრობამ მაინც შეიძლება შეინარჩუნოს ძალაუფლება, თუ ვერ გაატარებს აუცილებელ და კონსტრუქციულ რეფორმებს, უაზრობაა. ეისაც ასეთი რამეები სჯერა, ან ცდილობს ამის გაკეთებას, ადრე თუ გვიან, საზოგადოების რისხვა ატყდება თავს.

სწორედ შორსმჭვრეტელური და გულმოდგინედ აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილებანი აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას, აუმჯობესებს ამოშრჩეველთა მატერიალურ მდგომარეობას და იწვევს აქტიურ მხარდაჭერას მთავრობისადმი, რაც ყოველთვის და ყველგან აუცილებელი პირობაა ნებისმიერი გადაწყვეტილების შესასრულებლად.

იგი ფიქრობს, რომ ჯერ აუცილებელია საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევა და მხოლოდ ამის შემდეგ – რეფორმები. ამის გამო იწყებენ კომპრომისების პოლიტიკას გატარებას, მაგრამ, როგორც გეიჩვენებს მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება, ეს ასე არ ხდება. კონსენსუსი მიიღწევა თანდათანობით, იმისდა მიხედვით, თუ რა ნაბიჯებს დგამს მთავრობა და რა შედეგები მოაქვს ამას საზოგადოებისათვის. მრავალრიცხოვანი გამოკვლევების საფუძველზე ჩვენ გამოვყოფდით 10 ძირითად წესს, როგორც რეფორმების წარმატების აუცილებელ პირობას:

პირველი და მთავარი: ღრმად გააზრებული, გულმოდგინედ დამუშავებული გადაწყვეტილებანი. ღონისძიებათა მიღება და მათი შესრულება მოითხოვს მაღალკვალიფიციურ კადრებს.

მთავრობა, რომელიც შეძლებს რადიკალური საკადრო პოლიტიკის გატარებას, დადებით შედეგებს ყველგან და ყოველთვის ძალიან სწრაფად და კარგად იმკის. სტრუქტურული გარდაქმნები ხელ-ფეხს უხსნის ბევრ ნიჭიერ და ენერგიულ ადამიანს, რომელთაც ბოჭავდა ძველი სისტემა, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია იმ კადრების შეცვლა, რეფორმებს რომ ამუხრუჭებენ (როგორც ბიზნესის, ასევე მართვის სფეროში).

მეორე, ნათლად რომ დაისახავთ მიზანს, ენერგიულად შეუდგებით რეფორმების გატარებას.

თუ ზოზინს დარწყებთ, მაშინ ასპარეზზე გამოველენ სხვა ინტერესების მქონე დაჯგუფებანი, რომლებიც სცენიდან თქვენს ჩამოყვანას ეცდებიან.

ეკონომიკური რეფორმების გატარებისას მოსახლეობის უდიდეს ნაწილს უხდება ქამრის წელზე მაგრად მოჭერა და თქვენი შეცდომების შეტ-ნაკლებად თაეისთავზე გადატანაც. მაგრამ ყოველივე ამას საზოგადოება ითმენს, თუ ხედავს, რომ ქვეყანაში მოგებაც და დანაკარგებიც, ასე თუ ისე, ყველა ფენას თანაბრად ეხება და სამართლიანად ნაწილდება.

მესამე: დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპების არჩეეას. ჩქარი ტემპით ვერ იქნით.

ერთის მხრივ, თვით მაქსიმალური ძალისხმეეისა და მობილურობის დროსაც კი ეკონომიკური პროგრამის განხორციელებას რამდენიმე წელი-ნეწილი სჭირდება და, მეორეს მხრივ, ხანგრძლივ გაჭირვებას მოსახლეობა დიდხანს ვერ აიტანს. სად არის გამოსაეალი?

როგორც მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერის მოსაპოვე-

ბლად, უპირველეს ყოლისა, საჭიროა სხვადასხვა ინტერესების თუ კოლეგების გარკვეული ჯგუფის კონკრეტულ თანამდებობის პირთა პრივილეგიების ლიკვიდაცია, სწორედ პრივილეგიების მოსპობაა უნივერსალური საშუალება რეფორმების დაჩქარებისა, რადგან ამ დროს ხალხის მხარდაჭერა ერთსულოვანია, რაც გადამწყვეტი ფაქტორია ნებისმიერი რეფორმის გატარებისას.

მეოთხე: აიღებთ რა ტემპს, იარეთ ამ ტემპით პროგრამის სრულ რეალიზაციამდე.

იცოდეთ, ყველაზე ძნელია სწრაფად მოძრაობა სამიზნეს დაზიანება, ხოლო მოწინააღმდეგე რომ ბევრი გეყოლებათ, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. როგორც კი შეუდგებით პრივილეგიების ლიკვიდაციას და ოპოზიცია დაინახავს რეფორმებისადმი თქვენს კეთილსინდისიერ და სერიოზულ მიდგომას, შეამცირებს დაწოლას და უფრო ენერგიულად დაიწყებს თქვენთან თანამშრომლობას ქვეყნის სასიკეთოდ.

მეხუთე: ეცადეთ იყოთ თანამიმდევრული და მოიპოვოთ მოსახლეობის ნდობა.

საამისოდ ყველაზე მოკლე და ეფექტური გზაა მუდმივი კონტაქტი ხალხთან. როცა მთავრობა არ სარგებლობს მოსახლეობის ნდობით, მაშინ ადამიანები არ ცდილობენ შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება სამუშაოსადმი, საზოგადოებაში ძლიერდება უპასუხისმგებლობისა და დაუსჯელობის სინდრომი. ადამიანებს გული უკრუნდებათ ხელისუფლებაზე და, აქედან გამომდინარე, — დაკისრებული მოვალეობისა და შესრულებული სამუშაოსადმიც.

მეექვსე: ძაღლს დაანახეთ კურდღელი...

თუ გინდათ, რომ ადამიანებმა აქტიურად ითანამშრომლონ თქვენთან, ეცადეთ ნათლად გაარკვიოთ მოსახლეობაში, რას უქადის თქვენი გადაწყვეტილებები მათ და მისი შვილების მომავალს, ანუ, იქ, სადაც ეს შესაძლებელია, წინასწარ განუცხადეთ მას თქვენი მიზნებისა და გეგმების შესახებ. მაგალითად, თუ პროგრამა ეტაპებად არის დაყოფილი, საჯაროდ გამოაქვეყნეთ მისი დაწყება-დასრულების ვადები. საქმიანი სამყაროს წარმომადგენლებმა და პროფესიონალმა ანალიტიკოსებმა ძალიან კარგად უწყიან, რამდენად მნიშვნელოვანია (უკვე რეფორმების გატარების პროცესში) თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორე და მათი ხარისხი.

მეშვიდე: ნუ აჰყვებით ცთუნებას და ნუ დაიწყებთ თამაშს საზოგადოებასთან.

სტრუქტურული რეფორმების წარმატება შეუძლებელია, თუ არ ენდობით ამომრჩევლებს, არ სცემთ მათ პატივს. საჭიროა საზოგადოებას მუდმივად გადასცემდეთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ:

– რა პრობლემაა და როგორ წარმოიშვა იგი;

– რა ზიანის მოტანა შეუძლია მას საზოგადოების და მისი ცალკეული წევრებისათვის;

– როგორია თქვენი მიზნები;

– როგორ და რა გზებით ეცდებით ამ მიზნების მიღწევას;

– რა მოგებასა და რა დანაკარგებთან იქნება დაკავშირებული თქვენი მოღვაწეობა:

– რატომ არის საქმისადმი თქვენი მიდგომა უფრო ეფექტური.

შეიძლება ადამიანები ნაკლებად ერკვეოდნენ ეკონომიკისა და პოლიტიკის ცალკეულ დეტალებსა თუ კვანძებში, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილება აძლევს მათ საშუალებას, მარცვალი ჩენჩოსაგან გაარჩიონ. თუით უბრალო ადამიანებიც კი ძალიან კარგად გრძნობენ, როდესაც ცდილობს მთავრობა თავი აარიდოს საკუთარ საკითხებს, ამიტომ პატივს სცემენ სიტყვის პატრონ კაცს.

მერვე: იყავით თავდაჯერილნი, საზოგადოების ნდობა დამოკიდებულია თქვენს მობილურობაზე.

ბოლო 50 წლის განმავლობაში მსოფლიოში მოხდა ბევრი ისეთი რამ, რაც მილიონობით ადამიანისაგან მოითხოვდა საგნებისა და მოვლენებისადმი ჩვეულ და ძალარბილში გამჯდარი შეხედულებების კარდინალურ გადახედვას. ასეთი ძირფესვიანი ძვრები ადამიანის შემეცნებაში ბადებს ერთგვარ დისკომფორტის შეგრძნებას, რასაც თან ახლავს მერყეობა და გაურკვეველობა. ამიტომ ისინი ზედმეტად მგრძნობიარე ხდებიან რეფორმებისა თუ რეფორმატორების მიმართ. როცა ადამიანებს უჭირთ არგუმენტებში გარკვევა, ისინი ხელისუფალზე ბჭობენ მისი ინტელექტუალური დონისა, თუ ემოციური მდგომარეობის მიხედვით. ეს არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს პოლიტიკური გადაწყვეტილებანი მთელი ძალისხმევით დამუშავებული და ღრმად აწონილ-დაწონილი. როცა თქვენ დარწმუნებული ხართ თქვენს თაცხა და საქმეში, ეს ძალიან კარგად ჩანს ტელეეკრანიდან.

მეცხრე: სტაბილური, არჩეკანი, მონოპოლია... ნათლად გაიაზრეთ ეს საკვანძო დებულებანი.

შეუძლებელია დაავადებული ეკონომიკა ისე დარეგულირდეს, რომ ის, სრულიად გამოჯანმრთელდეს. 1917 წლიდან მოყოლებული, მბრძანებლურ-ეკონომიკურმა სისტემამ წარმოაჩინა თავისი უუნარობა ყველგან და ყველაფერში. ასეთ სისტემებში მთავრობები გარდაიქმნენ დესპოტიზმისა და პრივილეგიების მომხვეჭელ, ანდა, უბრალოდ, კორუმპირებულ დაჯგუფებებად. ამიტომ პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ პრივილეგიების ლიკვიდაცია, აი, რა არის სტრუქტურულ რეფორმათა საფუძველთა საფუძველი. ეცადეთ, რომ თქვენმა პროგრამამ შეძლოს მთავარი — ძალაუფლება გადასცეს ხალხს.

მეათე: როდესაც ზოგიერთი კოლეგისა თუ „განსაკუთრებული ინტერესების მქონე ჯგუფების" დაწოლის ძალა მაიღწევს კრიტიკულ წერტილს, მოითხოვენ რა, უარი თქვათ არჩეულ კურსზე და გადახვიდეთ თქვენთვის უფრო ხელსაყრელ და მათთვის მისაღებ კომპრომისულ დათმობაზე, ასეთ დროს აუცილებელია დასვათ კითხვა, თუ რატომ მოკიდეთ ხელი პოლიტიკას.

არც ერთ პარტიას არ შეუძლია მუდმივად სათავეში ყოფნა. როდისმე მოგიწევთ ასპარეზის დატოვება, მაგრამ სანამ ხელთ გიჭირავთ ქვეყნის სადავეები, მანამ ბევრი სიკეთის გაკეთება შეგიძლიათ, კერძოდ, მილიონობით ადამიანს ხვედრი შეუმსუბუქოთ, გაუუმჯობესოთ მათ არსებობის პირობები, მოუტანოთ ბედნიერება.

ერთი რამ უნდა იცოდეთ: უგერგილო მთავრობა ფუფუნებაა, რომლის უფლება მხოლოდ ძლიერი და მდიდარი ქვეყნების პრივილეგიაა, ხოლო ღარიბი ქვეყნების მოსახლეობისათვის ეს ნიშნავს მილიონობით ადამიანის გაუბედურებულ და ტრაგიკულ ბედ-იღბალს.

პუბლიკაცია მოამზადა მედეა თავდიშვილმა

წარმოების და მოხმარების ნარჩენები – წარმოების ან მოხმარების პროცესში წარმოქმნილი ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბ-

რიკატების, სხვა ნაწარმის, ან პროდუქტების ნარჩენი ნაწილები, ასევე საქონელი (პროდუქცია), რომელმაც დაკარგა თავისი სამომხმარებლო თვისებები. იხ. ასევე: ᲜᲐᲨᲘᲜᲨᲘ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ – დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელიც შექმნილია ორიგინალური ნაწარმოების გადამუშავების შედეგად და დაცულია თავდაპირველი ნაწარმოების საავტორო უფლებათა დაცვის პირობისას.

ᲬᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲐ ᲙᲝᲗᲘᲚᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲔᲠ ᲨᲠᲝᲛᲐᲖᲔ – მუშაკის შრომითი წელილის წახალისების ფორმა მის მიერ ჩვეულებრივ მოთხოვნებზე უპირატესი შედეგების მიღწევისას. კეთილსინდისიერ შრომაზე წახალისებას განეკუთვნება სხვადასხვა სახის მორალური წახალისება – ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება, მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება და ა.შ. კეთილსინდისიერ შრომაზე წახალისებისთვის შეიძლება შემოღებულ იქნეს პრემიების გაცემის სისტემაც. პრემია ესაა ფულადი თანხა, რომელიც გადაეცემა მუშაკს სამუშაო პროცესში მიღწეულზე წახალისების სახით. სამართლებრივი რეჟიმის თვალსაზრისით გამოიყოფა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით: ა) პრემიები, რომელთა გაცემაც ხდება მუშაკების გარკვეული წრისთვის ძირითად ხელფასზე ზემოთ და ბ) პრემიები, რომელთა გაცემაც ხდება მუშაკის შრომის ზოგადი შეფასების საფუძველზე, შრომის ანაზღაურების სისტემის გარეთ.

პრემიის მაჩვენებლების სახით დგინდება შესაბამისი მოთხოვნები მუშაკისა და კოლექტივის შრომის მიმართ, ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების გათვალისწინებით. მაჩვენებლები (მოთხოვნები) წარმოადგენენ იურიდიულ საფუძველს მათი მიღწევისას, რაც იძლევა უფლებას მიიღონ პრემია.

კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კეთილსინდისიერ შრომაზე წახალისების სახით დამატებითი შეღავათებისა და უპირატესობების (დამატებითი შვებულება, პენსიებზე დანამატი და ა.შ.) შეთავაზება. ასეთ უპირატესობებსა და შეღავათებს სამუშაოს მიმცემი ადგენს საკუთარი სახსრების ხარჯზე.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ-ᲗᲮᲝᲕᲜᲐ – წერილი თხოვნა წარმოადგენს მიმართვას დაწესებულების, ან საწარმოს მიმართ; მაგ. წერილი შეიცავს თხოვნას (დახმარების შესახებ რაიმე საკითხში).

ასეთი წერილი შეიძლება შეიცავდეს სახსრების გაცემის, დოკუმენტების დადასტურების, კადრების დაკომპლექტების, ბრძანების შესრულების, ვადის გაგრძელებისა და სხვა თხოვნას.

წერილი-თხოვნის მთავარი შემადგენელი ნაწილები იგივეა, რაც წერილი-შეკითხვისა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘ – წერილი-პასუხი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, წარმოადგენს პასუხს ორგანიზაციების, საწარმოთა და ცალკეულ პირთა მოთხოვნებსა და შეკითხვებზე, მასში მოცემულია შესაბამისი ცნობები, განმარტებები, მითითებები, ზოგჯერ კი – გადაწყვეტილებები იმ საკითხების შესახებ, რომლებიც შეკითხვებსა და თხოვნასთანაა დაკავშირებული.

იმისათვის, რომ წერილ-პასუხის მიმღებმა ადვილად დაადგინოს, რასთანაა დაკავშირებული მიღებული წერილი-პასუხი, მასში აღნიშნულია წერილი-თხოვნის (წერილი-შეკითხვის) ნომერი, თარიღი და არსი.

წერილის პასუხის შემადგენელი ნაწილებია:

1. იმ ორგანიზაციის დასახელება და მისამართი, რომელმაც გამოგზავნა წერილი.

2. მიმღები ორგანიზაციისა და თანამდებობის პირთა დასახელება და მისამართი.

3. ნომერი (ინდექსი) და თარიღი წერილი-შეკითხვისა, რომელზედაც გაცემულია პასუხი ამ წერილში.

4. წერილის ტექსტი.

5. დანართების ჩამოთვლა (თუ ასეთები არის) ფურცელთა რაოდენობის აღნიშვნით.

6. თანამდებობის პირთა ხელმოწერა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ-ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ – წერილი-შეკითხვა წარმოადგენს მიმართვას განსაზღვრული ადრესატისადმი იმ მიზნით, რომ მიღებული იქნეს საჭირო ცნობები, განმარტებები, მითითებები ან დოკუმენტები.

რთულ წერილ-შეკითხვაში დამატებით აღინიშნება, რისთვისაა საჭირო ეს ცნობები ან დოკუმენტები.

წერილი-შეკითხვა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1. კუთხის შტამპი, რომელზედაც აღნიშნულია გამგზავნი ორგანიზაციის დასახელება და მისამართი (მოთავსებულია წერილის მარცხენა ზემო კუთხეში).

2. წერილის ნომერი და თარიღი (იწერება კუთხის შტამპში).

3. მიმღები ორგანიზაციის და თანამდებობის პირის დასახელება და მისამართი.

4. წერილის ტექსტი.

5. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მისი გამგზავნი პირის ხელმოწერა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ-ᲨᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ – წერილ-შეხსენებაში დაწესებულება ან ცალკეული პირი შეახსენებს ან აფრთხილებს ვისმეს რაიმეს შესახებ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘᲨᲘ – ანგარიშის მიზანია შეაჯამოს და წერილობით წარმოადგინოს ამ თუ იმ ორგანიზაციისა თუ პირების მიერ ჩატარებული მუშაობა.

ანგარიში უნდა ეყრდნობოდეს ციფრებსა და ფაქტებს, გვიჩვენებდეს, თუ რა უწყობდა ან უშლიდა ხელს მუშაობას.

ანგარიშის შემადგენელი ნაწილებია:

1. სათაური.

2. ვისი შედგენილია ანგარიში.

3. შესაჯალი ნაწილი, სადაც აღინიშნება ის საკითხები, რომლებიც გეგმითაა გათვალისწინებული.

4. ჩატარებული სამუშაოს ყოველი ცალკეული საკითხის აღწერა დადებითი და უარყოფითი მაგალითების, კონკრეტულ პირთა ფაქტების, ციფრების აღნიშვნით.

5. ორგანიზაციის, დაწესებულების პასუხისმგებელი პირის ან ანგარიშის შემდგენლის ხელმოწერა.

6. ანგარიშის შედგენის თარიღი.

ᲬᲔᲓᲝᲛᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ – საავტორო სამართალში სხვისი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლება ნაწარმოების მესაკუთრისგან ან სხვა მფლობელისგან მოითხოვოს საკუთარი ნაწარმოების გამოყენების უფლების შესაძლებლობის შეთავაზება ცალკეული გასამრჯელოს სანაცვლოდ. უფლების არსებობა

განპირობებულია სახეითი ხელოვნების ნაწარმოების სპეციფიკით, რომელიც შეიძლება რეპროდუქცირებულ იქნეს მხოლოდ ორიგინალის წედმიხას. წედმიხის უფლება არ ერცელდება მექანიკურ რეპროდუქციაზე (ფოტოგრაფირება, ფოტოკოპირება და ა.შ.). წედმიხის უფლება წყდება ავტორის სიკედილთან ერთად.

ᲓᲘᲐᲚᲘ – 1) ბუნებრივი ობიექტი, რომელსაც გააჩნია დიდი ეკოლოგიური მნიშვნელობა ბუნების შემადგენელი ნაწილის სახით; 2) ბუნებრივი რესურსი, რომელიც გამოიყენება და დაცულია, როგორც ადამიანის სიცოცხლისა და საქმიანობის საფუძველი; 3) საკუთრების და წიაღზე სხვა უფლებების ობიექტი. ბოლო ორ თვისებაში წიაღს გააჩნია დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა; 4) წიაღი განისაზღვრება, როგორც ნიადაგის შრის ქვემოთ განთავსებული მიწის ქერქის ნაწილი, ხოლო მისი არარსებობისას – მიწის ზედაპირის და წყალსატევებისა თუ წყალსადენების ფსკერის ქვემოთ, რომელიც იშლება გეოლოგიური შესწავლისა და ათვისებისთვის მისაწვდომ სიღრმეებამდე.

ᲓᲘᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ – სახელმწიფო მმართველობის ფუნქცია წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში. მის მიზანს წარმოადგენს წიაღის ყველა გამომყენებლის მიერ კანონმდებლობის, დადგენილი წესით დამტკიცებული სამუშაოების უსაფრთხო წარმოების, მათი მოსახლეობაზე, გარემოზე, შენობებსა და ნაგებობებზე მაენე გაელენის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, წიაღის დაცვის სტანდარტების (წესების, ნორმების) უზრუნველყოფა; წიაღის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების უსაფრთხო წარმოების სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებენ სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოები სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის, ბუნების დაცვისა და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან, პროფესიულ კავშირებთან ერთად, მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

ᲓᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘ – იხ. წიაღის მდგომარეობის სახელმწიფო მონიტორინგი.

ᲓᲘᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ – 1) ბუნებრივი რესურსების ფონდების სახე (იხ. ასევე წყლის ფონდი, მიწის ფონდი, ტყის ფონდი, ბუნებრივი ნაკრძალის ფონდი); 2) წიაღის გამოყენებული უბნები, რომლებიც წარმოადგენენ წიაღის გეომეტრიზებულ ბლოკებს (იხ. ასევე **სამთო მიკუთვნება**, გეოლოგიური მიკუთვნება) და გამოუყენებელი ნაწილები მისი ტერიტორიისა და კონტინენტალური შელფის ფარგლებში.

ᲓᲘᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ – იხ. ეკოლოგიური სამართალდარღვევა.

ᲕᲘᲗᲘᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ოფიციალური წიგნი, რომელიც შეიცავს იშეიათი და გაქრობის საშიშროების ქვეშ მყოფი ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ობიექტების მდგომარეობისა და გავრცელების შესახებ სისტემატურად განახლებადი ცნობების ნაკრებს და ასევე მათი დაცვისა და აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებებს. წითელ წიგნში შეტანილ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ობიექტები ექვემდებარებიან დაცვას.

ᲕᲘᲗᲘᲚᲘ ᲮᲐᲖᲔᲑᲘ – საზღვრები, რომლებიც კვარტალების, მაკრორაიონებისა და დაგეგმილი სტრუქტურების სხვა ელემენტების ტერიტორიებს გამოყოფენ ქუჩების, გასასვლელებისა და მოედნებისგან ქალაქისა და სოფლის დასახლებებში.

ᲕᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ – სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მოქალაქეთა მიმართვის ერთ-ერთი სახე. ზოგადად, მოქალაქეთა მიმართვებთან მუშაობის პრაქტიკაში წინადადების ქვეშ იგულისხმება მოქალაქეთა (ინდივიდუალური ან კოლექტიური) მიმართვა კომპეტენტური სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანოსთვის, რომელიც მიმართულია კანონმდებლობის სრულყოფაზე. ორგანოს საქმიანობის მოწესრიგებაზე საკუთრების ფორმის მიუხედავად, კულტურის, სპორტის დაწესებულებების მუშაობის, კეთილმოწყობის კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაში საზოგადოებრიობის ჩართვის შესაძლებლობაზე და ა.შ.

წინადადების განხილვის წესი რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით.

ᲕᲘᲜᲐᲡᲐᲬᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ – ქალაქთმშენებლობის, წინასაწროექტო და საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზის მიზნებისთვის საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისთვის, გაფართოებისთვის, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღებისთვის მოზიდული ინვესტიციების დასაბუთების დოკუმენტების ერთობლიობა.

ᲕᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ გამოძიების სახე, რომელსაც ატარებს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების, სახელმწიფო უშიშროების უწყების გამომძიებელი ან პროკურორი. მისი ამოცანაა დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა,. დამნაშავეთა მხილება, გამოძიების ყოველმხრივი, ობიექტური ჩატარება და იმ მიზეზების გამომეღავნება და აღკვეთა, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას და განაპირობა იგი. წინასწარი გამოძიება ტარდება იმ რეგიონში, სადაც ჩადენილია დანაშაული. გამოძიების დასაჩქარებლად იგი შეიძლება ჩატარდეს დანაშაულის გამომეღავნების ადგილას ან იქ, სადაც დანაშაულის ჩამდენი ან მოწმეთა უმრავლესობა იმყოფება. საქმის სირთულის შემთხვევაში, წინასწარი გამოძიება, შეიძლება დაეკალოს რამდენიმე გამომძიებელს. წ.გ. დროს გამომძიებელი ატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედებას (დაკითხვა, ადგილზე დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩხრეკა, დაპირისპირება, ამოცნობა და სხვა). აგროვებს საქმეზე ყველა საჭირო მტკიცებულებას, აძლევს საკალდებულო მითითებას მოკლევის ორგანოებს. გამოძიება თავდება როგორც ყოველთვის, კანონით განსაზღერულ დროში და დგება საბრალდებო დასკვნის ფურცელი. სასამართლოში გადაგზავნისათვის საქმესთან ერთად.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ – ᲜᲐᲬᲘᲚᲘ I

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 61-ე მუხლის თანახმად (წინასწარი გამოძიების ორგანოები)

1. სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები.

2. ყველა გამომძიებელს, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, აქვს თანაბარი უფლება-მოვალეობანი და მათ მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით განხორციელებული ყველა საგამოძიებო მოქმედება თანაბარი იურიდიული ძალისაა.

3. გამომძიებელს, რომელიც უშუალოდ არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, პროკურორის დავალებით უფლება აქვს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით განახორციელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო მოქმედება.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების მქონე ორგანოთა ზუსტი ჩამონათვალი. ესენია:

1. საქართველოს პროკურატურა;
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დანაყოფი.

ამ ორგანოთა საგამოძიებო ნაწილის/დეპარტამენტის თითოეული გამომძიებელი თავის პროფესიულ საქმიანობაში ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და მათ მიერ ჩატარებული ყველა საგამოძიებო მოქმედებას თანაბარი იურიდიული ძალა აქვს (სსსკ, მუხლი 61, პუნქტი 2).

ამავე კოდექსის (საქ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი) მე-7 მუხლის თანახმად (კანონიერება და ადამიანის ბუნებითი უფლებები)

1. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო, ფიზიკური და იურიდიული პირები და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილენი ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია, ეს კოდექსი და სხვა კანონები.

2. საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანია და სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილისათვის.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა. ამ საკითხის გადაწყვეტამდე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოში ჩერდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ ილახება ადამიანის უფლებები.

5. საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და უკანონო საპროცესო აქტის გაუქმებას.

6. კანონის დარღვევით მიღებული მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად (საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა)

1. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებულნი არიან უტყუარად დადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი, და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2. საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მაშხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

3. ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევების თაობაზე გულდასმით უნდა შემოწმდეს.

წინასწარი გამოძიების დამთავრება და სასამართლოში საქმის გაგზავნა – თავი №49

კანონი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კარი №8 – წინასწარი გამოძიების დამთავრება და შეწყვეტა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება და შეწყვეტა

მუხლი №416 – საქმის სასამართლოში გაგზავნა

1. საბრალდებო დასკვნა დაერთვის საქმეს.

2. საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ პროკურორი საბრალდებო დასკვნის ასლს აბარებს ბრალდებულს, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – დამცველს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს. თუ ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, საბრალდებო დასკვნის ასლი უნდა ჩაბარდეს მის დამცველს. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროკურორი სისხლის სამართლის საქმეს განსჯადობის მიხედვით უგზავნის შესაბამის სასამართლოს.

3. პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა საქმე განსჯადობის მიხედვით უნდა გადაეგზავნოს შესაბამის სასამართლოს.

4. სასამართლოსათვის საქმის გადაცემის შემდეგ ყოველგვარი შუამდგომლობა და საჩივარი წარედგინება უშუალოდ სასამართლოს.

მუხლი №416² – ექსპერტიზის დასკვნის გარეშე საქმის სასამართლოში გაგზავნა

! თუ გამოძიების დამთავრებამდე რომელიმე მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის მიღება ჭიანურდება და ამასთანავე, არსებობს საბრალდებო დასკვნის შესადგენად საკმარისი მტკიცებულებები, პროკურორი უფლებამოსილია საქმე საბრალდებო დასკვნით გაგზავნოს სასამართლოში ექსპერტიზის დასკვნის დართვის გარეშე. ამ შემთხვევაში, ექსპერ-

ტიზის დასკვნის წარდგენა შესაძლებელია საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს.

2. მხარეები ვალდებული არიან საბრალდებო დასკვნის შედგენამდე ერთმანეთს აცნობონ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. თუ მხარეს არ ეცნობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ექსპერტიზის დასკვნა საქმის არსებითი განხილვის დროს წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას.

წინასწარი გამოძიების დამთავრება და სასამართლოში საქმის გაგზავნა – თავი №49 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

წინასწარი გამოძიების დამთავრება და შეწყვეტა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწერება და შეწყვეტა – კარი №8

მუხლი №416[1] – შეტყობინება საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსათვის გადაგზავნის შესახებ

1. გამოძიების დამთავრების და საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსათვის გაგზავნის შესახებ პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი წერილობით ატყობინებს ბრალდებულს (მათ შორის, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს), დამცველს, ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს. შეტყობინებასთან ერთად გამომძიებელი ბრალდებულსა და მის დამცველს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ხარჯით გადაიღონ სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალის ასლი (გარდა იმ მასალისა, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან), აგრეთვე განუმარტავს სასამართლოში ნივთიერი მტკიცებულების გაცნობის უფლებას. თუ ბრალდებული არასმჭონე, საქმის მთელი მასალის ასლი მას გადაეცემა სახელმწიფოს ხარჯზე. თუ ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, გამოძიების დამთავრების შესახებ გამომძიებელი დაუყოვნებლივ, წერილობით ატყობინებს ბრალდებულის დამცველს.

2. პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს, მის დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს გასაცნობად ნივთიერი მტკიცებულებები წარედგინება სასამართლოს მეშვეობით.

დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების განხილვის წესი – მუხლი №265

წინასწარი გამოძიების წარმოების ზოგადი დებულებანი – კარი 6

საქ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (საქ. სისხლის სამ. საპ. კოდექსი)

1. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი.

2. ზეპირი ცნობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და განცხადების მიმღები თანამდებობის პირი.

3. სისხლის სამართლის საქმის პირველადი დოკუმენტია ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტი.

4. 14 წელს მიღწეულ განმცხადებელს ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

საგამოძიებო მოქმედება მუხლი №291 – **შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების გაცემის შესახებ**

1. სასამართლოში წარმოების დაწყების საფუძველია უფლება-მოვალეი პირის შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების გაცემის შესახებ.

2. ნაწილი ამოღებულია.

3. შუამდგომლობაში მოყვანილი უნდა იყოს მონაცემები დანაშაულის შესახებ, რომლის გამოც დასახულია შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რა მონაცემები უნდა მიიღონ ასეთი მოქმედების შედეგად, მისი ჩატარების ვადა, ადგილი, უშუალო შემსრულებელი, აგრეთვე სასამართლოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებისათვის საჭირო სხვა მონაცემები და, თუ ყოველივე ეს საქმარისი არ არის, მოსამართლეს უფლება აქვს მოითხოვოს მათი შევსება.

მუხლი №292 – საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობის განხილვის წესი

1. შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ერთპიროვნულად იხილავს მოსამართლე წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით.

2. პროკურორსა და გამომძიებელს უფლება აქვთ სასამართლო განხილვის დაწყებამდე უკან გაითხოვონ შუამდგომლობა.

3. მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირები, რომელთა ჩვენებები ასაბუთებენ ან უარყოფენ შუამდგომლობას, გამოითხოვოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებები.

4. ჩხრეკის, ამოღების, ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერების შესახებ შუამდგომლობა მოსამართლემ უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

5. მოსამართლე დანიშნულ დროს ხსნის სასამართლო სხდომას, აცხადებს, რომელი შუამდგომლობა განიხილება, ამოწმებს პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებას.

6. პროკურორი და გამომძიებელი შუამდგომლობას ასაბუთებენ ზეპირად და უპასუხებენ მოსამართლისა და პროცესის სხვა მონაწილეთა შეკითხვებს.

7. თუ სხდომაში მონაწილეობს პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მისი დამცველი და წარმომადგენელი, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

8. შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების დამთავრებისთანავე მოსამართლე თავისი ბრძანებით ნებას რთავს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, ანდა გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

9. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

მუხლი №293 – მოსამართლის ბრძანება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ

1. მოსამართლის ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს მისი შედგენის თარიღი და ადგილი, მოსამართლის გვარი, თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა, განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ იმის ზუსტი მითითებით, თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება

იგი, ბრძანების მოქმედების ვადა, თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს ბრძანება, მოსამართლის ხელმოწერა, დამოწმებული სასამართლოს ბეჭდით.

2. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება და გამოტანილი დადგენილება არ გასაჩივრდება.

3. მოსამართლის ბრძანება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ან დადგენილება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მისი გამოცემიდან ან აღსრულებიდან 72 საათში, ხოლო დადგენილება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ – მისი გამოტანიდან 48 საათში შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების აღსრულებას.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲒᲐᲛᲕᲚᲐᲕᲔᲑᲐ

– წინასწარი გამოძიების მონაცემთა გახმოვანება პირის მიერ პროკურორის, გამომძიებლის ან მოკვლევის მწარმოებელი პირის თანხმობის გარეშე, რომელიც გაფრთხილებული იყო მათი გახმაურების დაშვებლობის შესახებ, მათი სხვა პირებისთვის ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის ზეპირი ან წერილობითი ფორმით შეტყობინების გზით.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐ

– სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში კანონით გათვალისწინებული დრობითი შესვენება, რაც განპირობებულია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის არარსებობით ან მისი გამოძიებაში მონაწილეობის შეუძლებლობით. წინასწარი გამოძიების შეწერება ხდება შემდეგიდან ერთერთი საფუძვლის არსებობისას: ა) არაა დადგენილი ბრალდებულის სახით არსებული პირი; ბ) ეჭვმიტანილი ან ბრალდებული დაემალა გამოძიებას ან დაუდგენელია მისი ადგილსამყოფელი სხვა მიზეზებით; გ) ცნობილია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ადგილსამყოფელი, თუმცა არაა მისი სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის რეალური შესაძლებლობა; დ) ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დრობითი მძიმე ავადმყოფობა, რაც დადასტურებულია სამედიცინო დასკვნით ხელს უშლის მის მონაწილეობას საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებში. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს საფუძვლების ამოშწურაც ჩამონათვალს წინასწარი გამოძიების შეწერებისთვის. არანაირი სხვა გარემოება არ შეიძლება გახდეს საფუძველი საქმის წარმოების შეწერებისთვის, თუ ასეთ შემთხვევებში გამოძიება შეუძლებელია დასრულდეს კანონით დადგენილ ვადაში, ის უნდა გახანგრძლივდეს; აუცილებელია კიდევ საპროცესო პირობები ეი. კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა საქმის წარმოების შეწერებამდე. შეწერების პირობები იყოფა ზოგადად და კერძოდ. ზოგადი პირობები – ესაა მოთხოვნები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ნებისმიერი საფუძვლით გამოძიების შეწერებისას. მათ განეკუთვნება: ა) საქმეზე დანაშაულის მოვლენის დამტკიცება. თუ დანაშაულის მოვლენა არაა დამტკიცებული საქმე ექვემდებარება შეწყვეტას; ბ) შეწერებამდე ყველა საგამოძიებო მოქმედების შესრულება, რომელთა წარმოებაც შესაძლებელია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაუსწრებლად. ამ პირობის შესრულება საჭიროა იმიტომ, რომ გარკვეული დროის ამოწურვის შემდეგ მრავალი მტკიცებულება შეიძლება დაკარგოს, ხოლო საგამოძიებო მოქმედებების წარმოება, როცა ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს შეეძლება გამოძიებაში მონაწილეობის მიღება, არ მოიტანს სასურველ შედეგს.

კერძო პირობების დაცვა საჭიროა ამა თუ იმ საფუძვლით გამოძიების შეწერებისას.

წინასწარი გამოძიების შეწერების შესახებ გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება, რომლის ასლიც ეგზავნება პროკურორს. თუ სისხლის სამართლის საქმეში ჩართულია ორი ან მეტი ბრალდებული, ხოლო შეწერების საფუძვლები არაა ყველა ბრალდებულთან მიმართებაში, გამომძიებელს უფლება აქვს ცალკე წარმოებაში გამოყოს და შეაწეროს სისხლის სამართლის საქმე ცალკეულ ბრალდებულთან მიმართებაში. წინასწარი გამოძიების შეწერებამდე გამომძიებელი ასრულებს ყველა საგამოძიებო მოქმედებას, რომლის წარმოებაც შეიძლება ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაუსწრებლად და იღებს ზომებს მისი ბებნისთვის ან დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენისთვის.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲪᲚᲐ

– პროკურორის, გამომძიებლის ან მოკვლევის მწარმოებელი პირის საქმიანობაში ნებისმიერი ფორმით ჩარევა, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზნით.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐ

– წინასწარ მოფიქრებული განზრახვა დანაშაულის ჩადენაზე. ის ჩნდება დანაშაულის დაწყებამდე, როცა პირი მტკიცდება გადაწყვეტაში ჩადინოს ის (დანაშაული), წინასწარ ფიქრობს გეგმას, ირჩევს შესაძლო დამრკოლებების დაძლევის ხერხებსა და საშუალებებს.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ

– სისხლის სამართლის პროცესის სტადია, რომელიც წინ უსწრებს სასამართლო განხილვას. წინასწარმა მოსმენამ უნდა გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც განსაზღვრავენ: ა) სისხლის სამართლის საქმის შემდგომ მიმართულებას; ბ) წინასწარი გამოძების სტადიაში შეგროვებული მტკიცებულებების საკმარისობა; გ) დამტკიცების მოთხოვნების დაცვა; დ) სასამართლო განხილვის მომზადების სხვა პირობების უზრუნველყოფა. წინასწარი მოსმენის შედეგებით მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის მიხედვით გაგზავნის შესახებ (თუ პროკურორის მიერ შეცვლილია ბრალდება); ბ) სისხლის სამართლის საქმის პროკურორისთვის დაბრუნების შესახებ; გ) სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწერების შესახებ; დ) სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ; ე) სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ.

წინასწარი მოსმენა ტარდება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად დახურულ სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დაცვით, ბრალდებულის შუამდგომლობით წინასწარი მოსმენა შეიძლება ჩატარდეს მის დაუსწრებლად. დროულად შეტყობინებულ

მონაწილეთა გამოუცხადებლობა არ უშლის ხელს წინასწარი მოსმენის ჩატარებას. თუ მხარის მიერ განცხადებულია შუამდგომლობა მტკიცებულების გამორიცხვის შესახებ, მოსამართლე არკვევს მეორე მხარესთან, ხომ არ გააჩნია მას მოცემული შუამდგომლობის საწინააღმდეგო შეხედულებები. საწინააღმდეგო შეხედულებების არარსებობის დროს მოსამართლე აკმაყოფილებს შუამდგომლობას და გამოაქვს დადგენილება სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ, თუ არაა სხვა საფუძვლები წინასწარი მოსმენის ჩატარებისთვის. წინასწარი მოსმენის დროს ხდება ოქმის წარმოება, რომელშიც მითითებულია დადგენილების გამოტანის თარიღი და ადგილი; დადგენილების გამომტანი სასამართლოს დასახელება, მოსამართლის გვარი და ინიციალები; მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლები.

დადგენილებაში უნდა ასახოს შეტანილი საჩივრებისა და წამოყენებული შუამდგომლობების განხილვის შედეგები. თუ მოსამართლე აკმაყოფილებს შუამდგომლობას მტკიცებულების გამორიცხვის შესახებ და ამასთან, ნიშნავს სასამართლო სხდომას, დადგენილებაში მითითებულია, თუ რომელი მტკიცებულება გამორიცხება და სისხლის სამართლის საქმის რომელი მასალები არ შეიძლება გამოკვლეულ და განხილულ იქნეს სასამართლო სხდომაზე და გამოყენებული დამტკიცების პროცესში.

თუ ბრალდებული შუამდგომლობის გადაწყვეტისას სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისთვის დროის მიცემის შესახებ, სასამართლო დადგენს, რომ დარღვეულია დაცვის მხარის ბრალდებულისთვის მასალების წარდგენის ვადები, ხოლო ამოიწურა ბრალდებულის დაცვის მხარის ვადა, სასამართლო ცვლის აღკვეთი ღონისძიებას, აკმაყოფილებს ბრალდებულის შუამდგომლობას და უდგენს მას ვადას სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისთვის.

წინასწარი მოსმენის შედეგებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის და/ან აღკვეთი ღონისძიების შესახებ საკითხის გადაწყვეტის ნაწილში, სასამართლო სხდომის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილებათა გარდა.

წინასწარი პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახე, რომელსაც გამოიყენებს სამართალდამცავი ორგანოები სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის მიმართ. წინასწარ პატიმრობას მიმართავენ იმ მიზნით, რათა გამორიცხოს გამოძიებისა და სასამართლოსაგან დამალვის შესაძლებლობა, ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეში ჭეშმარიტების დადგენას და სხვა. წინასწარი პატიმრობის დროს სასჯელი ყოველთვის არის განსაზღვრული და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მისი გაგრძელება ან გათავისუფლება. წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება ან გათავისუფლება უნდა იქნეს სათანადოდ ახსნილი და არგუმენტირებული, რაც სამოტივაციო ნაწილში იქნება გამოკვეთილი. წინასწარი პატიმრობის ვადა ყოველთვის ითვლებოდა საერთო სასჯელის მოხდის ვადაში.

წინასწარი ძიება – წინასწარი გამოძიების ფორმა. წინასწარი ძიება უნდა დასრულდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დღიდან არა უმეტეს ორი თვის ვადაში. წინასწარი ძიების ვადაში ითვლება დრო სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან სამედიცინო ხასიათის იძულების ზომების გამოყენების შესახებ, საკითხის განსახილველად, სისხლის სამართლის საქმის გადაცემის შესახებ დადგენილებასთან ერთად გაგზავნის დღემდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის დღემდე.

სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი ძიების წარმოება მისი სირთულისა და დიდი მოცულობის შემთხვევაში შეიძლება დაევალოს საგამოძიებო ჯგუფს, რაზეც ხდება ცალკეული დადგენილების გამოტანა ან მითითებულია დადგენილებაში სისხლის სამართლის საქმის აღძრის შესახებ. ამასთან, გადაწყვეტილებას წინასწარი ძიების საგამოძიებო ჯგუფის მიერ წარმოების ან მისი შემადგენლობის შეცვლის შესახებ იღებს პროკურორი ან საგამოძიებო განყოფილების უფროსი. დადგენილებაში უნდა იქნეს ჩამოთვლილი ყველა გამომძიებელი, რომელთაც დაევალათ წინასწარი ძიების წარმოება, ამასთან აღინიშნება საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნული პირი. საგამოძიებო ჯგუფის მუშაობაში შეიძლება ჩართულ იქნეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმსორციელებელი ორგანოების თანამდებობის პირები. საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობა ეცნობება ეჭვმიტანილს, ბრალდებულს. საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი იღებს სისხლის სამართლის საქმეს წარმოებაში, ახდენს საგამოძიებო ჯგუფის მუშაობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობს სხვა გამომძიებლების მოქმედებებს, აძგენს საბრალდებო დასკვნას ან გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ზომების გამოყენების თაობაზე და მოცემულ დადგენილებას სისხლის სამართლის საქმესთან ერთად უგზავნის პროკურორს. საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას: ა) დადგენილი წესით ცალკე წარმოებაში სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის შესახებ; ბ) სისხლის სამართლის საქმის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ; გ) სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწერების ან განახლების შესახებ; დ) ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემისა და მისთვის ბრალის წაყენების თაობაზე; ე) ბრალდებულის სამედიცინო ან ფსიქიატრიულ სტაციონარში გაგზავნის შესახებ შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის წარმოებისთვის; ვ) პროკურორის წინაშე წინასწარი გამოძიების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის თაობაზე; ზ) სასამართლოს წინაშე აღკვეთი ღონისძიების, ასევე საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების წარმოების შესახებ შუამდგომლობის დაყენების თაობაზე.

საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელსა და წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვა გამომძიებლების მიერ წარმოებულ საგამოძიებო მოქმედებებში, პირადად აწარმოონ საგამოძიებო მოქმედებები და მიიღონ გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეზე.

წინდაცვეთა წეს-ჩვეულება იუდაისტურ და მუსლიმანურ ქვეყნებში, რომლის თანახმად კვეთდნენ მამრის ასოს კანის ბოლოს. წინდაცვეთის ჩვეულება აღმოცენდა პირველყოფილ საზოგადოებაში და გაერცელებული იყო ჭაბუკთა ტომის სრულუფლებიან წევრებად

ჩარიცხვის რიტუალებში. წინდაცეეთის რიტუალი ასევე გავრცელებულია ავსტრალიის, ოკეანიის და აფრიკის ხალხებშიც გეაროენული წესწყობილების პერიოდში. იუდაიზმის მიმდევრები წინდაცვეთას უკეთებდნენ ჩვილებს, ხოლო მუსულმანები 7-10 წლის ასაკის ბიჭებს.

წოდება – სპეციალური დასახელება, რომელიც ენიჭება კონკრეტულ პირს კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი წესით, ამაზე უფლებამოსილი ორგანოს ან ორგანიზაციის მიერ და რომელიც მოწმობს: ა) სამსახურებრივი, სამეცნიერო ან სხვაგვარი კვალიფიციური მომზადების დონეს (მაგალითად, გენერალ-მაიორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, პროფესორი); ბ) მოცემული პირის დამსახურებისა და მიღწევების საჯარო და ოფიციალურ აღიარებას სახელმწიფო მშენებლობის, ტექნიკის, მეცნიერების, კულტურის, განათლების დარგში და ა.შ. (მაგალითად, გმირი, პრემიის ლაურეატი, დამსახურებული მშენებელი, დამსახურებული მასწავლებელი). ასეთი სახის საპატიო წოდებები შეიძლება მიენიჭოს ორგანიზაციებსაც (მაგალითად, კონკურსის ლუარეატი, გმირი-ქალაქი და ა.შ.).

წყალშესაკრები მოედანი ტერიტორია, რომლიდანაც დინება აყალიბებს წყლის ობიექტს.

წყლები – 1) ბუნებრივი ობიექტი, რომელსაც გააჩნია დიდი ეკოლოგიური მნიშვნელობა და დაცულია ბუნების შემადგენელი ნაწილის სახით. 2) ბუნებრივი რესურსი, რომელიც გამოიყენება და დაცულია, როგორც შესაბამის ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხთა ცხოვრებისა და საქმიანობის საფუძველი; 3) საკუთრების უფლებისა და მიწის სხვა უფლებათა ობიექტი; 4) წყლის საზოგადოებრივი და სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი.

წყლების გამოლექვა – ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მარაგის მყარი შემცირება და ხარისხის გაუარესება. იხ. ასევე წყლის ობიექტების დაბინძურება, წყლის ობიექტების დანაგვიანება.

წყლების მავნე ზეგავლენა – დატბორვა, დათბობა და ზედაპირული თუ მიწისქვეშა წყლების მავნე ზეგაელენა გარკვეულ ტერიტორიებსა და ობიექტებზე.

წყლების მონიტორინგი – იხ. წყლის ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი.

წყლის ბიოლოგიური რესურსების მონიტორინგი – წყლის ბიოლოგიური რესურსების მდგომარეობისა და დინამიკის დაკვირვებების, შეფასებისა და პროგნოზის სისტემა; წყლის ბიოლოგიური რესურსების მონიტორინგი ხორციელდება შიდა საზღეაო წყლების, კონტინენტალური შელფის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის მარაგის შეხწავლის, რაციონალური გამოყენებისა და შენარჩუნების, ეკონომიკური უსაფრთხოების, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ საზღეაო აკვატორიაზე ხომალდების სარეწაო საქმიანობაზე დაკვირვების უზრუნველყოფის მიზნით.

წყლის გამომყენებელი – მოქალაქე ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს უფლება გამოიყენოს წყლის ობიექტები.

წყლის გამოყენება – იხ. წყლის ობიექტების გამოყენება.

წყლის გამოყენების (წყლის მოხმარებისა და წყალსარინის) ლიმიტები – 1) ნორმირების ელემენტი წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში. 2) წყლის რესურსების ამოღებისა და ნორმატიული ხარისხის ჩამდინარე წყლების გადაგდების ზღვრულად დასაშვები მოცულობები, რომლებიც დგინდება წყლის გამოყენებლისთვის გარკვეული ვადით. წყლის გამოყენების ლიმიტები დგინდება წყლის ფონდის გამოყენებისა და დაცვის მართვის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს მიერ ზედაპირული წყლის ობიექტებზე, ხოლო მიწისქვეშა წყლის ობიექტებზე – წიაღის გამოყენებისა და დაცვის მართვის სახელმწიფო ორგანოს მიერაც. წყლის გამოყენების ლიმიტების გადახედვა შეიძლება წყლის ობიექტების მდგომარეობის ცვლილებასთან დაკავშირებითაც. წყლის გამოყენების ლიმიტების ცვლილება მოითხოვს ცვლილებების შეტანას წყლის გამოყენების ლიცენზიაში.

წყლის კანონმდებლობის დარღვევა – იხ. ეკოლოგიური სამართალდარღვევა.

წყლის მოხმარებელი – მოქალაქე ან იურიდიული პირი, რომელიც დადგენილი წესით, წყლის გამოყენებლისგან იღებს წყალს საკუთარი საჭიროების უზრუნველსაყოფად.

წყლის მეურნეობის ობიექტი – ნაგებობა, რომელიც უკავშირდება წყლის ობიექტებისა და მათი წყლის რესურსების გამოყენებას, აღდგენასა და დაცვას.

წყლის ობიექტებით სარგებლობა (წყლით სარგებლობა) – მოქალაქეებისა და იურიდიული პირების იურიდიულად განპირობებული საქმიანობა, რაც უკავშირდება წყლის ობიექტების გამოყენებას. წყლის ობიექტებით სარგებლობა (წყლით სარგებლობა) ხორციელდება წყლით სარგებლობაზე ლიცენზიის ან განმწესრიგებელი ლიცენზიის საფუძველზე. გამოიყოფა საერთო წყლით სარგებლობა, სპეციალური წყლით სარგებლობა (სპეციალურ ჩამონათვალში ჩართული, წყლით სარგებლობის სახეებთან მიმართებაში), განსაკუთრებული სარგებლობა (წყლის გამომყენებელთა შეზღუდული წრის მიერ სახელმწიფო და მუნიციპალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად).

წყლის ობიექტები – წყლის თაქმოყრა ხმელეთის ზედაპირზე მისი რელიეფის ფორმით ან წიაღში, რომელსაც გააჩნია წყლის რეჟიმის საზღერები, მოცულობა და თვისებები. იხ. ასევე განკერძოებული წყლის ობიექტი.

წყლის ობიექტების გამოყენება – წყლის ობიექტებიდან სხვადასხვა ხერხებით სარგებლის მიღება, მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მატერიალური და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იხ. ასევე წყლის ობიექტური სარგებლობა.

წყლის ობიექტების დაბინძურება – წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებების ჩაყრა ან შეღწევა სხვა გზით, ასევე მათი წარმოქმნა იქ, რომლებიც აუარესებენ ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხს, ზღუდავენ მათ გამოყენებას, აუარესებენ წყლის ობიექტების ნაპირებისა და ფსკერის მდგომარეობას. იხ. წყლის ობიექტების დაბინძურება, წყლების გამოლევა.

წყლის ობიექტების დანაგვიანება – წყლის ობიექტებში ისეთი საგნების ან ნაწილაკების ჩაყრა ან სხვა ხერხით მოხვედრა, რომლებიც აუარესებენ წყლის ობიექტების მდგომარეობას და ართულებენ მათ გამოყენებას. იხ. ასევე წყლის ობიექტების დაბინძურება, წყლების გამოლევა.

წყლის ობიექტების დაცვა – 1) ბუნებრივი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების შემადგენელი ნაწილი; 2) წყლის ობიექტების შენარჩუნებასა და აღდგენაზე მიმართული საქმიანობა.

წყლის ობიექტების მდგომარეობაზე გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის წინასაპროექტო და საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზა – დასახელებული დოკუმენტაციის დაპროექტებისა და მშენებლობის საწყის მონაცემებთან, ტექნიკურ პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება; ის ხორციელდება წყლის ფონდის გამოყენებისა და დაცვის მართვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

წყლის ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი – 1) გარემომცველი ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის სისტემის შემადგენელი ნაწილი (ქვესისტემა) (იხ. ასევე ატმოსფერული ჰაერის სახელმწიფო მონიტორინგი, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი, წიაღის მდგომარეობის სახელმწიფო მონიტორინგი, წყლის ბიოლოგიური რესურსების მონიტორინგი, მიწის მონიტორინგი, ტყეების მონიტორინგი); 2) წყლის ობიექტების მდგომარეობის ჰიდროლოგიურ ან ჰიდროგეოლოგიურ და ჰიდროგეოქიმიურ მაჩვენებლებზე რეგულარული დაკვირვებების სისტემა, რაც უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის შეგროვებას, გადაცემასა და დამუშავებას ნეგატიური პროცესების დროული გამოვლენის, მათი განვითარების პროგნოზირების, მავნე შედეგების თავიდან აცილებისა და განხორციელებული წყალდაცვითი ღონისძიებების ეფექტურობის ხარისხის განსაზღვრის მიზნით; წყლის ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი ხორციელდება წყლის ფონდის გამოყენებისა და დაცვის მართვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ სპეციალურად უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ბუნებრივი გარემოს დაცვის დარგში, მართვის სახელმწიფო ორგანოსთან ერთად ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის დარგში (ზედაპირული წყლის ობიექტებზე) და წიაღის (მიწისქვეშა წყლის ობიექტების) გამოყენებისა და დაცვის მართვის სახელმწიფო ორგანოსთან ერთად.

წყლის რეჟიმი – წყლის დონეების, დანახარჯებისა და მოცულობის დროში ცვლილება წყლის ობიექტებში.

წყლის რესურსები – ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მარაგი, რომელიც იმყოფება წყლის ობიექტებში და რომელიც გამოიყენება ან შეიძლება იქნეს გამოყენებული. იხ. ასევე წყლები.

წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები – დოკუმენტები, რომლებშიც შედის წყლის რესურსების მდგომარეობის შესახებ კვლევებისა და საპროექტო შემუშავებების, წყლის ობიექტების პერსპექტიული გამოყენებისა და დაცვის სისტემატიზირებული მასალები. მათი შემუშავება ხდება წყლის სამეურნეო და სხვა ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით საზოგადოების წყლის რესურსებთან მიმართებაში მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, წყლის ობიექტების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფისთვის, ასევე წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისთვის.

წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების დამტკიცებისა და რეალიზაციის სახელმწიფო ექსპერტიზა – 1) წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების დადგენილ ნორმატიულ-მეთოდურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება; 2) დასახელებული სქემების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი პირობა.

წყლის საზოგადოებრივი ურთიერთობები – 1) ურთიერთობები ადამიანებს შორის წყლის, როგორც მათი ცხოვრებისა და საქმიანობის გამოყენებისა და დაცვის თაობაზე; 2) წყლის კოდექსის სამართლებრივი რეგულირების, წყლის კანონმდებლობის სხვა ნორმატიული აქტების საგანი.

წყლის სამართალი 1) სამართლის დამოუკიდებელი კომპლექსური დარგის წარმომქმნელი სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემა, რომლის საგანსაც წარმოადგენს წყლის საზოგადოებრივი ურთიერთობები; 2) სამეცნიერო სპეციალობა 12.00.06 (რე) სპეციალობის შემადგენლობაში „ბუნებრივი რესურსების სამართალი; აგრარული სამართალი, ეკოლოგიური სამართალი", რომელიც შედის მეცნიერ-მუშაკების სპეციალობათა ნომენკლატურაში; 3) სასწავლო დისციპლინის – „მიწის სამართალი" – შემადგენელი ნაწილი, დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა, რომელიც იურიდიულ სასწავლებლებში, როგორც წესი, იკითხება სპეციალური კურსის სახით.

წყლის სამეურნეო ბალანსები – საანგარიშსწორებო მასალები, რომლებიც შეადგენენ წყლის მოთხოვნას და არსებობს მოცემულ ტერიტორიაზე წყლის რესურსებით. წყლის სამეურნეო ბალანსები გათვალისწინებულია წყლის რესურსების არსებობისა და ხარისხის შეფასებისთვის წყლის ობიექტების აუზში და შესაბამის ტერიტორიაზე და გამოიყენება წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის თაობაზე გადაწყვეტილებათა მისაღებად და დაგეგმვისათვის. წყლის

სამეურნეო ბალანსის შედგენა ხორციელდება წყლის ფონდის გამოყენებისა და დაცვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

წყლის სამეურნეო საქმიანობა – მოქალაქის ან იურიდიულ პირთა საქმიანობა, რომელიც უკავშირდება წყლის ობიექტების გამოყენებას, აღდგენასა და დაცვას.

წყლის ფონდი – 1) ბუნებრივი რესურსების ფონდების სახე. იხ. მიწის ფონდი, წიაღის სახელმწიფო ფონდი, ტყის ფონდი, ბუნებრივ-ნაკრძალის ფონდი; 2) წყლის ობიექტების ერთობლიობა, რომლებიც ჩართულია ან ექვემდებარება სახელმწიფოს წყლის კადასტრში ჩართვას.

წყლის ფონდის მიწები – 1) მიწის ერთ-ერთი კატეგორია; 2) წყლის ობიექტებით დაკავებული და ასევე ჰიდროტექნიკური და სხვა, წყლის მეურნეობის ნაგებობებისა თუ ობიექტების დაცვის ზონისა და მოკუთვნების ზოლის ქვეშ გამოყოფილი მიწები, წყლის ფონდის მიწები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის, რომლებიც უზრუნველყოფილია მოსახლეობის მიერ სასმელი წყლის მოთხოვნის, საყოფაცხოვრებო, გამაჯანსაღებელი და ასევე წყლის სამეურნეო, სოფლის სამეურნეო, ბუნების დაცვის, სარეკრეაციო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა სახელმწიფო თუ მუნიციპალური საჭიროებისთვის უზრუნველყოფის დადგენილი მოთხოვნების დაცვისას. წყალშემარაგების წყაროების დაცვისთვის დგინდება დაცვის ზონები, რომელთა ფარგლებშიც ხდება მიწების გამოყენების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის შემოღება.

წყლის ღობე – ნაგებობებისა და მოწყობილობების კომპლექსი წყლის ობიექტებისგან შემდგარი წყლის შემოღობვისთის.

წყლის ცხოველებისა და მცენარეების უკანონო მოპოვება აკრძალულ დროს დაუშვებელ ადგილებში ან მიუღებელი ხერხებითაა და საშუალებებით შესაბამისი ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე თევზის, ზღვის ცხოველების ან სარეწი საზღვაო მცენარეების მოპოვება, თუ ეს ქმედება განხორციელებულია: ა) დიდი ზიანის მიყენებით; ბ) თვითმაეალი სატრანსპორტო მცურავი საშუალების ან ასაფეთქებელი და ქიმიური ნივთიერებების, ელექტროდენის ან აღნიშნული წყლის ცხოველებისა და მცენარეების მასობრივი განადგურების სხვა ხერხების გამოყენებით; გ) ქვირითის დაყრის ადგილებში ან მათთან სამიგრაციო გზაზე; დ) ნაკრძალის ტერიტორიაზე ან ეკოლოგიური კატასტროფისა თუ საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციის ზონაში.

ჯ

ჯაუასუსტობა – ფსიქიკის ღრმა, ბნელად შექცეული ან შეუქცევადი დეფექტი, რომელიც ელინდება ინტელექტის სისუსტეში, ადრე შეძენილი ცოდნის დაკარგვაში და ახალი ცოდნის გაძნელებულ აღქმაში, ქცევის ცვლილებებში. განასხვავებენ თანდაყოლილ ჭკუასუსტობას (ოლიგოფრენია) და შეძენილს (დემენცია) – ტვინის უჯრედების ცვლილებას ზოგიერთი დაავადების დროს (ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი, ეპილეპსია და სხვ).

ჭკუასუსტობის ყველაზე მსუბუქი ფორმაა დებილიზმი. დამნაშავეთა შორის დებილები საკმაოდ მაღალ პროცენტს შეადგენენ. დებილიზმი გადადის იმბიცილიზმში. მკაფიო ზღვარი მათ შორის არ არსებობს. ჭკუასუსტობის უმძიმესი ფორმაა იდიოტიზმი. სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით იდიოტები არიან აბსოლუტურად შეურაცხადები. ჭკუასუსტი იშვიათად ამოდის თავისი პირადი გამოცდილებიდან მორალურ მსჯელობებში ან სამართლებრივ წარმოდგენებში. ადვილად შთაგონებადობას ხშირად მიყავს ჭკუასუსტები თავისი პიროვნების გადაჭარბებული შეფასებისკენ. კერძოდ, ჭკუასუსტებს მიდრეკილება აქვთ აფექტებისკენ და მოქმედებენ იმპულსურად. ხშირია მათ შორის სქესობრივი გადახრების შემთხვევები, აგრეთვე წრფილმანი ქურდობის, მაწანწალობის და პროსტიტუციის შემთხვევები.

ჭკუასუსტობა – შემეცნებითი საქმიანობის მყარი, შეუქცევადი აშლილობები პიროვნების ფსიქიკის გალარიბებით, ინტელექტის, მეხსიერების, კრიტიკული უნარების მოშლით. ჭკუასუსტობა, როგორც ფსიქიკის ნაკლოვანება სავსებით საფუძვლიანადაა ჩართული სამედიცინო კრიტერიუმის ნიშნების რიცხვში, რაზეზეც გონებრივი განუვითარებლობის ხარისხის ან მისი ჭკუასუსტობის შემცირება შეიძლება მოწმობდეს შეურაცხადობაზე. გამოიყოფა თანდაყოლილი (ოლიგოფრენია) და შეძენილი (ათეროსკლეროზული, მოზუცებულობითი დემენცია და სხვ.) ჭკუასუსტობა.

ჯილი პაპირუსის ქართ. შესატყვისი. პირველად დაბადების ქართულ თარგმანში გეხვდება. მას უძველესი დროიდან იყენებდნენ საწერ მასალად.

ხ

ᲮᲐᲖᲘᲜᲐ – ქონება, რომელიც განკუთვნება სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებას და არაა განმტკიცებული კონკრეტულ სახელმწიფო და მუნიციპალურ საწარმოებსა და დაწესებულებებზე. არსებობს სახელმწიფო, ფედერაციის, ფედერაციის სუბიექტის და მუნიციპალური წარმონაქმნის ხაზინა. ფედერალური ბიუჯეტის, ფედერაციის სუბიექტის ბიუჯეტის სახსრები და სხვა სახელმწიფო ქონება, რომელიც განმტკიცებული არაა სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებზე და შესაბამისად შეადგენს სახელმწიფო ხაზინას. მუნიციპალურ ხაზინას შეადგენს მუნიციპალური ბიუჯეტის საშუალებები და სხვა მუნიციპალური ქონება, რომელიც განმტკიცებული არაა მუნიციპალურ საწარმოებსა და დაწესებულებებზე.

ტერმინი ხაზინა ზოგან ასევე გამოიყენება პასუხისმგებლობის ინსტიტუტთან დაკავშირებით სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიყენებულ ზიანზე. კერძოდ, ეს შეიძლება ეხებოდეს მოქალაქისთვის მიყენებულ ზიანს უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონო მიცემის, აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების ან გაუსვლელობის შესახებ ხელწერილის უკანონო გამოყენების, გამოსასწორებელი სამუშაოების უკანონო დაკისრების შედეგად, რაც შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს ხაზინის ხარჯზე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. ასეთ შემთხვევებში ხაზინის სახელით გამდის შესაბამისი ფინანსური ორგანოები: ფინანსთა სამინისტრო ან მისი ორგანოები ადგილებზე, ფედერაციის სუბიექტთა ან მუნიციპალურ წარმონაქმნთა ფინანსური ორგანოები.

ᲮᲐᲖᲘᲜᲐ — 1. შესაბამისი ბიუჯეტის სახსრები და სხვა სახელმწიფო ქონება, რომელიც არ ირიცხება სახელმწიფო ორგანიზაციებზე შეადგენს სახელმწიფო ხაზინას. ქონება, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის მუნიციპალურ წარმონაქმნს და არ ირიცხება მუნიციპალურ ორგანიზაციებზე შეადგენს შესაბამისად ქალაქის, დაბის და სხვა მუნიციპალური წარმონაქმნის მუნიციპალურ ხაზინას. სახელმწიფო ხაზინას მიეკუთვნება ბიუჯეტის, საპენსიო ფონდის, სოციალური დაზღვევის ფონდის და სხვა სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების, ეროვნული ბანკის სახსრები, ოქროს მარაგი, სავალუტო და ალმასის ფონდი.

2. ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობით სამოქალაქო კანონმდებლობის სუბიექტი, რომელიც არ ემთხვევა სახელმწიფოს (მაგ. პოლონეთის სამოქალაქო კოდექსის 33, 34 მუხლები).

ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ დედამიწაზე ან მის ნაწილში მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობა, გამოსახული მრავალფეროვანი სოციალური და ეკონომიკური კავშირით. ხალხთმოსახლეობის ფენომენი მუდმივი განახლება-დინამიკის ქვეშაა და მასზე გაელენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გამოწვეული მიგრაციები. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ხალხთმოსახლეობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც დედამიწის მოსახლეობის 3/4-ზე მეტი ცხოვრობს. საშუალოდ დედამიწაზე კაცებისა და ქალების რაოდენობა დახლოებით თანაბარია. შეინიშნება შემდეგი კანონზომიერება: განვითარებად ქვეყნებში, როგორც წესი, კაცების რაოდენობა მეტია ან თანაბარია ქალების რაოდენობის, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში კი ქალები მეტია კაცებზე. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ყველაზე მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა (70 წელი). უმეტეს შემთხვევაში ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე კაცები. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდამ გამოიწვია მოსახლეობაში ხანდაზმულთა ხვედრითი წილის გადიდება და ხალხთმოსახლეობის დაბერება. დაჩქარებული მიგრაციისა და ურბანიზაციის შედეგად, ბევრად უფრო სწრაფად იზრდება ქალაქის მოსახლეობა. დედამიწის მოსახლეობის 40%-ზე მეტი ქალაქად ცხოვრობს. ევროპისა და ამერიკის 70-80% აღწევს, აზიისა და აფრიკის მეტ წილ ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 30%-ს არ აღემატება. საქართველოში ქალაქის მოსახლეობის წილი 1990-იანი წლების ბოლოს 54% შეადგენდა. მსოფლიოს ხალხები 2 ათასზე მეტი ხალხია და მიეკუთვნებიან 3 ძირითად რასას: ეეროპოიდულს, მონღოლოიდურს და ნეგრო-ავსტრალო-იდურს. ხალხთმოსახლეობა არათანაბრადაა განლაგებული დედამიწაზე. ხმელეთის თითქმის 1/3 დაუსახლებელია. დედამიწის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 34 კაცია 1 კვ.კმ-ზე. დასახლებისათვის უპირატესად გამოყენებულია დაბალი ზონა. 500 მეტრ სიმაღლემდე ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 80%.

ᲮᲐᲛᲣᲠᲐᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ბაბილონის მონათმფლობელური სახელმწიფოს კანონთა კრებული. შედგენილია ძვ. წ. აღრ. XVIII ს-ის 60-იან წლებში. ხამურაბის კანონები დაწერილია ბაზალტის სტელაზე, რომელიც აღმოჩენილი იქნა 1901 – 1902 წლების გათხრების დროს და ინახება ლუვრში. ხამურაბის კანონები წარმოადგენს ძველი აღმოსავლეთის სამართლის მეტად მნიშვნელოვან ძეგლს და შედგება 282 მუხლისაგან. ტექსტის შინაარსი კაზუისტიკური ხასიათისაა და სამართალწარმოებისა და სამოქალაქო ურთიერთობის ფართო სპექტრს მოიცავს.

ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ – დარღვეული უფლების დაცვის კანონით დადგენილი ვადა, ასევე ვადა, რომლის ამოწურვის შემდეგაც კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას აღმოიფხვრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობა) ან გამოირიცხება დანიშნული სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა (საბრალდებო განაჩენის შესრულების ხანდაზმულობა).

ხანდაზმულობის ვადა დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე ან დანიშნულ სასჯელზე. პირი თაეისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, თუ დანაშაულის ჩადენის დღიდან გაეიდა შემდეგი ვადები: ა) ორი წელი მცირე სიმძიმის დანაშაულის ჩადენიდან; ბ) ექვსი წელი საშუალო სიმძიმის დანაშაულის ჩადენიდან; გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; დ) თხუთმეტი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

მსჯავრდებული პირი თაეისუფლდება სასჯელის მოხდისგან, თუ საბრალდებო განაჩენი სისრულეში

მოყვანილ იქნა მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან შემდეგ ვადებში: ა) ორი წელი მცირე სიმძიმის დანაშაულზე მსჯავრდებისას; ბ) ექვსი წელი საშუალო სიმძიმის დანაშაულზე მსჯავრდებისას; გ) ათი წელი მძიმე დანაშაულზე მსჯავრდებისას; დ) თხუთმეტი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე მსჯავრდებისას.

ხანდაზმულობის ვადა იანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე. პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა თითოეულ დანაშაულზე იანგარიშება დამოუკიდებლად.

ხანდაზმულობის ვადის შეჩერება ხდება, თუ დანაშაულის ჩამდენი პირი თავს არიდებს გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის განახლება ხდება აღნიშნული პირის დაკავების ან მისი აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადა, რომელიც ამოწურა მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან თავის არიდების მომენტისთვის, ექვემდებარება ჩათვლას.

ხარჯთაღრიცხვა – სამუშაოების შესრულებისა და მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებში შეთანხმების ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ფასის შესახებ პირობის დეტალიზაციას. ის მოიცავს მონაცემებს მენარდის (შემსრულებლის) ანაზღაურებისა და აუცილებელი ხარჯების შესახებ. ხარჯთაღრიცხვის სახეები გამოიყოფა ხელშეკრულების დადების შემდეგ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების შესაძლებლობისა და პირობების მიხედვით. გამოიყოფა მყარი და მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა. მყარი ხარჯთაღრიცხვა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ: ა) გარემოებების არსებითი ცვლილებისას; ბ) მასალების ღირებულების არსებითი ზრდისას; გ) მენარდის ეკონომიისას; დ) სამუშაოების არასათანადო ხარისხის დროს (ფასის შემცირება); ე) შეთანხმებისას, როცა დამკვეთის მასალა რჩება მენარდესთან (ფასის შემცირება). მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა არ შეიძლება ადრე განისაზღვროს ყველა აუცილებელი სამუშაოების ჩამონათვალი. მენარდეს უფლება აქვს მოითხოვოს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ცვლილება, თუ საჭიროა დამატებითი სამუშაოების ჩატარება, რაც მოითხოვს ფასის არსებით მომატებას. ფასის მომატების აუცილებლობის შესახებ მენარდემ დროულად უნდა აცნობოს დამკვეთს. იხ. ასევე სანარდო ხელშეკრულება, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულების ხელშეკრულებები.

ხელისუფლების აქტებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები – სამოქალაქო სამართალში, ეს გენერალურ დელიქტთან ერთად არის ვალდებულებები ზიანის მიყენებიდან გამომდინარე, რიგი სპეციალური დელიქტი, რომლებიც ხასიათდებიან ზიანის მიყენების ზოგიერთი დამატებითი პირობის არსებობით, კერძოდ: ა) ზიანის მიყენების მიზეზს წარმოადგენს ხელისუფლების (მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების) აქტი. აქტს ახორციელებს თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს განკარგულებითი ხასიათის უფლება მის ხელქვეით პირებთან მიმართებაში, მათ მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულების დროს; ბ) აქტის მართლსაწინააღმდეგოდ განისაზღვრება სამართლის იმ დარგის პოზიციით, რომლის ნორმებთანაც ისინი რეგულირდებიან.

მოცემული ვალდებულებები ორი სახისაა: 1) ვალდებულებები მმართველობის აქტებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ: ა) მათი წარმოქმნის საფუძვლები ამომწურავად არაა განსაზღვრული; ბ) აქტი შეიძლება იყოს, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი; გ) დაზარალებული შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი; დ) საჭიროა პრეზუმირებული ბრალის არსებობა; 2) სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს აქტებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ: ა) ისინი წარმოიქმნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონო მიცემისას; ა) აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების ან ქალაქიდან გაუსვლელობის შესახებ ხელწერილის უკანონოდ გამოყენებისას ან უკანონოდ სასჯელის მისჯის დროს; ბ) ზიანის ანაზღაურების სავალდებულო პირობას წარმოადგენს გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, საქმის შეწყვეტება სარეაბილიტაციო გარემოებებით; გ) ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქემ ხელი შეუწყო უკანონო მსჯავრდებას (თვითბრალდება) ძალადობის ან მუქარის გამოყენების შემთხვევების გარდა; დ) ვალდებულებაში კრედიტორს წარმოადგენს უკანონო აქტისგან დაზარალებული მოქალაქე ან მისი მემკვიდრეები; ე) ზიანის ანაზღაურება ხდება მოკლეების მწარმოებელი, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის, სასამართლო ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალეულობის მიუხედავად; ე) ზიანის ანაზღაურება ხდება სრული მოცულობით (დაკარგული შემოსავლები, კონფისკირებული ან სახელმწიფოს შემოსავალი – აყვანილი ქონება, ჯარიმები და ა.შ.). შესაძლებელია მორალური ზიანის კომპენსაციაც; ზ) ზიანის ანაზღაურება ხდება ბაზრის ხარჯზე.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დემოკრატიული სახელმწიფოს წესწყობილების ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება დაყოფილი იყო სამ დამოუკიდებელ შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. საკანონმდებლო ხელისუფლება იღებს კანონებს, აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს მას, ხოლო სასამართლო უზრუნველყოფს კანონიერების დაცვას. ხელისუფლების დაყოფის პრინციპი არსებობდა ძველ მსოფლიოშიც, მაგრამ თანამედროვე შინაარსი XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლის შარლ მონტესკიოს მოძღვრებიდან იღებს სათავეს.

ხელისუფლების დაყოფა – სამართალში ესაა დოქტრინა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებისა და განხორციელების პოლიტიკურ-სამართლებრივი პრინციპი. ხელისუფლების გაიმჯვნის პრინციპის საფუძველში დეეს დაშორებილი ფილოსოფოსების: პლატონის, არისტოტელეს, პოლიბიოსის, მაკიაველის, მონტესკიეს და ლოკის პოლიტიკური მოძღვრები. ის პირველად განმტკიცებულ იქნა აშშ კონსტიტუციაში 1787 წელს. არსებობს ხელისუფლების დაყოფა „ჰორიზონტალურად" – ხელისუფლების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებს

შორის და „ვერტიკალურად" – ფედერაციასა და შტატებს შორის.

პრაქტიკაში, ხელისუფლების დაყოფის პრინციპის რეალიზაცია ხდება ე.წ. შეკავებისა და საპირწონეს სისტემის მეშვეობით. ის, ერთის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების სამი შტოს – საკანონმდებლოს, აღმასრულებლისა და სასამართლოს – საორგანიზაციო დამოუკიდებლობას და მათ შორის შესაბამისი ფუნქციების გამიჯვნას, ხოლო მეორეს მხრივ გარკვეულ ურთიერთქმედებას. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ არ იქნეს დაშვებული ერთ-ერთი შტოს გაძლიერება მეორის ხარჯზე. ასე მაგალითად, კონგრესს, საკანონმდებლო ხელისუფლების მატარებელს შეუძლია არ მიიღოს კანონპროექტები, რომლებიც წარმოდგენილია აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის – პრეზიდენტის მიერ. პრეზიდენტი ამტკიცებს კონგრესის მიერ მიღებულ კანონპროექტებს და უფლება აქვს ვეტო დაადოს მათგან იმათ, რომელთაც ის არ ეთანხმება. სახელმწიფო ხელისუფლების სამი შტოს ურთიერთქმედება და ურთიერთგაკონტროლება მიზნად ისახავს სახელმწიფო ინსტიტუტების სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ხელისუფლების მიტაცება

ხელისუფლების ხელში ჩამგდები პირების კონტროლი, თავიანთი გადაწყვეტილებების შესრულება ძალისმიერი მოქმედებების გზით, როცა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩამორთმეული აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ თავიანთი ფუნქციები და კომპეტენცია.

ქმედებები, რომლებიც მიმართულია ხელისუფლების ძალისმიერ შენარჩუნებაზე, შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ ხელისუფლების მიტაცების შემდეგ, დამნაშავენი ხელს უშლიან ხელისუფლების კონსტიტუციური სისტემის ფუნქციონირებას.

ხელისუფლების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდება ან ხელისუფლების ძალადობრივად შენარჩუნება

– დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს კონსტიტუციურ წყობას, რომლითაც განმტკიცებულია სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპები, წესი.

ხელისუფლების წარმომადგენელი

– პირი, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასამართლო ხელისუფლებას, ასევე სახელმწიფო, ზედამხედველობის ან მაკონტროლებელი ორგანოების მუშაკი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით გააჩნია განკარგულებით უფლებამოსილება მათ სამსახურებრივ დამოკიდებულებაში არმყოფი პირების მიმართ ან უფლება მიიღონ მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისთვის სავალდებულო სახით შესასრულებელი გადაწყვეტილებები.

ხელმწიფის კარის გარიგება

ქართული სამართლის ძეგლი. ექვთიმე თაყაიშვილის ეარაუდით, შედგენილი უნდა იყოს XIV საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს. ძეგლის დიდი ნაწილი დაკარგულად ითვლება და ჩვენამდე მოღწეულია 40-მდე პარაგრაფი. მათში აღწერილია დარბაზობის, საპატიო პირთა მიღების ცერემონიალი. განსაზღვრულია ამირსპა-სალარის, მანდატურთუხუცესისა და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირთა უფლებამოსილება, მოწესრიგებულია უმაღლესი სასამართლო დაწესებულებისა და ადგილობრივი მმართველობის რიგი საკითხები.

ხელფასი

– ანაზღაურება შრომის სანაცვლოდ მუშაკის კვალიფიკაციის, სამუშაოს შესრულების სირთულის, რაოდენობის, ხარისხისა და პირობების მიხედვით და ასევე საკომპენსაციო და მასტიმულირებელი ხასიათის გასამრჯელო. ხელფასის როლი ვლინდება სამი ძირითადი ფუნქციის: აღწარმოების, მასტიმულირებელისა და მარეგულირებელის შესრულებაში.

ხელფასისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშანს წარმოადგენს გასამრჯელო, რომელიც: ა) მოწმობს მუშაკის მიერ შრომითი ფუნქციის შესრულებას; ბ) ხორციელდება მუშაკის კვალიფიკაციის, შესასრულებელი სამუშაოს სირთულის, დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად; გ) არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმუმზე ნაკლები; დ) ატარებს გარანტირებულ ხასიათს.

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს გარკვეული სოციალური გარანტიების დადგენა შრომის ანაზღაურების დარგში, მუშაკთა შრომის ანაზღაურების ძირითადი სახელმწიფო გარანტიების სისტემაში შედის: შრომის ანაზღაურების მინიმალური ოღენობის სიდიდე სახელმწიფოში; ორგანიზაციების მუშაკთა სატარიფო განაკვეთის (სარგოს) მინიმალური ოღენობის სიდიდე; ხელფასის რეალური შემცველობის დონის ამაღლების უზრუნველმყოფელი ღონისძიებები. სამუშაოს მიმცემის განკარგულებით ხელფასიდან დაკავების ოდენობისა და საფუძვლების ჩამონათვალის, ასევე ხელფასიდან შემოსავლების გადასახადით დაბეგვრის ოდენობის შეზღუდვა; ნატურალური ფორმით შრომის ანაზღაურების შეზღუდვა; მუშაკის მიერ ხელფასის მიღების უზრუნველყოფა სამუშაოს მიმცემის საქმიანობის შეწყვეტისა და კანონის შესაბამისად მისი გადახდისუუნარობის შემთხვევაში; სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი ხელფასის სრულ და დროულ გაცემასა და შრომის ანაზღაურების სახელმწიფო გარანტიების რეალიზაციაზე; სამუშაოს მიმცემთა პასუხისმგებლობა კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით, კოლექტიური ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე.

იკრძალება ნებისმიერი დისკრიმინაცია ხელფასის ოდენობისა და შრომის ანაზღაურების სხვა პირობების დადგენისა და ცვლილების დროს. ხელფასის გაცემა ხდება სახელმწიფო ვალუტაში. კოლექტიური ან შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მუშაკის წერილობითი განაცხადის მიხედვით, შრომის ანაზღაურება ხდება სხვა ფორმით, ამასთან, ხელფასის წილი, რომელიც გაიცემა არაფულადი ფორმით, არ შეიძლება აღემატებოდეს ხელფასის საერთო ოდენობის 20%-ს. დაუშვებელია ხელფასის გაცემა სპირტიანი სასმელების, ნარკოტიკული, ტოქსიკური, შხამიანი და მავნე ნივთიერებების, იარაღის, საბრძოლო მასალების და სხვა საგნების სახით, რომელთა მიმართაც დადგენილია აკრძალვები და შეზღუდვები მათ თავისუფალ ბრუნვაზე.

თანამედროვე ეტაპზე ხელფასის ორგანიზება გულისხმობს ორი სპეციფიკური თავისუფლების არსე-

ბობას, რომელიც ახასიათებს შრომის სამართლებრივი რეგულირების მეთოდს, რომლებიც ტრანსფორმირებულნი არიან შრომის ანაზღაურების სამართლებრივი რეგულირების მეთოდის თაეისებურებაში: ნორმატიული და სახელშეკრულებო რეგულირებისა და შრომის სამართლებრივი რეგულირების დიფერენციაციისა და ერთიანობის შერწყმით.

პირველი შეთავსება გულისხმობს სახელმწიფოს, ასევე სოციალური პარტნიორების, მუშაკებისა და სამუშაოს მიმცემთა ორგანიზაციების დონეზე განხორციელებულ რეგულირებას. სახელმწიფო დონეზე ნორმატიული რეგულირების სფეროს განეკუთვნება შრომის ანაზღაურების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი პრინციპების, ხელფასის დაცვის სამართლებრივი ღონისძიებების, ხელფასის მინიმალური ოდენობის, საგარანტიო და საკომპენსაციო გადახდების დადგენა. ცენტრალიზებული წესით ასევე დადგენილია ანაზღაურების წესები შრომის ნორმალური პირობებისგან გადახრისას ან ასეთი სამუშაოს ჩატარებაზე კომპენსაციების წესი.

შრომის ანაზღაურების სახელშეკრულებო რეგულირების სფეროს განეკუთვნება ხელფასის კონკრეტული ფორმების, სისტემების, ოდენობის დადგენა და შრომის სტიმულირება. შრომის სამართლებრივი რეგულირების დიფერენციაციისა და ერთიანობის შეთავსების შემთხვევაში ერთიანობა მდგომარეობს შრომის ანაზღაურების სამართლებრივი რეგულირების საერთო პრინციპების დადგენაში, ხოლო დიფერენციაცია ასახავს ხელფასზე გაელენის მქონე სირთულეს, არაერთგვაროვნებასა და სხვა ფაქტორებს.

ხელფასის დიფერენციაცია ყველაზე მკაფიოდ ვლინდება სატარიფო სისტემაში შესასრულებელი სამუშაოების სირთულის, ინტენსიობის, შრომის პირობებისა და სხის მიხედვით. შრომის უტარიფო ანაზღაურება ხელფასს სრულ დამოკიდებულს ხდის მთლიანად ორგანიზაციის მუშაობის საბოლოო შედეგებზე. ხელფასის დიფერენციაცია შრომის დანახარჯების აღრიცხეის ხერხის მიხედვით ხდება ანაზღაურების დროითი და გარიგების სისტემის საფუძველზე.

ბიუჯეტიდან ფინანსირებად ორგანიზაციებში მასტიმულირებელი და საკომპენსაციო გადახდების გამოყენების წესი და პირობები დგინდება მთავრობის მიერ; ადგილობრიეი ბიუჯეტიდან ფინანსირებად ორგანიზაციებში კი – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

ხელფასიდან დაკავების შეზღუდვა

– სახელმწიფო გარანტიების ერთ-ერთი სახე შრომის ანაზღაურების დარგში. ხელფასიდან დაკავება ხდება მხოლოდ შრომის კოდექსთა და სხვა კანონებით დადგენილ შემთხვევებში. მუშაკის ხელფასიდან დაკავება სამუშაოს მიმცემისთვის მისი დავალიანების დასაფარავად შეიძლება მოხდეს: ა) გამოუმუშავებელი ავანსის ასანაზღაურებლად, რომელიც მუშაკისთვის გაცემულია ხელფასის ხარჯზე; ბ) დაუხარჯავი და დროულად დაუბრუნებელი ავანსის დასაფარავად, რომელიც გაცემულია მის სამსახურებრივ მივლინებასთან ან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით და ასევე სხვა შემთხვევებში; გ) გაანგარიშებითი შეცდომების შედეგად ზედმეტად გაცემული თანხის დასაბრუნებლად.

დაუშვებელია დაკავება გადახდებიდან, რომლებზეც კანონის შესაბამისად არ ხდება ასეთი სახის ჯარიმის გამოყენება.

ხელფასის დროითი სისტემა

– შრომის საზომსა და ანაზღაურების ოდენობას შორის თანაფარდობის დადგენის ერთ-ერთი ხერხი. განსხვავება დროით და გარიგებით ანაზღაურებას შორის იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში შრომის საზომის აღსარიცხავად გამოიყენება სამუშაო დრო, ხოლო მეორე შემთხვევაში – გამომუშავებული პროდუქციის (შესრულებული ოპერაციების, გაწეული მომსახურების მოცულობა) რაოდენობა. დროითი სისტემა იყოფა სამ ნაირსახეობად: საათობრივი, დღიური და თეიური. თუ საფუძველში დევს საათობრივი და დღიური სატარიფო განაკეთი, მუშაკის თეიური ხელფასი დამოკიდებულია კალენდარულ თეეში გამომუშავებული სამუშაო საათების ან სამუშაო დღეების რაოდენობაზე. თუ გამოიყენება თეიური სატარიფო განაკეთი (სარგო), მუშაკის ხელფასი რომელმაც სწრაფად იმუშავა მოცემულ თეეში ყველა სამუშაო დღეს, გაიცემა მყარი ოდენობით.

შრომის დროითი ანაზღაურება დგინდება მოსამსახურეთა უმრალესობისთვის თეიური თანამდებობრივი სარგოს სახით და ასევე იმ მუშებისთვის, რომელთა ინდეიდუალური გამომუშავებაც განისაზღვრება ტექნოლოგიური პროცესით ან შრომის ორგანიზების ფორმით, საათობრივი ან თეიური სატარიფო განაკეთის ან სარგოს სახით. საკითხი მუშაკის (მუშაკთა ჯგუფის) შრომის ანაზღაურებისთეის კონკრეტული სახის სატარიფო განაკეთის გამოყენების შესახებ წყდება სამუშაოს მიმცემის მიერ ორგანიზაციის მუშაკების წარმომადგენლობითი ორგანოს აზრის გათვალისწინებით და მტკიცდება კოლექტიურ ხელშეკრულებაში ან დებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ.

დროითი ანაზღაურების აუცილებელ პირობას წარმოადგენს შრომის ნორმირება, ე.ი. რაოდენობრივი და თვისობრიეი მაჩვენებლების დადგენა, რომლებიც უნდა იქნეს მიღწეული დროის ერთეულში. მუშაკთა შრომის ეფექტურობის გაზრდის მიზნით გამოიყენება ნორმირებული დავალებები, რომლებიც წარმოადგენენ სამუშაოს ჯამურ მოცულობას სამუშაო დღის (ცვლის) მანძილზე მუშაკის ან ბრიგადისთეის. დროის მიხედვით მოცემულ დავალებაში გამოიყოფა დღიური (ცვლის) და თეიური ნორმირებული დავალება. შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მომსახურების ასეთი ნორმაც: ერთ მუშაკზე (ბრიგადაზე) დადგენილი საწარმოო მექანიზმების, დანადგარების, ფართობის მომსახურების მოცულობა. მათ ნაირსახეობას წარმოადგენს მართვადობის ნორმა ე.ი. თუ რამდენ მუშაკს უნდა მართაეზეს ერთი ხელმძღვანელი (ბრიგადირი, ოსტატი და სხე.) მოცემულ საწარმოში. ეს ასევე არის შრომის პროცესის მმართველი ხელმძღვანელების შტატის განსაზღვრის საანგარიშო ნორმა. ნორმირება ორგანიზაციის მიერ ხდება დამოუკიდებლად.

შრომის ორგანიზების მიხედვით დროითი ანაზღაურება (ისევე, როგორც გარიგებითი) შეიძლება იყოს ინდივიდუალური და კოლექტიური. შრომის ანაზღაურების ინდივიდუალური ფორმის დროს ხელფასის დარიცხვა და გაცემა ხდება მუშაკის პირადი შრომის შედეგებით. შრომის ანაზღაურების კოლექტიური ფორმის დროს ხელფასი ერიცხება კოლექტივს (ბრიგადას, რგოლს და ა.შ.) კოლექტიური შედეგების მიხედვით, ხოლო მუშაკს

უნახლაურდება ამ შედეგებში მისი პირადი წვლილის გათვალისწინებით. კოლექტიური ხელფასი შეიძლება განაწილდეს მუშაკების სარგოს და სატარიფო განაკვეთის მიხედვით გამომუშავებული დროის პროპორციულად. კონკრეტული მექანიზმი განისაზღვრება კოლექტიურ ხელშეკრულებებში ან დებულებებში მოცემული ორგანიზაციის მუშაკების შრომის ანაზღაურების შესახებ.

შრომის დროით ანაზღაურებას შეიძლება დაემატოს პრემიალური სისტემა. პრემიების ორგანიზებისა და სამართლებრივი რეგულირების საკითხები განეკუთვნება ორგანიზაციის პრეროგატივას. პრემიალური სისტემისთვის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს პარამეტრს წარმოადგენს პრემიის გაცემის მაჩვენებელი. მისი სამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის განსაზღვრავს კონკრეტულ რაოდენობრივ და თვისობრივ მოთხოვნებს, რომელთა მიღწევისას მუშაკს გააჩნია პრემიის მიღების უფლება. მაჩვენებლის მიუღწეველობისას პრემიის მიღების უფლება არ წარმოიქმნება. პრემიების გაცემის მაჩვენებლები და პირობები შეიძლება იყოს რაოდენობრივი და თვისობრივი. მათი არჩევა, სამართლებრივი განმტკიცების ფორმა, პრემიების ოდენობის განსაზღვრის წესი, პრემიის გასაცემი სახსრების წყაროები და სხვა საკითხები წყდება უშუალოდ ორგანიზაციაში.

პრემიის მაჩვენებლები და პირობები განისაზღვრება იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც დამახასიათებელია მუშაკების მოცემული კატეგორიისთვის შრომის საბოლოო მაღალ შედეგის მიღწევის პროცესში. როგორც წესი, მუშაკებისთვის პრემიის გაცემა ხდება საწარმოო დავალების შესრულებაზე, ნედლეულის, მასალების, ენერგიის დაზოგვაზე. შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებაზე. შრომის ანაზღაურების სისტემით განპირობებული პრემიები შედის მუშაკის საშუალო ხელფასში.

ხელფასის, პენსიების, სტიპენდიების, შემწეობებისა და სხვა დახმარების გაუცემლობა – საზოგადოებისთვის საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც განხორციელებულია საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ საკუთრების ფორმის მიუხედავად ანგარების ან პირადი დაინტერესების მიზნით, რაც გამოიხატება ხელფასის, პენსიების, სტიპენდიების, შემწეობებისა და სხვა დახმარებების არამართლზომიერ დაკავებაში, წარმოქმნილი დავალიანების დროულად დაფარვის ობიექტური შესაძლებლობის არსებობისას.

ხელშეკრულება – ორი ან მეტი პირის შეთანხმება სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დადგენის, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ.

ხელშეკრულებები უნდა გამოხატავდეს მხარეთა შეთანხმებულ ნებას, რომელიც მიმართულია მართლწესრიგის შესაბამისი მიზნის მიღწევაზე, ზოგიერთი ხელშეკრულება სავალდებულოსთან ერთად ასევე წარმოშობს ქონებრივ სამართალდამოკიდებულებებსაც საკუთრებასთან, სამეურნეო, ოპერატიულ მართვასთან დაკავშირებით. რიგ შემთხვევებში, ხელშეკრულება წარმოქმნის არა მხოლოდ ქონებრივი, არამედ პირადი არაქონებრივი სამართალურთიერთობების საფუძველს (მაგალითად, ხელშეკრულება გაყიდის ან გამოგონებაზე სამრეწველო ნიმუშზე პატენტის დათმობის შესახებ).

ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ – შეთანხმება მუშაკსა და ორგანიზაციას შორის, რომელიც იღებს წერილობითი ფორმით და წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების დამატებას. ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ აკონკრეტებს მუშაკისა და საწარმოს ადმინისტრაციის ვალდებულებებს მუშაკისთვის მინდობილი ქონების შენარჩუნების უზრუნველყოფის მხრივ და ასევე ადგენს მუშაკის სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას ამ ქონების შენარჩუნების არაუზრუნველყოფაზე. (ე.ი მათ დანაკლისსა და გაფუჭებაზე).

მუშაკი, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, წარმოადგენს მატერიალურ-პასუხისმგებელ პირს. ეს ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს 18 წლიდან ნებისმიერ მუშაკთან, რომელსაც უკვია თანამდებობა ან ასრულებს უშუალოდ სამუშაოს, რაც უკავშირდება წარმოების პროცესში მისთვის გადაცემული ფასეულობების შენახვას, დამუშავებას, გაყიდვას (გაღებას), გადაზიდვასა თუ გამოყენებას. მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულებაში ჩართულია საწყობების, მაღაზიების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების ხელმძღვანელები, მათ მოადგილეთა, მოლარეთა, ტვირთის გადამზიდი ექსპედიტორების, ინკასატორების ასევე იმ მოსამსახურეთა თანამდებობები, რომლებიც ასრულებენ ყველა სახის გადასახადის მოსახლეობისგან მიღებისა და ფულის გაცემის სამუშაოებს არა სალაროს გზით; საწყობებში, ბაზებზე (ნავთობბაზებზე), ავტოგასამართ სადგურებში, მაცივრებში, საცავებში მატერიალური ფასეულობების შენახვის, დამუშავების, გაცემის სამუშაოებს; საქონლის გაყიდის (გაღების), მათი გასაყიდად მომზადების სამუშაოებს ეაჭრობის ფორმისა და საწარმოს პროფილის მიუხედავად; წარმოების პროცესში ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების, სინთეზური კორუნდის და მათი ნაწარმის შესყიდვის, გაყიდვის, გაცვლის. გადაზიდვის, მიწოდების, გადაგზავნის, შენახვის, დამუშავებისა და გამოყენების სამუშაოებს; სოფლის მეურნეობისა და სხვა ცხოველების მოშენების, გამოკვების, შენახვის სამუშაოებს.

მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულების დადები მუშაკი იღებს სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე და ასევე მისთვის მინდობილი ფასეულობების შენახვის არაუზრუნველყოფაზეც (ე.ი. მათ დანაკლისსა და გაფუჭებაზე). ამასთან, ის ვალდებულია ფრთხილად მოეპყრას მისთვის გადაცემულ ფასეულობებს და მიიღოს ზომები ზარალის თავიდან ასაცილებლად; დროულად აცნობოს ადმინისტრაციას ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის მისთვის მინდობილი მატერიალური ფასეულობების დაცულობას; აწარმოოს აღრიცხვა, შეადგინოს და წარმოადგინოს დადგენილი წესით ანგარიში მისთვის მინდობილი ფასეულობების მოძრაობისა და ნარჩენის შესახებ; მონაწილეობა მიიღოს მათ ინვენტარიზაციაში. თავის მხრივ, ადმინისტრაცია ვალდებულია შეუქმნას პირობები მუშაკს, რაც საჭიროა ნორმალური მუშაობისთვის და მისთვის გადაცემული ფასეულობების სრული შენარჩუნების უზრუნველყოფისთვის; გააცნოს მუშაკს კანონმდებლობა მატერიალური პასუხისმგებლობის

შესახებ და ასევე მისთვის გადაცემული ფასეულობების შენახვის, მიღების, დამუშავების, გაყიდვის (გაშვების), გადაზიდვისა და გამოყენების წესები წარმოების პროცესში: ჩაატაროს მათი ინვენტარიზაცია. ზარალის ოდენობის განსაზღვრა და მისი ანაზღაურების წესი ხდება კანონის შესაბამისად.

ხელშეკრულება მოქმედებს მუშაობის მთელი დროის მანძილზე მუშაკისთვის ჩაბარებულ ფასეულობებთან ერთად. რამდენიმე მუშაკის მიერ მატერიალური ფასეულობების მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოების ერთობლივი შესრულებისას კანონმდებლობის მიერ გათვალისწინებულია ბრიგადული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა. მუშაკის მიერ მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმისას, თუ მატერიალური ფასეულობების მომსახურება შეადგენს მისი შრომითი ფუნქციის შინაარსს, ის შეიძლება დათხოვნილ იქნეს კიდეც სამსახურიდან. ხელშეკრულების დადებაზე მუშაკის უარის შემთხვევაში საპატიო მიზეზებით, ადმინისტრაციამ უნდა შესთავაზოს მას სხვა სამუშაო. ასეთი სამუშაოს არარსებობისას ან მუშაკის უარზე ყოფნისას გადაყვანასთან დაკავშირებით, მასთან წყდება შრომითი ურთიერთობები.

მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულება ზემოთაღნიშნული შემთხვევების გარდა შეიძლება დადოს მშაკებთანაც, რომლებსაც ექისრებათ სრული მატერიალური პასუხისმგებლობა კანონმდებლობით. განსაზღვრავს რა მხარეთა ორმხრივ უფლებებსა და ვალდებულებებს, მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულება მიუთითებს ადმინისტრაციის ვალდებულებას შექმნას აუცილებელი პირობები მატერიალური ფასეულობების შენარჩუნებისთვის, ამიტომ ის წარმოადგენს მუშაკთან შრომითი ხელშეკრულების მნიშვნელოვან დამატებას, რომლის საქმიანობაც უკავშირდება მატერიალური ფასეულობების მომსახურებას.

ხელშეკრულების დადება – იმისათვის, რომ მხარეებმა შეძლონ ხელშეკრულების დადება, საჭიროა, რომ ერთ-ერთმა მათგანმა მაინც გააკეთოს წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ, ხოლო მეორემ მიიღოს ეს წინადადება. ამიტომ ხელშეკრულების დადება გადის ორ სტადიას: პირველს ეწოდება ოფერტი, მეორეს კი აქცეპტი. ამის შესაბამისად, მხარეს, რომელიც სთავაზობს ხელშეკრულების დადებას, ეწოდება ოფერენტი, ხოლო წინადადების მიმღებს აქცეპტანტი. ხელშეკრულება ითვლება დადებულად, როცა ოფერენტი მიიღებს აქცეპტს აქცეპტანტისგან.

ამასთან, ყველა წინადადება – დაიდოს ხელშეკრულება არ იძენს ოფერტის ძალას. კანონის შესაბამისად, ის უნდა იყოს საკმაოდ გარკვეული და გამოხატავდეს პირის აშკარა განზრახვას დადოს ხელშეკრულება; შეიცავდეს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას; მიმართულია ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ პირზე. ასევე აქცეპტად რიცხვი ითვლება ნებისმიერი თანხმობა, არამედ უნდა იყოს მხოლოდ სრული და უპირობო.

ხელშეკრულების თეორია სამართლის ერთ-ერთი უძველესი თეორია. წარმოიშვა ძველ საბერძნეთში და დასრულებული სახით XVII – XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ამ თეორიის წარმომადგენლები (გროციუსი, დიდრო და სხვები) ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფო შეიქმნა ადამიანთა ურთიერთშეთანხმებისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად, რათა მიეღწიათ საყოველთაო მშვიდობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობისათვის. მათი აზრით, ხელშეკრულების თეორიით ადამიანებმა თავიანთი უფლებების ნაწილი გადასცეს სახელმწიფოს, რომელმაც იკისრა ვალდებულება, – დაიცვას მათი საკუთრება, თავისუფლება და უსაფრთხოება.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

სტანდარტული პირობების შემცველი ხელშეკრულებები წარმოიქმნებიან გარკვეულ საქმიან სფეროში და შეიცავენ ამ სახის გარიგებებისთვის დამახასიათებელ განსაზღვრულ ელემენტებს. ხელშეკრულების ტექსტში დატოვებულია ცარიელი ადგილები და მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების ზოგიერთი შემადგენელი ნაწილის დაზუსტება და შევსება. მომეტებული ყურადღებაა საჭირო ამგვარი ხელშეკრულების დადებისას, რადგანაც ტიპიური ხელშეკრულებისგან განსხვავებით მას წინასწარ ადგენს ერთი მხარე და თვალის ერთი გადაელებაა საკმარისი იმისათვის, რომ დაადგინო ვის მიერ არის შედგენილი ხელშეკრულება – გამყიდველის თუ მყიდველის.

ამგვარი ხელშეკრულებების ფორმულარებისგან განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ფორმულარულ ხელშეკრულებაში არ დაიშვება არავითარი გადახვევა სტანდარტული ტექსტიდან და მხარეთა ყველა უთანხმოება შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ ცალკე ოქმით.

ხელშეუხებლობა ცნება, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის და თანამდებობის პირთა გარკვეული კატეგორიის სამართლებრივ სტატუსს. კონსტიტუციაში განმტკიცებულია: ა) პირადი ხელშეუხებლობა. პირი შეიძლება დაკავებულ, დაპატიმრებულ იქნეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით; ბ) საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობა. მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება ბინაში ან სხვა საცხოვრებელ ადგილას შესელა მასში მცხოვრებ პირთა ნების მიუხედავად; გ) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. არავინ არ უნდა ჩაერიოს მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში, შეაგროვოს მათზე ცნობები, დაარღვიოს მიმოწერის, სატელეფონო საუბრების და სხვა სახის ურთიერთობის საიდუმლოება. ხელშეუხებლობით სარგებლობენ ასევე სახელმწიფოების შეთაურები, დეპუტატები და მოსამართლეები.

ხელწერილი (ფორმა-ნიმუში) – ხელწერილი ეწოდება დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ფულის, საქონლის, დოკუმენტების და ა.შ. მიღებას და ეძლევა მიმღების მიერ მას, ვინც აბარებს ფასეულობას. ხელწერილი ადასტურებს მიმღების პასუხისმგებლობას მიღებული დოკუმენტების ან ფასეულობის შენახვაზე.

ხელწერილი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. დოკუმენტის დასახელება.

2. ხელმოწერილის მიმცემის (ფასეულობათა ან დოკუმენტების მიმღების) თანამდებობა, გვარი, სახელი და მამის სახელი.

3. იმ პირის თანამდებობა, გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელსაც ეძლევა ხელწერილი.

4. კონკრეტულად რისთვის არის გაცემული ხელწერილი (უნდა აღინიშნოს მატერიალური ფასეულობის, საგნების, ინსტრუმენტების და ა.შ. ზუსტი დასახელება; ფულადი თანხა იწერება სიტყვებით, ფრჩხილებში – ციფრებით).

5. საჭირო შემთხვევებში აღინიშნება, თუ რომელი საბუთის ან განკარგულების საფუძველზე გაიცა ხელწერილი.

6. თარიღი და მიმღების ხელმოწერა.

7. თუ ხელწერილი გაცემულია დიდ თანხაზე, მასში აღინიშნება მიმღების მისამართი, პასპორტის ნომერი და სერია.

ᲮᲔᲚᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ხელწერილი ქალაქიდან გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ – აღმკვეთი ღონისძიება, რომელიც ყველაზე ნაკლები სახით ზღუდავს ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) უფლებებს. მოცემული აღმკვეთი ღონისძიება შეიძლება შერჩეულ იქნეს იმის საკმარისი საფუძვლების არსებობისას, რომ ეჭვმიტანილი, ბრალდებული: ა) დაემალება მოკვლევის ორგანოებს, წინასწარ გამოძიებას ან სასამართლოს; ბ) შეუძლია გაავრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა; გ) შეუძლია დაემუქროს მოწმეს, სისხლის სამართლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს, გაანადგუროს მტკიცებულებები ან სხვა გზით შეუშალოს ხელი სისხლის სამართლის საქმის წარმოებას. ამ აღმკვეთი ღონისძიების არჩევისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულის სიმძიმე, ცნობები ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის პიროვნების შესახებ, მისი ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ.

ხელწერილი ქალაქიდან გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრალდებულთან (ეჭვმიტანილთან მიმართებაში), რომელსაც გააჩნია მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილი. თუმცა, გამომძიებელმა (მოკვლევის მწარმოებელმა პირმა, პროკურორმა, სასამართლომ) უნდა შეამოწმოს, რომ ბრალდებული (ეჭვმიტანილი) ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ხელწერილი ქალაქიდან გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ მდგომარეობს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ვალდებულებაში: ა) დატოვოს მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილი მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვის გარეშე; ბ) დანიშნულ დროს გამოცხადდეს მოკვლევის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის გამოძახებით ან სასამართლოში; გ) სხვა გზით არ შეუშალოს ხელი სისხლის სამართლის საქმის წარმოებას.

ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲙᲐᲤᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ

1) ტყეთსარგებლობის განხორციელების იურიდიული საფუძველი (იხ, ასევე სატყეო ბილეთი, ორდერი); 2) დოკუმენტი, რომელიც ტყის გამომყენებელს უფლებას აძლევს დაამზადოს ხე-ტყე და მეორეხარისხოვანი ტყის რესურსები და გაიტანოს ისინი. ხე-ტყის გასაკაფი ბილეთი გაიცემა სატყეო მეურნეობის მართვის ორგანოს სატყეოს მიერ ტყის ფონდის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების, ტყის ფონდის ნაკვეთის აუნაზღაურებელი გამოყენების ხელშეკრულების, სატყეო აუქციონის შედეგების შესახებ ოქმის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხე-ტყის გასაკაფი ბილეთი გაიცემა ტყის გამომყენებლისთვის ტყის ფონდის მოკლევადიანი გამოყენებისას – 1 წლამდე ვადით. ხე-ტყის გასაკაფი ბილეთის გაცემა ხდება ტყის გამომყენებლისთვის ყოველწლიურად შესაბამის ხელშეკრულებაში მითითებული ტყის გამოყენების სახეების განხორციელებაზე. ხე-ტყის გასაკაფი ბილეთის ფორმა, ალრიცხვის, შენახვის, შევსებისა და ტყის გამომყენებლისთვის გაცემის წესი დგინდება სატყეო მეურნეობის მართვის ორგანოს მიერ.

ხე-ტყის უკანონო მოჭრა – ხეების, ბუჩქების და ლიანის მოჭრა ხე-ტყის მოსაჭრელი ბილეთის, ორდერის გარეშე ან მოქმედი წესების დარღვევით გაცემული ბილეთის, ორდერის გარეშე, ასევე ხე-ტყის მოჭრა აკრძალულ ადგილას ან დადგენილზე მეტი რაოდენობით, აკრძალული ჯიშის ხეების, ბუჩქებისა და ლიანების მოჭრა.

ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲬᲔᲕᲚᲝᲑᲐ

ხომალდის კაპიტნის მიერ დახმარების გაუწევლობა ხომალდის კაპიტნის მიერ ზომების მიუღებლობა, რომელიც მას უნდა მიეღო გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დასახმარებლად ზღვაში და წყლის სხვა გზებზე, თუ შესაძლებელია დახმარების გაწევა ხომალდის, ეკიპაჟისა და მგზავრებისთვის სერიოზული საშიშროების გარეშე. გაჭირვებაში მყოფ ადამიანად ითვლება წყალში, ჩაძირვადი ხომალდის ქიმზე, ნავსა თუ ტივზე მყოფი ხალხი, რომელთა სიცოცხლეც იმყოფება საშიშროების ქვეშ ან რომლებიც თავად ითხოვენ დახმარებას.

ხულიგნობა – საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, რომელიც გამოხატავს აშკარა უპატივცემლობას საზოგადოების მიმართ, რასაც თან ახლავს ძალადობის გამოყენება მოქალაქეების მიმართ ან მისი გამოყენების მუქარა, ასევე სხვისი ქონების განადგურება ან დაზიანება.

ქმედების ობიექტურ მხარეს შეადგენს აქტიური მოქმედებები, რაც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობას.

საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას წარმოადგენს ისეთი დარღვევები, რომლებიც მნიშვნელოვან, არსებით ზიანს აყენებენ სოციალურად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმალურ ფუნქციონირებას, კერძოდ, ადამიანთა შესაძლებლობას ნორმალურად, მშვიდად იცხოვრონ, იმუშაონ, ისწავლონ, დაისვენონ.

საზოგადოებრივი წესრიგი ესაა საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ადამიანთა შორის ურთიერთობების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ სიმშვიდეს, პიროვნების ხელშეუხებლობასა და საკუთრების მთლიანობას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებას.

ჯ

ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება – რიგი დანაშაულებების ჩადენის შედეგები მოქალაქეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების წინააღმდეგ და ასევე იმ დანაშაულების, რომლებიც მიმართული არიან სისხლისსამართლებრივი დაცვის სხვა ობიექტებისთვის ზიანის მიყენებაზე და ამავდროულად ეხებიან მოქალაქეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოებას.

ჯანმრთელობისთვის მსუბუქი ზიანის მიყენება, ქმედება, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან ზოგადი შრომისუნარიანობის უმნიშვნელო მდგრადი დაკარგვა.

ჯანმრთელობისთვის მძიმე ზიანის მიყენება – ორგანოების ან ქსოვილების ანატომიური მთლიანობის ან მათი ფიზიოლოგიური ფუნქციების დარღვევა ან დაავადებები თუ პათოლოგიური მდგომარეობები, რომლებიც გამოწვეულია გარემოს სხვადასხვა მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფსიქიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, რომლებც შეუსაბამებიან შემდეგ ნიშნებს: სიცოცხლისთვის საშიშროება, მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან ორგანოს მიერ მისი ფუნქციების დაკარგვა, სულიერი ავადმყოფობა. ჯანმრთელობის მოშლა, რომელიც უკავშირდება შრომისუნარიანობის მდგრად დაკარგვას არა ნაკლებ ერთი მესამედისა; ორსულობის შეწყვეტა; სახის დამახინჯება.

სიცოცხლისთვის საშიშს წარმოადგენს დაზიანებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან დაზარალებულის სიცოცხლეს მისი მიყენების მომენტში ან მათი დამთხვევისას სრულდება სიკვდილით. სამედიცინო დახმარების გაწევით განპირობებული სასიკვდილო ალსასრულის თავიდან აცილება არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული სიცოცხლისთვის ასეთი დაზიანებების საშიშროების შეფასების დროს.

ჯანმრთელობისთვის საშუალო სიმძიმის ზიანის მიყენება პირის ფიზიკური მდგომარეობაა, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: სიცოცხლისთვის საშიშროების არარსებობა; სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული შედეგების არარსებობა სხეულის მძიმე დაზიანებებთან მიმართებაში; ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა; შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი მდგრადი დაკარგვა არა ნაკლებ ერთი მესამედისა.

ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის დროს უნდა ვიგულისხმოთ დაზიანებასთან დაკავშირებული უშუალო შედეგები (დაავადებები, ფუნქციის მოშლა და ა.შ.), რომლის ხანგრძლივობაც აღემატება სამ კვირას (21 დღეს). შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი მდგრადი დაკარგვის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ზოგადი შრომისუნარიანობის დაკარგვა 10-დან 33%-მდე.

ჯარიმა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფულადი სასჯელი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე, გადახდის გადანაწილების გარეშე ჯარიმის გადახდის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას ის ექვემდებარება სავალდებულო წესით გადახდას სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის განმავლობაში. თუ ჯარიმა ექვემდებარება ნაწილ-ნაწილ გადახდას, მსჯავრდებულმა უნდა გადაიხადოს ჯარიმის პირველი ნაწილი სასამართლოს გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის განმავლობაში. დანარჩენი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, არა უგვიანეს შემდგომი თვის ბოლო დღისა. თუ მსჯავრდებული თავს არიდებს ჯარიმის გადახდას, სასამართლო აღმასრულებელი სასამართლოს უგზავნის წარდგინებას ჯარიმის, სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესახებ.

ჯარიმის გადახდისგან ბოროტად თავის არიდება ჯარიმის ან ჯარიმის ნაწილის გადაუხდელობა დადგენილ ვადაში. მსჯავრდებულთან მიმართებაში, რომელმაც ბოროტად აარიდა თავი ჯარიმის გადახდას, რომელიც დაკისრებული იქნა დამატებითი სასჯელის სახით, სასამართლოს აღმასრულებელი ჯარიმის გადახდევინებას ახორციელებს იძულების წესით, სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად. ჯარიმის გადახდისგან ბოროტად თავის ამრიდებელი მსჯავრდებული, რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია, ცხადდება ძებნაში და შეიძლება დაკავებულ იქნეს 48 სთ-მდე ვადით. მოცემული ვადა შეიძლება გაგრძელდეს 30 დღემდე სასამართლოს მიერ.

ჯენტლმენური გარიგება [< ინგლ. gentleman] ჯ. გარიგება – ხელშეკრულება, რომელიც პატრიოსან სიტყვას ემყარება, ნოტარიალური ან სხვა რ-მე დამოწმების გარეშე და საერთოდ ზეპირი ფორმით; მონოპოლიებისა და სახელმწიფოს ხელშეკრულების ერთ-ერთი ფორმა ფასებზე, კვოტებზე და ა.შ.

ჯიბის ვეტო აშშ-ის კანონშემოქმედებით პრაქტიკაში გაერცელებული მეთოდი, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი იყენებს იმისათვის, რომ არ დაუშვას არასასურველი კანონის ძალაში შესვლა. აშშ-ის კონსტიტუციით, კონგრესის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი პრეზიდენტმა უნდა განიხილოს 10 დღეში (მოიწონოს ან უარყოს). თუ კანონპროექტი კონგრესის სესიის დამთავრებამდე 10 დღით ადრე წარედგინა პრეზიდენტს და მან სესიის დამთავრებამდე თავისი პოზიცია არ გამოხატა, კანონპროექტი უარყოფილად ითვლება.

ჯილდაობა საეკლესიო ქების მოყვარეთა ძალის გამოცდა. ძველი ქართული ასპარეზობის ნიშანი. ჭაბუკები საჯილდაო ქებას სწევდნენ წელამდე ან მხრებამდე, ტაძრიდან გამოსვლებული ხატის დასწრებით და შორს ტყორცნიდნენ საამისოდ საგანგებო მრგვალ ქვას ან ფიქალს. გამარჯვებული ჯილდოს იღებდა. ქვის ტყორცნის სიშორის მიხედვით მსჯელობდნენ წლის მოსაეალზე და აკეთებდნენ სხვა საჭირო პროგნოზს. მსგავსი ეპიზოდები მოცემულია ამირანის და ინასარკოპალას მითებშიც. ამბობენ კოპალას ქვა დღესაც არსებობს საქართველოში.

ჯიში – ცხოველთა ჯგუფი მიღებული ხელოვნური ან შერჩევის გზით, რომელსაც გააჩნია

გენეტიკურად განპირობებული ბიოლოგიური და მორფოლოგიური თვისებები და ნიშნები, თანაც ზოგიერთი მათგანი სპეციფიკურია მოცემული ჯგუფისათვის და განასხვავებს მას ცხოველთა სხვა ჯგუფებისაგან. ჯიში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მამრობითი ან მდედრობითი სქესის ინდივიდით ან სანაშენო მასალით. ჯიშის დაცულ კატეგორიებს მიეკუთვნება ტიპი, ხაზების კრონი.

ჰ

ჰააგის სამშვიდობო კონფერენციები კონფერენციები 1899 და 1907 წლებში გაიმართა (პირველ კონფერენციაში მონაწილეობდა 26, მეორეში კი 44 ქვეყანა). კონფერენცია ომის დაწყების, მათი წარმოების (მაგ., დაკაებულებთან მოქცევის წესები) და შეიარაღების შეზღუდვის საკითხებს ეხებოდა. კონფერენციაზე შეიქმნა მუდმივი საარბიტრაჟო სასამართლო, რომელმაც შეცვალა მისი წინამორბედი მუდმივი საერთაშორისო სასამართლები. ჰააგის კონვენციებმა სახელმწიფოთა გამოცდილებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე შექმნა ომის წარმოების თანამედროვე წესები. საერთაშორისო დოკუმენტებში დაფიქსირებულ ამ ნორმებსა და სტანდარტებს სავალდებულო ხასიათი აქეთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი უფრო ახალმა ხელშეკრულებებმა არ შეცვალა, მაგალითად, ჟენევის კონვენციებმა.

ჰაბეას კორპუს აქტი ინგლისური პროცესუალური სამართლის ინსტიტუტი, რომელიც ზოგ შემთხვევაში უფლებას ანიჭებს დაინტერესებულ პირს მოითხოვოს დაკავებულისა თუ დაპატიმრებულის სასამართლოში წარმოდგენა თავისუფლების აღკვეთის საფუძვლიანობის შესამოწ-მებლად. ეს ინსტიტუტი ინგლისში შეიქმნა ჯერ კიდევ XV საუკუნეში და საბოლოოდ გაფორმდა 1679 წელს პარლა-მენტის დადგენილებით.

ჰაკერობა [< ინგლ. hu‘king] 1) კომპიუტერული პროგრამების შესწავლის ან დაწერის სურვილი; 2) ელექტრული ან პროგრამული სისტემების ფუნქციონირების გულდასმით შესწავლა მათი არასანქცირებული ან გაუთვალისწინებელი გამოყენებისთვის (დაცვის მოსაშლელად, ქსელის არალეგალურად გადასაღებად და სხვ.); 3) უკანონო საქმიანობის სახეობა, რომელიც მდგომარეობს კომპიუტერის დაცულ სისტემებში ან ქსელებში შეღწევაში ფასეული ინფორმაციის, ფულის მითვისების ან ხელიგნური აქციების ჩატარების მიზნით.

ჰაჯრა, ჰიჯრა (არაბ. -დან - გაქცევა) მაჰმადის გაქცევა მექადან მედინში 622 წლის 3 ივლისს; ამ მოვლენიდან იწყება მუსულმანთა წელთაღრიცხვა.

ჰეგემონიზმი საერთაშორისო პოლიტიკაში მიზ-ნად ისახავს სხვა სახელმწიფოებზე გაბატონებას და ზე-გაელენის გაერცელებას. ჰეგემონიზმი თავისი არსით ეწი-ნააღმდეგება სახელმწიფოთა სუვერენული და დემოკრატი-ული იდეების პრინციპს.

ჰელიეა ძველ ათენში ნაფიც მსაჯულთა სასამარ-თლო, რომელიც შედგებოდა 6 ათასი წევრისაგან (პელია-სტებისაგან). ჰელიეა განიხილავდა სასამართლოს საქმეებს, აკონტროლებდა მაღალი თანამდებობის პირთა საქმიანობას, ამტკიცებდა სახალხო კრების მიერ მიღებულ კანონებს. ჰელიეა ხმების უმრავლესობით იღებდა გადაწყვეტილებას, რომლის გასაჩივრება არ დაიშვებოდა.

ჰერმენევტი (ბერძნ. -დან განემარტა, ეთარგმნი) ბიბლიის ამხსნელ-განმმარტებელი, მეტწილად მისი მთარგ-მნელი ძველ-ქრისტიანული ეკლესიისათვის.

ჰერმერაკლი (ბერძნ. -დან – მერკური, – ჰერკულესი) ფიგურა, რომელიც წარმოადგენს მერკურიასა და ჰერკულესის სახეს.

ჰეროსტრატეს სახელი საძრახი საქმით, უღირსი საქციელით განთქმული სახელი (ბერძენი ეროსტრატოს-ის სახელის მიხედვით, რომელმაც სახელის უკვდავყოფის მიზ-ნით 356წ. (ძვ.წელთაღრ.) დაწვა არტემიდა ეფესელის შესანიშნავი ტაძარი).

ჰერცოგი ძველ გერმანიაში ტომის სამხედრო ბე-ლადი. შუა საუკუნეების დასაწყისში ევროპაში მსხვილი მამულების მფლობელი, ხოლო გვიან ფეოდალურ ხანაში ყველაზე მაღალი ტიტული თავადაზნაურულ ფენაში. საერ-ცოგოში ხშირად შედიოდა ორი ან მეტი საგრაფო.

ჰექტარი (ფრანგ. ჰექტარე) – მიწის ფართობის საზომი ერთეული (მეტრული სისტემისა); უდრის 100 არს ანუ 10000 კვადრატულ მეტრს.

ჰიდროტექნიკური ნაგებობის ავარიის რისკის დასაშვები დონე – ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი ჰიდროტექნიკური ნაგებობის ავარიის რისკის მნიშვნელობა.

ჰიდროტექნიკური ნაგებობის ტერიტორია – ტერიტორია მიწის მიკუთვნების საზღვრების ფარგლებში, რომელიც დადგენილია მიწის კანონმდებლობის შესაბამისად.

ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოება – ჰიდროტექნიკური ნაგებობების თვისება, რომელიც საშუალებას იძლევა უზრუნველყოს ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კანონიერი ინტერესების, გარემოსა და სამეურნეო ობიექტების დაცვა.

ჰიდროტექნიკური ნაგებობის უსაფრთხოების დეკლარაცია – დოკუმენტი, რომელშიც დასაბუთებულია ჰიდროტექნიკური ნაგებობის უსაფრთხოება და განისაზღვრება ასეთი ნაგებობის უსაფრთხოების ზომები მისი კლასის გათვალისწინებით.

ჰიდროტექნიკური ნაგებობის უსაფრთხოების კრიტერიუმები – ჰიდროტექნიკური ნაგებობის მდგომარეობისა და მისი

ექსპლუატაციის პირობების რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების ზღვრული მნიშვნელობები, რომლებიც შეესაბამებიან ჰიდროტექნიკური ნაგებობის ავარიის რისკის დასაშვებ დონეს და დამტკიცებულია ჰიდროტექნიკური ნაგებობის უსაფრთხოების სახელმწიფო ზედამხედველობის განმხორციელებელი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

ჰიდროტექნიკური ნაგებობის უსაფრთხოების შეფასება – ჰიდროტექნიკური ნაგებობის მდგომარეობისა და საექსპლუატაციო ორგანიზაციის მუშაკების კვალიფიკაციის შესაბამისობის განსაზღვრა დადგენილ ნორმებთან და წესებთან მიმართებაში.

ჰიპნოზი (ბერძ. hypnos ძილი) – თავისებური, ძილთან მიახლოებული მდგომარეობა, რომელიც, ჩვეულებრივ, შთაგონებით არის გამოწვეული.

ჰიპოთეზა (ბერძ. hypothesis ვარაუდი) – რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის ცდით დამტკიცებული.

სამართლებრივი ნორმის სტრუქტურული ელემენტი, რომელიც მიუთითებს ნორმის ამოქმედების სასიცოცხლო გარემოებებზე, რომელთა დროსაც ხდება მისი დისპოზიციის რეალიზება. ჰიპოთეზა განაპირობებს იურიდიული ნორმის განხორციელებას, შეიცავს იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტთა უფლებებისა და ვალდებულებების წარმოქმნისთვის, შეცვლისა თუ შეწყვეტისთვის. სამართლებრივი ნორმის ჰიპოთეზა განსაზღვრავს სამართლებრივი ნორმის მოქმედების სფეროს და მონიშნავს რეგულირებადი ურთიერთობების მონაწილეთა წრეს.

ჰიჯრა [არ. გადასახლება] მუჰამედისა და მისი მიმდევრების გაქცევა 622 წ-ის სექტემბერში მშობლიური მექადან 300 კმ დაშორებულ მედინაში, ალარავის ახსოვდა წინას-წარმეტყველის ბაეშეობა (არ არის წინასწარმეტყველი თავის სამშობლოში) და სადაც დაფუძნდა პირველი მუსულმანური თემი; ხალიფა ომარ I დროს (634–644) ჰ-ს წელი გამოცხადე-ბულ იქნა მუსულმანური წელთაღრიცხვის დაწყების წლად; დაწყებული მთვარის პირველი თვის (მუჰარამი) პირველი რიცხვით, ანუ 622 წ-ის 16 ივლისი.

ჰონორარი (honorarium)

ფულადი ჯილდო, გასამრჯელო, რომელიც ეძლევა ავტორს (ან მის მემკვიდრეებს) ლიტერატურის, მეცნიერების ან ხელოვნების ნაწარმოების გამოყენებისთვის (გამოცემა, საჯარო შესრულება და ა.შ.) ჰონორარის ოდენობა განისაზღვრება ავტორის შეთანხმებით ორგანიზაციასთან, რომელიც იყენებს მის ნაწარმოებს და აისახება კონტრაქტში. შესაძლებელია ავანსის გადახდა ჯერ არარსებულ ნაწარმოებისათვის. ნაწარმოების გამოყენების ცალკეულ სახეობაზე, როგორც წესი, გამოიყენება ჰონორარის განსაკუთრებული ფორმა იმის მიუხედავად ავტორმა მისი ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენებისთვის მიიღო თუ არა ანაზღაურება. თანაავტორებს შორის ჰონორარი ნაწილდება მათი შეთანხმებისამებრ. თუ შეთანხმება მიღწეულ არ იქნა, საკითხს სასამართლო განიხილავს.

აკორდული ჰონორარი ნიშნავს ფულად თანხას, რომელსაც გამომცემლობა უხდის ავტორს მთლიანად ლიტერატურული ნაწარმოებისთვის მისი მოცულობის მიუხედავად. ასეთი სახის ანაზღაურება გამოიყენება, როგორც წესი, მცირე მოცულობის ნაწარმოებების მიმართ (ერთაქტიანი დრამები, მცირე ზომის მოთხრობები, ოცდაათ სტრიქონზე ნაკლები ლექსები, სიმღერების ტექსტები, პლაკატები და ა.შ.). მცირე ნაწარმოებებისთვის აკორდული მეთოდით გამოთვლილი ჰონორარი აღემატება ფურცლების რაოდენობის მიხედვით გამოთვლილ ჰონორარს.

ჰოფმარშალი (გერმ. hofmarschall) – (ისტ.). გერმანიაში, რუსეთში: ტიტული მეფის კარის მოხელისა, რომელიც განაგებდა სასახლის სამეურნეო საქმეებს; ამ ტიტულის მქონე პირი.

ჰუნვეიბინები [ჩინ. წითელი მცველები] მოსწაელეებისა და სტუდენტების რაზმები 1966–1968 წწ. („კულტურული რევოლუციის დროს"); გამოიყენა მაო ძე-დუნმა (1893–1976) ინტელიგენციასთან და კომპარტიის მეთაურებთან ანგარიშის გასასწორებლად, რის შემდეგ თვითონაც მოუწინეს რეპრესიებში.

ჰუსარი (უნგრ. ჰუსზარ) – (ისტ.). მეფის რუსეთისა და ზოგი სხვა ქვეყნის (თავდაპირველად – უნგრეთის) არმიებში: მსუბუქი კავალერიის /არისკაცი ან ოფიცერი, რომელსაც უნგრული ფორმა ეცვა.

ჰუსიტები ჩეხეთში მე-15 ს-ში: ეროვნულ-განმანთაეისუფლებელი და ანტიკათოლიკური მოძრაობის ბელადის იან ჰუსის (J. Hus -ის) მიმდევრები.

იურიდიული სენტენციები

A

Aberratio delicti
(აბერაციო დელიკტი)
– შეცდომა დანაშაულის ჩადენისას (როცა დამნაშავე ერთის მაგივრად კლავს მეორეს).

Aberratio ictus
(აბერაციო იკტუს)
– დანაშაულის ჩადენის დროს ფაქტიური შეცდომის ნაირსახეობა.

Absolutio ab instantia
(აბსოლუციო აბ ინსტანცია)
– სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა პროცესუალური საფუძვლებით.

Absolutio ßb actione
(აბსოლუციო აბ აკციონე)
– სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობის გამო.

Ab uno disce omnes
(აბ უნო დისცე ომნეს)
– ერთით თქვი (იმსჯელე) დანარჩენზე.

Actore non probante, reus absolvitur
(აკტორი ნონ პრობანტე, რეუს აბსოლვიტურ)
– მოსარჩელეს მიერ სარჩელის დაუმტკიცებლობისას მოპასუხე თავისუფლდება.

Actio
(აქციო)
სარჩელი, მოქმედება.

Actio in rem
(აქციო ინ რემ)
– სანივთო სარჩელი.

Acti labores jucundi
(აკტი ლაბორეს იუკუნდი)
– სასიამოვნოა საქმის გასრულება.

Absit regula, peccatis quae poenas irroget aequas
(აბსიტ რეგულა პეკატის, ქვე პენას იროგეტ ექვას)
– დაე არსებობდეს წესი დანაშაულსა და სასჯელს შორის შესაბამისობაზე.

Aequitas in omnibus, maxime tamen in jure aequitas spectanda est.
(ექვიტას ინ ომნიბუს, მაქსიმე ტამენ ინ იურე ექვიტას სპეკტანდა ესტ.)
– ყველა საქმეში, განსაკუთრებით კი სამართალში – უნდა გახსოვდეს სამართლიანობა!

Aequum est neminem cum alterius detrimendo et injuria fieri lecupletiorem
(ექვუმ ესტ ნემინემ კუმ ალტერიუს დეტრიმენდო ეტ ინიურია ფიერი დეკუპლეტიორემ)
– არავინ არ უნდა გამდიდრდეს სხვისი ჩაგვრით და უსამართლობით.

Aequum est, ut cuius participavit lucrum, participet et damnum.
(ექვუმ ესტ, უტ კუიუს პარტიციპავიტ ლუკრუმ, პარტიციპეტ ეტ დამნუმ)
– სამართლიანია, რომ მოგებაში მონაწილე, მონაწილეობდეს წაგებაშიც.
– მოგება და წაგება ძმები არიან(ო) (ხალხ.)

Alienus dolus nocere alteri non debet
(ალიენუს დოლუს ნოცერე ალტერი ნონ დებეტ)
– ბოროტი ჩანაფიქრი სხვას არ უნდა ენებდეს.

Ambulatoria est voluntas defuncti usque ad vitae supremum exitum.
(ამბულატორია ესტ ვოლუნტას დეფუნკტი უსქვე ად ვიტე სუპრემუმ ექსიტუმ)
– ბოლო ამოსუნთქვამდე შეანდერძეს შეუძლია შეცვალოს თავისი სურვილი.

Animus aggressionis
(ანიმუს აგგრესიონის)
– ბოროტი (აგრესიული თავდასხმის) განზრახვა.

Arbiter-etsi erraverit in sententia dicenda, corrigere earm non potest.
(არბიტერ- ეტსი ერავერიტ ინ სენტენცია დიცენდა, კორიგერე ეამ ნონ პოტესტ.)
– მსაჯულს არ ძალუძს შეცვალოს თავისი (სასამართლო) გადაწყვეტილება, თუნდაც (შე)მცდარი იყოს (მასში).

Argentata quaerimonia accedere
(არგენტატა ქვერიმონია აკცედერე)
– მოვერცხლილი საჩივრით მოსვლა (მოსყიდვა ვინმესი)
– მოხვალ კალათიანიო, წახვალ სამართლიანიო (ხალხ.)

Argumenta non argumentatio
(არგუმენტა ნონ არგუმენტაციო)
– საბუთები, და არა მასზე აგებული მტკიცება.

Argumentum ex silentio
(არგუმენტუმ ექს სილენციო)
– დუმილიდან გამომდინარე მტკიცება.
(– დუმილი თანხმობის ნიშანია)

Argumentum ad rem
(არგუმენტუმ ად რემ)
– საბუთი (არგუმენტი), რომელიც ემყარება საქმის ნამდვილ ვითარებას, (საპირისპირო ფორმაა Argumentum ad hominem).
Argumenta et rationes
(არგუმენტა ეტ რაციონეს)
– მოსაზრებები და დასკვნები
Audiatur et altera pars
(აუდიატურ ეტ ალტერა პარს)
– მოსმენილ იქნას მეორე მხარეც
Audi, vide, sile!
(აუდი, ვიდე, სილე)
– უსმინე, უყურე, იყუჩე!
Aurea mediocritas
(აურეა მედიოკრიტას)
– „ოქროს შუალედი" (ჰორაც.)
Ausculta et perpende
(აუსკულტა ეტ პერპენდე)
– მოისმინე და აწონ-დაწონე
– „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა" (რუსთ.)
– ვიდრე არ მოისმენ, ნუ უპასუხებ და სიტყვას შუაში ნუ გააწყვეტინებ (ბიბლ.)
Auscultare disce= si nescis loqui
(აუსკულტარე დისცე, სი ნესცის ლოქვი)
– ისწავლე მოსმენა, თუ ლაპარაკი არ იცი.

B

Bis-de eadem re ne sit actio
(ბის-დე ეადემ რე ნე სიტ აკციო)
– ერთ საქმეზე ორჯერ სარჩელის აღძრა დაუშვებელია (ე.ი. იმ პრეტენზიის გამო, რომელიც უკვე იყო სასამართლოს განსჯის საგანი, არ შეიძლება დაიწყო ხელახალი სასამართლო პროცესი).
Bona causa
(ბონა კაუზა)
– სამართლიანი საქმე
Bona fides-exigit, ut quod convenit fiat
(ბონა ფიდეს-ექსიგიტ, ქვოდ კონვენიტ ფიატ)
– კეთილსინდისიერება ითხოვს, რომ ხელშეკრულება განხორციელდეს.
Bona hereditaria
(ბონა პერედიტარია)
მემკვიდრეობით ქონა
Bonis nocet, qui malis parcit
(ბონის ნოცეტ, ქვი მალის პარციტ)
– ვინც ბოროტებას იწყალებს, სიკეთეს ვნებს (სენ.)
Bonus judex varie ex personis causisque constituet
(ბონუს იუდექს ვარიე ექს პერსონის კაუზისქვე კონსტიტუეტ)
– კარგი მოსამართლე გადაწყვეტილებას საქმის განსაკუთრებულობისა და მასში მონაწილე პირთა მიხედვით იღებს.
Bonus quilibet praesumitur, nisi contrarium probetur
(ბონუს ქვილიბეტ პრეზუმიტურ, ნიზი კონტრარიუმ პრობეტურ)
– თუ დამტკიცებულ არ იქნა საწინააღმდეგო, ყველა მართალ ადამიანად ითელება.

C

Calumnia
(კალუმნია)
– ცრუ ბრალდება, ცილისწამება.
Capitis condemnare
(კაპიტის კონდემნარე)
– სიკვდილის მისჯა
Casum sentit dominus
(კაზუმ სენტიტ დომინუს)
– ნივთის შემთხვევითი განადგურების, ან დაკარგვის შედეგები მესაკუთრეს ეკისრება
Casus a nullo praestantur
(კაზუს ა ნულო პრესტანტურ)
– შემთხვევითობა პასუხისმგებლობას არავის აკისრებს.
Casus foederis
(კაზუს ფედერის)
– შემთხვევა, როცა ძალაში შედის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები.
Comple promissum
(კობლე პრომისუმ)
– შეასრულე დანაპირები
Conditio indebiti
(კონდიციო ინდებიტი)
– პირობა შემთხვევით დაკარგულის დაბრუნებაზე.
Conditio facti
(კონდიციო ფაკტი)
– ფაქტიური პირობა.
Conditio juris
(კონდიციო იურის)
– სამართლებრივი (იურიდიული) პირობა.
Conditio sine qua non
(კონდიციო სინე ქვამ ნონ)
– აუცილებელი პირობა
Corpus delicti
(კორპუს დელიკტი)
– ნივთიერი მტკიცება, ძირითადი სამხილი
Corpus juris
(კორპუს იურის)
– კანონთა კრებული
Contractus emptio-venditionis
(კონტრაქტუს ემფციო-ვენდიციონის)
– ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება

Constat, ad salutem civium inventas esce leges
(კონსტატ, ად სალუტემ ცივიუმ ინვენტას ესე ლეგეს)
– ცნობილია, რომ კანონები მოქალაქეთა საკეთილდღეოდ არის შექმნილი (ციც.)
Creditor
(კრედიტორი)
– მეორე მხრისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი
Crimen laesae majestatis
(კრიმენ ლეზე მაიესტატის)
– დანაშაული, რომელიც წარჩინებული პირის შეურაცხყოფაში გამოიხატებოდა და სახელმწიფო ღალატად ითვლებოდა
Cui dolet, meminit
(კუი დოლეტ, მემინიტ)
– ვისაც სტკივა, მას ახსოვს (ციც.)
Culpa ficta
(კულპა ფიკტა)
– ფიქტიური, ცრუ ბრალდება
Culpa in contrahendo
– ბრალი ხელშეკრულების დადების დროს
Culpa lata dolo proxima est
(კულპა ლატა დოლო პროქსიმა ესტ)
– უხეში გაუფრთხილებლობა ახლოსაა განზრახვასთან
Culpa est in facto meo, non scelus
(კულპა ესტ ინ ფაკტო მეო, ნონ სცელუს)
– ჩემს ქმედებაში არის შეცდომა, მაგრამ არა დანაშაულებრივი (ოვიდიუს ნაზო)

D

Debitor
(დებიტორ)
– მოვალე (ვალდებულების შემსრულებელი)
De facto
(დე ფაკტო)
– ფაქტიურად
Deflectere factum in aliquem
(დეფლექტერე ფაკტუმ ინ ალიქვემ)
– დანაშაულის სხვაზე გადაბრალება
De jure
(დე იურე)
იურიდიულად, კანონის საფუძველზე, კანონით
De lege lata
(დე ლეგე ლატა)
– მოქმედი კანონით
Delictum omissionis
(დელიქტუმ ომისიონის)
– უმოქმედობით ჩადენილი დანაშაული
Demonstratio ad oculos
(დემონსტრაციო ად ოკულოს)
– თვალნათლივი (ცხადი) მტკიცება
Dicere jus
(დიცერე იუს)
გასამართლება
Dies actionis exit
(დიეს აკციონის ექსიტ)
– სარჩელის ვადა იწურება
Dicere causam
(დიცერე კაუზამ)
– სასამართლო პროცესზე თავის დაცვა
Dominus
(დომინუს)
– მბრძანებელი, მფლობელი, მპყრობელი
Dominium et jus
(დომინიუმ ეტ იუს)
– საკუთრების უფლება
Dura lex, sed lex
(დურა ლექს, სედ ლექს)
– მკაცრია კანონი, მაგრამ კანონია!
–კანონებს იმიტომ კი არ ემორჩილებიან, რომ სამართლიანნი არიან, არამედ იმიტომ, რომ კანონები არიან (ბიბლ.)

E

Error communis facit jus
(ერორ კომუნის ფაციტ იუს)
– საერთო შეცდომა წარმოშობს კანონს.
Ex aequo et bono
(ექს ექვო ეტ ბონო)
– სამართლიანობითა და კეთილგანწყობით (და არა ფორმალური წესით).
Exceptio rei judicate
(ექსცეფციო რეი იუდიკატე)
– გადაწყვეტილი საქმის წინააღმდეგ წასელა (განაჩენის გასაჩივრება)
Ex consensu
(ექს კონსენსუ)
– თანხმობით
Ex delicto
(ექს დელიკტო)
– დანაშაულის შედეგად
Ex eventu
(ექს ევენტუ)
– შემთხვევის შემდეგ
Ex facto oritur jus
(ექს ფაკტო ორიტურ იუს)
– საქმიდან იშვება კანონი
Ex jure
(ექს იურე)
კანონით, სამართლის ძალით
Ex lege
(ექს ლეგე)
– კანონიდან გამომდინარე
Ex officio
(ექს ოფიციო)

– კანონის ძალით, ოფიციალურად

Expost factum

(ექს პოსტ ფაკტუმ)

– მომხდარი ფაქტის შემდეგ

Extremis malis exstrema remedia

(ექსტრემის მალის ექსტრემა რემედია)

მძიმე დანაშაულისთვის (საჭიროა) უკიდურესი ზომები (–ს მიღება)

Ex turpi causa actio non opitur

(ექს ტურპი კაუზა აქციო ნონ ოპიტურ)

– უგვანო მიზეზით საჩივარი არ აღიძვრება.

F

Facta concludentia

(ფაკტა კონკლუდენცია)

– საკმარისი ფაქტები (დასკვნის გამოსატანად)

Festinatio est judicorum noverca

(ფესტინაციო ესტ იოდოკორუმ ნოვერკა)

– აჩქარება სასამართლო ძიების დროს – დედინაცვალია (საზიანოა)

– საქმე სიდინჯით გასინჯე, სიჩქარე გიზამს ზიანსა (ხალხ.)

Fide, sed cui, vide

(ფიდე, სედ კუი, ვიდე)

– ერწმუნე, მაგრამ იცოდე – ვის.

Forum

(ფორუმ)

(მოედანი რომში, სადაც ხდებოდა შეკრებები და სამართლის აღსრულება, აგრეთვე ხორციელდებოდა მართლმსაჯულება).

Forum delicti

(ფორუმ დელიკტი)

– დანაშაულის ადგილი

Fundamentum est justitiae fides

(ფუნდამენტუმ ესტ იუსტიციე ფიდეს)

– ნდობა სამართლიანობის საფუძველია

Fur semper moram facere videtur

(ფურ სემპერ მორამ ფაცერე ვიდეტურ)

– ჩანს, ქურდი ყოველთვის ახანებს (აყოვნებს)

Furtum manifestum

(ფურტუმ მანიფესტუმ)

– ქურდობა, რომლის დროსაც ქურდი დაჭერილია დანაშაულის ადგილზე

G

Grata, rata et accepta

(გრატა, რატა ეტ აკცეპტა)

– სასურველი – დაკანონებული და მისაღები

Gravior multo poena videtur, quae a miti viro constituitur!

(გრავიორ მულტო პენა ვიდეტურ, ტვე ა მიტი ვირო კონსტიტუიტურ!)

– სასჯელი ბევრად მძიმეა, თუ იგი მოწყალე ადამიანის მიერ არის გამოტანილი (სენ.)

I

Ignorantia facti non nocet

(იგნორანცია ფაკტი ნონ ნოცეტ)

– უცოდინრობა (რაიმე) საქმისა არ გვნებს

– არცოდნა არცოდვაა(ო) (ხალხ.)

Ignorantia juris nocet

(იგნორანცია იურის ნოცეტ)

– კანონის არცოდნა (საზიანოა) გვაენებს

Ignorantia juris (quod quisque tenetur scire), neminem excusat

(იგნორანცია იურის (ქვოდ ქვისქვე ტენეტურ სცირე), ნემინემ ექსკუზატ)

– არცოდნა კანონისა (რომლის ცოდნაც ყველასთვის სავალდებულოა), არავის ეპატიება

Ignorantia non est argumentum

(იგნორანცია ნონ ესტ არგუმენტუმ)

– არცოდნა საბუთი არ არის (სპინ.)

Impedit ira animum, ne possit cernere verum

(იმპედიტ ირა ანიმუმ, ნე პოსიტ ცერნერე ვერუმ)

– რისხვა ხელს უშლის სულს, შეძლოს ჭეშმარიტების შეცნობა

Imperium summum

(იმპერიუმ სუმუმ)

– უმაღლესი ხელისუფლება

Impossibilium nulla obligatio est

(იმპროსიბილიუმ ნულა ობლიგაციო ესტ)

– შეუძლებელი არ შეიძლება იყოს სავალდებულო

In dubio - pro reo

(ინ დუბიო – პრო რეო)

დაეჭვებისას – საქმის სასარგებლოდ!

(– ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ)

In exercendis litibus eandem vim obtinent tam fides instrumentorum quam depositiones testium

(ინ ექსერცენდის ლიტიბუს ეანდემ ვიმ ობტინენტამ ფიდეს ინსტრუმენტორუმ ქვამ დეპოზიციონეს ტესტიუმ)

– სასამართლო დავის დროს დოკუმენტები და მოწმეთა ჩვენებები ერთი წონისანი არიან.

In flegranti crimine comprehensus

(ინ ფლეგრანტი კრიმინე კომპრეჰენზუს)

– დანაშაულის ადგილზე დაკავებული (ცხელ კვალზე აყვანილი)

In judicando criminosa est celeritas

(ინ იუდიკანდო კრიმინოზა ესტ ცელერიტას)

– განსჯის დროს აჩქარება დანაშაულია

– საქმე სიდინჯით გასინჯე, სიჩქარე გიზამს ზიანსა (ხალხ.)

– ვიდრე არ გამოიძიებ, ნუ განკიცხავ, ჯერ

დაფიქრდი და მერე შერისხე (ბიბლ.)

In legibus salus

(ინ ლეგიბუს სალუს)

– კეთილდღეობა (ხსნა) კანონებშია!

In maleficiis voluntas apectanda est, non exitus

(ინ მალეფიციის ვოლუნტას სპექტანდა ესტ, ნონ ექსიტუს)

– დანაშაულში ყურადსაღებია განზრახვა და არა შედეგი

In medio veritas!

(ინ მედიო ვერიტას)

– ჭეშმარიტება შუა ადგილზე (ცენტრში)!

In more

(ინ მორე)

– კანონიერად

In poenalibus causis benignius interpretandum est

(ინ პენალიბუს კაუზის ბენიგნიუს ინტერპრეტანდუმ ესტ)

– დანაშაულებრივი საქმეების გარჩევისას უმჯობესია კეთილგანწყობილი მიმართვა (ტონი)

In re dubia melius est verbis edicti servire

(ინ რე დუბია მელიუს ესტ ედიკტი სერვირე)

– დაეჭვების შემთხვევაში უკეთესია ჩაეჭიდო კანონის სიტყვას

In teste et vitae qualitas spectari debet et dignitas

(ინ ტესტე ეტ ვიტე ქვალიტას სპეკტარი დებეტ ეტ დიგნიტას)

– ცხოვრების წესი და მდგომარეობა მოწმისა მხედველობაში მიიღება.

Inter nos

(ინტერ ნოს)

– ჩვენს შორის, სრულიად საიდუმლოდ

Inter quattuor parietes

(ინტერ ქვატუორ პარიეტეს)

– ოთხ კედელს შუა (ციხეში)

Inveterata consuetudo pro lege non immerito custoditur et hoc est jus quod dicitur moribus constitutum

(ინვეტერატა კონსუეტუდო პრო ლეგე ნონ იმერიტო კუსტოდიტურ ეტ ჰოკ ესტ იუს ქვოდ დიციტურ მორიბუს კონსტიტუტუმ)

– ფესვგამდგარი ადათი (დამსახურებულად) მიიჩნევა კანონად და იწოდება ჩვეულებით სამართლად.

Ira non excusat delictum

(ირა ნონ ექსკუზატ დელიკტუმ)

– რისხვით არ გამართლდება სამართალდარღვევა

J

Judex aequitatem prae oculis semper habere debet

(იუდექს ექვიტატემ პრე ოკულის სემპერ ჰაბერე დებეტ)

– მსაჯულს სამართლიანობა ყოველთვის თვალწინ უნდა ედგას

– შეიყვარეთ სამართლიანობა ქვეყნის მსაჯულნო (ბიბლ.)

Judex damnatur, cum nocens absolvitur

(იუდექს დამნატურ, კუმ ნოცენს აბსოლვიტურ)

– მსაჯული ისჯება, თუ იგი დამნაშავეს ამართლებს.

– კანონ-სამართალი სჯულმდებელსაც გაასამართლებსო (ხალხ.)

– მსჯავრით, რომლითაც სხვას განსჯი, შენსავე თავს განსჯი (ბიბლ.)

Judex poenas mitigat pro personarum qualitate

(იუდექს პენას მიტიგატ პერსონარუმ ქვალიტატე)

– მოსამართლე ამსუბუქებს სასჯელს პიროვნებათა ღირსებებისდა მიხედვით

Judex subditos tractare debet, veluti pater filios

(იუდექს სუბდიტოს ტრაკტარე დებეტ, ველუტი პატერ ფილიოს)

– მოსამართლემ უნდა მიმართოს ბრალდებულებს, როგორც მამამ-შვილებს

Judices, qui ex lege iudicatis, obtemperare legibus debetis (Cic)

(იუდიცეს, ქვი ექს ლეგე იუდიკატის, ობტემპერარე ლეგიბუს დებეტის)

– მსაჯულნო, რომლებიც კანონით ასამართლებთ, თქვენც გმართებთ მისი (კანონის) მორჩილება!

Jurisprudentia est divinarum atque umanarum reerum notitia, justi atque injusti scientia

(იურისპრუდენცია ესტ დივინარუმ ატქვე ჰუმანარუმ რერუმ ნოტიცია, იუსტი ატქვე ინიუსტი სციენცია)

– სამართალმცოდნეობა არის შემეცნება ღვთაებრივი და ადამიანური საქმეებისა, ცოდნა სამართლიანობისა და უსამართლობისა.

Jus civitatis

(იუს ცივიტატის)

– მოქალაქეობის უფლება (ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტატუსი რომის სამართლის მიხედვით).

Jus dispondendi

(იუს დისპოდენდი)

– პირის უფლება

Jus est ars boni et aequi

(იუს ესტ არს ბონი ეტ ექვი)

– სამართლიანობა ხელოვნებაა სიკეთისა და ჭეშმარიტებისა.

Jus praetorium

(იუს პრეტორიუმ)

– სამართალი, რომელიც ჩამოყალიბდა პრეტორების კანონების მეშვეობით და რამაც უდიდესი როლი ითამაშა რომის სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

Jus Soli
(იუს სოლი)
– მიწის უფლება (რომლის თანახმადაც მოქალაქეობა განისაზღვრებოდა პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).
Jus tertii
(იუს ტერციი)
– მესამე პირის უფლება.
Justitia
(იუსტიცია)
– სამართლიანობა, კანონიერება, მართლმსაჯულება, სასამართლო უწყება.
Justitia est obtemperatio scriptis legibus
(იუსტიცია ესტ ობტემპერაციო სკრიპტის ლეგიბუს)
– სამართალი არის დაწერილი კანონებისადმი დაქვემდებარება
Justitia fundamentum regni
(იუსტიცია ფუნდამენტუმ რეგნი)
– სამართლიანობა – ქვეყნის საძირკველია.

L

Legem brevem esse oportet
(ლეგემ ბრევემ ესე ოპორტეტ)
– კანონი მარტივი უნდა იყოს (სენ.)
Legem brevem esse oportet, ut ab imperitis facile tenetur
(ლეგემ ბრევემ ესე ოპორტეტ, უტ აბ იმპერიტის ფაცილე ტენეტურ)
– კანონი ზუსტი (მარტივი) უნდა იყოს, რათა უცოდინარნი ადვილად ჩასწვდნენ მის არსს.
Leges intellegi ab omnibus debent
(ლეგეს ინტელეგი აბ ომნიბუს დებენტ)
– კანონები ყველასთვის გასაგები უნდა იყოს.
Legis virtus haec est: imperare vetare, permittere, punire
(ლეგის ვირტუს ჰეკ ესტ: იმპერარე, ვეტარე, ჰერმიტერე,
პუნირე)
– კანონის ძალმოსილებაშია: ბრძანება, აკრძალვა, გაშვება (გათავისუფლება), დასჯა.
Legum servi esse debemus, ut liberi esse possimus
(ლეგუმ სერვი ესე დებემუს, უტ ლიბერი ესე პოსიმუს)
– თავისუფლები რომ ვიყოთ, ვალდებულნი ვართ დავემორჩილოთ კანონებს (ციც.)
– (ჭეშმარიტი თავისუფლება კანონის დაცვაშია და არა მის დარღვევაში)
Lex agraria
(ლექს აგრარია)
– აგრარული კანონი (რომისა)
Lex amissa
(ლექს ამისსა)
– უფლება დაკარგული, კანონგარეშედ გამოცხადებული პირი.
Lex ambitus
(ლექს ამბიტუს)
– კანონი – თანამდებობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ
Lex annale
(ლექს ანალე)
– რომაული კანონი, რომელიც ადგენდა მინიმალურ ასაკს მაღალი თანამდებობის დასაკავებლად.
Lex est ab aeterno
(ლექს ესტ აბ ეტერნო)
– კანონი არსებობს მუდმივად (ოდითგანვე).
Lex fori
(ლექს ფორი)
– კანონი, რომელიც განსაზღვრავდა სასამართლო განხილვის ადგილს
Lex est, quod notamus
(ლექს ესტ, ქვოდ ნოტამუს)
– კანონია ის, რასაც დავაკანონებთ
Lex est quod populus jubet atque constituit
(ლექს ესტ ქვოდ პოპულუს იუბეტ ატქვე კონსტიტუიტ)
– კანონი ისაა, რასაც ხალხი ბრძანებს და ადგენს.
Lex imperfecta
(ლექს იმპერფექტა)
– არასრული კანონი
(გამოცხადებული კანონი, რომელიც დარღვევის მომენტისთვის ძალაში არ არის შესული).
Lex loci
(ლექს ლოცი)
– კანონი, რომელიც მოქმედებს იმ ადგილზე, სადაც წარმოშობილი გარემოებები სარჩელის საფუძველს წარმოადგენდა.
Lex actus
(ლექს აკტუს)
– მოქმედების ადგილის მიხედვით მოქმედი კანონი
Lex loci celebrationis
(ლექს ლოცი ცელებრაციონის)
– ხელშეკრულების, ან სხვა გარიგების დადების ადგილზე მოქმედი კანონი
Lex loci contractus
(ლექს ლოცი კონტრაქტუს)
– ხელშეკრულების დადების ადგილზე მოქმედი კანონი
Lex non scripta
(ლექს ნონ სკრიპტა)
– დაუწერელი კანონი
Lex posterior
(ლექს პოსტერიორ)
უფრო მოგვიანებით მიღებული კანონი
Lex posterior derogat legi priori
(ლექს პოსტერიორ დეროგატ ლეგი პრიორი)

მომდევნო კანონი აუქმებს წინა კანონს

Lex prospicit, non respicit

(ლექს პროსპიციტ, ნონ რესპიციტ)

– კანონი იყურება წინ და არა უკან.

Lex rationis determinantis sive sufficientis

(ლექს რაციონის დეტერმინანტის სივე სუფიციენტის)

– განსაზღვრული წესის, ან სხვა ძალმოსილების კანონი

Lex regia

(ლექს რეგია)

– რომის იმპერატორის მიერ გამოცემული კანონი

Lex specialis

(ლექს სპეციალის)

– სპეციალური კანონი

Lex specialis derogat generali

(ლექს სპეციალის დეროგატ გენერალი)

– სპეციალური კანონი ზღუდავს საერთო კანონს

Lex sub graviore lege

(ლექს სუბ გრავიორე ლეგე)

– უმაღლეს კანონს დაქვემდებარებული კანონი

Lex semper certa

(ლექს სემპერ ცერტა)

– კანონი ყოველთვის საიმედოა

Lex talionis

(ლექს თალიონის)

– შურისძიების (ნაცვალგების) კანონი

Lex terrae

(ლექს ტერე)

– ქვეყნის კანონი

Lex valet in omnes

(ლექს ვალეტ ინ ომნეს)

– კანონი ყოველისშემძლეა

– კანონი მეფეთ მეფეა(ო) (ხალხ.)

Libelli appelatori

(ლიბელი აპელატორი)

– მოსამართლის მოხსენება უმაღლეს ინსტანციაში სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით.

Libellus accusatoris

(ლიბელუს აკუზატორის)

– საბრალდებო დასკვნა

Libellus appellationis

(ლიბელუს აპელაციონის)

– სააპელაციო საჩივარი

Libertas est naturalis facultas eius quod cuique facere libet, nisi si quid vi aut iure prohibetur

(ლიბერტას ესტ ნატურალის ფაკულტას ეიუს ქვოდ კუიქვე ფაცერე ლიბეტ, ნიზი სი ქვიდ ეი აუტ იურე პროჰიბეტურ)

– თავისუფლება არის ბუნებრივი შესაძლებლობა აკეთოს ის, რაც მოგესურვება, თუ ამას არ აბრკოლებს ძალადობა, ან კანონი.

Liber populus est is, qui nullius alterius populi potestati est subiectus

(ლიბერ პოპულუს ესტ ის, ქვი ნულიუს ალტერიუს პოპული პოტესტატი ესტ სუბიეკტუს)

– თავისუფალია ის ხალხი, რომელიც არ ეშორჩილება არცერთი სხვა ხალხის (სახელმწიფოს) ძალაუფლებას

– სადაც პიროვნება არაა თავისუფალი, იქ ერია დამონებული და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა (ვაჟა)

Libertas est potestas faciendi id quod jure licet

(ლიბერტას ესტ პოტესტას ფაციენდი იდ ქვოდ იურე ლიცეტ)

– თავისუფლება ისაა, როცა (რაიმეს) კეთების უფლება გაქვს.

M

Magna est veritas et praevalebit

(მაგნა ესტ ვერიტას ეტ პრევალებიტ)

– სიმართლის ძალა ყველაფერს აღემატება

– სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა (რუსთ.)

Magna neglegentia culpa est: magna culpa dolus est

(მაგნა ნეგლეგენცია კულპა ესტ, მაგნა კულპა – დოლუს ესტ)

– დიდი გაუფრთხილებლობა – დანაშაულია, დიდი დანაშაული – ბოროტი ჩანაფიქრის შედეგია.

Male jure nostro uti non debemus

(მალე იურე ნოსტრო უტი ნონ დებემუს)

– ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი უფლებები!

Mea maxima culpa

(მეა მაქსიმა კულპა)

– ჩემი უდიდესი დანაშაული

Metu criminis

(მეტუ – კრიმინის)

– შიშიდან – დანაშაულამდე.

Miles legum

(მილეს ლეგუმ)

– კანონთა გუშაგი

Modus operandi

(მოდუს ოპერანდი)

– მოქმედების ხერხი (დანაშაულის ჩადენის ხერხი)

Mos legem regit

(მოს ლეგემ რეგიტ)

– ჩვეულება მართავს კანონს

– ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო (ხალხ.)

N

Ne bis in idem
(ნე ბის ინ იდემ)
– ერთსა და იმავეზე ორჯერ ნუ (განსჯით)!
Nec de suspicionibus debere aliquaem damnari
(ნეკ დე სუსპიციონიბუს დებერე ალიქემ დამნარი)
– არავინ არ უნდა განსაჯო მხოლოდ ეჭვების საფუძველზე.
Nec vi, nec clam, nec precario
(ნეკ ვი, ნეკ კლამ, ნეკ პრეკარიო)
– არც ძალით (ანუ თვითნებურად), არც ფარულად, არც უკანონო გარიგებით (იურიდიული ფორმულა – „უკანონო დაუფლების სამი ტიპის“ შესახებ)
Negantis probatio nulla est
(ნეგანტის პრობაციო ნულა ესტ)
– უარყოფა სამტკიცებელი არ არის
Nemine contra dicent
(ნემინე კონტრა დიცენტ)
– როცა არავინაა წინააღმდეგი (ერთხმად)
Negotium mixtum cum donatione
(ნეგოციუმ მიქსტუმ კუმ დონაციონე)
– მიყიდვა, რომელსაც ჩუქების ნიშნები აქვს (მაგ. მეგობრისთვის ნივთის სიმბოლურ ფასად მიყიდვა)
Nemo ex aliena iactura lucrum facere debet
(ნემო ექს ალიენა იაკტურა ლუკრუმ ფაცერე დებეტ)
– არავინ არ უნდა ცხოერობდეს (ითბობდეს ხელს) სხვის დანაკარგზე
Nemo ignorantia juris recusare potest
(ნემო იგნორანცია იურის რეკუზარე პოტესტ)
– არავის შეუძლია კანონის უცოდინრობით თავის მართლება
Nemo judex in causa sua
(ნემო იუდექს ინ კაუზა სუა)
– არავინაა მსაჯული თავის საქმეში
Noli tacere, si dicere debes
(ნოლი ტაცერე, სი დიცერე დებეს)
– ნუ გაჩუმდები, როცა საჭიროა ილაპარაკო
Non ex regula jus sumatur, sed ex jure, quod est regula fiat
(ნონ ექს რეგულა იუს სუმატურ, სედ ექს იურე, ქვოდ ესტ რეგულა ფიატ)
– სამართალი არ გამომდინარეობს წესიდან, არამედ წესი – სამართლიდან (მოქმედი კანონებიდან)
Non licet
(ნონ ლიცეტ)
– ნებადართული არ არის
Non numeranda, sed ponderanda argumenta
(ნონ ნუმერანდა, სედ პონდერანდა არგუმენტა)
– დამამტკიცებელ საბუთებს არ უნდა ჩამოთვლა, არამედ განსჯა (აწონ-დაწონვა)
Nuda veritas
(ნუდა ვერიტას)
– უდაო (შიშველი) ჭეშმარიტება
Nulla lex satis commoda omnibus est
(ნულა ლექს სატის კომოდა ომნიბუს ესტ)
– არც ერთი კანონი ზუსტად არ მიესადაგება დანარჩენებს
Nulla poena sine lege
(ნულა პენა სინე ლეგე)
– არ არსებობს სასჯელი (არავითარი სასჯელი) კანონის გარეშე (ხალხ.)
Nulla potentia supra leges debet!
(ნულა პოტენცია სუპრა ლეგეს დებეტ)
– კანონზე არავითარი ძალა არ უნდა ზემოქმედებდეს!
– ნუ ამრუდებ უმართლესსა (რუსთ.)
Nullum crimen sine lege
(ნულუმ კრიმენ სინე ლეგე)
– არ არსებობს დანაშაული კანონში მითითების გარეშე
Nil unultum remanebit!
(ნილ უნულტუმ რემანებიტ)
– ყველას თავისი მიეზღვება!

O

Omnis res eandem habet naturam ambigendi
(ომნის რეს ეანდემ ჰაბეტ ნატურამ ამბიგენდი)
– ყველა საკითხი (უნდა) განიხილებოდეს ორივეს მხრიდან
Optima legum interpres consuetudo
(ოპტიმა ლეგუმ ინტერპრეს – კონსუეტუდო)
– კანონისათვის საუკეთესო მიმართულების მიმცემი (განმმარტებელი) – ადათ-წესებია
Orator odiosus
(ორატორ ოდიოზუს)
– აუტანელი (მოსაწყენი) ორატორი (ციც.)

P

Pacta sunt servanda!
(პაკტა სუნტ სერვანდა)
– ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს!
Pecuniae credite bona debitoris obnoxia sunt
(პეკუნიე კრედიტე ბონა დებიტორის ობნოქსია სუნტ)
– ფულის სესხად აღებისთვის მოვალე ზღავს თავისი ქონებით
Per constituta
(პერ კონსტიტუტა)
– კას. ნის შესაბამისად
Per injurian
(პერ ინიურიამ)
– უკანონო გზით
Persona alieno juri subiecta
(პერსონა ალიენო იური სუბიექტა)

– სხვაზე დაქვემდებარებული პირი

Pereat justitia, vivat mundus!

(პერეატ იუსტიცია, ეივატ მუნდუს)

– დაე მოისრას მართლმსაჯულება და იარსებოს სამყარომ!

Petitio

(პეტიციო)

– სარჩელი (კოლექტიური შუამდგომლობა, თხოვნა, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსადმი)

Plus cautionis in re est, quam in persona

(პლუს კაუციონის ინ გე ესტ, ქვამ ინ პერსონა)

– საქმეში ნივთი უფრო საიმედოა, ვიდრე პიროვნება

Plus honoris est aliena vera agnoscere, quam sua falsa tueri

(პლუს ჰონორის ესტ ალიენა ვერა აგნოსცერე, ქვამ სუა ფალსა ტუერი)

– უფრო დიდი ღირსებაა – აღიარო სხვისი ჭეშმარიტება, ვიდრე დაიცვა საკუთარი ტყუილი (ლომონ.)

Poena gravis

(პენა გრავის)

– მძიმე სასჯელი

Poena levis

(პენა ლევის)

– მსუბუქი სასჯელი

Poena non infertur sine causa...

(პენა ნონ ინფერტურ სინე კაუზა...)

– სასჯელი არ ედება უმიზეზოდ

Posteriores constitutiones validiores sunt iis, quae antea latae sunt

(პოსტერიორეს კონსტიტუციონეს ვალიდიორეს სუნტ იის, ქვე ანტეა ლატე სუნტ)

– უფრო მოგვიანებით მიღებულ დადგენილებებს უპირატესობა აქვთ წინასთან

Praesumptio juris

(პრეზუმფციო იურის)

– უდანაშაულობის პრეზუმფცია (იურიდიულად სარწმუნო ფაქტის შეცნობა, სანამ არ იქნება დამტკიცებული საპირისპირო ფაქტი)

Praetor hominibus vel lapsis vel circum scriptis subvenit

(პრეტორ ჰომინიბუს ველ ლაპსის ველ ცირკუმ სკრიპტის სუბვენიტ)

– დამამტკიცებელი საბუთები არ უნდა იყოს რაოდენობრივად გაზრდილი საჭიროებაზე მეტად.

Prudenter agas!

(პრუდენტერ აგას)

– იმოქმედე გონივრულად!

Punire debemus!

(პუნირე დებემუს)

– უნდა (ვალდებული ვართ) დავსაჯოთ!

Q

Quae propter necessitatem recepta sunt= non debent in argumentum trahi

(ქვე პროპტერ ნეცესიტატემ რეცეპტა სუნტ, ნონ დებენტ ინ არგუმენტუმ ტრაჰი)

– რაც აუცილებლობიდან გამომდინარეა, გამონაკლისის სახით იყო მიღებული და არ შეიძლება გაერცელდეს სხვა შემთხვევებზეც.

Qualix rex, talix grex

(ქვალის რექს, ტალის გრექს)

– როგორიც მეფეა, ისეთივეა ბრბოც

– როგორიც ერიო, ისეთი ბერიო (ხალხ.)

Qui cum alio contrahit, vel est vel debet esse non ignarus condicionis eius

(ქვი კუმ ალიო კონტრაჰიტ, ველ ესტ ველ დებეტ ესე ნონ იგნარუს კონდიციონის ეიუს)

– ვინც ხელშეკრულებას დებს სხვასთან, მან იცის, ან უნდა იცოდეს – მისი უფლებრივი და ქონებრივი შესაძლებლობები

Qui damnare potest, is absolvendi quoque potestatem habet

(ქვი დამნარე პოტესტ, ის აბსოლვენდი ქვოქვე პოტესტატემ ჰაბეტ)

– სასჯელის გამომტანს სასჯელის გამოყენებისა და მისგან გათავისუფლების უფლებაც აქვს

Qui indignus est inferiore ordine, indignior est superiore

(ქვი ინდიგნს ესტ ინფერიორე ორდინე, ინდიგნიორ ესტ სუპერიორე)

– ვინც უღირსია უმდაბლესი წოდებისა, მით უფრო უღირსია მაღალი წოდებისა

Qui suo jure utitur, neminem laedit

(ქვი სუო იურე უტიტურ, ნემინემ ლედიტ)

– ვინც სიმართლეს მსახურებს, ის არავის ინტერესებს არ ბღალავს

– ვისაც სიმართლე არ უყვარს, მართლის მთქმელი ეჯავრება (ო) (ხალხ.)

Quid agam, judices?

(ქვიდ აგამ, იუდიცეს?)

– რა ექნა მსაჯულებო?

Quisquid non agnoscit glossa, non agnoscit curia

(ქვისქვიდ ნონ აგნოსციტ გლოსა, ნონ აგნოსციტ კურია)

– რასაც არ სცნობს გლოსა, არ სცნობს სამართალიც

Quis? quid? ubi? quibus\auxillis? cur? quomodo? quando?

(ქვის? ქვიდ? უბი? ქვიბუს აუქსილის? კურ? ქვომოდო? ქვანდო?)

– ვინ? რა? სად? ვისი დახმარებით? რატომ? რა ვითარებაში? როდის? (სასამართლო გამოკვლევის დროს დასასმელი კითხვები)

Quod principi placuit, leges habet

(ქვოდ პრინციპი პლაკუიტ, ლეგეს პაბეტ)
– რაც მბრძანებელს მოსწონს, იმას კანონის ძალა აქვს
– მეფის სიტყვა (ყმისთვის) კანონიაო (ხალხ.)

R

Ratio legis
(რაციო ლეგის)
– კანონის არსი
Reformatio in Pejus
(რეფორმაციო ინ პეიუს)
– უარესით შეცვლა
Regula est juris quidem ignorantia cuiqie nocere, facti vero
(რეგულა ესტ იურის ქვიდემ იგნორანცია კუიქვე ნოცერე, ფაკტი ვერო)
– სიმართლის არცოდნა ვნებს ნებისმიერს, ფაქტების არცოდნა კი არ ვნებს
Regula facit jus generale, ubi nulla est exceptio
(რეგულა ფაციტ იუს გენერალე, უბი ნულა ესტ ექსცეფციო)
– წესი განაზოგადებს უფლებას იქ, სადაც არ არის არაეითარი გამონაკლისი
Rem tene, verba sequentur
(რემ ტენე, ვერბა სექვენტურ)
– ჩასწვდი (საქმის) არსს, სიტყვები მოიძებნება
Rerum perpetuo similiter judicatarum auctoritas vim legis obtinere debet!
(რერუმ პერპეტუო სიმილიტერ იუდიკატარუმ აუკტორიტას ვიმ ლეგის ობტინერე დებეტ)
– საქმეთა მსგავსად (ერთნაირად) გადაწყვეტამ კანონის ძალა უნდა მოიპოვოს!
Res capitale
(რეს კაპიტალე)
– მძიმე დანაშაულებრივი ქმედება (რომლითაც დამნაშავეს ემუქრება სიკვდილით დასჯა, ან ყველა მოქალაქეობრივი უფლების ჩამორთმევა)
Res judicata pro veritate habetur
(რეს იუდიკატა პრო ვერიტატე ჰაბეტურ)
– გადაწყვეტილი საქმე (იგივე განაჩენი) – ჭეშმარიტებად ითვლება
Res, non verba
(რეს, ნონ ვერბა)
– სიტყვები კი არა – საქმე
„საქმემან შენმან გამოგაჩინოს" (ბიბლ.)
Recpice finem!
(რესპიცე ფინემ)
– ისწავლე (საქმის) დამთავრება! (ბოლომდე მიყვანა)
Res publica est res populi
(რეს პუბლიკა ესტ რეს პოპული)
– რესპუბლიკა, (მისი მართვა) ხალხის საქმეა (ციც.)

S

Sacrilegia minuta puniuntur, magna in triumphis feruntur
(საკრილეგია მინუტა პუნიუნტურ, მაგნა ინ ტრიუმფის ფერუნტურ)
– მცირე დანაშაულობანი აღიკვეთება, დიდი კი – განდიდდება
Salus rei publicae suprema lex
(სალუს რეი პუბლიცე სუპრემა ლექს)
– ქვეყნის კეთილდღეობა უზენაესი კანონია
Salvo jure
(სალეო იურე)
– უფლების შენარჩუნებით
...satus esse impunitum reliqui facinus nocentis, quam innocentem damnari!
(სატიუს ესე იმპუნიტურ რელიქვი ფაცინუს ნოცენტის, ქვამ ინოცენტემ დამნარი)
...უმჯობესია დანაშაული დაუსჯელი დარჩეს,ვიდრე უდანაშაულო დასაჯო
Sceleri scelus addidit
(სცელერი სცელუს ადიდიტ)
– ბოროტმოქმედებას დაუმატა ბოროტმოქმედება
Scire leges non hoc est verba earum tenere, sed vim ac potestatem
(სცირე ლეგეს ნონ ჰოკ ესტ ვერბა ეარუმ ტენერე, სედ ვიმ აკ პოტესტატემ)
– იცოდე კანონები – ნიშნავს გახსოვდეს არა მისი სიტყვები, არამედ მათი ძალა და მნიშვნელობა
Scriptis legibus
(სკრიპტის ლეგიბუს)
– დაწერილი კანონებით
Sententia absolutoria
(სენტენცია აბსოლუტორია)
– გამამართლებელი განაჩენი
Sententiam pronunciare
(სენტენციამ პრონუნციარე)
– გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება
Semel heres, semper heres
(სემელ ჰერეს, სემპერ ჰერეს)
– ერთხელ (აღიარებული) მემკვიდრე – ბოლომდე მემკვიდრეა
Serva me, servabo te!
(სერვა მე, სერვაბო ტე)
– მიხსენ მე და გიხსნი შენ!
Sine justitia nihil valebit prudentia
(სინე იუსტიცია ნიჰილ ვალებიტ პრუდენცია)
– სამართლიანობის გარეშე განსჯას – აზრი არა აქვს.
– ემსახურე სიმართლესა... (ხალხ.)
Sine legibus nulla est civitas, nam civitas legibus continentur
(სინე ლეგიბუს ნულა ესტ ცივიტას, ნამ ცივიტას ლეგიბუს კონტინენტურ)

– კანონთა გარეშე არ არის სახელმწიფო, რადგან თვით სახელმწიფოც დამყარებულია კანონებზე
Species facti
(სპეციეს ფაკტი)
– საქმის ვითარება
Status libertatis
(სტატუს ლიბერტატის)
– თავისუფლების სტატუსი
Status civitatis
(სტატუს ცივიტატის)
– მოქალაქეობის სტატუსი
Status familiae
(სტატუს ფამილიე)
– საოჯახო სტატუსი
Sub judice
(სუბ იუდიცე)
– სასამართლოს ქვეშ (იგულ. საქმე სასამართლოს დაქვემდებარებაშია)
Summa potestas
(სუმა პოტესტას)
– უმაღლესი ძალაუფლება
Summum jus – summa injuria
(სუმუმ იუს – სუმა ინიურია)
– უმაღლესი სამართლიანობა – უმაღლესი უსამართლობაა (ციც.)

T

Testibus affirmantibus plus creditur, quam negantibus
(ტესტიბუს აფარმანტიბუს პლუს კრედიტურ, ქვამ ნეგანტიბუს)
– უფრო სჯერათ იმ მოწმეებისა, რომლებიც ამტკიცებენ, ვიდრე უარყოფენ
Totum jus consistit aut in adquirendo, aut in conservando, aut in minuendo
(ტოტუმ იუს კონსისტიტ აუტ ინ ადქვირენდო, აუტ ინ კონსერვანდო, აუტ ინ მინუენდო)
– მთელი სამართალი შედგება ან შეწყალების, ან დაცვის, ან შეზღუდვისაგან

U

Ubi concordia, ibi victoria
(უბი კონკორდია, იბი ვიქტორია)
– გამარჯვება იქაა, სადაც თანხმობაა
Ubi facta loquuntur, non opus est verbis
(უბი ფაკტა ლოქვუნტურ, ნონ ოპუს ესტ ვერბის)
– სადაც ფაქტები ღაღადებენ, სიტყვები ზედმეტია
Ubi lex, ibi poena
(უბი ლექს, იბი პენა)
– სადაც კანონია, სასჯელიც იქნება
Ultra vires
(ულტრა ვირეს)
– უმაღლესი ძალები
Ut metus ad omnes, poena ad paucos perveniret
(უტ მეტუს ად ომნეს, პენა ად პაუკოს პერვენირეტ)
– სასჯელის რომ ყველას ეშინოდეს, იგი მცირეოდენთ (მაინც) უნდა მისწვდეს
Ubi rerum testimonia adsunt, quid opus est verbis
(უბი რერუმ ტესტიმონია ადსუნტ, ქვიდ ოპუს ესტ ვერბის)
– სადაც ნივთიერი მტკიცება არსებობს, რაღა ძალა აქვს სიტყვებს
Ubi timor, ibi pudor
(უბი ტიმორ, იბი პუდორ)
– სადაც შიშია, იქ მოკრძალებაცაა

V

Vacare culpa magnum est solatium
(ვაკარე კულპა მაგნუმ ესტ სოლაციუმ)
– დანაშაულისგან გათავისუფლება დიდი შვებაა
Veritas assolet multa praebere vestigia sui
(ვერიტას ასოლეტ მულტა პრებერე ვესტიგია სუი)
– ჭეშმარიტებას, ჩვეულებისამებრ, მრავალი ნიშანი აქვს, რომლითაც მას სცნობენ

J

Judicat fatum, cum nemo accusat
– განუწყვეტელ განგება განსჯის.
Judicis est innocentiae subvenire
მოსამართლეს უდანაშაულობის მფარველობა მართებს (იურ.)
Juncta juvant
ძალა ერთობაშია
Jure divino
ღვთაებრივი კანონით
Jure humano
ადამიანური კანონით.
Jurisprudentia
სამართლის ცოდნა; სამართლის მეცნიერება; სამართლის მეტყველება.
Juro
ვფიცავ!
Jus abutendi
სარგებლობის, ფლობის უფლება.
Jus belli et pacis
ომის გამოცხადებისა და ზავის დადების უფლება.
Jus canonicum
კანონიკური სამართალი
Jus commune
საერთო სამართალი.
Jus criminale

სისხლის სამართალი
Jus est.
კანონიერია.
Jus et norma loquendi
კანონი და ნორმა მეტყველებისა (ჰორაც.)
Jus haereditatis
მემკვიდრეობის უფლება.
Jus possidendi
მფლობელობის უფლება.
Jus praecedentiae
პირველობის უფლება.
Jus primi possidentis
პირველი მფლობელის უფლება.
Jus proprietatis
საკუთრების უფლება.
Jus puniendis
დასჯის უფლება.
Jus quaestionis
სასამართლო გამოძიების უფლება.
Jus Romanorum
რომაელთა სამართალი.
Jussu
ბრძანებით.
Jus suffragii
ხმის მიცემის უფლება.
Jus talionis
შურისგების უფლება.
Jus vicinitatis
მეზობლობის უფლება.
Jus vitae necique
cbwjw[kbcf lf cbrdlbkbc ufyut,bc eakt,ʌ

სამედიცინო სენტენციები

A

Amicus humani generis
(ამიკუს ჰუმანი გენერის)
ადამიანთა მოდგმის მეგობარი (ექიმი)
Amicus certus remedium (est) vitae
(ამიკუს ცერტუს რემედიუმ (ესტ) ვიტე)
ერთგული მეგობარი ცხოვრების წამალია
–ერთგული მეგობარი მტკიცე სიმაგრეა, მისი მპოვნელი საგან-ურის მპოვნელია (ბიბლ.)
Aliis conserviedo, consumor
(ალიის კონსერეიენდო, კონსუმორ)
როცა ვემსახურები სხვებს–ვიხარჯები
Aliis lucens, uror
(ალიის ლუცენს, ურორ)
ვუნათებ რა სხვებს, თვით ვიწვი (ვან ტულპიუსი)
(ჰოლანდიელმა ექიმმა მე–17 ს. ეს წარწერა ანთებული სანთლის ქვეშ მედიცინის ემბლემად შესთავაზა.)

Arte et humanitate, labore et stientia
(არტე ეტ ჰუმანიტატე, ლაბორე ეტ სციენცია)
ხელოვნებითა და ადამიანობით, მუშაობითა და ცოდნით (ავადმყოფთა განკურნის ხერხები)

C

Chirurgiae effectus inter omnes medicinae partes evidentissimus est
(ხირურგიე ეფექტუს ინტერ ომნეს მედიცინე პარტეს ევიდენტისიმუს ესტ)
დოსტაქარის შედეგი მედიცინის სხვა დარგთან შედარებით უფრო შესამჩნევია
Chirurgus mente prius et oculis agat, quam armata manu
(ხირურგუს მენტე პრიუს ეტ ოკულის აგატ, ქვამ არმატა მანუ)
დასტაქარი ჯერ გონებითა და თვალით მოქმედებს, მერე კი–შეიარაღებული ხელით
Commissa cela!
(კომისა ცელა)
შეინახე შენზე მონდობილი საიდუმლოდ!
(ზნეობრივი ფორმულა „ჰიპოკრატეს ფიცისა")
Comple aegrotum bona spe!
(კომპლე ეგროტუმ ბონა სპე)
გაამხნევე ავადმყოფი კარგი იმედით!
Contra vim mortis non est medicamen in hortis
(კონტრა ვიმ მორტის ნონ ესტ მედიკამენ ინ ჰორტის)
სიკვდილს წამალი ეერ შველის
Corpus sine spiritu cadaver est
(კორპუს სინე სპირიტუ კადავერ ესტ)
სხეული სულის გარეშე გვამია (ამბობენ უგულო ადამიანზე)

D

Divinus humanitatis minister
(დივინუს ჰუმანიტატის მინისტერ)
ადამიანის ღუთაებრივი მსახური (ექიმი)
Dum aegrotus spirat, medicus sperat
(დუმ ეგროტუს სპირატ, მედიკუს სპერატ)
სანამ ავადმყოფი სუნთქავს, ექიმი იმედითაა (იმედოვნებს)

E

Estote prudentes sicut serpentes
(ესტოტე პრუდენტეს სიკუტ სერპენტეს)
იყავით ისეთი ბრძენნი, როგორც გველები(ა)
(მედიცინის ემბლემის ახსნა)

H

Hygiena amica valetundinis
(ჰიგიენა ამიკა ვალეტუდინის)
ჰიგიენა ჯანმრთელობის მეგობარია

I

Ignavia corpus habetat,labor firmat: illa naturam senectutem, hic longam adolescentiam reddit
(იგნავია კორპუს ჰაბეტატ, ლაბორ ფირმატ: ილა ნატურამ სენექტუტემ, ჰიკ ლონგამ ადოლესცენციამ რედიტ)
სიზარმაცე სხეულს ადუნებს, შრომა აკაჟებს; პირველს მოაქვს ნაადრევი სიბერე, მეორეს კი-ხანგრძლივი სიჭაბუკე (ცელს.)
Ignoti nulla curatio morbi seu – Non intellecti morbi curatio nulla est
(იგნოტი ნულა კურაციო მორბი სეუ – ნონ ინტელექტი მორბი კურაციო ნულა ესტ)
შეუცნობი დაავადების მკურნალობა არ შეიძლება
Invia est in medicina via sine lingua Latina
(ინვია ესტ ინ მედიცინა ვია სინე ლინგვა ლატინა)
გაუვალია გზა მედიცინაში ლათინური ენის გარეშე
In vino veritas, in aqua sanitas
(ინ ვინო ვერიტას, ინ აქუა სანიტას)
ჭეშმარიტება ღვინოშია (მთვრალი ყოველთვის მართალს ამბობს), ჯანმრთელობა წყალში

L

Lasitudines spontanae denuntiant morbos
(ლაზიტუდინეს სპონტანე დენუნციანტ მორბოს)
თავისთავადი დაღლილობა ავადმყოფობად გადაიქცევა (ჰიპოკრ.)

M

Medicamenta heroica in manu imperiti sunt, ut gladius in dextra furiosi
(მედიკამენტა ჰეროიკა ინ მანუ იმპერიტი სუნტ, უტ გლადიუს ინ დექსტრა ფურიოზი)
ძლიერ მოქმედი წამალი გამოუცდელის ხელში იგივეა, რაც მახვილი სულელის მარჯვენა ხელში
Medice, medica mente, non medicamentis
(მედიცე, მედიკა მენტე, ნონ მედიკამენტის)
ექიმო, წამლებით კი არა, გონებით განკურნე!
Medice, cura te ipsum
(მედიცე, კურა ტე იპსუმ)
ექიმო, (თავი) თვით განიკურნე!
Medice, cura aegrotum, sed non morbum
(მედიცე, კურა ეგროტუმ, სედ ნონ მორბუმ)
ექიმო, უმკურნალე ავადმყოფს და არა აავადმყოფობას (ჰიპოკრ.)
Medici nunquam aegris dicunt, illo morbo eos esse morturos
(მედიცი ნუნქვამ ეგრის დიკუნტ, ილო მორბო ეოს ესე მორტუროს)
ექიმები არასოდეს არ ეუბნებიან ავადმყოფებს, რისგან მოკვდებიან ისინი (ციც.)
Medicina medetur corpori,philosophia - animo
(მედიცინა მედეტურ კორპორი, ფილოსოფია – ანიმო)
მედიცინა სხეულს კურნავს, ფილოსოფია კი – სულს
Medicus amicus et servus aegrotorum
(მედიკუს ამიკუს ეტ სერვუს ეგროტორუმ)
ექიმი ავადმყოფის მეგობარი და მსახურია
Medicus nihil aliud est, quam animi consolatio
(მედიკუს ნიჰილ ალიუდ ესტ, ქვამ ანიმი კონსოლაციო)
ექიმი სხვა არაფერია, თუ არა სულის დამამშვიდებელი (პეტრონ.)
Mens agitat molem
(მენს აგიტატ მოლემ)
გონება ამოძრავებს სხეულს
Mens sana in corpore sano
(მენს სანა ინ კორპორე სანო)
(საღი სული საღ სხეულშია)
– სიმართლე და სიძლიერე ყველა ოქროს სჯობს და ჯანსაღი სხეული განუზომელ სიმდიდრეს (ბიბლ.)
Mens sana in corpore sano bonum magnum est
(მენს სანა ინ კორპორე სანო ბონუმ მაგნუმ ესტ)
ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სული – დიდი სიკეთეა
– სიმდიდრე როდია უკეთესი ჯანმრთელ სხეულზე... (ბიბლ.)
Morbi non eloquentia,sed remediis curantur
(მორბი ნონ ელოქვენცია, სედ რემედიის კურანტურ)
სნეულებანი მჭერმეტყველებით კი არა, წამლებით ინკურნებიან
Morbum-multum est, sanitas una
(მორბუმ მულტუმ ესტ, სანიტას უნა)
ავადმყოფობა – ბევრია, ჯანმრთელობა კი ერთი
Multum vinum bibere, non diu vivere
(მულტუმ ვინუმ ბიბერე, ნონ დიუ ვივერე)
ბევრი ღვინის სმა – ხანმოკლე სიცოცხლე(ა)
ღვინოში ნუ იჟაჟკაცებ, რადგან ღვინოს ბევრი დაუღუპავს (ბიბლ.)
–კაცთა სიცოცხლისათვის ღვინო საჭიროა, თუკი მას ზომიერად შესვამენ (ბიბლ.)

N

Natura sanat, medicus curat morbos
ბუნება აჯანმრთელებს, ექიმი კურნავს ავადმყოფებს (ჰიპოკრ.)
– (...რადგან) მკურნალობა უზენაესისაგან არის და ნიჭიც მეუფისაგან ეძლევა მას (ბიბლ.)
Nec quisquam melior medicus,quam fidus amicus
(ნეკ ქვისქვამ მელიორ მედიკუს, ქვამ ფიდუს ამიკუს)
არ არსებობს უკეთესი ექიმი, ვიდრე ერთგული მეგობარი
Ne noceas, si juvare non potes
(ნე ნოცეას, სი იუვარე ნონ პოტეს)
თუ დახმარება არ შეგიძლია, ნუ ავნებ მაინც
Nihil aeque sanitatem impedit, quam remediorum crebro mutatio
(ნიჰილ ექვე სანიტატემ იმპედიტ, ქვამ რემედიორუმ კრებრო მუტაციო)
არაფერი ენებს ისე ჯანმრთელობას, როგორც წამლების ხშირი შენაცვლება (სენეკა)
Nihil supra!
(ნიჰილ სუპრა)
არაფერი გადაჭარბებული!
Non quarit aeger medicum cum eloquentem, sed anantem
(ნონ ქვარიტ ეგერ მედიკუმ კუმ ელოქვენტემ, სედ სანანტემ)
ავადმყოფი მჭერმეტყველ ექიმს კი არ ეძებს, არამედ მკურნალს

O

Officium medici est ut tuto, ut celeriter, ut jucunde sanet
(ოფიციუმ მედიცი ესტ უტ ტუტო, უტ ცელერიტერ, უტ იუკუნდე სანეტ)
ექიმის ვალია–უმკურნალოს უხიფათოდ, სწრაფად და სასიამოვნოდ (ასკლეპიოსის ფორმულა)
Omnium artium medicina nobilissima est
(ომნიუმ არტიუმ მედიცინა ნობილისიმა ესტ)
ხელოვნებათაგან მედიცინა ყველაზე კეთილშობილია
Optimum medicamentum quies est
(ოპტიმუმ მედიკამენტუმ ქვიეს ესტ)
სიმშვიდე საუკეთესო წამალია (ცელს.)
– მშვიდთა დაამკვიდროს ქვეყანა (ბიბლ.)

P

Praesente medico nihil nocet
(პრეზენტე მედიკო ნიჰილ ნოცეტ)
ექიმის თანდასწრებით არაფერი ენებს
Praemia cum poscit medicus,sathan est
(პრემია კუმ პოსციტ მედიკუს, სათან ესტ)
როცა ექიმი ფულს ითხოვს–ის სატანაა (შეა საუკუნეებში ნათქვამი)!
Primum non nocere!
(პრიმუმ ნონ ნოცერე)
უპირველესად–ნუ ავნებ!

Q

Qui bene diagnoscit, bene curat
(ქვი ბენე დიაგნოსციტ, ბენე კურატ)
ის, ვინც დიაგნოზს კარგად სვამს, კარგადაც მკურნალობს
Qui bene interrogat,bene diagnoscit
(ქვი ბენე ინტეროგატ, ბენე დიაგნოსციტ)
ვინც კარგად ჩაეძიება ავადმყოფს, დიაგნოზს კარგად დასვამს

S

Salus aegroti suprema lex medicorum!
(სალუს ეგროტი სუპრემა ლექს მედიკორუმ)
ექიმისათვის ავადმყოფის ჯანმრთელობა – უზენაესი კანონია!
Si juvatur-natura laudatur, si non juvatur medicus accusatur
(სი იუვატურ, ნატურა ლაუდატურ, სი ნონ იუვატურ–მედიკუს აკუზატურ)
თუ კაცს ეშველა, ბუნებას აქებენ, თუ არ ეშველა – ექიმს ადანაშაულებენ
Symptomata inflammationis sunt: rubor, tumor, calor,dolor,functio laesa
(სიმპტომატა ინფლამაციონის სუნტ: რუბორ, ტუმორ, კალორ, დოლორ, ფუნქციო ლეზა)
ანთების ნიშნებია: სიწითლე, შესიება, სიცხე, ტკივილი, ფუნქციის მოშლა
Solis medicis liset impune occidere
(სოლის მედიცის ლიცეტ იმპუნე ოკციდერე)
მხოლოდ ექიმებს მიეტევებათ ადამიანის სიკვდილი
Stultitia morbus est animi
(სტულტიცია მორბუს ესტ ანიმი)
სისულელე (სიბრიყვე) სულის ავადმყოფობაა
Summum bonum cumulatur ex intergritate corporis et ex mentis ratione perfecta
(სუმუმ ბონუმ კუმულატურ ექს ინტეგრიტატე კორ ორის ეტ ექს მენტის რაციონე პერფეკტა)
უმაღლესი კეთილდღეობა ფიზიკური და გონებრივი სიჯანმრთელის გზით მიიღწევა (ციც.)
Summum bonum medicinae - sanitas
(სუმუმ ბონუმ მედიცინე სანიტას)
უმაღლესი სიკეთე მედიცინისა – ჯანმრთელობაა

T

Tempus vulnera sanat
(ტემპუს ვულნერა სანატ)
დრო ჭრილობებს ახორცებს
Tria haes in omni morbo gravia sunt: metus mortis, dolor corporis intermissio voluptatem
(ტრია ჰეკ ინ ომნი მორბო გრაავია სუნტ: მეტუს მორტის, დოლორ კორპორის, ინტერმისიო ვოლუპტატემ (სენ.))
ნებისმიერ ავადმყოფობაში რთულია შემდეგი სამი (მომენტი): სიკვდილის წინა შიში, სხეულის ტანჯვა, სიამოვნების შეწყვეტა
Tria mala aeque nocent: sterilitas, morbus, vicinus
(ტრია მალა ექვე ნოცენტ: სტერილიტას, მორბუს, ვიცინუს)
სამი ბოროტება ერთნაირად ვნებს: უნაყოფობა, ავადმყოფობა და ბოროტი მეზობლობა (პალადიუსი)

U

Ubi desinit philosophus, ibi incipit medicus
(უბი დეზინიტ ფილოსოფუს, იბი ინციპიტ მედიკუს)
სადაც ამთავრებს ფილოსოფოსი, იქ იწყებს ექიმი
Ubi pus, ibi incisio!
(უბი პუს, იბი ინციზიო)
სადაც ჩირქია, იქ გაჭერი!

V

Valetudo bunum optimum
(ვალეტუდო ბონუმ ოპტიმუმ)
ჯანმრთელობა საუკეთესო განძია
Vulnera dum sanas, dolor est medicina doloris
(ვულნერა დუმ სანას, დოლორ ესტ მედიცინა დოლორის)
სანამ შენ ჭრილობას მკურნალობ, ტკივილი – საექიმო ტკივილია (კატონი)
Venenum aliquando pro remedio est
(ვენენუმ ალიქვანდო პრო რემედიო ესტ)
საწამლავი(ც) ზოგჯერ წამალია
Venter non habet aures
(ვენტერ ნონ ჰაბეტ აურეს)
კუჭს არა აქვს ყურები (მშიერს სიტყვით ვერ დაანაყრებ)

A

Ab ovo usque ad mala
(აბ ოვო უსქვე ად მალა)
კვერცხიდან ვაშლამდე (თავიდან ბოლომდე)
რომაელები ჩვეულებრივ სადილს კვერცხიდან იწყებდნენ და ვაშლით ამთავრებდნენ
ჰორაციუსის გამონათქვამი ირონიულ შენიშვნად იქცა ამბის დაწვრილებით მომყოლის მიმართ
A bove majore discit arare minor
(ა ბოვე მაიორე დისციტ არარე მინორ)
უმცროსი ხარი ხვნას უფროსი ხარისგან სწავლობს
– თაობები სწავლობენ წინაპართაგან
– მამის ხელობას შვილები დაეპატრონებაო (ხალხ.)
– კაცი უნდა სანთელივით თვით დაიწვას და სხვას გზას უნათებდესო (აკ.წერ.)
Aquila non captat muscas
(აქვილა ნონ კაპტატ მუსკას)
არწივი ბუზებს არ იჭერს
(დიდი ადამიანი არ წერილმანდება)
– არწივი მწერებს არ დასდევს (ხალხ.)
– ბეღურას ზარბაზანს არ ესვრიან (ხალხ.)
Adversus necessitatem ne dii quidem resistunt
(ადვერსუს ნეცესიტატემ ნე დიი ქვიდემ რეზისტუნტ)
გარდუვალობას თვით ღმერთებიც ვერ აღუდგებიან წინ
– (რაც) მწყაზდენი(ა), მოხდებაო (ხალხ.)
– არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდაულენა (რუსთ.)
– განგებასა ეერვინ შესცელის, არ-საქმნელი არ იქნების (რუსთ.)
Aequam memento rebus in arduis servare mentem
(ექვამ მემენტო რებუს ინ არდუის სერვარე მენტემ)
გახსოვდეს, შეინარჩუნო სულიერი სიმშვიდე უმძიმეს მდგომარეობაშიც (ჰორაც.)
– კაცი ჰხამს სიმხნით მოღვაწე, ჭირისა არ შემდრეკელი (ქ.დ.)
– ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა (რუსთ.)
– გულგატეხილი ყოველი მოღალატეა თავისა (აკ.წერ.)
– რკინას ცეცხლი აფოლადებს, ადამიანს განსაცდელი (აკ.წერ.)
Aliena vitia in oculis habemus, a tergo nostra sunt
(ალიენა ვიტია ინ ოკულის ჰაბემუს, ა ტერგო ნოსტრა სუნტ)
სხვისი ნაკლი თვალწინ გვაქვს, საკუთარი ზურგს უკან (სენ.)
– თავის თვალში ძელს ვერ ამჩნევს, სხვისაში ბეწვსა ხედავსო (ხალხ.)
– თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით, ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა (ვაჟა)
– ჯერ შენი თვალიდან დირე ამოიღე და მერე დაინახავ როგორ ამოიღო ბეწვი შენი ძმის თვალიდან (ბიბლ.)
Amat victoria curam
(ამატ ვიქტორია კურამ)

– გამარჯვებას უყვარს ზრუნვა (კატ.)
– ვინც შრომობს, ქონებაც იმას აქვსო (ხალხ.)
– ვინც არ გაირჯებაო, პურსაც ვერ მიწვდებაო (ხალხ.)
– მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მოისთელის მტევნებსა (გურამ.)

Amicus Plato, sed magis amica veritas
(ამიკუს პლატო, სედ მაგის ამიკა ვერიტას)
პლატონი (ჩემი) მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია (არისტ.)
– ჭეშმარიტი სიტყვა მწარეაო.(ხალხ.)
– სიმართლის თქმა ვაჟკაცობააო (ხალხ.)
– ცნე სამართალი მართალი...(რუსთ.)
– ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად (დ.გურ.)
– სიმართლის თქმითა არ ეშიშობ, წახდეს, თუ რამე წახდება. (ვაჟა)

Amicus certus in re incerta cernitur
(ამიკუს ცერტუს ინ რე ინცერტა ცერნიტურ)
ჭეშმარიტი მეგობარი გაჭირვების ჟამს შეიცნობა
– მეგობარი ჭირში გამოიცნობაო (ხალხ.)
– ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო (ხალხ.)
– ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად (რუსთ.)

Amore, more, ore, re - cognoscitur amicus
(ამორე, მორე, ორე, რე–კოგნოსციტურ ამიკუს)
მეგობარი–სიყვარულით, ჩვეულებით, სახითა და საქმით შეიცნობა
– კაცი მგზაურობაში იცნობა, ამხანაგი–საქმეში და ცხენი–ხედნაში (ხალხ.)
– კაცს საქმე გამოსცდისო...(ხალხ.)
მეგობარი ჭირში გამოიცნობაო (ხალხ.)
– შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი (რუსთ.)

Arbor mala-mala mala
(არბორ მალა,მალა მალა)
ცუდი ხე– ცუდი ნაყოფი
– როგორიც ბაღი, ისეთი ხილი(ო) (ხალხ.)
– თითოეული ხე თვისისაგან ნაყოფისა საცნაურ არს (ბიბლ.)
– არ ძალუძს ხესა ხენეშსა–ნაყოფთა მოსხმა ტკბილისა (ქ.დ.)
– ყოველ ხეს, რომელიც კეთილ ნაყოფს არ გამოიღებს, ჭრიან და ცეცხლში აგდებენ (ბიბლ.)

Aurea mediocritas
(აურეა მედიოკრიტას)
„ოქროს შუალედი“ (ზომიერება), საშუალო ხაზი (ამბობენ ისეთ რამეზე, რასაც უკიდურესობა არ ახლავს) (ჰორაც.)

Auscultare disce...!
(აუსკულტარე დისცე)
ისწავლე მოსმენა!
– მოსმენა დიდი ნიჭიაო (ხალხ.)
– ბრძნად მეტყველებაი ვერცხლი არს წმიდაი, ხოლო დუმილი ოქროი რჩეული (ბიბლ.)

Aut bibat, aut abeat!
(აუტ ბიბატ, აუტ აბეატ)
ან დალიოს ან წაივიდეს!
(საჭიროა დაემორჩილო წესებს, ჩვეულებებს, საზოგადოებისას, ან წახვიდე)
– სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო (ხალხ.)
– მგლებში მაცხოვრებელმა ყმუილი უნდა იცოდესო (ხალხ.)

Aut Caesar,aut nihil
(აუტ ცეზარ, აუტ ნიჰილ)
ან კეისარი, ან არაფერი (ან ყველაფერი, ან არაფერი)
– ხან სულ არაო, ხან სულ ვარხალალაო (ხალხ.)

Aut vincere, aut mori
(აუტ ვინცერე, აუტ მორი)
ან გამარჯვება, ან სიკვდილი
– მაგრამ ვაჟკაცი თუ ვერ იმარჯვებს, თავს არ შეირცხვენს– მტერს რჩება მკვდარი (ვაჟა)

Avaritia nec copia, nec inopia minuit
(ავარიცია ნეკ კოპია, ნეკ ინოპია მინუიტ)
სიძუნწე არც სიღარიბით, არც სიმდიდრით არ მცირდება
– ძუნწი მაინც ღარიბია, გინდ ჰქონდეს და გინდა არა (ხალხ.)
– რასაცა გასცემ შენია, რას არა–დაკარგულია (რუსთ.)
– ...სიძუნწე უმეცრულია...
(რუსთ.)

B

Beneficia non abstruduntur
(ბენეფიცია ნონ აბსტრუდუნტურ)
კეთილი საქმე არ იმალება
– კარგი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგეხვდება (ხალხ.)
– ავსა და ცუდსა საქმესა–ბოლო მოკლე და საწყენი აქვს, კარგსა და სამადლოსა–დაულეელნი საუკუნომდის (სულხან–საბა)
– კარგი საქმე კაცსა ზედა, აზომ თურმე არ წახდების (რუსთ.)

Bona fama divitiis est prior
(ბონა ფამა დივიტიის ესტ პრიორ)
კარგი სახელი (ყველანაირ) სიმდიდრეზე უკეთესია
– სა[illegible]ელი ერთი დღისაო, სახელი ასი წლისაო (ხალხ.)
– სჯობს სახელისა მოხვეჭა–ყოველსა მოსახვეჭელსა (რუსთ.)

C

Calcanda semel via leti
(კალკანდა სემელ ვია ლეტი)
სიკვდილის გზა ერთხელ უნდა გაიარო
– ერთხელ დაბადებული ერთხელ მოკვდებაო (ხალხ.)
– ერთხელ სჯობია სიკვდილი, ნიადაგ შეღონებასა (რუსთ.)
– ერთხელ სჯობია სიკვდილი, შავს ყოფნას ქვეყანაზედა (ვაჟა)

Carpe diem
(კარპე დიემ)
გამოიყენე დღე (სიცოცხლის ყოველი წუთი)
– ყოველი წუთი ძვირფასია
– წუთი ფული ღირსო (ხალხ.)
– დღე–მეზვალიე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო (ხალხ.)

Caecus non judicat de colore
(ცეკუს ნონ იუდიკატ დე კოლორე)
ბრმა ფერზე ვერ იმსჯელებს.
– ბრმა ვერ ხედავს, მაგრამ საზღვრავსო (ხალხ.)

Cedo majori
(ცედო მაიორი)
ვუთმობ უფროსს, (ექვემდებარები ჩემზე კომპეტენტურს, მცოდნეს).
– მოწაფე მოძღვარზე მეტი არაა, არც მონაა თაეის ბატონზე მეტი (ბიბლ.)
– დიდის ნათქვამი, პატარას გაგონილიაო (ხალხ.)
– (ხამს მეფეთა ერთგულება) ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად (რუსთ.)
– დაემორჩილეთ თქვენს ბატონებს არა მარტო კეთილთა და თვინიერთ, არამედ მკაცრთაც (ბიბლ.)

Contraria contraris sunt remedia
(კონტრარია კონტრარის სუნტ რემედია)
საწინააღმდეგო საწინააღმდეგოს წამალია
– ვის გაუგონია ლხინი უტირალი და ჭირი–უცინარი (ხალხ.)
– რაც გატკენს, ის მოგარჩენსო (ხალხ.)

Consicientia mille testes
(კონსიციენცია მილე ესტეს)
სინდისი ათასი მოწმეა
– სვინდის–ნამუსი რჯულ–სამართალიაო (ხალხ.)
– სასწორის სისწორე პატრონის სინდისზე ჰკიდიაო (ხალხ.)
– სინდისის ქენჯნა კომბალზედ მტკივნეულიაო (ხალხ.)
– პატიოსანთ მტერთა შორის მოციქული სინდისია (ილია)
– უსინდისოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების (დ.გურამ.)

Crescentem sequitur cura pecuniam
(კრესცენტემექ სექვიტურ კურა პეკუნიამ)
ფულის ზრდასთან–საზრუნავიც იზრდება
– ცოტა ფული, ცოტა დარდი(ო) (ხალხ.)
– ფული რამდენადაც ბევრია, იმდენად ხარბია და გაუმაძღარი (ილია)

Cuius periculum, eius dem commodum
(კუიუს პერიკულუმ, ეიუს დემ კომოდუმ)
ვისიცაა რისკი, მისივეა სარგებელიც
– ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სელი უნდაო (ხალხ.)
– ვინც მოხადა ქვევრიო, იმას მისცეს ბევრიო (ხალხ.)

Cum sis mortalis, quae sunt mortalia cura
(კუმ სის მორტალის, ქვე სუნტ მორტალია კურა)
რადგან მოკვდავი ხარ, ადამიანთათვისაც (მოკვდავთათვისაც) იზრუნე!
– არც კაცი ეარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს (ნ.ბარათ.)
– უნდა იხადოს ცოცხალსა კაცმა თავისი ვალი.. (ვაჟა)
– კაცი სხვისი მარგეც უნდა იყოს...(ილია)
– უმჯობესია რომ მოკვდეს კაცი, ვიდრე ცოცხლობდეს ვით ცოცხალ–მკვდარი (აკ.წერ.)

Cui dolet, meminit
(კუი დოლეტ, მემინიტ)
ვისაც სტკივა, მას ახსოვს (ციც.)
– ვისაც გული არ სტკივა, იმას ცრემლიც არ სცვივა (ხალხ.)

D

Dat, Dicat, Dedicat
(დატ, დიკატ, დედიკატ)
ჩუქნის, უძღვნის, პატივს მიაგებს (სამახსოვრო წარწერა საჩუქარზე)
(შემოკლ.D.D.D.)

Damnant, quod non intellegunt
(დამნანტ, ქვოდ ნონ ინტელეგუნტ)
განსჯიან, რამეთუ არ იციან
– ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხოთ (ბიბლ.)
– ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ (ბიბლ.)

Da veniam fasso
(და ვენიამ ფასო)
აპატიე მომნანიებელს (ოვიდ)
– მონანიებული ცოდვა არცოდვააო (ხალხ.)
– მიუტევე და მოგეტევებაო (ბიბლ.)

Degeneres animos timor arguit
(დეგენერეს ანიმოს ტიმორ არგუიტ)
შიში სულის უსუსურობას წარმოაჩენს
– შიში კაი ყმა არიო (ხალხ.)
– შიში მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო (ხალხ.)
– შიში მხსნელი რომ იყოს, კურდღელი უკვდაეი იქნებოდაო (ხალხ.)
– შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა (რუსთ.)

Deliberandum est diu statuendum semel

(დელიბერანდუმ ესტ დიუ, სტატუენდუმ სემელ)
დაფიქრება საჭიროა დიდხანს, გადაჭრა– ერთხელ
– საფიქრებელი წლისაო, საქმე კი ერთი დღისაო (ხალხ.)
– 100–ჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო (ხალხ.)
– ...ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა (რუსთ.)

De mortuis aut bene, aut nihil

(დე მორტუის აუტ ბენე, აუტ ნიჰილ)
მკვდრებზე (ითქმის) ან კარგი, ან არაფერი
– მიცვალებულზე ცუდი არ ითქმისო (ხალხ.)
– მკვდრის გასენებასთან ერთად მისი ხსოვნაც მოასვენე (ბიბლ.)

De Nihilo nihil

(დე ნიჰილო ნიჰილ)
არაფრიდან–არაფერია (ლუკრეც)
– გაიყარნენ ნაცარნი, რა გაიყონ, რაც არ არი (ხალხ.)
– არარასაგან წარმოდგების არარაიცა (ხალხ.)
– ათიათასჯერ არაფერი მაინც არაფერია (ილია)

Desine flere

(დეზინე ფლერე)
შეწყვიტე ტირილი
– მტერნი არ შეგვიბრალებენ ტირილითა და ვიშითა (ხალხ)
– ვა, სოფელშან სოფელს მყოფი, ყოველი დასვა ცრემლთა დენად (რუსთ.)
– არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა (რუსთ.)
– კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს (რუსთ.)

Dictis facta respodeant

(დიკტის ფაკტა რესპოდეანტ)
სიტყვა საქმეს (უნდა) შეესაბამებოდეს
– სიტყვა სიტყვისაო, საქმე კი ქნისაო (ხალხ.)
– სიტყვა უსაქმოდ მეღარია (ხალხ.)
– სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი (სულხან–საბა)
– კაცი საქმით მართლდება და არა მხოლოდ რწმენით (ბიბლ.)

Dies diem docet

(დიეს დიემ დოცეტ)
დღე დღეს ასწავლის
– დროება ამბავს ასწავლის კაცსაო (ხალხ.)
– წინა კაცი უკანასი ხიდიაო (ხალხ.)

Dies dolorem minuit

(დიეს დოლორემ მინუიტ)
დღე ამცირებს მწუხარებას
– დრო ყველაფრის მკურნალია
– ხანი გაიელისო, ჭირიც გადიელისო (ხალხ.)
– ხსოვნა არ ხამს ჭირისა, ეით დღისა გარდა–სრულისა (რუსთ.)

Diem perdidi amici!

(დიემ პერდიდი ამიცი!)
დღე დავკარგე, მეგობრებო!
(იმპერ. ტიტუსის სიტყვები, წარმოთქმული სუფრასთან იმ დღეს, როცა ვერავის დაეხმარა, ვერ გააკეთა სიკეთე)
– კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა დღეს მე ვის რა ვარგე (ილია)
– ვისაც შეუძლია სიკეთის ქმნა, მაგრამ არა იქმს, ცოდვილია (ბიბლ.)

Diligentia in omnibus rebus

(დილიგენცია ინ ომნიბუს რებუს)
მუყაითობა–ყველა საქმეში (საჭიროა)
– კაცი შრომა–გარჯილობით ფასდებაო (ხალხ.)
– გამრჯე კაცისთვის სასჯელი უსაქმობააო (ხალხ.)
– სჯობს გამორჩევა, აზრობა, საქმისა დასაგვანისა (რუსთ.)
– ყველაფერს, რასაც აკეთებთ, გულმოდგინეთ აკეთეთ როგორც უფლისთვის, და არა როგორც კაცთათვის (ბიბლ.)

Discrepant facta cum dictis

(დისკრეპანტ ფაკტა კუმ დიკტის)
საქმენი არ ეთანხმებიან ნათქვამს (ციც.)
– სიტყვა ბარაქიანიო, საქმე ტალახიანიო (ხალხ.)
– სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი (ხალხ.)
– სიტყვით ანგელოზს ემსგავსის, გულით კი ეშმაკ–ფლიდობსო (დ.გურ.)

Divitiae et honores caduca sunt

(დივიტიე ეტ ჰონორეს კადუკა სუნტ)
სიმდიდრეც და პატივიც წარმავალია
– ქონება მგზავრიაო (ხალხ.)
– სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა (რუსთ.)
– გმირს არ აჯავრებს ნადავლი, სახელს ვერ გასცელის დავლაზე (ვაჟა)

Dixi et animam levavi

(დიქსი ეტ ანიმამ ლევავი)
ვთქვი და სული დავიმშვიდე
– ჭირის თქმა დამწეარ გულს სანახევროდ ანელებსო (ხალხ.)
– ენა გულის ცოცხიაო (ხალხ.)
– დიდი ლხინია ჭირთა თქმა (რუსთ.)
– ენამ გულისა უნდა თქვას (ილია)

Doctus nemo nascitur

(დოკტუს ნემო ნასციტურ)
სწავლულად არავინ იბადება
– სიბრძნე გამოცდილების შვილიაო (ხალხ.)

Docendo discimus

(დოცენდო დისციმუს)
ვასწავლით რა, ჩვენც ვსწავლობთ
– სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდებაო (ხალხ.)
– ...სწავლა სიკვდიმდე შენია...(დ.გურ.)

Domus propria-Domus optima

(დომუს პროპარია-დომუს ოპტიმა)
საკუთარი სახლი ყველა სახლზე უკეთესია
– სხვის ბედაურს შენი ჯაგლაგი გერჩივნოსო (ხალხ.)
– არ გაუცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა (რაფ.ერისთ.)

Do ut des
(დო უტ დეს)
გაძლევ, რათა შენც მომცე
– ჩუქებას ჩუქება უნდაო (ხალხ.)
– რეგვენს საჩუქარი მუქთი ეგონაო (ხალხ.)
– უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების (რუსთ.)
– რასაცა გასცემ შენია...(რუსთ.)

Ducunt volentem fata, nolentem trahunt
(დუკუნტ ვოლენტემ ფატა, ნოლენტემ ტრაჰუნტ)
ბედი მორჩილს გაიყოლიებს, ურჩს კი წაათრევს
– ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო (ხალხ.)
– დათმობა ჰგვანდეს სიბრძნისა წყაროთა (რუსთ.)
– სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს...(რუსთ.)
– ნეტარ არიან თვინიერნი...(ბიბლ.)

Dulce et decorum est pro patria mori
(დულცე ეტ დეკორუმ ესტ პრო პატრია მორი)
რა სასიქადულოა და ტკბილი სიკვდილი მამულისათვის (ციც.)
– სიმშობლოს, მამულისათვის მხოლოდ რჩეული კვდებისა (ვაჟა)

Dum spiro, spero
(დუმ სპირო, სპერო)
სანამ ვსუნთქავ, ვიმედოვნებ (ციც.)
– კაცი იმედით ცოცხლობსო (ხალხ.)
– სჯობს სიცოცხლისა გაძლება...(რუსთ.)
– იმედი ბევრად სჯობია უაზრო ბედისწერასა (ვაჟა)
– გულგატეხილი ყოველი მოღალატეა თავისა (აკ.წერ.)

Durum telum necessitas
(დურუმ ტელუმ ნეცესიტას)
აუცილებლობა მკაცრი ბსარია (აუცილებლობას თავს ვერ დააღწევ)
– კაცი ვერსაით წუაუა თავის ბედსა და წერასა (ხალხ.)
– განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქნებაო (რუსთ.)
– განგებით ქმნილსა რისხვასა ეერავინ დაჰრიდებია (რუსთ.)

E

Edimus ut vivamus, non vivamus et edamus
(ედიმუს უტ ვივამუს, ნონ ვივამუს ეტ ედამუს)
ვჭამთ რომ ვიცოცხლოთ, და არა ვცოცხლობთ იმისთვის, რომ ვჭამოთ (სოკრ.)
– ნუ ზრუნავთ თქვენი სხეულისათვის თუ რა ჭამოთ... რადგან სული საზრდოზე მეტია, და სხეული სამოსელზე (ბიბლ.)

Edite, bibite, post mortem-nulla voluptas
(ედიტე, ბიბიტე, პოსტ მორტემ-ნულა ვოლუპტას)
ჭამეთ, სვით, სიკვდილის შემდეგ არ იქნება განცხრომა
– სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა საკარგულია (რუსთ.)

Erare humanum est
(ერარე ჰუმანუმ ესტ)
შეცდომა ადამიანურია (ხვედრია კაცისა) (ციც.)
– შეუცთომელი კაცი არ გაჩენილაო (ხალხ.)
– ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებაო (ხალხ.)

Esto, quod esse videris
(უსტო, ქვოდ ესე ვიდერის)
იყავ ისეთი, როგორიც ჩანხარ!
– ...ფერ-უმარული რა საჭიროა (ილია)

Est modus in rebus
(ესტ მოდუს ინ რებუს)
(ყველაფერში საჭიროა ზომიერება)
– არა ვარგა უსაზომო...(რუსთ.)
– წამალი ხომ წამალია, მაგრამ იმასაც თაეის ზომაზე უნდა დალევა (ვაჟა)
– ზომას გადამეტებული ჯურის ჭამაც კი მაწყინარია (ილია)

Ex ore parvulorum veritas
(ექს ორე პარვულორუმ ვერიტას)
ბავშვის პირით ჭეშმარიტება ღაღადებს
– სიმართლე ეინა სთქვა და-ბავშვმა და მთერალმაო (ხალხ.)
– ჩვილთა და ძუძუმწოვართა პირით დაიმკვიდრე დიდება (ბიბლ.)

Ex pede Herculem
(ექს პედე ჰერკულემ)
ჰერკულესი ფეხით (მთელი ნაწილით იცნობა)
– რა კაციცა ხარ, კოჭებზე გეტყობაო (ხალხ.)

Expressa nocent, non expressa non nocent.
(ექსპრესა ნოცენტ, ნონ ექსპრესა ნონ ნოცენტ)
ნათქვამი ენებს, უთქმელი არ ენებს
– ...ზოგჯერ თქმითაც დაშავდების (ხალხ.)
– სიტყვამ ცხრა კარი უნდა გაიაროსო (ხალხ.)
– ადამიანს ბილწავს არა ის, რაც პირში შედის, არამედ ის, რაც პირიდან გამოდის (ბიბლ.)

Experimenta est optima rerum magistrum
(ექსპერიმენტა ესტ ოპტიმა რერუმ მაგისტრუმ)
გამოცდილება საუკეთესო მასწაელებელია
– სიბრძნე-გამოცდილების შვილიაო (ხალხ.)
– გამოუცდელ ანგელოზს გამოცდილი ეშმაკი სჯობიაო (ხალხ.)

Ex vitio alterius emenda tuum
(ექს ვიციო ალტერიუს ემენდა ტუუმ)
სხვისი ნაკლიდან გაასწორე შენი
(სხვის შეცდომებზე ისწავლე)
– წინა კაცი უკანასი ხიდიაო (ხალხ.)

– სხვადასხვა კაცთა შეცდომით შეცდომილს გზასა გაიგნებ (ქ.დ.)

F

Faber est suae quisqie fortunae
(ფაბერ ესტ სუე ქვისქვე ფორტუნე)
ყოველი ადამიანი თვითვეა თავისი ბედის მჭედელი (პლატ.)
– ყველა თავის ბედის მკერავიაო (ხალხ.)
– რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თაეითაო (ხალხ.)
– მევე ეუყავ ჩემსა თაესა, ჩემი ბრალი ვის ვაბრალო (ქ.დ.)

Fac et spera
(ფაკ ეტ სპერა)
ქმენ და იმედი იქონიე
– პურ-მარილი ქვაზე დადე, გამოიელი-წინ დაგეხვდება (ხალხ.)
– კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების (რუსთ.)
– ის ერთიასად მოიმკის, რაც კარგი დაუთესია (აკ.წერ.)
– რომელი საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოთ თქვენ (ბიბლ.)

Fas est et ab hoste doceri
(ფას ესტ ეტ აბ ჰოსტე დოცერი)
მტრისგანაც კი უნდა ისწავლო
– უგუნურ მეგობარს გონიერი მტერი სჯობიაო (ხალხ.)
– მტერიც კი თავის რიგზე და წესზე საჭირო და გამოსადეგია (ვაჟა)

Fateor, me saepe peccasse, homo sum
(ფატეორ, მე სეპე პეკასე, ჰომო სუმ)
ვაღიარებ, რომ ხშირად ეცოდავდი, მე ხომ ადამიანი ვარ
– უცთომელი კაცი არ არისო (ხალხ.)
– ერთხელ ბრძენიც შეცდებაო (ხალხ.)
– გამომეღავნება თავის შეცდომისა და ცოდვებისა, იგივე გმირობაა (ვაჟა)

Fide, sed cui vide
(ფიდე, სედ კუი ვიდე)
ენდე, მაგრამ ვის– იცოდე
– კაცის ცნობა ყველაზე ძნელიაო (ხალხ.)
– კაცმა რომ კაცი გაიცნოს, მასთან ცხრა ფუთი მარილი უნდა შეჭამოსო (ხალხ.)

Finis ab origine pendent
(ფინის აბ ორიგინე პენდენტ)
ბოლო დასაწყისზეა დამოკიდებული
– ვინც ცუდად დაიწყო, ცუდად დამთავრებსო (ხალხ.)
– თონეს უთქვამს: ფიჩხი ბევრი ჩამაყარეო, რომ პური ბევრი ამოვყაროო (ხალხ.)
– ვინც ქარს თესავს, ქარიშხალს მოიმკისო (ხალხ.)

Finis coronat opus
(ფინის კორონატ ოპუს)
ბოლო აგვირგვინებს საქმეს
– გადადებული საქმე ეშმაკისააო (ხალხ.)

Fortes creantur fortibus et bonis
(ფორტეს კრეანტურ ფორტიბუს ეტ ბონის)
მამაცნი-მამაცთაგან და კეთილშობილთაგან წარმოიშვებიან
– ანწლი არ მოგვცემს ყურძენსა (ხალხ.)
– კეიცი გვარზე ხტისო (ხალხ.)
– კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების.(რუსთ.)
– კეთილ კაცს კეთილი საგანძურიდან სიკეთე გამოაქვს (ბიბლ.)

Fortes fortuna adiuvat
(ფორტეს ფორტუნა ადიუვატ)
მამაკაცებს ბედი შველის (ტერენც.)
– ვაჟკაცისა სიკედილსაც ეშინიაო (ხალხ.)
– არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა (რუსთ.)
– ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად (რუსთ.)

Fortuna dicitur caeca
(ფორტუნა დიციტურ ცეკა)
ბედი ბრმაა
– ბედი ბრმაა-დამჯერებელს შეხვედებისო (ხალხ.)
– ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს-მოცაგხვედების (რუსთ.)
– ბედი ხან ბატონსა სწყალობს, ხან გაულიმებს მონასა (ვაჟა)

Fortunam suam quisque parat
(ფორტუნამ სუამ ქვისქვე პარატ)
თითოეული თეითონ პოულობს თავის წილ ბედნიერებას
– კაცსა ქარვისა მძებნელსა-ხელთ შეხვედა იაგუნდიო (ხალხ).
– ბრმა ღორი რკოს მიადგაო (ხალხ.)
– ეძიებდე და ჰპოვოთ (ბიბლ.)

Fronte cappillata, post est occasio calva
(ფრონტე კაპილატა პოსტ ესტ ოკასიო კალვა)
ხელიდან გაშვებულ მომენტს ვეღარ დაიჭერ
– წკნელი სანამ წვრილია მოგრიხე, გაიზრდება-აღარ მოიგრიხება (ხალხ.)
– ღღეანდელი კეერცხი გერჩიენოს– ხვალინდელ ქათამსო (ხალხ.)

Fronti nulla fides
(ფრონტი ნულა ფიდეს)
შუბლს (გარეგნობას) არანაირი ნდობა (იუვენ)
– კაცი შეხედულებით არ გაისინჯებაო (ხალხ.)
– გეამება თვალშიაო, ჭკუა არ აქვს თავშიაო (ხალხ.)
– სახით მღედელი, საქმით მგელი (ხალხ.)

– გარეგნობა ფუჭია...(აკ.წერ.)
– ნუ განსჯით შეხედულებით, არამედ სამართლიანი მსჯავრით განსაჯეთ (ბიბლ.)

Funiculis ligatum vel puer verberatet

(ფუნიკულის ლიგატუმ ველ პუერ ვერბერატეტ)
გათოკილის ცემა ბავშვსაც ძალუძს
– ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა ზედ მიადგებაო (ხალხ.)
– წაქცეულს არ ურტყამენ (ხალხ.)
– დავრდომილს წიხლი კი არა–შველა უნდაო (ხალხ.)
– რა ერთსა გცემდნენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან (რუსთ.)
– ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ დააყოვნე... (რუსთ.)

G

Gratia gratiam parit

(გრაცია გრაციამ პარიტ)
წყალობა წყალობას ქმნის
– რასაცა გასცემ შენია, რას არა–დაკარგულია (რუსთ.)
– ვინა სთესა, მან მოიმკო, ვინა განაბნია, მან შეკრიბნა (ბიბლ.)

Gutta cavat lapidem non vi, sed saepe cadendo

(გუტა კავატ ლაპიდემ ნონ ვი, სედ სეპე კადენდო)
წვეთი ქვას ხვრეტს არა ძალით, არამედ ხშირი დაცემით (ოვიდ.)
– წვეთ–წვეთობით წყალი ქვასაც გახვრეტსო (ხალხ.)
– გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყლისა დენამა (ხალხ.)

H

Has poenas garrula lingua dedit

(ჰას პენას გარულა ლინგუა დედიტ)
ეს სასჯელი ჩემმა ენაჭარტალა ენამ მომიტანა
– კაცი თავის ენით პატიჟს კიდევაც დაიყრის და კიდევაც აიყრისო (ხალხ.)
– სიტყვის თქმა რიგით უნდაო (ხალხ.)
– თავში კაკუნი ვინ გიყო და– ჩემმა ენამაო (ხალხ.)
– არც არა ენის უტკბესი იქნების რა და არც არა ენის უმწარესი (სულხან–საბა)
– ადამიანს ბილწავს არა ის, რაც პირში შედის, არამედ ის, რაც პირიდან გამოდის (ბიბლ.)

Hoc pretium ob stultitam fero

(ჰოკ პრეტიუმ ობ სტულტიტამ ფერო)
ამ სასჯელს ჩემი სისულელისთვის ვიხდი (ტერენც)
– რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო(ხალხ.)
– თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა (რუსთ.)
– მტერი მტერსა ვერას აენებს, რომე კაცი თაესა იენებს (რუსთ.)

Hodie Caesar, cras nihil

(ჰოდიე ცეზარ, კრას ნიჰილ)
დღეს კეისარი, ხვალ არარაობა
– დრონი მეფობენ და არა მეფენიო (ხალხ.)
– იგი წავა და სხვა მოვა...(რუსთ.)

Hominem quaero!

(ჰომინემ ქვერო)
ადამიანს ვეძებ! (ფილოსოფოს დიოგენეს სიტყვები, დადიოდა რა ბაზრის მოედანზე დღისით, ანთებული ფარნით ხელში)
კაცის ცნობა ყველაზე ძნელიაო (ხალხ.)

Homines nihil agendo discunt male agere

(ჰომინეს ნიჰილ აგენდო დისკუნტ მალე აგერე)
ზარმაცები არაფერს სწავლობენ ცუდის კეთების გარდა
– სიზარმაცე ბოროტების დედააო (ხალხ.)
– ზარმაცმა ადგა და სახლი დაწვაო (ხალხ.)

Homo sum et nihil homini a me alieno puto

(ჰომო სუმ ეტ ნიჰილ ჰომინი ა მე ალიენო პუტო)
ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის (ტერენც).
– ...არაფერი გაგიკვირდეს (რუსთ.)
– ათასი რამე მოხდება სიცოცხლით კაცის თავზედა (ეაჟა)

Homo locum ornat, non hominem locus

(ჰომო ლოკუმ ორნატ, ნონ ჰომინემ ლოკუს)
ადამიანი ამკობს ადგილს და არა ადგილი ადამიანს
– ადგილი კი არ ამშვენებს კაცსა, კაცი ამშვენებს ადგილს (ხალხ.)
– ეცადეთ, რათა კეთილი საქმით განამტკიცოთ თქვენი წოდება და რჩეულება, ვინაიდან ამის მოქმედნი არასოდეს წაიფორხილებთ (ბიბლ.)

Homo proponit, sed deus disponit

(ჰომო პროპონიტ, სედ დეუს დისპონიტ)
კაცი წყვეტს, ღმერთი აწესრიგებს
– კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო (ხალხ.)
– კაცის გული თავის გზებს გეგმავს, მის ნაბიჯებს კი უფალი წარმართავს (ბიბლ.)

Homo sapiens

(ჰომო საპიენს)
გონიერი ადამიანი
– გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, უგუნური დედამიწასაც ამძიმებს(ო) (ხალხ.)
– გონიერსა მწერთნელი უყვარს...(რუსთ.)
– ...გონიერი ხამს, აროდეს არ აჩქარდეს (რუსთ.)
– ყველა გონიერი კაცი იგივე წიგნია (ილია)

Homo solus aut deus, aut daemon

(ჰომო სოლუს აუტ დეუს, აუტ დემონ)
მარტოდმყოფი კაცი ან ღმერთია, ან დემონი
– მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო (ხალხ.)

– მარტო თაეისთვის ცხოვრება, ძაღლსაც კი სცხვენის, კატასა. (ვაჟა)
– საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა (ილია)

Homo quadratus

(ჰომო ქვადრატუს)
ადამიანი კვადრატი
(ამბობენ მოწესრიგებულ ადამიანზე)

Honeste vivere, alterum non laudere, suum cuique tribuere

(ჰონესტე ვიეერე, ალტერუმ ნონ ლაუდერე, სუუმ კუიქვე ტრიბუერე)
პატიოსნად იცხოვრე, სხვას ნუ ავნებ, თითოეულს თაეისი მიუზღე

– კაი კაცობა არსად დაიმალებაო (ხალხ.)
ნუ უთხრი სხვას ორმოს, თორემ შიგ თვითონვე ჩაეარდებიო (ხალხ.)
– მტერს მტრულად მოექეც, მოყეარეს მოყვრულადაო (ხალხ.)

Honestus rumor alterum patrimonium est

(ჰონესტუს რუმორ ალტერუმ პატრიმონიუმ ესტ)
პატიოსანი სახელი მეორე მემკვიდრეობაა
– საჭმელი ერთი დღისაო, სახელი ასი წლისაო (ხალხ.)
– სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახეეჭელსა (რუსთ.)
– კაცი, სახელის მძებნელი, უკედაად შემრაცხია (ქ.დ.)
– სახელს უმატეთ, სახელი – ძვირფასი საპოენელია (ვაჟა)

Honores mutant mores (sed raro in meliores)

(ჰონორეს მუტანტ მორეს (სედ რარო ინ მელიორეს))
თანამდებობა ადამიანებს ასხვაფერებს (ცუდისკენ) (კარგ ადამიანებს კი იშვიათად)
– კაი კაცს რა წაახდენსო (ხალხ.)
– პირუტყეია, თუ გამაგრდა კაცის შუბლზე კანი (აკ.წერ.)
– ნეტარია კაცი, რომელიც გაუძლებს საცდურს (ბიბლ.)

Humana non sunt turpia

(ჰუმანა ნონ სუნტ ტურპია)
ადამიანური არაფერია სათაკილო
– მოვიდა შიმშილი, წაეიდა სირცხეილი (ხალხ.)
– ათასი რამე მოხდება სიცოცხლით კაცის თაეზედა (ვაჟა)

I

Inorantia non excusat

(იგნორაცია ნონ ექსკუზატ)
არცოდნა (არაეის) არ ამართლებს
– უცოდინარი წაწყმდებაო (ხალხ.)
– უსწაელელი ქეაზე დაჯდა, ქეა ქეას დაემატაო (ხალხ.)
– უცოდინრობა დიდი ცოდეაა, მიუტეებელი ცოდეა (ვაჟა)

Ignosce saepe alteri, nunquam tibi

(იგნოსცე სეპე ალტერი, ნუნქუამ ტიბი)
აპატიე ხშირად სხეას, მაგრამ არასდროს საკუთარ თაეს
– დიდ კაცს დიდი სულგრძელობაც მართებსო (ხალხ.)
– მიუტეეთ და მოგეტეებათო (ბიბლ.)

Ille dolent vere, qui sine teste dolet

(ილე დოლენტ ეერე, ქვი სინე ტესტე დოლეტ)
იგია ჭეშმარიტად დამწუხრებული, ვისაც მწუხარებისას მოწმე არა ჰყაეს (მარც.)
– ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინადგან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან (ბიბლ.)

In aqua scribere

(ინ აქეა სკრიბერე)
წყალზე წერა (ფუჭი საქმიანობა)
– წყალი ნაყო, ნაყო, ისევ წყალი იქნებაო (ხალხ.)
– წყალი არ მოშლის წყლობასა, რაც უნდა ბევრი ჰნაყოთა (ვაჟა)

In fuga foeda mors est, in victoria-gloriosa

(ინ ფუგა ფედა მორს ესტ, ინ ვიკტორია-გლორიოზა)
გაქცეეაში სამარცხეინოა სიკედილი, გამარჯეებაში-საპატიო;
– სირცხეილს სიკედილი სჯობია, ორივე ერთად კი ჯოჯოხეთიაო (ხალხ.)
– მაგრამ ვაჟკაცი თუ ეერ იმარჯეებს, თაეს არ შეირცხეენს, მტერს რჩება მკედარი (ვაჟა)

Imago animi vultus

(იმაგო ანიმი ვულტუს)
სახე სულის ხატია
– კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების (რუსთ.)

Inter caecos luscus rex

(ინტერ ცეკოს ლუსკუს რექს)
ბრმათა შორის ცალთვალა მეფეა
– ბრმათა შორის ცალთვალიო, არს პირველი სარდალიო (ხალხ.)
– სად მაღალი არსად იყოს, მუნ მდაბალი გამაღლდების (დ.გურ.)

Imperare sibi maximum imperium est

(იმპერარე სიბი მაქსიმუმ იმპერიუმ ესტ)
ყეელაზე ძნელი საკუთარი თაეის მართვაა
– ბატონი იყაე შენი ნებისა და ყმა შენი სინდისისაო (ხალხ.)
– თუ ხავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები (რუსთ.)

Ingola at his magistratibus parere debet, apud quos ingola est, et illis, a.q.civis est

(ინგოლა ატ ჰის მაგისტრატიბუს პარერე დებეტ, აპუდ ქვოს ინგოლა ესტ, ეტ ილის,...ალი ქვის ცივის ესტ)

თითოეული ვალდებულია დაემორჩილოს იმ მაგისტრატს, სადაც იგი ცხოვრობს და იმათ–ვისი მოქალაქეცაა
– სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო (ხალხ.)

In principio erat verbum
(ინ პრინციპიო ერატ ვერბუმ)
პირველად იყო სიტყვა
– სიტყვა სიტყვისიაო...(ხალხ.)
– სიტყვა თესლია, საქმე– ნაყოფი (ხალხ.)
– სიტყვა თქმაა და არა ქმნა (ილია)
– პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისაი (ბიბლ.)

Interest omnium reste facere
(ინტერესტ ომნიუმ რეკტე ფაცერე)
პატიოსნება ყველასათვის საჭიროა (ციც.)
– ქვეყნად სიმართლით მავალსა, საწუთრო ალხენს მრავალსა (ხალხ.)
– მხოლოდ პატიოსნება ლაპარაკობს უენოდ (ხალხ.)
– პატიოსნება ყველაზე დიდი სიმდიდრეაო (ხალხ.)
– პატიოსნება, თავგანწირულება, შებრალება– დასწავლით არ შეითვისება (ვაჟა)

Interrest hominis hominem beneficio affici
(ინტერესტ ჰომინის ჰომინემ ბენეფიციო აფიცი)
ადამიანურ ინტერესებშია გაუკეთო სიკეთე სხვას
– ...მაგრა თქმულა:„კარგის მთქმელი კაცი ბოლოდ არ წახდების“ (რუსთ.)
– კეთილი ზრუნვა და ფიქრი, რად ჩამეთვლება ბრალადა? (ვაჟა)
– კაცი სხვისი მარგეც უნდა იყოს..(ილია)
– სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა (ილია)

Ipsa scientia potestas est
(იპსა სციენცია პოტესტას ესტ)
თვით ცოდნაა ძალა (ფ.ბეკ.)
– ცოდნა ხმალზე და ზარბაზანზე ძლიერიაო (ხალხ.)
– ცოდნა სინათლეა, არცოდნა–ბნელეთი (ხალხ.)
– ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის (ილია)

Ira fumor brevis est
(ირა ფუმორ ბრევის ესტ)
მრისხანება მცირეხნოვანი სიგიჟეა (ჰორაც.)
– მრისხანება და სიგიჟე–ორიეე ერთიაო (ხალხ.)
– სჯობს რიგიანი ტყუილი რისხვასა გაუზომე–ლსა (ქ.დ.)
– უმსგაეო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია (რუსთ.)
– ფიცხი კაცი სიბრიყვეს ჩადის, ავისმზრახველი კი საძულელია (ბიბლ.)

Ira odium generat, concordia nutrit amorem
(ირა ოდიუმ გენერატ კონკორდია ნუტრიტ ამორემ)
მრისხანება სიძულვილს (ბადებს), თანხმობა კი სიყვარულს (კევბაეს)
– თანხმობა კედელზე უმაგრესიაო (ხალხ.)
– კარგად ვერას ვერ მოავლენს კაცი, აგრე გულფიცხელი (რუსთ.)
– უსამართლობის მთესველი უბედურებას მოი–მკის და მრისხანების კვერთხი გაუტყდება (ბიბლ.)

Ira initium insaniae
(ირა ინიციუმ ინსანიე)
მრისხანება უგუნური საქციელის დასაწყისია (ნიშანია)
– მრისხანება და სიმხეცე–ორივე ერთიაო (ხალხ.)
– რისხვა მრისხებელსო (ხალხ.)
– თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა...(რუსთ.)
– მრისხანებისას ნუ სცოდავთ, დაე, ნუ ჩაესენება მზე თქვენი რისხვით (ბიბლ.)

L

Labor omnia vincit
(ლაბორ ომნია ვინციტ)
შრომა ყველაფერს სძლევს (ვერგ.)
– შრომა სიღარიბის მტერიაო (ხალხ.)
– შრომა ბედნიერებააო (ხალხ.)
– ვინც არ გაირჯებაო, პურსაც ვერ მიწვდებაო (ხალხ.)
– თუ თვით არ ვიღწვით, ვერ ვპოვებთ კეთილსა შესაკრებელსა (ილია)

Libertas omnibus rebus favorabilior est
(ლიბერტას ომნიბუს რებუს ფაეორაბილიორ ესტ)
თავისუფლება ყველაზე მეტად ფასობს
– სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა. (რუსთ.)
– სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი (აკ.წერ.)
– თავისუფლების შოენაი სჯობს საშოვნელსა ყველასა (ილია)

Libenter homines id, quod volunt, credunt
(ლიბენტერ ჰომინეს იდ, ქვოდ ვოლუნტ, კრედუნტ)
ადამიანებს დაბეჯითებით სჯერათ იმისა, რაც მათ სურთ რომ არწმუნონ (ი.კეის.)
– მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო (ხალხ.)

Lupus non mordet lupum
(ლუპუს ნონ მორდეტ ლუპუმ)
მგელი მგელს არ კბენს
– ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო (ხალხ.)

Lupus pilum mutat, non mentem
(ლუპუს პილუმ მუტატ, ნონ მენტემ)
მგელი ტყავს იცელის და არა სულს
– მგელს რომ შვიდი (პირი) ტყავი გააძრო, მაინც მგელიაო (ხალხ.)
– არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეზო ქვი–შითა (ხალხ.)

– რა გინდ რომ ქერქი შეიძროს გველი აგრეთვე გველია (ქ.დ.)
– მგელი დაიშლის მგლობასა? (ვაჟა)

M

Magister dixit
(მაგისტერ დიქსიტ)
მასწავლებელმა თქვა
(შეუბღალავი ავტორიტეტის დამოწმება, გულისხმობდნენ არისტოტელეს)
Magna est vis consuetudinis
(მაგნა უსტ ვის კონსუეტუდინის)
დიდია ძალა ჩვეულებისა
– ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო (ხალხ.)
– კაცთ ჩვეულება დიდი დევსა ჰგავს რკინის მკვნეტაესა (ვაჟა)
Magng res est amor
(მაგნა რეს ესტ ამორ)
უდიდესი რამაა სიყვარული
– სიყვარული აგვამაღლებს...(რუსთ.)
– იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა (რუსთ.)
– სიყვარული არის სჯული, ტრფიალება, წმინდა ლოცვა (აკ.წერ.)
– სიყვარული სულგრძელია და ტკბილი, მისდიეთ სიყვარულს...(ბიბლ.)
Magna est veritas et praevalebit
(მაგნა ესტ ვერიტას ეტ პრევალებიტ)
დიდია ძალა ჭეშმარიტებისა და (ყველაფერს) აღემატება
– სიმართლეს დიდი ძალა აქვსო (ხალხ.)
– სიმართლის ნერგი იხარებს, დარგი თუნდ სიპსა ქვაზედა (რუსთ.)
Male parta, male dilabuntur
(მალე პარტა, მალე დილაბუნტურ)
ცუდად შეძენილი, ცუდად ქრება
– ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო (ხალხ.)
– არამად ნაშოვნი–არამად წაეო (ხალხ.)
რად ვინატრებ სარგებელსა–ხელმრუდსა და უწესურსა (რუსთ.)
– ქარი წაიღებს უკანვე, რაც ქარის მონაბერია (აკ.წერ.)
Mali principii–malus finis
(მალი პრინციპიი, მალუს ფინის)
რაც ცუდად იწყება, ცუდათე მთაერდება (ტერენც.)
– ვინც ცუდად დაიწყო, ის ცუდად დაამთავრებსო (ხალხ.)
– თუ სათაე მღერიეა... ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა (ილია)
– ვინც ბოროტებას თესავს, მასვე მიუბრუნდება და ვერ გაიგებს, საიდან დაატყდა თავს (ბიბლ.)
Malo cum Platone errare, quam cum alliis recte sentire
(მალო კუმ პლატონე ერარე, ქვამ კუმ ალიის რეკტე სენტირე)
უმჯობესია პლატონთან (ბრძენთან) შეცდე, ვიდრე მართებულად სჯიდე ჩვეულებრივ ადამიანებთან
– ბრძენთან სიკვდილი სჯობია, რეგვენთან სიცოცხლესაო (ხალხ.)
– შეგნებულთან ჭირი სჯობს შეუგნებელთან ლხინსო (ხალხ.)
– სჯობს ბრძენისაგან კიცხვას ისმენდე, ვიდრე ბრიყვისგან ქება–დიდებას (ბიბლ.)
Malitiis non est indulgendum
(მალიციის ნონ ესტ ინდულგენდუმ)
ბოროტების მიმართ არ უნდა ვიყოთ შემრიგებლური
– ...მტერს მტრულად მოექეც...თითონ უფალმა ბრძანაო (ვაჟა)
– ბოროტ სულს ბოროტისათვის პასუხს მოჰკითხავს განგება (ვაჟა)
Manifesta causa secum habet sententiam
(მანიფესტა კაუზა სეკუმ ჰაბეტ სენტენციამ
ცხადი საქმე თვითონ ლაპარაკობს თავისთავზე
– კაცმა კაცისა თქვა და საქმემ კი ორივესიო (ხალხ.)
– საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ (ბიბლ.)
Manus manum lavat
(მანუს მანუმ ლავატ)
ხელი ხელს ბანს (სენ.)
– ხელი ხელსა ბანს და ორივე პირსაო (ხალხ.)
Mendacem memorem esse oportet
(მენდაცემ მემორემ ესე ოპორტეტ)
ცრუს კარგი მეხსიერება უნდა ჰქონდეს (კვინტ.)
– ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო (ხალხ.)
– მატყუარა დღეში ათჯერ გამოტყდებაო (ხალხ.)
Mendaci homini ne vera, quidem dicenti credimus
(მენდაცი ჰომინი ნე ვერა, ქვიდემ დიცენტი კრედიმუს)
მატყუარას, სიმართლესაც რომ ამბობდეს, აღარ ვუჯერებთ
– ცრუს სახლი დაეწვა და არავინ დაუჯერაო (ხალხ.)
– „კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“ (რუსთ.)
– ნუ შეთხზავ სიცრუეს, რადგან მისი გახშირება სიკეთეს არ მოგიტანს (ბიბლ.)
Memento mori!
(მემენტო მორი!)
გახსოვდეს სიკვდილი!
– ყველა კაცი სიკვდილის შეილიაო (ხალხ.)
– სცდების და სცდების სიკვდილსა–ვინ არ მოელის წამისად (რუსთ.)
– (ნუ იხარებთ მკვდარზე), გახსოვდეს–ყველანი მოკვდებით (ბიბლ.)

Memento, quod es homo
(მემენტო, ქვოდ ეს ჰომო)
გახსოვდეს, რომ ადამიანი ხარ!
– კაი კაცს რა წაახდენსო (ხალხ.)
– ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ეალად, სამშობლო შენი მუდამ გახსოვდეს, თუკი გსურს გახდე ადამიანად (დ.გურ.)
– ადამიანს ადამიანობა უნდა ემჩნეოდეს...(ილია)

Mora trahit periculum
(მორა ტრაჰიტ პერიკულუმ)
დაყოვნებას საფრთხე მოაქვს
– ბეერი ყოყმანი კაცს წაახდენსო (ხალხ.)
– ბრძენი სიფრთხილით წახდებაო (ხალხ.)

Mulier-familiae suae et caput et finis est
(მულიერ–ფამილიე სუე ეტ კაპუტ ეტ ფინის ესტ)
ქალი – საწყისი და ბოლოა თავისი ოჯახისა
– ქალი თავის სახლში დიასახლისიცაა და მოსამსახურეც(ო) (ხალხ.)

N

Natura aequum est neminem cum alterius detrimento et injuria fieri lecupletiorem
(ნატურა ექვუმ ესტ ნემინემ კუმ ალტერიუს დეტრიმენტო ეტ ინიურია ფიერი ლეკუპლეტიორემ)
ბუნებრივია და სამართლიანი, რომ არავინ არ უნდა მდიდრდებოდეს სხვის დანაკარგზე
– არამად ნაშოვნი, არამად წავაო (ხალხ.)
– სხვის ცხენზე მჯდომი, მალე ჩამოხტებაო (ხალხ.)
– რაცა საქმე უსამართლო, ღმერთმან ეისმცა შეარჩინა (რუსთ.)
– ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა (რუსთ.)

Naturam mutare difficile est
(ნატურამ მუტარე დიფიცილე ესტ)
ძნელია ბუნების შეცვლა (სენ.)
– კაცი რჯულს უფრო ადვილად შეიცვლის, ვიდრე ხასიათსო (ხალხ.)
– ...თავსა ახლად ვერვინ იშობს (რუსთ.)

Ne cede malis
(ნე ცედე მალის)
ნუ დამწუხრდები უბედურებისას
– ჭირში გატეხა არ ვარგა, თუ კაცი გონიერია (ხალხ.)
– ჭირსაც გაძლება უნდაო (ხალხ.)
– არას გარგებს შეჭირვება, რომ სჭმუნეიდე, რა გარგების (რუსთ.)
– თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა (რუსთ.)
– კაცმან საქმე მოიგვაროს–ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს (რუსთ.)

Nec alteri
(ნეკ ალტერი)
არც ერთს
(არც მე, არც სხვას)
– აემა ძაღლმა არც თვითონ ჭამა, არც სხვას აჭამაო (ხალხ.)

Neglegere quid de se quisque sentiat
(ნეგლეგერე ქვიდ დე სე ქვისქვე სენციატ)
უგულებელყოფა იმისა,რას ფიქრობენ შენზე სხვები
– ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო (ხალხ.)

Nemini nihil satis est
(ნემინი ნიჰილ სატის ესტ)
არავინ არასდროს არაფრით არ კმაყოფილდება
– თვალი ცქერით ვერ ძღება, გული ნდობითაო (ხალხ.)
– კაცის თვალს შავი მიწის მეტი ვერა გააძღებსო (ხალხ.)
– მახვსა არვინ გაებმის, თუ არ სიხარბით მდომელი (ქ.დ.)
– გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი (რუსთ.)
– ...ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს და რაც მიელოს ერთხელ ნატერით–ისი ეკმაროს (ნ.ბარ.)

Nemo duobus utatur officis
(ნემო დუობუს უტატურ ოფიცის)
არავინ არ უნდა დაიკაეოს ორი თანამდებობა
– ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო (ხალხ.)
– ბევრის მსურველი კეთილს ვერ ნახავსო (ხალხ.)

Nemo sapiens, nisi patiens
(ნემო საპიენს, ნიზი პატიენს)
ვინც მომთმენი არაა, გონიერად არ ითქმის
– მოთმინება... ყველაფერს აადვილებსო
– წესი არის მამაცისა–მოჭირვება, ჭირთა თმენა (რუსთ.)
– მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი (ბიბლ.)

Nescit vox missa reverti
(ნესციტ ვოქს მისა რევერტი)
ერთხელ ნათქვამ სიტყვას უკან ვეღარ დააბრუნებ
– ისარი და პირის სიტყვა, გასტყორცნო, არ დაბრუნდება (ხალხ.)
– რაც ითქმოდეს, ქარს მიჰქონდესო (ხალხ.)

Nihil habenti nihil deest
(ნიჰილ ჰაბენტი ნიჰილ დეესტ)
არაფრის მქონეს არაფერი აკლდება
– უპერანგოს პერანგს ხდიდნენ–რაც არ ჰქონდა, რას გახდიდნენ (ხალხ.)
– უპერანგოს გულზე საკინძს აგლეჯდნენო (ხალხ.)

Nihil turpi turpius
(ნიჰილ ტურპი ტურპიუს)

უზნეობაზე უზნეო არაფერია
– სიგლახე სირცხვილიაო (ხალხ.)
– უგვანს ალერსსა გაყრა სჯობს...(რუსთ.)
– უმსგავსი საქმე ყოველი, მოკლეა, მით ოხერია (რუსთ.)
– უგვანს არ მოსდევს რჩეული სიტყვები, როგორც კეთილშობილს ყალბი სიტყვები (ბიბლ.)

Nihil probat qui nimium probat

(ნიჰილ პრობატ, ქვი ნიმიუმ პრობატ)
არაფერს ამტკიცებს ის, ვინც ძალიან ბევრს ამტკიცებს
– ბევრის მოლაპარაკეს არც ერთი არ დაეჯერებაო (ხალხ.)
– გრძელი სიტყვა საწყინოა (რუსთ.)
– ბევრის თქმას...ბევრად სჯობს მოკლედ თქმულია (ვაჟა)
– ბევრის ლაპარაკისას ცოდვა აუცდენელია, საკუთარი ბაგეების ამლაგმაეი–გონიერია (ბიბლ.)

Nil actum credens,dum quid superesset agendum

(ნილ აკტუმ კრედენს, დუმ ქვიდ სუპერესეტ აგენდუმ)
ნუ ჩათვლი გაკეთებულად იმას, თუ კიდევ დარჩა რაიმე გასაკეთებელი
– გადადებული საქმე–ეშმაკისააო (ხალხ.)
გადადებული საქმე–გადაგდებულიაო (ხალხ.)

Nocentem qui defendit, sibi crimen parit

(ნოცენტემ ქვი დეფენდიტ, სიბი კრიმენ პარიტ)
ვინც დამნაშავეს მფარველობს, თავისთავს დანაშაულს უმზადებს
– ქურდის შემნახველი ქურდზედ უარესიაო (ხალხ.)
– უსინდისოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების (დ.გურ.)

Noli nocere

(ნოლი ნოცერე)
ნუ ავნებ
– ნუ იქმ ავსა და ავისაც ნუ გეშინია
– სხვას ნუ მიაგებ საქნელსა შენგან არ მოსაწონარსა (ქ.დ.)
– ნუ იზამთ უგვანს საქმესა...(ვაჟა)

Nomen est omen

(ნომენ ესტ ომენ)
სახელი არის ყველანაირი (ცუდის ან კარგის მომასწავებელი).
– ერთი კაი კაცის სახელი დარჩება ქვეყანაზე და მეორეც ავისაო (ხალხ.)
– სახელი სჯობს ქონებასო, ვფიცავ მამის ცხონებასო (ხალხ.)
– სახელი რჩება კაცისა ავად, ან კარგად სათქმელი...(ვაჟა)
– კარგი ცხოვრების დღეები დათვლილია, კარგი სახელი კი საუკუნოდ დარჩება (ბიბლ.)

Non progredi-est regredi

(ნონ პროგრედი ესტ რეგრედი)
წინწაუსვლელობა–არის უკუსვლა
– მგზავრს გზა ელოდებაო (ხალხ.)
– ...დგომა...ცთომაა (რუსთ.)

Non domo dominus, sed domino domus honestanda est

(ნონ დომო დომინუს, სედ დომინი დომუს ჰონესტანდა ესტ)
პატრონის პატივისცემა სახლის მიხედვით კი არ გვმართებს, არამედ სახლის მეპატრონის მიხედვით.
– კაცი საქმით იცნობაო (ხალხ.)
– სახელი სჯობს ქონებასო...(ხალხ.)
– სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა (რუსთ.)
– საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ (ბიბლ.)

Non est fumus, absque igne

(ნონ ესტ ფუმუს, აბსქვე იგნე)
არ არის კვამლი ცეცხლის გარეშე
– უცეცხლოდ კვამლი არ იქნებაო (ხალხ.)
– ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო (ხალხ.)

Non quantitas, sed qualitas

(ნონ ქვანტიტას, სედ ქვალიტას)
არა რაოდენობა, არამედ ხარისხი
– შეიყარნენ რვანიო, სულ კოჭლი და ბრმანიო (ხალხ.)
– სათვალავში რვანიო და ნახევარნი ბრმანიო (ხალხ.)
– ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირად ფასობსო (ხალხ.)

Non scholae, sed vitae discimus

(ნონ სხოლე, სედ ვიტე დისციმუს)
ვსწავლობთ არა სწავლებისათვის, არამედ ცხოვრებისათვის (სენ.)

Nosce te ipsum

(ნოსცე ტე იპსუმ)
შეიცან თავი შენი (სოკრატე)
– ყველაზე ძნელი საკუთარი თავის ცნობაა(ო) (ხალხ.)
– თავის ცნობა უფრო ძნელია, ვიდრე სხვისაო (ხალხ.)

Noscitur (quisque) ex sociis

(ნოსციტურ (ქვისქვე) ექს სოციის)
კაცი ამხანაგებით შეიცნობა
– კაცი კაცითაო...(ხალხ.)
– თუ კაცის ცნობა გინდა, ჯერ იმის მეგობრები იკითხეო (ხალხ.)

Nulla regula sine esxceptione

(ნულა რეგულა სინე ექსცეფციონე)
არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე (სენ.)
– ერთხელაც კოჭლი ცხვარი წინაო (ხალხ.)
– ერთხელ ჯოჯოხეთსაც მიადგება მზეო (ხალხ.)

Nulla dies sine linea

(ნულა დიეს სინე ლინეა)

არც ერთი დღე აღნიშვნის (საქმის) გარეშე (პლინ. უფრ.)
(სიტყვები ბერძენი მხატერის აპელესის მიმართ ნათქვამი)
(არც ერთი დღე უშრომელად, უსაქმოდ)
– შრომისმოყვარე–ხალხის მოყვარეა, შრომის მოძულე–ხალხის მოძულეო (ხალხ.)
– ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა სჯობიაო (ხალხ.)
– გამრჯე კაცისთვის სასჯელი უსაქმობააო (ხალხ)
– ფიქრიანი კაცი... პურის ჭამის დროსაც კი საქმეს აკეთებსო (ვაჟა)

Nullus locus tibi dulcior esse debet patria
(ნულუს ლოკუს ტიბი დულციორ ესე დებეტ პატრია)
არანაირი ადგილი–სამშობლოზე ტკბილი–შენთვის არ უნდა არსებობდეს
– სამშობლო დედის ძუძუაო (ხალხ.)
– სამშობლო დედაა კაცისა, უცხო მხარე–დედინაცვალიო (ხალხ.)
– ქვეყნისა, სამშობლოსათვის–მხოლოდ რჩეული კვდებისა (ვაჟა)
– სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცელების სხვაზედა (რ.ერისთ.)

O

Oblatum occasionem tene
(ობლატუმ ოკასიონემ ტენე)
ხელსაყრელ შემთხვევას ჩაებღაუჭე (ციც.)
– დღევანდელი კვერცხი სჯობია ხვალინდელ ქათამსო (ხალხ.)
– ხელიდან გაშვებულს ფეხით ვერ დაეწევიო (ხალხ.)
– ერთი მაქვს, სჯობს ათას მქონდეს (ხალხ.)

Occasio facit furem
(ოკაზიო ფაციტ ფურემ)
შემთხვევა აქცევს ადამიანს ქურდად
– მშიერი ეძებს საზრდოსა, რითაც რა ღონეს გახდება (ხალხ.)
– მზეზე დაყრილი ქარსა და ქურდსაო (ხალხ.)

Odernit, dum metuant
(ოდერნიტ დუმ მეტუანტ)
დაე ეძულდე, ოღონდ მეთანხმებოდნენ!
(რომაელი იმპერატორის ტიბერიუსის სიტყვებიდან)

O magna vis, vis veritatis!
(ო მაგნა ვის, ვის ვერიტატის)
ო, დიდო ძალავ, ძალავ ჭეშმარიტებისა!
– სიმართლეს დიდი ძალა აქვსო
– სიმართლის თქმა ვაჟკაცობააო (ხალხ.)
– ქმნა მართლობა სიმართლისა–ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად (რუსთ.)

Omnes homines callnet ad quaestum suum
(ომნეს ჰომინეს კალენტ ად ქვესტუმ სუუმ)
ყველა ადამიანს აქვს გამოცდილება თაეის სასარგებლოდ (საქმის) გადაწყვეტისა
– ყველა თავის ნაბადს აქებდაო (ხალხ.)
– ჯერ თაეო და თაეოო... (ხალხ.)
– ყველა პატრონი თავის საქონელს აქებსო (ხალხ.)

Omne nimiam nocet
(ომნე ნიმიამ ნოცეტ)
ყოველი გადამეტება საზიანოა
– მეტი სიტყვა თავსა ტკენს, მეტი ჭამა–კუჭსაო (ხალხ.)
– ...არა ვარგა უსაზომო...(რუსთ.)

Omne trinum perfectum
(ომნე ტრინუმ პერფექტუმ)
ყველა სამი ქმნის სრულყოფილებას
– სამი კაცი იცინოდეს, დიაღ მოსაწონია(ო) (ხალხ.)
– ღმერთი სამებითაა

Opus opificem probat
(ოპუს ოპიფიცემ პრობატ)
ხელოსანს საქმე წარმოაჩენს
– კაცს საქმე გამოსცდის, ცხენს გზაო (ხალხ.)
– ცუდმა მჭედელმა თავისიც წაამატაო (ხალხ.)
– საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ! (ბიბლ.)

Omnia mors aequat
(ომნია მორს ექვატ)
სიკვდილი ყველას ათანასწორებს
– ყოველი კაცი სიკვდილის შვილია(ო) (ხალხ.)
– სიკვდილისათვის ერთია მდიდრის და საწყლის ცხოვრება... (ვაჟა)
– ოქროს კუბო და ფიჭვისა–მიწისთვის თანაბარია (ვაჟა)

Omnia vincit amor
(ომნია ვინციტ ამორ)
სიყვარული ყოველივეს სძლევს (ვერგ.)
– გულს სიყვარულით (ხელს ხრმალით) რას არა აღვასრულებდე (გრ.ორბ.)
– სიყვარული მძლეთამძლეა (ილია)

Otium post negotium
(ოტიუმ პოსტ ნეგოტიუმ)
მოცლა საქმის შემდეგ
– ჯერ შრომა, მერე ხტომა (ხალხ.)
– შრომით ეძლევა სულს ნეტარება (ხალხ.)
– მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა (რუსთ.)
– მაშრალნი მიეცით მოსვენებასა

P

Para domus, para cura
(პარ დომუს, პარა კურა)
პატარა სახლი, პატარა საზრუნავი

– ცოტა ფული–ცოტა დარდიო (ხალხ.)

Peccavi

(პეკავი)

შეეცოდე

– ცოდვა აღიარებული სჯობიაო (ხალხ.)

– მონანიებული ცოდვა არცოდვააო (ხალხ.)

Perdes majora, minora nisi servaveris

(პერდეს მაიორა, მინორა ნიზი სერვაეერის)

დაკარგავ ბევრს, თუ არ შეინარჩუნებ მცირედს

– ქორო, მრაელისა მდეეარო, ბეერჯერ დარჩები მშიერი (ხალხ.)

– ერთობ დიდისა მომდომსა, პატარაც დაეკარგება (დ.გურ.)

– ქვეყნის მეფობას ურჩევნავ წიწილა მუდამ ძერასა (ვაჟა)

Per aspera, ad astra

(პერ ასპერა, ად ასტრა)

სიძნელეებიდან ვარსკვლავებისაკენ

– ღმერთი ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ ჭირთა გასძლებს (რუსთ.)

– ყოლა ლხინთა ვერ იამებს, კაცი ჭირთა გარდუხდელი (რუსთ.)

– ...ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან (რუსთ.)

– ...ტკბილსა მწარე ჰპოვებს (რუსთ.)

Per risum multum cognoscimus stultum

(პერ რიზუმ მულტუმ კოგნოსციმუს სტულტუმ)

ბევრი სიცილით შეეიცნობთ სულელს

– ვინც სულ მუდამ იცინის–ბრიყვია, ვინც არასდროს–უბედურიო (ხალხ.)

– უთავბოლო სიცილი უჭკუობის ნიშანიაო (ხალხ.)

Plus usus sine doctrina quam citra usum doctrina valet

(პლუს უზუს სინე დოკტრინა, ქვამ ციტრა უზუმ დოკტრინა ვალეტ)

პრაქტიკა თეორიის გარეშე უფრო ფასეულია, ვიდრე თეორია პრაქტიკის გარეშე

– ერთი გამოცდილება ათ სიბრძნეს ჯობიაო (ხალხ.)

– არა ვიქმ, სწაელა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა (რუსთ.)

Post factum nullum consilium

(პოსტ ფაკტუმ ნულუმ კონსილიუმ)

მომხდარის შემდეგ აღარაა (საჭირო) რჩევები

– ცუდი არის დამზრალისა, გასათბობლად წყლისა ბერეა (რუსთ.)

– სიკვდილს შემდეგ სინანული არც არის და არც ყოფილა (ქ.დ.)

– წამხდარს საქმესა რას არგებს მას უკან თითზე კბენანი (ქ.დ.)

Prima lex historiae ne quid falsi dicat

(პრიმა ლექს ჰისტორიე ნე ქვიდ ფალსი დიკატ)

პირველი კანონი ისტორიისა ის არის, რომ არ გააყალბოს

– ...ისტორია გეაფრთხილებს შეცდომისაგან და გვაქეზებს კეთილისაკენ (ვაჟა)

Primum-vivere!

(პრიმუმ–ვიეერე)

უპირველეს ყოელისა–სიცოცხლე!

– სიცოცხლე დროზე მეტად ფასობსო (ხალხ.)

– სიცოცხლე ცეცხლს მიაგავს: მისი დასაწყისი–ალია და დასასრული–ნაცარიო (ხალხ.)

– სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება (რუსთ.)

Prima cratera at sitim pertinet, secunda-ad hilaritatem, tertia-ad voluptatem, quarta ad insaniam

(პრიმა კრატერა ატ სიტიმ პერტინეტ, სეკუნდა–ად ჰილარიტატემ, ტერცია–ად ვოლუპტატემ, ქვარტა ად ინსანიამ)

პირველი ჭიქა ხელს უწყობს წყურვილის მოკვლას, მეორე მხიარულებას, მესამე ტკბობას, მეოთხე–უგონობას (აპულეუსი)

– ღვინო გართმეულ გონებასაც, ქონებასაც (ხალხ.)

– ღვინოს დაუმეგობრდები, ნამუსს დაემშვიდობები (ხალხ.)

– არა ვარგა უსაზომო... (რუსთ.)

Principium dimidium totius

(პრინციპიუმ დიმიდიუმ ტოტიუს)

დასაწყისი მთელის ნაწილია

– დაწყება საქმის ნახევარიაო (ხალხ.)

– საქმე თუ თაეიდან არ დაიწყე, ბოლო რა მოსახმარი იქნებაო (ხალხ.)

Privatum commodum publico cedit

(პრივატუმ კომოდუმ პუბლიკო ცედიტ)

პირადული ინტერესი საზოგადოებრივს (უნდა) დაუმორჩილდეს

– სამშობლოსათვის სიკვდილი ბედნიერებააო (ხალხ.)

– წესია მამულისადა–მოკვდით და დაიხარჯენით (ვაჟა)

– მსხვერპლი, სამშობლოს გულისთვის, ყოველგვარ მსხვერპლზე დიდია (აკ.წერ.)

Probitas laudatur et alget

(პრობიტას ლაუდატურ ეტ ალგეტ)

პატიოსნებას ადიდებენ (თუმცა), გაჭირვებას განიცდის

– პატიოსან კაცს გაცვეთილი ჩოხა აცვიაო (ხალხ.)

– პატიოსნება ყველაზე დიდი სიმდიდრეაო (ხალხ.)

– ოლ: ნდ ვაჟკაცი ვარგოდეს, რა უშავს ჩოხას ძველსაა (ვაჟა)

Proditionem amo, sed proditiorem non laudo

(პროდიციონემ ამო, სედ პროდიციორემ ნონ ლაუდო)

(რაიმე საიდუმლოს) გაცემა მიყვარს, მაგრამ გამცემი არ მიყვარს (პლუტონიუსი)

– მაბეზღარს ყოლე ნუ უსმენ, ნუ გინდა სიტყვა გმობილი (ქ.დ.)
– სიმუხთლე, დაუნდობლობა–უგვანთა კაცთა წესია (ქ.დ.)
– კაცი უპირო, გავინაპირო (ქ.დ.)
– საიდუმლოს გამცემი ნდობას დაკარგავს და სულის მეგობარს ვერასდროს იპოვის (ბიბლ.)

Proditor pro hoste habendus

(პროდიტორ პრო ჰოსტე ჰაბენდუს)
მოღალატე მტრად ითვლება
– სიმუხთლე, დაუნდობლობა უგვანთა კაცთა წესია (ქ.დ.)
– კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასა–ჭრელად (რუსთ.)
– ვინაც მოძმესა ჰღალატობს, შესაჭმელია მიწისა (ვაჟა)

Promissum cadit in debitum

(პრომისუმ კადიტ ინ დებიტუმ)
დაპირებული სავალდებულოა (შესასრულებლად)
– თქვიან და არა ქმნიანო (ხალხ.)
– აღმითქვი და შემისრულეო (ხალხ.)
– პირობამ კაცს ცოლი წაართვაო (ხალხ.)
– ვინ არ მისცემს ქადებულსა–მოურავსა მოიმდურვებს (რუსთ.)
– იყავით სიტყვის აღმსრულებელნი...(ბიბლ.)

Prudentia cernitur in delectu bonorum et malorum

(პრუდენცია ცერნიტურ ინ დელეკტუ ბონორუმ ეტ მალორუმ)
კეთილგონიერება მსუბუქი და უხეში შეცდომების (მიხედვით) შეიცნობა
– სულელს გული ენაზე აკერია, ჭკვიანს კი ენა გულზე(ო) (ხალხ.)
– კარგის თქმა ჭკვიანთ ვალია (ვაჟა)

Prudentia saepe vitantur pericula

(პრუდენცია სეპე ვიტანტურ პერიკულა)
წინდახედულება ხშირად საშიშროებებს გვაცილებს
– შორი გზა გაიარე, შინ მშვიდობით მიდიო (ხალხ.)
– არ ასცილდების დაცემა უფრთხილოდ გზაზედ მარებსა (დ.გურ.)

Pulsate et aperietur vobis

(პულსატე ეტ აპერიტურ ვობის)
დააკაკუნეთ და გაგეღებათ (ბიბლ.)
– ვინც აკაკუნებს, იმას უღებენო (ხალხ.)
– კაცსა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, მისი პოვნა (რუსთ.)
– ყველაფერს, რასაც რწმენით ითხოვთ, მიიღებთ (ბიბლ.)
– რომელი ირეკდეს, განეღოს (ბიბლ.)

Q

Qualis vir, talis oratio

(ქვილის ვირ, ტალის ორაციო)
როგორიცაა კაცი, ისეთივეა სიტყვა
– კარგი სიტყვა კარგ ყმას ხმალიეით უნდა ამშვენებდესო (ხალხ.)
– გაუთლელს გაუთლელი სიტყვა მოსდისო (ხალხ.)
კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წვარმოსდინდების (რუსთ.)

Quae didici, dixi omnia

(ქვე დიდიცი, დიქსი ომნია)
რაც ეიცი, ყველაფერი ვთქვი (პლინ უმცრ.)
– ნუ იტყვი რაც იცი, იცოდე, რასაც ამბობ (ხალხ.)
– ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების (რუსთ.)

Quem poenitat pecasse, pene est-innocens

(ქვემ პენიტატ პეკასე, პენე ესტ ინოცენს)
ვინც ცოდვას ინანიებს, თითქმის უცოდველია
– ღმერთი შეუნდობს შეცოდებულთა (ხალხ.)
– ...ღმერთი ალხენს მონანულსა (რუსთ.)
– სიწრფელით და ჭეშმარიტებით გამოისყიდება ცოდვა (ბიბლ.)
– ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევებათ ადამიანებს (ბიბლ.)

Qui bene amat, bene castigat

(ქვი ბენე ამატ, ბენე კასტიგატ)
ვინც ძლიერ უყვარს, მას ძლიერ სჯის
– სიყვარული ან სულ აპატიებს, ან სულ არ მიუტევებსო (ხალხ.)

Qui canit arte,canat

(ქვი კანიტ არტე, კანატ)
ვინც სიმღერა იცის, (დე) იმან იმღეროს
– პური მეპურემ უნდა გამოაცხოს(ო) (ხალხ.)

Qui ceteris deus, sibi certe homo est

(ქვი ცეტერის დეუს, სიბი ცერტე ჰომო ესტ)
ვინც სხვებისთვის ღმერთია, თავისთვის მხოლოდ ადამიანია
– სანთელი სხვას უნათებს, თავის ძირს კი ვერაო (ხალხ.)
– სხვისთვის მამაცი, თავისთვის ზარმაციო (ხალხ.)

Qui multum habet, plus cupit

(ქვი მულტუმ ჰაბეტ, პლუს კუპიტ)
ვისაც ბევრი აქვს, უფრო მეტი უნდა
– კაცის გული ხარბიაო (ხალხ.)
– ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავსო (ხალხ.)
– გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი (რუსთ.)
– ძნელია ღვთის სასუფეველში შესვლა მათთვის, ვინც მხოლოდ სიმდიდრეზეა მინდობილი (ბიბლ.)

Qui seminat mala, metet mala

(ქვი სემინატ მალა, მეტეტ მალა)

ვინც ბოროტებას თესავს, ბოროტებასვე მოიმკის
– ვინც ქარს თესავს, ქარიშხალს მოიმკისო (ხალხ.)
– ეისაც აეი დაუთესია, მომკალი არის აეისა (ვაჟა)
– ყველა მას მოიმკის საშვილიშვილოდ, რაც რომ თეითონვე დაუთესია (აკ.წერ.)
– რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ თქვენ (ბიბლ.)

Quid latet, apparebit

(ქვიდ ლატეტ, აპარებიტ)
რაც დამალულია, გაცხადდება
– შუბი ხალთაში არ დაიმალებაო (ხალხ.)
– ბოლოს ყოელი დაფარული საქმე ცხადად გამოცხადდეს (რუსთ.)
– არ არსებობს დაფარული რომ არ გაცხადდეს, და არც რამ დამალული, რომ არ გამომჟღავნდეს (ბიბლ.)

Quid tibi fieri non vis, alteri ne faceris

(ქვიდ ტიბი ფიერი ნონ ვის, ალტერი ნე ფაცერის)
რაც შენთეის არ გსურს, იმას ნურც სხვას გაუკეთებ
– რასაც სხვისთვის მოინდომებ, შენ თავს გადაგხდებაო (ხალხ.)
– რაც რომ აეი საქმე ექნი, ყველა თავზე დამიბრუნდა (ქ.დ.)
– სხვას ნუ მიაგებ საქმელსა, შენგან არ მოსაწონარსა (ქ.დ.)

Quidquid discis, tibi discis

(ქვიდქვიდ დისცის, ტიბი დისცის)
რასაც სწავლობ, შენთვის სწავლობ
– სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი (დ.გურ.)

Qui vitia odit, homines odit

(ქვი ვიტია ოდიტ, ჰომინეს ოდიტ)
ვისაც ცოდვის მიტევება არ შეუძლია, მას ადამიანები სძულს
– შეცოდება თუ შეგიძლია, მიტევებაც შეიძელიო (ხალხ.)
– თუ...ხარ კაცთმოყვარე–მაშინ ყველაფერი ხარ (ილია)
– მიუტევე და მოგეტევება (ბიბლ.)

Quod nocet, docet

(ქვოდ ნოცეტ, დოცეტ)
რაც ავნებს, ის ასწავლის
– შეცდომებზე სწავლობენ
– ერთხელ რომ გემოდ გენახოს, მეორედ რად შჭამ მწარესა (დ.გურ.)
– საცა რომ ვირი დაეფსლის, იმ გზაზედ აღარ წარებსა (დ.გურ.)

Quotidiana vilescunt

(ქვოტიდიანა ვილესკუნტ)
ყოველდღიური (ჩვეულებრივი) უფასურდება
– დღენიადაგ კაცს ქორწილიც მობეზრდებაო (ხალხ.)
– ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად (რუსთ.)
– ტკბილი ისაა მუდამა, რაც იშოვება ძვირადა! (ვაჟა)

Radix studiorum amara

(რადიქს სტუდიორუმ ამარა)
ძირი სწავლისა–მწარეა
– სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების (დ.გურ.)
– სიყრმიდანვე იზრუნე და იპოვი სიბრძნეს, ვიდრე ჭაღარით შეიმოსებოდე (ბიბლ.)

R

Rarum fecit mixturam cum sapientia

(რარუმ ფეციტ მიქსტურამ საპიენცია)
სილამაზე იშვიათად ერწყმის გონიერებას
– სილამაზეს რა ჭკუა აქვს (ხალხ.)
– გეამება თვალშიაო, ჭკუა არ აქვს თაშმიაო (ხალხ.)
– ნუ მოსტყუედები, სიტურფეს გარეგანს უნდა აზრიცა (ვაჟა)
– რაც ბრწყინავს ფუტუროა...(აკ.წერ.)

Rebus angustis animosus atque fortis appare

(რებუს ანგუსტის ანიმოზუს იტქვე ფორტის აპარე)
განსაცდელის ჟამს იყავ მამაცი და მხნე!
– ჭირსაც გაძლება უნდაო (ხალხ.)
– ხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს (რუსთ.)
– ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად (რუსთ.)
– ჭირში ყოფნის დროს გაძლება მუდამ ვაჟკაცის წესია (ვაჟა)

Relata refero

(რელატა რეფერო)
ვყვები მოყოლილს (ნათქვამის უტყუარობაზე პასუხს არ ვაგებ)
– ამბის ამბავი კაცმა არ უნდა დაიჯეროსო (ხალხ.)
– თვალმა უნდა დაინახოს და ყურმა განსაჯოსო (ხალხ.)
– ნუ დაუჯერებ ყურსაო, რაც არ უნახავს თვალსაო (ხალხ.)
– ნასმენსა ამბავსა–ნახული სჯობია (ქ.დ.)

Rerum omnium magister usus

(რერუმ ომნიუმ მაგისტერ უზუს)
ყველა საქმის მასწავლებელი–გამოცდილებაა
– გამოცდილი კაცი ადვილად არ მოტყუვდებაო (ხალხ.)
– რეგვენი ბრძენზე ბრძენია, რაშიაც გამოცდილიაო (ხალხ.)
– გამოცდილება დედაა სიბრძნისაო (ხალხ.)

Res plus valent, quam verba

(რეს პლუს ვალენტ, ქვამ ვერბა)

საქმეები უფრო მნიშვნელოვანია, ეიდრე სიტყვები
– სიტყვა სიტყვისაო, საქმე კი ქმნისაო (ხალხ.)
– როცა სიტყვა ბშირდება, მაშინ საქმე მცირდება (ხალხ.)
– სიტყვა თქმაა და არა ქმნა, თქმისა და ქმნის შუა დიდი ზღვარია (ილია)

Res, non verba

(რეს, ნონ ვერბა)
საქმე და არა სიტყვა
– სიტყვას საქმე თუ არ მიაყოლე, მკვდარია და მცდარიო (ხალხ.)
– ის რჩება მხოლოდ ქვეყანას, რაც რომ ჩვენგანმა აკეთა (ვაჟა)
– სიტყვა თესლია, საქმე–ნაყოფი (აკ.წერ.)
– კაცი საქმით გამართლდება და არა სიტყვით (ბიბლ.)

Rex datur propter regnum, non regnum propter regem

(რექს დატურ პროპტერ რეგნუმ, ნონ რეგნუმ პროპტერ რეგემ)
მეფე სამეფოსათვის და არა სამეფო მეფისათვის
– თუ მეფეს სძინავს, სამეფო ვერ დაიძინებს შვებითა (ხალხ.)
– ...კეთილ მეფე როდი არის მოსვენებული...(ნ. ბარათ.)

Ridentem dicere verum quid vetat?

(რიდენტემ დიცერე ვერუმ ქვიდ ვეტატ?)
ვინ კრძალავს სიმართლის თქმას სიცილით?
– ზოგჯერ მართალსაც ხუმრობით ამბობენ (ხალხ.)
– ისეთი ხუმრობა შევარცხვინე, ნახევრად მართალი არ იყოსო (ხალხ.)

S

Saepe est sub pallio sordida sapientia

(სეპე ესტ სუბ პალიო სორდიდა საპიენცია)
ხშირად ღარიბული მოსასხამის ქვეშ გონიერება იმალება
– მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო (ხალხ.)
– ოღონდ ვაჟკაცი ვარგოდეს, რა უშავს ჩოხას ძველსა (ვაჟა)

Semel malus semper praesumitur esse malus

(სემელ მალუს სემპერ პრეზუმიტურ ესე მალუს)
ვინც ერთხელ ცუდად წარმოჩნდა, ყოველთვის ცუდად ჩაითვლება
– კაცს თუ სახელი გაუტყდა, ძნელადღა გამთელდებაო (ხალხ.)
– რაც ერთხელ სულსა ღრმად დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის (ნ.ბარათ)

Semper Beneficia memoria tenete

(სემპერ ბენეფიცია მემორია ტენეტე)
ყოველთვის წყალობა (სიკეთე) დაიმახსოვრეთ
– სიკეთეს გველისგანაც სიკეთე მოსდევსო (ხალხ.)
– გაცემულ სიკეთეს ხალხი არ იეიწყებსო (ხალხ.)
– კეთილი ზრუნეა და ფიქრი რად ჩამეთვლება ბრალადა?
(ვაჟა)

Sermo est imago animi

(სერმო ესტ იმაგო ანიმი)
სიტყვა სულის სახეა
– კარგი სიტყვა კარგ ყმას ხმალივით უნდა ამშვენებდესო (ხალხ.)
– გაუთლელს გაუთლელი სიტყვა მოსდისო (ხალხ.)
– ავსა კაცსა აქი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა (რუსთ.)

Scientia stella in via

(სციენცია სტელა ინ ვია)
ცოდნა გზის ვარსკვლავია
– სწავლა გონების საზრდოა (ხალხ.)
– ცოდნა სინათლეა, არცოდნა–სიბნელეო (ხალხ.)
– ცოდნა თან დასდევს მცოდნესა, რაზომსაც დაეტარებას...(დ.გურ.)

Scio me nihil scire

(სციო, მე ნიჰილ სცირე)
ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი (სოკრ.)
– თავმდაბლობამ ცა მოდრიკაო (ხალხ.)
– ფუჟე თავთაეი თავს მაღლა იწევს, საესე კი მუდამ თავდაბრილია (ხალხ.)

Sibi quisque peccat

(სიბი ქვისქვე პეკატ)
ყოველი თაეის საზიანოდ სცოდავს
– კაცი თავს რომ სიავეს უზამს, იმოდენას ეშმაკიც ვერ უზამსო (ხალხ.)
– მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს (რუსთ.)

Simile semper parit simile

(სიმილე სემპერ პარიტ სიმილე)
მსგავსი ყოველთვის შობს მსგაესს (ლინეი)
– ყვავისა კვერცხი ყვავსა შობს (ქ.დ.)
– მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს ესე კაცთაგან თქმულია (რუსთ.)
– კეთილ კაცს კეთილი საგანძურიდან სიკეთე გამოაქვს, ბოროტ კაცს ბოროტი საგანძურიდან ბოროტება... (ბიბლ.)

Similitudo morum amicitiam creat

(სიმილიტუდო მორუმ ამიციამ კრეატ)
ჩვეულებათა მსგავსება ამტკიცებს მეგობრობას
– მეგობრობა არის გრძნობის და აზრების შეთაესება (აკ.წერ.)

Si quid te peccavi-ignosce

(სი ქვიდ ინ ტე პეკკავი–იგნოსცე)
თუ რაიმე შეგცოდე–მაპატიე (ციც.)
– გულწრფელად შენანებული ცოდვა კაცს მიეტევებაო (ხალხ.)
– მოინანიეთ...ყოველი ცოდვა და გმობა

მიეტეეებათ ადამიანებს (ბიბლ.)

Sperate deos memores fandi atque nefandi

(სპერატე დეოს მემორეს ფანდი ატქვე ნეფანდი)

გახსოვდეთ, ღმერთები არ ივიწყებენ არც კეთილ, არც უკანონო საქმეებს

– ღმერთი ყველას თავისას მიაგებსო (ხალხ.)

– კაცს ეჩქარება, ღმერთს–არაო (ხალხ.)

– რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ეისმცა შეარჩინა (რუსთ.)

Summa sedes non capit duos

(სუმა სედეს ნონ კაპიტ დუოს)

უმაღლესი სკამი ორ კაცს ეერ დაიტევს

– ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი არ ჩაეგებაო (ხალხ.)

Suum cuique (tribuere)

(სუუმ კუიქვე (ტრიბუერე))

თითოეულს თავისი (მიეზღოს)

– დასასჯელსა– სასჯელი, სახარკოსა– ხარკიო (ხალხ.)

– მოკეთეს ემოკეთეეე და მტერს მიეცი ზიანი (ვაჟა)

– (მიეცეს) კეისრისა კეისარს, ღეთისა ღმერთსა (ბიბლ.)

Suum quisque noscat ingenium

(სუუმ ქვისქვე ნოსკატ ინგენიუმ)

ყველამ თავისი შესაძლებლობები იცოდეს

– სვაეი ძვალს გაზომავს და ისე ჩაყლაპავსო (ხალხ.)

– რაცა ეისცა ბედმან მისცეს–დასჯერდეს და მას უბნობდეს (რუსთ.)

– ვინც ზომაზე არა ყლაპავს, სიმწრით დაახეელებსო (აკ.წერ.)

T

Tacendo non irritur periculum

(ტაცენდო ნონ ირიტურ პერიკულუმ)

ჩუმად ყოფნით საშიშროებას თავს ვერ დააღწევ

– ხელი გაანძრიე და ღმერთიც გიშველისო (ხალხ.)

– ხამს თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად (რუსთ.)

– ჭირში ყოფნის დროს გაძლება მუდამ ვაჟკაცის წესია (ვაჟა)

Tempora mutantur et nos mutamur in illis

(ტემპორა მუტანტურ ეტ ნოს მუტამურ ინ ილის)

დრონი იცვლებიან და მასთან ერთად ჩვენც ეიცვლებით

– დრონი მეფობენ(ო) (ხალხ.)

– წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წაეალთ და სხვა დარჩება (ხალხ.)

– დრონი წავლენ და წამოვლენ, ფერს იცვლის ყველაფერია (ვაჟა)

– უცვლელი, საუკუნო, ქეეყნად არაფერია (აკ. წერ.)

Terra incognita

(ტერა ინკოგნიტა)

უცნობი მიწა (იხმარება ცოდნის სფეროში) უცნობი მხარე.

Tertius interveniens

(ტერციუს ინტერვენიენს)

მესამე (ყოველთვის) მოსამართლეა

Testis unus, testis nullus

(ტესტის უნუს, ტესტის ნულუს)

ერთი მოწმე–არაა მოწმე

– სამი (მოწმე) ტყუილს გაიყვანს, ერთი მართალს(აც) ვერაო (ხალხ.)

– მარტოკა ერთი რას იზამს, თუნდ ცეცხლსა ყრიდეს პირითა (ვაჟა)

Testis oculatus plurius est,quam auditi decem

(ტესტის ოკულატუს პლურიუს ესტ, ქვამ აუდიტი დეცემ)

ერთი თვითმხილველი მეტად ფასობს, ვიდრე ათი მსმენელი

– ნაბიქვამს ნანახი სჯობიაო (ხალხ.)

– ნუ დაუჯერებ ყურსაო, რაც არ უნახავს თვალსაო (ხალხ.)

– ნასმენსა ამბავსა ნახული სჯობია (ქ.დ.)

Turpe est aliud looqui, aliud sentire

(ტურპე ესტ ალიუდ ლოოქვი, ალიუდ სენტირე)

სამარცხვინოა (მიუღებელია) ერთის თქმა, მეორის ფიქრი (სენეკა)

– თეთრი კბილი და შავი გულიო (ხალხ.)

– მოყვარე მინდა ქებული, ერთ–პირი, ერთის გულისა (ქ.დ.)

Turpe est sanctum dare capellis

(ტურპე ესტ სანკტუმ დარე კაპელის)

სამარცხვინოა, წმინდა რამ თხებს მისცე

– ნუ დაუყრი ღორს მარგალიტსო (ხალხ.)

– ბუისგან ნუ გამოელი ბოლოკარკაზის ბუდებსა (ქ.დ.)

Tu quoque Brute!

(ტუ ქუოქვე ბრუტე!)

და შენც ბრუტუს?!

(იულ. კეისრის სიტყვები, როცა მან მკვლელთა შორის თავისი უახლოესი მეგობარი დაინახა)

– თვითონ დაიღუპე, მაგრამ ამხანაგი გადაარჩინეო (ხალხ.)

– კაცსა დასერის უგულობა (რუსთ.)

– არცა უსჯულო იკადრებს, უმეხთლოს მისსა ძმობილსა (ილია)

– გიყვარდეს მოყვასი შენი (ბიბლ.)

Transcende te ipsum!

(ტრანსცენდე ტე იპსუმ)

დაიძლიე შენს თავს!

– რაც არ გწადდეს იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა (რუსთ.)

– რომელმან აღიმაღლოს თაეი თვისი, იგი

დამდაბლდეს, რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს (ბიბლ.)

U

Ubi amici ibi opes
(უბი ამიცი იბი ოპეს)
სადაც მეგობრებია, იქ სიძლიერეა
– შენი ამხანაგი შენი სახელიაო (ხალხ.)
– ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი (ხალხ.)
– კარგი ამხანაგობა კარგი ძმობის დარიაო (ხალხ.)
– ამხანაგი ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღეველია (სულხან-საბა)
– ერთგული მეგობარი მტკიცე სიმაგრეა, მისი მპოვნელი საგანძურის მპოვნელია (ბიბლ.)

Ubi concordia, ibi victoria
(უბი კონკორდია, იბი ვიკტორია)
სადაც თანხმობაა, გამარჯვებაც იქ არის
– სად გაგონება არ არის, კარგვაა სიმართლისაო (ხალხ.)
– თანხმობა კედელზე უმაგრესიაო (ხალხ.)

Ubi timor, ibi pudor
(უბი ტიმორ, იბი პუდორ)
სადაც შიშია, იქ მოკრძალებაა
– ...შიში შეიქმს სიყვარულსა (რუსთ.)

Ubi facta loquuntur, non opus est verbis
(უბი ფაკტა ლოქუნტურ, ნონ ოპუს ესტ ვერბის)
სადაც საქმენი ღაღადებენ, იქ სიტყვები ზედმეტია
– ვინც ბევრს აკეთებს, ცოტას ლაპარაკობს (ხალხ.)
– ყანას სიტყვებით არ თესავენო (ხალხ.)
– კაცი გარჯით ფასდებაო (ხალხ.)
– საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ!...(ბიბლ.)

Ubi mel, ibi fel
(უბი მელ, იბი ფელ)
სადაც თაფლია, იქ ნაღველიცაა
– სადაც სიხარულია, იქ მწუხარებაცაა (ხალხ.)
– თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა (რუსთ.)

Ubi res semel inclinata est, amici de medio (recendunt)
(უბი რეს სემელ ინკლინატა ესტ, ამიცი დე მედიო (რეცენდუნტ)
საკმარისია საქმე ცუდად წაგივიდეს და მეგობრები მყისვე გაგშორდებიან
– კაცი გაზომე გაჭირვებაშიო (ხალხ.)
– ბედში მოყვასს გვიან იცნობ, უბედობა მალ გაცნობებს (ქ.დ.)
– ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი (რუსთ.)
– ადამიანის ბედნიერებისას მის მტრები მწუხარებენ, გასაჭირის ჟამს კი მეგობარიც გაეყრება (ბიბლ.)

Ubi vinci necesse est, expedit cedere
(უბი ვინცი ნეცესე ესტ, ექსპედიტ ცედერე)
სადაც დამარცხება გარდაუვალია, იქ სასარგებლოა დათმობა
– დათვი რომ მოგერევა-ბაბაია დაუძახეო (ხალხ.)
– დათმობა ჰგვანდეს სიბრძნისა წყაროთა (რუსთ.)
– სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან (რუსთ.)
– სადაცა არა გამოვა რა, კაცი არ უნდა აეთრეინოსო (ილია)

Ultra posse, nemo obligatur
(ულტრა პოსე, ნემო ობლიგატურ)
არავის ძალუძს თავის შესაძლებლობაზე მეტი (ქმნას)
– თავზეყით ვერ ახტებიო (ხალხ.)
– ქათმის შესაძლო კვერცხიაო (ხალხ.)

Ub sementem feceris, ita metes
(უბ სემენტემ ფეცერის, იტა მეტეს)
რასაც დასთეს, იმას მოიმკი (ციც.)
– ვინც შრომობს, ქონებაც იმას აქვსო (ხალხ.)
– რასაც დავთესთ, იმას მოემკით, საიქიოს წინ დაგვხვდება (ხალხ.)
– რასაცა დასთეს მიწისა პირსა, იგივე ამოვა, გაიღგამს ძირსა (ქ.დ.)

Unum habemus os, duas autem aures, ut plus audiamus, minus dicamus
(უნუმ ჰაბემუს ოს, დუას აუტემ აურეს, უტ პლუს აუდიამუს, მინუს დიკამუს)
პირი ერთი გვაქვს, ყური კი ორი, რათა მეტი მოვისმინოთ და ცოტა ვილაპარაკოთ
– ღმერთმა ორი ყური და ერთი პირი იმიტომ მოგვცა-ბევრი ვისმინოთ და ცოტა ვილაპარაკოთ(ო) (ხალხ.)
– სიტყვა ვერცხლია, დუმილი ოქროო (ხალხ.)

Ut desint vires, tamen est laudanda voluntas
(უტ დეზინტ ვირეს, ტამენ ესტ ლაუდანდა ვოლუნტას)
თუმც არ გეყოფნის ძალები, მაგრამ თეით სურვილიც კი ქების ღირსია (ოვიდ)
– მოწადინება ნახევარი საქმეაო (ხალხ.)

Ut quidque rarissimum est, ita plurimi aestimatur
(უტ ქვიდქვე რარისიმუმ ესტ, იტა პლურიმი ესტიმატურ)
რაც (რაიმე) იშვიათია, მით მეტად ფასობს
– ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირიაო (ხალხ.)
– ტკბილი ისაა მუდამა, რაც იშოვების ძვირადა (ვაჟა)

V

Valent vota
(ვალენტ ვოტა)
სურვილები ახდებიან!
– რასაცა ეძებ, მოჰხედები!(რუსთ.)
– კაცსა მიხედეს საწადელი, რას ეძებდეს მისი პოენა (რუსთ.)
– ყველაფერს, რასაც... რწმენით ითხოვთ, მიიღებთ (ბიბლ.)
– ასრულებული ნატერა სულისთვის ტკბილია (ბიბლ.)

Veritas simplex oratio est
(ვერიტას სიმპლექს ორაციო ესტ)
ჭეშმარიტების სიტყვა უბრალოა (სენ.)
– ჭეშმარიტი სიტყვა მწარეა, სასიამოვნო სიტყვა იშვიათად არის მართალიო (ხალხ.)
– სიტყვა ქმნაა და არა თქმაო...(ხალხ.)
– სიბრძნე ებრძვის სიბრიყვესა უთოფოდ და უზარბაზნოდ (ხალხ.)

Vera dicere didici
(ვერა დიცერე დიდიცი)
მიჩვეული ვარ სიმართლის თქმას
– სიმართლის მთქმელს ბევრი მოძულე ჰყავსო (ხალხ.)
– ...ვინც არა ჰგავს კაბაბერსა, მე ვერ ვიტყვი კაბაბერად (დ.გურ.)
– რად ვარ ცოცხალი, თუ მართალს არ ვათქმევინებ ენასა (ვაჟა)
– თუ სამართლიანი ხარ (და კაცთმოყვარე), მაშინ ყველაფერი ხარ, საესე კაცი ხარ (ილია)

Veritas odium parit
(ვერიტას ოდიუმ პარიტ)
ჭეშმარიტება სიძულვილს ბადებს
– მართლის მთქმელ მტრედს ნისკარტი მოჭრესო (ხალხ.)
– მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს (ხალხ.)
– მართლის მთქმელს ბევრი მოძულე ჰყავს (ხალხ.)
– მართალს ვიტყვი შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად (რუსთ.)
– ვინც არა ჰგავს კაბაბერსა, მე ვერ ვიტყვი კაბაბერად (დ.გურ.)
– ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი... (ბიბლ.)

Veritas temporis filia
(ვერიტას ტემპორის ფილია)
ჭეშმარიტება დროის ასულია (დროში დგინდება)
– სიმართლე შვილიშვილამდისო;(ხალხ.)
– სიმართლე კაცს არ დაეკარგებაო (ხალხ.)

Verba volant, scribta manent
(ვერბა ვოლანტ, სკრიბტა მანენტ)
სიტყვები მიფრინაენ, დაწერილი რჩება
– სიტყვა ქარიაო (ხალხ.)
– რაც დაიწერა კალმითა, ვერ წაიშლება ბარითა (ხალხ.)

Veritas vincit
(ვერიტას ვინციტ)
ჭეშმარიტება იმარჯვებს
– სიმართლე ყველაზე ძლიერიაო (ხალხ.)
– სიმართლე სინათლეაო (ხალხ.)
– სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა (რუსთ.)
– სიმართლე მუდამ თავისას გასჭრის (ა.ყ.წერ.)

Viam qui nescit, qua deveniat ad mare
(ვიამ ქვი ნესციტ, ქვა დევენიატ ად მარე)
ვინც გზა არ იცის, ზღვაში შეაბოტებს
– გზა ვინც იცის, ფეხს არ წამოკრავსო (ხალხ.)
– ვისაც რა სჭირს ეისგანაო, ყველა თავის ჭკვისგანაო (ხალხ.)

Vince in bono malum
(ვინცე ინ ბონო მალუმ)
გაიმარჯვე ბოროტებაზე სიკეთით
– სულგრძელობა ის არის, რომ ავს სიკეთით ეძლიოთ(ო) (ხალხ.)
– სხვამ რომ გელი შეგიწვას, შენ კალმახი შეუწვიო (ხალხ.)
– სიკეთით სძლიე შენს მტერსა...(ილია)
– კეთილი ფარად უფარე შენთვის ბოროტის მდომსაო (ილია)
– კეთილი ბოროტის წილ (ბიბლ.)

Vincit omnia veritas
(ვინციტ ომნია ვერიტას)
ჭეშმარიტება ყოველივეს სძლევს
– სიმართლე ყველაზე ძლიერიაო (ხალხ.)

Vinum verba ministrat
(ვინუმ ვერბა მინისტრატ)
ღვინო სიტყვის მმართველია
– ღვინო მუნჯს ენას ამოადგმევინებს და ბრძენს დამუნჯებსო (ხალხ.)

Vim Viribus exire
(ვიმ ვირიბუს ექსირე)
ძალას ძალთა დაპირისპირება (უნდა)
– მოვიდა სიტყვა და დაბჯდა ქვაო (ხალხ.)
– ბელტისა მსროლელისათვის ქვა თქმულა შესატყორცებლად (ქ.დ.)

Viri docti in se semper divitias Jabent
(ვირი დოკტი ინ სე სემპერ დივიტიას ჰაბენტ)
განსწავლულებს ყოველთვის აქვთ თავისთვის სიმდიდრე
– ...ბრძენი სადაც არს დარჩების, სიმდიდრე თან ექნებისა (დ.გურ.)
– ჭკვა დიდი საქონელია–ბრიყვთათვის მიუწედომელი (ვაჟა)

Vita nostra brevis est
(ვიტა ნოსტრა ბრევის ესტ)
ჩვენი ცხოვრება მოკლეა
– წუთისოფელი მოკლეაო (ხალხ.)
– სიკვდილი ყურს უკან გვაქვსო (ხალხ.)
– სიცოცხლე არის წამისად...(რუსთ.)
– ხანმოკლეა (და მწუხარე) ჩვენი ცხოერება

(ბიბლ.)

Vita-sine libertate-nihil

(ვიტა სინე ლიბერტატე-ნიჰილ)

– სიცოცხლე თავისუფლების გარეშე არარაობაა

– სიცოცხლეს აუგიანსა, სიკვდილი მიჯობს

ხმალზედა (ვაჟა)

– სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი (აკ.წერ.)

– შენი თავი შენადვე გეყუდნეს...(ილია)

Vitam regit fortuna, non sapientia

(ვიტამ რეგიტ ფორტუნა ნონ საპიენცია)

ცხოვრებას ბედი მართავს და არა გონება

– ბედი მომეცი და სიპ ქვაზე დამსვიო (ხალხ.)

– ბედი ხნავს და ბედი თესავს, ბედი მოიყვანს ყანასო (ხალხ.)

– ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს– მოცაგხვდების...(რუსთ.)

– ბედი ხან ბატონსა სწყალობს, ხან გაულიმებს მონასა (ვაჟა)

Virtus hominum jugit deo

(ვირტუს ჰომინუმ იუგიტ დეო)

სიკეთე ადამიანს ღმერთთან აკავშირებს

– გულკეთილობა კაცს ააშენებს, ბოროტება კი დააქცევსო (ხალხ.)

– კაი კაცს რა წაახდენსო (ხალხ.)

Virtus hominis propria est

(ვირტუს ჰომინის პროპრია ესტ)

სიქველე ადამიანის თვისებაა

– კარგი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე–წინ დაგხვდება (ხალხ.)

– კარგი საქმე კაცსა ზედა, აზომ თურმე არ წახდების (რუსთ.)

Vivere militare est

(ვივერე მილიტარე ესტ)

ცხოვრება ბრძოლაა (სენ.)

– ...სიცოცხლე...ომია (ვაჟა)

– ათასი რამე მოხდება სიცოცხლით კაცის თავზედა (ვაჟა)

– წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის მამინაცვალი (ილია)

სენტენციები – უცხო სიტყვათა ტერმინების სახით

A

Ab antiquo

ლათ. (აბ ანტიკვო)

ძველთაგან

Abendland

გერ. (აბენდლანდ)

დასაღეთ ევროპა

Ab incunabulis

ლათ. (აბ ინკუნაბულის)

აკვნიდან

Ab initio

ლათ. (აბ ინიციო)

თავიდან, დასაბამიდან.

Ab ovo

ლათ. (აბ ოვო)

„კვერცხიდან"; დასაბამიდან, დასაწყისიდან.

Ab ovo usque ad mala

ლათ. (აბ ოვო უსკვე ად მალა)

„კვერცხიდან (და) ვაშლამდე" (რომაელები სადილს იწყებდნენ კვერცხით და ამთავრებდნენ ვაშლით); თავიდან ბოლომდე (ჰორაციუსის (65– 8 ძვ.წელთაღრ.) გამონათქვამი).

A cappella

იტალ. (ა კაპპელლა)

გუნდური გალობა უაკომპანემენტოდ.

Ad absurdum

ლათ. (ად აბსურდუმ)

Reductio ad absurdum

აბსურდამდე, უაზრობამდე მიყვანა (მტკიცების ხერხი. მაგ. გეომეტრიაში)

Adagio

იტალ. (ადაჯო)

(მუს.) ადაჯო.

ნელა, დინჯად – ნელი ტემპით შესრულებული ეკეცა ან მუსიკა

A dato

ლათ. (ა დატო)

ხელის მოწერის დღიდან

Ad augusta per angusta

ლათ. (ად ავგუსტა პერ ანგუსტა)

მაღალ მიზნებს აღწევენ დიდი სიძნელეების გადალახვით.

Ad calendas graecas

ლათ. (ად კალენდას გრეკას)

ბერძნულ კალენდებამდე (იხ. კალენდები)

Addenda et corrigenda

ლათ. (ადდენდა ეტ კორიგენდა)

დამატებანი და შესწორებანი.

Ad exemplum

ლათ. (ად ექსემპლუმ)

ნიმუშის მიხედვით.

Ad hoc

ლათ. (ად ჰოკ)

„ამასთან", ამ შემთხვევისთვის, ამ მიზნისთვის.

Ad hominem

ლათ. (ად ჰომინემ)

იხ. argumentum ad hominem.

Ad honores

ლათ. (ად ჰონორეს)

პატივისცემის ნიშნად; მუქთად.

Adie

ლათ. (ადიე)

დღეიდან.

Ad infinitum

ლათ. (ად ინფინიტუმ)
უსასრულობამდე.

Ad libitum

ლათ. (ად ლიბიტუმ)
რამდენიც გინდათ, როგორც გენებოთ, სურვილისამებრ.

Ad litteram

ლათ. (ად ლიტტერამ)
სიტყვასიტყვით.

Ad patres

ლათ. (ად პატრეს)
„მამა-პაპასთან, წინაპრებთან (გამგზავრება)"; გარდაცვალება.

Ad rem

ლათ. (ად რემ)
იხ. argumentum ad rem.

Ad unguem

ლათ. (ად უნგუემ)
„ფრჩხილამდე"; სრულყოფამდე.

Ad usum

ლათ. (ად უზუმ)
მოსახმარად.

Ad usum internum

ლათ. (ად უზუმ ინტერნუმ)
შინაგანად ხმარებისთვის (სამედიცინო ტერმინი).

Ad valorem

ლათ. (ად ვალორემ)
ფასის, ღირებულების მიხედვით.

Ad vocem

ლათ. (ად ვოცემ)
„სიტყვასთან" სიტყვამ მოიტანა და..., ერთი სიტყვით.

A fortiori

ლათ. (ა ფორტიორი)
მით უმეტეს, განსაკუთრებით.

A giorno

იტალ. (ა ჯორნო)
„დღისა"; ითქმის ისეთი ხელოვნური განათების შესახებ, რომელიც დღის სინათლეს უახლოვდება.

Agitato

იტალ. (აჯიტატო)
(მუს.) აჯიტატო.
აღგზნებით, გატაცებით

A la

ფრანგ. (ა ლა)
(ვისიმე ან რისამე) ყაიდაზე; -ვით; -ებრ.

Ala guerre comme a la guerre

ფრანგ. (ა ლა გერ კომ ა ლა გერ)
„ომია, ომი იყოს"; ვიმოქმედოთ ვითარების მიხედვით, შეუბრალებლად.

A la lettre

ფრანგ. (ა ლა ლეტრე)
სიტყვასიტყვით.

Alea jacta est

ლათ. (ალეა იაქტა ესტ)
„კამათელი გაგორებულია"; გადაწყდა; სიტყვები მიეწერება იულიუს კეისარს (100– 44 ძვ. წელთაღრ.), რომელმაც გადაწყვიტა აშკარად გაელაშქრა რომის სენატის წინააღმდეგ და გადაელახა იტალიის საზღვარი სხვა ქვეყნების დასაპყრობად. (იხ. რუბიკონის გადალახვა).

Alias

ლათ. (ალიას)
სხვა დროს, სხვა ადგილას; სხვაგვარად.

Alibi

ლათ. (ალიბი)
ალიბი
(სადღაც სხვა ადგილას) სამართალში ბრალდებულის უდანაშაულობის სამხილი.

A limine

ლათ. (ა ლიმინე)
„ზღურბლიდან"; მაშინვე.

A livre guvert

ფრანგ. (ა ლივრე უვერტ)
„გადაშლილი წიგნის მიხედვით"; წინასწარ მოუმზადებლად (უცხო ტექსტის გადათარგმნა, დაკერა, სიმღერა ნოტებით).

Allegretto

იტალ. (ალლეგრეტტო)
(მუს.) ალეგრეტო
მუსიკალური ნაწარმოების ჩქარი, მაგრამ ალეგროზე ნაკლები ტემპით შესრულება.

Allegro

იტალ. (ალლეგრო)
(მუს.) ალეგრო.
მუსიკალური ნაწარმოების ალეგრეტოზე ჩქარი ტემპით შესრულება.

Allegro molto

იტალ.(ალლეგრო მოლტო)
(მუს.) ძალიან სწრაფად.

Allentando

იტალ. (ალლენტანდო)
(მუს.) შენელებით.

All right!

ინგლ. (ოლ რაიტ)
ძალიან კარგი! კი, ბატონო!

Alma mater

ლათ. (ალმა მატერ)
ალმა მატერი
სულიერი საზრდო, რასაც აძლევს უნივერსიტეტი სტუდენტებს.

Altera pars

ლათ. (ალტერა პარს)
მოწინააღმდეგე მხარე.

Alter ego

ლათ. (ალტერ ეგო)

„სხვა მე"; ვინმესთან იმდენად ახლო მყოფი ადამიანი, რომ შეუძლია მისი შეცვლა; უახლოესი მეგობარი და თანამზრახველი.

Alternamente

იტალ. (ალტერნამენტე)
(მუს.) რიგრიგობით, მონაცვლეობით.

Andante

იტალ. (ანდანტე)
(მუს.) ანდანტე.
მუსიკალური ნაწარმოების დინჯად და ზომიერი ტემპით შესრულება.

Animato

იტალ. (ანიმატო)
(მუს.) ცოცხლად, აღფრთოვანებით.

Anni currentis (a.c.)

ლათ. (ანნი კურრენტის)
ამა წლის.

Ante Christum (A.C.)

ლათ. (ანტე ხრისტუმ)
ქრისტიანულ ერამდე.

Ante factum

ლათ. (ანტე ფაქტუმ)
სანამ მოხდებოდეს რამე.

A posteriori

ლათ. (ა პოსტერიორი)
აპოსტერიორი.
ცდის საფუძველზე დაყრდნობილი. აპრიორის – საპირისპირო.

Appassionato

იტალ. (აპპასსიონატო)
(მუს.) აპასიონატო.
აღგზნებით, დიდი განცდით.

Apres nous (moi) le deluge

ფრანგ. (აპრე ნუ (მუა) ლე დელიუჟ)
ჩვენს (ჩემს) შემდეგ თუნდ წარღვნაც მოსულა (სიტყვები მიეწერება საფრანგეთის მეფე ლუი V–ს; სხვა მონაცემების მიხედვით ამ სიტყვებით ანუგეშა იგი თავის ფავორიტმა მარკიზა დე პომპადურმა ომში დამარცხების შემდეგ).

A priori

ლათ. (ა პრიორი)
აპრიორი.
ცდისგან დამოუკიდებლად, ცდის გარეშე.

Apropos

ფრანგ. (ა პროპო)
სხვათა შორის, მართლაც.

Aqua destillata

ლათ. (აკვა დესტილლატა)
დესტილირებული (გამოხდილი) წყალი.

Aqua vitae

ლათ. (აკვა ვიტე)
„სიცოცხლის წყალი"; არაყი.

Arbor vitae

ლათ. (არბორ ვიტე)
„ძელი ცხოვრებისა"

Argumentum ad hominem

ლათ. (არგუმენტუმ ად ჰომინემ)
„საბუთი ადამიანისადმი"; არგუმენტი, რომელიც ემყარება არა ობიექტურ მონაცემებს, არამედ ითვალისწინებს იმ პირის აზრს, გრძნობას, ინტერესს, რომელსაც არწმუნებენ (საპირისპ. argumentum ad rem).

Argumentum ad rem

ლათ. არგუმენტუმ ად რემ)
არგუმენტი, რომელიც ემყარება საქმის ნამდვილ ვითარებას (საპირისპ. argumentum ad hominem).

Argumentum Baculinum

ლათ. (არგუმენტუმ ბაკულინუმ)
„კომბლის არგუმენტი"; ხელშესახები მტკიცება.

Argumentum ex silentio

ლათ. (არგუმენტუმ ექს სილენციო)
მიჩქმალვიდან გამომდინარე მტკიცება.

Ars longa, vita brevis (est)

ლათ. (არს ლონგა, ვიტა ბრევის (ესტ))
ხელოვნება (მეცნიერება) ერცელია, სიცოცხლე–მოკლე.

Artes liberales

ლათ. (არტეს ლიბერალეს)
„თავისუფალი ხელოვნებანი"; ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეებში შვიდ საერო მეცნიერებას: გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიასა და მუსიკას.

A tempo

იტალ. (ა ტემპო)
(მუს.) ადრინდელი, პირველი ტემპით.

Atoolmaking animal

ინგლ. (ე თულმეიქინგ ენიმალ)
„იარაღის მკეთებელი ცხოველი", ე.ი. ადამიანი (ბ. ფრანკლინის ფორმულა, რომელიც დამოწმებული აქეს კარლ მარქსს).

Atout prix

ფრანგ. (ა ტუ პრი)
რადაც უნდა დაგვიჯდეს.

Audentes fortuna juvat

ლათ. (აუდენტეს ფორტუნა იუვატ)
გამბედავს ილბალი ეხმარება; ვერგილიუსის (70–19 ძვ.წელთაღრ.) სიტყვები.

Audiatur et altera pars

ლათ. (აუდიატურ ეტ ალტერა პარს)
უნდა მოვუსმინოთ მეორე მხარესაც (კამათში).

Au fond

ფრანგ. (ო ფო)
არსებითად.

Au naturel

ფრანგ. (ოო ნატურელ)
როგორიც ბუნებამ შექმნა, ბუნებრივად; შიშველი.

Aurea mediocritas

ლათ. (აურეა მედიოკრიტას)
„ოქროს ზომიერება"; საშუალო ხაზი (ჰორაც-

იუსის სიტყვები); იტყვიან ისეთ რამეზე, რასაც უკიდურესობა არ ახლავს.

Aurora musis amica

ლათ. (აურორა მუზის ამიკა)

„აურორა მუზების მეგობარია“; დილა უფრო განგვაწყობს იმისათვის, რომ ხელოვნებითა და მეცნიერებით ვიყოთ დაკავებული.

Auto da fe

ესპ.-პორტუგ. (აუტო და ფე)

აუტოდაფე.

სარწმუნოების აქტი, ერეტიკოსთა საჯარო დაწვა კოცონზე ინკვიზიციის მიერ.

Ave, caesar (ან: imperator), morituri te salutant

ლათ. (ავე, ცეზარ (იმპერატორ), მორიტური ტე სალუტანტ)

„იცოცხლე, კეისარო (იმპერატორო), სასიკვდილოდ მიმავალნი სალამს გიძღვნიან“; რომაელი გლადიატორების მიმართვა იმპერატორისადმი ბრძოლის წინ.

Ave, Maria

ლათ. (აეე, მარია)

„იცოცხლე, მარიამ!“; (კათოლიკური ლოცვა ღვთისმშობლისადმი).

Avenue

ფრანგ. (აევენიუ)

ავენიუ.

ფართო ქუჩა, პროსპექტი

B

Bel canto

იტალ. (ბელ კანტო)

(მუს.)ბელკანტო

სიმღერის შესრულების თავისუფალი მანერა.

Bel espit

ფრანგ. (ბელ ესპრი)

გონებამახვილი, ენამახვილი ადამიანი.

Bellum omnium contra omnes

ლათ. (ბელლუმ ომნიუმ კონტრა ომნეს)

„ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“ (ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტის ტ.ჰობსის (1588-1679) აფორიზმი).

Bis

ლათ. (ბის)

ბის.

მაყურებელთა შეძახილი რაიმე სანახაობაზე გამეორების მიზნით.

Bis dat, qui cito dat

ლათ. (ბის დატ, კვი ციტო დატ)

ორმაგად იძლევა ის, ვინც მალე იძლევა.

Bona fide

ლათ. (ბონა ფიდე)

სრულიად გულწრფელად.

Bon mot

ფრანგ. (ბო მო)

მახვილი სიტყვა, მოსწრებული სიტყვა.

Bon ton

ფრანგ. (ბო ტო)

კარგი ტონი; ქცევა, რომელიც მისაღებია ე.წ. მაღალი საზოგადოების ნორმებით (საპირისპ.mauvais ton).

Boob-tube

ინგლ. (ბუ:ბ-თიუ:ბ)

„ტუბი (მილი, ყუთი) ყეყეჩებისთვის“; ასე უწოდებენ ირონიით ამერიკელები ტელევიზორს.

Break-in

ინგლ. (ბრეიქ-ინ)

ამერიკის შეერთებულ შტატებში: ქურდობა გატეხით.

Brevi manu

ლათ. (ბრევი მანუ)

„მოკლე ხელით“; ფორმალობათა გარეშე, მოკლედ.

Brutto

იტალ. (ბრუტტო)

ბრუტო.

რაიმეს საერთო წონა შეფუთვიანად.

C

Caeteris paribus

ლათ. (ცეტერის პარიბუს)

იხ. ceteris paribus

Capriccioso

იტალ. (კაპრიჩიოზო)

(მუს.) ჭირვეულად, ჟინიანად.

Carte blanche

ფრანგ. (კარტ ბლანშ)

„სუფთა ფურცელი“; მოქმედების სრული თავისუფლება; სრული უფლებამოსილება, განუსაზღვრელი რწმუნებანი.

Casus belli

ლათ. (კაზუს ბელლი)

ომის საბაბი.

Ceteris paribus

ლათ. (ცეტერის პარიბუს)

სხვა თანაბარ პირობებში.

Ceterum censeo

ლათ. (ცეტერუმ ცენზეო)

ხელმეორედ გამოთქმული აზრი.

Ceterum censeo Carthaginem esse delendam

ლათ. (ცეტერუმ ცენზეო კართაგინემ ესე დელენდამ)

„თუმცა, ვფიქრობ– კართაგენი უნდა დაინგრეს“; ამ სიტყვებით ამთავრებდა ყოველთვის თავის გამოსვლებს სენატში რომაელი მოღვაწე კატონ უფროსი (234-149 ძვ.წელთაღრ.), რომელიც შეურიგებელი მტერი იყო კართაგენისა.

Circulus vitiosus
ლათ. (ცირკულუს ვიციროზუს)
„მანკიერი წრე"; გამოუვალი მდგომარეობა (ლოგიკაში: დამამტკიცებელ საბუთად მოყვანა იმისა, რაც თვითონ დასამტკიცებელია).
Citato loco (c.l.)
ლათ. (ციტატო ლოკო)
იხ. loco citato.
Citius, Altius, Fortius
ლათ. (ციტიუს, ალტიუს, ფორტიუს)
უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო შორს (ოლიმპიური თამაშების დევიზი).
Cito
ლათ. (ციტო)
სწრაფად, სასწრაფოდ (ექიმი აწერს რეცეპტს, როდესაც აუცილებელია წამლის სასწრაფოდ დამზადება).
C.l.
იხ.citato loco.
Cogito, ergo sum
ლათ. (კოგიტო, ერგო სუმ)
„ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ"; ფრანგი ფილოსოფოსის დეკარტის (1596–1650 წწ.) სიტყვები.
Colloquium
ლათ. (კოლლოკვიუმ)
კოლოკვიუმი.
გამოცდის სახეობა ან რაიმე საკითხის განხილვა.
Commedia dell'arte
იტალ. (კომმედია დელ'არტე)
კომედია: ნიღბების კომედია.
სიცილზე აგებული იტალიური თეატრი.
Comme il faut
ფრანგ. (კომ ილ ფო)
კომილფო.
მაღალ საზოგადოებაში მიღებული წესი.
Con brio
იტალ. (კონ ბრიო)
(მუს.) ცოცხლად, მხიარულად.
Conditio sine qua non
ლათ. (კონდიციო სინე კვა ნონ)
აუცილებელი პირობა.
Con fuoco
იტალ. (კონ ფუოკო)
(მუს.) მგზნებარედ, ცეცხლოვნად.
Consensus omnium
ლათ. (კონსენსუს ომნიუმ)
ყველას თანხმობა (იხ.კონსენსუსი).
Consuetudo est altera natura
ლათ. (კონსუეტუდო ესტ ალტერა ნატურა)
„ჩვეულება მეორე ბუნებაა"; ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.
Contra
ლათ. (კონტრა)
წინააღმდეგ.
Contradictio in adjecto
ლათ. (კონტრადიქციო ინ ადიექტო)
წინააღმდეგობა მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის. მაგ. „ცივი ცეცხლი".
Corpus delicti
ლათ. (კორპუს დელიქტი)
(სამართ.) დანაშაულის შედგენილობა, ძირითადი სამხილი.
Coulleur locale
ფრანგ. (კულორ ლოკალ)
ადგილობრივი კოლორიტი, ხასიათი, ადგილობრივი თავისებურება.
Coup de maitre
ფრანგ. (კუ დე მეტრ)
ოსტატური ხერხი.
Coup d,etat
ფრანგ. (კუ დ,ეტა)
სახელმწიფო გადატრიალება.
Cover-girl
ინგლ. (ქავე–გელ)
ქალიშვილი, რომლის პორტრეტი მოთავსებულია ჟურნალის გარეკანზე.
Credo
ლათ. (კრედო)
კრედო.
მრწამსი; მსოფლმხედველობა.
Credo quia absurdum est
ლათ. (კრედო კვია აბსურდუმ ესტ)
მწამს, რამეთუ უაზრობაა (გამოთქმას მიაწერენ შუა საუკუნეების თეოლოგებს).
Crescendo
იტალ. (კრეშენდო)
(მუს.)კრეშენდო.
მომღერლის ხმის თანდათანობით გაძლიერება.
Cui bono?
ლათ. (კუი ბონო)
ვისთვის არის კარგი?
Cui prodest?
ლათ. (კუი პროდესტ)
ვისთვის არის სახეირო, სასარგებლო?
Cuique suum
ლათ. (კუიკვე სუუმ)
იხ. suum cuique.
Culpa levis
ლათ. (კულპა ლევის)
პატარა ცოდვა, მსუბუქი დანაშაული.
Cum grano salis
ლათ. (კუმ გრანო სალის)
„კვნიტი მარილით"; გონიერულად, ირონიით.
Currente calamo
ლათ. (კურრენტე კალამო)
„გაქცეული კალმით"; რისამე წერა სწრაფად და

არც თუ ისე მოფიქრებულად.

Curriculum vitae

ლათ. (კურრიკულუმ ვიტე)
„ცხოვრების მიმდინარეობა"; ვისიმე ცხოვრების აღწერა, მოკლე ცნობები ვისიმე ცხოვრების შესახებ.

D

Da capo

იტალ. (და კაპო)
(მუს.) თავიდან, კვლავ.

Da liegt der Hund begraben

გერმ. (და ლიგტ დერ ჰუნდ ბეგრაბენ)
აი აქ მარხია ძაღლი (ძაღლის თავი).

Decorum

ლათ. (დეკორუმ)
დეკორუმი.
გარეგნული ზრდილობა.

Decrescendo

იტალ. (დეკრეშენდო)
(მუს.) დეკრეშენდო.
მომღერლის ხმის თანდათანობით შესუსტება.

De facto

ლათ. (დე-ფაქტო)
დე-ფაქტო.
ფაქტობრივად, სინამდვილეში. საპირისპ. დე-იურე.

Definitio idem per idem

ლათ. (დეფინიციო იდემ პერ იდემ)
იხ. idem per idem

De gustibus non (est) disputandum

ლათ. (დე გუსტიბუს ნონ (ესტ) დისპუტანდუმ)
გემოვნების თაობაზე არ დავობენ.

De jure

ლათ. (დე იურე) დე-იურე.
იურიდიულად, კანონის საფუძველზე. საპირისპ. დე-ფაქტო.

Desiderata

ლათ. (დეზიდერატა)
დეზიდერატა
სასურველი რამ, რაიმეს მოთხოვნა.

Deus ex machina

ლათ. (დეუს ექს მახინა)
„ღმერთი მანქანიდან"; მოულოდნელად გაჩენილი ძალა, პიროვნება, გაუთვალისწინებელი შემთხვევა, რომლის წყალობითაც იხსნება კანონი, ჩნდება გამოსავალი თითქოსდა გამოუვალი მდგომარეობიდან (ანტიკური ტრაგედია ხშირად თავდებოდა რომელიმე ღმერთის ჩარევით, რომელიც სცენაზე გამოჩნდებოდა ხოლმე მექანიკური მოწყობილობის საშუალებით).

De visu

ლათ. (დე ვიზუ)
თვალნათლივ; თავისი თვალით, როგორც თვითმხილველმა.

Differentia specifica

ლათ. (დიფერენცია სპეციფიკა)
განმასხვავებელი ნიშან-თვისება; დამახასიათებელი თავისებურება.

Dii minores

ლათ. (დიი მინორეს)
„უმცროსი ღმერთები"; მეორეხარისხოვანი ტალანტები; ადამიანები, რომელთაც უკავიათ შესამჩნევი– მაგრამ არა პირველი– ადგილი.

Diminuendo

იტალ. (დიმინუენდო)
(მუს.) იხ.დიმინუენდო

Divide et impera

ლათ. (დივიდე ეტ იმპერა)
„გათიშე და იბატონე" (რომაელი დამპყრობლებისა და თანამედროვე იმპერიალისტების პოლიტიკური პრინციპი).

Dixi!

ლათ. (დიქსი)
ვთქვი!

Dolce

იტალ. (დოლჩე)
(მუს.) დოლჩე.
ნაზად, სათუთად.

Doloroso

იტალ. (დოლოროზო)
(მუს.) ნაღვლიანად, მწუხარედ.

Drang nach Osten

გერმ. (დრანგ ნახ ოსტენ)
„შეტევა აღმოსავლეთისაკენ" (გერმანელი იმპერიალისტების ლოზუნგი).

Dura lex, sed lex

ლათ. (დურა ლექს, სედ ლექს)
კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია.

E

Ecce homo!

ლათ. (ეკცე ხომო)
აი ადამიანი!

Editio princeps

ლათ. (ედიციო პრინცეფს)
პირველი გამოცემა.

Ego

ლათ. (ეგო)
მე

Embarras de richesses

ფრანგ. (ამბარა დე რიშეს)
„სიძნელე სიმდიდრისგან"; სიძნელე დიდი არჩევანის გამო.

En face

ფრანგ. (ან ფას)
ანფასი.

პირისახე წინიდან, პირდაპირ.

En famille

ფრანგ. (ან ფამილე)
ოჯახურად, შინაურულად.

Enfant terrible

ფრანგ. (ანფან ტერრიბლ)
„საშინელი ბავშვი“; ადამიანი, რომელიც თავისი გულახდილობით ან გულუბრყვილობით სხვას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

En gros

ფრანგ. (ან გრო)
„ბითუმად“; ზოგადად.

Eo ipso

ლათ. (ეო იფსო)
სწორედ მით, იმით.

Ergo

ლათ. (ერგო)
მაშასადამე.

Errata

ლათ. (ერრატა)
შეცდომები.

Espressivo

იტალ. (ესპრესსიივო)
(მუს.) გამომეტყველებით, გამომსახველობით.

Establishment

ინგლ. (ისტებლიშმენტ)
ისტებლიშმენტი.
მმართველი, პრივილეგირებული ფენა.

Et caetera lf et cetera (etc.)

ლათ. (ეტ ცეტერა)
და სხვა (და სხე.)

Ex abrupto

ლათ. (ექს აბრუპტო)
ერთბაშად, უცბათ, მოუმზადებლად.

Ex cathedra

ლათ. (ექს კათედრა)
„კათედრიდან“; კათედრის სიმაღლიდან, ავტორიტეტულად (გამონათქვამს ჩვეულებრივ ახლავს ირონია).

Ex libris

ლათ. (ექს ლიბრის)
„(ვისიმე) წიგნებიდან“ (იხ. ექსლიბრისი).

Ex officio

ლათ. (ექს ოფფიციო)
თანამდებობის, მოვალეობის მიხედვით; ოფიციალურად.

Ex oriente lux

ლათ. (ექს ორიენტე ლუქს)
სინათლე აღმოსავლეთიდან (მოდის).

Explicite

ლათ. (ექსპლიციტე)
„გაშლით“; გარკვევით, ნათლად.

Ex professo

ლათ. (ექს პროფესსო)
(თავისი) პროფესიის მიხედვით; საქმის ცოდნით.

Ex tempore

ლათ. (ექს ტემპორე)
მაშინვე, იმაეე წუთში, მოუმზადებლად.

Ex toto

ლათ. (ექს ტოტო)
იგივეა, რაც in toto

Ex ungue leonem

ლათ. (ექს უნგეე ლეონემ)
ლომი ბრჭყალებით იცნობაო.

Ex voto

ლათ. (ექს ვოტო)
აღქმის მიხედვით.

F

Feci quod potui (faciant meliora potentes)

ლათ. (ფეცი კვოდ პოტუი (ფაციანტ მელიორა პოტენტეს))
ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო (ვისაც შეუძლია, უკეთესად გააკეთოს).

Fecit

ლათ. (ფეციტ)
„გააკეთა“ (წარწერა ძველებურ სურათებზე მხატვრის გვარის შემდეგ).

Femininum

ლათ. (ფემინინუმ)
(გრამატ.) მდედრობითი სქესი.

Fermo

იტალ. (ფერმო)
(მუს.) მტკიცედ, გაბედულად.

Ferro et igni lf ferro ignique

ლათ. (ფერრო ეტ იგნი იფ ფერრო იგნიკვე)
იგივეა, რაც igni et ferro.

Festina lente

ლათ. (ფესტინა ლენტე)
„იჩქარე ნელა“; ნაუცბათევად ნუ გააკეთებ.

Fiat justitia, pereat mundus

ლათ. (ფიატ იუსტიცია, პერეატ მუნდუს)
იხ. pereat mundus, fiat justitia

Finis

ლათ. (ფინის)
ბოლო, დასასრული.

Five o'clock

ინგლ. (ფაივექლოქ)
„ხუთი საათი“; ჩაის სმა დღის 5 საათზე (ინგლისში).

Folio verso (f.v.)

ლათ. (ფოლიო ვერსო)
შემდეგ გვერდზე.

Folium

ლათ. (ფოლიუმ)
ფურცელი, გვერდი.

Foreign Office

ინგლ. (ფორინ ოფის)
იხ.ფორინ ოფისი.

Forte
იტალ. (ფორტე)
(მუს.) იხ. ფორტე.

Fortissimo
იტალ. (ფორტისიმო)
(მუს.) იხ.ფორტისიმო.

Franco
იტალ. (ფრანკო)
ფრანკო.
საქონლის დატვირთვა და გაგზავნა გამყიდველის ხარჯზე.

Furioso
იტალ. (ფურიოზო)
(მუს.) ენებიანად, მგზნებარედ, გაშმაგებით.

F.v.
იხ. folio verso.

G

Gaudeamus
ლათ. (გაუდეამოს)
გაუდეამუსი.
ძველებური სტუდენტური სამხიარულო სიმღერა – გავიხაროთ, ეიდრე ახალგაზრდები ვართ.

Gens una sumus
ლათ. (გენს უნა სუმუს)
ერთი ოჯახი ვართ (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის – ფიდეს– დევიზი).

Glissando
იტალ. (გლისსანდო)
(მუს.) გლისანდო.
თითის გატარება საკრავზე სრიალით.

Grande dame
ფრანგ. (გრანდ დამ)
არისტოკრატული გარეგნობისა და მანერების მქონე ქალი.

Grandioso
იტალ. (გრანდიოზო)
(მუს.) სიდიადით, დიდებულად, კეთილშობილურად.

Grand prix
ფრანგ. (გრან პრი)
„დიდი პრიზი“; უმაღლესი ჯილდო საერთაშორისო კონკურსებზე, ფესტივალებზე.

Gratis
ლათ. (გრატის)
უფასოდ.

Grazioso
იტალ. (გრაციოზო)
(მუს.) მსუბუქად, ნაზად.

Grosso modo
ლათ. (გროსსო მოდო)
„მსხვილი ზომებით“; ზოგადად, მიახლოებით.

H

Habent sua fata libelli
ლათ. (ჰაბენტ სუა ფატა ლიბელლი)
წიგნებს თავისი ბედი.

Habitus
ლათ. (ჰაბიტუს)
ჰაბიტუსი
რაიმეს ან ვინმეს გარეგნული შესახედაობა.

Hannibal ante portas
ლათ. (ჰანნიბალ ანტე პორტას)
„ჰანიბალი კარიბჭესთანაა“; სახელმწიფოს საშიშროება მოსდგომია კარს [ციცერონის (106–43 ძვ.წელთაღრ.) სიტყვები].

Haute couture
ფრანგ. (ოტ კუტიურ)
მოდა, რომელსაც მისდევენ ე.წ. მაღალ საზოგადოებაში; ელიტის მოდა.

Hic Incipit nova
ლათ. (ჰიკ ინციპიტ ნოვა)
ასე იწყება ახალი ცხოვრება.

Hic jacet
ლათ. (ჰიკ იაცეტ)
აქ განისვენებს (საფლაოის ქვის წარწერების დასაწყისში).

Hodie mihi, cras tibi
ლათ. (ჰოდიე მიჰი, კრას ტიბი)
დღეს მე (მომერთვას), ხვალ– შენ.

Homo dei
ლათ. (ჰომო დეი)
ღვთიური ადამიანი.

Homo homini lupus est
ლათ. (ჰომო ჰომინი ლუპუს ესტ)
ადამიანი ადამიანისთვის მგელია; გამოთქმა ეკუთვნის რომაელ პოეტს პლავტეს (დაახ.250– 184 წწ. ძვ. წელთაღრ.).

Homo novus
ლათ. (ჰომო ნოვუს)
„ახალი ადამიანი“; მეტიჩარა, მატრაკვეცა.

Homunculus
ლათ. (ჰომუნკულუს)
ჰომუნკულუსი.
შუა საუკუნეების ალქიმიკოსებს ჰქონდათ წარმოდგენა, თითქოს ადამიანის მიღება შეიძლება სპერმატოზოიდით.

Honoris causa
ლათ. (ჰონორის კაუზა)
„პატივისათვის“; მაგ. დისერტაციის დაუცველად მინიჭებული დოქტორის სამეცნიერო ხარისხი განსაკუთრებული დამსახურებისთვის.

Horribile dictu
ლათ.(ჰორრიბილე დიქტუ)

სათქმელადაც კი საშინელია.

Horse-power (H.P.)

ინგლ. (ჰოს-ფაუე)
(ტექ.) ცხენის ძალა (სიმძლავრის მოძველებული ერთეული; უდრის 736 ვატს).

Humanum est errate

ლათ. (ჰუმანუმ ესტ ერრატე)
ადამიანისთვის დამახასიათებელი შეცდომები.

I

Ibidem (ib., ibid.)

ლათ. (იბიდემ)
იქვე, (იხმარება სამეცნიერო ლიტერატურაში – მითითების დროს).

Idee fixe

ფრანგ. (იდეე ფიქსე)
აკვიატებული აზრი, იდეა.

Idem (id.)

ლათ. (იდემ)
იგივე (იხმარება სამეცნიერო ლიტერატურაში – დასახელებული ნაშრომის ავტორის შესახებ).

Idem per idem

ლათ. (იდემ პერ იდემ)
„იგივე იმავეთი" (ლოგიკაში: რაიმე დებულების მტკიცება იმავე დებულების საშუალებით).

Id est

ლათ. (იდ ესტ)
ესე იგი.

Igni et ferro

ლათ. (იგნი ეტ ფერრო)
ცეცხლითა და მახვილით.

Ignotum per ignotus

ლათ. (იგნოტუმ პერ იგნოტუს)
უცნობის ახსნა კიდევ უფრო უცნობის საშუალებით.

Imitando

იტალ. (იმიტანდო)
(მუს.) მიბაძვით.

Impticite

ლათ. (იმპლიციტე)
არეულად, დახლართულად.

In abstracto

ლათ. (ინ აბსტრაქტო)
აბსტრაქტულად, განყენებულად.

In brevi

ლათ. (ინ ბრევი)
მოკლედ

In camera

ლათ. (ინ კამერა)
დახურულ ოთახში, დახურულ კარს უკან.

Incognito

ლათ. (ინკოგნიტო)
ინკოგნიტო.
პირი, რომელიც მალავს რაიმეს.

In corpore

ლათ. (ინ კორპორე)
„სხეულში"; სრული შემადგენლობით.

Incredibile dictu

ლათ. (ინკრედიბილე დიქტუ)
წარმოუდგენელია, დაუჯერებელია.

Inde

ლათ. (ინდე)
აქედან (გამომდინარეობს).

In deposito

ლათ. (ინ დეპოზიტო)
შესანახად.

Index

ლათ. (ინდექს) ინდექსი.
რაიმეს ჩამოთვლა, სიდიდე ან მაჩვენებელი.

Index librorum prohibitorum

ლათ. (ინდექს ლიბრორუმ პროჰიბიტორუმ)
აკრძალული წიგნების ნუსხა.

In extenso

ლათ. (ინ ექსტენსო)
სრულად, სიტყვასიტყვით (ციტატის შესახებ).

In extremis

ლათ. (ინ ექსტრემის)
უკანასკნელ მომენტში; სიკვდილის სარეცელზე, სიკვდილის წინ; უკიდურესი განსაცდელის ჟამს.

In favorem

ლათ. (ინ ფავორემ)
ვისიმე სასარგებლოდ; ვისიმე პატივსაცემად.

In fine

ლათ. (ინ ფინე)
ბოლოში (მაგ. წიგნის გვერდისა ან თავისა).

In folio

ლათ. (ინ ფოლიო)
ინ-ფოლიო.
გამოცემის ფორმატი, რაც უდრის საბეჭდი თაბახის ნახევარს.

Ingenue

ფრანგ. (ინჟენიუ) ინჟენიუ.
მიამიტი ქალის როლი თეატრში.

In loco

ლათ. (ინ ლოკო)
ადგილზე

In natura

ლათ. (ინ ნატურა)
სინამდვილეში.

In optima forma

ლათ. (ინ ოპტიმა ფორმა)
„საუკეთესო ფორმით"; ყველა წესის დაცვით.

In petto

იტალ. (ინ პეტტო)
თავისთვის (ფიქრი, ლაპარაკი და მისთ.)

In pleno

ლათ. (ინ პლენო)

სრული შემადგენლობით (იგივეა, რაც in corpore).

In quarto

ლათ. (ინ კვარტო)
ინკვარტო
გამოცემის ფორმატი, რომელიც არის საბეჭდი თაბახის 1/4

In re

ლათ. (ინ რე)
„საქმეში“; ნამდვილად, სინამდვილეში.

In saecula saeculorum

ლათ. (ინ სკულა სეკულორუმ)
უკუნითი უკუნისამდე.

In spe

ლათ. ინ სპე
„იმედში“, „იმედით“; მომავალში.

In statu nascendi

ლათ. (ინ სტატუ ნასცენდი)
ჩასახვის მდგომარეობაში; შექმნის მომენტში.

In statu quo ante

ლათ. (ინ სტატუ კეო ანტე)
უწინდელ, პირვანდელ მდგომარეობაში.

In toto

ლათ. (ინ ტოტო)
მთლიანად.

in vino veritas

ლათ. (ინ ვინო ვერიტას)
„ღვინოშია ჭეშმარიტება“; ნასვამი კაცი იტყვის სიმართლეს.

Ipse dixit

ლათ. (იფსე დიქსიტ)
თვითონ თქვა (იტყვიან ხოლმე ვინმე დიდ კაცზე).

Ipso facto

ლათ. (იფსო ფაქტო)
თვით ფაქტის გამო.

Ipso jure

ლათ. (იფსო იურე)
კანონის ძალით.

Item

ლათ. (იტემ)
ასევე

J

Jacta est alea

ლათ. (აქტა ესტ ალეა)
იხ. alea jacta est.

Jeune premier

ფრანგ.(ჟენ პრემიერ)
„პირველი საყვარლის“ თეატრალური ამპლუა.

Joie de vivre

ფრანგ. (ჟუა დე ვიერ)
სიცოცხლის სიყვარული.

Jour fixe

ფრანგ. (ჟურ ფიქს) ჟურფიქსი.
სტუმრების მისაღები დღე ფეოდალურ საზოგადოებაში.

Junior

ლათ. (იუნიორ)
უმცროსი

Jurare in verbis magistri

ლათ. (იურარე ინ ვერბის მაგისტრი)
„მასწავლებლის სიტყვებით ფიცილი (ფიცი)“ (პორაციუსი); იტყვიან, როდესაც ვისმეს არა აქვს საკუთარი აზრი და უკრიტიკოდ ეკიდება რაიმე მოძღვრებას.

Jus gentium

ლათ. (იუს გენციუმ)
„ხალხთა უფლება“; საერთაშორისო სამართალი.

Jus primae noctis

ლათ. (იუს პრიმე ნოქტის)
„პირველი ღამის უფლება“; ფეოდალის უფლება, რომლის ძალითაც იგი თავისი ყმის ახლად ჯვარდაწერილ ცოლთან პირველ ღამეს ატარებდა.

Jus publicum

ლათ. (იუს პუბლიკუმ)
საჯარო სამართალი.

Justa causa

ლათ. (იუსტა კაუზა)
„მართლზომიერი მიზეზი“; რისამე მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი.

K

Klavier

გერმ. (კლავიერ)
კლავირი.
კლავიშებიან საკრავთა საერთო სახელწოდება.

Klavierabend

გერმ. (კლავიერაბენდ)
საფორტეპიანო საღამო (კონცერტი).

Klavierauszug

გერმ. (კლავი:რაუსცუგ)
კლავირი (მნიშვ. 1).
საორკესტრო პიესის, ოპერის და სხვა მისთანების გადაღება ფორტეპიანოსთვის.

Know-how

ინგლ. (ნოუ-ჰაუ)
სიტყვა-სიტყვით: „ეიცი, როგორ...“

L

La dolce vita

იტალ. (ლა დოლჩე ვიტა)
„ტკბილი ცხოვრება“, ე.ი. დროის უქმად ტარება და ფუფუნება.

L'appetit vient en mangeant

ფრანგ. (ლ,ფაპეტი ვიან ან მანჟან)
მადა ჭამაში მოდისო; გამოთქმა ფ.რაბლეს (1494–1553) რომან „გარგანტუადან“.

Lapsus
ლათ. (ლაფსუს)
ლაფსუსი.
უნებლიე ან მცირე შეცდომა.
Lapsus calami
ლათ. (ლაფსუს კალამი)
კალმის შეცდომა.
Lapsus linguae
ლათ. (ლაფსუს ლინგვე)
„ენის შეცდომა“; წაცდენა მეტყველებაში, უნებლიედ წამოცდენილი სიტყვა.
Lapsus memoriae
ლათ. (ლაფსუს მემორიე)
„მეხსიერების შეცდომა“; გადავიწყება, დავიწყება რისამე.
L.c.[1] – იხ. liber citatus.
L.c [2] – იხ. loco citato.
Le besoin de la fatalite
ფრანგ. (ლე ბეზუა დე ლა ფატალიტე)
ბედისწერის გარდუვალობა.
Legato
იტალ. (ლეგატო)
(მუს.) ლეგატო.
ერთი ბგერიდან მეორეზე უპაუზოდ გადასვლა.
Le droit de seigneur
ფრანგ. (ლე დრუა დე სეინიორ)
„პირველი ღამის უფლება“ (იხ. jus primae noctis).
Lege artis
ლათ. (ლეგე არტის)
„ხელოვნების კანონის მიხედვით“; ყველა წესის დაცვით, ოსტატურად.
Legion d'honneur
ფრანგ. (ლეჟიო დ,ონორ)
საპატიო ლეგიონის ორდენი (იხ. ლეგიონი).
Lento
იტალ. (ლენტო)
(მუს.) ლენტო.
ნელა, ნაზად.
Lesto
იტალ. (ლესტო)
(მუს.) სწრაფად, მკვირცხლად.
L'etat c'est moi
ფრანგ. (ლ,ეტა სე მუა)
„სახელმწიფო – ეს მე ვარ“; გამონათქვამი მიეწერება მეფე ლუი IV-ს.
Lex
ლათ. (ლექს)
კანონი.
Lex non scripta
ლათ. (ლექს ნონ სკრიპტა)
დაუწერელი კანონი.
Liber citatus (L.c.)
ლათ. (ლიბერ ციტატუს)
ციტირებული წიგნი (იხმარება სამეცნიერო ლიტერატურაში – მითითების დროს).
Libertas
ლათ. (ლიბერტას)
თავისუფლება.
Liberte, egalite, fraternite
ფრანგ. (ლიბერტე, ეგალიტე, ფრატერნიტე)
„თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ (საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგი).
Licentia poetica
ლათ. (ლიცენცია პოეტიკა)
პოეტური ლიცენცია (ლიცენცია).
პოეტური თავისუფლება და ნორმებიდან გადახვევა.
Licet
ლათ. (ლიცეტ)
ნებადართულია.
Lingua fraca
იტალ. (ლინგვა ფრანკა)
1. იტალიურის ნარევი ფრანგულთან, ესპანურთან, ბერძნულთან და არაბულთან; გამოიყენება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქვეყნებში (სირიაში, ლიბანში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, თურქეთში და სხვ.)
2. ენა, რომელიც იხმარება როგორც ურთიერთობის საშუალება სხვადასხვაენოვან ერებს შორის.
Littera scripta manet
ლათ. (ლიტერა სკრიპტა მანეტ)
„დაწერილი ასო რჩება“; რაც დაიწერება, ის სამუდამოა.
Loco citato (L.c.)
ლათ. (ლოკო ციტატო)
მოხსენებულ, დასახელებულ ადგილას (იხმარება სამეცნიერო ლიტერატურაში – მითითების დროს).

M

Madame (m-me)
ფრანგ. (მადამ)
მადამ
საფრანგეთში გათხოვილი ქალისადმი მიმართვა.
Made in...
ინგლ. (მეიდ ინ...)
„დამზადებულია...ში“ (წარწერა საექსპორტო საქონელზე დამამზადებელი ქვეყნის სახელწოდებასთან ერთად.)
Mademoiselle (m-elle)
ფრანგ. (მადმუაზელ)
მადემუაზელ.
საფრანგეთში გაუთხოვარი ქალისადმი მიმართვა.
Maestro
იტალ. (მაესტრო)
იხ. მაესტრო.

Magister bibendi
ლათ. (მაგისტერ ბიბენდი)
„სმის ხელმძღვანელი“; იტყვიან ხუმრობით თამადაზე.
Magna Charta Libertatum
ლათ. (მაგნა ხარტა ლიბერტატუმ)
ქარტია; თავისუფლებათა დიდი ქარტია. – პოლიტიკური დოკუმენტი.
Maitre
ფრანგ. (მეტრ)
მასწავლებელი, ოსტატი, მაესტრო (იხ. აგრეთვე, მეტრი²).
Mala fide
ლათ. (მალა ფიდე)
უპატიოსნოდ, არაკეთილსინდისიერად.
Mania grandiosa
ლათ. (მანია გრანდიოზა)
განდიდების მანია
Manifestum non eget probatione
ლათ. (მანიფესტუმ ნონ ეგეტ პრობაციონე)
ცხადს არ სჭირდება მტკიცება.
Manu militari
ლათ. (მანუ მილიტარი)
„შეიარაღებული ხელით“; სამხედრო ძალით.
Manu propria
ლათ. (მანუ პროპრია)
საკუთარი ხელით.
Masculinum
ლათ. (მასკულინუმ)
(გრამატ.) მამრობითი სქესი.
Mauvais ton
ფრანგ. (მოვე ტო)
ცუდი ტონი; ქცევა, რომელიც არ არის მისაღები ე.წ. მაღალი საზოგადოების ნორმებით (საპირისპ. bon ton)
Mea culpa
ლათ. (მეა კულპა)
ჩემი ბრალია.
Menage a trois
ფრანგ. (მენაჟ ა ტრუა)
„სამის მეოჯახეობა“; ქალის ცხოვრება ორ მამაკაცთან ერთდროულად.
Mens sana in corpore sano
ლათ. (მენს სანა ინ კორპორე სანო)
საღი გონება საღ სხეულში.
Merci!
ფრანგ. (მერსი)
გმადლობთ!
Mesalliance
ფრანგ. (მეზალიანს)
იხ. მეზალიანსი.
Mesto
იტალ. (მესტო)
ნაღელიანად, მწუხარედ.
Mezza voce
იტალ. (მეცცა ვოჩე)
(მუს.) ნახევარხმით (სიმღერა).
Mezzo
იტალ. (მეცცო)
(მუს.) ნახევრად (შემცირება ბგერის სიძლიერისა).
Mezzo forte
იტალ. (მეცცო ფორტე)
(მუს.) საშუალო ძალით.
Mirabile dictu
ლათ. (მირაბილე დიქტუ)
„უცნაურია სათქმელად“;საოცარია, საკვირველია.
Misce!
ლათ. (მიშცე)
„აურიე!“, „შეურიე!“ (რეცეპტებში).
Miscellanea
ლათ. (მისცელლანეა)
„ნარევი“; სხვადასხვა წერილის, ნარკვევის და მისთ. კრებული.
Miss
ინგლ. (მის)
მის.
ინგლისურ ენაზე გაუთხოვარი ქალისადმი მიმართვა.
Mister (mr)
ინგლ. (მისთა)
მისტერ.
ინგლისურ ენაზე მამაკაცისადმი მიმართვა.
Mistress (Mrs)
ინგლ. (მისიზ) მისის.
ინგლისურ ენაზე გათხოვილი ქალისადმი მიმართვა.
Modus vivendi
ლათ. (მოდუს ვივენდი)
მოდუს ვივენდი.
ერთგვარი ცხოვრების წესი.
Molto allegro
იტალ. (მოლტო ალლეგრო)
(მუს.) იხ. allegro molto.
Monsieur
ფრანგ. (მესიო)
მოსიე.
მამაკაცისადმი მიმართვა ფრანგულ ენაზე.
More majorum
ლათ. (მორე მაიორუმ)
მამაპაპურ ჩვეულებათა მიხედვით.
Morituri te salutant
ლათ. (მორიტური ტე სალუტანტ)
იხ. ave caesar, morituri te salutant.
Mosso
იტალ. (მოსსო)
(მუს.) ცოცხლად, მარდად.
Motu proprio

ლათ. (მოტუ პროპრიო)
საკუთარი სურვილით.
Mr – იხ. mister.
Mrs – იხ. mistress.
Multa paucis
ლათ. (მულტა პაუცის)
ბევრი (გადმოცემული) ცოტა სიტყვით.
Multum, non multa
ლათ. (მულტუმ, ნონ მულტა)
„ბევრია (მაგრამ) არა ბევრი"; დიდი შინაარსი მოკლედ ნათქვამში; ხარისხი და არა რაოდენობა.
Mutantur tempora et nos mutamur in illis
ლათ. (მუტანტურ ტემპორა ეტ ნოს მუტამურ ინ ილლის)
დრონი იცვლებიან და მათთან ერთად ჩვენც ვიცვლებით.
Mutatis mutandis
ლათ. (მუტატის მუტანდის)
სათანადო ცვლილებების, შესწორებების შეტანით.
Mutato nomine de te fabula narratur
ლათ. (მუტატო ნომინე დე ტე ფაბულა ნარრატურ)
სახელს ნუ შევცვლით, ზღაპარი შენზეა ნათქვამი (სიტყვასიტყვით: „შენზე ითქმის") (ჰორაციუსის სიტყვები).
My house is my castle
ინგლ. (მაი ჰაუს იზ მაი ქა:სლ)
„ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა"; გამონათქვამი ეკუთვნის მე-16 – 17 სს-ის ერთ-ერთ ინგლისელ იურისტს.

N

N¹ – იხ. Nord.
N²
ლათ. (ენ) – შემოკლ. nomen („სახელი"); იხმარება ვისიმე ან რაიმე ადგილის სახელის მაგიერ, როდესაც არ იციან იგი ან არ უნდათ მისი გამჟღავნება.
Nascuntur poetae, fiunt oratores
ლათ. (ნასკუნტურ პოეტე, ფიუნტ ორატორეს)
პოეტებად იბადებიან, ორატორებად განისწაელებიან („იქმნებიან").
Natura abhorret vacuum
ლათ. (ნატურა აბჰორრეტ ვაკუუმ)
ბუნება ვერ ითმენს სიცარიელეს.
NB
იხ. nota bene.
Nec plus ultra
ლათ. (ნეკ პლუს ულტრა)
უკიდურესობამდე, მეტი რომ არ შეიძლება; ზოგჯერ აღნიშნავს „საუკეთესოს".
Nel tempo
იტალ. (ნელ ტემპო)
(მუს.) ტაქტის აყოლებით, რიტმულად, შეწყობილად.
Nemo
ლათ. (ნემო)
არავინ.
Nemo judex in causa sua
ლათ. (ნემო იუდექს ინ კაუზა სუა)
არავინ არ არის მსაჯული საკუთარ (სასამართლო) საქმეში.
Ne quid nimis
ლათ. (ნე კვიდ ნიმის)
არაფერი ზედმეტი.
Netto
იტალ. (ნეტტო) ნეტო.
საქონლის წონა შეუფუთავად.
Neutrum
ლათ. (ნეუტრუმ)
(გრამატ.) საშუალო სქესი.
Ne varietur
ლათ. (ნე ვარიეტურ)
„არ შეიცვლება"; შეცვლა არ შეიძლება.
Nihil
ლათ. (ნიჰილ)
არაფერი.
Nil admirari
ლათ. (ნილ ადმირარი)
არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს.
NO – იხ. Nordost.
Noblesse oblige
ფრანგ. (ნობლეს ობლიჟ)
კეთილშობილება (აქ: მდგომარეობა) გვავალებს.
Nolens volens – იხ. volens nolens
Noli me tangere
ლათ. (ნოლი მე ტანგერე)
ხელი არ მახლო.
Nomina sunt odiosa
ლათ. (ნომინა სუნტ ოდიოზა)
„სახელები საძულველია"; სახელების ხსენება საჭირო არ არის, სახელებს ნუ ვახსენებთ.
Non bis in idem
ლათ. (ნონ ბის ინ იდემ)
„ორჯერ ერთსა და იმავეზე არ (შეიძლება)"; ერთსა და იმავეზე არ შეიძლება ორჯერ მოეკითხოს.
Non liquet
ლათ. (ნონ ლიკვეტ)
არ არის ნათელი.
Non multa, sed multum
ლათ. (ნონ მულტა, სედ მულტუმ)
„ბევრი არაა (სიტყვები), მაგრამ ბევრია"; დიდი შინაარსი მოკლედ ნათქვამში.
Non possumus
ლათ. (ნონ პოსუმუს)
„არ შეგვიძლია"; კატეგორიული უარი.
Nonsense
ინგლ. (ნონსენს)
ნონსენსი.
უაზრობა, შეუთავსებადობა.
Nord (N)

გერმ. (ნორდ)
ჩრდილოეთი.
Nordost (NO)
გერმ. (ნორდოსტ)
ჩრდილო-აღმოსავლეთი.
Nordwest (NW)
გერმ. (ნორდვესტ)
ჩრდილო-დასავლეთი.
Nosce te ipsum
ლათ. (ნოსცე ტე იფსუმ)
შეიცან თავი შენი.
Nota bene (NB)
ლათ. (ნოტა ბენე)
ნოტა ბენე.
შენიშვნა ტექსტში იმ ადგილას, სადაც სურთ ყურადღების გამახვილება.
Notre-Dame
ფრანგ. (ნოტრ-დამ)
ღვთისმშობელი; ღვთისმშობლის ეკლესია, ტაძარი (კათოლიკეებისა).
NW – იხ. nordwest.

O

O – იხ. ost.
Okay
ინგლ. (ოუქეი)
ოკეი!
ინგლისურენოვან ქვეყნებში თანხმობის ნიშანი – კარგი! კი ბატონო.
Omne initium difficile est
ლათ. (ომნე ინიციუმ დიფფიცილე ესტ)
ყოველგვარი დაწყება ძნელია.
Omnia praeclara rara
ლათ. (ომნია პრეკლარა რარა)
ყველაფერი მშვენიერი იშვიათია (ციცერონი).
Omnium consensu
ლათ. ომნიუმ კონსენსუ)
ყველას თანხმობით.
Opus (op)
ლათ. (ოპუს)
ოპუსი.
კომპოზიტორის ნაწარმოების აღნიშვნა ნომრით.
Oratio obliqua
ლათ. (ორაციო ობლიკვა)
(გამატ.) სხვათა სიტყვა.
Opatores fiunt, poetae nascuntur
ლათ. (ორატორეს ფიუნტ, პოეტე ნასკუნტურ)
იხ. nfscuntur poete, fiunt oratores.
O, sancta simplicitas!
ლათ. (ო, სანქტა სიმპლიციტას)
„ო, წმინდა გულუბრყვილობავ!“ – წამოძახილი მიეწერება იან ჰუსს (1369-1415 წწ.), რომელმაც დაინახა, რომ ერთი მოხუცი ქალი გულმოდგინედ უკეთებდა შეშას ცეცხლს, რომელზედაც მას (ჰუსს) წვაედნენ.
Ost (O)
გერმ. (ოსტ)
აღმოსავლეთი.
O tempora, O mores!
ლათ. (ო ტემპორა, ო მორეს)
„ო, დროებავ, ო, ზნე-ჩვეულებანო!“ (ციცერონის წამოძახილი კატილინას პროცესზე).
Otia dant vitia
ლათ. (ოცია დანტ ვიცია)
უსაქმურობა ბადებს მანკიერებას.

P

Pacta servanda sunt
ლათ. (პაქტა სერვანდა სუნტ)
ხელშეკრულებანი უნდა სრულდებოდეს.
Pardon!
ფრანგ. (პარდო)
პარდონ!
ფრანგ: უკაცრავად, ბოდიში.
Par excellence
ფრანგ. (პარ ექსსელანს)
უპირატესად, განსაკუთრებით.
Par exemple
ფრანგ. (პარ ეგზამპლ)
მაგალითად.
Parlando
იტალ. (პარლანდო)
(მუს.) რეჩიტატივით, ლაპარაკით (სიმღერა).
Pars pro toto
ლათ.. (პარს პრო ტოტო)
ნაწილი მთელის ნაცვლად.
Passim
ლათ. (პასსიმ)
„გაელით“; სხვადასხვა ადგილას, აქა-იქ; იყენებენ ბიბლიოგრაფიულ მითითებებში.
Pater familias
ლათ. (პატერ ფამილიას)
ოჯახის მამა, ოჯახის უფროსი.
Pater noster
ლათ. (პატერ ნოსტერ)
„მამაო ჩვენო“ – ლოცვა (კათოლიკეებში).
Pecunia non olet
ლათ. (პეკუნია ნონ ოლეტ)
„ფულს სუნი არ უდის“; იმპერატორ ვესპასიანეს (9-79წწ.) სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა, როდესაც ფული იშოვა პისუარებზე (ქუჩის ტუალეტი) გადასახადის შემოღებით.
Pele-mele
ფრანგ. (პელ-მელ)
ნარევი, დომხალი.
Per aspera ad astra
ლათ. (პერ ასპერა ად ასტრა)
ეკლიანი გზით ვარსკვლავებისკენ (ე.ი. მიზნისკენ).

Pereat mundus, fiat justicia
ლათ. (პერეატ მუნდუს, ფიატ იუსტიცია)
ქვეყანა რომ დაიქცეს, უნდა აღსრულდეს მართლმსაჯულება.
Per fas et nefas
ლათ. (პერ ფას ეტ ნეფას)
დაშვებული და დაუშვებელი საშუალებებით.
Periculum in mora
ლათ. (პერიკულუმ ინ მორა)
საშიშროება დაყოვნებაშია.
Persona grata lf persona non grata
ლათ. (პერსონა (ნონ(გრატა)
იხ. პერსონა; პერსონა გრატა, პერსონა ნონ გრატა.
Personalia
ლათ. (პერსონალია)
პიროვნებათა საკუთარი სახელების, გვარების ერთობლიობა (მაგ. ენციკლოპედიებში).
Petitio principii
ლათ. (პეტიციო პრინციპიი)
„მოთხოვნა დასაწყისისა"; ნიშნავს: დასკვნა კეთდება ისეთი დებულების საფუძველზე, რომელსაც თვითონ სჭირდება დამტკიცება.
Pia desideria
ლათ. (პია დეზიდერია)
კეთილი სურვილები.
Pianissimo
იტალ. (პიანისსიმო)
(მუს.)
პიანისიმო.
მუსიკალური ნაწარმოების ხმადაბლა შესრულება.
Piano
იტალ. (პიანო)
(მუს.) პიანო.
მუსიკალური ნაწარმოების ძალიან ხმადაბლა შესრულება.
Pieta
იტალ. (პიეტა) პიეტა.
ქმნილება, რომელზეც გამოსახულია იესოს ჯვრიდან ჩამოხსნა და დატირება.
Pinxit
ლათ. (პინქსიტ)
„დახატა" (წარწერა ძველებურ სურათებზე მხატვრის გვარის შემდეგ).
Pizzicato
იტალ. (პიცციკატო)
(მუს.) იხ. პიციკატო.
Pluralia tantum
ლათ. (პლურალია ტანტუმ)
(გრამატ.) მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმის მქონე არსებითი სახელი, რომელიც მხოლობითის მნიშვნელობით იხმარება.
Plus royaliste, que le roi meme
ფრანგ. (პლიუ როიალისტ, კე ლე რუა მემ)
უფრო თავგამოდებული როიალისტი (მონარქისტი), ვიდრე თვით მეფეა.
Pontifex maximus
ლათ. (პონტიფექს მაქსიმუს)
„დიდი პონტიფექსი"; პირი, რომელიც სათაეში ედგა ქურუმთა უმაღლეს კოლეგიას; მე–5 ს.–დან რომის პაპის ტიტულია (იხ. პონტიფექსი).
Post factum
ლათ. (პოსტ ფაქტუმ)
მას შემდეგ, რაც უკვე შესრულდა, მოხდა რამე.
Post hoc ergo propter hoc
ლათ. (პოსტ ჰოკ ერგო პროპტერ ჰოკ)
„ამის შემდეგ – მაშასადამე ამიტომ" (ძველი სილოგიზმი).
Post hominum memoriam
ლათ. (პოსტ ჰომინუმ მემორიამ)
უხსოვარი დროიდან.
Post mortem
ლათ. (პოსტ მორტემ)
სიკვდილის შემდეგ.
Post scriptum (P.S.)
ლათ. (პოსტ სკრიპტუმ)
პოსტსკრიპტუმი.
მინაწერი წერილის ბოლოს. აღინიშნება P.S.
Precipitando
იტალ. (პრეჩიპიტანდო)
(მუს.) აჩქარებით.
Preciso
იტალ. (პრეჩიზო)
(მუს.) ზუსტად, ნათლად, გარკვეულად.
Presto
იტალ. (პრესტო)
(მუს.) ძალიან სწრაფად.
Primus inter pares
ლათ. (პრიმუს ინტერ პარეს)
პირველი თანასწორთა შორის.
Privatim
ლათ. (პრივატიმ)
კერძოდ, კერძო წესით.
Pro bono publico
ლათ. (პრო ბონო პუბლიკო)
სახალხო კეთილდღეობისთვის.
Pro domo sua
ლათ. (პრო დომო სუა)
„საკუთარი სახელისათვის" (ციცერონი), ე.ი. თავისი თავის და თავისი საქმეების დასაცავად, თავისთვის; გამოსვლა პირად საკითხზე.
Pro et contra
ლათ. (პრო ეტ კონტრა)
მომხრე და წინააღმდეგი.
Pro forma
ლათ. (პრო ფორმა)
იხ. .პროფორმა.
Pro memoria

ლათ. (პრო მემორია)
სამახსოვროდ; ვისიმე ხსოვნისთვის.

Pro patria
ლათ. (პრო პატრია)
სამშობლოსათვის.

Propria manu
ლათ. (პროპრია მანუ)

Pro publio bono
ლათ. (პრო პუბლიო ბონო)
ხალხის საკეთილდღეოდ.

Pro tanto
ლათ. (პრო ტანტო)
შესაბამისად.

Pro tempore (შემოკლ. protem)
ლათ. (პრო ტემპორე (პროტემ))
დროზე, თავის დროზე.

P.S. – იხ. post scriptum.

Punctum saliens
ლათ. (პუნქტუმ სალიენს)
„მთრთოლვარე წერტილი". ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი; არსი, დედაარსი.

Punica fides
ლათ. (პუნიკა ფიდეს)
პუნიკური (კართაგენური) კეთილსინდისიერება, ე.ი. მუხანათობა.

Q

Quantite negligeable
ფრანგ. (კანტიტე ნეგლიჟაბლ)
სიდიდე, რომელიც შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული; უმნიშვნელო სიდიდე.

Quantum satis
ლათ. (კვანტუმ სატის)
რამდენიც საჭიროა.

Quasi
ლათ. (კვაზი)
კვაზი
მოჩვენებითი, არანამდვილი, მაგ. კვაზიმეცნიერული, კვაზირევოლუციური.

Qui nimium probat, nihil probat
ლათ. (კვი ნიმიუმ პრობატ, ნიჰილ პრობატ)
ვინც მეტისმეტად ამტკიცებს, ის ვერაფერს ამტკიცებს.

Qui prodest
ლათ. (კვი პროდესტ)
საერთაშორისო სამართალში: ვისთვის არის სასარგებლო?

Qui pro quo
ლათ. (კვი პროკვო)
„ერთი მეორის ადგილას"; არეულ-დარეულობა, გაუგებრობა.

Qui scribit, bis legit
ლათ. (კვი სკრიბიტ, ბის ლეგიტ)
ვინც იწერს, (ის) ორჯერ კითხულობს (ე.ი. უკეთ იხსომებს).

Qui vivra verra
ლათ. (კვი ვივრა ვერრა)
„ვინც იცოცხლებს, (ის) ნახავს"; მომავალი გვიჩვენებს.

Quod erat demonstrandum (Q.E.D.)
ლათ. (კვოდ ერატ დემონსტრანდუმ)
რის დამტკიცებაც გვინდოდა.

Quod licet Jovi, non licet bovi
ლათ. (კვოდ ლიცეტ იოვი, ნონ ლიცეტ ბოვი)
რის უფლებაც იუპიტერს აქვს, იმის უფლება არა აქვს ხარს.

Quot homines, tot sententiae
ლათ. (კვოტ ჰომინეს, ტოტ სენტენციე)
რამდენი ადამიანიც არის, იმდენი აზრიაო (ტერენციუსის სიტყვები).

Quousque tandem!
ლათ. (კვოუსკვე ტანდემ)
როდემდე, ბოლოს და ბოლოს! (ციცერონის წამოძახილი კატილინას წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვებში).

Quo vadis?
ლათ. (კვო ვადის)
„ვიდრე ხვალ"; სად, საით მიდიხარ?

R

Rabbioso
იტალ. (რაბბიოზო)
(მუს.) გაშმაგებით, გააფთრებით.

Raison d'etre
ფრანგ. (რეზო დ'ეტრ)
„არსებობის აზრი"; გონივრული საფუძველი, აზრი.

Ralleentando
იტალ. (რალლენტანდო)
(მუს.) შენელებით.

Reductio ad absurdum
ლათ. (რედუქციო ად აბსურდუმ)
აბსურდამდე, უაზრობამდე მიყვანა (მტკიცების ერთ-ერთი ხერხი, მაგ. გეომეტრიაში).

Rendez-vous
ფრანგ. (რანდე-ვუ)
რანდევუ.
პაემანი, შეხვედრა.

Repetitio est mater studiorum
ლათ. (რეპეტიციო ესტ მატერ სტუდიორუმ)
გამეორება ცოდნის დედაო.

Requiem
ლათ. (რეკვიემ)
რეკვიემი.
რაიმეს მოკლე შინაარსი.

Res judicata

ლათ. (რეს იუდიკატა)
გადაწყვეტილი საქმე.
Res nullius
ლათ. (რეს ნულლიუს)
„არავისი ნივთი"; უპატრონო ნივთი.
Respectiv (resp.)
ინგლ. (რესპექტივ)
ან, ანდა.
Restitutio in integrum
ლათ. (რესტიტუციო ინ ინტეგრუმ)
„მთლიანობაში აღდგენა"; ძველ უფლებებში აღდგენა.
Resume
ფრანგ. (რეზიუმე)
იხ. რეზიუმე.
Revue
ფრანგ. (რევიუ)
რევიუ.
საესტრადო წარმოდგენა.
Rinforzando
იტალ. (რინფორცანდო)
(მუს.) გაძლიერებით; უეცარი კრეშენდო.
Ritardando
იტალ. (რიტარდანდო)
(მუს.) შენელებით.

S

S – იხ. Sud.
S.a. – იხ. sine anno
Salto mortale
იტალ. (სალტო მორტალე)
იხ. სალტო მორტალე
Salus populi suprema lex
ლათ. (სალუს პოპული სუპრემა ლექს)
ხალხის კეთილდღეობა უმაღლესი კანონია (გამონათქვამი ეკუთვნის ციცერონს).
Salut!
ფრანგ. (სალიუ)
სალამი!
Salve!
ლათ. (სალვე)
გამარჯობა! სალამი!
Sancta santorum
ლათ. (სანქტა სანქტორუმ)
წმიდათაწმიდა.
Sancta simplicitas!
ლათ. (სანქტა სიმპლიციტას)
იხ. O, sancta simplicitas!
Sans facon
ფრანგ. (სა ფასო)
„ფასონების", ცერემონიების გარეშე, უცერემონიოდ.
Sapienti sat
ლათ. (საპიენტი სატ)
„ჭკვიანისათვის საკმარისია"; ჭკვიანი მიხვდება, გამგები გაიგებს.
Satis verborum
ლათ. (სატის ვერბორუმ)
კმარა სიტყვები.
Savoir vivre
ფრანგ. (სავუარ ვივრ)
ცხოვრების უნარი, ცხოვრებისეული სიბრძნე.
Scilicet (scil.)
ლათ. (სცილიცეტ)
რა თქმა უნდა, რასაკვირველია; სწორედ რომ; ესე იგი.
Seconda volta
იტალ. (სეკონდა ვოლტა)
(მუს.) მეორედ, ხელმეორედ.
Self-made man
ინგლ. (სელფ-მეიდ მენ)
„თავის თავის შემქმნელი ადამიანი"; პირი, რომელმაც თვითონ, სხვის დაუხმარებლად გაიკვლია გზა ცხოვრებაში.
Semper idem
ლათ. (სემპერ იდემ)
ყოველთვის ერთი და იგივე.
Senior
ლათ. (სენიორ)
უფროსი.
Sensus
ლათ. (სენსუს)
გრძნობა, შეგრძნება.
Sensu stricto
ლათ. (სენსუ სტრიქტო)
ვიწრო გაგებით.
Shocking
ინგლ. (შოქქინგ)
უხამსად, უწესოდ, სკანდალურად, სამარცხვინოდ; უხამსობაა, უწესობაა; სკანდალურია, სამარცხვინოა.
Sic!
ლათ. (სიკ)
„ასე!"; წერენ ფრჩხილებით ტექსტში (უპირატესად ციტატაში) იმ სიტყვის შემდეგ, რომელიც ავტორს სურს საგანგებოდ გახაზოს.
Sic trfsit gloria mundi
ლათ. (სიკ ტრანზიტ გლორია მუნდი)
ასე წარმავალია ამქვეყნიური დიდება.
Silentium
ლათ. (სილენციუმ)
დუმილი, მდუმარება, სიჩუმე.
S'il vous plait
ფრანგ. (ს,ილ ვუ პლე)
„თუ თქვენ მოგწონთ"; გეთაყვა; ინებეთ გეთაყვა.
Sine anno (s.a.)
ლათ. (სინე ანნო)
წიგნის გამოცემის წლის მიუთითებლად (იყენებენ ბიბლიოგრაფიულ ცნობარებში).

Sine cura
ლათ. (სინე კურა)
სინეკურა.
შემოსაელიანი თანამდებობა, რომელიც დიდ შრომას არ მოითხოვს.
Sine loco (s.l.)
ლათ. (სინე ლოკო)
წიგნის გამოცემის ადგილის მიუთითებლად (იყენებენ ბიბლიოგრაფიულ ცნობარებში).
Sine qua non
ლათ. (სინე კვა ნონ)
აუცილებელი პირობა.
Sir
ინგლ. (სე:) სერ.
ინგლისში ტიტული, რომელიც წინ უძღვის სახელსა და გვარს.
Si vis pacem, para bellum
ლათ. (სი ვის პაცემ, პარა ბელლუმ)
თუ გსურს მშვიდობიანობა, ემზადე ომისთვის.
Sonoro
იტალ. (სონორო)
(მუს.) ხმამაღლა.
SOS
ინგლ. (სოს)
უბედურების მაუწყებელი საერთაშორისო რადიოსიგნალი, რომელსაც გადასცემს დაღუპვის პირას მყოფი გემი ან თვითმფრინავი.
Sotto voce
იტალ. (სოტტო ვოჩე)
(მუს.) ნახევარხმით.
Spiritus
ლათ. (სპირიტუს)
სპირიტი.
Sponte sua
ლათ. (სპონტე სუა)
ნებაყოფლობით.
Standard of life
ინგლ. (სტენდად ოვ ლაიფ)
ცხოვრების დონე.
Statu nascendi
ლათ. (სტატუ ნასცენდი)
იხ. in statu nascendi.
Status belli
ლათ. (სტატუს ბელი)
ომის მდგომარეობა.
Status in statu
ლათ. (სტატუს ინ სტატუ)
სახელმწიფო სახელმწიფოში.
Status quo ante
ლათ. (სტატუს პრეზენს)
აწინდელი მდგომარეობა.
Status quo
ლათ. (სტატუს კვო)
არსებული მდგომარეობა (იხ. სტატუს-კვო).
Status quo ante
ლათ. (სტატუს კვო ანტე)
მდგომარეობა, რომელიც იყო გარკვეულ მომენტამდე.
Status que ante bellum
ლათ. (სტატუს კვო ანტე ბელლუმ)
მდგომარეობა, რომელიც იყო ომამდე.
Stretto
იტალ. (სტრეტტო)
(მუს.) აჩქარებით.
Struggle for life
ინგლ. (სთრაგლ ფო:)
ბრძოლა არსებობისთვის.
Sturm und Drang
გერმ. (შტურმ უნდ დრანგ)
„ქარიშხალი და შეტევა"; მე-18 ს.-ის 70-80-იანი წლების გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი მიმდინარეობის სახელწოდება.
Sub conditione
ლათ. (სუბ კონდიციონე)
იმ პირობით, თუ...
Subito
იტალ. (სუბიტო)
(მუს.) თანდათანობით, გადასვლის გარეშე, ერთბაშად.
Subito presto
იტალ. (სუბიტო პრესტო)
ერთ წამში, მყის.
Sub specie aeternitatis
ლათ. (სუბ სპეციე ეტერნიტატის)
მარადისობის თვალსაზრისით.
Sui generis
ლათ. (სუი გენერის)
ერთგვარად, თავისებურად; ერთგვარი, თავისებური.
Summa summarum
ლათ. (სუმმა სუმმარუმ)
„ჯამების ჯამი"; საბოლოო ჯამი, საბოლოო შედეგი.
Suum cuique
ლათ. (სსუუმ კუიკვე)
თითოეულს თავისი.

T

Table d'hote
ფრანგ. (ტაბლ დ,ოტ)
ტაბლდოტი
ბულვარული გაზეთი აშშ-ში.
Tabula rasa
ლათ. (ტაბულა რაზა)
„სუფთა დაფა"; ხელუხლებელი, წმინდა, ყოველგვარი გაელენისგან თავისუფალი რამ.
Tacito consensu

ლათ. (ტაციტო კონსენსუ)
უსიტყვო თანხმობით.
Taedium vitae
ლათ. (ტედიუმ ვიტე)
„ზიზღი სიცოცხლისა"; სიცოცხლის მოყირჭება, სიცოცხლით დაღლილობა.
Tempi passati
იტალ. (ტემპი პასატი)
გარდასული დრო, წარსული.
Terminus ante quem non
ლათ. (ტერმინუს პოსტ კვემ ნონ)
არაუგეიანეს.
Tertium non datur
ლათ. (ტერციუმ ნონ დატურ)
„მესამე არ არის მოცემული"; მესამე შეუძლებელია, ორიდან ერთ-ერთი, ან... ან...
Tertius gaudens
ლათ. (ტერციუს გაუდენს)
„მესამე მოხარულია"; მესამე პირი, რომელიც ხეირს, სარგებლობას ნახულობს ორი მოწინააღმდეგის ბრძოლით.
Testimonium paupertatis
ლათ. (ტესტიმონიუმ პაუპერტატის)
„სიღატაკის მოწმობა"; იტყვიან ვისიმე გონებაშეზღუდულობის, ჭკუანაკლებობის აღსანიშნავად.
Tete-a-tete
ფრანგ. (ტეტ-ა-ტეტ)
„თავი თავთან"; პირისპირ, განმარტოებით (დარჩენა, საუბარი ვინმესთან).
The great charter
ინგლ. (ზი გრეით ჩა:თა)
თავისუფლებათა დიდი ქარტია (იხ. ქარტია). პოლიტიკური დოკუმენტი.
Thesaurus
ლათ. (თეზაურუს)
თეზავრუსი.
განძის დაგროვება, შენახვა.
Time is money
ინგლ. (თაიმ იზ მანი)
„დრო ფულია"; ამერიკელი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის ბ. ფრანკლინის (1706–1790) აფორიზმი.
Timeo Danaos et dona ferentes
ლათ. (ტიმეო დანაოს ეტ დონა ფერენტეს)
მეშინია დანაელებისა (ბერძნებისა), თუნდაც საჩუქრები მოჰქონდეთ (ჩვენთვის); ლექსი ვერგილიუსის „ენეიდადან".
Trade-mark
ინგლ. (თრეიდმარკ)
საფაბრიკო მარკა.
Tres faciunt collegium
ლათ. (ტრეს ფაციუნტ კოლლეგიუმ)
სამი (კაცი) – (უკვე) კოლეგიაა (ე.ი. კრებაა, რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება აეტორიტეტული იყოს); რომაული სამართლის დებულება.
Tutti frutti
იტალ. (ტუტტი ფრუტტი)
„ყოველგვარი ხილი"; რაგინდარა, ყველაფერი.
Tutti quanti
იტალ. (ტუტტი კვანტი)
„(და) ყველა სხვა", ყველა უკლებლივ.

U

Ultima ratio
ლათ. (ულტიმა რაციო)
უკანასკნელი მოსაზრება; გადამწყვეტი საბუთი.
Ultimum refugium
ლათ. (ულტიმუმ რეფუგიუმ)
უკანასკნელი თავშესაფარი.
Ultra
ლათ. (ულტრა)
იქითა მხარეს, გალმა; (გადატ.) უაღრესად, უკიდურესად.
Ultra vires
ლათ. (ულტრა ვირეს)
„ძალებს გადაღმა"; (ვისიმე) ძალას აღემატება.
Una voce
ლათ (უნა ვოცე)
ერთხმად.
Uncle Sam
ინგლ. (ანქლ სემ)
„ძია სემი"; ამერიკის შეერთებული შტატების ირონიული სახელწოდება – აბრევიატურა U. S\-ის (united states – შეერთებული შტატები) თავისებურად გააზრებული გაშიფვრა; ამერიკელთა სახუმარო მეტსახელი.
Unum et idem
ლათ. (უნუმ ეტ იდემ)
ერთი და იგივე.
Urbi et orbi
ლათ. (ურბი ეტ ორბი)
„ქალაქს (იგულისხმება: რომს) და (მთელ) ქვეყანას"; ყველგან, მთელ ქვეყანაზე; ყველას გასაგონად.

V

Va banque!
ფრანგ. (ვა ბანკ)
ვა ბანკ!
აზარტულ თამაშში მთელი ბანკის მოთხოვნა.
Vade mecum
ლათ. (ვადე მეკუმ)
ვადემეკუმი.
გზის მაჩვენებელი პატარა ცნობარი.
Vae victis!
ლათ. (ვე ვიქტის)

ვაი დამარცხებულთ!

Varia

ლათ. (ვარია)
სხვადასხვა.

Veni, vidi, vici

ლათ. (ვენი, ვიდი, ვიცი)
„მოვედი, ვნახე, ვძლიე„ (იულიუს კეისრის (100–44 წწ. ძვ. წელთაღრ.) სიტყვები, რომლითაც მან მიმართა სენატს პონტოს მეფე ფარნაკზე გამარჯვების შემდეგ).

Verba magistri

ლათ. (ვერბა მაგისტრი)
„მასწავლებლის სიტყვები"; ავტორიტეტული ადამიანის სიტყვები.

Verbum sapientibus

ლათ. (ვერბუმ საპიენტიბუს)
„სიტყვა გონიერთათვისაა"; გონიერი მიხვდება სიტყვის დაწყებისთანავე.

Vere

ლათ. (ვერე)
ჭეშმარიტად.

Verte!

ლათ. (ვერტე)
გადააბრუნე (ფურცელი)! (წერენ გვერდის ბოლოში და ნიშნავს: „გაგრძელება იხილე მეორე გვერდზე").

Veto

ლათ. (ვეტო)
ვეტო.
ვკრძალავ (სამართალი)

Via

ლათ. (ვია)
„გზით", გაელით.

Vice versa

ლათ. (ვიცე ვირსა)
მეორე მხარეს, პირიქით.

Viribus unitis

ლათ. (ვირიბუს უნიტის)
შეერთებული ძალებით; ძალა ერთობაშია.

Vis-a-vis

ფრანგ. (ვიზ-ა-ვი)
ვიზავი.
რაიმეს ან ვინმეს პირისპირ.

Volens nolens

ლათ. (ვოლენს ნოლენს)
ნებსით თუ უნებლიეთ.

Volentem ducunt fata, nolentem trahunt

ლათ. (ვოლენტემ დუკუნტ ფატა, ნოლენტემ ტრაჰუნტ)
მორჩილი ბედ-იღბალს მიჰყავს, ურჩს კი – მიათრევს (სტოიკოსების ფრთოვანი გამონათქვამი).

Vox humana

ლათ. (ვოქს ჰუმანა)
(მუს.) „ადამიანის ხმა"; ორგანის რეგისტრი, რომლის ბგერა ადამიანის ხმას ამსგავსებს.

Vox populi vox dei (est)

ლათ. (ვოქს პოპული ვოქს დეი (ესტ))
ხმა ღვთისა – ხმა ერისაო.

W

Week-end

ინგლ. (უი:ქ-ენდ)
უიკენდი.
დასვენების დღე პარასკევიდან ორშაბათ დილამდე. ატარებენ ქალაქგარეთ.

West (W)

გერმ. (ვესტ)
დასავლეთი.

Whitehall

ინგლ. (უაითჰოლ)
უაიტჰოლი.
ქუჩა, სადაც განლაგებულია ინგლისის სამთავრობო დაწესებულებები.

ხალხ. — ხალხური
რუსთ. — რუსთაველი
რაფ. ერისთ. — რაფიელ ერისთავი
დ. გურ. — დავით გურამიშვილი
სოკრ. — სოკრატე
ვაჟა — ვაჟა-ფშაველა
ბიბლ. — ბიბლია
ციც. — ციცერონი
ქ.დ. — ქილილა და დამანა
ნ. ბარათ. — ნ. ბარათაშვილი
ილია — ილია ჭავჭავაძე
აკ. წერ. — აკაკი წერეთელი
სულხან- საბა — სულხან-საბა ორბელიანი
ლუკრეც. — ლუკრეციუსი
ოვიდ. — ოვიდიუსი
შემოკლ. — შემოკლებით
ჰორაც. — ჰორაციუსი
არისტ. — არისტოტელე
პალად. — პალადიუსი
სენ. — სენეკა
კატ. — კატონი
პეტრონ. — პეტრონიუსი
იუვენ. — იუვენილი
ტერენც. — ტერენციუსი
პლატ. — პლატონი
მარც. — მარციალუსი
ვერგ. — ვერგილიუსი
ფ. ბეკ. — ფ. ბეკონი
ი. კეის. — იულიუს კეისარი
კვინტ. — კვინტილიუსი
პლინ. უფრ. — პლინიუს უფროსი
პლუტ. — პლუტონიუსი
პლინ. უმც. — პლინიუს უმცროსი
ლინეი — ლინეი
მუს. — მუსიკა
ლათ. — ლათინური
ფრანგ. — ფრანგული
ინგლ. — ინგლისური
ძ.წ.აღრიცხ. — ძველი წელთაღრიცხვით
იტალ. — იტალიური
გრამატ. — გრამატიკულად

სამართალი
თუ დაგპატიმრეს!

1. დამკავებული ვალდებულია წარმოგიდგინოთ თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი. დაკავებისთანავე უნდა განგიმარტონ დაკავების საფუძველი და თქვენი უფლებები, კერძოდ, დუმილისა და ადვოკატის მოთხოვნის უფლება.

2. სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შედგეს დაკავების ოქმი,რომელშიც აღინიშნება: დაკავების დრო, ვითარება და საფუძველი, რაში ხართ ეჭვმიტანილი, პოლიციაში მიყვანის საათი.

3. მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულია შეატყობინოს თქვენს ახლობლებს დაკავების ადგილსამყოფელი სრულწლოვანის დაკავებიდან ხუთ საათში, არასრულწლოვანის დაკავებიდან - სამ საათში.

4. პიროვნების დადგენა პოლიციაში ან მოკვლევის ორგანოში უნდა დამთავრდეს მიყვანიდან 12 საათში. პიროვნების დადგენისთანავე გამოტანილი უნდა იქნეს დასაბუთებული დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძრის, ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების, ან მისი განთავისუფლების შესახებ.

5. სისხლის სამართლის საქმის აღძრის,ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა გეცნობოთ ხელწერილით და განგემარტოთ თქვენი, როგორც ეჭვმიტანილის უფლებები.

6. დაკავებიდან 48 საათში უნდა წაგიყვანონ ბრალდება, მომდევნო 24 საათში კი მოსამართლემ უნდა დაკმაყოფილოს თავისუფლების აღკვეთის კანონიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკავებიდან 72 საათში უნდა გაგათავისუფლონ.

7. უფლება გაქვთ მოითხოვოთ, რომ დაკითხვა მოხდეს მხოლოდ თქვენი შერჩეული ადვოკატის თანდასწრებით. უფლება გაქვთ უარი თქვათ ჩვენების მიცემაზე.

8. დაუშვებელია თქვენს ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება ჩვენების გამოძალვის მიზნით. ეჭვმიტანილად პირველივე დაკითხვის შემდეგ უფლება გაქვთ მოითხოვოთ გადაუდებელი უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა.

თქვენს უფლებებს იცავს საქართველოს ხელისუფლების მიერ აღიარებული საერთაშორისო ვალდებულებები, საქ. კონსტიტუცია (მუ-17, მუ-18 და 42-ე მუხლები), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (თავი XX) და სხვა საკანონმდებლო აქტები.

თუ სამართალდამცველები შელახავენ თქვენს უფლებებს, შეგიძლიათ იჩივლოთ სასამართლოში ან ზემდგომ თანამდებობის პირთან, ასევე მიმართოთ სახალხო დამცველს.

I. ეჭვმიტანილი

1.1 რა შემთხვევაში შეიძლება ეჭვმიტანილი პირი იქნას დაკავებული?

თუ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, თუ არსებობენ თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე. თუ პირზე ან მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება დანაშაულის აშკარა კვალი. როდესაც პირი მიიმალა და შემდგომ იგი ამოიცნო დაზარალებულმა (სსსკ 142 მუხ.)

1.2 ვის აქვს დაკავების უფლება?

პოლიციელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, მოკვლევის სხვა ორგანოს, გამომძიებელს (სსსკ 143 მუხ.)

1.3 როგორია დაკავების წესი?

თუ პოლიციელი ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი (გამომძიებელი, პროკურორი), დაადგენს, რომ არსებობს დაკავების საფუძვლები, იგი ვალდებულია დაკავებისას გასაგები ფორმით შეატყობინოს დაკავებულ პირს, თუ რის საფუძველზე დააკავა იგი, და განუმარტოს სახელდობრ, რა დანაშაულისთვის არის დაკავებული, რის შემდეგაც უნდა მიიყვანოს იგი სამართალდამცავ ორგანოში (პოლიციაში). თუ არსებობს საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებულს აქვს დანაშაულში მამხილებელი რაიმე მტკიცებულება (ნარკოტიკი, იარაღი ან სხვა) და უნდა თავიდან მოიშოროს, თანამდებობის პირს უფლება აქვს დაკავებისას ჩაატაროს პირადი ჩხრეკა, რაზედაც უნდა შედგეს ოქმი (სსსკ 323 მუხ.)

1.4 როგორია დაკავების ოქმის შედგენის წესი?

ოქმი უნდა შედგეს სამართლებრივ ორგანოში დაკავებულის მიყვანიდან დაუყოვნებლივ. ასეთ შემთხვევაში ოქმში აღინიშნება, თუ რატომ არ იქნა შედგენილი იგი ჩხრეკის ადგილზე. დაკავების ოქმში აღინიშნება: ეჭვმიტანილი– როდის, რა ვითარებაში, კანონის რა საფუძველზე დაკავეს, რა დანაშაულის ჩადენაში არის ეჭვმიტანილი, რომელ საათზე იქნა მიყვანილი პოლიციაში (სსსკ 146 მუხ.)

1. ვინ და რამდენ ხანში ატყობინებს დაკავებულის ნათესავებსა და ახლობლებს მის ადგილსამყოფელს?

მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან, სრულწლოვანი პირის დაკავებიდან ხუთი საათის შემდეგ, ხოლო არასრულწლოვანის დაკავებიდან სამი საათის შემდეგ შეატყობინონ დაკავებულის ნათესავებსა და ახლობლებს დაკავების ადგილი ან ადგილსამყოფელი (სსსკ 138 მუხ.)

1.6 რა ვადაში უნდა დამთავრდეს დაკავებული ეჭვმიტანილი პირის შემოწმება?

ეჭვმიტანილი პირის შემოწმება (პირვნების დადგენა) პოლიციაში ან მოკლეულის ორგანოში უნდა დამთავრდეს მოყვანიდან არაუგვიანეს 12 საათისა. შემოწმების დამთავრების შემდეგ გამოტანილ უნდა იქნას დასაბუთებული დადგენილება სს საქმის არ აღძრის და დაკავებულის განთავისუფლების შესახებ (სსსკ 146 მუხ.)

1.7 რა ვადაში უნდა გამოეცხადოს ეჭვმიტანილად დაკავებულ პირს დადგენილება სს საქმის აღძრის ან პირის ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ?

სს საქმის აღძრის ან პირის ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ დადგენილება დაუყოვნებლივ გამოეცხადება ხელწერილით ეჭვმიტანილს, რომელსაც განემარტება მისი უფლებები (სსსკ 146 მუხ.)

1.8 რა უფლებები გააჩნია ეჭვმიტანილად დაკავებულ პირს?

*დაკავებულმა არა უგვიანეს 12 საათისა ხელზე უნდა მიიღოს სს საქმის აღძრის შესახებ დადგენილების ასლი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რაშია იგი ეჭვმიტანილი;

*მისცეს ან არ მისცეს ჩვენება;

*ისარგებლოს დამცველის მომსახურებით, (არაუმეტეს სამისა), ანაზღაურების დანიშვნით, ან უფასოდ – სახაზინო წესით (დაკავებიდან ეძლევა არანაკლებ სამი საათისა, რათა შეარჩიოს და მოიწვიოს მისთვის სასურველი დამცველი);

*პირისპირ მარტო შეხვდეს დამცველს, დღეში არაუმეტეს 1 საათისა;

*უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

*ეჭვმიტანილად პირველივე დაკითხვის შემდეგ, მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და ექიმის წერილობითი დასკვნა;

*განაცხადოს შუამდგომლობანი და აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი;

*მონაწილეობა მიიღოს თავისი ან დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;

*პროკურორს ან მოსამართლეს წარუდგინოს საჩივარი მოკლეულის ორგანოს, მომკლეულის ან გამომძიებლის მოქმედებისა, თუ გადაწყვეტილების გამო;

*მიიღოს ანაზღაურება იმ ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა სს საქმის უკანონოდ და დაუსაბუთებლად აღძრისა და დაკავების შედეგად (სასამართლოში საჩიერის შეტანით, მორალური და ფინანსური ზიანის ანაზღაურების შესახებ) (სსსკ 73 მუხ.)

1.9 რა დროში უნდა დაიკითხოს ეჭვმიტანილი და ბრალდების წაყენებამდე რა დროით განისაზღვრება დაკავების ვადა?

ეჭვმიტანილი პირი უნდა დაიკითხოს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან არაუგვიანეს 24 საათისა. მოკლეულის ორგანოში მიყვანის მომენტიდან დაკავების ვადა ბრალდების წაყენებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს (სსსკ 146 მუხ.)

1.10 რა შემთხვევაში თავისუფლდება ეჭვმიტანილად დაკავებული პირი?

*მოკლეულის ორგანოში მიყვანის მომენტიდან 48 საათის შემდეგ მომდევნო 24 საათის განმავლობაში, თუ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღმკვეთი ღონისძიების სხვა სახის გამოყენების შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს;

*თუ არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;

*როდესაც დაკავებული პირის დაპატიმრება არ წარმოადგენს აუცილებლობას;

*თუ დაკავებისას არსებითად დაირღვა სს საპროცესო კანონი (სსსკ 146; 150 მუხლები)

1.11 ვის მიერ თავისუფლდება ეჭვმიტანილად დაკავებული?

დაკავებული თავისუფლდება იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელმაც იგი დააკავა. ზედამხედველი პროკურორის დადგენილებით ან დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილებით იმ შემთხვევაში, თუ დაკავების ვადა გავიდა (სსსკ 150 მუხ.)

1.12 რა უფლებებით სარგებლობს ეჭვმიტანილი, რომელიც დაკავებული არ არის?

*მისცეს ან არ მისცეს ჩვენება;

*ისარგებლოს დამცველის მომსახურებით (არაუმეტეს სამი დამცველისა);

*უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

*განაცხადოს შუამდგომლობანი და აცილებანი, წარმოადგინოს მტკიცებულებანი;

*მონაწილეობა მიიღოს თავისი ან დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;

*წარადგინოს საჩივარი;

*მიიღოს ანაზღაურება ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა მოკლეულის ორგანოს, მომკლეულის ან გამომძიებლის უკანონო მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო;

*მიიღოს მომკლეულისაგან ან გამომძიებლისაგან ამომწურავი განმარტება თავისი უფლებების შესახებ;

*ხელზე მიიღოს სს საქმის აღძრისა და მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილებათა ასლები (სსსკ 73 მუხ.)

ეჭვმიტანილის მიერ თავისი უფლებების გამოუყენლობა არ შეიძლება გაგებულ იქნეს მისი დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

1.13 ეჭვმიტანილს, რომელიც დაკავებული არ არის, რა ვადაში წაეყენება ბრალდება?

არაუგვიანეს 30 დღისა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თუ მას ბრალდება არ წაეყენა, დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ უქმდება (სსსკ 72 მუხ.)

II ბრალდებული

2.1 როდიდან ითვლება დაკავებული პირი ბრალდებულად?

*როდესაც ეჭვმიტანილად დაკავებულ პირს გამომძიებელი ან პროკურორი წაუყენებს ბრალდებას (სსსკ 75 მუხ.)

2.2 როგორია ბრალდების წაყენებისა და მისი გაცნობის წესი?

*როდესაც გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილია დადგენილება პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ბრალდებული და მისი დამცველი ეცნობიან დადგენილებას და შემდეგ წერილობით ადასტურებენ, რომ გაეცნენ დადგენილებას ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

*ბრალდების წაყენებისას ბრალდებულს თავის მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე უნდა გადაეცეს თარგმნილი დადგენილების ასლი;

*იმავდროულად ბრალდებულს უნდა გადაეცეს თავისი უფლება-მოვალეობის ნუსხა. გარდა ამისა, გამომძიებელი ან პროკურორი, დამცველის მონაწილეობით, ბრალდებულს განუმარტავს თავის უფლება-მოვალეობებს (სსსკ 75 მუხ.)

2.3 ვინ და რამდენ ხანში ატყობინებს დაკავებული ბრალდებულის ნათესავებსა და ახლობლებს მის ადგილსამყოფელს?

გამომძიებელი, პროკურორი ეალდებული არიან, სრულწლოვანი პირის დაკავებიდან ზუთი საათის შემდეგ, ხოლო არასრულწლოვანის დაკავებიდან სამი საათის შემდეგ შეატყობინონ დაკავებულის ნათესავებსა და ახლობლებს დაკავების ადგილი ან ადგილსამყოფელი (სსსკ 138 მუხ.)

2.4 რა უფლებები გააჩნია ბრალდებულს?

*პირველი დაკითხვის დაწყებამდე უნდა განემარტოს, რომ უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე;

*ისარგებლოს დამცველის მომსახურებით (ეძლევა არა ნაკლებ სამი საათისა, რათა შეარჩიოს და მოიწვიოს თავისთვის სასურველი დამცველი), მასთან შეთანხმებით ანაზღაურების დანიშნით, ან სახაზინო წესით;

*პირისპირ მარტო შეხვდეს დამცველს, მაგრამ არა უმეტეს 1 საათისა დღეში;

*ძიებისას მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების საეალდებულო ჩატარება და მტკიცებულებანი, რომელიც საჭირო იქნება თავის მიმართ წაყენებული ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად;

*თუ სათანადოდ არ ფლობს ენას, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება შეუძლია უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

*პირველი დაკითხვის შემდეგ მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და წერილობითი დასკვნა;

*გამოძიების დროს განაცხადოს შუამდგომლობები და აცილებანი;

*გამოიყენოს თავის ხელთ არსებული ჩანაწერები ან სს საქმეზე დართული დოკუმენტები;

*შეიტანოს საჩივარი გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებებზე;

*გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს წარუდგინოს კერძო გამოძიების მონაცემები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაერთოს საქმეს;

*ექსპერტიზის ჩატარებამდე გაეცნოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

*აცილება მისცეს ექსპერტს;

*დანიშნულ ექსპერტს დაუსვას დამატებითი კითხვები;

*მოითხოვოს ექსპერტის განმარტება მიღებული შედეგების შესახებ;

*მისცეს ექსპერტს საკუთარი განმარტება;

*დაესწროს ექსპერტის დასკვნას და დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღის შემდეგ აღძრას შუამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ;

*მოითხოვოს თავის მიერ არჩეული ექსპერტი;

*საკუთარი ინიციატივით და ხარჯებით ჩაატაროს ალტერნატიული ექსპერტიზა და მოითხოვოს, რომ ექსპერტის დასკვნა დაერთოს საქმეს;

*მონაწილეობა მიიღოს ექსპერტის დაკითხვაში იმ შემთხვევაში, როცა ექსპერტიზა დანიშნული იყო თავისი შუამდგომლობით;

*მოითხოვოს დაპირისპირება პირთან ან პირებთან, რომლებიც მას ამხელენ დანაშაულის ჩადენაში;

*გაეცნოს აღძრულ სს საქმეში არსებულ ყველა იმ მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას;

*წინასწარი გამოძიების დამთავრების, ან საქმის წარმოებით შეწყვეტის დროს დამოუკიდებლად ან დამცველთან ერთად გაეცნოს საქმის ყველა მასალას, ამოიწეროს საქმიდან ყველა საჭირო ცნობა, გადაიღოს

ყველა ასლი და გამოძიების შეჩერების თაობაზე განაცხადოს შუამდგომლობა, რომლის განხილვაც საჭიროა იმ თანამდებობის პირის მიერ (გამომძიებელი, პროკურორი) ვინც უფლებამოსილია მის შუამდგომლობაზე;

*თუ არ ეთანხმება ბრალდებული მის მიმართ აღძრულ სს საქმის წინასწარ გამოძიების სტადიაზე შეწყვეტას, შეუძლია მოითხოვოს საქმის სასამართლოზე გადაცემა და განხილვა, რათა სასამართლომ შეამოწმოს მის მიმართ აღკვეთი ღონისძიების შეფარდებისა და სხვა გარემოებების კანონიერება და დასაბუთებულება;

*იმ შემთხვევაში თუ არ მონაწილეობს დამცველი, მიიღოს მონაწილეობა საქმის სასამართლო განხილვაში და ისარგებლოს მხარის უფლებებით;

*როგორც წინასწარ გამოძიებისას, ისე სასამართლო გამოძიებისას თუ დადასტურდა, რომ უკანონოდ იყო დაპატიმრებული, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს და მიიღოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

*თუ საქმის ძიებისას არ იყო დაპატიმრებული, უფლება აქვს როგორც თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებულს მიიღოს სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ უნდა იყოს ხელფასის ერთ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, ასევე უნდა იყოს რეაბილიტირებული;

*როდესაც მიიღებს გამოძიების დამთავრების შესახებ წერილობით შეტყობინებას, უფლება აქვს დამცველთან ერთად ან მარტო, როდესაც დამცველი არ მონაწილეობს საქმის განხილვაში, გაეცნოს საქმის ყველა მასალას;

*საპატიო მიზეზის არსებობისას, მისივე შუამდგომლობით საქმის გაცნობა გადაიდოს არაუმეტეს შვიდი დღისა;

*იმ შემთხვევაში, თუ მისი დამცველი ან წარმომადგენელი უწყების მიღებიდან 7 დღის განმავლობაში არ გამოცხადდება საქმის მასალების გასაცნობად, მოიწვიოს სხვა დამცველი ან წარმომადგენელი თავისი ხარჯებით ან მოითხოვოს მათი სახაზინო წესით დანიშვნა;

*საქმის გაცნობისას გააკეთოს ამონაწერი, გადაიღოს ნებისმიერი საპროცესო დოკუმენტის ასლი და მოახდინოს ნივთიერი მტკიცებულებების ფოტოგრაფირება;

*თავისი შუამდგომლობითა და ხარჯებით მოახდინოს საქმეში არსებული ყველა დოკუმენტის ან ასლების გადაღება;

*მან, რომელმაც მიიღო საპროცესო დოკუმენტის ასლი საქმეს არ ეცნობა ან ეცნობა მხოლოდ იმ დოკუმენტს, რომლის ასლიც მისთვის არ გადმოუცათ;

*საქმის მასალების გაცნობისას დღე-ღამეში უნდა გამოიყენოს არა ნაკლებ 6 საათისა და არა უმეტეს 8 საათისა (სსსკ 73; 76 მუხლები)

*საკუთარი ხარჯებით იქონიოს მიმოწერა ან სატელეფონო საუბარი, მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვით;

*ყოველდღე ისარგებლოს ერთსაათიანი გასეირნებით იზოლატორში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას (არასრულწლოვან და ფეხმძიმე ქალებს უფლება აქვთ 2 საათის ხანგრძლივობით);

*ისარგებლოს პაემანით, ნათესავებთან და ახლობლებთან, იმ შემთხვევაში, თუ ამის ნებართვას გასცემს ის ორგანო და თანამდებობის პირი, ვის წარმოებაშიც არის საქმე.

*ბრალდებულ პატიმარს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, შეუზღუდავი უფლება აქვს თავისი ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენელთან შეხვედრისა;

*ისარგებლოს უფასო კვებით, ინდივიდუალური საძინებელი ადგილითა და სხვა საყოფაცხოვრებო მატერიალური უზრუნველყოფით.

*მიიღოს დამატებითი კვების პროდუქტები ან სასურსათო ამანათები საკუთარი სახსრებით;

*ისარგებლოს თავისი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. იმ შემთხვევაში, თუ მას არ გააჩნია ტანსაცმელი (სეზონური), აღმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნულით;

*თან იქონიოს საბუთები და ჩანაწერები, რომლებიც შეეხება მის მიმართ აღძრულ სს საქმეს;

*ისარგებლოს ყოველდღიური პრესით, სხვა ლიტერატურით, კულტსაგნებითა და თამაშებით;

*ისარგებლოს აბანოთი;

*განცხადებებითა და საჩივრებით მიმართოს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც იზოლატორის აღმინისტრაციის მიერ დანიშნულებისამებრ უნდა გაიგზავნოს 3 დღის ვადაში;

*ბრალდებულ ქალებს უფლება აქვთ თან იყოლიონ 3 წლამდე ასაკის ბავშვი;

*იქორწინოს სხვა სქესის პატიმართან ან პირთან, რაც უნდა გაფორმდეს იურიდიულად ადგილობრივ მმაჩი-ს ბიუროში საპყრობილის სპეციალური საპატიმრო განყოფილების (საგამოძიებო იზოლატორის) ადგილსამყოფელის მიხედვით.

2. როგორია ბრალდებულის დახურული ტიპის საპყრობილის სპეციალურ საპატიმრო განყოფილებაში (საგამოკიებო იზოლატორში) მოთავსების წესი?

*როდესაც პირს, როგორც ბრალდებულს სასამართლოს მიერ შეეფარდება აღკვეთი ღონისძიება პატიმრობა, დაუყოვნებლივ უნდა მოათავსონ სპეციალურ საპატიმრო განყოფილებაში (საგამოძიებო იზოლატორში);

*საპყრობილეში მიღების დროს ბრალდებული და მისი პირადი ნივთები საგულდაგულოდ მოწმდება. პატიმრის შემოწმებას ახდენს ციხის იმავე სქესის თანამშრომელი;

*ფული და სხვა რაიმე ძვირფასი ნივთი ბარდება საპყრობილის საფინანსო განყოფილებაში, რაც უნდა გაფორმდეს დოკუმენტურად;

*ბრალდებულს მოთავსებისთანავე უფასოდ უტარდება სამედიცინო შემოწმება. (აშკ 87 მუხ.)

2.6 როგორია ბრალდებულის მოკლევადიანი გათავისუფლების წესი?

*არსებით და გადაუდებელ პირად სამართლებრივ საქმეებზე, რომელიც მოითხოვს პატიმრობაში მყოფი პირის უშუალო მონაწილეობას, გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს, შეუძლიათ მისცენ პატიმრობაში მყოფ პირს მოკლევადიანი გათავისუფლების ნება ზედამხედველობის ქვეშ სამი დღის ვადით;

*ხარჯები, რაც დაკავშირებულია მოკლევადიან გათავისუფლებასთან დაეკისრება პატიმრობაში მყოფ პირს;

*მოკლევადიან გათავისუფლებაზე ნებართვის გაცემის საფუძველია პატიმრობაში მყოფი პირის შუამდგომლობა (აშკ 90 მუხ.).

2.7 რა დისციპლინარული სასჯელი ედება ბრალდებულს?

*საპყრობილის რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის ბრალდებულს ედება დისციპლინარული პასუხისმგებლობა: საყვედური ან კარცერში გადაყვანა 10 დღემდე ვადით (აშკ 91 მუხ.)

პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები არ არიან ვალდებულნი იმუშაონ.

2.8 როგორია თავისუფლებაალკვეთილ პირების ქმაყოფაზე მყოფ დასმარების გარეშე დარჩენილ პირთა სამეურვეოდ გადაცემის წესი?

თუ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს დარჩება არასრულწლოვანი შვილი, ხანდაზმული მშობელი, ქმაყოფაზე მყოფი სხვა პირი, რომელიც ზედამხედველობისა და დახმარების გარეშეა, მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან ისინი სამეურვეოდ გადასცენ ნათესავებს, სხვა პირებს ან დაწესებულებებს (სსსკ 139 მუხ.)

2.9 რა ბედი ეწევა უმეთვალყურეოდ დარჩენილ ქონებას ან საცხოვრებელ ბინას?

თუ თ/ა პირს, უზედამხედველოდ რჩება ქონება ან საცხოვრებელი ბინა, მაშინ მომკვლევმა, გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ უნდა გაატარონ მისი დაცვის ღონისძიებანი (სსსკ 139 მუხ.)

2.10 ეცნობება, თუ არა თ/ა პირებს გატარებული ღონისძიების შესახებ?

დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ, რის შესახებაც მომკვლევის, გამომძიებლის, ან პროკურორის მიერ დგება ცნობა, რაც დაერთვის სს საქმეს ან კეთდება ჩანაწერი სასამართლო ოქმში (სსსკ 139 მუხ.)

2.11 რა ვადით შეიძლება ბრალდებულის ყოფნა სამედიცინო დაწესებულებაში?

ბრალდებული, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, შეიძლება მოთავსდეს სამედიცინო დაწესებულებაში არაუმეტეს ერთი თვის ვადით. განსაკუთრებულ შემთხვევაში სტაციონარული ექსპერტიზის ჩამტარებელ ექიმთა დასკვნის საფუძველზე, იმ მოსამართლის ბრძანებით (განჩინებით) ვის წარმოებაშიც არის საქმე და ვადა შეიძლება გაგრძელებულ იქნეს კიდევ 1 თვით (სსსკ 181 მუხ.)

2.12 ბრალდებული წინასწარი გამოძიების სტადიაზე რა შემთხვევაში თავისუფლდება პატიმრობიდან?

სს საქმის წარმოებით შეწყვეტისას ან ამნისტიის საფუძველზე.

III ამოღება და ჩხრეკა

3.1 როგორია ამოღების და ჩხრეკის ჩატარების წესი?

*ამოღება ან ჩხრეკა ტარდება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას გამოელენილ საჭიროების შემთხვევაში მოსამართლის განჩინებით.

*ამოღების ან ჩხრეკის დაწყებამდე მისი ჩამტარებელი თანამდებობის პირი ვალდებულია ხელწერილით გააცნოს სასამართლო ბრძანება ან დადგენილება პირს, ვისთანაც უნდა ჩატარდეს ჩხრეკა ან ამოღება.

*ჩხრეკას ან ამოღებას ესწრებიან დამსწრეები არანაკლებ ორი პირისა. საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტი და თარჯიმანი.

*თუ არსებობს კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ დათვალიერება, ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე, რომლის კანონიერება და დასაბუთებულობა უნდა შეამოწმოს მოსამართლემ მასალების წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა (სსსკ 322 მუხ.)

3.2 ამოღების ან ჩხრეკის დროს საჭიროა თუ არა ოქმის შედგენა?

ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ მომკვლევი, გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს, რასაც ხელმოწერით ადასტურებენ ამოღების ან ჩხრეკის ჩამტარებელი თანამდებობის პირი, დამსწრეები და პირი, რომელთანაც ჩატარდა ჩხრეკა ან ამოღება. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების დროს მონაწილე პირებს შენიშვნების ან განცხადების გაკეთების უფლება აქვთ, რაც წერილობით უნდა დაფიქსირდეს ოქმში (სსსკ 326 მუხ.)

IV განსასჯელი

4.1 ვინ არის განსასჯელი?

ბრალდებული, რომელიც მიცემულია სამართალში ე.ი. პირი, რომლის მიმართაც დამთავრებულია წინასწარი გამოძიება და სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლოს (სსსკ 75 მუხ.)

4.2 რა უფლებები გააჩნია განსასჯელს?

*ისარგებლოს დამცველის მომსახურებით მასთან შეთანხმებით ანაზღაურების დანიშვნით ან სახაზინო წესით;

*თუ სათანადოდ არ ფლობს ენას, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო გამოძიება შეუძლია უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

*სასამართლო გამოძიების დროს განაცხადოს შუამდგომლობები და აცილებანი;

*გამოიყენოს თავის ხელთ არსებული ჩანაწერები ან სს საქმეზე დართული დოკუმენტები;

*შეიტანოს საჩივარი გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედებებზე;

*მოსამართლეს წარუდგინოს კერძო გამოძიების მონაცემები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაერთოს საქმეს;

*აცილება მისცეს ექსპერტს;

*დანიშნულ ექპერტს დაუსვას დამატებითი კითხვები;

მოითხოვოს ექსპერტის განმარტება მიღებული შედეგების შესახებ;

*მისცეს ექსპერტს საკუთარი განმარტება;

*დაესწროს ექსპერტის დასკვნას და დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს ათი დღის შემდეგ აღძრას შუამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ;

*მოითხოვოს თავის მიერ არჩეული ექსპერტი;

*საკუთარი ინიციატივით და ხარჯებით ჩაატაროს ალტერნატიული ექპერტიზა და მოითხოვოს ექსპერტის დასკვნა დაერთოს საქმეს;

*მონაწილეობა მიღოს ექსპერტის დაკითხვაში იმ შემთხვევაში, როცა ექსპერტიზა დანიშნული იყო მისი შუმდგომლობით;

*მოითხოვოს დაპირისპირება პირთან ან პირებთან, რომლებიც მას ამხელენ დანაშაულის ჩადენაში;

*მიიღოს მონაწილეობა საქმის სასამართლო განხილვაში და ისარგებლოს მხარის უფლებებით იმ შემთხვევაში თუ არ მონაწილეობს დამცველი;

*მას უფლება აქვს საპყრობილის სპეციალურ საპატიმრო განყოფილებაში (საგამოძიებო იზოლატორში) მოთავსებისთანავე უფასოდ ისარგებლოს იზოლატორის სამედიცინო მომსახურებით.

*ყოველდღე ისარგებლოს ერთ საათიანი გასეირნებით იზოლატორში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას (არასრულწლოვან და ფეხმძიმე ქალებს უფლება აქვთ 2 საათის ხანგრძლივობით);

*ისარგებლოს პაემანით, ნათესავებთან და ახლობლებთან, იმ შემთხვევაში, თუ ამის ნებართვას გასცემს ის ორგანო და თანამდებობის პირი ვის წარმოებაშიც არის საქმე.

*ყოველთვიურად მიიღოს ამანათი და ფულადი გზავნილები;

*ისარგებლოს თავისი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. იმ შემთხვევაში თუ მას არ გააჩნია ტანსაცმელი (სეზონური) ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნულით;

*თან იქონიოს საბუთები და ჩანაწერები, რომლებიც შეეხება მის მიმართ აღძრულ სს საქმეს;

*ისარგებლოს ყოველდღიური პრესით, სხვა ლიტერატურით, კულტსაგნებითა და თამაშებით;

*ისარგებლოს აბანოთი;

*განცხადებებითა და საჩივრებით მიმართოს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც იზოლატორის ადმინისტრაციის მიერ დანიშნულებისამებრ უნდა გაიგზავნოს 3 დღის ვადაში;

*განსასჯელ ქალებს უფლება აქვთ თან იყოლიონ 3 წლამდე ასაკის ბავშვი;

*იქორწინოს სხვა სქესის პატიმართან ან პირთან, რაც უნდა გაფორმდეს იურიდიულად ადგილობრივ მმაჩი-ს ბიუროში საგამოძიებო იზოლატორის ადგილსამყოფელის მიხედვით;

*ისარგებლოს უფასო კვებით, ინდივიდუალური საძინებელი ადგილითა და სხვა საყოფაცხოვრებო მატერიალური უზრუნველყოფით;

*თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებულ ბრალდებულს უფლება აქვს, თუ იგი დაპატიმრებული არ არის და სხვაგან არ მუშაობს მიიღოს სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ უნდა იყოს შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

4.3 რა შემთხვევაში თავისუფლდება განსასჯელი?

ა) როდესაც განსასჯელს არ დაუდგინდება წაყენებული ბრალდება და სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნება გამამართლებელი განაჩენი;

ბ) დაადგინეს გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ განსასჯელს არ დაუნიშნეს სასჯელი;

გ) გაათავისუფლეს სასჯელისგან;
დ) პირობითად დასდეს მსჯავრი;
ე) გადაუვადეს განაჩენის აღსრულება;
ვ) დაუნიშნეს სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან;
ზ) სასჯელად დაუნიშნეს თავისუფლების აღკვეთა, რომელიც არ აღემატება წინასწარ პატიმრობაში მსჯავრდებულის ყოფნას;
თ) ამნისტიით. (სსსკ 513 მუხ.)

შემოკლებულ სიტყვათა განმარტება ტექსტში:
სს – სისხლის სამართალი
სსკ – სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
თ/ა – თავისუფლების აღკვეთა
სად – სასჯელაღსრულების დაწესებულება
პშკ – პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონი

საპატიმროებში დაშვებული და აკრძალული ნივთების სია

აკრძალულია: ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ყველა სახეობა, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ფეთქებადი, მომწამლავი და ცეცხლსაშიში ნივთიერებები; ფული, ფასეული ნივთები, ფასიანი ქაღალდები, ოპტიკური ხელსაწყოები; საკვები ნივთიერებები, რომლებიც საჭიროებს სითბურ დამუშავებას, ყავისა და ჩაის გარდა; აკრძალულია საფუარი და შაქარი, ალკოჰოლური სასმელების ყველა სახეობა, ლუდი, სუნამო, ოდეკოლონი და სპირტზე დამზადებული სხვა ნივთიერებები, წამლები და ნარკოტიკული ნივთიერებები, სამედიცინო დანიშნულების საგნები, გასამრავლებელი აპარატი, დანები, ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, სანთებელა, ნაჯახი, ჩაქუჩი და სხვა იარაღები, ბანქო, ფოტოაპარატი, ფოტომასალა, ქიმიკატები, ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი, ნებისმიერი დოკუმენტი გარდა სასამართლო განაჩენისა და გადაწყვეტილების ასლებისა, ტოპოგრაფიული რუკები და კომპასები, დაუდგენელი ნიშნების სამხედრო და სხვა ფორმის ტანსაცმელი, ქუდები და ფეხსაცმელი, ფერადი ფანქრები, საღებავები და კოპირების ქაღალდები.

დაშვებულია: თამბაქო და ახალთი, ტანსაცმელი, ქუდი, ფეხსაცმელი, საწოლის ნივთები, საცვლები, ცხვირსახოცი, ქამარი, წინდები, ხელთათმანები, ოთახის ფლოსტები, ძაფები, პირსახოცი, ტუალეტის ნივთები (საპონი, კბილის ჯაგრისი).

ქალებისთვის: თავსაფრები, მარლა, თმის სამაგრები, ბამბა, შამპუნი, კოსმეტიკური ნივთები.

სარკე, მექანიკური, ელექტრო ან ერთჯერადი სამართებელი, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ჯაგრისები, ფეხსაცმლის საცხი, საპნისა და კბილის ჯაგრისის ბუდეები, ჭურჭელი, ჭიქები, სამაგიდო თამაშები გარდა ბანქოსი, სახელმძღვანელოები, ლიტერატურა, რვეულები, საფოსტო კონვერტები, უბრალო ფანქრები, ავტოკალმები, ფოტოალბომი, სპორტული ტანსაცმელი, ქარხნული წარმოების ელექტრომადულარა, არაძვირფასი ლითონისგან დამზადებული ჯვრები და საკულტო საგნები, არაძვირფასი ლითონისგან დამზადებული მაჯისა და ჯიბის საათები, ტელევიზორი, რადიომიმღები, ვიდეო ან აუდიომაგნიტოფონი, ყავარჯნები, ხის ხელჯოხი, პროთეზი, ინვალიდის სავარძელი – მხოლოდ ექიმის ნებართვით.

წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელი

განსაზღვრება „წამება" ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ ზნეობრივს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება, დასაჯონ ეს პირი მის მიერ ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან ისეთი მოქმედებისათვის, რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როცა ასეთ ტკივილს ან ტანჯვას ამ პირს აყენებს სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან ხდება მათი წაქეზებით, ნებართვის თუ უსიტყვო თანხმობით. (გაერო-ს წამების წინააღმდეგ კონვენციის I მუხლი).

გამოყენებული წყაროები

1. Теория государства и права – В.Г. Хропанюк.
2. Проблемы общей теории права и государства – Под общей редакцией академика Российской Академии наук, профессора В.С. Нерсесянца.
3. საპროცესო დოკუმენტების ნიმუშები – დავით მანაგაძე, ნინო ციხისელი.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
5. უცხო სიტყვათა ლექსიკონი – ბიჭი თეზელიშვილი.

ტერმინთა საძიებელი

ა

აბდიკაცია 15

აბიურაცია 15

აბოლაცია 15

აბოლიციონიზმი 15

აბოლიცია 15

აბორტი 15

აბრაგი 15

აბრეკი 15

აბსენდიზმი 15

აბსოლუტიზმი 15

აბსოლუცია 15

აბსტრაქტული გარიგება 15

აგენტი 15

აგენტირების ხელშეკრულება 17

აგიტატორი 17

აგიტაცია 17

აგონია 17

აგრარული უფლება 17

აგრემანი 18

აგრესია 18

აგროქიმიური მომსახურების საქმიანობის ლიცენზირება 19

ადათი 19

ადამიანებით ვაჭრობა 19

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია 19

ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოება 20

ადამიანის გარემო 20

ადამიანის გატაცება 20

ადამიანის ორგანოების ან ქსოვილების ტრანსპლანტაციისთვის ამოღების იძულება 20

ადამიანის სამკვიდრებელი გარემო 20

ადამიანის უფლებათა დარღვევების კლასიფიკაცია 20

ადამიანის უფლებათა დოკუმენტების ნუსხა 20

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 20

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი 21

ადამიანის ცხოველქმედების ხელსაყრელი პირობები 21

ადგილზე დათვალიერება 21

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ 21

ადგილობრივი თვითმმართველობა 21

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები 22

ადვოკატი 22

ადვოკატის საიდუმლოება 25

ადიუდიკაცია 25

ადიულტერი 25

ადმინისტრაცია 25

ადმინისტრაციის მეთაური 26

ადმინისტრაციული 26

ადმინისტრაციული აქტი 26

ადმინისტრაციული გადაცდომა 26

ადმინისტრაციული დაკავება 26

ადმინისტრაციული დაპატიმრება 27

ადმინისტრაციული ზედამხედველობა 27

ადმინისტრაციული იურისდიქცია 27

ადმინისტრაციული იუსტიცია 27

ადმინისტრაციული იძულება 27

ადმინისტრაციული კოდექსი 28

ადმინისტრაციული კოდექსი 28

ადმინისტრაციული კომისიები 29

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 29

ადმინისტრაციული პროცედურა 30

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 30

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქმეების წარმოება 31

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმეზე დადგენილების შესრულება 31

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის გადაწყვეტა 31

ადმინისტრაციული სამართალი 31

ადმინისტრაციული სამართალი 32

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დამოკიდებულება 32

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმა 32

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სტატუსი 32

ადმინისტრაციული სანქცია 34

ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი 34

ადმინისტრაციული სასჯელი 34

ადმინისტრაციული სასჯელის დაკისრების შესახებ დადგენილების შესრულების ვადები 35

ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართალი 35

ადმინისტრაციული უფლებაუნარიანობა 36

ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა 36

ადმინისტრაციული შეთანხმება 36

ადრე გადახდილი გადასახადის დაბრუნება 36

ადრე გადახდილი გადასახადის ჩათვლა 36

ავადმყოფისთვის დახმარების გაწევლობა 36

ავადმყოფობის შურცელი 37

ავალი 37

ავანსი 37

ავანტიურა 37

ავარია 37

ავთენიკური განმარტება 38

ავიზო 38

ავტობიოგრაფია 38

ავტოგრაფი 38

ავტოკრატია 38

ავტომობილის ან სხვა სატრანსპორტოსაშუალების არამართლზომიერი დაუფლება ქურდობის მიზნის გარეშე 38

ავტონომია 38

ავტონომიური 39

ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაცია 39

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები 39

ავტორის ქონებრივი უფლებები 39

ავტორიტარიზმი 40

ავტორიტარული 40
ავტორიტარული სახელმწიფო 40
ავშარი 40
ავუნკულატი 40
აზარტული თამაში 40
ათონის აქტები 41
ათორნეი – გენერალი 41
აიათოლა 41
აინ ფოლკ, აინ რაიხ, აინ ფიშერ 41
აკვატორია 41
აკლამაცია 41
აკორდული 41
აკრედიტივი 41
აკრედიტირება 42
აკრძალული საშუალებები და ომის წარმოების მეთოდები 42
ალანია 42
ალასტანელი 42
ალეა იაქტა ესტ 42
ალეატორული ვალდებულებები 42
ალიანსი 43
ალიბი 43
ალიმენტი 43
ალო 43
ალოდი 43
ალონჟი 43
ალტერნატი 43
ალტერნატივა 43
ალტერნატიული ვალდებულება 43
ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური 43
ამაწურასგუ 44
ამბულატორული იძულებითი დაკვირვება და მკურნალობა ფსიქიატრთან 44
ამილახორი, ამირახორი 44
ამირა 44
ამირბარი, ამილბარი 44
ამირეჯიბი 44
ამირსპასალარი 44
ამირჩქარი 44
ამნისტია 44
ამომრჩეველი 45
ამონაწერის გაფორმება 45
ამორტიზაცია 45
ამოსაცნობად წარდგენა 45
ამოღება 45
ამოღების და ჩხრეკის მიზანი 46
ამოცნობა 48
ამსრულებლის ექსცესი 48
ამქარი 48
ამხანაგობა რწმენაზე 48
ანაბარი 48
ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის ხელშეკრულება 49
ანაკტი 50
ანალოგია 50
ანარქია 50
ანარქიზმი 50
ანარქიული 50
ანარქო-სინდიკალიზმი 51
ანატები 51
ანგარიში 51
ანგარიშსწორება ნაღდი 51
ანგარიშსწორება უნაღდო 51
ანდერძი 51
ანდერძის აღსრულება 51

ანდერძის გაუქმება 52
ანდერძის ფორმა 52
ანკლავი 52
ანტაგონიზმი 52
ანტითეზა 52
ანტითეზისი 52
ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა 52
ანუიტეტი 53
აპანაჟი 53
აპარტეიდი 53
აპასტამბას კანონები 53
აპელანტი 53
აპელაცია 53
აპელაცია საარბიტრაჟო პროცესში 54
აპელაცია სამოქალაქო პროცესში 55
აპელაცია სისხლის სამართლის პროცესში 55
აპრე ნუ ლიო დელუჟ 55
აპრიორი 55
აპრიორული 56
არაბირთვული ზონა 56
არაკეთილსინდისიერი კონკურენცია 56
არაკეთილსინდისიერი მფლობელობა 56
არაკომერციული ამხანაგობა 56
არაკომერციული პარტნიორობა 57
არამართლზომიერი ქმედებები გაკოტრების დროს 57
არამატერიალური კეთილდღეობები 57
არანჟირება 57
არასათანადო მხარე 57
არასათანადო რეკლამა 57
არასახელმწიფო საკენსიო ფონდი 57
არასრული სამუშაო დრო 58
არასრულწლოვანებით ვაჭრობა 58
არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები 58
არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 59
არასრულწლოვანთა შრომა 59
არასრულწლოვანი 60
არასრულწლოვანის ალზრდის ვალდებულების შეუსრულებლობა 60
არასრულწლოვანისთვის სასჯელის შეფარდება 60
არასრულწლოვანის შრომა 60
არასრულწლოვანის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივი ქმედებების ჩადენაში 60
არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში 60
არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები 60
არბიტრაჟი 61
არბიტრაჟი საერთაშორისო სამართალში 61
არბიტრი 61
არგნოსანი 61
არგუმენტი 61
არგუმენტაცია 61
არგუმენტირება 61
არენდა 61
არენდატორი 61
არეოპაგი 61

არისტოკრატია 61

არისტოკრატიზმი 62

არს ლონგა, ვიტა ბრევის 62

არქიპელაგის წყლები 62

არჩევითი თანამდებობები 62

არჩევნების ჩატარების წესი და მნიშვნელობა 62

ასაკი 64

ასამბლეა 64

ასაფეთქებელი მოწყობილობები 64

ასაფეთქებელი ნივთიერებები 64

ასიგნატები 64

ასიგნირება 64

ასისტენტი 64

ახლის გაფორმება 64

ასორტიმენტი 65

ასოციაცია 65

ასოცირება 65

ატაშე 65

ატესტაცია 65

ატესტაცია 65

ატმოსფერულ-საჰაერო საზოგადოებრივი ურთიერთობები 65

ატმოსფერულ-საჰაერო სამართალი 65

ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედებისა და მათი წყაროების სახელმწიფო აღრიცხვა 65

ატმოსფერული ჰაერი 65

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება 66

ატმოსფერული ჰაერის დაცვა 66

ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა 66

ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი 66

ატმოსფერული ჰაერის სახელმწიფო მონიტორინგი 66

ატმოსფერული ჰაერის ტრანსსაზღვრო დაბინძურება 66

ატმოსფერული ჰაერის ხარისხი 66

ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმირება 66

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ეკოლოგიური ნორმატივი 66

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვისა და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედებების ნორმატივები 66

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვი 66

აუდიოვიზუალური ნაწარმოები 67

აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი 67

აუდირება 67

აუდიტორი 67

აუდიტორია 67

აუთენტიკური 67

აუტოდაფე 67

აუქსანომეტრი 67

აუქციონი 67

აუქციონი 68

აუცილებელი თავდაცვა 68

აუცილებელი მოგერიება 69

აუცილებელი თავდაცვის საზღვრების გადამეტებისას ჩადენილი მკვლელობა 69

აუცილებელი თავდაცვის ფარგლების გადამეტება 69

აფექტი[1] – 69

აფექტი[2] 69

აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა 69

აფილირებული პირები 70

აქტები მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების უფლების შესახებ 70

აქტი 70

აქტივი 70

აქტიური ფასიანი ქაღალდები 71

აქცეპტი 71

აქცესორული 71

აქცეპტანტი 71

აქციპტური კრედიტი 71

აქცია 71

აქციზი 73

აქციონერი 73

აქციონერული 73

ალთქმა, დაპირება, პირობა სიტყვის მიცემა 73

ალიარება 73

ალიარებითი სარჩელი 73

ალკჟეთის ღონისძიებანი წაკი 20 73

ალკჟეთის ღონისძიება 74

ალმასრულებელი წარმოება 74

ალმასრულებელი ხელისუფლების ორგანო 75

ალმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტები 75

ალმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემა 75

ალმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ზომები 76

ალმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიება 76

ალმკვეთი ღონისძიება 76

ალმოჩენა 77

ალნაგობა 77

ალსარება 77

ალსრულება 77

ალწერა 77

აცილება 78

აშკარა არასწორი თარგმანი 78

აშკარად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება 78

აშკარად უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა 78

აშკარა ცრუ რეკლამა 78

აშკარა ცრუ ჩვენება 78

ახალგაზრდა სპეციალისტი 78

ახალგაზრდობის შრომა 78

ახალი დანაშაულების ჩადენის თავიდან აცილება 78

ახლობელი პირები 79

ახლო ნათესავები 79

აჯა 79

ბ

ბაგრატ კურაპალატის სამართალი 79

ბაზარი 79

ბათილამა, ბათილამის წიგნი 80

ბათილი გარიგება 80

ბანდა 80

ბალანსები ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის სფეროში 81

ბალანსი 81

ბალანსირება 81
ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი 81
ბანკი-ბარანტი – 82
ბანკი 82
ბაჟი 82
ბარბაროსი 83
ბარბაროსობა 83
ბარბაროსები 83
ბარბაროსთა სამართლის ძეგლები 83
ბარტერული გარიგება 83
ბეგარა 84
ბელგა 84
ბენეფისი 84
ბენეფიციარი 84
ბენეფიციუმი 84
ბენილუქსი 84
ბენილუქსის ხელმძღვანელი ორგანოები 85
ბერბოუტ-ჩარტერი 85
ბიზნესი რეტროს სტილში 85
ბილი 87
ბიოლოგიური იარაღი 87
ბიოლოგიური მრავალფეროვნება 87
ბიოლოგიური რესურსები 87
ბიოლოგიური შეურაცხადობის კრიტერიუმი 87
ბიოსფერული ნაკრძალები 88
ბიოსფერული პოლიგონები 88
ბიოციდი 88
ბირთვულ მასალებთან ან რადიოაქტიურ ნივთიერებებთან უკანონო მოპყრობა 88
ბირჟა 88
ბირჟა 91
ბირჟა 91
ბიულეტენი 91
ბიურო 91
ბიუროკრატი 91
ბიუროკრატია 91
ბიუჯეტი 92
ბლანკეტური ინდოსამენტი 92
ბლანკეტური 92
ბლანკი 92
ბოიკოტი 92
ბოიშრენდი 93
ბონი 93
ბონიტეტი 93
ბონიფიკაცია 93
ბოძაული 93
ბოროტად გამოყენება ფასიანი ქაღალდების გამოშვების დროს 93
ბრაკონიერობა 93
ბრალდება 93
ბრალდებითი პროცესი 93
ბრალდებული 94
ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება 94
ბრალმდებელი 94
ბრალდება 94
ბრალდებული 94
ბრალდებულის უფლებები მუხლი 76 95
ბრალდებულის ჩვენებები 95
ბრალი 95
ბრეჰონთა კანონები 97
ბროკერი 97

ბრძანება 97

ბრძანების ან განკარგულების შესრულება 98

ბრძანებულება 98

ბულა 98

ბუნაგის ორგანიზება ან შენახვა ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებისათვის 98

ბუნაგის შენახვა 98

ბუნება 98

ბუნებითსარგებლობა 98

ბუნებითი სამართალი 98

ბუნების მსოფლიო ქარტია 98

ბუნების ძეგლები 99

ბუნებრივი გარემო 99

ბუნებრივი გარემოს დაცვა 99

ბუნებრივი კომპლექსები 99

ბუნებრივი პარკები 99

ბუნებრივი რადიაციული ფონი 99

ბუნებრივი რესურსები 99

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა 99

ბუნებრივი რესურსების გამოყენება 99

ბუნებრისი რესურსების კადასტრები 99

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება 99

ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა 100

ბუნებრივი რესურსების სამართალი 100

ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კადასტრები 100

ბუნებრივი რესურსების ფონდები 100

ბუნებრივი სამკურნალო რესურსები 100

ბუნებრივი სამკურნალო რესურსების შემუშავებისა და გამოყენების ტექნოლოგიური სქემა 100

ბუნებრივი ნაკრძალის ფონდი 100

ბუნებრივ-სამართლებრივი თეორია 100

ბუქსირით წაყვანის ხელშეკრულება 101

ბულკალტერია 102

ბჭე 102

გ

გაანგარიგებითი ტყესაკაფი 102

გაგზავნის განწესი 102

გადაზიდვა ადგილობრივი მიმოსვლით 102

გადაზიდვა პირდაპირი მიმოსვლით 102

გადაზიდვების ვალდებულებათა ორგანიზება 103

გადაზიდვების ხელშეკრულება 103

გადაზიდვა 103

გადანდობა 103

გადასაყვანი თამასუქის აქცეპტი 104

გადასაყვანი თამასუქი 104

გადასახადებისა და მოსაკრებლების ამკრეფი 104

გადასახადების სისტემა 105

გადასახადების გაანგარიშება 106

გადასახადის გადამხდელები 107

გადასახადის გადახდა 107

გადასახადის გადახდა შემოსავლის წყაროსგან 108

გადასახადის გადახდის საქადასტრო ხერხი 108

გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს გარკვეული წესით. გადასახადის გადახდის წესი 108

გადასახადი 109

გადასახადის გადახდა 109

გადასახადის განაკვეთი 109

გადასახადის დაბეგვრის ერთეული 110

გადასახადის დაბეგვრის ობიექტი 110

გადასახადის იურიდიული შემადგენლობა 111

გადასახადის სუბიექტი 111

გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები 112

გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების წარმოება 112

გადაცემა ზედამხედველობის ქვეშ 113

გადახდისუუნარობა 113

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი 113

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) 114

გაეროს გენერალური ასამბლეა (გა) 114

გაეროს გენერალური მდივანი 115

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ეკოსოსი) 115

გაეროს სამდივნო 116

გაერო (სამეურვეო საბჭო) 116

გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულება 117

გაეროს უშიშროების საბჭო 117

გაერო (წესდება) 118

გაკოტრება 138

გალახა 138

გამარტივებული წარმოება საარბიტრაჟო პროცესში 139

გამარტივებული წარმოება 139

გამასწორებელი სამუშაოები 139

გამალილი 139

გამაწბილებული სასჯელი 139

გამოგონება 139

გამომუშავების ნორმები 140

გამომძიებელი 140

გამომძიებელთა ჯგუფი 140

გამომძიებლისა და მოკვლევის მწარმოებელი პირის აცილება 140

გამონაბოლქვის ტექნიკური ნორმატივი 141

გამოსასვლელი დღის დანიშნულება 141

გამოსასწორებელი დაწესებულებები 142

გამოსასწორებელი კოლონიები (ზოგადი, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის) 142

გამოსასწორებელი სამუშაოები 142

გამოსასწორებელი სამუშაოების მოხდისგან ბოროტად თავის არიდება 142

გამოსყიდვა 142

გამოქალვა 143

გამოქიების ორგანოები 143

გამოქიების ფედერალური ბიურო 143

გამოსვლის დროების დასაშვები საზღვრები იონიზირებადი გამოსხივების გამოყენების შედეგად 143

გამოცდა სამუშაოზე მიღებისას 143

გამოცხადება დანაშაულის აღიარებით 143

გამოძიება 144

განაჩენთა ერთობლიობა 144

განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის შეფარდება 144

განაჩენი 144

განაჩენის აღსრულება 145

განაჩენი 145

განაწილებითი და რაოდენობრივი გადასახადები 149

განგრძობადი დანაშაული 150

განეკადებით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება 150

განზრახ დანაშაულის ჩადენის სტადიები 150

განზრახვა 150

განთავისუფლება 150

განკანონება 151

განკარგულება (საჯარო სამსახურში) 151

განკერძოებული წყლის ობიექტი 151

განკვეთა საეკლესიო 151

განკითხვის დღე 151

განმარტება სამართლის ნორმისა 151

განმარტებითი ბარათი (საქმიანი ქაღალდების შედგენა) 152

განმგებელი, განმგებელი 152

განმტკიცებული და მარეგულირებელი გადასახადები 152

განმწესრიგებელი ლიცენზია 152

განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიები და ბუნებრივი ობიექტები 152

განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების და ობიექტების კატეგორიები 152

განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების სახელმწიფო კადასტრი 152

განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების მიწები 153

განსაკუთრებით ფასეული და განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების მიწების შენარჩუნების პრიორიტეტი 153

განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა გათვალისწინებაც ხდება სასჯელის გამოტანისას 153

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის არაცოცხალი რესურსები 153

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა 153

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ბუნებრივი რესურსები 154

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ცოცხალი რესურსები 154

განსაკუთრებული წარმოება 154

განსასჯელის ბოლო სიტყვა 154

განსხვავებული აზრი 154

განსჯადობა 155

განუცხადებლობა დანაშაულისა 155

განქორწინება 155

განჩინება 155

განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა 156

განჩინება 156

განცხადება 156

განცხადება (საქმიანი ქაღალდების შედგენა) 156

განცხადება (ფორმა – საჯარო სამსახურში) 156

განცხადება (ნიმუში – ამანათის შეტყობინება) პატიმართან 157

განცხადება (ნიმუში – პაემანი პატიმართან) 157

განცხადება, შეტანილი სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებში მატერიალურ და სხვა დანაკლისზე, თავისი ფორმით რამდენადმე განსხვავდება პირადი ხასიათის განცხადებებისგან 158

განაჩი 158

განწესება 159

გაპარსვა, გაკრეჭვა 159

გარანტი 159

გარანტია 159

გარდამავლობა 159

გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულება 159

გარდაცვლილად გამოცხადება 160

გარდაცვლილთა სხეულების შეურაცხყოფა 160

გარემო 160

გარემოზე დასახული სამეურნეო და სხვა საქმიანობის ზემოქმედების შეფასება (გზშ) 160

გარემოს დაცვა 160

გარემოს დაცვისა და მყარი განვითარების უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგია 160

გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები 161

გარემოს დაცვის საერთაშორისო პრინციპები 161

გარემოს დაცვის წესების დარღვევა სამუშაოების წარმოების დროს 161

გარიგება 161

გარიგება ხელმწიფის კარის გარიგებისა 161

გარიგებები 161

გარიგების, ან მასზე უარის თქმის იძულება 162

გარყვნილი მოქმედება 162

გარყვნილი ქმედება 162

გასაჩივრების უფლება 162

გასხვისება 163

გაუპატიურება 163

გაუფრთხილებლობა 163

გაფიცვა 163

გაფლანგვა 164

გაფრთხილება 164

გაქცევა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან 164

გაყრა 164

გაშენების რეგულირების ხაზები 164

გაშენების წესები 164

გაცდენა 164

გაცვლის ხელშეკრულება 165

გაძევება 165

გახეიბრება, დასახიჩრება 165

გენდერული სტატისტიკა 165

გენერალური სანარდო სისტემა 165

გენერალური შეთანხმება ტა-

რიფებისა და ვაჭრობის (გშტვ) შესახებ 165

გენეტიკური მასალა 166

გენეტიკური პასპორტი 166

გენოციდი 166

გეოლოგიური კონტროლი 167

გეოლოგიური მიკუთვნება 167

გეოსტაციონარული ორბიტა (გსო) 167

გერში 167

გესტორი 167

გვამის დათვალიერება 168

გვარი 168

გირავნობა 168

გირავნობა 168

გირავნობის სიგელი 169

გირაო 169

გირაო (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – მუხლი 168) 169

გირაო 170

გირვანქა 171

გლახაკები 171

გლეხური (ფერმერული) მეურნეობა 171

გლოსატორები 171

გრაფიკური ექსპერტიზა 171

გუჯარი 171

დ

დაბეგმვა ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში 172

დაბირავება 172

დადგენილება 172

დადგენილების გადახედვა ზედამხედველობის წესით 172

დადგინილებების გადახედვა ზედამხედველობის წესის საარბიტრაჟო პროცესში 172

დავალების ხელშეკრულება 173

დავის გადაწყვეტის ადმინისტრაციული წესი 173

დავთარი 173

დაზავება 173

დაზავებულთა შერიგება 173

დაზარალებული 173

დაზარალებული 174

დაზარალებული 174

დაზარალებულის ჩვენებები 174

დაზღვევა (სამხედრო) 175

დაზღვევა 175

დაზღვევა 176

დაზღვევა გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების დაცვის და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში 177

დაზღვევის პოლისი 177

დაზღვევის ხელშეკრულება 177

დაზღვეული პირი 178

დათვალიერება 178

დათვალიერება 178

დაკავება 178

დაკავებისათვის აუცილებელი ზომების გადამეტება 178

დაკავებულთა და დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისტრაციის საპროცესო მოვალეობა 178

დაკვირვების ზონა 179

დაკითხვა 179

დაკითხვა 179

დაკითხვა 180

დამაბინძურებელი ნივთიერება 181

დამატებითი ექსპერტიზა 181

დამატებითი გამოძიება 181

დამატებითი სასჯელი 181

დამზღვევი 181

დამნაშავეთა გადაცემა 181

დამოუკიდებლობის დეკლარაცია 182

დამსწრე 182

დამსწრე 182

დამსწრე 182

დამტკიცება 183

დამცველი 183

დამცველის უფლება-მოვალეობანი 184

დანაშაულად შერაცხვა 185

დანაშაულები ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებათა თავისუფლებათა წინააღმდეგ 185

დანაშაულების გამიჯვნა სხვა სამართალდარღვევებისაგან 185

დანაშაულების ერთობლიობა 185

დანაშაულების კვალიფიკაცია 186

დანაშაულების კვალიფიკაცია 186

დანაშაულები ეკონომიკის სფეროში 186

დანაშაულები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში 186

დანაშაულები კაცობრიობის უსაფრთხოებისა და მშვიდობის წინააღმდეგ 186

დანაშაული კომერციულ და სხვა ორგანიზაციებში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ 186

დანაშაულები კომპიუტერული ინფორმაციის სფეროში 187

დანაშაულები მართლმსაჯულების წინააღმდეგ 187

დანაშაულები მმართველობის წესის წინააღმდეგ 187

დანაშაულები ოჯახისა და არასრულწლოვანთა წინააღმდეგ 187

დანაშაულები პიროვნების სქესობრივი ხელშეუხებლობისა და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ 187

დანაშაულები პიროვნების წინააღმდეგ 187

დანაშაულები საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ 187

დანაშაულები საკუთრების წინააღმდეგ 188

დანაშაულები სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ 188

დანაშაულები სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ 188

დანაშაულები სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ 188

დანაშაულების რეციდივი 188

დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზება 188

დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია 189

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება 189

დანაშაულებრივი შედეგი 189

დანაშაულზე ნებისყოფით ხელის აღება 189

დანაშაულთა დაფარვა 189

დანაშაულთა ერთობლიობა 189

დანაშაულთა შეხება 189

დანაშაულთა სიმრავლე 189

დანაშაული 189

დანაშაული 190

დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულის თანამონაწილეები 190

დანაშაულის კატეგორიები 191

დანაშაულისთვის მზადება 191

დანაშაულის მიზანი 191

დანაშაულის მოვლენა 191

დანაშაულის მომზადება 191

დანაშაულის მოტივი 191

დანაშაულის მოტივი 191

დანაშაულის მცდელობა 191

დანაშაულის ობიექტი 192

დანაშაულის ობიექტური მხარე 192

დანაშაულის ორგანიზატორი 192

დანაშაულის საგანი 192

დანაშაულის სპეციალური სუბიექტი 192

დანაშაულის სუბიექტი 193

დანაშაულის სუბიექტი 193

დანაშაულის სუბიექტური მხარე 193

დანაშაულის შედეგი 193

დანაშაულის შემადგენლობა 193

დანაშაულის შემადგენლობა 193

დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი 194

დანაშაულის შემსრულებელი 194

დანაშაულის შემსრულებლის ექსცესი 194

დანაშაულის შესახებ შეტყობინების განხილვა 194

დანაშაულის ჩადენის ადგილი 195

დანაშაულის ჩადენის დრო 195

დანაშაულის ჩადენის ვითარება 195

დანაშაულის ჩადენის იარაღი 195

დანაშაულის ჩადენის მცდელობა 195

დანაშაულის ჩადენის საშუალებები 196

დანაშაულის ჩადენის ხერხი 196

დანაშაულის ჩამდენი პირის გადაცემა 196

დანაშაულის ჩამდენი პირის დასაკავებლად აუცილებელი ზომების გადამეტებისას ჩადენილი მკვლელობა 196

დანაშაულის წამქეზებელი 196

დანაშაულობა 196

დანაშაულში თანამონაწილეობა 196

დაპატიმრება 196

დაპატიმრება 197

დაპატიმრება 197

დაპირისპირება 197

დაპირისპირება 198

დარბევა 198

დარბევა 198

დასაბუთებული რისკი 198

დასამუშავებლად აკრძალული, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარეების უკანონო კულტივირება 198

დასაქმება 198

დასაქმების ფონდი 199

დასახლება 199

დასახელებათაშორისი ტერიტო-
რიები 199

დასახელებული სამეურნეო და
სხვა სახის საქმიანობა 199

დასვენების დრო 199

დასვენებისა და სამუშაო დრო 199

დასრულებული დანაშაული 199

დასტურლამალი 199

დასჯადობა 199

დასჯის მიზნები 199

დატაცება 200

დატო 200

დაუდევრობა 200

დაუდევრობა 200

დაურვება 200

დაუსაბუთებელი გამდიდრების
ვალდებულება 200

დაუსრულებელ დანაშაულზე
სასჯელის შეფარდება 201

დაუსრულებელი დანაშაული 201

დაუსწრებლად გადაწყვეტილების
მიღება 201

დაუსწრებელი გადაწყვეტილება 201

დაუმუშავებელი მტკიცებულებები 201

დაუძლეველი ძალა (იურიდ.) 202

დაუძლეველი ძალა 202

დაფარვა 202

დაფრახტვა 202

დაქვითვა მუშაკის
ხელფასიდან 202

დაქირავება 203

დაქირავებული 203

დაქტილოსკოპია 203

დალი, დადალვა 203

დალუკვის ქვეშ მყოფი ხომალდის
მიტოვება 203

დაცვის დოკუმენტები გამოგონება-
ზე სასარგებლო მოდელზე, სამ-
რეწველო ნიმუშზე 203

„დაცვის სიგელი“ 204

დაძმობილება 204

დაწესებულება 204

დაწინდვა 204

დახასიათება 204

დახურვა 204

დახურული ადმინისტრაციულ-
ტერიტორიული წარმონაქმნი
(დატწ) 204

დახურული ადმინისტრაციულ-
ტერიტორიული წარმონაქმნის
(დატწ) ზემოქმედების
ზონები 204

დახურული ადმინისტრაციულ-
ტერიტორიული წარმონაქმნის
(დატწ) საზღვრები 205

დაჯავშნა სამუშაოზე
მიღებისას 205

დებილობა 205

დებიტორული 205

დებიტორი 205

დედის მიერ ახალშობილი ბავშვის
მკვლელობა 205

დევალვაცია 205

დევიზა 205

დეზერტირობა 205

დეკლამაცია 206

დეკლამაცია 206

დეკლარაციული 206

დეკომპლირებია 206

დელეგატი 206

დელეგაცია 206
დელეგირება 206
დელეგირებული 206
დელიმინაცია 206
დელიქტი 206
დელიქტი 206
დელიქტი სამოქალაქო 207
დელიქტი სამოქალაქო სამართალში 207
დელკრედერე 207
დემაგოგია 207
დემერეჯი 207
დემილიტარიზაცია 207
დემილიტარიზებული 207
დემოკრატია 207
დემოკრატიზაცია 207
დემოკრატიზმი, დემოკრატიულობა 207
დემონსტრაცია 207
დემოსი 207
დემოციდი 207
დენდროლოგიური პარკები და ბოტანიკური ბაღები 208
დენომინაცია 208
დეპარტამენტი 208
დეპარტამენტი 208
დეპეშა 208
დეპოზიტი 209
დეპონირება 209
დესპოტი 209
დესპოტატი 209
დესპოტია 209
დესპოტიზმი 209
დესტრუქცია 209
დესტრუქციულობა 209
დესტრუქციული 209
დესტინატერი 209
დიაგნოსტიკა 209
დიალექტიკა 210
დიასპორა 210
დიგესტები (ლათ. იგესტა – შეკრებილი, სისტემაში მოყვანილი) 210
დიდებული 210
დიდი მთავარი 210
დივერსია 210
დივერსიფიკაციური ზრდის შესაძლებლობანი 210
დილერი 210
დიპლომატია 210
დიპლომატიკა 211
დიპლომატირება 211
დიპლომატიური 211
დიპლომატიური აგენტი 211
დიპლომატიური აქტი 211
დიპლომატიური კლასები და რანგები 211
დიპლომატიური კორპუსი 212
დიპლომატიური კორპუსი 212
დიპლომატიური კურიერი 212
დიპლომატიური ნოტა 212
დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი 212
დიპლომატიური რანგები 213
დიპლომატიური სამართალი 213
დიპლომატიური ურთიერთობა 214
დიპლომატიური ფოსტა 214
დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასები 214

დიპლომატიური წარმომადგენლობა 214

დიპლომატიური წარმომადგენლობა 214

დიპლომატია 215

დისკონტი 215

დისკრედიტაცია 215

დისკრედიტირება 215

დისკრიმინაცია 215

დისმისლი 215

დისონანსი 215

დისპაშა 216

დისპაშერი 216

დისპაჩი 216

დისპოზიცია 216

დისპოზიცია 216

დისპოზიციურობა 216

დისპოზიციურობა 216

დისპოზიციურობის პრინციპი 216

დისციპლინარული გადაცდომა 216

დისციპლინარული პასუხისმგებლობა 217

დისციპლინარული სამხედრო ნაწილი 217

დისციპლინარული სასჯელი 217

დისციპლინარული სასჯელი 217

დისციპლინარულ სამხედრო ნაწილში მოთავსება 217

დიქტატორი 218

დიქტატორული 218

დიქტატორი 218

დოგმა 218

დოგმატიზმი 218

დოგმატური 218

დოკუმენტების გაყალბება 218

დომინიონი 218

დომინირება 218

დომინირებული მდგომარეობა 218

დომინუსი 218

დროებითი გადაყენება თანამდებობიდან 218

დროებითი მუშაკი 219

დროებითი რწმუნებული საქმეებში 219

დროებითი სამართლებრივი დაცვა 219

დროებითი ტექნოლოგიური შენახვა 219

დროებითი შრომისუუნარობა 219

დროებით შეთანხმებული გამონაბოლქვი ატმოსფერულ ჰაერში 219

დუალიზმი 219

დუალისტური 219

დღემაგიერი 219

ეგზისტენციალიზმი 220

ედიქტი 220

ევაკუაცია 220

ევთანაზია 220

ევიკცია 220

ევროგაერთიანება 221

ევროპის კავშირი 221

ევროპის კომისია 221

ევროპის პარლამენტი (ევროპარლამენტი) 222

ევროპის სამართალი 222

ევროსაბჭო 222

ევროსასამართლო 222

ეთიკა 223

ეთნიკური ერთობა 225

ეთნოციდი 225

ეთნიკური ჯგუფი 225

ეკიპაჟით სატრანსპორტო საშუალებითს იჯარის ხელშეკრულება 225

ეკიუ 226

ეკოლოგიური აღზრდა და განათლება 226

ეკოლოგიური გეგმები 226

ეკოლოგიური დაგეგმვა 226

ეკოლოგიური დაზღვევა 226

ეკოლოგიური დანაშაულები 226

ეკოლოგიური დანაშაული 226

ეკოლოგიური ექსპერტიზა 226

ეკოლოგიური ზიანი 226

ეკოლოგიური ინჟინირინგი (ეკოინჟირინგი) 226

ეკოლოგიური კანონმდებლობა 226

ეკოლოგიური კატასტროფა 226

ეკოლოგიური კონტროლი 227

ეკოლოგიური პოლიტიკა 227

ეკოლოგიური სამართალდარღვევა 227

ეკოლოგიური სამართალდარღვევები 227

ეკოლოგიური სამართალდარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურება 227

ეკოლოგიური სამართალდარღვევით მიყენებული ზიანი 227

ეკოლოგიური სამართალი 227

ეკოლოგიური სამართლის ნორმების რეალიზაციის მექანიზმი 227

ეკოლოგიური სამეცნიერო კვლევები 227

ეკოლოგიური საქმიანობა 227

ეკოლოგიური ცოდნის გავრცელება 227

ეკოლოგიური სანქცია 227

ეკოსისტემა 227

ეკოციდი 227

ელასტიკური მოთხოვნილება 228

ელექტრო-გამომთველი მანქანების ექსპლუატაცია, სისტემის ან მათი ქსელის ფესების დარღვევა 228

ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებისთვის (ეგმ) პროგრამების ან მონაცემთა ბაზის გამოყენება 228

ელექტრონულ-გამოთვლილი მანქანებისთვის (ეგმ) მავნე პროგრამების გავრცელება 228

ელექტროსკამი 228

ემანსიპაცია 229

ემანსიპაციია 229

ემისია 229

ემიტენტი 229

ემოცია 229

ენერგომომარაგების ხელშეკრულება 230

ეპიდემია 230

ეპიზოოტია 230

ერგონომიკა 230

ერთმმართველობა 230

ერისთავი 230

ეროვნული ვალუტა 230

ეროვნული პარკები 230

ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივება 231

ეროვნული შემოსავალი 231

ესკიზი 231

ექსორია 231

ეფექტური დოზა 231

ექსგუმაცია 231

ექსკლუზიური დავალება 231

ექსპედიცია 231

ექსპერტი 232

ექსპერტი 232

ექსპერტი 232

ექსპერტის აშკარა ცრუ დასკვნა 232

ექსპერტის აცილება 232

ექსპერტის დასკვნა 232

ექსპერტის ჩვენებები 232

ექსპორტი 233

ექსპორტი 233

ექსპორტიორის რისკის გარანტია 233

ექსპორტული (გატანითი) პრემია 233

ექსტერიტორიულობა 233

ექსტრადიცია 233

ექსტრემიზმი 233

ექსტრემისტული მასალები 233

ექსტრემისტული ორგანიზაცია 233

ექსტრემისტული საქმიანობა (ექსტრემიზმი) 233

ეჭვმიტანილი 234

ეჭვმიტანილის, ბრალდებულის შვილებზე, მათ კმაყოფაზე ზრუნვისა და მათი ქონების უზრუნველყოფის ზომები 234

ეჭვმიტანილის დაკავება 234

ეჭვმიტანილის ჩვენებები 235

ეპიზოდი 235

3

ვადიანი შრომის ხელშეკრულება 235

ვაკანსია 235

ვალდებულება 235

ვალდებულება 236

ვალდებულება გამოცხადების შესახებ 236

ვალდებულება მიყენებული ზიანიდან გამომდინარე (დელიქტური ვალდებულება) 236

ვალდებულებები არასრულწლოვანი პირების მიერ მიყენებული ზიანის მიყენებიდან გამომდინარე 237

ვალდებულებები გარშემომყოფთათვის მომატებული საშიშროების შემქმნელის აქმიანობით მიყენებული ზარალიდან (მომატებული საშიშროების წყარო) გამომდინარე 237

ვალდებულებების მიხედვით პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევის ხელშეკრულება სხვა პირთა სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისათვის ან ქონებისთვის ზიანის მიყენების შედეგად 238

ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა 238

ვალდებულებითი სამართალი 238

ვალი 238

ვალუტა 238

ვალუტა 238

ვანდალიზმი 239

ვარანტი 239

ვატანაბე VI სამართალი 239

ვენერიული დაავადებებით დაინფიცირება 240

ვერდიქტი 240

ვეტერინარული წესების დარღვევა 240

ვეტო 240

ვექსილი 241

ვინდიკაციური სარჩელი 241

ვოტუმი 241

ზარალის ანაზღაურება 241

ზეგანაკვეთური სამუშაო 241

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სახელმწიფო აღრიცხვა 241

ზედაპირული წყლის ობიექტის აუზი 242

ზედმეტი მიწოდება 242

ზედნადები 242

ზეპირობის პრინციპი 242

ზიანი 243

ზიანი 243

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება 243

ზიანის გამოსწორება 243

ზიანის მიყენება დანაშაულის ჩადენი პირის დაკავებისას 243

ზიანის უდანაშაულო მიყენება 243

ზოგადი და მიზნობრივი დასახლებები 243

ზოგადი ცნობები საქმიანი ქალაღდების შესახებ 244

ზონირება 244

ზღვის გარემოს დაბინძურება 244

ზღვრულად დასაშვები (კრიტიკული) დატვირთვა 244

თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა 244

თავდასხმა 244

თავდასხმა პირებსა თუ დაწესებულებებზე, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით 245

თავდაცვა 245

თავდაცვისუნარიანობა 245

თავდებობა 245

თავდებობის ხელშეკრულება 245

თავის არიდება გადასახადის გადახდისგან 246

თავის არიდება გაფვევისგან 246

თავის არიდება თავისუფლების აღკვეთით მოხდისგან 246

თავის არიდება საკრედიტო დავალიანების დაფარვისგან 246

თავის არიდება სამხედრო სამსახურის ვალდებულებების შესრულებისგან ავადმყოფობის სიმულაციის გზით ან სხვა საშუალებებით 246

თავისუფლების აღკვეთა გაურკვეველი ვადით 247

თავისუფლების აღკვეთის ადგილები 247

თავისუფლების სამუდამო აღკვეთა 247

თავისუფლების უკანონო აღკვეთა 247

თავისუფლების შეზღუდვა 247

თავისუფლების შეზღუდვა 247

თავისუფლების შეზღუდვის მოხდისგან ბოროტად თავის არიდება 247

თავმჯდომარე სასამართლო სხდომაზე 247

თავშესაფარი პროსტიტუციის საქმიანობისათვის 248

თავშესაფარი 248

თავშესაფრის უფლება 248

თამასუქი 248

თამასუქი 249

თამასუქის ავალი 249

თამასუქის ინდოსამენტი 249

თამასუქის პროტესტი 249

თამასუქის რეკვიზიტები 250

თანააქტორობა 250

თანადაზღვევა 251

თანამდებობა 251

თანამდებობის პირი 251

თანამდებობრივი დანაშაულები 251

თანამდებობრივი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება 251

თანამდებობრივი უფლებამოსილებების გადამეტება. 251

თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში 251

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულზე სასჯელის შეფარდება 252

თანდართული წერილი 252

თარჯიმანი 252

თარჯიმანი 252

თარჯიმნის აცილება 253

თაღლითობა 253

თევზებისა და ვეშაპისებართა შორის მიგრირებადი სახეობები 253

თევზების ანადრომული სახეობები 253

თევზების კატადრომული სახეობები 253

თევზების ტრანსზონალური სახეობები 253

თევზჭერის ტრანსსასაზღვრო სახეობები 253

თევზჭერა 253

თვითმკვლელობამდე მიყვანა 253

თვითნებობა 253

თვითნებური აშენება 254

თორმეტი ტაბულის კანონები 254

თრობის მდგომარეობაში დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 254

თხოვნა სამართლებრივი დახმარების შესახებ 254

ი

იარაღი 255

იარაღის, მისი ძირითადი ნაწილების, საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების შეძენა 255

იარაღის, მისი ძირითადი ნაწილების, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების ან ასაფეთქებელი მოწყობილობების გადაცემა იარაღის, საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების დაცვის ვალდებულებების არასათანადო შესრულება 255

იდენტიფიკაცია 255

იდეოლოგიური მექანიზმი 255

ილუსტრაცია 255

ილხანი 255

იმამატი 255

იმამი 255

იმიგრანტი 256

იმიგრაცია 256
იმპერატივი 256
იმპერატიული 256
იმპერატიული ნორმა 256
იმპერატორი 256
იმპორტი 256
იმპორტიორი 256
იმპიჩმენტი 256
იმპიჩმენტი 256
ინდექსატორი 257
ინდექსაცია 257
ინდივიდუალური მეწარმე 257
ინდოსამენტი 257
ინდოსამენტი 258
ინდოსანტი 258
ინდოსატარი 258
ინვაზია (INVAZION) 258
ინვალიდი 258
ინვენტარიზაცია 258
ინკასო (COLLECTION OF PAYMENTS) 258
ინკასო 258
ინკორპორაცია 259
ინსტინქტი 259
ინსტინქტური 259
ინსტიტუტი 259
ინსტიტუციები 259
ინსტიტუციონალიზაცია 259
ინტელექტუალური საკუთრება 259
ინტერპოლი 260
ინფორმაციის დამალვა 260
ინფორმაციის კოპირება 260
ინფორმაციის მოდიფიკაცია 260
ინფორმაციის შესახებ ზოგადი კანონი 260
ინციდენტი 260
ინციდენტი საშიშ საწარმოო ობიექტზე 261
იპოთეკა 261
ისტორიისა და კულტურის ძეგლები 261
ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაზიანება, განადგურება 261
იურიდიული კონსულტაცია 261
იურიდიული პასუხისმგებლობა 262
იურიდიული პირების გაერთიანება 262
იურიდიული პირი 262
იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის კუთვნილი შენობების, ტერიტორიების დათვალიერება, რომლებიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისთვის 263
იურიდიული პირის აქტივები 263
იურიდიული პირის გაკოტრება 263
იურიდიული პირის ლიკვიდაცია 264
იურიდიული რეორგანიზაცია 264
იურიდიული პირის საგადასახადო სტატუსი 264
იურიდიული პირის ქმედუნარიანობა 265
იურიდიული ტექნიკა 265
იურიდიული ფაქტები 265
იურიდიული ფაქტი 266
იურიდიული ძალა 266
იურისდიქცია 266

იურისკონსულტი 266

იუსტიცია 266

იუსტიციის საბაჟო 267

იშვიათი, გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სახეობები 267

იძულება 267

იძულებითი ღონისძიების გამოყენება 267

იჯარის ხელშეკრულება 269

კ

კაბალური გარიგება 269

კავშირი (ასოციაცია) 269

კაზუალური განმარტება 269

კაზუისტიკა 269

კაზუსი 270

კაზუსი (შემთხვევა) 270

კანდიდატურა 270

კანონთა კოლიზია 270

კანონთა კოლიზია 270

კანონი 271

კანონი 271

კანონიერება 271

კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელისშეშლა 272

კანონიერი წარმომადგენელი 272

კანონიკური სამართალი 272

კანონირი 272

კანონიკური 272

კანონის გამოქვეყნება 272

კანონის მოქმედება 272

კანონისტი 273

კანონის უკუძალა 273

კაცობის უკუძალა 273

კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ 273

კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს შესახებ 273

კანონმდებლობა წიაღის შესახებ 273

კანონმდებლობის ეკოლოგიზაცია 273

კანონმდებლობის სისტემატიზაცია 273

კანცლერი 274

კაპიტალი 274

კაპიტალიზმი 274

კაპიტულანტი 274

კაპიტულარიები 274

კაპიტულაცია 274

კაპიტულირება 274

კაპიტალისტური სახელმწიფო 274

კასაცია საარბიტრაჟო პროცესში 275

კასაცია სამოქალაქო პროცესში 277

კასაცია სისხლის სამართლის პროცესში 277

კენჭისყრის შედეგების გაყალბება 278

კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 278

კერძო ბრალმდებელი 278

კერძო სამართალი 279

კერძო სამართლის იურიდიული პირი 279

კერძო სამართლის ობიექტი 279

კერძო სამართლის სუბიექტი 280

კერძო სამედიცინო პრაქტიკა 280

კერძო ფარმაცევტული საქმიანობა 280

კვალიფიკაცია 280

კვალიფიცირება 280

კვალიფიცირებული 280

კვესტორი 280

კვოტა 280

კლარჯნი ხელმწიფენი, კლარჯნი მეფენი 280

კოალიცია 281

კოდექსი 281

კოდექსი 281

კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ 281

კოდიფიკაცია 281

კოლეგიალობა 281

კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობა 281

კოლექტიური სასამართლო ექსპერტიზა 282

კოლექტიური შრომითი დავა 282

კოლმეურნეობა 283

კოლონია 284

კოლონია-დასახლება 284

კომანდიტისტები 284

კომანდიტური 284

კომერცია 284

კომერციული 284

კომერციული კონცესიის ხელშეკრულება 284

კომერციული მოსყიდვა 285

კომერციული, საბადასახადო ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ცნობების უკანონო მიღება და გახმაურება 285

კომერციული საიდუმლოება 285

კომერციული წარმომადგენლობა 285

კომისია 285

კომიციები 286

კომპენსაცია 286

კომპილაცია 286

კომპიუტერული ინფორმაციის არაამართლზომიერი წვდომა 287

კომპლემენტარი 287

კომპლექსური სასამართლო ექსპერტიზა 287

კომპლექტი 287

კომპლექტურობა 287

კონგრესი 287

კონვენტი 287

კონვენცია 287

კონვენცია 288

კონვენციის ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ 288

კონვერსია 293

კონკისკადორი, მოქმ. კონვისტადორები 294

კონკლავი 294

კონლუდენტური 294

კონკორდანსი 294

კონკორდანტულობა 294

კონკორდატი 294

კონკორდაცია 294

კონკორდია 294

კონკურენცია 294

კონკურენცია 295

კონკურსი 295

კონკურსი 295

კონკურსი (თანამდებობის დასაკავებლად) 296
კინოსამენტი 296
კინოსამენტი 296
კონსორციუმი 297
კონსორციუმი 297
კონსპირაცია 297
კონსპირაციული 297
კონსპირირება 297
კონტრკორენტი 297
კონტრაფაქცია 297
კონტაკენტი 297
კონფიდენციალურობა 297
კონსტიტუციური 297
კონსტიტუცია 297
კონსტიტუციური კონსტიტუცია (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია) 298
კონსტიტუცია
კონსტიტუციური შეთანხმება 320
კონსტიტუციური შეთანხმება 321
კონსტიტუციური წყობილება 323
კონტინენტალური შელფი 323
კონტრაბანდა 324
კონსულთა რანგები 324
კონსული 324
კონსულის 324
კონსულტანტი 324
კონსულტაცია 324
კონსულტაციური 324
კონსულტირება 324
კონტრაბანდისტი 324
კონტრაბასი 324
კონტრაგენტი 325
კონტრადმირალი 325
კონტრაქტაციის ხელშეკრულება 325
კონტრაქტი 325
კონტროლი ატმოსფერული ჰაერის დაცვის რანგში 325
კონტროლი მიწების გამოყენებისა და დაცვის რანგში 325
კონტროლი ტყეების გამოყენებისა და დაცვის დარგში 325
კონტროლი ცხოველთა სამყაროსა და მათი სამყოფელი გარემოს დაცვის და აღდგენის დარგში 326
კონტროლი წიაღის გეოლოგიური შესწავლის, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის რანგში 326
კონტროლი წყლების გამოყენებისა და დაცვის დარგში 326
კონტრასტალიური დრო 326
კონფიდენციალური ინფორმაცია 326
კონფისკაცია 326
კონფლიქტი 327
კონფლიქტური 327
კორდელიერები 327
კორეალური 327
კონცესია 327
კონცესიონერი 327
კონცესური ხელშეკრულება 327
კონცეფცია 327
კოოპერატივი 327
კოოპერაცია 327
კოოპერირება 327
კოოპტაცია 327
კოორდინატები 327
კონფისკაცია 327

კორეჰიდორი 327

კორვეტი 327

კორვეტი 327

კორაუს დელიქტი 328

კორპორაციული იურიდიული პირი 328

კორუფცია 328

კრედიტი 328

კრედიტით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება 330

კრედიტის უკანონო მიღება 330

კრედიტორი 330

კრიმინალისტიკა 330

კრიმინალისტიკა 333

კრიმინალისტიკური ექსპერტიზა 334

კრიმინალისტიკური მეთოდიკა 334

კრიმინალისტიკური ტაქტიკა 334

კრიმინალური 334

კრიმინოლოგია 334

კრონპრინცი 334

კულტურული ფასეულობები 334

კურია 335

კურორტები 335

კურსი 335

ლ

ლატარეა 335

ლატარია 335

ლატენტური 335

ლეგატარი 336

ლეგატი 336

ლეგისლატურა 336

ლეგისტები 336

ლეგიტიმაცია 336

ლეგიტიმისტები 336

ლეიბორისტები 336

ლიბერალიზმი 336

ლიბერტა 336

ლიბერტე, ეგალიტე, ფრატერნიტე 336

ლიბერუმ ვეტო 336

ლიზინგი 336

ლიზინგის ხელშეკრულება 338

ლითოგრაფია 338

ლიკვიდატორი 338

ლიკვიდაცია 338

ლიკვიდურობა 339

ლიმიტები ნარჩენების განთავსებაზე 339

ლიცენზიატი 339

ლიცენზია 339

ლიცენზია წიალის გამოყენებაზე 340

ლიცენზია წყლის გამოყენებაზე 340

ლიცენზია ბუნებრივი გარემოს დაცვის; ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში 341

ლიცენზირება მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში 341

ლიცენზირება მიწის მელიორაციის დარგში 341

ლიცენზირება პესტიციდებთან და აგროქიმიკატებთან უსაფრთხო მოპყრობის დარგში 341

ლიცენზირება ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენებისა და

დაცვის დარგში 341

ლიცენზირება წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში 341

ლიცენზირება წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში 341

ლოზიზმი 341

ლობი, ლობიზმი 341

ლოიალური კონკურენცია 343

ლოკაუტი 343

ლომბროზიანობა 343

ლორდი 343

ლტოლვილი 343

ლუსტრაციები 343

ლუქი 343

მ

მაგისტრატურა 344

მავნე ზეგავლენა ადამიანზე 344

მავნე ნივთიერება 344

მავნე (დამაბინძურებელი) ნივთიერება 344

მავნე ფიზიკური ზეგავლენა ატმოსფერულ ჰაერზე 344

მათხოვრობა 344

მაკიაველიზმი 344

მაკლერი 344

მამათმავლობა 345

მამაკაცთა კავშირები 346

მამაკაცთა სახლები 346

მამამძუძეობა 346

მამასახლისი 346

მამობის დადგენა 346

მანდატური 346

მანდატურთუხუცესი 346

მანუს კანონები 347

მანქანების მართვის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა 347

მაჟორიტარული 347

მარაგის მიწები 347

მართვის დარგი 347

მართლზომიერი ქცევა 347

მართლმსაჯულება 348

მართლმსაჯულების აღმსრულებელი პირის სიცოცხლის ხელყოფა 348

მართლმსაჯულების აღსრულებისთვის ხელის შეშლა 348

მართლსაწინააღმდეგობა 348

მართლურთიერთობა 348

მართლშეგნება 349

მართლწესრიგი 349

მარკირება 349

მარჟა 349

მარტივი ამხანაგობის ხელშეკრულება 349

მარტივი თანრიგოვანი პროგრესია 350

მარტივი სასაწყობო მოწმობა 350

მარტივი ფარდობითი პროგრესია 350

მარწმუნებელი 350

მასობრივი არეულობები 350

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (მის) 350

მატერიალური სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულება 350

მაფია 350

მაწანწალობა 350

მახსოვარი 351

მგელი 351

მგზავრთა გადაზიდვის ხელშეკრულება 351

მდგომარეობა ბაზარზე 351

მედიო 351

მეგობრული თამასუქი 351

მევახშეობა 351

მეთვალყურეობა არასრულწლოვან ეჭვმიტანილსა თუ ბრალდებულზე 351

მეკაპერობა 351

მეკობრეობა 352

მემკვიდრეობა 352

მემკვიდრე 352

მემკვიდრეთა რიგები 352

მემკვიდრეობაზე უარი 353

მემკვიდრეობით გადაცემა 353

მემკვიდრეობით გადაცემა ანდერძის მიხედვით 353

მემკვიდრეობით გადაცემა კანონის მიხედვით 353

მემკვიდრეობით გადაცემა წარდგინების უფლებით 353

მემკვიდრეობითი მასა 353

მემკვიდრეობითი სამართალი 354

მემკვიდრეობითი ტრანსმისია 354

მემკვიდრეობითი წილის ნამატი 354

მემკვიდრეობის გადამცემი 354

მემკვიდრეობის გახსნის ადგილი 354

მემკვიდრეობის გახსნის დრო 355

მემკვიდრეობის მიღება 355

მემკვიდრეობის ჩამორთმევა 355

მენარდეს ეკონომია 356

მენეჯერი 356

მენეჯმენტი 356

მეორადი ბაზარი 356

მესამე პირი 356

მესამე პირები 357

მეურვეობა 357

მეურვეობის საბჭო 358

მეურვეობის საერთაშორისო სისტემა 358

მექრთამეობა 358

მზრუნველობა 359

მზღვეველი 359

მთავრობა 359

მთავრობის მოქმედების გეგმა გარემოს დაცვის დარგში 359

მიბარების ხელშეკრულება 359

მიდევნების უფლება 360

მიდრეკილება ნარკოტიკული საშუალებებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებისაკენ 360

მიზეზობრივი კავშირი 360

მიზნობრივი საგადასახადო კრედიტი 360

მითვისება 360

მითვისება ან გაფლანგვა 360

მითითება 361

მილანის ედიქტი 361

მილიტარიზაცია 361

მილიტარიზმი 361

მიმდებარე ზონა 361

მიმდინარე საბალუტო ოპერაციები 361

მიმოწერის საიდუმლოება 361

მინდობილობა 362

მინდობილობა (მარტივი ფორმა) 363

მინდობილობით მართვა 363
მინისტრი 363
მიტინგი 363
მიუსაფარი ცხოველი 364
მიყვანა 364
მიწა 364
მიწათმოწყობა 364
მიწათმოწყობის დოკუმენტაცია 364
მიწათმოწყობის ობიექტები 364
მიწათმოწყობის ობიექტების გამიჯვნა 364
მიწათმოწყობის ობიექტის რუკა (გეგმა) 364
მიწათმოწყობის პროცესი 364
მიწასთან დაკავშირებული უკანონო გარიგების რეგისტრაცია 365
მიწების დაცვა 365
მიწების მელიორაცია 365
მიწების მონიტორინგი 365
მიწით სარგებლობა 365
მიწისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების იჯარა 365
მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დენაციონალიზაცია 365
მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალიზაცია 365
მიწის გადასახადი 366
მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული საპროექტო-საკვლევი სამუშაოების ლიცენზირება 366
მიწის იჯარა 366
მიწის კადასტრი 366
მიწის კანონმდებლობა 366
მიწის კატეგორიები 366
მიწის კოდექსი 367
მიწის კონტროლი 367
მიწის მიკუთვნება 367
მიწის მუნიციპალიზაცია 367
მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკადასტრო აღრიცხვა 367
მიწის ნაკვეთი 367
მიწის ნაკვეთის საზღვრები 367
მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი 367
მიწის ნორმატიული ფასი 367
მიწის საზოგადოებრივი ურთიერთობები 367
მიწის საიჯარო გადასახადი 367
მიწის საკუთრების უფლების, მემკვიდრეობით მილებული მფლობელობის, მიწის უვადო გამოყენების სახელმწიფო აქტები 367
მიწის სამართალდარღვევა 367
მიწის სამართალი 368
მიწის სახელმწიფო – კადასტრი 368
მიწის სერვიტუტი 368
მიწის უფლებებისა და მიწასთან დაკავშირებული გარიგებების სახელმწიფო რეგისტრაცია 368
მიწის ფონდი 368
მიწოდების ბაზისი 368
მიწოდების პერიოდულობა 368
მიწოდების ხელშეკრულება 368
მკვიდრი ხალხები 368
მკვლელობა 369
მკვლელობა გაუფრთხილებლობით 369
მმართველობის ფორმა 369

მოდუს ვივენდი 370

მოვალე 370

მოვალეობის შესრულება 370

მოკვეთა 370

მოკვლევა 370

მოკვლევის მწარმოებელი პირი 371

მოკვლევის ორგანოები 371

მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელი 371

მოკიდებული, მოკიდული 371

მოკლევადიანი კრედიტი 371

მომატებული საშიშროების წყაროები (საგნები) 371

მომრიგებელი მოსამართლეები 371

მომხმარებელი 372

მონათმფლობელური სახელმწიფო 372

მონაცემთა ბაზა 373

მონოპოლისტური მოქმედებები და კონკურენციის შეზღუდვა 373

მონური შრომის გამოყენება 373

მორალი 373

მორალური ზიანის ანაზღაურება შრომის სამართალში 374

მორალური ზიანის კომპენსაცია 374

მორატორიუმი 374

მორიგებითი შეთანხმება სამოქალაქო საქმეებზე 374

მორიგეობა 375

მოსაზღვრე უფლებები 375

მოსაკრებელი 375

მოსამართლე 376

მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება 377

მოსამართლის ან სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა მიმართ გამოყენებული უსაფრთხოების ზომების შესახებ ცნობების გამჟღავნება 377

მოსამართლის აცილება 377

მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობა სისხლის სამართლის საქმის განხილვაში 377

მოსამართლე 378

მოსამართლეთა არჩევითობა 378

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა

მოსამართლეთა შეუცვლელობა 378

მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოება 378

მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობა 379

მოსეს სამართლის კანონები 379

მოტყუება 379

მოურავი 379

მოუხდელი სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქით 379

მოფიცარი 379

მოქალაქეებისა და იურიდიული პირების საკუთრება 379

მოქალაქეთა ეკოლოგიური უფლებები 380

მოქალაქეთა მიმართვები 380

მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება 380

მოქალაქეთა უფლება ხელსაყრელ გარემოზე 380

მოქალაქეობა 380

მოქმედება 381

მოქმედება სხვისი ინტერესებით დავალების გარეშე 381

მოქმედების ეროვნული გეგმა ბარი-
მოს დაცვის თაობაზე 381

მოცემულ დანაშაულებზე გათ-
ვალისწინებულთან შედარებით
უფრო მსუბუქი სასჯელის შე-
ფარდება 381

მოკრავი ქონება 381

მოწმე 382

მოწმის ან დაზარალებულის მოსყ-
იდვა 383

მოწმის იმუნიტეტი 383

მოწმის ჩვენებები 383

მოწმის ჩვენებების
ფსიქოლოგია 383

მოწმობა 384

მოწმობა დაბადების შესახებ 384

მოწმობა მემკვიდრეობაზე
უფლების შესახებ 384

მოხარაჯე 384

მოხელე 384

მოხსენებითი ბარათი 384

მპარავთმძებნელი 385

მრავალბრუნვიანი ტარა 385

მრეწველობისა და სხვა სპეციალ-
ური დანიშნულების მიწები 385

მსახურობის ვადა 385

მსახურთუხუცესი 385

მსაჯულთუხუცესი 385

მსხვერპლი 386

მსჯავრდებულისათვის აკრძალუ-
ლი და დასაშვები ნივთები 386

მსჯავრდებული 386

მსჯავრდებულის
გამოსწორება 387

მსჯავრდებულის ნათესავებსა და
ახლობლებთან შეხვედრის
უფლება 387

ეტიკეტა 387

ეტიკეტებულებები 387

მტკიცებულება 388

მტკიცებულების გაყალბება 393

მტკიცებულებების შეგროვება 393

მტკიცებულებების შეფასება 393

მუდმივი რენტა 393

მუნიციპალური წარმონაქმნი 393

მუნიციპალური წარმონაქმნის საა-
რჩევნო კომისია 394

მუსლიმანური სამართალი 394

მუქარა 394

მუშაკების დისციპლინარული პა-
სუხისმგებლობა 394

მუშაკი 394

მუშაკის გადაყვანა სამუშაოდ სხვა
ადგილას 394

მუშაკის მატერიალური პასუხ-
ისმგებლობა 395

მუშაკის ძირითადი უფლებები და
ვალდებულებები 395

მფლობელობა 395

მფლობელობის უფლებამოსილე-
ბა 396

მშვიდობის დაცვის მსოფლიო კონ-
გრესები და
კონფერენციები 396

მშვიდობის მსოფლიო საბჭო
(მმს) 396

მშვიდობის საერთაშორისო პრე-
მიები 396

მშვილდოსანი 396

მშობელთა უფლება-მოვალეო-
ბანი 397

მშრალი კანონი 397

მყარი განვითარება 397

მცდელობა დანაშაულისა 397

მცენარეთა ან ცხოველთა სამყაროს განადგურება 398

მცენარეთა სამყაროს ობიექტი 398

მცირეწლოვნები 398

მძევალი 398

მძევლის აყვანა 399

მხარეები სამოქალაქო პროცესში 399

მხარეთა პაექრობა 400

ნ

ნადირობა 400

ნადირობის ობიექტები 400

ნათესავები 400

ნანტის ედიქტი 400

ნაპოვნი 401

ნაპოლეონის კოდექსი 401

ნარკომანია 401

ნარკოტიკული საშუალებები – ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპიული ნივთიერებების ანალოგები 401

ნარკოტიკული საშუალებები ან ფსიქოტროპიული ნივთიერებების გადაგზავნა 401

ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპიული ნივთიერებების გადამუშავება 401

ნარკოტიკული საშუალებებისა თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების დამზადება 401

ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპიული ნივთიერებების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადატანა, გადაგზავნა ან გასაღება 402

ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანა-გატანა 402

ნარჩენებთან მოპყრობა 402

ნარჩენების გამოყენება 402

ნარჩენების განთავსება 402

ნარჩენების განთავსების ობიექტი 402

ნარჩენების გაუვნებელყოფა 402

ნარჩენების დამარხვა 402

ნარჩენების სახეები 402

ნარჩენების სახელმწიფო კადასტრი 402

ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილება 403

ნარჩენების შენახვა 403

ნარჩენების წარმოქმნის ნორმატივები 403

ნასამართლობა 403

ნასყიდი გლეხი 403

ნასყიდობის ხელშეკრულება 403

ნატურაში მიწის ნაკვეთის მიკუთვნება 403

ნაფიცი ვექილი 404

ნაფიცი მსაჯულების თათბირის საიდუმლოება 404

ნაფიცი მსაჯული 404

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 404

ნაყოფი 405

ნაცვალგება 405

ნაცვალი 405

ნაჩუქრობა 405

ნაწარმოების ავტორი 406

ნაჩუქრობის გაუქმება 406

ნაწარმოების გადამუშავება 406

ნაწარმოების გამოქვეყნება 406

ნაწილ-ნაწილ გადახდის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება 406

ნაციონალიზაცია 407

ნდობის ჯგუფი 407

ნებაზე მიშვება სამსახურში 407

ნებაყოფლობითი უარის თქმა დანაშაულის ჩადენაზე 407

ნებატორული სარჩელი 407

ნივთები 407

ნივთებისა და დოკუმენტების ამოღება 407

ნივთი 408

ნიშანი 408

ნიჭი 408

ნოვაცია 408

ნორმატივიზმი 409

ნორმატიული 409

ნორმატიული აქტი 409

ნორმატიული სკოლა სამართალში 409

ნორმირება ნარჩენებთან მოპყრობის დარგში 409

ნორმირება ცხოველთა სამყაროსა და მისი საშყოფელი გარემოს გამოყენებისა და დაცვის დარგში 409

ნორმირება წყლის ობიექტების გამოყენებისა და დაცვის დარგში 409

ნოტარიატი 409

ნოტარიუსი 410

ნოუ-ჰაუ 410

ო

ობიექტური შერაცხვა 411

ოვერდრაფტი 411

ომბუდსმენი 411

ომი 411

ომის გაჩალება 411

ომის დამნაშავე 411

ომის კანონები 411

ომის პროპაგანდა 412

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები 412

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები 412

ოპოზიცია 413

ორგანიზაცია 413

ორგანიზაციის ხელმძღვანელი 413

ორგანიზებული ჯგუფი 414

ორდალია 414

ორდერი 414

ორმაგი დაზღვევა 414

ორმაგი სასაყოფო მოწმობა 414

ორმხრივი დაზღვევის საზოგადოება 415

ორსული ან იმ ქალებისთვის სასჯელის მოხდის გადავადება, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები 415

ორსულობა 415

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა (აბორტი) 415

ოსტრაკიზმი 415

ო ტემპორა, ო მორეს 415

ოფერენტი 415

ოფერტი 415

ოფცია 416

ოქმი (ადმინისტრაციული) 416

ოქმი (მარტივი, კრების ან რაიმე სხდომის ფორმა-ნიმუში) 417

ოქმის ფორმა (სისხლის სამართლის პროცესში მასალების სასამართლომდელი მომზადების) 418

ოხერი 418

პ

პაი 418

პანტომიმა 419

პანდექტები 419

პანდექტური სამართალი 419

პარლამენტი 419

პასუხისმგებლობა საქმის განხილვის ან საგამოძიებო მოქმედების გადადებით გამოწვეული ზიანისათვის 420

პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი 420

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი 420

პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის დარღვევაზე 421

პატენტი 421

პატიმრობა 421

პატიმრობაში ყოფნის ადგილები 423

პატიჟი 423

პატრონაჟი 423

პაუშალური 423

პენიტენციალური 423

პერსონა გრატა 423

პერსონა ნონ გრატა 423

პეტიცია 423

პირადი არაქონებრივი დამოკიდებულებები 423

პირადი დაზღვევის ხელშეკრულება 424

პირადი დათვალიერება (ნივთების დათვალიერება, რომლებიც თან გააჩნია ფიზიკურ პირს) 424

პირადი თავდებობა 424

პირადი ჩხრეკა 425

პირადი ცხოვრების ხელშეკრულების დარღვევა 425

პირგასამტეხლო 425

პირდაპირი შერეული მიმოსვლა 425

პირები, რომლებიც ხელს უწყობენ მართლმსაჯულების აღსრულებას 425

პირველი რისკის სისტემა 426

პირველი ღამის უფლება 427

პირველი ჯგუფის ტყეების დაცულობის კატეგორიები 427

პირთა კატეგორია, რომელთა მიმართაც გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეების წარმოების განსაკუთრებული წესი 427

პირთა სიმრავლე ვალდებულებაში 427

პირთა ჯგუფი 427

პირთა ჯგუფი, რომლებიც მოქმედებენ წინასწარი შეთანხმებით 427

პირი მოქალაქეობის გარეშე (აპატრიდი) 427

პირი, რომელიც ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 428

პირმშოობა 428

პირობით განთავისუფლება 428

პირობითვადამდელი განთავისუფლება 428

პირობითი ბარიგება 428

პირობითი მსჯავრი 428

პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი 429

პიროვნების ხელშეუხებლობა 429

პლაგიატი 429

პლეგისციტი 429

პლურალიზმი 429

პლურალური 429

პოლემიკა 429

პოლიტიკა 430

პოლიტიკანი 430

პოლიტიკური 430

პოლიტიკური პარტია 430

„პოლიტიკური საკითხის“ დოქტრინა 430

პოლიტიკური უფლებები 431

პოლიცია 431

პოპულიზმი 431

პორნოგრაფიული მასალები ან საგნები 431

პორნოგრაფიული მასალებით ან საგნებით ვაჭრობა 432

პორნოგრაფიული მასალების გავრცელება 432

პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერება 432

პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების სახელმწიფო აღრიცხვა 432

პოტენციურად საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების სახელმწიფო რეგისტრაცია 432

პრეზენტიული 432

პრეზიდენტი 432

პრეზიდენტი (ინსტიტუტი) 432

პრეზუმფცია 434

პრეიუდიციალური 434

პრეიუდიციალობა 434

პრემია 434

პრეტენზია 434

პრეტორი 434

პრეტორიანელები 435

პრეფერენციალური 435

პრეფერენციები 435

პრეცენდენტი 435

პრეცედენტი 435

პრივატიზაცია 435

პრიმუს ინტერ პარეს 435

პრინციპალი 435

პრიორიტეტი 436

პროგრამული მიზნობრივი მართვა 436

პროგრესიის დახურული სისტემები 436

პროდიუსერი 436

პროდუქტი 436

პროვიზია 437

პროკურატურა 437

პროკურატორი 437

პროკურატურა 437

პროკურისტი 437

პროკურორი 437

პროკურორის აცილება 437

პროკურორი სამოქალაქო პროცესში 438

პროკურორის გადაწყვეტილება საბრალდებო დასკვნასთან ერთად შემოსული სისხლის სამართლის საქმეზე 438

პროკურორის გადაწყვეტილება

სისხლის სამართლის საქმეზე 439

პროკურორი სისხლის სამართლის პროცესში 439

პროკრუსტე 439

პრომისკუიტეტი 439

პროსტიტუცია 439

პროსტიტუციურ საქმიანობაში ჩაბმა 439

პროტესტი 439

პროტექტორატი 440

პროტექცია 440

პროტექციონალიზმი 440

პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება 440

პროფესიული გადამზადება 440

პროფესიული კავშირები 440

პროფკავშირის წარმომადგენლობა 441

ჟ

ჟენევის კონვენციები 441

ჟირანტი 441

ჟირატი 441

ჟირო 441

ჟურნალისტების კანონიერი პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლა 442

რ

რადიაციის წყაროები 442

რადიაციული ავარია 442

რადიაციული უსაფრთხოების წესები 442

რადიოაქტიური მასალა 442

რადიოაქტიური ნარჩენები 442

რადიოაქტიური ნივთიერებები 442

რაპორტი დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შესახებ 442

რასობარიევი თეორია 442

რატიფიკაცია 442

რაციონალური ბუნებით სარგებლობა 443

რეაბილიტაცია 443

რეაბილიტაციის უფლება 443

რეაბილიტირებული პირები 444

რეგენტი 444

რეგენტობა 444

რეგისტრაცია 444

რეგლამენტი 444

რეგრესი 444

რეგრესიული გადასახადით დაბეგვრა 444

რეგულარული და ერთჯერადი გადასახადები 445

რეზოლუცია 445

რეკამბიო 445

რეკვიზიტები 445

რეკვიზიცია 445

რეკონსტრუქცია 445

რელიგიური ორგანიზაციები 445

რემიტენტი 446

რენტა 446

რენტაბელობა 446

რენტის ხელშეკრულება 446

რეორგანიზაცია 446

რეპატრიაცია 446

რეპლიკა 447

რეპროგრაფია 447

რეპროდუქცირება 447

რეპუტაცია 447

რესტიტუცია 447

რეტორსია 447

რეფერენდუმი 447

რეცეპტების ან სხვა დოკუმენტების უკანონო გაცემა თუ გაყალბება, რომლებიც იძლევიან ნარკოტიკული საშუალებების მიღების უფლებას 448

რთული პროგრესია 448

რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ (რიოს დეკლარაცია) 448

რკინიგზის, საჰაერო და წყლის ტრანსპორტის მოძრაობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა 448

რწმუნების სიგელი 448

რწმუნებულება 449

რწმუნებული 449

ს

საავტორო, მომიჯნავე გამომგონებლური და საპატენტო უფლებების დარღვევა 449

საავტორო უფლება 449

საავტორო უფლებების კოლექტიური მართვა 449

საავტორო ხელშეკრულება 450

საავტორო ხელშეკრულება არაგანსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ 450

საავტორო ხელშეკრულება განსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ 450

საანდერძო დაკისრება (ლეგატი) 450

საარბიტრაჟო და სამოქალაქო სამართალწარმოების სახეები 451

საარბიტრაჟო პროცესი (საარბიტრაჟო სამართალწარმოება) 451

საარბიტრაჟო სასამართლო 452

საარჩევნო ბლოკი 452

საარჩევნო გაერთიანება 452

საარჩევნო დოკუმენტების გაყალბება 452

საარჩევნო კომისია 452

საარჩევნო უფლებები 452

საბაქციო საზოგადოება 452

საბანკო ანაბარის ხელშეკრულება 453

საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება 453

საბანკო გარანტია 454

საბანკო ოპერაციები 454

საბაჟო კონტროლისგან თავისუფალი ზონა 455

საბაჟო კონტროლის ზონა 455

საბინაო კანონმდებლობა 455

საბინაო კოდექსი 455

საბინაო სამართალი 456

საბინაო სერტიფიკატი 456

საბინაო ფონდი 456

საბინაო ფონდის პრივატიზაცია 456

საბინაო ხელშეკრულება 457

საბირჟო ბიულეტენი 457

საბირჟო კანონმდებლობა 457

საბირჟო კოტირება 457

საბირჟო კურსი 457

საბირჟო საქონელი 457

საბიუჯეტო 457

საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა 457

საბიუჯეტო სისტემის კანონის შესახებ (ტერმინები) 458

საბრალდებო დასკვნა 458

საბრალდებო აქტი 458

საბრალდებო დასკვნა 459

საბოტაჟი 460

საბრძოლო მასალები 460

საგადასახადო აგენტები 460

საგადასახადო ბაზა 460

საგადასახადო დაგეგმვა 461

საგადასახადო კოდექსი 461

საგადასახადო კოდექსში გამოყენებული ტერმინები და ცნებები 462

საგადასახადო კრედიტი 465

საგადასახადო ორგანოები 465

საგადასახადო პერიოდი 465

საგადასახადო პოლიცია 466

საგადასახადო შეღავათები 466

საგამოძიებო ექსპერიმენტი 467

საგამოძიებო მოქმედება 467

საგამოძიებო იზოლატორი 468

საგამოძიებო მოქმედების წარმოების წესები 468

საგამოძიებო და სასამართლო მოქმედების ოქმები 468

საგანგებო მდგომარეობა 469

საგანგებო სიტუაცია 469

საგარანტიო გადახდები 469

საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის წესების დარღვევა 470

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა 470

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დათვალიერების ოქმის დანართი 470

საგუშაგო სამსახურის წესების დარღვევა 470

სადაზღვევო ანაზღაურების გაანგარიშების პროპორციული სისტემა 470

სადაზღვევო გადახდა 470

სადაზღვევო თანხა 470

სადაზღვევო პოლისი 471

სადაზღვევო პრემია 471

სადაზღვევო რისკი 471

სადაზღვევო ტარიფი 471

სადაზღვევო ღირებულება 471

სადაზღვევო შემთხვევა 471

სადაზღვევო შენატანი 471

სადაზღვევო შესატანი 471

სადისკონტო განაკვეთი 471

სადისტური მეთოდები 471

საერთო მაუწყებლობის ორგანიზაციების მოსაზღვრე უფლებები 472

საერთაშორისო კონფერენციები გარემოს დაცვისა და მყარი განვითარების თაობაზე 472

საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული მუდმივი წარმომადგენლობა 472

საერთაშორისო ორგანიზაციები 472

საერთაშორისო სასამართლო 473

საერთაშორისო სრუტეები 473

საერთაშორისო ტერორიზმი 474

საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები 474

საერთაშორისო ხელშეკრულება (ტერმინები) (კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ") 474

საერთაშორისო ხელშეკრულებები გადასახადით დაბეგვრის შესახებ 475

საერთო ბუნებათსარგებლობა 475

საერთო და გაძლიერებული რეჟიმის აღმზრელობითი კოლონია 476

საერთო საკუთრება 476

საექსპორტო კონტროლი 476

საფალდებულო დაზღვევის ხელშეკრულება 476

საფალდებულო მემკვიდრეები 476

საფალდებულო სამუშაოები 477

საფალდებულო სამუშაოების მოხდისგან ბოროტად თავის არიდება 477

საფალუტო კონტროლი 477

საფალუტო კონტროლის აგენტები 477

საფალუტო კონტროლის ორგანოები 477

საფალუტო ოპერაციები 477

საფალუტო ოპერაციები, რომლებიც უკავშირდებიან კაპიტალის მოძრაობას 478

საფალუტო რეგულირება 478

საფალუტო ფასეულობები 479

საფალუტო ფონდი 479

საფალუტო შეზღუდვები 479

საფარაულო ფასი 479

საფაჭრო-სამრეწველო პალატა 479

საფაჭრო ჩვეულება 479

საფახტო მეთოდი 480

საფინდიკაციო სარჩელი 480

საზედამხედველო საჩივარი 480

საზედამხედველო წარდგინება 480

საზოგადოება დამატებითი პასუხისმგებლობით 480

საზოგადოებრივი გაერთიანება 480

საზოგადოებრივი დაწესებულება 481

საზოგადოებრივი თვითშემოქმედების ორგანო 481

საზოგადოებრივი მოძრაობა 481

საზოგადოებრივი ორგანიზაცია 481

საზოგადოებრივი საშიშროება 481

საზოგადოებრივი ურთიერთობები ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და გამოყენების თაობაზე 471

საზოგადოებრივი ფონდი 481

საზღვაო სამეცნიერო კვლევები განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში 481

საზღვაო სარესურსო კვლევები განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში 482

საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში სახსრების დაუბრუნებლობა 482

საინვესტიციო ბანკი 482

საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი 482

საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციათა მოსაზღვრე უფლებები 482

საკადასტრო ნომერი 482

საკანონმდებლო პროცედურა 482

საკანონმდებლო პროცესის სტადიები 482
საკასაციო განჩინება 483
საკასაციო წარმოება 483
საკომისიო ვაჭრობა 484
საკომისიო სასამართლო ექსპერტიზა 485
საკომისიო ხელშეკრულება 485
საკომპენსაციო გადახდები 485
საკონსტიტუციო სასამართლო 486
საკონსტიტუციო შესწორება 486
საკონსული 486
საკონსულო დაწესებულება 486
საკონტროლო 487
საკონცენტრაციო 487
საკრედიტო ბარათი 487
საკრედიტო დაწესებულება 487
საკრედიტო სისტემა 487
საკუთრების უფლება, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი 487
საკულტო საგნები 487
საკურორტო რეგიონი (რაიონი) 487
საკურორტო საქმე 487
საკურორტო ფონდი 487
სალდო 487
სალიკური სამართალი 488
სამართალდამოკიდებულებათა ობიექტი 488
სამართალდამცავი ორგანოები 488
სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიცოცხლის ხელყოფა 488
სამართალდარღვევა 488
სამართალი 490
სამართალსუბიექტურობა 491
სამართალშემოქმედება 491
სამართალცნობიერება 491
სამართალწარმოების ენა 491
სამართალწარმოების მონაწილეები სამოქალაქო საქმეებზე 492
სამართალწარმოების მონაწილეები სისხლის სამართლის საქმეებზე 492
სამართალწარმოების სტადიები 493
სამართლებრივი დამოკიდებულება 493
სამართლებრივი ნორმების განმარტება 494
სამართლებრივი სახელმწიფო 496
სამართლებრივი სისტემები 496
სამართლებრივი ჩვეულებები 496
სამართლებრივი ხელშეკრულება 497
სამართლის დარგი 497
სამართლის ინსტიტუტები 497
სამართლის ნორმა 498
სამართლის პრინციპები 498
სამართლის სისტემა 499
სამართლის ფილოსოფია 501
სამართლის ფორმები 501
სამართლის ფუნქციები 501
სამარცხვინო ბოქი 502
სამედიატორო სასამართლო 502
სამედიცინო ხასიათის იძულებითი ზომები 502
სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება 503
სამელიორაციო სისტემებისა და ცალკე განლაგებული ჰიდროტე-

ქნიკური ნაირობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის წინასაპროექტო და საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზა 503

სამეურნეო ამხანაგობა 503

სამეურნეო კანონმდებლობა 503

სამეცნიერო-ეკოლოგიური კვლევები 503

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულების ხელშეკრულება 503

სამეწარმეო რისკის დაზღვევის ხელშეკრულება 504

სამეწარმეო საქმიანობა 504

სამთავრობო კომისია 504

სამთო კანონმდებლობა 505

სამთო მიკუთვნება 505

სამთო სამართალი 505

სამინისტრო 505

სამკვიდრებელი გარემოს ფაქტორები 505

სამკურნალო ბუნებრივი რესურსების გამომყენებლები 505

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილი 505

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილის, კურორტის, საკურორტო რეგიონის (რაიონის) საზღვრები 505

სამომრიგებლო სასამართლო 505

სამომხმარებლო კოოპერატივი 505

სამოქალაქო ბუნტი 506

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები 506

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა 506

სამოქალაქო კანონმდებლობა 506

სამოქალაქო კოდექსი (ტერმინები) 506

სამოქალაქო მდგომარეობის აქტები 507

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება 507

სამოქალაქო პროცესი (სამოქალაქო სამართალწარმოება) 507

სამოქალაქო სამართალდამოკიდებულება 507

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა 508

სამოქალაქო სამართლის იმპერატიული ნორმა 508

სამოქალაქო სამართლის კოდექსი 508

სამოქალაქო სამართლის ობიექტები 508

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი 508

სამოქალაქო სამართლის სუბიექტები 509

სამოქალაქო საპროცესო სამართალდამოკიდებულებები 509

სამოქალაქო საპროცესო სამართალი 509

სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა 509

სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა 509

სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში 510

სამოქალაქო საქმეებზე დადგენილების გადახედვა საკასაციო წესით 510

სამოქალაქო საქმეებზე დადგენილების გადახედვა საკასაციო წესით 510

სამოქალაქო საქმეების მომზადება სასამართლო განხილვისათვის 510

სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვა 510

სამოქალაქო სიკვდილი 510

სამოქალაქო უფლებების დაცვა 511

„სამოქალაქო ჰსჯულვილება“ 511

სამპარავთმძებნელო სამართალი 511

სამრეწველო თევზჭერისა და თევზჭერის ლიცენზია 511

სამრეწველო ნიმუში 511

სამსახურებრივი გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები და სასარგებლო მოდელები 512

სამსახურებრივი ნაწარმოები 512

სამსახურებრივი სიყალბე 512

სამუდამო რენტა 513

სამუდამო რჩენის ხელშეკრულება 513

სამუშაო ადგილი 513

სამუშაოდან გადაყენება 513

სამუშაო დრო 513

სამუშაო აღდგენა 514

სამუშაოზე მიღება 515

სამუშაოზე მიღებაზე უსაფუძვლო უარის თქმა ან ორსული თუ იმ ქალის დაუსაბუთებელი განთავისუფლება, რომელსაც ჰყავს სამ წლამდე ასაკის ბავშვები 516

სამუშაო კვირა 516

სამუშაოს იძულებითი გაცდენა 516

სამუშაოს მიმცემი 516

სამუშაოს მიმცემის მატერიალური პასუხისმგებლობა 516

სამუშაოს მიმცემის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები 517

სამუშაო წელიწადში 517

სამშენებლო სანარდო ხელშეკრულება 517

სამხედრო დანაშაულები 518

სამხედრო ნაწილის მეთაურობის დაკვირვება (რუსეთის და ზოგიერთი ქვეყნის სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკა 518

სამხედრო ქონების დაკარგვა 518

სანადირო ადგილები 518

სანადირო მეურნეობა 519

სანადირო ფონდი 519

სანარდო ფასდება 519

სანიტარული დაცვის ზონა მაიონიზირებელი გამოსხივების წყაროს ირგვლივ 519

სანიტარული ეპიდემიის საწინააღმდეგო (პროფილაქტიკური) ღონისძიებები 520

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნა 520

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარება 520

სანიტარული (სამთო-სანიტარული) დაცვის ოლქი 520

სანქცია 520

სანქციები, ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების დროს 520

სანქციები 520

სანქციონირება 520

სარრგანიზაციო მექანიზმი ბუნებრივი გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის

სფეროში 520
საოჯახო კანონმდებლობა 520
საპასპორტო სისტემა 521
საპასუხისმგებლო შენახვა 521
საპატენტო ბაჟი 521
საპატენტო უფლება 521
საპორტფელო ინვესტიციები 521
საპროექტო დოკუმენტაცია 521
საპროექტო განაკვეთი 521
საპროცესო გადაწყვეტილება 522
საპროცესო გარანტიები 523
საპროცესო დანახარჯები 523
საპროცესო ვადა 523
საპროცესო თანამონაწილეობა 524
საპროცესო მოქმედება 524
საპროცესო სამართალმემკვიდრეობა 524
საპენსიო ხელშეკრულება 524
საპყრობილე 524
სარგებლიანობა 524
სარგებლის შემძენი 524
სარგებლობა 525
სარეზერვო ფასი 525
სარჩელი 525
სარჩელის უზრუნველყოფა 526
სასაზღვრო წარმომადგენლები 526
სასამართლო 526
სასამართლო აქტი 527
სასამართლო აქტის შეუსრულებლობა 527
სასამართლო აღმასრულებელი 527
სასაქარელო ბალისტიკა 527
სასამართლო ბრძანება 527
სასამართლო გადაწყვეტილება 528
სასამართლო გამოძიება 528
სასამართლო განხილვის უშუალობა 529
სასამართლო დადგენილებები სამოქალაქო საქმეებზე 529
სასამართლო და საარბიტრო ხარჯები 529
სასამართლო დაცვის უფლება 530
სასამართლო ეთიკა 530
სასამართლო კამათი 531
სასამართლო მედიცინა 531
სასამართლო პრაქტიკა 532
სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა 532
სასამართლო სისტემა 532
სასამართლო სტატისტიკა 532
სასამართლო ფოტოგრაფია 532
სასამართლო ფსიქიატრია 532
სასამართლომდელი წარმოება 533
სასამართლოსადმი უპატივცემულობა 533
სასამართლოს დასკვნა 533
სასამართლოს უფლებამოსილებები 533
სასამართლო სხდომაზე ფესრიგის დარღვევაზე ზემოქმედების ზომები 533
სასამართლო სხდომის მდივანი 534
სასაქართლო სხდომის მდივნის აცილება 534

სასამართლო სხდომის ოქმი 534

სასამართლო სხდომის რეგლამენტი 534

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა 535

სასამართლო ფსიქოლოგია 535

სასამართლო შემადგენლობა 535

სასამართლო წესდებანი 537

სასამართლო წყობილება 537

სასამართლო ხარჯები 537

სასამართლო ხელმძღვანელობა 537

სასამსახურო ძალლები 538

სასაპყრო 538

სასარგებლო მოდელი 538

სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ბალანსები 538

სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო ბალანსი 539

სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების სახელმწიფო კადასტრი 539

სასარჩელო განცხადება 539

სასარჩელო წარმოება 540

სასარჩელო ხანდაზმულობა 540

სასაქონლო ნიშანი 540

სასაქონლო ნიშანი (მომსახურების ნიშანი) 540

სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენება 541

სასაწყობო მოწმობა 541

სასაწყობო ქვითარი 541

სასაწყობო შენახვის ხელშეკრულება 541

სასესხო ხელშეკრულება 542

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები 542

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არიორიტეტი 542

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაყოფიერების სახელმწიფო ნორმირება 542

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი 542

სასტიკი მოპყრობა სამხედრო ტყვესადმი 542

სასტიკი მოპყრობა ცხოველებთან 543

სასჯელთა სისტემა 543

სასჯელისგან განთავისუფლება 543

სასჯელის ზომა 543

სასჯელის მოხდის ადგილები 543

სასჯელის მოხდის გადავადება 544

სასჯელის სახეები სისხლის სამართალში 544

სასჯელის შეფარდება დანაშაულების რეციდივის დროს 546

სასჯელის შეფარდება (ზოგადი საწყისები) 546

სასჯელის შეფარდება შეწყალების შესახებ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დროს 546

სატარიფო ბადე 546

სატარიფო განაკვეთი 546

სატელეფონო საუბრების კონტროლი 546

სატვირთო ზედნადები 547

სატიტულო (კანონიერი წესრიგი) 547

სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება 547

სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება 548

სატრანსპორტო საშუალებებისა თუ მიმოსვლის გზების მწყობრიდან გამოყვანა 548

სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება 548

სატრანსპორტო საშუალებების იჯარის ხელშეკრულება მართვისა და ტექნიკური ექსპლუატაციის მომსახურების გაწევის გარეშე 548

სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერის გაყალბება ან განადგურება 548

სატყეო კოდექსი 548

სატყეო მიწების გადაყვანა არასატყეოში იმ მიზნით, რაც არ უკავშირდება სატყეო მეურნეობის წარმართვას და სატყეო ფონდის გამოყენებას და/ან სატყეო ფონდის მიწების ჩამორთმევას 548

სატყეო საზოგადოებრივი ურთიერთობები 549

სატყეო სამართალი 549

საურავი 549

საფირმო სახელწოდება 549

საფოსტო მისამართი 549

საქველმოქმედო ორგანიზაცია 549

საქმიანი მონანიება 549

საქმიანი რეპუტაცია 549

საქმიანი წერილი (მიმართვა) 550

საქმის აღძვრის და წარმოების წესი და ფორმა 550

საქმის წარმოება მორიგებელ მოსამართლესთან 550

საქონელი 551

საქონელმოძრაობა 551

საქონლის ამორჩევა 551

საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) არსებითი ნაკლოვანება 551

საქონლის ასორტიმენტი 551

საქონლის ბოლომდე მიუწოდებლობა 552

საქონლის გაყიდვა დაბალ ფასებში 552

საქონლის თვითთირებულება 552

საქონლის სამომხმარებლო თვისებები 552

საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელება 552

საქონლის ხარისხი 552

საქორწინო კონტრაქტი 553

საყოველთაო გაფიცვა 553

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეული 553

საშემოსავლო გადასახადი 553

საშინაო ბაზარი 553

საშიში ნარჩენები 553

საშიში ნარჩენების პასპორტი 553

საშიში სამრეწველო ობიექტები 553

საშიში საწარმოო ობიექტების სამრეწველო უსაფრთხოება 553

საშიშროებაში მიტოვება 553

საშუალო ხელფასი 554

საჩივარი 554

საჩივარი 555

საჩივრის განხილვა სასამართლოში 556

საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება 557

საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ავტომატების გამოყენებით 557

საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ნიმუშების გამოყენებით 557

საცდელი ბაზარი 557

საცხოვრებელი ბინის ორდერი 557

საცხოვრებელი სახლების გაცვლა სახელმწიფო (მუნიციპალური) ფონდის სახლებში 558

საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობა 558

საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობის დარღვევა 558

საცხოვრებელი შენობა 558

საცხოვრებელი შენობის გაყიდვის ხელშეკრულება 559

საწარმო 559

საწარმოო კოოპერატივი 559

საწესდებო ურთიერთდამოკიდებულებათა წესების დარღვევა 559

საწყისი ხაზები 559

საწყისი ხაზები, რომელთაგანაც იზომება ტერიტორიული ზღვის სიგანე 560

სახაზინო საწარმო 560

სახალხო დამცველი 560

სახალხო კრება 560

სახელმწიფო 560

სახელმწიფო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და მათი თანამდებობის პირების მოქმედებების გასაჩივრება 561

სახელმწიფო აპარატი 561

სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა 562

სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა 562

სახელმწიფო აღრიცხვა გარემომცველი ბუნებრივი გარემოს, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მყარი გამოყენების, ადამიანისა და სხვა ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში 562

სახელმწიფო ბაჟი 562

სახელმწიფო ბრალმდებელი 562

სახელმწიფო ბუნებრივი ბიოსფერული ნაკრძალები 563

სახელმწიფო გეოლოგიური ექსპერტიზა 563

სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლი 563

სახელმწიფო გერბის შეურაცხყოფა 563

სახელმწიფო დაცვა 563

სახელმწიფო დაწესებულება 564

სახელმწიფო ეკოლოგიური აღრიცხვა 564

სახელმწიფო ეკოლოგიური დოქტრინა 564

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა 564

სახელმწიფო ეკოლოგიური პოლიტიკა 564

სახელმწიფო ზედამხედველობა 564

სახელმწიფო თანამდებობა 564

სახელმწიფო ინსპექცია 564

სახელმწიფო კომიტეტი 565

სახელმწიფო კონტროლი 565

სახელმწიფო კორპორაცია 565

სახელმწიფო მართვა 565

სახელმწიფო მონოპოლია 566

სახელმწიფო მოსამსახურე 566

სახელმწიფო ნორმირება რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში 566

სახელმწიფო პოლიტიკა ბირთვულ მასალებთან, რადიოაქტიურ ნივთიერებებთან და ნარჩენებთან მოპყრობის სფეროში 566

სახელმწიფო პროგრამა 566

სახელმწიფო რეჟიმი 566

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია 567

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის მატერიალისტური თეორია 567

სახელმწიფო საგარეო ფუნქციები 568

სახელმწიფო საზღვარი 568

სახელმწიფო საზღვრის დაცვა 569

სახელმწიფო საზღვრის მართლსაწინააღმდეგო ცვლილება 569

სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა 569

სახელმწიფო საიდუმლო 569

სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება 569

სახელმწიფო სამთო ზედამხედველობა 569

სახელმწიფო სამონადირეო ფონდი 570

სახელმწიფო სამოქალაქო სამსახური 570

სახელმწიფო სამსახური 570

სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა 570

სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ნორმირება 570

სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური 571

სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ფესვები და ნორმატივები 571

სახელმწიფო (მუნიციპალური) სასესხო ხელშეკრულება 571

სახელმწიფო სასინჯი დამლების დამზადებისა და გამოყენების ფესვების დარღვევა 571

სახელმწიფო სუვერენიტეტი 571

სახელმწიფოს ტერიტორიული ნიშანი 571

სახელმწიფოს ფორმა 572

სახელმწიფოს შიდა ფუნქციები 572

სახელმწიფო კადასტრი (ქალაქთმშენებლობა) 573

სახელმწიფო ღალატი (შპიონაჟი) 573

სახელმწიფო ფყლის კადასტრი 573

სახელმწიფო ფყობის ფორმა 573

სახელმწიფო ფონდი 574

სახელმწიფო ჯილდოები 574

სახელო 575

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება 575

სახლთუხუცესი 575

საჯაროდ დემონსტრირებადი ნაწარმოები 575

საჯარო კონკურსი 575

საჯარო მოწოდებები კონსტიტუციური ფყობის ძალისმიერი შეცვლისკენ 575

საჯაროობა 575

საჯარო სამართალი 576

საჯარო სამსახურის კანონის შესახებ (ტერმინები) 576

საჯარო ხომალდის გატაცება 576

სეზონური სამუშაოები 577

სეკვესტრი 577

სენატი 577

სენატორი 577

სენატუს-კონსულტი 577

სერვიტუტი 577

სერვიტუტი 578

სერტიფიკატი 578

სერტიფიკაცია 578

სესხის უფულობა (უვალუტობა) 578

სექსუალური ხასიათის ძალისმიერი ქმედებები 578

სიკვდილის დასჯა 578

სიკვდილით დასჯა და მასთან დაკავშირებული პრობლემები, მოსაზრებები (დილემა) 578

სისხლის ალება (ვენდეტა) 580

სისხლის სამართალი 580

სისხლისსამართლებრივი დევნა 581

სისხლის სამართლის ამოცანები 581

სისხლის სამართლის კანონი 581

სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება 581

სისხლის სამართლის კანონის განმარტება 581

სისხლის სამართლის კანონის უკუძალა 581

სისხლის სამართლის კლასიკური სკოლა 581

სისხლის სამართლის კოდექსი 582

სისხლის სამართლის მართლსაწინააღმდეგოობა 582

სისხლის სამართლის მეცნიერება 582

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 583

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება 583

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 583

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება 583

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია 583

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები 583

სისხლის სამართლის პოლიტიკა 583

სისხლის სამართლის პროცესის სტადია 584

სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტები 584

სისხლის სამართლის სამართალწარმოება 584

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში 584

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება პირთა წრის მიმართ 585

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში 585

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 585

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ტერმინები) 585

სისხლის სამართლის საქმეების გადახედვა ხელახლა ალმოჩენი-

ლი გარემოებებით 588

სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანება 588

სისხლის სამართლის საქმეების განახლება 588

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 588

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის განცხადება 589

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა 589

სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეჩერება 590

სისხლის სამართლის წყარო 590

სიყალბე 590

სიცოცხლის უზრუნველყოფის წყაროებიდან გათიშვა 590

სიცრუის დეტექტორი (პოლიგრაფი) 590

სლაიდი 590

სოლიდარული ვალდებულება 590

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება 590

სოციალური ბოიკოტი (სამოქალაქო გაფიცვა) 590

სოციოლოგია 590

სოციოლოგიური 590

სოციოლოგიური სკოლა 591

სოციალური ნორმები 591

სოციალური პარტნიორობა 591

სოციალური სამართლიანობის აღდგენა 591

სოციალურ-ჰიგიენური მონიტორინგი 591

სპეციალისტი 592

სპეციალისტის ატესტაცია 592

სპეციალისტის უფლება-მოვალეობანი 592

სპეციალური, სამხედრო ან საპატიო წოდების, საკლასო ჩინისა და სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევა 592

სპეციალური უფლების ჩამორთმევა 592

სპეცტანსაცმელი 593

სრული ამხანაგობა 593

სტალიური დრო 593

სტატუსი 594

სტატუს ინ სტატუ 594

სტატუს კვო 594

სტატუს კვო ანტე ბელუმ 594

სტატუტი 594

სტოკჰოლმის დეკლარაცია 594

სუბიექტური უფლება 594

სუბროგაცია 594

სუბსტიტუცია 595

სულით ავადმყოფობა 595

სხეულებრივი სასჯელი 595

სხეულის ასოთდაშავება 595

სხეულის მსუბუქი დაზიანება 595

სხვადასხვა სახის სასჯელის გადაანგარიშება 595

სხვა სამუშაოზე გადაყვანა 595

სხვისი მიწის ნაკვეთით შეზღუდული სარგებლობის უფლება 596

სჯულდება (სჯულისდება) 596

ტ

ტაბულა რაზა 596

ტაიმ-ჩარტერის ხელშეკრულება 596

ტელეფონოგრამა 597

ტერიტორია 597
ტერიტორიალური 597
ტერიტორიის დემილიტარიზაცია 597
ტერიტორიის ნეიტრალიზაცია 598
ტერიტორიის რადიაციულად დაბინძურებული მონაკვეთი 598
ტერიტორიული ზონა 598
ტერიტორიული ზღვა 598
ტერიტორიული მიწათმოწყობა 598
ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა) 599
ტერორიზმი 599
ტერორისტული აქტი 599
ტექნოგენურად შეცვლილი რადიაციული ფონი 600
ტექნოლოგია 600
ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება 600
ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვა 600
ტოტალიტარიზმი 601
ტოტალური 601
ტრასმისია 601
ტრანსპლანტაცია 601
ტრიბუნა 601
ტრიბუნალი 601
ტრიბუნი 601
ტრიუმვირატი 601
ტრიუმვირები 601
ტრასანტი 602
ტრასატი 602
ტყე 602
ტყეების აღდგენა 602
ტყეების მონიტორინგი 602
ტყეთა ჯგუფები 602
ტყის გაშენება 602
ტყის კანონმდებლობა 602
ტყის მოწყობის პროექტები 602
ტყის სახელმწიფო კადასტრი 602
ტყის სერვიტუტები 603
ტყის ფონდი 603
ტყის ფონდის გამოყენების საქმიანობის ლიცენზირება 603
ტყის ფონდის მიწები 603
ტყის ფონდის მონაკვეთის საზღვრები 603
ტყის ფონდის მონაწილის კონცესიის ხელშეკრულება 603
ტყის ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა 603
უარი თანამშრომლობაზე 603
უარი ინფორმაციის გაცემაზე 603
უარი პირის გადაცემაზე 604
უარის განცხადება ჩვენების მიცემაზე 604
უბედური შემთხვევა საწარმოში 604
უბედური შემთხვევა 605
უბრალო თამასუქი (სოლო) 605
უდანაშაულობის პრეზუმფცია 605
უდანაშაულობის პრეზუმფცია 605
უდანაშაულობის პრეზუმფცია 605
უვიზო შესვლა 606
უზენაესი სასამართლო 606
უზუფრუქტი 606
უზუფრუქტუარი 606

უკანონოდ შვილად აყვანა 606

უკანონო კერძო სამედიცინო პრაქტიკის ან კერძო შარმაცევტული საქმიანობის განხორციელება 607

უკანონო მეწარმეობა 607

უკანონო მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში 607

უკანონო მოქმედებები აღსაწერი, დასაყადაღებელი ან საკონფისკაციო ქონების მიმართ 607

უკანონო ნადირობა 607

უკანონო საბანკო საქმიანობა 607

უკიდურესი აუცილებლობა 607

უკიდურესი აუცილებლობა 607

უკიდურესი აუცილებლობის საზღვრების გადამეტება 607

უმნიშვნელო ქმედება 607

უმოქმედობა 607

უმუშევრობა 608

უმწეო მდგომარეობა 608

უნიტარიზმი 608

უნიტარული 608

უნიტარული საწარმო 608

უპატრონო ქონება 608

ურბანიზაცია 608

უსაფრთხოების ტექნიკა 608

უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო (საწარმოო) სანიტარიის წესები 609

უსაფრთხოების წესების დარღვევა ატომური ენერგეტიკის ობიექტებზე 609

უსაფრთხოების წესების დარღვევა მაგისტრალური მილსადენების მშენებლობის, ექსპლუატაციისა თუ რემონტის დროს 609

უსაფრთხოების წესების დარღვევა სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას 609

უსაფრთხოების წესების დარღვევა ფეთქებადსაშიშ ობიექტებზე 609

უსაფრთხო პირობები ადამიანისთვის 610

უსისხლო გადატრიალება 610

უტიტულო (უკანონო) ქონება 610

უფლება 610

უფლებათა წიგნი 610

უფლებამონაცვლეობა[1] 610

უფლებამონაცვლეობა[2] 610

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება 611

უფლებაუნარიანობა 611

უფლებაუნარიანობა 611

უფლებები (არასრულწლოვანი პაციენტის უფლებები, ზოგიერთი ქვეყნის თანამედროვე მსოფლიოს პრაქტიკა) 611

უფლებები (გასაჩივრების წესი და პასუხისმგებლობა პაციენტის უფლებების დარღვევისათვის) 612

უფლებები (დაავადებები, რომლებიც წარმოადგენენ მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისგან განთავისუფლების საფუძველს) 612

უფლებები (დაკავებასთან დაკავშირებული და წარმოშობილი უფლებები) 617

უფლებები (ორსულისა და მეძუძური დედების უფლებები) 619

უფლებები (პაციენტის უფლებები) 620

უფლებები (სამხედრო მოსამსახურის, წვევამდელისა და სამხედრო სამსახურში კონტრაქტით დაქირავებულის, როგორც პაცი-

ენტის უფლებები) 621

უფლებები (ფსიქოლოგიურად დაავადებულ პაციენტთა უფლებები) 621

უფლებები (ფინანსწარპატიმრობაში ან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის, როგორც პაციენტის უფლებები) 622

უფლების ჩამორთმევა 622

უფლების ჩამორთმევა დაიკავოს გარკვეული თანამდებობები ან დაკავდეს გარკვეული საქმიანობით 622

უქმე არასამუშაო დღეები და დღესასწაულები 622

უცნობებელი არყოფნა 623

უცხოური ვალუტა 623

უძრავი ქონება 623

უძრავი ქონების გაყიდვის ხელშეკრულება 623

უწყება 624

უწყვეტობის პრინციპი 624

ფ

ფასიანი ქაღალდების ემისია 624

ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტი 624

ფასიანი ქაღალდი 624

ფაუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები 624

ფაუნისტური სამართალი 625

ფაქსიმილე 625

ფაქტი 625

ფაქტიური 625

ფაქტიური დაკავების მომენტი 625

ფაქტორი 625

ფაშიზმი 625

ფედერალიზმი 625

ფედერალისტები 625

ფედერალური 625

ფედერატები 625

ფედერაცია 625

ფედერაციული 626

ფედინგი 626

ფელდმარშალი 626

ფეთქებადსაშიში ობიექტები 626

ფერადი და/ან შავი ლითონების ნამსხვრევი და ნარჩენები 626

ფეტიში 626

ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება 626

ფიზიკური პირის საგადასახადო სტატუსი 626

ფილიალი 626

ფინანსები 627

ფინანსური 627

ფიქტიური გაკოტრება 627

ფიქციური 627

ფონდი 627

ფონდი 628

ფონოგრამის მწარმოებლის მოსაზღვრე უფლებები 628

ფორმალური 628

ფორმულარი 628

ფორს-მაჟორი 628

ფრაქციები 628

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება 629

ფრეკნშაიზინგი 629

ფსევდონიმი 629

ფსიქიატრიულ სტაციონარში უპატრონო მოთავსება 629

ფსიქიკური ძალადობა 629

ფსიქოლოგიური (ან ირიდიული) შეურაცხადობის კრიტერიუმი 629

ფსიქოლოგიური სკოლა 629

ფსიქოტროპული ნივთიერებები 630

ფულადი სასჯელი 630

ფული 630

ფუნდამენტალიზმი 630

ქ

ქალაქთმშენებლობა 630

ქალაქთმშენებლობაში მიწის ნაკვეთებისა და უძრავი ქონების სხვა ობიექტების ნებადართული გამოყენება 630

ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაცია 630

ქალაქთმშენებლობის კანონმდებლობა 631

ქალაქთმშენებლობის რეგლამენტი 631

ქალაქთმშენებლობის საქმიანობა 631

ქალაქთმშენებლობის საქმიანობის ობიექტთა მონიტორინგი 631

ქალაქი 631

ქალაქისა და სოფლის დასახლებების, სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების ფარგლები 631

ქალაქისა და სოფლის დასახლებების, სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების ფარგლების პროექტები 631

ქალაქის ფარგლები 631

ქანქარული მიგრაცია 631

ქარიზმა 631

ქვოდ ლიცეთ იოვი, ნონ ლიცეთ ბოვი 632

ქორუმი 632

ქვოტა 632

ქიმიური იარალი 632

ქირავნობის ხელშეკრულება 632

ქმედება 632

ქმედუნარიანობა 632

ქმედუნარიანობა 632

ქმედუუნარობა 632

ქონება 632

ქონებაზე ყადაღის დადება 632

ქონება, რომელიც არ ექვემდებარება კონფისკაციას 633

ქონება, რომელიც ექვემდებარება აღწერას ან დაყადაღებას 633

ქონება, რომელიც ექვემდებარება კონფისკაციას 633

ქონების აღწერა 633

ქონების განადგურება ან დაზიანება 633

ქონების გასხვისება 633

ქონების დაზღვევის ხელშეკრულება 633

ქონების დაყადაღება 633

ქონების კონფისკაცია 634

ქონების შენახვის ტვირთი 634

ქონებრივი ზარალის ანაზღაურება 634

ქონებრივი უფლებები 634

ქონებრივ-სამართლებრივი სარჩელი 634

ქორწინება საეკლესიო 635

ქორწინების ბათილობა 635

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები 635

ქრთამი 635

ქრთამის მიღების ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია 635

ქურდობა 635

ღაზავათი 636

ღალა 636

ღამის დრო 636

ღამის მუშაობა 636

ღია ზღვა 637

ღირსება 637

ყადაღა 637

ყადაღა 637

ყადაღის დადება საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებზე 638

ყადაღის დადება ფასიან ქაღალდებზე 638

ყალბი ფულის მოჭრა 639

ყაჩაღობა 639

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება 639

ყულარაღასი 639

ყურანი 639

შ

შანტაჟი 640

შარიათის კანონები 640

შეზღუდვა სამხედრო სამსახურში 641

შეზღუდული კონვერსიის მძონე ვალუტა 641

შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლობა 641

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 642

შეთავსება 642

შეთანხმება 642

შეთანხმება პროდუქციის გაყოფის შესახებ 642

შეიარაღებული აჯანყება 642

შეკვეთის საავტორო ხელშეკრულება 642

შეკრება მანიფესტაცია 643

შემადგენლობითი ნაწარმოები 643

შემზღუდავი ღონისძიებები (კარანტინი) 643

შემთხვევის ადგილის დათვალიერება 643

შემოწმება 643

შემსრულებელთა მოსაზღვრე უფლებები 645

შენახვის ხელშეკრულება 645

შერაცხადობა 645

შერაცხადობა 646

შერისხვა 646

შესვენება სამუშაოზე 646

შეუვალობა, იმუნიტეტი 646

შეურაცხადობა 646

შეურაცხადობა 647

შეურაცხყოფა 647

შეურაცხყოფა 647

შეფასება 647

შეფენთა სასამართლო 647

შეყრილობა 647

შეცდომა 647

შეწამება, დაწამება 647

შეწირვა 648

შეწირული 648

შეწირულობა 648

შეფირულობა 648

შეფყალება 648

შეფყალება, კერძო ამნისტია 648

შეჯიბრებითობის პრინციპი 648

შეჯიბრებებისა და კონკურსების მონაწილეთა და ორგანიზატორთა მოსყიდვა 649

შვებულება 649

შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება 649

შვილის მკვლელობა 649

შვილობილი საწარმო 649

შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიული ზღვის საზღვაო გარემოს ხარისხის ნორმატივები 649

შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიული ზღვის საზღვაო გარემოს ხარისხის ნორმირება 649

შიდასამეურნეო მიწათმოწყობა 650

შიმშილობა 650

შინაგანაწესი 650

შინაპატიმრობა 650

შინაპატიმრობა 650

შოვინიზმი 650

შაიონაჟი 650

შაიონაჟი 650

შაიონი 650

შრომა-აღმზრდელობითი კოლონია 650

შრომა-გასწორების კოდექსი 651

შრომა-გასწორების კოლონია 651

შრომა-გასწორების სასამართლო 651

შრომითი დავები 651

შრომითი დავების კომისია (შდკ) 651

შრომითი დასაქმება 651

შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი (შმკ) 652

შრომითი მოწყობა 652

შრომის ანაზღაურება შრომის ნორმალური პირობებიდან გადახრის დროს 653

შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა (შამო) 653

შრომის დაცვა 653

შრომის დაცვის წესების დარღვევა 653

შრომის დისციპლინა 654

შრომის კანონმდებლობა 654

შრომის კოდექსი 654

შრომის მავნე პირობები 654

შრომის ნორმები 654

შრომის რედუქცია 654

შრომის საერთაშრისო დანაწილება 655

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) 655

შრომის სამართალი 656

შრომის სამართალი 656

შრომის სამართლებრივი ინსპექცია 656

შრომის უნარი 656

შრომის ფიზიოლოგია 656

შრომის ფსიქოლოგია 657

შრომის ფუნქცია 657

შრომის ფიგნაკი 657

შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) 658

შრომის ხელშეკრულების გაწყვეტა მუშაკის ინიციატივით (საკუთარი სურვილით) 658

შრომის ხელშეკრულების ვადა 658

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა 658

შტატგარეშე მუშაკი 658

შუამავალი 659

შუამდგომლობა 659

შუამდგომლობა თავი 29 659

შუამდგომლობა (ნიმუში) 660

შტრიხი 660

შტრიხკოდი, შტრიხ-კოდი 660

ჩაკეტილი ვალუტა 661

ჩამდინარე წყლები 661

ჩარტერის ხელშეკრულება 661

ჩაქოლვა 661

ჩეკი 661

ჩვენებები 662

ჩვენებების შემოწმება ადგილზე 662

ჩვენების მიცემის იძულება 662

ჩვეულებითი სამართალი 662

ჩვეულებრივი საოჯახო საგნების მემკვიდრეობით გადაცემა 662

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) 662

ჩუქება 662

ჩუხჩერახი 663

ჩხრეკა 663

ცალკე წარმოებაში სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოყენება 663

ცელიბატი 664

ცემა 664

ცენზორი 664

ცენზურა 664

ცენტრალიზაცია 664

ცესია 664

ცილისწამება 664

ციტირება 664

ცნობა 664

ცნობა ანუ დიპლომატიური აქტი 665

ცოდვის მოკიდება 665

ცოცხალი რესურსის რეწვა 665

ცრუმეწარმეობა 665

ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალი (სიები), რომლებიც შეტანილია წითელ წიგნში და მისგან ამოღებულები 665

ცხოველთა სამყარო 665

ცხოველთა სამყაროს ბიოლოგიური მრავალფეროვნება 666

ცხოველთა სამყაროს გამომყენებლები 666

ცხოველთა სამყაროს დაცვა 666

ცხოველთა სამყაროს მონიტორინგი 666

ცხოველთა სამყაროს ობიექტების გამოყენება 666

ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო აღრიცხვა 666

ცხოველთა სამყაროს ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი 666

ცხოველთა სამყაროს ობიექტების ფონდი 666

ცხოველთა სამყაროს ობიექტები 666

ცხოველთა სამყაროს სამკვიდრებელი გარემო 666

ცხოველთა სამყაროს სამკვიდრებელი გარემოს დაცვა 666

ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრი 666

ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონმდებლობის დარღვევა 666

ძ

ძალადობა (ძალისმიერი ქმედებები) 667

ძალადობის თეორია 667

ძალით მიყვანა 667

ძალის გამოყენების მუქარა 667

ძარცვა 667

ძებნის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ 667

ძებნის დადება, ძებნისწერა 668

ძებნი ერისთავთა XIV-XV სს. 668

ძელი 668

ძვირფასი ბუნებრივი ქვები 668

ძვირფასი ლითონები 668

ძვირფასი ლითონების ბუნებრივი ძვირფასი ქვების ან მარგალიტის უკანონო ბრუნვა 669

ძვირფასი ლითონების მოპოვება 669

ძირითადი სასჯელი 669

ძლიერმოქმედი ან შხამიანი ნივთიერებების უკანონო ბრუნვა გასაღების მიზნით 669

ძუძუს ბავშვობის ასაკი 669

წ

წამება 669

წამების დაუშვებლობა 669

წამების ტიპები 671

წარდგინება 671

წარდგინება (ფორმა-ნიმუში) 671

წარმატების ათი მცნება (რეფორმების გატარება) 671

წარმოებული ნაწარმოები 673

წახალისება კეთილსინდისიერ შრომაზე 673

წერილი-თხოვნა 673

წერილი-პასუხი 673

წერილი-შეკითხვა 673

წერილი-შეხსენება 673

წერილობითი ანგარიში 673

წვდომის უფლება 673

წიაღი 674

წიაღის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების უსაფრთხო წარმოების სახელმწიფო ზედამხედველობა 674

წიაღის მონიტორინგი 674

წიაღის სახელმწიფო ფონდი 674

წიაღის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა 674

წითელი წიგნი 674

წითელი ხაზები 674

წინადადება 674

წინასაპროექტო დოკუმენტაცია 674

წინასწარი გამოძიება 674

წინასწარი გამოძიების ორგანოები, ნაწილი I 674

წინასწარი გამოძიების მონაცემთა გამჟღავნება 677

წინასწარი გამოძიების შეჩერება 677

წინასწარი გამოძიების წარმოებისთვის ხელის შეშლა 677

წინასწარი განზრახვა 677

წინასწარი მოსმენა 677

წინასწარი პატიმრობა 678

წინასწარი ძიება 678

წინდაცვეთა 678

წოდება 679

წყალშესაკრები მოედანი 679

წყლები 679

წყლების გამოლევა 679

წყლების მავნე ზეგავლენა 679

წყლების მონიტორინგი 679

წყლების ბიოლოგიური რესურსების მონიტორინგი 679

წყლის გამომყენებელი 679

წყლის გამოყენება 679

წყლის გამოყენების (წყლის მოხმარებისა და წყალსარინის) ლიმიტები 679

წყლის კანონმდებლობის დარღვევა 679

წყლის მომხმარებელი 679

წყლის მეურნეობის ობიექტი 679

წყლის ობიექტებით სარგებლობა (წყლით სარგებლობა) 679

წყლის ობიექტები 679

წყლის ობიექტების გამოყენება 679

წყლის ობიექტების დაბინძურება 680

წყლის ობიექტების დანაგვიანება 680

წყლის ობიექტების დაცვა 680

წყლის ობიექტების მდგომარეობაზე გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის წინასაპროექტო და საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზა 680

წყლის ობიექტების სახელმწიფო მონიტორინგი 680

წყლის რეჟიმი 680

წყლის რესურსები 680

წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები 680

წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების დამტკიცებისა და რეალიზაციის სახელმწიფო ექსპერტიზა 680

წყლის საზოგადოებრივი ურთიერთობები 680

წყლის სამართალი 680

წყლის სამეურნეო ბალანსები 680

წყლის სამეურნეო საქმიანობა 681

წყლის ფონდი 681

წყლის ფონდის მიწები 681

წყლის ღობე 681

წყლის ცხოველებისა და მცენარეების უკანონო მოპოვება 681

ჭ

ჭაუასუსტობა 680

ჭაუასუსტობა 681

ჭილი 681

ხ

ხაზინა 682

ხაზინა 682

ხალთხმოსახლეობა და მაჩვენებელი 682

ხამურაბის კანონები 682

ხანდაზმულობის ვადა 682

ხარჯთაღრიცხვა 683

ხელისუფლების აქტებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები 683

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი 683

ხელისუფლების დაყოფა 673

ხელისუფლების მიტაცება 684

ხელისუფლების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდება ან ხელისუფლების ძალადობრივად შენარჩუნება 684

ხელისუფლების წარმომადგენელი 674

ხელმწიფის კარის გარიგება 684

ხელფასი 684

ხელფასიდან დაკავების შეზღუდვა 685

ხელფასის დროებითი სისტემა 685

ხელფასის, პენსიების, სტიპენდიების, შემოწმებისა და სხვა დახმარების გაუცემლობა 686

ხელშეკრულება 686

ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ 686

ხელშეკრულების დადება 687

ხელშეკრულების თეორია 687

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები 687

ხელშეუხებლობა 687

ხელწერილი (ფორმა-ნიმუში) 687

ხელწერილი ქალაქიდან გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ 688

ხე-ტყის გასაკაფი ბილეთები 688

ხე-ტყის უკანონო მოჭრა 688

ხომალდის კაპიტნის მიერ გასაჭირში მყოფთათვის დახმარების გაუწევლობა 688

ხულიგნობა 688

ჯ

ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება 689

ჯანმრთელობისათვის მძიმე ზიანის მიყენება 689

ჯარიმა 689

ჯარიმის გადასახდისაგან ბოროტად თავის არიდება 689

ჯენტლმენური გარიგება 689

ჯიბის ვეტო 689

ჯილდოება 689

ჯიში 689

ჰ

ჰააგის სამშვიდობო კონფერენციები 690

ჰაბუას კორპუს აქტი 690

ჰაკერობა 690

ჰაპრა, ჰიპრა 690

ჰეგემონიზმი 690

ჰელიმა 690

ჰერმენევტი 690

ჰერმერაკლი 690

ჰეროსტრატეს სახელი 690

ჰერცოგი 690

ჰექტარი 690

ჰიდროტექნიკური ნაგებობის ავარიის რისკის დასაშვები დონე 690

ჰიდროტექნიკური ნაგებობის ტერიტორია 690

ჰიდროტექნიკური ნაგებობის უსაფრთხოება 690

ჰიდროტექნიკური ნაგებობის უსაფრთხოების დეკლარაცია 690

ჰიდროტექნიკური ნაგებობის უსაფრთხოების კრიტერიუმები 690
ჰიდროტექნიკური ნაგებობის უსაფრთხოების შეფასება 691
ჰიანოზი 691
ჰიპოთეზა 691
ჰიპრა 691
ჰონორარი 691
ჰოფმარშალი 691
ჰუნვეიბინები 691

სარჩევი

1. შესავალი 3
2. თავისუფლება და სამართალი 5
3. კანონის მნიშვნელობის ზოგიერთი ელემენტი 7
4. ლექსიკონის გამოყენების დროს თეზისების სახით მოცემული არჩევები, მიდგომები და აუცილებელი პირობების გათავისების ფსიქოლოგიური გარემო 9
5. არჩევნების პოლიტიკური კულტურა 10

ა 15
ბ 79
გ 102
დ 172
ე 220
ვ 235
ზ 241
თ 244
ი 255
კ 269
ლ 335
მ 344
ნ 400
ო 411
პ 418
ჟ 441
რ 442
ს 449
ტ 596
უ 603
ფ 624
ქ 630
ღ 636
ყ 637
შ 640
ჩ 661
ც 663
ძ 667
წ 669
ჭ 681
ხ 682
ჯ 689
ჰ 690

6. ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული, ინგლისური სენტენციები და ტერმინები (ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა, სამართალი) 692
   იურიდიული სენტენციები 692
7. თუ დაგაკავეს ან დაგაპატიმრეს 747
8. ბრალდებული 749
9. ამოღება და ჩხრეკა 751
10. განსასჯელი 752
11. საპატიმროებში დაშვებული და აკრძალული ნივთების სია 753
12. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელი 753
14. გამოყენებული წყაროები 754
15. ტერმინთა საძიებელი 755

სოლომონ თეზელიშვილი

იურიდიული ენციკლოპედია

რედაქტორი მ. ჩიკვილაძე
ტექ. რედაქტორი ი. წავროზაშვილი
კორექტორი მ. კილაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. №112

e-mail: info@meridianpub.com